

BIBLE

ქართული ბიბლია
სრული ვერსია

Georgian Language

Georgian - All Bible

Old Testament		ნაუმ წინასწარმეტყველი	1.583
დაბადება	3	აბაკუმ წინასწარმეტყველი	1.587
გამოსვლა	103	სოფონია წინასწარმეტყველი	1.591
ლევიაწი	184	ანგია წინასწარმეტყველი	1.595
რიცხვნი	245	ზაქარია წინასწარმეტყველი	1.598
მეორე რჯული	331	მალაქია წინასწარმეტყველი	1.614
იესო ნავეს ძე	403	New Testament	
მსაჯულნი	452	მათეს სახარება	1.619
რუთი	499	მარკოზის სახარება	1.687
პირველი მეფეთა	506	ლუკას სახარება	1.729
მეორე მეფეთა	570	იოანეს სახარება	1.800
მესამე მეფეთა	622	მოციქულთა საქმენი	1.854
მეოთხე მეფეთა	684	რომაელთა მიმართ	1.922
პირველი ნებთა	741	პირველი კორინთელთა მიმართ	1.951
მეორე ნებთა	799	მეორე კორინთელთა მიმართ	1.980
პირველი ეზრა	865	გალატელთა მიმართ	1.999
ნემია	885	ეფესელთა მიმართ	2.009
ესთერი	914	ფილიპელთა მიმართ	2.019
იობი	929	კოლასელთა მიმართ	2.026
ფსალმუნნი	985	პირველი თესალონიკელთა მიმართ	2.033
იგავნი სოლომონისა	1.123	მეორე თესალონიკელთა მიმართ	2.039
ეკლესიასტე	1.171	პირველი ტიმოთეს მიმართ	2.043
ქებათა-ქება სოლომონისა	1.186	მეორე ტიმოთეს მიმართ	2.051
ესაია წინასწარმეტყველი	1.194	ტიტეს მიმართ	2.057
იერემია წინასწარმეტყველი	1.291	ფილიმონის მიმართ	2.061
გოდება იერემიასი	1.399	ებრაელთა მიმართ	2.063
ეზეკიელ წინასწარმეტყველი	1.409	იაკობის ეპისტოლე	2.084
დანიელ წინასწარმეტყველი	1.507	პირველი პეტრესი	2.092
ოსია წინასწარმეტყველი	1.537	მეორე პეტრესი	2.100
იოველ წინასწარმეტყველი	1.552	პირველი იოანესი	2.105
ამოს წინასწარმეტყველი	1.558	მეორე იოანესი	2.113
აბდია წინასწარმეტყველი	1.569	მესამე იოანესი	2.114
იონა წინასწარმეტყველი	1.571	იუდასი	2.115
მიქა წინასწარმეტყველი	1.575	იოანეს გამოცხადება	2.117



Georgian - All Bible

(ქართული ბიბლია, სრული ვერსია)

ბიბლია ძველი აღთქმა

დაბადება

დაბადება 1

- ¹თავდაპირველად შექმნა ღმერთმა ცა და მიწა.
- ²მიწა იყო უსახო და უდაბური, და ბნელი იწვა უფსკრულებზე, და სული ღვთისა მიმოქროდა წყლებზე.
- ³და თქვა ღმერთმა: „იყოს ნათელი!“ და იქმნა ნათელი.
- ⁴და დაინახა ღმერთმა, რომ კარგია ნათელი და გაჰყარა ღმერთმა ნათელი ბნელისაგან.
- ⁵და უწოდა ღმერთმა ნათელს დღე და ბნელს – ღამე. და იყო საღამო, და იყო დილა – დღე პირველი.
- ⁶და თქვა ღმერთმა: „იქმნას წყალთა შორის მყარი და გაჰყაროს წყლები.“
- ⁷და შექმნა ღმერთმა მყარი და გაჰყარა მყარს ქვემოთა წყლები მყარს ზემოთა წყლებისგან. ეს ასე იყო.
- ⁸და უწოდა ღმერთმა მყარს ცა. და იყო საღამო, და იყო დილა – დღე მეორე.
- ⁹და თქვა ღმერთმა: „შეგროვდეს წყლები ცისქვეშეთში ერთგან და გამოჩნდეს ხმელეთი.“ და იქმნა ასე.
- ¹⁰და უწოდა ღმერთმა ხმელეთს მიწა და წყალთა შესაკრებელს უწოდა ზღვა. და დაინახა ღმერთმა, რომ ეს კარგი იყო.
- ¹¹და თქვა ღმერთმა: „აღმოაცენოს მიწამ მცენარეული – ბალახი, თესლის მომცემი, და ხენი ნაყოფიერი მიწაზე, ყოველი მათგანი თავისი მსგავსი თესლოვანი ნაყოფის მომტანი მიწაზე.“ და იქმნა ასე.
- ¹²და აღმოაცენა მიწამ მცენარეული – ბალახი, თესლის მომცემი თავისი სახის მიხედვით, და ხენი ნაყოფიერი, თავისი მსგავსი თესლოვანი ნაყოფის მომტანი. და დაინახა ღმერთმა, რომ ეს კარგი იყო.



- ¹³და იყო საღამო, და იყო დილა – დღე მესამე.
- ¹⁴და თქვა ღმერთმა: „იყვნენ მნათობნი ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დრო-ჟამის ნიშნებად – დღეებისა და წელიწადებისა,
- ¹⁵და იყვნენ მანათობლებად ცის მყარზე, რომ გაანათონ მიწა.“ და იქმნა ასე.
- ¹⁶და გააჩინა ღმერთმა ორი მთავარი მნათობი: დიდი მნათობი – დღის განმგებლად, და მცირე მნათობი – ღამის განმგებლად, და ვარსკვლავები.
- ¹⁷და დასხა ისინი ღმერთმა ცის მყარზე, რომ ენათებიანთ მიწა,
- ¹⁸განეგოთ დღე და ღამე, გაეყარათ ნათელი და ბნელი. და დაინახა ღმერთმა, რომ ეს კარგი იყო.
- ¹⁹და იყო საღამო, და იყო დილა – დღე მეოთხე.
- ²⁰და თქვა ღმერთმა: „აფუთფუთდეს წყალში სულდგმული, მიწის ზემოთ კი, ცის მყარზე, ფრინველმა იფრინოს.“ და იქმნა ასე.
- ²¹და შექმნა ღმერთმა ზღვის ურჩხულები და ყოველი სულდგმული, მცურავი, თავ-თავისი სახისდა მიხედვით, რაც კი წყალში ფუთფუთებს, და ყველა ფრთოსანი თავ-თავისი სახისდა მიხედვით. და დაინახა ღმერთმა, რომ ეს კარგი იყო.
- ²²აკურთხა ღმერთმა ისინი და თქვა: „მოშენდით და იმრავლეთ, და გაავსეთ ზღვის წყლები, და ფრინველმა იმრავლოს მიწაზე.“
- ²³და იყო საღამო, და იყო დილა – დღე მეხუთე.
- ²⁴და თქვა ღმერთმა: „წარმოშვას მიწამ სულდგმულნი თავ-თავისი სახისდა მიხედვით, პირუტყვი, ქვეწარმავალნი და მიწის მხეცები მათი სახისდა მიხედვით.“ და იქმნა ასე.
- ²⁵და შექმნა ღმერთმა მხეცნი მიწისა თავ-თავისი სახისდა მიხედვით და პირუტყვი თავ-თავისი სახისდა მიხედვით, და ქვემძრომი თავ-თავისი სახისდა მიხედვით. და დაინახა ღმერთმა, რომ ეს კარგი იყო.
- ²⁶და თქვა ღმერთმა: „შექმნათ ადამიანი ჩვენს ხატად და ჩვენს მსგავსად. და ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელ დედამიწას და ყოველ არსებას, რაც კი მიწაზე იძვრის.“
- ²⁷და შექმნა ღმერთმა ადამიანი თავის ხატად, ღვთის ხატად შექმნა იგი, კაცად და ქალად შექმნა ისინი.
- ²⁸და აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: „მოშენდით და იმრავლეთ, და აავსეთ მიწა, და დაეუფლეთ მას, და ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ არსებას, რაც კი მიწაზე იძვრის.“



²⁹და თქვა ღმერთმა: „აჰა, გაძლევთ თქვენ ყოველ ბალახს, თესლის მქონეს, რაც კი მიწის ზურგზეა, და ყოველ ნაყოფიერ ხეს, თესლის მქონეს. ეს იყოს თქვენი საზრდო!

³⁰ხოლო ყოველ მხეცს მიწისას, და ცის ყოველ ფრინველს და ყოველ არსებას მიწაზე, რასაც კი სიცოცხლის სული უდგას, მწვანე ბალახი ჰქონდეს საჭმელად!“ და იქმნა ასე.

³¹და მიხედა ღმერთმა ყოველივეს, რაც შექმნა, და აჰა, ძალიან კარგი იყო. და იყო საღამო, და იყო დილა – დღე მეექვსე.

დაბადება 2

¹და გასრულდა ცა და მიწა და ყოველი სამკაული მათი.

²და გაასრულა ღმერთმა მეშვიდე დღეს თავისი საქმე, რასაც აკეთებდა, და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისაგან, რაც გააკეთა.

³და აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმიდაჰყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა მან ყოველი საქმისაგან, რაც შექმნისას გააკეთა.

⁴ასეთი იყო ცისა და მიწის დასაბამი მათი შექმნისას, როცა ქმნიდა უფალი ღმერთი მიწას და ცას,

⁵არც მინდვრის ბუჩქი იყო მიწაზე და არც მინდვრის ბალახი აღმოცენებულიყო მიწაზე, ვიდრე წვიმა არ მოიყვანა უფალმა ღმერთმა; და არც კაცი იყო, რომ დაემუშავებინა მიწა;

⁶მხოლოდ ნისლი ადიოდა წიაღიდან და რწყავდა მიწის მთელ ზედაპირს.

⁷და გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი მიწის მტვრისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა, და იქცა ადამი ცოცხალ არსებად.

⁸და გააშენა უფალმა ღმერთმა ბაღი ედემში, აღმოსავლეთში, და დასვა იქ ადამი, რომელიც გამოსახა.

⁹და აღმოაცენა უფალმა ღმერთმა მიწიდან ყოველი ხე, სანახავად საამო და საჭმელად ვარგისი, შუაგულ ბაღში კი – ხე სიცოცხლისა და ხე კეთილისა და ბოროტის შეცნობისა.

¹⁰და მდინარე მოედინება ედემიდან ბაღის მოსარწყავად, მერე იტოტება და იქმნება ოთხი ნაკადი.

¹¹ერთის სახელია ფიშონი; იგი გარს უვლის ხავილას მთელ ქვეყანას, სადაც ოქროა.

¹²და ოქრო იმ ქვეყნისა კარგია. იქ არის სამყეც და ძვირფასი ქვაც.



¹³მეორე მდინარის სახელია გიზონი; იგი გარს უვლის მთელ ქუშის ქვეყანას.

¹⁴მესამე მდინარის სახელია ტიგროსი; იგი აღმოსავლეთით ჩაუდის აშურს. მეოთხე მდინარეა ევფრატი.

¹⁵და აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დასვა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად.

¹⁶და უბრძანა უფალმა ღმერთმა ადამს: „ყველა ხის ნაყოფის ჭამა შეგიძლია ამ ბაღში,

¹⁷ოღონდ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ ჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდები.“

¹⁸და თქვა უფალმა ღმერთმა: „არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა. გავუჩენ მის შესაფერ შემწეს.“

¹⁹და გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწისაგან ყველა ცხოველი მინდვრისა და ყველა ფრინველი ცისა, და მიიყვანა ადამთან, რათა ენახა, რას დაარქმევდა; და რომელ სულდგმულს რას უწოდებდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა.

²⁰და უწოდა ადამმა სახელები ყველა შინაურ პირუტყვს, ცის ფრინველთ და ველის ყველა ცხოველს, მაგრამ არ გამოუჩნდა შემწე – თავისი შესაფერი.

²¹და მოჰგვარა უფალმა ღმერთმა ძილქუში ადამს და, როცა დაეძინა, ერთი ნეკნი გამოუღო და ის ადგილი ხორციტ ამოუღესო.

²²და ააშენა უფალმა ღმერთმა დედაკაცი იმ ნეკნისაგან, კაცს რომ გამოუღო, და მიუყვანა ადამს.

²³და თქვა ადამმა: „ეს კი მართლაც ძვალთაგანი და ხორცია ჩემი ხორცთაგანი. დედაკაცი ეწოდოს მას, რაკი კაცისგან არის გამოღებული.“

²⁴ამიტომაც მიატოვეს კაცი თავის დედ-მამას და მიეკრობა თავის დედაკაცს, რათა ერთხორცი გახდნენ.

²⁵და შიშველნი იყვნენ ორივენი, კაციც და მისი ცოლიც, და არ ერიდებოდათ.

დაბადება 3

¹გველი ყველაზე ცბიერი იყო ველის ცხოველთა შორის, რომლებიც კი შექმნა უფალმა ღმერთმა. და უთხრა გველმა დედაკაცს: „მართლა გითხრათ ღმერთმა, ბაღის არც ერთი ხის ნაყოფი არ ჭამოთ?“



- ²და მიუგო დედაკაცმა გველს: „რაც კი ბაღშია, ყველა ხის ნაყოფი გვექმევა,
- ³ოღონდ შუაგულ ბაღში რომ ხე დგას, იმის ნაყოფს ნუ შეჭამთო, გვითხრა ღმერთმა; არ გაეკაროთ, თორემ დაიხოცებითო.“
- ⁴და უთხრა გველმა დედაკაცს: „არ დაიხოცებით.
- ⁵მაგრამ იცის ღმერთმა, რომ როგორც კი შეჭამთ, თვალი აგეხილებათ და შეიქმნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი.“
- ⁶დაინახა დედაკაცმა, რომ კარგი ჩანდა საჭმელად ის ხე, რომ თვალწარმტაცი და საამური სანახავი იყო, და მოწყვიტა ნაყოფი და შეჭამა. და მისცა თავის ქმარს და კაცმაც შეჭამა.
- ⁷და აეხილათ თვალები ორივეს და მიხვდნენ, რომ შიშველნი იყვნენ. და გადააკერეს ლელვის ფოთლები და წინსაფენები გაიკეთეს.
- ⁸და გაიგონეს ხმა უფალი ღმერთისა, რომელიც სადამო ხანს ბაღში მიმოდიოდა, და დაემალნენ უფალ ღმერთს ადამი და მისი ცოლი ბაღის ხეებს შორის.
- ⁹და დაუძახა უფალმა ღმერთმა ადამს და უთხრა: „ადამ, სადა ხარ?“
- ¹⁰და მიუგო ადამმა: „შენი ხმა გავიგონე ბაღში და შემეშინდა, შიშველი რომ ვარ, და დავიმალე.“
- ¹¹და ჰკითხა მან: „ვინ გითხრა, რომ შიშველი ხარ? ნუთუ იმ ხის ნაყოფი შეჭამე, მე რომ აგიკრძალე?“
- ¹²და უთხრა ადამმა: „შენ რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც შევჭამე.“
- ¹³და ჰკითხა უფალმა ღმერთმა დედაკაცს: „ეს რა ჩაიდინე?“ და თქვა დედაკაცმა: „გველმა შემაცდინა და მეც შევჭამე.“
- ¹⁴და უთხრა უფალმა ღმერთმა გველს: „რაკი ეს ჩაიდინე, წყეულიმც იყავ ყველა პირუტყვს შორის, ველის ყველა ცხოველს შორის! მუცლით იხოხე და მტვერი ჭამე მთელი შენი სიცოცხლე!
- ¹⁵მე მტრობას ჩამოვაგდე შენსა და დედაკაცს შორის, და შენს მოდგმასა და დედაკაცის მოდგმას შორის: მისი მოდგმა თავს გაგიჭეჭყავს; შენ კი მას ქუსლს დაუგესლავ!“
- ¹⁶და დედაკაცს უთხრა: „სატანჯველს გაგიმრავლებ; ფეხმძიმობას გაგიძნელებ; ტანჯვით შობ შვილებს, ქმრისკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე.“



¹⁷და ადამს უთხრა: „რაკი შენს დედაკაცს დაუჯერე და შეჭამე ხის ნაყოფი, რომლის ჭამაც მე აგიკრძალე, მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით ღებულობდე მისგან საზრდოს მთელი შენი სიცოცხლე!

¹⁸და ძეძვი და ეკალი აღმოგიცენოს მან და მინდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო!

¹⁹პიროვლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგან ხარ აღებული, რადგან მიწა ხარ და მიწადვე მიიქცევი!“

²⁰და დაარქვა ადამმა თავის ცოლს ევა, რადგან იგი გახდა ყოველი ცოცხალის დედა.

²¹და უქმნა უფალმა ღმერთმა ადამს და მის ცოლს ტყავის სამოსელი და შემოსა ისინი.

²²და თქვა უფალმა ღმერთმა: „ადამი გახდა როგორც ერთი ჩვენთაგანი, შემცნობელი კეთილისა და ბოროტისა. ახლა, ვაითუ, გაიწოდოს ხელი და მოწყვიტოს სიცოცხლის ხის ნაყოფიც, შეჭამოს და მარადიულად იცოცხლოს!“

²³და გაუშვა ადამი უფალმა ღმერთმა ედემის ბაღიდან, რომ დაემუშავებინა მიწა, რომლიდანაც იყო აღებული.

²⁴და განდევნა იგი, ედემის ბაღს კი აღმოსავლეთით ქერუბიმები და ცეცხლოვანი მბრუნავი მახვილი დაუყენა სიცოცხლის ხესთან მისასვლელი გზის დასაცავად.

დაბადება 4

¹და შეიცნო ადამმა ევა, თავისი დედაკაცი. და დაორსულდა ევა და შვა კაენი, და თქვა: კაცი შემემძინაო უფლის წყალობით.

²და შემდგომ შვა აბელი, მისი ძმა. და გახდა აბელი მეცხვარე, ხოლო კაენი – მიწის მუშა.

³გამოხდა ხანი და მიაღწია კაენმა მიწის ნაყოფთაგან ძღვენი უფალს.

⁴აბელმაც მიაღწია უფალს თავისი ცხვრის პირველმოგებულთაგან და მათი ლურთები. და მოეწონა უფალს აბელი და მისი ძღვენი,

⁵ხოლო კაენი და მისი ძღვენი არ მოეწონა. და ძალზე გამწარდა კაენი და სახე მოედლუმა.

⁶და ჰკითხა უფალმა კაენს: „რად გამწარდი, რად მოგიდლუმავს სახე?



⁷თუ სიკეთეს სჩადიხარ, ხომ დაგიფასდება? ხოლო თუ სიკეთეს არ სჩადიხარ, ცოდვა კართან გიცდის. შენსკენ მოილტვის, შენ კი იბატონე მასზე.“

⁸და უთხრა კაენმა აბელს, თავის ძმას: „გავიდეთ ველად.“ და იყო, რომ ველად ყოფნისას აღდგა კაენი აბელზე, თავის ძმაზე და მოკლა იგი.

⁹და ჰკითხა უფალმა კაენს: „სად არის შენი ძმა აბელი?“ უპასუხა მან: „არ ვიცი. მე ჩემი ძმის დარაჯი ხომ არა ვარ?“

¹⁰და უთხრა უფალმა: „ეს რა ჩაიდინე? შენი ძმის სისხლის ხმა შემომღალადებს მიწიდან!“

¹¹ამიერიდან დაწყებული ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან!

¹²დაშვრები მიწაზე და აღარ მოგცემს იგი თავის ღალას. დევნილი და მიუსაფარი იქნები ქვეყნად.“

¹³და უთხრა კაენმა უფალს: „მძიმე ასატანია ჩემი სასჯელი.“

¹⁴აჰა, მამეებს დღეს მიწისაგან და შენ სახეს უნდა დავემალო! დევნილი და მიუსაფარი ვიქნები ქვეყნად და ყოველ შემხვედრს შეეძლება ჩემი მოკვლა.“

¹⁵და თქვა უფალმა: „ყოველი მკვლელი კაენისა შვიდგზის მიიღებს შურისგებას.“ და დაადო უფალმა ნიშანი კაენს, რათა არ მოეკლა იგი ყოველ მის შემხვედრს.

¹⁶და გაშორდა კაენი უფლის სახეს და დაემკვიდრა ნოდის ქვეყანაში, ედემის აღმოსავლეთით.

¹⁷და შეიცნო კაენმა თავისი დედაკაცი. და დაორსულდა ქალი და შვა ენოქი. და ააშენა კაენმა ქალაქი და უწოდა თავისი ძის სახელი – ენოქი.

¹⁸და შვა ენოქმა ყირადი; და ყირადმა შვა მეხუიაელი, და მეხუიაელმა შვა მეთუშაელი, და მეთუშაელმა შვა ლამექი.

¹⁹და მოიყვანა ლამექმა ორი ცოლი: ერთს სახელად ერქვა ყადა, მეორეს – ცილა.

²⁰და შვა ყადამ იაბალი, რომლისგანაც წარმოსდგნენ კარვებში მცხოვრები მეჯოგენი.

²¹მის ძმას ერქვა იუბალი, რომლისგანაც წარმოსდგნენ ყველა მეჩანგენი და მესტვირენი.

²²და შვა ცილამ თუბალ-კაენი, რომლისგანაც წარმოსდგნენ მჭედელნი ბრინჯაოსა და რკინისა. თუბალ-კაენის დას ერქვა ნაყამა.



²³და უთხრა ლამექმა თავის ცოლებს: „ყადა და ცილა, ლამექის ცოლებო, ისმინეთ ჩემი და ყურად იღეთ ჩემი ნათქვამი: ჰო, მოვკალი კაცი, რომელმაც დამჭრა და ყმაწვილი, რომელმაც დამარტყა.“

²⁴თუ შვიდგზის მიეზღვებათ კაენის გამო, ლამექის გამო სამოცდაჩვიდმეტგზის მიეზღვებათ.“

²⁵და კვლავ შეიცნო ადამმა თავისი ცოლი; და შვა ქალმა ვაჟი და უწოდა შეთი, რაც ნიშნავს: „მომმადლა ღმერთმა სხვა ნაშიერი ნაცვლად აბელისა, კაენმა რომ მოკლა.“

²⁶და შეთსაც შეეძინა ვაჟი და უწოდა სახელად ენოში. იმ დროიდან დაიწყეს უფლის სახელის ხსენება.

დაბადება 5

¹ეს არის წიგნი ადამის მოდგმისა; როცა ღმერთმა შექმნა კაცი, ღვთის მსგავსად შექმნა იგი.

²კაცად და ქალად შექმნა ისინი, და აკურთხა. და უწოდა მათ სახელად „ადამიანი“ მათი შექმნის დღეს.

³ადამმა 130 წელი იცოცხლა და შეეძინა ძე, თავისი მსგავსი და თავისი ხატი, და უწოდა სახელად შეთი.

⁴შეთის შობის შემდეგ ადამმა კიდევ იცოცხლა 800 წელი, და შვა ძენი და ასულები.

⁵და სრული ხანი ადამისა, რაც იცოცხლა, იყო 930 წელი და მოკვდა.

⁶იცოცხლა შეთმა 105 წელი და შვა ენოში.

⁷იცოცხლა შეთმა ენოშის დაბადების შემდეგ 807 წელი და კვლავ შვა ძენი და ასულები.

⁸და სრული ხანი შეთისა იყო 912 წელი და მოკვდა.

⁹და იცოცხლა ენოშმა 90 წელი და შვა კენანი.

¹⁰იცოცხლა ენოშმა კენანის დაბადების შემდეგ 815 წელი და კვლავ შვა ძენი და ასულები.

¹¹და სრული ხანი ენოშისა იყო 905 წელი და მოკვდა.

¹²იცოცხლა კენანმა 70 წელი და შვა მაჰალალელი.

¹³იცოცხლა კენანმა მაჰალალელის დაბადების შემდგომ 840 წელი, და კვლავ შვა ძენი და ასულები.



- ¹⁴სრული ხანი კენანისა იყო 910 წელი და მოკვდა.
- ¹⁵იცოცხლა მაჰალაღელმა 65 წელი, და შვა იარედი.
- ¹⁶იცოცხლა მაჰალაღელმა იარედის დაბადების შემდეგ 830 წელი და კვლავ შვა ძენი და ასულნი.
- ¹⁷იცოცხლა მაჰალაღელმა 895 წელი და მოკვდა.
- ¹⁸იცოცხლა იარედმა 162 წელი და შვა ენოქი.
- ¹⁹ენოქის დაბადების შემდეგ იცოცხლა იარედმა 800 წელი და კვლავ შვა ძენი და ასულნი.
- ²⁰სრული ხანი იარედისა იყო 962 წელი და მოკვდა.
- ²¹იცოცხლა ენოქმა 65 წელი და შვა მათუსალა.
- ²²და დადიოდა ენოქი ღმერთის გზით მათუსალას დაბადების შემდეგ 300 წელი და კვლავ შვა ძენი და ასულნი.
- ²³სრული ხანი ენოქისა იყო 365 წელი.
- ²⁴და დადიოდა ენოქი ღმერთის გზით; შემდეგ კი აღარსად იყო, რადგან აიყვანა იგი ღმერთმა.
- ²⁵იცოცხლა მათუსალამ 187 წელი და შეეძინა მას ლამექი.
- ²⁶იცოცხლა მათუსალამ ლამექის დაბადების შემდეგ 782 წელი და კვლავ შვა ძენი და ასულნი.
- ²⁷სრული ხანი მათუსალასი იყო 969 წელი და მოკვდა.
- ²⁸იცოცხლა ლამექმა 182 წელი, და შვა ვაჟი.
- ²⁹და დაარქვა მას სახელად ნოე. ასე თქვა: ეს გვანუგეშებსო ჩვენს საქმეებში და ჩვენს მძიმე ჯაფაში მიწაზე, რომელიც დაწყევლოა უფალმა.
- ³⁰და იცოცხლა ლამექმა ნოეს დაბადების შემდეგ 595 წელი და შვა ძენი და ასულნი.
- ³¹სრული ხანი ლამექისა იყო 777 წელი და მოკვდა.
- ³²500 წლისა იყო ნოე, როცა შვა სამი ვაჟი: სემი, ქამი და იაფეთი.

დაბადება 6

- ¹როცა იწყეს ადამიანებმა გამრავლება მიწაზე და ასულები შეეძინათ,
- ²დაინახეს ღვთის შვილებმა, რომ მშვენიერნი იყვნენ ადამიანთა ასულები და მოჰყავდათ ცოლებად, ვისაც ვინ მოეწონებოდა.



- ³და თქვა უფალმა: „არ დაივანოს სულმა ჩემმა ადამიანზე საუკუნოდ, რადგან იგი ხორციელია, და იყოს მისი ხანი 120 წელი.“
- ⁴გოლიათები ცხოვრობდნენ მიწაზე იმ ხანებში და მას შემდეგაც, როცა ღვთის შვილები შედიოდნენ ადამიანის ასულებთან, რომელნიც შვილებს უჩენდნენ მათ. სახელოვანი ხალხი იყვნენ ისინი ძველთაგანვე.
- ⁵და იხილა უფალმა, რომ იმატა ადამიანთა უკეთურებამ მიწაზე, რომ მუდამჟამს ბოროტს განიზრახავდნენ გულში.
- ⁶და ინანა უფალმა, რომ შექმნა ადამიანი მიწაზე და ნაღველი ჩაიდო გულში.
- ⁷და თქვა უფალმა: „მიწის პირისაგან აღვგვი ადამიანს, რომელიც შევქმენი. ადამიანთან ერთად – პირუტყვს, ქვეწარმავალს და ცის ფრინველთ, რადგან ვნანობ, რომ შევქმენი ისინი.“
- ⁸და მხოლოდ ნოემ ჰპოვა მადლი უფლის თვალში.
- ⁹ეს არის ნოეს ამბავი. ნოე მართალი და უბიწო კაცი იყო თავის მოდგმაში და ღმერთის გზით დადიოდა იგი.
- ¹⁰და შვა ნოემ სამი ვაჟი: სემი, ქამი და იაფეთი.
- ¹¹მაგრამ წაირყვნა მიწა ღვთის წინაშე და აღივსო იგი უსამართლობით.
- ¹²და იხილა ღმერთმა ქვეყანა რომ წარყვნილიყო, რადგან გაერყვნა ყოველ ხორციელს თავისი გზა მიწაზე.
- ¹³და უთხრა ღმერთმა ნოეს: „მოაწია ყოველი ხორციელის აღსასრულმა ჩემს წინაშე, რადგან აღივსო მიწა მათი უსამართლობით; და მე მოვსპობ მათ და მათთან ერთად მთელს დედამიწას.
- ¹⁴გაიკეთე შენთვის კიდობანი ულპობელი ძელებისაგან, ოთახები გაუკეთე კიდობანს, შიგნით და გარეთ შეფისე.
- ¹⁵ამგვარი უნდა ააგო იგი: სიგრძით 300 წყრთა იყოს კიდობანი, სიგანით – 50 წყრთა, სიმაღლით – 30 წყრთა.
- ¹⁶სარკმელი გაუკეთე კიდობანს, ზემოდან ერთ წყრთაზე დაატანე. კარი გვერდიდან შეაბი კიდობანს, ქვედა, შუა და ზედა სართულები მოაწყვე შიგ.
- ¹⁷და მე მოვავლენ წარღვნას მიწაზე, ცისქვეშეთიდან ყოველი ხორციელის მოსასპობად, რომელშიც სიცოცხლის სულია; ყოველი მიწიერი უნდა განადგურდეს.
- ¹⁸მაგრამ დაგიდებ აღთქმას: შეხვალთ კიდობანში შენ და შენი შვილები, და შენი ცოლი და შენს ძეთა ცოლები.



¹⁹ყოველგვარი ცხოველი, ყოველგვარი ხორციელი წყვილ-წყვილად შეიყვანე კიდობანში, რათა შენთან ერთად გადარჩნენ. დედალ-მამალი იყოს!

²⁰ფრინველისაგან მისი გვარისამებრ და პირუტყვისაგან მისი გვარისამებრ, მიწის ყოველი ქვეწარმავლისაგან მისი გვარისამებრ წყვილ-წყვილად შემოგყვანე კიდობანში, რათა გადარჩნენ.

²¹და აიღე ყოველი საჭმელი, რაც იჭმება, და მოაგროვე შენთან და იყოს შენი და მათი საზრდო.“

²²და გააკეთა ნოემ, როგორც ღმერთმა უბრძანა, ყველაფერი ისე გააკეთა.

დაბადება 7

¹და უთხრა უფალმა ნოეს: „შედით შენ და მთელი შენი სახლეული კიდობანში, რადგან მართალ კაცად გცანი ჩემს წინაშე მთელს ამ თაობაში!

²ყოველი წმიდა პირუტყვისგან შვიდ-შვიდი წაიყვანე, მამალი და დედალი; უწმიდური პირუტყვისგან – ორ-ორი, მამალი და დედალი;

³ცის ფრინველთაგანაც შვიდ-შვიდი, მამალი და დედალი, რათა იცოცხლოს მათმა ნაშიერმა მთელს დედამიწაზე.

⁴რადგან შვიდი დღის შემდეგ მოვიყვან წვიმას მიწაზე ორმოც დღესა და ორმოც ღამეს, და მიწის პირისაგან წარვხოცავ ყოველ არსებას, რაც კი შემოქმნია.“

⁵და ყველაფერი ისე გააკეთა ნოემ, როგორც უფალმა უბრძანა.

⁶იი წლისა იყო ნოე, როდესაც წარლვანა დაიწყო დედამიწაზე.

⁷და შევიდნენ კიდობანში წარლვნისაგან თავშესაფარებლად ნოე და მისი შვილები, მისი ცოლი და მის ძეთა ცოლები;

⁸წმიდა და უწმიდური პირუტყვი, ფრინველი და ყოველი ქვეწარმავალი,

⁹წყვილ-წყვილად შევიდნენ ნოესთან კიდობანში მამალი და დედალი, როგორც უბრძანა ღმერთმა ნოეს.

¹⁰და შვიდი დღის შემდეგ წარლვანა დაიწყო დედამიწაზე.

¹¹ნოეს ცხოვრების მეექვსასე წლის მეორე თვის მეჩვიდმეტე დღეს, ამოხეთქეს დიდი უფსკრულის წყაროებმა და გაიხსნა ცათა სარკმელნი.

¹²და აწვიმდა ქვეყანას 40 დღე და 40 ღამე.



¹³იმ დღეს შევიდნენ კიდობანში ნოე, სემი, ქამი და იაფეთი, და ნოეს ცოლი და მისი ვაჟების სამი ცოლი მათთან ერთად,

¹⁴ესენი და ყოველგვარი ცხოველი, ყოველგვარი შინაური პირუტყვი, ყოველგვარი ქვემძრომი, ყოველგვარი ფრინველი, ყოველი ფრთოსანი.

¹⁵და შევიდა ნოესთან ერთად კიდობანში წყვილ-წყვილად ყოველი ხორციელი, რასაც კი სიცოცხლის სული ედგა.

¹⁶და მოვიდა დედალ-მამალი ყოველი ხორციელი და შევიდა კიდობანში, როგორც ღმერთს ჰქონდა ნაბრძანები მისთვის, და დაუგმანა მას კარი უფალმა.

¹⁷და 40 დღეს იყო წარღვნა მიწაზე, და ადიდდა წყალი და მიწიდან მაღლა ასწია კიდობანი.

¹⁸და გაძლიერდა წყალი, და მეტისმეტად ადიდდა მიწაზე, და გაცურდა კიდობანი წყლის ზედაპირზე.

¹⁹და მეტისმეტად მომძლავრდა წყალი მიწაზე, და დაიფარა ყოველი მაღალი მთა ცისქვეშეთში.

²⁰15 წყრთით აიწია წყალმა მათზე მაღლა და დაფარა მთები.

²¹და დაიღუპა ყოველი ხორციელი, რაც კი იძვროდა მიწაზე: ფრინველთაგან, პირუტყვთაგან, ცხოველთაგან და ყოველ ქვეწარმავალთაგან, რომელიც მოძრაობს მიწაზე, აგრეთვე ყოველი ადამიანი.

²²და ყოველივე, რასაც კი სიცოცხლის სუნთქვა ჰქონდა ნესტოებში, ყოველივე, რაც ხმელეთზე იყო, დაიხოცა.

²³მიწის პირისაგან აღიგავა ყოველი არსება, რაც კი იყო – კაციდან პირუტყვამდე. ცოცხალი არსებანი ხმელეთზე და ცის ფრინველნი აღიგავნენ მიწის პირისაგან. გადარჩნენ მხოლოდ ნოე და მასთან ერთად კიდობანში მყოფნი.

²⁴და მატულობდა წყალი მიწაზე 150 დღე.

დაბადება 8

¹და გაიხსენა ღმერთმა ნოე და ყოველი ცხოველი, და ყოველი პირუტყვი, მასთან ერთად რომ იყო კიდობანში, და მოავლინა ღმერთმა ქარი მიწაზე, და იკლო წყალმა.



- ²და დაწყდა უფსკრულის წყაროები და ცათა სარკმელნი. და შეწყდა წვიმა ცათაგან.
- ³და უკუიქცა წყალი მიწიდან, და იკლო წყალმა ას ორმოცდამეათე დღის ბოლოს.
- ⁴და გაჩერდა კიდობანი მეშვიდე თვის მეჩვიდმეტე დღეს არარატის მთებზე.
- ⁵წყალი თანდათან იკლებდა მეათე თვემდე. მეათე თვის პირველ დღეს გამოჩნდა მთათა მწვერვალები.
- ⁶40 დღის დასასრულს გააღო ნოემ სარკმელი, კიდობანს რომ ჰქონდა დატანებული,
- ⁷და გამოუშვა ყორანი. მიფრინავდა ის და უკან ბრუნდებოდა, ვიდრე დაშრებოდა წყალი მიწაზე.
- ⁸შემდეგ გაუშვა მტრედი, რომ გაეგო, თუ დაიკლო წყალმა მიწაზე.
- ⁹მაგრამ ვერ იპოვა მტრედმა ფეხის მოსაკიდი, და უკანვე მოუბრუნდა მას კიდობანში, რადგან ჯერ კიდევ იდგა წყალი მთელს მიწაზე. და გაიწოდა ხელი ნოემ, და აიყვანა იგი და შეიყვანა კიდობანში.
- ¹⁰და მოიცადა კიდევ შვიდი დღე და კვლავ გაუშვა მტრედი კიდობნიდან.
- ¹¹და დაბრუნდა მასთან მტრედი სადამო ჟამს და მას ზეთისხილის ახლადმოგლეჯილი რტო ეჭირა ნისკარტით. და მიხვდა ნოე, რომ დამწყდარიყო წყალი მიწაზე.
- ¹²და მოიცადა კიდევ შვიდი დღე და კვლავ გაუშვა მტრედი კიდობნიდან; და მტრედი აღარ დაბრუნდა მასთან.
- ¹³ნოეს დაბადებიდან 601 წელს, პირველი თვის პირველ დღეს დაშრა წყალი მიწაზე. და ნოემ სახურავი ახადა კიდობანს და იხილა, რომ გამშრალიყო მიწის პირი.
- ¹⁴და მეორე თვის ოცდამეშვიდე დღისთვის უკვე გამოშრა მიწა.
- ¹⁵და უთხრა ღმერთმა ნოეს:
- ¹⁶„გამოდით კიდობნიდან შენ და შენი ცოლი, შენი ძენი და მათი ცოლები.
- ¹⁷გამოიყვანე ყოველი ცხოველი, რომლებიც შენთან არიან, ყოველ ხორციელთაგან, ფრინველთაგან და პირუტყვთაგან და ქვეწარმავალთაგან, რათა მოეფინონ დედამიწას, განაყოფიერდნენ და იმრავლონ.“
- ¹⁸და გამოვიდა ნოე და მასთან ერთად მისი ძენი და მისი ცოლი და მის ძეთა ცოლები,



¹⁹და ყოველი ცხოველი, ყოველი ქვეწარმავალი, ყოველი ფრინველი და ყოველი მოძრავი არსება, თავ-თავისი სახის მიხედვით გამოვიდა კიდობნიდან.

²⁰და აუგო ნოემ სამსხვერპლო უფალს; და მოიღო ყოველი წმიდა პირუტყვისგან და ყოველი წმიდა ფრინველისგან, და მიიტანა სრულადდასაწველ მსხვერპლად სამსხვერპლოზე.

²¹და იყნოსა უფალმა კეთილსურნელება, და თქვა უფალმა თავის გულში: „ამიერიდან აღარ დავწყევლი მიწას ადამიანის გამო, თუმცა კი სიყრმიდანვე ბოროტებისკენაა მიდრეკილი მათი ზრახვა. მეტად აღარ გავანადგურებ ყოველ ცოცხალ არსებას, როგორც ეს გავაკეთე.

²²ვიდრე დედამიწა იარსებებს, არც თესვა და მკა, არც ყინვა და სიცხე, არც ზაფხული და ზამთარი, არც დღე და ღამე არ გაუქმდება.“

დაბადება 9

¹და აკურთხა ღმერთმა ნოე და მისი შვილები, და უთხრა: „მოშენდით, იმრავლეთ და აავსეთ მიწა.

²თქვენი შიში და ძრწოლა ჰქონდეს მიწის ყოველ მხედს, ცის ყოველ ფრინველს, ყოველ სულდგმულს, რაც კი იძვრის მიწაზე. და ყოველი თევზი ზღვისა თქვენს ხელთ მომიცია.

³ყოველი მოძრავი ცოცხალი არსება იყოს თქვენი საჭმელი; როგორც მწვანე ბალახს, ისე გაძლევთ თქვენ ყველაფერს.

⁴ოღონდ ხორციელს ცოცხლად, მისი სისხლითურთ ნუ შეჭამთ.

⁵მე კი თქვენს სისხლს, რომელშიც თქვენი სიცოცხლეა, ყოველ მხედს მოვკითხავ, თქვენ მოგკითხავთ ერთმანეთის სიცოცხლეს.

⁶და ადამიანის სისხლის დამღვრელის სისხლი ადამიანის მიერვე დაიღვრება, რადგან ღვთის ხატადაა შექმნილი ადამიანი.

⁷მოშენდით და იმრავლეთ, მოეფინეთ მიწას და გამრავლდით მასზე.“

⁸და უთხრა ღმერთმა ნოეს და მის შვილებს მასთან ერთად:

⁹„აჰა, მე ვდებ ჩემს აღთქმას თქვენთან და თქვენს მოდგმასთან,

¹⁰და ყოველ ცოცხალ არსებასთან, რომელიც კი თქვენთანაა: ფრინველთან, პირუტყვთან, მიწის ყოველ ცხოველთან, რომელნიც თქვენთან არიან, კიდობნიდან ყოველ გამოსულთან.



¹¹მე ვდებ ჩემს აღთქმას თქვენთან, რომ ამიერიდან აღარ მოისპობა წარღვნის წყლებით არც ერთი ხორციელი და მეტად აღარ მოხდება წარღვნა მიწის დასაღუპავად.”

¹²და თქვა ღმერთმა: „ეს იყოს ნიშანი აღთქმისა, რომელსაც მე ვდებ ჩემსა და თქვენს შორის, და თქვენთან ყოველ ყოველ სულდგმულს შორის, თაობიდან თაობამდე, საუკუნოდ.

¹³ჩემი მშვილდი, ჩემი ცისარტყელა, ჩავდე ღრუბელში ჩემსა და ქვეყანას შორის აღთქმის ნიშნად.

¹⁴როცა ქვეყანას ღრუბლით დავღრუბლავ და ღრუბელში გამოჩნდება ცისარტყელა,

¹⁵გავიხსენებ აღთქმას მე და თქვენს შორის, ყოველ ხორციელ სულდგმულს შორის, და აღარ იქნება წყალი წარღვნად ყოველი ხორციელის დასაღუპად.

¹⁶და გამოჩნდება ჩემი ცისარტყელა ღრუბელში, და დავინახავ მას და გავიხსენებ საუკუნო აღთქმას ღმერთსა და ყოველ ხორციელ სულდგმულს შორის, რაც კი მიწაზეა.“

¹⁷და უთხრა ღმერთმა ნოეს: „ეს არის ნიშანი აღთქმისა, რომელიც დავადგინე ჩემსა და ყოველ ხორციელს შორის, რაც კი მიწაზეა.“

¹⁸ესენი იყვნენ ნოეს ძენი, კიდობნიდან რომ გამოვიდნენ: სემი, ქამი და იაფეთი. ქამი იყო მამა ქანაანისა.

¹⁹ეს სამნი იყვნენ ნოეს ძენი, და მათგან წარმოსდგა მთელი დედამიწის მკვიდრნი.

²⁰დაიწყო ნოემ, მიწაზე შრომა და პირველი იყო, რომელმაც ვენახი გააშენა.

²¹და შესვა ღვინო, დათვრა და გაშიშვლდა თავის კარავში.

²²და იხილა ქამმა, ქანაანის მამამ, თავისი მამის სიშიშვლე, და კარვიდან გამოსულმა შეატყობინა ეს თავის ორ ძმას.

²³აიღეს სემმა და იაფეთმა სამოსელი და მოისხეს მხრებზე. და უკუსვლით მივიდნენ და დაფარეს მამის სიშიშვლე, პირი უკან ჰქონდათ მიქცეული და მამის სიშიშვლე არ დაუნახავთ.

²⁴გამოფხიზლდა ნოე ღვინისგან და შეიტყო, როგორ მოექცა მას უმცროსი ძე.

²⁵და თქვა: „წყეულიმც იყოს ქანაანი! თავისი ძმების მსახურთა მსახური იყოს!“



²⁶და კვლავ თქვა: „კურთხეულ იყოს უფალი, ღმერთი სემისა! მისი მსახური იყოს ქანაანი!

²⁷და განამრავლოს ღმერთმა იაფეთი, სემის კარვებში დაემკვიდროს! მისი მსახური იყოს ქანაანი!“

²⁸და იცოცხლა ნოემ წარღვნის შემდეგ 350 წელი.

²⁹და იყო ნოეს სრული ხანი 950 წელი და მოკვდა.

დაბადება 10

¹ეს არის ნოეს ძეთა – სემის, ქამისა და იაფეთის მოდგმა, რომლებმაც წარღვნის შემდეგ შვეს შვილები.

²იაფეთის ძენი: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი.

³გომერის ძენი: აშქენაზი, რიფათი და თოგარმა.

⁴იავანის ძენი: ელიშა, თარშიში, ქითიმი და დოდანიმი .

⁵ამათგან განშტოვდნენ ზღვისპირა ხალხები თავ-თავის ქვეყნებში, თითოეული თავისი ენის მიხედვით, თავისი ტომის მიხედვით თავ-თავის ხალხში.

⁶ქამის ძენი: ქუში, მიცრაიმი, ფუტი და ქანაანი.

⁷ქუშის ძენი: სება, ხავილა, საბთა, რაყმა და საბთექა. რაყმას ძენი: შება და დედანი.

⁸ქუშმა შვა ნიმროდი, რომელიც პირველი გოლიათი იყო ქვეყანაზე.

⁹ძლიერი მონადირე იყო ნიმროდი უფლის წინაშე. ამიტომ არის ნათქვამი: „ნიმროდივით ძლიერი მონადირეაო უფლის წინაშე.“

¹⁰მის სამეფოს დასაწყისში შეადგენდა: ბაბილონი, ერექი, აქადი და ქალნე – შინყარის მიწები.

¹¹ამ ქვეყნიდან წავიდა ის აშურში, სადაც ააგო ნინევე, რეხოხოთ-ირი, ქალაზი,

¹²და რესენი ნინევესა და ქალაზს შორის, დიდი ქალაქი.

¹³მიცრაიმი იყო მამა ლუდელთა, ყანამელთა, ლეჰაბელთა, ნაფთუხელთა,

¹⁴ფათრუსელთა, ქასლუხელთა (რომელთაგან ფილისტიმელნი წარმოიშვნენ) და ქაფთორელთა.

¹⁵ქანაანს ეყოლა ციდონი, მისი პირმშო, და ხეთი



- ¹⁶და იებუსელნი, ამორეველნი, გირგაშელნი,
¹⁷ხიველნი, ყარკელნი, სინელნი,
¹⁸არვადელნი, ცემარელნი და ხამათელნი. და მერე განითესნენ ქანაანელთა ტომები.
¹⁹და იყო ქანაანელთა საზღვარი ციდონიდან გერარის მიმართულებით ღაზამდე, სოდომის, გომორას, ადმას და ცებოიმის მიმართულებით ლაშაყამდე.
²⁰ესენი არიან ძენი ქამისა თავ-თავისი ტომებისა და ენების მიხედვით, თავ-თავის ქვეყანებში, თავ-თავის ხალხში.
²¹და სემსაც, ყებერის ყველა ძის მამას, იაფეთის უფროს ძმას, შეეძინა ძენი.
²²სემის ძენი: ყელამი, აშური, არფაქშადი, ლუდი და არამი.
²³არამის ძენი: ყუცი, ხული, გეთერი და მაში.
²⁴არფაქშადს შეეძინა შელახი, და შელახს ყებერი.
²⁵ყებერს ორი ძე შეეძინა: ერთის სახელი იყო ფელეგი, რადგან მის დროს დანაწილდა დედამიწა, მისი ძმის სახელი იყო იოკტანი.
²⁶იოკტანს შეეძინა აღმოდადი, შელეფი, ხაცარმავეთი, იერახი,
²⁷ადორამი, უზალი, დიკლა,
²⁸ყოზალი, აბიმაელი, შება,
²⁹ოფირი, ხავილა და იოზაბი. ყველა ესენი იოკტანის ძენი იყვნენ.
³⁰და დაესახლნენ ისინი მეშაყიდან სეფარის მიმართულებით აღმოსავლეთის მთამდე.
³¹ესენი იყვნენ ძენი სემისა თავ-თავის საგვარეულოთა მიხედვით, ენათა მიხედვით, თავ-თავის ქვეყანაში, თავ-თავის ხალხში.
³²ეს არის ნოეს ძეთა შთამომავლობა, თავ-თავისი მოდგმის მიხედვით, თავ-თავის ხალხში. მათგან განითესნენ ხალხები ქვეყანაზე წარღვნის შემდეგ.

დაბადება 11

- ¹ერთი ენა ჰქონდა მთელ ქვეყნიერებას და ერთნაირი სიტყვები.
²და როცა დაიძრნენ აღმოსავლეთიდან, ჰპოვეს ველი შინყარის მიწაზე და იქ დამკვიდრდნენ.



³და უთხრეს ერთმანეთს: „მოდით, მოვჭრათ აგური და გამოვწვათ ცეცხლში.“ და ჰქონდათ აგური ქვის ნაცვლად და კირის მაგივრად ფისი.

⁴და თქვეს: „ავიშენოთ ქალაქი და გოდოლი, რომლის თხემიც ზეცას მისწვდება. ასე შევიქმნათ სახელი, რომ არ გავიფანტოთ მთელი დედამიწის ზურგზე.“

⁵ჩამოვიდა უფალი, რათა ენახა ქალაქი და გოდოლი, რომელსაც აშენებდნენ ადამიანების ძეგლი.

⁶და თქვა უფალმა: „ერთი ხალხია ეს და ერთი ენა აქვთ. რაკი ეს საქმე წამოიწყეს, ამიერიდან დაუბრკოლებლივ გააკეთებენ ყველაფერს, რასაც კი განიზრახავენ.“

⁷აბა, ჩავიდეთ და ავრიოთ მათი ენა, რომ ვერ გაიგონ ერთმანეთის ენა!“

⁸და გაფანტა უფალმა ისინი იქიდან მთელი დედამიწის ზურგზე და მათ ველარ დაასრულეს ქალაქის შენება .

⁹ამიტომ ეწოდა იმ ქალაქს ბაბილონი, რადგან უფალმა იქ აღრია მათი ენა და გაფანტა ისინი დედამიწის ზურგზე.

¹⁰ეს არის სემის მოდგმა: 100 წლისა იყო სემი, როცა წარღვნიდან ორი წლის შემდეგ შვა არფაქშადი,

¹¹და იცოცხლა სემმა არფაქშადის დაბადების შემდეგ 500 წელი, და კვლავ შვა ძენი და ასულნი.

¹²35 წლისა იყო არფაქშადი, როდესაც შეეძინა შელახი.

¹³და იცოცხლა არფაქშადმა შელახის დაბადების შემდეგ 403 წელი და მას კვლავ შეეძინა ძენი და ასულნი.

¹⁴30 წლისა იყო შელახი, როდესაც შვა ყებერი.

¹⁵და იცოცხლა ყებერმა შელახის დაბადების შემდეგ 403 წელი, და კვლავ შვა ძენი და ასულნი.

¹⁶34 წლისა იყო ყებერი, როდესაც შვა ფელეგი.

¹⁷და იცოცხლა ყებერმა ფელეგის დაბადების შემდეგ 430 წელი და კვლავ შვა ძენი და ასულნი.

¹⁸30 წლისა იყო ფელეგი, როდესაც შვა რელუ.

¹⁹და იცოცხლა ფელეგმა რელუს დაბადების შემდეგ 209 წელი და კვლავ შვა ძენი და ასულნი.

²⁰32 წლისა იყო რელუ, როდესაც შეეძინა სერუგი.



²¹და იცოცხლა რელუმ სერუგის დაბადების შემდეგ 207 წელი და კვლავ შვა ძენი და ასულნი.

²²ვი წლისა იყო სერუგი, როდესაც შვა ნახორი.

²³და იცოცხლა სერუგმა ნახორის დაბადების შემდეგ 200 წელი და კვლავ შვა ძენი და ასულნი.

²⁴29 წლისა იყო ნახორი, როდესაც შვა თერახი.

²⁵და იცოცხლა ნახორმა თერახის დაბადების შემდეგ 119 წელი და კვლავ შვა ძენი და ასულნი.

²⁶და იცოცხლა თერახმა 70 წელი და შვა აბრამი, ნახორი და ჰარანი.

²⁷და ეს არის თერახის მოდგმა: თერახმა შვა აბრამი, ნახორი და ჰარანი; და ჰარანმა შვა ლოტი.

²⁸და მოკვდა ჰარანი თერახის, მამამისის სიცოცხლეშივე, თავისი შობის ქვეყანაში – ქალდეველთა ურში.

²⁹მოიყვანეს აბრამმა და ნახორმა ცოლები. აბრამის ცოლს ერქვა სარაი, ხოლო ნახორის ცოლს – მილქა, იგი იყო ასული ჰარანისა, რომელიც იყო მილქასა და ისქას მამა.

³⁰და იყო სარაი ბერწი, და არ ჰყავდა შვილი.

³¹და წაიყვანა თერახმა აბრამი, თავისი ძე და ლოტი, ჰარანის ძე – თავისი შვილიშვილი და სარაი – თავისი რძალი, აბრამის, თავისი ძის ცოლი, და მათთან ერთად გავიდა ქალდეველთა ურიდან, ქანაანის ქვეყანაში წასასვლელად. და მივიდნენ ხარანამდე და იქ დასახლდნენ.

³²იცოცხლა თერახმა 205 წელი და მოკვდა ხარანში.

დაბადება 12

¹უთხრა უფალმა აბრამს: „წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ.

²და გაქცევ დიდ ხალხად, გაკურთხებ და განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები.

³და ვაკურთხებ შენს მკურთხებელს და დავწყევლი შენს მაწყევარს; და კურთხევა იქნები შენ დედამიწის ყველა ტომებისთვის.

⁴და წავიდა აბრამი, როგორც უთხრა მას უფალმა, და მასთან ერთად წავიდა ლოტიც. 75 წლისა იყო აბრამი, როცა ხარანიდან გავიდა.



- ⁵და წაიყვანა აბრამმა სარაი, თავისი ცოლი, ლოტი, თავისი ძმისწული, და ყველა მსახური, ვინც კი ხარანში შეიძინეს, და წაიღო მთელი ქონება, რაც კი მოხვეჭილი ჰქონდათ, და დაადგნენ ქანაანის ქვეყნის გზას და მივიდნენ იქ.
- ⁶და გადაიარა აბრამმა ის ქვეყანა შექემის მისადგომებამდე, მორეს მუხამდე. ქანაანელნი მკვიდრობდნენ მაშინ იმ ქვეყანაში.
- ⁷და გამოეცხადა უფალი აბრამს და უთხრა: „შენს ნაშიერს მივცემ ამ ქვეყანას.“ და იქ აუგო სამსხვერპლო უფალს, რომელიც გამოეცხადა მას.
- ⁸და გაემართა იქიდან მთიანეთსაკენ, ბეთელის აღმოსავლეთით, და დადგა იქ კარავი. ბეთელი მას დასავლეთიდან ემხრობოდა, ხოლო ღაი – აღმოსავლეთიდან; და იქ აუგო აბრამმა სამსხვერპლო უფალს და უხმობდა უფლის სახელს.
- ⁹და დაიდრა აბრამი და გააგრძელა სვლა ნეგებისაკენ.
- ¹⁰და იყო შიმშილი იმ ქვეყანაში და ჩავიდა აბრამი ეგვიპტეში საცხოვრებლად, რადგან მძვინვარებდა შიმშილი ქვეყანაში.
- ¹¹და როცა მიუახლოვდა ეგვიპტეს, აბრამმა უთხრა თავის ცოლს, სარაის: „ვიცი, შესახედავად რა ლამაზი ქალი ხარ!
- ¹²დაგინახვენ ეგვიპტელნი და იტყვიან, მისი ცოლიაო, მე მომკლავენ, შენ კი ცოცხალს დაგტოვებენ.
- ¹³ისე თქვი ვითომც ჩემი და ხარ, რათა კარგად მომეპყრონ შენს გამო, და გადავრჩე შენი წყალობით.“
- ¹⁴და როცა მივიდა აბრამი ეგვიპტეში, ეგვიპტელებმა დაინახეს, რომ ის ქალი ფრიად მშვენიერი იყო.
- ¹⁵დაინახეს ის ფარაონის დიდებულებმაც, და აქეს იგი ფარაონის წინაშე; და წარადგინეს ის ქალი ფარაონის კარზე.
- ¹⁶და აბრამს კარგად ექცეოდა ის სარაის გამო; და აბრამს გაუმრავლდა ცხვარი და ძროხა, მსახურნი და მხევალნი, და ვირი და აქლემი.
- ¹⁷მაგრამ დიდად შეაჭირვა უფალმა ფარაონი და მისი სახლელი სარაის, აბრამის ცოლის გამო.
- ¹⁸და მოიხმო ფარაონმა აბრამი, და უთხრა: „ეს რა მიყავი? რატომ არ გამიმხილე, თუ შენი ცოლი იყო ეს ქალი?
- ¹⁹რადა თქვი, ჩემი და არისო? და მე იგი ლამის ცოლად დავისვი! აჰა, შენი ცოლი, წაიყვანე და წადით აქედან!“



²⁰და მიუჩინა ფარაონმა ხალხი და მათაც გაამგზავრეს აბრამი თავისი ცოლითა და მთელი თავისი საბადებლითურთ.

დაბადება 13

¹და წამოვიდნენ აბრამი და თავისი ცოლი ეგვიპტიდან მთელი ქონებით ნეგებისაკენ, მათთან იყო ლოტიც.

²მაღზე მდიდარი იყო აბრამი ჯოგებითა და ოქრო-ვერცხლით.

³და გაემართა ნეგებიდან ბეთელისაკენ, სადაც უწინ მისი კარავი იდგა ბეთელსა და ღაის შორის,

⁴სადაც მან ადრე სამსხვერპლო ააგო, და სადაც მოუხმობდა უფლის სახელს.

⁵და ლოტსაც, რომელიც აბრამთან ერთად მიდიოდა, ჰყავდა ცხვარი და ძროხა და ჰქონდა კარვები.

⁶და ვერ იტევდა მათ ქვეყანა ერთად, რადგან დიდძალი ქონება ჰქონდათ და ვეღარ ეტეოდნენ ერთად.

⁷და იყო დავა აბრამისა და ლოტის მწყემსებს შორის. ქანაანელები და ფერიზელები სახლობდნენ მაშინ იმ ქვეყანაში.

⁸და უთხრა აბრამმა ლოტს: „ნუ იქნება ცილობა ჩვენში, ჩემსა და შენს მწყემსებს შორის, რადგან ძმები ვართ ჩვენ.“

⁹განა შენს წინ არ არის მთელი ეს ქვეყანა? გამეყარე და თუ შენ მარცხნივ წახვალ, მე მარჯვნივ წავალ, თუ შენ მარჯვნივ წახვალ, მე მარცხნივ წავალ.“

¹⁰აღაპრო ლოტმა თვალები და იხილა იორდანეს მთელი ხეობა ცოყარამდე, რომელიც მთლიანად სარწყავი იყო ცოყარის მისადგომებამდე; ვიდრე უფალი მოსპობდა სოდომსა და გომორას, იყო იგი როგორც ბაღი უფლისა, როგორც ეგვიპტელთა მიწა.

¹¹და ამოირჩია ლოტმა თავისთვის იორდანეს მთელი ხეობა, და წავიდა ლოტი აღმოსავლეთისაკენ, და განცალკევდა კაცი თავისი ძმისაგან.

¹²აბრამი დასახლდა ქანაანის ქვეყანაში, ხოლო ლოტი დასახლდა იმ მხარის ქალაქებში და სოდომამდე დასცა კარვები.

¹³ბოროტნი იყვნენ სოდომელნი და დიდად სცოდავდნენ უფალს.

¹⁴და უთხრა უფალმა აბრამს მას შემდეგ, რაც ლოტი გაეყარა: „ახილე თვალი და გაიხედე იმ ადგილიდან, სადაც შენ დგახარ, ჩრდილოეთისკენ, სამხრეთისკენ, აღმოსავლეთისკენ და დასავლეთისკენ.“



¹⁵მთელს ამ ქვეყანას, რასაც ხედავ, შენ და შენს მოდგმას გაძლევთ უკუნისამდე.

¹⁶და ქვიშასავით ურიცხვს გავხდი შენს მოდგმას. და თუ ვინმე შეძლებს ქვიშის აღრიცხვას, მაშინ შენი მოდგმაც აღირიცხება.

¹⁷ადექი და მოიარე ეს ქვეყანა, მისი სიგრძე და განი, რადგან შენ მოგცემ მას.“

¹⁸და აშალა კარვები აბრამმა და მივიდა და დასახლდა მამრეს მუხნარში, რომელიც ხებრონშია. და აუგო იქ სამსხვერპლო უფალს.

დაბადება 14

¹შინყარის მეფის ამრაფელის მეფობის დროს არიოქმა – ელასარის მეფემ, ქედორლალომერმა – ყელამის მეფემ და თიდყალმა – გოიმის მეფემ

²ბრძოლა გაუმართეს სოდომის მეფე ბერაცს, გომორას მეფე ბირშაცს, ადმას მეფე შინაბს, ცებოიმის მეფე შემებერს და ბელაყის ანუ ცოყარის მეფეს.

³ყველა ესენი შეიკრიბნენ სიდიმის ველზე, სადაც ახლა მარილოვანი ზღვაა .

⁴¹²წელიწადი ემორჩილებოდნენ ისინი ქედორლალომერს და მეცამეტე წელს აუჯანყდნენ.

⁵მეთოთხმეტე წელს მოვიდა ქედორლალომერი მასთან მყოფ მეფეებთან ერთად და გაანადგურეს რეფაიმელნი ყაშთეროთ-კარნაიმში, ზუზიმელნი ჰამში, ემიმები შავე-კირიათაიმში,

⁶და ხორიელები სეყირის მთებში ელ-ფარანამდე, უდაბნოსთან.

⁷და უკან მობრუნებისას მივიდნენ ყენ-მიშფატთან, ახლანდელ კადეშთან, და გაანადგურეს ყამალეკის მთელი ქვეყანა, და აგრეთვე ამორეველნი – ხაცაცონ-თამარის მკვიდრნი.

⁸და გამოვიდნენ სოდომის, გომორას, ადმას, ცებოიმის, ბელაყის, ანუ ცოყარის მეფეები, და სიდიმის ველზე გაუმართეს ბრძოლა

⁹ყელამის მეფე ქედორლალომერს, გოიმის მეფე თიდყალს, შინყარის მეფე ამრაფელს და ელასარის მეფე არიოქს – ოთხი მეფე ხუთის წინააღმდეგ.

¹⁰სიდიმის ველზე იყო ფისის უამრავი ორმო. და უკუიქცნენ სოდომისა და გომორას მეფეები და შიგ ჩაცვივდნენ, დანარჩენები მთებს შეეხიზნენ.

¹¹წაიღეს სოდომისა და გომორას მთელი ქონება და მთელი სარჩო, და წავიდნენ.



¹²და წაიყვანეს აბრამის ძმისწული ლოტიც, მცხოვრები სოდომში და მთელი მისი ქონება, და წავიდნენ.

¹³და მოვიდა ერთი გადარჩენილი კაცი და მოუტანა ამბავი ებრაელ აბრამს. მაშინ იგი ბინადრობდა მუხნარში, რომელიც ეკუთვნოდა ამორეველ კაცს, მამრეს, ეშქოლისა და ყანერის ძმას. ისინი აბრამის მოკავშირენი იყვნენ.

¹⁴როცა გაიგო აბრამმა, რომ მისი ძმისწული წაუყვანიათო ტყვედ, აღჭურვა თავის სახლში შობილი 318 მსახური და სდია მტერს დანამდე.

¹⁵და დაყო აბრამმა თავისი კაცები ღამით, და გაანადგურეს მტერი და სდიეს მათ ხობამდე, რომელიც დამასკოს მარცხნივაა.

¹⁶და დაიბრუნა მთელი ქონება, დაიბრუნა ლოტიც მისი ქონებითურთ, ქალებიცა და ხალხიც.

¹⁷და გამოვიდა მეფე სოდომისა მის შესახვედრად შავეს ველზე, რომელსაც სამეფო ველსაც უწოდებენ, ქედორლალომერსა და მასთან მყოფ მეფეებზე გამარჯვების შემდეგ.

¹⁸და მელქიცედეკმა, სალემის მეფემ, გამოიტანა პური და ღვინო. ის იყო უზენაესი ღმერთის მღვდელი.

¹⁹და აკურთხა იგი და თქვა: „კურთხეულ იყოს აბრამი ცისა და მიწის შემოქმედის, უზენაესი ღმერთის მიერ.

²⁰და კურთხეულ იყოს უზენაესი ღმერთი, რომელმაც ხელში ჩაგიგდო შენი მტრები.“ და მისცა მას აბრამმა ყველაფრის მეთათედი.

²¹და უთხრა სოდომის მეფემ აბრამს: „მომეცი მე ხალხი, ქონება კი შენთვის დაიტოვე.“

²²მაგრამ უთხრა აბრამმა სოდომის მეფეს: „უფალს, უზენაეს ღმერთს ვფიცავ, ცისა და მიწის შემოქმედს,

²³თუ თითზე გადახვევა რამ ავიღო იქიდან, რაც შენ გეკუთვნის. არ გათქმევინებ, მე გავამდიდრეო აბრამი;

²⁴გარდა იმისა, რაც ჩემმა მსახურებმა შეჭამეს, და რაც ჩემთან მყოფ კაცებს ერგოთ წილად – ყანერს, ეშქოლსა და მამრეს, წაიღონ მათ თავ-თავიანთი წილი.“

დაბადება 15

¹ამ ამბების შემდეგ უფლის სიტყვა გამოეცხადა ხილვაში აბრამს: „ნუ გეშინია, აბრამ! მე ვარ ფარი შენი! დიდი იქნება შენი საზღაური!“



²და უთხრა აბრამმა: „უფალო ღმერთო, რა უნდა მომცე იმის სანაცვლოდ, რომ უშვილოდ გადავდივარ და ჩემი სახლი დამასკოელ ელიყეზერს რჩება?“

³და კვლავ უთხრა აბრამმა: „შენ არ მოგიცია შთამომავალი და ჩემს სახლში შობილი მსახური ხდება ჩემი მემკვიდრე.“

⁴და იყო სიტყვა უფლისა მის მიმართ: „არ გახდება იგი შენი მემკვიდრე, არამედ შენგან გამოსული იქნება შენი მემკვიდრე.“

⁵და გაიყვანა მან იგი გარეთ და უთხრა: „ახედე ზეცას და დაითვალე ვარსკვლავები, თუ ძაღვის მათი აღრიცხვა.“ და უთხრა: „ამდენი იქნება შენი მოდგმა.“

⁶და ერწმუნა იგი უფალს, და უფალმა სიმართლეში ჩაუთვალა ეს აბრაამს.

⁷და უთხრა მან: „მე ვარ უფალი, რომელმაც გამოგიყვანე ქალდეველთა ურიდან, რათა დასამკვიდრებლად მოგცე ეს ქვეყანა.“

⁸ხოლო აბრამმა უთხრა: „უფალო, ღმერთო ჩემო, როგორ გავიგო, რომ მე დავიმკვიდრებ მას?“

⁹და უთხრა მას უფალმა: „მომიყვანე სამი წლის დეკეული, სამი წლის დედალი თხა, სამი წლის ვერძი, ერთი გვრიტი და ერთი მტრედის ხუნდი.“

¹⁰და მიუყვანა მას ეს ყველაფერი, აბრამმა სიგრძეზე გაკვეთა და მიუწყო ისინი ერთმანეთს პირისპირ. მხოლოდ ფრინველები არ გაუკვეთია.

¹¹და დააცხრნენ მტაცებელი ფრინველები მძორებს, მაგრამ აბრამმა მოუგერია ისინი.

¹²მზის ჩასვლისას ძილქუში დაეცა აბრაამს. და ძრწოლამ და წყვდიადმა მოიცვა იგი.

¹³და უთხრა უფალმა აბრაამს: „იცოდე, ხიზნად იქნება შენი მოდგმა სხვის ქვეყანაში. დაიმონებენ მათ და დაჩაგრული ეყოლებათ 400 წელი.“

¹⁴იმ ხალხს კი, ვისი მსახურნიც შეიქნებიან, მე განვსჯი. ამის შემდგომ კი დიდძალი ქონებით გამოვლენ უკან.

¹⁵და შენ მიხვალ შენს მამებთან მშვიდობით და ტკბილ სიბერეს მიწევნილი დაიმარხები.

¹⁶მეოთხე თაობაში მობრუნდება შენი მოდგმა აქეთ, როცა აივსება ამორეველების უკეთურებათა საწყაული.“

¹⁷როდესაც მზე ჩავიდა და სიბნელე ჩამოწვა, აჰა, თითქოს ღუმელი აბოლდაო და ცეცხლის ალმა გაიარა გაკვეთილ ნაწილებს შორის.



¹⁸ამ დღეს დაუდო უფალმა აღთქმა აბრამს და უთხრა: „შენს მოდგმას ვაძლევ ამ ქვეყანას ეგვიპტის მდინარიდან დიდ მდინარე ევფრატამდე:

¹⁹ქვეყანას კენიელთა, კენიზელთა, კადმონელთა,

²⁰ხეთელთა, ფერიზელთა, რეფაიმელთა,

²¹ამორეველთა, ქანაანელთა, გირგაშელთა და იებუსელთა.“

დაბადება 16

¹და სარაის, აბრამის ცოლს, არ უშვია მისთვის. მას ჰყავდა ერთი ეგვიპტელი მხევალი, სახელად ჰაგარი.

²და უთხრა სარაიმ აბრამს: „უფალმა დამხმა შვილიერებისაგან. შედი ჩემ მხევალთან. ეგებ გავშვილიანდე მისგან.“ და შეისმინა აბრამმა სარაის სიტყვები.

³და ადგა სარაი, აბრამის ცოლი, და მისცა ეგვიპტელი ჰაგარი, თავისი მხევალი ცოლად აბრამს, თავის ქმარს, ქანაანის ქვეყანაში მისი დასახლებისათი წლისთავზე.

⁴და შევიდა აბრამი ჰაგართან და დაორსულდა ჰაგარი. და როცა შეიტყო, რომ ორსულად იყო, თავისი ქალბატონის დამცირება იწყო.

⁵და უთხრა სარაიმ აბრამს: „შენი ბრალია ჩემი დამცირება: მოგიწვინე ჩემი მხევალი და, როცა შეატყო, რომ ორსულადაა, დამცირება დამიწყო. უფალმა განსაჯოს მე და შენს შორის.“

⁶და უთხრა აბრამმა სარაის: „შენი მხევალი შენს ხელთაა, როგორც გენებოს, ისე მოექეცი.“ და დაუწყო სარაიმ ჩაგვრა ჰაგარს და გაექცა მას ჰაგარი.

⁷და იპოვა იგი უფლის ანგელოზმა უდაბნოში, შურის გზაზე, წყაროსთან.

⁸და ჰკითხა: „ჰაგარ, სარაის მხევალო, საიდან მოსულხარ და საით მიხვალ?“ და უპასუხა მან: „სარაის, ჩემს ქალბატონს, გავურბივარ.“

⁹და უთხრა მას უფლის ანგელოზმა: „დაბრუნდი შენს ქალბატონთან და დაემორჩილე მას.“

¹⁰და კიდევ უთხრა: „ისე გავამრავლებ შენს მოდგმას, რომ შეუძლებელი იქნება მისი აღრიცხვა.“

¹¹და უთხრა მას უფლის ანგელოზმა: „აჰა, ორსულად ხარ და შობ მეს, და ისმავლს დაარქმევ მას სახელად, რადგან მოჰხედა უფალმა შენს ჩაგვრას.“



¹²იგი იქნება კანჯარივით კაცთა შორის; მისი ხელი იქნება ყველას წინააღმდეგ და ყველას ხელი იქნება მის წინააღმდეგ, თავისი ძმების პირისპირ იცხოვრებს იგი.“

¹³და უწოდა ჰაგარმა მასთან მოლაპარაკე უფალს სახელად: „ელ-როი,“ რაც ნიშნავდა: ჩემი მხილველი ღმერთი ვიხილე მეც.

¹⁴ამიტომ უწოდა იმ ჭას ბეერ-ლახაი-როი. იგი მდებარეობს კადეშსა და ბერედს შორის.

¹⁵და უშვა ჰაგარმა აბრამს ძე. და დაარქვა სახელად აბრამმა თავის ძეს, რომელიც ჰაგარმა უშვა, ისმაელი.

¹⁶აბრამი იყო 86 წლისა, როდესაც ჰაგარმა მას ისმაელი უშვა.

დაბადება 17

¹იყო აბრამი ⁹⁹ წლისა, როცა გამოეცხადა მას უფალი და უთხრა: „მე ვარ ღმერთი ყოვლადმღიერი. იარე ჩემს წინაშე და წრფელი იყავი.

²და დავდებ ჩემს აღთქმას მე და შენს შორის, და ძლიერ გაგამრავლებ.“

³და დაემხო აბრამი პირქვე; და უთხრა მას ღმერთმა:

⁴„აჰა, ჩემი აღთქმა შენთან: შენ გახდები მრავალი ხალხის მამა!

⁵და ამიერიდან აღარ გერქმევა შენ სახელად აბრამი, არამედ აბრაამი, რადგან მრავალი ხალხის მამად გაქცევ.

⁶და ძლიერ გაგამრავლებ და მრავალი ერი წარმოიშობა შენგან, და მეფენი წარმოიშობიან შენგან.

⁷და დავდებ აღთქმას მე და შენს შორის და შენს შთამომავალთა შორის თაობიდან თაობამდე, საუკუნო აღთქმას, რომ შენი და შენი მოდგმის ღმერთი ვიქნები.

⁸და მოგცემთ შენ და შენს მოდგმას, შენი ხიზნობის ქვეყანას – ქანაანის მთელს ქვეყანას – საუკუნო საკუთრებად და მე ვიქნები მათი ღმერთი.“

⁹და შემდეგ უთხრა ღმერთმა აბრაამს: „ოღონდ დაიცავით ჩემი აღთქმა შენ და შენმა მოდგმამ თაობიდან თაობამდე.

¹⁰ეს არის აღთქმა, რომელიც უნდა დაიცვათ, აღთქმა მე და თქვენს შორის და შენს მოდგმას შორის თაობიდან თაობამდე: წინადაცვითოს თქვენში ყოველმა მამაკაცმა.

¹¹დაიცვითეთ ჩუჩის წვერი, და იყოს ეს ნიშნად აღთქმისა მე და თქვენს შორის.



¹²რვა დღისამ დაიცვითოს თქვენში ყოველმა მამრმა თაობიდან თაობამდე, შინ შობილმა თუ უცხოელისაგან ვერცხლით ნაყიდმა, რომელიც არ არის შენი თესლისაგანი.

¹³წინადაიცვითოს შენს სახლში შობილმა და შენმა ვერცხლით ნაყიდმა, და იყოს ჩემი აღთქმა თქვენს ხორცზე საუკუნო აღთქმად.

¹⁴და წინადაუცვეთელი მამაკაცი, რომელსაც არ დაუცვითავს მერვე დღეს ჩუჩა, უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან, რადგან დაარღვია ჩემი აღთქმა.“

¹⁵და უთხრა ღმერთმა აბრაამს: „აღარ უწოდო შენს ცოლს სარაი, არამედ სარა იყოს სახელი მისი.

¹⁶ვაკურთხე მას, და ძესაც შეგძენ მისგან, მე ვაკურთხე მას და ერები და ხალხთა მეფეები წარმოიშვებიან მისგან.“

¹⁷და დაემხო აბრაამი პირქვე და გაეცინა, გულში თქვა: „ნუთუ შვილი შეეძინება 100 წლის კაცს? ნუთუ შვილს დაბადებს 90 წლის სარა?“

¹⁸და უთხრა აბრაამმა ღმერთს: „ნეტავ, ისმაელმა იცოცხლოს შენს წინაშე!“

¹⁹და უთხრა ღმერთმა: „სწორედ რომ სარა, შენი ცოლი, გიშობს ძეს და დაარქმევ მას სახელად ისააკს! და დავდებ მასთან და მის მოდგმასთან ჩემს აღთქმას საუკუნოდ.

²⁰ისმაელზეც ვისმინე შენი თხოვნა და ვაკურთხე მას, ნაყოფიერს გავხდი და გავამრავლე მას დიდად. 12 მთავარი გამოვა მისგან და დიდი ერის მამამთავარი გახდება იგი.

²¹და ჩემს აღთქმას დავამყარებ ისააკთან, რომელსაც სარა გიშობს გაისად, დღეისსწორს.“

²²და დაამთავრა ღმერთმა ლაპარაკი აბრაამთან და ამაღლდა მისგან.

²³და აიყვანა აბრაამმა ისმაელი, თავისი ძე, და ყოველი თავის სახლში შობილი, და ყოველი ვერცხლით ნაყიდი, ყოველი მამრი თავისი სახლისა, და წინადაცვითა მათ სწორედ იმ დღეს, როგორც უთხრა მას ღმერთმა.

²⁴აბრაამი იყო 99 წლისა, როდესაც დაიცვითა ჩუჩის წვერი.

²⁵და ისმაელი, მისი ძე, 13 წლისა იყო, როდესაც აბრაამმა დაუცვითა მას ჩუჩის წვერი.

²⁶სწორედ იმ დღეს წინადაიცვითეს აბრაამმა და მისმა ძემ, ისმაელმა,

²⁷და მისი სახლის ყოველმა მამრმა, მის სახლში დაბადებულმა თუ უცხოელთაგან ვერცხლით ნაყიდმა; ყველა ამათ მასთან ერთად წინადაიცვითეს.



დაბადება 18

¹და გამოეცხადა მას უფალი მამრეს მუხასთან, კარვის წინ, შუადღის პაპანაქებაში მჯდომს.

²გაიხედა და ხედავს, სამი კაცი დგას მის შორიახლო. დაინახა და გაიქცა კარვის კარიდან მათ მისაგებებლად და მდაბლად თაყვანი სცა მათ.

³და უთხრა: „ბატონო, თუ რამ მადლი ვპოვე შენს თვალში, გვერდს ნუ ჩაუვლი შენს მსახურს!

⁴მოვატანინებ ცოტა წყალს და დაგბანენ ფეხს, მერე მოისვენეთ ხის ჩრდილში.

⁵ლუკმა პურს მოვიტან და დანაყრდით, მერე კი წადით თქვენს გზაზე, რაკილა თქვენი მსახურის კარზე გამოიარეთ!“ და უთხრეს: „გააკეთე, რასაც ამბობ!“

⁶და სწრაფად მივიდა აბრაამი სარას კარავთან, და უთხრა: „აბა, საჩქაროდ სამი საწყაო გამტკიცული ფქვილი მოზილე და კვერები დააცხვე!“

⁷შემდეგ ნახირისკენ გაიქცა აბრაამი და აიყვანა ჩვილი, საღი ხბო, და მისცა იგი თავის მსახურს, და ისიც სასწრაფოდ შეუდგა მის გამზადებას.

⁸გამოუტანათ ერბო და რძე, და გამზადებული ხბო, და წინ დაუწყო. ხოლო თვითონ იდგა მათ გვერდით, ხის ქვეშ, ვიდრე ისინი ჭამდნენ.

⁹და ჰკითხეს მას: „სად არის სარა, შენი ცოლი?“ და უპასუხა მან: „აქვეა, კარავში.“

¹⁰შემდეგ უთხრა მას ერთმა მათგანმა: „გაისად ამ დროს ნამდვილად დავბრუნდები შენთან. და ძე ეყოლება სარას, შენს ცოლს.“ სარა კარვის კარს უკან იდგა და ყველაფერი ესმოდა.

¹¹და მოხუცებულნი იყვნენ აბრაამი და სარა, ხანში შესულნი. დედათა წესი შეწყვეტილი ჰქონდა სარას.

¹²და გაეცინა გულში სარას და თქვა: „რა სიამე უნდა განვიცადო, როცა უკვე დავბერდი? და ჩემი ქმარიც მოხუცებულია.“

¹³და უთხრა უფალმა აბრაამს: „რა იყო, რომ გაეცინა სარას და თქვა: ნუთუ მართლა ვშობ სიბერეშიო?“

¹⁴უფლისთვის ხომ შეუძლებელი არაფერია? დათქმულ ჟამს დავბრუნდები შენთან, გაისად, და სარას უკვე ძე ეყოლება.“

¹⁵და უარყო სარამ და თქვა: არ გამიცინიაო, რადგან შეეშინდა. და უპასუხეს მას: „არა, შენ გაიცინე!“



¹⁶და ადგნენ იქიდან ეს კაცები, და მზერა მიაპყრეს სოდომს. და აბრაამი გაჰყვა მათ გასაცილებლად.

¹⁷და თქვა უფალმა: „დავუფარო აბრაამს, რის გაკეთებასაც ვაპირებ?

¹⁸აბრაამი ხომ დიდი და ძლიერი ხალხი გახდება, ქვეყნის ყველა ხალხი კურთხეული იქნება მისით,

¹⁹რადგან ვიცი, რომ უანდერძებს იგი თავის შვილებსა და თავის სახლს თავის შემდეგ – იარონ უფლის გზაზე, მოიქცნენ სიმართლით და სამართალი საჯონ, რათა შეუსრულოს უფალმა აბრაამს, რასაც შეჰპირდა.“

²⁰და თქვა უფალმა: „გახშირდა სამდურავი სოდომსა და გომორაზე და ძალზე დამძიმდა მათი ცოდვები.

²¹ჩავალ და ვნახავ, საქმით დაიმსახურეს თუ არა სამდურავი, ჩემამდე რომ მოაღწია.“

²²და გაემართნენ ეს კაცები იქიდან სოდომისაკენ. აბრაამი კი ჯერ კიდევ იდგა უფლის წინაშე.

²³და მიეახლა აბრაამი უფალს და უთხრა: „ნუთუ მართალ კაცს უკეთურთან ერთად დაღუპავ?

²⁴ეგების იყოს 50 მართალი ამ ქალაქში? ნუთუ დაღუპავ და არ შეიწყალებ მაგ ადგილს იქ მყოფი 50 მართლის გამო?

²⁵შორს შენგან ეს საქმე, რომ მართალი უკეთურთან ერთად დაღუპო, და მართალსაც ის ეწიოს, რაც უკეთურს! შორს შენგან! არ ეგების, რომ მთელი ქვეყნიერების მსაჯულმა უსამართლოდ განსაჯოს!“

²⁶და უთხრა უფალმა: „თუ ვპოვებ სოდომში ორმოცდაათ მართალს, შევიწყალებ მთელს მაგ ადგილს მათი გულისათვის.“

²⁷მიუგო მას აბრაამმა: „აჰა, გავბედე უფალთან ლაპარაკი მე, მტვერმა და ნაცარმა:

²⁸ორმოცდაათს რომ ხუთი დააკლდეს? ნუთუ მაინც დაღუპავ ქალაქს?“ და უთხრა უფალმა: „არ დავღუპავ, თუ ვპოვებ იქ ორმოცდახუთს.“

²⁹და განაგრძო ლაპარაკი აბრაამმა და უთხრა: „40 რომ აღმოჩნდეს?“ და უთხრა: „არ ჩავიდენ ამას იმ ორმოცის გამო.“

³⁰და თქვა აბრაამმა: „ნუ გამიწყრება უფალი და ვიტყვი: 30 რომ აღმოჩნდეს?“ და უთხრა: „არ გავაკეთებ ამას, თუ ვპოვებ იქ ოცდაათს.“

³¹კვლავ უთხრა მას: „აჰა, გავბედე უფალთან ლაპარაკი. 20 რომ აღმოჩნდეს?“ და უთხრა: „არ დავღუპავ იმ ოცის გამო.“



³²და თქვა: ნუ გამიწყრება უფალი და ამ ერთხელაც ვიტყვი: „10 რომ აღმოჩნდეს?“ და უთხრა: „არც იმ ათის გამო დავლუპავ.“

³³და წავიდა უფალი, როგორც კი შეწყვიტა ლაპარაკი აბრაამთან. და აბრაამიც დაბრუნდა თავის ადგილზე.

დაბადება 19

¹და მივიდა ორი ანგელოზი სოდომში სადამო ხანს, როცა სოდომის კარიბჭესთან იჯდა ლოტი. ისინი რომ დაინახა, ადგა მათ შესახვედრად და თაყვანი სცა მდაბლად.

²უთხრა: „აქეთ მობრძანდით, ჩემო ბატონებო, შემოუხვიეთ თქვენი მსახურის სახლში! ფეხს დაიბანთ, ღამეს გაათევთ, დილით კი ადრე ადგებით და თქვენს გზაზე წახვალთ.“ და უთხრეს: „არა, ქუჩაში გავათევთ ღამეს!“

³არ მოეშვა ლოტი და მათაც შეუხვიეს მის სახლში. და გაუმართა მათ ვახშამი, და დაუცხო ხმიადები და ჭამეს მათ.

⁴ჯერ კიდევ არ დაწოლილიყვნენ, რომ ქალაქის მცხოვრები სოდომელნი გარშემოერთყნენ სახლს, ჭაბუკიდან მოხუცამდე მთელი ხალხი ერთად.

⁵და დაუმახეს ლოტს, და უთხრეს: „სად არიან კაცები, წუხელ რომ გესტუმრნენ? გამოიყვანე ჩვენთან, უნდა მივუწვეთ!“

⁶გამოვიდა ლოტი მათთან, და გამოიხურა კარი,

⁷და უთხრა: „ნუ იზამთ უკეთურებას, ძმებო!“

⁸აჰა, ორი ქალიშვილი მყავს, რომელნიც ჯერ არ წოლილან კაცთან. მათ გამოვიყვან და უყავით, რაც გენებოთ, ოღონდ ამ კაცებს არაფერი ავნოთ, რადგან ჩემს ჭერქვეშ არიან შემოსულნი!“

⁹მაგრამ უპასუხეს: „მოგვცილდი აქედან!“ და კვლავ უთხრეს: „უცხო ვინმე შემოხიზნულხარ აქ, და სამართალს გვისჯი? შენ მათზე უარესს გიზამთ!“ და მიესიენ ლოტს და დაიწყეს კარების მტვრევა.

¹⁰მაგრამ ლოტის სტუმრებმა გამოიწოდეს ხელი, ლოტი შეიყვანეს შინ და კარები დაგმანეს.

¹¹ხოლო კაცებს, სახლის შესასვლელთან რომ იყვნენ, დიდიან-პატარიანად სიბრმავე დაატეხეს და მათ ქანცი გაუწყდათ კარების ძეხნაში.

¹²ლოტის სტუმრებმა ჰკითხეს მას: „კიდევ ვინ გყავს აქ? ძენი, ასულნი, სიძენი – ყველა, ვინც შენი ახლობელია ამ ქალაქში, გაიყვანე აქედან,



¹³რადგან გავანადგურებთ ჩვენ ამ ადგილს, იმის გამო, რომ უფლამდე მიაღწია მათზე სამდურავის ღაღადმა, და მოგვავლინა ჩვენ მის გასანადგურებლად!“

¹⁴და გავიდა ლოტი და ელაპარაკა თავის სასიძოებს, თავისი ასულების მთხოვნელთ, და უთხრა: „ადექით და გადით აქედან, რადგან უფალი განადგურებას უპირებს აქაურობას.“ სასიძოებს ეგონათ, ლოტი ხუმრობსო.

¹⁵განთიადისას ანგელოზებმა დააჩქარეს ლოტი ამ სიტყვებით: „ადექ და წაიყვანე შენი ცოლი და შენი ორი ასული, აქ რომ არიან, რათა არ გადაჰყვეთ ქალაქის ურჯულოებას!“

¹⁶მაგრამ ფეხს ითრევდა ლოტი. მაშინ კაცებმა ჩასჭიდეს ხელი მას, მის ცოლს და მის ორ ასულს, მათდამი უფლის წყალობის გამო, და გაიყვანეს ქალაქს გარეთ.

¹⁷როცა გამოიყვანეს ისინი გარეთ, უთხრა ერთ-ერთმა: „გადაირჩინე შენი სული, ნუ მიიხედავ უკან და ნუ გაჩერდები ამ არემარეზე! მთას შეეფარე, თორემ დაიღუპები!“

¹⁸და უთხრა მათ ლოტმა: „არა, ბატონო!“

¹⁹რადგან ჰპოვა თქვენმა მსახურმა მადლი შენს თვალში და დიდია შენი წყალობა, რომელიც მოიღეთ ჩემზე ჩემი სულის გადასარჩენად, ვერ შევეფარები მთას: ვაითუ, გადავაწყდე უბედურებას და მოვკვდე!

²⁰აგერ, ეს ქალაქი უფრო ახლოსაა გასაქცევად, პატარაც არის, იქ შევაფარებ თავს. პატარა ქალაქია, გადავრჩები.“

²¹და უთხრა: „კეთილი, შეგისრულებ ამ სათხოვარსაც: არ დავამხო ამ ქალაქს, შენ რომ ახსენე.

²²აბა, იჩქარე, შეაფარე იქ თავი, რადგან შენს იქ მისვლამდე ამ საქმეს ვერ აღვასრულებ!“ და ამიტომ ეწოდა ამ ქალაქს ცოყარი.

²³და მივიდა ლოტი ცოყარს, როცა ამოვიდა მზე ქვეყანაზე.

²⁴და აწვიმა უფალმა ციდან სოდომს და გომორას გოგირდის ცეცხლი უფლისაგან.

²⁵და დაამხო ეს ქალაქები და მთელი მათი შემოგარენი, და ყოველი მკვიდრი ამ ქალაქებისა და ყოველი მცენარე მიწისა.

²⁶და უკან მოხედვისას, ლოტის ცოლი იქცა მარილის სვეტად.

²⁷და ადგა აბრაამი დილაადრიაანად და წავიდა იმ ადგილას, სადაც იდგა ის უფლის წინაშე.



²⁸და როცა გაიხედა სოდომისა და გომორასაკენ, დაინახა: კვამლი ასდის მიწას მთელს არემარეზე, მსგავსად ღუმელიდან ამოვარდნილი ბოლისა.

²⁹და როცა ამხობდა ღმერთი იმ არემარის ქალაქებს, გაიხსენა ღმერთმა აბრაამი, და გაარიდა ლოტი დაქცევიდან, როცა სპობდა ქალაქებს, სადაც ცხოვრობდა ლოტი.

³⁰და ავიდა ლოტი ცოყარიდან, და დასახლდა მთაში თავის ორ ასულთან ერთად, რადგან ეშინოდა ცოყარში ცხოვრებისა. და დასახლდა მღვიმეში თავის ორ ასულთან ერთად.

³¹და უთხრა უფროსმა ასულმა უმცროსს: „მოხუცია მამაჩვენი და არ არის ქვეყანაზე მამაკაცი, რომ შემოვიდეს ჩვენთან, როგორც ქვეყნის წესია.

³²მოდით, შევასვით მამაჩვენს ღვინო, დავათროთ და მივუწვეთ და აღვადგინოთ ჩვენი მამისაგან შთამომავლობა.“

³³და შეასვეს ღვინო მამას იმ ღამით და მივიდა უფროსი და მიუწვა თავის მამას. მას მისი არც დაწოლა გაუგია და არც ადგომა.

³⁴მეორე დღეს უთხრა უფროსმა უმცროსს: „აჰა, ვიწექი წუხელ მამაჩვენთან. შევასვით მას ღვინო ამაღამაც. და მიდი, მიუწექი, და აღვადგინოთ მამაჩვენისგან შთამომავლობა.“

³⁵და ასვეს ღვინო იმ ღამითაც მამას. და დაწვა უმცროსი მასთან. ლოტს მისი არც დაწოლა გაუგია და არც ადგომა.

³⁶და დაორსულდა ლოტის ორივე ასული თავიანთი მამისაგან.

³⁷და შვა ძე უფროსმა და უწოდა სახელად მოაბი. იგი არის მოაბელთა მამა დღევანდლამდე.

³⁸და უმცროსმაც შვა ძე და უწოდა სახელად ბენ-ყამი. იგი არის ყამონელთა მამა დღევანდლამდე.

დაბადება 20

¹გაემგზავრა აბრაამი იქიდან ნეგების ქვეყნისაკენ და დასახლდა კადეშსა და შურს შორის, და ხიზნად ცხოვრობდა გერარში.

²და თქვა აბრაამმა სარაზე, თავის ცოლზე: ჩემი და არისო იგი. და გაგზავნა აბიმელექმა, გერარის მეფემ, და თავისთან მოაყვანინა სარა.

³და მოევლინა ღამით სიზმარში აბიმელექს ღმერთი და უთხრა: „მოკვდები ამ ქალის გამო, შენ რომ მოიყვანე, რადგან ქმრიანია იგი.“



- ⁴მაგრამ აბიმელექი არ მიჰკარებია მას და ამიტომ თქვა: „უფალო, ნუთუ მართალ ხალხს დაღუპავ?“
- ⁵განა თავად არ მითხრა: ჩემი და არისო? და ქალმაც თვითონ თქვა, ჩემი ძმა არისო. წრფელია ჩემი გული და უდანაშაულოა ჩემი ხელი.“
- ⁶და უთხრა მას ღმერთმა სიზმარში: „მეც ვიცი, რომ წრფელი გულით გააკეთე ეს და მეც აგაშორე ცოდვას ჩემს წინაშე. ამიტომ არ მიგაკარე ამ ქალს.“
- ⁷ახლა კი დაუბრუნე ცოლი ამ კაცს, რადგან წინასწარმეტყველია იგი და ილოცებს შენთვის, და გადარჩები. და თუ არ დაუბრუნებ, იცოდე, სიკვდილი არ აგცდებათ შენცა და შენიანებსაც.“
- ⁸და ადგა აბიმელექი დილაადრიადად და მოიწვია ყველა თავისი მსახური, და გაიმეორა ყველა ეს სიტყვა მათ გასაგონად. მეტისმეტად შეშინდა ხალხი.
- ⁹და მოიხმო აბიმელექმა აბრაამი, და უთხრა: „ეს რა გვითხრობ? რა შეგცოდნის ისეთი, რომ ასეთ დიდ ცოდვაში გვაგდებდი მეცა და ჩემს სამეფოსაც? ისეთ საქმეს მიპირებდი, რაც არასდროს არავისთვის უქნიათ.“
- ¹⁰და კვლავ უთხრა აბიმელექმა აბრაამს: „რას ფიქრობდი, ამას რომ სჩადიოდი?“
- ¹¹უპასუხა აბრაამმა: „მეგონა, არ იყო ღვთის შიში ამ მხარეში, და მომკლავდნენ ჩემი ცოლის გამო.“
- ¹²მართლაც ჩემი და არის ეს ქალი, მამაჩემის ასულია იგი, ოღონდ დედაჩემის ასული არ არის. ამიტომაც შევირთე ცოლად.
- ¹³და როცა ღმერთმა გამომიყვანა მამაჩემის სახლიდან, ვუთხარი ამ ქალს: ეს ერთი მადლი მიყავი-მეთქი: სადაც არ უნდა მოვხვდეთ, ჩემზე თქვი: ჩემი ძმა არის-თქო იგი.“
- ¹⁴და მოარეკინა აბიმელექმა ცხვარ-ძროხა, მსახურნი და მხევალნი, და მისცა აბრაამს, და დაუბრუნა სარაც, მისი ცოლი.
- ¹⁵და უთხრა აბიმელექმა: „აჰა, შენს წინაშეა ჩემი ქვეყანა. სადაც გნებავს, იქ დასახლდი.“
- ¹⁶და სარას უთხრა: „აჰა, მივეცი შენს ძმას ათასი შეკელი ვერცხლი. ამან მოგწმინდოს ნამუსი ყველას წინაშე, ვინც შენთან არის. ყველას წინაშე გამართლებული ხარ!“
- ¹⁷და ილოცა აბრაამმა ღვთის წინაშე და განკურნა ღმერთმა აბიმელექი, მისი ცოლი და მისი მხევლები, და მათ კვლავ იწყეს შობა,



¹⁸რადგან ყველასათვის დაეხშო უფალს საშო აბიმელექის სახლში აბრაამის ცოლის, სარას გამო.

დაბადება 21

¹და უფალმა გაიხსენა სარა და შეუსრულა, რაც აღუთქვა.

²დაორსულდა სარა და უშვა მოხუცებულ აბრაამს ძე უფლისგან დათქმულ დროზე.

³და დაარქვა აბრაამმა სახელად თავის ძეს ისააკი, რომელიც უშვა მას სარამ.

⁴და წინადაცვითა აბრაამმა რვა დღის ისააკი, თავისი ძე, როგორც უბრძანა მას ღმერთმა.

⁵100 წლისა იყო აბრაამი, როცა მას ისააკი შეეძინა.

⁶და თქვა სარამ: „დასაცინი გამხადა მე ღმერთმა. ვინც კი გაიგებს ამ ამბავს, ყველა დამცინებს.“

⁷და კვლავ თქვა: „ვინ ეტყოდა აბრაამს, შვილებს ძუძუს მოაწოვებო სარა? და მაინც გავუჩინე მისი სიბერის ძე.“

⁸წამოიზარდა ბავშვი და ძუძუს მოსწყვიტეს. და აბრაამმა დიდი ძეოზა გამართა იმ დღეს, როცა ისააკი ძუძუს მოსწყვიტეს.

⁹და დაინახა სარამ, რომ დასცინოდა მის შვილს შვილი ეგვიპტელი ჰაგარისა, რომელმაც უშვა იგი აბრაამს.

¹⁰და უთხრა მან აბრაამს: „გააძევე ეს მხევალი თავისი შვილითურთ, რათა არ გახდეს მხევლის ძე ისააკთან, ჩემს ძესთან, ერთად შენი მემკვიდრე.“

¹¹ძალზე შეაწუხა აბრაამი ამ ამბავმა თავისი ძის გამო.

¹²და უთხრა ღმერთმა აბრაამს: „ნუ დარდობ ყმაწვილზე და შენს მხევალზე. გაუგონე სარას, რასაც გეუბნება, რადგან ისააკი გააგრძელებს შენს მოდგმას;

¹³და ამ მხევლის ძესაც ხალხად ვაქცევ, რადგან შენი თესლია იგი.“

¹⁴ადგა აბრაამი დილაადრიანად, აიღო პური და წყლის ტიკჭორა და მისცა ჰაგარს, ზურგზე აჰკიდა და ბავშვიანად გაუშვა. და წავიდა ჰაგარი და გზააზნეული დახეტიალობდა ბერ-შემაყის უდაბნოში.

¹⁵გაუთავდა წყალი ტიკჭორაში, ჰაგარს; დატოვა ბავშვი ერთი ბუჩქის ძირას,

¹⁶წავიდა და დაჯდა მოშორებით, საისრე მანძილზე, რადგან იფიქრა, ბავშვის სიკვდილს ვერ ვუყურებო. იჯდა შორს და ხმამაღლა ტიროდა.



¹⁷და ისმინა ღმერთმა ხმა ყრმისა, და გადმოსძახა ღვთის ანგელოზმა ჰაგარს ზეციდან და ჰკითხა: „რა დაგემართა, ჰაგარ? ნუ გეშინია, რადგან ღმერთს შემოესმა შენი ძის ხმა იმ ადგილიდან, სადაც ის არის.

¹⁸ადექი, აიყვანე ყმაწვილი ხელში! მე მისგან წარმოვშობ დიდ ხალხს.“

¹⁹და აუხილა ღმერთმა თვალი ჰაგარს და დაინახა მან წყლის ჭა, და წავიდა და აავსო ტიკჭორა წყლით, და დააღვინა თავის ყრმას.

²⁰და იყო ღმერთი ყრმასთან, და გაიზარდა და ცხოვრობდა უდაბნოში, და გახდა იგი მშვილდოსანი.

²¹ცხოვრობდა იგი ფარანის უდაბნოში; და მოუყვანა დედამისმა ცოლი ეგვიპტელთა ქვეყნიდან.

²²და მოხდა იმ დროს: აბრაამს ელაპარაკნენ აბიმელექი და მისი მხედართმთავარი ფიქოლი, და უთხრეს: „ღმერთია შენთან ყველაფერში, რასაც შენ აკეთებ,

²³ახლა შემომფიცე ღვთის სახელით, რომ არ გვიმტყუნებ არც მე და არც ჩემს მონაგარს და მოდგმას. როგორც მე გექცეოდი კეთილად, შენც ისე მოგვექეცი მე და ამ ქვეყანას, რომელშიც ხიზნად ხარ.“

²⁴და უთხრა აბრაამმა: „გეფიცები!“

²⁵და უსაყვედურა აბრაამმა აბიმელექს წყლის იმ ჭის გამო, რომელიც მიიტაცეს აბიმელექის მსახურებმა.

²⁶და უთხრა აბიმელექმა: „არ ვიცი, ვინ ქნა ეგ საქმე, შენ არაფერი გითქვამს ჩემთვის, მეც არაფერი მსმენია დღემდე.“

²⁷და მოლალა აბრაამმა ცხვარ-ძროხა და მისცა აბიმელექს, და შეკრეს მათ კავშირი.

²⁸გამოარჩია აბრაამმა ფარიდან შვიდი კრავი ცალკე,

²⁹და უთხრა აბიმელექმა აბრაამს: „რა არის ეს შვიდი კრავი, ცალკე რომ გამოარჩიე?“

³⁰მან უპასუხა: „მიიღე ეს შვიდი კრავი ჩემი ხელიდან იმის დასამოწმებლად, რომ ჩემი ამოთხრილია ეს ჭა.“

³¹ამიტომ ეწოდა იმ ადგილს ბეერ-შებაყი, რადგან აქ შეჰფიცეს ერთმანეთს.

³²და შეკრეს კავშირი ბეერ-შებაყში, და აბიმელექი და ფიქოლი, მისი მხედართმთავარი, დაბრუნდნენ ფილისტიმელთა ქვეყანაში.

³³და დარგო იაღლუნი აბრაამმა ბეერ-შებაყში, და იქ მოუხმო მან უფლის, საუკუნო ღმერთის სახელს.



³⁴და დიდხანს ხიზნობდა აბრაამი ფილისტიმელთა ქვეყანაში.

დაბადება 22

¹და ამ ამბების შემდეგ იყო, რომ ღმერთმა გამოსცადა აბრაამი. და დაუძახა მას: „აბრაამ!“ და მიუგო აბრაამმა: „აქა ვარ!“

²და უთხრა მან: „წაიყვანე ისააკი, მე შენი ერთადერთი, რომელიც გიყვარს, და წადი მორიას ქვეყანაში, და შესწირე იგი სრულადდასაწველად ერთ მთაზე, რომელსაც მე გეტყვი.“

³და ადგა აბრაამი დილაადრიანად, შეკაზმა თავისი სახედარი, თან წაიყოლა თავისი ორი მსახური ბიჭი და ისააკი, თავისი ძე. და დააპო შემა სრულადდასაწველისათვის, და გაემურა იმ ადგილისაკენ, რომელზეც უთხრა მას ღმერთმა.

⁴მესამე დღეს გაიხედა აბრაამმა და შორიდან დაინახა ის ადგილი.

⁵და უთხრა აბრაამმა თავის მსახურებს: „თქვენ აქ დარჩით სახედართან, მე და ეს ბიჭი კი იქ წავალთ, თაყვანს ვცემთ და თქვენთან მოვბრუნდებით.“

⁶და აიღო აბრაამმა შემა სრულადდასაწველისათვის და აჰკიდა ზურგზე ისააკს, თავის ძეს, და აიღო ხელში ცეცხლი და დანა. და ორივენი წავიდნენ ერთად.

⁷და უთხრა ისააკმა აბრაამს თავის მამას: „მამაჩემო!“ აბრაამმა მიუგო: „აქა ვარ, ჩემო შვილო!“ და თქვა ისააკმა: „ცეცხლი და შემა მიგვაქვს, სრულადდასაწველი კრავი სადღა არის?“

⁸და უთხრა აბრაამმა: „ჩემო შვილო, ღმერთი თავად გამონახავს კრავს სრულადდასაწველად.“ ორივემ ერთად გააგრძელეს გზა.

⁹და მივიდნენ იმ ადგილას, ღმერთმა რომ უთხრა, და აღმართა იქ აბრაამმა სამსხვერპლო, დააწყო შემა, შეკრა ისააკი, თავისი ძე, და დასვა იგი სამსხვერპლოს შემაზე.

¹⁰და გაიწოდა ხელი აბრაამმა, დანა აიღო შვილის დასაკლავად.

¹¹და მოუხმო მას უფლის ანგელოზმა ციდან და უთხრა: „აბრაამ, აბრაამ!“ მიუგო: „აქა ვარ!“

¹²და უთხრა ანგელოზმა: „ნუ აღმართავ ხელს ამ ყმაწვილზე, ნურაფერს დაუშავებ მას, რადგან ახლა გავიგე, რომ ღვთისმოშიში ხარ, და შენი ერთადერთი ძე გაიმეტე ჩემთვის.“



¹³და გაიხედა აბრაამმა და დაინახა, რომ ერთი ვერძი რქებით იყო გახლართული ჯაგებში. მივიდა აბრაამი, აიყვანა ის ვერძი და შესწირა იგი სრულადდასაწველად თავისი ძის ნაცვლად.

¹⁴და უწოდა აბრაამმა იმ ადგილს სახელად: უფალი გამოაჩენს; როგორც ამბობენ მას შემდეგ: უფლის მთაზე გამოჩნდებაო.

¹⁵და მოუხმო უფლის ანგელოზმა აბრაამს ზეციდან მეორედ,

¹⁶და უთხრა: „გეფიცები, ამბობს უფალი, რაკი ეს საქმე გააკეთე და გაიმეტე შენი ძე, შენი ერთადერთი,

¹⁷გაკურთხეშ შენ და გავამრავლებ შენს მოდგმას ცის ვარსკვლავებით და ზღვის ქვიშასავით! და დაიმკვიდრებს შენი მოდგმა თავისი მტრების კარიბჭეებს!

¹⁸და კურთხევა იქნება შენი მოდგმა დედამიწის ყოველი ხალხისათვის, რადგან შეისმინე ჩემი სიტყვა!“

¹⁹და დაბრუნდა აბრაამი თავის მსახურ ბიჭებთან, და ადგნენ და წავიდნენ ერთად ბეერ-შებაყისაკენ. და სახლობდა აბრაამი ბეერ-შებაყში.

²⁰და ამ ამბების შემდეგ ეუწყა აბრაამს, რომ მილქამაც უშვა ძენი ნახორს, აბრაამის ძმას:

²¹ყუცი, მისი პირმშო, და ბუზი, ყუცის ძმა, კემუელი – არამის მამა,

²²ქესედი, ხაზო, ფილდაში, იდლაფი და ბეთუელი.

²³ბეთუელს შეეძინა რებეკა. მილქამ უშვა ეს რვა ვაჟი ნახორს, აბრაამის ძმას.

²⁴მისმა ხარჭამაც, სახელად რეუმამ, შვა ვაჟები: ტებახი, გახამი, თახაში და მაყაქა.

დაბადება 23

¹და იცოცხლა სარამ 127 წელი.

²და გარდაიცვალა სარა კირიათ-არბაყში, ეს არის ხებრონი, ქანაანის ქვეყანაში. და მივიდა აბრაამი სარას საგლოვად და დასატირებლად.

³და ადგა თავისი მკვდრისაგან და ელაპარაკა ხეთელებს:

⁴„მწირად ვარ და ხიზნად მე თქვენთან. მომეცით მე საკუთარი სამარხი ადგილი თქვენს მიწაზე, რომ დავმარხო ჩემი მკვდარი.“

⁵და მიუგეს ხეთელებმა აბრაამს:



⁶„მოგვისმინე ბატონო, ღვთის მთავარი ხარ შენ ჩვენს შორის! ჩვენს რჩეულ სამარხში დამარხე შენი მკვდარი, ჩვენგან არავინ დაგიკავებს თავის სამარხს შენი მკვდრის დასამარხად.“

⁷ადგა აბრაამი და თაყვანი სცა იმ მიწის ხალხს, ხეთელებს.

⁸და ელაპარაკა მათ: „თუ თანახმა ხართ, რომ დავმარხო ჩემი მკვდარი, ისმინეთ ჩემი და შემავედრეთ ყეფრონს, ცოხარის ძეს,

⁹რომ მომცეს მახფელას მღვიმე, მისი მინდვრის ბოლოს რომ არის: სრულ ფასად მომყიდოს იგი, თქვენი თანდასწრებით, ჩემი საკუთრი სამარხი რომ მქონდეს.“

¹⁰და ყეფრონი იჯდა ხეთელებს შორის, და მიუგო ყეფრონ ხეთელმა აბრაამს ხეთელთა და ქალაქის კარიბჭეში ყოველი შემსვლელის გასაგონად და უთხრა:

¹¹„არა, ბატონო, მომისმინე: მინდორიც მომიცია და ის მღვიმეც, იქ რომ არის, ჩემი ხალხის თანდასწრებით მომიცია შენი მკვდრის დასამარხად!“

¹²და თაყვანი სცა აბრაამმა ამ მიწის ხალხს.

¹³და ელაპარაკა ყეფრონს ხალხის გასაგონად: „იქნებ მოგესმინა ჩემთვის. საფასურს გაძლევ მინდვრისათვის; გამომართვი და დავმარხავ იქ ჩემს მკვდარს.“

¹⁴და პასუხად მიუგო ყეფრონმა აბრაამს და უთხრა:

¹⁵„ყური დამიგდე, ბატონო: რა სალაპარაკოა 400 შეკელი ვერცხლის საღირალი მიწა მე და შენს შორის? დამარხე შენი მკვდარი.“

¹⁶და დაეთანხმა აბრაამი ყეფრონს და მიუწონა ვერცხლი, რამდენიც მოითხოვა ხეთელთა გასაგონად – 400 შეკელი ვერცხლი სავაჭარო მაზნადით.

¹⁷და დაუმტკიცდა ყეფრონისეული მინდორი მახფელაში, მამრეს ახლოს რომ არის, მინდორი და მღვიმე, იქ რომ არის, ყოველი ხე, იმ მინდორზე და მის საზღვრებში რომ არის ირგვლივ,

¹⁸საკუთრებად აბრაამს ხეთელთა და სხვა ყველას თანდასწრებით, ვინც კი მისი ქალაქის კარიბჭესთან იყო მისული.

¹⁹და ამის შემდეგ დამარხა აბრაამმა სარა, თავისი ცოლი, მახფელას მინდვრის მღვიმეში, მამრეს ახლოს. ეს არის ხებრონი ქანაანის ქვეყანაში.

²⁰ასე დაუმტკიცდა აბრაამს ხეთელებისგან მინდორი და მღვიმე, იქ რომ არის, სამარხად.



დაბადება 24

- ¹და მოხუცდა აბრაამი, ხანში შევიდა. და უფალმა აკურთხა აბრაამი ყოველმხრივ.
- ²და უთხრა აბრაამმა თავის მსახურს, სახლთუხუცესს, რომელიც მთელ მის ქონებას განაგებდა: „ამომიდევი ხელი საზარდულს ქვეშ,
- ³და დაგაფიცებ უფალს, ცისა და მიწის ღმერთს, რომ ცოლად არ მოჰგვრი ჩემს ძეს ქანაანის ასულთაგან, რომელთა შორისაც მე ვცხოვრობ,
- ⁴არამედ წახვალ ჩემს მშობელ ქვეყანაში და მოჰგვრი ცოლს იქიდან ჩემს ძეს, ისააკს.“
- ⁵და უთხრა მას მსახურმა: „რომ არ ინებოს ქალმა ჩემთან ერთად ამ ქვეყანაში წამოსვლა, მაშინ დავაბრუნო შენი ძე იმ ქვეყანაში, საიდანაც შენ გამოხვედი?“
- ⁶და უთხრა მას აბრაამმა: „გაფრთხილებ, არ დააბრუნო იქ ჩემი ძე.
- ⁷უფალი, ცის ღმერთი, რომელმაც წამომიყვანა მამაჩემის სახლიდან და ჩემი სამშობლოდან, რომელიც მელაპარაკა მე და შემომფიცა და მითხრა, რომ ჩემს მოდგმას მისცემდა ამ ქვეყანას, სწორედ ის წაგიმძღვარებს თავის ანგელოზს, რომ წამოიყვანო ქალი იქიდან ჩემი ძისათვის.
- ⁸და თუ არ წამოგყვეს ქალი, მაშინ თავისუფალი იქნები შენ იმ ფიცისაგან, რომელიც მე შემომფიცე, ოღონდ ჩემი ძე არ დააბრუნო იქ.“
- ⁹და ამოუდო ხელი საზარდულს ქვეშ მსახურმა აბრაამს, თავის ბატონს და შეჰფიცა, რომ შეუსრულებდა ამას.
- ¹⁰და გამოიყვანა მსახურმა ათი აქლემი თავისი ბატონის ჯოგიდან და გაუდგა გზას. მან თან წაიღო თავისი ბატონის განძეულთაგან და წავიდა არამ-ნახარაიმისაკენ – ნახორის ქალაქისაკენ.
- ¹¹და ჩაამუხლა აქლემები ქალაქგარეთ სადამო ხანს ერთ ჭასთან, იმ დროს, როდესაც ქალები გამოდიან წყლის ამოსახაპად.
- ¹²და თქვა: „უფალო, ჩემი ბატონის, აბრაამის, ღმერთო! ხელი მომიმართე დღევანდელ დღეს და მადლი უყავი ჩემს ბატონს, აბრაამს!
- ¹³აჰა, მე ვდგავარ ჭასთან სადაც ამ ქალაქის მკვიდრთა ასულნი გამოდიან წყლის ამოსახაპად;
- ¹⁴და თუ მოხდა და ყმაწვილი ქალი, რომელსაც ვეტყვი, პირი წაუქციე შენს კოკას, წყალს დავლევ-მეთქი, და ის მიტყვის, შენც დალიე და აქლემებსაც



დაგირწყულებო, სწორედ ის იქნება შენი მსახურის, ისააკისთვის რომ გყავს დანიშნული. და ამით მივხვდები, რომ წყალობა უყავ ჩემს ბატონს.“

¹⁵მას ჯერ არ დაემთავრებინა სიტყვა, რომ მოვიდა მხარზე კოკაშემოდგმული რებეკა, რომლის მამა იყო ბეთუელი, რომელიც იყო ძე მილქასი და ნახორისა, აბრაამის ძმისა.

¹⁶ყმაწვილი ქალი ძალზე მშვენიერი იყო შესახედად; ქალწული იყო, მამაკაცი ჯერ არ გაჰყარებოდა. და ჩავიდა წყაროზე, კოკა აავსო და ამოვიდა.

¹⁷და გაიქცა მსახური მის შესახვედრად, და სთხოვა: დამალევინეო ცოტა შენი კოკიდან.

¹⁸და უპასუხა მან: „დალიე, ჩემო ბატონო,“ და სწრაფად ჩამოიღო კოკა მხრიდან და დაალევინა.

¹⁹და რომ შეასვა, უთხრა: „შენს აქლემებსაც ამოვუზიდავ წყალს, ვიდრე არ დარწყულდებიან.“

²⁰და უმაღვე ჩამოცალა გეჯაში კოკა და ისევ გაიქცა ჭისკენ წყლის ამოსაღებად. და უზიდავდა აქლემებს წყალს.

²¹და კაცი აკვირდებოდა ქალს, ხმას არ იღებდა, სურდა გაეგო, სასიკეთოდ წარუმართა თუ არა უფალმა მას გზა.

²²და როცა დარწყულდნენ აქლემები, ამოიღო კაცმა ნახევარი შეკელი წონის ოქროს რგოლი, და ათი შეკელის წონის ოქროს ორი სამაჯური.

²³და ჰკითხა: „ვისი შვილი ხარ? მითხარი, თუ მოიძებნება მამაშენის სახლში ღამის გასათევი ადგილი ჩვენთვის?“

²⁴და უპასუხა მან: „ბეთუელის ასული ვარ, ნახორის ძისა, მილქამ რომ უშვა.“

²⁵და დაამატა: „ბზეცა და თივაც ბევრი გვაქვს და ღამის გასათევი ადგილიც მოგვეძიება.“

²⁶და მუხლი მოიყარა იმ კაცმა, და თაყვანი სცა უფალს.

²⁷და თქვა: „კურთხეულია უფალი, ჩემი ბატონის, აბრაამის ღმერთი, რომელმაც არ მოაკლო სიმართლე და სიყვარული ჩემს ბატონს. უფალმა პირდაპირ მომაყენა ჩემი ბატონის ძმების სახლს.“

²⁸და გაიქცა ყმაწვილი ქალი და ამცნო ეს ყველაფერი თავისი დედის სახლს.

²⁹რებეკას ჰყავდა ძმა, სახელად ლაბანი. და გამოეშურა ლაბანი იმ კაცისაკენ ჭასთან.



³⁰და როცა იხილა რგოლი და სამაჯურები თავისი დის ხელებზე, და როცა მოისმინა თავისი დის, რებეკას მონაყოლი, ასე მელაპარაკო ის კაცი, მივიდა ლაბანი იმ კაცთან და ხედავს, აქლემებთან დგას ჭის პირას.

³¹და უთხრა: „შინ წამოდი, უფლის კურთხეულო, რად დგახარ გარეთ? მე გაგიშადა ბინა და აქლემების სადგომი.“

³²და შევიდა კაცი სახლში. მოხადა ლაბანმა აქლემებს საკაზმები და მისცა მათ ბზე და თივა, და მას და მის თანმხლებ კაცებს ფეხის დასაბანად წყალი მოუტანა.

³³და გაუწყვეს სუფრა, რომ ეჭამა. მაგრამ მან თქვა: „ვერ შევჭამ, ვიდრე არ ვიტყვი ჩემს სათქმელს.“ და უთხრა ლაბანმა: „თქვი.“

³⁴და თქვა: „მე ვარ მსახური აბრაამისა.

³⁵უფალმა დიდად აკურთხა და განადიდა ჩემი ბატონი. მისცა მას ცხვარ-ძროხა, ოქრო-ვერცხლი, მსახურნი და მხევალნი, ურიცხვი აქლემი და ვირი.

³⁶და უშვა სარამ, ჩემი ბატონის ცოლმა, სიბერეში მე ჩემს ბატონს, რომელსაც აბრაამმა მისცა მთელი თავისი საბადებელი.

³⁷და დამაფიცა ჩემმა ბატონმა, არ მოუყვანო ცოლი ჩემს ძეს ქანანელთაგან, რომელთა ქვეყანაშიც მე ვცხოვრობო,

³⁸არამედ წადი ჩემი მამა-პაპის სახლში, ჩემს სანათესაოში და იქიდან მოუყვანო ცოლი ჩემს ძეს.

³⁹და ვუთხარი ჩემს ბატონს, რომ არ წამომყვეს-მეთქი ქალი?

⁴⁰და მითხრა: ‘უფალი, რომლის წინაშეც მე დავდივარ, თავის ანგელოზს გაახლებს თან და გზას სასიკეთოდ წარგიმართავს, და მოუყვან ცოლს ჩემს ძეს ჩემი სანათესაოდან, ჩემი მამა-პაპის სახლიდან.

⁴¹მაშინ გათავისუფლდები ჩემი ფიცისაგან, როცა ჩემს სანათესაოში მიხვალ. და თუ არ გამოგაყოლებენ ქალს, მაშინ თავისუფალი ხარ ჩემი ფიცისაგან.’

⁴²და მოვედი მე დღეს ჭასთან, და ვთქვი: ‘უფალო, ჩემი ბატონის, აბრაამის ღმერთო! თუ შენ წარმართავ ჩემს გზას, რომელსაც ვადგავარ,

⁴³აჰა, მე ვდგავარ ჭასთან და ყმაწვილ ქალს, რომელიც გამოვა ამოსახაპად, ვეტყვი, ცოტა წყალი დამალევინე-მეთქი შენი კოკიდან,

⁴⁴და რომელიც მეტყვის: შენც დაგალევინებ და შენს აქლემებსაც დავარწყულებო, სწორედ ის ქალი იქნება, რომელიც აურჩევია უფალს ჩემი ბატონის შვილისთვის.’



⁴⁵და ვიდრე ჩემს გულში ამის თქმას მოვასწრებდი, დავინახე რებეკა მხარზე კოკაშედგმული. და ჩავიდა იგი ქასთან და, რომ ამოხაპა, ვუთხარი, დამალევინე-მეთქი.

⁴⁶და უმაღვე ჩამოიღო კოკა და მითხრა, შენც დალიე და აქლემებსაც დაგირწყულებო. მეც დავლიე და აქლემებიც დამირწყულა.

⁴⁷და ვკითხე მას: ვისი შვილი ხარ-მეთქი? და მითხრა: ბეთუელის ასული ვარ, ნახორის ძისა, მილქამ რომ უშვაო. მაშინ გავუკეთე მას ნესტოზე რგოლი და ხელებზე სამაჯურები.

⁴⁸და მოვიყარე მუხლი, და თაყვანი ვეცი უფალს, და ვაკურთხე უფალი, ჩემი ბატონის, აბრაამის ღმერთი, რომელმაც წარმმართა ჭეშმარიტი გზით, რათა ჩემი ბატონის ძმის ასული მის შვილს მივგვარო ცოლად.

⁴⁹და ახლა მითხარით მე: მადლი და სიკეთე თუ გასურთ ჩემი ბატონისთვის? თუ არა და ესეც მითხარით და წავალ, მარჯვნივ იქნება თუ მარცხნივ.“

⁵⁰და მიუგეს ლაბანმა და ბეთუელმა: „უფლისგან მოდის ეს საქმე. ვერც ცუდს გეტყვით, ვერც კარგს.

⁵¹აჰა, აქ არის რებეკა. წაიყვანე და წადი! და გახდეს შენი ბატონის ძის ცოლი, როგორც უბრძანებია უფალს.“

⁵²როგორც კი ისმინა აბრაამის მსახურმა მათი სიტყვები, თაყვანი სცა უფალს მდაბლად.

⁵³და ამოიღო აბრაამის მსახურმა ოქროსა და ვერცხლის ნივთები და სამოსელი, და მისცა რებეკას. და მის ძმას და დედასაც მიართვა ძვირფასი საჩუქრები.

⁵⁴და ჭამეს და სვეს მან და მისმა თანმხლებმა კაცებმა, და ღამე გაათიეს. და ადგნენ დილით და თქვა აბრაამის მსახურმა: „გამიშვით ჩემს ბატონთან.“

⁵⁵მაგრამ ქალის ძმამ და დედამ უთხრეს: „დარჩეს ჩვენთან ყმაწვილი ქალი ერთხანს, ათ დღეს მაინც, შემდეგ კი შეგიძლიათ წახვიდეთ.“

⁵⁶მაგრამ მან უთხრა: „ნუ დამაყოვნებთ, რადგან სასიკეთოდ წარუმართავს უფალს ჩემი გზა. გამიშვით და წავალ ჩემს ბატონთან!“

⁵⁷და უთხრეს: „მოვუხმოთ ყმაწვილ ქალს და ვკითხოთ, რას იტყვის.“

⁵⁸და დაუძახეს რებეკას და ჰკითხეს: „თუ წახვალ ამ კაცთან ერთად?“ და მან თქვა: „წავალ!“

⁵⁹და გაისტუმრეს რებეკა, თავიანთი და, თავისი ძიძითურთ, და აბრაამის მსახური და მისი კაცები.



⁶⁰და დალოცეს რებეკა და უთხრეს: „ჩვენი და ხარ შენ. ბევრათასჯერ იმრავლე, თავის მტერთა ბჭენი დაიმკვიდროს შენმა მოდგმამ!“

⁶¹და შესხდნენ რებეკა და მისი მხევლები აქლემებზე და გაჰყვნენ იმ კაცს. და წაიყვანა მსახურმა რებეკა და წავიდა.

⁶²ხოლო ისააკი წამოსულიყო ბეერ-ლახაი-როიდან და ცხოვრობდა ნეგებში.

⁶³და გავიდა ერთხელ ისააკი სადამო ხანს მინდორში ფქრთგასართველად, და გაიხედა, და დაინახა მომავალი აქლემები.

⁶⁴და გაიხედა რებეკამ, და დაინახა ისააკი და ჩამოხდა აქლემიდან.

⁶⁵და უთხრა მსახურს: „ვინ არის ის კაცი, მინდორში რომ მოდის ჩვენს შესაგებებლად?“ და მიუგო მსახურმა: „ჩემი ბატონია ის.“ და აიღო ქალმა რიდე და ჩამოიფარა.

⁶⁶და მოუთხრო მსახურმა ისააკს ყოველივე, რაც გააკეთა.

⁶⁷და შეიყვანა იგი ისააკმა თავისი დედის, სარას, კარავში, და გახდა იგი იქ მისი ცოლი, და შეიყვარა იგი. და დაუცხრა ისააკს დედის სიკვდილით გამოწვეული ტკივილი.

დაბადება 25

¹და კიდევ ითხოვა აბრაამმა ცოლი, სახელად კეტურა.

²და მან უშვა მას: ზიმრანი, იოკშანი, მედანი, მიდიანი, იშბაკი და შუაყი.

³იოკშანმა შვა შება და დედანი. ხოლო დედანის ძენი იყვნენ: აშურიმი, ლეტუშმი და ლეუმიმი.

⁴ძენი მიდიანისა: ეფა, ყეფერი, ენოქი, აბიდაყი და ელდაყა. ყველა ესენი კეტურას შვილები იყვნენ.

⁵და მისცა აბრაამმა ისააკს მთელი თავისი ქონება.

⁶ხოლო თავის შვილებს, რომლებიც ხარჭასგან ჰყავდა, მისცა აბრაამმა საჩუქრები და თავის სიცოცხლეშივე მოაშორა ისინი ისააკს, თავის ძეს და გაუშვა აღმოსავლეთის ქვეყანაში.

⁷იციცხლა აბრაამმა 175 წელი.

⁸და გარდაიცვალა აბრაამი ტკბილ სიბერეში, მოხუცებული და სიცოცხლით გამაძლარი. და შეერთო ის თავის წინაპართ.



⁹და დამარხეს იგი ისააკმა და ისმაელმა, მისმა ძეებმა, მახფელას მღვიმეში, ხეთელი ყეფრონ ცოხარის ძისეულ მინდორზე, რომელიც მდებარეობს მამრეს ახლოს,

¹⁰მინდორზე, რომელიც ხეთელთაგან იყიდა აბრაამმა, იქ დაიმარხნენ აბრაამი და სარა, მისი ცოლი.

¹¹აბრაამის სიკვდილის შემდეგ აკურთხა ღმერთმა ისააკი, მისი ძე. და დასახლდა ისააკი ბეერ-ლახაი-როის გვერდით.

¹²ეს არის შთამომავლობა ისმაელისა, აბრაამის ძისა, რომელიც უშვა აბრაამს ჰაგარმა, სარას ეგვიპტელმა მხევალმა.

¹³ეს არის ისმაელის ძეთა სახელები თავიანთ მოდგმათა მიხედვით: ისმაელის პირმშო იყო ნებაიოთი, შემდეგ კედარი, აბდეელი და მიბსამი,

¹⁴მიშმაყი, დუმა, მასა,

¹⁵ხადადი, თემა, იეტური, ნაფიში და კედემა.

¹⁶ესენი არიან ძენი ისმაელისა, და ეს იყო სახელები მათი მათ დაბეხსა და ბანაკებში, 12 მთავარი თავ-თავისი ტომების მიხედვით.

¹⁷და იცოცხლა ისმაელმა 137 წელი და გარდაიცვალა, და შეერთო თავის წინაპართ.

¹⁸მისი მოდგმა სახლობდა ხავილადან შურამდე, რომელიც ეგვიპტის გასწვრივ იყო, აშურის მიმართულებით. ყველა ისინი ერთმანეთის პირისპირ განლაგდნენ.

¹⁹და აჰა, მოდგმა ისააკისა, აბრაამის ძისა. აბრაამმა შვა ისააკი.

²⁰და ისააკი იყო 40 წლისა, როცა შეირთო ცოლად რებეკა, ასული არამელი ბეთუელისა, ფადან-არამიდან, არამელი ლაბანის და.

²¹და ევედრებოდა ისააკი უფალს თავისი ცოლისათვის, რადგან ბერწი იყო იგი. და ისმინა მისი უფალმა და დაორსულდა რებეკა, მისი ცოლი.

²²მაგრამ ეხლებოდნენ ძენი ერთმანეთს მის მუცელში, და მან თქვა: „თუ ასეა, რიღასთვის ჩამესახნენ?“ და წავიდა უფალთან საკითხავად.

²³და უთხრა მას უფალმა: „ორი ხალხია შენს მუცელში და ორი ტომი გამოვა შენი წიაღიდან, და ერთი ტომი მეორეზე ძლიერი იქნება, უფროსი უმცროსს დაემონება.“

²⁴და დაუდგა რებეკას ჟამი მშობიარობისა, აჰა, ტყუპები იყვნენ მის მუცელში.



- ²⁵გამოვიდა პირმო: მთლად წითური, თითქოს ბეწვის ქურქით შემოსილი, და უწოდეს მას სახელად ესავი.
- ²⁶მერე გამოვიდა მისი ძმა, რომელიც ხელით ებლაუჭებოდა ესავს ქუსლზე. და უწოდეს მას სახელად იაკობი. და 60 წლისა იყო ისააკი მათი შობისას.
- ²⁷და როცა წამოიზარდნენ ყმაწვილები, გახდა ესავი მარჯვე მონადირე, ველების კაცი. იაკობი კი სათნო კაცი იყო და იჯდა კარვებში.
- ²⁸უყვარდა ისააკს ესავი, რადგან მისი ნანადირევი ეგემრიელებოდა. რებეკას კი იაკობი უყვარდა.
- ²⁹ერთხელ, როცა იაკობმა შეჭამადი მოამზადა, ესავი დაღლილი დაბრუნდა ველიდან.
- ³⁰და უთხრა ესავმა იაკობს: „შემახვრეპინე ეგ წითელი შეჭამადი, რადგან დაღლილი ვარ“ (ამიტომაც ეწოდა მას სახელად ედომი).
- ³¹და უთხრა იაკობმა: „დღესვე გაგიცვლი შენს პირმოშობაში.“
- ³²და თქვა ესავმა: „სიკვდილის პირას ვარ და რაღად მინდა პირმოშობა?“
- ³³უთხრა მას იაკობმა: „შემომფიცე მე დღეს.“ და მანაც შეჰფიცა, რომ უთმოზდა თავის პირმოშობას.
- ³⁴და მისცა იაკობმა ესავს პური და ოსპის შეჭამადი, და ჭამა და სვა ესავმა, და ადგა და წავიდა. ასე არად ჩააგდო ესავმა თავისი პირმოშობა.

დაბადება 26

- ¹და ჩამოვარდა შიმშილობა ქვეყანაში იმ ადრინდელი შიმშილობის შემდეგ, რომელიც აბრაამის დროს იყო. და წავიდა ისააკი აბიმელექთან, ფილისტიმელთა მეფესთან, გერარში.
- ²გამოეცხადა მას იქ უფალი და უთხრა: „ნუ ჩახვალ ეგვიპტეში. იმ ქვეყანაში დასახლდი, რომელზეც მე გეტყვი.“
- ³ხიზნობდე იმ ქვეყანაში და ვიქნები შენთან და გაკურთხებ, რადგან შენ და შენს მოდგმას მოგცემთ მთელ ამ ქვეყნებს, და აღვადგენ იმ ფიცს, რომლითაც შევფიცე აბრაამს, მამაშენს.
- ⁴ცის ვარსკვლავებით გავამრავლებ შენს მოდგმას, და მივცემ შენს მოდგმას მთელ ამ ქვეყნებს. და კურთხევა იქნება შენი მოდგმა დედამიწის ყოველი ხალხისთვის,
- ⁵რადგან შეისმინა აბრაამმა ჩემი სიტყვა და დაიცვა ყველა ჩემი მცნებანი და ბრძანებანი, ჩემი წესები და ჩემი რჯულებები.“



⁶და ცხოვრობდა ისააკი გერარში.

⁷ჰკითხეს იქაურმა კაცებმა მის ცოლზე, და მან უთხრა, რომ თავისი და იყო. რადგან ეშინოდა ეთქვა, ჩემი ცოლი არისო, რომ არ მოეკლათ იქაურ კაცებს რებეკას გამო, რადგან რებეკა ძალზე მშვენიერი შესახედავი იყო.

⁸და როცა ისააკი კარგა ხნის ნაცხოვრები იყო იქ, გაიხედა აბიმელექმა, ფილისტიმელთა მეფემ, სარკმელში და ხედავს, ელაღობებოდა ისააკი რებეკას, თავის ცოლს.

⁹და დაიბარა აბიმელექმა ისააკი და უთხრა: „ნამდვილად შენი ცოლია ეს ქალი. რატომ თქვი, ჩემი და არისო?“ და უთხრა ისააკმა: „ვიფიქრე, მისი გულისთვის არ მომკლან-მეთქი.“

¹⁰და უთხრა აბიმელექმა: „ეს რა გვიყავი? კინაღამ დაწვა შენს ცოლთან ერთი ჩვენიანი, და კიდევ გაგვრევდი ცოდვაში.“

¹¹უბრძანა აბიმელექმა მთელ ხალხს: „ვინც ხელს ახლებს ამ კაცს და მის ცოლს, სიკვდილი არ ასცდება!“

¹²და დათესა ისააკმა იმ მიწაზე და ასმაგად მიიღო მოსავალი იმავე წელიწადს, რადგან აკურთხა იგი უფალმა.

¹³და გახდა ისააკი მდიდარი კაცი და უფრო და უფრო ივსებოდა ქონებით, და მეტისმეტად გამდიდრდა.

¹⁴და ჰყავდა მას ცხვრის ფარები და საქონლის ჯოგები, და მრავალი მსახური. ამიტომ შეშურდათ მისი ფილისტიმელებს.

¹⁵და ყოველი ჭა, რომელიც კი ამოთხარეს მამამისის მსახურებმა აბრაამის სიცოცხლეში, ფილისტიმელებმა ჩახერგეს და მიწით ამოავსეს.

¹⁶და უთხრა აბიმელექმა ისააკს: „გაგვეცალე, რადგან ჩვენზე უფრო ძლიერი შეიქენი!“

¹⁷და წავიდა ისააკი იქიდან, და დაბანაკდა გერარის ხეობაში, და იქ ცხოვრობდა.

¹⁸ისევ ამოიღო ისააკმა აბრაამის, მამამისის დროს ამოღებული ჭები, ფილისტიმელებმა რომ ამოავსეს აბრაამის სიკვდილის შემდეგ და კვლავ უწოდა ის სახელები, მამამისმა რომ შეარქვა.

¹⁹და თხრიდნენ ისააკის მსახურები ხეობაში, და წააწყდნენ იქ გამდინარე წყლის ჭას.

²⁰და შეედავნენ გერარელი მწყემსები ისააკის მწყემსებს: ჩვენიო წყალი. და უწოდა სახელად იმ ჭას ყესევი, რადგან ედავებოდნენ მას.



²¹და ამოთხარეს სხვა ჭა და მასზედაც დაობდნენ; ამიტომ უწოდა მას სახელად სიტნა.

²²და გადაინაცვლა იქიდან, და ამოთხარა სხვა ჭა, და მასზე აღარ შედავებიან. ამიტომ უწოდა სახელად მას რეხოზოთი და თქვა: „რაკი ამიერიდან გაგვაფართოვა უფალმა, ვიმრავლებთ ამ ქვეყანაში.“

²³იქიდან ავიდა ბერ-შეზაყში.

²⁴და გამოეცხადა მას უფალი იმ ღამით, და უთხრა: „მე ვარ აბრაამის, მამაშენის ღმერთი, და ნუ გეშინია, რადგან შენთანა ვარ და გაკურთხებ, და გაგიმრავლებ მოდგმას აბრაამის, ჩემი მსახურის გამო!“

²⁵და ააშენა იქ სამსხვერპლო და მოუხმო უფლის სახელს. და გაშალა იქ თავისი კარავი, და ამოთხარეს იქ ჭა ისააკის მსახურებმა.

²⁶მივიდა აბიმელექი მასთან გერარიდან, და მასთან ერთად ახუზათი, მისი მეგობარი, და ფიქოლი, მისი მხედართმთავარი.

²⁷უთხრა მათ ისააკმა: „რისთვის მოხვედით ჩემთან, ხომ მომიძულეთ და გამომამევეთ თქვენგან?“

²⁸მათ უთხრეს: „ჩვენ ცხადად დავინახეთ, რომ უფალია შენთან, და ვთქვით: იყოს ფიცი ჩვენს შორის, ჩვენსა და შენს შორის, და კავშირს შევკრავთ შენთან,

²⁹რომ არ გვიბოროტო, რადგან ჩვენ არ დაგვიჩაგრისარ, მხოლოდ სიკეთე გვიქნია შენთვის, და მშვიდობით გაგიშვით. ამიერიდან უფლის კურთხეული ხარ შენ!“

³⁰და გაუმართა ნადიმი მათ ისააკმა, და ჭამეს და სვეს.

³¹და ადგნენ დილაადრიანად, და შეჰფიცეს ერთმანეთს. და გაისტუმრა ისინი ისააკმა, და მშვიდობით წავიდნენ.

³²იმავე დღეს მოვიდნენ ისააკის მსახურები და აუწყეს ჭის შესახებ, რომელიც მათ ამოთხარეს, და უთხრეს, წყალი ვიპოვეთ.

³³და უწოდა მას შიზაყი. ამიტომაც ეწოდება ქალაქს სახელად ბერ-შეზაყი დღევანდლამდე.

³⁴40 წლისა იყო ესავი, როცა მოიყვანა ცოლად ივდითი, ბერი ხეთელის ასული, და ბასემათი, ელონ ხეთელის ასული.

³⁵და გაუმწარეს მათ სული ისააკს და რებეკას.

დაბადება 27



¹და როცა დაბერდა ისააკი და დაუსუსტდა თვალისჩინი და ვეღარ ხედავდა, მოუხმო ესავს, თავის უფროს ძეს და უთხრა: „შვილო ჩემო!“ და მან მიუგო: „აქა ვარ.“

²და უთხრა ისააკმა: „აჰა, დავბერდი და არ ვიცი, როდის მოვკვდები.“

³ახლა აიღე შენი საჭურველი, და შენი მშვილდ-ისარი, გადი ველად და ნანადირევი მომიტანე,

⁴და მომიმზადე კერძი, მე რომ მიყვარს. მომიტანე და შევჭამ, რომ გაკურთხოს შენ ჩემმა სულმა, სანამ ცოცხალი ვარ.“

⁵და ესმოდა რებეკას ისააკის ეს საუბარი ესავთან, თავის ძესთან. და გავიდა ესავი ველად სანადიროდ, ნანადირევის მოსატანად.

⁶ხოლო რებეკამ უთხრა იაკობს, თავის ძეს: „მე მოვისმინე, რომ მამაშენი ესავს, შენს ძმას ეუბნებოდა:

⁷მომიტანე ნანადირევი და მომიმზადე კერძი და შევჭამ, რომ გაკურთხოო უფლის წინაშე ჩემი სიკვდილის წინ.

⁸ახლა, გამიგონე, შვილო, რასაც გეტყვი:

⁹წადი ფარაში და ორი კარგი თიკანი მომიყვანე, რომ მოვუმზადო მამაშენს მისი საყვარელი კერძი.

¹⁰და მხართვი მამაშენს, რომ შეჭამოს და გაკურთხოს სიკვდილის წინ.”

¹¹უთხრა იაკობმა რებეკას, თავის დედას: „ჩემი ძმა ესავი რომ ბანჯგვლიანი კაცია, მე კი უბალნო ვარ?

¹²რომ შემახოს ხელი მამაჩემმა, ხომ მატყუარა გამოვჩნდები მის თვალში? კურთხევას კი არა, წყევლას დავითევ თავზე.“

¹³უთხრა მას დედამ: „ჩემზე იყოს ის წყევლა, შვილო, ოღონდ დამიჯერე და მომიტანე.“

¹⁴წავიდა ის, აიყვანა თიკნები, და მოჰგვარა დედას. და მოამზადა დედამისმა კერძი, ისააკს რომ უყვარდა.

¹⁵და აიღო რებეკამ თავისი უფროსი ძის, ესავის, ძვირფასი სამოსელი, შინ რომ ჰქონდა, და შემოსა იაკობი, თავისი უმცროსი ძე.

¹⁶ხელები და კისერი კი თიკნის ტყავით დაუფარა.

¹⁷და მისცა იაკობს, თავის ძეს ხელში კერძი და პური, რომელიც მოამზადა.

¹⁸და მივიდა იგი მამასთან და უთხრა: „მამაჩემო!“ და უპასუხა მან: „აქა ვარ. რა იყო? რომელი ხარ, შვილო?“



¹⁹და უთხრა იაკობმა მამას: „ესავი ვარ, შენი პირმშო; გავაკეთე, როგორც მითხარი. წამოჯექი და ჭამე ნანადირევი, რათა მაკურთხოს შენმა სულმა.“

²⁰და უთხრა ისააკმა თავის ძეს: „რა მალე გინადირია, შვილო?“ და თქვა: „იმიტომ რომ უფალი, შენი ღმერთი, შემეწია.“

²¹და უთხრა ისააკმა: „მომიახლოვდი, რომ ხელი შეგახო შვილო, მართლა ჩემი ძე ხარ შენ ესავი თუ არა?“

²²და მიუახლოვდა იაკობი მამამისს, ისააკს. და შეახო ხელი მან, და თქვა: ხმა – იაკობის ხმაა, ხელები კი ესავის ხელებია!

²³და ვერ იცნო, რადგან ხელები თავისი ძმის, ესავის ხელებივით ბალნიანი ჰქონდა, და აკურთხა იგი.

²⁴და თქვა: „მამ შენა ხარ ჩემი ძე ესავი?“ მან უპასუხა: – „მე ვარ!“

²⁵უთხრა ისააკმა: „მომაწოდე, შევჭამო ეგ ნანადირევი, შვილო, რათა გაკურთხოს ჩემმა სულმა.“ და მიაწოდა და შეჭამა. მიუტანა ღვინოც, და შესვა.

²⁶და უთხრა ისააკმა, მამამისმა: „მომეახლე და მეამბორე, შვილო!“

²⁷და მიეხლა და ეამბორა მას. და როცა იყნოსა მან სუნი მისი სამოსისა, აკურთხა იგი და თქვა: „აჰა, სუნი ჩემი ძისა, როგორც სუნი ველისა, რომელიც აკურთხა უფალმა.“

²⁸და მოგცეს ღმერთმა ცვარი ცისა, სინოყივრე მიწისა, და უხვად პური და ღვინო!

²⁹და გემსახურონ ხალხები და თაყვანი გცენ ტომებმა! იბატონე შენს ძმებზე და თაყვანი გცენ დედაშენის ძეთ. წყეულიმც იყოს მაწყევარი შენი, კურთხეულ იყოს მაკურთხებელი შენი!“

³⁰როგორც კი დაასრულა ისააკმა იაკობის კურთხევა, და გავიდა იაკობი, დაბრუნდა ესავი, მისი ძმა, ნადირობიდან.

³¹მანაც მოამზადა გემრიელი საჭმელი და მიართვა მამამისს, და უთხრა: „ადექი მამაჩემო და ჭამე შენი ძის ნანადირევი, რათა მაკურთხოს შენმა სულმა!“

³²და უთხრა მას ისააკმა, მამამისმა: „რომელი ხარ შენ?“ და თქვა ესავმა: „მე ვარ შენი ძე, შენი პირმშო, ესავი.“

³³და შეძრწუნდა ისააკი და თქვა: „ის ვინლა იყო, ნანადირევი რომ მომიტანა და შენს მოსვლამდე მაჭამა? ის ვაკურთხე, ვიდრე შენ მოხვიდოდი და კურთხეული ის იქნება!“



³⁴მამის სიტყვები რომ გაიგონა ესავმა, ხმამაღლა და მწარედ ამოიგმინა. და უთხრა მამას: „მეც მაკურთხე, მამაჩემო!“

³⁵და უთხრა მან: „ცბიერებით მოვიდა შენი ძმა და წაიღო საშენო კურთხევა.“

³⁶თქვა ესავმა: „ტყუილად კი არ ჰქვია იაკობი. ორჯერ გამაცურა: ჯერ პირმშობა წამართვა, ახლა კურთხევა წაურთმევია.“ და თქვა: „ნუთუ არ შეგინახავს ჩემთვის კურთხევა?“

³⁷და პასუხად უთხრა ისააკმა: „შენს ბატონად დავაყენე იგი და ყველა მისი ძმა მივეცი მას მსახურად, და პურიც და ღვინით ავაკე, და შენ რაღა გიყო, შვილო?“

³⁸და უთხრა ესავმა მამას: „ნუთუ მხოლოდ ერთი კურთხევა გქონდა, მამაჩემო? მეც მაკურთხე, მამაჩემო!“ და ხმამაღლა ატირდა ესავი.

³⁹და მიუგო ისააკმა, მამამისმა: „ნაყოფიერი მიწისგან შორს იყოს შენი სამკვიდრებელი და შორს ცის ცვარისგან.“

⁴⁰შენმა მახვილმა გარჩინოს და შენს ძმას ემსახურებოდე. დრო მოვა და ქედიდან გადაიგდებ უღელს.“

⁴¹და გადაემტერა ესავი იაკობს კურთხევის გამო, რომლითაც იგი აკურთხა მამამ. და თქვა გულში: „ახლოვდება დღენი მამაჩემის გლოვისა და მაშინ მოვკლავ ჩემს ძმას, იაკობს.“

⁴²და მიუტანეს რებეკას ესავის სიტყვები, თავისი უფროსი ძისა. და მოუხმო თავის უმცროს ძეს, იაკობს, და უთხრა: „აჰა, მოსაკლავად გემუქრება შენი ძმა ესავი!“

⁴³ახლა მომისმინე, შვილო, ადექი და ჩემს ძმასთან, ლაბანთან, გაიქეცი ხარანში.

⁴⁴და ერთხანს იცხოვრე მასთან, სანამ ბრაზი გაუვლის შენს ძმას.

⁴⁵რომ დაცხრება რისხვა შენი ძმისა და დაივიწყებს, რაც უყავი მას, გამოვგზავნი ვინმეს და წამოგიყვან იქიდან. რატომ უნდა დაგკარგოთ ორივენი ერთ დღეს?“

⁴⁶და უთხრა რებეკამ ისააკს: „სიცოცხლე შემაძულეს ხეთელმა ქალებმა. თუ იაკობმაც ხეთელებისგან მოიყვანა ცოლი, ამ ქვეყნის ქალები რომ არიან, ისეთი, რაღასთვის მინდა სიცოცხლე?“

დაბადება 28



- ¹და მოუხმო ისააკმა იაკობს, აკურთხა და უბრძანა: „ცოლი ქანაანის ასულთაგან არ მოიყვანო.“
- ²წადი ფადან-არამში, დედაშენის მამის, ბეთუელის სახლში, და იქიდან მოიყვანე ცოლად ლაბანის, დედაშენის ძმის, ასულთაგანი.
- ³ყოვლადძლიერმა ღმერთმა გაკურთხოს, განაყოფიეროს და გამრავლოს. მრავალი ხალხები გამოვლენ შენგან.
- ⁴და მოგცეთ აბრაამის კურთხევა შენ და შენს მოდგმას შენთან ერთად, რათა დაიმკვიდრო შენი ხიზნობის ქვეყანა, რომელიც მისცა ღმერთმა აბრაამს.“
- ⁵და გაუშვა ისააკმა იაკობი და წავიდა იგი ლაბანთან ფადან-არამში, არამელი ბეთუელის ძესთან, იაკობისა და ესავის დედის, რებეკას ძმასთან.
- ⁶და დაინახა ესავმა, რომ აკურთხა ისააკმა იაკობი და გაუშვა ფადან-არამში ცოლის მოსაყვანად და რომ კურთხევისას უბრძანა, არ მოეყვანა ცოლი ქანაანელთაგან,
- ⁷და რომ დაუჯერა იაკობმა დედ-მამას და წავიდა ფადან-არამში.
- ⁸და ისიც დაინახა ესავმა, რომ არ მოსწონდა მამამისს, ისააკს, ქანაანელი ქალები.
- ⁹და წავიდა ესავი ისმაელთან და წამოიყვანა მახალათი, ასული ისმაელისა, აბრაამის ძისა, დაი ნებაიოთისა ცოლად, დანარჩენი ცოლების გვერდით.
- ¹⁰და გავიდა იაკობი ბეერ-შებაყიდან და გაემართა ხარანისაკენ,
- ¹¹და მიაღწა ერთ ადგილს, სადაც დარჩა ღამის გასათევად, რადგან მზე უკვე ჩაესვენა. აიღო ერთი ქვა და დაიდო სასთუმლად, და დაწვა დასაძინებლად.
- ¹²ესიზმრა: მიწაზე კიბე დგას და თავით ცას სწვდება. ღვთის ანგელოზები ადიან და ჩამოდიან კიბეზე.
- ¹³და უფალი იდგა ზედ და ამბობდა: „მე ვარ უფალი, ღმერთი აბრაამისა, შენი მამისა, და ღმერთი ისააკისა. ეს მიწა, სადაც წევხარ, შენთვისა და შენი მოდგმისთვის მომიცია.“
- ¹⁴და ქვიშასავით გამრავლდება შენი მოდგმა, და განივრცობი დასავლეთით და აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. კურთხევა იქნებით შენ და შენი მოდგმა დედამიწის ყოველი ტომისათვის.
- ¹⁵მე შენთან ვარ, და ყველგან დაგიფარავ, სადაც კი წახვალ. და დაგაბრუნებ ამ მიწაზე, არ მიგატოვებ, ვიდრე არ აგისრულებ, რაც გითხარი.“
- ¹⁶როცა გამოფხიზლდა იაკობი ძილისაგან, თქვა: „ჭეშმარიტად უფალია ამ ადგილზე და მე არ ვიცოდი!“



¹⁷და შეეშინდა და თქვა: „რა თავზარდამცემია ეს ადგილი! რა არის ეს, თუ არა სახლი ღვთისა და ცათა კარიბჭე.“

¹⁸და ადგა იაკობი დილაადრიან და აიღო ქვა, რომელიც სასთუმლად ედო, და აღმართა იგი ძეგლად და ზეთი დაასხა ზედ.

¹⁹და უწოდა იმ ადგილს სახელად ბეთელი. წინათ კი ლუზი ერქვა ამ ადგილს.

²⁰და აღთქმა დადო იაკობმა ამ სიტყვებით: „თუ იქნება ღმერთი ჩემთან და დამიფარავს ამ გზაზე, რომლითაც მე მივდივარ, და მომცემს პურს საჭმელად და სამოსელს – შესამოსად,

²¹და მშვიდობით დამაბრუნებს შინ, მამაჩემთან, და უფალი იქნება ჩემი ღმერთი,

²²და ეს ქვა, ძეგლად რომ აღვმართე, იყოს ღვთის სახლი, და ყველაფრისგან, რასაც მომცემ, მეათედს შენ მოგიძღვნი!“

დაბადება 29

¹და კვლავ დაადგა იაკობი გზას და წავიდა აღმოსავლელთა ქვეყნისაკენ.

²და მიმოიხედა და დაინახა ჭა ველზე, და მასთან ცხვრის სამი ფარა გაწოლილა, რადგან იმ ჭიდან ასმევდნენ ფარებს წყალს. დიდი ქვა ეფარა ჭას თავზე.

³და როცა მოგროვდებოდნენ იქ ფარები, გადააგორებდნენ ხოლმე მწყემსები ქვას ჭის პირიდან და წყალს ასმევდნენ ცხვარს. და შემდეგ ისევ აფარებდნენ ჭას ამ ქვას.

⁴„სადაურები ხართ, ძმებო?“ – ჰკითხა იაკობმა მწყემსებს. და მიუგეს: „ხარანელები ვართ.“

⁵და უთხრა: „თუ იცნობთ ლაბანს, ნახორის ძეს?“ თქვეს: „ვიცნობთ.“

⁶და უთხრა მათ: „ხომ მშვიდობითაა?“ უპასუხეს: „მშვიდობითაა. აგერ, რახელიც, მისი ასული, ცხვარს მოერეკება.“

⁷თქვა: „ჯერ ხომ არ გასულა დღე, ადრეა საქონლის თავმოყრა. დაარწყულეთ ცხვარი და წაასხით საძოვრად.“

⁸თქვეს: „ვერ შევძლებთ, ვიდრე ყველა ფარა არ შეიკრიბება და არ გადმოაგორებენ ქვას ჭის პირიდან; მხოლოდ მაშინ დავარწყულებთ ცხვარს.“



⁹ჯერ კიდევ ელაპარაკებოდა მათ იაკობი, რომ რახელმა მორეკა მამამისის ცხვარი, რადგან იგი მწყემსავდა ცხვარს.

¹⁰და როცა დაინახა იაკობმა რახელი, ლაბანის ასული, თავისი დედის ძმისშვილი, და ლაბანის, თავისი დედის ძმის ცხვარი, მივიდა და გადააგორა ქვა ჭის პირიდან, და დაარწყულა ლაბანის, თავისი დედის ძმის ცხვარი.

¹¹და აკოცა იაკობმა რახელს და ხმამაღლა ატირდა.

¹²და ამცნო იაკობმა რახელს, რომ იგი მისი მამის დის, რებეკას, შვილი იყო. გაიქცა რახელი და მამას შეატყობინა.

¹³და როგორც კი გაიგო ლაბანმა თავისი დისწულის, იაკობის, მოსვლის ამბავი, გამოიქცა მის შესაგებებლად, გადაეხვია, გადაკოცნა და შინ შეიყვანა. და იაკობმა მოუთხრო ლაბანს მთელი ეს ამბავი.

¹⁴და უთხრა მას ლაბანმა: „ნამდვილად ჩემი სისხლი და ხორცი ხარ! და დარჩა მასთან იაკობი მთელი ერთი თვე.“

¹⁵და უთხრა ლაბანმა იაკობს: „ჩემი ნათესავი რომ ხარ, უსასყიდლოდ ხომ არ უნდა მემსახურო? მითხარი, რა უნდა იყოს შენი საზღაური?“

¹⁶ორი ასული ჰყავდა ლაბანს, უფროსს სახელად ლეა ერქვა, უმცროსს – რახელი.

¹⁷სუსტი თვალები ჰქონდა ლეას, ხოლო რახელი მოხდენილი იყო ტანად და მშვენიერი შესახედად.

¹⁸შეუყვარდა იაკობს რახელი და უთხრა ლაბანს: „შვიდ წელს გემსახურები რახელისათვის, შენი უმცროსი ასულისთვის.“

¹⁹თქვა ლაბანმა: „მიჯობს, შენ მოგცე იგი, ვიდრე სხვა კაცს. დარჩი ჩემთან!“

²⁰და შვიდი წელი ემსახურებოდა იაკობი რახელისთვის. და ეს შვიდი წელი რამდენიმე დღედ ერვენებოდა იაკობს, ისე უყვარდა იგი.

²¹და უთხრა იაკობმა ლაბანს: „მომეცი ჩემი ცოლი, რადგან მოვიდა დრო და შევალ მასთან.“

²²შეკრიბა ლაბანმა მთელი იქაური ხალხი და გამართა ნადიმი.

²³სადამო ჟამს აიყვანა ლეა, თავისი ასული, და შეიყვანა ის იაკობთან. და შევიდა იაკობი ლეასთან.

²⁴და მისცა ლაბანმა ზილფა, თავისი მხევალი ლეას, თავის ასულს, მხევლად.



²⁵და ნახა იაკობმა დილით, რომ ლეა იყო მასთან, და უთხრა ლაბანს: „ეს რა მიყავი? განა რახელისთვის არ გემსახურე? რად მომატყუე?“

²⁶და თქვა ლაბანმა: „ჩვენში წესად არ არის უფროსზე ადრე უმცროსის გათხოვება.“

²⁷ბარემ გაასრულე საქორწინო შვიდი წელი და მერე რახელსაც მოგცემ იმ შრომისათვის, რასაც გასწევ ჩემთან კიდევ შვიდ წელიწადს.“

²⁸იაკობიც ასე მოიქცა: გაასრულა ის შვიდი წელიც და ლაბანმა მისცა მას რახელი, თავისი ასული, ცოლად.

²⁹და მისცა ლაბანმა ბილჰა, თავისი მხევალი რახელს, თავის ასულს, მხევლად.

³⁰შევიდა იაკობი რახელთან, რომელიც უყვარდა ლეაზე მეტად. და ემსახურებოდა ლაბანს მისთვის კიდევ შვიდ წელიწადს.

³¹როცა დაინახა უფალმა, რომ მოძულეებული იყო ლეა, გახსნა მისი საშო. რახელი კი უნაყოფო იყო.

³²დაორსულდა ლეა და შვა ძე და დაარქვა სახელად რეუბენი და თქვა: „დაინახა უფალმა ჩემი ტანჯვა, ამიერიდან შემიყვარებს ჩემი ქმარი.“

³³და კვლავ დაორსულდა და შვა ძე და თქვა: „დაინახა უფალმა, რომ მოძულეებული ვარ და მომცა ეს ძე.“ და უწოდა მას სახელად სიმეონი.

³⁴და დაორსულდა კვლავ, და შვა ძე, და თქვა: „ამიერიდან შემომეველება ჩემი ქმარი, რადგან სამი ძე ვუშვი.“ ამიტომაც უწოდა სახელად ლევი.

³⁵და კვლავ დაორსულდა და შვა ძე, და თქვა: „ამიერიდან განვადიდებ უფალს.“ ამიტომ უწოდა მას სახელად იუდა. და შეწყვიტა შობა.

დაბადება 30

¹და დაინახა რახელმა, რომ შვილს ვერ უჩენდა იაკობს და შეშურდა თავისი დისა. და უთხრა იაკობს: „მომეცი შვილები, თორემ მოვკვდები.“

²განურისხდა რახელს იაკობი და თქვა: „ღმერთი ხომ არა ვარ, რომ მუცლის ნაყოფს მე გიბრკოლებდე?“

³და უთხრა ქალმა: „აჰა, ბილჰა, ჩემი მხევალი. შედი მასთან და შობოს ჩემს მუხლებზე, რათა გავშვილიანდე მისგან.“

⁴და მისცა ბილჰა, თავისი მხევალი, ცოლად, და შევიდა იაკობი მასთან.

⁵და დაორსულდა ბილჰა და უშვა იაკობს ძე.



- ⁶და თქვა რახელმა: „განმსაჯა ღმერთმა და კიდევ შეისმინა ჩემი და მომცა მე.“ ამიტომ დაარქვა სახელად მას დანი.
- ⁷და კვლავ დაორსულდა ბილჰა, რახელის მხევალი და უშვა მეორე ძე იაკობს.
- ⁸და თქვა რახელმა: „ღვთიური შებმით შევები ჩემს დას და დავჯაბნე კიდევ.“ და დაარქვა ძეს სახელად ნაფთალი.
- ⁹და დაინახა ლეამ, რომ შეუწყდა შვილიერება. და მისცა ზილფა, თავისი მხევალი, იაკობს ცოლად.
- ¹⁰და უშვა ზილფამ, ლეას მხევალმა, იაკობს ძე.
- ¹¹და თქვა ლეამ: „საბედნიეროდ!“ და უწოდა ვაჟს სახელად გადი.
- ¹²და უშვა ზილფამ, ლეას მხევალმა, მეორე ძე იაკობს.
- ¹³და თქვა ლეამ: „ნეტარი ვარ, რადგან ნეტარად შემრაცხენ ქალები.“ და დაარქვა სახელად ძეს აშერი.
- ¹⁴გავიდა რეუბენი მკის დროს მინდორში და იპოვა მანდრაგორები, და მიართვა ისინი ლეას, თავის დედას. და უთხრა რახელმა ლეას: „მიწილადე შენი შვილის მანდრაგორები.“
- ¹⁵და უთხრა მან: „არ გეყო, რომ ქმარი წამართვი და ახლა ჩემი ძის მანდრაგორებსაც მართმევ?“ და უთხრა მას რახელმა: „კარგი, ამაღამ შენთან დაწვეს იაკობი, ოღონდ მომეცი შენი შვილის მანდრაგორები.“
- ¹⁶და როცა დაბრუნდა იაკობი ველიდან საღამო ჟამს, გამოეგება ლეა და უთხრა: „შემოდი ჩემთან, რადგან გამოგისყიდე ჩემი ძის მანდრაგორებით.“ და დაწვა მასთან იგი იმ ღამეს.
- ¹⁷და უსმინა ღმერთმა ლეას და დაორსულდა, და უშვა მეხუთე ძე იაკობს.
- ¹⁸და თქვა ლეამ: „საზღაურად მომცა ღმერთმა, რადგან მივეცი ჩემი მხევალი ჩემს ქმარს.“ და უწოდა ბავშვს სახელად ისაქარი.
- ¹⁹და კვლავ დაორსულდა ლეა და უშვა იაკობს მეექვსე ძე.
- ²⁰და თქვა ლეამ: „დიდებული საჩუქარი მარგუნა ღმერთმა! ახლა კი შემიტკბობს ჩემი ქმარი, რადგან ექვსი ძე ვუშვი მას.“ და დაარქვა სახელად ძეს ზებულუნი.
- ²¹შემდეგ შვა ასული და დაარქვა სახელად დინა.
- ²²და გაიხსენა ღმერთმა რახელი, უსმინა მას ღმერთმა და გაუხსნა საშო.
- ²³და დაორსულდა და შვა ძე, და თქვა: „ამაშორაო ღმერთმა შერცხვენას.“



²⁴და დაარქვა სახელად იოსები, და თქვა: სხვა ძესაც შემძენსო უფალი.

²⁵მას შემდეგ, რაც შვა რახელმა იოსები, უთხრა იაკობმა ლაბანს: „გამიშვი, რომ ჩემს მხარეში, ჩემს ქვეყანაში წავიდე.“

²⁶გამატანე ჩემი ცოლები და შვილები, რომელთა გულისთვის გემსახურებოდი და წავალ, რადგან შენ თავად უწყი, როგორ გემსახურებოდი.“

²⁷და უთხრა მას ლაბანმა: „ნეტავ მადლი ვპოვო შენს თვალში! ნამკითხავები მაქვს, რომ შენს გამო მაკურთხა უფალმა.“

²⁸და კვლავ თქვა: „მითხარი, რას მოითხოვ გასამრჯელოდ და მოგცემ.“

²⁹და უთხრა მას იაკობმა: „შენ თავად უწყი, როგორ გემსახურე და როგორ გამრავლდა შენი ფარები ჩემს ხელში.“

³⁰რადგან ჩემამდე ცოტა გყავდა და გაგიმრავლდა. და გაკურთხა შენ უფალმა ჩემი მოსვლით. და როდისღა ვიზრუნო ჩემს სახლზე?“

³¹და თქვა ლაბანმა: „რა მოგცე?“ და თქვა იაკობმა: „ნუ მომცემ ნურაფერს, თუ გამიკეთებ იმ საქმეს, რასაც გეტყვი, კვლავ დავმწყემსავ შენს ფარებს და მოვუვლი მათ.“

³²დღეს გავიაროთ შენს ფარებში. გამოარჩიე იქიდან ყველა ხატულა და ჭრელი ცხვარი, და ყველა შავი ცხვარი, და ჭრელი და ხატულა თხა – ეს იყოს ჩემი გასამრჯელო.

³³ადვილად დარწმუნდები ჩემს სიმართლეში ხვალ, როცა გასამრჯელოს გასასტუმრებლად მოხვალ: და თუ ნახავ, რომ მე გასამრჯელოში ამიყვანია ჩემთვის ხატულა, ჭრელი ან შავი ფერის ცხვრის ან თხის გარდა სხვა პირუტყვი, ნაქურდლად ჩამითვალე.“

³⁴და თქვა ლაბანმა: „კეთილი, ეგრე იყოს!“

³⁵და ცალკე გარეკა იმ დღეს ლაბანმა ყველა ხატულა და ჭრელი ვაცი, ყველა ხატულა და ჭრელი დედა ცხვარი, ყველა პირუტყვი, რომელსაც თეთრი ერია, ყველა შავი ცხვარი, და თავის შვილებს ჩააბარა.

³⁶და დასცილდა ის სამი დღის სავალზე იაკობს, რომელიც მწყემსავდა ლაბანის დანარჩენ ფარას.

³⁷და აიღო იაკობმა ალვის ხის, ნუშისა და ჭადრის ნედლი წნელები, და ალაგ-ალაგ შემოჭრა ქერქი ისე, რომ თეთრი ზოლები გამოჩენილიყო.

³⁸და დაჭრელებული წნელები ჩააწყო დასარწყულებელ გეჯებში, სადაც მოდიოდა ფარა წყლის სასმელად და მოსული პირუტყვი ახურდებოდა ხოლმე.



³⁹და ხურდებოდა ცხვარი ამ წნელებთან და შობდნენ ხატულა, ხალებიან და ჭრელ ბატკნებს.

⁴⁰და გამოაცალკევებდა იაკობი ბატკნებს, და ლაბანის ხატულა და შავი ფარისავენ უზამდა პირს. თავისი პირუტყვი კი ცალკე ჰყავდა და არ აჩერებდა ლაბანის ფარასთან.

⁴¹და ჯანსაღი ფარის ახურებისას ცხვრის თვალწინ ჩაყრიდა ხოლმე იაკობი წნელებს გეჯებში, რომ ახურებულიყვნენ ისინი.

⁴²თუ ფარა სუსტი იყო, წნელებს არ ჰყრიდა გეჯებში. ლაბანს სუსტი რჩებოდა, იაკობს – ჯანსაღი.

⁴³და დიდად გამდიდრდა იაკობი, და ჰყავდა მრავალი ცხვარი, მხევლები და მსახურები, აქლემები და ვირები.

დაბადება 31

¹და მოისმინა იაკობმა ლაბანის ძეთა ნათქვამი, რომ ამბობდნენ: ყველაფერი წაართვა იაკობმა მამაჩვენს, მისი ქონებით გამდიდრდაო.

²და სახეზე შეატყო იაკობმა ლაბანს, რომ იგი ისეთი აღარაა მის მიმართ, როგორიც უწინ იყო.

³და უთხრა უფალმა იაკობს: „დაბრუნდი შენი მამა-პაპის ქვეყანაში, შენს სამშობლოში, და მეც შენთან ვიქნები.“

⁴და გაგზავნა კაცი იაკობმა და მოუხმო რახელსა და ლეას ველად, თავის ფარასთან.

⁵და უთხრა მათ: „ვხედავ, რომ მამათქვენს სახე შეეცვალა ჩემს მიმართ. მამაჩემის ღმერთი კი ჩემთან არის.“

⁶თქვენ იცით, რომ ძალ-ღონე არ დამიშურებია მამათქვენის სამსახურში.

⁷მამათქვენმა კი მომატყუა და ათგზის შემიცვალა გასამრჯელო, მაგრამ არ დაანება ღმერთმა, ებოროტნა ჩემთვის.

⁸და როცა იტყოდა, დაწინწკლულები იყოსო შენი გასამრჯელო, მთელი ფარა დაწინწკლულებს იგებდა. და თუ იტყოდა, ხატულები იყოსო შენი გასამრჯელო, ხატულებს იგებდა მთელი ფარა.

⁹ასე წაართვა ღმერთმა ფარები მამათქვენს და მე მომიცა.

¹⁰ფარის ახურების დრო იყო და ავახილე თვალი სიზმარში და ვხედავ: ვაცები, ფარას რომ ნერბავენ, სულ ჭრელი, დაწინწკლულები და ხალებიანი იყვნენ.



¹¹და მითხრა ღვთის ანგელოზმა სიზმარში: ‘იაკობ!’ და მე ვუპასუხე: ‘აქა ვარ.’

¹²და თქვა: ‘ახილე თვალი და შეხედე – ყველა ვაცი, ფარას რომ ახტება, ჭრელია, დაწინწკლული და ხალიანი, რადგან ვხედავ ყველაფერს, რასაც ლაბანი გიკეთებს შენ.

¹³მე ვარ ღმერთი ბეთელისა, სადაც სვეტს სცხე ზეთი, სადაც აღთქმა მომეცი. ახლა კი, ადექი, გადი ამ ქვეყნიდან და დაუბრუნდი შენი შობის ქვეყანას.’ “

¹⁴და მიუგეს რახელმა და ლეამ მას: „ნუთუ კიდევ გვიძევს ჩვენ წილი და სამკვიდრო მამაჩვენის სახლში?

¹⁵განა უკვე უცხოები არა ვართ მისთვის? ხომ გაგვყიდა და ჩვენი ვერცხლიც მთლიანად შეჭამა?

¹⁶ამიტომაც მთელი ქონება, ღმერთმა რომ წაართვა მამაჩვენს, ჩვენი და ჩვენი შვილებისაა. ახლა კი ისე მოიქეცი, როგორც ღმერთს უბრძანებია შენთვის.“

¹⁷და ადგა იაკობი და შესხა თავისი შვილები და თავისი ცოლები აქლემებზე,

¹⁸და გზას გაუყენა მთელი თავისი სამწყსო და მთელი თავისი დოვლათი, რომელიც მოიხვეჭა, თავისი საკუთარი ფარა, რაც შეიძინა ფადან-არამში, რათა წასულიყო ისააკთან, თავის მამასთან, ქანაანის ქვეყანაში.

¹⁹ლაბანი კი წასული იყო თავისი ცხვრის საპარსად; და რახელმა მოიპარა თავისი მამის საოჯახო კერპები.

²⁰ასე გააცურა იაკობმა ლაბან არამელი – არ გაუმხილა, რომ გაურბოდა მას.

²¹და გაიქცა და ყველაფერი თან წაიღო, რაც კი ებადა. და ადგა და გავიდა მდინარის გაღმა და გალაადის მთისკენ ქნა პირი.

²²მესამე დღეს შეიტყო ლაბანმა იაკობის გაპარვა.

²³თან წაიყვანა თავისი თანამომემნი და სდია მას შვიდი დღის სავალზე, ვიდრე გალაადის მთებში არ წამოეწია.

²⁴და გამოეცხდა ღმერთი ლაბან არამელს სიზმარში ღამით და უთხრა: „ფრთხილად იყავი, ნუ ეტყვი იაკობს ნურც კარგსა და ნურც ავს.“

²⁵და როცა დაეწია ლაბანი იაკობს, იაკობს გაშლილი ჰქონდა კარავი მთაზე, და ლაბანმაც გაშალა კარავი გალაადის მთაზე თავის თანამომემებთან ერთად.

²⁶და ლაბანმა უთხრა იაკობს: „ეს რა ჰქენი? მომატყუე და წაასხი ჩემი ასულები, თითქოს მახვილით ნაშოვარი ტყვეები ყოფილიყვნენ.



- ²⁷უჩუმრად რატომ გაიპარე, რატომ მიმუხთლეს და არ გამიმხილეს? ლხინითა და სიმღერით, დოლისა და ქნარის ხმაზე გაგისტუმრებდი.
- ²⁸არ დამაცადე, ჩემი ვაჟები და ასულები გადამეკოცნა. უგუნურად მოიქეცი.
- ²⁹გიბოროტებდი, მაგრამ თქვენი მამა-პაპის ღმერთმა მითხრა წუხელ სიზმარში: თავი შეიკავე. ნურც კარგს ეტყვი იაკობს, ნურც ავსო.
- ³⁰ახლა, წასვლით კი მიდიხარ, რაკი მოგნატრებია მამაშენის სახლი, მაგრამ ღმერთები რაღად მომპარე?”
- ³¹და პასუხად მიუგო იაკობმა ლაბანს: „შემეშინდა, ვიფიქრე წამართმევდი შენს ასულებს.
- ³²და ვისაც შენს ღმერთებს უპოვი, ცოცხალი არ გადარჩება! ჩვენს ძმათა წინაშე დაადე ხელი ყველაფერს, რაც შენია, და წაიღე.“ არ იცოდა იაკობმა, რომ რახელს ჰქონდა მოპარული კერპები.
- ³³და შევიდა ლაბანი იაკობის კარავში და ლეას კარავში და ორივე მხევლის კარავში, მაგრამ ვერაფერი იპოვა. და გამოვიდა ლეას კარვიდან და რახელის კარავში შევიდა.
- ³⁴და რახელმა აიღო საოჯახო ღმერთები და აქლემის უნაგირს ქვეშ ამოღო ისინი და ზედ დაჯდა. და გაჩხრიკა ლაბანმა მთელი კარავი, მაგრამ ვერ იპოვა.
- ³⁵და უთხრა რახელმა მამას: „ნუ გამირისხდება ჩემი ბატონი, რომ ვერ წამოვდგები შენს წინაშე, რადგან დედათა წესში ვდგავარ.“ და ეძება და ვერ იპოვა ლაბანმა კერპები.
- ³⁶და განრისხდა იაკობი და წაეკიდა ლაბანს. და მიუგო იაკობმა ლაბანს და უთხრა: „რა დავაშავე და რა შევცოდე, რომ ასე გაცეცხლებული დამდევნებიხარ?
- ³⁷ხომ გაჩხრიკე მთელი ჩემი ნივთები, რა იპოვნე შენი ნივთებიდან? დააწყვე აქ შენს და ჩემს ძმათა წინაშე და მათ განგვსაჯონ ჩვენ ორნი!
- ³⁸ეს 20 წელია შენთან ვარ და შენს ცხვრებსა და თხებს მკვდარი არ მოუგიათ, არც შენი ფარის ვერძები შემიჭამია.
- ³⁹ნამხეცავი შენთან არ მომიტანია – მე ვზარალობდი. მე მაზღვევინებდი დღისა და ღამის ნაქურდალს.
- ⁴⁰დღისით ხორშაკი მწვავდა და ღამით ყინვა, და არ მიკარებია ძილი ჩემს თვალებს.



⁴¹ასე დავყავი 20 წელი შენს სახლში: გემსახურებოდი 14 წელი შენი ორი ასულისათვის, და ექვსი წელი შენი ცხვრებისათვის; შენ კი ათგზის შემიცვალე გასამრჯელო.

⁴²რომ არ ყოფილიყო ჩემთან ღმერთი მამაჩემისა, ღმერთი აბრაამისა და შიში ისააკისა, შენ ახლა ცარიელს გამისტუმრებდი. ჩემი ტანჯვა და ჩემი ხელების ჯაფა იხილა ღმერთმა და გამხილა წუხელ!“

⁴³და მიუგო ლაბანმა იაკობს: „ეს ქალები ჩემი ასულები არიან, და ეს ვაჟები ჩემი ძენი არიან, ეს ფარები ჩემი ფარებია. და ყოველივე, რასაც ხედავ, ჩემია. რა ვუყო ახლა ჩემს ასულებს ან ამ ვაჟებს, რომელნიც მათ შობეს?“

⁴⁴მოდო, დავდოთ აღთქმა მე და შენ; და ის იყოს მოწმედ მე და შენს შორის.“

⁴⁵და აიღო იაკობმა ქვა და აღმართა იგი ძეგლად.

⁴⁶და უთხრა იაკობმა თავის ნათესაებს: „მოაგროვეთ ქვები.“ და აიღეს ქვები და აღმართეს ბორცვი, და ჭამეს იქ, ბორცვზე.

⁴⁷და უწოდა ლაბანმა იმ ბორცვს იეგარ-საჰადუთა. და იაკობმა უწოდა მას გილეყადი.

⁴⁸და თქვა ლაბანმა: „ეს ბორცვი იყოს მოწმედ დღეს ჩვენს შორის.“ და ამიტომ უწოდა მას გილეყადი,

⁴⁹და აგრეთვე მიცვა, რადგან თქვა ლაბანმა: „მეთვალყურეობდეს უფალი მე და შენს შორის, როცა მივეფარებით ერთმანეთის თვალს.“

⁵⁰თუ დაჩაგრავ ჩემს ასულებს, თუ მოიყვან სხვა ცოლებს ჩემი ასულების გვერდით, რომც არავინ იყოს ჩვენთან, იცოდე, ღმერთია მოწმე მე და შენს შორის.“

⁵¹და უთხრა ლაბანმა იაკობს: „აჰა, ეს ბორცვი და ეს ძეგლი, რომლებიც აღვმართე მე და შენს შორის!“

⁵²ეს ბორცვი იყოს მოწმე და ეს ძეგლი მოწმეა, რომ მე არასოდეს გადმოვლახავ შენკენ ამ ბორცვს, და არც შენ გადმოვლახავ ჩემკენ ამ ბორცვს და ამ ძეგლს საბოროტოდ.

⁵³აბრაამის ღმერთმა და ნახორის ღმერთმა განსაჯოს ჩვენს შორის, მათი მამების ღმერთმა.“ და დაიფიცა იაკობმა თავისი მამის, ისააკის შიში.

⁵⁴და შეწირა იაკობმა მსხვერპლი მთაზე და მოუხმო თავის მოძმეებს პურის საჭმელად; და მათ ჭამეს პური და გაათიეს მთაზე.

⁵⁵და ადგა ლაბანი დილაადრიანად და აკოცა თავის შვილიშვილებს და თავის ასულებს, და აკურთხა ისინი, და წავიდა და დაუბრუნდა თავის მხარეს.



დაბადება 32

- ¹და წავიდა იაკობი თავისი გზით და შემოხვდნენ მას ღვთის ანგელოზები.
- ²და თქვა იაკობმა მათ დანახვაზე: „ეს ღვთის ბანაკია, და უწოდა სახელად იმ ადგილს მახანაიმი.“
- ³და გაგზავნა იაკობმა თავის წინ მაცნეები თავისი ძმის, ესავისაკენ, რომელიც ცხოვრობდა სეყირის ქვეყანაში, ედომის ველზე
- ⁴და დააბარა მათ: „უთხარით ჩემს ბატონს, ესავს: ასე ამბობს-თქო შენი მსახური იაკობი: ლაბანთან ვცხოვრობდი მე და აქამდე დავყოვნდი.
- ⁵და მყავს მე ხარები და ვირები, ცხვარი და მსახურნი და მხევალნი, და ვაუწყებ ჩემს ბატონს, რომ მინდა ვპოვო მადლი მის თვალში.“
- ⁶და დაბრუნდნენ მოციქულნი იაკობთან და აუწყეს: „ვიყავით შენს ძმასთან, ესავთან, და ისიც მოდის 400 კაცით შენს შესახვედრად.“
- ⁷მაღზე შეეშინდა იაკობს და შეშფოთდა. და გაყო ხალხი, თან რომ ახლდა, აგრეთვე ცხვარ-ძროხა და აქლემები ორ ბანაკად.
- ⁸და თქვა: „თუ დაეცემა ესავი ერთ ბანაკს, მეორე გადარჩება.“
- ⁹და თქვა იაკობმა: „ჩემი მამის, აბრაამის ღმერთო და ჩემი მამის, ისააკის ღმერთო! უფალო, რომელმაც მითხარი: დაუბრუნდი შენს სანათესაოს და შენს ქვეყანას, და სიკეთეს გიყოფო,
- ¹⁰ღირსი არა ვარ ყველა იმ სიკეთისა და წყალობისა, შენს მსახურს რომ უყავ. მე ხომ ერთი კომბლის ამარამ გადავლახე ეს იორდანე, ახლა კი ორი ბანაკი გავხდი.
- ¹¹მიხსენ მე ჩემი ძმის, ესავის, ხელიდან, რადგან მეშინია მისი, ვაითუ მოვიდეს და ამოგვხოცოს ყველანი დედაშვილიანად.
- ¹²შენ კი ნათქვამი გაქვს: ‘სიკეთეს გიყოფ და გავხდი შენ თესლს ზღვის ქვიშასავით, რომელიც არ აღირიცხება სიმრავლის გამო.’“
- ¹³და გაათია იქ ღამე. და გამოარჩია თავისი ქონებიდან საჩუქარი ესავისათვის, თავისი ძმისათვის:
- ¹⁴200 დედალი თხა და 20 ვაცი, 200 დედა ცხვარი და 20 ვერძი,
- ¹⁵30 მეწველი აქლემი თავის კოზაკებიანად, 40 ფური და 10 ხარი, 20 ჭაკი ვირი და 10 ჩოჩორი.
- ¹⁶და მისცა თავის მსახურებს ცალ-ცალკე ჯოგებად და უთხრა: „იარეთ ჩემ წინ და დატოვეთ მანძილი ჯოგებს შორის.“



¹⁷და უბრძანა პირველს: „როცა შეგხვდეს ესავი, ჩემი ძმა, და გკითხოს, ვისი ხარ და საით მიხვალ, და ვისია ეს სამწყსო,

¹⁸უთხარი: იაკობისაა, შენი მსახურისა, ძღვნად გამოგზავნილი ჩემი ბატონის, ესავისათვის, და თავადაც უკან მოგვეყვება-თქო.“

¹⁹ასევე უბრძანა მეორესაც, მესამესაც და ყველას, ვინც მიდიოდა სამწყსოს უკან: ასე უთხარით ესავს, როცა შეხვდებით:

²⁰„აჰა, შენი მსახური იაკობიც ჩვენს უკან მოდის-თქო,“ რადგან ფიქრობდა: ძღვენით, რომელიც ჩემ წინ მიდის, დავაცხრობო მის რისხვას, მერე კი, სახეზე რომ შევხედავ, იქნებ შემიწყალოსო.

²¹და წავიდა ძღვენი მის წინ; ის კი იმ ღამეს ბანაკში ათევდა.

²²და ადგა იმავე ღამეს, გამოიყვანა თავისი ორი ცოლი, თავისი ორი მხევალი და თავისი 11 ძე და გადავიდა იაბოკის ფონზე.

²³და წაიყვანა ისინი და გადაიყვანა მდინარეზე, და გადაიტანა, რაც კი ებადა.

²⁴და უკან მობრუნებული იაკობი მარტო დარჩა. და ერკინებოდა მას ერთი კაცი განთიადამდე.

²⁵და როცა დაინახა, რომ ვერ ერეოდა, შეეხო იგი მისი თემოს სახსარს, და ეღრმო თემოს სახსარი იაკობს მასთან ჭიდილისას.

²⁶და იმ კაცმა უთხრა: „გამიშვი, უკვე თენდება.“ და უთხრა იაკობმა: „არ გაგიშვებ, ვიდრე არ მაკუროთებ!“

²⁷და უთხრა მან: „რა გქვია შენ?“ უპასუხა მან: „იაკობი.“

²⁸და უთხრა მას: „ამიერიდან აღარ გერქვას შენ სახელად იაკობი, არამედ ისრაელი, რადგან ერკინებოდი ღმერთს და კაცებს, და სძლიე მათ!“

²⁹და ჰკითხა მას იაკობმა: „მითხარი შენი სახელი.“ და მიუგო მან: „რად კითხულობ ჩემს სახელს?“ და იქვე აკუროთხა იგი.

³⁰თქვა იაკობმა: „პირისპირ ვიხილე ღმერთი და გადავრჩი“ და უწოდა იმ ადგილს ფენიელი.

³¹და ამოუბრწყინდა მას მზე, როგორც კი გასცდა ფენუელს. და კოჭლობდა იგი თემოთი.

³²ამიტომ არ ჭამენ ისრაელიანები დღემდე მენჯის მარღვს, რომელიც თემოს სახსარზეა, რადგან შეეხო ის იაკობის სახსარს თემოს მარღვზე.

დაბადება 33



- ¹გაიხედა იაკობმა და ხედავს, რომ მოდის ესავი 400 კაცი. გაუთავთავისა იაკობმა ბავშვები ლეას, რახელს და ორ მხევალს.
- ²წინ დააყენა მხევლები და მათი ბავშვები, მათ უკან ლეა და მისი ბავშვები, ხოლო სულ უკან რახელი და იოსები.
- ³თავად მათ წინ გაემართა და, ვიდრე მიუახლოვდებოდა, შვიდზის მდაბლად თაყვანი სცა მძას.
- ⁴გამოიქცა ესავი მის შესაგებებლად და გადაეხვია, ყელზე მოეჭდო, გადაკოცნა, და ატირდნენ ორივენი.
- ⁵გაიხედა ესავმა და დაინახა ქალები და ბავშვები და თქვა: „შენი რა არიან ესენი?“ და თქვა იაკობმა: „შვილებია, ღმერთმა რომ უწყალობა შენს მსახურს.“
- ⁶ახლოს მივიდნენ მხევლები თავიანთი ბავშვებითურთ ესავთან და თაყვანი სცეს.
- ⁷ახლოს მივიდა ლეაც თავისი ბავშვებითურთ და თაყვანი სცა. ბოლოს იოსები და რახელი მივიდნენ ახლოს და თაყვანი სცეს.
- ⁸უთხრა ესავმა: „რა იყო მთელი ის ბანაკი, წინ რომ შემომხვდა?“ უთხრა იაკობმა: „რათა მადლი ვპოვო ჩემი ბატონის თვალში.“
- ⁹და უთხრა ესავმა: „მე არაფერი მაკლია, ძმაო. შენი შენვე გქონდეს.“
- ¹⁰ხოლო უთხრა იაკობმა: „არა, თუ მადლი მიპოვია ჩემი ბატონის თვალში, მიიღე ჩემგან ეს ძღვენი, რადგან შენი სახე რომ დავინახე, გინდ ღვთის სახე დამენახოს, და შენც წყალობით შემომხედე.“
- ¹¹მიიღე შენთვის გამოგზავნილი ჩემი კურთხევა, რადგან ღმერთმა მომხედა და ყველაფერი მაქვს.“ არ მოეშვა და მანაც მიიღო.
- ¹²და უთხრა ესავმა: „დავიძრათ და წავიდეთ, მე წინ წაგიძღვები.“
- ¹³ხოლო მან უთხრა: „იცის ჩემმა ბატონმა, რომ სათუთნი არიან ბავშვები და ცხვარიც და საქონელიც მაკედა მყავს. წინ რომ გავირეკო, ერთ დღეში გამიწყდება მთელი საქონელი.“
- ¹⁴თავისი მსახურის წინ იაროს ჩემმა ბატონმა, მე კი ნელ-ნელა, ფეხდაფეხ გამოვყვები საქონელს და ბავშვებს, ვიდრე ჩემ ბატონთან მივიდოდე სეყირში.“
- ¹⁵უთხრა ესავმა: „ვინმეს მაინც მოგიჩენ ჩემი ხალხიდან, თან რომ მახლავს.“ უთხრა იაკობმა: „რა საჭიროა? ოღონდ მადლი ვპოვო ჩემი ბატონის თვალში.“



¹⁶იმ დღესვე გაბრუნდა თავისი გზით ესავი სეყირისაკენ.

¹⁷ხოლო იაკობი სუქოთისკენ დაიდრა. აიშენა იქ სახლი და საქონელსაც მოუწყო კარვები. ამიტომაც უწოდა იმ ადგილს სახელად სუქოთი.

¹⁸და მივიდა მშვიდობით ფადან-არამიდან წამოსული იაკობი შექემ-ქალაქში, ქანაანის ქვეყანაში რომ არის, და დაიბანაკა ქალაქის წინ.

¹⁹შეიძინა იაკობმა ას ცხვრად შექემის მამის, ხამორის ძეთაგან მინდვრის ნაწილი, სადაც კარავი ედგა.

²⁰აღმართა იქ სამსხვერპლო და უწოდა მას: ელ-ელოჰე-ისრაელი.

დაბადება 34

¹და გამოვიდა იმ ქვეყნის ასულთა სანახავად დინა, ლეას ასული, რომელიც მან უშვა იაკობს.

²დაინახა იგი შექემმა, იმ ქვეყნის მთავრის, ხიველი ხამორის ძემ, და წაიყვანა ის, და დაწვა მასთან ძალით.

³და აღარ ისურვა დინასთან, იაკობის ასულთან, განშორება; შეუყვარდა ყმაწვილი ქალი და ტკბილად ელაპარაკა მას.

⁴და უთხრა შექემმა ხამორს, თავის მამას: „ცოლად მომიყვანე ეს ყმაწვილი ქალი!“

⁵იაკობმა გაიგო, რომ წაბილწეს დინა, მისი ასული. მაგრამ რაკი მისი ძენი მინდვრად იყვნენ საქონელში, ჩუმად იყო მათ მოსვლამდე.

⁶და მოვიდა ხამორი, შექემის მამა, იაკობთან სალაპარაკოდ.

⁷და როცა იაკობის ვაჟები მოვიდნენ მინდვრიდან და ეს გაიგეს, ძლიერ განრისხდნენ და შეწუხდნენ, რადგან სისამაგლე გაუკეთა მან ისრაელს იაკობის ასულთან დაწოლით; არ უნდა მომხდარიყო ასეთი რამ.

⁸ელაპარაკა მათ ხამორი და უთხრა: „მიეცით ცოლად თქვენი ასული, რადგან შექემს, ჩემს ძეს, მთელი სულით სურს იგი.“

⁹დაგვიმოყვრდით, მოგვეცით ჩვენ თქვენი ასულები, ჩვენი ასულები კი თქვენ წაიყვანეთ.

¹⁰ჩვენთან დასახლდით, და ეს ქვეყანა თქვენ წინაშე იქნება. იცხოვრეთ და მოიხმარეთ იგი, წილი დაიდეთ მასში.“

¹¹და უთხრა შექემმა დინას მამასა და მის ძმებს: „ოღონდ მაღლი ვპოვო თქვენს თვალში და, რასაც მთხოვთ, მოგცემთ.“



¹²დამაკისრეთ დიდძალი ურვადი და ძღვენი, და მოგცემთ, როგორც დამაკისრებთ, ოღონდ მომეცით ეს ყმაწვილი ქალი ცოლად.“

¹³და ელაპარაკნენ იაკობის ძეები შექემს და მის მამას ხამორს მზაკვრულად, რადგან შებილწა შექემმა დინა, მათი და.

¹⁴და უთხრეს მათ: „ვერ ვიზამთ ამ საქმეს, წინადაუცვეთელ კაცზე ვერ გავათხოვებთ ჩვენს დას, რადგან სამარცხვინო იქნებოდა ეს ჩვენთვის.“

¹⁵მხოლოდ იმ პირობით დაგვეთანხმებით, თუ ჩვენსავით წინადაცვეთს თქვენში ყოველი მამაკაცი.

¹⁶და მოგცემთ ჩვენს ასულებს, და ჩვენც მოვიყვანთ თქვენს ასულებს, და დავსახლდებით თქვენთან და გავხდებით ერთი ხალხი.

¹⁷და თუ არ დაგვეთანხმებით წინადაცვეთაზე, წავიყვანთ ჩვენს ასულს და წავალთ.“

¹⁸და მოეწონათ მათი სიტყვა ხამორს და შექემს, ხამორის ძეს.

¹⁹არ დააყოვნა ყმაწვილმა კაცმა ამ საქმის გაკეთება, რადგან უყვარდა იაკობის ასული. და იგი ყველაზე პატივცემული იყო მამის სახლში.

²⁰და მივიდნენ ხამორი და შექემი, მისი ძე, თავიანთი ქალაქის კარიბჭესთან, და ელაპარაკნენ ქალაქის კაცებს და უთხრეს:

²¹„ეს კაცები მშვიდობიანად არიან ჩვენდამი: დასახლდებიან ამ მიწაზე და იშრომებენ აქ. ეს ქვეყანა გადაშლილია მათ წინაშე. მოვიყვანოთ მათი ასულები ჩვენი კაცებისთვის და ჩვენი ასულები მივცეთ მათ.“

²²მხოლოდ იმ პირობით დაგვეთანხმებიან ეს კაცები ჩვენთან ცხოვრებაზე და ერთ ხალხად ყოფნაზე, თუ წინადაცვეთს ჩვენში ყოველი მამრი, როგორც თავად არიან წინადაცვეთილები.

²³მათი სამწყსო და მთელი მათი ქონება და მთელი მათი პირუტყვი განა ჩვენი არ იქნება? ოღონდ დავეთანხმოთ მათ და ჩვენთან იცხოვრებენ.“

²⁴და გაუგონეს ხამორს და შექემს, მის ძეს, ქალაქის კარიბჭესთან მოსულებმა. და წინადაცვეთა ყოველმა მამაკაცმა, ქალაქის კარიბჭიდან გამომსვლელმა.

²⁵და მესამე დღეს, როცა ჯერ კიდევ სტკიოდათ ჭრილობა, იაკობის ორმა ძემ: სიმეონმა და ლევიმ, დინას ძმებმა, აიღეს ხელში მახვილი, უშიშრად მივიდნენ ქალაქში და ამოხოცეს ყველა მამრი.

²⁶ხამორი და მისი ძე შექემიც მახვილით დახოცეს და წაიყვანეს დინა შექემის სახლიდან.



²⁷და მიადგნენ იაკობის ძენი დახოცილებს და გაძარცვეს ქალაქი დის წაბილწვის გამო.

²⁸წამოასხეს მათი ცხვარი და ძროხა და ვირები და ყველაფერი, რაც ქალაქში და მინდვრად ჰქონდათ.

²⁹და მთელი მათი დოვლათი, მათი ბავშვები და ცოლები დაატყვევეს და დაიტაცეს ყველაფერი, რაც ჰქონდათ სახლებში.

³⁰და უთხრა იაკობმა სიმეონსა და ლევს: „დამლუპეთ მე, რომ შეაძულეთ ჩემი თავი ამ ქვეყნის მკვიდრთ – ქანაანელებსა და ფერიზელებს. ცოტა ხალხი მყავს, შეიკრიბებიან ჩემს წინააღმდეგ და მომსპობენ. მეც დავიღუპები და ჩემი სახლიც ჩემთან ერთად.“

³¹ხოლო მათ თქვეს: „ის კი შეიძლებოდა, მეძავივით რომ მოექცნენ ჩვენს დას?“

დაბადება 35

¹უთხრა ღმერთმა იაკობს: „ადექი, წადი ბეთელს და იქ დასახლდი; და იქ აუგე სამსხვერპლო ღმერთს, რომელიც გამოგეცხადა, როცა ესავს, შენს ძმას, გაურბოდი.“

²და უთხრა იაკობმა თავის სახლეულს და ყველას, ვინც კი მასთან იყო: „მოიშორეთ უცხო ღმერთები, თქვენში რომ არიან, და გასუფთავდით და გამოიცვალეთ სამოსელი.“

³ავდგეთ და წავიდეთ ბეთელში, და ავუგებ იქ სამსხვერპლოს ღმერთს, რომელმაც მისმინა გაჭირვების ჟამს, და ჩემთან ერთად იყო ჩემს გზაზე.“

⁴და მისცეს იაკობს ყველა უცხო ღმერთი, ხელთ რომ ჰქონდათ, და საყურეებიც მოიხსნეს და ისიც მისცეს, და დაფლა ისინი იაკობმა შექემთან მდგარი მუხის ქვეშ.

⁵და აიყარნენ ისინი. და იყო ღვთის შიში გარშემო ქალაქებზე და არ დაედევნენ უკან იაკობის ძეთ.

⁶და მივიდა იაკობი მთელ თავის ხალხთან ერთად ლუზში, ანუ ბეთელში, ქანაანის ქვეყანაში რომ არის.

⁷და ააშენა იქ სამსხვერპლო და უწოდა იმ ადგილს ელ-ბეთელი, რადგან იქ გამოეცხადა მას ღმერთი, როცა თავის ძმას გაურბოდა.

⁸და მოკვდა დებორა, რებეკას ძიძა, და დაიმარხა ბეთელის ქვემოთ, მუხის ქვეშ, რომელსაც უწოდეს ალონ-ბაქუთი.



⁹და კვლავ გამოეცხადა იაკობს ღმერთი ფადან-არამიდან დაბრუნებისას და აკურთხა იგი.

¹⁰და უთხრა მას ღმერთმა: „იაკობი გქვია შენ, მაგრამ ამიერიდან აღარ გერქვას იაკობი, რადგან ისრაელი იქნება შენი სახელი!“ და უწოდა მას სახელად ისრაელი.

¹¹და უთხრა მას ღმერთმა: „მე ვარ ღმერთი ყოვლადძლიერი. ინაყოფიერე და გამრავლდი, ხალხი და ხალხთა კრებული წარმოიშობა შენგან და მეფენი გამოვლენ შენი საზარდულიდან.

¹²ქვეყანას, რომელიც მივეცი აბრაამსა და ისააკს, შენ მოგცემ და შენს მოდგმას, შენს შემდეგ.“

¹³და აღვიდა ღმერთი იმ ადგილიდან, სადაც იაკობს ელაპარაკებოდა.

¹⁴იმ ადგილას, სადაც ღმერთი ელაპარაკა მას, აღმართა იაკობმა სვეტი ქვისა და დაღვარა ზედ საღვრელი და დაასხა ზედ ზეთი.

¹⁵და უწოდა იაკობმა სახელად ბეთელი იმ ადგილს, სადაც ღმერთი ელაპარაკა.

¹⁶და აიყარნენ ისინი ბეთელიდან. და მცირე მანძილიდა იყო ეფრათამდე, რომ დაეწყო მშობიარობის ტკივილები რახელს და მძიმე მშობიარობა ჰქონდა.

¹⁷მშობიარობის ტკივილებისგან შეწუხებულს უთხრა ბებია ქალმა: „ნუ გეშინია, რადგან ამჯერადაც ვაჟი გყავს.“

¹⁸სიკვდილის პირას იყო რახელი და ვიდრე სული ამოხდებოდა, დაარქვა ვაჟს სახელად ბენ-ყონი. მამამისმა კი ბენიამინი უწოდა.

¹⁹და მოკვდა რახელი და დაიმარხა ეფრათას გზაზე, სადაც დღეს ბეთლემია.

²⁰და აღმართა სვეტი იაკობმა მის საფლავზე. იქ არის რახელის საფლავის სვეტი დღევანდლამდე.

²¹და აიყარა ისრაელი და გაშალა თავისი კარავი ყედერის გოდოლს იქით.

²²და ისრაელის სახლობისას ამ ქვეყანაში, ადგა რეუბენი და შევიდა ბილჰასთან, მამამისის ხარჭასთან. და შეიტყო ეს ისრაელმა. და ჰყავდა იაკობს 12 ძე.

²³ძენი ლეასაგან: იაკობის პირმშო რეუბენი, სიმეონი, ლევი, იუდა, ისაქარი და ზებულუნი.

²⁴ძენი რახელისაგან: იოსები და ბენიამინი.

²⁵ბილჰას ძენი, რახელის მხევლისა: დანი და ნაფთალი.



²⁶და ძენი ზილფასგან, ლეას მხევლისაგან: გადი და აშერი. ესენი იყვნენ ძენი იაკობისა, რომელნიც შეეძინა მას ფადან-არამში.

²⁷და მივიდა იაკობი ისააკთან, მამამისთან, მამრეში, კირიათ-არბაყში, ანუ ხებრონში, სადაც ხიზნობდნენ აბრაამი და ისააკი.

²⁸და იყო ისააკი 180 წლის.

²⁹და აღესრულა ისააკი და შეერთო თავის ხალხს მოხუცებული და ხანსრული. და დამარხეს იგი ესავმა და იაკობმა, მისმა ძეებმა.

დაბადება 36

¹ეს არის ესავის ანუ ედომის მოდგმა:

²ესავმა მოიყვანა ცოლები ქანაანის ასულთაგან: ყადა, ასული ხეთელი ელონისა, და ოჰოლიზამა, ასული ყანასი, ხიველი ციბეყონის ძისა;

³და ბასემათი, ისმაელის ასული, ნეზაიოთის და.

⁴ყადამ უშვა ესავს ელიფაზი, ხოლო ბასემათმა შვა რელუელი,

⁵და ოჰოლიზამამ შვა იეყუში, იაყლამი და კორახი. ესენი იყვნენ ესავის ძენი, რომელნიც მას შეეძინნენ ქანაანის ქვეყანაში.

⁶და აიყვანა ესავმა თავისი ცოლები და თავისი ძენი და ასულნი, და მთელი თავისი სახლეული, თავისი საქონელი და თავისი პირუტყვი, და მთელი თავისი ქონება, რომელიც შეიძინა ქანაანში, და წავიდა სხვა ქვეყანაში იაკობისგან, თავისი ძმისგან,

⁷რადგან დიდძალი დოვლათი ჰქონდათ და ვერ შეძლეს ერთად ცხოვრება. და ვერ დაიტია ისინი მათი ხიზნობის ქვეყანამ ჯოგების სიმრავლის გამო.

⁸და დასახლდა ესავი სეყირის მთაზე; ესავი იგივე ედომია.

⁹ეს არის ესავის, ედომელთა მამის მოდგმა, სეყირის მთაზე რომ მკვიდრობდნენ.

¹⁰ესავის ძეთა სახელები: ელიფაზი, ძე ყადასი, ესავის ცოლისა, რელუელი, ძე ბასემათისა, ესავის ცოლისა,

¹¹და ელიფაზის შვილები იყვნენ: თემანი, ომარი, ცეფო, გაყთამი და კენაზი.

¹²და თიმნაყი იყო ხარჭა ელიფაზისა, ესავის ძისა, რომელმაც ელიფაზს უშვა ყამალეკი. ესენი იყვნენ ძენი ყადასი, ესავის ცოლისა.

¹³და ესენი იყვნენ რელუელის ძენი: ნახათი, ზერახი, შამა და მიზა. ესენი შვა ბასემათმა, ესავის ცოლმა.



- ¹⁴ხოლო ესენი იყვნენ ძენი ოჰოლიზამასი, ესავის ცოლისა, ასულისა ყანასი, ძისა ციბეყონისა. და უშვა მან ესავს: იეყუში, იაყლამი და კორახი.
- ¹⁵და ესენი იყვნენ ესავის ძეთა თავკაცნი. ძენი ელიფაზისა, ესავის პირმშოსი: თავკაცი თემანი, თავკაცი ომარი, თავკაცი ცეფო, თავკაცი კენაზი,
- ¹⁶თავკაცი კორახი, თავკაცი გაყთამი, თავკაცი ყამალეკი. ესენი იყვნენ ელიფაზის თავკაცნი ედომის ქვეყანაში; ესენი იყვნენ ძენი ყადასი.
- ¹⁷და ესენი იყვნენ ძენი რელუელისა, ესავის ძისა: თავკაცი ნახათი, თავკაცი ზერახი, თავკაცი შამა, თავკაცი მიზა. ესენი იყვნენ უხუცესნი რელუელისა ედომის ქვეყანაში, რომლებიც იყვნენ ესავის ცოლის, ბასემათის ძენი.
- ¹⁸და ესენი იყვნენ ძენი ოჰოლიზამასი, ესავის ცოლისა: თავკაცი იეყუში, თავკაცი იაყლამი, თავკაცი კორახი, რომლებიც იყვნენ ძენი ოჰოლიზამასი, ყანას ასულისა, ესავის ცოლისა.
- ¹⁹და ესენი იყვნენ ესავის ანუ ედომის ძენი და მათი თემები.
- ²⁰და ესენი იყვნენ ძენი ხორიელი სეყირისა, იმ ქვეყნის მკვიდრნი: ლოტანი, შობალი, ციბეყონი, ყანა,
- ²¹დიშონი, ეცერი და დიშანი. ესენი იყვნენ ხორიელი თავკაცნი ედომის ქვეყანაში, სეყირის ძენი.
- ²²ლოტანის ძენი იყვნენ ხორი და ჰემანი, ხოლო ლოტანის და იყო თიმნაყი.
- ²³ესენი იყვნენ შობალის ძენი: ყალვანი, მანახათი, ღებალი, შეფო და ონამი.
- ²⁴ესენი იყვნენ ციბეყონის ძენი: აია და ყანა, ის ყანა, რომელმაც თბილი წყაროები იპოვა უდაბნოში, როდესაც მწყემსავდა თავისი მამის, ციბეყონის სახედრებს.
- ²⁵ხოლო ყანას ძე იყო დიშონი და ოჰოლიზამა იყო ყანას ასული.
- ²⁶ესენი იყვნენ ძენი დიშონისა: ხემდანი, ეშბანი, ითრანი და ქერანი.
- ²⁷ესენი იყვნენ ეცერის ძენი: ბილჰანი, ზაყავანი და ყაკანი.
- ²⁸ესენი იყვნენ დიშანის ძენი: ყუცი და არანი.
- ²⁹ესენი იყვნენ ხორიელთა უხუცესები: თავკაცი ლოტანი, თავკაცი შობალი, თავკაცი ციბეყონი, თავკაცი ყანა,
- ³⁰თავკაცი დიშონი, თავკაცი ეცერი, თავკაცი დიშანი. ესენი იყვნენ ხორიელთა უხუცესები თავიანთი თავკაცებითურთ სეყირის ქვეყანაში.
- ³¹და ესენი იყვნენ მეფენი, რომელნიც მეფობდნენ ედომის ქვეყანაში, ვიდრე ისრაელიანებს მეფე ეყოლებოდათ:



³²მეფობდა ედომში ბელაყი, ძე ბეყორისა. და მის ქალაქს დინჰაზა ერქვა.

³³და მოკვდა ბელაყი, და მის ნაცვლად გამეფდა იობაბი, ძე ზერახისა, ბოცრადან.

³⁴და მოკვდა იობაბი. და მის ნაცვლად გამეფდა ხუშამი, თემანელთა ქვეყნიდან.

³⁵და მოკვდა ხუშამი, მის ნაცვლად გამეფდა ჰადადი, ძე ბედადისა, მძლეველი მიდიანისა მოაბის ველზე. მისი ქალაქის სახელი იყო ყავითი.

³⁶და მოკვდა ჰადადი, და მის ნაცვლად გამეფდა სამლა, მასრეკადან.

³⁷და მოკვდა სამლა, და მის ნაცვლად გამეფდა შაული, მდინარისპირა რეხოხოთიდან.

³⁸და მოკვდა შაული, და მის ნაცვლად გამეფდა ბაყალ-ხანანი, ძე ყაქბორისა.

³⁹და მოკვდა ბაყალ-ხანანი, ძე ყაქბორისა, და მის ნაცვლად გამეფდა ჰადარი, და მისი ქალაქის სახელი იყო ფაყუ, ხოლო სახელი მისი ცოლისა მეჰეტაბელი, ასული მატრედისა, ასულისა მე-ზაჰაბისა.

⁴⁰და ესაა ესავის თავკაცების სახელები მათი საგვარეულოთა, მათი ადგილების და სახელების მიხედვით: თავკაცი თიმნაყი, თავკაცი ყალვა, თავკაცი იეთეთი;

⁴¹თავკაცი ოჰოლიზამა, თავკაცი ელა, თავკაცი ფინონი,

⁴²თავკაცი კენაზი, თავკაცი თემანი, თავკაცი მიზცარი,

⁴³თავკაცი მაგდიელი, თავკაცი ყირამი. ესენი იყვნენ თავკაცნი ედომისა მათ საცხოვრებელთა მიხედვით მათ საკუთარ ქვეყანაში. და ესავი არის ედომის მამამთავარი.

დაბადება 37

¹და ცხოვრობდა იაკობი მამამისის ხიზნობის ქვეყანაში – ქანაანში.

²ეს არის იაკობის მოდგმის ამბავი: იყო იოსები 17 წლისა, როცა ფარას მწყემსავდა თავის ძმებთან ერთად, ეხმარებოდა თავისი მამის ცოლების – ბილჰასა და ზილფას ძეებს. და მიჰქონდა იოსებს ცუდი ამბები მათზე თავის მამასთან.

³ისრაელს უყვარდა იოსები თავის ყველა ძეზე მეტად, რადგან მისი სიბერის ძე იყო იგი. და აჩუქა მას ჭრელი კვართი.

⁴და დაინახეს ძმებმა, რომ უყვარდა იგი მამას ყველა თავის ძეზე მეტად, და მოიძულეს იგი, და ამრეზილი ელაპარაკებოდნენ მას.



⁵და ნახა იოსებმა სიზმარი და უამბო თავის ძმებს, და მათ უფრო მეტად შეიძულეს იგი.

⁶უთხრა მათ: „მოისმინეთ, აი, რა სიზმარი მესიზმრა:

⁷აჰა, ვითომც ძნებსა ვკონავთ შუა ნამკალში და წამოდგა ჩემი ძნა და ზე აღიმართა. და გარს შემოადგნენ თქვენი ძნები და თაყვანი სცეს მას.“

⁸და უთხრეს ძმებმა: „ნუთუ ჩვენზე იმეფებ? ნუთუ ბატონად გაგვიხდები?“ და კიდევ უფრო მეტად შეიძულეს იგი მისი სიზმრებისა და სიტყვების გამო.

⁹კიდევ ნახა მან სხვა სიზმარი, და უამბო თავის ძმებს: „აჰა, კიდევ ვნახე სიზმარი, ვითომც მზე და მთვარე და 11 ვარსკვლავი მცემდნენ თაყვანს.“

¹⁰და როცა ეს უამბო თავის მამასა და თავის ძმებს, გაკიცხა იგი მამამისმა და უთხრა: „რა არის ეს სიზმარი, რომ გესიზმრა? ნუთუ უნდა მოვიდეთ მე და დედაშენი, და შენი ძმები, და მდაბლად უნდა გცეთ თაყვანი?“

¹¹გაცხარდნენ ძმები, ხოლო მამამისმა გულში შეინახა ეს ამბავი.

¹²და წავიდნენ მისი ძმები შექემში თავიანთი მამის ფარის დასამწყემსად.

¹³და უთხრა ისრაელმა იოსებს: „შენი ძმები ხომ ცხვარს მწყემსავენ შექემში. მოდი, გაგაგზავნი მათთან.“ და უპასუხა მან: „მე მზადა ვარ!“

¹⁴და უთხრა მას: „წადი და ნახე, თუ მშვიდობით არიან შენი ძმები და ფარა, და მომიტანე ამბავი.“ და გაგზავნა იგი ხებრონის ველიდან, და მივიდა შექემში.

¹⁵იპოვნა იგი ერთმა კაცმა ველზე გზაარეული და ჰკითხა მას: „რას ეძებ?“

¹⁶მან თქვა: „ჩემს ძმებს ვეძებ; მითხარი, სად ამოვებენ?“

¹⁷და უთხრა იმ კაცმა: „აქედან დაიძრნენ, გავიგონე რომ ამბობდნენ, დოთანში წავიდეთო.“ და დაადგა იოსები თავისი ძმების კვალს, და იპოვნა ისინი დოთანში.

¹⁸დაინახეს იგი შორიდან და, ვიდრე მიუახლოვდებოდა მათ, განიზრახეს მისი მოკვლა.

¹⁹და უთხრეს ერთმანეთს: „აჰა, სიზმარა მოდის!

²⁰მოდი ახლა და მოვკლათ, ჩავაგდოთ სადმე ჭაში, და ვთქვათ, რომ ნადირმა შეჭამა იგი. და ვნახოთ, როგორ ახდება მისი სიზმრები.“

²¹და გაიგონა ეს რეუბენმა, და იხსნა იგი მათი ხელიდან, უთხრა ძმებს: „ნუ წავართმევთ სიცოცხლეს!



²²ნუ დაღვრით სისხლს! ჩააგდეთ იგი იმ ჭაში, უდაბნოში რომ არის, და ხელს ნუ აღმართავთ მასზე.“ ამას ამბობდა, რათა ეხსნა იგი მათი ხელიდან და დაებრუნებინა მამასთან.

²³და როგორც კი მივიდა ძმებთან იოსები, გახადეს მას ჭრელი კვართი, რომელიც ეცვა.

²⁴აიყვანეს და ჩააგდეს ჭაში. ის ჭა ცარიელი იყო, წყალი არ იდგა შიგ.

²⁵ის იყო დასხდნენ ისინი პურის საჭმელად, რომ გაიხედეს და დაინახეს ისმაელიანთა ქარავანი მოდის გალაადიდან. აქლემებს ეკიდათ გუნდრუკი, ბალზამი და საკმეველი ეგვიპტეში ჩასატანად.

²⁶და უთხრა იუდამ ძმებს: „რას გვარგებს ჩვენი ძმის მოკვლა და მისი სისხლის დაფარვა?“

²⁷მოდით, მივყიდოთ ისმაელიანებს. ნუ იქნება მასზე ჩვენი ხელი, რადგან ჩვენი ძმაა, ჩვენი სისხლი და ხორცი.“ და დაუჯერეს ძმებმა.

²⁸ხოლო როცა ჩამოიარეს მიდიანელმა ვაჭრებმა, ამოსწიეს და ამოიყვანეს იოსები ჭიდან, და მიჰყიდეს იოსები ისმაელიანებს ოც ვერცხლად. და მათ წაიყვანეს იოსები ეგვიპტეში.

²⁹და მიბრუნდა რეუბენი ჭასთან და აჰა, აღარ არის ჭაში იოსები, და შემოიხია სამოსელი რეუბენმა.

³⁰და დაბრუნდა თავის ძმებთან და თქვა: „ბავშვი აღარ არის! რა ვქნა ახლა, სად წავიდე?“

³¹და აიღეს ძმებმა იოსების კვართი, და ამოავლეს იგი დაკლული თხის სისხლში.

³²და მიუტანეს მამას ეს კვართი და უთხრეს: „ეს ვიპოვეთ. ნახე, შენი შვილის კვართი ხომ არ არის?“

³³და იცნო მამამ და თქვა: „ჩემი შვილის კვართია. მძვინვარე ნადირს შეუჭამია იგი! დაუგლეჯია იოსები!“

³⁴და შემოიხია იაკობმა სამოსელი, და შემოიხვია ძაძა წელზე, და დიდხანს გლოვობდა შვილს.

³⁵და ადგნენ მისი ძენი და მისი ასულნი, რათა ნუგეში ეცათ მისთვის, მაგრამ არ ინდომა მან ნუგეშისცემა, და ამბობდა: „მგლოვია რე ჩავალ ჩემ შვილთან შავეთში!“ და დიდხანს გლოვობდა მამა თავის ძეს.

³⁶ხოლო მიდიანელებმა ეგვიპტეში მიჰყიდეს იოსები ფოტიფარს, ფარაონის კარისკაცს, ქონდაქართხუცესს.



დაბადება 38

- ¹იმ ხანად იყო, რომ ჩამოსცილდა იუდა თავის ძმებს და დასახლდა ყადულამელი კაცის მეზობლად, რომლის სახელი იყო ხირა.
- ²და ნახა იქ იუდამ ქანაანელი კაცის, სახელად შუაყის, ასული, და მოიყვანა ის და შევიდა მასთან.
- ³დაორსულდა ქალი და შვა ძე. და დაარქვა მას სახელად ყერი.
- ⁴და კვლავ დაორსულდა, და შვა ძე, და დაარქვა სახელად ონანი.
- ⁵და კვლავ შვა ძე, და დაარქვა მას სახელად შელახი. ქალი ქეზიბში იყო მისი შობის დროს.
- ⁶და მოუყვანა იუდამ ყერს, თავის პირმშოს, ცოლი, სახელად თამარი.
- ⁷მაგრამ ყერი, იუდას პირმშო, ბოროტი იყო უფლის თვალში, და მოაკვდინა იგი უფალმა.
- ⁸და უთხრა იუდამ ონანს: „შედი შენი ძმის ცოლთან, გაუხდი ქმრად და აღუდგინე შენს ძმას შთამომავლობა.“
- ⁹მაგრამ იცოდა ონანმა, რომ მისი არ იქნებოდა ის მოდგმა, და ამიტომ, როცა შედიოდა ძმის ცოლთან, მიწაზე ღვრიდა თესლს, რათა ძმისთვის არ მიეცა მემკვიდრე.
- ¹⁰ჩაითვალა ბოროტებად უფლის წინაშე მისი საქციელი, და ისიც მოაკვდინა უფალმა.
- ¹¹და უთხრა იუდამ თამარს, თავის რძალს: „წადი და ქვრივად იჯექი მამაშენის სახლში, ვიდრე გაიზრდებოდეს შელახი, ჩემი ძე.“ რადგან იფიქრა – მისი ძმებივით ესეც არ მოკვდესო. და წავიდა თამარი და ცხოვრობდა მამამისის სახლში.
- ¹²განვლო მრავალმა დღემ და მოკვდა იუდას ცოლი, შუაყის ასული. როცა გამოიგლოვა იუდამ, ავიდა თიმნაში თავისი ცხვრის პარსვაზე, თავის ყადულამელ მოყვასთან, ხირასთან, ერთად.
- ¹³და აუწყეს თამარს: „შენი მამამთილი ამოდის თიმნაში ცხვრის საპარსად.“
- ¹⁴და გაიძრო მან თავისი ქვრივობის სამოსელი, და ჩამოიფარა რიდე და დაიბურა. და დაჯდა ყენაიმის კარიბჭესთან, თიმნას გზაზე, რადგან დაინახა, რომ გაიზარდა შელახი, მაგრამ ცოლად არ მიათხოვეს მას.
- ¹⁵და დაინახა ქალი იუდამ და მეძავი ეგონა, რადგან რიდეთი ჰქონდა სახე დაფარული.



¹⁶გზაზე ჩავლისას მიუბრუნდა მას და უთხრა: „შემომიშვი შენთან.“ რადგან არ იცოდა, რომ თავისი რძალი იყო. და მან ჰკითხა: „რას მომცემ, რომ შემოხვიდე ჩემთან?“

¹⁷უპასუხა: „თიკანს გამოგიგზავნი ფარიდან.“ და თქვა ქალმა: „წინდს თუ მომცემ, ვიდრე გამომიგზავნიდე?“

¹⁸და თქვა იუდამ: „რა მოგცე წინდად?“ უთხრა ქალმა: „შენი ბეჭედი და თასმა და არგანი, ხელში რომ გიჭირავს.“ და მისცა მას ესენი იუდამ, და შევიდა მასთან; და დაორსულდა ის მისგან.

¹⁹ადგა ქალი და წავიდა, და მოიძრო თავისი საბურველი, და კვლავ შეიმოსა ქვრივობის სამოსლით.

²⁰და გაუგზავნა იუდამ თიკანი თავისი ყადულამელი მოყვასის ხელით, რათა ქალისაგან დაებრუნებინა თავისი წინდი. მაგრამ ვერ იპოვა ყადულამელმა ქალი.

²¹და ჰკითხა იქაურ კაცებს: „სად არის მეძავი, ყენაიმის გზაზე რომ იჯდა?“ უპასუხეს: „აქ არ ყოფილა მეძავი.“

²²და დაბრუნდა იგი იუდასთან, და უთხრა: „ვერ ვიპოვე იგი. და იქაურმა კაცებმაც მითხრეს, რომ არ ყოფილაო აქ მეძავი.“

²³და თქვა იუდამ: „დავანებოთ თავი, დაიტოვოს ის წინდი, რომ დასაცინი არ გავხდეთ. აჰა, ხომ გაგატანე თიკანი, შენ კი ვერ იპოვე ქალი!“

²⁴და სამი თვის შემდეგ ეუწყა იუდას: „იბოზა შენმა რძალმა თამარმა და ორსულად არის იგი.“ და თქვა იუდამ: „გამოიყვანეთ, რათა დაიწვას.“

²⁵და როცა მოჰყავდათ იგი, შეუთვალა მან თავის მამამთილს: „იმ კაცისაგან ვარ ორსულად, ვისაც ესენი ეკუთვნის. აჰა, ამოიცანი, ვისია ეს ბეჭედი, თასმა და არგანი.“

²⁶იცნო იუდამ, და თქვა: „მართალია ჩემთან თამარი, რადგან მე არ მივათხოვე შელახს, ჩემს ვაჟს.“ და აღარ შესულა იუდა თამართან.

²⁷და მშობიარობის ჟამს აღმოჩნდა, რომ ტყუპები ჰყავდა მას მუცელში.

²⁸და მშობიარობისას გამოყო ერთმა ხელი, და ბეზიაქალმა მეწამული ძაფი შეაბა მას ამ სიტყვებით: „ეს გამოვიდა პირველი.“

²⁹მან უკან წაიღო ხელი და გამოვიდა მისი ძმა. და თქვა ბეზიაქალმა: „როგორ გამოარღვიე ზღუდე?“ და უწოდეს მას სახელად ფერეცი.

³⁰შემდეგ გამოვიდა მისი ძმა, რომელსაც ხელზე ება მეწამული ძაფი, და უწოდეს მას სახელად ზერახი.



დაბადება 39

- ¹ჩაიყვანეს იოსები ეგვიპტეში და იყიდა იგი ისმაელიანთაგან ფოტიფარმა, ფარაონის კარისკაცმა, ქონდაქართუხუცესმა, ეგვიპტელმა.
- ²და უფალი იყო იოსებთან, და ყველაფერში ხელი ემართებოდა. და ცხოვრობდა იგი თავისი ეგვიპტელი ბატონის სახლში.
- ³და დაინახა მისმა ბატონმა, რომ უფალი იყო მასთან და რომ ყველა საქმეში ხელს უმართავდა უფალი.
- ⁴და ჰპოვა იოსებმა მადლი მის თვალში, და ემსახურებოდა მას. და დანიშნა იგი თავისი სახლის ზედამხედველად და მთელი თავისი საბადებელი მას ჩააბარა.
- ⁵და მას შემდეგ, რაც დანიშნა იგი თავისი სახლის ზედამხედველად, აკურთხა უფალმა სახლი ამ ეგვიპტელისა იოსების გამო, და იყო კურთხევა უფლისა ყველაფერზე, რაც ებადა შინ და გარეთ.
- ⁶და დატოვა ყველაფერი, რაც ებადა, იოსების ხელში. და აღარაფერზე ფიქრობდა, გარდა სასმელ-საჭმელისა. და იყო იოსები მშვენიერი თვალად და ტანად.
- ⁷ამ ამბების შემდეგ იყო, რომ თვალი დაადგა მისი ბატონის ცოლმა იოსებს და უთხრა: „დაწექი ჩემთან!“
- ⁸და იუარა იოსებმა, და უთხრა თავისი ბატონის ცოლს: „ჩემმა ბატონმა არც კი იცის, რა არის სახლში, მთელი თავისი საბადებელი ხელში ჩამაბარა.
- ⁹არავინაა ჩემზე დიდი ამ სახლში. და ჩემთვის არაფერი დაუკავებია მას, შენს გარდა, რადგან ცოლი ხარ მისი. როგორ ჩავიდინო ეს დიდი ბოროტება და შევცოდო ღმერთს?“
- ¹⁰ყოველდღე ელაპარაკებოდა ქალი იოსებს, მაგრამ ვერ დაიყოლია მასთან დაწოლაზე და ყოფნაზე.
- ¹¹ერთ დღეს იოსები შევიდა სახლში თავის საქმეზე, როცა შინ არავინ იყო.
- ¹²ჩაებლაუჭა ქალი მის მოსასხამს, ამ სიტყვებით: „დაწექი ჩემთან!“ იოსებმა მას ხელში შეატოვა თავისი მოსასხამი და გარეთ გავარდა.
- ¹³როცა დაინახა ქალმა, რომ ხელში შეატოვა იოსებმა მოსასხამი და გარეთ გავარდა,
- ¹⁴დაუძახა თავისი სახლის კაცებს, და უთხრა: „ხედავთ, მოგვიყვანა მან ებრაელი კაცი ჩვენს დასაცინად! შემოვიდა ჩემთან დასაწოლად, მაგრამ ხმამაღლა ვიყვირე.



¹⁵და როცა გაიგონა ჩემი კივილი, შემომატოვა თავისი მოსასხამი, გარეთ გავარდა და გაიქცა.“

¹⁶და ედო გვერდით იოსების მოსასხამი მისი ბატონის შინ დაბრუნებამდე,

¹⁷და მოუთხრო მას ეს ამბავი, ამ სიტყვებით: „შემოვიდა ჩემთან შენი მოყვანილი ებრაელი მონა ჩემს დასაცინად!

¹⁸და როცა ხმას ავუმაღლე და ვიკივლე, შემომატოვა თავისი მოსასხამი და გაიქცა!“

¹⁹როცა მოისმინა მისმა ბატონმა თავისი ცოლის სიტყვები, ასე და ასე მომექცაო შენი მსახური, ძალზე განრისხდა იგი.

²⁰და წაიყვანა იოსები მისმა ბატონმა, და გადასცა იგი საპყრობილეს, სადაც მეფის პატიმრები იყვნენ დამწყვდეული. და იყო იგი იქ, საპყრობილეში.

²¹მაგრამ უფალი იყო იოსებთან და მოჰფინა მას წყალობა, და კეთილად გამოაჩინა იგი საპყრობილის უფროსის თვალში.

²²და ჩააბარა საპყრობილის უფროსმა ყველა პატიმარი, ვინც კი საპყრობილეში იყო, იოსებს და მის გარეშე იქ არაფერი ხდებოდა.

²³საპყრობილის უფროსი აღარაფერზე ზრუნავდა, რადგან უფალი იყო იოსებთან და რასაც აკეთებდა, უფალი ყველაფერში ხელს უმართავდა.

დაბადება 40

¹ამ ამბების შემდეგ იყო, რომ ეგვიპტის ფარაონის მწდემ და მეპურემ შესცოდეს თავიანთი ბატონის, ეგვიპტის მეფის წინაშე.

²განურისხდა ფარაონი თავის ორ კარისკაცს: მწდეს და მეპურეს.

³და ჩაყარა ისინი საპყრობილეში, მცველთა უფროსის სახლში, სადაც იოსები იყო დამწყვდეული.

⁴მცველთა უფროსმა მიუჩინა მათ იოსები, და ის ემსახურებოდა მათ. და ასე იყვნენ ერთხანს საპყრობილეში.

⁵ერთ ღამეს ესიზმრა ორთავეს სიზმარი, თითოეულს თავისი, საკუთრივ ასახსნელი სიზმარი, ფარაონის მწდეს და მეპურეს, საპყრობილეში რომ იყვნენ დამწყვდეულნი.

⁶და მივიდა დილით მათთან იოსები და ნახა, რომ შეწუხებულები იყვნენ.

⁷და ჰკითხა მან ფარაონის კარისკაცებს, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ პატიმრად მისი ბატონის საპყრობილეში: „რატომ ჩამოგტირით სახე დღეს?“



⁸და უთხრეს მას: „სიზმარი ვნახეთ და არავინაა, რომ აგვიხსნას.“ და უთხრა მათ იოსებმა: „განა ღვთისაგან არ არის ახსნა? აბა, მიამბეთ.“

⁹და უამბო მწდემ თავისი სიზმარი იოსებს, და უთხრა: „ვხედავ, სიზმარში ვაზია ჩემს წინ.

¹⁰და ვაზზე სამი ლერწია. და როგორც კი გაიფურჩქნა, გამოიღო კვირტები და დამწიფდა ყურძენი.

¹¹და ფარაონის თასი მიპყრია ხელთ. და მოვწყვიტე მტევნები, ჩავწურე თასში და მივართვი ფარაონს.“

¹²და უთხრა მას იოსებმა: „აჰა, მისი ახსნა: სამი ლერწი სამი დღეა.

¹³სამი დღის შემდეგ ფარაონი აგამაღლებს და დაგაბრუნებს შენს თანამდებობაზე. და ხელში მიაწვდი ფარაონს თასს უწინდებურად, როცა მისი მწდე იყავი.

¹⁴ოღონდ გამიხსენე, როცა კარგად წაგივა საქმე, მიყავი სიკეთე, და გაახსენე ჩემი თავი ფარაონს და გამომიყვანე ამ სახლიდან,

¹⁵რადგან მოპარული ვარ ებრაელთა ქვეყნიდან და აქაც არაფერი ჩამიდენია ისეთი, დილეგში რომ ჩამაგდეს.“

¹⁶და დაინახა მეპურეთუხუცესმა, რომ კეთილად ახსნა იოსებმა სიზმარი და უთხრა მას: „მეც ვნახე სიზმარი: აჰა, სამი დაწნული კალათა მადგას თავზე,

¹⁷და ზემო კალათაში ფარაონის ყოველგვარი საწოვარაგა, ხაბაზის ნახელავი, და ფრინველები ძიძგნიან მას ჩემს თავს ზემოთ იმ კალათიდან.“

¹⁸და მიუგო იოსებმა და უთხრა: „ესაა მისი ახსნა: სამი კალათა სამი დღეა.

¹⁹სამი დღის შემდეგ ფარაონი შენც აგამაღლებს, ოღონდ ხეზე ჩამოკიდებით და ფრინველები გამოგიჭამენ ხორცს.“

²⁰მესამე დღეს, ფარაონის დაბადების დღეს, გაუმართა ფარაონმა ნადიმი თავის მსახურთ და გაიხსენა თავისი მწდე და მეპურე.

²¹და დააბრუნა მწდე თავისსავე ადგილზე, და იგი კვლავ აწვდიდა თასს ფარაონს;

²²ხოლო მეპურეთუხუცესი ხეზე ჩამოჰკიდა, როგორც აუხსნა მას იოსებმა.

²³და არ გახსენებია მწდეს იოსები, დაივიწყა იგი.

დაბადება 41

¹და ორი წლის თავზე დაესიზმრა ფარაონს: აჰა, დგას იგი ნილოსის პირას,



- ²და ნილოსიდან ამოდის კარგი შესახედავი, ხორცსავსე შვიდი ძროხა, და ბალახობენ ლელიანში.
- ³და აჰა, ამოჰყვება მათ ნილოსიდან კიდევ შვიდი სხვა ძროხა, შეუხედავი და ხორცდაყრილი, და დგებიან იმ ძროხების გვერდით ნილოსის პირას.
- ⁴და შეჰამეს შეუხედავმა და ხორცდაყრილმა ძროხებმა შვიდი კარგი შესახედავი და ხორცსავსე ძროხა. და ამაზე გაელვიდა ფარაონს.
- ⁵და დაიძინა და კვლავ ესიზმრა: აჰა, შვიდი თავთავი ამოდის ერთ ღეროზე, სავსე და სადი.
- ⁶და აჰა, შვიდი თავთავი, ფშუტე და ხორშაკისგან დახრუკული, აღმოცენდა მათ შემდეგ.
- ⁷და გადაყლაპეს ფშუტე თავთავებმა შვიდი მსხვილი და სავსე თავთავი და ამაზე გაელვიდა ფარაონს და მიხვდა, რომ ეს იყო სიზმარი.
- ⁸დილით შეშფოთდა მისი სული, იხმო ეგვიპტის ყველა გრძნეული და ბრძენი, და უამბო მათ ფარაონმა თავისი სიზმრები და ვერავინ აუხსნა ისინი ფარაონს.
- ⁹და დაელაპარაკა მწდეთუხუცესი ფარაონს და უთხრა: „ჩემი ცოდვები მახსენდება დღეს.
- ¹⁰ფარაონი განურისხდა თავის მსახურებს, და გადამცა მე ტუსაღად მცველთა უფროსის სახლში მეპურეთუხუცესთან ერთად.
- ¹¹და დაგვესიზმრა სიზმარი ერთ ღამეს მეც და მასაც, თითოეულს საკუთრივ ასახსნელი სიზმარი დაგვესიზმრა.
- ¹²იქ ჩვენთან ერთად იყო ერთი ებრაელი ყმაწვილი, მცველთა უფროსის მსახური. და ვუამბეთ მას ჩვენი სიზმრები, და აგვიხსნა მან ისინი საკუთრივ.
- ¹³და როგორც აგვიხსნა ჩვენ, ისე აგვიხდა: მე ჩემს სამსახურში დამაბრუნა, ის კი ხეზე ჩამოჰკიდა.“
- ¹⁴და მიავლინა ფარაონმა იოსების მოსახმობად. და ის სასწრაფოდ ამოიყვანეს დილეგიდან. მან გაიპარსა, გამოიცვალა სამოსელი და წარუდგა ფარაონს.
- ¹⁵და უთხრა იოსებს ფარაონმა: „მესიზმრა მე სიზმარი, და არავინაა მისი ამხსნელი. და მე გავიგე შენზე, რომ იცი სიზმრების ახსნა.“
- ¹⁶და მიუგო იოსებმა ფარაონს: „მე რა შემიძლია, ღმერთი უპასუხებს ფარაონს სამშვიდობოდ.“



¹⁷და უამბო ფარაონმა იოსებს: „სიზმარში ვნახე, აჰა, ვდგავარ მდინარის პირას.

¹⁸და აჰა, ნილოსიდან ამოდის შვიდი ხორცსავსე და ლამაზი ძროხა და ლელიანში დაიწყეს ძოვა.

¹⁹აჰა, სხვა შვიდი ძროხა, უძლური, მეტისმეტად უგვანი და ხორცდაყრილი ამოჰყვა მათ. მთელ ეგვიპტეში მათზე უგვანო არაფერი მინახავს.

²⁰და შეჰამეს ხორცდაყრილმა და უგვანმა ძროხებმა ის შვიდი ხორცსავსე ძროხა.

²¹და ჩაინთქნენ მათ მუცლებში, და არ ეტყობოდათ, რომ ისინი ჩაინთქნენ მათ მუცლებში, და ისეთივე უსახონი დარჩნენ, როგორებიც იყვნენ, და გამომეღვიძა.

²²და კვლავ ვიხილე სიზმარში: აჰა, შვიდი თავთავი ამოდის ერთ ღეროზე, სავსე და საღი.

²³და აჰა, კვლავ შვიდი თავთავი, გამომშრალი, ფშუტე და ხორშაკისგან დახრუკული აღმოცენდა მათ შემდეგ.

²⁴და ჩაყლაპეს ამ თავთავებმა ის შვიდი საღი თავთავი. და ვუამბე მე ეს გრძნეულებს, მაგრამ ვერავინ ამიხსნა.“

²⁵და უთხრა იოსებმა ფარაონს: „ამ სიზმრებს ერთი ახსნა აქვს, რის ქმნასაც ღმერთი აპირებს, თავად ამცნობს ფარაონს:

²⁶შვიდი საღი ძროხა შვიდი წელია, და შვიდი საღი თავთავიც შვიდი წელია; ეს ერთი სიზმარია.

²⁷და შვიდი ძროხა, მჭლე და უგვანი, მათ შემდეგ ამოსული, შვიდი წელია. და შვიდი ფშუტე და ხორშაკისგან დახრუკული თავთავიც შიმშილობის შვიდი წელიწადია.

²⁸ეს არის, რაც ფარაონს ვუთხარი; ღმერთმა უჩვენა ფარაონს, რის გაკეთებასაც აპირებს.

²⁹და აი, მოდის დიდმოსავლიანი შვიდი წელი ეგვიპტის მთელ ქვეყანაში.

³⁰და დადგება შიმშილობის შვიდი წელიწადი მათ შემდეგ და გაქრება ბარაქა ეგვიპტეში, და შიმშილი გააჩანაგებს ქვეყანას.

³¹და აღარავის ეცოდინება, რომ სიუხვე იყო ქვეყანაში, იმ შიმშილობის გამო, რომელიც შემდეგ დადგება, რადგან ის მეტისმეტად მძიმე იქნება.

³²და რაკი გაუმეორდა სიზმარი ფარაონს, ეს ნიშნავდა, რომ გადაწყვეტილია ღვთისაგან ეს საქმე და ღმერთი დააჩქარებს მის აღსრულებას.



³³და ახლა გამონახოს ფარაონმა გამჭრიახი და ბრძენი კაცი და დაუყენოს ეგვიპტის ქვეყანას განმგებლად.

³⁴ასე უნდა გააკეთოს ფარაონმა: ზედამხედველები დაადგინოს ქვეყანაში, რათა მოსავლის მეხუთედი ახდევინონ ხალხს შვიდ მოსავლიან წელიწადში.

³⁵და დააგროვონ ამ მომავალი დოვლათიანი წლების მთელი საზრდო, დაახვავონ მარცვალი ფარაონის გამგებლობაში ქალაქთა საზრდოდ, და გაუფრთხილდნენ.

³⁶და იყოს ეს საზრდო ქვეყნისათვის მარაგად შვიდწლიანი შიმშილობის დროს, ეგვიპტის ქვეყანაში რომ დადგება, და არ გაწყდება ქვეყანა შიმშილით.“

³⁷და მოეწონათ ნათქვამი ფარაონსა და მის მსახურთ.

³⁸და უთხრა ფარაონმა თავის მსახურებს: „ნუთუ ვიპოვით ჩვენ ისეთ კაცს, როგორც ეს არის, რომელშიც ღვთის სულია?“

³⁹და უთხრა ფარაონმა იოსებს: „რაკი ღმერთმა გაუწყა ეს, აქ არავინაა შენზე გამჭრიახი და ბრძენი!

⁴⁰შენ იქნები ჩემი სახლის გამგებელი და შენს ბაგეს დაემორჩილება მთელი ჩემი ხალხი. და მხოლოდ ტახტით ვიქნები შენზე აღმატებული.“

⁴¹და უთხრა ფარაონმა იოსებს: „აჰა, დამიდგენიხარ ეგვიპტის მთელ ქვეყანაზე.“

⁴²და წაიძრო ხელიდან ფარაონმა ბეჭედი და გაუკეთა იოსებს ხელზე. და შემოსა იგი ბისონის სამოსლით, და ჩამოჰკიდა მას ოქროს ჯაჭვი კისერზე.

⁴³და ბრძანა მოეტარებინათ იგი თავისი მეორე ეტლით და ეყვირათ მის წინაშე: „დაიჩოქეთ!“ და დაადგინა იგი ეგვიპტის მთელ ქვეყანაზე.

⁴⁴და უთხრა ფარაონმა იოსებს: „მე ვარ ფარაონი და უშენოდ თითსაც ვერავინ გაანძრევს ეგვიპტის მთელ ქვეყანაში.“

⁴⁵და უწოდა ფარაონმა იოსებს სახელად ცაფნათ-ფაყნეახი, და მისცა მას ცოლად ასენათი, ონის ქურუმის – ფოტიფერაყის ასული. და ცნობილი გახდა იოსები ეგვიპტის მთელ ქვეყანაში.

⁴⁶ვი წლისა იყო იოსები, როცა წარდგა ეგვიპტის ფარაონის წინაშე. და გამოვიდა იოსები ფარაონისაგან და მოიარა მთელი ეგვიპტის ქვეყანა.

⁴⁷და სიუხვის შვიდწლეულში გამოიღო მიწამ დიდი მოსავალი.



⁴⁸და შეაგროვა მან შვიდი წლის საზრდო – მოსავალი, რომელიც იყო ეგვიპტის ქვეყანაში, და მოიმარაგა საზრდო ქალაქებში. თითოეულ ქალაქს თავის გარშემო მინდვრებიდან მოწეული საზრდო დაურიგა.

⁴⁹და დაახვავა იოსებმა მარცვლელი ზღვის ქვიშასავით, იმდენი, რომ შეწყვიტა მისი აღრიცხვა, რადგან აღარ იყო სათვალავი.

⁵⁰შიმშილობის წლების დადგომამდე იოსებს შეეძინა ორი ვაჟი, რომლებიც უშვა მას ასენათმა, ონის ქურუმის, ფოტიფერაყის ასულმა.

⁵¹და დაარქვა იოსებმა პირმშოს სახელად მანაშე, რაც ნიშნავს: „დამავიწყა მე ღმერთმა მთელი ჩემი ტანჯვა და სახლი მამაჩემისა.“

⁵²და უწოდა მეორეს სახელად ეფრემი, რაც ნიშნავს: „ნაყოფიერ-მყო მე ღმერთმა ჩემი ტანჯვის ქვეყანაში.“

⁵³და გასრულდა შვიდი წელიწადი სიუხვისა, ეგვიპტის ქვეყანაში რომ იდგა.

⁵⁴და დაიწყო შიმშილობის შვიდი წელიწადი, როგორც ნათქვამი ჰქონდა იოსებს. და იყო შიმშილობა ყველა ქვეყანაში, ეგვიპტელებს კი ჰქონდათ პური.

⁵⁵და დაიშა მთელი ეგვიპტის ქვეყანა და შეღაღადა ხალხმა ფარაონს, რათა მიეცა მისთვის პური. და უთხრა ფარაონმა მთელს ეგვიპტეს: „მიდით იოსებთან და, როგორც გეტყვით, ისე მოიქცით.“

⁵⁶და იყო შიმშილობა მთელს მიწის პირზე და გახსნა იოსებმა ყველა ბეღელი და მიჰყიდა პური ეგვიპტელებს. მაგრამ შიმშილი ეგვიპტის ქვეყანაში ძლიერდებოდა.

⁵⁷და ყველა ქვეყნიდან მოდიოდნენ ეგვიპტეში იოსებთან პურის საყიდლად, რადგან შიმშილი მძვინვარებდა მთელ ქვეყანაზე.

დაბადება 42

¹და გაიგო იაკობმა, რომ იპოვება პური ეგვიპტეში, და უთხრა თავის ვაჟებს: „რას უყურებთ ერთმანეთს?

²გავიგე, რომ არის პური ეგვიპტეში. ჩადით იქ და იყიდეთ პური, რათა შიმშილით არ დავიხოცოთ!“

³და ჩავიდა იოსების ათი ძმა ხორბლის საყიდლად ეგვიპტეში.

⁴და ბენიამინი, იოსების ძმა, არ გააყოლა იაკობმა მის ძმებს, იფიქრა: უბედურება არ შეემთხვესო.



- ⁵და მივიდნენ ისრაელის ძენი პურის საყიდლად სხვა მიმსვლელთა შორის, რადგან იყო შიმშილი ქანაანის ქვეყანაში.
- ⁶იოსები იყო იმ ქვეყნის განმგებელი. იგი ასყიდებდა მარცვლელს ქვეყნის ყველა ხალხს. და მივიდნენ იოსების ძმები მასთან და მდაბლად დაუკრეს თავი.
- ⁷დაინახა იოსებმა თავისი ძმები და იცნო ისინი. მაგრამ არ გაუმხილა მათ თავი, და მკაცრად ელაპარაკა, და უთხრა: „საიდან მოხვედით?“ და უთხრეს: „ქანაანის ქვეყნიდან, საზრდოს საყიდლად.“
- ⁸იცნო იოსებმა თავისი ძმები, მათ კი ვერ იცნეს იგი.
- ⁹და გაახსენდა იოსებს სიზმრები, მათზე რომ დაესიზმრა. და უთხრა მათ: „მსტოვრები ხართ თქვენ და ამ ქვეყნის დასაზვერად მოხვედით.“
- ¹⁰უთხრეს მათ: „არა, ბატონო! საზრდოს საყიდლად მოვედით შენი მსახურნი.
- ¹¹ყველანი ერთი მამის შვილები ვართ, პატიოსანი ხალხი ვართ. მსტოვრები არ არიან შენი მსახურნი!“
- ¹²უთხრა იოსებმა: „არა, ამ ქვეყნის დასაზვერად მოხვედით თქვენ!“
- ¹³მათ უთხრეს: „¹² ძმანი ვიყავით შენი მსახურნი, ერთი კაცის შვილები, ქანაანის ქვეყანაში. უმცროსი ახლა მამასთანაა, ერთი კი აღარა გვყავს.“
- ¹⁴და თქვა იოსებმა: „ასეა, როგორც გითხარით, მსტოვრები ხართ-მეთქი.
- ¹⁵უნდა გამოგცადოთ, ფარაონს ვფიცავ, ვერ გახვალთ აქედან, თუ თქვენი უმცროსი ძმა აქ არ მოვა.
- ¹⁶გაგზავნეთ ერთი თქვენგანი, და მოიყვანოს თქვენი ძმა. დანარჩენები დატყვევებულები იქნებით. და შემოწმდება თქვენი სიტყვები. და თუ მართლები არა ხართ, მაშინ, ვფიცავ ფარაონს, მსტოვრები ყოფილხართ.“
- ¹⁷და გაუშვა ისინი საპყრობილეში სამი დღით.
- ¹⁸და უთხრა მათ იოსებმა მესამე დღეს: „ასე გააკეთეთ და ცოცხლები დარჩებით. ღვთის მოშიში ვარ მე.
- ¹⁹თუ თქვენ პატიოსნები ხართ, დარჩეს თქვენი ერთი ძმა იმ საპყრობილეში, სადაც თქვენა ხართ, თქვენ კი წადით, მიიტანეთ პური თქვენს დამშეულ სახლში.
- ²⁰აქ მომიყვანეთ თქვენი უმცროსი ძმა, რათა დამტკიცდეს თქვენი ნათქვამი და აგცდეთ სიკვდილი.“ და ასეც მოიქცნენ.



²¹უთხრეს ერთმანეთს: „მართლაც დამნაშავე ვართ ჩვენს ძმასთან, რადგან ვუყურებდით მის ტანჯვას და არ შევიბრალებთ, როცა გვევედრებოდა. ამიტომაც დაგვატყდა თავს ეს გასაჭირი.“

²²და მიუგო რეუბენმა და უთხრა მათ: „ხომ გეუბნებოდით, ნუ შესცოდავთ-მეთქი ბავშვის წინააღმდეგ, და არ გამიგონეთ. და აჰა, მოგვეკითხა კიდეც მისი სისხლი.“

²³მათ არ იცოდნენ, რომ ესმოდა იოსებს მათი სიტყვები, რაკი თარჯიმანი იდგა მათ შორის.

²⁴და მოცილდა მათ იოსები და ატირდა. მერე კვლავ მიუბრუნდა მათ და ელაპარაკა, სიმეონი კი მათ თვალწინ დააპატიმრა.

²⁵და ბრძანა იოსებმა, ხორბლით აეესოთ მათი ტომრები, მათი გადახდილი ფული მათ ტომრებში ჩაებრუნებინათ, და საგზალი მიეცათ. ასეც გააკეთეს.

²⁶და აჰკიდეს პური სახედრებს და წავიდნენ.

²⁷და გახსნა ერთმა თავისი ტომარა, რათა მიეცა საკვები სახედრისათვის ღამის თევისას, და დაინახა თავისი ვერცხლი ტომარაში.

²⁸და უთხრა მან თავის ძმებს: „უკან დაუბრუნებიათ ჩვენი ვერცხლი, აი, ჩემს ტომარაშია.“ და გულები შეუკრთათ და ერთმანეთს კანკალით უთხრეს: „ეს რას გვიშვრება ღმერთი?“

²⁹და მივიდნენ იაკობთან, თავის მამასთან, ქანაანის ქვეყანაში, და უამბეს მას ყოველივე, რაც შეემთხვათ, ამ სიტყვებით:

³⁰„მკაცრად გველაპარაკა იმ ქვეყნის ბატონი, მსტოვრებად მიგვიჩნია.

³¹ვუთხარი: ‘არა ვართ მსტოვრები, პატიოსანი ხალხი ვართ;

³²12 ძმანი ვიყავით, ძენი მამაჩვენისა, ახლა ერთი გვაკლია, უმცროსი კი მამასთანაა, ქანაანის ქვეყანაში.’

³³გვითხრა იმ კაცმა, ქვეყნის ბატონმა: ‘ამით გავიგებ, პატიოსნები ხართ თუ არა: ერთი ძმა დამიტოვეთ, თქვენ კი აიღეთ პური დამშეული თქვენიანებისთვის და წადით.

³⁴მომიყვანეთ თქვენი უმცროსი ძმა და დავიჯერებ, რომ პატიოსნები ხართ და არა ხართ მსტოვრები. და დაგიბრუნებთ თქვენს ძმას, და მშვიდობით გაივლით ამ ქვეყანას.’“

³⁵ცლიდნენ ისინი თავიანთ ტომრებს, და აჰა, თითოეულის ვერცხლის ქისა ტომარაშია. და დაინახეს თავ-თავიანთი ვერცხლის ქისები, მათ და მათმა მამამ, და შეეშინდათ.



³⁶და უთხრა მათ იაკობმა, მათმა მამამ: „შვილები წამართვით – იოსები აღარ მყავს! სიმეონი აღარ მყავს! ახლა ბენიამინი მიგყავთ. ყველაფერი თავს დამატყდა!“

³⁷და უთხრა რეუბენმა მამას: „ჩემი ორი შვილი მომიკალი, თუ უკან არ მოგიყვანო ბენიამინი! მე ჩამაბარე და მევე დაგიბრუნებ!“

³⁸უთხრა მას მამამ: „არ წამოვა თქვენთან ჩემი შვილი, რადგან მისი ძმა მოკვდა, ეს კი მარტოდ დარჩა. და თუ შეემთხვევა ფათერაკი იმ გზაზე, რომელზეც დგახართ, გამწარებულს ჩაიყვანთ ჩემს ჭაღარას შავეთში!“

დაბადება 43

¹შიმშილობა გაძლიერდა ქვეყანაზე.

²და როცა გაუთავდათ ეგვიპტიდან ჩამოტანილი პური, უთხრა მათ მამამ: „გაბრუნდით, კიდევ გვიყიდეთ ჩვენთვის მცირედი საზრდო.“

³და უთხრა მას იუდამ: „მკაცრად გაგვაფრთხილა ჩვენ იმ კაცმა და გვითხრა: თვალთ არ დამენახოთ, თუ თქვენი ძმა თქვენთან არ იქნებაო.“

⁴თუ გაგვაყოლებ ჩვენს ძმას, ჩავალთ და გვიყიდით საზრდოს.

⁵თუ არ გაგვაყოლებ, ვერ ჩავალთ, რადგან გვითხრა იმ კაცმა, თვალთ არ დამენახოთ, თუ თქვენი ძმა თქვენთან არ იქნებაო.“

⁶თქვა ისრაელმა: „მიბოროტეთ, რად გაუმხილეთ იმ კაცს, რომ კიდევ გყავთ ძმა?“

⁷უთხრეს: „ჩაძიებით გვეკითხებოდა ის კაცი ჩვენზე და ჩვენს მოდგმაზე: ჯერ კიდევ ცოცხალია მამათქვენიო, კიდევ გყავთო ძმა? ჩვენც ვუამბეთ ყველაფერი. რა ვიცოდით, თუ გვეტყოდა, თქვენი ძმა ჩამოიყვანეთო?“

⁸და უთხრა იუდამ ისრაელს, თავის მამას: „გამატანე ყმაწვილი. ავდგებით და წავალთ, და შიმშილით არ დავიხოცებით, – არც ჩვენ, არც შენ და არც ჩვენი წვრილშვილი!“

⁹მე ვარ თავდები მისი, ჩემი ხელიდან მოითხოვე იგი. თუ არ მოგიყვანო და წინ არ დაგიყენო, მთელი სიცოცხლე შემცოდე ვიყო შენს წინაშე!

¹⁰რომ არ დავყოვნებულობიყავით, აქამდე ორჯერ ვიქნებოდით უკან დაბრუნებული.“

¹¹და უთხრა მათ ისრაელმა, მათმა მამამ: „თუ ასეა, ეს მაინც გააკეთეთ: გაავსეთ ჭურჭლები ამ ქვეყნის დოვლათით, ჩაუტანეთ იმ კაცს ძღვნად



მცირეოდენი ბალზამი და თაფლი, საკმეველი და შტახსი, ფუსტული და ნუში.

¹²და ორმაგი ვერცხლი წაიღეთ თან. და თქვენს ტომრებში ნაპოვნი ვერცხლიც დაუბრუნეთ. ეგებ შეცდომა იყო.

¹³და თქვენი ძმაც წაიყვანეთ. ადექით და წადით იმ კაცთან.

¹⁴და ყოვლადძლიერმა ღმერთმა მოგცეთ თქვენ შებრალება იმ კაცის წინაშე, და გამოუშვას თქვენი სხვა ძმაც და ბენიამინიც. მე კი, როგორც ვიყავი შვილმკვდარი მამა, ისე შვილმკვდრად დავრჩები.“

¹⁵და აიღეს კაცებმა ეს საჩუქარი და ორმაგი ვერცხლი, და თან წაიყვანეს ბენიამინი. და ჩავიდნენ ეგვიპტეში, და წარდგნენ იოსების წინაშე.

¹⁶და დაინახა იოსებმა მათთან ბენიამინი და უთხრა თავისი სახლის მოურავს: „მიიყვანე ეს ხალხი სახლში, და დაკალი საკლავი და მოამზადე, რადგან ჩემთან უნდა ჭამოს პური ამ ხალხმა შუადღისას.“

¹⁷და გააკეთა იმ კაცმა ისე, როგორც იოსებმა უბრძანა, და მიიყვანა ისინი იოსების სახლში.

¹⁸და შეეშინდათ ძმებს იოსების სახლში რომ მიიყვანეს, თქვეს: „ვერცხლის გამო ვართ მოყვანილი, მაშინ რომ ტომრებში ჩაგვიდეს. და ცილს დაგვწამებენ და თავს დაგვესხმიან, რომ მონებად გაგვიხადონ და ჩვენს სახედრებსაც დაეპატრონონ.“

¹⁹და მივიდნენ ისინი იოსების სახლის მოურავთან, და ელაპარაკნენ მას სახლის შესასვლელთან.

²⁰და უთხრეს მას: „მოგვისმინე, ბატონო! ჩვენ უწინაც ჩამოვსულვართ აქ საზრდოს საყიდლად,

²¹და როცა მივედით ჩვენ ღამისათევში და გავხსენით ჩვენი ტომრები, ვნახეთ ჩვენი ვერცხლი ჩვენსავე ტომრებში. და გიბრუნებთ მას ჩვენივე ხელით.

²²და სხვა ვერცხლი ჩამოვიტანეთ ჩვენი ხელით საზრდოს საყიდლად. არ ვიცით, ვინ ჩაგვიდო ჩვენი ვერცხლი ჩვენს ტომრებში!“

²³და უთხრა მან: „მშვიდად იყავით, ნუ გეშინიათ! თქვენმა ღმერთმა, თქვენი მამების ღმერთმა ჩაგიდოთ განძი ტომრებში. რადგან მაშინ თქვენი ვერცხლი უკანვე დამიბრუნდა.“ და გამოიყვანა მათთან სიმეონი.

²⁴და შეიყვანა იმ კაცმა ეს ხალხი იოსების სახლში, და მისცა წყალი და დაიბანეს ფეხები. და მისცა საკვები მათ სახედრებს.



²⁵და მოამზადეს ძღვენი შუადღისას იოსების მოსვლისათვის, რადგან გაიგეს, რომ იქ უნდა ეჭამათ პური.

²⁶და მოვიდა იოსები სახლში და მიართვეს მას ძღვენი, ხელთ რომ ჰქონდათ, და თაყვანი სცეს მდაბლად.

²⁷და მოიკითხა იოსებმა ისინი და უთხრა: „ხომ მშვიდობითაა თქვენი მოხუცი მამა, რომელზეც თქვენ მელაპარაკეთ? ხომ ჯერაც ცოცხალია?“

²⁸მათ უთხრეს: „მშვიდობით არის მამაჩვენი, შენი მსახური, ჯერაც ცოცხალია. და ქედი მოიხარეს ძმებმა და თაყვანი სცეს.“

²⁹და აღაპყრო იოსებმა თვალი, და დაინახა თავისი ძმა ბენიამინი, თავისი დედის ძე. და იკითხა: „ეს ხომ არ არის თქვენი უმცროსი ძმა, რომელზეც მეუბნებოდით?“ და თქვა: „ღმერთი გწყალობდეს შენ, ჩემო შვილო!“

³⁰და ველარ მოითმინა იოსებმა, რადგან გულ-ღვიძლი დაეწვა თავისი ძმის გამო, და ტირილი მოუნდა და გავიდა თავის ოთახში და იქ ატირდა.

³¹დაიბანა პირი, გამოვიდა, და გაიმაგრა თავი. და ბრძანა: „მოგვიტანეთ საჭმელი.“

³²და მოართვეს მას ცალკე და იმათ – ცალკე, და მასთან მეინახე ეგვიპტელებს ცალკე, რადგან არ შეეძლოთ ეგვიპტელებს პურის ჭამა ებრაელებთან. სისაძაგლე იყო ეს ეგვიპტელთათვის.

³³და დასხდნენ მის პირისპირ უფროს-უმცროსობის მიხედვით. და გაოცებით უყურებდნენ ერთმანეთს კაცები.

³⁴და უგზავნიდა მათ იოსები თავისი სუფრიდან კერძს. და ბენიამინის კერძი ხუთჯერ მეტი იყო სხვების კერძზე. და სვეს და შეთვრნენ მასთან ერთად.

დაბადება 44

¹და უბრძანა იოსებმა თავის სახლის მოურავს: „ავსე ამ კაცების ტომრები იმდენი საზრდოთი, რამდენის წაღებასაც შესძლებენ, და დაუდევო თითოეულს თავისი ვერცხლი ტომრის პირზე.

²და ჩემი ვერცხლის თასი ჩადევი უმცროსის ტომარაში, და იქვე ჩადე მის მიერ ხორბალში გადახდილი ვერცხლი.“ და მან გააკეთა ისე, როგორც იოსებმა ბრძანა.

³განთიადისას გაუშვეს ეს ხალხი თავიანთი სახედრებით.



⁴ქალაქს შორს არ იყვნენ გაცილებულნი, რომ იოსებმა უთხრა თავისი სახლის მოურავს: „დაედევნე იმ ხალხს, დაეწიე და უთხარი: ‘ზოროტებით რატომ გადაუხადეთ-თქო სიკეთე?’

⁵რად მოიპარეთ ვერცხლის თასი? ამით არის, რომ სვამს ჩემი ბატონი. ამით არის, რომ მარჩიელობს. ცუდი საქმე გიქნიათ!“

⁶და დაეწია მათ და უთხრა ეს სიტყვები.

⁷და უპასუხეს მას: „რად ლაპარაკობს ჩემი ბატონი ასეთ სიტყვებს? ღმერთმა დაიფაროს შენი მსახურები ამგვარი საქმის ჩადენისგან!

⁸ის ვერცხლი, რომელიც ვიპოვეთ ადრე ჩვენს ტომრებში, დაგიბრუნეთ ქანაანის ქვეყნიდან, და ახლა როგორღა მოვიპარავდით შენი ბატონის სახლიდან ვერცხლს ან ოქროს?!

⁹თუ რომელიმე ჩვენგანს, შენს მსახურთაგანს, აღმოაჩნდება, მოკვდეს იგი, ჩვენ კი დავემონებით ჩვენს ბატონს!“

¹⁰მან თქვა: „თქვენი სიტყვებისამებრ იყოს. ვისაც აღმოაჩნდება, იგი გამიხდეს მონად და დანარჩენები უდანაშაულო იქნებით.“

¹¹სწრაფად ჩამოიღო თითოეულმა თავისი ტომარა, და მოხსნეს პირი.

¹²გაჩხრეკა უფროსით დაიწყო და უმცროსით დაამთავრა. და აღმოჩნდა თასი ბენიამინის ტომარაში.

¹³და შემოიხიეს მათ სამოსელი მწუხარების ნიშნად, ხელახლა დატვირთეს თავიანთი სახედრები და უკან დაბრუნდნენ ქალაქში.

¹⁴და მივიდნენ იუდა და მისი ძმები იოსების სახლში, ის ჯერ კიდევ იქ იყო, და დაემხნენ მის წინაშე მიწაზე.

¹⁵უთხრა მათ იოსებმა: „ეს რა გააკეთეთ? ნუთუ არ იცოდით, რომ ისეთი მისანი კაცი, როგორიც მე ვარ, ყოველივეს გამოიცნობდა?“

¹⁶თქვა იუდამ: „რა ვუთხრათ ჩვენს ბატონს? რა ვთქვათ, რითი ვიმართლოთ თავი? ღმერთმა ჰპოვა შენი მსახურების დანაშაული, და გავხდით ჩვენ მონები ჩვენი ბატონისა, ჩვენც და ისიც, ვის ხელშიც აღმოჩნდა თასი.“

¹⁷და თქვა იოსებმა: „ღმერთმა დამიფაროს ამისაგან! კაცი, რომლის ხელშიც აღმოჩნდა თასი, იქნება ჩემი მონა, თქვენ კი მშვიდობით წახვალთ მამათქვენთან!“

¹⁸და მიეახლა მას იუდა, და უთხრა: „გევედრები, ბატონო, ათქმევინე სიტყვა შენს მსახურს, რომ მოისმინოს ჩემი ბატონის ყურებმა. ნუ განურისხდები შენს მსახურს, რადგან შენ ფარაონის ტოლი ხარ!



- ¹⁹ჩემმა ბატონმა გვკითხა მის მსახურთ: მამა ან ძმა თუ გყავთო.
- ²⁰და ვუთხარით ჩვენ ბატონს, რომ გვყავს მოხუცებული მამა და მისი სიბერის ძე, უმცროსი ძმა, რომელსაც მოუკვდა ძმა და ისღა დარჩა თავისი დედისაგან, და ამიტომაც უყვარს იგი მამამისს.
- ²¹და გვითხარი შენს მსახურთ: ჩამოიყვანეთ, ჩემი თვალით ვნახოო.
- ²²და ვუთხარით ჩვენს ბატონს: ‘არ შეუძლია ყმაწვილს მამის მიტოვება, მიატოვებს და კიდევ მოკვდება მამამისი.’
- ²³მაგრამ შენ გვითხარი შენს მსახურთ: თუ არ ჩამომიყვანთ თქვენს უმცროს ძმას, თვალით ვერ მიხილავთო.
- ²⁴ჩვენ მივედით მამაჩვენთან, შენს მსახურთან, და გადავეცით ჩემი ბატონის სიტყვები.
- ²⁵და გვითხრა მამაჩვენმა: ‘დაბრუნდით და იყიდეთ ჩვენთვის მცირედი საზრდო.’
- ²⁶ვუთხარით: ‘არ შეგვიძლია წასვლა, ხოლო თუ ჩვენი უმცროსი ძმა იქნება ჩვენთან, მაშინ წავალთ, რადგან, ვერ შევხედავთ იმ კაცს თვალებში, თუ ჩვენი უმცროსი ძმა არ იქნება ჩვენთან.’
- ²⁷და გვითხრა შენმა მსახურმა, მამაჩვენმა: ‘თქვენ იცით, რომ ორი ძე მიშვა მე ჩემმა ცოლმა.
- ²⁸წავიდა ერთი ჩემგან, და ვთქვი: ნამდვილად მხეცმა დაგლიჯა-მეთქი. იგი აქამდე აღარ მინახავს.
- ²⁹და მიგყავთ ესეც და უბედურება შეემთხვევა გზაზე და სიმწარით ჩაიყვანთ ჩემს ჭაღარას შავეთში.’
- ³⁰და ახლა, როცა მივალთ შენს მსახურთან, მამაჩემთან, და ეს ყმაწვილი არ იქნება ჩვენთან, რომლის სულთანაც გადასკვნილია მისი სული,
- ³¹დაინახავს, რომ არ არის ყმაწვილი, და მოკვდება, და სიმწარით ჩავიყვანთ შენი მსახურნი მამაჩვენის, შენი მსახურის, ჭაღარას შავეთში.
- ³²რადგან შენმა მსახურმა ჩავიბარე ეს ყმაწვილი მამაჩემისგან, ვთქვი: თუ არ მოგიყვანე იგი, შემცოდე ვიყო-მეთქი მამის წინაშე მთელი სიცოცხლე.
- ³³და ახლა მე, შენი მსახური, დავრჩები მონად ჩემ ბატონთან ამ ყმაწვილის ნაცვლად, ეს ყმაწვილი კი წავიდეს თავის ძმებთან ერთად,
- ³⁴რადგან როგორ მივიდე მამაჩემთან, თუ ყმაწვილი არ იქნება ჩემთან? ნუმც მოვსწრებივარ უბედურებას, რომელიც მამაჩემს ეწევა!’“



დაბადება 45

- ¹ველარ შეძლო იოსებმა თავის შეკავება მხლებელთა წინაშე და იყვირა: „გაიყვანეთ ჩემგან ყველანი!“ და უცხო არავინ იყო იოსებთან, როცა გაუმხილა მან თავისი ვინაობა ძმებს.
- ²და ხმამაღლა ატირდა, და გაიგონეს ეგვიპტელებმა, და გაიგონა ფარაონის სახლმაც.
- ³და უთხრა თავის ძმებს: „მე ვარ იოსები. მაშ კიდევ ცოცხალია მამაჩემი?“ და ვერ შეძლეს მისთვის პასუხის გაცემა ძმებმა, რადგან შეცბნენ ისინი.
- ⁴და უთხრა იოსებმა თავის ძმებს: „მომიახლოვდით!“ და მივიდნენ ისინი. და მან თქვა: „იოსები ვარ, თქვენი ძმა, ეგვიპტეში რომ გამყიდეთ.
- ⁵ახლა ნუღარ იწუხებთ და ნურც თავს გაკიცხავთ, აქ რომ გამყიდეთ, რადგან თქვენი სიცოცხლის სახსრად მომავლინა აქ ღმერთმა თქვენზე უწინ.
- ⁶რადგან ეს ორი წელი შიმშილობაა ქვეყანაზე, და კიდევ ხუთი წელი არ იქნება ხვნა და მკა.
- ⁷მომავლინა ღმერთმა თქვენზე უწინ თქვენი ნატამალის გადასარჩენად ამ ქვეყანაზე და თქვენი სიცოცხლის შესანარჩუნებლად დიდი ხსნის მეოხებით.
- ⁸თქვენ კი არ გამომგზავნეთ აქ, არამედ ღმერთმა დამადგინა ფარაონის მამად და მთელი მისი სახლის ბატონად, და მთელი ეგვიპტის ქვეყნის მთავრად.
- ⁹იჩქარეთ და ადით მამაჩემთან, და უთხარით მას: ‘ასე ამბობს შენი შვილი იოსები: ღმერთმა დამადგინა მთელი ეგვიპტის ბატონად. ჩამოდი ჩემთან, ნუ დაყოვნდები.
- ¹⁰და იცხოვრე გოშენის მხარეში, ახლოს იქნებით ჩემთან შენ და შენი შვილები, შენი შვილთაშვილები, შენი ცხვარი და ძროხა და ყველაფერი, რაც გაბადია.
- ¹¹და აქ მე გარჩენ, რადგან კიდევ ხუთი წელი გასტანს შიმშილობა, რათა არ გაჩანაგდეთ შენ და შენი სახლი და ყველაფერი, რაც გაბადია.’
- ¹²ხომ ხედავენ თქვენი თვალები და ჩემი ძმის, ბენიამინის თვალები, რომ ჩემი ბაგეები გელაპარაკებიან თქვენ.
- ¹³უამბეთ მამაჩემს მთელი ჩემი დიდების ამბავი ეგვიპტეში და ყველაფერი, რაც ნახეთ. და იჩქარეთ და ჩამოიყვანეთ მამაჩემი!“



¹⁴და ყელზე გადაეჭდო თავის ძმას, ბენიამინს და ატირდა; და ბენიამინიც ტიროდა მის მკერდზე.

¹⁵და გადაკოცნა ყველა ძმა, და ტიროდა მათთან ერთად. და მხოლოდ ამის შემდეგ დაელაპარაკნენ მას ძმები.

¹⁶მიაღწია ხმამ ფარაონის სახლამდე, იოსების ძმები ჩამოვიდნენო. და ეამა ეს ფარაონსა და მის მსახურებს.

¹⁷და უთხრა ფარაონმა იოსებს: „უთხარი შენს ძმებს: ასე მოიქეცით-თქო: დატვირთეთ თქვენი პირუტყვი და გასწიეთ ქანაანის ქვეყანაში.

¹⁸და წამოიყვანეთ თქვენი მამა და თქვენ-თქვენი სახლეული, და ჩემთან მოდით. და მოგცემთ ეგვიპტის ქვეყნის საუკეთესო მიწებს, და ჭამეთ ამ მიწის დოვლათი.

¹⁹შენ კი გებრძანა, რომ უთხრა მათ: ‘ასე გააკეთეთ, წაიყოლეთ ეგვიპტის ქვეყნიდან ეტლები თქვენი წვრილშვილისათვის და თქვენი ცოლებისათვის, და წამოიყვანეთ მამათქვენი და ჩამოდით;

²⁰თვალი ნუ დაგრჩებათ თქვენს ქონებაზე, რადგან მთელი ეგვიპტის ქვეყნის დოვლათი თქვენი იქნება.’“

²¹და ასეც გააკეთეს ისრაელის ძეებმა. და მისცა მათ იოსებმა ეტლები და საგზალი ფარაონის ბრძანებისამებრ.

²²თითოეულ მათგანს მისცა თითო ხელი სამოსელი, ხოლო ბენიამინს მისცა სამასი ვერცხლი და ხუთი ხელი სამოსელი.

²³და მამამისს კი გაუგზავნა 10 სახედარი, ეგვიპტური დოვლათით დატვირთული, და 10 ჭაკი ვირი, ხორბლითა და პურით დატვირთული, და საგზალი – მამამისის სამგზავროდ.

²⁴და გაუშვა თავისი ძმები, და ისინიც წავიდნენ. და უთხრა მათ: „ნუ იდავებთ გზაში.“

²⁵და წავიდნენ ისინი ეგვიპტიდან, და მივიდნენ ქანაანის ქვეყანაში იაკობთან, თავიანთ მამასთან.

²⁶და შეატყობინეს, რომ ცოცხალია იოსები, და რომ მთელი ეგვიპტის ქვეყნის განმგებელია. და გაოგნდა იგი, რადგან ვერ დაეჯერებინა მათი ნათქვამი.

²⁷და გადასცეს მას იოსების ყოველი სიტყვა, და დაინახა მან ეტლები, იოსებს რომ გამოეგზავნა მის წასაყვანად, და გაცოცხლდა მათი მამის, იაკობის სული.



²⁸და თქვა ისრაელმა: „კმარა! ცოცხალია ჩემი შვილი იოსები! წავალ და ვნახავ, სანამ ცოცხალი ვარ!“

დაბადება 46

¹და აიყარა ისრაელი, და თან წაიღო ყველაფერი, რაც ებადა, და მივიდა ბეერ-შეზაყში, და შესწირა მსხვერპლი თავისი მამის, ისააკის, ღმერთს.

²და უთხრა ღმერთმა ისრაელს ღამის ხილვაში: „იაკობ! იაკობ!“ და თქვა: „აქა ვარ!“

³და უთხრა მან: „მე ვარ ღმერთი, ღმერთი მამაშენისა; ნუ გეშინია ეგვიპტეში ჩასვლის, რადგან იქ გაქცევ დიდ ხალხად.

⁴მე წამოვალ შენთან ერთად ეგვიპტეში, და მევე გამოგიყვან უკან. და იოსები დაგიხუჭავს თვალებს თავისი ხელით.“

⁵და აიყარა იაკობი ბეერ-შეზაყიდან. და წაიყვანეს მისმა ძეებმა იაკობი, თავისი მამა, და თავიანთი წვრილშვილი და ცოლები ეტლებით, ფარაონმა რომ გამოგზავნა.

⁶და წამოასხეს თავიანთი საქონელი, წამოიღეს თავიანთი ქონება, რომელიც მოიხვეჭეს ქანაანის ქვეყანაში, და ჩავიდნენ ეგვიპტის ქვეყანაში იაკობი და მთელი მისი შთამომავლობა მასთან ერთად.

⁷თავისი ძენი და თავის ძეთა ძენი, თავისი ასულნი და თავის ძეთა ასულნი, და მთელი თავისი მოდგმა თან ჩაიყვანა ეგვიპტეში.

⁸ეს არის ეგვიპტეში ჩასულ ისრაელის ძეთა სახელები: იაკობი და მისი ძენი. პირმშო იაკობისა რეუბენი,

⁹და ძენი რეუბენისა: ენოქი, ფალუ, ხეცრონი და ქარმი.

¹⁰ძენი სიმეონისა: იემუელი, იამინი, ოჰადი, იაქინი, ცოხარი და შაული, ძე ქანაანელი ქალისა.

¹¹ძენი ლევისა: გერშონი, კოჰათი და მერარი.

¹²იუდას ძენი: ყერი, ონანი, შელახი, ფერეცი და ზერახი; ყერი და ონანი დაიხოცნენ ქანაანის ქვეყანაში. და ფარეცის ძენი იყვნენ ხეცრონი და ხამული.

¹³ძენი ისაქარისა: თოლაყი, ფუვა, იაშუბი იოზი და შიმრონი;

¹⁴ძენი ზებულუნისა: სერედი, ელონი და იახლეელი.

¹⁵ესენი იყვნენ ძენი ლეასი, რომელმაც უშვა იაკობს ფადან-არამში, და დინა, მისი ასული. მისი ძენი და ასულნი სულ იყვნენ 33 სული.



- ¹⁶ძენი გადისა: ციფიონი, ხაგი, შუნი, ეცბონი, ყერი, აროდი და არელი.
- ¹⁷ძენი აშერისა: იმნა, იშვა, იშვი და ბერიყა, და სერახი – მათი და; და ძენი ბერიყასა: ხებერი და მალქიელი.
- ¹⁸ესენი იყვნენ ძენი ზილფასი, რომელიც ლაბანმა მისცა ლეას, თავის ასულს. და უშვა მან იაკობს 16 სული.
- ¹⁹და რახელის ძენი, იაკობის ცოლისა: იოსები და ბენიამინი.
- ²⁰და შეეძინა იოსებს ეგვიპტის ქვეყანაში მანაშე და ეფრემი, რომელნიც უშვა მას ასენათმა, ონის ქურუმის, ფოტიფერაყის ასულმა.
- ²¹ძენი ბენიამინისა: ბელაყი, ბექერი, აშბელი, გერა, ნაყამანი, ეხი, რომი, მუფიმი, ხუფიმი და არდი
- ²²ესენი არიან რახელის ძენი, რომელნიც შეეძინნენ იაკობს, სულ 14 სული.
- ²³ძე დანისა – ხუშიმი.
- ²⁴ძენი ნაფთალისა: იახცეელი, გუნი, იეცერი და შილემი
- ²⁵ესენი არიან ძენი ბილჰასი, რომელიც ლაბანმა გაატანა რახელს, თავის ასულს. და უშვა ისინი იაკობს – სულ შვიდი სული.
- ²⁶ეგვიპტეში იაკობთან ერთად ჩასული ყოველი სული, მისი პირდაპირი შთამომავალნი, გარდა იაკობის ძეთა ცოლებისა, სულ იყო 66 სული.
- ²⁷იოსების ძენი, რომელნიც მას შეეძინა ეგვიპტეში, ორნი იყვნენ. და ყველა სული იაკობის სახლისა, მასთან ერთად ეგვიპტეში რომ ჩავიდნენ, 70 იყო.
- ²⁸და წინასწარ გაგზავნა იაკობმა იუდა იოსებთან, რომ დახვედროდა მათ გომენში, და მივიდნენ გომენის მხარეში.
- ²⁹აღკაზმა იოსებმა თავისი ეტლი და წავიდა გომენში ისრაელთან, თავის მამასთან შესახვედრად. და როცა იხილა იგი, ყელზე მოეჭდო, და დიდხანს ტიროდა მასზე ყელგადაჭდობილი.
- ³⁰და უთხრა ისრაელმა იოსებს: „ახლა თუნდაც მოვკვდე, რაკი შენ ცოცხალი გიხილე!“
- ³¹და უთხრა იოსებმა თავის ძმებს და მამის სახლს: „წავალ და ვამცნობ ფარაონს, და ვეტყვი: ჩემი ძმები და მამის სახლი, ქანაანის ქვეყანაში რომ იყვნენ, ჩემთან ჩამოვიდნენ;
- ³²ეს კაცები მეცხვარეები არიან-მეთქი, მესაქონლეები, ცხვარი და ძროხა და ყველაფერი, რაც კი აქვთ, წამოასხეს-მეთქი.
- ³³და როცა მოგიხმობთ ფარაონი და გკითხავთ, რა საქმიანობას ეწევითო,



³⁴უთხარით: მესაქონლე ხალხი ვართ-თქო შენი მსახურნი სიყრმიდან დღემდე, ჩვენცა და ჩვენი მამა-პაპაც. რათა დამკვიდრდეთ გოშენის მიწაზე, რადგან სისაძაგლეა ეგვიპტელთათვის ყოველი ცხვრის მწყემსი.“

დაბადება 47

¹და მივიდა იოსები და აუწყა ფარაონს: „მამაჩემი და ჩემი ძმები მოვიდნენ ქანაანის ქვეყნიდან თავიანთი ცხვარ-ძროხით და მთელი თავიანთი მონაგებით. და უკვე გოშენის მიწაზე არიან.“

²და მან თავის ძმათაგან ხუთი კაცი წაიყვანა და წარუდგინა ფარაონს.

³და უთხრა ფარაონმა მის ძმებს: „რა საქმიანობას ეწევით?“ და უთხრეს ფარაონს: „მეცხვარეები ვართ შენი მსახურნი, როგორც ჩვენი მამა-პაპა იყო.“

⁴და კიდევ უთხრეს: „ხიზნად მოვედით ამ ქვეყანაში, რადგან არაა საძოვარი შენი მსახურთა ცხვრისათვის ქანაანში შიმშილობის გამო. და ახლა გთხოვთ მოგვცე ნება შენს მსახურთ, დავსახლდეთ გოშენის მიწაზე.“

⁵და უთხრა ფარაონმა იოსებს: „მამაშენი და შენი ძმები მოვიდნენ შენთან.

⁶ეგვიპტის ქვეყანა შენს წინაშეა. საუკეთესო მიწაზე დაასახლე მამაშენი და შენი ძმები. იცხოვრონ გოშენის მიწაზე. და თუ გეგულება მათ შორის უნარიანი კაცები, სარქლებად დაუდგინე ჩემს საქონელს.“

⁷და მიიყვანა იოსებმა იაკობი, თავისი მამა, და წარუდგინა ფარაონს, და აკურთხა იაკობმა ფარაონი.

⁸უთხრა ფარაონმა იაკობს: „რამდენი წლისა ხარ?“

⁹უთხრა იაკობმა ფარაონს: „130 წელს ითვლის ჩემი ხიზნობის ხანი. მოკლე და მძიმე იყო ჩემი სიცოცხლის წლები, და ვერ მიაღწიეს მათ ჩემი მამა-პაპის სიცოცხლის წლებს, ხიზნობაში რომ გაატარეს.“

¹⁰და აკურთხა იაკობმა ფარაონი, და გამოვიდა მისაგან.

¹¹და დაასახლა იოსებმა თავისი მამა და თავისი ძმები, და მისცა მათ საკუთრება ეგვიპტის ქვეყანაში, საუკეთესო ადგილას, რამზესის მიწაზე, როგორც ბრძანა ფარაონმა.

¹²და ამარაგებდა იოსები თავის მამასა და ძმებს, და მთელ მათ სახლს პურით, ბავშვთა სულადობის მიხედვით.

¹³და პური აღარ იყო მთელ ქვეყანაზე, ისე იმძლავრა შიმშილმა. და დაუძლურდნენ ეგვიპტისა და ქანაანის ქვეყნები შიმშილისაგან.



¹⁴შეკრიბა იოსებმა მთელი ვერცხლი, რომელიც შემოდიოდა ეგვიპტესა და ქანაანის მიწაზე ხორბლის გაყიდვით, და შეიტანა ეს ვერცხლი ფარაონის სახლში.

¹⁵და გამოიღია ვერცხლი ქანაანისა და ეგვიპტის ქვეყნებში. და მოვიდა მთელი ეგვიპტე იოსებთან, და უთხრეს: „მოგვეცი პური! რატომ უნდა დავიხოცოთ შენს თვალწინ ვერცხლის უქონლობის გამო?“

¹⁶და უთხრა მათ იოსებმა: „წამოასხით თქვენი საქონელი და მე მოგცემთ თქვენი საქონლის საზღაურად, თუ გამოგელიათ ვერცხლი.“

¹⁷და მოურევს მათ თავიანთი საქონელი იოსებს. და აძლევდა მათ იოსები პურს ცხენების, ცხვრების, ძროხების და ვირების საფასურად. იმ წელიწადს პურით ამარაგებდა მათ მთელი მათი საქონლის სანაცვლოდ.

¹⁸და დასრულდა ის წელი. და მივიდნენ მასთან მეორე წელს, და უთხრეს მას: „არ დავუმაღავთ ჩვენს ბატონს, რომ ვერცხლი გამოგველია და ჩვენი პირუტყვიც უკვე ჩვენს ბატონთანაა. არაფერი არ შეგვრჩა ჩვენი ბატონის წინაშე, გარდა ჩვენი თავისა და ჩვენი მიწისა.“

¹⁹რატომ უნდა დავიხოცოთ შენს თვალწინ და გავნადგურდეთ ჩვენც და ჩვენი მიწაც? გვიყიდე ბარემ მიწიანად პურის საფასურში და მონებად გავუხდებით ფარაონს, მისი გახდება ჩვენი მიწაც. და მოგვეცი თესლი, რათა ვიცოცხლოთ და არ დავიხოცოთ, და მიწა არ გაუკაცრიელდეს.“

²⁰და იყიდა იოსებმა ეგვიპტის მთელი მიწა ფარაონისთვის, რადგან გაყიდეს ეგვიპტელებმა თავიანთი მიწები, როცა შიმშილმა იმძლავრა მათზე. და გახდა მიწა ფარაონისა.

²¹და მონებად აქცია მან ხალხი ეგვიპტის კიდიდან კიდემდე.

²²მხოლოდ ქურუმთა მიწა არ უყიდია იოსებს, რადგან დაწესებული იყო ქურუმთათვის ნაკვეთები ფარაონისაგან, და თავს ირჩენდნენ იმ ნაკვეთებით, ფარაონმა რომ მისცათ. ამიტომ არ გაყიდეს მათ თავიანთი მიწები.

²³და უთხრა იოსებმა ხალხს: „აჰა, გიყიდეთ დღეს ფარაონისთვის თქვენცა და თქვენი მიწებიც. აჰა, თესლი და დათესეთ მიწა.“

²⁴და როცა მოსავალს აიღებთ, მეხუთედი ფარაონს მიეცით და ოთხი წილი ყანების სათესად და საზრდოდ დაიტოვეთ თქვენთვის და მათთვის, ვინც სახლებში გყავთ, და თქვენი წვრილშვილისთვის.“

²⁵და თქვეს: „შენ იხსენი ჩვენი სიცოცხლე! ოღონდ მაღლი ვპოვოთ ჩვენი ბატონის თვალში და მონებად გავუხდებით ფარაონს.“



²⁶და დაადგინა იოსებმა კანონად ეგვიპტის მიწაზე დღემდე: მოსავლის მეხუთედი ფარაონს. მხოლოდ ქურუმთა მიწები არ იყო ფარაონისა.

²⁷და დასახლდა ისრაელი ეგვიპტეში, გოშენის მხარეში. და დაეუფლნენ მას, და მოშენდნენ და ძალზე მომრავლდნენ.

²⁸და იცოცხლა იაკობმა ეგვიპტის ქვეყანაში 17 წელი, და იყო მისი სიცოცხლის დღენი 147 წელი.

²⁹და მოახლოვდა ჟამი ისრაელის სიკვდილისა, და უხმო თავის ძეს, იოსებს და უთხრა: „თუ ვპოვე მაღლი შენს თვალში, ამომიდევი შენი ხელი საზარდულქვეშ და მიყავი წყალობა და ერთგულება: ნუ დამმარხავ ეგვიპტეში,

³⁰რათა განვისვენო ჩემს მამებთან, წამასვენე ეგვიპტიდან და დამმარხე მათ სამარხში.“ და უპასუხა იოსებმა: „გავაკეთებ შენი სიტყვისამებრ!“

³¹და უთხრა: „შემომფიცე!“ და შეჰფიცა მან. და თაყვანი სცა ისრაელმა საწოლის თავზე.

დაბადება 48

¹ამ ამბების შემდეგ იყო, რომ უთხრეს იოსებს: „აჰა, ავად არის მამაშენი.“ და მან თან წაიყვანა თავისი ორი ძე, მანაშე და ეფრემი.

²და აუწყეს იაკობს: „აჰა, შენი ძე იოსები მოდის შენთან.“ და ძალა მოიკრიბა ისრაელმა და წამოჯდა საწოლზე.

³და უთხრა იაკობმა იოსებს: „ყოვლადძლიერი ღმერთი გამომეცხადა მე ლუზში, ქანაანის ქვეყანაში და მაკურთხა.

⁴და მითხრა: ‘ნაყოფიერად გაქცევ და მოგამრავლებ, და გაქცევ ხალხების კრებულად. და მივცემ ამ ქვეყანას შენს თესლს შენს შემდეგ სამარადისო სამფლობელოდ.’

⁵და ახლა შენი ორი ძე, რომლებიც შეგეძინა შენ ეგვიპტის ქვეყანაში ჩემს მოსვლამდე, ჩემები არიან ისინი, ეფრემი და მანაშე, ისევე როგორც რეუბენი და სიმეონი არიან ჩემები.

⁶და ნაშვირნი, მათ შემდეგ რომ შეგეძინება, შენი იქნებიან. თავიანთი ძმების სახელზე ჩაიწერებიან ისინი მათ სამკვიდროში.

⁷მე ფადან-არამიდან წამოსულს მომიკვდა რახელი ქანაანის ქვეყანაში, გზაზე, მცირე მანძილზე ეფრათამდე, და იქ დავმარხე იგი, ეფრათის გზაზე, რომელსაც ახლა ბეთლემი ჰქვია.“



⁸და იხილა ისრაელმა იოსების ძენი, და თქვა: „ესენი ვინ არიან?“

⁹და უთხრა იოსებმა: „ჩემი ძენი არიან ესენი, რომელნიც მომცა აქ ღმერთმა.“
და უთხრა მან: „მომიყვანე და ვაკურთხე მათ!“

¹⁰ისრაელს თვალები დამძიმებოდა სიბერისაგან და ვერ ხედავდა. და ახლოს მიუყვანა ისინი იოსებმა. და აკოცა მათ და გულში ჩაიკრა.

¹¹და უთხრა ისრაელმა იოსებს: „აღარ მეგონა, შენს სახეს თუ კიდე ვიხილავდი, და, აჰა, ღმერთმა შენი მონაგარიც მახილვინა.“

¹²და გადმოსვა იოსებმა ისინი მამის მუხლებიდან და თაყვანი სცა მას მდაბლად.

¹³და მოიყვანა ორივენი იოსებმა, ეფრემი ხელმარჯვნივ ჰყავდა, ისრაელის მარცხენა მხარეს, და მანაშე – ხელმარცხნივ, ისრაელის მარჯვენა მხარეს, და მოიყვანა მასთან.

¹⁴და გაიწოდა ისრაელმა მარჯვენა, და თავზე დაადო ეფრემს, რომელიც უმცროსი იყო, და მარცხენა ხელი – მანაშეს. განზრახ გადაანაცვლა ხელები, თუმცა პირმშო მანაშე იყო.

¹⁵და აკურთხა იოსები, და თქვა: „ღმერთმა, რომლის წინაშეც დადიოდნენ ჩემი მამები აბრაამი და ისააკი, ღმერთმა, რომელიც მმწყემსავს მე ჩემი გაჩენიდან დღემდე,

¹⁶ანგელოზმა, ჩემმა მხსნელმა ყოველი ბოროტისაგან, აკურთხოს ეს ყრმანი და იწოდებოდნენ ისინი ჩემი სახელით და ჩემი მამების აბრაამისა და ისააკის სახელით, და დიდად გამრავლდნენ ისინი ქვეყნის გულში.“

¹⁷და დაინახა იოსებმა, რომ ეფრემს დაადო თავზე მამამისმა მარჯვენა ხელი, და შეწუხდა. და აიღო მამის ხელი, რათა გადაენაცვლებინა ის ეფრემის თავიდან მანაშეს თავზე.

¹⁸და უთხრა იოსებმა თავის მამას: „ასე არა, მამაჩემო! პირმშო ეს არის, დაადე მას თავზე შენი მარჯვენა.“

¹⁹მაგრამ იუარა მამამისმა და თქვა: „ვიცი, შვილო, ვიცი. ესეც იქცევა ხალხად და ესეც განდიდდება. მაგრამ მისი უმცროსი ძმა მასზე მეტად განდიდდება, და მისი თესლი იქცევა მრავალრიცხოვან ხალხად.“

²⁰და აკურთხა ისინი იმ დღეს, და უთხრა: „შენით აკურთხეხს ისრაელი, ამ სიტყვებით: ‘ღმერთმა გაგხადოს როგორც ეფრემი და როგორც მანაშე!’“ და დააყენა ეფრემი მანაშეზე წინ.

²¹და უთხრა ისრაელმა იოსებს: „აჰა, მე ვკვდები, ღმერთი იქნება თქვენთან და დაგაბრუნებთ თქვენი მამა-პაპის მიწაზე.“



²²შენს ძმებში უპირატესად შენთვის მომიცია ერთი ქედი რომელიც ამორეველებს წავართვი ჩემი მახვილითა და მშვილდით.“

დაბადება 49

¹და მოუხმო იაკობმა თავის ძეთ, და უთხრა: „შეიკრიბეთ და გაუწყებთ, რა შეგემთხვევათ მომავალ დღეებში.

²შეგროვდით და ისმინეთ, იაკობის ძენო! და უსმინეთ ისრაელს, მამათქვენს!

³რეუბენ! პირმშო ხარ ჩემი, ძალი ჩემი და სათავე ჩემი კაცობისა, დიდებული და შეუდრეკელი!

⁴დაუოკებელი ხარ წყალივით, მაგრამ ვერ აღზევდები, რადგან ახვედი მამის საწოლზე და შებილწე ჩემი სარეცელი!

⁵სიმეონი და ლევი ძმები არიან, ძალადობის საწურველია მათი მახვილი.

⁶მათ თათბირზე ნუმც მისულა სული ჩემი, მათ საკრებულოს ნუმც ზიარებულა ღირსება ჩემი! რადგან თავიანთ რისხვაში მოკლეს კაცი და თავიანთი ბოროტი ჟინით გამოძარღვეს ხარი!

⁷წყეულიმც იყოს მათი რისხვა, რადგან დაუნდობელია, და მათი წყრომა, რადგან სასტიკია! დავანაწილებ მათ იაკობის მიწებზე, და გავაბნევ ისრაელში!

⁸იუდა! განგადიდებენ შენი ძმები. შენ შემუსრავ მტერს, და გეთაყვანებიან მამაშენის ნაშიერნი.

⁹ლომის ბოკვერი ხარ იუდავ! ნანადირევით კმაყოფილი აღმართულხარ, შვილო ჩემო. მიწოლილა, როგორც ლომი, ვინ გაბედავს მის წამოგდებას?!

¹⁰არ წაერთმევა კვერთხი იუდას და არც არგანი მის ფეხთა შორის, ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი, და დაემორჩილებიან მას ხალხები!

¹¹ვაზზე უბია მას თავისი ჭაკი ვირი, ვენახის ლერწზე – თავისი ჩოჩრები. ღვინოში გაირეცხავს ის თავის ტანსაცმელს და ყურძნის სისხლში – სამოსელს.

¹²თვალეები მისი ღვინოზე მუქია და კბილები მისი რძის უთეთრესი!

¹³ზებულუნი ზღვათა სანაპიროზე დაემკვიდრება და ხომალდთა სანაპიროზე იქნება. და ციდონს მისწვდება საზღვარი მისი!

¹⁴ისაქარი ძვალმსხვილი ვირია, ბაკებში მწოლარე.



- ¹⁵და დაინახა, რომ კარგია მოსვენება, და რომ საამურია მიწა. წაუხრია მხრები სატვირთად და გახდა ხარკის მუშა!
- ¹⁶და დანი განსჯიდეს თავის ხალხს, როგორც ერთ ტომს ისრაელისა.
- ¹⁷და გველივით გაწვება დანი გზაზე და ასპიტივით ბილიკზე, დაგესლავს ცხენის ფლოქვებს. და გადაყირავდება მისი მხედარი!
- ¹⁸შენგან მოველი ხსნას, უფალო!
- ¹⁹გაღს მოაწყდებიან ურდოები, მაგრამ ის თავად მისწვდება მათ ფეხდაფეხ.
- ²⁰აშერის პური ყუათიანია და იგი გასცემს სამეფო ნუგბარს.
- ²¹ნაფთალი ლაღი ფურირემია, მომცემი კეთილთა ნაყოფთა.
- ²²ნაყოფიერი ვაზია იოსები, ნაყოფიერი ვაზია წყაროს თავზე, გალავანზეა გაშლილი მისი რქები!
- ²³გაამწარეს, დაისრეს, მტრობდნენ მას მოისარნი.
- ²⁴შერჩა ძალა მშვილდისა, არ მოუდუნდა მკლავთა ძარღვები, იაკობის ღმერთისგან ძალამიცემული. აქედან არის მწყემსი, კლდე ისრაელისა!
- ²⁵მამაშენის ღმერთისაგან – შეგეწეოდეს იგი! და ყოვლადძლიერისაგან – გაკურთხებდეს იგი ცათა კურთხევებით ზეგარდმო, ქვეშ განრთხმული უფსკრულის კურთხევებით, ძუძუთა და საშოს კურთხევებით,
- ²⁶მამაშენის კურთხევით, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე კურთხევა ჩემი მშობლებისა, ვიდრე მაღლი საუკუნო მათათა. და იყოს ეს იოსების თავზე და ძმათაგან გამორჩეულის თხემზე.
- ²⁷ბენიამინი მტაცებელი მგელია: ცისკრად ნანადირევს შეექცევა და საღამოთი ნადავლს ანაწილებს.“
- ²⁸ყველა ესენი ისრაელის 12 ტომია. და ეს იყო, რაც უთხრა მათმა მამამ, როცა აკურთხა, თითოეული თავისი კურთხევით.
- ²⁹და უანდერძა მათ: „მე ვუერთდები ჩემს ხალხს, დამმარხეთ ჩემს მამა-პაპასთან, მღვიმეში, ყეფრონ ხეთელის მინდორში რომ არის,
- ³⁰მღვიმეში, რომელიც მახველას მინდორზეა, მამრეს ახლოს, ქანაანის ქვეყანაში, აბრაამმა რომ იყიდა ყეფრონ ხეთელისგან მინდორთან ერთად საკუთარ სამარხად.
- ³¹იქ დამარხეს აბრაამი და სარა, მისი ცოლი. იქ დამარხეს ისაკი და რებეკა, მისი ცოლი. იქ დავმარხე მე ლეა.
- ³²ის მინდორი და მღვიმე, იქ რომ არის, ხეთის ძეთაგანაა ნაყიდი.“



³³და დაასრულა იაკობმა ანდერძი შვილების მიმართ და აკრიბა ფეხები სარეცელზე, და აღესრულა, და შეერთო თავის მამებს.

დაბადება 50

¹და გადაემხო იოსები მამას, დასტიროდა და ჰკოცნიდა.

²და უბრძანა იოსებმა თავის მსახურ მკურნალებს, რომ შემურვათ მამამისი. და მკურნალებმა შემურვეს ისრაელი.

³და გაუსრულდა მას 40 დღე, რამდენი ხანიც სჭირდებოდა შემურვას, და დასტიროდა მას ეგვიპტე 70 დღე.

⁴და განვლეს გლოვის დღეებმა და ელაპარაკა იოსები ფარაონის სახლს: „თუკი რამ მაღლი ვპოვე თქვენს თვალში, ასე უთხარით ფარაონს,

⁵რომ მამაჩემმა დამაფიცა ამ სიტყვებით: ‘აჰა, მე ვკვდები. ჩემს სამარხში, რომელიც გავითხარე ქანაანის ქვეყანაში, იქ დამმარხეთ’. და ახლა წავალ და დავმარხავ მამაჩემს, და დავბრუნდები.“

⁶და უთხრა ფარაონმა: „წადი და დამარხე მამაშენი, როგორც მან დაგაფიცა.“

⁷და წავიდა იოსები მამის დასამარხად. და წაჰყვნენ მას ფარაონის მსახურნი, მისი სახლის უზუცესნი და ეგვიპტის ქვეყნის ყველა უზუცესი,

⁸და იოსების მთელი სახლი, მისი ძმები და მამამისის სახლი. მხოლოდ ბავშვები და საქონელი დატოვეს გოშენის მიწაზე.

⁹მასთან ერთად წავიდნენ ეტლები და ცხენოსნები, და შეიკრიბა ძალზე დიდი ზანაკი.

¹⁰და მივიდნენ ისინი ატადის კალომდე, იორდანეს გაღმა, და იქ დაიტირეს იაკობი დიდი და მძიმე გოდებით. და შვიდ დღეს გლოვობდა იოსები თავის მამას.

¹¹და დაინახეს ქანაანელებმა გლოვა ატადის კალოზე და თქვეს: „მძიმე გლოვა აქვთ ეგვიპტელებს.“ ამიტომაც ეწოდა ამ ადგილს იორდანეს გაღმა აბელ-მიცრაიმი.

¹²და აღუსრულეს მას მისმა ძეებმა ისე, როგორც უანდერძა მათ.

¹³და წაასვენეს იგი მისმა ძეებმა ქანაანის ქვეყანაში, და დამარხეს იგი მახფელას მინდვრის მღვიმეში, მამრეს ახლოს, რომელიც საკუთრებად იყიდა აბრაამმა მინდორთან ერთად ხეთელი ყეფრონისაგან.

¹⁴და დამარხა თავისი მამა და დაბრუნდა იოსები ეგვიპტეში თავის ძმებთან და ყველა იმათთან ერთად, ვინც იყვნენ წასულნი მამამისის დასამარხად.



¹⁵და დაინახეს იოსების ძმებმა, რომ მკვდარია მათი მამა, და თქვეს: „ვაითუ, გვიმტროს იოსებმა და სამაგიერო გადაგვიხადოს ყველა ბოროტებისთვის, რაც მას ვუყავით!“

¹⁶და შეუთვალეს იოსებს: „მამაშენმა გვიანდერძა სიკვდილის წინ,

¹⁷ასე უთხარიო იოსებს: ‘გემუდარები, აპატიე შენს ძმებს დანაშაული და ცოდვა, ბოროტად რომ მოგექცნენ. ამიერიდან აპატიე დანაშაული მამაშენის ღმერთის მსახურებს!’“ და ატირდა იოსები, როცა ეს უთხრეს.

¹⁸და მოვიდნენ მისი ძმებიც და დაემხნენ მის წინაშე და უთხრეს: „შენი მსახურები ვართ ჩვენ!“

¹⁹და უთხრა მათ იოსებმა: „ნუ შიშობთ, მე ხომ ღმერთი არ ვარ?

²⁰აჰა, თქვენ ბოროტება განიზრახეთ ჩემთვის, მაგრამ ღმერთმა სიკეთედ მოაქცია იგი, რათა ისე მომხდარიყო, როგორც მოხდა: მრავალი ხალხის სიცოცხლე ეხსნა.

²¹ახლა ნუღარ გემინიათ: მე გარჩენთ თქვენ და თქვენს შვილებსაც.“ და ანუგეშა ისინი, და გულითადად ელაპარაკა მათ.

²²და ცხოვრობდა იოსები ეგვიპტეში თავისი მამის სახლთან ერთად. და იცოცხლა იოსებმა 110 წელი.

²³და იხილა იოსებმა ძენი ეფრემისა მესამე თაობამდე. მანაშეს ძის, მაქირის შვილებიც იოსების მუხლებზე იშვნენ.

²⁴და უთხრა იოსებმა თავის ძმებს: „მე კვდები, მაგრამ ღმერთი მოგხედავთ თქვენ და წაგიყვანთ ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში, რომელიც ფიცით აღუთქვა მან აბრაამს, ისააკს და იაკობს.“

²⁵და დააფიცა იოსებმა ისრაელის ძენი: „როცა ღმერთი მოგხედავთ, წაიღეთ ჩემი ძვლები აქედან!“

²⁶და მოკვდა იოსები 110 წლისა. და შემურვეს და ჩაასვენეს იგი კიდობანში, ეგვიპტეში.



გამოსვლა

გამოსვლა 1

¹ესენია ისრაელის მეთა სახელები, რომლებიც იაკობთან ერთად ჩავიდნენ ეგვიპტეში (თითოეული თავისი სახლითურთ ჩავიდა):

²რეუბენი, სიმეონი, ლევი და იუდა,

³ისაქარი, ზებულუნი და ბენიამინი,

⁴დანნი და ნაფთალი, გადი და აშერი.

⁵და ყოველი მათგანი გამოსული იყო იაკობის საზარდულიდან, 70 სული, ხოლო იოსები უკვე ეგვიპტეში იყო.

⁶და მოკვდა იოსები და ყველა მისი ძმა, და მთელი მათი თაობა.

⁷ხოლო ისრაელიანები მოშენდნენ და გამრავლდნენ და გავრცელდნენ და გაძლიერდნენ მეტისმეტად, და აივსო მათით ის ქვეყანა.

⁸და დაჯდა ახალი მეფე ეგვიპტის ტახტზე, რომელმაც არაფერი იცოდა იოსების შესახებ,

⁹და უთხრა მან თავის ხალხს: „აი, ხალხი – ისრაელიანები, ჩვენზე მეტია და ძლიერი.

¹⁰მოდით, ბრძნულად მოვიქცეთ მათთან, თორემ უფრო გამრავლდებიან. და თუ რაიმე ომი ატყდა, ჩვენს მტრებს შეეკვრებიან, ბრძოლას დაგვიწყებენ და გავლენ ქვეყნიდან.“

¹¹და დაუყენეს ზედამხედველები, რათა დაეთრგუნათ ისინი მძიმე შრომით; და ააშენებინეს ფარაონის სამარაგო ქალაქები: ფითომი და რამზესი.

¹²მაგრამ რაც უფრო ტანჯავდნენ, მით უფრო მრავლდებოდნენ ისრაელიანები და ვრცელდებოდნენ. და შიშმა მოიცვა ეგვიპტელები ისრაელიანთა წინაშე.

¹³და ამუშავებდნენ ეგვიპტელნი ისრაელიანებს უმოწყალოდ.

¹⁴და გაუმწარეს სიცოცხლე თიხაზე და აგურზე მძიმე შრომით, და ყოველგვარი სამუშაოთი მინდვრად, ყოველი საქმით, რის კეთებასაც უმოწყალოდ აიძულებდნენ.

¹⁵უბრძანა ეგვიპტის მეფემ ებრაელ ბებიაქალებს – შიფრასა და ფუყას:

¹⁶„როცა მოამშობიარებთ ებრაელ ქალებს, ნახეთ და თუ ვაჟია – მოკალით, თუ გოგოა – იცოცხლოს.“



¹⁷შეეშინდათ ბებიაქალებს ღმერთისა და არ ასრულებდნენ ეგვიპტის მეფის ბრძანებას: ცოცხლად ტოვებდნენ ვაჟებს.

¹⁸დაიბარა ეგვიპტის მეფემ ბებიაქალები, და უთხრა: „ამას რატომ შვრებით, ცოცხალს რად ტოვებთ ვაჟებს?“

¹⁹უთხრეს ბებიაქალებმა ფარაონს, რომ ეგვიპტელ ქალებს არა ჰგვანან ებრაელი ქალები, რომ ამტანები არიან ისინი. და სანამ ბებიაქალი მივა მათთან, უკვე ნამშობიარები არიან.

²⁰და სწყალობდა ღმერთი ბებიაქალებს, და მრავლდებოდა ხალხი და მეტად ძლიერდებოდა.

²¹და რადგან ღვთის შიში ჰქონდათ ბებიაქალებს, ღმერთმა ააშენა მათი ოჯახები.

²²და უბრძანა ფარაონმა მთელ თავის ხალხს ასე: „ყველა ახალშობილი ბიჭი მდინარეში ჩააგდეთ, ხოლო ყველა გოგო ცოცხალი დატოვეთ.“

გამოსვლა 2

¹წავიდა ერთი კაცი ლევის სახლიდან და მოიყვანა ცოლად ლევის ასული.

²დაორსულდა ქალი და შვა ვაჟი. ნახა, რომ მშვენიერია ბიჭი და სამ თვეს მალავდა.

³როცა მეტი ვეღარ შეძლო მისი დამალვა, აიღო ჭილის კალათა და შეგოზა იგი კუპრით და ფისით, ჩააწვინა შიგ ბავშვი და მდინარის ნაპირას ჩადგა ლერწმოვანში.

⁴დადგა მისი და მოშორებით, რათა გაეგო, რა ბედი ეწეოდა ბავშვს.

⁵და აჰა, ფარაონის ასული ჩავიდა საბანაოდ მდინარეზე. ხოლო მისი მოახლეები მდინარის პირას მიმოდიოდნენ. დაინახა ფარაონის ასულმა კალათა ლერწმოვანში და გაგზავნა თავისი მოახლე მის მოსატანად.

⁶და როდესაც კალათას ახადა, ნახა, რომ შიგ ბავშვი წევს და ტირის. შეებრალა ის და თქვა: „ებრაელის ბავშვი იქნება.“

⁷და უთხრა ბავშვის დამ ფარაონის ასულს: „ხომ არ წავიდე და მოვიყვანო ძიძა ებრაელთაგან, რომ ძუძუ აწოვოს მაგ ბავშვს?“

⁸წადიო, – უთხრა მას ფარაონის ასულმა. წავიდა გოგონა და მოიყვანა ბავშვის დედა.

⁹უთხრა მას ფარაონის ასულმა: „წაიყვანე ეს ბიჭი, ძუძუ აწოვე და მოგცემ გასამრჯელოს.“ და წაიყვანა ქალმა ბავშვი და ძუძუზე ჰყავდა.



¹⁰და როცა წამოიზარდა ბავშვი, მიუყვანა ფარაონის ასულს, რომელმაც იშვილა იგი, და უწოდა სახელად მოსე; რაც ნიშნავდა: „წყლიდან ამოვიყვანე იგი.“

¹¹ერთ დღეს, როცა გაიზარდა მოსე, გამოვიდა თავის მოძმეებთან და იხილა მათი მძიმე შრომა. და დაინახა, რომ ეგვიპტელი სცემდა ებრაელს, მის მოძმეთაგანს.

¹²მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ ახლოს არავინ იყო, და მოკლა ის ეგვიპტელი და ქვიშაში ჩამალა.

¹³და გამოვიდა მეორე დღეს, და აჰა, ორი ებრაელი კაცი ჩხუბობს. და უთხრა მან დამნაშავეს: „რატომ სცემ შენს მოყვასს?“

¹⁴მან კი უთხრა: „ვინ დაგაყენა ჩვენს უფროსად და მსაჯულად? ჩემს მოკვლასაც ხომ არ აპირებ, როგორც ის ეგვიპტელი მოჰკალი?“ შეეშინდა მოსეს და თქვა: ნამდვილად გამჟღავნებულაო ეს ამბავი.

¹⁵როცა შეიტყო ფარაონმა ეს ამბავი, მოინდომა მოსეს მოკვლა. მაგრამ გაექცა მოსე ფარაონს და გაჩერდა მიდიანის ქვეყანაში, და ჩამოჯდა ერთ ჭასთან.

¹⁶შვიდი ასული ჰყავდა მიდიანელ მღვდელს. და მოსულიყვნენ ისინი და წყალს ხაპავდნენ ჭიდან და გეჯებს ავსებდნენ თავისი მამის ფარის სასმელად.

¹⁷და მოვიდნენ მწყემსები და გაყარეს ისინი. ადგა მოსე და გამოექომაგა მათ, და დაურწყულა ფარა.

¹⁸და მივიდნენ ისინი რელუელთან, თავიანთ მამასთან. და მან ჰკითხა მათ: „დღეს ასე ადრე რად მოსულხართ?“

¹⁹და უთხრეს: „ეგვიპტელმა კაცმა გვიხსნა მწყემსთაგან. წყალიც ამოგვიხაპა და ფარაც დაგვირწყულა.“

²⁰უთხრა თავის ასულებს: „სად არის იგი? რად მიატოვეთ ის კაცი? დაუძახეთ, ჭამოს პური ჩვენთან.“

²¹და გადაწყიტა მოსემ ამ კაცთან დარჩენა. და მან მიათხოვა მოსეს თავისი ასული – ციფორა.

²²შვა ქალმა ვაჟი, და უწოდა მოსემ სახელად გერშომი, რაც ნიშნავდა: „ხიზანი ვარ უცხო ქვეყანაში.“

²³გავიდა კარგა ხანი და მოკვდა მეფე ეგვიპტისა. და აკვნესდნენ ისრაელიანები მძიმე შრომისგან და გოდებდნენ. და მისწვდა მათი გოდება ღმერთს.



²⁴და ისმინა ღმერთმა მათი კვნესა, და გაიხსენა ღმერთმა თავისი აღთქმა აბრაამის, ისაკისა და იაკობის მიმართ.

²⁵და დაინახა ღმერთმა ისრაელის ძენი, და მოხედა მათ ღმერთმა.

გამოსვლა 3

¹მწყემსავდა მოსე თავისი სიმამრის, ითროს, მიდიანელი მღვდლის, ცხვარს. წაასხა მან ცხვარი უდაბნოს იქით და მიადგა ღვთის მთას, ხორებს* .

²და გამოეცხადა მას უფლის ანგელოზი, როგორც ცეცხლის ალი შუაგულ მაყვლოვანში. ხედავს, ცეცხლი უკიდია მაყვლოვანს, მაგრამ ბუჩქი არ იწვის.

³თქვა მოსემ: „მივალ და ვნახავ, რა სასწაულია, რატომ არ იწვის ბუჩქი?“

⁴დაინახა უფალმა, რომ მოდის მოსე სანახავად, დაუძახა მას ღმერთმა შუაგული მაყვლოვნიდან: „მოსე! მოსე!“ და მიუგო მან: „აქა ვარ.“

⁵და უთხრა მას უფალმა: „ახლოს ნუ მოხვალ! გაიძვრე სანდლები ფეხთაგან, რადგან ადგილი, რომელზეც დგახარ, წმიდა მიწაა.“

⁶და კვლავ უთხრა მან: „მე ვარ მამაშენის ღმერთი, ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისაკისა და ღმერთი იაკობისა.“ და დაიფარა მოსემ სახე, რადგან შეეშინდა ღმერთის ხილვისა.

⁷და უთხრა უფალმა: „დავინახე ტანჯვა ჩემი ხალხისა ეგვიპტეში, და ვისმინე მისი კვნესა ზედამხედველთაგან. და რაკი ვიცი მისი სატკივარი,

⁸ჩამოვედი, რათა ვიხსნა ეგვიპტელთაგან და გამოვიყვანო იმ ქვეყნიდან, და შევიყვანო კარგსა და ვრცელ ქვეყანაში, სადაც მოედინება რძე და თაფლი – ქანაანელთა, ხეთელთა, ამორეველთა, ფერიზელთა, ხიველთა, იებუსელთა ქვეყანაში.

⁹ისრაელიანთა კვნესამ უკვე მოაწია ჩემამდე, და ვიხილე კიდეც მათი ჩაგვრა, როგორ ჩაგრავენ მათ ეგვიპტელნი.

¹⁰ახლა კი წადი, მიგავლენ ფარაონთან, რომ გამოიყვანო ჩემი ხალხი, ისრაელიანები, ეგვიპტიდან.“

¹¹და უთხრა მოსემ ღმერთს: „მე ვინა ვარ, რომ წავიდე ფარაონთან და გამოვიყვანო ისრაელიანები ეგვიპტიდან?“

¹²და თქვა: „მე ვიქნები შენთან და ეს გექნება ნიშნად, რომ მე მიგავლინე: როცა გამოიყვან ამ ხალხს ეგვიპტიდან, ემსახურეთ ღმერთს ამ მთაზე.“



¹³და უთხრა მოსემ ღმერთს: „კარგი, მივედი ისრაელის ძეებთან და ვუთხარი: თქვენი მამების ღმერთმა მომავლინა-მეთქი თქვენთან. და მკითხეს, რა არის მისი სახელიო, რა ვუთხრა მათ?“

¹⁴და უთხრა ღმერთმა მოსეს: „მე ვარ, რომელიც ვარ.“ და თქვა: „ასე უთხარი ისრაელის ძეთ – ‘მე ვარ’ მგზავნის-თქო თქვენთან.“

¹⁵კვლავ უთხრა ღმერთმა მოსეს: „ასე უთხარი ისრაელის ძეთ: ‘უფალმა, თქვენი მამების ღმერთმა, აბრაამის ღმერთმა, ისაკის ღმერთმა და იაკობის ღმერთმა მომავლინა თქვენთან.’ ეს არის ჩემი სახელი უკუნითი უკუნისამდე და ეს არის ჩემი სახსენებელი თაობიდან თაობამდე.

¹⁶წადი და შეკრიბე ისრაელის უზუცესები და უთხარი მათ: ‘უფალი, თქვენი მამების ღმერთი, გამომეცხადა; ღმერთი აბრაამისა, ისაკისა და იაკობისა და მითხრა: მოგხედეთ თქვენ და დავინახე, რა ხდება თქვენს თავს ეგვიპტეში.

¹⁷და ვთქვი: წაგიყვანთ ეგვიპტის სატანჯველიდან ქანაანელთა, ხეთელთა, ამორეველთა, ფერიზელთა, ხიველთა და იებუსელთა ქვეყანაში, ქვეყანაში, სადაც მოედინება რძე და თაფლი.’

¹⁸მოისმენენ შენს სიტყვას, და მიხვალ ისრაელის უზუცესებითურთ ეგვიპტის მეფესთან, და ეტყვი: ‘უფალი, ებრაელთა ღმერთი გამოგვეცხადა ჩვენ. გაგვიშვი უდაბნოში სამი დღის სავალზე და მსხვერპლს შევწირავთ უფალს, ჩვენს ღმერთს.’

¹⁹ვიცი, არ გაგიშვებთ ეგვიპტის მეფე, თუ ძლიერმა ხელმა არ აიძულა.

²⁰და გავიწვდი ხელს, და ვგვემ ეგვიპტეს ყოველი ჩემი სასწაულით, რომელთაც მოვახდენ იქ. მხოლოდ ამის შემდეგ გაგიშვებთ იგი.

²¹მადლს ვაპოვნინებ ეგვიპტელთა თვალში ამ ხალხს და როცა წახვალთ, ხელცარიელნი არ წახვალთ.

²²და ითხოვოს ყოველმა ქალმა თავისი მეზობლისა და თავისი ხიზანი ქალისაგან ვერცხლისა და ოქროს ნივთები, და სამოსელი. და შემოსეთ თქვენი ძენი და ასულნი, და გაძარცვეთ ეგვიპტელნი.“

გამოსვლა 4

¹და თქვა მოსემ: „არ დამიჯერებენ, არ მოისმენენ ჩემს სიტყვას. რომ მითხრან, არ გამოგცხადებიაო უფალი?“

²უთხრა უფალმა: „რა გიჭირავს ხელში?“ მიუგო: „კვერთხი.“

³და თქვა უფალმა: „დააგდე მიწაზე!“ და დააგდო ის მიწაზე და იქცა გველად, და გაერიდა მას მოსე.



⁴და უთხრა უფალმა მოსეს: „გაიწოდე ხელი და დაიჭირე იგი კუდიტ.“ მან გაიწოდა ხელი და დაიჭირა, და ისევ კვერთხად იქცა მის ხელში. –

⁵„ამით ირწმუნებენ, რომ გამოგეცხადა უფალი, მათი მამების ღმერთი, ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისაკისა და ღმერთი იაკობისა.“

⁶და კვლავ უთხრა მას უფალმა: „ჩაიყავი ხელი უბეში!“ და მან ჩაიყო ხელი უბეში და, როდესაც უკან ამოიღო, მისი ხელი თოვლივით თეთრი იყო კეთრისგან.

⁷და უთხრა მან: „ჩააბრუნე ხელი უბეში!“ და ჩააბრუნა ხელი უბეში. და უკან რომ ამოიღო ხელი უბიდან, თავისი ფერი დაბრუნებოდა ხორცს. –

⁸„თუ არ დაგიჯერეს და არ გერწმუნენ პირველ სასწაულზე, ამ მეორე სასწაულზე მაინც გერწმუნებიან.“

⁹თუ არ ერწმუნენ ამ ორ სასწაულს და არ გაიგონეს შენი სიტყვა, ამოიღე წყალი ნილოსიდან და დაღვარე მიწაზე. და ის წყალი სისხლად იქცევა მიწაზე.“

¹⁰და უთხრა მოსემ უფალს: „გევედრები, უფალო! მჭევრმეტყველი კაცი არ ვყოფილვარ არც გუშინ, არც გუშინწინ და არც მას მერე, რაც ლაპარაკი დამიწყე შენს მსახურს. ბაგემძიმე და ენამძიმე ვარ.“

¹¹და უთხრა უფალმა: „ვინ მისცა ბაგე კაცს, ვინ ბადებს მუნჯს ან ყრუს, ან თვალხილულს, ან ბრმას, თუ არა მე, უფალი?“

¹²ახლა წადი და მე ვიქნები შენთან და გასწავლი, რაც უნდა ილაპარაკო.“

¹³უთხრა მოსემ: „გევედრები, უფალო! სხვა ვინმე მიავლინე.“

¹⁴განურისხდა უფალი მოსეს და უთხრა: „განა შენი ძმა არ არის ლევიანი აარონი? მე ვიცი, რომ ლაპარაკით ის ილაპარაკებს, და აჰა, იგი გამოვა შენს შესახვედრად, და როცა დაგინახავს, გულით გაიხარებს.“

¹⁵შენ ილაპარაკებ მასთან და ეტყვი, რაც უნდა თქვას. და მე ვიქნები შენთან და მასთან, და გასწავლით, რაც უნდა გააკეთოთ.

¹⁶და ილაპარაკებს ის ხალხთან შენს ნაცვლად. და ის იქნება შენთვის ბაგე, და შენ იქნები მისთვის ღმერთი.

¹⁷და ეგ კვერთხი ხელში გეჭიროს, რომლითაც სასწაულებს მოახდენ.“

¹⁸და წავიდა მოსე და დაბრუნდა ითროსთან, თავის სიმამრთან, და უთხრა: „წავალ, დავბრუნდები ჩემს ძმებთან ეგვიპტეში, ვნახავ, ცოცხლები არიან, თუ არა.“ და უთხრა ითრომ მოსეს: „მშვიდობით გევლოს.“



¹⁹და უთხრა უფალმა მოსეს მიდიანში: „წადი, დაბრუნდი ეგვიპტეში, რადგან ყველანი დაიხოცნენ, ვინც შენს სიკვდილს ლამობდა.“

²⁰და ადგა მოსე, შესხა თავისი ცოლ-შვილი სახედარზე და წავიდა ეგვიპტის ქვეყანაში. და ეჭირა მოსეს ღვთის კვერთხი ხელში.

²¹და უთხრა უფალმა მოსეს: „იცოდე, როცა დაბრუნდები ეგვიპტეში, ფარაონის წინაშე მოახდენ ყველა სასწაულს, რომელიც ხელთ მოგეცი. მე გავამძვინვარებ მის გულს, და არ გაუშვებს ის ხალხს.

²²და უთხარი ფარაონს, ასე ამბობს-თქო უფალი: ‘ჩემი პირმშო ძეა ისრაელი.

²³და მე გითხარი, გაუშვი-მეთქი ჩემი ძე, რომ მემსახუროს. და თუ არ გაუშვებს, აჰა, მე მოვკლავ შენს შვილს, შენს პირმშოს!’“

²⁴გზაში, ღამისსათევში, დახვდა მოსეს უფალი და მოკვლა დაუპირა.

²⁵და აიღო ციფორამ კაჟი და ჩუჩა დაუცვითა შვილს და შეახო მოსეს ფეხთ, და თქვა: „სისხლის სიძე ხარ ჩემი.“

²⁶და მოცილდა უფალი მას, და მაშინ ციფორამ თქვა: „სისხლის სიძე წინადაცვეთის გამო.“

²⁷და უთხრა უფალმა აარონს: „წადი, შეეგებე მოსეს უდაბნოში.“ წავიდა და შეხვდა მას ღვთის მთასთან, და აკოცა.

²⁸და მოუთხრო მოსემ აარონს ყოველი სიტყვა უფლისა, რომელმაც იგი მოავლინა, და ყოველი სასწაული, რომლის აღსრულებაც უბრძანა.

²⁹და წავიდნენ მოსე და აარონი და შეკრიბეს ისრაელის ძეთა ყველა უხუცესი.

³⁰და მოუთხრო აარონმა ყოველი სიტყვა, რომელიც უთხრა უფალმა მოსეს, და მოახდინა მოსემ სასწაულები ხალხის თვალწინ.

³¹და ირწმუნა ხალხმა. და გაიგეს, რომ მოხედა უფალმა ისრაელის ძეთ და დაინახა მათი ტანჯვა. მუხლი მოიყარეს მათ და თაყვანი სცეს.

გამოსვლა 5

¹მერე მივიდნენ მოსე და აარონი და უთხრეს ფარაონს: „ასე თქვა უფალმა, ისრაელის ღმერთმა: გაუშვი ჩემი ხალხი, რათა დღესასწაული გამიმართონო უდაბნოში.“

²და თქვა ფარაონმა: „ვინ არის უფალი, რომ ვისმინო მისი და გავუშვა ისრაელი? არც უფალი ვიცი და არც ისრაელს გავუშვებ!“



³და უთხრეს: „ებრაელთა ღმერთი გამოგვეცხადა ჩვენ. გაგვიშვი უდაბნოში სამი დღის სავალზე და მსხვერპლს შევწირავთ უფალს, ჩვენს ღმერთს, თორემ გაგვწყვეტს ჭირით ან მახვილით.“

⁴და უთხრა მათ ეგვიპტის მეფემ: „მოსე და აარონ! რად აცდენთ ხალხს თავიანთ საქმეს? გასწით თქვენს სამუშაოზე.“

⁵და კვლავ თქვა ფარაონმა: „ბევრნი არიან ახლა ამ მიწის ხალხი და თქვენ აცდენთ მათ სამუშაოებისაგან.“

⁶და უბრძანა ფარაონმა იმავე დღეს აღმასრულებლებს და ხალხის ზედამხედველებს ასე:

⁷„ამიერიდან ნულარ მისცემთ ხალხს ბზეს აგურის საკეთებლად, როგორც გუშინ და გუშინწინ აძლევდით; წავიდნენ და თავად მოაგროვონ ბზე.“

⁸ხოლო აგურების რაოდენობა, რამდენსაც გუშინ და გუშინწინ აკეთებდნენ, იმდენივე დაუწესეთ, არ შეუმციროთ. თორემ მთლად გაზარმაცდნენ; დგანან და ყვირიან: წავალთ, ჩვენს ღმერთს მსხვერპლს შევწირავთო!”

⁹დაუმძიმდეს შრომა მაგ ხალხს, საზრუნავი გაუჩნდეს, რომ ვეღარ მიუგდოს ყურს ცდუნების სიტყვებს.

¹⁰და გამოვიდნენ ხალხზე დაყენებული აღმსრულებელნი და ზედამხედველნი, და გამოუცხადეს ხალხს: „ასე თქვა ფარაონმა, აღარ მოგცემთო ბზეს.“

¹¹წადით, მოაგროვეთ ბზე, სადაც იპოვით, რადგან თქვენს სამუშაოს არაფერი მოაკლდება.“

¹²და მოედო ხალხი ეგვიპტის მთელ ქვეყანას, რომ ბზის სანაცვლოდ ნამჯა შეეგროვებინათ.

¹³აღმსრულებელნი აჩქარებდნენ და ეუბნებოდნენ: „ყოველდღიურად ისევე შეასრულეთ თქვენი სამუშაო, როგორც მაშინ, როცა ბზე გეძლეოდათ.“

¹⁴და სცემდნენ ისრაელიან ზედამხედველებს, რომელნიც დაუდგინეს ხალხს ფარაონის აღმსრულებლებმა, და ეუბნებოდნენ: „რატომ არ მოჭერთ დაწესებული რაოდენობის აგური არც გუშინ და არც დღეს, რამდენსაც ადრე ჭრიდით?“

¹⁵და მივიდნენ ისრაელიანი ზედამხედველნი და შეჰღაღადეს ფარაონს: „რად ექცევი ასე შენს მსახურებს?“

¹⁶ბზე აღარ ეძლევათ შენს მსახურებს, აგურის მოჭრას კი სთხოვ. და, აჰა, სცემენ შენს მსახურებს. შენს ხალხზეა ცოდვა.“



¹⁷და თქვა ფარაონმა: „უქნარები ხართ თქვენ, უქნარები! ამიტომ ამბობთ: წავალთ და მსხვერპლს შევწირავთო უფალს.“

¹⁸ახლა კი გასწით და იმუშავეთ! ბზე არ მოგეცემათ, აგურის დაწესებული რაოდენობა კი უნდა ჩაგვაბაროთ!“

¹⁹დაინახეს ისრაელიანმა ზედამხედველებმა, რომ გასაჭირში არიან, რადგან ებრძანათ, რომ არაფერი დააკლოთო ყოველდღიურად მოსაჭრელი აგურის რაოდენობასო.

²⁰და როცა ფარაონისგან გამოვიდნენ, შეეყარნენ მოსეს და აარონს, რომლებიც მათ შესახვედრად იდგნენ.

²¹უთხრეს მათ: „უფალმა გიხილოთ და განგსაჯოთ, რომ შეაძულეთ ჩვენი თავი ფარაონს და მის მსახურებს და ჩვენს დასახოცად მახვილი მიეცით ხელში.“

²²მიუბრუნდა მოსე უფალს და თქვა: „უფალო, რად უყავი ბოროტი ამ ხალხს? რად გამომაგზავნე მე?“

²³მას აქეთ, რაც მე ფარაონთან მივედი, რომ შენი სახელით მელაპარაკა, გაუბოროტდა იგი ამ ხალხს, შენ კი არ იხსენი შენი ხალხი.“

გამოსვლა 6

¹უთხრა უფალმა მოსეს: „ახლა იხილავ, რასაც დავმართებ ფარაონს, რადგან მაგარი ხელი აიძულებს მას გაუშვას ებრაელები და მაგარი ხელი აიძულებს მას გაყაროს ისინი თავისი ქვეყნიდან.“

²და ელაპარაკა ღმერთი მოსეს და უთხრა: „მე ვარ უფალი!“

³მე გამოვეცხადე აბრაამს, ისააკს და იაკობს ყოვლადღლიერ ღმერთად, ხოლო ჩემი სახელი – უფალი – არ გამიმხელია მათთვის.

⁴და დავუდე აღთქმა, რომ მივცემდი მათ ქანაანის ქვეყანას, სადაც ხიზნობდნენ ისინი.

⁵და მე ვისმინე კვნესა ისრაელიანთა, რომელნიც ეგვიპტელებს მონობაში ჰყავთ, და გავიხსენე ჩემი აღთქმა.

⁶ამიტომ ამცნე ისრაელიანთ: მე ვარ უფალი, მე გამოგიხსნით ეგვიპტელთა ულლიდან, და გაგათავისუფლებთ მათი მონობისგან. მე გიხსნით მოღერებული მკლავით და დიდი სასჯელების ძალით.

⁷მიგიღებთ ჩემს ხალხად და მე ვიქნები თქვენი ღმერთი, და გაიგებთ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, თქვენი დამხსნელი ეგვიპტის ულლიდან.



⁸მე მიგიყვანთ ქვეყანაში, რომელიც ფიცით აღვუთქვი აბრაამს, ისააკს და იაკობს. და ახლა თქვენ გაძლევთ მას დასამკვიდრებლად. მე ვარ უფალი.“

⁹ასე ელაპარაკა მოსე ისრაელის ძეთ, მაგრამ მათ არ მოუსმინეს სულმოკლეობისა და მძიმე მონობის გამო.

¹⁰და უთხრა უფალმა მოსეს:

¹¹„მიდი, ელაპარაკე ფარაონს, ეგვიპტის მეფეს, რომ გაუშვას ისრაელიანები თავისი ქვეყნიდან.“

¹²ხოლო მოსემ უპასუხა უფალს: „აჰა, მე ისრაელის ძეთ არ მომისმინეს და რას მომისმენს მე ფარაონი, მე ხომ ენაბრგვილი ვარ?“

¹³და ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს და უბრძანა მათ ისრაელიანთათვის და ფარაონისათვის, ეგვიპტის მეფისათვის, რომ გაეშვა ისრაელიანები ეგვიპტის ქვეყნიდან.

¹⁴ესენი არიან მთავრები თავ-თავიანთი მამის სახლებისა: ძენი რეუბენისა, ისრაელის პირმშოსი: ენოქი და ფალუ, ხეცრონი და ქარმი. ესაა რეუბენის საგვარეულო.

¹⁵ძენი სიმეონისა: იემუელი, იამინი, ოჰადი, იაქინი, ცოხარი, და შაული, ძე ქანაანელი ქალისა. ესაა სიმეონის საგვარეულო.

¹⁶ესენია ლევის ძეთა სახელები თაობების მიხედვით: გერშონი, კოჰათი და მერარი. იცოცხლა ლევიმ 137 წელი.

¹⁷ძენი გერშონისა: ლიბნი და შიმეყი, თავ-თავიანთი საგვარეულოებით.

¹⁸ძენი კოჰათისა: ყამრამი, იცჰარი, ხებრონი და ყუზიელი. და იცოცხლა კოჰათმა 133 წელი.

¹⁹ძენი მერარისა: მახლი და მუში. ესენია საგვარეულოები ლევისა მათი თაობების მიხედვით.

²⁰მოიყვანა ყამრამმა ცოლად იოქებედი, თავისი მამიდა. და მან უშვა აარონი და მოსე. და იცოცხლა ყამრამმა 137 წელი.

²¹ძენი იცჰარისა: კორახი, ნეფეგი და ზიქრი.

²²ძენი ყუზიელისა: მიშაელი, ელცაფანი და სითრი.

²³მოიყვანა აარონმა ცოლად ელიშებაყი, ასული ყამინადაბისა, ნახშონის და; და მან უშვა მას ნადაბი, აბიჰუ, ელეაზარი და ითამარი.

²⁴ძენი კორახისა: ასირი, ელკანა და აბიასაფი. ესენია კორახის საგვარეულოები.



²⁵ელეაზარმა, აარონის ძემ, ცოლად მოიყვანა ფუტიელის ასულთაგანი და მან უშვა მას ფინეხასი. ესენია ლევიათა მთავრები თავ-თავიანთი საგვარეულოებით.

²⁶ეს ის აარონი და მოსეა, რომელთაც უთხრა უფალმა: „გაიყვანეთ ისრაელიანები ეგვიპტის ქვეყნიდან მწყობრად.“

²⁷ესენი ელაპარაკებოდნენ ფარაონს, ეგვიპტის მეფეს, რომ გაეყვანათ ისრაელიანები ეგვიპტიდან, – ესენი იყვნენ მოსე და აარონი.

²⁸იმ დღეს, როცა უფალი ელაპარაკებოდა მოსეს ეგვიპტის ქვეყანაში,

²⁹უთხრა მას: „მე ვარ უფალი! უთხარი ფარაონს, ეგვიპტის მეფეს, ყველაფერი, რასაც მე გეუბნები.“

³⁰და თქვა მოსემ უფლის წინაშე: „აჰა, მე ენაბრგვილი ვარ, და როგორ მომისმენს მე ფარაონი?“

გამოსვლა 7

¹უთხრა უფალმა მოსეს: „იცოდე, ღმერთად დაგადგინე ფარაონზე და აარონი, შენი ძმა, შენი წინასწარმეტყველი იქნება.

²შენ იტყვი ყოველივეს, რასაც მე გიბრძანებ, და აარონი, შენი ძმა, ილაპარაკებს ფარაონთან, რათა გაუშვას ისრაელიანები თავისი ქვეყნიდან.

³და მე გულის გავუსასტიკებ ფარაონს და გავამრავლებ ჩემს ნიშნებსა და სასწაულებს ეგვიპტის ქვეყანაში.

⁴არ მოგისმენთ თქვენ ფარაონი და ნახავს ეგვიპტე ჩემი ხელის ძალას, და დიდი სასჯელებით გამოვიყვან ჩემს ლაშქარს, ჩემს ხალხს, ისრაელიანთ, ეგვიპტის ქვეყნიდან.

⁵და შეიტყობენ ეგვიპტელები, რომ მე ვარ უფალი, როცა მოვუღერებ ხელს ეგვიპტეს და გამოვიყვან მათგან ისრაელიანთ.“

⁶ასეც მოიქცნენ მოსე და აარონი. როგორც ნაბრძანები ჰქონდა მათთვის უფალს, ისე მოიქცნენ.

⁷მოსე იყო 80 წლისა, ხოლო აარონი 83 წლისა, როცა ფარაონს ელაპარაკნენ.

⁸და უთხრა უფალმა მოსეს და აარონს:

⁹„თუ გეტყვით ფარაონი, სასწაული მოახდინეთო, მაშინ უთხარი აარონს, აიღოს თავისი კვერთხი და დააგდოს ფარაონის წინაშე. და გველად იქცევა კვერთხი.“



¹⁰და მივიდნენ მოსე და აარონი ფარაონთან და მოიქცნენ ისე, როგორც უფალმა ბრძანა. და დააგდო აარონმა თავისი კვერთხი ფარაონისა და მისი მსახურების წინაშე, და იქცა იგი გველად.

¹¹და უხმო ფარაონმა თავის ბრძენკაცებსა და მისნებს და გააკეთეს მათაც, ეგვიპტელმა გრძნეულებმა, იგივე თავიანთი ჯადოსნობით.

¹²დააგდო თითოეულმა თავისი კვერთხი, და იქცნენ ისინი გველებად. და შთანთქა აარონის კვერთხმა მათი კვერთხები.

¹³გაუსასტიკდა გული ფარაონს და არ მოუსმინა მათ, როგორც ნათქვამი ჰქონდა უფალს.

¹⁴და უთხრა უფალმა მოსეს: „გული გაუქვავდა ფარაონს, უარზეა გაუშვას ხალხი.

¹⁵წადი ფარაონთან დილით. აჰა, გამოვა წყალთან და შენც დახვდი მდინარის პირას და კვერთხი, გველად რომ იქცა, ხელში გეჭიროს.

¹⁶და უთხარი მას: უფალმა, ებრაელთა ღმერთმა, მომავლინა შენთან ამის სათქმელად: ‘გაუშვი ჩემი ხალხი, რომ მემსახურონ უდაბნოში.’ და აჰა, არ ისმინე აქამდე.

¹⁷და ასე თქვა უფალმა: ‘ამით შეიტყობ, რომ მე ვარ უფალი: აჰა, კვერთხს, ხელში რომ მიჭირავს, დავკრავ მდინარის წყალს, და იქცევა სისხლად.

¹⁸გაწყდება თევზი მდინარეში, აყროლდება მდინარე და ველარ დალევენ ეგვიპტელნი იმ წყალს.’“

¹⁹და უთხრა უფალმა მოსეს: „ასე უთხარი აარონს, აიღე-თქო შენი კვერთხი და მოუღერე ხელი ეგვიპტის წყალს, მდინარეებს და ნაკადულებს, და ჭაობებს და წყალთა ყოველ შესაკრებელს, და იქცევიან სისხლად, და სისხლი ჩადგება-თქო მთელი ეგვიპტის ქვეყანაში, თვით ხისა თუ ქვის ჭურჭელში.“

²⁰და ისე მოიქცნენ მოსე და აარონი, როგორც უფალმა ბრძანა. და აღმართა მან კვერთხი, და დასცა მდინარის წყალს ფარაონისა და მის მსახურთა თვალწინ, და იქცა სისხლად მდინარის მთელი წყალი.

²¹და თევზი მდინარისა გაწყდა და აყროლდა მდინარე, და ველარ სვამდნენ ეგვიპტელნი მის წყალს. და დაგუბდა სისხლი ეგვიპტის მთელ ქვეყანაში.

²²და იგივე გააკეთეს ეგვიპტის გრძნეულებმა თავიანთი ჯადოქრობით. და გაუსასტიკდა გული ფარაონს და არ უსმინა მოსეს და აარონს, როგორც ნათქვამი ჰქონდა უფალს.

²³გატრიალდა ფარაონი და წავიდა სახლში. არც ამას შეუძრავს მისი გული.



²⁴და თხრიდნენ ეგვიპტელნი მდინარის გაყოლებაზე ჭებს, რომ ეპოვათ სასმელი წყალი, რადგან ველარ სვამდნენ მდინარის წყალს.

²⁵და შესრულდა შვიდი დღე მას მერე, რაც უფალმა მდინარეს დაჰკრა.

გამოსვლა 8

¹და უთხრა უფალმა მოსეს: „მიდი ფარაონთან და უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი: ‘გაუშვი ჩემი ხალხი, რათა მემსახურონ!’

²და თუ უარს იტყვი გაშვებაზე, მაშინ მე მოვწყლავ მთელ შენს ქვეყანას ბაყაყებით.

³და გაივსება მდინარე ბაყაყებით, და ამოვლენ და შეესევინან შენს სახლს, შენს საწოლს ოთახს, შენს სარეცელს, შენს მსახურთა და შენი ხალხის სახლებს, შენს თონეებს და შენს ვარცლებს.

⁴და თვით შენ, შენს ხალხს და ყველა შენს მსახურს დაეხვევა ბაყაყი.”

⁵და უთხრა უფალმა მოსეს: „უთხარი აარონს: ‘მოუღერე შენი კვერთხი მდინარეებს, ნაკადულებს და ტბებს, და ამოიყვანე ბაყაყები ეგვიპტის მთელ ქვეყანაზე.’“

⁶და მოუღერა ხელი აარონმა ეგვიპტის წყლებს და ამოვიდნენ ბაყაყები და დაფარეს ეგვიპტის ქვეყანა.

⁷და გააკეთეს იგივე გრძნეულებმა თავიანთი ჯადოქრობით. და ამოიყვანეს ბაყაყები ეგვიპტის ქვეყანაზე.

⁸მოუხმო ფარაონმა მოსეს და აარონს და უთხრა: „შეევედრეთ უფალს, რათა მოგვაშოროს ბაყაყი მე და ჩემს ხალხს, და გავუშვებ ამ ხალხს, რომ შესწირონ მსხვერპლი უფალს.“

⁹და უთხრა მოსემ ფარაონს: „მიბრძანე, როდის ვილოცო შენთვის, შენს მსახურთათვის და შენი ხალხისათვის, რომ მოგაშოროთ ბაყაყი შენ და შენს სახლებს, და მხოლოდ მდინარეში დატოვოს?“

¹⁰და თქვა: „ხვალ.“ მოსემ უპასუხა: „იყოს შენი სიტყვისამებრ, რათა გაიგო, რომ არ არსებობს მსგავსი ჩვენი უფალი ღმერთისა.

¹¹და მოგშორდებათ ბაყაყი შენ და შენს სახლებს, შენს მსახურთა და შენს ხალხს. მხოლოდ მდინარეში დარჩებიან.”

¹²გამოვიდნენ მოსე და აარონი ფარაონისგან. და შეჰღაღადა მოსემ უფალს ბაყაყთა გამო, ფარაონს რომ მიუსია.



¹³და გააკეთა უფალმა მოსეს სიტყვისამებრ. და დაიხოცა ბაყაყი სახლებში, ეზოებსა და მინდვრებში.

¹⁴და დაახვავეს ისინი გროვებად და ამყრალდა ქვეყანა.

¹⁵და იხილა ფარაონმა, რომ მოხდა შემსუბუქება, და გაისასტიკა გული და არ ისმინა მათი, როგორც ნათქვამი ჰქონდა უფალს.

¹⁶და უთხრა უფალმა მოსეს: „უთხარი აარონს, მოიღეროს თავისი კვერთხი და დაჰკრას მიწის მტვერს, და გადაიქცევა მტვერი მუშლად მოედება მთელს ეგვიპტეს.“

¹⁷ასეც გააკეთეს: და მოიღერა აარონმა კვერთხი და დაჰკრა მიწის მტვერს, და მოედო მუშლი კაცსა და პირუტყვს. მიწის მთელი მტვერი მუშლად იქცა ეგვიპტის მთელ ქვეყანაზე.

¹⁸იგივეს გაკეთება სცადეს გრძნეულებმა თავიანთი ჯადოქრობით, რათა გამოეყვანათ მუშლი, მაგრამ ვერ შეძლეს. და ეხვია მუშლი კაცსა და პირუტყვს.

¹⁹და უთხრეს გრძნეულებმა ფარაონს: „ღვთის ხელია ეს!“ და გაისასტიკა გული ფარაონმა, და არ ისმინა მათი, როგორც ნათქვამი ჰქონდა უფალს.

²⁰და უთხრა უფალმა მოსეს: „ადექი დილაადრიან და წარუდექი ფარაონს. და როცა გამოვა წყალთან, უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი: ‘გაუშვი ჩემი ხალხი, რათა მემსახურონ.’“

²¹თუ არ გაუშვებ ჩემს ხალხს, მოგისევთ შენ და შენს მსახურებს, შენს ხალხს, შენს სახლებს ბუზანკალს და აივსება ბუზანკალით ეგვიპტელთა სახლები და ის მიწაც, სადაც ისინი არიან.

²²გამოვარჩევ იმ დღეს გომენის მხარეს, სადაც დგას ჩემი ხალხი, რომ არ იყოს იქ ბუზანკალი, რათა იცოდე, რომ ქვეყნის შუაგულში ვარ მე, უფალი.

²³გავარჩევ ერთმანეთისგან ჩემს ხალხს და შენს ხალხს. ეს ნიშანი ხვალ გამოჩნდება.”

²⁴გააკეთა უფალმა, როგორც თქვა, და შეესია დიდძალი ბუზანკალი ფარაონის სახლს და მის მსახურთა სახლებს, და ეგვიპტის მთელ ქვეყანას. მოსრა ქვეყანა ბუზანკალმა.

²⁵და მოუხმო ფარაონმა მოსეს და აარონს, და უთხრა: „წადით, შესწირეთ მსხვერპლი თქვენს ღმერთს ამ ქვეყანაში.“

²⁶და თქვა მოსემ: „არ ეგების ამის გაკეთება, რადგან სისამაგლეა ეგვიპტელთათვის ჩვენი მსხვერპლშეწირვა უფლის, ჩვენი ღმერთისადმი. მსხვერპლს რომ შევწირავთ მათ თვალწინ. განა არ ჩაგვქოლავენ?



²⁷სამი დღის სავალზე წავალთ უდაბნოში და შევწირავთ მსხვერპლს უფალს, ჩვენს ღმერთს, როგორც ის გვიბრძანებს.“

²⁸და თქვა ფარაონმა: „გაგიშვებთ და შესწირეთ მსხვერპლი უფალს, თქვენს ღმერთს, უდაბნოში. ოღონდ შორს ნუ წახვალთ. შეევედრეთ ჩემთვის!“

²⁹თქვა მოსემ: „აჰა, მე გავდივარ შენგან და შევევედრები უფალს, რათა განშორდეს ბუზანკალი ფარაონს, მის მსახურებს და მის ხალხს ხვალვე. ოღონდ ნუღარ მოიტყუება ფარაონი და გაუშვას ხალხი უფლისათვის მსხვერპლის შესაწირად.“

³⁰გამოვიდა მოსე ფარაონისგან, და შეევედრა უფალს.

³¹და გააკეთა უფალმა მოსეს სიტყვისამებრ, და მოაშორა ბუზანკალი ფარაონს, მის მსახურთ და მის ხალხს. ერთიც არ დარჩენილა.

³²მაგრამ ამჯერადაც გაიქცავა ფარაონმა გული და არ გაუშვა ხალხი.

გამოსვლა 9

¹და უთხრა უფალმა მოსეს: „მიდი ფარაონთან და უთხარი, ასე თქვა-თქო უფალმა, ებრაელთა ღმერთმა: ‘გაუშვი ჩემი ხალხი, რათა მემსახუროს.

²თუ უარს იტყვი გაშვებაზე და კვლავ დააკავებ,

³აჰა, უფლის ხელი იქნება შენს საქონელზე, მინდვრად რომ გყავს – ცხენებზე, ვირებზე, აქლემებზე, ძროხაზე, ცხვარზე და თხებზე – გაჩნდება ძალზე მძიმე ჭირი.

⁴განარჩევს უფალი ისრაელიანთა საქონელს და ეგვიპტელთა საქონელს ერთმანეთისგან და არაფერი დაეხოცებათ ისრაელიანთ.“

⁵და დანიშნა უფალმა ჟამი და თქვა: „ხვალ აღასრულებს ამ საქმეს უფალი ქვეყანაში.“

⁶და აღასრულა უფალმა ეს საქმე მეორე დღეს და გაწყდა ეგვიპტელთა საქონელი, ხოლო ისრაელიანთა საქონელს არც ერთი სული არ დაჰკლებია.

⁷გაგზავნა ფარაონმა შესატყობად და აჰა, არც ერთი სული არ იყო დაღუპული ისრაელის საქონელიდან. გაქვავდა ფარაონის გული და არ გაუშვა ხალხი.

⁸და უთხრა უფალმა მოსეს და აარონს: „აიღეთ სავსე პეშვი ქურის ნაცარი და ცისკენ ააფრქვიოს მოსემ ფარაონის თვალწინ.

⁹და მტვრად მოეფინება იგი მთელს ეგვიპტის ქვეყანას, და გამოაყრის კაცსა და პირუტყვს ჩირქოვანი მუწუკი ეგვიპტის მთელ ქვეყანაზე.“



- ¹⁰და აიღეს ქურის ნაცარი და წარდგნენ ფარაონის წინაშე და ააფრქვია ის მოსემ ზეცისკენ და გამოაყარა ჩირქოვანი მუწუკი კაცსა და პირუტყვს.
- ¹¹და ვერ შეძლეს გრძნეულებმა დგომა მოსეს წინაშე გამონაყარის გამო, რადგან გამონაყარი ჰქონდა მათაც და ყოველ ეგვიპტელს.
- ¹²და გაუსასტიკა უფალმა გული ფარაონს, და არ ისმინა მათი, როგორც ნათქვამი ჰქონდა უფალს მოსესთვის.
- ¹³და უთხრა უფალმა მოსეს: „ადექი დილაადრიაანად, წარუდექი ფარაონს და უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი, ებრაელთა ღმერთი: ‘გაუშვი ჩემი ხალხი, რათა მემსახუროს.
- ¹⁴თორემ ამჯერად ყოველგვარ სენს შევყრი შენს გულს, შენს მსახურებს და შენს ხალხს, რათა იცოდეთ, რომ არავინ არის ჩემი სწორი მთელს ქვეყანაზე,
- ¹⁵რადგან, ახლა რომ მომედერებინა ჩემი ხელი, ხომ მოგსრავდით შენ და შენს ხალხს შავი ჭირით, და წარიხოცებოდით ამ ქვეყნიდან,
- ¹⁶მაგრამ იმისათვის დაგარჩინე, რომ გაჩვენო ჩემი ძალა, რომ ემცნოს ჩემი სახელი მთელ ქვეყანას.
- ¹⁷აქამდე აბუჩად იგდებ ჩემს ერს და არ უშვებ მათ.
- ¹⁸აჰა, დავუშენ ხვალ ამ დროს ძალზე ძლიერ სეტყვას, რომლის მსგავსიც არ ყოფილა ეგვიპტეში აქამდე დღიდან მისი დაფუძნებისა.’“
- ¹⁹ახლა კი გაგზავნე და შეკრიბე შენი ჯოგი და ყველაფერი, რაც მინდვრადა გყავს. ყოველი ადამიანი და პირუტყვი, რომელიც გარეთ დარჩება და ჭერს არ შეეფარება, დაისეტყვება და მოისპობა.
- ²⁰და ვინც შეუშინდა უფლის სიტყვას ფარაონის მსახურთაგან, ჭერქვეშ შეაფარა თავისი მსახურები და პირუტყვი;
- ²¹ხოლო ვინც არად ჩააგდო უფლის სიტყვა, მინდორში დატოვა თავისი მსახურები და საქონელი.
- ²²და უთხრა უფალმა მოსეს: „ცისკენ მიაღერე ხელი და დაისეტყვება მთელი ეგვიპტე – ადამიანები, პირუტყვი და ბალახი ველისა ეგვიპტის ქვეყანაში.“
- ²³და მიაღერა მოსემ ცისკენ თავისი კვერთხი და გამოსცა უფალმა გრგვინვა და სეტყვა, და წამოვიდა ცეცხლი ქვეყანაზე და დასეტყვა უფალმა ეგვიპტის ქვეყანა.
- ²⁴მოდოდა სეტყვა და ცეცხლი გიზგიზებდა მასში, ძალზე ძლიერი იყო სეტყვა, მისი მსგავსი არ ყოფილა ეგვიპტელთა მთელ ქვეყანაში, იმ დღიდან, რაც იქ ხალხი დასახლდა.



²⁵და გაანადგურა სეტყვამ ეგვიპტის მთელ ქვეყანაზე ყველაფერი, რაც კი გარეთ დარჩა, ადამიანიდან პირუტყვამდე. ბალახი ველისა გაანადგურა სეტყვამ, და ყოველი ხეც ველისა დაღეწა.

²⁶მხოლოდ გომენის ქვეყანა, სადაც ისრაელიანები იყვნენ, არ დაისეტყვა.

²⁷და გაგზავნა ფარაონმა და უხმო მოსეს და აარონს, და უთხრა: „შევცდი ამჯერად. უფალი მართალია, მე და ჩემი ხალხი კი – დამნაშავენი.

²⁸შევედრეთ უფალს და დაცხრეს ღვთის გრგვინვა და სეტყვა, და გაგიშვებთ, მეტს აღარ დაგაყოვნებთ.“

²⁹უთხრა მას მოსემ: „ქალაქიდან გასვლისას გავიწვდი ხელებს უფლისაკენ, გრგვინვა დაცხრება და სეტყვა აღარ იქნება, რათა გაიგო, რომ უფლისაა ქვეყანა.

³⁰მაგრამ შენ და შენს მსახურებს, ვიცი, ჯერაც არ შეგეშინდებათ უფალი ღმერთისა.“

³¹სელი და ქერი განადგურდა, რადგან ქერი ამოთავთავებული იყო, სელი კი ყვაოდა.

³²ხოლო ხორბალი და ასლი არ განადგურდა, რადგან გვიანებია ისინი.

³³და გავიდა მოსე ფარაონისგან ქალაქგარეთ, და გაიწოდა ხელები უფლისაკენ. გრგვინვა და სეტყვა შეწყდა და წვიმა აღარ იღვრებოდა მიწაზე.

³⁴და დაინახა ფარაონმა, რომ შეწყდა წვიმა და სეტყვა, და გრგვინვა, და კვლავ შესცოდა. და გაიქვავეს გული მან და მისმა მსახურებმა.

³⁵გასასტიკდა გული ფარაონისა და არ გაუშვა ისრაელიანები, როგორც ნათქვამი ჰქონდა უფალს მოსეს პირით.

გამოსვლა 10

¹და უთხრა უფალმა მოსეს: „მიდი ფარაონთან, რადგან ეს მე ვიყავი, გული რომ გავუქვავე მას და მის მსახურებს, რათა გამოვაველინო ჩემი სასწაულები მათ შორის.

²რათა უამბო შენს შვილსა და შვილთაშვილს, როგორ გავუსწორდი ეგვიპტეს და რა სასწაულები მოვუვლინე მას, რათა იცოდეთ, რომ მე ვარ უფალი.“

³და მივიდნენ მოსე და აარონი ფარაონთან, და უთხრეს: „ასე თქვა უფალმა, ებრაელთა ღმერთმა: ‘როდემდის უნდა მეურჩებოდე? გაუშვი ჩემი ხალხი, რომ მემსახუროს.



⁴თუ კიდევ იურჩებ და არ გაუშვებ ჩემს ერს, აჰა, ხვალვე კალიას მივუსევ შენს მიწა-წყალს.

⁵დაფარავს იგი მიწისპირს და შეუძლებელი იქნება ხილვა მიწისა, და შეჭამს გადარჩენილ ნატამალს, რაც სეტყვას გადაგირჩა; გადაჭამს ყველა ხეს, ველად რომ ხარობს.

⁶აავსებენ შენს სახლებს და შენს მსახურთა და ყველა ეგვიპტელის სახლს, რაც არ უხილავთ შენს მამებს და შენს მამათა მამებს დღიდან ქვეყანაზე მათი მყოფობისა დღემდე.”“ გაბრუნდა მოსე და გამოვიდა ფარაონისგან.

⁷და უთხრეს ფარაონს მსახურებმა: „როდემდე იყოს იგი ჩვენთვის დაბრკოლებად? გაუშვი ეს ხალხი და ემსახურონ უფალს, თავიანთ ღმერთს. ნუთუ ჯერაც ვერ მიმხვდარხარ, რომ ილუპება ეგვიპტე?”

⁸დააბრუნეს მოსე და აარონი ფარაონთან და მან უთხრა მათ: „წადით, ემსახურეთ უფალს, თქვენს ღმერთს. ვინ და ვინ არიან გამსვლელნი?”

⁹და თქვა მოსემ: „ჩვენი ჭაბუკებითურთ და ჩვენი მოხუცებითურთ წავალთ, ჩვენი ძეებითურთ და ჩვენი ასულებითურთ, ჩვენი ცხვარ-ძროხიანად, რადგან უფლის დღესასწაული გვაქვს.“

¹⁰და უთხრა ფარაონმა მათ: „ისე უფალი იყოს თქვენთან, როგორც მე გაგიშვით თქვენი ბავშვებიანად. იცოდეთ, ბოროტს ეპირებით!

¹¹ასე არ იქნება! მამაკაცები წადით და თაყვანი ეცით უფალს, რაკი ამას ესწრაფით.“ და გაყარეს ისინი ფარაონისგან.

¹²და უთხრა უფალმა მოსეს: „მოუღერე ხელი ეგვიპტის ქვეყანას კალიის გამოსახმობად, რათა შეესიოს იგი ეგვიპტეს და გადაჭამოს ყოველი ბალახი მიწისა და ყოველივე, რაც სეტყვას გადაურჩა.“

¹³და მოუღერა კვერთხი მოსემ ეგვიპტის ქვეყანას და ადინა უფალმა აღმოსავლეთის ქარი ქვეყნად მთელს იმ დღესა და მთელ იმ ღამეს. დადგა დილა და აღმოსავლეთის ქარმა მოიყოლია კალია.

¹⁴შეესია უთვალავი კალია ეგვიპტის ქვეყანას და მოეფინა მის ყოველ კუთხეს. არც მანამდე ყოფილა ამდენი კალია და არც მერე იქნება.

¹⁵და დაფარა მთელი მიწის პირი და გადაშავდა მიწა, და გადაჭამა მან ქვეყნის მთელი ბალახი და ყოველი ნაყოფი ხისა, რომელიც სეტყვას გადაურჩა. და ეგვიპტის მთელ ქვეყანაზე არ შერჩენილა სიმწვანე ხეს და ველის ბალახს.

¹⁶სასწრაფოდ უხმო ფარაონმა მოსეს და აარონს, და უთხრა: „შევცოდე უფლის, თქვენი ღმერთის წინაშე და თქვენს წინაშე.



¹⁷ახლა ერთხელ კიდევ მომიტევეთ ჩემი ცოდვა და შეევედრეთ უფალს, თქვენს ღმერთს, რომ ამარიდოს ეს სიკვდილი.“

¹⁸და გამოვიდა იგი ფარაონისგან, და შეევედრა უფალს.

¹⁹და შეაქცია უფალმა დასავლეთის ძაღზე ძლიერი ქარი და წაიღო კალია და ჩაყარა მეწამულ ზღვაში. ერთი კალიაც არსად დარჩენილა ეგვიპტის მიწა-წყალზე.

²⁰და გაასასტიკა უფალმა ფარაონის გული, და არ გაუშვა ისრაელიანები.

²¹უთხრა უფალმა მოსეს: „მიაღერე ხელი ცისკენ, რომ სიბნელე დააწვეს ეგვიპტის ქვეყანას, უკუნი წყვდიადი.“

²²მიაღერა მოსემ ხელი ცისკენ და იყო უკუნი წყვდიადი მთელს ეგვიპტის ქვეყანაში სამ დღეს.

²³ვერ ხედავდნენ ერთმანეთს და არავინ დამრულა ადგილიდან სამ დღეს. ყოველ ისრაელის ძეს კი ჰქონდა სინათლე თავის სადგომში.

²⁴და მოიხმო ფარაონმა მოსე, და უთხრა: „წადით, ემსახურეთ უფალს, ოღონდ თქვენი ცხვარი და ძროხა დარჩეს, თქვენი ბავშვები კი გამოგყვნენ.“

²⁵და უთხრა მოსემ: „შენც უნდა მოგვცე ჩვენს ხელთ სამსხვერპლოები და სრულადდასაწველები, რათა მსხვერპლად შევწიროთ ჩვენს უფალ ღმერთს.“

²⁶ჩვენი ჯოგებიც უნდა წამოვიდეს ჩვენთან ერთად, ჩლიქიც არ უნდა დარჩეს, და მათგან გამოვარჩევთ იქ შესაწირავს ჩვენი უფალი ღმერთისათვის. ვიდრე იქ არ მივალთ, არ ვიცით, რით ვემსახუროთ უფალს.“

²⁷და გაასასტიკა უფალმა ფარაონის გული, და არ ინება მათი გამშვება.

²⁸და უთხრა მას ფარაონმა: „თავიდან მომწყდი და გაფრთხილდი, აღარ დამენახო, თორემ იმ დღესვე მოკვდები, რა დღესაც დამენახვები.“

²⁹და თქვა მოსემ: „სწორს ამბობ. მე აღარ დაგენახვები.“

გამოსვლა 11

¹და უთხრა უფალმა მოსეს: „კიდევ ერთ სასჯელს მოვუვლენ ფარაონს და ეგვიპტეს. ამის მერე გაგიშვებთ აქედან ფარაონი. არათუ გაგიშვებთ, საბოლოოდ გაგყრით.“

²დაარიგე ხალხი, რომ ინათხოვროს ყოველმა კაცმა თავისი მეზობელი კაცისაგან და ყოველმა ქალმა თავისი მეზობელი ქალისაგან ოქროსა და ვერცხლის ნივთები.“



³უფალმა კეთილად გამოაჩინა თავისი ხალხი ეგვიპტელთა თვალში. და მოსეც დიდ კაცად შეირაცხა ეგვიპტის ქვეყნად ფარაონის მსახურთა და ხალხის თვალში.

⁴და თქვა მოსემ: „ასე ამბობს უფალი: ‘შუადამისას მე გადავივლი მთელ ეგვიპტეს.

⁵და მოკვდება ყოველი პირმშო ვაჟი ეგვიპტის ქვეყანაში – ტახტზე მჯდომარე ფარაონის პირმშოდან პირმშომდე მხევლისა, ხელსაფქვავს რომ უზის; და ყოველი პირველმოგებული მამალი პირუტყვი.

⁶და ატყდება ეგვიპტის მთელ ქვეყანაზე დიდი გოდება, რომლის მსგავსი არც ყოფილა და არც აღარასდროს იქნება.

⁷მაგრამ ისრაელიანთ და მათ პირუტყვს ბეწვიც არ დააკლდება, რათა იცოდეთ, რომ ზღვარს დებს უფალი ეგვიპტელთა და ისრაელიანთა შორის.’“

⁸და უთხრა მოსემ ფარაონს: „მოვლენ ჩემთან შენი მსახურნი და თაყვანს მცემენ და იტყვიან: ‘გადით, შენ და მთელი შენს კვალზე მავალი ხალხი!’ და ამის შემდეგ გავალ.“ და გამოვიდა ფარაონისგან მოსე განრისხებული.

⁹და უთხრა უფალმა მოსეს: „არ მოგისმენთ თქვენ ფარაონი, რათა გავამრავლო ჩემი სასწაულები ეგვიპტის ქვეყანაში.“

¹⁰მოსემ და აარონმა მოახდინეს ყველა ეს სასწაული ფარაონის თვალწინ. და გაუსასტიკა უფალმა გული ფარაონს და არ გაუშვა ისრაელიანები თავის ქვეყნიდან.

გამოსვლა 12

¹და უთხრა უფალმა მოსეს და აარონს ეგვიპტის ქვეყანაში:

²ეს თვე იყოს თქვენთვის თვეთა დასაბამი. პირველი იყოს ის თქვენთვის წელიწადის თვეებში.

³უთხარით ისრაელის მთელ თემს ასე: ამ თვის მეათე დღეს აიყვანოს თითოეულმა თითო კრავი ოჯახზე, თითო კრავი სახლზე.

⁴და თუ სახლეულობა მცირეა და კრავს ვერ მოერევა შესაჭმელად, მაშინ მან და მისი კარის მეზობელმა სულადობისამებრ აიყვანონ. ვარაუდი იქონიეთ, ვის რამდენის შეჭმა შეუძლია.

⁵თქვენი კრავი მამალი უნდა იყოს და უხინჯო, წელგამოვლილი. კრავის ნაცვლად შეგიძლიათ თიკანი აიყვანოთ.



- ⁶და თქვენთან გყავდეთ ამ თვის მეთოთხმეტე დღემდე; და დაკლას ისრაელის თემის მთელმა კრებულმა მწუხრის ჟამს.
- ⁷და აიღონ მისი სისხლი და წააცხონ იმ სახლის კარის ორივე წირთხლსა და კარისთავს, სადაც უნდა ჭამონ ის.
- ⁸ჭამონ ხორცი იმ ღამეს, ცეცხლზე შემწვარი. ხმიადები და მწარე მწვანილი მიატანონ.
- ⁹არა ჭამოთ უმად ან წყალში მოხარშული, არამედ ცეცხლზე შემწვარი, თავფეხიანად და გულ-ღვიძლიანად.
- ¹⁰დილისთვის ნუ მოირჩენთ, რაც მოგრჩებათ, ცეცხლში დაწვით.
- ¹¹ასე ჭამეთ იგი: წელზე სარტყელი გერთყათ, ფეხზე გეცვათ, ჯოხი გეჭიროთ ხელში. აჩქარებით ჭამეთ. ეს უფლის პასეჟია.
- ¹²მე ჩავივლი ეგვიპტის ქვეყანაში იმ ღამით და მოვაკვდინებ ყოველ ეგვიპტელ პირველშობილს კაციდან პირუტყვამდე, და ეგვიპტის ყოველ ღმერთს განვსჯი. მე ვარ უფალი.
- ¹³და იყოს ის სისხლი თქვენთვის ნიშნად სახლებზე, სადაც თქვენ იმყოფებით. დავინახავ სისხლს და გვერდს აგივლით. და თქვენ არ მოგეკარებათ დამღუპველი სენი, როცა ეგვიპტელთა შემუსრვას დავიწყებ.
- ¹⁴იყოს ეს დღე თქვენთვის სამახსოვროდ და იდღესასწაულეთ იგი, როგორც დღესასწაული თქვენი უფლისა თაობიდან თაობამდე. საუკუნო წესად გქონდეთ ეს დღესასწაული.
- ¹⁵შვიდ დღეს ხმიადი ჭამეთ. პირველი დღიდანვე მოიცილეთ საფუარი სახლებიდან, რადგან ვინც შეჭამს საფუარიანს, პირველი დღიდან მეშვიდე დღემდე, ის სული მოიკვეთება ისრაელიდან.
- ¹⁶პირველ დღეს წმიდა კრებაა და მეშვიდე დღესაც წმიდა კრება გექნებათ. არავითარი საქმე არ აკეთოთ იმ დღეებში. რაც თითოეულს საჭმელად გჭირდებათ, მხოლოდ ის გაკეთდეს.
- ¹⁷და დაიცავით უფუარობა, რადგან ამ დღეს გამოვიყვანე თქვენი ლაშქარი ეგვიპტის ქვეყნიდან. და დაიცავით ეს დღე თაობიდან თაობამდე საუკუნო წესად.
- ¹⁸პირველი თვის მეთოთხმეტე დღის საღამოდან ოცდამეერთე დღის საღამომდე ხმიადი ჭამეთ.
- ¹⁹შვიდი დღე საფუარი არ იპოვებოდეს თქვენს სახლებში, რადგან ვინც საფუარიანს შეჭამს, მოიკვეთება ისრაელის თემიდან – ხიზანი იქნება ის თუ ქვეყნის მკვიდრი.



²⁰საფუარიანი არაფერი ჭამოთ. სადაც არ უნდა ცხოვრობდეთ, ხმიადი ჭამეთ.

²¹და მოუხმო მოსემ ისრაელის ყოველ უბუცესს და უთხრა მათ: „არჩიეთ კრავები თქვენ თქვენი საგვარეულოებისათვის და დაკალით პასექი.

²²და აიღეთ უსუპის კონა და ამოაწეთ სისხლში, რომელიც თასშია, და წააცხეთ კარის ზედა ძელსა და ორივე წირთხლს. არავინ გამოხვიდეთ სახლის კარიდან დილამდე.

²³და ჩაივლის უფალი ეგვიპტის შესამუსრად და იხილავს სისხლს კარის ზედა ძელსა და ორივე წირთხლზე და გვერდს ჩაუვლის უფალი თქვენს კარს და არ შემოუშვებს დამლუპველს თქვენს სახლებში შესამუსრად.

²⁴წესად დაიცავით ეს თქვენთვის და თქვენს შვილთათვის უკუნისამდე.

²⁵როცა მიხვალთ იმ ქვეყანაში, რომელსაც მოგცემთ უფალი, როგორც ამბობდა, იქაც დაიცავით ეს მსახურება.

²⁶და როცა გეტყვიან თქვენი შვილები, ეს რა მსახურება გაქვთო?

²⁷ეტყვით: პასექის მსხვერპლია-თქო უფლისადმი, რომელმაც გვერდი აუარა ისრაელიანთა სახლებს ეგვიპტეში, როცა მუსრავდა ეგვიპტეს და იხსნა ჩვენი სახლები.“ და მუხლი მოიყარა ხალხმა და თაყვანი სცა.

²⁸წავიდნენ და ზუსტად ისე გააკეთეს ისრაელიანთ, როგორც უფალმა უბრძანა მოსეს და აარონს.

²⁹და იყო, შუალამით მოაკვდინა უფალმა ყოველი პირმშო ვაჟი ეგვიპტის ქვეყანაში, თავის ტახტზე მჯდომი ფარაონის პირმშოდან დილეგში მჯდარი პატიმრის პირმშომდე, და პირუტყვის ყოველი პირველმოგებული.

³⁰ფეხზე დადგნენ იმ ღამით ფარაონი, მისი მსახურნი და მთელი ეგვიპტე, შეიქნა დიდი გლოვა ეგვიპტეში, რადგან არ იყო სახლი, მკვდარი რომ არ ჰყოლოდათ.

³¹და მოიხმო ფარაონმა მოსე და აარონი ღამითვე, და უთხრა მათ: „ადექით, გადით ჩემი ხალხისგან, თქვენ და ყველა ისრაელიანი. წადით, ემსახურეთ უფალს, როგორც თქვით.

³²წაასხით თქვენი ცხვარი და ძროხა, როგორც თქვით, და წადით. და მეც დამლოცეთ.“

³³და აიძულებდნენ ეგვიპტელები ხალხს, რომ სწრაფად გასულიყვნენ ქვეყნიდან. თორემ ყველანი დავიხოცებითო – ამბობდნენ ისინი.

³⁴და წაიღო ხალხმა თავისი ცომი ვიდრე გაფუვდებოდა, და ვარცლები სამოსელში გამოიკრეს და ზურგზე ეკიდათ.



³⁵და გააკეთეს ისრაელიანთ მოსეს სიტყვისამებრ, და ითხოვეს ეგვიპტელთაგან ვერცხლისა და ოქროს ნივთები, და სამოსელი.

³⁶უფალმა კეთილად გამოაჩინა თავისი ხალხი ეგვიპტელთა თვალში და მათაც ათხოვეს. და ასე გაძარცვეს მათ ეგვიპტე.

³⁷და აიყარნენ ისრაელიანები რამზესიდან სუქოთისკენ, დაახლოებით 600 ათასი ქვეითი მამაკაცი, გარდა ქალებისა და ბავშვებისა.

³⁸მათთან ერთად გამოვიდა მრავალი უცხოტომელი, და გამოირეკეს ცხვარძროხის დიდი ფარები და ჯოგი.

³⁹და აცხოვდნენ ეგვიპტიდან წამოდებული უფუარი ცომის კვერებს, რადგან ვერ გაფუვდა ცომი, რაკი გამოდევნეს ეგვიპტიდან და ვერ შეძლეს დაყოვნება და ვერც საგზალი გაიმზადეს.

⁴⁰ისრაელიანთა ეგვიპტეში ყოფნის ხანი 430 წელია.

⁴¹430 წლის დასასრულს, სწორედ იმ დღეს გამოვიდა უფლის მთელი ლაშქარი ეგვიპტის ქვეყნიდან.

⁴²მღვიძარების ღამე იყო ეს უფლისათვის ეგვიპტიდან მათ გამოსაყვანად. სწორედ ეს ღამეა უფლისათვის მღვიძარებისა ისრაელიანთათვის თაობიდან თაობამდე.

⁴³და უთხრა უფალმა მოსეს და აარონს: აჰა, წესი პასექისა: არც ერთმა უცხოტომელმა არ უნდა ჭამოს იგი.

⁴⁴ყოველმა ნაყიდმა მონამ მაშინ ჭამოს იგი, თუ წინადაუცვეთ.

⁴⁵ხიზანმა და მოჯამაგირემ არ უნდა ჭამოს იგი.

⁴⁶ერთ სახლში უნდა შეიჭამოს. არ გაიტანოთ ის ხორცი სახლიდან გარეთ და მისი ძვალი არ დაამტვრიოთ.

⁴⁷ისრაელის მთელმა თემმა გააკეთოს ასე.

⁴⁸თუ ვინმე უცხო შემოგეხიზნოს და უფლის პასექის გამზადება მოინდომოს, წინადაიცივითოს მასთან ყოველმა მამროვანმა და მაშინ შეუდგეს მის შესრულებას, და იქნება ქვეყნის მკვიდრით. და არც ერთმა წინადაუცვეთელმა არ ჭამოს იგი.

⁴⁹ერთი წესი ჰქონდეს მკვიდრსა და ხიზანს, თქვენში რომ დასახლდა.

⁵⁰და ზუსტად ისე გააკეთეს ისრაელიანთ, როგორც უფალმა უბრძანა მოსეს და აარონს.

⁵¹სწორედ ამ დროს გამოიყვანა უფალმა ისრაელიანები ეგვიპტის ქვეყნიდან ლაშქრებად დაწყობილნი.



გამოსვლა 13

¹და უთხრა უფალმა მოსეს:

²შემომწირე ისრაელის ყოველი პირმშო, ადამიანთაგან ვიდრე პირუტყვამდე. ჩემია ისინი.

³და უთხრა მოსემ ხალხს: „გახსოვდეთ ეს დღე, როცა გამოხვედით ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან, რადგან უფალმა გამოგიყვანათ იქედან ძლიერი ხელით. არ ჭამოთ ამ დღეს საფუარიანი.

⁴დღეს გამოდიხართ თქვენ, აბიბის თვეში.

⁵როცა შეგიყვანს შენ უფალი ქანაანელთა, ხეთელთა, ამორეველთა, ხიველთა და იებუსელთა ქვეყანაში, რომელთა გამოც შეჰფიცა უფალმა შენს მამებს, რომ მოგცემდა ქვეყანას, სადაც მოედინება რძე და თაფლი, აღასრულე ეს მსახურება ამ თვეში:

⁶შვიდ დღეს ხმიადი ჭამე, ხოლო მეშვიდე დღე – უფლის დღესასწაულია;

⁷შვიდ დღეს ხმიადი ჭამე და ნუ გაიჩერებ შინ საფუარიან პურს; ნუ გექნება გაფუებული პური და საფუარი მთელ შენს საზღვრებში.

⁸და იმ დღეს ასე უთხარი შენს შვილს: ეს იმისთვის, რაც გამიკეთა უფალმა ეგვიპტიდან ჩემი გამოსვლისას-თქო.

⁹და ეს იყოს შენთვის როგორც ნიშანი ხელზე და შუბლზე სამახსოვროდ, რათა უფლის რჯული იყოს შენს ბაგეზე, რადგან ძლიერი ხელით გამოგიყვანა უფალმა ეგვიპტიდან.

¹⁰დაიცავი ეს წესი თავის დროზე, წლიდან წლამდე.

¹¹და როცა შეგიყვანს უფალი ქანაანის ქვეყანაში, როგორც შემოგფიცათ შენ და შენს მამებს, რომ მოგცემს მას შენ, –

¹²განუკუთვნე უფალს ყოველი პირმშო და ყოველი პირველმოგებული ნამატი პირუტყვისა; მათგან მამალი უფალს შესწირე.

¹³და ყოველი პირველმოგებული სახედარი გამოისყიდე კრავით. და თუ არ გამოისყიდი, ქედი გადაუმტვრიე. შენი პირმშო ძე გამოისყიდე.

¹⁴და როცა შეგეკითხება მომავალში შენი შვილი, ‘ეს რა ნიშნავს?’ უთხარი: ‘ძლიერი ხელით გამოგიყვანა უფალმა ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან.

¹⁵და იყო, როცა იძულებით გვაკავებდა ფარაონი, მოაკვდინა უფალმა ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყანაში, კაცის პირმშოდან პირუტყვის პირველმოგებულამდე. ამიტომაც ვწირავ უფალს მსხვერპლად ყოველ პირველმოგებულ მამალს, ხოლო ყოველ ჩემ პირმშო ძეს გამოვისყიდი.’



¹⁶და ეს გქონდეს ნიშნად ხელზე და ბეჭდად შუბლზე, რადგან ძლიერი ხელით გამოგვიყვანა უფალმა ეგვიპტიდან.“

¹⁷როცა გაუშვა ფარაონმა ხალხი, ღმერთმა არ წაიყვანა ისინი ფილისტიმელების ქვეყნის გზით, თუმცა მოკლე იყო ის გზა. რადგან თქვა ღმერთმა: „რათა არ გადაიფიქროს გამოსვლა ხალხმა ბრძოლის დანახვაზე და არ დაბრუნდეს ეგვიპტეში.“

¹⁸და შემოატარა ღმერთმა ხალხი უდაბნოს გზით მეწამული ზღვისაკენ დარაზმულნი გამოვიდნენ ისრაელიანები ეგვიპტის ქვეყნიდან.

¹⁹და თან წამოიღო მოსემ იოსების ძვლები, რადგან იოსებს დაფიცებული ჰყავდა ისრაელიანები: როცა ღმერთი მოგხედავთ, თან წაიღეთ ჩემი ძვლებიო აქედან.

²⁰და აიყარნენ სუქოთიდან და დაიბანაკეს ეთამში, უდაბნოს პირას.

²¹უფალი უძღოდა მათ წინ დღისით ღრუბლის სვეტში გზის საჩვენებლად, ღამით კი ცეცხლის სვეტში გზის გასანათებლად, რათა ევლოთ დღითა და ღამით.

²²არ მოშორებია ხალხს ღრუბლის სვეტი დღისით და ცეცხლის სვეტი ღამით.

გამოსვლა 14

¹და უთხრა უფალმა მოსეს:

²„ელაპარაკე ისრაელიანთ, რათა დაბრუნდნენ და დაიბანაკონ ფი-ჰახიროთის წინ, მიგდოლსა და ზღვას შორის, ბაყალ-ცეფონის წინ. მის გასწვრივ, ზღვასთან დაიბანაკეთ.“

³და იფიქრებს ფარაონი ისრაელიანებზე, გზა აებნათ ამ ქვეყანაში, უდაბნომ მოიმწყვდიაო.

⁴გულს გავუსასტიკებ ფარაონს და უკან დაგედევნებათ, და გამოჩნდება ჩემი დიდება ფარაონსა და მთელ მის ლაშქარზე. და გაიგებენ ეგვიპტელები, რომ მე ვარ უფალი.“ ასეც მოიქცნენ ისინი.

⁵და ეუწყა ეგვიპტის მეფეს, რომ გაიქცა ხალხი. შეეცვალათ გუნება ფარაონსა და მის მსახურთ ამ ხალხზე და თქვეს: „ეს რა ვქენით? რატომ გავუშვიტ ისრაელი ჩვენი მონობიდან?“

⁶და შეაბა ფარაონმა ცხენი ეტლში და თან გაიყოლა თავისი ხალხი.



⁷წაიყვანა 600 რჩეული ეტლი და ეგვიპტის ყველა ეტლი, და მათი მეთაურები ყველა მათგანზე.

⁸გაუსასტიკა უფალმა გული ფარაონს, ეგვიპტის მეფეს, და დაედევნა იგი ისრაელიანთ; ხოლო ისრაელიანები მაღალი ხელის შემწეობით გადიოდნენ.

⁹და დაედევნენ ეგვიპტელნი მათ უკან, და წამოეწივნენ დაბანაკებულთ ზღვასთან ფარაონის ყველა ცხენი და ეტლი, მისი მხედრები და მისი ჯარი, ფი-ჰახიროთთან, ბაყალ-ცეფონის წინ.

¹⁰ფარაონი მიუახლოვდა, გაიხედეს ისრაელიანთ და დაინახეს, რომ ეგვიპტელნი მოსდევნენ უკან, ძლიერ შეეშინდათ და შეღაღადეს ისრაელის ძეებმა უფალს.

¹¹და უთხრეს მოსეს: „განა ეგვიპტეში ვერ დავიმარხებოდით, უდაბნოში რომ მოგვიყვანე დასახოცად? ეს რა გვიყავი, რად გამოგვიყვანე ეგვიპტიდან?

¹²განა ამას არ გეუბნებოდით ეგვიპტეში: დაგვეხსენი, რომ ვემსახუროთ ეგვიპტელებს, რადგან უდაბნოში სიკვდილს ეგვიპტის მონობაში ყოფნა გვირჩევნიაო?“

¹³და უთხრა მოსემ ხალხს: „ნუ გეშინიათ, მტკიცედ დადექით და იხილავთ უფლისაგან ხსნას, რომელსაც ის მოიმოქმედებს დღეს თქვენთვის. რადგან ეგვიპტელებს, დღეს რომ ხედავთ, ამიერიდან აღარასოდეს იხილავთ.

¹⁴უფალი იბრძოლებს თქვენთვის, თქვენ მშვიდად იყავით.“

¹⁵და უთხრა უფალმა მოსეს: „რას შემღაღადებ? უთხარი ისრაელიანთ, რომ აიყარონ.

¹⁶აღმართე შენი კვერთხი და გაიწოდე ხელი ზღვაზე, და გაიპოზა იგი, და გავლენ ისრაელიანები ზღვაში მშრალი ფსკერით.

¹⁷მე გულს გავუსასტიკებ ეგვიპტელებს და დაგედევნებიათ, და გამოჩნდება ჩემი დიდება ფარაონზე, მთელს მის ლაშქარზე, მის ეტლებსა და მის მხედრებზე.

¹⁸და გაიგებენ ეგვიპტელნი, რომ მე ვარ უფალი, როცა გამოვაჩენ ჩემს დიდებას ფარაონზე, მის ეტლებსა და მის მხედრებზე.“

¹⁹და დაიდრა ისრაელის ბანაკის წინ მაღალი ღვთის ანგელოზი და დაუდგა მათ უკან; და დაიდრა ღრუბლის სვეტი წინიდან, და დადგა მათ უკან.

²⁰და ჩადგა ეგვიპტელთა და ისრაელის ბანაკთა შორის – და იყო ღრუბელი და სიბნელე – და გაანათა ღამე, და არ მიახლოებიათ ერთმანეთს მთელ იმ ღამეს.



²¹და აღმართა მოსემ ხელი ზღვაზე და მიდენიდა უფალი ზღვას აღმოსავლეთის ძლიერი ქარით მთელ იმ ღამეს, და აქცია ზღვა ხმელეთად და გაიპო წყალი.

²²და შევიდნენ ისრაელიანები შუაგულ ზღვაში ხმელზე. და წყალი კედლად ედგათ მათ მარჯვნივ და მარცხნივ.

²³დაედევნენ ეგვიპტელნი და შევიდნენ მათ კვალზე – ფარაონის ყველა ცხენი და ეტლი, და მისი მხედრები შუაგულ ზღვაში.

²⁴და იყო, დილის სახმილავზე მოხედა უფალმა ეგვიპტელთა ბანაკს ცეცხლის და ღრუბლის სვეტიდან, და შეაძრწუნა ეგვიპტელთა ბანაკი.

²⁵და დააძრო თვლები მათ ეტლებს და გაჭირვებით მართავდნენ ისინი. და თქვეს ეგვიპტელებმა: „გავერიდოთ ისრაელიანთ, რადგან მათ გამო გვებრძვის უფალი ეგვიპტელებს.“

²⁶და უთხრა უფალმა მოსეს: „გაიწოდე ხელი ზღვაზე, და მოიქცევიან წყლები ეგვიპტელებზე, მათ ეტლებსა და მათ მხედრებზე.“

²⁷და გაიწოდა მოსემ ხელი ზღვაზე, და მოიქცა ზღვა გამთენიისას თავის ადგილას და გარბოდნენ ეგვიპტელნი მისკენ. და ჩაყარა უფალმა ეგვიპტელნი შუაგულ ზღვაში.

²⁸და მოიქცა წყალი, და დაფარა ეტლები და მხედრები, და ფარაონის მთელი ლაშქარი, ზღვაში რომ შეჰყვნენ ისრაელიანთ. არ გადარჩენილა მათგან არც ერთი.

²⁹ისრაელიანები მიდიოდნენ მშრალზე შუაგულ ზღვაში და წყლები კედლად ედგათ მათ მარჯვნივ და მარცხნივ.

³⁰და იხსნა უფალმა იმ დღეს ისრაელი ეგვიპტელთაგან და იხილა ისრაელმა დახოცილი ეგვიპტელები ზღვის პირას.

³¹და იხილა ისრაელმა რაც მოუვლინა უფალმა ეგვიპტელებს ძლიერი ხელით. შეეშინდა ხალხს უფლისა და ირწმუნეს უფალი და მისი მსახური მოსე.

გამოსვლა 15

¹მაშინ უგალობეს მოსემ და ისრაელიანთ ეს საგალობელი უფალს: „უგალობ უფალს, რადგან იგი ძლიერ განდიდდა. ცხენი და მხედარი ზღვაში ჩაყარა.

²ჩემი ძალა და გალობაა უფალი, ის არის ჩემი მხსნელი, იგია ჩემი ღმერთი, და განვადიდებ მას; ჩემი მამის ღმერთია და ვადიდებ მას.



- ³უფალი მეომარია, უფალია სახელი მისი.
- ⁴ეტლები ფარაონისა და მისი ლაშქარი ზღვაში ჩაყარა და მისი რჩეული მხედართმთავარნი დაიხრჩვენ მეწამულ ზღვაში.
- ⁵მორევმა ჩაიხვია ისინი, ჩაიძირნენ ისინი სიღრმეში ლოდვით.
- ⁶მარჯვენა შენი, უფალო, განთქმულია ძალით, მარჯვენა შენი, უფალო, მტერს მუსრავს.
- ⁷და შენი განუზომელი სიდიადით ამხობ შენს წინააღმდეგ ამხედრებულთ. გამოაგზავნე შენი მძვინვარება და მან ნამჯასავით გადაბუგა ისინი.
- ⁸შენ დაჰბერე და აზვირთდნენ წყლები, კედლად აღიმართნენ ღვარები, მორევები გამყარდა შუაგულ ზღვაში.
- ⁹თქვა მტერმა: ‘დავედვენები, დავეწევი, გავიყოფ ნადავლს. ამით აივსება ჩემი სული, ვიშიშვლებ მახვილს, მოსრავს მათ ჩემი ხელი.’
- ¹⁰შენ დაჰბერე და ზღვამ დაფარა ისინი. ტყვიასავით ჩაიძირნენ ბოზოქარ წყლებში.
- ¹¹ვინ არის შენი სადარი ღმერთთა შორის, უფალო? ვინ არის შენი სადარი, სიწმიდით დიდებულთ, საკვირველო ხოტბებით, მოქმედო სასწაულებისა?
- ¹²მოიღერე მარჯვენა და მიწამ ჩაყლაპა ისინი.
- ¹³შენ წარმართავ შენი წყალობით ამ ხალხს, შენ რომ იხსენი. წინ გაუძეხი შენი ძალით შენი წმიდა სამყოფელისკენ.
- ¹⁴ისმინეს ხალხებმა და შეძრწუნდნენ, აცახცახდნენ ფელიშთიმის მკვიდრნი.
- ¹⁵მაშინ შეძრწუნდნენ მთავრები ედომისა, მოაბის მთავრები აიტანა ძრწოლამ. შეკრთა ყველა მცხოვრები ქანაანისა.
- ¹⁶დაეცათ მათ შიში და ძრწოლა. შენი მკლავის სიძლიერემ დაადუმა ისინი, როგორც ლოდი, სანამ გაივლიდეს შენი ხალხი, უფალო, სანამ გაივლიდეს ეს ხალხი, რომელიც შენ გამოისყიდე.
- ¹⁷მიიყვანე ის და დააფუძნე იგი შენს სამკვიდრო მთაზე, იმ ადგილზე, რომელიც შექმენ შენს დასავანებლად, უფალო, შენი ხელით დაფუძნებულ საწმიდარში, მეუფეო.
- ¹⁸უფალი იმეფებს უკუნითი უკუნისამდე!“
- ¹⁹როცა შევიდნენ ფარაონის ცხენები ეტლებითა და მხედრებითურთ ზღვაში, მოაქცია უფალმა მათზე ზღვის წყალნი, ხოლო ისრაელიანები მშრალად გავიდნენ ზღვაში.



²⁰და აიღო მირიამ წინასწარმეტყველმა, აარონის დამ, დაფდაფი ხელში და მიჰყვა ყველა ქალი უკან დაფდაფებითა და ფერხულით.

²¹ასე შეუძახა მათ მირიამმა: „უგალობეთ უფალს, რადგან ძალზე განდიდდა იგი. ცხენი და მხედარი ზღვაში ჩაყარა.“

²²აჰყარა მოსემ ისრაელი მეწამული ზღვიდან, და გავიდნენ შურის უდაბნოში. და იარეს სამი დღე უდაბნოში და ვერ იპოვეს წყალი.

²³მივიდნენ მარას, და ვერ დალიეს წყალი მარაში, რადგან მწარე იყო ის წყალი. ამიტომ ეწოდა მას სახელად მარა.

²⁴და შესჩივლა ხალხმა მოსეს: „რა დავლიოთ?“

²⁵შეღაღადა მოსემ უფალს, და უჩვენა მას უფალმა ძელი. და მან ჩააგდო იგი წყალში, და გამტკნარდა წყალი. იქ დაუდგინა ღმერთმა მას წესი და სამართალი, და იქ გამოსცადა იგი.

²⁶და თქვა: „თუ გაგონებით გაიგონებ უფლის, შენი ღვთის ხმას და სწორად მოიქცევი მის თვალში და შეისმენ მის მცნებებს, დაიცავ მის ყოველ წესს, არ მოვაკლენ შენზე არც ერთ სენს, რომელიც მე მოვაკლინე ეგვიპტეზე, რადგან მე ვარ უფალი, შენი მკურნალი.“

²⁷და მივიდნენ ელიმში. იქ იყო 12 წყაროსთვალი და ფინიკის 70 ხე, და დაიბანაკეს იქ, წყლებთან.

გამოსვლა 16

¹აიყარა ელიმიდან და მივიდა ისრაელიანთა მთელი თემი სინის უდაბნოში, რომელიც ელიმსა და სინაის შორისაა, ეგვიპტის ქვეყნიდან მათი გამოსვლის მეორე თვის მეთხუთმეტე დღეს.

²და ებუზღუნებოდა ისრაელიანთა მთელი თემი მოსესა და აარონს უდაბნოში.

³და უთხრეს მათ ისრაელიანთ: „ნეტავ უფლის ხელით გავმწყდარიყავით ეგვიპტის ქვეყანაში, როცა ვუსხედით ჩვენს ხორცის ქვაბებს, და ძლომაზე ვჭამდით პურს. აჰა, გამოგვიყვანეთ ამ უდაბნოში, რომ მთელი ეს კრებული შიმშილით გაწყვიტოთ.“

⁴და უთხრა უფალმა მოსეს: „აჰა, მე ვაწვიმებ თქვენთვის პურს ზეციდან. და გავიდეს ხალხი და აკრიფოს დღიური ულუფა ყოველდღე, რათა გამოვცადო, იდგებიან თუ არა ჩემს რჯულზე.“

⁵მეექვსე დღეს კი, როცა მოამზადებენ მოგროვილს, იმაზე ორჯერ მეტი გამოუვათ, რასაც დღიურად ამზადებენ.“



⁶და უთხრეს მოსემ და აარონმა ისრაელიანთ: „დღეს სადამოსვე გაიგებთ, რომ უფალმა გამოგიყვანათ ეგვიპტის ქვეყნიდან.“

⁷და დილით იხილავთ უფლის დიდებას, რადგან ისმინა თქვენი დრტვინვა მან. ჩვენ ვინა ვართ, რომ ჩვენ გვსაყვედურობთ?“

⁸და თქვა მოსემ: „მოგცემთ თქვენ უფალი ხორცს სადამოთი საკვებად, დილას კი ძღომაზე – პურს, რადგან ისმინა უფალმა თქვენი ჩივილი, რომ ჩიოდით. ჩვენ ვინ ვართ? ჩვენ კი არა, უფალს შესჩივლეთ.“

⁹და უთხრა მოსემ აარონს: „უთხარი ისრაელიანთა მთელ თემს: ‘წარდექით უფლის წინაშე, რადგან მან ისმინა თქვენი ჩივილი.’“

¹⁰და როცა ელაპარაკებოდა აარონი ისრაელიანთა მთელ თემს, ისინი შებრუნდნენ უდაბნოსაკენ, და აჰა, უფლის დიდება გამოჩნდა ღრუბელში.

¹¹და უთხრა უფალმა მოსეს:

¹²„ვისმინე მე ისრაელიანთა ჩივილი. ელაპარაკე მათ ასე: ‘სადამო ხანს შეჭამთ ხორცს, ხოლო დილით დაძღვებით პურით. და გაიგებთ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი.’“

¹³და მოფრინდა სადამო ხანს მწყერი და დაფარა ბანაკი, განთიადზე კი ცვარი ეფინა ბანაკის ირგვლივ.

¹⁴როცა ცვარი აორთქლდა, დაინახეს, უდაბნო დაფარულია რაღაც წვრილი, ხაოიანი, ჭირხლის მსგავსით.

¹⁵და როცა დაინახეს ისრაელიანთ, უთხრეს ერთმანეთს, ეს რა არისო, რადგან არ იცოდნენ, რა იყო. და უთხრა მათ მოსემ: ეს არის პური, საჭმელად რომ მოგცათ უფალმა.

¹⁶ეს არის რაც ბრძანა უფალმა: „აკრიფეთ თითოეულმა იმდენი, ვინც რამდენს შეჭამთ – ღომერი თითო სულზე, თქვენს კარავში მყოფთა სულადობისამებრ.“

¹⁷და ასე მოიქცნენ ისრაელიანები და აკრიფეს, ზოგმა ბევრი და ზოგმა ცოტა.

¹⁸მაგრამ როცა აწყვეს ღომერით, არც ბევრის ამკრეფს ზედმეტი აღმოჩენია და არც ცოტას ამკრეფს დაჰკლებია რამე. თითოეულმა იმდენი აკრიფა, რამდენიც საჭმელად სჭირდებოდა.

¹⁹და უთხრა მათ მოსემ: ნურავინ მოირჩინთ იქიდან დილამდე.

²⁰მაგრამ არ ისმინეს მოსესი და ზოგიერთებმა მოირჩინა ცოტაოდენი დილამდე. და დაეხვია მას მატლი და აყროლდა. და გაურისხდა მათ მოსე.



²¹და აგროვებდნენ მას დილაობით, ვისაც რამდენი სჭირდებოდა საჭმელად. როგორც კი მზე დააცხუნებდა, დნებოდა ის.

²²და მეექვსე დღეს აგროვებდნენ ორმაგ პურს, ორ-ორ ღომერს თითო სულზე. და მივიდნენ მთელი თემის მთავრები და აუწყეს მოსეს.

²³და უთხრა მათ: „ეს არის, რაც თქვა უფალმა: ‘ხვალ უქმეა, უფლის წმიდა შაბათი. რასაც გამოაცხოვთ, გამოაცხვეთ, და რასაც მოხარშავთ, მოხარშეთ. და ყველაფერი, რაც მოგრჩებათ, გადადეთ დილამდე შესანახად.’“

²⁴და გადადეს იგი დილამდე, როგორც მოსემ ბრძანა, არ ამყრალეებულა და არც მატლი გასჩენია.

²⁵და თქვა მოსემ: „ჰამეთ იგი დღეს, რადგან უფლის შაბათია დღეს. დღეს ვერ იპოვით მას ველზე.“

²⁶ექვს დღეს კრიფეთ იგი, მეშვიდე დღეს კი შაბათია; არაფერი იქნება ამ დღეს.“

²⁷და გავიდნენ მეშვიდე დღეს ზოგიერთები შესაგროვებლად და ვერაფერი ნახეს.

²⁸და უთხრა უფალმა მოსეს: „როდემდე უნდა უარობდეთ ჩემი მცნებებისა და ჩემი რჯულებების დაცვას?

²⁹იცოდეთ, რადგან უფალმა მოგცათ თქვენ შაბათი, ამიტომ გაძლევთ მეექვსე დღეს პურს ორი დღისთვის. და იჯდეს თითოეული შინ, ნუღარავინ გამოვა შინიდან მეშვიდე დღეს.“

³⁰და უქმობდა ხალხი მეშვიდე დღეს.

³¹და უწოდა ისრაელის სახლმა ამ პურს მანანა. იგი ქინძის თესლის სიმსხო იყო, თეთრი, და თაფლის კვერის გემოს მქონე.

³²და თქვა მოსემ, ასე ბრძანაო უფალმა: „შეინახეთ ერთი ღომერი მანანა, რათა იხილონ თქვენმა თაობებმა, თუ რა პურს გაჰმევდით უდაბნოში, როცა ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანეთ.“

³³და უთხრა მოსემ აარონს: „აიღე ქილა და ჩადგი შიგ ერთი სავსე ღომერი მანანა, და დადგი იგი უფლის წინაშე თაობიდან თაობამდე შესანახად.“

³⁴და როგორც უბრძანა უფალმა მოსეს, ისე დადგა იგი აარონმა მოწმობის კიდობნის წინ შესანახად.

³⁵40 წელი ჰამდნენ ისრაელიანები მანანას – ვიდრე მიაღწევდნენ აღთქმულ მიწას, ვიდრე ქანაანის ქვეყნის საზღვრებს არ მიაღწენ.

³⁶ერთი ღომერი კი ეფის მეთათედია.



გამოსვლა 17

¹და აიყარა ისრაელიანთა მთელი თემი სინის უდაბნოდან სამგზავროდ, უფლის ბრძანებისამებრ, და დაიბანაკეს რეფიდიმში. და არ აღმოჩნდა სასმელი წყალი ხალხისათვის.

²და ედავებოდა ხალხი მოსეს, და უთხრეს: „მოგვეცი წყალი, რომ ვსვათ.“ და უთხრა მათ მოსემ: „რას მედავებით? რად ცდით უფალს?“

³და სწყუროდა იქ ხალხს წყალი, და უჩიოდა ხალხი მოსეს და ამბობდა: „რისთვის გამოგვიყვანე ეგვიპტიდან? ჩვენი, ჩვენი შვილებისა და ჩვენი საქონლის წყურვილით დასახოცად?“

⁴და შეღაღადა მოსემ უფალს: „რა ვუყო ამ ხალხს? ცოტაც და ჩამქოლავენ.“

⁵და უთხრა უფალმა მოსეს: „ჩაიარე ხალხის წინ, წაიყვანე ისრაელიანთა უხუცესნი და შენი კვერთხი, რომელიც დაჰკარი მდინარეს, აილე ხელში, და წადი.

⁶მე ვიდგები შენს წინ იქ, ხორების კლდეზე. და შენ დაჰკარი კლდეს და გადმოვა იქიდან წყალი, და დალევეს ხალხი.“ და ასე გააკეთა მოსემ ისრაელის უხუცესთა თვალწინ.

⁷და უწოდა სახელად იმ ადგილს მასა და მერიზა, ისრაელიანთა დავის გამო და უფლის გამოცდის გამო, როცა თქვეს: „არის ჩვენს შორის უფალი, თუ არ არის?“

⁸და მოვიდა ყამალეკი, და შეებრძოლა ისრაელს რეფიდიმში.

⁹და უთხრა მოსემ იესოს: „გამოგვიჩიე კაცები და გადი, შეებრძოლე ყამალეკს. ხვალ მე გადმოვდგები ბორცვის თავზე და ღვთის კვერთხი მექნება ხელში.“

¹⁰და გააკეთა იესომ, როგორც უთხრა მას მოსემ, რომ შეებრძოლებოდა ყამალეკს. და მოსე, აარონი და ხური ბორცვზე ავიდნენ.

¹¹და როცა ხელს აღმართავდა მოსე, ძლევდა ისრაელი. და როცა დაბლა დაუშვებდა ხელს, ძლევდა ყამალეკი.

¹²დაუმიძიდა მოსეს ხელები. აიღეს ლოდი და დაუდგეს ქვეშ, და ჩამოჰდა მასზე. ხოლო აარონმა და ხურმა შეაშველეს მას ხელები, ერთმა ერთი მხრიდან და მეორემ მეორე მხრიდან. და იყო მისი ხელები უდრეკი მზის ჩასვლამდე.

¹³და სძლია იესომ მახვილით ყამალეკსა და მის ხალხს.



¹⁴და უთხრა უფალმა მოსეს: „ჩაწერე ეს სამახსოვროდ წიგნში და ჩაასმინე იესოს, რომ აღვგვი ყამალეკის სახსენებელს ცისქვეშეთიდან.“

¹⁵და ააშენა მოსემ სამსხვერპლო, და უწოდა მას სახელად „იაჰვე-ნისი“,

¹⁶რაც ნიშნავდა „უფალი ბაირადია ჩემი.“ და თქვა მან: „ომი ექნება უფალს ყამალეკთან თაობიდან თაობამდე.“

გამოსვლა 18

¹და გაიგო ითრომ, მიდიანის მღვდელმა, მოსეს სიმამრმა, ყოველი, რაც გაუკეთა ღმერთმა მოსესა და ისრაელს, თავის ხალხს, როცა გამოიყვანა უფალმა ისრაელი ეგვიპტიდან.

²და წამოიყვანა ითრომ, მოსეს სიმამრმა, ციფორა, მოსეს ცოლი, რომელიც მოსემ მანამდე გაუბრუნა მამამისს,

³და ციფორას ორი ძე, რომელთაგან ერთის სახელი იყო გერშომი, რაც ნიშნავს: „ხიზანი ვიყავი უცხო ქვეყანაში“,

⁴და სახელი მეორისა იყო ელიყეზერი, რაც ნიშნავს: „ღმერთი მამაჩემისა შემეწია და დამიხსნა მე ფარაონის მახვილისგან.“

⁵და მივიდნენ ითრო, სიმამრი მოსესი, და მისი ძენი, და მისი ცოლი მოსესთან უდაბნოში, სადაც ის დაბანაკდა ღვთის მთასთან.

⁶და შეატყობინა მოსეს: „მე ვარ შენი სიმამრი ითრო, მოვდივარ შენთან, შენი ცოლითა და მისი ორი ვაჟიშვილითურთ.“

⁷და მიეგება მოსე თავის სიმამრს, თაყვანი სცა და გადაკოცნა. მოიკითხეს ურთიერთი და შევიდნენ კარავში.

⁸და უამბო მოსემ თავის სიმამრს ყველაფერი, რაც დამართა უფალმა ფარაონს და ეგვიპტელებს ისრაელის გამო, და ყველა იმ გასაჭირზე, რაც მათ გზაზე შეემთხვათ, და როგორ იფარავდა მათ უფალი.

⁹გაიხარა ითრომ იმ სიკეთისათვის, რაც უყო უფალმა ისრაელს, როცა იხსნა ეგვიპტელთა ხელიდან.

¹⁰და თქვა ითრომ: „კურთხეულია უფალი, რომელმაც გიხსნათ თქვენ ეგვიპტელთა ხელიდან და ფარაონის ხელიდან.“

¹¹ახლა კი ვიცი, რომ ყველა ღმერთზე დიდია უფალი, რადგან იხსნა ხალხი ეგვიპტელთა ხელიდან, როცა ისინი კადნიერად ქედმაღლობდნენ მათზე.“



¹²და აიღო ითრომ, მოსეს სიმამრმა, სრულადდასაწველი მსხვერპლი და საკლავები ღვთისთვის, და მივიდნენ აარონი და ისრაელის ყველა უზუცესი პურის საქმელად მოსეს სიმამრთან ღვთის წინაშე.

¹³მეორე დღეს კი დაჯდა მოსე ხალხის განსასჯელად. და დილიდან საღამომდე გარს ერტყა მას ხალხი.

¹⁴და დაინახა მოსეს სიმამრმა ყველაფერი, რასაც აკეთებდა ის ხალხისთვის და უთხრა: „ამას რას უკეთებ ხალხს? რად ზიხარ შენ მარტო, მთელი ხალხი კი დგას შენთან დილიდან საღამომდე?“

¹⁵და უთხრა მოსემ თავის სიმამრს: „ხალხი ჩემთან მოდის ღვთისთვის მსჯავრის საკითხავად.

¹⁶როცა მათ რამე საქმე აქვთ, მოდიან ჩემთან და მეც განვსჯი მათ სამართალს, და ვაუწყებ მათ ღვთის წესებსა და მის რჯულდებებს.“

¹⁷და უთხრა მოსეს მისმა სიმამრმა: „არ არის კარგი, რასაც შენ აკეთებ.

¹⁸გაიტანჯებით შენც და ეს ხალხიც, შენთან რომ არის, რადგან მძიმეა შენთვის ეს საქმე. მარტო შენ ვერ აუხვალ მას.

¹⁹ახლა ისმინე ჩემი ხმა: გირჩევ, და ღმერთი იყოს შენთან. იყავი ხალხის შუამავალი ღმერთთან და წარუდგინე ღმერთს მათი საქმეები.

²⁰განუმარტე მათ წესები და რჯულდებები, მიუთითე მათ გზა, რომლითაც უნდა იარონ, და საქმეები, რაც უნდა აკეთონ.

²¹ამოარჩიე მთელი ხალხიდან უნარიანი კაცები, ღვთისმოშიშნი, პატიოსანი კაცები, ანგარების მოძულენი, და დაუნიშნე ისინი მათ ათასისთავებად, ასისთავებად, ორმოცდაათისთავებად და ათისთავებად.

²²და განსაჯონ ხალხი ყოველთვის. და დიდი საქმეები შენ მოგახსენონ, და ყველა წვრილმანი საქმე თავად განსაჯონ. შემოგეშველონ, რომ შეგიმსუბუქდეს ტვირთი.

²³თუ ასე გააკეთებ და ღმერთიც გიბრძანებს, მაშინ შენც გაუძლებ და მთელი ეს ხალხიც მშვიდობით მივა თავის ადგილზე.“

²⁴და ისმინა მოსემ თავისი სიმამრის და გააკეთა ყოველივე, რაც მან უთხრა.

²⁵და ამოარჩია მოსემ უნარიანი კაცები ისრაელიანთაგან და დაუნიშნა ისინი მეთაურებად ხალხს ათასისთავებად, ასისთავებად, ორმოცდაათისთავებად და ათისთავებად.

²⁶და განსჯიდნენ ისინი ხალხს ყოველ დროს. მძიმე საქმეს მოსეს მოახსენებდნენ, ხოლო წვრილმან საქმეებს თავად განსჯიდნენ.



²⁷და გაისტუმრა მოსემ თვისი სიმაძრი, და წავიდა ის თავის ქვეყანაში.

გამოსვლა 19

¹ეგვიპტიდან ისრაელიანების გამოსვლის მესამე თვის პირველ დღეს მივიდნენ ისინი სინაის უდაბნოში.

²აიყარნენ რეფიდიმიდან და მივიდნენ სინაის უდაბნოში, და დაბანაკდა იქ ისრაელი მთის პირდაპირ.

³და ავიდა მოსე ღმერთთან, და მოუხმო მას უფალმა მთიდან და უთხრა: „ასე უთხარი იაკობის სახლს და აუწყე ისრაელიანთ:

⁴თქვენ ნახეთ, რა დავმართე ეგვიპტელებს, როცა ორბების ფრთებით მომყავდით ჩემთან.

⁵ამიერიდან, თუ შეისმენთ ჩემს ხმას და დაიცავთ ჩემს აღთქმას, ჩემი საუნჯე იქნებით ყველა ხალხთაგან, რადგან ჩემია მთელი ქვეყანა.

⁶მღვდელთა სამეფო და წმიდა ხალხი იქნებით ჩემთვის. აი, ამ სიტყვებს ეტყვი ისრაელიანთ!“

⁷და მივიდა მოსე და მოუხმო ხალხის უხუცესებს, და გადასცა მათ ყველა ეს სიტყვა, რაც უფალმა უბრძანა.

⁸და ერთხმად მიუგო ხალხმა: „რაც უფალმა თქვა, ყველაფერს აღვასრულებთ.“ და მოახსენა მოსემ ხალხის სიტყვები უფალს.

⁹და უთხრა უფალმა მოსეს: „მე მოვალ შენთან ქუფრ ღრუბელში, რათა ისმინოს ხალხმა ჩემი ლაპარაკი შენთან და შენც გერწმუნოს საუკუნოდ.“ და როცა აუწყა მოსემ ხალხის სიტყვები უფალს,

¹⁰უთხრა უფალმა მას: „წადი ხალხთან და განწმიდე ისინი დღეს და ხვალ, და გაირეცხონ თავიანთი სამოსელი.

¹¹და მზად იყვნენ ზეგისათვის, რადგან ზეგ ჩამოვა უფალი ხალხის თვალწინ სინაის მთაზე.

¹²და ხალხს გარშემო საზღვარი შემოუწერე და უთხარი: ‘მოერიდეთ მთაზე ასვლას და მისი კალთის მიკარებას. ყველას, ვინც მთას შეეხება, სიკვდილი არ ასცდება.

¹³ნუ შეეხებით მას ხელით, თორემ ჩაიქოლებით ან ისრით განიგმირებით. ვერც პირუტყვი და ვერც კაცი გადარჩება ცოცხალი.’ როცა ბუკის ხმა გაისმება, მხოლოდ მაშინ შეეძლებათ მათ მთაზე ასვლა.“



¹⁴და ჩამოვიდა მოსე მთიდან ხალხთან, და განწმიდა ხალხი და გაირეცხეს თავიანთი სამოსელი.

¹⁵და უთხრა მოსემ ხალხს: „ზეგისათვის მზად იყავით, ქალს არ გაეკაროთ.“

¹⁶მესამე დღეს, გამთენიისას, იყო გრგვინვა და ელვა და ქუფრი ღრუბელი ჩამოწვა მთაზე, და გაისმა ბუკის მეტად ძლიერი ხმა. და შეძრწუნდა ბანაკში მყოფი ხალხი.

¹⁷და გამოიყვანა მოსემ ხალხი ღვთის შესახვედრად ბანაკიდან და დადგნენ მთის ძირას.

¹⁸ხოლო სინაის მთა მთლიანად ბოლავდა, რადგან უფალი ჩამოვიდა მასზე ცეცხლში. როგორც თონეს, ისე ასდიოდა კვამლი, და ძლიერად ირყეოდა მთა.

¹⁹და თანდათან ძლიერდებოდა ბუკის ხმა. ლაპარაკობდა მოსე და ეხმიანებოდა მას ღმერთი.

²⁰და ჩამოვიდა უფალი სინაის მთაზე, მთის თხემზე, და მოუხმო უფალმა მოსეს მთის თხემისკენ და ავიდა მოსე.

²¹და უთხრა უფალმა მოსეს: „ჩადი და გააფრთხილე ხალხი, არ ამოიჭრას მთაზე უფლის სახილველად, თორემ მრავალი დაეცემა მათგან.“

²²თვით მღვდლებიც, უფალთან მიახლოებისას, განიწმიდონ, რომ არ შემუსროს ისინი უფალმა.“

²³და უთხრა მოსემ უფალს: „ვერ ამოვა ხალხი სინაის მთაზე, რადგან გაგვაფრთხილე, საზღვარი შემოავლეთ-მეთქი მთას და განწმიდეთ იგი.“

²⁴და უთხრა მას უფალმა: „ჩადი და აარონთან ერთად ამოდი, ხოლო მღვდლები და ხალხი ნუ შეეცდებიან უფალთან ამოსვლას, თორემ შემუსრავს მათ იგი.“

²⁵და ჩამოვიდა მოსე ხალხთან და გადასცა მათ ეს.

გამოსვლა 20

¹და თქვა ღმერთმა ყველა ეს სიტყვა:

²„მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან, მონობის სახლიდან.“

³არ გაიჩინო სხვა ღმერთები ჩემს გარდა.

⁴არ გაიკეთო კერპი და არც რაიმე ხატება იმისა, რაც მაღლა ცაშია, რაც დაბლა მიწაზეა და რაც წყალშია, მიწის ქვემოთ.



⁵თაყვანი არ სცე მათ და არც ემსახურო, რადგან მე ვარ უფალი, ღმერთი შენი, ღმერთი შურისმგებელი, რომელიც მამათა ცოდვას შვილებს მოვკითხავ, ჩემს მოძულეთა მესამე და მეოთხე თაობამდე,

⁶და წყალობის მყოფელი ჩემს მოყვარულთა და ჩემი მცნებების დამცველთა მრავალ ათასეულ თაობებისათვის.

⁷არ წარმოთქვა უფლის, შენი ღმერთის, სახელი ფუჰად, რამეთუ უფალი დაუსჯელს არ დატოვებს მას, ვინც მის სახელს ფუჰად ახსენებს.

⁸დაიცავი შაბათის დღე, რათა წმიდა-ყო იგი.

⁹ექვსი დღე იმუშავე და აკეთე ყველა შენი საქმე,

¹⁰ხოლო მეშვიდე დღე უფლის, შენი ღმერთის, შაბათია. არა საქმე არ აკეთო არც შენ, არც შენმა ძემ, არც შენმა ასულმა, არც შენმა მონამ, არც შენმა მხევალმა, არც შენმა პირუტყვმა, არც შენმა ხიზანმა, რომელიც შენთან ცხოვრობს.

¹¹რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყოველი, რაც მასშია, მეშვიდე დღეს კი დაისვენა. ამისათვის აკურთხა უფალმა შაბათი დღე და წმიდა-ყო იგი.

¹²პატივი ეცი მამაშენსა და დედაშენს, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი.

¹³არა კლა.

¹⁴არ იმრუშო.

¹⁵არ იქურდო.

¹⁶არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი მოყვასის წინააღმდეგ.

¹⁷არ ისურვო შენი მოყვასის სახლი, არ ისურვო შენი მოყვასის ცოლი, არც მისი მსახური, არც მისი მხევალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი და არც სხვა რამ, რაც შენი მოყვასისაა.“

¹⁸და ხედავდა მთელი ხალხი ჭექა-ქუხილს და ცეცხლის ალს, და ბუკის ხმას და აკვამლებულ მთას. და შეძრწუნდა ხალხი და დადგა მოშორებით.

¹⁹და უთხრეს მოსეს: „გველაპარაკე შენ და მოგისმენთ, ოღონდ ღმერთი ნუ გველაპარაკება, თორემ დავიხოცებით.“

²⁰და უთხრა მოსემ ხალხს: „ნუ გეშინიათ, თქვენს გამოსაცდელად მოვიდა ღმერთი, რომ მისი შიში გქონდეთ და არ შესცოდოთ.“

²¹და იდგა ხალხი მოშორებით, და მივიდა მოსე ბნელ ღრუბელთან, სადაც ღმერთი იყო.



²²და უთხრა უფალმა მოსეს: „ასე უთხარი ისრაელიანთ: ‘თქვენ დაინახეთ, რომ ზეციდან გელაპარაკებოდით.

²³არ გააკეთოთ ჩემს გვერდით სხვა ღმერთები. ვერცხლის ან ოქროს ღმერთები არ გაიკეთოთ.

²⁴მიწისაგან გამიკეთე სამსხვერპლო და შესწირე მასზე შენი სრულადდასაწველები და შენი სამშვიდობო მსხვერპლები, შენი ცხვარ-პროხა; ყველგან, სადაც დავადგენ ჩემი სახელის ხსენებას, მე მოვალ შენთან და გაკურთხებ.

²⁵და თუ ქვის სამსხვერპლოს ამიგებ, არ ააშენო იგი გათლილი ქვით, რადგან როგორც კი კვერს მოუღერებ, წაბილწავ ქვას.

²⁶და ნუ ახვალ საფეხურებით ჩემს სამსხვერპლოზე, რათა არ გამოჩნდეს მასზე შენი სარცხვინელი.’

გამოსვლა 21

¹და აჰა, კანონები, რომლებსაც წარუდგენ მათ:

²თუ ებრაელ მონას იყიდი, ექვსი წელი გემსახუროს და მეშვიდე წელს გაათავისუფლე უსასყიდლოდ.

³თუ იგი მარტო მოვიდა, მარტო წავიდეს; თუ ცოლიანი იყო, წავიდეს მასთან ერთად მისი ცოლიც.

⁴თუ მისი ბატონი შერთავს მას ცოლს, რომელიც მას ვაჟებს ან ასულებს გაუჩენს, მაშინ ცოლი და შვილებიც მისი ბატონისაა. თავად მარტო წავიდეს.

⁵ხოლო თუ მონა იტყვის: მიყვარს ჩემი ბატონი, ჩემი ცოლი და ჩემი შვილები და არ მინდაო თავისუფლება,

⁶მაშინ მიიყვანოს იგი მისმა ბატონმა ღვთის სამსჯავროზე და მიაყენოს იგი კართან ან მის წირთხლთან და გაუხვრიტოს მისმა ბატონმა ყური სადგისით, და მისი მონა იქნება სამუდამოდ.

⁷და თუ გაყიდის კაცი თავის ასულს მხევლად, ეს ქალი ისე ვერ წავა, როგორც მონა მიდის.

⁸თუ თვალში არ მოუვიდა მის პატრონს, რომლის დანიშნულიც არის, მისცეს მას გამოსყიდვის ნება. უფლება არა აქვს მის პატრონს, რომ უცხო ხალხს მიჰყიდოს იგი, რადგან თავად უღალატა მას.

⁹ხოლო თუ დანიშნავს მას თავის ვაჟზე, მაშინ როგორც თავის ასულს, ისე მოექცეს.



- ¹⁰თუ თვითონ სხვას შეირთავს, მაშინ მას საზრდო, სამოსელი და თანაცხოვრება არ მოაკლოს.
- ¹¹თუ ამ სამ რამეს არ გაუკეთებს, ქალს შეუძლია ვერცხლით გამოუსყიდველად წავიდეს.
- ¹²თუ კაცმა ცემით მოკლა კაცი, მკვლელი უნდა მოიკლას.
- ¹³ხოლო თუ მას ბოროტი განზრახვა არ ჰქონია, არამედ ღმერთმა შეამთხვია, მაშინ დაგინიშნავ ადგილს, სადაც უნდა გადაიხვეწოს.
- ¹⁴და თუ ვინმე ბოროტი განზრახვით მოკლავს თავის მოყვასს, მაშინ ჩემს სამსხვერპლოსაც კი რომ მოეჭიდოს, წაიყვანეთ და მოაკვდინეთ.
- ¹⁵ვინც თავის მამას ან თავის დედას დაარტყამს, უნდა მოიკლას.
- ¹⁶ვინც მოიპარავს ადამიანს და გაყიდის, ან ვისაც ხელში აღმოაჩნდება მოპარული, უნდა მოიკლას.
- ¹⁷თავისი დედ-მამის მაგინებელი უნდა მოიკლას.
- ¹⁸თუ კაცები ერთმანეთს წაეჩხუბებიან და ერთი მეორეს ქვას ან მუშტს დაჰკრავს, და თუ კაცი არ მოკვდება და ლოგინად ჩავარდება,
- ¹⁹მერე თუ ადგება იგი და ივლის გარეთ ყავარჯნით, მისი მცემელი არ უნდა დაისაჯოს, მხოლოდ მისი მოცდენისათვის უნდა გადაუხადოს და სავსებით განკურნოს იგი.
- ²⁰და თუ კაცი კეტით სცემს თავის მონას ან მხევალს და ის მოკვდება მისი ხელით, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს.
- ²¹მაგრამ თუ ერთი ან ორი დღე იცოცხლა, მაშინ მასზე შური აღარ იძიოთ, რადგან ის მისი საკუთრებაა.
- ²²თუ კაცები ჩხუბის დროს ორსულ ქალს დაეჯახებიან და ქალი ნაადრევად იშობიარებს, მაგრამ უბედურება არ მოუვა, მაშინ დამნაშავემ ჯარიმა გადაიხადოს, რასაც მას დააკისრებს ქალის ქმარი, და რასაც მსაჯულები დაუდგენენ.
- ²³ხოლო თუ უბედურება დატრიალდა, მაშინ მიეცი: სიცოცხლე სიცოცხლის წილ,
- ²⁴თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ, ხელი ხელის წილ, ფეხი ფეხის წილ,
- ²⁵დამწვრობა დამწვრობის წილ, ჭრილობა ჭრილობის წილ, ნატკენი ნატკენის წილ.



²⁶და თუ კაცმა თვალში ჩაარტყას თავის მონას ან თავის მხევალს და დაუზიანოს, უნდა გაათავისუფლოს მისი თვალის წილ.

²⁷და თუ კბილს ჩაუმტვრევს თავის მონას ან თავის მხევალს, გაათავისუფლოს მისი კბილის წილ.

²⁸თუ ხარმა ურქინოს კაცს ან დედაკაცს და მოკლას იგი, ჩაიქოლოს ხარი და არ იჭამოს მისი ხორცი. ხოლო პატრონი ხარისა უდანაშაულოა.

²⁹მაგრამ თუ ხარი მორქენალი იყო გუშინ და გუშინწინ, და პატრონიც გაფრთხილებული ჰყავდათ, მაგრამ არ დაამწყვდია იგი და მოკლა ამ ხარმა კაცი ან ქალი, მაშინ ხარი ჩაიქოლოს და მისი პატრონიც მოიკლას.

³⁰თუ გამოსასყიდს დაუწესებენ, გაიღოს სიცოცხლის გამოსასყიდად, რასაც დაუწესებენ.

³¹თუ ვაჟს ან ასულს ურქინოს, იმავე კანონით მოექცეით მას.

³²თუ მონას ურქინოს ხარმა, ან მხევალს, ხარის პატრონმა 30 შეკელი ვერცხლი გადაუხადოს მათ ბატონს, ხარი კი ჩაიქოლოს.

³³და თუ ვინმე კაცმა ორმოს თავი გადახადოს, ან ამოთხაროს ორმო და არ დახუროს და შიგ ხარი ან ვირი ჩავარდეს,

³⁴ორმოს პატრონმა ვერცხლით აუნაზღაუროს პატრონს, მკვდარი პირუტყვი კი მას დარჩეს.

³⁵და თუ ვინმეს ხარი მისი მოყვასის ხარს ურქენს და მოკლავს, გაყიდონ ცოცხალი ხარი და ვერცხლი შუაზე გაიყონ, და მოკლულიც თანასწორად გაინაწილონ.

³⁶ხოლო თუ ცნობილი იყო, რომ ხარი მორქენალი იყო გუშინ და გუშინწინ, და არ დაამწყვდია მისმა პატრონმა, გადაიხადოს ხარის საფასური, მოკლული კი მას დარჩეს.

გამოსვლა 22

¹თუ ვინმემ მოიპაროს ხარი ან ცხვარი და დაკლას ან გაყიდოს, ხუთი ხარი უნდა გადაიხადოს ხარის წილ, და ოთხი ცხვარი ცხვრის წილ.

²თუ სახლის გამოთხრაზე წაასწრებენ ქურდს და სცემენ ისე, რომ მოკვდება, ეს სისხლი არ მოიკითხება.

³მაგრამ თუ ეს მზის ამოსვლის შემდეგ მოხდა, მკვლელს სისხლი მოეკითხება. მპარავმა უნდა ზღოს ნაქურდალი. თუ არაფერი აქვს, გაყიდონ იგი ქურდობისთვის.



- ⁴თუ მის ხელში ცოცხლად აღმოჩნდება ნაქურდალი – ხარი იქნება, ვირი თუ ცხვარი, ორმაგად უნდა ზღოს.
- ⁵თუ ვინმემ სხვისი მინდორი ან ვენახი წაახდინოს, ან გაუშვას თავისი პირუტყვი და მოაძოვოს სხვისი მინდორი, თავის საუკეთესო მინდვრიდან და საუკეთესო ვენახიდან უნდა ზღოს.
- ⁶თუ ცეცხლი გაჩნდება, ძეძვს მოედება, ზვინს ან პურის ყანას ან მინდორს გადაწვავს, ხანძრის გამჩენმა უნდა ზღოს.
- ⁷თუ ვინმემ თავის თვისტომს ფული ან რაიმე ნივთი მიაბაროს და ეს მოპარულ იქნეს იმ კაცის სახლიდან, ქურდმა, თუ იპოვეს, ორმაგად ზღოს.
- ⁸ხოლო თუ ქურდი ვერ იპოვეს, სახლის პატრონი ღვთის წინაშე წარდგეს და დაიფიცოს, რომ არ წასცდენია ხელი თავისი თვისტომის ქონებაზე.
- ⁹ყოველგვარ დანაშაულზე, ხარის საქმე იქნება ეს, ვირის, ცხვრისა თუ სამოსლის, ყოველ დაკარგულ ნივთზე, რომელსაც პატრონი გამოუჩნდება, ამ ორის საქმე ღვთის წინაშე უნდა წარდგეს, ვისაც ღმერთი გაამტყუნებს, მან ორმაგად უნდა უზღოს თავის ახლობელს.
- ¹⁰თუ ვინმე მიაბარებს თვისტომს ვირს, ხარს ან კრავს, ან რაიმე პირუტყვს, და თუ ის მოკვდა ან დაშავდა, ან მოიტაცეს და მნახველი არავინ იქნება,
- ¹¹უფლის წინაშე ფიცი იყოს ორივეს შორის, რომ არ წასცდენია ხელი თავისი მოყვასის საკუთრებაზე. და მიიღოს ეს პატრონმა და არ აუნაზღაურდეს.
- ¹²ხოლო თუ მოჰპარეს, უზღოს მის პატრონს.
- ¹³თუ მას მხეცი დაგლეჯს, წარმოადგინოს დაგლეჯილი დასამოწმებლად, და არ ზღოს.
- ¹⁴და თუ ვინმემ ითხოვოს თავისი მოყვასისგან პირუტყვი და ის დაშავდეს ან მოკვდეს, და პატრონი კი იქ არ იყოს, უნდა ზღოს,
- ¹⁵მაგრამ თუ მისი პატრონი იქ იყო, არ უნდა ზღოს. თუ დაქირავებული ჰყავდა, ქირა უნდა გადაიხადოს.
- ¹⁶თუ კაცმა შეაცდინოს ქალწული, რომელიც დანიშნული არ იყო, და დაწვეს მასთან, მაშინ ურვადი უნდა გადაიხადოს და ცოლად შეირთოს.
- ¹⁷თუ ქალიშვილის მამა უარზე დადგეს და მას არ მიათხოვოს, ვერცხლი მიუწონოს ამ კაცმა, როგორც ქალწულობის ურვადი.
- ¹⁸ჯადოქარს ნუ აცოცხლებ.
- ¹⁹ყველა, ვინც დაეცემა პირუტყვთან, უნდა მოკვდეს.
- ²⁰ვინც უფლის გარდა სხვა ღმერთებს შესწირავს მსხვერპლს, უნდა მოისპოს.



²¹ხიზანს ნუ დაჩაგრავ და ნუ შეავიწროვებ, რადგან ხიზნები იყავით თქვენც ეგვიპტის ქვეყანაში.

²²ქვრივსა და ობოლს ნუ დაჩაგრავ.

²³თუ დაჩაგრავ, შემომღალადებენ ისინი და შევისმენ მათ ჩივილს,

²⁴რისხვით ავინთები და მახვილით დაგხოცავთ, ცოლები დაგიქვრივდებათ და შვილები დაგიობლდებათ.

²⁵თუ ვერცხლს ასესხებ ვინმეს ჩემი ხალხიდან, შენთან მყოფ ღარიბ-ღატაკს, ნუ შეავიწროვებ მას და ნუ დააკისრებ ვახშის გადახდას.

²⁶თუ გირაოდ აიღებ შენი მოყვასის მოსასხამს, მზის ჩასვლამდე დაუბრუნე.

²⁷იქნებ ის მისი ერთადერთი დასაბურავია. რა დაიფაროს, როცა დაიძინებს? ის შემომღალადებს და მე მოვუსმენ, რადგან მოწყალე ვარ.

²⁸ღმერთს ნუ დაგმოვ და შენი ხალხის მთავარს ნუ დაწყევლი.

²⁹შენი კალოს პირველნაყოფი და შენი საწნახლის პირველნაწური არ დამიგვიანო.

პირმშო შენს ძეთაგან მე მომეცი.

³⁰ასევე – შენი ხბო და შენი ცხვარი შვიდი დღე იყოს თავის დედასთან, ხოლო მერვე დღეს მე უნდა მომცე.

³¹წმიდა ხალხი უნდა იყოს ჩემთვის: ველზე ნამხეცავი ხორცი არ ჭამოთ, ძაღლს მიუგდეთ.

გამოსვლა 23

¹ნუ დაყრი ცრუ ხმებს; მხარს ნუ დაუჭერ უკეთურს ცრუ მოწმეობით.

²ნუ აჰყვები უმრავლესობას ბოროტებაში. უმრავლესობისკენ არ გადაიხარო და არ გაამრუდო სამართალი;

³შელავათს ნუ გაუწევ გლახაკს სამსჯავროში.

⁴თუ წააწყდები შენი მტრის ხარს ან ვირს, გზადაბნეულს, დაუბრუნე პატრონს.

⁵თუ დაინახო შენი მოძულის ტვირთქვეშ დაცემული ვირი, ნუ მიატოვებ, დაეხმარე მის აყენებაში.

⁶ნუ გაამრუდებ ღარიბი კაცის სამართალს დავისას.

⁷სიცრუეს განშორდი და უდანაშაულო და მართალ კაცს ნუ მოკლავ, რადგან არ გავამართლებ ბოროტმოქმედს.



- ⁸და ქრთამს ნუ აიღებ, რადგან ქრთამი აბრძავებს თვალხილულთ და აუკუღმართებს მართალთა საქმეს.
- ⁹ხიზანს ნუ შეავიწროებ. თქვენ იცით ხიზნის სული, რადგან ხიზნები იყავით ეგვიპტის ქვეყანაში.
- ¹⁰ექვსი წელი თესე შენი მიწა და აიღე მოსავალი,
- ¹¹ხოლო მეშვიდე წელს არ დაამუშაო, მიაგდე, რათა შენი ხალხის ღარიბ-ღატაკებმა ჭამონ ნაგერალი და ნარჩენით გამოიკვებნენ ველის ცხოველები. ასევე დატოვე შენი ვენახი და ზეთისხილი.
- ¹²ექვს დღეს აკეთე შენი საქმე, და მეშვიდე დღეს დაისვენე, რათა დაისვენოს შენმა ხარმა და სახედარმა, და სული მოითქვას შენი მხევლის ძემ და ხიზანმა.
- ¹³ყველაფერი, რაც მე გითხარით, დაიცავით, და სხვა ღმერთების სახელი არ ახსენოთ, ბაგეზე არ გაიკაროთ.
- ¹⁴წელიწადში სამგზის იდღესასწაულეთ ჩემი დღესასწაულები.
- ¹⁵დაიცავი უფუარობის დღესასწაული: შვიდ დღეს ჭამე ხმიადი, როგორც გიბრძანე, აბიზის თვის დაწესებულ ჟამს, რადგან ამ დროს გამოხვედი შენ ეგვიპტიდან. და ნუ მოვლენ ჩემს წინაშე ხელცარიელნი;
- ¹⁶და დაიცავი დღესასწაული შენი შრომის პირველნაყოფთა მკისა, რაც ყანაში დაგითესავს; აგრეთვე დღესასწაული კრეფისა წელიწადის მიწურულს, როცა მოისთვლი შენს ნაშრომს.
- ¹⁷წელიწადში სამჯერ გამოცხადდეს ყოველი შენი მამაკაცი უფალი ღმერთის წინაშე.
- ¹⁸საფუარიანთან ერთად ნუ შესწირავ ჩემი შესაწირავი პირუტყვის სისხლს, ნურც ჩემს სადღესასწაულო ქონს ნუ დატოვებ დილამდე.
- ¹⁹შენი მიწის საუკეთესო პირველნაყოფი მიიტანე უფლის, შენი ღმერთის სახლში. ნუ მოხარშავ თიკანს თავისი დედის რძეში.
- ²⁰აჰა, მე წაგიმძღვარებ ანგელოზს, რომ გიფარავდეს გზაში და მიგიყვანოს იმ ადგილას, რომელიც შენთვის გავამზადე.
- ²¹იფრთხილე მის წინაშე და შეისმინე მისი სიტყვა, ნუ ეურჩები მას, რადგან ის არ გაპატიებთ შეცოდებას, რადგან მასშია ჩემი სახელი.
- ²²თუ კარგად მოუსმენ მის ხმას და ყველაფერს აღასრულებ, რასაც გეუბნები, მაშინ ვუმტრობ შენს მტერს და შევავიწროვებ შენს შემავიწროვებელს.



²³როცა წაგიძღვება ჩემი ანგელოზი და მიგიყვანს ამორევლებთან, ხეთელებთან, ფერიზელებთან, ქანაანელებთან, ხიველებთან და იებუსელებთან, და შევმუსრავე მათ,

²⁴თაყვანი არ სცე მათ ღმერთებს და არ ემსახურო, და არ აკეთო მათეზური საქმეები, არამედ დაანგრე ისინი და შემუსრე მათი ძეგლები.

²⁵და ემსახურეთ უფალს, თქვენს ღმერთს, და ის გიკურთხებთ იგი პურსა და წყალს, და აგაცილებთ სნეულებას.

²⁶არ იქნება მუცელმოწყვეტილი ან ბერწი შენს მიწაზე, და ავავსებ შენი სიცოცხლის დღეებს.

²⁷წინ წაგიძღვარებ ჩემს შიშის ზარს და ძრწოლას მოვგვრი ყოველ ხალხს, რომელთანაც შენ მიხვალ. შენი მტრების ზურგს გახილვინებ.

²⁸და წინ წაგიძღვარებ შიშს და გარეკავს ის ხიველებს, ქანაანელებს და ხეთელებს შენგან.

²⁹არ მოგაშორებ მას ერთ წელიწადს, რომ არ მოოხრდეს ქვეყანა და არ მოგეძალოს ველის ნადირი.

³⁰თანდათანობით მოგაშორებ მას, რომ მოშენდე და დაიმკვიდრო ქვეყანა.

³¹გავავლებ შენს საზღვარს მეწამული ზღვიდან ფილისტიმელთა ზღვამდე, და უდაბნოდან მდინარემდე, როცა ხელში ჩაგაგდებინებ ქვეყნის მკვიდრთ და შენ მოიშორებ მათ.

³²ნუ შეეკვრები ნურც მათ და ნურც მათ ღმერთებს.

³³არ იმკვიდრონ მათ შენს ქვეყანაში, რომ ცოდვა არ ჩაგადენინონ ჩემს მიმართ, რადგან თუ ემსახურე მათ ღმერთებს, მახეში გაებმები.“

გამოსვლა 24

¹უთხრა უფალმა მოსეს: „ამოდით უფალთან შენ და აარონი, ნადაბი და აბიჰუ, და ისრაელის 70 უხუცესი, და თაყვანი ეცით შორიდან.

²მარტო მოსე მიეახლოს უფალს და ისინი არ მიეახლონ, და ხალხი არ ამოჰყვეს მას.“

³და მივიდა მოსე და შეატყობინა ხალხს ყოველი სიტყვა უფლისა და ყოველი მისი რჯულდება. და მიუგო მთელმა ხალხმა ერთხმად: „ყოველ სიტყვას, რომელიც წარმოთქვა უფალმა, შევასრულებთ.“



⁴და დაწერა მოსემ ყოველი სიტყვა უფლისა, და ადგა დილაადრინად, და ააშენა სამსხვერპლო მთის ძირას და 12 სვეტი ისრაელის 12 ტომის რიცხვისამებრ.

⁵და წარავლინა მოსემ ჭაბუკი ისრაელიანები და აღუვლინეს სრულადდასაწველნი, და დაკლეს მოზვრები სამშვიდობო მსხვერპლად უფლისათვის.

⁶აილო მოსემ ნახევარი სისხლი და ჩაასხა თასებში, და ნახევარი აპკურა სამსხვერპლოს.

⁷და აილო აღთქმის წიგნი და წაუკითხა ხალხს, და მათ თქვეს: „ყოველივეს აღვასრულებთ და შევისმენთ, რაც უფალმა ბრძანა.“

⁸და აილო მოსემ სისხლი და აპკურა ხალხს და თქვა: „აჰა, სისხლი აღთქმისა, რომელიც დაგიდოთ უფალმა თქვენ, ყველა ამ სიტყვისამებრ.“

⁹და ავიდნენ მოსე და აარონი, ნადაბი და აბიჰუ, და ისრაელის 70 უხუცესი.

¹⁰და მათ იხილეს ღმერთი ისრაელისა; და იყო მის ფეხთა ქვეშ რაღაც მსგავსი საფირონის ქვაფენილისა და ცასავით კრიალა.

¹¹ისრაელიანთაგან რჩეულებზე არ აღუმართავს ხელი ღმერთს: მათ იხილეს ღმერთი და ჭამეს და სვეს.

¹²და უთხრა უფალმა მოსეს: „ამოდი ჩემთან მთაზე და იყავი აქ. და მოგცემ შენ ქვის დაფებს, და რჯულსა და მცნებას, მათ დასამოძღვრად რომ დავწერე.“

¹³და ადგნენ მოსე და მისი მსახური იესო, და ავიდა მოსე ღვთის მთაზე.

¹⁴და უთხრა უხუცესებს: „აქ დაგველოდეთ, ვიდრე დავბრუნდებით თქვენთან. და აჰა, აარონი და ხური თქვენთან არიან. ვისაც საქმე ექნება, მივიდეს მათთან.“

¹⁵და ავიდა მოსე მთაზე და დაფარა მთა ღრუბელმა.

¹⁶და დაივანა უფლის დიდებამ სინაის მთაზე და ფარავდა ღრუბელი მას ექვს დღეს. და მოუხმო მან მოსეს მეშვიდე დღეს შუაგულ ღრუბლიდან.

¹⁷და სახე უფლის დიდებისა ისრაელიანთა თვალში იყო, როგორც ცეცხლი მოგიზგიზე მთის მწვერვალზე.

¹⁸და შევიდა მოსე შუაგულ ღრუბელში, და ავიდა მთაზე. და იყო მოსე მთაზე 40 დღე და 40 ღამე.

გამოსვლა 25



- ¹და უთხრა უფალმა მოსეს:
- ²„უთხარი ისრაელიანთ, რომ ამიკრიფონ შესაწირავი. ყოველი კაცისგან, ვისაც გული ეტყვის, ამიკრიფეთ შესაწირავი.
- ³ესაა შესაწირავი, რომელიც უნდა აკრიფოთ მათგან: ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო,
- ⁴და ცისფერი, მოწეული და ჭიაფერი ნართი, ბისონი და თხისური,
- ⁵ვერძის ტყავები დათრიმლული და გამოყვანილი ტყავები და აკაციის ხე,
- ⁶სანთებელი ზეთი, სურნელებანი მირონისათვის და საკმევლისათვის.
- ⁷სარდიონის თვლები და ეფოდისა და სამკერდულის მოსაოჭავი თვლები.
- ⁸და გამიკეთონ მე საწმიდარი და დავივანებ მათ შორის.
- ⁹როგორსაც მე გიჩვენებ სავანის ნიმუშს და მთელი მისი მოწყობილობის ნიმუშს, ყველაფერი იმგვარად გააკეთეთ.
- ¹⁰გააკეთე კიდობანი აკაციის ხისგან: ორნახევარი წყრთა* იყოს მისი სიგრძე, წყრთანახევარი – მისი სიგანე და წყრთანახევარი – მისი სიმაღლე.
- ¹¹და მოჭედე იგი ხალასი ოქროთი. შიგნიდან და გარედან მოჭედე იგი. და ზემოთ ირგვლივ შემოავლე ოქროს გვირგვინი.
- ¹²და ჩამოასხი მისთვის ოთხი რგოლი ოქროსი, და მიამაგრე ოთხ კიდეზე: ორი რგოლი ერთ მხარეს და ორი რგოლი – მეორე მხარეს.
- ¹³გათალე აკაციის ხის კეტები და მოჭედე ოქროს ფურცლით.
- ¹⁴და გაუყარე კეტები რგოლებში კიდობნის გვერდებზე, რათა კიდობნის ტარება შეიძლებოდეს.
- ¹⁵კიდობნის რგოლებში კეტები მუდამ უნდა იყოს, არ უნდა მოშორდეს მას.
- ¹⁶და ჩადე კიდობანში მოწმობა, რომელსაც მოგცემ შენ.
- ¹⁷და გააკეთე სარქველი ხალასი ოქროსი: ორნახევარი წყრთა იყოს მისი სიგრძე და წყრთანახევარი მისი სიგანე.
- ¹⁸და გააკეთე ორი ქერუბიმი: ოქროთი ჭედურად, სარქვლის ორივე კიდისათვის.
- ¹⁹და დასვი ერთი ქერუბიმი ერთ კიდეზე და მეორე ქერუბიმი – მეორე კიდეზე. დასხით ქერუბიმები სარქვლის ორსავე კიდეზე.
- ²⁰და იქნებიან ქერუბიმები ფრთაგამლილნი ზემოთკენ, და ფრთებით დაფარავენ სარქველს. სახე ერთმანეთისკენ ექნებათ მიქცეული, სარქველს უნდა დაჰყურებდნენ ქერუბიმები.



- ²¹და დააფარე სარქველი კიდობანს ზემოდან. და ჩადე კიდობანში მოწმობა, რომელსაც მე მოგცემ.
- ²²და გამოგეცხადები შენ იქ და გელაპარაკები სარქველს ზემოდან, ორი ქერუბიმის შუაგულიდან, რომელნიც მოწმობის კიდობანზეა, ყოველივეზე რასაც გიბრძანებ შენ ისრაელიანთათვის.
- ²³და გააკეთე ტაბლა აკაციის ხისგან: სიგრძე ორი წყრთა იყოს, სიგანე – ერთი წყრთა, სიმაღლე – ერთნახევარი წყრთა.
- ²⁴და მოჭედე იგი ხალასი ოქროთი, და გაუკეთე ოქროს გვირგვინი ირგვლივ.
- ²⁵გაუკეთე მას ირგვლივ ხელისდადების სიმაღლის ოქროვარაყის კედელი.
- ²⁶და გაუკეთე ოქროს ოთხი რგოლი, და მიუმაგრე რგოლები ოთხ კუთხეზე მის ოთხ ფეხთან.
- ²⁷კედელზე იყოს რგოლები კეტების გასაყრელად, რომ ტაბლის ტარება შეიძლებოდეს.
- ²⁸და გამოთალე აკაციის ხის კეტები და მოჭედე ისინი ოქროფურცლით. და ამ კეტებით ატარონ ტაბლა.
- ²⁹და გააკეთე მისი ლანგრები და მისი თასები, და მისი ჯამები, და მისი ტოლჩები საღვრელისთვის, ხალასი ოქროსაგან გააკეთე ისინი.
- ³⁰მუდამ ეწყოს ტაბლაზე საწინაშეო პურები ჩემს წინაშე.
- ³¹და გააკეთე სასანთლე ხალასი ოქროსაგან. მთლიანად ერთი ჭედურობით* გაკეთდეს სასანთლე, მისი ღერო და მისი ტოტი, მისი თასები, მისი კვირტები და მისი ყვავილები მისგანვე უნდა იყოს.
- ³²ექვსი ტოტი გამოდიოდეს მისი ღეროდან: სამი ტოტი სასანთლისა ერთი მხრიდან და სამი ტოტი – მეორე მხრიდან.
- ³³სამი ნუშისებრი თასი ერთ ტოტზე, კვირტი და ყვავილი. სამი ნუშისებრი თასი მეორე ტოტზე, კვირტი და ყვავილი. ასევე ექვსსავე ტოტზე, რომლებიც გამოდიან სასანთლიდან.
- ³⁴და თვით სასანთლის ღეროზე იყო ოთხი ნუშისებრი თასი, თავ-თავისი კვირტებითა და ყვავილებით.
- ³⁵და კვირტი მისი ტოტების პირველი წყვილის ძირში, და კიდევ კვირტი მისი ტოტების შემდეგი წყვილის ძირში და კიდევ კვირტი მისი ტოტების ბოლო წყვილის ძირში სასანთლიდან გამომავალი ექვსი ტოტისათვის.



³⁶მათი კვირტები და მათი ტოტები იქნება მისგანვე, მთლიანად ერთი ჭედურობით, ხალასი ოქროთი.

³⁷და გააკეთე შვიდი კანდელი მისი და აანთე მისი კანდელები, რათა ანათებდეს მის წინ.

³⁸და მისი მაშები, და მისი აქანდაზები იყოს ხალასი ოქროსი.

³⁹ერთი ტალანტი* ხალასი ოქროსგან გაკეთდეს იგი მთელ ამ ჭურჭელთან ერთად.

⁴⁰და იცოდე, იმ ნიმუშის მიხედვით გააკეთე ისინი, რომელიც მთაზე გიჩვენე.

გამოსვლა 26

¹და გააკეთე სავანე გრეხილი ბისონის, ცისფერი, მოწეული და ჭიაფერი ნართის ქსოვილის ათი ნაჭრისაგან. და ოსტატურად უნდა ამოქარგო ქერუბიმები მათზე.

²თითოეული ნაჭრის სიგრძე იყოს 28 წყრთა, ხოლო სიგანე – ოთხი წყრთა. ყველა ნაჭერი ერთი ზომისა იყოს.

³ხუთი ნაჭერი ერთმანეთს გადააკერე, მეორე ხუთი ნაჭერიც – ერთმანეთს.

⁴და გაუკეთე ცისფერი კილოები განაპირა ნაჭერს კიდეზე, და ასევე გააკეთე მეორე ნაჭრის კიდეზე.

⁵50 კილო გაუკეთე ერთი ნაჭრის კიდეზე, 50 კილო – მეორე ნაჭერს. კილოები მიესადაგონ ერთმანეთს.

⁶და გააკეთე 50 დუგმა ოქროსი, და შეაერთე ნაჭრები ურთიერთთან დუგმებით, და ერთიანი იქნება სავანე.

⁷და გააკეთე გადასაფარებელი თხისურისგან, სავანის გადასახურავად. 11 ასეთი გადასაფარებელი გააკეთე.

⁸სიგრძე თითოეული გადასაფარებლისა იყოს 30 წყრთა, ხოლო სიგანე – ოთხი წყრთა. თერთმეტივე გადასაფარებელი ერთი ზომისა იყოს.

⁹და შეაერთე ხუთი გადასაფარებელი ცალკე და ექვსი ცალკე, და ორად მოკეცე მეექვსე გადასაფარებელი კარვის წინა მხარეს.

¹⁰გაუკეთე 50 კილო ერთ გადასაფარებელს კიდეზე, და 50 მეორე გადასაფარებელს კიდეზე.

¹¹გააკეთე ბრინჯაოს 50 დუგმა და გაუყარე დუგმები კილოებში, და შეაერთე სავანე, და ერთიანი იქნება.



- ¹²და ჩამოშვებული ნამეტი სავანის გადასაფარებლიდან, გადასაფარებლის ნამეტობის ნახევარი, სავანის უკანა მხარეს იყოს ჩამოშვებული.
- ¹³სავანის გადასაფარებლის სიგრძეზე მორჩენილი ნამეტი, ერთი წყრთა ერთი მხრიდან, გადაიჭიმოს სავანის გვერდებზე აქეთა და იქით, მის დასაფარავად.
- ¹⁴და გააკეთე საფარველი კარვისათვის ვერძის ტყავისა დათრიმლული და გამოყვანილი ტყავის საფარი ზემოდან.
- ¹⁵და გააკეთე კეტები სავანისათვის აკაციის ხისაგან.
- ¹⁶10 წყრთა იყოს სიგრძე თითოეული ძელისა და წყრთანახევარი – სიგანე.
- ¹⁷ორ-ორი რიკი თითოეული ძელისათვის, ერთიმეორეზე მიერთებული. ასე გაუკეთე სავანის ყოველ ძელს.
- ¹⁸და გააკეთე კეტები სავანისათვის: 20 ძელი სამხრეთის მხარეს.
- ¹⁹და ვერცხლის 40 კვარცხლბეკი გაუკეთე ოცივე ძელის ქვეშ: ორი კვარცხლბეკი ერთი ძელის ქვეშ მისი ორი რიკისთვის და ორი კვარცხლბეკი ყველა სხვა ძელის ქვეშ მისი ორი რიკისთვის.
- ²⁰და სავანის მეორე გვერდისათვის, ჩრდილოეთ მხარეს – 20 ძელი.
- ²¹და მათთვის ვერცხლის 40 კვარცხლბეკი: ორ-ორი კვარცხლბეკი თითო ძელის ქვეშ.
- ²²სავანის უკანა, დასავლეთი მხარისათვის, გააკეთე ექვსი ძელი.
- ²³და ორი ძელი გააკეთე სავანის კუთხეებისთვის, უკანა მხარეს.
- ²⁴იყოს ისინი შეკრული ქვემოდან და ზემოდან თითო რგოლით. ასე უნდა იყოს ორივე კუთხისათვის.
- ²⁵და იქნება რვა ძელი და ვერცხლის 16 კვარცხლბეკი, ორ-ორი კვარცხლბეკი თითოეული ბოძისთვის.
- ²⁶და გააკეთე ლარტყები აკაციის ხისაგან: ხუთი – სავანის ერთი გვერდის კეტებისათვის.
- ²⁷და ხუთი ლარტყი სავანის მეორე მხარის კეტებისათვის, და ხუთი – სავანის უკანა მხარის კეტებისათვის, დასავლეთით.
- ²⁸და შუათანა ლარტყი ერთი კიდიდან მეორე კიდემდე უნდა გასდევდეს ძელებს.
- ²⁹მოავარაყე კეტები ოქროთი, და მათი რგოლები, ლარტყების გასაყრელები გააკეთე ოქროსი, და ლარტყებიც ოქროთი მოავარაყე.



³⁰და ააგე სავანე იმ წესით, რომელიც მთაზე იხილე.

³¹და მოქსოვე ფარდა ცისფერი, ძოწეული და ჭიაფერი ნართისა და გრეხილი ბისონისა. ოსტატური ნაკეთობით ამოქარგონ იგი, ქერუბიმებით.

³²და ჩამოკიდე იგი ოქროთი მოვარაყებულ აკაციის ოთხ ბოძზე, ოქროსი იყოს მათი დუგმები, ვერცხლის ოთხ კვარცხლბეკზე,

³³და მიაბნიე ფარდა დუგმებს, და შეიტანე იქ, ფარდის მიღმა, მოწმობის კიდობანი. და ფარდა გამოჰყოფს თქვენთვის წმიდას წმიდათა წმიდისაგან.

³⁴და დაახურე სარქვეველი მოწმობის კიდობანს წმიდათა წმიდაში.

³⁵და დადგი ტაბლა ფარდის გარეთ და სასანთლე ტაბლის პირისპირ სავანის გვერდით, სამხრეთისაკენ, და დადგი ტაბლა ჩრდილოეთით.

³⁶და ჩამოჰკიდე ფარდა სავანის შესასვლელთან ცისფერი, ძოწეული და ჭიაფერი ნართისა და გრეხილი ბისონისა, მქარგავის ნაკეთობით.

³⁷და გააკეთე ჩამოსაფარებლისათვის ხუთი სვეტი აკაციისა და მოვარაყე ისინი ოქროთი. და მათი დუგმები ოქროსი იყოს; და ჩამოასხი მათთვის ბრინჯაოს ხუთი კვარცხლბეკი.

გამოსვლა 27

¹და გააკეთე სამსხვერპლო აკაციის ხისაგან ხუთი წყრთის სიგრძისა და ხუთი წყრთა სიგანისა. ოთხკუთხედი იყოს სამსხვერპლო, სამი წყრთის სიმაღლისა.

²და გაუკეთე მას რქები ოთხიკუთხივ, მისგანვე იყოს მისი რქები და მოჭედე იგი ბრინჯაოთი.

³და გაუკეთე მას ქოთნები ნაცრის ჩასაყრელად, ნიჩბები, სასხურებელნი, ჩანგლები და აქანდაზები. მისი ყველა ნივთი ბრინჯაოსგან გააკეთე.

⁴და გაუკეთე მას ცხაური ბადისებრი ნახელავი ბრინჯაოსაგან, და ბადეზე გაუკეთე ბრინჯაოს ოთხი რგოლი მის ოთხ კიდეზე.

⁵და შედგი იგი სამსხვერპლოს ქვეშ და ბადე სამსხვერპლოს შუამდე სწვდებოდეს.

⁶და გაუკეთე აკაციის ხის კეტები სამსხვერპლოს, და მოჭედე ისინი ბრინჯაოთი.

⁷გაეყაროს მისი კეტები რგოლებში და იყოს ისინი სამსხვერპლოს ორივე გვერდზე, მის სატარებლად.



- ⁸ღრუ გააკეთე სამსხვერპლო, ფიცრებით. როგორც გიჩვენე მთაზე, ისე გააკეთონ.
- ⁹მოაწყვე სავანის ირგვლივ ეზო. სამხრეთის მხარეს ფარდა ჰქონდეს ეზოს გრებილი ბისონისა, 100 წყრთის სიგრძისა ამ მხარეს,
- ¹⁰20 სვეტზე გაჭიმული. სვეტები იდგეს ბრინჯაოს კვარცხლბეკებზე. სვეტების დუგმები და მარწუხები ვერცხლისა იყოს.
- ¹¹და ასევე ჩრდილოეთის მხარის გასწვრივ, 100 წყრთის სიგრძის ფარდა. და სვეტები მისი – 20, და მათი კვარცხლბეკები – 20, ბრინჯაოსი. სვეტების დუგმები და მათი სალტეები ვერცხლისა იყოს.
- ¹²ეზოს სიგანეზე დასავლეთით – ფარდები 50 წყრთის სიგრძისა. მათი 10 სვეტი და 10 კვარცხლბეკი.
- ¹³და ეზოს სიგანეზე აღმოსავლეთით, – 50 წყრთა,
- ¹⁴15 წყრთის სიგრძის ფარდები ერთი მხარისათვის სამი სვეტითა და სამი კვარცხლბეკით.
- ¹⁵და მეორე მხარისათვის – 15 წყრთის სიგრძის ფარდები სამი სვეტითა და სამი კვარცხლბეკით.
- ¹⁶და ეზოს ბჭისათვის ჩამოსაფარებელი – 20 წყრთა, ცისფერი, მოწეული და ჭიაფერი ნართისა და ბისონისაგან, მქარგავის ნაკეთობა. ოთხი სვეტი და ოთხი კვარცხლბეკი.
- ¹⁷ეზოს ირგვლივ ყოველი სვეტი შეერთდეს ვერცხლის სამაგრებით. მათი დუგმები ვერცხლისა იყოს, და მათი კვარცხლბეკები – ბრინჯაოსი.
- ¹⁸ეზოს სიგრძე 100 წყრთა, სიგანე – 50, სიმაღლე ხუთი წყრთა. ფარდები ბისონისა, მათი კვარცხლბეკები – ბრინჯაოსი.
- ¹⁹სავანის მთელი სამსახურებელი ჭურჭელი და ყველა მისი პალო და ეზოს ყველა პალო ბრინჯაოსი უნდა იყოს.
- ²⁰უბრძანე ისრაელიანთ მოგიტანონ სუფთად გამოხდილი ზეითუნის ზეთი გასანათებლად, რათა მუდამ ენთოს ლამპარი.
- ²¹საკრებულო კარავში, ჩამოსაფარებლის გარეთ, რომელიც მოწმობის კიდობნის წინაა, ენთოთ იგი აარონსა და მის ძეთ ბინდიდან განთიადამდე უფლის წინაშე. ეს საუკუნო წესია ისრაელიანთა თაობებისათვის.

გამოსვლა 28



- ¹და მიიახლოვე აარონი, შენი ძმა, და მისი ძენი მასთან ერთად, ისრაელიანთაგან, რათა მღვდლობა გამიწიონ აარონმა და მისმა ძეებმა: ნადაბმა, აბიჰუმ, ელეაზარმა და ითამარმა.
- ²და დაუმზადე წმიდა სამოსელი აარონს, შენს ძმას, დიდებისათვის და დასამშვენებლად.
- ³და ელაპარაკე ყველა ხელოვან ოსტატს, რომელნიც მე ავავესე სიბრძნის სულით, რომ დაუმზადონ სამოსელი აარონს, რათა ჩემს მღვდლად იკურთხოს იგი.
- ⁴და აჰა, სამოსელი, რაც უნდა დაუმზადონ: სამკერდული, ეფოდი, წამოსასხამი და ნაქსოვი კვართი, თავსაბურავი და სარტყელი. და დაუმზადონ წმიდა სამოსელი აარონს, შენს ძმას, და მის ძეთ, რათა მღვდლობა გამიწიონ.
- ⁵აიღონ ოქრო, ცისფერი და ძოწეული და ჭიაფერი ნართი და ბისონი.
- ⁶და დაამზადონ ეფოდი ოქროსაგან და ცისფერი, ძოწეული და ჭიაფერი ნართისა და გრეხილი ბისონისაგან, ოსტატურად ნახელავი.
- ⁷ორი მისამაგრებელი სამხრე უნდა ჰქონდეს ორსავე ბოლოში, კიდებზე, და იკვრებოდეს.
- ⁸და სარტყელი ეფოდისა, რომელიც მასზეა, იყოს ასეთივე ნახელავი – ოქროსაგან და ცისფერი, ძოწეული და ჭიაფერი ნართისა და გრეხილი ბისონისაგან.
- ⁹და აიღე სარდიონის ორი ქვა, და ამოკვეთე მათზე ისრაელიანთა სახელები.
- ¹⁰ექვსი ამ სახელთაგან ერთ ქვაზე და დანარჩენი ექვსი სახელი მეორე ქვაზე, მათი წარმომავლობის მიხედვით.
- ¹¹ქვაზე მკვეთელის ხელოვნებით, როგორც ბეჭდის ტვიფარს აკეთებენ, ამოტვიფრე ორივე ქვაზე ისრაელიანთა სახელები. და ოქროს ბუდეებში ჩასვი.
- ¹²მიამაგრე ეს ორი ქვა ეფოდის სამხრეებზე – ისრაელიანთა სამახსოვრო ქვები. და ატაროს ეს სახელები აარონმა თავის ორ სამხრეზე უფლის წინაშე სამახსოვროდ.
- ¹³ბუდეები ოქროსი გააკეთე,
- ¹⁴და ორი ძეწკვიც ხალასი ოქროსი, წნულ თასმებად გააკეთე ისინი და მიამაგრე ძეწკვები ბუდეებს.



¹⁵დაამზადე განკითხვის სამკერდული, ოსტატურად ნახელავი, ისევე როგორც ეფოღია. ოქროსაგან და ცისფერი, ძოწეული და ჭიაფერი ნართსა და გრეხილი ბისონისაგან დაამზადე იგი.

¹⁶ოთხკუთხედი იყოს იგი, ორკეცი, მტკაველი მისი სიგრძე და მტკაველი მისი სიგანე.

¹⁷ოთხრიგად გააწყვე მასზე ქვები თავის ბუდეებით: ლალი, ტოპაზი და ბივრილი – ერთი მწკრივი.

¹⁸მეორე მწკრივი: ზურმუხტი, საფირონი და ალმასი.

¹⁹მესამე მწკრივი: იაგუნდი, აქატი და ამეთვისტო.

²⁰და მეოთხე მწკრივი: კრიზოლითი, სარდიონი, იასპი. ოქროს ბუდეებში უნდა ჩაისვას ისინი.

²¹ქვები 12 იყოს ისრაელიანთა სახელების მიხედვით, და თითოეულზე 12 ტომიდან თითოს სახელი იყოს ამოტვიფრული.

²²გაუკეთეს სამკერდულს გრეხილი ძეწკვები წნული ნაკეთობით, ხალასი ოქროსი.

²³და გაუკეთე სამკერდულს ოქროს ორი რგოლი, და მიამაგრე ორივე რგოლი სამკერდულის ორ კიდეს.

²⁴და გაუყარე ოქროს წნული ორივე რგოლში სამკერდულის კიდებზე.

²⁵და მიამაგრე ორივე წნულის ორივე ბოლო ორივე ბუდეს, და მიაბი ეფოღის სამხრეებს წინიდან.

²⁶და გააკეთე ორი რგოლი ოქროსი და მიამაგრე ისინი სამკერდულის ორ კიდეს, ნაპირზე, რომელიც ეფოღის შიდა მხარეს არის მოქცეული.

²⁷და გააკეთე ოქროს ორი რგოლი და მიამაგრე ისინი ეფოღის ორივე სამხრეზე ქვემოდან, წინა მხარეს, შესაკრავთან, ზემოთ, ეფოღის სარტყელზე.

²⁸და მიამაგრონ სამკერდული მისი რგოლებით ეფოღის რგოლებს ცისფერი ზონრით, რათა იყოს ეფოღის სარტყელზე და მჭიდროდ ეკვროდეს სამკერდული ეფოღს.

²⁹თან ატაროს აარონმა ისრაელიანთა სახელები განკითხვის სამკერდულზე, თავის გულზე, წმიდაში შესვლისას, მუდმივ სამახსოვროდ უფლის წინაშე.

³⁰და ჩასვი განკითხვის სამკერდულში ურიმი და თუმიმი. და იქნება ისინი აარონის მკერდზე მისი მისვლისას უფლის წინაშე; და ატაროს აარონმა ისრაელიანთა განკითხვა თავის მკერდზე უფლის წინაშე მარადის.



- ³¹და დაამზადე მოსასხამი ეფოდისათვის მთლიანად ცისფერი.
- ³²შუაში თავის გასაყოფი ჭრილი უნდა ჰქონდეს. არშია ჰქონდეს მის ჭრილს ირგვლივ, ნაქსოვისგან, ჯავშნის ჭრილივით ჰქონდეს მას, რომ არ გაიხეს.
- ³³და ამოქარგე მის კალთებზე ირგვლივ ბროწეულები ცისფერი, მოწეული და ჭიაფერი ნართით. და ოქროს ეჭვნები შეაბი ბროწეულთა შორის მოსასხამის კალთებს ირგვლივ.
- ³⁴ოქროს ეჭვანი და ბროწეული, ოქროს ეჭვანი და ბროწეული მოსასხამის კალთებზე, ირგვლივ.
- ³⁵იგი იყოს აარონზე მსახურებისას, რათა ისმოდეს მისი ხმა მისი შესვლისას წმიდაში უფლის წინაშე, და მისი გამოსვლისას, რომ ის არ მოკვდეს.
- ³⁶და გააკეთე გვირგვინი ხალასი ოქროსი, და ამოკვეთე მასზე ბეჭდის ტვიფარივით: სიწმიდე უფლისა.
- ³⁷და მიამაგრე იგი ცისფერი ზონრით თავსაბურველს, თავსაბურველის წინა მხარეს იყოს იგი.
- ³⁸იყოს ის აარონის შუბლზე, და იტვირთოს აარონმა ნაკლი შესაწირავთა, რომლებსაც შესწირავენ ისრაელიანები და ყოველი მათი წმიდა საბოძვარისთვის, და იყოს იგი მის შუბლზე მუდამ, რათა სასურველი იყოს ისინი უფლის წინაშე.
- ³⁹და მოქსოვე კვართი ბისონისა, და გააკეთე ბისონის თავსაბურველი, სარტყელიც გააკეთე, ნაყშიანი.
- ⁴⁰დაუმზადე აარონის ძეთ კვართი და გაუკეთე მათ სარტყელნი, და თავსამკაულნი გაუკეთე მათ სადიდებლად და დასამშვენებლად.
- ⁴¹შემოსე მათით აარონი, შენი ძმა, მისი ძენი მასთან ერთად, და სცხე მათ, და აუვსე მათ ხელი, და აკურთხე ისინი, რომ მღვდლობა გამიწიონ.
- ⁴²და დაუმზადე მათ სელის საწმერთული შიშველი ხორცის დასაფარავად. წელიდან წვივამდე უნდა იყოს.
- ⁴³ჩაიცვამენ მას აარონი და მისი შვილები, როცა სადღესასწაულო კარავში შევლენ ან როცა სამსხვერპლოს მიუახლოვდებიან წმიდაში მსახურებისთვის, რათა ცოდვა არ დაედოთ და არ დაიხოცნენ. ეს საუკუნო წესია მისთვის და მის შთამომავალთათვის მის შემდეგ.

გამოსვლა 29



- ¹აი, რა უნდა გააკეთო შენ მათ გასაწმედად, რომ მღვდლობა გამიწიონ: აიყვანე ერთი მოზვერი და ორი უხინჯო ვერძი.
- ²და აიღე უფუარი პურები, ზეთში მოზელილი უფუარი კვერები და ზეთნაცხები უფუარი ხმიადები, ხორბლის გამტკიცული ფქვილისაგან გამოაცხვე ისინი.
- ³და მოათავსე ერთ კალათაში, და მოიტანე ისინი კალათით. და მოიყვანე მოზვერი და ორი ვერძი.
- ⁴აარონი და მისი ძენი მიაახლე საკრებულო კარვის კარს და განზანე ისინი წყლით.
- ⁵და აიღე სამოსელი და შემოსე აარონი კვართით და ეფოდის მოსასხამით, ეფოდით და სამკერდულით. წელზე ეფოდის სარტყელი შემოარტყი.
- ⁶თავსაბურველი დაახურე თავზე და სიწმიდის გვირგვინი მიუმადრე თავსაბურველზე.
- ⁷და აიღე მირონი, დაასხი მას თავზე და სცხე მას.
- ⁸და მიაახლე მისი ძენი და შემოსე ისინი კვართებით.
- ⁹და შემოარტყი სარტყელი აარონსა და მის ძეებს, და დაახურე მათ დოლბანდები, და იყოს მათი მღვდლობა საუკუნო წესად. და აუვსე ხელი აარონსა და მის ძეთ.
- ¹⁰და მოიყვანე მოზვერი საკრებულო კარავთან, და დაასხან აარონმა და მისმა ძეებმა ხელები თავზე.
- ¹¹და დაკალი მოზვერი უფლის წინაშე საკრებულო კარვის შესასვლელთან.
- ¹²და აიღე მოზვრის სისხლი და თითებით სცხე სამსხვერპლოს რქებს, ხოლო დანარჩენი სისხლი დაღვარე სამსხვერპლოს ძირში.
- ¹³და აიღე მთელი ქონი, რაც აკრავს შიგნეულს, და ღვიძლის ქონი, ორივე თირკმელი მათივე ქონითურთ და დაწვი სამსხვერპლოზე საკმევად.
- ¹⁴ხოლო მოზვრის ხორცი და მისი ტყავი და მისი ნეხვი დაწვი ცეცხლში ბანაკის გარეთ. ცოდვის მსხვერპლია იგი.
- ¹⁵და აიყვანე ერთი ვერძი, და დაასხან აარონმა და მისმა ძეებმა ხელები ვერძს თავზე.
- ¹⁶და დაკალი ვერძი, და აიღე მისი სისხლი, და მოაპკურე სამსხვერპლოს ირგვლივ.
- ¹⁷ვერძი ნაჭრებად აქენი და გარეცხე მისი შიგნეული და მისი კანჭები, და დაადე ისინი მის გაკვეთილ ნაწილებს და მის თავს.



¹⁸დაწვი საკმევად მთელი ვერძი სამსხვერპლოზე. ეს უფლის სრულადდასაწველი მსხვერპლია, კეთილსურნელება, საცეცხლო მსხვერპლია უფლისათვის.

¹⁹და აიყვანე მეორე ვერძი და დაასხან აარონმა და მისმა ძეებმა ხელები ვერძს თავზე.

²⁰და დაკალი ვერძი, და აიღე მისი სისხლი, და სცხე აარონის მარჯვენა ყურის ბიბილოს და მის ძეთა მარჯვენა ყურის ბიბილოებს, და მათი მარჯვენა ხელის ცერს და მათი მარჯვენა ფეხის ცერს. და სამსხვერპლოს ირგვლივ მოაპკურე სისხლი.

²¹აიღე სამსხვერპლოზე დაღვრილი სისხლი და მირონი და მიაპკურე აარონსა და მის შესამოსელს, და მის ძეებსა და მის ძეთა სამოსელს მასთან ერთად. და განიწმიდება იგი და მისი შესამოსელი, და მის ძეთა შესამოსელი მასთან ერთად.

²²და აიღე ვერძის ქონი და დუმა, და ქონი, რომელიც აკრავს შიგნეულს, და ღვიძლის ქონის ბადე, და ორივე თირკმელი, და ქონი, რომელიც მათ აკრავს, და მარჯვენა ბეჭი (რადგან ეს ვერძი ხელავსებისაა),

²³და ერთი მთელი პური, და ერთი ზეთიანი ნამცხვარი და ერთი კვერი ხმიადების კალათიდან, რომელიც უფლის წინაშეა.

²⁴და დაუწყვე ყოველივე აარონს და მის ძეთ ხელისგულებზე, და შეარხიე ისინი შესარხეველ შესაწირავად უფლის წინაშე.

²⁵და აიღე ისინი მათი ხელიდან და აკმიე სამსხვერპლოზე სრულადდასაწველად, კეთილსურნელებად უფლის წინაშე. იგი საცეცხლო შესაწირავია უფლისა.

²⁶და აიღე ხელავსების ვერძის მკერდი, რომელიც აარონისაა, და შეარხიე იგი შესარხეველ შესაწირავად უფლის წინაშე. და ეს იქნება შენი წილი.

²⁷და განწმიდე მკერდი შესარხეველი შესაწირავისა და ბეჭი აღსამართავი შესაწირავისა, რომელიც შერხეულ და აღმართულ იქნა ხელავსების ვერძისა, რომელიც აარონისა და მისი ძეებისაა.

²⁸და ეს იყოს აარონისა და მისი ძეებისთვის საუკუნო წესად ისრაელიანთაგან, რადგან ეს აღმართვაა და აღსამართავი შესაწირავი უნდა იყოს ისრაელიანთაგან. მათი სამშვიდობო მსხვერპლებიდან აღმართოს იგი უფლისათვის.

²⁹და წმიდა შესამოსელი, აარონს რომ ეკუთვნის, დარჩეს მის ძეებს მის შემდგომ, რათა მასში მიიღონ ცხება და ხელის ავსება.



³⁰შვიდი დღე ემოსოს იგი მღვდელს, ვინც მის ნაცვლად იქნება მის პეტაგან, რომელიც შევა საკრებულო კარვის წმიდაში მსახურებისთვის.

³¹ხელავსების ვერძი აიყვანე და მოხარშე მისი ხორცი წმიდა ადგილზე.

³²და ჭამონ აარონმა და მისმა ძეებმა ხორცი ვერძისა და პური, რომელიც კალათშია, საკრებულო კარვის შესასვლელთან.

³³და ჭამონ ის, რომლითაც მიღებული აქვთ მათ გამოსყიდვა ხელავსებისათვის და განწმედისათვის. უცხომ არ უნდა შეჭამოს, რადან წმიდაა იგი.

³⁴და თუ დარჩება ხელავსების ხორცისაგან და პურისაგან დილამდე, მაშინ დაწვი მონარჩენი ცეცხლში. აღარ ჭამოთ, რადგან წმიდაა იგი.

³⁵და ყველაფერი ისე გაუკეთე აარონსა და მის ძეებს, როგორც მე გიბრძანე: შვიდ დღეში აუვსე მათ ხელი.

³⁶ცოდვის მოზვერი შესწირე ყოველდღე გამოსასყიდად და განწმიდე სამსხვერპლო შენი გამოსყიდვისას მასზე, და სცხე მას, რათა განწმიდო იგი.

³⁷შვიდ დღეს ასრულებდე გამოსყიდვას სამსხვერპლოსთვის და განწმედდე მას. და იქნება სამსხვერპლო უწმიდესი. რაც კი მას მიეკარება, წმიდა გახდება ყველაფერი.

³⁸აი რას შესწირავ სამსხვერპლოზე: წელგამოვლილ ორ კრავს ყოველდღე, მუდმივად.

³⁹ერთი კრავი შესწირე დილით, ხოლო მეორე კრავი შესწირე საღამოთი,

⁴⁰და მეათედი ეფა, გამტკიცული ფქვილი, მეოთხედ ჰინ ზეთში შერეული, და მეოთხედი ჰინი ღვინო საღვრელად თითო კრავზე.

⁴¹მეორე კრავი შესწირე მწუხრის ჟამს, მსგავსად დილის შესაწირავისა, და ასეთივე საღვრელით შესწირე იგი უფალს კეთილსურნელებად, საცეცხლო შესაწირად.

⁴²ეს სრულადდასაწველი მუდმივად იყოს თაობიდან თაობამდე საკრებულო კარვის შესასვლელთან უფლის წინაშე, სადაც გამოგეცხადებით თქვენ, რათა გელაპარაკო.

⁴³იქ გამოგეცხადები ისრაელიანთ და განიწმიდება ეს ადგილი ჩემი დიდებით.

⁴⁴და განწმედ საკრებულო კარავს და სამსხვერპლოს, და აარონს და მის ძეებსაც განწმედ, რათა მღვდლობა გამიწიონ.

⁴⁵და დავივანებ ისრაელიანთა შორის და ვიქნები მათი ღმერთი.



⁴⁶და შეიგნებენ, რომ მე ვარ უფალი, ღმერთი მათი, რომელმაც გამოვიყვანე ისინი ეგვიპტის ქვეყნიდან, რათა დავივანო მათ შორის. მე ვარ უფალი, მათი ღმერთი.

გამოსვლა 30

¹და გააკეთე სამსხვერპლო საკმევლის საკმევად. აკაციის ხისაგან გააკეთე იგი.

²სიგრძით ერთი წყრთა და სიგანით ერთი წყრთა. ოთხკუთხედი იყოს და სიმაღლე ორი წყრთა ჰქონდეს. სამსხვერპლოსთან მთლიანობაში იყოს რქები.

³მოჭედე იგი ხალასი ოქროთი – მისი სახურავი, მისი კედლები და მისი რქები. ოქროს გვირგვინი შემოავლე ირგვლივ.

⁴ოქროს ორი რგოლი გაუკეთე გვირგვინის ქვემოთ, ორთავე გვერდზე. და იქნება ისინი კეტების გასაყრელად, რათა მათი მეშვეობით ატარონ.

⁵გათალე კეტები აკაციის ხისაგან და მოჭედე ოქროთი.

⁶დადგი იგი ფარდის წინ, მოწმობის კიდობნის პირდაპირ რომ არის, სარქველის წინ, მოწმობის კიდობანს რომ ახურავს, სადაც მე გამოგეცხადები შენ.

⁷აკმიოს მასზე აარონმა სურნელოვანი საკმეველი. დილდილობით, კანდელთა მომზადების ჟამს აკმიოს იგი.

⁸და როცა აანთებს აარონი კანდელებს მწუხრის ჟამს, აკმიოს იგი. ეს იყოს მუდმივ საკმევად უფლის წინაშე თაობიდან თაობამდე.

⁹ნუ დაყრით მასზე უცხო საკმევებს, ნურც სრულადდასაწველს და ნურც პურეულის ძღვენს, და საღვრელს ნუ დაღვრით მასზე.

¹⁰და შეასრულებს გამოსყიდვის წესს აარონი მის რქებზე წელიწადში ერთხელ. ცოდვის გამოსასყიდი სისხლით წელიწადში ერთხელ გამოსყიდის მასზე თაობიდან თაობამდე. წმიდათა წმიდა არის ეს უფლისათვის.

¹¹და უთხრა უფალმა მოსეს:

¹²როცა შეუდგები ისრაელიანთა აღრიცხვას მათი სათვალავის გასაგებად, მაშინ, აღრიცხვისას, მისცეს თითოეულმა გამოსასყიდი თავისი სულისა უფალს, და არ გაჩნდება მათში ჭირი აღრიცხვისას.



- ¹³ყველამ, ვინც გაივლის აღრიცხვას, გაიღოს ნახევარი შეკელი საწმიდრის შეკელით, რომელიც იწონის 20 გერას. ნახევარშეკელი შესაწირავია უფლისა.
- ¹⁴ყველამ, ვინც გაივლის აღრიცხვას, 20 წლიდან და ზევით, მიაღწევას შესაწირავი უფალს.
- ¹⁵მდიდარმა არ გადაამეტოს და ღარიბმა არ დააკლოს ნახევარ შეკელს, რასაც სწირავთ უფალს თქვენი სულების გამოსასყიდად.
- ¹⁶აკრიფე გამოსასყიდი ვერცხლი ისრაელიანთაგან და მიეცი ის საკრებულო კარვის სამსახურისათვის. და ეს იქნება ისრაელიანთათვის სამახსოვროდ უფლის წინაშე თქვენი სულების გამოსასყიდად.
- ¹⁷და უთხრა უფალმა მოსეს:
- ¹⁸გააკეთე ბრინჯაოს საბანელი და ბრინჯაოს კვარცხლბეკი მისთვის. და დადგი იგი საკრებულო კარავსა და სამსხვერპლოს შორის და წყალი ჩაასხი შიგ.
- ¹⁹და აარონმა და მისმა ძეებმა განიბანონ მასში ხელ-ფეხი.
- ²⁰საკრებულო კარავში შესვლისას განიბანონ წყლით, რათა არ დაიხოცონ, ან მაშინ, როცა სამსხვერპლოსთან მივლენ მსახურებისათვის, უფლის საცეცხლო შესაწირავის საკმევად.
- ²¹და განიბანონ ხელ-ფეხი, რათა არ დაიხოცონ. საუკუნო წესად ჰქონდეთ ეს მას და მის შთამომავლობას, თაობიდან თაობამდე.
- ²²და უთხრა უფალმა მოსეს:
- ²³აიღე შენთვის საუკეთესო სურნელებანი: თხევადი მური 500 შეკელი და სურნელოვანი დარიჩინი მისი ნახევარი – 250, და სურნელოვანი ლერწამი – 250.
- ²⁴კასია – საწმიდრის 500 შეკელი და ერთი ჰინი ზეითუნის ზეთი.
- ²⁵და დაამზადე ყოველივე ამისგან წმიდა მირონი, მენელსაცხებლის ხელოვნებით შეზავებული. წმიდა მირონი იქნება იგი.
- ²⁶და სცხე იგი საკრებულო კარავს და გამოცხადების კიდობანს,
- ²⁷ტაბლას და ყოველ მის ჭურჭელს, და სასანთლეს და ყოველ მის ჭურჭელს, და საკმევლის სამსხვერპლოს,
- ²⁸და სრულადდასაწველის სამსხვერპლოს და ყოველ მის ჭურჭელს, და საბანელს და მის კვარცხლბეკს.
- ²⁹და განწმიდე ისინი და ყველა გახდება წმიდათა წმიდა. განიწმიდება ყველა, ვინც კი მათ შეეხება.



³⁰სცხე აარონსა და მის ძეებს, და განწმიდე ისინი, რათა მღვდლობა გამიწიონ.

³¹ისრაელიანთ კი უთხარი, რომ ეს იქნება ჩემთვის წმიდა საცხებელი ზეთი თაობიდან თაობამდე.

³²უცხო კაცის სხეულს არ ეცხოს, და მის მსგავს ნაზავს ნუ გაიკეთებთ თქვენთვის. წმიდაა იგი, სიწმიდე იყოს თქვენთვის.

³³ვინც შეაზავოს მისი მსგავსი და ვინც სცხოს იგი უცხოს, მოიკვეთოს თავისი ერისაგან.“

³⁴და უთხრა უფალმა მოსეს: „აილე შენთვის სურნელებანი: შტახსი, შეხელეთი, ქალბანა. სურნელებანი და წმიდა გუნდრუკი ტოლად უნდა იყოს.

³⁵და გააკეთე მათგან საკმევლის ნაზავი, მენელსაცხებლის ხელოვნებით შეზავებული, მარილნარევი, სუფთა, წმიდა.

³⁶წვრილად დანაყე და დადე მოწმობის წინ საკრებულო კარავში, სადაც გამოგეცხადები. წმიდათა წმიდა იყოს ეს თქვენთვის.

³⁷არ დაამზადოთ ამგვარად შეზავებული საკმეველი მოსახმარად. სიწმიდედ გქონდეს იგი უფლისათვის.

³⁸ვინც ამის მსგავსს დაამზადებს საყნოსავად, მოიკვეთოს თვისი ერიდან.“

გამოსვლა 31

¹და უთხრა უფალმა მოსეს:

²„აჰა, მე მოვუხმე სახელით ბეცალელს, მეს ურისა, მისა ხურისა, იუდას ტომიდან.

³და ავავსე იგი ღვთის სულით, სიბრძნით, გამჭრიახობით, ცოდნითა და ყოველგვარი ხელოვნებით,

⁴ოსტატურად რომ შეძლოს ოქროზე, ვერცხლსა და ბრინჯაოზე მუშაობა.

⁵მოსაოჭველი ქვების გათლა და ხეზე კვეთა, რათა შეასრულოს ყოველგვარი სახელოვნო საქმე.

⁶აჰა, მივუჩინე მას აჰოლიაბი, მე ახისამაქისა, დანის ტომიდან, და ყოველი ბრძენის გულს მივეცი მე სიბრძნე. მათ გააკეთონ ყოველი, რაც მე გიბრძანე შენ:

⁷საკრებულო კარავი და კიდობანი მოწმობისა და სარქველი, რომელიც მასზეა, და ყოველი ნივთი კარვისა,



⁸ტაბლა და მისი ჭურჭელი და ხალასი ოქროს სასანთლე მთელი მისი ხელსაწყოებით, და სამსხვერპლო საკმევლისა,

⁹და სამსხვერპლო სრულადდასაწველისა მთელი მისი ხელსაწყოებით, და საბანელი და მისი კვარცხლბეკი,

¹⁰და საწესო შესამოსელნი, და წმიდა სამოსელნი აარონ მღვდლისათვის და მის ძეთა შესამოსელნი სამღვდელმსახუროდ,

¹¹მირონი და სურნელოვანი საკმეველი წმიდისათვის. როგორც მე გიბრძანე, ყველაფერი ისე გააკეთონ.“

¹²და უთხრა უფალმა მოსეს:

¹³„გამოუცხადე ისრაელიანთ ასე: ჩემი შაბათები დაიცავით, იგი ნიშანია მე და თქვენს შორის თაობიდან თაობამდე, რათა იცოდეთ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი განმწმედელი.

¹⁴დაიცავით შაბათი, რადგან წმიდაა იგი თქვენთვის. მისი შემზღალავი უნდა მოკვდეს. შაბათობით საქმის მკეთებელი უნდა მოიკვეთოს თავის ხალხიდან.

¹⁵ექვს დღეს აკეთონ საქმე, მეშვიდე დღეს დასვენების შაბათია, უფლის წმიდა. ყველა, ვინც საქმეს გააკეთებს შაბათს, უნდა მოკვდეს.

¹⁶და დაიცვან ისრაელიანთ შაბათი, იზეიმონ შაბათი თაობიდან თაობამდე საუკუნო აღთქმად.

¹⁷ეს იყოს საუკუნო ნიშნად ჩემსა და ისრაელიანთა შორის, რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, მეშვიდე დღეს კი იუქმა და დაისვენა.“

¹⁸და მისცა მან მოსეს, როცა დაასრულა ლაპარაკი მასთან სინაის მთაზე, ორი დაფა მოწმობისა, ქვის დაფები, ღვთის თითით დაწერილი.

გამოსვლა 32

¹როცა დაინახა ხალხმა, რომ აყოვნებს მოსე მთიდან ჩამოსვლას, შეიკრიბა აარონთან, და უთხრა მას: ადექ, გაგვიკეთე ჩვენ ღმერთები, რომელიც ჩვენი წინამძღოლი იქნება, რადგან იმ კაცს, მოსეს, რომელმაც ამოგვიყვანა ეგვიპტიდან, არ ვიცით, რა შეემთხვა.

²და უთხრა მათ აარონმა: „ჩამოხსენით ოქროს საყურეები თქვენს ცოლებს, ვაჟებსა და ასულებს და მოიტანეთ ჩემთან.“

³და ჩამოიხსნა მთელმა ხალხმა ოქროს საყურეები ყურებიდან, და მიუტანეს აარონს.



⁴გამოართვა აარონმა და გააკეთა მისგან ჩამოსხმული ხბო, და გამოკვეთა იგი საჭრეთლით. და მათ თქვეს: „ესაა ღმერთი შენი, ისრაელო, რომელმაც ამოგიყვანა შენ ეგვიპტიდან!“

⁵როცა დაინახა აარონმა ეს, ააშენა სამსხვერპლო ხბოს წინ, და თქვა აარონმა: „უფლის დღესასწაულია ხვალ!“

⁶და ადგნენ დილაადრიანად მეორე დღეს, და მოიტანეს სრულადდასაწველნი, და მიიყვანეს სამშვიდობო მსხვერპლები. და დასხდა ხალხი საქმელად და სასმელად. და შემდეგ ადგნენ საღალოდ.

⁷და უთხრა უფალმა მოსეს: „აბა, ჩადი, რადგან გაირყვნა შენი ხალხი, რომელიც ეგვიპტიდან გამოიყვანე.“

⁸მაღე გადაუხვიეს გზიდან, რომელიც დავუდგინე: ჩამოასხეს ხბო, თაყვანს სცემენ მას და მსხვერპლს სწირავენ. ამბობენ: ‘ესაა ღმერთი შენი, ისრაელო, რომელმაც ამოგიყვანა შენ ეგვიპტის ქვეყნიდან.’“

⁹და უთხრა უფალმა მოსეს: „ვხედავ მე ამ ხალხს და ჯიუტია იგი.“

¹⁰ახლა მიმიშვი, რათა აინთოს ჩემი რისხვა მათზე და მოვსპო ისინი, შემდეგ კი გაქცევ შენ დიდ ხალხად.“

¹¹და ევედრა მოსე უფალს, თავის ღმერთს, და უთხრა: „რად უნდა აღეგზნოს შენი რისხვა შენს ხალხზე, რომელიც ეგვიპტიდან დიდი ძალითა და ძლიერი ხელით გამოიყვანე?“

¹²რად უნდა ათქმევინო ეგვიპტეს, დასალუპავად გაიყვანაო ისინი, რომ მთებში ამოეხოცა და მიწის პირიდან აღეგავაო. დაიცხრე რისხვა და გადაიფიქრე ამ ხალხის დაღუპვა.

¹³გაიხსენე აბრაამი, ისააკი და ისრაელი, შენი მსახურნი, რომელთაც შეჰფიცე შენი თავით და უთხარი: ცის ვარსკვლავებივით გაგიძრავლებთ შთამომავლობას და მივცემ მთელს ამ აღთქმულ მიწას თქვენს შთამომავლობას, რომ საუკუნოდ დაიმკვიდრონ.“

¹⁴და გადაიფიქრა უფალმა ბოროტების გაკეთება, რომელზეც თქვა, რომ დაატეხდა თავის ხალხს.

¹⁵და მობრუნდა, და ჩავიდა მოსე მთიდან. და ქვის ორი დაფა მოწმობისა ეჭირა ხელში, თითოეულზე ორივე მხრიდან დაწერილი.

¹⁶ღვთის ნაკეთები იყო ეს დაფები და წარწერაც ღვთის მიერ იყო ამოკვეთილი.

¹⁷და მოესმა იესოს ხმა მშფოთვარე ხალხისა, და უთხრა მოსეს: „საომარი ყიჟინაა ბანაკში.“



¹⁸და თქვა მოსემ: „ეს არც გამარჯვების ყიჟინაა და არც დამარცხების ზარი, სიმღერის ხმა მესმის.“

¹⁹როგორც კი მიუახლოვდა მოსე ბანაკს და იხილა ხბო და როკვა, რისხვით აღინთო და გაიქნია დაფები და მთის ძირას მიამსხვრია.

²⁰აიღო მათი გაკეთებული ხბო, ცეცხლში დაწვა, მტვრად აქცია, წყალს მოაფრქვია და ასვა ის წყალი ისრაელიანთ.

²¹და უთხრა მოსემ აარონს: „რა დაგიშავა ამ ხალხმა, ასეთ დიდ ცოდვაში რომ ჩააგდე?“

²²და უთხრა აარონმა: „რისხვით ნუ აინთება ჩემი ბატონი. შენც იცი, რომ ბოროტებისკენ არის მიდრეკილი ეს ხალხი.

²³მითხრეს: ‘გააკეთე ჩვენთვის ღმერთი, რომელიც წაგვიძლევს წინ, რადგან იმ კაცს, მოსეს, რომელმაც გამოგვიყვანა ეგვიპტიდან, არ ვიცით რა შეემთხვა.’

²⁴და მე ვუთხარი მათ, ვისაც ოქრო აქვს, ჩამოიხსნას, და მე მომცეს-მეთქი. და ჩავყარე ის ცეცხლში და გამოვიდა ეს ხბო.“

²⁵და იხილა მოსემ, რომ მიშვებულია ეს ხალხი, რომ მიუშვა იგი აარონმა და მასხარად ასაგდები გახადა მტრის წინაშე.

²⁶და დადგა მოსე ბანაკის კარიბჭესთან და თქვა: „ვინც უფლისაა, ჩემთან!“ და შეიკრიბა მასთან ლევის ყველა მე.

²⁷და უთხრა მათ: „ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: მახვილი შეიბას ყველამ, მოიარეთ ბანაკი კარიბჭიდან კარიბჭემდე და მოკალით ძმამ ძმა, მეგობარმა მეგობარი, ნათესავმა ნათესავი.“

²⁸მოსეს სიტყვისამებრ მოიქცნენ ლევიანები, 3 ათასამდე კაცი გაწყდა იმ დღეს.

²⁹და უთხრა მათ მოსემ: „ხელი აივსეთ დღეს უფლისათვის, რადგან თითოეულმა თავის ძეზე და ძმაზე აღმართა ხელი და მოგენიჭებათ დღეს კურთხევა.“

³⁰მეორე დღეს უთხრა მოსემ ხალხს: „დიდი ცოდვა გაქვთ ჩადენილი. ახლა ავალ უფალთან, ვინძლო გამოვისყიდო თქვენი ცოდვა.“

³¹და გაბრუნდა მოსე უფალთან, და უთხრა: „დიდი ცოდვა ჩაიდინა ამ ხალხმა: გაიკეთეს ოქროს ღმერთი.

³²ახლა თუ მიუტევებ მათ ამ ცოდვას? თუ არა და, ამომშალე შენი დაწერილი წიგნიდან.”



³³უთხრა უფალმა მოსეს: „ვინც შემცოდა, მას ამოვშლი ჩემი წიგნიდან.

³⁴ახლა წადი, გაუძეხი ხალხს იქით, საითკენაც გითხარი. აჰა, ჩემი ანგელოზი წაგიძღვება წინ. და როცა განკითხვის ჟამი მოაწევს, დავსჯი მათ ამ ცოდვისათვის.“

³⁵და მოსრა უფალმა ხალხი ხბოსთვის, რომელიც აარონმა გააკეთა.

გამოსვლა 33

¹და უთხრა უფალმა მოსეს: „წადით აქედან შენ და ეგ ხალხი, ეგვიპტიდან რომ გამოიყვანე, იმ ქვეყნისაკენ, რომელიც აღვუთქვი აბრაამს, ისააკს და იაკობს, შენს შთამომავლობას მივცემ-მეთქი.

²წინ წაგიმძღვარებ ანგელოზს და გავდევნი ქანაანელებს, ამორეველებს, ხეთელებს, ფერიზელებს, ხიველებსა და იებუსელებს.

³იარეთ იმ ქვეყნისაკენ, სადაც მოედინება რძე და თაფლი. მე აღარ ვივლი თქვენთან ერთად, რადგან ჯიუტი ხალხი ხართ და, რომ არ მოგსპო გზაში.“

⁴ისმინა ხალხმა ეს მრისხანე სიტყვა და იგლოვეს, არავინ მორთულა სამკაულებით.

⁵და უთხრა უფალმა მოსეს: „უთხარი ისრაელიანთ: ‘ჯიუტი ხალხი ხართ თქვენ. ერთი წამითაც რომ გავიაროთ თქვენს შორის, მოგსპობთ. ახლა მოიხსენით სამკაულები და მე ვიცი, როგორ უნდა მოგექცეთ.’“

⁶ჩამოიხსნეს ისრაელიანთ სამკაულები ხორების მთასთან.

⁷და აიღო მოსემ კარავი და გაშალა თავისთვის ბანაკს გარეთ, მის მოშორებით, და უწოდა მას საკრებულო კარავი. და ყველა, ვინც ეძიებდა უფალს, გადიოდა საკრებულო კარავთან, ბანაკს გარეთ რომ იდგა.

⁸და როცა გამოდიოდა მოსე კარავთან, ადგებოდა მთელი ხალხი და ჩერდებოდა თითოეული თავისი კარვის შესასვლელთან, და თვალს ადევნებდა მოსეს, ვიდრე იგი კარავში შევიდოდა.

⁹როგორც კი კარავში შევიდოდა მოსე, ეშვებოდა სვეტი ღრუბლისა და იდგა კარვის შესასვლელთან, და უფალი ელაპარაკებოდა მოსეს.

¹⁰და ხედავდა მთელი ხალხი ღრუბლის სვეტს, კარვის შესასვლელთან აღმართულს, და ადგებოდა მთელი ხალხი და თითოეული თავისი კარვის შესასვლელთან სცემდა თაყვანს.



¹¹და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს პირისპირ, როგორც კაცი ელაპარაკოს თავის მეგობარს. მერე ბრუნდებოდა ბანაკში. ხოლო მსახური მისი იესო, ნავეს მე, ჭაბუკი, არ შორდებოდა კარავს.

¹²და უთხრა მოსემ უფალს: „შეხედე, შენ მითხარი, გაუმეხიო ამ ხალხს, და არ მაუწყე, ვის გამოგზავნი ჩემთან ერთად. შენ მითხარი, რომ სახელით მიცნობ და მადლიც მაქვს ნაპოვნი შენს თვალში.“

¹³და თუ მართლაც მადლი მიპოვია შენს თვალში, მაუწყე შენი გზები, რომ შეგიცნო, რათა ვპოვო მადლი შენს თვალში; და ნუ დაივიწყებ, რომ შენი ერია ეს ხალხი.“

¹⁴თქვა უფალმა: „მე თავად წამოვალ და დაგასვენებ.“

¹⁵უთხრა მოსემ: „თუ შენ თავად არ წამოხვალ, ნუ გაგვიყვან აქედან.“

¹⁶რით გახდება საცნაური, რომ ვპოვეთ მადლი შენს თვალში მე და შენმა ხალხმა? განა იმით არა, რომ ჩემთან ერთად ივლი და გამორჩეული ვიქნებით მე და შენი ერი ყველა სხვა ხალხისგან, რაც კი დედამიწის ზურგზეა.“

¹⁷და უთხრა უფალმა მოსეს: „მაგ შენ ნათქვამსაც ავასრულებ, რადგან მადლი ჰპოვე ჩემს თვალში და სახელით გიცნობ.“

¹⁸და თქვა მოსემ: „მახილვინე შენი დიდება.“

¹⁹და თქვა ღმერთმა: „ჩამოვატარებ მთელ ჩემს სიკეთეს შენს წინაშე და წარმოვთქვამ უფლის სახელს შენს წინაშე. და შევიწყალებ, ვისაც შევიწყალებ, და შევიბრალებ, ვისაც შევიბრალებ.“

²⁰და თქვა: „ვერ შეძლებ ჩემი სახის ხილვას, რადგან არ ძალუძს ადამიანს, მიხილოს და ცოცხალი დარჩეს.“

²¹და თქვა უფალმა: „აჰა, ადგილია ჩემთან. დადექი ამ კლდეზე.“

²²როცა ჩაივლის ჩემი დიდება, კლდის ნაპრალში ჩაგაყენებ და დაგფარავ ჩემი ხელით, ვიდრე ჩავივლიდე.

²³როცა ხელს მოგაშორებ, იხილავ ჩემს ზურგს, ხოლო ჩემი სახე არ გამოჩნდება.“

გამოსვლა 34

¹უთხრა უფალმა მოსეს: „გამოთალე შენთვის პირველთა მსგავსი ქვის ორი დაფა და მე დავწერ ამ დაფებზე სიტყვებს, რომლებიც ეწერა იმ პირველ დაფებზე, შენ რომ დაამსხვრიე.“



²იყავი მზად განთიადისას. დილას სინაის მთაზე ახვალ და იქ, მთის თხემზე დამიდგები.

³ნურავინ ამოგყვება და ნურც ნურავინ გამოჩნდება მთელ მთაზე, ნურც ცხვარი და ძროხა მოსძოვს ამ მთის ახლოს.“

⁴და გამოთალა მოსემ ქვის ორი დაფა, იმ პირველთა მსგავსი. ადგა დილაადრიაანად და ავიდა სინაის მთაზე, როგორც უფალმა უბრძანა. მას ქვის ორი დაფა ეჭირა ხელში.

⁵და ჩამოვიდა უფალი ღრუბელში და დადგა მასთან იქ, და წარმოთქვა სახელი უფლისა.

⁶და გაიარა უფალმა მის წინ და წარმოთქვა: „უფალი, უფალი, ღმერთი შემბრალებელი და მოწყალე, სულგრძელი და დიდმადლიანი, და ჭეშმარიტი,

⁷შემნახავი წყალობისა ათასეულებისათვის, შემნდობი ბრალისა, დანაშაულისა და ცოდვისა. ის დასასჯელს არ გაუშვებს დაუსჯელად. მოჰკითხავს მამათა ცოდვას შვილებს და შვილთაშვილებს, მესამე და მეოთხე თაობამდე.“

⁸მაშინვე მდაბლად მოიდრიკა მოსე და თაყვანი სცა.

⁹და თქვა: „თუ მადლი მიპოვია შენს თვალში, მეუფეო, აბა წამოვიდეს მეუფე ჩვენთან ერთად, რადგან ჯიუტია ეს ხალხი, შეგვინდე დანაშაული და ცოდვები, და გვაქციე შენს სამკვიდროდ.“

¹⁰თქვა უფალმა: „აჰა, მე ვდებ აღთქმას. მთელი შენი ხალხის წინაშე მოვახდენ სასწაულებს, რომელნიც არ მომხდარა მთელ დედამიწაზე არც ერთ ხალხში. და იხილოს ყოველმა ხალხმა, რომელთა შორისაც შენ ხარ, უფლის საქმე, რადგან ზარდამცემია, რასაც მე შენთვის გავაკეთებ.

¹¹დაიცავი, რასაც გიბრძანებ დღეს: აჰა, მე გავრეკავ თქვენგან ამორეველებს, ქანაანელებს, ხეთელებს, ფერიზელებს, ხიველებს და იებუსელებს.

¹²გაფრთხილდი, არ დაუდო კავშირი იმ ქვეყნის მკვიდრთ, სადაც შეხვალ, რომ მახეში არ გაება.

¹³დაანგრეთ მათი სამსხვერპლოები, დალეწეთ მათი სვეტები, აჩეხეთ მათი აშერები.

¹⁴თაყვანს არ უნდა სცემდეთ სხვა ღმერთს, გარდა უფალი ღმერთისა. შურისმგებელია მისი სახელი, შურისმგებელი ღმერთია იგი.



- ¹⁵არ დაუდო კავშირი იმ ქვეყნის მკვიდრთ, თორემ როცა იმეძავებენ თავიანთი ღმერთების კვალდაკვალ და შესწირავენ მსხვერპლს თავიანთ ღმერთებს, შენც მიგიწვევენ და შეჭამ მათ ნაკერპავს,
- ¹⁶მოიყვან მათ ასულებს შენი ვაჟებისთვის და რადგან მეძაობენ ისინი თავიანთი ღმერთების კვალზე, გარყვნიან შენს ვაჟებსაც თავიანთი ღმერთების კვალზე.
- ¹⁷ნუ გაიკეთებ ღმერთების ქანდაკებებს.
- ¹⁸უფუარობის დღესასწაული დაიცავი: აბიბის თვის დაწყებულ დროს შვიდ დღეს ჭამე ხმიადი, როგორც გამოგიცხადე, რადგან აბიბის თვეში გამოხვედი ეგვიპტიდან.
- ¹⁹შემომწირე ყოველი პირმშო ძე და ასევე ყოველი მამალი შენი ცხვარ-ძროხიდან, პირველმოგებულის ხბოცა და კრავიც.
- ²⁰პირველმოგებულის ჩოჩორი გამოისყიდე კრავით და, თუ არ გამოისყიდ, ქედი გადაუმტვრიე. პირმშო შენს ძეთა შორის გამოისყიდე. და ნუ გამოჩნდებით ჩემს წინაშე ხელცარიელნი.
- ²¹ექვსი დღე იმუშავე და მეშვიდე დღეს დაისვენე. ხვნისა და მკის დროსაც შეისვენე.
- ²²იზეიმე შვიდეულის დღესასწაული, ალოობის დაწყების დღესასწაული და რთვლობის დღესასწაული წლის დამლევს.
- ²³წელიწადში სამჯერ გამოცხადდეს ყოველი შენი მამაკაცი მეუფის, უფლის, ისრაელის ღმერთის წინაშე,
- ²⁴რადგან გავდევნი ერებს შენგან და განვაგრცობ შენს საზღვრებს, და ველარავინ მოინდომებს შენი ქვეყნის წართმევას, თუ გამოცხადდები უფლის, შენი ღმერთის წინაშე წელიწადში სამჯერ.
- ²⁵საფუარიანთან ერთად ნუ შესწირავ ჩემი შესაწირავის სისხლს, ნურც პასექის სადღესასწაულო ქონს ნუ დატოვებ დილამდე.
- ²⁶შენი მიწის პირველნაყოფი მიიტანე უფლის, შენი ღმერთის სახლში. ნუ მოხარშავ თიკანს თავისი დედის რძეში.“
- ²⁷და უთხრა უფალმა მოსეს: „დაიწერე ეს სიტყვები, რადგან ამ სიტყვებით გიდებთ აღთქმას შენ და ისრაელს.“
- ²⁸და იყო იქ უფალთან 40 დღე და 40 ღამე. პური არ უჭამია და წყალი არ დაუღლევია. და დაწერა ქვის დაფებზე აღთქმის სიტყვები – ათი მცნება.



²⁹ორივე დაფა მოწმობისა ხელთ ეპყრა მოსეს სინაის მთიდან ჩამოსვლისას. და არ იცოდა მან, რომ ასხივებდა მისი სახე ღმერთთან ლაპარაკის გამო.

³⁰იხილეს აარონმა და ყველა ისრაელიანმა მოსე და აჰა, ასხივებდა მისი სახე, და ვერ გაბედეს მასთან მიახლოება.

³¹და მოუხმო მათ მოსემ და დაბრუნდნენ მასთან აარონი და თემის ყველა მთავარი, და ელაპარაკა მათ მოსე.

³²შემდეგ მიეახლა ისრაელის ყველა ძე და ამცნო მათ ყველაფერი, რასაც ელაპარაკა უფალი მას სინაის მთაზე.

³³და როცა დაასრულა მოსემ მათთან ლაპარაკი, დაიდო სახეზე რიდე.

³⁴როცა შედიოდა მოსე უფლის წინაშე მასთან სალაპარაკოდ, ჩამოიხსნიდა ხოლმე რიდეს გარეთ გამოსვლამდე. და გამოვიდოდა და ამცნობდა ისრაელიანებს, რაც ნაბრძანები ჰქონდა.

³⁵და ხედავდნენ ისრაელიანები, რომ ასხივებდა მოსეს სახე, და კვლავ იდებდა მოსე რიდეს სახეზე, სანამ უფალთან სალაპარაკოდ შევიდოდა.

გამოსვლა 35

¹და შეკრიბა მოსემ ისრაელიანთა მთელი თემი და უთხრა მათ: „აჰა, სიტყვები, რომელნიც გვამცნო უფალმა შესასრულებლად:

²ექვსი დღე აკეთეთ საქმე და მეშვიდე დღე წმიდა იყოს თქვენთვის – უფლის დასვენების შაბათი. ყველა, ვინც ამ დღეს გააკეთებს საქმეს, მოკვდეს.

³ცეცხლსაც ნუ დაანთებთ თქვენს საცხოვრებლებში შაბათ დღეს.“

⁴და უთხრა მოსემ ისრაელიანთა მთელ თემს: „აჰა, სიტყვა, რომელიც გვამცნო უფალმა შესასრულებლად:

⁵გაიღეთ ძღვენი უფლისათვის. ყოველმა გულით მსურველმა მიიტანოს საუფლო ძღვენი – ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო,

⁶ცისფერი, მოწეული და ჭიაფერი ნართი, ბისონი და თხისური.

⁷ვერძის დათრიმლული ტყავი და გამოყვანილი ტყავი, აკაციის ხე,

⁸სალამპრე ზეთი, სურნელებანი მირონისათვის და საკმევლისათვის,

⁹სარდიონის ქვები და ძვირფასი ქვები ეფოდისათვის და სამკერდულისათვის.



- ¹⁰და ყველა ხელოვანი ოსტატი, ვინც კი არის თქვენში, მოვიდეს და გააკეთოს ყველაფერი, რაც ბრძანა უფალმა:
- ¹¹სავანე, მისი კარავი და მისი საფარველი, მისი დუგმები და მისი კეტები, მისი ძელაკები, მისი სვეტები და მისი კვარცხლბეკები.
- ¹²კიდობანი და მისი კეტები, სარქველი და ჩამოსაფარებელი ფარდა.
- ¹³ტაბლა თავისი კეტებით და ყოველი მისი ჭურჭელი და საწინაშეო პურები.
- ¹⁴სასანთლე გასანათებლად და ყოველი მისი ჭურჭელი, და მისი კანდელები და ზეთი სანათებლად.
- ¹⁵საკმევლის სამსხვერპლო თავისი კეტებით, საცხებელი ზეთი და სურნელოვანი საკმეველი, და ფარდა სავანის შესასვლელისთვის.
- ¹⁶სამსხვერპლო სრულადდასაწველისა და მისი ბადე ბრინჯაოსი, მისი კეტები და ყოველი მისი ჭურჭელი, საბანელი და მისი კვარცხლბეკი,
- ¹⁷ეზოს ფარდები, მისი სვეტები და მათი კვარცხლბეკები, ეზოს კარიბჭის ფარდა.
- ¹⁸სავანის პალოები და ეზოს პალოები და მათი საბელები.
- ¹⁹საწესო სამოსელი წმიდაში მსახურებისათვის და წმიდა შესამოსელი აარონ მღვდლისათვის და მის ძეთათვის.“
- ²⁰და გამოვიდა ისრაელიანთა თემი მოსესგან.
- ²¹და მოვიდა ყოველი კაცი, ვისაც კი გულმა გაუწია და თითოეული, ვინც კი სულით აღიძრა, და მიიტანეს შესაწირავი უფლისა საკრებულო კარვის გასამართავად და ყოველი მისი საჭიროებისათვის და სამსახურებელი შესამოსელისთვის.
- ²²და მოდიოდნენ კაცები ქალებთან ერთად. ყველა გულით მსურველს მიჰქონდა რგოლები და საყურეები და ბეჭდები, და სამკაულები, ყოველგვარი ნივთი ოქროსი. თითოეულს თავისი წილი შესაწირავი ოქრო მიჰქონდა უფლისათვის.
- ²³და ყველას, ვისაც კი ჰქონდა ცისფერი, მოწეული და ჭიაფერი ნართი, ბისონი, თხისური და ვერძთა დათრიმლული ტყავი მოჰქონდა.
- ²⁴ყველას, ვისაც კი შეეძლო ვერცხლის ან ბრინჯაოს შეწირვა, მიჰქონდა უფლის შესაწირავი. და ყველას, ვისაც კი ჰქონდა აკაციის ხეები რაიმე საქმისათვის გამოსაყენებლად, მოჰქონდა.
- ²⁵ყველა მარჯვე დედაკაცს, ვისაც კი ნართის რთვა შეეძლო თავისი ხელით, მოჰქონდა ცისფერი, მოწეული და ჭიაფერი ნართი და ბისონი.



²⁶და ყოველი დედაკაცი, ვისაც გული მიუწევდა და გაწაფული იყო, ართავდა თხისურს.

²⁷მთავრებს მოჰქონდათ სარდიონის ქვები და ძვირფასი ქვები ეფოდისათვის და სამკერდულისათვის,

²⁸სურნელება და სანათებელი ზეთი და ზეთი მირონისათვის და სურნელოვანი საკმევლისათვის.

²⁹ისრაელიანებს, კაცსა თუ ქალს, ვისაც კი გული უწევდა მიეტანა ყოველი იმ საქმისათვის, რისი გაკეთებაც ბრძანა უფალმა მოსეს პირით, უხვად მოჰქონდათ ნებაყოფლობითი ძღვენი უფლისათვის.

³⁰და უთხრა მოსემ ისრაელიანთ: შეხედეთ, მოუხმო უფალმა სახელით ბეცალებს, ძესა ურისა, ძისა ხურისა, იუდას ტომიდან.

³¹და აავსო იგი ღვთის სულით, სიბრძნით, გამჭრიახობით, ცოდნით და ყოველი ხელოვნების უნარით,

³²ოსტატურად რომ შეძლოს ოქროზე, ვერცხლსა და ბრინჯაოზე მუშაობა,

³³მოსაოჭველი ქვების გათლა და ხეზე კვეთა, რათა შეასრულოს ყოველგვარი სახელოვნო საქმე.

³⁴და უნარი სწავლებისა ჩაუდო მას გულში, მას და აჰოლიაბს, ახისამაქის ძეს, დანის ტომიდან.

³⁵აუვსო მათ გული სიბრძნით, რათა ეკეთებინათ ყოველი საქმე მეჩუქურთმისა და ხელოვანი მქსოველისა და მქარგავისა ცისფერ, ძოწეულ, ჭიაფერ ნართზე და ბისონზე. და ეკეთებინათ ყოველგვარი საქმე ოსტატისა და ხელოვნისა.

გამოსვლა 36

¹ბეცალებს, აჰოლიაბს და ყველა ხელოვან ოსტატს უფალმა მიანიჭა სიბრძნე და გამჭრიახობა, რათა შეეცნოთ და ეკეთებინათ საწმიდრის ყველა სამუშაო, ყველაფერი ისე, როგორც უფალმა ბრძანა.

²და მოუხმო მოსემ ბეცალებს, აჰოლიაბს და ყველა ხელოვან ოსტატს, რომელთაც უფალმა უნარი მისცა, ყველას, ვისაც გული ერჩოდა შესდგომოდა საქმეს და ემუშავა.

³ჩაიბარეს მოსესგან მთელი შემოწირულობა, რაც კი მოტანილი ჰქონდათ ისრაელიანთ საწმიდრის საქმის საკეთებლად. და კვლავაც მიჰქონდათ მასთან ნებაყოფლობითი ძღვენი ყოველ დილას.



- ⁴და მოვიდა ყველა ხელოვანი ოსტატი საწმიდრის ყოველი სამუშაოს საკეთებლად, თითოეული თავის სამუშაოზე, ვის რისი გაკეთებაც შეეძლო.
- ⁵და უთხრეს მოსეს: „ხალხს მოაქვს მეტი, ვიდრე საჭიროა სამუშაოს შესასრულებლად, რისი გაკეთებაც ბრძანა უფალმა.“
- ⁶მაშინ ბრძანა მოსემ და გამოაცხადეს ბანაკში: „ნურც მამაკაცი, ნურც დედაკაცი ნუღარაფერს გაამზადებს საწმიდრისათვის შესაწირავად.“ და შეწყვიტა ხალხმა მოტანა.
- ⁷მარაგი საკმაო იყო ყველა საქმისათვის, რაც უნდა ეკეთებინათ, და ზედმეტიც კი დარჩა.
- ⁸ხელოვანმა ოსტატებმა, რომლებიც სავანის საქმეზე მუშაობდნენ, გააკეთეს ქსოვილის 10 ნაჭერი გრეხილი ბისონისა და ცისფერი, მოწეული და ჭიაფერი ნართისა. ამოქარგეს ქერუბიმები მათზე ოსტატური ნაკეთობით.
- ⁹თითოეული ნაჭრის სიგრძე 28 წყრთა იყო, და სიგანე – ოთხი წყრთა. ყველა ნაჭერი ერთი ზომისა იყო.
- ¹⁰ხუთი ნაჭერი ერთმანეთს გადააკერეს, სხვა ხუთი ნაჭერიც – ერთმანეთს.
- ¹¹და გაუკეთეს ცისფერი კილოები განაპირა ნაჭერს კიდეზე, და ასევე გააკეთეს მეორე ნაჭრის კიდე.
- ¹²50 კილო გაუკეთეს ერთი ნაჭრის კიდე, 50 კილო – მეორე ნაჭრის კიდე. კილოები ესადაგებოდნენ ერთმანეთს.
- ¹³და გააკეთეს 50 დუგმა ოქროსი, და შეაერთეს ნაჭრები ურთიერთთან დუგმებით, და მთლიანი გამოვიდა სავანე.
- ¹⁴და გააკეთეს გადასაფარებელი თხისურისგან, სავანის გადასახურავად. 11 ასეთი ნაჭერი გაამზადეს.
- ¹⁵სიგრძე თითოეული გადასაფარებლისა იყო 30 წყრთა, ხოლო სიგანე – ოთხი წყრთა. თერთმეტივე გადასაფარებელი ერთი ზომისა იყო.
- ¹⁶და შეაერთეს ხუთი გადასაფარებელი ცალკე და ექვსი ცალკე.
- ¹⁷და გაუკეთეს 50 კილო ერთ გადასაფარებელს კიდეზე, და 50 მეორე გადასაფარებელს კიდეზე.
- ¹⁸და გააკეთეს ბრინჯაოს 50 დუგმა სავანის შესაერთებლად, რათა ყოფილიყო ერთიანი.
- ¹⁹და გააკეთეს საფარველი კარვისათვის ვერძის დათრიმლული ტყავისა და გამოყვანილი ტყავის საფარი ზემოდან.
- ²⁰და გააკეთეს კეტები სავანისათვის აკაცის ხისაგან.



- ²¹10 წყრთა იყოს სიგრძე თითოეული ძელისა და წყრთანახევარი – სიგანე,
- ²²ორ-ორი რიკი თითოეული ძელისათვის, ერთიმეორეზე მიერთებული. ასე გაუკეთეს სავანის ყოველ ძელს.
- ²³და გააკეთეს კეტები სავანისათვის: 20 ძელი სამხრეთის მხარეს.
- ²⁴და ვერცხლის 40 კვარცხლბეკი გააკეთეს ოცივე ძელის დასადგმელად: ორი კვარცხლბეკი თითო ძელისთვის, მისი ორი რიკისთვის და ორი კვარცხლბეკი ყველა სხვა ძელისთვის მისი ორი რიკისთვის.
- ²⁵და სავანის მეორე გვერდისათვის, ჩრდილოეთ მხარეს, გაუკეთეს 20 ძელი
- ²⁶და მათთვის ვერცხლის 40 კვარცხლბეკი: ორ-ორი კვარცხლბეკი თითო ძელისთვის.
- ²⁷სავანის უკანა, დასავლეთი მხარისათვის, გააკეთეს ექვსი ძელი.
- ²⁸და ორი ძელი გააკეთეს სავანის კუთხეებისთვის, უკანა მხარეს.
- ²⁹იყო ისინი შეკრული ქვემოდან და ზემოდან თითო რგოლით. ასე გაუკეთეს ორივეს ორივე კუთხეში.
- ³⁰და იყო რვა ძელი და ვერცხლის 16 კვარცხლბეკი, ორ-ორი კვარცხლბეკი თითოეული ძელისთვის.
- ³¹და გააკეთეს ლარტყები აკაციის ხისაგან: ხუთი – სავანის ერთი გვერდის კეტებისათვის,
- ³²და ხუთი ლარტყი სავანის მეორე მხარის კეტებისათვის, და ხუთი – სავანის უკანა მხარის კეტებისათვის, დასავლეთით.
- ³³და გააკეთეს შუა ლარტყი კეტების ერთი ბოლოდან მეორემდე.
- ³⁴მოჭედეს კეტები ოქროთი, ლარტყების გასაყრელი რგოლები ოქროსი გააკეთეს და ლარტყებიც ოქროთი მოჭედეს.
- ³⁵და გააკეთეს ფარდა ცისფერი, მოწეული და ჭიაფერი ნართისა, და გრეხილი ბისონისა. ოსტატური ნაკეთობით ამოქარგეს მასზე ქერუბიმები.
- ³⁶და ჩამოკიდეს იგი ოქროთი მოჭედილ აკაციის ოთხ ბოძზე, მოჭედეს ისინი ოქროთი, ოქროსი იყო მათი დუგმები. და ჩამოასხეს მათთვის ოთხი კვარცხლბეკი ვერცხლისა.
- ³⁷და გააკეთეს ჩამოსაფარებელი სავანის შესასვლელთან ცისფერი, მოწეული და ჭიაფერი ნართისა, და გრეხილი ბისონისაგან, მქარგავის ნაკეთობით,
- ³⁸და ხუთი სვეტი მათივე დუგმებით. და მოჭედეს მათი თავები და სალტეები ოქროთი. მათი ხუთი კვარცხლბეკი კი ბრინჯაოსაგან იყო.



გამოსვლა 37

- ¹და გააკეთა ბეცაღელმა კიდობანი აკაციის ხისგან. ორნახევარი წყრთა იყო მისი სიგრძე, წყრთანახევარი – მისი სიგანე და წყრთანახევარი – მისი სიმაღლე.
- ²და მოჭედა იგი ხალასი ოქროთი როგორც შიგნიდან, ისე გარედან, და გარს ოქროს გვირგვინი შემოავლო.
- ³და ჩამოასხა მისთვის ოთხი რგოლი ოქროსი მისი ოთხი კიდისათვის. ორი რგოლი მის ერთ მხარეს და ორი რგოლი – მეორე მხარეს.
- ⁴და გააკეთა კეტები აკაციის ხისაგან და მოჭედა ისინი ოქროთი.
- ⁵და გაუყარა კეტები რგოლებში კიდობნის გვერდებზე, კიდობნის სატარებლად.
- ⁶და გააკეთა სარქველი ხალასი ოქროსი: ორნახევარი წყრთა იყო მისი სიგრძე და წყრთანახევარი მისი სიგანე.
- ⁷და გააკეთა ორი ქერუბიმი: ოქროთი გააკეთა ჭედურად სარქვლის ორივე კიდისათვის.
- ⁸ერთი ქერუბიმი ერთი კიდიდან და მეორე ქერუბიმი მეორე კიდიდან, სარქველიდან ამოიყვანა მან ქერუბიმები, მის ორივე კიდეზე.
- ⁹და იყვნენ ქერუბიმები ფრთაგაშლილნი ზემოთკენ, და ფარავდნენ ფრთებით სარქველს. სახეები ერთმანეთისკენ ჰქონდათ მიქცეული, სარქველს დაჰყურებდნენ ქერუბიმები.
- ¹⁰და გააკეთა ტაბლა აკაციის ხისაგან: სიგრძე ორი წყრთა იყო მისი, სიგანე – ერთი წყრთა, სიმაღლე – ერთნახევარი წყრთა.
- ¹¹და მოჭედა იგი ხალასი ოქროთი, და შემოავლო ოქროს გვირგვინი ირგვლივ.
- ¹²და გაუკეთა მას ხელისდადების სიმაღლის ჩარჩო ირგვლივ და გაუკეთა ჩარჩოს ოქროს გვირგვინი გარშემო.
- ¹³და ჩამოასხა ოქროს ოთხი რგოლი, და მიუმაგრა ეს რგოლები ოთხ კუთხეზე მის ოთხ ფეხთან.
- ¹⁴კედელზე მიმაგრებული რგოლები კეტების გასაყრელად იყო, რომ ტაბლა ეტარებინათ.
- ¹⁵და გააკეთა კეტები აკაციის ხისაგან ტაბლის სატარებლად, და მოჭედა ისინი ოქროთი.



¹⁶და გააკეთა ხალასი ოქროს ჭურჭელი ტაბლისთვის: მისი ლანგრები და მისი თასები, და მისი ტოლჩები და მისი ჯამები საღვრელის დასადვრელი.

¹⁷და გააკეთა მან სასანთლე ხალასი ოქროსაგან ჭედურობით. მისი ღერო და მისი ტოტები, მისი თასები, მისი კვირტები და მისი ყვავილები მისგანვე იყო.

¹⁸ექვსი ტოტი გამოდიოდა მისი ღეროდან: სამი ტოტი სასანთლისა ერთი გვერდიდან და სამი ტოტი – მეორე გვერდიდან.

¹⁹სამი ნუშისებრი თასი ერთ ტოტზე, კვირტი და ყვავილი. სამი ნუშისებრი თასი მეორე ტოტზე, კვირტი და ყვავილი. ასევე ექვსსავე ტოტზე, რომელნიც გამოდიან სასანთლიდან.

²⁰და თვით სასანთლის ღეროზე იყო ოთხი ნუშისებრი თასი, თავ-თავისი კვირტებითა და ყვავილებით.

²¹და კვირტი მისი ტოტების პირველი წყვილის ძირში, და კიდევ კვირტი მისი ტოტების შემდეგი წყვილის ძირში და კიდევ კვირტი მისი ტოტების ბოლო წყვილის ძირში.

²²მათი კვირტები და მათი ტოტები მისგანვე იყო, მთლიანად ერთი ჭედურობით, ხალასი ოქროთი.

²³და გააკეთა მისი შვიდი კანდელი თავისი მაშებითა და თავისი აქანდაზებით ხალასი ოქროსაგან.

²⁴ერთი ტალანტი ხალასი ოქროსაგან გააკეთა ისიც და მთელი მისი ჭურჭელი.

²⁵და გააკეთა საკმევლის სამსხვერპლო აკაციის ხისგან; ერთი წყრთა სიგრძე და ერთი წყრთა სიგანე ჰქონდა, ოთხკუთხედი იყო და ორი წყრთის სიმაღლის. სამსხვერპლოსთან მთლიანობაში იყო მისი რქები.

²⁶და მოჭედა იგი ხალასი ოქროთი, მისი სახურავი და მისი გარშემო კედლები და მისი რქები. და ირგვლივ ოქროს გვირგვინი შემოავლო.

²⁷ოქროს ორი რგოლი გაუკეთა მას სალტეს ქვეშ ორსავე ფერდზე, მის ორივე მხარეს, კეტების გასაყრელად, რათა ეტარებინათ სამსხვერპლო.

²⁸და გააკეთა კეტების აკაციის ხეთაგან და მოჭედა ისინი ოქროთი,

²⁹და გაამზადა წმიდა მირონი და სურნელოვანი, ხალასი საკმეველი, მენელსაცხებელთა ნახელავი.

გამოსვლა 38



- ¹და გააკეთა სამსხვერპლო სრულადდასაწველისა აკაციის ხისაგან: სიგრძით ხუთი წყრთა, სიგანითაც ხუთი წყრთა, ოთხკუთხედი, სიმაღლით სამი წყრთა.
- ²და გაუკეთა რქები მას ოთხივ კუთხეზე, სამსხვერპლოსთან მთლიანობაში იყო მისი რქები. სამსხვერპლო მთლიანად მოჭედა ბრინჯაოთი.
- ³დაამზადა სამსხვერპლოს მთელი ჭურჭლეულობა: ქვაბები, ნიჩბები, სასხურებლები, ჩანგლები და აქანდაზები. მთელი მისი ჭურჭელი ბრინჯაოსგან გააკეთა.
- ⁴და გააკეთა სამსხვერპლოსათვის ცხაური ბრინჯაოსაგან, ბადისებრი ნახელავი, ქვემოდან სამსხვერპლოს შუამდე.
- ⁵და ჩამოასხა ოთხი რგოლი ბრინჯაოს ცხაურის ოთხი კუთხისათვის კეტების გასაყრელად.
- ⁶და გათალა კეტები აკაციის ხისა და მოჭედა ისინი ბრინჯაოთი.
- ⁷და გაუყარა კეტები სამსხვერპლოს რგოლებში, რათა ეტარებინათ იგი მათი მეშვეობით. ღრუ გააკეთა იგი ფიცრებით.
- ⁸და გააკეთა ბრინჯაოს საბანელი და მისი კვარცხლბეკიც ბრინჯაოსი ქალების სარკეებით, რომლებიც მსახურებას ეწეოდნენ საკრებულო კარვის შესასვლელთან.
- ⁹და მოაწყო ეზო სამხრეთ მხარეს. ეზოს ფარდა გრეხილი ბისონისა იყო, სიგრძით 100 წყრთა,
- ¹⁰მისი 20 სვეტი და მათი 20 კვარცხლბეკი ბრინჯაოსი იყო; დუგმები სვეტებისა და მათი სალტეები ვერცხლისა იყო.
- ¹¹და ჩრდილოეთის მხრიდან ფარდა სიგრძით 100 წყრთა იყო. მისთვის გაკეთდა 20 სვეტი და მათი 20 კვარცხლბეკი ბრინჯაოსი იყო. დუგმები სვეტებისა და მათი სალტეები ვერცხლისა იყო.
- ¹²და დასავლეთის მხრიდან 50 წყრთის სიგრძის ფარდა ეკიდა კვარცხლბეკებზე დადგმულ 10 სვეტზე. სვეტების დუგმები და სალტეები ვერცხლისა იყო.
- ¹³აღმოსავლეთის მხარე 50 წყრთა იყო.
- ¹⁴კარიბჭის ერთ მხარეს 15 წყრთის სიგრძის ფარდა ეკიდა კვარცხლბეკებზე დადგმულ სამ სვეტზე.
- ¹⁵და მეორე მხარესაც ეზოს კარიბჭიდან ასევე 15 წყრთის სიგრძის ფარდა იყო სამი სვეტითა და სამი კვარცხლბეკით.



¹⁶ეზოს ირგვლივ ყველა ფარდა გრეხილი ბისონისა იყო.

¹⁷სვეტების კვარცხლბეკები ბრინჯაოსი იყო, სვეტების დუგმები და სალტეები – ვერცხლისა, და მათი თავების ჭედურობაც ვერცხლისა იყო. და ვერცხლის სალტეებით იყო შეერთებული ეზოს ყოველი სვეტი.

¹⁸და ეზოს კარიბჭის ფარდა იყო ცისფერი, მოწეული და ჭიაფერი ქარგებიანი ქსოვილისა და გრეხილი სელისა სიგრძით 20 წყრთა, სიმაღლით ხუთი წყრთა მთელს სიგანეზე, ეზოს ფარდების მსგავსად.

¹⁹მისი ოთხი სვეტი და მათი ოთხი კვარცხლბეკი ბრინჯაოსი იყო; მათი დუგმები – ვერცხლისა და მათი თავების ჭედურობაც და სალტეებიც – ვერცხლისა იყო.

²⁰სავანისა და ფარდების პალოები ეზოს ირგვლივ ბრინჯაოსი იყო.

²¹ეს არის აღრიცხვა სავანის, გამოცხადების სავანის ხარჯებისა, რაც დაანგარიშებულ იქნა მოსეს ბრძანებით, ლევიათა მიერ, აარონის ძის, ითამარ მღვდლის ხელმძღვანელობით.

²²ბეცალელმა, ძემ ურისა, ძისა ხურისა, იუდას ტომიდან, გააკეთა ყოველივე, რაც უბრძანა უფალმა მოსეს.

²³მასთან იყო აჰოლიაბიც, ძე ახისამაქისა, დანის ტომიდან, მეჩუქურთმე, ოსტატი მქსოველი და მქარგავი ცისფერი, მოწეული, ჭიაფერი ნართისა და ბისონისა.

²⁴მთელი ოქრო, რაც დაიხარჯა საწმიდრის ყოველ საქმეზე, იყო შემოწირული ოქრო: 29 ტალანტი და 730 შეკელი, საწმიდრის შეკელით.

²⁵ხოლო თემის აღწერისას შეგროვებული ვერცხლი შეადგენდა 100 ქანქარს და 1775 შეკელს, საწმიდრის შეკელით.

²⁶სულზე თითო ბეკაყი, ანუ ნახევარი შეკელი, საწმიდრის შეკელით, ყველასგან, ვინც გაიარა აღრიცხვა, 20 წლიდან და ზევით, სულ 603550 კაცი.

²⁷100 ტალანტი ვერცხლი საწმიდრის და ფარდის კვარცხლბეკთა ჩამოსხმას მოხმარდა. 100 კვარცხლბეკი 100 ტალანტიდან, თითო ტალანტი კვარცხლბეკისათვის.

²⁸1775 შეკელი ვერცხლისაგან მან გააკეთა დუგმები სვეტებისათვის და მოჭედა მათი თავები და შეაერთა ისინი სალტეებით.

²⁹შემოწირული ბრინჯაო იყო სულ 70 ტალანტი და 2400 შეკელი.

³⁰გააკეთა მისგან საკრებულო კარვის შესასვლელის კვარცხლბეკები და ბრინჯაოს სამსხვერპლო, და ბრინჯაოს ცხაური მისთვის, და სამსხვერპლოს მთელი ჭურჭელი,



³¹კვარცხლბეკები ეზოს ირგვლივ და ეზოს კარიბჭისათვის, სავანისა და ფარდების ყოველი პალო ეზოს ირგვლივ.

გამოსვლა 39

¹ცისფერი, მოწეული და ჭიაფერი ქსოვილისაგან შეკერეს საწესო შესამოსელი საწმიდარში სამსახურისათვის, და წმიდა შესამოსელი შეუკერეს აარონს, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

²და დაამზადა ეფოდი ოქროსაგან და ცისფერი, მოწეული, ჭიაფერი ნართისა და გრეხილი ბისონისაგან.

³და გამოჰედეს ოქროს ფურცლები, და დაჭრეს ძაფებად, რათა შეეგრძნოთ ცისფერ, მოწეულ, ჭიაფერ ნართთან და გრეხილ ბისონთან. და მოქსოვეს ოსტატურად.

⁴მისამაგრებელი სამხრეები გაუკეთეს მას. მის ორივე კიდეზე იყო შეერთებული.

⁵მასზე შემოსაკრავი სარტყელი იმავე მასალისა და ნაკეთობისა იყო: ოქროსაგან, ცისფერი, მოწეული, ჭიაფერი ნართისა და გრეხილი ბისონისაგან, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

⁶და დაამუშავეს სარდიონის ქვები, ჩასხეს ისინი ოქროს ბუდეებში და ზედ ამოტვიფრეს ისრაელის ძეთა სახელები.

⁷და მიამაგრა ისინი ეფოდის სამხრეებს – ისრაელის ძეთა სამახსოვრო ქვებად, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

⁸და გააკეთა სამკერდული, ოსტატურად ნახელავი, მსგავსი ეფოდის ნაკეთობისა ოქროსაგან, ცისფერი, მოწეული, ჭიაფერი ნართისა და გრეხილი ბისონისაგან.

⁹ოთხკუთხედი იყო იგი. ორკეცი გააკეთეს სამკერდული – სიგრძით მტკაველი და სიგანით მტკაველი, ორკეცი.

¹⁰და ოთხ რიგად განალაგეს მასზე ძვირფასი ქვები: ლალი, ტოპაზი და ბივრილი – ერთი რიგი.

¹¹მეორე რიგი: ზურმუხტი, საფირონი და ალმასი.

¹²მესამე რიგი: იაგუნდი, აქატი და ამეთვისტო.

¹³მეოთხე რიგი: ქრიზოლითი, სარდიონი და იასპი; ისინი ჩასხმული იყო ოქროს ბუდეებში.



¹⁴12 ქვა იყო ისრაელის ძეგლი სახელების მიხედვით, და თითოეულზე 12 ტომიდან თითო სახელი იყო ამოტვიფრული.

¹⁵გაუკეთეს სამკერდულს გრებილი ჯაჭვები წნული ნაკეთობით, ხალასი ოქროსი.

¹⁶და გააკეთეს ოქროს ორი ბუდე და ოქროს ორი რგოლი, და მიამაგრეს ორივე რგოლი სამკერდულის ორ კიდეს.

¹⁷და გაუყარეს ოქროს ორივე წნული ორივე რგოლში სამკერდულის კიდეებზე.

¹⁸და ორივე წნულის ორივე ბოლო მიამაგრეს ორივე ბუდეს, და მიამაგრეს ისინი ეფოდის სამხრეებს წინიდან.

¹⁹და გააკეთეს ორი რგოლი ოქროსი და მიამაგრეს სამკერდულის ორ კიდეს იმ არშიაზე, რომელიც ეფოდის შიდა მხარეს არის მოქცეული.

²⁰და გააკეთეს ოქროს ორი რგოლი და მიამაგრეს ისინი ეფოდის ორივე სამხრეზე ქვემოდან, წინა მხარეს, შესაკრავთან, ზემოთ, ეფოდის სარტყელზე.

²¹და მიამაგრეს სამკერდული მისი რგოლებით ეფოდის რგოლებს ცისფერი ზონრით, რათა იყოს ეფოდის სარტყელზე და მჭიდროდ ეკვროდეს სამკერდული ეფოდს, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

²²და გაუკეთა მოსასხამი ეფოდისათვის, მთლიანად ცისფერი ქსოვილისაგან.

²³თავის გასაყოფი ჭრილი მოსასხამს შუაზე ჰქონდა, ჯაჭვის პერანგის ჭრილივით, არშია გასდევდა ჭრილს ირგვლივ, რომ არ შემორღვეულიყო.

²⁴და ამოქარგეს მოსასხამის კალთებზე ბროწეულები ცისფერი, მოწეული, ჭიაფერი ნართით და გრებილი ბისონით.

²⁵და გააკეთეს ხალასი ოქროს ეფვნები, და შეაბეს ეფვნები ბროწეულთა შორის მოსასხამის კალთებს ირგვლივ.

²⁶ეფვანი და ბროწეული, ეფვანი და ბროწეული მსახურების მოსასხამის კალთებს ირგვლივ, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

²⁷მოუქსოვეს კვართები ბისონისა აარონსა და მის ძეებს,

²⁸და თავსაბურველი ბისონისა, და თავსამკაულნი ბისონისა, და სელის შარვალი გრებილი ბისონისა,

²⁹და სარტყელი გრებილი ბისონისა და ცისფერი, მოწეული და ჭიაფერი ნართისა, ნაქარგი, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.



³⁰და გაუკეთეს სიწმიდის გვირგვინი – ხალასი ოქროს ფირფიტა, და ამოკვეთეს მასზე წარწერა ბეჭდის ტვიფარივით: „სიწმიდე უფლისა.“

³¹და მოაბეს მას ცისფერი ზონარი, რათა მიეზნიათ იგი თავსაბურველზე ზემოდან, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

³²ასე დასრულდა საკრებულო სავანის მთელი სამუშაო. ყველაფერი ისე გააკეთეს ისრაელიანთ, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

³³და მიიტანეს მოსესთან სავანე და ყოველი მისი მოწყობილობა, მისი დუგმები, მისი კეტები, მისი ძელაკები, მისი სვეტები და მისი კვარცხლბეკები,

³⁴საბურველი ვერძთა დათრიმლული ტყავისა და საბურველი გამოყვანილი ტყავისა და ფარდა,

³⁵კიდობანი მოწმობისა და კეტები მისი, და სარქველი,

³⁶ტაბლა, მთელი მისი მოწყობილობა და საწინაშეო პურები,

³⁷ხალასი ოქროს სასანთლე, მისი კანდელები, ზედ გამწკრივებული კანდელები, და მთელი მისი მოწყობილობა და ზეთი სანათებლად,

³⁸ოქროს სამსხვერპლო და საცხები ზეთი, და კეთილსურნელება საკმევლისა და ფარდა კარვის შესასვლელისა,

³⁹ბრინჯაოს სამსხვერპლო და მისი ბრინჯაოს ცხაური, მისი კეტები და ყოველი მისი მოწყობილობა და საბანელი და მისი კვარცხლბეკი,

⁴⁰ეზოს ფარდები, მისი სვეტები და მისი კვარცხლბეკები, ეზოს კარიბჭის ფარდები, მისი საბელები და მისი პალოები და ყოველი მოწყობილობა სავანეში – საკრებულო კარავში მსახურებისათვის,

⁴¹საწესო სამოსელი წმიდამი მსახურებისათვის და წმიდა შესამოსელი აარონ მღვდლისათვის და მის ძეთათვის.

⁴²როგორც უფალმა უბრძანა მოსეს, ისე გააკეთეს ისრაელიანთ ყველაფერი.

⁴³და ნახა მოსემ ყოველი საქმე, და აჰა, გაუკეთებიათ იგი. როგორც უბრძანა უფალმა, ისე გააკეთეს. და აკურთხა ისინი მოსემ.

გამოსვლა 40

¹და უთხრა უფალმა მოსეს:

²პირველი თვის პირველ დღეს აღმართე სავანე – საკრებულო კარავი.

³და დადგი იქ კიდობანი მოწმობისა, და ჩამოაფარე კიდობანს ფარდა.



- ⁴შეიტანე ტაბლა და დააწყვე მასზე რაც დასაწყობია, და შეიტანე სასანთლე და დადგი ზედ მისი კანდელები.
- ⁵და დადგი ოქროს სამსხვერპლო საკმევლისათვის მოწმობის კიდობნის წინ, და ჩამოჰკიდე ფარდა სავანის შესასვლელთან.
- ⁶და დადგი სამსხვერპლო სრულადდასაწველისა სავანის – საკრებულო კარვის შესასვლელის წინ.
- ⁷და დადგი საბანელი საკრებულო კარავსა და სამსხვერპლოს შორის და ჩაასხი შიგ წყალი.
- ⁸და მოაწყვე გარშემო ეზო ჩამოჰკიდე ფარდა ეზოს კარიბჭეზე.
- ⁹აილე მირონი და სცხე სავანეს და ყოველივეს, რაც მასშია. წმიდა ჰყავ მთელი მისი ჭურჭელი და წმიდა იქნება.
- ¹⁰სცხე სრულადდასაწველის სამსხვერპლოს და ყოველ მის ჭურჭელს, და წმიდა ჰყავ სამსხვერპლო, და წმიდათა წმიდა იქნება სამსხვერპლო.
- ¹¹და სცხე საბანელს და მის კვარცხლბეკს და წმიდა ჰყავ იგი.
- ¹²და მიიყვანე აარონი და მისი ძენი საკრებულო კარვის შესასვლელთან და განბანე ისინი წყლით.
- ¹³და შემოსე აარონი წმიდა შესამოსლით, და სცხე მას და წმიდა ჰყავ იგი, რათა მღვდლობა გამიწიოს.
- ¹⁴და მისი ძენი მოიყვანე და შემოსე ისინი კვართებით.
- ¹⁵და სცხე მათ, როგორც სცხე მათ მამას, რათა მღვდლობა გამიწიონ, და იყოს მათი ცხება საუკუნო მღვდლობად მათი თაობიდან თაობამდე.
- ¹⁶და გააკეთა მოსემ ყოველივე, როგორც უბრძანა უფალმა მას.
- ¹⁷მეორე წლის პირველ თვეს, თვის პირველ დღეს აღიმართა სავანე.
- ¹⁸აღმართა მოსემ სავანე: დადგა მისი კვარცხლბეკები, აღმართა მისი კეტები, დაამაგრა ლარტყები და აღმართა მისი სვეტები.
- ¹⁹გადააფარა საფარველი სავანეს და დაადო საბურველი ზემოდან, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.
- ²⁰აიღო მოსემ მოწმობა და ჩადო კიდობანში, და გაუყარა კეტები კიდობანს და დაახურა სარქველი კიდობანს ზემოდან.
- ²¹და შეიტანა კიდობანი სავანეში, ჩამოჰკიდა ფარდა და დაფარა კიდობანი მოწმობისა, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.



- ²²და დადგა ტაბლა საკრებულო კარავში, სავანის ჩრდილოეთ მხარეს, ფარდის გარეთ.
- ²³და დააწყო მასზე პურები უფლის წინაშე, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.
- ²⁴და დადგა სასანთლე სავანეში – საკრებულო კარავში ტაბლის პირისპირ, სავანის სამხრეთ მხარეს,
- ²⁵და დადგა მასზე კანდელები უფლის წინაშე, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.
- ²⁶და დადგა ოქროს სამსხვერპლო საკრებულო კარავში ფარდის წინ.
- ²⁷და აკმია მასზე სურნელოვანი საკმეველი, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.
- ²⁸და ჩამოჰკიდა ფარდა სავანის შესასვლელში.
- ²⁹და დადგა სრულადდასაწველის სამსხვერპლო სავანის – საკრებულო კარავის შესასვლელში, და აღავლინა მასზე სრულადდასაწველი და პურეულის ძღვენი, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.
- ³⁰და დადგა საბანელი საკრებულო კარავსა და სამსხვერპლოს შორის, და ჩაასხა შიგ წყალი განსაბანად,
- ³¹და განიბანდნენ მასში მოსე და აარონი და მისი ძეები ხელებსა და ფეხებს.
- ³²საკრებულო კარავში შესვლისას, ან სამსხვერპლოსთან მიახლოებისას განიბანებოდნენ ისინი, როგორც ნაბრძანები ჰქონდა უფალს მოსესთვის.
- ³³და მოაწყო ეზო სავანესა და სამსხვერპლოს ირგვლივ, და ჩამოჰკიდა ფარდა ეზოს კარიბჭეზე. და დაასრულა მოსემ საქმე.
- ³⁴დაფარა ღრუბელმა საკრებულო კარავი, და უფლის დიდებამ აავსო სავანე.
- ³⁵ვერ შევიდა მოსე საკრებულო კარავში, რადგან დაივანა მასზე ღრუბელმა და უფლის დიდებამ აავსო სავანე.
- ³⁶როცა ასცილდებოდა სავანეს ღრუბელი, მაშინ აიყრებოდნენ ხოლმე ისრაელიანები სამგზავროდ.
- ³⁷და თუ არ ასცილდებოდა ღრუბელი, არ აიყრებოდნენ იმ დღემდე, ვიდრე არ ასცილდებოდა.
- ³⁸უფლის ღრუბელი ადგა სავანეს დღისით, და ცეცხლი ენთო ღრუბელში ღამით ისრაელის მთელი სახლის თვალწინ, მთელს მათ გზაზე.



ლევიანნი

ლევიანნი 1

- ¹მოუხმო უფალმა მოსეს, და უთხრა საკრებულო კარვიდან:
- ²მიმართე ისრაელიანთ და უთხარი: როდესაც ვინმე თქვენთაგანი შესწირავს უფალს პირუტყვს, შესწიროს ნახირიდან ან ფარიდან.
- ³თუ მისი მსხვერპლი სრულადდასაწველია, მოიყვანოს უხინჯო მოზვერი საკრებულო კარვის კართან, რათა წყალობა ჰპოვოს უფლის წინაშე.
- ⁴დაადოს ხელი სრულადდასაწველ მსხვერპლს თავზე – და წყალობას ჰპოვებს ცოდვათა შესანდობად.
- ⁵და დაკლას მოზვერი უფლის წინაშე; ხოლო აარონიანმა მღვდლებმა მიიტანონ სისხლი და დაღვარონ საკურთხევლის ირგვლივ, რომელიც საკრებულო კარვის შესასვლელთან არის.
- ⁶და გაატყაონ სრულადდასაწველი მსხვერპლი და ასო-ასო აქნან.
- ⁷და საკურთხეველზე ცეცხლი გააჩაღონ აარონიანმა მღვდლებმა და შეშა დააყარონ ცეცხლს.
- ⁸და დაალაგონ აარონიანმა მღვდლებმა აქნილი ნაჭრები, თავი და ქონი საკურთხევლის ცეცხლზე დაწყობილ შეშაზე.
- ⁹და შიგნეული და ფეხები გაირეცხოს; და მღვდელმა დაწვას ეს ყოველივე საკურთხეველზე: ეს სრულადდასაწველია, საცეცხლო მსხვერპლია, კეთილსურნელებაა უფლისათვის.
- ¹⁰ხოლო თუ მისი სრულადდასაწველი მსხვერპლი იქნება ცხვარი ან თხა, მოიყვანოს მამალი, უხინჯო.
- ¹¹და დაკლას იგი სამსხვერპლოს ჩრდილოეთ მხარეს, უფლის წინაშე, და აარონიანმა მღვდლებმა აპკურონ მისი სისხლი საკურთხევლის ირგვლივ.
- ¹²ასო-ასო აიქნას იგი, და დაალაგოს ის მღვდელმა საკურთხევლის ცეცხლზე დაწყობილ შეშაზე.
- ¹³შიგნეული და კანჭები წყლით გაირეცხოს; და მღვდელმა დაწვას ეს ყოველივე საკურთხეველზე. ეს სრულადდასაწველია, საცეცხლო მსხვერპლი, კეთილსურნელებაა უფლისათვის.
- ¹⁴თუ ვინმეს უნდა, რომ სრულადდასაწველ მსხვერპლად ფრინველი შესწიროს უფალს, გვრიტი ან მტრედი მოიყვანოს.



¹⁵იგი მღვდელმა უნდა მიიყვანოს საკურთხეველთან, მოუგრიხოს კისერი და კვამლად აქციოს საკურთხეველზე; მისი სისხლი კი საკურთხეველის კედელს მიაწრიტოს;

¹⁶მოაცილოს ჩიჩახვი ბუმბულიანად და გადააგდოს საკურთხეველის აღმოსავლეთის მხარეს, ნაცრის გროვაზე;

¹⁷ფრთები გადაუმტვრიოს, არ კი მოაშოროს, და დაწვას ის მღვდელმა საკურთხეველის შეშის ცეცხლზე; ეს სრულადდასაწველია, საცეცხლო მსხვერპლია, კეთილსურნელებაა უფლისათვის.

ლევიაწნი 2

¹თუ ვინმე სწირავს პურეულ ძღვენს უფალს, მისი შესაწირავი გამტკიცული პურის ფქვილისა უნდა იყოს, და დაასხას მას ზეთი და დააყაროს საკმეველი.

²და მიუტანოს იგი აარონიან მღვდლებს, და აიღოს მღვდელმა იქიდან სავსე მუჭა ზეთიანი ფქვილისა საკმეველთან ერთად, და საკურთხეველზე დააკმიოს სამახსოვროდ, როგორც საცეცხლო მსხვერპლი, კეთილსურნელებად უფლისათვის.

³ხოლო რაც დარჩება პურეული ძღვენიდან, აარონისა და მისი ძეებისა იყოს. ეს უწმიდესია უფლის საცეცხლო მსხვერპლთაგან.

⁴თუ შესწირავ პურეულ ძღვენს ღუმელში გამომცხვრიდან, გამტკიცული პურის ფქვილით მოზელილი უფუარი პურები იყოს, ზეთში შერეული, უფუარი და ზეთნაცხები კვერები.

⁵თუ შენი შესაწირავი პურეული ძღვენი ტაფაზეა გამომცხვარი, მაშინ გამტკიცული პურის ფქვილისა უნდა იყოს, ზეთში მოზელილი და უფუარი.

⁶დაამტვრიე ის და დაასხი ზეთი. ეს არის პურეულის ძღვენი.

⁷თუ შენი შესაწირავი ტაფაზე გამომცხვარი პურეულის ძღვენია, მაშინ ის უნდა იყოს ზეთში მოზელილი გამტკიცული პურის ფქვილისაგან.

⁸მხართვი ამგვარად გამომცხვარი შენი ძღვენი უფალს და წარუდგინე იგი მღვდელს, და ის მიიტანს მას საკურთხეველთან.

⁹და აიღებს მღვდელი ამ მსხვერპლიდან ნაწილს სამახსოვრო მსხვერპლად და დააკმევს საკურთხეველზე; ეს არის საცეცხლო მსხვერპლი, კეთილსურნელება უფლისათვის.

¹⁰ხოლო პურეული ძღვენიდან დანარჩენი აარონისა და მისი ძეებისა იყოს. ეს უწმიდესია უფლის საცეცხლო მსხვერპლთაგან.



¹¹არც ერთი ძღვენი, რომელსაც შესწირავთ უფალს, არ უნდა იყოს საფუარიანი, რადგან არც საფუარი და არც თაფლი არ უნდა დაწვათ უფლის საცეცხლო მსხვერპლად;

¹²პირველნაყოფთა შესაწირავად შეგიძლიათ შესწიროთ ისინი უფალს, მაგრამ საკურთხეველზე არ აიტანოთ, როგორც კეთილსურნელება.

¹³ყოველი შესაწირავი შენი პურეული ძღვენისა მარილით დაამარილე და არ დატოვო შენი მსხვერპლი შენი ღმერთის აღთქმის მარილის გარეშე. ყოველ შენს შესაწირავთან ერთად მარილიც შესწირე.

¹⁴თუ შესწირავ უფალს პურეულ ძღვენს პირველნაყოფთაგან – პირველ თავთავთაგან, ცეცხლზე მოხალული, დაღერდილი მარცვლით შესწირე შენს პირველნაყოფთა პურეული ძღვენი.

¹⁵დაასხი მას ზეთი, და დააყარე საკმეველი. ეს არის პურეული ძღვენი.

¹⁶და დაწვას მღვდელმა მისი სამახსოვრო შესაწირავი ღერდილისგან და ზეთისგან მთელი მისი საკმევლით, საცეცხლო შესაწირავად უფლისათვის.

ლევიაწნი 3

¹თუ სამშვიდობო მსხვერპლია მისი შესაწირავი და ნახირიდან თუ სწირავს მოზვერს ან დეკეულს, უხინჯო შესწიროს უფლის წინაშე.

²დაადოს ხელი თავის მსხვერპლს თავზე და დაკლას იგი საკრებულო კარვის შესასვლელთან. და აარონიანმა მღვდლებმა სისხლი მოაპკურონ საკურთხეველის ირგვლივ.

³და შესწიროს სამშვიდობო მსხვერპლიდან უფალს საცეცხლო მსხვერპლად ქონი, რომელიც შიგნეულს აფენია, და მთელი ნაფერდლების ქონი.

⁴ორივე თირკმელი და ქონი, რომელიც მათ აკრავს, ბარკლების ქონი, და ღვიძლის ყური, თირკმელებთან ერთად მოჰკვეთოს.

⁵აარონის ძეებმა დააკმიონ იგი საკურთხეველზე სრულადდასაწველთან ერთად, რომელიც ცეცხლზე დაყრილ შეშაზე აწყვია საცეცხლო მსხვერპლად, კეთილსურნელება უფლისათვის.

⁶თუ მისი სამშვიდობო მსხვერპლი ფარიდან არის უფლისთვის შესაწირავად, უხინჯო ვერძი ან დედა ცხვარი შესწიროს.

⁷და თუ ცხვარს სწირავს ის თავის მსხვერპლად, უფლის წინაშე შესწიროს.



⁸დაადოს ხელი თავის მსხვერპლს თავზე და დაკლას იგი საკრებულო კარვის წინ; და აარონის ძეგმა მოაპკურონ მისი სისხლი საკურთხეველის ირგვლივ.

⁹და შესწიროს სამშვიდობო მსხვერპლიდან უფალს საცეცხლო მსხვერპლად: მისი ქონი, მთელი დუმა, კუდუსუნიტურთ მოჰკვეთოს; და ქონი, რომელიც შიგნეულს აკრავს, და მთელი მუცლის ქონი,

¹⁰ორივე თირკმელი და ქონი, რომელიც მათ აკრავს, ბარკლების ქონი, და ღვიძლის ყური, თირკმელებთან ერთად მოჰკვეთოს.

¹¹და დააკმიოს იგი მღვდელმა საკურთხეველზე; ეს არის საცეცხლო მსხვერპლის ლუკმა უფლისათვის.

¹²და თუ თხა არის მისი სამსხვერპლო, მიიყვანოს ის უფლის წინაშე;

¹³და დაადოს ხელი მას თავზე და დაკლას საკრებულო კარვის წინ; და მოაპკურონ აარონის ძეთ მისი სისხლი საკურთხეველის ირგვლივ.

¹⁴და მიიტანოს თავისი მსხვერპლიდან, როგორც საცეცხლო მსხვერპლი უფლისათვის ქონი, რომელიც ფარავს შიგნეულს, და მთელი მუცლის ქონი;

¹⁵ორივე თირკმელი და ქონი, რომელიც მათ აკრავს, ბარკლების ქონი, და ღვიძლის ყური, თირკმელებთან ერთად მოჰკვეთოს.

¹⁶და დააკმიოს მღვდელმა ის საკურთხეველზე. ეს არის საცეცხლო მსხვერპლის ლუკმა – კეთილსურნელება უფლისათვის. მთელი ქონი უფლისაა.

¹⁷ეს არის საუკუნო წესი თქვენი თაობებისთვის, ყველგან, სადაც კი ცხოვრობთ; არავითარი ქონი და არავითარი სისხლი არა ჭამოთ.

ლევიაწნი 4

¹ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²უთხარი ისრაელის ძეთ: თუ შესცოდოს ვინმემ უნებლიეთ უფალს, მისი რომელიმე მცნების დარღვევით და გააკეთოს ისეთი რამ, რაც აკრძალულია –

³თუ ცხებულმა მღვდელმა შესცოდა და მისი დანაშაული ხალხს დააწვა, თავისი ცოდვისათვის მიიყვანოს ნახირიდან უფლის წინაშე უხინჯო მოზვერი, ცოდვის მსხვერპლად.

⁴მოზვერი საკრებულო კარვის კართან მიიყვანოს უფლის წინაშე; ხელი დაადოს თავზე და დაკლას უფლის წინაშე.



⁵და აიღოს ცხებულმა მღვდელმა მოზვერის სისხლი და შეიტანოს საკრებულო კარავში.

⁶დააწოს მღვდელმა თითი სისხლში და შვიდგზის აჰკუროს სისხლი უფლის წინაშე საწმიდრის ფარდის წინ.

⁷წაუსვას მღვდელმა სისხლი უფლის წინაშე საკმევლის საკურთხეველის რქებს, რომელიც საკრებულო კარავშია; მოზვერის მთელი დანარჩენი სისხლი დაასხას სრულადდასაწველის საკურთხეველის ძირას, საკრებულო კარვის შესასვლელთან რომ არის.

⁸და ამოცალოს მთელი ქონი ცოდვის გამოსასყიდ შესაწირავ მოზვერს, ქონი, რომელიც ფარავს შიგნეულს, და მთელი მუცლის ქონი,

⁹ორივე თირკმელი და ქონი, რომელიც მათზეა, რომელიც ბარკლების კუნთებზეა, და ღვიძლის ყური, თირკმელებითურთ მოკვეთოს ისე,

¹⁰როგორც მოიკვეთება სამშვიდობო შესაწირავის მოზვრიდან. და დაწვას ისინი მღვდელმა, სრულადდასაწველის საკურთხეველზე.

¹¹ხოლო მოზვერის ტყავი და მთელი მისი ხორცი თავ-ფეხიანად, მისი შიგნეული ნეხვიანად,

¹²და მთელი ხორცი, რაც დარჩა, გაიტანოს ბანაკს გარეთ, სუფთა ადგილზე, სადაც იყრება ნაცარი, და დაწვას იგი შეშაზე ცეცხლით. სანაცრეზე დაწვან იგი.

¹³თუ ისრაელის მთელი თემი შესცოდავს, და დაიფარება ეს საქმე კრებულის თვალთაგან, და გააკეთებს უფლის რომელიმე მცნების საწინააღმდეგოს, ჩაიდენს რაიმე აკრძალულს, და დამნაშავე გახდება,

¹⁴როდესაც შეიტყობენ ცოდვას, რომლითაც შესცოდეს მათ, კრებულმა შესწიროს ნახირიდან მოზვერი ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად და მიიყვანონ იგი საკრებულო კარვის წინ.

¹⁵დაასხან თემის უხუცესებმა ხელები მოზვერს თავზე უფლის წინაშე, და დაკლან მოზვერი უფლის წინაშე,

¹⁶და შეიტანოს ცხებულმა მღვდელმა მოზვერის სისხლი საკრებულო კარავში,

¹⁷და დააწოს მღვდელმა თითი სისხლში და შვიდგზის მოაჰკუროს უფლის წინაშე, ფარდის წინ,

¹⁸სისხლი წაუსვას საკმევლის საკურთხეველის რქებს, რომელიც საკრებულო კარავშია უფლის წინაშე, და მთელი დანარჩენი სისხლი დაასხას



სრულადდასაწველის საკურთხეველის ძირას, რომელიც საკრებულო კარვის შესასვლელთანაა.

19 მთელი ქონი ამოაცალოს მას და დააკმიოს საკურთხეველზე;

20 ამ მოზვერსაც იგივე გაუკეთონ, რასაც უკეთებენ ცოდვის გამოსასყიდ მოზვერს; და შენდობას გამოითხოვს მღვდელი და მიეტევებათ მათ.

21 და გაიტანონ მათ მოზვერი ბანაკს გარეთ და დაწვან ისე, როგორც დაწვეს პირველი მოზვერი. ეს კრებულის ცოდვის მსხვერპლია.

22 თუ მთავარი შესცოდავს უნებლიეთ და რაიმეს შეცდომით გააკეთებს უფლის, თავისი ღმერთის, მცნებათა დარღვევით, და ჩაიდენს რაიმეს, რაც აკრძალულია და დანაშაულია,

23 ან მერე მიხვდება, რაც ჩაიდინა, მიიყვანოს თავისი მსხვერპლი – უხინჯო ვაცი,

24 დაადოს ხელი ვაცს თავზე, და დაკლას იმ ადგილას, სადაც კლავენ სრულადდასაწველს უფლის წინაშე. ცოდვის მსხვერპლი არის ის.

25 აიღოს მღვდელმა ცოდვის მსხვერპლის სისხლი, თითი დააწოს და სცხოს სრულადდასაწველის საკურთხეველის რქებს, დანარჩენი სისხლი დაასხას სრულადდასაწველის საკურთხეველის ძირას.

26 მთელი მისი ქონი დააკმიოს საკურთხეველზე, როგორც სამშვიდობო მსხვერპლის ქონი, და შენდობას გამოითხოვს მღვდელი მისი ცოდვისათვის და ეპატიება მას.

27 თუ ხალხიდან ვინმე ჩაიდენს უნებლიე ცოდვას და ამით უფლის რომელიმე მცნებას დაარღვევს, და იქმს რაიმე აკრძალულს, და დამნაშავე გახდება,

28 ან, როდესაც მიხვდება თავის ცოდვას, რომლითაც შესცოდა, მიიყვანოს ჩადენილი ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად უხინჯო დედალი თხა, თავისი ცოდვისათვის, რომლითაც შესცოდა,

29 დაადოს ხელი ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლს თავზე, და დაკლას ეს მსხვერპლი იმ ადგილას, სადაც სრულადდასაწველი მსხვერპლი იკვლება.

30 აიღოს მღვდელმა მისი სისხლი თითით და წაუსვას სრულადდასაწველის საკურთხეველის რქებს; და მთელი მისი დანარჩენი სისხლი დაასხას საკურთხეველის ძირას.

31 მთელი მისი ქონი მოჰკვეთოს, როგორც მოიკვეთება ქონი სამშვიდობო მსხვერპლიდან, და დააკმიოს მღვდელმა საკურთხეველზე



კეთილსურნელებად უფლისათვის, და შეუნდობს მას მღვდელი, და მიეტევება მას.

³²თუ ცხვრის ფარიდან მიიყვანს ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლს, უხინჯოდედა ცხვარი იყოს.

³³დაადოს ხელი ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლს თავზე და დაკლას იგი ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად იმ ადგილას, სადაც კლავენ სრულადდასაწველს.

³⁴აიღოს მღვდელმა ცოდვის მსხვერპლის სისხლი თითოთ და წაუსვას სრულადდასაწველის საკურთხეველის რქებს, ხოლო მთელი დარჩენილი სისხლი დააცხას საკურთხეველის ძირას.

³⁵მთელი მისი ქონი მოჰკვეთოს, როგორც მოიკვეთება სამშვიდობო მსხვერპლის ცხვირიდან, და დააკმიოს მღვდელმა ის უფლის საკურთხეველზე საცეცხლო მსხვერპლად; და გამოითხოვს მღვდელი შენდობას მისი ცოდვისათვის, რომლითაც შესცოდა, და მიეტევება მას.

ლევიანნი 5

¹თუ ვინმემ მომხდარი დანაშაული იხილა ან გაიგონა, ან იცის და არ აცხადებს, საჯაროდ სათქმელი ფიცის შიშით, იგი იტვირთავს ცოდვას;

²თუ კაცი თავისდა უნებლიეთ შეეხება რაიმე უწმიდურ საგანს, ან უწმიდური მხეცის ან საქონლის ლეშს, ან უწმიდური ქვემძრომის მძორს, მაინც გაუწმიდურებულია და დამნაშავე;

³ან თუ ის თავისდა უნებურად შეეხება ადამიანის უწმიდურებას, რა უწმიდურებაც არ უნდა იყოს, რითაც იბილწებიან ადამიანები, და შემდეგ გაიგებს ამას, დამნაშავეა იგი.

⁴ან თუ ვისმე დაუფიქრებლად წასცდება ბაგიდან ფიცი, რომ სიკეთეს იზამს ან სიავეს (რაც არ უნდა წარმოთქვას ადამიანმა ფიცით დაუფიქრებლად) და ეს თავიდან გააზრებული არ ექნება მას, მაგრამ მერე მიხვდება, იგი დამნაშავეა ამ ფიცისთვის.

⁵და თუ დამნაშავეა ამათგან ერთ-ერთში, უნდა აღიაროს, რა შესცოდა,

⁶და შესწიროს თავისი ცოდვის მსხვერპლი უფალს, დედალი ცხვარი ან თხა ცოდვისათვის, და გამოითხოვს მღვდელი მისი ცოდვის შენდობას.

⁷და თუ ხელი არ მიუწვდება ცხვარზე, მიუყვანოს უფალს ჩადენილი ცოდვის გამოსასყიდად ორი გვრიტი ან მტრედის ორი მართვე. ერთი ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად, მეორე სრულადდასაწველად.



⁸მიიყვანოს ისინი მღვდელთან და მან შესწიროს ჯერ ცოდვის მსხვერპლი, და გადაუტეხოს კისერი კეფასთან, მაგრამ არ მოაცილოს თავი,

⁹მიაპკუროს ამ ცოდვის მსხვერპლის სისხლი საკურთხეველის კედელს, და დანარჩენი სისხლი დაწრიტოს საკურთხეველის ძირას; ეს არის ცოდვის მსხვერპლი.

¹⁰და მეორე შესწიროს სრულადდასაწველად, წესისამებრ, და გამოითხოვს მღვდელი შენდობას მისი ცოდვისათვის, რითაც შესცოდა, და მიეტევება მას.

¹¹და თუ ხელი არ მიუწვდება ორ გვრიტზე ან მტრედის ორ მართვეზე, მიიტანოს ჩადენილი ცოდვის გამოსასყიდად ერთი მეათედი ეფა გამტკიცული პურის ფქვილი, ზეთი არ დაასხას ზედ და ნუ დააყრის საკმეველს, რადგან იგი ცოდვის მსხვერპლია.

¹²მიუტანოს იგი მღვდელს, და აიღოს მისგან მღვდელმა სავსე მუჭა სამახსოვრო მსხვერპლად, და დააკმიოს სამსხვერპლოზე უფლის საცეცხლო მსხვერპლად; ეს არის ცოდვის მსხვერპლი;

¹³და გამოითხოვს მღვდელი შენდობას მისი ცოდვისათვის, რითაც შესცოდა, და შეენდობა მას; და დანარჩენი ეკუთვნის მღვდელს, როგორც პურეული ძღვენი.

¹⁴და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

¹⁵თუ ვინმე ჩაიდენს დანაშაულს და უნებლიეთ შესცოდავს უფლის სიწმიდეთა წინააღმდეგ, მიიყვანოს თავისი დანაშაულის მსხვერპლად უფლისათვის უხინჯო ვერძი, შენი შეფასებით, რაც ეღირება საწმიდრის ვერცხლის შეკელით; ეს არის დანაშაულის მსხვერპლი.

¹⁶და რაც შესცოდა იმ სიწმიდეს, გადაიხადოს, და მეხუთედიც დაამატოს და მისცეს იგი მღვდელს, და მღვდელი გამოითხოვს შენდობას მისი დანაშაულისთვის ვერძის მსხვერპლით, და მიეტევება მას.

¹⁷და თუ ვინმე შესცოდავს და ჩაიდენს რაიმეს უფლის მცნებების წინააღმდეგ, რის გაკეთებაც არ შეიძლებოდა, და ეს რომ არც სცოდნოდა, იგი მაინც დამნაშავეა და თავის ცოდვას იტვირთავს,

¹⁸მიუყვანოს მღვდელს დანაშაულის მსხვერპლად უხინჯო ვერძი, შენი შეფასებით, და გამოითხოვს მღვდელი შენდობას მისი შეცდომისათვის, რომელიც შესცოდა უცოდინრად, და ეპატიება მას.

¹⁹ეს არის მსხვერპლი დანაშაულისა, რა დანაშაულიც ჩაიდინა უფლის წინაშე.



ლევიანი 6

- ¹და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:
- ²თუ ვინმე შესცოდავს და დანაშაულს ჩაიდენს უფლის წინაშე იმით, რომ უარს ეტყვის თავის მოყვასს შესანახად მიბარებულ ან გირაოდ მიცემულ ნივთზე, ან რაიმეს გამოსძალავს და წაართმევს თავის მოყვასს,
- ³ან თუ იპოვის მის დაკარგულს, დამალავს და ცრუდ დაიფიცავს ისეთ რამეზე, რასაც ადამიანი აკეთებს და სცოდავს;
- ⁴თუ ასე შესცოდავს და დამნაშავე გახდება, უნდა დააბრუნოს წართმეული, რაც წაართვა, ან გამოძალუი, რაც გამოსძალა, ან მიბარებული, რაც მიბარეს, ან დაკარგული, რაც იპოვა;
- ⁵ან სხვა ყველაფერი, რაზეც ცრუდ დაიფიცა, უნდა მთლიანად დააბრუნოს და მისი მეხუთედიც დაამატოს, და დანაშაულის მსხვერპლის შეწირვის დღეს იმას მისცეს, ვისაც ეკუთვნის;
- ⁶და თავისი დანაშაულის მსხვერპლად უნდა მიიყვანოს მღვდელთან უფლისათვის შენი შეფასებით უხინჯო ვერძი დანაშაულის მსხვერპლად.
- ⁷და გამოითხოვს მღვდელი მისთვის შენდობას უფლის წინაშე, და მიეტევება მას, რაც ჩაიდინა და რითაც დადანაშაულდა.
- ⁸და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:
- ⁹ამცნე აარონს და მის ძეთ: ესაა წესი სრულადდასაწველისა: სრულადდასაწველი იყოს საკურთხეველის კოცონზე მთელ ღამეს, დილამდე, და საკურთხეველის ცეცხლი გიზგიზებდეს მასზე;
- ¹⁰და შეიმოსოს მღვდელმა სელის სამოსელი და შიშველ ტანზე სელისავე ქვედა საცვალი ჩაიცვას, და აიღოს ნაცარი, რაც სრულადდასაწველისგან დარჩა საკურთხეველზე, და დაყაროს იგი საკურთხეველთან.
- ¹¹და გაიხადოს თავისი შესამოსელი და სხვა სამოსი ჩაიცვას, და გაიტანოს ნაცარი ბანაკს გარეთ, წმიდა ადგილზე.
- ¹²ცეცხლი საკურთხეველზე გიზგიზებდეს, არ ჩაქრეს. და მოუკიდოს მასზე მღვდელმა შეშებს დილაობით და ზედ დააწყოს სრულადდასაწველი და კვამლად აქციოს მასზე სამშვიდობო მსხვერპლი, და მასზე დააკმდოს სამშვიდობო მსხვერპლის ქონი;
- ¹³ცეცხლი მუდამ გიზგიზებდეს საკურთხეველზე, არ ჩაქრეს.
- ¹⁴აი წესი პურეული ძღვენისა: უფლის წინაშე მიიტანონ იგი აარონის ძეებმა საკურთხეველზე;



¹⁵და აიღოს მღვდელმა მუჭით პურეულის შესაწირავიდან გამტკიცული ფქვილი თავისი ზეთით და საკმევლით, და დააკმოს საკურთხეველზე: ეს არის კეთილსურნელება, სამახსოვროდ უფლის წინაშე;

¹⁶მისი დანარჩენი აარონმა და მისმა ძეებმა შეჭამონ; ხმიადი წმიდა ადგილას უნდა ჭამონ, საკრებულო კარვის ეზოში ჭამონ;

¹⁷არ გამოაცხონ საფუარით. ეს მივეცი მათ წილად ჩემი საცეცხლო მსხვერპლებიდან. უწმიდესია ის, ისევე როგორც ცოდვის მსხვერპლი და დანაშაულის მსხვერპლი.

¹⁸აარონის ძეთაგან ყოველმა მამრმა ჭამოს ის. ეს იყოს თქვენი მოდგმის საუკუნო არჩივი თაობიდან თაობამდე, უფლის საცეცხლო მსხვერპლიდან. ყოველი, რომელიც მას შეეხება, განიწმიდება.

¹⁹და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²⁰ესა არის აარონისა და მის ძეთა მსხვერპლი, რომელიც უნდა შესწირონ უფალს მათი ცხების დღეს: მეათედი ეფა გამტკიცული ფქვილი მუდმივ შესაწირავად, ნახევარი დილისთვის და ნახევარი საღამოსთვის.

²¹ტაფაზე ზეთში უნდა იყოს მომზადებული; კარგად გამომცხვარი უნდა მიიტანო, და ნაჭრებად დამტვრეული უნდა შესწირე იგი უფლისთვის კეთილსურნელებად.

²²და მღვდელმა, აარონის ძეთაგან, აარონის მემკვიდრედ ცხებულმა, უნდა გააკეთოს ეს. ეს უფლისგან მოცემული საუკუნო წესია. მთლიანად უნდა დაიწვას ის.

²³მღვდლისგან შეწირული ყოველი პურეული ძღვენი მთლიანად უნდა დაიწვას, არ უნდა შეიჭამოს.

²⁴და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²⁵უთხარი აარონსა და მის ძეებს: ესაა წესი ცოდვის მსხვერპლისა: იმ ადგილას, სადაც იკვლება სრულადდასაწველი, დაიკლას ცოდვის მსხვერპლიც უფლის წინაშე. უწმიდესია ის.

²⁶მღვდელმა, რომელმაც ცოდვის მსხვერპლი შესწირა, უნდა ჭამოს ის. წმიდა ადგილზე შეიჭამოს, საკრებულო კარვის ეზოში.

²⁷ყველა, ვინც იმ ხორცს შეეხება, განიწმიდება. და ვის სამოსელსაც მიეკუთრება მისი სისხლი, წმიდა ადგილზე უნდა გარეცხოს.

²⁸თიხის ჭურჭელი, რომელშიც ის მოიხარშა, უნდა დაიმსხვრეს; და თუ ბრინჯაოს ჭურჭელში მოიხარშა, მაშინ ის უნდა გამოირეცხოს და წყალი გამოეველოს.



²⁹ყოველ მამრს მღვდლის ოჯახში შეუძლია ჭამოს ის. უწმიდესია ის უფლისათვის.

³⁰და ყოველი ცოდვის მსხვერპლი, რომლის სისხლიც საკრებულო კარავში შეაქვთ, საწმიდარში შენდობის გამოსათხოვრად; ის არ უნდა შეიჭამოს; ცეცხლზე უნდა დაიწვას.

ლევიანნი 7

¹ეს არის წესი დანაშაულის გამოსასყიდი მსხვერპლისა: უწმიდესია ის.

²იმ ადგილას უნდა დაიკლას მსხვერპლი, სადაც სრულადდასაწველის მსხვერპლი იკვლება, და მისი სისხლი უნდა მოეკუროს საკურთხეველის ირგვლივ.

³მისი ქონი მთლიანად უნდა იქნეს შეწირული: მთელი დუმა და მუცლის ქონი.

⁴ორივე თირკმელი და ქონი, რომელიც მათ აკრავს, ქონი, რომელიც ბარკლების კუნთებზეა, და ღვიძლის ყური, თირკმელებიანად უნდა მოიკვეთოს.

⁵დააკმიოს ის მღვდელმა საკურთხეველზე საცეცხლო მსხვერპლად უფლისათვის. ეს არის დანაშაულის გამოსასყიდი მსხვერპლი.

⁶ყოველმა მამრმა მღვდელთა მოდგმიდან უნდა ჭამოს ის. ის უნდა შეიჭამოს წმიდა ადგილზე. უწმიდესია ის.

⁷როგორც ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლს, ისე დანაშაულის მსხვერპლს ერთი წესი აქვს. იგი ეკუთვნის მღვდელს, რომელიც მისით აღასრულებს განწმედას.

⁸და თუ მღვდელი სწირავს ამა თუ იმ კაცის სრულადდასაწველს, მაშინ ტყავი სრულადდასაწველისა, რომელიც მან შესწირა, მღვდელს ეკუთვნის.

⁹და ყოველგვარი პურეულის ძღვენი, რაც ღუმელში ან ქოთანში, ან ტაფაზე ცხვება, მის მიმტან მღვდელს ეკუთვნის.

¹⁰ხოლო პურეულის ყოველი სხვა ძღვენი, ზეთში მოხელილი თუ მშრალი, აარონის ყველა ძეს, თანაბრად ეკუთვნის.

¹¹ხოლო ესაა წესი სამშვიდობო მსხვერპლისა, რომელსაც სწირავენ უფალს:

¹²თუ ვინმეს სამადლობელოდ მოაქვს ის, სამადლობელო მსხვერპლის გარდა უნდა მოიტანოს უფუარი კვერები, ზეთში მოხელილი, და უფუარი



ნამცხვრები ზეთწასმული, და ზეთში მოზედილი გამტკიცული პურის ფქვილის ნამცხვრები.

¹³მადლობის სამშვიდობო მსხვერპლთან ერთად ნამცხვრებს გარდა თავის შესაწირავად შესწიროს საფუარიანი პურის ნამცხვრებიც.

¹⁴შესწიროს ყოველი მსხვერპლიდან ერთი ნაწილი, როგორც უფლისადმი აღსამართავი; ის ეკუთვნის მღვდელს, რომელიც აპკურებს სამშვიდობო მსხვერპლის სისხლს.

¹⁵და ხორცი სამადლობელო და სამშვიდობო მსხვერპლისა შეიჭამოს მისი შეწირვის დღესვე, მისგან არ დარჩეს არაფერი დილამდე.

¹⁶ხოლო თუ აღთქმით ან ნებითაა შეწირული მისი მსხვერპლი, მაშინ მისი შეწირვის დღეს უნდა შეიჭამოს ის; და თუ რამ დარჩება მისგან, მეორე დღესაც შეიძლება მისი ჭამა.

¹⁷და თუ მაინც კიდევ დარჩება მსხვერპლის ხორცი, მესამე დღეს ცეცხლში უნდა დაიწვას.

¹⁸თუ მესამე დღეს შეჭამენ სამშვიდობო მსხვერპლის ხორცს, ეს არ იქნება კეთილსასურველი, და მის შემწირველს არაფერში ჩაეთვლება იგი: სისაძაგლეა იგი და მისი მჭამელი, ცოდვას დაიდებს.

¹⁹ხორცი, რომელიც მოხვდება რაიმე უწმიდურს, არ უნდა იჭამოს, ცეცხლში უნდა დაიწვას. ყოველმა სუფთამ შეიძლება ჭამოს სამსხვერპლო ხორცი.

²⁰ხოლო ვინც შებილწულია და ჭამს სამშვიდობო მსხვერპლის ხორცს, რომელიც უფალს ეკუთვნის, მოიკვეთება თავისი ხალხისაგან.

²¹და ვინც შეეხება რაიმე უწმიდურს – ადამიანურ სიბილწეს ან უწმიდურ პირუტყვს, ან რაიმე უწმიდურ ქვემძრომს, და შეჭამს უფლის კუთვნილ სამშვიდობო მსხვერპლის ხორცს, მოიკვეთება თავისი ხალხისაგან.

²²და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²³უთხარი ისრაელიანთ: არ ჭამოთ არავითარი ქონი ხარისა, ცხვრისა და თხისა.

²⁴ქონი მძორისა და ნამხეცავისა შეიძლება გამოიყენოთ სხვადასხვა საქმეში. ჭამით კი არ ჭამოთ იგი.

²⁵ყოველი მჭამელი იმ პირუტყვის ქონისა, რომელიც უფლის საცეცხლო მსხვერპლად შეიწირება, მოისპობა თავისი ხალხისაგან.

²⁶არ ჭამოთ თქვენს სამყოფებში არავითარი სისხლი, არც ფრინველთა და არც პირუტყვთა.



²⁷ყოველი, ვინც შეჰამს რაიმე სისხლს, მოიკვეთება თავისი ხალხისაგან.

²⁸და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²⁹უთხარი ისრაელის ძეთ: ვისაც თავისი სამშვიდობო მსხვერპლის უფლისათვის შეწირვა სურს, თვითონ უნდა მიართვას, რაც უფალს ეკუთვნის სამშვიდობო მსხვერპლიდან.

³⁰თავისი საკუთარი ხელით მიართვას საცეცხლო მსხვერპლი უფალს; ქონი მკერდითურთ მიართვას, რათა მღვდელმა შეარხიოს მკერდი შესარხველ მსხვერპლად უფლის წინაშე.

³¹დააკმევს მღვდელი ქონს საკურთხეველზე და იყოს მკერდი აარონისა და მის ძეთათვის.

³²მარჯვენა ბეჭი მიეცით მღვდელს, როგორც აღსამართავი მსხვერპლი თქვენი სამშვიდობო მსხვერპლიდან.

³³ვისაც აარონიანთაგან საკრებულო კარავში შეაქვს სამშვიდობო მსხვერპლის სისხლი და ქონი, მისი ულუფა არის მარჯვენა ბეჭი.

³⁴რადგან მე ისრაელიანთაგან ვიღებ სამშვიდობო მსხვერპლის შესარხველ მკერდსა და აღსამართავ ბეჭს და ვაძლევ აარონ მღვდელსა და მის მოდგმას არჩივად, ეს იქნება საუკუნოდ მათი წილი ისრაელიანთაგან.

³⁵ესაა აარონის წილი და მისი მოდგმის წილი უფლის საცეცხლო მსხვერპლთაგან იმ დღიდან, რაც ისინი წარდგნენ უფლის წინაშე მღვდელობისათვის,

³⁶რომელიც დააწესა უფალმა მათთვის მისაცემად ისრაელიანთაგან მათი ცხების დღეს. ეს არის წესი საუკუნოდ თაობიდან თაობამდე.

³⁷ესა არის წესი სრულადდასაწველისა, პურეული ძღვენისა, ცოდვის მსხვერპლისა, დანაშაულის მსხვერპლისა, ხელავსებისა და სამშვიდობო მსხვერპლისა,

³⁸რომელიც მისცა უფალმა მოსეს სინაის მთაზე, როცა უბრძანა ისრაელის ძეთ სინაის უდაბნოში თავიანთ მსხვერპლთა შეწირვა უფლისათვის.

ლევიანნი 8

¹და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²აიყვანე აარონი და მისი ძენი მასთან ერთად, და შესამოსელი და საცხებელი ზეთი, და ცოდვის მსხვერპლის მოზვერი, და ორი ვერძი, და კალათი უფუარი პურით.



- ³და შეკრიბე მთელი თემი საკრებულო კარვის შესასვლელთან.
- ⁴და გააკეთა მოსემ, როგორც უბრძანა უფალმა, და შეიკრიბა თემი საკრებულო კარვის შესასვლელთან.
- ⁵და უთხრა მოსემ თემს: „ეს არის სიტყვა, რომელიც ბრძანა უფალმა შესასრულებლად.“
- ⁶და მიიყვანა მოსემ აარონი და მისი ძენი, და განზანა ისინი წყლით⁷და შემოსა აარონი სელის კვართით, შემოარტყა სარტყელი და ჩააცვა ზედა სამოსელი, და გადააცვა ეფოდი, და შემოარტყა ეფოდის სარტყელი და იმით მიამაგრა ეფოდი.
- ⁸დაადო მას სამკერდული, და დაამაგრა ურიმი და თუმიმი.
- ⁹და დაადგა თავზე კიდარი, და კიდარზე წინა მხრიდან მიუმაგრა ოქროს ფირფიტა – სიწმიდის დიადემა, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.
- ¹⁰და აიღო მოსემ საცხებელი ზეთი და სცხო კარავს და ყოველივეს, რაც მასში იყო, და განწმიდა ის.
- ¹¹და მიაპკურა მისგან საკურთხეველს შვიდჯერ და სცხო საკურთხეველსა და მის ყოველ ჭურჭელს, და მის საბანელს, და მის კვარცხლბეკს განსაწმედად.
- ¹²დაასხა აარონს საცხებელი ზეთი თავზე, და სცხო მას განსაწმედად.
- ¹³და მოიყვანა მოსემ აარონის ძენი და შემოსა ისინი კვართით, და შემოარტყა მათ სარტყლები, და დაადგა მათ თავსაბურავები, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.
- ¹⁴და მოიყვანა მოზვერი ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად და დააწყვეს აარონმა და მისმა ძეებმა ხელები ცოდვის გამოსასყიდ მოზვერს თავზე.
- ¹⁵და დაკლა ის. და აიღო მოსემ სისხლი და წაუსვა საკურთხევლის რქებს ირგვლივ თითით, და წარხოცა ცოდვა სამსხვერპლოდან, და სისხლი დაღვარა საკურთხევლის საძირკველთან და განწმიდა იგი, რათა შეენდო მისთვის.
- ¹⁶და აიღო მოსემ მთელი მუცლის ქონი, და ღვიძლის ყური, და ორივე თირკმელი მათი ქონითურთ, და დააკმია საკურთხეველზე.
- ¹⁷და მოზვერი და მისი ტყავი, მისი ხორცი და მისი ნეხვი დაწვა ცეცხლზე ბანაკს გარეთ, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.
- ¹⁸და მოიყვანა ვერძი სრულადდასაწველად და დააწყვეს აარონმა და მისმა ძეებმა ხელები ვერძს თავზე.



¹⁹და დაკლა მოსემ და მოაპკურა სისხლი საკურთხეველის ირგვლივ.

²⁰ვერძი ასო-ასო აქნა, და დააკმია თავი და ნაჭრები და ქონი.

²¹და შიგნეული და ფეხები გარეცხა წყლით. და დაწვა მოსემ მთელი ვერძი საკურთხეველზე. ეს სრულადდასაწველი კეთილსურნელებაა უფლისათვის, იგი საცეცხლო მსხვერპლია, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

²²და მოჰგვარა მეორე ვერძი, ხელავსების ვერძი, და დააწყვეს აარონმა და მისმა ძეებმა ხელები ვერძს თავზე.

²³და დაკლა ის. და აიღო მოსემ მისი სისხლი და სცხო აარონს მარჯვენა ყურის ბიბილოზე და მარჯვენა ხელის ცერზე, და მარჯვენა ფეხის ცერზე.

²⁴და მოიყვანა აარონის ძენი, და სცხო მოსემ სისხლი მათ მარჯვენა ფეხის ცერზე, და მოაპკურა მოსემ ეს სისხლი საკურთხეველის ირგვლივ.

²⁵და აიღო ქონი და დუმა, და მთელი ქონი, რომელიც შიგნეულზეა, და ღვიძლის ყური და ორივე თირკმელი მათი ქონითურთ, და მარჯვენა ბეჭი.

²⁶უფუარი პურების კალათიდან, რომელიც უფლის წინაშე იდგა, აიღო მან ერთი უფუარი პურის კვერი და ერთი ზეთიანი პურის კვერი, და ერთი ნამცხვარი, და დაადო ქონს და მარჯვენა ბეჭს.

²⁷დაუწყო ეს ყველაფერი აარონსა და მის ძეებს ხელებზე და შეარხია ისინი შერხევით უფლის წინაშე.

²⁸და აიღო მოსემ ეს მათი ხელიდან და დააკმია საკურთხეველზე სრულადდასაწველითურთ. ეს ხელავსების მსხვერპლია კეთილსურნელება, ეს საცეცხლო მსხვერპლია უფლისათვის.

²⁹აიღო მოსემ მკერდი და მიიტანა და შეარხია იგი უფლის წინაშე. ხელავსების ვერძიდან იყო მოსესთვის ულუფა, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

³⁰და აიღო მოსემ საცხებელი ზეთი და სისხლი, რომელიც საკურთხეველზე იყო, და მიაპკურა აარონსა, და მის სამოსელს, და მის ძეთა სამოსელს მასთან ერთად. და განწმიდა აარონი, მისი სამოსელი და მისი ძენი და მის ძეთა სამოსელი მასთან ერთად.

³¹და უთხრა მოსემ აარონს და მის ძეთ: „მოხარშეთ ეს ხორცი საკრებულო კარვის შესასვლელთან და იქ ჭამეთ პურის მიტანებით, რომელიც ხელავსების კალათშია, როგორც მე მებრძანა, რომ აარონმა და მისმა ძეებმა ჭამონო ის.

³²ხოლო ხორცისა და პურის ნარჩენები ცეცხლში დაწვით.



³³საკრებულო კარვის შესასვლელს არ გაშორდეთ შვიდ დღეს, ვიდრე არ შესრულდება თქვენი ხელავსების დღეები. რადგან შვიდ დღეს უნდა გრძელდებოდეს თქვენი ხელავსება.

³⁴როგორც დღეს შესრულდა, ასეთი იყო უფლის ბრძანება თქვენს განსაწმედად.

³⁵საკრებულო კარვის შესასვლელთან დარჩით შვიდი დღე და ღამე, და აღასრულეთ უფლის წესი, რათა არ დაიხოცნეთ; რადგან ასე მამცნო უფალმა.“

³⁶და აღასრულეს აარონმა და მისმა ძეებმა ყოველივე, რაც ბრძანა უფალმა მოსეს მეშვეობით.

ლევიაწი 9

¹და მერვე დღეს მოუხმო მოსემ აარონს და მის ძეებს და ისრაელის უხუცესებს

²და უთხრა აარონს: „მოიყვანე მოზვერი შენი ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად და ვერძი – სრულადდასაწველად, ორივე საღი, და შესწირე უფლის წინაშე.

³და ისრაელის ძეთ უთხარი: ‘მოიყვანეთ თიკანი ცოდვის მსხვერპლად და მოზვერი და კრავი წელგამოვლილები, ორივე უხინჯო, სრულადდასაწველად.

⁴მოზვერი და ვერძი სამშვიდობო მსხვერპლად, რათა აღასრულო მსხვერპლშეწირვა უფლის წინაშე, და პურეულის ძღვენი, ზეთში მოზელილი, რადგან დღეს უფალი გამოგეცხადებათ თქვენ.’“

⁵და მიიტანეს, რაც ბრძანა მოსემ, საკრებულო კარვის წინ, და მიეახლა მთელი თემი და დადგა უფლის წინაშე.

⁶და თქვა მოსემ: „ესაა ის, რაც ბრძანა უფალმა, და გამოგეცხადებათ თქვენ დიდება უფლისა.“

⁷და უთხრა მოსემ აარონს: „მიუახლოვდი საკურთხეველს და შესწირე შენი ცოდვის მსხვერპლი, და შენი სრულადდასაწველი, და გამოითხოვე შენდობა შენთვის და შენი ხალხისთვის; და მიიტანე ხალხის შესაწირავი და გამოითხოვე შენდობა მათთვის, როგორც ბრძანა უფალმა.“

⁸და მიუახლოვდა აარონი საკურთხეველს და დაკლა მოზვერი თავისი ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად.



⁹და მიუტანეს აარონს მისმა ვაჟებმა სისხლი და დააწო მან თითი და წაუსვა საკურთხევლის რქებს, და დანარჩენი სისხლი დაღვარა საკურთხევლის ძირას.

¹⁰ცოდვის მსხვერპლის ქონი და თირკმელები და ღვიძლის ყური დააკმია საკურთხეველზე, როგორც ამცნო უფალმა მოსეს.

¹¹ხოლო ხორცი და ტყავი ცეცხლზე დაწვა ბანაკს გარეთ.

¹²და დაკლა აარონმა სრულადდასაწველი და მიაღწევს მას აარონის ძეებმა სისხლი, და მან მოაპკურა იგი საკურთხევლის ირგვლივ.

¹³და მიაღწევს მას სრულადდასაწველი ასო-ასო აქნილი, მასთან ერთად თავიც, და დააკმია მან საკურთხეველზე.

¹⁴გარეცხა შიგნეული და ფეხები და საკურთხეველზე დაწვა სრულადდასაწველთან ერთად.

¹⁵შესწირა ხალხის შესაწირავი: მოიყვანა თხა ერის ცოდვის გამოსასყიდად და დაკლა. ისიც შესწირა ცოდვისათვის, როგორც წინა.

¹⁶და მიიტანა სრულადდასაწველი და აღასრულა წესისამებრ.

¹⁷და მიიტანა პურეულის ძღვენი და აივსო პეშვი, და დააკმია საკურთხეველზე დილის სრულადდასაწველის შემდეგ.

¹⁸და დაკლა მოზვერი და ვერძი როგორც ხალხის სამშვიდობო მსხვერპლი. მიაღწევს მას აარონის ძეთ სისხლი და მოაპკურა იგი საკურთხევლის ირგვლივ;

¹⁹და მიაღწევს მოზვრის ქონი და ვერძის ღუმა და მუცლის ქონი, თირკმელები და ღვიძლის ყური.

²⁰დაადეს ქონი მკერდზე, და დააკმია მან ქონი საკურთხეველზე.

²¹და მკერდი და მარჯვენა ბეჭი შეარხია აარონმა უფლის წინაშე შერხევით, როგორც უბრძანა მოსემ.

²²და გაიწოდა აარონმა ხელები ხალხისკენ და აკურთხა ისინი, და ჩამოვიდა ცოდვის მსხვერპლის, სრულადდასაწველისა და სამშვიდობო მსხვერპლის შეწირვის შემდეგ.

²³და შევიდნენ მოსე და აარონი საკრებულო კარავში. და გამოვიდნენ, და აკურთხეს ხალხი. და გამოეცხადა უფლის დიდება მთელ ხალხს.

²⁴და გამოვიდა ცეცხლი უფლისაგან და დაწვა საკურთხეველზე სრულადდასაწველი და ქონი; და იხილა მთელმა ხალხმა, და სიხარულის ყიჟინა დასცეს და პირქვე დაემხენ.



ლევიანი 10

- ¹და აიღეს აარონის ძეგბმა: ნადაბმა და აბიჰუმ, თავ-თავისი საცეცხლურები, შიგ ჩაყარეს ცეცხლი და ზედ დააყარეს საკმეველი, და მიიტანეს უფლის წინაშე უცხო ცეცხლი, რაც არ უბრძანებია მათ მათთვის.
- ²და გამოვარდა ცეცხლი უფლისაგან და შთანთქა ისინი, და დაიხოცნენ ისინი უფლის წინაშე.
- ³უთხრა მოსემ აარონს: „ეს არის ის, რაც თქვა უფალმა: ‘ჩემთან ახლოს მყოფთა მეშვეობით გამოვავლენ ჩემს სიწმიდეს და მთელი ხალხის წინაშე განვდიდდები.’“ და დუმდა აარონი.
- ⁴და მოუხმო მოსემ მიშაელს და ელცაფანს, აარონის ბიძის, ყუზიელის ძეთ, და უთხრა: „მიდით და გაიტანეთ თქვენი ძმები საწმიდრიდან ბანაკს გარეთ.“
- ⁵მივიდნენ და გაიტანეს ისინი მათი სელის კვართებიანად ბანაკს გარეთ, როგორც მოსემ ბრძანა.
- ⁶და უთხრა მოსემ აარონსა და მის ძეთ: ელეაზარსა და ითამარს: „თმებს ნუ გაიგლეჯთ და სამოსელს ნუ შემოიხვეთ, რათა არ დაიხოცოთ და რისხვა არ დაატყდეს მთელ თემს. მაგრამ თქვენს ძმებს, ისრაელის მთელ სახლს, შეუძლია იტიროს დამწვრები, რომლებიც უფალმა დაწვა.“
- ⁷საკრებულო კარვის შესასვლელს არ მოსცილდეთ, რათა არ დაიხოცნეთ, რადგან უფლის საცხებელი ზეთით ხართ ცხებულნი.“ და მოიქცნენ ისინი მოსეს სიტყვისამებრ.
- ⁸და ელაპარაკებოდა უფალი აარონს და უთხრა:
- ⁹ღვინოსა და თაფლუქს ნუ დაღევთ შენ და შენი ძენი, როდესაც საკრებულო კარავში უნდა შეხვიდეთ, რათა არ დაიხოცოთ. ეს არის თქვენი საუკუნო წესი თაობიდან თაობამდე,
- ¹⁰რათა განასხვაოთ წმიდა უწმიდურისაგან უსუფთაო და სუფთა.
- ¹¹და ასწავლოთ ისრაელიანთ ყოველი წესი, რომელიც უთხრა მათ უფალმა მოსეს მეშვეობით.
- ¹²უთხრა მოსემ აარონს, ელეაზარსა და ითამარს, მის დარჩენილ შვილებს: „აიღეთ პურეული ძღვენი, რომელიც დარჩა უფლის საცეცხლო შესაწირავიდან და ჭამეთ უფუარი საკურთხეველთან, რადგან უწმიდესია ის.“



¹³ჰამეთ ის წმიდა ადგილზე, რადგან შენი წილი და შენს ძეთა წილია ეს უფლის საცეცხლო შესაწირავთაგან, რადგან ასე მებრძანა მე.

¹⁴და მკერდი შესარხვეელი, და ბეჭი აღსამართავი ჰამეთ სუფთა ადგილზე შენ, შენმა ძეებმა და შენმა ასულებმა შენთან ერთად. რადგან შენს წილად და შენი შვილების წილადაა მოცემული ეს ისრაელიანთა სამშვიდობო მსხვერპლთაგან.

¹⁵აღსამართავი ბეჭი და შესარხვეელი მკერდი უნდა მიიტანონ ქონის საცეცხლო მსხვერპლთან ერთად უფლის წინაშე შესარხევად, და იყოს ეს მარადიულ წილად შენთვის და შენს ძეთათვის შენთან ერთად საუკუნო წესად, როგორც ბრძანა უფალმა.“

¹⁶და ცოდვის გამოსასყიდ ვაცს ეძებდა მოსე, მაგრამ იგი დამწვარი იყო. და განრისხდა იგი ელეაზარსა და ითამარზე, აარონის დარჩენილ ძეებზე:

¹⁷„რად არ ჰამეთ ცოდვის მსხვერპლი წმიდა ადგილზე? რადგან უწმიდესია იგი და მოგეცათ თქვენ, რათა წარიხოცოს თემის ცოდვები, მათ განსაწმედად უფლის წინაშე.

¹⁸აჰა, მისი სისხლი არ იქნა შეტანილი საწმიდარში. თქვენ უნდა გეჰამათ ის საწმიდარში, როგორც მე ვბრძანე.“

¹⁹და უთხრა აარონმა მოსეს: „აჰა, დღეს შესწირეს მათ თავიანთი ცოდვის მსხვერპლი და სრულადდასაწველი უფლის წინაშე, და მაინც ეს შემემთხვა მე! თუ შევჰამ მე ცოდვის მსხვერპლს დღეს, ეს სათნო იქნება უფლის თვალში?“

²⁰და მოისმინა მოსემ და მოიწონა.

ლევიაწნი 11

¹და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და აარონს და უთხრა მათ:

²უთხარით ისრაელიანთ: აი, ეს ცხოველები გეჰმევათ მიწის ყოველ პირუტყვთაგან:

³ყოველი პირუტყვი, რომელსაც გაყოფილი აქვს ჩლიქი და იცოხნის, ჰამეთ.

⁴ხოლო არ ჰამოთ იმათგან, რომელნიც იცოხნიან და არა აქვთ გაყოფილი ჩლიქი. აქლემი, რადგან იგი იცოხნის, მაგრამ ჩლიქი არა აქვს გაყოფილი, უწმიდურია თქვენთვის;

⁵კლდის ბოცვერი, რადგან იგი იცოხნის, მაგრამ ჩლიქი არა აქვს გაყოფილი, უწმიდურია თქვენთვის;



- ⁶კურდღელი, რადგან იგი იცოხნის, მაგრამ ჩლიქი არა აქვს გაყოფილი, უწმიდურია თქვენთვის;
- ⁷ღორი, რადგან მას აქვს გაყოფილი ჩლიქი, მაგრამ არ იცოხნის, უწმიდურია თქვენთვის.
- ⁸მათი ხორცი არ ჭამოთ და მათ მძორს არ შეეხოთ; უწმიდური არიან ისინი თქვენთვის.
- ⁹აი რა გეჭმევათ წყალში მცხოვრებთაგან: ყოველი, რომელსაც აქვს ფარფლი და ქერცლი წყალში, ზღვებში და მდინარეებში, შეგიძლიათ ჭამოთ.
- ¹⁰ხოლო ყოველი, რომელსაც არა აქვს ფარფლი და ქერცლი ზღვებში და მდინარეებში, წყლის ყოველ ქვეწარმავალთაგან, ყოველ ცოცხალ არსებათაგან, რომელნიც წყალში არიან, უწმიდურია თქვენთვის.
- ¹¹საძაგელნი უნდა იყვნენ ისინი თქვენთვის: მათი ხორცი არ ჭამოთ და მათი მძორი გზავდეთ.
- ¹²ყოველი, რომელსაც არა აქვს ფარფლი და ქერცლი წყალში, უსურმაგია თქვენთვის.
- ¹³ესენი გზავდეთ ფრინველთაგან, არ იჭმევა, საძაგელნი არიან ისინი: ორბი, შევარდენი და სვავი,
- ¹⁴ძერა და შევარდენი ყველა მისნაირი.
- ¹⁵ყოველი ყორანი ყველა მისნაირი,
- ¹⁶სირაქლემა, ბუ, თოლია, მიმინო და ყველა მისნაირი,
- ¹⁷ბუკნაჭო, თევზიყლაპია და ბუკიოტი,
- ¹⁸ჭოტი, ვარხვი და სვავი,
- ¹⁹ყარყატი, ყანჩა ყველა მათნაირით, ოფოფი და ღამურა.
- ²⁰ყოველი მწერი – მფრინავი თუ ოთხზე მოსიარულე უსურმაგია თქვენთვის.
- ²¹ხოლო გეჭმევათ ყოველი მფრინავი და ოთხზე მოსიარულე მწერი, რომელსაც აქვს წვივები მიწაზე სახტომად.
- ²²ესენი გეჭმევათ ამათგან: კალია და ყველა მისნაირი, სოლამი და ყველა მისნაირი, ხარგოლი და ყველა მისნაირი, და ხაგაბი ყველა მისნაირით.
- ²³ხოლო ყოველი სხვა მფრინავი მწერი, რომელსაც ოთხი ფეხი აქვს, უსურმაგია თქვენთვის.



- ²⁴მათგან გაუწმიდურდებით. ყოველი, ვინც შეეხება მათ მძორს, გაუწმიდურებული იქნება საღამომდე.
- ²⁵ვისაც რაიმე მოედება მათი მძორიდან, ყველამ გაირეცხოს სამოსი და გაუწმიდურებული იქნება საღამომდე.
- ²⁶ყოველი პირუტყვი, რომელსაც გაყოფილი ჩლიქი აქვს, და არ იცოხნის, უწმიდურია თქვენთვის. ყველა, ვინც შეეხება მათ, გაუწმიდურდება.
- ²⁷ყოველი თათებზე მავალი ცხოველი, უწმიდურია თქვენთვის. ვინც კი შეეხება მათ მძორს, გაუწმიდურებული იქნება საღამომდე.
- ²⁸ვისაც რაიმე მოედება მათი მძორიდან, სამოსი გაირეცხოს და გაუწმიდურებული იქნება საღამომდე. გაუწმიდურებული არიან ისინი თქვენთვის.
- ²⁹აი, რა არის უწმიდური თქვენთვის მიწაზე მცოცავ არსებათაგან: თხუნელა, თაგვი და ყოველგვარი ხვლიკი,
- ³⁰ანაკა, მსვენლომი, ძლოკვი, გეკონი და ქამელეონი, –
- ³¹ესენი უწმიდურები არიან თქვენთვის ყველა ქვეწარმავალთაგან. ყოველი, რომელიც შეეხება მათ მძორს, გაუწმიდურებული იქნება საღამომდე.
- ³²და ყველაფერი, რასაც მოხვდება მათი მძორი, გაუწმიდურდება. ყოველი ხის ჭურჭელი ან ტანსაცმელი, ან ტყავი, ან ტომარა, და ყოველი საგანი, რომელიც გამოიყენება საქმეში, წყალში უნდა ჩაიდოს, და უწმიდური იქნება საღამომდე, ხოლო შემდეგ სუფთა იქნება.
- ³³და ყოველი ჭურჭელი თიხისა, რომელშიც ჩავარდება რომელიმე მათგანი, ყველაფერი, რაც მასშია, გაუწმიდურდება და უნდა დაამსხვრიოთ.
- ³⁴ყოველი საჭმელი, რომელიც იჭმება, რომელშიც შეაღწია წყალმა ასეთი ჭურჭლიდან, გაუწმიდურდება. და ასევე ყოველი სასმელი, რომელიც იყო ყოველ ასეთ ჭურჭელში.
- ³⁵ყველაფერი, რაზეც დაეცემა რაიმე მათი მძორისგან, გაუწმიდურდება. თონე და ქურა უნდა ჩაინგრეს: ისინი გაუწმიდურებული არიან და გაუწმიდურებული იქნებიან თქვენთვისაც.
- ³⁶მხოლოდ წყარო და ჭა – წყალსატევი – დარჩება სუფთა. ხოლო ვინც შეეხება მათ მძორს, გაუწმიდურდება.
- ³⁷თუ მოხვდა რაიმე მათი მძორისგან რომელიმე სათესლე მარცვალს, რომელიც ითესება, ის სუფთა დარჩება.
- ³⁸მაგრამ თუ თესლს უკვე წყალი აქვს დასხმული და რაიმე დაეცემა მძორისაგან, გაუწმიდურებული იქნება თქვენთვის.



³⁹თუ ისეთი პირუტყვი მოკვდება, რომელიც გექმევათ, და მის ლეშს ვინმე მიეკარება, გაუწმიდურებული იქნება იგი საღამომდე.

⁴⁰მისი ლეშის მჭამელმა უნდა გაირეცხოს სამოსი და უწმიდური იქნება საღამომდე; და რომელმაც გაათრიოს მისი მძორი, უნდა გაირეცხოს სამოსი და გაუწმიდურებული იქნება საღამომდე.

⁴¹ყველაფერი, რაც კი მიწაზე დაძვრება, უსურმაგია, არ გექმევათ.

⁴²არანაირი მუცელზე მხოხავი, არანაირი მრავალფეხა, არანაირი მიწაზე მძრომი არ გექმევათ, რადგან უსურმაგები არიან.

⁴³ნუ წაიბილწავთ თავს ნურცერთი ქვემძრომი ქვეწარმავლით და ნუ გაუწმიდურდებით მათით, და ნუ იქნებით უწმიდურნი მათგან.

⁴⁴რადგან მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი, განიწმიდეთ და იყავით წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე, და ნუ შეიბილწავთ თავს ნურავითარი ქვეწარმავლით, რომელიც ქვემძრომობს მიწაზე.

⁴⁵რადგან მე ვარ უფალი, რომელმაც გამოგიყვანათ თქვენ ეგვიპტის ქვეყნიდან, რათა ვიყო თქვენი ღმერთი. და იყავით წმიდა, რადგან წმიდა ვარ მე.

⁴⁶ესაა წესი პირუტყვისა, ფრინველისა და ყოველი ცოცხალი არსებისა, რომელნიც წყალში იძვრიან, და ყოველი არსებისა, რომელნიც მიწაზე ქვემძრომობენ,

⁴⁷რათა სხვაობა იყოს უწმიდურსა და წმიდას შორის, და ცხოველს შორის, რომელიც შეიძლება იჭამოს, და ცხოველს შორის, რომელიც არ უნდა იჭამოს.

ლევიანნი 12

¹და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²უთხარი ისრაელის ძეთ: თუ დაორსულდა ქალი და შვა ვაჟი, შობის შემდეგ შვიდ დღეს უწმიდურია ქალი; როგორც წიდოვნების დროს, ისე უწმიდურდება.

³მერვე დღეს წინადაცვითონ ბიჭს ჩუჩის ხორცი.

⁴ვვ დღე იჯდეს ქალი თავისი სისხლის განწმედისათვის; არაფერს წმიდას არ შეეხოს და საწმიდარში არ მივიდეს, ვიდრე არ შესრულდება მისი განწმედის დღეები.



⁵თუ გოგოს შობს, მაშინ იგი უწმიდურია ორ კვირას, ისევე, როგორც მისი წიდოვანების დღეებში, და 66 დღე იჯდეს თავისი სისხლის განწმედისათვის.

⁶როცა დასრულდება მისი განწმედის დღეები ძისა ან ასულისათვის, მოიყვანოს წელგამოვლილი კრავი სრულადდასაწველად და მართვე მტრედისა ან გვრიტი ცოდვის შესაწირად საკრებულო კარვის შესასვლელთან, მღვდელთან;

⁷მღვდელი შესწირავს ამას უფლის წინაშე, გამოითხოვს მისთვის შენდობას და განიწმიდება ქალი წიდოვნებისგან. ეს არის ვაჟისა თუ გოგოს შობის წესი.

⁸თუ ქალს არ მიუწვდება ხელი კრავზე, მაშინ აიღოს ორი გვრიტი ან მტრედის ორი მართვე: ერთი სრულადდასაწველად, ხოლო მეორე ცოდვის მსხვერპლად; და შეუწოდოს მას მღვდელი, და გასუფთავდება იგი.

ლევიაწნი 13

¹და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და აარონს და უთხრა:

²თუ ადამიანს კანზე გამოაჩნდება სიმსივნე ან სირსველი, ან ლაქა, და თუ ეს გადაიქცევა კეთროვან წყლულად, მიიყვანონ იგი მღვდელთან, აარონთან ან აარონიანთაგან ერთ-ერთ მღვდელთან.

³შეხედავს მღვდელი წყლულს და თუ წყლულზე თმა გათეთრებულია და წყლულის პირი ჩაღრმავებულია კანში, მაშინ ეს წყლული კეთრისაა. ნახავს ამას მღვდელი და უწმიდურად ჩათვლის მას.

⁴თუ თეთრი ლაქაა მის კანზე და მისი პირი არაა კანში ჩაღრმავებული და არც თმაა მასზე გათეთრებული, მღვდელი განამარტოებს წყლულიანს შვიდი დღით;

⁵ნახავს მას მღვდელი მეშვიდე დღეს და თუ წყლული ისევია, მაგრამ არ გავრცელებულა ტანზე, მაშინ კვლავ შვიდი დღით განამარტოს.

⁶ნახავს მას მღვდელი მეშვიდე დღეს მეორედ, და თუ წყლული ნაკლებ შეიმჩნევა და არ გავრცელებულა კანზე, მაშინ მღვდელი გამოაცხადებს მას სუფთად. სირსველია ეს. და გაირეცხოს მან სამოსი და სუფთა იქნება.

⁷და თუ სირსველი გავრცელდება კანზე მას შემდეგ, რაც მღვდელმა დაათვალიერა ის და სუფთად ჩათვალა, კვლავ უნდა ეჩვენოს მღვდელს.

⁸და თუ შეამჩნევს მღვდელი, რომ, აჰა, გავრცელდა სირსველი კანზე, მაშინ მღვდელი მას უწმიდურად ჩათვლის; ეს უკვე კეთრია.



- ⁹თუ კეთროვანი წყლული აქვს ადამიანს, მაშინ იგი უნდა მიიყვანონ მღვდელთან.
- ¹⁰ნახავს მღვდელი და თუ სიმსივნე თეთრია და თმაც გათეთრებულია სიმსივნეზე და ხორცმეტებია სიმსივნეზე,
- ¹¹მაშინ ეს ძველისძველი კეთრია მის კანზე და მას მღვდელი უწმიდურად ჩათვლის. არ განამარტოვებს მას, რადგან იგი უკვე უწმიდურია.
- ¹²და თუ კანის დაავადება აყვავებულია კანზე და ფარავს მთელ კანს – თავიდან ფეხებამდე – რის დანახვაც შეუძლია მღვდლის თვალს,
- ¹³და მღვდელი როცა ნახავს, რომ კეთრმა დაფარა მთელი სხეული, იგი ავადმყოფს მიიჩნევს დაავადებისაგან სუფთად, რადგან მთლად გათეთრდა; სუფთაა იგი.
- ¹⁴როცა გამოჩნდება მასზე ცოცხალი ხორცი, იგი უწმიდურია.
- ¹⁵როცა ნახავს მღვდელი ცოცხალ ხორცს, უწმიდურად ჩათვლის მას. ცოცხალი ხორცი უწმიდურია; კეთრია იგი.
- ¹⁶თუ ცოცხალი ხორცი კვლავ გათეთრდა, მაშინ მივა ის მღვდელთან,
- ¹⁷შეხედავს მას მღვდელი და თუ ნახავს, რომ წყლული გათეთრებულია, მაშინ იგი სუფთად მიიჩნევს წყლულს; სუფთაა იგი.
- ¹⁸თუ ვინმეს კანზე ექნება ჩირქოვანი მუწუკი და განიკურნება,
- ¹⁹და ჩირქოვანი მუწუკის ადგილზე გაჩნდება თეთრი სიმსივნე ან თეთრწითელი ლაქა, გამოცხადდეს მღვდელთან.
- ²⁰შეხედავს მას მღვდელი და აჰა, თუ ის კანშია ჩაღრმავებული, და მისი თმა გათეთრებულია, მაშინ იგი მას უწმიდურად მიიჩნევს. ეს კეთროვანი წყლულია, იგი ჩირქოვან მუწუკში აყვავდა.
- ²¹და თუ დაინახავს მღვდელი, რომ არაა მასზე თეთრი თმა და იგი არაა კანში ჩაღრმავებული, და ნაკლებ შესამჩნევია, მაშინ განამარტოვებს მას მღვდელი შვიდი დღით.
- ²²თუ იგი მეტად გავრცელდა კანზე, მაშინ მღვდელი მას უწმიდურად მიიჩნევს; წყლულია ეს.
- ²³და თუ ეს ლაქა თავის ადგილზე რჩება და არ ვრცელდება, მაშინ ეს ჩირქოვანი მუწუკის ანთებაა და მღვდელი მას სუფთად მიიჩნევს.
- ²⁴თუ ვინმეს კანზე აქვს სიდამწვრე და შეხორცებულ სიდამწვრეზე აღმოჩნდება თეთრწითელი ან თეთრი ლაქა,



²⁵და დაინახავს მღვდელი, რომ თმა გათეთრდა ლაქაზე და მისი პირი ჩაღრმავებულია კანში, მაშინ ეს კეთრია, ის სიდამწვრებზე აყვავებულა. მღვდელი მას უწმიდურად მიიჩნევს, იგი კეთროვანი წყლულია.

²⁶და თუ მღვდელი დაინახავს, რომ არაა ლაქაზე თეთრი თმა და იგი არაა კანში ჩაღრმავებული, და ძლივს შეიმჩნევა, მღვდელი მას განამარტოებს შვიდი დღით.

²⁷შეხედავს მას მღვდელი მეშვიდე დღეს: თუ ის მეტად გავრცელდა კანზე, მაშინ მიიჩნევს მას მღვდელი უწმიდურად: კეთროვანი წყლულია ის.

²⁸ხოლო თუ ლაქა რჩება თავის ადგილზე, არ ვრცელდება კანზე და იგი მცირედ შეიმჩნევა, მაშინ ეს სიმსივნე სიდამწვრისგანაა და მას მღვდელი სუფთად მიიჩნევს, რადგან ეს სიდამწვრის ანთებაა.

²⁹თუ მამაკაცს ან დედაკაცს ექნება წყლული თავზე ან წვერზე,

³⁰ნახავს მღვდელი წყლულს და თუ მისი პირი ღრმად არის კანში და თმა მასზე მოყვითალო და თხელია, მღვდელი მას არაწმიდად მიიჩნევს: ქეცია იგი, თავის ან წვერის კეთრია.

³¹თუ მღვდელი ნახავს, რომ ქეცის წყლულის პირი კანში არ არის ჩაღრმავებული და შავი თმა არ არის მასზე, მან განამარტოოს ქეცით დაწყლულებული შვიდი დღით.

³²და მეშვიდე დღეს ნახავს მღვდელი წყლულს და თუ არაა მასზე მოყვითალო თმა და პირი ქეცისა კანში არაა ჩაღრმავებული,

³³გაიპარსოს. მაგრამ ქეცით დაავადებული ადგილი არ გაიპარსოს და მღვდელი განამარტოებს ქეცით დაავადებულს შვიდი დღით მეორედ.

³⁴ნახავს მღვდელი ქეცს მეშვიდე დღეს და თუ ქეცი არ გავრცელებულა კანზე და მისი პირი არაა ჩაღრმავებული კანში, მაშინ მღვდელი მას სუფთად მიიჩნევს. გარეცხოს მან თავისი სამოსი და სუფთა იქნება.

³⁵და თუ მეტად გავრცელდა ქეცი კანზე მისი გასუფთავების შემდეგ ³⁶და შეხედავს მას მღვდელი და ნახავს, რომ გავრცელდა ქეცი მის კანზე, ნუ დაუწყებს ძებნას მოყვითალო თმას, უწმიდურია იგი.

³⁷და თუ ქეცი დარჩა ხილულად და მასზე აღმოცენდა შავი თმა, ქეცი განკურნებულია. სუფთაა იგი და მღვდელი მას სუფთად მიიჩნევს.

³⁸თუ მამაკაცს ან დედაკაცს აღმოაჩნდება სხეულის კანზე ლაქები, თეთრი ლაქები,

³⁹და დაინახავს მღვდელი მათი სხეულის კანზე თეთრ ფერმკრთალ ლაქებს, ეს არის ღია ფერის ქეცი, რომელიც აყვავდა კანზე. სუფთაა იგი.



- ⁴⁰თუ ვინმეს თავზე თმა გასცვივდა, ეს სიმელოტეა. სუფთაა იგი.
- ⁴¹თუ თავის წინა ნაწილიდან მოხდა თმის გაცვენა, მაშინ მელოტია იგი, სუფთაა იგი;
- ⁴²და თუ სიმელოტეზე ან თმაგაცვენილობაზე იქნება თეთრწითელი წყლული, მაშინ ეს კეთრია, აყვავებულია მის სიმელოტეზე, ან მის თმაგაცვენილობაზე.
- ⁴³შეხედავს მას მღვდელი, და აჰა, თუ თეთრწითელი წყლულის სიმსივნე მის სიმელოტეზე ან თმაგაცვენილობაზე ისეთივეა შესახედაობით, როგორც კეთრი სხეულის კანზე,
- ⁴⁴მაშინ ის კეთროვანია, უწმიდურია იგი. მღვდელმა უწმიდურად უნდა მიიჩნიოს ის. მას თავზე წყლული აქვს.
- ⁴⁵რაც შეეხება კეთროვანს, რომელსაც ეს წყლული აქვს, მისი სამოსი უნდა დაიხეს, თავი გაუშიშვლდეს და უღვაშები დაიფაროს და დაიძახოს: „უწმიდური ვარ! უწმიდური ვარ!“
- ⁴⁶მთელი დღეები, სანამ წყლული აქვს მას, იგი უწმიდურია. უწმიდურია ის, განცალკევებით იცხოვროს თავის სადგომში ბანაკის გარეთ.
- ⁴⁷და თუ სამოსზე იქნება კეთროვანი წყლული, მატყლის სამოსზე ან სელის სამოსზე,
- ⁴⁸ან ქსელზე, ან სელისა, ანდა მატყლის მისაქსელზე, ან ტყავზე, ან ტყავის რომელიმე ნაწარმზე,
- ⁴⁹და თუ მომწვანო ან მოწითალო წყლული იქნება სამოსზე ან ტყავზე, ან ქსელზე, ან ტყავის რომელიმე საგანზე, მაშინ ეს წყლული კეთროვანია და უნდა აჩვენონ ის მღვდელს.
- ⁵⁰ნახავს იგი წყლულს და განამარტოებს კეთროვანს შვიდი დღით.
- ⁵¹ნახავს მღვდელი წყლულს მეშვიდე დღეს, და თუ გავრცელებულია წყლული სამოსზე ან მის ქსელზე, ან მისაქსელზე, ან ტყავზე, ან ტყავის რომელიმე ნაწარმზე, მაშინ ეს კეთრი გესლიანია. უწმიდური წყლულია იგი;
- ⁵²დაწვას მან სამოსი, ან ქსელი, ან მისაქსელი მატყლის ან სელისა, ან რომელიმე საგანი ტყავისა, რაზეც იქნება ეს წყლული. რადგან ეს წყლული გესლიანია. ცეცხლში უნდა დაიწვას.
- ⁵³თუ მღვდელი დაინახავს, რომ არ გავრცელებულა წყლული სამოსზე, ან ქსელზე, ან ტყავის რომელიმე საგანზე,
- ⁵⁴მაშინ მღვდელი უბრძანებს და გამორეცხავენ იმას, რაზეც წყლულია, და განამარტოებს მას შვიდი დღით მეორედ.



⁵⁵ნახავს მღვდელი წყლულს გამორეცხვის შემდეგ, და აჰა, წყლულს არ შეუცვლია თავისი სახე. და თუმცა არ გავრცელებულა წყლული, ის უწმიდურია, ცეცხლზე დაწვი იგი. ამოჭმული იქნება ის წალმა თუ უკუდმა პირზე.

⁵⁶თუ მღვდელი დაინახავს, რომ წყლული ნაკლებ შესამჩნევია მისი გამორეცხვის შემდეგ, ამოგლიჯოს იგი სამოსიდან, ან კანიდან, ან ქსელიდან, ან მისაქსელიდან.

⁵⁷თუ იგი კვლავ გამოჩნდება სამოსზე, ან ქსელზე, ან მისაქსელზე, ან ტყავის რომელიმე საგანზე, იგი აყვავებულია. ცეცხლში დაიწვას იგი, რაზეც წყლულია.

⁵⁸სამოსი ან ქსელი, ან მისაქსელი, ან ტყავის რომელიმე საგანი, რომელსაც გარეცხავ, და რომელთაგან განშორდება წყლული, გაირეცხოს ხელმეორედ და გასუფთავდება.

⁵⁹ეს არის წესი კეთროვანი წყლულისა, მატყლის ან სელის, ან ქსელის, ან სამოსის მისაქსელისა, ან ტყავის საგნისა მისი სუფთად ან უწმიდურად მიჩნევისათვის.

ლევიანი 14

¹და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²ეს იქნება წესი კეთროვანისა მისი გასუფთავების დროს: იგი უნდა მიიყვანონ მღვდელთან;

³გავა მღვდელი ბანაკს გარეთ, და თუ ნახავს, რომ განიკურნა კეთროვანი კეთრისაგან,

⁴ბრძანებს, გასაწმიდავებლისთვის მოიყვანონ ორი ცოცხალი წმიდა ფრინველი, კედარის ხის ნაჭერი, ნართი მოწეულის ფერისა და უსუპის კონა,

⁵და უბრძანებს მღვდელი და დააკვლევინებს ერთ ფრინველს გამდინარე წყლით სავსე თიხის ჭურჭელზე,

⁶აიღებს ცოცხალ ფრინველს, კედარის ხის ნაჭრის, მოწეულის ფერის ნართს, უსუპის კონას და ამოავლებს მათ დაკლული ფრინველის სისხლში,

⁷მიასხურებს კეთრისაგან გაწმედილს შვიდგზის და გამოაცხადებს მას გაწმედილად და ცოცხალ ფრინველს ველზე გაუშვებს.



⁸განწმედილმა გაირეცხოს სამოსი, გაიკრიჭოს მთელი თმა და განიბანოს წყლით, და გახდება სუფთა; შემდეგ მივიდეს ბანაკში, მაგრამ კარვის გარეთ იცხოვროს შვიდ დღეს.

⁹მეშვიდე დღეს გაიპარსოს მთელი თმა, თავი და წვერი, და წარბები, მთელი თმა გაიპარსოს, და გაირეცხოს სამოსი და განიბანოს სხეული წყლით, და ასე გახდება სუფთა.

¹⁰მერვე დღეს აიყვანოს ორი უხინჯო კრავი და ერთი წელგამოვლილი უხინჯოდებალი ცხვარი და ეფის სამი მეთათედი წმიდა პურის გამტკიცული ფქვილი პურეულ ძღვნად, ზეთში შეზელილი, და ერთი ლოგი ზეთი.

¹¹განწმედი მღვდელი დააყენებს გასაწმენდს ამ შესაწირავით უფლის წინაშე, საკრებულო კარვის შესასვლელთან;

¹²აიყვანს მღვდელი ერთ კრავს და შესწირავს მას დანაშაულის გამოსასყიდ მსხვერპლად, და ერთ ლოგ ზეთთან ერთად აღმართავს უფლის წინაშე.

¹³და დაკლავს კრავს იმ ადგილას, სადაც კლავენ ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლსა და სრულადდასაწველს, წმიდა ადგილზე, რადგან მსგავსად ცოდვის მსხვერპლისა, დანაშაულის ეს მსხვერპლიც ეკუთვნის მღვდელს. უწმიდესია ის.

¹⁴აიღებს მღვდელი დანაშაულის გამოსასყიდი მსხვერპლის სისხლს და განსაწმედს სცხებს მარჯვენა ყურის ბიბილოზე და მარჯვენა ხელის ცერსა და მარჯვენა ფეხის ცერზე;

¹⁵აიღებს მღვდელი ზეთს მისი ლოგიდან და დაისხამს მარცხენა ხელისგულზე;

¹⁶და დააწობს მღვდელი მარჯვენა თითს ზეთში, რომელიც მარცხენა ხელისგულზეა უსხია და შვიდგზის მოაპკურებს თითით შვიდგზის უფლის წინაშე;

¹⁷დანარჩენ ზეთს, რომელიც ხელისგულზე უსხია, განსაწმედს სცხებს მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერსა და მარჯვენა ფეხის ცერზე, იქ, სადაც დანაშაულის მსხვერპლის სისხლი სცხია;

¹⁸ხოლო ნარჩენ ზეთს, რაც მღვდელს ხელისგულზე უსხია, განსაწმედს სცხებს თავზე და გამოითხოვს მისთვის შენდობას უფლის წინაშე.

¹⁹შესწირავს მღვდელი ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლს და განწმედს განსაწმედს მისი უწმიდურებისაგან; და მერე დაკლავს სრულადდასაწველს მსხვერპლს.



²⁰და შესწირავს მღვდელი სრულადდასაწველს და პურეულ ძღვენს საკურთხეველზე; და განწმედს მას მღვდელი და სუფთა იქნება იგი.

²¹თუ ღარიბია იგი და ხელი არ მიუწვდება ამდენზე, აიყვანოს ერთი კრავი დანაშაულის მსხვერპლად, თავისი შენდობის შესარხევ მსხვერპლად, და ეფის მეთაედი წმიდა პურის გამტკიცული ფქვილი, ზეთში აზელილი, პურეულ ძღვნად, და ერთი ლოგი ზეთი,

²²და ორი გვრიტი ან მტრედის ორი მართვე, რაზეც მიუწვდება ხელი, და იქნება ერთი ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლი, ხოლო მეორე – სრულადდასაწველი.

²³მიიტანოს ისინი თავისი განწმენდის მერვე დღეს მღვდელთან საკრებულო კარვის შესასვლელთან, უფლის წინაშე;

²⁴და აიღებს მღვდელი დანაშაულის მსხვერპლის კრავს და ზეთის ლოგს და შეარხევს უფლის წინაშე,

²⁵და დაკლავს კრავს დანაშაულის მსხვერპლად; და აიღებს მღვდელი დანაშაულის მსხვერპლის სისხლს, და წაუსვამს განსაწმედს მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერსა, და მარჯვენა ფეხის ცერზე;

²⁶დაისხამს მღვდელი ზეთს მარცხენა ხელისგულზე,

²⁷და მარჯვენა თითით აკურებს ზეთს, რაც მარცხენა ხელისგულზე უსხია, უფლის წინაშე შვიდგზის,

²⁸და სცხებს მღვდელი ზეთს, რომელიც ხელისგულზე უსხია, განსაწმედს მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერსა და მარჯვენა ფეხის ცერზე, იქ, სადაც დანაშაულის გამოსასყიდი მსხვერპლის სისხლი სცხია;

²⁹ხოლო ნარჩენ ზეთს, რაც მღვდელს ხელისგულზე უსხია, იგი განსაწმედს თავზე სცხებს, და გამოითხოვს მისთვის შენდობას უფლის წინაშე.

³⁰და გაამზადებს ერთ-ერთ გვრიტს ან მტრედის ხუნდს, რაზეც მიუწვდება ხელი:

³¹ერთს ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად, ხოლო მეორეს სრულადდასაწველად პურეულის ძღვენთან ერთად; და განწმედს მღვდელი განსაწმედელს უფლის წინაშე.

³²ესაა წესი იმისთვის, ვისაც კეთროვანი წყლული აქვს და ვინც ხელმოკლეა თავის განწმენდისას.

³³და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და აარონს და უთხრა:



³⁴რაჟამს შეხვალთ ქანაანის ქვეყანაში, რომელსაც მე გაძლევთ დასამკვიდრებლად, და მე მოვგვრი კეთროვან წყლულს თქვენს სამფლობელო ქვეყანაში რომელიმე სახლს,

³⁵და წავა ის, ვისიცაა სახლი, და განუცხადებს მღვდელს: თითქოს წყლული შევამჩნიეო ჩემს სახლში,

³⁶უბრძანებს მღვდელი და დაცლიან სახლს, ვიდრე მივა იგი წყლულის სანახავად, რათა არ გაუწმიდურდეს ყოველივე, რაც სახლშია; და მერე მივა ის სახლის სანახავად.

³⁷იხილავს წყლულს, და ნახავს, რომ წყლული სახლის კედლებზეა, მომწვანო ან მოწითალო ღრმულებად. და თუ ის ჩაღრმავებულია კედლებში,

³⁸გავა მღვდელი სახლიდან მისი შესასვლელისკენ და ჩაკეტავს სახლს შვიდი დღით.

³⁹მეშვიდე დღეს კვლავ მივა, და თუ დაინახავს, რომ წყლული გავრცელებულა სახლის კედლებზე,

⁴⁰უბრძანებს იგი და ამოტეხენ ქვებს, რომლებზეც წყლულია, და გადაყრიან ქალაქგარეთ უწმიდურ ადგილზე;

⁴¹სახლს ჩამოფხეკენ შიგნიდან მთლიანად, და გადაყრიან ჩამოფხეკილ ნაგავს ქალაქგარეთ უწმიდურ ადგილზე.

⁴²აიღებენ სხვა ქვებს და ჩადგამენ იმ ქვების ნაცვლად, მოზელენ სხვა ბათქაშს და გალესენ სახლს.

⁴³თუ წყლული კვლავ გამოჩნდა და აყვავდა სახლში მას შემდეგ, რაც ქვები გამოტეხეს, კედლები ჩამოფხიკეს და გალესეს,

⁴⁴მივა მღვდელი და ნახავს, რომ წყლული გავრცელებულა სახლზე, ეს მწვავე კეთრია სახლში, და სახლი უწმიდურია;

⁴⁵უნდა დაანგრიონ სახლი, მისი ქვები, მისი ხე-ტყე და მთელი მისი ნაშალი უნდა გაიტანონ ქალაქგარეთ უწმიდურ ადგილზე.

⁴⁶ყველა იმ სახლში შემსვლელი იმ დღეებში, როცა ის ჩაკეტილი იყო, უწმიდური იქნება სადამომდე.

⁴⁷და ვინც იმ სახლში დაიძინებს ანდა საჭმელს შეჭამს, უნდა გაირეცხოს სამოსი.

⁴⁸თუ მოვა მღვდელი და ნახავს, რომ წყლული სახლზე არ გავრცელდა სახლის გალესვის შემდეგ, ის სახლს სუფთად ჩათვლის, რადგან წყლული განიკურნა.



⁴⁹აიღებს იგი სახლის გასაწმიდავებლად ორ ფრინველს, კედარის ხის რტოს, და მოწეულის ფერის ნართს, და უსუპის კონას,

⁵⁰და დაკლავს ერთ ფრინველს გამდინარე წყლით სავსე თიხის ჭურჭელზე,

⁵¹და აიღებს კედარის ხის რტოს და უსუპის კონას, და მოწეული ფერის ნართს, და ცოცხალ ფრინველს, და ამოავლებს მათ დაკლული ფრინველის სისხლში და სასმელ წყალში, და შვიდგზის მოასხურებს სახლს.

⁵²გაასუფთავებს სახლს ფრინველის სისხლით და გამდინარე წყლით, და ცოცხალი ფრინველით, და კედარის ხის რტოთი, უსუპის კონითა და მოწეულის ფერის ნართით;

⁵³და გაუშვებს ცოცხალ ფრინველს ქალაქგარეთ ველზე, და შეუნდობს სახლს, და გასუფთავდება იგი.

⁵⁴ეს არის წესი კეთრისა და ქეცისა და ყოველი წყლულისა.

⁵⁵სამოსლისა და სახლის კეთრისა,

⁵⁶სიმსივნისა, ქეცისა და ლაქებისა,

⁵⁷რათა მიეთითოს, როდის არის ეს უწმიდურება და როდის სისუფთავე. ესაა კეთრის წესი.

ლევიანნი 15

¹და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და აარონს და უთხრა:

²დაელაპარაკეთ ისრაელიანთ და უთხარით: თუ კაცს თესლი სდის ასოდან, იგი უწმიდურია.

³იგი უწმიდურია როდესაც თესლი გამუდმებით ან შეკავებებით ჟონავს მისი ასოდან.

⁴ყოველი საწოლი, რომელზეც იწვა თესლმდინარი, უწმიდურია, და რომელზეც იჯდა – უწმიდურია.

⁵ვინც შეეხება მის საწოლს, უნდა გაირეცხოს თავისი სამოსი და დაიბანოს წყლით, იგი გაუწმიდურებული იქნება საღამომდე.

⁶და ვინც დაჯდება იმაზე, რაზეც იჯდა თესლმდინარი, მან უნდა გაირეცხოს თავისი სამოსი და დაიბანოს წყლით, იგი გაუწმიდურებული იქნება საღამომდე.

⁷და ვინც თესლმდინარის სხეულს შეეხება უნდა გაირეცხოს სამოსი და დაიბანოს წყლით, და გაუწმიდურებული იქნება საღამომდე.



- ⁸თუ მიაფურთხებს თესლმდინარი სუფთას, გაირეცხოს მან თავისი სამოსი და დაიბანოს წყლით, და გაუწმიდურებული იქნება სადამომდე.
- ⁹ყოველი უნაგირი, რომლითაც მგზავრობდა თესლმდინარი, უწმიდურია.
- ¹⁰ყველა, ვინც შეეხება იმას, რაც თესლმდინარს ეგო ქვეშ, გაუწმიდურებული იქნება სადამომდე.
- ¹¹და ყველამ, ვისაც თესლმდინარი ხელდაუბანელად შეეხება, უნდა გაირეცხოს თავისი სამოსი და დაიბანოს წყლით, იგი გაუწმიდურებული იქნება სადამომდე.
- ¹²თიხის ჭურჭელი, რომელსაც შეეხება თესლმდინარი, უნდა დაიმსხვრეს, ხოლო ხის ჭურჭელი წყლით უნდა გამოირეცხოს.
- ¹³და როდესაც თესლმდინარი გაიწმიდება დინებისაგან, აღირაცხოს შვიდი დღე თავისი განწმედიდან და გაირეცხოს სამოსელი, და დაიბანოს სხეული გამდინარე წყლით და წმიდა იქნება ის.
- ¹⁴მერვე დღეს აიყვანოს ორი გვრიტი ან მტრედის ორი ხუნდი და მივიდეს უფლის წინაშე, საკრებულო კარვის შესასვლელთან, და მისცეს ისინი მღვდელს.
- ¹⁵მღვდელმა შესწიროს მათგან ერთი ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად, ხოლო მეორე სრულადდასაწველად, და გაწმენდს მას მღვდელი უფლის წინაშე მისი თესლდენის გამო.
- ¹⁶მამაკაცმა, რომელსაც ძილში შეემთხვევა თესლდენა, წყლით დაიბანოს მთელი სხეული, და უწმიდური იქნება სადამომდე.
- ¹⁷ყოველი სამოსელი და ყოველი ტყავი, რომელზეც შეეხება თესლდენა, გარეცხილ უნდა იქნას წყლით, და გაუწმიდურებული იქნება სადამომდე.
- ¹⁸და როდესაც ქალთან დაწვება მამაკაცი და ხდება თესლდენა, ორივემ დაიბანოს წყლით, და გაუწმიდურებულები იქნებიან სადამომდე.
- ¹⁹თუ ქალს სისხლდენა აქვს საშოდან, შვიდი დღე იქნება იგი ამ წიდოვანებაში, და ყოველი, ვინც შეეხება მას, გაუწმიდურებული იქნება სადამომდე.
- ²⁰ველაფერი, რაზეც ის დაწვება თავისი წიდოვანებისას, გაუწმიდურდება, და ველაფერი, რაზეც იგი დაჯდება, გაუწმიდურდება.
- ²¹ყველამ, ვინც კი შეეხება მის საწოლს, უნდა გაირეცხოს ტანსაცმელი და დაიბანოს წყლით, და გაუწმიდურებული იქნება სადამომდე.



²²და ყოველმა, ვინც შეეხება იმ საგნებს, რაზეც წიდოვანი იჯდა, უნდა გაირეცხოს ტანსაცმელი და დაიბანოს წყლით, და გაუწმიდურებული იქნება ის საღამომდე.

²³თუ რამე იდება საწოლზე ან იმ საგანზე, რაზეც ის წევს, და ამას ვინმე შეეხება, გაუწმიდურებული იქნება საღამომდე.

²⁴თუ დაწვება მასთან კაცი და ქალის გამონადენი მოეცხება მას, ის კაცი გაუწმიდურებული იქნება შვიდი დღე. და ყოველი საწოლი, რომელზეც ის დაწვება, გაუწმიდურებული იქნება.

²⁵თუ ქალს აქვს სისხლდენა მრავალი დღის განმავლობაში, არა მისი წიდოვანების დროს, ან თუ მას აქვს გამონადენი მის ჩვეულებრივ წიდოვანებაზე მეტხანს, მაშინ მისი უწმიდურების გამონადენის მთელი დროის განმავლობაში, ისევე, როგორც მისი წიდოვანების დღეებში, იგი გაუწმიდურებულია.

²⁶ყოველი საწოლი, რომელზეც იგი დაწვება თავისი გამონადენის დროს, უწმიდურად ითვლება, როგორც მისი წიდოვანების დროს.

²⁷ყველა, ვინც შეეხება მათ, გაუწმიდურებული იქნება; მან უნდა გაირეცხოს ტანსაცმელი და დაიბანოს წყლით, და გაუწმიდურებული იქნება საღამომდე.

²⁸და როცა ქალი გასუფთავდება გამონადენისგან, აღრიცხოს შვიდი დღე, და შემდეგდა იქნება სუფთა.

²⁹მერვე დღეს უნდა აიყვანოს თავისთვის ორი გვრიტი, ან მტრედის ორი ხუნდი, და მიუყვანოს მღვდელს, საკრებულო კარვის შესასვლელთან;

³⁰შესწირავს მღვდელი ერთ მათგანს ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად და მეორეს სრულადდასაწველად; და შეუნდობს მას მღვდელი უფლის წინაშე მისი გამონადენის უწმიდურების გამო.

³¹ასე განაშორეთ ისრაელიანები მათი უწმიდურებისგან, რათა არ დაიხოცონ თავიანთი უწმიდურებით, თუ გააუწმიდურებენ ჩემს მოწმობის კარავს, რომელიც მათ შორისაა.

³²ესაა რჯული თესლმდინარისა და წიდოვანისა, რაც აუწმიდურებს მათ,

³³და ქალისა და კაცისა, რომლებიც დაწვებიან გაუწმიდურებულთან.

ლევიანნი 16

¹ელაპარაკა უფალი მოსეს აარონის ორი ძის სიკვდილის შემდეგ, როცა ისინი უცხო ცეცხლით მიუახლოვდნენ უფალს და დაიხოცნენ.



- ²და უთხრა უფალმა მოსეს: უთხარი აარონს, შენს ძმას, მოერიდოს საწმიდარში წამდაუწუმ შესვლას ფარდის იქით კიდობნის სარქველის წინ, რათა არ მოკვდეს, რადგან მე ღრუბლიდან გამოვჩნდები სარქველზე.
- ³ასე უნდა შევიდეს აარონი წმიდაში: მოზვერით ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად და სრულადდასაწველი ვერძით.
- ⁴სელის განწმედილი კვართი ეცვას და სელისავე ნიფხავი, და სარტყელი სელისა შემოირტყას და კიდარი სელისა შემოიხვიოს, რადგან ეს წმიდა სამოსელია; და დაიბანოს მთელი ტანი წყლით და შეიმოსოს ისინი.
- ⁵ისრაელიანთა თემისგან აიყვანოს ორი ვაცი ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად და ერთი ვერძი სრულადდასაწველად.
- ⁶და შესწიროს აარონმა მოზვერი თავისი ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად, და მიტევა ითხოვოს თავის თავისთვის და თავისი სახლისთვის.
- ⁷აიყვანოს ორი ვაცი და დააყენოს ისინი უფლის წინაშე საკრებულო კარვის შესასვლელთან.
- ⁸და ყაროს აარონმა წილი ორ ვაცზე: ერთი წილი უფლისათვის, მეორე წილი აზაზელისთვის+ .
- ⁹მიუყვანოს აარონმა უფლის წილხვდომილი ვაცი უფალს და შესწიროს ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად.
- ¹⁰და ვაცი, რომელიც გახდა აზაზელის წილი, დააყენოს ცოცხლად უფლის წინაშე, რომ შეუნდოს და გაუშვას აზაზელისთვის უდაბნოში.
- ¹¹და მიიყვანოს აარონმა მოზვერი თავისი ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად, და ითხოვოს შენდობა თავისთვის და თავისი სახლისთვის, და დაკლას მოზვერი თავისი ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად
- ¹²და აიღოს სავსე საცეცხლური, ცეცხლისაგან საკურთხევლისა, რომელიც უფლის წინაშეა, და ორივე მუჭა აივსოს წმიდა კეთილსურნელოვანი საკმევლით და შეიტანოს ფარდის უკან;
- ¹³და დააყაროს საკმეველი ცეცხლზე უფლის წინაშე და დაფაროს საკმეველის ღრუბელმა კიდობნის თავსარქველი, რათა არ მოკვდეს აარონი.
- ¹⁴და აიღოს მოზვრის სისხლი და თითით მიაჰკუროს თავსარქველის წინა ზედაპირს და თავსარქველის წინ, შვიდგზის მიაჰკუროს სისხლი თითით.
- ¹⁵და დაკლას ხალხის ცოდვის გამოსასყიდი ვაცი, და შეიტანოს მისი სისხლი ფარდის უკან, და გააკეთოს მისი სისხლით იგივე, რაც გააკეთა მოზვერის სისხლით, და მოაჰკუროს თავსარქველზე და თავსარქველის წინ.



¹⁶ასე განწყვიდოს საწყმინდარი ისრაელიანთა უწყმინდურებათა და მათ უსამართლობათაგან, ყველა მათი ცოდვებისთვის. ასევე გააკეთოს საკრებულო კარვისთვის, რომელიც მათთან არის, მათ უწყმინდურებათა შუა.

¹⁷არავინ იყოს საკრებულო კარავში, როცა ის შედის შენდობისათვის საწყმინდარში, მის გამოსვლამდე. და ასე განწყმედს ის თავის თავსა და თავის სახლს, და ისრაელიანთა მთელ კრებულს.

¹⁸და გავა ის საკურთხეველთან, რომელიც უფლის წინაშეა, და განწყმედს მას. და აიღებს მოზვრისა და ვაცის სისხლს და სცხებს საკურთხეველის რქებს ირგვლივ.

¹⁹მიაკურებს მას სისხლს თითოთ შვიდგზის და გაასუფთავებს და განწყმედს მას ისრაელიანთა უწყმინდურებისგან.

²⁰როცა დაასრულებს წმიდის, საკრებულო კარვისა და საკურთხეველის განწყმედას, უნდა მიიყვანოს მან ვაცი.

²¹და დაადოს აარონმა ორივე ხელი ვაცს თავზე, და აღიაროს მასზე ისრაელიანთა ყოველი უკანონობა, ყოველი დანაშაული და ყოველი ცოდვა, და ყოველივე ამ ცოდვებს დაჰკრებს ვაცის თავზე, და გაუშვებს საგანგებო კაცის ხელით უდაბნოში.

²²და გაიყოლებს ვაცი თავისი თავით უდაბურ ქვეყანაში ყველა მათ ცოდვებს; და გაუშვებენ ვაცს უდაბნოში.

²³და შევა აარონი საკრებულო კარავში, და გაიხდის სელის სამოსელს, რომელიც წმიდაში შესვლისას შეიმოსა, და იქ დატოვებს.

²⁴და წყლით განიბანს ტანს წმიდა ადგილზე, და შეიმოსავს თავის სამოსს, და გამოვა და შესწირავს სრულადდასაწველს თავისთვის და სრულადდასაწველს ხალხისთვის, და განწყმედს თავის თავსა და ხალხს.

²⁵ცოდვის მსხვერპლის ქონს იგი დააკმევს საკურთხეველზე.

²⁶განტევების ვაცის წამყვანმა კაცმა უნდა გაირეცხოს ტანისამოსი და დაიბანოს ტანი წყლით, მას მხოლოდ ამის მერე შეუძლია ბანაკში შესვლა.

²⁷მოზვერი და ვაცი ცოდვის მსხვერპლისა, რომელთა სისხლი შეტანილ იქნა წმიდაში მის განსაწყმედად, გაიტანონ ბანაკს გარეთ, და ცეცხლით დაწვან მათი ტყავები, მათი ხორცი და მათი ნეხვი.

²⁸მათმა დამწველმა კაცმა უნდა გაირეცხოს სამოსი და წყლით განიბანოს ტანი და შემდეგ შევიდეს ბანაკში.



²⁹იყოს ეს თქვენთვის საუკუნო წესად: მეშვიდე თვის მეათე დღეს, დაიმდაბლეთ მარხვით თქვენი სულები და არავითარი საქმე არ გააკეთოთ, არც მკვიდრმა და არც თქვენს შორის მცხოვრებმა ხიზანმა.

³⁰რადგან ამ დღეს მოხდება თქვენი განწმედა, რათა განიწმიდნეთ ყოველი თქვენი ცოდვისაგან, რათა განწმედილები იყვნეთ უფლის წინაშე.

³¹ეს არის თქვენი სრული დასვენების შაბათი, დაიმდაბლეთ თავი; ეს არის საუკუნო წესი.

³²განწმედა უნდა აღასრულოს ცხებულმა მღვდელმა, რომელსაც აღუვსეს ხელი სამღვდელოდ მამამისის ნაცვლად. და შეიმოსავს იგი სელის შესამოსლებს, წმიდა შესამოსლებს,

³³და განწმედს საწმიდარს, სადღესასწაულო კარავს და საკურთხეველს. და შეუნდობს მღვდლებს და მთელ კრებულსაც შეუნდობს.

³⁴ეს იყოს თქვენს საუკუნო წესად ისრაელიანთა ყველა ცოდვის შესანდობად წელიწადში ერთხელ. და აარონმა გააკეთა ისე, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

ლევიაწი 17

¹და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²დაელაპარაკე აარონს და მის ძეთ, და ყველა ისრაელიანს და უთხარი მათ, რომ ეს არის სიტყვა, რომელიც ბრძანა უფალმა:

³ისრაელიანთა სახლიდან თუ ვინმე დაკლავს ხარს, ან კრავს, ან თხას ბანაკში, ან თუ ვინმე დაკლავს ბანაკს გარეთ,

⁴და არ მიიყვანს მას საკრებულო კარვის შესასვლელთან უფლისთვის წარსადგენად უფლის სავანის წინ, სისხლის დაღვრად შეერაცხოს ეს იმ კაცს: სისხლი დაღვარა მან. და მოიკვეთება ის კაცი თავისი ხალხის წიაღიდან,

⁵რათა მიიყვანონ ისრაელიანთ თავიანთი შესაწირავები, რომელთაც ისინი კლავენ ველად, რათა მიართვან ისინი საკრებულო კარვის შესასვლელთან მღვდელს უფლისათვის, და დაუკლან სამშვიდობო მსხვერპლად უფალს.

⁶და მოაპკურებს მღვდელი სამსხვერპლოს სისხლს უფლის საკურთხეველზე საკრებულო კარვის შესასვლელთან, და დააკმევს ქონს კეთილსურნელებად უფლისათვის,



⁷რათა არ შესწირონ კვლავ თავიანთ შესაწირავთაგან კერპებს, რომელთა კვალზეც ისინი მრუშობენ. საუკუნო წესად იყოს ეს მათთვის თაობიდან თაობამდე.

⁸და უთხარი მათ: თუ ვინმე ისრაელიანთა სახლიდან და ხიზანთაგან, რომლებიც მათთან ხიზნობენ, აღავლენს სრულადდასაწველს ან საკლავს,

⁹და საკრებულო კარვის შესასვლელთან არ მიიტანს მას, რათა შესწიროს იგი უფალს, მოიკვეთება ის კაცი თავისი ხალხიდან.

¹⁰თუ ვინმე ისრაელიანთა სახლიდან და ხიზანთაგან, რომლებიც ხიზნობენ მათ შორის, შეჭამს რაიმე სისხლს, მივაქცევ ჩემს სახეს სისხლის მჭამლისკენ, და მოვკვეთ მას თავისი ხალხის წიაღიდან,

¹¹რადგან სიცოცხლე ყოველი ხორციელისა მის სისხლშია. მე თქვენ დაგიწესეთ სისხლის მიტანა საკურთხეველზე თქვენი სიცოცხლის შენდობისათვის; ეს სისხლი არის სიცოცხლე, სისხლი განწმედს სიცოცხლეს.

¹²ამიტომ ვუთხარი მე ისრაელის ძეთ: არც ერთმა თქვენთაგანმა არ უნდა ჭამოს სისხლი. და ასევე ხიზანმაც, რომელიც ხიზნობს თქვენთან, არ უნდა ჭამოს სისხლი.

¹³და თუ ვინმე ისრაელიანთაგან და ხიზანთაგან, რომელიც ხიზნობს თქვენთან, მოინადირებს ცხოველს ან ფრინველს, რომელიც იჭმევს, სისხლი უნდა გამოადინოს და დაფაროს იგი მიწით.

¹⁴რადგან ყოველი ხორციელის სიცოცხლე მის სისხლშია, ამიტომ ვუთხარი ისრაელიანთ: არც ერთი ხორციელის სისხლი არ ჭამოთ-მეთქი, რადგან ყოველი ხორციელის სიცოცხლე მის სისხლშია; ყოველი მისი მჭამელი მოისპობა.

¹⁵ყოველმა, რომელიც შეჭამს მძორის და ნამხეცავის ხორცს, მკვიდრმა ან ხიზანმა, უნდა გაირეცხოს სამოსი და განიბანოს წყლით. და საღამომდე უწმიდური იქნება და მერე განიწმიდება.

¹⁶და თუ არ გაირეცხავს სამოსს და არ დაიბანს სხეულს, მაშინ თავად იტვირთავს თავის ცოდვას.

ლევიანი 18

¹ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²მიმართე ისრაელის ძეთ და უთხარი: მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.



- ³არ მოიქცეთ ეგვიპტის ქვეყნის მცხოვრებთა მსგავსად, ვისთანაც ცხოვრობდით; და არც ქანაანის ქვეყნის ჩვეულებათა მსგავსად, სადაც მე მიმყავხართ თქვენ. მათი წესებით არ იცხოვროთ.
- ⁴აღასრულეთ ჩემი სამართალი, და დაიცავით ჩემი წესები, იცხოვრეთ მათით; მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.
- ⁵დაიცავით ჩემი წესები და ჩემი სამართალი, რომელთა აღსრულებით იცოცხლებს კაცი; მე ვარ უფალი.
- ⁶არავინ მიუახლოვდეს თავის სისხლით ნათესავს და არ ახადოს მისი სიშიშველე; მე ვარ უფალი.
- ⁷სიშიშველე მამისა შენისა და სიშიშველე დედისა შენისა არ გამოაჩინო. იგი დედაა შენი, არ ახადო მისი სიშიშველე.
- ⁸სიშიშველე მამაშენის ცოლისა არ გამოაჩინო. მამაშენის სიშიშველეა იგი.
- ⁹არ ახადო სიშიშველე შენი დისა, მამაშენის ასულისა ან დედაშენის ასულისა, სახლში შობილისა თუ გარეთ შობილისა.
- ¹⁰სიშიშველე შენი ძის ასულისა ან შენი ასულის ასულისა, არ ახადო მათი სიშიშველე, რადგან შენი სიშიშველეა ისინი.
- ¹¹სიშიშველე მამაშენის ცოლის ასულისა, მამაშენისგან შობილისა, შენი და არის იგი, არ ახადო მისი სიშიშველე.
- ¹²სიშიშველე მამაშენის დისა არ ახადო, მამაშენის სისხლი და ხორცია იგი.
- ¹³სიშიშველე დედაშენის დისა არ ახადო, რადგან დედაშენის ხორცია იგი.
- ¹⁴სიშიშველე მამაშენის ძმისა არ ახადო: მის ცოლს არ მიუახლოვდე, შენი ძალუაა იგი.
- ¹⁵სიშიშველე შენი რძლისა არ ახადო: შენი ძის ცოლია იგი.
- ¹⁶სიშიშველე შენი ძმის ცოლისა არ ახადო: შენი ძმის სიშიშველეა იგი.
- ¹⁷სიშიშველე შენი ცოლის ასულისა არ ახადო, მისი ძის ასული და მისი ასულის ასული არ ითხოვო სიშიშველის ასახდელად. ერთი ხორცისანი არიან ისინი. ეს გარყვნილება იქნება.
- ¹⁸ცოლის დას ნუ ითხოვ მისი სიშიშველის ასახდელად ცოლის მეტოქედ მის სიცოცხლეში.
- ¹⁹ქალს წიდოვნების დროს ნუ მიუახლოვდები მისი სიშიშველის ასახდელად.



²⁰შენი მოყვასის ცოლთან არ დაწვე თესლის დასადვრელად, რადგან გაუწმიდურდები მისით.

²¹შენს შთამომავალთაგან არ მისცე მოლახისთვის ცეცხლში გასატარებელ მსხვერპლად, და ნუ შებღალავ ამით შენი ღმერთის სახელს; მე ვარ უფალი.

²²არ დაწვე მამაკაცთან, როგორც წვებიან ქალთან. ეს საძაგლობაა.

²³არ დაეცე პირუტყვთან, რადგან გაუწმიდურდები მისით. ქალი არ დადგეს პირუტყვის წინ მასთან დასაცემად, ეს სისაძაგლეა.

²⁴ნუ გაუწმიდურდებით ყოველივე ამით, რადგან ამით გაუწმიდურნენ ერები, რომელთაც თქვენგან ვდევნი მე.

²⁵და გაუწმიდურდა ქვეყანა და დავსაჯე იგი თავისი ცოდვისათვის, და ამოანთხია ქვეყანამ თავისი მცხოვრებნი.

²⁶და თქვენ დაიცავით ჩემი წესები და ჩემი სამართალნი; ამ საძაგლობიდან ნურაფერს ნუ გააკეთებთ მკვიდრი და ხიზანი, რომელიც ხიზნობს თქვენთან.

²⁷რადგან ყოველი ეს საძაგლობა ჩაიდინეს ამ ქვეყნის მცხოვრებლებმა, რომლებიც თქვენზე უწინ იყვნენ; და შეიბილწა ქვეყანა;

²⁸რომ არ ამოგანთხიოთ ქვეყანამ, თუ მას გააუწმიდურებთ, როგორც ამოანთხია მან ერი, რომელიც თქვენამდე იყო.

²⁹რადგან მოისპობა ყოველი ამ სისაძაგლის ჩამდენი, მათი ხალხის წიაღიდან.

³⁰დაიცავით ჩემი ბრძანებები, ნუ მოიქცევით იმ საძაგელი წესების მიხედვით, რომლებიც თქვენამდე სრულდებოდა, და არ გაუწმიდურდეთ მათით; მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.

ლევიაწნი 19

¹და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²მიმართე ისრაელის მეთა მთელ თემს და უთხარი მათ: წმიდა იყავით, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, ღმერთი თქვენი.

³თითოეულს თავისი დედ-მამის შიში და კრძალვა ჰქონდეს, და ჩემი შაბათები დაიცავით; მე ვარ უფალი ღმერთი თქვენი.

⁴პირს ნუ იბრუნებთ კერპებისაკენ და ჩამოსხმულ ღმერთებს ნუ გაიკეთებთ; მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.



- ⁵სამადლობელო მსხვერპლის შეწირვისას, ისე შესწირეთ, რომ უფლის წყალობა ჰპოვოთ.
- ⁶თქვენი მსხვერპლი იმ დღეს და მეორე დღეს უნდა შეჰამოთ, ხოლო რაც დარჩება მესამე დღემდე, ცეცხლში უნდა დაწვათ.
- ⁷თუ მესამე დღეს შეჰამოთ, სისაძაგლე იქნება და არ შეგეწირებათ.
- ⁸მისი მჰამელი დამნაშავეა, რადგან უფლის სიწმიდე შებღალა, და მოისპობა თავისი ხალხიდან.
- ⁹როცა მომკით თქვენი მიწის სამკალს, არ მოასრულოთ სამკალი თქვენი ყანის კიდემდე და მკის დროს ჩაბნეულს ნუ აკრეფთ.
- ¹⁰თქვენს ვენახს ნუ მოიმცვრევთ და დაბნეულ მარცვალს ნუ აკრეფთ: ღარიბისა და ხიზანისათვის დატოვეთ ის; მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.
- ¹¹არ მოიპაროთ, არ იცრუოთ და არ მოატყუოთ ერთმანეთი.
- ¹²არ დაიფიცოთ ჩემი სახელი ტყუილზე, და არ შებღალოთ სახელი თქვენი ღმერთისა; მე ვარ უფალი.
- ¹³არ ავნო შენს მოყვასს და არც არაფერი წაგლიჯო, და მოჯამაგირის გასამრჯელოს დილამდე ნუ დაიტოვებ.
- ¹⁴ნუ გაქირდავ ყრუს და ნუ დაუდებ ბრმას წინ საცდურს, არამედ გეშინოდეს შენი ღმერთისა; მე ვარ უფალი.
- ¹⁵სიცრუეს ნუ ჩაიდენ სამართალში, გლახაკს ნუ მოუფონებ და ძლიერს ნუ მიეპირფერები: სიმართლით განსაჯე შენი მოყვასი.
- ¹⁶არ გაავრცელო ჭორი შენს ხალხში, და არ აღდგე შენი მოყვასის სისხლზე; მე ვარ უფალი.
- ¹⁷მტრობას ნუ ჩაიდებ გულში შენი ძმის მიმართ. ამხილე მოყვასი შენი, რომ არ დაგეკისროს ცოდვა მის გამო.
- ¹⁸არ იძიო შური და არ გქონდეს ღვარძლი შენი ხალხის ძეთა მიმართ და შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი; მე ვარ უფალი.
- ¹⁹ჩემი წესები დაიცავით. შენი საქონელი არ შეაჯვარო სხვა ჯიშისას; და შენს მინდორში არ დათესო ორი სხვადასხვა ჯიშის თესლი; და არ ჩაიცვა სელის და მატყლის შერეული ძაფით ნაქსოვი სამოსელი.
- ²⁰თუ ვინმე დაწვეს ქალთან და იყოს იგი მხევალი, სხვა კაცის დანიშნული, მაგრამ ჯერ არ იყოს გამოსყიდული, ან გათავისუფლებული, მაშინ სასჯელი უნდა დაედოს მათ, მაგრამ არა სასიკვდილო, რადგან იგი არაა თავისუფალი.



²¹და მიიყვანოს იმ კაცმა თავისი დანაშაულის გამოსასყიდი მსხვერპლი უფლისათვის საკრებულო კარვის შესასვლელთან: ვერძი დანაშაულის გამოსასყიდ მსხვერპლად.

²²და გაწმედს მას მღვდელი დანაშაულისაგან ვერძით უფლის წინაშე მისი ცოდვისათვის, რომლითაც შესცოდა.

²³როცა შეხვალთ ქვეყანაში და დარგავთ რომელიმე მსხმოიარე ხეს, მიიჩნიეთ მისი ნაყოფი წინადაუცვეთელად. სამი წელი უნდა იყოს თქვენთვის წინადაუცვეთელად, არ უნდა იჭამოს.

²⁴მეოთხე წელს ყოველი მისი ნაყოფი შეიწიროს უფლის სადიდებლად.

²⁵მეხუთე წელს ჭამეთ მისი ნაყოფი და შეკრიბეთ მისი მოსავალი; მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.

²⁶არაფერი ჭამოთ სისხლითურთ; არ იმარჩიელოთ და არ იჯადოქროთ.

²⁷არ შეიჭრათ თმის კიდე თავის ირგვლივ და არ წაიხდინო კიდე შენი წვერისა.

²⁸არ დაისეროთ მკვდრისთვის სხეული და ნურც რაიმე ნიშნებს ამოისვირინგებთ; მე ვარ უფალი.

²⁹ნუ მიუშვებ შენს ასულს საროსკიპოდ, რათა არ გაირყვნას ქვეყანა და არ აღივსოს მრუშობით.

³⁰ჩემი შაბათები დაიცავით და თაყვანი ეცით ჩემს საწმიდარს; მე ვარ უფალი.

³¹ნუ მიმართავთ მესულთანებს და მჩხიბავებს, ნუ გაუწმიდურდებით მათით; მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.

³²ჭაღარას ფეხზე წამოუდექი და პატივი მიაგე მოხუცს, და გეშინოდეს შენი ღმერთისა; მე ვარ უფალი.

³³როცა შემოგეხიზნებათ ხიზანი თქვენს ქვეყანაში, არ შეავიწროვოთ იგი.

³⁴როგორც მკვიდრი თქვენს შორის, ისე იყოს ის თქვენთან და გიყვარდეთ იგი, როგორც თქვენი თავი, რადგან ხიზნები იყავით თქვენც ეგვიპტის ქვეყანაში; მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.

³⁵ნუ მოიტყუებთ ნურც სამართალში, ნურც ზომა-წონაში და ნურც საწყაოში.

³⁶სწორი სასწორი, სწორი საწონი, სწორი ეფა და სწორი ჰინი გქონდეთ; მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი, რომელმაც გამოგიყვანათ ეგვიპტის ქვეყნიდან.



³⁷დაიცავით ყოველი ჩემი წესი და ყოველი ჩემი სამართალი; მე ვარ უფალი.

ლევიაწნი 20

¹და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²უთხარი ისრაელის ძეთ: ყოველი კაცი ისრაელიანთაგან და ხიზანთაგან, რომელიც მკვიდრობს ისრაელში, ვინც მისცემს თავის შვილებს მოლეს, სიკვდილით მოკვდება. ამ ქვეყნის ხალხმა ქვით ჩაქოლოს იგი.

³მე მივაპყრობ ჩემს სახეს იმ კაცს და მოვსპობ მას მისი ხალხის წიაღიდან, რადგან მან მისცა თავისი თესლიდან მოლეს, და ამით გააუწმიდურა ჩემი საწმიდარი და შებილწა ჩემი წმიდა სახელი.

⁴და თუ ამ ქვეყნის ხალხი აარიდებს თვალს მას, როცა იგი მისცემს თავისი თესლიდან მოლეს, და არ მოკლავს მას,

⁵მე მივაპყრობ ჩემს სახეს იმ კაცს და მის მოდგმას, და მოვსპობ მას და ყველას, ვინც მრუშობს მის კვალდაკვალ, და ყველა მემრუშეს, რომლებიც დადიან მოლეხის კვალდაკვალ, მოვსპობ მათი ხალხის წიაღიდან.

⁶და თუ ვინმე მიმართავს მესულთანეებს და მჩხიბავებს მათ კვალდაკვალ სამრუშოდ, მე მივაპყრობ ჩემს სახეს და მოვკვეთ მას მისი ხალხიდან.

⁷განიწმიდენით და იყავით წმიდა, რადგან მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.

⁸დაიცავით ჩემი წესები და აღასრულეთ ისინი, რამეთუ მე ვარ უფალი, განმწმედელი თქვენი.

⁹ვინც თავის მამას და დედას შეურაცხყოფს, უნდა მოკვდეს. თავისი მამა და თავისი დედა შეურაცხყო მან – მასზეა მისი სისხლი.

¹⁰ვინც იმრუშებს თავისი მოყვასის ცოლთან, ორვე სიკვდილით უნდა მოიკლას, მრუში მამაკაციც და მრუში დედაცაც.

¹¹ვინც დაწვება თავისი მამის ცოლთან, თავისი მამის სიშიშვლე ახადა მან. სიკვდილით უნდა მოიკლან ორივენი. მათი სისხლი მათზეა.

¹²ვინც დაწვება თავის რძალთან, სიკვდილით უნდა მოიკლან ორივენი. რაც მათ ქნეს, სისამაგლეა. მათზეა მათი სისხლი.

¹³თუ კაცი დაწვება მამაკაცთან, როგორც წვებიან ქალთან, სისამაგლეს ჩაიდენს ორივე. სიკვდილით უნდა მოიკლან ისინი – მათი სისხლი მათზეა.

¹⁴თუ ვინმე შეირთავს ცოლად დედასა და შვილს, ურჯულოებას ჩაიდენს; ცეცხლში დაწვით იგი მათთან ერთად, რათა არ იყოს ურჯულოება თქვენს შორის.



- ¹⁵ვინც პირუტყვთან დაეცემა, სიკვდილით მოკალით ისიც და პირუტყვიც.
- ¹⁶ქალი თუ დაეცა პირუტყვთან, მოკალით ქალიც და პირუტყვიც, მათზეა მათი სისხლი.
- ¹⁷ვინმემ რომ შეირთოს თავისი და – ასული თავისი მამისა, ან ასული თავისი დედისა – და ნახოს მისი სიშიშვლე და ქალმაც ნახოს მისი სიშიშვლე, სიბილწეა ეს. და მოისპონ ისინი თავიანთი ხალხის ძეთა თვალწინ. სიშიშვლე თავისი დისა ახადა მან. სასჯელის ღირსია ის.
- ¹⁸ვინც დაწვება ცოლთან მისი წიდოვნების დროს და ახდის მის სიშიშვლეს, რაკი მან გააშიშვლა მისი წყარო, ხოლო ქალმა გამოაჩინა თავისი სისხლის წყარო, მოისპოს ორივე თავისი ხალხის წიაღიდან.
- ¹⁹სიშიშვლე დედის ან მამის დისა არავინ ახადოს, რადგან თავის ხორცს აშიშვლებს ის, სასჯელს იმსახურებენ ისინი.
- ²⁰ვინც დაწვა თავისი ბიძის ცოლთან, მან თავისი ბიძის სიშიშვლე ახადა. თავიანთ ცოდვას იტვირთავენ ისინი, უშვილონი უნდა დაიხოცონ.
- ²¹ვინმემ რომ შეირთოს თავისი ძმის ცოლი, ეს შებილწვაა, სიშიშვლე თავისი ძმისა ახადა მან – უშვილონი უნდა დაიხოცონ.
- ²²დაიცავით ყოველი ჩემი წესი და ყოველი ჩემი სამართალი, და აღასრულეთ ისინი, და არ ამოგანთხევთ თქვენ ქვეყანა, სადაც მე მიგიყვანთ საცხოვრებლად.
- ²³არ მოიქცეთ იმ ერის წესებისამებრ, რომელსაც მე ვდევნი თქვენგან, რადგან ყოველივე ეს გააკეთეს მათ და მძაგს ისინი.
- ²⁴გითხარით: თქვენ დაიმკვიდრებთ მათ მიწას და მე მოგცემთ მას თქვენ სამკვიდროდ, ქვეყანას, სადაც მოედინება რძე და თაფლი; მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი, რომელმაც ამოგარჩიათ თქვენ ყველა ერისაგან.
- ²⁵განასხვავეთ წმიდა და უწმიდური პირუტყვი და უწმიდური და წმიდა ფრინველი და არ შეიბილწოთ პირუტყვით და ფრინველით, და იმით, რაც ქვემძრომობს დედამიწაზე, რომელიც მე გამოვაცალკევე, როგორც უწმიდური.
- ²⁶იყავით ჩემთვის წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, და მე გამოვაცალკევეთ სხვა ერებისაგან, რათა ჩემი ერი იყოთ.
- ²⁷მამაკაცი ან დედაკაცი თუ აღმოჩნდეს მესულთანე ან მჩხიბავი, უნდა მოკვდეს: ქვებით ჩაიქოლონ ისინი და მათზე იქნება მათი სისხლი.

ლევიაწნი 21



- ¹უთხრა უფალმა მოსეს: გამოუცხადე მღვდლებს, აარონის ძეთ, და უთხარი: ნურავინ შეეხება თავისი ხალხის მკვდარს, რათა არ გაუწმიდურდეს.
- ²მხოლოდ თავისი ხორციელი ნათესავის: თავისი დედის და თავისი მამის, თავისი ვაჟის და თავისი ასულის, და თავისი ძმის,
- ³თავისი ქალწული ღვიძლი დის, რომელიც ჯერ კიდევ მასთან იყო, ან ახლობელი ქალის, რომელიც გათხოვილი არ ყოფილა, შეეხება შეუძლია, არ გაუწმიდურდება.
- ⁴თავის ხალხში ვინმესთან შეხებით, ვინც არ უნდა იყოს ის, ნუ გაიუწმიდურებს კაცი თავს, რათა არ წაიბილწოს იგი.
- ⁵არ გადაიპარსონ თავი და წვერი არ დაიმოკლონ და არ დაისერონ ტანი.
- ⁶წმიდები უნდა იყვნენ ისინი თავიანთი ღმერთისათვის და არ შეზღალონ თავიანთი ღმერთის სახელი, რადგან ისინი სწირავენ უფლის საცეცხლო მსხვერპლს, თავიანთი ღმერთის პურს; ამიტომ უნდა იყვნენ წმიდები.
- ⁷მეძავი ქალი არ შეირთონ მათ, არც არა ქალწული, არც განქორწინებული; რადგან წმიდები არიან თავისი ღმერთისათვის.
- ⁸წმიდად შერაცხე ისინი, რადგან შენს ღმერთს სწირავენ პურს. წმიდა იყვნენ ისინი შენთვის, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, თქვენი გამწმედი.
- ⁹თუ მღვდლის ასული თავს წაიბილწავს მრუშობით, თავისი მამის წამბილწველია – ცეცხლში დაიწვას იგი.
- ¹⁰თავის ძმებში მთავარი მღვდელი, რომელსაც თავზე ზეთი სცხეს და რომელსაც ხელი აღუვსეს, რომ შეიმოსოს წმიდა შესამოსელი, თავს ნუ გაიშიშვლებს და სამოსელს ნუ დაიპობს.
- ¹¹მკვდარს არ უნდა მიუახლოვდეს იგი; თვით თავისი მამისა და თავისი დედის გვამითაც კი არ უნდა გაუწმიდურდეს.
- ¹²საწმიდრიდან არ უნდა გადიოდეს, რათა არ წაიბილწოს საწმიდარი თავისი ღმერთისა, რადგან მისი ღმერთის საცხებელი ზეთით არის ცხებული; მე ვარ უფალი.
- ¹³ცოლად ქალწული შეირთოს.
- ¹⁴ქვრივი ან ქმარგაყრილი, ან მეძავი არ შეირთოს, არამედ ქალწული მოიყვანოს ცოლად თავისი ტომიდან.
- ¹⁵არ წაიბილწოს თავისი თესლი თავის ხალხში, რადგან მე ვარ უფალი, მისი განმწმედელი.
- ¹⁶და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:



¹⁷უთხარი აარონს: არავინ შენი თესლიდან თაობიდან-თაობამდე, რომელსაც ექნება ხინჯი სხეულზე, არ მივიდეს თავისი ღმერთისთვის პურის შესაწირად.

¹⁸არავინ, ვისაც ხინჯი აქვს ტანზე, არ მივიდეს: არც ბრმა, არც კოჭლი, არც მახინჯი;

¹⁹ან ფეხმოტეხილი ან ხელმოტეხილი,

²⁰ან კუზიანი, ან ქონდრისკაცი, ან თვალზე ლიბრგადაკრული, ან ქეციანი, ან ყვერებაჟყლეტილი.

²¹არავინ აარონ მღვდლის მოდგმიდან, ხინჯის მქონე, არ მიეახლოს უფლის საცეცხლო მსხვერპლთა შესაწირად; ხინჯიანია ის, არ მიეახლოს თავისი ღმერთისთვის პურის შესაწირად.

²²ხოლო შეუძლია ჭამოს თავისი ღმერთისთვის შეწირული პური, როგორც წმიდიდან, ასევე წმიდათა წმიდიდან.

²³მაგრამ ფარდასთან არ მივიდეს და საკურთხეველს არ მიეახლოს, რადგან ხინჯი აქვს. არ წაბილწოს ჩემი საწმიდარი, რადგან მე ვარ უფალი, მათი განმწმედი.

²⁴და ეს გამოუცხადა მოსემ აარონსა და მის ძეთ და ისრაელის ყველა ძეს.

ლევიანნი 22

¹და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²უთხარი აარონსა და მის ძეთ, რომ ეკრძალონ ისრაელის ძეთა სიწმიდეებს, და არ წაბილწონ ჩემი წმიდა სახელი იმით, რასაც მწირავენ; მე ვარ უფალი.

³უთხარი მათ: თქვენს თაობიდან თაობამდე, თუ ვინმე თქვენი შთამომავლებიდან მიეახლება სიწმიდეებს, რომლებსაც სწირავენ ისრაელიანები უფალს, იმ დროს, როცა ის გაუწმიდურებულია, მოისპობა ის ჩემს წინაშე; მე ვარ უფალი.

⁴არც ერთმა თესლიდან აარონ მღვდლისა, თუ ის კეთროვანია, ან აქვს გამონადენი, არ უნდა ჭამოს სიწმიდეთაგან, სანამ არ გასუფთავდება. და ვინც შეეხება მკვდრისგან გაუწმიდურებულს, ან ვისაც დაემართება თესლდენა,

⁵ან ვინც შეეხება რომელიმე ქვემძრომს, რომლისგანაც გაუწმიდურდება, ან კაცს, რომელიც გააუწმიდურებს მას თავისი რომელიმე უწმიდურებით, –



⁶ვინც კი შეეხება ამას, უწმიდური იქნება სადამომდე, და არ შეიძლება ჭამოს სიწმიდეთაგან, სანამ ტანს არ განიბანს წყლით.

⁷და როცა ჩავა მზე და გასუფთავდება, შეუძლია ჭამოს სიწმიდეთაგან, რადგან ეს მისი საკვებია.

⁸მძორი და ნამხეცავი არ ჭამოს, რათა არ წაიბილწოს; მე ვარ უფალი.

⁹დაიცვან მათ ჩემი გაფრთხილებები, რათა არ მოიწიონ ცოდვა და არ დაიხოცნენ მასში, თუ წაბილწავენ ჩემს გაფრთხილებებს; მე ვარ უფალი, მათი განმწმედელი.

¹⁰და არც ერთმა უცხო არ ჭამოს წმიდა, არც მღვდლის ხიზანმა და მოჯამაგირემ არ ჭამოს წმიდა.

¹¹თუ მღვდელი შეიძენს მონას თავისი ვერცხლით, მას შეუძლია ჭამოს ის; აგრეთვე მის სახლში შობილთ შეუძლიათ ჭამონ მისი პური.

¹²თუ მღვდლის ასული უცხო მამაკაცს გაჰყვება ცოლად, ქალმა არ უნდა ჭამოს სიწმიდეთაგან.

¹³თუ მღვდლის ასული დაქვრივდება ან ქმართან გაყრილია და უშვილა და დაუბრუნდება თავის მამის სახლს, მაშინ, როგორც თავის სიყმაწვილეში, ისე ჭამოს თავისი მამის პური. მაგრამ არავის უცხოს არ შეუძლია ჭამოს იგი.

¹⁴თუ ვინმემ შეცდომით ჭამოს წმიდა, მან დაუბრუნოს მღვდელს წმიდა და მას დაურთოს მისი მეხუთედიც.

¹⁵არავინ წაბილწოს ისრაელიანთა წმიდა შესაწირავები, რომლებსაც ისინი სწირავენ უფალს,

¹⁶და არ დაიდონ დანაშაულის ბრალი, თუ შეჭამენ თავიანთ სიწმიდეებს, რადგან მე ვარ უფალი, მათი განმწმედი.

¹⁷და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

¹⁸მიმართე აარონს და მის ძეთ, და ყველა ისრაელიანს და უთხარი მათ: თუ ვინმე, ისრაელიანთა სახლიდან და ისრაელში ხიზანთაგან, შესწირავს მსხვერპლს ან თავისი რომელიმე აღთქმისათვის, ან ნებაყოფლობით, იმისთვის, რომ მსხვერპლი, რომელსაც სწირავენ უფალს სრულადდასაწველად,

¹⁹სათნო იყოს, უნდა იყოს ის უმანკო, მამალი, ნახირიდან, ცხვართაგან ან თხათაგან.

²⁰არაფერი ხინჯის მქონე არ შესწიროთ, რადგან ამით თქვენ ვერ მოიპოვებთ წყალობას.



²¹თუ ვინმე შესწირავს უფალს სამშვიდობო მსხვერპლს აღთქმის აღსასრულებლად ან ძღვნისათვის ნახირიდან ან ფარიდან, შესაწირავი უნდა იყოს უმანკო, რათა სათნო იყოს იგი უფლისთვის. არავითარი ნაკლი არ უნდა ჰქონდეს მას.

²²ბრმა ან სახიჩარი, ან დასერილი, ან დაზღმურდღული, ან ქეციათი არ შესწიროთ უფალს, და საცეცხლო მსხვერპლად არ მისცეთ ისინი საკურთხეველზე უფლისათვის.

²³მოზვერი ან კრავი, რომელსაც მეტისმეტად გრძელი ან მოკლე ფეხები აქვს, შეგიძლიათ საკლავად შესწიროთ, ხოლო აღთქმისათვის კი სამწყალოვნო არ იქნება.

²⁴და პირუტყვი, რომელსაც აქვს გაჭყლეტილი, გასრესილი, მოგლეჯილი ან ჩამოხეული ყვერები არ შესწიროთ უფალს. თქვენს ქვეყანაში არ გააკეთოთ ეს.

²⁵არც უცხოელის ხელიდან არ შესწიროთ თქვენს ღმერთს ასეთები, რადგან ნაკლი აქვთ. არ დამწყალობდებით.

²⁶და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²⁷ხბო, კრავი ან თიკანი რომ დაიბადოს, შვიდი დღე იყოს დედასთან, მერვე დღიდან და მერე კი სათნოა უფლისთვის საცეცხლო მსხვერპლად.

²⁸ნახირის ან ფარის პირუტყვი არ დაკლათ თავის ნაშობთან ერთად ერთ დღეს.

²⁹როდესაც შესწირავთ სამადლობელო მსხვერპლს უფალს, შესწირეთ იგი ისე, რომ სამწყალოვნო იყოს ეს თქვენთვის.

³⁰იმავე დღეს შეიჭამოს იგი, არ დატოვოთ მისგან დილამდე; მე ვარ უფალი.

³¹დაიცავით ჩემი მცნებები და აღასრულებთ ისინი; მე ვარ უფალი.

³²არ წაბილწოთ ჩემი წმიდა სახელი, რათა მე ვიყო ისრაელიანთა შორის წმიდა; მე ვარ უფალი, თქვენი გამომედი,

³³თქვენი გამომყვანი ეგვიპტის ქვეყნიდან, რათა ვიყო თქვენთვის ღმერთი; მე ვარ უფალი.

ლევიანნი 23

¹და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:



²დაელაპარაკე ისრაელიანთ და უთხარი მათ: ეს არის უფლის დღესასწაულები, რომლებსაც თქვენ უნდა უწოდოთ წმიდა შეკრებილობები; ეს არის ჩემი დღესასწაულები.

³ექვსი დღე აკეთე საქმე და მეშვიდე დღე კი შაბათია, დღე სრული დასვენებისა, წმიდა შეკრებილობისა. არავითარი საქმე არ აკეთოთ. ეს არის უფლის შაბათი ყველგან, სადაც თქვენ ცხოვრობთ.

⁴ესენია უფლის დღესასწაულები, წმიდა შეკრებილობები, რომლებიც უნდა გამოაცხადოთ თავ-თავის დროზე:

⁵პირველი თვის მეთოთხმეტე დღეს დაბინდებისას – უფლის პასექია.

⁶და ამავე თვის მეთხუთმეტე დღეს უფუარობის დღესასწაულია უფლისათვის; შვიდი დღე ჭამეთ უფუარი.

⁷პირველ დღეს წმიდა შეკრებილობა გქონდეთ. არავითარი საქმე არ აკეთოთ.

⁸მხარტვით უფალს საცეცხლო მსხვერპლი შვიდი დღის განმავლობაში. მეშვიდე დღეს კი კვლავ წმიდა შეკრებილობა გქონდეთ; არავითარი საქმე არ აკეთოთ.

⁹უთხრა უფალმა მოსეს:

¹⁰მიმართე ისრაელიანთ და უთხარი მათ: როცა მიხვალთ იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გაძლევთ, და მომკით იქ სამკალს, თქვენი სამკალის პირველი ძნა მღვდელს მხარტვით.

¹¹და აღმართავს იგი ძნას უფლის წინაშე თქვენი წყალობისათვის. ეს გააკეთოს მღვდელმა ახლო შაბათის მეორე დღეს.

¹²შესწირეთ ძნის აღმართვის დღეს უმანკო წელგამოვლილი კრავი სრულადდასაწველად უფლისთვის,

¹³და მასთან პურეულის ძღვენი: ეგის ორი მეთათედი ხორბლის გამტკიცული ფქვილი, ზეთში აზელილი, უფლისთვის საცეცხლო შესაწირად, კეთილსურნელებად და მასთან ერთად ჰინის მეოთხედი საღვრელი ღვინო.

¹⁴არ ჭამოთ არც პური, არც მოხალული და არც ახალი მარცვლეული იმ დღემდე, ვიდრე არ მხარტმევთ ამ ძღვენს თქვენს ღმერთს. ეს არის საუკუნო წესი თაობიდან თაობამდე, ყოველ თქვენს საცხოვრებელში.

¹⁵გადართვალეთ დღესასწაულის მეორე დღიდან, თქვენს მიერ აღმართვის ძნის მიტანის დღიდან, შვიდი სრული კვირა.

¹⁶ორმოცდამეთათე დღეს – იმ დღეს, რომელიც მოსდევს მეშვიდე შაბათს, მხარტვით უფალს ახალი პურეულის ძღვენი.



¹⁷თქვენ-თქვენი საცხოვრებლებიდან მიიტანეთ ორ-ორი პური აღსამართავად, რომელიც ეფის ორი მეათედი წმიდა პურის გამტკიცული ფქვილისგან უნდა იყოს გამომცხვარი და საფუარით გაფუებული, როგორც პირველნაყოფი უფლისათვის.

¹⁸შესწირეთ პურის გარდა შვიდი წელგამოვლილი კრავი, უმანკო, და ერთი მოზვერი, და ორიც ვერძი – ეს იქნება სრულადდასაწველი უფლისათვის, და პურეულის ძღვენი და მასთან ერთად საღვრელი, საცეცხლო მსხვერპლად, უფლისათვის კეთილსურნელებად.

¹⁹და მოამზადეთ ერთი თიკანი ცოდვის მსხვერპლად და ორი წელგამოვლილი კრავი სამშვიდობო მსხვერპლად.

²⁰მღვდელმა უნდა მიიტანოს ის და შეარხოს უფლის წინაშე, პირველნაყოფთა შესარხევ პურთან და კრავთან და თიკანთან ერთად, ეს იქნება უფლისათვის სიწმიდე; ის მის მიმტან მღვდელს ეკუთვნის.

²¹მოიწვიეთ ხალხი ამ დღეს. წმიდა შეკრებილობა იყოს თქვენთვის. არავითარი საქმე არ გააკეთოთ. ეს არის საუკუნო წესი თქვენს ყოველ საცხოვრებელში თქვენს თაობიდან თაობამდე.

²²და როცა მომკით თქვენი მიწისას სამკალს, არ მომკოთ თქვენი ყანის კიდემდე, და თქვენს ნამკალში ჩაბნეული თავთავი არ აკრიფოთ: ღარიბს და ხიზნებს დაუტოვეთ; მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.

²³და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²⁴უთხარი ისრაელიანთ: მეშვიდე თვეს, თვის პირველი დღე იყოს თქვენთვის დასვენების დღე, ბუკისცემის გახსენების დღე – წმიდა შეკრებილობილობა.

²⁵არავითარი საქმე არ გააკეთოთ და შესწირეთ საცეცხლო მსხვერპლი უფალს.

²⁶და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²⁷ამ მეშვიდე თვის მეათე დღეს, შენდობის დღეს, წმიდა შეკრებილობა გქონდეთ. დაიმდაბლეთ სული, და შესწირეთ საცეცხლო მსხვერპლი უფალს.

²⁸არავითარი საქმე არ აკეთოთ თვის ამ დღეს, რადგან შენდობის დღეა თქვენს შესანდობად უფლის, თქვენი ღმერთის, წინაშე.

²⁹ხოლო ყოველი, ვინც არ დაიმდაბლებს თავს ამ დღეს, მოისპობა თავისი ხალხიდან.



³⁰და ყველას, ვინც გააკეთებს რაიმე საქმეს ამ დღეს, მოვსპობ მისი ხალხის წიაღიდან.

³¹არავითარი საქმე არ გააკეთოთ. ეს უნდა იყოს საუკუნო წესად თქვენს თაობიდან თაობამდე, ყველგან, სადაც თქვენ ცხოვრობთ.

³²ეს არის დასვენების შაბათი თქვენთვის, და დაიმდაბლეთ თავი. თვის მეცხრე დღეს საღამოს; საღამოდან მომდევნო საღამომდე იუქმეთ თქვენი შაბათი.

³³და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

³⁴უთხარი ისრაელიანთ: ამავე მეშვიდე თვის მეთხუთმეტე დღეს კარვობის დღესასწაულია, შვიდი საუფლო დღის განმავლობაში.

³⁵პირველ დღეს წმიდა შეკრებილობაა. არავითარი საქმე არ გააკეთოთ.

³⁶შვიდი დღე სწირეთ საცეცხლო მსხვერპლი უფალს; მერვე დღეს წმიდა შეკრებილობა გქონდეთ და შესწირეთ საცეცხლო მსხვერპლი უფალს. სადღესასწაულო ზეიშია ეს, არავითარი საქმე არ გააკეთოთ ამ დღეს.

³⁷ესენია უფლის დღესასწაულები, რომლებიც თქვენ უნდა დანიშნოთ წმიდა შეკრებილობებისათვის, რათა საცეცხლო მსხვერპლი მიართვათ უფალს; სრულადდასაწველი, პურეულის ძღვენი, საკლავი მსხვერპლები და საღვრელი – თითოეული თავის დღეს,

³⁸გარდა საუფლო შაბათებისა, გარდა თქვენი ძღვენისა, გარდა შეთქმული შესაწირავისა და გარდა ნებაყოფლობითი მისატანისა, რომელიც უფალთან მოგაქვთ ხოლმე.

³⁹ხოლო მეშვიდე თვის მეთხუთმეტე დღეს, როცა თქვენ აიღებთ მიწის მოსავალს, იდღესასწაულეთ უფლის დღესასწაული შვიდ დღეს. პირველ დღეს დასვენებაა და მერვე დღესაც დასვენებაა.

⁴⁰აიღეთ თქვენთვის პირველ დღეს ნაყოფი კეთილი ხისა, ფინიკის, ტირიფისა და ძეწნის რტოები, და იმხიარულეთ უფლის, თქვენი ღმერთის წინაშე შვიდი დღე.

⁴¹და იდღესასწაულეთ ეს დღესასწაული უფლისათვის წელიწადში შვიდ დღეს. ეს საუკუნო წესია თქვენს თაობიდან თაობამდე. მეშვიდე თვეში იდღესასწაულეთ იგი.

⁴²კარვებში იცხოვრეთ შვიდი დღე. ისრაელის ყოველმა მკვიდრმა იცხოვროს კარავში,



⁴³რათა იცოდნენ თქვენმა თაობებმა, რომ კარვებში დავამკვიდრე ისრაელის პენი, როცა გამოვიყვანე ისინი ეგვიპტის ქვეყნიდან; მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.

⁴⁴ასე გამოუცხადა მოსემ უფლის დღესასწაულების შესახებ ისრაელის ძეთ.

ლევიაწი 24

¹ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²უბრძანე ისრაელის ძეთ და მოგართვან შენ წმიდად გამოხდილი ზეითუნის ზეთი, ლამპრის ასანთებად, რომ განუწყვეტლივ ენთოს ლამპარი.

³აარონმა დადგას იგი მოწმობის კიდობნის ფარდის გარეთ საკრებულო კარავში დადგას იგი აარონმა, რათა ის სადამოდან დილამდე გაუქრობლად ენთოს უფლის წინაშე; ესაა საუკუნო წესი თქვენს თაობიდან თაობამდე.

⁴წმიდა სალამპრეზე განალაგოს მან ლამპრები, რათა უფლის წინაშე მუდმივად ანათებდენ.

⁵აილე გამტკიცული ფქვილი და გამოაცხვე მისგან 12 კვერი. ეფის ორი მეთედი იყოს თითო კვერი.

⁶და დააწყვე ისინი უფლის წინაშე ორ წყებად, ექვს-ექვსი თითო წყებაში, წმიდა მაგიდაზე.

⁷დადე თითოეულ წყებაზე სუფთა საკმეველი. და იქნება პურთან ერთად სამახსოვრო შესაწირავი, საცეცხლო მსხვერპლი უფლისათვის.

⁸შაბათობით უნდა ჰქონდეთ დაწყობილი მუდმივად უფლის წინაშე. ეს არის საუკუნო აღთქმა ისრაელიანთაგან.

⁹ეს იყოს აარონისა და მის ძეთათათვის, და მათ უნდა ჰქონდეს ის წმიდა ადგილზე, რადგან ეს უწმიდესია მისთვის უფლის საცეცხლო მსხვერპლთაგან. ეს საუკუნო წესია.

¹⁰და გამოვიდა ისრაელის ძეთა შორის ისრაელიანი ქალის ძე, და იყო იგი ძე ეგვიპტელი კაცისა, და წაეჩხუბა ბანაკში ისრაელიანი ქალის ძე ისრაელიან კაცს.

¹¹და დაწყევლა ისრაელიანი ქალის ძემ უფლის სახელი და მიიყვანეს იგი მოსესთან (და სახელი მისი დედისა იყო შელომითი, ასული დიბრისა, დანის ტომიდან).

¹²და ჩასვეს ის საპყრობილეში, რომ განეკითხათ უფლის ბრძანებისამებრ.



¹³და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

¹⁴გაიყვანე დამაწყევარი ბანაკს გარეთ, და ყველამ, ვინც კი მოისმინა, დაადოს მას ხელი თავზე, და ჩაქოლოს მთელმა თემმა.

¹⁵უთხარი ისრაელიანთ: ყველა, ვინც დაწყევლის ღმერთს, ცოდვას ჩაიდენს.

¹⁶და ვინც დაგმობს უფლის სახელს, სიკვდილით მოკვდეს. ქვის ჩაქოლვით ჩაქოლოს ის მთელმა თემმა. როგორც ხიზანი, ასევე მკვიდრი, უფლის სახელის გმობისათვის უნდა მოკვდეს!

¹⁷თუ ვინმე ცემით მოკლავს კაცს, სიკვდილით მოკვდეს იგი.

¹⁸პირუტყვის სასიკვდილოდ მცემელმა, უნდა ზღოს იგი: პირუტყვი პირუტყვის წილ.

¹⁹თუ ვინმე დაასახიჩრებს თავის მოყვასს, როგორც მან გააკეთა, ეგრევე უყონ მას.

²⁰მოტეხილი მოტეხილის წილ, თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ; როგორც ის დაასახიჩრებს ვინმეს, ისიც ისე დაასახიჩრონ.

²¹პირუტყვის მოკვლელმა უნდა ზღოს იგი, ხოლო ადამიანის მკვლელი უნდა მოკვდეს.

²²ერთი სამართალი გქონდეთ როგორც ხიზნისთვის, ასევე მკვიდრისთვის, რადგან მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.

²³ეს უთხრა მოსემ ისრაელის ძეთ. და გაიყვანეს დამაწყევარი ბანაკს გარეთ და ქვით ჩაქოლეს. ისე გააკეთეს ისრაელიანებმა, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

ლევიანნი 25

¹ელაპარაკებოდა უფალი მოსეს სინაის მთაზე და უთხრა:

²მიმართე ისრაელიანთ და უთხარი: როცა მიხვალთ იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გაძლევთ, დაისვენოს მიწამ უფლის შაბათს;

³ექვსი წელი თესე შენი ყანა და ექვსი წელი სხალი შენი ვენახი, და აილე მოსავალი,

⁴მეშვიდე წელი კი დასვენების შაბათი იყოს მიწისთვის, შაბათი უფლისა: ყანა არ დათესო და ვენახი არ გასხლა;

⁵შენს სამკალზე თავისით ამოსული არ მომკა და ყურძენი შენი გაუსხლავი ვაზისა არ მოისთვლა; ეს წელიწადი დასვენებისა იყოს მიწისათვის.



⁶და იყოს ის თქვენს საჭმელად, რასაც მოგცემთ მიწა შაბათის წელიწადს, შენთვის და შენი მონისთვის, და შენი მხევლისთვის, და შენი მოჯამაგირისთვის, და შენი ხიზნისთვის, რომლებიც შემოხიზნული არიან შენთან.

⁷მთელი მიწის ნაყოფი იყოს საკვებად შენი პირუტყვისა და ნადირისთვის, რომლებიც შენს მიწაზე დადიან.

⁸გადაითვალე შვიდი შაბათობის წელი, შვიდჯერ შვიდი წელი, და იყოს დრო ამ შვიდი შაბათობის წლებისა 49 წელი.

⁹დაჰკარი ბუკს მეშვიდე თვის მეათე დღეს, შენდობის დღეს ბუკისცემით აუწყე მთელ თქვენს ქვეყანას;

¹⁰და წმიდა ჰყავით ორმოცდამეათე წელი და გაათავისუფლეთ ქვეყანაში ყველა მისი მცხოვრები. ზეიმი იყოს ეს თქვენთვის. ყველანი თქვენ-თქვენს სამკვიდრებელს დაუბრუნდით. თქვენ-თქვენს სანათესაოს დაუბრუნდით ყველანი.

¹¹საიუბილეო იყოს თქვენთვის ეს ორმოცდამეათე წელი: არ თესოთ და არც მომკათ, რაც თავისით ამოვა, და არ დაკრიფოთ ყურძენი გაუსხლავი ვაზიდან.

¹²რადგან ეს იუბილეა: წმიდა იყოს ის თქვენთვის; ველიდან ჭამეთ მისი ნაყოფი.

¹³ამ საიუბილეო წელს თითოეული დაუბრუნდით საკუთარ სამკვიდრებელს.

¹⁴და თუ მიჰყიდი რამეს შენს თვისტომს, ან იყიდი რამეს შენი თვისტომისაგან, ნუ მოატყუებთ ერთმანეთს.

¹⁵იუბილის შემდგომი წლების ანგარიშით იყიდე შენი თვისტომისგან, და მოსავლის აღების წლების ანგარიშით უნდა მოგყიდოს.

¹⁶რაც უფრო მეტი იქნება ეს წლები, მით უფრო გაზარდე ფასი, და რაც უფრო ნაკლები იქნება ეს წლები, მით უფრო შეამცირე ფასი, რადგან მოსავლის აღების ანგარიშით მოგყიდის.

¹⁷ნუ მოატყუებთ ერთმანეთს; გეშინოდეს შენი ღმერთისა, რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი.

¹⁸აღასრულეთ ჩემი წესები, და დაიცავით ჩემი სამართალი და აღასრულეთ ის, და იცხოვრებთ ქვეყანაზე მშვიდად;

¹⁹რადგან მოგცემთ მიწა თავის ნაყოფს, და შეჭამთ ძღომაზე, და იცხოვრებთ მშვიდად მასზე.



- ²⁰თუ იკითხავთ: რა ვჭამოთო მეშვიდე წელს, თუ არ დავთესავთ და არ ავიღებთო მოსავალს?
- ²¹მე მოვავლენ ჩემს კურთხევას თქვენზე მეექვსე წელს, და იგი მოგცემთ სამი წლის მოსავალს.
- ²²და დათესავთ მერვე წელს, მაგრამ შეჭამთ ძველი მოსავლიდან მეცხრე წლამდე. ვიდრე მოიწევა მისი მოსავალი, ჭამეთ ძველი.
- ²³მიწა არ გაიყიდოს სამუდამოდ, რადგან მიწა ჩემია. თქვენ ხომ ჩემი ხიზნები ხართ.
- ²⁴თქვენს სამკვიდრებელ მიწაზე მიწის გამოსყიდვის ნება დართეთ.
- ²⁵თუ გაღარიბდება შენი ძმა და გაყიდის თავის სამკვიდრებელს, მივიდეს მისი ახლო ნათესავი მასთან და გამოისყიდოს მისი ძმის მიერ გაყიდული.
- ²⁶თუ მას გამომსყიდველი არა ჰყავს, მაგრამ შემდეგ მიეცემა შესაძლებლობა და თვით ჰპოვებს გამოსყიდვის საშუალებას,
- ²⁷გამოითვალოს გაყიდვიდან გასული წლები და დაუბრუნოს ნამეტი იმას, ვისაც მიჰყიდა, და თავისი სამკვიდრებელი ჩაიბაროს.
- ²⁸თუ ხელი არ მიუწვდა იმაზე, რამდენიც უნდა დაუბრუნოს მას, მის მიერ გაყიდული მიწა დარჩება მყიდველის ხელში საიუბილეო წლამდე, ხოლო საიუბილეო წელს ჩამოერთმევა მას და დაუბრუნდება თავის ძველ პატრონს.
- ²⁹თუ ვინმე გაყიდის საცხოვრებელ სახლს გალავნიან ქალაქში, მისი გამოსყიდვა ნებადართულია გაყიდვიდან იმ წლის დასასრულამდე. ერთი წლის განმავლობაში გამოსყიდვის ნება აქვს.
- ³⁰თუ არ იქნა გამოსყიდული წლის დასასრულამდე, სახლი, რომელიც გალავნიან ქალაქშია, სამუდამოდ დარჩება მის მყიდველს და მის მოდგმას, არ ჩამოერთმევა მას საიუბილეო წელს.
- ³¹მაგრამ სოფლის სახლები, რომლებსაც არა აქვთ გალავანი, უნდა ჩაითვალოს იქაური მინდვრის თანაბრად: დასაშვებია მათი გამოსყიდვა და საიუბილეო წელს ისინი უბრუნდება ძველ პატრონს.
- ³²ხოლო სახლები, რომლებიც ლევანთა კუთვნილ ქალაქებშია, ყოველთვის შეიძლება გამოსყიდულ იქნას ლევანთა მიერ.
- ³³თუ ლევანთაგან ვინმე არ გამოისყიდის, გაყიდული სახლი მათ სამფლობელო ქალაქში გადავა საიუბილეო წლისთვის, რადგან ლევანთა ქალაქების სახლები მათ სამკვიდრებლად მიიღეს ისრაელიანთა შორის.



³⁴მათი ქალაქების მიმდებარე მინდვრები არ გაიყიდება, რადგან ეს მათი საუკუნო სამკვიდრებელია.

³⁵თუ შენი მოძმე შენს გვერდით გადარიბდება და ფეხზე ვეღარ დადგება, დაეხმარე მას, ხიზანია იგი თუ ახალმოსახლე, და იცხოვროს შენთან.

³⁶არ აიღო მისგან ვახში და სარგებელი და გეშინოდეს შენი ღმერთისა; და იცხოვროს შენმა მოძმემ შენთან.

³⁷შენი ვერცხლი არ მისცე მას ვახშით და სარგებლით არ მისცე შენი პური.

³⁸მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტის ქვეყნიდან, რათა მოგცეთ ქანაანის ქვეყანა და ვიყო თქვენი ღმერთი.

³⁹თუ გადარიბდება შენი მოძმე და მოგეყიდება შენ, არ დაიმონო იგი მონური შრომით.

⁴⁰როგორც დაქირავებული, როგორც ხიზანი იყოს ის შენთან; საიუბილეო წლამდე იმუშაოს შენთან,

⁴¹ხოლო შემდეგ გავიდეს შენგან თვითონ და ძენი მისნი მასთან ერთად. და დაუბრუნდეს თავის საგვარეულოს, და თავის მამათა სამკვიდრებელს კვლავ დაეუფლოს.

⁴²რადგან ისინი ჩემი მონები არიან, რომელნიც გამოგიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან. არ უნდა გაიყიდონ ისინი, როგორც მონები იყიდებიან.

⁴³არ გაბატონდე მათზე სისასტიკით და გეშინოდეს შენი ღმერთისა.

⁴⁴შენი მონა და შენი მხევალი, რომლებიც გყავს, თქვენს გარშემო მყოფ ხალხებიდან იყვნენ; მათგან იყიდეთ მონა-მხევლები;

⁴⁵და აგრეთვე ხიზანთა შვილებისგან, რომლებიც ხიზნობენ თქვენთან, მათგან იყიდეთ და მათი საგვარეულოსგან, რომლებიც თქვენთანაა, რომელნიც დაიბადნენ თქვენს ქვეყანაში, და ისინი იქნებიან თქვენი საკუთრება.

⁴⁶მემკვიდრეობით შეგიძლიათ გადასცეთ ისინი თქვენს შვილებს თქვენს შემდეგ საკუთარ სამკვიდროდ, საუკუნოდ დაიმონებთ მათ. ხოლო თქვენს მოძმეებში, ისრაელიანთა შორის, არავინ მბრძანებლობდეს ერთმანეთზე სისასტიკით.

⁴⁷თუ მწირი ან ხიზანი ქონებას შეიძენს შენთან, და შენი მოძმე გადარიბდება მის წინაშე და მიეყიდება მწირს, შენს ხიზანს, ან მწირის საგვარეულოს შთამომავალს,

⁴⁸გაყიდვის შემდეგ შეიძლება მისი გამოსყიდვა, ერთ-ერთმა მის მოძმეთაგანმა გამოსყიდოს ის,



⁴⁹ან ბიძამისმა, ან მისმა ბიძაშვილმა გამოისყიდოს ის; ან ვინმემ მისი სანათესაოდან უნდა გამოისყიდოს ის; ან, თუ შესაძლებლობა მიეცემა, თავად გამოისყიდოს თავი.

⁵⁰უანგარიშოს თავის მყიდველს იმ წლიდან, როდესაც მიეყიდა, საიუბილეო წლამდე. და ვერცხლი მისი ნასყიდობისა განაწილდეს წლების რიცხვზე. როგორც დროებით დაქირავებული, ისე იყოს მასთან.

⁵¹თუ კიდევ რჩება მრავალი წელი, მაშინ მათი რაოდენობის მიხედვით დააბრუნოს თავისი ნასყიდობის ვერცხლი.

⁵²და თუ მცირე ხანი დარჩა საიუბილეო წლამდე, მაშინ დაითვალოს წელთა რაოდენობა და მის მიხედვით დააბრუნოს თავისი გამოსასყიდი.

⁵³როგორც დაქირავებული, ისე იყოს იგი მასთან წლიდან წლამდე, და არ მბრძანებლობდნენ მასზე სისასტიკით შენს თვალწინ.

⁵⁴და თუ არ იქნა გამოსყიდული ამგვარად, მაშინ საიუბილეო წელს გავიდეს თავისუფალი თვითონ და მისი შვილები მასთან ერთად,

⁵⁵რადგან ჩემი მოწიები არიან ისრაელიანები; ისინი ჩემი მოწიები არიან, რომელნიც მე გამოვიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან. მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.

ლევიაწი 26

¹არ გაიკეთოთ კერპები, და ქანდაკებები და სვეტები არ აღიმართოთ, და გამოსახულებიანი ქვა არ დადგათ თქვენს ქვეყანაში სათაყვანოდ, რადგან მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.

²ჩემი შაბათები დაიცავით და მოწიწებით მოეპყარით ჩემ საწმიდარს. მე ვარ უფალი.

³თუ ივლით ჩემი წესებით და ჩემს მცნებებს დაიცავთ და აღასრულებთ,

⁴მე მოგივლენთ წვიმებს დროულად და მიწა გამოიღებს მოსავალს, და ხე ბალ-ვენახთა მოგცემთ თავის ნაყოფს,

⁵რთვლობამდე გასტანს თქვენი კალოობა, და რთვლობა – ხვნა-თესვამდე; და შეჭამთ თქვენს პურს მამდრისად, და იცხოვრებთ მშვიდად თქვენს ქვეყანაში.

⁶დავამყარებ მშვიდობას ქვეყანაში და მშვიდად და უშფოთველად დაწვებით. განვდევნი სასტიკ მხეცებს ქვეყნიდან. და მახვილი არ გადაივლის თქვენს ქვეყანაზე.



- ⁷განდევნით თქვენს მტრებს და დაეცემიან თქვენს წინაშე მახვილით.
- ⁸ხუთი თქვენგანი განდევნის ასს და ასი თქვენგანი – 10 ათასს, და დაეცემიან თქვენი მტრები თქვენს წინაშე მახვილით.
- ⁹მოგხედავთ თქვენ, და ნაყოფიერს გაგხდით და გაგამრავლებთ, და განვამტკიცებ ჩემს აღთქმას თქვენთან.
- ¹⁰ჭამეთ შარშან დაგროვილი, და გადაყარეთ ძველი, ახალს რომ მოკრებთ.
- ¹¹ჩემს სავანეს თქვენში დავიდგამ, და არ მოგიძულებთ თქვენ ჩემი სული.
- ¹²ვივლი თქვენს შორის და მე ვიქნები თქვენი ღმერთი, და თქვენ იქნებით ჩემი ხალხი.
- ¹³მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტის ქვეყნიდან, რათა არ ყოფილიყავით იქ მონები. მე დავწყვიტე აპეურები თქვენი უღლისა და წამოგიყვანეთ თავადმართულნი.
- ¹⁴თუ არ დამემორჩილებით და არ აღასრულებთ ყველა ამ მცნებებს,
- ¹⁵და თუ უკუაგებთ ჩემს წესებს, თუ ჩემს სამართალს შეიძულებთ, არ აღასრულებთ ჩემს ყოველ მცნებას და ჩემს აღთქმას დაარღვევთ,
- ¹⁶მეც ასევე მოგექცევით თქვენ: მოვავლენ თქვენზე საშინელებას, მღიერებას და ციებ-ცხელებას, რომელნიც ქანცავენ თვალებს და აწამებენ სულს. ამოდ დათესავთ თქვენს თესლს, რადგან თქვენი მტრები შეჭამენ მას.
- ¹⁷მოვაქცევ ჩემს სახეს თქვენსკენ და განიგმირებით თქვენი მტრების წინაშე, და იბატონებენ თქვენზე თქვენი მოძულენი, და გაიქცევით, თუმცა მადევარი არ გეყოლებათ.
- ¹⁸და თუ მაინც არ გამიგონებთ, შვიდჯერ გავზრდი სასჯელს თქვენი ცოდვების გამო.
- ¹⁹გავტეხავ თქვენი სიჯიუტის ძალას, რკინად ვაქცევ თქვენს ცას და სპილენძად – თქვენს მიწას,
- ²⁰ფუჭად დაილევა თქვენი ძალ-ღონე, რადგან არ გამოიღებს თქვენი მიწა თავის მოსავალს, და ხე თქვენი მიწისა არ გამოიღებს თავის ნაყოფს.
- ²¹და თუ მაინც წამოხვალთ ჩემს წინააღმდეგ და არ მომისმენთ, შვიდმაგად გავზრდი თქვენს გვემას თქვენი ცოდვების გამო.
- ²²მოგისევთ ველის ნადირს, რომლებიც მოსპობენ თქვენს შვილებს, და ამოგიწყვეტენ საქონელს, გამოგლევენ და გაუკაცრიელდება თქვენი გზები.
- ²³და თუ ამითაც არ გამოსწორდებით და განაგრძობთ წინააღმდეგობას,



- ²⁴მეც ვიქნები თქვენს წინააღმდეგ და გგვემთ შვიდმაგად თქვენი ცოდვების გამო.
- ²⁵მოვავლენ თქვენზე შურისმგებელ მახვილს აღთქმის შურისგებისათვის. და თუ დაიმალებით თქვენს ქალაქებში, მაშინ მოვავლენ შავ ჭირს თქვენში და მტრის ხელში ჩაგვივდებით.
- ²⁶ისე გაგიქრობთ პურის სახსარს, რომ ათი ქალი გამოაცხოვს თქვენთვის პურს ერთ თონეში, წონით მოგცემენ თქვენს პურს, ჭამთ და ვერ გაძლებით.
- ²⁷და თუ ამის შემდეგაც არ გამიგონებთ და იქნებით ჩემს წინააღმდეგ,
- ²⁸მეც წამოვალ სისასტიკით თქვენს წინააღმდეგ და დაგსჯით შვიდმაგად თქვენი ცოდვების გამო.
- ²⁹თქვენი ვაჟებისა და ასულების ხორცს შეჭამთ.
- ³⁰გავანადგურებ თქვენს მაღლობებს+ და დავაქცევ თქვენი მზის კერპებს, და დავყრი თქვენს გვამებს თქვენს დამსხვრეულ კერპებზე, და შეგიძულეხთ ჩემი სული.
- ³¹უდაბნოდ ვაქცევ თქვენს ქალაქებს, და ავაოხრებ თქვენს საკურთხევლებს, და აღარ ვიყნოსავ თქვენს მსხვერპლთა კეთილსურნელებას.
- ³²ავაოხრებ თქვენს ქვეყანას ისე, რომ გაოგნდებიან იქ ჩასახლებული თქვენი მტრები;
- ³³გაგფანტავთ ხალხებს შორის და ვიშიშვლებ მახვილს თქვენს კვალდაკვალ; გადაიქცევა თქვენი ქვეყანა უდაბნოდ და თქვენი ქალაქები – ნანგრევებად.
- ³⁴მაშინ აინაზღაურებს თავის შაბათებს მიწა უკაცრიელების ჟამს; და როცა თქვენი მტრების ქვეყანაში იქნებით, მაშინ დაისვენებს მიწა და იკმარებს თავის შაბათებს.
- ³⁵თავისი უკაცრიელების ჟამს დაისვენებს იმდენს, რამდენიც არ დაუსვენია თქვენს შაბათებში, როცა თქვენ მკვიდრობდით იქ.
- ³⁶და ვინც თქვენგან გადარჩება, გულებში შთავნერგავ სიმხდალეს მათი მტრების ქვეყანაში, და ფოთლის შრიალის ხმაც კი შეაშინებს მათ, და გაიქცევიან, როგორც გაურბიან მახვილს, და დაეცემიან, როცა არავინ იქნება მათი მადევარი.
- ³⁷ერთმანეთზე წაიბორძიკებენ, როგორც მახვილისაგან გაქცეულნი, თუმცა მდევნელი არავინ იქნება. და არ გექნებათ ძალა, რომ გაუძლოთ თქვენს მტერს.
- ³⁸დაილუპებით ხალხთა შორის და შთავნთქავთ მიწა თქვენი მტრებისა.



³⁹და თქვენგან გადარჩენილნი ჩამოხმებიან თავიანთი ცოდვებისაგან თქვენი მტრების ქვეყანაში, და თავიანთი მამების ცოდვების გამო ჩამოხმებიან.

⁴⁰და აღიარებენ თავიანთ დანაშაულს და თავიანთი მამების ბრალს, რომ მიმუხთლეს, და რომ წავიდნენ ჩემს წინააღმდეგ.

⁴¹და მეც წავალ მათ წინააღმდეგ, და მივიყვან მათ მათი მტრების ქვეყანაში. მაშინ დაითრგუნება მათი წინადაუცვეთელი გული, მაშინ იგემებენ ისინი თავიანთ დანაშაულს.

⁴²და გავიხსენებ ჩემს აღთქმას იაკობთან, და ჩემს აღთქმას ისააკთან, და ჩემს აღთქმას აბრაამთან, და ამ ქვეყანასაც გავიხსენებ,

⁴³როცა მიწა მიტოვებული იქნება მათგან და დაკმაყოფილდება თავისი შაბათებისთვის მათგან გაუკაცრიელების ჟამს, და იგემებენ თავიანთ დანაშაულს, რადგან სამართალი უკუაგდეს და ჩემი წესები მოიძულეს.

⁴⁴და მაინც, მტრების ქვეყანაში მათი ყოფნისას არ მოვიბეზრებ და არ მოვიძულებ მათ იმ ზომამდე, რომ სრულიად მოვსპო ისინი და დავარღვიო ჩემი აღთქმა მათთან, რადგან მე ვარ უფალი, მათი ღმერთი.

⁴⁵და გავიხსენებ აღთქმას მათ წინაპრებთან, რომლებიც გამოვიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან ხალხების თვალწინ, რათა ვიყო მათი ღმერთი; მე ვარ უფალი.

⁴⁶ესაა წესები და სამართალი და რჯული, რომელიც დაადგინა უფალმა ისრაელიანთა და მის შორის სინაის მთაზე, მოსეს მეშვეობით.

ლევიაწნი 27

¹და ელაპარაკებოდა უფალი მოსეს და უთხრა:

²გამოუცხადე ისრაელიანთ და უთხარი: თუ ვინმე ასრულებს უფლისადმი მიცემულ აღთქმას, უნდა გადაიხადოს ადამიანის სიცოცხლის ღირებულებით,

³შენი შეფასებით 20 წლიდან 60 წლამდე მამაკაცის ფასი უნდა იყოს 50 შეკელი ვერცხლი, საწმიდრის შეკელით.

⁴და თუ ქალია, შენი შეფასება იყოს 30 შეკელი.

⁵თუ ხუთი წლიდან ოც წლამდეა, შენი შეფასება მამაკაცისთვის იყოს 20 შეკელი, ხოლო ქალისთვის 10 შეკელი.



- ⁶და თუ ერთი თვიდან ხუთ წლამდეა, შენი შეფასება ბიჭისათვის იყოს ვერცხლის ხუთი შეკელი, ხოლო გოგოსთვის ვერცხლის სამი შეკელი.
- ⁷და თუ 60 წლისაა, ან უფრო მეტის, თუ მამაკაცია, შენი შეფასებით იყოს 15 შეკელი, ქალისთვის კი 10 შეკელი.
- ⁸თუ ღარიბია აღმოჩენილი და არ ძალუძს გადახდა შენი შეფასების მიხედვით, წარუდგინონ მღვდელს და ის შეაფასებს. აღთქმის დამდების ქონების შესაბამისად შეაფასოს მღვდელმა.
- ⁹თუ ეს პირუტყვია, რასაც სწირავენ მსხვერპლად უფალს, ყველა შესაწირი წმიდა იყოს.
- ¹⁰არ შეიძლება შეიცვალოს იგი, არ იქნება შენაცვლება კარგისა ცუდით, ან ცუდისა კარგით; და თუ შეცვლის, შეიცვალოს პირუტყვი პირუტყვით, მაშინ იგი და მისი სანაცვლო წმიდა იყოს.
- ¹¹თუ ეს რომელიმე უწმიდური პირუტყვია, რომელსაც არ სწირავენ მსხვერპლად უფალს, უნდა წარუდგინონ ეს უწმიდური პირუტყვი მღვდელს,
- ¹²შეაფასოს მან, კარგია თუ ცუდი, და როგორც შეაფასებს, ისე იყოს.
- ¹³თუ გამომსყიდველი გამოისყიდის მას, დაუმატოს მეხუთედი შენს შეფასებას.
- ¹⁴თუ ვინმე შესწირავს თავის სახლს სიწმიდედ უფალს, მღვდელმა შეაფასოს: კარგია თუ ცუდი, როგორც შეაფასებს მას მღვდელი, ისე იყოს.
- ¹⁵თუ შემწირველი თავის სახლს გამოისყიდის, დაუმატოს მეხუთედი ნაწილი ვერცხლისა შენს შეფასებას, და მისი იქნება.
- ¹⁶თუ ვინმე თავისი საკუთარი სამკვიდრებლიდან ყანას მიუძღვნის უფალს, შენი შეფასება მისი ნათესის შესაბამისი იყოს: ერთი ღომორი ქერის ნათესისთვის ვერცხლის 50 შეკელი.
- ¹⁷თუ საიუბილეო წლის წინ შეწირავს ვინმე თავის ყანას, მოხდეს შენი შეფასებისამებრ.
- ¹⁸თუ საიუბილეო წლის შემდეგ შეწირავს ვინმე თავის ყანას, მღვდელმა ვერცხლი დაიანგარიშოს საიუბილე წლამდე დარჩენილი წლების მიხედვით და გამოიქვითება მისი შეფასებიდან.
- ¹⁹და თუ მისი შემწირველი ყანას გამოსყიდვით გამოისყიდის, დაუმატოს ვერცხლის მეხუთედი ნაწილი შეფასებას და მას დარჩება ყანა.
- ²⁰თუ არ გამოისყიდა ყანა, ან თუ მიჰყიდა ყანა სხვა კაცს, შემდეგ ვეღარ გამოისყიდის.



²¹საიუბილეო წელს, როცა ყანა უბრუნდება მის პატრონს, ის იქნება უფლის სიწმიდე, მსგავსად დარისხებული ყანისა; ის გახდება მღვდლის სამემკვიდრეო სამფლობელო.

²²თუ ნაყიდ ყანას, რომელიც არაა მისი მფლობელობის ყანებიდან, ვინმე მიუძღვნის უფალს,

²³მაშინ მღვდელმა გამოუანგარიშოს მას შეფასების ოდენობა საიუბილეო წლამდე, და მისცეს ვერცხლი ამ შეფასების მიხედვით იმავე დღეს, როგორც სიწმიდე უფლისა.

²⁴საიუბილეო წელს კი უბრუნდება ყანა მას, ვისგანაც იყიდა, ვისაც ეკუთვნის იმ მიწის მფლობელობა.

²⁵ყოველი შენი შეფასება იყოს საწმიდრის შეკელით – 20 გერა იყოს შეკელში.

²⁶ხოლო პირველმოგებული პირუტყვისაგან, რომელიც პირმშოობით უკვე ეკუთვნის უფალს, მიძღვნა არავის არ შეუძლია: ნახირიდან იქნება თუ ფარიდან – უფლისაა.

²⁷თუ ეს უწმიდური პირუტყვია, მაშინ გამოსყიდული იქნება შენი შეფასებისამებრ და დაემატება მას მისი მეხუთედი ნაწილი. და თუ არ გამოისყიდება, მაშინ გაიყიდოს შენი შეფასებით.

²⁸ხოლო ყოველი დარისხებული, რომელიც უფლისთვის დაარისხა კაცმა თავისი საბადებლიდან – ადამიანი, თუ პირუტყვი, თუ თავისი წილხვედრი ყანა, ვერც გაიყიდება და ვერც გამოისყიდება. ყოველი დარისხებული წმიდათა წმიდაა, უფლისაა.

²⁹ყოველი დარისხებული, რაც დარისხებულია ადამიანისაგან, არ გამოისყიდება; სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

³⁰ყოველი მეათედი მიწიდან: მიწის თესლისაგან, ხის ნაყოფისაგან, უფლისაა ის. ეს სიწმიდეა უფლისა.

³¹თუ ვინმე მოინდომებს, რომ გამოისყიდოს თავისი მეათედი, მაშინ მიუმატოს მის ფასს მეხუთედი ნაწილი.

³²ყოველი მეათედი ნახირისა და ფარისა, ყოველი მეათე, რომელიც მწყემსის კომბლის ქვეშ გადის, უფლის სიწმიდეა,

³³არ გაირჩეს კარგი და ცუდი, და არ შეიცვალოს იგი. თუ ვინმე შეცვლით შეცვლის მას, ისიც და მისი სანაცვლოც წმიდა იქნება და არ გამოისყიდება.

³⁴ესაა მცნებანი, რომელნიც ამცნო უფალმა მოსეს ისრაელის ძეთათვის სინაის მთაზე.



რიცხვნი

რიცხვნი 1

¹ელაპარაკა უფალი მოსეს სინაის უდაბნოში, საკრებულო კარავში, მეორე თვის პირველ დღეს, ეგვიპტის ქვეყნიდან გამოსვლის მეორე წელს, და უთხრა:

²აღრიცხეთ ისრაელიანთა მთელი თემი მათი საგვარეულოების, მათი მამისახლების, მათი სახელების რიცხვის მიხედვით, ყოველი მამრი სათითაოდ,

³20 წლიდან და ზევით, ყოველი ლაშქარში გამსვლელი ისრაელიანი შენ და აარონმა აღრიცხეთ მათი ლაშქრების მიხედვით.

⁴თითოეული ტომიდან თქვენთან იყოლიეთ თითო კაცი, თითოეული თავისი მამისახლის თავკაცი.

⁵ეს არის სახელები იმ თავკაცებისა, რომელნიც იქნებიან თქვენთან ერთად: რეუბენიდან ელიცური, ძე შედეურისა;

⁶სიმეონიდან შელუმიელი, ძე ცურიშადაისა;

⁷იუდადან ნახშონი, ძე ყამინადაბისა;

⁸ისაქარიდან ნეთანელი, ძე ცუყარისა;

⁹ზებულუნიდან ელიაბი, ძე ხელონისა;

¹⁰იოსებიანთაგან: ეფრემიდან ელიშამაყი, ძე ყამიჰუდისა; მანაშედან გამალიელი, ძე ფედაცურისა;

¹¹ბენიამინიდან აბიდან, ძე გიდეონისა;

¹²დანიდან ახიყეზერი, ძე ყამიშადაისა;

¹³აშერიდან ფაგეყიელი, ძე ყოქრანისა;

¹⁴გადიდან ელიასაფი, ძე დეუელისა;

¹⁵ნაფთალიდან ახირაყი, ძე ყენანისა.

¹⁶ესენი იყვნენ არჩეულნი თემიდან, თავკაცი თავიანთი მამების შტოებისა, ისრაელის ათასისთავები.

¹⁷მოიყვანეს მოსემ და აარონმა ეს კაცები, რომლებიც სახელებით იყვნენ ჩამოთვლილი,



¹⁸და შეკრიბეს მთელი თემი მეორე თვის პირველ დღეს, და გამოაცხადეს მათ თავიანთი წარმომავლობა, მათი საგვარეულოების, მათი მამისსახლებისა და სახელთა რიცხვის მიხედვით, 20 წლიდან და ზევით, ყველანი სათითაოდ.

¹⁹როგორც უბრძანა უფალმა მოსეს, ისე აღრიცხა მან ისინი სინაის უდაბნოში.

²⁰სულ აღირიცხა რეუბენის, ისრაელის პირმშოს, შთამომავალთაგან მათი საგვარეულოების, მათი შტოებისა და მათი მამისსახლების მიხედვით, სახელთა რიცხვისამებრ, ყველა მამაკაცი სათითაოდ, 20 წლიდან და მათზე უფროსნი, ყოველი ლაშქარში გამსვლელი,

²¹რეუბენის ტომში აღირიცხა 46500.

²²სიმეონის ძეთაგან მათი საგვარეულოების, მათი შტოების, მათი მამისსახლების მიხედვით, სახელთა რიცხვისამებრ, სათითაოდ, ყოველი მამაკაცი 20 წლიდან და ზევით, ყოველი ლაშქარში გამსვლელი.

²³სიმეონის ტომში აღირიცხა 59300.

²⁴გადიანთაგან მათი საგვარეულოების, მათი შტოების, მათი მამისსახლების, მათი სახელების რიცხვის მიხედვით, 20 წლიდან და ზევით, ყოველი ლაშქარში გამსვლელი,

²⁵გადის ტომში აღირიცხა 45650.

²⁶იუდას ძეთაგან მათი საგვარეულოების, მათი შტოების, მათი მამისსახლების, მათი სახელების რიცხვის მიხედვით, 20 წლიდან და ზევით, ყოველი ლაშქარში გამსვლელი,

²⁷იუდას ტომში აღირიცხა 74600.

²⁸ისაქარიანთაგან მათი საგვარეულოების, მათი შტოების, მათი მამისსახლების, მათი სახელების რიცხვის მიხედვით, 20 წლიდან და ზევით, ყოველი ლაშქარში გამსვლელი,

²⁹ისაქარის ტომში აღირიცხა 54400.

³⁰ზებულუნთანაგან მათი საგვარეულოების, მათი ტომების, მათი მამისსახლების, მათი სახელების რიცხვის მიხედვით, 20 წლიდან და ზევით, ყოველი ლაშქარში გამსვლელი,

³¹ზებულუნის ტომში აღირიცხა 57400.

³²იოსების ძეთაგან: ეფრემის ძეთაგან მათი საგვარეულოების, მათი ტომების, მათი მამისსახლების, მათი სახელების რიცხვის მიხედვით, 20 წლიდან და ზევით, ყოველი ლაშქარში გამსვლელი,



³³ეფრემის ტომში აღირიცხა 40500.

³⁴მანაშეანთაგან მათი საგვარეულოების, მათი ტომების, მათი მამისსახლების, მათი სახელების რიცხვის მიხედვით, 20 წლიდან და ზევით, ყოველი ლაშქარში გამსვლელი,

³⁵მანაშეს ტომში აღირიცხა 32 200.

³⁶ბენიამინიანთაგან მათი საგვარეულოების, მათი შტოების, მათი მამისსახლების, მათი სახელების რიცხვის მიხედვით, 20 წლიდან და ზევით, ყოველი ლაშქარში გამსვლელი,

³⁷ბენიამინის ტომში აღირიცხა 35 400.

³⁸დანიანთაგან მათი საგვარეულოების, მათი შტოების, მათი მამისსახლების, მათი სახელების რიცხვის მიხედვით, 20 წლიდან და ზევით, ყოველი ლაშქარში გამსვლელი,

³⁹დანის ტომში აღირიცხა 62 700.

⁴⁰აშერიანთაგან მათი საგვარეულოების, მათი შტოების, მათი მამისსახლების, მათი სახელების რიცხვის მიხედვით, 20 წლიდან და ზევით, ყოველი ლაშქარში გამსვლელი,

⁴¹აშერის ტომში აღირიცხა 41 500.

⁴²ნაფთალიანთაგან მათი საგვარეულოების, მათი შტოების, მათი მამისსახლების, მათი სახელების რიცხვის მიხედვით, 20 წლიდან და ზევით, ყოველი ლაშქარში გამსვლელი,

⁴³ნაფთალის ტომში აღირიცხა 53 400.

⁴⁴ესენი არიან აღრიცხულნი, რომლებიც აღრიცხეს მოსემ და აარონმა და ისრაელის მთავრებმა – თორმეტმა კაცმა – თითო კაცმა თითო ტომიდან.

⁴⁵და ყველა აღრიცხული ისრაელიანი, მათი მამისსახლებიდან, 20 წლიდან და ზევით, ყოველი ლაშქარში გამსვლელი ისრაელიანი,

⁴⁶და მთლიანად აღრიცხული იყო 603550.

⁴⁷ლევიანები მათი მამის ტომების მიხედვით არ აღრიცხულან მათ შორის.

⁴⁸უთხრა უფალმა მოსეს:

⁴⁹მხოლოდ ლევის ტომი არ შეიტანო აღწერაში და არ აღრიცხო ისინი ისრაელიანთა შორის.

⁵⁰არამედ დაადგინე ლევიანები საკრებულო კარვის მსახურებაზე, მთელ მის აღჭურვილობასა და ყოველივეზე, რაც მასშია. მათ ატარონ კარავი და



მთელი მისი მოწყობილობა, და ემსახურონ მას, და კარვის გარშემო დაბანაკდნენ.

⁵¹როცა საჭირო იქნება კარვის გადატანა, დაშალონ იგი ლევიანებმა; და კარვის შეჩერებისას დადგან ის ლევიანებმა, უცხო კი, ვინც მას გაეკარება, მოიკლას.

⁵²დაიბანაკონ ისრაელიანებმა, თითოეულმა თავის ბანაკში და თითოეულმა თავის დროშასთან – თავ-თავისი ლაშქრის მიხედვით.

⁵³ლევიანებმა კი დაიბანაკონ საკრებულო კარვის გარშემო, რათა არ მოვიდეს რისხვა ისრაელიანთა თემზე, და იდგნენ ლევიანები საკრებულო კარვის დარაჯად.

⁵⁴და გააკეთეს ისრაელიანებმა ყველაფერი ისე, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

რიცხვნი 2

¹და ელაპარაკა უფალი მოსესა და აარონს, და უთხრა:

²ყოველმა ისრაელიანმა თავის დროშასთან, თავისი მამისსახლის ნიშნებთან დაიბანაკოს; საკრებულო კარვის ირგვლივ დაიბანაკონ მათ.

³წინა მხარეს, აღმოსავლეთით, დაბანაკდეს იუდას ლაშქარი. იუდეანთა თავკაცი – ნახშონი, ძე ყამინადაბისა.

⁴მასთან აღრიცხული მისი ლაშქარი 74 600 კაცი.

⁵მის მომდევნოდ ისაქარის ტომი. მისი თავკაცი – ნეთანელი, ძე ცუყარისა.

⁶მასთან აღრიცხული მისი ლაშქარი 54 400 კაცი.

⁷შემდეგ ზებულუნის ტომი. ზებულუნიანთა თავკაცი – ელიაზი, ძე ხელონისა.

⁸მასთან აღრიცხული მისი ლაშქარი 57 400 კაცი.

⁹იუდას ტომში აღრიცხული მთელი ლაშქარი 186 400 კაცი. ისინი პირველნი უნდა გაემგზავრნენ.

¹⁰სამხრეთით რეუბენის ბანაკის დროშა მათი ლაშქრებისდა მიხედვით. რეუბენიანთა თავკაცი – ელიცური, ძე შედეურისა.

¹¹მასთან აღრიცხული მისი ლაშქარი – 46 500 კაცი.

¹²მის მომდევნოდ სიმეონის ტომი. სიმეონის ძეთა თავკაცი – შელუმიელი, ძე ცურიშადაისა.



- ¹³მასთან აღრიცხული მისი ლაშქარი 59 300 კაცი.
- ¹⁴შემდეგ გადის ტომი. გადიანთა თავკაცი – ელიასაფი, ძე რელუელისა.
- ¹⁵მასთან აღრიცხული მისი ლაშქარი 45 650 კაცი.
- ¹⁶რეუბენის ბანაკში აღრიცხული მთელი ლაშქარი – 151 450 კაცი მეორენი უნდა გაემგზავრნენ.
- ¹⁷როცა დაიდგრება საკრებულო კარავი, ლევიათა ბანაკი ბანაკთა შუაში იყოს, როგორც არიან დაბანაკებულნი, ისევე გაემგზავრნენ, თითოეული თავის დროშასთან.
- ¹⁸დასავლეთით იყოს ეფრემის ლაშქარი თავისი რაზმებით. ეფრემიანთა თავკაცი – ელიშამაყი, ძე ყამიჰუდისა.
- ¹⁹მასთან აღრიცხული მისი ლაშქარი 40500 კაცი.
- ²⁰მომდევნოდ მანაშეს ტომი. მანაშეანთა თავკაცი – გამალიელი, ძე ფედაცურისა.
- ²¹მასთან აღრიცხული მისი ლაშქარი 32200 კაცი.
- ²²შემდეგ ბენიამინის ტომი. ბენიამინიანთა თავკაცი – აბიდანი, ძე გედეონისა.
- ²³მასთან აღრიცხული მისი ლაშქარი 35400 კაცი.
- ²⁴ყოველი აღრიცხული ეფრემის ბანაკში მთელი მათი ლაშქრით 108100 კაცი. ისინი მესამენი უნდა გაემგზავრნენ.
- ²⁵დანის ბანაკის ჩრდილოეთით იყოს დანის ლაშქარი. დანიანთა თავკაცი – ახიყეზერი, ძე ყამიშადაისა.
- ²⁶მასთან აღრიცხული მისი ლაშქარი 62700 კაცი.
- ²⁷მასთან დაიბანაკოს აშერის ტომმა. აშერიანთა თავკაცი – ფაგეყიელი, ძე ყოქრანისა.
- ²⁸მასთან აღრიცხული მისი ლაშქარი 41500 კაცი.
- ²⁹შემდეგ ნაფთალის ტომი. ნაფთალიანთა თავკაცი – ახირაყი, ძე ყენანისა,
- ³⁰მასთან აღრიცხული მისი ლაშქარი 53400 კაცი.
- ³¹ყოველი აღრიცხული დანის ბანაკში 157600 კაცი. ისინი უკანასკნელნი უნდა გაემგზავრნენ თავ-თავის ლაშქრებად.
- ³²ეს იყო ისრაელიანთა აღრიცხვა მათი მამისსახლების მიხედვით. ყოველი აღრიცხული ბანაკებში მათი ლაშქრებისდა მიხედვით იყო 603550.



³³ხოლო ლევიანები არ აღირიცხნენ ისრაელიანთა შორის, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

³⁴და გააკეთეს ისრაელიანებმა ყველაფერი ისე, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს. ასე დაიბანაკეს თავიანთი დროშების მიხედვით და ასე გაემგზავრა თითოეული თავისი ტომის მიხედვით, თავის მამისსახლის მიხედვით.

რიცხვნი 3

¹ეს არის აარონისა და მოსეს მოდგმა იმ დღისათვის, როდესაც უფალი ელაპარაკებოდა მოსეს სინაის მთაზე.

²ესაა აარონის ძეთა სახელები: პირშმო ნადაბი, აბიჰუ, ელეაზარი და ითამარი.

³ესაა აარონის ძეთა სახელები, ცხებული მღვდლებისა, რომელნიც სამღვდლოდ აკურთხა მან.

⁴დაიხოცნენ ნადაბი და აბიჰუ უფლის წინაშე, როცა უცხო ცეცხლი შესწირეს უფლის წინაშე სინაის უდაბნოში. და რაკი შვილები არ ჰყავდათ მათ, მღვდელმსახურება იწყეს ელეაზარმა და ითამარმა, თავიანთი მამის, აარონის, სიცოცხლეშივე.

⁵და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

⁶მიიყვანე ლევის ტომი და დააყენე აარონ მღვდლის წინაშე, რომ ემსახურონ მას.

⁷და ემსახურონ მას და მთელ თემს საკრებულო კარვის წინ, და შეასრულონ კარვის სამსახური,

⁸დაიცვან საკრებულო კარვის ყოველი ნივთი და ისრაელიანთა მცველებად იდგნენ, რათა შეასრულონ კარვის სამსახური.

⁹გადაეცი ლევიანები აარონსა და მის ძეებს. მას უნდა ჰყავდეს ისინი ჩაბარებული ისრაელიანთაგან.

¹⁰აარონსა და მის ძეებს ჩააბარე საკრებულო კარავი, რათა დაიცვან თავიანთი მღვდლობა და ყველაფერი, რაც სამსხვერპლოსია და ფარდის შიგნითაა, ხოლო უცხო, თუ ვინმე მიეკარება, მოიკლას.

¹¹და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

¹²აჰა, მე ავიყვან ლევიანებს, ისრაელიანთაგან, ყოველი პირშმოს ნაცვლად, რომელიც გამოარღვევს დედის საშოს. ჩემები იქნებიან ლევიანები,



- ¹³რადგან ჩემია ყოველი პირმშო. იმ დღეს, როცა განვგმირე ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყანაში, ჩემთვის განვიკუთვნე ყოველი პირმშო ისრაელში. ადამიანიდან პირუტყვამდე ჩემები არიან ისინი; მე ვარ უფალი.
- ¹⁴და ელაპარაკა უფალი მოსეს სინაის უდაბნოში და უთხრა:
- ¹⁵აღრიცხე ლევიალები მათი მამისსახლებისა და საგვარეულოების მიხედვით. ყოველი მამრი, ერთი თვისა და მათზე უფროსნი აღრიცხე.
- ¹⁶აღრიცხა ისინი მოსემ უფლის სიტყვისამებრ, როგორც მიიღო ბრძანება.
- ¹⁷ესენი იყვნენ ლევიალები მათი სახელების მიხედვით: გერშონი, კოჰათი და მერარი.
- ¹⁸ესენია გერშონიანთა სახელები მათი საგვარეულოების მიხედვით: ლიბნი და შიმეყი.
- ¹⁹კოჰათიანები თავიანთი საგვარეულოების მიხედვით: ყამრამი, იცჰარი, ხებრონი და ყუზიელი.
- ²⁰და მენი მერარისა თავიანთი საგვარეულოების მიხედვით: მახლი და მუში. ესაა ლევიათა საგვარეულო მათი მამისსახლების მიხედვით.
- ²¹გერშონისაგან: ლიბნის საგვარეულო და საგვარეულო შიმეყისა. ესაა გერშონის საგვარეულოები.
- ²²აღრიცხა ყოველი მამრი ერთი თვისა და მათზე უფროსნი, სულ 7500.
- ²³გერშონის საგვარეულოს უნდა დაებანაკებინა კარვის უკან, დასავლეთით.
- ²⁴გერშონის მამისსახლების თავკაცი იყო ელიასაფი, ძე ლაელისა.
- ²⁵გერშონიანებს ებარათ საკრებულო კარავი და მისი გადასახურავი და საკრებულო კარვის შესასვლელის ფარდა.
- ²⁶ეზოს ფარდები, და ფარდა ეზოს შესასვლელისა, რომელიც კარვისა და საკურთხეველის გარშემოა, და მისი საბელები ყოველი მათი აღჭურვილობით.
- ²⁷კოჰათისაგან ყამრამის საგვარეულო და საგვარეულო იცჰარისა, საგვარეულო ხებრონისა და საგვარეულო ყუზიელისა. ეს იყო კოჰათის საგვარეულოები.
- ²⁸ყოველი აღრიცხული მამრი, ერთი თვისა და მათზე უფროსნი, იყო 8600, საწმიდრის მოვალეობის შემსრულებლად.
- ²⁹კოჰათიანთა საგვარეულოებს უნდა დაებანაკათ კარვის გვერდით, სამხრეთისაკენ.



- ³⁰კოჰათიანთა საგვარეულოების მამისსახლების თავკაცი იყო ელიცაფანი, ძე ყუზიელისა.
- ³¹მათ ებარათ კიდობანი და ტაბლა, ლამპარი და სამსხვერპლოები და საწმიდრის ჭურჭელი, ფარდა და მსახურებისთვის საჭირო მთელი მოწყობილობა.
- ³²ლევიათა წინამძღოლთა თავკაცი იყო ელეაზარი, ძე აარონ მღვდლისა. იგი ზედამხედველობდა მათ, ვინც საწმიდრის სამსახურს ასრულებდა.
- ³³მერარისაგან იყო საგვარეულო მახლისა და საგვარეულო მუშისა. ეს იყო საგვარეულოები მერარისა.
- ³⁴ყოველი აღრიცხული მამრი, ერთი თვისა და მათზე უფროსნი, იყო 6 200.
- ³⁵მერარის საგვარეულოების მამისსახლის თავკაცი იყო ცურიელი, ძე აბიხაილისა. მათ კარვის გვერდით უნდა დაებანაკათ, ჩრდილოეთით.
- ³⁶მერარიანებს ებარათ კარვის ძელები, მისი საკეტურები, მისი სვეტები, მისი კვარცხლბეკები, მისი აღჭურვილობა და მათი ყოველი მოწყობილობა,
- ³⁷ასევე სვეტები ეზოს გარშემო, და მათი კვარცხლბეკები, და მათი პალოები და მათი საბელები.
- ³⁸ხოლო სავანის წინ, აღმოსავლეთით, საკრებულო კარვის წინ, უნდა დაებანაკათ მოსეს, აარონსა და მის ძეებს, რომელთაც ევალეზობდათ საწმიდრის დაცვა ისრაელიანთა შორის. და უცხო, ვინც კი გაეკარებოდა, უნდა მომკვდარიყო.
- ³⁹ყოველი ლევიანი, რომელიც უფლის ბრძანებით აღრიცხეს მოსემ და აარონმა მათი საგვარეულოებითურთ, ყოველი მამრი, ერთი თვისა და მათზე უფროსნი იყო 22 ათასი.
- ⁴⁰და უთხრა უფალმა მოსეს: აღრიცხე ყოველი პირმშო მამრი ისრაელიანთაგან, ერთი თვისა და მათზე უფროსნი, გადაითვალე ისინი სახელებით.
- ⁴¹და აიყვანე ლევიანები ჩემთვის, – მე ვარ უფალი, – ყოველი პირმშოს სანაცვლოდ ისრაელიანთაგან, და ლევიათა საქონელი ისრაელიანთა ყოველი პირველმოგებული პირუტყვის სანაცვლოდ.
- ⁴²აღრიცხა მოსემ, როგორც უბრძანა უფალმა მას, ყოველი პირმშო ისრაელიანი.
- ⁴³და იყო ყოველი პირმშო მამრი სახელთა რიცხვით, ერთი თვისა და მათზე უფროსნი, მათი აღწერით 22 273.
- ⁴⁴და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:



⁴⁵აიყვანე ლევიანები ისრაელიანთა ყოველი პირმშოს ნაცვლად, და ლევიანთა პირუტყვი მათი პირუტყვის ნაცვლად, ჩემი არიან ლევიანები; მე ვარ უფალი.

⁴⁶იმ 273 კაცის გამოსასყიდად, რომლითაც მეტობენ ლევიანებს ისრაელიანთა პირმშოები,

⁴⁷აიღე ხუთ-ხუთი შეკელი ყოველ სულზე, საწმიდრის შეკელით, რომელიც იწონის ოც გერას,

⁴⁸მიეცი ეს ვერცხლი აარონს და მის ძეებს მათგან ზედმეტის გამოსასყიდად.

⁴⁹და აიღო მოსემ გამოსასყიდი ვერცხლი ლევიანთა მიერ შენაცვლებული რიცხვის ნამეტისაგან.

⁵⁰ისრაელიანთა პირმშოთაგან აიღო ეს ვერცხლი 1365 შეკელი, საწმიდრის შეკელით.

⁵¹და მისცა მოსემ ეს გამოსასყიდი ვერცხლი აარონსა და მის ძეებს, უფლის სიტყვისამებრ, როგორც უბრძანა უფალმა მას.

რიცხვნი 4

¹და ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს და უთხრა:

²აღრიცხე კოჰათიანები ლევიანთაგან მათი საგვარეულოებისა და მათი მამისსახლების მიხედვით,

³ვი წლიდან და ზევით 50 წლის ასაკამდე, ყოველი, ვისაც შეუძლია სამსახური საკრებულო კარავში.

⁴ესაა კოჰათიანთა სამსახური საკრებულო კარავში, წმიდათა წმიდისათვის.

⁵შევიდნენ აარონი და მისი ძენი ბანაკის აყრისას, ჩამოხსნან ჩამოსაფარებელი ფარდა და დაფარონ იმით მოწმობის კიდობანი.

⁶და ზედ დააფარონ თახაშის ტყავის საბურველი, და ზემოდან გადააფარონ ლურჯი მატყლის ქსოვილი და გაუყარონ კეტები.

⁷საწინაშეო პურების ტაბლაზე გაშალონ ლურჯი მატყლის ქსოვილი და ზედ დააწყონ ჯამები, კოვზები, საწდეები და საღვრელი თასები. და მუდმივი პური უნდა ეწყოს მასზე.

⁸და გაშალონ მასზე ჭიაფერი ქსოვილი, და დააფარონ მას თახაშის ტყავის საბურველი, და გაუყარონ კეტები.



⁹აიღონ ლურჯი მატყლის ქსოვილი და შეახვიონ სასანთლე და მისი კანდელები, და მისი მაშები, და მისი აქანდაზები, და მთელი ჭურჭელი ზეთისთვის, რომელსაც მისთვის იყენებენ.

¹⁰და მოათავსონ ის და მთელი მისი ჭურჭლეული თახაშის ტყავის გადასაფარებელში და ჩამოკიდონ ლატანზე.

¹¹ოქროს სამსხვერპლოზე გაშალონ ლურჯი ქსოვილი, და დაბურონ ის თახაშის ტყავის გადასაფარებლით, და გაუყარონ კეტები.

¹²და აიღონ ყველა სამსახურებელი ჭურჭელი, რომლითაც მსახურებენ საწმიდარში, და დააწყონ ცისფერ გადასაფარებელზე და დაბურონ ისინი თახაშის ტყავის საბურველით და ჩამოკიდონ ლატანზე.

¹³გაასუფთაონ სამსხვერპლოს ნაცრისგან და გაშალონ მასზე მოწეული ქსოვილი.

¹⁴და დააწყონ ზედ მთელი მისი ჭურჭელი, რომლითაც მსახურებენ მასზე: აქანდაზები, ჩანგლები და ნიჩბები, და სასხურებლები – სამსხვერპლოს მთელი აღჭურვილობა, და გაშალონ მასზე თახაშის ტყავის საბურველი და გაუყარონ კეტები.

¹⁵როცა აარონი და მისი ძენი დაასრულებენ საწმიდრისა და ყოველი წმიდა ჭურჭლის დაბურვას ბანაკის აყრისას, მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდნენ კოჰათიანები ასაწევად. არ უნდა მიეკარონ საწმიდარს, რათა არ დაიხოცონ. ესაა საკრებულო კარვის ტვირთი კოჰათიანთათვის.

¹⁶აარონ მღვდლის ძეს, ელეაზარს, ევალემა ზედამხედველობა სალამპრე ზეთზე, კეთილსურნელოვან საკმეველზე, მუდმივ პურეულ შესაწირსა და საცხებელ ზეთზე, – ზედამხედველობა მთლიანად კარავზე და ყოველივეზე, რაც მასშია, საწმიდარზე და მის ჭურჭელზე.

¹⁷და ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს და უთხრა:

¹⁸ნუ გადააშენებთ კოჰათის საგვარეულოთა შტოს ლევიათაგან.

¹⁹ეს უნდა გააკეთოთ მათთვის, რომ ცოცხლები დარჩნენ და არ დაიხოცნენ, როდესაც მიუახლოვდებიან წმიდათა წმიდას; აარონი და მისი ძენი მივიდნენ და გაამწესონ კოჰათიანები თითოეული თავის სამსახურზე და თავის ტვირთთან.

²⁰და ნუ მივლენ საწმიდრის შებურვის სახილველად, რათა არ დაიხოცონ.

²¹და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

²²აღრიცხე აგრეთვე გერშონიანები მათი მამისსახლებისა და მათი საგვარეულოების მიხედვით.



²³ვი წლიდან და ზევით 50 წლის ასაკამდე, აღრიცხე ყველა, ვისაც შეუძლია სამსახურში ჩადგომა საკრებულო კარვის საქმის საკეთებლად.

²⁴ეს არის გერმონის მოდგმის საგვარეულოთა საშრომელი, რაც მათ უნდა აკეთონ და იტვირთონ:

²⁵მათ უნდა ატარონ კარვის გადასაფარებლები, საკრებულო კარავი და მისი გადასაფარებლები, და თახაშის ტყავის საბურველი, რომელიც მასზეა დაფენილი, და საკრებულო კარვის შესასვლელის ფარდა.

²⁶და ეზოს ფარდები, და ფარდა ეზოს კარიბჭის შესასვლელისა, რომელიც საკრებულო კარვისა და სამსხვერპლოს ირგვლივაა, და მათი საბელები, და მათი ყოველი სამსახურებელი ჭურჭელი, და ყოველივე, რაც აქვთ გასაკეთებელი, უნდა აკეთონ.

²⁷აარონისა და მის ძეთა ბრძანებით უნდა სრულებოდეს გერმონიანთა ყველა საქმე – ყველაფრის ტარება და ყველაფრის კეთება. მათ ჩააბარე შესანახად ყველაფერი, რაც მათი სატარებელია.

²⁸ესაა გერმონიანთა საგვარეულოს სამსახური საკრებულო კარავში, და მათი მოვალეობანი შესრულდეს აარონის ძის, ითამარის, ზედამხედველობით.

²⁹მერარიანები მათი საგვარეულოების და მათი მამისსახლების მიხედვით აღრიცხე.

³⁰ვი წლიდან და ზევით 50 წლის ასაკამდე, აღრიცხე ისინი, ყოველი, ვისაც შეუძლია სამსახურში ჩადგომა, რათა შეასრულონ საკრებულო კარვის სამსახური.

³¹ესაა მათი ვალდებულება, რომ საკრებულო კარავში მთელი მათი სამსახურისას ატარონ კარვის ძელები, მისი საკეტურები, მისი სვეტები და მისი კვარცხლბეკები.

³²და ეზოს სვეტები, და მათი კვარცხლბეკები, და მათი პალოები, და მათი საბელები, და მათი ყოველი აღჭურვილობა; სახელდებით აღრიცხეთ საგნები, რომლებიც მათ უნდა ატარონ.

³³ეს არის მერარიანთა საგვარეულოების სამსახური. ყოველი მათი სამსახური საკრებულო კარავთან აარონ მღვდლის ძის, ითამარის, ხელქვევით არის.

³⁴მოსემ და აარონმა და თემის თავკაცებმა აღრიცხეს კოჰათიანები მათი საგვარეულოებისა და მათი მამისსახლების მიხედვით,

³⁵ვი წლიდან და ზევით 50 წლის ასაკამდე, ყველა, ვისაც შეეძლება სამსახურში ჩადგომა კარვის საქმის საკეთებლად.



³⁶და აღირიცხა მათი საგვარეულოების მიხედვით 2750 კაცი.

³⁷ესენი იყვნენ აღრიცხულნი კოჰათის საგვარეულოდან, ყველანი, რომელნიც მუშაობდნენ საკრებულო კარავში, რომელნიც აღრიცხეს მოსემ და აარონმა უფლის ბრძანებით, მოსეს ხელმძღვანელობით.

³⁸და აღრიცხულნი გერშონის ძეთაგან მათი საგვარეულოებისა და მათი მამისსახლების მიხედვით,

³⁹ვი წლიდან და ზევით 50 წლის ასაკამდე, ყოველი, ვისაც შეეძლო სამსახურში ჩადგომა საკრებულო კარავში სამუშაოდ.

⁴⁰მათი საგვარეულოებისა და მათი მამისსახლების მიხედვით აღირიცხა 2630 კაცი.

⁴¹ესენი იყვნენ აღრიცხულნი გერშონიანთა საგვარეულოდან, ყველა, ვინც მსახურობდა საკრებულო კარავში, რომლებიც აღრიცხეს მოსემ და აარონმა უფლის ბრძანებით.

⁴²და აღირიცხა მერარიანთაგან მათი საგვარეულოებისა და მამისსახლების მიხედვით,

⁴³ვი წლიდან და ზევით 50 წლის ასაკამდე, ყოველი, ვისაც შეეძლო სამსახურში ჩადგომა, საკრებულო კარავის საქმის საკეთებლად;

⁴⁴და აღირიცხა მათი საგვარეულოების მიხედვით 3200 კაცი.

⁴⁵ესენი იყვნენ აღრიცხულნი მერარის საგვარეულოდან, რომელნიც აღრიცხეს მოსემ და აარონმა უფლის ბრძანებით, და მოსეს მეშვეობით.

⁴⁶ყველა, ვინც აღრიცხეს მოსემ და აარონმა და ისრაელის თავკაცებმა ლევიაანთაგან მათი საგვარეულოებისა და მათი მამისსახლების მიხედვით,

⁴⁷ვი წლიდან და ზევით 50 წლის ასაკამდე, ყველა, ვისაც შეეძლო სამსახურში ჩადგომა საკრებულო კარავში და ტვირთის ტარება,

⁴⁸სულ აღირიცხა 8540 კაცი.

⁴⁹უფლის ბრძანებით, მოსეს მეშვეობით აღრიცხეს ისინი – თითოეული თავის სამსახურზე და თავის ტვირთის ზიდვაზე, და თითოეული აღირიცხა, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

რიცხვნი 5

¹და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:



²„უბრძანე ისრაელიანთ, რომ გაიყვანონ ბანაკიდან ყოველი კეთროვანი და ყოველი ჩირქოვანი გამონადენის მქონე, და ყოველი მკვდართან შეხებით გაუწმინდურებული.“

³კაციდან ქალამდე გაიყვანეთ; ბანაკის გარეთ გაიყვანეთ ისინი, რათა არ შებილწონ თავიანთი ბანაკები, სადაც მე ვმკვიდრობ.“

⁴და ასეც მოიქცნენ ისრაელიანები. გაიყვანეს ისინი ბანაკს გარეთ. როგორც უთხრა უფალმა მოსეს, ისე მოიქცნენ ისრაელიანები.

⁵და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

⁶„უთხარი ისრაელიანთ: თუ კაცი ან ქალი ჩაიდენს დანაშაულს ადამიანის წინაშე, შემცოდება ის უფლის წინაშეც, და დადანაშაულდება ის სული,

⁷და აღიაროს ჩადენილი ცოდვა და ზღოს თითოეულმა სრულად, რაც წაუხდინა და დაუმატოს მეხუთედი და მისცეს მას, ვისაც დაუშავა.

⁸თუ იმ კაცს არა ჰყავს ნათესავი, ვისაც უნაზღაურდება წანახედი, მაშინ წანახედის საზღაური ეკუთვნის უფალს, მღვდლისა იყოს იგი, შენდობის ვერძთან ერთად, რითაც იგი შეუწდობს მას.

⁹ყოველი აღსამართავი მსხვერპლი ისრაელიანთა ყოველი შესაწირავისა, რასაც ისინი მღვდელს წარუდგენენ, მას ეკუთვნის.

¹⁰ვინმეს მიერ შემოწირული მას ეკუთვნის. თუ ვინმე რამეს მისცემს მღვდელს, მღვდლისაა.“

¹¹და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

¹²„განუცხადე ისრაელიანთ და უთხარი მათ: თუ ვინმეს ცოლი გზას ასცდება და უღალატებს ქმარს,

¹³დაწვება ვინმე მასთან თესლის მიღვრით, და დაფარული იქნება ეს მისი ქმრისგან, და ფარულად შეიბილწება ის, და მოწმე მის წინააღმდეგ არ იქნება, რადგან ზედ არავის წაუსწრია,

¹⁴და ქმარს ეწვევა სული ეჭვიანობისა, და იგი იეჭვიანებს თავის ცოლზე, ხოლო ცოლი შებილწულია; ან თუ ქმარს ეწვევა სული ეჭვიანობისა და იგი იეჭვიანებს ცოლზე, რომელიც არ არის შებილწული,

¹⁵მიიყვანოს ქმარმა ცოლი მღვდელთან და მიიტანოს შესაწირავი ცოლისათვის ეფის მეთათედი ქერის ფქვილისა, ოღონდ არ დაასხას მას ზეთი და არ დააყაროს საკმეველი, რადგან ეს შესაწირავი ეჭვიანობისაა, ხსოვნის შესაწირავია, რომელიც გაახსენებს ცოდვას.

¹⁶და მიიყვანს ქალს მღვდელი და დააყენებს მას უფლის წინაშე.



- ¹⁷აიღებს მღვდელი წმიდა წყალს თიხის ჭურჭლით, და მიწას, რომელიც კარვის იატაკზეა და ჩაყრის მას წყალში.
- ¹⁸დააყენებს მღვდელი ქალს უფლის წინაშე, და თავსაბურველს მოხდის და დაუდებს მას ხელისგულზე ხსოვნის შესაწირავს, ეს ეჭვიანობის შესაწირავია. ხოლო მღვდელს ხელში ექნება მწარე წყალი – დამაწყევარი.
- ¹⁹და დააფიცოს იგი მღვდელმა და უთხრას ქალს: ‘თუ კაცი არ დაწოლილა შენთან, და თუ გზას არ აცდენილხარ შებილწვით შენი ქმრის უფლების ქვეშ მყოფი, უვნებელი იყავი ამ მწარე დამაწყევარი წყლისგან, –
- ²⁰ხოლო თუ ქმრის უფლების ქვეშ მყოფი გზას ასცდი და შეიბილწე, და იწვა შენთან მამაკაცი, შენი ქმრის გარდა.’
- ²¹და დააფიცოს მღვდელმა ეს ქალი წყევლის ფიცით, და უთხრას მას: ‘მიგცეს შენ უფალმა წყევლასა და ფიცს შენს ხალხში, რომ უფალმა დაგიდამბლავს საშო და გაგისიოს მუცელი.
- ²²შევა ეს დამაწყევარი წყალი შენს შიგნეულში, რათა გაგისიოს მუცელი და დაგიდამბლავს საშო!’ და იტყვის ქალი: ‘ამინ, ამინ!’
- ²³და ჩაწეროს ეს წყევლა მღვდელმა წიგნში, და გადარეცხოს ის მწარე წყლით.
- ²⁴ასვას ქალს მწარე დამაწყევარი წყალი და შევა მასში დამლახვრელი წყალი გამამწარებლად.
- ²⁵გამოართვას მღვდელმა ქალს ხელიდან ეჭვიანობის შესაწირავი და შეარხიოს ეს შესაწირავი უფლის წინაშე, და მიიტანოს იგი სამსხვერპლოსთან,
- ²⁶და აიღოს მღვდელმა ერთი პეშვი ამ შესაწირავისა, მისი სამახსოვროს ნაწილი, და დააკმიოს სამსხვერპლოზე, და შემდეგ ასვას ქალს ის წყალი.
- ²⁷როდესაც შეასმევს მას ამ წყალს, თუ იგი შებილწულია და უღალატა ქმარს, ეს დამაწყევარი წყალი შევა მასში გასამწარებლად და გაუსივდება მუცელი, დაუდამბლავდება საშო, და წყეული იქნება ეს ქალი თავის ხალხში.
- ²⁸და თუ არაა შებილწული ეს ქალი და სუფთაა, უვნებელი დარჩება და განაყოფიერდება თესლით.
- ²⁹ესაა წესი ეჭვიანობისა, როცა ქმრის უფლების ქვეშ მყოფი ქალი გზას ასცდება და შეიბილწება,



³⁰ან როცა მამაკაცს დაეუფლება სული ეჭვიანობისა, და იგი იეჭვიანებს თავის ცოლზე, მან უნდა მიიყვანოს ეს ქალი უფლის წინაშე, და გაუკეთოს მას მღვდელმა ყოველივე ამ წესისამებრ.

³¹და ქმარი თავისუფალი იქნება ცოდვისაგან, ხოლო იმ ქალის კისერზე იქნება მისი ცოდვა.“

რიცხვნი 6

¹და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

²განუცხადე ისრაელიანთ და უთხარი: თუ კაცი ან ქალი დადებს მოწმიდარობის აღთქმას, მან თავი წმიდად უნდა მიუძღვნას უფალს;

³ღვინისა და თაფლუჭისაგან თავი უნდა შეიკავოს; ღვინის და თაფლუჭის ძმარი არ იხმაროს, არც ყურძნის წვენი დალიოს, და არ ჭამოს არც ახალი ყურძენი და არც ჩამიჩი.

⁴მთელი თავისი მოწმიდარობის დღეებში არაფერი არ ჭამოს, რაც კეთდება ყურძნისაგან, წიპწიდან ჩენჩომდე.

⁵თავისი მოწმიდარობის აღთქმის მთელ დროს სამართებელმა არ გადაიაროს მის თავზე; ვიდრე არ გაუვა უფლის მოწმიდარობის ვადა. წმიდაა იგი და თმა მოიზარდოს თავზე.

⁶უფლის მოწმიდარობის დღეებში მკვდარს არ მიეკაროს.

⁷თავისი მამის და დედის, ძმისა და დის გამოც არ შეიბილწოს მათი სიკვდილის შემთხვევაში, რადგან მის კისერზეა ღმერთის მოწმიდარობა.

⁸მთელი თავისი მოწმიდარობის დღეებში იგი წმიდაა უფლისათვის.

⁹თუ ვინმე მოკვდა მასთან უეცრად, და შეიბილწა მან თავისი მოწმიდარობის თმა, უნდა შეიკრიჭოს თავი და როცა ხელახლა განიწმიდება, უნდა შეიკრიჭოს თმა. თმა უნდა შეიკრიჭოს გაუწმიდურებიდან მეშვიდე დღეს,

¹⁰მერვე დღეს მიუყვანოს ორი გვრიტი ან ორი მტრედის ხუნდი მღვდელს საკრებულო კარვის შესასვლელთან.

¹¹და მოამზადებს მღვდელი ერთს ცოდვის მსხვერპლად, ხოლო მეორეს სრულადდასაწველად, და შეუნდობს მას, რაც შესცოდა მკვდართან მიკარებით, და განწმედს მას იმავე დღეს.



¹²და დაიწყოს მან უფლის მოწმიდარობა ხელახალი ვადით და მიიყვანოს წელგამოვლილი კრავი დანაშაულის მსხვერპლად. და წინა მოწმიდარობის დღეები გაუქმდება, რადგან შეიბილწა მისი მოწმიდარობა.

¹³ესაა წესი მოწმიდარობისა: მისი მოწმიდარობის დღეთა შესრულებისას იგი უნდა მიიყვანონ საკრებულო კარვის შესასვლელთან,

¹⁴და მსხვერპლს შესწირავს იგი უფალს: წელგამოვლილ უმანკო მამალ კრავს სრულადდასაწველად, და ერთწლიან უმანკო დედალ კრავს ცოდვის მსხვერპლად, და ერთ უხინჯო ვერძს სამადლობელო მსხვერპლად,

¹⁵ერთ კალათა ხორბლის გამტკიცული ფქვილის ხმიადებს, ზეთში მოზედილ ნამცხვრებს, ზეთწაცხებულ უფუარ კვერებს, მათ პურეულ ძღვენსა და მათ საღვრელ ძღვენთან ერთად.

¹⁶ამას მღვდელი მიიტანს უფლის წინაშე, და შესწირავს მისი ცოდვისათვის და სრულადდასაწველად.

¹⁷შესწირავს ვერძს სამადლობელო მსხვერპლად უფლისათვის ერთ კალათა ხმიადებთან ერთად. ასევე მოამზადებს მღვდელი მის პურეულ ძღვენს და საღვრელ ძღვენს.

¹⁸და გადაიკრეჭს მოწმიდარი კარვის შესასვლელთან თმებს, შემდეგ აიღებს თავის მოწმიდარობის თმებს, და ჩაყრის ცეცხლში, რომელიც სამადლობელო მსხვერპლსა აქვს შენთებული.

¹⁹აიღებს მღვდელი ვერძის ბეჭს და ერთ უფუარ კვერს კალათიდან და ერთ უფუარ ნამცხვარს და დაუდებს მოწმიდარს ხელის გულებზე, მას შემდეგ რაც გაიკრეჭს ის თავის მოწმიდარობის თმას.

²⁰და შეარხევს მათ მღვდელი უფლის წინაშე: სიწმიდეა იგი მღვდლისათვის, შესარხველ მკერდსა და აღსამართავ ბეჭთან ართად. და შემდეგ შეიძლება დალიოს მოწმიდარმა ღვინო.

²¹ესაა წესი მოწმიდარისათვის, რომელმაც აღთქმა მისცა უფალს, და მისი მსხვერპლი უფლისადმი თავისი მოწმიდარობისთვის, გარდა იმისა, რაზეც ხელი მიუწვდება. თავისი აღთქმისამებრ, რაც აღუთქვა უფალს, ისე გააკეთოს, თავისი მოწმიდარობის წესისამებრ.

²²და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

²³უთხარი აარონსა და მის ძეებს: ასე უნდა აკურთხოთ თქვენ ისრაელიანები და უთხრათ მათ:

²⁴გაკურთხოს შენ უფალმა და დაგიცვას შენ!

²⁵მოგვინოს უფალმა ნათელი თავისი სახისა და შეგიწყალოს შენ!



²⁶მოაქციოს უფალმა თავისი სახე შენსკენ და მოგცეს მშვიდობა!

²⁷ასე აღბეჭდავენ ისინი ჩემს სახელს ისრაელიანებზე – და მე ვაკურთხებ მათ.

რიცხვნი 7

¹იმ დღეს, როდესაც მოსემ დაასრულა კარვის აღმართვა და ზეთი სცხო მას და აკურთხა იგი და მთელი მისი აღჭურვილობა, და საკურთხეველი მთელი მისი აღჭურვილობით, და ზეთი სცხო მას და აკურთხა ისინი,

²მიეახლნენ მას ისრაელიანთა თავკაცები, მათი მამისსახლების თავკაცები, ტომების თავკაცები, რომლებიც ზედამხედველობდნენ აღრიცხვას,

³და მიიტანეს შესაწირავი უფლის წინაშე: 6 მოჩარდახული ურემი და 12 ხარი, თითო ურემი ორი თავკაცისგან და თითო ხარი თითოზე, და წარადგინეს ისინი კარვის წინაშე.

⁴და უთხრა უფალმა მოსეს:

⁵გამოართვი, რათა იყოს ეს საკრებულო კარავის სამუშაოებისათვის. და გადაეცი ისინი ლევიალებს, თითოეულს თავისი სამუშაოს მიხედვით.

⁶აიღო მოსემ ურემები და ხარები, და გადასცა ლევიალებს.

⁷ორი ურემი და ოთხი ხარი მისცა გერშონიანებს, მათი სამსახურის მიხედვით.

⁸და ოთხი ურემი და რვა ხარი მისცა მერარიანებს, მათი სამსახურის მიხედვით, აარონ მღვდლის ძის, ითამარის, ზედამხედველობით.

⁹ხოლო კოჰათიანებს არ მისცა, რადგან მათი სამსახური იყო საწმიდრის ტარება; მხრებით უნდა ეტარებინათ ის.

¹⁰და მოიტანეს მსხვერპლი თავკაცებმა სამსხვერპლოს კურთხევისათვის, მისი ცხების დღეს, და წარადგინეს თავკაცებმა თავიანთი შესაწირავი სამსხვერპლოს წინ.

¹¹და უთხრა უფალმა მოსეს: თითო თავკაცმა თითო დღეს შესწიროს თავისი მსხვერპლი სამსხვერპლოს კურთხევისათვის.

¹²და პირველ დღეს თავისი მსხვერპლის შემწირველი იყო ნახშონი, მე ყამინადაბისა, იუდას ტომიდან.

¹³მისი შესაწირავი იყო: ერთი ვერცხლის თასი, 130 შეკელის წონისა, ვერცხლის ერთი თასი 70 შეკელისა, საწმიდრის შეკელით, ორივე სავსე ზეთში მოხელილი ხორბლის გამტკიცული ფქვილით, პურეულის ძვანად,



- ¹⁴ათ შეკელიანი ოქროს ერთი სასაკმევლე, საკმევლით სავსე.
- ¹⁵ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი სრულადდასაწველად,
- ¹⁶ერთი თიკანი ცოდვის მსხვერპლად,
- ¹⁷და სამადლობელო მსხვერპლად ორი ხარი, ხუთი ვერძი, ხუთი ვაცი, ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს შესაწირავი იყო ნახშონისა, ყამინადაბის ძისა.
- ¹⁸მეორე დღეს შესწირა თავისი მსხვერპლი ნეთანელმა, ცუყარის ძემ, ისაქარის თავკაცმა.
- ¹⁹მან შესწირა თავისი შესაწირავი: ვერცხლის ერთი ლანგარი, წონით 130 შეკელი, ვერცხლის ერთი 70 შეკელიანი ფიალა, საწმიდრის შეკელით, ორივე სავსე ზეთში მოხელილი ხორბლის გამტკიცული ფქვილით, პურეულის მსხვერპლად,
- ²⁰ოქროს ერთი ათ შეკელიანი სასაკმევლე, საკმევლით სავსე,
- ²¹ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი სრულადდასაწველად,
- ²²ერთი თიკანი ცოდვის მსხვერპლად,
- ²³და სამადლობელო მსხვერპლად ორი ხარი, ხუთი ვერძი, ხუთი ვაცი, ხუთი წელგამოვლილი კრავი; ეს იყო შესაწირავი ნეთანელისა, ცუყარის ძისა.
- ²⁴მესამე დღეს შესწირა ზებულუნიათა თავკაცმა, ელიაბმა, ხელონის ძემ;
- ²⁵მისი შესაწირავი იყო: ერთი ვერცხლის ლანგარი, წონით 130 შეკელი, ვერცხლის ერთი 70 შეკელიანი ფიალა, საწმიდრის შეკელით, ორივე სავსე ზეთში მოხელილი ხორბლის გამტკიცული ფქვილით, პურეულის მსხვერპლად,
- ²⁶ოქროს ერთი ათ შეკელიანი სასაკმევლე, საკმევლით სავსე,
- ²⁷ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი სრულადდასაწველად,
- ²⁸ერთი თიკანი ცოდვის მსხვერპლად,
- ²⁹და სამადლობელო შესაწირავად ორი ხარი, ხუთი ვერძი, ხუთი ვაცი, ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო შესაწირავი ელიაბის, ხელონის ძისა.
- ³⁰მეოთხე დღეს შესწირა რეუბენიანთა თავკაცმა ელიცურმა, შედეურის ძემ;



³¹მისი შესაწირავი იყო: ვერცხლის ერთი ლანგარი, წონით 130 შეკელი, ვერცხლის ერთი 70 შეკელიანი ფიალა, საწმიდრის შეკელით, ორივე სავსე ზეთში მოზედილი ხორბლის გამტკიცული ფქვილით, პურეულის ძღვნად,

³²ოქროს ერთი ათ შეკელიანი სასაკმევლე, საკმევლით სავსე,

³³ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი სრულადდასაწველად,

³⁴ერთი თიკანი ცოდვის მსხვერპლად,

³⁵და სამადლობელო მსხვერპლად ორი ხარი, ხუთი ვერძი, ხუთი ვაცი, ხუთი წელგამოვლილი კრავი; ეს იყო შესაწირავი ელიცურის, შედეურის მისა.

³⁶მეხუთე დღეს შესწირა სიმეონიანთა თავკაცმა შელუმიელმა, ცურიშადაის ძემ;

³⁷მისი შესაწირავი იყო: ვერცხლის ერთი ლანგარი, წონით 130 შეკელი, ვერცხლის ერთი 70 შეკელიანი ფიალა, საწმიდრის შეკელით, ორივე სავსე ზეთში მოზედილი ხორბლის გამტკიცული ფქვილით, პურეულის ძღვნად,

³⁸ოქროს ერთი ათ შეკელიანი სასაკმევლე, საკმევლით სავსე,

³⁹ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი სრულადდასაწველად,

⁴⁰ერთი თიკანი ცოდვის მსხვერპლად,

⁴¹და სამადლობელო მსხვერპლად ორი ხარი, ხუთი ვერძი, ხუთი ვაცი, ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო შესაწირავი შელუმიელისა, ცურიშადაის მისა.

⁴²მეექვსე დღეს შესწირა გადიანთა თავკაცმა ელიასაფმა, რელუელის ძემ;

⁴³მისი შესაწირავი იყო: ვერცხლის ერთი ლანგარი, წონით 130 შეკელი, ვერცხლის 70 შეკელიანი ფიალა, საწმიდრის შეკელით, ორივე სავსე ზეთში მოზედილი ხორბლის გამტკიცული ფქვილით, პურეულის ძღვნად,

⁴⁴ოქროს ერთი ათ შეკელიანი სასაკმევლე, საკმევლით სავსე,

⁴⁵ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი სრულადდასაწველად,

⁴⁶ერთი თიკანი ცოდვის მსხვერპლად,

⁴⁷და სამადლობელო შესაწირავად: ორი ხარი, ხუთი ვერძი, ხუთი ვაცი, ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო შესაწირავი ელიასაფისა, რელუელის მისა.



- ⁴⁸მეშვიდე დღეს შესწირა ეფრემიანთა თავკაცმა ელიშამაყმა, ყამიჰუდის ძემ.
- ⁴⁹მისი შესაწირავი იყო: ვერცხლის ერთი ლანგარი, წონით 130 შეკელი, ვერცხლის ერთი 70 შეკელიანი ფიალა, საწმიდრის შეკელით, ორივე სავსე ზეთში მოზელილი ხორბლის გამტკიცული ფქვილით, პურეულის ძღვნად,
- ⁵⁰ოქროს ერთი ათ შეკელიანი სასაკმევლე, საკმევლით სავსე,
- ⁵¹ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი, სრულადდასაწველად,
- ⁵²ერთი თიკანი ცოდვის მსხვერპლად,
- ⁵³და სამადლობელო შესაწირავი იყო: ორი ხარი, ხუთი ვერძი, ხუთი ვაცი, ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო შესაწირავი ელიშამაყისა, ყამიჰუდის ძისა.
- ⁵⁴მერვე დღეს შესწირა მანაშეანთა თავკაცმა, გამალიელმა, ფედაცურის ძემ;
- ⁵⁵მისი შესაწირავი იყო: ვერცხლის ერთი ლანგარი, წონით 130 შეკელი, ვერცხლის ერთი 70 შეკელიანი ფიალა, საწმიდრის შეკელით, ორივე სავსე ზეთში მოზელილი ხორბლის გამტკიცული ფქვილით, პურეულის ძღვნად,
- ⁵⁶ოქროს ერთი ათ შეკელიანი სასაკმევლე, საკმევლით სავსე;
- ⁵⁷ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი სრულადდასაწველად,
- ⁵⁸ერთი თიკანი ცოდვის მსხვერპლად.
- ⁵⁹და მისი სამადლობელო მსხვერპლი იყო ორი ხარი, ხუთი ვერძი, ხუთი ვაცი, ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო შესაწირავი გამალიელისა, ფედაცურის ძისა.
- ⁶⁰მეცხრე დღეს შესწირა ბენიამინიანთა თავკაცმა, აბიდანმა, გედეონის ძემ.
- ⁶¹მისი შესაწირავი იყო: ვერცხლის ერთი ლანგარი, წონით 130 შეკელი, ვერცხლის ერთი 70 შეკელიანი ფიალა, საწმიდრის შეკელით, ორივე სავსე ზეთში მოზელილი ხორბლის გამტკიცული ფქვილით, პურეულის ძღვნად,
- ⁶²ოქროს ერთი ათ შეკელიანი სასაკმევლე, საკმევლით სავსე,
- ⁶³ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი სრულადდასაწველად,
- ⁶⁴ერთი თიკანი ცოდვის მსხვერპლად,



⁶⁵და სამადლობელო მსხვერპლად იყო: ორი ხარი, ხუთი ვერძი, ხუთი ვაცი, ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო შესაწირავი აბიდანისა, გედეონის ძისა.

⁶⁶მეათე დღეს შესწირა დანიანთა თავკაცმა ახიყეზერმა, ყამიშადაის ძემ.

⁶⁷მისი შესაწირავი იყო: ვერცხლის ერთი ლანგარი, წონით 130 შეკელი, ვერცხლის ერთი 70 შეკელიანი ფიალა, საწმიდრის შეკელით, ორივე სავსე ზეთში მოზელილი ხორბლის გამტკიცული ფქვილით, პურეულის ძღვნად,

⁶⁸ოქროს ერთი ათ შეკელიანი სასაკმევლე, საკმევლით სავსე,

⁶⁹ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი სრულადდასაწველად,

⁷⁰ერთი თიკანი ცოდვის მსხვერპლად,

⁷¹და მისი სამადლობელო მსხვერპლი იყო: ორი ხარი, ხუთი ვერძი, ხუთი ვაცი, ხუთი წელგამოვლილი კრავი; ეს იყო შესაწირავი ახიყეზერისა, ყამიშადაის ძისა;

⁷²მეთერთმეტე დღეს შესწირა აშერიანთა თავკაცმა, ფაგეციელმა, ყოქრანის ძემ.

⁷³მისი შესაწირავი იყო: ვერცხლის ერთი ლანგარი, წონით 130 შეკელი, ვერცხლის ერთი 70 შეკელიანი ფიალა საწმიდრის შეკელით, ორივე სავსე ზეთში მოზელილი ხორბლის გამტკიცული ფქვილით, პურეულის ძღვნად,

⁷⁴ოქროს ერთი ათ შეკელიანი სასაკმევლე, საკმევლით სავსე,

⁷⁵ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი სრულადდასაწველად,

⁷⁶ერთი თიკანი ცოდვის მსხვერპლად,

⁷⁷და სამადლობელო მსხვერპლად იყო: ორი ხარი, ხუთი ვერძი, ხუთი ვაცი, ხუთი წელგამოვლილი კრავი; ეს იყო შესაწირი ფაგეციელისა, ყოქრანის ძისა.

⁷⁸მეთორმეტე დღეს შესწირა ნაფთალიანთა თავკაცმა ახირაყმა, ყენანის ძემ.

⁷⁹მისი შესაწირავი იყო: ვერცხლის ერთი ლანგარი, წონით 130 შეკელი, ვერცხლის ერთი 70 შეკელიანი ფიალა, საწმიდრის შეკელით, ორივე სავსე ზეთში მოზელილი ხორბლის გამტკიცული ფქვილით, პურეულის ძღვნად,

⁸⁰ოქროს ერთი ათ შეკელიანი სასაკმევლე, საკმევლით სავსე,

⁸¹ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, ერთი წელგამოვლილი კრავი სრულადდასაწველად,



⁸²ერთი თიკანი ცოდვის მსხვერპლად,

⁸³და სამადლობელო მსხვერპლი იყო: ორი ხარი, ხუთი ვერძი, ხუთი ვაცი, ხუთი წელგამოვლილი კრავი. ეს იყო შესაწირავი ახირაყისა, ყენანის ძისა.

⁸⁴ეს იყო სამსხვერპლოს განწმედის, მისი ცხების, დღის ძღვენი და შესაწირავი ისრაელის თავკაცთაგან: ვერცხლის 12 ლანგარი, ვერცხლის 12 ფიალა, ოქროს 12 სასაკმევლე;

⁸⁵თითოეული ლანგარი – 130 შეკელიანი ვერცხლი, თითოეული ფიალა – 70 შეკელიანი ვერცხლი. მთელი ჭურჭლეულობის ვერცხლი – 2 400 შეკელი, საწმიდრის შეკელით.

⁸⁶ოქროს 12 საკმევლით სავსე სასაკმევლე, თითოეული სასაკმევლე წონით ათი შეკელი, საწმიდრის შეკელით. სასაკმევლეები სულ იყო 120 შეკელის ოქრო.

⁸⁷სრულადდასაწვევლად სულ იყო 12 მოზვერი ნახირიდან, 12 ვერძი, 12 წელგამოვლილი კრავი და მათი პურეულის ძღვენი, და 12 თიკანი ცოდვის მსხვერპლად.

⁸⁸სულ იყო სამადლობელო მსხვერპლად 24 მოზვერი ნახირიდან, 60 ვერძი, 60 ვაცი და 60 წელგამოვლილი კრავი. ეს იყო ძღვენი სამსხვერპლოს კურთხევისა მისი ზეთისცხების შემდეგ.

⁸⁹და როცა მოსე შედიოდა საკრებულო კარავში, რათა ელაპარაკეა უფალთან, მას ესმოდა ხმა, რომელიც ელაპარაკებოდა სჯულის კიდობნის სარქვლიდან, ორი ქერუბიმის შუადან, ასე ელაპარაკა უფალი მოსეს.

რიცხვნი 8

¹და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

²დაელაპარაკე აარონს და უთხარი: როდესაც ლამპრებს აანთებ, სალამპრის წინ უნდა დაენთოს შვიდივე ლამპარი.

³და გააკეთა ასე აარონმა: სალამპრის წინ აანთო ლამპრები, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

⁴სალამპრე ოქროსგან იყო გამოჭედილი. ღეროდან შროშნებამდე ჭედური იყო. ისეთი გააკეთა მოსემ სალამპრე, როგორიც უჩვენა უფალმა მას.

⁵და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

⁶აიყვანე ლევიანები ისრაელიანთაგან და განწმიდე ისინი.



⁷და განწმედა ასე გააკეთე: აპკურე მათ განმწმედი წყალი და გაიპარსონ სამართებლით მთელი ტანი, და გაირეცხონ სამოსი, და განიწმიდებიან.

⁸და მოიყვანონ მოზვერი და მასთან ერთად მოიტანონ პურეულის ძღვენი ზეთში მოზელილი ხორბლის გამტკიცული ფქვილისა, და მეორე მოზვერი მოიყვანონ ცოდვის მსხვერპლად.

⁹მოიყვანე ლევიანები საკრებულო კარვის წინ და შეკრიბე ისრაელიანთა მთელი თემი.

¹⁰მოიყვანე ლევიანები უფლის წინაშე, და დაასხან ისრაელიანებმა ხელები ლევიანებს.

¹¹ხოლო აარონმა აღუსრულოს შერხევის წესი ლევიანებს უფლის წინაშე ისრაელიანთაგან, რათა იტვირთონ მათ უფლის სამსახური.

¹²ლევიანები დაასხამენ ხელებს მოზვრებს თავზე, და შესწირე ერთი ცოდვისათვის, ხოლო მეორე სრულადდასაწველად უფლისათვის, ლევიანთა შესანდობად.

¹³და დააყენე ლევიანები აარონის წინაშე და მის ძეთა წინაშე, და აღასრულე მათზე შერხევის წესი უფლისათვის.

¹⁴და გამოყავი ლევიანები ისრაელიანთაგან, რათა ჩემები გახდნენ ისინი.

¹⁵მას შემდეგ ჩადგებიან ლევიანები საკრებულო კარვის სამსახურში, როცა განწმედ მათ, და შესარხევი მსხვერპლივით წარადგენ;

¹⁶რადგან მე მებოძა ისინი ისრაელიანთაგან, და მე მივიკუთვნე ისინი ყოველი საშოს გამომრღვევი პირმშოს ნაცვლად.

¹⁷რადგან ჩემია ისრაელიანთა ყოველი პირმშო, კაციდან პირუტყვამდე; მას შემდეგ, რაც მოვსპე ეგვიპტელთა ყოველი პირმშო, ჩემთვის განვიკუთვნე ისინი,

¹⁸და ავიყვანე ლევიანები ისრაელიანთა ყოველი პირმშოს ნაცვლად

¹⁹და საჩუქრად ვუბოძე ლევიანები აარონსა და მის ძეთ ისრაელიანთაგან, რათა შეასრულონ ისრაელიანთა სამსახური საკრებულო კარავში და შენდობა მოიპოვონ ისრაელიანთათვის, რათა არ იყოს ისრაელიანთა შორის მომსრველი სენი საწმიდართან მიახლოების გამო.

²⁰და გააკეთეს ასე მოსემ და აარონმა და ისრაელიანთა მთელმა თემმა ლევიანთათვის. ყოველივე, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს ლევიანთა შესახებ, ისე გააკეთეს მათთვის ისრაელიანებმა.



²¹განიწმიდნენ ცოდვისგან ლევიანები, გაირეცხეს სამოსი, და წარადგინა ისინი აარონმა შესარხვეი შესაწირავით უფლის წინაშე; და აღასრულა შენდობა მათთვის აარონმა, რათა განეწმიდა ისინი.

²²და ამის შემდეგ შევიდნენ ლევიანები თავიანთი მსახურების შესასრულებლად საკრებულო კარავში აარონის წინაშე და მის ძეთა წინაშე. როგორც უბრძანა უფალმა მოსეს, ისე მოექცნენ ისინი მათ.

²³ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

²⁴ესაა წესი ლევიათათვის: 25 წლიდან და ზევით, შევლენ სამსახურისათვის, რათა იმსახურონ საკრებულო კარავში.

²⁵მაგრამ 50 წლის ასაკში ისინი თავს დაანებებენ სამსახურს და აღარ იმუშავებენ.

²⁶მათ შეუძლიათ მოეხმარონ თავიანთ ძმებს საკრებულო კარვის დაცვაში, მაგრამ ნუღარ იმსახურებენ. ასე განაგე ლევიალების მოვალეობის აღსრულების საქმე.

რიცხვნი 9

¹და უთხრა უფალმა მოსეს სინაის უდაბნოში, ეგვიპტის ქვეყნიდან გამოსვლის მეორე წლის პირველ თვეს:

²უთხარი ისრაელიანთ, აღასრულონ პასეჟი მისთვის დაწესებულ დროს;

³ამ თვის მეთოთხმეტე დღეს, მწუხრის ჟამს აღასრულეთ ის, დაწესებულ დროს, ყოველი მისი წესისა და რიგის დაცვით აღასრულეთ ის.

⁴და უთხრა მოსემ ისრაელიანთ, რომ აღესრულებინათ პასეჟი.

⁵და აღასრულეს მათ პასეჟი პირველი თვის მეთოთხმეტე დღეს, მწუხრის ჟამს, სინაის უდაბნოში. ყველაფერი, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს, ისე აღასრულეს ისრაელიანებმა.

⁶და იყვნენ იქ ზოგიერთები, რომელნიც შებილწულნი იყვნენ მკვდარი ადამიანის გვამების შეხებით და არ შეეძლოთ პასეჟის აღსრულება იმ დღეს; და მივიდნენ ისინი მოსესა და აარონის წინაშე იმ დღეს,

⁷და უთხრეს მათ მას: „შებილწულნი ვართ მკვდარი ადამიანის გვამებთან შეხებით. რატომ უნდა მოვაკლდეთ და ვერ შევწიროთ შესაწირავი უფალს ისრაელიანთა შორის დანიშნულ დროს?“

⁸და უთხრა მათ მოსემ: „მოიცადეთ, მოვისმენ, რას გიბრძანებთ უფალი.“

⁹და უთხრა უფალმა მოსეს და თქვა:



- ¹⁰უთხარი ისრაელიანთ: თუ ვინმე თქვენგანი ან თქვენი შთამომავალი შეიბილწება გვამებთან შეხებით, ან თუ შორეულ გზაზე იქნება, მაინც აღასრულოს პასეჟი უფლისა.
- ¹¹მეორე თვის მეთოთხმეტე დღეს, მწუხრის ჟამს, აღასრულონ პასეჟი, ხმადითა და მწარე მწვანილთ ჭამონ ის.
- ¹²არაფერი დატოვონ მისგან შეუჭმელი განთიადამდე, და მისი ძვლები არ დაამტვრიონ; აღასრულონ პასეჟი ყოველი წესის დაცვით.
- ¹³ხოლო ყოველი, რომელიც სუფთაა და გზად არ არის, და არ აღასრულებს პასეჟს, ის სული უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან, რადგან უფლის შესაწირავი არ შესწირა დანიშნულ დროს, ცოდვა დაედება მას.
- ¹⁴თუ იცხოვრებს თქვენთან ხიზანი და აღასრულებს უფლის პასეჟს, წესისა და რიგისამებრ აღასრულოს ის. ერთი წესი გქონდეთ – ხიზნისათვისაც და ქვეყნის მკვიდრთათვისაც.
- ¹⁵კარვის აღმართვის დღეს ღრუბელმა დაფარა საკრებულო კარავი, და ბინდიდან განთიადამდე ცეცხლივით მოჩანდა ის კარვის თავზე.
- ¹⁶და ასე იყო მუდამ: ღრუბელი ფარავდა მას დღისით და ცეცხლივით ჩანდა ღამით კარავზე.
- ¹⁷როცა ღრუბელი კარავს ასცილდებოდა, მაშინ აიყრებოდნენ ხოლმე გზის გასადგომად ისრაელიანები. და იმ ადგილზე, სადაც ჩერდებოდა ღრუბელი, იქ დაიბანაკდებდნენ ხოლმე ისრაელიანები.
- ¹⁸უფლის ბრძანებით აიყრებოდნენ ხოლმე ისრაელიანები და უფლის ბრძანებითვე იბანაკებდნენ. მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ღრუბელი ეფინა კარავს, ისინიც იდგნენ.
- ¹⁹და მაშინაც, როცა ღრუბელი დიდხანს აყოვნებდა კარავზე, ისრაელიანები ასრულებდნენ უფლის ბრძანებას და არ აიყრებოდნენ ხოლმე.
- ²⁰და როდესაც ღრუბელი კარავზე რამდენიმე დღეს აყოვნებდა, ისინი უფლის ბრძანებით იბანაკებდნენ და უფლის ბრძანებითვე აიყრებოდნენ ხოლმე.
- ²¹და ისეც ხდებოდა, რომ ღრუბელი აყოვნებდა ბინდიდან განთიადამდე, და დილას აიწევდა ღრუბელი, და ისინიც აიყრებოდნენ ხოლმე. დღე იქნებოდა თუ ღამე, როცა აიწევდა ღრუბელი, ისინიც აიყრებოდნენ ხოლმე.
- ²²თუ ორი დღე, ან თვე, ან მთელი წელი აყოვნებდა ღრუბელი კარავზე, ისრაელიანებიც იდგნენ და არ დაიძვროდნენ. და როცა აიწევდა, ისინიც აიყრებოდნენ ხოლმე.



²³უფლის ბრძანებით ბანაკდებოდნენ და უფლის ბრძანებითვე აიყრებოდნენ ხოლმე, უფლის სამსახურს ასრულებდნენ. და დადიოდნენ უფლის ბრძანებით, მოსეს პირით რომ იყო გამოცხადებული.

რიცხვნი 10

¹და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

²გაიკეთე ვერცხლის ორი ბუკი, ჭედური გააკეთე ისინი, რათა გამოიყენო თემის მოსახმობად და ბანაკთა ასაყრელად.

³როდესაც ჩაჰბერავენ მათ, შეიკრიბება შენთან მთელი თემი საკრებულო კარვის შესასვლელთან.

⁴როდესაც ერთ ბუკს ჩაჰბერავენ, შეიკრიბებიან შენთან თავკაცები – ისრაელიანთა ათასისთავნი;

⁵როდესაც საგანგაშოს ჩაჰბერავთ, აიყრებიან ბანაკები, რომლებიც აღმოსავლეთით დგანან;

⁶როდესაც მეორედ ჩაჰბერავთ საგანგაშოს, აიყრებიან ბანაკები, რომლებიც სამხრეთით არიან დაბანაკებული. საგანგაშო უნდა ჩაჰბერონ მათ ასაყრელად.

⁷ხოლო როცა კრებულის შეკრება გახდება საჭირო, ჩაჰბერეთ ბუკი, მაგრამ არა საგანგაშო.

⁸აარონის ძეებმა – მღვდლებმა – უნდა ჩაჰბერონ ბუკები; და ეს იქნება სამუდამო წესად თქვენთვის და თქვენი მოდგმისათვის;

⁹როცა გახვალთ საომრად თქვენსავე ქვეყანაში მტრის წინააღმდეგ, რომელიც თქვენ გმტრობთ, მაშინ ჩაჰბერეთ ბუკებს საგანგაშოდ და გაგიხსენებთ უფალი, თქვენი ღმერთი, და გადაურჩებით თქვენს მტრებს;

¹⁰და თქვენი სიხარულის დღეს, და თქვენს დღესასწაულებზე, და თქვენს ახალმთვარობას დაჰბერეთ ბუკებს თქვენს სრულადდასაწველებზე და თქვენს სამადლობელო მსხვერპლებზე; და ეს იქნება თქვენს გასახსენებლად თქვენი ღმერთის წინაშე; მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.

¹¹და მეორე წლის, მეორე თვის, თვის მეოცე დღეს აიწია ღრუბელი საკრებულო კარვიდან.

¹²და აიყარნენ ისრაელიანები სინაის უდაბნოდან, და შეჩერდა ღრუბელი ფარანის უდაბნოში.

¹³პირველად აიყარნენ ისინი უფლის ბრძანებით, მოსემ რომ გადმოსცა.



- ¹⁴იუდიანთა ბანაკის დროშა პირველი დაიდრა რაზმად და რაზმად; ლაშქრას სათავეში ედგა ნახშონი, ძე ყამინადაბისა.
- ¹⁵და ისაქარიანთა ტომის ლაშქრის მეთაური იყო ნეთანელი, ძე ცუყარისა.
- ¹⁶და ზებულუნთანთა ტომის ლაშქრის მეთაური იყო ელიაბი, ძე ხელონისა.
- ¹⁷შემდეგ დაშალეს კარავი, და აიყარნენ გერშონიანები და მერარიანები – კარვის მზიდველნი.
- ¹⁸დაიდრა რეუბენის ბანაკის დროშა თავისი ლაშქრით, და მისი ლაშქარის მეთაური იყო ელიცური, ძე შედეურისა.
- ¹⁹სიმეონიანთა ტომის ლაშქრის მეთაური იყო შელუმიელი, ძე ცურიშადაისა.
- ²⁰და გადიანთა ტომის ლაშქრის მეთაური იყო ელიასაფი, ძე რელუელისა.
- ²¹შემდეგ აიყარნენ კოჰათიანები, საწმიდრის მზიდველნი; მათ მისვლამდე კარავი უკვე აღმართული იყო.
- ²²და დაიდრა დროშა ეფრემიანთა ბანაკისა მათი ლაშქრით, და ლაშქრის მეთაური იყო ელიშამაყი, ძე ყამიჰუდისა.
- ²³მანაშეანთა ტომის ლაშქრის მეთაური იყო გამალიელი, ძე ფედაცურისა.
- ²⁴და ბენიამინიანთა ლაშქრის მეთაური იყო აბიდან, ძე გედეონისა.
- ²⁵ბოლოს დაიდრა დროშა დანიანთა ბანაკისა, მათი ლაშქრით – ეს ბანაკი ყოველთვის უკანასკნელი იყო; და მისი ლაშქრის მეთაური იყო ახიყეზერი, ძე ყამიშადაისა.
- ²⁶აშერის ტომის ლაშქრის მეთაური იყო ფაგეყიელი, ძე ყოქრანისა.
- ²⁷და ნაფთალის ძეთა ტომის ლაშქრის მეთაური იყო ახირაყი, ძე ყენანისა.
- ²⁸ეს იყო ისრაელიანთა მგზავრობათა რიგი მათი ლაშქრების მიხედვით. ასე მგზავრობდნენ ისინი.
- ²⁹უთხრა მოსემ ხოზაბს, მოსეს სიმამრის, მიდიანელი რელუელის ძეს: „ჩვენ მივემგზავრებით იმ ადგილისაკენ, რომელზეც უფალმა თქვა: მას მოგცემთ თქვენ. წამოდი ჩვენთან ერთად, და სიკეთეს გწევთ, რადგან უფალმა სიკეთე ილაპარაკა ისრაელზე.“
- ³⁰მაგრამ მან უპასუხა: „არ წამოვალ, მე წავალ ჩემს სამშობლო ქვეყანაში.“
- ³¹უთხრა მოსემ: „ნუ მიგვატოვებ, რადგან შენ იცი, სად უკეთესია დაბანაკება უდაბნოში და შენ თვალი იქნები ჩვენთვის.“



³²თუ წამოხვალ ჩვენთან, მაშინ რა სიკეთესაც გვწევს უფალი, ჩვენც იმავეს გწევთ შენ.“

³³და იარეს უფლის მთიდან სამი დღის სავალზე, და აღთქმის კიდობანი წინ მიუძღოდა მათ სამი დღის სავალზე, რათა აღმოეჩინა მათთვის დასავანებელი ადგილი.

³⁴უფლის ღრუბელი უჩრდილებდა მათ დღისით, როცა მათი ბანაკი დაიძვროდა.

³⁵და როდესაც დაიძვროდა კიდობანი, მოსე ამბობდა: „აღდეგ, უფალო, და გაიფანტებიან შენი მტრები და გაიქცევიან შენი მოძულენი შენი პირისაგან.“

³⁶და როცა ჩერდებოდა კიდობანი, მოსე ამბობდა: „დაბრუნდი, უფალო, ისრაელიანთა ათასეულებთან და ბევრეულებთან.“

რიცხვნი 11

¹და დაიწყო ხალხმა ბოროტად დრტვინავა უფლის გასაგონად, და ესმა ეს უფალს და აღეზნო მისი რისხვა, და გაჩნდა იქ უფლის ცეცხლი, და შთანთქა ბანაკის განაპირი.

²და შეჰღაღადა ხალხმა მოსეს; და ილოცა მოსემ უფლის მიმართ და დაცხრა ცეცხლი.

³და უწოდეს სახელი იმ ადგილს თაბერაყი რადგან იქ აენთო უფლის ცეცხლი.

⁴ჭრელი ბრბო, მათ რომ გამოჰყვა ეგვიპტიდან, აჰყვა გულისთქმას; და მათთან ერთად ისხდნენ ისრაელიანები ტიროდნენ და ამბობდნენ: „ვინ გვაჰმევს აქ ხორცს?“

⁵გვახსოვს თევზი, მუქთად რომ ვჭამდით ეგვიპტეში, აგრეთვე კიტრი და ნესვი, პრასი, ხახვი და ნიორი.

⁶ახლა კი სული გვძვრება შიმშილით, არაფერია მანანის გარდა ჩვენს თვალწინ.“

⁷მანანა იყო როგორც ქინძის თესლი და თეთრი, შესახედად ჭირხლივით იფინებოდა

⁸ხალხი გადიოდა და აგროვებდა მას, და ფქვავდა დოლაბებზე, ან ნაყავდა როდინებში და ხარშავდა ქვაბებში, და მის კვერებს აცხოვდა, გემო ზეთიანი კვერისა ჰქონდა.

⁹და როცა ღამით ნამი დააწვებოდა ბანაკს, მანანაც მაშინ გადმოდიოდა.



¹⁰მოსეს ესმოდა, რომ ხალხი ტიროდა თავიანთ ოჯახებში, თითოეული თავისი კარვის კართან. მაშინ აინთო რისხვა უფლისა ფრიად, და შეწუხდა მოსე.

¹¹და უთხრა მოსემ უფალს: „რად უბოროტე შენს მსახურს ასე? რად ვერ ვპოვე წყალობა შენს თვალში, მთელი ამ ხალხის ტვირთი რომ მე ამკიდე?

¹²მე ხომ არ მიტარებია მთელი ეს ხალხი მუცლით? მე ხომ არ მიშვია ისინი, რომ მეუბნები, დიდძალით უბით წაიყვანეო იმ ქვეყანაში, მათ მამებს რომ აღუთქვიო ფიცით?

¹³სადა მაქვს ხორცი, რომ მივცე ამ ხალხს, რომ შემომტირიან და ამბობენ: ხორცი მოგვეცი, რომ ვჭამოთო?

¹⁴არ ძალმიძს მე მარტოს მთელი ამ ხალხის ტარება, რადგან მძიმეა ეს ჩემთვის.

¹⁵თუ შენს თვალში წყალობა მიპოვია, თუ ასე მექცევი, ბარემ მომკალი, რათა არ ვუყურებდე ჩემს გაჭირვებას.“

¹⁶და უთხრა უფალმა მოსეს: „შემიკრიბე 70 უხუცესი ისრაელიანთაგან, რომელთაც ხალხის უხუცესებად და ზედამხედველებად იცნობ; მოიყვანე ისინი სადღესასწაულო კარავთან, რომ შენთან ერთად იდგნენ იქ.

¹⁷ჩამოვალ და ვილაპარაკებ იქ შენთან, და ავიღებ იმ სულის ნაწილს, რომელიც შენზეა, და მათზე მოვაგლენ, რათა ატარონ შენთან ერთად ხალხის ტვირთი, რომ შენ არ ატარო მარტომ.

¹⁸ხალხს კი უთხარი: ‘განიწმიდეთ ხვალისათვის და ხორცი გექნებათ საჭმელად, რადგან ტიროდით უფლის გასაგონად და ამბობდით: ვინ მოგვცემსო ხორცს საჭმელად? რა კარგად ვიყავითო ეგვიპტეში. მოგცემთ უფალი ხორცს საჭმელად,

¹⁹არა ერთ და ორ დღეს, არა ხუთ დღეს, და არა ათ დღეს, და არა ოც დღეს,

²⁰არამედ მთელ თვეს, სანამ ცხვირიდან არ გადმოანთხევთ და არ შეგეზიზღებათ, რადგან შეურაცხჰყავით უფალი, რომელიც თქვენს შორისაა, და მოსთქვამდით მის წინაშე და ამბობდით: რისთვის გამოვედითო ეგვიპტიდან?’“

²¹და თქვა მოსემ: „ნოი ათასი ფეხოსანია ამ ხალხში, რომელთა შორისაც მე ვარ, და შენ ამბობ: მე მივცემო მათ ხორცს და მთელ თვეს ექნებათ საჭმელად.

²²რამდენი ცხვარი და ძროხა უნდა დაუკლა მათ, რომ ეყოთ? ან იქნებ მთელი ზღვის თევზი შეუგროვო მათ, რომ ეყოთ?’“



²³უთხრა უფალმა მოსეს: „ნუთუ მოკლეა ხელი უფლისა? ახლა იხილავ, ასრულდება თუ არა ჩემი სიტყვა.“

²⁴და გამოვიდა მოსე და მოუთხრო ხალხს უფლის სიტყვები, და შეკრიბა 70 კაცი ხალხის უხუცესთაგან, და დააყენა ისინი კარავთან.

²⁵და ჩამოვიდა უფალი ღრუბელში, და ელაპარაკა მას და აიღო ნაწილი იმ სულისა, რომელიც იყო მასზე, და მოჰვინა იგი 70 უხუცესს. და როცა დაივანა მათზე სულმა, იწყეს წინასწარმეტყველება, მაგრამ შემდეგ შეწყვიტეს.

²⁶და დარჩა ორი კაცი ბანაკში; სახელი ერთისა იყო ელდადი, სახელი მეორისა – მედადი. და დაივანა მათზე სულმა. ისინი იყვნენ აღწერილთაგან, მაგრამ არ გასულან კარავთან. და ისინიც აწინასწარმეტყველდნენ ბანაკში.

²⁷და მოირბინა ერთმა ჭაბუკმა, და აუწყა მოსეს და უთხრა: ელდადი და მედადი წინასწარმეტყველებენო ბანაკში.

²⁸და მიუგო იესო ნავეს ძემ, რომელიც მოსეს მსახური იყო სიყრმიდან, და უთხრა: „ბატონო ჩემო, მოსე, შეაჩერე ისინი.“

²⁹და უთხრა მას მოსემ: „ხომ არ ეჭვიანობ ჩემს გამო? ნეტავ უფლის მთელი ხალხი წინასწარმეტყველი იყოს, და უფალი თავის სულს მათაც მოჰვენდეს.“

³⁰და დაბრუნდნენ მოსე და ისრაელის უხუცესნი ბანაკში.

³¹და ამოვარდა ქარი უფლისაგან და მორეკა მწყერი ზღვიდან, და დაყარა იგი ბანაკთან ერთი დღის სავალზე იქით და ერთი დღის სავალზე აქეთ, ბანაკის ირგვლივ, თითქმის ორი წყრთის სისქეზე მიწის პირიდან.

³²და ადგა ხალხი და აგროვა მწყერი მთელ იმ დღეს და მთელ ღამეს, და მთელ მეორე დღეს. ვინც ცოტას აგროვებდა, ათი ხომერი შეაგროვა. და შემოიწყვეს თავისთვის ის ბანაკის გარშემო.

³³მაგრამ ხორცი ჯერ კიდევ კბილებში ჰქონდათ, ჯერ არ დაედექათ, რომ უფლის რისხვა აინთო ხალხზე, და მუსრი გაავლო უფალმა ხალხს.

³⁴და უწოდეს იმ ადგილს სახელად კიბროთ-ჰათაავა, რადგან იქ დაასაფლავეს სულსწრაფი ხალხი.

³⁵და დაიდრა ხალხი კიბროთ-ჰათაავადან ხაცეროთისაკენ.

რიცხვნი 12



- ¹და როცა ხაცეროთში იყვნენ, მირიამმა და აარონმა გაკილეს მოსე ქუშელი ცოლის გამო, რადგან ქუშელი ქალი შეირთო მან ცოლად.
- ²და თქვეს: „განა მხოლოდ მოსეს ელაპარაკებოდა უფალი? განა ჩვენც კი არ გველაპარაკებოდა?“ და ესმა ეს უფალს.
- ³ხოლო მოსე იყო ძალზე თავმდაბალი კაცი დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ყველა ადამიანზე მეტად.
- ⁴უცრად უთხრა უფალმა მოსეს, აარონსა და მირიამს: „გამოდით სამივე საკრებულო კარავთან.“ და გავიდა სამივე.
- ⁵და ჩამოვიდა უფალი ღრუბლის სვეტში, და დადგა კარვის შესასვლელთან, და მოუხმო აარონსა და მირიამს, და ორივე გავიდა.
- ⁶და უთხრა: „ისმინეთ ჩემი სიტყვები: თუ არის ვინმე თქვენგანი უფლის წინასწარმეტყველი, მე, უფალი, ხილვაში ვეცხადები მას, სიზმარში ვლაპარაკობ მასთან.
- ⁷მაგრამ ასე არაა ჩემს მსახურ მოსესთან; მას მინდობილი აქვს მთელი ჩემი სახლი.
- ⁸მასთან მე პირისპირ ვლაპარაკობ, ცხადლივ და არა იგავებით, უფლის სახეს ჭკრეტს იგი. და როგორ არ გეშინიათ ჩემი მსახურის, მოსეს, წინააღმდეგ ლაპარაკისა?“
- ⁹და აღინთო რისხვა უფლისა მათ მიმართ, და წავიდა იგი.
- ¹⁰და ღრუბელი განშორდა კარავს. და აჰა, მირიამი თოვლივით დაფარა კეთრმა. და შეხედა აარონმა მირიამს, და აჰა, კეთრი მოსდებია მას.
- ¹¹და უთხრა აარონმა მოსეს: „გევედრები, ბატონო ჩემო, ნუ დაგვსჯი, ასე უგუნურად რომ მოვიქცეით და შევცოდეთ.
- ¹²ნუ დაემსგავსება მირიამი იმ მკვდარს, რომელიც თავისი დედის საშოდან მკვრადშობილი გამოდის.“
- ¹³და შეჰღაღადა მოსემ უფალს: „ღმერთო, გევედრები, განკურნე იგი!“
- ¹⁴მაგრამ უფალმა უთხრა მოსეს: „მამამისს რომ მისთვის სახეში შეეფურთხებინა, შვიდ დღეს ხომ ვერ გამოჩნდებოდა სირცხვილით? დაე, შვიდ დღეს დაიმალოს ბანაკს გარეთ, და შემდეგ დაბრუნდეს.“
- ¹⁵და გაიყვანეს მირიამი ბანაკს გარეთ შვიდი დღით. და ხალხი მირიამის დაბრუნებამდე არ აყრილა, რომ გზას გასდგომოდა.
- ¹⁶შემდეგ დაიდრა ხალხი ხაცეროთიდან და დაბანაკდა ფარანის უდაბნოში.



რიცხვნი 13

- ¹და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:
- ²„გაგზავნე კაცები და დაზვერონ ქანაანის ქვეყანა, რომელსაც მე ვაძლევ ისრაელიანებს. თითო კაცი გაგზავნე თითო ტომიდან, ტომთა თავკაცნი იყვნენ ისინი.“
- ³და გაგზავნა ისინი მოსემ ფარანის უდაბნოდან უფლის სიტყვისამებრ. ყველა ისენი იყვნენ ისრაელიანთა თავკაცები.
- ⁴და აჰა, მათი სახელები: რეუბენის ტომიდან შამუაყი, ძე ზაქურისა.
- ⁵სიმეონის ტომიდან შაფატი, ძე ხორისა.
- ⁶იუდას ტომიდან ქალები, ძე იეფუნესი.
- ⁷ისაქარის ტომიდან იგალი, ძე იოსებისა.
- ⁸ეფრემის ტომიდან ჰოშეაყი, ნავეს ძე.
- ⁹ბენიამინის ტომიდან ფალტი, ძე რაფუსი.
- ¹⁰ზებულუნის ტომიდან გადიელი, ძე სოდისა.
- ¹¹იოსების ტომიდან, გადი, ძე სუსისა – მანაშეს მხრიდან.
- ¹²დანის ტომიდან ყამიელი, ძე გემალისა,
- ¹³აშერის ტომიდან სეთური, ძე მიქაელისა.
- ¹⁴ნაფთალის ტომიდან ნახბი, ძე ვოფსისა.
- ¹⁵გადის ტომიდან გეუელი, ძე მაქისა.
- ¹⁶აჰა, სახელები კაცებისა, რომელნიც გაგზავნა მოსემ ქვეყნის დასაზვერად. და უწოდა მოსემ ჰოშეაყ ნავეს ძეს, იესო.
- ¹⁷როცა გააგზავნა ისინი მოსემ ქანაანის ქვეყნის დასაზვერად, უთხრა მათ: „წადით ნეგებისაკენ და ადით მთაზე,
- ¹⁸და იხილეთ ქვეყანა, როგორია იგი, და ხალხი, რომელიც იქ ცხოვრობს, ძლიერია თუ უძლური, მცირერიცხოვანია თუ მრავალრიცხოვანი?
- ¹⁹და როგორია ქვეყანა, სადაც ისინი ცხოვრობენ, კარგია თუ ცუდი? და როგორია ქალაქები, რომლებშიც ცხოვრობენ, ბანაკებში მკვიდრობენ თუ ციხე-სიმაგრეებში?
- ²⁰და როგორია ნიადაგი, პოხიერია თუ მწირი? იზრდება იქ ხეები, თუ არა? იმარჯვეთ და წამოიღეთ იქაური ხილი“ (ეს ის დრო იყო, როცა ყურძენი მწიფს).



²¹და ავიდნენ ისინი და დაზვერეს ქვეყანა ცინის უდაბნოდან რეხოზამდე – ხამათის მისასვლელამდე.

²²წავიდნენ ნეგებისაკენ და მივიდნენ ხებრონამდე; და მკვიდრობდნენ იქ ახიმანი, შეშაი და თალმაი, ყანაკის ნაშიერნი (ხებრონი ეგვიპტის ქალაქ ცოყანზე შვიდი წლით ადრე აშენდა).

²³მივიდნენ ეშქოლის ხევამდე, და მოჭრეს იქ ვაზის რტო და ყურძნის ერთი მტევანი, და წამოიღო იგი ორმა კაცმა ხარიხაზე დაკიდული, ასევე წამოიღეს ბროწეული და ლელვი.

²⁴იმ ადგილს უწოდეს ნახალ-ეშქოლი, იმ მტევნის გამო, რომელიც იქ მოჭრეს ისრაელიანებმა.

²⁵და 40 დღის შემდეგ, რაც მათ ქვეყანა დაზვერეს, უკან დაბრუნდნენ.

²⁶და მოვიდნენ მოსესთან და აარონთან, და ისრაელიანთა მთელ თემთან ფარანის უდაბნოში – კადეშში, და მოუტანეს ამბავი მთელ თემს, და აჩვენეს მათ იმ ქვეყნის ხილი.

²⁷და უამბეს: „მივედით იმ ქვეყანაში, სადაც თქვენ მიგვაგვლინეთ, და ნამდვილად მოედინება იქ რძე და თაფლი, და აჰა, იქაური ხილი.

²⁸ოღონდ ძლიერი ხალხი ცხოვრობს იმ ქვეყანაში, ქალაქებიც გამაგრებული აქვთ და ძალზე დიდი, ყანაკის ნაშიერნიც ვნახეთ იქ.

²⁹ყამალეკი მკვიდრობს ნეგების ქვეყანაში, ხეთელნი, იებუსელნი და ამორეველნი მკვიდრობენ მთებში, ხოლო ქანაანელნი მკვიდრობენ ზღვისპირეთში და იორდანეს სანაპიროებზე.“

³⁰ქალებმა კი დაამშვიდა ხალხი მოსეს წინაშე და თქვა: „ავიდეთ და დავიმკვიდროთ იგი, რადგან ჩვენ შეგვიძლია მათი ძლევა.“

³¹ხოლო კაცებმა, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ დასაზვერად, თქვეს: „ვერ შევძლებთ გასვლას იმ ხალხის წინააღმდეგ, რადგან ის ჩვენზე ძლიერია.“

³²ცუდი ხმები გაავრცელეს ისრაელიანებში ქვეყანაზე, რომელიც დაზვერეს, და თქვეს: „ქვეყანა, რომელიც მოვიარეთ დასაზვერად, თავის მკვიდრთა მჭამელი ქვეყანაა. და მთელი ხალხი, რომელიც იქ ვნახეთ, ბუმბერაზია.

³³იქ ვნახეთ დევკაცები, ყანაკის ძენი, დევკაცთა შთამომავალნი. ბუზები გვეგონა ჩვენი თავი და ასევე ვჩანდით მათ თვალშიც.“

რიცხვნი 14



- ¹ატეხა მოთქმა მთელმა თემმა და ტიროდა ხალხი იმ ღამეს;
- ²და დრტვინავდა ყოველი ისრაელიანი მოსეზე და აარონზე, და უთხრა მათ მთელმა თემმა: „ნეტავ დავხოცილიყავით ეგვიპტის ქვეყანაში, ან ნეტავ ამ უდაბნოში გავმწყდარიყავით!“
- ³რატომ მივყავართ უფალს იმ ქვეყანაში, სადაც მახვილი მოგვიღებს ბოლოს? და ჩვენი ცოლ-შვილი ტყვედ ჩავარდება? არ აჯობებს, რომ ისევ ეგვიპტეში დავბრუნდეთ?”
- ⁴და უთხრეს ერთმანეთს: „ამოვირჩიოთ მეთაური და დავბრუნდეთ ეგვიპტეში.“
- ⁵და დაემხნენ მოსე და აარონი პირქვე ისრაელიანთა მთელი კრებულის წინაშე.
- ⁶და ქვეყნის მზევრავთაგან იესო ნავეს ძემ და ქალებ იეფუნეს ძემ შემოიხიეს სამოსელი
- ⁷და უთხრეს ისრაელის მთელ თემს: „ქვეყანა, რომელიც ჩვენ მოვიარეთ დასაზვერად, ფრიად, ფრიად კარგი ქვეყანაა.
- ⁸თუ მოწყალეა ჩვენს მიმართ უფალი, მაშინ შეგვიყვანს იმ ქვეყანაში და მოგვცემს იმ მიწას, სადაც მოედინება რძე და თაფლი.
- ⁹ოღონდ უფლის წინააღმდეგ ნუ ამბოხდებით და ნუ შეგეშინდებათ იმ ქვეყნის ხალხისა, რადგან ჩვენი ლუკმაა ის; განშორდა მათ მათი მფარველი, ხოლო უფალი ჩვენს შორის არის. ნუ გეშინიათ მათი.“
- ¹⁰და თქვა მთელმა თემმა: ჩავქოლოთო ესინი! მაშინ უფლის დიდება გამოჩნდა საკრებულო კარავში მთელი ისრაელის წინაშე.
- ¹¹და უთხრა უფალმა მოსეს: „როდემდე უნდა მარისხებდეს ეს ხალხი? და როდემდე არ უნდა მერწმუნოს იგი ყველა იმ სასწაულის შემდეგ, რაც მათ შორის მოვახდინე?
- ¹²მოვსრავ მას შავი ჭირით და გავანადგურებ, შენგან კი შევქმნი ერს, მასზე უფრო დიდსა და ძლიერს.“
- ¹³და უთხრა მოსემ უფალს: „გაიგებენ ეგვიპტელები, რომელთაგანაც შენი ძლიერებით გამოიყვანე ეს ხალხი,
- ¹⁴და ეტყვიან იმ ქვეყნის მცხოვრებთ, რომლებმაც შეიტყვეს, რომ შენ, უფალი, ამ ხალხს შორისა ხარ, რომ შენ, უფალი, თვალდათვალ ეცხადები და ღრუბელი შენი ადგას მათ, და ღრუბლის სვეტში წინ მიუძღვიხარ მათ დღისით, და ცეცხლის სვეტში – ღამით,



¹⁵და თუ შენ ერთიანად გაჟღეკ ამ ხალხს, მაშინ იტყვიან ერები, რომლებსაც სმენიათ შენი დიდება:

¹⁶‘რაკი უფალმა ვერ შეძლო ამ ხალხის მიყვანა იმ ქვეყანაში, რომელიც მან ფიცით აღუთქვა მათ, ამიტომ დახოცა ისინი უდაბნოში.’

¹⁷და ახლა, განდიდდეს ძალა უფლისა, როგორც შენ თქვი:

¹⁸‘უფალი მრავლის მომთმენი და მრავალმოწყალეა, მიმტევებელია ბრალისა და დანაშაულისა, და არამც და არამც არ გაამართლებს დამნაშავეს, მამათა ცოდვას შვილების მესამე და მეოთხე თაობას მოჰკითხავს.’

¹⁹გთხოვ, მიუტევო ეს დანაშაული ამ ხალხს შენი დიადი მოწყალებისამებრ, როგორც მიგიტევებია ამ ხალხისთვის ეგვიპტიდან ვიდრე აქამდე.“

²⁰და უთხრა უფალმა მოსეს: „მიმიტევებია შენი სიტყვისამებრ;

²¹მაგრამ მე ცოცხალი ვარ და უფლის დიდებით აღვსილია მთელი ქვეყანა,

²²რომ ვერცერთი ამ კაცთაგანი, რომელმაც იხილა ჩემი დიდება და ჩემი სასწაულები, რაც მოვახდინე ეგვიპტეში და უდაბნოში, და ვინც მე ათჯერ გამომცადა და არ ისმინა ჩემი ხმა,

²³ვერ იხილავს ქვეყანას, რომელიც ფიცით აღვუთქვი მათ მამებს. და ვერც ერთი ჩემი შეურაცხყოფელი ვერ იხილავს მას.

²⁴მხოლოდ ქალებს, ჩემს მსახურს, რაკი სხვა სული ჰქონდა და ბოლომდე მიერთგულა, შევიყვან იმ ქვეყანაში, სადაც დადიოდა თვითონ, და მისი შთამომავლობა დაიმკვიდრებს მას.

²⁵ყამალეკელნი და ქანაანელნი ველზე ცხოვრობენ. ხვალ მობრუნდით და გაემგზავრეთ უდაბნოში მეწამული ზღვის გზით.“

²⁶და ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს და უთხრა:

²⁷„როდემდე უნდა დრტვინავდეს ეს ბოროტი თემი ჩემს მიმართ? გავიგონე ისრაელიანთა დრტვინვა, რომლითაც დრტვინავენ ჩემს მიმართ.

²⁸უთხარი მათ: ‘ცოცხალი ვარ მე!’ – ამბობს-თქო უფალი, – როგორც თქვენ ამბობდით ჩემს გასაგონად, ისე მოგექცევით თქვენ.

²⁹ამ უდაბნოში დაცვივა თქვენი გვამები და თქვენ ყველა, აღრიცხულნი მთელი თქვენი რიცხვიდან, 20 წლიდან და ზევით, რომლებიც დრტვინავდით ჩემზე,

³⁰ვერ შეხვალთ იმ ქვეყანაში, რომელზეც აღვმართე ხელი, რათა დამემკვიდრებინეთ იქ, გარდა ქალებისა, იეფუნეს ძისა, და იესოსი, ნავეს ძისა.



³¹თქვენს ბავშვებს კი, რომლებზეც ამბობდით: ნადავლად იქცევიანო, შევიყვან იქ, და შეიცნობენ იმ ქვეყანას, რომელიც შეიძულეთ.

³²და თქვენი გვამები დაცვივა ამ უდაბნოში.

³³და თქვენი ძენი იხეტიალებენ უდაბნოში 40 წელიწადს და ეწამებიან თქვენი მეძაობისთვის, სანამ არ გაიხრწნება თქვენი გვამები უდაბნოში.

³⁴იმ დღეთა რიცხვის მიხედვით, ქვეყანას რომ ზვერავდით: 40 დღე, თითო წელი თითო დღეზე, თქვენი ცოდვებისათვის 40 წელი ეწამებით და გამოსცდით, თუ რას ნიშნავს ჩემგან მიტოვება.

³⁵მე, უფალი, ვამბობ და ასე მოვექცევი ამ ბოროტ თემს, რომელიც ამბობდა ჩემს წინააღმდეგ. ამ უდაბნოში დაასრულებენ ისინი სიცოცხლეს და აქ დაიხოცებიან.“

³⁶და ის კაცები, რომელნიც მიავლინა მოსემ ქვეყნის დასაზვერად, რომლებიც დაბრუნდნენ და აღაშფოთეს მის წინააღმდეგ მთელი თემი იმ ქვეყანაზე ცუდი ხმების დაყრით,

³⁷ის კაცები, რომლებმაც ცუდი ხმები დაყარეს იმ ქვეყნის შესახებ, სენით დაიხოცნენ და უფლის წინაშე დაეცნენ.

³⁸მხოლოდ იესო ნავეს ძე და ქალებ იეფუნეს ძე გადარჩნენ ცოცხლები იმ კაცთაგან, რომელნიც ქვეყნის დასაზვერად იყვნენ წასული.

³⁹როცა მოსე ამ სიტყვებს ელაპარაკებოდა ისრაელიანთ, ხალხი ძლიერ დამწუხრდა.

⁴⁰ადგნენ დილაადრიანად და გაეშურნენ მთის თხემისაკენ და თქვეს: წავიდეთ იმ ადგილისაკენ, რომელზეც თქვა უფალმა, რადგან ჩვენ შევცოდეთო.

⁴¹ხოლო მოსემ უთხრათ: „რად გადადიხართ უფლის ბრძანებას? აქედან არაფერი გამოვა.

⁴²ნუ ახვალთ, რომ არ შეიმუსროთ თქვენი მტრების წინაშე, რადგან უფალი თქვენს შორის არაა;

⁴³რადგან ყამალეკნი და ქანაანელნი დაგიხვდებიან და მახვილით დაეცემით, რადგან ზურგი აქციეთ უფალს, და არ იქნება ის თქვენთან.“

⁴⁴მაგრამ ისინი გაკადნიერდნენ და ავიდნენ მთის თხემზე. ხოლო უფლის აღთქმის კიდობანი და მოსე არ გასულან ბანაკიდან.

⁴⁵და ჩამოვიდნენ ყამალეკნი და ქანაანელნი, რომელნიც მკვიდრობდნენ იმ მთაზე, სძლიეს მათ და ხორმამდე გარეკეს.



რიცხვნი 15

- ¹და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:
- ²გამოუცხადე ისრაელიანთ და უთხარი მათ: როდესაც შეხვალთ იმ ქვეყანაში, რომელსაც მე თქვენ დასამკვიდრებლად გაძლევთ,
- ³და მიიტანთ საცეცხლო მსხვერპლს უფლისათვის – სრულადდასაწველს ან აღთქმულ საკლავს, ან სამოწყალოს, თქვენი დღესასწაულების დროს, უფლისათვის სურნელების საკმევად, ნახირიდან შესწირავთ თუ ფარიდან,
- ⁴შესწიროს შემწირავმა თავისი შესაწირავი უფალს: შესაწირავი ხორბლის გამტკიცული ფქვილისა – ეფის მეთედი, მოზელილი მეოთხედ ჰინ ზეთში.
- ⁵და მოიტანე ღვინო საღვრელად სრულადდასაწველთან ერთად და საკლავთან ერთად – მეოთხედი ჰინი თითო კრავზე.
- ⁶ხოლო როცა ვერძს შესწირავ, მასთან ერთად მიიტანე პურეულის შესაწირავი ხორბლის გამტკიცული ფქვილისა ეფის ორი მეთედი, მოზელილი ჰინის მესამედ ზეთში,
- ⁷და საღვრელად მიიტანე ღვინო ჰინის მესამედი კეთილსურნელებად უფლისათვის.
- ⁸და თუ მოზვერი მიგყავს სრულადდასაწველად ან საკლავ მსხვერპლად, აღთქმის აღსასრულებლად, ან სამადლობლო მსხვერპლად უფლისათვის,
- ⁹მოზვერთან ერთად უნდა მიიტანო ძღვენი ხორბლის გამტკიცული ფქვილისა ეფის სამი მეთედი, მოზელილი ნახევარ ჰინ ზეთში.
- ¹⁰და მიიტანე საღვრელი ღვინო ნახევარი ჰინი საცეცხლო მსხვერპლად, კეთილსურნელებად უფლისათვის.
- ¹¹ასე გააკეთე ყოველი ზვარაკის, ვერძის, თიჯნის ან კრავის შეწირვისას.
- ¹²რაოდენობის მიხედვით, რამდენსაც ამზადებთ, თითოზე იმდენი მიიტანეთ მათი რაოდენობის მიხედვით.
- ¹³ყოველმა მკვიდრმა ასე გააკეთოს ეს, როცა მიიტანს საცეცხლო მსხვერპლს კეთილსურნელებად უფლისათვის;
- ¹⁴და თუ თქვენი ხიზანი, ან სხვა ვინმე, ვინც არ უნდა იყოს, რომელიც თაობიდან თაობამდე ცხოვრობს თქვენთან, და მოიტანს საცეცხლო მსხვერპლს კეთილსურნელებად უფლისათვის, როგორც თქვენ აკეთებთ, მანაც ისე გააკეთოს.



¹⁵თქვენთვის, უფლის თემისთვის, და ხიზნისთვის, რომელიც თქვენშია, ერთი წესია, მარადიული წესი თქვენი თაობებისთვის: როგორც თქვენ ხართ, ისევე იყოს ხიზანიც უფლის წინაშე.

¹⁶ერთი კანონი და ერთი სამართალი უნდა იყოს თქვენთვის და ხიზნისთვის, რომელიც შემოხიზნულია თქვენთან.

¹⁷ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

¹⁸„დაელაპარაკე ისრაელიანთ და უთხარი: როცა შეხვალთ იმ ქვეყანაში, რომელშიც მე მიმყავხართ,

¹⁹და შეჭამთ იმ ქვეყნის პურს, შესაწირავი უნდა აძლიოთ უფალს.

²⁰პირველგამომცხვარი კვერი თქვენი ცომისა შესწირეთ შესაწირად. როგორც კალოს შესაწირავი, ისე შესწირეთ იგი.

²¹თქვენი პირველგამომცხვარი ცომისაგან აძლიეთ უფალს შესაწირავი თაობიდან თაობამდე.

²²და თუ შეცდებით და ვერ შეასრულებთ ამ მცნებას, რომელიც უფალმა უთხრა მოსეს,

²³ყოველივე, რაც გიანდერძათ უფალმა მოსეს მეშვეობით, იმ დღიდან, რაც თქვენ და თქვენს მოდგმას გიანდერძათ უფალმა,

²⁴და თუ თემის უყურადღებობით მოხდა ეს შეცდომა, მთელმა თემმა მოამზადოს ერთი მოზვერი სრულადდასაწველად, კეთილსურნელებად უფლისათვის, და მისი პურეულის ძღვენი და მისი საღვრელი წესისამებრ, და ერთი თიკანი ცოდვის მსხვერპლად.

²⁵და შეუწოდოს მღვდელმა ისრაელიანთა მთელ თემს, და მიეტევება მათ, რადგან ეს შეცდომა იყო; და მათ მიიტანეს თავიანთი შესაწირავი უფლის წინაშე საცეცხლო მსხვერპლად და ცოდვის მსხვერპლად მათი შეცდომისათვის.

²⁶და მიეტევება ისრაელიანთა მთელ თემსა და ხიზანს, რომელიც შეხიზნულია მათთან, რადგან მთელმა ხალხმა შეცდომით გააკეთა ეს.

²⁷და თუ ერთი ვინმე შესცოდავს შეცდომით, შესწიროს წელგამოვლილი დედალი თიკანი.

²⁸და შეუწოდოს მღვდელი შეცდომით შემცოდეს უფლის წინაშე, შეუწოდოს და ეპატიება მას.

²⁹ისრაელიანი მკვიდრისთვის და ხიზნისთვის, რომელიც თქვენთანაა შემოხიზნული, ერთი წესი იყოს შეცდომის ჩამდენისათვის.



³⁰ის კი, ვინც თავხედურად მოიქცევა, მკვიდრთაგან იქნება ის თუ ხიზანთაგან, და უფალს დაგმოვს, მოიკვეთოს ის თავისი ხალხიდან,

³¹რადგან უფლის სიტყვა შეურაცხყო და მისი მცნება დაარღვია. შემუსვრით შეიმუსროს ის კაცი, მისი ცოდვა მის კისერზეა.“

³²როცა ისრაელიანები უდაბნოში იყვნენ, ნახეს კაცი, რომელიც შემას აგროვებდა შაბათ დღეს.

³³და მათ, ვინც ის შემის შემგროვებელი ნახეს, მიჰგვარეს ის მოსეს, აარონსა და მთელ თემს;

³⁴და ჩასვეს ის საპყრობილეში, რადგან არ იყო გარკვეული, როგორ უნდა მოქცეოდნენ მას.

³⁵და უთხრა უფალმა მოსეს: „უნდა მოიკლას ეს კაცი. ქვით ჩაქოლოს ის მთელმა თემმა ბანაკს გარეთ.“

³⁶გაიყვანა იგი მთელმა თემმა ბანაკს გარეთ და ქვით ჩაქოლა; და მოკვდა იგი, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

³⁷და უთხრა უფალმა მოსეს:

³⁸„დაელაპარაკე ისრაელიანთ და უთხარი, რომ გაიკეთონ ფოჩები სამოსის კალთებზე და ასე ატარონ თაობიდან თაობამდე, და ჩააწნან სამოსის კალთის ფოჩებში ლურჯი ძაფი.

³⁹და გქონდეთ ის ფოჩები სამოსლის კალთებზე, რომ მის დანახვაზე გაიხსენოთ ყოველი მცნება უფლისა და აღასრულოთ ისინი და არ აჰყვეთ თქვენს გულსა და თვალს, რომლებიც გიბიძგებენ მრუშობისაკენ,

⁴⁰რათა გახსოვდეთ და აღასრულებდეთ ყოველ ჩემს მცნებას, და იყოთ წმიდები თქვენი ღმერთისათვის.

⁴¹მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი, რომელმაც გამოგიყვანათ თქვენ ეგვიპტის ქვეყნიდან, რათა ვიყო თქვენი ღმერთი. მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.“

რიცხვნი 16

¹და ადგნენ კორაზი, ძე იცჰარისა, კოჰათის ძისა – ლევიანი, და დათანი და აზირამი, ძენი ელიაბისა, და ონი, ძე ფელეთისა – რეუბენიანები,

²წარდგნენ მოსეს წინააღმდეგ და მათთან ერთად 250 კაცი ისრაელიანთაგან, თავკაცნი თემისა, საკრებულოში მიწვეულნი, ცნობილი კაცები.



³შეიკრიბნენ მოსეს და აარონის წინააღმდეგ და უთხრეს მას: „გეყოფათ! რადგან მთელი თემი წმიდაა და მათ შორისაა უფალი! და რად აღზევდით თქვენ უფლის თემზე?“

⁴მოისმინა ეს მოსემ და პირქვე დაემხო.

⁵და უთხრა კორახს და მთელ მის დასს: „დილით უფალი აუწყებს, ვინაა მისი და ვინაა წმიდა, რათა დაიახლოვოს, და ვისაც გამოარჩევს, მას დაიახლოვებს.

⁶ასე მოიქცით: აიღეთ თქვენი საცეცხლურები კორახმაც და მთელმა მისმა დასმა,

⁷და ხვალ ჩაყარეთ შიგ ცეცხლი, და დააყარეთ ზედ საკმეველი უფლის წინაშე; და ვისაც ამოირჩევს უფალი, ის იქნება წმიდა. გეყოთ, ლევიანებო!“

⁸და უთხრა მოსემ კორახს: „აბა, ისმინეთ, ლევიანებო!

⁹ნუთუ ეს გეცოტავებათ, რომ გამოგყოთ ისრაელის ღმერთმა ისრაელიანთა თემიდან და დაგიახლოვათ, რათა შეგესრულებინათ უფლის კარვის სამსახური და მდგარიყავით თემის წინაშე მის მსახურებად?

¹⁰დაგიახლოვა შენ და შენთან ერთად ყველა შენი ძმა – ლევიანები – შენთან ერთად. და ახლა მღვდლობასაც ესწრაფით?

¹¹ამიტომ შენ და მთელი შენი დასი შეთქმულხართ უფლის წინააღმდეგ. ვინ არის აარონი, რომ დრტვინავთ მის მიმართ?“

¹²გააგზავნა მოსემ დათანისა და აბირამის, ელიაბის ძეთა, დასაძახებლად, მაგრამ მათ თქვეს: „არ მოვალთ!

¹³ნუთუ არ გეყო, რომ უდაბნოში დასახოცად გამოგვიყვანე ქვეყნიდან, სადაც რძე და თაფლი მოედინებოდა? და ახლა ისიც გინდა, რომ გაგვიბატონდე!

¹⁴არც იმ ქვეყანაში მიგიყვანივართ, სადაც რძე და თაფლი მოედინება, არც ველ-მინდვრები და ვენახები მოგიცია სამფლობელოდ. თვალები გინდა დაუბრმავო ამ ხალხს? არ წამოვალთ!“

¹⁵ძალიან ეწყინა მოსეს, და უთხრა უფალს: „ნუ მიხედავ მათ ძღვენს. არც ერთი მათგანისათვის არ წამირთმევია სახედარი, და არც ერთი მათგანისათვის არ გამიკეთებია ბოროტი.“

¹⁶და უთხრა მოსემ კორახს: „შენ და მთელი შენი დასი იყავით უფლის წინაშე ხვალ, შენ და ისინი, და აარონი.

¹⁷და აიღეთ თითოეულმა თქვენი საცეცხლურები და დააყარეთ მას საკმეველი, და მიიტანოს თითოეულმა თავისი საცეცხლური უფლის წინაშე



– 250 საცეცხლური. და შენ და აარონმაც თქვენ-თქვენი საცეცხლურები მიიტანეთ.“

¹⁸და აიღო თითოეულმა თავისი საცეცხლური და ჩაყარა შიგ ცეცხლი, და დააყარა ზედ საკმეველი, და დადგნენ საკრებულო კარვის შესავალთან, ასევე მოსე და აარონიც.

¹⁹და შეკრიბა კორახმა მათ წინააღმდეგ მთელი თემი საკრებულო კარვის შესასვლელთან, და გამოეცხადა დიდება უფლისა მთელ თემს.

²⁰და უთხრა უფალმა მოსეს და აარონს:

²¹„გამოეყავით იმ თემს, და მე მოვსპობ მათ წამიერად.“

²²პირქვე დაემხნენ ისინი, და თქვეს: „ღმერთო, ყოველი ხორციელის სულთა ღმერთო, ერთმა კაცმა შესცოდა და მთელ თემზე რად მრისხანებ?“

²³და უთხრა უფალმა მოსეს:

²⁴„უთხარი ამ თემს: განერიდონ კორახის, დათანისა და აბირამის გარემოს.“

²⁵და ადგა მოსე, და წავიდა დათანთან და აბირამთან, და გაჰყვნენ ისრაელის უხუცესები.

²⁶და უთხრა მან თემს: „განშორდით ამ უღვთო ადამიანთა კარვებს, და ნუ შეეხებით ნურაფერს, რაც მათ ეკუთვნის, რათა არ დაიღუპოთ მთელი მათი ცოდვებით.“

²⁷და განერიდნენ კორახის, დათანისა და აბირამის სადგომებს; ხოლო დათანი და აბირამი გამოვიდნენ და დადგნენ თავიანთი კარვების შესასვლელთან თავიანთი ცოლებით და ძეებით, და მცირეწლოვანი ბავშვებითურთ.

²⁸და თქვა მოსემ: „ამით გაიგებთ, რომ უფალმა მომავლინა მე ყოველი ამ საქმის გასაკეთებლად, და რომ ეს არ მოდის ჩემი გულიდან.

²⁹თუ ესენი ისე დაიხოცებიან, როგორც ყველა ადამიანი კვდება, და ყველა ადამიანის სასჯელი ეწევათ, არ ვყოფილვარ მე უფლის გამოგზავნილი.

³⁰ხოლო თუ ახალ რასმე ჩაიდენს უფალი და გააღებს მიწა პირს და შთანთქავს მათ და ყველაფერს, რაც მათ ეკუთვნით, და ისინი ცოცხლად ჩავლენ შავეთში, იცოდეთ, რომ უფალი დაუგმია ამ ხალხს.“

³¹დაასრულა თუ არა ამ სიტყვების თქმა, მიწა გამოეცალა მათ ფეხქვეშ;

³²დააღო მიწამ პირი, და შთანთქა ისინი და მათი სახლები, კორახის მთელი ხალხი, და მთელი მათი ქონება.



³³და ჩაცვივდნენ ისინი და ყველაფერი, რაც მათ ეკუთვნოდათ, შავეთში, და დაფარა ისინი მიწამ, და გადაშენდნენ კრებულიდან.

³⁴მთელი ისრაელი, რომელიც მათ ირგვლივ იყო, გაიქცა მათ ყვირილზე, შეშინებული: ვაითუ ჩვენც გვშთანთქასო მიწამ!

³⁵და ცეცხლი გამოვიდა უფლისაგან და შთანთქა ეს 250 კაცი, რომელთაც მიიტანეს საკმეველი.

³⁶და უთხრა უფალმა მოსეს:

³⁷„უთხარი ელეაზარ მღვდელს, აარონის ძეს, აკრიფოს საცეცხლურები ნახანძრალიდან და ცეცხლი გადაყაროს გარეთ,

³⁸რადგან ამ ცოდვილთა საცეცხლურები წმიდა გახდა მათი სიცოცხლის ფასად. მათი საცეცხლურებისგან გამოჰედონ ფურცლები სამსხვერპლოს გარემოსადებლად, რადგან მათ მიიტანეს ისინი უფლის წინაშე და წმიდა გახდა ისინი. ნიშნად ჰქონდეთ ეს ისრაელიანთ.“

³⁹და აიღო ელეაზარ მღვდელმა ბრინჯაოს საცეცხლურები, რომლებიც დამწვრებს ჰქონდათ მოტანილი, და გამოჰედეს მათგან სამსხვერპლოს მოსაპირკეთებელი ფირფიტები,

⁴⁰რათა ახსოვდეთ ისრაელიანებს, რომ უცხო კაცმა, ვინც აარონის შთამომავალი არ არის, არ დაიწყოს უფლის წინაშე საკმევლის კმევა, რომ არ ეწიოს კორახისა და მისი დასის ბედი, როგორც უთხრა მას უფალმა მოსეს პირით.

⁴¹მეორე დღეს დრტვინავდა ისრაელიანთა მთელი თემი მოსესა და აარონის წინააღმდეგ, და ეუბნებოდა: თქვენ გაწყვიტეთო უფლის ხალხი.

⁴²და როცა შეიკრიბა თემი მოსესა და აარონის წინააღმდეგ, მიბრუნდნენ საკრებულო კარვისაკენ და დაინახეს, რომ დაფარა ის ღრუბელმა, და გამოცხადდა უფლის დიდება.

⁴³და მივიდნენ მოსე და აარონი საკრებულო კარვის წინ.

⁴⁴და უთხრა უფალმა მოსეს:

⁴⁵„მოსცილდით ამ თემს და მოვსპობ მათ წამში.“ და პირქვე დაემხნენ ისინი.

⁴⁶და უთხრა მოსემ აარონს: „აილე საცეცხლური, და ჩაყარე შიგ ცეცხლი სამსხვერპლოდან, და დააყარე საკმეველი, და წადი სწრაფად თემისაკენ და შეუხდე მათ. რადგან გამოვიდა რისხვა უფლისაგან, და იფეთქა შავმა ჭირმა.“



⁴⁷და აიღო აარონმა საცეცხლური, როგორც უთხრა მოსემ, და კრებულის შუაგულს მიაშურა. და იხილა, რომ იფეთქა შავმა ჭირმა ხალხში. და ჩაყარა საკმეველი საცეცხლურში და შეუნდო ხალხს.

⁴⁸ჩადგა იგი მკვდრებსა და ცოცხლებს შორის და შეწყდა შავი ჭირი.

⁴⁹და შეიმუსრა 12700 კაცი, კორახის გამო დახოცილთა გარდა.

⁵⁰და დაბრუნდა აარონი მოსესთან საკრებულო კარვის კართან, მას შემდეგ, რაც შეწყდა შავი ჭირი.

რიცხვნი 17

¹და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

²დაელაპარაკე ისრაელიანთ და გამოართვი მათ კვერთხები – თითო კვერთხი თითო ტომს, ყოველ თავკაცს მამისსახლის მიხედვით; ყოველ კვერთხს თავისი პატრონის სახელი დააწერე.

³ხოლო აარონის სახელი წააწერე ლევის კვერთხს, რადგან ერთი კვერთხია მათი მამისსახლის თავკაცისათვის.

⁴დააწყვე ისინი საკრებულო კარავში სჯულის კიდობნის წინ, სადაც მე გამოგეცხადებით.

⁵და ვისაც მე ამოვირჩევ, მისი კვერთხი აყვავდება; და ასე დავაცხრობ ისრაელიანთა ჯანყს, რომ აჯანყებულან თქვენს წინააღმდეგ.

⁶უთხრა მოსემ ყოველივე ეს ისრაელიანთ, და მისცა მას ყველა თავკაცმა თითო კვერთხი, მათი ტომების მიხედვით, სულ 12 კვერთხი, და აარონის კვერთხი იყო მათ კვერთხებს შორის.

⁷და დააწყო მოსემ კვერთხები უფლის წინაშე საკრებულო კარავში.

⁸და მეორე დღეს შევიდა მოსე საკრებულო კარავში, და აჰა, აყვავდა აარონის კვერთხი ლევის სახლიდან, აყვავდა, გაიფურჩქნა ყვავილი და გამოისხა ნუში.

⁹და გამოუტანა მოსემ ყველა კვერთხი უფლისაგან ყველა ისრაელიანს. ნახეს მათ და აიღო თითოეულმა თავისი კვერთხი.

¹⁰და უთხრა უფალმა მოსეს: „დააბრუნე აარონის კვერთხი სჯულის კიდობნის წინ შესანახად, ნიშნად ჭირვეულ მეთათვის, და შეწყდება მათი დრტვინვა ჩემზე, და აღარ მოისრებიან.“

¹¹და გააკეთა მოსემ, როგორც უბრძანა უფალმა.



¹²და უთხრეს ისრაელიანებმა მოსეს: „აჰა, ვიხოცებით, იღუპება ყველა ჩვენგანი!

¹³ყველა, ვინც მიუახლოვდება უფლის კარავს, კვდება. ნუთუ ყველანი დასაღუპად ვართ განწირული?“

რიცხვნი 18

¹უთხრა უფალმა აარონს: „შენ და შენმა ძეებმა და შენმა მამისსახლმა შენთან ერთად უნდა იტვირთოთ შეცოდება საწმიდარში. და შენს ძეებთან ერთად უნდა იტვირთო დანაშაული თქვენს სამღვდელო მსახურებისას.

²შენი ძმები, ლევის ტომისა, გუნდი მამაშენისა შენ წაიყვანე, რათა შენთან იყვნენ განუყრელად და გემსახურონ, შენ და შენი ძენი კი საკრებულო კარვის წინ უნდა იყვნეთ.

³და ისინი უნდა გემსახურონ შენ და ადასრულონ კარვის მთელი სამსახური, ოღონდ არ უნდა მიეკარონ საწმიდრის ჭურჭელსა და საკურთხეველს, რათა არ დაიხოცნეთ თქვენცა და ისინიც.

⁴თან გახლდნენ შენ, და ადასრულონ საკრებულო კარვის სამსახური, კარვის ყოველი სამუშაო. და უცხო კაცი არ უნდა მოგეკაროთ თქვენ.

⁵ადასრულეთ საწმიდრისა და სამსხვერპლოს სამსახური, რათა მეტად აღარ მოვიდეს რისხვა ისრაელიანებზე.

⁶აჰა, მე გამოვირჩიე შენი ძმები, ლევიალები, ისრაელიანთაგან, და მოგეცით თქვენ, ძღვნად უფლისა, რათა ადასრულონ საკრებულო კარვის სამსახური.

⁷ხოლო შენ და შენმა ძეებმა ადასრულეთ თქვენი მღვდლობა სამსხვერპლოს ყველა წესით და ფარდის მიღმა, და იმსახურეთ; მღვდლობა თქვენთვის მომინიჭებია. თუ უცხოელი მიუახლოვდება მსახურებას, უნდა მოკვდეს.“

⁸უთხრა უფალმა აარონს: „აჰა, მე დაგავალე შენ მეთვალყურეობა ყოველ შემოწირულობაზე, ისრაელიანთა ყოველ წმიდა მსხვერპლზე, და მოგეცით სამღვდელო წილად შენ და შენს ძეებს საუკუნო წესით.

⁹აი, რა გეკუთვნის დიდი სიწმიდადან, საცეცხლო მსხვერპლიდან: ყოველი მათი პურეულის ძღვენი და ყოველი მათი ცოდვის მსხვერპლი, და ყოველი მათი დანაშაულის მსხვერპლი, რასაც მე ისინი მომიძღვნიან; ესაა დიდი სიწმიდე შენთვის და შენს ძეთათვის.

¹⁰უწმიდეს ადგილზე ჭამეთ იგი; ყოველ მამრს შუძლია ჭამოს იგი. სიწმიდე იყოს ის შენთვის.



¹¹ასევე გეკუთვნის შენ: წმიდა ძღვენი მათი შემოწირულობიდან, ისრაელიანთა ყოველი შესარხეველი მსხვერპლიდან შენ გაძლევ, შენს ძეებსა და შენს ასულებს შენთან ერთად სამარადისო წესად. შენს სახლში ყოველ სუფთას+ შეუძლია ჭამოს იგი.

¹²ყოველ შესაწირავს საუკეთესო ზეთისაგან, ყოველი საუკეთესო ღვინისაგან და საუკეთესო მარცვლეულისაგან, პირველმოწეულ ნაყოფთაგან, უფალს რომ უძღვნიან, შენ გაძლევ.

¹³და ყოველი პირველმოწეული ნაყოფი მათი მიწისა, როდესაც მიუტანენ უფალს, შენი იქნება. შენ სახლში ყოველ გასუფთავებულს შეუძლია ჭამოს იგი.

¹⁴ისრაელის მიწაზე ყველაფერი დარისხებული შენ გეკუთვნის.

¹⁵ყოველი ხორციელის პირველნაშობი, რომელსაც მიუძღვნიან უფალს, ადამიანი იქნება თუ პირუტყვი, შენ გეკუთვნის. მაგრამ ადამიანთაგან პირმშო გამოსყიდულ უნდა იქნეს, და უწმიდური პირუტყვის პირველმოგებულები გამოსყიდულ უნდა იქნეს.

¹⁶მისი გამოსასყიდა: ერთი თვის ასაკიდან გამოსასყიდი ფასი იქნება შენი შეფასების მიხედვით, ხუთ ვერცხლ შეკელად, საწმიდრის შეკელით – 20 გერაა.

¹⁷მაგრამ ძროხის, ცხვრის, ან თხის პირველმოგებულზე არ აიღო გამოსასყიდი: ისინი წმიდა ცხოველებია. მათი სისხლი მოაპკურე სამსხვერპლოზე და მათი ქონი დააკმე საცეცხლო მსხვერპლად, კეთილსურნელებად უფლისათვის.

¹⁸და მათი ხორცი შენი იყოს ისევე, როგორც შესარხეველი მკერდი და მარჯვენა ბეჭი არის შენი.

¹⁹ყოველი წმიდა შესაწირავი, რასაც სწირავენ ისრაელიანები უფალს, შენთვის მომიცია, შენი ძეებისა და ასულებისათვის შენთან ერთად, საუკუნო წესად. ეს არის საუკუნო აღთქმა მარილისა უფლის წინაშე შენთვის და შენი შთამომავლობისათვის.“

²⁰და უთხრა უფალმა აარონს: „მათ ქვეყანაში ვერ დაიმკვიდრებ სამკვიდრებელს და წილი არ გექნება მათ შორის; მე ვარ შენი წილი და შენი სამკვიდრებელი ისრაელიანთა შორის.

²¹და ლევიათებს მე მივეცი ყოველი მეთაედი ისრაელში სამკვიდრებლად, მათი სამსახურის სანაცვლოდ, რასაც ისინი ასრულებენ საკრებულო კარავში.



²²და ამიერიდან აღარ მიუახლოვდნენ ისრაელიანები საკრებულო კარავს, რომ არ დაიდონ ცოდვა და არ დაიხოცნენ.

²³და ემსახურონ ლევიალები საკრებულო კარავს და იტვირთონ თავიანთი ცოდვები. ეს საუკუნო წესია თქვენთვის თაობიდან თაობამდე; და ისრაელიანთა შორის არ მიიღონ მათ სამკვიდრებელი,

²⁴რადგან ისრაელიანთა მეათედი, რომელსაც შესაწირავად სწირავენ უფალს, მე ლევიაებს ვაძლევ სამკვიდროდ. ამიტომ ვუთხარი მათ: ისრაელიანთა შორის არ მიიღებთ-მეთქი სამკვიდრებელს.“

²⁵და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

²⁶„განუცხადე ლევიაებს და უთხარი მათ: ‘როდესაც აიღებთ ისრაელიანთაგან მეათედს, რომელიც მე მოგეცით მათგან სამკვიდროდ, შესწირეთ მისგან უფალს შესაწირავი – მეათედი მეათედიდან.

²⁷და ჩაეთვლება თქვენი შესაწირავი, როგორც მარცვლეული კალოდან და როგორც ღვინო საწნახლიდან.

²⁸ეგრე შესწირეთ თქვენც შესაწირავი უფალს ყოველი თქვენი მეათედიდან, რასაც აიღებთ ისრაელიანთაგან, და მისცემთ მისგან უფლის შესაწირავს აარონ მღვდელს;

²⁹ყველაფრიდან, რასაც მოგიძღვნიან, შესწირეთ უფალს, საუკეთესო ნაწილი უნდა შეიწიროს მისგან.’

³⁰და უთხარი მათ: ‘როცა შესწირავ საუკეთესოს მისგან, ეს ჩაეთვლება ლევიათ, კალოს შემოსავლად და საწნახლის შემოსავლად.

³¹ჰამეთ ის ყოველ ადგილზე თქვენ და თქვენმა შვილებმა; რადგან ეს საზღაურია თქვენი სამსახურისათვის საკრებულო კარავში.

³²და არ დაგედებათ ამისათვის ცოდვა, როცა შესწირავთ საუკეთესოს მისგან ღალად; და ისრაელიანთა შემოწირულობანი არ შებილწოთ და არ დაიხოცებით.’“

რიცხვნი 19

¹ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს და უთხრა:

²„ეს არის წესი რჯულისა, რომელიც ბრძანა უფალმა: უთხარი ისრაელიანთ, რომ მოგგვარონ შენ წითელი საღი დეკეული, რომელსაც არ ექნება ხინჯი, და უღელში არ ყოფილა შებმული.



- ³მიჰგვარეთ ის ელეაზარ მღვდელს, რომ გაიყვანოს ბანაკს გარეთ და დაკლან მის თვალწინ.
- ⁴და აიღოს ელეაზარ მღვდელმა მისი სისხლი თითით და მოაჰკუროს საკრებულო კარვის წინა მხარეს შვიდჯერ.
- ⁵და დაწვან დეკეული მის თვალწინ: მისი ტყავი, ხორცი და სისხლი მის ნეხვთან ერთად დაწვან;
- ⁶აიღოს მღვდელმა კედარის ხე და უსუპი, ასევე ჭიაფერი ნართი და დააყაროს აღმოდებულ დეკეულს.
- ⁷გაირეცხოს მღვდელმა შესამოსელი და წყლით დაიბანოს ტანი, და ამის შემდეგ შევიდეს ბანაკში, და შებილწული დარჩება მღვდელი საღამომდე.
- ⁸და დეკეულის დამწველმა გაირეცხოს სამოსელი წყლით და ტანი დაიბანოს წყლით; ის შებილწული დარჩება საღამომდე.
- ⁹შეაგროვოს ვინმე შეუბილწავმა კაცმა ფერფლი დეკეულისა და დაყაროს ბანაკს გარეთ, სუფთა ადგილას, და ის შეინახოს ისრაელიანთა თემმა გამასუფთაებელი წყლისთვის; ეს არის ცოდვის მსხვერპლი.
- ¹⁰დეკეულის ფერფლის შემგროვებელმა გაირეცხოს სამოსელი, და შებილწული დარჩება საღამომდე. და იყოს ეს ისრაელიანთათვის და მათთან მცხოვრებ ხიზანთათვის სამუდამო წესად.
- ¹¹ვინც მკვდარი ადამიანის გვამს მიეკარება, შებილწული იქნება შვიდი დღე.
- ¹²მესამე დღეს და მეშვიდე დღეს გასუფთავდება იგი. და თუ ის არ გასუფთავდება მესამე დღეს და მეშვიდე დღეს, არ იქნება სუფთა.
- ¹³ყოველი, ვინც მიეკარება მკვდარი ადამიანის გვამს და არ გასუფთავდება, უფლის სავანეს შებილწავს იგი. მოიკვეთოს ეს პირი ისრაელიდან, რადგან გამასუფთაებელი წყალი არ ეპყრა მას, და შებილწულია ის, და მისი სიბილწე კვლავაც მასზეა.
- ¹⁴და ეს არის წესი: როდესაც ადამიანი კარავში მოკვდება, ყველა, ვინც შევა კარავში, და ყველა, ვინც კარავშია, შებილწული იქნება შვიდ დღეს.
- ¹⁵ასევე ყოველი თავდია ჭურჭელი, რომელიც თავდასარქვლული და პირმოკრული არაა, შებილწულია.
- ¹⁶და ყველა, ვინც შეეხება მინდორში მახვილით განგმირულს, ან მკვდარს, ან ადამიანის ძვალს, ან საფლავს, შებილწული იქნება შვიდ დღეს.



¹⁷შებილწულისათვის აიღონ ცოდვის გამოსყიდვისათვის დამწვარი იმ დეკეულის ფერფლი და დაასხან მას წყაროს წყალი ჭურჭლით.

¹⁸და აიღოს ვინმე სუფთა ადამიანმა უსუპი, და ამოავლოს ამ წყალში, და აპკუროს კარავს, და ყოველ მის ჭურჭელს და ყველა ადამიანს, რომელიც იქ იქნება, და ყველას, ვინც შეხებია ადამიანის ძვალს, ან გვამს, ან საფლავს.

¹⁹აპკუროს სუფთამ შებილწულს მესამე დღეს და მეშვიდე დღეს, და ასე გაასუფთავებს მას მეშვიდე დღეს. და გაირეცხავს სამოსელს, და წყლით დაიბანს ტანს, და უკვე სუფთა იქნება საღამოთი.

²⁰და თუ ვინმე შეიბილწა და არ გასუფთავდა, უნდა მოიკვეთოს კრებულიდან, რადგან შებილწა უფლის საწმიდარი; გამასუფთავებელი წყალი არ პკურებია მას და შებილწულია იგი.

²¹იყოს ეს მათთვის სამუდამო წესად. და წყლის მასხურებელმაც გაირეცხოს თავისი სამოსელი; და ვინც გამასუფთავებელ წყალს შეეხება, შებილწული დარჩება საღამომდე.

²²და ყველაფერი, რასაც შებილწული გაეკარება, შებილწული იქნება. და ვინც მას მიეკარება, შებილწული დარჩება საღამომდე.“

რიცხვნი 20

¹და მოვიდნენ ისრაელიანები, მთელი თემი, ცინის უდაბნოში პირველ თვეს, და დარჩა ხალხი კადეშში, და მოკვდა იქ მირიამი და იქვე დაეფლა.

²და არ ჰქონდა თემს წყალი, და შეითქვნენ ისინი მოსესა და აარონის წინააღმდეგ.

³და აუჯანყდა ხალხი მოსეს და უთხრა: „ნეტავ ჩვენც მაშინ დავხოცილიყავით, როცა ჩვენი ძმები დაიხოცნენ უფლის წინაშე!

⁴რისთვის მოგვიყვანე უფლის კრებული ამ უდაბნოში, რომ გავწყდეთ აქ ჩვენცა და ჩვენი საქონელიც?

⁵რად ამოგვიყვანეთ ეგვიპტიდან, იმისთვის, რომ მოგეყვანეთ ამ უვარგის ადგილას, რომელზეც არც ითესება, და არც ლედვია და ვაზი, არც ბროწეული და წყალიც კი არაა დასაღევად?“

⁶და წავიდნენ მოსე და აარონი კრებულისაგან საკრებულო კარვის შესასვლელისკენ, და დაეცნენ პირქვე, და გამოეცხადა მათ დიდება უფლისა.

⁷და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:



⁸„აილე კვერთხი, და შეკრიბეთ მთელი თემი შენ და აარონმა, შენმა ძმამ, და უთხარით კლდეს მათ თვალწინ, და მოგცემთ ის თავისგან წყალს. და ასე გადმოუჩქეფებ მათ წყალს კლდიდან, და დაარწყულენ შენს თემსა და მათ პირუტყვს.“

⁹აიღო მოსემ კვერთხი, რომელიც უფლის წინაშე იყო, როგორც მან უბრძანა.

¹⁰და შეკრიბეს მოსემ და აარონმა კრებული კლდესთან და უთხრა მათ: „ისმინეთ, მეამბოხებო, ამ კლდისაგან ხომ არ გამოგიდინოთ წყალი?“

¹¹და აღმართა მოსემ ხელი, და დაჰკრა კლდეს თავისი კვერთხი ორჯერ. და წამოვიდა უხვად წყალი, და სვა თემმა და მათმა პირუტყვმა.

¹²მაგრამ უთხრა უფალმა მოსეს და აარონს: „რადგან არ მერწმუნეთ მე, რომ გამომეჩინა ისრაელიანთა თვალში ჩემი სიწმიდე, თქვენ ვერ შეიყვანთ ამ კრებულს იმ ქვეყანაში, რომელსაც მათ ვაძლევ.“

¹³ესაა მერიბას წყალი, სადაც დრტვინავდნენ ისრაელიანები უფალზე და სადაც გამოუჩინა მან მათ თავისი სიწმიდე.

¹⁴გაგზავნა მოსემ მოციქულები კადეშიდან ედომის მეფესთან ამ სიტყვებით: „ასე თქვა შენმა ძმამ, ისრაელმა: შენ იცი ყოველი სიძნელე, რომელიც ჩვენ თავს გადაგვხდა,

¹⁵ჩავიდნენ ჩვენი მამები ეგვიპტეში, და იქ ვცხოვრობდით დიდხანს, და ცუდად გვეპყრობოდნენ ეგვიპტელნი ჩვენცა და ჩვენს მამებსაც.

¹⁶და როდესაც შევღალადეთ უფალს, ისმინა მან ჩვენი ხმა, და მოავლინა ანგელოზი და გამოგვიყვანა ეგვიპტიდან. და მოვედით კადეშში, შენს მოსაზღვრე ქალაქში.

¹⁷ნება მოგვეცი, გავიაროთ შენს ქვეყანაზე. არ გავივლით თქვენს ყანებსა და ვენახებზე, და არ დავლევთ თქვენი ჭების წყალს. სამეფო გზით ვივლით და არ გადავუხვევთ არც მარჯვნივ და არც მარცხნივ, ვიდრე არ გავცდებით შენს საზღვარს.“

¹⁸მაგრამ ედომმა შეუთვალა მას: „არ გაიარო ჩემს მიწაზე, თორემ მახვილით გამოვალ შენს წინააღმდეგ.“

¹⁹უთხრეს მას ისრაელიანებმა: „ჩვენ წამოვალთ მთავარი გზით, და თუ შენ წყალს დავლევთ მე და ჩემი საქონელი, საზღაურს გადაგიხდით; სხვას არაფერს გთხოვთ, მხოლოდ ფეხით გავივლით.“

²⁰მაგრამ მან შეუთვალა: „არ გაიარო!“ და გამოვიდა ედომი ისრაელის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი, კარგად აღჭურვილი ლაშქრით.



²¹არ დათანხმდა ედომი, რომ გზა მიეცა ისრაელიანთათვის, რომ გაეცლო მის საზღვრებში. და გვერდი აუარა მას ისრაელმა.

²²დაიდრნენ კადეშიდან ისრაელიანები, და მივიდა მთელი თემი ჰორის მთასთან.

²³და უთხრა უფალმა მოსეს და აარონს ჰორის მთაზე, ედომის ქვეყნის საზღვარზე:

²⁴„შეერთოს აარონი თავის ხალხს, რადგან იგი არ შევა იმ ქვეყანაში, რომელიც მივეცი ისრაელიანთ, რადგან თქვენ არ დაემორჩილეთ ჩემს ბრძანებას მერიბას წყალთან.

²⁵წაიყვანე აარონი და ელეაზარი, მისი ძე, და აიყვანე ისინი ჰორის მთაზე.

²⁶გახადე აარონს მისი შესამოსელი და შემოსე მით ელეაზარი, მისი ძე, რადგან აარონი შეეძინება თავის ხალხს და იქ მოკვდება.“

²⁷გააკეთა მოსემ ისე, როგორც უბრძანა უფალმა, და ავიდნენ ჰორის მთაზე მთელი თემის თვალწინ.

²⁸გახადა მოსემ აარონს მისი შესამოსელი და შემოსა მით ელეაზარი, მისი ძე. და მოკვდა აარონი იქ მთის თხემზე, და ჩამოვიდნენ მოსე და ელეაზარი მთიდან.

²⁹და იხილა მთელმა თემმა, რომ მოკვდა აარონი, და დასტიროდა აარონს ისრაელის მთელი სახლი 30 დღე.

რიცხვნი 21

¹როდესაც გაიგო ქანაანელმა მეფემ, ყარადის, სამხრეთის მკვიდრმა, რომ მოდის ისრაელი ათარიმის გზით, შეებრძოლა იგი ისრაელს, და ზოგიერთი მათგანი ტყვედ წაიყვანა.

²და აღთქმა მისცა ისრაელმა უფალს და თქვა: „თუ ამ ხალხს ხელში ჩამიგდებ, მაშინ მე მათ ქალაქებს დავარისებ.“

³ისმინა უფალმა ისრაელის ხმა, და მისცა ქანაანელნი, და დაარისხეს ისინი და მათი ქალაქები, და უწოდეს სახელი იმ ადგილს ხორმა.

⁴და დაიდრნენ ჰორის მთიდან მეწამული ზღვისაკენ მიმავალი გზით, რათა გვერდი აეცლოთ ედომის ქვეყნისთვის. და ხალხმა გამოავლინა სულმოკლეობა გზაზე.



⁵ალაპარაკდა ხალხი ღმერთისა და მოსეს წინააღმდეგ: „რისთვის გამოგვიყვანეთ ეგვიპტიდან, რომ უდაბნოში დავხოცილიყავით? რადგან აქ არ არის პური და არც წყალი, და შეგვძაგდა ეს უვარგისი საჭმელი.“

⁶და მოუვლინა უფალმა ხალხს შხამიანი გველები, რომლებიც გესლავდნენ ხალხს, და ბევრი გაწყდა ისრაელში.

⁷მივიდა ხალხი მოსესთან და უთხრა: „შევცოდეთ, რადგან ვილაპარაკეთ უფლისა და შენს წინააღმდეგ. შევედრე უფალს, რომ მოგვაშოროს ეს გველები.“ და ილოცა მოსემ ხალხისათვის.

⁸და უთხრა უფალმა მოსეს: „გააკეთე ბრინჯაოს გველი და დაამაგრე იგი კეტზე, და ყოველი დაგესლილი, ვინც მას შეხედავს, ცოცხალი გადარჩება.“

⁹გააკეთა მოსემ ბრინჯაოს გველი, და დაამაგრა კეტზე. და თუ გველი ვინმეს დაკბენდა, შეხედავდა იგი ბრინჯაოს გველს, ცოცხალი რჩებოდა.

¹⁰აიყარნენ ისრაელიანები და დაიბანაკეს ობოთში.

¹¹და აიყარნენ ობოთიდან, და დაიბანაკეს ყიე-ყაბარიმის უდაბნოში, რომელიც მოაბის პირისპირაა, მზის აღმოსავლეთისკენ.

¹²იქიდან აიყარნენ და დაბანაკდნენ ზერედის ხევში.

¹³იქიდან აიყარნენ, გადაიარეს არნონის ხეობა და უდაბნოში დაიბანაკეს, რომელიც ესაზღვრება ამორეველთა სამფლობელოებს.

(არნონი მოაბის საზღვარია მოაბსა და ამორეველთა სამფლობელოებს შორის.

¹⁴ამიტომაც ნათქვამია საუფლო ბრძოლების წიგნში: „და ვაჰები, სუფაში რომ არის, და ხეობები, და არნონი

¹⁵და ხეობათა კალთები, რომელიც ეშვებიან ყარისაკენ და ებჟინებიან მოაბის საზღვრებს.“)

¹⁶და იქიდან მათ გასწიეს ბერისაკენ . ეს ის ჭაა, რომელზეც მოსეს უთხრა უფალმა: შეკრიბე ხალხი და მივცემო მათ წყალს.

¹⁷მაშინ იგალობა ისრაელმა ეს საგალობელი: „აღივსე, ჭაო! უგალობეთ მას!

¹⁸ჭა, რომელიც ამოიღეს მთავრებმა, ამოთხარეს ხალხის თავკაცებმა კვერთხით – თავიანთი არგნებით!“ და უდაბნოდან გასწიეს მათანასაკენ;

¹⁹მათანადან ნახალიელისაკენ და ნახალიელიდან ბამოთისაკენ,

²⁰ბამოთიდან გავიდნენ ღაიში, რომელიც მოაბის მიწაზეა, ფისგას მთის თხემზე, უდაბნოსკენ რომ იყურება.



²¹და გაუგზავნა ისრაელმა მოციქულები სიხონს, ამორეველთა მეფეს, ამ სიტყვებით:

²²„გავივლით შენს ქვეყანაზე. არ შევალთ არც ყანებში და არც ვენახებში, არ დავლევთ შენი ჭების წყალს, და ვივლით სამეფო გზით, ვიდრე არ გავცდებით შენს საზღვრებს.“

²³მაგრამ სიხონმა თავის საზღვრებში გავლის ნება არ მისცა ისრაელს. და შეკრიბა სიხონმა მთელი თავისი ჯარი, და გამოვიდა ისრაელის წინააღმდეგ უდაბნოში, და მივიდა იაჰაცში, და შეებრძოლა ისრაელს.

²⁴მოსრა იგი ისრაელმა მახვილით, და დაეუფლა მის ქვეყანას არნონიდან იაბოკამდე – ყამონელთა ტომებამდე, რადგან ყამონელთა ტომების საზღვარი გამაგრებული იყო.

²⁵აიღო ისრაელმა ყველა ეს ქალაქი და დასახლდა ამორეველთა ყველა ქალაქში, ხეშბონში და ყველა მის დაბა-სოფლებში.

²⁶რადგან ხეშბონი იყო ამორეველთა მეფის, სიხონის, ქალაქი. და ის ებრძოდა მოაბის ყოფილ მეფეს, და წაართვა მთელი ქვეყანა არნონამდე.

²⁷ამიტომ ამბობენ მელექსენი: „შედიოთ ხეშბონში, რათა აშენდეს! განმტკიცდეს ქალაქი სიხონისა!“

²⁸რადგან ცეცხლი გამოვიდა ხეშბონიდან, ალი – სიხონის ქალაქიდან, შთანთქა მან ყარ-მოაბი, არნონის სიმაღლეთა მფლობელი.

²⁹ვაი შენ, მოაბო! განადგურდი შენ, ქემოშის ხალხო! მისი ძენი ლტოლვილებად იქცნენ, და მისი ასულნი ამორეველთა მეფის, სიხონის, ტყვეებად.

³⁰და ჩვენ განვგმირეთ ისინი. გაწყდა ხეშბონი დიბონამდე, და ნოფახამდე ავაოხრეთ, რომელიც მედეხის მახლობლადაა.“

³¹და დასახლდა ისრაელი ამორეველთა ქვეყანაში.

³²გაგზავნა მოსემ მსტოვრები იაყზერის დასაზვერად; და დაიპყრეს მათ მისი გარეუბნები, და განდევნეს ამორეველები, რომელნიც იქ იყვნენ.

³³და შემობრუნდნენ ისინი და დაადგნენ ბაშანის გზას. და ედრეყიში გამოვიდა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ბაშანის მეფე, ყოგი, და მთელი მისი ჯარი.

³⁴და უთხრა უფალმა მოსეს: „ნუ გეშინია მისი, რადგან ხელში ჩაგიგდე იგი და მთელი მისი ჯარი, და მთელი მისი ქვეყანა. მოექეცი ისე, როგორც სიხონს მოექეცი, ამორეველთა მეფეს, რომელიც ხეშბონში ცხოვრობდა.“



³⁵და მუსრი გაავლეს მას და მის ძეებს და მთელ მის ჯარს, და არავინ დატოვეს ცოცხალი, და დაიმკვიდრეს მისი ქვეყანა.

რიცხვნი 22

¹აიყარნენ ისრაელიანები და დაბანაკდნენ მოაბის ველებზე, იორდანეს გადაღმა, იერიხოს გაღმა.

²და იხილა ბალაკმა, ციფორის ძემ, ყველაფერი, რაც უყო ისრაელმა ამორეველებს.

³ძალზე შეეშინდა მოაბს ამ ხალხისა, რადგან იგი მრავალრიცხოვანი იყო. და დაფრთხა მოაბი ისრაელიანთა წინაშე.

⁴და უთხრა მოაბმა მიდიანის უზუცესებს: „ახლა გააჩანაგებს ეს ხალხი ყველაფერს, რაც ჩვენს ირგვლივაა, როგორც ხარი აჩანაგებს მინდვრის ბალახს.“ იმჟამად მოაბის მეფე იყო ბალაკი, ძე ციფორისა.

⁵გაუგზავნა მან მოციქულები ბალაამს, ბეყორის ძეს, ფეთორში, რომელიც მდინარე ევფრატთანაა, ამავის ქვეყანაში, რათა მოეწვიათ იგი და ეთქვათ: „აჰა, ხალხი გამოვიდა ეგვიპტიდან. უკვე დაფარა მიწის პირი და ის ჩემს პირდაპირ დამკვიდრდა.“

⁶და ახლა, მოდი, დამიწყევლე ეს ხალხი, რადგან იგი ჩემზე ძლიერია. ეგების შევძლო და განვდევნო ამ ქვეყნიდან, რადგან ვიცი, რომ ვისაც აკურთხებ, კურთხეული იქნება, და ვისაც დასწყევლი, წყეული იქნება.“

⁷და წავიდნენ მოაბისა და მიდიანის უზუცესები. მათ ხელთ ჰქონდათ სამისნოს საფასური და მივიდნენ ბალაამთან და გადასცეს მას ბალაკის სიტყვები.

⁸უთხრა მათ ბალაამმა: „გაათიეთ ეს ღამე აქ და გაგცემთ პასუხს, რასაც უფალი გამომიცხადებს. და დარჩნენ მოაბის თავკაცები ბალაამთან.“

⁹მივიდა ღმერთი ბალაამთან და ჰკითხა: „ვინ არიან ეს კაცები შენთან?“

¹⁰და უთხრა ბალაამმა ღმერთს: „მოაბის მეფეს, ბალაკს, ციფორის ძეს, გამოუგზავნია ისინი ჩემთან და შემოუთვლია:“

¹¹აჰა, ხალხმა, რომელიც ეგვიპტიდან გამოვიდა, დაფარაო მიწის პირი. ახლა მოდი, დამიწყევლე ის; ეგების შევძლო შებრძოლება მასთან, რომ განვდევნო.“

¹²უთხრა ღმერთმა ბალაამს: „არ წაჰყვე მათ, არ დაწყევლო ის ხალხი, რადგან კურთხეულია იგი.“



- ¹³და ადგა ბალაამი დილით და უთხრა ბალაკის თავკაცებს: „წადით თქვენს ქვეყანაში, რადგან უფალს არ სურს, რომ თქვენთან ერთად გამომიშვას.“
- ¹⁴და ადგნენ მოაბელი თავკაცები, და დაბრუნდნენ ბალაკთან და უთხრეს: არ ნებავსო ბალაამს ჩვენთან წამოსვლა.
- ¹⁵კვლავ გაგზავნა ბალაკმა თავკაცები, უფრო მეტი და მათზე უფრო სახელოვანი.
- ¹⁶მივიდნენ ბალაამთან და უთხრეს მას: „ასე თქვა ბალაკმა, ციფორის ძემ: ‘ნუ იტყვი უარს ჩემთან მოსვლაზე,
- ¹⁷რადგან ძალიან დიდ პატივს გცემ, და ყველაფერს, რასაც მეტყვი, გავაკეთებ; წამოდი, დამიწყევლე ეს ხალხი.’“
- ¹⁸და უპასუხა ბალაამმა ბალაკის მსახურებს: „თუნდაც ოქრო-ვერცხლით ავსებული მთელი თავისი სახლი მომცეს ბალაკმა, ვერ გადავალ უფლის, ჩემი ღმერთის ბრძანებას, ვერც ნაკლებს ვიზამ და ვერც მეტს.
- ¹⁹ახლა დარჩით თქვენც აქ ამდამ, და მე გავიგებ, რას გამომიცხადებს უფალი.“
- ²⁰მოვიდა ღმერთი ბალაამთან ღამით და უთხრა მას: „თუ შენს მისაწვევად მოვიდნენ ეს კაცები, ადექ, გაჰყევი მათ; ოღონდ რასაც მე გეტყვი, მხოლოდ ის გააკეთე.“
- ²¹ადგა ბალაამი დილით და შეკაზმა თავისი ჭაკი ვირი და წაჰყვა მოაბელთა თავკაცებს.
- ²²და აღეგზნო რისხვა ღმერთისა, რადგან წავიდა იგი. და დადგა უფლის ანგელოზი გზაზე მის შესაჩერებლად. ხოლო იგი ამხედრებული იყო თავის ვირზე და თან ორი მსახური ახლდა.
- ²³დაინახა ვირმა გზაზე მდგომი უფლის ანგელოზი გაშიშვლებული მახვილით ხელში და გადაუხვია გზიდან, და წავიდა მინდორზე. ბალაამმა კი ვირს ცემა დაუწყო, რათა გზისკენ მოებრუნებინა.
- ²⁴და დადგა უფლის ანგელოზი ვენახების ორღობეში: ღობე იყო ერთ მხარესაც და ღობე იყო მეორე მხარესაც.
- ²⁵როცა დაინახა ვირმა უფლის ანგელოზი, კედელს აეკრა, და ზედ მიაჭყლიტა ბალაამის ფეხი. და მან კვლავ დაუწყო ცემა ვირს.
- ²⁶და კვლავ გაიარა უფლის ანგელოზმა და დადგა ვიწრო ადგილზე, სადაც არ იყო ასაქცევი გზა, არც მარჯვნივ და არც მარცხნივ.
- ²⁷დაინახა ვირმა უფლის ანგელოზი და ჩაიკეცა. და განრისხდა ბალაამი და ჯოხი დასცხო ვირს.



²⁸და გაუხსნა უფალმა ბაგე ვირს და უთხრა მან ბალაამს: „რა დაგიშავე, რომ უკვე მესამედა მცემ?“

²⁹უთხრა ბალაამმა ვირს: „იმიტომ რომ აბუჩად ამიგდე. ხელში მახვილი რომ მქონოდა, ახლავე მოგკლავდი.“

³⁰და უთხრა ვირმა ბალაამს: „განა შენი ვირი არა ვარ, რითაც დადიხარ მთელი შენი ცხოვრება დღემდე? განა მჩვევია შენთან ასე მოქცევა?“ და უპასუხა მან: „არა.“

³¹და აუხილა თვალი ბალაამს უფალმა, და იხილა მან გზაზე მდგომი უფლის ანგელოზი გაშიშვლებული მახვილით. და მუხლი მოიყარა ბალაამმა და თაყვანი სცა პირქვე დამხობილმა.

³²უთხრა მას უფლის ანგელოზმა: „რისთვის სცემ ვირს მესამეჯერ? მე გამოვედი დასაბრკოლებლად, რადგან არ არის სწორი ეს გზა ჩემს წინაშე.

³³დამინახა ვირმა და სამჯერ ამიქცია გზა. რომ არ გადაეხვია ჩემგან, მოგკლავდი, მას კი ცოცხალს დავტოვებდი.“

³⁴და უთხრა ბალაამმა უფლის ანგელოზს: „შევცოდე, რადგან არ ვიცოდი, რომ შენ იდექი ჩემს გზაზე. და ახლა, თუ ეს ბოროტებაა შენს თვალში, უკან დავბრუნდები.“

³⁵უთხრა უფლის ანგელოზმა ბალაამს: „წაჰყევი ამ კაცებს, ოღონდ ის ილაპარაკე, რასაც მე გეტყვი.“ და წავიდა ბალაამი ბალაკის თავკაცებთან ერთად.

³⁶და გაიგო ბალაკმა, რომ მოვიდა ბალაამი, და გამოვიდა მის შესახვედრად მოაბელთა ქალაქში, რომელიც არნონის საზღვართან მდებარეობს, ზედ საზღვარზე.

³⁷და უთხრა ბალაკმა ბალაამს: „ხომ გამოგიგზავნე მოციქულები მოსაწვევად? რატომ არ მოდიოდი ჩემთან? ნუთუ მართლა ვერ შევძლებ შენს პატივისცემას?“

³⁸და უთხრა ბალაამმა ბალაკს: „აჰა, მოვედი შენთან, მაგრამ განა შემიძლია ჩემით რაიმეს თქმა? რასაც ჩამიდებს ღმერთი ბაგეებში, იმას ვიტყვი.“

³⁹და გაჰყვა ბალაამი ბალაკს, და მივიდნენ კირიათ-ხუცოთში.

⁴⁰და დაკლა ბალაკმა ზვარაკი და ცხვარი და გაუგზავნა ბალაამს და მის თავკაცებს.

⁴¹და დილით წაიყვანა ბალაკმა ბალაამი და აიყვანა ბამოთ-ბაყალზე, და იხილა იქიდან ისრაელის ხალხის ნაწილი.



რიცხვნი 23

¹და უთხრა ბალაამმა ბალაკს: „ამიშენე აქ შვიდი საკურთხეველი და მომიმზადე შვიდი მოზვერი და შვიდი ვერძი.“

²გააკეთა ბალაკმა, როგორც ბალაამმა უთხრა, და შესწირეს ბალაკმა და ბალაამმა თითო მოზვერი და თითო ვერძი თითოეულ საკურთხეველზე.

³და უთხრა ბალაამმა ბალაკს: „დადექ შენს სრულადდასაწველთან, მე კი წავალ, იქნებ შემომხვდეს უფალი, და რასაც ის მაუწყებს, განგიცხადებ.“ და წავიდა იგი მოშიშვლებულ მადლობზე.

⁴და გამოეცხადა ღმერთი ბალაამს, და ბალაამმა უთხრა მას: „მოვაწყვე შვიდი საკურთხეველი და აღვავლინე თითო მოზვერი და თითო ვერძი თითოეულ საკურთხეველზე.“

⁵ჩაუდო უფალმა სიტყვები ბალაამს ბაგეებში და უთხრა: „დაბრუნდი ბალაკთან და გადაეცი ეს სიტყვები.“

⁶და დაბრუნდა მასთან, და აჰა, ის დგას თავის სრულადდასაწველთან მოაბის ყველა თავკაცთან ერთად.

⁷და წარმოთქვა ბალაამმა თავისი იგავი: „შუამდინარეთიდან მომიყვანა მე ბალაკმა, მოაბის მეფემ აღმოსავლეთის მთებიდან: წამოდი და დამიწყევლეო იაკობი, წამოდი და შეაჩვენეო ისრაელი.“

⁸როგორ დავწყევლო? ღმერთი არ წყევლის მას. როგორ შევაჩვენო, რომ უფალს არ შეუჩვენებია.

⁹კლდეთა თხემებიდან ვხედავ მას და ბორცვებიდან დავცქერი მას: აჰა, ცხოვრობს ერი განმარტოებით და ხალხებში არ ირიცხება.

¹⁰ვინ აღრიცხავს იაკობის ქვიშას და ვინ დაითვლის ისრაელის მეოთხედს? მოკვდეს სული ჩემი მართალთა სიკვდილით, და იყოს ჩემი აღსასრული, როგორც მათი.“

¹¹და უთხრა ბალაკმა ბალაამს: „ეს რა მიყავი? ჩემი მტრის დასაწყევლად მოგიყვანე, შენ კი აკურთხე იგი?“

¹²და უპასუხა მან: „განა რასაც უფალი ჩამიდებს ბაგეებში, ზუსტად ის არ უნდა ვილაპარაკო?“

¹³და უთხრა მას ბალაკმა: „წამოდი ჩემთან სხვა ადგილას, საიდანაც მათ დაინახავ. მაგრამ შენ დაინახავ მხოლოდ ნაწილს, მთელს კი ვერ დაინახავ. და დამიწყევლე ისინი იქიდან.“



¹⁴და წაიყვანა იგი ცოფიმის ველზე, ფისგას თხემზე, და ააგო შვიდი საკურთხეველი, და აღავლინა თითო მოზვერი და თითო ვერძი თითოეულ საკურთხეველზე.

¹⁵და უთხრა მან ბალაკს: „დადექი აქ შენს სრულადდასაწველთან, მე კი იქ წავალ უფალთან შესახვედრად.“

¹⁶შეხვდა უფალი ბალაამს, და ჩაუდო სიტყვები ბაგეებში და უთხრა: „დაბრუნდი ბალაკთან და გადაეცი ეს სიტყვები.“

¹⁷და ის მივიდა მასთან, და ნახა, რომ იდგა იგი თავის სრულადდასაწველთან, და მოაბის თავკაცებიც მასთან იყვნენ. და უთხრა მას ბალაკმა: „რა ილაპარაკა უფალმა?“

¹⁸და წარმოთქვა ბალაამმა თავისი იგავი: „ადექი, ბალაკ, და ისმინე და ყური მიგდე, ციფორის ძევ.“

¹⁹ღმერთი კაცი როდია, რომ იცრუოს, და არც ადამიანის შვილია, რომ გადათქვას. იტყვის და არ გააკეთებს? ილაპარაკებს და არ აღასრულებს?

²⁰აჰა, კურთხევა მებრძანა; მან აკურთხა, და მე ვერ შევცვლი.

²¹არ შეუმჩნევია მას სიცრუე იაკობში და არ დაუნახავს უკეთურება ისრაელში. უფალი, მისი ღმერთი, მასთანაა, და სამეფო ბუკის ჭექაა მასში.

²²ღმერთმა გამოიყვანა ისინი ეგვიპტიდან. ძალი გარეული ხარისა აქვს მას.

²³რადგან არ არსებობს მისნობა იაკობის წინააღმდეგ და არ ჭრის ჯადოქრობა ისრაელის წინააღმდეგ. თავის დროზე იტყვიან იაკობსა და ისრაელზე: ნახეთ, რა მოიმოქმედაო ღმერთმა!

²⁴აჰა, ხალხი ლომის ბოკვერივით გაიღვიძებს და ლომივით იბრდღვენს; და მანამ არ დაიძინებს, ვიდრე ნანადირევს არ შეჭამს და დახოცილთა სისხლს არ შესვაძს.“

²⁵და უთხრა ბალაკმა ბალაამს: „ნურც დაწყევლი და ნურც აკურთხებ მას!“

²⁶და მიუგო ბალაამმა და უთხრა ბალაკს: „განა არ გითხარი, რომ რასაც უფალი მეტყვის, იმას გავაკეთებ-მეთქი?“

²⁷და უთხრა ბალაკმა ბალაამს: „წამოდი, სხვაგან წაგიყვან. იქნებ ინებოს ღმერთმა და დამიწყევლო იქიდან.“

²⁸და წაიყვანა ბალაკმა ბალაამი ფელორის თხემზე, რომელიც გადმოჰყურებს უდაბნოს.

²⁹უთხრა ბალაამმა ბალაკს: „ამიშენე შვიდი სამსხვერპლო და მომიმზადე აქ შვიდი მოზვერი და შვიდი ვერძი.“



³⁰და გააკეთა ბალაკმა, როგორც ბალაამმა უთხრა, და აღავლინა თითო მოზვერი და თითო ვერძი თითოეულ სამსხვერპლოზე.

რიცხვნი 24

¹და დაინახა ბალაამმა, რომ უფალს სურდა კურთხევა მიეცა ისრაელისათვის, და აღარ შეუდგა მისნობას, არამედ უდაბნოსაკენ იბრუნა პირი.

²გაიხედა ბალაამმა და დაინახა ტომებად დაწყობილი ისრაელი, და ღვთის სული გადმოვიდა მასზე.

³და წარმოთქვა ბალაამმა თავისი იგავი: „ნათქვამი ბალაამისა, ბეყორის მისა, ნათქვამი თვალახელილი კაცისა,

⁴ნათქვამი ღვთის სიტყვის გამგონისა, ხილვათა მხილველისა ყოვლადმღიერისაგან; ეცემა, მაგრამ თვალახელილია:

⁵რა მშვენიერია შენი კარვები, იაკობ, შენი სადგომები, ისრაელ!

⁶როგორც გაშლილი მინდორ-ველი, როგორც ბაღები მდინარის პირას, როგორც უფლის დარგული ალოე, როგორც კედარნი წყლის ნაკადებთან:

⁷ცვარი მოსწვეთს მათი რტოებიდან, და მათი თესლი წყალუხვ ნაკადებთანაა. აგაგზე მეტად ამალლდება მისი მეფე და უფრო აღზევდება მისი სამეფო!

⁸ღმერთი, რომელმაც ეგვიპტიდან გამოიყვანა იგი, გარეული ხარის ძალაა მისთვის, იგი შთანთქავს ხალხებს, რომლებიც მას მტრობენ, და მათ ძვლებს შემუსრავს, და განგმირავს თავისი ისრებით.

⁹ჩაიმუხლა, გაწვა ხვადი ლომივით, და ლომის ბოკვერით; ვინ წამოაგდებს მას? კურთხეულია შენი მაკურთხეველი, და წყეულია შენი მაწყევარი.“

¹⁰რისხვით აინთო ბალაკი ბალაამის მიმართ, და ხელი ხელს შემოჰკრა და უთხრა ბალაამს: „მე ჩემი მტრების დასაწყევლად მოგიხმე, შენ კი მესამეჯერ ლოცავ მას.

¹¹ახლა კი გასწი, გაიქეცი აქედან შინისაკენ. მე ვიფიქრე, პატივს მოგაგებდი, მაგრამ აჰა, უფალი არ გაძლევს პატივს.“

¹²და უთხრა ბალაამმა ბალაკს: „განა არ ვუთხარი შენს მოციქულებს, რომლებიც მომიგზავნე,



¹³რომ თუნდაც ოქრო-ვერცხლით სავსე სახლი მომცეეს-მეთქი ბალაკმა, ვერ გადავალ ჩემი უფლის ბრძანებას. ვერც კარგს გავაკეთებ და ვერც ავს ჩემი ნებით; რასაც უფალი იტყვის, იმას ვიტყვი-მეთქი.

¹⁴და ახლა მე მივდივარ ჩემს ხალხთან. მოდი და იქ გაგიცხადებ, ბოლოს რასაც უზამს ეს ხალხი შენს ხალხს.“

¹⁵და წარმოთქვა მან თავისი იგავი: „ნათქვამი ბალაამისა, ბეყორის ძისა, ნათქვამი თვალახელილი კაცისა;

¹⁶ნათქვამი ღვთის სიტყვათა მომსმენისა, უზენაესის ზრახვის შემცნობისა, რომელიც ხედავს ხილვებს ყოვლადძლიერისა, და რომელიც ეცემა, მაგრამ თვალახელილია:

¹⁷მე ვხედავ მას, მაგრამ არა ახლა, მას ვუყურებ მე, მაგრამ არა ახლოდან – ამობრწყინდება ვარსკვლავი იაკობისგან, და აღიმართება კვერთხი ისრაელისგან, და შემუსრავს მოაბის საზღვრებს, და გაანადგურებს შეთის ყოველ ძეს.

¹⁸მის საკუთრებად იქცევა ედომი, და მისი მტრების საკუთრება იქნება სეყირი; და ისრაელი გამოაჩენს ძალას.

¹⁹დაეპატრონება იაკობისგან გამოსული, და გაჟღეტს ქალაქში გადარჩენილთ.“

²⁰და შეხედა მან ყამალეკს და წარმოთქვა თავისი იგავი, და თქვა: „ყამალეკი პირველია ხალხებს შორის, მაგრამ განადგურებაა მისი ბოლო.“

²¹და შეხედა კენიელთ და წარმოთქვა თავისი იგავი: „ძლიერია შენი სამყოფელი, და კლდეზე დაგიდვია ბუდე,

²²მაგრამ გაპარტახდება კაენი და მალე ტყვედ წაგიყვანს აშური.“

²³და წარმოთქვა ბალაამმა თავისი იგავი: „ვაი, ვაი, ვინ დარჩება ცოცხალი, როცა ამას მოახდენს ღმერთი?

²⁴გამოვლენ გემები ქითიმიდან და დაიმორჩილებენ აშურს, და დაიმორჩილებენ ყებერს, მაგრამ თავადაც დაილუპებიან.“

²⁵და ადგა ბალაამი, და წავიდა და დაბრუნდა თავის ადგილას. და წავიდა ბალაკიც თავისი გზით.

რიცხვნი 25

¹ცხოვრობდა ისრაელი შიტიმში, და დაიწყო ხალხმა მრუშობა მოაბელთა ასულებთან,



- ²რომლებიც იწვევდნენ ხალხს თავიანთი ღმერთების ნაკერპავებზე, და ჭამდა ხალხი და თაყვანს სცემდა მათ კერპებს.
- ³და მიეკრა ისრაელი ბაყალ-ფელორს, და აღეგზნო რისხვა უფლისა ისრაელზე,
- ⁴და უთხრა უფალმა მოსეს: „მოიყვანე ყოველი თავკაცი ხალხისა და ჩამოკიდე ისინი მზეზე უფლის წინაშე“ და გადავა მძვინვარება უფლის რისხვისა ისრაელისაგან.
- ⁵და უთხრა მოსემ ისრაელის მსაჯულებს: „მოკლას თითოეულმა თავის კაცთაგან, ვინც კი ბაყალ-ფელორს მიეკრა.“
- ⁶და ერთხელ ერთი ისრაელიანი მოვიდა და მოიყვანა თავის ძმებთან მიდიანელი ქალი, მოსეს თვალწინ და ისრაელიანთა მთელი თემის წინაშე, როდესაც ისინი იდგნენ და ტიროდნენ საკრებულო კარვის კართან.
- ⁷და როცა იხილა ფინეხასმა, აარონ მღვდლის ძის, ელეაზარის ძემ, ადგა შუა თემიდან და შუბი აიღო ხელში.
- ⁸მიჰყვა ისრაელიანს მის საწოლამდე და შუბით გაფატრა ორივე მუცელზე, ისრაელიანი და ის ქალი. და შეწყდა ისრაელიანთა მუსვრა.
- ⁹მუსვრის დროს გაწყდა 24 ათასი კაცი.
- ¹⁰უთხრა უფალმა მოსეს:
- ¹¹„ფინეხასმა, აარონ მღვდლის ძის, ელეაზარის, ძემ, დააცხრო ჩემი რისხვა ისრაელიანებზე, რადგან შური იძია ჩემს გამო მათზე. და არ მოვსპე მე ისრაელიანები ჩემი შურით.“
- ¹²ამიტომ უთხარი მას: აჰა, მე ვაძლევ მას მშვიდობის აღთქმას.
- ¹³ეს იქნება მისთვის და მისი მოდგმისათვის მღვდლობის საუკუნო აღთქმა იმის სანაცვლოდ, რომ შური იძია თავისი ღმერთისათვის და გამოისყიდა ისრაელიანები.“
- ¹⁴ხოლო სახელი მოკლული ისრაელიანისა, რომელიც მოკლულ იქნა მიდიანელ ქალთან, იყო ზიმრი, სალუს ძე, სიმეონიანთა შტოს თავკაცი.
- ¹⁵და სახელი მოკლული მიდიანელი ქალისა იყო ქოზბი, ასული ცურისა, რომელიც იყო თავკაცი უბოთისა, მიდიანის ტომისა.
- ¹⁶უთხრა უფალმა მოსეს:
- ¹⁷„დაემტერეთ მიდიანელებს და მუსრი გაავლეთ,



¹⁸ვინაიდან მზაკვრობით გიმტრეს, როცა გაცდუნეს ფელორით, და ქოზბით, მიდიანელი თავკაცის ასულით, თავიანთი დით, რომელიც მოკლულ იქნა მუსვრის დღეს ფელორის გამო.“

რიცხვნი 26

¹ამ მუსვრის შემდეგ უთხრა უფალმა მოსეს და ელეაზარს, აარონ მღვდლის ძეს:

²„აღრიცხეთ ისრაელიანთა მთელი თემი 20 წლიდან და ზევით, მათი მამისახლების მიხედვით, ყოველი ისრაელის ლაშქარში გამსვლელი.“

³და უთხრეს მათ მოსემ და ელეაზარ მღვდელმა მოაბის ველებზე, იორდანესთან, იერიხოს პირდაპირ:

⁴„აღრიცხეთ 20 წლიდან და ზევით,“ როგორც უბრძანა უფალმა მოსეს. და ისრაელიანები, რომლებიც გამოვიდნენ ეგვიპტის ქვეყნიდან, იყვნენ:

⁵რეუბენი, პირმშო ისრაელისა. რეუბენიანები: ენოქისაგან ენოქელთა საგვარეულო; ფალუსაგან ფალუელთა საგვარეულო;

⁶ხეცრონისაგან ხეცრონელთა საგვარეულო; ქარმისაგან ქარმელთა საგვარეულო.

⁷ესენია რეუბენიანთა საგვარეულოები; და სულ აღრიცხვით 43730.

⁸და ფალუს ძენი იყვნენ: ელიაბი;

⁹ელიაბის ძენი: ნემუელი, დათანი და აბირამი. ეს ის საზოგადოების რჩეული დათანი და აბირამი იყვნენ, რომლებმაც აუტეხეს ჯანყი მოსეს და აარონს კორახის დასთან ერთად, როცა აუჯანყდნენ უფალს.

¹⁰და გახსნა მიწამ პირი და შთანთქა ისინი. და კორახიც დაიღუპა მათთან ერთად, როდესაც შთანთქა ცეცხლმა 250 კაცი. და მაგალითად იქცნენ ისინი სხვათათვის.

¹¹ხოლო კორახის ძენი არ დახოცილან.

¹²აი სიმეონიანები მათი საგვარეულოების მიხედვით: ნემუელისაგან ნემუელის საგვარეულო; იამინისაგან იამინის საგვარეულო; იაქინისაგან იაქინის საგვარეულო,

¹³ზერახისაგან ზერახის საგვარეულო; შაულისაგან შაულის საგვარეულო.

¹⁴ეს არის სიმეონიანთა საგვარეულოები – 22200.

¹⁵გადიანები მათი საგვარეულოების მიხედვით: ცეფონისაგან ცეფონის საგვარეულო; ხაგისაგან ხაგის საგვარეულო; შუნისაგან შუნის საგვარეულო;



- ¹⁶ოზნისაგან ოზნის საგვარეულო; ყერისაგან ყერის საგვარეულო;
- ¹⁷აროდისაგან აროდის საგვარეულო; არელისაგან არელის საგვარეულო.
- ¹⁸ესენია გადიანთა საგვარეულოები, სულ აღრიცხვით 40500.
- ¹⁹იუდიანები: ყერი და ონანი. და გარდაიცვალნენ ყერი და ონანი ქანაანის ქვეყანაში.
- ²⁰და ესენი იყვნენ იუდიანები მათი საგვარეულოების მიხედვით: შელახისაგან შელახელთა საგვარეულო; ფერეცისაგან ფერეცის საგვარეულო; ზერახისაგან ზერახის საგვარეულო.
- ²¹ხოლო ფერეციანები იყვნენ: ხეცრონისაგან ხეცრონის საგვარეულო; ხამულისაგან ხამულის საგვარეულო.
- ²²ესენია იუდას საგვარეულოები, სულ აღრიცხვით 76 500.
- ²³ისაქარიანები მათი საგვარეულოების მიხედვით იყვნენ: თოლაყისაგან თოლაყის საგვარეულო; ფუვასაგან ფუვას საგვარეულო;
- ²⁴იაშუმისაგან იაშუმის საგვარეულო; შიმრონისაგან შიმრონის საგვარეულო.
- ²⁵ესენია ისაქარის საგვარეულოები, სულ აღრიცხვით 64 300.
- ²⁶ზებულუნთანები მათი საგვარეულოების მიხედვით იყვნენ: სერედისაგან სერედის საგვარეულო; ელონისაგან ელონის საგვარეულო; იახლეელისაგან იახლეელის საგვარეულო.
- ²⁷ესენია ზებულუნელთა საგვარეულოები, აღრიცხვით 60 500.
- ²⁸იოსების ძენი მათი საგვარეულოების მიხედვით: მანაშე და ეფრემი.
- ²⁹მანაშეანები: მაქირისაგან მაქირის საგვარეულო; და მაქირმა შვა გალაადი; გალაადისაგან გალაადის საგვარეულო.
- ³⁰ესენია გალაადელები: იყეზერისაგან იყეზერის საგვარეულო; ხელეკისაგან ხელეკის საგვარეულო;
- ³¹ასრიელისაგან ასრიელის საგვარეულო; შექემისაგან შექემის საგვარეულო;
- ³²შემიდაყისაგან შემიდაყის საგვარეულო; ხეფერისაგან ხეფერის საგვარეულო.
- ³³ცელოფხადს, ხეფერის ძეს, არ ჰყავდა ძენი, მხოლოდ ასულნი ჰყავდა. ცელოფხადის ასულთა სახელები იყო: მახლა, ნოყა, ხოგლა, მილქა და თირცა.
- ³⁴ესენია მანაშეს საგვარეულოები, აღრიცხვით 52 700.



³⁵ესენი არიან ეფრემიანები მათი საგვარეულოების მიხედვით: შუთელახისაგან შუთელახის საგვარეულო; ბექერისაგან ბექერის საგვარეულო; თახანისაგან თახანის საგვარეულო.

³⁶ესენი არიან შუთელახიანები: ყერანისაგან ყერანის საგვარეულო.

³⁷ესენია ეფრემიანთა საგვარეულოები, აღრიცხვით 32 500. ესენი არიან იოსებიანები მათი საგვარეულოების მიხედვით.

³⁸ბენიამინიანები მათი საგვარეულოების მიხედვით: ბელაყისაგან ბელაყის საგვარეულო; აშბელისაგან აშბელის საგვარეულო; ახირამისაგან ახირამის საგვარეულო;

³⁹შეფუფამისაგან შეფუფამის საგვარეულო; ხუფამისაგან ხუფამის საგვარეულო.

⁴⁰ბელაყის ძენი იყვნენ: არდი და ნაყამანი; არდისაგან არდის საგვარეულო; ნაყამანისაგან ნაყამანის საგვარეულო.

⁴¹ესენი არიან ბენიამინიანები მათი საგვარეულოების მიხედვით, აღრიცხვით 45 600.

⁴²დანის ძენი მათი საგვარეულოების მიხედვით: შუხამისაგან შუხამის საგვარეულო. და ესენია დანის საგვარეულოები.

⁴³სულ შუხამის საგვარეულოში აღრიცხვით 64 400.

⁴⁴აშერიანები მათი საგვარეულოების მიხედვით: იმნასაგან იმნას საგვარეულო; იშვისაგან იშვის საგვარეულო; ბერიყასაგან ბერიყას საგვარეულო;

⁴⁵ბერიყიანთაგან: ხებერისაგან ხებერის საგვარეულო; მალქიელისაგან მალქიელის საგვარეულო.

⁴⁶სახელი აშერის ასულისა იყო სერახი.

⁴⁷ესენია აშერიანთა საგვარეულოები, აღრიცხვით 53 400.

⁴⁸ნაფთალიანები მათი საგვარეულოების მიხედვით იყვნენ: იახცეელისაგან იახცეელის საგვარეულო; გუნისაგან გუნის საგვარეულო;

⁴⁹იეცერისაგან იეცერის საგვარეულო; შილემისაგან შილემის საგვარეულო.

⁵⁰ესენია ნაფთალიანთა საგვარეულოები, აღრიცხვით 45 400.

⁵¹ეს არის აღრიცხულ ისრაელიანთა რაოდენობა: 601 730.

⁵²და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:



⁵³„ამათ დასამკვიდრებლად შენ უნდა დაუნაწილო ეს ქვეყანა მათი სახელების რიცხვის მიხედვით.

⁵⁴გაზარდე მრავალრიცხოვან საგვარეულოთათვის მათი მიწის სამკვიდრებელი, ხოლო მცირერიცხოვანთათვის შეამცირე: თითოეულს მისი აღრიცხული რიცხვის მიხედვით მიეცი მისი სამკვიდრებელი.

⁵⁵ოღონდ წილისყრით უნდა დანაწილდეს მიწა, მათი მამების ტომთა სახელის მიხედვით უნდა მიიღონ სამკვიდრებელი.

⁵⁶წილისყრით დანაწილდება მათი სამკვიდრებელი როგორც მრავალრიცხოვანთა, ისე მცირერიცხოვანთა შორის.“

⁵⁷აღრიცხნენ ლევიანები მათი საგვარეულოების მიხედვით: გერშონისაგან გერშონის საგვარეულო, კოჰათისაგან კოჰათის საგვარეულო; მერარისაგან მერარის საგვარეულო.

⁵⁸ესენია საგვარეულოები ლევისა: საგვარეულო ლიბნისა, საგვარეულო ხებრონისა, საგვარეულო მახლისა, საგვარეულო მუშისა, საგვარეულო კორახისა. კოჰათმა შვა ყამრამი.

⁵⁹ყამრამის ცოლის ერქვა იოქებედი, ასული ლევისა, რომელიც მისმა ცოლმა ეგვიპტეში უშვა. იოქებედი ლევის შეეძინა ეგვიპტეში. იოქებედმა ყამრამს უშვა აარონი და მოსე და მათი დაი მირიამი.

⁶⁰და შვა აარონმა ნადაბი და აბიჰუ, ელეაზარი და ითამარი.

⁶¹და დაიხოცნენ ნადაბი და აბიჰუ, როცა უცხო ცეცხლი მიიტანეს უფლის წინაშე.

⁶²და სულ აღრიცხვით ისინი იყვნენ 23 ათასი, ყოველი მამრი ერთი თვის ასაკიდან და ზევით, მაგრამ ისინი არ აღრიცხულან ისრაელიანებთან ერთად, რადგან არ მიეცათ მათ სამკვიდრებელი, როგორც ისრაელიანებმა მიიღეს.

⁶³ეს იყო მოსესა და ელეაზარ მღვდლის აღრიცხვა, რომლებმაც აღრიცხეს ისრაელიანები მოაბის ველებზე, იორდანეს პირას, იერიხოს მახლობლად.

⁶⁴მათგან არავინ ყოფილა მოსესა და აარონ მღვდლის მიერ აღრიცხულთა შორის, რომლებმაც აღრიცხეს ისრაელიანები სინაის უდაბნოში.

⁶⁵რადგან თქვა უფალმა მათზე: „დაიხოცებიან ისინი უდაბნოში!“ და არ დარჩა მათგან არც ერთი, გარდა ქალებ იეფუნეს მისა და იესო ნავეს მისა.

რიცხვნი 27



¹და მოვიდნენ ასულნი ცელოფხადისა, ხეფერის ძისა, გალაადის ძისა, მაქირის ძისა მანაშეს ძისა, იოსების ძის საგვარეულოდან. მის ასულებს ერქვათ: მახლა, ნოყა, ხოგლა, მილქა და თირცა.

²და წარდგნენ მოსეს წინაშე და ელეაზარ მღვდლის წინაშე, თავკაცთა და მთელი თემის წინაშე კარვის კართან ამ სიტყვებით:

³„მამაჩვენი უდაბნოში მოკვდა და არ ყოფილა უფლის წინააღმდეგ ამბოხებულთა დასში, კორახის დასში, არამედ თავისი ცოდვით მოკვდა. და ვაჟი არ ჰყავდა მას.

⁴რატომ უნდა გაქრეს მამაჩვენის სახელი თავისი საგვარეულოდან იმის გამო, რომ ვაჟი არ ჰყავდა? მოგვეცი ჩვენ სამკვიდრებელი მამაჩვენის ძმებს შორის.“

⁵წარადგინა მოსემ მათი საქმე უფლის წინაშე.

⁶და უთხრა უფალმა მოსეს:

⁷„მართალს ამბობენ ასულნი ცელოფხადისა, მიეცი მათ საკუთარი სამფლობელო მათი მამის ძმათა შორის და გადაიტანე მათი მამის სამკვიდრებელი მათზე.

⁸და ისრაელიანებს განუცხადე: ‘თუ კაცი მოკვდება და ვაჟი არ ეყოლება მას, გადაიტანეთ მისი სამკვიდრებელი მის ასულზე.

⁹თუ არ ჰყავს ასული, მაშინ გადაეცით მისი სამკვიდრებელი მის ძმებს.

¹⁰თუ არ ჰყავს მას ძმები, მაშინ გადაეცით მისი სამკვიდრებელი მისი მამის ძმებს.

¹¹და თუ არ ჰყავს ძმები მის მამას, მაშინ გადაეცით მისი სამკვიდრებელი მის უახლოეს ნათესავს მისი საგვარეულოდან, და დაიმკვიდროს იგი. და ეს იყოს ისრაელიანთათვის სამართლის წესად, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.”

¹²უთხრა უფალმა მოსეს: „ადი ყაზარიმის მთაზე და გადახედე ქვეყანას, რომელიც მე მივეცი ისრაელიანთ.

¹³და როცა იხილავ მას, შენც შეეძინები შენს მამებს, როგორც შეეძინა აარონი, შენი ძმა.

¹⁴რადგან ეურჩეთ ჩემს ბრძანებას ცინის უდაბნოში თემის დრტვინვის დროს, როცა ჩემი სიწმიდე უნდა გამოცხადებულიყო მათ თვალწინ წყლებთან.“ (ეს არის მერიბათ-კადეშის წყლები ცინის უდაბნოში.)

¹⁵და უთხრა მოსემ უფალს:



¹⁶„დაე უფალმა, ყოველი ხორციელის სულთა ღმერთმა, დაუდგინოს კაცი ამ თემს,

¹⁷რომელიც გამოვა მათ წინაშე და რომელიც შევა მათ წინაშე, რომელიც გაიყვანს მათ და რომელიც შემოიყვანს მათ, რათა არ იყოს უფლის თემი იმ ცხვარივით, რომელსაც არა ჰყავს მწყემსი.“

¹⁸და უთხრა უფალმა მოსეს: „მოიყვანე იესო, ძე ნავესი, კაცი, რომელშიც არის სული, და დაადე ხელი,

¹⁹დააყენე იგი ელეაზარ მღვდლის წინაშე და მთელი თემის წინაშე, და დამოდვრე იგი მათ თვალწინ.

²⁰და უწილადე შენი დიდება, რათა უსმინოს მას ისრაელიანთა მთელმა თემმა.

²¹მააგრამ ის უნდა იდგეს ელეაზარ მღვდლის წინაშე, რომელიც გამოიკითხავს მისთვის ურიმის სამართალს უფლის წინაშე; მისი ბრძანებით გავა და მისი ბრძანებით შემოვა ის, და ყოველი ისრაელიანთა მთელი თემი მასთან ერთად.”

²²და გააკეთა მოსემ, როგორც უბრძანა მას უფალმა, და მოიყვანა იესო და წარადგინა იგი ელეაზარ მღვდლის წინაშე და მთელი თემის წინაშე,

²³დაასხა მას ხელები და დანიშნა იგი, როგორც ბრძანა უფალმა მოსეს პირით.

რიცხვნი 28

¹და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

²„უბრძანე ისრაელიანებს და უთხარი მათ, ნუ დაივიწყებენ, რომ თავის დროზე შემომწირონ საჩემო შესაწირავი, ჩემი პური, ჩემი საცეცხლო მსხვერპლი, საჩემო კეთილსურნელებად.

³და უთხარი მათ: ესაა საცეცხლო მსხვერპლი, რომელიც უნდა შესწიროთ-თქო უფალს: ორი უხინჯო წელგამოვლილი კრავი, ყოველდღიურად, მუდმივი აღსავლენი,

⁴ერთი კრავი დილით და მეორე კრავი საღამო ხანს;

⁵და პურეულის სამღვნოდ – ეფის მეათედი ხორბლის გამტკიცული ფქვილი ჰინის მეოთხედ ზეთში მოხედილი.

⁶ეს – ყოველდღიური სრულადდასაწველია, როგორიც სინაის მთაზე იქნა შეწირული საცეცხლო მსხვერპლი უფლისათვის კეთილსურნელებად.



- ⁷და მასთან ერთად საღვრელი ჰინის მეოთხედია ერთ კრავზე. საწმიდარში დაღვარე ღვინის საღვრელი უფლისათვის.
- ⁸მეორე კრავი სადამო ხანს შესწირე დილანდელი ძღვენიტა და საღვრელით. შესწირე უფალს საცეცხლო მსხვერპლი კეთილსურნელებად.
- ⁹შაბათ დღეს შესწირე ორი უხინჯო წელგამოვლილი კრავი, და პურეულის ძღვენი ეფის ორი მეთადი ხორბლის გამტკიცული ფქვილი ზეთში მოზელილი, და მისი საღვრელი.
- ¹⁰ეს საშაბათო სრულადდასაწველია ყოველ შაბათს, გარდა ყოველდღიური სრულადდასაწველისა და მისი საღვრელისა.
- ¹¹თქვენი ახალმთვარობის პირველ დღეს შესწირეთ სრულადდასაწველი უფალს: ორი მოზვერი, ერთი ვერძი და შვიდი უხინჯო წელგამოვლილი კრავი
- ¹²და პურეულის ძღვნად ეფის სამი მეთადი ხორბლის გამტკიცული ფქვილი ზეთში მოზელილი, თითო მოზვერზე, და ეფის ორი მეთადი ხორბლის გამტკიცული ფქვილი ზეთში მოზელილი, თითო ვერძზე,
- ¹³და პურეულის საძღვნოდ თითო კრავზე ეფის ერთი მეთადი ხორბლის გამტკიცული ფქვილი ზეთში მოზელილი; ეს არის სრულადდასაწველი კეთილსურნელება, საცეცხლო მსხვერპლი უფლისათვის.
- ¹⁴მათი საღვრელი უნდა იყოს: ნახევარი ჰინი ღვინო მოზვერზე, ერთი მესამედი ჰინი ვერძზე და ერთი მეოთხედი ჰინი კრავზე. ეს არის სრულადდასაწველი ახალმთვარობას, წელიწადის ყოველ თვეს.
- ¹⁵და ერთი ვაცი შესწირეთ უფალს ცოდვის მსხვერპლად; ყოველდღიური სრულადდასაწველის გარდა უნდა შეიწიროს იგი, მის საღვრელთან ერთად.
- ¹⁶პირველი თვის მეთოთხმეტე დღეს უფლის პასექია.
- ¹⁷და იმავე თვის მეთხუთმეტე დღეს დღესასწაულია. შვიდი დღე ხმიადი უნდა ჭამოთ.
- ¹⁸პირველი დღე წმიდა შეკრებილობისაა; არავითარი საქმე არ აკეთოთ.
- ¹⁹და შესწირეთ საცეცხლო, სრულადდასაწველი მსხვერპლი უფალს: ორი მოზვერი, ერთი ვერძი და შვიდი უხინჯო წელგამოვლილი კრავი.
- ²⁰და მათთან ერთად მოიტანეთ პურეულის ძღვენი: ხორბლის გამტკიცული ფქვილი ზეთში მოზელილი, ეფის სამი მეთადი მოზვერზე და ორი მეთადი ვერძზე,
- ²¹ეფის ერთი მეთადი მოიტანე თითოეულ იმ შვიდ კრავზე,



²²და ერთი ვაცი ცოდვის მსხვერპლად, რათა მიგეტეოთ;

²³გარდა დილის სრულადდასაწველისა, რაც ყოველდღიური სრულადდასაწველია, შესწირეთ ესენი.

²⁴ასე მოიტანეთ შვიდეულის ყოველ დღეს: პური საცეცხლო მსხვერპლად, კეთილსურნელებად უფლისათვის; გარდა ყოველდღიური სრულადდასაწველისა და მისი საღვრელისა ესეც უნდა მოიტანოთ.

²⁵და მეშვიდე დღეს წმიდა შეკრებილობა გქონდეთ, არავითარი საქმე არ აკეთოთ.

²⁶და პირველნაყოფთა დღეს, როცა ახალი პურეულის ძღვენს შესწირავთ უფალს თქვენს შვიდეულებში, წმიდა შეკრებილობა გქონდეთ. არავითარი საქმე არ აკეთოთ.

²⁷შესწირეთ სრულადდასაწველი კეთილსურნელებად უფალს: ორი მოზვერი, ერთი ვერძი და შვიდი უხინჯო წელგამოვლილი კრავი,

²⁸და მათთან ერთად პურეულის ძღვენი ხორბლის გამტკიცული ფქვილისა ზეთში მოზელებილი: ეფის სამი მეთათედი თითო მოზვერზე, ორი მეთათედი ვერძზე,

²⁹ერთი მეთათედი თითოეულ იმ შვიდ კრავზე,

³⁰და ერთიც ვაცი თქვენი მიტევებისთვის.

³¹ყოველდღიური სრულადდასაწველისა და მისი პურეულის ძღვენის გარდა შესწირეთ ესენი მათ საღვრელებთან ერთად. უხინჯონი უნდა იყვნენ ისინი.

რიცხვნი 29

¹მეშვიდე თვის პირველ დღეს წმიდა შეკრებილობა გქონდეთ. არავითარი საქმე არ აკეთოთ. ბუკისცემის დღე იყოს ის თქვენთვის.

²და შესწირეთ სრულადდასაწველი კეთილსურნელებად უფლისათვის: ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, შვიდი უხინჯო წელგამოვლილი კრავი.

³მათთან ერთად პურეულის ძღვენი ხორბლის გამტკიცული ფქვილისა ზეთში მოზელებილი, ეფის სამი მეთათედი მოზვერზე, ორი მეთათედი ვერძზე,

⁴და ერთი მეთათედი თითოეულ იმ შვიდ კრავზე,

⁵და ერთი ვაცი ცოდვის მსხვერპლად, რათა მიგეტეოთ.



⁶გარდა ახალმთვარობის სრულადდასაწველისა და მისი პურეულის ძღვენისა, და მათი საღვრელებისა, რჯულის მიხედვით კეთილსურნელებად შესწირეთ საცეცხლო მსხვერპლი უფალს.

⁷მეშვიდე თვის მეათე დღეს წმიდა შეკრებილობა გქონდეთ. დაიოკეთ თქვენი სულები და არავითარი საქმე არ აკეთოთ.

⁸და შესწირეთ სრულადდასაწველი უფალს კეთილსურნელებად: ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, შვიდი უხინჯო წელგამოვლილი კრავი;

⁹მათთან ერთად პურეულის ძღვენი, ხორბლის გამტკიცული ფქვილი ზეთში მოზელილი, ეფის სამი მეათედი მოზვერზე, ორი მეათედი ვერძზე,

¹⁰და ერთი მეათედი თითოეულ იმ შვიდ კრავზე.

¹¹ერთი ვაცი ცოდვის მსხვერპლად, თქვენს მისატევებლად, გარდა ცოდვის მსხვერპლისა და ყოველდღიური სრულადდასაწველისა და მისი პურეულის ძღვენისა და მათი საღვრელებისა.

¹²მეშვიდე თვის მეთხუთმეტე დღეს წმიდა შეკრებილობა გქონდეთ. არავითარი საქმე არ აკეთოთ და იდღესასწაულეთ უფლის დღესასწაული შვიდ დღეს;

¹³და შესწირეთ უფალს სრულადდასაწველი, საცეცხლო მსხვერპლი – კეთილსურნელებად: 13 მოზვერი, 2 ვერძი, 14 უხინჯო წელგამოვლილი კრავი;

¹⁴მათი პურეულის ძღვენი სამი მეათედი ეფა ხორბლის გამტკიცული ფქვილი ზეთში მოზელილი, თითო მოზვერზე იმ ცამეტ მოზვერთაგან; ორი მეათედი თითო ვერძზე იმ ორ ვერძთაგან,

¹⁵და ეფის ერთი მეათედი თითო კრავზე იმ თოთხმეტ კრავთაგან.

¹⁶და ერთი ვაცი ცოდვის მსხვერპლად, გარდა ყოველდღიური სრულადდასაწველისა, მისი პურეულის ძღვენისა და მისი საღვრელისა.

¹⁷მეორე დღეს შესწირე: 12 მოზვერი, 2 ვერძი, 14 უხინჯო წელგამოვლილი კრავი;

¹⁸და მათი პურეულის ძღვენი, და მათი საღვრელები მოზვრებისათვის, ვერძებისათვის და კრავებისათვის მათი რაოდენობის მიხედვით, წესისამებრ,

¹⁹და ერთი ვაცი ცოდვის მსხვერპლად, გარდა ყოველდღიური სრულადდასაწველისა, მისი პურეულის ძღვენისა და მათი საღვრელებისა.

²⁰მესამე დღეს: 11 მოზვერი, ორი ვერძი, 14 უხინჯო წელგამოვლილი კრავი,



²¹და მათი პურეულის ძღვენი და მათი საღვრელები მოზვერებისათვის, ვერძებისათვის და კრავებისათვის მათი რაოდენობის მიხედვით, წესისამებრ,

²²და ერთი ვაცი ცოდვის მსხვერპლად, გარდა ყოველდღიური სრულადდასაწველისა და მისი პურეულის ძღვენისა და მისი საღვრელისა.

²³მეოთხე დღეს: ათი მოზვერი, ორი ვერძი, 14 უხინჯო წელგამოვლილი კრავი,

²⁴და მათი პურეულის ძღვენი და მათი საღვრელები მოზვერებისათვის, ვერძებისათვის და კრავებისათვის, მათი რაოდენობის მიხედვით, წესისამებრ,

²⁵და ერთი ვაცი ცოდვის მსხვერპლად, გარდა ყოველდღიური სრულადდასაწველისა, მისი პურეულის ძღვენისა და მისი საღვრელისა.

²⁶მეხუთე დღეს: ცხრა მოზვერი, ორი ვერძი, 14 უხინჯო წელგამოვლილი კრავი,

²⁷და მათი პურეულის ძღვენი, და მათი საღვრელები მოზვერებისათვის, ვერძებისათვის და კრავებისათვის, მათი რაოდენობის მიხედვით, წესისამებრ.

²⁸და ერთი ვაცი ცოდვის მსხვერპლად, გარდა ყოველდღიური სრულადდასაწველისა, მისი პურეულის ძღვენისა და მისი საღვრელისა.

²⁹მეექვსე დღეს: რვა მოზვერი, ორი ვერძი, 14 უხინჯო წელგამოვლილი კრავი,

³⁰და მათი პურეულის ძღვენი და მათი საღვრელები მოზვერებისათვის, ვერძებისათვის და კრავებისათვის მათი რაოდენობის მიხედვით, წესისამებრ;

³¹და ერთი ვაცი ცოდვის მსხვერპლად, გარდა ყოველდღიური სრულადდასაწველისა, მისი პურეულის ძღვენისა და მისი საღვრელებისა.

³²მეშვიდე დღეს: შვიდი მოზვერი, ორი ვერძი, 14 უხინჯო წელგამოვლილი კრავი,

³³და მათი პურეულის ძღვენი, და მათი საღვრელები მოზვერებისათვის, ვერძებისათვის და კრავებისათვის, მათი რაოდენობის მიხედვით, წესისამებრ,

³⁴და ერთი ვაცი ცოდვის მსხვერპლად, გარდა ყოველდღიური სრულადდასაწველისა, მისი პურეულის ძღვენისა და მისი საღვრელისა.



³⁵და მერვე დღეს დღესასწაული იყოს თქვენთვის: არავითარი საქმე არ აკეთოთ;

³⁶შესწირეთ სრულადდასაწველი, საცეცხლო მსხვერპლი, კეთილსურნელებაა უფლისათვის: ერთი მოზვერი, ერთი ვერძი, შვიდი უხინჯო წელგამოვლილი კრავი,

³⁷და მათი პურეულის ძღვენი და მათი საღვრელები მოზვრისათვის, ვერძისათვის და კრავებისათვის, მათი რაოდენობის მიხედვით, წესისამებრ,

³⁸და ერთი ვაცი ცოდვის მსხვერპლად, გარდა ყოველდღიური სრულადდასაწველისა და მისი პურეულის ძღვენისა და მისი საღვრელისა.

³⁹ესენი შესწირეთ უფალს თქვენს დღესასწაულებზე, გარდა თქვენი აღთქმისა და თქვენი ნებაყოფლობითი მსხვერპლისა: თქვენი სრულადდასაწველები და თქვენი პურეულის ძღვენი და თქვენი საღვრელები და თქვენი სამადლობელო მსხვერპლები.“

რიცხვნი 30

¹და უთხრა მოსემ ისრაელიანებს ყოველივე, როგორც უფალმა უბრძანა მას.

²და უთხრა მოსემ ისრაელის ტომთა მეთაურებს: „ასე ბრძანა უფალმა:

³თუ კაცი აღუთქვამს აღთქმას უფალს, ან დაიფიცებს ფიცით, ან რაიმეს აღიკვეთს, მან არ უნდა გატეხოს თავისი სიტყვა. ყველაფერი, რაც მისი პირიდან გამოვა, უნდა შეასრულოს.

⁴ქალი თუ აღუთქვამს აღთქმას უფალს და რაიმეს აღიკვეთს თავისი მამის სახლში, ყმაწვილქალობისას,

⁵და მამამისი გაიგებს მის აღთქმას და მის აღკვეთას, რაც აღიკვეთა, და არაფერს ეტყვის მამა, მაშინ უნდა ასრულდეს ყოველი მისი აღთქმა და ყოველი აღკვეთა, რაც აღუკვეთა თავის თავს.

⁶მაგრამ თუ დაუშლის მამა მას იმ დღეს, როცა გაიგებს, მაშინ ყოველი მისი აღთქმა და მისი აღკვეთა, რომელიც აღიკვეთა, ნუ ასრულდება და უფალი აპატიებს მას, რადგან მამამისმა დაუშალა მას.

⁷თუ იგი გათხოვდება, და მასზე მისი აღთქმები დარჩება, ანდა მის ბაგეს დაცდენილი სიტყვა, რითაც რაიმე აღიკვეთა,

⁸და როცა გაიგებს მისი ქმარი, და არაფერს იტყვის, მაშინ უნდა შესრულდეს მისი აღთქმები და მისი აღკვეთები, რაც აღიკვეთა.



⁹მაგრამ თუ ქმარი გაიგებს და დაუშლის მას, მაშინ მან უნდა გააუქმოს თავისი აღთქმა, რომელიც მასზეა, და მის ბაგეებს დაცდენილი სიტყვა, რითაც რაიმე აღიკვეთა, და უფალი აპატიებს მას.

¹⁰ქვრივისა და ქმარგაყრილის აღთქმა და ყოველივე, რაც აღიკვეთა, უნდა შესრულდეს.

¹¹და თუ ცოლი ქმრის სახლში დადებს აღთქმას, ან რასმე აღიკვეთს,

¹²და გაიგებს მისი ქმარი და არაფერს ეტყვის და არ დაუშლის, მაშინ უნდა შესრულდეს ყოველი მისი აღთქმა და ყოველი აღკვეთა, რაც აღიკვეთა.

¹³მაგრამ თუ გააუქმებს მათ მისი ქმარი, როცა გაიგებს, მაშინ მის ბაგეთაგან წარმოთქმული ყოველი აღთქმა თუ აღკვეთა, ნუ შესრულდება. მისმა ქმარმა გააუქმა ისინი და უფალი აპატიებს ცოლს.

¹⁴ყოველ აღთქმას და ყოველ ფიცით აღკვეთას თავის დასათრგუნად მისი ქმარი ამტკიცებს და მისი ქმარი აუქმებს.

¹⁵მაგრამ თუ ქმარი არაფერს ამბობდა დღითი დღე, ამით დაამტკიცებს ყოველ მის აღთქმას, ან ყოველ მის აღკვეთას, რაც მასზეა. მან დაამტკიცა ისინი, რაკი არაფერი თქვა, როცა გაიგო.

¹⁶ხოლო თუ ქმარი გააუქმებს მათ მას შემდეგ, რაც გაიგო, მაშინ მასზე იქნება ცოლის ცოდვა.

¹⁷ეს ის წესებია, რომლებიც უფალმა ბრძანებით დაუდო მოსეს, ცოლ-ქმრის შესახებ, მამისა და მისი ასულის შესახებ, მისი ყმაწვილქალობისას, მამამისის სახლში.“

რიცხვნი 31

¹და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

²„შური იმიე მიდიანელებზე ისრაელიანთა გამო და მერე შეეძინები შენს ხალხს.“

³და უთხრა მოსემ ხალხს: „შეიარაღეთ თქვენი ხალხი საომრად, რათა გაილაშქრონ მიდიანის წინააღმდეგ და უფლის შური მიაგონ მას.

⁴ათას-ათასი კაცი თითო ტომიდან, ისრაელის ყოველი ტომიდან გაგზავნეთ სალაშქროდ.“

⁵და გაწვეულ იქნა ათასობით კაცი ისრაელიანთაგან, ათას-ათასი თითოეული ტომიდან, სულ 12 ათასი შეიარაღებული კაცი.



⁶გაგზავნა ისინი საომრად მოსემ, ათასეული ყოველი ტომიდან, აგრეთვე ფინეხასი, ძე ელეაზარ მღვდელისა, სალაშქროდ საწმიდრის ჭურჭლითა და საყიჟინო ბუკებით ხელში.

⁷და გაილაშქრეს მიდიანზე, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს, და მოსრეს ყოველი მამაკაცი.

⁸სხვა დახოცილებთან ერთად მათ დახოცეს მიდიანის მეფეები: ევი და რეკემი, ცური, ხური და რებაყი – მიდიანის ხუთი მეფე, და მოკლეს მახვილით აგრეთვე ბალაამიც, ძე ბეყორისა;

⁹დაატყვევეს ისრაელიანებმა მიდიანელი ქალები და მათი ბავშვები, და მთელი მათი პირუტყვი, და მთელი მათი ჯოგები და მთელი მათი ქონება დაიტაცეს.

¹⁰ცეცხლს მისცეს ყველა მათი ქალაქი მათ საზღვრებში და ყველა დაბა.

¹¹და წამოიღეს მთელი ნადავლი და მთელი ნაძარცვი, კაციდან პირუტყვამდე,

¹²და მოიყვანეს მოსესთან, ელეაზარ მღვდელთან და ისრაელიანთა თემთან ტყვეები, და მოიტანეს ნაძარცვი და ნადავლი ბანაკში, მოაბის ველებზე, რომელიც იორდანეს პირასაა, იერიხოს პირდაპირ.

¹³გამოვიდნენ მოსე, ელეაზარ მღვდელი და თემის ყველა თავკაცი მათ შესახვედრად ბანაკს გარეთ.

¹⁴და განრისხდა მოსე მხედართმთავრებზე, ათასისთავებსა და ასისთავებზე, რომელნიც დაბრუნდნენ ლაშქრობიდან.

¹⁵უთხრა მათ მოსემ: „ყველა ქალი ცოცხალი დატოვეთ?

¹⁶აჰა, მათი მიზეზით იყო, რომ ბალაამის რჩევით ისრაელიანები განუდგნენ უფალს და გადაამეტეს ფელორის ცოდვას, რის გამოც ატყდა შავი ჭირი უფლის თემში.

¹⁷და ახლა მოკალით ყოველი ბიჭი, და ყოველი ქალი, რომელსაც შეცნობილი ჰყავს მამაკაცი.

¹⁸ხოლო ყოველი ქალი, რომელსაც არ შეუცვნია საწოლი მამაკაცისა, ცოცხალი დაიტოვეთ თქვენთვის.

¹⁹თქვენ კი ბანაკის გარეთ დაიბანაკეთ შვიდი დღე. ყველა, ვინც კაცი მოკლა, და ყველა, ვინც მოკლულს გაეკარა, გასუფთავდეს მესამე დღეს და მეშვიდე დღეს – თქვენცა და თქვენი ტყვეებიც.

²⁰და ყოველი სამოსი და ტყავის ყოველი ნივთი და რაც თხისურისგანაა დამზადებული, და ხის ყოველი ჭურჭელი გაასუფთავეთ.“



²¹უთხრა ელეაზარ მღვდელმა მეომრებს, ომში ნამყოფებს: „აჰა, წესი რჯულისა, რომელიც უფალმა უბრძანა მოსეს:

²²ოქრო და ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა, კალა და ტყვია,

²³ყოველი საგანი, რომელიც უძლებს ცეცხლს, ცეცხლში გაატარეთ და გასუფთავდება, მაგრამ გარდა ამისა, გამასუფთავებელი წყლითაც უნდა გასუფთავდეს. ხოლო ყველაფერი, რაც ცეცხლს ვერ გაუძლებს, წყალში გაავლეთ.

²⁴და გაირეცხეთ თქვენი სამოსი მეშვიდე დღეს, და გასუფთავდით და შემდეგ შედით ბანაკში.“

²⁵და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

²⁶„აღრიცხეთ ტყვედ შეპყრობილნი, კაციდან პირუტყვამდე, შენ და ელეაზარ მღვდელმა და თემის თავკაცებმა.

²⁷და გაუყავით ნადავლი შუაზე ომში ნამყოფ მეომართ და მთელ თემს.

²⁸აიღეთ ხარკი უფლისათვის ომში ნამყოფ მეომართაგან: თითო სული ხუთასზე, ადამიანთაგან და ნახირიდან, სახედართაგან და ცხვრიდან.

²⁹მათი ნახევრიდან აიღე ეს და მიეცი ელეაზარ მღვდელს საუფლო შესაწირავად.

³⁰და ისრაელიანთა თემის ნახევრიდან აიღე თითო წილი ორმოცდაათზე ადამიანთაგან, ნახირიდან, სახედართაგან, ცხვარ-თხათაგან, ყოველი პირუტყვიდან, და მიეცი ისინი ლევიალებს, რომლებიც უფლის კარვის სამსახურს ეწევიან.“

³¹და გააკეთეს მოსემ და ელეაზარ მღვდელმა, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

³²და იყო მეომართა მიერ ნაალაფარის გარდა ფარებიდან – 675 ათასი,

³³ნახირიდან – 72 ათასი,

³⁴სახედარი – 61 ათასი,

³⁵და ქალები, რომელთაც არ ჰქონდათ შეცნობილი მამაკაცის საწოლი – 32 ათასი.

³⁶ომში ნამყოფთა ნახევარი წილი ფარებიდან იყო 77 500.

³⁷და უფლის სახარკო ამ ფარებიდან იყო 675.

³⁸უფლის სახარკო 36 ათასიანი ნახირიდან იყო 72.

³⁹უფლის სახარკო 30 500-იანი რემადან იყო 61.



- ⁴⁰უფლის სახარკო 16 ათასი ადამიანიდან იყო 32.
- ⁴¹მისცა მოსემ ხარკი, უფლის შესაწირი ელეაზარ მღვდელს, როგორც უბრძანა უფალმა მას.
- ⁴²და ისრაელიანთა ნახევრიდან, რომელიც გამოყო მოსემ მეომართაგან,
- ⁴³ეს ნახევარი იყო თემისათვის: ფარებიდან – 77500,
- ⁴⁴ნახირიდან – 36 ათასი,
- ⁴⁵რემადან – 30500 სული,
- ⁴⁶და ადამიანები 16 ათასი.
- ⁴⁷აიღო მოსემ ისრაელიანთა ნახევრისაგან ერთი ორმოცდამეათედი წილი ადამინთაგან და პირუტყვთაგან, და მისცა ეს ლევიალებს, უფლის კარვის სამსახურის შემსრულებელთ, როგორც უბრძანა უფალმა მას.
- ⁴⁸და მივიდნენ მოსესთან ლაშქრის ათასეულთა მეთაურები: ათასისთავები და ასისთავები,
- ⁴⁹და უთხრეს: „შენმა მსახურებმა აღრიცხეს მეომრები, რომელნიც ჩვენს ხელქვეით არიან, და არ აკლია მათგან არც ერთი კაცი.
- ⁵⁰და შევწირავთ შესაწირავს უფალს, ვინც რა იპოვა ოქროს ნივთებიდან – სალტეები, სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები და ყელსაბამებ, ჩვენი სულების შენდობისათვის უფლის წინაშე.“
- ⁵¹აიღეს მოსემ და ელეაზარ მღვდელმა ეს ოქრო მათგან, ყოველი ეს სამკაული, ოსტატურად ნაკეთები.
- ⁵²და მთელი ოქრო, რაც უფალს შესწირეს ათასისთავებმა და ასისთავებმა იყო 16750 შეკელი.
- ⁵³მეომრებს კი, თითოეულს თავისი წილი ჰქონდათ დატაცებული.
- ⁵⁴და აიღეს მოსემ და ელეაზარ მღვდელმა ოქრო ათასისთავებისაგან და ასისთავებისაგან და მიიტანეს საკრებულო კარავში უფლის წინაშე ისრაელიანთა სამახსოვროდ.

რიცხვნი 32

- ¹რეუბენიანებს და გადიანებს დიდძალი საქონელი ჰყავდათ; და იხილეს, რომ ქვეყანა იაყზერისა და ქვეყანა გალაადისა ვარგოდა ფარებისათვის.
- ²მივიდნენ გადიანები და რეუბენიანები, და უთხრეს მოსეს და ელეაზარ მღვდელს და თემის თავკაცებს:



³ყატაროთი, დიბონი, იაყზერი, ნიმრა, ხეშბონი, ელყალე, შებამი, ნებო და ბეყონი –

⁴ქვეყანა, რომელიც მოსრა უფალმა ისრაელის თემის წინაშე, კარგია ფარებისათვისა, შენს მსახურებს კი ფარები ჰყავთ.

⁵და კიდევ უთხრეს: „თუ მადლი ვპოვეთ შენს თვალში, მიეცი ეს ქვეყანა შენს მსახურთ სამფლობელოდ; ნუ გადაგვიყვან იორდანეს გადაღმა.“

⁶მაგრამ უთხრა მოსემ გადიანთ და რეუბენიანთ: „თქვენი ძმები ომში წავლენ და თქვენ აქ დარჩებით?“

⁷რატომ უცრუებთ გულს ისრაელიანებს იმ ქვეყანაში გადასვლაზე, რომელიც მისცა მათ უფალმა?

⁸ასე მოიქცნენ თქვენი მამები, როცა გავგზავნე ისინი კადემ-ბარნეაყიდან ქვეყნის დასაზვერად;

⁹და მივიდნენ ისინი ეშქოლის ხეობამდე და იხილეს ქვეყანა, და დაუშალეს ისრაელიანთ იმ ქვეყანაში შესვლა, რომელიც მისცა მათ უფალმა.

¹⁰აღეგზნო უფლის რისხვა იმ დღეს, დაიფიცა მან და თქვა:

¹¹ვერ იხილავენ ეგვიპტიდან გამოსული კაცები, 20 წლისა და ზევით, იმ ქვეყანას, რომელზეც შევფიცე აბრაამს, ისააკს და იაკობს, რადგან არ დამემორჩილნენ მე,

¹²გარდა ქალებისა, კენიზელი იეფუნეს ძისა, და იესო ნავეს ძისა, რადგან ისინი დაემორჩილნენ უფალს.

¹³და აღეგზნო რისხვა უფლისა ისრაელზე და ახეტიალებდა მათ უდაბნოში ორმოც წელიწადს, ვიდრე არ გადაშენდა მთელი თაობა, რომელიც ბოროტად იქცეოდა უფლის თვალში.

¹⁴და აჰა, ახლა თქვენ აღმდგარხართ თქვენი მამების მაგიერ, ცოდვილ კაცთა ნაშიერნო, რათა კვლავ გააძლიეროთ უფლის მრისხანება ისრაელზე.

¹⁵თუ ზურგს შეაქცევთ უფალს, ის კვლავ მიატოვებს ისრაელიანთ უდაბნოში, და დალუპავთ მთელ ამ ხალხს.“

¹⁶და მივიდნენ ისინი მასთან, და უთხრეს: „ჩვენ აქ ავაშენებთ ცხვრის ფარეხებს ჩვენი ფარებისათვის და ქალაქებს – ჩვენი ბავშვებისათვის.

¹⁷ჩვენ თვითონ კი უმაღლესიარადებით და წავუძღვებით ისრაელიანთ, ვიდრე მათ თავ-თავიანთ ადგილას არ მივიყვანთ. ხოლო ჩვენი ბავშვები დარჩებიან გამაგრებულ ქალაქებში, ამ ქვეყნის მკვიდრთა საფრთხის გამო.



¹⁸არ დავბრუნდებით ჩვენს სახლებში, ვიდრე არ დაიმკვიდრებს ყოველი ისრაელიანი თავის სამკვიდროს.

¹⁹რადგან არ დავიმკვიდრებთ მათთან ერთად იორდანეს გაღმა და იმას იქით, თუკი იორდანეს გამოღმა, აღმოსავლეთ მხარეს, შეგვხვდება სამკვიდრო.“

²⁰და უთხრა მათ მოსემ: „თუ გააკეთებთ ამას, თუ შეიარაღებულნი გახვალთ საომრად უფლის წინაშე,

²¹და თითოეული თქვენთაგანი შეიარაღებული გადავა იორდანეს გაღმა უფლის წინაშე, ვიდრე არ განდევნის უფალი თავის მტრებს თავის წინაშე,

²²და თუ დაპყრობილი იქნება ქვეყანა უფლის წინაშე, მერე დაბრუნდით და უბრალონი იქნებით უფლისა და ისრაელის წინაშე, და თქვენი სამფლობელო იქნება ეს ქვეყანა უფლის წინაშე.

²³თუ ასე არ გააკეთებთ, მაშინ შესცოდავთ უფალს და იცოდეთ, რომ თქვენი ცოდვა მოგეწევათ.

²⁴აიშენეთ ქალაქები თქვენი ბავშვებისათვის და ფარეხები თქვენი ფარებისათვის, ოღონდ ის, რაც თქვენი პირიდან გამოვიდა, შეასრულეთ.“

²⁵და უთხრეს მოსეს გადიანებმა და რეუბენიანებმა: „შენი მსახური ისე მოიქცევიან, როგორც ჩვენი ბატონი ბრძანებს.

²⁶ჩვენი ბავშვები და ჩვენი ცოლები, ჩვენი ფარები და მთელი ჩვენი საქონელი დარჩება აქ, გალაადის ქალაქებში.

²⁷ხოლო ყოველი შენი მსახური, საომრად შეიარაღებული უფლის წინაშე გავა ბრძოლაში, როგორც ამბობს ჩვენი ბატონი.“

²⁸და უბრძანა მათ შესახებ მოსემ ელეაზარ მღვდელს, იესო ნავეს ძეს, და ისრაელიანთა ტომთა მამამთავრებს,

²⁹და უთხრა მათ მოსემ: „თუ გადავლენ გადიანები და რეუბენიანები თქვენთან ერთად იორდანეს გაღმა საომრად, შეიარაღებულნი უფლის წინაშე, და დაპყრობილ იქნება ის ქვეყანა თქვენს წინაშე, მაშინ მისცემთ მათ გალაადის ქვეყანას სამფლობელოდ;

³⁰ხოლო თუ არ გადმოვლენ შეიარაღებულნი თქვენთან ერთად, მაშინ ისინიც მიიღებენ სამფლობელოს თქვენს შორის ქანაანის ქვეყანაში.“

³¹მიუგეს გადიანებმა და რეუბენიანებმა: „როგორც უფალმა უთხრა შენს მსახურთ, ისე გავაკეთებთ.

³²ჩვენ გადავალთ შეიარაღებულნი უფლის წინაშე ქანაანის ქვეყანაში და ჩვენი სამკვიდრებლის სამფლობელო იორდანეს გამოღმა გვექნება.“



³³და მისცა მათ მოსემ, გადიანთ და რეუბენიანებს, და იოსების ძის, მანაშეს, ნახევარტომს, სამეფო სიხონისა, ამორეველთა მეფისა, და სამეფო ყოგისა, ბაშანის მეფისა, მიწა მისი ქალაქებითა და ამ ქვეყნის ქალაქების შემოგარენით.

³⁴და ააშენეს გადიანებმა დიბონი, ყატაროთი, ყაროყერი,

³⁵და ყათროთ-შოფანი, იაყზერი, იოგბეჰა,

³⁶ბეთ-ნიმრა და ბეთ-ჰარანი, გამაგრებული ქალაქები მათი ფარეხებითურთ.

³⁷და რეუბენიანებმა ააშენეს ხეშბონი, ელყალე, კირიათაიმი,

³⁸ნებო და ბაყალ-მეყონი, რომელთაც სახელები შეუცვალეს, და სიბმა; და უწოდეს სახელები ქალაქებს, რომელნიც მათ ააშენეს.

³⁹წავიდნენ ძენი მაქირისა, მანაშეს ძისა, გალაადში და დაიპყრეს იგი, და განდევნეს ამორეველნი, რომელნიც იყვნენ იქ;

⁴⁰და მისცა მოსემ გალაადი მაქირს, მანაშეს ძეს, და ის დამკვიდრდა იქ.

⁴¹იაირი, მანაშეს ძე, წავიდა და დაიპყრო მათი სოფლები, და უწოდა მათ იაირის სოფლები.

⁴²და წავიდა ნობახი და დაიპყრო კენათი და მისი გარეუბნები და უწოდა მას ნობახი თავისი სახელის მიხედვით.

რიცხვნი 33

¹ეს არის ისრაელიანთა ბანაკები, როცა გამოვიდნენ ისინი ეგვიპტიდან ლაშქარ-ლაშქარ მოსესა და აარონის წინამძღოლობით.

²მოსემ აღწერა მათი გამოსვლის ადგილები და მათი ბანაკები, უფლის ბრძანებით. და ეს არის მათი ბანაკები ამ გზაზე:

³რამზესიდან დაიძრნენ ისინი პირველი თვის მეთხუთმეტე დღეს, პასექის მეორე დღეს გამოვიდნენ ისრაელიანები, გაბედულად მთელი ეგვიპტის წინაშე.

⁴ხოლო ეგვიპტელნი მარხავდნენ თავიანთ პირმშობებს, რომელნიც უფალმა მოსრა, და მათ ღმერთებსაც მიაგო უფალმა სასჯელი.

⁵და აიყარნენ ისრაელიანები რამზესიდან და დაბანაკდნენ სუქოთში.

⁶აიყარნენ სუქოთიდან და დაბანაკდნენ ეთამში, რომელიც უდაბნოს განაპირას მდებარეობს.



- ⁷აიყარნენ ეთამიდან და დაბანაკდნენ ფი-ჰახიროთში, რომელიც ბაყალ-ცეფონის წინაა, და დაბანაკდნენ მიგდოლის წინ.
- ⁸აიყარნენ ფი-ჰახიროთიდან და გაიარეს შუაგულ ზღვაზე და გადავიდნენ უდაბნოში, და იარეს სამი დღის სავალი გზა ეთამის უდაბნოში, და დაბანაკდნენ მარაში.
- ⁹აიყარნენ მარადან და მივიდნენ ელიმში. და ელიმში იყო 12 წყაროსთვალი და 70 ფინიკის ხე იდგა, და დაბანაკდნენ იქ.
- ¹⁰აიყარნენ ელიმიდან და დაბანაკდნენ მეწამულ ზღვასთან.
- ¹¹აიყარნენ მეწამული ზღვიდან და დაბანაკდნენ სინის უდაბნოში.
- ¹²აიყარნენ სინის უდაბნოდან და დაბანაკდნენ დოფკაში.
- ¹³აიყარნენ დოფკადან და დაბანაკდნენ ალუში.
- ¹⁴აიყარნენ ალუშიდან და დაბანაკდნენ რეფიდიმში, და იქ არ იყო სასმელი წყალი ხალხისათვის.
- ¹⁵აიყარნენ რეფიდიმიდან და დაბანაკდნენ სინაის უდაბნოში.
- ¹⁶აიყარნენ სინაის უდაბნოდან და დაბანაკდნენ კიბროთ-ჰათაავაში.
- ¹⁷აიყარნენ კიბროთ-ჰათაავადან და დაბანაკდნენ ხაცეროთში.
- ¹⁸აიყარნენ ხაცეროთიდან და დაბანაკდნენ რითმაში.
- ¹⁹აიყარნენ რითმადან და დაბანაკდნენ რიმონ-ფერეცში.
- ²⁰აიყარნენ რიმონ-ფერეციდან და დაბანაკდნენ ლიბნაში.
- ²¹აიყარნენ ლიბნადან და დაბანაკდნენ რისაში.
- ²²აიყარნენ რისადან და დაბანაკდნენ კეჰელათაში.
- ²³აიყარნენ კეჰელათადან და დაბანაკდნენ შეფერის მთაზე.
- ²⁴აიყარნენ შეფერის მთიდან და დაბანაკდნენ ხარადაში.
- ²⁵აიყარნენ ხარადადან და დაბანაკდნენ მაკჰელოთში.
- ²⁶აიყარნენ მაკჰელოთიდან და დაბანაკდნენ თახათში.
- ²⁷აიყარნენ თახათიდან და დაბანაკდნენ თერახში.
- ²⁸აიყარნენ თერახიდან და დაბანაკდნენ მითკაში.
- ²⁹აიყარნენ მითკადან და დაბანაკდნენ ხაშმონაში.
- ³⁰აიყარნენ ხაშმონადან და დაბანაკდნენ მოსეროთში.
- ³¹აიყარნენ მოსეროთიდან და დაბანაკდნენ ბენე-იაყაკანში.



- ³²აიყარნენ ბენე-იაყაკანიდან და დაბანაკდნენ ხორ-ხაგიდგადში.
- ³³აიყარნენ ხორ-ხაგიდგადიდან და დაბანაკდნენ იოტბათაში.
- ³⁴აიყარნენ იოტბათადან და დაბანაკდნენ ყაბრონაში.
- ³⁵აიყარნენ ყაბრონადან და დაბანაკდნენ ყეციონ-გებერში.
- ³⁶აიყარნენ ყეციონ-გებერიდან და დაბანაკდნენ ცინის უდაბნოში, ანუ კადეში.
- ³⁷აიყარნენ კადეშიდან და დაბანაკდნენ ჰორის მთაზე, ედომის ქვეყნის საზღვარზე.
- ³⁸ავიდა აარონ მღვდელი ჰორის მთაზე უფლის ბრძანებით, და მოკვდა იქ ეგვიპტის ქვეყნიდან ისრაელიანთა გამოსვლის მეორმოცე წელს, მეხუთე თვეს, თვის პირველ დღეს.
- ³⁹აარონი იყო 123 წლისა, როცა მოკვდა ჰორის მთაზე.
- ⁴⁰ესმა ქანაანს, ყარადის მეფეს, რომელიც ცხოვრობდა ნეგებში, ქანაანის ქვეყანაში, ისრაელიანთა მოსვლის შესახებ.
- ⁴¹აიყარნენ ჰორის მთიდან და დაბანაკდნენ ცალმონაში,
- ⁴²აიყარნენ ცალმონადან და დაბანაკდნენ ფუნონში.
- ⁴³აიყარნენ ფუნონიდან და დაბანაკდნენ ობოთში.
- ⁴⁴აიყარნენ ობოთიდან და დაბანაკდნენ ყიე-ყაბარიმში, მოაბის საზღვარზე.
- ⁴⁵აიყარნენ ყიიმიდან და დაბანაკდნენ დიბონ-გადში.
- ⁴⁶აიყარნენ დიბონ-გადიდან და დაბანაკდნენ ყალმონ-დიბლათაიმიში.
- ⁴⁷აიყარნენ ყალმონ-დიბლათაიმიდან და დაბანაკდნენ ყაბარიმის მთებში, ნებოს წინ.
- ⁴⁸აიყარნენ ყაბარიმის მთებიდან და დაბანაკდნენ მოაბის ველებზე, იორდანესთან, იერიხოს პირდაპირ.
- ⁴⁹დაბანაკდნენ იორდანესთან, ბეთ-იეშიმოთიდან აბელ-შიტიმამდე, მოაბის ველებზე.
- ⁵⁰და უთხრა უფალმა მოსეს მოაბის ველებზე, იორდანესთან, იერიხოს პირდაპირ:
- ⁵¹„დაელაპარაკე ისრაელიანთ და უთხარი მათ: როდესაც გადახვალთ იორდანეს გადაღმა ქანაანის ქვეყანაში,



⁵²განდევნეთ თქვენგან ყველა მკვიდრი იმ ქვეყნისა და მოსპეთ მათი ღმერთების ყველა გამოსახულება, და ყველა მათი ჩამოსხმული კერპი და ყველა მათი მადლობი ააოხრეთ.

⁵³და დაეუფლეთ ქვეყანას, და იცხოვრეთ მასში, რადგან თქვენ მოგეცით ეს ქვეყანა, რათა დაიმკვიდროთ იგი.

⁵⁴დაიმკვიდრეთ ქვეყანა წილისყრით, თქვენი საგვარეულოების მიხედვით. მრავალრიცხოვანთ მეტი სამკვიდრო მიეცით და მცირერიცხოვანთ – ნაკლები. ვისაც სად შეხვდება წილი, იქ იყოს სამკვიდრო მისი; თქვენი მამების ტომთა მიხედვით დაიმკვიდრეთ.

⁵⁵და თუ არ განდევნით იმ ქვეყნის მცხოვრებთ თქვენგან, მაშინ ისინი, რომელთაც დატოვებთ, ეკლად გექცევიან თვალებში და ნარად – ფერდებში, და შეგავიწროვებენ თქვენ იმ ქვეყანაში, სადაც იცხოვრებთ.

⁵⁶და იმას გაგიკეთებთ თქვენ, რისი გაკეთებაც განზრახული მქონდა მათთვის.“

რიცხვნი 34

¹და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

²„უბრძანე ისრაელიანთ და უთხარი მათ: მალე შეხვალთ თქვენ ქანაანის ქვეყანაში. და აჰა, ესაა ქვეყანა, რომელიც გერგებათ სამკვიდროდ, ქვეყანა ქანაანისა თავისი საზღვრებით.

³თქვენი იქნება სამხრეთის მხარე ცინის უდაბნოდან, ედომის მახლობლად, გექნებათ სამხრეთ საზღვარი მარილოვანი ზღვის კიდიდან აღმოსავლეთის მიმართულებით,

⁴და გადაუხვევს საზღვარი სამხრეთიდან ყაკრაბიმის მადლობისაკენ და გაივლის ცინისაკენ, და იქნება მისი გარე საზღვარი სამხრეთიდან კადეშ-ბარნეაყის მიმართულებით, და იგი გავა ხაცარ-ადარისაკენ და ჩაუვლის ყაცმონს.

⁵გადაუხვევს საზღვარი ყაცმონიდან ეგვიპტის ნაღვარევისაკენ და გავა ზღვის მიმართულებით.

⁶ხოლო დასავლეთის საზღვრად გექნებათ დიდი ზღვის სანაპირო. ეს იქნება თქვენთვის დასავლეთის საზღვარი.

⁷და ეს იქნება თქვენთვის ჩრდილოეთის საზღვარი: დიდი ზღვიდან გაატარეთ იგი ჰორის მთის მიმართულებით.



⁸ჰორის მთიდან გაატარეთ იგი ხამათისაკენ, და იყოს საზღვრის ბოლო ცეცხლდან.

⁹და გავა საზღვარი ზიფრონისაკენ, და იქნება მისი ბოლო ხაცარ-ყენანთან. ეს გექნებათ ჩრდილოეთის საზღვრად.

¹⁰და გაატარეთ საზღვარი აღმოსავლეთის საზღვარი ხაცარ-ყენანიდან შეფამისკენ,

¹¹და დაეშვება საზღვარი შეფამიდან რიბლასაკენ, ყაინის აღმოსავლეთით, და დაეშვება საზღვარი და შეეხება ქინერეთის ზღვის სანაპიროს აღმოსავლეთიდან.

¹²და დაეშვება საზღვარი იორდანესაკენ და იქნება მისი ბოლო მარილოვან ზღვასთან. ეს იქნება თქვენი ქვეყანა მისი საზღვრებით ყოველი მხრიდან.“

¹³და უბრძანა მოსემ ისრაელიანთ ასე: „აჰა, ქვეყანა, რომელსაც დაიმკვიდრებთ წილისყრით, რომლის მიცემაც ბრძანა უფალმა ცხრა ტომისათვის და მანაშეანთა ნახევართომისათვის.

¹⁴რადგან რეუბენიანთა ტომმა თავისი გვარეულობების მიხედვით, და გადიანთა ტომმა თავისი გვარეულობების მიხედვით, და მანაშეს ნახევართომმა მიიღეს თავიანთი წილი.

¹⁵ამ ორმა ტომმა და ნახევართომმა მიიღეს თავიანთი წილი იორდანეს გაღმა, იერიხოს პირდაპირ, აღმოსავლეთით.“

¹⁶და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

¹⁷„ეს არის იმ კაცთა სახელები, რომელნიც გაანაწილებენ ქვეყანას: ელეაზარ მღვდელი და იესო, ძე ნავესი.

¹⁸თითო ტომიდან თითო თავკაცი მოიყვანეთ ქვეყნის გასანაწილებლად.

¹⁹და ეს არის სახელები ამ კაცებისა: იუდას ტომიდან ქალები, იეფუნეს ძე;

²⁰სიმეონიანთა ტომიდან შემუელი, ძე ყამიჰუდისა;

²¹ბენიამინის ტომიდან ელიდადი, ძე ქისლონისა;

²²დანიანთა ტომიდან თავკაცი ბუკი, ძე იოგლისა;

²³იოსებიანთაგან: მანაშეანთა ტომიდან თავკაცი ხანიელი, ძე ეფოდისა;

²⁴ეფრემიანთა ტომიდან თავკაცი კემუელი, ძე შიფტანისა;

²⁵ზებულუნთანთა ტომიდან თავკაცი ელიცაფანი, ძე ფარნაქისა;

²⁶ისაქარიანთა ტომიდან თავკაცი ფალტიელი, ძე ყაზანისა;

²⁷აშერიანთა ტომიდან თავკაცი ახიჰუდი, ძე შელომისა;



²⁸ნაფთალიანთა ტომიდან თავკაცი ფედაჰელი, ძე ყამიჰუდისა.“

²⁹ესენი არიან ისინი, რომლებსაც უბრძანა უფალმა ქანაანის ქვეყნის განაწილება ისრაელიანთათვის.

რიცხვნი 35

¹და ელაპარაკა უფალი მოსეს მოაბის ველებზე, იორდანესთან, იერიხოს პირდაპირ, და უთხრა:

²„უბრძანე ისრაელიანთ, რომ მისცენ ლევიანებს თავიანთი სამკვიდრო სამფლობელოდან ქალაქები საცხოვრებლად. და აგრეთვე სამოვრები მიეცით ქალაქების ირგვლივ მათ.

³იქნება ქალაქები მათთვის საცხოვრებლად, ხოლო მათი სამოვრები იქნება მათი ცხვარ-ძროხისა და მათი სხვა პირუტყვისათვის.

⁴ქალაქების სამოვრები, რომლებსაც მისცემთ ლევიანებს, ქალაქის გარე კედლიდან ათას წყრთაზე გადიოდეს ირგვლივ.

⁵გაზომეთ ქალაქგარეთ აღმოსავლეთ მხარეს 2 ათასი წყრთა, და სამხრეთ მხარეს 2 ათასი წყრთა და დასავლეთ მხარეს 2 ათასი წყრთა, და ჩრდილოეთ მხარეს 2 ათასი წყრთა, ხოლო ქალაქი იყოს შუაში: ეს იქნება მათი სამოვრები ქალაქებთან.

⁶ქალაქებიდან, რომლებსაც თქვენ მისცემთ ლევიანებს, ექვსი იყოს თავშესაფარი ქალაქი, სადაც გაქცევას დაანებებთ მკვლელს. და მათ გარდა მიეცით სხვა 42 ქალაქი.

⁷ყველა ქალაქი, რომელიც თქვენ უნდა მისცეთ ლევიანებს, იყოს 48 ქალაქი თავის სამოვრებიანად.

⁸და ქალაქები, რომლებსაც მისცემთ მათ ისრაელიანთა სამფლობელოებიდან, აიღეთ მრავალრიცხოვან ტომთაგან მეტი, ხოლო მცირერიცხოვანთაგან ნაკლები. ყოველმა ტომმა თავისი სამკვიდრებლის მიხედვით უნდა მისცეს ლევიანებს თავიანთი ქალაქებიდან, რასაც დაიმკვიდრებენ.

⁹და ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

¹⁰განუცხადე ისრაელიანთ და უთხარი მათ: როცა გადახვალთ იორდანეს გადაღმა, ქანაანის ქვეყანაში,

¹¹დაიგუეთ ქალაქები, რომლებიც თავშესაფარი ქალაქები იქნება თქვენთვის. და გაიქცევა იქ მკვლელი, რომელსაც უნებლიეთ შემოაკვდა კაცი.



¹²ეს ქალაქები იქნება თქვენთვის თავშესაფრად შურის მაძიებლისაგან, რომ არ მოკლან მკვლელი, ვიდრე წარსდგება სამსჯავროზე თემის წინაშე.

¹³და ქალაქებიდან, რომლებსაც თქვენ მისცემთ, ექვსი ქალაქი თავშესაფრად იყოს თქვენთვის.

¹⁴სამი ქალაქი მიეცით იორდანეს გამოღმა მხარეს და სამი ქალაქი მიეცით ქანაანის ქვეყანაში. თავშესაფარი ქალაქები იქნება ისინი.

¹⁵ისრაელიანთათვის და ხიზნისთვის და ახალმოსახლესათვის იყოს ეს ექვსი ქალაქი თავშესაფრად მათთვის, რათა შეძლოს იქ გაქცევა ყველამ, ვისაც უნებლიეთ შემოაკვდება კაცი.

¹⁶თუ ვინმე რკინის იარაღს დაარტყამს კაცს და მოკვდება იგი, მაშინ ის მკვლეელია. სიკვდილით უნდა დაისაჯოს მკვლელი.

¹⁷და თუ ვინმე ხელით დაარტყამს ვინმეს ქვას, რასაც შეუძლია სიკვდილი გამოიწვიოს, და იგი მოკვდება, მაშინ ის მკვლეელია. სიკვდილით უნდა დაისაჯოს მკვლელი.

¹⁸ან თუ ვინმე ხის იარაღს დაარტყამს ხელით, რომლითაც შეიძლება მოკვდეს, და იგი მოკვდება, მაშინ ის მკვლეელია. სიკვდილით უნდა დაისაჯოს მკვლელი.

¹⁹მესისხლეს თვით შეუძლია მოკლას მკვლელი; როგორც კი შეხვდება მას, თვითონ შეუძლია მისი მოკვლა.

²⁰და თუ ვინმე სიძულვილით ხელს ჰკრავს ვინმეს, ან განზრახ რაიმეს სტყორცნის მას და იგი მოკვდება,

²¹ან თუ მტრობით დაარტყამს ხელს, და იგი მოკვდება, სიკვდილით უნდა დაისაჯოს ის, რომელმაც დაარტყა მას, რადგან მკვლეელია იგი; მესისხლეს შეუძლია მოკლას ეს მკვლელი, როცა შეხვდება მას.

²²მაგრამ თუ უცაბედად, მტრობის გარეშე, ჰკრავს ხელს, ან ესვრის მას რაიმე საგანს განზრახვის გარეშე,

²³ან რაიმე ქვას, რომლითაც შეიძლება მოკვდეს, უნებლიეთ მოახვედრებს მას და ის მოკვდება, თუმცა იგი არ იყო მისი მტერი და არც მისთვის ავის მოსურნე,

²⁴მაშინ უნდა განსაჯოს თემმა მკვლელსა და მესისხლეს შორის ამ წესის მიხედვით;

²⁵და უნდა იხსნას თემმა მკვლელი მესისხლის ხელიდან, და უნდა დააბრუნოს იგი თავშესაფარ ქალაქში, სადაც გაიქცა, რათა დამკვიდრდეს იქ, ვიდრე მოკვდებოდეს წმიდა ზეთით ცხებულ მღვდელთმთავარი.



- ²⁶ხოლო თუ მკვლელი გავა თავშესაფარი საზღვრიდან, სადაც იგი გაიქცა,
- ²⁷და მას ნახავს მესისხლე მისი თავშესაფარი ქალაქის საზღვრის გარეთ, სადაც იგი გაიქცა, და მოკლავს მესისხლე მკვლელს, მაშინ არაა მესისხლეზე სისხლი,
- ²⁸რადგან თავის თავშესაფარ ქალაქში უნდა დამკვიდრებულიყო იგი, ვიდრე მღვდელმთავარი მოკვდებოდა. ხოლო მღვდელმთავრის სიკვდილის შემდეგ შეიძლება დაუბრუნდეს მკვლელი თავის სამფლობელოს.
- ²⁹ეს გვონდეთ თქვენთვის სამართლის წესად თაობიდან თაობამდე, ყველგან სადაც კი იცხოვრებთ.
- ³⁰ყველა, ვინც კაცს მოკლავს, მოწმეთა ჩვენების საფუძველზე უნდა მოიკლას. მაგრამ მარტო ერთი მოწმის მხილებით არავინ არ უნდა დაისაჯოს სიკვდილით.
- ³¹არ აიღოთ გამოსასყიდი მკვლელის გამოსახსნელად, რომელიც სასიკვდილო დამნაშავეა, არამედ სიკვდილით უნდა დაისაჯოს.
- ³²და არ აიღოთ გამოსასყიდი თავშესაფარ ქალაქში გაქცეულისთვის მის დასაბრუნებლად ქვეყანაში საცხოვრებლად, ვიდრე მღვდელმთავარი ცოცხალია.
- ³³არ წაბილწოთ მიწა, სადაც თქვენ ცხოვრობთ, რადგან სისხლი ბილწავს მიწას, და მიწა ვერ გამოისყიდის მასზე დაღვრილ სისხლს, თუ არა მისი დამღვრელის სისხლით.
- ³⁴და არ გააბინძუროთ მიწა, რომელზეც ცხოვრობთ, სადაც მე ვმკვიდრობ; რადგან მე, უფალი, ვმკვიდრობ ისრაელიანთა შორის.“

რიცხვნი 36

- ¹მივიდნენ გალაად მაქირის ძის, მანაშეანთა გვარის თავკაცნი იოსების ძეთა საგვარეულოდან და განაცხადეს მოსესა და ისრაელიანთა მამამთავრების წინაშე,
- ²და თქვეს: „ჩვენს ბატონს უბრძანა უფალმა, რათა მისცეს ქვეყანა სამკვიდროდ წილისყრით ისრაელიანებს, და ჩვენს ბატონს უბრძანა უფალმა, რათა მიეცა ცელოფხადის, ჩვენი ძმის, სამკვიდრებელი მისი ასულებისათვის;
- ³მაგრამ თუ ისინი მისთხოვდებიან ისრაელიანთა სხვა რომელიმე ტომის ძეებს, მაშინ მათი სამკვიდრებელი მოაკლდება ჩვენი მამების



სამკვიდრებელს და მიემატება იმ ტომის სამკვიდრებელს, სადაც იქნებიან ისინი გათხოვილი, ხოლო ჩვენს წილხვედრ სამკვიდროს მოაკლდება.

⁴და როცა იქნება ისრაელიანთა საიუბილეო წელი, მაშინ საბოლოოდ დარჩება მათი სამკვიდრო იმ ტომის სამკვიდროს, სადაც იქნებიან ისინი გათხოვილი, და ჩვენი მამების ტომის სამკვიდროს მოაკლდება მათი სამკვიდრებელი.“

⁵და ამცნო მოსემ ისრაელიანებს უფლის ბრძანება: „მართალს ამბობს იოსებთანა ტომი.

⁶ეს არის, რაც ბრძანა უფალმა ცელოფხადის ასულებზე: ვინც მოეწონებათ, იმათ მისთხოვდნენ, ოღონდ მამისეული ტომის საგვარეულოში გათხოვდნენ,

⁷რათა არ გადავიდეს ისრაელიანთა სამკვიდრებელი ტომიდან ტომზე; რადგან ისრაელიანთაგან თითოეული თავის მამათა ტომის სამკვიდროზე უნდა იყოს მიკრული.

⁸ყოველი სამკვიდრებლის მემკვიდრე ასული, ისრაელიანთა ტომთაგან, თავისი მამის ტომის საგვარეულოში უნდა გათხოვდეს, რათა ისრაელიანთაგან დაიმკვიდროს თავისი მამის სამკვიდრო.

⁹არ გადავიდეს სამკვიდრებელი ტომიდან სხვა ტომზე, რადგან ისრაელიანთა თითოეული ტომი თავის სამკვიდროზე უნდა იყოს მიკრული.“

¹⁰როგორც უბრძანა უფალმა მოსეს, ისე გააკეთეს ცელოფხადის ასულებმა.

¹¹და მახლა, თირცა, ხოგლა, მილქა და ნოყა, ცელოფხადის ასულები, მისთხოვდნენ თავიანთ ბიძაშვილებს.

¹²იოსებთან-მანაშეანთა საგვარეულოებში იყვნენ გათხოვილნი ისინი და ამიტომაც მათ მამისეულ საგვარეულოს შერჩა მათი სამკვიდრო.

¹³და ეს არის ბრძანებანი და წესები, რომელნიც ამცნო უფალმა ისრაელიანთ მოსეს მეშვეობით მოაბის ველებზე, იორდანესთან, იერიხოს პირდაპირ.



მეორე რჯული

მეორე რჯული 1

- ¹ეს არის სიტყვები, რომლებიც ელაპარაკა მოსე მთელ ისრაელს იორდანეს გაღმა, ყარაბას უდაბნოში, სუფის პირდაპირ, ფარანსა და თოფელს, ლაბანსა, ხაცეროთსა და დი-ზაჰაბს შორის,
- ²რომელიც 11 დღის სავალზეა ხორებიდან, სეყირის მთის გავლით, კადემ-ბარნეაყამდე.
- ³მეორმოცე წლის მეთერთმეტე თვის პირველ დღეს, უთხრა მოსემ ისრაელიანებს ყოველივე, რაც უბრძანა მას უფალმა მათთვის სათქმელად.
- ⁴ეს იყო მას შემდეგ, რაც განგმირეს სიხონი, მეფე ამორეველთა, რომელიც მკვიდრობდა ხეშბონში, და ყოგი, მეფე ბაშანისა, რომელიც მკვიდრობდა ყაშთაროთსა და ედრეყში.
- ⁵იორდანეს გაღმა, მოაბელთა ქვეყანაში, დაიწყო მოსემ განმარტება ამ რჯულისა და თქვა:
- ⁶უფალმა, ღმერთმა ჩვენმა, გვითხრა ხორებში: „გეყოთ ამ მთაზე ცხოვრება;
- ⁷გაბრუნდით და მოედეთ ამორეველთა მთას და მათი მეზობლების ქვეყნებს, მთასა და ბარს, დაბლობს, სამხრეთის ზღვის სანაპიროს, ქანაანელთა ქვეყანას და ლიბანს დიდ მდინარე ეფრატამდე.
- ⁸აჰა, გაძლევთ თქვენ ამ ქვეყანას. მიდით და დაიმკვიდრეთ ქვეყანა, რომლის მოცემაც გულით აღუთქვა უფალმა თქვენს მამებს: აბრაამს, ისაკსა და იაკობს, და მათ მოდგმას.“
- ⁹და მე მაშინ ასე გითხარით: „არ შემიძლია მარტოს თქვენი ტარება!
- ¹⁰უფალმა, თქვენმა ღმერთმა, გაგამრავლათ, და აჰა, დღეს ურიცხვნი ხართ, როგორც ცის ვარსკვლავები.
- ¹¹უფალმა, თქვენი მამების ღმერთმა, გამრავლოთ თქვენ ათასგზის მეტად, ვიდრე დღესა ხართ, და გაკურთხოთ, როგორც დაგპირდათ!
- ¹²მე მარტომ როგორ ვატარო თქვენი საზრუნავი და თქვენი ტვირთი და თქვენი შუღლი?
- ¹³ამოირჩიეთ თქვენი ტომებიდან ბრძენი, გონიერი და გამოცდილი კაცები და მათ დაგინიშნავთ წინამძღვრებად.“
- ¹⁴ამაზე თქვენ მიპასუხეთ: კარგ საქმეს გვთავაზობო.



¹⁵და ავიყვანე მთავრები თქვენი ტომებიდან, ბრძენი და გამოცდილი კაცები და დაგინიშნეთ ისინი წინამძღვრებად, ათასისთავეებად, ასისთავეებად, ორმოცდაათისთავეებად, ათისთავეებად და თქვენი ტომების ზედამხედველებად.

¹⁶და მე ვუბრძანე თქვენს მსაჯულებს მაშინ: „მოუსმინეთ თქვენს ძმებს და განსაჯეთ სამართლიანად, როგორც ძმასა და ძმას შუა, ასევე მათსა და ხიზანთა შუა.

¹⁷ნუ იქნებით მიკერძოებულნი სასამართლოზე: ერთნაირად მოუსმინეთ ძლიერსა და სუსტს. ნუ შეუშინდებით კაცს, რადგან სამართალი ღვთისაა! საქმე, რომელიც გემძიმებათ, მე წარმომიდგინეთ, და მოვისმენ მას.“

¹⁸იმჟამადვე გამცნეთ ყველაფერი, რაც უნდა შეგესრულებინათ.

¹⁹და ავიყარეთ ხორებიდან, როგორც გვიბრძანა უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, და გავიარეთ მთელი ეს დიდი და საშინელი უდაბნო, რომელიც იხილეთ ამორეველთა მთისაკენ მიმავალ გზაზე, და მივედით კადეშ-ბარნეაყამდე.

²⁰და იქ გითხარით მე თქვენ: „თქვენ მოხვედით ამორეველთა მთამდე, რომელსაც უფალი, ჩვენი ღმერთი, გვამლევს.

²¹აჰა, გაძლევთ უფალი, თქვენი ღმერთი, ამ ქვეყანას. წადით, დაიმკვიდრეთ, როგორც გვითხრა ჩვენ უფალმა, ჩვენი მამების ღმერთმა. ნუ გეშინიათ და ნუ შეძრწუნდებით!“

²²მაგრამ თქვენ ყველანი მოხვედით ჩემთან და მითხარით: „გავგზავნით კაცებს ჩვენს წინ, რათა დაზვერონ ის ქვეყანა და მოგვიტანონ ამბავი იმ გზისა, რომლითაც უნდა ვიაროთ, და იმ ქალაქებისა, რომლებშიც შესვლა მოგვიწევს.“

²³მე მომეწონა ეს გეგმა, და ამოვირჩიე 12 კაცი, თითო ტომიდან თითო.

²⁴და გაემგზავრნენ ისინი და გადაიარეს მთა, მივიდნენ ეშქოლის ხეობამდე და დაზვერეს იგი,

²⁵და მოკრიფეს ხილი იმ ქვეყნისა, ჩვენ მოგვართვეს და ამბავი მოგვიტანეს: ნაყოფიერია ის ქვეყანა, რომელსაც უფალი, ჩვენი ღმერთი, გვამლევსო.

²⁶მაგრამ თქვენ არ ინებეთ იქ ასვლა და წინ აღუდექით უფლის, თქვენი ღმერთის, ბრძანებას,

²⁷და დრტვინავდით თქვენს კარვებში, და ამბობდით: „ჩვენ უფალს ვძულვართ და იმიტომ გამოგვიყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან, რომ ამორეველთა ხელში ჩავეგდეთ დასაღუპად.



²⁸სად უნდა წავიდეთ? ჩვენმა ძმებმა გული გაგვიტეხეს და გვითხრეს: იქაური ხალხი ჩვენზე ბრგეა და მაღალი, ცამდე აზიდული სიმაგრეებით გარშემორტყმული დიდი ქალაქები აქვთ და ყანაკელნიც ვიხილეთო იქ.“

²⁹მე გითხარით თქვენ: „ნუ ძრწით და ნუ გეშინიათ მათი.

³⁰უფალი, თქვენი ღმერთი, წინ მიგიძღვით. ის იბრძოლებს თქვენთვის ისევე, როგორც ეგვიპტეში გააკეთა თქვენს თვალწინ,

³¹და ამ უდაბნოში, როგორც თავად იხილეთ, რომ უფალი, თქვენი ღმერთი, როგორც თავისი შვილი ატაროს კაცმა, ისე გატარებდათ მთელ გზაზე, რომელიც განვლეთ, ვიდრე მოხვიდოდით ამ ადგილამდე.

³²ამის შემდეგაც არ ერწმუნეთ უფალს, თქვენს ღმერთს,

³³რომელიც წინ მიგიძღვოდათ, რათა დასაბანაკებელი ადგილი მოენახა თქვენთვის, – ღამით ცეცხლივით მიდიოდა, რათა ეჩვენებინა თქვენთვის სწორი გზა, დღისით კი ღრუბლის სახით მიდიოდა.“

³⁴გაიგონა უფალმა თქვენი სიტყვები, განრისხდა და დაიფიცა:

³⁵„ამ უკეთური თაობიდან ვერავინ იხილავს იმ კეთილ ქვეყანას, რომელიც ფიცით აღვუთქვი თქვენს მამებს.

³⁶მხოლოდ ქალებ იეფუნეს ძე იხილავს მას. მას და მის ძეთ მივცემ მიწას, რომელსაც ფეხი დაადგა, რადგან ბოლომდე უფლის ერთგული იყო.“

³⁷მეც განმირისხდა უფალი თქვენს გამო და ასე მითხრა: „ვერც შენ შეხვალ იქ.

³⁸იესო, ნავეს ძე, რომელიც შენს წინაშე დგას, შევა იქ. გაამხნევე, რადგან ის დაუმკვიდრებს ისრაელიანთ იმ ქვეყანას.

³⁹და თქვენი ძუძუზე მყოფნი, რომლებზეც ამბობდით, მტრის ნადავლი გახდებიანო, და თქვენი ჩვილები, რომლებიც დღეს ავსა და კარგს ვერ არჩევენ, ისინი შევლენ იქ, და მათ მივცემ იმ მიწას, და ისინი დაიმკვიდრებენ მას.

⁴⁰თქვენ კი მიბრუნდით და გაემგზავრეთ უდაბნოში, მეწამული ზღვის გზით.“

⁴¹მაშინ თქვენ პასუხად მომიგეთ: „შევცოდეთ უფალს! წავალთ და ვიბრძოლებთ, როგორც გვიბრძანა უფალმა, ღმერთმა ჩვენმა.“ და აისხით თითოეულმა თქვენი საჭურველი, და დაუფიქრებლად გადაწყვიტეთ მთაზე ასვლა.

⁴²მაშინ მითხრა უფალმა, რომ თქვენთვის მეთქვა: „ნუ ახვალთ მთაზე და ნუ შეებრძოლებით, რადგან არა ვარ თქვენს შორის და დაგამარცხებთ მტერი!“



⁴³მე გადმოგეცით, მაგრამ არ ისმინეთ, წინ აღუდექით უფლის ბრძანებას, გაკადნიერდით და ახვედით მთებში.

⁴⁴და გამოვიდნენ თქვენს წინააღმდეგ ამორეველნი, რომელნიც მკვიდრობდნენ იქ, და დაგესივნენ, როგორც ფუტკარმა იცის, და გამუსრავდნენ სეყირიდან ხორმამდე.

⁴⁵და როცა დაბრუნდით, ტიროდით უფლის წინაშე, მაგრამ ყურად არ იღო უფალმა თქვენი ქვითინი და არ შეისმინა თქვენი.

⁴⁶და დიდხანს იყავით კადეშში, საკმაოდ დიდხანს.

მეორე რჯული 2

¹და გავბრუნდით, და გავწიეთ უდაბნოსაკენ მეწამული ზღვის გზით, როგორც მიბრძანა უფალმა. და დიდხანს ვუარეთ გარს სეყირის მთებს.

²და მითხრა მე უფალმა:

³„გეყოფათ ამ მთის შემოვლა, გადაუხვიეთ ჩრდილოეთისკენ.

⁴და ამ ხალხს გადაეცი: თქვენ გაივლით თქვენი ძმების, ესავიანთა, საზღვარზე, რომლებიც ცხოვრობენ სეყირში, და ეშინიათ თქვენი, მაგრამ გაფრთხილდით,

⁵ომს ნუ დაუწყებთ მათ! მათი მიწის ერთ ნატერფალსაც კი არ მოგცემთ მე, რადგან სეყირის მთა ესავს მივეცი სამკვიდროდ.

⁶საქმელი იყიდეთ მათგან ვერცხლით და ჭამეთ, წყალი იყიდეთ მათგან ვერცხლით და სვით.

⁷რადგან უფალმა, თქვენმა ღმერთმა, გაკურთხათ ყოველ თქვენს საქმეში, რაკი იცოდა ყოველი თქვენი გზა-კვალი ამ დიდ უდაბნოში. უკვე 40 წელია უფალი, თქვენი ღმერთი, თქვენთანაა და არაფერი მოგკლებიათ.“

⁸და ჩავუარეთ ჩვენს ძმებს, ესავიანებს, სეყირის მკვიდრთ, ყარაბას გზით, ელათიდან და ყეციონ-გებერიდან, გადავუხვიეთ, და მოაბის უდაბნოს გზას დავადექით.

⁹და მითხრა მე უფალმა: „ნუ შეავიწროებ მოაბს და ომს ნუ დაუწყებ, არ მოგცემ მისი ქვეყნიდან სამკვიდრებელს, რადგან ლოტის ძეთ მივეცი ყარი სამკვიდროდ.“

¹⁰უწინ ემიმები ცხოვრობდნენ იქ; ის იყო დიდი, ძლიერი და მრავალი ხალხი, როგორც ყანაკელები.



¹¹რეფაიმადად ითვლებოდნენ ისინიც, როგორც ყანაკელები, მაგრამ მოაბელნი მათ ემიმებს უწოდებდნენ.

¹²უწინ სეყირში მკვიდრობდნენ ხორიელნი, რომლებიც ესავიანებმა იქიდან აჰყარეს ისინი და გადააშენეს და დასახლდნენ მათ ნაცვლად, – ისევე მოექცნენ, როგორც მოექცნენ ისრაელიანები თავიანთ სამკვიდრო ქვეყანას, რომელიც მისცა მათ უფალმა.

¹³„ახლა ადექით და გადალახეთ ზერედის ნალვარევი!“ და გადავლახეთ ზარედის ნალვარევი.

¹⁴და კადემ-ბარნეაყიდან წასულებს, ვიდრე ზერედის ნალვარევს მივადგებოდით, 38 წელი დაგვჭირდა; ამასობაში გაწყდა მეომარ კაცთა მთელი თაობა ბანაკში, როგორც დაფიცებული ჰქონდა უფალს მათთვის.

¹⁵უფლის ხელი მისწვდა მათ, რათა მთლიანად ამოეწყვიტა ისინი ბანაკში, და აკი გაწყდნენ კიდეც!

¹⁶და როცა მთლიანად მოისრა მეომარი კაცი,

¹⁷მითხრა მე უფალმა:

¹⁸„ახლა შენ გადიხარ მოაბის საზღვრებიდან, ყართან,

¹⁹და მიუახლოვდები ყამონიანთა ადგილებს, მაგრამ ნუ შეავიწროებ, ნუ წაეკიდები მათ, რადგან არ მოგცემ ყამონიანთა ქვეყნიდან სამკვიდროს, რადგან ლოტის ძეთ მივეცი იგი სამკვიდროდ.“

²⁰რეფაიმა ქვეყნად ითვლება ისიც. იქ რეფაიმები ცხოვრობდნენ უწინ. მაგრამ ყამონელნი მათ უწოდებენ ზამზუმიელებს.

²¹დიდი, ძლიერი და მრავალრიცხოვანი ხალხი იყო ყანაკელებივით, მაგრამ მოსპო ისინი უფალმა ყამონელთა თვალწინ და ყამონელნი დამკვიდრდნენ იქ და მათ ნაცვლად დასახლდნენ,

²²უფალმა ისევე გააკეთა ყამონელთათვის, როგორც ესავიანთათვის, რომლებიც სეყირში ცხოვრობენ, როცა მოსპო მათ თვალწინ ხორიელნი და იქ მათ ნაცვლად დაამკვიდრა ესავიანები, რომლებიც დღევანდელ დღემდე იქ მკვიდრობენ.

²³და ყავიმელნი, რომლებიც ცხოვრობდნენ ღაზის შემოგარენ სოფლებში, მოსრეს ქაფთორელებმა, რომლებიც გამოვიდნენ ქაფთორიდან და დასახლდნენ მათ ნაცვლად.

²⁴„ადექით და გასწიეთ, – უთხრა უფალმა, – გადალახეთ არნონი ხეობა. აჰა, ხელთ ჩაგიგდეთ სიხონი, ხემზონის მეფე, ამორეველი და მისი ქვეყანა: იწყეთ იქ დამკვიდრება, და ეომეთ მას.“



²⁵დღეიდან შენს წინაშე შიშსა და ძრწოლას მოგვგრი ხალხებს მთელს ცისქვეშეთში; ვინც კი გაიგებს შენს ამბავს, თავზარი დაეცემა და ძრწოლა შეიპყრობს.“

²⁶და გავუგზავნე მოციქულნი კედემოთის უდაბნოდან სიხონს, ხეშბონის მეფეს, სამშვიდობო სიტყვებით, ეთქვათ მისთვის:

²⁷„გადავივლი შენს ქვეყანაზე, გზიდან არ გადავუხვევ არც მარჯვნივ და არც მარცხნივ;

²⁸საჭმელი ვერცხლით მომყიდე და შევჭამ; წყალიც ვერცხლით მომეცი და შევსვამ. მხოლოდ ფეხი დამადგმევინე შენს მიწაზე –

²⁹როგორც მომექცნენ მე ესავიანები, რომელნიც მკვიდრობენ სეყირში, და მოაბელები, რომლებიც მკვიდრობენ ყარში, – ვიდრე გადავალ იორდანეს გაღმა იმ ქვეყანაში, რომელიც უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, მოგვცა ჩვენ.“

³⁰მაგრამ არ ინება სიხონმა, ხეშბონის მეფემ, ჩვენი გატარება იქ, რადგან გაუმძვინვარა უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, სული და გაუჯიუტა გული, რათა თქვენს ხელში ჩაეგდო, როგორც დღეს ხედავ.

³¹და მითხრა უფალმა მე: „აჰა, მე ვიწყებ სიხონისა და მისი ქვეყნის შენთვის მოცემას. იწყე მის ქვეყანაში დამკვიდრება.“

³²და გამოვიდა სიხონი ჩვენს შესახვედრად, ის და მთელი მისი ჯარი, საომრად იაჰავში.

³³და მოგვცა ის უფალმა, ჩვენმა ღმერთმა. და შევმუსრეთ ის და მისი ძენი და მთელი მისი ჯარი.

³⁴და დავიპყართ ყველა მისი ქალაქი იმ დროს და დავარისხეთ ყველა ქალაქი, და ერთიანად მუსრი გავავლეთ კაცებს, ქალებსა და ბავშვებს, ცოცხალი არავინ გაგვიშვია.

³⁵მხოლოდ საქონელი დავიტაცეთ და ნადავლი იმ ქალაქებიდან, რომლებიც დავიპყართ.

³⁶ყაროყერიდან, რომელიც არნონის ველის ზემოთაა, და ქალაქიდან, რომელიც ველზეა, გალაადამდე არ ყოფილა ჩვენთვის მიუდგომელი ქალაქი. ყველაფერი მოგვცა უფალმა, ჩვენმა ღმერთმა.

³⁷მხოლოდ ყამონიანთა ქვეყანას არ დასცემიხარ, არც იაბოკის სანაპიროებს, არც მთის ქალაქებს და არც ყველა იმას, რაც არ ბრძანა უფალმა, ჩვენმა ღმერთმა.

მეორე რჯული 3



- ¹და გადავუხვიეთ, და ავედით ბაშანის გზით. და გამოვიდა ყოგი, ბაშანის მეფე, მთელი თავისი ჯარით ჩვენთან საომრად ედრეყმი.
- ²და მითხრა უფალმა მე: „ნუ გეშინია მისი, რადგან მე ხელში ჩაგიგდე იგი და მთელი მისი ჯარი და მისი ქვეყანა. და ისე მოექცევი მას, როგორც სიხონს მოექცევი, ამორეველთა მეფეს, რომელიც ხეშბონში ცხოვრობდა.“
- ³და ხელში ჩაგიგდო უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, ყოგი, ბაშანის მეფე, და მთელი მისი ჯარი. და მოვსპეთ იგი ისე, რომ არავინ დარჩენილა ცოცხალი.
- ⁴და დავიპყართ ყველა მისი ქალაქი მაშინ; არ დარჩენილა ქალაქი, მათთვის რომ არ წაგვერთმია – ეს იყო 60 ქალაქი და მთელი არგობის მხარე და ყოგის სამეფო ბაშანში.
- ⁵ყველა ეს ქალაქი გამაგრებული იყო მაღალი გალავნებით, კარიბჭეებით და ურდულებით; ამას გარდა – მრავალი უგალავნო ქალაქი.
- ⁶შევმუსრეთ ისინი და დავარისხეთ – ისევე მოვექცეთ, როგორც სიხონს, ხეშბონის მეფეს. იმ ქალაქებში ერთიანად შევმუსრეთ კაცი და ქალი, დიდი და პატარა.
- ⁷მაგრამ საქონელი და ნადავლი იმ ქალაქებისა დავიტოვეთ.
- ⁸და წავართვით იმ დროს ქვეყანა ორ ამორეველ მეფეს, იორდანეს გაღმა – არნონის ველიდან ხერმონის მთამდე.
- ⁹(ციდონელები ხერმონს სირიონს უწოდებენ, ამორეველნი კი – სენირს).
- ¹⁰ავიღეთ ბარის ყველა ქალაქი და მთელი გალაადი, მთელი ბაშანი სალქამდე და ედრეყამდე, ყოგის სამეფოს ქალაქები ბაშანში.
- ¹¹რადგან მხოლოდ ყოგი, ბაშანის მეფე, იყო დარჩენილი რეფაიმთაგან. აჰა, მისი სარეცელი რკინის სარეცელია, ის ყამონიანთა რაბათშია: ცხრა წყრთაა მისი სიგრძე და ოთხი წყრთაა მისი სიგანე, მამაკაცის წყრით.
- ¹²ეს ქვეყანა დავიპყართ მაშინ ყაროყერიდან, რომელიც არნონის დინებასთანაა; და ნახევარი გალაადის მთისა მისი ქალაქებიანად რეუბენიანებს და გადელებს მივეცი.
- ¹³დანარჩენი გალაადი და მთელი ბაშანი, ყოგის სამეფო, მივეცი მანაშეს ნახევარტომს. (არგობის ყველა მიდამოს, მთელი ბაშანით, ძველად რეფაიმების ქვეყანას უწოდებდნენ.
- ¹⁴იაირმა, მანაშეს ძემ, დაიპყრო არგობის მთელი მხარე, გემურელთა და მაყაქათელთა საზღვრებამდე, და ბაშანს უწოდა თავისი სახელი: სოფლები იაირისა, როგორც ამ დღემდე.)
- ¹⁵და მაქირს მივეცი გალაადი.



¹⁶ხოლო რეუბენის ტომსა და გადის ტომს მიწა მივეცი გალაადიდან არნონის ველამდე, ველის შუაწელამდე და მდინარე იაბოკამდე, რომლის იქითაც ყამონელები ცხოვრობენ.

¹⁷ასევე მათ მივეცი ყარაბა და იორდანე საზღვრად, ქინერეთიდან ყარაბას ზღვამდე – მარილოვან ზღვამდე, ფისგას ფერდობებამდე, აღმოსავლეთით.

¹⁸და გიბრძანეთ მე თქვენ იმ დროს ასე: „უფალმა, თქვენმა ღმერთმა, მოგცათ ეს ქვეყანა დასამკვიდრებლად. ყველა, ვისაც ბრძოლა შეუძლია, შეიარაღებულნი წინ გაუძეხით თქვენს ძმებს, ისრაელიანთ.

¹⁹მხოლოდ თქვენი ცოლები, თქვენი პატარები და საქონელი – ვიცი, რომ უამრავი საქონელი გყავთ – დარჩნენ თქვენს ქალაქებში, რომლებიც მე მოგეცით.

²⁰როცა დააბინავებს უფალი თქვენს ძმებს თქვენსავით და დაიმკვიდრებენ ისინიც ქვეყანას, რომელსაც უფალი, თქვენი ღმერთი, აძლევს მათ იორდანეს გაღმა, მაშინ დაბრუნდით ყველანი თავ-თავის სამკვიდროში, რომელიც მე მოგეცით.“

²¹და იესოს ვუთხარი მაშინ: „შენი თვალთ გაქვს ნანახი ყოველივე, რაც დამართა უფალმა, თქვენმა ღმერთმა, ამ ორ მეფეს. სწორედ იგივეს დამართებს უფალი ყველა სამეფოს, რომელზედაც შენ გადაივლი.

²²ნუ გეშინიათ მათი, რადგან უფალი, თქვენი ღმერთი, იბრძვის თქვენთვის.“

²³და ასე შევევედრე უფალს იმ დროს:

²⁴„უფალო, უფალო, შენ მიჩვენე მე, შენს მსახურს, შენი დიდება და შენი ძლიერი მარჯვენა. რომელი ღმერთია ცასა და მიწაზე, რომელიც შეძლებდა ისეთ საგმირო საქმეებს, როგორსაც შენ სჩადიხარ?

²⁵გთხოვ, გადამატარე მდინარე და მახილვინე ის კარგი ქვეყანა, რომელიც იორდანეს გაღმაა, და ის კარგი მთა, და ლიბანი!“

²⁶მაგრამ განრისხდა უფალი ჩემზე თქვენს გამო და არ ისმინა ჩემი, და მომიგო: „კმარა, ამიერიდან ნუღარ დამელაპარაკები ამ საქმეზე.

²⁷ადი ფისგას მწვერვალზე და გაიხედე დასავლეთისკენ და ჩრდილოეთისკენ და სამხრეთისკენ და აღმოსავლეთისკენ, და დაინახე თვალთ, რადგან არ გიწერია იორდანეს გაღმა გადასვლა.

²⁸და უბრძანე იესოს, და გაამხნევე იგი და გაამაგრე, რადგან ის გაუძღვება ამ ხალხს და დაუმკვიდრებს მათ ქვეყანას, რომელსაც შენ დაინახავ.“

²⁹და დავდექით ველზე, ბეთ-ფელორის ახლოს.



მეორე რჯული 4

¹და ახლა ისმინე, ისრაელ, წესები და კანონები, რომელთაც მე დღეს გასწავლით თქვენ შესასრულებლად, რათა იცოცხოთ და მიხვიდეთ და დაიმკვიდროთ ის ქვეყანა, რომელსაც უფალი, თქვენი მამების ღმერთი, გაძლევთ თქვენ.

²ნურაფერს დაამატებთ იმას, რასაც მე გამცნებთ თქვენ, და ნურც მოაკლებთ, რათა დაიცვათ მცნებანი უფლისა, თქვენი ღმერთისა, რომელთაც მე გაუწყებთ.

³თქვენმა თვალებმა იხილეს, რაც უყო უფალმა ბაყალ-ფელორს, რადგან ყოველი კაცი, რომელიც მიჰყვა ბაყალ-ფელორს, მოსრა უფალმა, შენმა ღმერთმა, თქვენში.

⁴ხოლო თქვენ, ვინც მიელტვით უფალს, თქვენს ღმერთს, ყველანი ცოცხლობთ დღემდე.

⁵აჰა, მე გასწავლით თქვენ წესებსა და კანონებს, როგორც მიბრძანა უფალმა, ჩემმა ღმერთმა, აღსასრულებლად იმ ქვეყანაში, სადაც თქვენ მიდიხართ, რომ დაიმკვიდროთ;

⁶დაიცავით და შეასრულეთ, რადგან ესაა თქვენი სიბრძნე და თქვენი გონიერება იმ ხალხების თვალწინ, რომელნიც მოისმენენ ამ წესებს და იტყვიან: „მხოლოდ ეს ხალხია დიდი, ბრძენი და გონიერი.“

⁷რადგან რომელი დიდი ერია, რომელთანაც ისე ახლოს იდგნენ მისი ღმერთები, როგორც ახლოსაა ჩვენთან უფალი, ჩვენი ღმერთი, როცა კი მოვუხმობთ მას?

⁸და განა არის სხვა დიდი ერი, რომელსაც ჰქონდეს ისეთი მართალი წესები და კანონები, როგორც მთელი ეს რჯულია, რომელსაც მე გაძლევთ თქვენ დღეს?

⁹მხოლოდ გაფრთხილდი და გულისყურით დაიცავი შენი სული, ნუ დაივიწყებ იმ საქმეებს, რაც შენმა თვალებმა იხილეს, და გულიდან ნუ ამოგივარდება შენი სიცოცხლის მანძილზე. და აცოდიწე იგი შენს ძეთ და შენს ძეთა ძეთ,

¹⁰ის დღე, როდესაც უფლის, შენი ღმერთის, წინაშე იდექი ხორებითან, და მითხრა მე უფალმა: „შეკრიბე ხალხი ჩემს წინაშე, და გავაგონებ მათ ჩემს სიტყვებს, რათა ისწავლონ ჩემდამი შიში მთელი მათი სიცოცხლის მანძილზე, და ასწავლონ თავიანთ ძეებსაც.“



¹¹აჰა, თქვენ მიხვედით და დადექით მთის ძირას, მთა კი გიზგიზებდა ცეცხლის ალით, რომელიც ზეცამდე აღწევდა, და იყო წყვდიადი – ღრუბელი და კუნაპატი სიბნელე.

¹²და გელაპარაკებოდათ უფალი შუაგული ცეცხლიდან. სიტყვები გასმოდათ, მაგრამ ვერავითარ სახეს ვერ ხედავდით – მხოლოდ ხმა ისმოდა.

¹³და გამოგიცხადათ მან თავისი აღთქმა, ათი მცნება, რაც გიბრძანათ შესასრულებლად, და დაწერა ქვის ორ დაფაზე.

¹⁴მე მიბრძანა უფალმა იმ დროს მესწავლებინა თქვენთვის წესები და კანონები, რათა დაიცვათ ისინი იმ ქვეყანაში, რომლის დასაუფლებლადაც მიდიხართ.

¹⁵ფრთხილად იყავით, რაკი არ გინახავთ არავითარი სახე, როცა უფალი გელაპარაკებოდათ ხორებში ცეცხლის შუაგულიდან,

¹⁶რათა არ წახდეთ და არ გაიკეთოთ ქანდაკება, მსგავსება რაიმე კერპისა, კაცს ან ქალს სახით,

¹⁷მსგავსება რაიმე ცხოველისა, რაც მიწაზეა, რაიმე ფრინველის გამოსახულება, რაც ცაში დაფრინავს,

¹⁸მსგავსება მიწაზე მხოხავი ყოველგვარი ქვეწარმავლისა, სახე ყოველგვარი თევზისა, რაც წყალში ცურავს, მიწის სიღრმეში;

¹⁹რათა, როცა თვალს აღაპყრობთ ზეცისკენ და იხილავთ მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს – მთელ ციურ ლაშქარს – არ შეცდეთ, თაყვანი არ სცეთ და არ ემსახუროთ მათ, რადგან ისინი უფალმა, თქვენმა ღმერთმა, შეუქმნა ყველა ხალხებს მთელს ცისქვეშეთში.

²⁰ხოლო თქვენ აგიყვანათ უფალმა და გამოგიყვანათ რკინის ბრძმედიდან – ეგვიპტიდან – რათა ყოფილიყავით მისი წილხვედრი ხალხი, როგორც აღსრულდა კიდევ.

²¹და უფალი მე გამირისხდა თქვენს გამო, და დაიფიცა, რომ მე ვერ გადავლახავ იორდანეს და ვერ შევალ იმ მშვენიერ ქვეყანაში, რომელსაც თქვენი ღმერთი გაძლევთ სამკვიდროდ.

²²მე მოვკვდები ამ ქვეყანაში. მე ვერ გადავალ მდინარე იორდანეს გაღმა. ხოლო თქვენ გადახვალთ და დაიმკვიდრებთ იმ მშვენიერ ქვეყანას.

²³გაფრთხილდით, რომ არ დაივიწყოთ უფლის, თქვენი ღმერთის, აღთქმა, რომელიც დაგიდოთ თქვენ, და არ გაიკეთოთ კერპები, რაიმე გამოსახულებანი, როგორც გიბრძანათ თქვენ უფალმა, თქვენმა ღმერთმა.



²⁴რადგან უფალი, თქვენი ღმერთი, მშთანთქმელი ცეცხლია, შურისმგებელი ღმერთია იგი.

²⁵თუ გეყოლებათ შვილები და შვილიშვილები, და დაბერდებით ქვეყანაზე, და გაირყვნებით და გაიკეთებთ კერპს, რომელიც რაიმეს მიმსგავსება იქნება, და ჩაიდენთ ბოროტებას უფლის, თქვენი ღმერთის, თვალწინ მის გასარისხებლად,

²⁶თქვენს წინაშე ვიმოწმებ ცასა და მიწას, რომ ამის გამო მალე გადაშენდებით, იმ ქვეყნიდან, რომლის დასამკვიდრებლადაც გადადიხართ იორდანეზე; ვერ გაიხანგრძლივებთ დღეებს იმ მიწაზე, არამედ გადაშენდებით.

²⁷და გაგფანტავთ უფალი ხალხებში, და დარჩებით მცირერიცხოვან ხალხად იმ ხალხებში, ვისთანაც მიგიყვანთ უფალი.

²⁸და მოემსახურებით იქ კაცის ხელით ხისგან და ქვისგან გაკეთებულ ღმერთებს, რომლებიც ვერც ხედავენ, ვერც ესმით, ვერც ჭამენ და ვერც იყნოსენ.

²⁹და როცა იქ დაუწყებ მებნას უფალს, შენს ღმერთს, იპოვი მას, თუ მოძებნი მას მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით.

³⁰როცა გაგიჭირდება, როცა შორეულ მომავალ დღეებში, ყოველივე ეს გეწევა – მაშინ დაბრუნდები უფალთან, შენს ღმერთთან, და გაიგონებ მის ხმას.

³¹რადგან მოწყალეა უფალი, შენი ღმერთი; არ მიგატოვებს და არ დაგლუპავს, და არ დაივიწყებს შენს მამებთან დადებულ აღთქმას, რომელიც ფიცით აღუთქვა მათ.

³²აბა ჰკითხე გარდასულ დღეებს, შენამდე რომ იყო, იმ დღიდან, რაც ღმერთმა შექმნა ადამიანი მიწაზე, თუ მომხდარა ცის კიდით კიდემდე, რაიმე მსგავსი ამ დიდი საქმისა, ან თუ გაგონილა მისი სადარი?

³³თუ სმენია რომელიმე ხალხს ცეცხლის შუაგულიდან მოლაპარაკე ღმერთის ხმა, როგორც შენ გაიგონე, და ცოცხალი გადარჩი?

³⁴თუ უცდია რომელიმე ღმერთს, მისულიყო და გამოეყვანა თავისთვის ხალხი სხვა ხალხის წიაღიდან განსაცდელებით, ნიშნებითა და სასწაულებით, ბრძოლით, და ძლიერი ხელით, და აღმართული მკლავით, და დიდი საშინელებებით, როგორც მოიმოქმედა ყოველივე თქვენთვის უფალმა, თქვენმა ღმერთმა ეგვიპტეში თქვენს თვალწინ?

³⁵შენ გახილვინა, რათა გცოდნოდა, რომ მხოლოდ უფალია ღმერთი, და სხვა არავინ არის მის გარდა.



- ³⁶ზეციდან მოგასმენინა თავისი ხმა, რათა განესწავლე, და მიწაზე გიჩვენა თავისი დიდი ცეცხლი, და მისი სიტყვები ისმინე ცეცხლის შუაგულიდან;
- ³⁷და რაკი შეიყვარა მან შენი მამები და გამოირჩია მათი შთამომავალი მათ შემდეგ, და გამოგიყვანა თავისი დიადი ძალით ეგვიპტიდან,
- ³⁸რათა განედევნა შენზე უფრო მრავალრიცხოვანი და ძლიერი ხალხები შენი პირისაგან, რათა მიეყვანე და მოეცა შენთვის მათი ქვეყანა სამკვიდროდ.
- ³⁹დღეს შეიცანი და გულში ჩაიბეჭდე, რომ უფალი ღმერთია მაღლა ზეცაში და დაბლა მიწაზე, და სხვა არავინაა მის გარდა.
- ⁴⁰დაიცავი მისი კანონები და მისი მცნებები, რომელთაც მე გიცხადებ დღეს, რათა კარგად იყოთ შენ და შენი ძენი შენს შემდგომ, და რათა გაიხანგრძლივო დღენი იმ მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს სამარადისოდ.
- ⁴¹მაშინ გამოყო მოსემ სამი ქალაქი იორდანეს გამოღმა, მზის აღმოსავლეთით,
- ⁴²რათა იქ გაიქცეს მკვლელი, რომელსაც უნებლიეთ შემოაკვდა თავისი მოყვასი, ვისი სიძულვილიც არ ჰქონია არც გუმინ და არც გუმინწინ; გაიქცეს ერთ-ერთ მათგანში იმ ქალაქთაგან, და იქ გადარჩეს:
- ⁴³ზეცერი უდაბნოში, ვაკეზე – რეუბენისა იყო, რამოთი გალაადში – გადისა, ხოლო გოლანი ბაშანში – მანაშესი.
- ⁴⁴ეს არის რჯული, რომელიც დაუდგინა მოსემ ისრაელიანთ.
- ⁴⁵ესენია მოწმობანი, წესები და სამართალი, რომელნიც გამოუცხადა მოსემ ისრაელის ძეთ ეგვიპტიდან გამოსვლისას,
- ⁴⁶იორდანეს გაღმა, ველზე, ბეთ-ფედორის ახლოს, ამორეველთა მეფის, სიხონის, ქვეყანაში, რომელიც ცხოვრობდა ხეშბონში, და რომელიც შემუსრეს მოსემ და ისრაელიანებმა ეგვიპტიდან გამოსვლისას.
- ⁴⁷და დაიმკვიდრეს მისი ქვეყანა და ქვეყანა ყოგისა, ბაშანის მეფისა, ამორეველთა ორი მეფისა, რომელნიც იყვნენ იორდანეს გაღმა მხარეს, მზის აღმოსავლეთით,
- ⁴⁸ყაროყერიდან, რომელიც არნონის სანაპიროზე მდებარეობს, და მიდის სირიონის მთამდე (ეს არის ხერმონი).
- ⁴⁹და ასევე მთელ იორდანეს გაღმა, აღმოსავლეთით, და ყარაბას ზღვამდე, ფისგას მთის ძირას.



მეორე რჯული 5

- ¹და მოუწოდა მოსემ მთელს ისრაელს და უთხრა მათ: ისმინე, ისრაელ, წესები და კანონები, რომელთაც მე ვიტყვი დღეს თქვენს გასაგონად. დაისწავლეთ ისინი და ეცადეთ მათი შესრულება.
- ²უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, დაგვიდო აღთქმა ხორების მთაზე.
- ³ჩვენს მამებთან კი არ დადო უფალმა ეს აღთქმა, არამედ ჩვენთან, ყველა ჩვენგანთან, ვინც აქ ცოცხლები ვართ დღეს.
- ⁴პირისპირ გელაპარაკებოდათ უფალი მთაზე ცეცხლის შუაგულიდან.
- ⁵მე კი ვიდექი უფალსა და თქვენს შორის იმ დროს, რათა მეუწყებინა თქვენთვის სიტყვა უფლისა, რადგან გეშინოდათ ცეცხლისა და არ ასულხართ მთაზე. და მან მითხრა მე:
- ⁶„მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან, მონობის სახლიდან:
- ⁷ნუ იყოლიებ სხვა ღმერთებს ჩემს გარდა.
- ⁸ნუ გაიკეთებ კერპებს და ნურც რაიმე სხვა მსგავსებას იმისა, რაც მაღლა ცაშია, რაც დაბლა მიწაზეა, და რაც წყალშია მიწის სიღრმეში.
- ⁹თაყვანი არ სცე მათ და არც ემსახურო, რადგან მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, ღმერთი შურისმგებელი, რომელიც მამათა ცოდვებს შვილებს მოვკითხავ, ჩემი მტრების მესამე და მეოთხე თაობამდე,
- ¹⁰და ჩემს მოყვარულ და ჩემი მცნებების დამცველ ათასეულ თაობათა მწყალობელი.
- ¹¹ნუ ახსენებ უფლის, შენი ღმერთის, სახელს ამაოდ, რადგან დაუსჯელი არ გადაურჩება უფალს მისი სახელის ფუჭად მახსენებელი.
- ¹²დაიცავი შაბათის უქმე, რათა წმიდად შეინახო იგი, როგორც გიბრძანა უფალმა, შენმა ღმერთმა.
- ¹³ექვსი დღე იმუშავე და აკეთე ყოველგვარი საქმე,
- ¹⁴ხოლო მეშვიდე დღე – უფლის, შენი ღმერთის, შაბათია, ამ დღეს არა საქმე არ აკეთოთ, არც შენ, არც შენმა ძემ, არც შენმა ასულმა, არც შენმა მსახურმა, არც შენმა მხევალმა, არც შენმა ხარმა, არც შენმა სახედარმა, არც შენმა პირუტყვმა, არც შენმა ხიზანმა, რომელიც შენს კარზეა, რათა შენსავით დაისვენოს შენმა მსახურმა და შენმა მხევალმა.
- ¹⁵გახსოვდეს, რომ მონა იყავი ეგვიპტელთა ქვეყანაში, და გამოგიყვანა უფალმა, შენმა ღმერთმა, იქიდან ძლიერი ხელით და აღმართული



მკლავით. ამისათვის გიბრძანა შენ უფალმა, შენმა ღმერთმა, რომ დაიცვა შაბათი დღე.

¹⁶პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, როგორც გიბრძანა შენ უფალმა, შენმა ღმერთმა, რათა დღეგრძელი იყო და კარგად იყო იმ მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს.

¹⁷არა კლა.

¹⁸არ იმრუშო.

¹⁹არ იპარო.

²⁰ცრუ მოწმედ არ დადგე შენი მოძმის წინააღმდეგ.

²¹არ ისურვო შენი მოყვასის ცოლი, არ ისურვო შენი მოყვასის სახლი, არც მისი ყანა, არც მისი მსახური, არც მისი მხევალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი და არაფერი, რაც შენი მოყვასისაა.“

²²ეს სიტყვები უთხრა უფალმა მთელ თქვენს კრებულს მთაზე, ცეცხლის, ღრუბლისა და კუნაპატი სიბნელიდან დიდი ხმით, და სხვა მეტი არაფერი დაუმატებია ამ სიტყვებისთვის. და დაწერა ისინი ქვის ორ დაფაზე, და მომცა მე.

²³და როცა მოისმინეთ ხმა სიბნელიდან, და მთა ცეცხლში იწვოდა, მაშინ მოხვედით ჩემთან ახლოს თქვენი ტომების მთავრები და თქვენი ერის უხუცესები

²⁴და მითხარით: „აჰა, გვიჩვენა ჩვენ უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, თავისი დიდება და თავისი სიდიადე, და მისი ხმა მოგვესმა ცეცხლის შუაგულიდან. იმ დღეს ვიხილეთ, რომ ღმერთი ელაპარაკა ადამიანს და ადამიანი ცოცხალი გადარჩა.

²⁵და ახლა რიღისთვის დავიხოცოთ? ხომ გვმთანთქავს ეს დიდი ცეცხლი! თუ ჩვენ კვლავ მოვისმენთ უფლის, ჩვენი ღმერთის, ხმას, მაშინვე დავიხოცებით.

²⁶რადგან რომელ ხორციელს შეუძლია, რომ მოისმინოს ცეცხლის შუაგულიდან მოლაპარაკე ღმერთის ხმა და ჩვენსავით ცოცხალი გადარჩეს?

²⁷შენ მიდი და მოისმინე, რას იტყვის უფალი, ჩვენი ღმერთი, და შემდეგ მოგვიყევი ჩვენ ყველაფერი, რასაც გეტყვის უფალი, ჩვენი ღმერთი. ჩვენ კი მოგისმენთ და შევასრულებთ.“

²⁸ისმინა უფალმა თქვენი ლაპარაკის ხმა, მე რომ მელაპარაკებოდით, და მითხრა: „ვისმინე ამ ხალხის ლაპარაკის ხმა, შენ რომ გელაპარაკებოდნენ. ყველაფერი სწორია, რაც შენ გელაპარაკნენ.



²⁹ნეტავ ისეთი გული ჰქონოდათ, რომ შინებოდათ ჩემი და დაეცვათ ყველა ჩემი მცნება ყოველთვის, რათა კარგად ყოფილიყვნენ ისინი და მათი პენი უკუნისამდე.

³⁰წადი, უთხარი მათ, დაბრუნდნენ თავ-თავიანთ კარვებში.

³¹ხოლო შენ აქ დადექი ჩემთან, და მე გეტყვი ყველა მცნებას, წესებს და კანონებს, რაც უნდა ასწავლო მათ, რათა შეასრულონ იმ ქვეყანაში, რომელსაც მე დასამკვიდრებლად ვაძლევ მათ.“

³²ისე უნდა დაიცვათ შესასრულებლად, როგორც უფალმა, თქვენმა ღმერთმა, გიბრძანათ. ნუ გადაუხვევთ ნურც მარჯვნივ და ნურც მარცხნივ.

³³იარეთ ყველა იმ გზით, რომელიც გამცნოთ თქვენმა ღმერთმა, რათა იცოცხოთ და კარგად იყოთ, და დღეგრძელნი იყოთ იმ ქვეყანაში, რომელსაც დაეუფლებით.

მეორე რჯული 6

¹და აჰა, მცნებები, წესები და კანონები, რომლთა სწავლაც გიბრძანათ უფალმა, თქვენმა ღმერთმა, რათა დაიცვათ იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხართ.

²რათა გეშინოდეთ უფლისა, თქვენი ღმერთისა, რომ დაიცვათ ყველა მისი წესი და მისი მცნება, რომელთაც მე გაუწყებთ თქვენ და თქვენს შვილებს, და თქვენს შვილიშვილებს, მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე, რათა იდღეგრძელოთ.

³მაშ ისმინე, ისრაელ, და მტკიცედ დაიცავი ეს ყოველივე შესასრულებლად, რათა კარგად იყო, და ძლიერ გამრავლდე, როგორც გითხრა უფალმა, შენი მამების ღმერთმა, რომ მოგცემო იმ ქვეყანას, სადაც მოედინებაო რძე და თაფლი.

⁴ისმინე, ისრაელ! ერთია უფალი, უფალი ჩვენი ღმერთი!

⁵და შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულითა და სულით, და მთელი შენი ძალით.

⁶და იყოს ეს სიტყვები შენს გულში, რომელთაც მე გიბრძანებ დღეს.

⁷ჩაუნერგე ისინი შენს ძეთ და მუდამ ელაპარაკე მათზე შინა ხარ თუ გარეთ, წევხარ, თუ დგახარ.

⁸და ნიშნად შეიბი ისინი მაჯაზე, და შუბლსაკრავით ატარე,

⁹და დააწერე ისინი შენი სახლის კარის წირთხლებსა და შენს კარიბჭეებს.



- ¹⁰და როცა შეგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის გამოც შეჰფიცა შენს მამებს: აბრაამს, ისაკსა და იაკობს, რომ შენ მოგცემდა დიდ და კარგ ქალაქებს, რომლებიც შენ არ აგიშენებია,
- ¹¹და ყოველნაირი სიკეთით სავსე სახლებს, რომლებიც შენ არ აგივსია დოვლათით, და ჭებს, რომლებიც შენ არ ამოგითხრია, ბაღ-ვენახებსა და ზეთისხილის ჭალებს, რომლებიც შენ არ გაგიშენებია. და შეჰყამ იქ ძღომაზე,
- ¹²გაფრთხილდი, რათა არ დაივიწყო უფალი, რომელმაც გამოგიყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან, მონობის სახლიდან.
- ¹³გეშინოდეს უფლისა, შენი ღმერთისა, და მას ემსახურე, და მისი სახელით ფიცულობდე.
- ¹⁴არ მიჰყვე უცხო ღმერთების კვალს, იმ ხალხების ღმერთებისა, რომლებიც თქვენს ირგვლივ სახლობენ,
- ¹⁵რადგან უფალი, შენი ღმერთი, შურისმგებელი ღმერთია; არ აღეგზნოს მისი, რისხვა შენზე და არ აღგავოს მიწის პირისაგან.
- ¹⁶არ გამოსცადოთ უფალი, თქვენი ღმერთი, როგორც გამოსცადეთ იგი მასაში.
- ¹⁷მტკიცედ დაიცავით უფლის, თქვენი ღმერთის, მცნებები, მისი მოწმობანი და მისი წესები, რაც გიბრძანათ თქვენ.
- ¹⁸და სწორად და კეთილად მოიქეცით უფლის თვალში, რათა კარგად იყოთ, რომ მიხვიდეთ და დაიმკვიდროთ კარგი ქვეყანა, რომელიც ფიცით აღუთქვა უფალმა თქვენს მამებს,
- ¹⁹რომ განდევნოს მთელი თქვენი მტრები თქვენი პირისაგან, როგორც ნათქვამი აქვს უფალს.
- ²⁰თუ შეგეკითხება ხვალ შენი ძე და გეტყვის: „რა არის ეს მოწმობანი, წესები და კანონები, რაც გიბრძანათ თქვენ უფალმა, ჩვენმა ღმერთმა“ –
- ²¹ასე უპასუხე: „ფარაონის მონები ვიყავით ეგვიპტეში, და უფალმა გამოგვიყვანა ეგვიპტიდან ძლიერი ხელით.
- ²²მოუვლინა უფალმა დიდი და საშინელი ნიშნები და სასწაულები და განსაცდელები ეგვიპტეს, ფარაონსა და მთელ მის სახლს ჩვენს თვალწინ.
- ²³და ჩვენ გამოგვიყვანა იქიდან, რათა აქ მოვეყვანეთ, რომ მოეცა ჩვენთვის ქვეყანა, რომელიც ფიცით აღუთქვა ჩვენს მამებს.
- ²⁴და გვიბრძანა აღსრულება ყველა იმ წესისა, რათა გვეშინოდეს უფლისა, ჩვენი ღმერთისა, კარგად ვიყოთ დღენიადაგ, რომ ცოცხალი დავრჩეთ, როგორც ამ დღეს ვართ.



²⁵და ჩვენ ჩაგვეთვლება სიმართლედ, თუ დავიცავთ შესასრულებლად ყველა ამ მცნებას უფლის, ჩვენი ღმერთის, წინაშე, როგორც მან გვიბრძანა.“

მეორე რჯული 7

¹როცა მიგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ და განდევნის მრავალრიცხოვან ხალხებს იქიდან – ხეთელებს და გირგაშელებს, ამორეველებსა და ქანაანელებს, ფერიზელებს, ხიველებს და იებუსელებს – შვიდ ხალხს, შენზე მრავალრიცხოვანსა და ძლიერს,

²და ხელში ჩაგაგდებინებს მათ უფალი, შენი ღმერთი, და დაამარცხებ მათ, დაარისხე ისინი, არ შეკრა მათთან კავშირი და არც დაინდო.

³არ დაუმოყვრდე მათ, შენი ასული არ მისცე მის ძეს და მისი ასული არ მოუყვანო შენს ძეს ცოლად;

⁴რადგან განაშორებენ შენს ძეს ჩემგან, და მსახურებას დაუწყებენ უცხო ღმერთებს, და აღიზნება რისხვა უფლისა თქვენზე და სწრაფად გაგანადგურებთ.

⁵არამედ ასე მოექცეცით მათ: დაანგრეთ მათი სამსხვერპლოები და მათი ძეგლები დაამსხვრიეთ, მათი აშერები აკაფეთ, და მათი ქანდაკებები დაწვით ცეცხლში.

⁶რადგან წმიდა ხალხი ხარ შენ უფლის, შენი ღმერთისათვის. შენ ამოგირჩია უფალმა, შენმა ღმერთმა, რომ იყო მისთვის უნჯ ხალხად ყველა ხალხთაგან, რომელნიც დედამიწის ზურგზე არიან.

⁷მრავალრიცხოვნების გამო ვერ ამოგირჩევდათ თქვენ უფალი – თქვენ ხომ ყველა სხვა ხალხებზე მცირერიცხოვანი ხართ,

⁸არამედ, თქვენდამი მისი სიყვარულის გამო ამოგირჩიათ, და კიდევ იმისათვის, რომ დაეცვა ფიცი, რომელიც შეჰფიცა თქვენს მამებს, – აი ამიტომ გამოგიყვანათ უფალმა ძლიერი ხელით და გიხსნათ მონობის სახლიდან, ეგვიპტის მეფის, ფარაონის, ხელიდან.

⁹იცოდე, რომ უფალი, შენი ღმერთი, არის ღმერთი, ერთგული ღმერთი, რომელიც იცავს აღთქმას და წყალობას მის მოყვარულთათვის და მის მცნებათა დამცველთათვის ათას თაობამდე.

¹⁰და მიაგებს მის მოძულეებს მისაგებელს მათ დასაღუპად. არ დააგვიანებს, თავის მოძულეს პირადად მიუზღავს.



- ¹¹მაშ დაიცავი მცნებები, წესები და კანონები, რომელთაც მე გაუწყებ დღეს შესასრულებლად.
- ¹²და თუ შეისმენთ ამ სამართალს და დაიცავთ და შეასრულებთ, უფალი, შენი ღმერთი, შეგინახავს აღთქმას და წყალობას, რაც შეჰფიცა შენს მამებს.
- ¹³და შეგიყვარებს, და გაკურთხებს, და გაგამრავლებს, და გიკურთხებს მუცლის ნაყოფს და მიწის ნაყოფს, მარცვლეულს და ღვინოს, და ზეთს; ცხვარ-ძროხის ნამატს იმ ქვეყანაში, რომელიც შენთვის მოსაცემად აღუთქვა შენს მამებს.
- ¹⁴კურთხეული იქნები ყველა ხალხზე მეტად. თქვენში არ იქნება უნაყოფო, და არც თქვენს პირუტყვში – ბერწი.
- ¹⁵და აგაშორებს უფალი ყოველგვარ სატკივარს. არ შეგყრის ეგვიპტის საშინელ სნებებს, რაც ნანახი გაქვს და იცი, შენს მოძულეებს კი გაუჩენს.
- ¹⁶და მოსპობ ყველა ხალხებს, რომელთაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს. არ დაინდოს შენმა თვალმა ისინი. და არ ემსახურო მათ ღმერთებს, რადგან მახე იქნება ეს შენთვის.
- ¹⁷თუ გონებაში გაგივლის: ჩვენზე მრავალრიცხოვანი არიან ეს ხალხები და როგორ შევძლებთ მათ განდევნასო?
- ¹⁸ნუ შეუშინდები მათ. გაიხსენე, რა უყო უფალმა, შენმა ღმერთმა ფარაონსა და მთელ ეგვიპტეს,
- ¹⁹გაიხსენე ის დიდი განსაცდელები, რაც იხილეს შენმა თვალებმა, და ნიშნები და სასწაულები, და ძლიერი ხელი და აღმართული მკლავი, რომლითაც გამოგიყვანა შენ უფალმა, შენმა ღმერთმა, იგივეს გაუკეთებს უფალი, შენი ღმერთი, ყველა ხალხებს, რომლისაც გეშინია.
- ²⁰კრაზანასაც მიუსევს უფალი, შენი ღმერთი, ვიდრე არ გაანადგურებს მათ, ვინც შენ გადაგიჩა და დაგემალა.
- ²¹ნუ უფრთხი მათ, რადგან უფალი, შენი ღმერთი, შენთან არის, დიადი და მრისხანე ღმერთი.
- ²²თანდათანობით განდევნის უფალი, შენი ღმერთი ამ ხალხებს შენგან. შენ არ მოგეცა მათი სწრაფად მოსპობის ხელმწიფება, რათა არ აოხრდეს ის ქვეყანა და არ მოზვავდეს ველის ნადირი.
- ²³და დაყრის მათ უფალი, შენი ღმერთი, და შეარყევს მათ დიდი შერყევით, ვიდრე ერთიანად არ განადგურდებიან.
- ²⁴და ხელში ჩაგიგდებს მათ მეფეებს, და მოსპობ მათ სახელს ცისქვეშეთიდან. წინ ვერავინ დაგიდგება, ვიდრე არ გადააშენებ მათ.



²⁵ცეცხლში დაწვი მათი ღმერთების ქანდაკებები. ნუ ისურვებ წასაღებად, ვერცხლსა და ოქროს, ზედ რომ აკრავთ, რათა მახედ არ გექცეს, რადგან ეს სისაძაგლეა უფლის, შენი ღმერთისათვის.

²⁶და ნუ შეიტან სისაძაგლეებს შენს სახლში, რომ შენც მასავით დარისხებული არ გახდე. შეიძულე და შეიზიზღე, რადგან დარისხებულია იგი.

მეორე რჯული 8

¹ყოველი მცნება, რომელსაც მე დღეს შენ გამცნებ, ეცადე, შეასრულო, რათა იცოცხო და გამრავლდე, და მიხვიდე და დაიმკვიდრო ის ქვეყანა, რომელიც შეჰფიცა უფალმა შენს მამებს.

²გახსოვდეს მთელი გზა, რომლითაც გატარა უფალმა, შენმა ღმერთმა, ეს 40 წელიწადი უდაბნოში, რათა მოეთვინიერებინე და გამოეცადე, რათა შეეტყო, თუ რა გიდევს გულში, დაიცავდი მის მცნებებს თუ არა.

³და გათვინიერებდა, გაშიშვილებდა, გაჰმევდა მანანას, რაც არ იცოდით, რა იყო ის, არც შენ და არც შენმა მამებმა, რათა შეგეცნო, რომ არა მხოლოდ პურით ცოცხლობს კაცი, არამედ უფლის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით.

⁴ტანზე სამოსელი არ გაგცვეთია და ფეხი არ გაგსივებია მთელი ამ 40 წლის მანძილზე.

⁵გახსოვდეს, რომ როგორც მამა წვრთნის თავის ძეს, ისე გწვრთნის შენ უფალი, შენი ღმერთი.

⁶და დაიცავი მცნებანი უფლისა, შენი ღმერთისა, რათა მისი გზებით იარო და გეშინოდეს მისი.

⁷რადგან უფალს, შენს ღმერთს, კარგ ქვეყანაში მიჰყავხარ, ქვეყანაში, სადაც წყლის ნაკადულები, წყაროები და მიწისქვეშა წყლები მოედინება მთასა და ბარში.

⁸ხორბლისა და ქერის, ვაზის, ლეღვისა და ბროწეულის ქვეყანაში; ზეთისხილისა და თაფლის ქვეყანაში,

⁹ქვეყანაში, სადაც მაძლრად გექნება პური, და არაფერი დაგაკლდება; ქვეყანაში, რომლის ქვები რკინაა და მისი მთებიდან მოიპოვებ სპილენძს.

¹⁰და როცა შეჭამ და გაძლები, აკურთხე უფალი, შენი ღმერთი, იმ მაღლიანი მიწისათვის, რომელიც მოგცა.



¹¹და გაფრთხილდი, რათა არ დაივიწყო უფალი, ღმერთი შენი, დაიცავი მისი მცნებები, მისი წესები და კანონები, რომელთაც მე დღეს გაუწყებ.

¹²და, როცა მამდრისად შეჭამთ და აიშენებთ მშვენიერ სახლებს და შესახლდებით,

¹³და როცა გაიმრავლებ ცხვარსა და ძროხას, ბევრი გექნება ვერცხლი და ოქრო, და ყოველივე უხვად გექნება,

¹⁴არ გაამაყდე და არ დაივიწყო უფალი, შენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანა ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან;

¹⁵რომელმაც გატარა დიდსა და საშინელ უდაბნოში, სადაც გესლიანი გველები, მორიელები და ხრიოკებია; სადაც არ იყო წყალი, მან კი სალი კლდიდან გამოადინა შენთვის წყალი;

¹⁶ის უდაბნოში გკვებავდა მანანით, რასაც არ იცნობდნენ შენი მამები, რათა მოეთვინიერებინე და გამოეცადე, რათა სიკეთე ექნა ბოლოს შენთვის;

¹⁷და რომ არ თქვა გულში: ჩემმა ძალამ და ჩემმა მტკიცე მკლავმა შემძინაო მე ეს ქონება!

¹⁸უნდა გახსოვდეს უფალი, შენი ღმერთი, რადგან იგი გაძლევს ძალას ქონების შესაძენად, რათა შეასრულოს თავისი აღთქმა, რომელიც შეჰფიცა შენს მამებს, როგორც დღემდე ასრულებს.

¹⁹და თუ დაივიწყებ უფალს, შენს ღმერთს, და გაჰყვები უცხო ღმერთების კვალს და მოემსახურები, და თაყვანს სცემ მათ, დღეს ვფიცავ ცასა და მიწას, რომ უსათუოდ დაიღუპებით;

²⁰იმ ხალხებივით, რომელთაც უფალი ღუპავს თქვენს წინაშე, თქვენც დაიღუპებით, თუ არ შეისმენთ უფლის, თქვენი ღმერთის, ხმას.

მეორე რჯული 9

¹ისმინე, ისრაელ, დღეს შენ გადალახავ იორდანეს, რათა მიხვიდე და დაიმორჩილო შენზე დიდი და ძლიერი ხალხები, დაეპატრონო ზეცამდე გამაგრებულ დიდ ქალაქებს,

²დიდი და ახოვანი ხალხის – ყანაკელთა, მიწა-წყალს, რომლებიც იცი და რომლებზე ნათქვამიც გაგიგონია: წინ ვინ დაუდგებაო ყენაკის ძეთ?

³იცოდე, დღეს რომ უფალი, შენი ღმერთი, წინ გიძღვის, როგორც მშთანთქმელი ცეცხლი, ის გაანადგურებს მათ და მოდრეკს მათ შენს წინაშე, და შენ განდევნი მათ და ადრე და მალე გადააშენებ, როგორც უფალმა გითხრა.



⁴ნუ იტყვი გულში, როცა განდევნის მათ უფალი, შენი ღმერთი, შენი პირისაგან: ჩემი სიმართლის გამო მომიყვანა უფალმა ამ ქვეყნის დასამკვიდრებლადო! რადგან ამ ხალხების უღვთოების გამო დევნის უფალი მათ თქვენი პირისაგან.

⁵შენი სიმართლის და შენი გულწრფელობის გამო კი არ მიდიხარ მათი ქვეყნის დასამკვიდრებლად, არამედ მათი უღვთოების გამო დევნის იმ ხალხს უფალი, შენი ღმერთი, შენი პირისაგან, რათა შეასრულოს სიტყვა, რომელიც შეჰფიცა შენს მამებს: აბრაამს, ისაკსა და იაკობს.

⁶იცოდე, რომ შენი სიმართლის გამო არ გაძლევს უფალი, შენი ღმერთი, ამ მაღლიან მიწას დასამკვიდრებლად; არა, თქვენ ჯიუტი ხალხი ხართ.

⁷გახსოვდეს და ნუ დაივიწყებ, თუ როგორ არისხებდი უფალს, შენს ღმერთს, უდაბნოში იმ დღიდან, რა დღესაც გამოხვედი ეგვიპტის ქვეყნიდან, ვიდრე მოაღწევდი ამ ადგილამდე, გაუთავებლად რომ ეურჩებოდი უფალს.

⁸და ხორებშიც არისხებდით უფალს, და ისე განრისხდა უფალი თქვენზე, რომ ამოძირკვა დაგიპირათ.

⁹როცა მთაზე ავედი, რომ მიმეღო ალთქმის ქვის დაფები, იმ ალთქმისა, უფალმა რომ დაგიდოთ, დავყავი მთაზე 40 დღე და 40 ღამე, პური არ მიჭამია და წყალი არ დამილევია.

¹⁰და მომცა უფალმა მე ორი ქვის დაფა, ღვთის თითოთ დაწერილი; და ზედ იყო ყველა ის სიტყვა, რომელიც გითხრათ უფალმა მთაზე შუაგული ცეცხლიდან თქვენი შეკრების დღეს.

¹¹40 დღისა და 40 ღამის ბოლოს მომცა უფალმა ორი ქვის დაფა, ალთქმის დაფები.

¹²და მითხრა უფალმა: „ადექი და წადი აქედან მალე, რადგან წახდა შენი ხალხი, რომელიც გამოიყვანე ეგვიპტიდან. მალე გადაუხვიეს გზიდან, რომელიც მე ვუბრძანე მათ და გაიკეთეს ჩამოსხმული კერპი.“

¹³და კვლავ მითხრა უფალმა: „ვიხილე მე ეს ხალხი, და აჰა, ურჩი ხალხია იგი.“

¹⁴დამანებე და გავანადგურებ და წავშლი მათ სახელს ცისქვეშეთიდან, და შენგან მასზე ძლიერ და მრავალრიცხოვან ხალხს შევქმნი.“

¹⁵მოვბრუნდი და წამოვედი მთიდან. და ცეცხლი ეკიდა მთას, და ალთქმის ქვის ორი დაფა ორივე ხელით მომქონდა.



¹⁶და დავინახე, რომ თქვენ შესცოდეთ უფალს, თქვენს ღმერთს, – გაიკეთეთ ჩამოსხმული ხბო, მალე გადაუხვიეთ გზიდან, რომელიც გიბრძანათ უფალმა.

¹⁷და მოვკიდე ხელი ქვის დაფებს და დავანარცხე ორივე ხელით და დავამსხვრიე თქვენს თვალწინ.

¹⁸და მე კვლავ დავემხე უფლის წინაშე, როგორც უწინ, 40 დღე და 40 ღამე პური არ მიჭამია და წყალი არ დამილევია მთელი თქვენი ცოდვების გამო, რითაც შესცოდეთ უფლის თვალში, ბოროტების ჩასადენად და მის განსარისხებლად.

¹⁹რადგან მეშინოდა რისხვისა და წყრომისა, რომლითაც განრისხდა უფალი თქვენზე, რათა გაენადგურებინეთ. და ისმინა უფალმა ჩემი ამჯერადაც.

²⁰და ძლიერ განრისხდა უფალი აარონზე და სურდა მისი დაღუპვა; და მაშინ მე კვლავ ვილოცე აარონისთვის.

²¹ავიღე თქვენი ნაცოდვარი – ხბო, თქვენ რომ გაგეკეთებინათ და დავწვი ცეცხლში, და დავნაყე და დავფქვი, მტვრად ვაქციე და მთიდან მომდინარე ნაკადულში ჩავყარე.

²²თაბერაყში, მასაში და კიბროთ-ჰათაავაში თქვენ არისხებდით უფალს.

²³და როცა თქვენ გამოგაგზავნათ უფალმა კადემ-ბარნეაყიდან ამ სიტყვებით: „ადით და დაიპყარით ქვეყანა, რომელიც მე მოგეცით,“ თქვენ წინ აღუდექით უფლის, თქვენი ღმერთის, ბრძანებას და არ ერწმუნეთ მას, და არ ისმინეთ მისი ხმა.

²⁴ურჩნი იყავით თქვენ უფლის წინაშე იმ დღიდან, რაც მე გაგიცანით.

²⁵და მე დამხობილი ვიყავი უფლის წინაშე 40 დღე და 40 ღამე, რადგან უფალმა თქვენი განადგურება გადაწყვიტა.

²⁶და ვლოცულობდი უფლის მიმართ და ვამბობდი: „უფალო ღმერთო! ნუ დაღუპავ შენს ხალხს და შენს სამკვიდროს, რომელიც შენ გამოისყიდე შენი დიდებით, რომელიც გამოიყვანე ეგვიპტიდან ძლიერი ხელით!

²⁷გაიხსენე შენი მსახურნი: აბრაამი, ისაკი და იაკობი! ნუ მიხედავ ამ ხალხის სიჯიუტეს და მის უკეთურებას, და მის ცოდვებს,

²⁸რომ არ თქვას იმ ქვეყანამ, საიდანაც შენ გამოგვიყვანე: ვერ შეძლოო უფალმა მათი მიყვანა იმ ქვეყანაში, რომელიც აღუთქვა მათ, და მათი სიძულვილის გამო გამოიყვანა ისინი, რათა დაეხოცაო უდაბნოში.

²⁹შენი ხალხია ის და შენი სამკვიდრო, რომელიც შენ გამოიყვანე შენი დიადი ძალით და შენი აღმართული მკლავით.“



მეორე რჯული 10

- ¹და იმ დროს მითხრა მე უფალმა: „გამოთალე ორი ქვის დაფა იმ პირვანდელთა მსგავსი, ამოდი ჩემთან მთაზე და გაიკეთე ხის კიდობანი.
- ²და დაწერე ქვის დაფებზე იმ სიტყვებს, რომლებიც იყო პირვანდელ ქვის დაფებზე, შენ რომ დაამსხვრიე. და კიდობანში ჩააწყვე ისინი.“
- ³და გავაკეთე მე კიდობანი აკაციის ხისგან, და გამოვთალე ორი ქვის დაფა, პირვანდელთა მსგავსი, და ავედი მთაზე. და ხელში ორი ქვის დაფა მეჭირა.
- ⁴და მან დაწერა ქვის დაფებზე პირვანდელი ნაწერის მსგავსად ათი მცნება, რომელნიც თქვა თქვენს მიმართ უფალმა მთაზე ცეცხლის შუაგულიდან შეკრების დღეს, და მომცა მე ისინი უფალმა.
- ⁵და გამოვბრუნდი და ჩამოვედი მთიდან, და ჩავაწყვე დაფები კიდობანში, რომელიც გავაკეთე, და აწყვია იქ, როგორც მე მიბრძანა უფალმა.
- ⁶და ისრაელის ძენი გაემართნენ ბეეროთ-ბენე-იაყაკანიდან მოსერასაკენ. და იქ მოკვდა აარონი და იქვე დაიძარხა. მის ნაცვლად მისი ძე, ელეაზარი, გახდა მღვდელი.
- ⁷იქიდან გუდგოდასაკენ გაემგზავრნენ და გუდგოდადან იოტბათასაკენ, წყლის ნაკადთა ქვეყნისაკენ.
- ⁸იმ დროს გამოაცალკევა უფალმა ლევის ტომი, რომ ეტარებინათ უფლის აღთქმის კიდობანი უფლის წინაშე, ემსახურათ მისთვის და ეკურთხებინათ მისი სახელით, როგორც დღევანდლამდე არის.
- ⁹ამიტომაც არა აქვთ ლევიანებს წილი და სამკვიდრო თავის მოძმეებთან. თავად უფალია მათი სამკვიდრო, როგორც უთხრა მას უფალმა, შენმა ღმერთმა.
- ¹⁰და მე დავრჩი მთაზე მაშინდელივით 40 დღე და 40 ღამე. და მისმინა მე უფალმა ამჯერადაც და არ ისურვა შენი დაღუპვა.
- ¹¹და მითხრა მე უფალმა: „ადექი და წინ წაუძებნი ამ ხალხს; დაე, მივიდნენ და დაიმკვიდრონ ის ქვეყანა, რომლის მიცემაც მე ფიცით აღვუთქვი მათ მამებს.“
- ¹²და ახლა, ისრაელ, რას ითხოვს შენგან უფალი, შენი ღმერთი? თუ არა იმას, რომ გეშინოდეს უფლისა, შენი ღმერთისა, იარო მისი გზებით, გიყვარდეს ის, და ემსახურო უფალს, შენს ღმერთს, მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით,



¹³დაიცვა მცნებანი უფლისა და მისი წესები, რომელთაც გიბრძანებ დღეს შენს სასიკეთოდ.

¹⁴უფლის, შენი ღმერთის, არის ცანი და ცანი ცათანი, მიწა და ყოველივე, რაც მასზეა.

¹⁵მხოლოდ შენი მამები შეიტკბო უფალმა და შეიყვარა ისინი, და გამოგარჩიათ თქვენ, მათი შთამომავლობა მათ შემდეგ ყველა ხალხიდან, როგორც ამ დღევანდელ დღეს.

¹⁶დაიცვითეთ გული და ნულარ გაჯიუტდებით,

¹⁷რადგან უფალი, თქვენი ღმერთი, არის ღმერთთა ღმერთი და მეუფეთა მეუფე, დიდი, ძლიერი და მრისხანე ღმერთი, რომელიც მიუკერძოებელია და მოუქრთამავი;

¹⁸რომელიც ობოლსა და ქვრივს სამართალს უჩენს და უყვარს ხიზანი, აჭმევს და აცმევს მათ.

¹⁹და თქვენც გიყვარდეთ ხიზანი, რადგან თქვენ თვითონ ხიზნები იყავით ეგვიპტის ქვეყანაში.

²⁰გეშინოდეს უფლისა, შენი ღმერთისა, მას ემსახურებოდე, მას მიეკარი და მისი სახელით ფიცულობდე.

²¹იგია შენი დიდება და იგია შენი ღმერთი, რომელმაც მოიმოქმედა შენთვის ის დიდი და მრისხანე საქმეები, რაც შენმა თვალებმა იხილეს.

²²70 სული ჩავიდა შენი მამა-პაპა ეგვიპტეში, ახლა კი ცის ვარსკვლავებით გაგამრავლა უფალმა, შენმა ღმერთმა.

მეორე რჯული 11

¹და გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, და მუდამ იცავდე, რაც გიბრძანა დასაცავად; იცავდე მის წესებს და მის კანონებს და მის მცნებებს.

²გახსოვდეს ეს დღეს, რაც არ უნახავთ თქვენს ძეთ, რომელთაც არც იციან და არც უნახავთ უფლის, თქვენი ღმერთის, სასჯელი, მისი დიდება, მისი ძლიერი ხელი და მისი აღმართული მკლავი,

³მისი სასწაულები და მისი საქმენი, რაც ეგვიპტეში დააწია ფარაონს, ეგვიპტის მეფეს და მთელ მის ქვეყანას,

⁴და რაც უყო ეგვიპტის ლაშქარს, მის ცხენებსა და მის ეტლებს, როგორ შთაანთქმევინა ისინი მეწამული ზღვის წყალს, როცა ისინი დაგედევნენ; და მოსპო ისინი უფალმა დღემდე,



- ⁵და რასაც უდაბნოში გიშვრებოდათ, ვიდრე ამ ადგილს მოაღწევდით,
- ⁶და რაც მან უყო დათანს და აბირამს, რეუბენის ძის, ელიაბის ძეთ, როცა გააღო მიწამ პირი და შთანთქა ისინი და მათი სახლები და მათი კარვები და მთელი სიმდიდრე, რაც კი ებადათ მთელს ისრაელში.
- ⁷რადგან თქვენმა თვალმა იხილა უფლის ყველა დიდი საქმეები, რაც მან მოიმოქმედა.
- ⁸მაშ დაიცავით ყველა მისი მცნება, რომელთაც მე გაუწყებთ დღეს, რათა გაძლიერდეთ და მიხვიდეთ და დაიმკვიდროთ ქვეყანა, რომლის დასამკვიდრებლადც გადიხართ გაღმა;
- ⁹და რათა იდღეგრძელოთ იმ ქვეყანაში, რომლის მიცემაც ფიცით აღუთქვა უფალმა თქვენს მამებს და მათ შთამომავლობას, ქვეყანაში, სადაც რძე და თაფლი მოედინება.
- ¹⁰რადგან ქვეყანა, სადაც შენ მიდიხარ, რომ დაიმკვიდრო, არა ჰგავს ეგვიპტის ქვეყანას, საიდანაც თქვენ გამოხვედით, სადაც თესავდი თესლს და რწყავდი შენი ფეხით, როგორც რწყავენ ბაღ-ბოსტანს.
- ¹¹ხოლო ქვეყანა, რომლის დასამკვიდრებლადც გაღმა გადიხარ, მთაველიანი ქვეყანაა და წვიმის წყლით ჟივდება,
- ¹²ქვეყანა, რომელზეც უფალი, შენი ღმერთი, ზრუნავს გამუდმებით. უფლის, შენი ღმერთის, თვალი ტრიალებს მასში წლიდან წლამდე.
- ¹³და თუ შეიგონებთ ჩემს მცნებებს, რომელთაც მე გიცხადებთ დღეს, რომ გიყვარდეთ უფალი, თქვენი ღმერთი, და ემსახუროთ მას მთელი თქვენი გულით და მთელი თქვენი სულით,
- ¹⁴მაშინ მივცემ თქვენს ქვეყანას თავის დროზე შემოდგომისა და გაზაფხულის წვიმებს. და თქვენც მოიწევთ თქვენს მარცვლეულს, ღვინოსა და ზეთს.
- ¹⁵და შენს სერებზე გავაჩენ ბალახს შენი პირუტყვისათვის, – და აღარ იშიშნები.
- ¹⁶მაგრამ გაფრთხილდით, რომ არ შეცდეს თქვენი გული და რომ არ გადაიხაროთ უცხო ღმერთებისაკენ, არ ემსახუროთ და არ ეთაყვანოთ მათ.
- ¹⁷თორემ აღეგზნება რისხვა უფლისა თქვენზე და დახშავს ცას, და არ მოვა წვიმა, და მიწა აღარ მოგცემთ ნაყოფს, და მალევე გადაშენდებით ამ მშვენიერი ქვეყნიდან, რომელსაც უფალი გაძლევთ თქვენ.
- ¹⁸და ჩაიდეთ ეს ჩემი სიტყვები გულსა და სულში, და შეიბით იგი ნიშნად მაჯაზე, და იყოს ის თქვენს შუბლსაკრავებში.



¹⁹და ასწავლეთ ის თქვენს შვილებს, ელაპარაკეთ მათ შინ და გარეთ, გზაზე სვლისას, დაწოლისას და ადგომისას.

²⁰და წააწერეთ ის თქვენი სახლების წირთხლებსა და თქვენს კარიბჭეებს,

²¹რათა გამრავლდნენ თქვენი და თქვენი შვილების დღენი იმ მიწაზე, რომლის მოცემაც ფიცით აღუთქვა უფალმა თქვენს მამებს, ვიდრე ცა და დედამიწას იარსებებს.

²²რადგან, თუ მტკიცედ დაიცავთ ყველა ამ ბრძანებას, რომელთაც ახლა მე გაუწყებთ შესასრულებლად, გეყვარებათ უფალი, თქვენი ღმერთი, და ივლით მისი გზით და მას მიეკვრებით,

²³მაშინ განდევნის უფალი ყველა ამ ხალხს თქვენი პირისაგან და თქვენ დაეუფლებით თქვენზე მრავალრიცხოვან და ბევრად ძლიერ ხალხებს.

²⁴ყოველი ადგილი, სადაც თქვენ ფეხს დასცემთ, თქვენი იქნება – მთელი ქვეყანა უდაბნოდან ლიბანამდე, მდინარიდან – მდინარე ევფრატიდან – დასავლეთის ზღვამდე თქვენი სამფლობელო იქნება.

²⁵წინ ვერავინ დაგიდგებათ. თქვენს შიშსა და ზარს დასცემს უფალი, თქვენი ღმერთი, მთელი დედამიწის ზურგს, სადაც კი ფეხს დასცემთ, როგორც მან აღგითქვათ.

²⁶აჰა, მე დღეს გთავაზობთ კურთხევას – ან შეჩვენებას:

²⁷კურთხევას – თუ შეისმენთ უფლის, თქვენი ღმერთის, მცნებებს, რომელთაც მე გაუწყებთ დღეს,

²⁸ხოლო შეჩვენებას – თუ არ შეისმენთ უფლის, თქვენი ღმერთის, მცნებებს, და გადაუხვევთ იმ გზიდან, რომელსაც მე გაუწყებთ დღეს, და გაჰყვებით უცხო ღმერთებს, რომელთაც არ იცნობთ.

²⁹და როცა შეგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადც მიდიხარ, მაშინ აღავლინე კურთხევა გერიზიმის მთაზე და შეჩვენება – ღებალის მთაზე,

³⁰რომლებიც აქვია, იორდანეს გაღმა, მზის დასავლის გზისკენ, ქანაანელთა ქვეყანაში, რომლებიც ყარაბაში ცხოვრობენ, გილგალის ახლოს, მორეს მუხნარის ახლოს.

³¹რადგან თქვენ გადადიხართ იორდანეზე, რომ მიხვიდეთ იმ ქვეყნის დასამკვიდრებლად, რომელსაც უფალი, თქვენი ღმერთი, გაძლევთ, და დაიმკვიდრებთ მას და იქ დასახლდებით,

³²დაიცავით შესასრულებლად ყველა მცნება და სამართალი, რომელსაც მე გაუწყებთ თქვენ დღეს.



მეორე რჯული 12

¹აჰა, წესები და კანონები, რომელთაც უნდა ასრულებდეთ მთელი თქვენი დღე და მოსწრება იმ ქვეყანაში, სამკვიდროდ რომ მოგცათ უფალმა, თქვენი მამების ღმერთმა,

²გაანადგურეთ ყველა ის ადგილი, სადაც ის ხალხები, რომელთაც თქვენ განდევნით, თავიანთ ღმერთებს ემსახურებოდნენ, მაღალ მთებსა და ბორცვებზე, და ყველა ფოთლოვანი ხის ძირას.

³და დააქციეთ მათი სამსხვერპლოები, და დალეწეთ მათი ძეგლები, და მათი აშერები დაწვით ცეცხლით, და მათი ღმერთების ქანდაკებები დაჩეხეთ და მოსპეთ მათი სახელი იქიდან.

⁴ხოლო ასე ნუ მოექცევით უფალს, თქვენს ღმერთს.

⁵მხოლოდ იმ ადგილს მიმართეთ და იქ მიდით, რომელსაც ამოირჩევს უფალი, თქვენი ღმერთი, თქვენი ერთ-ერთი ტომის სამკვიდროდ თავისი სახელის დასადებად, თავის სავანედ.

⁶და იქ მიიტანეთ თქვენი სრულადდასაწველი და თქვენი საკლავი, თქვენი მეთაურობები, თქვენი ხელის აღსამართავი და თქვენი აღთქმული, თქვენი ნებაყოფლობითი შესაწირავები ცხვრისა და ფურის პირველმოგებული.

⁷და ჭამეთ იქ უფლის, თქვენი ღმერთის, წინაშე, და გაიხარეთ თქვენ და თქვენმა სახლმა თქვენი ნაამაგარიტ, რომელიც გიკურთხათ უფალმა, თქვენმა ღმერთმა.

⁸არ გააკეთოთ ყოველივე ის, რასაც ჩვენ აქ ვაკეთებთ დღეს, – თითოეული ჩვენთაგანი თავის ჭკუაზე,

⁹რადგან ჯერ კიდევ არ შესულხართ იმ ქვეყანაში, სადაც მშვიდობიანად იცხოვრებთ, იმ სამკვიდროში, რომელსაც უფალი, თქვენი ღმერთი, გაძლევთ.

¹⁰მაგრამ როცა გადახვალთ იორდანეს და დასახლდებით ქვეყანაში, რომელსაც უფალი, თქვენი ღმერთი, გიმკვიდრებთ, და სადაც დაგასვენებთ მტერთაგან, და უშიშრად იცხოვრებთ,

¹¹მაშინ იმ ადგილას, რომელსაც ამოირჩევს უფალი, თქვენი ღმერთი, თავისი სახელის დასავანებლად, მიიტანეთ ყოველივე, რასაც მე გიბრძანებთ: თქვენი სრულადდასაწველი და თქვენი საკლავი, თქვენი მეთაურობები, და თქვენი ხელის აღსამართავები და ყოველი რჩეული თქვენს აღთქმულთაგან, რაც კი აღუთქვით უფალს.



¹²და იმხიარულეთ უფლის, თქვენი ღმერთის, წინაშე თქვენ და თქვენმა ძეებმა, და თქვენმა ასულებმა, და თქვენმა მსახურებმა, და თქვენმა მხევლებმა, და ლევიანმა, რომელიც თქვენს კარიბჭესთან დგას (რადგან არა აქვს თავისი წილი და სამკვიდრო თქვენგან განსხვავებით).

¹³გაფრთხილდი, არ აღავლინო შენი სრულადდასაწველი ყველგან, სადაც თვალი მიგიწვდება,

¹⁴არამედ მხოლოდ იმ ადგილას, რომელსაც ამოირჩევს უფალი შენს ერთ-ერთ ტომში; იქ აღავლინე შენი სრულადდასაწველი, და იქ გააკეთე ყველაფერი, რასაც მე გიბრძანებ.

¹⁵ოღონდ ყოველთვის, როცა გულით მოისურვებ, შეგიძლია, დაკლა საკლავი და უფლის, შენი ღმერთის, კურთხევით ჭამო ხორცი, რომელიც მან მოგცა შენს ქალაქებში. გაუწმიდურებულსაც და გასუფთავებულსაც შეუძლია ჭამოს, როგორც ჭამენ ქურციკს და როგორც ჭამენ ირემს.

¹⁶ოღონდ სისხლი არ ჭამოთ, ის წყალივით დაღვარეთ მიწაზე.

¹⁷არ შეგიძლია, ჭამო შენს ქალაქებში პურის, ღვინისა და ზეთის მეთაედი და შენი ცხვრისა და ფურის პირველმოგებულის, და ყოველი შენი აღთქმული შესაწირავი, რომელიც აღთქმული გაქვს – შენი ნებაყოფლობითი შესაწირავები და შენი ხელის აღსამართავი.

¹⁸არამედ მხოლოდ უფლის, შენი ღმერთის, წინაშე ჭამეთ ის იმ ადგილას, რომელსაც ამოირჩევს უფალი, შენი ღმერთი, შენ და შენმა ძემ და შენმა ასულმა, შენმა მსახურმა და შენმა მხევალმა, და ლევიანმა, რომელიც შენს ქალაქში ცხოვრობს. და გაიხარე უფლის, შენი ღმერთის, წინაშე მთელი შენი ნაამაგრიო.

¹⁹იცოდე, არ მიატოვო ლევიანი, ვიდრე ცოცხლობ შენს მიწაზე.

²⁰როდესაც გააფართოვებს უფალი, შენი ღმერთი, შენს საზღვარს, როგორც გაუწყა და იტყვი: შევჭამო ხორცს, რადგან გული მიგივა ხორცის საჭმელად, მაშინ შენი გულის სურვილისამებრ ჭამე ხორცი.

²¹თუ შორს იქნება შენგან ის ადგილი, რომელსაც ამოირჩევს უფალი, შენი ღმერთი, თავისი სახელის იქ დასავანებლად, როგორც მე გიბრძანე, დაკალი შენი ზვარაკი ან ცხვარი, რომელიც მოგცა უფალმა, და ჭამე შენს ქალაქში, როცა მოგესურვება,

²²ოღონდ, როგორც ქურციკსა და ირემს ჭამენ, ისე ჭამეთ ის; გაუწმიდურებულსაც და გასუფთავებულსაც შეუძლიათ ჭამონ ის.

²³მხოლოდ მკაცრად ეკრძაღე, რათა არა ჭამო სისხლი, რადგან სისხლი სულია და არ უნდა ჭამო სული ხორცთან ერთად.



²⁴არ ჭამო ის, წყალივით დაღვარე მიწაზე;

²⁵არ ჭამოთ ის, რათა კარგად იყვნეთ შენ და, შენს შემდეგ, შენი ძენი, რადგან იმას გააკეთებ, რაც სწორია უფლის თვალში.

²⁶ოღონდ აიღე შენი წმიდა შესაწირავები, რაც გექნება, და შენი აღთქმული მსხვერპლები და მიდი იმ ადგილას, რომელსაც გამოარჩევს უფალი.

²⁷და შესწირე შენი სრულადდასაწველი, ხორცი და სისხლი, უფლის, შენი ღმერთის, საკურთხეველზე. შენი სხვა მსხვერპლის სისხლი უნდა დაიღვაროს უფლის, შენი ღმერთის, საკურთხეველზე, ხორცი კი ჭამე.

²⁸დაიცავი და გაიგონე ყველა ეს სიტყვა, რომელსაც მე გიბრძანებ, რათა კარგად იყვნეთ შენ და შენი შვილები, შენს შემდეგ, უკუნისამდე, რადგან იმას გააკეთებ, რაც კარგი და სწორია უფლის, შენი ღმერთის თვალში.

²⁹როდესაც მოსრავს უფალი, შენი ღმერთი, ხალხებს, რომლებთანაც შენ მიდიხარ, რომ განდევნო ისინი შენი პირისაგან, და განდევნი მათ, და დასახლდები მათ მიწაზე,

³⁰გაფრთხილდი, არ გაება მახეში მას შემდეგ, რაც მოისპობიან შენი პირისაგან, და არ დაუწყო ძებნა მათ ღმერთებს და არ თქვა: როგორც ეს ხალხები ემსახურებიან თავიანთ ღმერთებს, მეც ისე მოვიქცევიო.

³¹და არ მოექცე უფალს, შენს ღმერთს, ასე, რადგან ყველა სისამაგლეს, რაც უფალს სძულს, ისინი თავიანთ ღმერთებს უკეთებდნენ. ისინი თავიანთი ღმერთების გულისთვის იმასაც კი აკეთებდნენ, რომ ცეცხლში უწვავდნენ თავიანთ ძეებსა და ასულებს.

³²ყოველი სიტყვა, რომელსაც მე გიბრძანებთ, შეასრულეთ. ნურც რამეს მიუმატებთ მას და ნურც რამეს მოაკლებთ.

მეორე რჯული 13

¹თქვენში რომ აღდგეს წინასწარმეტყველი ან სიზმართმხილველი და მოგცეთ რაიმე ნიშანი ან სასწაული,

²და ახდეს ეს ნიშანი ან სასწაული, რომელიც მან გაუწყათ, და თან გითხრათ: გავყვეთ სხვა ღმერთებსო (რომელთაც თქვენ არ იცნობთ) და ვემსახუროთო მათ,

³ყურს ნუ დაუგდებთ ამ წინასწარმეტყველის ან სიზმართმხილველის სიტყვებს, რადგან გცდით უფალი, თქვენი ღმერთი, რათა შეიტყოს, გიყვართ თუ არა უფალი, თქვენი ღმერთი, მთელი თქვენი სულითა და გულით;



⁴გაჰყევით უფლის, თქვენი ღმერთის, კვალს და გეშინოდეთ მისი. და დაიცავით მისი მცნებები, ისმინეთ მისი ხმა და ემსახურეთ მას, და მას მიეკარით.

⁵და ის წინასწარმეტყველი თუ სიზმართმხილველი უნდა მოიკლას, რადგან მან გირჩიათ განდგომა უფლის, თქვენი ღმერთისაგან, რომელმაც გამოგიყვანათ ეგვიპტიდან და გამოგისყიდათ მონობის სახლიდან, რათა იმ გზიდან აეცდინეთ, რომელზეც გიბრძანათ სიარული უფალმა, თქვენმა ღმერთმა. და აღმოფხვრით ბოროტება თქვენი წიალიდან.

⁶თუ წაგაქეზოს შენმა ძმამ – დედაშენის ნაშობმა – ან შენმა შვილმა, ან შენმა ასულმა, ან შენს მკლავზე მწოლმა ცოლმა, ან მეგობარმა, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს გერჩივნა, და საიდუმლოდ გითხრას: „წავიდეთ და ვემსახუროთ სხვა ღმერთებს“, რომელთაც არც შენ იცნობ და არც შენი მამები იცნობდნენ,

⁷ღმერთებს იმ ხალხებისა, რომლებიც თქვენს ირგვლივ არიან – თქვენგან ახლოს თუ თქვენგან შორს, ქვეყნის კიდეებამდე,

⁸არ დათანხმდე და არ უსმინო მას. არ შეიბრალო, არ შეიბრალო იგი და არ დაინანო იგი,

⁹არამედ მოკალი. პირველი შენი ხელი უნდა აღიმართოს მის მოსაკლავად და მერე მთელი ერის ხელი.

¹⁰ჩაქოლე იგი, და მოკვდეს, რადგან განზრახული ჰქონდა, ჩამოეცილებინე უფლის, შენი ღმერთისაგან, რომელმაც გამოგიყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან – მონობის სახლიდან.

¹¹მთელი ისრაელი მოისმენს ამას და შეშინდება, და შემდგომ აღარ ჩაიდენენ ასეთ ბოროტებას თქვენში.

¹²და თუ გაიგებთ, რომ რომელიმე თქვენს ქალაქში, რომელიც საცხოვრებლად მოგცათ უფალმა, თქვენმა ღმერთმა,

¹³გამოჩნდნენ უღირსი კაცები თქვენი წიალიდან და შეაცდინეს ამ ქალაქის მცხოვრებნი ამ სიტყვებით: „წავიდეთ და ვემსახუროთ სხვა ღმერთებს.“ თქვენ კი არ იცნობთ იმ ღმერთებს,

¹⁴გამოიძიე, გამოიკვლიე და კარგად გამოიკითხე და, თუ ეს სრული სიმართლეა და ნამდვილად მოხდა ეს სისამაგლე თქვენში,

¹⁵მახვილის პირით შემუსრე იმ ქალაქის მცხოვრებნი, და დაარისხე იგი და ყველაფერი, რაც მასშია, თვით პირუტყვიც გაჟლიტეთ ბასრი მახვილით.



¹⁶მთელი ნადავლი შეაგროვეთ ქალაქის შუა მოედანზე და ცეცხლით დაწვით ქალაქი და მთელი ის ნადავლიც, როგორც უფლის, შენი ღმერთის, სრულადდასაწველი მსხვერპლი. დაე საუკუნო ნანგრევებად დარჩეს ეს ქალაქი და აღარასოდეს აშენდეს.

¹⁷ნუ მიეკარება შენი ხელი იმ დარისხებულს, რათა მოიქცეს უფალი რისხვისაგან და მოგცეს წყალობა და შეგინდოს, და გაგამრავლოს, როგორც შეჰფიცა შენს მამებს.

¹⁸და ასე იქნება, თუ მოუსმენ უფლის, შენი ღმერთის, ხმას, დაიცავ ყველა მის მცნებას, რომელთაც მე გაუწყებ დღეს, და გააკეთებ, რაც სწორია უფლის, შენი ღმერთის, თვალში.

მეორე რჯული 14

¹თქვენ ხართ ძენი უფლისა, თქვენი ღმერთისა. მკვდრის დატირებაზე ტანს ნუ დაისერავთ და თმას ნუ აიპარსავთ შუბლს ზემოთ.

²რადგან წმიდა ხალხი ხართ თქვენ უფლის, თქვენი ღმერთისათვის, და თქვენ ამოგირჩიათ უფალმა, რომ მისი უნჯი ხალხი ყოფილიყავით, ყველა სხვა ხალხებს შორის დედამიწის ზურგზე.

³ისეთი არაფერი ჭამოთ, რაც უფლისთვის სისამაგლეა.

⁴აი, ის ცხოველები, რომელთა ჭამაც შეგიძლიათ: ხარი, ცხვარი, თხა,

⁵ირემი, ქურციკი, შველი, არჩვი, ანტილოპა, კამეჩი და ნიამორი.

⁶და ყოველი ჩლიქაყოფილი პირუტყვი, თუ გაცალკეებული აქვს ჩლიქები მთლიანად და იცოხნის, ის ჭამეთ.

⁷ოღონდ ამათგან (მცოხნელთაგან და ჩლიქაყოფილთაგან) არ ჭამოთ აქლემი, კურდღელი და კლდის ბოცვერი, რადგან იცოხნიან, მაგრამ ჩლიქი არა აქვთ გაცალკეებული, უწმიდურია ისინი თქვენთვის.

⁸და ღორი, რომელსაც ჩლიქი აქვს გაყოფილი, მაგრამ არ იცოხნის, უწმიდურია თქვენთვის. მათი ხორცი არ ჭამოთ და მათ მძორს ნუ მიეკარებით.

⁹და აი, რის ჭამა შეგიძლიათ იმათგან, რაც წყალშია: ჭამეთ ყოველი, რასაც ფარფლი და ქერცლი აქვს;

¹⁰და ყოველი, რასაც არა აქვს ფარფლი და ქერცლი, არ ჭამოთ, უწმიდურია ის თქვენთვის.

¹¹ყოველი წმიდა ფრინველი ჭამეთ.



¹²და აი, რა არ უნდა ჭამოთ ფრინველთაგან: ორბი, არწივი და სვავი,

¹³ძერა, შევარდენი, სონღული და მათნაირები,

¹⁴ყველა ყორანი მისი გვარობითურთ,

¹⁵სირაქლემა, ბუ, თოლია, მიმინო და ყველა მისნაირი,

¹⁶ბუკიოტი, ბუკნაჭო, ჭოტი,

¹⁷ვარხვი, სვავი, თევზიყლაპია,

¹⁸ყარყატი, ყანჩა და მისნაირნი, ოფოფი და ღამურა.

¹⁹და ყოველი ფრთიანი მწერი უწმიდურია თქვენთვის, ნუ შეჭამთ.

²⁰ყოველი წმიდა ფრინველი ჭამეთ.

²¹არ ჭამოთ არავითარი უსულადი+ ხიზანს მიეცი, რომელიც შენს კარიბჭეებშია, და ჭამოს, ან უცხოელს მიჰყიდეთ. თქვენ ხომ წმიდა ხალხი ხართ უფლის, თქვენი ღმერთისათვის. თიკანს ნუ მოხარშავთ თავისი დედის რძეში.

²²ყოველ წელს უფლისათვის გადადეთ მეათედი მთელი შენი მოსავლისა, რაც მოგდის მინდორში,

²³და იგი ჭამე უფლის წინაშე იმ ადგილას, რომელსაც უფალი ამოირჩევს თავისი სახელის იქ დასავანებლად: მიიტანე მეათედი შენი ხორბლისა, შენი ღვინისა და შენი ზეთისა, და შენი ცხვარ-ძროხის პირველმოგებულისა, რათა ისწავლო უფლის, შენი ღმერთის შიში სამუდამოდ.

²⁴და თუ შორი გზა იქნება და ვერ შეძლებ მის ტარებას იქამდე, რადგან შორსაა შენგან ის ადგილი, რომელიც ამოირჩია უფალმა, შენმა ღმერთმა, თავისი სახელის იქ დასავანებლად, როცა გაკურთხებს უფალი, შენი ღმერთი,

²⁵გადაცვალე ის ვერცხლზე, აილე ის ვერცხლი და წადი იქ, რომელიც აირჩია უფალმა, შენმა ღმერთმა,

²⁶და გადაცვალე ის ვერცხლი იმაზე, რასაც შენი სული მოისურვებს: ცხვარ-ძროხაზე, ღვინო-არაყზე და, და რასაც ისურვებ. და ჭამეთ იქ უფლის, შენი ღმერთის, წინაშე, და გაიხარეთ შენ და შენმა სახლმა.

²⁷და არ დაივიწყო ლევანები, რომელნიც შენს კარიბჭეებშია, რადგან მათ, შენგან განსხვავებით, არა აქვთ წილი და სამკვიდრო შენთან.

²⁸ყოველი მესამე წლის ბოლოს აილე მეათედი ამ წლის მოსავლიდან და მიიტანე ქალაქის კარიბჭეებში.



²⁹და მოვიდნენ ლევანები (რადგან შენგან განსხვავებით, არ გააჩნია თავისი წილი და სამკვიდრო); მოვიდნენ ხიზნები, ქვრივ-ობლები, რომლებიც შენს კარიბჭეებში არიან, და ჭამონ მამღრისად, რათა აკურთხოს უფალმა, შენმა ღმერთმა, შენი ხელის ყოველი საქმე, რასაც აკეთებ.

მეორე რჯული 15

¹ყოველ მეშვიდე წელს გქონდეს პატიების წელი.

²პატიება ნიშნავს, რომ მევალემ უნდა აპატიოს თავის მოყვასს სესხი, რადგან პატიების წელი უფლის სახელით ცხადდება.

³უცხოელს შეგიძლია მოსთხოვო ვალი, მაგრამ შენს მოძმეს უნდა აპატიო.

⁴თუმცა, არავინ იქნება თქვენში გლახაკი, რადგან კურთხევით გაკურთხეხს უფალი იმ ქვეყანაში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს დასამკვიდრებლად,

⁵ოღონდ თუ შეისმენ უფლის, შენი ღმერთის, ხმას, და დაიცავ შესასრულებლად ყველა იმ მცნებას, რომელსაც მე გიბრძანებ დღეს.

⁶რადგან უფალი, შენი ღმერთი, გაკურთხეხს შენ, როგორც გაუწყა, რომ შენ ასესხებ მრავალ ხალხებს, შენ კი არ ისესხებ. შენ იბატონებ ბევრ ხალხებზე, ისინი კი არ იბატონებენ შენზე.

⁷თუ იქნება შენთან გლახაკი, ერთი შენი მოძმეთაგანი, შენს რომელიმე ქალაქში, იმ მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს, ნუ გაიქვავებ გულს და ნუ გაძუნწდები შენი ღარიბი მოძმის მიმართ,

⁸არამედ ხელგაშლილი იყავი და ასესხე მას მისი გასაჭირისამებრ, რაც მას სჭირდება.

⁹გაფრთხილდი, რომ გულში უღირსი ფიქრი არ შეგეპაროს და არ თქვა: მოახლოვდაო მეშვიდე წელი, პატიების წელიწადი, და უარი არ უთხრა შენს გლახაკ მოძმეს, თორემ ის უფალს შესჩივლებს და ცოდვა დაგედება.

¹⁰მიცემით მიეცი მას, და რომ ასესხებ, გულს ნუ შეიწუხებ – და გაკურთხეხს უფალი, შენი ღმერთი, ყოველ შენს საქმესა და ნაამაგარში.

¹¹რადგან არ დაილევა გლახაკი შენს ქვეყანაში, ამიტომ გიბრძანებ, ხელგაშლილი იყო შენი მოძმის მიმართ, შენი ღარიბისა და შენი უპოვარის მიმართ შენს ქვეყანაში.

¹²თუ მოგეყიდოს შენი ებრაელი მოძმე, ქალი ან კაცი, ექვსი წელი გემსახუროს, და მეშვიდე წელს გაათავისუფლე.



- ¹³და როცა გაათავისუფლებ, ხელცარიელი არ გაუშვა.
- ¹⁴დაასაჩუქრე შენი ფარიდან, შენი კალოდან და შენი საწნახლიდან; რითაც გაკურთხა უფალმა, შენმა ღმერთმა, მიეცი მას.
- ¹⁵გახსოვდეს, რომ შენც მონა იყავი ეგვიპტის ქვეყანაში და გამოგიხსნა უფალმა, შენმა ღმერთმა. ამიტომ გიბრძანებ ამ სიტყვას დღეს.
- ¹⁶და თუ გეტყვის, რომ არ უნდა შენგან წასვლა, რადგან მან შეგიყვარა შენ და შეიყვარა შენი სახლი, და რომ, კარგად არის შენთან,
- ¹⁷მაშინ აიღე სადგისი, ყური მიადებინე კარებზე და გაუხვრიტე. და შენი მსახური იქნება სამუდამოდ. ასევე მოექცევი შენს მხევალსაც.
- ¹⁸ნუ გეძნელება მისი გათავისუფლება, რადგან მოჯამაგირის ორმაგი ქირა დაიმსახურა შენგან ექვს წელიწადში. და აკურთხეხს უფალი, შენი ღმერთი, ყოველ შენს საქმეს, რასაც ხელს მოჰკიდებ.
- ¹⁹შესწირე უფალს, შენს ღმერთს, ყოველი პირველმოგებული მამალი შენი ცხვარ-ძროხიდან. არ ამუშაო შენი პირველმოგებული სახარე და არ გაპარსო შენი ცხვრის პირველმოგებული.
- ²⁰უფლის, შენი ღმერთის, წინაშე ჭამეთ იგი ყოველ წელიწადს შენ და შენმა სახლმა იმ ადგილას, რომელსაც ამოირჩევს უფალი.
- ²¹და თუ რაიმე ხინჯი ექნება პირუტყვს – სიკოჭლე ან სიბრმავე, ან რაიმე ცუდი ნაკლი, ნუ შესწირავ უფალს, შენს ღმერთს.
- ²²შენს კარიბჭეებში ჭამე იგი. გაუწმიდურებულსაც და გასუფთავებულსაც შეუძლია ჭამოს იგი ისევე, როგორც ქურციკი და ირემი.
- ²³ოღონდ მისი სისხლი არ ჭამო, წყალივით დაღვარე მიწაზე.

მეორე რჯული 16

- ¹დაიცავი აბიზის თვე და მოუმზადე პასექი უფალს, შენს ღმერთს, რადგან აბიზის თვეში გამოგიყვანა უფალმა, შენმა ღმერთმა, ეგვიპტიდან, ღამით.
- ²და დაკალი საპასექო მსხვერპლი უფლის, შენი ღმერთისათვის, შენი ცხვარ-ძროხიდან იმ ადგილას, რომელსაც ამოირჩევს უფალი, თავისი სახელის იქ დასავანებლად.
- ³არ მიატანო საპასექო მსხვერპლს საფუარიანი პური. შვიდ დღეს ჭამე ხმიადთან, გაჭირვების პურთან, ერთად, იმის სამახსოვროდ, რომ ნაჩქარევად გამოხვედით ეგვიპტის ქვეყნიდან, ასე გემახსოვრება ეგვიპტის ქვეყნიდან შენი გამოსვლის დღე მთელი შენი სიცოცხლე.



- ⁴და არ იპოვებოდეს საფუარიანი მთელს შენს საზღვრებში ამ შვიდ დღეს. და დილამდე არ დარჩეს შეუჭმელი ის ხორცი, რომელსაც შენ მსხვერპლად შესწირავ პირველ საღამოთი.
- ⁵ნუ დაკლავ საპასეჟო მსხვერპლს შენს რომელიმე ქალაქში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს,
- ⁶არამედ მხოლოდ იმ ადგილას, რომელსაც ამოირჩევს უფალი, შენი ღმერთი, თავისი სახელის დასავანებლად – იქ დაკალი საპასეჟო მსხვერპლი საღამოს, მზის ჩასვლისას, ეგვიპტიდან შენი გამოსვლის ჟამს.
- ⁷და გაამზადე და ჭამე იმ ადგილას, რომელსაც ამოირჩევს უფალი, შენი ღმერთი, დილით კი გაბრუნდი და წადი შენი კარვებისაკენ.
- ⁸ექვს დღეს ჭამე ხმიადი და მეშვიდე დღეს დღესასწაულია უფლისა, შენი ღმერთისა. არანაირი საქმე არ აკეთო.
- ⁹შვიდი შვიდეული გადაითვალე, ნამგალს რომ შეიტანენ ყანაში იმ დღიდან დაიწყე შვიდეულების ათვლა,
- ¹⁰და გადაუხადე შვიდეულთა დღესასწაული უფალს, შენს ღმერთს, შენი ნებით და შენი შესაძლებლობით, რის გამოც გაკურთხეხს შენ უფალი, შენი ღმერთი.
- ¹¹და გაიხარეთ უფლის, შენი ღმერთის, წინაშე შენ და შენმა ძეებმა, შენმა ასულებმა, შენმა მსახურებმა, შენმა მხევლებმა და ლევიაჲმა, რომელიც შენს კარზე ცხოვრობს, და ხიზანმა და ქვრივ-ობოლმა, რომელნიც თქვენში არიან, იმ ადგილას, რომელსაც ამოირჩევს უფალი, შენი ღმერთი, თავისი სახელის იქ დასავანებლად.
- ¹²და გახსოვდეს, რომ მონა იყავი ეგვიპტეში, და დაიცავი და შეასრულე ეს წესები.
- ¹³იზეიმე კარვობის დღესასწაული შვიდ დღეს, როცა მორჩები კალოობასა და ყურძნის წურვას.
- ¹⁴და გაიხარეთ ამ დღესასწაულზე შენ და შენმა ძეებმა, შენმა ასულებმა, შენმა მონა-მხევლებმა და ლევიაჲმა, რომელიც შენს კარზეა; შენმა ხიზანმა და ქვრივ-ობოლმა.
- ¹⁵შვიდ დღეს იდღესასწაულე უფლის, შენი ღმერთის სახელით, იმ ადგილას, რომელსაც ამოირჩევს იგი, რადგან გაკურთხა უფალმა, შენმა ღმერთმა, უხვი მოსავლითა და შენი ხელის ყოველი საქმის წარმატებით, და მუდამ გახარებული იქნები.



¹⁶წელიწადში სამჯერ გამოცხადდეს ყველა შენი მამაკაცი უფლის, შენი ღმერთის, წინაშე იმ ადგილას, რომელსაც უფალი ამოირჩევს: უფუარობის დღესასწაულზე, შვიდეულის დღესასწაულზე და კარვობის დღესასწაულზე. და არავინ მოვიდეს უფლის წინაშე ხელცარიელი,

¹⁷ყველას ძღვენი გეჭიროთ ხელში უფლის, შენი ღმერთის კურთხევის კვალობაზე, როგორც მოუცია შენთვის.

¹⁸მსაჯულები და ზედამხედველები დაიყენე შენი ტომებიდან ყველა შენს ქალაქში, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი, რათა სამართლიანად განსაჯონ ხალხი.

¹⁹არ გაამრუდო სამართალი, მიკერძოება არ გამოიჩინო და ქრთამი არ აიღო, რადგან ქრთამი თვალს უბრმავეებს ბრძენკაცებს და აუკუღმართებს მართალთა საქმეებს.

²⁰სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს მიჰყევი, რათა იცოცხო და დაიმკვიდრო ის ქვეყანა, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს.

²¹არ დარგო ნერგი აშერასათვის, რა ხისაც არ უნდა იყოს, უფლის, შენი ღმერთის, საკურთხეველთან, რომელსაც შენ ააგებ.

²²და არ აღიმართო სვეტი, რადგან სძულს იგი უფალს, შენს ღმერთს.

მეორე რჯული 17

¹არ შესწირო უფალს, შენს ღმერთს, ზვარაკი ან ცხვარი, რომელსაც რაიმე ხინჯი აქვს, როგორიც არ უნდა იყოს ეს ხინჯი, რადგან სისამაგლეა ეს უფლის, შენი ღმერთისათვის.

²თუ აღმოჩნდება თქვენში, შენს რომელიმე ქალაქში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს, მამაკაცი ან დედაკაცი, რომელიც ბოროტებას ჩაიდენს უფლის, შენი ღმერთის თვალში და გადაუხვევს მის აღთქმას,

³წავა და მოემსახურება სხვა ღმერთებს და თაყვანს სცემს მათ: მზეს ან მთვარეს, ან მთელ ციურ მხედრობას, რაც მე არ მიბრძანებია,

⁴და გეუწყება და მოისმენ, კარგად გამოიძიე. და თუ ეს სიმართლეა, სრული ჭეშმარიტებაა, და ეს სისამაგლე მოხდა ისრაელში,

⁵გაიყვანე შენს კარიბჭესთან ის მამაკაცი ან დედაკაცი, რომელმაც ეს ბოროტება ჩაიდინა და ჩაქოლე.

⁶ორი მოწმის, ან სამი მოწმის სიტყვით უნდა მოკვდეს, ვინც მოსაკლავია. ხოლო ერთი მოწმის სიტყვით არ შეიძლება მისი მოკვლა.



⁷პირველად მოწმის ხელი უნდა შეეხოს მას მოსაკლავად, და მერე მთელი ხალხის. და ასე აღმოფხვრი ბოროტებას შენი წიაღიდან.

⁸თუ რაიმე მიზეზით გაგიძნელდა მკვლელობის, დავის და დასახიჩრების საქმეების გარჩევა შენს კარიბჭეებში, ადექი და ადი იმ ადგილას, რომელსაც ამოირჩევს უფალი, შენი ღმერთი,

⁹მიდი ლევთან მღვდლებთან და მსაჯულთან, რომლებიც იქნებიან იმ დღეებში, და ჰკითხე და გეტყვიან სამსჯავროს განაჩენს.

¹⁰და მოიქეცი იმ სიტყვისამებრ, რასაც გეტყვიან იმ ადგილას, რომელსაც ამოირჩევს უფალი, და ეცადე ყველაფერი შეასრულო, რასაც გასწავლიან.

¹¹მოიქეცი იმ რჯულისამებრ, რასაც გირჩევენ, და იმ სამართლისამებრ, რასაც გეტყვიან. არ გადაუხვიო სიტყვას, რომელსაც გეტყვიან არც მარჯვნივ და არც მარცხნივ.

¹²ვინც თავხედურად მოიქცევა და არ მოუსმენს მღვდელს, რომელიც უფლის, შენი ღმერთის, მსახურია, ან მსაჯულს, სასიკვდილოდ გადაეცით; და აღმოფხვრი ბოროტებას ისრაელიდან,

¹³და მთელი ხალხი გაიგებს ამას, შეშინდება და აღარ გაკადნიერდება.

¹⁴როცა მიხვალ იმ ქვეყანაში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს, და დაიმკვიდრებ მას, დასახლდები იქ და იტყვი: „დავიდგენ მეფეს, ყველა იმ ხალხებივით, ჩემს ირგვლივ რომ არიანო“,

¹⁵დაისვი მეფე, რომელსაც ამოირჩევს უფალი, შენი ღმერთი; შენს მოძმეთაგან დაისვი მეფე; ნება არა გაქვს, უცხოელი დაისვა, რომელიც შენი მოძმე არ არის.

¹⁶მეფემ არ უნდა გაიმრავლოს ცხენები და უკან არ უნდა დააბრუნოს ხალხი ეგვიპტეში ცხენების ამოსარეკად, ვინაიდან უფალმა გითხრათ თქვენ: „აღარ დაბრუნდეთ ამ გზით.“

¹⁷მან არ უნდა იყოლიოს ბევრი ცოლები, რომ არ გაირყვნას მისი გული. და ვერცხლი და ოქრო არ გაიმრავლოს მეტისმეტად.

¹⁸და როცა თავის სამეფო ტახტზე დაჯდება, გადაიწეროს ეს რჯულის წიგნი ლევანთი მღვდლებისაგან.

¹⁹და თავისთან იქონიოს და იკითხოს მთელი სიცოცხლე, რათა ისწავლოს შიში უფლისა, თავისი ღმერთისა, რომ დაიცვას ამ რჯულის ყოველი სიტყვა და შეასრულოს მისი წესები.



²⁰რათა არ გაუმედიდურდეს თავის მოძმეებს და არ გადაუხვიოს მცნებას არც მარჯვნივ და არც მარცხნივ, რათა დიდხანს იმეფონ მანაც და მისმა ძეებმაც ისრაელის მიწაზე.

მეორე რჯული 18

¹ლევთან მღვდლებს და ლევის მთელ ტომს, ისრაელიანთა სხვა ტომებივით არ ექნებათ წილი და სამკვიდრო ისრაელთან; მათი წილია საუფლო მსხვერპლი, და იმით უნდა იკვებონ.

²ლევის ტომს სამკვიდრო წილი არ ექნება თავის მოძმეთა შორის. თვით უფალია მათი სამკვიდრო, როგორც აუწყა მან მათ.

³აი რა უნდა განეკუთვნოს მღვდლებს ხალხისაგან, მათგან, ვინც მსხვერპლად სწირავს ხარს ან ცხვარს: თითოეულმა მისცეს მღვდელს ბეჭი, ყბები და კუჭი.

⁴პირველმოწეული მარცვლეული, ღვინო, ზეთი შენი მოსავლიდან, და აგრეთვე ცხვრის პირველგანაპარსიდან მიეცი მღვდელს,

⁵რადგან ის ამოირჩია უფალმა, შენმა ღმერთმა, ყველა შენი ტომიდან, რათა იდგნენ და მსახურებდნენ უფლის სახელით ის და მისი ძენი სამუდამოდ.

⁶და თუ მოვა ლევანი ისრაელის რომელიმე ქალაქიდან სადაც ის ცხოვრობდა, და მოვა თავისი სულის სურვილით იმ ადგილას, რომელსაც ამოირჩევს უფალი,

⁷და იმსახურებს უფლის, შენი ღმერთის, სახელით, როგორც ყველა მისი მოძმე ლევანი, რომლებიც იქ დგანან უფლის წინაშე,

⁸მანაც მათი თანაბარი წილი უნდა მიიღოს საკვებად, თუნდაც მამამისის გაყიდული ქონებიდან ჰქონდეს რაღაც საარსებო.

⁹როცა მიხვალ იმ ქვეყანაში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს, არ დაიწყო შენც იმ ხალხის მსგავსად სისაძაგლეების კეთება.

¹⁰ნუ იქნება თქვენში თავისი მისა და თავისი ასულის ცეცხლში გამტარებელი, ჯადოქარი, მისანი, მარჩიელი, მსახვრალი,

¹¹გრძნეული, მესულთანე, ჯადოქარი და მკვდართა გამომხმობი,

¹²ვინაიდან სისაძაგლეა უფლისათვის ყოველივე ამის მოქმედი, და ამ სისაძაგლეთა გამო უფალი, შენი ღმერთი, სდევნის მათ შენგან.

¹³უნაკლო იყავი უფალთან, შენს ღმერთთან,



¹⁴რადგან ის ხალხები, რომელთაც შენ განდეგნი, გრძნეულებსა და მისნებს უსმენენ. შენთვის კი ამის ნება არ მოუცია უფალს, შენს ღმერთს.

¹⁵ჩემნაირ წინასწარმეტყველს აღგიდგენს შენ უფალი, შენი ღმერთი, შენი წიალიდან, შენს მოძმეთაგან, მას უსმინე.

¹⁶რადგან, როცა შენ შესთხოვე უფალს, შენს ღმერთს, ხორებათა თავშეყრის დღეს: მეტს ნუღარ გავიგონებო უფლის, ჩემი ღმერთის, ხმას და ამ დიდ ცეცხლს ნუღარ ვიხილავ, რომ არ მოვკვდეო.

¹⁷მითხრა მე უფალმა: „კარგი ქნეს, ეს რომ გითხრეს შენ;

¹⁸შენნაირ წინასწარმეტყველს აღვუდგენ მათ ძმათა წიალიდან, შენს მსგავსს, და ჩავუდებ ჩემს სიტყვას ბაგეებში, და ის ეტყვის მათ ყველაფერს, რასაც ვუბრძანებ.

¹⁹ხოლო ის, ვინც არ გაიგონებს ჩემს სიტყვებს, რომელთაც ჩემი სახელით ილაპარაკებს წინასწარმეტყველი, მე თვითონ დავსჯი მას.

²⁰ხოლო წინასწარმეტყველი, რომელიც გათავხედდება და ჩემი სახელით იმას ილაპარაკებს, რისი თქმაც მე მისთვის არ მიბრძანებია, და რომელიც ილაპარაკებს სხვა ღმერთების სახელით, სასიკვდილოდ მიეცით ის წინასწარმეტყველი.“

²¹და თუ იტყვი შენს გულში: „როგორ გავიგებ სიტყვას, რომელიც უფალს არ უთქვამს?“

²²თუ წინასწარმეტყველი ილაპარაკებს უფლის სახელით და არ ასრულებს ის სიტყვა და არ ახდება, მაშინ ის სიტყვა არ უთქვამს უფალს. იგი თავხედურად უთქვამს წინასწარმეტყველს, – ნუ შეგეშინდება მისი.

მეორე რჯული 19

¹როცა მოსპობს უფალი, შენი ღმერთი, ხალხებს, რომელთა ქვეყანასაც შენ გაძლევს, და განდეგნი მათ და დასახლებები მათ ქალაქებში და მათ სახლებში,

²სამი ქალაქი გამოყავი შენს მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს დასამკვიდრებლად;

³განიმზადე გზა და სამ ნაწილად გაყავი შენი ქვეყნის მიწა-წყალი, რომელსაც გიწილადებს უფალი, შენი ღმერთი. და ის ქალაქები იქნება თავშესაფარი მათთვის, ვისაც უნებლიე კაცისკვლა შეემთხვევა.



⁴და აი, რომელ მკვლელს შეუძლია თავი შეაფაროს იქ და გადარჩეს: იმას, ვისაც უნებლიეთ შემოაკვდება თავისი მოყვასი, რომლის მტრობაც არ ჰქონია არც გუშინ და არც გუშინწინ;

⁵ანდა ვინც თავის მოყვასთან ერთად ტყეში წავიდა შეშის მოსაჭრელად და, ცული რომ მოუღერა ხეს მოსაჭრელად, ცულს ტარი გასძვრა, მოხვდა მის მოყვასს ნაჯახი და მოკლა; ის კაცი უნდა გაიქცეს ერთ-ერთ იმ ქალაქში, რათა გადაირჩინოს თავი,

⁶რომ შორი გზის გამო მესისხლე ცხელ გულზე არ გამოეკიდოს მკვლელს, არ მიეწიოს და არ მოკლას; ის კი სიკვდილს არ იმსახურებს, რადგან არ ჰქონია თავის მოყვასთან მტრობა არც გუშინ და არც გუშინწინ.

⁷ამიტომ გიბრძანე: სამი ქალაქი გამოყავი-მეთქი.

⁸და როცა გააფართოებს უფალი, შენი ღმერთი, შენს საზღვრებს, როგორც შეჰფიცა შენს მამებს, და მოგცემს მთელ ქვეყანას, რომლის მიცემაც აღუთქვა მათ,

⁹თუ დაიცავ ყველა ამ მცნებებს, რომელთაც გიბრძანებ დღეს, რომ შეიყვარო უფალი, შენი ღმერთი, და იარო მისი გზებით მთელი სიცოცხლე, იმ სამ ქალაქს კიდევ სხვა სამი ქალაქი მიუმატე.

¹⁰და ნუ დაიღვრება უცოდველი სისხლი შენს მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს სამკვიდროდ, და არ იქნება შენზე სასისხლო ცოდვა.

¹¹ხოლო თუ ვინმე შეიძულებს თავის მოყვასს და ჩაუსაფრდება მას, აღდგება მის წინააღმდეგ, სცემს და მოკლავს, და თავს შეაფარებს ერთ-ერთ ამ ქალაქთაგანს,

¹²კაცები გაგზავნონ იმ ქალაქის უხუცესებმა, და მოაყვანინონ ის იქიდან, და გადასცენ მესისხლეს, რათა მოკლან.

¹³წყალობის თვალთ ნუ შეხედავ მას, და ჩამორეცხე ისრაელს ის უცოდველი სისხლი და კარგი იქნება შენთვის.

¹⁴არ გადაწიო შენი მოყვასის მიჯნა, წინაპრებმა რომ დასვეს შენს სამკვიდროში, რომელსაც დაიმკვიდრებ ქვეყანაში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს.

¹⁵საკმარისი არ არის მხოლოდ ერთი მოწმე ვინმეს წინააღმდეგ რაიმე დანაშაულის დასამტკიცებლად, და რაიმე ცოდვისათვის, რითაც შესცოდავს; ორი მოწმის პირით ან სამი მოწმის სიტყვით გადაწყდეს საქმე.

¹⁶თუ გამოვა ბოროტი მოწმე ვინმეს წინააღმდეგ, რათა რაიმე ბრალი დასწამოს მას,



¹⁷წარდგეს ეს ორი მოდავე კაცი უფლის წინაშე, მღვდელთა და მსაჯულთა წინაშე, რომლებიც იმჟამად იქნებიან,

¹⁸და კარგად გამოიძიონ მსაჯულებმა. და თუ ეს მოწმე ცრუ მოწმეა და ცილი დასწამა თავის მოძმეს,

¹⁹გაუკეთეთ მას, რისი გაკეთებაც ჰქონდა განზრახული თავისი მოძმისათვის. და ასე აღმოფხვრი ბოროტებას შენი წიაღიდან.

²⁰და სხვა დანარჩენები რომ გაიგებენ ამას, შეშინდებიან, და აღარ ჩაიდენენ ამგვარ ბოროტებას შენს წიაღში.

²¹წყალობის თვალთ ნუ შეხედავ მას: სიცოცხლე სიცოცხლის წილ, თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ, ხელი ხელის წილ, ფეხი ფეხის წილ.

მეორე რჯული 20

¹როცა ომში გახვალ შენი მტრის წინააღმდეგ და დაინახავ ცხენებსა და ეტლებს და შენზე უამრავ ჯარს, ნუ შეუშინდები მათ, რადგან შენთანაა უფალი, შენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან.

²და როცა ომს მიუახლოვდებით, მოდგეს მღვდელი და ხალხს ელაპარაკოს,

³და უთხრას მათ: „ისმინე, ისრაელ! თქვენ დღეს ებმებით ომში თქვენს მტრებთან. ნუ შეკრთება თქვენი გული, ნუ შეშინდებით, ან ნუ შეძრწუნდებით მათ წინაშე,

⁴რადგან უფალი, თქვენი ღმერთი, თქვენთან ერთად მოდის თქვენს მტრებთან საომრად, რათა გადაგარჩინოთ თქვენ.“

⁵ზედამხედველებმა კი ასე უთხრან ხალხს: „თქვენს შორის ვინც ახალი სახლი აიშენა და ვერ მოასწრო მისი კურთხევა, წავიდეს და შინ დაუბრუნდეს, რომ ბრძოლაში არ მოკვდეს და სხვამ არ აკურთხოს მისი სახლი;

⁶ვინც ვენახი გააშენა და ვერ მოასწრო ნაყოფის მოწევა, შინ წავიდეს, რომ ბრძოლაში არ მოკვდეს და სხვამ არ მოისთვლას მისი ვენახი;

⁷ვინც ქალი დანიშნა და ჯერ არ შეურთავს, წავიდეს და დაუბრუნდეს თავის სახლს, რომ ბრძოლაში არ მოკვდეს და სხვამ არ წაიყვანოს ის ქალი.“

⁸და კიდევ ელაპარაკონ ზედამხედველები ხალხს და უთხრან: „ვინც მშვიდარაა და ჯაბანი, წავიდეს და დაუბრუნდეს თავის სახლს, რათა თავისი გულივით არ გაუდედლოს თავის მოძმეებს გული.“



⁹როცა ზედამხედველები მორჩებიან ხალხთან ლაპარაკს, მაშინ დაუყენეთ სარდლები ხალხს მეთაურებად.

¹⁰როცა მიუახლოვდები ქალაქს საომრად, ჯერ ზავისაკენ მოუწოდე მას.

¹¹თუ ზავზე დაგთანხმდეს და კარიბჭე გაგიღოს, მთელი ხალხი, ვინც კი იქ აღმოჩნდება, შენს ხარკს დაიდებს და ყმა გაგიხდება.

¹²და თუ არ დაგეზავა და ომი გაგიმართა, ალყა შემოარტყი,

¹³და როცა ხელში ჩაგიგდებს მას უფალი, შენი ღმერთი, მახვილის პირით განგმირე ყველა მისი მამაკაცი.

¹⁴მხოლოდ ქალები, ბავშვები, პირუტყვი და რაც ქალაქში იქნება, შეგიძლია ნადავლად დაიტაცო; ჭამე ნადავლი შენი მტრისა, რომელიც უფალმა, შენმა ღმერთმა, ჩაგიგდო ხელში.

¹⁵ასევე მოექეცი შენგან ძალზე დაშორებულ ყველა ქალაქს, რომლებიც არ ეკუთვნის აქაურ ხალხებს.

¹⁶მხოლოდ იმ ქალაქებში, რომლებსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს სამკვიდროდ, არ აცოცხო არც ერთი სული.

¹⁷პირწმინდად მოსპე ისინი – ხეთელები და ამორეველები, ქანაანელები და ფერიზელები, ხიველები და იებუსელები – როგორც გიბრძანა უფალმა, შენმა ღმერთმა.

¹⁸რათა არ გასწავლონ ყველა იმ სისამაგლეების კეთება, რასაც ისინი აკეთებდნენ თავიანთი ღმერთებისათვის, და არ შესცოდოთ უფალს, თქვენს ღმერთს.

¹⁹თუ დიდხანს გეყოლება ქალაქი ალყაში, რათა იომო მის წინააღმდეგ მის ასაღებად, ნუ გაკაფავ ხეებს მის ირგვლივ, რადგან მის ნაყოფს ჭამ, და არ უნდა მოჭრა, რადგან ხე ადამიანი ხომ არ არის, რომ გაგექცეს და ციხესიმაგრეს შეაფაროს თავი?

²⁰მხოლოდ ის ხეები, რომლებიც იცი, რომ უნაყოფოა, შეგიძლია აჩეხო და ააგო მისგან სიმაგრე იმ ქალაქის წინააღმდეგ, რომელიც გეომება, ვიდრე არ დაიმორჩილებ.

მეორე რჯული 21

¹თუ იმ ქვეყანაში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს დასამკვიდრებლად, ველზე დაგდებული მოკლული ნახო, და არავინ იცოდეს, ვინ მოკლა იგი,



- ²გამოვიდნენ შენი უხუცესები და შენი მსაჯულები და გადაზომონ მანძილი იმ ქალაქებამდე, რომლებიც მოკლულის ირგვლივაა,
- ³და რომელი ქალაქიც ახლოს იყოს მოკლულთან, იმ ქალაქის უხუცესებმა გაიყვანონ დეკეული, რომელიც არ უმუშავებიათ და არც უღელში ყოფილა შებმული,
- ⁴და ჩაიყვანონ იმ ქალაქის უხუცესებმა დეკეული ღრანტე ხევში, რომლის ნაპირებიც არ დამუშავებულა და არც დათესილა, და იქ გადაუმტვრიონ კისერი.
- ⁵და მოდგნენ ლევინი მღვდლები, რადგან ისინი ამოირჩია უფალმა, შენმა ღმერთმა, რომ ემსახურონ მას, და უფლის სახელით აკურთხევდნენ, და მათი პირით წყდებოდეს ყველა დავა და ყველა ზარალი,
- ⁶და მოკლულთან ახლოს მდებარე ქალაქის ყველა უხუცესმა დაიბანოს ხელი ხევში კისერგადამტვრეულ დეკეულზე,
- ⁷და განაცხადონ და თქვან: „ჩვენს ხელს არ დაუღვრია ეს სისხლი და ჩვენს თვალს არ უხილავს;
- ⁸უფალო, შენ შეუნდე შენს ხალხს, ისრაელს, რომელიც გამოსყიდული გყავს, და ნუ დატოვებ შენი ხალხის უდანაშაულო სისხლს ისრაელის წიაღში.“ და შეენდობათ მათ ეს სისხლი.
- ⁹უნდა მოიცილო უდანაშაულო სისხლი შენი წიაღიდან, რომ სწორად მოიქცე უფლის თვალში.
- ¹⁰როცა გახვალ ბრძოლაში შენი მტრების წინააღმდეგ და ხელში ჩაგიგდებს მათ უფალი, შენი ღმერთი, და ტყვეებად წამოასხამ მათ,
- ¹¹და დაინახავ ტყვეებში ლამაზ ქალს, შეგიყვარდება იგი და ცოლად წაყვანას დაუპირებ,
- ¹²მიიყვანე შენს სახლში, და გადაიპარსოს ქალმა თავი და დაიჭრას ფრჩხილები,
- ¹³გაიხადოს ტყვეობის სამოსელი და დაჯდეს შენს სახლში და ერთი თვე იტიროს თავისი მამა და თავისი დედა. მერე კი შედი მასთან და შეირთე, და გახდება ის შენი ცოლი.
- ¹⁴და თუ აღარ ისურვებ მას, მაშინ გაუშვი ის თავის ნებაზე, ოღონდ გაყიდვით არ გაყიდო ვერცხლზე, არავის დაუმონო, რაკი დამორჩილებული გყავს.



¹⁵თუ კაცს ორი ცოლი ეყოლება: ერთი საყვარელი, ხოლო მეორე საძულველი, და შესძენენ მას ვაჟებს: საყვარელი და საძულველი, პირმშოს კი საძულველი შობს,

¹⁶მეებისთვის თავისი ქონების განაწილების დღეს მამას არ შეუძლია საყვარლის შესაძენად პირმშოობა არგუნოს საძულველის პირმშოს წინაშე,

¹⁷არამედ პირმშოდ აღიაროს საძულველის ძე, რათა მისცეს მას ორმაგი წილი ყველაფრიდან, რაც მას ახადია, რადგან იგი დასაბამია მისი ძალისა, მას ეკუთვნის პირმშოობის უფლება.

¹⁸თუ კაცს ეყოლება ჯიუტი და ურჩი შვილი, რომელიც არ უსმენს თავისი მამის ხმას და თავისი დედის ხმას, და თუმცა ტუქსავენ მას, მაგრამ ის არ უგონებს მათ,

¹⁹დაიჭირონ მამამ და დედამ და მიიყვანონ თავისი ქალაქის უხუცესებთან, თავის კარიბჭესთან.

²⁰და უთხრან ქალაქის უხუცესებს: „ეს ჩვენი შვილი ჯიუტია და ურჩი, არ უსმენს ჩვენს ხმას, მსუნაგია და ლოთი!“

²¹და ქვით ჩაქოლოს იგი მისი ქალაქის ყოველმა კაცმა, და მოკვდეს. და აღმოფხვრი ბოროტებას შენი წიაღიდან, და მთელი ისრაელი გაიგებს ამას და შეშინდება.

²²თუ კაცი სასიკვდილო ცოდვას ჩაიდენს და მოკლავენ, ძელზე ჩამოკიდებენ,

²³მაგრამ არ უნდა გაათევიან მის გვამს ძელზე, არამედ დამარხე იგი იმავე დღეს. რადგან ღვთისგან არის დაწყევლილი ძელზე ჩამოკიდებული, და ნუ შებილწავ მიწას, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს სამკვიდროდ.

მეორე რჯული 22

¹შენი მოძმის დაკარგული ხარი ან ცხვარი რომ ნახო, დაიჭირე და პატრონს მიჰგვარე.

²ხოლო თუ იგი შენთან ახლოს არ ცხოვრობს, ან შენ ვერ იცნო, ვისია პირუტყვი, შინ წაიყვანე და იქ გყავდეს, ვიდრე შენი მოძმე მოიკითხავდეს, და მაშინ დაუბრუნე.

³ასევე მოექეცი მის სახედარს და ასევე მოექეცი მის სამოსელს, და ასევე მოექეცი შენი მოძმის ყველა დანაკარგს, რაც დაკარგა და შენ იპოვე, თვალს ნუ აარიდებ.

⁴შენი მოძმის გზაზე დავარდნილი სახედარი ან ხარი რომ ნახო, თვალი არ აარიდო, მოეხმარე შენს მოძმეს მის წამოყენებაში.



- ⁵დედაკაცმა არ ჩაიცვას მამაკაცის სამოსელი და არ შეიმოსოს კაცი ქალის სამოსლით, რადგან სძულს უფალს, შენს ღმერთს, ყველა ამის მოქმედი.
- ⁶თუ გზად მიმავალი წააწყდები ხეზე ან მიწაზე ჩიტის ბუდეს, რომელშიც დედა ზის ბარტყებზე ან კვერცხებზე, ნუ დაიჭერ დედას და ბარტყებს.
- ⁷დედა გაუშვი, ბარტყები კი შინ წაასხი, რათა ხელი მოგემართოს და იდღეგრძელო.
- ⁸თუ ახალ სახლს იშენებ, ბანს მოაჯირი შემოარტყი, რათა არავინ გადმოვარდეს ბანიდან და სისხლი არ დაედოს შენს სახლს.
- ⁹ნუ დათესავ ვენახში სხვა თესლს, რომ არ გააუწმიდურო ნაყოფი თესლისა, რომელსაც დათესავ და ვენახის მოსავალიც.
- ¹⁰ნუ მოხნავ გუთანში ერთად შებმული ხარითა და ვირით.
- ¹¹არ ჩაიცვა მატყლისა და სელის ნარევით ნაქსოვი სამოსელი.
- ¹²ფორები გაუკეთე შენი მოსასხამის ოთხივე კიდე.
- ¹³თუ შეირთავს ვინმე ცოლს და შევა მასთან, და შემდეგ მოიძულებს მას იგი,
- ¹⁴ცილს დასწამებს და სახელს გაუტეხს და იტყვის: „ეს ქალი შევირთე, შევედი მასთან და ვერ ვპოვე მასში ქალწულობის ნიშნები,“
- ¹⁵ყმაწვილი ქალის მამამ და დედამ გაუტანონ ყმაწვილი ქალის ქალწულობის ნიშნები ქალაქის უხუცესებს კარიბჭესთან,
- ¹⁶და უთხრას ყმაწვილი ქალის მამამ უხუცესებს: „ჩემი ასული მივეცი მე ამ კაცს ცოლად და მან მოიძულა იგი,
- ¹⁷ცილი დასწამა და თქვა: ქალწული არ გამოდგაო შენი ასული; და აჰა, ნიშნები ჩემი ასულის ქალწულობისა.“ და გაშალონ სამოსელი ქალაქის უხუცესთა წინაშე.
- ¹⁸და აიყვანონ იმ ქალაქის უხუცესებმა ქმარი და გვემონ იგი,
- ¹⁹და დააჯარიმონ 100 ვერცხლით და მისცენ ყმაწვილი ქალის მამას, რადგან სახელი გაუტეხა ისრაელიან ქალწულს. და დარჩება ქალი მის ცოლად: ვერ გაუშვებს მას თავის სიცოცხლეში.
- ²⁰და თუ მართალი გამოდგა ეს სიტყვა და არ აღმოაჩნდა ქალწულობა ყმაწვილ ქალს,
- ²¹გამოიყვანონ ყმაწვილი ქალი თავისი მამის სახლის კართან და ჩაქოლონ ქალაქის ხალხმა, და მოკვდეს, რადგან სამარცხვინო საქმე ჩაიდინა



ისრაელში: იმრუშა თავისი მამის სახლში. ასე აღმოფხვრი ბოროტებას შენი წიაღიდან.

²²თუ კაცს ქმრიან ქალთან მწოლარეს წაასწრეს, ორივე მოკლან – კაციც და ქალიც. ასე აღმოფხვრი ბოროტებას ისრაელიდან.

²³თუ კაცზე დანიშნულ ქალწულს ვინმე შეხვდება ქალაქში და დაწვება მასთან,

²⁴გამოიყვანეთ ორივე იმ ქალაქის კარიბჭესთან და ქვით ჩაქოლეთ, და მოკვდებიან – ქალწული იმისათვის, რომ არ მოუხმო საშველად, კაცი კი იმისათვის, რომ ნამუსი ახადა თავისი მოყვასის ცოლს. ასე აღმოფხვრი ბოროტებას შენი წიაღიდან.

²⁵თუ მინდორში ნახავს კაცი დანიშნულ ქალწულს, ძალით დაიჭერს და დაწვება მასთან, მოიკლას კაცი, რომელიც ქალთან დაწვა;

²⁶ქალწულს კი ნურაფერს უზამ. არა აქვს მას სასიკვდილო ცოდვა: რადგან ეს იმას ჰგავს, კაცი რომ დაესხას თავის მოყვასს და მოკლას იგი,

²⁷რადგან კაცმა იგი მინდორში ნახა, ქალწულმა იკივლა, და იქ არავინ იყო მისი შემწე.

²⁸თუ ნახავს კაცი ქალწულს, რომელიც არაა დანიშნული, დაიჭერს მას და დაწვება მასთან, და წაასწრებენ,

²⁹მისცეს მასთან მწოლარე კაცმა ყმაწვილი ქალის მამას 50 ვერცხლი და ქალი გახდება იმ კაცის ცოლი, რადგან ნამუსი ახადა მას, ვერ გაუშვებს მას თავის სიცოცხლეში.

³⁰არავინ შეირთოს თავისი მამის ცოლი რათა არ შეარცხვინოს თავისი მამა.

მეორე რჯული 23

¹უფლის საკრებულოში ვერ შევა საჭურისი და ვერც კვერცხებდაზიანებული.

²ბუში ვერ შევა უფლის საკრებულოში; მისი მეათე თაობაც კი ვერ შევა უფლის საკრებულოში.

³ვერ შევა ყამონელი და მოაბელი უფლის საკრებულოში; მათი მეათე თაობაც კი ვერასოდეს შევა უფლის საკრებულოში,

⁴იმიტომ, რომ არ შემოგეგებნენ თქვენ პურიტა და წყლით გზაზე, როცა გამოხვედით ეგვიპტიდან, და იმიტომ, რომ დაიქირავა შუამდინარეთის ფეთორელი ბალაამი, ძე ბეყორისა, შენს დასაწყევლად.



- ⁵და არ ინება უფალმა, შენმა ღმერთმა, მოსმენა ბალაამისა, და წყევლა კურთხევად შეგიცვალა, რადგან შეგიყვარა შენ უფალმა, შენმა ღმერთმა.
- ⁶ნურასოდეს შენს იცოცხლეში ნუ ეძებ მათთვის მშვიდობასა და სიკეთეს.
- ⁷ნუ შეიძულებ ედომელს, რადგან ის შენი მოძმეა. ნუ შეიძულებ ეგვიპტელს, რადგან ხიზნად იყავი მის ქვეყანაში.
- ⁸ბავშვები, რომლებიც მათ შეეძინებათ, მესამე თაობაში შევლენ უფლის კრებულში.
- ⁹როცა სალაშქროდ გახვალ შენი მტრის წინააღმდეგ და დაიბანაკებ, ერიდე ყოველგვარ ხინჯს.
- ¹⁰თუ ვინმე იქნება თქვენში, რომელიც სუფთა არ იქნება ღმრის დინების გამო, გავიდეს ბანაკს გარეთ და უკან არ შემოვიდეს,
- ¹¹საღამო ჟამს წყლით დაიბანოს და მზის ჩასვლისას შევიდეს ბანაკში.
- ¹²ადგილი იქონიე ბანაკს გარეთ, სადაც შეგეძლება გასვლა და მოსაქმება;
- ¹³ნიჩაბი გქონდეს სარტყელში და გარეთ მოსაქმებისას, მიწა ამოთხარე და ჩაფალი შენი განავალი;
- ¹⁴რადგან უფალი, შენი ღმერთი, დადის შენს ბანაკში, რათა გიხსნას და ხელში ჩაგიგდოს შენი მტრები. და იყოს შენი ბანაკი წმიდა, და არ იხილოს მან იქ რაიმე სამარცხვინო და ზურგი არ შეგაქციოს.
- ¹⁵არ გადასცე თავის ბატონს მონა, როცა მისგან გაქცეული თავს შემოგაფარებს.
- ¹⁶შენთან იცხოვროს, შენს წიაღში, იმ ქალაქში, რომელსაც ამოირჩევს, მის ერთ-ერთ ბჭესთან, სადაც მოეწონება. არ შეავიწროვო იგი.
- ¹⁷ნუ იქნება ტაძრის მეძავი ისრაელის ასულთაგან ნუ იქნება ტაძრის მსიძავი ისრაელის ძეთაგან.
- ¹⁸არავითარი აღთქმისათვის არ შეიტანო მეძავის გასამრჯელო და მსიძავის ფასი უფლის, შენი ღმერთის სახლში, რადგან ორივე სისაძაგლეა უფლის, შენი ღმერთისათვის.
- ¹⁹არ მისცე შენს მოძმეს ვახშით არც ვერცხლი, არც სასმელ-საჭმელი, არც რაიმე ისეთი, რაც ვახშით გაიცემა.
- ²⁰უცხოელს შეგიძლია ვახშით ასესხო, ხოლო შენს მოძმეს არ ასესხო ვახშით, რათა აკურთხოს უფალმა, შენმა ღმერთმა, მთელი შენი ნაამაგარი იმ ქვეყანაში, რომელშიც შედიხარ დასამკვიდრებლად.



²¹თუ აღთქმას დაუდებ უფალს, შენს ღმერთს, არ დაუყოვნო შესრულება, რადგან მოგკითხავს აღთქმულს უფალი, შენი ღმერთი, და ცოდვა დაგედება.

²²და თუ არ მიგიცია აღთქმა, არ დაგედება ცოდვა.

²³შენი პირიდან გამოსული სიტყვა დაიცავი, და შეასრულე, როგორც აღუთქვი უფალს, შენს ღმერთს, რაც ნებაყოფლობით აღუთქვი შენი პირით.

²⁴თუ შეხვალ შენი მოყვასის ვენახში, ყურძენი ჭამე რამდენიც გინდა, ოღონდ კალათით არ წაიღო.

²⁵თუ შეხვალ შენი მოყვასის ყანაში, ხელით რასაც გაგლეჯ, ის წაიღე, ოღონდ ნამგალს ნუ იხმარებ.

მეორე რჯული 24

¹თუ კაცი ცოლს შეირთავს, მაგრამ ქალი მადლს ვერ ჰპოვებს მის თვალში, რადგან სამარცხვინოს რასმე უპოვნის კაცი, დაუწეროს გაყრილობის ბარათი, ხელში მისცეს და გაუშვას თავისი სახლიდან.

²და გავა ქალი მისი სახლიდან, წავა და გათხოვდება სხვა კაცზე.

³და თუ შეიძულა იგი ამ მეორე ქმარმაც, და დაუწერა მას გაყრილობის ბარათი, და მისცა მას და გაუშვა იგი თავისი სახლიდან, ან თუ მოკვდება ეს მეორე ქმარი, რომელმაც იგი ცოლად მოიყვანა,

⁴არ შეუძლია მის პირველ ქმარს, რომელმაც გაუშვა იგი, კვლავ დაიბრუნოს ცოლად, მას შემდეგ, რაც წაიბილწა, რადგან სისამაგლეა ეს უფლის წინაშე, და ნუ გარყვნი ქვეყანას, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს სამკვიდროდ.

⁵თუ კაცს ახლად შერთული ცოლი ჰყავს, ნუ გავა ლამქარში და ნურც ნურაფერი დაეკისრება. ერთი წელი თავისუფალი იყოს თავის სახლში და გაახაროს თავისი ცოლი, რომელიც შეირთო.

⁶არავინ აიღოს გირაოდ დოლაბები (თუნდაც მხოლოდ ზედა), რადგან კაცის სულის დამგირავებელი იქნება იგი.

⁷თუ აღმოჩნდება კაცი, რომელმაც მოიტაცა თავისი მოძმე ისრაელიანი, დაიმონა და გაყიდა იგი, უნდა მოიკლას მომტაცებელი; ასე აღმოფხვრი ბოროტებას შენი წიაღიდან.

⁸არ გამოგრჩეს კეთრის წყლული, რათა ზუსტად დაიცვა და შეასრულო ყველაფერი, რასაც გასწავლიან ლევიათი მღვდლები. რაც მე ვუბრძანე მათ, დაიცავით შესასრულებლად.



- ⁹გაიხსენე, თუ რა უყო უფალმა, შენმა ღმერთმა, მირიამს გზაზე, როცა ეგვიპტიდან გამოდიოდით.
- ¹⁰თუ შენს მოყვასს რაიმეს ასესხებ, არ შეხვიდე მის სახლში გირაოს ასაღებად.
- ¹¹გარეთ დადექი და მოვალე თვითონ გამოგიტანს გირაოს.
- ¹²და თუ ის ღარიბია, ღამე არ დაიტოვო მისი გირაო;
- ¹³დაუბრუნე მზის ჩასვლამდე, რათა დაიძინოს თავის მოსასხამში; ის დაგლოცავს, და ეს სიკეთედ ჩაგეთვლება უფლის, შენი ღმერთის, წინაშე.
- ¹⁴ნუ შეავიწროვებ მოჯამაგირეს, ღარიბს და გლახაკს, შენი მოძმეთაგანი იქნება იგი თუ შენი ხიზანი, რომელიც შენს ქვეყანაშია, შენს კარიბჭეებში;
- ¹⁵იმავე დღეს მიეცი თავისი გასამრჯელო, ვიდრე მზე ჩავა, რადგან ღარიბია და ნატრობს მისი სული მას; რათა არ შეჰღაღადოს უფალს შენზე და ცოდვა არ დაგედოს.
- ¹⁶მამები არ უნდა მოიკლან შვილების ცოდვებისათვის, და შვილები არ უნდა მოიკლან მამების გამო, არამედ თითოეული თავისი ცოდვის გამო მოიკლას.
- ¹⁷ნუ გაამრუდებ ხიზნისა და ობლის სამართალს, და ნუ აიღებ გირაოდ ქვრივის მოსასხამს.
- ¹⁸გახსოვდეს, რომ მონა იყავი ეგვიპტეში და გიხსნა უფალმა, შენმა ღმერთმა, იქიდან. ამიტომ გიბრძანებ ამის აღსრულებას.
- ¹⁹როცა მომკი ყანას და ძნა დაგავიწყდება ნამკალში, ნუ გაბრუნდები მის ასაღებად – ხიზნისათვის და ქვრივ-ობლისათვის იყოს ის, რათა გიკურთხოს უფალმა, შენმა ღმერთმა, შენი ნაამაგარი.
- ²⁰როცა ჩამოებრტყავ ზეთისხილს, თუ რამ დარჩა ზედ, ნუღარ მიუბრუნდები – ხიზნისა და ქვრივ-ობლისათვის იყოს.
- ²¹როცა ვენახს დაკრეფ, ნუღარ მოიმცვრევ დარჩენილ ნაყოფს: ხიზნისა და ქვრივ-ობლისათვის იყოს.
- ²²გახსოვდეს, რომ მონა იყავი ეგვიპტის ქვეყანაში. ამიტომ გიბრძანებ ამის აღსრულებას.

მეორე რჯული 25



- ¹თუ ორ კაცს რაიმე დავა ჩამოვარდებათ ერთმანეთში, სასამართლოს წინაშე წარდგენ. და განსჯიან მათ; მართალს გაამართლებენ და მტყუანს ბრალს დასდებენ;
- ²და თუ დამნაშავე გაჯოხვას იმსახურებს, წამოაქცევინოს მსაჯულმა და აცემინოს თავის თვალწინ მისი დანაშაულის კვალობაზე, სათვალავით.
- ³ორმოცჯერ დაარტყან, მეტი არა, თორემ, თუ გადააჭარბეს და ბევრი ურტყეს, დამცირდება შენი მოძმე შენს თვალში.
- ⁴კევრში შებმულ ხარს პირს ნუ აუკრავ.
- ⁵თუ ძმები ერთად ცხოვრობენ და ერთი მათგანი უშვილოდ მოკვდება, მკვდრის ცოლი გარეთ არ უნდა გათხოვდეს უცხო კაცზე, არამედ მისი მაზლი შევიდეს მასთან და შეირთოს იგი ცოლად, და შეუსრულოს მაზლობის წესი.
- ⁶და პირმო, რომელსაც ქალი გააჩენს, ის აღუდგენს მკვდარი ძმის სახელს, რათა არ წარიხოცოს მისი სახელი ისრაელიდან.
- ⁷მაგრამ თუ არ ისურვებს მაზლი თავისი რძლის შერთვას, ქვრივი უხუცესებთან ავიდეს ქალაქის კარიბჭესთან და თქვას: არა სურსო ჩემს მაზლს სახელი აღუდგინოს თავის ძმას ისრაელში, არა სურს მას ჩემი შერთვაო.
- ⁸და დაიბარებენ მაზლს ქალაქის უხუცესები და მოელაპარაკებიან. და თუ აღგება ის და იტყვის: არ მსურს მისი შერთვაო,
- ⁹მივა მასთან რძალი უხუცესთა თვალწინ და გახდის ფეხსაცმელს ფეხზე და სახეში შეაფურთხებს, და ეტყვის: ამის ღირსია კაცი, რომელიც არ აშენებსო თავისი ძმის სახლს.
- ¹⁰და სახელად დაერქმევა მის მოდგმას „ფეხშველანი“
- ¹¹თუ კაცები წაიჩხუბებიან და ერთ-ერთის ცოლი ქმრის საშველად გავა და მოჩხუბარ კაცს სარცხვინელით დაითრევს,
- ¹²ხელის მტევანი მოკვეთე ქალს, წყალობის თვალთ ნუ შეხედავ მას!
- ¹³ნუ გექნება ქისაში ორგვარი საწონი – სწორი და მრუდე.
- ¹⁴ნუ გექნება სახლში ორგვარი საწყაო – სწორი და მრუდე.
- ¹⁵საწონი სრული და სწორი გქონდეს, საწყაო სრული და სწორი გქონდეს, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი გაძლევს,
- ¹⁶რადგან სძულს უფალს, შენს ღმერთს, ყველა უკანონობის მოქმედი.
- ¹⁷გაიხსენე, რა გიყო ყამალეკმა გზაზე, როცა ეგვიპტიდან გამოდიოდი,



¹⁸როგორ დაგიხვდა გზაზე და კუდი მოგწყვიტა, როცა შენ დაღლილი და ღონემიხდილი იყავი, და არ შეეშინდა მას ღმერთისა.

¹⁹და როცა დაგასვენებს უფალი, შენი ღმერთი, ყველა შენი გარემომო მტრისაგან იმ ქვეყანაში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს დასამკვიდრებლად, წაშალე სახელი ყამალეკისა ცისქვეშეთში; არ დაგავიწყდეს!

მეორე რჯული 26

¹როდესაც შეხვალ ქვეყანაში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს და დაიმკვიდრებ მას და დასახლდები იქ,

²აილე მიწის ყოველი პირველნაყოფი, რომელსაც მოისთვლი ქვეყანაში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს, ჩაალაგე კალათაში და წადი იმ ადგილას, რომელსაც ამოირჩევს უფალი, შენი ღმერთი, თავისი სახელის იქ დასავანებლად.

³და მიდი მღვდელთან, რომელიც იმ ჟამად იქნება, და უთხარი: „ვაცხადებ დღეს უფლის, შენი ღმერთის წინაშე, რომ მე მოვედი იმ ქვეყანაში, რომლის მოცემაც ფიცით აღუთქვა უფალმა ჩვენს მამებს.“

⁴გამოგართმევს მღვდელი კალათას ხელიდან და დადგამს უფლის, შენი ღმერთის, საკურთხევის წინ.

⁵და განაცხადებ და იტყვი უფლის, შენი ღმერთის, წინაშე: „მოხეტიალე არამელი იყო მამაჩემი და ჩავიდა ეგვიპტეში, და ხიზნობდა იქ მცირერიცხოვანი ხალხით, და გადაიქცა იქ დიდ ერად, ძლიერ და მრავალრიცხოვნად.

⁶ცუდად გვეპყრობოდნენ ჩვენ ეგვიპტელები, და გვჩაგრავდნენ და მძიმე სამუშაოს გვაკისრებდნენ,

⁷და შევღალადეთ უფალს, ჩვენი მამების ღმერთს, და ისმინა უფალმა ჩვენი ხმა, და იხილა ჩვენი გაჭირვება, ჩვენი ჯაფა და ჩვენი ჩაგვრა,

⁸და გამოგვიყვანა ჩვენ უფალმა ეგვიპტიდან ძლიერი ხელით და აღმართული მკლავით, დიდი საშინელებით და ნიშნებით და სასწაულებით.

⁹და მოგვიყვანა ჩვენ ამ ადგილას, და მოგვცა ეს ქვეყანა, ქვეყანა, სადაც მოედინება რძე და თაფლი.



¹⁰და ახლა კი, აჰა, მოვიტანე პირველმოწეული ნაყოფი მიწისა, რომელიც შენ მომეცი, უფალო!“ და დადგი იგი უფლის, შენი ღმერთის, წინაშე, და თაყვანი ეცი უფალს, შენს ღმერთს.

¹¹და გაიხარე ლევიათან და ხიზანთან ერთად, რომელიც შენს წიაღშია, ყოველი სიკეთით, რაც კი მოუცია უფალს, შენს ღმერთს, შენთვის და შენი სახლისათვის.

¹²როცა დაასრულო შენი მოსავლიდან ყოველი მეათედის გამოყოფა მესამე წელს – მეათედის წელს – მიეცი ლევიათს, ხიზანს, ობოლსა და ქვრივს, და მამღრისად ჭამონ შენს კარიბჭეებთან.

¹³და თქვი უფლის, შენი ღმერთის, წინაშე: „გავიტანე სახლიდან წმიდა წილი და კიდევ მივეცი იგი ლევიათსა და ხიზანს, ობოლსა და ქვრივს, ყოველივე იმ შენი ბრძანებებისამებრ, რომელნიც მამცნე. არ გადამიხვევია შენი მცნებებიდან და არ დამვიწყნია.

¹⁴არ მიჭამია ჩემი მწუხარებისას და არ გამომიყვია იგი გაუწმედურებისას, და მკვდრისთვის არ გამიცია. ვისმინე უფლის, ჩემი ღმერთის, ხმა და შევასრულე ყოველივე, რაც მიბრძანე.

¹⁵გადმოიხედე შენი წმიდა სავანიდან, ზეციდან, და აკურთხე შენი ერი, ისრაელი, და მიწა, რომელიც ჩვენ მოგვეცი, როგორც შეჰფიცე ჩვენს მამებს, ქვეყანა, სადაც მოედინება რძე და თაფლი.“

¹⁶ამ დღეს გიბრძანებს უფალი, შენი ღმერთი, ამ წესებისა და სამართლის აღსრულებას. დაიცავი და შეასრულე ისინი მთელი შენი გულითა და მთელი შენი სულით.

¹⁷დღეს შენ აღიარე უფლის წინაშე, რომ შენი ღმერთია იგი, რომ ივლი მისი გზებით და დაიცავ მის წესებსა და მის მცნებებს, და მის სამართალს, და ყურად იღებ მის ხმას.

¹⁸და უფალმა აღვითქვა შენ დღეს, რომ შენ იქნები მისი რჩეული ერი, როგორც გელაპარაკა შენ, თუკი დაიცავ ყველა მის მცნებას,

¹⁹და რომ აგამაღლებს თავის გაჩენილ ყველა ხალხზე მეტი დიდებით, სახელითა და პატივით, რათა იყო წმიდა ერი უფლისთვის, შენი ღმერთისთვის, როგორც მან თქვა.

მეორე რჯული 27

¹და უბრძანეს მოსემ და უზუცესებმა ისრაელიანთ: „დაიცავით ყოველი მცნება, რომელსაც მე გიბრძანებთ დღეს.



²და იმ დღეს, როდესაც გადახვალთ იორდანეზე, იმ ქვეყანაში, რომელსაც უფალი, თქვენი ღმერთი გაძლევთ, აღმართეთ დიდი ლოდები, კირით შეათეთრეთ,

³და ზედ დააწერეთ ყოველი სიტყვა ამ რჯულისა, როგორც კი გადახვალთ იორდანეზე, იმ ქვეყანაში შესასვლელად, რომელსაც უფალი, თქვენი ღმერთი გაძლევთ, სადაც მოედინება რძე და თაფლი, როგორც თქვა უფალმა, თქვენი მამების ღმერთმა.

⁴და როცა გადახვალთ იორდანეზე, დადგით ღებალის მთაზე ის ლოდები, რომლებზეც მე გიცხადებთ დღეს, და კირით შეათეთრეთ ისინი.

⁵და აუგე იქ საკურთხეველი უფალს, შენს ღმერთს, ქვის საკურთხეველი, კვერი არ მიაკარო ქვას.

⁶მთლიანი ქვებით ააგე უფლის, შენი ღმერთის, საკურთხეველი და აღუვლინე მასზე სრულადდასაწველები უფალს, შენს ღმერთს.

⁷და შესწირე სამშვიდობო მსხვერპლები, და ჭამე იქ, და გაიხარე უფლის, შენი ღმერთის წინაშე.

⁸და დაწერე ქვებზე ამ რჯულის ყველა სიტყვა გარკვევით.“

⁹და უთხრეს მოსემ და ლევიაანმა მღვდლებმა მთელ ისრაელს: „გაიგონე და ისმინე, ისრაელ! დღეს გახდი შენ უფლის, შენი ღმერთის, ერი.

¹⁰და ისმინე უფლის, შენი ღმერთის, ხმა და შეასრულე მისი მცნებანი და მისი წესები, რომელთაც მე დღეს გიცხადებ.“

¹¹და უბრძანა მოსემ ხალხს იმ დღეს და უთხრა:

¹²„ესენი იდგნენ გერიზიმის მთაზე ხალხის საკურთხებლად, როცა გადახვალ იორდანეს: სიმეონი, ლევი, იუდა, ისაქარი, იოსები და ბენიამინი.

¹³და ესენი იდგნენ ღებალის მთაზე დასაწყევლად: რეუბენი, გადი, აშერი, ზებულუნი, დანი და ნაფთალი.

¹⁴და ლევიაანები ეტყვიან მთელს ისრაელს ხმამაღლა:

¹⁵“წყეულიმც იყოს კაცი, რომელმაც გააკეთოს ქანდაკი ან ჩამოსხმული კერპი, სისამაგლე უფლისათვის, ოსტატის ხელით ნაკეთები, და დადგას ფარულად!” და მიუგებს მთელი ერი და იტყვის: ‘ამინ!’

¹⁶“წყეულიმც იყოს მაგინებელი თავისი მამისა და დედისა!” და იტყვის მთელი ერი: ‘ამინ!’

¹⁷“წყეულიმც იყოს, ვინც მოყვასის მიჯნა გადასწიოს!” და იტყვის მთელი ერი: ‘ამინ!’



- ¹⁸‘წყეულიმც იყოს, ვინც ბრმას აურიოს კვალი!’ და იტყვის მთელი ერი: ‘ამინ!’
- ¹⁹‘წყეულიმც იყოს, ვინც სამართალი გაუმრუდოს ხიზანსა და ქვრივობოლს!’ და იტყვის მთელი ერი: ‘ამინ!’
- ²⁰‘წყეულიმც იყოს, ვინც თავისი მამის ცოლთან დაწვეს, რადგან კალთა გადაუწია მამას.’ და იტყვის მთელი ერი: ‘ამინ!’
- ²¹‘წყეულიმც იყოს, ვინც პირუტყვთან დაეცეს!’ და იტყვის მთელი ერი: ‘ამინ!’
- ²²‘წყეულიმც იყოს, ვინც თავის დასთან ან თავისი მამის ასულთან, ან თავისი დედის ასულთან დაწვეს!’ და იტყვის მთელი ერი: ‘ამინ!’
- ²³‘წყეულიმც იყოს, ვინც თავის სიდედრთან დაწვეს!’ და იტყვის მთელი ერი: ‘ამინ!’
- ²⁴‘წყეულიმც იყოს თავისი მოყვასის ფარულად მკვლელი!’ და იტყვის მთელი ერი: ‘ამინ!’
- ²⁵‘წყეულიმც იყოს, ვინც ქრთამი აიღოს კაცის მოსაკლავად და უცოდველი სისხლის დასადვრელად!’ და იტყვის მთელი ერი: ‘ამინ!’
- ²⁶‘წყეულიმც იყოს, ვინც გატეხს რჯულის ამ სიტყვებს და არ შეასრულებს მათ!’ და იტყვის მთელი ერი: ‘ამინ!’

მეორე რჯული 28

- ¹და თუ გაიგონებ უფლის, შენი ღმერთის, ხმას, რათა დაიცვა და შეასრულო ყველა მისი მცნება, რომელსაც მე გიბრძანებ დღეს, დაგაყენებს შენ უფალი, შენი ღმერთი, ქვეყნიერების ყველა ხალხებზე მაღლა.
- ²და გადმოვა შენზე ყველა ეს კურთხევა და აღსრულდება, თუ მოუსმენ უფლის, შენი ღმერთის, ხმას.
- ³კურთხეულიმც იყავ ქალაქში და კურთხეულიმც იყავ მინდვრად.
- ⁴კურთხეულიმც იყოს ნაყოფი მუცლისა შენისა და ნაყოფი შენი მიწისა, ნამატი შენი ცხვარ-ძროხისა.
- ⁵კურთხეულიმც იყოს შენი ბელლები და შენი მარნები.
- ⁶კურთხეულიმც იყავ შინ შესული და კურთხეულიმც იყავ გარეთ გამოსული.
- ⁷დასცემს უფალი შენს წინაშე შენს მტრებს, შენს წინააღმდეგობით. ერთი გზით წამოვლენ შენსკენ და შვიდი გზით გაიქცევიან უკან.



- ⁸კურთხევით მოხედავს უფალი შენს ბედლებსა და ყველა შენს საქმეს; და გაკურთხებს იმ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი.
- ⁹დაგაყენებს შენ უფალი თავის წმიდა ერად, როგორც შემოგფიცა, თუ დაიცავ უფლის, შენი ღმერთის, მცნებებს და ივლი მისი გზებით.
- ¹⁰და დაინახავენ ქვეყნის ყველა ხალხები, რომ უფლის სახელია შენზე, და შეეშინდებათ შენი.
- ¹¹და გაგიმრავლებს უფალი სასიკეთოდ შენი მუცლის ნაყოფს იმ ქვეყანაში, რომლის მოცემაც ფიცით აღუთქვა შენს მამებს.
- ¹²გაგიხსნის უფალი თავის მადლიან საუნჯეს – ზეცას, რათა აწვიმოს შენს მიწაზე თავის დროზე და აკურთხოს შენი ხელის ყოველი საქმე. შენ მრავალ ხალხებს მიასესხებ, შენ კი არ ისესხებ.
- ¹³უფალი გაქცევს თავად, და არა ბოლოდ, და სულ მალე იქნები და ძირს არასდროს იქნები – თუ შეისმენ უფლის, შენი ღმერთის, მცნებებს, რომელთაც გიცხადებ დღეს დასაცავად და შესასრულებლად.
- ¹⁴არ გადაუხვიო არცერთ სიტყვას, რომელთაც გიცხადებ დღეს, არც მარჯვნივ და არც მარცხნივ, არ იარო უცხო ღმერთების კვალზე და არ ემსახურო მათ.
- ¹⁵თუ არ გაიგონებ უფლის, შენი ღმერთის სიტყვას, არ დაიცავ და არ შეასრულებ ყველა მის მცნებას და წესებს, რომელთაც გიცხადებ დღეს, გადმოვა შენზე ყველა ეს წყევლა და გეწევა:
- ¹⁶წყეულიმც იყავ ქალაქად და წყეულიმც იყავ მინდვრად.
- ¹⁷წყეულიმც იყოს შენი ბედლები და შენი მარნები.
- ¹⁸წყეულიმც იყოს ნაყოფი შენი მუცლისა და ნაყოფი შენი მიწისა, ნამატი შენი ცხვარ-ძროხისა.
- ¹⁹წყეულიმც იყავ შინ შესული და წყეულიმც იყავ გარეთ გამოსული.
- ²⁰მოგივლენს უფალი წყევლას, არეულობას და წარუმატებლობას შენი ხელის ყოველ საქმეში, რასაც კი გააკეთებ, ვიდრე არ მოისპობი და არ დაიღუპები ადრე და მალე შენი ბოროტი საქმეების გამო, რადგან მე მიმატოვე.
- ²¹მოგივლენს უფალი შავ ჭირს, ვიდრე არ ამოიძირკვები იმ მიწიდან, რომლის დასამკვიდრებლადც მიდიხარ.
- ²²მოგსრავს უფალი ჭლექით და ციებ-ცხელებით, ანთებითა და ხურვებით, გვალვით, ხორშაკითა და სიყვითლით; და ეს უბედურებანი დევნას დაგიწყებენ, ვიდრე არ დაგლუპავენ.



- ²³ცა თავზე ბრინჯაოდ გექცევა, და მიწა, რომელიც შენს ფერხთ ქვეშაა – რკინად.
- ²⁴წვიმის წილ უფალი შენს მიწას მოსცემს ნაცარ-მტვერს ზეციდან და ზედ დაგივა, ვიდრე არ მოისპობი.
- ²⁵დაგამხობს უფალი შენი მტრების წინაშე. ერთი გზით გახვალ მათ წინააღმდეგ და შვიდი გზით გამოექცევი მათ; და გაიფანტები ქვეყნის ყველა სამეფოში.
- ²⁶და შენი გვამი ცის ფრინველთა და ტყის ნადირთა საჯიჯგნი გახდება, და არავინ გამოჩნდება მათი მომგერიებელი.
- ²⁷მოგსრავს უფალი ეგვიპტური წყლულით, ბუგრით, მუნით და ქეცით, რომელთაც ვერ გაექცევი.
- ²⁸მოგსრავს უფალი სიგიჟით და სიბრმავით, და შეშლილობით;
- ²⁹და ივლი ხელის ცეცებით შუადღის გულზე, როგორც ბრმა დადის წყვილიაღში; ხელი მოგეცარება შენს გზებზე და იქნები დათრგუნული და გაძარცვული მთელი შენი დღე და მოსწრება, და არ გეყოლება შემწე;
- ³⁰ქალს დანიშნავ და სხვა კაცი დაწვება მასთან; სახლს აიშენებ და შიგ ვერ იცხოვრებ; ვაზს ჩაყრი და არ გელირსება მისი მოსთვლა;
- ³¹შენს ხარს თვალწინ დაგიკლავენ და შენ ვერ შეჭამ მის ხორცს; სახედარს მოგტაცებენ და აღარ დაგიბრუნებენ; შენს ფარას შენი მტერი გაირეკავს და შემწე არ გეყოლება;
- ³²შენს ძეთ და შენს ასულთ სხვა ხალხები, დაიმონებენ, თვალები დაგაწყდება დღედაღამ მათ გზაზე ყურებით და მკლავში აღარ გექნება ძალა;
- ³³შენი მიწის ნაყოფს და მთელ შენს ნაოფლარს სხვა ხალხი შეჭამს, რომელსაც არ იცნობდი. და იქნები დღენიადაგ დათრგუნული და დამსხვრეული;
- ³⁴და შეიშლები სანახავით, რასაც იხილავენ შენი თვალები;
- ³⁵დაგიწყლულებს უფალი მუხლებსა და წვივებს, რომლისგანაც ვერ განიკურნები; ის წყლულები დაგფარავს თავით ფეხთამდე;
- ³⁶და წაგიყვანთ უფალი შენ და შენს მეფეს, რომელსაც დაიდგენ, ხალხთან, რომელსაც არ იცნობდით შენ და შენი მამები, და ემსახურები იქ სხვა ღმერთებს – ქვასა და ხეს;
- ³⁷საფრთხოებლად, თითოთ საჩვენებლად და სამასხროდ შეიქნები ყველა ხალხებში, სადაც კი წაგიყვანს უფალი.



- ³⁸მრავალ თესლს გაიტან მინდორში და ცოტას მოიმკი, რადგან კალია გადაჭამს მას;
- ³⁹ვენახს გააშენებ და დაამუშავებ, მაგრამ ვერ მოისთვლი და ღვინოს ვერ შესვამ, რადგან ყურძენს ჭია შეჭამს;
- ⁴⁰ზეთისხილი გექნება მთელ მიწა-წყალზე და ზეთით ვერ გაიპოხები, რადგან უჟამოდ გასცვივა ნაყოფი;
- ⁴¹ძეებსა და ასულებს შობ და შენები არ იქნებიან, რადგან ტყვედ გაირეკავენ მათ;
- ⁴²ყოველ შენს ხეს და შენი მიწის ნაყოფს კალია გადაჭამს;
- ⁴³ხიზანი, რომელიც შენს წიაღშია, ამალღდება, შენ კი დაბლა დაეშვები;
- ⁴⁴ის გასესხებს, შენ კი ვერ ასესხებ მას; ის თავი იქნება, შენ კი – ბოლო.
- ⁴⁵და მოგეწევა ყოველი ეს წყევლა, და დაგედევნება ვიდრე არ მოისპობი, რადგან არ ისმინე უფლის, შენი ღმერთის, ხმა და არ დაიცავი მისი მცნებები და მისი წესები, რომლებიც მან გამოგიცხადა.
- ⁴⁶ნიშნებად და სასწაულებად იქნება ეს უკუნისამდე შენთვის და შენი თესლისთვის.
- ⁴⁷და რაკი არ ემსახურებოდი უფალს, შენს ღმერთს, სიხარულითა და კეთილი გულით, როცა დოვლათით იყავი ჩაქცეული,
- ⁴⁸შენს მტრებს მოემსახურები, რომელთაც მოგისევს უფალი, შიმშილში, წყურვილში, სიშიშვლე-სიტიტვლესა და ყოველგვარ გასაჭირში მყოფს; და ქედზე დაგადგამს რკინის უღელს, რომ საბოლოოდ გაგანადგუროს.
- ⁴⁹უფალი მოგისევს ხალხს შორი ქვეყნის კიდეებიდან, რომლებიც ორბივით დაგაცხრებიან, და ეს იქნება ხალხი, რომლის ენასაც ვერ გაიგებ,
- ⁵⁰მოდალადე ხალხი იქნება, რომელიც მოხუცს პატივს არ სცემს და ჭაბუკები არ ებრალება.
- ⁵¹და შეჭამს იგი შენი საქონლის ნამატს და შენი მიწის ნაყოფს, სანამ არ მოისპობი ისე, რომ არ დაგიტოვებს არც პურს, არც ღვინოს, არც ზეთს, არც შენი ნახირისა და ფარების ნამატს, რომ საბოლოოდ გაგანადგუროს.
- ⁵²და შეგავიწროვებს ყველა შენს კარიბჭეში, სანამ არ დაამხოვს შენს მაღალ და მტკიცე გალავნებს, რომელთა იმედიცა გაქვს. მთელს შენს ქვეყანას მოიქცევს ალყაში და ყველა შენს კარიბჭეს, მთელს შენს ქვეყანაში, რომელიც მოგცა უფალმა, შენმა ღმერთმა.



⁵³და შექამ შენი მუცლის ნაყოფს, შენი ვაჟებისა და ასულების ხორცს, რომელიც მოგცა უფალმა, შენმა ღმერთმა, ალყაში და გასაჭირში, რომლითაც შეგავიწროვებს შენი მტერი.

⁵⁴თქვენში ნაფოფინები და ნებივრად გაზრდილი კაცი უმოწყალო თვალთ დაუწყებს ყურებას თავის ძმას, თავის უბეში მყოფ ცოლს და თავის შვილებს, რომლებიც მას კიდევ შერჩა.

⁵⁵არ მისცემს არც ერთ მათგანს თავისი შვილების ხორცს, რომელსაც თავად ჭამს, რადგან არ დარჩება მას არაფერი ალყასა და გასაჭირში, რომლითაც შეგავიწროვებს შენი მტერი ყველა შენს კარიბჭეში.

⁵⁶თქვენში ნაზად და ნანებივრები ქალი, რომელსაც ნებივრობისა და სინაზის გამო მიწაზე ფეხი არ დაუკარებია, უწყალო თვალთ შეხედავს თავის თანამეცხედრეს, თავის ძეს და თავის ასულს,

⁵⁷და თავის მომყოლს, რომელიც გამოდის მისი წიაღიდან, და თავის შვილებს, რომელთაც გააჩენს, რადგან ფარულად შექამს ყველაფერს გაჭირვებისას, როცა შეგავიწროვებს მტერი შენს კარიბჭეებში.

⁵⁸თუ არ დაიცავ და არ შეასრულებ ამ რჯულის ყოველ სიტყვას, რომელიც ამ წიგნშია ჩაწერილი, რათა გაშინებდეს ეს დიდი და მრისხანე სახელი – უფალი, შენი ღმერთი,

⁵⁹უფალი შეგყრიტ შენ და შენს შთამომავლობას გაუგონარ სატკივრებს, დიდ და უკურნებელ წყლულებს, ბოროტ და უკურნებელ სნეულებებს.

⁶⁰და შემოგიქცევს ეგვიპტის ყველა სნეულებას, რომლისაც გეშინოდა, და შეგეყრება.

⁶¹აგრეთვე ყველა სნეულებასა და წყლულს, რომელიც არ სწერია ამ რჯულის წიგნში, მოგივლენს უფალი, სანამ არ მოისპობი.

⁶²და მცირედნი დარჩებით, ცის ვარსკვლავებით მრავალრიცხოვანი რომ იყავით, რადგან არ გაიგონე უფლის, შენი ღმერთის, ხმა.

⁶³და როგორც ხარობდა უფალი თქვენს გამო, როცა სიკეთეს გიკეთებდათ და გამრავლებდათ, ასევე გაიხარებს უფალი, როცა დაგლუპავთ და მოგსრავთ და აღმოიფხვრებით იმ მიწიდან, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხართ.

⁶⁴და გაგფანტავთ უფალი ყველა ხალხებში ქვეყნის კიდიდან ქვეყნის კიდედე, და დაუწყებთ მსახურებას იქ სხვა ღმერთებს, რომელთაც არ იცნობდით შენ და შენი მამები – ქვასა და ხეს.



⁶⁵და იმ ხალხშიც ვერ იგრძნობთ შვებას და ფეხს ვერ დაასვენებთ; და მოგცემს უფალი იქ მწუხარე გულს, თვალთა კლებას და სულის ჭმუნვას.

⁶⁶ბეწვზე ეკიდება შენს წინ შენი სიცოცხლე, შიშში იქნები დღისით და ღამით და დაგეკარგება სიცოცხლის სასო.

⁶⁷დილით იტყვი: ოჰ, ნეტავ სადამო იყოსო! და სადამოს იტყვი: ოჰ, ნეტავ დილა იყოსო! იმ შიშის გამო, რითაც სავსე გექნება გული და იმ სანახავის გამო, რასაც დაინახავ.

⁶⁸და დაგაბრუნებს უფალი ეგვიპტეში გემებით იმ გზაზე, რომელზეც გითხარი: აღარ იხილავ-მეთქი მას! და იქ თავს შეაძლევთ თქვენს მტრებს მსახურებად და მხევლებად, მაგრამ მყიდველი არავინ იქნება.“

მეორე რჯული 29

¹აჰა, სიტყვები აღთქმისა, რომელიც გამოუცხადა უფალმა მოსეს მოაბის ქვეყანაში, გარდა იმ აღთქმისა, რომელიც დაუდო მათ ხორებში.

²და მოუხმო მოსემ მთელს ისრაელს და უთხრა: „ყველაფერი იხილეთ, რაც დამართა უფალმა ეგვიპტის ქვეყანაში ფარაონს და ყველა მის მსახურსა და მთელ მის ქვეყანას თქვენს თვალწინ!

³ის დიდი განსაცდელები, რომლებიც იხილეს შენმა თვალებმა, ის დიდი ნიშნები და სასწაულები.

⁴მაგრამ დღემდე არ მოუცია უფალს შენთვის გული მისახვედრად, თვალნი სახილველად და ყურნი მოსასმენად.

⁵და გატარებდი ორმოც წელიწადს უდაბნოში. არ გაგცვეთია ტანზე სამოსელი და ფეხზე – ხამლი.

⁶პური არ გიჭამიათ და ღვინო და თაფლუჭი არ გისვამთ, რათა გცოდნოდეთ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი.

⁷და აჰა, როცა თქვენ მოხვედით ამ ადგილას, ჩვენს წინააღმდეგ საომრად გამოვიდნენ: სიხონი – ხეშბონის მეფე და ყოგი – ბაშანის მეფე, და ჩვენ დავამარცხეთ ისინი.

⁸და ავიღეთ მათი ქვეყანა, და მივეცით ის სამკვიდროდ რეუბენის ტომს, გადის ტომსა და მანაშეს ნახევარტომს.

⁹დაიცავით ამ აღთქმის სიტყვები და შეასრულეთ, რათა ხელი მოგემართოთ ყველა საქმეში, რასაც დაიწყებთ.



- ¹⁰ ყველანი დგახართ დღეს უფლის, თქვენი ღმერთის, წინაშე: თქვენი ტომების თავკაცი, თქვენი უზუცესები, თქვენი განმკარგულებლები, მთელი ისრაელიანობა,
- ¹¹ თქვენი პატარები, თქვენი ცოლები, შენი ხიზანი, რომელიც შენი ბანაკის წიაღშია – შეშის მჩეხავიდან წყლის მზიდავამდე,
- ¹² რათა შემოხვიდე უფლის, შენი ღმერთის აღთქმაში და მის ფიცში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი გიდებს დღეს,
- ¹³ რათა დაგაყენოს დღეს თავის ერად. და თვითონ შენი ღმერთი გახდეს, როგორც გითხრა და როგორც შეჰფიცა შენს მამებს: აბრაამს, ისააკსა და იაკობს.
- ¹⁴ და მხოლოდ თქვენთან როდი ვდებ მე ამ აღთქმას და ამ ფიცს,
- ¹⁵ არამედ მათთანაც, ვინც ჩვენთან ერთად დგას დღეს აქ უფლის, ჩვენი ღმერთის, წინაშე და მათთანაც, ვინც ჩვენთან ერთად არ არიან აქ დღეს.
- ¹⁶ რადგან თქვენ იცით, როგორ ვცხოვრობდით ჩვენ ეგვიპტის ქვეყანაში და როგორ გამოვალწიეთ იმ ხალხებში, რომელთა შორისაც თქვენ გამოიარეთ.
- ¹⁷ და თქვენ იხილეთ მათი სისამაგლეები და მათი კერპები, რაც ჰქონდათ, ქვისა და ხისა, ვერცხლისა და ოქროსი.
- ¹⁸ ნუ იქნება თქვენში კაცი ან ქალი, ან საგვარეულო, ან ტომი, რომლის გულიც მიიქცევა დღეს უფლისაგან, ჩვენი ღმერთისაგან, რათა წავიდეს და ემსახუროს იმ ხალხების ღმერთებს! ნუ იქნება თქვენში ფესვი შხამისა და მიმწარის აღმომაცენებელი!
- ¹⁹ ამ საწყევარი სიტყვების მომსმენი კაცი, თავს ნუ ინუგემებს თავის გულში და ნუ იტყვის: მშვიდობა არ მომაკლდება, თუმცა კი ჩემი გულის ნებაზე დავდივარო. და ამგვარად ცოდვილი უცოდველს გადაიყოლებს.
- ²⁰ არ ისურვებს უფალი მის პატიებას, რადგან აღეგზნება მაშინ უფლის რისხვა და მისი შური იმ კაცზე, და ეწევა მას ყოველი წყევლა, რაც ამ გრაგნილზეა დაწერილი, და წაშლის უფალი მის სახელს ცისქვეშეთიდან.
- ²¹ და გამოაცალკევებს მას უფალი დასალუპად ისრაელის ყველა ტომიდან, ამ რჯულის გრაგნილზე დაწერილი აღთქმის ყოველი წყევლის თანახმად.
- ²² და იტყვის მომავალი თაობა, თქვენი ძენი, რომელნიც თქვენს შემდეგ გაჩნდებიან, და უცხოელი, რომელიც მოვა შორეული ქვეყნიდან და იხილავს ამ ქვეყნის წყლულებს და მის სნეულებებს, რითაც დაასნეულა იგი უფალმა,



²³ნახავენ გოგირდსა და მარილს, ნახანძრალ მიწას, სადაც უკვე აღარაფერი დაითესება და არ აღმოცენდება არც ერთი ღერი ბალახი, როგორც დაიქცა სოდომი და გომორა, ადმა და ცებოიმი, ქალაქები, რომლებიც დააქცია უფალმა რისხვითა და წყრომით.

²⁴და იტყვის ყველა ხალხი: ‘რისთვის მოექცა უფალი ასე ამ ქვეყანას? რის გამო მოხდა ეს დიდი რისხვა?’

²⁵და მიუგებენ: ‘იმიტომ, რომ მიატოვეს უფლის, თავიანთი მამების ღმერთის, აღთქმა, რომელიც მან დაუდო მათ, როცა ეგვიპტის ქვეყნიდან გამოჰყავდა.’

²⁶და წავიდნენ და ემსახურნენო სხვა ღმერთებს, და თაყვანი სცეს მათ, – ღმერთებს, რომელთაც არ იცნობდნენ და რომლებიც უფალს არ უწილხვედრებია მათთვის.

²⁷და აღიგზნო რისხვა უფლისა იმ ქვეყანაზე, რათა მოევლინა მასზე მთელი წყევლა, რომელიც ამ გრაგნილზეა დაწერილი.

²⁸და განდევნა ისინი უფალმა მათი მიწიდან რისხვით, მძვინვარებითა და დიდი წყრომით. და გადაყარა სხვა ქვეყანაში, როგორც დღეს არიანო.

²⁹დაფარული უფალს, ჩვენს ღმერთს, ეკუთვნის, გაცხადებული კი – ჩვენ და ჩვენს შვილებს უკუნისამდე, რათა შევასრულოთ ამ რჯულის ყველა სიტყვა.

მეორე რჯული 30

¹და როცა აგიცხადდება ყველა ეს სიტყვა – კურთხევაცა და წყევლაც, რომლებიც გადმოვეცი შენს წინაშე, და მიიტან მას შენს გულთან, ყველა იმ ხალხებს შორის მყოფი, სადაც გაგდევნის უფალი, შენი ღმერთი,

²და მიუბრუნდებით უფალს, თქვენს ღმერთს, და შეისმენთ მის ხმას ყველაფერში, როგორც მე გამცნებთ დღეს, შენ და შენი ძენი მთელი გულით და მთელი სულით,

³მაშინ დააბრუნებს უფალი, შენი ღმერთი, შენს ტყვეებს და შეგიწყალებს, და კვლავ შეგკრებს ყველა ხალხიდან, რომელთა შორისაც გაგფანტა უფალმა, შენმა ღმერთმა.

⁴ცის კიდემდეც რომ იყო გაფანტული, იქიდანაც კი შემოგკრებს უფალი, შენი ღმერთი, და წამოგიყვანს.

⁵და მიგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომელსაც ფლობდნენ შენი მამები, და შენც დაიმკვიდრებ მას. და სიკეთეს გიზამს და გაგამრავლებს შენს მამებზე მეტად.



⁶და წინადასცვეთს უფალი, შენი ღმერთი, შენს გულს და შენი შთამომავლობის გულს, რათა გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, მთელი შენი გულითა და მთელი შენი სულით, რათა იცოცხო.

⁷და მოაწევს უფალი, შენი ღმერთი, მთელ ამ წყევლას შენს მტრებზე და შენს მოძულეებზე, რომელნიც გდევნიდნენ შენ.

⁸შენ კი მოიქცევი და შეისმენ უფლის ხმას და შეასრულებ ყველა მის მცნებას, რომელსაც მე გიბრძანებ დღეს.

⁹და აღავსებს სიუხვით უფალი, შენი ღმერთი, ყველაფერს, რასაც შენი ხელით გააკეთებ – შენი მუცლის ნაყოფს, შენი პირუტყვის ნამატს, შენი მიწის მოსავალს სასიკეთოდ, რადგან უფალი კვლავ გაიხარებს შენით სასიკეთოდ, როგორც შენი მამებით ხარობდა,

¹⁰თუ შეისმენ უფლის, შენი ღმერთის, ხმას, რათა დაიცვა მისი მცნებანი და მისი წესები, რომლებიც დაწერილია ამ რჯულის გრაგნილზე, და თუ დაუბრუნდები უფალს, შენს ღმერთს, მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით.

¹¹რადგან ეს მცნება, რომელსაც მე გიბრძანებ დღეს, არ არის შენთვის ძნელი და მიუწვდომელი.

¹²ცაში არ არის იგი, რომ თქვა: ‘ვინ ავა ჩვენთვის ზეცაში და ვინ ჩამოგვიტანს მას, ვინ შეგვასმენს მას, რომ შევასრულოთ?’

¹³არც ზღვის გაღმაა იგი, რომ თქვა: ‘ვინ გადალახავს ჩვენთვის ზღვას და წამოგვიღებს მას და შეგვასმენს, რომ შევასრულოთ?’

¹⁴რადგან ეს სიტყვა ძალზე ახლოსაა შენთან: ის შენს ბაგეებშია და შენს გულშია, რათა შეასრულო იგი.

¹⁵აჰა, დღეს მე დავდე შენს წინაშე სიცოცხლე და სიკვდილი, სიკეთე და ბოროტება.

¹⁶და გიბრძანებ დღეს, რათა გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, რათა იარო მისი გზებით და დაიცვა მისი მცნებანი, მისი წესები და კანონები, და იცოცხო და გამრავლდები, და გაკურთხეხს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ.

¹⁷ხოლო თუ გადაუხვევს შენი გული, და არ შეისმენ, და გზას ასცდები, და სხვა ღმერთებს სცემ თავყვანს და მოემსახურები მათ,

¹⁸მე დღეს გიცხადებთ, რომ დაიღუპებით და ვერ იდღეგრძელებთ იმ მიწაზე, რომლისთვისაც გადადიხართ იორდანეზე, რათა მიხვიდეთ იქ მის დასამკვიდრებლად.



¹⁹მოწმეა დღეს თქვენს წინაშე ცა და დედამიწა, რომ სიცოცხლე და სიკვდილი, კურთხევა და წყევლა დაგიდევს წინ, ამოირჩიე სიცოცხლე, რათა იცოცხოლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ,

²⁰რათა გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, რათა ისმინო მისი ხმა და შეეკვეთო მას. რადგან იგია შენი სიცოცხლე და შენი დღეგრძელობა, რათა იცხოვრო იმ მიწაზე, რომლის მიცემაც ფიცით აღუთქვა უფალმა შენს მამებს: აბრაამს, ისააკსა და იაკობს.“

მეორე რჯული 31

¹და წავიდა მოსე და ელაპარაკა ეს სიტყვები მთელ ისრაელს,

²და უთხრა მათ: „120 წლისა ვარ მე დღეს. აღარ შემიძლია გამოსვლა და შესვლა. და უფალმა მითხრა: ვერ გადახვალ შენ იორდანეზე.

³თქვენ თავად უფალი, თქვენი ღმერთი, გაგიძლევბათ წინ. ის გაანადგურებს იქ მცხოვრებ ხალხებს თქვენს წინაშე და დაგამკვიდრებთ იმ მიწაზე. იესო წაგიძლევბათ თქვენ, როგორც უფალმა თქვა.

⁴და ისევე მოექცევა უფალი იმ ხალხებს, როგორც მოექცა სიხონსა და ყოგს – ამორეველთა მეფეებს – და მათ ქვეყანას, სადაც გაწყვიტა ისინი.

⁵და თქვენს ხელში ჩაყრის მათ უფალი, და თქვენ მოექცეით მათ ისე, როგორც მე გაუწყეთ.

⁶გამაგრდით და განმტკიცდით, ნუ შეგეშინდებათ და ნუ შეძრწუნდებით მათ წინაშე, რადგან თავად უფალი, თქვენი ღმერთი, მოდის თქვენთან ერთად. ის არ დაგაგდებთ და არ მიგატოვებთ.“

⁷და მოუხმო მოსემ იესოს და უთხრა მთელი ისრაელის წინაშე: „გამაგრდი და განმტკიცდი, რადგან შენ შეიყვან ამ ხალხს იმ ქვეყანაში, რომლის მიცემაც ფიცით აღუთქვა უფალმა მათ მამებს, და შენ დაუმკვიდრებ მათ იმ მიწას.

⁸თავად უფალი წაგიძლევბა შენ, იგი იქნება შენთან, არ დაგაგდებს და არ მიგატოვებს. ნუ შეგეშინდება და ნუ შედრკები.“

⁹და დაწერა მოსემ ეს რჯული და მისცა იგი ლევთან მღვდლებს, რომლთაც უფლის აღთქმის კიდობნის ტარება ევალებოდათ, და – ისრაელის ყველა უხუცესს.

¹⁰და უბრძანა მოსემ მათ ასე: „მეშვიდე წელს, მიტევების წელიწადს, კარვობის დღესასწაულზე,



¹¹როცა მთელი ისრაელი გამოცხადდება უფლის, თქვენი ღმერთის, წინაშე იმ ადგილას, რომელსაც უფალი ამოირჩევს, წაიკითხეთ ეს რჯული მთელი ისრაელის წინაშე მათ გასაგონად.

¹²შეკრიბე ხალხი: კაცები, ქალები და ბავშვები, და ხიზნები, რომლებიც შენს კარიბჭეებში არიან, რომ გაიგონონ და ისწავლონ, და ეშინოდეთ უფლისა, შენი ღმერთისა, და შეასრულონ და დაიცვან ამ რჯულის ყოველი სიტყვა.

¹³და მათმა შვილებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იციან ეს, გაიგონ და ისწავლონ, რომ ეშინოდეთ უფლისა, თქვენი ღმერთისა, დღენიადაგ, სანამ იცოცხლებთ მიწაზე, რომლის დასამკვიდრებლადაც გადადიხართ იორდანეზე.“

¹⁴და უთხრა უფალმა მოსეს: „აჰა, მოახლოვდა შენი სიკვდილის ჟამი. მოუხმე იესოს და დადექით საკრებულო კარავთან, და მე დავარიგებ მას.“ და წავიდნენ მოსე და იესო და დადგნენ საკრებულო კარავთან.

¹⁵და გამოეცხადა უფალი მათ კარავში, როგორც ღრუბლის სვეტი, და დადგა კარვის შესასვლელთან.

¹⁶და უთხრა უფალმა მოსეს: „აჰა, შენ მალე მიიძინებ შენს მამებთან, ეს ხალხი კი ადგება და სამეძაოდ აეკიდება იმ ქვეყნის უცხო ღმერთებს, რომელშიც ის შედის, და მე მიმატოვებს, და დაარღვევს ჩემს აღთქმას, რომელიც დავუდე მას.

¹⁷და აღიგზნება ჩემი რისხვა მასზე იმ დღეს, და მივატოვებ და დავუმაღავ ჩემს სახეს, შთაინთქმება ის და შეემთხვევა მრავალი უბედურება და გაჭირვება. და იტყვის იმ დღეს: იმიტომ ხომ არ შეემთხვა ეს უბედურება, რომ ღმერთი არ არის ჩემშიო?

¹⁸და მე დავუმაღავ ჩემს სახეს იმ დღეს ყველა იმ ბოროტების გამო, რომელსაც იზამენ, სხვა ღმერთებისკენ პირმიქცეულნი.

¹⁹და ახლა ჩაიწერეთ ეს გალობა, და ასწავლეთ ისრაელიანთ იგი, ჩაუდევი მათ ბაგეებში, რომ მემოწმებოდეს ეს სიმღერა ისრაელიანებთან,

²⁰რადგან მე მათ შევიყვანე იმ ქვეყანაში, რომელიც ფიცით აღვუთქვი მათ მამებს, სადაც მოედინება რძე და თაფლი, და შეჭამენ ისინი და გაძლებიან და გასუქდებიან, და მიბრუნდებიან სხვა ღმერთებისკენ, და მათ მოემსახურებიან, და განმარისხებენ, და ჩემს აღთქმას დაარღვევენ.

²¹და, როცა შეემთხვევათ მათ მრავალი უბედურება და გაჭირვება, ეს სიმღერა მოწმედ იქნება მათ წინაშე, რადგან არ წაიშლება იგი მათი შთამომავლობის ბაგიდან; მე ვიცი მათი ზრახვა, რომელსაც ისინი



განიზრახავენ დღეს, სანამ შევიყვანდე იმ ქვეყანაში, რომელიც ფიცით აღვუთქვი.“

22 და ჩაწერა მოსემ ეს სიმღერა იმ დღეს და შეასწავლა იგი ისრაელის ძეთ.

23 და უბრძანა უფალმა იესო ნავეს ძეს და უთხრა: „გამაგრდი და განმტკიცდი, რადგან შენ შეიყვან ისრაელის ძეთ იმ ქვეყანაში, რომელიც მე მათ ფიცით აღვუთქვი, და მე ვიქნები შენთან.“

24 და როცა დაასრულა მოსემ ამ რჯულის სიტყვების ჩაწერა გრაგნილში,

25 ასე უბრძანა ლევიანებს, უფლის აღთქმის კიდობნის მტვირთველთ:

26 „აიღეთ ეს რჯულის გრაგნილი და დადეთ იგი უფლის, თქვენი ღმერთის, აღთქმის კიდობნის გვერდით, და იყოს იქ მოწმედ თქვენს წინააღმდეგ.

27 რადგან მე ვიცი თქვენი ურჩობა და თქვენი სიჯიუტე: და აჰა, როცა მე ვცხოვრობ თქვენთან დღეს, ეურჩებით უფალს, და რაღას იზამთ ჩემი სიკვდილის შემდეგ?

28 შემიკრიბეთ თქვენი ტომების ყველა უხუცესი და თქვენი ზედამხედველნი და მე ვიტყვი მათ გასაგონად ამ სიტყვებს, და მათ წინააღმდეგ მოწმედ მოვიყვან ცასა და მიწას.

29 მე ვიცი, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ გაირყვნებით და გადაუხვევთ იმ გზიდან, რომელიც მე გიბრძანეთ. და შეგემთხვევათ უბედურება მომავალ დღეებში, რადგან ბოროტებას ჩაიდენთ უფლის თვალწინ და განარისხებთ მას თქვენი ხელის ნამოქმედარით.“

30 და წარმოთქვა მოსემ ისრაელის მთელი კრებულის გასაგონად ამ სიმღერის სიტყვები ბოლომდე:

მეორე რჯული 32

1 „ისმინე, ცაო, რას ვამბობ! ისმინოს მიწამ სიტყვანი ჩემი პირისა!

2 წვიმასავით წამოვა ჩემი სწავლება, ნამივით დაეპკურება ჩემი ნათქვამი, როგორც ისხარი მდელოზე და როგორც თქეში ბალახზე.

3 ვადიდებ უფლის სახელს! დიდება მიაგეთ ჩვენს ღმერთს!

4 სალი კლდეა იგი; სრულყოფილია საქმენი მისნი, და სამართლიანია ყოველი მისი გზა; სარწმუნოა ღმერთი და არაა მასში უსამართლობა; მართალი და წრფელია იგი;

5 შესცოდეს მას, მისმა ბიწიერმა შვილებმა. გარყვნილი და გზასაცდენილი მოდგმაა ის!



- ⁶ასე მიუზღავ უფალს, ბრიყვო და უგუნურო ხალხო? ის ხომ მამაა შენი, შენი გამჩენი, შენ ხომ მან შეგქმნა და დაგამყარა!
- ⁷გაიხსენე გარდასული დღეები და გონებით გადახედე წინა თაობათა წლებს. ჰკითხე მამაშენს და გაიმბოზს; შენს უხუცესთ და ისინი გეტყვიან.
- ⁸როცა უზენაესი სამკვიდროებს უნაწილებდა ხალხებს, როცა მან დააცალკევა ადამის ძენი, საზღვრები დაუდგინა ხალხებს ისრაელიანთა რიცხვისამებრ.
- ⁹რადგან უფლის წილი მისი ხალხია. იაკობი სამემკვიდრო ხვედრია მისი.
- ¹⁰უდაბურ ქვეყანაში იპოვა უფალმა ეს ხალხი, გადახრუკულ ტრამალზე. თავს ევლებოდა იგი, თვალისჩინივით უფროხილდებოდა მას;
- ¹¹როგორც ორბი ფხიზლობს თავის ბუდეზე, თავს დაჰბრუნავს მართვეებს, ფრთებს შლის, ზედ ისხამს მათ და ატარებს თავისი ფრთებით,
- ¹²ასე ატარებდა მათ უფალი – მარტო! უცხო ღმერთები არ ჰყოლია გვერდით.
- ¹³მან დაუმორჩილა მათ იმ ქვეყნის მთა-ბარი და კვებავდა მინდვრის ნაყოფით; პიტალო კლდეებიდან თაფლით და სალი კლდეებიდან ზეთით კვებავდა;
- ¹⁴ასმევდა ძროხის რძის ნაღებსა და ცხვრის რძეს, აჭმევდა ნასუქალ ბატკნებს, ბაშანურ ვერძებს და ვაცებს, ყუათიან პურს. და ღვინოს სვამდი, ყურძნის სისხლს.
- ¹⁵გასუქდა იემურუნი და მოჰყვა ტლინკვას. გათქვირდა, ჩამრგვალდა და დაივიწყა ღმერთი, თავისი შემოქმედი, მოიძულა თავისი გადარჩენის ბურჯი.
- ¹⁶შური აღუძრეს მას უცხო ღმერთებით, სისამაგლეებით განარისხეს იგი:
- ¹⁷დემონებს – ცრუღმერთს – სწირავენ მსხვერპლს, და არა თავის ღმერთს, არამედ ღმერთებს, რომელთაც არ იცნობდნენ, ახლებს, ახალმოსულთ, რომელთა შიში არ ჰქონია თქვენს მამა-პაპას.
- ¹⁸კლდე, შენ რომ გაგაჩინა, აღარ გახსოვს, და დაივიწყე ღმერთი, შენი შემოქმედი.
- ¹⁹დაინახა უფალმა, და რისხვით მოიძულა თავისი ძენი და ასულნი.
- ²⁰და თქვა: ‘დავუმალავ ჩემს სახეს და ვნახავ, რა ბოლო ექნებათ, რადგან უკუღმართი თაობაა ის, ძენი, რომლებშიც არ არის ერთგულება;



²¹მათ განმარისხეს თავისი არაღმერთით და გამამწარეს თავიანთი ამაოებით; და მეც განვარისხებ მათ არახალხით, უგუნური ხალხით გავამწარებ მათ.

²²რადგან ცეცხლი გაჩაღდა ჩემი მრისხანებით და გიზგიზებს ჯოჯოხეთის ქვესკნელამდე, ნთქავს დედამიწას და მის ნაყოფს, და ბუგავს მთათა საფუძვლებს.

²³თავზე დავატებ მათ უბედურებას, მათზე გავცვეთ ჩემს ისრებს.

²⁴დაძაბუნდებიან შიმშილით, შთაინთქმებიან ციებ-ცხელებითა და მომსვრელი სენით. მხეცის ეშვს მივუშვებ მათზე, და გესლით სავსე მიწის ქვეწარმავალთ.

²⁵გარეთ მახვილმა მოსრას, შინ – ძრწოლამ ჭაბუკნი, ქალწულნი, ძუძუთა ყმაწვილნი, ჭაღარა მოხუცები.

²⁶და ვთქვი: გავფანტავ-მეთქი მათ, წავშლი კაცთა მოდგმიდან მათ სახსენებელს,

²⁷მტრის ღვარძლს რომ არ ვერიდებოდე, რომ მისი წინაღმდგომნი არ გაკადნიერდნენ და არ თქვან: დიდია ჩვენი ძალა, უფალს არ გაუკეთებიაო ეს ყველაფერი.’

²⁸რადგან ისრაელიანთ განსჯა აღარ აქვთ.

²⁹სიბრძნე რომ ჰქონოდათ, მიხვდებოდნენ ამას, განჭვრეტდნენ თავიანთ ბოლოს.

³⁰ერთი როგორ განდევნის ათასს და ორნი როგორ გააქცევენ ათი ათასს? თუ მათმა კლდემ არ გაწირა, თუ უფალმა არ ჩაუგდო ხელში?

³¹რადგან მათი კლდე არ ჰგავს ჩვენს კლდეს. და თავად ჩვენი მტრები განსჯიან ამას.

³²რადგან სოდომის ვენახებიდანაა მათი ვაზი, და გომორადანაა მათი ლერწი; მათი ყურძენი ნაღველივითაა და მწარეა მისი მტევანი.

³³მათი ღვინო გველეშაპის გესლია და ასპიტთა უკურნებელი გესლი.

³⁴ის ხომ ჩემთანაა დამარხული, ჩემს საგანძურებშია დაბეჭდილი,

³⁵მე მივაგებ შურს, მე მივუზღავ, როცა წაიფორხილებენ, რადგან ახლოა მათი დაღუპვის დღე, ისწრაფვის მათი ბედისწერა.

³⁶რადგან თავად უფალი განიკითხავს თავის ერს და შეიწყალებს თავის მსახურთ, როცა დაინახავს, რომ ღონე მიხდილი აქვთ და აღარ არის აღარც მონა, აღარც აზატი.



³⁷და იტყვის იგი: ‘სად არიან მათი ღმერთები, კლდე, რომლითაც ისინი სასოობდნენ?’

³⁸რომლებიც ჭამდნენ მათ მსხვერპლთა ლურთებს და სვამდნენ მათი ზედაშეს ღვინოს? აბა, ადგნენ და მოგეშველონ, მფარველად გაგიხდნენ!

³⁹იხილეთ ახლა, რომ მე ვარ ერთი, და არ არის სხვა ღმერთი, ჩემს გარდა! მე ვკლავ და ვაცოცხლებ, მე ვგმირავ და ვკურნავ, და ვერავინ დაიხსნის ჩემი ხელიდან.

⁴⁰რადგან ხელს აღვმართავ ზეცისკენ და ვამბობ: მე ცოცხალი ვარ უკუნისამდე!

⁴¹როცა გავლესავ ჩემს ელვარე მახვილს და ხელს მივყოფ განკითხვას, ჩემს მტრებს შურს მივაგებ და ჩემს მოძულეებს მივუზღავ.

⁴²სისხლით დავათრობ ჩემს ისრებს, გაძლება ხორციტ ჩემი მახვილი, დახოცილთა და ტყვეთა სისხლით, მტრის მთავართა თავებით.’

⁴³წარმართო, ადიდეთ მისი ერი; რადგან აიღებს თავის მონათა სისხლს, და შურს მიაგებს თავის მტრებს, და შეუწოდებს თავის მიწას და თავის ერს.“

⁴⁴და მივიდა მოსე და წარმოთქვა ამ სიმღერის ყოველი სიტყვა მათ გასაგონად. და მასთან იყო იესო, ნავეს მე.

⁴⁵და როცა დაასრულა მოსემ ყოველი ამ სიტყვის წარმოთქმა მთელი ისრაელის მიმართ,

⁴⁶კვლავ უთხრა მათ: „გულში ჩაიბეჭდეთ ყოველი სიტყვა, რომელსაც მე გიმოწმებთ დღეს, რათა უბრძანოთ თქვენს ძეგებს, რომ დაიცვან და შეასრულონ ამ რჯულის ყოველი სიტყვა.

⁴⁷რადგან ეს არ არის ფუჭი სიტყვა თქვენთვის, არამედ ეს არის თქვენი სიცოცხლე და ამით იდღეგრძელებთ იმ მიწაზე, რომლის დასამკვიდრებლადაც გადადიხართ იორდანეზე.“

⁴⁸და ელაპარაკა უფალი მოსეს იმავე დღეს და უთხრა:

⁴⁹„ადი ყაზარიმის მთებში – ნებოს მთაზე, რომელიც მოაბის ქვეყანაშია, იერიხოს პირდაპირ, და გადახედე ქანაანის ქვეყანას, რომელსაც სამფლობელოდ ვაძლევ ისრაელიანთ.

⁵⁰და მოკვდი მთაზე, რომელზეც ახვალ, და შეეძინე შენს ერს, როგორც მოკვდა აარონი, შენი ძმა, ჰოროს მთაზე, და შეეძინა თავის ერს,

⁵¹იმის გამო, რომ მიმტყუნეთ ისრაელიანთა შორის, მერიხათ-კადემის წყლებთან, ცინის უდაბნოში, იმის გამო, რომ არ მომეპყარით, როგორც წმიდას ისრაელის ძეთა შორის.



⁵²რადგან შორიდან დაინახავ ქვეყანას, იქ კი ვერ შეხვალ, იმ ქვეყანაში, რომელსაც მე ვაძლევ ისრაელიანთ.“

მეორე რჯული 33

¹ეს არის კურთხევა, რომლითაც აკურთხა მოსემ, ღვთისკაცმა, ისრაელიანები თავისი სიკვდილის წინ.

²მან თქვა: „უფალი სინაიდან მოვიდა, სეყირიდან ამოუბრწყინდა მათ, ფარანის მთიდან ამონათდა და გამოჩნდა წმიდათა ბევრეულით, მარჯვენით რჯულის შარავანდი ჰქონდა.

³უყვარს უფალს თავისი ხალხი! ყოველი წმიდა შენს ხელშია, უფალო, ყველა ისინი შენს ფეხებთან ტრიალებენ და ასრულებენ შენს ბრძანებებს.

⁴რჯული მოსემ მოგვცა, უძღვნა იგი იაკობის კრებულს.

⁵და დადგა მეფე იეშურუნის სათავეში, როცა შეიკრიბნენ ხალხის თავკაცნი, როცა ისრაელის ტომები შეიკრიბნენ.

⁶იცოცხლოს რეუბენმა და ნუ მოკვდება; და იყოს მისი ხალხი რიცხვმრავალი!

⁷და ეს თქვა იუდაზე: ‘ისმინე, უფალო, იუდას ხმა და მიიყვანე თავის ხალხთან იგი. მისი ხელი იბრძოლებს მისთვის და მტერთაგან შემწედ შენ ეყოლები.’

⁸და ლევიზე თქვა: ‘შენი თუმიმი და ურიმი დარჩეს შენს წმიდა კაცთან, რომელიც მასაში გამოსცადე, და ედავე – მერიბას წყლებთან,

⁹რომელიც ამბობს თავის მამასა და დედაზე: მე ისინი არ მინახავსო, ხოლო თავის ძმებზე: მე მათ არ ვიცნობო, და თავის ძეზე, ლევიაზე: მე მისი არაფერი ვიციო. რადგან ისინი იცავენ შენს ნათქვამს და ინახავენ შენს აღთქმას,

¹⁰ასწავლიან შენს კანონებს იაკობს და შენს რჯულს აუწყებენ ისრაელს, საკმეველს დებენ შენს წინაშე და სრულადდასაწველს – შენს საკურთხეველზე.

¹¹აკურთხე, უფალო, მისი ძალა, და კეთილად მოხედე მისი ხელის ნაღვაწს. წელი მოსწყვიტე მის მოწინააღმდეგეებსა და მოძულეებს, რომ ფეხზე ვეღარ დადგნენ.’

¹²და ბენიამინზე თქვა: ‘უფლის საყვარელი უშიშრად ცხოვრობს! უფალი მფარველობს მას დღენიადაგ, და იგი დავანებულია უფლის ბეჭთა შორის.’



- ¹³და იოსებზე თქვა: ‘უფალმა აკურთხა მისი მიწა მადლით ცის მადლიანი ძღვენით – ნამით – და ძირს განრთხმული უფსკრულების ძღვენით,
- ¹⁴მზისგან მოცემული მადლიანი მოსავლითა და მთვარის მადლიანი ნაყოფით,
- ¹⁵და ძველი მთების პირველნაყოფით, და საუკუნო ბორცვების მადლით,
- ¹⁶და მიწის მადლით და მისი სისავსით. მაყვლოვანში დავანებულის წყალობა გადმოვიდეს იოსების თავზე და მის ძმათა შორის გამორჩეულის კეფაზე.
- ¹⁷მას პირველნაშობი კუროს ბრწყინვალეობა აქვს, რქანი მისნი, რქა გარეული ხარისა; მით დარქენს ის ხალხებს მთელი ქვეყნის კიდემდე, რომლებიც არიან ათიათასები ეფრემისა და ათასეულები მანაშესი.’
- ¹⁸და ზებულუნზე თქვა: ‘იხარე, ზებულუნ, შენი გამოსვლისას; და, ისაქარ, იხარე შენს კარვებში!
- ¹⁹და მოიწვევენ მთაზე ხალხებს, იქ შესწირავენ სამართლის მსხვერპლს, რადგან ისინი ზღვათა სიუხვით საზრდოობენ და ქვიშაში დამარხული საგანძურებით.’
- ²⁰და გადზე თქვა: ‘კურთხეულია გადის განმვრცობი, ლომივით წევს და ბდღვნის ნადავლის თავ-ფეხს.
- ²¹და აირჩია თავისთვის საუკეთესო წილი, რადგან იქ იყო გადანახული რჯულმდებლის წილი. მოვიდა იგი ხალხის თავკაცებთან ერთად და აღუსრულა უფლის წესი და მისი სამართალი ისრაელს.’
- ²²და დანზე თქვა: ‘დანი ლომის ბოკვერია, ბაშანის მთებიდან გამოვარდნილი.’
- ²³და ნაფთალზე თქვა: ‘ნაფთალი მამდარია წყალობით და სავსეა უფლის კურთხევით. დასავლეთით და სამხრეთით დაემკვიდრება.’
- ²⁴და აშერზე თქვა: ‘კურთხეულია შვილთა შორის აშერი. თავისი ძმების სასურველი იქნება, დაე, ტერფები წმინდა ზეთში ჩადგას.
- ²⁵რკინისა და ბრინჯაოსა იქნება შენი კარიბჭის ურდულები; სიბერე შენი იქნება ვითარცა სიჭაბუკე შენი.’
- ²⁶არ არის იემურუნის ღმერთის სადარი, რომელიც ზეცაშია ამხედრებული შენს შემწედ და ღრუბლებში – თავისი დიდებით.
- ²⁷შენი თავშესაფარია ძველი ღმერთი, და მკლავი მარადიულისა საყრდენია შენი. მტრებს განდევნის შენი პირისგან და გეტყვის: მუსრი გაავლეო!



²⁸უშფოთველად ცხოვრობს ისრაელი, მარტო ცხოვრობს იაკობი პურისა და ღვინის ქვეყანაში; ცვარს აფრქვევს მისი ზეცა.

²⁹ბედი გქონია, ისრაელ! ვინ შეგედრება შენ, ერო, უფლის მიერ დაცულო, რომელიც შენი შეწევნის ფარია, და შენი დიდების მახვილი! შენი მტრები დაგემონებიან, და შენ ფეხით გადაჯეგავ მათი თაყვანისცემის გორაკებს.“

მეორე რჯული 34

¹და ავიდა მოსე მოაბის ველებიდან ნებოს მთაზე, ფისგას თხემზე, რომელიც იერიხოს პირდაპირაა. და უჩვენა მას უფალმა მთელი გალაადის ქვეყანა დანამდე,

²და მთელი ნაფთალი, და ქვეყანა ეფრემისა და მანაშესი, და მთელი ქვეყანა იუდასი, დასავლეთის ზღვამდე,

³და ნეგები და იერიხოს ხეობის შემოგარენი, ფინიკების ქალაქი, ცოყარამდე.

⁴და უთხრა უფალმა მას: „ეს არის ქვეყანა, რომელზეც შევფიცე აბრაამს, ისააკსა და იაკობს ასე: შენს შთამომავლობას მივცემ-მეთქი მას. საკუთარი თვალთა გახილვინე, მაგრამ ვერ შეხვალ იქ.“

⁵და მოკვდა მოსე, უფლის მსახური, მოაბის ქვეყანაში, უფლის სიტყვისამებრ.

⁶და დამარხეს იგი მოაბის ქვეყანაში, ბეთ-ფელორის პირდაპირ, ველზე, და დღემდე არავინ იცის მისი საფლავი.

⁷მოსე იყო 120 წლისა, როცა მოკვდა. თვალთ არ დაკლებია და ძალა არ გამოლევია.

⁸და დასტიროდნენ ისრაელიანები მოსეს მოაბის ველებზე 30 დღე. და მიიწურა მოსეს ტირილისა და გლოვის დღეები.

⁹და იესო, ნავეს ძე, აღივსო სიბრძნის სულით, რადგან ხელი დაასხა მას მოსემ. და ემორჩილებოდნენ მას ისრაელიანები და ისე იქცეოდნენ, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.

¹⁰და აღარ აღმდგარა წინასწარმეტყველი ისრაელში მსგავსი მოსესი, რომელსაც პირისპირ იცნობდა უფალი,

¹¹ყველა იმ ნიშნითა და სასწაულით, რომელთა მოსახდენადაც მოავლინა უფალმა მოსე ეგვიპტის ქვეყანაში ფარაონის, ფარაონის ყველა მსახურისა და მთელი მისი ქვეყნის წინააღმდეგ,



¹²იმ ძლიერი ხელით და ყოველი დიდი სასწაულებით, რომელნიც მოიმოქმედა მოსემ მთელი ისრაელის თვალწინ.



იესო ნავეს ძე

იესო ნავეს ძე 1

¹მას შემდეგ, რაც უფლის მსახური მოსე მოკვდა, უთხრა უფალმა იესო ნავეს ძეს, მოსეს მსახურს:

²„მოკვდა ჩემი მსახური მოსე. ახლა ადექი და გადალახე იორდანე მთელ ხალხთან ერთად იმ ქვეყნისაკენ, რომელსაც მე ვამლევ მათ, ისრაელის ძეთ.

³ყოველი ადგილი, რომელსაც თქვენ ფეხს დაჰკრავთ, თქვენთვის მომიცია, როგორც ვუთხარი მოსეს:

⁴უდაბნოდან და ლიბანის მთებიდან ევფრატის დიდ მდინარემდე, ხეთელების მთელი ქვეყანა; და დიდ ზღვამდე, მზის დასავალამდე, იყოს თქვენი საზღვარი.

⁵ვერავინ დაგიდგება წინ მთელი შენი სიცოცხლე. როგორც მოსესთან ვიყავი, ასევე ვიქნები შენთან. არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ.

⁶გამაგრდი და განმტკიცდი, რადგან შენ დაუნაწილებ ამ ხალხს იმ ქვეყანას, რომლის მიცემაც ფიცით აღვუთქვი მათ მამებს.

⁷ოღონდ გამაგრდი და განმტკიცდი, რათა დაიცვა შესასრულებლად მთელი რჯული, რომელიც გიბრძანა შენ მოსემ, ჩემმა მსახურმა. ნუ გადაუხვევ მისგან ნურც მარცხნივ და ნურც მარჯვნივ, რათა ყველგან ხელი მოგემართოს, სადაც კი წახვალ.

⁸ნუ განემორება რჯულის ეს წიგნი შენს ბაგეებს; მასზე ფიქრობდე დღე და ღამ, რათა დაიცვა აღსასრულებლად ყველაფერი, რაც იქ სწერია, რადგან მაშინ წარგემართება შენ გზები და მოგემართება ხელი.

⁹აჰა, მე გიბრძანებ შენ: გამაგრდი და განმტკიცდი, ნუ შედრკები და ნუ შეძრწუნდები, რადგან შენთანაა უფალი, შენი ღმერთი, ყველგან, სადაც კი წახვალ.“

¹⁰და უბრძანა იესომ ხალხის ზედამხედველთ ასე:

¹¹„გაიარეთ შუა ბანაკში და უბრძანეთ ხალხს: ‘გაიმზადეთ საგზალი, რადგან სამი დღის შემდეგ უნდა გადალახოთ იორდანე, რათა მიხვიდეთ იმ ქვეყნის მისაღებად, რომელსაც უფალი, თქვენი ღმერთი, გაძლევთ სამკვიდროდ.’ “

¹²და რეუბენის ტომს, გადის ტომსა და მანაშეს ნახევართომს უთხრა იესომ ასე:



¹³„გახსოვდეთ სიტყვა, რომელიც გიბრძანათ მოსემ, უფლის მსახურმა: ‘უფალმა, თქვენმა ღმერთმა, დაგასვენათ თქვენ და მოგცათ ეს ქვეყანა.’

¹⁴თქვენი ცოლები, თქვენი პატარები და თქვენი პირუტყვი დარჩეს აქ, იორდანეს გაღმა, მიწებზე, რომელიც მოგცათ მოსემ, – ხოლო თქვენ, მეომარნო, შეჭურვილნი წინ გაუძეხით საბრძოლო მწყობრით ისრაელიანთ. შეეწიეთ მათ,

¹⁵ვიდრე დაასვენებდეს უფალი თქვენს ძმებს, როგორც თქვენ დაგასვენათ, რათა დაიმკვიდრონ მათაც ქვეყანა, რომელსაც უფალი, თქვენი ღმერთი აძლევს მათ. და მაშინ დაბრუნდებით თქვენს სამკვიდრო ქვეყანაში და დაისაკუთრებთ მიწას, რომელიც მოგცათ მოსემ, უფლის მსახურმა, იორდანეს გაღმა, მზის აღმოსავლეთით.“

¹⁶და მიუგეს იესოს ასე: „ყველაფერს, რაც გვიბრძანე, გავაკეთებთ, და ყველგან, საითკენაც მიგვაძღვენ, წავალთ.

¹⁷როგორც ვუსმენდით მოსეს, ისე მოგისმენთ შენც; ოღონდ უფალი, შენი ღმერთი, იყოს შენთან, როგორც მოსესთან იყო!

¹⁸ყოველი კაცი, რომელიც არ დაემორჩილება შენს ბრძანებას და არ შეისმენს ყველაფერს, რასაც უბრძანებ მას, უნდა მოიკლას. შენ კი გამაგრდი და განმტკიცდი.“

იესო ნავეს ძე 2

¹და გაგზავნა იესო ნავეს ძემ შიტიმიდან ფარულად ორი მსტოვარი და უთხრა: „წადით და დაზვერეთ ის ქვეყანა და იერიხო.“ და წავიდნენ ისინი და მივიდნენ ერთი მეძავის, სახელად რახაბის, სახლში და ღამე იქ გაათიეს.

²ამბავი მოუვიდა იერიხოს მეფეს: წუხელის ისრაელიანთაგან კაცები მოსულანო ქვეყნის დასაზვერად.

³და შეუთვალა იერიხოს მეფემ რახაბს: გამოიყვანე კაცები, შენთან რომ მოვიდნენ და შენს სახლში რომ შემოვიდნენ, რადგან ჩვენი ქვეყნის დასაზვერად არიან მოსულნიო.

⁴მაგრამ ქალმა დამალა ის ხალხი და მეფის კაცებს უთხრა: „მართლაც მოვიდნენ ჩემთან ვიღაც კაცები, მაგრამ მე არ ვიცი, სადაურები იყვნენ ისინი.

⁵და როცა კარიბჭე უნდა დაკეტილიყო, დაბინდებისას, წავიდნენ ისინი. მე არ ვიცი, საით წავიდნენ ისინი. თუ დროზე დაედევნებით, შესაძლოა, მალე წამოეწიოთ.“



⁶მან კი ისინი ერდოზე აიყვანა იქ დაზვინულ სელოს ჩალაში დამალა.

⁷მეფის მდევრები მათ დაედევნენ იორდანესაკენ მიმავალი გზით, ფონებისაკენ. კარიბჭე კი მდევრების გასვლისთანავე დახურეს.

⁸და ვიდრე ისინი დაიძინებდნენ, ავიდა მათთან ერდოზე,

⁹და უთხრა იმ კაცებს: „მე ვიცი, რომ თქვენ მოგცათ უფალმა ეს ქვეყანა, და თქვენმა შიშმა მოგვიცვა, და ამ ქვეყნის მკვიდრნი შეძრწუნებულნი არიან თქვენს წინაშე.

¹⁰რადგან გაგონილი გვაქვს, როგორ დააშრო უფალმა მეწამული ზღვის წყლები თქვენს წინ, როცა ეგვიპტიდან გამოდიოდით, და რა უყავით იორდანეს გაღმელ ამორეველთა ორ მეფეს, სიხონს და ყოგს, როგორ შემუსრეთ ისინი.

¹¹და როცა გავიგეთ, შედრკა ჩვენი გული და მხნეობა აღარავის შერჩა წინ რომ აღვიდგეთ, რადგან უფალი, თქვენი ღმერთი, ეს არის ღმერთი მბრძანებელი მაღლა ცათა, და დაბლა მიწაზე.

¹²და ახლა შემომფიცეთ უფალი, რომ როგორც მე მოგექცეით წყალობით, ასევე წყალობით მოექცევით მამაჩემის სახლს; და მომეცით მე სარწმუნო ნიშანი,

¹³რომ ცოცხლად დატოვებთ მამაჩემსა და დედაჩემს, ჩემს ძმებსა და ჩემს დებს, და ყველა მათ შინაურს, და ჩვენ გვიხსნით სიკვდილისაგან.”

¹⁴და უთხრეს იმ კაცებმა: „თუ არ გათქვამ ამ ჩვენს ამბავს, ჩვენი სული თქვენს მაგიერ მიეცეს სიკვდილს, თუ როცა უფალი მოგვცემს ამ ქვეყანას, წყალობითა და ერთგულებით არ მოგექცეთ.“

¹⁵და სარკმლიდან თოკით ჩაუშვა ისინი, რადგან ქალაქის გალავანში იყო მისი სახლი და გალავანში ცხოვრობდა ის.

¹⁶და უთხრა მათ: „მთისკენ წადით, მდევრები რომ არ გადაგაწყდნენ. სამი დღე იქ დაიმაღლენით, ვიდრე მდევრები არ დაბრუნდებიან უკან, და შემდეგ წადით თქვენს გზაზე.“

¹⁷და უთხრეს მას იმ კაცებმა: „ჩვენ თავისუფალნი ვიქნებით ამ შენი ფიცისაგან, რითაც დაგვაფიცე,

¹⁸თუ, როცა ჩვენ ამ ქვეყანაში შემოვალთ, ეს მეწამული თოკი, რომლითაც ძირს ჩაგვიშვი, სარკმელს არ ექნება გამოზმული. მამაშენი და დედაშენი და შენი ძმები და მთელი შენი მამისსახლეული შეკრიბე შენთან სახლში.

¹⁹და ყველა, ვინც გარეთ გამოვა შენი სახლის კარიდან, მისი სისხლი მის თავზე იქნება, ხოლო ჩვენ თავისუფალი ვიქნებით. და ყველა, ვინც შენთან



იქნება, შენს სახლში, მისი სისხლი ჩვენს თავზე იყოს, თუ ვისიმე ხელი შეეხო მას.

²⁰და თუ შენ გათქვამ ამ ჩვენს ამბავს, მაშინ თავისუფალნი ვიქნებით შენი ფიცისაგან, რომლითაც შენ დაგვაფიცე.“

²¹და მან თქვა: „იყოს თქვენი სიტყვისამებრ!“ და გაისტუმრა ისინი. და დაადგნენ ისინი გზას, და მან მიაბა მეწამული თოკი სარკმელს.

²²და წავიდნენ და მივიდნენ მთაში და დაჰყვეს იქ სამი დღე, ვიდრე მდევარი გაბრუნდებოდა. და ეძებდა მდევარი მთელ გზაზე და ვერ იპოვეს ისინი.

²³და დაბრუნდა ეს ორი კაცი, და ჩამოვიდნენ მთიდან და გავიდნენ და მივიდნენ იესო ნავეს ძესთან, და უამბეს მას ყველაფერი, რაც შეემთხვათ.

²⁴და უთხრეს იესოს: „უფალმა ჩაგვიგდო ხელში მთელი ქვეყანა და ქვეყნის ყველა მკვიდრი შეძრწუნებულია ჩვენს წინაშე.“

იესო ნავეს ძე 3

¹და ადგა იესო დილაადრიან, და აიყარნენ შიტიმიდან და მივიდნენ იორდანესთან ის და ყველა ისრაელის ძე, და გაათიეს იქ, ვიდრე გაღმა გავიდოდნენ.

²და სამი დღის შემდეგ ზედამხედველებმა მოიარეს მთელი ბანაკი,

³და უბრძანეს ხალხს ასე: „როდესაც იხილავთ უფლის, თქვენი ღმერთის, აღთქმის კიდობანს და ლევთან მღვდლებს, რომლებიც მას ატარებენ, თქვენც აიყარებით თქვენი ადგილიდან და მათ მიჰყევით უკან.

⁴ოღონდ მანძილი იყოს თქვენსა და კიდობანს შორის 2 ათას წყრთამდე; ნუ მიუახლოვდებით მას, რათა იცოდეთ გზა, რომლითაც უნდა იაროთ, რადგან არ გივლიათ ამ გზით არც გუშინ, არც გუშინწინ.“

⁵და უთხრა იესომ ხალხს: „განიწმიდებით, რადგან ხვალ უფალი მოიმოქმედებს თქვენს შორის სასწაულებს.“

⁶და უთხრა იესომ მღვდლებს ასე: „აიღეთ აღთქმის კიდობანი და ამ ხალხის წინ იარეთ.“ და აიღეს აღთქმის კიდობანი და წავიდნენ ხალხის წინ.

⁷და უთხრა უფალმა იესოს: „ამ დღეს დავიწყებ შენს განდიდებას მთელი ისრაელის თვალწინ, რათა იცოდნენ, რომ, როგორც მოსესთან ვიყავი, შენთანაც ისევე ვიქნები.

⁸და შენ უბრძანე მღვდლებს, აღთქმის კიდობნის მტვირთვით, ასე: ‘როგორც კი იორდანეს წყლის ნაპირს მიადგებით, შეჩერდით.’“



⁹და უთხრა იესომ ისრაელის ძეთ: „მოდით აქ და მოისმინეთ უფლის, თქვენი ღმერთის, სიტყვები.“

¹⁰და თქვა იესომ: „ამით გაიგებთ, რომ ცოცხალი ღმერთია თქვენს შორის და ის განდევნის თქვენი პირისაგან ქანაანელებს, ხეთელებს, ხიველებს, ფერიზელებს და გირგაშელებს, ამორეველებსა და იებუსელებს.

¹¹აჰა, აღთქმის კიდობანი მთელი ქვეყნის უფლისა გადალახავს თქვენს წინაშე იორდანეს.

¹²და ახლა ამოირჩიეთ 12 კაცი ისრაელის ტომთაგან, თითო კაცი თითო ტომიდან.

¹³როდესაც კიდობნის, მთელი ქვეყნის უფლის კიდობნის მტვირთელი მღვდლების ფეხის ტერფები ჩადგებიან იორდანეს წყლებში, წყალი გაიპობა: მათ ქვემოთა წყალი ჩაიწრიტება, ზემოდან მომდინარე წყალი კი შეჩერდება და კედლად შედგება.“

¹⁴და აიყარა ხალხი თავისი კარვებიდან იორდანეს გადასალახავად, და აღთქმის კიდობნის მტარებელი მღვდლები გაუძღვნენ მათ წინ.

¹⁵ყანების მკის დრო იყო, როცა იორდანე წყალუხვია და ნაპირებზე გადმოდის. მაგრამ როგორც კი კიდობნის მტვირთველმა მღვდლებმა ფეხი ჩადგეს წყალში,

¹⁶ზემოდან მომდინარე წყლები შეჩერდა და კედლად აღიმართა – კარგა შორს, ადამთან, რომელიც ცართანის გვერდით მდებარეობს. და მარილოვანი ზღვისკენ მიმდინარე წყლები სრულიად ჩაიწრიტა, და ხალხმა იერიხოს პირდაპირ გადაიარა.

¹⁷და იდგნენ უფლის აღთქმის კიდობნის მტვირთველი მღვდლები მშრალზე, შუაგულ იორდანეში მყარად. და მთელი ისრაელი გადადიოდა მშრალზე, ვიდრე არ დაასრულა მთელმა ერმა იორდანეს გადალახვა.

იესო ნავეს ძე 4

¹და როცა დაასრულა მთელმა ხალხმა იორდანეს გადალახვა, უფალმა უბრძანა იესოს:

²„ამოირჩიე ხალხიდან 12 კაცი, თითო კაცი თითო ტომიდან,

³და უბრძანე მათ ასე: ‘აიღეთ აქედან, შუაგული იორდანეს ამ ადგილიდან, სადაც მტკიცედ უდგათ მღვდლებს ფეხი, 12 ქვა, თან წაიღეთ და დააწყვეთ სათევარში, სადაც ეს ღამე უნდა გაათიოთ.’ “



- ⁴და მოუხმო იესომ თორმეტ კაცს, რომლებიც განაწესა ისრაელიანთაგან, თითოს თითო ტომიდან
- ⁵და უთხრა: „გაიარეთ უფლის, თქვენი ღმერთის, კიდობნის წინ, იორდანეს შუაგულამდე, და მხარზე შეიდოს თითოეულმა თქვენგანმა თითო ქვა, ისრაელიანთა ტომების რიცხვის მიხედვით,
- ⁶რათა ეს იყოს ნიშანი თქვენს შორის. როცა გკითხავენ თქვენი ძენი: რის ნიშნადა გაქვთო ეს ქვები?
- ⁷უთხარით: იმის ნიშნად-თქო, რომ შედგა იორდანეს წყალი უფლის აღთქმის კიდობნის წინაშე, როცა ის მასზე გადაჰქონდათ. და გექნებათ ეს ქვები თქვენ, ისრაელიანთ, სამახსოვროდ უკუნისამდე.“
- ⁸და ისე მოიქცნენ ისრაელიანები, როგორც იესომ უბრძანა მათ: აიღეს შუაგული იორდანეს ფსკერიდან ისრაელიანთა ტომების რიცხვის მიხედვით 12 ქვა, როგორც უფალმა უთხრა იესოს, გადაიტანეს თავიანთ სათევარში და იქ დააწყვეს.
- ⁹(და 12 ქვა აღმართა იესომ შუა იორდანეში, იმ ადგილას, სადაც ფეხი ედგათ მღვდლებს, აღთქმის კიდობნის მტარებლებს, და იქ აწყვია ისინი დღემდე.)
- ¹⁰კიდობნის მტვირთველი მღვდლები იდგნენ შუაგულ იორდანეში, ვიდრე არ შესრულდა ყველა ის სიტყვა, რომელიც უფალმა უბრძანა იესოს ხალხისათვის სათქმელად, როგორც უანდერძა მოსემ იესოს; და ამასობაში ხალხი გამალელები გადადიოდა მეორე ნაპირზე.
- ¹¹როცა გადავიდა მთელი ხალხი, გადავიდნენ უფლის კიდობანი და მღვდლები ხალხის თვალწინ.
- ¹²და გადალახეს რეუბენის ძეთ და გადის ძეთ, და მანაშეს ნახევარმა ტომმა – იარაღასხმულებმა, ისრაელის ძეთა წინ, როგორც ნათქვამი ჰქონდა მათთვის მოსეს.
- ¹³40 ათასამდე იარაღასხმული კაცი გავიდა გაღმა უფლის წინაშე იერიხოს ველზე საბრძოლველად.
- ¹⁴იმ დღეს განადიდა უფალმა იესო ისრაელიანთა თვალში. და ეშინოდათ მისი, როგორც ეშინოდათ მოსესი, მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე.
- ¹⁵და ასე უთხრა უფალმა იესოს:
- ¹⁶„უბრძანე მღვდლებს, აღთქმის კიდობნის მტვირთელებს, ამოვიდნენ იორდანედან.“
- ¹⁷და უბრძანა იესომ მღვდლებს: „ამოდიოთ იორდანედან!“



¹⁸და როგორც კი ამოვიდნენ უფლის აღთქმის კიდობნის მტვირთველი მღვდლები, შუაგული იორდანედან, და როგორც კი ფეხი დადგეს მიწაზე, დაბრუნდა იორდანეს წყალი თავის ადგილას და დინება იწყო როგორც წინათ, და თავის სანაპიროთა დატბორვა.

¹⁹და ამოვიდა ხალხი იორდანედან პირველი თვის მეათე დღეს, და დაბანაკდა გილგალში, ქალაქ იერიხოს აღმოსავლეთით.

²⁰და 12 ქვა, რომლებიც წამოიღეს იორდანედან, იესომ გილგალში აღმართა.

²¹და უთხრა ისრაელიანთ: „როცა მომავალში შეგეკითხებიან თქვენი ძენი: ეს რა ქვები არისო?

²²მოუყევით, როგორ გადმოიარეს ისრაელიანებმა იორდანე მშრალზე.

²³რადგან დააშრო უფალმა, თქვენმა ღმერთმა, იორდანეს წყლები თქვენს წინაშე, რათა გადმოგველოთ იგი, როგორც გააკეთა უფალმა, თქვენმა ღმერთმა, მეწამულ ზღვაზე, რომელიც დააშრო ჩვენს წინაშე, რათა გადმოგველო ჩვენ.

²⁴რათა ქვეყნიერების ყველა ხალხებს სცოდნოდათ, რაოდენ ძლიერია უფლის მარჯვენა, და რათა მარად გეშინოდეთ თქვენი უფალი ღმერთისა.“

იესო ნავეს პე 5

¹როცა გაიგეს იორდანეს დასავლეთი ნაპირის ამორეველთა მეფეებმა, და ზღვისპირეთის ქანაანელმა მეფეებმა, რომ დააშრო უფალმა იორდანეს წყალი ისრაელიანთა წინაშე, ვიდრე ისინი გადალახავდნენ მას, გული შეუდრკათ და სული გაეპარათ ისრაელიანთა შიშით.

²იმ დროს უთხრა უფალმა იესოს: „გააკეთე კაჟის დანები და ერთხელ კიდევ წინადაცვითე ისრაელიანთ.“

³და გააკეთა იესომ კაჟის დანები, და წინადაცვითა ისრაელიანთ გიბეყათ-ჰაყარალოთთან.

⁴აი მიზეზი, რატომაც წინადაცვითა იესომ ისინი: ეგვიპტიდან გამოსული ყველა მამაკაცი, ვისაც ბრძოლა შეეძლო, უდაბნოს გზაზე, დაეცა ხეტიალისას

⁵ეგვიპტიდან გამოსული მთელი ხალხი წინადაცვეთილი იყო, ხოლო ის ვინც უდაბნოში დაიბადა ეგვიპტიდან გამოსვლის შემდგომ, არ იყო წინადაცვეთილი.

⁶რადგან ორმოც წელიწადს ხეტიალობდნენ ისრაელიანები უდაბნოში, ვიდრე არ გაწყდა ეგვიპტიდან გამოსული მთელი ბრძოლისუნარიანი



ხალხი, რომელთაც არ შეისმინეს უფლის ხმა, რომელმაც დაფიცა, რომ ისინი ვერ იხილავდნენ იმ ქვეყანას, რომელიც რძესა და თავს გამოადინებს, და რომელიც ფიცით აღუთქვა ჩვენს მამებს, რომ მოგვცემდა ჩვენ.

⁷და მათი ძენი, რომლებიც მათ ნაცვლად დაადგინა, წინადაცვითა იესომ, რაკი წინადაუცვეთელნი იყვნენ ისინი, რადგან გზაში წინადაცვეთა არ ხდებოდა.

⁸და როცა წინადაიცვითა მთელმა ხალხმა, იქვე დარჩნენ ბანაკში ჭრილობის მოშუშებად.

⁹და უთხრა უფალმა იესოს: „დღეს მე მოგაშორეთ ეგვიპტის სირცხვილი!“ რის გამოც იმ ადგილს დღემდე ეწოდება გილგალი.

¹⁰და დაიბანაკეს ისრაელის ძეთ გილგალში, და შეასრულეს პასეჟი თვის მეთოთხმეტე დღეს, საღამოს, იერიხოს ველებზე.

¹¹და ჭამეს პასეჟის მეორე დღეს ამ ქვეყნის ნაყოფთაგან ხმიადი და ქუმელი იმავე დღეს.

¹²და შეწყდა მანანა მეორე დღეს, რაც ჭამეს მიწის ნაყოფი, და აღარ იყო ისრაელის ძეთათვის მანანა, და ჭამდნენ ქანაანის მიწის მოსავალს იმ წელს.

¹³და ერთხელ, როცა იესო იერიხოსთან იყო, აახილა თვალი და დაინახა მის წინ მდგომი კაცი, გაშიშვლებული მახვილით ხელში. და წავიდა იესო მისკენ, და ჰკითხა მას: „ჩვენი ხარ, თუ ჩვენი მტრებისა?“

¹⁴და მან უთხრა: „არა, მე უფლის მხედრობის თავი ვარ, ახლა მოვედი მე აქ.“ და დაემხო იესო მიწაზე, და თაყვანი სცა და უთხრა მას: „რას ეტყვის ჩემი ბატონი თავის მსახურს?“

¹⁵და უთხრა უფლის მხედრობის თავმა იესოს: „გაიძვრე ფეხზე ხამლები, რადგან ადგილი, რომელზეც შენ დგახარ, წმიდაა.“ და ასეც მოიქცა იესო.

იესო ნავეს ძე 6

¹ჩაიკეტა იერიხოს კარიბჭე და ჩარაზული იყო ისრაელის ძეთა შიშის გამო. არავინ გამოდიოდა იქიდან და არც ვინმე შედიოდა.

²და უთხრა უფალმა იესოს: „აჰა, შენ გაძლევ იერიხოს, მის მეფეს და მის მამაც მეომრებს.

³დაე თქვენმა მხედრობამ გარს შემოუაროს ქალაქს დღეში ერთხელ, ექვსი დღის მანძილზე.



⁴და შვიდმა მღვდელმა ატაროს ვერძის რქის შვიდი ბუკი კიდობნის წინ. მეშვიდე დღეს კი შვიდგზის შემოუარეთ ქალაქს, მღვდლებმა კი შვიდგზის დასცენ ბუკი.

⁵და როცა დასცემენ ვერძის რქის ბუკს და გაიგონებთ ბუკის ხმას, მთელმა ხალხმა დასცეს დიდი ყიჟინა და ადგილზევე ჩაიქცევა ქალაქის კედლები, და ზედ ავა ხალხი თითოეული თავისი მხრიდან.“

⁶და მოუხმო იესო ნავეს ძემ, მღვდლებს და უთხრა მათ: „წაიღეთ ალთქმის კიდობანი. შვიდმა მღვდელმა კი ატაროს ვერძის რქის შვიდი ბუკი უფლის კიდობნის წინ.“

⁷და უთხრა ხალხს: „წადით და გარს შემოუარეთ ქალაქს და შეჭურვილებმა იარონ უფლის კიდობნის წინ.“

⁸და როგორც კი იესომ ხალხს ეს უთხრა, ბუკსა სცა შვიდმა მღვდელმა, რომელთაც უფლის წინ მიჰქონდათ ვერძის რქის შვიდი ბუკი, უფლის ალთქმის კიდობანი უკან მიჰყვებოდა მათ.

⁹შეჭურვილი მეგრძოლნი წინ მიუძღოდნენ მღვდლებს, რომლებიც ბუკსა სცემდნენ, და უკანანი კიდობანს უკან მიჰყვებოდნენ და წამდაუწუმ ბუკსა სცემდნენ.

¹⁰და ხალხს უბრძანა იესომ: „ნუ იყიჟინებთ და ნურავის გააგონებთ თქვენს ხმას, და სიტყვა არ დაგცდეთ ბაგეთაგან იმ დღემდე, ვიდრე მე არ გეტყვით: დაეცით-მეთქი ყიჟინა! და თქვენც მაშინ დასცემთ ყიჟინას.“

¹¹და გარს შემოუარა უფლის კიდობანმა ქალაქს, დაარტყა ერთი წრე; და მივიდნენ ბანაკში, და გაათიეს ბანაკში.

¹²და ადგა იესო დილაადრიანად, და წაიღეს მღვდლებმა კიდობანი უფლისა.

¹³და შვიდი მღვდელი, რომელთაც მიჰქონდათ ვერძის რქის შვიდი ბუკი, უფლის კიდობნის წინ მიდიოდა, და მიმავალი ბუკსა სცემდა; შეჭურვილი მეომრები წინ მიუძღოდნენ მათ, ხოლო უკანანი უკან მიჰყვებოდნენ უფლის კიდობანს და გზადაგზა ბუკსა სცემდნენ.

¹⁴და გარს შემოუარეს ქალაქს მეორე დღესაც ერთგზის, და დაბრუნდნენ ბანაკში. და ასე აკეთებდნენ ექვსი დღის მანძილზე.

¹⁵ხოლო მეშვიდე დღეს ადრე ადგნენ, განთიადისას, და გარსშემოუარეს ქალაქს იმავე წესით შვიდგზის.



¹⁶და იყო მეშვიდე ჯერზე, როცა ბუკი დასცეს მღვდლებმა, მაშინ უთხრა იესომ ხალხს: „დაეცით ყოჩინა, რადგან უფალმა ხელში ჩაგიგდოთ ეს ქალაქი!

¹⁷უფლისათვის დარისხებული უნდა იყოს ეს ქალაქი და ყველაფერი, რაც მასშია. მხოლოდ მეძავი რახაბი და ყველა, ვინც მასთანაა სახლში, უნდა დარჩნენ ცოცხალი, რადგან მან დამალა ჩვენი გაგზავნილი მსტოვრები.

¹⁸გაფრთხილდით, დარისხებული არაფერი აიღოთ! თორემ მთელ ისრაელიანთა ბანაკს მოაწევს დარისხება – უბედურებას დაატეხთ ყველას.

¹⁹მთელი ვერცხლი და ოქრო, ბრინჯაოსა და რკინის ჭურჭელი წმიდაა უფლისათვის, უფლის საუნჯეში უნდა შევიდეს ის.”

²⁰ხალხი ახმაურდა და ბუკებსაც ჩაჰბერეს. და როგორც კი ხალხმა საყვირის ხმა გაიგონა, დიდი ყოჩინა ატეხა და ადგილზევე ჩამოიქცა კედლები; და ავიდა ხალხი ქალაქში, თითოეული თავისი მხრიდან, და აიღეს ქალაქი.

²¹და დაარისხეს ყველაფერი, რაც ქალაქში იყო: კაცი და ქალი, ჭაბუკი და ხნიერი, ხარი, ცხვარი, თხა და სახედარი.

²²და უთხრა იესომ იმ ორ ჭაბუკს, ქვეყნის დასაზვერად რომ იყვნენ წასული: „მიდით იმ მეძავი ქალის სახლში და გამოიყვანეთ იქიდან ის და ყველა, ვინც მასთანაა, როგორც შეჰფიცეთ მას.“

²³და მივიდნენ ის ჭაბუკები, ქალაქის დასაზვერად რომ იყვნენ, და გამოიყვანეს რახაბი, მამამისი, დედამისი, მისი ძმა და მთელი მისი ოჯახი, ყველა, ვინც მას ჰყავდა, და დატოვეს ისინი ისრაელის ბანაკს გარეთ.

²⁴და ცეცხლს მისცეს ქალაქი და ყველაფერი, რაც შიგ იყო. მხოლოდ ვერცხლი და ოქრო, ბრინჯაოსა და რკინის ჭურჭელი შემატეს უფლის ტაძრის საუნჯეს.

²⁵და მეძავი რახაბი და მამამისის სახლი და ყველა, ვინც მას ჰყავდა, ცოცხალი დატოვა იესომ, და ის დარჩა ისრაელში ამ დღემდე, რადგან დამალა მსტოვრები, რომლებიც იესომ გაგზავნა იერიხოს დასაზვერად.

²⁶მაშინ დაიფიცა იესომ, ასე: „წყეულიმც იყოს უფლის წინაშე ის კაცი, ვინც აღადგენს და ააგებს ამ ქალაქს – იერიხოს! თავის პირმოშოზე დააფუძნოს მისი საძირკველი, და თავის უმცროსზე დადგას მისი კარიბჭე.“

²⁷და იყო უფალი იესოსთან, და განითქვა მისი სახელი მთელს იმ ქვეყანაში.

იესო ნავეს ძე 7



- ¹მაგრამ ისრაელიანებმა დანაშაული ჩაიდინეს და დარისხებულიდან აიღეს. და წილი აიღო ყაქანმა, მემ ქარმისა, მისა ზაბდისა, მისა ზერახისა, იუდაელმა, დარისხებულიდან და აღიგზნო რისხვა უფლისა ისრაელიანებზე.
- ²და გააგზავნა იესომ კაცები იერიხოდან ღაისაკენ, ბეთ-ავენის მახლობლად რომ არის, ბეთელის აღმოსავლეთით, და უთხრა მათ: „ადით და დაზვერეთ ქვეყანა.“ და ავიდნენ ის კაცები და დაზვერეს ღაი.
- ³და დაბრუნდნენ იესოსთან, და უთხრეს მას: „ნუ ავა მთელი ხალხი. 2-3 ათასი კაცი ავიდეს და საკმარისი იქნება, რომ შემუსრონ ღაი. ნუ გარჯი იქ მთელ ხალხს, რადგან ცოტანი არიან ისინი.“
- ⁴და წავიდა იქ 3 ათასამდე კაცი, მაგრამ უკუექცნენ ღაის მცხოვრებთ.
- ⁵და დახოცეს მათგან ღაის კაცებმა 36 კაცი, და დაედევნენ ისინი ისრაელიანთ ქალაქის კარიბჭიდან შებარიმამდე და ხოცავდნენ გზადაგზა. და შეუდრკა ხალხს გული, შიშით მიეღიათ.
- ⁶და შემოიხია იესომ სამოსელი, და დაემხო მიწაზე პირქვე უფლის კიდობნის წინ საღამომდე, ისრაელის უხუცესებთან ერთად, და თავზე მტვერსა და ნაცარს იყრიდნენ.
- ⁷და თქვა იესომ: „ვაი, უფალო ღმერთო! რისთვის გადმოალახინე ამ ხალხს ეს იორდანე, ნუთუ იმისთვის, რომ ამორეველთა ხელში ჩაგვეგდო თავი დასაღუპად? ნეტა იორდანეს გაღმა დავმკვიდრებულებიყავით!
- ⁸ოჰ, უფალო, რაღა მეთქმის, როცა ისრაელმა თავის მტრებს ზურგი უჩვენა?!
- ⁹გაიგებენ ქანაანელები და ქვეყნის ყველა მკვიდრი, და გარს შემოგვერტყმიან და ქვეყანაზე მოსპობენ ჩვენს სახსენებელს! და რა ელის შენს დიად სახელს?“
- ¹⁰და უთხრა უფალმა იესოს: „ადექი, რას დამხობილხარ პირქვე?
- ¹¹შესცოდა ისრაელმა და დაარღვია ჩემი აღთქმა, რაც ვუბრძანე მათ: აიღეს დარისხებულიდან, მოიპარეს, დამალეს და დადეს თავის ჭურჭელთან.
- ¹²და ამიტომაც წინ ვერ აღუდგნენ ისრაელის ძენი თავიანთ მტრებს, ზურგი უჩვენეს მტერს, რადგან თავად გახდნენ დარისხებულნი. და აღარ ვიქნები მე თქვენთან, თუ არ მოსპობთ თქვენს შორის დარისხებულს.
- ¹³ადექი, განწმიდე ხალხი და უთხარი: განიწმიდებით ხვალისათვის, რადგან ასე ამბობს უფალი, ღმერთი ისრაელისა: ‘დარისხებულია შენს შორის, ისრაელ! წინ ვერ აღუდგები შენს მტრებს, ვიდრე დარისხებულს არ მოიშორებ თავიდან!’



¹⁴ხვალ დილით თითო-თითო ტომი მოდექით თქვენი ტომებიდან; და იმ ტომიდან, რომელზეც უფალი მიანიშნებს, თითო-თითო საგვარეულო მოდგეს; და იმ საგვარეულოდან, რომელზეც უფალი მიანიშნებს, თითო-თითო სახლი მოდგეს; და რომელ სახლზეც უფალი მიანიშნებს, თითო-თითო კაცი მოდგეს მისგან.

¹⁵და დარისხეულის აღებაში დაჭერილი დაიწვას ცეცხლში, ის და მთელი მისი საბადებელი, რადგან დაარღვია უფლის აღთქმა და უკეთურება ჩაიდინა ისრაელში.“

¹⁶და ადგა იესო დილაადრიან და უბრძანა ისრაელიანთ მასთან მოსვლა ტომების მიხედვით, – და გამოჩნდა იუდას ტომი.

¹⁷უბრძანა იუდას ტომის საგვარეულოებს მოსვლა, და გამოჩნდა ზერახის საგვარეულო. და უბრძანა ზერახის საგვარეულოს კაცებს მოსვლა, და გამოჩნდა ზაბდი.

¹⁸და უბრძანა მისი სახლიდან კაცებს და გამოჩნდა ყაქანი, ძე ქარმისა, მისა ზაბდისა, მისა ზერახისა იუდას ტომიდან.

¹⁹და უთხრა იესომ ყაქანს: „ჩემო შვილო, პატივი მიაგე უფალს, ისრაელის ღმერთს, და მადლი შესწირე მას და მიაშბე, რა ჩაიდინე, ნუ დამიმალავ.“

²⁰და მიუგო ყაქანმა იესოს და უთხრა: „ქეშმარიტად შევცოდე უფალს, ისრაელის ღმერთს, ასე და ასე გავაკეთე.

²¹და დავინახე ნადავლში ერთი მშვენიერი შინყარული მოსასხამი, და 200 შეკელი ვერცხლი და 50 შეკელიანი ერთი ოქროს ზოდი, და დავხარბდი და ავიღე. და, აჰა, მიწაში მაქვს დაფლული ჩემს კარავში, ვერცხლი კი მის ქვეშაა.“

²²და გაგზავნა იესომ მაცნეები და ისინიც გაიქცნენ კარვისაკენ. და აჰა, ნახეს დამალული მის კარავში, და ვერცხლი მის ქვეშ.

²³და წამოიღეს ეს კარვიდან და მიუტანეს იესოს და ყველა ისრაელის ძეს, და დაყარეს იგი უფლის წინაშე.

²⁴და წაიყვანა იესომ ყაქანი, ძე ზერახისა, ვერცხლით და მოსასხამით და ოქროს ზოდითურთ და მისი ძენი, და მისი ასულნი, და მისი ხარი, და მისი სახედარი, და მისი ცხვარი, და მისი კარავი, და მთელი მისი საბადებელი. და მთელი ისრაელი მასთან იყო, და წაიყვანეს ისინი ყაქორის ველზე.

²⁵და უთხრა იესომ: „რად დაგვატეხე უბედურება? დღესვე დაგატეხოს შენ უფალმა უბედურება!“ და დაუშინა მას მთელმა ისრაელმა ქვა; და დაწვეს ისინი ცეცხლით და ჩაქოლეს ქვით.



²⁶და აღმართეს მასზე დიდი გროვა ქვებისა, რომელიც დღემდეა შემორჩენილი. და დაიცხრო უფალმა რისხვა. ამიტომაც ეწოდება დღემდე იმ ადგილს სახელად ყაქორის ველი.

იესო ნავეს ძე 8

¹უთხრა უფალმა იესოს: „ნუ შეშინდები და ნუ შედრკები. თან წაიყვანე მთელი მეომარი ხალხი ღაიზე სალაშქროდ. ხელში ჩაგიგდებ ღაის მეფეს და მის ხალხს, მის ქალაქსა და მის ქვეყანას.

²და მოექცეი ღაის და მის მეფეს, როგორც მოექცეი იერიხოს და მის მეფეს, ნადავლი და პირუტყვი კი თქვენ გაინაწილეთ; საფარი მოაწყე ღაის გვერდით, ქალაქის მეორე მხარეს.“

³და ადგა იესო და მთელი მებრძოლი ხალხი ღაიზე გასალაშქრებელად. და ამოირჩია იესომ ვი ათასი მამაცი მეომარი, გაგზავნა ისინი ღამით

⁴და ასეთი ბრძანება მისცა მათ: „იცოდეთ, საფარში უნდა ისხდეთ ქალაქის მეორე მხარეს და ძალიან არ უნდა მოშორდეთ მას. მზად ყოფნაში იყავით ყველა.

⁵და როცა მე ქალაქს მივადგები, ჩემთან მყოფი მთელი ხალხით, გამოვლენ ისინი ჩვენს დასახვედრად, როგორც მანამდე იყო, ჩვენ გავექცევით მათ.

⁶ისინი დაგვედევნებთან უკან, რაკი იფიქრებენ, რომ უწინდელივით გაგვირბიანო. ჩვენ კი მანამ გავექცევით, ვიდრე ქალაქს არ მოვწყვეტთ მათ.

⁷მაშინ ადგებით თქვენი საფარიდან და დაეუფლებით ქალაქს. და ხელში ჩაგიგდებთ მას უფალი, თქვენი ღმერთი.

⁸და როცა აიღებთ ქალაქს, ცეცხლს მიეცით ის; მოიქცით უფლის სიტყვისამებრ. აჰა, მე გიბრძანებთ თქვენ.“

⁹და გაგზავნა ისინი იესომ, და წავიდნენ საფარში, და ჩასხდნენ ბეთელსა და ღაის შუა, ღაის დასავლეთით. და გაათია იესომ ის ღამე ხალხში.

¹⁰და ადგა იესო დილაადრიანად და დაათვალიერა ხალხი, და ისრაელის უხუცესებთან ერთად ხალხს ღაისკენ წაუძღვა.

¹¹და მთელი მეომრები, ვინც მასთან იყვნენ, ავიდნენ, მიუახლოვდნენ და გაუსწორდნენ ქალაქს, და დაიბანაკეს ღაის ჩრდილოეთით. ღარტაფი იყო ღაისა და მათ შორის.

¹²და გამოირჩია იესომ 5 ათასამდე კაცი, და ჩაასაფრა ბეთელსა და ღაის შუა, ქალაქის დასავლეთით.



¹³და მოიცვა ხალხმა მთელი ბანაკი, ქალაქის ჩრდილოეთით რომ იყო; ჩასაფრებული რაზმი კი ქალაქის დასავლეთით იყო. და გავიდა იესო იმ ღამეს შუაგულ ველზე.

¹⁴როგორც კი დაინახა ეს ღაის მეფემ, ქალაქის მამაკაცებმა ისწრაფეს, ადგნენ ადრიანად და გავიდნენ ისრაელის წინააღმდეგ საომრად, ის და მთელი მისი ხალხი, დათქმულ დროს ყარაბას წინ. მან არ იცოდა, თუ მტერი იყო ჩასაფრებული ქალაქის უკან.

¹⁵და იესო და მთელი ისრაელი, თითქოს დამარცხდნენო მათ წინაშე, გაიქცნენ უდაბნოს გზით.

¹⁶და დასცა ყიჟინა მთელმა ხალხმა, რომელიც ღაიში იყო, რათა დადევენბოდა მათ, და გამოედევნენ იესოს და მოსწყდნენ ქალაქს.

¹⁷და კაცი არ დარჩენილა ღაიში და ბეთელში, ისრაელს რომ არ გამოჰკიდებოდა უკან. ღია დატოვეს ქალაქი და ისრაელიანთ დაედევნენ უკან.

¹⁸და უთხრა უფალმა იესოს: „ღაის მოუღერე შუბი, ხელში რომ გიჭირავს, რადგან მას ხელში ჩაგიგდებ.“ და მოუღერა იესომ ქალაქს შუბი, ხელში რომ ეჭირა.

¹⁹და ჩასაფრებულები უმაღლ წამოიშალნენ თავიანთი ადგილებიდან და გაიქცნენ, როდესაც იესომ ხელი მოუღერა ქალაქს, შიგ შეიჭრნენ და აიღეს იგი; და აღარ დაუყოვნებიათ – ცეცხლს მისცეს ქალაქი.

²⁰და უკან მოიხედეს ღაის მამაკაცებმა და დაინახეს ქალაქის კვამლი ზეცას რომ სწვდებოდა. და აღარ დარჩათ მათ გასაქცევი ადგილი არც იქით, არც აქეთ. და უდაბნოსაკენ გაქცეული ხალხი შემოუბრუნდა მდეგრებს.

²¹და დაინახა იესომ და მთელმა ისრაელმა, რომ ჩასაფრებულებმა აიღეს ქალაქი, და ქალაქს კვამლი ავარდა, მობრუნდნენ და მოსრეს ღაის მცხოვრებნი.

²²და ისინი გამოვიდნენ ქალაქიდან მათ დასახვედრად, და ისრაელიანთა შორის მოექცნენ ღაის მკვიდრნი, აქედანაც და იქიდანაც. და მუსრეს ისინი ისრაელიანებმა, და არ გაუშვეს მათ გადარჩენილი და ლტოლვილი.

²³და შეიპყრეს ღაის მეფე ცოცხლად და მიჰგვარეს იგი იესოს.

²⁴და როცა მორჩა ისრაელი ღაის ყველა მკვიდრის დახოცვას ველზე, უდაბნოში, სადამდეც გაიტყუეს ისინი, და ყველანი დაეცნენ მახვილის პირით, შემობრუნდა მთელი ისრაელი ღაისაკენ და შემუსრეს ისიც მახვილით.



²⁵და იმ დღეს სულ 12 ათასი კაცი და ქალი დაეცა ღაის მცხოვრებთაგან.

²⁶და იესოს არ ჩამოუშვია ხელი, რომლითაც შუბი მოუღერა, ვიდრე არ მოსპო ღაის ყველა მცხოვრები.

²⁷და იმ ქალაქისა მხოლოდ პირუტყვი და ნადავლი დაიტაცა თავისთვის ისრაელმა, უფლის სიტყვისამებრ, რომელიც მან უბრძანა იესოს.

²⁸და გადაწვა იესომ ქალაქი ღაი, საუკუნო ნანგრევებად და უკაცრიელ ადგილად აქცია, დღევანდლამდე.

²⁹ღაის მეფე კი ჩამოჰკიდა ხეზე, სადამომდე. და მზის ჩასვლისას ბრძანა იესომ, და ხიდან ჩამოხსნეს მისი გვამი, ქალაქის კარიბჭესთან დააგდეს და ზედ ქვის დიდი ყორე აღმართეს რომელიც შემორჩენილია დღემდე.

³⁰მაშინ აუგო იესომ სამსხვერპლო უფალს, ისრაელის ღმერთს, ღებალის მთაზე,

³¹როგორც უბრძანა მოსემ, უფლის მსახურმა, ისრაელიანებს. ისე ააგო, როგორც ეს სწერია მოსეს რჯულის წიგნში – „სამსხვერპლო მთლიანი ლოდებისგან, რომლებისთვისაც რკინა არ მოუქნევიათ.“ და აღუვლინეს მასზე სრულადდასაწველები უფალს, და შესწირეს სამშვიდობო მსხვერპლი.

³²და გადააწერა იმ ქვებს მოსეს რჯული, რომელიც დაწერილი ჰქონდა მას ისრაელის ძეთა წინაშე.

³³და მთელი ისრაელი, და მისი უხუცესნი, და ზედამხედველნი, და მისი მსაჯულნი იდგნენ კიდობნის აქეთ-იქით, უფლის აღთქმის კიდობნის მტკირთველი ლევიანი მღვდლების პირდაპირ, როგორც ხიზანი, ისე მკვიდრი. მათი ნახევარი იდგა გერიზიმის მთის პირდაპირ, და მეორე მისი ნახევარი – ღებალის მთის პირდაპირ, როგორც ადრევე უბრძანა მოსემ, უფლის მსახურმა, ისრაელის ერის საკურთხებლად.

³⁴და შემდეგ წაიკითხა იესომ რჯულის ყველა სიტყვა, კურთხევა და წყევლა, ყოველივე, რჯულის წიგნში ჩაწერილის მიხედვით.

³⁵არ ყოფილა სიტყვა მოსეს ნაბრძანებიდან, იესოს რომ არ წაეკითხა მთელი კრებულის წინაშე, დედაკაცების და პატარებისა და ხიზნების წინაშე, რომელნიც მათ შორის იყვნენ მოსულნი.

იესო ნავეს ძე 9



- ¹ეს რომ გაიგეს მეფეებმა, რომლებიც იორდანეს გაღმა იყვნენ, მთასა და ბარში, დიდი ზღვის სანაპიროზე, ლიბანის ახლოს, ხეთელებმა, ამორეველებმა, ქანანელებმა, ფერიზელებმა, ხიველებმა და იებუსელებმა,
- ²თავი ერთად მოიყარეს, რომ შებრძოლებოდნენ იესოსა და ისრაელს ერთსულოვნად.
- ³როდესაც გაიგეს გიბეონის მკვიდრებმა, რა უყო იესომ იერიხოსა და ღაის,
- ⁴ცბიერად მოიქცნენ: წავიდნენ და დაიმზადეს საგზალი, და აჰკიდეს ძველი ტომრები და ღვინის ძველი, დახეთქილი და გადაკერებული ტიკები, თავიანთ სახედრებს.
- ⁵ფეხზეც გაცვეთილი და დაკერებული ფეხსამოსი ეცვათ და ტანზეც გაცვეთილი სამოსელი ემოსათ. გამხმარი და დაოხებული პური იყო მთელი მათი საგზალი.
- ⁶და მივიდნენ იესოსთან ბანაკში, გილგალში, და უთხრეს მას და მთელ ისრაელს: „შორი ქვეყნიდან მოვედით ჩვენ, და ახლა აღთქმა დაგვიდეთ.“
- ⁷და უთხრეს ისრაელიანებმა ხიველებს: „როგორ უნდა დაგიდოთ აღთქმა? ერთიც ვნახოთ და, შენ ჩვენს შორისა მკვიდრობ?“
- ⁸და უთხრეს იესოს: „შენი მსახურები ვართ.“ და ჰკითხა მათ იესომ: „ვინა ხართ და საიდან მოსულხართ?“
- ⁹მათ უთხრეს: „ძალიან შორი ქვეყნიდან მოვედით შენი მსახურნი, უფლის, შენი ღმერთის, სახელით, რადგან გვსმენია მისი ამბავი და ყველაფერი, რაც ეგვიპტეში მოიმოქმედა,
- ¹⁰და ყველაფერი, რაც უყო ორ ამორეველ მეფეს, რომელნიც იყვნენ იორდანეს გაღმა: სიხონს – ხეშბონის მეფეს, და ყოგს – ბაშანის მეფეს, რომელიც ყაშთაროთში მმართველობდა.
- ¹¹და გვითხრეს ჩვენმა უხუცესებმა და ჩვენი ქვეყნის ყველა მკვიდრმა ასე: ხელში აიღეთო საგზალი, წადით მათ შესახვედრად და უთხარით: ‘ჩვენ თქვენი მსახურები ვართ და ახლა დაგვიდეთ აღთქმა.’
- ¹²ეს ჩვენი პური, ჯერ კიდევ თბილი იყო, როცა საგზლად წამოვიღეთ ჩვენი სახლებიდან იმ დღეს, თქვენთან წამოსასვლელად რომ გამოვედით, და ახლა ის გამხმარია და დაოხებული.
- ¹³და ეს ღვინის ტიკები, რომ ავავსეთ, ახლები იყო, და აჰა, დასკდა. და ჩვენი სამოსელი და ფეხსაცმელი გაცვდა ძალიან შორი გზის გამო.“
- ¹⁴და აიღეს ისრაელიანებმა მათი საგზალი ისე, რომ უფლისთვის არც კი უკითხავთ.



¹⁵და სამშვიდობო ზავი შეკრა მათთან იესომ და პირობა დაუდო, რომ ცოცხლებს დატოვებდა. და შეჰფიცეს მათ თემის მთავრებმაც.

¹⁶სამი დღე რომ გავიდა კავშირის შეკვრიდან, გაიგეს, რომ ისინი მათი მეზობლები ყოფილან და მათ ახლოს უცხოვრიათ.

¹⁷და აიყარნენ ისრაელის ძენი, და მესამე დღეს მივიდნენ მათ ქალაქებში. მათი ქალაქები იყო: გიბეონი, ქეფირა, ბეეროთი და კირიათ-იეყარიმი.

¹⁸და არ მოსრეს ისინი ისრაელის ძეთ, რადგან თემის მთავრებმა უფალი, ისრაელის ღმერთი, დაუფიცეს. და დრტვინავდა მთელი თემი მთავრებზე.

¹⁹და უთხრეს მთავრებმა მთელ თემს: „ჩვენ მათ უფალი, ისრაელის ღმერთი, დავუფიცეთ და ამიტომ მათი ხელის ხლება არ შეგვიძლია.

²⁰ასე მოვექცევით მათ: ცოცხლებს დავტოვებთ, რომ არ დაგვატყდეს რისხვა იმ ღვთის გამო, რითაც შევფიცეთ მათ.“

²¹და უთხრეს მათ მთავრებმა: „იცოცხლონ!“ იმ დღიდან შეშის მჭრელებად და წყლის მხაპავებად ჰყავთ ისინი მთელ თემს, როგორც მთავრებმა გადაუწყვიტეს მათ.

²²და მოუხმო მათ იესომ, და უთხრა: „რატომ მოგვატყუეთ, რომ გვითხარით: ძალიან შორსა ვბინადრობთო თქვენგან, და ჩვენი მეზობლები კი ყოფილხართ?

²³წყეულიმც იყავით ამიერიდან! ნუ გამოილევა თქვენგან მსახური, შეშის მჭრელები და წყლის მხაპავი ჩემი ღმერთის ტაძრისთვის.“

²⁴და მიუგეს იესოს და უთხრეს: „რადგან გაგებით გაგებული ჰქონდათ შენს მსახურთ, რაც უბრძანა უფალმა, შენმა ღმერთმა, მოსეს, თავის მსახურს, რათა მოეცა თქვენთვის მთელი ეს ქვეყანა და გაენადგურებინა ყოველი მკვიდრი ამ ქვეყნისა თქვენს წინაშე, შეგვეშინდა ჩვენი სიცოცხლის გამო თქვენს წინაშე და ეს საქმე მოვიმოქმედეთ.

²⁵და აჰა, ახლა შენს ხელთა ვართ. როგორც გიჯობდეს და სამართლიანი იყოს შენს თვალში, ჩვენს მიმართ მოქცევა, ისე მოგვექეცი.“

²⁶და ასე მოექცა იგი მათ: იხსნა ისინი ისრაელის ძეთა ხელიდან, და არ დახოცეს ისინი.

²⁷და დააყენა ისინი იესომ იმ დღეს შეშის მჭრელებად და წყლის მხაპავებად თემისათვის და უფლის სამსხვერპლოსათვის დღევანდლამდე, იმ ადგილას, რომელსაც უფალი ამოირჩევდა.

იესო ნავეს ძე 10



- ¹და როცა გაიგო ადონი-ცედეკმა, იერუსალიმის მეფემ, რომ იესომ აიღო ქალაქი ღაი, დაარისხა იგი და გაანადგურა; და ისევე მოექცა ღაისა და მის მეფეს იესო, როგორც იერიხოსა და მის მეფეს; და რომ დაეზავნენ გიბეონელნი ისრაელს და დარჩნენ მათ შორის,
- ²მლიერ შეშინდა ის, რადგან დიდი ქალაქი იყო გიბეონი, ერთ-ერთი სამეფო ქალაქივით, აღმატებოდა იგი ღაის და მამაცი მეომრები ჰყავდა.
- ³ამიტომ შეუთვალა ადონი-ცედეკმა, იერუსალიმის მეფემ, ჰოჰამს – ხებრონის მეფეს, ფირამს – იარმუთის მეფეს, იაფიაცს – ლაქიშის მეფეს და დებირს – ყეგლონის მეფეს, და უთხრა:
- ⁴„ამოდით ჩემთან და შემეწიეთ მე, და მოვსრათ გიბეონი, რადგან იგი დაეზავა იესოს და ისრაელიანთ.“
- ⁵და შეიყარა და ავიდა ხუთი ამორეველი მეფე: იერუსალიმისა, ხებრონისა, იარმუთისა, ლაქიშისა და ყეგლონისა მთელი თავიანთი ლაშქრით, დაიბანაკეს გიბეონთან, და ბრძოლა გაუმართეს მას.
- ⁶და შეუთვალეს გიბეონის კაცებმა იესოს გილგალის ბანაკში, და უთხრეს: „ნუ აიღებ ხელს შენს მსახურებზე. ჩქარა ამოდი ჩვენთან და გვიხსენი და შეგვეწიე, რადგან შეიყარა ჩვენს წინააღმდეგ ყველა ამორეველი მეფე – მთის მკვიდრნი.“
- ⁷და გავიდა იესო გილგალიდან მთელი ბრძოლისუნარიანი ხალხითა და მამაცი მებრძოლით.
- ⁸და უთხრა უფალმა იესოს: „ნუ გეშინია მათი, რადგან ხელში ჩაგიგდე ისინი, წინ ვერ დაგიდგება ვერცერთი მათგანი.“
- ⁹და ანაზდეულად მიადგა მათ იესო, გილგალიდან მთელი ღამის ნამგზავრი.
- ¹⁰და თავზარი დასცა მათ უფალმა ისრაელის წინაშე და შემუსრა ისინი იესომ დიდი შემუსვრით გიბეონში. დაედევნა ბეთ-ხორონის აღმართზე და მუსრავდა ყაზეკამდე და მაკედამდე.
- ¹¹და იყო, როცა ისინი ისრაელს გაურბოდნენ ბეთ-ხორონის ფერდობზე, უფალი დიდ ქვებს უშენდა ზეციდან მათ – და იხოცებოდნენ. ასე იყო თვით ყაზეკამდე. და ქვის სეტყვით დახოცილი უფრო მეტი იყო, ვიდრე ისინი, ვინც ისრაელიანთ მოსრეს მახვილით.
- ¹²მაშინ ელაპარაკა იესო უფალს იმ დღეს, როდესაც უფალმა ამორეველები ჩაუგდო ხელში ისრაელიანთ. და თქვა იესომ ისრაელის თვალწინ: „მზეო, შეჩერდი გიბეონზე და მთვარე – აიალონის ველზე!“



¹³და შეჩერდა მზე, და მთვარე დადგა, ვიდრე არ იძია ერმა შური თავის მტრებზე. და განა არ სწერია ეს სიმაღლის წიგნში: და მზე იდგა შუაგულ ცაზე მთელ დღეს და ჩასვენებას არ ჩქარობდაო?

¹⁴და არ ყოფილა ასეთი დღე არც უწინ და არც მის შემდგომ, რომ ასე შეესმინოს უფალს კაცის ხმა, რადგან უფალი იბრძოდა ისრაელისთვის.

¹⁵და დაბრუნდა იესო და მასთან ერთად მთელი ისრაელი გილგალის ბანაკში.

¹⁶და გაიქცა ის ხუთი მეფე და დაიძალა მაკედას მღვიმეში.

¹⁷ამბავი მიუტანეს იესოს: ხუთი მეფე მაკედას მღვიმეში აღმოჩნდაო დამალული.

¹⁸და თქვა იესომ: „მიაგორეთ დიდი ლოდები მღვიმის პირს და კაცები დაუყენეთ ყარაულად.

¹⁹თქვენ ნუ შეჩერდებით, დაედევნეთ უკან თქვენს მტრებს და ზურგიდან შეუტით, და ნუ დაანებებთ მათ თავიანთ ქალაქებში შესვლას, რადგან ხელში ჩაგიგდოთ ისინი უფალმა, თქვენმა ღმერთმა.“

²⁰და როცა მორჩნენ იესო და ისრაელის ძენი მათ მუსვრას საშინელი მუსვრით, ვიდრე მთლიანად არ გაანადგურეს, ხოლო გადარჩენილნი გაექცნენ მათ და შევიდნენ გამაგრებულ ქალაქებში.

²¹დაბრუნდა მთელი ხალხი იესოსთან მაკედას ბანაკში მშვიდობიანად. კაციშვილმა ვერ დაძრა ენა ისრაელის ძეთა წინააღმდეგ.

²²და თქვა იესომ: „გახსენით მღვიმის პირი და გამოიყვანეთ ჩემთან ის ხუთი მეფე მღვიმიდან.“

²³და გააკეთეს ასე, და გამოუყვანეს მას ის ხუთი მეფე მღვიმიდან: მეფე იერუსალიმისა, მეფე ხებრონისა, მეფე იარმუთისა, მეფე ლაქიშისა და მეფე ყეგლონისა.

²⁴და როცა გამოუყვანეს ეს ხუთი მეფე იესოს, მოუხმო იესომ მთელ ისრაელს და უთხრა მხედართმთავრებს, რომელნიც იყვნენ მასთან: „ახლოს მოდექით და ფეხი დაადგით ქედზე ამ მეფეებს.“ და ახლოს მოდგნენ და ქედზე დაადგეს მათ ფეხი.

²⁵და უთხრა იესომ თავის მხედართმთავრებს: „ნუ შეგეშინდებათ და ნურც შეძრწუნდებით, გაძლიერდით და განმტკიცდით, რადგან ასე მოექცევა უფალი ყველა თქვენს მტერს, ვისაც კი თქვენ შეებრძოლებით.“

²⁶და შემდეგ განგმირა ისინი იესომ, და ჩამოკიდა ხუთ ხეზე. და ასე ეკიდნენ ისინი ხეებზე საღამომდე.



²⁷და მზის ჩასვლისას ბრძანა იესომ და ჩამოხსნეს ისინი ხეებიდან, და გადაყარეს მღვიმეში, რომელშიც იმალებოდნენ, და დიდრონი ქვები მიაყარეს მღვიმის პირს. და ასეა დღევანდლამდე.

²⁸და მაკედა აიღო იესომ იმავე დღეს, და მოსრა იგი და მისი მეფე მახვილის პირით; დაარისხა ისინი და ყველა სულდგმული, რაც კი იქ იყო, არავინ დაუტოვებია ცოცხალი. და მაკედას მეფეს ისე მოექცა, როგორც იერიხოს მეფეს მოექცა.

²⁹და წავიდა იესო, და მთელი ისრაელი მასთან ერთად მაკედადან ლიბნასაკენ, და ბრძოლა გაუმართა ლიბნას.

³⁰და ხელში ჩაუგდო უფალმა ისიც და მისი მეფეც ისრაელს. და განგმირა მახვილის პირით იგი და ყველა სულდგმული, რაც კი იქ იყო; არავინ დაუტოვებია ცოცხალი. და მის მეფეს ისე მოექცა, როგორც იერიხოს მეფეს მოექცა.

³¹და წავიდა იესო, და მთელი ისრაელი მასთან ერთად, ლიბნადან ლაქიშისაკენ, და დაიბანაკეს მის ახლოს, და ბრძოლა გაუმართეს.

³²და ხელში ჩაუგდო უფალმა ლაქიში ისრაელს და აიღო იგი მეორე დღეს, და მოსრა მახვილის პირით იგი და ყველა სულდგმული, რაც კი იქ იყო, ისევე, როგორც ლიბნაში.

³³და მაშინ გამოვიდა ჰორამი, მეფე გეზერისა ლაქიშის საშველად, და იესომ განგმირა იგი და მისი ხალხი ისე, რომ არავინ დაუტოვებია მათგან ცოცხალი.

³⁴და წავიდა იესო, და მთელი ისრაელი მასთან ერთად, ლაქიშიდან ყეგლონისაკენ, და დაიბანაკა მის ახლოს, და ბრძოლა გაუმართა.

³⁵და იმავე დღეს აიღო იგი, და მოსრა მახვილის პირით ყოველი სული, ვინც იქ იყო, და იმავე დღეს გაანადგურა ისე, როგორც ლაქიში.

³⁶და წავიდა იესო, და მთელი ისრაელი მასთან ერთად, ყეგლონიდან ხებრონისაკენ და ბრძოლა გაუმართა.

³⁷აიღეს ხებრონი და მოსრეს იგი მახვილით მისი მეფითურთ, და ყველა მისი ქალაქი, და ყოველი სული, ვინც იქ იყო და არავინ დაუტოვებიათ ცოცხალი, როგორც ყეგლონში. მოსპეს იგი და ყოველი სული, ვინც იქ იყო.

³⁸და მობრუნდა იესო, და მთელი ისრაელი მასთან ერთად დებირისაკენ, და ბრძოლა გაუმართა.

³⁹და მან აიღო იგი, და მისი მეფეც და მისი ყველა ქალაქი, და განგმირა ისინი მახვილის პირით, და მოსპეს ყოველი სული, ვინც იქ იყო, არავინ



დაუტოვებიათ ცოცხალი. როგორც მოექცნენ ხებრონს, ეგრე მოექცნენ დებირს და მის მეფეს, და ლიბნას და მის მეფეს.

⁴⁰და მოსრა იესომ მთელი მთიანეთი, სამხრეთი მხარე, ვაკობი, ფერდობები და ყველა მათი მეფე. არავინ დაუტოვებია ცოცხალი, და გაანადგურა ყოველი სული, როგორც უბრძანა ისრაელის უფალმა ღმერთმა.

⁴¹და მოსრა ისინი იესომ კადეშ-ბარნეაყიდან ვიდრე ღაზამდე, და მთელი ქვეყანა გოშენისა ვიდრე გიბეონამდე.

⁴²და ყველა ეს მეფე და მათი ქვეყანა აიღო იესომ ერთ ჯერზე, რადგან უფალი, ისრაელის ღმერთი, იბრძოდა ისრაელისთვის.

⁴³და დაბრუნდა იესო, და მთელი ისრაელი მასთან ერთად გილგალის ბანაკში.

იესო ნავეს ძე 11

¹და როცა გაიგო ეს იაბინმა, ხაცორის მეფემ, მაშინვე შეუთვალა იობაბს, მადონის მეფეს, და შიმრონისა და აქშაფის მეფეებს,

²და აგრეთვე მეფეებს, რომელნიც მკვიდრობდნენ ჩრდილოეთში, მთასა და ბარში, ქინერეთის სამხრეთით, და ყარაბაში, და ნაფოთ-დორში, დასავლეთით.

³ქანაანელებს, რომლებიც მკვიდრობდნენ აღმოსავლეთით და დასავლეთით, და ამორეველებს, ხეთელებს, ფერიზელებს და იებუსელებს – მთაში, ხიველებს ხერმონის ძირას, მიცფას ქვეყანაში.

⁴და გამოვიდნენ ისინი და მთელი ბანაკი მათთან ერთად, მრავალრიცხოვანი ხალხი, იმ ქვიშასავით უთვალავი, ზღვის ნაპირზე რომაა; ძალზე მრავალი იყო ცხენი და ეტლი.

⁵და შეიყარა ყველა ეს მეფე, და მოვიდნენ, და დაიბანაკეს ერთად მერომის წყლებთან, რათა ისრაელს შებრძოლებოდნენ.

⁶და უთხრა უფალმა იესოს: „ნუ გეშინია მათი, რადგან ხვალ, ამ დროისთვის, ყველა მათგანს შევმუსრავ ისრაელის წინაშე; მათ ცხენებს ძარღვები გადაუჭერთ და მათი ეტლები ცეცხლში დაწვით.“

⁷იესო თავისი ჯარით მოულოდნელად მიადგა მერომის წყლებს და თავს დაესხა მტერს.

⁸და ხელში ჩაუგდო ისინი უფალმა ისრაელს. მოსრეს ისინი ისრაელიანებმა და სდიეს დიდ ციღონამდე, მისრეფოთ-მაიმამდე, და თვით მიცფეს



ველამდე აღმოსავლეთით, და მოსრეს ისინი, და არავინ დაუტოვებიათ მათგან ცოცხალი.

⁹და ისე მოექცა მათ იესო, როგორც უთხრა მას უფალმა: მათ ცხენებს მარღვები გადაუჭრა და მათი ეტლები ცეცხლში დაწვა.

¹⁰მაშინვე გამობრუნდა იესო და დაიპყრო ხაცორი, და მახვილით განგმირა მისი მეფე.

¹¹მახვილის პირით ამოხოცეს ისრაელიანებმა ყოველი სული ვინც კი ქალაქში ცხოვრობდა, დაარისხეს, ცოცხალი არავინ დატოვეს, ხაცორი კი ცეცხლით დაწვა იესომ.

¹²და ყველა მეფე და ამ მეფეთა ყველა ქალაქი ჩაიგდო ხელში იესომ, და გაანადგურა ისინი მახვილის პირით, და დაარისხა, როგორც უფლის მსახურის, მოსეს, ბრძანება იყო.

¹³ისრაელიანთ არ დაუწვავთ ბორცვებზე გაშენებული არც ერთი ქალაქი, გარდა ხაცორისა, მხოლოდ ის დაწვა იესომ.

¹⁴და ამ ქალაქების მთელი ნადავლი და პირუტყვი თავისთვის დაიტაცეს ისრაელიანებმა; ხოლო ყველა ადამიანი მოსრეს მახვილის პირით მათ, ვიდრე არ გაანადგურეს მთლიანად, ერთიც არ დაუტოვებიათ ცოცხალი.

¹⁵როგორც უბრძანა უფალმა მოსეს, თავის მსახურს, ასევე უანდერძა მოსემ იესოს, და ასევე შეასრულა იესომ, ერთი სიტყვითაც არ გადაუხვევია იმისაგან, რაც უბრძანა უფალმა მოსეს.

¹⁶და აიღო იესომ მთელი ეს მთიანი ქვეყანა და მთელი ნეგები, მთელი გოშენის მხარე, შეფელა, და ყარაბა, ისრაელის მთა და ბარი –

¹⁷ხალაკის მთიდან მოკიდებული სეყირისაკენ, ვიდრე ბაყალ-გადამდე, ლიბანის ველზე, ხერმონის მთის ძირას, და ყველა მათი მეფე შეიპყრო და მოსრა.

¹⁸დიდხანს ებრძოდა იესო ამ მეფეებს.

¹⁹არ ყოფილა ქალაქი, რომელიც დაზავებოდეს ისრაელის ძეთ, ხიველების, გიბეონის მკვიდრთა, გარდა. ისრაელიანებმა ყველა ქალაქი ბრძოლით აიღეს.

²⁰რადგან უფლისგან იყო, გული რომ გაისასტიკეს, და ბრძოლით ხვდებოდნენ ისრაელს, იმისათვის, რომ მისცემოდნენ დარისხებას, და არ ჰქონოდათ შეწყალება, არამედ ისე მომსპარიყვნენ, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს.



²¹იმხანადვე გაილაშქრა იესომ ყანაკელთა წინააღმდეგ და ამოწყვიტა ისინი მთაში, ხებრონში, დებირში, ყანაზში და იუდასა და ისრაელის მთელ მთიანეთში; მათი ქალაქებიანად დაარისხა ისინი იესომ.

²²არავინ დარჩენილა ყანაკელთაგან ისრაელიანთა ქვეყანაში, მხოლოდ ღაზაში, გათში და აშდოდში დარჩნენ ისინი.

²³და დაიპყრო იესომ მთელი ქვეყანა, როგორც აღუთქვა უფალმა მოსეს, და მისცა იგი იესომ ისრაელს სამკვიდროდ, მათი ტომებისათვის დასანაწილებლად. და მოისვენა ქვეყანამ ომისაგან.

იესო ნავეს ძე 12

¹აი, იმ ქვეყნების მეფეები, რომლებიც მოსრეს ისრაელიანთ, და დაიმკვიდრეს მათი ქვეყანა იორდანეს გაღმა აღმოსავლეთისაკენ, არნონის ხევიდან ხერმონის მთამდე, და მთელი ყარაბა აღმოსავლეთისკენ:

²ამორეველთა მეფე სიხონი, რომელიც ხეშბონში იჯდა და ეჭირა ქვეყანა ყაროყერიდან მოკიდებული, რომელიც არნონის ველის თავზეა და თვით არნონის ველი, გალაადის ნახევარი, ვიდრე იაბოკის ხევამდე, რომლის იქითაც ყამონელნი ცხოვრობენ;

³დაბლობი ქინერეთის ზღვამდე აღმოსავლეთით და ყარაბას ზღვამდე, ანუ მარილოვან ზღვამდე, აღმოსავლეთით ბეთ-იეშიმოთის გზის გაყოლებაზე სამხრეთით ფისგას კალთებამდე;

⁴ყოგის მიწა-წყალი, ბაშანის მეფისა, რეფაიმთა უკანასკნელი ნატამალისა, რომელიც მკვიდრობდა ყამთაროთსა და ედრეყში.

⁵და განმგებლობდა ხერმონის მთაზე და სალქასა და მთელ ბაშანზე, გემურელთა და მაყაქათელთა საზღვრამდე, და ნახევარი გალაადი, ხეშბონის მეფის, სიხონის, საზღვრამდე.

⁶მოსემ, უფლის მსახურმა, და ისრაელიანებმა მოსრეს ისინი; და მისცა იგი მოსემ, უფლის მსახურმა, რეუბენის ძეთ, გადის ძეთა და მანაშეს ნახევარტომს სამკვიდროდ.

⁷და აი, იმ ქვეყნის მეფენი, რომელნიც მოსრეს იესომ და ისრაელის ძეთ იორდანეს გაღმა, დასავლეთით, ლიბანის დაბლობზე, ბაყალ-გადიდან ლიბანის ველზე ვიდრე ხალაკის მთამდე, რომელიც სეყირისაკენაა გადაჭიმული (მთელი ეს მიწები იესომ მისცა ისრაელის ტომებს სამკვიდროდ: გაუნაწილა მათი დასების მიხედვით



⁸მთებიც, შეფელაც, იორდანეს ველიც, მთის კალთებიც, უდაბნოცა და ნეგებიც; ხეთელთა, ამორეველთა, ქანაანელთა, ფერიზელთა, ხიველთა და იებუსელთა მიწები):

⁹იერიხოს მეფე – ერთი; მეფე ღაისა, რომელიც ბეთელის გვერდითაა – ერთი;

¹⁰მეფე იერუსალიმისა – ერთი; მეფე ხებრონისა – ერთი;

¹¹მეფე იარმუთისა – ერთი; მეფე ლაქიშისა – ერთი;

¹²მეფე ყეგლონისა – ერთი; მეფე გეზერისა – ერთი;

¹³მეფე დებირისა – ერთი; მეფე გედერისა – ერთი;

¹⁴ხორმას მეფე – ერთი; მეფე ყარადისა – ერთი;

¹⁵მეფე ლიბნისა – ერთი; მეფე ყადულამისა – ერთი;

¹⁶მეფე მაკედასი – ერთი, მეფე ბეთელისა – ერთი;

¹⁷მეფე თაფუახისა – ერთი; მეფე ხეფერისა – ერთი;

¹⁸მეფე აფეკისა – ერთი; მეფე შარონისა – ერთი;

¹⁹მეფე მადონისა – ერთი; მეფე ხაცორისა – ერთი;

²⁰მეფე შიმრონ-მერონისა – ერთი; მეფე აქშაფისა – ერთი;

²¹მეფე თაყანაქისა – ერთი; მეფე მეგიდოსი – ერთი;

²²მეფე კედეშისა – ერთი; მეფე იოკნეყამისა, ქარმელში – ერთი;

²³მეფე დორისა, ნაფათ-დორში რომ არის – ერთი; მეფე გოიმისა, გილგალში რომ არის – ერთი;

²⁴მეფე თირცასი – ერთი. სულ 31 მეფე.

იესო ნავეს ძე 13

¹უკვე მოხუცი იყო იესო და დღეებს გარდასული, როცა უთხრა მას უფალმა: „შენ უკვე მოხუცი ხარ და დღეებს გარდასული, დასამკვიდრებელი მიწა-წყალი კი ძალიან ბევრი დარჩა.

²აჰა, მიწები, რომლებიც დაუნაწილებელი დარჩა: ფილისტიმელთა მთელი მხარე და გეშურელთა მთელი ქვეყანა.

³მთელი მიწა-წყალი შიხორიდან, ეგვიპტის საზღვართან რომ არის, და ყეკრონის ჩრდილოეთ საზღვრამდე, ქანაანის ნაწილად ითვლება; იქვე



ფილისტიმელთა ხუთი სამთავრო: ღაზა, აშდოდი, აშკელონი, გათი და ყეკრონი. ეს არის ყავიმელთა მიწა-წყალი

⁴სამხრეთში. ეს ყოველივე ქანაანელთა მიწა-წყალია ციდონელთა მეყარადან აფეკამდე ედა ამორეველთა საზღვრებამდე.

⁵და გებალელთა ქვეყანა და მთელი ლიბანი მზის აღმოსავლეთით, ბაყალ-გადიდან, ხერმონის მთის ძირიდან, ხამათის მისასვლელამდე.

⁶მთის ყველა მკვიდრი ლიბანიდან მისრეფოთ-მაიმამდე, ყველა ციდონელს განუდევნი ისრაელის ძეთა წინაშე. ოღონდ წილისყრით გაუნაწილე სამკვიდროდ ისრაელს, როგორც მე გიბრძანე.

⁷და ახლა გაუნაწილე ქვეყანა სამკვიდროდ ცხრა ტომსა და მანაშეს ნახევარტომს.“

⁸მანაშეს ნახევარტომს (და მასთან ერთად რეუბენის ტომსა და გადის ტომს) უკვე მიღებული ჰქონდა თავიანთი სამკვიდრო მიწა, რომელიც მისცა მათ მოსემ იორდანეს გაღმა, მის აღმოსავლეთით. უფლის მსახურმა მოსემ მისცა მათ

⁹მიწა-წყალი დაწყებული ყაროყერიდან, არნონის ველზე რომაა, და ქალაქი, რომელიც არნონის ველზეა, და მთელი ვაკე მედებადან ვიდრე დიბონამდე,

¹⁰და ყველა ქალაქი სიხონისა, ამორეველთა მეფისა, რომელიც მეფობდა ხეშბონში (ყამონელთა საზღვრამდე),

¹¹ასევე გალაადი და მხარე გეშურელთა, და მაყაქათელთა, და მთელი ხერმონის მთა და მთელი ბაშანი ვიდრე სალქამდე

¹²(მთელი მიწა-წყალი ყოგისა, ბაშანის მეფისა, რომელიც მბრძანებლობდა ყაშთაროთსა და ედრეყში; ისლა იყო რეფაიმელთა უკანასკნელი ნატამალიდან). ეს მეფეები სძლია მოსემ და დაეპატრონა მათ მიწა-წყალს.

¹³და არ განუდევნიათ ისრაელიანთ გეშურელნი და მაყაქათელნი – ისინი დღემდე ცხოვრობენ ისრაელიანთა შორის.

¹⁴მხოლოდ ლევის ტომისთვის არ მიუცია მოსეს წილი. მათი წილი არის უფლის, ისრაელის ღმერთის, მსხვერპლები, როგორც უთხრა უფალმა მოსეს.

¹⁵და მისცა მოსემ რეუბენის ძეთა ტომს საგვარეულოების მიხედვით.

¹⁶მათი მიწა-წყალი იწყებოდა ყაროყერიდან, არნონის ველზე რომ არის, და ქალაქი, რომელიც არნონის ველზეა, და ასევე მთელი ვაკე, მედებამდე,

¹⁷ხეშბონი და ყველა ქალაქი, რომელიც მის გვერდითაა ვაკობზე, – დიბონი, ბამოთ-ბაყალი და ბეთ-ბაყალ-მეყონი,



- ¹⁸იაჭკა, კედემოთი, მეფაყათი,
- ¹⁹კირიათაიმი, სიბმა, ცერეთ-შახარი, რომელიც ყემეკის მთაზეა,
- ²⁰ბეთ-ფელორი, ფისგას კალთები და ბეთ-იემიმოთი –
- ²¹ვაკის ყველა ქალაქი და მთელი სამეფო სიხონისა, ამორეველთა მეფისა, რომელიც მეფობდა ხეშბონში, რომელიც მოსრა მოსემ, ის და მიდიანელი სარდლები: ევი, რეკემი, ცური, ხური და რებაყი, მკვიდრნი ამ ქვეყნისა.
- ²²და ბალაამი, ძე ბეყორისა, მისანი, მოკლეს ისრაელის ძეთ მახვილით, მათ მიერ სხვა მოკლულთა რიცხვში.
- ²³და რეუბენის ძეთა საზღვრად იყო იორდანე. რეუბენის ძეთა წილ-ხვედრი იყო მათი საგვარეულოების მიხედვით, ქალაქები და მათი სოფლები.
- ²⁴და გამოუყო მოსემ სამკვიდრო გადის ტომს, გადის ძეთ, მათი საგვარეულოების მიხედვით.
- ²⁵და იყო მათი სამკვიდრო იაყზერი, და გალაადის ყველა ქალაქი, და ყამონელთა ნახევარი ქვეყანა ვიდრე ყაროყერამდე, რაბას ახლოს რომ არის,
- ²⁶და ხეშბონიდან ვიდრე რამათ-მიცფემდე და ბეტონიმამდე, და მახანაიმიდან დებირის საზღვრამდე,
- ²⁷და ველზე: ბეთ-ჰარამი, ბეთ-ნიმრა, სუქოთი, ცაფონი და სიხონის, ხეშბონის მეფის, სამეფოს დარჩენილი ნაწილი. იორდანე ესაზღვრებოდა მას ქინერეთის ზღვის კიდემდე, იორდანეს გაღმა, აღმოსავლეთით.
- ²⁸ეს იყო სამკვიდრო გადის ძეთა მათი საგვარეულოების მიხედვით, ქალაქები და მათი სოფლები.
- ²⁹და მისცა მოსემ მანაშეს ნახევარტომს სამკვიდრო, და ეს იყო მანაშეს ძეთა ნახევარტომისა, მათი საგვარეულოების მიხედვით.
- ³⁰და იყო საზღვარი მათი: მახანაიმიდან მთელი ბაშანი, მთელი სამეფო ყოგისა, ბაშანის მეფისა, და ყველა სოფელი იაირისა, რომელიც ბაშანშია – 60 ქალაქი.
- ³¹და ნახევარი გალაადი, და ყაშთაროთი, და ედრეყი – ყოგის სამეფოს ქალაქები ბაშანში ერგოთ მანაშეს ძის, მაქირის, შთამომავლებს, მაქირის ძეთა ნახევარს, მათი საგვარეულოების მიხედვით.
- ³²ეს არის, რაც გაანაწილა მოსემ მოაბის ვაკობზე, იორდანეს აღმოსავლეთით – იერიხოს მდინარისა.
- ³³ლევის ტომისთვის არ მიუცია მოსეს სამკვიდრო. მათი სამკვიდრ – ასე უთხრა მათ მოსემ – თავად უფალი, ისრაელის ღმერთია.



იესო ნავეს ძე 14

¹ეს არის, რაც დაიმკვიდრეს ისრაელის ძეთ ქანაანის ქვეყანაში, რაც დაუმკვიდრეს მათ ელეაზარ მღვდელმა და იესო ნავეს ძემ, და ისრაელის ძეთა ტომების მთავრებმა.

²წილისყრით დაუმკვიდრეს მათ, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს პირით, ცხრა ტომსა და მანაშეს ნახევარტომს.

³რადგან მოსემ სამკვიდრო ორ ტომსა და მანაშეს ნახევარტომს იორდანეს გაღმა მისცა და ლევიანებისთვის არ მიუცია სამკვიდრო მათ შორის.

⁴რადგან იოსების ძენი ორ ტომად იყვნენ: მანაშედ და ეფრემად; და ამიტომ არ მიუციათ წილი ლევის ძეთათვის ქვეყანაში, არამედ მხოლოდ ქალაქები საცხოვრებლად მათი საძოვრებით მათი პირუტყვისათვის და მათი ქონებისათვის.

⁵როგორც უბრძანა უფალმა მოსეს, ისე შეასრულეს ისრაელის ძეთ და დაინაწილეს ქვეყანა.

⁶და მივიდნენ იუდას ძენი გილგალში იესოსთან, და უთხრა მას ქალებ იეფუნეს ძემ, კენიზელმა: „შენ იცი სიტყვა, რომელიც კადემ-ბარნეაყში უთხრა უფალმა მოსეს, ღვთის კაცს, ჩემზე და შენზე.

⁷მე 40 წლისა ვიყავი, როცა გამგზავნა მოსემ, უფლის მსახურმა, კადემ-ბარნეაყიდან ქვეყნის დასაზვერად. და მივუტანე მას ამბავი, ჩემი გულისამებრ.

⁸და ჩემმა ძმებმა, რომელნიც ჩემთან ერთად დადიოდნენ, გული გაუტეხეს ხალხს. მე კი ბოლომდე მივყევი უფლის, ჩემი ღმერთის, კვალს.

⁹და დაიფიცა მოსემ იმ დღეს, ასე: ‘ქვეყანა, რომელსაც ფეხი დაადგი, შენი და შენი შვილების სამკვიდროდ იყოს უკუნისამდე, რადგან შენ გაჰყევი უფლის, ჩემი ღმერთის, კვალს.’

¹⁰და აჰა, მაცოცხლა უფალმა მე, როგორც თქვა. 45 წელი გავიდა უკვე მას აქეთ, რაც ეს სიტყვა უთხრა უფალმა მოსეს, როცა ისრაელი უდაბნოში დადიოდა. და ახლა, აჰა, 45 წლისა ვარ.

¹¹ჯერაც ისევე მაგარი ვარ დღეს, როგორც იმ დღეს, მოსემ რომ გამგზავნა. რა ძალაც მაშინ მქონდა, ახლაც ისეთივე ძალა მაქვს საბრძოლველად, რათა გავიდე და შემოვიდე.

¹²და ახლა, მომეცი ეს მთიანი ქვეყანა, როგორც უფალმა თქვა იმ დღეს, რადგან შენ ისმინე იმ დღეს, რომ იქ ყანაკელები არიან, დიდი და



გამაგრებული ქალაქებით. ეგებ უფალი იყოს ჩემთან, და განვდევნო ისინი, როგორც უფალმა ბრძანა.“

¹³და აკურთხა იგი იესომ, და მისცა ხებრონი ქალებს, იეფუნეს ძეს, სამკვიდროდ.

¹⁴ამიტომ არის ხებრონი კენიზელის ქალებ იეფუნეს ძის სამკვიდროდ დღევანდლამდე, რადგან იგი მიჰყვა უფლის, ისრაელის ღმერთის, კვალს.

¹⁵და უწინ ხებრონს კირიათ-არბაყი ერქვა, რომელიც ყანაკელებს შორის დიდი კაცი იყო. და ქვეყანამ მოისვენა ომისაგან.

იესო ნავეს ძე 15

¹იუდას ტომს – მთელ მათ საგვარეულოებს – წილისყრით ერგოთ სამკვიდრო, რომელიც უკიდურეს სამხრეთში ესაზღვრება ედომის მიწებსა და ცინის უდაბნოს.

²სამხრეთის საზღვარი ამ მიწა-წყლისა იწყებოდა მარილოვანი ზღვის კიდიდან (ზღვის სამხრეთი ყურიდან),

³სამხრეთით ის გადიოდა ყაკრაბიმის ზეგანისკენ, ცინს გასცდებოდა და ზევით მიიწევდა, კადემ-ბარნეაყის სამხრეთით. შემდეგ საზღვარი გაივლიდა ხეცრონს, ადიოდა ადარასკენ, უხვევდა კარკაყასკენ,

⁴გაივლიდა ყაცმონს, გადიოდა ეგვიპტის ნაღვარევისკენ და ზღვამდე აღწევდა. ეს არის თქვენი სამხრეთის საზღვარი.

⁵ხოლო აღმოსავლეთის საზღვარი იყო მკვდარი ზღვა, იორდანეს შესართავამდე. ჩრდილოეთის საზღვარი იწყებოდა მკვდარი ზღვის ყურედან (იორდანეს შესართავიდან),

⁶ადიოდა საზღვარი ბეთ-ხოგლამდე, გადადიოდა ბეთ-ყარაბას ჩრდილოეთით, ზემოთ ადიოდა ბოჰანის ტინამდე, რეუბენის ძისა,

⁷და აღწევდა საზღვარი დებირამდე ყაქორის ველიდან, და უხვევდა ჩრდილოეთით გილგალისკენ, რომელიც ადუმიმის მაღლობის ახლოს იყო, სამხრეთისკენ რომ გადიოდა ხეობიდან; და იქიდან გადადოდა ყენ-შემემშის წყლებისკენ და ყენ-როგელამდე აღწევდა.

⁸და ადიოდა საზღვარი ბენ-ჰინომის ველისკენ, იებუსის, ანუ იერუსალიმის სამხრეთით, და მიიწევდა საზღვარი იმ მთის თხემისაკენ, ჰინომის ველის დასავლეთით რომ არის, და რეფაიმა ველის ჩრდილოეთით.



⁹და უხვევდა საზღვარი მთის თხემიდან ნეფთოახის წყაროს წყლებისკენ და გადიოდა ყეფრონის მთის ქალაქებისკენ, და უხვევდა საზღვარი ბაყალასაკენ ანუ კირიათ-იეყარიმისკენ.

¹⁰და უხვევდა საზღვარი ბაყალადან დასავლეთით, სეყირის მთისკენ, და გაივლიდა იეყარიმის ანუ ქესალონის მთის ჩრდილო კალთებს, და ეშვებოდა ბეთ-შემეშისაკენ, ჩაუვლი თიმნას,

¹¹და გადიოდა საზღვარი ყეფრონის ჩრდილო მხარეს, და უხვევდა შიქერონისაკენ, გადადიოდა ბაყალას მთაზე, და აღწევდა იაზნეელამდე და საზღვარი ზღვამდე აღწევდა.

¹²დასავლეთის საზღვარი იყო დიდი ზღვა. და ეს არის იუდას ძეთა საზღვარი ირგვლივ, მათი საგვარეულოების მიხედვით.

¹³და ქალებს, იეფუნეს ძეს, მისცა წილი იუდას ძეთა შორის, როგორც ნაბრძანები ჰქონდა უფალს იესოსთვის; და მისცა მას იესომ კირიათ-არბაყი, ყანაკელთა მამის, ანუ ხებრონი.

¹⁴და განდევნა იქიდან ქალებმა სამი ძე ყენაკისა: შეშაი, ახიმანი და თალმაი – ყანაკის ნაშობნი.

¹⁵და წავიდა იქიდან ქალები დებირის მკვიდრთა წინააღმდეგ. (უწინ დებირს კირიათ-სეფერი ერქვა.)

¹⁶და თქვა ქალებმა: „ვინც მოსრავს კირიათ-სეფერს და აიღებს, მას ცოლად მივცემ ყაქსას, ჩემს ასულს.“

¹⁷და აიღო ქალაქი ღოთნიელმა, კენაზის ძემ, ქალების ძმამ, და მისცა მას ქალებმა ცოლად ყაქსა, თავისი ასული.

¹⁸მივიდა ახსა და ღოთნიელი დაიყოლია, რომ მისი მამისგან მიწის ნაკვეთი გამოეთხოვა. „რა გინდა?“ – ჰკითხა ქალებმა ახსას, როცა ის სახედრიდან ჩამოხდა.

¹⁹ყაქსამ უპასუხა: „მომეცი მე კურთხევა და რაკი მიწის ნაკვეთს ნეგებში მაძლევ, ბარემ წყალსატევებიც მომეცი.“ და ქალებმა მისცა მას ზემო და ქვემო წყალსატევები.

²⁰აი, იუდას ძეთა ტომის სამკვიდრო მათი საგვარეულოების მიხედვით.

²¹და იყო მათი ქალაქები იუდას ტომის სამკვიდროს კიდეზე, ედომის საზღვრისკენ, სამხრეთში: კაბცეელი, ყედერი, იაგური,

²²კინა, დიმონა, ყადყადა,

²³კედეში, ხაცორი, ითნანი,



- ²⁴ზიფი, ტელემი, ბაყალოთი,
²⁵ხაცორ-ხადათა, კერიოთ-ხეცრონი ანუ ხაცორი,
²⁶ამამი, შემაცი, მოლადა,
²⁷ხაცარ-გადა, ხემმონი, ბეთ-ფელეტი,
²⁸ხაცარ-შუყალი, ბეერ-შეზაცი, ბიზიოთია,
²⁹ბაყალა, ყიიმი, ყეცემი,
³⁰ელთოლადი, ქესილი, ხორმა,
³¹ციკლაგი, მადმანა, სანსანა,
³²ლებათი, შილხიმი, ყაინი და რიმონი – სულ 29 ქალაქი თავისი სოფლებით.
³³ბარში: ეშთაოლი, ცორყა, აშნა,
³⁴ზანოახი, ყენ-განიმი, თაფუახი, ყენამი,
³⁵იარმუთი, ყადულამი, სოქო, ყაზეკა,
³⁶შაყარაიმი, ყადითაიმი, გედერა, გედეროთაიმი – სულ 14 ქალაქი თავისი სოფლებით.
³⁷ცენანი, ხადაშა, მიგდალ-გადი,
³⁸დილყანი, მიცფე, იოკთეელი,
³⁹ლაქიში, ბოცკათი, ყეგლონი,
⁴⁰ქაბონი, ლახმასი, ქითლიში,
⁴¹გედეროთი, ბეთ-დაგონი, ნაყამა და მაკედა – 16 ქალაქი თავისი სოფლებით.
⁴²ლიბნა, ყეთერი, ყაშანი,
⁴³იფთახი, აშნა, ნეციბი,
⁴⁴კეყილა, აქზიბი, მარეშა – ცხრა ქალაქი თავისი სოფლებით.
⁴⁵ყეკრონი თავისი ქალაქებითა და თავისი სოფლებით.
⁴⁶ყეკრონიდან ზღვისკენ ყველაფერი, რაც აშდოდის მახლობლად იყო, მისი სოფლებით.
⁴⁷აშდოდი, თავისი ქალაქებითა და სოფლებით; ღაზა, თავისი ქალაქებითა და სოფლებით ეგვიპტის ხევამდე; დიდი ზღვა თავისი სანაპიროთი.
⁴⁸ხოლო მთაში: შამირი, იათირი, სოქო,



- ⁴⁹დანა, კირიათ-სანა, ანუ დებირი,
- ⁵⁰ყანაბი, ეშთემო, ყანიმი,
- ⁵¹გოშენი, ხოლონი და გილო – 11 ქალაქი თავისი სოფლებით.
- ⁵²არაბი, დუმა, ეშყანი,
- ⁵³იანუმი, ბეთ-თაფუახი, და აფეკა,
- ⁵⁴ხუმტა, კირიათ-არბაყი ანუ ხებრონი და ციყორი – ცხრა ქალაქი თავისი სოფლებით.
- ⁵⁵მაყონი, ქარმელი, ზიფი, იუტა,
- ⁵⁶იზრეყელი, იოკდეყამი, ზანოახი,
- ⁵⁷კაენი, გიბეყა და თიმნა – ათი ქალაქი თავისი სოფლებით.
- ⁵⁸ხალხული, ბეთ-ცური, გედორი,
- ⁵⁹მაყარათი, ბეთ-ყანოთი და ელთეკონი – ექვსი ქალაქი თავისი სოფლებით.
- ⁶⁰კირიათ-ბაყალი ანუ კირიათ-იეყარიმი და რაზა – ორი ქალაქი თავისი სოფლებით,
- ⁶¹უდაბნოში: ბეთ-ყარაბა, მიდინი, სეჟაჟა,
- ⁶²ნიბშანი, მარილის ქალაქი და ყენ-გედი – ექვსი ქალაქი თავისი სოფლებით.
- ⁶³იუდას ძეთ ვერ წაართვეს იებუსელთ იერუსალიმი. და დღევანდლამდე ცხოვრობენ იებუსელნი იუდაელებთან ერთად იერუსალიმში.

იესო ნავეს ძე 16

- ¹იოსების ძეთ წილისყრით ერგოთ სამკვიდრო, რომელიც იწყებოდა იორდანესთან – იერიხოს მდინარის (იერიხოს წყლების აღმოსავლეთით). იერიხოდან საზღვარი მიდიოდა უდაბნოზე გავლით, მთებში ბეთელისკენ.
- ²ბეთელიდან გადიოდა ლუზისკენ, შემდეგ მიემართებოდა არქელთა მხარეში, ყატაროთისკენ,
- ³შემდეგ მიდიოდა დასავლეთისკენ, ეშვებოდა იაფლეტელთა მხარისკენ, ქვემო ბეთ-ხორონის მიჯნამდე, გეზერისაკენ და ზღვამდე აღწევდა.
- ⁴იოსების მოდგმასაც – მანაშესა და ეფრემის შტოებს – გამოეყო სამკვიდრო.
- ⁵აი საზღვრები იმ მიწა-წყლისა, რომელიც ერგოთ ეფრემის ძეთა შთამომავლებს (ეფრემის საგვარეულოების მიხედვით). ყატაროთ-



ადარიდან აღმოსავლეთით საზღვარი მიდიოდა ზემო ბეთ-ხორონისაკენ⁶ და აღწევდა ზღვას. ჩრდილოეთის საზღვარი – მიქმეთათი. აღმოსავლეთის საზღვარი უხვევდა თაანათ-შილოსაკენ, შემდეგ გადიოდა აღმოსავლეთით იანოახამდე,

⁷და იანოახიდან ეშვებოდა ყატაროთისა და ნაყარასაკენ, სწვდებოდა იერიხოს და ჩადიოდა იორდანემდე.

⁸თაფუახიდან საზღვარი მიიწევდა დასავლეთისკენ, ვადი კანასაკენ და ზღვამდე აღწევდა. ეს იყო სამკვიდრო ეფრემის ძეთა ტომისა მათი საგვარეულოების მიხედვით.

⁹ეფრემის ძეთათვის გამოყოფილი იყო ქალაქები მანაშეანთა შუა სამკვიდროში, ყველა ქალაქი თავისი სოფლებით,

¹⁰მაგრამ მათ არ განუდევნიათ გეზურიდან ქანაანელნი. და ცხოვრობენ ქანაანელნი ეფრემის წილ-ხვედრზე დღევანდლამდე, და მათი მოხარკენი არიან.

იესო ნავეს ძე 17

¹ეს იყო მანაშეს ტომის წილი, რადგან ის იოსების პირმშო იყო. ხოლო მაქირს, მანაშეს პირმშოს, გალაადის მამას, ერგო გალაადი და ბაშანი, რადგან ის მეომარი კაცი იყო.

²და ერგოთ მიწები მანაშეს დანარჩენ ძეებსაც მათი საგვარეულოების მიხედვით: აბიყეზერის ძეთ, ხელეკის ძეთ, ასრიელის ძეთ, შექემის ძეთ, ხეფერის ძეთ და შემიდაყის ძეთ. ესენი არიან მანაშეს შთამომავლები, იოსების ძისა, მათი საგვარეულოების მიხედვით.

³ხოლო ცელოფხადს, ხეფერის ძეს, გალაადის ძეს, მაქირის ძეს, მანაშეს ძეს არ ჰყავდა ძენი, არამედ ასულნი. და მის ასულებს ერქვათ: მახლა, ნოყა, ხოგლა, მილქა და თირცა.

⁴და წარდგნენ ისინი ელეაზარ მღვდლის, იესო ნავეს ძისა და მთავართა წინაშე და თქვეს: „უფალმა უბრძანა მოსეს, რომ მოეცა ჩვენთვის სამკვიდრო ჩვენს მოძმეთა შორის.“ და მისცა მათ, უფლის ბრძანებისამებრ, სამკვიდრო მათი მამის ძმებს შორის.

⁵და ერგო მანაშეს ათი ნაკვეთი, გარდა გალაადისა და ბაშანის მიწებისა, რაც იორდანეს გაღმა იყო.

⁶რადგან მანაშეს ძეთა ასულებმა დაიმკვიდრეს სამკვიდრო მის ძეთა შორის. ხოლო გალაადის ქვეყანა ერგო მანაშეს დანარჩენ ძეებს.



⁷მანაშეს ძეთა საზღვარი გადიოდა აშერიდან მიქმეთათამდე, შექემის პირდაპირ რომ არის. იქიდან საზღვარი მიდიოდა მარჯვნივ, ყენ-თაფუახისკენ.

⁸მანაშეს ერგო თაფუახის ქვეყანა. ხოლო ქალაქი თაფუახი მანაშეს საზღვართან ეფრემის ძეთ ერგოთ.

⁹და ეშვებოდა საზღვარი კანას ხევისკენ, ხევის სამხრეთით. ეს ქალაქები ერგო ეფრემს, თუმცა მანაშეს ქალაქებს შორის მდებარეობდა. მანაშეს სამკვიდროს საზღვარი ხევის ჩრდილოეთ მხარეს იყო, და ზღვასთან წყდებოდა.

¹⁰სამხრეთით ეფრემისა იყო, ჩრდილოეთით – მანაშესი; ზღვა იყო მათი გამმიჯნავი. აშერს ისინი ეკვროდნენ ჩრდილოეთიდან, ისაქარს – აღმოსავლეთიდან.

¹¹ისაქარისა და აშერის საზღვრებში მანაშეს ერგო ბეთ-შეანი, იბლეყამი, დორი ყენ-დორი, თაყანაქი და მეგიდო, მათ ირგვლივ მდებარე დაბეებითურთ. მესამე ამ ქალაქთაგან ნაფეთ-დორში მდებარეობდა.

¹²მაგრამ მანაშეს შთამომავლებმა ვერ შეძლეს ამ ქალაქების დაუფლება, და დარჩნენ ქანაანელნი ამ მიწა-წყალზე საცხოვრებლად.

¹³და როცა მომძლავრდნენ ისრაელიანები, მოხარკეებად გაიხადეს ქანაანელები, მათ მიწებს კი ვერ დაეუფლნენ.

¹⁴ელაპარაკნენ იოსების შთამომავალნი იესოს და უთხრეს: „რატომ მოგვეცი მხოლოდ ერთი წილი სამკვიდრო და მხოლოდ ერთი ნაკვეთი? ჩვენ ხომ მრავალრიცხოვანი ხალხი ვართ, რადგან ასე გვაკურთხა ჩვენ უფალმა!“

¹⁵და უპასუხა მათ იესომ: „თუ მრავალრიცხოვანი ხალხი ხართ, ადით ტყეში და გატეხეთ იქ თქვენთვის ახო ფერიზელთა და რეფაიმელთა მიწაზე, რაკი ეფრემის მთა გევიწროვებათ.“

¹⁶და უთხრეს იოსების მემკვიდრეებმა: „არ შეგვრჩება ეს მთა, რადგან რკინის ეტლები აქვთ ბარში მცხოვრებ ქანაანელთ, იმათაც, ვინც ბეთ-შეანში არიან და მის სოფლებში, და იმათაც, ვინც იზრეყელის ველზე არიან.“

¹⁷და უთხრა იესომ იოსების, ეფრემისა და მანაშეს სახლს ასე: „მრავალრიცხოვანი ხალხი ხართ და ძალაც დიდი გაქვთ, ამიტომ არ უნდა გქონდეთ ერთი წილი.

¹⁸მთა თქვენი იქნება, ტყიანი კია, მაგრამ ახოს გატეხავთ და თავიდან ბოლომდე თქვენი იქნება, რადგან განდევნით ქანაანელთ, თუმცა მათ რკინის ეტლები აქვთ; და თუმცა ისინი ძლიერნი არიან, მაინც დაიმკვიდრებთ მათ მიწა-წყალს.“



იესო ნავეს ძე 18

¹და შეიყარა ისრაელის ძეთა მთელი თემი შილოში, და დაავანეს იქ საკრებულო კარავი, რადგან ქვეყანა უკვე მთლიანად დამორჩილებული იყო.

²და დარჩა ისრაელიანთაგან შვიდი ტომი, რომელთაც ჯერ მიღებული არ ჰქონდათ თავიანთი სამკვიდრო.

³და უთხრა იესომ ისრაელიანთ: „რადას აყოვნებთ, რატომ არ მოდიხართ ამ ქვეყნის დასამკვიდრებლად, უფალმა, თქვენი მამების ღმერთმა, რომ მოგცათ?“

⁴გამოყავით თითო ტომიდან სამ-სამი კაცი, და მე გავგზავნი მათ, რათა მოიარონ ეს ქვეყანა. აღწერონ მათ იგი, რათა შესაძლებელი გახდეს მისი დანაწილება სამკვიდროებად, და დაბრუნდნენ ჩემთან.

⁵მათ იგი უნდა გაყონ შვიდ ნაწილად. იუდა დადგეს თავის საზღვარზე სამხრეთით; და იოსების სახლი თავის საზღვარზე დადგეს ჩრდილოეთით.

⁶და აღწერეთ ქვეყანა შვიდ ნაწილად, და აღწერილი მომიტანეთ მე. და მე გიყრიტ წილს აქ უფლის, ჩვენი ღმერთის, წინაშე.

⁷ლევიათ არა მიეცემათ ნაწილი თქვენს მიწაზე, რადგან უფლის მღვდლობაა მათი სამემკვიდრო; ხოლო გადის და რეუბენის ტომებმა და მანაშეს ნახევარმა ტომმა უკვე მიიღეს უფლის მსახურის, მოსესგან, თავიანთი სამკვიდრო იორდანეს აღმოსავლეთით.“

⁸და აღგნენ ეს კაცები და წავიდნენ. და უბრძანა იესომ მიმავალთ, რომ აღეწერათ ქვეყანა: „წადით, მოიარეთ ქვეყანა და აღწერეთ იგი, და დაბრუნდით ჩემთან. და აქ, შილოში, წილს გიყრიტ უფლის წინაშე.“

⁹და წავიდნენ ის კაცები, მოიარეს ქვეყანა და ჩაწერეს ის წიგნში ქალაქების მიხედვით, შვიდ ნაწილად, და დაბრუნდნენ შილოს ბანაკში იესოსთან.

¹⁰იქ, შილოში, უყარა მათ წილი იესომ უფლის წინაშე და დაანაწილა ქვეყანა ისრაელიანთა ტომებს შორის.

¹¹ბენიამინის ტომის მემკვიდრეთ მათ ყველა საგვარეულოს წილად ხვდა სამკვიდრო, რომელიც იუდასა და იოსების ძეთა სამკვიდროთა შორის იყო.

¹²მათი საზღვარი ჩრდილოეთით იწყებოდა იორდანედან და მიიწევდა იერიხოს ჩრდილოეთით, მიუყვებოდა მთას დასავლეთისკენ და თავდებოდა ბეთ-ავენის უდაბნოში.



¹³იქიდან საზღვარი გადიოდა ლუზისკენ, ლუზს, ანუ ბეთელს სამხრეთის მხრიდან უვლიდა და საზღვარი ეშვებოდა ყატაროთ-ადარისაკენ, მთაზე, რომელიც ქვემო ბეთ-ხორონის სამხრეთით იყო.

¹⁴და მიიწევდა საზღვარი და უხვევდა დასავლეთით, მთის სამხრეთით, რომელიც ბეთ-ხორონის წინ იყო, და თავდებოდა კირიათ-ბაყალთან, ანუ კირიათ-იეყარიმთან, იუდას ძეთა ქალაქთან. ეს იყო დასავლეთის მხარე.

¹⁵და სამხრეთის მხარე: კირიათ-იეყარიმის კიდედან გადიოდა საზღვარი ზღვისკენ და აღწევდა ნეფთოახის წყარომდე.

¹⁶იქიდან საზღვარი ეშვებოდა მთის ძირისაკენ, რომელიც ბენ-ჰინომის ველის წინაშე იყო, რეფაიმის ველზე ჩრდილოეთით, და ეშვებოდა ჰინომის ველზე, იებუსელთა სამხრეთით, და ჩადიოდა ყენ-როგელში.

¹⁷და უხვევდა ჩრდილოეთიდან, და გადიოდა ყენ-შემემშისაკენ, და მიემართებოდა გელილოთისკენ, რომელიც ადუმიმის მაღლობის პირისპირ იყო, და ეშვებოდა რეუბენის ძისა, ბოჰანის, ქვასთან.

¹⁸შემდეგ საზღვარი გადიოდა ბეთ-ყარაბას ჩრდილოეთით და ეშვებოდა იორდანეს ვაკეზე.

¹⁹შემდეგ საზღვარი მიჰყვებოდა ბეთ-ხოვლას ჩრდილოეთით, და თავდებოდა მარილოვანი ზღვის ჩრდილოეთ კიდესთან (იორდანეს შესართავთან). ეს იყო სამხრეთის საზღვარი.

²⁰აღმოსავლეთის საზღვარი იყო იორდანე. ეს იყო საზღვრები ბენიამინის ძეთა ყველა საგვარეულოს სამკვიდროსი.

²¹ეს იყო ქალაქები ბენიამინის ძეთა ტომისა – ყველა მათი საგვარეულოსი: იერიხო, ბეთ-ხოვლა, ყემეკ-კეციცი,

²²ბეთ-ყარაბა, ცემარაიმი, ბეთელი,

²³ყავიმი, ფარა, ყოფრა,

²⁴ქეფარ-ყამონი, ყოფნი, გებაყი – 12 ქალაქი მათი დაბეზითურთ;

²⁵გიბეონი, რამა, ბეროთი,

²⁶მიცფე, ქეფირა, მოცა,

²⁷რეკემი, ირფეელი, თარალა,

²⁸ცელაყი, ელეფი, იებუსი ანუ იერუსალიმი, გიბეყა, კირიათ-იეყარიმი – სულ 14 ქალაქი თავიანთი დაბეზითურთ. ეს იყო სამკვიდრო ბენიამინის ძეთა, ყველა საგვარეულოსი.



იესო ნავეს ძე 19

- ¹და მეორე წილი ხვდა სიმეონს, სიმეონის ტომის ყველა საგვარეულოს. და იყო მათი სამკვიდრო იუდას ძეთა სამკვიდროში.
- ²იგი შეიცავდა: ბერ-შეზაყნს, მოლადას,
- ³ხაზარ-შუყალს, ბალას, ყეცემს,
- ⁴ელთოლადს, ბეთულს, ხორმას,
- ⁵ციკლაგს, ბეთ-მარქაბოთს, ხაზარ-სუსას,
- ⁶ბეთ-ლებაოთს და შარუხენს, სულ ცამეტ ქალაქს მათი დაბეზითურთ;
- ⁷ყაინს, რიმონს, ყეთერს და ყაშანს – ოთხ ქალაქს მათი დაბეზითურთ.
- ⁸და ყველა სოფელს, რომლებიც ამ ქალაქების ირგვლივ იყო, ბაყალათ-ბერამდე და რამათ-ნეგებამდე, ეს იყო სამკვიდრო სიმეონის ძეთა ტომისა ყველა მათი საგვარეულოსათვის.
- ⁹იუდას ძეთა წილიდან გამოუყვეს სიმეონის ძეთ სამკვიდრო, რადგან დიდი წილი ჰქონდათ იუდაელთ; და დაიმკვიდრეს სიმეონის ძეთ მათ სამკვიდროში.
- ¹⁰მესამე წილი ერგო ზებულუნის ძეთ ყველა მათი საგვარეულოსათვის. მათი სამკვიდროს საზღვარი სარიდამდე აღწევდა.
- ¹¹სარიდიდან საზღვარი მიდიოდა დასავლეთისაკენ, მარყალასაკენ, და ეკვროდა დაბეშეთსა და იმ ველს, იოკნეყამის წინ რომ არის.
- ¹²და სარიდიდან უხვევდა აღმოსავლეთისაკენ ქისლოთ-თაბორამდე, და გადიოდა დაბრათისკენ, და მიიწევდა იაფიაყისკენ.
- ¹³და იქიდან გადიოდა აღმოსავლეთის მიმართულებით, მზის აღმოსავლეთისკენ, გათ-ხეფერისკენ, ეთ-კაციჩისკენ, და გადადიოდა რიმონისკენ და უხვევდა ნეყასაკენ.
- ¹⁴და უხვევდა ის საზღვარი ჩრდილოეთიდან ხანათონისკენ, და თავდებოდა იფთახ-ელის ველზე;
- ¹⁵ამ სამკვიდროში შედიოდა კატათი, ნაჰალალი, შიმრონი, იდალა და ბეთლემი – 12 ქალაქი მათი დაბეზითურთ.
- ¹⁶ეს იყო ზებულუნის ძეთა და მათი სახლეულობების სამკვიდრო – ეს ქალაქები მათი დაბეზითურთ.
- ¹⁷ისაქარს ერგო მეოთხე წილი – ისაქარის მოდგმის ყველა საგვარეულოსათვის.



- ¹⁸და მათ წილში შედიოდა იზრეყელი, ქესულოთი, შუნემი,
- ¹⁹ხაფარაიმი, შიონი, ანახარათი,
- ²⁰რაბითი, კიშონი, ებეცი,
- ²¹რემეთი, ყენ-განიმი, ყენ-ხადა და ბეთ-ფაცეცი.
- ²²და ეკვროდა საზღვარი თაბორს, შახაცუმას და ბეთ-შემეშს. საზღვარი თავდებოდა იორდანესთან: 16 ქალაქი მათი დაბეებითურთ.
- ²³ეს იყო სამკვიდრო ისაქარის ტომის ყველა საგვარეულოსი (ქალაქები და სოფლები მათ ირგვლივ).
- ²⁴და ერგო მეხუთე წილი აშერის ძეთა ტომს – ყველა მის საგვარეულოს.
- ²⁵და მათ სამკვიდროში შედიოდა ხელკათი, ხალი, ბეტენი, აქშაფი,
- ²⁶ალამელექი, ყამყადი და მიშალი. მათი საზღვარი დასავლეთით აღწევდა ქარმელსა და შიხორ-ლიბნათს.
- ²⁷მეორე მხარეს – აღმოსავლეთის მიმართულებით – საზღვარი მიდიოდა ბეთ-დაგონისაკენ, და აღწევდა ზებულუნისა და იფთახ-ელის ველის მიწებს ჩრდილოეთიდან. ამავე სამკვიდროში შედიოდა ბეთ-ყემეკი და ნეყიელი; შემდეგ საზღვარი გადიოდა ქაბულისაკენ ჩრდილოეთით;
- ²⁸ამ სამკვიდროში შედიოდა აგრეთვე ყაბდონი, რეხოზი, ხამონი და კანა. საზღვარი აღწევდა დიდ ციდონამდე,
- ²⁹და უხვევდა რამასკენ, მიდიოდა ციხე-ქალაქ ცორამდე, იქიდან უხვევდა ხოსასკენ და თავდებოდა ზღვასთან. სამკვიდროში შედიოდა მახალები, აქზიბი,
- ³⁰ყუმა, აფეკი და რეხოზი – 22 ქალაქი მათი დაბეებითურთ.
- ³¹ეს იყო აშერის ძეთა ტომის სამკვიდრო ყველა მათი საგვარეულოსათვის – ქალაქები მათი დაბეებითურთ.
- ³²ნაფთალის ძეთა შთამომავალთ – ნაფთალის ძეთა მოდგმის ყველა საგვარეულოს – მეექვსე წილი შეხვდა.
- ³³და იწყებოდა მათი სამკვიდროს საზღვარი ხელეფიდან და ცაყანანიმის მუხიდან, ადამი-ნეკებისა და იაზნეელის გავლით ლაკუმამდე მიდიოდა და, თავდებოდა იორდანესთან.
- ³⁴მეორე მხარეს – დასავლეთით – საზღვარი მიდიოდა აზნოთ-თაბორისკენ ხოლო იქიდან – ხუკოკისკენ. სამხრეთიდან მათი სამკვიდრო ესაზღვრებოდა ზებულუნს, დასავლეთიდან აშერს, ხოლო აღმოსავლეთიდან იორდანეს იუდას.



- ³⁵მათ სამკვიდროშია ციხე-ქალაქები: ციდიმი, ცერი, ხამათი, რაკათი, ქინერეთი,
- ³⁶ადამა, რამა, ხაცორი,
- ³⁷კედეში, ედრეყი, ყენ-ხაცორი,
- ³⁸ირონი, მიგდალ-ელი, ხორემი, ბეთ-ყანათი და ბეთ-შემეში – 19 ქალაქი თავისი დაბეებითურთ.
- ³⁹ეს იყო ნაფთალის ტომის სამკვიდრო ყველა მათი საგვარეულოებისთვის – ქალაქები და დაბეები მის ირგვლივ.
- ⁴⁰დანის ძეთა ტომს მთელი მათი საგვარეულოებისთვის ერგო მეშვიდე წილი.
- ⁴¹და მათ სამკვიდროში იყო ცორყა, ეშთაოლი, ყირ-შემეში,
- ⁴²შაყალაბინი, აიალონი, ითლა,
- ⁴³ელონი, თიმნა, ყეკრონი,
- ⁴⁴ელთეკე, გიბეთონი, ბაყალათი,
- ⁴⁵იეჰუდი, ბენე-ბერაკი, გათ-რიმონი,
- ⁴⁶მე-იარკონი და რაკონი და ასევე მიწები იაფოს პირდაპირ.
- ⁴⁷და დანის ძეთა მოდგმამ დაკარგა თავისი სამკვიდრო. მაშინ წავიდნენ დანის ძენი და შეებრძოლნენ ლეშემს, აიღეს იგი და მოსრეს მახვილის პირით, და იქ დასახლდნენ. და უწოდეს ლეშემს დანი, მათი მამის, დანის, სახელის მიხედვით.
- ⁴⁸ეს იყო დანის ძეთა ტომის სამკვიდრო მათი საგვარეულოების მიხედვით: ეს ქალაქები და მათი სოფლები.
- ⁴⁹და როცა მორჩნენ ქვეყნის დამკვიდრებას მისი საზღვრებითურთ, მაშინ მისცეს ისრაელის ძეთ სამკვიდრო იესოს, ნავეს ძეს, მათ შორის.
- ⁵⁰უფლის ბრძანებით მათ იესოს მისცეს ქალაქი თიმნათ-სერახი, რომელიც თავისთვის აირჩია იესომ ეფრემის მთაზე. და ააშენა ქალაქი და იქ დასახლდა.
- ⁵¹ესენი იყო სამკვიდროები, რომელნიც დაუმკვიდრეს ელეაზარ მღვდელმა, იესო ნავეს ძემ, და მთავრებმა ისრაელის ძეთა ტომებს წილისყრით შილოში, უფლის წინაშე, საკრებულო კარვის კარიბჭესთან. და ასე მორჩნენ ქვეყნის დანაწილებას.

იესო ნავეს ძე 20



¹და უთხრა უფალმა იესოს:

²„ელაპარაკე ისრაელის ძეთ და უთხარი: ‘გამოიყავით თავშესაფარი ქალაქები, რაზეც მე გელაპარაკეთ მოსეს პირით,

³რათა გაიქცეს იქ მკვლელი, რომელსაც უნებლიეთ შემოაკვდება კაცი. და გქონდეთ მესისხლისაგან თავშესაფარად.

⁴და ვინც გაიქცევა ერთ-ერთ ასეთ ქალაქში, დადგეს ქალაქის კარიბჭის შესავალთან, და მოუყვეს იმ ქალაქის უხუცესთ, რაც მოხდა. ის უნდა შეუშვან ქალაქში და მისცენ საცხოვრებელი ადგილი.

⁵და თუ დაედევნება მას მესისხლე, ხელში არ ჩაუგდონ მას მკვლელი, რადგან უნებლიეთ შემოაკვდა მას თავისი მოძმე და არ ჰქონიათ მათ ადრე მტრობა.

⁶და იცხოვროს მკვლელმა ამ ქალაქში მანამ, ვიდრე არ წარსდგება თემის სამსჯავროს წინაშე განსაკითხავად, ანდა ვიდრე არ მოკვდება მღვდელმთავარი, რომლის დროსაც ეს ამბავი მოხდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდება მკვლელი და მივა თავის ქალაქში და თავის სახლში, იმ ქალაქში, საიდანაც ის გაიქცა.’ “

⁷და გამოყვეს თავშესაფარ ქალაქებად: კედეში გალილეაში, ნაფთალის მთაზე, შექემი ეფრემის მთაზე და კირიათ-არბაყი, იგივე ხებრონი, იუდას მთებში;

⁸იორდანეს გაღმა, იერიხოს პირდაპირ აღმოსავლეთით გამოყვეს: ბეცერი უდაბნოში, ვაკობზე – რეუბენის ტომიდან, და რამოთი გალაადში – გადის ტომიდან და გოლანი ბაშანში – მანაშეს ტომიდან.

⁹ეს ქალაქები იყო განკუთვნილი ყველა ისრაელიანისთვის და ყველა მათთან მოსახლე ხიზნისათვის, რათა თავი შეაფაროს იქ ყველა უნებლიე მკვლელმა და არ მოკვდეს მესისხლის ხელით, ვიდრე თემს წარუდგებოდეს.

იესო ნავეს ძე 21

¹და მივიდნენ ლევის ძეთა ტომის მთავარნი ელეაზარ მღვდელთან, იესო ნავეს ძესთან და ისრაელიანთა ტომების მამისსახლთა მთავრებთან,

²და უთხრეს მათ შილოში, ქანაანის ქვეყანაში, ასე: „უფალმა გვამცნო მოსესგან, რომ ჩვენ მოგვეცემოდა ქალაქები საცხოვრებლად და მათი სამოვრები ჩვენი პირუტყვისათვის.“

³და მისცეს ისრაელიანებმა ლევიალებს თავიანთი სამკვიდროდან უფლის ბრძანებით ეს ქალაქები და მათი სამოვრები.



- ⁴და ერგოთ წილი კოჰათიანთა საგვარეულოებს; და შეხვდათ აარონ მღვდლის ძეთ, ლევის ძეთ, იუდას ტომიდან, სიმეონის ტომიდან და ბენიამინის ტომიდან, სულ 13 ქალაქი.
- ⁵და კოჰათის დანარჩენ ძეთ ეფრემის ტომის საგვარეულოებიდან, დანის ტომიდან და მანაშეს ნახევართომიდან წილისყრით ერგოთ ათი ქალაქი.
- ⁶და გერშონის ძეთ – ისაქარის ტომის საგვარეულოებიდან, და აშერის ტომიდან, და ნაფთალის ტომიდან, და მანაშეს ნახევარი ტომიდან ბაშანში წილისყრით – 13 ქალაქი.
- ⁷მერარის ძეთ ერგოთ მათი საგვარეულოების მიხედვით რეუბენის ტომიდან, გადის ტომიდან და ზებულუნის ტომიდან – 12 ქალაქი.
- ⁸და მისცეს წილისყრით ისრაელის ძეთ ლევიანებს ეს ქალაქები და მათი სამოვრები, როგორც ბრძანა უფალმა მოსეს პირით.
- ⁹ქვემოთ ჩამოთვლილია ქალაქები, რომლებიც გამოეყო ლევიანებს იუდასა და სიმეონის სამკვიდროთაგან;
- ¹⁰ეს ქალაქები მიეცათ აარონის შთამომავლებს, ლევიანებს კოჰათის საგვარეულოდან, რადგან პირველი წილი მათ ერგოთ.
- ¹¹მისცეს კირიათ-არბაყი, ყენაკის მამისეული, იგივე ხებრონი, მისი სამოვრებით მის ირგვლივ იუდას მთაში.
- ¹²და ამ ქალაქის გარემო მინდვრები და სოფლები მისცეს ქალებს, იეფუნეს ძეს.
- ¹³აარონ მღვდლის შთამომავლებმა მიიღეს ხებრონი (თავშესაფარი ქალაქი) მისი მიმდებარე სამოვრებიანად, და აგრეთვე ლიბნა მისი სამოვრებიანად,
- ¹⁴იათირი და მისი სამოვრები, ეშთემოაყი და მისი სამოვრები,
- ¹⁵ხოლონი და მისი სამოვრები, დებირი და მისი სამოვრები,
- ¹⁶ყაინი და მისი სამოვრები, იუტა და მისი სამოვრები და ბეთ-შემეში და მისი სამოვრები – ცხრა ქალაქი ამ ორი ტომის სამკვიდროდან.
- ¹⁷ამას გარდა, ბენიამინის ტომის სამკვიდროდან მათ გამოეყოთ: გიბეონი და მისი სამოვრები, გეზაყი და მისი სამოვრები,
- ¹⁸ყანათოთი და მისი სამოვრები, ყალმონი და მისი სამოვრები – სულ ოთხი ქალაქი.
- ¹⁹აარონის მოდგმამ, მღვდლებმა, მთლიანად 13 ქალაქი მიიღო თავისი სამოვრებიანად.



- ²⁰კოჰათის საგვარეულოდან გამოსულმა ლევანთა დანარჩენმა სახლებმა ეფრემის სამკვიდროდან წილისყრით მიიღეს ქალაქები;
- ²¹შექემი – თავშესაფარი ქალაქი და მისი სამოვრები ეფრემის მთაზე, ასევე გეზერი და მისი სამოვრები,
- ²²კიბცაიმი და მისი სამოვრები, ბეთ-ხორონი და მისი სამოვრები – სულ ოთხი ქალაქი.
- ²³ამას გარდა, დანის სამკვიდროდან: ელთეკე და მისი სამოვრები, გიბეთონი და მისი სამოვრები,
- ²⁴აიალონი და მისი სამოვრები, გათ-რიმონი და მისი სამოვრები – სულ ოთხი ქალაქი.
- ²⁵და მანაშეს ნახევარი ტომის სამკვიდროდან: თაყანაქი და მისი სამოვრები, გათ-რიმონი და მისი სამოვრები – ორი ქალაქი.
- ²⁶სულ ათი ქალაქი ერგოთ თავისი სამოვრებითურთ კოჰათის საგვარეულოს დანარჩენ კომლებს.
- ²⁷გერშონის საგვარეულოს ლევანთა კომლებმა, მანაშეს ნახევარი ტომის სამკვიდროდან მიიღეს თავშესაფარი ქალაქი გოლანი ბაშანში და მისი მიმდებარე სამოვრები; მასთან ერთად ბეყეშთერა და მისი სამოვრები – სულ ორი ქალაქი;
- ²⁸და ისაქარის სამკვიდროდან: კიშონი და მისი სამოვრები, დაბრათი და მისი სამოვრები,
- ²⁹იარმუთი და მისი სამოვრები, ყენ-განიმი და მისი სამოვრები – ოთხი ქალაქი.
- ³⁰და აშერის ტომიდან: მიშალი და მისი სამოვრები, ყაბდონი და მისი სამოვრები,
- ³¹ხელკათი და მისი სამოვრები, რეხოზი და მისი სამოვრები – სულ ოთხი ქალაქი;
- ³²და ნაფთალის სამკვიდროდან თავშესაფარი ქალაქი კედეში გალილეაში და მისი სამოვრები, ხამოთ-დორი და მისი სამოვრები, კართანი და მისი სამოვრები – სულ სამი ქალაქი.
- ³³სულ 13 ქალაქი ერგოთ გერშონის საგვარეულოების მეკომურთ მათი სამოვრებიანად.
- ³⁴მერარის საგვარეულოს დანარჩენმა ლევანთა კომლებმა ზებულუნის სამკვიდროდან მიიღეს: იოკნეყამი და მისი სამოვრები, კართა და მისი სამოვრები,



³⁵დიმნა და მისი სამოვრები, ნაჰალალი და მისი სამოვრები – სულ ოთხი ქალაქი.

³⁶ამას გარდა რეუბენის სამკვიდროდან მიიღეს: ბეცერი და მისი სამოვრები, იაჰცა და მისი სამოვრები,

³⁷კედემოთი და მისი სამოვრები, მეფაყათი და მისი სამოვრები – სულ ოთხი ქალაქი.

³⁸და გადის სამკვიდროდან: რამოთი (თავშესაფარი ქალაქი) გალაადში და მისი სამოვრები, აგრეთვე მახანაიმი,

³⁹ხეშბონი და იაყზერი მათი მიმდებარე სამოვრებიანად – სულ ოთხი ქალაქი.

⁴⁰მთლიანად ლევიათა დანარჩენმა კომლებმა – მერარის საგვარეულოს კომლებმა – წილისყრით მიიღეს 12 ქალაქი.

⁴¹ლევიათებმა ისრაელიანთა სამფლობელოებში მიიღეს 48 ქალაქი, მათი სამოვრებითურთ.

⁴²ყველა ამ ქალაქთან ერთად ისინი ღებულობდნენ ქალაქის ირგვლივ მდებარე სამოვრებს.

⁴³და მისცა უფალმა ისრაელიანთ მთელი ქვეყანა, რომლის მიცემაც შეჰფიცა მათ მამებს, და დაიმკვიდრეს იგი და იქ დასახლდნენ.

⁴⁴და მისცა უფალმა მათ მშვიდობა ყოველი მხრიდან, როგორც შეჰფიცა მათ მამებს; და მათ მტერთაგან წინ ვედარავინ აღუდგათ. ყველა მტერი ხელში ჩაუგდო მათ უფალმა.

⁴⁵არ გაცუდებულა არც ერთი სასიკეთო სიტყვა, რომელიც ისრაელის სახლს უთხრა უფალმა – ყველაფერი ახდა.

იესო ნავეს ძე 22

¹მაშინ მოუხმო იესომ რეუბენელებს, გადელეებს და მანაშეს ნახევარტომს, და უთხრა მათ:

²„თქვენ ასრულებდით ყველაფერს, რასაც უფლის მსახური მოსე გიბრძანებდათ ხოლმე, მეც ყურს მიგდებდით ყველაფერში, რასაც გიბრძანებდით;

³არ მიგიტოვებიათ თქვენი ძმები ამ მრავალი დღეების მანძილზე დღევანდლამდე, და იცავდით უფლის, თქვენი ღმერთის, ნაბრძანებს.



⁴ახლა კი, როცა დაასვენა უფალმა, თქვენმა ღმერთმა, თქვენი ძმები, როგორც ნათქვამი ჰქონდა მათთვის, შეგიძლიათ დაბრუნდეთ შინ, თქვენს სამფლობელოში, რომელიც მოგვით უფლის მსახურმა მოსემ, იორდანეს გაღმა.

⁵ოღონდ გულმოდგინედ შეასრულეთ მცნება და რჯული, რომელიც გამცნოთ მოსემ, უფლის მსახურმა, რათა გიყვარდეთ უფალი, თქვენი ღმერთი, და იაროთ ყველა მის გზაზე და დაიცვათ მისი მცნებანი, მიეწებოთ მას და ემსახუროთ მას მთელი თქვენი გულითა და მთელი თქვენი სულით.“

⁶და აკურთხა ისინი იესომ და გაუშვა შინ, და წავიდნენ ისინი თავ-თავიანთი კარვებისაკენ.

⁷და მანაშეს ტომის ნახევარს მისცა მოსემ სამკვიდრო ბაშანში, ხოლო მის მეორე ნახევარს მისცა იესომ სამკვიდრო მათ ძმებთან ერთად იორდანეს გამოღმა, დასავლეთ მხარეს. და როცა გაუშვა ისინი იესომ თავ-თავიანთი კარვებისაკენ აკურთხა ისინი,

⁸და უთხრა მათ: „დიდი ქონებით ბრუნდებით თქვენს კარვებში, და ერთობ დიდძალი პირუტყვით, ვერცხლით, ოქროთი, ბრინჯაოთი, რკინითა და უამრავი სამოსლით. გაუნაწილეთ მტერთაგან წამოღებული ნაალაფარი თქვენს ძმებს.“

⁹და გაბრუნდნენ რეუბენის ძენი, გადის ძენი და მანაშეს ნახევარი ტომი ისრაელიანთაგან შილოდან, ქანაანის ქვეყანაში რომ არის, გალაადის ქვეყნისკენ, მათი სამკვიდრო ქვეყნისკენ, რომელიც დაიმკვიდრეს უფლის ბრძანებით, მოსემ რომ აუწყათ.

¹⁰და როცა მიადგნენ გელილოტს იორდანესთან, ქანაანის ქვეყანაში, იქ, იორდანესთან ააშენეს დიდი სამსხვერპლო რეუბენის, გადის და მანაშეს ნახევარმა ტომმა.

¹¹და გაიგეს ისრაელიანთა დანარჩენმა ტომებმა, რომ რეუბენის ტომმა, გადის ტომმა და მანაშეს ნახევარმა ტომმა სამსხვერპლო ააშენეს ქანაანის საზღვარზე – გელილოტში იორდანეს სანახებში, ისრაელიანთა მხარეს.

¹²მაშინ ისრაელიანთა მთელი თემი შეიკრიბა შილოში, რათა გასულიყო მათ წინააღმდეგ საომრად.

¹³და გაუგზავნეს ისრაელიანებმა რეუბენის ტომს, გადის ტომსა და მანაშეს ნახევართომს გალაადის მხარეში ფინეხასი, ელეაზარ მღვდლის ძე,



¹⁴გააყოლეს ათი მთავარი, თითო მთავარი თითო საგვარეულოზე ისრაელის შტოდან; საგვარეულოს თითოეული მთავარი ისრაელის ათასეულის უფროსი იყო.

¹⁵და მივიდნენ ისინი რეუბენისა და გადის ტომებთან და მანაშეს ნახევარტომთან გალაადის ქვეყანაში და უთხრეს:

¹⁶ასე ამბობს უფლის მთელი თემი: „ეს რა ღალატი ჩაიდინეთ ისრაელის ღმერთის წინაშე, ზურგი რომ შეაქციეთ დღეს უფალს, და სამსხვერპლო აიშენეთ და აუმხედრდით დღეს უფალს?

¹⁷ნუთუ არ კმაროდა ჩვენთვის ფელორის დანაშაული, რისგანაც დღემდე ვერ განვმედილვართ, რის გამოც მომსვრელი სენი იყო უფლის თემში?

¹⁸და თქვენ დღეს აქცევთ ზურგს უფალს! და თუ თქვენ დღეს აუმხედრდებით უფალს, ხვალ განურისხდება იგი ისრაელის მთელ თემს!

¹⁹და თუ უწმიდური გეჩვენებათ თქვენი სამფლობელო ქვეყანა, მაშინ თქვენი უფლის სამფლობელო ქვეყანაში გადადით, სადაც დავანებულია უფლის სავანე, და დამკვიდრდით ჩვენს შორის, უფალს კი ნუ აუმხედრდებით და ნურც ჩვენ აგვიმხედრდებით უფლის, ჩვენი ღმერთის, სამსხვერპლოს გარდა, სხვა სამსხვერპლოს შენებით.

²⁰განა ყაქან ზერახის ძე მარტო არ იყო, ღალატი რომ ჩაიდინა დარისხებულის გამო, მაგრამ რისხვა დაატყდა თავს მთელი ისრაელის თემს? მარტო ის არ მომკვდარა თავისი დანაშაულის გამო!“

²¹და მიუგეს რეუბენის ძეთ, გადის ძეთ და მანაშეს ნახევარტომის ძეთ და უთხრეს ისრაელის ათასისთავებს:

²²„ღმერთების ღმერთმა უფალმა! ღმერთების ღმერთმა უფალმა უწყის და ისრაელმაც უწყოდეს. თუ უფლის წინააღმდეგ ასამხედრებლად და საღალატოდ მოვქცეულიყავით ასე, ამიერიდან ნულარ დაგვიცავს უფალი!

²³თუ სამსხვერპლო უფლისათვის ზურგის შესაქცევად აგვეშენებინოს, სრულადდასაწველის აღსავლენად, საძღვნოდ თუ სამშვიდობო მსხვერპლთათვის, მაშინ თავად უფალმა იძიოს შური ჩვენზე!

²⁴არა, ჩვენ იგი სხვა მიზეზით ავაშენეთ. ჩვენ ვშიშობდით, რომ მომავალში თქვენს შვილებს არ ეთქვათ ჩვენი შვილებისთვის: ‘რა საერთო გაქვთ თქვენ უფალთან, ისრაელის ღმერთთან?’

²⁵საზღვრად იორდანე დადო უფალმა ჩვენსა და თქვენს შორის, რეუბენის ძენო და გადის ძენო, არა გაქვთო თქვენ წილი უფალში!’ – და აუკრძალავდნენ თქვენი ძენი ჩვენს ძეთ უფლის თაყვანისცემას.



²⁶და ვთქვით: ავიშენოთო სამსხვერპლო არა სრულადდასაწველისთვის და არა საკლავისთვის,

²⁷არამედ რომ მოწმე იყოს იგი თქვენსა და ჩვენს შორის და ჩვენს მომავალ თაობებს შორის, რომ ჩვენც უნდა ვემსახუროთ უფალს მის წინაშე ჩვენი სრულადდასაწველებით და საკლავით და ჩვენი სამშვიდობო შესაწირავებით, რათა არ უთხრან ხვალ თქვენმა ძეებმა ჩვენს ძეებს: წილი არა გაქვთო უფალში.

²⁸და ვთქვით: თუ გვეტყვიან ჩვენ და ჩვენს თაობებს ხვალ ასე, ჩვენ ასეთ პასუხს გავცემთ: ‘აჰა, სახე უფლის სამსხვერპლოსი, რომელიც ჩვენმა მამებმა ააშენეს. იგი არაა სრულადდასაწველისთვის და საკლავათათვის არამედ, რათა მოწმე ყოფილიყო ჩვენსა და თქვენს შორის.’

²⁹ღმერთმა დაგვიფაროს, რომ უფალს ავმხედრებოდით და ზურგი შეგვექცია მისთვის და აგვეშენებინა სხვა სამსხვერპლო სრულადდასაწველისთვის, პურეულის ძღვნისათვის და საკლავისათვის უფლის, ჩვენი ღმერთის, სამსხვერპლოს გარდა, რომელიც მისი სავანის წინაა.“

³⁰და გაიგონეს ფინეხას მღვდელმა, თემის მთავრებმა და ისრაელის ათასეულთა მეთაურებმა, მას რომ ახლდნენ, სიტყვები რეუბენის ძეთ, გადის ძეთ და მანაშეს ძეთ რომ თქვეს, და მოიწონეს.

³¹და უთხრა მღვდელმა ფინეხას, ელეაზარის ძემ რეუბენის ძეთ, გადის ძეთა და მანაშეს ძეთ: „დღეს შევიტყეთ, რომ ჩვენს შორისაა უფალი, ღალატი არ ჩაგიდენიათ უფლის წინაშე, და თქვენ იხსენით ისრაელის ძენი უფლის ხელიდან.“

³²და დაბრუნდნენ მღვდელი ფინეხას ელეაზარის ძე და მთავარი, რეუბენის ძეთაგან და გადის ძეთაგან – გალაადის ქვეყნიდან ქანაანის ქვეყანაში, ისრაელიანებთან, და მოუტანეს მათ ამბავი.

³³და მოიწონეს ეს ამბავი ისრაელიანთ, და აკურთხეს ღმერთი და აღარ უფიქრიათ რეუბენისა და გადის ტომებზე გალაშქრება.

³⁴და უწოდეს რეუბენის ძეთ და გადის ძეთ იმ სამსხვერპლოს სახელი. თქვეს: „მოწმეა იგი ჩვენს შორის, რომ ჩვენი ღმერთი არის უფალი.“

იესო ნავეს ძე 23

¹მრავალმა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც უფალმა მოასვენა ისრაელი ყველა მისი გარსმორტყმული მტრისაგან, და მოხუცდა იესო და დღეებით დაიღალა.



²მოუხმო იესომ მთელ ისრაელს, მის უხუცესებს, მის მთავრებს, მის მსაჯულებს, მის მოხელეებს და უთხრა მათ: „მე დავბერდი და დავიღალე დღეებით.

³თქვენ ნანახი გაქვთ ყველაფერი, რაც უყო უფალმა, თქვენმა ღმერთმა, მთელ ამ ხალხს თქვენს წინაშე, რადგან უფალი, თქვენი ღმერთი, თავად იბრძოდა თქვენთვის.

⁴ნახეთ, წილისყრით ვარგუნე თქვენს ტომებს ჯერ კიდევ აქ დარჩენილი ხალხების მიწები სამკვიდროდ, იორდანედან დაწყებული დიდ ზღვამდე მზის დასავლამდე, როგორც იმ ხალხთა მიწები, რომლებიც მე გავანადგურე.

⁵და უფალი, თქვენი ღმერთი, თავად აყრის ამ ხალხებს – ის წაართმევს მათ მიწებს და თქვენ მოგცემთ, და თქვენ დაიმკვიდრებთ ამ ქვეყანას, როგორც აღგიტევათ უფალმა, თქვენმა ღმერთმა.

⁶თქვენ კი მტკიცედ უნდა დაიცვათ და შეასრულოთ ყველაფერი, რაც ჩაწერილია მოსეს რჯულის წიგნში, ერთი ნაბიჯითაც არ უნდა გადაუხვიოთ მისგან არც მარჯვნივ და არც მარცხნივ,

⁷რათა არ აღერიოთ იმ ხალხებს, თქვენს შორის რომ დარჩნენ, მათი ღმერთების სახელს ნუ ახსენებთ, ნურც დაიფიცავთ მათ, ნურც ემსახურებით და ნურც თაყვანს სცემთ.

⁸არამედ მიეწებეთ უფალს, თქვენს ღმერთს, როგორც დღემდე იქცეოდით.

⁹უფალმა აჰყარა თქვენი პირისაგან დიდი და ძლიერი ხალხები და დღემდე წინ ვერავინ აღგიდგათ.

¹⁰ერთი თქვენიანი ათასს განდევნის, რადგან უფალი, თქვენი ღმერთი, იბრძვის თქვენთვის, როგორც შეგპირდათ.

¹¹მაშ გიყვარდეთ უფალი, თქვენი ღმერთი.

¹²ხოლო თუ თქვენ მიიქცევით და მიეწებებით ამ დანარჩენ ხალხს, თქვენთან რომ დარჩნენ, და დაუმოყვრდებით მათ, და მიხვალთ თქვენ მათთან და ისინი – თქვენთან,

¹³იცოდეთ, რომ უფალი, თქვენი ღმერთი, აღარ აჰყრის ამ ხალხებს თქვენი პირისაგან, და იქნებიან ისინი თქვენთვის მახე და ხაფანგი, და მათრახი თქვენი ზურგისთვის, და ეკალი თქვენი თვალისთვის, ვიდრე არ გადაშენდებით ამ კეთილი მიწიდან, რომელიც მოგცათ უფალმა, თქვენმა ღმერთმა.



¹⁴აჰა, მე მალე გავუდგები იმ გზას, რომელიც ყველას მოელის. და თქვენ მთელი თქვენი გულითა და მთელი თქვენი სულით შეიგნეთ, რომ არც ერთი სიტყვა არ გაცუდებულა ყველა იმ სასიკეთო სიტყვებიდან, რაც თქვენზე უთქვამს უფალს, თქვენს ღმერთს. ყოველივე აგიხდათ თქვენ და არ გაცუდებულა მათგან არც ერთი სიტყვა.

¹⁵და როგორც აგიხდათ ყველა სასიკეთო სიტყვა, რაც თქვენთვის ჰქონდა ნათქვამი უფალს, თქვენს ღმერთს, ასევე მოგივლენთ უფალი ყველა ბოროტ სიტყვას, ვიდრე არ მოგსპობთ ამ კეთილი მიწიდან, რომელიც მოგცათ უფალმა, თქვენმა ღმერთმა,

¹⁶როგორც კი გადახვალთ უფლის, თქვენი ღმერთის, აღთქმას, თქვენ რომ აღგიტყვით, და წახვალთ და ემსახურებით სხვა ღმერთებს და თაყვანს სცემთ მათ, მაშინ აღეგზნება რისხვა უფლისა თქვენზე და უმაღლესად შენდებით ამ კეთილი ქვეყნიდან, რომელიც თქვენთვის მოუცია.“

იესო ნავეს ძე 24

¹და შეჰყარა იესომ ისრაელის ყველა ტომი შექემში, და მოუხმო ისრაელის უხუცესებს, და მის ერისთავებს, და მის მსაჯულებსა და მის მოხელეებს, და ისინი წარდგნენ ღვთის წინაშე.

²და უთხრა იესომ მთელ ხალხს: „ასე თქვა უფალმა, ისრაელის ღმერთმა: ‘დასაბამიდან მდინარის გაღმა ცხოვრობდნენ თქვენი მამები: თერახი, მამა აბრაამისა და მამა ნახორისა, და ემსახურობდნენ სხვა ღმერთებს.

³და წამოვიყვანე თქვენი მამა, აბრაამი, მდინარის გაღმიდან და მოვატარე მთელი ქანაანის ქვეყანა, და გავამრავლე მისი თესლი, და მივეცი მას ისააკი,

⁴და ისააკს მივეცი იაკობი და ესავი. და მივეცი ესავს სეყირის მთა დასამკვიდრებლად, ხოლო იაკობი და მისი ძენი ეგვიპტეში ჩავიდნენ.

⁵და გავაგზავნე მოსე და აარონი, და ვგვემე ეგვიპტე იმით, რაც მოვიმოქმედე მის შუაგულში, და მერე გამოგიყვანეთ თქვენ.

⁶და გამოგიყვანეთ თქვენ და თქვენი მამები ეგვიპტიდან. და როდესაც თქვენ ზღვას მოადექით, და ეგვიპტელნი, უკან რომ დაედევნენ თქვენს მამებს ეტლებითა და მხედრებით, და მეწამულ ზღვასთან რომ წამოეწივნენ,

⁷შეჰლადადეს უფალს თქვენმა მამებმა, და მანაც მოავლინა წყვილიადა თქვენსა და ეგვიპტელებს შუა, და მოაქცია მათზე ზღვა, რომელმაც დაფარა ისინი. და თქვენმა თვალმა იხილა, რაც მოვიმოქმედე მე ეგვიპტეში. და თქვენ დიდხანს ცხოვრობდით უდაბნოში.



⁸და მოგიყვანეთ თქვენ ამორეველთა ქვეყანაში, იორდანეს გაღმა რომ იყო; მათ ბრძოლა გაგიმართეს, მაგრამ მე ხელში ჩაგაგდებინეთ ისინი; თქვენ დაიმკვიდრეთ მათი ქვეყანა, და მე აღვგავე ისინი თქვენგან.

⁹ადგა მოაბის მეფე ბალაკი, მე ციფორისა, და შეებრძოლა ისრაელს, და მიავლინა და მოუხმო ბალაამ ბეყორის ძეს თქვენს დასაწყევლად.

¹⁰და არ ვინებე ბალაამის მოსმენა და მან დაგლოცათ. და ასე გიხსენით მე მისი ხელიდან.

¹¹თქვენ გადალახეთ იორდანე და მიაღექით იერიხოს. და ბრძოლა გაგიმართეს თქვენ იერიხოს პატრონებმა: ამორეველებმა, ფერიზელებმა, ქანაანელებმა, ხეთელებმა, გირგაშელებმა, ხიველებმა და იებუსელებმა, და მე ხელში ჩაგიგდე ისინი.

¹²კრაზანები გამოვუშვი თქვენს წინ და მათ განდევნეს თქვენგან ორი ამორეველი მეფე – არა შენი მახვილით და არა შენი მშვილდით.

¹³და მოგეცით თქვენ ქვეყანა, რომელზეც არ გიშრომიათ, და ქალაქები, რომლებიც თქვენ არ გიშენებიათ, და თქვენ ცხოვრობთ მათში. და საზრდოობთ ვენახებითა და ზეთისხილის ბაღებით, რომლებიც თქვენ არ გაგიშენებიათ.’

¹⁴მაშ გეშინოდეთ უფლისა და ემსახურეთ მას წრფელად და ერთგულად; განიშორეთ ღმერთები, რომელთაც ემსახურებოდნენ თქვენი მამები მდინარის გაღმა და ეგვიპტეში, და ემსახურეთ მხოლოდ უფალს.

¹⁵და თუ ავად მიგაჩნიათ თქვენს თვალში უფლის მსახურება, დღესვე აირჩიეთ, ვის ემსახუროთ: ღმერთებს, ვისაც თქვენი მამები ემსახურებოდნენ მდინარის გაღმა, თუ ამორეველთა ღმერთებს, რომელთა ქვეყანაშიც თქვენ ცხოვრობთ; მე და ჩემი სახლი კი უფალს მოვემსახურებით.“

¹⁶და მიუგო ხალხმა, და თქვა: „ღმერთმა დაგვიფაროს, რომ უფალი მივატოვოთ და სხვა ღმერთებს ვემსახუროთ!

¹⁷რადგან უფალი არის ჩვენი ღმერთი, მან გამოგვიყვანა ჩვენ და ჩვენი მამები ეგვიპტის ქვეყნიდან, მონობის სახლიდან, და ჩვენს თვალწინ მოიმოქმედა დიდი სასწაულები, და გვიცავდა მთელ გზაზე, რომელზეც დავდიოდით, და ყველა ხალხებში, რომელთა შორისაც ჩვენ გავიარეთ.

¹⁸და განდევნა უფალმა ჩვენგან ყველა ხალხი და ამორეველებიც, ამ ქვეყნის მკვიდრნი. ჩვენც უნდა ვემსახუროთ უფალს, რადგან ის არის ჩვენი ღმერთი.“



¹⁹და უთხრა იესომ ხალხს: „ვერ შეძლებთ უფლის მომსახურებას, რადგან წმიდა ღმერთია იგი, შურისმგებელი ღმერთია იგი, არ გაპატიებთ თქვენს დანაშაულსა და ცოდვებს.“

²⁰თუ მიატოვებთ უფალს და მოემსახურებით უცხო ღმერთებს, კვლავ ბოროტებას დაგათევთ თავს უფალი. და მოგსპობთ, მას შემდეგ, რაც სიკეთე გიყოთ.“

²¹და მიუგო ხალხმა იესოს: არა, რადგან უფალს უნდა ვემსახუროთო.

²²და უთხრა იესომ ხალხს: „მოწმენი ხართ თქვენი თავისა, რომ თქვენ თვითონ ირჩევთ უფალს, რათა ემსახუროთ მას?“ და თქვეს: „მოწმენი ვართ!“

²³„მაშ განიშორეთ უცხო ღმერთები, რომლებიც ჯერ კიდევ თქვენთვის გყავთ, და მიაბრუნეთ თქვენი გული უფლის, ისრაელის ღმერთისაკენ.“

²⁴და უთხრა ხალხმა იესოს: „უფლის, ჩვენი ღმერთის, მსახურებაში ვიქნებით და ყურს დავუგდებთ მის ხმას.“

²⁵ასე დადო იესომ აღთქმა იმ დღეს ხალხთან, და წესი და სამართალი მისცა მათ შექცევაში.

²⁶და ჩაწერა იესომ ეს სიტყვები ღვთის რჯულის წიგნში, და აიღო დიდი ლოდი და აღმართა იქ, მუხის ქვეშ, უფლის საწმიდართან რომ იდგა.

²⁷და უთხრა იესომ მთელ ხალხს: „აჰა, ეს ლოდი იყოს ჩვენს მოწმედ, რადგან მან მოისმინა ყველა სიტყვა, რომელიც უფალმა გვითხრა ჩვენ; და იქნება ის თქვენს წინააღმდეგ მოწმედ, თუ უარყოფთ თქვენს ღმერთს.“

²⁸და გაისტუმრა იესომ ხალხი, თითოეული თავის სამკვიდროში.

²⁹და ამ ამბის შემდეგ მოკვდა იესო ნავეს ძე, უფლის მსახური, ას ათი წლისა.

³⁰და დამარხეს იგი მის სამკვიდრო მიწაზე, თიმნათ-სერახში, ეფრემის მთაზე რომ არის, გაყაშის მთის ჩრდილოეთით.

³¹და ემსახურებოდა ისრაელი უფალს იესოს მთელს დღეებში და უზუცესთა მთელს დღეებში, რომელნიც ცხოვრობდნენ იესოს მერეც და, რომელთაც იხილეს უფლის ყოველი საქმე, რაც ისრაელისთვის მოიმოქმედა.

³²და იოსების ძვლები, ისრაელის ძეებმა რომ ამოიტანეს ეგვიპტიდან, დაკრძალეს შექცევაში, იმ მინდვრის ნაკვეთზე, რომელიც ნაყიდი ჰქონდა იაკობს შექცემის მამის, ხამორის ძეთაგან, ას კესიტად, და ერგო იოსების ძეთ სამკვიდროდ.

³³და მოკვდა ელეაზარი, აარონის ძე, და დამარხეს იგი მისი ძის, ფინეხასის ბორცვზე, რომელიც მიეცა მას ეფრემის მთაში.



მსაჯულნი

მსაჯულნი 1

¹იესოს სიკვდილის შემდეგ ჰკითხეს ისრაელიანებმა უფალს: „ჩვენგან პირველი ვინ უნდა გავიდეს ქანაანელებთან საომრად?“

²და თქვა უფალმა: „იუდა უნდა გავიდეს; აჰა, მას ვაძლევ ხელთ იმ მიწა-წყალს.“

³მაშინ უთხრა იუდამ სიმეონს, თავის ძმას: „გამოდი ჩემთან ერთად ჩემს წილხვედრში და ვეომოთ ქანაანელთ; მე კი შენს წილხვედრში წამოვალ შენთან ერთად.“ და წავიდა სიმეონი მასთან ერთად.

⁴და გავიდა იუდა და უფალმა ხელში ჩაუგდო ქანაანელნი და ფერიზელნი. და მოსრა ისინი ბეზეკში – 10 ათასი კაცი.

⁵ბეზეკში ისინი შეეჯახნენ ადონი-ბეზეკს. შეებნენ მას და დაამარცხეს ქანაანელნი და ფერიზელნი.

⁶და გაიქცა ადონი-ბეზეკი და დაედევნენ უკან, შეიპყრეს იგი, და დააჭრეს ხელ-ფეხზე ცერის თითები.

⁷და თქვა ადონი-ბეზეკმა: „ხელ-ფეხზე ცერებდაჭრილი 70 მეფე ჩემი სუფრის ქვეშ აგროვებდა ნამუსრევს. რასაც მე ვაკეთებდი, იგივე მომაგო მე ღმერთმა.“ და წაიყვანეს ის იერუსალიმში და იქ მოკვდა.

⁸შეუტის იუდას ძეთ იერუსალიმს და აიღეს იგი, და მოსრეს იგი მახვილის პირით, და ქალაქი ცეცხლს მისცეს.

⁹შემდეგ იუდას ძენი საომრად წავიდნენ ქანაანელებთან, რომლებიც მკვიდრობდნენ მთებში, ნეგებსა და ბარის დაბლობებში.

¹⁰და გაილაშქრა იუდამ ქანაანელებზე, ხებრონში რომ მკვიდრობდნენ (უწინ ხებრონს კირიათ-არბაყი ერქვა) და დაამარცხეს მათ შუმაი, ახიმანი და თალმაი.

¹¹და გაილაშქრეს იქიდან დებირის მკვიდრებზე (დებირს უწინ კირიათ-სეფერი ერქვა).

¹²და თქვა ქალებმა: „ვინც სძლევს კირიათ-სეფერს და აიღებს, მას ცოლად მივცემ ყაქსას, ჩემს ასულს.“



¹³და აიღო იგი ღოთნიელმა, ქალების უმცროსი ძმის, კენაზის ძემ, და ცოლად მისცა მას ქალებმა ყაქსა, თავისი ასული.

¹⁴მივიდა ახსა და ღოთნიელი დაიყოლია, რომ მისი მამისგან მიწის ნაკვეთი გამოეთხოვა.

„რა გინდა?“ – ჰკითხა ქალებმა ახსას, როცა ის სახედრიდან ჩამოხდა.

¹⁵და უთხრა ახსამ მამას: „მომეცი კურთხევა! და რაკი გვალვიან სამხრეთის მიწას მაძლევ, ბარემ წყალსატევებიც მომეცი.“ და მისცა მას ქალებმა როგორც ზემო, ისე ქვემო წყალსატევები.

¹⁶და ძენი კენიელისა, მოსეს სიმამრისა, ამოჰყვნენ ფინიკების ქალაქიდან იუდას ძეებს იუდას უდაბნოში, რომელიც ყარადის სამხრეთითაა, და წავიდნენ და დაემკვიდრნენ იმ ხალხთან.

¹⁷და წავიდა იუდა სიმეონთან, თავის ძმასთან, ერთად და მოსრეს მათ ქანაანელნი, ცეფათის მკვიდრნი; და დაარისხეს ის ქალაქი, და უწოდეს იმ ქალაქს სახელად ხორმა.

¹⁸და აიღო იუდამ ღაზა და მისი შემოგარენი, აშკელონი და მისი შემოგარენი, ყეკრონი და მისი შემოგარენი.

¹⁹უფალი იყო იუდასთან და დაიმკვიდრა მან მთები, მაგრამ ბარელები ვერ აჰყარა, რადგან მათ რკინის ეტლები ჰქონდათ.

²⁰და მისცეს ქალებს ხებრონი, როგორც მოსეს ჰქონდა ნათქვამი, და აჰყარა ქალებმა იქიდან სამი ძე ყანაკისა.

²¹ხოლო იებუსელები, რომლებიც იერუსალიმში ცხოვრობდნენ, ვერ აჰყარეს ბენიამინის ძეთ, და დღევანდლამდე ცხოვრობენ იებუსელნი ბენიამინის მოდგმასთან ერთად იერუსალიმში.

²²იოსების სახლმაც შეუტია ბეთელს, და უფალი იყო მასთან.

²³იდგა და ზვერაჲდა იოსების სახლი ბეთელს (ძველად ამ ქალაქს ერქვა ლუზი).

²⁴და დაინახეს მზვერავებმა ქალაქიდან გამოსული კაცი და უთხრეს: „გვიჩვენე, როგორ შევალწიოთ ქალაქში და სიკეთეს გიზამთო სიკეთისათვის.“

²⁵და უჩვენა მან ქალაქის შესასვლელი; და მოსრეს ქალაქი მახვილის პირით, და ის კაცი და მთელი მისი სახლეული გაუშვეს.

²⁶წავიდა ის კაცი ხეთელთა ქვეყანაში, და ააშენა ქალაქი, და სახელად უწოდა ლუზი. და შერჩა მას ეს სახელი დღევანდელ დღემდე.



²⁷და მანაშეს არ აუყრია მკვიდრნი ბეთ-შეანისა და მისი სოფლებისა, და თაყანაქისა და მისი სოფლებისა, და მკვიდრნი დორისა და მისი სოფლებისა, და მკვიდრნი იბლეყამისა და მისი სოფლებისა, და მკვიდრნი მეგიდოსი და მისი სოფლებისა; და დარჩნენ ქანაანელნი ამ ქვეყანაში საცხოვრებლად.

²⁸და როცა მომძლავრდა ისრაელი, ქანაანელნი მოხარკედ გაიხადა, აყრით კი არ აუყრია.

²⁹და არც ეფრემს აუყრია ქანაანელნი, გეზერის მკვიდრნი, და ქანაანელნი მკვიდრობდნენ მათ შორის გეზერში.

³⁰არც ზებულუნს აუყრია კიტრონისა და ნაჰალოლის მკვიდრნი; ქანაანელნი მკვიდრობდნენ მათ შორის და მოხარკედ გაუხდნენ.

³¹არც აშერს აუყრია ყაქოს და ციდონის, ახლაბის, აქზიბის, ხელბას, აფიკისა და რეხოზის მკვიდრნი.

³²და ცხოვრობდნენ აშერიანები ქანაანელთა შორის, რადგან ვერ აჰყარა ისინი.

³³არც ნაფთალის აუყრია ბეთ-შემეშის და ბეთ-ყანათის მკვიდრნი. და დაემკვიდრა ქანაანში, ამ ქვეყნის მკვიდრთა შორის; და ბეთ-შემეშისა და ბეთ-ყანათის მკვიდრნი მოხარკეებად გაუხდნენ.

³⁴და მთებში შეკუნჭეს ამორეველებმა დანელები და ბარში აღარ უშვებდნენ.

³⁵და დაიწყეს ამორეველებმა ხარ-ხერესის მთაზე ცხოვრება, აიალონსა და შაყალბიმში; მაგრამ დამძიმდა ხელი იოსების სახლისა და მოხარკეებად გაიხადა ისინი.

³⁶და ამორეველთა საზღვარი ყაკრაბიმის მაღლობზე, სელაზე და მის მაღლა გადიოდა.

მსაჯულნი 2

¹და მოვიდა უფლის ანგელოზი გილგალიდან ბოქიმში და თქვა: „ამოგიყვანეთ თქვენ ეგვიპტიდან და მოგიყვანეთ ამ ქვეყანაში, რომელიც თქვენს მამებს ფიცით შევფიცე და ვთქვი: ‘არ დავარღვევ თქვენთან დადებულ ჩემს აღთქმას უკუნისამდე,

²ოღონდ ნუ შეკრავთ კავშირს ამ ქვეყნის მკვიდრებთან და დაანგრიეთ მათი სამსხვერპლოები.’ თქვენ კი არ ისმინეთ ჩემი ხმა. თქვენ კი რა ჩაიდინეთ?!

³და კიდევ ვთქვი: არ განვდეგნი-მეთქი მათ თქვენგან, რათა ისინი მახედ გაგიხდნენ, ხოლო მათი ღმერთები – ხაფანგად.“



- ⁴და როცა უფლის ანგელოზმა ეს სიტყვები უთხრა ისრაელის ძეთ, მთელი ხალხი ხმამაღლა ატირდა.
- ⁵და მათ იმ ადგილს სახელად ბოჭიმი უწოდეს, რაც ნიშნავს მოტირალს, და შესწირეს იქ მსხვერპლი უფალს.
- ⁶მას შემდეგ, რაც იესომ დაითხოვა ხალხი, წავიდნენ ისრაელის ძენი თავ-თავისი წილხვედრის დასამკვიდრებლად,
- ⁷და უფალს ემსახურებოდა ხალხი იესოს მთელი სიცოცხლის მანძილზე და უხუცესთა მთელი სიცოცხლის მანძილზე, რომლებიც იესოს შემდეგ ცხოვრობდნენ და რომელთაც ნანახი ჰქონდათ უფლის ყველა დიადი საქმე, რაც მან ისრაელისთვის მოიმოქმედა.
- ⁸ას ათი წლისა მოკვდა უფლის მსახური იესო ნავეს ძე.
- ⁹და დამარხეს იგი მის სამკვიდროში, თიმნათ-ხერესში, ეფრემის მთიანეთში რომ არის, გაყაშის მთის ჩრდილოეთით.
- ¹⁰და როცა ასევე მთელმა იმ თაობამაც თავისი მამების კვალზე გაიარა, და მათ შემდგომ მოვიდა სხვა თაობა, რომელიც არ იცნობდა უფალს და არ იცოდა ის საქმეები, რაც ისრაელისთვის მოიმოქმედა,
- ¹¹ისრაელიანთ უფლისთვის საძაგელ საქმეებს მიჰყვეს ხელი და ბაყალების მომსახურება იწყეს;
- ¹²მიატოვეს უფალი, თავიანთი მამების ღმერთი, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოიყვანა ისინი, და გაჰყვნენ სხვა ღმერთებს, მათ ირგვლივ მოსახლე ხალხების ღმერთებს, და თაყვანს სცემდნენ მათ, და არისხებდნენ უფალს;
- ¹³მიატოვეს უფალი და ემსახურებოდნენ ბაყალსა და ყაშთორეთებს.
- ¹⁴და აღიზნო რისხვა უფლისა ისრაელზე, და მძარცველთა ხელში ჩააგდო ის და აძარცვინა მათ; და შემდეგ მტრებს ჩაუგდო ხელში, გარს რომ ერტყნენ, და ვერ გაუძლავდნენ მტრებს.
- ¹⁵ყველგან, სადაც კი გავიდოდნენ, უფლის ხელი წარმართავდა მათ საბოროტოდ, როგორც უთხრა მათ უფალმა და როგორც დაუფიცა. და დიდად შევიწროვებულნი იყვნენ ისინი.
- ¹⁶და დაუდგინა მათ უფალმა მსაჯულნი, რომლებიც იფარავდნენ მათ მძარცველთა ხელიდან.
- ¹⁷მაგრამ ისრაელიანებმა თავიანთი მსაჯულებისაც არ ისმინეს: უზნეობდნენ უცხო ღმერთების კვალზე – თაყვანს სცემდნენ მათ; მალევე



გადაუხვიეს იმ გზას, რომლითაც დადიოდნენ უფლის მცნებათა მორჩილი მათი მამები, ესინი იმათ მსგავსად არ იქცეოდნენ.

¹⁸და როცა უფალი უგზავნიდა მათ მსაჯულებს, თვით უფალი იყო იმ მსაჯულებთან და ისრაელიანთ მტრებისაგან ის იფარავდა მსაჯულის სიცოცხლეში, რადგან ებრალებოდა ისინი, როცა ესმოდა, როგორ გმინავდნენ მჩაგვრელთა და შემაჭირვებელთა ხელში.

¹⁹მაგრამ, როგორც კი მოკვდებოდა მსაჯული, თავიანთ მამებზე უარესად იქცეოდნენ ისრაელიანები – მიჰყვებოდნენ უცხო ღმერთების კვალს, ემსახურებოდნენ და თაყვანს სცემდნენ მათ; არ ეშვებოდნენ თავიანთ ბოროტ საქმეებს, თავს არ ანებებდნენ ურჩობის გზას.

²⁰და კვლავ აღიგზნო რისხვა უფლისა ისრაელზე, და თქვა: „რადგან დაარღვია ამ ხალხმა ჩემი აღთქმა, რომელიც დავუდე მათ მამებს და არ ისმინა ჩემი ხმა,

²¹მეც აღარ ავყრი აქედან არავის იმ ხალხებიდან, რომლებიც აქ დარჩნენ იესოს სიკვდილის შემდეგ.

²²რათა გამოეცადო მათ მიერ ისრაელის ძენი: დაიცავენ თუ არა უფლის გზას, და გაჰყვებიან თუ არა მას, როგორც მიჰყვებოდნენ მათი მამები.“

²³და დატოვა უფალმა ეს ხალხები, რომლებიც თავიდანვე არ აჰყარა, და არ ჩაუგდო ხელში იესოს.

მსაჯულნი 3

¹აი, ის ხალხები, უფალმა რომ დატოვა, რათა გამოეცადა მათ მიერ ის ისრაელიანნი, რომლებიც არ შესწრებიან ქანაანის დასაპყრობად გამართულ ომებს.

²მხოლოდ იმისათვის, რათა სცოდნოდათ და ესწავლათ ომი ისრაელის ძეთა შემდგომ თაობებს, რომელნიც უწინდელ ომებს ვერ მოესწრნენ:

³ფილისტიმელთა ხუთი სამთავრო, ადსევე ყველა ის ქანაანელი, ციდონელი და ხიველნი, ლიბანის მთიანეთში რომ მკვიდრობდნენ, ბაყალ-ხერმონის მთიდან ვიდრე ლეხო-ხამათამდე.

⁴და იყვნენ ისინი დატოვებული, რათა მათ მიერ გამოეცადა ისრაელიანები, თუ დაემორჩილებოდნენ უფლის ბრძანებებს, რომლებიც მათ მამებს აუწყა მოსეს პირით.

⁵და ისრაელის ძენი დამკვიდრდნენ ქანაანელთა, ხეთელთა, ამორეველთა, ფერიზელთა, ხიველთა და იებუსელთა შორის;



- ⁶და შეირთეს მათი ასულნი ცოლებად, და თავიანთი ასულები მიათხოვეს მათ ძეებს, და ემსახურებოდნენ მათ ღმერთებს.
- ⁷და ბოროტება ჩაიდინეს ისრაელის ძეთ უფლის თვალში: დაივიწყეს უფალი, თავიანთი ღმერთი, და ემსახურებოდნენ ბაყალებსა და აშერებს.
- ⁸და აღიგზნო რისხვა უფლისა ისრაელიანებზე და ხელში ჩაუგდო ისინი ქუშან-რიშყათაიმს, არამის მეფეს, და ემსახურობოდნენ ქუშან-რიშყათაიმს ისრაელის ძენი რვა წელი.
- ⁹და შეჰღაღადეს ისრაელის ძეთ უფალს, და აღუდგინა უფალმა მხსნელი, რომელმაც იხსნა ისინი: ეს იყო ღოთნიელი, ქალების უმცროსი ძმის, კენაზის ძე.
- ¹⁰და უფლის სული იყო მასზე, და ის იყო მსაჯული ისრაელისა. და გავიდა იგი საომრად, და ხელში ჩაუგდო მას უფალმა ქუშან-რიშყათაიმი, მეფე არამისა, და სძლია მისმა ხელმა ქუშან-რიშყათაიმს.
- ¹¹და მოისვენა ქვეყანამ 40 წელი. და მოკვდა ღოთნიელი, კენაზის ძე.
- ¹²და კვლავ დაიწყეს ისრაელის ძეთ ბოროტის კეთება უფლის თვალში, და გააძლიერა უფალმა ყეგლონი, მეფე მოაბისა, ისრაელზე, რადგან ბოროტება ჩაიდინეს უფლის თვალში ისრაელის ძეთ.
- ¹³და მან შემოიკრიბა ყამონის ძენი და ყამალეკნი, და წავიდა და დაამარცხა ისრაელი, და დაიპყრო ქალაქი ფინიკოვანი.
- ¹⁴და ემსახურებოდნენ ისრაელის ძენი ყეგლონს, მოაბის მეფეს, 18 წელი.
- ¹⁵და შეჰღაღადეს ისრაელის ძეთ უფალს, და მოუვლინა უფალმა მათ მხსნელად ეჰუდი, ძე გერასი, ბენიამინის ძეთაგან, ცაცია კაცი. და ხარკი გაუგზავნეს ისრაელის ძეთ მისი ხელით ყეგლონს, მოაბის მეფეს.
- ¹⁶და გაიკეთა თავისთვის ეჰუდმა ორღესული მახვილი, ერთწერტიანი, და შეიბა იგი მოსასხამის ქვეშ, მარჯვენა თეძოზე.
- ¹⁷და მიართვა ხარკი ყეგლონს, მოაბის მეფეს; და ყეგლონი ძალიან მსუქანი კაცი იყო.
- ¹⁸და როგორც კი ძღვენი მიართვეს, მაშინვე უკან გაისტუმრა მომტანები.
- ¹⁹თავად კი, გილგალთან რომ კერპებია, იქიდან უკან გამობრუნდა და უთხრა: „მეფეო, საიდუმლო სიტყვა მაქვს შენთან სათქმელი.“ და ბრძანა ყეგლონმა: „ჩუმად!“ და ყველა კარისკაცი გარეთ გაიკრიფა.
- ²⁰და შევიდა ეჰუდი მასთან; და იგი მარტო იჯდა ზემო საგრილებელ ოთახში. და უთხრა ეჰუდმა: „ღვთის სიტყვა მაქვს შენთან სათქმელი.“ და წამოდგა მეფე ტახტიდან.



- ²¹და გაიკრა ეჭუდმა მარცხენა ხელი მარჯვენა თეძოსთან შებმულ მახვილზე და მუცელში აძგერა.
- ²²და წვერიან-ვადიანად ჩაიფლო მახვილი და გადაფარა ქონმა მახვილი, რადგან არ გამოუძვრია უკან მახვილი მუცლიდან.
- ²³მერე გამოვიდა ტალანში ეჭუდი და გამოიკეტა კარი.
- ²⁴და როგორც კი გავიდა, მოვიდნენ მეფის მონები და აჰა, ჩაკეტილი დახვდათ ზემო ოთახის კარი. თქვეს: მოსასაქმებლად ჩაიკეტებოდაო საგრილებელ ოთახში.
- ²⁵იცადეს, ვიდრე არ შეფიქრიანდნენ. და აჰა, არ იქნა და არ გააღო მან ზემო ოთახის კარი. ამიტომ აიღეს გასაღები და გახსნეს კარი და აჰა, მათი ბატონი მიწაზე აგდია მკვდარი.
- ²⁶ეჭუდმა სამშვიდობოს გააღწია, ვიდრე ისინი აყოვნებდნენ. იგი გასცდა გილგალის საკერპოებს და სეყირას შეაფარა თავი.
- ²⁷და ეფრემის მთაში მისულმა ბუკსა ჰკრა და ჩამოვიდნენ მასთან ერთად ისრაელის ძენი მთიდან, და წაუძღვა წინ.
- ²⁸და უთხრა მათ: „მომყევით, რადგან ხელში ჩაგიგდოთ უფალმა მოაბელნი, თქვენი მტრები.“ და გაჰყვნენ უკან, და გადაუჭრეს მოაბელებს იორდანეზე გადასასვლელი ფონები და აღარავინ გაატარეს.
- ²⁹და მოსრეს მოაბელნი იმ დროს 10 ათასამდე კაცი, ყველა ძლიერი და მამაცი, და თავს ვერავინ უშველა.
- ³⁰და იმ დღეს მოაბი ისრაელის მორჩილი გახდა; დამშვიდდა და მოისვენა ქვეყანამ 80 წელი.
- ³¹ეჭუდის შემდეგ იყო შამგარი, ძე ყანათისა, და მან მოსრა ფილისტიმელთა 600 კაცი ხარის საჩხვეპით; და მანაც იხსნა ისრაელი.

მსაჯულნი 4

- ¹და ეჭუდის სიკვდილის შემდეგ კვლავ იწყეს ისრაელის ძეთ ბოროტის კეთება უფლის თვალში.
- ²და ხელში ჩაუგდო ისინი უფალმა ქანაანის მეფეს, იაბინს, რომლის სატახტო გალაქი იყო ხაცორი. მისი მხედართმთავარი იყო სისერა, რომელიც იდგა ხაროშეთ-ჰა-გოიმში.
- ³და შეჰღაღადეს ისრაელის ძეთ უფალს, რადგან სისერას 900 რკინის ეტლი ჰქონდა, და ის სასტიკად ჩაგრავდა ისრაელის ძეთ 20 წლის მანძილზე.



⁴და იმ ხანად დებორა, წინასწარმეტყველი ქალი, ცოლი ლაფიდოთისა, იყო ისრაელს მსაჯული.

⁵და იჯდა ის დებორას ფინიკის ქვეშ, რამასა და ბეთელს შორის, ეფრემის მთაზე; და ადიოდნენ მასთან ისრაელის ძენი განსასჯელად.

⁶და კაცები გაუგზავნა და ბარაკი, აბინოყამის ძე, დაიბარა კედემ-ნაფთალიდან, და უთხრა მას: „აი, რა გიბრძანა უფალმა, ისრაელის ღმერთმა: ‘წადი და დადექი თაბორის მთაზე 10 ათასი კაცით ნაფთალის ძეთაგან და ზებულუნის ძეთაგან.

⁷და მე კიშონის ხევთან მოგიყვან სისერას, იაბინის მხედართმთავარს, მის ეტლებსა და მის ჯარს, და ხელში ჩაგაგდებინებ მათ.’“

⁸და უთხრა დებორას ბარაკმა: „თუ წამომყვები, წავალ, და თუ არ წამომყვები, არ წავალ.“

⁹და უთხრა დებორამ: „წამოყოლით წამოგყვები, ოღონდ ამ გზაზე, რომელსაც შენ დაადგები, შენი აღარ იქნება დიდება, რადგან დიაცის ხელში ჩააგდებს უფალი სისერას.“ და ადგა დებორა და წაჰყვა ბარაკს კედემში.

¹⁰და მოუხმო ბარაკმა ზებულუნელთ და ნაფთალელთ კედემში, და გაჰყვა მის კვალს 10 ათასი კაცი, და დებორაც წაჰყვა.

¹¹და ხებერ კენიელი ცალკე გამოჰყოფოდა კენიელებს, მოსეს მოყვრის, ხობაბის მოდგმას, და ცაყანანიმის მუხრანში გაეშალა კარვები, კედემის მახლობლად.

¹²და შეატყობინეს სისერას, რომ ბარაკი, ძე აბინოყამისა თაბორის მთაზე იყო ასული.

¹³და იხმო სისერამ მთელი თავისი ეტლიონი – 900 რკინის ეტლი, და მთელი ხალხი, რომელიც მასთან იყო, ხაროშეთ-ჰა-გოიმიდან კიშონის ხევამდე.

¹⁴და უთხრა დებორამ ბარაკს: „ადექი, რადგან ეს ის დღეა, როცა ხელში ჩაგიგდო სისერა უფალმა. თვით უფალი წაგიძღვება წინ.“ და ჩავიდა ბარაკი თაბორის მთიდან და 10 ათასი კაცი ჩაჰყვა.

¹⁵და დააფრთხო უფალმა სისერა და მთელი მისი ეტლიონი, და მთელი ლაშქარი ბარაკის მახვილის პირით. და გადმოხტა სისერა ეტლიდან და ფეხით გაიქცა.

¹⁶ბარაკმა ხაროშეთ-ჰა-გოიმამდე სდია ეტლიონსა და ლაშქარს; და დაეცა სისერას მთელი ლაშქარი მახვილის პირით, ერთიც არ გადარჩენილა.



¹⁷და გაიქცა სისერა ფეხით იაყელის, ხებერ კენიელის ცოლის, კარვისაკენ, რადგან ხაცორის მეფის, იაბინისა და კენიელი ხებერის სახლს შორის მშვიდობა სუფევდა.

¹⁸და გამოვიდა იაყელი სისერას შესახვედრად, და უთხრა მას: „მობრძანდი, ბატონო ჩემო, შემობრძანდი ჩემთან, ნუ გეშინია.“ და შევიდა სისერა მასთან კარავში, და დამალა იგი საფენის ქვეშ.

¹⁹და უთხრა მას სისერამ: „გეთაყვა, ცოტა წყალი დამალევინე, რადგან მწყურია.“ და მოხსნა იაყელმა რძის ტიკს პირი და დაალევინა, და ისევ დამალა სისერა.

²⁰და სისერამ უთხრა მას: დადექი კარვის კართან, თუ ვინმემ ჩამოიაროს და გკითხოს, ვინმე ხომ არ არისო მანდ? უთხარი: არა-თქო.

²¹და იაყელმა, ხებერის ცოლმა, აიღო კარვის დასაჭიმი პალო, ხელში ურო დაიკავა და სისერას ფეხაკრეფით მიეპარა, რომელსაც დაღლილს ეძინა, და ისე ჩაურჭო პალო საფეთქელში, რომ მიწაზე დააჭედა, და მოკვდა სისერა.

²²და აჰა, ბარაკი მოსდევს სისერას კვალს. გამოეგება იაყელი, და უთხრა: „მოდით, გაჩვენო კაცი, შენ რომ ეძებ.“ და შევიდა მასთან ბარაკი და აჰა, სისერა მკვდარი აგდია, საფეთქელში პალო ჩარჭობილი.

²³და ღმერთმა იმ დღეს დაუმორჩილა იაბინი, მეფე ქანაანისა, ისრაელის მეთ.

²⁴და თანდათან დამძიმდა ისრაელიანთა ხელი იაბინზე, ქანაანის მეფეზე, ვიდრე საბოლოოდ არ მოსპეს იგი.

მსაჯულნი 5

¹ასე იგალობეს იმ დღეს დებორამ და ბარაკმა, აბინოყამის ძემ:

²„წინამძღოლი რომ წინამძღოლობდა, ხალხი ნებით რომ სწირავდა თავს, აკურთხეთ უფალი!

³ისმინეთ, მეფენო, ყური მომაჰყარით, მთავარნო: ეს მე ვარ, მე ვუგალობებ უფალს, მე ვუმღერი უფალს, ისრაელის ღმერთს.

⁴როცა სეყირიდან გადმოხვედი, უფალო, როცა ედომის ველზე გამოხვედი, მიწა ირყეოდა, ცაც კი იღვენთებოდა, ღრეუბლებიც კი წყლად იღვრებოდნენ.

⁵მთები იდრიკებოდნენ უფლის წინაშე, თავად ეგ სინაიც კი, უფლის წინაშე, ისრაელის ღმრთისა.



⁶შამგარის დროს, ყანათის ძისა, იაყელის დროს დაცარიელდა შარაგზები, სწორზე ვედარავინ ბედავდა სიარულს, შორიგზით არჩევდნენ შემოვლას.

⁷სიცოცხლე ჩამკვდარიყო ისრაელის დაბა-სოფლებში, ჩამკვდარი იყო ვიდრე არ აღვდექი მე, დებორა, ვიდრე არ აღვდექი მე, დედა ისრაელში.

⁸ახლი ღმერთები ირჩიეს, ამიტომაც ომია კარიბჭესთან. თუ უჩანს ფარ-შუბი 40 ათასს ისრაელში?

⁹ისრაელის წინამძღოლებთანაა ჩემი გული, ხალხში თავგამოდებულებთან! აკურთხეთ უფალი!

¹⁰თეთრ სახედრებზე ამხედრებულნო, ხალიჩებზე ფეხმორთხმულნო, გზებზე ქვეითად მავალნო, თქვით საგალობელი!

¹¹იქ, სადაც დასარწყულებლად აგროვებენ ნახირს, უფლის სიმართლეს იმღერებენ, ისრაელის წინამძღოლთა სიმართლეს! კარიბჭესთან მოზღვავდა უფლის ერი!

¹²გაიღვიძე, გაიღვიძე, დებორა! გაიღვიძე, გაიღვიძე, იმღერე საგალობელი! აღიმარ ბარაკ! დაატყვევე შენი დამატყვევარი, აბინოყამის ძეო!

¹³მაშინ ძლიერთა ნატამალს დაუმორჩილა უფალმა ხალხი; უფალმა დამიმორჩილა მამაცნი.

¹⁴ეფრემიდან მოვიდნენ ყამალეკში დამკვიდრებულნი; ბენიამინიც შენთანაა, შენს ხალხში; მაქირიდან მოვიდნენ თავკაცები, ზებულუნიდან – წინამძღოლთა კვერთხისმპყრობელნი.

¹⁵ისაქარის მთავრებიც დებორასთან არიან; ბარაკის ერთგულია ისაქარი – მის კვალდაკვალ მიიჭრა ველზე. რეუბენის შტოებში დიდი თათბირია.

¹⁶რას დამჯდარხარ ფარებთა შორის და უსმენ ცხვრების ბლავილს? რეუბენის შტოებში დიდი თათბირია!

¹⁷გალაადი იორდანეს გაღმა დავანებულა; რატომ შეეუფულა დანი ხომალდებში? ზღვისპირას დამჯდარა აშერი და თავის სანახებთან დავანებულა.

¹⁸სიკვდილი არად მიაჩნია ზებულუნის ხალხს. ტრამალის ბორცვებზე ნაფთალია.

¹⁹მოვიდნენ მეფენი, შეიბნენ; მაშინ შეიბნენ ქანაანის მეფენი თაყანაქში, მეგიდოს წყლებთან, მაგრამ მცირედი ვერცხლიც ვერ იალაფეს.

²⁰ციდან ებრძოდნენ, თავიანთი გზებიდან ებრძოდნენ ვარსკვლავები სისერას.



- ²¹კიშონის ხევმა წაიღო ისინი, ძველმა ხევმა, კიშონის ხევმა. გაემართე, სულს ჩემო, ძლიერებით!
- ²²სრბოლისაგან იმსხვერდნენ ცხენთა ფლოქვები მაშინ, მისი ვაჟკაცების სრბოლისაგან.
- ²³დაწყევლეთო მეროზი, – ამბობს ანგელოზი უფლისა, – დაწყევლეთ, დაწყევლეთ მისი მკვიდრნი, რადგან არ გამოვიდნენო უფლის საშველად, უფლის საშველადო ვაჟკაცებთან ერთად!
- ²⁴კურთხეულ იყოს დიაცთა შორის იაყელი, ხებერ კენიელის ცოლი! კარავში მცხოვრებ დიაცთა შორის კურთხეულ იყოს!
- ²⁵წყალი მოსთხოვა და რძე მიართვა, სეფეთასით მიართვა მოუხდელი რძე.
- ²⁶მარცხენა ხელით პალოს დასწვდა, მარჯვენათი – უროს; მოუქნია სისერას, თავში დაჰკრა, გაუპო, საფეთქელი შეუღწა.
- ²⁷მის ფეხებთან ჩაიკეცა, დაეცა, ველარ ადგა; მის ფეხებთან ჩაიკეცა, დაეცა, სადაც ჩაიკეცა, იქვე დაეცა განგმირული.
- ²⁸სარკმლიდან იყურება, კანკლედოდან გაჰკივის სისერას დედა: ‘რატომ იგვიანებს მისი მხედრობა, რამ შეაფერხა მისი ეტლის თვლები?’
- ²⁹პასუხოვნ გონიერი სეფექალები, თვითონვე ამბობს თავისივე სიტყვების პასუხად:
- ³⁰‘ნადავლს იშოვნდნენ და იყოფდნენ: თითო ან ორ-ორი მხევალი თითო მეომარს, ნაალაფარი ჭრელი სამოსელი სისერას, ნაალაფარი ჭრელი სამოსელი, ორხოულად ნაქსოვი, ტყვის ტანზე შემოძარცული.’
- ³¹ყველა მტერი ასე დაგელიოს, უფალო! მისი მოყვარულნი ამომავალ მზესავით გაძლიერდნენ!“ და დაისვენა ქვეყანამ 40 წელი.

მსაჯულნი 6

- ¹და როცა ისრაელის ძეთ იწყეს ისეთი საქმეების კეთება, რაც უფლისთვის სისაძაგლე იყო, უფალმა ხელში ჩაუგდო ისინი მიდიანს შვიდი წლით.
- ²დამძიმდა მიდიანის ხელი ისრაელზე, და ისრაელის ძეთ იწყეს გახიზვნა კლდის ნაპრალებში, გამოქვაბულებსა და მიუვალ ადგილებში.
- ³და როგორც კი ისრაელი ხვნა-თესვას მორჩებოდა, ამოდიოდნენ მიდიანელნი, ყამალეკელნი და აღმოსავლეთის ტომები,



⁴ზანაკებს აწყობდნენ მათ წინ, და აჩანაგებდნენ ქვეყნის მოსავალს ღაზამდე, და არ უტოვებდნენ საზრდოს ისრაელიანთ – არც ცხვარს, არც ხარს და არც სახედარს.

⁵რადგან ისინი ამოდიოდნენ თავიანთი ჯოგებითა და კარვებით. მოდიოდნენ კალიასავით ურიცხვნი, ვერ დაითვლიდი ვერც მათ და ვერც მათ აქლემებს. მოდიოდნენ და ძარცვავდნენ ქვეყანას.

⁶და მთლად გაღატაკდა ისრაელი მიდიანელთაგან, და შეჰღაღადეს ისრაელის ძეთ უფალს.

⁷და როცა შეჰღაღადეს ისრაელის ძეთ უფალს მიდიანის გამო,

⁸მოუვლინა უფალმა მათ წინასწარმეტყველი კაცი, რომელმაც უთხრა მათ: „ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: მე გამოგიყვანეთო ეგვიპტიდან, გამოგიყვანეთ მონობის სახლიდან;

⁹გიხსენით ეგვიპტელთა ხელიდან და ყველა თქვენი მჩაგვრელის ხელიდან, და განვდევნე ისინი თქვენგან, და მოგეცით მათი ქვეყანა,

¹⁰და გითხარით: მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, არ ირწმუნოთ-მეთქი ამორეველებისა, რომელთა ქვეყანაშიც თქვენ მკვიდრობთ, მაგრამ არ შეისმინეთ ჩემი ხმა.“

¹¹და მოვიდა უფლის ანგელოზი, და დაჯდა ყოფრაში, მუხის ქვეშ, რომელიც ეკუთვნოდა იოაშს, აბიყეზერის შთამომავალს; და გედეონი, მისი ვაჟი, ხორბალს ცეხავდა საწნახელში, რათა გადაეძალა მიდიანელთაგან.

¹²და გამოეცხადა მას უფლის ანგელოზი, და უთხრა: „უფალი შენთანაა, მამაცო მებრძოლო!“

¹³და უთხრა მას გედეონმა: „ვაგლახ, ჩემო ბატონო, თუ უფალი ჩვენთან არის, მაშ რაღათ დაგვემართა ეს ყოველივე? აბა სად არის მისი სასწაულები, ჩვენი მამები რომ გვიყვებოდნენ: ‘ეგვიპტიდან გამოგვიყვანაო უფალმა?’ ახლა კი მიგვატოვა უფალმა და მიდიანის ხელში ჩაგვადო!“

¹⁴მაგრამ მიუბრუნდა მას უფალი და უთხრა: „წადი მაგ შენი ძალითა და იხსენ ისრაელი მიდიანის ხელიდან. მე გაგზავნი შენ.“

¹⁵და უთხრა მას გედეონმა: „მომხედე, ჩემო ბატონო! როგორ ვიხსნი მე ისრაელს, როცა ჩემი საგვარეულო ყველაზე მცირეა მანაშეს ტომში, და მეც ნაბოლარა ვარ მამაჩემის სახლში.“

¹⁶და უთხრა მას უფალმა: „მე ვიქნები შენთან და ისე სძლევ მიდიანს, როგორც ერთ კაცს.“



¹⁷და უთხრა მას გედეონმა: „თუ მე მადლი ვპოვე შენს თვალში, რაიმე ნიშანი მიჩვენე, რომ შენ მელაპარაკები.“

¹⁸ნუ წახვალ აქედან ჩემს მოსვლამდე, და ძღვენს გამოვიტან და დავდებ შენს წინაშე.“ და მან უპასუხა: „აქ დაგიცდი, ვიდრე დაბრუნდები.“

¹⁹და წავიდა გედეონი, და მოამზადა თიკანი და ერთი ეფა ფქვილის ხმიადები. ხორცი კალათში ჩააწყო, და წვენი ქოთანში ჩაასხა და გამოუტანა მას მუხის ქვეშ, და მიართვა.

²⁰და უთხრა მას ღმერთის ანგელოზმა: „აილე ხორცი და ხმიადები და დააწყვე ამ კლდის თავზე და წვენი ზედ დაასხი.“ და ასეც მოიქცა გედეონი.

²¹და გაიწოდა უფლის ანგელოზმა კვერთხი, ხელში რომ ეჭირა, შეახო ხორცსა და ხმიადებს და ავარდა ცეცხლი ტინიდან, და შთანთქა ხორცი და ხმიადები ცეცხლმა; და უფლის ანგელოზი თვალს მიეფარა.

²²და მიხვდა გედეონი, რომ ეს უფლის ანგელოზი იყო და დაიჩივლა: „ვაგლახ მე, უფალო ღმერთო! პირისპირ ვიხილე უფლის ანგელოზი!“

²³და უთხრა მას უფალმა: „მშვიდობა შენდა! ნუ გეშინია, არ მოკვდები.“

²⁴და სამსხვერპლო აუგო იქ გედეონმა უფალს, და უწოდა მას: „უფალი მშვიდობაა.“ იგი დღევანდელ დღემდე დგას აბიეზერელთა ყოფრაში.

²⁵და იმ ღამეს უთხრა მას უფალმა: „წაიყვანე მოზვერი მამაშენის ხარებიდან, და მეორე შვიდი წლის ზვარაკი; და დაანგრე ბაყალის სამსხვერპლო, მამაშენს რომ აქვს, ხოლო აშერა, რომელიც მის გვერდითაა, აჩეხე.“

²⁶და აუგე უფალს, შენს ღმერთს, სამსხვერპლო ამ კლდის თავზე თავისი წესით, და მეორე ზვარაკი აღუვლინე სრულადდასაწველად იმ აშერას შემოთ, რომელსაც აჩეხავ.“

²⁷და წაიყვანა გედეონმა ათი კაცი თავის მსახურთაგან, და ისე მოიქცა, როგორც უფალმა უთხრა; და რაკი თავისი მამისსახლის და ქალაქის მკვიდრების შიში ჰქონდა, ვერ გაბედა, დღისით გაეკეთებინა, ამიტომ ღამით გააკეთა.

²⁸და ადგნენ დილით იმ ქალაქის მკვიდრნი და აჰა, ბაყალის სამსხვერპლო დანგრეულია და აშერა, მის გვერდით რომ იყო, აჩეხილი; მეორე ზვარაკი კი ახლადაგებულ სამსხვერპლოზე იწვის.

²⁹და ჰკითხეს ერთმანეთს: ვინ ჩაიდინაო ეს საქმე? და გამოიძიეს და გამოიკვლიეს, და გაიგეს, რომ გედეონმა, იოაშის ძემ, ჩაიდინა ეს.



³⁰და უთხრეს ქალაქის მკვიდრებმა იოაშს: „გამოიყვანე შენი ძე, ის უნდა მოკვდეს, რადგან ბაყალის სამსხვერპლო დაანგრია და მის გვერდით აშერა აჩეხა.“

³¹და უთხრა იოაშმა ყველას, ვინც მას მიუხდა: „ნუთუ თქვენ უნდა გამოესარჩლოთ ბაყალს, ნუთუ თქვენ უნდა იხსნათ იგი? ვინც მას გამოესარჩლება, იგი განთიადამდე მოკვდება. თუ ღმერთია იგი, თავად გამოესარჩლოს თავის თავს, როცა ანგრევენ მის სამსხვერპლოს!“

³²და იმ დღეს უწოდეს გედეონს იერუბაყალი, რაც ნიშნავს: „თავად ბაყალმა გასცეს პასუხი.“ ბაყალის სამსხვერპლო ხომ მან დაანგრია.

³³და მთელი მიდიანი და ყამალეკი, და აღმოსავლეთის ტომები ერთად შეიყარნენ და მოვიდნენ და დაიბანაკეს იზრეყელის ველზე.

³⁴და უფლის სულმა მოიცვა გედეონი: და მან ბუკსა ჰკრა და თავი მოიყარეს აბიყეზერელებმა მის უკან.

³⁵მაცნეები დაგზავნა და მთელი მანაშეს ტომი მასთან მოვიდა; მაცნეები გაუგზავნა აშერის, ზებულუნისა და ნაფთალის ტომებს – და ეს ტომებიც გამოვიდნენ საომრად.

³⁶და უთხრა გედეონმა ღმერთს: „შენ მართლა აპირებ, ჩემი ხელით იხსნა ისრაელი, როგორც მპირდებოდი?“

³⁷აჰა, საწმისს გავშლი კალოზე: თუ ცვარი მხოლოდ საწმისზე იქნება, მთელი მიწა კი მშრალი, მაშინ გავიგებ, რომ ჩემი ხელით იხსნი ისრაელს, როგორც ამბობდი.“

³⁸და ასეც მოხდა: მეორე დღეს დილაადრიაანად ადგა გედეონი, გამოწურა საწმისი და გამოადინა ნამი, წყლით სავსე ერთი თასი.

³⁹და უთხრა გედეონმა ღმერთს: „ნუ აღიგზნება შენი რისხვა ჩემზე, თუ კიდევ ერთხელ გეტყვი, რომ მხოლოდ ერთხელ კიდევ გამოვცადო საწმისი: მხოლოდ საწმისი იყოს მშრალი და მთელ მიწაზე კი ცვარი იდოს.“

⁴⁰და ასეც მოახდინა ღმერთმა იმ ღამეს. მხოლოდ საწმისი იყო მშრალი, მთელ მიწაზე კი ცვარი იდო.

მსაჯულნი 7

¹და ადგა დილაადრიაანად იერუბაყალი – იგივე გედეონი – და მასთან მყოფი მთელი მეზრძოლი ხალხი, და ხაროდის წყაროსთან; მიდიანის ბანაკი იყო მის ჩრდილოეთით, მორეს ბორცვთან, ველზე.



²და უთხრა უფალმა გედეონს: „ბევრი ხალხი გყავს საიმისოდ, რომ მიდიანი ჩავუგდო მათ ხელში, რათა არ გაყოყოჩდეს ისრაელი ჩემზე, და არ მითხრას: მე ჩემმა ხელმა მიხსნაო.“

³ახლა, მოდი, გამოუცხადე ხალხს ხმამაღლა და უთხარი: ვინც შეშინებულია და კანკალებს, უკან გაბრუნდეს და წავიდეს-თქო გალაადის მთიდან.“ და გაბრუნდა ხალხიდან 22 ათასი, და 10 ათასი დარჩა.

⁴და უთხრა უფალმა გედეონს: „ხალხი მაინც ბევრია; ჩაიყვანე ისინი წყალზე და იქ გამოგირჩევ; და ვისზეც გეტყვი, ეს გამოგყვეს-მეთქი, ის გამოგყვეს; ხოლო ვისზეც გეტყვი: ეს არ გამოგყვეს-მეთქი, ნუ წამოვა.“

⁵და ჩაიყვანა გედეონმა ხალხი წყალზე. და უთხრა უფალმა გედეონს: „ყველა, ვინც ძაღლივით ენით შესვლევს წყალს, ცალკე დააყენე; ყველა, ვინც, დასაღევად ჩაიმუხლება, ასევე გამოაცალკევე.“

⁶და მსვლეპავთა რიცხვი, ვინც პეშვი პირთან მიიტანა, 300 კაცი იყო; და ყველა დანარჩენმა ხალხმა ჩაიმუხლა წყლის დასაღევად.

⁷და უთხრა უფალმა გედეონს: „ამ 300 კაცით გიხსნით და ხელში ჩაგიგდებ მიდიანს, და მთელი დანარჩენი ხალხი უკან გაბრუნდეს.“

⁸და აიღეს მათ ხალხის საგზალი და რქის ბუკები; და დაიტოვა გედეონმა სამასი კაცი, ხოლო დანარჩენი ხალხი გაუშვა ბანაკში; და იყო მიდიანის ბანაკი მათ ქვემოთ, ველზე.

⁹და იმ ღამეს უთხრა მას უფალმა: „ადექი, ჩადი და დაეცი მათ ბანაკს, რადგან ხელში გაძლევ მათ.“

¹⁰და თუ მარტოს გეშინია ჩასვლა, შენ და შენი მსახური ფურა ჩადით.

¹¹და მოისმენ, რასაც ლაპარაკობენ, და ეს მკლავს გაგიმაგრებს და დაეცემი ბანაკს.“ და ჩავიდნენ ის და მისი მსახური ფურა, იარაღასხმულთა განაპირა რიგებისაკენ, ბანაკში რომ იყვნენ.

¹²და მიდიანი, ყმალეკი და ყველა მე აღმოსავლეთისა ველზე იყვნენ განლაგებულნი, კალიასავით ურიცხვნი; და მათ აქლემებს თვლა არ ჰქონდა, იმდენი იყვნენ, როგორც ქვიშა ზღვის პირას.

¹³და მოვიდა გედეონი. და აჰა, ერთი კაცი სიზმარს უყვება თავის მოყვასს და ეუბნება: „აჰა, სიზმარი მესიზმრა: ვითომც ქერის პური დაგორდა მიდიანის ბანაკისკენ, კარავს რომ მიაღწია, დაეჯახა და დასცა, თავდაყირა დააყენა კარავი, და დაემხო კარავი.“



¹⁴მეორემ მიუგო და უთხრა: „ეს სხვა რა უნდა იყოს, თუ არა მახვილი გედეონისა, იოაშის ძისა, ისრაელიანისა; მის ხელში ჩაუგდია ღმერთს მიდიანი და მთელი ბანაკი.“

¹⁵და როცა გედეონმა ამ სიზმრის მოყოლა და მისი ახსნა მოისმინა, თაყვანი სცა უფალს და აბრუნდა ისრაელის ბანაკში, და თქვა: „ადექით, რადგან უფალმა ხელში ჩაგიგდოთ მიდიანის ბანაკი.“

¹⁶და გაჰყო მან სამასი კაცი სამ რაზმად, და ყველას ბუკები და ცარიელი დოქები მისცა ხელში, დოქებში კი ლამპრები იყო დამალული.

¹⁷და უთხრა მათ: „მიყურეთ და იგივე გააკეთეთ: აჰა, მივალ მე ბანაკთან, და მოიქეცით, როგორც მე მოვიქცევი!

¹⁸და დავცემთ ბუკს მე და ჩემთან მყოფნი; თქვენც ჩაჰბერეთ ბუკებს მთელი ბანაკის ირგვლივ და იყვირეთ: ‘უფლისათვის და გედეონისათვის!’ “

¹⁹მივიდა ბანაკთან გედეონი და მასთან მყოფი 100 კაცი, როცა შუა სახმილავი იწყებოდა და გუშაგები იცვლებოდნენ, ატეხეს ბუკისცემა და დაამსხვრიეს დოქები, ხელში რომ ეჭირათ.

²⁰და ბუკსა სცა სამივე გუნდმა და დაღეწეს დოქები; მარცხენა ხელში ლამპრები ეჭირათ, ხოლო მარჯვენა ხელში ბუკები; ბუკსა სცემდნენ და გაჰყვიროდნენ: „მახვილი უფლისათვის და გედეონისათვის!“

²¹თითოეული თავ-თავის ადგილას იდგა, ბანაკის ირგვლივ. და აირია მადიანელთა მთელი ბანაკი, ყვიროდნენ და მირბოდნენ.

²²და ბუკსა სცა სამასმა კაცმა და უფალმა ერთმანეთზე აღამართინა მახვილი მადიანელთა მთელ ლაშქარს; და უკუიქცა ლაშქარი და მირბოდა ბეთ-შიტამდე ცერერასაკენ, აბელ-მეხოლას საზღვრამდე, ტაბათის მახლობლად.

²³და დამახილზე გამოვიდნენ ისრაელიანები ნაფთალიდან, აშერიდან და მთელი მანაშედან და დაედევნენ უკან მიდიანელთ.

²⁴და გაგზავნა მოციქულები გედეონმა ეფრემის მთაში, შეუთვალა: „ჩამოდით, წინ დაუხვდით მიდიანელთ და გადაუჭერით წყალზე ფონები, დაიკავეთ იორდანეს ნაპირი ბეთ-ბარამდე!“ გამოვიდა მთელი ეფრემი და გადაუჭრეს ფონები მდინარეზე – დაიკავეს იორდანეს სანაპირო თვით ბეთ-ბარამდე.

²⁵და შეიპყრეს მიდიანის ორი მთავარი: ყორები და ზეები, და მოკლეს ყორები ყორების კლდესთან, ხოლო ზეები ზეების საწნახელთან, და დაედევნენ მიდიანელთ; და ყორებისა და ზეების თავები გედეონს მოუტანეს იორდანეს გაღმადან.



მსაჯულნი 8

¹და უთხრეს მას ეფრემის კაცებმა: „ეს რა გააკეთე, რომ არ მოგვიხმე, როცა მიდიანთან საომრად მიდიოდი?“ და მაგარი ჩხუბი აუტეხეს.

²და უპასუხა გედეონმა მათ: „ახლა მე ისეთი რა გავაკეთე, რომ თქვენს საქმეებს გაუტოლდეს? ეფრემის მონამცვრევი რით არა სჯობს აბიყეზერის მიერ მოსთვლილს?“

³ღმერთმა ხელში ჩაგიგდოთ მიდიანის მთავრები – ყორები და ზეები. განა გაუტოლდება ჩემი საქმეები თქვენს საქმეებს? მაშინ კი მოუბრუნდათ გული მასზე, როცა ეს სიტყვები უთხრათ გედეონმა.

⁴და მიადგა გედეონი იორდანეს და გადალახა მან და მასთან მყოფმა მღევარში დაქანცულმა სამასმა კაცმა.

⁵და სთხოვა მან სუქოთის მცხოვრებთ: „მიეცით პურის კვერები იმ ხალხს, მე რომ მომყვება, რადგან დაქანცულები არიან, და მე მიდიანის მეფეებს მივდეგ – ზებახსა და ცალმუნაყს.“

⁶და უთხრეს სუქოთის მთავრებმა: „ვითომ ზებახი და ცალმუნაყი უკვე ხელთა გყავდნენ, ისე გვთხოვ ჯარი დამიპურეთო!“

⁷მიუგო გედეონმა: „მაშ კარგი. და როცა უფალი ზებახსა და ცალმუნაყს ხელში ჩამაგდებინებს, უდაბნოს ნარ-ეკლით დაგაფლეთო ხორცს.“

⁸და წავიდა იქიდან ფენუელისაკენ, და იგივე სთხოვა მათ; და ფენუელის მკვიდრებმაც იგივე მიუგეს, რაც სუქოთის მკვიდრებმა.

⁹და ფენუელის მკვიდრებმაც ასე უთხრა: „როცა გამარჯვებული შემოვიქცევი უკან, ნახავთ, როგორ დავმუსრავე ამ ციხე-კოშკს!“

¹⁰ხოლო ზებახი და ცალმუნაყი კარკორში იდგნენ თავიანთი ლაშქრით – 15 ათასამდე კაცით – აღმოსავლეთის ძეთა მთელი ლაშქრიდან რაც გადარჩა; დალუპვით კი 120 ათასი მეზრძოლი დაეცა.

¹¹გედეონმა აღმოსავლეთიდან შემოუარა ნობახს და იოგბეჰას კარვებში მცხოვრებთა გზით და იმ დროს დაეცა ბანაკს, როცა უზრუნველად იყო ბანაკი.

¹²და გაიქცნენ ზებახი და ცალმუნაყი, და ის კვალდაკვალ დაედევნა მათ, და შეიპყრო მიდიანის ორივე მეფე – ზებახი და ცალმუნაყი. მთელი მათი ლაშქარი კი თავზარდაცემული გარბოდა.

¹³და ბრუნდებოდა ბრძოლის შემდეგ გედეონი, ძე იოაშისა, ხერესის მაღლობით.



¹⁴და შეიპყრო ერთი სუქოთელი ჭაბუკი და დაჰკითხა იგი. და ჩამოუწერა მან სუქოთის მთავრები და მისი უხუცესები – 77 კაცი.

¹⁵და მოვიდა სუქოთელებთან, და უთხრა: „აი, ზებახი და ცალმუნაყი, ამათ გამო იყო, რომ დამცინოდით და მეუბნებოდით: ‘ვითომ ზებახი და ცალმუნაყი უკვე ხელთა გყავდნენ, ისე გვთხოვ, ჯარი დამიპურეთო!’“

¹⁶და გამოიყვანა ქალაქის უხუცესნი და უდაბნოს ნარ-ეკლით ლეწა სუქოთელები.

¹⁷ფენუელის ციხე-კოშკი დაანგრია და იმ ქალაქის მკვიდრნი გაჟლიტა.

¹⁸და უთხრა ზებახსა და ცალმუნაყს: „როგორები იყვნენ ის კაცები, თაბორზე რომ დახოცეთ?“ და მიუგეს მათ: „შენნაირები იყვნენ, თვალად მეფისწულებს ჰგავდნენ.“

¹⁹და თქვა გედეონმა: „ჩემი ძმები იყვნენ ისინი, დედაჩემის ძენი. ვფიცავ უფალს, თქვენ რომ ისინი გეცოცხლებინათ, აღარც თქვენ დაგხოცავდით.“

²⁰და უთხრა მან იეთერს, თავის პირმშოს: „ადექი, დახოცე ესენი!“ და ვერ იძიშვლა ბიჭმა მახვილი, რადგან შეშინდა, რაკი ჯერ კიდევ პატარა იყო.

²¹და უთხრეს ზებახმა და ცალმუნაყმა: „ადექ და შენ დაგხოცე, რადგან რაც კაცია, მისი ძალღონეც ის არის.“ და ადგა გედეონი და დახოცა ზებახი და ცალმუნაყი, და კისრიდან ჩამოხსნა ნახევარმთვარეები მათ აქლემებს.

²²და უთხრეს ისრაელის კაცებმა გედეონს: „იხელმწიფეთ ჩვენზე შენც, შენმა ძემაც და შენი ძის ძემაც, რადგან შენ გვიხსენი მიდიანელთა ხელიდან.“

²³და უპასუხა მათ გედეონმა: „მე არ ვიხელმწიფებ თქვენზე და არც ჩემი ძე იხელმწიფებს თქვენზე; უფალი იხელმწიფებს თქვენზე.“

²⁴და უთხრა მათ გედეონმა აგრეთვე: „თხოვნით ერთსა გთხოვთ: თითოეულმა თითო საყურე მომცეს თავის ნადავლიდან“ (რადგან ოქროს საყურეებს ატარებდნენ, ვინაიდან ისმაელიანები იყვნენ).

²⁵და მათ უთხრეს: „მოგცემთ.“ და გაშალეს წამოსასხამი, და თითოეულმა თითო საყურე დააგდო თავისი ნაალაფარიდან.

²⁶და წონა ოქროს საყურეებისა, მან რომ გამოითხოვა, იყო 1700 ოქროს შეკელი, გარდა მიდიანის მეფისაგან ართმეული ნახევარმთვარეებისა, გულსაკიდლებისა, ძოწეულისა და გულქანდებისა, მათს აქლემებს ყელზე რომ ეკიდათ.

²⁷და გააკეთა მისგან გედეონმა ეფოდი, და დადო იგი თავის ქალაქში, ყოფრაში; და მეძაობდა იქ მთელი ისრაელი იმის კვალზე და მახედ ექცა იგი გედეონსა და მის სახლს.



²⁸და დამორჩილდა მიდიანი ისრაელის ძეთ, და მეტი აღარ წამოუყვიათ მათ თავი, და მოისვენა ქვეყანამ 40 წელი გედეონის სიცოცხლეში.

²⁹და წავიდა იერუბაყალი, იოაშის ძე, და თავის სახლში დამკვიდრდა.

³⁰ხოლო გედეონს ჰყავდა 70 ღვიძლი შვილი, მისი საზარდულიდან გამოსული, რადგან მრავალი ცოლი ჰყავდა მას.

³¹და მისმა შექემელმა ხარჭამაც ვაჟი გაუჩინა; და დაარქვა მას სახელად აბიმელექი.

³²და მოკვდა გედეონი, იოაშის ძე, კეთილ სიბერეში, და დაიმარხა მისი მამის, იოაშის, სამარხში – აბიყუბერის ყოფრაში.

³³გედეონი რომ მოკვდა, ისევ დაიწყეს ისრაელის ძეთ მეძაობა ბაყალის კვალზე და ღმერთად გაიხადეს ბაყალ-ბერითი.

³⁴და აღარ გაიხსენეს ისრაელის ძეთ უფალი, თავიანთი ღმერთი, რომელმაც იხსნა ისინი ყველა გარემემო მტრის ხელიდან.

³⁵და არც იერუბაყალ-გედეონის სახლს მიაგეს მადლი, მთელი იმ სიკეთისათვის, რაც მან გაუკეთა ისრაელს.

მსაჯულნი 9

¹და წავიდა აბიმელექ იერუბაყალის ძე შექემში თავის დედის ძმებთან, და ელაპარაკა მათ და თავისი დედის მამისსახლის მთელ საგვარეულოს, და უთხრა:

²„უთხარით ყველა შექემელს: ‘რა გირჩევნიათ, მთელი 70 კაცი – იერუბაყალის ყველა ძე – ხელმწიფებდეს თქვენზე, თუ მე, ერთი კაცი, ვიყო თქვენი ხელისუფალი?’ და გახსოვდეთ, შექემელნო, რომ მე ვარ თქვენი სისხლი და ხორცი.“

³და მისმა დედის ძმებმა ჩაასმინეს ყველა შექემელს ყველა ეს სიტყვა; და გადაიხარა მათი გული აბიმელექისკენ, რადგან თქვეს: ძმა არისო ჩვენი.

⁴და მისცეს მას 70 ვერცხლი ბაყალ-ბერითის სახლიდან, და დაიქირავა ამით აბიმელექმა უღირსი და თავზეხელაღებული კაცები, და უკან გაჰყვნენ მას.

⁵და მივიდა თავისი მამისსახლში, ყოფრაში, და ერთ ქვაზე დააკლა თავისი ძმები, ძენი იერუბაყალისა, 70 კაცი, და მხოლოდ იოთამი გადარჩა, იერუბაყალის უმცროსი ვაჟი, რადგან დამალვა მოასწრო.

⁶და თავი მოიყარა ყველა შექემელმა და მილოს მთელმა სახლმა, წავიდნენ და გაამეფეს აბიმელექი მუხასთან დადგმულ სვეტთან, შექემში რომ არის.



⁷და როცა ეს ამბავი შეატყობინეს იოთამს, წავიდა და გადმოდგა გერიზიმის მთის თხემზე, ხმა აღიმალა და დაიძახა: „ისმინეთ ჩემი, შექემელებო, რათა ღმერთმა თქვენ მოგისმინოთ!“

⁸ერთხელ როგორღაც შეიკრიბნენ ხეები, რომ თავისთვის მეფე დაესვათ, და უთხრეს ზეთისხილს: იმეფეო ჩვენზე;

⁹და უთხრა მათ ზეთისხილმა: „მივატოვო ჩემი სიმსუყე, რომლითაც ღმერთსა და კაცს განადიდებენ, და ხეებს გადავყვე?“

¹⁰მაშინ უთხრეს ხეებმა ლელვს: მოდი და შენ იმეფეო ჩვენზე.

¹¹და უთხრა მათ ლელვმა: „მივატოვო ჩემი სიტკბოება და ჩემი ნაყოფი და ხეებს გადავყვე?“

¹²და უთხრეს ხეებმა ვაზს: მოდი და შენ იმეფეო ჩვენზე.

¹³და უთხრა მათ ვაზის ლერწმა: „დავთმო ჩემი წვენი, გამხარებელი ღვთისა და კაცისა, და ხეებს გადავყვე?“

¹⁴ბოლოს ყველა ხემ კვრინჩხს მიმართა: მოდი და შენ იმეფეო ჩვენზე.

¹⁵და უთხრა კვრინჩხმა ხეებს: „თუ თქვენ მართლაც თქვენს მეფედ გინდათ ჩემი ცხება, მოდით და შემოეფარეთ ჩემს ჩრდილს, ხოლო თუ არ დამადგენთ თქვენს მეფედ – ამოვარდება კვრინჩხის ბუჩქიდან ცეცხლი და შთანთქავს ლიბანის კედრებს!“

¹⁶„აბა, დაფიქრდით, სწორად მოიქეცით, აბიმელექი რომ გაამეფეთ? კარგად მოექეცით იერუბაყალს და მის სახლს? მისი ღვაწლის სანაცვლოდ ეს ეკუთვნოდა?“

¹⁷მამაჩემი თქვენი გულისთვის იბრძოდა, თავი გაწირა, და გიხსნათ მიდიანის ხელიდან;

¹⁸თქვენ კი დღეს წინ აღუდევით მამაჩემის სახლს და ერთ ქვაზე დააკალით მისი ძენი, 70 კაცი, და აბიმელექი, მისი ხარჭის ძე, შექემელებზე გაამეფეთ, რადგან თქვენი მოძმეა იგი.

¹⁹და თუ სწორად და პატიოსნად მოექეცით იერუბაყალს და მის სახლს, მაშინ იხარეთ აბიმელექით და მანაც იხაროს თქვენით;

²⁰თუ არა და, ამოვარდეს ცეცხლი აბიმელექისაგან და შთანთქას შექემელები და მილოს სახლი; ამოვარდეს ცეცხლი შექემელთაგან და მილოს სახლიდან და შთანთქას აბიმელექი!“

²¹და გაიქცა იოთამი და წავიდა ბეერისაკენ, და იქ დამკვიდრდა თავისი ძმის, აბიმელექისგან შორს.



²²და მთავრობდა აბიმელექი ისრაელზე სამი წელი.

²³და ღმერთმა განხეთქილების სული გამოგზავნა აბიმელექსა და შექემელებს შორის, და უღალატეს შექემელებმა აბიმელექს,

²⁴რათა მოწეულიყო იერუბაყალის 70 ძის მიმართ ჩადენილი ბოროტების სამაგიერო და მათი სისხლი მოჰკითხოდა აბიმელექს, მათ ძმას, რომელმაც დახოცა ისინი, და შექემელებსაც, რომელთაც ხელი გაუმაგრეს აბიმელექს თავისი ძმების დახოცვაში.

²⁵და მთების თხემებზე ჩაუსაფრეს მას შექემელებმა კაცები, და ძარცვავდნენ ყველას, ვინც მათ სიახლოვეს გზად გაივლიდა. და მოახსენეს ეს ამბავი აბიმელექს.

²⁶და მოვიდნენ გაყალი, ძე ყებედისა, და მისი ძმები, და დადიოდნენ შექემში; და მას მიენდვნენ შექემელნი.

²⁷და გავიდნენ მინდორში, მოკრიფეს ყურძენი, დაწურეს და ზეიმი გამართეს. შევიდნენ თავიანთი ღმერთის ტაძარში და ჭამდნენ და სვამდნენ, და წყევლიდნენ აბიმელექს.

²⁸და თქვა გაყალ ყებედის ძემ: „ვინ გდია აბიმელექი? და რა არის შექემი! მას უნდა ვეყმოდ? განა იერუბაყალის ძე არ არის ის, და განა ზებულის არ არის მისი მოურავი? ისინი უნდა ემსახურებოდნენ ხამორს, შექემის მამას! აბიმელექს რატომ უნდა ვემორჩილებოდეთ ჩვენ?

²⁹ეს ხალხი რომ ჩემს ხელთ იყოს, მე გავათავისუფლებდი მათ აბიმელექისგან! და გამოიწვია მან აბიმელექი: შეკრიბე შენი ჯარი და გამოდიო საომრად!“

³⁰ზებულმა, ქალაქის მთავარმა, გაიგო გაყალ ყებედის ძის ნალაპარაკევი და რისხვით აღეგზნო.

³¹და ფარულად გაუგზავნა მოციქულები აბიმელექს ყარუმაში და შეუთვალა: „აჰა, მოვიდა გაყალი, ძე ყებედისა, თავის ძმებთან ერთად შექემში და ქალაქი უნდათ აგიმხედრონ.

³²და ახლა, ამაღამვე, ადექით შენ და შენთან მყოფი ხალხი და ველზე ჩაუსაფრდით.

³³და განთიადისას, მზის ამოსვლისთანავე, ადექი დილაადრიან და დაეცი ქალაქს; და წამოვა გაყალი მასთან მყოფი ხალხით შენს დასახვედრად და ხელში ჩაიგდებ მათ.“

³⁴და ადგა ღამე აბიმელექი და მთელი მასთან მყოფი ხალხი, და ოთხ რაზმად ჩასაფრდა შექემთან.



³⁵და გამოვიდა გაყალი, ძე ყებედისა, და დადგა ქალაქის კარიბჭესთან; და გამოვიდა საფარიდან აბიმელექი თავის ხალხთან ერთად.

³⁶გაყალმა, ხალხი რომ დაინახა, უთხრა ზებულს: „შეხედე, ხალხი ეშვება მათა თხემებიდან.“ და უთხრა მას ზებულმა: „მთების ჩრდილი ხალხად გეჩვენება.“

³⁷და კვლავ ალაპარაკდა გაყალი და თქვა: „ხალხი ეშვება მაღლობიდან, და ერთი რაზმი მოდის მისანთა მუხის გზიდან.“

³⁸და უთხრა მას ზებულმა: „განა შენ არ ამბობდი: ვინ არის აბიმელექი, რომ მას ვემონებოდეთო? აგერ, ეს ხალხია, შენ რომ დასცინოდი! გადი და შეეხი მათ!“

³⁹და გაუძღვა გაყალი შექემელებს და შეეხა აბიმელექს.

⁴⁰აბიმელექმა გააცია ისინი და ქალაქის კარიბჭემდე სდია. მრავალი დახოცილი შექემელი დაეცა კარიბჭემდე.

⁴¹ამის შემდეგ დარჩა აბიმელექი ყარუმაში; და განდევნა ზებულმა გაყალი და მისი ძმები, რათა არ ეცხოვრათ შექემში.

⁴²მეორე დღეს შექემელნი კვლავ გამოვიდნენ ქალაქიდან. და შეიტყო ეს ამბავი აბიმელექმა.

⁴³და გაიყვანა მან თავისი ხალხი და გაჰყო ისინი სამ რაზმად, და ველზე ჩასაფრდა. და ქალაქიდან გამომავალი ხალხი რომ დაინახა, დაესხა მათ თავს და მთლიანად მოსრა.

⁴⁴აბიმელექი და მისი რაზმები კი წინ გაიჭრნენ და შედგნენ ქალაქის კარიბჭესთან, ხოლო ორი რაზმი შეესია ყველას, ვინც ველზე იყო, და ხოცავდა მათ.

⁴⁵აბიმელექი კი მთელი დღე ებრძოდა ქალაქს, ქალაქი აიღო, და გაწყვიტა მთელი ხალხი. მან დაანგრია შექემი და მის ადგილას მარილი დათესა.

⁴⁶და შეიტყვეს ეს ამბავი შექემის გოდოლის მცხოვრებთ და შეცვივნენ ელბერითის სახლის გოდოლში.

⁴⁷და მოხსენდა აბიმელექს, ერთად შეიყარაო შექემის გოდოლის ყველა მკვიდრი.

⁴⁸და ავიდა აბიმელექი ცალმონის მთაზე, თვითონ და მასთან მყოფი მთელი ხალხი, და აიღო აბიმელექმა ცული ხელში და მოჭრა ტოტი, და ასწია იგი და გაიდო მხარზე, და უთხრა მასთან მყოფ ხალხს: „ხომ ნახეთ, რა გავაკეთე, თქვენც სასწრაფოდ იგივე გააკეთეთ.“



⁴⁹მოჭრა მთელმა ხალხმა, თითოეულმა თითო ტოტი, და გაჰყვა აბიმელექს, და შემოუწყვეს ისინი გოდოლს და ცეცხლს მისცეს გოდოლი და შიგ მყოფნი. და ამოწყდა შექემის ყველა მკვიდრი, თითქმის ათასამდე კაცი და ქალი.

⁵⁰და წავიდა აბიმელექი თებეცში, და ალყა შემოარტყა თებეცს და დაიპყრო იგი.

⁵¹მტკიცე გოდოლი იყო შუა ქალაქში და იქ გაიქცა ყველა, კაცი თუ ქალი, და ყველა მკვიდრი ქალაქისა, და ჩაიკეტეს კარი და ავიდნენ გოდლის ბანზე.

⁵²და მივიდა აბიმელექი გოდოლთან, და შეუტია და მიაღგა გოდლის შესასვლელს, რათა დაეწვა იგი ცეცხლით.

⁵³და ამ დროს ერთმა ქალმა დოლაბის ნატეხი დასცა მაღლიდან აბიმელექს და თავის ქალა ჩაუმტვრია.

⁵⁴აბიმელექმა უმაღლესი თავისი საჭურველმტვირთველი იხმო და უთხრა: „იშიშვლე მახვილი და მომკალი, რომ არა თქვან ჩემზე, დედაკაცმა მოკლაო.“ და უგმირა მას მისმა საჭურველმტვირთველმა, და მოკვდა აბიმელექი.

⁵⁵და როცა დაინახეს ისრაელიანებმა, რომ მოკვდა აბიმელექი, ყველანი თავ-თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

⁵⁶ასე მიუზღო სამაგიერო ღმერთმა აბიმელექს იმ ბოროტებისათვის, რაც მან თავის მამის მიმართ ჩაიდინა, თავისი 70 ძმის დახოცვით.

⁵⁷და შექემელებზე მოაწია ღმერთმა ყველა მათი ბოროტება. და ეწიათ მათ იოთამ იერუბაყალის ძის წყევლა.

მსაჯულნი 10

¹აბიმელექის შემდგომ აღდგა თოლაყი, ძე ფუვასი, ძისა დოდოსი, ისაქარის ტომისა, ისრაელის გამომხსნელად. იგი ცხოვრობდა შამირში, ეფრემის მთაზე.

²და განსჯიდა ისრაელს 23 წელიწადს, და მოკვდა და დაიმარხა შამირში.

³მის შემდგომ გამოჩნდა გალაადელი იაირი და განსჯიდა ისრაელს 22 წელი.

⁴და ჰყავდა მას 30 ვაჟი, და ყოველ მათგანს თავისი სახედარი ჰყავდა; და ჰქონდათ მათ 30 ქალაქი, დღემდე ხავოთ-იაირად წოდებული, გალაადის ქვეყანაში რომ არის.

⁵და მოკვდა იაირი და დაიმარხა კამონში.



⁶და კვლავ იწყეს ისრაელის ძეთ უფლის თვალში სამაგელი საქმეების კეთება: ემსახურებდნენ ბაყალებს და ყაშთორეთებს, არამისა და ციდონის ღმერთებს, მოაბისა და ყამონელთა ღმერთებს, და ფილისტიმელთა ღმერთებს; და მიატოვეს უფალი და აღარ ემსახურებოდნენ მას.

⁷და აღეგზნო რისხვა უფლისა ისრაელზე და ჩაყარა ისინი ფილისტიმელთა და ყამონელთა ხელში.

⁸და იმ წლიდან მოკიდებული ავიწროებდნენ და ჩაგრავენ ისრაელის ძეთ 18 წლის მანძილზე; ყოველი ისრაელის ძე დაიმონეს, ვინც იორდანეს გაღმა ცხოვრობდა ამორეველების ქვეყანაში – გალაადში რომ არის.

⁹და გადალახეს ყამონის ძეთ იორდანე, რომ იუდას, ბენიამინისა და ეფრემის სახლს შებრძოლებოდნენ, და ძლიერ გაუჭირდა ისრაელს.

¹⁰და შეჰღაღადეს ისრაელის ძეთ უფალს და უთხრეს: „შევცოდეთ შენ, რადგან მივატოვეთ ჩვენი ღმერთი და ვემსახურებოდით ბაყალებს!“

¹¹და უთხრა უფალმა ისრაელის ძეთ: „ხომ დაგიხსენით ეგვიპტელთაგან, ამორეველთაგან, ყამონელთაგან, ფილისტიმელთაგან,

¹²და ციდონელები, ყამალეკი, და მაყონი, გავიწროებდნენ თქვენ; და როცა კი შემოგიღაღადებიათ ჩემთვის, ხომ მიხსნიხართ მათ ხელთაგან?

¹³მაგრამ თქვენ მიმატოვეთ და ემსახურებოდით სხვა ღმერთებს, ამიტომ აღარ გიხსენით თქვენ.

¹⁴წადით და შეჰღაღადეთ თქვენს მიერ არჩეულ ღმერთებს, მათ გიხსნან თქვენს გასაჭირში!“

¹⁵და უთხრეს ისრაელის ძეთ უფალს: „შევცოდეთ ჩვენ! და გვიყავი, რაც გენებოს, ოღონდ დღეს გვიხსენი.“

¹⁶და განიშორეს უცხო ღმერთები და ემსახურებოდნენ უფალს. და ვედარ გაუძლო უფლის სულმა ისრაელის ტანჯვა-წამების ყურებას.

¹⁷და შეიყარნენ ყამონელები და გალაადში დაბანაკდნენ. ისრაელის ძენიც შეიყარნენ და დაბანაკდნენ მიცფაში.

¹⁸და გალაადის ხალხმა და მთავრებმა უთხრეს ერთმანეთს: „ვინც პირველი შეებრძოლება ყამონელებს, ის იყოს გალაადის მკვიდრთა წინამძღოლი.“

მსაჯულნი 11

¹იფთახ გალაადელი მამაცი ვაჟკაცი იყო. მეძავი დიაცის ვაჟი იყო ის. გალაადმა შვა იფთახი.



²და გალაადს სხვა ძენიც ჰყავდა თავისი ცოლისგან. და დაიზარდნენ მისი ცოლის ძენი, და მათ გააძევეს იფთახი და უთხრეს: „შენ არ დაიმკვიდრებ მამაჩვენის სახლს, რადგან სხვა ქალის ძე ხარ.“

³და გაერიდა იფთახი თავის ძმებს და დამკვიდრდა ტობის ქვეყანაში. ნაძირალებმა მოიყარეს თავი იფთახთან და მისი მეთაურობით თავდასხმებს აწყობდნენ.

⁴გამოხდა ხანი და ყამონის ძენი ისრაელს შეებრძოლნენ.

⁵და როცა ყამონის ძეთ ომი გაუმართეს ისრაელიანებს, წავიდნენ გალაადის უხუცესები, რათა იფთახი მოეყვანათ ტობის ქვეყნიდან.

⁶და უთხრეს იფთახს: „მოდით, გახდით ჩვენი მეთაური და შევებრძოლოთ ყამონის ძეთ.“

⁷და უთხრა იფთახმა გალაადის უხუცესებს: „თქვენ ხომ მომიძულეთ და გამომაძევეთ მამაჩემის სახლიდან და ახლა რატომ მომაკითხეთ, როცა გაგიჭირდათ?“

⁸და უთხრეს გალაადის უხუცესებმა იფთახს: „ახლა იმიტომ მოვბრუნდით შენთან, რომ წამოგვყვე და შეებრძოლო ყამონის ძეთ, და გალაადის ყველა მკვიდრის მეთაური გახდე.“

⁹და უთხრა იფთახმა გალაადის უხუცესებს: „თუ თქვენ დამაბრუნებთ ყამონის ძეებთან საომრად და უფალი ხელში ჩამიგდებს მათ, კვლავაც ვიქნები თქვენი მეთაური?“

¹⁰და უპასუხეს მას გალაადის უხუცესებმა: „უფალი იყოს მოწმე ჩვენს შორის, რომ ისე მოვიქცევით, როგორც შენ იტყვი.“

¹¹და წავიდა იფთახი გალაადის უხუცესებთან ერთად, და ის დაადგინა ხალხმა თავის მეთაურად და წინამძღვრად. და გაიმეორა იფთახმა ყველა თავისი სიტყვა უფლის წინაშე მიცვაში.

¹²და გაუგზავნა იფთახმა მოციქულები ყამონის ძეთა მეფეს და შეუთვალა: „რა გვაქვს მე და შენ გასაყოფი, რომ მომიხდით ჩემს ქვეყანაში საომრად?“

¹³და ყამონის ძეთა მეფემ იფთახის მოციქულებს ასე დააბარა: „რადგან ისრაელმა ჩემი ქვეყანა დაიკავა, როცა ეგვიპტიდან გამოვიდა – არნონიდან იაზოკამდე და იორდანემდე – ახლა მშვიდობიანად დამიბრუნე ის და დაგეხსნები.“

¹⁴და კვლავ მიუგზავნა იფთახმა მოციქულები ყამონის ძეთა მეფეს,

¹⁵რათა ეთქვათ: „ასე ამბობს იფთახი: არ დაუკავებია ისრაელს მოაბის ქვეყანა და ყამონის ძეთა ქვეყანა,



¹⁶რადგან ეგვიპტიდან რომ გამოვიდნენ, იარა ისრაელმა უდაბნოში მეწამულ ზღვამდე, და კადემს მიაღმა.

¹⁷მაშინ გაუგზავნა ისრაელმა მოციქულნი ედომის მეფეს და სთხოვა: გამატარეო შენს ქვეყანაზე, მაგრამ არ ისმინა ედომის მეფემ; და აგრეთვე მიუგზავნა მოაბის მეფეს და არც მან ინება; და ისრაელი კადემში დამკვიდრდა.

¹⁸და წავიდა უდაბნოში და შემოუარა ედომის ქვეყანას და მოაბის ქვეყანას, და მივიდა მოაბის ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვართან; და დაიბანაკა არნონის გაღმა, და ფეხი არ შეუდგამთ მოაბის მიწა-წყალზე, რადგან არნონი იყო მოაბის საზღვარი.

¹⁹და გაუგზავნა ისრაელმა მოციქულნი სიხონს, ამორეველთა მეფეს, ხეშბონის მეფეს, და უთხრა შეუთვალა: გთხოვ, შენს ქვეყანაზე გამატარეო.

²⁰და სიხონმა არ გაატარა ისრაელი თავის მიწა-წყალზე. და სიხონმა შეკრიბა მთელი თავისი ხალხი, და დაიბანაკეს იაჰცაში, და შეებრძოლნენ ისრაელიანთ.

²¹და უფალმა, ისრაელის ღმერთმა, სიხონი და მთელი მისი ხალხი ხელში ჩაუგდო ისრაელს, და მოსრეს ისინი. და დაიმკვიდრა ისრაელმა ამორეველთა მთელი ქვეყანა;

²²და დაიმკვიდრეს ამორეველთა მთელი მიწა-წყალი არნონიდან იაზოკამდე და უდაბნოდან იორდანემდე.

²³და უფალმა, ისრაელის ღმერთმა, ასე აჰყარა ამორეველები თავისი ხალხის, ისრაელის, პირისაგან და შენ გინდა დაიმკვიდრო იგი?

²⁴განა იმას არა ფლობ, რაც ქემოშმა, შენმა ღმერთმა, დაგიმკვიდრა? ჩვენც ვფლობთ ყველაფერს, რაც უფალს, ჩვენს ღმერთს, დაუმკვიდრებია ჩვენთვის.

²⁵და ახლა, რითი სჯობიხარ ბალაკ ციფორის ძეს, მოაბის მეფეს? მას ხომ ისრაელთან არც პაექრობით უპაექრია და არც ბრძოლით უბრძოლია?

²⁶უკვე სამასი წელია, რაც ისრაელი მკვიდრობს ხეშბონში და მის სოფლებში, ყაროყერში და მის სოფლებში, და ყველა ქალაქში, არნონის გაღმა-გამოღმა, იმხანადვე რატომ არ დაიბრუნე ისინი?

²⁷მე შენთვის არ შემიცოდავს, შენ კი ბოროტებას მიკეთებ, ჩემზე რომ მოდიხარ საომრად. განსაჯოს უფალმა, მსაჯულმა ისრაელის ძეთა და ყამონის ძეთა შორის!“



²⁸და არ მოისმინა ყამონის ძეთა მეფემ იფთახის სიტყვა, რომელიც მან შეუთვალა.

²⁹და იყო იფთახზე სული უფლისა, და გაიარა იფთახმა გალაადი და მანაშე, და გაიარა გალაადის მიცფე, და გალაადის მიცფედან წავიდა ყამონის ძეთა წინააღმდეგ.

³⁰და აღუთქვა იფთახმა აღთქმა უფალს, და თქვა: „თუ ყამონის ძეთ ხელში ჩამიგდებ,

³¹მაშინ ასე იქნება: ვინც ჩემი სახლის კართან პირველი გამომეგებება, როდესაც ყამონის ძეთაგან გამარჯვებული დავბრუნდები, უფლისა იყოს იგი და აღვაკლენ მას სრულადდასაწველ მსხვერპლად.“

³²და მივიდა იფთახი ყამონის ძეებთან საომრად, და ხელში ჩააგდებინა ისინი უფალმა.

³³და მოსრა ისინი ყაროყერიდან, ვიდრე მინითის შესასვლელამდე, 20 ქალაქი, და ვიდრე აბელ-ქერამიმამდე, ძალზე დიდი მოსვრით; და დამორჩილებულ იქნენ ყამონის ძენი ისრაელის ძეთა წინაშე.

³⁴და მივიდა იფთახი მიცფას, თავის სახლში. და აჰა, მისი ასული გამოეგება სიმღერითა და როკვით; მხოლოდ ის ერთი ჰყავდა მას, იფთახს მის გარდა არც ვაჟი ჰყოლია არც ასული.

³⁵და მის დანახვაზე იფთახმა შემოიხია სამოსელი და თქვა: „ვაიმე, ჩემო ასულო! უბედურებით გამაუბედურე; და შენ იქმენ ჩემს მჭუნვარებად; და ბაგე გავხსენი უფლის წინაშე და ველარ გადავთქვამ!“

³⁶და ასულმა უთხრა მას: „მამაჩემო, შენ თუ უფლის წინაშე ბაგე გახსენი, მიყავ, როგორც შენმა ბაგემ წარმოთქვა, რადგან უფალმა შური გაძიებინა შენს მტრებზე, ყამონის ძეებზე.“

³⁷და უთხრა მამამისს: „ეს ერთი რამ შემისრულე: გამიშვი ორი თვით; წავალ და მთებში ავალ, რათა ჩემს დობილებთან ერთად გამოვიტორო ჩემი ქალწულობა.“

³⁸და უთხრა მას იფთახმა: „წადი.“ და გაუშვა იგი ორი თვით. და წავიდა ის თავის დობილებთან და დასტიროდა მთაში თავის ქალწულობას.

³⁹და ორი თვის ბოლოს დაბრუნდა თავის მამასთან, და ისიც იმ აღთქმისამებრ მოიქცა, რომელიც აღთქმული ჰქონდა. და მას მამაკაცი არ შეუცვნია. ეს წესად დაიდო ისრაელში:

⁴⁰წლიდან წლამდე ისრაელის ძეთა ასულნი მიდიოდნენ, რათა დაეტირებინათ იფთახ გალაადელის ასული, წელიწადში ოთხ დღეს.



მსაჯულნი 12

¹და ამის შემდეგ შეიყარნენ ეფრემის კაცები და გადავიდნენ ცაფონში, და უთხრეს იფთახს: „რატომ წახვედი საომრად ყამონის ძეებთან და ჩვენ არ დაგვიძახე, რომ შენთან წამოვსულიყავით? სახლკარიანად გადაგბუგავთ!“

²და უთხრა იფთახმა მათ: „მე და ჩემს ხალხს დიდი მტრობა გვქონდა ყამონის ძეებთან და მე დაგიძახეთ, მაგრამ თქვენ არ მიხსენით მათი ხელიდან.“

³და როცა დავინახე, რომ თქვენ ჩემი მხსნელები არ იყავით, საფრთხეში ჩავიგდე თავი და წავედი ყამონის ძეთა წინააღმდეგ და ხელში ჩამაგდებინა ისინი უფალმა. და რატომ გამოხვედით დღეს ჩემთან საომრად?“

⁴და შეკრიბა იფთახმა ყველა მკვიდრი გალაადისა და შეება ეფრემს და მოსრეს გალაადის მკვიდრებმა ეფრემი, რადგან ამბობდნენ: „თქვენ ეფრემიდან ხართ გადმოხვეწილნი, გალაადი კი ეფრემის შორისაა და მანაშეს შორისაა.“

⁵და გადაუჭრეს გალაადელებმა ეფრემს იორდანეს ფონები და, როდესაც იტყოდა ეფრემის ლტოლვილთაგანი: გალმა გადამიშვითო, ჰკითხავდნენ: ეფრათელი ხომ არა ხარო? და თუ მიუგებდა: არაო!

⁶ეტყოდნენ: აბა თქვი – „შიბოლეთ“, და თუ სწორად ვერ გამოთქვამდა და იტყოდა „სიბოლეთ!“ იჭერდნენ და კლავდნენ იორდანეს ფონებთან. და დაეცა იმ დროს ეფრემიდან 42 ათასი კაცი.

⁷და განსჯიდა იფთახი ისრაელს ექვსი წელი. და მოკვდა გალაადელი იფთახი და დაიმარხა გალაადში მისსავე ქალაქში.

⁸და განსჯიდა იფთახის შემდეგ ისრაელს იბცან ბეთლემელი.

⁹და ჰყავდა მას ვი ძე და ვი ასული. მან გაათხოვა თავისი ასულები და ვი ქალიშვილი მოუყვანა თავის ძეებს; და შვიდ წელიწადს განსჯიდა ისრაელს.

¹⁰და მოკვდა იბცანი და დაიმარხა ბეთლემს.

¹¹და მის შემდეგ ისრაელს განსჯიდა ელონ ზებულუნელი. ათ წელიწადს განსჯიდა იგი ისრაელს.

¹²და მოკვდა ელონ ზებულუნელი, და დაიმარხა აიალონში, ზებულუნის ქვეყანაში.

¹³და მის შემდეგ ისრაელს განსჯიდა ყაბდონი, ძე ჰილელისა, ფირყათონელი.



¹⁴და ჰყავდა მას 40 ძე და 30 შვილიშვილი 70 სახედარზე ამხედრებულნი. და რვა წელიწადი განსჯიდა ისრაელს.

¹⁵და მოკვდა ყაბდონი, ძე ფირყათონელი ჰილელისა, და დაიმარხა ფირყათონს, ეფრემის ქვეყანაში, ყამალეკელთა მთაზე.

მსაჯულნი 13

¹ისრაელიანები კვლავაც უკუდმართად იქცეოდნენ უფლის თვალში; და უფალმა ფილისტიმელთა ხელში ჩაყარა ისინი ორმოც წელიწადს.

²და იყო მაშინ ერთი კაცი ცორყადან, დანის ტომიდან, და სახელად მანოახი ერქვა; და ცოლი ბერწი ჰყავდა, შვილს ვერ აჩენდა.

³და გამოეცხადა უფლის ანგელოზი ამ ქალს და უთხრა: „აჰა, შენ, ბერწი ხარ და შვილი არ გაგიჩენია, მაგრამ დაორსულდები და ვაჟს გააჩენ;“

⁴და ახლა გაფრთხილდი, არ სვა ღვინო და თაფლუჭი, უწმიდური არაფერი ჭამო.

⁵რადგან დაორსულდები და ვაჟი გაგიჩნდება, და სამართებელი არ უნდა მიეკაროს მის თავს, რადგან ღვთის მოწმიდარი იქნება ის ყრმა საშოდანვე, და შეუდგება ისრაელის დახსნას ფილისტიმელთა ხელიდან.“

⁶და მოვიდა ცოლი და უთხრა თავის ქმარს: „ღვთისკაცი მოვიდა ჩემთან, ღვთის ანგელოზის იერი ჰქონდა, ძალზე საპატიო; არ მიკითხავს მისთვის სადაურობა, და არც თვითონ მითხრა თავისი სახელი.“

⁷და მითხრა: დაორსულდები და ვაჟს გააჩენო. არ სვა ღვინო და თაფლუჭი, და უწმიდური არაფერი ჭამო, რადგან ღვთის მოწმიდარი იქნება ის ყრმა მუცლად ყოფნიდან სიკვდილამდე.“

⁸და ლოცვა აღუვლინა მანოახმა უფალს, და თქვა: „გევედრები, უფალო! ღვთისკაცი, რომელიც შენ მოავლინე, კიდევ ერთხელ გვეწვიოს და გვასწავლოს, თუ რა ვუყოთ იმ ყრმას, რომელიც გაჩნდება.“

⁹და უსმინა ღმერთმა მანოახს, და ხელახლა მოვიდა ღვთის ანგელოზი ამ ქალთან, როცა ის ყანაში იყო, და მანოახი, მისი ქმარი, მასთან არ იყო.

¹⁰და სწრაფად გაიქცა ქალი შეატყობინა თავის ქმარს: „აჰა, გამომეცხადა ის კაცი, ამასწინათ რომ მოვიდა ჩემთან.“

¹¹და ადგა მანოახი, წაჰყვა თავის ცოლს და მივიდა იმ კაცთან და უთხრა: „შენ ხარ ის კაცი, ამ ქალს რომ ელაპარაკე?“ და უთხრა: „მე ვარ.“



¹²და უთხრა მანოახმა: „ახლა, შენი სიტყვა რომ ახდება, როგორი უნდა იყოს ამ ყრმის ცხოვრების წესი და საქმე?“

¹³და უფლის ანგელოზმა უთხრა მანოახს: „ერიდოს ყველაფერ იმას, რაც ქალს ვუთხარი.

¹⁴და ვაზისაგან მოწეულს არაფერს გაეკაროს, ღვინო არა სვას და თაფლუჭი, უწმიდური არაფერი ჭამოს. ყველაფერი, რაც ქალს ვამცნე, შეასრულოს.“

¹⁵და უთხრა მანოახმა უფლის ანგელოზს: „ნება გვიბოძე დაგაყოვნოთ და თიკანი მოგიმზადოთ.“

¹⁶და უთხრა უფლის ანგელოზმა მანოახს: „რომც დამაყოვნო, შენს პურს მაინც არ გავტებ. თუ სრულადდასაწველის გამზადება გინდა, აღავლინე.“ არ იცოდა მანოახმა, რომ უფლის ანგელოზი იყო ის.

¹⁷და ჰკითხა მანოახმა უფლის ანგელოზს: „სახელად რა გქვია? რომ, როცა შენი სიტყვა ახდება, განგადიდოთ.“

¹⁸და უთხრა მას უფლის ანგელოზმა: „რისთვის მეკითხები სახელს? საკვირველია იგი.“

¹⁹და აიღო მანოახმა თიკანი და პურეულის ძღვენი და ქვაზე აღუვლინა უფალს, და მან სასწაული მოახდინა მანოახისა და მისი ცოლის თვალწინ.

²⁰როცა სამსხვერპლოდან ალი ზეცისკენ ავარდა, უფლის ანგელოზი ზეაჰყვა სამსხვერპლოს ალს. და, ეს რომ დაინახეს, მანოახი და მისი ცოლი პირქვე დაემხნენ მიწაზე.

²¹გაუჩინარდა უფლის ანგელოზი მანოახსა და მის ცოლს. და მაშინ მიხვდა მანოახი, რომ უფლის ანგელოზი იყო იგი.

²²და უთხრა მანოახმა თავის ცოლს: „სიკვდილით მოგკვდებით, რადგან ღმერთი ვიხილეთ.“

²³და უპასუხა ცოლმა: „უფალს ჩვენი სიკვდილი რომ ნდომოდა, არ მიიღებდა ჩვენი ხელიდან სრულადდასაწველსა და პურეულის ძღვენს, და არ დაგვანახებდა და არ მოგვასმენინებდა ყველაფერ ამას.“

²⁴და შობა იმ ქალმა ძე, და უწოდა მას სახელად სამსონი. და წამოიზარდა ყრმა და აკურთხა იგი უფალმა.

²⁵და იწყო უფლის სულმა მისი აღძვრა დანის ბანაკში – ცორყასა და ემთაოლს შორის.

მსაჯულნი 14



- ¹და ჩავიდა სამსონი თიმნათში, და ნახა თიმნათში ერთი ქალი ფილისტიმელთა ასულთაგან.
- ²შინ დაბრუნდა და უთხრა თავის მამასა და დედას: „ქალი ვნახე თიმნათში, ფილისტიმელთა ასული; მომიყვანეთ იგი ცოლად.“
- ³და უთხრეს მას მამამისმა და დედამისმა: „ნუთუ ქალი დაიღია შენს საგვარტომოში და მთელს შენს ერში, რომ მიდიხარ ცოლის მოსაყვანად წინადაუცვეთელ ფილისტიმელთაგან?“ და უთხრა სამსონმა მამას: „მომიყვანე, რადგან ის მომივიდა თვალში.“
- ⁴და მამამისმა და დედამისმა არ იცოდნენ, რომ უფლისაგან იყო ეს, და რომ ის საბაბს ეძებდა ფილისტიმელთა წინააღმდეგ; და იმ დროს ფილისტიმელნი ბატონობდნენ ისრაელზე.
- ⁵და ჩავიდნენ სამსონი, მამამისი და დედამისი თიმნათში, და თიმნათის ზვრებს რომ მიადგნენ, აჰა, ლომის ბოკვერი ბუხუნით მორბის მათკენ.
- ⁶და გადმოვიდა სამსონზე უფლის სული, და მან ისე გახლიჩა ბოკვერი, როგორც კაცმა თიკანი გახლიჩოს, და ხელში არაფერი სჭერია. მამამისისა და დედამისისათვის არ უთქვამს, რა გააკეთა.
- ⁷და ჩავიდა და ელაპარაკა იმ ქალს, და თვალში მოუვიდა იგი სამსონს.
- ⁸და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ჩააკითხა, რომ ცოლად მოეყვანა; და გადაუხვია ლომის მძორის სანახავად და აჰა, ლომის ტანში ფუტკრის გუნდი და თაფლია.
- ⁹და პეშვით გამოიღო თაფლი. და მიდიოდა და გზადაგზა ჭამდა. და წამოეწია თავის მამას და დედას, და მისცა მათ ეს თაფლი და ჭამეს. და არ უთქვამს, ლომის ჩონჩხიდან რომ იყო გამოღებული.
- ¹⁰და მივიდა მამამისი ქალთან, და სამსონმა იქვე ლხინი გამართა, როგორც ჭაბუკები იქცევიან ხოლმე.
- ¹¹და როცა ნახეს, რომ სამსონი მოვიდა, მოყვრებმა ვი კაცი მოიწვიეს სამსონის მაყრად.
- ¹²და უთხრა მათ სამსონმა: „გამოსაცნობად ერთ გამოცანას გეტყვით; თუ ამ შვიდდღიანი ლხინის განმავლობაში გამოიცნობთ და ამოხსნით მას, ვი არდაგსა და ვი კვართს მოგცემთ.“
- ¹³და თუ ვერ გამოიცნობთ, მაშინ თქვენ მომეცით ვი არდაგი და ვი ხელი ტანსაცმელი.“ და უთხრეს მას: „თქვი შენი გამოცანა და მოგისმენთ.“
- ¹⁴და უთხრა მათ: „მჭამელისაგან გამოვიდა საჭმელი; ძლიერისაგან გამოვიდა ტკბილი.“ და სამი დღის განმავლობაში ვერ გამოიცნეს გამოცანა.



¹⁵და მეოთხე დღეს უთხრეს სამსონის ცოლს: „დაიყოლიე შენი ქმარი, გვითხრას ამ გამოცანის ახსნა, თორემ შენც დაგწვავთ და მამაშენის სახლსაც. ნუთუ გასაძარცვავად მოგვიპატიჟეთ?“

¹⁶და ატირდა სამსონის ცოლი მის წინაშე, და უთხრა: „შენ გპულვარ და არ გიყვარვარ, ჩემი ხალხის ძეებისათვის გამოცანა მიგიცია, ახსნას კი არ მეუბნები.“ და მან უპასუხა: „მამაჩემისა და დედაჩემისათვის არ მითქვამს და შენ გითხრა?“

¹⁷და ტიროდა ცოლი მის წინაშე შვიდი დღე, რამდენ ხანსაც ის ლხინი გრძელდებოდა. და მეშვიდე დღეს კი უთხრა თავის ცოლს გამოცანის ახსნა, რადგან იძულებული გახდა. მან კი თავისი ხალხის ძეებს უთხრა გამოცანა.

¹⁸და ქალაქის მკვიდრებმა მეშვიდე დღეს, მზის ჩასვლამდე უთხრეს სამსონს: „რა არის თაფლზე უტკბესი და ლომზე უძლიერესი?“ და უთხრა მათ: „ჩემი ფურით რომ არ გეხნათ, ვერ გამოიცნობდით ჩემს გამოცანას.“

¹⁹და გადმოვიდა მასზე უფლის სული, და ჩავიდა აშკელონში და დახოცა 30 იქაური კაცი, და წამოიღო დავლა და ჩამოურიგა ტანსაცმელი გამოცანის გამომცნობთ. და აღიგზნო მისი რისხვა და წავიდა თავისი მამისსახლში.

²⁰სამსონის ცოლი კი ქმრის მაყარმა შეირთო.

მსაჯულნი 15

¹რამდენიმე ხნის შემდეგ წავიდა სამსონი თავისი ცოლის სანახავად ალოობის+ დროს და თან ერთი თიკანი წაიყვანა. და თქვა: შევალო ჩემს ცოლთან სანთიობოში, მაგრამ ქალის მამამ არ შეუშვა.

²და უთხრა მას ქალის მამამ: „ვიფიქრე, სიძულვილით მოიძულე იგი და შენს მაყარს მივათხოვე. აჰა, მისი უმცროსი და, მასზე ლამაზია; მის ნაცვლად ეგ წაიყვანე ცოლად.“

³და უთხრა მათ სამსონმა: „დამნაშავე ვიქნები ამიერიდან ფილისტიმელებს რომ ავი საქმეები დავმართო?“

⁴წავიდა სამსონი, დაიჭირა 300 მელა, ორ-ორი კუდებით გადაასკვნა, სკვნილში თითო ჩირაღდანს ჩაატანა;

⁵ცეცხლი მოუკიდა ჩირაღდნებს და გაუშვა ფილისტიმელთა ყანებში და გადაწვა ზვინები, ვენახები და ზეთისხილის ბაღები.

⁶და იკითხეს ფილისტიმელებმა: ეს ვინ ჩაიდინაო? და უთხრეს: სამსონმა, თიმნათელის სიძემ, რადგან მისი ცოლი მიათხოვესო მის მაყარს. და ავიდნენ ფილისტიმელნი და ცეცხლში დაწვეს ის ქალი და მამამისი.



⁷და უთხრა მათ სამსონმა: „რაკი ასე იქცევით, შურს ვიძიებ თქვენზე და მერე მოვისვენებ.“

⁸უმსხვრია მათ წვივები და თემოები და ჩავიდა და ყეტამის კლდის ეხს შეაფარა თავი.

⁹და ავიდნენ ფილისტიმელნი და დაიბანაკეს იუდაში და დაიკავეს ლეხი.

¹⁰და ჰკითხეს იუდას კაცებმა: რად ამოხვედითო ჩვენთან? და უთხრეს: „სამსონის შესაპყრობად ამოვედით, რათა მას ისევე მოვექცეთ, როგორც ჩვენ მოგვექცა.“

¹¹და მივიდა ვ ათასი კაცი იუდადან ყეტამის კლდის ეხთან და უთხრეს სამსონს: „ვითომ არ იცოდი, რომ ფილისტიმელნი ბატონობენ ჩვენზე? ეს რა გვიქენი?“ და უპასუხა მათ სამსონმა: „როგორც მე მომექცნენ, მეც ისე მოვექეცი მათ.“

¹²და უთხრეს მას: „შენს შესაპყრობად ჩამოვედით, რათა გადაგცეთ ფილისტიმელებს.“ და უთხრა მათ სამსონმა: „შემომფიცეთ, რომ არ მომკლავთ.“

¹³და უთხრეს მას: „არა, მხოლოდ შეგიპყრობთ და ხელთ მიგცემთ ფილისტიმელებს, მოკვლით კი არ მოგკლავთ.“ და შეკრეს იგი ორი ახალი თოკით, და წაიყვანეს იქიდან.

¹⁴როდესაც მივიდა ის ლეხამდე, ფილისტიმელნი ღრიანცელით შემოეხვივნენ მას. და გადმოვიდა მასზე უფლის სული, და საბელები, რითაც მკლავები ჰქონდა შეკრული, სელივით დაიწვა გასცვივდა ხელებიდან.

¹⁵სამსონმა დაინახა, რომ იქვე ვირის ყბა ეგდო, დასწვდა, აიღო და ათასი კაცი მოკლა იმით.

¹⁶და თქვა სამსონმა: „ვირის თავყბით ვირთა დასიო, ვირის ყბით ვხოცე ათასიო.“

¹⁷და ეს რომ თქვა, გადააგდო ვირის ყბა და უწოდა იმ ადგილს რამათ-ლეხი.

¹⁸მალიან მოსწყურდა და უხმო უფალს: „შენ მოიმოქმედე ეს დიდი ხსნა შენი მსახურის ხელით; და ახლა წყურვილით უნდა მოვკვდე, და წინადაუცვეთლებს ჩავუვარდე ხელში?“

¹⁹და ღმერთმა იქვე გააჩინა ნაპრაღი და გადმოხეთქა იქიდან წყალმა. დალია სამსონმა წყალი, სული მოითქვა და გამოცოცხლდა. ამისთვის ეწოდა იმ ადგილს სახელად ყენ-ჰაკორე, რომელიც დღემდეა ლეხში.



²⁰და სამსონი ისრაელის მსაჯული იყო ფილისტიმელთა ბატონობის დღეებში მთელი 20 წლის მანძილზე.

მსაჯული 16

¹და ჩავიდა სამსონი ღაზაში, და იქ ერთი მეძავი ქალი ნახა, და შევიდა მასთან.

²და უთხრეს ღაზელებს: სამსონი მოსულაო აქ. ღაზელები გარს შემოადგნენ იმ ადგილს და მთელი ღამე უდარაჯებდნენ სამსონს ქალაქის კარიბჭესთან. მთელი ღამე მდუმარედ ისხდნენ და ფიქრობდნენ: მოვიცადოთ სანამ ინათებს და მერე მოვკლათო.

³სამსონს შუადამემდე ეძინა; შუადამისას ადგა, ხელი მოხვია ქალაქის კარიბჭის ორივე წირთხლს, საკეტურებიანად მოგლიჯა, ზურგზე დაიდო და აიტანა მთის თხემზე, ხებრონის გადაღმა.

⁴შემდეგ მას ერთი ქალი შეუყვარდა სორეკის ხეობაში; ქალს სახელად ერქვა დალილა.

⁵და მივიდნენ ქალთან ფილისტიმელთა მთავრები და უთხრეს: „შეუჩნდი და ათქმევინე, რაშია მისი დიდი ძალის საიდუმლო, რა უნდა ვიღონოთ მის დასაძლევად და შესაკრავად, რომ დავიმორჩილოთ იგი; და თითოეული ჩვენგანი ათას ვერცხლს მოგცემთ.“

⁶უთხრა სამსონს დალილამ: „მითხარი, რა არის შენი დიდი ძალის საიდუმლო, და რითი შეიძლება შენი შეკვრა, კაცმა რომ დაგიმორჩილოს?“

⁷და უთხრა მას სამსონმა: „შვიდკეცი ახალი, ჯერ გამოუმშრალი ძარღვებით რომ შემკრან, დავსუსტდები და ჩვეულებრივი ადამიანის მსგავსი გავხდები.“

⁸ფილისტიმელთა მთავრებმა დალილას მიუტანეს შვიდკეცი, ახლადამოცლილი ძარღვები, და იმით შეკრა მან სამსონი;

⁹ოთახში კი ხალხი ჩაასაფრეს. და უთხრა დალილამ მას: „ფილისტიმელები დაგესხნენ, სამსონ!“ და ისე დაწყვიტა სამსონმა ის ძარღვები, როგორც ძეხვის ძაფი წყდება ხოლმე, ცეცხლი რომ მოედება. და მაინც ვერ გაიგეს მისი ძალის საიდუმლო.

¹⁰და უთხრა დალილამ სამსონს: „აჰა, ხომ მომატყუე და გამაწბილე, ახლა მაინც მითხარი, რით შეიძლება შენი შეკვრა?“

¹¹და უთხრა მას სამსონმა: „თუ მე ახალი, უხმარი საბელებით შემკრავენ, მაშინ დავსუსტდები და ჩვეულებრივი ადამიანის მსგავსი გავხდები.“



¹²და აიღო დალილამ ახალი საბელები, შეკრა იგი და უთხრა: „ფილისტიმელნი მოგადგნენ, სამსონ!“ (ოთახში კი ხალხი იყო ჩასაფრებული). და მან ძაფივით შემოიწყვიტა თოკები მკლავებზე.

¹³და უთხრა დალილამ სამსონს: „აქამდე მატყუე და მაწბილე, ეხლა მაინც მითხარი, რითი შეიძლება შენი შეკვრა?“ და უთხრა სამსონმა მას: „თუ ჩემი თავის შვიდ ნაწნავს სამახველში ჩაგრეხ და პალოზე მიაბამ, მაშინ დავუძლურდები და უბრალო ადამიანის მსგავსი გავხდები.“

¹⁴მას რომ ეძინა, ადგა დალილა და მისი შვიდი ნაწნავი სამახველში ჩაგრიხა; მიაბა პალოზე და უთხრა: „ფილისტიმელნი მოგადგნენ, სამსონ!“ და გამოერკვა ძილიდან და სამახველის პალოც ამოგლიჯა და ნამახიც.

¹⁵და უთხრა მას დალილამ: „როგორღა მეუბნები, მიყვარხარო, თუ გულით არა ხარ ჩემთან? აჰა, სამჯერ მომატყუე და არ გამიმხილე, რაშია შენი ძალა.“

¹⁶რაკი ყოველდღე ამ სიტყვებს ჩასჩიჩინებდა და ეხვეწებოდა, სასიკვდილოდ შეუწუხა სული.

¹⁷და გაუმხილა მას ყველაფერი, რაც გულში ჰქონდა, და უთხრა მას: „სამართებელი არ გაჰკარებია ჩემს თავს, რადგან ღვთის მოწმიდარი ვარ დედაჩემის მუცლიდანვე; თავი, რომ გადამპარსონ, ძალა გამომეცლება და უბრალო ადამიანის მსგავსი გავხდები.“

¹⁸და დაინახა დალილამ, რომ მან გული გაუხსნა. კაცი, გააგზავნა და მოუხმო ფილისტიმელთა მთავრებს და უთხრა: „ახლა კი ამოდით, რადგან ყველაფერი გამიმხილა, რაც გულში ჰქონდა.“ და ავიდნენ მასთან ფილისტიმელთა მთავრები და ვერცხლიც ამოუტანეს საკუთარი ხელით.

¹⁹და კალთაში ჩააძინა იგი დალილამ, და მოუხმო კაცებს, და მისი თმის შვიდივე ნაწნავი მოაპარსვინა; და დაიწყო ქალმა მისი მოთრგუნვა, და გამოეცალა სამსონს ძალა.

²⁰და თქვა დალილამ: „ფილისტიმელნი მოგადგნენ, სამსონ!“ და გაიღვიძა მან და თქვა: „გავალ წინანდებურად და თავს დავიხსნი.“ და არ იცოდა, რომ უფალმა პირი იბრუნა მისგან.

²¹და შეიპყრეს იგი ფილისტიმელებმა, და თვალები დასთხარეს, და წაიყვანეს იგი ღაზაში, და ბრინჯაოს ჯაჭვებით შეკრეს. და აფქვევინებდნენ საპრობილეში.

²²ამასობაში იწყო მისმა თმამ წამოზრდა მას შემდეგ, რაც გაპარსულ იქნა.

²³და შეიკრიბნენ ფილისტიმელთა მთავრები, რომ დიდი მსხვერპლი შეეწირათ დაგონისათვის, თავიანთი ღმერთისათვის, და ემხიარულათ,



რადგან ამბობდნენ: ჩვენმა ღმერთმა ხელში ჩაგვიგდო ჩვენი მტერი, სამსონიო.

²⁴და უყურებდა მას ხალხი, ადიდებდა თავის ღმერთს, რადგან ამბობდნენ: ჩვენმა ღმერთმა ხელში ჩაგვიგდო ჩვენი მტერი და ჩვენი ქვეყნის მათხარი, ის, ვინც მრავალი ჩვენგანი გაწყვიტაო.

²⁵და კარგ გუნებაზე რომ დადგნენ, თქვეს: მოუხმეთ სამსონს. დაე, გაგვართოსო. და მოუხმეს სამსონს საპყრობილიდან, და ართობდა მათ; და დააყენეს იგი სვეტებს შორის.

²⁶და უთხრა სამსონმა ყმაწვილს, რომელსაც ხელით დაჰყავდა: „ხელი შემავლებინე იმ სვეტებისთვის, რომლებზედაც სახლი დგას, რომ მივეყუდო მათ.“

²⁷და სახლი სავსე იყო კაცებითა და ქალებით; იქ მოეყარა თავი ფილისტიმელთა ყველა მთავარს, და ერდოზე ვ ათასამდე კაცი და ქალი იყო, და ერთობოდა სამსონის დაცინვით.

²⁸და შეჰღაღადა სამსონმა უფალს, და თქვა: „უფალო ღმერთო, გამიხსენე, და ამ ერთხელაც გამაძლიერე, ღმერთო, ერთბაშად, რომ შური ვიძიო ფილისტიმელებზე ჩემი თვალების გამო.“

²⁹და მოეჭიდა სამსონი ორივე შუათანა სვეტს, რომლებზედაც სახლი იდგა, და მიეყრდნო მათ – ერთს მარჯვენა ხელით და მეორეს მარცხენა ხელით,

³⁰და თქვა სამსონმა: „მოკვდი, სულო ჩემო, ფილისტიმელებთან ერთად!“ და მოზიდა სვეტები მთელი ძალით, და ჩამოემხო სახლი მთავრებსაც და მთელ ხალხს, ვინც შიგ იყო. დახოცილები, სამსონმა სიკვდილისას რომ დახოცა, იმათზე მეტი იყვნენ, სიცოცხლეში რომ ჰყავდა დახოცილი.

³¹და ჩავიდნენ მისი ძმები და მამამისის მთელი სახლი, წამოასვენეს იგი, და დამარხეს ცორყასა და ეშთაოლს შორის, მამამისის, მანოახის, სამარხში. და იგი განსჯიდა ისრაელს 20 წელიწადი.

მსაჯულნი 17

¹და იყო კაცი ეფრემის მთიდან, და სახელად ერქვა მიქა.

²და უთხრა მან თავის დედას: „შენ რომ 1100 შეკელი ვერცხლი დაგეკარგა და დაიწყევლე ჩემს გასაგონად, აჰა, ეს ვერცხლი ჩემთან არის ჩემი აღებულია.“ და თქვა დედამისმა: „კურთხეულ იყავ, შვილო ჩემო, უფლის მიერ!“



³და დაუბრუნა მან 1100 ვერცხლი თავის დედას. და თქვა დედამისმა: „შემიწირავს ჩემი ხელით ეს ვერცხლი უფლისათვის, ჩემი ძის სახელზე, რათა გაკეთდეს მისგან ქანდაკი და ჩამოსხმული კერპი.“ – აჰა, გიბრუნებ შენს ვერცხლს! – და დაუბრუნა ვერცხლი დედას.

⁴და აიღო დედამისმა 200 ვერცხლი და მისცა ოქრომჭედელს, და მან ჩამოასხა ქანდაკი. და იმ დღიდან იდგა იგი მიქას სახლში.

⁵ამ კაცს, მიქას, ჰქონდა თავისი ღვთის სახლი. და გააკეთა მან ეფოდი და თერაფიმი. და მან ერთ-ერთი თავისი ვაჟი ქურუმად დაიდგინა.

⁶იმ ხანად მეფე არ ჰყავდა ისრაელს; ვისაც როგორ უნდოდა, ისე იქცეოდა.

⁷და იყო ერთი ყმაწვილი წარმოშობით იუდას ბეთლემელი, იუდას ტომიდან, და ლევიათი იყო იგი და იქ ბეთლემის ხიზანი იყო.

⁸მან იუდას ბეთლემი დატოვა და გზას გაუდგა – რათა იქ შეხიზნულიყო, სადაც ადგილს ნახავდა. და მიაღწა მიქას სახლს ეფრემის მთაში, თავისი გზით მიმავალი.

⁹და ჰკითხა მას მიქამ: „საიდან მოდიხარ?“ და უთხრა: „ლევიათი ვარ, იუდას ბეთლემიდან, და მივდივარ, რომ ხიზნად დავდგე, სადაც ადგილს ვნახავ.“

¹⁰და უთხრა მას მიქამ: „დარჩი ჩემთან და გამიხდი მამად და მღვდლად; წლიურად ათ ვერცხლს მოგცემ, ასევე სამოსელსა და საზრდოს.“

¹¹და დაყაბულდა ლევიათი დარჩენილიყო იმ კაცთან, და გახდა ყმაწვილი მისთვის, როგორც ერთი მისი ძეთაგანი.

¹²და აკურთხა მიქამ ლევიათი, და გახდა ეს ყმაწვილი მისი მღვდელი და ცხოვრობდა მიქას სახლში.

¹³და თქვა მიქამ: „ახლა კი ვიცი, რომ სიკეთეს მომაგებს უფალი, რადგან ლევიათი მყავს მღვდლად.“

მსაჯულნი 18

¹იმ ხანებში ისრაელს მეფე არ ჰყავდა. და იმ ხანებში დანის ტომი ეძებდა თავის დასამკვიდრებელ ადგილს, რადგან მას იმ დღემდე არ ერგო წილხვედრი ისრაელის ტომთა შორის.

²და გაგზავნეს დანის ძეთ თავისი ტომიდან ხუთი კაცი, ძლიერი ვაჟკაცები ცორყადან და ეშთაოლიდან, რათა დაეზვერათ ქვეყანა და გამოეკვლიათ. უთხრეს: „წადით, გამოიკვლიეთ ქვეყანა.“ და მივიდნენ ეფრემის მთაზე მიქას სახლთან, და იქ გაათიეს.



³მიქას სახლთან ყოფნისას ეცნოთ ლევიანი ყმაწვილის ხმა და შევიდნენ იქ, და უთხრეს მას: „აქ ვინ მოგიყვანა, აქ რას აკეთებ, აქ რა გინდა?“

⁴და უთხრა მათ: ასე და ასე მომექცაო მიქა: დამიქირავა და მისი მღვდელი გავხდო.

⁵და უთხრეს მას: „ჰკითხე ღმერთს, რომ ვიცოდეთ, ხელი თუ მოგვემართება იმ გზაზე, რომელსაც ვადგავართ?“

⁶და უთხრა მათ მღვდელმა: „წადით მშვიდობით; უფალს თვალი უჭირავს თქვენს გზაზე, რომელსაც ადგახართ.“

⁷და წავიდა ეს ხუთი კაცი და მივიდა ლაიშში და ნახა იქ მყოფი ხალხი, უზრუნველად მცხოვრები, ციდონელთა წესის მიხედვით, წყნარი და უზრუნველი; ქვეყანაზე არვინ აწუხებდა მათ, არავინ იყო მათი ბატონი; ციდონელთაგან შორს ცხოვრობდნენ, და მეზობლებთან საქმე არ ჰქონდათ.

⁸და მივიდნენ ისინი თავიანთ მოძმეებთან ცორყასა და ეშთაოლში, და უთხრეს მათ მოძმეებმა: „რა ამბავი მოგაქვთ?“

⁹და მათ თქვეს: „ავდგეთ და გავილაშქროთ მასზე, რადგან ვნახეთ ის ქვეყანა და ძალიან კარგია იგი. რა გულ-ხელი დაგიკრეფიათ? ნულარ დააყოვნებთ, წადით იმ ქვეყნის დასამკვიდრებლად.

¹⁰მიხვალთ და წააწყდებით უზრუნველ ხალხს. გაშლილი ქვეყანაა. ღმერთს თქვენთვის მოუცია. ისეთი ადგილია, ქვეყანაზე არაფერი რომ არ აკლია.“

¹¹და დაიდრნენ იქიდან, დანის ძეთა საგვარეულოდან, ცორყადან და ეშთაოლიდან, 600 კაცი საბრძოლო იარაღით შეჭურვილი.

¹²და ავიდნენ და კირიათ-იეყარიმში – იუდაში – დაიბანაკეს. ამიტომ ეძახიან ამ ადგილს დღევანდლამდე დანის ბანაკს. ეს ადგილი კირიათ-იეყარიმის გადაღმა იყო.

¹³და იქიდან ეფრემის მთაში ავიდნენ და მიქას სახლს მიადგნენ.

¹⁴და უთხრა იმ ხუთმა კაცმა, ლაიშის ქვეყნის დასაზვერად რომ იყვნენ წასულნი, თავის მოძმეებს: „თქვენ იცით, რომ აქ ერთ-ერთ სახლში აქვთ ევოდი, თერაფიმი, ქანდაკი და ჩამოსხმული კერპი? და ახლა მოიფიქრეთ, როგორ უნდა მოვიქცეთ.“

¹⁵და გადაუხვიეს იქით, და შევიდნენ ყმაწვილი ლევიანის სახლში, მიქას სახლში, და მოიკითხეს იგი მშვიდობით.

¹⁶დანის ტომელთაგან 600 კაცი საბრძოლო იარაღით შეჭურვილი კარიბჭის შესასვლელთან იდგა.



¹⁷და წავიდა ის ხუთი კაცი, ქვეყნის დასაზვერად რომ იყო წასული, შევიდა შიგნით, აიღო ქანდაკი, ეფოდი, თერაფიმი და ჩამოსხმული კერპი. მღვდელი კარიბჭის შესასვლელთან იდგა საბრძოლო იარაღით შეჭურვილი 600 კაცის გვერდით.

¹⁸და ისინი შევიდნენ მიქას სახლში და აიღეს ქანდაკი, ეფოდი, თერაფიმი, და ჩამოსხმული კერპი. და ჰკითხა მათ მღვდელმა: „რას აკეთებთ?“

¹⁹და უთხრეს მას: „გაჩუმდი, პირზე ხელი დაიფარე და წამოგვეყვი, გაგვიხდი მამად და მღვდლად. რა გიჯობს: ერთი კაცის სახლის მღვდლობა, თუ ისრაელის ტომისა და მოდგმის მღვდლობა?“

²⁰და გაიხარა მღვდლის გულმა, და აიღო ეფოდი, თერაფიმი, ქანდაკი და გაჰყვა იმ ხალხს.

²¹და მეომრებმა გზა განაგრძეს. თავიანთი ოჯახები, ქონება და ჯოგები წინ გაუშვეს.

²²ის იყო გასცდნენ მიქას სახლს, რომ შეიყარნენ მიქას კარის მეზობლები და წამოეწივნენ დანის ძეთ.

²³დაჰკივლეს დანის ძეებს. და მოუბრუნდნენ დანის ძენი და უთხრეს მიქას: „რა დაგემართა, რა გაყვირებს?“

²⁴და თქვა: „მომტაცეთ ჩემი გაკეთებული ღმერთები, ჩემი მღვდელი და წახვედით! აღარაფერი დამიტოვეთ! როგორღა მეუბნებით, რა დაგემართაო?“

²⁵და უთხრეს მას დანის ძეთ: „აღარ გავიგონოთ შენი ხმა, თორემ დაგეცემიან გააფთრებული კაცები, ჩვენს შორის რომ არიან, და შენს თავსაც დალუპავ და შენიანებსაც.“

²⁶და წავიდნენ დანის ძენი თავიანთი გზით. დაინახა მიქამ, რომ მასზე ძლიერები იყვნენ ისინი, გატრიალდა და შინ დაბრუნდა.

²⁷და მათ წაიღეს, რაც გაკეთებული ჰქონდა მიქას. და წაიყვანეს მისი მღვდელი, და მივიდნენ ლაიშში, მშვიდ და უზრუნველ ხალხთან, და მოსრეს ისინი მახვილის პირით და ქალაქი გადაწვეს ცეცხლით.

²⁸და არავინ აღმოჩნდა მისი მშველელი, რადგან შორს იყო ციდონისაგან, კაციშვილთან არ ჰქონდათ საქმე. და იყო ველზე, რომელიც ბეთ-რეხოვთანაა. და ააშენეს მათ ქალაქი და დამკვიდრდნენ მასში.

²⁹და უწოდეს ქალაქს სახელად დანი, მათი მამის, დანის, სახელობაზე, რომელიც ისრაელს შეეძინა. თუმცა ქალაქს თავდაპირველად ლაიში ერქვა.



³⁰და აღმართეს დანის ძეთ ქანდაკი; და იონათანი, ძე გერშომისა, მანაშეს მისა, იგი და მისი ძენი დანის ძეთა ტომის მღვდლები იყვნენ იმ ქვეყნის გადასახლების დღემდე.

³¹და ედგათ მიქას გაკეთებული ქანდაკი მთელი იმ ხნის მანძილზე, სანამ ღვთის სახლი შილოში იყო.

მსაჯულნი 19

¹იმ დღეებში, როცა ისრაელს მეფე ჯერ კიდევ არ ჰყავდა, ერთი ლევიანი ცხოვრობდა ეფრემის მთის შორეულ ფერდობზე. და ხარჭა მოიყვანა მან იუდას ბეთლემიდან.

²წაეჩხუბა მას ხარჭა, და დაბრუნდა მამისსახლში, იუდას ბეთლემში, და იყო იქ ოთხი თვე.

³და ადგა მისი ქმარი და დაადგა მის კვალს, რათა დაეყვავებინა და შინ დაებრუნებინა. თან მსახური ბიჭი და წყვილი სახედარი წაიყვანა. შეიყვანა ქალმა იგი თავისი მამისსახლში. დაინახა იგი ამ ყმაწვილი ქალის მამამ და სიხარულით გამოეგება.

⁴და არ გაუშვა იგი სიმამრმა, ამ ყმაწვილი ქალის მამამ, და დარჩა მასთან სამი დღე. და ჭამდნენ და სვამდნენ და ღამეს იქვე ათევდნენ.

⁵და მეოთხე დღეს ადგნენ დილაადრიანად, და იგი მოემზადა წასასვლელად. და უთხრა ყმაწვილი ქალის მამამ თავის სიმეს: „ჯერ პური გატეხე, ცოტა დანაყრდი და მერე წადი.“

⁶და დასხდნენ ორივენი, ერთად ჭამეს და სვეს. და უთხრა ყმაწვილი ქალის მამამ იმ კაცს: „მოდო, გაათიე ღამე აქ, მოილხინოს შენმა გულმა.“

⁷და ადგა კაცი წასასვლელად, მაგრამ კვლავ სთხოვა სიმამრმა, და მან ისევ იქ გაათია ღამე.

⁸და ადგა და მოემზადა წასასვლელად დილაადრიანად მეხუთე დღეს. და უთხრა მას ყმაწვილი ქალის მამამ: „მოდო, ცოტა დანაყრდი და შეიცადე, ვიდრე მზე გადაიხრებოდეს. და ჭამეს ორთავემ და სვეს.“

⁹და ადგა ის კაცი, რომ წასულიყო თავის ხარჭასთან და მსახურთან ერთად. და უთხრა მას მისმა სიმამრმა, ყმაწვილი ქალის მამამ: „აჰა, დღე უკვე სადამოსკენ იხრება! ამაღამაც დარჩით. დღე სადაცაა მიიწურება, აქ გაათიეთ ღამე და მოილხინოს შენმა გულმა; ხვალ ადექით დილაადრიანად შენ და შენი მსახური გაუდექით თქვენს გზას, და წადით შინისაკენ.“



¹⁰მაგრამ არ ისურვა ამ კაცმა ღამის კიდევ იქ გათევა, ადგა და წავიდა; და მივიდა იებუსამდე, იერუსალიმი რომ არის; და თან ახლდა თავისი ხარჭა და წყვილი კეხდადგმული სახედარი.

¹¹იებუსს რომ მიადგნენ, დღე თითქმის მიწურული იყო. და უთხრა მსახურმა ბიჭმა თავის ბატონს: „წავიდეთ, და შევუხვიოთ იებუსელთა ამ ქალაქში და იქ გავათიოთ ღამე.“

¹²და უთხრა მას მისმა ბატონმა: „ნუ შევუხვევთ იმ უცხოტომელთა ქალაქში, რომელნიც ისრაელის ძენი არ არიან, და ბარემ გიბეყამდე ვიაროთ.“

¹³და უთხრა თავის მსახურს: „გავწიოთ და მივადგეთ რომელიმე ადგილს და გიბეყაში ან რამაში გავათიოთ ღამე.“

¹⁴და გასწიეს და წავიდნენ, და ბენიამინის გიბეყას მახლობლად თავზე შემოადამდათ.

¹⁵და გადაუხვიეს იქით, რათა ღამის გასათევად გიბეყაში შესულიყვნენ. და მივიდა იგი და დაჯდა ქალაქის მოედანზე, რადგან ღამის გასათევად შინ არავინ შეუშვა ისინი.

¹⁶და აჰა, სადამო ხანს ერთი ბერიკაცი ბრუნდებოდა თავისი სამუშაოდან, მინდვრიდან; და ეს კაცი ეფრემის მთიდან იყო და გიბეყაში ცხოვრობდა. ამ ადგილის მკვიდრნი კი ბენიამინის ძენი იყვნენ.

¹⁷და აახილა თვალი, და დაინახა მგზავრი ქალაქის მოედანზე. და უთხრა ამ ბერიკაცმა: „საიდან მოსულხარ და საით მიხვალ?“

¹⁸და მან უპასუხა: „ჩვენ იუდას ბეთლემიდან მოვდივართ და მივდივართ ეფრემის მთის კალთებამდე, რადგან იქაური ვარ. იუდას ბეთლემში ვიყავი წასული და ახლა უფლის ტაძრისაკენ მივდივარ; და შინ არავინ შემიშვა.“

¹⁹ჩალაც გვაქვს და საჭმელიც ჩვენი სახედრებისთვის, აგრეთვე პურ-ღვინო ჩემთვისაც და ამ შენი მხევლისთვისაც, და ამ მსახური ბიჭისთვისაც, არაფერი მაკლია.“

²⁰და უთხრა მას ბერიკაცმა: „მშვიდობა შენდა, რაც კი რამ გაკლია, ჩემზე იყოს, ოღონდ მოედანზე ნუ გაათევ ღამეს.“

²¹და შინ შეუშვა, და სახედრებს საკვები დაუყარა. მათ კი ფეხი დაიბანეს, ჭამეს და სვეს.

²²როცა ისინი თავიანთ გულს ახარებდნენ, აჰა, ქალაქის მკვიდრნი, გარყვნილი ხალხი, გარს შემოერტყნენ იმ სახლს და უთხრეს სახლის პატრონს, ბერიკაცს: „გამოიყვანე, შენს სახლში რომ კაცი შემოვიდა, რომ შევიცნოთ იგი.“



²³და გამოვიდა მათთან კაცი, სახლის პატრონი, და უთხრა: „არა, ჩემო ძმებო, გვედრებით, ნუ უზამთ ბოროტებას, რაკი ეს კაცი ჩემს სახლში შემოვიდა; ნუ ჩაიდენთ ამ უხამსობას.

²⁴აჰა, ჩემი ქალწული ქალიშვილი და ამ კაცის ხარჭა, იმათ გამოგიყვანთ, დაიმორჩილეთ და უყავით მათ, რაც გენებოთ; და ამ კაცთან ნუ ჩაიდენთ უხამს საქმეს.“

²⁵მაგრამ მათ ამის გაგონებაც არ უნდოდათ. მაშინ იმ კაცმა ხელი მოჰკიდა თავის ხარჭას და გარეთ გამოუყვანა მათ. შეიცნეს იგი, მთელი ღამე აწვალეზდნენ მას, დილამდე, და გაუშვეს ცისკრის მოახლოებაზე.

²⁶და მოვიდა ქალი განთიადისას, და დაეცა იმ კაცის სახლის კართან, ვისთანაც მისი ბატონი იდგა, და იქ ეგდო, ვიდრე არ ინათა.

²⁷და ადგა დილით მისი ბატონი და გააღო სახლის კარი, და გამოვიდა, რომ თავის გზას დასდგომოდა. და აჰა, მისი ხარჭა სახლის კართან აგდია, ზღურბლზე ხელეზდაყრილი.

²⁸და მან უთხრა: „ადექი და წავიდეთ;“ მაგრამ პასუხი არ მიუღია. თავისი ხარჭა სახედარს გადაჰკიდა, ადგა და შინისკენ გასწია.

²⁹შინ რომ მივიდა, აიღო დანა, მოჰკიდა ხელი თავის ხარჭას და ასო-ასო დაჭრა, თორმეტ ნაწილად, და დაგზავნა ისრაელის ყველა კუთხეში.

³⁰და ყოველი, ამის მნახველი, ამბობდა: „მსგავსი არაფერი მომხდარა და არაფერი ნახულა ისრაელში იმ დღიდან მოკიდებული, რაც ისრაელის ძენი ეგვიპტიდან გამოვიდნენ, დღევანდელ დღემდე. ჩაუფიქრდით, ითათბირეთ და თქვით.“

მსაჯულნი 20

¹და გამოვიდა ყველა ისრაელის ძე, და შეიკრიბა თემი, როგორც ერთი კაცი, დანიდან ბერ-შეზაყამდე, და გალაადის ქვეყანა, უფლის წინაშე მიცვაში.

²და გამოცხადნენ მეთაურები მთელი ერისა, ისრაელის ყოველი ტომისა, ღვთის ერის კრებულში, 400 ათასი ქვეითი, მახვილის ამომწვდელი კაცი.

³და შეიტყვეს ბენიამინის ძეთ, ისრაელის ძეთა ასვლა მიცვაში. და თქვეს ისრაელის ძეთ: „თქვით, როგორ მოხდა ეს ბოროტება?“

⁴და მიუგო ლევიაჲმა კაცმა, მოკლული ქალის ქმარმა: „ბენიამინის გიბეყაში მივედი ჩემს ხარჭასთან ერთად ღამის გასათევად.

⁵და აღდგნენ ჩემზე გიბეყას მკვიდრნი, და გარს შემოერტყნენ იმ სახლს ღამით და მოკვლა დამიპირეს, ხარჭა გამიუპატიურეს და მოკვდა იგი.



⁶და ავიღე ჩემი ხარჭა, ასო-ასო დავჭერი იგი და ისრაელის სამკვიდრებლის ყველა მხარეში დავაგზავნე, რადგან უხამსობა ჩაიდინეს ისრაელში.

⁷აჰა, თქვენ ყველამ, ისრაელის ძენო, განიხილეთ ეს საქმე და აქვე გადაწყვიტეთ!“

⁸და ერთი კაცივით აღდგა მთელი ერი და თქვა: „არავინ არ წავა თავის კარავში და არავინ არ გაბრუნდება შინ.

⁹და აჰა, რა უნდა ვუყოთ ახლა გიბეყას: წილისყრით უნდა გავილაშქროთ მასზე.

¹⁰ისრაელის თითოეულ ტომში ასიდან ათი კაცი შევარჩიოთ, ათასიდან – ასი, 10 ათასიდან – ათასი, ხალხისათვის საგზალი მოვატანინოთ, რომელიც, ბენიამინის გიბეყაზე წავლენ, დასაჯონ ისინი იმ უხამსობის გამო, რაც ისრაელში ჩაიდინეს!“

¹¹და ისრაელის ყველა კაცი შეიკრიბა ქალაქის წინააღმდეგ, ერთი კაცივით გაერთიანდნენ.

¹²და გაგზავნეს ისრაელის ტომებმა კაცები ბენიამინის მთელს ტომში და შეუთვალეს: „ეს რა ბოროტება მომხდარა თქვენში?

¹³და ახლა მოგვეცით ის გარყვნილი ხალხი, გიბეყაში რომ გყოლიათ, რათა დავხოცოთ და აღმოვფხვრათ ბოროტება ისრაელიდან.“ მაგრამ არ ინებეს ბენიამინის ძეთ თავიანთ მოძმეთა, ისრაელის ძეთა, ხმის გაგონება.

¹⁴და შეიკრიბნენ გიბეყაში ბენიამინის ძენი თავ-თავიანთი ქალაქებიდან, რათა ომი გაემართათ ისრაელის ძეებთან.

¹⁵და აღირიცხნენ ბენიამინის ძენი იმ დღეს ქალაქთაგან 26 ათასი მახვილის ამომწვდელი კაცი; მათ გარდა გიბეყას მკვიდრთაგან 700 რჩეული კაცი აღირიცხა.

¹⁶მთელი ამ ხალხიდან 700 რჩეული კაცი ცაცია იყო. თითოეულ მათგანს თმის ღერისთვისაც რომ ესროლა შურდულით ქვა, არ ააცდენდა.

¹⁷და ისრაელის ძენი, ბენიამინის გარდა, 400 ათასი მახვილის ამომწვდელი კაცი აღირიცხა, ყველა მათგანი მეზრდოლი იყო.

¹⁸და ადგნენ ისინი და ავიდნენ ბეთელში, და დაეკითხნენ ღმერთს და თქვეს ისრაელის ძეთ: „რომელი ჩვენგანი გავიდეს პირველი ბენიამინის ძეებთან საომრად?“ და უთხრა მათ უფალმა: „იუდა წაგიძღვებათ წინ!“

¹⁹და ადგნენ ისრაელის ძენი დილით და დაიბანაკეს გიბეყასთან.

²⁰და გავიდნენ ისრაელის კაცები ბენიამინთან საომრად, და დადგნენ ისრაელის კაცები საბრძოლო წყობით გიბეყას მახლობლად.



²¹და გამოვიდნენ ბენიამინის ძენი გიბეყადან, და დასცეს იმ დღეს 22 ათასი ისრაელის კაცი მიწაზე.

²²და მხნეობა მოიკრიბა ისრაელის ერმა, და კვლავ დადგა საბრძოლო წყობით იმ ადგილას, სადაც წინა დღეს იდგნენ.

²³და წავიდნენ ისრაელის ძენი და ტიროდნენ უფლის წინაშე საღამომდე, და ეკითხებოდნენ უფალს: „ისევ გავიდე ჩემი ძმის, ბენიამინის ძეებთან საომრად?“ და თქვა უფალმა: „გადით მათ წინააღმდეგ.“

²⁴და მიუახლოვდნენ ისრაელის ძენი ბენიამინის ძეებს მეორე დღეს,

²⁵და გამოვიდა ბენიამინი გიბეყადან მათ წინააღმდეგ მეორე დღეს, და დასცეს მიწაზე ისრაელის ძეთაგან კიდევ 18 ათასი კაცი, ყველა მახვილის ამომწვდელი.

²⁶და გაემართა მთელი ისრაელიანობა და მთელი ერი, და მივიდა ბეთელში, და ტიროდნენ უფლის წინაშე. დასხდნენ იმ დღეს და საღამომდე იმარხულეს; და აღავლინეს სრულადდასაწველი და სამშვიდობო შესაწირავები უფლის წინაშე.

²⁷და ჰკითხეს ისრაელის ძეთ უფალს (იმ ხანებში ღვთის აღთქმის კიდობანი იქ ესვენა

²⁸და ფინეხასი, ძე ელეაზარისა, აარონის ძისა მის წინ მსახურობდა): „ისევ გავიდე ჩემი ძმის, ბენიამინის ძეებთან საომრად, თუ შევწყვიტოთ?“ და უთხრა მათ უფალმა: „გადი. ხვალ ხელში ჩაგაგდებინებთ მას.“

²⁹და ხალხი ჩაასაფრა ისრაელმა გიბეყას ირგვლივ.

³⁰და გაილაშქრეს ისრაელის ძეთ ბენიამინის ძეების წინააღმდეგ მესამე დღეს, და წინანდებურად საბრძოლო წყობით დადგნენ გიბეყას წინ.

³¹და გამოვიდნენ ბენიამინის ძენი ერის წინააღმდეგ, შორს გასცდნენ ქალაქს და იწყეს უწინდებურად მუსრის გავლება გზებზე, რომელთაგან ერთი ბეთელისკენ მიდის, მეორე – გიბეყასაკენ, და ველზე ისრაელის ოცდაათამდე კაცი მოკლეს.

³²და თქვეს ბენიამინის ძეთ: „პირვანდელის მსგავსად ეცემიან ჩვენს წინაშე.“ ისრაელის ძეთ კი თქვეს: „გავიქცეთ და გამოვიტყუოთ ისინი ქალაქიდან გზებზე.“

³³და ადგა ისრაელის ყველა კაცი თავ-თავისი ადგილიდან და განლაგდა ბაყალ-თამარში, და ისრაელის ჩასაფრებული ხალხი გამოვიდა თავისი ადგილიდან, გებაყის დასავლეთიდან.



³⁴და მიადგა გიბეყას 10 ათასი რჩეული კაცი მთელი ისრაელიდან, და სასტიკი ბრძოლა გაიმართა, მაგრამ ბენიამინის ძეთ არ იცოდნენ, რომ უბედურება ელოდათ.

³⁵და განგმირა უფალმა ბენიამინი ისრაელის წინაშე, და მოსპეს ისრაელის ძეთ ბენიამინის ძეთაგან იმ დღეს 25100 კაცი, ყველა მახვილის ამომწვდელი.

³⁶და იხილეს ბენიამინის ძეთ, რომ დამარცხდნენ; და ადგილი უტიეს ისრაელის კაცებმა ბენიამინს, რადგან იმედი ჰქონდათ ჩასაფრებული ხალხისა, გიბეყას მახლობლად რომ ჰყავდათ ჩაყენებული.

³⁷და ჩასაფრებულები გაეჩქარნენ და ეკვეთნენ გიბეყას, შეიჭრნენ და მახვილის პირით მოსრეს მთელი ქალაქი.

³⁸ისრაელის კაცებს კი ჩასაფრებულ ხალხთან ნიშნად ჰქონდათ დათქმული, რომ ქალაქიდან კვამლის დიდ სვეტს აადენდნენ.

³⁹და როცა უკან დაიხიეს ისრაელის კაცებმა ბრძოლაში და იწყო ბენიამინმა მუსვრა, და დახოცა ისრაელის ოცდაათამდე კაცი და თქვა: „ისევ ეცემიან ჩვენს წინაშე, როგორც პირველი ბრძოლის დროს.“

⁴⁰მაშინ კვამლი აღიმართა ქალაქზე სვეტივით. მოიხედა ბენიამინმა უკან და აჰა, ცაში მიდის მთელი ქალაქი.

⁴¹და გამობრუნდნენ ისრაელის კაცები, ბენიამინის კაცები კი შედრკნენ, რადგან დაინახეს, რომ თავს უბედურება დაატყდათ.

⁴²და გაექცნენ ისინი ისრაელის კაცებს უდაბნოს გზაზე, მაგრამ ომი მაინც წამოეწიათ. და ქალაქიდან გამოსულებმა მოსპეს ისინი თავიანთ შორის.

⁴³და გარს შემოერთყნენ ბენიამინს, სდიეს მას მენუხამდე, და ჟლიტეს თვით გიბეყას აღმოსავლეთამდე.

⁴⁴და დაეცა ბენიამინისაგან 18 ათასი კაცი, ყველა მამაცი ვაჟკაცი.

⁴⁵და მობრუნდნენ და უდაბნოსაკენ, რიმონის კლდისაკენ, გაქუსლეს. გზადაგზა 5 ათასი კაცი კიდევ დახოცეს; და სდიეს გიდომამდე, და მოსრეს მათგან 2 ათასი კაცი.

⁴⁶და მთლიანად იმ დღეს ბენიამინიდან 25 ათასი დაეცა, მახვილის ამომწვდელი ყველა მამაცი ვაჟკაცი.

⁴⁷და 600 კაცი მობრუნდა და გაიქცა უდაბნოსაკენ, რიმონის კლდისკენ, და იქ იყვნენ რიმონის კლდეში ოთხი თვე.

⁴⁸და ისრაელის კაცები კვლავ მიუბრუნდნენ ბენიამინის ძეთ და მოსრეს ისინი მახვილის პირით: მთელი ქალაქი და პირუტყვი, და რაც კი იქ იყო. ასევე ყველა ქალაქი, რაც მათ დაუხვდათ, ცეცხლში დაწვეს.



მსაჯულნი 21

- ¹და დადეს ისრაელის კაცებმა მიცვაში ფიცი, და თქვეს: „არც ერთმა ჩვენგანმა არ მიათხოვოს თავისი ასული ბენიამინელთ.“
- ²და მოვიდა ხალხი ბეთელში, სადამოდე იქ ისხდნენ ღვთის წინაშე, მაღალი ხმით მოთქვამდნენ და მწარედ ტიროდნენ,
- ³და თქვეს: „უფალო, ისრაელის ღმერთო, რად მოხდა ასეთი რამ ისრაელში, რომ დღეს ერთი ტომი მოაკლდა ისრაელს?“
- ⁴და მეორე დღეს დილაადრიან ადგა ხალხი და ააგო იქ სამსხვერპლო, და აღავლინა სრულადდასაწველი და სამშვიდობო შესაწირავები.
- ⁵და თქვეს ისრაელის მეთ: „ვინ არ მოვიდა კრებულში უფლის წინაშე ისრაელის ტომთაგან?“ რადგან დიდი ფიცი ჰქონდათ დადებული იმათზე, ვინც არ ავიდოდა უფლის წინაშე მიცვაში, და ნათქვამი ჰქონდათ მათზე, რომ უნდა მოეკლათ.
- ⁶და ინანეს ისრაელის მეთ ბენიამინის, თავიანთი ძმის, გამო და თქვეს: „მოიკვეთა დღეს ერთი ტომი ისრაელიდან.
- ⁷როგორ მოვექცეთ დანარჩენებს ცოლების თაობაზე, ჩვენ ხომ უფალი დავიფიცეთ, რომ ჩვენს ასულებს არ მივათხოვებდით მათ?“
- ⁸და თქვეს: „ვინმე ხომ არ დარჩა მოუსვლელი ისრაელის ტომთაგან უფლის წინაშე მიცვაში?“ და აჰა, თურმე არავინ იყო მოსული გალაადის იაბეშიდან უფლის წინაშე ბანაკში, იმ შეკრებაზე.
- ⁹და როცა აღირიცხა ხალხი, აჰა, არავინ იყო გალაადის იაბემის მკვიდრთაგან.
- ¹⁰და გაგზავნა მათთან თემმა 12 ათასი კაცი, მამაცი ვაჟკაცები, და უბრძანა: „წადით და მახვილის პირით მოსრეთ გალაადის იაბემის მკვიდრნი დედაწულიანად.
- ¹¹და აჰა, როგორ უნდა მოიქცეთ: მამაკაცი და მამაკაცთან ნაწოლი ყოველი ქალი მოსპეთ.“
- ¹²და ნახეს გალაადის იაბემის მკვიდრთ შორის 400 ქალწული ქალი, რომელთაც მამაკაცის საწოლი არ იცოდნენ, და მოიყვანეს ისინი შილოს ბანაკში, რომელიც ქანაანის ქვეყანაშია.
- ¹³და სიტყვა შეუთვალა მთელმა თემმა; ელაპარაკნენ რიმონის კლდეში მყოფ ბენიამინის მეთ და მშვიდობა გამოუცხადეს.



¹⁴და დაბრუნდნენ მაშინ ბენიამინის ძენი და მისცეს მათ ქალები, რომლებიც ცოცხლად დატოვეს გალაადის იაბეშის ქალთაგან; მაგრამ ყველას არ შეხვდა.

¹⁵და ხალხს დაენანა ბენიამინი, უფალმა ნაპრაღი რომ გააჩინა ისრაელის ტომებში.

¹⁶და თქვეს თემის უხუცესებმა: „როგორ მოვექცეთ დანარჩენებს, ცოლების თაობაზე, რადგან ქალები ამოუწყდა ბენიამინს.“

¹⁷და თქვეს: „სამემკვიდრეო მიწები უნდა მიეცეს ბენიამინიდან გადარჩენილებს, რათა ტომი არ გაქრეს ისრაელიდან.

¹⁸მაგრამ ჩვენს ასულებს ვერ მივათხოვებთ, რადგან ფიცი დადეს ისრაელის ძეთ და თქვეს: წყეულიმც იყოს ვინც ქალი მისცესო ბენიამინელთ.“

¹⁹და თქვეს: „აჰა, ყოველ წელიწადს საუფლო დღესასწაული იმართება შილოში, რომელიც ბეთელის ჩრდილოეთით არის, იმ გზის აღმოსავლეთით, რომელიც ბეთელიდან შექემისაკენ მიემართება და ლებონას სამხრეთით მდებარეობს.“

²⁰და უბრძანეს ბენიამინის ძეთ: „წადით და ჩასაფრდით ვენახებში.

²¹თვალი გექიროთ და აჰა, შილოელი ასულები საფერხულოდ გამოვლენ, მაშინ გამოდით ვენახებიდან და თითოეულმა გაიტაცეთ საცოლე შილოელ ასულთაგან, და წადით ბენიამინის ქვეყანაში.

²²და როცა მათი მამები ან ძმები საჩივლელად მოვლენ ჩვენთან, ჩვენ ვეტყვით: ‘მიუტევეთ, რადგან ძალით წაიყვანეს ქალები, როგორც ომის დროს ხდება ხოლმე. ნებით რომ მოგეცათ, დამნაშავენი თქვენ იქნებოდით.’“

²³და ბენიამინის ძენიც ასე მოიქცნენ: მოიყვანეს ცოლები თავიანთი რიცხვის მიხედვით, რომელნიც მეფერხულეთაგან გაიტაცეს, მერე წავიდნენ და დაბრუნდნენ თავიანთ სამკვიდრებელში და ააშენეს ქალაქები, და იქ ცხოვრობდნენ.

²⁴და წავიდ-წამოვიდნენ იქიდან ისრაელის ძენი; და დაბრუნდა თითოეული თავის ტომში და თავის საგვარეულოში. და გავიდა იქიდან თითოეული თავის სამკვიდრებელში.

²⁵იმ ხანად მეფე არ ჰყავდა ისრაელს; ვისაც როგორ უნდოდა, ისე იქცეოდა.



რუთი

რუთი 1

¹მსაჯულთა მმართველობის ხანაში ისრაელის მიწაზე შიმშილი დაიწყო, და ერთი კაცი თავისი ცოლითა და ორი ვაჟითურთ იუდას ბეთლემიდან მოაბელთა ველებზე წავიდა, რათა ხიზნად ეცხოვრა იქ.

²იმ კაცს ელიმელეჟი ერქვა, მის ცოლს – ნაყომი, ხოლო ვაჟებს – მახლონი და ქილიონი; ისინი ეფრათელნი იყვნენ იუდას ბეთლემიდან. მივიდნენ ისინი მოაბის ველებზე და იქ დასახლდნენ.

³მოკვდა ელიმელეჟი, ნაყომის ქმარი, და დარჩა ის თავის ორ ვაჟთან ერთად.

⁴მათ ცოლებად მოაბელი ქალები მოიყვანეს; ერთს ერქვა ყორფა, ხოლო მეორეს – რუთი. ისინი იქ ათიოდე წელი ცხოვრობდნენ.

⁵დაიხოცნენ ის ორნიც: მახლონი და ქილიონი, და დარჩა ის ქალი თავისი ვაჟებისა და ქმრის გარეშე.

⁶და როცა ნაყომიმ მოაბის ველებზე შეიტყო, რომ უფალმა მოხედა თავის ხალხს და მისცა მოსავალი, ადგა თავის რძლებიანად და მოაბის ველებიდან უკან დასაბრუნებლად გაემზადა.

⁷გავიდა ის თავის რძლებთან ერთად იმ ადგილიდან, სადაც ცხოვრობდა. და, როცა ისინი იუდას ქვეყნისაკენ დასაბრუნებელ გზაზე გავიდნენ,

⁸უთხრა ნაყომიმ თავის ორივე რძალს: „წადით, დაბრუნდით თქვენ-თქვენი დედების სახლში! დაე, უფალმა სიკეთით გადაგიხადოთ თქვენი ამაგი გარდაცვლილებზე და ჩემზე რომ გამოიჩინეთ.

⁹დათხოვდით და შვება გაპოვნინოთ უფალმა თქვენ-თქვენი ქმრების სახლებში!“ და გადაკოცნა ისინი; და აღიმალლეს მათ ხმა და ატირდნენ,

¹⁰და უთხრეს: „ჩვენ შენთან ერთად უნდა წამოვიდეთ შენს ხალხთან.“

¹¹ნაყომიმ კი მიუგო: „უკან გაბრუნდით, ჩემო შვილებო! რისთვის უნდა წამომყვეთ? განა კიდევ მყავს მუცელში ვაჟები, რომ ქმრებად გაგიხდნენ?

¹²წადით, გაბრუნდით, ჩემო შვილებო; რადგან მე უკვე ხნიერი ვარ საიმისოდ, რომ ქმარი ვიყოლიო; კიდევაც რომ გამეფიქრა, ძალა მაქვს-მეთქი და ამაღამვე რომ დავწოლილიყავ ქმართან და ვაჟები დამჩენოდა,

¹³განა მათ დაზრდას დაელოდებოდით და არ გათხოვდებოდით? არა, ჩემო შვილებო, ეს ჩემთვის გაცილებით უფრო მწარეა, ვიდრე თქვენთვის, რადგან უფალმა სატანჯველში ჩამაგდო!“



¹⁴მათ კვლავ აღიმადლეს ხმა და ატირდნენ. შემდეგ ყორფა გამოეთხოვა თავის დედამთილს, რუთი კი არ მოშორებია.

¹⁵ნაყომიმ კი უთხრა: „შეხედე, შენი მაზლის ცოლი თავის ხალხს და თავის ღმერთს უბრუნდება; შენც მიჰყევი მას.“

¹⁶მაგრამ რუთმა მიუგო: „ნუ მაიძულებ შენს მიტოვებას და უკან გაბრუნებას, რადგან სადაც შენ მიდიხარ, მეც იქ მოვდივარ, და სადაც შენ იქნები, მეც იქ ვიქნები. შენი ხალხი, ჩემი ხალხი იქნება და შენი ღმერთი იქნება ჩემი ღმერთი.

¹⁷სადაც შენ მოკვდები, მეც იქ მოკვდები, და იქვე მინდა დავიმარხო. დაე, უფალმა დამსაჯოს და უარესიც მომიზღოს, თუ სიკვდილის მეტმა რამემ გაგვყაროს.“

¹⁸და, რაკი ნაყომიმ დაინახა, რომ რუთს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მასთან ერთად წასვლა, აღარ უცდია გადათქმევინება.

¹⁹და ასე იარა ამ ორმა ერთად, ვიდრე ბეთლემს მიაღწევდნენ, ხოლო როცა ბეთლემში მივიდნენ, მთელი ქალაქი აჩოჩქოლდა და ქალები იმახოდნენ: ნაყომი დაბრუნებულაო.

²⁰მაგრამ მან უთხრა მათ: „ნუღარ დამიძახებთ მე ნაყომის, მარა დამიძახეთ, რადგან ყოვლადძლიერმა ბევრი სიმწარე მარგუნა.

²¹სავსე წავედი და უფალმა ცარიელი დამაბრუნა. რატომღა მეძახით ნაყომის, როცა უფალმა დამამდაბლა, და ყოვლადძლიერმა უბედურება დამატეხა?“

²²დაბრუნდა ნაყომი თავის მოაბელ რძალთან, რუთთან, ერთად, რომელიც მოაბელთა ქვეყნიდან წამოჰყვა მას. როცა ისინი ბეთლემში მოვიდნენ, ქერების მკა იწყებოდა.

რუთი 2

¹ნაყომის ერთი სახელგანთქმული მდიდარი ნათესავი ჰყავდა თავისი ქმრის, ელიმელექის, საგვარეულოდან – სახელად ბოყაზი.

²მოაბელმა რუთმა უთხრა ნაყომის: „ნება მომეცი, წავიდე მინდორში და თავთავი ავკრიფო მათ ნამკალში, ვის თვალშიც მადლს ვპოვებ.“ „წადი, ჩემო შვილო,“ – მიუგო ნაყომიმ.

³წავიდა რუთი მინდორში და კრეფდა თავთავს მომკელთა კვალდაკვალ. და აღმოჩნდა, რომ ის მინდორი ეკუთვნოდა ბოყაზს, ელიმელექის ნათესავს.



⁴და, აჰა, ბოყაზი მოვიდა ბეთლემიდან და მომკელებს მიმართა: „უფალი გწყალობდეთ!“ მათ უპასუხეს: „გაკურთხოს უფალმა!“

⁵ბოყაზმა ჰკითხა თავის მსახურს, რომელიც თავზე ადგა მომკელთ: „ვისია ეს ყმაწვილი ქალი?“

⁶მსახურმა, რომელიც მომკალთ ადგა თავზე, უპასუხა: „ეს ყმაწვილი ქალი მოაბელია, რომელიც ნაყომისთან ერთად არის მოსული მოაბის ველებიდან.“

⁷გვთხოვა, ნება მომეცით, ჩაბნეული თავთავი ავკრიფო მომკელთა კვალდაკვალ. მოვიდა და დილიდან აქამდე წუთით არ შეუსვენია.“

⁸მაშინ უთხრა ბოყაზმა რუთს: „მომისმინე, ჩემო შვილო, თავთავის ასაკრეფად აქედან ნუღარსად წახვალ. აქ დარჩი ჩემს მსახურ ქალებთან ერთად.“

⁹ხომ ხედავ ამ ყანას, ესენი რომ მკიან, იარე მათ უკან. მე ბიჭებსაც ვუბრძანე, არ დაგიშალონ; როცა მოგწყურდეს, მიდი და წყალი იმ ჭურჭლიდან დალიე საიდანაც ჩემი მსახურები იღებენ.“

¹⁰მაშინ რუთმა თავი დახარა მიწამდე და თაყვანი სცა მას და უთხრა: „რა მადლი ვპოვე შენს თვალში, რომ ასე კეთილად მიმიღე, მე ხომ უცხო ტომის ქალი ვარ?“

¹¹ბოყაზი კი მიუბრუნდა და უთხრა: „ყველაფერი გაგებული მაქვს, რაც შენი დედამთილისთვის გააკეთე შენი ქმრის სიკვდილის შემდეგ; როგორ დატოვე მამაშენი, დედაშენი და შენი სამშობლო ქვეყანა, და მოხვედი ხალხში, რომელსაც ადრე არც კი იცნობდი.“

¹²უფალმა, ისრაელის ღმერთმა, რომლის ფრთებქვეშ შესაფარებლადაც მოხვედი, სრულად გადაგიხადოს მაგ სიკეთისათვის.“

¹³უთხრა რუთმა: „მადლი მიპოვია შენს თვალში, ჩემო ბატონო, ვინაიდან მანუგეშე და გულითადად დამელაპარაკე, როგორც შენს მხევალს, თუმცა მე შენი მხევლობის ღირსიც არა ვარ.“

¹⁴სამხრობისას ბოყაზმა რუთს დაუძახა: „მოდი, აქ ჭამე პური და ძმარში ამოაწე ლუკმა.“ მივიდა რუთი და დაჯდა მომკელთა გვერდით. ბოყაზმა მას ქუმელი მიაწოდა. ჭამა რუთმა, დანაყრდა და ცოტაოდენი კიდევაც დარჩა.

¹⁵შემდეგ რუთი თავთავის ასაკრეფად ადგა. ბოყაზმა კი თავის ბიჭებს უბრძანა: „ძნებს შორისაც აკრიფოს, ნუ დაუშლით;“

¹⁶ხელეუბრებიდანაც დაყარეთ ხოლმე და დატოვეთ, რომ აკრიფოს, ნუ დაამადლით.“



¹⁷ასე კრეფდა ის საღამომდე თავთავს ყანაში; შეგროვილი გამოფშვნიტა და ერთ ეფამდე გამოუვიდა ქერის მარცვალი.

¹⁸აიღო თავისი ტვირთი რუთმა და ქალაქში დაბრუნდა. ნახა დედამთილმა მისი ანაკრეფი. რუთმა მას ის საჭმელიც მისცა, რაც სამხრობისას დაიტოვა.

¹⁹და ჰკითხა მას მისმა დედამთილმა: „სად ჰკრეფდი დღეს, სად შრომობდი? დალოცვილი იყოს, ვინც შენ კეთილი თვალით შემოგხედა!“ რუთმა უამბო დედამთილს, ვისთანაც შრომობდა და უთხრა: „იმ კაცს, ვისთანაც მე დღეს ვიმუშავე, ბოყაზი ჰქვია.“

²⁰ხოლო ნაყომიმ უთხრა თავის რძალს: „უფალმა დალოცოს ის, რადგან წყალობა არ მოაკლო არც ცოცხლებს და არც მკვდრებს.“ და უთხრა ნაყომიმ რუთს: „ჩვენი ახლობელია ის კაცი.“

²¹და თქვა მოაბელმა რუთმა: „მან ისიც მითხრა, ჩემს მსახურებთან დარჩი, სანამ მკას დამიმთავრებენო.“

²²უთხრა ნაყომიმ რუთს, თავის რძალს: „კარგია, ჩემო შვილო, რომ მის მსახურ ქალებთან ერთად ივლი, რათა არავის გადააწყდე სხვა ყანაში!“

²³დარჩა რუთი ბოყაზის მსახურ ქალებთან ერთად, კრეფდა თავთავს, ვიდრე ქერისა და ხორბლის მკა არ დასრულდა, და ცხოვრობდა თავის დედამთილთან ერთად.

რუთი 3

¹და უთხრა მას ნაყომიმ, მისმა დედამთილმა: „ჩემო, ასულო, მინდა მყუდრო ადგილი მოგიძებნო, სადაც კარგად იქნები.“

²აჰა, ჩვენი ნათესავი ბოყაზი, რომლის მხევლებთანაც ნამყოფი ხარ, ამაღამ ქერს ანიავებს კალოზე.

³დაიბანე, იცხე და გამოეწყვე საგარეო სამოსელში და მერე ადი კალოზე. მაგრამ არ დაენახო იმ კაცს, ვიდრე ჭამა-სმას არ მორჩება.

⁴ხოლო როცა ის დასაძინებლად დაწვება, გაიგე ის ადგილი, სადაც დაწვება, მიდი, გადახადე ფეხებზე და შეუწევი. და ის თავად გეტყვის, როგორ უნდა მოიქცე.“

⁵უთხრა: „რაც მითხარი ყოველივეს შევასრულებ.“

⁶და ავიდა იგი კალოზე და ისე მოიქცა, როგორც მისმა დედამთილმა უბრძანა.



⁷და როცა ბოყაზი ჭამა-სმას მორჩა და იმხიარულა, წავიდა და დაწვა ძნების ზვინებში. უჩუმრად მივიდა რუთი, ფეხებზე გადახადა და შეუწვა.

⁸და შუალამისას შეკრთა კაცი, წამოიწია, და, აჰა, ფეხებთან ქალი უწევს.

⁹და თქვა: „ვინა ხარ?“ და უთხრა მან: „რუთი ვარ, შენი მხევალი. გადმოაფარე შენს მხევალს შენი კალთა, რადგან გამომხსნელი+ ხარ ჩემი.“

¹⁰და უთხრა ბოყაზმა: „კურთხეულ იყავი უფლისაგან, ჩემო ასულო! შენ ახლა პირვანდელზე მეტი სიკეთე გამოიჩინე, რომ ვინმე ჭაბუკს არ გამოეკიდე, არც ღარიბს და არც მდიდარს.

¹¹და ახლა, ჩემო ასულო, ნუ გეშინია, ყველაფერს შეგისრულებ, რასაც მეტყვი, რადგან მთელმა ხალხმა იცის ჩემს ქალაქში, რომ ღირსეული ქალი ხარ.

¹²ახლა, მართალია, შენი გამომხსნელი ვარ, მაგრამ სხვა, ჩემზე ახლობელი გამომხსნელიცა გყავს.

¹³გაათიე ეს ღამე აქ. და დილით, თუ ის მოინდომებს შენს გამოხსნას, ხომ კარგი, მას შეუძლია ამის გაკეთება; ხოლო თუ შენს გამოხსნას არ ისურვებს, მაშინ მე გამოგიხსნი, უფალს ვფიცავ. იწეჟი აქ დილამდე!“

¹⁴და ეძინა რუთს მის ფერხთით დილამდე. და ადგა რუთი დილაბნელზე ისე, რომ არ შეუცვნიათ ერთმანეთი. და უთხრა მას ბოყაზმა: „არავინ გაიგოს, ქალი რომ ამოვიდა კალოზე.“

¹⁵და უთხრა მან რუთს: „მოიტანე ეგ მოსასხამი და გაშალე.“ და მანაც გაშალა. და ჩაუყარა ბოყაზმა ექვსი საწყაო ქერი და ზურგზე მოჰკიდა, თავად კი ქალაქში წავიდა.

¹⁶ხოლო რუთი თავის დედამთილთან დაბრუნდა, რომელმაც ჰკითხა: „რა იყო, ჩემო ასულო?“ და მან მოუთხრო ყოველივე, რაც იმ კაცმა გაუკეთა,

¹⁷და უთხრა: „ეს ექვსი საწყაო ქერი მომცა და მითხრა, ხელცარიელი ნუ წახვალ დედამთილთან.“

¹⁸ხოლო მან უთხრა: „დაელოდე, ჩემო ასულო, ვიდრე შეიტყობდე, თუ რით დამთავრდება საქმე; რადგან ეს კაცი არ მოისვენებს, ვიდრე დღესვე არ დაასრულებს ყველაფერს.“

რუთი 4

¹გავიდა ბოყაზი კარიბჭესთან, და იქ ჩამოჯდა. და, აჰა, იმ გამომხსნელმა ჩამოიარა, ვისზეც, ლაპარაკობდა ბოყაზი. დაუმახა ბოყაზმა: „მოდო, ჩემო კეთილო, და აქ ჩამოჯექი!“ და ისიც მივიდა და ჩამოჯდა.



²და მოიყვანა ბოყაზმა ათი კაცი ქალაქის უხუცესთაგან და უთხრა მათ: „აქ ჩამოსხედით.“ და დასხდნენ ისინი.

³და უთხრა მან გამომხსნელს: „ნაყომი, რომელიც მოაბის ველებიდან დაბრუნდა, ჰყიდის მინდვრის ნაკვეთს, რომელიც ჩვენს ძმას, ელიმელექს ეკუთვნოდა.“

⁴მე გადავწყვიტე, შენს ყურამდე მომეწვდინა ეს ამბავი და მეკითხა: თუ გინდა მისი გამოხსნა, იყიდე ის ამ მოქალაქეებისა და ჩემი ხალხის უხუცესთა თანდასწრებით. ხოლო თუ არ გინდა მისი გამოხსნა, მაშინ მითხარი მე, რომ ვიცოდე, რადგან შენს მეტს არავის არა აქვს გამოხსნის უფლება, და შენს შემდეგ კი მე ვარ.“ და უთხრა მან: „თანახმა ვარ გამოვიხსნა.“

⁵და თქვა ბოყაზმა: „იმ დღეს, რა დღესაც მინდორს იყიდი ნაყომისგან, მოაბელი რუთიც, გარდაცვლილის ცოლიც უნდა გამოისყიდო და ცოლად შეირთო, რათა სახელი აღუდგინო გარდაცვლილს თავის სამკვიდროში.“

⁶და უპასუხა მან: „ვერ გამოვისყიდი, ვაითუ, დავაქციო ჩემი სამკვიდრებელი. უიკეთესია შენ გამოიხსნა, რაც ჩემი გამოსახსნელია, რადგან მე ვერ გამოვიხსნი.“

⁷მველთაგან ასეთი ჩვეულება ჰქონდათ ისრაელში: გამოხსნაზე, გაცვლაზე, ან რაიმე საქმის დადასტურებაზე: ერთი გამომხსნელი ან გამცვლელი გაიდრობდა ფეხსაცმელს და მეორეს მისცემდა; ეს მოწმობის ნიშანი იყო ისრაელში.

⁸და უთხრა იმ გამომხსნელმა ბოყაზს: „შენთვის გამოისყიდე!“ და გაიდრო ფეხსაცმელი.

⁹და უთხრა ბოყაზმა უხუცესებს და მთელ ხალხს: „დღეს თქვენა ხართ მოწმენი, რომ გამოვისყიდე ნაყომისგან, რაც ელიმელექს, ქილიონს და მახლონს ეკუთვნოდათ.“

¹⁰ასევე მოაბელი რუთი, მახლონის ქვრივი, გამოვისყიდე ცოლად, რათა სახელი აღუდგინო გარდაცვლილს თავის სამკვიდრებელში, და რათა არ გაქრეს გარდაცვლილის სახელი მის მოძმეთა შორის და მისი ქალაქის კარიბჭიდან; ამის მოწმენი თქვენა ხართ დღეს.“

¹¹და უთხრეს კარიბჭესთან მდგომმა მთელმა ხალხმა და უხუცესებმა: „მოწმენი ვართ! უფალმა დალოცოს შენს სახლში შემომავალი ქალი, როგორც რახელი და ლეა, რომელთაც ააშენეს ისრაელის სახლი; სიმდიდრე შეგძენოდეს ეფრათაში და ბეთლემში იდიდოს შენმა სახელმა.“



¹²და გახდეს შენი სახლი, როგორც სახლი ფერეცისა, რომელიც უშვა თამარმა იუდას, იმ მოდგმიდან, უფალი რომ მოგცემს ამ ყმაწვილი ქალისგან.“

¹³და წაიყვანა ბოყაზმა რუთი და გახდა იგი მისი ცოლი. და როცა შევიდა მასთან, მისცა მას უფალმა ორსულობა და შვა ვაჟი,

¹⁴და ეუბნებოდნენ დედაკაცები ნაყომის: „კურთხეულია უფალი, რომელმაც არ მოგიშალა გამომხსნელი ნათესავი დღეს! იდიდოს მისმა სახელმა ისრაელში!

¹⁵ის იქნება შენი განმაახლებელი და შენი სიბერის მზრუნველი. რადგან იგი გიშვა შენმა რძალმა, რომელსაც უყვარხარ და, რომელიც შვიდ ვაჟიშვილზე მეტია შენთვის.“

¹⁶და მიირქვა ნაყომიმ ყმაწვილი, უბით ატარებდა, და გახდა მისი გამდელი.

¹⁷და სახელი მეზობლის ქალებმა დაარქვეს და ამბობდნენ: ვაჟი შეეძინაო ნაყომის. და დაარქვეს მათ სახელად ყობედი, რომელიც მამაა იესესი, დავითის მამისა.

¹⁸აჰა, შთამომავლობა ფერეცისა: ფერეცმა შვა ხეცრონი,

¹⁹ხეცრონმა შვა რამი, რამიმ შვა ყამინადაბი,

²⁰ყამინადაბმა შვა ნახშონი, ნახშონმა შვა სალმონი,

²¹სალმონმა შვა ბოყაზი, ბოყაზმა შვა ყობედი,

²²ყობედმა შვა იესე, იესემ შვა დავითი.



პირველი მეფეთა

პირველი მეფეთა 1

¹იყო ერთი კაცი რამათაიმ-ცოფიმიდან, ეფრემის მთებიდან, რომელსაც ერქვა ელკანა, ძე იეროხამისა, მისა ელიჰუსი, მისა თოხუსი, მისა ცუფისა ეფრათელისა.

²და ორი ცოლი ჰყავდა მას. ერთს ერქვა ხანა, მეორეს – ფენინა. ფენინას შვილები ჰყავდა, ხანა კი უშვილო იყო.

³ყოველწლიურად ადიოდა ეს კაცი თავისი ქალაქიდან ცაბაოთ უფლისათვის თაყვანის საცემად და მსხვერპლის შესაწირად შილოში, სადაც ყელის ორი ვაჟი: ხოფნი და ფინეხასი, უფლის მღვდლები იყვნენ.

⁴იმ დღეს, როცა ელკანას უწევდა მსხვერპლის შეწირვა, იგი წილს აძლევდა ხოლმე ფენინას, თავის ცოლს, და მის ვაჟებსა და ასულებს.

⁵ხანას კი განსაკუთრებულ ნაჭერს უძღვნიდა, რადგან უყვარდა ხანა, თუმცა კი საშო დაეხშო მისთვის უფალს.

⁶და ამის გამო ხანას მისი მოზიარე ფენინა თავს აბეზრებდა და აღიზიანებდა.

⁷ასე ხდებოდა ყოველწლიურად, როცა კი ხანა უფლის სახლში ადიოდა. ფენინა ამწარებდა მას, ის კი ტიროდა და არაფერს ჭამდა.

⁸და უთხრა ელკანამ, მისმა ქმარმა: „ხანა, რატომ ტირი და რატომ არაფერს ჭამ? რასა დარდობს შენი გული? ათ შვილს გერჩივნოს ჩემი თავი!“

⁹შილოში პურობის შემდეგ ადგა ხანა სუფრიდან და უფლის წინაშე წარსდგა. ყელი მღვდელი უფლის ტაძრის ზღურბლთან საკარცულზე იჯდა.

¹⁰სულგამწარებული შეევედრა იგი უფალს და ცხარედ ატირდა.

¹¹აღთქმა დაუდო და უთხრა: „ცაბაოთ უფალო, თუ მოხედავ შენი მხევლის ტანჯვას, თუ გამიხსენებ და არ დაივიწყებ შენს მხევალს და მეს უწყალობებ, უფალს მივუძღვნი მას მსახურად. ვიდრე ცოცხალი იქნება, სამართებელი არ შეეხება მის თავს.“

¹²და აკვირდებოდა ყელი მღვდელი უფლის წინაშე დიდხანს მლოცველი ქალის ბაგეებს.

¹³რაკი ხანა გულში ლაპარაკობდა, მხოლოდ ბაგეებს ამოდრავებდა და ხმა კი არ ისმოდა, მთვრალიაო, იფიქრა ყელმ.



- ¹⁴უთხრა მას: „სანამ უნდა იყო მთვრალი? გამოიფხიზლე ღვინისგან!“
- ¹⁵ხოლო ხანამ მიუგო: „არა, ჩემო ბატონო; მე ერთი სულგამწარებული ქალი ვარ. ღვინო და თაფლუჭი არ მისვამს, უფლის წინაშე განვკჳენ ჩემს სულს;“
- ¹⁶უღირსი დედაკაცი არ გეგონოს შენი მხევალი. მხოლოდ დიდი მწუხარებისა და სიმწრის გამო ვლაპარაკობდი ამდენ ხანს.“
- ¹⁷მიუგო ყელიმ და უთხრა: „მშვიდობით გევლოს, დაე, ისრაელის ღმერთმა ისმინოს შენი ვედრება და აგისრულოს სათხოვარი.“
- ¹⁸უთხრა ქალმა: „მადლი უპოვია შენს მხევალს შენს თვალში.“ და წავიდა ქალი თავისი გზით. საჭმელი ჭამა და აღარ ჰქონია სახე უწინდებურად დამწუხრებული.
- ¹⁹მეორე დღეს დილაადრიაანად ადგნენ ისინი, თაყვანი სცეს უფალს, დაბრუნდნენ რამაში, მივიდნენ შინ და შეიცნო ელკანამ ხანა, თავისი ცოლი, და მოხედა უფალმა ხანას.
- ²⁰დაორსულდა ხანა, შვა ვაჟი და სახელად სამუელი უწოდა, რადგან ამბობდა ის: უფალს გამოვთხოვეო იგი.
- ²¹წავიდა მისი ქმარი ელკანა მთელი თავისი სახლეულითურთ უფლისადმი ყოველწლიური მსხვერპლის შესაწირად და თავისი აღთქმის აღსასრულებლად.
- ²²მაგრამ ხანა არ წასულა, რადგან უთხრა თავის ქმარს: „როცა ბავშვს ძუძუს მოვწყვეტ, მაშინ წავიყვან, და წარსდგება ის უფლის წინაშე და სამუდამოდ იქ დარჩება.“
- ²³მიუგო ელკანამ, მისმა ქმარმა, და უთხრა: „ისე გააკეთე, როგორც გენებოს. დარჩი, ვიდრე ძუძუს მოსწყვეტდე, რადგან აგისრულა უფალმა თავისი სიტყვა.“ დარჩა ცოლი და ძუძუს აწოვებდა ბავშვს, სანამ არ მოსწყვიტა.
- ²⁴როცა ძუძუს მოსწყვიტა, წაიყვანა იგი უფლის სახლში, შილოში. თან ერთი სამწლიანი ზვარაკი, ერთი ეფა ფქვილი და ერთი ტიკი ღვინო წაიტანა; და მივიდა უფლის სახლში – შილოში; ჯერ ჩვილი იყო ყმაწვილი.
- ²⁵დაკლეს ზვარაკი და მიუყვანეს ყელის ყმაწვილი.
- ²⁶მიესალმა ქალი ყელი მღვდელს: „იცოცხლე, ჩემო ბატონო! მე ის ქალი ვარ, აქ რომ ვიდექი შენს ახლოს და უფალს ვევედრებოდი.
- ²⁷ამ ყმაწვილის გამო ვევედრებოდი და აჰა, ამისრულა უფალმა, რასაც ვთხოვდი.
- ²⁸ამიტომაც უფალს ვაძლევ მას, რათა მას ემსახუროს მთელი მისი სიცოცხლე.“ და თაყვანი სცა იქ უფალს.



პირველი მეფეთა 2

- ¹ლოცულობდა ხანა და ამბობდა: „ხარობს ჩემი გული უფალში; გავძლიერდი ჩემს ღმერთში; ხმა ავიმალღე ჩემი მტრების წინააღმდეგ, რადგან გავიხარე შენი შეწყევნით.
- ²არავინ არის უფალივით წმიდა; რადგან არავინაა შენს გარდა; და არ არის ჩვენი ღმერთივით მყარი კლდე.
- ³ველარ ილაპარაკებთ მედიდურად და აღარ გამოვა თავხედური სიტყვები თქვენი ბაგეებიდან, რადგან უფალი არის ყოვლისმცოდნე ღმერთი, ის განსჯის ყოველ საქმეს.
- ⁴ძლიერთა მშვილდი დაღეწილია, უძლურნი ძალას შემოისარტყლავენ.
- ⁵მამდარნი პურისათვის საშოვარზე დადიან, მშიერნი კი აღარ შიმშილობენ; ბერწმა შვიდი შვა, მრავალშვილიანი კი ჩამოჰკნა.
- ⁶უფალი მოაკვდინებს და უფალი აცოცხლებს; შავეთში ჩაყვანაცა და ამოყვანაც მის ხელთ არის.
- ⁷უფალი აღატაკებს და ამდიდრებს; დაამდაბლებს და აღამაღლებს;
- ⁸გლახაკს მიწა-მტვრიდან წამოაყენებს, უპოვარს სანაგვიდან აღამაღლებს, რათა დიდებულთა გვერდით დასვას; დიდების ტახტს დაუმკვიდრებს მათ, რადგან უფლისაა დედამიწის საფუძვლები და სამყარო მათზე დაამყარა.
- ⁹ღვთისმოსავთა ნაბიჯებს იცავს, უკეთურები ბნელში ინთქმებიან, რადგან საკუთარი ძალით ვერ მაგრობს კაცი.
- ¹⁰უფალი შემუსრავს თავის მოწინააღმდეგეთ და მეხად დაატყდება მათ. უფალი განსჯის ქვეყნის კიდევებს და თავის მეფეს ძალას შემატებს, და თავის ცხებულს ძლიერებით შემოსავს.“
- ¹¹წავიდა ელკანა რამათს, თავის სახლში, ყმაწვილი კი უფალს ემსახურებოდა ყელი მღვდლის წინაშე.
- ¹²ხოლო უღირსები იყვნენ ყელის ვაჟები: არ ცნობდნენ უფალს
- ¹³და არც მღვდლობის მოვალეობას ხალხის წინაშე. როცა კი ვინმე მსხვერპლს შესწირავდა, მოვიდოდა ხორცის ხარშვისას მღვდლის ბიჭი სამკაპით ხელში,
- ¹⁴ჩაჰკრავდა ავაზანში ან ქვაბში, ან კოჭოვში, ან კარდალში და ყველაფერი, რაც ჩანგალს ამოჰყვებოდა, მღვდელს მიჰქონდა. ასე ექცეოდნენ მთელს ისრაელს, შილოში ყველა მიმსვლელს.



- ¹⁵უფრო მეტიც: ქონის დაწვამდეც მოდიოდა მღვდლის ბიჭი და ეუბნებოდა მსხვერპლის მომტანს: „შესაწავი ხორცი მომეცი მღვდლისთვის, უმი, რადგან მოხარშულს არ მიიღებს.“
- ¹⁶თუ ეტყოდა ვინმე: ქონს აკმევენ და მერე წაიღე, რაც გენებოსო, მიუგებდა: „არა, ახლა მომეცი, თორემ წაგართმევ.“
- ¹⁷მაღზე დიდი იყო ამ ყმაწვილების ცოდვა უფლის წინაშე, რადგან ბილწავდნენ ისინი უფლის ძღვენს.
- ¹⁸სამუელი კი მსახურებდა უფლის წინაშე; და ბიჭუნას სელის ეფოდი ემოსა.
- ¹⁹სამუელს პატარა წამოსასხამს უქსოვდა ხოლმე დედა და ამოჰქონდა, როცა ქმართან ერთად მსხვერპლის შესაწირად ამოდიოდა ყოველწლიურად.
- ²⁰აკურთხა ყელიმ ელკანა და მისი ცოლი და უთხრა: „უფალი მოგცემს ამ ქალისგან შთამომავლობას აღთქმულის სანაცვლოდ, რომელიც შენ აღუთქვი უფალს.“ და შემდეგ ისინი შინ დაბრუნდნენ.
- ²¹მოხედა უფალმა ხანას: დაორსულდა იგი და კიდევ შვა სამი ვაჟი და ორი ასული. ყრმა სამუელი კი უფალთან იზრდებოდა.
- ²²მაღზე მოხუცი იყო ყელი. ესმოდა ყველაფერი: როგორ ექცეოდნენ მისი შვილები მთელს ისრაელს, რომ წვებოდნენ იმ ქალებთან, რომლებიც საკრებულო კარვის კართან მსახურებისთვის იკრიბებოდნენ.
- ²³იგი ეუბნებოდა მათ: „რატომ აკეთებთ ამას? ხალხისგან ხმები მომდის თქვენს უკეთურ საქციელზე;
- ²⁴ნუ იზამთ, შვილებო! კარგი არ მესმის თქვენზე; უფლის ერს გზიდან აცდენთ.
- ²⁵თუ კაცმა კაცს შესცოდა, შეევედრებიათ ღმერთს ცოდვილისთვის, თუ უფალს შესცოდა კაცმა, ვიღას შეევედრება?“ არ ისმინეს მამის სიტყვა, რადგან უფალმა ინება მათი დაღუპვა.
- ²⁶ყრმა სამუელი კი იზრდებოდა და მადლი ემატებოდა უფლისა და ხალხის წინაშე.
- ²⁷მივიდა ერთი ღვთისკაცი ყელისთან და უთხრა: „ასე ამბობს უფალი: ‘განა მე არ გამოვეცხადე მამაშენის სახლს ეგვიპტეში, ფარაონის სახლში ყოფნისას?’
- ²⁸დიახ, ის გამოვარჩიე ისრაელის ყველა შტოდან ჩემს მღვდლად, რომ ასულიყო ჩემს სამსხვერპლოზე საკმევლის საკმევად, ჩემს წინაშე ეფოდის



სატარებლად. მე განვუკუთვნე მამაშენის სახლს ისრაელიანთა მთელი საცეცხლო მსხვერპლი;

²⁹ასე გაბოროტებით ფეხით რატომ თელავთ ჩემს მსხვერპლსა და შესაწირავს, მე რომ დავაწესე? რატომ ამჯობინე ჩემს თავს შენი შვილები, რომ სუქდებით ისრაელის, ჩემი ერის შესაწირავის საუკეთესო ნაჭრებით?”

³⁰ამიტომ ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: ‘ნათქვამი მქონდა, რომ უკუნისამდე ივლიდა ჩემს წინაშე შენი სახლი და მამაშენის სახლი. ამიერიდან კი,’ – ამბობს უფალი, – ‘არამც და არამც, რადგან ჩემს მადიდებელს განვადიდე, ჩემი მოძულენი კი დამცირდებიან.

³¹აჰა, მოაწევს ჟამი და უნდა მოვკვეთო შენი ძალა და მამაშენის სახლის ძალა ისე, რომ მოხუცებული აღარ დარჩეს შენს სახლში.

³²და დაინახავ შენს მოდავეს საწმიდარში, მიუხედავად იმ სიკეთისა, რაც ისრაელში მოხდება, და შენს სახლში მოხუცებული აღარასოდეს იქნება.

³³ყველას არ მოგიკვეთთ ჩემი სამსხვერპლოდან, რომ თვალემა გეცხოვროდეს და სული გიწუხდეს; მაგრამ შენი სახლის მთელი ნამატი გაწყდება დავაჟკაცების ასაკში.

³⁴აჰა, ნიშანი, რომელიც აღსრულდება შენს ორ ძეგლზე – ხოფნიზე და ფინეხასზე – ერთ დღეს დაიხოცებიან ორივენი.

³⁵დავიდგენ ჩემთვის სარწმუნო მღვდელს, რომელიც იმას გააკეთებს, რაც ჩემს გულსა და სულშია. და მე მას ავუშენებ მტკიცე სახლს, რათა მუდამ ჩემი ცხებულის წინაშე დადიოდეს.

³⁶და მივა მასთან, ვინც შენს სახლში გადარჩება, და თაყვანს სცემს მას ერთი ვერცხლისა და პურის ნატეხისათვის, და ეტყვის: მომეცი სამღვდლო რამ სამსახური, რომ ლუკმა პური ვჭამო.”“

პირველი მეფეთა 3

¹ყრმა სამუელი უფალს ემსახურებოდა ყელის წინაშე. იმ დღეებში იშვიათობას წარმოადგენდა უფლის სიტყვა. ხილვები არ იყო ხშირი.

²ერთხელ, როცა ყელი თავის ადგილზე იწვა – უკვე თვალემა დასნეულებული ჰქონდა და ვეღარ ხედავდა.

³ღვთის სანთელი ჯერ არ ჩამწვარიყო. და სამუელი იწვა საწმიდარში, უფლის კიდობნის ახლოს.

⁴და დაუძახა უფალმა სამუელს. და გაეპასუხა ის: „აჰა, მე აქა ვარ!“



⁵და მიირბინა ყელისთან და უთხრა: „აჰა, მოვედი, რომ დამიძახე.“ ხოლო მან უთხრა: „არ დამიძახიხარ, წადი და დაიძინე.“ ისიც წავიდა და დაწვა.

⁶კვლავ მოუწოდა უფალმა: „სამუელ!“ ადგა სამუელი, მივიდა ყელისთან და უთხრა: „აჰა, მოვედი, რომ დამიძახე.“ ხოლო მან უთხრა: „არ დამიძახიხარ, შვილო, წადი და დაწექი.“

⁷ჯერ არ იცნობდა სამუელი უფალს, რადგან ჯერ არ გამოსცხადებოდა მას უფლის სიტყვა.

⁸მესამედ დაუძახა უფალმა სამუელს. ადგა ის, მივიდა ყელისთან და უთხრა: „აჰა, მოვედი, რომ დამიძახე.“ მიხვდა ყელი, რომ უფალი უხმობდა ყმაწვილს.

⁹და უთხრა ყელიმ სამუელს: „წადი და დაწექი. და თუ ის დაგიძახებს, ასე უპასუხე: მიბრძანე, უფალო, რადგან გისმენს-თქო შენი მსახური.“ წავიდა სამუელი და დაწვა თავის ადგილას.

¹⁰მოვიდა უფალი და დადგა, და კვლავ დაუძახა წელანდელივით: „სამუელ, სამუელ!“ და უთხრა სამუელმა: „ბრძანე, რადგან გისმენს შენი მსახური!“

¹¹და უთხრა უფალმა სამუელს: „აჰა, ისეთ რამეს მოვახდენ ისრაელში, რომლის მსმენელსაც ყურები დაუყრუვდება.“

¹²იმ დღეს აღვასრულეს ყელიზე ყველაფერს, რაც მისი სახლის წინააღმდეგ ვთქვი თავიდან ბოლომდე.

¹³ხომ გამოვუცხადე, რომ საუკუნოდ დავსჯიდი მის სახლს იმ უკეთურების გამო, რომლის შესახებაც მან იცოდა – უკეთურობდნენ მისი ძენი და მან არ ალაგმა ისინი.

¹⁴ამიტომაც დავუფიცე ყელის სახლს, არც მსხვერპლით და არც პურეულის ძღვენით არ გამოისყიდება-მეთქი უკუნისამდე მისი სახლის უკეთურება.“

¹⁵გათენებამდე იწვა სამუელი და მერე გააღო უფლის ტაძრის კარი. სამუელს ეშინოდა, რომ ყელისთვის გაემხილა ეს ხილვა.

¹⁶და დაუძახა ყელიმ სამუელს და უთხრა: „სამუელ, შვილო!“ მან მიუგო: „აჰა, აქა ვარ.“

¹⁷უთხრა ყელიმ: „მიტხარ ის სიტყვა, რაც შენს მიმართ იყო წუხელ და ნურაფერს დამიძალავ, თორემ ღმერთი ამას და ამას გიზამს და უარესსაც, თუ დამიძალავ და არ მიაშობ ყველაფერს, რაც შენ გითხრეს.“

¹⁸უამბო სამუელმა ყველაფერი და არაფერი დაუმაღავს მისთვის. ხოლო ყელიმ თქვა: „უფალია ის, იყოს მისი ნებისამებრ.“



¹⁹იზრდებოდა სამუელი და უფალი იყო მასთან. არ გაცუდებულა არც ერთი ის სიტყვა, რაც უფალმა უთხრა სამუელს.

²⁰შეიტყო მთელმა ისრაელმა, დანიდან ბერ-შეზაყამდე, რომ სამუელი უფლის წინასწარმეტყველი გახდა.

²¹კვლავ გამოცხადებოდა ხოლმე უფალი შილოში მას შემდეგ, რაც სამუელს მოევლინა უფლის სიტყვით.

პირველი მეფეთა 4

¹მოედო სამუელის ამბავი მთელს ისრაელს. გავიდა ისრაელი ფილისტიმელებთან საომრად და დაიბანაკა ებენეზერთან. ფილისტიმელები კი აფეკში დაბანაკდნენ.

²გაეწყვნენ ფილისტიმელები ისრაელის პირისპირ. გაჩაღდა ბრძოლა და დამარცხდა ისრაელი ფილისტიმელებთან; 4 ათასამდე კაცი დაეცა ბრძოლის ველზე.

³ბანაკში რომ მოვიდა ხალხი, ისრაელის უზუცესებმა თქვეს: „რისთვის დაგვამარცხა დღეს უფალმა ფილისტიმელებთან? წამოვიდოთ შილოდან უფლის აღთქმის კიდობანი, იაროს ჩვენს შორის და გვიხსნას მტრის ხელიდან.“

⁴გაგზავნა ხალხმა შილოში და მოიტანეს იქიდან ქერუბიმებზე მჯდარი ცაბაოთ უფლის აღთქმის კიდობანი. ყელის ორი ვაჟი: ხოფნი და ფინეხასი ახლდა ღვთის აღთქმის კიდობანს.

⁵როცა უფლის აღთქმის კიდობანი ბანაკში მოვიდა, მთელმა ისრაელმა ისე ხმამაღლა შესძახა, რომ მიწა შეიძრა.

⁶და როცა მოესმათ ფილისტიმელებს ამ შეძახილის გუგუნი, თქვეს: „ეს რა გუგუნია ებრაელთა ბანაკში?“ და როცა შეიტყვეს, რომ უფლის კიდობანი მოვიდა ბანაკში,

⁷შეეშინდათ ფილისტიმელებს, რადგან ისინი ამბობდნენ: ღმერთი მოვიდაო ბანაკში! და დასძენდნენ: „ვაი ჩვენ, რადგან ასეთი რამ უწინ არ მომხდარა.“

⁸ვაი ჩვენ! ვინ გვიხსნის ამ ძლიერი ღმერთების ხელიდან? ეს ის ღმერთები არიან, ეგვიპტელებს რომ მუსრი გაავლეს უდაბნოში ყოველგვარი სასჯელით.

⁹გამაგრდით და ვაჟკაცურად იდექით, ფილისტიმელებო, რომ არ დაემონოთ ებრაელებს, როგორც თქვენ გემონებთან ისინი. ვაჟკაცურად დადექით და შეებრძოლეთ.“



¹⁰და შეებრძოლნენ ფილისტიმელები, და დამარცხდა ისრაელი, და ყველა თავის კარავში გაიქცა. მეტისმეტად დიდი იყო მარცხი: 30 ათასი ქვეითი დაეცა ისრაელიანთაგან.

¹¹დაიხოცა ყელის ორივე ძე: ხოფნი და ფინეხასი; და წაიღეს ღვთის კიდობანი.

¹²გამოიქცა ერთი ბენიამინელი კაცი ლაშქრიდან და იმავე დღეს მივიდა შილოში, სამოსელშემოგლეჯილი და თავზე მტკერდაყრილი.

¹³როცა ის მოვიდა, ყელი საკარცხულზე იჯდა ქალაქის კარიბჭესთან, გულშეწუხებული ღვთის კიდობნის გამო და გზას აყურადებდა. მოვიდა კაცი ქალაქში და მოიტანა ამბავი, და ამოიგმინა მთელმა ქალაქმა.

¹⁴ამ გოდების ხმის გაგონებაზე თქვა ყელიმ: „ეს რა ხმაურია?“ მალე მივიდა ის კაცი ყელისთან და ყველაფერი აუწყა.

¹⁵98 წლისა იყო მაშინ ყელი, თვალისჩინი წართმეული ჰქონდა და ველარაფერს ხედავდა.

¹⁶და უთხრა იმ კაცმა ყელის: „ისრაელიანთა ბანაკიდან მოვდივარ გამოქცეული.“ ყელიმ ჰკითხა: „რა მოხდა, შვილო?“

¹⁷მიუგო მაცნემ და უთხრა: „ისრაელი გაექცა ფილისტიმელებს. სასტიკად განადგურდა ხალხი, შენი ორი ვაჟი: ხოფნი და ფინეხასი დაიხოცნენ და ღვთის კიდობანიც წაღებულია.“

¹⁸როგორც კი ახსენა მან ღვთის კიდობანი, ყელი საკარცხულიდან ბჭისკენ გადავარდა ზურგით, ხერხემალში გადატყდა და მოკვდა, რადგან მოხუცებული იყო და მძიმე. ორმოც წელიწადს იყო ყელი ისრაელის მსაჯული.

¹⁹მისი რძალი, ფინეხასის ცოლი, მოსალოგინებელი იყო, და როცა გაიგო ღვთის კიდობნის წაღების და თავისი მამამთილისა და ქმრის სიკვდილის ამბავი, მუხლებზე დავარდა და შვა, რადგან ის იყო უწია მშობიარობის ტკივილებმა.

²⁰როცა კვდებოდა, თავზე მდგომი ქალები ეუბნებოდნენ: „ნუ გეშინია, რადგან ვაჟი შეგეძინა.“ მაგრამ ის ველარ პასუხობდა მათ, რადგან გულთან ველარაფერი მიჰქონდა.

²¹და უწოდა დედამ ვაჟს სახელად იქაბოდი, რაც ნიშნავს – განემორაო დიდებულება ისრაელს! – ღვთის კიდობნის წაღებისა და მისი მამათილისა და ქმრის სიკვდილის გამო თქვა ეს.



²²და კვლავ თქვა: „განეშორა დიდებულება ისრაელს, რადგან წაღებულია ღვთის კიდობანი.“

პირველი მეფეთა 5

¹წაიღეს ფილისტიმელებმა ღვთის კიდობანი და ებენყეზერიდან აშდოდში მიიტანეს.

²აიღეს ფილისტიმელებმა ღვთის კიდობანი და შეიტანეს დაგონის ტაძარში, და გვერდით დაუდგეს დაგონს.

³და როცა მეორე დღეს დილაადრიაანად ადგნენ აშდოდელები, ნახეს, რომ უფლის კიდობნის წინ პირქვე გდია დაგონი. ააყენეს დაგონი და კვლავ თავის ადგილას დადგეს.

⁴და როცა ადგნენ შემდეგ დღეს დილაადრიაანად, ნახეს, რომ პირქვე გდია დაგონი უფლის კიდობნის წინ. დაგონის მოგლეჯილი თავი და ხელ-ფეხი ყრია ზღურბლთან, მარტო ტანიდა შერჩენია.

⁵ამიტომაც ერიდებიან აშდოდში დაგონის ქურუმები და დაგონის ტაძარში შემსვლელნი დაგონის ზღურბლზე დაბიჯებას დღემდე.

⁶დამძიმდა უფლის ხელი აშდოდელებზე – ანადგურებდა და გვემდა მათ ბუგრებით მთელს აშდოდსა და მის შემოგარენში.

⁷როცა ხედავდნენ აშდოდის მკვიდრნი, რაც ხდებოდა, ამბობდნენ: „არ უნდა დარჩეს ჩვენთან ისრაელის ღვთის კიდობანი, რადგან მძიმეა მისი ხელი ჩვენზე და დაგონზე, ჩვენს ღმერთზე.“

⁸მათ გაგზავნეს და შეკრიბეს თავისთან ყველა ფილისტიმელი მთავარი და იკითხეს: „რა ვუყოთ ისრაელის ღვთის კიდობანს?“ მათ თქვეს: „გათში წაიღეთ ისრაელის ღვთის კიდობანი.“ და გადაიტანეს ისრაელის ღვთის კიდობანი გათში.

⁹მას შემდეგ, რაც მიიტანეს იგი, უფლის ხელი იყო ქალაქზე, ატყდა დიდი ჩოჩქოლი; გვემა უფალმა ქალაქის მკვიდრნი დიდთან-პატარიანად, და ბუგრები გამოაჩნდა ხალხს.

¹⁰და გაგზავნეს ღვთის კიდობანი ყეკრონს. როცა მივიდა ყეკრონში ღვთის კიდობანი, აყვირდნენ ყეკრონელები და ამბობდნენ: „მოგვითანეს ისრაელის ღვთის კიდობანი, რომ ამოგვხოცონ ჩვენცა და ჩვენი ხალხიც!“

¹¹შეუთვალეს და შეკრიბეს ფილისტიმელთა ყველა მთავარი და თქვეს: „დააბრუნეთ ისრაელის ღვთის კიდობანი თავის ადგილას, რომ არ



ამოგვხოცოს ჩვენცა და ჩვენი ხალხიც!“ რადგან მომაკვდინებელი შიშის ზარი იყო მთელს ქალაქში, მეტისმეტად დამძიმდა მათზე უფლის ხელი.

¹²და ის, ვინც სიკვდილს გადაურჩა, ბუგრით იგვემებოდა, და ცას სწვდებოდა ქალაქის ღალადისი.

პირველი მეფეთა 6

¹შვიდ თვეს იყო უფლის კიდობანი ფილისტიმელთა ქვეყანაში.

²მოიხმეს ფილისტიმელებმა ქურუმები და მისნები და უთხრეს: „რა ვუყოთ უფლის კიდობანს? გვასწავლეთ, როგორ გავგზავნოთ თავის ადგილას.“

³მათ მიუგეს: „თუ ისრაელის ღვთის კიდობნის გაგზავნა გინდათ, ცარიელს ნუ გაგზავნით, არამედ შესწირეთ ისრაელის ღმერთს დანაშაულის მსხვერპლი. მაშინ განიკურნებით და გაიგებთ, რატომ არ გეშვებათ მისი ხელი.“

⁴მათ კი თქვეს: „რა უნდა შევწიროთ დანაშაულის მსხვერპლად?“ მიუგეს: „ხუთ-ხუთი ოქროს ბუგრი და ხუთ-ხუთი ოქროს თავვი ფილისტიმელთა მთავრების რიცხვისამებრ, რადგან ერთი სასჯელია თქვენზე და თქვენს მთავრებზე.“

⁵ჩამოასხით თქვენი ბუგრების მსგავსი ბუგრები და თქვენი თავგების მსგავსი თავგები, რომლებიც აჩანაგებენ ქვეყანას და პატივს მიაგებთ ამით ისრაელის ღმერთს. ეგებ შეამსუბუქოს ხელი თქვენზე, თქვენს ღმერთებსა და თქვენს ქვეყანაზე.

⁶ეგვიპტელებისა და ფარაონის მსგავსად რატომ ისასტიკებთ გულს? განა არ გაუშვეს მათ ხალხი, როგორც კი გაამწარა ისინი უფალმა?

⁷ახლა ადექით და ერთი ახალი ურემი გააკეთეთ. გამოარჩიეთ ორი მეწველი, უღელდაუდგმელი ფური და შეაბით ურემში, მათი ხბორები კი მოაშორეთ და შინ დატოვეთ;

⁸აიღეთ უფლის კიდობანი და ურემზე შედგით. ყუთში ოქროს ნივთები ჩააწყვეთ, რომელთაც დანაშაულის მსხვერპლად ატანთ და გვერდით მიუდგით კიდობანს. მერე გაუშვით, და წავიდეს საითაც უნდა.

⁹თვალი გააყოლეთ და თუ თავისი ქვეყნის გზას დაადგა, ბეთ-შემეშისკენ, მას მოუწევია ჩვენს თავზე ეს დიდი უბედურება; თუ არა და, გვეცოდინება, რომ მის ხელს არ ვუგვემივართ, შემთხვევით დაგვტყუია თავს ეს ამბავი.“

¹⁰ასეც მოიქცნენ: გამოარჩიეს ორი მეწველი ფური და ურემში შეაბეს. ხბორები კი შინ დაამწყვდიეს.



- ¹¹ურემზე შედგეს უფლის კიდობანი და სკივრი ოქროს თაგვებითა და თავიანთი ბუგრებით.
- ¹²პირდაპირ ბეთ-შემეშის გზას დაადგნენ ფურები. ერთ გზას მიჰყვებოდნენ და ბლაოდნენ, არც მარჯვნივ გადაუხვევიათ, არც მარცხნივ. უკან ფილისტიმელთა მთავრები მისდევდნენ ბეთ-შემეშის საზღვრამდე.
- ¹³ბეთ-შემეშელნი ამ დროს პურს მკიდნენ მინდორში. და როცა გაიხედეს და კიდობანი დაინახეს, გაუხარდათ მისი დანახვა.
- ¹⁴ბეთ-შემეშელი იოშუაყის ყანაში შევიდა ურემი და იქ გაჩერდა. დიდი ლოდი იდო იქ. მათ ურემი შეშად დაჩეხეს და ფურები სრულადდასაწველ მსხვერპლად აღუვლინეს უფალს.
- ¹⁵უფლის კიდობანი და სკივრი, რომელიც მასთან ერთად იდო და რომელშიც ოქროს ნივთები ელაგა, ლევიაზემა გადმოიღეს და იმ დიდ ლოდზე დადგეს. ბეთ-შემეშელებმა იმავე დღეს მოიტანეს სრულადდასაწველი და საკლავი დაუკლეს.
- ¹⁶ეს რომ დაინახა ფილისტიმელთა ხუთმა მთავარმა, იმავე დღეს გაბრუნდა უკან ყეკრონისაკენ.
- ¹⁷აი, ოქროს ბუგრები, რომლებიც უფალს შესწირეს ფილისტიმელებმა დანაშაულის მსხვერპლად: ერთი აშდოდისათვის იყო, ერთი – ღაზასთვის, ერთი – აშკელონისთვის, ერთი – გათისთვის, ერთიც – ყეკრონისთვის.
- ¹⁸იყო აგრეთვე ოქროს თაგვები ფილისტიმელთა ქალაქების რიცხვისამებრ, რომლებიც ეკუთვნოდა ხუთ მთავარს – ციხესიმაგრეიანი ქალაქებიდან მოყოლებული უგალავნო დაბეზამდე, და დიდ ლოდამდე, სადაც დაასვენეს უფლის კიდობანი, და ის დღემდე ბეთ-შემეშელი იოშუაყის მინდორში იმყოფება.
- ¹⁹და უფალმა მოსრა ბეთ-შემეშელნი იმის გამო, რომ მათ ჩაიხედეს უფლის კიდობანში. და მოსრა ხალხიდან 70 კაცი. მოთქვამდა ყველა, რადგან დიდი მოსვრით მოსრა უფალმა ხალხი.
- ²⁰და თქვეს ბეთ-შემეშელებმა: „ვინ დაუდგება უფალს, ამ წმიდა ღმერთს? და ვისთან წავა ის ჩვენგან?“
- ²¹გაუგზავნეს მოციქულები კირიათ-იეყარიმელებს და შეუთვალეს: „ფილისტიმელებმა დააბრუნეს უფლის კიდობანი, ჩამოდით და წაიღეთ.“

პირველი მეფეთა 7



¹მოვიდნენ კირიათ-იეყარიმელნი, წაიღეს უფლის კიდობანი და მიიტანეს აბინადაბის სახლში, ბორცვზე რომ დგას, და განაწესეს მისი ძე – ელეაზარი, უფლის კიდობნის დასაცავად.

²გავიდა ხანი, ოცმა წელმა განვლო კირიათ-იეყარიმში კიდობნის დასვენებიდან, და მოენატრა უფალი მთელს ისრაელის სახლს.

³და ელაპარაკა სამუელი მთელს ისრაელის სახლს და უთხრა: „თუ მთელი გულით გსურთ მოიქცეთ უფლისაკენ, მოიშორეთ უცხო ღმერთები და ყაშთორეთები; გულები მიმართეთ უფლისაკენ და მხოლოდ მას ემსახურეთ და მაშინ გიხსნით იგი ფილისტიმელთა ხელიდან.“

⁴მოიშორეს ისრაელიანთ ბაყალები და ყაშთორეთები და მხოლოდ უფალს ემსახურებოდნენ.

⁵და თქვა სამუელმა: „შეკრიბეთ მთელი ისრაელი მიცფაში და თქვენთვის შევეკედრები უფალს.“

⁶შეიკრიბნენ მიცფაში, და ხაპავდნენ წყალს და ღვრიდნენ უფლის წინაშე, და მარხულობდნენ იმ დღეს და ამბობდნენ: „შევეცოდეთ უფალს.“ და განსჯიდა სამუელი ისრაელიანთ მიცფაში.

⁷როცა შეიტყვეს ფილისტიმელებმა, რომ ისრაელიანები მიცფაში იყვნენ შეკრებილი, დაიდრნენ მათი მთავრები ისრაელიანთა წინააღმდეგ. ეს რომ გაიგეს ისრაელიანთ, შეუშინდნენ ფილისტიმელებს.

⁸უთხრეს ისრაელიანებმა სამუელს: „ნუ დადუმდები და ნუ შეგვიწყვეტ უფლისადმი, ჩვენი ღვთისადმი ვედრებას, იქნებ გვიხსნას ფილისტიმელთა ხელიდან.“

⁹აიყვანა სამუელმა ძუძუთა კრავი და მთლიანად შესწირა სრულადდასაწველად უფალს, და შეჰღალადა სამუელმა უფალს ისრაელისთვის და უსმინა მას უფალმა.

¹⁰როდესაც სამუელი უფალს სწირავდა სრულადდასაწველს, ფილისტიმელები მოდგნენ ისრაელთან საომრად; და იგრგვინა ძლიერი ხმით იმ დღეს უფალმა ფილისტიმელებზე და შეაძრწუნა ისინი ისე, რომ იძლივნენ ისრაელიანთა წინაშე.

¹¹გამოვიდნენ ისრაელის კაცები მიცფადან და დაედევნენ ფილისტიმელებს, და მუსრი გაავლეს მათ – ვიდრე ბეთ-ქარის ბოლომდე.

¹²და აიღო სამუელმა ერთი ლოდი და დადო იგი მიცფასა და შენს შორის, და უწოდა იმ ადგილს სახელად ებენყეზერი, და თქვა: აქამდე შეგვეწიო უფალი.



¹³დაცხრნენ ფილისტიმელები და აღარ შედიოდნენ ისრაელის საზღვრებში. და უფლის ხელი იყო ფილისტიმელთა წინააღმდეგ სამუელის სიცოცხლეში.

¹⁴დაუბრუნდა ისრაელს ის ქალაქები, რომლებიც ფილისტიმელებმა წაართვეს მათ, ყეკრონიდან გათამდე, და გამოგლიჯა ისრაელმა თავისი საზღვრები ფილისტიმელებს. და იყო მშვიდობა ისრაელსა და ამორეველთა შორის.

¹⁵და განსჯიდა ისრაელს სამუელი მთელი სიცოცხლის მანძილზე.

¹⁶და დადიოდა იგი წლიდან წლამდე, მიმოივლიდა ბეთელს, გილგალსა და მიცფას, და განსჯიდა ისრაელს ყველა იმ ადგილას.

¹⁷ბრუნდებოდა რამათს, რადგან იქ იყო მისი სახლი, და იქაც განსჯიდა ისრაელიანთ. და იქაც აუგო მან სამსხვერპლო უფალს.

პირველი მეფეთა 8

¹როცა მოხუცდა სამუელი, მსაჯულებად თავისი შვილები დაადგინა ისრაელზე.

²სახელი მისი პირმშოსი იყო იოელი, ხოლო მეორეს აბია ერქვა; ბეერ-შებაყში იყვნენ ისინი მსაჯულებად.

³მაგრამ არ გაჰყვნენ შვილები მამის გზას: ანგარებას მისდევდნენ, ქრთამებს იღებდნენ და სამართალს ამრუდებდნენ.

⁴შეიკრიბა ისრაელის ყველა უზუცესი და მიაღვა სამუელს რამაში,

⁵და უთხრეს: „აჰა, შენ მოხუცდი და შენი შვილები არ მიჰყვებიან შენს გზებს; დაგვისვი ახლა მეფე, რომ განგვსჯიდეს, როგორც სხვა ხალხებშია წესად.“

⁶არ მოეწონა ეს სიტყვა სამუელს, რაკი მათ თქვეს, მეფე მოგვეცი, რომელიც ჩვენ გაგვსჯისო. მაშინ ილოცა სამუელმა უფლის მიმართ.

⁷უთხრა უფალმა სამუელს: „გაუგონე ხალხს ყველაფერი, რასაც გეტყვიან, რადგან შენ კი არ უარგყვეს, არამედ მე უარმყვეს, რათა არ ვიმეფო მათზე.“

⁸როგორც იქცეოდნენ იმ დღიდან, რაც ეგვიპტიდან გამოვიყვანე, დღემდე, როცა დამივიწყეს და უცხო ღმერთებს დაემოვნენ, ასევე გექცევინ შენც.

⁹ახლა გაუგონე მათ ხმას; ოღონდ გააფრთხილე და აუხსენი უფლებები მეფისა, რომელიც მათზე იბატონებს.“



¹⁰გადასცა სამუელმა უფლის ყველა სიტყვა ხალხს, მეფეს რომ მოითხოვდნენ.

¹¹და უთხრა: „აი, რა უფლებები ექნება მეფეს, რომელიც თქვენზე იბატონებს: წაიყვანს თქვენს შვილებს და თავის საომარ ეტლებთან დაიყენებს და თავის მხედრებად იყოლიებს, და ირბენენ მისი ეტლის წინ;

¹²და დააყენებს მათ ათასისთავებად და ერგასისთავებად; თავისი მინდვრების მხვნელებად და მომკელებად; თავისი საბრძოლო საჭურვლისა და ეტლების მკეთებლებად.

¹³წაიყვანს თქვენს ასულებს მენელსაცხებლებად, მზარეულებად და ხაბაზებად.

¹⁴წაგართმევთ საუკეთესო მინდვრებს, ვენახებსა და ზეთისხილის ბაღებს და თავის კარისკაცებს გადასცემს.

¹⁵მეათედს აიღებს თქვენი ნათესებიდან და ვენახებიდან, და თავის საჭურისებს და მსახურებს დაურიგებს.

¹⁶წაგართმევთ საუკეთესო ყმებს, მხევლებს, მსახურ ბიჭებს, სახედრებს და თავის საქმეზე მოიმსახურებს.

¹⁷წაასხამს მეათედს თქვენი ფარებიდან და თქვენც მისი მონები გახდებით.

¹⁸და როცა გმინვა აღმოგხდებათ თქვენი არჩეული მეფის გამო, აღარ გიპასუხებთ უფალი.“

¹⁹მაგრამ არ დაუჯერა ხალხმა სამუელს და თქვა: „არა და არა, მეფე უნდა გვყავდეს,

²⁰ჩვენც სხვა ხალხების მსგავსად ვიქნებით: ჩვენი მეფე განგვსჯის, ის გვიწინამძღვრებს და ჩვენთან ერთად იბრძოლებს!”

²¹მოისმინა სამუელმა ხალხის ყოველი სიტყვა და აუწყა უფალს.

²²მაგრამ უფალმა უთხრა სამუელს: „ყურად იღე მათი სიტყვა და დაუდგინე მეფე!“ და უთხრა სამუელმა ისრაელის კაცებს: წადითო, თქვენ-თქვენს ქალაქებში!

პირველი მეფეთა 9

¹იყო ერთი კაცი ბენიამინის ტომიდან, სახელად კიში, ძე აბიელისა, მისა ცერორისა, მისა ბექორათისა, მისა აფიახისა, მისა ვინმე ბენიამინელისა – ძლიერი ვაჟკაცი.



²მას ჰყავდა მშვენიერი ვაჟი, სახელად საული. ისრაელიანთა შორის მასზე უკეთესი არავინ იყო. ერთი თავით მაღალი ჩანდა ხალხში.

³და დაეკარგა ჭაკი ვირები კიშის, საულის მამას, და უთხრა კიშიმ საულს, თავის ვაჟს: „წაიყვანე რომელიმე მსახური ბიჭი, წადი და მოძებნე ვირები.“

⁴და გადაიარა მან ეფრემის მთა, მოიარა შალიშას მხარე, მაგრამ ვირები ვერ იპოვეს; მოიარეს შაყალიმის მხარე და არც იქ იყვნენ; მოიარა ბენიამინის მხარე და ვერ იპოვეს.

⁵როცა ისინი ცუფის მხარეში მივიდნენ, საულმა უთხრა მსახურ ბიჭს, თან რომ ახლდა: „მოდით, გავბრუნდეთ უკან. დაავიწყდებოდა მამაჩემს ვირები და ჩვენი დარდი ექნება.“

⁶ხოლო მან მიუგო: „აჰა, ღვთისკაცია ამ ქალაქში, პატივცემული კაცია; რასაც იტყვის, ყველაფერი მართლდება. წავიდეთ ახლა იქით, ეგებ გვასწავლოს, რა ვიღონოთ.“

⁷საულმა უთხრა მსახურს: „რომ წავიდეთ, რა მივუტანოთ იმ კაცს? გუდაში პური აღარ დაგვრჩა, არც საჩუქარი გვაქვს რამე, ღვთისკაცს რომ მივუტანოთ. რა გაგვაჩნია?“

⁸კვლავ მიუგო მსახურმა საულს: „აჰა, მეოთხედი შეკელი ვერცხლი მაქვს, მივცეთ ღვთისკაცს და გვასწავლის გზას.“

⁹(უწინ ისრაელში ასე ამბობდა კაცი, ღმერთთან საკითხავად რომ მიდიოდა: მოდი, წავიდეთ მისანთანო, რადგან ახლა რომ წინასწარმეტყველს ემახიან, უწინ მისანს უხმობდნენ.)

¹⁰და უთხრა საულმა თავის მსახურს: „კარგი აზრია, წამოდი, წავიდეთ.“ და წავიდნენ ქალაქში, სადაც ღვთისკაცი იყო.

¹¹როდესაც ქალაქის აღმართი აიარეს, წყლის ამოსახაპად მომავალი ქალწულები შემოხვდნენ. ჰკითხეს: მისანი თუ არისო აქ სადმე?

¹²მიუგეს მათ: „აქვია, ახლოში, ოღონდ იჩქარეთ, ახლახან ამოვიდა ქალაქში, რადგან დღეს მსხვერპლშეწირვა აქვს ხალხს გორაკზე.“

¹³როგორც კი ქალაქში შეხვალთ, მაშინვე მოძებნეთ იგი, ვიდრე გორაკზე არ ასულა საჭმელად, რადგან ხალხი არაფერს შეჭამს მის მისვლამდე. მან უნდა აკურთხოს სამსხვერპლო, და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებენ ჭამას მოწვეულები. ახლა წადით, რადგან სწორედ მოასწრებთ მის ნახვას.“

¹⁴და როცა ავიდნენ ქალაქში, შიგ შესვლისას, აჰა, გორაკისაკენ მიმავალი სამუელი წამოვიდა მათ შესაგებებლად.



¹⁵საულის მოსვლამდე ერთი დღით ადრე გამოეცხადებინა უფალს სამუელისთვის:

¹⁶„ხვალ ამ დროს კაცს გამოგიგზავნი ბენიამინის მხრიდან და სცხებ მას ჩემი ერის, ისრაელის წინამძღოლად. იგი იხსნის ჩემს ერს ფილისტიმელთა ხელიდან, რადგან მოვხედე ჩემს ერს, როცა მისმა ღალატისმა ჩემამდე მოაღწია.“

¹⁷როცა დაინახა სამუელმა საული, უთხრა უფალმა: „აჰა, ის კაცი, რომელზეც გელაპარაკე; ის უწინამძღვრებს ჩემ ერს.“

¹⁸შეხვდა ჭიმკართან საული სამუელს და უთხრა: „მითხარი, სად არის აქ მისნის სახლი?“

¹⁹მიუგო სამუელმა საულს და უთხრა: „მე ვარ მისანი. წამიძებნი გორაკისაკენ, რადგან დღეს ჩემთან ერთად უნდა ჭამო პური; დილით კი გაგიშვებ, ყველაფერს გეტყვი, რაც გულში გაქვს.“

²⁰ნუ გადარდებს ვირები, სამი დღის წინ რომ დაკარგე, რადგან ნაპოვნია ისინი. ვის ეკუთვნის ისრაელის მთელი საუნჯე, თუ არა შენ და მამაშენის მთელ სახლს?“

²¹მიუგო საულმა და უთხრა: „განა მე ბენიამინელი არა ვარ, ისრაელის უმცირესი ტომიდან და განა ჩემი საგვარეულო ერთი უმცირესთაგანი არაა ბენიამინის ტომის ყველა საგვარეულოს შორის? რისთვის მეუბნები ამას?“

²²და წაიყვანა სამუელმა საული და მისი მსახური და შეიყვანა დარბაზში და 30 წვეული კაცის თავში დასხა.

²³უთხრა სამუელმა მზარეულს: „გამოიტანე ის ნაჭერი, რომელიც მოგეცი და რომელზეც გითხარი, შენთვის გადაიდე-მეთქი.“

²⁴აიღო მზარეულმა მთელი ბეჭი, გამოიტანა და წინ დაუდო საულს. უთხრა სამუელმა: „ეს არის, რაც დარჩა; წინ დაიდე და ჭამე, რადგან სწორედ იმ დროს გადავინახე შენთვის, როცა ვთქვი, ხალხი უნდა მოვიწვიო-მეთქი.“ და პურობდა საული იმ დღეს სამუელთან ერთად.

²⁵და ჩამოვიდნენ ისინი გორაკიდან ქალაქში და ერდოზე ელაპარაკა საულს.

²⁶ადგნენ დილაადრიანად. და როცა ირიჟრაჟა, დაუძახა სამუელმა საულს ერდოზე და უთხრა: „ადექი, უნდა გაგისტუმრო.“ და ადგა საული და გარეთ გავიდნენ ორივენი – ის და სამუელი.

²⁷როცა ქალაქის ბოლოზე ჩადიოდნენ, სამუელმა უთხრა საულს: „უბრძანე, დაწინაურდეს მსახური, შენ კი მცირეხანს შეჩერდი, რომ გაუწყო, რაც ღმერთმა თქვა.“ და მსახურიც წავიდა წინ.



პირველი მეფეთა 10

¹აილო სამუელმა ზეთის ჭურჭელი, თავზე დაასხა საულს, ეამბორა და უთხრა: „აჰა, გცხო უფალმა თავისი სამკვიდროს მთავრად.

²ახლა, როცა ჩემგან წახვალ, ორ კაცს შეხვდები რახელის საფლავთან, ბენიამინის საზღვრებში რომ არის, ცელცახში, რომლებიც გეტყვიან: ‘იპოვნეს ვირები, რომლების სამებრადაც შენ წახვედი. აჰა, დაავიწყდა მამაშენს ვირები და შენზე დარდობს: რა ვუყო ჩემ შვილსო?’

³და როცა გასცდები ამ ადგილს და თაბორის მუხასთან მიხვალ, იქ შემოგხვდება ბეთელისკენ ღმერთთან მიმავალი სამი კაცი. ერთს სამი თიკანი მიჰყავს, მეორეს სამი პური მიაქვს, მესამეს – ტიკით ღვინო.

⁴მშვიდობით მოგიკითხავენ და ორ პურს შემოგთავაზებენ, რომლებიც უნდა მიიღო მათი ხელიდან.

⁵ამის შემდეგ გიბეყათ-ელოჰიმზე ახვალ, სადაც ფილისტიმელთა სადარაჯოებია. ქალაქში შესვლისას გორაკიდან ჩამომავალი წინასწარმეტყველთა გუნდი შემოგხვდება, რომელთაც წინ მოუძღვებიან ქნარის, დაფდაფის, სტვირისა და ებნის დაკვრით, თავად კი ქადაგებენ.

⁶უფლის სული გადმოვა შენზე და მათთან ერთად გაქადაგდები, სხვა კაცად გადაიქცევი.

⁷როცა ყველა ეს ნიშნები აგიცხადდება, ისე მოიქეცი, როგორც მოახერხებ, რადგან ღმერთია შენთან.

⁸ჩემზე წინ უნდა ჩახვიდე გილგალში და მეც მალე ჩამოვალ შენთან, რათა შევწირო სრულადდასაწველი მსხვერპლი და სამშვიდობო მსხვერპლი. შვიდ დღეს მელოდე, ვიდრე არ მოვალ შენთან და არ გაუწყებ, რაც უნდა გააკეთო.“

⁹როგორც კი გატრიალდა საული სამუელისაგან წასასვლელად, სხვა გული ჩაუდო მას ღმერთმა და ყველა ნიშანი აუცხადდა იმავე დღეს.

¹⁰ბორცვზე ასვლისას გამოემართა მისკენ წინასწარმეტყველთა გუნდი. გადმოვიდა მასზე ღვთის სული და ისიც მათთან ერთად აქადაგდა.

¹¹ყველა, ვინც მანამდე იცნობდა მას და ხედავდა ქადაგად დაცემულს, ამბობდა: „რა დაემართა კიშის ძეს? ნუთუ საულიც გაქადაგდა?“

¹²თქვა პასუხად ერთმა იქაურმა კაცმა: „ვინ არის მათი მამა?“ ასე გაჩნდა გამოთქმა: „ნუთუ საულიც გაქადაგდა?“

¹³როცა გაასრულა ქადაგება, გორაკზე ავიდა.



¹⁴ჰკითხა საულის ბიძამ მას და მის მსახურს: „სად იარეთ?“ მათ მიუგეს: „ვირების სამეზნელად; და როცა იმედი გადავიწყვიტეთ, რომ ვერ ვიპოვნიდით, სამუელთან წავედით.“

¹⁵და თქვა საულის ბიძამ: „მომიყევი, რა გითხრათ სამუელმა.“

¹⁶უთხრა საულმა თავის ბიძას: „გამოგვიცხადა, იპოვნესო ვირები.“ ხოლო მეფობის ამბავი, სამუელმა რომ უთხრა, არ გაუმხელია მისთვის.

¹⁷მოუხმო სამუელმა ხალხს უფალთან მიცვაში

¹⁸და უთხრა ისრაელიანთ: „ასე ამბობს უფალი, ღმერთი ისრაელისა: ‘მე გამოვიყვანე ისრაელი ეგვიპტიდან, მე გიხსენით ეგვიპტელთა ხელიდან და ყველა სამეფოს ხელიდან, რომელიც კი გჩაგრავდათ;’

¹⁹თქვენ კი დღეს უარყოფთ თქვენს ღმერთს, რომელმაც გიხსნათ ყველა უბედურებისა და გასაჭირისგან, რადგან ეუბნებით: მეფე დაგვისვით! აბა, დადექით უფლის წინაშე თქვენ-თქვენი ტომებისა და საგვარეულოების მიხედვით.“

²⁰როცა სამუელმა უბრძანა ისრაელის ყველა ტომს სათითაოდ მოახლოება, ბენიამინის ტომს ხვდა წილი მისასვლელად.

²¹და როცა ბენიამინის ტომს უბრძანა მისვლა საგვარეულოების მიხედვით, მატრის საგვარეულოს ხვდა წილი; და როცა მატრის საგვარეულოს უბრძანა მოახლოება კაცით-კაცამდე, საულს, კიშის ძეს ხვდა წილი. დაუწყეს ძებნა და ვერ იპოვეს.

²²კვლავ შეეკითხნენ უფალს: „კიდევ დარჩა კაცი მოსასვლელი?“ თქვა უფალმა: „აჰა, აღაღს ეფარება.“

²³გაიქცნენ და გამოიყვანეს იქიდან. და როცა ის ხალხში ჩადგა, ერთი თავით მაღალი იყო სხვებზე.

²⁴და უთხრა სამუელმა მთელ ხალხს: „ხომ ხედავთ, ვინ აირჩია უფალმა? რადგან მთელს ხალხში არავინაა მისი მსგავსი.“ და შესძახა ხალხმა: „ღლეგრძელი იყოს მეფე!“

²⁵გამოუცხადა სამუელმა ხალხს მეფის უფლებები და ჩაწერა წიგნში და უფლის წინაშე დადო. მერე დაითხოვა სამუელმა ხალხი, ყოველი მათგანი თავ-თავის სახლში.

²⁶საულიც წავიდა თავისი სახლისაკენ, გიბეყაში. მას თან გაჰყვა მამაცი ხალხი, რომელთა გულებსაც ღმერთი შეეხო.



²⁷ხოლო უმაჟნისი ხალხი კი ამბობდა: ეგ ჩვენ როგორ გვიხსნისო? და შეიძულეს იგი და ძღვენი არ მიართვეს. საული კი თითქოს ვერაფერს ამჩნევდა.

პირველი მეფეთა 11

¹გამოვიდა ნახაშ ყამონელი და შემოადგა იაბეშ-გალაადს. და უთხრეს იაბეშელმა კაცებმა ნახაშს: „შეკარი კავშირი ჩვენთან და დაგემორჩილებით.“

²უთხრა მათ ნახაშ ყამონელმა: „ჯერ ყველას მარჯვენა თვალებს დაგთხრით, რომ სირცხვილი ვაჭამო მთელს ისრაელს, და მერე შევკრავ თქვენთან კავშირს.“

³უთხრეს იაბეშის უხუცესებმა: „შვიდი დღის ვადა მოგვეცი, რომ მოციქულები დაგვზავნოთ მთელს ისრაელის მხარეში, და თუ არავინ იქნა ჩვენი მშველელი, გამოვალთ თქვენს წინააღმდეგ.“

⁴მივიდნენ მოციქულები საულის გიბეყაში და თქვეს ყოველივე ხალხის გასაგონად. ხმა აღიმალლა მთელმა ხალხმა და იწყო ტირილი.

⁵აჰა, საულიც მოდის, ხარებს მოერეკება მინდვრიდან. „რა მოუვიდა ხალხს, რა ატირებთ?“ – იკითხა საულმა. და მიუგეს იაბეშელთა ნათქვამი.

⁶ამ სიტყვების გაგონებაზე ღვთის სული გადმოვიდა საულზე და ძლიერ განრისხდა იგი.

⁷ადგა და აკუწა უღელი ხარი და მოციქულების ხელით დაგზავნა მთელს ისრაელში, და უბრძანა ეთქვათ: „ვინც საულსა და სამუელს არ გაჰყვება, ასე მოუვათ მის ხარებს.“ უფლის შიში დაეცა ხალხს და გამოვიდა, როგორც ერთი.

⁸საულმა აღრიცხა ისინი ბეზეკში: ისრაელიანები 300 ათასი მამაკაცი იყო, იუდას კაცები – 70 ათასი.

⁹უთხრეს მოსულ მოციქულებს: „ასე უთხარით იაბეშ-გალაადის კაცებს: ხვალ, მზე რომ დააცხუნებს, თქვენი ხსნა იქნება-თქო.“ როდესაც მოვიდნენ მოციქულები და შეატყობინეს იაბეშელთ, გაიხარეს მათ.

¹⁰და თქვეს იაბეშელებმა: „ხვალ გამოვალთ თქვენს წინააღმდეგ და, რაც გენებოთ, ის გვიყავით.“

¹¹მეორე დღეს სამ რაზმად დაჰყო საულმა ხალხი და დილის სახმილავზე+ შევიდნენ შუაგულ ბანაკში და შუადღის პაპანაქებამდე



გაწყვიტეს ყამონელები. გადარჩენილნი კი ისე დაიფანტნენ, რომ ორს ერთად ვერ ნახავდა კაცი.

¹²უთხრა ხალხმა სამუელს: „ვინ ამბობდა: ‘ნუთუ საულმა უნდა იმეფოსო ჩვენზე?’ მოგვეცი ის კაცები, რომ დავხოცოთ.“

¹³საულმა კი თქვა: „ერთი კაციც არ მოკვდება დღეს, რადგან ხსნა მოუვლინა უფალმა დღეს ისრაელს.“

¹⁴უთხრა სამუელმა ხალხს: „წამოდი, წავიდეთ გილგალში და განვაახლოთ იქ მეფობა.“

¹⁵წავიდა მთელი ხალხი გილგალში, და იქ უფლის წინაშე გაამეფეს საული, და შესწირეს სამშვიდობო მსხვერპლი უფლის წინაშე. და ძლიერ გაიხარეს იქ საულმა და ყოველმა ისრაელიანმა.

პირველი მეფეთა 12

¹უთხრა სამუელმა მთელს ისრაელს: „აჰა, შევისმინე თქვენი და როგორც მითხარით, დაგისვით მეფე.

²ამიერიდან თქვენი მეფე წაგიძღვებათ წინ. მე დავბერდი და გავჰადარავდი; ჩემი ძენი თქვენთან არიან. მე მიგიძღოდით წინ ჩემი სიყმაწვილიდან დღემდე.

³აჰა, მე აქ ვარ, და მამხილეთ უფლისა და მისი ცხებულის წინაშე, თუ ვინმესთვის ხარი ან სახედარი წამირთმევია, თუ ვინმე შემივიწროებია, თუ ვინმე დამიჩაგრავს; თუ ვინმეს ხელიდან ქრთამი ამიღია, თვალი რომ დამეხუჭა მის საქმეზე, მსურს უკან დავუბრუნო.“

⁴უთხრეს: „არც შეგივიწროებივართ და არც დაგიჩაგრევართ, არც ვინმეს ხელიდან აგიღია რაიმე.“

⁵მან თქვა: „უფალი იყოს მოწმე თქვენს შორის, და მისი ცხებული იყოს მოწმე ამ დღეს, რომ ვერაფერი ჰპოვეთ ჩემს ხელში.“ და თქვა ხალხმა: „იყოს მოწმე!“

⁶და მიუგო სამუელმა ხალხს: „სწორედ უფალი იყოს მოწმე, უფალი, რომელმაც მოსე და აარონი დაადგინა, და თქვენი მამები ეგვიპტის ქვეყნიდან გამოიყვანა.

⁷აქეთ მოდექით, რომ თქვენთან ერთად განვსაჯო უფლის წინაშე ყველა მისი სიკეთე, რაც მან თქვენზე და თქვენს მამებზე მოიმოქმედა.



⁸მას შემდეგ, რაც იაკობი მივიდა ეგვიპტეში და თქვენმა მამებმა შეჰღალადეს უფალს, მოავლინა ღმერთმა მოსე და აარონი თქვენი მამების ეგვიპტიდან გამოსაყვანად და ამ ადგილას დასასახლებლად.

⁹მაგრამ როცა დაივიწყეს მათ უფალი, თავიანთი ღმერთი, ხელში ჩაუგდო ისინი სისერას, ხაცორის მხედართმთავარს, და ჩაუგდო ხელში ფილისტიმელებს, და ჩაუგდო ხელში მოაბელთა მეფეს, რომელნიც ებრძოდნენ მათ.

¹⁰მაგრამ როცა შეჰღალადეს უფალს და თქვეს: ‘შევცოდეთ, რადგან განვუდექით უფალს და ვემსახურებოდით ბაყალებსა და ყაშთორეთებს; ახლა გვიხსენი მტრების ხელთაგან და გემსახურებით,’

¹¹მოავლინა უფალმა იერუბაყალი და ბარაკა, და იფთახი და სამუელი. ის გიფარავდათ გარეშემო მტრების ხელთაგან და უსაფრთხოდ ცხოვრობდით.

¹²მაგრამ როცა დაინახეთ, რომ ყამონელთა მეფე, ნახაში მოდის თქვენს წინააღმდეგ, მითხარით: არა, მეფემ იმეფოსო ჩვენზე! მაშინ, როცა უფალი ღმერთი მეფობდა თქვენზე.

¹³ახლა, აჰა, აქ არის თქვენი მეფე, რომელიც აირჩიეთ და მოითხოვდით; აჰა, მოგცათ უფალმა მეფე.

¹⁴თუ გექნებათ უფლის შიში, თუ ემსახურებით მას, თუ შეისმენთ მის ხმას და წინ არ აღუდგებით მის ბრძანებებს, თუ თქვენცა და თქვენი მეფეც, თქვენზე რომ ხელმწიფებს, მიჰყვებით უფალს, თქვენს ღმერთს, უფლის ხელი აღარ აღიმართება თქვენს წინააღმდეგ.

¹⁵თუ არ შეისმენთ უფლის ხმას და წინ აღუდგებით უფლის ბრძანებებს, უფლის ხელი იქნება თქვენი და თქვენი მამების წინააღმდეგ.

¹⁶ახლა კი დადექით და შეხედეთ, რა დიდ საქმეს აღასრულებს უფალი თქვენს თვალწინ.

¹⁷ალოობა ხომ არ არის ახლა? მაგრამ მე შევთხოვ უფალს და მოავლენს ჭექა-ქუხილსა და წვიმას, და გაიგებთ და ნახავთ, რა დიდი ბოროტება ჩაიდინეთ უფლის თვალში, როცა მეფე მოითხოვეთ.“

¹⁸შესთხოვა სამუელმა უფალს და მოავლინა უფალმა ჭექა-ქუხილი და წვიმა იმ დღეს. ძლიერ შეეშინდა მთელ ხალხს უფლისა და სამუელის.

¹⁹და უთხრა ხალხმა სამუელს: „შევედრე უფალს, შენს ღმერთს, შენს მსახურთა გულისათვის, რომ არ გავწყდეთ, რადგან მთელს ჩვენს ცოდვებს ის ბოროტებაც დავუმატეთ, რომ მეფე მოვითხოვეთ.“



²⁰უთხრა სამუელმა ხალხს: „ნუ გეშინიათ, უკვე ჩადენილი გაქვთ მთელი ეს ბოროტება; ოღონდ ნუღარ განუდგებით უფალს და მთელი გულით ემსახურეთ მას.

²¹ნუ მიიქცევით კერპებისაკენ, რადგან უსარგებლონი არიან ისინი; ვერ გიხსნიან, რადგან ფუჭნი არიან.

²²უფალი კი არ მიატოვებს თავის ერს თავისი დიდებული სახელის გამო, რადგან ინება უფალმა, რომ თავის ერად ამოერჩიეთ თქვენ.

²³მე კი, ნუმც შემეცოდოს უფლისათვის, ნუმც შემეწყვიტოს თქვენს გამოვედრება მისთვის. მე დაგაყენებთ თქვენ სასიკეთო და სწორ გზაზე.

²⁴ოღონდ გეშინოდეთ უფლისა და ემსახურეთ ჭეშმარიტებით და მთელი გულით, რადგან ხედავთ, რა დიდი საქმე აქვს აღსრულებული თქვენთვის.

²⁵თუ მაინც არ აიღებთ ხელს ბოროტების კეთებაზე, თქვენც დაილუპებით და თქვენი მეფეც.“

პირველი მეფეთა 13

¹საული იყო... წლისა, როცა გამეფდა და... წელი მეფობდა ისრაელზე.

²გამოარჩია საულმა თავისთვის ისრაელში 3 ათასი კაცი. 2 ათასი საულთან დადგა მიქმაშში და ბეთელის მთაზე, ათასი კაცი კი იონათანთან – ბენიამინის გიბეყაში. დანარჩენი ხალხი კი თავ-თავის კარგებში გაუშვა.

³გაიგეს ფილისტიმელებმა, რომ იონათანმა გაანადგურა გებაყში მდგარი ფილისტიმელი მეციხოვნენი. საულმა ბრძანა, ბუკი დაეხრათ მთელს ქვეყანაში და გამოეცხადებინათ: ისმინონო ებრაელთ!

⁴და გაიგო მთელმა ისრაელმა, რომ გაანადგურა საულმა ფილისტიმელთა მეციხოვნენი, და მტრად ექცა ისრაელი ფილისტიმელთ, და შეიყარა მთელი ხალხი საულთან გილგალში.

⁵და შეიკრიბნენ ფილისტიმელები ისრაელის წინააღმდეგ საომრად – 30 ათასი საომარი ეტლი, 6 ათასი ცხენოსანი და ზღვის ქვიშასავით ურიცხვი ფეხოსანი; ამოვიდნენ ისინი და ბეთ-ავენის აღმოსავლეთით, მიქმაშში დაბანაკდნენ.

⁶როცა დაინახეს ისრაელიანთ, რომ გაუჭირდათ – რადგან ხალხი ძლიერ შეშინებული იყო, – მიიმალნენ მღვიმეებში, კლდის ნაპრალებში, კლდის ნახეთქებში, ორმოებსა და ჯურღმულებში.



⁷ზოგი ებრაელი იორდანეს გაღმა გადავიდა გადისა და გალაადის მხარეში. საული კი ჯერ ისევ გილგალში იყო; და მთელი ხალხი, ვინც მას გაჰყვა, დამფრთხალი იყო.

⁸შვიდ დღეს იცადა მან, სამუელის მიერ დათქმულ ვადამდე, მაგრამ არ მოდიოდა სამუელი გილგალში, ხალხი კი ეფანტებოდა.

⁹და თქვა საულმა: „მომიყვანეთ სრულადდასაწველი და სამშვიდობო მსხვერპლი!“ და აღავლინა სრულადდასაწველი.

¹⁰ის იყო დაასრულა სრულადდასაწველის აღვლენა, და აჰა, სამუელიც მოვიდა. გამოვიდა საული მის შესახვედრად და მისასალმებლად.

¹¹სამუელმა კი უთხრა: „ეგ რა ჰქენი?“ მიუგო საულმა: „დავინახე, რომ მეფანტებოდა ხალხი და შენც არ მოხვედი დათქმულ დროზე, ფილისტიმელები კი მიქმაში არიან შეკრებილნი;

¹²ვიფიქრე, ახლა დამესხმებიან ფილისტიმელები გილგალში, მე კი ჯერ არ შევკედრებივარ-მეთქი უფალს; თავს ვიკავებდი, მაგრამ მაინც აღვავლინე სრულადდასაწველი.“

¹³უთხრა სამუელმა საულს: „უგუნურად მოქცეულხარ, რომ არ დაიცავი უფლის, შენი ღმერთის ბრძანება; რაც მან გიბრძანა, არ შეასრულე; უფალი ხომ უკუნისამდე განამტკიცებდა შენს მეფობას ისრაელზე.

¹⁴ამიერიდან ველარ გაძლებს შენი მეფობა; გამოძებნის უფალი თავისი გულის სასურველ კაცს და თავისი ხალხის წინამძღოლობას უბრძანებს, რაკი უფალის ნაბრძანები არ დაიცავი.“

¹⁵ადგა სამუელი და წავიდა გილგალიდან ბენიამინის გიბეყაში. და დაითვალა საულმა თავისთან მყოფი ხალხი – ექვსასამდე კაცი.

¹⁶საული და მისი ძე – იონათანი და მათთან მყოფი ხალხი ბენიამინის გებაყში დადგნენ, ფილისტიმელები კი მიქმაში დაბანაკდნენ.

¹⁷გამოვიდა ფილისტიმელთა ბანაკიდან ქვეყნის დასარბევად სამი რაზმი. ერთი ყოფრას გზაზე გაემართა, შუყალის ქვეყნისკენ,

¹⁸მეორე რაზმი ბეთ-ხორონის გზას დაადგა, მესამე – ცებოყიმის ველისკენ მიმავალ გზას, უდაბნოზე რომ გადის.

¹⁹მჭედელი აღარ იყო მთელს ისრაელის ქვეყანაში, რადგან ფილისტიმელებს ეშინოდათ, ებრაელებმა მახვილები ან შუბები არ გაიკეთონო.

²⁰ამიტომ მთელი ისრაელი ფილისტიმელებთან ჩადიოდა, თუკი ვინმეს სახნისი, თოხი, ცული ან ნამგალი ჰქონდა გამოსაკვერი.



²¹ორი მესამედი შეკელი ღირდა სახნისის, თოხის, ცულის ან ნამგლის ალესვა.

²²როცა ბრძოლის დრო დადგა, არ აღმოაჩნდათ საულისა და იონათანის თანამდგომ ხალხს მახვილები და შუბები. მხოლოდ საულსა და მის ძეს – იონათანს აღმოაჩნდათ.

²³და გაემართა ფილისტიმელთა მოწინავე რაზმი მიქმაშის ვიწრო გზებისაკენ.

პირველი მეფეთა 14

¹გამოხდა ხანი და ერთ დღეს უთხრა იონათანმა, საულის ძემ, მსახურს, თავის საჭურველთმტვირთველს: „წამოდი, გავიდეთ ფილისტიმელთა მეციხოვნე ბანაკთან, გაღმა რომ არის.“ მამისთვის კი არაფერი უთქვამს.

²საული გიბეყას ბოლოში იმყოფებოდა, ბროწეულის ხის ქვეშ, მიგრონში რომ დგას. თან ახლდა ხალხი – ექვსასამდე კაცი,

³და ახია, ძე ახიტუბისა, მისა იქაბოდისა, მისა ფინეხასისა, მისა ყელისა – უფლის მღვდელი რომ იყო შილოში და ეფოდს რომ ატარებდა. არ იცოდა ხალხმა, სად წავიდა იონათანი.

⁴და იმ ვიწროებს, საიდანაც იონათანს სურდა ფილისტიმელთა მეციხოვნეებთან გასვლა, აქეთ-იქიდან ორი ფრიალო კლდე ეკრა, ერთს ერქვა ბოცეცი, მეორეს – სენე.

⁵ერთი კლდე ჩრდილოეთის მხრიდან იყო აღმართული, მიქმაშიდან, მეორე – სამხრეთის, გეზაყიდან.

⁶და უთხრა იონათანმა მსახურს, თავის საჭურველთმტვირთველს: „წამოდი, გავიდეთ მაგ წინადაუცვეთელთა მეციხოვნეებთან, იქნებ უფალმა მოიმოქმედოს ეს ჩვენთვის და გაგვამარჯვებინოს, რადგან უფლისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს ხსნა, ბევრი ხალხით მოხდება ეს თუ მცირეთი.“

⁷და უთხრა მას მისმა საჭურველთმტვირთველმა: „გააკეთე, რასაც გული გკარნახობს, წადი, აჰა, მეც შენთანა ვარ, როგორც შენი გული.“

⁸და თქვა იონათანმა: „აჰა, ჩვენ გავალთ მაგ ხალხთან და დავენახვებით მათ.

⁹თუ ასე გვეტყვიან: შეიცადეთ, ვიდრე ჩვენ თქვენთან მოვალთო, ადგილზე გავჩერდეთ და ნუ ავალთ მათთან.

¹⁰და თუ ასე გვეტყვიან: ჩვენთან ამოდითო, ავიდეთ, რადგან ჩვენს ხელთ ჩაუგდია ისინი უფალს. ეს იქნება ჩვენთვის ნიშანი.“



¹¹და როცა დაენახვნენ ორივენი ფილისტიმელთა მეციხოვნეებს, თქვეს ფილისტიმელებმა: „აჰა, ებრაელები გამოდიან ხვრელებიდან, სადაც იმალებოდნენ.“

¹²და გაეხმაურნენ მეციხოვნენი იონათანს და მის საჭურველთმტვირთველს და უთხრეს: „ამოდით ჩვენთან, რაღაცას გეტყვი!“ და უთხრა იონათანმა საჭურველთმტვირთველს: „მომყევი, რადგან ხელში ჩაუგდო ისინი უფალმა ისრაელს.“

¹³და ცოცვით ავიდა ზევით იონათანი, უკან მისი საჭურველთმტვირთველი მიჰყვა. და ეცემოდნენ ფილისტიმელები იონათანის წინაშე. მისი საჭურველთმტვირთველი კი მის უკან ხოცავდა მათ.

¹⁴ეს პირველი შეტაკება იყო, რომლის დროსაც ოცამდე კაცს გაავლეს მუსრი იონათანმა და მისმა საჭურველთმტვირთველმა ნახევარ ქცევა მიწაზე.

¹⁵და შიშმა მოიცვა ბანაკი, ველი და მთელი ხალხი; თვით მარბიელნიც კი შეძრწუნდნენ, და შეიძრა მიწა და უფლის შიშმა დაისადგურა.

¹⁶და საულის გუშაგებმა ბენიამინის გიბეყადან შეამჩნიეს ჩოჩქოლი ფილისტიმელთა ბანაკში.

¹⁷და უთხრა საულმა თავისთან მყოფ ხალხს: „მოძებნეთ და ნახეთ, ვინ არის წასული ჩვენგან!“ და როცა მოძებნეს, აჰა, არც იონათანი ჩანს და არც მისი საჭურველთმტვირთველი.

¹⁸და უთხრა საულმა ახიას: „ღვთის კიდობანი!“ რადგან ისრაელიანთა შორის იყო იმ დროს ღვთის კიდობანი.

¹⁹და ვიდრე საული მღვდელს ელაპარაკებოდა, კიდევ უფრო იმატა აურზაურმა ფილისტიმელთა ბანაკში. უთხრა საულმა მღვდელს: „დაუშვი ხელი!“

²⁰და ყოჩინა დასცეს საულმა და მასთან მყოფმა მთელმა ხალხმა, და როცა ისინი ბრძოლის ველზე გავიდნენ, აჰა, ყოველი მახვილი აღმართულა თანამოდმის თავზე; დიდი არეულობაა.

²¹მაშინ ის ებრაელები, უწინ რომ ფილისტიმელებთან იყვნენ და ყველგან თან დაჰყვებოდნენ მათ ბანაკს, ახლა ისრაელიანთ შეუერთდნენ, რომელნიც საულსა და იონათანს ახლდნენ.

²²ეფრემის მთებში მიმალულმა ისრაელიანებმა რომ გაიგეს ფილისტიმელების უკუქცევა, ისინიც თავისიანებს შემოუერთდნენ ბრძოლაში.

²³იხსნა იმ დღეს უფალმა ისრაელი; და ბეთ-ავენამდე მიაღწია ბრძოლამ.



²⁴გაიტანჯნენ იმ დღეს ისრაელიანები, რადგან დაარისხა საულმა ხალხი და თქვა: „წყეულიმც იყოს, ვინც პური შეჭამოს საღამომდე, ვიდრე შურს არ ვიძიებ მტრებზე.“ და მთელ ხალხს ლუკმა არ შეუჭამია.

²⁵და მთელი ხალხი ტყისკენ წავიდა, და აჰა, გოლეულია ველზე.

²⁶და როცა ხალხი გოლეულს გაუსწორდა, აჰა, თაფლი მოდის ღვარად, მაგრამ თითი არავის გაულოკავს დარისხების შიშით.

²⁷იონათანს არ იცოდა, რომ მამამისმა ხალხი დაარისხა, გაიწოდა ჰოროლი, ხელთ რომ ეკავა, ბუნით ჩააწო გოლეულში და პირთან მიიტანა ხელი; და გამოიხედა თვალში.

²⁸და მიუგო ერთმა კაცმა და უთხრა: „ფიცით დაარისხა მამაშენმა ხალხი: წყეულიმც იყოს, ვინც რაიმე შეჭამოსო დღეს! და დაიქანცა ხალხი.“

²⁹და თქვა იონათანმა: „გააწამა მამაჩემმა ქვეყანა! ხომ ხედავთ, თვალში გამოვიხედე, როგორც კი ეს ცოტა თაფლი გავსინჯე.“

³⁰რა იქნებოდა, დღეს რამე ეჭამა ხალხს იმ ნადავლიდან, მტერს რომ დააყრევინა?! უფრო დიდი არ იქნებოდა მაშინ ფილისტიმელთა მუსვრა?!“

³¹და მუსრეს იმ დღეს ფილისტიმელები მიქმაშიდან აიალონამდე, და დაიქანცა ხალხი.

³²და დაეცა ხალხი ნადავლს, გამოირეკა ცხვარ-ძროხა, ხბორები, იქვე კლავდნენ და სისხლიანად ჭამდნენ ხორცს.

³³და შეატყობინეს საულს და უთხრეს: „აჰა, სცოდავს ხალხი უფალს, სისხლიანად ჭამს ხორცს.“ მან თქვა: „ცოდვა გაქვთ ჩადენილი; ახლა მოაგორეთ ჩემსკენ დიდი ლოდი.“

³⁴და კვლავ თქვა საულმა: „გადით ხალხში და უთხარით, რომ მომიყვანოს ყოველმა მათგანმა თავისი ხარი და თავისი ცხვარი, აქ დაკლან და ჭამონ, ასე აღარ შესცოდავთ უფალს სისხლიანად ჭამით.“ და მოჰყავდა მთელ ხალხს, ყოველ მათგანს, ღამით, რაც ხელთ ჰყავდა და იქ კლავდა.

³⁵და აუგო საულმა სამსხვერპლო უფალს. ეს იყო პირველი სამსხვერპლო, რომელიც მან უფალს აუგო.

³⁶და თქვა საულმა: „დავესხათ ფილისტიმელებს ამ ღამით და გათენებამდე ვარბიოთ, რომ ერთი მათგანიც არ გადარჩეს.“ და უთხრეს: „როგორც გენებოს, ისე მოიქეცი.“ ხოლო მღვდელმა თქვა: „ჯერ ღმერთს დავეკითხოთ.“

³⁷და დაეკითხა საული ღმერთს: „დავესხა ფილისტიმელებს? თუ ჩაყრი მათ ისრაელიანთა ხელში?“ მაგრამ იმ დღეს მან პასუხი ვერ მიიღო.



³⁸და თქვა საულმა: „აქ შეიკრიბეთ, ხალხის მთავრებო, და გაარკვიეთ, ვის კისერზეა დღევანდელი ცოდვა;

³⁹რადგან, ვფიცავ უფალს, ისრაელის მხსნელს, რომ თუ ჩემს ძეს, იონათანს აწევს ეს ცოდვა, იგი უნდა მოიკლას!“ მაგრამ არავის გაუცია მისთვის პასუხი.

⁴⁰და უთხრა საულმა მთელს ისრაელიანთ: „თქვენ ერთ მხარეს დადექით, ხოლო მე და ჩემი ძე იონათანი მეორე მხარეს ვიქნებით.“ და მიუგო ხალხმა: „როგორც გენებოს, ისე მოიქეცი.“

⁴¹და მიმართა საულმა უფალს: „უფალო, ღმერთო ისრაელისა, პასუხს რატომ არ აძლევ დღეს შენს მსახურს? მე მაწევს ცოდვა, თუ ჩემს ძეს, იონათანს, უფალო ღმერთო ისრაელისა, მოგვეცი ნიშნად ურიმი; ხოლო თუ ის შენს ხალხს, ისრაელიანთ აწევს, მოგვეცი ნიშნად თუმიმი.“ და წილი იონათანს და საულს ხვდა, ხალხი კი გაუშვეს.

⁴²და თქვა საულმა: „წილი გვიყარეთ მე და ჩემს ძეს, იონათანს.“ და წილი იონათანს ხვდა.

⁴³და უთხრა საულმა იონათანს: „გამომიტყდი, რა ჩაიდინე?“ და გამოუტყდა იონათანი და უთხრა: „ხელთ რომ ჰპოროლი მეკავა, იმისი ბუნით ცოტაოდენი თაფლი გავსინჯე. და აჰა, მე მზადა ვარ სასიკვდილოდ.“

⁴⁴და თქვა საულმა: „ასე და ასე მიყოს ღმერთმა, დღესვე თუ არ მოკვდე, იონათან!“

⁴⁵მაგრამ უთხრა ხალხმა საულს: „ნუთუ უნდა მოკვდეს იონათანი, რომელმაც ასეთი დიდი გმირობა ჩაიდინა ისრაელში? ეს არ მოხდება! უფალს ვფიცავთ, თმის ერთი ღერიც არ ჩამოვარდება მისი თავიდან მიწაზე, რადგან ღვთიით მოქმედებდა ის დღეს.“ ასე იხსნა ხალხმა იონათანი და არ მოკვდა იგი.

⁴⁶და შეწყვიტა საულმა ფილისტიმელთა დევნა; და დაბრუნდნენ ფილისტიმელები თავიანთ ქვეყანაში.

⁴⁷და როცა განამტკიცა საულმა თავისი მეფობა ისრაელზე, ბრძოლა დაუწყო ირგვლივ ყველა თავის მტერს: მოაბს, ყამონელთ, ედომს, ცობას მეფეებსა და ფილისტიმელებს; და საითკენაც გაიწევდა, ყველგან იმარჯვებდა.

⁴⁸და მოიკრიბა დიდი ძალი და დაამარცხა ყამალეკი, და იხსნა ისრაელი მმარცველთა ხელიდან.

⁴⁹საულის ძენი იყვნენ: იონათანი, იშვი და მალქი-შუაყი. მის ორ ასულს ერქვა: პირმშოს – მერაბი, უმცროსს – მიქალი.



⁵⁰საულის ცოლი იყო ახინოყამი, ახიმაყაცის ასული. მისი მხედართმთავარი – აზნერი, ძე ნერისა, მისი ბიძისა.

⁵¹კიში – საულის მამა და ნერი – აზნერის მამა, აბიელის შვილები იყვნენ.

⁵²სასტიკი ბრძოლები იყო ფილისტიმელებთან საულის დროს. და სადაც დაინახავდა საული მაგარსა და გულად ვაჟკაცს, თავისთან მიჰყავდა.

პირველი მეფეთა 15

¹და უთხრა სამუელმა საულს: „უფალმა გამომგზავნა, რომ მისი ერის, ისრაელის მეფედ მეცხე. ახლა ისმინე უფლის სიტყვები.

²ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: ‘გავიხსენე, რაც ყამალეკმა გაუკეთა ეგვიპტიდან გზადმომავალ ისრაელიანთ.

³ახლა წადი და დაეცი ყამალეკს და გაუნადგურე მთელი სარჩო-საბადებელი. ნუ დაინდობ, გაწყვიტე კაცი და ქალი, ყრმა და ძუძუთა ბავშვი, ხარი და ცხვარი, აქლემი და სახედარი.”

⁴და შეჰყარა საულმა ხალხი, და აღრიცხა ტელაიმში – 200 ათასი ქვეითი და 10 ათასი იუდას ტომისა.

⁵მიადგა საული ყამალეკის ქალაქს და ხევში ჩასაფრდა.

⁶და უთხრა საულმა კენიელებს: „ადექით და განუდექით, გამოეყავით ყამალეკელებს, რომ მათთან ერთად თქვენც არ გაგანადგუროთ, რადგან სწყალობდით ეგვიპტიდან გამომავალ მთელს ისრაელს.“ და განუდგნენ კენიელები ყამალეკს.

⁷და დაეცა საული ყამალეკს და სდია ხავილადან შურამდე, ეგვიპტის აღმოსავლეთით რომ არის.

⁸და ცოცხლად შეიპყრო აგაგი, ყამალეკის მეფე, მთელი ხალხი კი მახვილის პირით მოსპო.

⁹დაინდეს საულმა და მისმა ხალხმა აგაგი, რჩეული ცხვარ-ძროხა, ბაღ-ვენახები, და ყველაფერი, რაც საუკეთესო იყო, და რისი განადგურებაც არ მოინდომეს. ყველაფერი უვარგისი და ცუდი კი გაანადგურეს.

¹⁰და იყო უფლის სიტყვა სამუელის მიმართ ნათქვამი:

¹¹„ვნანობ, რომ გავამეფე საული, რადგან განმიდგა და აღარ ასრულებს ჩემს სიტყვებს.“ და დამწუხრდა სამუელი და მთელი ღამე შეჰღალადებდა უფალს.



¹²და ადგა დილაადრიანად სამუელი საულთან შესახვედრად. და ეუწყა სამუელს, რომ საული ქარმელში ყოფილა, იქ სვეტი აღუმართავს თავისთვის, და იქიდან გამობრუნებული გილგალში ჩასულა.

¹³მივიდა სამუელი საულთან და უთხრა მას საულმა: „კურთხეული ხარ უფლისაგან! მე აღვასრულე უფლის სიტყვა.“

¹⁴და თქვა სამუელმა: „რა არის? ცხვრის ბლავილი და ძროხის ზმუილი ყურში რომ ჩამესმის?“

¹⁵და მიუგო საულმა: „ყამალეკისგან წამოასხეს, რადგან დაინდო ხალხმა რჩეული ცხვარი და ძროხა, რომ უფლის, შენი ღმერთისთვის შეეწირათ. დანარჩენი გავანადგურეთ.“

¹⁶და უთხრა სამუელმა საულს: „მათქმევინე, რაც უფალმა მითხრა წუხელ.“ და უთხრა საულმა მას: ილაპარაკეო.

¹⁷და თქვა სამუელმა: „მაშინაც ხომ უღირსად მიგაჩნდა თავი, როცა ისრაელის ტომთა მეთაური გახდი და ისრაელის მეფედ გცხო უფალმა?“

¹⁸დაგაყენა გზაზე უფალმა და გითხრა: ‘წადი და დაარისხე შემცოდე ყამალეკი. ებრძოლე მას, ვიდრე ბოლოს არ მოუღებ!’

¹⁹რად არ შეისმინე უფლის ხმა, რატომ დაიტაცეთ ნადავლი და ჩაიდინე ბოროტება უფლის თვალში?“

²⁰და უთხრა საულმა სამუელს: „მე დავმორჩილდი უფლის ხმას და წავედი იმ გზით, რომელზეც დამაყენა უფალმა. მოვიყვანე აგაგი, ყამალეკის მეფე, ხოლო ყამალეკი გავანადგურე.“

²¹ხალხმა წამოასხა ნადავლიდან ცხვარი და ძროხა, დარისხებულის საუკეთესო ნაწილი, რომ უფლისთვის, შენი ღმერთისთვის შეეწირა მსხვერპლად გილგალში“

²²და თქვა სამუელმა: „ნუთუ სრულადდასაწველნი და მსხვერპლები ისევე ეამება უფალს, როგორც მოსმენა მისი სიტყვისა? მოსმენა მსხვერპლებზე უკეთესია და მორჩილება – ვერძის ლურთებზე.“

²³რადგან ერთი ცოდვაა მისნობა და ურჩობა; ერთი ცოდვაა კერპთაყვანისმცემლობა და სიჯიუტე. რაკილა მოიძულე უფლის სიტყვა, ისიც მოიძულებს შენს მეფობას.“

²⁴უთხრა საულმა სამუელს: „შევცოდე, რომ განვერიდე უფლის სახეს და გადავუხვით შენს სიტყვას, რადგან ხალხის შემეშინდა და მის ხმას გავუგონე.“



²⁵ახლა შემინდე ჩემი ცოდვა და დაბრუნდი ჩემთან ერთად, რომ თაყვანი ვცე უფალს.“

²⁶და უთხრა სამუელმა საულს: „არ დავბრუნდები შენთან ერთად, რადგან შეიძულე უფლის სიტყვა და უფალმაც მოგიძულა ისრაელის მეფედ.“

²⁷შებრუნდა სამუელი წასასვლელად და მოეჭიდა საული მისი მოსასხამის კალთას და გაიგლიჯა ის.

²⁸და უთხრა მას სამუელმა: „გამოგლიჯა დღეს უფალმა ისრაელის მეფობა და მისცა იგი შენს თვისტომს, შენზე უკეთესს.“

²⁹და არ იცრუებს ისრაელის დიდება და არ გადაიფიქრებს, რადგან ადამიანი არ არის ის, რომ გადაიფიქროს.“

³⁰და თქვა საულმა: „შევცოდე. ახლა ჩემი ერის უზუცესთა და ისრაელის წინაშე მაინც დამდე პატივი და დაბრუნდი ჩემთან ერთად, რომ თაყვანი ვცე უფალს, შენს ღმერთს.“

³¹და გაჰყვა სამუელი საულს და თაყვანი სცა საულმა უფალს.

³²და თქვა სამუელმა: „მომიყვანეთ აგაგი, ყამალეკის მეფე.“ მოვიდა მასთან შებორკილი აგაგი. და იფიქრა აგაგმა: ნამდვილად ამცდა მწარე სიკვდილიო.

³³მაგრამ სამუელმა უთხრა: „როგორც უშვილოდ დატოვა შენმა მახვილმა ქალები, ასევე უშვილო დარჩება დედაშენი ქალთა შორის!“ და აჩეხა აგაგი სამუელმა გილგალში უფლის წინაშე.

³⁴და წავიდა სამუელი რამას, საული კი თავის სახლში დაბრუნდა, საულის გიბეყაში.

³⁵და აღარ უნახავს სამუელს საული თავისი დარჩენილი სიცოცხლის დღეებში, მაგრამ წუხდა კი მასზე. უფალიც ნანობდა, საული რომ გაამეფა ისრაელზე.

პირველი მეფეთა 16

¹და უთხრა უფალმა სამუელს: „როდემდის უნდა წუხდე საულზე? მე ხომ განვაყენე იგი ისრაელის მეფობისგან? აავსე რქა ზეთით და წადი; ბეთლემელ იესესთან გაგზავნი, რადგან მის ძეთა შორის დავიგულე ჩემთვის მეფე.“

²და თქვა სამუელმა: „როგორ წავიდე? საულმა რომ გაიგოს, მომკლავს.“ და უთხრა უფალმა: „თან წაიყვანე ერთი დეკეული ნახირიდან და თქვი: უფლისთვის მსხვერპლის შესაწირად მოვედი-თქო.“



³მსხვერპლთან დაუმახე იესეს და მე გასწავლი, რაც უნდა გააკეთო, ზეთს სცხებ მას, ვისზეც გეტყვი.“

⁴უფლის სიტყვისამებრ მოიქცა სამუელი და მივიდა ბეთლემს. ძრწოლით გამოეგებნენ ქალაქის უხუცესები და უთხრეს: „ხომ მშვიდობაა?“

⁵და უპასუხა მან: „მშვიდობაა! მსხვერპლი მინდა შევწირო უფალს, ამიტომ მოვედი. განიწმიდენით და მსხვერპლთან წამომყევით.“ განწმიდა სამუელმა იესე და მისი ძენი და მსხვერპლთან მიიწვია.

⁶და როცა მივიდნენ, შეხედა მან ელიაზს და გაიფიქრა: „აჰა, უფლის წინაშეა მისი ცხებული!“

⁷და უთხრა უფალმა სამუელს: „ნუ უყურებ მის გარეგნობას, ნურც მის ახოვანებას, რადგან მე განვაყენე იგი, რადგან უფალი ადამიანი როდია, რომ თვალადობით განსჯიდეს, არამედ გულს უყურებს კაცისას.“

⁸და მოუხმო იესემ აბინადაზს და სამუელის წინ გაატარა. და თქვა მან: „არც ეს აურჩევია უფალს.“

⁹და ჩამოატარა იესემ შამა, და თქვა სამუელმა: „არც ეს არის უფლის რჩეული.“

¹⁰ასე ჩამოატარა იესემ თავისი შვიდი ძე სამუელის წინაშე, მაგრამ უთხრა სამუელმა იესეს: „ამათგან არც ერთი არ აურჩევია უფალს.“

¹¹და ჰკითხა სამუელმა იესეს: „სულ ეს არიან შენი ყმაწვილები?“ და თქვა მან: „კიდევ დარჩა ამათ გარდა უმცროსი, მაგრამ ის ცხვარსა მწყემსავს.“ და უთხრა სამუელმა იესეს: „გააგზავნე და მოაყვანიე, რადგან მის მოსვლამდე ინახით ვერ დავსხდებით.“

¹²გააგზავნა იესემ და მოაყვანინა ის. წითური იყო, ლამაზი თვალები ჰქონდა და სანდომიანი სახე. და უთხრა უფალმა სამუელს: „ადექი, სცხე მას, რადგან სწორედ ეს არის ის.“

¹³და აიღო სამუელმა ზეთით სავსე რქა და სცხო მას მისი ძმების თანდასწრებით. და დაივანა უფლის სულმა დავითზე იმ დღიდან მოყოლებული. ადგა სამუელი და წავიდა რამას.

¹⁴და განემორა საულს უფლის სული და აწვალებდა ბოროტი სული უფლისაგან.

¹⁵და უთხრეს მისმა მსახურებმა საულს: „აჰა, ბოროტი სული გაშფოთებს შენ ღმერთისაგან.“



¹⁶უბრძანოს ჩვენმა ბატონმა შენს მსახურთ, მოძებნონ კაცი, ქნარზე დამკვრელი; და როცა შემოგაწვება ბოროტი სული ღმერთისაგან, ის დაუკრავს და შვება მოგეცემა.“

¹⁷და უთხრა საულმა თავის მსახურთ: „მომიძებნეთ კაცი, კარგად რომ უკრავდეს ქნარზე, და მომიყვანეთ.“

¹⁸და მიუგო ერთმა მსახურთაგანმა და უთხრა: „აჰა, მინახავს ბეთლემელი იესეს ვაჟი, იცის ქნარზე დაკვრა, ქველი და მამაცი კაცია, სიტყვამჭევრი და ლამაზი, უფალია მასთან.“

¹⁹და გაგზავნა საულმა მოციქულები იესესთან და დააბარა: გამომიგზავნე დავითი, შენი ვაჟი, ცხვარში რომ გყავსო.

²⁰და აჰკიდა იესემ სახედარს პური და ერთი ტიკი ღვინო, გამოიყვანა ერთი თიკანი და გაატანა დავითს, თავის ძეს, საულთან.

²¹და მივიდა დავითი საულთან და დადგა მის წინაშე. და ძალზე შეიყვარა იგი საულმა და თავის საჭურველთმცირთველად დანიშნა.

²²და გაუგზავნა საულმა იესეს კაცები, რომ ეთქვათ: „დარჩეს ჩემთან დავითი, რადგან მადლი ჰპოვა ჩემს თვალში.“

²³და როცა კი შემოაწვებოდა ბოროტი სული ღმერთისაგან საულს, აიღებდა დავითი ქნარს და უკრავდა, და შვებას გრძნობდა საული და უკეთ ხდებოდა, და შორდებოდა ბოროტი სული.

პირველი მეფეთა 17

¹და შეჰყარეს ფილისტიმელებმა საომრად ლაშქარი, და შეიკრიბნენ იუდას სოქოში და დაიბანაკეს სოქოსა და ყაზეკას შორის, ეფეს-დამიმში.

²ასევე საული და ისრაელიანებიც შეიყარნენ და დაბანაკდნენ მუხის ველზე, და დაეწყვნენ ფილისტიმელებთან საომრად.

³ფილისტიმელები ერთი მთის კალთაზე იდგნენ, ისრაელიანები – მეორე მთისა, მათ შუა კი ღელე იყო.

⁴და გამოვიდა ფილისტიმელთა ბანაკიდან მორკინალი კაცი, სახელად გოლიათი, გათელი. სიმაღლე ექვსი წყრთა და ერთი მტკაველი ჰქონდა,

⁵თავზე ბრინჯაოს მუზარადი ეხურა და ჯაჭვის ჯავშანი ეცვა. ჯავშნის წონა 5 ათასი შეკელი იყო.

⁶ფეხებზე ბრინჯაოს საბარკულები ეკეთა და მხარზე ბრინჯაოს ჰოროლი გაედო.



⁷და მისი შუბის ბუნი საქსელე ლილვის სიმსხო იყო, ხოლო შუბის პირი ექვსას რკინის შეკელს იწონიდა. მას წინ ფარისმტვირთველი მოუძლოდა.

⁸და მოდგა იგი და უკიოდა ისრაელიანთა რაზმებს: „რატომ გამოხვედით საომრად? მე ფილისტიმელთათვის ვიბრძვი, თქვენ კი საულის მონები ხართ? გამოარჩიეთ თქვენში კაცი, ჩამოვიდეს ჩემთან;

⁹თუ ის გაიმარჯვებს ჩემთან ბრძოლაში და დამამარცხებს, ჩვენ თქვენი მსახურნი გავხდებით. თუ მე გავიმარჯვებ მასთან ბრძოლაში და დავამარცხებ, თქვენ გავგიხდებით მონებად და მსახურებად.“

¹⁰და კვლავ დასძინა ფილისტიმელმა: „სირცხვილს ვაჭმევ დღეს ისრაელის რაზმებს! გამომიყვანეთ კაცი ვინმე და გვაბრძოლეთ ერთმანეთთან.“

¹¹როცა გაიგონეს საულმა და მთელმა ისრაელიანებმა ფილისტიმელის ეს მუქარა, დაფრთხნენ და მეტისმეტად შეშინდნენ.

¹²დავითი იყო ძე იმ იუდას ბეთლემელი ეფრათელისა, რომელსაც სახელად იესე ერქვა და რომელიც რვა ვაჟის მამა იყო. ყველაზე ხნოერი მოხუცი იყო ის კაცი საულის დღეებში.

¹³და წაჰყვა საულს ბრძოლაში იესეს სამი უფროსი ძე. ომში წასული მისი ვაჟების სახელები იყო: პირმშოსი – ელიაბი, მომდევნოსი – აბინადაბი, მესამესი – შამა.

¹⁴დავითი კი ნაბოლარა იყო; სამი უფროსი ძმა რომ საულს წაჰყვა,

¹⁵დავითი საულისგან ბეთლემში დაბრუნდა, რათა მამამისის ცხვარი ემწყემსა.

¹⁶40 დღის განმავლობაში გამოდიოდა დილა-საღამოს ის ფილისტიმელი.

¹⁷და უთხრა იესემ დავითს, თავის ძეს: „აიღე ეს ერთი ეფა ქუმელი, ეს ათი პური, და სასწრაფოდ წაუღე შენს ძმებს ბანაკში.

¹⁸ხოლო ეს ათი თავი ყველი ათასისთავს წაუღე. და ნახე, მშვიდობით თუ არიან და მოიტანე მათი ამბავი.“

¹⁹საული და ისინი, და ისრაელის ყველა მამაკაცი მუხის ველზე იყვნენ და ემზადებოდნენ ფილისტიმელებთან საომრად.

²⁰დილაადრიანად ადგა დავითი, ფარა ყარაულს ჩააბარა, ტვირთი აიღო და წავიდა, როგორც იესემ უბრძანა, და მიადგა ბანაკს. ჯარი ირაზმებოდა და საბრძოლო ყიჟინას იწყებდა.

²¹და დაეწყვნენ ისრაელიანები და ფილისტიმელები, რაზმი რაზმის პირისპირ.



22და ჩააბარა დავითმა თავისი ტვირთი ალაღის გუშაგს და მიაშურა რაზმს. მივიდა და მშვიდობით მოიკითხა თავისი ძმები.

23ის მათთან ლაპარაკში იყო, რომ, აჰა, გამოვიდა ფილისტიმელთა რაზმიდან მორკინალი, სახელად გოლიათი, გათელი ფილისტიმელი. ფილისტიმელთა ლაშქრის წინ დაიწყო სიარული და წინანდებურად ალაპარაკდა. დავითმა ყველაფერი გაიგონა.

24და როგორც კი დაინახეს ეს კაცი, დაფრთხნენ ისრაელიანები, რადგან მეტისმეტად შეშინდნენ.

25და ამბობდა ერთი ისრაელიანი: „ხედავთ იმ კაცს, რომ გამოვიდა? ისრაელის ლაშქრის შესარცხვენად არის გამოსული. ვინც მას სძლევს, დოვლათით აავსებს მეფე, თავის ასულს მიათხოვებს ცოლად და მამამისის სახლს გაააზატებს ისრაელში.“

26და ჰკითხა დავითმა მის ახლოს მდგარ კაცებს: „რა ბედი ეწევა კაცს, ვინც ამ ფილისტიმელს დაამარცხებს და სირცხვილს ააცილებს ისრაელიანთ? რადგან ვინ არის ეგ წინადაუცვეთელი ფილისტიმელი, ასეთ სირცხვილში რომ აგდებს დღეს ცოცხალი ღვთის რაზმებს?“

27უთხრა მას ხალხმა იგივე სიტყვები: „ასეთი და ასეთი ბედი ეწევა კაცს, ვინც მას დაამარცხებს.“

28და გაიგონა ელიაბმა, მისმა უფროსმა ძმამ, ხალხს რომ ელაპარაკებოდა დავითი, და განურისხდა მას და უთხრა: „რისთვის ჩამოხვედი აქ? ვის დაუტოვე ის უბადრუკი ფარა უდაბნოში? კარგად ვიცი შენი ამპარტავნებისა და ავგულობის ამბავი, რადგან შენი თავნებობით ხარ ბრძოლის საყურებლად წამოსული!“

29და უპასუხა დავითმა: „ისეთი რა გავაკეთე ახლა? მხოლოდ ერთი სიტყვა არა ვთქვი?“

30და სხვა მხარეს გატრიალდა მისგან და იგივე იკითხა. იგივე უპასუხა ხალხმა, რაც სხვებმა უთხრეს.

31და გაიგონეს დავითის ნათქვამი სიტყვები და მიუტანეს საულს; და მოაყვანინა იგი საულმა.

32და უთხრა დავითმა საულს: „გული ნურავის შეუდრკება მის წინაშე. წავა შენი მსახური და შეებრძოლება ამ ფილისტიმელს.“

33და უთხრა საულმა დავითს: „ვერ გახვალ საომრად მაგ ფილისტიმელთან, რადგან შენ ყმაწვილი ხარ, ის კი მებრძოლია სიყრმიდანვე.“



³⁴და უთხრა დავითმა საულს: „შენი მსახური თავისი მამის ფარას მწყემსავდა; და როცა დამეცემოდა ლომი ან დათვი და ფარიდან ცხვარს მომტაცებდა,

³⁵გავეკიდებოდი, დავეცემოდი და ნადავლს პირიდან ვგლეჯდი. ხოლო თუ შემომიტევდა, ყბებში ჩავავლებდი ხელს და ვკლავდი.

³⁶ლომსაც და დათვსაც ამარცხებდა შენი მსახური. ამ წინადაუცვეთელ ფილისტიმელსაც იგივე დაემართება, რადგან სირცხვილში აგდებს იგი ცოცხალი ღვთის რაზმებს.“

³⁷და თქვა დავითმა: „უფალი, რომელსაც დავუხსნივარ ლომისა და დათვისაგან, ახლაც დამიხსნის ამ ფილისტიმელისაგან.“ და უთხრა საულმა დავითს: „მიდი, უფალი იყოს შენთან!“

³⁸და შემოსა საულმა დავითს თავისი საკუთარი აბჯარი და დაადგა თავზე მუზარადი ბრინჯაოსი, და ჯავშანი ჩააცვა.

³⁹და შემოირტყა დავითმა საულის მახვილი აბჯარს ზემოდან და სიარული ველარ შეძლო, რადგან მიჩვეული არ იყო ამგვარ აღჭურვილობას. და უთხრა დავითმა საულს: „არ შემიძლია ამით სიარული, რადგან არა ვარ ნაჩვევი.“ და ჩამოიხსნა ისინი დავითმა.

⁴⁰და აიღო ხელში თავისი კომბალი, გამოარჩია ხუთი რიყის ქვა და ჩაიყარა მწყემსის გუდაში, რომელიც თანა ჰქონდა. და შურდულით ხელში გავიდა ფილისტიმელთან.

⁴¹და გამოვიდა ფილისტიმელიც, წამოვიდა დავითისაკენ და უახლოვდებოდა; წინ ფარისმტვირთველი მოუძღოდა მას.

⁴²და დაინახა ფილისტიმელმა დავითი და სასაცილოდ აიგდო, რადგან ყმაწვილი იყო იგი, წითური და თვალად ლამაზი შესახედავი.

⁴³და უთხრა ფილისტიმელმა დავითს: „ძალდი ხომ არა ვარ, კეტით რომ გამოდიხარ ჩემთან.“ და დაწყევლა ფილისტიმელმა დავითი თავისი ღმერთის სახელით.

⁴⁴და უთხრა ფილისტიმელმა დავითს: „ახლოს მოდექი, რომ ცის ფრინველსა და ველის ნადირს მივცე შენი ხორცი საჯიჯგნად.“

⁴⁵და უთხრა დავითმა ფილისტიმელს: „შენ ხმლით, შუბითა და ფარით გამოდიხარ ჩემთან, მე კი ცაბაოთ უფლის, ისრაელის მხედრობის ღმერთის სახელით, რომელიც შენ შეურაცხევ.

⁴⁶დღეს ჩაგაგდებს უფალი ჩემს ხელში, და დაგამარცხებ; თავს მოგაცლი, და შენს მძორს და ფილისტიმელთა მხედრობის მძორებს ცის ფრინველთ და



მიწის მხეცებს მივცემ საჯიჯგნად, და შეიტყობს მთელი ქვეყანა, რომ ისრაელს ჰყავს ღმერთი;

⁴⁷და შეიტყობს მთელი ეს კრებული, რომ უფალი არა მახვილითა და შუბით იხსნის, და, რომ უფლისა არის ეს ბრძოლა, და ის ჩაგვიგდებს ხელში თქვენს თავს.”

⁴⁸როცა აღიმართა ფილისტიმელი და წამოვიდა და უახლოვდებოდა დავითს, ისწრაფა დავითმა და გაიქცა მწყობრისკენ ფილისტიმელთან შესახვედრად.

⁴⁹ჩაყო ხელი დავითმა გუდაში, ამოიღო იქიდან ქვა, სტყორცნა შურდული და შიგ შუბლში მოარტყა ფილისტიმელს. შუბლში ჩაეჭედა ქვა და პირქვე დაემხო ფილისტიმელი.

⁵⁰და სძლია დავითმა ფილისტიმელს შურდულითა და ქვით. დაამარცხა და მოკლა იგი. და მახვილი არ სჭერია დავითს ხელში.

⁵¹მიირბინა დავითმა და თავზე დაადგა ფილისტიმელს, აიღო მისი მახვილი, ქარქაშიდან ამოაძრო და მოკლა იგი და მოსჭრა თავი. და როცა დაინახეს ფილისტიმელებმა, რომ მკვდარი იყო მათი გმირი, გაიქცნენ.

⁵²მაშინ წამოიშალნენ ისრაელისა და იუდას კაცები, საბრძოლო ყიჟინა ატეხეს და სდიეს ფილისტიმელებს ხეობამდე და ყეკრონის კარიბჭეებამდე. და გზაზე ეცემოდნენ განგმირული ფილისტიმელები შაყარაიმიდან გათამდე, და ყეკრონამდე.

⁵³და მობრუნდნენ უკან ისრაელიანები ფილისტიმელთა დევნიდან და გამარცხეს მათი ბანაკი.

⁵⁴და აიღო დავითმა ფილისტიმელის თავი და წაიღო იერუსალიმში, მისი საჭურველი კი თავის კარავში დააწყო.

⁵⁵როცა დაინახა საულმა ფილისტიმელის წინააღმდეგ მიმავალი დავითი, უთხრა აბნერს, თავის მხედართმთავარს: „ვისი შვილია ეს ყმაწვილი, აბნერ?“ და უთხრა აბნერმა: „შენს სიცოცხლეს ვფიცავ, არ ვიცი, მეფეო.“

⁵⁶თქვა მეფემ: „იკითხე, ვისი ძეა ეს ჭაბუკი.“

⁵⁷და როცა დავითი ფილისტიმელის დამარცხების შემდეგ უკან ბრუნდებოდა, ხელი მოჰკიდა მას აბნერმა და წარუდგინა საულს. და ხელში ფილისტიმელის თავი ეჭირა.

⁵⁸უთხრა საულმა: „ვისი ძე ხარ, ყმაწვილო?“ უთხრა დავითმა: „შენი მსახურის, იესეს ძე ვარ, ბეთლემელის.“



პირველი მეფეთა 18

¹და როცა დავითმა დაამთავრა საულთან ლაპარაკი, შეეკრა იონათანის სული მის სულს, და შეიყვარა იგი იონათანმა, როგორც თავისი საკუთარი სული.

²და წაიყვანა იმ დღეს იგი საულმა და არ დაანება მამის სახლში დაბრუნება.

³და შეკრა იონათანმა დავითთან კავშირი, რადგან შეიყვარა იგი, როგორც თავისი საკუთარი სული.

⁴და განიძარცვა იონათანმა თავისი მოსასხამი და მისცა დავითს; მისცა აგრეთვე თავისი ჯაჭვ-ჭური, თავისი მახვილი და თავისი მშვილდ-კაპარჭი, და მთელი თავისი საჭურველი თავისი სარტყლიანად.

⁵გონივრულად იქცეოდა დავითი ყველგან, სადაც კი გააგზავნიდა მას საული. და დაადგინა იგი საულმა ლაშქრის მეთაურად და ყველას მოეწონა ეს ამბავი – ხალხსაც და საულის მსახურებსაც.

⁶და როცა ისინი და დავითი ფილისტიმელის დამარცხების შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ, გამოდიოდნენ ქალები ისრაელის ყველა ქალაქიდან საულ მეფის მისაგებებლად სიმღერითა და როკვით, დაფდაფებითა და მხიარული შეძახილებით.

⁷სიმღერით გაჰყვიროდნენ მხიარული ქალები და ამბობდნენ: „შემუსრა საულმა ათასები, დავითმა – 10 ათასები!“

⁸და ძალიან განაწყენდა საული, არ მოეწონა ეს სიტყვები, და თქვა: „დავითს 10 ათასები მისცეს, მე კი – ათასები, მეფობადა აკლია!“

⁹და იმ დღიდან მოყოლებული აღმაცერად უყურებდა საული დავითს ბოლომდე.

¹⁰მეორე დღეს დაეცა საულს ბოროტი სული ღვთისაგან და გაშმაგდა იგი თავის სახლში. დავითი კი, ჩვეულებრივ, ქნარზე უკრავდა; საულს შუბი ეპყრა ხელთ.

¹¹და ესროლა საულმა შუბი დავითს, იფიქრა, კედელს მივაგმირავო, მაგრამ ორგზის გაუსხლტა მას დავითი.

¹²და დაუშინდა საული დავითს, რადგან უფალი იყო დავითთან, მას კი განემორა.

¹³და განიშორა საულმა დავითი და დაადგინა იგი ათასისთავად. და გამოდიოდა და შედიოდა იგი ხალხის წინაშე.



¹⁴ჭკვიანურად წარმართავდა თავის საქმეებს დავითი, და უფალი იყო მასთან.

¹⁵და ხედავდა საული, რომ ძალზედ გონიერი იყო დავითი, და ეშინოდა მისი.

¹⁶მთელს ისრაელსა და იუდას უყვარდა დავითი, რადგან გამოდიოდა და შედიოდა მათ წინაშე.

¹⁷და უთხრა საულმა დავითს: „აჰა, ჩემი უფროსი ასული – მერაბი მინდა ცოლად მოგცე, ოღონდ მამაცად მეყოლე და გადაიხადე უფლის ომები.“ საული ფიქრობდა, ჩემს ხელს არ ავლმართავ მის წინააღმდეგ, დაე, ფილისტიმელთა ხელი იყოს მასზეო.

¹⁸და უთხრა დავითმა საულს: „ვინ ვარ მე? და რას წარმოადგენს ჩემი მოდგმა – მამაჩემის გვარი – ისრაელში, რომ მეფის სიძე გავხდე?“

¹⁹მაგრამ როცა დადგა დრო, როდესაც საულის ასული – მერაბი დავითისთვის უნდა მიეთხოვებინათ, მეხოლათელ ყადრიელს გააყოლეს.

²⁰და შეუყვარდა დავითი მიქალს, საულის ასულს. და როცა ამცნეს საულს, მოეწონა მას ეს ამბავი.

²¹და თქვა საულმა: „მივათხოვებ, რომ მახედ ექცეს მას და მისწვდეს ფილისტიმელთა ხელი.“ უთხრა საულმა დავითს: „მეორეთი დამესიძები მე დღეს.“

²²და უბრძანა საულმა თავის მსახურთ: „საიდუმლოდ ჩააგონეთ დავითს და უთხარით, მოსწონხარ მეფეს და მის მსახურებსაც უყვარხარ, დაესიძე-თქო მეფეს.“

²³და მიიტანეს საულის მსახურებმა დავითის ყურამდე ეს სიტყვები. და თქვა დავითმა: „ადვილი გგონიათ მეფის სიძეობა? მე ერთი უპოვარი და უბირი კაცი ვარ.“

²⁴და აცნობეს მისმა მსახურებმა საულს: ასე ლაპარაკობსო დავითი.

²⁵და თქვა საულმა: „ასე უთხარით დავითს, სხვა ურვადი არ სურს-თქო მეფეს, გარდა ფილისტიმელთა 100 ჩუჩისა, რათა შური მიეგოთ მეფის მტრებს.“ რადგან საული ფიქრობდა, რომ დავითი ფილისტიმელთა ხელით დაეცემოდა.

²⁶და აცნობეს საულის მსახურებმა დავითს ეს სიტყვები და მოეწონა დავითს, მეფის სიძე რომ უნდა გამხდარიყო.

²⁷ჯერ დათქმული დრო არ გასულიყო, რომ ადგა დავითი და წავიდა თავის კაცებთან ერთად, და მოსრა 200 ფილისტიმელი. და მოიტანა დავითმა მათი



ჩუჩები და სრულად ჩააბარა მეფეს, რათა გამხდარიყო მეფის სიძე. მაშინ მიათხოვა საულმა მიქალი, თავისი ასული ცოლად.

²⁸და დაინახა საულმა და მიხვდა, რომ უფალი იყო დავითთან. და უყვარდა იგი მიქალს, საულის ასულს.

²⁹და კიდევ უფრო შეეშინდა საულს დავითისა და სამუდამო მტრად გადაეკიდა.

³⁰გამოდიოდნენ ფილისტიმელთა სარდლები საომრად, და როცა კი გამოვიდოდნენ, დავითი საულის ყველა მსახურზე გონივრულად იქცეოდა, და დიდად განითქვა მისი სახელი.

პირველი მეფეთა 19

¹და ეუბნებოდა საული იონათანს, თავის ძეს, და ყველა თავის მსახურს, მოეკლათ დავითი, მაგრამ იონათანს, საულის ძეს, ძლიერ უყვარდა დავითი

²და შეატყობინა იონათანმა დავითს და უთხრა: „შენი მოკვლა უნდა მამაჩემს. ფრთხილად იყავი ხვალ დილით, სადმე დაიმალე.“

³მე კი გამოვალ და მამაჩემის გვერდით დავდგები მინდორში, სადაც შენ იქნები; შენზე ჩამოვუგდებ სიტყვას მამაჩემს; გავიგებ, რა უდევს გულში და შეგატყობინებ.“

⁴გამოესარჩლა იონათანი დავითს საულთან, თავის მამასთან, და უთხრა: „ნუ დაიდებს მეფე თავისი მსახურის, დავითის ცოდვას, რადგან არაფერი დაუშავებია მას შენს წინაშე. სიკეთის მეტი არა უქნია რა შენთვის.“

⁵თავი სასიკვდილო საფრთხეში ჩაიგდო და ფილისტიმელი მოკლა, და კიდევ დიდი ხსნა მოუტანა უფალმა ისრაელს. და ხედავდი და ხარობდი. რისთვის უნდა შესცოდო უდანაშაულო სისხლის დაღვრით და უმიზეზოდ რატომ უნდა მოკლა დავითი?“

⁶და გაუგონა საულმა იონათანის ხმას და დაიფიცა: ცოცხალი უფალია მოწმე, არ მოკვდებაო დავითი!

⁷და მოიხმო იონათანმა დავითი და შეატყობინა ყველაფერი. და მიუყვანა იონათანმა დავითი საულს, და ძველებურად იყო ის მის წინაშე.

⁸კვლავ დაიწყო ომი, გამოვიდა დავითი, შეებრძოლა ფილისტიმელებს და სასტიკად დაამარცხა ისინი, და გაურბოდნენ მას ფილისტიმელნი.

⁹და იყო ბოროტი სული უფლისაგან საულზე, და ის შინ იჯდა შუბით ხელში, დავითი კი იქვე სიმეზზე უკრავდა ხელით.



¹⁰და უნდოდა საულს კედელზე მიეგმირა შუბით, მაგრამ გაუსხლტა დავითი და კედელს შეერჭო შუბი. დავითი კი გაიქცა და გადაურჩა სიკვდილს იმ ღამით.

¹¹და მიუჩინა საულმა დავითის სახლს გზირები, რათა დადარაჯებოდნენ მას და მოეკლათ დილით. და შეატყობინა ეს ამბავი დავითს მიქალმა, მისმა ცოლმა, და უთხრა: თუ ამდამ არ იხსნი თავს, ხვალ უეჭველად მოგკლავენო.

¹²და სარკმლიდან ჩაუშვა მიქალმა დავითი. და წავიდა იგი, გაიქცა და გადარჩა.

¹³აიღო მიქალმა თერაფიმი და საწოლზე დადო, სასთუმლად თხისური+ დაუგო და სამოსლით დაბურა.

¹⁴და გაგზავნა საულმა გზირები დავითის შესაპყრობად. მიქალმა კი თქვა: ავად არისო.

¹⁵და გაგზავნა საულმა გზირები დავითის სანახავად და თქვა: „თავის საწოლიანად წამოიყვანეთ, რათა მოვკლათ.“

¹⁶და მივიდნენ გზირები და აჰა, თერაფიმი საწოლზე და თხისური უგია სასთუმლად.

¹⁷მაშინ უთხრა საულმა მიქალს: „ასე რატომ მომატყუე და რატომ გაუშვი ჩემი მტერი, რომ გადარჩენილიყო?“ და უთხრა მიქალმა საულს: „მითხრა: გამიშვი, თორემ მოგკლავო!“

¹⁸გაიქცა დავითი და გადაირჩინა თავი. და მივიდა სამუელთან რამაში და ყველაფერი უამბო, რაც საულმა გაუკეთა. მაშინ წავიდნენ ის და სამუელი და ნაიოთში დადგნენ.

¹⁹და შეატყობინეს საულს და უთხრეს: აჰა, ნაიოთში არისო დავითი, რამაში.

²⁰და გაგზავნა საულმა გზირები დავითის შესაპყრობად. როცა იხილეს მათ გაქადაგებული წინასწარმეტყველთა გუნდი და სამუელი, მათი ზედამდგომელი, ღვთის სულით აღივსნენ საულის გზირებიც და გაწინასწარმეტყველდნენ.

²¹როცა ეს შეატყობინეს საულს, მან სხვა გზირები გაგზავნა, მაგრამ ისინიც გაწინასწარმეტყველდნენ; მესამედ გაგზავნა საულმა გზირები და ისინიც გაწინასწარმეტყველდნენ.

²²საული თავად გაემართა რამას და, ერთ დიდ ჭასთან რომ მივიდა, სექუში, იკითხა: „სად არიან სამუელი და დავითი?“ მიუგეს: „ნაიოთში არიან, რამაში.“



²³და გაემართა ის ნაიოთისკენ, რამას; და მასზედაც გადმოვიდა ღვთის სული და ისიც გაწინასწარმეტყველდა გზაში, ვიდრე მივიდოდა ნაიოთში, რამას.

²⁴მანაც შემოიძარცვა სამოსელი და ქადაგებდა სამუელის წინაშე. შიშველი ეგდო მიწაზე მთელი ის დღე და მთელი ის ღამე, ამიტომაც ამბობენ მას შემდეგ: მაშ, საულიც გაწინასწარმეტყველდაო?

პირველი მეფეთა 20

¹და გაიქცა დავითი ნაიოთიდან რამას, მივიდა და უთხრა იონათანს: „რა გავაკეთე, რა დავაშავე, რა შევცოდე მამაშენს, მოსაკლავად რომ დამდეგს?“

²და უთხრა მას იონათანმა: „შორს შენგან! შენ არ მოკვდები! ყური მიგდე: დიდი საქმე იქნება თუ მცირე, მამაჩემი ისე არ აკეთებს, მე თუ არ გამიმხილა. რატომ დამიმაღლავდა მამაჩემი ამას? ეს არ მოხდება.“

³და კვლავ ფიცულობდა დავითი და ამბობდა: „კარგად იცის მამაშენმა, რომ მაღლი ვპოვე შენს თვალში და ამიტომ იფიქრა, ნუ გაიგებს იონათანი, რომ არ შეწუხდესო. ისე დღეგრძელობა უფალს და დღეგრძელობა შენ, რომ ერთი ნაბიჯიდა არ იყოს ჩემსა და სიკვდილს შორის.“

⁴და უთხრა იონათანმა დავითს: „რასაც შენი გული იტყვის, იმას გავაკეთებ შენთვის.“

⁵და უთხრა დავითმა იონათანს: „აჰა, ხვალ ახალმთვარობაა, მე მევალება პურობაზე მეფესთან ჯდომა. გამიშვი, რომ ველად დავიმალო ზეგ სადამომდე.“

⁶და თუ მომიკითხა მამაშენმა, უთხარი: დავითმა წასვლა მთხოვა ბეთლემში, თავის ქალაქში, რადგან ყოველწლიური მსხვერპლთშეწირვა აქვს-თქო მის საგვარეულოს.

⁷თუ თქვა: კეთილიო, მაშინ მშვიდობით იქნება შენი მსახური, ხოლო თუ განრისხდა, იცოდე, ცუდი საქმე აქვს გადაწყვეტილი.

⁸წყალობა უყავ შენს მსახურს, რაკი უფლის აღთქმით მიგიღივარ შენი მორჩილი: თუ დანაშაული ჩამიდენია, ბარემ შენ მომკალ, რისთვის უნდა მიმიყვანო მამაშენთან?“

⁹და თქვა იონათანმა: „შორს შენგან! როგორ არ გაგაგებინებ, თუ შევიტყვე, რომ ცუდ საქმეს გიპირებს მამაჩემი?“

¹⁰და უთხრა დავითმა იონათანს: „ვინ მეტყვის, მრისხანე პასუხი თუ გაგცა მამაშენმა?“



¹¹და უთხრა იონათანმა დავითს: „წამოდი, ველად გავიდეთ.“ და გავიდა ორივე მინდვრად.

¹²და უთხრა იონათანმა დავითს: „უფალი, ისრაელის ღმერთი იყოს მოწმე, რომ ხვალ ან ზეგ ამ დროს შევიტყობ მამაჩემისაგან, როგორი თვალთ გიყურებს, ხოლო თუ არავინ გამოვგზავნე შენთან და ცხადად არ გაგიმხილე,

¹³ასე და ასე უყოს უფალმა იონათანს და უარესიც. თუ ნებავს მამაჩემს ბოროტება შენთვის, გაგიმხელ და გაგიშვებ, რომ მშვიდობით წახვიდე. უფალი იყოს შენთან, როგორც მამაჩემთან იყო.

¹⁴და თუ ცოცხალი ვიქნები, მაღლი მიყავი შენც უფლის გულისათვის და თუ მოვკვდი,

¹⁵უკუნისამდე ნუ მოაკლებ შენს წყალობას ჩემს სახლს; ნურც მაშინ, როცა აღგვის უფალი სათითაოდ დავითის მტრებს პირისაგან მიწისა.“

¹⁶და დადო აღთქმა იონათანმა დავითის სახლთან და თქვა: „დავითის მტრებს მოსთხოვოს პასუხი უფალმა!“

¹⁷და კვლავ დაიფიცა იონათანმა თავისი სიყვარული დავითისადმი, რადგან საკუთარი თავივით უყვარდა იგი.

¹⁸და უთხრა იონათანმა: „ხვალ ახალმთვარობაა, მოგისაკლისებენ, რადგან ცარიელი იქნება სუფრასთან შენი ადგილი.

¹⁹ამიტომ ზეგამდე მოიცადე და მერე წადი იქითკენ, სადაც ადრე იმალებოდი, და ეზელის ლოდთან ჩაჯექი.

²⁰სამ ისარს გამოვტყორცნი იმ მხარეს, ვითომც მიზანში ვისვრი.

²¹და ბიჭს გამოვგზავნი და ვეტყვი: წადი, ისრები მოძებნე-მეთქი. თუ გამოვძახებ ბიჭს: აჰა, შენთან ახლოს ყრია ისრები, აილე და მომიტანე-მეთქი, მშვიდობა ყოფილა შენს თავს, ცუდი არაფერი არ მოხდება, უფალს გეფიცები!

²²და თუ ვეტყვი ბიჭს: აჰა, შენს იქით ყრია-მეთქი ისრები! წადი, რადგან უფალი გიშვებს.

²³იმ საქმეში კი, რაზეც მე და შენ ვილაპარაკეთ, უფალი იყოს ჩვენს შორის უკუნისამდე.“

²⁴დაიმალა დავითი მინდორში. და დადგა ახალმთვარობა, და დაჯდა პურობად მეფე.



²⁵და იჯდა მეფე თავის ადგილზე, კედელთან, როგორც ყოველთვის. და ადგა იონათანი და საულის გვერდით აბნერი დაჯდა. დავითის ადგილი კი თავისუფალი იყო.

²⁶არაფერი უთქვამს მეფეს იმ დღეს, რადგან იფიქრა, შემთხვევა არისო, რომ განუწყმედელი იქნებაო დავითი, ალბათ არ განწყმედილაო.

²⁷ახალმთვარობის მეორე დღესაც თავისუფალი იყო დავითის ადგილი. და უთხრა საულმა იონათანს, თავის ძეს: „რატომ არ მოვიდა პურობად იესეს ძე არც გუშინ და არც დღეს?“

²⁸და მიუგო იონათანმა საულს: „ბეთლემში წასასვლელად დამეთხოვა დავითი.

²⁹და მითხრა: ‘გამიშვი, რადგან საგვარეულო მსხვერპლშეწირვა გვაქვს ქალაქში. ძმამ მიმიწვია და, თუ მადლი მიპოვია შენს თვალში, წავალ, რომ მოვინახულო ჩემი ძმები.’ და ამიტომ არ მოსულა მეფის პურობაზე.“

³⁰და განურისხდა საული იონათანს და უთხრა: „უკუღმართო და ურჩო ძეო, განა არ ვიცი, რომ მეგობრად მოჰკიდებხარ იესეს ძეს შენდა სამარცხვინოდ და დედაშენის შესარცხვენად,

³¹რადგან, ვიდრე ცოცხალია იესეს ძე ამქვეყნად, ვერც შენ განმტკიცდები და ვერც შენი მეფობა. ახლა გააგზავნე მასთან და აქ მომიყვანე, რადგან უნდა მოკვდეს!“

³²და მიუგო იონათანმა საულს, თავის მამას, და უთხრა: „რისთვის უნდა მოკვდეს, რა გააკეთა?“

³³და სტყორცნა საულმა მას შუბი მოსაკლავად. და მიხვდა იონათანი, რომ მამამისს მტკიცედა აქვს გადაწყვეტილი დავითის მოკვლა.

³⁴და ადგა იონათანი სუფრიდან განრისხებული და ლუკმა არ უჭამია ახალმთვარობის მეორე დღეს, რადგან წუხდა დავითზე, ასე რომ შეურაცხყო მამამისმა.

³⁵დილით, დათქმულ დროს, გავიდა იონათანი მინდორში დავითთან, ყმაწვილი მსახურიც თან იახლა.

³⁶და უთხრა ყმაწვილს: „გაიქეცი და მომიძებნე ისრები, მე რომ ვისვრი.“ და გაიქცა ბიჭი. და ისროლა იონათანმა ისრები ისე, რომ ყმაწვილს გადააცილა.

³⁷და მივიდა ყმაწვილი იმ ადგილას, სადამდისაც მიაწვდინა იონათანმა ისრები, და დაუყვირა იონათანმა ბიჭს და უთხრა: „ცხვირწინ გიგდია ისარი, რას უდგებარ?“



³⁸და კვლავ დაუძახა იონათანმა ყმაწვილს და უთხრა: „სწრაფად! იჩქარე! რასა დგახარ!“ და აკრიფა ყმაწვილმა იონათანის ისრები და მივიდა თავის ბატონთან.

³⁹ბიჭი ვერაფერს მიხვდა. მხოლოდ იონათანისა და დავითისთვის იყო მისახვედრი ეს ამბავი.

⁴⁰და მისცა იონათანმა ბიჭს თავისი საჭურველი, თან რომ ჰქონდა, და უთხრა: „წადი, ქალაქში წაიღე!“

⁴¹ბიჭი წავიდა, ხოლო დავითი ადგა სამხრეთის მხრიდან, და პირქვე დაეცა და სამგზის თაყვანი სცა. მერე გადაკოცნეს ერთმანეთი და ატირდნენ ერთად. დავითი უფრო მეტად ტიროდა.

⁴²და უთხრა იონათანმა დავითს: „მშვიდობით იარე! როგორც ჩვენ ორივემ დავიფიცეთ უფლის სახელით: უფალი იყოს ჩვენს შორის, ჩემსა და შენს შთამომავლობას შორის, უკუნისამდე!“ და ადგა და წავიდა, ხოლო იონათანი ქალაქში დაბრუნდა.

პირველი მეფეთა 21

¹და მივიდა დავითი ნობში ახიმელექ მღვდელთან. შეშინებული გამოეგება ახიმელექი დავითს და უთხრა: „მარტო რატომ ხარ? რატომ არავინ გახლავს?“

²და მიუგო დავითმა ახიმელექ მღვდელს: „საქმე დამავალა მეფემ და მითხრა: არავინ იცოდეს, რა საქმეა, რაზედაც გაგზავნი და რასაც გავალებო. ამიტომაც ამა და ამ ადგილას დავიბარე ხალხი.

³და ახლა, რაც ხელთ გაქვს, მომეცი: ხუთიოდე პური, და თუ სხვაც რაიმე მოგეძიება.“

⁴და მიუგო ახიმელექმა დავითს და უთხრა: „ჩვეულებრივი პური არა მაქვს ახლა ხელთ, მხოლოდ წმიდა პური მაქვს. ოღონდ თუ ქალებს არ გაჰკარებიან ეს ჭაბუკები.“

⁵მიუგო დავითმა მღვდელს და უთხრა: „ქალები აკრძალული გვქონდა მას შემდეგ, რაც გზას ვადგავარ, და ჩემი მსახურების ჭურჭლებიც წმიდაა; ეგ პურიც სადაგად ჩაითვლება, რადგან დღეს ხომ ახალი უნდა იკურთხოს ჭურჭელში.“

⁶და მისცა მას მღვდელმა წმიდა პური, რადგან არ იყო იქ სხვა პური, გარდა საწინაშეო პურებისა, რომლებიც აელაგებინათ უფლის სახის წინაშე, რათა მათ ნაცვლად ახალი პურები დაეწყოთ.



⁷და იყო იქ იმ დღეს უფლის წინაშე საულის ერთი მსახურთაგანი, კაცი, სახელად დოეგი, ედომელი, საულის მწყემსების სარქალი.

⁸და უთხრა დავითმა ახიმელექს: „ხომ არ გაქვს აქ ხელთ შუბი ან მახვილი? რადგან არც მახვილი წამომიღია და არც სხვა რამ საჭურველი, ისე სასწრაფო იყო მეფის დავალება.“

⁹და უთხრა მღვდელმა: „იმ ფილისტიმელი გოლიათის მახვილია აქ, მუხის ველზე რომ დაამარცხე. აგერ დევს, ეფოდის უკან, მოსასხამში გახვეული. თუ წაღება გინდა, წაიღე, რადგან მის გარდა სხვა არაფერი გვაქვს.“ და თქვა დავითმა: „იმას არაფერი შეედრება, მომეცი.“

¹⁰და ადგა დავითი და გაიქცა იმ დღეს საულისგან, და მივიდა გათის მეფე აქიშთან.

¹¹უთხრეს აქიშის მსახურებმა მას: „ეს დავითი არ არის იმ ქვეყნის მეფე? ეს ის არ არის, რომელსაც როკვით უმღეროდნენ: საულმა სძლია ათასებს, დავითმა – 10 ათასებსო?“

¹²და გულში ჩაიდო დავითმა ეს სიტყვები და ძლიერ ეშინოდა აქიშისა, გათის მეფისა.

¹³სახე შეიშალა დავითმა მათ წინაშე, თავი მოიგიჟიანა: ალაყაფის კარებსა კაწრავდა და წვერებზე დუჟი ჩამოსდიოდა.

¹⁴და უთხრა აქიშმა თავის მსახურთ: „ხომ ხედავთ, რომ შეშლილია ეს კაცი, რისთვის მოიყვანეთ ჩემთან?“

¹⁵შეშლილებილა მაკლდნენ, რომ მოგეყვანათ და ეგიჟათ ჩემს წინაშე? ეს უნდა შემოსულიყო ჩემს სახლში?“

პირველი მეფეთა 22

¹და წავიდა იქიდან დავითი და ყადულამის მღვიმეს შეაფარა თავი. და გაიგეს ეს ამბავი მისმა ძმებმა და მამამისის მთელმა სახლმა და ჩავიდნენ მასთან.

²და იკრიბებოდა მასთან ყოველი შეჭირვებული, ყოველი დავალიანებული, ყოველი სულგამწარებული, და უფროსად გაუხდა იგი მათ. ასე შეიკრიბა მასთან 400 კაცი.

³და წავიდა იქიდან დავითი მიცფეში, მოაბელთა ქვეყანაში. და უთხრა მოაბელთა მეფეს: „შეიფარეთ მამაჩემი და დედაჩემი, ვიდრე გავიგებ, რას მიპირებს ღმერთი.“



⁴და მიიყვანა ისინი მოაბელთა მეფის წინაშე. და დარჩნენ ისინი მასთან, ვიდრე დავითი იმ თავშესაფარში იმყოფებოდა.

⁵უთხრა წინასწარმეტყველმა გადმა დავითს: „ნუ დარჩები ამ კლდეებში, ადექი და იუდას ქვეყანაში წადი.“ და წავიდა დავითი და მივიდა ხერეთის ტყეში.

⁶და შეიტყო საულმა, რომ გამოჩნდა დავითი თავისი ხალხითურთ. საული მაშინ გიბეყაში იჯდა, მთაზე, იალლუნის ქვეშ, ხელში შუბი ეჭირა და თავს მსახურები ადგნენ.

⁷უთხრა საულმა მასთან მყოფ მსახურთ: „ისმინეთ, ბენიამინელნო, ნუთუ ყველას ჩამოგირიგებთ იესეს ძე ყანებსა და ვენახებს, ყველას დაგნიშნავთ ათასისთავებად და ასისთავებად,

⁸ჩემს წინააღმდეგ რომ შეითქვით ყველანი და არ გამიმხილეთ, კავშირი თუ ჰქონდა შეკრული ჩემს შვილს იესეს ძესთან? რომ არავინ შემიცოდეთ და არ გამიმხილეთ, ჩემი შვილი თუ მიმხედრებდა ჩემს მსახურს, როგორც დღეს გაცხადდა?“

⁹და მიუგო დოეგ ედომელმა, საულის მსახურებთან ერთად რომ იდგა, და უთხრა: „მე ვნახე იესეს ძე, როცა ნობში მოვიდა ახიმელექთან, ახიტუბის ძესთან,

¹⁰რომელიც უფალს შეეკითხა მის გამო, და საზრდოც მისცა და ფილისტიმელი გოლიათის მახვილიც.“

¹¹და გააგზავნა მეფემ და დაიბარა ახიმელექ მღვდელი, ძე ახიტუბისა, და მამამისის მთელი სახლი და ნობში მყოფი მღვდლები. და მოვიდნენ მეფესთან ყველანი.

¹²და უთხრა საულმა: „ყური მიგდე, ახიტუბის ძე!“ და მიუგო: „გისმენ, ჩემო ბატონო.“

¹³და უთხრა საულმა: „რად შეჰკარით კავშირი ჩემს წინააღმდეგ შენ და იესეს ძემ, პური და მახვილი რომ მიეცი მას და ღმერთს რომ შეეკითხე მის გამო და რომ ის აღდგა ჩემს წინააღმდეგ და მეურჩება, როგორც დღეს გაცხადდა?“

¹⁴და მიუგო ახიმელექმა მეფეს: „ვინ არის დავითივით ერთგული შენს მსახურთა შორის? მეფის სიძე, შენი მსახური და შენს სახლში პატივდებული?“

¹⁵განა დავიწყებდი მისთვის მკითხაობას ღმერთთან? შორს ჩემგან! ნურაფერში დაადანაშაულებს მეფე თავის მსახურს და მამაჩემის მთელს



სახლს, რადგან ამ საქმისა არაფერი არ იცის შენმა მსახურმა, არც მცირე, არც დიდი.“

¹⁶და თქვა მეფემ: „ახიმელექ, სიკვდილით უნდა მოკვდე შენ, შენ და მამაშენის მთელი სახლი!“

¹⁷და უთხრა მეფემ მცველებს, მის წინაშე რომ იდგნენ: „წადით და დახოცეთ უფლის მღვდლები, რადგან დავითის მხარეს არიან, იცოდნენ, რომ გარბოდა და არ შემატყობინეს.“ მაგრამ არ უნდოდათ მეფის მსახურთ ხელი აღემართათ უფლის მღვდლების დასახოცად.

¹⁸და უთხრა მეფემ დოეგს: „შენ წადი და დახოცე მღვდლები.“ და წავიდა დოეგ ედომელი და დაესხა მღვდლებს და მოკლა იმ დღეს სელოს ეფოდით შემოსილი 85 კაცი.

¹⁹და მახვილის პირით მოსრა ნობი, მღვდელთა ქალაქი; კაცი და ქალი, ყმაწვილები და ძუძუთა ბავშვები, აგრეთვე ხარი, სახედარი და ცხვარი გაჟლიტა მახვილის პირით.

²⁰და გადარჩა მხოლოდ ახიმელექის, ახიტუბის ძის, ერთი ძე, სახელად აბიათარი, და გაიქცა იგი დავითთან.

²¹და აუწყა აბიათარმა დავითს, რომ დახოცა საულმა უფლის მღვდლები.

²²და უთხრა დავითმა აბიათარს: „მივხვდი იმ დღეს, როცა დოეგ ედომელი იქ იყო, რომ უეჭველად ამბავს მიუტანდა საულს, ჩემზეა მამაშენის სახლის მთელი სისხლი.“

²³ჩემთან დარჩი, ნუ გეშინია, ვინც ჩემს სიცოცხლეს ეძებს, ის შენს სიცოცხლესაც ეძებს. ჩემთან არაფერი გაგიჭირდება.“

პირველი მეფეთა 23

¹და შეატყობინეს დავითს: ფილისტიმელები დაესხნენ კეცილას და კალოებს აჩანაგებენო.

²და დაეკითხა დავითი უფალს: „წავიდე და დავესხა ფილისტიმელებს?“ და მიუგო უფალმა დავითს: „წადი და დაამარცხებ ფილისტიმელებს, და იხსნი კეცილას.“

³მაგრამ უთხრეს დავითს მასთან მყოფმა კაცებმა: „ჩვენ აქ, იუდაშიც შიშითა ვართ და კეცილაში როგორღა წავიდეთ ფილისტიმელთა ურდოს წინააღმდეგ?“

⁴და კვლავ დაეკითხა დავითი უფალს. და მიუგო მას უფალმა: „ადექი და ჩადი კეცილაში, რადგან ხელში უნდა ჩაგიგდო ფილისტიმელები.“



⁵და წავიდნენ დავითი და მისი კაცები კეცილას და შეებრძოლნენ ფილისტიმელებს; გამოირევს მათი საქონელი და სასტიკად დაამარცხეს ისინი. და იხსნა დავითმა კეცილას მკვიდრნი.

⁶როცა აბიათარი, ახიმელექის ძე, დავითთან გამოიქცა კეცილასაკენ, თან ეფოდი წამოიღო.

⁷და აცნობეს საულს, რომ კეცილაში იყო დავითი მისული. და თქვა საულმა: „ხელში ჩამიგდო იგი ღმერთმა, რადგან კარიბჭეებიან და ურდულებიან ქალაქში შესვლით თვითონვე გამოიმწყვდია თავი.“

⁸და საომრად შეჰყარა საულმა მთელი ხალხი, რათა ჩასულიყვნენ კეცილაში და ალყაში მოექციათ დავითი და მისი კაცები.

⁹და შეიტყო დავითმა, ავს რომ უპირებდა მას საული და უთხრა აბიათარ მღვდელს: „მოიტანე ეფოდი!“

¹⁰და თქვა დავითმა: „უფალო, ღმერთო ისრაელისა, ნამდვილად შეიტყო შენმა მსახურმა, რომ კეცილასაკენ მოდის საული, რათა ჩემს გამო გაანადგუროს ქალაქი;

¹¹თუ მიმცემენ მათ ხელს კეცილას მოქალაქენი? თუ ჩამოვა საული აქ, როგორც შეიტყო შენმა მსახურმა? უფალო, ღმერთო ისრაელისა, გაუცხადე შენს მსახურს.“ და მიუგო უფალმა: „ჩამოვა.“

¹²და თქვა დავითმა: „თუ გადაგვცემნო კეცილას მოქალაქენი მე და ჩემს კაცებს საულს?“ და თქვა უფალმა: „გადაგცემენ.“

¹³და აიყარნენ დავითი და მისი კაცები, ექვსასამდე რომ იყვნენ, და გავიდნენ კეცილადან, და იარეს, საითაც შეძლეს სიარული. ხოლო როცა ამცნეს საულს, რომ კეცილადან გაიქცაო დავითი, შეჩერების ნიშანი მისცა.

¹⁴დავითი უდაბნოს მიუვალ ადგილებს აფარებდა თავს და შემდეგ მთას – ზიფის უდაბნოში. და ეძებდა მას საული დღენიადაგ, მაგრამ უფალმა ხელში არ ჩაუგდო ის.

¹⁵და დაინახა დავითმა, რომ გამოვიდა საული მის მოსაკლავად, და დარჩა დავითი ზიფის უდაბნოში, ერთ ტყეში.

¹⁶და ადგა იონათანი, საულის ძე, და მივიდა დავითთან ტყეში, და გაამხნევა ღვთის სახელით,

¹⁷და უთხრა: „ნუ გეშინია, ვერ მოგწვდება მამაჩემის, საულის ხელი. შენ იმეფებ ისრაელზე, ხოლო მე შენს შემდეგ პირველი კაცი ვიქნები; მამაჩემმა, საულმა კარგად იცის ეს.“



¹⁸და შეკრეს კავშირი ორივემ უფლის წინაშე. დარჩა დავითი ტყეში და იონათანი შინ დაბრუნდა.

¹⁹და მივიდნენ ზიფელეები საულთან გიბეაში და უთხრეს: „ჩვენთან იმალება დავითი, მიუვალ ადგილებში, ტყეში, ხაქილას ბორცვზე, რომელიც იეშიმონის ხელმარცხნივაა.

²⁰ახლა შენი ნებაა, მეფეო, ჩამოხვალ თუ არა, ჩვენი ვალი კი ის არის, რომ მეფეს ჩავუგდოთ იგი ხელში.“

²¹და თქვა საულმა: „უფალიმც გაკურთხებთ, რომ შემიბრალეთ!

²²წადით, ერთხელ კიდევ დაიბეჯითეთ და მიათვალთ-მოათვალთ იმ ადგილები, სადაც კი ფეხი დაუდგამს, ან თუ ვინმეს უნახავს იქ, რადგან მითხრეს, რომ დიდი ცბიერი ვინმეა.

²³ემებეთ და დაჩხრიკეთ ყველა სამალავი, სადაც კი შეიძლება იმალებოდეს, და მართალი პასუხი მომიტანეთ, და მე წამოგყვებით და თუ ამ ქვეყანაში არის სადმე, სათითაოდ იუდას ყველა სამთავროს ჩხრეკაც რომ დამჭირდეს, მაინც მოვძებნი.“

²⁴და ადგნენ და წავიდნენ საულზე ადრე ზიფში. ხოლო დავითი და მისი კაცები ამ დროს მაყონის უდაბნოში იყვნენ, ყარაბაში, იეშიმონის მარცხნივ.

²⁵და წავიდა საული სამეზნელად თავისი კაცებითურთ. და შეატყობინეს დავითს, და მივიდა იგი კლდესთან და დადგა მაყონის უდაბნოში. და შეიტყო ეს საულმა და დაედევნა დავითს მაყონის უდაბნოსაკენ.

²⁶მიდიოდა საული მთის ერთ მხარეს, ხოლო დავითი თავისი კაცებითურთ მთის მეორე მხარეს. და გამალებით გაურბოდა დავითი საულს, ხოლო საული და მისი კაცები ცდილობდნენ გზა მოეჭრათ დავითისა და მისი კაცებისთვის და შეეპყროთ ისინი.

²⁷მაგრამ მაცნე მოვიდა საულთან და მოახსენა: „საჩქაროდ დაბრუნდი, რადგან ფილისტიმელები დაესხნენ ქვეყანას.“

²⁸მიანება თავი საულმა დავითის დევნას და გაემართა ფილისტიმელებთან შესახვედრად. ამიტომ უწოდეს იმ ადგილს სელაყ-ჰამახლეკოთი .

პირველი მეფეთა 24

¹და აიყარა დავითი იქიდან და ყენ-გედის მიუვალ ადგილებში ჩაჯდა.

²როგორც კი დაბრუნდა საული ფილისტიმელთაგან, შეატყობინეს, ყენ-გედის უდაბნოშიაო დავითი.



³და აიყვანა საულმა ისრაელიანთაგან ვ ათასი რჩეული ვაჟკაცი და წავიდა დავითისა და მისი კაცების სამებრად სანიაშორეს კლდეებში.

⁴და მივიდა ცხვრის ფარეხებთან, გზისპირას, სადაც მღვიმე იყო, და შევიდა შიგ საული მოსასაქმებლად, დავითი და მისი კაცები კი იქვე ისხდნენ მღვიმის სიღრმეში.

⁵და უთხრეს დავითს მისმა კაცებმა: „აჰა, ის დღეც, რომელზეც გითხრა უფალმა: აჰა, ხელთ მოგცემ შენს მტერს, რომ შენი ნებისამებრ მოექცეო.“ და წამოდგა დავითი და ფარულად მოაჭრა კიდე საულის მოსასხამს.

⁶მერე კი გული ეტკინა დავითს, რომ მოაჭრა კიდე საულის მოსასხამს.

⁷და უთხრა თავის ხალხს: „უფალმა მაშოროს, რომ ასეთი რამ გავაკეთო და ხელი აღვმართო ჩემს ბატონზე, უფლის ცხებულზე, რადგან უფლის ცხებულია იგი.“

⁸და ამ სიტყვებით შეაკავა თავისი კაცები დავითმა და ნება არ მისცა, თავს დასხმოდნენ საულს. ადგა და გამოვიდა საული მღვიმიდან და წავიდა თავისი გზით.

⁹და ადგა ამის შემდეგ დავითიც და გამოვიდა მღვიმიდან, და დაუძახა საულს და უთხრა: „მეფე-ბატონო!“ უკან მოიხედა საულმა. მიწად დაიხარა დავითი და თაყვანი სცა.

¹⁰და უთხრა დავითმა საულს: „რატომ უგდებ ყურს ხალხის სიტყვებს, რომლებიც გეუბნებიან: აჰა, ბოროტს გიმზადებსო დავითი?“

¹¹ახლა ხომ შენი თვალთ ხედავ, რომ დღეს შენი თავი მომცა უფალმა მღვიმეში, და კიდეც მეუბნებოდნენ, რომ მომეკალი, მაგრამ შეგიბრალე და ვთქვი: ხელს არ აღვმართავ ჩემს ბატონზე, რადგან უფლის ცხებულია-მეთქი იგი.

¹²აჰა, შეხედე ახლა, მამაჩემო, და ნახე შენი მოსასხამის კიდე, ხელში რომ მიჭირავს, შენი მოსასხამის კალთას რომ მოვაჭერი, შენ კი არ მოგკალი, ამით მიხვდი, რომ არ არის ჩემში ბოროტება და ვერაგობა. არც შემიცოდავს შენს წინაშე, შენ კი ჩემს სულს დაეძებ დასაღუპად.

¹³უფალი იყოს მსაჯული შენსა და ჩემს შორის. მე კი შენზე ხელს არ აღვმართავ.

¹⁴როგორც ძველი იგავი ამბობს: ‘ბოროტისგან ბოროტება გამოდის.’ მე კი შენზე ხელს არ აღვმართავ.

¹⁵ვის წინააღმდეგ გამოვიდა ისრაელის მეფე? ვის სდევნის? მხოლოდ ერთ მკვდარ ძაღლს, რაღაც რწყილს!



¹⁶უფალი იყოს მსაჯული და მან განგესაჯოს მე და შენ. ის დაინახავს და განიკითხავს ჩემს სამართალს და მიხსნის შენი ხელიდან.“

¹⁷და როცა დაასრულა დავითმა ამ სიტყვების ლაპარაკი საულთან, თქვა საულმა: „ეს შენი ხმაა, დავით, ჩემო შვილო?“ – ხმა აღიმადლა საულმა და ატირდა.

¹⁸და უთხრა დავითს: „მართალი ხარ ჩემთან, რადგან შენ სიკეთით მიხდიდი, მე კი ბოროტებით მოგაგებდი.

¹⁹და დღესაც გამოაჩინე, რომ კეთილად მექცევი, რადგან, როცა უფალმა ჩამაგდო შენს ხელში, არ მომკალი.

²⁰კაცი რომ თავის მტერს შეხვდება, განა მშვიდობის გზაზე გაუშვებს? უფალმა გადაგიხადოს სიკეთით იმის საზღაურად, რაც დღეს მიყავი.

²¹ახლა კი მჯერა, რომ მეფობით იმეფებ, და განმტკიცდება შენს ხელში ისრაელის სამეფო.

²²ახლა კი უფლის სახელით შემომფიცე, რომ ჩემს შემდეგ არ ამოძირკვავ ჩემს შთამომავლობას და არ გააქრობ ჩემს სახელს მამაჩემის სახლში.“

²³და შეჰფიცა დავითმა საულს. და წავიდა საული თავის სახლში. ხოლო დავითი და მისი კაცები მტკიცე კლდეებს შეეფარნენ.

პირველი მეფეთა 25

¹მოკვდა სამუელი და შეიკრიბა მთელი ისრაელი. დაიტირეს და დამარხეს იგი თავის სამკვიდროში – რამაში. ადგა დავითი და ჩავიდა ფარანის უდაბნოში.

²იყო კაცი ვინმე მაყონში და ფარები ქარმელში ედგა. ძალზე მდიდარი იყო ის კაცი: ჰყავდა 3 ათასი სული ცხვარი და ათასი თხა. ცხვრის პარსვისას ქარმელში იმყოფებოდა.

³სახელად ამ კაცს ნაბალი ერქვა, მის ცოლს – აბიგაილი. კეთილგონიერი და ლამაზი შესახედავი იყო ის ქალი, ხოლო კაცი – უკმეხი და ავისმქნელი. ქალების გვარიდან იყო იგი.

⁴და როცა შეიტყო დავითმა უდაბნოში, რომ ცხვრის პარსვა აქესო ნაბალს,

⁵გაგზავნა ათი ჭაბუკი და უთხრა მათ: „ადით ქარმელში, მიდით ნაბალთან და მოიკითხეთ ჩემი სახელით.

⁶და უთხარით ასე: ‘იცოცხლე, მშვიდობა შენ და მშვიდობა შენს სახლს, მშვიდობა მთელს შენს სარჩო-საბადებელს;



⁷გავიგე, რომ პარსვა გაქვს. შენი მწყემსები იყვნენ ახლახან ჩვენთან ერთად; არ დაგვიჩაგრავს ისინი, არაფერი დაჰკლებიათ იმ ხნის მანძილზე, ვიდრე ქარმელში იყვნენ.

⁸ჰკითხე შენს მსახურებს და მოგახსენებენ. იქნება მადლი ჰპოვონ ჩემმა მსახურებმა შენს თვალში, რაკი სიხარულის დღეს მოვედით. მიეცი, რაც შეგიძლია შენს მსახურთ და შენს შვილს – დავითს.”“

⁹და მივიდნენ დავითის კაცები და მიუტანეს ნაბალს ეს სიტყვები დავითის სახელით და დაელოდნენ.

¹⁰მიუგო ნაბალმა დავითის მსახურთ და უთხრა: „ვინ არის დავითი? ვინ არის იესეს ძე? დღეს გამრავლდნენ მსახურნი, თავიანთ ბატონებს რომ გაურბიან.

¹¹ავიღო ჩემი პური, წყალი და ღვინო, მპარსველებისთვის გამზადებული საკლავი, და მივცე კაცებს, რომელთა ასავალ-დასავალიც არ ვიცი?“

¹²უკან დაბრუნდნენ თავისი გზით დავითის მსახურნი, მივიდნენ დავითთან და მოახსენეს ყოველივე.

¹³და უთხრა დავითმა თავის კაცებს: „ყველამ შეიბით მახვილი წელზე!“ და ყველამ შეიბა მახვილი. შეიბა დავითმაც თავისი მახვილი. და გაჰყვა დავითს ოთხასამდე კაცი, 200 კაცი აღაღთან დარჩა.

¹⁴და მიუტანა ამბავი აბიგაილს, ნაბალის ცოლს ერთმა მსახურთაგანმა და უთხრა: „მოციქულები გაუგზავნა დავითმა უდაბნოდან ჩვენს ბატონს და მოიკითხა, მაგრამ მან აბუჩად აიგდო ისინი.

¹⁵ძალიან კარგად გვეპყრობოდა ეს ხალხი, არ დავუჩაგრევართ, არაფერი დაგვკლებია ველზე მათთან ერთად ყოფნისას.

¹⁶ზღუდედ გვედგნენ დღისით და ღამით, როცა მათ სიახლოვეს ვმწყემსავდით ფარებს.

¹⁷და ახლა აწონ-დაწონე, როგორ უნდა მოიქცე, რადგან სასჯელი ელის ჩვენს ბატონსა და მთელს მის სახლს. თავად ხომ უგვანი კაცია, მასთან ლაპარაკი არ შეიძლება.“

¹⁸და ისწრაფა აბიგაილმა: აიღო 200 პური, ორი ტიკი ღვინო, ხუთი შემწვარი ცხვარი, ხუთი საწყაო ქუმელი, 100 მტევანი ჩამიჩი, 200 აცმა ლელვის ჩირი და აჰკიდა სახედრებს.

¹⁹და უთხრა თავის მსახურებს: თქვენ წინ წადით, მეც ახლავე უკან გამოგყვებით. არაფერი უთქვამს ნაბალისთვის, თავისი ქმრისთვის.



²⁰და როცა ვირზე მჯდარი ეშვებოდა ხეობაში, აჰა, დავითი და მისი კაცებიც გამოჩნდნენ, და შეეგება მათ აბიგაილი.

²¹და თქვა დავითმა: „ტყუილად ვიცავდი ამ კაცის სარჩო-საბადებელს უდაბნოში. არაფერი დაუკარგავს ქონებიდან, მაგრამ ეს სიკეთე ბოროტად გადამიხდა.“

²²ასე და ასე უყოს ღმერთმა დავითის მტრებს და უარესიც, თუ ყოველივე იმისგან, რაც ნაბალს ეკუთვნის, თუნდაც ერთი კაცი დავტოვო ცოცხალი დილამდე.”

²³როგორც კი დაინახა აბიგაილმა დავითი, სასწრაფოდ ჩამოხდა ვირიდან და პირქვე დაემხო მის წინაშე და თაყვანი სცა მდაბლად.

²⁴ფეხებში ჩაუვარდა და უთხრა: „ჩემზეა, ჩემო ბატონო, დანაშაული. ნება მიეცი შენს მხევალს, გითხრას სათქმელი, და ისმინე მისი სიტყვები.“

²⁵ყურადღებას ნუ მიაქცევს ჩემი ბატონი იმ უგვან კაცს, ნაბალს, რადგან როგორი სახელიცა აქვს, თავადაც ისეთია. ნაბალი ჰქვია მას და სიბილწით არის სავსე. მე, შენს მხევალს, არ მინახავს ჩემი ბატონის გამოგზავნილი კაცები.

²⁶ახლა, უფალსა და შენს თავს გაფიცებ, ჩემო ბატონო, უფალმა შეგაკავოს სისხლისღვრისა და შურისგებისაგან; ნაბალივით იქნენ ამიერიდან შენი მტრები და ავის განმზრახველნი ჩემი ბატონის წინააღმდეგ.

²⁷აჰა, ეს მოსაკითხი, რომელიც შენს მხევალს მოუძღვნია ჩემი ბატონისთვის, რათა მიეცეს ჩემი ბატონის მხლებლებს, მას რომ ემსახურებიან.

²⁸მიუტევე დანაშაული შენს მხევალს. ნამდვილად მტკიცე სახლს აუგებს უფალი ჩემს ბატონს, რადგან უფლის ომებს ეწევა ჩემი ბატონი, და ბოროტება არ იქნება შენში მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე.

²⁹და თუნდაც აღდგეს კაცი და გდევნოს და ეძიოს სული შენი, სიცოცხლის საკვრელით იქნება შეკრული უფალთან, შენს ღმერთთან, ჩემი ბატონის სული, ხოლო შენი მტრების სულს შურდულივით გასტყორცნის.

³⁰და როცა აღუსრულებს უფალი ჩემს ბატონს ყოველგვარ სიკეთეს, რასაც იგი დაგპირდა, და ისრაელის მთავრად და წინამძღვრად დაგადგენს,

³¹აღარ შეაწუხებს გულის ქენჯნა ჩემს ბატონს, რომ არ დაღვარა სისხლი ამაოდ და შური რომ არ იძია. და სიკეთეს უყოფს უფალი ჩემს ბატონს, და მაშინ გამიხსენებ შენს მხევალს.“

³²და უთხრა დავითმა აბიგაილს: „კურთხეულია უფალი, ღმერთი ისრაელისა, რომელმაც ჩემს შესახვედრად გამოგაგზავნა დღეს;



³³და კურთხეულია შენი გონიერება და კურთხეული ხარ შენ, რომ არ მიმიშვი სისხლისღვრამდე და შურისგებამდე.

³⁴მაგრამ, გეფიცები უფალს, ისრაელის ღმერთს, რომელმაც ბოროტება არ გამაკეთებინა შენთვის, შენ რომ არ აჩქარებულობი და არ მოსულიყავ ჩემს შესახვედრად, ერთ კაცსაც არ დავუტოვებდი ცოცხლად დილამდე ნაბალს.“

³⁵და მიიღო დავითმა მისი ხელიდან ყველაფერი, რაც მოტანილი ჰქონდა მას და უთხრა: „მშვიდობით დაბრუნდი შინ. ხომ ხედავ, ვისმინე შენი ხმა და პატივი მივაგე შენს სახეს.“

³⁶და როცა მივიდა აბიგაილი ნაბალთან, აჰა, მას ლხინი ჰქონდა სახლში, სამეფო ლხინის მსგავსი, და ხარობდა ნაბალის გული და ძალიან ნასვამიც იყო. და არაფერი უთქვამს მისთვის დილამდე აბიგაილს, ხმა-კრინტი არ დაუძრავს.

³⁷მეორე დილით, როცა ღვინო გამოუნელდა ნაბალს, ყველაფერი უამბო ცოლმა. და გული ჩაუკვდა მკერდში ნაბალს და გაქვავდა კაცი.

³⁸ათიოდე დღის შემდეგ დაჰკრა უფალმა ნაბალს და მოკვდა იგი.

³⁹როცა გაიგო დავითმა, ნაბალი მოკვდაო, თქვა: „კურთხეულია უფალი, რომ მიუზღო ნაბალს ჩემი შეურაცხყოფისათვის, რომ აარიდა თავისი მსახური ბოროტის ქმნას! ნაბალს მისივე ბოროტება დაატეხა უფალმა თავს.“ მაშინ გააგზავნა დავითმა აბიგაილთან და დაავალა ეთქვათ, რომ ცოლად თხოულობდა მას.

⁴⁰და როცა მივიდნენ დავითის კაცები აბიგაილთან ქარმელში, დაელაპარაკნენ და გამოუცხადეს: „დავითმა გამოგვაგზავნა შენთან, რომ ცოლად წაგიყვანოს!“

⁴¹ადგა აბიგაილი, მიწამდე თაყვანი სცა და თქვა: „აჰა, მოახლედ წამოვა შენი მხევალი, რომ ფეხები დაბანოს ჩემი ბატონის მსახურთ.“

⁴²და ისწრაფა აბიგაილმა: ადგა და შეჯდა სახედარზე, თან ხუთი მხევალი წაიყოლა, მიჰყვა დავითის მოციქულებს და გახდა მისი ცოლი.

⁴³და იზრეყელიდან ახინოყამი მოიყვანა დავითმა, და იყვნენ ეს ორნი მისი ცოლები.

⁴⁴ხოლო საულმა მიქალი, თავისი ასული, დავითის ცოლი, გალიმელ კაცს, ფალტი ლაიშის ძეს შერთო.

პირველი მეფეთა 26



- ¹მივიდნენ ზიფელები საულთან გიბეყაში სათქმელად: „ნუთუ არ იცი, რომ დავითი ხაქილას ბორცვზე იმალება, იეშიმონის პირისპირ რომ არის?“
- ²ადგა საული და დაეშვა ზიფის უდაბნისკენ ვ ათასი რჩეული ისრაელი ვაჟკაციურთ, რათა მოეძებნა დავითი ზიფის უდაბნოში.
- ³და დაბანაკდა საული ხაქილას ბორცვზე იეშიმონის წინ, გზის პირას. ხოლო დავითი უდაბნოში იყო და ხედავდა, რომ მოდიოდა მის კვალზე საული უდაბნოში.
- ⁴და გაგზავნა დავითმა მზვერავები და შეიტყო, რომ ნამდვილად მოსულა საული.
- ⁵ადგა დავითი და მივიდა იმ ადგილას, სადაც საული იყო დაბანაკებული. და დაინახა დავითმა ის ადგილი, სადაც ეძინათ საულსა და აბნერს, ნერის ძეს, მის მხედართმთავარს. საული კარავში იწვა, ხოლო ხალხი მის ირგვლივ იყო განლაგებული.
- ⁶ჰკითხა დავითმა ახიმელექ ხეთელს, და აბიშაის, ცერუიას ძეს, იოაბის ძმას: „ვინ ჩამყვება საულთან მის ბანაკში?“ უთხრა აბიშაიმ: „მე ჩაგყვები.“
- ⁷და მივიდნენ ღამით დავითი და აბიშაი ხალხთან; და აჰა, ხედავენ, წევს და სძინავს საულს კარავში, და მისი შუბი სასთუმალთან არის ჩარჭობილი მიწაში, აბნერი და ხალხი მის ირგვლივ წვანან.
- ⁸და უთხრა აბიშაიმ დავითს: „ღმერთმა ჩაგიგდო ხელში შენი მტერი; ნება მომეცი, ახლა თავისივე შუბით ერთი დაკვრით დავაკლა მიწას, მეორე აღარ დამჭირდება.“
- ⁹და უთხრა დავითმა აბიშაის: „ნუ დაღუპავ მას, რადგან ვინც უფლის ცხებულზე ხელს აღმართავს, დაუსჯელი არ დარჩება.“
- ¹⁰და თქვა დავითმა: „უფალს ვფიცავ, თავად უფალი დაღუპავს მას: ან მისი დღე მოაწევს და მოკვდება, ან ბრძოლაში წავა და იქ დაიღუპება.“
- ¹¹უფალმა მაშოროს, რომ უფლის ცხებულზე ხელი ავღმართო. ახლა აიღე ეგ შუბი და მათარა, თავით რომ უწყვია, და წავიდეთ.“
- ¹²და აიღო დავითმა შუბი და მათარა, თავით რომ ეწყო საულს და წავიდნენ. არავის დაუნახავს, არავის გაუგია, არც არავის გაღვიძებია; ყველას ეძინა, რადგან უფლმა ძილქუში დასცა მათ.
- ¹³და როცა გადავიდა დავითი გაღმა, გორაზე დადგა შორს, ისე, რომ დიდი მანძილი იყო მათ შორის.



¹⁴და გასძახა დავითმა საულის ხალხსა და აბნერ ნერის ძეს: „ხმა გამეცი, აბნერ!“ გამოეპასუხა აბნერი და უთხრა: „ვინა ხარ, რომ ასე დაჰყვირი მეფეს?“

¹⁵უთხრა დავითმა აბნერს: „კაცი ხომ ხარ შენ? ვინ არის ისრაელში შენი ტოლი? მაშ, რატომ არ დაიფარავ შენს მეფე-ბატონს? ვიღაც მოსულა შენი მეფე-ბატონის მოსაკლავად.“

¹⁶ვერ აკეთებ კარგ საქმეს, უფალს ვფიცავ, სიკვდილის ღირსნი ხართ, რომ არ იფარავთ თქვენს მეფე-ბატონს, უფლის ცხებულს. ახლა, აბა მოათვალიერეთ, რა იქნა მეფის შუბი და მათარა, თავითი რომ ეწყო მას?“

¹⁷და იცნო საულმა დავითის ხმა და თქვა: „ეს შენი ხმა არის, დავით, შვილო?“ და უთხრა დავითმა: „ჩემი ხმაა, მეფე-ბატონო!“

¹⁸და კვლავ თქვა: „რისთვის დევნის ჩემი ბატონი თავის მსახურს? რა გავაკეთე ისეთი? რა ბოროტება უქნია ჩემს ხელს?“

¹⁹ახლა ისმინოს მეფე-ბატონმა მისი მსახურის სიტყვები: თუ უფალმა წაგაქეზა ჩემს წინააღმდეგ, კეთილსურნელოვანი იყოს ეს მსხვერპლი, ხოლო თუ ადამიანებმა – წყეულიმც იყვნენ ისინი უფლის წინაშე, რადგან მათ განმდევნეს მე დღეს, რომ წილი არ მქონოდა უფლის სამკვიდროში, და მითხრეს: წადი, უცხო ღმერთებს ემსახურეო.

²⁰ნუ დაიღვრება ჩემი სისხლი მიწაზე უფლის წინაშე, რადგან ერთი ბეწო რწყილის საძებრად არის გამოსული ისრაელის მეფე, როგორც გნოლებზე ნადირობენ მთებში.“

²¹და თქვა საულმა: „შევცოდე, დაბრუნდი, შვილო დავით, მეტს აღარ გიბოროტებ, რადგან არ გასწირე დღეს ჩემი სიცოცხლე. მე კი უგუნურად ვიქცეოდი და დიდად ვცოდავდი.“

²²და მიუგო დავითმა და უთხრა: „აჰა, მეფის შუბი. გადმოვიდეს ვინმე მსახურთაგანი და წაიღოს.“

²³უფალი მიუზღავს ყველას მისი სიმაღლისა და ჭეშმარიტების სანაცვლოდ. დღეს მომცა შენი თავი ხელში უფალმა, მაგრამ არ ვინდომე, უფლის ცხებულზე აღმემართა ხელი.

²⁴აჰა, როგორც დღეს არ გავიმეტე შენი სიცოცხლე, ასევე არ გაიმეტოს უფალმა ჩემი სიცოცხლე, და მიხსნას ყოველგვარი გასაჭირიდან.“

²⁵და უთხრა საულმა დავითს: „კურთხეული იყავი, შვილო დავით! კიდევაც აღასრულებ აღსასრულებელს, კიდევაც შეძლებ შესაძლებელს.“ და წავიდა დავითი თავის გზაზე და საულიც გაბრუნდა თავის ალაგას.



პირველი მეფეთა 27

¹და თქვა დავითმა გულში: „ერთ დღეს მაინც ჩამიგდებს საული ხელთ; თუკი სიკეთე არ მიწერია აქ, მაშინ სიცოცხლის დასახსნელად აჯობებს, ფილისტიმელთა ქვეყანას შევაფარო თავი, და საულიც აღარ დამიწყებს მებნას, და მეც გადავურჩები მას.“

²და ადგა დავითი და 600 კაციტურთ გადავიდა აქიშთან, მაყოქის მესთან, გათის მეფესთან.

³და დარჩა დავითი აქიშთან გათში თავისი კაცებითურთ: ისინი თავ-თავისი ოჯახებით, დავითი – მისი ორი ცოლით – იზრეყელელი ახინოყამით და ქარმელელი აბიგაილით, ნაბალის ქვრივით.

⁴და როცა შეატყობინეს საულს, გათში გაიქცაო დავითი, მეტად აღარ უძებნია იგი.

⁵და უთხრა დავითმა აქიშს: „თუ მადლი ვპოვე შენს თვალში, მომცენ ადგილი ქვეყნის რომელიმე ქალაქში, რომ ვიცხოვრო იქ. რატომ უნდა ცხოვრობდეს შენი მსახური შენს გვერდით, სამეფო ქალაქში?“

⁶და მისცა მაშინ აქიშმა ციკლაგი. ამიტომაც ეკუთვნის ციკლაგი დღემდე იუდას მეფეებს.

⁷ერთი წელი და ოთხი თვე დაჰყო დავითმა ფილისტიმელთა მხარეში.

⁸ამხედრდებოდნენ დავითი და მისი კაცები და არბევდნენ გემურელებს, გირზელებს და ყამალეკელთ, რადგან ესენი სახლობდნენ ძველთაგანვე იმ ქვეყანაში, შურამდე და ეგვიპტემდეც კი.

⁹და აოხრებდა დავითი მთელს იმ ქვეყანას, ცოცხალს არ ტოვებდა არც კაცს და არც ქალს; მოერეკებოდა ცხვარსა და ძროხას, ჯორ-აქლემებს, მოჰქონდა სამოსელი; და ბრუნდებოდა აქიშთან.

¹⁰და ეტყოდა აქიში: „სად არბევდით დღეს?“ მიუგებდა დავითი: იუდას სამხრეთითო, – ან: იერახმეელელთა სამხრეთითო, – ან: კენიელთა სამხრეთითო.

¹¹არც კაცს და არც ქალს ცოცხალს არ ტოვებდა დავითი და გათში არ მოჰყავდა, რადგან ფიქრობდა: „არ ილაპარაკონ ჩვენზე: ასე იქცეოდა დავითი და ეს ჰქონდა წესად, როცა ფილისტიმელთა მხარეში ცხოვრობდაო.“

¹²მიენდო აქიში დავითს და ფიქრობდა: თავი შეაძულა თავის ერს, ისრაელს, და სამუდამო მსახურად გამიხდებო.



პირველი მეფეთა 28

¹იმ ხანებში იყო, რომ შეჰყარეს ფილისტიმელებმა მხედრობა ისრაელთან საომრად. და უთხრა აქიშმა დავითს: „იცოდე, ჩემთან ერთად გამოხვალთ შენ და შენი კაცები საომარ ბანაკში.“

²უთხრა დავითმა აქიშს: „კეთილი, ახლა ნახავ, რისი გაკეთება ძალუმს შენს მსახურს.“ და უთხრა აქიშმა დავითს: „ამიტომაც გნიშნავ ჩემს მცველად სამუდამოდ.“

³და მოკვდა სამუელი და დაიტირა იგი მთელმა ისრაელმა, და დამარხეს იგი რამაში, თავის ქალაქში. და მოსრა საულმა თავის ქვეყანაში ყოველი მესულთანე და მჩხიბავი.

⁴როცა შეიყარნენ ფილისტიმელები და მივიდნენ და შუნემში დაბანაკდნენ, საულმაც შეჰყარა მთელი ისრაელი და გილბოაყში დაიბანაკეს.

⁵როცა დაინახა საულმა ფილისტიმელთა ლაშქარი, შეეშინდა და ძლიერ შეუქანდა გული.

⁶და დაეკითხა უფალს საული, მაგრამ პასუხი არ გაუცია მისთვის უფალს არც სიზმრად, არც ურიმითა და არც წინასწარმეტყველთა პირით.

⁷და უთხრა საულმა თავის მსახურთ: „მომიძებნეთ ვინმე მესულთანე დედაკაცი, რათა მივიდე მასთან და ვამკითხვინო.“ და უთხრეს მსახურებმა: „აქ, ყენ-დორში არის მესალთუნე დედაკაცი.“

⁸სხვა სამოსელი გადაიცვა საულმა, რომ ვერ ეცნოთ მეფე, თან გაიყოლა ორი კაცი და მივიდა იმ დედაკაცთან ლამით, და უთხრა: „დაეკითხე გარდაცვლილთა სულებს და ამომიხმე, ვისაც გეტყვი.“

⁹და უთხრა დედაკაცმა: „კარგად უწყი, რაც გააკეთა საულმა, რომ მოსპო ამ ქვეყანაში მესულთანენი და მჩხიბავნი. მახეს რატომ მიგებ დასაღუპად?“

¹⁰უფალი დაუფიცა საულმა: „ცოცხალ ღმერთს გეფიცები, ავი არაფერი შეგემთხვევა ამ საქმისთვის.“

¹¹და თქვა დედაკაცმა: „ვინ გამოგიხმო?“ უთხრა: „სამუელი გამომიხმე.“

¹²და როცა დაინახა დედაკაცმა სამუელი, ხმამაღლა იყვირა და უთხრა საულს: „რისთვის მომატყუე? საული ხარ შენ!“

¹³და უთხრა მას მეფემ: „ნუ გეშინია! რას ხედავ?“ უთხრა დედაკაცმა: „ღმერთის მსგავსს ვხედავ, მიწიდან ამომავალს.“



¹⁴ჰკითხა: „როგორ გამოიყურება?“ თქვა: „მოხუცებული კაცია, ვინც ამოდის, გრძელი მოსასხამი ახვევია.“ მაშინ მიხვდა საული, რომ სამუელი იყო ის, და მიწაზე დაუკრა თავი და თაყვანი სცა.

¹⁵და უთხრა სამუელმა საულს: „რისთვის შემაწუხე? რატომ ამომიყვანე?“ და უთხრა საულმა: „ძალიან მიჭირს, ფილისტიმელები მებრძვიან, ღმერთი კი განმიდგა და პასუხს აღარ მაძლევს, არც წინასწარმეტყველთა პირით და არც სიზმრებში, ამიტომ გამოგიხმე, რომ მაუწყო, როგორ მოვიქცე.“

¹⁶და უთხრა სამუელმა: „მე რაღას მეკითხები, როცა უფალი განგიდგა და მტრად გექცა?

¹⁷ყველაფერს აგისრულებს უფალი, რაცა ბრძანა ჩემი პირით: ხელიდან წაგართმევს სამეფოს და მისცემს შენს მოყვასს – დავითს.

¹⁸რაკი არ ისმინე უფლის ხმა და არ აღასრულე უფლის რისხვა ყამალეკზე, ამიტომაც აღასრულებს დღეს უფალი შენზე თავის სიტყვას.

¹⁹და ისრაელსაც შენთან ერთად ჩააგდებს უფალი ფილისტიმელთა ხელში. ხვალ ჩემთან იქნებით შენცა და შენი შვილებიც. ისრაელის ბანაკსაც ჩააგდებს უფალი ფილისტიმელთა ხელში.“

²⁰უცებ მთელი ტანით დაეცა მიწაზე საული, ძლიერ შეეშინდა სამუელის სიტყვებისა; ძალაც გამოლეული ჰქონდა, რადგან მთელი ის დღე და ის ღამე არაფერი ეჭამა.

²¹და მივიდა დედაკაცი საულთან და როცა დაინახა, რომ ძლიერ იყო იგი შეშფოთებული, უთხრა: „აჰა, ისმინა შენი ხმა შენმა მხევალმა, ხიფათში ჩაიგდო თავი და შეასრულა შენი ბრძანება.

²²ახლა შენც ისმინე შენი მხევლის ხმა: პურის ნაჭერს დაგიდებ წინ და შეჭამე, რომ გზაზე წასასვლელი ძალა მოგეცეს.“

²³იუარა საულმა და თქვა: „არ შეეჭამ.“ და როცა არ მოეშვნენ მისი მსახურნი და დედაკაციც, დაჰყვა მათ ნებას. მიწიდან ადგა და საწოლზე ჩამოჯდა.

²⁴დედაკაცს სახლში ნასუქალი ხბო ჰყავდა, სასწრაფოდ დაკლა, ფქვილი აიღო, ცომი მოზილა, ხმიადები გამოაცხო

²⁵და წინ გაუშალა საულსა და მის მსახურთ. და როცა ჭამეს, ადგნენ და იმ ღამესვე წავიდნენ.

პირველი მეფეთა 29

¹და შეჰყარეს ფილისტიმელებმა მთელი თავიანთი ლაშქარი აფეკში, ხოლო ისრაელმა იზრეყელის წყაროსთან დაიბანაკა.



²ფილისტიმელთა მთავრები თავ-თავიანთი ასეულებითა და ათასეულებითურთ მოდოდნენ. დავითი და მისი ხალხი კი უკან მიჰყვებოდა აქიშს.

³და თქვეს ფილისტიმელთა მთავრებმა: „აქ რა უნდათ ამ ებრაელებს?“ და უთხრა აქიშმა ფილისტიმელ მთავრებს: „ეს ხომ დავითია, ისრაელის მეფის, საულის მსახური. წელიწადზე მეტია, რაც ჩემთან არის და ცუდი არაფერი შემინიშნავს მისთვის მისი გამოქცევის დღიდან დღემდე.“

⁴და ბრაზობდნენ მასზე ფილისტიმელი მთავრები, და უთხრეს: „უკანვე გაისტუმრე ეგ კაცი. დაბრუნდეს თავის ადგილას, სადაც გაგიწესებია. ნუ წამოგყვება ბრძოლაში, რომ ბრძოლის დროს მტრად არ გვექცეს. რითი მოიგებს თავისი ბატონის გულს, თუ არა ჩვენი კაცების თავებით?“

⁵ეს ხომ ის დავითია, რომელსაც ცეკვით გამოსული ქალები უმღეროდნენ: მოსრა საულმა ათასები, დავითმა კი 10 ათასებიო?”

⁶და მოუხმო აქიშმა დავითს და უთხრა: „უფალს ვფიცავ, პატიოსანი კაცი ხარ და მახარებს შენი შესვლა და გამოსვლა ჩემს ბანაკში, რადგან ვერავითარი ბოროტება ვერ აღმოვაჩინე შენში ჩემთან შენი მოსვლის დღიდან, მაგრამ მთავრებს არ მოუხველ თვალში.“

⁷და ახლა მშვიდობით გაბრუნდი უკან და ისეთი არაფერი გააკეთო, რაც ფილისტიმელთა მთავრებს თვალში არ მოუვათ.“

⁸და უთხრა დავითმა აქიშს: „რა გავაკეთე, ან რა შენიშნე ისეთი შენს მსახურს დღიდან შენთან მოსვლისა, რომ არ წავიდე და არ ვიბრძოლო ჩემი მეფე-ბატონის მტრებთან?“

⁹მიუგო აქიშმა და უთხრა დავითს: „ვიცი, რომ კარგი ხარ. ღვთის ანგელოზით ხარ ჩემს თვალში, მაგრამ ფილისტიმელი მთავრები ამბობენ: ნუ წამოგყვებაო ბრძოლაში.“

¹⁰და ახლა ადექით დილაადრიანად შენ და შენი ბატონის მსახურნი, შენ რომ თან მოგყვნენ, ადექით ადრიანად და, როცა ალიონი დაიძვრება, უკან გაბრუნდით.“

¹¹და ადგნენ დავითი და მისი კაცები, რათა წასულიყვნენ დილით და გაბრუნებულიყვნენ ფილისტიმელთა ქვეყანაში, ხოლო ფილისტიმელები იზრეყელისაკენ წავიდნენ.

პირველი მეფეთა 30

¹სანამ მესამე დღეს დავითი და მისი კაცები ციკლაგში მივიდოდნენ, ყამალეკნი ნეგებიდან დაესხნენ ციკლაგს, გაანადგურეს და გადაწვეს.



- ²და იქ მყოფი ქალები კი, დიდთან-პატარიანად, ტყვედ წაასხეს, არავინ მოუკლავთ, და წავიდნენ თავიანთი გზით.
- ³და მივიდნენ დავითი და მისი კაცები ქალაქში და ხედავენ: გადამწვარია ქალაქი, დედა-წული ტყვედ წაუსხამთ.
- ⁴და ხმა აღიმალღეს დავითმა და მისმა ხალხმა და ტიროდნენ, ვიდრე ძალი შესწევდათ.
- ⁵ტყვედ იყო წაყვანილი დავითის ორივე ცოლიც: იზრეყელელი ახინოყამი და ქარმელელი ნაბალის ქვრივი აბიგაილი.
- ⁶და ძლიერ შეშფოთებული იყო დავითი, რადგან მისი ჩაქოლვა გადაეწყვიტა ხალხს. გამწარებული იყო ხალხი თავიანთი ვაჟებისა და ასულების გამო. მაგრამ უფლით, თავისი ღმერთით გაიმხნევა დავითმა თავი.
- ⁷და უთხრა დავითმა აბიათარ მღვდელს, ახიმელექის ძეს: „მომიტანე ეფოდი!“ და მიუტანა აბიათარმა ეფოდი დავითს.
- ⁸და დაეკითხა დავითი უფალს და უთხრა: „დავედევნო იმ ურდოს? მივეწევი?“ და მოხსენდა: „დაედევნე, დაეწევი და წაართმევ.“
- ⁹და წავიდა დავითი 600 კაცით და მიაღწა ბესორის ნაღვარევს. დაღლილები იქვე, ადგილზე დარჩნენ.
- ¹⁰დავითი დაედევნა 400 კაცითურთ. დარჩა 200 კაცი, რომელთაც დაღლილობის გამო ვერ შეძლეს ბესორის ნაღვარევის გადალახვა.
- ¹¹იპოვეს მინდორში ერთი ეგვიპტელი კაცი და მიიყვანეს დავითთან, და მისცეს პური და შეჭამა, და წყალიც დაალევინეს.
- ¹²და მისცეს ლელვის ჩირი და ორი მტევანი ჩამიჩი. შეჭამა კაცმა და მოსულიერდა, რადგან სამი დღე და ღამე უჭმელ-უსმელი იყო.
- ¹³და უთხრა მას დავითმა: „ვისი ხარ და სადაური?“ თქვა: „ეგვიპტელი ყრმა ვარ, ერთი ყმალეკელის მსახური. მიმატოვა ჩემმა ბატონმა, რადგან მესამე დღეა, ავადა ვარ.“
- ¹⁴ჩვენ დავარბიეთ ქერეთის სამხრეთი, იუდას მხარე, ქალების სამხრეთი, ციკლაგი კი ცეცხლით გადავწვით.“
- ¹⁵და უთხრა დავითმა: „ჩამიყვან იმ ურდომდე?“ თქვა ეგვიპტელმა: „ღმერთი შემომფიცე, რომ არ მომკლავ და ჩემს ბატონს არ გადამცემ, და ჩაგიყვან იმ ურდომდე.“



¹⁶და ჩაიყვანა. და აჰა, ყამალეკელთ მოუცავთ მთელი ის მხარე, ჭამენ, სვამენ და ზეიმობენ ფილისტიმელთა ქვეყნიდან და იუდადან წამოღებული დიდი ნადავლის გამო.

¹⁷და ჟღეტდა მათ დავითი გარიჟრაჟიდან მეორე დღის საღამომდე. არავინ გადარჩენილა 400 ჭაბუკის გარდა, რომლებიც მოახტნენ აქლემებს და გაქუსლეს.

¹⁸უკან წაართვა დავითმა ყამალეკელთ ყველაფერი, რაც წაღებული ჰქონდათ; თავისი ორი ცოლიც დაიბრუნა.

¹⁹და არაფერი დაჰკარგვიათ – არც მცირე, არც დიდი; არც ვაჟებიდან და არც ასულებიდან; არც ნადავლიდან, რაც გატაცებული ჰქონდათ ყამალეკელთ; ყველაფერი დაიბრუნა დავითმა.

²⁰და წამოასხა დავითმა მთელი მათი ცხვარ-ძროხა; მოერეკებოდნენ ამ საქონელს თავიანთი პირუტყვის წინ და ამბობდნენ: დავითის ნადავლიაო ეს!

²¹და მივიდა დავითი იმ ორას კაცთან, რომელთაც ვერ შეძლეს დავითს გაჰყოლოდნენ და ბესორის ნაღვარევთან რომ დატოვა მან. და გამოვიდნენ ისინი დავითისა და მასთან მყოფი ხალხის მისაგებებლად. მივიდა დავითი ამ ხალხთან და მოიკითხა.

²²ასე ამბობდა ზოგიერთი ბოროტი და უგვანი კაცი, დავითთან ერთად რომ იყო წასული: „რაკი არ წამოგვყვნენ, ნურაფერს გავუნაწილებთ იმ ნადავლიდან, ჩვენ რომ დავიბრუნეთ უკან, მხოლოდ თავიანთი ცოლ-შვილი წაასხან და წავიდნენ.“

²³და თქვა დავითმა: „ნუ იზამთ ამას, ძმებო, რადგან უფლის მოცემულია ეს ყველაფერი, მან დაგვიფარა, მან ჩაგვიგდო ხელში ეს ურდო, თავს რომ დაგვესხა.“

²⁴ვინ დაგეთანხმებათ ამ საქმეზე? რადგან, რა წილიც ნაომარ კაცს უდევს, იგივე წილი უნდა ხვდეს ალალთან დარჩენილს, თანაბრად უნდა გაინაწილონ.“

²⁵ასე იყო იმ დღიდან და შემდგომაც. ასე დაადგინა დავითმა წესად და რჯულად ისრაელისათვის დღემდე.

²⁶და მივიდა დავითი ციკლაგში, და დააგზავნა ნადავლიდან წილი იუდას უზუცესებისთვის, თავისი მეგობრებისთვის და შეუთვალა: „აჰა, კურთხევა თქვენთვის უფლის მტრების ნადავლიდან.“

²⁷ასევე მათთვისაც, ვინც ბეთელში, ნეგების რამოთში და იათირში იყო;



²⁸ვინც ყაროყერში, სიფმოთში, ეშთემოაყში იყო;

²⁹ვინც რაქალში, ვინც იერახმეელელთა და კენიელთა ქალაქებში იყო;

³⁰ვინც ხორმაში, ბორ-ყაშანში, ყათაქში იყო;

³¹ვინც ხებრონში იყო – ყველა ადგილისთვის, სადაც კი დავითსა და მის კაცებს ევლოთ.

პირველი მეფეთა 31

¹და გაუმართეს ბრძოლა ფილისტიმელებმა ისრაელს, და გაურბოდნენ ისრაელიანები ფილისტიმელებს, და გილბოაყის მთაზე ეცემოდნენ დახოცილნი.

²როცა მიეწივნენ ფილისტიმელები საულს და მის ვაჟებს, დახოცეს ფილისტიმელებმა იონათანი, აბინადაბი და მალქი-შუაყი – საულის ძენი.

³გაცხარდა ბრძოლა საულთან. ნიშანში ამოიღეს იგი მშვილდოსნებმა და მძიმედ დაჭრეს.

⁴და უთხრა საულმა თავის საჭურველთმტვირთველს: „იმიშვლე მახვილი და გამიყარე, რომ არ მოვიდნენ წინადაუცვეთელები და არ მომკლან, და არ შეურაცხმყონ.“ მაგრამ უარი თქვა საჭურველთმტვირთველმა, რადგან ძალიან ეშინოდა. მაშინ აიღო საულმა თავისი მახვილი და ზედ დაეგო.

⁵და როცა დაინახა საჭურველთმტვირთველმა, რომ მოკვდა საული, ისიც ზედ დაეგო თავის მახვილს და მოკვდა მასთან ერთად.

⁶იმ დღეს ერთად დაიხოცნენ საული, მისი სამი ძე, მისი საჭურველთმტვირთველი და ყველა მისი კაცი.

⁷და, როცა დაინახეს ველს გაღმა და იორდანეს გაღმა მცხოვრებმა ისრაელიანთ, რომ უკუიქცნენ ისრაელიანები და დაიხოცნენ საული და მისი ძენი, დატოვეს ქალაქები და თავადაც გაიქცნენ. და მივიდნენ ფილისტიმელები და ჩასახლდნენ იქ.

⁸მეორე დღეს მოვიდნენ ფილისტიმელები დახოცილთა გასამარცვად და ნახეს გილბოაყის მთაზე დაცემული საული და მისი სამი ძე.

⁹თავი მოაჭრეს მას, და საჭურველი აჰყარეს, და დაგზავნეს კაცები მთელს ფილისტიმელთა ქვეყანაში, რათა ეხარებინათ ეს ამბავი თავიანთი საკერპოებისათვის და ხალხისათვის.

¹⁰და დადეს მისი საჭურველი ყაშთორეთების ბომონში, ხოლო მისი გვამი ბეთ-შანის კედელზე მიაჭედეს.



¹¹და გაიგეს იაბეშ-გალაადელებმა, როგორ მოექცნენ ფილისტიმელები საულს,

¹²და ადგა ყველა, ვინც ვაჟკაცი იყო, მთელი ღამე იარეს, აიღეს საულისა და მის ძეთა გვამები ბეთ-შანის კედლიდან და მოიტანეს იაბეშში, და დაწვეს;

¹³და აკრიფეს ძვლები და დამარხეს იაბეშში იალლუნის ქვეშ. და შვიდ დღეს იმარხულეს.



მეორე მეფეთა

მეორე მეფეთა 1

- ¹საულის სიკვდილის შემდეგ, ყმალეკზე გამარჯვებიდან დაბრუნებული დავითი ორ დღეს დარჩა ციკლაგში,
- ²აჰა, მესამე დღეს მოვიდა საულის ბანაკიდან კაცი, სამოსელშემოგლეჯილი და თავზე მტვერდაყრილი. დავითს რომ მიუახლოვდა, მიწაზე დაეცა და თაყვანი სცა.
- ³და უთხრა მას დავითმა: „საიდან მოდიხარ?“ უპასუხა: „ისრაელის ბანაკიდან გამოვიქეცი.“
- ⁴უთხრა დავითმა: „რა მოხდა? მიაშვე!“ თქვა კაცმა: „ხალხი გაიქცა ბრძოლის ველიდან. ჩვენიანიც ბევრი დაეცა და დაიხოცა. საულიცა და მისი ძე იონათანიც დაიხოცნენ.“
- ⁵უთხრა დავითმა ყმაწვილ კაცს, ამბის მომტანს: „როგორ გაიგე, რომ დახოცილან საული და მისი ვაჟი იონათანი?“
- ⁶თქვა ყმაწვილმა კაცმა, ამბის მომტანმა: „გილბოაყის მთაზე მოვხვდი შემთხვევით და ვხედავ, თავის შუბზეა საული დაყრდნობილი. და აჰა, ეტლები და მხედრები უახლოვდებოდნენ მას.“
- ⁷უკან მოიხედა, დამინახა და დამიძახა. ვუთხარი: ‘გისმენ, ბატონო!’
- ⁸მითხრა: ‘ვინ ხარ?’ ვუთხარი: ‘ყმალეკელი ვარ.’
- ⁹მითხრა: ‘მოდი დროზე და მომკალი, რადგან სიკვდილის აღმური მტანჯავს და სული კი ჯერ არ ამომხდომია.’
- ¹⁰და დავადექი და მოვკალი, რადგან ვიცოდი, რომ მაინც აღარ იცოცხლებდა დამარცხების შემდეგ. და მოვხადე გვირგვინი, თავზე რომ ეხურა, და სამაჯური, ხელზე რომ ეკეთა, და აქ მოვუტანე ჩემს ბატონს.“
- ¹¹ჩაბლუჯა თავისი სამოსელი დავითმა და შემოიგლიჯა. და ასე გააკეთა ყველამ, ვინც მასთან იყო.
- ¹²და მოთქვამდნენ და ტიროდნენ, და საღამომდე მარხულობდნენ, როგორც საულისა და მისი ძის, იონათანის გამო, ასევე უფლის ერისა და ისრაელის სახლის გამო, მახვილისგან რომ დაეცნენ.
- ¹³უთხრა დავითმა ამბის მომტან ყმაწვილკაცს: „სადაური ხარ?“ მიუგო: „ხიზნის შვილი ვარ, ყმალეკელისა.“



- ¹⁴უთხრა მას დავითმა: „როგორ გაბედე და ხელი აღმართე უფლის ცხებულის მოსაკლავად?“
- ¹⁵და დაუძახა დავითმა ერთ თავის მოყმეთაგანს და უთხრა: „აქ მოდი და მოკალი ეს კაცი!“ და დაჰკრა, და მოკვდა იგი.
- ¹⁶და მიაძახა მას დავითმა: „შენს თავზეა შენი სისხლი, რადგან შენმავე ბაგემ გამხილა, როცა თქვი, მე მოვკალიო უფლის ცხებულის.“
- ¹⁷ამ გოდებით გოდებდა დავითი საულსა და იონათანზე, მის ძეზე.
- ¹⁸და ბრძანა, რომ ესწავლებინათ იუდას ხალხისთვის საგალობელი მშვილდზე, როგორც სწერია იაშირის წიგნში. მან თქვა:
- ¹⁹ო, ისრაელო, შენს მაღლობებზე შეიბღალა შენი მშვენება! როგორ დაეცნენ ვაჟკაცები!
- ²⁰ნუ გაამხელთ გათში, ნუ გამოაცხადებთ აშკელონის ქუჩებში, რომ არ გაიხარონ ფილისტიმელთა ასულებმა; არ იზეიმონ წინადაუცვეთელთა ასულებმა.
- ²¹გილბოაყის მთებო! არ გედირსოთ ცვარი და წვიმა, ნაყოფიერი მინდვრები, რადგან მანდ გაცუდდა ვაჟკაცთა ფარი, საულის ფარი, თითქოს არ ყოფილიყო საული ზეთით ცხებულის!
- ²²განგმირულთა უსისხლოდ, ძლიერთა გულ-ღვიძლის გაუგლეჯად არ დაცემულან იონათანის ისრები, არც საულის ხმალი ჩაგებულა ქარქაშში სისხლის დაუთხევლად!
- ²³საული და იონათანი, საყვარელნი და სანატრელნი, სიცოცხლეში განუმორებელნი, სიკვდილშიც არ განემორნენ; ორბთა უსწრაფესნი, ლომზე ძლიერნი.
- ²⁴ისრაელის ასულნო! იტირეთ საული, ვინც მოწეულითა და ძვირფასეულით გამოსავდათ, თქვენი სამოსლის ოქრომკედით დამამშვენებელი.
- ²⁵როგორ დაეცნენ ბრძოლაში! განგმირულია იონათანი შენს მაღლობებზე.
- ²⁶ვწუხვარ შენზე, ძმაო იონათან! დიდად ძვირფასი იყავი ჩემთვის. შენი სიყვარული ჩემდამი უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე ქალის სიყვარული.
- ²⁷როგორ დაეცნენ ვაჟკაცები, როგორ გაცვდა საჭურველი!

მეორე მეფეთა 2



¹ამის შემდეგ დაეკითხა დავითი უფალს, და უთხრა: „შევიდე იუდას რომელიმე ქალაქში?“ და უთხრა უფალმა: „შედი.“ უთხრა დავითმა: „სად შევიდე?“ მან უთხრა: „ხებრონში.“

²და წავიდნენ იქ დავითი და მისი ორივე ცოლი: იზრეყელელი ახინოყამი და აბიგაილი, ნაბალის ქვრივი, ქარმელელი.

³და თავისთან მყოფი ხალხიც მოიყვანა დავითმა მათი სახლებიანად, და დასახლდნენ ხებრონის ქალაქებში.

⁴მოვიდნენ იუდაელნი და დავითი მეფედ სცხეს იუდას სახლზე. და შეატყობინეს დავითს, რომ გალაადის იაბემელებმა უკვე დამარხესო საული.

⁵და გაგზავნა მოციქულები დავითმა გალაადის იაბემელებთან და შეუთვალა: „კურთხეულნი ხართ უფლისგან, ეს წყალობა რომ მიაგეთ თქვენს ბატონს – საულს – და დამარხეთ.“

⁶უფალმა მოგაგოთ წყალობა და მადლი, და მეც გადაგიხდით ამ კეთილი საქმისთვის, თქვენ რომ გააკეთეთ.

⁷ახლა მკლავნი გაიმაგრეთ და ვაჟკაცურად იყავით, რადგან მკვდარია თქვენი პატრონი, საული, და მე მცხო იუდას სახლმა თავის მეფედ.“

⁸ხოლო აბნერმა, ნერის ძემ, საულის მხედართმთავარმა, წაიყვანა იმ-ბოშეთი, საულის ძე, და გადაიყვანა მახანაიმში,

⁹და გაამეფა გალაადზე, და აშურელებზე, და იზრეყელზე, და ეფრემზე, და ბენიამინზე, და მთელს ისრაელზე.

¹⁰40 წლისა იყო იმ-ბოშეთი, საულის ძე, როცა გამეფდა ისრაელზე, და ორ წელიწადს იმეფა. მხოლოდ იუდას სახლი გაჰყვა დავითს.

¹¹და იყო დავითის მეფობის ხანი ხებრონში იუდას სახლზე შვიდი წელი და ექვსი თვე.

¹²და გამოვიდა აბნერი, ნერის ძე, იმ-ბოშეთის, საულის ძის მსახურებთან ერთად მახანაიმიდან გიბეონისაკენ.

¹³გამოვიდა იოაბ ცერუიას ძეც დავითის მსახურებთან ერთად, და შეეყარნენ ისინი ერთმანეთს გიბეონის ტბორთან, და გამაგრდნენ: ერთნი ტბორს იქითა ნაპირას, მეორენი – აქეთა ნაპირას.

¹⁴და უთხრა აბნერმა იოაბს: „გამოვიდნენ ჭაბუკები და იასპარეზონ ჩვენს წინაშე.“ მიუგო იოაბმა: „გამოვიდნენ!“

¹⁵და ადგა და გამოვიდა 12 ბენიამინელი იმ-ბოშეთის, საულის ძის მხრიდან და 12 დავითის მსახურთა მხრიდან.



¹⁶და ჩაავლეს ერთმანეთს თავში ხელი და მახვილები ჩასცეს ფერდში, და დაეცნენ ერთად. და ეწოდა მას შემდეგ იმ ადგილს ხელკათ-ჰაცურიმი, რომელიც გიბეონთან არის.

¹⁷და გაიმართა იმ დღეს უსასტიკესი ბრძოლა, და იძლივნენ აბნერი და ისრაელიანები დავითის მსახურთა მიერ.

¹⁸იქ იყო ცერუიას სამი ძე: იოაბი, აბიშაი და ყასაელი. ყასაელი ხომ ფეხმარდი იყო, როგორც ქურციკი ველზე.

¹⁹და გამოუდგა ყასაელი აბნერს, პირდაპირ მისდევდა, არ გაუხვევია არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, კვალდაკვალ მისდევდა აბნერს.

²⁰უკან მოიხედა აბნერმა და უთხრა: „ყასაელი ხარ?“ და თქვა: „მე ვარ.“

²¹და უთხრა აბნერმა: „გადაუხვით ხელმარცხნივ ან ხელმარჯვნივ, დაიჭირე რომელიმე ამ ჭაბუკთაგანი და წაართვი საჭურველი.“ მაგრამ ყასაელმა არ ინდომა და არ ჩამოეცალა მას.

²²და კვლავ უთხრა აბნერმა ყასაელს: „ჩამომცილდი, თუ არ გინდა, რომ მიწას დაგაკლა! რა პირითლა უნდა შევხედო მერე იოაბს, შენს ძმას?“

²³მაგრამ არ მოინდომა მან ჩამოცილება, და უკუსცა აბნერმა მას შუბი მუცელში და მეორე მხარეს გაატანა შუბმა. იქვე დაეცა ყასაელი და ადგილზევე მოკვდა. და ვინც კი მოდიოდა იმ ადგილას, სადაც დაეცა ყასაელი და მოკვდა, ყველა ჩერდებოდა.

²⁴და დაედევნენ იოაბი და აბიშაი აბნერს. და მზის ჩასვლისას იმ ბორცვს მიაწიეს, გიახის გასწვრივ რომ არის, გიბეონის უდაბნოს გზაზე.

²⁵და შეიყარნენ ბენიამინის ძენი აბნერთან, ერთი რაზმი შეადგინეს და ერთი ბორცვის თავზე დადგნენ.

²⁶და გასძახა აბნერმა იოაბს: „როდემდე უნდა ჭამოს მახვილმა? ნუთუ არ იცი, რომ ბოლო მწარე იქნება? როდემდე არ უნდა უბრძანო შენს ხალხს, თავი დაანებონ თავიანთი ძმების დევნას?“

²⁷და უთხრა იოაბმა: „დმერთია მოწამე, შენ რომ არ გამოგეწვია, დილიდანვე მოეშვებოდა ხალხი თავისი ძმების დევნას.“

²⁸და დაჰბერა ბუკი იოაბმა და შედგა მთელი ხალხი, და აღარ დაედევნა ისრაელიანთ და აღარც ერთმანეთს შებრძოლებიან.

²⁹და აბნერი და მისი ხალხი მთელი ღამე მიდიოდნენ ყარაბაზე, და გავიდნენ იორდანეს გაღმა, გაიარეს მთელი ხეობა და მიაღწიეს მახანაიმს.

³⁰და იოაბმა, როცა აბნერის დევნიდან დაბრუნდა, შეჰყარა მთელი ხალხი. დავითის მსახურთაგან აკლდა მხოლოდ 19 კაცი და ყასაელი.



³¹ხოლო დავითის მსახურებმა ბენიამინის ძეთაგან და აბნერის მებრძოლთაგან დახოცეს 360 კაცი.

³²და წაასვენეს ყასაელი და დამარხეს ბეთლემს, მამამისის სამარხში. და იარეს მთელი ღამე იოაბმა და მისმა კაცებმა და გამთენიისას ჩააღწიეს ხებრონში.

მეორე მეფეთა 3

¹და იყო ხანგრძლივი განხეთქილება საულის სახლსა და დავითის სახლს შორის. დავითი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ხოლო საულის სახლი უფრო და უფრო სუსტდებოდა.

²და შეეძინა დავითს ხებრონში ვაჟები: მისი პირმშო იყო ამნონი, იზრეყელელი ახინოყამისგან;

³მეორე – ქილეაბი, აბიგაილისგან, ქარმელელი ნაბალის ქვრივისაგან; მესამე – აბესალომი, ძე მაყაქასი, გემურის მეფის, თალმაის ასულისა;

⁴მეოთხე – ადონია, ხაგითის შვილი; მეხუთე – შეფატია, აბიტალის შვილი;

⁵მეექვსე – ითრეყამი, ყეგლასაგან, დავითის ცოლისაგან. ყველა ესენი ხებრონში შეეძინა დავითს.

⁶საულის სახლსა და დავითის სახლს შორის განხეთქილებისას აბნერს საულის სახლის მხარე ეჭირა.

⁷და ჰყავდა ხარჭა საულს, სახელად რიცფა, აიას ასული. და უთხრა იშ-ბოშეთმა აბნერს: „რატომ შეხვედი მამაჩემის ხარჭასთან?“

⁸ძლიერ განარისხეს იშ-ბოშეთის ამ სიტყვებმა აბნერი და თქვა: „განა მე ძაღლის თავი ვარ, იუდას რომ ვეწინააღმდეგები დღეს, სიკეთეს რომ ვუკეთებ მამაშენის, საულის სახლს, მის ძმებსა და მოყვასთ, და არ ჩამიგდიხარ დავითის ხელში? და ახლა ამ ქალზე მდებ ბრალს?“

⁹ასე და ასე უყოს ღმერთმა აბნერს, და კიდევ უარესიც დამართოს, თუ ისე არ მოვიქცე, როგორც შეჰფიცა დავითს უფალმა:

¹⁰მეფობას წავართმევ საულის სახლს და დავითის ტახტს დავადგენო ისრაელსა და იუდაზე, დანიდან ბეერ-შებაყამდე.”

¹¹და სიტყვა ვედარ შეუბრუნა მან აბნერს, რადგან ეშინოდა მისი.

¹²და გაუგზავნა აბნერმა მოციქულები დავითს, და დააბარა ეთქვათ: „ვის ეკუთვნის ეს ქვეყანა? შეკარი კავშირი ჩემთან, და, აჰა, ჩემი ხელი შენთან იქნება, რათა მოგემხროს მთელი ისრაელი.“



¹³და თქვა: „კეთილი, შევკრავ შენთან კავშირს, ოღონდ ერთი პირობით, ჩემს სახეს ვერ იხილავ, თუ მიქალი, საულის ასული არ მოგიყვანია ჩემთან, როცა ჩემს სანახავად მოხვალ.“

¹⁴მოციქულები დავითმაც გაუგზავნა იშ-ბოშეთს, საულის ძეს, და შეუთვალა: „მომეცი ჩემი ცოლი – მიქალი, რომელიც 100 წინადაუცვეთელი ფილისტიმელის ჩუჩების ფასად დავწინდე.“

¹⁵და გაგზავნა კაცი იშ-ბოშეთმა მის წამოსაყვანად ქმრისგან, ფალტიელ ლაიშის ძისაგან.

¹⁶და წამოჰყვა მას ქმარი და ტირილით მოაცილებდა ბახურიმამდე. აქ კი უთხრა აბნერმა: „წადი, გაბრუნდი.“ და ისიც გაბრუნდა.

¹⁷დაელაპარაკა აბნერი ისრაელის უხუცესებს და უთხრა: „უწინაც გინდოდათ, რომ დავითი თქვენი მეფე ყოფილიყო.“

¹⁸ახლა იმოქმედეთ, რადგან უთხრა უფალმა დავითს: ‘ჩემი მსახურის, დავითის ხელით უნდა ვიხსნა ჩემი ერი, ისრაელი, ფილისტიმელთა ხელიდან და ყველა მტრის ხელიდან.’“

¹⁹ამასვე ელაპარაკა აბნერი ბენიამინელთაც. და მერე წავიდა დავითთან ხებრონში, იმის სათქმელად, რაც სურდა ისრაელს და ბენიამინის მთელ სახლს.

²⁰და მივიდა აბნერი დავითთან ხებრონში, თან 20 კაცი ახლდა. ნადიმი გაუმართა დავითმა აბნერს და იმ კაცებს, რომლებიც მას ახლდნენ.

²¹და უთხრა აბნერმა დავითს: „ავდგები და წავალ და შევუკრებ ჩემს მეფე-ბატონს მთელს ისრაელს, რათა აღთქმა დაგიდონ და ყველაზე იმეფო შენი გულისწადილისამებრ.“ და გაისტუმრა დავითმა აბნერი და ისიც წავიდა მშვიდობით.

²²და აჰა, დაბრუნდნენ სათარეშოდ გასული დავითის მსახურნი და იოაბი და დიდძალი ნადავლი მოიტანეს თან. აბნერი უკვე აღარ იყო დავითთან ხებრონში, რადგან დავითმა გაუშვა ის, და ისიც წავიდა მშვიდობით.

²³როცა მოვიდა იოაბი და მასთან მყოფი მთელი ლაშქარი, აცნობეს იოაბს: „მოვიდა აბნერი, წერის ძე მეფესთან, და მან გაუშვა იგი, და ისიც წავიდა მშვიდობით.“

²⁴მივიდა იოაბი მეფესთან და უთხრა: „ეს რა ჰქენი? აჰა, მოსულა შენთან აბნერი! რატომ გაუშვი და დაანებე, რომ წასულიყო?“



²⁵შენ ხომ იცნობ აბნერს, ნერის ძეს, შენს მოსატყუებლად მოვიდა, რათა გაიგოს შენი გამოსვლა და შენი შესვლა და ყველაფერი გამოიძიოს, რასაც აკეთებ.“

²⁶და როგორც კი გამოვიდა იოაბი დავითისგან, კაცები დაადევნა აბნერს. სირას ჭიდან გამოაბრუნეს მათ იგი. დავითმა კი არაფერი იცოდა ამის შესახებ.

²⁷და როცა დაბრუნდა აბნერი ხებრონს, გაიხმო იგი იოაბმა კარიბჭის შიგნით, ვითომც განმარტოებით საუბარი სურდა მასთან, და მუცელში ჰკრა მახვილი. და მოკვდა ის ყასაელის, იოაბის ძმის სისხლის საზღაურად.

²⁸და როცა შემდეგ ეს გაიგო დავითმა, თქვა: „უბრალონი ვართ მე და ჩემი სამეფო უფლის წინაშე უკუნისამდე აბნერის, ნერის ძის სისხლში;

²⁹დაატყდეს იგი იოაბის თავს და მამამისის მთელ სახლს! ნუმც გამოლეულა იოაბის სახლში სისხლმდინარი, კეთროვანი, ხელჯოხიანი, მახვილით განგმირული, პურს დანატრებული!“

³⁰ხოლო იოაბმა და აბიშაიმ, მისმა ძმამ, იმის გამო მოუსწრაფეს სიცოცხლე აბნერს, რომ მან მოკლა ყასაელი, მათი ძმა გიბეონთან ბრძოლაში.

³¹და უთხრა დავითმა იოაბს და მასთან მყოფ მთელ ხალხს: „შემოიხიეთ სამოსელი, შემოირტყით ჯვალს და დაიტირეთ აბნერი.“ მეფე დავითი თავად მიჰყვებოდა კუბოს.

³²და როცა მათ დამარხეს აბნერი ხებრონში, ხმამაღლა ტიროდა მეფე აბნერის საფლავზე და ტიროდა მთელი ხალხი.

³³და წარმოთქვა მეფემ თავისი საგოდებელი და თქვა: „განა უგუნურის სიკვდილით უნდა მომკვდარიყო აბნერი?

³⁴ხელები შეკრული არა გქონია, არც ფეხებზე გდებია ხუნდები; და შენ დაეცი, როგორც ეცემიან ავაზაკთა ხელით!“ – და კიდევ უფრო მეტად ატირდა ხალხი.

³⁵ჯერ ისევ დღე იყო, რომ მოდიოდა ხალხი და პურს სთავაზობდა დავითს. იფიცავდა დავითი და ამბობდა: „ასე და ასე მიყოს ღმერთმა და უარესიც დამმართოს, თუ მზის ჩასვლამდე ვიგემო პური ან სხვა რამ.“

³⁶და მაშინ ყველაფერს მიხვდა მთელი ხალხი და მოეწონათ ეს ისევე, როგორც ყველაფერი მოსწონდათ, რასაც მეფე აკეთებდა.

³⁷და გაიგო მთელმა ხალხმა და მთელმა ისრაელმა იმ დღეს, რომ მეფისგან არ მოდიოდა აბნერის, ნერის ძის მკვლელობა.



³⁸და უთხრა მეფემ თავის მსახურთ: „იცით, რამხელა სარდალი და რა დიდი ვაჟკაცი დაეცა დღეს ისრაელში?

³⁹მე დღეს ჯერაც სუსტი ვარ, თუმცა ცხებული ვარ მეფედ. ეს ხალხი კი, ცერუიას ძენი, ჩემზე ძლიერნი არიან. უფალმა მიუზღოს ბოროტმოქმედს მისი ბოროტების სანაცვლო!“

მეორე მეფეთა 4

¹და როცა შეიტყო საულის ძემ, რომ მოკვდა აზნერი ხებრონში, მხნეობა წარეკვეთა, და მთელი ისრაელიც შეშფოთდა.

²ორი კაცი ჰყავდა საულის ძეს რაზმის მეთაურებად: ერთს ერქვა ბაყანა, მეორეს – რექაბი, რიმონ ბეეროთელის ძენი იყვნენ, ბენიამინის ძეთაგან, რადგან ბეეროთიც ბენიამინს ეთვლებოდა.

³თავად ბეეროთელნი გითაიშში გაიქცნენ და დღემდე იქ ხიზნობენ.

⁴და იონათანს, საულის ძეს, ერთი კოჭლი ძე ჰყავდა. ხუთი წლის იყო იგი, როცა საულისა და იონათანის ამბავი მოვიდა იზრეყელიდან, და ხელში აიტაცა იგი ძიძამ და გაიქცა. როცა გარბოდა, ხელიდან გაუვარდა ბიჭი და დაკოჭლდა. სახელად მას მეფიზოშეთი ერქვა.

⁵და წავიდნენ რიმონ ბეეროთელის ძენი: რექაბი და ბაყანა და დღის ხვატში მიადგნენ იშ-ბოშეთის სახლს. ის კი საწოლზე იწვა და ეძინა შუადღისით.

⁶და აჰა, რექაბი და მისი ძმა ბაყანა შევიდნენ სახლში, ვითომდა ხორბლის საყიდლად, და მეხუთე ნეკნთან ჩასცეს მახვილი და მიიმალნენ.

⁷როცა ისინი სახლში შევიდნენ, იშ-ბოშეთს თავის საწოლ ოთახში ეძინა ლოგინზე; მახვილი ჩასცეს, მოკლეს და თავი მოაჭრეს. და წამოიღეს მისი თავი და მთელი ღამე იარეს ყარაბას გზაზე.

⁸და მიუტანეს იშ-ბოშეთის თავი დავითს ხებრონში და უთხრეს მეფეს: „აჰა, იშ-ბოშეთის თავი, საულის, შენი მტრის ძისა, რომელსაც შენი მოკვლა უნდოდა, შური უძია უფალმა ჩემს მეფე-ბატონს საულზე და მის ნაშიერებზე.“

⁹და მიუგო დავითმა რექაბს და ბაყანას, მის ძმას, ბეეროთელი რიმონის ვაჟებს, და უთხრა: „უფალს ვფიცავ, რომელმაც მიხსნა ყოველი გასაჭირისგან!

¹⁰თუკი მაცნე, რომელმაც მაუწყა და მითხრა: ‘აჰა, მოკვდა საული!’ და კეთილის მაცნე ეგონა თავი, შევიპყარ და მოვკალი ციკლაგში, იმის ნაცვლად, რომ სამახარობლო მიმეცა,



¹¹რას იმსახურებენ ის ბოროტი კაცები, რომელთაც უდანაშაულო კაცი თავისსავე სახლში, თავის საწოლზე, მოკლეს? ახლა განა თქვენს ხელს არ უნდა მოგვითხოვოს მისი სისხლი, და არ უნდა აღმოგვხვრათ ამ ქვეყნიდან?”

¹²და უბრძანა დავითმა მსახურებს და დახოცეს ისინი; ხელ-ფეხი დააჭრეს და ტბორზე გადმოჰკიდეს ხებრონში. ხოლო იშ-ბოშეთის თავი აიღეს და აბნერის საფლავში დამარხეს, ხებრონში.

მეორე მეფეთა 5

¹და მოვიდა ისრაელის ყველა შტო დავითთან ხებრონში და ასე უთხრეს: „აგერ, ძვალი და ხორცი ვართ შენი.

²გუშინაც და გუშინწინაც, როცა საული მეფობდა ჩვენზე, შენ გამოგყავდა და შეგყავდა ისრაელი, და უფალმა გითხრა: შენ უნდა დამწყსო ჩემი ერი, ისრაელი, და შენ უნდა იყო ისრაელის წინამძღოლი.“

³როცა მოვიდა ისრაელის მთელი უხუცესობა მეფესთან ხებრონს, დადო დავითმა მათთან აღთქმა ხებრონში უფლის წინაშე. და სცხეს დავითს ისრაელის მეფედ.

⁴ვი წლისა იყო დავითი, როცა გამეფდა, და 40 წელი იმეფა.

⁵ხებრონში შვიდ წელიწადს და ექვს თვეს მეფობდა იგი იუდაზე; იერუსალიმში კი 33 წელი მეფობდა მთელს ისრაელსა და იუდაზე.

⁶და როცა გაილაშქრეს მეფე დავითმა და მისმა კაცებმა იერუსალიმზე იმ ქვეყნის მკვიდრთა, იებუსელოთა წინააღმდეგ, ასე უთხრეს დავითს: „ვერ შემოხვალ, რადგან ბრმები და კოჭლებიც კი გაგაქცევენ უკან,“ – ეს ნიშნავდა: აქ ვერ შემოვაო დავითი.

⁷მაგრამ აიღო დავითმა სიონის ციხესიმაგრე: ეს არის დავითის ქალაქი.

⁸და თქვა იმ დღეს დავითმა: „იებუსელოთა ყოველმა მძლეველმა სატევრით მოსრას კოჭლებიც და ბრმეებიც – დავითის მოძულენი.“ ამიტომაც ამბობენ: „კოჭლი და ბრმა ვერ შევაო სახლში.“

⁹და დადგა დავითი ციხესიმაგრეში, და უწოდა მას დავითის ქალაქი. და ააშენა დავითმა ირგვლივ მილოდან და შიგნით.

¹⁰და წარემართებოდა დავითს და აღემატებოდა, რადგან უფალი, ცაბაოთ ღმერთი იყო მასთან.

¹¹და გამოუგზავნა ხირამმა, ცორის მეფემ, დესპანი დავითს და კედარის ხეტყე, ხუროები, ქვისმთლელები, და აუშენეს მათ სახლი დავითს.



¹²და მიხვდა დავითი, რომ მტკიცედ ჰყავდა დადგენილი იგი უფალს ისრაელის მეფედ და რომ აღამაღლა მისი მეფობა თავისი ერის – ისრაელის გამო.

¹³და კიდევ მოიყვანა იერუსალიმში დავითმა ხარჭები და ცოლები ხებრონიდან მოსვლის შემდეგ. და კიდევ შეეძინა დავითს ძენი და ასულნი.

¹⁴ეს არის მათი სახელები, რომლებიც იერუსალიმში შეეძინა მას: შამუაყი, შობაბი, ნათანი და სოლომონი,

¹⁵იზხარი, ელიშუაყი, ნეფეგი და იაფიაყი,

¹⁶ელიშამაყი, ელიადაყი და ელიფელეტი.

¹⁷როცა შეიტყვეს ფილისტიმელებმა, რომ ისრაელის მეფედ სცხეს დავითს, დაიძრნენ მთელი ფილისტიმელნი დავითის საძებნელად. შეიტყო ეს დავითმა და მიუვალ ადგილას ჩავიდა.

¹⁸მოვიდნენ ფილისტიმელები და რეფაიმის ველზე განლაგდნენ.

¹⁹და დაეკითხა დავითი უფალს: „გავიდე ფილისტიმელებზე? ხელში ჩამიგდებ მათ?“ უთხრა უფალმა დავითს: „გადი, რადგან ხელში ჩაგიგდებ ფილისტიმელებს.“

²⁰და მივიდა დავითი ბაყალ-ფერაციმში და იქ სძლია მათ; და თქვა: „წალეკა უფალმა ჩემი მტერი ჩემგან, როგორც წყალდიდობამ.“ ამიტომაც ეწოდა ამ ადგილს ბაყალ-ფერაციმი.

²¹და იქ მიატოვეს მათ თავიანთი კერპები, ხოლო დავითმა და მისმა კაცებმა აიღეს ისინი.

²²და კვლავ მოვიდნენ ფილისტიმელები და რეფაიმის ველზე განლაგდნენ.

²³და დაეკითხა დავითი უფალს, და მან უთხრა: „პირისპირ ნუ მიეჭრები, ზურგიდან მოუარე და თუთის ჭალის მხრიდან მიადექი.“

²⁴როგორც კი თუთის ხეთა კენწეროებიდან შრიალის ხმა შემოგესმება, იმწამსვე შეიმართე, რადგან სწორედ მაშინ წაგიძღვება უფალი ფილისტიმელთა ჯარების შესამუსრად.“

²⁵ისე გააკეთა დავითმა, როგორც უბრძანა უფალმა, და გებაყიდან გეზერამდე მუსრი გაავლო ფილისტიმელებს.

მეორე მეფეთა 6

¹და კვლავ შეკრიბა დავითმა ყველა რჩეული ვაჟკაცი ისრაელში, ³⁰ათასი.



²და მთელი თავისი ხალხითურთ ადგა დავითი და წავიდა იუდას ბაყალედან, რათა იქიდან ამოეტანათ ღვთის კიდობანი, რომელიც იწოდება ცაბაოთ უფლის სახელით, რომელიც ქერუბიმებზე ზის.

³და დაასვენეს ღვთის კიდობანი ახალ ურემზე და გამოაბრძანეს აბინადაბის სახლიდან, ბორცვზე რომ დგას. აბინადაბის ვაჟებს: ყუზას და ახიოს მოჰყავდათ ახალი ურემი.

⁴და როცა მოჰყავდათ ღვთის კიდობნით დატვირთული აბინადაბის სახლიდან, ბორცვზე რომ არის, ახიო წინ მოუძღვოდა კიდობანს.

⁵ხოლო დავითი და მთელი ისრაელიანები უკრავდნენ უფლის წინაშე კვიპაროსის ხის საკრავებს, ქნარებს, ბობლნებს, დაფდაფებს, სანგებსა და წინწილებს.

⁶და როცა ნაქონის კალოსთან მივიდნენ, ხელი შეაშველა ყუზამ ღვთის კიდობანს, რადგან ურემი გადახარეს ხარებმა.

⁷და აღიგზნო უფლის რისხვა ყუზას მიმართ და იქვე დასცა იგი ღმერთმა ამ სითამამისთვის, და იქვე მოკვდა იგი ღვთის კიდობანთან.

⁸და შეწუხდა დავითი, რომ განგმირა უფალმა ყუზა. დღემდე ეწოდება იმ ადგილს ფერეც-ყუზა.

⁹და შეეშინდა დავითს იმ დღეს უფლისა და თქვა: „როგორ შემოვა ჩემთან უფლის კიდობანი?“

¹⁰და აღარ ინდომა დავითმა უფლის კიდობნის წაღება თავისთან, დავითის ქალაქში, და გათელი ყობედ-ედომის სახლისკენ გაახვევინა.

¹¹და დარჩა სამ თვეს უფლის კიდობანი გათელი ყობედ-ედომის სახლში. და აკურთხა უფალმა ყობედ-ედომი და მთელი მისი სახლი.

¹²როცა შეატყობინეს დავით მეფეს, რომ აკურთხა უფალმა ღვთის კიდობნის გამო ყობედ-ედომის სახლი და მთელი მისი საბადებელი, წავიდა დავითი და სიხარულით წამოასვენა ღვთის კიდობანი ყობედ-ედომის სახლიდან დავითის ქალაქში.

¹³და როცა უფლის კიდობნის მტვირთავნი ექვს ნაბიჯს გადადგამდნენ, იგი მსხვერპლად სწირავდა თითო ხარსა და ცხვარს.

¹⁴და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, როგავდა დავითი უფლის წინაშე. და სელის ეფოდი ემოსა დავითს.

¹⁵ყიჟინითა და ბუკის ბერვით მიასვენებდნენ უფლის კიდობანს დავითი და ისრაელის მთელი სახლი.



¹⁶და როცა უფლის კიდობანი შევიდა დავითის ქალაქში, სარკმლიდან გადმოიხედა მიქალმა, საულის ასულმა, დაინახა უფლის წინაშე მოხტუნავე და მროკველი დავითი და გულში დასცინა მას.

¹⁷და მიიტანეს უფლის კიდობანი და დაასვენეს თავის ადგილზე შუა კარავში, რომელიც მისთვის მოაწყო დავითმა. და შესწირა დავითმა უფალს სრულადდასაწველი და სამშვიდობო მსხვერპლი.

¹⁸როცა მორჩა დავითი სრულადდასაწველი და სამშვიდობო მსხვერპლის შეწირვას, ცაბაოთ უფლის სახელით დალოცა ერი.

¹⁹და ჩამოურიგა მთელს ერს, ისრაელის მთელს კრებულს, კაცსა და ქალს, თითო პურის კვერი, თითო ხორცის წილობი და თითო კვერი ჩამიჩისა. მერე თავ-თავის სახლებში წავიდა მთელი ხალხი.

²⁰როცა დაბრუნდა დავითი თავისი სახლის დასალოცად, გამოეგება მიქალი, საულის ასული, და უთხრა: „როგორ განდიდდა დღეს ისრაელის მეფე, რომ გაშიშვლდა თავის მხევალთა თვალწინ, როგორც შიშვლდება ხოლმე ქარაფშუტა ვინმე.“

²¹და უთხრა დავითმა მიქალს: „უფლის წინაშე, რომელმაც მე მამჯობინა მამაშენსა და მთელ მის სახლს, როცა ამომირჩია უფლის ერის, ისრაელის წინამძღოლად, იმ უფლის წინაშე სიხარულით ვიხტუნებ და ვიროკებ,

²²და მე მსურს უფრო დავმცირდე, ვიდრე ახლა ვარ და დავმდაბლდე ჩემს თვალში; და უფრო დიდებული გამოვჩნდე იმ მხევალთა წინაშე, შენ რომ ახლა ახსენე.“

²³ხოლო მიქალი, საულის ასული, ისე მოკვდა, რომ შვილი არ შესძენია.

მეორე მეფეთა 7

¹მას შემდეგ, რაც დაემკვიდრა მეფე თავის სახლში და მოასვენა იგი უფალმა გარეშემო მტრებისგან,

²უთხრა მეფემ ნათან წინასწარმეტყველს: „აჰა, შეხედე, მე კედარის სახლში ვცხოვრობ, ღვთის კიდობანი კი კარავში ასვენია.“

³და უთხრა ნათანმა მეფეს: „გააკეთე, რასაც გული გეტყვის, რადგან შენთან არის უფალი.“

⁴მაგრამ იმავე ღამით იყო, რომ ჩაესმა ნათანს უფლის სიტყვა:

⁵„წადი და უთხარი ჩემს მსახურს, დავითს, ასე ამბობს-თქო უფალი: ‘განა შენ უნდა ამიშენო სახლი ჩემს დასავანებლად?’



⁶მე არ დავმკვიდრებულვარ სახლში იმ დროიდან მოყოლებული, რაც ისრაელიანები ეგვიპტიდან გამოვიყვანე, მუდამ კარავსა და სავანეში ვტრიალებდი დღემდე.

⁷სადაც კი მივლია ისრაელიანთა შორის, თუ ერთხელ ერთი სიტყვა მაინც წამომცდენია ისრაელის რომელიმე ტომის წინაშე, ვისთვისაც ჩემი ერის, ისრაელის მწყემსობა მიბრძანებია, და მითქვამს: კედარის სახლს რატომ არ მიშენებთ-მეთქი?’

⁸ახლა ასე უთხარი ჩემს მსახურს – დავითს: ‘ასე ამბობს-თქო ცაბაოთ უფალი: ცხვრის ფარიდან წამოგიყვანე, რომ ჩემი ერის, ისრაელის წინამძღოლი ყოფილიყავი.

⁹ყველგან თან გდევდი, სადაც კი მიდიოდი, და ვანადგურებდი შენს მტრებს შენს წინაშე, და განვადიდე შენი სახელი, მსგავსად ამ ქვეყნის დიადთა სახელისა;

¹⁰და ადგილს დავუდგენ ჩემს ერს, ისრაელს, და დავაფუძნებ მას, და იცხოვრებს იგი მშვიდად თავის ადგილზე, და მეტად აღარ შემფოთდება, და ბოროტების ძენი აღარ შეაჭირვებენ მას უწინდებურად.

¹¹მას შემდეგ, რაც მსაჯულები დავუყენე ჩემს ხალხს, ისრაელს, მოვასვენე ყველა მტრისგან. უფალი გატყობინებს, რომ მას სურს აგიგოს სახლი.

¹²როცა აღივსებიან შენი დღეები და შენს მამებთან განისვენებ, მე აღვადგენ შენს შემდგომად შენს თესლს, რომელიც შენი საზარდულიდან გამოვა, და მის მეფობას განვამტკიცებ.

¹³და ის ამიშენებს მე ტაძარს და მე განვამტკიცებ მისი მეფობის ტახტს საუკუნოდ.

¹⁴მე მამა ვიქნები მისთვის, ის კი მე იქნება ჩემთვის. თუ შემცოდავს, კაცთა წესით ვგვემ და ვცემ ადამიანთა ჩვეულებით.

¹⁵თუმცა არ მოვუშლი მას ჩემს წყალობას, როგორც წავართვი საულს, რომელიც ჩამოგაცილე შენი სახის წინაშე;

¹⁶არამედ მტკიცედ იდგება შენი სახლი და შენი სამეფო უკუნისამდე ჩემი სახის წინაშე. მყარი იქნება შენი ტახტი უკუნისამდე.”“

¹⁷ეს სიტყვები და ეს ხილვა გაუზიარა ნათანმა დავითს.

¹⁸და მივიდა მეფე დავითი და წარსდგა უფლის წინაშე და თქვა: „ვინა ვარ მე, უფალო ღმერთო, და რა არის ჩემი სახლი, რომ ასე განმადიდდე?

¹⁹ესეც გემცრო თვალში, ჩემო უფალო ღმერთო, და წინასწარ ილაპარაკე შენი მსახურის სახლზე. ადამის ძეთა წესია ეს, უფალო ღმერთო!



²⁰და კიდევ რა უნდა გითხრას დავითმა? შენ თავად იცნობ შენს მსახურს, უფალო ღმერთო!

²¹შენი სიტყვისა და შენი გულისთქმისამებრ მოიმოქმედე ეს დიადი საქმეები, რათა ამცნო შენს მსახურს.

²²ამიტომაც დიდი ხარ შენ, უფალო, ჩემო ღმერთო, რადგან არავინაა შენი მსგავსი, და არ არის ღმერთი შენს გარდა, ყოველივე იმის თანახმად, რაც ჩვენი ყურით მოვისმინეთ.

²³და ვინ არის შენი ხალხის, ისრაელის მსგავსი? ის ერთადერთია დედამიწაზე, რომლისთვისაც მოვიდა ღმერთი, რომ თავის ხალხად დაეხსნა და განედიდებინა თავისი სახელი და დიდი და საშინელი ამბები გექნა შენი ერის წინაშე, რომელიც შენთვის დაიხსენ ეგვიპტისგან, წარმართთაგან და მათი ღმერთებისგან.

²⁴შენ აირჩიე შენს ერად ისრაელი, რათა უკუნისამდე შენი ერი ყოფილიყო და შენ, უფალო, მისი ღმერთი გახდი!

²⁵და ახლა უფალო, ღმერთო ჩემო, იმოქმედე შენი აღთქმისამებრ და აღასრულე შენი სიტყვა, შენს მსახურსა და მის სახლზე თქმული,

²⁶რათა განდიდდეს შენი სახელი უკუნისამდე და თქვან: ცაბაოთ უფალი ღმერთი არისო ისრაელზე! მტკიცე იყოს შენს წინაშე შენი მსახურის, დავითის სახლი!

²⁷რადგან შენ იყავი, ყოვლისმპყრობელო უფალო, ისრაელის ღმერთო, რომ გამოუცხადე შენს მსახურს და უთხარი: სახლს აგიშენებო. ამიტომაც გაუწია გულმა შენს მსახურს, ასეთი ლოცვით ელოცა შენს მიმართ.

²⁸ახლა, უფალო ღმერთო, შენა ხარ ის ღმერთი, რომლის სიტყვებიც ჭეშმარიტია, და შენი მსახურისათვის ეს სიკეთე გაქვს გამოცხადებული.

²⁹ახლა ინებე და აკურთხე შენი მსახურის სახლი, რომ საუკუნოდ შენს წინაშე იყოს, რადგან ეს შენ წარმოთქვი, უფალო ჩემო! იკურთხოს შენი კურთხევით შენი მსახურის სახლი საუკუნოდ!“

მეორე მეფეთა 8

¹ამის შემდეგ იყო, რომ დაამარცხა დავითმა ფილისტიმელები და დაიმორჩილა ისინი. და გამოგლიჯა დავითმა ხელიდან ფილისტიმელებს მეთევ-ამა.



- ²და დაამარცხა მოაზიც, მიწაზე წააწვინა ისინი და საბლით გაზომა: ორი საბელი დასახოცად გადაზომა, ერთი საბელი – ცოცხლად დასატოვებლად. და გახდნენ მოაზელები დავითის მორჩილნი და ხარკს უხდიდნენ მას.
- ³და დაამარცხა დავითმა ცოზას მეფე ჰადადყეზერი, რეხოზის ძე, როცა ის მდინარე ევფრატზე თავისი ბატონობის აღსადგენად მოდიოდა.
- ⁴და წაართვა მას დავითმა 1700 მხედარი და 20 ათასი ქვეითი. და ეტლის ცხენებს მარღვეები გადაუჭრა დავითმა, მხოლოდ 100 ეტლისთვის დაიტოვა ისინი.
- ⁵და მოვიდნენ დამასკოს არამელები ცოზას მეფის, ჰადადყეზერის დასახმარებლად. და მუსრი გაავლო დავითმა არამელთა 22 ათას კაცს.
- ⁶და ჩააყენა დავითმა მეციხოვნენი შუა დამასკოს არამში. და გახდნენ არამელები დავითის მორჩილნი და აძლევდნენ ხარკს. საითაც კი გაიხედავდა დავითი, ყველგან ამარჯვებინებდა მას უფალი.
- ⁷აიღო დავითმა ოქროს ფარები, ჰადადყეზერის კაცებს რომ ჰქონდათ, და იერუსალიმში ამოიტანა.
- ⁸დიდძალი ბრინჯაო წამოიღო დავითმა ბეტახიდან და ბეროთაიდან – ჰადადყეზერის ქალაქებიდან.
- ⁹როცა შეიტყო თოყიმ, ხამათის მეფემ, რომ სძლია დავითმა ჰადადყეზერის მთელ ძალებს,
- ¹⁰გაგზავნა თავისი ძე იორამი დავით მეფესთან მოსაკითხად და მადლობის სათქმელად, რომ შეებრძოლა ჰადადყეზერს და სძლია მას, რადგან ჰადადყეზერს ომი ჰქონდა თოყისთან. იორამს მასთან მიჰქონდა ვერცხლის, ოქროსა და ბრინჯაოს ჭურჭელი,
- ¹¹ეს ჭურჭელიც უფალს შესწირა მეფე დავითმა იმ შეწირულ ოქრო-ვერცხლთან ერთად, დამორჩილებულ ხალხებს რომ წაართვა:
- ¹²არამელთ, მოაზელთ, ყამონიანებს, ფილისტიმელთ, ყამალეკს, აგრეთვე ცოზას მეფე ჰადადყეზერს, რეხოზის ძეს.
- ¹³გაითქვა სახელი დავითმა მარილოვან ველზე 18 ათასი ედომელის* დამარცხებით.
- ¹⁴მან მეციხოვნენი ჩააყენა ედომში; მთელს ედომში აყენებდა მეციხოვნეებს, და გახდა მთელი ედომი დავითის მორჩილი. და უფალი ყველგან შეეწეოდა დავითს, საითაც კი წავიდოდა.
- ¹⁵და მეფობდა დავითი მთელს ისრაელზე, და კანონსა და სამართალს აძლევდა მთელ თავის ხალხს.



¹⁶იოაბი, ძე ცერუიასი, ჯარის სარდალი იყო, და იოშაფატი, ძე ახილუდისა – მემატიანე.

¹⁷ცადოკი, ძე ახიტუბისა და ახიმელექი, ძე აბიათარისა, მღვდლები იყვნენ; სერაია – მწიგნობარი;

¹⁸ბენაია, ძე იეჰოიადაყისა, ქერეთელებს და ფელეთელებს განაგებდა; დავითის შვილები კი ეზოსმომღვრეები იყვნენ.

მეორე მეფეთა 9

¹და ფიქრობდა დავითი: „ნუთუ აღარავინ დარჩა საულის სახლიდან, რომ წყალობა მივაგო იონათანის გამო?“

²და ჰყავდა საულის სახლს მსახური, სახელად ციბა; და მოიხმეს იგი დავითთან და უთხრა მეფემ: „შენა ხარ ციბა?“ და მან თქვა: „გახლავარ, შენი მსახური!“

³ჰკითხა მეფემ: „აღარავინ დარჩა საულის სახლიდან, რომ ღვთის წყალობა მივაგო?“ და მიუგო ციბამ მეფეს: „კიდევ ჰყავს ერთი კოჭლი ძე იონათანს.“

⁴და ჰკითხა მას მეფემ: „სად არის?“ და მიუგო ციბამ: „მაქირის, ყამიელის ძის სახლშია, ლო-დებარში.“

⁵და გაგზავნა დავით მეფემ და მოაყვანინა იგი მაქირის, ყამიელის ძის სახლიდან, ლო-დებარიდან.

⁶და მოვიდა მეფიბოშეთი, ძე იონათანისა, საულის ძისა, დავითთან, და პირქვე დაემხო მის წინაშე, და თაყვანი სცა. უთხრა დავითმა: „მეფიბოშეთ!“ მიუგო მან: „გახლავარ, შენი მსახური!“

⁷და უთხრა დავითმა: „ნუ გეშინია, წყალობას მოგაგებ მამაშენის, იონათანის გამო; დაგიბრუნებ პაპაშენის, საულის, მთელ მიწებს და მუდამ ჩემს სუფრაზე შეჭამ პურს.“

⁸და თაყვანი სცა და უთხრა: „ვინა ვარ მე, შენი მსახური, რომ ყურადღების ღირსი გახადე ერთი ჩემნაირი მკვდარი ძაღლი?“

⁹მოუხმო მეფემ ციბას, საულის მსახურს, და უთხრა: „საულისა და მთელი მისი სახლის სარჩო-საბადებელი შენი ბატონისთვის მიმიცია.“

¹⁰მაშ, დაუმუშავეთ მას თავისი მიწები შენ, შენმა შვილებმა და შენმა მსახურებმა, და მიართვით მისი ნაყოფი, რომ ჰქონდეს შენი ბატონის ძეს თავისი ლუკმა. თუმცადა, ამისდა მიუხედავად, მეფიბოშეთი, შენი ბატონის ძე, მუდამ ჩემი პურისმტე იქნება ჩემს სუფრაზე.“ 15 ძე და 20 მსახური ჰყავდა ციბას.



¹¹და უთხრა ციბამ მეფეს: „ყველაფერს, რასაც ჩემი მეფე-ბატონი უბრძანებს თავის მსახურს, შეასრულებს შენი მსახური!“ და ჭამდა მეფიბოშეთი პურს დავითის სუფრაზე, როგორც ერთი უფლისწულთაგანი.

¹²პატარა ბავშვი ჰყავდა მეფიბოშეთს, სახელად მიქა. ყველა, ვინც კი ციბას სახლში ცხოვრობდა, მეფიბოშეთს ემსახურებოდა.

¹³და ცხოვრობდა მეფიბოშეთი იერუსალიმში, რათა მუდამ სამეფო სუფრაზე ეჭამა პური. ორივე ფეხით კოჭლი იყო იგი.

მეორე მეფეთა 10

¹ამის შემდეგ იყო, რომ მოკვდა ყამონიანთა მეფე და მის ნაცვლად მისი ძე ხანუნი გამეფდა.

²და თქვა დავითმა: „წყალობას მივაგებ ხანუნს, ნახაშის ძეს, იმ წყალობისათვის, რომელიც მომაგო მამამისმა.“ და გააგზავნა დავითმა თავისი მსახურნი, მისასამძიმრებლად მამამისის გამო. და როცა მივიდნენ დავითის მსახურნი ყამონიანთა ქვეყანაში,

³ყამონის მთავრებმა უთხრეს ხანუნს, თავიანთ ბატონს: „ნუთუ გგონია, რომ მამაშენის პატივისცემის გამო გიგზავნის დავითი ნუგეშისმცემლებს? იქნებ ქალაქის დასაზვერად გამოგიგზავნა დავითმა ხალხი, დასათვალიერებლად და დასაქცევად?“

⁴და ადგა ხანუნი და დავითის მსახურთ ცალი წვერი ჩამოჰპარსა, შემოაჭრა ნახევარი სამოსელი თეძოებამდე და ისე გაუშვა.

⁵და როცა ეს ამბავი შეატყობინეს დავითს, გაგზავნა მათ შესაგებებლად, რადგან ძალზე შეურაცხყოფილნი იყვნენ კაცები. და ბრძანა მეფემ ეთქვათ მათთვის: „იერიხოში დარჩით, ვიდრე წვერი მოგეზრდებოდეთ, და მერე მობრუნდით.“

⁶ნახეს ყამონიანებმა, რომ თავი შეაძულეს დავითს, და კაცები გაგზავნეს, რომ დაექირავებინათ არამელები ბეთ-რეხოზიდან და არამელები ცობადან 20 ათასი ქვეითი, მეფე მაყაქასაგან ათასი კაცი და ტობიდან 12 ათასი კაცი.

⁷როცა ეს შეიტყო დავითმა, გაგზავნა იოაბი რჩეულთა მთელი ლაშქრით.

⁸და გამოვიდნენ ყამონიანები და გაეწყვნენ საომრად კარიბჭის შესასვლელთან. ხოლო ცობასა და რეხოზის არამელები, და ტობისა და მაყაქას კაცები ცალკე დადგნენ ველზე.



⁹და როცა დაინახა იოაბმა, რომ მტრის ჯარები წინიდან და ზურგიდან იყო მისკენ მიმართული, გამოარჩია ისრაელიანთაგან ურჩეულებსნი და გააწყო არამელთა პირისპირ.

¹⁰დანარჩენი ხალხი აბიშაის, თავის ძმას ჩააბარა და მანაც გააწყო ისინი ყამონიანთა წინააღმდეგ.

¹¹და თქვა: „თუ არამელები მძლევენ, შენ მომეშველები; თუ ყამონიანები გძლევენ შენ, მე მოვალ შენს მოსაშველებლად.

¹²მამაცად იყავი, და მტკიცედ ვიდგეთ ჩვენი ხალხისათვის და ჩვენი ღმერთის ქალაქისთვის, დაე, უფლის ნებისამებრ იქნეს ყოველივე.”

¹³და გავიდა იოაბი და ხალხი, რომელიც მასთან იყო, არამელთა წინააღმდეგ საომრად, და უკუიქცნენ არამელნი.

¹⁴და როცა ყამონიანთ დაინახეს, რომ არამელები გარბოდნენ, თავადაც გაექცნენ აბიშაის და ქალაქში შეცვივდნენ. და გამობრუნდა იოაბი ყამონიანთაგან და იერუსალიმში მივიდა.

¹⁵როცა დაინახეს არამელებმა, რომ მარცხდებოდნენ ისრაელთან, ერთად შეიკრიბნენ.

¹⁶და გააგზავნა ჰადადყეზერმა და მოუწოდა არამელთ, რომლებიც მდინარის გაღმა იყვნენ, და ისინიც მოვიდნენ ხელამში. ხოლო მათ შობაქი, ჰადადყეზერის მხედართმთავარი მიუძღოდა.

¹⁷როდესაც შეატყობინეს ეს დავითს, მანაც მთელი ისრაელი შეკრიბა, და გადალახა იორდანე და მივიდა ხელამს. და დაეწყვნენ არამელები დავითის წინააღმდეგ და შეებრძოლნენ.

¹⁸გაექცნენ არამელები ისრაელს. დახოცა დავითმა არამელთაგან 700 ეტლოსანი და 40 ათასი მხედარი. მახვილი უგმირა შობაქს, მათ მხედართმთავარს, და იქვე მოკვდა იგი.

¹⁹და როცა ჰადადყეზერის ქვეშევრდომმა მეფეებმა დაინახეს, რომ მარცხდებოდნენ ისრაელთან, დაეზავნენ ისრაელს და დაემორჩილნენ. ხოლო არამელებმა ველარ გაბედეს, რომ მიხმარებოდნენ ყამონიანთ.

მეორე მეფეთა 11

¹ერთი წლის შემდეგ, მეფეთა გამოსვლის ჟამს, გაგზავნა დავითმა იოაბი მისი მსახურებითურთ და მთელი ისრაელი. და გაანადგურეს ყამონიანები და შემოადგნენ რაბას. დავითი კი იერუსალიმში დარჩა.



²საღამო ჟამს ადგა დავითი თავისი მოსასვენებლიდან და სამეფო სახლის ერდოზე იწყო სეირნობა. და იქიდან დაინახა ბაღში მობანავე ქალი. ქალი ძალზე მშვენიერი იყო.

³და გააგზავნა დავითმა ქალის ამბის გასაგებად. უთხრეს: „ის არის ბათშებაყი, ელიყამის ასული, ცოლი ურია ხეთელისა.“

⁴და გააგზავნა დავითმა მოციქულები ქალის მოსაყვანად. და მოვიდა ქალი. და დაწვა დავითი მასთან და როცა განიწმიდა ქალი თავისი უწმიდურებისაგან, დაბრუნდა თავის სახლში.

⁵და როცა ქალი დაორსულდა, შეუთვალა დავითს: „ფეხმძიმედა ვარ.“

⁶და შეუთვალა დავითმა იოაბს: გამომიგზავნეო ურია ხეთელი. და გამოუგზავნა იოაბმა დავითს ურია ხეთელი.

⁷როცა მოვიდა მასთან ურია ხეთელი, გამოჰკითხა დავითმა იოაბის, ჯარისა და ბრძოლის მსვლელობის ამბავი.

⁸უთხრა დავითმა ურიას: „შინ წადი და ფეხი დაიბანე.“ გავიდა ურია მეფის სახლიდან და მეფის სუფრიდან საჭმელი გააყოლეს უკან.

⁹ურია მის ღამე მეფის სახლის კართან გაათია თავისი ბატონის კარისკაცებთან ერთად, შინ არ წასულა.

¹⁰და როცა შეიტყო დავითმა, რომ ურია შინ არ წასულა, უთხრა მას: „ხომ ნამგზავრი იყავი, რატომ არ წახვედი შინ?“

¹¹და უთხრა ურიამ დავითს: „როცა უფლის კიდობანი, ისრაელი და იუდა კარვებში არიან, ჩემი ბატონი იოაბი და ჩემი ბატონის ხალხი ველზე დგანან, შინ როგორ წავიდე? როგორ ვჭამო და ვსვა, როგორ დავწვე ცოლთან? შენს სიცოცხლეს ვფიცავ, ვერ ვიზამ ამ საქმეს!“

¹²და უთხრა დავითმა ურიას: „დღესაც დარჩი აქ და ხვალ გაგაგზავნი.“ და დარჩა ურია იერუსალიმში მის ორი დღე.

¹³და მოიწვია იგი დავითმა, ჭამა და სვა მის წინაშე, და დაათრო იგი. და საღამოთი გავიდა, რომ თავისი ბატონის მსახურებთან ერთად დაეძინა თავის საგებელზე. შინ არ წასულა.

¹⁴და დილით დაწერა დავითმა წერილი იოაბისთვის და ურიას ხელითვე გაუგზავნა.

¹⁵წერილში ასე ეწერა: „დააყენეთ ურია იქ, სადაც სასტიკი ბრძოლა მოგელით, და მერე მიატოვეთ, რათა გაიგმიროს და მოკვდეს.“

¹⁶და როცა ქალაქის ალყას ამზადებდა იოაბი, სწორედ იმ ადგილას დააყენა ურია, სადაც იცოდა, რომ მამაცი ხალხი იყო.



¹⁷და გამოვიდნენ ქალაქის მცხოვრებნი და შეეხნენ იოაბს. და დაეცნენ დავითის მსახურნი და მოკვდა ურია ხეთელიც.

¹⁸და გააგზავნა იოაბმა მოციქული მეფესთან ბრძოლის მთელი მსვლელობის შესატყობინებლად;

¹⁹და უბრძანა: „ბოლომდე უამბე მეფეს ბრძოლის ამბავი.

²⁰და, თუ ბრაზი მოერია მეფეს და გითხრა: ‘რატომ მიაღექითო ქალაქს ასე ახლოს საომრად? განა არ იცოდით, რომ გალავნიდან დაგიწყებდნენ სროლას?’

²¹ვინ განგმირა აბიმელექი, იერუბშეთის ძე? განა დედაკაცმა არ დასცა გალავნიდან დოლაბის ნატეხი თავზე და მოკვდა იგი თებეცში? ახლოს რატომ მიაღექით გალავანს?’ უთხარი: ურია ხეთელიც მოკვდა-თქო, შენი მსახური.“

²²და წავიდა მაცნე და ყველაფერი უამბო დავითს, რისთვისაც იოაბმა გააგზავნა.

²³და უთხრა მაცნემ დავითს: „როცა მოგვეძალნენ მტრები და ველზე გამოვიდნენ ჩვენს წინააღმდეგ, შევუტით და ქალაქის კარიბჭემდე ვდიეთ.

²⁴და მშვილდოსნებმა ისრები დაუშინეს გალავნიდან შენს მსახურთ და ზოგნი დაიხოცნენ მეფის მსახურთაგან, მოკვდა ურია ხეთელიც, შენი მსახური.“

²⁵და უთხრა დავითმა მოციქულს: „ასე უთხარი იოაბს: ნუ გაწუხებს ეს ამბავი, რადგან ხან ერთს ფხრეწს მახვილი, ხან მეორეს. მაგრად შეუტეე ქალაქს და დაანგრე-თქო; ასე გაამხნევე იოაბი.“

²⁶როცა შეიტყო ურიას ცოლმა, რომ ქმარი მოუკვდა, დაიტირა იგი.

²⁷და როცა გლოვის დღეები გავიდა, მოაყვანიდა დავითმა ქალი თავის სახლში და ცოლად დაისვა; და უშვა ქალმა ძე. და ეს საქმე, რაც დავითმა ჩაიდინა, არ მოიწონა უფალმა.

მეორე მეფეთა 12

¹და მიუგზავნა უფალმა დავითს ნათანი და როცა მივიდა ის მასთან, უთხრა: „ორი კაცი ცხოვრობდა ერთ ქალაქში, ერთი – მდიდარი და მეორე – ღარიბი.

²მდიდარს უამრავი ცხვარი და ძროხა ჰყავდა;



³ღარიბს ერთი ბატკნის მეტი არაფერი გააჩნდა, რომელიც პატარა იყიდა და გამოკვება. და გაიზარდა ის მასთან და მის ბავშვებთან ერთად. მის ლუკმას ჭამდა, მისი თასით სვამდა, მის უბეში ეძინა, და მასაც თავისი ასულივით ჰყავდა.

⁴მაგრამ როცა ერთხელ მდიდარ კაცს ერთი ვინმე მგზავრი ეწვია, ვერაფერი გაიმეტა თავისი ცხვარ-ძროხიდან დასაკლავად და მის გასამასპინძლებლად, წამოიყვანა ღარიბი კაცის ბატკანი და მოუშვადა სტუმარს.“

⁵დიდად განრისხდა დავითი იმ კაცზე და უთხრა ნათანს: „უფალს ვფიცავ, სიკვდილის ღირსია ამის გამკეთებელი კაცი!

⁶ბატკანი ოთხმაგად უნდა ზღოს, ასეთი საქმე რომ გააკეთა და ასე შეუბრალებლად მოიქცა.“

⁷და უთხრა ნათანმა დავითს: „შენა ხარ ის კაცი. ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: ‘მე გცხე მეფედ ისრაელზე, მე დაგიხსენი საულის ხელიდან,

⁸მე მოგეცი შენი ბატონის სახლი და მოგიწვინე შენი ბატონის ცოლები შენს წიაღში, მოგეცი ისრაელისა და იუდას სახლი, და, თუ ეს არ კმაროდა, კიდევ მეტს დაგიმატებდი.

⁹რატომ დაივიწყე უფლის სიტყვა და გააკეთე ის, რაც ბოროტებაა მის თვალში? მახვილით მოჰკალი ურია ხეთელი და ცოლად დაისვი მისი ქვრივი; ის კი ყამონიანთა მახვილით მოჰკალი.

¹⁰ამიერიდან მახვილი არ მოსცილდება შენს სახლს უკუნისამდე, რადგან უგულუბელმყავ და ურია ხეთელის ქვრივი მოიყვანე, რომ ცოლად დაგესვა.’

¹¹ასე ამბობს უფალი: ‘აჰა, უბედურებას დაგათევ შენივე სახლიდან, ავიყვან შენს თვალწინ შენს ცოლებს და შენს მახლობელს მივცემ, მზისით დაწვება ის შენს ცოლებთან;

¹²თუმცა შენ ჩუმად გააკეთე, მე მთელი ისრაელის წინაშე და მზისით გავაკეთებ ამას.“

¹³და უთხრა დავითმა ნათანს: „შევცოდე უფლის წინაშე.“ და უთხრა ნათანმა დავითს: „უფალმა მოგიტევა შენი ცოდვა: შენ არ მოკვდები.

¹⁴ოღონდ, რაკი ამ საქციელით უფლის ლანძღვის საბაბი მიეცი მტრებს, შვილი მოგიკვდება, რომელიც შეგეძინა.“

¹⁵და წავიდა ნათანი თავის სახლში. და შეეხო უფალი ბავშვს, ურიას ცოლმა რომ უშვა დავითს, და მძიმედ დასნეულდა ბავშვი.



¹⁶ევედრებოდა დავითი ღმერთს ყმაწვილის გამო, და მარხულობდა დავითი და მიწაზე ათევდა ღამეს განმარტოებული.

¹⁷და დაადგნენ თავზე მისი სახლის უხუცესები, რომ მიწიდან აეყენებინათ იგი, მაგრამ არ შეწყვიტა მარხვა და არ ჭამა პური.

¹⁸მეშვიდე დღეს მოკვდა ბავშვი. ვერ გაბედას დავითის მსახურებმა მოეხსენებინათ ბავშვის სიკვდილის ამბავი, რადგან ასე ფიქრობდნენ: „ვიდრე ბავშვი ცოცხალი იყო, რა არ ვუთხარით, და არ გაიგონა ჩვენი სიტყვა, ახლა როგორღა ვუთხრათ, რომ მკვდარია ბავშვი? უბედურებას აუტეხს თავს.“

¹⁹და დაინახა დავითმა, რომ ერთმანეთში ჩურჩულებენ მისი მსახურნი. მიხვდა დავითი, რომ ბავშვი მომკვდარიყო, და უთხრა თავის მსახურთ: „მოკვდა ბავშვი?“ უთხრეს: „მოკვდა.“

²⁰და ადგა მიწიდან დავითი, დაიბანა და ზეთი იცხო, სამოსელი გამოიცვალა და წავიდა უფლის სახლში და თაყვანი სცა. დაბრუნდა სახლში, პური მოითხოვა, მიართვეს და ჭამა.

²¹უთხრეს მისმა მსახურებმა: „რას ნიშნავს ეს შენი საქციელი? სანამ ბავშვი ცოცხალი იყო, მარხულობდი და ტიროდი, ხოლო როგორც კი მოკვდა, წამოდექი და პური ჭამე?“

²²მან თქვა: „ვიდრე ბავშვი ცოცხალი იყო, ვმარხულობდი და ვტიროდი, რადგან ვფიქრობდი: ვინ იცის? იქნებ შემიწყალოს უფალმა და გადამირჩეს-მეთქი ბავშვი.“

²³ახლა, როცა ის მკვდარია, რისთვის ვიმარხულო? შევძლებ მის უკან დაბრუნებას? მე ადვილად წავალ მასთან, ის კი აღარ დამიბრუნდება.“

²⁴და როცა ანუგეშა დავითმა ბათშებაყი, თავისი ცოლი, შევიდა და დაწვა მასთან. და შვა ქალმა ვაჟი, და უწოდა დავითმა სახელად სოლომონი. უფალმა შეიყვარა იგი

²⁵და გააგზავნა ნათან წინასწარმეტყველი და მან უფლის სიტყვისამებრ სახელად უწოდა იედიდია.

²⁶ებრძოდა იოაბი ყამონიანთა რაბას და აიღო სამეფო ქალაქი.

²⁷და გამოუგზავნა იოაბმა დავითს მოციქულნი და შემოუთვალა: „ვებრძვი რაბას და ხელში მაქვს ჩაგდებული ქალაქის წყალსატევი.“

²⁸ახლა შეკრიბე დანარჩენი ხალხი, შემოადექი ქალაქს და აიღე, თორემ, თუ მე ავიღებ ქალაქს, ჩემი სახელი დაერქმევა.“



²⁹და შეკრიბა დავითმა მთელი ხალხი და წავიდა რაზასკენ, თავს დაესხა და დაიპყრო.

³⁰და აიღო დავითმა მათი მეფის გვირგვინი, ერთი ოქროს ტალანტის წონისა, ძვირფასი ქვებით მოჭედილი, და თავზე დაიდგა. და აურაცხელი ნადავლი წამოიღო დავითმა ქალაქიდან.

³¹და გამოიყვანა იქ მყოფი ხალხი და აგურის კეთება დააკისრა. ქალაქი კი მიწასთან გაასწორა ხერხებით, რკინის ქანჩებითა და ცულებით. ასე მოექცა ყამონიანთა ყველა ქალაქს და კვლავ დაბრუნდნენ დავითი და მთელი ხალხი იერუსალიმში.

მეორე მეფეთა 13

¹ამის შემდეგ მოხდა ეს: დავითის ძეს, აბესალომს, ლამაზი და ჰყავდა, სახელად თამარი. და შეუყვარდა იგი ამნონს, დავითის ძეს.

²ისე გაუჭირდა ამნონს, რომ დასწუღდა თავისი ძის – თამარის გამო, რადგან ქალწული იყო იგი და შეუძლებლად მიაჩნდა ამნონს, რომ რაიმეს გაკეთებას მოახერხებდა მასთან.

³ჰყავდა მეგობარი ამნონს, სახელად იონადაბი, შიშველს ძე, დავითის ძმისწული. და ძალზე ცბიერი კაცი იყო იონადაბი.

⁴და უთხრა მას: „რა მოგდის, დღითი დღე რომ ხმები, უფლისწულო, არ მეტყვი?“ და უთხრა ამნონმა: „თამარი მიყვარს, აბესალომის, ჩემი ძმის და.“

⁵და უთხრა მას იონადაბმა: „ჩაწეკი ლოგინში და თავი მოიავადმყოფე; როცა მამაშენი მოვა შენს სანახავად, უთხარი: ჩემი და თამარი მოვიდეს ჩემთან და პური მაჭამოს; ჩემს თვალწინ მოამზადოს საჭმელი, რომ ჩემი თვალთ დავინახო და მისი ხელით ვჭამო-თქო.“

⁶და ჩაწვა ამნონი და თავი მოიავადმყოფა. მოვიდა მეფე მის სანახავად და უთხრა ამნონმა მეფეს: „მოვიდეს ჩემი და თამარი, ჩემს თვალწინ გამოაცხოს ორიოდ კვერი, რომ მისი ხელით ვჭამო.“

⁷და გააგზავნა კაცი დავითმა თამართან სახლში და შეუთვალა: „მოდით შენი ძმის, ამნონის სახლში და საჭმელი მოუმზადე.“

⁸წავიდა თამარი თავისი ძმის, ამნონის სახლში. და იწვა ამნონი, როცა აიღო ქალმა ფქვილი, მოზილა, ააგუნდავა მის თვალწინ და გამოაცხო კვერები.

⁹და აიღო ტაფა და დაუდგა წინ, მაგრამ არ შეჭამა. და თქვა ამნონმა: „გაიყვანეთ ყველანი!“ და გავიდა ყველა.



- ¹⁰მაშინ უთხრა ამნონმა თამარს: „უკანა ოთახში წაიღე საჭმელი და შევჭამ შენი ხელით.“ და აიღო თამარმა თავისი გამომცხვარი კვერები და უკანა ოთახში გაუტანა თავის ძმას, ამნონს.
- ¹¹და როცა მიაწოდა, რომ ეჭამა, ხელი სტაცა ამნონმა ქალს და უთხრა: „მოდი, დაწევი ჩემთან, ჩემო დაო!“
- ¹²და უთხრა ქალმა: „ნუ, ჩემო ძმაო! ნუ შეურაცხყოფ! ასე არ იქცევია ისრაელში! ნუ იზამ ამ სისაძაგლეს!“
- ¹³სადღა გამოვჩნდე შერცხვენილი? შენც ერთი საძაგელი კაცის სახელს დაიგდებ ისრაელში. სთხოვე მეფეს, არ დაგიჭერს ჩემს თავს.“
- ¹⁴არ უნდოდა მისი სიტყვის გაგონება ამნონს. და დაიმორჩილა იგი და პატივი აჰხადა მას.
- ¹⁵ძლიერ შესძულდა იგი ამნონს, იმ სიყვარულზე ძლიერი იყო ეს სიძულვილი. და უთხრა ამნონმა: „ადევი, წადი აქედან.“
- ¹⁶მან კი უთხრა: „რასაც შენ ახლა მიკეთებ, უფრო დიდი უსამართლობაა, ვიდრე ის, რაც ადრე მიყავ.“ მაგრამ არ უნდოდა მას მისი მოსმენა.
- ¹⁷დაუძახა ჭაბუკს, რომელიც მისი მსახური იყო და უთხრა: „გაიყვანე ეს დიაცი აქედან და მიუხურე კარი.“
- ¹⁸(ჭრელი სამოსელი ეცვა მას, რადგან ასეთი მოსასხამით იმოსებოდნენ მეფის გაუთხოვარი ასულები.) და გაიყვანა იგი მსახურმა და მიუხურა კარი.
- ¹⁹და დაიყარა თამარმა ნაცარი თავზე, შემოიხია ტანზე ჭრელი სამოსელი, თავზე დაიდო ხელი და მოთქმა-გოდებით წავიდა.
- ²⁰და უთხრა მისმა ძმამ – აბესალომმა: „შენი ძმა ამნონი ხომ არ იყო შენთან? ახლა ჩუმად იყავი, დაო. შენი ძმა არის ის, გულთან ნუ მიიტან ამ ამბავს.“ და დარჩა თამარი თავისი ძმის, აბესალომის სახლში მიტოვებული.
- ²¹როდესაც გაიგო დავით მეფემ ეს ამბავი, ძლიერ განრისხდა.
- ²²ხოლო აბესალომს არც ცუდი უთქვამს ამნონისთვის, არც კარგი, რადგან შეიძულა აბესალომმა ამნონი მისი საქციელის გამო, დის, თამარის შეურაცხყოფისათვის.
- ²³გავიდა ორი წელი და ცხვრის პარსვა ჰქონდა აბესალომს ბაყალ-ხაცორში, ეფრემის მახლობლად რომ არის, და ყველა უფლისწული მიიწვია აბესალომმა.
- ²⁴და მივიდა აბესალომი მეფესთან და უთხრა: „მპარსველები ჰყავს შენს მსახურს. თუ მეფეს სურს, მსახურებთან ერთად ეწვიოს მას.“



²⁵მაგრამ მეფემ უთხრა აბესალომს: „არა, შვილო, ყველანი არ წამოვალთ შენთან, არ დაგამძიმებთ.“ ჩააცივდა, მაგრამ არ ინება მან წასვლა, კურთხევით კი აკურთხა.

²⁶და თქვა აბესალომმა: „თუ ასეა, მაშინ ჩემი ძმა ამნონი წამოვიდეს.“ და უთხრა მეფემ: „რისთვის წამოვიდეს?“

²⁷და ჩააცივდა აბესალომი და მეფემაც გაუშვა ამნონი და სხვა უფლისწულები.

²⁸და უბრძანა აბესალომმა თავის მსახურთ: „ყური უგდეთ, როცა ღვინისგან გამხიარულდება ამნონი და მე გეტყვით: დაჰკარით-მეთქი ამნონს, თქვენც მოკალით იგი. ნუ შეგეშინდებათ, რადგან მე გიბრძანებთ ამას! აბა, გამაგრდით და მამაცურად მოიქეცით.“

²⁹და აბესალომის ბრძანებისამებრ მოექცნენ მისი მსახურნი ამნონს. წამოიშალნენ უფლისწულები, შესხდნენ თავიანთ ჯორებზე და გაქუსლეს.

³⁰ჯერ კიდევ გზაში იყვნენ ისინი, როცა ამბავი მიუვიდა დავითს, რომ დახოცაო აბესალომმა უფლისწულები და ერთიც არ გადარჩენილაო.

³¹და ადგა მეფე, ტანზე დაიპო სამოსელი და დაჯდა მიწაზე. მისი მსახურნიც სამოსელშემოგლეჯილნი დადგნენ მის ირგვლივ.

³²და თქვა იონადაბ შიმეყას ძემ, დავითის ძმისწულმა: „ნუ ფიქრობს ჩემი ბატონი, რომ ყველა ჭაბუკი, მეფის ძე მოკლეს, რადგან მხოლოდ ამნონია მკვდარი. აბესალომის პირით გადაწყდა ეს იმ დღიდან, როცა შეურაცხყო ამნონმა მისი და – თამარი.“

³³ნუ მიაქვს გულთან ჩემს მეფე-ბატონს ეს ხმა, თითქოს ყველა უფლისწულია მკვდარი, რადგან მხოლოდ ამნონია მოკლული.“

³⁴და გაიქცა აბესალომი. და გაიხედა მოთვალთვალე მსახურმა ბიჭმა და ხედავს, უამრავი ხალხი მოდის გზაზე, მთის ფერდობით.

³⁵და უთხრა იონადაბმა მეფეს: „აჰა, მოდიან უფლისწულები. როგორც გეუბნებოდა შენი მსახური, ისეც მოხდა.“

³⁶და როცა დაასრულა სათქმელი, აჰა, უფლისწულებიც მოვიდნენ; ხმა აღიმალღეს და ატირდნენ. და დიდი ტირილით ტიროდნენ მეფეცა და მისი მსახურებიც.

³⁷და გაიქცა აბესალომი და მივიდა თალმაისთან, ყამიჰუდის ძესთან, გემურის მეფესთან. დღენიადაგ იგლოვდა დავითი თავის შვილს.

³⁸აბესალომი გაიქცა გემურს და დაჰყო იქ სამი წელი .



³⁹და შეწყვიტა აბესალომის დევნა დავითმა, რადგან გაუქარდა მწუხარება ამნონის სიკვდილის გამო.

მეორე მეფეთა 14

¹და შეიტყო იოაბმა, ცერუიას მემ, რომ მეფეს გული მოუბრუნდა აბესალომზე.

²და გაგზავნა იოაბმა კაცი თეკოაყში და ერთი ჭკვიანი ქალი მოაყვანინა იქიდან, და უთხრა: „თავი მოიმგლოვიარე, ჩაიცვი სამგლოვიარო სამოსელი, ზეთს ნუ იცხებ და დიდი ხნის მგლოვიარე ქალივით იყავი;

³მიდი მეფესთან და უამზე ასე და ასე.“ და დაარიგა იოაბმა ქალს, რაც უნდა ეთქვა.

⁴და შევიდა თეკოაყელი ქალი მეფესთან, დაემხო მიწაზე, თაყვანი სცა და უთხრა: „მიშველე, მეფეო!”

⁵ჰკითხა მეფემ: „რა მოგსვლია?“ ქალმა უთხრა: „ქვრივი ქალი ვარ, ქმარი მომიკვდა;

⁶ორი გაჟიშვილი ჰყავდა შენს მხევალს. მინდორში წაეკიდნენ ერთმანეთს, გამშველებელი არავინ იყო, დაჰკრა ერთმა მეორეს და მოკლა.

⁷და აჰა, აღდგა შენი მხევლის წინააღმდეგ მთელი ნათესაობა და მეუბნებიან: ‘მოგვეცი ძმის მკვლელი, რომ მოვკლათ ძმის სულის წილ, რომელიც მან მოკლა, და თვით მემკვიდრეც კი მოვუსპოთ.’ ამ ნაპერწკალსაც ჩამიქრობენ, რომელიც დამრჩა, და სახელს და შთამომავლობას არ დაუტოვებენ ჩემს ქმარს ამ ქვეყანაზე.”

⁸და უთხრა მეფემ ქალს: „წადი მშვიდად შინ. ბრძანებას გავცემ შენს შესახებ.“

⁹და უთხრა თეკოაყელმა ქალმა მეფეს: „ჩემზე, მეფე-ბატონო, და მამაჩემის სახლზე იყოს ცოდვა. მეფე და მისი ტახტი უბრალოა.”

¹⁰და უთხრა მეფემ: „აქ მომიყვანე შენი მოდავე და ველარ გაბედავს შენს შეწყუბებას.“

¹¹და უთხრა მან: „ახსენე, მეფეო, უფალი, შენი ღმერთი, ვინძლო არ გამრავლდნენ სისხლისმადიებელნი და არ დამიღუპონ შვილი.“ მეფემ უთხრა: „უფალს ვფიცავ, შენი შვილის თმის ერთი ღერიც არ დავარდება მიწაზე.“

¹²და უთხრა ქალმა: „ერთი სიტყვაც ათქმევინე მეფე-ბატონისთვის შენს მხევალს.“ და უთხრა: „თქვი.”



¹³უთხრა ქალმა: „რატომ ფიქრობ ასე ღვთის ერის წინააღმდეგ? საკუთარ თავს ამტყუნებს ამის მოქმელი მეფე, რადგან თავის განდევნილს უკან არ აბრუნებს.“

¹⁴რადგან ყველანი დავიხოცებით და მიწაზე დაღვრილი წყალივით ვეღარ შევგროვდებით. მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცის სიცოცხლეს, და იმას ფიქრობს, რომ განდევნილიც კი არ მოიკვეთოს თავისგან საბოლოოდ.

¹⁵ახლა მოვედი, რომ ეს სიტყვები ვუთხრა ჩემს მეფე-ბატონს, რადგან ხალხი მაშინებს. იფიქრა შენმა მხევალმა: ვეტყვი მეფეს, იქნებ აღასრულოს მან თავისი მხევლის სათხოვარი,

¹⁶რომ მოუსმინოს მეფემ თავის მხევალს და დაგვიხსნას მათგან, ვინც მე და ჩემს შვილს ღვთის სამკვიდროდან ამოძირკვას გვიპირებს.“

¹⁷და თქვა შენმა მხევალმა: „ნუგეში იქნება ჩემთვის მეფე-ბატონის სიტყვა, რადგან ღვთის ანგელოზივით არის ჩემი მეფე-ბატონი, და გაარჩევს კეთილს და ბოროტს. შენთან იყოს უფალი, შენი ღმერთი.“

¹⁸და მიუგო მეფემ ქალს და უთხრა: „ერთ რამეს გკითხავ და ნუ დამიმაღავ.“ და უთხრა ქალმა: „ბრძანოს მეფე-ბატონმა.“

¹⁹და თქვა მეფემ: „იოაბის ხელი ხომ არ ურევია შენთან ერთად ამ საქმეში?“ და მიუგო ქალმა და უთხრა: „მეფე-ბატონს ვფიცავ, თუ მარჯვნივ ან მარცხნივ გადაუხვიოს ვინმემ მეფე-ბატონის ნათქვამს. სწორედ შენმა მსახურმა იოაბმა დამარიგა და მან ჩააგონა შენს მხევალს ეს სიტყვები.“

²⁰იგავის სახე რომ მიეცა ამ საქმისთვის, იმიტომ მოიქცა ასე იოაბი. მაგრამ ღვთის ანგელოზივით ბრძენია ჩემი ბატონი და ყველაფერს ხვდება ამ ქვეყანაზე.“

²¹და უთხრა მეფემ იოაბს: „რაკი შენ მოგიწყვია ეს საქმე, წადი და დააბრუნე ყმაწვილი აბესალომი.“

²²და პირქვე დაემხო იოაბი, თაყვანი სცა მეფეს და მადლი მოახსენა. და უთხრა იოაბმა: „ახლა სჯერა შენს მსახურს, რომ მადლი მიპოვია ჩემი მეფე-ბატონის თვალში, რადგან აღასრულა მეფემ თავისი მსახურის სათხოვარი.“

²³და ადგა და წავიდა იოაბი გეშურს და მოიყვანა აბესალომი იერუსალიმში.

²⁴და თქვა მეფემ: „დაბრუნდეს თავის სახლში, ოღონდ ვერ იხილავს ჩემს სახეს.“ და დაბრუნდა აბესალომი თავის სახლში და ვერ იხილა მეფის სახე.

²⁵და არავინ იყო აბესალომივით ლამაზი და ქებული კაცი მთელს ისრაელში, თავით ფეხთამდე უნაკლო იყო.



²⁶როცა თავს გაიკრეჭდა, – ის კი ყოველ წელს იკრეჭდა თმას, რადგან ამძიმებდა, – მოკრეჭილი თმა ორას შეკელს იწონიდა სამეფო საწონით.

²⁷და შეეძინა აბესალომს სამი ძე და ერთი ასული – სახელად თამარი. ძალიან ლამაზი შესახედაობის ქალი იყო იგი.

²⁸ორ წელს ცხოვრობდა აბესალომი იერუსალიმში, მაგრამ მეფის სახე არ უხილავს.

²⁹დაიბარა აბესალომმა იოაბი მეფესთან მისაგზავნად, მაგრამ არ ინდომა იოაბმა მისვლა. მეორედ დაიბარა, არც ახლა ინდომა მისვლა.

³⁰და უთხრა მან თავის მსახურთ: „მოათვალიერეთ იოაბის ყანა, ჩემს მეზობლად რომ არის, ქერი უთესია იქ, მიდით და გადაწვიტ.“ და გადაბუგეს ის ყანა აბესალომის მსახურებმა.

³¹ადგა იოაბი და მივიდა აბესალომთან სახლში და უთხრა: „რატომ გადამიწვეს ყანა შენმა მსახურებმა?“

³²უთხრა აბესალომმა იოაბს: „აჰა, დაგიბარე და შემოგიტვალე: მოდი-მეთქი, მიწოდოდა მეფესთან გამეგზავნე და ეს მეთქმევინებინა: რისთვის მოვედი გეშურიდან? მიჯობდა იქ დავრჩენილიყავი. ახლა მიწა მეფის სახე ვიხილო. თუ დამნაშავე ვარ, ბარემ მომკალი.“

³³მივიდა იოაბი მეფესთან და მოახსენა. და უხმო მეფემ აბესალომს. ისიც მივიდა მეფესთან და მდაბლად თაყვანი სცა და აკოცა მეფემ აბესალომს.

მეორე მეფეთა 15

¹ამის შემდეგ იყო, რომ გაიჩინა აბესალომმა ეტლები და ცხენები და 50 მალემსრბოლი.

²და ადგებოდა დილაადრიანად აბესალომი, დადგებოდა კარიბჭის გზასთან და ყველას, ვისაც კი საჩივარი ჰქონდა და მეფესთან მოდიოდა სამართლის სამეზრად, თავისთან იხმობდა და ეუბნებოდა: „რომელი ქალაქიდან ხარ?“ და როცა ეტყოდნენ: ისრაელის ამა და ამ ტომიდან არისო შენი მსახური,

³ეტყოდა აბესალომი: „სასიკეთო და სამართლიანია შენი საქმე, მაგრამ ვინ მოგისმენს მეფის კარზე!“

⁴და დასძენდა აბესალომი: „ნეტავ მსაჯულად დამადგინონ ამ ქვეყანაში! ყველა მე მომაკითხავდა, ვისაც კი სადაო საქმე და საჩივარი ექნებოდა, და მეც სამართალს გავუჩენდი.“

⁵თაყვანის საცემად მისულ კაცს ხელს გაუწვდიდა, მოეხვეოდა და აკოცებდა.



⁶ამგვარად ექცეოდა აბესალომი ყველა ისრაელის ძეს, ვინც კი მეფესთან მიდიოდა სამართლისათვის. და ასე მოიგო აბესალომმა ისრაელიანთა გული.

⁷და ოთხი წლის თავზე უთხრა აბესალომმა მეფეს: „წავალ ხებრონში და შევუსრულებ უფალს აღთქმას, რომელიც დადებული მაქვს,

⁸რადგან ასეთი აღთქმა დადო შენმა მსახურმა გეშურში, არამში ყოფნისას: თუ დამაბრუნებს უფალი იერუსალიმში, მსხვერპლს შევწირავო უფალს.”

⁹და უთხრა მეფემ: „მშვიდობით გევლოს!“ და ადგა და წავიდა ხებრონს.

¹⁰მაცნეები დაგზავნა აბესალომმა ისრაელის ყველა ტომში და შეუთვალა: „ბუკის ხმის გაგონებისთანავე გამოაცხადეთ: აბესალომი გამეფდაო ხებრონში!“

¹¹ორას კაცს დაუძახა აბესალომმა და გაიყოლა იერუსალიმიდან, და ისინიც ალაღად გაჰყვნენ, არ იცოდნენ რა ხდებოდა.

¹²და გილონელი ახითოფელიც, დავითის მრჩეველი, დაიბარა აბესალომმა მისი ქალაქიდან – გილოდან, მსხვერპლშეწირვაზე. და განმტკიცდა შეთქმულება და უამრავმა ხალხმა იწყო დენა აბესალომისკენ.

¹³მივიდა მაცნე დავითთან და უთხრა: „აბესალომს მიემხრო მთელი ისრაელი.“

¹⁴და უთხრა დავითმა თავის მსახურთ და ყველას, ვინც კი თან ახლდა იერუსალიმში: „ადექით და გავიქცეთ, თორემ ვერ გადავურჩებით აბესალომს. იჩქარეთ წასვლა, რომ არ მოგვისწროს და არ შეგვიპყროს, და უბედურება არ დაგვათიოს თავს, მახვილს არ მისცეს ქალაქი.“

¹⁵და უთხრეს მეფის მსახურებმა მეფეს: „გადაწყვიტოს ჩვენმა მეფე-ბატონმა და აჰა, ჩვენც აქა ვართ, შენი მსახურნი.“

¹⁶და გავიდა მეფე და ფეხით მიჰყვა მას მთელი სახლი. მხოლოდ ათი ხარჭა დატოვა მეფემ სახლის საპატრონოდ.

¹⁷და როცა გავიდა მეფე, ფეხდაფეხ მიჰყვა მას მთელი ხალხი, და დადგნენ ერთ განაპირა სახლში.

¹⁸მხარდამხარ მიჰყვებოდნენ მისი მსახურნი, ხოლო ქერეთელები, ფელეთელები და გათელები – 600 კაცი, გათიდან რომ წამოჰყვა მას, წინ მიუძღოდნენ მეფეს.

¹⁹და უთხრა მეფემ ითაი გათელს: „შენ რაღას მოგვყვები? გაბრუნდი და დარჩი იმ მეფესთან, რადგან უცხოელი ხარ და შენი ადგილიდან გადმოხვეწილი.“



²⁰გუშინ მოხვედი და დღეს როგორ გაიძულო ჩვენთან ერთად წამოსვლა? მე წავალ, სადაც იქნება; შენ კი გაბრუნდი და უკან გააბრუნე შენი ძმები. წყალობა და ჭეშმარიტება იყოს შენთან!“

²¹მიუგო ითაიმ მეფეს და უთხრა: „უფალს და ჩემს მეფე-ბატონს ვფიცავ: სადაც არ უნდა იყოს ჩემი მეფე-ბატონი, სიკვდილსაცა და სიცოცხლემიც, შენს გვერდით იქნება შენი მსახური.“

²²და უთხრა დავითმა ითაის: „წამოდი და იარე.“ და წაჰყვა ითაი გათელი და მთელი მისი ხალხი და მთელი მისი წვრილფეხობა, ვინც კი მასთან იყო.

²³და ხმამაღლა ტიროდა მთელი ქვეყანა, ვიდრე ეს ხალხი ჩაივლიდა. და გადალახა მეფემაც კიდრონის ხევი და მთელი ხალხი დაადგა უდაბნოს გზას.

²⁴და აჰა, ცადოკს და მასთან ერთად ყველა ლევიანს მოჰქონდათ ღვთის აღთქმის კიდობანი. და დაასვენეს ღვთის კიდობანი. და მაღლობზე იდგა აბიათარი, ვიდრე მთლიანად არ გამოვიდა ხალხი ქალაქიდან.

²⁵და უთხრა მეფემ ცადოკს: „დააბრუნე ქალაქში ღვთის კიდობანი. თუ მაღლი მიპოვია უფლის თვალში, მეც დამაბრუნებს და მახილვინებს მას და მის ადგილსამყოფელს.“

²⁶და თუ ბრძანებს, აღარ მინდებარო, სადღა წავალ? მიყოს, რასაც ინებებს.“

²⁷და უთხრა მეფემ ცადოკ მღვდელს: „აბა, მშვიდობით დაბრუნდი ქალაქში, ახიმაყაცი, შენი მე, და იონათანი, აბიათარის მე, თქვენი ორივე შვილი თქვენთან ერთად;

²⁸იცოდეთ, უდაბნოს ვაკობზე დაველოდები, ვიდრე ამბავი არ მომივა თქვენგან.“

²⁹და გააბრუნეს ცადოკმა და აბიათარმა ღვთის კიდობანი იერუსალიმში და იქ დარჩნენ.

³⁰ხოლო დავითი შეუდგა ზეთისხილის მთას ფეხშიშველი და თავდაბურული; ადიოდა და ტიროდა; და ასევე მასთან მყოფი მთელი ხალხი თავდაბურული მოთქმა-გოდებით ადიოდა.

³¹და როცა შეატყობინეს დავითს: ახითოფელიც შეთქმულებაში არისო აბესალომთან, დავითმა თქვა: „უფალო, სიგიჟედ აქციე ახითოფელის თათბირი.“

³²და მიაღწია დავითმა მთის თხემამდე, სადაც თაყვანი სცა ღმერთს, და აჰა, მოდის ხუშაი არქელი, ღვთის ერთგული, სამოსელშემოგლეჯილი და თავზე მტვერდაყრილი.



³³და უთხრა დავითმა: „თუ წამომყვები, ტვირთად დამაწვები,

³⁴ხოლო თუ ქალაქში გაბრუნდები და ეტყვი აბესალომს: შენი მსახური ვარ, მეფევ; როგორც აქამდე მამაშენის მსახური ვიყავი, ამიერიდან შენი მსახური ვარ-თქო, ამით გააცუდებ ჩემს სასარგებლოდ ახითოფელის თათბირს.

³⁵განა შენთან არ იქნებიან იქ მღვდლები: ცადოკი და აბიათარი? და ყველაფერს, რასაც გაიგონებ მეფის სასახლეში, ცადოკსა და აბიათარს – მღვდლებს – შეატყობინებ.

³⁶იქა ჰყავთ მათ ორი ვაჟი: ცადოკს – ახიმაყაცი და აბიათარს – იონათანი. მათ მიერ მომაწვდენთ ყველა ამბავს, რასაც გაიგებთ.“

³⁷და მივიდა ხუშაი, დავითის ერთგული, ქალაქში და აბესალომიც შევიდა იერუსალიმში.

მეორე მეფეთა 16

¹სმთის თხემს რომ ცოტაზე ჩამოსცდა, დავითს ციბა შემოხვდა, მეფიბოშეთის მსახური, წყვილი სახედრით, რომელთაც ეკიდათ ²⁰⁰ პური, ¹⁰⁰ მტევანი ჩამიჩი, ¹⁰⁰ გალა ლელვის ჩირი და ერთი ტიკი ღვინო.

²და უთხრა მეფემ ციბას: „რად გინდა ესენი?“ და უთხრა ციბამ: „სახედრები – მეფის სახლისთვის საფერხედ, პური და ხილი – მსახურთათვის საჭმელად, ღვინო – უდაბნოში დაღლილ-დაქანცულთა სასმელად.“

³და უთხრა მეფემ ციბას: „სად არის შენი ბატონის ძე?“ და მიუგო ციბამ: „იერუსალიმში დარჩა, რადგან ფიქრობს, დღეს მაინც დამიბრუნებსო ისრაელის სახლი მამაჩემის სამეფოს.“

⁴და უთხრა მეფემ ციბას: „შენთვის მომიცია მეფიბოშეთის მთელი სარჩო-საბადებელი.“ და თქვა ციბამ: „თაყვანს გცემ, დაე, მაღლი ვპოვო შენს თვალში, მეფე-ბატონო!“

⁵ზახურიმს რომ მიუახლოვდა მეფე დავითი, აჰა, გამოდის იქიდან საულის სახლის ნათესავი კაცი, სახელად შიმეყი, გერას ძე, მოდის და მოიწყევლება.

⁶ის ქვებს ესროდა დავითს და მის მსახურებს, თუმცა ხალხი მეომრებითურთ მის მარჯვნივ და მის მარცხნივ იყვნენ.

⁷ასე სწყევლიდა მას შიმეყი: „განვედ, განვედ, სისხლისმსმელო, უგვანო კაცო!“

⁸შენზევე მოაქცია უფალმა სისხლი საულის სახლისა, რომლის ნაცვლადაც გამეფდი, და შენს ძეს – აბესალომს ჩაუგდო მეფობა ხელში. აჰა, მოგეზლო ბოროტების წილ, რადგან სისხლისმსმელი კაცი ხარ!“



⁹უთხრა აბიშაიმ, ცერუიას ძემ მეფეს: „რისთვის წყევლის ეს მკვდარი ძაღლი ჩემს მეფე-ბატონს? წავალ და თავს წავაცლი!“

¹⁰და უთხრა მეფემ: „რა გინდათ ჩემგან, ცერუიას ძენო? თუ იწყევლება, იქნებ უფალმა უბრძანა, დასწყევლეო დავითი. ვინ ეტყვის: ასე რატომ აკეთებო?“

¹¹და უთხრა დავითმა აბიშაის და ყველა მის მსახურს: „როცა ჩემი ძე, ჩემი საზარდულიდან გამოსული, მოსაკლავად მომდევს, ამ ბენიამინელს რაღა მოვკითხო? თავი დაანებეთ, იწყევლებოდეს; ალბათ უფალმა ასე უბრძანა მას.“

¹²ეგებ მოხედოს უფალმა ჩემს გასაჭირს და დღევანდელი მისი წყევლის სანაცვლოდ სიკეთე მომაგოს.“

¹³და გაუდგნენ გზას დავითი და მისი კაცები. მთის ფერდობს მიუყვებოდა მის გასწვრივ შიშეყი და იწყევლებოდა, ქვებს ისროდა მათკენ და მტვერს აყრიდა.

¹⁴მეფე და მასთან მყოფი ხალხი გადავიდნენ იორდანეზე დაღლილ-დაქანცულნი და იქ მოითქვეს სული.

¹⁵ხოლო აბესალომი და მთელი ისრაელიანები შევიდნენ იერუსალიმში, ახითოფელიც მათთან იყო.

¹⁶და როცა მივიდა ხუშაი არქელი, დავითის მეგობარი აბესალომთან, უთხრა მას: „დღეგრძელობა მეფეს! დღეგრძელობა მეფეს!“

¹⁷და უთხრა აბესალომმა ხუშაის: „ეს არის შენი ერთგულება შენი მეგობრისადმი? რატომ არ წახვედი შენს მეგობართან?“

¹⁸უთხრა ხუშაიმ აბესალომს: „არ წავედი, რადგან ვინც უფალმა და ამ ერმა, და მთელმა ისრაელმა აირჩია, მასთან ვარ და მასთან დავრჩები.“

¹⁹ესეც რომ არ იყოს, ვის უნდა ვემსახურო, თუ არა მის შვილს? როგორც მამაშენს ვემსახურებოდი, შენც ისევე გემსახურები.“

²⁰და უთხრა აბესალომმა ახითოფელს: „გვირჩიე, რა გავაკეთოთ.“

²¹და უთხრა ახითოფელმა აბესალომს: „შედი მამაშენის ხარჭებთან, სახლის საპატრონოდ რომ დატოვა. გაიგებს მთელი ისრაელი, რომ მოძულეებული ხარ მამაშენისგან და გამხნევდებიან შენი მომხრეები.“

²²და გაშალეს კარავი აბესალომისთვის ბანზე და შევიდა აბესალომი მამის ხარჭებთან მთელი ისრაელის თვალწინ.



²³ახითოფელის მიერ გაცემული რჩევები იმხანად ისე ითვლებოდა, როგორც ღმერთისთვის ნაკითხი რამ. ასეთი იყო ახითოფელის ყოველი რჩევა დავითისთვისაც და აბესალომისთვისაც.

მეორე მეფეთა 17

¹და უთხრა ახითოფელმა აბესალომს: „შემარჩევინე 12 ათასი კაცი, ავდგები და ამაღამვე დავედევნები დავითს.

²თავს დავესხმები, ვიდრე დაღლილი და მკლავმოდუნებულია. შიშის ზარს დავცემ და გაეფანტება მთელი ხალხი, ვინც მასთან არის, და მოვკლავ მარტოდ დარჩენილ მეფეს.

³და შენსკენ მოვაქცევ მთელ ხალხს, და როგორც კი ყველა მობრუნდება, ვისაც ეძებ, მშვიდობით იქნება მთელი ხალხი.”

⁴და მოეწონათ ეს თათბირი აბესალომს და ისრაელის უზუცესობას.

⁵და თქვა აბესალომმა: „ხუშაი არქელსაც მოუხმეთ, მასაც მოვუსმინოთ, რას იტყვის.“

⁶როცა ხუშაი მივიდა აბესალომთან, უთხრა აბესალომმა: „ასე და ასე ლაპარაკობს ახითოფელი; მოვიქცეთ მისი სიტყვისამებრ? თუ არა და, შენ თქვი რამე.“

⁷მიუგო ხუშაიმ აბესალომს: „არ ივარგებს ამჯერად ახითოფელის თათბირი.“

⁸და თქვა ხუშაიმ: „ხომ იცნობ მამაშენს და მის კაცებს: მამაცები არიან და გამწარებულნი, როგორც ბელეზზაგვრილი ძუ დათვი ველზე. მამაშენი მებრძოლი კაცია და ხალხთან ერთად არ დარჩებოდა ღამით.

⁹აჰა, ახლა, ალბათ, რომელიმე მღვიმეში ან სადმე სხვა ადგილას იმალება. თუ ბრძოლის დასაწყისშივე დამარცხდნენ ჩვენები და ხმა გავარდა: დამარცხდაო აბესალომის ხალხი,

¹⁰მაშინ უმამაცესნიც კი, რომელნიც ლომგულები არიან, შედრკებიან, რადგან მთელმა ისრაელმა იცის, რა მაგარი კაციც არის მამაშენი და რა მამაცი ხალხია მისი მომხრეები;

¹¹ამიტომ გირჩევ, შემოიკრიბო მთელი ისრაელი, დანიდან ბეერ-შეზაყამდე, ზღვის ქვიშასავით უთვალავი, და შენ თავად გახვიდე საომრად.

¹²მივადგეთ მას, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, თავს დავეცეთ, როგორც ცვარი ეცემა მიწას, და ერთ კაცსაც არ დავტოვებთ ცოცხალს მისი ხალხიდან.



¹³თუ რომელიმე ქალაქში ჩაიკეტება, მთელი ისრაელი თოკებს შემოარტყამს ქალაქს და ხევში ჩავატრევთ, ისე, რომ კენჭიც არ დარჩება იმ ადგილას.“

¹⁴და თქვა აბესალომმა და ყველა ისრაელის ძემ: „ხუშაი არქელის თათბირი სჯობია ახითოფელის თათბირს.“ უფალმა გადაწყვიტა, ჩაეშალა ახითოფელის უკეთესი თათბირი, რათა უბედურება დაეთია აბესალომისთვის.

¹⁵და უთხრა ხუშაიმ ცადოკ და აბიათარ მღვდლებს: „ასე და ასე ურჩია ახითოფელმა აბესალომს და ისრაელის უხუცესებს, ხოლო მე ასე და ასე ვურჩიე.

¹⁶ახლა საჩქაროდ გაუგზავნეთ და შეუთვალეთ დავითს: უდაბნოს ვაკეზე ნუ გაათევ ღამეს, გაღმა გადი-თქო, თორემ დაიღუპება მეფეც და მთელი მისი ხალხიც.“

¹⁷როგელის წყაროსთან იდგნენ იონათანი და ახიმაყაცი, როცა მივიდა მხევალი და უთხრა, წასულიყვნენ და ეცნობებინათ დავით მეფისთვის, რადგან ქალაქში გამოჩენა არ შეეძლოთ მათ.

¹⁸მაგრამ დაინახა ისინი ერთმა ყმაწვილმა და შეატყობინა აბესალომს, მაგრამ საჩქაროდ წავიდნენ ორივენი და მივიდნენ ბახურიმს, ერთი კაცის სახლში, რომელსაც ჭა ჰქონდა ეზოში და შიგ ჩავიდნენ.

¹⁹და ადგა იმ კაცის ცოლი და ქვეშაფენი გადააფარა ჭას და ზედ ბურღული დააყარა. და დაიფარა კვალი.

²⁰როცა აბესალომის მსახურნი მივიდნენ ამ ქალთან სახლში და იკითხეს: „სად არიან ახიმაყაცი და იონათანი?“ ქალმა უთხრა: „წყალს გაღმა გავიდნენ.“ და ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს და იერუსალიმში დაბრუნდნენ.

²¹მათი წასვლის შემდეგ ამოვიდნენ ჭიდან და ამბავი მიუტანეს დავით მეფეს. უთხრეს: „ადექით და წყალგაღმა გადით, რადგან ასე და ასე ურჩია თქვენზე ახითოფელმა.“

²²და ადგა დავითი და მთელი მისი ხალხი და გადავიდნენ იორდანეზე. განთიადამდე არავინ დარჩენილა იორდანეს გაღმა გაუსვლელი.

²³და როცა დაინახა ახითოფელმა, რომ არ გავიდა მისი თათბირი, შეკაზმა სახედარი, გაემზადა და შინ წავიდა, თავის ქალაქში. ანდერძი დაუტოვა თავის სახლს და თავი ჩამოიხრჩო. და მოკვდა და თავისი მამის საძვალეში დამარხეს.

²⁴ამასობაში დავითი მივიდა მახანაიმში, ხოლო აბესალომმა გადალახა იორდანე და უკან მიჰყვა მას მთელი ისრაელი.



²⁵იოაბის ნაცვლად ყამასა დააყენა აბესალომმა მხედართმთავრად. ყამასას მამა იყო კაცი, სახელად ითრა იშმაყელელი, რომელიც შევიდა აბიგაილთან, ნახაშის ასულთან, ცერუიას დასთან, იოაბის დედასთან.

²⁶და დაიბანაკეს ისრაელმა და აბესალომმა გალაადის მიწაზე.

²⁷როცა დავითი მახანაიმში მივიდა, შობი ნახაშის ძემ რაბადან, ყამონიანთაგანმა და მაქირ ყამიელის ძემ ლო-დებარიდან და ბარზილას გალაადელმა როგელიმიდან

²⁸ქვეშაგებელი, თასები და თიხის ჭურჭელი, ხორბალი და ქერი, ფქვილი და ქუმელი, ცერცვი და ოსპი,

²⁹თაფლი და ერბო, ცხვარი და ხბორები მიართვეს დავითსა და მის ხალხს საჭმელად, რადგან ფიქრობდნენ, მშიერ-მწყურვალნი და დაქანცულნი მოვიდოდნენო უდაბნოდან.

მეორე მეფეთა 18

¹აღრიცხა დავითმა მასთან მყოფი ხალხი, და დაუყენა მათ ათასისტავები და ასისტავები.

²და სამ ჯგუფად დაყოფილი ჯარი ასე გაანაწილა: ერთი მესამედი იოაბს ჩააბარა, ერთი მესამედი – აბიშაის, ცერუიას ძეს, იოაბის ძმას, დანარჩენი მესამედი – ითაი გათელს. და უთხრა მეფემ ხალხს: „მეც თქვენთან გამოვალ.“

³ხოლო ხალხმა მიუგო: „არ გამოხვიდე, რადგან ჩვენ თუ უკუვიქცევით, ყურადღებას არ მოგვაქცევენ; ნახევარიც რომ გავწყდეთ, არც მაშინ ჩაგვაგდებენ რამედ. შენ კი 10 ათასს ჩვენისთანას უდრი, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ ქალაქიდან მოგვეშველები.“

⁴და უთხრა მათ მეფემ: „როგორც გიჯობთ, ისე მოვიქცევი.“ და დარჩა კარიბჭესთან მეფე, ვიდრე ხალხი ასეულეზად და ათასეულეზად გადიოდა.

⁵და უბრძანა მეფემ იოაბს, აბიშაის და ითაის, და უთხრა: „დამიზოგეთ ყმაწვილი აბესალომი.“ და მთელმა ხალხმა მოისმინა მეფის ეს ნათქვამი, რაც აბესალომზე უბრძანა მეფემ ყველა სარდალს.

⁶გავიდა ხალხი ველზე ისრაელის წინააღმდეგ და გაიმართა ბრძოლა ეფრემის ტყეში.

⁷და იძლია ისრაელის ხალხი დავითის მსახურთაგან. დიდი ხოცვა-ჟლეტა მოხდა იქ იმ დღეს და გაწყდა 20 ათასი კაცი.



⁸და მოედო ბრძოლა მთელს იმ მხარეს, და ტყემ იმ დღეს უფრო მეტი ხალხი მოსრა, ვიდრე მახვილის პირმა.

⁹და შეეყარა აბესალომი დავითის მსახურთ. აბესალომი ჯორზე ამხედრებული გარბოდა. როცა ჯორმა ტოტებგაბარჯლული დიდი მუხის ქვეშ გაირბინა, აბესალომი თმებით წამოედო მუხის ტოტებს და ჰაერში დარჩა ტოტებზე ჩამოკიდებული, ჯორი კი გაიქცა.

¹⁰ეს დაინახა ერთმა კაცმა და იოაბს შეატყობინა: აბესალომი დავინახე, მუხაზე ჩამოკიდებულიო.

¹¹და უთხრა იოაბმა ამბის მომტანს: „თუ დაინახე, რატომ ადგილზევე არ დააკალ მიწას? ჩემზე იქნებოდა ათი შეკელი ვერცხლი და ერთი სარტყელი.“

¹²და უთხრა იმ კაცმა იოაბს: „ათასი შეკელი ვერცხლიც რომ მომცენ, ხელს მაინც არ აღვმართავ უფლისწულზე, რადგან ჩვენს გასაგონად გიბრძანათ მეფემ შენ, აბიშაის და ითაის, დამიზოგეთო ყმაწვილი აბესალომი.“

¹³კიდევ რომ რაიმე მექნა მისი სიცოცხლის საზიანოდ, სიცრუე არ დაიფარებოდა და მეფესაც არაფერი გამოეპარებოდა, შენ კი განზე განმიდგებოდი.“

¹⁴და უთხრა იოაბმა: „ტყუილად ვკარგავ შენთან დროს!“ სამი ისარი აიღო და შიგ გულში გაუყარა აბესალომს, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი ეკიდა მუხაზე.

¹⁵მერე გარს შემოადგა აბესალომს ათი ჭაბუკი – იოაბის საჭურველთმტვირთველნი – და ბოლომდე მოაკვდინეს იგი.

¹⁶და დასცა იოაბმა ბუკი და უკან მობრუნდა ისრაელიანთა მადევარი ხალხი, რაკი იოაბმა შეაკავა ისინი.

¹⁷და აიღეს აბესალომი, ჩააგდეს ტყეში ერთ დიდ ორმოში და ზედ დიდძალი ქვა-ღორღი დაახვავეს. მერე თავ-თავის კარვებში გაიფანტნენ ისრაელიანები.

¹⁸აბესალომს თავის სიცოცხლეშივე ჰქონდა აღმართული მეგლი მეფის მინდორზე. ამბობდა, შვილი არა მყავს, რომ ჩემი სახელი იხსენიებოდესო, და თავისი სახელი უწოდა მეგლს, და დღემდე ეწოდება მას აბესალომის მეგლი.

¹⁹და უთხრა იოაბს ახიმაყაცმა, ცადოკის ძემ: „გავიქცევი და ვახარებ მეფეს, რომ უფალმა თავისი სამართლით დაიხსნა მისი მტრების ხელიდან.“



²⁰და უთხრა იოაბმა: „ვერ იქნები დღეს კარგი მახარობელი. სხვა დღეს შეგიძლია მიუტანო კარგი ცნობა. დღეს ვერ მიუტან კარგ ამბავს, რადგან უფლისწული მოკვდა.“

²¹და უთხრა იოაბმა ერთ ქუშელს: „წადი, მოახსენე მეფეს, რაც დაინახე.“ თაყვანი სცა ქუშელმა იოაბს და გაიქცა.

²²და კვლავ უთხრა ახიმაყაცმა, ცადოკის ძემ, იოაბს: „რა იქნება, რომ ქუშელს გავეკიდო უკან?“ და უთხრა იოაბმა: „რისთვის უნდა გაიქცე, შვილო? კარგი სამახარობლო არ გერგება.“

²³„რაც უნდა მოხდეს,“ – თქვა მან, – „მაინც გავიქცევი.“ და უთხრა: „გაიქეცი.“ და გაიქცა ახიმაყაცი ხეობის გზით და დაასწრო ქუშელს.

²⁴დავითი ორ კარიბჭეს შორის იჯდა, ხოლო კარიბჭის თავზე, კედელთან, გუშაგი დადიოდა; გაიხედა და თვალი მოავლო ირგვლივ. აჰა, ვიღაც კაცი მარტო მორბის.

²⁵შესძახა გუშაგმა და შეატყობინა მეფეს. და თქვა მეფემ: „თუ მარტოა, კარგი მახარობელი იქნება.“ ის თანდათან ახლოვდებოდა.

²⁶და დაინახა გუშაგმა, რომ კიდევ მორბის სხვა კაცი და ჩამოსძახა კარისმცველს და უთხრა: „აჰა, კაცი მორბის მარტო.“ და თქვა მეფემ: „ესეც კარგი მახარობელია.“

²⁷და თქვა გუშაგმა: „მე ვატყობ, რომ პირველი კაცი ცადოკის ძე, ახიმაყაცი უნდა იყოს.“ მეფემ თქვა: „კარგი კაცია და კარგი ამბავიც უნდა მოჰქონდეს.“

²⁸შესძახა ახიმაყაცმა და უთხრა მეფეს: „მშვიდობა!“ და მდაბლად თაყვანი სცა მეფეს და უთხრა: „კურთხეულია უფალი, ღმერთი შენი, ხელში რომ ჩაგიგდო ხალხი, რომელთაც ხელი აღმართეს ჩემს მეფე-ბატონზე.“

²⁹და ჰკითხა მეფემ: „ხომ მშვიდობით არის ყმაწვილი აბესალომი?“ და უთხრა ახიმაყაცმა: „დიდი ჩოჩქოლი შევნიშნე, როცა იოაბი მეფის მსახურს და შენს მსახურს აგზავნიდა, და ვერ მივხვდი, რა იყო.“

³⁰და თქვა მეფემ: „განზე გადი და იქ დადექი.“ განზე გავიდა ისიც და დადგა.

³¹ახლა ქუშელი მოვიდა და თქვა ქუშელმა: „სასიხარულო ამბავი მომაქვს მეფე-ბატონისთვის! უფალმა დაგისაჯა დღეს შენი მოწინააღმდეგენი.“

³²და უთხრა მეფემ ქუშელს: „ხომ მშვიდობით არის ყმაწვილი აბესალომი?“ და უთხრა ქუშელმა: „ისე მეფე-ბატონის მტრები იყვნენ და შენს საბოროტოდ აღმდგარნი, როგორც ის ყმაწვილია!“



³³და შეშფოთდა მეფე, ავიდა კარიბჭის ზემოთვალში და ატირდა. როცა მიდიოდა, ასე ამბობდა: „შვილო აბესალომ! შვილო, შვილო აბესალომ! ნეტავ შენს მაგივრად მე მოვმკვდარიყავი, აბესალომ, შვილო, შვილო!“

მეორე მეფეთა 19

¹და მოახსენეს იოაბს, მეფე ტირის, აბესალომს იგლოვსო.

²გლოვად გადაექცა იმ დღეს გამარჯვების სიხარული მთელ ხალხს, რადგან შეიტყვეს, რომ მეფე შვილს გლოვობდა.

³ხალხი იმ დღეს ფარულად მოიპარებოდა ქალაქში, როგორც მოიპარებიან ხოლმე ბრძოლის ველიდან უკუქცეული, შერცხვენილი მეზრდოლები.

⁴სახე დაეფარა მეფეს და ხმამაღლა მოთქვამდა: „შვილო, აბესალომ! აბესალომ, შვილო, შვილო!“

⁵და მივიდა იოაბი მეფესთან სახლში და უთხრა: „სირცხვილში ჩაყარე დღეს შენი მსახურნი, რომელთაც გადაგირჩინეს დღეს შენი ძენი, შენი ასულები, შენი ცოლები და ხარჭები.“

⁶შენი მოძულენი შეგყვარებია და შენი მოყვარულნი შეგძულებია, რადგან დღეს გვაჩვენე, რომ არაფრად აგდებ სარდლებსა და მსახურთ. დღეს გავიგე, რომ გერჩინა აბესალომი ცოცხალი გყოლოდა, ჩვენ კი ყველანი დავხოცილიყავით.

⁷ახლა ადექი და გადი, გაამხნევე შენი მსახურნი, რადგან, თუ არ გახვედი, უფალს ვფიცავ, ერთი კაციც არ შეგრჩება ამ დამეს, და ეს უარესი იქნება იმ უბედურებათაგან, რაც სიყმაწვილიდან დღემდე შეგმთხვევია.“

⁸და ადგა მეფე და კარიბჭესთან დაჯდა. და აუწყეს მთელს ხალხს: აჰა, კარიბჭესთან ზისო მეფე. და მოდიოდა ხალხი მეფის წინაშე, ხოლო ისრაელიანები თავ-თავის კარვებში გაიქცნენ.

⁹ასე განსჯიდა მთელი ხალხი ისრაელის ყველა ტომში: „მეფემ გვიხსნა მტრების ხელიდან და გაგვათავისუფლა ფილისტიმელთაგან, ახლა კი თავად გაექცა ქვეყნიდან აბესალომს.“

¹⁰ხომ მოკვდა ბრძოლაში აბესალომი, რომელიც ვცხეთ ჩვენს მეფედ, ახლა რატომ არაფერს ამბობთ მეფის დასაბრუნებლად?“

¹¹დავით მეფემ შეუთვალა ცადოკსა და აბიათარ მღვდლებს: „ასე უთხარით იუდას უხუცესებს: ‘რატომ აყოვნებთ მეფის დაბრუნებას მის სახლში, რადგან მთელი ისრაელის სიტყვა უკვე მიუვიდაო მეფეს შინ?’“



¹²ჩემი ძმები ხართ თქვენ, ჩემი სისხლი და ხორცი, და რატომღა აყოვნებთ მეფის დაბრუნებას თავის სახლში?”

¹³ყამასას უთხარით: ‘განა ჩემი სისხლი და ხორცი არა ხარ? ასე და ასე მიყოს ღმერთმა, და უარესიც დამმართოს, თუ იოაბის ნაცვლად შენ არ გახდე ჩემი მხედართმთავარი სამუდამოდ.’“

¹⁴ერთი კაცივით გადაიბირა მან მთელი იუდა და მათაც შეუთვალეს მეფეს: „დაბრუნდი მთელი შენი მსახურებიანად.“

¹⁵და დაბრუნდა მეფე და მიადგა იორდანეს, ხოლო იუდაელნი მივიდნენ გილგალს, რომ მიგებებოდნენ მეფეს და იორდანეს გაღმიდან გადმოეყვანათ იგი.

¹⁶შიმეყი, გერას ძე, ბენიამინელი, რომელიც ბახურიმიდან იყო, სასწრაფოდ ჩამოვიდა იუდაელებთან ერთად მეფე დავითის მისაგებებლად;

¹⁷მას თან ახლდა ათასი ბენიამინელი კაცი. ჩამოვიდა ციბაც, საულის სახლის მსახური, თავის 15 შვილითა და 20 მსახურითურთ, და გადმოლახეს იორდანე მეფის თვალწინ.

¹⁸და გავიდა გაღმა ტივი, რომ გადმოეყვანა მეფის სახლეული და კეთილი სამსახური გაეწიათ მეფისთვის. და როცა გადმოლახა მეფემ იორდანე, შიმეყი, გერას ძე განერთხა მის წინაშე.

¹⁹და უთხრა მეფეს: „ნუ ჩამითვლის ჩემი ბატონი დანაშაულად, ნუ გაიხსენებს, რომ დააშავა შენმა მსახურმა იმ დღეს, როცა იერუსალიმს ტოვებდა მეფე-ბატონი, და გულში ნუ ჩაიდებ ამას, მეფევ,

²⁰რადგან იცის შენმა მსახურმა, რომ შესცოდა. აჰა, პირველი მოვედი დღეს იოსების მთელი სახლიდან, რათა მივგებებოდი ჩემს მეფე-ბატონს.“

²¹და მიუგო აბიშაიმ, ცერუიას ძემ, და თქვა: „ნუთუ არ უნდა მოკვდეს შიმეყი უფლის ცხებულის დაწყევლისათვის?“

²²და თქვა დავითმა: „რა გვაქვს ჩვენ საერთო, ცერუიას ძენო, რომ კრიჭაში მიდგახართ დღეს? განა ვინმე შეიძლება მოიკლას დღეს ისრაელში? განა მე არ ვიცი, რომ დღეს ისრაელის მეფე ვარ?“

²³და უთხრა მეფემ შიმეყის: „არ მოკვდები.“ და შეჰფიცა მას მეფემ.

²⁴და ჩამოვიდა მეფიბოშეთიც, საულის ძე, მეფის მისაგებებლად. არც ფეხი დაუბანია, არც წვერ-ულვაშზე უზრუნავს და არც ტანისამოსი გაურეცხავს მეფის წასვლის დღიდან მისი მშვიდობით დაბრუნებამდე.

²⁵და როცა გავიდა იერუსალიმიდან მეფის მისაგებებლად, უთხრა მას მეფემ: „რატომ არ წამომყევია, მეფიბოშეთ?“



²⁶და თქვა: „მეფე-ბატონო, ჩემმა მსახურმა მომატყუა. ეუბნებოდა მას შენი მსახური: ‘სახედარი შემიკაზმე, რომ შევჯდე და მეფეს გავყვე-მეთქი, რადგან კოჭლია შენი მსახური.’“

²⁷და ცილი დასწამა შენს მსახურს მეფე-ბატონთან. მაგრამ ღვთის ანგელოზივითაა მეფე-ბატონი. მიყავი, რაც გენებოს!

²⁸განა სიკვდილის ღირსი არ იყო მეფე-ბატონის წინაშე მამაჩემის მთელი სახლი? შენ კი მაინც შენს თანამეინახეებთან დასვი სუფრაზე შენი მსახური. ახლა რაღა უფლება მაქვს, მეფესთან ვჩიოდე?“

²⁹და უთხრა მეფემ: რატომღა ლაპარაკობ ამას? ხომ ვბრძანე, შენ და ციბამ გაიყავით-მეთქი მიწები.

³⁰და უთხრა მეფეს მეფიბოშეთმა: „ყველაფერი წაიღოს, რაკილა მშვიდობით დაბრუნდა მეფე-ბატონი თავის სახლში.“

³¹ბარზილაი გალაადელიც ჩამოვიდა როგელიმიდან და მეფესთან ერთად გადალახა იორდანე, რათა გაეცილებინა მეფე იორდანეს გაღმა.

³²ძალზე მოხუცი იყო ბარზილაი, 80 წლის. ის არჩენდა მეფეს მახანაიმში ყოფნისას, რადგან ძალზე მდიდარი კაცი იყო.

³³და უთხრა მეფემ ბარზილაის: „წამომყევი და გარჩენ იერუსალიმში.“

³⁴და უთხრა ბარზილაიმ მეფეს: „კიდევ რამდენია ჩემი სიცოცხლის დღენი, რომ იერუსალიმში წავყვე მეფეს?“

³⁵80 წლისა ვარ ახლა; განა შემიძლია ავისა და კარგის გარჩევა? რა გემო უნდა გაუგოს შენმა მსახურმა სასმელ-საჭმელს? განა კიდევ შემიძლია მაგალობელთა მოსმენა? რატომ უნდა დააწვეს შენი მსახური ტვირთად ჩემს მეფე-ბატონს?

³⁶კიდევ ცოტაზე გაჰყვება მეფეს შენი მსახური იორდანეს გაღმა. ასერიგად რისთვის მწყალობს მეფე?

³⁷ნება დართე შენს მსახურს, უკან დაბრუნდეს, რათა ჩემს ქალაქში, ჩემი დედ-მამის საფლავთან მოვკვდე. აჰა, შენი მსახური ქიმჰამი წამოჰყვება ჩემს მეფე-ბატონს და მოექცევი, როგორც გენებოს.“

³⁸უთხრა მეფემ: „წამომყვეს ქიმჰამი, და ისე მოვექცევი, როგორც შენ გაგიხარდება, და რასაც კი მომთხოვ, ყველაფერს აგისრულებ.“

³⁹და გავიდა მთელი ხალხი იორდანეს გაღმა, და გადავიდა მეფეც. და გადაკოცნა მეფემ ბარზილაი, დალოცა და ისიც დაბრუნდა თავის მხარეში.

⁴⁰და გაემართა მეფე გილგალისკენ და თან წაჰყვა ქიმჰამიც. მთელი იუდა და ისრაელის ნახევარი აცილებდა მეფეს.



⁴¹და აჰა, მოვიდა მთელი ისრაელი მეფესთან და უთხრა მეფეს: „რატომ დაგისაკუთრეს ჩვენმა ძმებმა, იუდაელებმა, და გადაიყვანეს მეფე, მისი სახლი და დავითის მთელი ხალხი იორდანეს გაღმა?“

⁴²მიუგო მთელმა იუდამ ისრაელიანთ: „იმიტომ, რომ ჩვენი ახლობელია მეფე. რად გაბრაზებთ ეს ამბავი? განა მეფე გვარჩენს ჩვენ, განა მოუცია ჩვენთვის საჩუქრები?“

⁴³და მიუგეს ისრაელიანებმა იუდას კაცებს და უთხრეს: „ჩვენა ვართ მეფის ათი წილი, დავითიც უფრო მეტად ჩვენ გვეკუთვნის, ვიდრე თქვენ. რატომ დაგვამცირეთ? განა პირველმა ჩვენ არა ვთქვით სიტყვა ჩვენი მეფის დასაბრუნებლად?“ მაგრამ ისრაელიანებზე უფრო მტკიცედ ლაპარაკობდნენ იუდას კაცები.

მეორე მეფეთა 20

¹და მოხვდა იქ ერთი უგვანი კაცი, სახელად შებაყი, ბიქრის ძე, ბენიამინელი; ბუკი დაჰბერა მან და გამოაცხადა: „არა გვაქვს წილი დავითთან, არა გვაქვს წილი იესეს ძესთან! ყველა თავის კარვებისაკენ, ისრაელიანებო!“

²და ზურგი აქცია დავითს ისრაელმა და გაჰყვნენ შებაყს, ბიქრის ძეს, ხოლო იუდა არ მოშორებია თავის მეფეს იორდანედან იერუსალიმამდე.

³და დაბრუნდა მეფე იერუსალიმში თავის სახლში. და გამოიყვანა მეფემ ათი ხარჭა, სახლის საპატრონოდ რომ ჰყავდა დატოვებული და მოათავსა განსაკუთრებულ სახლში დაცვის მიჩენით, და არჩენდა მათ, მაგრამ არ შედიოდა მათთან. და გამოკეტილნი იყვნენ სიკვდილის დღემდე, და ქვრივებივით ცხოვრობდნენ.

⁴და უთხრა მეფემ ყამასას: „სამ დღეში შემიყარე იუდა და შენც აქ მეახლე.“

⁵და წავიდა ყამასა იუდას მოსახმობად, მაგრამ გადააცილა მისთვის დაწესებულ ვადას.

⁶მაშინ უთხრა დავითმა აბიშაის: „აბესალომზე უფრო მეტად გვიბოროტებს ახლა შებაყი, ბიქრის ძე. წაიყვანე შენი ბატონის მსახურნი და დაედევნე, რათა გამაგრებული ქალაქები არ იპოვოს და არ მიეფაროს ჩვენს თვალთაგან.“

⁷და გაჰყვა მას იოაბის ხალხი, და ქერეთელნი და ფელეთელნი, და გავიდა ყველა მამაცი იერუსალიმიდან შებაყის, ბიქრის ძის მდევრად.



⁸გიბეონში დიდ ლოდთან რომ მივიდნენ, ყამასა წარუდგა მათ. იოაბი აბჯარში იჯდა და ხმალი ერტყა, რომელიც თემოზე დასთრევდა ქარქაშით, რომლიდანაც იოლი ამოსაძრობი იყო.

⁹და უთხრა იოაბმა ყამასას: „ხომ მშვიდობით ხარ, ძმაო?“ და წვერზე მოჰკიდა იოაბმა ყამასას მარჯვენა ხელი საკოცნელად.

¹⁰და ვერ დაიცვა თავი ყამასამ მახვილისაგან, იოაბს რომ ეჭირა ხელში, და ჩასცა იოაბმა ფერდში და ნაწლავები გადმოაყრევინა მიწაზე. მეორედ აღარ ჩაუცია, მკვდარი იყო. და დაედევნენ იოაბი და მისი ძმა აბიშაი შებაყ ბიქრის ძეს.

¹¹თავზე ედგა მოკლულს იოაბის მსახურთაგანი და ამბობდა: ვისაც იოაბი უყვარს და ვინც დავითის მხარეზეა, იოაბს გაჰყვესო!

¹²სისხლში მოსვრილი ეგდო ყამასა შუა გზაზე. დაინახა იმ კაცმა, რომ ჩერდებოდა ხალხი, და გზიდან გადაათრია ყამასა მინდორში, და მოსასხამი წააფარა, რადგან ხედავდა, რომ ყველა ჩერდებოდა, ვინც კი თავს წაადგებოდა გვამს.

¹³და როცა გზიდან გადაათრიეს ის, ყველანი იოაბს გაჰყვნენ, რათა შებაყ ბიქრის ძეს დასდევნებოდნენ.

¹⁴მან კი ისრაელის ყველა ტომი გაიარა აბელ-ბეთ-მაყაქამდე. შეიკრიბა ყველა ბერიელი და გაჰყვა მას.

¹⁵როცა მოვიდა იოაბის ხალხი, მოიმწყვდიეს იგი აბელ-ბეთ-მაყაქაში. და აღმართეს ქალაქის წინ მიწაყრილი და მიადგნენ კედელს. მთელი ხალხი, იოაბს რომ ახლდა, ცდილობდა კედლის განგრევას.

¹⁶და დაიძახა ერთმა გონიერმა დედაკაცმა ქალაქის კედლიდან: „მომისმინეთ! მომისმინეთ! უთხარით იოაბს, რომ ახლოს მოვიდეს, სიტყვა მაქვს სათქმელი!“

¹⁷და მიუახლოვდა მას იოაბი და თქვა დედაკაცმა: „შენა ხარ იოაბი?“ მიუგო: „მე ვარ.“ უთხრა: „ყური უგდე შენი მხევლის სიტყვას.“ და თქვა: „გისმენ.“

¹⁸უთხრა დედაკაცმა: „ასე იტყოდნენ ძველად: ვისაც კითხვა სურს, აბელში იკითხოსო. – და ისე წყვეტდნენ საქმეს.

¹⁹მე ისრაელის ერთი მშვიდობიანი და პატიოსანი ქალაქთაგანი ვარ. შენ გინდა გაანადგურო ქალაქი, დედა ისრაელისა? რატომ სპობ უფლის სამკვიდროს?“

²⁰მიუგო იოაბმა და უთხრა: „შორს, შორს ჩემგან მისი ნგრევა და განადგურება!



²¹აქ სხვა ამბავია: ერთმა კაცმა ეფრემის მთიდან, სახელად შებაყ ბიქრის ძემ, ხელი აღმართა მეფე დავითზე. მხოლოდ ის მოგვეცით და დავებხნები ქალაქს.“ და უთხრა დედაკაცმა იოაბს: „კეთილი. გალავნიდან გადმოგიგდებენ მის თავს.”

²²და მივიდა დედაკაცი ხალხთან თავისი გონივრული სიტყვით. და მოკვეთეს თავი შებაყ ბიქრის ძეს და გადაუგდეს იოაბს. და ბუკსა სცა მან, და ყველანი მოსცილდნენ ქალაქს და თავ-თავის კარვებში მიმოიფანტნენ. ხოლო გაბრუნდა იოაბი იერუსალიმში მეფესთან.

²³იოაბი სარდლობდა ისრაელის მთელ ლაშქარს, ხოლო ბენაია იეჰოიადაყის ძე – ქერეთელებსა და ფელეთელებს;

²⁴და ადორამი ხარკის აკრეფას განაგებდა. და იოშაფატ ახილუდის ძე მემატიანე იყო;

²⁵შევა მწიგნობარი იყო, ცადოკი და აბიათარი კი – მღვდლები,

²⁶იაირელი ყირაც მღვდელი იყო დავითთან.

მეორე მეფეთა 21

¹დავითის დღეებში ზედიზედ სამ წელიწადს შიმშილობა იყო ქვეყანაში. და დაეკითხა დავითი უფალს. და უთხრა უფალმა: „საულისა და მისი სისხლიანი სახლის გამოა, გიბეონელნი რომ გაწყვიტაო.“

²დაიბარა მეფემ გიბეონელნი და ელაპარაკა მათ. გაბაონელნი არა ისრაელიანები, არამედ დარჩენილ ამორეველთა შთამომავალნი იყვნენ. ისრაელიანებმა შეჰფიცეს მათ, მაგრამ საული ცდილობდა მათ გაწყვეტას ისრაელიანთა და იუდას მიმართ შურის გამო.

³და უთხრა დავითმა გიბეონელებს: „რა გაგიკეთოთ, რომ გამოვისყიდო ცოდვა და აკურთხოთ უფლის სამკვიდრო?“

⁴და უთხრეს გიბეონელებმა: „არც ვერცხლი და არც ოქრო არ გვინდა საულისგან და მისი სახლისგან. არც იმას მოვითხოვთ, რომ ვინმე მოკლან ისრაელში.“ და თქვა მეფემ: „რასაც იტყვით, აგისრულდებათ.“

⁵და უთხრეს მეფეს: „რაკი გვანადგურებდა ის კაცი და ჩვენს გადაშენებას ცდილობდა ისრაელის საზღვრებიდან,

⁶უნდა ჩაგვაბარონ შვიდი კაცი მის ძეთაგან და ჩვენ ჩამოვკიდებთ მათ უფლის წინაშე საულის გიბყაში, უფლის მთაზე.“ მეფემ თქვა: „ჩაგაბარებთ.“



⁷და დაინდო მეფემ მეფიბოშეთი, ძე იონათანისა, საულის ძისა, და უფლის ფიცის გამო, რომელიც დაიდო მათ შორის – დავითსა და იონათან საულის ძეს შორის.

⁸და წამოიყვანა მეფემ ორი ძე რიცფასი, აიას ასულისა, რომელმაც უშვა საულს არმონი და მეფიბოშეთი; და წამოიყვანა ხუთი ძე მიქალისა, საულის ასულისა, რომლებიც მან უშვა ყადრიელს, მეხოლათელი ბარზილაის ძეს.

⁹და ხელთ მისცა გაბაონელებს, რომელთაც ისინი ჩამოჰკიდეს მთაზე უფლის წინაშე. და დაიღუპა შვიდივე ერთად. მოიკლნენ ისინი ქერების მკის პირველ დღეებში.

¹⁰და აიღო რიცფამ, აიას ასულმა ჯვალა, დაიფინა კლდესთან და იყო იქ მკის დაწყებიდან, ვიდრე ციურმა წყალმა არ იწვიმა მათზე. და უგერიებდა გვამებს დღისით ცის ფრინველებს და ღამით ველის ნადირს.

¹¹და შეატყობინეს დავითს, რაც გააკეთა რიცფამ, აიას ასულმა, საულის ხარჭამ.

¹²და წავიდა დავითი და წამოიღო საულის ძვლები და მისი ძის, იონათანის ძვლები გალაადის იაბეშის მკვიდრთაგან, რომელთაც მოიპარეს ისინი ბეთ-შანის მოედნიდან, სადაც ფილისტიმელებმა ჩამოჰკიდეს, როცა მოკლეს ფილისტიმელებმა საული გილბოაყში.

¹³და ამოიტანა იქიდან საულის ძვლები და მისი ძის, იონათანის ძვლები; და მოკრიფეს ჩამოკიდებულთა ძვლები.

¹⁴და დამარხეს საულისა და მისი ძის, იონათანის ძვლები ბენიამინის ქვეყანაში, ცელაყში, კიშის, მისი მამის სამარხში. და ყველაფერი შეასრულეს, რაც ბრძანა მეფემ. ამის შემდეგ მოიღო ღმერთმა ქვეყანაზე მოწყალება.

¹⁵და კვლავ მოხდა ბრძოლა ფილისტიმელებსა და ისრაელს შორის. და გამოვიდა დავითი თავისი მსახურებითურთ. და შეებრძოლნენ ისინი ფილისტიმელებს. და მოიქანცა დავითი.

¹⁶მაშინ იშბი-ბენობმა, რაფას ნაშიერთაგანმა, რომელსაც 300 შეკელიანი ბრინჯაოს შუბი ჰქონდა და ახალი მახვილი ერტყა წელზე, დავითის მოკვლა განიზრახა.

¹⁷და მიეშველა მეფეს აბიშაი, ცერუიას ძე, და დაჰკრა ფილისტიმელს და მოკლა. მაშინ დავითის კაცებმა დააფიცეს ის და უთხრეს: „აღარ გამოხვიდე ჩვენთან ერთად საომრად, რომ არ ჩააქრო ისრაელის ლამპარი.“

¹⁸ამის შემდეგ კვლავ მოხდა ბრძოლა ფილისტიმელებთან გობში. მაშინ სიბექაი ხუმათელმა განგმირა საფი, რომელიც რაფას ნაშიერთაგანი იყო.



¹⁹კიდევ მოხდა ბრძოლა გობში ფილისტიმელებთან, და ელხანანმა, იაყარე-ორეგიმის ძემ, ბეთლემელმა, განგმირა გათელი გოლიათი, რომლის შუბის ტარი საქსელე ლილვის სიმსხო იყო.

²⁰კიდევ მოხდა ბრძოლა გათში, და იყო იქ უზარმაზარი კაცი, რომელსაც ხელებზე და ფეხებზე ექვს-ექვსი თითი ესხა – სულ 24. ისიც რაფას ნაშიერი იყო.

²¹და დასცინოდა ისრაელს, მაგრამ განგმირა იგი იონათანმა, შიმეყას ძემ, დავითის ძმისწულმა.

²²ეს ოთხნი იყვნენ რაფას ნაშიერთაგან გათში და ყველანი დავითისა და მის მსახურთა ხელით დაეცნენ.

მეორე მეფეთა 22

¹და წარმოთქვა დავითმა უფლისადმი ამ გალობის სიტყვები, რა დღესაც იხსნა უფალმა იგი ყველა მისი მტრისა და საულის ხელიდან.

²და თქვა: „უფალი კლდე და ციხესიმაგრეა ჩემი, მხსნელია ჩემი!

³ღმერთი კლდეა ჩემი, რომელსაც ვესავ. ფარია ჩემი და თავშესაფარი. ჩემო მხსნელო, შენ მიხსენ მოძალადისაგან!

⁴უფალს, დიდებულს, შევღალადე და მტრებს გადავურჩი.

⁵რადგან მომაწყდნენ სიკვდილის ტალღები, დაღუპვის ნიაღვრებმა შემაშინეს.

⁶შავეთის ქსელები შემომეხლართა, სიკვდილის ბადეებმა მომიცვეს.

⁷ჩემს გასაჭირში შევღალადე უფალს, ჩემს ღმერთს შევძახე, და ისმინა მის ტაძარში ჩემი ხმა, და მისწვდა მის ყურს ჩემი ღალადი.

⁸შეიძრა, შეტოკდა დედამიწა, ცათა საფუძველნი იძვროდნენ და ირყეოდნენ, რადგან რისხვით აღეგზნო იგი.

⁹ავარდა კვამლი მისი ნესტოებიდან და შემჭმელი ცეცხლი – მისი ბაგეებიდან, მისგან მუგუზულები აგიზგიზდნენ.

¹⁰და მოდრიკა ცანი და ჩამოვიდა, ღრუბელი მოექცა ფეხქვეშ.

¹¹და ამხედრდა ქერუბიმზე და გაფრინდა, და ქარის ფრთებზე გამოჩნდა.

¹²კარვად წყვდიადი, წყლის ჯურღმული და ცის ღრუბელი მოიბურა.

¹³მისი ბრწყინვალეობით გიზგიზებდნენ ცეცხლის ნაკვერცხლები.

¹⁴ზეციდან დაიქუხა უფალმა, და უზენაესმა ხმა გამოსცა.



- ¹⁵ ისრები სტყორცნა და მიმოფანტა ჩემი მტრები, დაიგრგვინა და გზა-კვალი აუბნია მათ.
- ¹⁶ გამოჩნდა ზღვის ფსკერი, გაშიშვლდნენ სამყაროს საფუძველნი უფლის მუქარისგან, მისი რისხვის ქარისაგან.
- ¹⁷ ხელი გადმოყო ზეგარდმო, ჩამჭიდა და წყლის მორევიდან ამომიყვანა.
- ¹⁸ მიხსნა ძლიერი მტრისგან, ჩემს მოძულეთაგან, რომელთაგან ძლეული ვიყავ.
- ¹⁹ ჭირში ვიყავ, როცა დამეცნენ, მაგრამ უფალი იყო ჩემი საყრდენი.
- ²⁰ ფართოზე გამიყვანა და მიხსნა, რადგან შემიტკბო.
- ²¹ მომიზღო უფალმა ჩემი სიმართლისამებრ და ჩემი ხელების სიწმინდისამებრ გადამიხადა.
- ²² რადგან ვიცავდი უფლის გზას, და ჩემი ღმერთისათვის არ შემიცოდავს.
- ²³ რადგან მისი მცნებები წინ მედო, და მისი წესებისთვის არ გადამიხვევია.
- ²⁴ წრფელი ვიყავ მის მიმართ, და ცოდვას გავურბოდი.
- ²⁵ და გადამიხადა უფალმა ჩემი სიმართლისაებრ, და სიწმიდისაებრ მის თვალში.
- ²⁶ მოწყალებსთან მოწყალებ, წრფელ კაცთან წრფელობ,
- ²⁷ უმწიკვლოსთან უმწიკვლო ხარ! და უკუღმართთან – მისი ცბიერებისამებრ.
- ²⁸ დაჩაგრულთა მხსნელი ხარ, და მედიდურებს მზერით აცამტკერებ.
- ²⁹ უფალო, ლამპარი ხარ ჩემი! უფალი ნათელია ბნელში.
- ³⁰ რადგან შენთან ერთად ურდოებს შევებმები, ჩემს ღმერთთან ერთად გალავანს გადავევლები.
- ³¹ წრფელია ღვთის გზა, წმიდაა უფლის სიტყვა, მის მოიმედეთა ფარია იგი,
- ³² რადგან არვინ არის ღმერთი, გარდა უფლისა. ვინ არის კლდე, გარდა ჩვენი ღვთისა?
- ³³ ღმერთია ჩემი გამაძლიერებელი და გზის წრფელად წარმმართველი.
- ³⁴ ჩემს ფეხებს ირმისას ამსგავსებს და სიმაღლეებზე მაყენებს მტკიცედ.
- ³⁵ ბრძოლისთვის გამიწრთვნის ხელებს, და ბრინჯაოს მშვილდს მოჭიმავს ჩემი მკლავი.
- ³⁶ ხსნის ფარს შენ მაძლევ, და შენი წყალობა განმადიდებს.



- ³⁷შენ მიფართოებ ნაბიჯს, და არ მეზორძიკება ფეხები.
- ³⁸მტერს ვედევნები მოსასპობად, და არ ვბრუნდები, ვიდრე ბოლოს არ მოვუღებ.
- ³⁹ვსპობ და ვანადგურებ, ველარ დგებიან, და ჩემს ფერხთით ეცემიან.
- ⁴⁰შენ შემომსარტყლავ ძალას საომრად, ჩემს წინაშე აჩოქებ ჩემს წინააღმდეგობით.
- ⁴¹მტრის ზურგს მიჩვენებ და ვაცამტვერებ ჩემს მოძულეებს.
- ⁴²შველას ითხოვენ, მაგრამ არა ჩანს მხსნელი; უფალს მოუხმობენ, მაგრამ პასუხს არ იძლევა.
- ⁴³მიწის მტვერივით ვაცამტვერებ, ქუჩის გოროხივით ვთელავ და ვჯეგავ.
- ⁴⁴შენ დამიხსენი ჩემს მეამბოხეთაგან, შენ მინახავ ერების მთავრად. ხალხი, რომელსაც არ ვიცნობდი, მემსახურება.
- ⁴⁵უცხოთესლნი მეთნევიან, ჩემი ხმის გაგონებაზე მემორჩილებიან.
- ⁴⁶უცხოთესლნი უძღურდებიან, გარბიან თავიანთი სიმაგრეებიდან.
- ⁴⁷ცოცხალ არს უფალი, კურთხეულ არს ჩემი დამცველი! ამაღლდეს ჩემი ღმერთი, თავშესაფარი ჩემი ხსნისა,
- ⁴⁸ღმერთი, ჩემი შურისმგებელი, ხალხების ჩემთვის დამმორჩილებელი;
- ⁴⁹მტერთაგან ჩემი გამრიდებელი, და ჩემს მოჯანყეებზე ჩემი ამაღლებელი, მოძალადეთაგან ჩემი მფარველი!
- ⁵⁰ამიტომ გადიდებ, შენ, უფალო, ხალხთა შორის და შენს სახელს ვუგალობ.
- ⁵¹ხსნის გოდოლია იგი თავისი მეფისთვის, მწყალობელი – თავისი ცხებული დავითისთვის და მისი მოდგმისა უკუნისამდე.“

მეორე მეფეთა 23

- ¹ეს არის დავითის უკანასკნელი სიტყვები, რომელნიც წარმოთქვა დავითმა, იესეს ძემ, კაცმა მაღლით დადგინებულმა, იაკობის ღვთის ცხებულმა და ისრაელის ტკბილხმოვანმა მგალობელმა:
- ²„უფლის სული მეტყველებს ჩემი პირით; და ჩემს ენაზეა მისი სიტყვა.
- ³მითხრა ისრაელის ღმერთმა, მელაპარაკა ისრაელის კლდე: მართალი კაცი იხელმწიფებსო ხალხზე, ღვთის შიშით იხელმწიფებს
- ⁴და იქნება იგი, როგორც დილის ნათელი მზის ამოსვლისას, უღრუბლო დილა, ნათება ნაწვიმარზე, მიწიდან აბიზინებული ბალახი.



⁵განა ასეთი არ არის ჩემი სახლი ღმერთის წინაშე? რადგან მან დამიდო საუკუნო აღთქმა, ყოველმხრივ გაწყობილი და დაურღვეველი. განა მისგან არ მოდის ჩემი შველა? განა მისით არ მისრულდება ჩემი ნატვრა?

⁶უკეთურნი ეკლესიებით აღმოიფხვრებიან, ხელით რომ არ აიღება.

⁷ახლოს მიმსვლელს რკინა უნდა ეჭიროს და შუბის ტარი, ცეცხლში ამოიბუგებიან ადგილზევე, სადაც ყრიან.“

⁸ესენია დავითის მოყმეთა სახელები: იოშებ-ბაშებეთ თახქემონელი, ეტლოსანთა მეთაური, რომელმაც მოუქნია შუბი რვაას კაცს და ერთ ჯერზე მოკლა.

⁹მის შემდეგ ელეაზარი, მე დოდოსი, ახოხის ძისა, ერთ-ერთი იმ სამ მოყმეთაგანი, რომელნიც ახლდნენ დავითს, როცა ლანძვით იწვევდნენ საომრად შეკრებილ ფილისტიმელებს.

¹⁰ისრაელიანები გამოვიდნენ მათ წინააღმდეგ, და შეიმართა იგი და მუსრავდა ფილისტიმელებს მანამდე, ვიდრე მარჯვენა ხელი არ დაუბუჟდა და მახვილის ვადას არ მიეწება. დიდი ხსნა მოიტანა იმ დღეს უფალმა. და მხოლოდ იმისთვის გამოჰყვა მას ხალხი, რომ მკვდრები ეპარცვათ.

¹¹მის შემდეგ შამა აგეს მე, ჰარარელი. როცა საომრად შეიყარნენ ფილისტიმელები ლეხში, იყო იქ მინდვრის ნაკვეთი, სადაც ოსპი ეთესა, და უკუიქცა ხალხი ფილისტიმელთაგან.

¹²და ჩადგა იგი შუა ყანაში და იცავდა მას. მუსრი გაავლო ფილისტიმელებს. დიდი ხსნა მოიტანა მაშინ უფალმა.

¹³და ჩამოვიდნენ ეს სამნი ოცდაათ მეთაურთაგანნი და მივიდნენ დავითთან ყადულამის მღვიმეში ალოობისას, ხოლო ფილისტიმელთა ურდოები რეფაიმის ველზე იყვნენ დაბანაკებულნი.

¹⁴დავითი მაშინ კლდის სიმაგრეში იყო, ხოლო ფილისტიმელების მეციხოვნეები ბეთლემში იდგნენ.

¹⁵და მოსწყურდა დავითს და თქვა: „ვინ შემასმევს ბეთლემის ჭის წყალს, კარიბჭესთან რომ არის?“

¹⁶და გაარღვია ამ სამმა მოყმემ ფილისტიმელთა ბანაკი, და ამოიღეს წყალი ბეთლემის ჭიდან, კარიბჭესთან რომ არის, წამოიღეს და მიუტანეს დავითს, მაგრამ მან არ ინდომა მისი შესმა და უფლის წინაშე დაღვარა.

¹⁷და თქვა: „შორს ჩემგან, უფალო, ასეთი საქმე! ნუმიც შემესვას ამ ვაჟკაცთა სისხლი, თავის გასაწირად რომ წავიდნენ!“ და არ ინდომა დავითმა წყლის შესმა. ეს საქმეები ჰქონდათ ჩადენილი ამ სამ მოყმეს.



- ¹⁸აბიშაი, იოაბის ძმა, ცერუიას ძე, ოცდაათის თავი იყო. 300 კაცს მოუქნია შუბი და განგმირა. და ჰქონდა მას სახელი იმ სამთა შორის.
- ¹⁹ოცდაათს შორის მეტად იყო პატივდებული და მათ მეთაურობდა, მაგრამ იმ სამს ვერ უტოლდებოდა;
- ²⁰ბენაია იეჰოიადაყის ძე, დაუღალავი ვაჟკაცის ძე, კაზცეელელი. მან დაამარცხა ორი ძე მოაბელი არიელისა. ის ჩავიდა ორმოში და მოკლა ლომი თოვლობის დროს.
- ²¹მანვე მოკლა ერთი ეგვიპტელი კაცი, საშინელი შესახედავი. შუბი ეჭირა ხელში ეგვიპტელს. ჩაუხტა კეტით, ხელიდან გამოსტაცა შუბი ეგვიპტელს და მისივე შუბით განგმირა.
- ²²ეს გააკეთა ბენაია იეჰოიადაყის ძემ და სახელი მოიხვეჭა სამთა მოყმეთა შორის;
- ²³ვიდან გამოირჩეოდა, თუმცა იმ სამს ვერ გაუტოლდა. თავის მცველთა მეთაურად დანიშნა იგი დავითმა;
- ²⁴ოცდაათს შორის იყვნენ: ყასელი, იოაბის ძმა; ელხანანი, ბეთლემელი დოდოს ძე;
- ²⁵შამა ხაროდელი, ელიკა ხაროდელი;
- ²⁶ხელეც ფალტიელი; ყირა ყიკეშის ძე, თეკოაყელი;
- ²⁷აბიყეზერ ყანათოთელი; მეზუნაი ხუშათელი;
- ²⁸ცალმონ ახოხელი; მაჰარაი ნეტოფათელი;
- ²⁹ხელებ ბაყანას ძე, ნეტოფათელი; ითაი რიზაის ძე, ბენიამინის გიბყადან;
- ³⁰ბენაია ფირყათონელი; ჰიდაი გაყაშის ხევიდან;
- ³¹აბი-ყალბონ ყარბათელი; ყაზმავეთ ბარხუმელი;
- ³²ელიახზა შაყალბონელი; იაშენის ძეთაგან, იონათანი;
- ³³შამა ჰარარელი; ახიამ შარარის ძე, ჰარარელი;
- ³⁴ელიფელეტ ახასზაის ძე, მაყაქათელი; ელიყამ ახითოფელის ძე, გილონელი.
- ³⁵ხეცრო ქარმელელი; ფაყარაი არბელი;
- ³⁶იგალ ნათანის ძე ცოზადან; ბანი გადელი;
- ³⁷ცელეკ ყამონელი; ნახარაი ბეეროთელი, იოაბის, ცერუიას ძის, საჭურველმტვირთველი;



³⁸ყირა ითრელი; გარეზ ითრელი;

³⁹ურია ხეთელი – სულ 37.

მეორე მეფეთა 24

¹კვლავ აღიგზნო უფლის რისხვა ისრაელზე და წააქეზა მან დავითი მათ წინააღმდეგ, და ათქმევინა: „წადი, აღრიცხე ისრაელი და იუდა.“

²და უთხრა მეფემ იოაბს, თავისი ლაშქრის მხედართმთავარს, რომელიც მასთან იყო: „შემოიარე ისრაელის ყველა შტო დანიდან ბეერ-შეზაყამდე და აღრიცხე ხალხი, რომ ვიცოდე მათი რიცხვი.“

³და უთხრა იოაბმა მეფეს: „უფალმა, შენმა ღმერთმა შემატოს ერს ერთი ამდენი და კიდევ ასჯერ მეტი, და ამის მომსწრე გახადოს მეფე-ბატონი. მაგრამ რად ინება მეფე-ბატონმა ეს საქმე?“

⁴და იძალა მეფის სიტყვამ იოაბსა და ლაშქრის მხედართმთავრებზე. და გავიდნენ მეფისგან იოაბი და მხედართმთავრები ისრაელიანთა აღსარიცხად.

⁵და გავიდნენ იორდანეს გაღმა და ყაროყერში დაიბანაკეს, ქალაქის მარჯვნივ, გაღის ხეობაში რომ მდებარეობს, იაყზერის პირდაპირ.

⁶და მივიდნენ გალაადში და კადეშში თახთიმ-ხოდშის მხარეში, იქიდან წავიდნენ დან-იაყანში და ციდონის მიდამოებში.

⁷მივიდნენ ცორის ციხესიმაგრესთან და მოიარეს ხიველთა და ქანაანელთა ყველა ქალაქი და გავიდნენ იუდას ნეგებში ბეერ-შეზაყთან.

⁸და მოიარეს მთელი ქვეყანა და ცხრა თვისა და 20 დღის შემდეგ იერუსალიმში დაბრუნდნენ.

⁹და მიაღწია იოაბმა მეფეს ხალხის აღრიცხვის გრაგნილი; და აღმოჩნდა ისრაელში 800 ათასი მეზრძოლი, მახვილის მაშიშვლებელი, და იუდაში – 5 ათასი კაცი.

¹⁰და გულმა გაჰკრა დავითს მას შემდეგ, რაც აღრიცხა ხალხი. და უთხრა დავითმა უფალს: „დიდად შევცოდე, იმით, რაც გავაკეთე. ახლა გევედრები შენ, უფალო, მიუტევე შეცოდება შენს მსახურს, რადგან უგუნურად მოვიქეცი.“

¹¹და დილით, როცა ადგა დავითი, უფლის სიტყვა გამოეცხადა წინასწარმეტყველ გადს, დავითის მისანს:



12 „წადი და უთხარი დავითს, ასე ამბობს-თქო უფალი: ‘სამს შემოგთავაზებ, ერთ-ერთი აირჩიე, რომ დაგსაჯო.’“

13 და მივიდა გადი დავითთან და გამოუცხადა ეს ამბავი: „რა გიჯობს: შვიდწლიანი შიმშილი შენს ქვეყანაში, სამი თვის ლტოლვილება შენი მტრებისგან და მათგან შენი დევნა, თუ შავი ჭირი სამ დღეს შენს ქვეყანაში? ახლა იფიქრე და აწონ-დაწონე, რა პასუხი მივუტანო ჩემს მომავლინებელს.“

14 და უთხრა დავითმა გადს: „მეტისმეტად დამწუხრებული ვარ, მაგრამ მიჯობს უფლის ხელში ჩავვარდე, რადგან დიდია მისი მოწყალება, ოღონდ კაცის ხელში ნუ ჩავვარდები.“

15 და მოავლინა უფალმა შავი ჭირი ისრაელში იმ დილიდან დათქმულ დრომდე, და გაწყდა დანიდან ბეერ-შებაყამდე 70 ათასი კაცი.

16 ხოლო როცა გაიწოდა ხელი ანგელოზმა იერუსალიმისკენ მის დასაღუპად, უფალმა აკმარა უბედურება და უთხრა ხალხის დამღუპველ ანგელოზს: „კმარა, ახლა უკან წაიღე ხელი!“ იეზუსელი არავნას კალოსთან იდგა უფლის ანგელოზი.

17 და უთხრა დავითმა უფალს ხალხის შემმუსვრელი ანგელოზის დანახვისას: „აჰა, მე კი შევცოდე და დავაშავე, მაგრამ ამ ცხვრებმა რა გააკეთეს? ჩემზე და მამაჩემის სახლზე იყოს შენი ხელი!“

18 და მივიდა დავითთან გადი იმავე დღეს და უთხრა: „წადი და აღუმართე უფალს სამსხვერპლო არავნა იეზუსელის კალოზე.“

19 და წავიდა დავითი გადის სიტყვისამებრ, როგორც უბრძანა უფალმა.

20 და გამოიხედა არავნამ და დაინახა მისკენ მომავალი მეფე და მისი მსახურნი, და გამოვიდა არავნა და მდაბლად თაყვანი სცა მეფეს.

21 და თქვა არავნამ: „რისთვის მოსულა მეფე-ბატონი თავის მსახურთან?“ უთხრა დავითმა: „შენგან კალოს საყიდლად და უფლის სამსხვერპლოს ასაგებად, რათა განერიდოს ხალხს ჟამიანობა.“

22 და უთხრა არავნამ დავითს: „აილოს და აღავლინოს ჩემმა მეფე-ბატონმა, რაც ნებაგს. აჰა, ხარები სრულადდასაწველად, აჰა, კვერი და ხარების უღლები სამსხვერპლო შეშად.“

23 ყველაფერ ამას უძღვნის, მეფეო, არავნა მეფეს.“ და უთხრა არავნამ მეფეს: „უფალი, შენი ღმერთი გწყალობდეს!“

24 და უთხრა მეფემ არავნას: „არა, საფასურით უნდა ვიყიდო შენგან. ვერ შევწირავ უფალს, ჩემს ღმერთს, მუქთად მიღებულ სრულადდასაწველს.“ და იყიდა მეფემ კალო და ხარები 50 შეკელ ვერცხლად.



²⁵და აუგო დავითმა იქ უფალს სამსხვერპლო, აღავლინა სრულადდასაწველი და სამშვიდობო მსხვერპლი, და შეიწყალა უფალმა ქვეყანა და განერიდა ჟამიანობა ისრაელს.



მესამე მეფეთა

მესამე მეფეთა 1

- ¹როცა მოხუცდა მეფე დავითი და სიბერით გაცვდა, თბილი საბნებიც კი აღარ ათბობდა.
- ²და უთხრეს მისმა მსახურებმა: „გამოუძებნონ ჩვენს მეფე-ბატონს ახალგაზრდა ქალწული ქალი, რომ წარდგეს მეფის წინაშე და მოუაროს მას და გვერდში დაუწვეს, ასე თუ გათბება ჩვენი მეფე-ბატონი.“
- ³და დაუწყეს ძებნა ლამაზ ყმაწვილ ქალს მთელს ისრაელში და მონახეს შუნამელი აბიშაგი, და მიჰგვარეს მეფეს.
- ⁴ძალზე ლამაზი იყო ყმაწვილი ქალი და გახდა იგი მეფის მომვლელი და ემსახურებოდა მას, მაგრამ მეფეს არ შეუცვნიია ის.
- ⁵გამედიდურდა ადონია, ხაგითის შვილი, და ამბობდა: მე უნდა ვიმეფო. გაიჩინა ეტლები და მხედრები, და 50 მალემსრბოლი.
- ⁶და არ უსაყვედურია მამამისს, ასე რატომ იქცევით? თვალტანადი ყმაწვილი იყო ის; აბესალომის მომდევნოდ ეყოლა იგი დედამისს.
- ⁷იოაბთან, ცერუიას ძესთან და აბიათარ მღვდელთან ჰქონდა საქმე დაჭერილი და ისინი ეხმარებოდნენ ადონიას.
- ⁸ცადოკ მღვდელი, ბენაია იეჰოიადის ძე, ნათან წინასწარმეტყველი, შიმეყი, რეყი და დავითის მოყმენი მხარს არ უჭერდნენ ადონიას.
- ⁹და დახოცა ადონიამ ცხვრები, ხარები, ნასუქალი ხბორები ზოხელეთის ლოდთან, ყენ-როგელის მახლობლად რომ არის, და მოიწვია თავისი ძმები, უფლისწულები და იუდაელი კაცები, მეფის მსახურნი,
- ¹⁰ხოლო ნათან წინასწარმეტყველი, ბენაია, და მამაცი მოყმენი და სოლომონი, თავისი ძმა, არ მოუწვევია.
- ¹¹და უთხრა ნათანმა ბათშებაყს, სოლომონის დედას: „გაიგე, რომ გამეფდა ადონია, ხაგითის ძე, ჩვენმა ბატონმა დავითმა კი არაფერი იცის?“
- ¹²ახლა, მოდი, ერთ რამეს გირჩევ: უშველე თავს და სოლომონს, შენს შვილს.
- ¹³წადი, შედი დავით მეფესთან და უთხარი: ‘განა შენ არ იყავი, მეფე-ბატონო, რომ შემომფიცე შენს მხევალს: შენი ვაჟი სოლომონი იმეფებს ჩემს შემდეგ, ის დაჯდებაო ჩემს ტახტზე, მაშ რატომ გამეფდა ადონია?’
- ¹⁴და აჰა, ვიდრე შენ მეფესთან იმასლაათებ, მეც შემოვალ და სიტყვას შეგაწევ.“



¹⁵და შევიდა ბათუმბაყი მეფესთან ოთახში. ძალზე მოხუცი იყო მეფე და შუნამელი აბიშაგი უვლიდა მას.

¹⁶თავი დახარა ბათუმბაყმა და თაყვანი სცა მეფეს. და უთხრა მეფემ: „რა გინდა?“

¹⁷და უთხრა: „ჩემო მეფე-ბატონო, ხომ შეჰფიცე შენს მხევალს უფლის, შენი ღმერთის სახელით: სოლომონი, შენი ვაჟი გამეფდება ჩემს შემდეგ და ჩემს ტახტზე ის დაჯდებაო?“

¹⁸ახლა, აჰა, ადონია გამეფდა, შენ კი, მეფე-ბატონო, არაფერი გაგიგია.

¹⁹დაკლა მრავლი ხარი, მსუქანი მოზვერი და ცხვარი, და მოიწვია ყველა უფლისწული და აბიათარ მღვდელი და მხედართმთავარი იოაბი; ხოლო შენი მსახური სოლომონი არ მოუწვევია.

²⁰შენ კი, ჩემო ბატონო, მეფე ხარ, და შენსკენაა მოპყრობილი მთელი ისრაელის თვალი, რომ გამოუცხადო, ვინ ავა ჩემი მეფე-ბატონის ტახტზე მის შემდეგ.

²¹თორემ, როცა განისვენებს მეფე-ბატონი თავის მამებთან, დამნაშავენი გამოვალთ მე და ჩემი შვილი სოლომონი.“

²²და აჰა, ვიდრე ელაპარაკებოდა მეფეს, ნათან წინასწარმეტყველიც მოვიდა.

²³მოახსენეს მეფეს და უთხრეს: „აჰა, ნათან წინასწარმეტყველი.“ შევიდა მეფესთან და მდაბლად თაყვანი სცა მას;

²⁴და თქვა ნათანმა: „მეფე-ბატონო, შენა თქვი, რომ ჩემს შემდეგ ადონია გამეფდეს და ჩემს ტახტზე დაჯდესო?“

²⁵რადგან ჩამოვიდა დღეს, დაკლა მრავალი ხარი, ნასუქალი მოზვერი და ცხვარი, და მოიწვია ყველა უფლისწული, მხედართმთავრები და აბიათარ მღვდელი. ახლა იქ არიან და ჭამენ და სვამენ მის წინაშე. გაჰყვირიან: ‘დღეგრძელობა მეფე ადონიას!’

²⁶არ მივუწვევივარ არც მე, შენი მსახური, არც ცადოკ მღვდელი, არც ბენაია იეჰოიადაყის ძე, და არც სოლომონი, შენი მსახური.

²⁷თუ მეფე-ბატონისგან მოდის ეს ბრძანება, რატომ არ მაუწყე შენს მსახურს, თუ ვინ უნდა დამჯდარიყო მეფე-ბატონის ტახტზე მის შემდეგ?“

²⁸და მიუგო მეფე დავითმა და უთხრა: „ბათუმბაყს დამიძახეთ!“ და შევიდა ბათუმბაყი მეფესთან და წარუდგა მას.

²⁹და დაიფიცა მეფემ და თქვა: „მოწმე იყოს უფალი, რომელმაც მიხსნა ყველა გაჭირვებიდან,



³⁰რომ როგორც შემოგფიცე უფლის, ისრაელის ღმერთის სახელით, შენი ვაჟი სოლომონი გამეფდება ჩემს შემდეგ და ის დაჯდება-მეთქი ჩემს ტახტზე ჩემს ნაცვლად, ასე გავაკეთებ დღეს.“

³¹და დაბლა დახარა თავი ბათშებაყმა, და თაყვანი სცა მეფეს და უთხრა: „უკუნისამდე იცოცხლოს ჩემმა მეფე-ბატონმა დავითმა!“

³²და თქვა მეფე დავითმა: „მომიხმეთ ცადოკ მღვდელი, ნათან წინასწარმეტყველი და ბენაია იეჰოიადაყის ძე.“ და ისინიც წარდგნენ მეფის წინაშე.

³³და უთხრა მათ მეფემ: „იახლეთ თქვენი ბატონის მსახურნი, შესვით ჩემი ძე სოლომონი ჩემს ჯორზე და გიხონში ჩაიყვანეთ.

³⁴და იქ სცხონ იგი ისრაელის მეფედ ცადოკ მღვდელმა და ნათან წინასწარმეტყველმა. და დაჰბერეთ ბუკსა და გამოაცხადეთ: უკუნისამდე ცხონდეს მეფე სოლომონი!

³⁵და ამოჰყევით მას და მოვა და დაჯდება ჩემს ტახტზე; ის იმეფებს ჩემს ნაცვლად; მას ვუანდერძე მე ისრაელისა და იუდას წინამძღვრობა.“

³⁶და მიუგო ბენაია იეჰოიადაყის ძემ მეფეს და თქვა: ამინ! ასევე ბრძანოს უფალმა, ჩემი მეფე-ბატონის ღმერთმა!

³⁷როგორც ჩემს მეფე-ბატონთან იყო უფალი, ასევე იყოს სოლომონთანაც. ჩემი მეფე-ბატონის, დავითის ტახტზე მეტად აამაღლოს მისი ტახტი.

³⁸და ჩავიდნენ ცადოკ მღვდელი, ნათან წინასწარმეტყველი, ბენაია, იეჰოიადაყის ძე, ქერეთელნი და ფელეთელნი, და შესვეს სოლომონი მეფე დავითის ჯორზე და გიხონისაკენ წაიყვანეს.

³⁹და გამოიტანა მღვდელმა ცადოკმა კარვიდან ზეთის რქა და დაასხა სოლომონს. და დაჰბერეს ბუკსა და შესძახა მთელმა ხალხმა: „დღეგრძელი იყოს სოლომონ მეფე!“

⁴⁰უკან მოჰყვებოდა მთელი ხალხი სოლომონს, სტვირებს უკრავდნენ და ხარობდნენ დიდი სიხარულით, მიწა ირყეოდა მათი ყიჟინით.

⁴¹ის იყო მორჩნენ პურობას ადონია და მისი სტუმრები, რომ მოესმათ ეს ყიჟინა. და როცა გაიგონა იოაბმა ბუკისცემის ხმა, იკითხა, რა ხმაურიაო ქალაქში?

⁴²ჯერ სიტყვა არ დაემთავრებინა, და აჰა, მოვიდა იონათანი, აბიათარ მღვდლის ძე. და თქვა ადონიამ: „შემოდი, რადგან ღირსეული კაცი ხარ და ალბათ, კარგი ამბავიც მოგაქვს.“



⁴³და მიუგო იონათანმა ადონიას: „ვაგლახ, რომ არა! სოლომონი გაამეფა დავითმა, ჩვენმა მეფე-ბატონმა,

⁴⁴და გააყოლა მას მეფემ ცადოკ მღვდელი, ნათან წინასწარმეტყველი, ბენაია იეჰოიადაყის ძე, ქერეთელები და ფელეთელები და შესვეს იგი მეფის ჯორზე,

⁴⁵და მეფედ სცხეს იგი ცადოკ მღვდელმა და ნათან წინასწარმეტყველმა გიხონში, და გახარებულნი ამოვიდნენ იქიდან, და შეიძრა ქალაქი, ეს ის ხმა იყო, თქვენ რომ გაიგონეთ.

⁴⁶უკვე ზის სოლომონი სამეფო ტახტზე.

⁴⁷და მივიდნენ კიდევ და მიულოცეს მეფის მსახურებმა ჩვენს ბატონს, დავით მეფეს, და უთხრეს: ‘ადიდოს ღმერთმა სახელი სოლომონისა, შენი მისა, შენს სახელზე მეტად, და აღამაღლოს მისი ტახტი შენს ტახტზე მეტად.’ და წამოიწია მეფე თავის საწოლზე და თაყვანი სცა.

⁴⁸და ასე თქვა მეფემ: კურთხეულია უფალი, ღმერთი ისრაელისა, რომელმაც მომცა დღეს ტახტის მემკვიდრე და ჩემი თვალთ მახილვინა.“

⁴⁹და შეეშინდათ ადონიას წვეულთ, წამოიშალნენ და თავ-თავისი გზით წავიდნენ.

⁵⁰ხოლო ადონიამ სოლომონის შიშით სამსხვერპლოს მიაშურა და მის რქებს მოეჭიდა.

⁵¹ეს შეატყობინეს სოლომონს და უთხრეს: „აჰა, შეეშინდა ადონიას სოლომონ მეფის, და აჰა, სამსხვერპლოს რქებს მოეჭიდა და ამბობს: ‘შემომფიცოს დღეს მეფე სოლომონმა, რომ მახვილით არ მომკლავსო მის მსახურს.’“

⁵²და თქვა სოლომონმა: „თუ წრფელად მოიქცევა, მისი ერთი ბეწვიც არ დავარდება მიწაზე, მაგრამ თუ მზაკვრობა გაივლო გულში, მოკვდება.“

⁵³და გაგზავნა სოლომონ მეფემ ხალხი და ჩამოიყვანეს იგი სამსხვერპლოდან. და როცა მოვიდა, თაყვანი სცა მეფე სოლომონს. და უთხრა სოლომონმა: წადიო შენს სახლში.

მესამე მეფეთა 2

¹და როცა მოახლოვდა დავითის სიკვდილის დღეები, ეს უანდერძა მან თავის ძეს, სოლომონს:

²„მე მივდივარ მთელი ქვეყნიერების გზით, განმტკიცდი და მამაცად იყავი;



³და ემსახურე უფალს, შენს ღმერთს, იარე მის გზებზე, დაიცავი მისი წესები, მისი მცნებანი, მისი სამართალი, მისი მოწმობანი, როგორც წერია მოსეს რჯულში, რათა ხელი მოგემართოს ყველაფერში, რასაც გააკეთებ, და ყველგან, საითკენაც პირს იზამ;

⁴რათა აღასრულოს უფალმა ჩემზე ნათქვამი თავისი ყოველი სიტყვა, რომ თუ შენი ძენი დაიცავენო თავიანთ გზას და ჭეშმარიტებით და მთელი გულითა და სულით ივლიან ჩემს წინაშე, არ დაიღუვო შენიანი კაცი ისრაელის ტახტზე.

⁵შენც იცი, რა გამიკეთა იოაბმა, ცერუიას ძემ; რა გაუკეთა ისრაელის ლაშქრის ორ სარდალს: აზნერ ნერის ძესა და ყამასა იეთერის ძეს; როგორ დახოცა ისინი და მშვიდობის დროს ბრძოლის სისხლი დაღვარა, და უბრალო სისხლით დაისვარა თავისი სარტყელი და ხამლნი.

⁶სიბრძნით მოიქეცი და მშვიდობით ნუ ჩაუშვებ მის სიბერეს შავეთში.

⁷ხოლო ბარზილაი გალაადელის შვილებს წყალობა მიაგე, თანამეინახეებად გყავდეს, რადგან ახლობლობა ჰქონდათ ჩემთან, როცა შენს ძმას, აბესალომს გავურბოდი.

⁸აჰა, შენთან არის შიმეყი, გერას ძე, ბახურიმელი ბენიამინის ძეთაგანი; ის იყო, მწარედ რომ მწყევლიდა, როცა მახანაიშში მივდიოდი; მაგრამ ის იორდანეზე ჩამოვიდა ჩემს შესაგებებლად, და მეც უფლის სახელით შევფიცე და ვუთხარი, მახვილით არ მოგკლავ-მეთქი.

⁹შენ კი ნუ დატოვებ დაუსჯელს, რადგან ბრძენი კაცი ხარ და იცი, როგორ უნდა მოექცე, რათა სისხლიანი ჭაღარით ჩაიყვანო შავეთში.“

¹⁰და განისვენა დავითმა თავის მამებთან და დაიმარხა დავითის ქალაქში.

¹¹დავითის მეფობის ხანგრძლივობა ისრაელზე 40 წელი იყო – ხებრონში შვიდ წელიწადს მეფობდა, იერუსალიმში – ოცდაცამეტს.

¹²და დაჯდა სოლომონი მამამისის, დავითის ტახტზე და ძლიერ განიმტკიცა მეფობა.

¹³და მივიდა ადონია, ხაგითის ძე, ბათშებაყთან, სოლომონის დედასთან; და უთხრა ბათშებაყმა: „ხომ სამშვიდობოდ მოსულხარ?“ და მიუგო ადონიამ: „სამშვიდობოდ.“

¹⁴და დასძინა: „საქმე მაქვს შენთან.“ და უთხრა: „თქვი.“

¹⁵და თქვა: „შენ იცი, რომ მე მეკუთვნოდა მეფობა, და მე შემომყურებდა მთელი ისრაელი, რომ მეფე გავმხდარიყავი, მაგრამ მეფობამ ჩამიარა და ჩემს ძმას ერგო, რადგან უფლისგან ჰქონდა მიცემული.“



¹⁶ახლა ერთი სათხოვარი მაქვს შენთან და ნუ გამაწბილებ.“ მიუგო ქალმა: „თქვი.“

¹⁷და თქვა: „უთხარი სოლომონ მეფეს, შენ უარს არ გეტყვის, რომ არ გამაწბილოს და ცოლად მომცეს შუნამელი აბიშაგი.“

¹⁸და თქვა ბათშებაყმა: „კარგი, დაველაპარაკები მეფეს.“

¹⁹და მივიდა ბათშებაყი სოლომონთან, რომ ადონიაზე დალაპარაკებოდა. და წამოდგა მეფე მის წინაშე და თაყვანი სცა მას, და დაჯდა თავის ტახტზე. მეფის დედასაც დაუდგეს ტახტი, და მის მხარმარჯვნივ დაჯდა იგი.

²⁰და უთხრა: „ერთი მცირე სათხოვარი მაქვს შენთან, ნუ გამაწბილებ.“ უთხრა მეფემ: „მთხოვე, დედაჩემო, არ გაგაწბილებ.“

²¹და უთხრა: „მიეცი ცოლად შუნამელი აბიშაგი შენს ძმას, ადონიას.“

²²უთხრა მეფემ: „რატომ მთხოვ ადონიასთვის აბიშაგ შუნამელს? ბარემ სამეფოც მოითხოვე მისთვის, რაკი ჩემი უფროსი ძმაა, და თავის მხარეზე ჰყავს აბიათარ მღვდელი და იოაბ ცერუიას ძე.“

²³და დაიფიცა მეფე სოლომონმა უფალი, და თქვა: „ასე და ასე მიყოს ღმერთმა და უარესიც დამმართოს, თუ თავის საუბედუროდ არ ეთქვას ეს სიტყვა ადონიას!

²⁴ახლა კი, – ვფიცავ უფალს, რომელმაც განმამტკიცა და დამსვა დავითის, მამაჩემის ტახტზე, რომელმაც სახლი ამიშენა დაპირებისამებრ, რომ დღესვე მოკვდება ადონია.“

²⁵და გაგზავნა მეფე სოლომონმა ბენაია, იეჰოიადაყის ძე. და დაჰკრა მან, და მოკვდა იგი.

²⁶აბიათარ მღვდელს კი უთხრა მეფემ: ყანათოთს წადი, შენს მამულში. სიკვდილის ღირსი ხარ, მაგრამ დღეს არ მოგკლავ, რადგან შენ გიტარებია უფლის კიდობანი დავითის, მამაჩემის წინაშე და ყველაფერს იტანდი, რასაც მამაჩემი იტანდა.

²⁷და მოკვეთა სოლომონმა აბიათარი უფლის მღვდლობიდან, რათა აღსრულებულიყო უფლის სიტყვა, რომელიც თქვა მან ყელის სახლზე შილოში.

²⁸და მიუვიდა ხმა იოაბს (და რაკი იოაბი ადონიას მიემხრო და აბესალომს არ მიმხრობია), გაიქცა იოაბი უფლის კარვისკენ და სამსხვერპლოს რქებს მოექცა.



²⁹და შეატყობინეს მეფე სოლომონს, უფლის კარვისკენ გაიქცა იოაბი და, აჰა, სამსხვერპლოსთან დგასო. გაგზავნა სოლომონმა ბენაია, იეჰოიადაყის ძე, და უთხრა: „მიდი და მოკალი.“

³⁰და მივიდა ბენაია უფლის კარავთან და უთხრა: „გამოდი, რადგან ასეთია მეფის ბრძანება.“ და თქვა იოაბმა: „არა, აქ უნდა მოვკვდე.“ და მიუტანა ბენაიამ მეფეს ამბავი: ასე და ასე თქვა იოაბმა, და ასე და ასე მიჰსაუბრაო.

³¹და უთხრა მეფემ: „ისე გააკეთე, როგორც თავად თქვა: მოკალი და დამარხე, და ჩამოგვრეცხე მეცა და მამაჩემის სახლსაც უბრალო სისხლი, იოაბმა რომ დაღვარა.

³²უფალმა მის თავზევე მიაქციოს მისი სისხლი იმისათვის, რომ მიუხდა ორ მასზე მართალ და კეთილ კაცს და მახვილით დახოცა მამაჩემის, დავითის უჩუმრად: აბნერ ნერის ძე, ისრაელის მხედართმთავარი და ყამასა იეთერის ძე, იუდას ჯარის სარდალი.

³³და იყოს მათი სისხლი იოაბისა და მისი შთამომავლების თავზე საუკუნოდ, ხოლო დავითს და მის შთამომავლობას, და მის სახლს და მის ტახტს მშვიდობა ჰქონდეს უფლისგან უკუნისამდე.”

³⁴და წავიდა ბენაია, იეჰოიადაყის ძე, თავს დაესხა იოაბს და მოკლა. და დამარხეს იგი თავის სახლში, უდაბნოში.

³⁵და დანიშნა მეფე სოლომონმა ბენაია იეჰოიადაყის ძე მის ნაცვლად ჯარის სარდლად, ხოლო აბიათარის ნაცვლად ცადოკ მღვდელი დაადგინა მეფემ.

³⁶და გაგზავნა მეფემ და მოიხმო შიმეყი და უთხრა: „აიშენე სახლი იერუსალიმში და იცხოვრე აქ, და ნურსად ნუ გახვალ აქედან.

³⁷რომელ დღესაც გახვალ და კიდრონის ხევს გასცდები, იცოდე, სიკვდილი არ აგცდება. შენს თავზე იქნება შენი სისხლი.“

³⁸და უთხრა შიმეყიმ მეფეს: „კეთილი, როგორც ბრძანა მეფე-ბატონმა, ისე მოიქცევა შენი მსახური.“ და დიდხანს ცხოვრობდა შიმეყი იერუსალიმში.

³⁹სამი წლის შემდეგ გაექცა შიმეყის ორი მსახური აქიშთან, მაყაქას ძესთან, გათის მეფესთან. შეატყობინეს შიმეყის და უთხრეს: გათში არიანო შენი მსახურნი.

⁴⁰ადგა შიმეყი, სახედარი შეკაზმა, და წავიდა გათისკენ აქიშთან, თავის მსახურთა სამებრად. დაბრუნდა შიმეყი და თან მოიყვანა გათიდან თავისი მსახურნი.

⁴¹და შეატყობინეს სოლომონს, რომ იერუსალიმიდან გათში წავიდა შიმეყი და უკან მობრუნდაო.



⁴²და გააგზავნა კაცები მეფემ, მოიხმო შიმეყი და უთხრა: „ხომ დაგაფიცე უფლის სახელით და გაგაფრთხილე: თუ გასულხარ და სადმე წასულხარ, იცოდე, სიკვდილი არ აგცდება-მეთქი. შენ მიპასუხე: კეთილი, მესმისო.

⁴³რატომ არ შეინახე ჩემი ბრძანება, რაც უფლის წინაშე გიბრძანე ფიცით?“

⁴⁴და უთხრა მეფემ შიმეყის: „შენც კარგად იცი და შენმა გულმაც, რა ავკაცობაც გაგიკეთებია დავითისთვის, მამაჩემისთვის. ახლა შენს თავზე მოაქცევს უფალი შენს ავკაცობას!

⁴⁵ხოლო კურთხეულ იყოს მეფე სოლომონი, და მტკიცე იყოს დავითის ტახტი უფლის წინაშე უკუნისამდე!“

⁴⁶და უბრძანა მეფემ ბენაიას, იეჰოიადაყის ძეს, ისიც წავიდა და დაჰკრა შიმეყის, და მოკვდა იგი. და განმტკიცდა სამეფო სოლომონის ხელში.

მესამე მეფეთა 3

¹დაუმოყვრდა სოლომონი ფარაონს, ეგვიპტის მეფეს და ცოლად მოიყვანა მისი ასული, და შეიყვანა დავითის ქალაქში, ვიდრე დაასრულებდა თავის სახლს, უფლის ტაძარს და ზღუდეს იერუსალიმის ირგვლივ.

²ოღონდ ჯერ კიდევ გორაკებზე სწირავდა ხალხი მსხვერპლს, რადგან იმ ხანობამდე ჯერ კიდევ არ იყო აშენებული სახლი უფლის სახელზე.

³და შეიყვარა სოლომონმა უფალი, და მამამისის – დავითის წესზე დადიოდა; ოღონდ ისიც გორაკებზე სწირავდა მსხვერპლს და აკმევდა საკმეველს.

⁴და წავიდა მეფე გიბეონს, რათა მსხვერპლი შეეწირა იქ, რადგან იქ იყო მთავარი გორაკი. ათასი სული სრულადდასაწველი შესწირა მეფემ ამ სამსხვერპლოზე.

⁵და გამოეცხადა გიბეონში უფალი სოლომონს ღამით სიზმრად და უთხრა ღმერთმა: „მთხოვე, რაც გინდა, რომ მოგცე.“

⁶და უთხრა სოლომონმა: „დიდად სწყალობდი შენს მსახურს, მამაჩემს დავითს, რადგან ჭეშმარიტებით, სიმართლითა და შენდამი წრფელი გულით დადიოდა იგი შენს წინაშე. და შეუნარჩუნე კიდევ ეს დიდი წყალობა და მიეცი ვაჟი, რომელიც ზის დღეს მის ტახტზე.

⁷ახლა, უფალო, ღმერთო ჩემო, შენ გაამეფე მამაჩემის, დავითის ნაცვლად შენი მსახური, თუმცა უასაკო ყმაწვილი ვარ და არ ვიცი გამოსვლა და შესვლა.



⁸შენს რჩეულ ხალხს შორის არის შენი მსახური, მრავალრიცხოვან ხალხში, რომელიც არ დაითვლება და არც აღირიცხება სიმრავლის გამო.

⁹და მიაწიქე შენს მსახურს გონიერი გული, რათა განაგოს შენი ერი და გაარჩიოს სიკეთე ბოროტებისგან. რადგან ვის შეუძლია განაგოს შენი ერი, ესოდენ მრავალრიცხოვანი?“

¹⁰და ძლიერ მოეწონა უფალს სოლომონის სათხოვარი.

¹¹და უთხრა მას ღმერთმა: „იმის გამო, რომ მთხოვე ეს და არ მოითხოვე დღეგრძელი სიცოცხლე, არ მოითხოვე სიმდიდრე, არ მოითხოვე შენი მტრების სული, არამედ გონიერება მთხოვე სამართლის გასაკითხად,

¹²აჰა, გავაკეთებ შენი სიტყვისამებრ: მომინიჭებია შენთვის ბრძენი და გონიერი გული, ისე რომ, შენი მსგავსი არც შენამდე ყოფილიყოს, და არც შენს შემდეგ გამოჩნდება ვინმე.

¹³და რაც არ გითხოვია, იმასაც მოგცემ: სიმდიდრესა და დიდებას; ისე რომ, შენს სიცოცხლეში არავინ იქნება მეფეთა შორის შენი მსგავსი.

¹⁴და თუ ივლი ჩემი გზით და დაიცავ ჩემს წესებსა და ბრძანებებს, როგორც მამაშენი დავითი აკეთებდა, დღეგრძელობასაც მოგცემ.“

¹⁵და გაეღვიძა სოლომონს, და აჰა, ესეც სიზმარი. და მივიდა იერუსალიმში და წარდგა უფლის აღთქმის კიდობნის წინაშე და შესწირა სრულადდასაწველი და სამშვიდობო მსხვერპლი. მერე ნადიმი გაუმართა თავის მსახურთ.

¹⁶მაშინ მოვიდა მეფესთან ორი მეძავი ქალი და მის წინაშე დადგა.

¹⁷და თქვა ერთმა: „მომისმინე, ბატონო: მე და ეს ქალი ერთ სახლში ვცხოვრობთ; ამ სახლში ვიმშობიარე მის თვალწინ.

¹⁸ჩემი მშობიარობის მესამე დღეს შვა ამ ქალმაც. ერთად ვიყავით, უცხო არავინ ყოფილა იქ. მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით სახლში.

¹⁹და მომკვდარა ღამით ამ ქალის ბავშვი, რადგან ძილში ზედ დასწოლია.

²⁰ამდგარა შუაღამისას, ჩემი ბავშვი აუცლია გვერდიდან, როცა მე, შენს მხევალს, მეძინა, და თავის უბეში ჩაუწვენია, ხოლო თავისი მკვდარი ბავშვი ჩემს უბეში ჩამოუწვენია.

²¹ავდექი ადრინად, რათა ძუძუ მეწოვებინა ბავშვისთვის, და აჰა, მკვდარი დამხვდა. კარგად დავაკვირდი დილით და მივხვდი, რომ ბავშვი ის არ იყო, რომელიც მე ვშობე.“



²²და თქვა მეორე ქალმა: „არა! ცოცხალია ჩემი შვილი, შენი შვილია მკვდარი!“ ის კი ამბობდა: „არა! შენი შვილია მკვდარი, ჩემი შვილია ცოცხალი!“ ასე დაობდნენ ისინი მეფის თვალწინ.

²³და თქვა მეფემ: „თითოეული თქვენგანი ამტკიცებს, რომ ცოცხალი მისი შვილია, მკვდარი კი მეორისა.“

²⁴და ბრძანა მეფემ: „მახვილი მომიტანეთ!“ და მიაღწევს მახვილი მეფეს.

²⁵და თქვა მეფემ: „ორად გაჭერით ცოცხალი ბავშვი, ნახევარი ერთ ქალს მიეცით, ნახევარი – მეორეს.“

²⁶და მიმართა მეფეს იმ ცოცხალი ბავშვის დედამ, რადგან გულ-ღვიძლი დაეწვა თავისი შვილის გამო: „არა, ჩემო ბატონო, ოღონდ ნუ მოკლავთ ბავშვს და დაე, მაგას ჰყავდეს!“ მეორე კი ამბობდა: „რახან ეგრეა, გაჭერით! ნურც მე მერგება და ნურც შენ!“

²⁷მაშინ თქვა მეფემ პირველ ქალზე: „ამას მიეცით ცოცხალი ბავშვი, ნუ მოკლავთ, ეს არის ცოცხალი ბავშვის დედა!“

²⁸და გაიგო მთელმა ისრაელმა მეფის მიერ გამოტანილი განაჩენის ამბავი. და ეშინოდათ მეფისა, რადგან დაინახეს, რომ ღვთის სიბრძნე შეეწეოდა მას სამართლის გაჩენაში.

მესამე მეფეთა 4

¹და მეფობდა სოლომონი მთელს ისრაელზე.

²და ესენი არიან მისი მთავრები: ცადოკ მღვდლის ძე ყაზარია;

³ელიხოორეფი და ახია, შიშას ძენი – მწიგნობრები; იოშაფატ ახილუდის ძე – მემატიანე;

⁴ბენაია იეჰოიადაყის ძე – მხედართმთავარი; ცადოკი და ახიათარი – მღვდლები;

⁵ყაზარია ნათანის ძე – მოურავთა ზედამხედველი, ზაბუდ ნათანის ძე – მღვდელი, მეფის მეგობარი;

⁶ახიშარი – სასახლის ზედამხედველი, ადონირამ ყაბდას ძე – ხარკის განმგებელი.

⁷¹² მოურავი ჰყავდა სოლომონს მთელს საისრაელოში, ისინი სარჩოთი ამარაგებდნენ მეფესა და მის სახლს. თითოეული წელიწადში ერთი თვის მანძილზე უზიდავდა სარჩოს.

⁸აი მათი სახელები: ბენ-ხური – ეფრემის მთაზე;



- ⁹ბენ-დეკერი – მაკაცსა და შაყალბიმში, ბეთ-შემეშში, ელონსა და ბეთ-ხანანში;
- ¹⁰ბენ-ხესედი – არუბოთში. მისი იყო სოქო და ხეფერის მთელი მხარე;
- ¹¹ბენ-აბინადაბი – მთელს ნაფათ-დორზე. სოლომონის ასული, ტაფათი ჰყავდა ცოლად.
- ¹²ბაყანა ახილუდის ძე – თაყანაქსა და მეგიდოში და მთელს ბეთ-შეანში, ცართანთან ახლოს რომ არის, იზრეყელის ქვემოთ, ბეთ-შეანიდან ვიდრე აბელ-მეხოლამდე და თვით იოკმეყამის გაღმა მხარემდე.
- ¹³ბენ-გებერი – გალაადის რამოთში. მისი იყო შენები იაირისა, მანაშეს ძისა, გალაადსა და არგობის მხარეში, ბაშანში რომ არის; 60 დიდი ქალაქი, გალავნიანი და ბრინჯაოს საკეტებიანი.
- ¹⁴ახინადაბ ყიდოს ძე – მახანაიმში;
- ¹⁵ახიმაყაცი – ნაფთალის მხარეში. მასაც სოლომონის ასული, ბასემათი ჰყავდა ცოლად.
- ¹⁶ბაყანა, ხუშაის ძე – აშერსა და ბეყალოთში.
- ¹⁷იოშაფატი, ფარუახის ძე – ისაქარში.
- ¹⁸შიმეყი, ელას ძე – ბენიამინის მხარეში.
- ¹⁹გებერი, ხურის ძე – გალაადის ქვეყანაში, სიხონის, ამორეველთა მეფის, ქვეყანაში, და ყოგის, ბაშანის მეფის, ქვეყანაში. მხოლოდ ერთი მოურავი იყო ამ ქვეყანაში.
- ²⁰მაგრამ ზღვის ქვიშასავით მრავალრიცხოვანი იყო იუდა და ისრაელი. ჭამდნენ, სვამდნენ და ხარობდნენ.
- ²¹და ეპყრა სოლომონს ყველა სამეფო მდინარე ევფრატისა და ფილისტიმელთა ქვეყანამდე და ეგვიპტის საზღვრამდე. და უგზავნიდნენ ძღვენს და ემორჩილებოდნენ სოლომონს მთელს მის სიცოცხლეში.
- ²²სოლომონის ყოველდღიური სარჩო იყო: 30 ქორი გამტკიცული ფქვილი და 60 ქორი შერეული ფქვილი,
- ²³10 ზუარაკი და 20 ნაიალადარი ხარი, 100 ცხვარი; ამას გარდა ნანადირევი ირმები და ქურციკები, არჩვები და ნაკვები შინაური ფრინველები.
- ²⁴რადგან ის ბატონობდა მდინარე ევფრატის მთელს გამოღმა მხარეზე, თიფსახიდან ღაზამდე, და ევფრატის გამოღმელ ყველა მეფეზე; და მშვიდობიანად იყო ირგვლივ ყველა ქვეყანასთან.



²⁵უშიშრად ცხოვრობდა სოლომონის დროს იუდა და ისრაელი თავისი ვაზის ხეივნებისა და ლეღვის ჩრდილებში, დანიდან ბერ-შებაყამდე.

²⁶და ჰქონდა სოლომონს 4 ათასი თავლა ეტლის ცხენებისათვის და სადგომი 12 ათასი მხედრისათვის.

²⁷და ამარაგებდნენ ის მოურავები მეფე სოლომონს ყოველივეთი, რაც საჭირო იყო მისი სუფრისთვის, თითოეული თავის განკუთვნილ თვეში, და არაფერს აკლებდნენ.

²⁸მოჰქონდათ ქერი და თივა ცხენებისთვის და ბედაურებისთვის, თითოეულს მისთვის მიჩენილ ადგილას.

²⁹და მისცა ღმერთმა სოლომონს სიბრძნე, დიდი ჭკუა და ზღვის სანაპიროს ქვიშასავით ვრცელი გონება.

³⁰სოლომონის სიბრძნე აღემატებოდა აღმოსავლეთის ბრძენთა მთელ სიბრძნეს და ეგვიპტელთა მთელ სიბრძნეს.

³¹ყველა ადამიანზე ბრძენი იყო იგი: ეთან ეზრაზე, ჰემანზე, ქალქოლზე და დარდაყ მახოლის ძეზე; და განითქვა მისი სახელი ყველა ხალხში, ვინც კი ირგვლივ სახლობდა;

³²მან წარმოთქვა 3 ათასი იგავი და შეთხზა 1005 გალობა.

³³ლაპარაკობდა ხეებზე – ლიბანის კედრიდან დაწყებული უსუპამდე, კედელზე რომ იზრდება; ლაპარაკობდა ცხოველებსა და ფრინველებზე, ქვემძრომებსა და თევზებზე.

³⁴მოდოდა ყველა ჯურის ხალხი სოლომონის სიბრძნის მოსასმენად, ქვეყნის ყველა სამეფოდან, ვისაც კი გაგონილი ჰქონდა მისი სიბრძნის ამბავი.

მესამე მეფეთა 5

¹და გაუგზავნა ხირამმა, ცორის მეფემ, თავისი მსახურნი სოლომონს, რადგან გაიგო, რომ იგი სცხეს მეფედ მამამისის ნაცვლად; ხოლო ხირამი მთელი სიცოცხლის მანძილზე დავითთან მეგობრობდა.

²და შეუთვალა სოლომონმა ხირამს:

³„შენ იცი, რომ მამაჩემმა დავითმა ვერ შეძლო აეშენებინა სახლი უფლის, თავისი ღმერთის სახელზე, რადგან მტერი ეხვია გარს, ვიდრე უფალმა მის ფერხთა ქვეშ არ დათრგუნა ისინი.



⁴ახლა კი ჩამოაგდო ირგვლივ მშვიდობა უფალმა, ჩემმა ღმერთმა, აღარ მყავს მოწინააღმდეგე და არც ხიფათი მელის რაიმე.

⁵და, აჰა, ვფიქრობ, ავაშენო სახლი უფლის, ჩემი ღვთის სახელზე, როგორც ნათქვამი აქვს მამაჩემისთვის უფალს: შენი ვაჟიშვილი, ვისაც შენს ნაცვლად ტახტზე დავსვამ, ის ამიშენებსო ჩემს სახელზე სახლს.

⁶ახლა ბრძანე, რომ კედარის ხე-ტყე მომიჭრან ლიბანში, ჩემი მსახურნი შენს მსახურებთან ერთად იქნებიან, და მე მოგცემ შენს მსახურთა გასამრჯელოს, რამდენსაც მეტყვი, რადგან იცი შენ, რომ ციდონელებივით ჩვენში ხე-ტყეს ვერავინ ჭრის.“

⁷როცა გაიგო ხირამმა სოლომონის სიტყვები, დიდად გაიხარა და თქვა: „აწ კურთხეულ იყოს უფალი, რომელმაც მისცა დავითს ბრძენი შვილი ამოდენი ხალხის სამართავად.“

⁸და შეატყობინა ხირამმა სოლომონს: „მოვისმინე, რაც შემომითვალე; შეგისრულებ კედარისა და კვიპაროსის ხე-ტყის სურვილს.

⁹ჩემი მსახურნი ჩამოზიდავენ ლიბანიდან ზღვამდე, და ტივებად დავაცურებ ზღვით იმ ადგილამდე, სადაც დამითქვამ. იქ დავშლით ტივებს და იქიდან გაზიდავთ. ოღონდ შენ შემისრულე სურვილი: სარჩოთი მომიმარაგე სახლი.“

¹⁰და უგზავნიდა ხირამი სოლომონს მისი სურვილის თანახმად კედარისა და კვიპაროსის ხე-ტყეს.

¹¹ხოლო სოლომონი უგზავნიდა ხირამს 20 ათას ქორ ხორბალს მისი სახლის სარჩოდ და ოც ქორ ზეითუნის დაწმენდილ ზეთს. ამას უგზავნიდა სოლომონი ხირამს წლიდან წლამდე.

¹²და მისცა უფალმა სიბრძნე სოლომონს, აღთქმისამებრ. მშვიდობა სუფევდა ხირამსა და სოლომონს შორის, და კავშირი შეკრეს მათ ერთმანეთთან.

¹³და დაადო ბეგარა სოლომონმა მთელს ისრაელს; 30 ათასი კაცი გაჰყავდა ბეგარაზე.

¹⁴და აგზავნიდა მათ ლიბანში – თვეში 10 ათას კაცს, მორიგეობით. ერთ თვეს ლიბანში იყვნენ, ორ თვეს – თავის სახლებში. აღონირამი განაგებდა ბეგარას.

¹⁵სოლომონს ჰყავდა 70 ათასი მტვირთავი და 80 ათასი ქვის მჭრელი მთაში,

¹⁶გარდა 3300 თავკაცისა, რომლებიც სამუშაოებზე ჰყავდა მიჩენილი სოლომონს მუშების ზედამხედველებად.



¹⁷და ბრძანა მეფემ, რომ მოეზიდათ და დიდი, გათლილი ქვებით ჩაეყარათ სახლის საძირკველი.

¹⁸და თლიდნენ სოლომონის ხელოსნები, ხირამის ხელოსნები და გებალელები, და ამზადებდნენ ხე-ტყესა და ქვას სახლის ასაგებად.

მესამე მეფეთა 6

¹ისრაელიანთა ეგვიპტიდან გამოსვლის ოთხასმეოთხმოცე წელს, ისრაელზე სოლომონის მეფობის მეოთხე წელს, ზივის თვეში, რომელიც არის მეორე თვე, სოლომონი შეუდგა უფლის ტაძრის შენებას.

²სახლი, რომელსაც სოლომონი უშენებდა უფალს, სიგრძით 60 წყრთა იყო, სიგანით – 20 წყრთა, სიმაღლით – 30 წყრთა.

³ტაძრის წინა დერეფანი სიგრძით 20 წყრთა იყო, ტაძრის სიგანის შესაბამისად, ხოლო სიგანე – ათი წყრთა.

⁴და გაუკეთა სახლს ცხაურიანი, ყრუ სარკმლები.

⁵მიადგა სახლის კედლებს ირგვლივ სართულები, ტაძრისა და დაბირის ირგვლივ კედელი შემოარტყა და მის მთელს სიგრძეზე სენაკები ჩააშენა.

⁶ქვედა სართული ხუთი წყრთა იყო სიგანით, შუა – ექვსი წყრთა სიგანით, ხოლო მესამე – შვიდი წყრთა სიგანით, რადგან სახლს ირგვლივ შვერილი კოჭები ჰქონდა გარედან დატანებული, რომ სახლის კედლებს ხარაჩოები არ მიჰკარებოდა.

⁷სახლს ზოდებად მოჭრილი ქვით აშენებდნენ. შენებისას არც ჩაქუჩის, არც კვერის და არც სხვა რაიმე რკინის იარაღის ხმა არ ისმოდა შენებისას.

⁸შუა სართულზე ასასვლელი სახლს მარჯვენა ფრთაზე ჰქონდა. დახვეული კიბით ადიოდნენ შუამდე და შუადან – მესამეზე.

⁹და დაასრულა ტაძრის შენება და კედარის ფიცრითა და კოჭებით გადახურა სახლი.

¹⁰სართულები მიუშენა მთელ ტაძარს, თითო ხუთი წყრთის სიმაღლისა, და კედარის ძელებით მიამაგრა სახლს.

¹¹და გამოეცხადა სოლომონს უფლის სიტყვა და უთხრა:

¹²„აჰა, შენ აშენებ ამ სახლს; და თუ ივლი ჩემს წესზე და ჩემს სამართალს გააჩენ, დაიცავ და გაჰყვები ჩემს ბრძანებებს, მაშინ შეგისრულებ სიტყვას, რომელიც დავითს, მამაშენს მივეცი,



- ¹³და დავმკვიდრდები ისრაელიანთა შორის და არ მივატოვებ ჩემს ერს, ისრაელს.“
- ¹⁴და აგებდა სოლომონი სახლს და დაასრულა იგი.
- ¹⁵კედარის ფიცრებით მოაპირკეთა სახლის კედლები შიგნიდან – იატაკიდან ჭერამდე; ლამფა ხისა გააკრა და იატაკი კვიპაროსის ფიცრისა დააგო.
- ¹⁶ტაძრის უკანა მხარეს, გვერდითი კედლიდან ოც წყრთაზე გააკეთა შუა კედელი, და ააკრა კედლებსა და ჭერს კედარის ფიცარი და განაკუთვნა იგი დაბირისთვის, წმიდათა წმიდისათვის.
- ¹⁷40 წყრთა იყო სახლი, ანუ ტაძრის ნაწილი დაბირის წინ.
- ¹⁸სახლის შიგნით, კედარის ფიცრებზე კიტრები და გაშლილი ყვავილები იყო ამოჩუქურთმებული. იქ ყველაფერი კედრით იყო დაფარული, კვა არ ჩანდა.
- ¹⁹შუა სახლში მოაწყო დაბირი, რომ იქ უფლის აღთქმის კიდობანი დაედგა.
- ²⁰დაბირის სიგრძე 20 წყრთა იყო, სიგანე – 20 წყრთა, სიმაღლე – 20 წყრთა. წმიდა ოქროთი მოჭედა იგი, ოქროთივე მოჭედა კედარის სამსხვერპლო.
- ²¹და მოჭედა შიგნიდან სახლი წმიდა ოქროთი სოლომონმა, და გადაჭიმა ოქროს ჯაჭვები დაბირის წინ, რომელიც ოქროთი მოჭედა.
- ²²სახლი მთლიანად ოქროთი მოჭედა, სახლი და მთელი სამსხვერპლო, დაბირის წინ რომ იდგა, ოქროთი მოჭედა
- ²³და გააკეთა დაბირში ორი ქერუბიმი ზეთისხილის ხისგან, სიმაღლით თითოეული ათი წყრთა იყო.
- ²⁴ერთი ფრთა ხუთი წყრთა ჰქონდა ქერუბიმს, მეორე ფრთაც ხუთი წყრთა. ათი წყრთა იყო ერთი ფრთის ბოლოდან მეორე ფრთის ბოლომდე.
- ²⁵ათი წყრთა იყო მეორე ქერუბიმიც. ორივე ქერუბიმს ერთი ზომა და ერთი სახე ჰქონდა.
- ²⁶ერთი ქერუბიმის სიმაღლე ათი წყრთა იყო, ასევე მეორე ქერუბიმისაც.
- ²⁷დადგა ქერუბიმები შიდა სახლის შუაგულში. გაშლილი ჰქონდათ ფრთები ქერუბიმებს, ერთი ქერუბიმის ფრთა ერთ კედელს სწვდებოდა, მეორე ქერუბიმისა – მეორე კედელს, ხოლო სახლის შუაგულისკენ მიმართული მათი ფრთები ერთმანეთს ეხებოდნენ.
- ²⁸ოქროთი მოჭედა ქერუბიმები.



²⁹სახლის მთელს კედლებზე ირგვლივ – შიგნიდან და გარედან, ქერუბიმების, ფინიკის ხეებისა და გაშლილი ყვავილების გამოსახულებანი ამოაჩუქურთმა.

³⁰სახლის იატაკიც ოქროთი მოჭედა, შიგნიდან და გარეთაც.

³¹დაბირში შესასვლელად გააკეთა ზეთისხილის ხის კარედი, რომლის ჩარჩო და წირთხლები კედლის სიმაღლის მეხუთედი იყო.

³²ზეთისხილის ხის ორ კარედზე ქერუბიმები, ფინიკის ხეები და გაშლილი ყვავილები ამოაჩუქურთმა და ოქროთი მოჭედა. მოჭედა ქერუბიმებიც და ფინიკის ხეებიც.

³³ტაძრის შესასვლელთანაც ასევე გააკეთა ზეთისხილის ხის ოთხკუთხა წირთხლები.

³⁴და კვიპაროსის ხის ორი კარედი. ერთი კარედის ორივე ფრთა იკეცებოდა, მეორე კარედის ორივე ფრთაც იკეცებოდა.

³⁵და ამოაჩუქურთმა ქერუბიმები, ფინიკის ხეები და გაშლილი ყვავილები და ოქროთი დაფერა ჩუქურთმის ღარები.

³⁶და მოაწყო შიდა ეზო სამი წყება თლილი ქვისა და ერთი წყება კედარის ძელებისაგან.

³⁷მეოთხე წელს, ზივის თვეში ჩაყარეს უფლის ტაძრის საძირკველი.

³⁸მეთერთმეტე წელს, ბულის თვეში, რომელიც არის მერვე თვე, გაასრულა სახლი ყოველი წესისა და რიგის მიხედვით. შვიდ წელიწადს აშენებდა სახლს.

მესამე მეფეთა 7

¹ხოლო თავის სახლს ცამეტ წელიწადს აშენებდა სოლომონი და დაასრულა თავისი სახლი.

²და ააშენა სახლი ლიბანის ხე-ტყით: სიგრძით – 100 წყრთა, სიგანით – 50 წყრთა, სიმაღლით – 30 წყრთა. ოთხ რიგ კედარის სვეტებზე იყო დადგმული, კედარისავე კოჭები იყო სვეტებზე გადებული.

³კედარისა იყო ჭერი, 45 სვეტზე ეწყო კოჭები, 15 სვეტი იყო თითო რიგში.

⁴სარკმლის წირთხლები სამ რიგად იყო; და სარკმლებიც სამ რიგად ისხდა, სარკმელი სარკმლის პირდაპირ.

⁵ყველა კარი და მისი წირთხლი ოთხკუთხა ძელებით იყო ნაკეთები, ასევე სარკმლებიც, ერთმანეთის პირდაპირ რომ იყო, სამ წყებად.



- ⁶სვეტებიანი კარიბჭე გააკეთა სიგრძით 50 წყრთა და სიგანით – 30, მის წინ სხვა კარიბჭე სვეტებითა და ზღურბლით.
- ⁷ააგო სატახტო კარიბჭე, სადაც მსჯავრი გამოჰქონდა; სამსჯავრო კარიბჭე გააკეთა და კედრით მოაპირკეთა იატაკიან-ჭერიანად.
- ⁸ასევე იყო აგებული მისი საცხოვრებელი სახლი მეორე ეზოში, კარიბჭის უკან. ფარაონის ასული რომ ჰყავდა ცოლად მოყვანილი სოლომონს, მის სახლსაც ასეთი კარიბჭე გაუკეთა.
- ⁹ეს ყველაფერი ზომაზე გათლილი, ხერხით დახერხილი ძვირფასი ქვით იყო აგებული, როგორც შიგნით, ისე გარეთ – საძირკველიდან თავხემდე, და გარეთ დიდ ეზომდე.
- ¹⁰საძირკველში ეწყო ძვირფასი დიდი ქვები, ათწყრთიანი და რვაწყრთიანი.
- ¹¹ხოლო ზემოთ კედელი ზომაზე გათლილი ძვირფასი ქვებისა და კედარისა იყო.
- ¹²დიდი ეზო შემოზღუდული იყო ირგვლივ სამი წყება თლილი ქვითა და ერთი წყება კედარის მორებით. ასევე უფლის ტაძრის შიდა ეზო და სახლის კარიბჭე.
- ¹³და გაგზავნა კაცი მეფე სოლომონმა და მოაყვანინა ცორიდან ხირამი,
- ¹⁴რომლის დედა ერთი ქვრივი ქალი იყო ნაფთალის შტოდან, ხოლო მამა – ცორელი ბრინჯაოს ოსტატი. მომადლებული ჰქონდა ხირამს სიბრძნე, გამჭრიახობა და ცოდნა ბრინჯაოს ნახელავის გასაკეთებლად. მივიდა სოლომონ მეფესთან და ყველა სამუშაო შეუსრულა.
- ¹⁵და გააკეთა ბრინჯაოს ორი სვეტი – ერთის სიმაღლე 18 წყრთა იყო, 12 წყრთა ლარი სწვდებოდა გარშემო თვითეულ სვეტს.
- ¹⁶ორი ბუღაური ჩამოასხა ბრინჯაოსგან სვეტების თავზე დასადგმელად, ერთი ბუღაურის სიმაღლე ხუთი წყრთა იყო, მეორე ბუღაურის სიმაღლეც ხუთი წყრთა იყო.
- ¹⁷და გაუკეთა სვეტის თავზე დასადგმელ ბუღაურებს დაწნული ცხაურები და ჯაჭვისებური ჯინჯილები: შვიდი – ერთ ბუღაურს, შვიდი – მეორეს.
- ¹⁸და გააკეთა სვეტები და შემოავლო ირგვლივ თითო ცხაურს ორ წყებად ბროწეულები სვეტების თავზე დადგმული ბუღაურების მოსართავად.
- ¹⁹კარიბჭის სვეტების ბუღაურები შრომანის სახის იყო, ზომით ოთხ-ოთხი წყრთა.
- ²⁰ორ სვეტზე შედგმულ ბუღაურებს შემოვლებული ჰქონდა 200 ბროწეული, ზემოთკენ, მუცლის პირდაპირ, რომელიც ცხაურის მხარეს იყო.



²¹და აღმართა სვეტები ტაძრის კარიბჭეში. აღმართა მარჯვენა სვეტი და უწოდა სახელად იაქინი; აღმართა მარცხენა სვეტი და უწოდა სახელად ბოყაზი.

²²სვეტის თავებზე შროშნები იყო გამოსახული. და დასრულდა სვეტების სამუშაო.

²³და ჩამოასხა ბრინჯაოს ზღვა, მთლიანად მრგვალი, გარედან გარე ათი წყრთა იყო, სიმაღლე ხუთი წყრთა ჰქონდა, ვი წყრთის სიგრძის ლარი სწვდებოდა ირგვლივ.

²⁴ირგვლივ კიდეზე, ქვემოდან, კიტრის ჩუქურთმები ჰქონდა გარშემო შემოვლებული ათ-ათი თითო წყრთაზე, და ორ წყებად გარს ერტყა. კიტრები ერთად იყო ჩამოსხმული.

²⁵თორმეტ ხარზე იყო შედგმული. სამი ჩრდილოეთით იყურებოდა, სამი – დასავლეთით, სამი – სამხრეთით და სამი – აღმოსავლეთით. ზღვა ზედ ედგათ და ზურგები შიგნით ჰქონდათ მიქცეული.

²⁶კედლის სისქე მტკაველი ჰქონდა, მისი კიდეები თასის კიდესავით იყო გაკეთებული და გაშლილ შროშანს ჰგავდა. 2 ათას ბათს იტევდა.

²⁷და გააკეთა მან ბრინჯაოს ათი კვარცხლბეკი, თითოეული კვარცხლბეკის სიგრძე ოთხი წყრთა იყო, სიგანე – ოთხი წყრთა, სიმაღლე – სამი წყრთა.

²⁸კვარცხლბეკი ამგვარად იყო გაკეთებული: დაფები ჰქონდა მათ, ჩარჩოში ჩატანებული.

²⁹ჩარჩოებში ჩასმულ დაფებზე ლომები, ხარები და ქერუბიმები იყო გამოსახული, ასევე ჩარჩოებზე – ლომებსა და ხარებს ქვემოთ და ზემოთ – ყვავილების ასხმული კონები.

³⁰ბრინჯაოს ოთხ-ოთხი ბორბალი და ბრინჯაოს ღერძები ჰქონდა თითო კვარცხლბეკს. მის ოთხსავე კუთხეზე იყო შვერილები. საბანელის ქვეშაც ჩამოსხმული შვერილები იყო, ხოლო ყოველ გვერდზე – ყვავილწნულები.

³¹მისი ჭრილი შიდა გვირგვინიდან მაღლითამდე ერთ წყრთას შეადგენდა, ჭრილი მრგვალი იყო, როგორც ამგვარი ნაკეთობა არის ხოლმე – წყრთა-ნახევარი. ჭრილზე ჩუქურთმები იყო. მისი კედლები ოთხკუთხედი იყო, არა მრგვალი.

³²ოთხი ბორბალი ჰქონდა კედლებს ქვემოთ, და ბორბლების ღერძები კვარცხლბეკზე იყო დამაგრებული; თითო ბორბლის სიმაღლე – ერთ-ნახევარი წყრთა იყო.



- ³³ბორბლები ეტლის ბორბლებივით იყო გაკეთებული, ღერძები, სალტეები, მანები და მორგვები მთლიანად ბრინჯაოთი იყო ჩამოსხმული.
- ³⁴ოთხი შვერილი ჰქონდა ყოველი კვარცხლბეკის ოთხსავე კუთხეს, კვარცხლბეკთან ერთად იყო ჩამოსხმული.
- ³⁵კვარცხლბეკის თავზე იყო წრე ნახევარი წყრთა სიმაღლისა, კვარცხლბეკის სახელურები და კედლები მისივე მასალისგან იყო.
- ³⁶და ამოკვეთა სახელურების ფიცრებსა და მის კედლებზე ქერუბიმები, ლომები და ფინიკის ხეები ერთმანეთის დაშორებით, ირგვლივ – ყვავილწნულები.
- ³⁷ასეთი ათი კვარცხლბეკი გააკეთა, ყველა ერთიანად იყო ჩამოსხმული, ერთი ზომა ჰქონდა, ერთი სახე.
- ³⁸და გააკეთა ბრინჯაოს ათი საბანელი, თითოეული ორმოც ბათს იტევდა, ოთხი წყრთა იყო თითოეული საბანელი, ყოველი საბანელი კვარცხლბეკზე იდგა.
- ³⁹ხუთი კვარცხლბეკი სახლის მარჯვენა ფრთაზე დადგა, ხუთი – სახლის მარცხენა ფრთაზე, ზღვა სამხრეთ-აღმოსავლეთით, სახლის მარჯვენა მხარეს მოათავსა.
- ⁴⁰გააკეთა ხირამმა საბანლები, აქანდაზები და სასხურებლები, და მოათავა ყველა სამუშაო, რასაც უკეთებდა იგი მეფე სოლომონს უფლის სახლში.
- ⁴¹ორი სვეტი და სვეტების თავზე დასადგმელი ბუღაურები მისი ორი ბალიშითურთ, ორი ცხაური სვეტებზე დასადგმელი ბუღაურების მოსართავად.
- ⁴²400 ბროწეული ორი ცხაურისთვის, ბროწეულების ორი რიგი თითოეულ ცხაურს, სვეტებზე დასადგმელი ბუღაურის ბალიშების მოსართავად.
- ⁴³ათი კვარცხლბეკი, ათი საბანელი კვარცხლბეკებზე შესადგმელი.
- ⁴⁴ერთი ზღვა და 12 ხარი ზღვის ქვეშ.
- ⁴⁵ქვაბები, აქანდაზები და სასხურებლები – ყველა ეს ჭურჭელი, რომელიც ხირამმა გაუკეთა მეფე სოლომონს უფლის სახლში, გაპრიალებულ ბრინჯაოს წარმოადგენდა.
- ⁴⁶იორდანეს მხარეში ჩამოასხმევინა ისინი მეფემ, აყალო მიწაში, სუქოთსა და ცართანს შორის.
- ⁴⁷და დააწყო სოლომონმა ყველა ეს ჭურჭელი თავ-თავის ადგილას. ვერ გაირკვა ბრინჯაოს წონა მათი სიმრავლის გამო.



⁴⁸და გააკეთა სოლომონმა ყოველი ჭურჭელი, რაც უფლის ტაძრისთვის იყო განკუთვნილი: ოქროს სამსხვერპლო და ოქროსავე ტაბლა, რომელზედაც საწინაშეო პურები ეწყო.

⁴⁹ბაჯადლო ოქროს სასანთლები: ხუთი მარჯვენა მხარეს, ხუთიც მარცხენა მხარეს, დაბირის წინ, ყვავილებით, სანთურებითა და ოქროს მაშებიურთ.

⁵⁰ბაჯადლო ოქროს ტაშტები, დანები, სასხურებლები, საჭდეები, საცეცხლურები; და ოქროსავე ანჯამები შიდა სახლიდან წმიდათა წმიდაში შესასვლელი კარებისთვის, ტაძარში შესასვლელი კარებისთვის.

⁵¹და მოთავდა ყოველი სამუშაო, რაც უფლის სახლში შეასრულა მეფე სოლომონმა; და მოიტანა სოლომონმა მამამისის, დავითის შემოწირულობა: ოქრო-ვერცხლი და ჭურჭელი და დააწყო უფლის ტაძრის საგანმურებში.

მესამე მეფეთა 8

¹მაშინ შეყარა სოლომონმა ისრაელის უხუცესობა და შტოთა ყველა თავკაცი, ისრაელიანთა მამისსახლების უფროსები თავისთან იერუსალიმში, რათა გადმოესვენებინათ უფლის აღთქმის კიდობანი დავითის ქალაქიდან, ანუ სიონიდან.

²და შეიყარა მეფე სოლომონთან მთელი ისრაელი ეთანიმის, ანუ მეშვიდე თვეში, დღესასწაულის დროს.

³და მოვიდა ისრაელის მთელი უხუცესობა; და ასწიეს მღვდლებმა კიდობანი,

⁴და წაასვენეს უფლის კიდობანი და საკრებულო კარავი და საწმიდრის მთელი ჭურჭელი, რაც კარავში იყო; წაასვენეს ეს მღვდლებმა და ლევიალებმა.

⁵მეფე სოლომონი და მასთან შეკრებილი ისრაელის მთელი საზოგადოება კიდობნის წინ მიდიოდნენ და მსხვერპლად სწირავდნენ ცხვარსა და ძროხას, რომლის დათვლა და აღრიცხვა შეუძლებელი იყო სიმრავლის გამო.

⁶და დაასვენეს მღვდლებმა უფლის აღთქმის კიდობანი თავის განკუთვნილ ადგილას, ტაძრის დაბირში, წმიდათა წმიდაში, ქერუბიმთა ფრთებქვეშ,

⁷რადგან ფრთები ჰქონდათ გაშლილი ქერუბიმებს კიდობნის ადგილას, და ზემოდან ფარავდნენ კიდობანსა და მის ხარიხებს.

⁸კეტები იმ სიგრძისა იყო, რომ მათი თავები ჩანდა წმიდათა წმიდიდან, დაბირის წინ, და არ ჩანდა გარედან. ისინი დღემდე იქ არის.



⁹სხვა არაფერი იყო კიდობანში, გარდა ქვის ორი დაფისა, მოსემ რომ შიგ ჩააწყო ხორებზე ყოფნისას, როცა უფალმა აღთქმა დადო ისრაელიანებთან ეგვიპტიდან მათი გამოსვლისას.

¹⁰და როცა გამოვიდნენ მღვდლები საწმიდრიდან, ღრუბელმა აავსო უფლის სახლი.

¹¹და იქ ველარ დადგნენ მღვდლები მსახურებაზე ამ ღრუბლის გამო, რადგან უფლის დიდებამ დაფარა სახლი.

¹²მაშინ თქვა სოლომონმა: „ბნელში დავანება ინება უფალმა;

¹³მე სახლი აგიშენე სავანედ; ადგილი, სადაც სამარადისოდ დაიმკვიდრებ.“

¹⁴პირი ხალხისკენ იბრუნა მეფემ და აკურთხა ისრაელის მთელი კრებული. ფეხზე იდგა ისრაელის მთელი კრებული.

¹⁵და თქვა სოლომონმა: „კურთხეულია უფალი, ღმერთი ისრაელისა, რომელიც თავისი პირით ელაპარაკა დავითს, მამაჩემს, და ახლა თავისი ხელით შეასრულა, რასაც ის ამბობდა:

¹⁶‘იმ დღიდან, რაც ეგვიპტიდან გამოვიყვანე ჩემი ერი, ისრაელი, მის არც ერთ ტომში არ ამირჩევია ქალაქი სახლის ასაშენებლად, რათა იქ დამკვიდრებულიყო ჩემი სახელი; მე იერუსალიმი ავირჩიე, რათა იქ დამკვიდრებულიყო ჩემი სახელი; და ავირჩიე დავითი, რომ მას ემეფა ჩემს ერზე, ისრაელზე.’

¹⁷გულში ჰქონდა მამაჩემს, დავითს, სახლის აშენება უფლის, ისრაელის ღმერთის სახელზე.

¹⁸და უთხრა უფალმა დავითს, მამაჩემს: ‘შენ გულში გაქვს ჩემს სახელზე სახლის აშენება; კარგია, გულში რომ გაქვს;

¹⁹ოღონდ შენ კი არ ააშენებ სახლს, არამედ შენი შვილი, შენი საზარდულიდან გამოსული, ის ააშენებს სახლს ჩემს სახელზე.’

²⁰და აღასრულა უფალმა თავისი ნათქვამი სიტყვა. და აჰა, მე დავდექ დავითის, მამაჩემის ადგილზე, ავედი ისრაელის ტახტზე, როგორც ბრძანა უფალმა, და უფლის, ისრაელის ღმერთის სახელზე ავაშენე ტაძარი.

²¹და მივუჩინე იქ ადგილი კიდობანს, რომელშიც ინახება უფლის აღთქმა, ჩვენს მამებთან დადებული, როცა ეგვიპტიდან გამოიყვანა ისინი უფალმა.“

²²და დადგა სოლომონი უფლის სამსხვერპლოს წინ, ისრაელის მთელი კრებულის წინაშე, ზეცისკენ აღაპყრო ხელები

²³და თქვა: „უფალო, ღმერთო ისრაელისა! არ არსებობს შენი მსგავსი ღმერთი არც მაღლა ზეცაში და არც დაბლა დედამიწაზე. შენ ინახავ აღთქმას



და სიყვარულს შენს მსახურთა მიმართ, რომელნიც მთელი გულით დადიან შენს წინაშე;

24 შენ შეუსრულე სიტყვა შენს მსახურს, მამაჩემ დავითს, და დღეს აღასრულა შენმა ხელმა, რაც შენმა ბაგეებმა ბრძანეს.

25 ახლაც შეუნახე, უფალო, ღმერთო ისრაელისა, შენს მსახურს, მამაჩემ დავითს შენი ნათქვამი სიტყვა, რაც უთხარი: ‘არ დაგელევა მემკვიდრე ჩემს წინაშე, ისრაელის ტახტზე მჯდომი, ოღონდ დაიცვან შენმა შვილებმა წესი და რიგი და იარონ ჩემს წინაშე, როგორც შენ დადიხარ ჩემს წინაშე.’

26 ახლაც მტკიცე იყოს, უფალო, ღმერთო ისრაელისა, შენი სიტყვა, შენს მსახურს, მამაჩემ დავითს რომ უბრძანე.

27 ნუთუ ნამდვილად დაიმკვიდრებს მიწაზე ღმერთი? აჰა, ვერ გიტევენ შენ ცანი და ცანი ცათანი, მაშ როგორღა დაგიტევს ეს ჩემი აშენებული ტაძარი?

28 მოხედე შენი მსახურის ლოცვა-ვედრებას, უფალო, ღმერთო ჩემო, ისმინე ღაღადი და ლოცვა, რომლითაც მოგმართავს დღეს შენი მსახური.

29 თვალი გეჭიროს ამ სახლზე დღისით და ღამით, ამ ადგილზე, რომლის გამოც ნათქვამი გაქვს, აქ იქნებაო ჩემი სახლი; რომ ისმინო ლოცვა, რომელსაც იტყვის ამ ადგილას შენი მსახური.

30 ისმინე შენი მსახურისა და შენი ერის, ისრაელიანთა ვედრება, როცა დადგებიან ლოცვად ამ ადგილას. ისმინე შენს სამყოფელ ადგილზე, ცათა შინა, ისმინე და შეგვიწყალე.

31 როცა შესცოდავს ვინმე თავის მოძმეს და ფიცით დააფიცებენ მას, და მივა ეს ფიცი შენს სამსხვერპლოსთან ამ სახლში,

32 მაშინ მოუსმინე ზეციდან და სამართალი გაუჩინე შენს მსახურთ; მტყუანი გაამტყუნე, რომ მის თავზე იყოს მისი საქციელი; და მართალი გაამართლე, რომ მისი სიმართლისამებრ მიეზღოს.

33 როცა დამარცხდება მტერთან შენი ერი, ისრაელი, იმის გამო, რომ შეგცოდეს, და როცა მობრუნდება შენსკენ, ქებას შეასხამს შენს სახელს და დაგიწყებს ლოცვა-ვედრებას ამ სახლში,

34 მაშინ მოუსმინე ზეციდან და მიუტევე შეცოდება შენს ერს, ისრაელს, და დააბრუნე იმ მიწაზე, რომელიც მის მამებს მიეცი.

35 როცა დაიხურება ცა და აღარ იწვიმებს მათი შეცოდების გამო შენს წინაშე, და დაიწყებენ ლოცვას ამ ადგილას, განადიდებენ შენს სახელს და განერიდებიან ცოდვებს, რადგან უკვე დასჯილი გეყოლება ისინი,



³⁶მაშინ მოუსმინე ზეციდან და მიუტევე შეცოდებები შენს მსახურთ და შენს ერს, ისრაელს, დააყენე ის სასიკეთო გზაზე, რომელზედაც მართებთ სიარული, აწვიმე წვიმა შენს მიწაზე, რომელიც სამკვიდრებლად მიეცი შენს ერს.

³⁷შიმშილობა იქნება ქვეყანაზე, შავი ჭირი, მწველი ხორშაკი, სიყვითლე, კალია თუ მატლი, ან თუ მტერი შემოადგება ქვეყნის კარიბჭეებს, უბედურება მოხდება რამე თუ სნეულება,

³⁸ყოველ ლოცვას, ყოველ ვედრებას თითოეული ადამიანისა, მთელი შენი ერის, ისრაელისა, როცა იგრძნობს გასაჭირს თითოეული თავის გულში და ხელს გაიშვერს ამ სახლისკენ,

³⁹შენ მოუსმინე ზეციდან, შენი სამყოფლიდან, და მიუტევე და მიაგე თითოეულს თავისი საქციელისამებრ, რომელმაც უწყი მათი გულები, რადგან შენ ერთმა უწყი მთელი ადამის მოდგმის გული,

⁴⁰რათა მუდამ ეშინოდეთ შენი, ვიდრე ცხოვრობენ ამ მიწაზე, რომელიც ჩვენი მამებისთვის მიგიცია.

⁴¹უცხოელსაც, რომელიც არ არის შენი ერისაგანი, ისრაელიანთაგანი, მაგრამ შორი ქვეყნიდან მოვა შენი სახელის გამო,

⁴²რადგან გაგებული ექნება შენი დიდი სახელის, მაგარი ხელისა და მოღერებული მკლავის ამბავი, მოვა და ილოცვბს ამ სახლში,

⁴³მოუსმინე ზეციდან, შენი სამყოფლიდან, და აუსრულე ყველაფერი, რასაც შემოგლადადებს უცხოელი, რათა იცოდეს ქვეყნიერების ყველა ხალხმა შენი სახელი და ეშინოდეს შენი, როგორც შენს ერს, ისრაელს; იცოდეს ყველამ, რომ შენი სახელით იწოდება ეს სახლი, მე რომ ავაშენე.

⁴⁴როცა გავა მტერთან საომრად შენი ერი, იმ გზით, რომელზედაც შენ დააყენებ, და დაიწყებს ლოცვას უფლისადმი იმ ქალაქისკენ პირშექცეული, შენ რომ აირჩიე, და იმ სახლისაკენ, შენს სახელზე რომ ავაშენე,

⁴⁵მაშინ მოუსმინე ზეციდან მათ ლოცვასა და ღაღადისს და სამართალი გაუჩინე.

⁴⁶როცა შეგცოდავენ, რადგან არ არსებობს უცოდველი კაცი, და განურისხდები, მტრების ხელში ჩააგდებ და ტყვედ წაასხამენ მტრის ქვეყანაში, შორს იქნება თუ ახლოს,

⁴⁷და გონს მოვლენ იმ ქვეყანაში, სადაც იქნებიან ტყვედ, მოიქცევიან და შემოგლადადებენ მათი ტყვეობის ქვეყანაში და იტყვიან: შევცოდეთ, დავაშავეთ, ბოროტება ჩავიდინეთ,



⁴⁸როცა მთელი სულითა და გულით მოიქცევიათ შენსკენ მათი მტრების ქვეყანაში, რომელთაც ტყვედ წაასხეს, და დაიწყებენ ლოცვას შენდამი იმ ქვეყნისაკენ პირშექცეულნი, მათ მამებს რომ მიეცი, იმ ქალაქისკენ, შენ რომ აირჩიე, იმ სახლისკენ, მე რომ ავაშენე შენს სახელზე,

⁴⁹მაშინ მოუსმინე ზეციდან, შენი სამყოფლიდან, მათ ლოცვა-ვედრებას და სამართალი გაუჩინე.

⁵⁰და მიუტევე შენს ერს შეცოდება და დანაშაული, რაც კი შეუცოდავს შენთვის, და სიბრალული აღუძარ მათ დამატყვევებლებს, რომ შეიბრალონ ისინი,

⁵¹რადგან შენი ერია ის და შენი სამკვიდრო, რომელიც ეგვიპტიდან, რკინის ღუმლიდან გამოიყვანე.

⁵²თვალღია იყავ შენი მსახურის ვედრების მიმართ და შენი ერის, ისრაელის ვედრების მიმართ, რომ გესმოდეს მათი, როცა კი შემოგლალადებენ.

⁵³რადგან შენ განიკუთვნე ისინი შენს სამკვიდროდ დედამიწის ყველა ერისგან, როგორც უბრძანე შენი მსახურის, მოსეს პირით, როცა ეგვიპტიდან გამოგყავდა ჩვენი მამები, უფალო ღმერთო!“

⁵⁴როცა დაასრულა სოლომონმა უფლისადმი ეს ლოცვა-ვედრება, წამოდგა სამსხვერპლოდან, რომლის წინაც დაჩოქილი იყო ზეცისკენ ხელაპყრობილი.

⁵⁵იდგა და აკურთხებდა ისრაელიანთა მთელ კრებულს და ხმამაღლა ამბობდა:

⁵⁶„კურთხეულია უფალი, რომელმაც სიმშვიდე მიანიჭა თავის ერს, ისრაელს, როგორც დაპირებული იყო; ერთი სიტყვაც არ დარჩენილა აღუსრულებელი იმ სასიკეთო სიტყვებიდან, თავისი მსახურის, მოსეს პირით რომ ბრძანა.

⁵⁷ჩვენთან იყოს უფალი, ჩვენი ღმერთი, როგორც ჩვენს მამებთან იყო, ნუ მიგვატოვებს და ნუ გაგვწირავს;

⁵⁸და მიიზიდოს თავისკენ ჩვენი გულები, რათა ვიაროთ მის ყოველ გზაზე და დავიცვათ მისი შეგონებები, წესები და კანონები, რომელნიც ჩვენი მამებისთვის დაუდგენია.

⁵⁹ახლოს იყოს ეს ჩემი სიტყვები, რომლითაც უფალს ვევედრები, უფალთან, ჩვენს ღმერთთან, დღითა და ღამით, რომ მარადლე აჩენდეს სამართალს მისი მსახურისთვის და მისი ერისთვის, ისრაელისთვის,



⁶⁰რათა გაიგოს დედამიწის ყოველმა ხალხმა, რომ ღმერთია უფალი და სხვა არვინაა მის მეტი.

⁶¹იყავით გულწრფელნი უფლისადმი, ჩვენი ღმერთისადმი, როგორც დღესა ხართ, რომ იართო მის წესებზე და დაიცვათ მისი შეგონებები.“

⁶²და შესწირა მსხვერპლი უფალს მეფემ და მასთან ერთად მთელმა ისრაელმა.

⁶³და სამშვიდობო მსხვერპლად შესწირა უფალს სოლომონმა 22 ათასი ხარი და 120 ათასი ცხვარი. აკურთხა უფლის სახლი მეფემ და მთელმა ისრაელმა.

⁶⁴ამავე დღეს აკურთხა მეფემ შუა ეზო უფლის ტაძრის წინ. რადგან აღავლინა სრულადდასაწველი, შესწირა პურეულის ძღვენი და სამშვიდობო მსხვერპლის ქონები, რადგან უფლის წინ მდგარი ბრინჯაოს სამსხვერპლო სიმცირის გამო ვერ დაიტევდა აღსავლენს, პურეულის ძღვენსა და სამშვიდობო მსხვერპლის ქონებს.

⁶⁵და დღესასწაულობდა იმჟამად უფლის, ჩვენი ღმერთის წინაშე სოლომონი და მასთან ერთად მთელი ისრაელი – დიდი კრებული ხამათიდან ვიდრე ეგვიპტის ხევამდე – შვიდ დღესა და კიდევ შვიდ დღეს, სულ 14 დღე.

⁶⁶და მერვე დღეს გაისტუმრა ხალხი, და დალოცეს მეფე და წავიდ-წამოვიდნენ თავ-თავიანთ კარვებში მხიარულნი და გულსავსენი იმ სიკეთის გამო, რაც გაუკეთა უფალმა დავითს, თავის მსახურს, და ისრაელს, თავის ერს.

მესამე მეფეთა 9

¹როცა დაასრულა სოლომონმა უფლის ტაძრისა და მეფის სახლის შენება და ყველაფერი, რისი გაკეთებაც სურდა,

²მეორედ გამოეცხადა უფალი სოლომონს, როგორც გიბეონში გამოეცხადა.

³და უთხრა უფალმა: „შევისმინე შენი ლოცვა-ვედრება, რომ მევედრებოდი. მე ვაკურთხე ეს სახლი, შენ რომ ააშენე ჩემი სახელის დასამკვიდრებლად უკუნისამდე. ჩემი თვალი და გული სამარადჟამოდ აქ იქნება.

⁴შენ კი, თუ ივლი ჩემს წინაშე, როგორც მამაშენი, დავითი დადიოდა წმიდა გულითა და სიმართლით, ყველაფერს ადასრულებ, რაც ნაბრძანები მაქვს შენთვის, დაიცავ ჩემს წესს და სამართალს,

⁵მაშინ მე განვამტკიცებ შენს ტახტს ისრაელში საუკუნოდ, როგორც დავითისთვის, მამაშენისთვის მითქვამს: არ დაილევა-მეთქი შენგან ისრაელის ტახტზე მჯდომელი.



⁶მაგრამ თუ განმიდგებით თქვენ და თქვენი შვილები, არ დაიცავთ ჩემს ბრძანებებს და წესებს, მე რომ მოგეცით, შეუდგებით უცხო ღმერთებს და თაყვანს სცემთ მათ,

⁷მაშინ მე აღვგვი ისრაელს იმ მიწის პირისგან, რომელიც მას მივეცი, მოვიშორებ სახლს, რომელიც ჩემს სახელზე ვაკურთხე, და ისრაელი სხვა ხალხების საიგავო და დასაცინი გახდება.

⁸ყველა, ვინც ჩაუვლის ამ მაღალ სახლს, შეძრწუნდება და დაუსტვენს და იტყვის: ასე რატომ მოექცაო უფალი ამ ქვეყანას და ამ ტაძარს?

⁹და ეტყვიან: ‘იმად, რომ დაივიწყეს უფალი, თავიანთი ღმერთი, რომელმაც ეგვიპტიდან გამოიყვანა მათი მამები, სხვა ღმერთებს მოეჭიდნენ, და თაყვანს მათ სცემდნენ და ემსახურებოდნენ, – ამიტომ დააწია უფალმა ყველა ეს უბედურება.’“

¹⁰20 წლის თავზე დაასრულა სოლომონმა ორი სახლის – უფლის ტაძრისა და მეფის სახლის – შენება,

¹¹მშენებლობისთვის ხირამი, ცორის მეფე, უგზავნიდა სოლომონს კედარისა და კვიპაროსის ხე-ტყეს და ოქროს, მისი სურვილისამებრ. და მისცა მეფე სოლომონმა ხირამს 20 ქალაქი გალილეის მხარეში.

¹²გავიდა ხირამი ცორიდან სოლომონის მიცემული ქალაქების სანახავად და არ მოეწონა ისინი.

¹³და თქვა: „ეს რა ქალაქები მოგიცია, ძმაო?“ და უწოდა მათ ქაბულის ქვეყანა; და ასე ეწოდება მათ დღემდე.

¹⁴და მოართვა ხირამმა მეფეს 120 ტალანტი ოქრო.

¹⁵ეს არის სოლომონ მეფისგან დაწესებული ბეგარა უფლის ტაძრის, თავისი სახლის, მილოს, იერუსალიმის კედლის, ხაცორის, მეგიდოს და გეზერის შენებისთვის.

¹⁶და ამოვიდა ფარაონი, ეგვიპტის მეფე, აიღო გეზერი და გადაწვა ცეცხლით. და ამოხოცა ქანაანელები, ქალაქში მცხოვრებნი, ხოლო იგი მზითევში მისცა თავის ასულს, სოლომონის ცოლს.

¹⁷და ააშენა სოლომონმა გეზერი და ქვემო ბეთ-ხორონი,

¹⁸ბაყალათი, თამარი ქვეყნის უდაბნოში,

¹⁹სამარაგო ქალაქები, რომლებიც კი სოლომონს ჰქონდა, მეეტლეთა ქალაქები, მხედრიონთა ქალაქები, და ყველაფერი, რისი აშენებაც სურდა იერუსალიმსა და ლიბანში, და მთელ თავის სამფლობელოში.



²⁰მთელი ხალხი, ვინც კი დარჩა ამორეველთაგან, ხეთელთაგან, ფერიზელთაგან, ხიველთაგან და იებუსელთაგან, რომელიც არ იყო ისრაელიანთა მოდგმისა,

²¹მათი შთამომავლები, მათს შემდეგ რომ დარჩნენ ქვეყანაში და არ გაუწყვეტიათ ისრაელიანთ, ბეგარაზე მომუშავეებად განაწესა სოლომონმა და ასე არიან დღემდე.

²²ისრაელიანთაგან არავისთვის დაუდგია სოლომონს ბეგარა, რადგან მეომრებად ჰყავდა ისინი, თავის მსახურებად, მეთაურებად და მხედართმთავრებად, თავისი ეტლებისა და მხედრობის მეთაურებად.

²³550 კაცი ჰყავდა სოლომონს სამუშაოების ზედამხედველებად, რომელნიც უძღვებოდნენ მუშა ხალხს.

²⁴ფარაონის ასული ავიდა დავითის ქალაქიდან თავის სახლში, რომელიც აუშენა მას სოლომონმა; შემდეგ ააშენა მან მილო.

²⁵წელიწადში სამჯერ სწირავდა სოლომონი სრულადდასაწყველ და სამშვიდობო მსხვერპლს სამსხვერპლოზე, რომელიც უფალს აუშენა, და იქვე აკმევდა საკმეველს უფლის წინაშე. და ასე დასრულდა სახლის შენება.

²⁶ხომალდი ააგო მეფე სოლომონმა ყეციონ-გებერში, ელოთთან რომ არის, მეწამული ზღვის ნაპირას, ედომის ქვეყანაში.

²⁷და გაგზავნა ხირამმა ხომალდით თავისი მსახურნი, ხომალდის ოსტატები, ზღვის მცოდნენი სოლომონის მსახურებთან ერთად;

²⁸და მივიდნენ ისინი ოფირში და წამოიღეს იქიდან 420 ტალანტი ოქრო და მართვეს მეფე სოლომონს.

მესამე მეფეთა 10

¹მისწვდა შებას დედოფალს სოლომონის ამბავი, უფლის სადიდებელი, და მოვიდა, რომ გამოცანებით გამოეცადა იგი.

²მოვიდა იერუსალიმში დიდი ამალით, აქლემებს მოჰქონდათ ნელსაცხებლები, აურაცხელი ოქრო და ძვირფასი თვლები. და მოვიდა სოლომონთან და ემასლაათა ყველაფერზე, რაც გულში ჰქონდა.

³ყველა კითხვაზე გასცა პასუხი სოლომონმა. არაფერი იყო მეფისთვის დაფარული, რომ უპასუხოდ დაეტოვებინა იგი.

⁴ნახა შებას დედოფალმა სოლომონის მთელი სიბრძნე, და ნახა მისი აშენებული სახლი;



⁵მისი სუფრის სანოვაგე; მის მსახურთა გალიაკები, მათი ჩასაცმელ-დასახურავი, მათი წესი და რიგი; მისი მწდენი; მისი სრულადდასაწველი მსხვერპლი, რომელსაც აღავლენდა უფლის სახლში და გაოგნებულმა

⁶უთხრა მეფეს: „მართალი ყოფილა, რაც ჩემს ქვეყანაში მქონდა გაგონილი შენს საქმეებსა და შენს სიბრძნეზე.

⁷სიტყვების არ მჯეროდა, ვიდრე თავად არ მოვედი და ჩემი თვალით არ ვიხილე. აჰა, თურმე ნახევარიც კი არ უთქვამთ ჩემთვის. უფრო მეტი სიბრძნე და დოვლათი გქონია, ვიდრე გამეგონა.

⁸ბედნიერია შენი ხალხი. ბედნიერები არიან ეს შენი მსახურნი, მუდამ შენს წინაშე რომ დგანან და ისმენენ შენს სიბრძნეს.

⁹კურთხეულ იყოს უფალი, შენი ღმერთი, რომელმაც მოგისურვა, რათა ისრაელის ტახტზე დაესვი. უფალს, საუკუნო სიყვარულის გამო ისრაელისადმი, დაუდგენიხარ მეფედ სამართლისა და სიმართლის გასაჩენად.“

¹⁰და უბოძა მეფეს 120 ტალანტი ოქრო, დიდძალი ნელსაცხებელი და ძვირფასი თვლები. მეტჯერ აღარ შემოსულა იმდენი ნელსაცხებელი, რამდენიც შებას დედოფალმა უბოძა მეფე სოლომონს.

¹¹ხირამის ხომალდმაც, რომელიც ოქროს ეზიდებოდა ოფირიდან, მოიტანა ოფირიდანვე დიდძალი სანდალოზის ხე და თვალ-მარგალიტი.

¹²და გაუკეთა მეფემ სანდალოზის ხის მოაჯირები უფლის ტაძარსა და მეფის სასახლეს; გააკეთა ეზნები და ქნარები მგალობელთათვის. მეტად აღარ შემოუტანიათ და მას მერე არავის უნახავს იმდენი სანდალოზის ხე.

¹³და მისცა მეფე სოლომონმა შებას დედოფალს ყველაფერი, რაც კი მან ინება და სთხოვა, გარდა იმისა, რაც თავისით ჰქონდა ნაჩუქარი, როგორც მეფე სოლომონს ეკადრებოდა. და უკან გაბრუნდა და წავიდა იგი თავის ქვეყანაში თავის მსახურებთან ერთად.

¹⁴666 ტალანტი ოქრო შემოსდიოდა სოლომონს ყოველწლიურად,

¹⁵იმას გარდა, რაც შემოდიოდა მოქარავნეთაგან, ვაჭართაგან, არაბთა მეფეებისა და მხარეთა განმგებლებისაგან.

¹⁶და გააკეთა მეფე სოლომონმა 200 დიდი ფარი ოქროთი ნაჭედი. 600 შეკელი ოქრო დაიხარჯა თითოეულ ფარზე.

¹⁷და 300 პატარა ფარი ოქროთი ნაჭედი, სამი მანა ოქრო დასჭირდა თითოეულ ფარს. და დააწყო ისინი მეფემ ლიზანის მაღნარის სახლში.



¹⁸და გააკეთა მეფემ სპილოს ძვლისაგან დიდი ტახტი და ხალასი ოქროთი დაფერა.

¹⁹ექესი საფეხური ჰქონდა ტახტს, საზურგეს ზემოდან მომრგვალებული იყო, საჯდომის ორსავე მხარეს სანიდაყვეები ჰქონდა, ხოლო სანიდაყვეებს ორი ლომი ედგა გვერდით.

²⁰ექეს საფეხურზე, აქეთ-იქით, სხვა 12 ლომი იდგა. არც ერთ სამეფოში არ ყოფილა ამის მსგავსი რამ.

²¹სოლომონის ყველა სასმისი ოქროსი იყო, ლიბანის მაღნარის სახლში მთელი ჭურჭელი სუფთა ოქროსი იყო; ვერცხლისა არაფერი იყო, რადგან ვერცხლი არაფრად მიაჩნდათ სოლომონის დროს.

²²რადგან მეფის თარშიშული ხომალდები ხირამის ხომალდებთან ერთად გადიოდნენ ზღვაში. სამ წელიწადში ერთხელ შემოდრიოდნენ თარშიშული ხომალდები და მოჰქონდათ ოქრო-ვერცხლი, სპილოს ძვალი, და მოჰყავდათ ყაფუზუნები და ფარშევანგები.

²³ქვეყნიერების ყველა მეფეს აღემატებოდა მეფე სოლომონი დოვლათითა და სიბრძნით.

²⁴მთელი ქვეყანა ესწრაფოდა სოლომონის ნახვას, რომ მოესმინათ მისი სიბრძნე, რომელიც გულში ჩაუდო ღმერთმა.

²⁵ყველას თავისი ძღვენი მოჰქონდა: ოქროს ჭურჭელი და ვერცხლის ჭურჭელი, შესამოსელი, საჭურველი, ნელსაცხებლები, ცხენები და ჯორები, ასე იყო წლიდან წლამდე.

²⁶თავი მოუყარა სოლომონმა ეტლებსა და ცხენოსნებს; და ჰყავდა 1400 ეტლი და 12 ათასი ცხენოსანი. განალაგა ისინი ეტლების სადგომ ქალაქებსა და იერუსალიმში, თავისთან.

²⁷მეფემ ისე გააკეთა, რომ ვერცხლი იერუსალიმში ქვასავით ეყარა, ხოლო კედარი – სიკომორივით, შეფელაში რომ ხარობს.

²⁸სოლომონის ცხენები ეგვიპტიდან და კევედან იყო მოყვანილი, მეფის ვაჭრები ყიდულობდნენ კევეში ფულით.

²⁹ეტლები 600 შეკელ ვერცხლად ამოჰქონდათ ეგვიპტიდან, ხოლო ცხენები – 150 ვერცხლად. ასევე მიჰქონდათ თავიანთი ხელით ეს ყოველივე ხეთელთა და არამის მეფეებისთვისაც.

მესამე მეფეთა 11



¹გარდა ფარაონის ასულისა, მეფე სოლომონმა შეიყვარა მრავალი უცხოელი ქალი – მოაბელები, ყამონელები, ედომელები, ციდონელები და ხეთელები –

²იმ ხალხთა ქალები, რომელთა შესახებ ნაბრძანები ჰქონდა უფალს ისრაელიანთათვის: „ნუ შეხვალთ მათთან და ნურც ისინი შემოვლენ თქვენთან, თორემ უეჭველად მიდრეკენ თქვენს გულებს თავიანთი ღმერთებისაკენ.“ მათ მიეწება სოლომონი სიყვარულით.

³და ჰყავდა 700 ცოლი დედოფლად და 300 ხარჭა. და გარყვნეს მისი გული ცოლებმა.

⁴და როცა ხანში შევიდა, მიდრიკეს მისი გული მისმა ცოლებმა უცხო ღმერთებისაკენ. და ისე წრფელი არ იყო მისი გული უფლისადმი, როგორც მამამისის, დავითის გული.

⁵და შეუდგა სოლომონი ციდონელთა ღმერთის – ყაშთორეთის და ყამონელთა სიბილწის – მილქომის კვალს.

⁶ბოროტებას სჩადიოდა სოლომონი უფლის თვალში და ისე არ ერთგულებდა უფალს, როგორც მამამისი დავითი.

⁷მაშინ აუგო სოლომონმა სამსხვერპლო ქემოშს, მოაბის სიბილწეს, მთაზე, იერუსალიმის პირდაპირ, და მოლექს, ყამონიანთა სიბილწეს.

⁸ასევე მოიქცა ყველა თავისი უცხოელი ცოლის გამო, რომელნიც უკმევდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ თავ-თავიანთ ღმერთებს.

⁹და განურისხდა უფალი სოლომონს, რადგან გული აიცრუა მან უფალზე, ისრაელის ღმერთზე, რომელიც ორჯერ გამოეცხადა მას,

¹⁰და უბრძანა, არ დასდგომოდა უცხო ღმერთების კვალს, მაგრამ არ შეასრულა მან უფლის ბრძანება.

¹¹და უთხრა უფალმა სოლომონს: „იმის გამო, რომ ასე იქცევი: არ ასრულებ ჩემს აღთქმას და წესებს, რომლებიც გამცნე, წაგართმევ სამეფოს და მივცემ შენს მსახურს;

¹²ოღონდ შენს სიცოცხლეში არ გავაკეთებ ამას მამაშენის, დავითის გამო. შენს შვილს კი გამოვგლეჯ ხელიდან.

¹³მაგრამ მთელს სამეფოს არ გამოვგლეჯ; ერთ ტომს შენს შვილს დავუტოვებ დავითის, ჩემი მსახურის გამო და იერუსალიმის გამო, რომელიც მე ავირჩიე.“

¹⁴და გაუჩინა უფალმა მტერი სოლომონს – ედომელი ჰადადი, ედომის მეფეთა მოდგმისა.



- ¹⁵როცა დავითი ედომში იყო, და როცა მხედართმთავარი იოაბი ამოვიდა დახოცილთა დასამარხად და ერთიანად გაწყვიტა მამაკაცები ედომში, –
- ¹⁶რადგან ექვს თვეს დარჩნენ იქ იოაბი და ისრაელიანები, ვიდრე არ მოსპეს მამაკაცის სახსენებელი ედომში, –
- ¹⁷მაშინ გაიქცა ეს ჰადადი ეგვიპტეში, და მასთან ერთად რამდენიმე ედომელი, მამამისის მსახურნი; ჰადადი მაშინ პატარა ბიჭი იყო.
- ¹⁸და აიყარნენ მიდიანიდან და მივიდნენ ფარანს, და წაიყვანეს ფარანიდან ხალხი და მივიდნენ ფარაონთან, ეგვიპტის მეფესთან. ჰადადი შევიდა ფარაონთან, და მისცა მან სახლი და მიწა მას, და სარჩოც დაუნიშნა.
- ¹⁹და დიდი მადლი ჰპოვა ჰადადმა ფარაონის თვალში, ისე რომ მან მიათხოვა ცოლად თავისი ცოლისდა, დედოფალ თახფენესის და.
- ²⁰და უშვა მას თახფენესის დამ ვაჟი – გენუბათი. თახფენესმა ბავშვი ფარაონის სახლში გაზარდა. და ცხოვრობდა გენუბათი ფარაონის შვილებთან ერთად.
- ²¹და როცა მიუვიდა ამბავი ეგვიპტეში ჰადადს, რომ განისვენა დავითმა თავის მამებთან, და რომ მოკვდა მხედართმთავარი იოაბი, უთხრა ჰადადმა ფარაონს: გამიშვი, ჩემს ქვეყანაში წავალო.
- ²²და უთხრა ფარაონმა: „რა გაკლია ჩემთან, შენს ქვეყანაში რომ განიზრახეო წასვლა?“ და მიუგო მან: „არაფერი, მაგრამ მაინც გამიშვი.“
- ²³კიდევ გაუჩინა სოლომონს ღმერთმა მტერი – რეზონი, მე ელიადაყისა, რომელიც გაექცა თავის ხელმწიფეს, ცობას მეფე ჰადადეზერს.
- ²⁴შემოიკრიბა ხალხი და გახდა მძარცველთა მეთაური, ხოლო მას შემდეგ, რაც დავითმა ჰადადეზერს სძლია, რეზონი დამასკოში გაემურა, აიღო ის და დამასკოს მეფე გახდა.
- ²⁵ისრაელის მტერი იყო იგი სოლომონის სიცოცხლეში, იმ ხანად, როცა ისრაელს ჰადადიც მტრობდა. მას სძულდა ისრაელი და არამზე მეფობდა.
- ²⁶იეროხოყამ ნებატის ძემაც, ეფრათელმა ცერედადან, სოლომონის მსახურმა, რომლის დედა იყო ცერუაყი, ქვრივი ქალი, აღმართა ხელი მეფეზე.
- ²⁷აი, რის გამო მოხდა, ხელი რომ აღმართა მეფე სოლომონზე: მილოს აშენებდა სოლომონი, დანგრეულს აღადგენდა დავითის, მამამისის, ქალაქში.



²⁸მამაცი კაცი იყო იერობოყამი. და დაინახა სოლომონმა, რომ ვარგოდა საქმეში ეს ყმაწვილი, და ზედამხედველად დაუყენა იოსების სახლიდან გამოყვანილ ბეგრის ხალხს.

²⁹ისე მოხდა იმხანად, რომ გასული იყო იერუსალიმიდან იერობოყამი და შეხვდა გზად შილოელი წინასწარმეტყველი ახია, რომელსაც ახალი მოსასხამი ეხვია. ამ ორის მეტი არავინ იყო მინდვრად.

³⁰და აიღო ახიამ თავისი ახალი მოსასხამი და თორმეტ ნაჭრად დახია.

³¹და უთხრა იერობოყამს: „აიღე შენთვის ათი ნაჭერი, რადგან ასე ბრძანა უფალმა, ისრაელის ღმერთმა: ‘აჰა, მე სამეფოს ვგლეჯ სოლომონს ხელიდან და შენ გაძლევ მის ათ შტოს.

³²მას ერთი შტო დარჩება ჩემი მსახურის, დავითის გამო და იერუსალიმის გამო, ქალაქისა, რომელიც ავირჩიე მე ისრაელის ყველა შტოდან.

³³ეს იმიტომ, რომ დამივიწყეს და თაყვანს სცემენ ყაშთორეთს – ციდონელთა ღმერთს, ქემოშს – მოაბის ღმერთს, და მილქომს – ყამონელთა ღმერთს. არ იარეს ჩემს გზაზე, რომ სიმართლე ექნათ ჩემს თვალში, დაეცვათ ჩემი წესი და სამართალი, როგორც მამამისი, დავითი იცავდა.

³⁴და არ ვგლეჯ ხელიდან მთელს სამეფოს, რადგან მთავრად დავადგინე იგი მთელი მისი სიცოცხლე ჩემი მსახურის, დავითის გულისთვის, რომელიც მე ავირჩიე და რომელიც იცავდა ჩემს მცნებებსა და წესებს.

³⁵მის შვილს გამოვგლეჯ ხელიდან სამეფოს და შენ მოგცემ მის ათ შტოს.

³⁶ხოლო მის შვილს ერთ შტოს მივცემ, რათა სამარადჟამოდ დაურჩეს ლამპარი დავითს, ჩემს მსახურს, ჩემს წინაშე, იერუსალიმში, ქალაქში, რომელიც ჩემთვის ავირჩიე ჩემი სახელის იქ დასამკვიდრებლად.

³⁷ახლა შენ ამყავხარ, რათა იმბრძანებლო ყველაფერზე, რასაც შენი სული მოისურვებს, და რომ ისრაელის მეფე გახდე.

³⁸და თუ შეისმენ ყველაფერს, რასაც მე გიბრძანებ, და ივლი ჩემს გზაზე, თუ გააკეთებ ჩემს მოსაწონს, დაიცავ ჩემს წესებსა და მცნებებს, როგორც ჩემი მსახური, დავითი აკეთებდა, მაშინ შენთან ვიქნები, აგიშენებ მტკიცე სახლს, როგორც დავითს ავუშენე და მოგცემ ისრაელს.

³⁹და მოვთრგუნავ ამის გულისთვის დავითის მონაგარს, ოღონდ არა სამარადჟამოდ.”

⁴⁰და ცდილობდა სოლომონი იერობოყამის მოკვლას, მაგრამ ადგა და გაიქცა იერობოყამი ეგვიპტეში, შიშაკთან, ეგვიპტის მეფესთან, და იქ დარჩა სოლომონის სიკვდილამდე.



⁴¹სოლომონის დანარჩენი საქმეები, ყველაფერი, რაც მან გააკეთა, და მისი სიბრძნე, სოლომონის საქმეთა წიგნშია აღწერილი.

⁴²ხანი სოლომონის მეფობისა იერუსალიმში მთელს ისრაელზე იყო 40 წელი.

⁴³და განისვენა სოლომონმა თავის მამებთან და დამარხეს დავითის, მამამისის ქალაქში, და გამეფდა მის ნაცვლად მისი ძე რეხოხოყამი.

მესამე მეფეთა 12

¹და წავიდა რეხოხოყამი შექემში, რადგან იქ იყო მისული მთელი ისრაელი მის გასამეფებლად.

²ეს ამბავი იეროხოყამ ნებატის ძემ ჯერ კიდევ ეგვიპტეში ყოფნისას შეიტყო, სადაც სოლომონ მეფის მიერ იყო დევნილი; და დაბრუნდა იეროხოყამი ეგვიპტიდან.

³გაუგზავნეს მას კაცები და მოიწვიეს; მოვიდნენ იეროხოყამი და ისრაელის მთელი კრებული და ასე უთხრეს მეფე რეხოხოყამს:

⁴„მძიმე უღელი დაგვადგა მამაშენმა. ახლა შენ მაინც შეგვიმსუბუქე მამაშენის კირთები და მძიმე უღელი, მან რომ დაგვადგა, და მაშინ გაგიხდებით მსახურებად.“

⁵და უთხრა მათ: „ახლა წადით და სამი დღის შემდეგ მოდით ჩემთან.“ და წავიდა ხალხი.

⁶და რჩევა ჰკითხა მეფე რეხოხოყამმა უხუცესებს, რომლებიც სოლომონის სიცოცხლეში მის წინაშე იდგნენ და უთხრა: „როგორ მირჩევდით, რა პასუხი გავცე ამ ხალხს?“

⁷ელაპარაკნენ ისინი მას და უთხრეს: „თუ დღეს მაგ ხალხის მსახური იქნები, მოემსახურები და დააკმაყოფილებ მათ, ღმობიერ სიტყვებს ეტყვი, მაშინ ისინი შენი მსახურნი იქნებიან სამარადჟამოდ.“

⁸ყური არ უგდო უხუცესების რჩევას და რჩევა ჰაბუკებს დაეკითხა, რომლებიც მასთან იყვნენ შეზრდილნი და გარს ეხვივნენ.

⁹და უთხრა მათ: „რას მირჩევთ, რა პასუხი გავცე მაგ ხალხს, რომ მეუბნებიან: შეგვიმსუბუქეო მამაშენის მძიმე უღელი?“

¹⁰და ელაპარაკნენ ჰაბუკები, მასთან რომ იყვნენ შეზრდილნი, და უთხრეს: „ასე უთხარი იმ ხალხს, რომელიც გელაპარაკა და გითხრა: უღელი დაგვიმძიმა მამაშენმა და ახლა შენ უნდა შეგვიმსუბუქო: მამაჩემის წელზე მსხვილია ჩემი ნეკათითი;“



¹¹ხომ დაგადგათ მამაჩემმა მძიმე უღელი, მე კიდევ უფრო დაგიმძიმებთ უღელს! ხომ გსჯიდათ შოლტებით მამაჩემი, მე მორიელებით+ დაგსჯით-თქო!“

¹²და მოვიდნენ იერობოყამი და მთელი ხალხი მესამე დღეს რეხოზოყამთან, როგორც ნაბრძანები ჰქონდა მეფეს – სამი დღის შემდეგ მოდითო ჩემთან.

¹³მკაცრად მიმართა მეფემ ხალხს; მან ყური არ ათხოვა უხუცესთა რჩევას.

¹⁴ახალგაზრდების რჩევის თანახმად დაელაპარაკა მათ და უთხრა: „ხომ დაგიმძიმათ მამაჩემმა უღელი, მე კიდევ უარესად დაგიმძიმებთ მას; ხომ შოლტებით გსჯიდათ მამაჩემი, მე მორიელებით დაგსჯით!“

¹⁵და არ მოუსმინა მეფემ ხალხის სათხოვარს, რადგან ასეთი იყო უფლის ნება – უნდა აღსრულებულიყო მისი სიტყვა, რაც ნათქვამი ჰქონდა იერობოყამ ნებატის ძისთვის ახია შილოელის პირით.

¹⁶და ნახა მთელმა ისრაელმა, რომ არ მოუსმინა მათ მეფემ. და სიტყვა შეუბრუნა ხალხმა მეფეს და უთხრა: „დავითთან ჩვენ რა გვესაქმება? საერთო რა გვაქვს იესეს ძესთან?! თქვენ თქვენი კარვებისკენ გასწით, ისრაელიანებო! ახლა შენ მიხედე შენს სახლს, დავით!“ – და თავ-თავისი კარვებისაკენ წავიდა ისრაელი.

¹⁷მხოლოდ იუდას ქალაქებში მცხოვრებ ისრაელიანებზელა მეფობდა რეხოზოყამი.

¹⁸და გაგზავნა მეფე რეხოზოყამმა ადორამი, ხარკის ამკრეფი, მაგრამ ქვა დაუშინეს მას ისრაელიანებმა, და მოკვდა იგი. მაშინ სასწრაფოდ შეხტა ეტლზე მეფე რეხოზოყამი, რათა იერუსალიმისკენ გაქცეულიყო.

¹⁹და განუდგა ისრაელი დავითის სახლს, და ასეა ეს დღემდე.

²⁰როცა შეიტყო მთელმა ისრაელმა, რომ ეგვიპტიდან დაბრუნდაო იერობოყამი, კაცები გაუგზავნეს, საკრებულოში დაიბარეს და გაამეფეს მთელს ისრაელზე. ერთადერთი იუდას ტომი შერჩა დავითის სახლს.

²¹და მივიდა რეხოზოყამი იერუსალიმში და შეკრიბა იუდას მთელი სახლიდან და ბენიამინის შტოდან 180 ათასი რჩეული მეომარი, რათა შებრძოლებოდნენ ისრაელის სახლს და დაებრუნებინათ მეფობა სოლომონის ძის – რეხოზოყამისათვის.

²²და გამოეცხადა ღვთის სიტყვა შემაყიას, ღვთისკაცს:

²³„ასე უთხარი რეხოზოყამს, სოლომონის ძეს, იუდას მეფეს, იუდასა და ბენიამინის მთელს სახლს და დანარჩენ ხალხს:



²⁴ასე ამბობს-თქო უფალი: ‘ნუ გახვალთ საომრად თქვენს ძმებთან, ისრაელიანებთან; შინ გაბრუნდით ყველა, რადგან ჩემი ნებით მოხდა ეს ამბავი.’“ და დაიჯერეს უფლის სიტყვა და უფლის სიტყვისამებრ გაბრუნდნენ უკან.

²⁵და ააშენა იეროზოყამმა შექემი ეფრემის მთაზე და იქ დასახლდა. მერე წავიდა იქიდან და ფენუელი ააშენა.

²⁶და ამბობდა თავის გულში იეროზოყამი: კვლავ დაუბრუნდება მეფობა დავითის სახლს.

²⁷თუ ამ ხალხმა მსხვერპლის შესაწირად იერუსალიმში დაიწყო სიარული უფლის სახლში, გული მოუბრუნდებათ მათ თავისი ბატონის, იუდას მეფის, ეხოზაემისკენ, მე მომკლავენ და რეზობოყამთან, იუდას მეფესთან დაბრუნდებიან.

²⁸და ითათბირა მეფემ, და გააკეთა ორი ოქროს ხბო. და უთხრა ხალხს: „გეყოფათ იერუსალიმში სიარული. აჰა, შენი ღმერთები, ისრაელო, რომელთაც ეგვიპტიდან გამოგიყვანეს.”

²⁹და ერთი ხბო ბეთელში დადგა, მეორე დანში გაგზავნა.

³⁰ეს იყო ცოდვის დასაბამი. და დაიწყო ხალხმა სიარული იმ ხბორების თაყვანის საცემად თვით დანამდე.

³¹და ააშენა გორაკზე ბომონი და განაწესა ხალხიდან გამოყვანილი მღვდლები, რომლებიც ლევიალები არ იყვნენ.

³²და დააწესა იეროზოყამმა დღესასწაული მერვე თვეს, თვის მეთხუთმეტე დღეს, იმ დღესასწაულის მსგავსი, იუდაში რომ იმართებოდა, და მსხვერპლი აღავლინა სამსხვერპლოზე. ასევე გააკეთა ბეთელში, რომ მსხვერპლი შეეწირათ მის მიერ გაკეთებული ხბორებისთვის. და დაუდგინა ბეთელში მღვდლები მაღლობებს, რომლებიც აღმართა.

³³და სამსხვერპლოზე, რომელიც ბეთელში ააგო, მსხვერპლი შესწირა მერვე თვის მეთხუთმეტე დღეს, იმ თვეში, რომელიც თავისი ნებით ამოარჩია; და დაუწესა დღესასწაული ისრაელიანთ, და ავიდა სამსხვერპლოზე საკმევლის საკმევად.

მესამე მეფეთა 13

¹და აჰა, იუდადან ბეთელში მოვიდა ღვთისკაცი უფლის შეგონებით, როცა იეროზოყამი სამსხვერპლოსთან იდგა საკმევლის საკმევად.



²და მიმართა უფლის სიტყვა სამსხვერპლოს და თქვა: „სამსხვერპლო, სამსხვერპლო! ასე ამბობს უფალი: ‘აჰა, დაებადება მე დავითის სახლს და იოშია იქნება მისი სახელი, და მსხვერპლად შეგწირავს ის გორაკთა მღვდლებს, რომლებიც საკმეველს აკმევენ შენზე, და შენზე დაწვავს ადამიანთა ძვლებს.’“

³და იმავე დღეს ნიშანიც გაუცხადა და უთხრა: „აი, ნიშანი იმისა, რომ უფლის ნაბრძანებია ეს სიტყვები: ‘აჰა, დაიშლება ეს სამსხვერპლო და გაიფანტება ნაცარი, ზედ რომ ყრია.’“

⁴როცა გაიგონა მეფემ ღვთისკაცის სიტყვები, სამსხვერპლოს რომ უთხრა ბეთელში, ხელი გამოიშვირა იეროზოყამმა სამსხვერპლოდან და ბრძანა: შეიპყარიო! და უმაღ გაუშეშდა გაშვერილი ხელი და ველარ შეძლო მოხრა.

⁵და დაინგრა სამსხვერპლო და ნაცარიც გაიფანტა იმ ნიშნის თანახმად, ღვთისკაცმა რომ გააცხადა უფლის სიტყვით.

⁶და მიუგო მეფემ და უთხრა ღვთისკაცს: „შევედრე უფალს, შენს ღმერთს, და ილოცე ჩემთვის, რომ ხელის მოხრა შევძლო.“ შევედრა ღვთისკაცი უფალს და შეძლო მეფემ ხელის მოხრა ძველებურად.

⁷და უთხრა მეფემ ღვთისკაცს: „შინ წამომყევი და დანაყრდი; თან საჩუქარიც მინდა მოგცე.“

⁸და უთხრა ღვთისკაცმა მეფეს: „ნახევარი სახლიც რომ მომცე, არ წამოგყვები, არც პურს შევჭამ და არც წყალს დავლევ ამ ადგილას,

⁹რადგან ასე მაქვს ნაბრძანები უფლის სიტყვით: პურს ნუ შეჭამ იქ და წყალს ნუ დალევ, და ნურც იმ გზით დაბრუნდები, რომლითაც მოხვედიო.“

¹⁰და სხვა გზით დაბრუნდა უკან. იმ გზით არ წასულა, რომლითაც მოვიდა ბეთელში.

¹¹ერთი მოხუცი წინასწარმეტყველი ცხოვრობდა ბეთელში. მოვიდნენ მისი შვილები და უამბეს ყველაფერი, რაც ღვთისკაცმა გააკეთა იმ დღეს ბეთელში. და მეფესთან მისი ნალაპარაკევიც უამბეს მამას.

¹²შეეკითხა მამა: რომელი გზით წავიდაო? და დაანახეს შვილებმა ის გზა, რომლითაც იუდადან მოსული ღვთისკაცი წავიდა.

¹³და უთხრა შვილებს: „შემიკაზმეთ სახედარი.“ და შეუკაზმეს სახედარი და ზედ შეჯდა

¹⁴და გაჰყვა ღვთისკაცს. მუხის ქვეშ მჯდომარე იპოვა იგი და უთხრა: „შენა ხარ ის ღვთისკაცი, იუდადან რომ იყო მოსული?“ და მიუგო: „მე ვარ.“

¹⁵და უთხრა: „შინ წამომყევი და ჭამე პური.“



¹⁶და თქვა: „ვერ დავბრუნდები შენთან ერთად და ვერც შენთან მოვალ, ვერც პურს შევჭამ და ვერც წყალს დავლევ ამ ადგილას,

¹⁷რადგან უფლის სიტყვით მაქვს ნაბრძანები: ნურც პურს შეჭამ და ნურც წყალს დალევ იქ, და ნურც იმ გზით გაბრუნდები, რომლითაც მიხვედიო.“

¹⁸და უთხრა: „მეც შენსავით წინასწარმეტყველი ვარ. ანგელოზი მელაპარაკა უფლის ბრძანებით და მითხრა: შენი სახლისკენ გააბრუნე ეს კაცი, პურიც ჭამოს და წყალიც დალიოსო,“ – იცრუა მან.

¹⁹და დაბრუნდა იგი მასთან ერთად, პურიც ჭამა მის სახლში და წყალიც დალია.

²⁰სუფრას რომ უსხდნენ, უფლის სიტყვა გამოეცხადა წინასწარმეტყველს, რომელმაც გამოაბრუნა იგი,

²¹და უთხრა მან იუდადან მოსულ ღვთისკაცს: „ასე ამბობს უფალი: რაკი უფლის სიტყვას გადახვედი და არ შეასრულე მისი ბრძანება, რაც უფალს, შენს ღმერთს, ჰქონდა შენთვის ნაბრძანები,

²²არამედ გაბრუნდი, პური ჭამე და წყალი დალიე იმ ადგილას, რომელზეც გიბრძანა: ნურც პურს შეჭამ და ნურც წყალს დალევო, ამიტომ არ ჩავა შენი გვამი შენი მამების სამარხებში.“

²³შემდეგ კი, როცა პური ჭამა და წყალი დალია მან, სახედარი შეუკაზმა წინასწარმეტყველს, რომელიც წელან გზიდან გამოაბრუნა.

²⁴და წავიდა და შემოეყარა გზად ლომი და მოკლა იგი ლომმა. გზაზე ეგდო მისი გვამი და სახედარი ედგა გვერდით, და ლომიც იდგა გვამთან.

²⁵დაინახა ჩამვლელმა ხალხმა გზაზე დაგდებული გვამი და იქვე მდგომი ლომი, მივიდნენ და მიიტანეს ამბავი ქალაქში, სადაც ის მოხუცი წინასწარმეტყველი ცხოვრობდა.

²⁶და გაიგო ეს ამბავი წინასწარმეტყველმა, რომელმაც გზიდან გამოაბრუნა ის კაცი და თქვა: „ეს ის ღვთისკაცია, უფლის ბრძანებას რომ გადავიდა; უფალმა მისცა ლომს, რომელსაც დაუტორავს და მოუკლავს, უფლის სიტყვისამებრ, როგორც ნათქვამი ჰქონდა მისთვის.“

²⁷და თავის შვილებს უთხრა: „შემიკაზმეთ სახედარი.“ და შეუკაზმეს.

²⁸და წავიდა და იპოვა გზაზე დაგდებული მისი გვამი, სახედარი და ლომი იდგნენ გვამთან. ლომს არც გვამი შეუჭამია და არც სახედარი დაუტორავს.

²⁹და აიღო წინასწარმეტყველმა ღვთისკაცის გვამი, გადაჰკიდა სახედარს და უკან წამოიღო. და მოვიდა ქალაქში მოხუცი წინასწარმეტყველი, რათა დაეტირა და დაემარხა იგი.



³⁰და ჩაასვენა გვამი თავის სამარხში და დასტიროდა მას: ვაი, ძმაო ჩემო!

³¹და როცა დამარხა, უთხრა თავის შვილებს: „როცა მოვკვდები, დამმარხეთ სამარხში, სადაც ღვთისკაცი მარხია, მისი ძვლების გვერდით დაასვენეთ ჩემი ძვლები,

³²რადგან ახდება სიტყვა, რაც უფლის ჩაგონებით მიმართა მან ბეთელში მდგარ სამსხვერპლოს და გორაკთა სახლებს, სამარიის ქალაქებში რომ არის აღმართული.“

³³ამ ამბების შემდეგაც არ მიუტოვებია იერობოყამს ბოროტ გზაზე სიარული, და კვლავ განაწესებდა ხალხიდან გორაკთა მღვდლებს; ვინც მოეწონებოდა, იმას აუვსებდა ხელს და ის ხდებოდა გორაკთა ქურუმი.

³⁴ეს იყო მიზეზი, რომ ცოდვაში ჩავარდა იერობოყამის სახლი, რომ მოისპო და წარიხოცა პირისაგან მიწისა.

მესამე მეფეთა 14

¹იმ ხანად დასნეულდა იერობოყამის ძე – აბია.

²და უთხრა ცოლს იერობოყამმა: „ადექი და გადაიცვი, რათა ვერ გიცნონ, იერობოყამის ცოლი რომ ხარ, და წადი შილოში. იქ არის წინასწარმეტყველი აბია; მან მე მიწინასწარმეტყველა, ამ ერის მეფე გახდებო.

³მხართვი იმ ღვთის კაცს ათი პური, კვერები ბავშვებისათვის და ერთი ქილა თაფლი. მიდი და ის გეტყვის, რა მოუვა ბავშვს.“

⁴ასე გააკეთა იერობოყამის ცოლმა: ადგა და წავიდა შილოში, და მივიდა აბიას სახლში. მაგრამ ვეღარ ხედავდა აბია, რადგან სიბერის გამო თვალისჩინი წართმეოდა.

⁵უფალმა უთხრა აბიას: „აჰა, იერობოყამის ცოლი მოდის, თავისი ავადმყოფი ბავშვის ამბავი რომ გკითხოს; ასე და ასე ელაპარაკე; როცა შემოვა, სხვა ვინმედ მოგაჩვენებს თავს.“

⁶როცა გაიგონა აბიამ კართან მომდგარი ქალის ფეხის ხმა, დაუძახა: „შემოდი, იერობოყამის ცოლო! სხვა ვინმედ რად გვაჩვენებ თავს? მძიმე ამბავი უნდა გამცნო.

⁷წადი, უთხარი იერობოყამს: ასე ამბობს-თქო უფალი, ისრაელის ღმერთი: ‘მე აღაზივე შენ ამ ერში და ისრაელის ერისმთავრად დაგადგინე;

⁸მე გამოვგლიჯე დავითის სახლს მეფობა და შენ მოგეცი, თუმცა არ ჰგავხარ ჩემს მსახურს, დავითს, რომელიც იცავდა ჩემს მცნებებს, მთელი გულით მომყვებოდა და მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც ჩემს თვალში სიწრფელე იყო.



⁹შენ ყველა მათგანზე უარესად მოიქეცი, ვინც კი შენამდე ყოფილა: წახვედი და უცხო ღმერთები და კერპები გაიჩინე ჩემს გასარისხებლად; თავად მე კი ზურგი მადრიკე.

¹⁰ამიტომ აჰა, უბედურებას დავატებ იერობოყამის სახლს და ამოვძირკვავ ყველა კაცს, ყმასა და ისრაელში დარჩენილ აზატს და გავხვეტ იერობოყამის სახლს, როგორც ნაგავს გახვეტენ ხოლმე პირწმინდად.

¹¹ვინც ქალაქში მოუკვდება იერობოყამს, იმას ძაღლები შეჭამენ, ვინც ველად მოუკვდება, ცის ფრინველები დაჯიჯგნიან;’ ასე ბრძანა-თქო უფალმა.

¹²ახლა ადექი და შინ წადი; როგორც კი ფეხს შეადგამ ქალაქში, ბავშვი მოგიკვდება.

¹³და დაიტირებს მთელი ისრაელი და დამარხავენ. ეგ ერთადერთი იქნება იერობოყამის მთელი სახლიდან, ვინც საფლავში დაიმარხება, რადგან მხოლოდ მასში აღმოჩნდა რაღაც სიკეთე უფლის, ისრაელის ღმერთის წინაშე.

¹⁴უფალი აღიდგენს ისრაელზე თავის სასურველ მეფეს, რომელიც დასცემს იერობოყამის სახლს იმ დღეს; თუმცა, რატომ ახლავე არა?

¹⁵და დალაზვრავს უფალი ისრაელს და დაემსგავსება იგი ლერწამს, წყალში რომ ირყევა, და აღმოვხვრის ისრაელიანთ ამ დალოცვილი მიწიდან, რომელიც მათ მამებს მისცა, და მდინარის გაღმა გადარეკავს მათ, რადგან აშერები გაიჩინეს უფლის გასარისხებლად.

¹⁶და გასწირავს ისრაელს იერობოყამის გამო, თავადაც რომ სცოდა და ისრაელიც შეიყვანა ცოდვაში.“

¹⁷და ადგა იერობოყამის ცოლი და წავიდა, და მივიდა თირცაში. და ვიდრე ზღურბლს გადააბიჯებდა, მოკვდა ყმაწვილი.

¹⁸და დამარხეს ის, და დაიტირა მთელმა ისრაელმა, როგორც ნათქვამი ჰქონდა უფალს თავისი მსახურის, ახია წინასწარმეტყველის პირით.

¹⁹იერობოყამის დანარჩენი საქმენი, როგორ იბრძოდა იგი და როგორ გამეფდა, ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი.

²⁰ხანი იერობოყამის მეფობისა იყო 22 წელი. და განისვენა მან თავის მამებთან, და მის ნაცვლად ნადაბი გამეფდა, მისი ძე.

²¹ხოლო რეხობოყამი, სოლომონის ძე, იუდაში მეფობდა. 41 წლისა იყო რეხობოყამი, როცა გამეფდა, და ჩვიდმეტ წელს იმეფა იერუსალიმში, ქალაქში, რომელიც ისრაელის ყველა შტოდან ამოირჩია უფალმა თავისი



სახელის იქ დასამკვიდრებლად. დედამისს ერქვა ნაყამა, ყამონელი ქალი იყო ის.

²²ბოროტებას სჩადიოდა იუდა უფლის თვალში, და თავიანთ მამებს გადაამეტეს ცოდვებში, რითაც გულისწყრომით ავსებდნენ უფალს.

²³ყოველ მაღალ ბორცვზე ააგეს სვეტები და მოაწყვეს აშერები და ბომონები დაბურული ხეების ქვეშ.

²⁴ტაძრის მსიძავნიც იყვნენ ქვეყანაში, სჩადიოდნენ იმ ხალხების ყოველგვარ სიბილწეს, რომელნიც განდევნა უფალმა ისრაელიანთაგან.

²⁵რეხოხოყამის მეფობის მეხუთე წელს ეგვიპტის მეფე შიშაკი თავს დაესხა იერუსალიმს.

²⁶და წაიღო უფლის ტაძრისა და სამეფო სახლის განმეულობა, ყველაფერი წაიღო, წაიღო ოქროს ფარებიც, სოლომონმა რომ გააკეთებინა.

²⁷მათ ნაცვლად მეფე რეხოხოყამმა ბრინჯაოს ფარები დაამზადებინა და ისინი დაცვის უფროსებს ჩააბარა, რომელნიც სამეფო სახლის შესასვლელს დარაჯობდნენ.

²⁸როცა მეფე უფლის სახლში შედიოდა, მცველებს მიჰქონდათ ისინი, და მერე ისევ აბრუნებდნენ მცველთა ოთახში.

²⁹რეხოხოყამის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გააკეთა, იუდას მეფეთა მატთანეშია ჩაწერილი.

³⁰რეხოხოყამი და იეროხოყამი მთელი მათი სიცოცხლის მანძილზე ებრძოდნენ ერთმანეთს.

³¹განისვენა რეხოხოყამმა თავის მამებთან, და დაიმარხა თავისი მამების გვერდით დავითის ქალაქში. დედამისი იყო ნაყამა, ყამონელი ქალი. და გამეფდა მის ნაცვლად მისი ძე – აზიაში.

მესამე მეფეთა 15

¹იეროხოყამ ნებატის ძის მეფობის მეთვრამეტე წელს აზიაში გამეფდა იუდაზე.

²სამ წელიწადს მეფობდა იგი იერუსალიმში. დედამისი იყო მაყაქა, აბესალომის ასული.

³და დადიოდა ყველა იმ ცოდვით, რასაც მის წინ მამამისი სჩადიოდა, და არ იყო სრულად მინდობილი მისი გული უფლისადმი, როგორც მისი წინაპრის, დავითის გული.



- ⁴უფალმა, მისმა ღმერთმა, დავითის გამო მისცა მას ლამპარი იერუსალიმში, რომ დაუსვა ძე მემკვიდრედ და შეუნარჩუნა იერუსალიმი.
- ⁵რადგანაც სწორად იქცეოდა დავითი უფლის თვალში და მთელს მის სიცოცხლეში არ გადასულა ყოველივე იმას, რაც მან აღუთქვა მას, გარდა ურია ხეთელის ამბისა.
- ⁶გამუდმებული ბრძოლა იყო რეხოხოყამსა და იეროხოყამს შორის.
- ⁷აბიამის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც მან გააკეთა, იუდას მეფეთა მატრიანეშია ჩაწერელი. ბრძოლა იყო გაჩაღებული აბიამსა და იეროხოყამს შორის.
- ⁸და განისვენა აბიამმა თავის მამებთან, და დამარხეს იგი დავითის ქალაქში. მის ნაცვლად მისი ძე – ასა გამეფდა.
- ⁹ისრაელის მეფის, იეროხოყამის მეფობის მეოცე წელს იუდაზე გამეფდა ასა
- ¹⁰და 41 წელიწადს მეფობდა იერუსალიმში. დედამისს, აბესალომის ასულს, მაყაქა ერქვა.
- ¹¹უფლის მოსაწონად იქცეოდა ასა დავითის, მამამისის მსგავსად.
- ¹²გაყარა ტაძრის მსიძავნი ქვეყნიდან და ერთიანად მოიშორა კერპები, რომლებიც მის მამებს ჰქონდათ გაკეთებული.
- ¹³თვით დედამისი, მაყაქაც კი ჩამოაშორა დედოფლობას, რადგან კერპი ჰქონდა დადგმული აშერასთვის. აჩეხა ასამ მისი კერპი და კიდრონის ხევში დაწვა.
- ¹⁴გორაკები კი არ მოუშორებია, თუმცა სრულად იყო ასას გული მინდობილი უფლისადმი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე.
- ¹⁵და შეიტანა უფლის სახლში თავისი შეწირული და მამამისის შეწირული ნივთები – ოქრო-ვერცხლი და ჭურჭელი.
- ¹⁶გამუდმებული ბრძოლა იყო ასასა და ისრაელის მეფე ბაყაშას შორის მთელი მათი სიცოცხლის მანძილზე.
- ¹⁷და გავიდა ისრაელის მეფე – ბაყაშა იუდას წინააღმდეგ და იწყო რამას შენება, რათა არავინ გამოეშვა ასასგან, იუდას მეფისგან, და არავინ შეეშვა მასთან.
- ¹⁸და აიღო ასამ მთელი ოქრო-ვერცხლი, რაც კი უფლის ტაძრის საგანძურსა და სამეფო სახლის საგანძურებში იყო დარჩენილი და ხელში მისცა თავის მსახურთ, და გააგზავნა ისინი მეფე ასამ ბენ-ჰადადთან, ხეზიონის ძის, ტაბრიმონის ძესთან, არამის მეფესთან, დამასკოში რომ ცხოვრობდა, და შეუთვალა:



¹⁹იყოს კავშირი მე და შენს შორის, როგორც იყო მამაჩემსა და მამაშენს შორის; აჰა, გიგზავნი ძღვნად ოქრო-ვერცხლს; გაწყვიტე კავშირი ბაყაშასთან, ისრაელის მეფესთან, რათა ჩამომეხსნას.

²⁰და დაუჯერა ბენ-ჰადადმა მეფე ასას, და გაგზავნა თავისი მხედართმთავრები ისრაელის ქალაქთა წინააღმდეგ. და დალაშქრა ყიონი, დანი, აბელ-ბეთ-მაყაქა, მთელი ქინერეთი და ნაფთალის მთელი მხარე.

²¹ეს რომ შეიტყო ბაყაშამ, შეწყვიტა რამას შენება და თირცაში დაბრუნდა.

²²და მოუხმო მეფე ასამ უკლებლივ მთელს იუდას და გაზიდეს რამას ქვები და ხე-ტყე, რასაც სამშენებლოდ იყენებდა ბაყაშა. და ააშენა ამით მეფე ასამ ბენიამინის გეზაყი და მიცფა.

²³ასას ყველა დანარჩენი საქმეები და ყველა მისი გმირობა და ყველაფერი, რაც გააკეთა, ქალაქები რომ ააშენა, იუდას მეფეთა მატთანეშია ჩაწერილი, გარდა იმისა, რომ სიბერეში ფეხები სტკიოდა.

²⁴განისვენა ასამ თავის მამებთან და დაიმარხა მათ გვერდით დავითის, მამამისის ქალაქში. და მის ნაცვლად მისი ძე – იოშაფატი გამეფდა.

²⁵ისრაელზე იერობოყამის ძე ნადაბი გამეფდა ასას, იუდას მეფის მეორე წელს, და ორი წელი მეფობდა ისრაელზე.

²⁶ცუდს აკეთებდა იგი უფლის თვალში, და მიჰყვებოდა მამამისის გზას და მის ცოდვებს, და ისრაელსაც აცდუნებდა.

²⁷აუჯანყდა მას ბაყაშა, ახიას ძე, ისაქარის სახლის შვილი, და მოკლა იგი ბაყაშამ ფილისტიმის გიბეთონში, როცა ნადაბი და მთელი ისრაელი გიბეთონს ედგნენ ალყად.

²⁸მოკლა იგი ბაყაშამ იუდას მეფე ასას მეფობის მესამე წელს და მის ნაცვლად გამეფდა.

²⁹გამეფდა თუ არა, მუსრი გაავლო იერობოყამის მთელ სახლს. ცოცხალი არავინ დაუტოვა იერობოყამს, ვიდრე მთლიანად არ გაანადგურა, უფლის სიტყვისამებრ, როგორც მან თავისი მსახურის, შილოელი ახიას პირით ბრძანა,

³⁰იერობოყამის ცოდვების გამო, თვითონ რომ შესცოდა და ისრაელიც აცდუნა, როცა გულისწყრომით აავსო უფალი, ისრაელის ღმერთი.

³¹ნადაბის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც მან გააკეთა, ისრაელის მეფეთა მატთანეში არის ჩაწერილი.

³²და გამუდმებული ომი იყო ასასა და ისრაელის მეფეს, ბაყაშას შორის.



³³იუდას მეფე ასას მეფობის მესამე წელს გამეფდა ბაყაშა, ახიას ძე მთელს ისრაელზე თირცაში და 24 წელი იმეფა.

³⁴ბოროტებას სჩადიოდა უფლის თვალში, მიჰყვებოდა იერობოყამის გზას და მის ცოდვებს, და ისრაელსაც აცდუნებდა.

მესამე მეფეთა 16

¹იყო უფლის სიტყვა ხანანის ძის, იეჰუს მიმართ ბაყაშაზე:

²„მიწის მტვრიდან აგამაღლე და ჩემი ერის, ისრაელის წინამძღოლად დაგადგინე, მაგრამ რაკი იერობოყამის გზას მიჰყვები, აცდუნებ ჩემს ერს, ისრაელს, და მბოროტებ მათი ცოდვებით,

³აჰა, მოვსპობ ბაყაშას და მის სახლს, და იმავეს დავმართებ შენს სახლს, რაც იერობოყამ ნებატის ძის სახლს დავმართე.

⁴ვინც ქალაქში მოუკვდება ბაყაშას, ძაღლები შეჭამენ მას; ვინც ველად მოუკვდება – ცის ფრინველები დაჯიჯგნიან.“

⁵ბაყაშას დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გააკეთა, და გმირობანი ისრაელის მეფეთა მატთანშია ჩაწერილი.

⁶განისვენა ბაყაშამ თავის მამებთან, და დაიმარხა თირცაში; და მისი ძე, ელა გამეფდა მის ნაცვლად.

⁷წინასწარმეტყველ იეჰუს, ხანანის ძის პირით გამოცხადდა უფლის სიტყვა ბაყაშასა და მისი სახლის გამო, და ყოველი ბოროტების გამო, რასაც უფლის თვალში აკეთებდა იგი, რომ აბოროტებდა თავისი ხელის ნამოქმედართ უფალს, რომ ბაძავდა იერობოყამის სახლს, რის გამოც მოისპო იგი.

⁸იუდას მეფე ასას მეფობის ოცდამეექვსე წელს გამეფდა ელა, ბაყაშას ძე, ისრაელზე თირცაში, და ორ წელს იმეფა.

⁹და აუჯანყდა მისი მსახური ზიმრი, ეტლიონის ერთი ნახევრის მეთაური. ღვინით იყო მთვრალი ელა თირცას სასახლის მოურავის, არცას სახლში,

¹⁰და როცა შემოვიდა ზიმრი, ჩასცა მახვილი და მოკლა იგი იუდას მეფე ასას ოცდამეშვიდე წელს და მის ნაცვლად გამეფდა.

¹¹როგორც კი გამეფდა და დაჯდა მის ტახტზე, მუსრი გაავლო ბაყაშას მთელ სახლს, ერთი კაციც არ დაუტოვა ცოცხალი, არც მისი ნათესავი და არც მისი მეგობარი.

¹²და მოსპო ზიმრიმ ბაყაშას მთელი სახლი, უფლის სიტყვისამებრ, როგორც ნათქვამი ჰქონდა ბაყაშაზე იეჰუ წინასწარმეტყველის პირით,



¹³ყველა იმ ცოდვის გამო, რაც ბაყაშამ და ელამ ჩაიდინეს, და იმის გამოც, რომ აცდუნებდნენ ისრაელს და თავიანთი კერპებით აბოროტებდნენ უფალს, ისრაელის ღმერთს.

¹⁴ელას დანარჩენი საქმენი და ყველაფერი, რაც მან გააკეთა, ისრაელის მეფეთა მატთანშია ჩაწერილი.

¹⁵იუდას მეფის, ასას ოცდამეშვიდე წელს გამეფდა ზიმრი და იმეფა შვიდ დღეს თირცაში. ამ დროს იყო, რომ შემოადგა ხალხი ფილისტიმის გიბეთონს.

¹⁶როცა შეიტყო მოალყე ხალხმა, რომ ზიმრი აჯანყდა და მეფე მოკლავდა, ბანაკად მყოფმა ისრაელიანებმა იმავე დღეს ისრაელზე მხედართმთავარი ყომრი გაამეფეს.

¹⁷და დაიდრა ყომრი და მთელი ისრაელი მასთან ერთად გიბეთონიდან და ალყა შემოარტყეს თირცას.

¹⁸როცა დაინახა ზიმრიმ, რომ აღებულია ქალაქი, შევიდა სამეფო სახლის პალატაში და თავზე გადაიწვა სამეფო სახლი, და ასე მოკვდა იგი,

¹⁹იმ ცოდვების გამო, რასაც სჩადიოდა, ბოროტს რომ აკეთებდა უფლის თვალში, რომ მიჰყვებოდა იერობოყამის გზას და მის ცოდვებს, რომელთაც იერობოყამი აკეთებდა ისრაელის საცდუნებლად.

²⁰ზიმრის დანარჩენი საქმენი და შეთქმულება, რომელიც მან მოაწყო, ჩაწერილია ისრაელის მეფეთა მატთანში.

²¹მაშინ გაიყო ისრაელის ერი ორ ნაწილად: ხალხის ერთი ნაწილი თიბნის, გინათის ძის მხარეზე იყო, რათა გაემეფებინათ იგი, მეორე ნაწილი ყომრის უჭერდა მხარს.

²²და სძლია ყომრის მომხრე ხალხმა თიბნი გინათის ძის მომხრე ხალხს. მოკვდა თიბნი და გამეფდა ყომრი.

²³იუდას მეფე ასას ოცდამეთერთმეტე წელს გამეფდა ყომრი ისრაელზე და თორმეტ წელს იმეფა. ექვს წელს თირცაში მეფობდა იგი.

²⁴და იყიდა ყომრიმ სამარიის მთა შემერისგან ორ ტალანტ ვერცხლად და გააშენა ეს მთა, და მთის პატრონის, შემერის სახელზე, თავის გაშენებულ ქალაქს სამარია უწოდა.

²⁵ბოროტებას სჩადიოდა ყომრი უფლის თვალში და გადაამეტა ბოროტებაში ყველას, ვინც მის წინ იყო.



²⁶და მიჰყვებოდა იეროზოყამ ნებატის ძის გზას და მის ცოდვებს, რომლითაც აცდუნა იეროზოყამა ისრაელი და თავისი კერპებით გააბოროტა უფალი, ისრაელის ღმერთი.

²⁷ყომრის დანარჩენი საქმენი, რაც გააკეთა, და გმირობანი, რაც ჩაიდინა, ჩაწერილია ისრაელის მეფეთა მატთანში.

²⁸და განისვენა ყომრიმ თავის მამებთან. და დაიმარხა სამარიაში. მის ნაცვლად მისი ძე ახაბი გამეფდა.

²⁹და გამეფდა ისრაელზე ახაბი, ყომრის ძე, იუდას მეფის, ასას ოცდამეთვრამეტე წელს. იმეფა ახაბ ყომრის ძემ ისრაელზე სამარიაში 22 წელი.

³⁰ბოროტებას სჩადიოდა ახაბ ყომრის ძე უფლის თვალში, ყველაზე უარესად, ვინც მის წინ იყო.

³¹და არ იკმარა იეროზოყამ ნებატის ძის ცოდვილ გზაზე სიარული და მოიყვანა ცოლად იეზებელი, ციდონელთა მეფის – ეთბაყალის ასული, და დაუწყო ბაყალს მსახურება და თაყვანისცემა.

³²და აღუმართა სამსხვერპლო ბაყალს ბაყალის ბომონში, რომელიც სამარიაში ააშენა.

³³და მოაწყო ახაბმა აშერა, და თავის წინამორბედ ისრაელის მეფეებზე უფრო მეტად აბოროტებდა ახაბი უფალს, ისრაელის ღმერთს.

³⁴მის დროს ააშენა ხიელ ბეთელელმა იერიხო. თავის პირმშოზე, აბირამზე დაუდო საფუძველი და სეგუბზე, უმცროს ვაჟზე, დაადგინა მისი კარიბჭე, უფლის სიტყვისამებრ, როგორც ნაბრძანები ჰქონდა მას იესო ნავეს ძის პირით.

მესამე მეფეთა 17

¹და უთხრა ელია თიშბელმა, გალაადის მცხოვრებმა, ახაბს: „ვეიცავ უფალს, ისრაელის ღმერთს, რომლის წინაშეც ვდგავარ, რომ არ იქნება ამ წლებში არც ცვარი და არც წვიმა, თუ არა ჩემი სიტყვით.“

²და გამოეცხადა უფლის სიტყვა:

³„წადი აქედან და აღმოსავლეთისაკენ იარე და ჩაიმალე ქერიტის ხევში, იორდანეს პირდაპირ რომ არის.

⁴ამ ხევის წყალი სვი, ყორნებს კი მე ვუბრძანე, რომ გამოგკვებონ იქ.“



⁵წავიდა ის და უფლის სიტყვისამებრ მოიქცა; წავიდა და ჩაჯდა ქერიტის ხევში, იორდანეს პირდაპირ რომ არის.

⁶და მოჰქონდათ დილა-საღამოს ყორნებს მისთვის პური და ხორცი, წყალს კი ხევისას სვამდა.

⁷გამოხდა ხანი და დაშრა ხევი, რადგან წვიმა არ მოდიოდა ქვეყანაზე.

⁸და იყო უფლის სიტყვა მის მიმართ:

⁹„ადექი და წადი ციდონის ცარეფათში, და იქ დარჩი. მე ერთ იქაურ ქვრივ დედაკაცს შევუთვალე, რომ საჭმელი გაძლიოს.“

¹⁰და ადგა და წავიდა ცარეფათში. ქალაქის კარიბჭეს რომ მიადგა, აჰა, ქვრივი დედაკაცი შეშას აგროვებს. დაუძახა და უთხრა: „ცოტა წყალი მომიტანე ჭურჭლით, რომ დავლიო.“

¹¹და როცა ის ამოსახაპად წავიდა, მან მიაძახა: პურის ნატეხიც გამოაყოლეო.

¹²და თქვა მან: „უფალს, შენს ღმერთს ვფიცავ, რომ ერთი ხმიადიც არ გამაჩნია, მხოლოდ ერთი მუჭა ფქვილი თუ მექნება საფქვილეში და ცოტაოდენი ზეთი – საზეთეში. აგერ, ორ გუდურა ფიჩხს შევაგროვებ, წავალ და გამოვაცხოზ ჩემთვის და ჩემი ბიჭისთვის; იმას შევჭამთ და მერე, ალბათ, შიმშილით დავიხოცებით.“

¹³და უთხრა ელიამ: „ნუ გეშინია, წადი და, როგორც თქვი, ისე მოიქეცი; ოღონდ ჯერ ჩემთვის გამოაცხვე პატარა ხმიადი და მომიტანე. შენთვის და შენი შვილისთვის მერე გამოაცხოზ რამეს,

¹⁴რადგან ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: საფქვილესა შენსა არა მოაკლდეს ფქვილი და საზეთესა შენსა არა მოაკლდეს ზეთი, ვიდრე უფალი წვიმას არ მოიყვანსო ამ მიწაზე.“

¹⁵და წავიდა დედაკაცი და ისე გააკეთა, როგორც ელიამ უთხრა. და ჯამდა თვითონ, მისი სახლიც და ელიაც ერთხანს.

¹⁶ფქვილი საფქვილეში არ ილეოდა და ზეთი დოქში არ იკლებდა, უფლის სიტყვისამებრ, როგორც ნათქვამი ჰქონდა ელიას პირით.

¹⁷ამ ამბების შემდეგ ავად გახდა იმ დედაკაცის – ოჯახის უფროსის ბიჭი. ძალზე მძიმე იყო მისი სენი, იმდენად რომ, სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

¹⁸და უთხრა დედაკაცმა ელიას: „რა გინდა ჩემგან, ღვთისკაცო? ეტყობა, ჩემი ცოდვების მოსაკითხად და ჩემი ბიჭის მოსაკლავად მოხვედი.“



¹⁹და უთხრა მან დედაკაცს: „მომეცი შენი ვაჟი.“ და უბიდან გამოართვა დედას ბავშვი, და ზემოთვალში აიყვანა, სადაც თვითონ ცხოვრობდა, და თავის საწოლზე დააწვინა.

²⁰და შეჰღაღადა უფალს და უთხრა: „უფალო, ღმერთო ჩემო! ნუთუ ამ ქვრივ ქალსაც, რომელთანაც მწირადა ვარ, ბოროტს უზამ და შვილს მოუკლავ?“

²¹და სამგზის გადაემხო ბავშვს და შეჰღაღადა უფალს: „უფალო, ღმერთო ჩემო! ჩააბრუნე ამ ყრმის სული მასში.“

²²და ისმინა უფალმა ელიას ღაღადი და ჩაბრუნდა ყრმაში მისი სული, და გაცოცხლდა იგი.

²³აიყვანა ელიამ ყრმა და ჩამოიყვანა ზემო თვალიდან, მიაწოდა დედას და უთხრა: „ნახე, ცოცხალია შენი ძე.“

²⁴და უთხრა დედაკაცმა ელიას: „ახლა კი მივხვდი, რომ ღვთისკაცი ხარ და შენს ბაგეებში ჭეშმარიტად უფლის სიტყვაა.“

მესამე მეფეთა 18

¹კარგა ხანმა გაიარა და მესამე წელს იყო უფლის სიტყვა ელიას მიმართ: „წადი, ეჩვენე ახაბს, და მეც ვაწვიმებ დედამიწაზე.“

²და წავიდა ელია, რომ სჩვენებოდა ახაბს. დიდი შიმშილობა იყო სამარიაში.

³და დაუმახა ახაბმა ყობადიაჰუს, სასახლის მოურავს – ძალზე ღვთისმოშიში იყო ყობადიაჰუ.

⁴როცა იეზებელი უფლის წინასწარმეტყველთ ჟლეტდა, წაიყვანა ყობადიაჰუმ 100 წინასწარმეტყველი და ორმოცდაათ-ორმოცდაათ კაცს მალავდა მღვიმეებში და პურითა და წყლით არჩენდა მათ.

⁵და უთხრა ახაბმა ყობადიაჰუს: „წადი და მოიარე ქვეყნის წყაროები და ღელეები; იქნებ აღმოჩნდეს სადმე ბალახი, რომ როგორმე გამოვკვებო ცხენები და ჯორები და არ გაგვიწყდეს პირუტყვი.“

⁶და დაინაწილეს ქვეყანა ერთმანეთში, ვინ სად უნდა წასულიყო: ახაბი მარტო წავიდა ერთი გზით, და ყობადიაჰუ მეორე გზით წავიდა მარტო.

⁷გზად რომ იყო ყობადიაჰუ, აჰა, ელია შემოეყარა, იცნო და დაეცა მის წინაშე და უთხრა: „ნუთუ შენ ელია ხარ, ჩემო ბატონო?“

⁸უთხრა: „მე ვარ. წადი და უთხარი შენს ბატონს: აქ ელია არის-თქო.“

⁹და უთხრა ყობადიაჰუმ: „რა დავაშავე, რომ შენი მსახური ახაბის ხელში გინდა ჩააგდო მოსაკლავად?“



¹⁰უფალს, შენს ღმერთს გეფიცები, რომ არ დარჩენილა ხალხი ან სამეფო, სადაც შენს მოსამებნად არ გაეგზავნოს კაცი ჩემს ბატონს. და როცა ეუბნებოდნენ, აქ არ არისო, ის იმ სამეფოსა და ხალხისგან ფიცით მოითხოვდა იმის დადასტურებას, რომ სინამდვილეში ვერ გიპოვეს.

¹¹ახლა კი მეუბნები, წადი და უთხარი შენს ბატონს, რომ ელია აქ არისო.

¹²როცა გაგმორდები, მაშინ გაგიტაცებს უფლის სული, და არ მეცოდინება – საით; და თუ მივალ შესატყობინებლად ახაბთან, და ვერ გიპოვნის, მომკლავს შენს მსახურს; შენი მსახური კი ყმაწვილკაცობიდანვე ღვთის მოშიშია.

¹³განა არ მოგიტხრეს ჩემს ბატონს, რაც გავაკეთე, როცა იეზებელი უფლის წინასწარმეტყველთ ხოცავდა, როგორ ვმაღავდი უფლის ას წინასწარმეტყველს, ორმოცდაათ-ორმოცდაათ კაცს მღვიმეებში და პურიტა და წყლით ვარჩენდი?

¹⁴ახლა მეუბნები: წადი და უთხარი შენს ბატონს, რომ ელია აქ არისო. ხომ მომკლავს!“

¹⁵და თქვა ელიამ: „ვფიცავ ცაბაოთ უფალს, რომლის წინაშეც ვდგავარ, რომ დღესვე ვეჩვენები მას.“

¹⁶და წავიდა ყობადიაჰუ ახაბის შესახვედრად და შეატყობინა. და წამოვიდა ახაბი ელიას შესახვედრად.

¹⁷როცა დაინახა ახაბმა ელია, უთხრა: „შენ აქა ხარ, ისრაელის ამრევო?“

¹⁸და თქვა ელიამ: „მე კი არ ვაშფოთებ ისრაელს, არამედ შენ და მამაშენის სახლი, იმით, რომ დაივიწყეთ უფლის მცნებანი და ბაყალებს გაჰყევით.“

¹⁹ახლა დაგზავნე ხალხი და შემიკრიბე ქარმელის მთაზე მთელი ისრაელი და ბაყალის წინასწარმეტყველნი – 450 კაცი და აშერას წინასწარმეტყველნი – 400 კაცი, იეზებელის სუფრაზე რომ ჭამენ.“

²⁰და დაგზავნა ახაბმა ხალხი მთელს ისრაელში და შეკრიბა წინასწარმეტყველნი ქარმელის მთაზე.

²¹და მივიდა ხალხთან ელია და უთხრა: „როდემდის უნდა იცვლიდეთ აზრს? თუ უფალი არის ღმერთი, მას გაჰყევით, ხოლო თუ ბაყალია, მას გაჰყევით.“ სიტყვა არ დაუძრავს ხალხს.

²²და უთხრა ელიამ ხალხს: „მე ერთი დავრჩი უფლის წინასწარმეტყველი, ბაყალის წინასწარმეტყველნი კი 450 კაცია.“



²³მოგვეცით ორი მოზვერი. ერთი მაგათ ამოირჩიონ; შუა გაკვეთონ და შემაზე შემოაწყონ, ოღონდ ცეცხლს ნუ შეუნთებენ. მეც გავამზადებ მეორე მოზვერს, შემაზე შემოვაწყობ და ცეცხლს არ შევუნთებ.

²⁴მოუხმეთ თქვენი ღმერთის სახელს, და მეც მოვუხმობ უფლის სახელს. და ღმერთი, რომელიც ცეცხლით გაგვცემს პასუხს, ღმერთი ის იქნება.“ და მიუგო მთელმა ხალხმა და თქვა: „კეთილი.“

²⁵და უთხრა ელიამ ბაყალის წინასწარმეტყველთ: „ამოირჩიეთ რომელიმე მოზვერი, პირველად თქვენ გაამზადეთ, რადგან ბევრნი ხართ. ახსენეთ თქვენი ღმერთის სახელი, ოღონდ ცეცხლი არ შეუნთოთ.“

²⁶და გამოიყვანეს მათ მოზვერი, რომელიც ერგოთ და გაამზადეს. დილიდან შუადღემდე მოუწოდებდნენ ბაყალის სახელს და ეძახდნენ: „ხმა გაგვეცი, ბაყალ!“ მაგრამ არც ხმა იყო საიდანმე და არც – პასუხი. და ხტოდნენ ისინი სამსხვერპლოს წინ, რომელიც მათ ააგეს.

²⁷შუადღისას დაცინვა დაუწყო მათ ელიამ: „მაგრად უყვირეთ! რადგან ღმერთია იგი; ალბათ ფიქრებშია ან რაიმე უჭირს, ან გზაშია. იქნებ სძინავს კიდევ და ეგრე გაიღვიძებს!“

²⁸დიდი ხმით გაჰყვიროდნენ და თავიანთი ჩვეულებისამებრ, ისე ისერავდნენ კანს მახვილებითა და ლახვრებით, რომ სისხლი ჩამოსდიოდათ ტანზე.

²⁹შუადღე გადავიდა, ისინი კი ისევ ქადაგებდნენ საღამოს მსხვერპლშეწირვამდე; მაგრამ არც ხმა ისმოდა, არც პასუხი, არც ჩქამი.

³⁰და უთხრა ელიამ მთელ ხალხს: „ახლოს მოდით.“ და მივიდა მასთან მთელი ხალხი. და დაიწყო მან უფლის დანგრეული სამსხვერპლოს აღდგენა.

³¹აიღო ელიამ 12 ლოდი, იაკობის ძეთა შტოების რიცხვის მიხედვით, რომლის მიმართაც იყო უფლის სიტყვა: ისრაელი იყოსო სახელი შენი.

³²და ააშენა ლოდებისგან სამსხვერპლო უფლის სახელზე. სამსხვერპლოს გარს შემოავლო ორი საწყაო მარცვლის ტევადობის თხრილი

³³და დააწყო შემა, შუა გაკვეთა მოზვერი და შემაზე დააწყო.

³⁴და თქვა: „ავსეთ წყლით ოთხი ჩაფი და გადაასხით სრულადდასაწველ მსხვერპლსა და შემას.“ და თქვა: „გაიმეორეთ.“ და გაიმეორეს. და თქვა: „მესამედ გადაასხით.“ მათაც გადაასხეს მესამედ.

³⁵და ჩამოედინა წყალი ირგვლივ სამსხვერპლოს და წყლით აივსო თხრილი.



³⁶მსხვერპლშეწირვის დრომ რომ მოაწია, ახლოს მოდგა ელია წინასწარმეტყველი და თქვა: „უფალო, ღმერთო აბრაამისა, ისაკისა და ისრაელისა! გაცხადდეს დღევანდელ დღეს, რომ შენა ხარ ერთი ღმერთი ისრაელში, მე კი შენი მსახური ვარ და შენი სიტყვისამებრ გავაკეთე ეს ყველაფერი.“

³⁷ხმა გამეცი, უფალო, ხმა გამეცი, რათა გაიგოს ამ ხალხმა, რომ შენ ღმერთი ხარ, უფალო, და შეგიძლია უკუმოაქციო მათი გულები.“

³⁸და გადმოვარდა უფლის ცეცხლი და შთანთქა სრულადდასაწველი მსხვერპლი, შეშა, ქვები და ტალახი, ამოაშრო წყალი, თხრილში რომ იდგა.

³⁹და როცა ეს დაინახა მთელმა ხალხმა, პირქვე დაემხო და შესძახა: „ჭეშმარიტად ეს არის უფალი ღმერთი!“

⁴⁰და უთხრა მათ ელიამ: „შეიპყართ ბაყალის წინასწარმეტყველნი! არავინ გაგექცეთ.“ და შეიპყრეს, და ჩაიყვანა ისინი ელიამ კიშონის ხევში და იქ დახოცა.

⁴¹და უთხრა ელიამ ახაბს: „წადი, ჭამე და სვი, რადგან წვიმის ხმაური ისმის უკვე.“

⁴²და წავიდა ახაბი, რომ ეჭამა და ესვა, ხოლო ელია ქარმელის თავზე ავიდა, მიწაზე დაიხარა და სახე მუხლებში ჩარგო.

⁴³და უთხრა თავის მსახურს: „წადი, ზღვისკენ გაიხედე.“ წავიდა ის და გაიხედა. და თქვა: „არაფერი ჩანს.“ და უთხრა ელიამ: „შვიდგზის გააკეთე ასე.“

⁴⁴მეშვიდე ჯერზე თქვა: „აჰა, მუშტისოდენა პატარა ღრუბელი ამოდის ზღვიდან.“ და თქვა ელიამ: „წადი, უთხარი ახაბს: შეაბი ეტლი და გაბრუნდი, წვიმამ არ მოგისწროს-თქო.“

⁴⁵ამასობაში ცა მოიქუფრა ღრუბლისა და ქარისაგან და წამოვიდა ხშირი წვიმა. და ჩაჯდა ეტლში ახაბი და იზრეყელისკენ გაემართა.

⁴⁶და იყო ხელი უფლისა ელიასთან. და შეისარტყლა წელი და ახაბის წინ მირბოდა იზრეყელამდე.

მესამე მეფეთა 19

¹და უამბო ახაბმა იეზებელს ყველაფერი, რაც ელიამ გააკეთა, და ისიც, რომ მან მახვილით ამოხოცა წინასწარმეტყველნი.



²მოციქული გაუგზავნა იეზებელმა ელიას და შეუთვალა: „ასე და ასე მიყონ ღმერთებმა და უარესიც დამმართონ, თუ ხვალ ამ დროს ისევ არ მოგექცე, როგორც შენ მოექცეცე თითოეულ იმათგანს.“

³შეეშინდა ელიას, ადგა და წავიდა, რათა თავი გადაერჩინა. და მივიდა იუდას ბეერ-შებაყში და დატოვა იქ თავისი მსახური.

⁴თავად კი უდაბნოში გავიდა ერთი დღის სავალზე, და მივიდა ერთი წნორნარის ბუჩქთან და მის ძირას დაჯდა, სიკვდილი ინატრა და თქვა: „ახლა კი კმარა, უფალო, წაილე ჩემი სული, რადგან ჩემს მამებზე უკეთესი არა ვარ.“

⁵და მიწვა და მიეძინა წნორნარის ბუჩქის ძირას. და აჰა, ანგელოზი შეეხო მას და უთხრა: „ადექი, ჭამე.“

⁶გაიხედა ელიამ, და, აჰა, გამომცხვარი კვერი და წყლის დოქი უდგას თავით. და შეჭამა, დალია და ისევ დაიძინა.

⁷მეორედ მოვიდა უფლის ანგელოზი, შეეხო მას და უთხრა: „ადექი და ჭამე, რადგან წინ დიდი გზა გაქვს.“

⁸და ადგა, ჭამა, სვა და ამ საჭმლით მომაგრებულმა 40 დღე და 40 ღამე იარა ღვთის მთამდე, ხორებამდე.

⁹შევიდა ერთ მღვიმეში და იქ დაიღამა. და, აჰა, უფლის სიტყვა იყო მის მიმართ და უთხრა: „აქ რა გინდა, ელია?“

¹⁰და მიუგო მან: „ცაბაოთ უფალი ღმერთის მოშურნე ვარ, მაგრამ დაივიწყეს შენი აღთქმა ისრაელიანებმა, დაანგრეს შენი სამსხვერპლოები, მახვილით დახოცეს შენი წინასწარმეტყველნი, მე ერთი დავრჩი, მაგრამ დამეძებენ, რათა სული ამომხადონ.“

¹¹ხოლო მან უთხრა: „გარეთ გამოდი და დადექი მთაზე უფლის წინაშე.“ და, აჰა, ჩაიარა უფალმა; და უფლის წინაშე ამოვარდა დიდი და ძლიერი ქარი, მთათა დამაქცეველი და კლდეთა შემმუსვრელი; მაგრამ ქარში არ იყო უფალი. ქარს მოჰყვა მიწისძვრა, არც მიწისძვრაში იყო უფალი;

¹²მიწისძვრას მოჰყვა ცეცხლი; მაგრამ არც ცეცხლში იყო უფალი. და ცეცხლს მოჰყვა ხმა ნელი ნიავისა.

¹³ეს რომ გაიგონა ელიამ, თავისი ხალენით დაიფარა სახე, გარეთ გავიდა და მღვიმის შესასვლელთან დადგა. და აჰა, ხმა იყო მასთან და უთხრა: „აქ რა გინდა, ელია?“

¹⁴და თქვა: „ცაბაოთ უფალი ღმერთის მოშურნე ვარ, მაგრამ დაივიწყეს შენი აღთქმა ისრაელიანებმა, და დაანგრეს შენი სამსხვერპლოები, მახვილით



დახოცეს შენი წინასწარმეტყველნი. მე ერთი დავრჩი, მაგრამ დამეძებენ, რათა სული ამომხადონ.“

¹⁵და უთხრა უფალმა: „წადი, გაბრუნდი შენი გზით უდაბნოზე და დამასკოში მიდი. როცა მიხვალ, სცხე ხაზაელს არამზე სამეფოდ.

¹⁶და იეჰუს, ნიმშის ძეს, სცხე ისრაელზე სამეფოდ. ელისეს კი, შაფატის ძეს, აბელ-მეხოლადან რომ არის, სცხე, რათა წინასწარმეტყველებდეს შენს ნაცვლად.

¹⁷და ასე მოხდება: ვინც ხაზაელის მახვილს გადაურჩება, იეჰუ მოკლავს მას; ვინც იეჰუს მახვილს გადაურჩება, ელისე მოკლავს მას.

¹⁸დავიტოვებ ისრაელში 7 ათას კაცს: ყველა მუხლს, რომელიც არ მოდრეკილა ბაყალის წინაშე და ყველა ბაგეს, რომელსაც არ უკოცნია მისთვის.“

¹⁹და წავიდა იქიდან და მოძებნა ელისე, შაფატის ძე, როცა ის ხნავდა; 12 უღელი ხარი ება და თავად ედგა მეთორმეტეს. ჩაუარა ელიამ და გადაუგდო თავისი ხალენი.

²⁰მიატოვა ხარები, გამოევიდა ელიას და უთხრა: „გამიშვი, ვეამბორო ჩემს დედ-მამას და მერე წამოგყვები.“ უთხრა: „წადი და უკანვე დაბრუნდი, მე ხომ არ გაკავებ?“

²¹და მოცილდა მას, და აიღო და დაკლა უღელი ხარი, უღელს მოუკიდა და შეწვა ხორცი, და გაუნაწილა ხალხს, და მათაც ჭამეს. თავად კი ადგა და გაჰყვა ელიას, და ემსახურებოდა.

მესამე მეფეთა 20

¹ბენ-ჰადადმა, არამის მეფემ, შეკრიბა მთელი თავისი საომარი ძალები, თან იახლა ³² მეფე, და ცხენებითა და ეტლებით დაიდრა, შემოადგა სამარიას და ბრძოლა გაუმართა.

²და გაუგზავნა მოციქულები ახაბს, ისრაელის მეფეს, ქალაქში,

³და შეუთვალა: „ასე ამბობს ბენ-ჰადადი: ჩემია შენი ვერცხლი და შენი ოქრო, ჩემები არიანო შენი ცოლები და შენი რჩეული ძენი.“

⁴და მიუგო ისრაელის მეფემ და უთხრა: „შენი სიტყვისამებრ იყოს, ჩემო მეფე-ბატონო! მეც შენი ვარ და ყოველივე, რაც გამაჩნია, შენია.“

⁵კვლავ მოვიდნენ მოციქულები და თქვეს: „ასე ამბობს ბენ-ჰადადი: მე შემოგითვალე: მომეცი-მეთქი შენი ვერცხლი და შენი ოქრო, შენი ცოლები და შენი ძენი;



⁶ხვალ ამ დროს გამოგიგზავნი ჩემს მსახურთ, რათა დაათვალიერონ შენი სახლი და შენი მსახურების სახლები; და რაც მოეწონებათ, აიღონ და წამოიღონ.”

⁷და მოუხმო ისრაელის მეფემ ქვეყნის მთელ უხუცესობას და უთხრა: „ნახეთ და შეიგნეთ, რომ ცუდ ამბავს გვიპირებს ეს კაცი, რადგან ჩემი ცოლების, ჩემი ვაჟების და ჩემი ოქრო-ვერცხლის წასართმევად გამოგზავნა ხალხი, მე უარი არ მითქვამს მისთვის.“

⁸და უთხრა მთელმა უხუცესობამ და მთელმა ერმა: „ყურს ნუ დაუგდებ და ნურც დათანხმდები.“

⁹და უთხრა მან ბენ-ჰადადის მოციქულებს: „ასე უთხარით ჩემს მეფე-ბატონს: რაც პირველად შემოუთვალე შენს მსახურს, იმას კი გავაკეთებ, მაგრამ ამ საქმის გაკეთება არ შემიძლია.“ და წავიდნენ მოციქულები და მიუტანეს პასუხი.

¹⁰და შეუთვალა ბენ-ჰადადმა: „ასე და ასე მიყონ ღმერთებმა და მეტიც დამმართონ, თუ ეყოს სამარიის მიწის თითო პეშვი მათ, ვისაც წინ მოვუძღვივარ.“

¹¹და უპასუხა ისრაელის მეფემ: „სარტყლის შემორტყმისას ტრაბახს სარტყლის შემოხსნისას ტრაბახი სჯობს.“

¹²და გაიგონა ეს შემონათვალი სიტყვა ბენ-ჰადადმა, რომელიც მეფეებთან ერთად ჩარდახში სვამდა და უთხრა თავის მსახურთ: „შემოეწყვეთ!“ ისინიც შემოეწყვნენ ქალაქს.

¹³და აჰა, მიუახლოვდა ერთი წინასწარმეტყველი ახაბს, ისრაელის მეფეს, და უთხრა: „ასე ამბობს უფალი: ‘ხომ ხედავ ამ უამრავ ხალხს? ხელში ჩაგაგდებინებ დღეს ყველას, რათა იცოდე, რომ მე უფალი ვარ.’“

¹⁴და თქვა ახაბმა: „ვისი წყალობით?“ და თქვა: „ასე ამბობს უფალი: ‘მხარეთა მთავრების მსახურთა წყალობით.’“ და თქვა: „ვინ წამოიწყებს ბრძოლას?“ და თქვა: „შენ.“

¹⁵და დათვალა მხარეთა მთავრების მსახურნი და აღმოჩნდა 232 კაცი, მათ მერე დათვალა მთელი ხალხი, ყველა ისრაელიანი – 7 ათასი კაცი.

¹⁶შუადღისას გავიდნენ, როცა ბენ-ჰადადი სვამდა და თვრებოდა ჩარდახში თავის თანამდგომ 31 მეფესთან ერთად.

¹⁷პირველად მხარეთა მთავრების მსახურნი გავიდნენ. გაგზავნა ბენ-ჰადადმა და ამბავი მოუტანეს: ხალხი გამოდისო სამარიიდან.



¹⁸და თქვა: „თუ სამშვიდობოდ არიან გამოსულნი, ცოცხლად შეიპყარით. თუ საომრად არიან გამოსულნი, ასევე შეიპყარით ცოცხლად.“

¹⁹გამოვიდნენ ქალაქიდან მხარეთა მთავრების მსახურნი და ლაშქარი, მათ რომ მიჰყვებოდა უკან.

²⁰ყველამ თავ-თავისი მეტოქე დასცა ძირს. უკუიქცნენ არამელები და დაედევნა მათ ისრაელი. და გაიქცა ცხენით ბენ-ჰადადი, არამის მეფე, მხედრებთან ერთად.

²¹და გამოვიდა ისრაელის მეფე და დასცხო ცხენებსა და ეტლებს. და დიდი გამარჯვება მოიპოვა არამზე.

²²და მიუახლოვდა წინასწარმეტყველი ისრაელის მეფეს და უთხრა: „წადი, გამაგრდი და იფიქრე, რა უნდა გააკეთო, რადგან წელიწადი შემობრუნდება და დაგესხმის თავს არამის მეფე.“

²³და უთხრეს მისმა მსახურებმა არამის მეფეს: „მთათა ღმერთია მათი ღმერთი, ამიტომაც გვძლიეს. თუ ვაკეზე შევებრძოლებით, უსათუოდ ვძლევათ.“

²⁴აბა, ასე მოიქეცი: თავ-თავის ადგილებს მოაშორე მეფეები და მათ ნაცვლად ერისმთავარნი დააყენე.

²⁵შეჰყარე იმდენივე ჯარი, რამდენიც დაგელუპა, იმდენივე ცხენი, რამდენიც გყავდა, და იმდენივე ეტლი, რამდენიც გქონდა. ვაკეზე შევებრძოლოთ მათ და უსათუოდ დავამარცხებთ.“ ყურად იღო მათი სიტყვა და ასე გააკეთა.

²⁶და როცა მობრუნდა წელიწადი, დაათვალიერა თავისი ლაშქარი არამის მეფემ და გაემართა აფეკისკენ ისრაელის ძეებთან საომრად.

²⁷და დაეწყვნენ ისრაელიანებიც, საგზალი მიიღეს და მათ შესახვედრად დაიძრნენ. თხის ორი ჯოგით დაიბანაკეს ისრაელიანთ მათ პირისპირ, ხოლო არამელებმა დაფარეს მიწა.

²⁸და გამოჩნდა ღვთისკაცი და უთხრა ისრაელის მეფეს: „ასე ამბობს უფალი: ‘რაკი თქვეს არამელებმა უფალზე, მთების ღმერთი არისო და ვაკეების ღმერთი არ არისო, მთელ ამ ურიცხვ ლაშქარს ხელში ჩაგაგდებინებ, რათა იცოდეთ, რომ უფალი ვარ.’“

²⁹ასე იყვნენ დაბანაკებულნი ერთმანეთის პირისპირ შვიდ დღეს. მეშვიდე დღეს გაიმართა ბრძოლა და გაწყვიტეს ისრაელიანთ არამელნი – 100 ათასი ქვეითი ერთ დღეს.



³⁰დანარჩენები ქალაქ აფეკში გაიქცნენ, დანარჩენი 27 ათასი კაცი კი კედელმა დაიტანა. ბენ-ჰადადიც გაიქცა, ქალაქში მივიდა და ერთი ოთახიდან მეორეში იმალებოდა.

³¹და უთხრეს მისმა მსახურებმა: „გვსმენია, გულმოწყალენი ყოფილან ისრაელის სახლის მეფეები; წელზე ჯვალოს შემოვიკრავთ, თავზე საბლებს დავიწყობთ და გავალთ ისრაელის მეფესთან, ვინძლო ცოცხლები დაგვტოვოს.“

³²წელზე ჯვალო შემოიკრეს, თავზე საბლები დაიდეს, და მივიდნენ ისრაელის მეფესთან და უთხრეს: „შენი მსახური ბენ-ჰადადი გთხოვს, სიცოცხლე შემინარჩუნეო.“ და თქვა: „ჯერ კიდევ ცოცხალია? ის ჩემი ძმა არის.“

³³და ინიშნეს ეს ამ კაცებმა, არ დაიბნენ და სასწრაფოდ მიუგეს: „შენი ძმა არის ბენ-ჰადადი.“ და თქვა მეფემ: „წადით და მოიყვანეთ.“ და გამოვიდა მასთან ბენ-ჰადადი და ეტლზე დაისვა იგი მეფემ.

³⁴და უთხრა: „დაგიბრუნებ იმ ქალაქებს, მამაშენს რომ წაართვა მამაჩემმა. იქონიე ქუჩები დამასკოში, როგორც მამაჩემს ჰქონდა სამარიაში. მე კი ხელშეკრულების დადებით გაგისტუმრებ.“ დაუდო ხელშეკრულება და გაისტუმრა.

³⁵და უთხრა ერთმა წინასწარმეტყველთა დასიდან მეორეს უფლის სიტყვით: მცემო. და არ ინდომა ამ კაცმა მისი ცემა.

³⁶და უთხრა: „რაკი არ გაიგონე უფლის ხმა, აჰა, წახვალ თუ არა ჩემგან, ლომი მოგკლავს.“ წავიდა მისგან კაცი, შემოეყარა ლომი და მოკლა.

³⁷და მოძებნა სხვა კაცი და უთხრა: მცემო. მაგრად სცემა იმ კაცმა და დააწყლულა.

³⁸და წავიდა წინასწარმეტყველი და დახვდა მეფეს გზაზე, სახეზე რიდე ჰქონდა აფარებული.

³⁹და როცა გამოიარა მეფემ, შეჰბღავლა მან მეფეს და უთხრა: „შუაგულ ბრძოლაში იყო შენი მსახური, როცა ვიღაც უცნობმა მომიყვანა კაცი და მითხრა: უყარაულე ამ კაცს; თუ დაიკარგა, შენი სული მისი სულის წილ იყოს, ანდა ერთი ტალანტი ვერცხლი გადაიხადეო.“

⁴⁰და გაერთო საქმით შენი მსახური და, აჰა, სადღაა ის კაცი.“ და უთხრა მას ისრაელის მეფემ: „შენ თავად გამოგიტანია განაჩენი საკუთარი თავისათვის.“

⁴¹და მყისვე გადაიძრო რიდე სახეზე და იცნო ისრაელის მეფემ, წინასწარმეტყველი დაინახა მასში.



⁴²და უთხრა წინასწარმეტყველმა: „ასე ამბობს უფალი: ‘რაკი ხელიდან გაუშვი ჩემი დარისხებული კაცი, იყოს შენი სული მისი სულის წილ, და შენი ხალხი – მისი ხალხის წილ.’“

⁴³და წავიდა ისრაელის მეფე შინისაკენ დამწუხრებული და შეშფოთებული და მივიდა სამარიას.

მესამე მეფეთა 21

¹და იყო ამ ამბების მერე: ვენახი ჰქონდა იზრეყელელ ნაბოთს იზრეყელში, ახაბის, სამარიის მეფის სასახლესთან.

²და ელაპარაკა ახაბი ნაბოთს და უთხრა: „დამითმე შენი ვენახი, საბოსტნედ მექნება, რადგან ჩემს სახლთან არის. სანაცვლოდ მასზე უკეთეს ვენახს მოგცემ, ანდა, თუ გინდა, მის საფასურ ვერცხლს გადაგიხდი.“

³და უთხრა ნაბოთმა ახაბს: „უფალმა დამიფაროს, რომ ჩემი მამების სამკვიდრო მოგცე!“

⁴და მოვიდა შინ ახაბი დაღვრემილი და შეწუხებული იმ სიტყვის გამო, იზრეყელელმა ნაბოთმა რომ უთხრა, ვერ მოგცემ ჩემი მამების სამკვიდროსო. და ჩაწვა საწოლში და პირი კედლისკენ ქნა, პურიც არ უჭამია.

⁵შევიდა მასთან იეზებელი, მისი ცოლი, და დაელაპარაკა: „რამ დაგინადვლიანა სული, რომ პურს არა ჭამ?“

⁶და უთხრა: „ველაპარაკე იზრეყელელ ნაბოთს და ვუთხარი: დამითმე შენი ვენახი ვერცხლად, ან, თუ გინდა, სანაცვლოდ სხვა ვენახს მოგცემ-მეთქი. უარით გამომისტუმრა.“

⁷და უთხრა იეზებელმა, მისმა ცოლმა: „ახლა დაამტკიცე, რომ ისრაელის მეფე ხარ! ადექი, პური ჭამე და გული გაიმხიარულე, და მე მოგცემ ნაბოთს იზრეყელელის ვენახს.“

⁸და დაწერა წერილები ახაბის სახელით, მისი ბეჭდით დაბეჭდა და დაუგზავნა წერილები უზუცესებს და წარჩინებულთ, ნაბოთთან რომ ცხოვრობდნენ მის ქალაქში.

⁹ასე ჩაწერა წერილებში: „გამოაცხადეთ მარხვა და ხალხის თავში დასვით ნაბოთი.“

¹⁰წინ დაუსვით ორი ბოროტი კაცი, რომ ცილი დასწამონ მას და უთხრან: შენ იყავი, ღმერთსა და მეფეს რომ აგინებდიო! და გაიყვანეთ და ჩაქოლეთ, რათა მოკვდეს.“



¹¹ისე გააკეთეს იმ ქალაქის კაცებმა – უხუცესებმა და წარჩინებულებმა, რომელნიც მის ქალაქში ცხოვრობდნენ, როგორც შეუთვალა მათ იეზებელმა, როგორც მან ჩაწერა მათთვის დაგზავნილ წერილებში.

¹²და გამოაცხადეს მარხვა და ხალხის თავში დასვეს ნაბოთი.

¹³და გამოვიდა ორი ბოროტი კაცი და წინ დაუსხდნენ. ცილი დასწამეს ამ ბოროტმა კაცებმა ნაბოთს ხალხის წინაშე: შეაგინაო ნაბოთმა ღმერთსა და მეფეს. გაიყვანეს ქალაქს გარეთ, ჩაქოლეს და მოკვდა იგი.

¹⁴და შეუთვალეს იეზებელს: ჩაქოლეს ნაბოთი და მოკვდაო.

¹⁵როცა გაიგო, რომ ჩაქოლეს ნაბოთი და მოკვდა, უთხრა იეზებელმა ახაბს: „ადექი, დაეპატრონე ნაბოთ იზრეყელელის ვენახს, რომ არ უნდოდა შენთვის მოეყიდა, რადგან აღარ არის ცოცხალი ნაბოთი, მკვდარია ის.“

¹⁶როცა გაიგო ახაბმა, რომ მოკვდა ნაბოთი, ადგა, რათა ჩასულიყო იზრეყელელი ნაბოთის ვენახში და დაეპატრონებოდა.

¹⁷და იყო უფლის სიტყვა ელია თიშბელის მიმართ:

¹⁸„ადექი და დახვდი ახაბს, ისრაელის მეფეს, სამარიაში რომ არის. აჰა, ნაბოთის ვენახშია ჩასული მის დასაპატრონებლად.“

¹⁹და ელაპარაკე მას: ასე ამბობს-თქო უფალი: ‘კაცი მოკალი და ახლა მის ქონებას ეპატრონები?’ და ელაპარაკე მას: ასე ამბობს-თქო უფალი: ‘სადაც ძაღლები ლოკავდნენ ნაბოთის სისხლს, იმ ადგილას შენს სისხლსაც ალოკავენ.’”

²⁰და უთხრა ახაბმა ელიას: „მაინც მომაგენი, ჩემო მტერო!“ და თქვა: „მოგაგენი, რადგან თავი გაწირე, რომ ბოროტი გაგეკეთებინა უფლის თვალში.“

²¹ამას ამბობს უფალი: აჰა, უბედურებას დაგათევ თავზე, გავხვეტ შენს შემდგომს, ყველას, ვინც კი ჰყავს ახაბს ისრაელში, ყმა იქნება თუ აზატი.

²²ისე მოვექცევი შენს სახლს, როგორც მოვექციე იერობოყამ ნებატის ძის სახლს, ბაყაშა ახიას ძის სახლს, იმ ჯავრის გამო, რომ შეაცდინე ისრაელი.

²³და იეზებელზეც თქვა უფალმა: ძაღლები შეჭამენო იეზებელს იზრეყელის გაღავანთან.

²⁴და ვინც ქალაქში მოუკვდება ახაბს, იმას ძაღლები შეჭამენ, ვინც ველად მოუკვდება, ცის ფრინველები დაჯიჯგნიან.“

²⁵(ჯერ არავინ ყოფილა, რომელსაც ახაბივით გაეყიდოს თავი უფლის თვალში ბოროტების საკეთებლად, რაზეც აქეზებდა იეზებელი, ცოლი მისი.



²⁶დიდი სიბილწე ჩაიდინა, რომ მიჰყვა კერპებს და მიბაძა ამორეველთ, რომელნიც ისრაელის თვალთაგან აჰყარა უფალმა).

²⁷როცა გაიგონა ახაბმა ეს სიტყვები, შემოიხია ტანზე სამოსელი და ჯვალთი დაიფარა ხორცი, მარხულობდა და ჯვალში ეძინა, დადიოდა დამწუხრებული.

²⁸და იყო უფლის სიტყვა ელია თიშბელის მიმართ:

²⁹„ხედავ, როგორ მოდრკა ახაბი ჩემს წინაშე? და რაკი ასე მოიქცა, არ დავათევ უბედურებას მის სიცოცხლეში; მისი შვილის სიცოცხლეში დავათევ უბედურებას მის სახლს.“

მესამე მეფეთა 22

¹ისე გავიდა სამი წელი, რომ არ მომხდარა ომი არამსა და ისრაელს შორის.

²მესამე წელს წავიდა იუდას მეფე იოშაფატი ისრაელის მეფესთან.

³და უთხრა ისრაელის მეფემ თავის მსახურთ: „იცით თუ არა, რომ ჩვენ გვეკუთნის გალაადის რამოთი? ჩვენ კი არც ვფიქრობთ, გამოვტაცოთ იგი ხელიდან არამის მეფეს.“

⁴და უთხრა მან იოშაფატს: „წამომყვები გალაადის რამოთისათვის ბრძოლაში?“ და უთხრა იოშაფატმა ისრაელის მეფეს: „რამ გაგვყო მე და შენ, რამ გაყო ჩემი ხალხი და შენი ხალხი, ჩემი ცხენები და შენი ცხენები?“

⁵და უთხრა იოშაფატმა ისრაელის მეფეს: „აბა, ჯერ დაეკითხე დღეს უფლის სიტყვას.“

⁶და შეკრიბა ისრაელის მეფემ წინასწარმეტყველნი, ოთხასამდე კაცი, და უთხრა მათ: „გავილაშქრო გალაადის რამოთზე თუ თავი შევიკავო?“ მათ თქვეს: „გაილაშქრე, მეფეს ჩაუგდებს ხელში უფალი.“

⁷და თქვა იოშაფატმა: „ხომ არ არის აქ სადმე კიდეც უფლის წინასწარმეტყველი, რომ მისი საშუალებით დავეკითხოთ უფალს?“

⁸და უთხრა ისრაელის მეფემ იოშაფატს: „კიდეც არის ერთი კაცი, რომელსაც შეგვიძლია ვაკითხვინოთ უფლისათვის, მაგრამ მძულს იგი, რადგან სასიკეთოს არ წინასწარმეტყველებს ჩემზე, არამედ მხოლოდ ცუდს. მიქაია იმლას ძეა ის.“ და თქვა იოშაფატმა: „ნუ ამბობ ასე, მეფეო.“

⁹და უხმო ისრაელის მეფემ ერთ-ერთ კარისკაცს და უთხრა: „სასწრაფოდ მომგვარე მიქაია იმლას ძე.“



¹⁰ ისრაელის მეფე და იუდას მეფე იოშაფატი შესამოსლით შემოსილნი ისხდნენ თავ-თავის ტახტებში კალოზე, სამარიის კარიბჭესთან, და წინასწარმეტყველნი წინასწარმეტყველებდნენ მათ წინაშე.

¹¹ და გაიკეთა ცედეკია ქენაყანას ძემ რკინის რქები და თქვა: „ასე ამბობს უფალი: შენ ამით ურქენ არამს და ბოლოს მოუღებო.“

¹² ყველა წინასწარმეტყველი ამასვე წინასწარმეტყველებდა და ამბობდა: „მიუხედავად გალაადის რამოთს, გაიმარჯვებ, მეფის ხელში ჩააგდებს მას უფალი.“

¹³ ასე ეუბნებოდა მიქაიას მის დასაძახებლად გაგზავნილი მოციქული: „აჰა, მეფის სასიკეთოს ერთხმად ამბობენ წინასწარმეტყველნი. შეეთანხმოს შენი სიტყვებიც მათ სიტყვებს. შენცა თქვი სასიკეთო რამ.“

¹⁴ და თქვა მიქაიამ: „უფალს ვფიცავ, რომ იმას ვიტყვი, რასაც უფალი მიბრძანებს.“

¹⁵ და მივიდა მეფესთან. უთხრა მეფემ: „მიქაია, გავილაშქროთ გალაადის რამოთზე თუ თავი შევიკავოთ?“ და უთხრა: „გაილაშქრე და გაიმარჯვებ, მეფის ხელში ჩააგდებს მას უფალი.“

¹⁶ და უთხრა მეფემ: „კიდევ ერთხელ დაგაფიცო, რომ სხვას არაფერს მეტყვი, გარდა სიმართლისა უფლის სახელით?“

¹⁷ და თქვა: „ვიხილე მთელი ისრაელი, უმწყემსო ფარასავით მიმოფანტულიყო მთებზე. და თქვა უფალმა: პატრონი არ ჰყავთ, დაბრუნდნენო მშვიდობით თავიანთ სახლებში.“

¹⁸ და უთხრა ისრაელის მეფემ იოშაფატს: „ხოვ გეუბნებოდი, სასიკეთოს არ იწინასწარმეტყველებს-მეთქი ჩემზე, არამედ მხოლოდ ცუდს.“

¹⁹ და თქვა მიქაიამ: „აბა, ისმინე უფლის სიტყვა: ვიხილე, ტახტზე იჯდა უფალი და ცათა მთელი მხედრობა ედგა გვერდში, მარჯვნივ და მარცხნივ.“

²⁰ და თქვა უფალმა: ‘ვინ გაიტყუებს ახაბს, რომ გაილაშქროს და დაეცეს გალაადის რამოთში?’ ერთი ამას ამბობდა, მეორე – იმას.

²¹ და გამოვიდა სული და წარუდგა უფალს და თქვა: ‘მე გავიტყუებ.’ ჰკითხა უფალმა: ‘რითი?’

²² და თქვა: ‘გავალ და სიცრუის სულად ვიქცევი ყველა მისი წინასწარმეტყველის ბაგეში.’ და თქვა უფალმა: ‘გაიტყუებ და კიდევ გამოგივა; წადი, ასე გააკეთე.’

²³ აჰა, სიცრუის სული ჩაუდგა ახლა უფალმა ბაგეებში ამ შენს წინასწარმეტყველებს, უფალს კი ცუდი აქვს ნათქვამი შენზე.“



²⁴და მიეჭრა ცედეკია ქენაყანას ძე და ლოყაში გაარტყა მიქაიას, და თქვა: „როგორ მოხდა, რომ გვერდი ამიარა უფლის სულმა და შენში მეტყველებს?“

²⁵და თქვა მიქაიამ: „კარგი, მაშინ დაინახავ, ოთახიდან ოთახში რომ დაიწყებ სირბილს დასამალავად.“

²⁶და თქვა ისრაელის მეფემ: „შეიპყარით მიქაია და მიჰგვარეთ ამონს, ქალაქის თავს, და უფლისწულ იოაშს,

²⁷და უთხარით: ასე ამბობს-თქო მეფე: საპყრობილეში ჩააგდეთ ეს კაცი ცოტაოდენი პურისა და წყლის გარდა არაფერი მისცეთ, ვიდრე მშვიდობით მოვბრუნდებოდე.“

²⁸და თქვა მიქაიამ: „თუ მშვიდობით დაბრუნდი, უფალს არ ულაპარაკია ჩემი პირით.“ და თქვა: „ხალხნო, მისმინეთ ყველამ!“

²⁹და წავიდნენ ისრაელის მეფე და იოშაფატი, იუდას მეფე, გალაადის რამოთზე.

³⁰და უთხრა ისრაელის მეფემ იოშაფატს: „გადავიცვამ და ისე გავალ საომრად. შენ შენი სამოსელი გეცვას.“ და გადაიცვა ისრაელის მეფემ და გავიდა საომრად.

³¹და უბრძანა არამის მეფემ მეეტლეთა მეთაურებს, 31 კაცს, ვინც მას ჰყავდა: „ნუ შეებრძოლებით ნურც პატარას, ნურც დიდს, მხოლოდ ისრაელის მეფეს შეებრძოლეთ.“

³²როცა დაინახეს მეეტლეთა მეთაურებმა იოშაფატი, იფიქრეს, ეს არისო ისრაელის მეფე, და მისკენ გაეშურნენ, რომ შეებრძოლებოდნენ. და იყვირა იოშაფატმა.

³³როცა მიხვდნენ მეეტლეთა მეთაურები, რომ არ იყო იგი ისრაელის მეფე, გაერიდნენ მას.

³⁴ალაღბედზე მოზიდა მშვილდი ვიღაც კაცმა და ჯაჭვის პერანგის ნაწიბურთან დაჭრა ისრაელის მეფე. და უთხრა თავის მეეტლეს: „გატრიალდი და ბრძოლიდან გამიყვანე, რადგან დაჭრილი ვარ.“

³⁵გახურდა ბრძოლა იმ დღეს. და ეტლზე იდგა ისრაელის მეფე არამელთა პირისპირ, და მოკვდა საღამო ხანს. და წვეთავდა სისხლი ქრილობიდან ეტლში.

³⁶და გაისმა ხმა ბანაკში მზის ჩასვლისას: „ყველა თავის ქალაქისკენ! ყველა თავის ქვეყნისკენ!“

³⁷და მოკვდა მეფე და წაასვენეს სამარიას, და დამარხეს მეფე სამარიაში.



³⁸და გარეცხეს ეტლი სამარიის ტბორზე, სადაც სიძვის დიაცებიც იბანდნენ და ლოკავდნენ ძაღლები მის სისხლს უფლის სიტყვისამებრ.

³⁹ახაბის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გააკეთა – სპილოს ძვლის სახლი, რომელიც ააშენა, ქალაქები, რომელნიც გააშენა, ისრაელის მეფეთა მატთანეშია ჩაწერილი.

⁴⁰და განისვენა ახაბმა თავის მამებთან და გამეფდა მის ნაცვლად მისი ძე ახაზია.

⁴¹იოშაფატი, ასას ძე, გამეფდა იუდაზე ახაბის, ისრაელის მეფის მეოთხე წელს.

⁴²35 წლისა იყო იოშაფატი, როცა გამეფდა, და 25 წელს მეფობდა იერუსალიმში. დედამისი იყო ყაზუბა შილხის ასული.

⁴³ყველაფერში მამამისის, ასას გზას ადგა იგი, არ გადაუხვევია მისგან, და უფლის მოსაწონად იქცეოდა; ოღონდ გორაკები არ იყო გაუქმებული, ხალხი ჯერ კიდევ გორაკებზე სწირავდა მსხვერპლს და აკმევდა.

⁴⁴ზავი ჰქონდა იოშაფატს ისრაელის მეფესთან.

⁴⁵იოშაფატის დანარჩენი საქმენი, მისი გმირობა, რაც ჩაიდინა, და როგორ იბრძოდა, იუდას მეფეთა მატთანეშია ჩაწერილი.

⁴⁶ტაძრის მსიძავთა ნატამალნი, მისი მამის, ასას დრომდე რომ იყვნენ დარჩენილნი, აღგავა მიწის პირისაგან.

⁴⁷მეფე არ იყო ედომში, მხოლოდ მეფის დანიშნული ზედამხედველი იყო.

⁴⁸ათი თარშიშული ხომალდი ააგო იოშაფატმა ოფირში წასასვლელად და ოქროს მოსატანად, მაგრამ არ მიულწევიათ მათ, რადგან ყეციონ-გებერშივე დაიმსხვრა ისინი.

⁴⁹მაშინ უთხრა ახაზიამ, ახაბის ძემ, იოშაფატს: იარონო ჩემმა მსახურებმა შენს მსახურებთან ერთად ხომალდებით. მაგრამ იოშაფატმა არ მოინდომა.

⁵⁰და განისვენა იოშაფატმა თავის მამებთან და დაიმარხა თავისი მამების გვერდით დავითის, მამამისის ქალაქში, და მის ნაცვლად გამეფდა იორამი, მისი ძე.

⁵¹ახაზია ახაბის ძე გამეფდა ისრაელზე სამარიაში, იოშაფატის, იუდას მეფის მეჩვიდმეტე წელს, და ისრაელზე იმეფა ორი წელი.

⁵²ბოროტებას სჩადიოდა უფლის თვალში, და დადიოდა მამამისის გზაზე და დედამისის გზაზე, და იეროზოყამის, ნებატის ძის გზაზე, რომელმაც აცდუნა ისრაელი.



⁵³და ემსახურებოდა ბაყალს და თაყვანს სცემდა მას, და განარისხა უფალი, ისრაელის ღმერთი, როგორც მამამისი აკეთებდა.



მეოთხე მეფეთა

მეოთხე მეფეთა 1

- ¹და განუდგა მოაბი ისრაელს ახაბის სიკვდილის შემდეგ.
- ²და გადმოვარდა ახაზია სარკმლიდან თავისი ზემოთვალისა, სამარიაში რომ ჰქონდა, და დასნეულდა. და გაგზავნა მოციქულები და დააბარა: წადით და დაეკითხეთ ბაყალ-ზებუბს, ყეკრონის ღმერთს, მოვრჩები თუ არა ამ სნეულებისგანო?
- ³უფლის ანგელოზმა უთხრა ელია თიშბელს: „წადი, და დახვდი სამარიის მეფის მოციქულებს და უთხარი: ‘ნუთუ აღარ არის ღმერთი ისრაელში, რომ ყეკრონის ღმერთთან, ბაყალ-ზებუბთან, მიდიხართ სამკითხაოდ?’
- ⁴ამიტომაც ასე ამბობს უფალი: ‘ველარ ადგები მაგ საწოლიდან, რომელზეც წევხარ, რადგან უნდა მოკვდე.’“ და წავიდა ელია.
- ⁵და დაბრუნდნენ მოციქულები მეფესთან და უთხრა მათ: „რატომ დაბრუნდით?“
- ⁶და უთხრეს: „კაცი გამოვიდა ჩვენს შესახვედრად და გვითხრა: ‘წადით, დაბრუნდით მეფესთან, რომელმაც გამოგაგზავნათ, და უთხარით: ასე ამბობს-თქო უფალი: ნუთუ აღარ არის ღმერთი ისრაელში, რომ ყეკრონის ღმერთთან, ბაყალ-ზებუბთან აგზავნი საკითხავად? ამიტომაც ველარ ადგები მაგ საწოლიდან, რომელზეც წევხარ, რადგან უნდა მოკვდე.’“
- ⁷ჰკითხა მათ: „როგორ გამოიყურებოდა ის კაცი, წინ რომ შემოგხვდათ და ეს სიტყვები გითხრათ?“
- ⁸და უთხრეს მას: „ბანჯგვლიანია ის კაცი და წელზე ტყავის ქამარი არტყია.“ და თქვა: „ეს ელია თიშბელია.“
- ⁹და მიუგზავნა მას ორმოცდაათისთავი თავისი ორმოცდაათეულითურთ. და როცა ის მასთან ავიდა, აჰა, მთის თხემზე ზის ელია. და უთხრა მას: „ღვთისკაცო! მეფე გიბრძანებს: ძირს ჩამოდიო.“
- ¹⁰და მიუგო ელიამ და უთხრა ორმოცდაათისთავს: „თუ მე ღვთისკაცი ვარ, ცეცხლი ჩამოიჭრას ციდან და გშთანთქათ შენცა და შენი ორმოცდაათეულიც.“ და ჩამოიჭრა ცეცხლი ციდან და შთანთქა ის და მისი ორმოცდაათეული.
- ¹¹და კვლავ მიუგზავნა მეფემ სხვა ორმოცდაათისთავი თავისი ორმოცდაათეულითურთ. და მიუგო და უთხრა მას: „ღვთისკაცო! ასე ბრძანებს მეფე: სასწრაფოდ ჩამოდიო.“



¹²და მიუგო ელიამ და უთხრა: „თუ მე ღვთისკაცი ვარ, ცეცხლი ჩამოიჭრას ციდან და გშთანთქათ შენცა და შენი ორმოცდაათეულიც.“ და ჩამოიჭრა ცეცხლი ციდან და შთანთქა ის და მისი ორმოცდაათეული.

¹³და მესამედ მიუგზავნა მეფემ ორმოცდაათისთავი თავისი ორმოცდაათეულითურთ. და ავიდა მესამე ორმოცდაათისთავი და მუხლი მოიყარა ელიას წინაშე, შეევედრა მას და უთხრა: „ღვთისკაცო! ფასი დასდე ჩემს სიცოცხლეს და ამ ორმოცდაათის, შენი მსახურის, სიცოცხლეს შენს თვალში.“

¹⁴აჰა, ციდან ჩამოიჭრა ცეცხლი და შთანთქა ორი წინა ორმოცდაათისთავი თავისი ორმოცდაათეულითურთ. ახლა ფასი დასდე ჩემს სიცოცხლეს შენს თვალში.“

¹⁵და უთხრა უფლის ანგელოზმა ელიას: „ჩაჰყევი, ნუ გეშინია მისი.“ და ადგა ელია და ჩავიდა მასთან ერთად მეფესთან.

¹⁶და უთხრა მას: „ასე ამბობს უფალი: რაკი ბაყალ-ზებუბთან, ყეკრონის ღმერთთან გააგზავნე მოციქულები სამკითხაოდ, თითქოს არ ყოფილიყოს ისრაელში ღმერთი, რომ დაჰკითხებოდი მის სიტყვას, ამიტომაც ვერ ადგები მაგ საწოლიდან, სადაც წევხარ, რადგან უსათუოდ მოკვდები.“

¹⁷და მოკვდა კიდევ უფლის სიტყვისამებრ, როგორც თქვა ელიამ. და მის ნაცვლად იორამი, ახაზიას ძმა გამეფდა იუდას მეფის, იოშაფატის ძის – იორამის მეორე წელს, რადგან მას ძე არ ჰყოლია.

¹⁸და ახაზიას დანარჩენი საქმენი, რაც გააკეთა, ისრაელის მეფეთა მატრიანეშია ჩაწერილი.

მეოთხე მეფეთა 2

¹როცა უფალი ელიას ცად აყვანას აპირებდა ქარბორბალათი, ელია გილგალიდან გადიოდა ელისესთან ერთად.

²და უთხრა ელიამ ელისეს: „აქ დარჩი, რადგან ბეთელში მაგზავნის უფალი.“ მაგრამ ელისემ უპასუხა: „უფლისა და შენმა სიცოცხლემ, რომ მე შენ არ მიგატოვო.“ და წავიდნენ ბეთელში.

³გამოვიდნენ ბეთელის წინასწარმეტყველთა ძენი ელისესკენ და უთხრეს: „იცი, რომ დღეს უფალი წაიყვანს შენს ბატონს შენგან, ზემოთ?“ ელისემ უთხრა: „ვიცი, ვიცი; თქვენ იყურეთ.“

⁴და კვლავ უთხრა მას ელიამ: „ელისე! აქ დარჩი, რადგან იერიხოში მაგზავნის უფალი.“ მაგრამ ელისემ უპასუხა: „უფლისა და შენმა სიცოცხლემ, რომ მე შენ არ მიგატოვო.“ და წავიდნენ იერიხოში.



⁵და მიადგა ელისეს იერიხოს წინასწარმეტყველთა ძეთა გუნდი და უთხრეს: „იცი, რომ დღეს უფალი წაიყვანს შენს ბატონს შენგან, ზემოთ?“ ელისემ უთხრა: „ვიცი, ვიცი; თქვენ იყუჩეთ.“

⁶და უთხრა მას ელიამ: „აქ დარჩი, რადგან იორდანეზე მაგზავნის უფალი.“ მაგრამ ელისემ უპასუხა: „უფლისა და შენმა სიცოცხლემ, რომ მე შენ არ მიგატოვო.“ და წავიდნენ ორივენი.

⁷და წამოვიდა 50 კაცი წინასწარმეტყველთა ძეთაგან და მოშორებით დადგა, მათ პირდაპირ. ეს ორნი კი იორდანეს პირას იდგნენ.

⁸და აიღო ელიამ თავისი ხალენი, დაახვია და დაჰკრა წყალს, შუა გაიპო წყალი და ორივენი მშრალად გავიდნენ.

⁹როცა გაღმა გავიდნენ, უთხრა ელიამ ელისეს: „მთხოვე, რა გაგიკეთო, ვიდრე ავმალლდებოდე შენგან.“ და თქვა ელისემ: „სული, შენში რომ არის, ორმაგად გადმოვიდეს ჩემზე.“

¹⁰და უთხრა: „ძნელს რასმე ითხოვ. თუ მომკრავ თვალს შენგან ამაღლებისას, აგისრულდება, თუ ვერა და, არ აგისრულდება.“

¹¹და როცა მასლაათით მიდიოდნენ, აჰა, ჩადგა მათ შორის ცეცხლის ეტლი და ცეცხლის ცხენები და განაშორა ორნი ერთმანეთს, და ცად ავიდა ელია ქარბორბალათი.

¹²და უყურებდა ელისე და მისძახოდა: „ჩემო მამავ, ჩემო მამავ! ისრაელის ეტლო და მხედრობავ!“ და მეტად აღარ დაუნახავს იგი. და ხელში აიღო თავისი სამოსელი და ორად გაგლიჯა.

¹³და აიღო ხალენი, ელიას რომ ჩამოუვარდა, და უკან გაბრუნდა და იორდანეს ნაპირას ჩამოჯდა.

¹⁴და აიღო ხალენი, ელიას რომ ჩამოუვარდა, დაჰკრა წყალს და თქვა: „სად არის უფალი, ელიას ღმერთი?“ და როცა დაჰკრა წყალს და შუა გაიპო წყალი, გაღმა გავიდა ელისე.

¹⁵და შორიდან დაინახეს იგი იერიხოს წინასწარმეტყველთა ძეთა და თქვეს: „ელიას სული გადმოვიდა ელისეზე.“ და მიეგებნენ და მიწამდე დაუკრეს თავი.

¹⁶და უთხრეს: „აჰა, 50 მარჯვე კაცი გვყავს შენს მსახურთ. თუ გინდა, წავლენ და მოგიძებნიან შენს ბატონს. იქნებ უფლის სულმა აიტაცა და სადმე მთაში ან ხევში ჩამოაგდო.“ და მიუგო ელისემ: „ნუ გაგზავნით.“

¹⁷არ მოეშვნენ, და თავი რომ მოაბეზრეს, უთხრა: გაგზავნეთო. და გაგზავნეს 50 კაცი. და სამ დღეს ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს.



¹⁸და მობრუნდნენ ელისესთან, რომელიც იერიხოში იჯდა. და უთხრა მან: „ხომ გეუბნებოდით, ნუ წახვალთ-მეთქი.“

¹⁹და უთხრეს იმ ქალაქის მცხოვრებლებმა ელისეს: „კარგი მდებარეობა აქვს ამ ქალაქს, როგორც თავად ხედავს ჩვენი ბატონი, მაგრამ ცუდი წყალია აქ და უნაყოფო მიწა.“

²⁰და თქვა: „მომეცით უხმარი თასი და მარილი ჩაყარეთ შიგ.“ და მისცეს.

²¹ავიდა წყლის სათავესთან და ჩაყარა მარილი, და თქვა: „ასე ამბობს უფალი: მე ვკურნავ ამ წყალს; ამიერიდან აღარ მოიტანსო ის სიკვდილსა და უნაყოფობას.“

²²და დღემდე განკურნებულია ეს წყალი ელისეს სიტყვით, რომელიც წარმოთქვა მან.

²³ელისე იქიდან ბეთელისაკენ დაიძრა. აღმართს რომ შეუყვავა, პატარა ბიჭები გამოვიდნენ ქალაქიდან, დასცინოდნენ და მისძახოდნენ: „ქაჩალ, ქაჩალ გაიქეც!“

²⁴ელისემ უკან მოიხედა, დაინახა ისინი და უფლის სახელით დასწყევლა. და გამოვიდა ტყიდან ორი დათვი და დაფლითეს მათგან 42 ბავშვი.

²⁵და იქიდან ქარმელის მთისკენ წავიდა და კვლავ სამარიაში დაბრუნდა.

მეოთხე მეფეთა 3

¹და იორამ ახაბის ძე გამეფდა ისრაელზე სამარიაში იუდას მეფის – იოშაფატის მეთვრამეტე წელს და 12 წელი იმეფა.

²ბოროტებას სჩადიოდა უფლის თვალში, თუმცა არა მამამისივით და დედამისივით: მან მოგლიჯა ბაყალის ქანდაკი, მამამისმა რომ აღმართა.

³მაგრამ მიწებებული იყო და არ განრიდებია ცოდვებს იერობოყამისა, ნებატის ძისა, რომელმაც აცდუნა ისრაელი.

⁴და მოაბის მეფე მეშაყი დიდძალი ცხვრის პატრონი იყო და უგზავნიდა ისრაელის მეფეს 100 ათას კრავსა და 100 ათას გაუპარსავ ვერძს.

⁵და ახაბის სიკვდილის შემდეგ განუდგა მოაბის მეფე ისრაელის მეფეს.

⁶მაშინ გამოვიდა იორამ მეფე სამარიიდან და აღრიცხა მთელი ისრაელი.

⁷და გავიდა და შეუთვალა იოშაფატს, იუდას მეფეს: განმიდგა მოაბის მეფე და ხომ არ გამოხვალო ჩემთან ერთად მოაბის წინააღმდეგ? და შემოუთვალა იუდას მეფემ: „გამოვალ. როგორც შენ, ისე მე, როგორც შენი ხალხი, ისე ჩემი ხალხი, როგორც შენი ცხენები, ისე ჩემი ცხენები.“



⁸და თქვა იორამ მეფემ: „რომელი გზით წავიდეთ?“ და თქვა იოშაფატ მეფემ: „ედომის უდაბნოს გზით.“

⁹და გავიდნენ ისრაელის მეფე, იუდას მეფე და ედომის მეფე. და იტრიალეს შვიდი დღე და ვერ ნახეს საკმარისი წყალი ლაშქრისთვის და პირუტყვისთვის, უკან რომ მოჰყვებოდათ.

¹⁰და თქვა ისრაელის მეფემ: „აჰა, შეგვყარა უფალმა ეს სამი მეფე, რათა მოაბის ხელში ჩაგვადოს.“

¹¹და თქვა იოშაფატმა: „ხომ არ არის აქ სადმე უფლის წინასწარმეტყველი, რომ უფლისთვის ვაკითხვინოთ?“ და მიუგო ისრაელის მეფის ერთმა მსახურმა და უთხრა: „არის აქ ელისე, შაფატის ძე, რომელიც ხელზე წყალს უსხამდა ელიას.“

¹²და თქვა იოშაფატმა: „უფლის სიტყვაა მასთან.“ და ჩავიდნენ მასთან ისრაელის მეფე, და იოშაფატი, და ედომის მეფე.

¹³და უთხრა ელისემ ისრაელის მეფეს: „რა გინდა ჩემგან? წადი მამაშენის წინასწარმეტყველებთან და დედაშენის წინასწარმეტყველებთან.“ და თქვა ისრაელის მეფემ: „არა, იმისთვის შეგვყარა უფალმა ეს სამი მეფე, რომ მოაბის ხელში ჩაგვადოს.“

¹⁴და თქვა ელისემ: „ცაბაოთ უფალს ვფიცავ, რომლის წინაშეც მე ვდგავარ, რომ ზედაც არ შეგხედავდი, პატივს რომ არ ვცემდე იოშაფატს, იუდას მეფეს.

¹⁵ახლა, მომიყვანეთ მეჩანგე.“ და როცა უკრავდა მეჩანგე, უფლის ხელი შეეხო ელისეს.

¹⁶და თქვა ელისემ: „ასე ამბობს უფალი: ‘თხრილები თხრილებზე დათხარეთ ამ ველზე.’

¹⁷რადგან ასე ამბობს უფალი: ‘ვერ დაინახავთ ქარს და ვერ დაინახავთ წვიმას, მაგრამ წყლით აივსება ეს ველი, თქვენცა სვით და თქვენმა პირუტყვმაც.’

¹⁸მხოლოდ ამას არ იკმარებს უფალი; მოაბსაც ჩაგადებინებთ ხელში.

¹⁹და შემუსრავთ ყველა გამაგრებულ ქალაქს და ყველა რჩეულ ქალაქს, და ყველა საუკეთესო ხეს აჩეხავთ, ყველა წყაროსთვალს ამოავსებთ, და საუკეთესო მიწებს ქვით აავსებთ.“

²⁰დილით, პურეულის ძღვენის მიტანისას, წამოვიდა წყალი ედომის გზაზე და წყლით დაიფარა მიწა.



²¹და როცა გაიგო მოაბმა, რომ დაიდრნენ მეფეები მათთან საომრად, ყველამ თავი მოიყარა, სარტყლის შემომრტყმელმაც და უხნესებმაც, და დადგნენ საზღვართან.

²²დილაადრიანად ადგნენ ისინი, და როცა მზე წყალზე გაბრწყინდა, მოაბელებს შორიდან ეს წყალი წითლად მოეჩვენათ სისხლივით.

²³და თქვეს: „ეს სისხლია, დატაკებიან მეფეები ერთმანეთს და დაუხოციან. აბა, შენია ნადავლი, მოაბო!“

²⁴და მიადგნენ ისრაელის ბანაკს. და შეუტია ისრაელმა და დასცხო მოაბს და უკუაქცია, მისდევდნენ და ჟლეტდნენ მოაბელებს.

²⁵ქალაქები დაანგრეს; საუკეთესო მიწებში თითო კაცმა თითო ქვა ისროლა და ქვით აავსო. და ყველა წყაროსთვალი ამოავსეს, ყველა საუკეთესო ხე აჩეხეს. ქვა ქვაზე არ დაუტოვებიათ კირ-ხარესეთში. შემოადგნენ მეშურდულენი და დააქციეს.

²⁶დაინახა მოაბის მეფემ, რომ დამარცხდა ბრძოლაში, და გაიყოლა 700 კაცი, მახვილის ამომწვდელი, რომ ედომის მეფისკენ გაეღწია, მაგრამ ვერ შეძლეს.

²⁷და მოჰკიდა ხელი თავის პირმშოს, მის ნაცვლად რომ უნდა გამეფებულიყო, და სრულადდასაწველ მსხვერპლად შესწირა გალავანზე. ძლიერ შეზარა ამან ისრაელი, და მოსცილდნენ იქაურობას და თავისი ქვეყნისკენ გაბრუნდნენ.

მეოთხე მეფეთა 4

¹წინასწარმეტყველის ძეთაგან ერთის ცოლმა ტირილით შეჰღაღადა ელისეს: „მოკვდა ჩემი ქმარი, შენი მსახური; და შენ იცი, რომ უფლისმომში იყო შენი მსახური. ახლა მოდის მევახშე და ჩემს ორივე ბავშვს მონებად მართმევს.“

²და უთხრა ელისემ: „რა გიყო? მითხარი, რა გაბადია შინ?“ ქალმა მიუგო: „სახლში არაფერი აქვს შენს მხევალს, გარდა მცირეოდენი ზეთისა დოქში.“

³და უთხრა მას ელისემ: „წადი და ჭურჭელი ინათხოვრე მეზობლებისგან; ცარიელი ჭურჭელი ბევრი დააგროვე.“

⁴მერე მიდი, შინ ჩაიკეტეთ შენ და შენი შვილები და დოქიდან გადმოასხით ჭურჭლებში ის ზეთი, ვიდრე ყველას გაავსებთ; სავსეები გვერდზე გადააწყვე.“

⁵წავიდა ქალი და შინ ჩაიკეტა თავის შვილებთან ერთად; ისინი აწვდიდნენ ცარიელ ჭურჭელს, ის კი ასხამდა.



- ⁶და როცა ჭურჭლები დაივსო, უთხრა ვაჟიშვილს: „კიდევ მომაწოდე ჭურჭელი.“ მან უთხრა: „ცარიელი ჭურჭელი აღარ არის.“ და ზეთიც შეეყდა.
- ⁷და მივიდა და უამბო ღვთისკაცს. და უთხრა მან: „წადი, გაყიდე ზეთი და ვალი გაისტუმრე; დანარჩენით თავი ირჩინეთ შენ და შენმა შვილებმა.“
- ⁸ერთ დღესაც შუნემში გაიარა ელისემ. იქ ერთი მდიდარი ქალი ცხოვრობდა, რომელმაც პურის საჭმელად მიიწვია იგი; და რამდენჯერაც ჩაივლიდა, მუდამ შეუხვევდა ხოლმე იქ პურის საჭმელად.
- ⁹და უთხრა ქალმა თავის ქმარს: „ნამდვილად ვიცი, რომ წმიდაა, აქეთ რომ ღვთისკაცი დადის.
- ¹⁰მოვუწყოთ მცირე კუთხე ზემოთვალში, დავუდგათ იქ საწოლი, ტაბლა, სკამი და ლამპარი; და, როცა ჩვენთან შემოივლის, იქ შევიდეს.“
- ¹¹ერთ დღესაც შეიარა მათთან; შევიდა ზემოთვალში და დაწვა.
- ¹²და უთხრა ელისემ გეხაზის, თავის მსახურ ბიჭს: დაუმახეო ამ შუნამელ ქალს. მანაც დაუმახა და ეახლა ქალი.
- ¹³და უთხრა ელისემ მსახურ ბიჭს: „უთხარი მას: აჰა, შენ რომ ასე ზრუნავ ჩვენზე, რა შეგვიძლია გაგიკეთოთ? ხომ არ დაველაპარაკოთ-თქო შენზე მეფეს ან მხედართმთავარს?“ და უთხრა ქალმა: „არაფერი მჭირდება, მე ჩემს ხალხში ვცხოვრობ.“
- ¹⁴და თქვა ელისემ: „მაინც რა უნდა გავუკეთო?“ და უთხრა გეხაზიმ: „მართლა, შვილი არა ჰყავს და მისი ქმარი კი მოხუცია.“
- ¹⁵და თქვა მან: „დაუმახე აქ.“ მანაც დაუმახა და კარებში გაჩერდა ქალი.
- ¹⁶და თქვა ელისემ: „გაის ამ დროს ჩახუტებული გეყოლება ვაჟიშვილი.“ და თქვა ქალმა: „არა, ჩემო ბატონო, ღვთისკაცო, ნუ მოატყუებ შენს მხევალს.“
- ¹⁷მართლაც დაორსულდა ქალი და წლის სწორზე შვა ძე, როგორც უთხრა მას ელისემ.
- ¹⁸გაიზარდა ბავშვი და ერთ დღესაც წავიდა მამამისთან სამკალში.
- ¹⁹უცერივ უთხრა მამას: „ვაი, ვაი, თავი მტკივა!“ და უთხრა კაცმა მსახურ ბიჭს: „დედას წაუყვანე!“
- ²⁰და წაიყვანა და მიუყვანა დედას. დედას შუადღემდე კალთაში ეჯდა და მოკვდა.
- ²¹ავიდა ქალი ზემოთვალში და ღვთისკაცის საწოლზე დააწვინა ბავშვი, კარი გამოიკეტა და გარეთ გავიდა.



²²და დაუძახა ქმარს და უთხრა: „გამომიგზავნე ერთი ვინმე მსახური და ერთი ვირი, ღვთისკაცთან წავალ და ისევ დავბრუნდები.“

²³და უთხრა: „რისთვის მიდიხარ მასთან? დღეს ხომ არც ახალმთვარობაა და არც შაბათი.“ მაგრამ მან უთხრა: „შენ დადუმდი, მშვიდობა არის.“

²⁴და შეკაზმა ქალმა ვირი და უთხრა მსახურ ბიჭს: „წინ წაუძეხი და იარე; და გზაზე ნუ გამაჩერებ, თუ მე არ გიბრძანო.“

²⁵წავიდნენ და მივიდნენ ღვთისკაცთან, ქარმელის მთაზე. და როცა შორიდან მოჰკრა თვალი ქალს ღვთისკაცმა, უთხრა გეხაზის, თავის მსახურს: აგერ, ის შუნამელი ქალი.

²⁶აბა გაიქეცი, მიეგებე და ჰკითხე: ხომ მშვიდობით არის-თქო შენი ქმარი და ხომ მშვიდობით არის-თქო შენი შვილი. და მიუგო ქალმა: მშვიდობით არიანო.

²⁷და როცა ავიდა ქალი ღვთისკაცთან მთაზე, მუხლებზე მოეხვია. მივარდა გეხაზი, რომ მოეშორებინა ის, მაგრამ ღვთისკაცმა უთხრა: „თავი დაანებე, რადგან სული აქვს გამწარებული, უფალმა კი დამიმალა ეს და არ გამოუცხადებია ჩემთვის.“

²⁸და თქვა ქალმა: „განა მე ვთხოვდი შვილს ჩემს ბატონს? შენ ხომ გეუბნებოდი: ნუ მომატყუებ-მეთქი?“

²⁹და უთხრა გეხაზის: „სარტყელი შემოირტყი წელზე, ჩემი არგანი დაიჭირე ხელში და წადი. შემხვედრს არავის მიესალმო; თუ ვინმე მოგესალმა, პასუხი არ გასცე, და სახეზე დაადე ბავშვს ეს ჩემი არგანი.“

³⁰და თქვა ყმაწვილის დედამ: „უფლისა და შენმა სიცოცხლემ, რომ არ დაგეხსნები!“ და ადგა ელისე და გაჰყვა ქალს.

³¹მათზე ადრე მივიდა გეხაზი და სახეზე არგანი დაადო ბავშვს, მაგრამ არ ისმოდა ხმა და ჩამიჩუმდი. და უკან გაბრუნდა მის შესახვედრად და მოახსენა: არ იღვიძებს ბავშვი.

³²და შევიდა სახლში ელისე, და, აჰა, მკვდარი წევს ბავშვი მის საწოლზე.

³³და შევიდა, მიიკეტა კარი და ილოცა უფლისადმი.

³⁴ზედ დააწვა ბავშვს, პირი პირზე დაადო, თვალი – თვალზე, ხელის მტევნები – ხელის მტევნებზე და გადაერთხა ზემოდან. და გათბა ბავშვის სხეული.

³⁵ერთი გაიარ-გამოიარა ოთახში და კვლავ განერთხა ბავშვს ზემოდან. შვიდჯერ დააცემინა ბავშვმა, და გაახილა თვალი.



³⁶და დაუძახა მან გეხაზის და უთხრა: „მოუხმე იმ შუნამელს!“ და მოუხმო. და მივიდა მასთან ქალი და უთხრა ელისემ: „წაიყვანე შენი შვილი.“

³⁷და მივარდა, ფეხებში ჩაუვარდა და მდაბლად თაყვანი სცა; და აიყვანა თავისი შვილი და გავიდა.

³⁸და დაბრუნდა ელისე გილგალში. შიმშილობა იყო იმ ქვეყანაში. და წინ დაუსხდნენ მას წინასწარმეტყველთა ძენი. და უთხრა მან მსახურ ბიჭს: „დადგი დიდი ქვაბი და კერძი მოუხარშე წინასწარმეტყველთა ძეთ.“

³⁹და გავიდა ერთი მათგანი ველზე საკმაზის მოსაკრეფად, იპოვა ველური ვაზი და დაკრიფა მთელი კალთა ისრიმი; მოვიდა და ჩააჭრა შეჭამადის ქვაბში – მათ კი არ იცოდნენ, რა იყო.

⁴⁰და დაუსხეს კაცებს საჭმელად. და როცა ჭამდნენ შეჭამადს, იყვირეს და თქვეს: „სიკვდილია ქვაბში, ღვთისკაცო!“ და ველარ შეჭამეს.

⁴¹და თქვა მან: „მომეცით ფქვილი.“ ჩაყარა ქვაბში და უთხრა გეხაზს: „დაუსხი ხალხს, ჭამონ.“ ცუდი აღარაფერი იყო ქვაბში.

⁴²და მოვიდა ვიღაც კაცი ბაყალ-შალიშადან და მოუტანა ღვთისკაცს პირველნაყოფი: ქერის 20 პური და ნედლი თავთავი გუდით. და თქვა ელისემ: „მიეცი ხალხს, ჭამონ.“

⁴³და თქვა მისმა მსახურმა: „ეს რა უნდა გაუხდეს ამ ას კაცს?“ და უთხრა: „მიეცი ხალხს, ჭამონ, რადგან ასე ამბობს უფალი: ჭამენ და კიდევ მორჩებათ.“

⁴⁴და დაუსხა. გაძღნენ და კიდევ მორჩათ, უფლის სიტყვისამებრ.

მეოთხე მეფეთა 5

¹ნაყამანი, არამის მეფის მხედართმთავარი, დიდად პატივდებულ კაცად ჰყავდა მიღებული თავის ბატონს, რადგან მისი წყალობით გაამარჯვებინა უფალმა არამელებს. მამაცი კაცი იყო ნაყამანი, მაგრამ კეთროვანი.

²და როცა სათარეშოდ იყვნენ გასული არამელები, ტყვედ წაიყვანეს ისრაელის ქვეყნიდან პატარა გოგონა, რომელიც ნაყამანის ცოლს ემსახურებოდა.

³და უთხრა მან თავის ქალბატონს: „ნეტავ მისულიყო ჩემი ბატონი წინასწარმეტყველთან სამარიაში, ის განკურნავდა მას კეთრისაგან.“

⁴და მივიდა ნაყამანი და უამბო თავის ბატონს: ასე და ასე ამბობსო ისრაელის ქვეყნიდან ტყვედ წამოყვანილი გოგონა.



⁵და უთხრა არამის მეფემ ნაყამანს: „წადი და მე წერილს გაგატან ისრაელის მეფესთან.“ წავიდა და თან წაიღო 10 ტალანტი ვერცხლი, 6 ათასი შეკელი ოქრო და 10 ხელი ტანსაცმელი.

⁶და მიაღწეა ისრაელის მეფეს წერილი, რომელშიც ეწერა: „ამ წერილთან ერთად გიგზავნი ნაყამანს, ჩემს მსახურს, რომ განკურნო იგი კეთრისაგან.“

⁷და როცა წაიკითხა ისრაელის მეფემ წერილი, სამოსელი დაიპო და თქვა: „ღმერთი ხომ არა ვარ, რომ ვკლავდე და ვაცოცხლებდე, რომ მითვლის: კეთრისგან განმიკურნეო ეს კაცი. იცოდეთ, საბაბს ეძებს იგი ჩემს წინააღმდეგ.“

⁸და როცა გაიგო ელისემ, ღვთისკაცმა, სამოსელი დაიპოო ისრაელის მეფემ, შეუთვალა: „რისთვის დაიპე სამოსელი? მოვიდეს ჩემთან ნაყამანი და დარწმუნდება, რომ არის წინასწარმეტყველი ისრაელში.“

⁹და მივიდა ნაყამანი თავისი ცხენებითა და თავისი ეტლით და ელისეს სახლის შესასვლელთან გაჩერდა.

¹⁰გამოუგზავნა ელისემ მსახური და შემოუთვალა: წადი, შვიდგზის იბანე იორდანეში და გაგიახლდება ხორცი, და გაწმენდილი იქნებიო.

¹¹და გაბრაზდა ნაყამანი, წავიდა და თქვა: „აჰა, ვიფიქრე, გარეთ გამოვა, დადგება და უფლის, თავისი ღმერთის, სახელს ახსენებს, ადგილზევე დამადებს ხელს და კეთრისგან განმიკურნავს-მეთქი.“

¹²განა დამასკოს მდინარეები: აბანა და ფარფარი ისრაელის მთელს მდინარეებს არ სჯობია? განა იქ ვერ ვიბანებდი და ვერ გავსუფთავდებოდი?“ და გატრიალდა და წავიდა განრისხებული.

¹³და მიეახლნენ მისი მსახურნი, დაელაპარაკნენ და უთხრეს: „ჩვენო მამავ, სამწელო რამე რომ მოეთხოვა შენგან მაგ წინასწარმეტყველს, ხომ შეასრულებდი? მით უფრო, უნდა შეასრულო, როცა გეუბნება: ‘იბანე და განიწმიდებო.’“

¹⁴და ჩავიდა, და შვიდგზის ჩაყვინთა იორდანეში, როგორც ღვთისკაცმა უთხრა, და ჩვილი ბავშვივით განუახლდა სხეული და განიწმიდა.

¹⁵და დაბრუნდა ღვთისკაცთან ის და მთელი მისი ამაღა. და მივიდა და გაჩერდა მის წინ და უთხრა: „აჰა, დავრწმუნდი, რომ მთელს ქვეყანაზე მხოლოდ ისრაელშია ღმერთი. ახლა მიიღე საჩუქარი შენი მსახურისგან.“

¹⁶და თქვა: „ვფიცავ უფალს, რომლის წინაშეც ვდგავარ, რომ არ მივიღებ.“ და აიძულებდა ალებას, მაგრამ ვერ დაიყოლია.



¹⁷და თქვა ნაყამანმა: „თუ ასეა, მომცენ შენს მსახურს იმდენი მიწა, რამდენსაც წყვილი ჯორი წაიღებს, რომ ამიერიდან უფლის გარდა სხვა ღმერთებს არ შესწიროს სრულადდასაწველი შენმა მსახურმა.“

¹⁸ეს ერთი რამ მაპატიოს უფალმა შენს მსახურს: როცა მივა ჩემი ბატონი რიმონის სახლში თაყვანის საცემად, დაეყრდნობა ჩემს ხელს და მეც მომიწევს თაყვანისცემა რიმონის სახლში, ჰოდა, რიმონის სახლში თაყვანისცემისას აპატიოს ეს შენს მსახურს.“

¹⁹და უთხრა: „მშვიდობით იარე.“ წავიდა ის და მცირე მანძილზე გასცდა მას.

²⁰და თქვა გეხაზიმ, ელისეს მსახურმა: „აჰა, არ გამოართვა ჩემმა ბატონმა ნაყამანს, ამ არამელს, მისი მოტანილი ძღვენი. უფლის მადლმა, გავეკიდები და მე გამოვართმევ რამეს.“

²¹და დაედევნა გეხაზი ნაყამანს. როცა დაინახა ნაყამანმა, რომ ვიღაც მისდევდა, ეტლიდან გადმოვიდა, შეეგება და ჰკითხა: „ხომ მშვიდობა არის?“

²²და უპასუხა: „მშვიდობა არის! ჩემმა ბატონმა შემოგიტვალა: ‘ეფრემის მთიდან მესტუმრა ორი ყმაწვილი წინასწარმეტყველთაგან, იქნებ ერთი ტალანტი ვერცხლი და ორი ხელი ტანსაცმელი გეჩუქებინაო მათთვის.’”

²³და თქვა: ნაყამანმა: „ორი ტალანტი აიღე ბარემ.“ დაიყოლია და შეუხვია ორი ტალანტი ვერცხლი ორ ქისად და ორ ხელ ტანსაცმელთან ერთად მისცა წასაღებად თავის ორ მსახურს.

²⁴და როცა ის მივიდა ბორცვთან, გამოართვა მათ ეს ყველაფერი და სახლში გადამალა. და უკან გაისტუმრა მსახურები და წავიდნენ ისინიც.

²⁵ის კი მივიდა და გამოცხადდა ბატონთან. და უთხრა ელისემ: „საიდან მოდიხარ, გეხაზი?“ და თქვა: „არსად არ წასულა შენი მსახური.“

²⁶და უთხრა: „განა ჩემი გული შენ არ მოგყვებოდა, როცა ეტლიდან ჩამოხდა ის კაცი და შეგეგება? განა იმის დროა, რომ იხვეჭდე ვერცხლს, იხვეჭდე სამოსელს, ზეთისხილის ხეებსა და ვენახებს, ცხვარ-ძროხას, ყმებსა და მხევლებს?“

²⁷დაე, შენ და შენს შთამომავლობას გადაგედოთ ნაყამანის კეთრი საუკუნოდ.“ და გამოვიდა მისგან გეხაზი კეთრით გათეთრებული, როგორც თოვლი.

მეოთხე მეფეთა 6



- ¹და უთხრეს წინასწარმეტყველთა ძეებმა ელისეს: „აჰა, გვევიწროვება ეს ადგილი, სადაც შენს წინაშე ვცხოვრობთ.
- ²იორდანეზე ჩავალთ, თითო მორს ავიღებთ და იქ ავიშენებთ სადგომს საცხოვრებლად.“ და უთხრა მან: ჩადითო.
- ³და უთხრა ერთმა: „იქნებ მოიღო წყალობა და შენც წამოგყვე შენს მსახურთ.“ წამოგყვებითო, – უპასუხა მან.
- ⁴და წაჰყვა მათ. ჩავიდნენ იორდანეზე და შეუდგნენ ხეების ქრას.
- ⁵ერთ მათგანს, მორს რომ ჭრიდა, ცულის ტარი წაუძვრა და ცული წყალში ჩაუვარდა, და იყვირა: ვაი, ბატონო! ნათხოვარი მქონდაო!
- ⁶და უთხრა ღვთისკაცმა: „სად ჩაგივარდა?“ და უჩვენა ადგილი. ღვთისკაცმა ნაფოტი აიღო და ისროლა იქითკენ, და ამოტივტივდა ცული.
- ⁷და თქვა: ამოიღეო. გაიწოდა მან ხელი და აიღო.
- ⁸ებრძოდა არამის მეფე ისრაელს და თათბირობდა თავის მსახურებთან: ამა და ამ ადგილას დავბანაკდებიო.
- ⁹და შეუთვალა ღვთისკაცმა ისრაელის მეფეს: მოერიდე ამ ადგილას გავლას, არამელები არიანო შემოპარული.
- ¹⁰და გზავნიდა ისრაელის მეფე ხალხს იმ ადგილას, რომელზეც ღვთისკაცი ეუბნებოდა და აფრთხილებდა; და არა ერთხელ და ორჯერ გადარჩენილა იქ.
- ¹¹და შეაშფოთა არამის მეფის გული ამ ამბავმა, უხმო თავის მსახურთ და უთხრა: „არ მეტყვით, ვინ მიდი-მოდის ჩვენიანებიდან ისრაელის მეფესთან?“
- ¹²და თქვა მსახურთაგან ერთმა: „არავინ, მეფე-ბატონო! ელისე, ისრაელის წინასწარმეტყველი, ატყობინებს ისრაელის მეფეს ყოველ სიტყვას, რასაც შენს საწოლ ოთახში ლაპარაკობ.“
- ¹³და თქვა: „წადით და გაიგეთ, სად არის ის. ხალხს გავაგზავნი და მოვაყვანინებ.“ და შეატყობინეს: დოთანში არისო.
- ¹⁴და გაგზავნა იქ ცხენები, ეტლები და დიდძალი ჯარი. და მივიდნენ ღამით და ალყა შემოარტყეს ქალაქს.
- ¹⁵ადგა დილაადრიაანად ღვთისკაცის მსახური და გამოვიდა გარეთ; და, აჰა, ჯარია ქალაქის ირგვლივ, ცხენები და ეტლები. და უთხრა მისმა მსახურმა ბიჭმა: „ვაი, ბატონო, რა გვეშველება?“
- ¹⁶და თქვა: „ნუ გეშინია, რადგან ჩვენ უფრო ბევრი გვყავს, ვიდრე მათ.“



¹⁷და ილოცა ელისემ და თქვა: „უფალო! აუხილე თვალი, რომ დაინახოს.“ და აუხილა უფალმა თვალი მსახურ ბიჭს და მანაც დაინახა: აჰა, სავსეა მთა ელისეს გარშემო ცხენებითა და ცეცხლოვანი ეტლებით.

¹⁸და როცა მისკენ დაეშვნენ არამელები, ილოცა ელისემ უფლისადმი და თქვა: „დააბრმავე ეს ხალხი!“ და დააბრმავა უფალმა ისინი ელისეს სიტყვისამებრ.

¹⁹და უთხრა მათ ელისემ: „აქ არ არის ის გზა და არც ის ქალაქი. გამომყევით და მიგიყვანთ იმ კაცთან, ვისაც ეძებთ.“ და წაუძღვა სამარიამდე.

²⁰და როცა სამარიაში მივიდნენ, თქვა ელისემ: „უფალო! აუხილე თვალი ამათ, რომ დაინახონ.“ აუხილა უფალმა მათ თვალი და დაინახეს, რომ სამარიაში არიან.

²¹უთხრა ისრაელის მეფემ ელისეს, როცა დაინახა ისინი: „დავხოცო, ჩემო მამავ?“

²²და უთხრა: „არ დავხოცო. შენი მახვილით და მშვილდით ხომ არ დაგიტყვევებია, რომ ამოხოცო? მიეცი პური და წყალი. ჭამონ და სვან, და თავიანთ ბატონთან წავიდნენ.“

²³და გაუმართა დიდი პურობა. მათაც ჭამეს და სვეს და თავიანთ ბატონთან წავიდნენ. და ამის მეტად აღარ შემოსულან სათარეშოდ ისრაელის ქვეყანაში არამელები.

²⁴ამის შემდეგ შეკრიბა ბენ-ჰადადმა, არამის მეფემ, მთელი თავისი ლაშქარი, წამოვიდა და შემოადგა სამარიას.

²⁵და დიდი შიმშილობა იყო სამარიაში. და სანამ ალყაში იყო, ვირის თავი 80 ვერცხლი ღირდა, ხოლო კაბიწის მეოთხედი მტრედის სკინტლი – ხუთი ვერცხლი.

²⁶და გაიარა ერთხელ ისრაელის მეფემ გალავანზე და შეჰლაღადა ერთმა ქალმა: „მიშველეო, მეფე-ბატონო!“

²⁷და უთხრა: „თუ უფალმა არ გიშველა, მე რით გიშველო? კალოთი თუ საწნახლით?“

²⁸უთხრა მას მეფემ: „რა დაგემართა?“ უთხრა: ამ ქალმა მითხრა: მომეციო შენი შვილი, დღეს ის შევჭამოთ, ხვალ – ჩემიო.

²⁹და მოვხარშეთ ჩემი შვილი და შევჭამეთ. და ვუთხარი მეორე დღეს: მომეცი, ახლა შენი შვილი შევჭამოთ-მეთქი. მან კი გადამალა თავისი შვილი.



³⁰და როცა გაიგონა მეფემ ქალის ნათქვამი, სამოსელი დაიპო და გალავანზე გავიდა. და დაინახა ხალხმა, რომ ჯვალე ემოსა შიშველ ხორცებზე.

³¹და თქვა: „ასე და ასე მიყოს ღმერთმა და უარესიც დამმართოს, თუ სადამოდე თავი შერჩეს მხრებზე ელისე შაფატის ძეს!“

³²ელისე კი იჯდა თავის სახლში და უხუცესები უსხდნენ გვერდით. და გააგზავნა მეფემ თავისგან კაცი, და ვიდრე მოციქული მივიდოდა, ელისემ უთხრა უხუცესებს: „ხედავთ, კაცს მიგზავნის მკვლელის შვილი, რომ თავი მომკვეთოს? იცოდეთ, როცა მოციქული მოვა, ჩაკეტეთ კარი და მაგრად მიაწექით, რომ ვერ შემოვიდეს. აჰა, მისი ბატონის ფეხის ხმაც ისმის მის უკან!“

³³და ვიდრე მათ ელაპარაკებოდა, აჰა, მოვიდა მოციქულიც, და თქვა ელისემ: „აჰა, რა უბედურება დაგვატეხა უფალმა! რაღას უნდა მოველოდე უფლისგან?“

მეოთხე მეფეთა 7

¹და თქვა ელისემ: „ისმინეთ უფლის სიტყვა. ასე ამბობს უფალი: ხვალ ამ დროს ერთი საწყაო გამტკიცებული ფქვილი ერთი შეკელი ეღირებაო, ორი საწყაო ქერიც – ერთი შეკელი სამარიის კარიბჭესთანო.“

²და მიუგო კარისკაცმა, რომლის მკლავსაც ეყრდნობოდა მეფე, და უთხრა ღვთისკაცს: „აჰა, სარკმლებიც რომ გახსნას უფალმა ცაზე, განა მოხდება ასეთი რამ?“ და თქვა ღვთისკაცმა: „აჰა, შენი თვალთ იხილავ, მაგრამ ჭამით ვერ შეჭამ.“

³ოთხი კეთროვანი იჯდა კარიბჭის შესასვლელთან და ეუბნებოდნენ ერთმანეთს: „რისთვის ვსხედვართ აქ და სიკვდილს ველოდებით?“

⁴თუ ქალაქში წასვლას გადაწყვეტო, შიმშილობაა ქალაქში და იქ დავიხოცებით; თუ აქ დავრჩებით, მაინც დავიხოცებით. მოდით, ავდგეთ და არამელთა ბანაკში ჩავიდეთ; თუ ცოცხალი დაგვტოვებს, ხომ კარგი, თუ დაგვხოცეს, დავიხოცოთ.“

⁵და ადგნენ გარიჟრაჟზე, რომ არამელთა ბანაკში წასულიყვნენ. და მიადგნენ არამელთა ბანაკის ნაპირს. და აჰა, კაციშვილი არ იყო იქ.

⁶უფალს ჩაუსმენია არამელთა ბანაკისათვის ეტლებისა და ცხენების ხმაური და დიდძალი ჯარის ყოჩინა, და უთქვამთ ერთმანეთისთვის: „ალბათ ჩვენს წინააღმდეგ დაიქირავა ისრაელის მეფემ ხეთელთა და ეგვიპტელთა მეფეები, რათა თავს დაგვესხან.“



⁷და ამდგარან და გაქცეულან დილის ბინდბუნდში, მიუტოვებიათ კარვები, ცხენები და სახედრები, მთელი ბანაკი ხელუხლებლად, და გაქცეულან თავის გადასარჩენად.

⁸და მიადგნენ ეს კეთროვნები ბანაკის კიდეს და შევიდნენ ერთ კარავში. და ჭამეს და სვეს, აიღეს იქიდან ოქრო-ვერცხლი და ტანისამოსი, წამოიღეს და დამალეს. და მობრუნდნენ და სხვა კარავში შევიდნენ, და იქიდანაც აიღეს და წამოიღეს და დამალეს.

⁹და უთხრეს ერთმანეთს: „ასე არ უნდა ვიქცეოდეთ. ეს დღე სასიხარულო უწყების დღეა, თუ გავჩუმდით და გათენებამდე ვიცადეთ, ბრალს დაგვდებენ. წამოდი, წავიდეთ და მეფის სახლს შევატყობინოთ.“

¹⁰და მივიდნენ და გამოიძახეს კარიბჭის გუშაგები და უამბეს და უთხრეს: „არამელთა ბანაკში მივედით, კაციშვილის ჭაჭანება არ იყო იქ, ადამიანის ხმა არ ისმოდა, მხოლოდ ცხენები და ვირები დაგვხვდა დაბმული, და კარვები ხელუხლებლად.“

¹¹და დაუძახეს მათ გუშაგებს და მათაც მიიტანეს, ამბავი მეფის სახლში.

¹²და ადგა ღამით მეფე და უთხრა თავის მსახურთ: „გეტყვით, რას გვიპირებენ არამელები. იციან, რომ ვშიშმილობთ. და ბანაკიდან გავიდნენ, რომ ველზე ჩაგვისაფრდნენ. ისინი აპირებენ, რომ როგორც კი ქალაქიდან გავალთ, ცოცხლად შეგვიპყრონ და ქალაქში შემოიჭრნენ.“

¹³მიუგო ერთმა მსახურთაგანმა და თქვა: „გამოიყვანონ ქალაქში დარჩენილი ცხენებიდან ხუთი – აჰა, ისინი იქნებიან მთელი ისრაელის სიმრავლესავით, ქალაქში რომ დარჩა; აჰა, იქნებიან მთელი ისრაელის სიმრავლესავით, რომელიც დაილია. გავგზავნოთ და ვნახოთ.“

¹⁴და გაიყვანეს ორი წყვილი ცხენი ეტლში შებმული. და გაგზავნა მეფემ არამელთა ლაშქრის კვალზე და თქვა: „წადით და ნახეთ.“

¹⁵და იორდანემდე მიჰყვნენ მათ, და აჰა, მთელი გზა მოფენილია სამოსლითა და ნივთებით, არამელებს რომ დაბნეოდათ ფაციფუცში. გამობრუნდნენ მოციქულები და მოახსენეს მეფეს.

¹⁶და გამოეფინა ხალხი და გაძარცვეს არამელთა ბანაკი. ერთი საწყაო გამტკიცული ფქვილი ერთი შეკელი გახდა, ორი საწყაო ქერიც – ერთი შეკელი, მსგავსად უფლის სიტყვისა.

¹⁷კარიბჭესთან დააყენა მეფემ კარისკაცი, რომლის მკლავსაც ეყრდნობოდა. და გადათელა კარისკაცი ბრბომ კარიბჭეში და მოკვდა, როგორც ნათქვამი ჰქონდა ღვთისკაცს, როცა მასთან მივიდა მეფე.



¹⁸ასე უთხრა მაშინ ღვთისკაცმა მეფეს: „ხვალ ამ დროს სამარიის კარიბჭესთან ერთი საწყაო გამტკიცული ფქვილი ერთი შეკელი ეღირება, ორი საწყაო ქერიც – ერთი შეკელი.“

¹⁹და მიუგო მაშინ კარისკაცმა და თქვა: „აჰა, სარკმლებიც რომ გახსნას უფალმა ცაზე, განა მოხდება ასეთი ამბავი?“ ღვთისკაცმა კი მიუგო: „შენი თვალთ იხილავ, ჭამით კი ვერ შეჭამ.“

²⁰და ასეც აუხდა. და გადათელა იგი ბრბომ კარიბჭეში და მოკვდა.

მეოთხე მეფეთა 8

¹ელისემ უთხრა დედაკაცს, რომელსაც შვილი გაუცოცხლა: „ადექი და წადი შენი ოჯახით და დადექი სადმე მწირად, სადაც შეძლებ, რადგან მოუხმო უფალმა შიმშილობას და მოვა კიდევ ქვეყანაზე შვიდი წლით.“

²და ადგა ის დედაკაცი და ღვთისკაცის სიტყვისამებრ მოიქცა: წავიდა თავისი ოჯახით და შვიდ წელიწადს მწირობდა ფილისტიმელთა ქვეყანაში.

³და როცა შვიდმა წელმა გაიარა, დაბრუნდა ეს ქალი ფილისტიმელთა ქვეყნიდან, და მოვიდა მეფესთან თავისი სახლ-კარისა და საყანის გამოსათხოვად.

⁴ამ დროს ელაპარაკებოდა მეფე გეხაზის, ღვთისკაცის მსახურს, და უთხრა: „მიამბე ყველა დიდი საქმე, რაც ელისეს გაუკეთებია.“

⁵და როცა უყვებოდა მეფეს, როგორ გააცოცხლა ელისემ მკვდარი, აჰა, ის დედაკაცი, რომელსაც შვილი გაუცოცხლა, ეხვეწებოდა მეფეს თავისი სახლ-კარისა და საყანის გამო. და თქვა გეხაზიმ: „მეფე-ბატონო, ეს სწორედ ის დედაკაცია, და სწორედ ეს არის მისი ძე, ელისემ რომ გააცოცხლა.“

⁶და გამოჰკითხა მეფემ დედაკაცს და მანაც უამბო ყოველივე. და მისცა მას მეფემ ერთი კარისკაცი და უთხრა: „დაუბრუნეთ მთელი მისი საკუთრება და მიწის მთელი მოსავალი იმ დღიდან, რაც ქვეყანა მიატოვა მან, დღევანდელ დღემდე.“

⁷და მივიდა ელისე დამასკოში, როცა ავად იყო ბენ-ჰადადი, არამის მეფე. და მოახსენეს და უთხრეს: ღვთისკაციაო მოსული.

⁸და უთხრა მეფემ ხაზაელს: „აილე ხელში ძღვენი და შეეგებე ღვთისკაცს. და უფალთან აკითხვინე, განვიკურნები თუ არა ამ სენისგან?“

⁹და წავიდა ხაზაელი მისაგებებლად. და ხელში აიღო ძღვენი და ყველაფერი, რაც კი საუკეთესო იყო დამასკოში, 40 აქლემის ტვირთი. და



მივიდა, და წარუდგა მას და თქვა: „შენმა ძემ – ბენ-ჰადადმა, არამის მეფემ გამომგზავნა შენთან საკითხავად, განვიკურნები თუ არაო ამ სენისგან?“

¹⁰და უთხრა ელისემ: „წადი და უთხარი: განიკურნები-თქო. მაგრამ მახილვინა უფალმა, რომ მაინც მოკვდება.“

¹¹და მიაშტერა ელისემ მას მზერა და დიდხანს იყო ასე, ვიდრე არ შეაშფოთა იგი; და ატირდა ღვთისკაცი.

¹²და თქვა ხაზაელმა: „რატომ ტირის ჩემი ბატონი?“ და თქვა: „იმიტომ, რომ ვიცი, თუ რა ბოროტებას უზამ ისრაელიანთ: ცეცხლს მისცემ მათ ციხესიმაგრეებს, მახვილით ამოხოცავ მათ ჭაბუკებს, გასრეს მათ თოთო ბავშვებს და შუაზე გაჰკვეთ მათ ორსულ დედაკაცებს.“

¹³და თქვა ხაზაელმა: „ვინ ძალლი გდია შენი მსახური, რომ ასეთი დიდი საქმე გააკეთოს?“ და თქვა ელისემ: „შენი თავი მიჩვენა უფალმა არამის მეფედ.“

¹⁴და წავიდა ელისესგან და მივიდა თავის ბატონთან. და ჰკითხა: რა გითხრაო ელისემ? თქვა: შენზე მითხრა, გამოჯანმრთელდებო.

¹⁵და აიღო მეორე დღეს მაქმანი, წყალში დაასველა და სახეზე დაადო მას. და მოკვდა ბენ-ჰადადი და გამეფდა მის ნაცვლად ხაზაელი.

¹⁶ისრაელის მეფე იორამ ახაბის ძის მეხუთე წელს, იუდას მეფის, იოშაფატის შემდეგ გამეფდა იორამ იოშაფატის ძე, იუდას მეფე.

¹⁷32 წლისა იყო, როცა გამეფდა, და რვა წელი იმეფა იერუსალიმში.

¹⁸ისრაელის მეფეთა გზით დადიოდა იგი, როგორც იქცეოდა ახაბის სახლი, რადგან ახაბის ასული ჰყავდა ცოლად, და უკუღმართად იქცეოდა უფლის თვალში.

¹⁹მაგრამ არ უნდოდა უფალს იუდას დაღუპვა დავითის, თავისი მსახურის გამო, როგორც ნათქვამი ჰქონდა, რომ მისცემდა ლამპარს მას მის შთამომავლობაში სამარადისოდ.

²⁰მის დროს განუდგა ედომი იუდას და დაისვეს მეფე.

²¹და გაემართა იორამი ცაყირისკენ მთელი თავისი ეტლიონით; და ადგა ღამით და სძლია ედომელებს, და ეტლის მეთაურებს, გარს რომ ეხვივნენ. და გაიქცა ხალხი თავ-თავის კარვებში.

²²და განუდგა ედომი იუდას და ასეა დღემდე. იმ ხანადვე განდგა ლიბნაც.

²³იორამის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გაუკეთებია, იუდას მეფეთა მატთანეშია ჩაწერილი.



²⁴და განისვენა იორამმა თავის მამებთან და დაიმარხა თავის მამათა გვერდით დავითის ქალაქში. მის ნაცვლად მისი ძე, ახაზია, გამეფდა.

²⁵ისრაელის მეფის, იორამ ახაზის ძის მეთორმეტე წელს გამეფდა ახაზია იორამის ძე, იუდას მეფე.

²⁶22 წლისა იყო ახაზია, რომ გამეფდა; და ერთი წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო ღათალია, ისრაელის მეფის, ყომრის, ასული.

²⁷ახაზის სახლის გზით დადიოდა იგი და უკუღმართად იქცეოდა უფლის თვალში, როგორც ახაზის სახლი, რადგან ახაზის სახლის სიძე იყო.

²⁸და წავიდა იგი იორამ ახაზის ძესთან ერთად ხაზაელთან, არამის მეფესთან საომრად გალაადის რამოთში და დაჭრეს არამელებმა იორამი.

²⁹და მობრუნდა იორამ მეფე, რომ იზრეყელში მოემშუმებინა ჭრილობა, არამელებმა რომ მიაყენეს რამაში, როცა ხაზაელს, არამის მეფეს ეომებოდა. და ჩამოვიდა ახაზია იორამის ძე, იუდას მეფე, იზრეყელში იორამ ახაზის ძის სანახავად, რადგან ავად იყო იგი.

მეოთხე მეფეთა 9

¹ელისე წინასწარმეტყველმა მოუხმო წინასწარმეტყველთა ერთ-ერთ ძეს და უთხრა: „შეიბი სარტყელი წელზე, აილე ეს ზეთის ჭურჭელი და წადი გალაადის რამოთში.

²და როცა იქ მიხვალ, მოძებნე იეჰუ, იოშაფატ ნიმშის ძის ძე და მიდი და წამოაყენე მისი ძმებისგან და უკანა ოთახში შეიყვანე;

³და აილე ზეთის ჭურჭელი და ზეთი დაასხი თავზე, და უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი: ‘მე გცხებ ისრაელის მეფედ.’ შემდეგ გააღე კარი, გაიქეცი და არ მოიცადო.“

⁴და წავიდა ყმაწვილი, წინასწარმეტყველის მსახური, გალაადის რამოთში.

⁵მივიდა, და, აჰა, სხედან მხედართმთავრები, და უთხრა: „სიტყვა მაქვს შენთან, მეთაურო.“ და თქვა იეჰუმ: „რომელ ჩვენგანთან?“ და თქვა: შენთანო, მხედართმთავარო.

⁶და ადგა, და შევიდა სახლში. და დაასხა ზეთი თავზე და უთხრა: „ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: მე გცხებ უფლის ერის, ისრაელის მეფედო.“

⁷შენ მოსპობ შენი ბატონის, ახაზის სახლს, რომ ავიღო ჩემს მსახურთა, წინასწარმეტყველთა სისხლი და უფლის ყველა მსახურის სისხლი, იეზებელის ხელით რომ დაეცნენ.



⁸და განადგურდება ახაბის მთელი სახლი, და ამოვუძირკვავ ახაბს კაცს, და ყმასა და აზატს ისრაელში.

⁹და ვაქცევ ახაბის სახლს იეროზოყამ ნებატის ძის სახლივით, და ახიას ძის, ბაყაშას სახლივით.

¹⁰იეზებელს კი ძაღლები შეჭამენ იზრეყელის ველზე და არავინ დამარხავს მას.“ და გააღო კარი და გაიქცა.

¹¹და გავიდა იეჰუ თავისი ბატონის მსახურებთან, და უთხრეს: „ხომ მშვიდობაა? რისთვის მოვიდა შენთან ეგ შეშლილი?“ და უთხრა მათ: „თქვენ იცით ეს კაციც და მისი ნალაპარაკეიც.“

¹²და თქვეს: „ტყუილია, გვითხარი.“ და თქვა: „ასე და ასე მითხრა, ასე ამბობსო უფალი: მე გცხებ ისრაელის მეფედო.“

¹³და საჩქაროდ დაავლეს ხელი თავიანთ მოსასხამებს, და ზედ საფეხურებზე დაუფინეს, და ბუკსა ჰკრეს და გამოაცხადეს: გამეფდო იეჰუ!

¹⁴აუჯანყდა იეჰუ, იოშაფატ ნიმშის ძის ძე იორამს; ხოლო იორამი მთელ ისრაელთან ერთად არამის მეფე ხაზაელს უდარაჯებდა გალაადის რამოთში.

¹⁵თავად იორამ მეფე უკან დაბრუნდა, რათა იზრეყელში მოემუშებინა არამის მეფე ხაზაელთან ბრძოლის დროს არამელთა მიერ მიყენებული ჭრილობები. და თქვა იეჰუმ: „თუ თანახმა ხართ, ნურავის გაუშვებთ ქალაქიდან იზრეყელში ამბის წასაღებად.“

¹⁶და ამხედრდა იეჰუ და გასწია იზრეყელისაკენ, რადგან იქ იწვა იორამი; და იუდას მეფე ახაზიაც იქ იყო მისული იორამის სანახავად.

¹⁷ეზგური იდგა კოშკზე იზრეყელში. და დაინახა, იეჰუს ჯარი რომ მოდიოდა, და თქვა: „ჯარსა ვხედავ!“ და თქვა იორამმა: „ადექი და გააგზავნე მხედარი შესახვედრად, და იკითხოს: ‘ხომ მშვიდობა არის?’“

¹⁸და წავიდა მხედარი მისაგებებლად და უთხრა: „მეფე კითხულობს, ხომ მშვიდობა არისო?“ და თქვა იეჰუმ: „შენ ვინ გეკითხება მშვიდობას? უკან წამომყევი.“ შეატყობინა ეზგურმა მეფეს: „მივიდა ის მათთან, მაგრამ უკან აღარ ბრუნდება.“

¹⁹და გაგზავნა მან მეორე მხედარი. ისიც მივიდა მათთან და თქვა: „ასე ამბობს მეფე, ხომ მშვიდობა არისო?“ და თქვა იეჰუმ: „შენ ვინ გეკითხება მშვიდობას? უკან წამომყევი.“



²⁰შეატყობინა ებგურმა მეფეს: „მივიდა ის მათთან და უკან აღარ ბრუნდება. ჯარის წინამძღოლი კი საქციელით იეჰუ უნდა იყოს, ნიმშის მე, რადგან გამალებული მოქრის.“

²¹და თქვა იორამმა: შემიბითო ეტლი! და შეუბეს ეტლი. და გავიდნენ იორამი, ისრაელის მეფე, და ახაზია, იუდას მეფე, თავ-თავისი ეტლებით. და გავიდნენ იეჰუს შესახვედრად, და შეეყარნენ მას ნაბოთ იზრეყელელის მინდორზე.

²²და როცა დაინახა იორამმა იეჰუ, თქვა: „ხომ მშვიდობაა, იეჰუ?“ და თქვა: „რა მშვიდობა უნდა იყოს დედაშენის, იეზებელის გარყვნილებისა და მისი ამდენი ჯადოქრობის მერე?“

²³და უკან გატრიალდა იორამი და გაიქცა, და უთხრა ახაზიას: „ღალატია, ახაზია!“

²⁴და მოზიდა მშვილდი იეჰუმ, და ბეჭებს შორის დაჰკრა და გულს უწვდინა ისარი. და ჩაიჩოქა თავის ეტლზე იორამმა.

²⁵და უთხრა იეჰუმ ბიდეკარს, თავის მხლებელს: „აილე და გადააგდე იგი ნაბოთ იზრეყელელის მინდორში. და გაიხსენე, ორივე რომ მივყვებოდით უკან ცხენდაცხენ მე და შენ მამამისს, ახაბს, და ეს განაჩენი რომ გამოუტანა უფალმა:

²⁶‘განა ნაბოთისა და მისი შვილების სისხლი არ ვიხილე გუშინ?’ – ამბობს უფალი. აილე და გადააგდე მინდორში, უფლის სიტყვისამებრ.“

²⁷ეს რომ დაინახა იუდას მეფე ახაზიამ, ბეთ-ჰაგანისკენ გაიქცა. და გაეკიდა იეჰუ და თქვა: „მაგასაც დაჰკარით მისსავე ეტლზე.“ და დაჰკრეს მას გურის მალლობზე, იზლეყამთან რომ არის. და გაიქცა ის მეგიდოსაკენ და იქ მოკვდა.

²⁸და წაასვენეს მისმა მსახურებმა იერუსალიმს და დამარხეს იგი თავის სამარხში, მის მამათა გვერდით, დავითის ქალაქში.

²⁹ახაბის ძის, იორამის მეთერთმეტე წელს გამეფდა ახაზია იუდაში.

³⁰და მივიდა იეჰუ იზრეყელში და, როცა მოესმა ამბავი იეზებელს, საოლავი წაისვა თვალებზე, თავი გაილამაზა და გაიხედა სარკმელში.

³¹და შევიდა თუ არა იეჰუ კარიბჭეში, ქალმა თქვა: „ხომ მშვიდობითაა ზიმრი, თავისი ბატონის მკვლელი?“

³²ახედა სარკმელს კაცმა და დაიძახა: „ვინ არის ჩემს მხარეზე, ვინ?“ და გადმოხედა მას ორმა-სამმა საჭურისმა.



³³და თქვა: „გადმოაგდეთ ქალი!“ და გადმოაგდეს. და მიესხა მისი სისხლი კედელს და ცხენებს. და გადათელეს მათ იგი.

³⁴და მივიდა იეჰუ, და ჭამა და სვა, და თქვა: „მოძებნეთ ის შეჩვენებული და დამარხეთ, რადგან მაინც მეფის ასულია.“

³⁵და წავიდნენ მის დასამარხად, მაგრამ ვერაფერი ნახეს მისი, თავის ქალისა და ხელ-ფეხის მეტი.

³⁶და დაბრუნდნენ და მოახსენეს. და თქვა იეჰუმ: „ასეთი იყო უფლის სიტყვა, რომელიც გამოაცხადა მან თავისი მსახურის, ელია თიშბელის პირით: იზრეყელის ველზე შეჭამენო ძაღლები იეზებელს.“

³⁷და ეგდება იეზებელის გვამი იზრეყელის ველზე, როგორც ნეხვი მიწდორში, ისე რომ ვერავინ იტყვის: აი, ეს არისო იეზებელი.

მეოთხე მეფეთა 10

¹ახაბს ⁷⁰ შვილი ჰყავდა სამარიაში. და დაწერა იეჰუმ წერილები და დაუგზავნა სამარიაში იზრეყელის მთავრებს, უხუცესებსა და ახაბის შვილების გამზრდელებს. წერილში ნათქვამი იყო:

²„ახლა, როცა მოგივათ ეს წერილი, ხომ თქვენთან იქნებიან თქვენი ბატონის ძენი, თქვენს ხელთ არის ეტლები და ცხენები, ციხე-ქალაქი და საჭურველი.

³ჰოდა, ამოირჩიეთ თქვენი ბატონის ძეთაგან უკეთესი, ვინც თქვენ მოგწონთ, და დასვით მამამისის ტახტზე და იბრძოლეთ თქვენი ბატონის სახლისთვის.“

⁴და დიდად, დიდად შეშინდნენ და თქვეს: „აჰა, ორი მეფე ვერ დაუდგა წინ, ჩვენ როგორღა დავუდგეთ?“

⁵და შეუთვალეს იეჰუს სასახლის მოურავმა, ქალაქის განმგებელმა, უხუცესობამ და გამზრდელებმა: „შენი მსახურნი ვართ, როგორც გვიბრძანებ, ისე მოვიქცევით. არავის გავამეფებთ, როგორც გერჩიოს, ისე მოიქეცი.“

⁶და მისწერა მათ მეორე წერილი: „თუ ჩემიანები ხართ და ჩემს სიტყვას ემორჩილებით, წამოიღეთ თქვენი ბატონის ძეთა თავები და ხვალ ამ დროს იზრეყელში მოდით ჩემთან.“ უფლისწულები – 70 კაცი – ქალაქის დიდებულებთან იყვნენ, რომელნიც ზრდიდნენ მათ.

⁷როცა წერილი მოუვიდათ, გამოიყვანეს უფლისწულები და დახოცეს – 70 კაცი. კალათებში ჩააწყვეს მათი თავები და იზრეყელში გაუგზავნეს იეჰუს.



⁸და მივიდა მოციქული და მოახსენა: „მოიტანეს უფლისწულთა თავები.“ და თქვა: „ორ გროვად დაყარეთ კარიბჭის შესასვლელთან დილამდე.“

⁹დილა იყო, რომ გამოვიდა, დადგა და უთხრა მთელ ხალხს: „თქვენ უბრალონი ხართ. აჰა, მე ავუჯანყდი ჩემს ბატონს, მე მოვკალი, მაგრამ ესენი ვინ დახოცა?

¹⁰ამიერიდან იცოდეთ, რომ უფლის არც ერთი სიტყვა, რაც უბრძანებია მას ახაბის სახლზე, ფუჭად არ ჩაივლის. აღასრულა უფალმა, რაც ბრძანა თავისი მსახურის, ელიას პირით.“

¹¹და ამოხოცა იეჰუმ ვინც კი იყო დარჩენილი ახაბის სახლიდან იზრეყელში, ყველა მისი დიდებული, მისი მახლობლები, მისი მღვდლები, არავინ დარჩენილა მისიანი ცოცხალი.

¹²და ადგა და წავიდა და მივიდა სამარიაში. გზაში, ბეთ-ყეკედთან, მწყემსთა ბინებთან,

¹³შეხვდა იეჰუ იუდას მეფის, ახაზიას ძმებს და თქვა: „ვინა ხართ?“ და თქვეს: „ახაზიას ძმები ვართ. მეფისა და დედოფლის შვილების ამბის გასაგებად მივდივართ.“

¹⁴და თქვა: „ცოცხლად შეიპყარით!“ შეიპყრეს ცოცხლად და ჭასთან დახოცეს ბეთ-ყეკედში, 42 კაცი, ერთიც არ დატოვეს ცოცხალი.

¹⁵და წავიდა იქიდან და შეეყარა იონადაბს, რექაბის ძეს, რომელიც მის შესახვედრად მოდიოდა. მიესალმა და უთხრა: „ისევე წრფელია შენი გული, როგორც ჩემი გული შენდამი?“ და თქვა იონადაბმა: „წრფელია. წრფელია და მომეცი ხელი.“ და მისცა ხელი და მანაც აიყვანა თავის ეტლზე.

¹⁶და თქვა: „წამომყევი და ნახე ჩემი შური უფლისადმი.“ და დასვეს ეტლზე.

¹⁷და მივიდა სამარიას და ამოხოცა ყველა, ვინც კი დარჩენოდა ახაბს სამარიაში. და ბოლომდე გაანადგურა ყველანი, უფლის სიტყვისამებრ, როგორც ნაბრძანები ჰქონდა უფალს ელიასთვის.

¹⁸და შეკრიბა იეჰუმ მთელი ერი და გამოუცხადა: „ცუდად ემსახურებოდა ახაბი ბაყალს, იეჰუ უფრო მეტად მოემსახურება მას.

¹⁹ახლა შემიყარეთ ბაყალის ყველა ქადაგი, ყველა მისი მსახური და ყველა მისი ქურუმი, კაციშვილი არ აკლდეს, რადგან დიდი მსხვერპლშეწირვა მექნება ბაყალისთვის. ვინც დააკლდება, ვერ გადარჩება ცოცხალი.“ ასეთი ხრიკი მოიგონა იეჰუმ ბაყალის თაყვანისმცემლების ამოსაწყველად.

²⁰და თქვა იეჰუმ: გამოაცხადეთო ბაყალის დღესასწაული! და გამოაცხადეს.



²¹და დაგზავნა იეჰუმ მთელს ისრაელში; და მოვიდა ბაყალის ყველა მსახური, კაციშვილი არ დარჩენილა მოუსვლელი. და შევიდნენ ბაყალის სახლში და კიდით კიდემდე გაივსო ბაყალის სახლი.

²²და უთხრა სამოსლის მცველს იეჰუმ: „გამოუტანე სამოსელი ბაყალის ყველა მსახურს.“ მანაც გამოუტანა შესამოსელი.

²³და შევიდა იეჰუ იონადაბ რეჟაბის ძესთან ერთად ბაყალის სახლში და უთხრა ბაყალის მსახურებს: „მიათვალ-მოათვალიერეთ, რომ არ იყოს თქვენს შორის უფლის მსახურთაგანი ვინმე, რადგან მხოლოდ ბაყალის მსახურები უნდა იყვნენ აქ.“

²⁴შეუდგნენ მსხვერპლისა და სრულადდასაწველის შეწირვას. და გარეთ დააყენა იეჰუმ 80 კაცი და უბრძანა: „იცოდეთ, თუ ვინმე გადარჩა იმათგან, ვისაც გაბარებთ, მის სულს თქვენ მოგკითხავთ.“

²⁵და როცა დასრულდა სრულადდასაწველის შეწირვა, უბრძანა იეჰუმ მალემსრბოლებსა და მეთაურებს: „წადით და დახოცეთ, არავინ გაგეჟცეთ.“ და მახვილით დახოცეს და იქვე დაყარეს მალემსრბოლებმა და მეთაურებმა. თავად კი იმ ქალაქისკენ წავიდნენ, სადაც ბაყალის სახლი იყო.

²⁶და გამოიტანეს ბაყალის სახლიდან ბაყალის ქანდაკებები და დაწვეს.

²⁷და დაამსხვრიეს ბაყალის ქანდაკი, და დაანგრიეს ბაყალის სახლი და სანაგვე ადგილად აქციეს დღესამომდე.

²⁸ასე გადააშენა იეჰუმ ბაყალი ისრაელიდან.

²⁹ოღონდ იეროხოყამ ნებატის ძის ცოდვებისათვის, რითაც მან აცდუნა ისრაელი, არ დაუნებებია იეჰუს თავი, და არც ოქროს ხბორებისთვის, ბეთელსა და დანში რომ იდგა.

³⁰და უთხრა უფალმა იეჰუს: „იმის გამო, რომ სწორად მოიქეცი ჩემს თვალში და ყველაფერი აღასრულე ახაბის სახლზე, რაც გულში მქონდა, მეოთხე თაობამდე ისხდებიან შენი შთამომავლები ისრაელის ტახტზე.“

³¹მაგრამ მთელი გულით არ იცავდა იეჰუ უფლის, ისრაელის ღმერთის, რჯულს. არ დაუნებებია თავი იეროხოყამის ცოდვებისთვის, რომლებითაც აცდუნა მან ისრაელი.

³²იმ ხანებში დაიწყო უფალმა მიწების ჩამოჭრა ირაელისთვის; სძლია ისრაელს ხაზაელმა მთელს მის საზღვრებზე და წაართვა

³³მზის აღმოსავლეთით იორდანედან გალაადის მთელი მხარე, გადის, რეუბენის, მანაშეს მიწები ყაროყერიდან დაწყებული, არნონის ხეობაში რომ არის, გალაადი და ბაშანი.



³⁴და იეჰუს დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გააკეთა, ყველა მისი გმირობა ისრაელის მეფეთა მატთანაა ჩაწერილი.

³⁵და განისვენა იეჰუმ თავის მამებთან. და დამარხეს სამარიაში. და მის ნაცვლად მისი ძე – იეჰოახაზი გამეფდა.

³⁶სულ 28 წელი იმეფა იეჰუმ ისრაელზე სამარიაში.

მეოთხე მეფეთა 11

¹როცა დაინახა ღათალიამ, ახაზიას დედამ, რომ მოკვდა მისი შვილი, ადგა და ამოწყვიტა მთელი სამეფო მოდგმა.

²მაგრამ იოშეაყმა, მეფე იორამის ასულმა, ახაზიას დამ, აიყვანა იოაში, ახაზიას ძე, და მოიპარა დასახოცად განწირულ უფლისწულთაგან; და მის მიძასთან ერთად საწოლ ოთახში დამალეს ღათალიასგან, და ვერ მოკლეს.

³ექვს წელს მალავდნენ იმასთან ერთად უფლის სახლში, მაშინ როცა ღათალია მეფობდა ქვეყანაზე.

⁴მეშვიდე წელს დაიბარა იეჰოიადაყმა მცველთა და მალემსრბოლთა ასისტავები და შეიყვანა ისინი უფლის სახლში, და აღთქმა მოსთხოვა მათ, და დააფიცა უფლის სახლში და აჩვენა მეფის ძე.

⁵და უბრძანა მათ და უთხრა: „აი, როგორ უნდა მოიქცეთ: თქვენგან მესამედმა, შაბათს მომსვლელთაგან, მეფის სასახლეში უნდა იყარაულოს.

⁶(მესამედმა – სურის კარიბჭესთან, მესამედმაც – კარიბჭესთან, მალემსრბოლთა უკან რომ არის). მორიგეობით იყარაულეთ სასახლეში.

⁷თქვენგან ორმა ნაწილმა, შაბათს გამომსვლელთაგან, უფლის სახლში უნდა იყარაულოს მეფის წინაშე.

⁸გარს შემოერთყით მეფეს იარაღით ხელში და, ვინც რიგებში შემოვა, მოკვდეს. ედექით მეფეს მისი გამოსვლისას და შესვლისას.”

⁹ყველაფერი ისე გააკეთეს ასისტავებმა, როგორც უბრძანა მათ იეჰოიადაყ მღვდელმა, და წაიყვანეს თავ-თავისი ხალხი – შაბათს მომსვლელნი, შაბათს გამოსვლელბთან ერთად – და იეჰოიადაყ მღვდელთან მივიდნენ.

¹⁰და დაურიგა მღვდელმა ასისტავებს მეფე დავითის შუბები და ფარები, უფლის სახლში რომ იყო.

¹¹და დადგნენ მალემსრბოლები იარაღით ხელში სახლის მარჯვენა ფრთიდან სახლის მარცხენა ფრთამდე, სამსხვერპლოსთან და სახლთან, მეფის ირგვლივ.



¹²და გამოიყვანა მღვდელმა მეფის ძე, დაადგა სამეფო გვირგვინი და დასცა დასტური, და გაამეფეს და სცხეს, და ტაშს უკრავდნენ და ამბობდნენ: „დღეგრძელი იყოს მეფე!“

¹³და შემოესმა ღათალიას ხალხის ჩოჩქოლი და გავიდა ხალხთან უფლის სახლში.

¹⁴და დაინახა წესისამებრ სვეტთან მდგარი მეფე, და სარდლები და საყვირები მეფის გვერდით. მხიარულობს ქვეყნის ერი და საყვირებს ახმიანებენ. და დაიპო სამოსელი ღათალიამ და იყვირა: „ღალატია! ღალატია!“

¹⁵და უბრძანა იეჰოიადაც მღვდელმა ასისტავებს – მხედართმთავრებს, და უთხრა: „გარეთ გაიყვანეთ ღათალია და ვინც უკან გაჰყვება, მახვილით მოკალით,“ რადგან მღვდელმა იფიქრა, უფლის სახლში არ მოკლანო.

¹⁶გზა მისცეს და წავიდა სასახლისკენ ცხენთა შესასვლელით და იქ მოკლეს.

¹⁷და დადო იეჰოიადაცმა აღთქმა უფალს, მეფესა და ერს შორის, რათა საუფლო ერი ყოფილიყო; და – მეფესა და ერს შორის.

¹⁸და შევიდა მთელი ქვეყნის ერი ბაყალის სახლში და დაანგრია იგი სამსხვერპლოიანად, და დალეწა მისი გამოსახულებანი და მოკლეს მათანი, ბაყალის ქურუმი, სამსხვერპლოების წინ. და დააწესა მღვდელმა ზედამხედველობა უფლის სახლზე.

¹⁹და წამოიყვანა ასისტავები, სასახლის მცველები, მალემსრბოლები და ქვეყნის ერი და მათაც გამოიყვანეს მეფე უფლის სახლიდან. მცველთა შესასვლელით სამეფო სახლში მივიდნენ; და მეფეთა ტახტზე დაჯდა იგი.

²⁰და გამხიარულდა მთელი ქვეყნის ერი და დაწყნარდა ქალაქი. ხოლო ღათალია მახვილით მოკლეს სამეფო სახლში.

²¹შვიდი წლისა იყო იეჰოაში, როცა გამეფდა.

მეთხე მეფეთა 12

¹იეჰუს მეშვიდე წელს გამეფდა იეჰოაში და ⁴⁰ წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო ციბია ბეერ-შებაყიდან.

²სწორედ იქცეოდა უფლის თვალში იეჰოაში მთელი თავისი სიცოცხლე, სანამ მღვდელი იეჰოიადაცი მოძღვრავდა მას.

³ოღონდ გორაკები არ ყოფილა გაუქმებული. კვლავაც იქ სწირავდა ხალხი მსხვერპლს და აკმევდა საკმეველს.



- ⁴და უთხრა იეჰოაშმა მღვდლებს: „მთელი ფული, რაც შეიწირება უფლის ტაძრისადმი – ფული თითოეული ასაკსრული კაცისა, რომელიც უკვე სულად ირაცხება, და ფული, რომელსაც გამოიმეტებს კაცის გული უფლის ტაძრისათვის,
- ⁵აიღონ მღვდლებმა თავისთვის თავ-თავისი ნაცნობებისაგან და შეაკეთონ ტაძარში ყველაფერი, რასაც შესაკეთებელს აღმოაჩენენ.“
- ⁶და როცა მეფე იეჰოაშის ოცდამესამე წელს მაინც არ ჰქონდათ შეკეთებული მღვდლებს ყველაფერი, რაც შესაკეთებელი იყო უფლის სახლში,
- ⁷დაუძახა მეფე იეჰოაშმა იეჰოიადაც მღვდელს და სხვა მღვდლებს და უთხრა: „რატომ არ შეგიკეთებიათ სახლი? მეტად ნულარ აიღებთ თქვენი ნაცნობებისგან ფულს, არამედ სახლის შესაკეთებლად მიეცით ის.“
- ⁸და შეთანხმდნენ მღვდლები, აღარ აეღოთ ვერცხლი სახლის შესაკეთებლად.
- ⁹და აიღო იეჰოიადაც მღვდელმა ერთი კიდობანი, ზემოდან ნახვრეტი გაუკეთა და სამსხვერპლოს მარჯვნივ დადგა, საიდანაც უფლის სახლში შემოდის. და მასში ყრიდნენ ზღურბლის მცველი მღვდლები უფლის სახლში შემოტანილ მთელ ფულს.
- ¹⁰და როცა ნახავდნენ, რომ ბევრი ფული დაგროვდა ყუთში, მოვიდოდნენ მეფის მწიგნობარი და მღვდელმთავარი, გადმოყრიდნენ და დაითვლიდნენ უფლის სახლში შეგროვებულ ფულს.
- ¹¹და ხელში აბარებდნენ დათვლილ ფულს სამუშაოთა მწარმოებლებს, რომელნიც უფლის სახლში იყვნენ განწესებულნი. და ესენი ურიგებდნენ დურგლებს და მშენებლებს – უფლის სახლში მომუშავეთ,
- ¹²ქვისმთლელებს და ქვითხუროებს. ყიდულობდნენ ხე-ტყეს და თლილ ქვას უფლის ტაძრის შესაკეთებლად, და ყველაფერს, რაც გასამაგრებლად იყო საჭირო.
- ¹³ოღონდ უფლის ტაძრისთვის საჭირო ვერცხლის თასები, მაშები, სასხურებლები, საყვირები, ოქროსა და ვერცხლის ყოველგვარი ჭურჭელი არ მზადდებოდა უფლის სახლში შემოსული ფულით,
- ¹⁴რადგან სამუშაოთა მწარმოებლებს ეძლეოდათ, რომ ამით შეეკეთებინათ უფლის სახლი.
- ¹⁵და ანგარიშს არ სთხოვდნენ იმ პირებს, რომელნიც სამუშაოთა მწარმოებლებს აბარებდნენ ხელში ფულს, რადგან პატიოსნად იქცეოდნენ.



¹⁶დანაშაულის მსხვერპლის ფული და ცოდვის გამოსასყიდი ფული არ შემოდის უფლის სახლში. მღვდლებს ეკუთვნოდა იგი.

¹⁷მაშინ გაემართა სალაშქროდ ხაზაელი, არამის მეფე, ომი დაიწყო გათის წინააღმდეგ და აიღო იგი. და იერუსალიმზე გალაშქრებაც განიზრახა ხაზაელმა.

¹⁸და აიღო იეჰოაშმა, იუდას მეფემ, მთელი შემოწირულობა, რაც შემოწირული ჰქონდათ ტაძრისთვის იოშაფატს, იორამს და ახაზიას, მის მამებს, იუდას მეფეებს, თავისი შემოწირულობაც და მთელი ოქროულობა, რაც კი მოიპოვებოდა უფლის სახლში და მეფის სახლის საგანძურებში, და გაუგზავნა ხაზაელს, არამის მეფეს. და ისიც გაეცალა იერუსალიმს.

¹⁹იოაშის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გააკეთა, იუდას მეფეთა მატრიანეშია ჩაწერილი.

²⁰და აღდგნენ მისი მსახურნი და შეითქვნენ მის წინააღმდეგ, და მოკლეს იოაში მილოს სახლში, სილას ჩასავალთან.

²¹მისმა მსახურებმა, იოზაქარ შიმეყათის ძემ და იეჰოზაბად შომერის ძემ მოკლეს იგი. და მოკვდა და დამარხეს მის მამათა გვერდით, დავითის ქალაქში. და მის ნაცვლად მისი ძე, ამაცია გამეფდა.

მეთხე მეფეთა 13

¹იუდას მეფის, იოაშ ახაზიას ძის ოცდამესამე წელს გამეფდა იეჰოახაზ იეჰუს ძე ისრაელზე სამარიაში და იმეფა 17 წელი.

²ზოროტებას ჩადიოდა უფლის თვალში და მიჰყვებოდა იეროზოყამ ნებატის ძის ცოდვების კვალს, რომელმაც აცდუნა ისრაელი, და არ განრიდებია მათ.

³და აღეგზნა უფლის რისხვა ისრაელიანთა მიმართ და ჩაყარა ისინი არამის მეფის, ხაზაელისა და ხაზაელის ძის, ბენ-ჰადადის ხელში დიდი ხნით.

⁴და შეევედრა იეჰოახაზი უფალს და უსმინა მას უფალმა, რადგან დაინახა ისრაელიანთა გასაჭირი, თუ როგორ აჭირვებდა მათ არამის მეფე.

⁵და მისცა უფალმა ისრაელს მხსნელი, და დააღწიეს თავი არამის ბატონობას, და იწყეს ცხოვრება ისრაელიანთა თავ-თავის კარვებში, როგორც წინათ ცხოვრობდნენ.

⁶ოღონდ არ განრიდებია იეროზოყამის სახლის ცოდვებს, რომელმაც აცდუნა ისრაელი; მისდევდნენ მათ და აშერაც კვლავინდებურად იდგა სამარიაში.



⁷50 ცხენოსანი, 10 საომარი ეტლი და 10 ათასი ქვეითიღა შერჩა იეჰოახაზს, რადგან გაანადგურა მათი საომარი ძალები არამის მეფემ და მიწის მტვერით გადათელა.

⁸იეჰოახაზის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გააკეთა, და მისი გმირობანი ისრაელის მეფეთა მატთანშია ჩაწერილი.

⁹და განისვენა იეჰოახაზმა თავის მამებთან, და დამარხეს იგი სამარიაში. და მის ნაცვლად მისი ძე, იოაში, გამეფდა.

¹⁰იუდას მეფე იოაშის ოცდამეჩვიდმეტე წელს გამეფდა იეჰოაშ იეჰოახაზის ძე ისრაელზე სამარიაში და 16 წელი იმეფა.

¹¹ბოროტებას იქმოდა უფლის თვალში; არ მიუტოვებია ცოდვები იეროხოყამ ნებატის ძისა, რომელმაც აცდუნა ისრაელი, არამედ მისდევდა იმ ცოდვებს.

¹²იოაშის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გააკეთა, მისი გმირობანი, იუდას მეფეს, ამაციას რომ ეომებოდა, ისრაელის მეფეთა მატთანშია ჩაწერილი.

¹³და განისვენა იოაშმა თავის მამებთან, და დაჯდა მის ტახტზე იეროხოყამი. და იოაში სამარიაში დაიმარხა ისრაელის მეფეთა გვერდით.

¹⁴და დასწულდა ელისე და მოკვდა კიდევ იმ სენით. და ჩავიდა მასთან იოაში, ისრაელის მეფე, თავზე დასტიროდა და ეუბნებოდა: „ჩემო მამავ, ჩემო მამავ! ისრაელის ეტლო და მხედრობავ!“

¹⁵და უთხრა ელისემ: „აიღე მშვილდ-ისარი!“ მანაც აიღო მშვილდ-ისარი.

¹⁶და უთხრა ისრაელის მეფეს: „დაადე ხელი მშვილდს!“ მანაც დაადო ხელი. და ელისემ მეფის ხელზე დააწყო ხელები.

¹⁷და თქვა: „გააღე აღმოსავლეთის სარკმელი!“ და გააღო. და თქვა ელისემ: „სტყორცნე!“ და სტყორცნა. და თქვა: ძლევის ისარი უფლისაგან და ძლევის ისარი არამისკენ. სძლევ არამს აფეკში საბოლოოდ.

¹⁸თქვა: „აიღე ისრები!“ და აიღო. და უთხრა ისრაელის მეფეს: „დაჰკარი მიწას!“ სამგზის დაჰკრა მიწას და გაჩერდა.

¹⁹გაუბრაზდა ღვთისკაცი და უთხრა: „ხუთგზის ან ექვსგზის რომ დაგეკრა, საბოლოოდ სძლევდი არამს. ახლა სამგზის სძლევ არამს.“

²⁰და მოკვდა ელისე და დამარხეს იგი. და მოაბის ურდოები დაეცნენ ქვეყანას მომდევნო წლის დამდეგს.



²¹ერთხელ ვიღაც კაცს მარხავდნენ, და აჰა, როცა დაინახეს მარბეველნი, ჩააგდეს ეს კაცი ელისეს სამარხში; და როგორც კი შეეხო კაცი ელისეს ძვლებს, მყისვე გაცოცხლდა და ფეხზე წამოდგა.

²²ხაზაელი, არამის მეფე, აჭირვებდა ისრაელიანთ იეჰოახაზის მეფობის მთელს ხანში.

²³და შეიბრალა ისინი უფალმა და შეიწყალა, და მოხედა მათ აბრაამთან, ისაკთან და იაკობთან დადებული აღთქმის გამო, და არ ინება მათი მოსპობა. და თავიდან არ მოუშორებია ისინი დღესამომდე.

²⁴და მოკვდა ხაზაელი, არამის მეფე, და მის ნაცვლად მისი ძე ბენ-ჰადადი გამეფდა.

²⁵და უკანვე დაიბრუნა იეჰოაშ იეჰოახაზის ძემ ბენ-ჰადად ხაზაელის ძისგან ქალაქები, რომლებიც ბრძოლით ჰქონდა წართმეული მისი მამის, იეჰოახაზისთვის. სამგზის სძლია მას იოაშმა და დაიბრუნა ისრაელის ქალაქები.

მეოთხე მეფეთა 14

¹ისრაელის მეფის, იოაშ იოახაზის ძის მეორე წელს გამეფდა ამაცია, იოაშის ძე, იუდას მეფე.

²25 წლისა იყო, როცა გამეფდა და 29 წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო იერუსალიმელი იეჰოყადინი.

³სწორად იქცეოდა უფლის თვალში, ოღონდ არა ისე, როგორც მისი წინაპარი დავითი. ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც მამამისი იოაში.

⁴ოღონდ გორაკები არ იყო ჯერ კიდევ გაუქმებული. და გორაკებზე სწირავდა ხალხი მსხვერპლს და აკმევდა საკმეველს.

⁵და როცა განიმტკიცა მეფობა, დახოცა თავისი მსახურები, რომელთაც მოკლეს მეფე, მამამისი.

⁶მკვლელთა შვილები კი არ დაუხოცია, როგორც სწერია მოსეს რჯულის წიგნში, უფლის ბრძანებისამებრ: „არ უნდა დაისაჯონ სიკვდილით მამები შვილთა გამო, და შვილები მამათა გამო არ უნდა დაისაჯონ სიკვდილით, არამედ თითოეული თავისი დანაშაულისათვის უნდა დაისაჯოს სიკვდილით.“

⁷მან სძლია 10 ათას ედომელს მარილოვან ველზე და ბრძოლით აიღო სელაყი და სახელად უწოდა იოკთეელი, როგორც დღევანდლამდე რჩება.



⁸მაშინ გაუგზავნა ამაცია მოციქულები ისრაელის მეფეს, იეჰოაშს, იეჰუს ძის იეჰოახაზის ძეს, და შეუთვალა: „მოდით, პირისპირ შევხვდეთ.“

⁹და შეუთვალა იეჰოაშმა, ისრაელის მეფემ, ამაციას, იუდას მეფეს: „ლიბანის ძეძვის ბუჩქმა შეუთვალა ლიბანის კედარს: ‘ცოლად მიათხოვეო შენი ასული ჩემს ვაჟს’; მაგრამ ჩაიარა ლიბანის მხეცმა და გადათელა ძეძვი.

¹⁰შენ დაგიმარცხებია ედომელნი და გადიდგულებულხარ. ღირსეულად გეჭიროს თავი და შენთვის იჯექი შინ. რატომ ტეხ შფოთს შენს საუბედუროდ? შენც დაეცემი და იუდაც – შენთან ერთად.”

¹¹მაგრამ ყური არ ათხოვა ამაცია. მაშინ გამოვიდა იეჰოაში, ისრაელის მეფე, და შეხვდნენ პირისპირ ის და იუდას მეფე ამაცია ბეთ-შემემთან, იუდაში რომ არის.

¹²და დამარცხდნენ იუდაელნი ისრაელიანებთან ბრძოლაში და თავიანთ კარვებში გაიფანტნენ.

¹³ხოლო იუდას მეფე ამაცია, ძე იეჰოაშისა, ახაზიას ძისა, შეიპყრო ისრაელის მეფე იეჰოაშმა ბეთ-შემემში და მიადგა იერუსალიმს. დაანგრია იერუსალიმის კედელი ეფრემის კარიბჭიდან კუთხის კარიბჭემდე 400 წყრთის სიგრძეზე;

¹⁴და წაიღო მთელი ოქრო-ვერცხლი და მთელი ჭურჭელი, რაც კი უფლის ტაძრისა და მეფის სახლის საგანძურებში ინახებოდა, და წაასხა მძევლები და გაბრუნდა სამარიაში.

¹⁵იეჰოაშის დანარჩენი საქმენი, რაც გააკეთა, და გმირობანი, რომ ესხმოდა ამაციას, იუდას მეფეს, ისრაელის მეფეთა მატიაწეშია ჩაწერილი.

¹⁶და განისვენა იეჰოაშმა თავის მამებთან და დაიმარხა სამარიაში ისრაელის მეფეთა გვერდით, და მის ნაცვლად მისი ძე იეროზოყამი გამეფდა.

¹⁷ისრაელის მეფის, იეჰოაშ იეჰოახაზის ძის სიკვდილის შემდეგ 15 წელი იცოცხლა იუდას მეფე ამაცია იოაშის ძემ.

¹⁸ამაციას დანარჩენი საქმენი იუდას მეფეთა მატიაწეშია ჩაწერილი.

¹⁹აუჯანყდნენ მას იერუსალიმში და მან თავი შეაფარა ლაქიშს. და მიუგზავნეს კაცები ლაქიშში და იქ მოკლეს.

²⁰და წამოასვენეს ცხენებით და დამარხეს იერუსალიმში თავისი მამების გვერდით, დავითის ქალაქში.

²¹გამოიყვანა იუდას მთელმა ხალხმა ყაზარია, 16 წლის ყმაწვილი, და მამამისის, ამაციას ნაცვლად გაამეფეს.



²²მან აღადგინა ელათი და კვლავ დაუბრუნა იუდას. მერე განისვენა მეფემ თავის მამებთან.

²³იუდას მეფის, იეჰოაშის ძის, ამაციას მეთხუთმეტე წელს გამეფდა იეროზოყამი, იოაშის ძე, ისრაელის მეფე, სამარიაში და 41 წელი იმეფა.

²⁴ბოროტებას სჩადიოდა იგი უფლის თვალში და არ მიუტოვებია იეროზოყამ ნებატის ძის ცოდვები, რომელმაც აცდუნა ისრაელი.

²⁵მან აღადგინა ისრაელის საზღვრები ხამათის ყელიდან ყარაბას ზღვამდე, როგორც ნათქვამი ჰქონდა უფალს, ისრაელის ღმერთს, თავისი მსახურის, გათ-ხევერელი წინასწარმეტყველის, იონა ამითაის ძის პირით.

²⁶რადგან დაინახა უფალმა ისრაელის ძალზე მძიმე გაჭირვება. და არ დარჩენილა არც ყმა და არც აზატი, და არ ჰყავდა შემწე ისრაელს.

²⁷და არ იწება უფალმა ისრაელის სახსენებლის ამოძირკვა ცისქვეშეთიდან და იეროზოყამ იოაშის ძის ხელით იხსნა იგი.

²⁸იეროზოყამის დანარჩენი საქმენი და ყველაფერი, რაც გააკეთა და მისი გმირობანი, როგორ იბრძოდა და როგორ დაუბრუნა ისრაელს დამასკო და ხამათი, იუდას რომ ეჭირა, ისრაელის მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი.

²⁹და განისვენა იეროზოყამმა თავის მამებთან, ისრაელის მეფეებთან, და მის ნაცვლად მისი ძე ზაქარია გამეფდა.

მეოთხე მეფეთა 15

¹ისრაელის მეფის, იეროზოყამის, ოცდამეშვიდე წელს გამეფდა ყაზარია, იუდას მეფის, ამაციას ძე.

²16 წლისა იყო, რომ გამეფდა და 52 წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო იერუსალიმელი იეჰოლია.

³უფლის მოსაწონად იქცეოდა, ისევე როგორც მამამისი ამაცია.

⁴ოღონდ, გორაკები არ მოუსპია, და გორაკებზე სწირავდა მსხვერპლს ხალხი და აკმევდა საკმეველს.

⁵და დასაჯა უფალმა მეფე და სიკვდილამდე კეთროვანი იყო, და ცხოვრობდა განცალკევებულ სახლში. იოთამი, მეფის ძე, სასახლეს ზედამხედველობდა და განსჯიდა ქვეყნის ერს.

⁶ყაზარიას დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გააკეთა, იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი.



⁷და განისვენა ყაზარამ თავის მამებთან და დამარხეს იგი თავის მამებთან დავითის ქალაქში. და მის ნაცვლად მისი ძე, იოთამი გამეფდა.

⁸იუდას მეფის, ყაზარიას ოცდამეტვრამეტე წელს იეროზოყამის ძე ზაქარია გამეფდა ისრაელზე სამარიაში და ექვსი თვე იმეფა.

⁹ბოროტებას სჩადიოდა უფლის თვალში, როგორც მისი მამები აკეთებდნენ. და არ განრიდებია იეროზოყამ ნებატის ძის ცოდვებს, რომელმაც აცდუნა ისრაელი.

¹⁰და აუჯანყდა მას შალუმი, იაბეშის ძე, დაჰკრა და მოკლა იგი, და გამეფდა მის ნაცვლად.

¹¹დანარჩენი, რაც ზაქარიაზე არის ნათქვამი, იხილე ისრაელის მეფეთა მატიაზეში.

¹²ასეთი იყო უფლის სიტყვა, რომელიც მან იეჰუს გამოუცხადა: „მეოთხე თაობამდე ისხდებიან შენი ძენი ისრაელის ტახტზე.“ და ახდა კიდევ.

¹³შალუმ, იაბეშის ძე, გამეფდა იუდას მეფის, ყუზიას ოცდამეცხრამეტე წელს, და ერთ თვეს მეფობდა სამარიაში.

¹⁴და წამოვიდა მენახემი, თირცელი გადის ძე, და მოადგა სამარიას, და დაამარცხა შალუმი, იაბეშის ძე სამარიაში და მოკლა იგი, და გამეფდა მის ნაცვლად.

¹⁵შალუმის დანარჩენი საქმენი და მისი აჯანყების ამბავი, რომელიც მოაწყო, ისრაელის მეფეთა მატიაზეშია ჩაწერილი.

¹⁶მაშინ მოსრა მენახემმა თიფსახი და ყველაფერი, რაც მასში იყო. და მოსრა მთელი მხარე თირცადან მოყოლებული, რადგან არ გააღეს კარიბჭეები. შუაზე გააპო ყველა ორსული ქალი.

¹⁷იუდას მეფის, ყაზარიას ოცდამეცხრამეტე წელს გამეფდა ისრაელის მეფე მენახემი, გადის ძე, და ათი წელი იმეფა სამარიაში.

¹⁸ბოროტებას სჩადიოდა უფლის თვალში, და არ განრიდებია მთელი თავისი სიცოცხლე იეროზოყამ ნებატის ძის ცოდვებს, რომელმაც აცდუნა ისრაელი.

¹⁹და მოვიდა ქვეყანაში ფული, აშურის მეფე. და მისცა მენახემმა ფულს ათასი ტალანტი ვერცხლი, რათა ყოფილიყო მისი მფარველობის ქვეშ და მტკიცედ სჭეროდა ხელში მეფობა.

²⁰და დააკისრა მენახემმა ეს ვერცხლი ისრაელიანთ, ყველა შეძლებულ კაცს – ყოველ კაცზე 50 შეკელი ვერცხლი – აშურის მეფისთვის მისაცემად. და უკან გაბრუნდა აშურის მეფე, არ გაჩერებულა იმ მიწაზე.



- ²¹მენახემის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გააკეთა, ისრაელის მეფეთა მატთანაა ჩაწერილი.
- ²²და განისვენა მენახემმა თავის მამებთან. და მის ნაცვლად გამეფდა მისი ძე ფეკახია.
- ²³იუდას მეფის, ყაზარას ორმოცდამეათე წელს გამეფდა ფეკახია, მენახემის ძე, ისრაელზე, სამარიაში და ორი წელი იმეფა.
- ²⁴ბოროტებას სჩადიოდა უფლის თვალში, და არ განრიდებია იეროზოყამის, ნებატის ძის ცოდვებს, რომელმაც აცდუნა ისრაელი.
- ²⁵და აუჯანყდა მას ფეკახი, რემალიას ძე, მისი კარისკაცი, მიუხდა სამარიაში, სასახლის სიმაგრის წინ, არგობსა და არიესთან ერთად, თან 50 გალაადელი იახლა; მოკლა იგი და მის ნაცვლად გამეფდა.
- ²⁶ფეკახიას დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გაუკეთებია, ისრაელის მეფეთა მატთანაა ჩაწერილი.
- ²⁷იუდას მეფის, ყაზარას ორმოცდამეთორმეტე წელს გამეფდა ფეკახი რემალიას ძე, ისრაელზე სამარიაში და 20 წელი იმეფა.
- ²⁸და ბოროტებას სჩადიოდა უფლის თვალში, და არ განრიდებია ნებატის ძის – იეროზოყამის ცოდვებს, რომელმაც აცდუნა ისრაელი.
- ²⁹ისრაელის მეფის, ფეკახის დროს მოვიდა თიგლათ-ფილესარი, აშურის მეფე, და აიღო ყიონი, აბელ-ბეთ-მაყაქა, იანოახი, კედეში, ხაცორი, გალაადი და გალილეა, მთელი ნაფთალის ქვეყანა და ტყვედ წაასხა აშურში.
- ³⁰და აუჯანყდა ჰოშეაყი, ელას ძე, ფეკახს, რემალიას ძეს, და სძლია და მოკლა, და გამეფდა მის ნაცვლად იოთამის, ყუზიას ძის მეოცე წელს.
- ³¹ფეკახის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გაუკეთებია, ისრაელის მეფეთა მატთანაა ჩაწერილი.
- ³²ისრაელის მეფის, ფეკახის, რემალიას ძის მეორე წელს გამეფდა იოთამი, ყუზიას ძე, იუდას მეფე.
- ³³25 წლისა იყო, როცა გამეფდა, და 16 წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო იერუშა, ცადოკის ასული.
- ³⁴უფლის მოსაწონად იქცეოდა, სწორედ ისე, როგორც მამამისი, ყუზია იქცეოდა.
- ³⁵ოღონდ გორაკები არ იყო გაუქმებული. ჯერაც გორაკებზე სწირავდა ხალხი მსხვერპლს და იქ აკმევდა საკმეველს. მან აღადგინა უფლის ტაძრის ზემო კარიბჭე.



³⁶იოთამის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გაუკეთებია, იუდას მეფეთა მატთანაჲა ჩაწერილი.

³⁷იმ დღეებში შეუჩინა უფალმა იუდას რეცინი, არამის მეფე, და ფეკახი, რემალიას ძე.

³⁸და განისვენა იოთამმა თავის მამებთან და დაიმარხა თავის მამათა გვერდით თავისი მამის, დავითის ქალაქში; და მის ნაცვლად მისი ძე ახაზი გამეფდა.

მეოთხე მეფეთა 16

¹ფეკახის, რემალიას ძის მეჩვიდმეტე წელს გამეფდა ახაზი, იუდას მეფის, იოთამის ძე.

²20 წლისა იყო ახაზი, როცა გამეფდა, და 16 წელი იმეფა იერუსალიმში. სწორად არ იქცეოდა უფლის, თავისი ღვთის თვალში, არა ჰგავდა მამამისს, დავითს.

³და დადიოდა ისრაელის მეფის, იერობოყამ ნაბატის ძის გზით; თავისი შვილიც კი გაატარა ცეცხლში იმ წარმართთა ბილწი ჩვეულებისამებრ, რომელნიც უფალმა ისრაელიანთაგან აჰყარა.

⁴მსხვერპლს სწირავდა და საკმეველს აკმევდა გორაკებზე, ბორცვებზე და ყოველი დაბურული ხის ქვეშ.

⁵მაშინ აღდგნენ რეცინი, არამის მეფე, და ისრაელის მეფე ფეკახი, რემალიას ძე, იერუსალიმის წინააღმდეგ საომრად, მოიმწყვდიეს ახაზი ალყაში, ქალაქის აღება უნდოდათ, მაგრამ ვერ სძლიეს.

⁶იმხანად დაუბრუნა რეცინმა, არამის მეფემ, ელათი არამს და აჰყარა იუდაელნი ელოთიდან. და შევიდნენ ედომელები ელოთში და დღემდე იქ ცხოვრობენ.

⁷და გაუგზავნა ახაზმა თიგლათ-ფილესარს, აშურის მეფეს, მოციქულები და შეუთვალა: „შენი მსახური და შენი შვილი ვარ მე. მოდი და მიხსენი არამის მეფისა და ისრაელის მეფისგან, რომელნიც აღდგნენ ჩემს წინააღმდეგ.“

⁸და აიღო ახაზმა ოქრო-ვერცხლი, რაც კი უფლის ტაძრისა და მეფის სახლის საგანძურებში იპოვებოდა და ძღვნად გაუგზავნა აშურის მეფეს.

⁹და ისმინა მისი აშურის მეფემ, მოადგა დამასკოს, აიღო იგი და ხალხი კირში გადაასახლა, ხოლო რეცინი მოკლა.

¹⁰და წავიდა მეფე ახაზი აშურის მეფის, თიგლათ-ფილესარის მისაგებებლად დამასკოში, და ნახა სამსხვერპლო, დამასკოში რომ იყო, და



გაუგზავნა მეფე ახაზმა ურია მღვდელს სამსხვერპლოს ნახატი და მთელი მისი ნაგებობის გეგმა.

¹¹და ააშენა ურია მღვდელმა სამსხვერპლო იმგვარი, როგორი გეგმაც მეფე ახაზმა გაუგზავნა დამასკოდან; და ისევე გააკეთა სხვა ყველაფერი ურია მღვდელმა მეფე ახაზის დამასკოდან დაბრუნებამდე.

¹²და დაბრუნდა მეფე დამასკოდან, და იხილა მეფემ სამსხვერპლო, და მიეახლა მეფე სამსხვერპლოს, და მიიტანა მსხვერპლი.

¹³და დაწვა მასზე თავისი სრულადდასაწველი და პურეულის შესაწირავი, და დაღვარა თავისი საღვრელი, და თავისი სამშვიდობო მსხვერპლის სისხლი ასხურა სამსხვერპლოს.

¹⁴ბრინჯაოს სამსხვერპლო კი, უფლის წინაშე რომ იდგა, გადაანაცვლა ტაძრის წინა მხრიდან, სამსხვერპლოსა და უფლის ტაძარს შუა ადგილიდან, და მოათავსა ამ სამსხვერპლოს გვერდით, ჩრდილოეთის მხარეს.

¹⁵და უბრძანა მეფე ახაზმა მღვდელ ურიას: „დიდ სამსხვერპლოზე დაწვი დილის სრულადდასაწველი და საღამოს პურეულის ძღვენი, მეფის სრულადდასაწველი და მისი პურეულის ძღვენი, ქვეყნის მთელი ერის სრულადდასაწველი, მათი პურეულის ძღვენი და მათი საღვრელი. ყოველი სრულადდასაწველის სისხლი და ყოველი საკლავის სისხლი ასხურე მას. ბრინჯაოს სამსხვერპლოს კი მე მივხედავ.“

¹⁶ყველაფერი ისე გააკეთა ურია მღვდელმა, როგორც უბრძანა მეფე ახაზმა.

¹⁷და მოაძრო ახაზ მეფემ ფიცრები კვარცხლბეკებს და მოხსნა მათგან საბანელი, და ჩამოიღო ზღვა ბრინჯაოს ხარებიდან, რომლებზეც იდგა ის, და ქვის იატაკზე დადგა.

¹⁸გააუქმა საშაბათო ტალანი, ტაძართან რომ იყო აშენებული, და გარეთა სამეფო შესასვლელი უფლის ტაძრისკენ მოაქცია აშურის მეფის საამებლად.

¹⁹ახაზის დანარჩენი საქმენი, რაც გაუკეთებია, იუდას მეფეთა მატთანშია ჩაწერილი.

²⁰და განისვენა ახაზმა თავის მამებთან, და დაიმარხა მამათა გვერდით დავითის ქალაქში. და მის ნაცვლად მისი ძე, ხიზკია გამეფდა.

მეთხე მეფეთა 17

¹იუდას მეფის, ახაზის მეთორმეტე წელს გამეფდა ჰომეაყი, ელას ძე, ისრაელზე სამარიში და ათი წელი იმეფა.



²ბოროტებას სჩადიოდა უფლის თვალში, თუმცა არც ისე, როგორც მისი წინამორბედი მეფეები ისრაელისა, მასზე უწინ რომ იყვნენ.

³მის წინააღმდეგ წამოვიდა შალმანესერი, აშურის მეფე, და გახდა ჰომეაყი მისი მსახური და უხდიდა ხარკს.

⁴და შეამჩნია აშურის მეფემ ჰომეაყში ღალატი, რადგან მოციქულებს უგზავნიდა იგი ეგვიპტის მეფე სოს, და ხარკს აღარ უხდიდა აშურის მეფეს ყოველწლიურად. და დაატუსაღა იგი აშურის მეფემ და საპყრობილეში ჩასვა.

⁵და წამოვიდა აშურის მეფე მთელ ქვეყანაზე, მოადგა სამარიას და სამ წელიწადს ალყაში ჰყავდა.

⁶ჰომეაყის მეცხრე წელს აიღო აშურის მეფემ სამარია, და გადაასახლა ისრაელიანები აშურში, და დაასახლა ისინი ხალახსა და ხაბორში, მდინარე გოზანთან, და მიდიის ქალაქებში.

⁷და როცა შესცოდეს ისრაელიანთ უფალს, თავიანთ ღმერთს, რომელმაც გამოიყვანა ისინი ეგვიპტიდან და ეგვიპტელთა მეფის, ფარაონის ხელიდან, და თაყვანისცემა დაუწყეს უცხო ღმერთებს,

⁸და აჰყვნენ იმ ხალხთა ჩვეულებებს, რომელნიც აჰყარა უფალმა ისრაელთაგან, და ისრაელის მეფეთა ჩვეულებებს, როგორც ისინი იქცეოდნენ,

⁹და იწყეს უჯერო საქმეები ისრაელიანთ უფლის, თავიანთი ღმერთის მიმართ, და ააგეს გორაკები ყველა ქალაქში, საყარაულო გოდლიდან მოყოლებული გამაგრებულ ქალაქამდე,

¹⁰და დაიდგეს ქანდაკებები და აშერების ძეგლები ყველა მაღალ ბორცვზე და ყოველი დაბურული ხის ქვეშ,

¹¹და საკმეველს აკმევდნენ იქ, ყოველ გორაკზე, იმ ხალხთა მსგავსად, რომელნიც აჰყარა მათგან უფალმა, ბოროტებას იქმოდნენ უფლის გასარისხებლად,

¹²და ემსახურებოდნენ კერპებს, რაზეც ნაბრძანები ჰქონდა მათთვის უფალს: „ნუ გააკეთებთო ამას!“ –

¹³აფრთხილებდა უფალი ისრაელს და იუდას თავისი ყოველი წინასწარმეტყველისა და ყოველი მისნის პირით და ეუბნებოდა: „მოიქცით თქვენი ბოროტი გზიდან, დაიცავით ჩემი მცნებები და წესები იმ რჯულის მიხედვით, რომელიც შთავაგონე თქვენს მამებს და რომელიც თქვენც გადმოგეცით ჩემს მსახურთა, წინასწარმეტყველთა პირით.“



- ¹⁴არ შეისმინეს და გაჯიუტდნენ მათი მამებივით, რომელთაც არ ირწმუნეს უფალი, თავიანთი ღმერთი;
- ¹⁵და შეიძულეს მისი წესები და მისი აღთქმა, რომელიც მან დაუდო მათ მამებს, და მისი გამოცხადებები, რითაც იგი აფრთხილებდა მათ. და მიჰყვნენ ამაოებას და თავადაც ამაონი გახდნენ. და წაბამეს მეზობელ ხალხებს, რომლებზეც უბრძანა უფალმა, რომ არ მოქცეულიყვნენ მათ მსგავსად.
- ¹⁶და დაივიწყეს უფლის, თავიანთი ღმერთის მცნებები, და ჩამოასხეს ხბოს ორი გამოსახულება, და მოაწყვეს აშერა, და თაყვანს სცემდნენ ცის მხედრობას, და ბაყალს ემსახურებოდნენ,
- ¹⁷ცეცხლში ატარებდნენ თავიანთ ძეებსა და ასულებს, მკითხაობდნენ, მისნობდნენ და აღარ ერიდებოდნენ ბოროტის ქმნას უფლის თვალში მის გასარისხებლად.
- ¹⁸მაშინ დიდად განურისხდა უფალი ისრაელიანთ, და თავიდან მოიშორა ისინი. მხოლოდ ერთი იუდას ტომიღა შერჩა.
- ¹⁹არც იუდა იცავდა უფლის, თავისი ღმერთის მცნებებს და ისრაელიანთა წესებს მისდევდა, როგორც ისინი იქცეოდნენ.
- ²⁰და შეიძულა უფალმა ისრაელის მთელი მოდგმა, და მოდრიკა იგი, და მძარცველებს ჩაუგდო ხელში, ვიდრე საბოლოოდ არ მოიშორა თავიდან.
- ²¹და როცა მოწყდა ისრაელი დავითის სახლს და გაამეფეს იეროხოყამ ნებატის ძე, მაშინ ჩამოაშორა იეროხოყამმა ისრაელი უფალს და დიდად აცდუნა.
- ²²და დადიოდნენ ისრაელის ძენი იეროხოყამის ცოდვებში, რომლებიც მას ჰქონდა ჩადენილი, და არ განრიდებიან მათ,
- ²³ვიდრე არ განირიდა უფალმა ისრაელი, როგორც ნათქვამი ჰქონდა თავის მსახურ წინასწარმეტყველთა პირით. და გადასახლებულია ისრაელი თავისი მიწიდან აშურში და დღემდეა იქ.
- ²⁴და გადმოიყვანა აშურის მეფემ ხალხი ბაბილონიდან, ქუთადან, ყავადან, ხამათიდან, სეფარვაიმიდან და ჩაასახლა სამარიის ქალაქებში ისრაელიანთა ნაცვლად. და დაიმკვიდრეს მათ სამარია და ცხოვრობდნენ მის ქალაქებში.
- ²⁵და რაკი არ ემორჩილებოდნენ უფალს იქ ცხოვრების პირველ ხანებში, უსევდა მათ უფალი ლომებს, რომლებიც მუსრს ავლებდნენ მათ.



²⁶და უთხრეს აშურის მეფეს: „ხალხმა, რომელიც შენ აჰყარე და სამარიის ქალაქებში ჩაასახლე, არ იცის იმ ქვეყნის ღმერთის წესი, ამიტომაც მან მიუსია მათ ღომები, რომლებიც მუსრს ავლებენ მათ.“

²⁷და ბრძანა აშურის მეფემ და თქვა: „გაგზავნეთ იქ ვინმე მღვდელი იმათგან, ვინც იქიდან გადაასახლეთ; წავიდეს და იცხოვროს იქ და ასწავლოს მათ იმ ქვეყნის ღმერთის წესი.“

²⁸და წავიდა ერთი მღვდელთაგანი, სამარიიდან გადასახლებული, და დაემკვიდრა ბეთელს და ასწავლიდა მათ, როგორ უნდა ეცათ თაყვანი უფლისათვის.

²⁹მაგრამ თავ-თავისი ღმერთები გაიკეთა თითოეულმა ხალხმა და დადგეს გორაკთა სახლებში, სამარიელებს რომ ჰქონდათ მოწყობილი. თითოეულმა ხალხმა თავ-თავის ქალაქში, სადაც ცხოვრობდნენ.

³⁰ბაბილონელებმა გააკეთეს სუქოთ-ბენოთი, ქუთელებმა – ნერგალი, ხამათელებმა – აშიმა,

³¹ყავიმელებმა გააკეთეს ნიბხაზი და თართაკი. ხოლო სეფარვაიმელნი ცეცხლში წვავდნენ თავიანთ შვილებს ადრამელექისტვის და ყანამელექისტვის – სეფარვაიმის ღმერთებისთვის.

³²და ეშინოდათ უფლისაც და გაიჩინეს გორაკთა მღვდლები, რომლებიც მათთვის მსახურობდნენ გორაკთა სახლებში.

³³უფლისაც ეშინოდათ და თავიანთ ღმერთებსაც ემსახურებოდნენ იმ ხალხთა ჩვეულებით, რომელთაგანაც გადმოასახლეს ისინი.

³⁴და დღევანდლამდე ძველი ჩვეულების თანახმად იქცევიან: უფლის არ ეშინიათ; არ მისდევენ იმ წესებს, კანონებს, რჯულსა და მცნებებს, უფალმა რომ დაუდგინა იაკობის შთამომავალთ, რომელთაც ისრაელი უწოდა სახელად.

³⁵და დაუდო უფალმა აღთქმა და ამცნო და უთხრა: „ნუ გეშინიათ უცხო ღმერთების, ნუ სცემთ თაყვანს, ნუ ემსახურებით და მსხვერპლს ნუ სწირავთ.

³⁶მარტოოდენ უფლისა გეშინოდეთ, რომელმაც დიდი ძალითა და აღმართული მკლავით გამოგიყვანათ ეგვიპტიდან, მას სცემდეთ თაყვანს და სწირავდეთ მსხვერპლს.

³⁷და დღენიადაგ იცავდეთ წესებს, მსჯავრს, რჯულსა და მცნებებს, რაც უფალმა დაგიწესათ, და უცხო ღმერთებისა ნუ გეშინიათ.



³⁸ნუ დაივიწყებთ აღთქმას, მე რომ დაგიდევით, და უცხო ღმერთებისა ნუ გეშინიათ.

³⁹მხოლოდ უფლის, თქვენი ღმერთის გეშინოდეთ და ის გიხსნით ყველა თქვენი მტრების ხელიდან.“

⁴⁰მაგრამ არ უსმინეს და წინანდებურად იქცეოდნენ. –

⁴¹ეს ხალხები უფალსაც მიაგებდნენ პატივს და, იმავდროს, კერპებსაც ემსახურებოდნენ; როგორც მამები იქცეოდნენ, ისე იქცევიათ მათი შვილები და შვილიშვილები დღემდე.

მეოთხე მეფეთა 18

¹ისრაელის მეფის, ჰოშეაყ ელას ძის მესამე წელს გამეფდა ხიზკია, იუდას მეფის, ახაზის ძე.

²25 წლისა იყო, როცა გამეფდა, და 29 წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო ზაქარიას ასული აბი.

³წორად იქცეოდა იგი უფლის თვალში, როგორც დავითი, მამამისი იქცეოდა.

⁴მან გააუქმა გორაკები და დალეწა სვეტები, და აჩეხა აშერა და დაამტვრია ბრინჯაოს გველი, მოსეს გაკეთებული, რადგან იმ დრომდე საკმეველს უკმევდნენ მას ისრაელიანები და ნეხუშთანს უწოდებდნენ.

⁵უფალს, ისრაელის ღმერთს ესავდა იგი; და არც მანამდე ყოფილა მისი მსგავსი იუდას მეფეთა შორის და არც მის მერე იქნება.

⁶და მიეწება იგი უფალს, და არ განდგომია მას, და იცავდა მის მცნებებს, მოსეს რომ ამცნო უფალმა.

⁷და უფალი იყო მასთან: და, სადაც კი წავიდოდა, ყველგან გონივრულად იქცეოდა. განუდგა იგი აშურის მეფეს, და აღარ ემსახურებოდა.

⁸მან დაამარცხა ფილისტიმელები ღაზამდე და მისი მხარე, საეზგურო გოდლიდან ვიდრე გამაგრებულ ქალაქებამდე.

⁹მეფე ხიზკიას მეოთხე წელს, (ეს იყო, ისრაელის მეფის, ჰოშეაყ ელას ძის მეშვიდე წელი), წამოვიდა სამარიაზე შალმანესერი, აშურის მეფე, და ალყა შემოარტყა მას.

¹⁰და აიღო იგი სამი წლის შემდეგ; ხიზკიას მეექვსე წელს, ესე იგი, ისრაელის მეფის, ჰოშეაყის, მეცხრე წელს აიღეს სამარია.



¹¹და გადასახლა აშურის მეფემ ისრაელიანები აშურში, და დასახლა ხალხსა და ხაბორში, გოზანის მდინარესთან, და მიდიის ქალაქებში.

¹²იმის გამო, რომ არ ისმინეს უფლის, თავისი ღვთის ხმა და დაარღვიეს მისი აღთქმა, ყველაფერი, რაც უბრძანა მათ მოსემ, უფლის მსახურმა; არც ისმენდნენ და არც ასრულებდნენ.

¹³ხიზკიას მეთოთხმეტე წელს შეუტია აშურის მეფე სენახერიბმა იუდას ყველა გამაგრებულ ქალაქს და ხელთ იგდო ისინი.

¹⁴და შეუთვალა ხიზკიამ, იუდას მეფემ, აშურის მეფეს ლაქიშში: „დამნაშავე ვარ, გაბრუნდი ჩემგან; რასაც დამაკისრებ, ვიტვირთავ.“ და დააკისრა აშურის მეფემ ხიზკიას, იუდას მეფეს, 300 ტალანტი ვერცხლი და 30 ტალანტი ოქრო.

¹⁵და გასცა ხიზკიამ მთელი ვერცხლი, რაც კი უფლის ტაძრისა და მეფის სახლის საგანძურებში იპოვებოდა.

¹⁶იმ ხანად შემოადრო ხიზკიამ უფლის ტაძრის კარებებს და მათ წირთხლებს ოქრო, რომლითაც თავად ხიზკიამ, იუდას მეფემ მოაჭედინა ისინი, და მისცა აშურის მეფეს.

¹⁷და გაგზავნა აშურის მეფემ ლაქიშიდან თართანი, რაბსარისი და რაბშაკე დიდძალი ჯარით მეფე ხიზკიასთან იერუსალიმში. და წავიდნენ და მივიდნენ იერუსალიმში და დადგნენ ზემო ტბორის წყალსადენთან, მრეცხავთა მინდვრის გზაზე რომ არის.

¹⁸და დაუძახეს მეფეს და გამოვიდნენ სასახლის მოურავი ელიაკიმ ხილკიას ძე, მწიგნობარი შებნა და მემატიანე იოახ ასაფის ძე.

¹⁹და უთხრა მათ რაბშაკემ: „უთხარით ხიზკიას: ასე ამბობს-თქო დიდი მეფე, მეფე აშურეთისა: რისი იმედი გაქვს, ასე რომ სასოებ?

²⁰ფუჭ სიტყვებს ლაპარაკობდი: თათბირი და სიმამაცე უნდაო ბრძოლას. შენ კი ვისი იმედით განმიდექი?

²¹დანდობილხარ მაგ გადამსხვრეულ ლერწმის ჯოხს, ეგვიპტეს, რომელსაც, თუ კაცი დაეყრდნობა, ხელში შეერჭობა და მტევანს გაუხვრეტს. ასეთია ფარაონი, ეგვიპტის მეფე, ყველასათვის, ვისაც კი მისი იმედი აქვს.

²²ხოლო თუ მეტყვით: უფლის, ჩვენი ღმერთის იმედი გვაქვსო, ეს ის ღმერთი ხომ არ არის, რომლის გორაკები და სამსხვერპლოები ხიზკიამ გააუქმა და უთხრა იუდას და იერუსალიმს: ამ სამსხვერპლოსთან ეცითო თაყვანი იერუსალიმში?



²³ახლა მოდი, და დაუზავდი ჩემს ბატონს, აშურის მეფეს. 2 ათას ცხენს მე მოგცემდი, მაგრამ მოგეძებნება კი მათზე შესასხდომად მხედრები?

²⁴როგორ გააბრუნებ თუნდაც ერთ მოხელეს ჩემი ბატონის უმცირეს მსახურთაგან, როცა ეგვიპტის ეტლებისა და ცხენების იმედითა ხარ?

²⁵მერედა, განა უფლის ნების გარეშე მოვადექი ამ ადგილს გასანადგურებლად? უფალმა მიბრძანა: შეუტეე მაგ ქვეყანას და გაანადგურო.“

²⁶უთხრეს ელიაკიმ ხილკიას ძემ, შებნამ და იოახმა რაბშაკეს: „ელაპარაკე შენს მსახურთ არამის ენაზე, რადგან გვესმის. იუდეურად ნუ გველაპარაკები იმ ხალხის გასაგონად, გალავანზე რომ არიან.“

²⁷და უთხრა მათ რაბშაკემ: „მხოლოდ შენს ბატონთან და შენთან სალაპარაკოდ როდი გამომგზავნა ჩემმა ბატონმა, არამედ მაგ ხალხთანაც, გალავანზე რომ დამსხდარან, რომ თქვენთან ერთად ჭამონ თავისი სკორე და სვან თავისი ფსელი.“

²⁸და დადგა რაბშაკე და ხმამაღლა გაჰყვირა იუდეურად და თქვა: „ისმინეთ სიტყვა, დიდი მეფისა! აშურის მეფისა!

²⁹ასე ამბობს მეფე: არ შეგაცდინოთ ხიზკიამ, რადგან ვერ გიხსნით იგი ჩემი ხელიდანო.

³⁰ნუ გაიმედებთ ხიზკია უფლით და გეუბნებათ: გვიხსნისო უფალი და ხელთ არ ჩაუგდებსო ამ ქალაქს აშურის მეფეს.

³¹ნუ მოუსმენთ ხიზკიას, რადგან ასე ამბობს აშურის მეფე: დამიზავდით და გამოდით ჩემთან, დაე ჭამოს თითოეულმა ნაყოფი თავისი ვაზისა და თავისი ლეღვისა, და სვას თითოეულმა წყალი თავისი ჭისა,

³²ვიდრე მოვიდოდე და წაგიყვანდეთ თქვენი ქვეყნისნაირ ქვეყანაში, პურისა და ღვინის ქვეყანაში, ყანებისა და ვენახების ქვეყანაში, ზეთისხილისა და თაფლის ქვეყანაში, იცოცხლებთ და არ დაიხოცებით. ნუ უსმენთ ხიზკიას, რადგან გაცდუნებთ, რომ გეუბნებათ: უფალი გვიხსნისო.

³³როდის უხსნიათ ღმერთებს თავისი ქვეყნები აშურის მეფის ხელიდან?

³⁴სად არიან ხამათისა და არფადის ღმერთები? სად არიან სეფარვაიმის, ჰენაყისა და ღივას ღმერთები? თუ იხსნეს სამარია ჩემი ხელიდან?

³⁵რომელმა ღმერთმა იხსნა ამ ქვეყნის ღმერთებს შორის თავისი ქვეყანა ჩემი ხელიდან, რომ უფალმა იხსნას იერუსალიმი ჩემი ხელიდან?“

³⁶და დუმდა ხალხი და პასუხს არ აძლევდა, რადგან მეფისაგან ჰქონდათ ნაბრძანები: „არ გასცეთო პასუხი.“



³⁷და მივიდნენ სასახლის მოურავი, ელიაკიმ ხილკიას ძე, მწიგნობარი შებნა და იოახ ასაფის ძე – მემატიანე, ხიზკიასთან, შემოხეული ტანისამოსით და მოახსენეს მეფე რაბშაკეს სიტყვები.

მეოთხე მეფეთა 19

¹როცა ეს გაიგონა ხიზკიამ, სამოსელი შემოიხია, ჯვალო ჩაიცვა და უფლის სახლში მივიდა.

²და გაგზავნა ელიაკიმი, სასახლის მოურავი, მწიგნობარი შებნა და ძაძვებით მოსილი მღვდელმთავრები წინასწარმეტყველ ესაისტან, ამოცის ძესთან.

³და ასე უთხრეს მას: „ასე ამბობს ხიზკია: გაჭირვების, სასჯელისა და შერცხვენის დღეა ეს დღე, რადგან საშოს კარს არიან მომდგარი ბავშვები, მაგრამ არ არის შობის ძალა.

⁴ეგებ ისმინოს უფალმა, შენმა ღმერთმა, სიტყვები რაბშაკესი, აშურის მეფემ, მისმა ბატონმა რომ გამოგზავნა, რათა დაემცირებინა ცოცხალი ღმერთი და ეგინებინა სიტყვებით, რომლებიც ისმინა უფალმა, შენმა ღმერთმა. აღავლინე ღოცვა დარჩენილთათვის, ვინც ჯერ კიდევ ცოცხლები არიან.“

⁵და მივიდნენ მეფე ხიზკიას მსახურნი ესაიასთან.

⁶და უთხრა მათ ესაიამ: „ასე უთხარით თქვენს ბატონს: ასე ამბობს-თქო უფალი: ნუ გეშინია იმ სიტყვებისა, რომლებიც მოისმინე, რომლებითაც მლანძღავდნენ აშურის მეფის მსახურნი.

⁷აჰა, მე მოვუვლენ სულს და მოისმენს ამბავს, და თავის ქვეყანაში გაბრუნდება, და მისსავე ქვეყანაში მახვილით დავცემ.“

⁸და დაბრუნდა რაბშაკე, და აჰა, ლიბნას ეომება აშურის მეფე, რადგან გაიგო, რომ ლაქიშიდან დაიდრა იგი.

⁹თირჰაკაზე, ქუმის მეფეზეც გაიგო. მას უთხრეს: აჰა, შენთან საომრად გამოვიდაო. და ისევ გაუგზავნა მოციქულები ხიზკიას და დააბარა მათ:

¹⁰„ასე უთხარით ხიზკიას, იუდას მეფეს: არ შეგაცდინოს შენმა ღმერთმა, რომლის იმედიც გაქვს, და ფიქრობ: არ ჩავარდებო იერუსალიმი აშურის მეფის ხელში.

¹¹ხომ გსმენია, რაც უყვეს აშურის მეფეებმა ყველა ქვეყანას, როგორ მოსპეს ისინი; და შენ გინდა გადარჩე?

¹²აბა, თუ უხსნიათ ღმერთებს თავისი ხალხი, რომლებსაც მუსრი გაავლეს ჩემმა მამებმა? თუ იხსნეს გოზანი, ხარანი, რეცეფი და ძენი ყედენისა, თელასარში რომ არის?



13სად არის მეფე ხამათისა და მეფე არფადისა და მეფე ქალაქ სეფარვაიმის, ჰენაყისა და ღივასი?“

14და გამოართვა ხიზკიამ წერილი მოციქულებს და წაიკითხა; ავიდა ხიზკია უფლის სახლში და უფლის წინაშე გაშალა წერილი.

15და ილოცა ხიზკიამ უფლის წინაშე და თქვა: „უფალო, ღმერთო ისრაელისა, ქერუბიმებზე ამხედრებულო, შენა ხარ ერთადერთი ღმერთი ქვეყნიერების ყველა სამეფოსი, შენ შეჰქმენ ცა და დედამიწა.

16ყური მოაჰყარ, უფალო, და ისმინე! თვალი გაახილე, უფალო, და იხილე! ისმინე სენახერიბის სიტყვები, ცოცხალი ღმერთის საგინებლად რომ შემოთვალა!

17მართალია, უფალო, მოაოხრეს აშურის მეფეებმა ხალხები და მათი ქვეყნები,

18და ცეცხლს მისცეს მათი ღმერთები და გაანადგურეს; რადგან ღმერთები კი არ იყვნენ ისინი, არამედ – ხისგან და ქვისგან ადამიანის ხელით ნაკეთები საგნები.

19ახლა კი გვიხსენ, უფალო, ღმერთო ჩვენო, მისი ხელიდან, რათა გაიგოს ქვეყნიერების ყველა სამეფომ, რომ შენ, უფალო, ერთადერთი ღმერთი ხარ.“

20და შეუთვალა ესაიამ, ამოცის ძემ ხიზკიას და დააბარა ეთქვათ: „ასე ამბობს უფალი, ღმერთი ისრაელისა: შევიწყნარე, რასაც მევედრებოდი აშურის მეფის, სენახერიბის წინააღმდეგო.

21ეს არის სიტყვა, რომელიც უფალმა ბრძანა მის წინააღმდეგ: დაგცინის, გამასხრებს ქალწული, ასული სიონისა. თავს აქნევს შენს უკან ასული იერუსალიმისა.

22ვის ლანძღავდი, ვის აგინებდი? ვისზე აღიმადლე ხმა? და ვისზე მიმართე მედიდურად თვალი? ისრაელის წმიდაზე!

23შენი მოციქულების პირით ლანძღავდი უფალს და ამბობდი: ‘ჩემი უამრავი ეტლით ავედი მთის თხემზე, ლიბანის ფერდობზე, და გავჩხე მისი მაღალი კედრები, რჩეული კვიპაროსები, და შევადწიე მის უკიდურეს სამყოფელში, მის უღრან ტევრში,

24და ამოვთხარე და შევსვიო უცხო წყალი, საკუთარი ფეხის ტერფებით ამოვაშრე ეგვიპტის მდინარეები.’

25ნუთუ არ გსმენია, რომ ეს ძველთაგანვე გავამზადე, რომ წინარე დღეებში გადავწყვიტე? ახლადა მოვაწიე, რომ ნანგრევებად ქცეულიყვნენ ციხე-ქალაქები.



²⁶მათი მცხოვრებნი დაძაბუნდნენ, და შეშინდნენ და სირცხვილში არიან, მინდვრის ბალახით შეიქნენ, მწვანე ჯეჯილივით, ბანზე მოდებული ხავსივით, მომკამდე ატკრეცილი თავთავივით.

²⁷ვიცი, როგორ ზიხარ, როგორ გამოდიხარ და შედიხარ, როგორ მედიდგულები.

²⁸იმის გამო, რომ გამიდიდგულდი და მოსწვდა ჩემს ყურს შენი ამპარტავნება, ნესტოებში კაუჭს გაგიყრი და ყბებში ლაგამს ამოგდებ, და იმავე გზით დაგაბრუნებ, რომლითაც მოხვედი.

²⁹და ეს გქონდეს ნიშნად: ამ წელიწადს ნაგერალი ჭამეთ, მეორე წელიწადს – ველურად გაზრდილი, მესამე წელიწადს თესეთ და მოიძკეთ, და ჩაყარეთ ვაზი და ჭამეთ მათი ნაყოფი.

³⁰კვლავ გაიდგამს ქვემოთ ფესვს იუდას სახლის გადარჩენილი ნატამალი და მაღლა გამოიბამს ნაყოფს.

³¹რადგან იერუსალიმიდან გამოვა ნარჩომი, და ნატამალი – სიონის მთიდან. ცაბაოთ უფლის შური აღასრულებს ამას.

³²ამიტომაც ამბობს უფალი აშურის მეფეზე: ‘ვერ შევა ამ ქალაქში, ისრებს ვერ დაუშენს, ვერ მიეჭრება ფარმომარჯვებული, და მიწაყრილს ვერ აღუმართავს წინ.

³³უკან გაბრუნდება იმავე გზით, რომლითაც მოვიდა. და ვერ შევა ამ ქალაქში,’ – ამბობს უფალი, –

³⁴‘მე დავიფარავ ამ ქალაქს, რომ ვიხსნა იგი ჩემთვის და დავითისთვის, ჩემი მსახურისთვის.’“

³⁵იმ ღამით იყო, რომ გავიდა უფლის ანგელოზი და მუსრი გაავლო აშურის ბანაკში 185 ათასი კაცს. და ადგნენ დილით, და აჰა, მკვდარი იყო ყველა.

³⁶და აიყარა, და წავიდა, და გაბრუნდა სენახერიბი, აშურის მეფე, და ცხოვრობდა ნინევეში.

³⁷ერთხელ, როცა ლოცულობდა ნისროქის, თავისი ღმერთის სახლში, მახვილით მოკლეს იგი ადრამელექმა და სარეცერმა, მისმა შვილებმა, და არარატის ქვეყანას შეაფარეს თავი. მის ნაცვლად მისი ძე – ესარხადონი გამეფდა.

მეოთხე მეფეთა 20



¹იმ ხანებში სასიკვდილოდ დასნეულდა ხიზკია, და მივიდა მასთან ესაია, ამოცის ძე, წინასწარმეტყველი, და უთხრა: „ასე ამბობს უფალი: ანდერძი დაუტოვე შენს სახლს, რადგან მოკვდები და ვერ განიკურნებიო.“

²ხიზკიამ კედლისკენ მიაბრუნა პირი და ევედრებოდა უფალს და ამბობდა:

³„უფალო! გაიხსენე, წრფელი გულით რომ დავდიოდი შენს წინაშე, კეთილად რომ ვიქცეოდი შენს თვალში!“ – და მწარედ ატირდა ხიზკია.

⁴შუა ეზოს არ გასცილებოდა ესაია, რომ გამოეცხადა უფლის სიტყვა:

⁵„გაბრუნდი და უთხარი ხიზკიას, ჩემი ერის წინამძღოლს, ასე ამბობს-თქო დავითის, მამაშენის ღმერთი: ‘შევიწყნარე შენი ვედრება, დავინახე შენი ცრემლი. აჰა, განგკურნავ; ზეგ უფლის სახლში წახვალ;’

⁶და კიდევ თხუთმეტ წელიწადს შევმატებ შენს დღეებს, და ამურის მეფის ხელიდან დაგიხსნით შენ და ამ ქალაქს, და დავიფარავ ამ ქალაქს ჩემი გულისთვის და დავითის, ჩემი მსახურის გულისთვის.“

⁷და თქვა ესაიამ: „მოიტანეთ ლეღვის ტყლაპი.“ და მოიტანეს და წყლულზე დაადეს, და განიკურნა.

⁸და უთხრა ხიზკიამ ესაიას: „რა იქნება იმის ნიშნად, რომ განმკურნავს უფალი, და რომ ზეგ უფლის სახლში წავალ?“

⁹და თქვა ესაიამ: „ეს იყოს შენთვის ნიშნად უფლისგან, რომ აასრულებს უფალი თავის ნათქვამ სიტყვას: ათი საფეხურით წინ წავიდეს ჩრდილი თუ ათი საფეხურით დაბრუნდეს უკან?“

¹⁰და თქვა ხიზკიამ: „ადვილია ჩრდილისთვის ათი საფეხურით წინსვლა. არა, უკან დაბრუნდეს ათი საფეხურით.“

¹¹და შესთხოვა უფალს ესაია წინასწარმეტყველმა, და უკან დააბრუნა უფალმა ჩრდილი საფეხურებზე, სადაც ჩამოდიოდა იგი ახაზის საფეხურებზე, ათი საფეხურით.

¹²ამ დროს გამოუგზავნა მეროდაქ-ბალადანმა, ბალადანის ძემ, ბაბილონის მეფემ ხიზკიას წერილები და ძღვენი, რადგან გაგებული ჰქონდა, რომ ავად იყო ხიზკია.

¹³და მოუსმინა ხიზკიამ მათ და დაათვალიერებინა მთელი თავისი სალარო, ოქრო-ვერცხლი, ნელსურნელებანი, რჩეული ზეთები, არსენალი, ყველაფერი, რაც კი მის საუნჯეებში იპოვებოდა. ერთი ნივთიც არ დარჩენილა მთელ მის სახლსა და სამფლობელოში, რომ არ ეჩვენებინა მათთვის ხიზკიას.



¹⁴და მივიდა ესაია წინასწარმეტყველი მეფე ხიზკიასთან და უთხრა: „რა თქვეს ამ კაცებმა და საიდან მოვიდნენ შენთან?“ და თქვა ხიზკიამ: „შორი ქვეყნიდან მოვიდნენ, ბაბილონიდან.“

¹⁵და თქვა: „რა ნახეს შენს სახლში?“ და თქვა ხიზკიამ: „ყველაფერი ნახეს, რაც სახლში მაქვს. არაფერი დარჩენილა ჩემს საუნჯეებში, რომ არ მეჩვენებინა მათთვის.“

¹⁶და უთხრა ესაიამ ხიზკიას: „ისმინე უფლის სიტყვა:

¹⁷აჰა, დადგება დრო და ყველაფერს, რაც სახლში გაქვს, და რაც შენს მამებს დღემდე მოუანაგრებიან, ბაბილონში წაიღებენ. აღარაფერი დარჩებაო, – ამბობს უფალი. –

¹⁸და ზოგიერთს შენს ძეთაგან, რომლებიც შენგან გამოვლენ, წაიყვანენ და საჭურისებად დააყენებენ ბაბილონის მეფის კარზე.“

¹⁹და უთხრა ხიზკიამ ესაიას: „უფლის სიტყვა, რაც შენ წარმოსთქვი, კარგია.“ და თქვა: „მშვიდობა და კეთილდღეობა იქნება ჩემი სიცოცხლის მანძილზე.“

²⁰ხიზკიას დანარჩენი საქმენი, ყველა მისი გმირობა, აგრეთვე ტბორი და წყალსადენი რომ გააკეთა და ქალაქში წყალი გაიყვანა, იუდას მეფეთა მატთანეშია ჩაწერილი.

²¹და განისვენა ხიზკიამ თავის მამებთან. და მის ნაცვლად გამეფდა მისი ძე – მანაშე.

მეოთხე მეფეთა 21

¹მანაშე 12 წლისა იყო, როცა გამეფდა; და 50 წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო ხეფციბა.

²ბოროტებას სჩადიოდა უფლის თვალში მსგავსად იმ ხალხების სიბილწისა, რომლებიც აჰყარა უფალმა ისრაელიანთაგან.

³და ისევ ააგო გორაკები, ხიზკიამ, მამამისმა რომ მოსპო; სამსხვერპლოები აღუმართა ბაყალს და მოაწყო აშერა, როგორც ახაბს, ისრაელის მეფეს ჰქონდა გაშენებული; თაყვანს სცემდა მთელს ციურ მხედრობას და ემსახურებოდა მათ.

⁴და ააშენა სამსხვერპლოები უფლის სახლში, რაზეც ნაბრძანები ჰქონდა უფალს: იერუსალიმში დავიდებო ჩემს სახელს.

⁵და აუშენა სამსხვერპლოები მთელ ციურ მხედრობას უფლის ტაძრის ორსავე ეზოში.



⁶და ცეცხლში გაატარა თავისი შვილი, და მკითხაობდა, მისნობდა და განაწესა მესულთანენი და მჩხიბავნი. და ბევრ უკუღმართობას აკეთებდა უფლის თვალში მის გასარისხებლად.

⁷და გააკეთა აშერას კერპი და დადგა სახლში, რომელზეც ეუბნებოდა უფალი დავითსა და მის ძეს სოლომონს: „ამ სახლში და იერუსალიმში, რომელიც მე ამოვირჩიე ისრაელის ყველა შტოდან, საუკუნოდ დავამკვიდრებ ჩემს სახელს;

⁸აღარ მოვაცვლევინებ ფეხს ისრაელს ამ მიწიდან, რომელიც მივეცი მის მამებს, ოღონდ მოიქცნენ ისე, როგორც ვუბრძანე, და თანახმად რჯულისა, მოსემ, ჩემმა მსახურმა რომ დაუწესა მათ.“

⁹მაგრამ არ ისმინეს, და აცდუნა ისინი მანაშემ და იმ ხალხებზე მეტ ბოროტებას იქმოდნენ, რომლებიც ამოწყვიტა უფალმა ისრაელიანთა სახის წინაშე.

¹⁰და ამბობდა უფალი თავის მსახურთა, წინასწარმეტყველთა პირით:

¹¹„იმის გამო, რომ მანაშემ, იუდას მეფემ, ეს სიბილწენი ჩაიდინა, გადააჭარბა ბოროტის ქმნაში ამორეველებს, მასზე უწინ რომ იყვნენ, და იუდაც აცდუნა თავისი კერპებით,

¹²ამიტომაც ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: აჰა, ისეთ ბოროტებას დავატებ იერუსალიმს და იუდას, რომ ყურები ჟუილს დაუწყებს იმის გამგონეს.

¹³სამარიის ლარს და ახაბის სახლის შვეულს გადავჭიმავ იერუსალიმზე, და პირწმინდად ამოვრეცხავ იერუსალიმს, როგორც ჯამს ამორეცხავს კაცი, ამორეცხავს და გადმოაპირქვავებს.

¹⁴და მივატოვებ ჩემი წილხვედრის ნარჩომს და მტრებს ჩავუგდებ ხელში, და სამარცვავად და დასატაცებლად შეიქმნებიან მათი მტრებისთვის.

¹⁵რადგან ბოროტებას იქმოდნენ ჩემს თვალში და მარისხებდნენ იმ დღიდან, რაც მათი მამები გამოვიდნენ ეგვიპტიდან, დღევანდლამდე.“

¹⁶და უბრალო სისხლიც ბევრი დაღვარა მანაშემ, იმდენი, რომ პირთამდე აავსო იერუსალიმი, გარდა იმ ცოდვისა, იუდა რომ აცდუნა და უფლის თვალში ბოროტი აკეთებინა.

¹⁷მანაშეს დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გაუკეთებია, მისი ცოდვები, რაც კი შეუცოდავს, იუდას მეფეთა მატთანშია ჩაწერილი.

¹⁸და განისვენა მანაშემ თავის მამებთან და დაიმარხა თავისი სასახლის ბაღში, ყუზას ბაღში. და მის ნაცვლად მისი ძე ამონი გამეფდა.



¹⁹22 წლისა იყო ამონი, როცა გამეფდა, და ორი წელი იმეფა იერუსალიმში; დედამისი იყო მეშულემეთი, იოტბაელი ხარუცის ასული.

²⁰ბოროტებას სჩადიოდა უფლის თვალში, როგორც მამამისი, მანაშე იქცეოდა.

²¹და ყველაფერში იმ გზას ადგა, რომლითაც მამამისი დადიოდა, და ემსახურებოდა იმ კერპებს, რომელთაც მამამისი ემსახურებოდა და თაყვანს სცემდა;

²²და დაივიწყა უფალი, თავისი მამების ღმერთი, და უფლის გზით არ დადიოდა.

²³აუჯანყდნენ ამონს მისი მსახურები და საკუთარ სახლში მოკლეს მეფე.

²⁴მაგრამ ხალხმა დახოცა მეფე ამონის წინააღმდეგ აჯანყებულნი; და მის ნაცვლად მისი ძე, იოშია გაამეფა.

²⁵ამონის დანარჩენი საქმენი, რაც გაუკეთებია, იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი.

²⁶და დამარხეს იგი თავის სამარხში, ყუზას ბაღში; და მის ნაცვლად მისი ძე იოშია გამეფდა.

მეოთხე მეფეთა 22

¹რვა წლისა იყო იოშია, როცა გამეფდა, და ³¹წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისს ერქვა იედიდა, ბოცკათელი ყადაიას ასული იყო.

²უფლის მოსაწონად იქცეოდა და ყველაფერში დავითის, მამამისის გზას მიჰყვებოდა: არც მარჯვნივ გადახრილა და არც – მარცხნივ.

³იოშიამ თავისი მეფობის მეთვრამეტე წელს გაგზავნა უფლის სახლში შაფან მწიგნობარი, მეშულამის ძის, აცალიას ძე, და უთხრა:

⁴„ადი მღვდელმთავარ ხილკიასთან და დაათვლევიანე უფლის სახლში შემოსული მთელი ფული, რაც ზღურბლის მცველებმა აკრიფეს ხალხისგან,

⁵ხელში ჩააბარონ სამუშაოთა მწარმოებლებს, რომლებიც უფლის სახლში არიან განწესებულნი, მათ კი დაურიგონ უფლის ტაძრის მუშებს, გარღვეულ კედლებს რომ ამაგრებენ,

⁶ასევე ხუროებს, მშენებლებსა და ქვითხუროებს, და მათ, ვინც ხე-ტყესა და გათლილ ქვას ყიდულობს სახლის შესაკეთებლად.

⁷ოღონდ ნუ მოეთხოვებათ ხელში ჩათვლილი ვერცხლის ანგარიში, რადგან ისინი პატიოსნად იქცევიან.“



⁸და უთხრა მღვდელმთავარმა ხილკიამ შაფან მწიგნობარს: „რჯულის წიგნი ვიპოვე უფლის სახლში.“ მისცა ხილკიამ წიგნი შაფანს და წაიკითხა მან.

⁹და მოვიდა შაფან მწიგნობარი მეფესთან და მოახსენა ამბავი და უთხრა: „გადმოყარეს შენმა მსახურებმა უფლის სახლში მოძიებული ვერცხლი და ჩააბარეს სამუშაოთა მწარმოებლებს, რომლებიც უფლის სახლში არიან განწყობულნი.“

¹⁰და ამცნო შაფან მწიგნობარმა მეფეს: „წიგნი მომცაო მღვდელმა ხილკიამ.“ და წაიკითხა მეფის წინაშე შაფანმა.

¹¹და როცა მოისმინა მეფემ რჯულის წიგნის სიტყვები, სამოსელი დაიპო.

¹²უბრძანა მეფემ ხილკია მღვდელს, და ახიკამ შაფანის ძეს, და ყაქბორ მიქაიას ძეს, და შაფან მწიგნობარს და ყასაიას, მეფის მსახურს:

¹³„წადით, დაეკითხეთ უფალს ჩემზე, ხალხსა და მთელს იუდაზე ამ ნაპოვნი წიგნის სიტყვების შესახებ, რადგან დიდია უფლის რისხვა, რომელიც აღიგზნო ჩვენს მიმართ, რადგან არ ისმინეს ჩვენმა მამებმა ამ წიგნის სიტყვები და არ შეასრულეს, რაც ჩვენთვის იყო დაწერილი.“

¹⁴და მივიდნენ ხილკია მღვდელი, ახიკამი, ყაქბორი, შაფანი და ყასაია ხულდასთან, წინასწარმეტყველ ქალთან, რომლის ქმარი, შალუმი, ძე თიკვასი, მისა ხარხასისა, სამოსელთა მცველი იყო. ქალი იერუსალიმის მეორე უბანში ცხოვრობდა, და დაელაპარაკნენ მას.

¹⁵და უთხრა ქალმა მათ: „ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: უთხარით იმ კაცს, რომელმაც ჩემთან გამოგაგზავნათ,

¹⁶ასე ამბობს-თქო უფალი: აჰა, უბედურებას მოვუვლენ ამ ადგილს და მის მცხოვრებლებს, ახდება ამ წიგნის ყოველი სიტყვა, იუდას მეფეს რომ წაუკითხავს.

¹⁷რაკი დამივიწყეს და საკმეველს უკმევდნენ უცხო ღმერთებს, რომ გავერისხებინე თავიანთი ხელის ნამოქმედართ, ჩემი რისხვა მოედება ამ ადგილს და არ ჩაქრება.

¹⁸იუდას მეფეს კი, რომელმაც უფალთან საკითხავად გამოგაგზავნათ, უთხარით: ასე ამბობს-თქო ისრაელის ღმერთი: რაკი შეისმინე ეს სიტყვები:

¹⁹რადგან გული აგიჩვილდა და ქედი მოიდრიკე უფლის წინაშე, როცა გაიგე, რაც დავძახე ამ ადგილს და მის მცხოვრებთ, გაუდაბურება და შეჩვენება რომ ელით, და სამოსელი დაიპე და ტიროდი ჩემს წინაშე, მეც შევისმინე შენი, – ბრძანებს უფალი.



²⁰ამიტომაც, აჰა, წაგიყვან შენს მამებთან, მშვიდობით ჩახვალ შენს სამარეში, და არ იხილავენ შენი თვალები ყველა იმ უბედურებას, რაც უნდა დავატებო ამ ადგილს.“ და მიუტანეს მეფეს ეს ამბავი.

მეოთხე მეფეთა 23

¹და მოუწოდა მეფემ, რათა შეკრებილიყო მასთან იუდას მთელი უხუცესობა და იერუსალიმი.

²და ავიდა მეფე უფლის სახლში და ყველა იუდაელი, და იერუსალიმის ყველა მცხოვრები მასთან ერთად, და მღვდლები და წინასწარმეტყველნი, მთელი ხალხი, დიდნი-პატარიანად, და ხმამაღლა წაუკითხა მათ მეფემ ყოველი სიტყვა აღთქმის წიგნისა, რომელიც უფლის სახლში იპოვეს.

³და შედგა მეფე თავის საყდარზე და დადო აღთქმა უფლის წინაშე, რომ ივლიდა უფლის კვალზე, ყურად იღებდა მის მცნებებს, მის მოწმობებსა და მის წესებს მთელი გულითა და სულით, რათა აღსრულებულიყო ამ წიგნში ჩაწერილი აღთქმის სიტყვები. და მოიწონა აღთქმა მთელმა ხალხმა.

⁴და გამოატანინა მეფემ მღვდელმთავარ ხილკიას, მეორე ხარისხის მღვდლებსა და ზღურბლის მცველებს უფლის ტაძრიდან ბაყალისთვის, აშერასათვის და მთელი ციური მხედრობისთვის გაკეთებული ნივთები და ცეცხლს მისცა იერუსალიმს გარეთ, კიდრონის ველზე, ხოლო ნაცრის წაღება ბეთელში ბრძანა.

⁵და გაყარა იუდას მეფეთა მიერ დაყენებული ქურუმები, რომლებიც მსხვერპლს სწირავდნენ გორაკებზე იუდას ქალაქებსა და იერუსალიმის სანახებში, და გუნდრუკს უკმევდნენ ბაყალს, მზესა და მთვარეს, ცთომილთა და მთელ ციურ მხედრობას.

⁶და გაიტანა აშერა უფლის სახლიდან იერუსალიმს გარეთ, კიდრონის ხევისკენ, და დაწვა კიდრონის ხევში, ნაცარტუტად აქცია, და მისი ფერფლი მდაბიოთა სასაფლაოზე დაყარა.

⁷და დაანგრია უფლის ტაძართან მდგარი მსიძავთა სახლები, სადაც დედაკაცები სამოსელს უქსოვდნენ აშერას.

⁸და გამოყარა იუდას ქალაქებიდან ქურუმები და წაბილწა გორაკები, სადაც აკმევდნენ ქურუმები გუნდრუკს, გებაყიდან ბეერ-შებაყამდე, და დაანგრია კარიბჭის გორაკები, ერთი ქალაქის მთავრის, იოშუაყის, კარიბჭის შესასვლელთან რომ იყო, და მეორე – ქალაქის კარიბჭის ხელმარცხნივ.

⁹თუმცა გორაკთა ქურუმები არ აღავლენდნენ უფლის სამსხვერპლოზე იერუსალიმში, მაგრამ ხმიადებს კი ჭამდნენ თავიანთ ძმებთან ერთად.



- ¹⁰და წაბილწა თოფეთი, ბენ-ჰინომის ველზე რომ იყო, რათა არავის გაეტარებინა ცეცხლში მოღებისთვის თავისი ძე ან ასული.
- ¹¹და გაუშვა ცხენები, რომლებსაც იუდას მეფეები მზეს უძღვნიდნენ უფლის სახლში, შესასვლელის წინ, საჭურის ნათან-მელექის პალატთან, ფარურიმში, მზის ეტლები კი ცეცხლში დაწვა.
- ¹²სამსხვერპლოებიც ახაზისეული სამყოფლის ბანზე, იუდას მეფეებმა რომ აღმართეს, და სამსხვერპლოები, რომლებიც აღმართა მანაშემ უფლის ტაძრის ორთავე ეზოში, დაანგრია მეფემ, მოაშორა იქაურობას და კიდრონის ხევში ჩაყარა მათი ფერფლი.
- ¹³და წაბილწა გორაკები, იერუსალიმის წინ რომ არის, განადგურების მთის მარჯვნივ, სოლომონ მეფემ რომ მოუწყო ყაშთორეთს, ციდონელთა სიბილწეს, ქემოშს, მოაბის სიბილწეს, და მილქომს, ყამონიანთა სისამაგლეს.
- ¹⁴და დაღეწა სვეტები და გაჩეხა აშერები, ადამიანის ძვლებით აავსო მათი ადგილი.
- ¹⁵ასევე დაანგრია ბეთელის სამსხვერპლო, იეროზოყამ ნებატის ძის, ისრაელის მაცდუნებლის მოწყობილი გორაკი; და ცეცხლს მისცა ის სამსხვერპლო და გორაკი დაანგრია და დაწვა ის გორაკი, გააცამტვერა, და დაწვა აშერა.
- ¹⁶და გაიხედა იოშიამ და დაინახა სამარხები, მთაზე რომ იყო, და გააგზავნა და ამოაღებინა სამარხებიდან ძვლები, და სამსხვერპლოზე დააწვევინა, და ამით წაბილწა იგი უფლის სიტყვისამებრ, როგორც გამოცხადებული ჰქონდა ღვთისკაცს, რომელმაც წინასწარ აუწყა ეს ამბები.
- ¹⁷და თქვა მან: „ეს რა ძეგლია, აქ რომ ვხედავ?“ და უთხრეს ქალაქის მცხოვრებლებმა: „იუდადან მოსული ღვთისკაცის სამარხია, რომელმაც ეს ამბები გვიწინასწარმეტყველა, შენ რომ დაათიე ახლა ბეთელის სამსხვერპლოებს.“
- ¹⁸და თქვა: „მოასვენეთ, ნურავინ დაძრავს მის ძვლებს.“ ასე დაიცვეს მისი ძვლები და ძვლები წინასწარმეტყველისა, რომელიც სამარიიდან მოდიოდა ხოლმე.
- ¹⁹ასევე გორაკთა ყველა ბომონი, სამარიის ქალაქებში რომ ჰქონდათ აშენებული ისრაელის მეფეებს უფლის გასარისხებლად, დაანგრია იოშიამ და ისეთივე დღე დააწია მათ, როგორც ბეთელში.
- ²⁰სამსხვერპლოებზე დაკლა გორაკთა ქურუმები, ვინც კი იქ იყო, და ზედ დაწვა ადამიანთა ძვლები, და იერუსალიმში დაბრუნდა.



- ²¹და უბრძანა მეფემ მთელ ერს და უთხრა: „მოუმზადეთ პასეკი უფალს, თქვენს ღმერთს, როგორც ამ აღთქმის წიგნში სწერია!”
- ²²რადგან არ მომზადებულა ამგვარი პასეკი მსაჯულთა დროიდან, რომლებიც განაგებდნენ ისრაელს, და არც ისრაელის მეფეთა და იუდას მეფეთა ხანაში.
- ²³მეფე იოშias მეთვრამეტე წელს უფლისათვის მომზადდა ეს პასეკი იერუსალიმში.
- ²⁴ასევე მესულთანები, მჩხიბავები, თერაფიმები, კერპები და ყოველი სისამაგლე, რაც კი გამოჩნდა იუდას ქვეყანაში და იერუსალიმში, აღმოვხვრა იოშიამ, რათა აღსრულებულიყო იმ წიგნში დაწერილი აღთქმის სიტყვები, რომელიც უფლის სახლში იპოვა მღვდელმა ხილკიამ.
- ²⁵არ ყოფილა მანამდე მისი მსგავსი მეფე, რომელიც მთელი გულითა და სულით, მთელი თავისი ძალით, მოსეს მთელი რჯულით რომ ყოფილიყო მოქცეული უფლისადმი; არც მის მერე გამოჩენილა მისი მსგავსი.
- ²⁶მაგრამ არ შებრუნებულა უფალი დიდი რისხვისგან, რითაც მრისხანებდა იგი იუდაზე, ყველა იმ წყენის გამო, რითაც მანაშემ განარისხა იგი.
- ²⁷და თქვა უფალმა: „იუდასაც მოვიშორებ ჩემგან, როგორც ისრაელი მოვიშორე; არად ჩავაგდებ ამ ქალაქს, იერუსალიმს, რომელიც ავირჩიე, და სახლს, რომელზეც ვთქვი: იქ იქნება-მეთქი ჩემი სახელი.“
- ²⁸იოშias დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გაუკეთებია, იუდას მეფეთა მატრიანეშია ჩაწერილი.
- ²⁹მის დროს გამოვიდა ფარაონი ნექო, ეგვიპტელთა მეფე, აშურის მეფის წინააღმდეგ მდინარე ეფრატზე. და გაემართა მეფე იოშია მის დასახვედრად, და დანახვისთანავე მოკლა იგი ფარაონმა მეგიდოში.
- ³⁰და წაასვენეს იგი მისმა მსახურებმა მეგიდოდან იერუსალიმში, და მის სამარხში დამარხეს. და გამოიყვანა ქვეყნის ხალხმა იეჰოახაზ იოშias ძე, და სცხო ზეთი და მამამისის ნაცვლად გაამეფა.
- ³¹23 წლისა იყო იეჰოახაზი, როცა გამეფდა და სამი თვე იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო ხამუტალი, ლიბნელი იერემიას ასული.
- ³²ბოროტებას სჩადიოდა უფლის თვალში, თავისი მამების მსგავსად.
- ³³და დაიჭირა იგი ფარაონმა ნექომ რიბლაში, ხამათის ქვეყანაში, რომ იერუსალიმში არ ემეფა, და დააკისრა ქვეყანას 100 ტალანტი ვერცხლი და ერთი ტალანტი ოქრო.



³⁴და გაამეფა ფარაონმა ნექომ ელიაკიმი, იოშას ძე, მამამისის იოშას ნაცვლად და დაარქვა სახელად იეჰოიაკიმი. იეჰოახაზი კი აიყვანა და ეგვიპტეში წაიყვანა, სადაც ის მოკვდა.

³⁵ოქრო-ვერცხლს აძლევდა იეჰოიაკიმი ფარაონს; ოღონდ ქვეყანაზე გაანაწილა ფარაონის ბრძანებისამებრ მისაცემი ვერცხლი. ქვეყნის ხალხში თითოეულს მისი შეძლების მიხედვით დააკისრა ფარაონ ნექოსათვის მისაცემი ვერცხლი.

³⁶25 წლისა იყო იეჰოიაკიმი, როცა გამეფდა, და 11 წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო ზებუდა, რუმელი ფედაიას ასული.

³⁷და ბოროტებას სჩადიოდა უფლის თვალში, მსგავსად მისი მამებისა.

მეოთხე მეფეთა 24

¹მის დღეებში გამოვიდა ნაბუქოდონოსორი, ბაბილონის მეფე, და იყო იეჰოიაკიმი მისი მსახური სამი წლის მანძილზე. მერე კი კვლავ განუდგა.

²მიუსევდა ხოლმე მას უფალი ქალდეველთა, არამელთა, მოაბელთა და ყამონიანთა ურდოებს; უსევდა იუდას, რათა დაეღუპა იგი უფლის სიტყვისამებრ, როგორც ნაბრძანები ჰქონდა თავის მსახურთა, წინასწარმეტყველთა პირით.

³უფლის ბრძანებით მოეწეოდა ხოლმე ეს იუდას, რათა თავიდან მოეშორებინა იგი მანაშეს ცოდვების გამო, და ყოველივე იმისათვის, რაც მან ჩაიდინა.

⁴და იმ უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლის გამოც, რომლითაც აავსო იერუსალიმი. უფალმა არ ინება მისი პატიება.

⁵იეჰოიაკიმის დანარჩენი საქმენი, ყველაფერი, რაც გაუკეთებია, იუდას მეფეთა მატიანეშია ჩაწერილი.

⁶განისვენა იეჰოიაკიმმა თავის მამებთან და მის ნაცვლად იეჰოიაქინი, მისი ძე გამეფდა.

⁷და მეტად აღარ გამოსულა ეგვიპტის მეფე თავისი ქვეყნიდან, რადგან დაიპყრო ბაბილონის მეფემ ყველაფერი, რაც ეგვიპტელთა მეფეს ეკუთვნოდა, ეგვიპტის ნაღვარევიდან მდინარე ეფრატამდე.

⁸18 წლისა იყო იეჰოიაქინი, როცა გამეფდა, და სამი თვე იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო ნეხუშთა, იერუსალიმელი ელნათანის ასული.

⁹ბოროტებას სჩადიოდა უფლის თვალში, მსგავსად მამამისისა.



¹⁰მაშინ დაიდრა ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის ლაშქარი იერუსალიმისაკენ და ქალაქი ალყაში მოექცა.

¹¹და მოადგა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი ქალაქს, როცა მის მოლაშქრეებს ალყაში ჰყავდათ ქალაქი მოქცეული.

¹²და გავიდა იეჰოიაქინი, იუდას მეფე, ბაბილონის მეფესთან, და გავიდნენ დედამისიც, მისი მსახურნიც და დიდებულნიც, და კარისკაცებიც, და წაიყვანა იგი ბაბილონის მეფემ თავისი მეფობის მერვე წელს.

¹³და გაზიდა იქიდან უფლის ტაძრის განძეული და მეფის სახლის განძეული, და დაამსხვრია მთელი ოქროს ჭურჭელი, რომელიც გააკეთა სოლომონმა, ისრაელის მეფემ უფლის ტაძარში.

¹⁴და გაასახლა მთელი იერუსალიმი, ყველა დიდებული, ყველა მამაცი მებრძოლი – 10 ათასი კაცი იყო გასახლებული – ყველა ხურო და მჭედელი; არავინ დარჩენილა, ქვეყნის ღარიბთა გარდა.

¹⁵და გადაასახლა იეჰოიაქინი ბაბილონს, და მეფის დედა, და მეფის ცოლები, და მისი საჭურისნი, და ძლიერნი ქვეყნისანი წაასხა იერუსალიმიდან ბაბილონში დასასახლებლად.

¹⁶ყველა მეომარი – 7 ათასი კაცი, ხელოსნები და მშენებლები – 100 კაცი, ყველა ვაჟკაცი, ომის შემძლე, წაასხა ბაბილონის მეფემ ბაბილონში დასასახლებლად.

¹⁷და დასვა მეფედ ბაბილონის მეფემ იოიაქინის ნაცვლად მისი ბიძა, მათანია, და სახელად ცედეკია უწოდა.

¹⁸²¹ წლისა იყო ცედეკია, როცა გამეფდა, და 11 წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო ხამუტალი, ლიბნელი იერემიას ასული.

¹⁹ბოროტებას სჩადიოდა უფლის თვალში მსგავსად იეჰოიაკიმისა.

²⁰და მრისხანებდა უფალი იერუსალიმზე და იუდაზე, ვიდრე საბოლოოდ არ მოიშორა ისინი თავიდან. და განუდგა ცედეკია ბაბილონის მეფეს.

მეთხე მეფეთა 25

¹თავისი მეფობის მეცხრე წლის, მეათე თვის, მეათე დღეს, წამოვიდა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი მთელი თავისი ლაშქრითურთ იერუსალიმის წინააღმდეგ; შემოადგა მას და მიწაყრილები მოუწყო ირგვლივ.

²და იყო ალყაში ქალაქი მეფე ცედეკიას მეთერთმეტე წლამდე.



³მეოთხე თვის მეცხრე დღეს შიმშილი გაძლიერდა ქალაქში, და აღარაფერი ჰქონდა ხალხს საჭმელად.

⁴და გატყდა ქალაქი, და გაიქცნენ მეფე და მისი მხედრობა ღამით ორ კედელს შუა კარიბჭისკენ მიმავალი გზით, სამეფო ბაღთან რომ არის. ქალაქის ირგვლივ იდგნენ ქალდეველები, ხოლო ცედეკიამ მიმართა დაბლობისაკენ მიმავალ გზას.

⁵და დაედევნა ქალდეველთა ლაშქარი მეფეს, და მიეწივნენ იერიხოს დაბლობზე და მთელი ლაშქარი გაეფანტა მას.

⁶შეიპყრეს მეფე და მიუყვანეს ბაბილონის მეფეს რიბლაში, და მსჯავრი დაადეს:

⁷თვალწინ დაუკლეს ძენი ცედეკიას, ხოლო თავად მას თვალები დასთხარეს, ბრინჯაოს ბორკილები დაადეს და ბაბილონში წაიყვანეს.

⁸მეხუთე თვის მეშვიდე დღეს, ეს იყო ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მეცხრამეტე წელი, იერუსალიმში მოვიდა ნებუზარადანი, ქონდაქართუხუცესი, ბაბილონის მეფის მსახური,

⁹და გადაწვა უფლის სახლი და მეფის სახლი, და იერუსალიმის ყველა სახლი, ყველა დიდი სახლი ცეცხლს მისცა.

¹⁰და დაანგრია კედლები იერუსალიმის ირგვლივ ქალდეველთა ლაშქარმა, რომელიც ქონდაქართუხუცესს ახლდა.

¹¹ქალაქში დარჩენილი მოსახლეობა და ისინი, ვინც ბაბილონის მეფეს ჩაბარდნენ, სხვადასხვა ჭრელ ხალხთან ერთად აჰყარა ქონდაქართუხუცესმა ნებუზარადანმა;

¹²და ნაწილი ქვეყნის ხალხისა მევენახეებად და მხვნელ-მთესველებად დატოვა ქონდაქართუხუცესმა.

¹³და ბრინჯაოს სვეტები, უფლის სახლში რომ იდგა, და კვარცხლბეკები და ბრინჯაოს ზღვა, უფლის სახლში რომ იდგა, დაღეწეს ქალდეველებმა და ბრინჯაო ბაბილონში წაიღეს.

¹⁴ქვაბები, აქანდაზები, მაშები, კოვზები, ბრინჯაოს მთელი ჭურჭელი, ღვთისმსახურებისას რომ იყენებდნენ, წაიღეს.

¹⁵სასაკმევლეები და სასხურებლები, რაც ოქროსი და ვერცხლისა იყო, ქონდაქართუხუცესმა წაიღო.

¹⁶წყვილი სვეტიც, ერთი ზღვა და კვარცხლბეკები, სოლომონმა რომ დაამზადა უფლის ტაძრისთვის, – აუწონავი იყო ბრინჯაო, რისგანაც ეს საგნები იყო გაკეთებული.



¹⁷18 წყრთა იყო ერთი სვეტის სიმაღლე, ზედ ბრინჯაოს გვირგვინი ჰქონდა. და სამი წყრთა იყო გვირგვინის სიმაღლე. ცხური და ბროწეულები გვირგვინის გარშემო, ყველაფერი ბრინჯაოსა იყო. ასეთივე იყო მეორე სვეტი ცხურიანად.

¹⁸და გამოიყვანა ქონდაქართუხუცესმა მღვდელმთავარი სერაია, მეორე მღვდელი ცეფანია და ზღურბლის სამი მცველი.

¹⁹ქალაქიდან გამოიყვანა ერთი საჭურისი, რომელიც მეომრებს ზედამხედველობდა, და ხუთი კაცი, წინაშე მდგომელნი მეფისა, რომლებიც ქალაქში იმყოფებოდნენ, ლაშქრის მთავრის მწიგნობარი, რომელიც იწერდა ჯარში ჩასარიცხად ხალხს, და 600 კაცი ხალხიდან, რომლებიც ქალაქში იმყოფებოდნენ.

²⁰და წაიყვანა ისინი ნებუზარადანმა, ქონდაქართუხუცესმა, და მიჰგვარა ბაბილონის მეფეს რიბლაში.

²¹და დაჰკრა მათ ბაბილონის მეფემ და დახოცა რიბლაში, ხამათის მხარეში. და აჰყარა იუდა თავისი ქვეყნიდან.

²²იუდას ქვეყანაში დარჩენილ ხალხზე კი, რომელიც იქ დატოვა ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის მეფემ, უფროსად დანიშნა გედალია, მე ახიკამისა, შაფანის ძისა.

²³როცა გაიგეს მხედართმთავრებმა და მათმა კაცებმა, რომ ბაბილონის მეფემ გედალია დანიშნაო უფროსად, მასთან მივიდნენ მიცვაში. ესენი იყვნენ: ისმაელ ნეთანias მე, იოხანან კარეახის მე, სერაია, ნეტოფათელი თანხუმეთის მე, იააზანია მაყაქათელის მე და მათი ხალხი.

²⁴და შეჰფიცა გედალიამ მათ და მათ ხალხს და უთხრა: „ნუ გეშინიათ ქალდეველთა მორჩილებისა, დასახლდით ქვეყანაში და ემსახურეთ ბაბილონის მეფეს, და კარგი იქნება თქვენთვის.“

²⁵მეშვიდე თვეს მოვიდა ისმაელი, მე ნეთანiasი, ელიშამაყის ძისა, მეფეთა ნათესავი, ათი კაციტურთ, და მოკლა გედალია და ამოხოცა იუდაელები და ქალდეველები, ვინც მიცვაში ახლდნენ გედალიას.

²⁶და ადგა მთელი ხალხი დიდიან-პატარიანად და მხედართმთავრები, და ეგვიპტეში გადაიხვეწნენ ქალდეველების შიშით.

²⁷იუდას მეფის, იეჰოიაქინის გადასახლებიდან ოცდამეჩვიდმეტე წლის თავზე, მეთორმეტე თვეს, თვის ოცდამეშვიდე დღეს, ევილ-მეროდაქმა, ბაბილონის მეფემ, თავისი გამეფების წელს, საპყრობილიდან იპატივა იოიაქინი, იუდას მეფე.



²⁸და კეთილად ელაპარაკა და დაუდგა ტახტი იმ მეფეთა ტახტზე მაღლა, რომლებიც ბაბილონში ჰყავდა მას.

²⁹და გამოუცვალა საპყრობილის ტანისამოსი და მის წინ ჭამდა იგი პურს მთელი სიცოცხლე.

³⁰და მისი სარჩო, სამუდამო სარჩო, ეძლეოდა მეფისაგან ყოველდღიურად, მთელი სიცოცხლის მანძილზე.



პირველი ნეშტა

პირველი ნეშტა 1

- ¹ადამი, შეთი, ენოში,
- ²კენანი, მაჰალალელი, იარედი;
- ³ენოქი, მათუსალა, ლამექი,
- ⁴ნოე, სემი, ქამი და იაფეთი.
- ⁵იაფეთის ძენი: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი.
- ⁶გომერის ძენი: აშქენაზი, დიფათი და თოგარმა.
- ⁷იავანის ძენი: ელიშა, თარშიში, ქითიმი და როდანიმი,
- ⁸ქამის ძენი: ქუში, მიცრაიმი, ფუტი და ქანაანი.
- ⁹ქუშის ძენი: სება, ხავილა, საბთა, რაყმა და საბთექა. რაყმას ძენი: შება და დედანი.
- ¹⁰ქუშმა შვა ნიმროდი, რომელიც პირველი გოლიათი იყო ქვეყანაზე.
- ¹¹მიცრაიმი იყო მამა ლუდელთა, ყანამელთა, ლეჰაბელთა, ნაფთუხელთა,
- ¹²ფათრუსელთა, ქასლუხელთა (რომელთაგან ფილისტიმელნი წარმოიშვნენ) და ქაფთორელთა.
- ¹³ქანაანს ეყოლა ციდონი, მისი პირმშო, და ხეთი,
- ¹⁴იებუსელნი, ამორეველნი, გირგაშელნი,
- ¹⁵ხიველნი, ყარკელნი, სინელნი,
- ¹⁶არვადელნი, ცემარელნი და ხამათელნი.
- ¹⁷სემის ძენი: ყელამი, აშური, არფაქშადი, ლუდი, არამი, ყუცი, ხული, გეთერი და მეშექი.
- ¹⁸არფაქშადს შეეძინა შელახი, და შელახს ყებერი.
- ¹⁹ყებერს ორი ძე შეეძინა: ერთის სახელი იყო ფელეგი, რადგან მის დროს დანაწილდა დედამიწა, მისი ძმის სახელი იყო იოკტანი .
- ²⁰იოკტანს შეეძინა ალმოდადი, შელეფი, ხაცარმავეთი და იერახი,
- ²¹ადორამი, უზალი, დიკლა,
- ²²ღებალი, აბიმაელი, შება,



- ²³ოფირი, ხავილა და იობაბი; ყველა ესენი იოკტანის ძენი იყვნენ.
- ²⁴სემი, არფაქშადი, შელახი;
- ²⁵ყებერი, ფელეგი, რელუ,
- ²⁶სერუგი, ნახორი, თერახი;
- ²⁷აბრამი, იგივე აბრაამი.
- ²⁸აბრაამის ძენი: ისაკი და ისმაელი.
- ²⁹ეს არის მათი მოდგმა: ისმაელის პირმშო ნებაიოთი, კედარი, აბდეელი, მიბსამი,
- ³⁰მიშმაყი, დუმა, მასა, ხადადი, თემა,
- ³¹იეტური, ნაფიში და კედემა. ესენი არიან ისმაელის ძენი.
- ³²კეტურას, აბრაამის ხარჭას, ძენი: მან შვა ზიმრანი, იოკშანი, მედანი, მიდიანი, იშბაკი და შუაყი. იოკშანის ძენი: შება და დედანი.
- ³³მიდიანის ძენი: ეფა, ყეფერი, ენოქი, აბიდაყი და ელდაყა. ყველა ესენი კეტურას ძენი არიან.
- ³⁴აბრაამმა შვა ისაკი. ისაკის ძენი: ესავი და ისრაელი.
- ³⁵ესავის ძენი: ელიფაზი, რელუელი, იეყუში, იაყლამი და კორახი.
- ³⁶ელიფაზის ძენი: თემანი, ომარი, ცეფო, გაყთამი, კენაზი, თიმნაყი, ყამალეკი.
- ³⁷რელუელის ძენი: ნახათი, ზერახი, შამა და მიზა.
- ³⁸სეყირის ძენი: ლოტანი, შობალი, ციბეყონი, ყანა, დიშონი, ეცერი და დიშანი.
- ³⁹ლოტანის ძენი: ხორი, ჰომამი. ლოტანის და იყო თიმნაყი.
- ⁴⁰შობალის ძენი: ყალიანი, მანახათი, ლებალი, შეფი, ონამი. ციბეყონის ძენი: აია და ყანა.
- ⁴¹ყანას ძე: დიშონი. დიშონის ძენი: ხამრანი, ეშბანი, ითრანი, ქერანი.
- ⁴²ეცერის ძენი: ბილჰანი, ზაყავანი, იაყაკანი. დიშანის ძენი: ყუცი და არანი.
- ⁴³აჰა, ის მეფენი, ედომის ქვეყანაში რომ მეფობდნენ, მანამდე ვიდრე ისრაელიანთა ქვეყანაში გამოჩნდებოდნენ მეფეები: ბელაყი, ძე ბეყორისა. მის ქალაქს დინჰაბა ერქვა.
- ⁴⁴და როცა ბელაყი მოკვდა, მის ნაცვლად გამეფდა იობაბი, ბოცრელი ზერახის ძე.



⁴⁵და მოკვდა იოზაბი და მის ნაცვლად გამეფდა ხუშამი – თემანელთა ქვეყნიდან.

⁴⁶და მოკვდა ხუშამი და მის ნაცვლად გამეფდა ჰადადი, ძე ბედადისა (იმ ბედადისა, რომელმაც მოაბის ველზე მიდიანელნი გაანადგურა), მისი სატახტო ქალაქის სახელი იყო ყავითი.

⁴⁷და მოკვდა ჰადადი და მის ნაცვლად გამეფდა სამლა მასრეკელი.

⁴⁸და მოკვდა სამლა და მის ნაცვლად გამეფდა მდინარისპირა რეხოხოთელი შაული.

⁴⁹და მოკვდა შაული და მის ნაცვლად გამეფდა ბაყალ-ხანანი, ძე ყაქბორისა.

⁵⁰და მოკვდა ბაყალ-ხანანი და მის ნაცვლად გამეფდა ჰადადი. მისი სატახტო ქალაქის სახელი იყო ფაყუ. სახელი მისი ცოლისა მეჰეტაბელი, ასული მატრედისა, ასული მე-ზაჰაბისა.

⁵¹და მოკვდა ჰადადი. ედომის მთავრები იყვნენ: თიმნაყი, ყალვა, იეთეთი,

⁵²ოჰოლიბამა, ელა, ფინონი,

⁵³კენაზი, თემანი, მიზცარი,

⁵⁴მაგდიელი, ყირამი – ესენი იყვნენ ედომის მთავრები.

პირველი ნეშტთა 2

¹ესენი არიან ისრაელიანები: რეუბენი, სიმეონი, ლევი, იუდა, ისაქარი, ზებულუნი,

²დანი, იოსები, ბენიამინი, ნაფთალი, გადი და აშერი.

³იუდას ძენი: ყერი, ონანი და შელახი; ქანაანელი შუაყის ასულისაგან მას ეს სამნი შეეძინა. იუდას პირმშო ყერი, ბოროტი იყო უფლის წინაშე, ამიტომ მოაკვდინა იგი უფალმა.

⁴თამარმა, მისმა რძალმა, შვა ფერეცი და ზერახი. იუდას სულ ხუთი ძე ჰყავდა.

⁵ფერეცის ძენი: ხეცრონი და ხამული.

⁶ზერახის ძენი: ზიმრი, ეთანი, ჰემანი, ქალქოლი და დარაყი – ხუთნი.

⁷ქარმის ძენი: ყაქარი, ფიცი რომ გატეხა და ისრაელს უბედურება შეამთხვია.

⁸ეთანის ძე ყაზარია. –

⁹და ხეცრონის ძენი, მას რომ შეეძინა: იერახმელი, რამი და ქელუბაი.



- ¹⁰რამმა შვა ყამინადაბი. ყამინადაბმა შვა ნახშონი – იუდას ძეთა წინამძღოლი,
- ¹¹ნახშონმა შვა სალმა. სალმამ შვა ბოყაზი,
- ¹²ბოყაზმა შვა ყობედი. ყობედმა შვა იესე,
- ¹³იესემ შვა თავისი პირმშო ელიაბი, მეორე – აბინადაბი, მესამე – შიმეყა,
- ¹⁴მეოთხე – ნეთანელი, მეხუთე – რადაი,
- ¹⁵მეექვსე – ოცემი, მეშვიდე – დავითი.
- ¹⁶მათი დები: ცერუია და აბიგაილი. ცერუიას ძენი: აბიშაი, იოაბი და ყასაელი – სამნი.
- ¹⁷აბიგაილმა შვა ყამასა. ყამასას მამა იყო იეთერი, ისმაელიანი.
- ¹⁸ქალებ ხეცრონის ძეს, თავისი ცოლის, ყაზუბასგან, შეეძინა იერიყოთი. ესენი არიან მისი ძენი: იეშერი, შობაბი და არდონი.
- ¹⁹და მოკვდა ყაზუბა და ქალებმა ცოლად შეირთო ეფრათა, და ეფრათამ უშვა მას ხური.
- ²⁰ხურს შეეძინა ური, ურს შეეძინა ბეცალელი.
- ²¹მერე ხეცრონმა ცოლად შეირთო მაქირის, გალაადის მამის ასული. მაშინ ხეცრონი 60 წლისა იყო. და მან უშვა მას სეგუბი.
- ²²სეგუბმა შვა იაირი. გალაადის ქვეყანაში მას 23 ქალაქი ჰქონდა.
- ²³გეშურმა და არამმა წაართვეს მათ იაირის დაბები, კენათი თავის ქალაქებიანად – სულ 60 ქალაქი. ყველა ესენი გალაადის მამის, მაქირის ძენი არიან.
- ²⁴ქალებ-ეფრათში ხეცრონის სიკვდილის შემდეგ ხეცრონის ცოლმა, აბიამ, უშვა მას აშხური – თეკოაყის მამა.
- ²⁵იერახმეელის, ხეცრონის პირმშოს, ძენი იყვნენ: პირმშო რამი, ბუნა, ორენი, ოცემი და ახია.
- ²⁶იერახმეელს სხვა ცოლიც ჰყავდა, სახელად ყატარა, ის იყო ონამის დედა.
- ²⁷იერახმეელის პირმშოს, რამის, ძენი იყვნენ: მაყაცი, იამინი და ყეკერი.
- ²⁸ონამის ძენი იყვნენ: შამაი და იადაყი. შამაის ძენი – ნადაბი და აბიშური.
- ²⁹აბიშურის ცოლს ერქვა აბიხაილი. მან შვა ახბანი და მოლიდი.
- ³⁰ნადაბის ძენი: სელედი და აფაიმი. სელედი უშვილოდ მოკვდა.
- ³¹აფაიმს ჰყავდა ძე – იშყი, იშყის ძე იყო შეშანი. შეშანის ძე იყო ახლაი.



- ³²იადაყის, შამაის ძმის, ძენი: ახი, შამი, იეთერი და იონათანი. იეთერი უშვილოდ მოკვდა.
- ³³იონათანის ძენი: ფელეთი, ზაზა. ესენი იერახმეელის ძენი იყვნენ.
- ³⁴შემანს ვაჟები არ ჰყოლია, მხოლოდ ასულები ჰყავდა. შემანს ეგვიპტელი ყმა ჰყავდა, სახელად იარხაყი.
- ³⁵შემანმა თავისი ასული თავის ყმას იარხაყს მისცა ცოლად. და უშვა მას ყათაი.
- ³⁶ყათაიმ შვა ნათანი, ნათანმა შვა ზაბადი,
- ³⁷ზაბადმა შვა ეფლალი, ეფლალმა შვა ყობედი,
- ³⁸ყობედმა შვა იეჰუ, იეჰუმ შვა ყაზარია,
- ³⁹ყაზარიამ შვა ხალეცი, ხელეცმა შვა ელყასა,
- ⁴⁰ელყასამ შვა სისმაი, სისმაიმ შვა შალუმი,
- ⁴¹შალუმმა შვა იეკამია, იეკამიამ შვა ელიშამაყი.
- ⁴²იერახმეელის ძმის, ქალების ძენი: პირმშო – მეშაყი, ეს არის ზიფის მამა; და მარეშას, ხებრონის მამის, ძენი.
- ⁴³ხებრონის ძენი: კორახი, თაფუახი, რეკემი, შემაყი.
- ⁴⁴შემაყმა შვა რახამი, იორკეყამის მამა. რეკემმა შვა შამაი.
- ⁴⁵შამაის ძე იყო მაყონი. მაყონი იყო მამა ბეთ-ცურისა.
- ⁴⁶ქალების ხარჭას, ეფას, შეეძინა: ხარანი, მოცა და გაზეზი. ხარანმა შვა გაზეზი.
- ⁴⁷იაჰდაის ძენი: რეგემი, იოთამი, გეშანი, ფელეტი, ეფა და შაყაფი.
- ⁴⁸ქალების ხარჭას, მაყაქას, შეეძინა: შებერი, თირხანა.
- ⁴⁹და შვა მადმანას მამა შაყაფი, მაქბენასა და გიბყას მამა – შევა. ქალების ასული იყო ყაქსა.
- ⁵⁰ესენი იყვნენ ქალების ძენი: ხურას ძე შობალი, ეფრათას პირმშო, მამა კირიათ-იეყარიმისა,
- ⁵¹სალმა, მამა ბეთლემისა, და ხარეფი, მამა ბეთ-გედერისა.
- ⁵²შობალს, კირიათ-იეყარიმის მამას, ჰყავდა ვაჟები: ჰაროე, ხაცი, მენუხოთი.
- ⁵³კირიათ-იეყარიმის საგვარეულონი: ითრელი, ფუთელი, შუმათელი და მიშრაყელი. მათგან გამოვიდნენ ცორყათელნი და ეშთაოლელნი.



⁵⁴საღმას პენი: ბეთლემი, ნეტოფათელი, ყატაროთ-ბეთ-იოაბი, მანახთელთა ნახევარი, და ცორყელნი.

⁵⁵იაცბეცში მცხოვრებ მწიგნობართა საგვარეულონი: თირყათელნი, შიმეყათელნი, სუქათელნი, ესენი კენიელნი არიან, ბეთ-რეჟაბის მამის, ხამათის, შთამომავლები.

პირველი ნეშტთა 3

¹ესენი იყვნენ დავითის პენი, რომლებიც ხებრონში შეეძინენ მას: პირმშო ამნონი, ახინოყამ იზრეყელელისგან, მეორე – დანიელი, აბიგაილ ქარმელელისაგან.

²მესამე – აბესალომი, გეშურის მეფე თალმაის ასულის, მაყაქას ვაჟი. მეოთხე – ადონია, ხაგითის ვაჟი.

³მეხუთე – შეფატია, აბიტალისაგან, მეექვსე – ითრეყამი, ყეგლასგან, თავისი ცოლისაგან.

⁴ექვსნი შეეძინენ მას ხებრონში. შვიდი წელი და ექვსი თვე იქ იმეფა, 33 წელი კი იერუსალიმში.

⁵ესენი შეეძინენ იერუსალიმში: შიმეყა, შობაბი, ნათანი, სოლომონი – ოთხნი, ბათშუაყისგან, ყამიელის ასულისაგან.

⁶იზხარი, ელიშამაყი, ელიფელეტი,

⁷ნოგა, ნეფეგი, იაფიაყი,

⁸ელიშამაყი, ელიადაყი, ელიფელეტი – ცხრანი.

⁹სულ ესენი არიან დავითის პენი, ხარჭების ძეთა გარდა. თამარიც მათი და იყო.

¹⁰სოლომონის ძე რეხოზოყამი, მისი ძე აბია, მისი ძე ასა, მისი ძე იოშაფატი,

¹¹მისი ძე იორამი, მისი ძე ახაზიაჰუ, მისი ძე იოაში,

¹²მისი ძე ამაცია, მისი ძე ყაზარია, მისი ძე იოთამი,

¹³მისი ძე ახაზი, მისი ძე ხიზკია, მისი ძე მანაშე,

¹⁴მისი ძე ამონი, მისი ძე იოშია.

¹⁵იოშიას პენი: პირმშო – იოხანანი, მეორე – იეჰოიაკიმი, მესამე – ცედეკია, მეოთხე – შალუმი.

¹⁶იეჰოიაკიმის პენი: მისი ძე იეჰონია, მისი ძე ცედეკია.

¹⁷იეჰონიას პენი: ასირი, მისი ძე შეალთიელი,



- ¹⁸მალქირამი, ფედაია, შენაცარი, იეკამია, ჰოშამაყი, ნედაბია.
- ¹⁹ფედაიას ძენი: ზერუბაბელი, შიმეყი. ზერუბაბელის ძენი: მეშულამი, ხანანია, მათი და შელომითი,
- ²⁰ხაშუბა, ოჰელი, ბერექია, ხასადია, და იუშაბ-ხესედი – ხუთნი.
- ²¹ხანანიას ძენი: ფელატია და ესაია, რეფაიას ძენი, არნანის ძენი, ყობადიას ძენი, შექანიას ძენი.
- ²²და შექანიას ძე შემაყია. შემაყიას ძენი: ხატუში, იგალი, ბარიახი, ნეყარია, შაფატი – ექვსნი.
- ²³ნეყარიას ძენი: ელიოყენაი, ხიზკია, ყაზრიკამი – სამნი.
- ²⁴ელიოყენაის ძენი: ჰოდავიაჰუ, ელიაშიბი, ფელაია, ყაკუბი, იოხანანი, დელაია, ყანანი – შვიდნი.

პირველი ნეშტა 4

- ¹იუდას ძენი: ფერეცი, ხეცრონი, ქარმი, ხური და შობალი.
- ²შობალის ძემ, რეაიამ, შვა იახათი, იახათმა შვა ახუმაი და ლაჰადი. ესენი არიან ცორყათელთა საგვარეულონი.
- ³აი ყეტამის მამის ძენი: იზრეყელი, იშმა, იდბაში. მათ დას ჰაცელელფონი ერქვა.
- ⁴ფენუელი, გედორის მამა და ყეზერი, ხუშას მამა, ესენი არიან ხურის ძენი, ეფრათას პირმშოსი, ბეთლემის მამისა.
- ⁵აშხურს, თეკოაყის მამას, ორი ცოლი ჰყავდა: ხელა და ნაყარა.
- ⁶ნაყარასგან შეეძინა: ახუზამი, ხეფერი, თემნი და ჰაახაშთარი. ესენი იყვნენ ნაყარას ძენი.
- ⁷ხელას ძენი: ცერეთი, იეცხარი და ეთნანი.
- ⁸კოცმა შვა ყანუბი და ცოზება და ჰარუმის ძის, ახარხელის, საგვარეულონი.
- ⁹იაყბეცი თავის ძმებზე უფრო პატივდებული იყო. იაყბეცი დედამისმა დაარქვა, ასე თქვა: რადგან ტკივილით გავაჩინეო.
- ¹⁰მოუხმო იაყბეცმა ისრაელის ღმერთს და უთხრა: „ნეტა მაკურთხებდე და საზღვრებს გამიდიდებდე, შენი ხელი ჩემთან იქნებოდეს და ბოროტებისაგან დამიცავდე, რომ არ გავიტანჯო.“ და მისცა ღმერთმა, რასაც ითხოვდა.
- ¹¹ხოლო ქელუბმა, შუხას ძმამ, შვა მეხირი, ეშთონის მამა.



- ¹²ეშთონმა შვა ბეთ-რაფა, ფასეახი და ყირ-ნახაშის მამა თეხინა. ესენი არიან რექას მცხოვრებნი.
- ¹³კენაზის ძენი: ღოთნიელი და სერაია. ღოთნიელის ძე იყო ხათათი და მეყონათაი.
- ¹⁴მეყონოთაიმ შვა ყოფრა. სერაიამ შვა იოაბი, მამა ხუროთა ველისა, რადგან ხუროები იყვნენ.
- ¹⁵იეფუნეს ძის, ქალების, ძენი: ყირუ, ელა და ნაყამი; ელას ძე იყო კენაზი.
- ¹⁶იეჰალელის ძენი: ზიფი და ზიფა, თირია და ასარელი.
- ¹⁷ყეზრას ძენი: იეთერი, მერედი, ყეფერი და იალონი. იეთერმა შვა მირიამი, შამაი და იშბახი, ეშთემოაყის მამა.
- ¹⁸იეჰუდიას, მის ცოლს, შეეძინა იერედი – მამა გედორისა, და ხებერი – მამა სოქოსი, და იეკუთიელი – მამა ზანოახისა. ესენი არიან ძენი ბითიასი, ფარაონის ასულისა, რომელიც შეირთო მერედმა.
- ¹⁹მისი ცოლის, ჰოდისა, კეყილის მამის – ნახამის დის ვაჟები: კეყილას მამა გარმელი და ეშთემოაყ მაყაქათელი.
- ²⁰შიმონის ძენი: ამნონი, რინა, ბენ-ხანანი და თილონი. იშყის ძენი: ზოხეთი და ბენ-ზოხეთი.
- ²¹იუდას ძის, შელახის ვაჟები: ყერი – ლექას მამა, ლაყადა – მარემას მამა და მესელეთა საგვარეულოები ბეთ-აშბეაყიდან.
- ²²იოკიმი და ქოზებას კაცები, იოაში და სარაფი მოაბსა და იაშუბი-ლახემს ფლობდნენ. ეს ძველი ამბებია.
- ²³ისინი მეთუნეები იყვნენ და. ნეტაყიმსა და გედერაში სახლობდნენ, მეფესთან ცხოვრობდნენ და მისთვის შრომობდნენ.
- ²⁴სიმეონის ძენი: ნემუელი, იამინი, იარიბი, ზერახი და შაული;
- ²⁵მისი ძე შალუმი, მისი ძე მიბსამი, მისი ძე მიშმაყი.
- ²⁶მიშმაყის ძენი: მისი ძე ხამუელი, მისი ძე ზაქური, მისი ძე შიმეყი.
- ²⁷შიმეყის 16 ვაჟი და ექვსი ქალი ჰყავდა. მის ძმებს ბევრი ვაჟები არ ჰყოლიათ და არც მათი საგვარეულო იყო იუდას ძეთა საგვარეულოსავით მრავალრიცხოვანი.
- ²⁸ისინი ცხოვრობდნენ ბეერ-შებაყში, მოლადასა და ხაცარ-შუყალში,
- ²⁹ბილჰაში, ყეცემში, თოლადში,
- ³⁰ბეთუელში, ხორმაში, ციკლაგში,



³¹ბეთ-მარქაბოთში, ხაცარ-სუსიმში, ბეთ-ბირსა და შაყარაიმში. აჰა, მათი ქალაქები დავითის გამეფებამდე.

³²მათი დასახლებები: ყეტამი, ყაინი, რიმონი, თოქენი, ყაშანი – ხუთი ქალაქი.

³³ასევე ყველა ის სოფლები, რომლებიც ამ ქალაქებს ეკვროდა ვიდრე ბაყალამდე. აჰა, მათი საცხოვრებელი და მათი საგვარტომო ნუსხა.

³⁴მეშობაბი, იამლექი, იოშა ამაციას ძე,

³⁵იოელი და იეჰუ, ძე იოშიბიასი, სერაიას ძისა, ყასიელის ძისა.

³⁶ელიოყენაი, იაყაკობა, იეშოხაია, ყასაია, ყადიელი, იეშიმიელი, ბენაია.

³⁷ზიზა, ძე შიფყისა, ძისა ალონისა, ძისა იედაიასი, ძისა შიმრისა, ძისა შემაყიასი.

³⁸ესენი, სახელებით რომ არიან ჩამოთვლილნი, თავ-თავიანთი საგვარეულოების მთავრები იყვნენ. მათი მამისსახლი ძალიან გაიზარდა.

³⁹მათ გედორისაკენ გასწიეს, ველის აღმოსავლეთით, თავიანთი ცხვრისთვის საძოვრების სამებნელად

⁴⁰და პოხიერსა და კარგ საძოვარს მიაგნეს. ვრცელი ქვეყანა იყო, თან მშვიდი და მყუდრო, რადგან უწინ აქ ქამის შთამომავლები ცხოვრობდნენ.

⁴¹ისინი, სახელებით რომ იყვნენ ჩამოწერილნი, იუდას მეფის ხიზკიას დღეებში მოვიდნენ, და გაანადგურეს მათი კარვები და იქ მყოფი მეყუნამეღნი. იმ დღეს ერთიანად ამოწყვიტეს ისინი და მათ ნაცვლად დასახლდნენ, რადგან იქ იყო მათი ცხვრის საძოვრები.

⁴²მათგან – სიმეონის ძეთაგან – 500 კაცი სეყირის მთისკენ გაეშურა იშყის ძეთა: ფელატიას, ნეყარიას, რეფაიას და ყუზიელის მეთაურობით.

⁴³და გაანადგურეს ყამალეკის დარჩენილი ნატამალი და დღემდე იქ ცხოვრობენ.

პირველი ნეშტა 5

¹ძენი რეუბენისა, ისრაელის პირმშოსი; იგი პირმშო იყო, მაგრამ, როცა მამის სარეცელი შებილწა, მისი პირმშოობა გადაეცა, ისრაელის ძის, იოსების ძეთ, თუმცა არა იმისათვის, რომ პირმშოდ ჩაწერილიყვნენ;

²იუდა ძლიერი იყო თავის ძმებში და წინამძღვარიც მისგან იყო, პირმშოობა კი იოსებზე გადავიდა.

³აი ძენი რეუბენისა, ისრაელის პირმშოსი: ენოქი, ფალუ, ხეცრონი და ქარმი.



- ⁴აი იოელის მოდგმა: მისი ძე იყო შემაყია, მისი ძე – გოგი, მისი ძე – შიმეყი,
- ⁵მისი ძე – მიქა, მისი ძე – რეაია, მისი ძე – ბაყალი,
- ⁶მისი ძე – ბეერა, რომელიც ტყვედ წაიყვანა აშურის მეფე თილგათ-ფილნესერმა, ის იყო რეუბენის ძეთა წინამძღოლი.
- ⁷მისი ძმები, მათი საგვარეულოებისა და საგვარტომო ნუსხის მიხედვით იყვნენ: უფროსი იეყიელი, ზაქარია,
- ⁸ბელაყი, ძე ყაზაზისა, ძე შემაყისა, ძე იოელისა. იგი ყაროყერში ცხოვრობდა, ნებომდე და ბაყალ-მეყონამდე.
- ⁹აღმოსავლეთით ცხოვრობდა მდინარე ევფრატიდან მოყოლებული უდაბნოს პირამდე, რადგან დიდძალი საქონელი ჰყავდათ გალაადის ქვეყანაში.
- ¹⁰საულის დროს ისინი აგარიანელებს ეომებოდნენ, რომლებიც მათ მოსპეს და დასახლდნენ მათ კარვებში, გალაადის მთელ აღმოსავლეთ მხარეში.
- ¹¹გადის ძენი მათ მეზობლად ცხოვრობდნენ ბაშანის ქვეყანაში სალქამდე,
- ¹²უფროსი – იოელი, მომდევენონი: შაფამი, იაყნაი და შაფატი ბაშანში ცხოვრობდნენ.
- ¹³მათი ძმები, თავ-თავიანთი მამისსახლიდან: მიქაელი, მეშულამი, შებაყი, იორაი, იაყქანი, ზიაყი, ყებერი და შიბყა.
- ¹⁴აჰა, ძენი აბიხაილისა, ხურის ძისა, იაროახის ძისა, გალაადის ძისა, მიქაელის ძისა, იეშიშაის ძისა, იახდოს ძისა, ბუზის ძისა.
- ¹⁵ახი, ძე ყაბდიელისა, ძე გუნისა, მათი მამისსახლის თავკაცი.
- ¹⁶ისინი ცხოვრობდნენ გალაადში, ბაშანსა და მის კუთვნილ ქალაქებში, ასევე შარონის მთელ სანახებში თვით საზღვრის პირამდე.
- ¹⁷ყველანი აღირიცხნენ იუდას მეფის, იოთამის, დროს და იერობოყამის, ისრაელის მეფის, დროს.
- ¹⁸რეუბენის ძეებში, გადის ძეებში და მანაშეს ნახევარტომში იყვნენ გულადი ვაჟკაცები, რომელნიც ფარსა და მახვილს ატარებდნენ, მშვილდოსნობდნენ და ბრძოლაში იყვნენ ნაწრთობნი. მათგან რიცხვით 44760 გამოდიოდა საომრად.
- ¹⁹ისინი ეომებოდნენ აგარიანელთ, იეტურს, ნაფიშს და ნოდაბს.
- ²⁰შეწევნა მიიღეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და ხელში ჩაიგდეს აგარიანელები, მთელი მათი სარჩო-საბადებლითურთ, რადგან ღმერთს მოუხმეს და მანაც უსმინა მათ, რაკი მასზე იყვნენ მინდობილნი.



²¹და წამოასხეს მათი პირუტყვი: 50 ათასი აქლემი, 250 ათასი წვრილფეხა, 2 ათასი ვირი და 100 ათასი ტყვე;

²²მრავალი განგმირული დაეცა! რადგან ღვთისაგან იყო ის ომი! და სახლობდნენ რეუბენის ძენი აგარიანთა ადგილებში, მათს ტყვეობამდე.

²³და მანაშეს ნახევარტომიც დასახლდა იმ ქვეყანაში: ბაშანიდან ბაყალ-ხერმონამდე, სენირამდე და ხერმონის მთამდე. მრავალრიცხოვანნი იყვნენ ისინი.

²⁴აი მათი მამისსახლთა თავკაცები: ყეფერი, იშყი, ელიელი, ყაზრიელი, იერემია, ჰოდავია, იახდიელი – მამაცი ვაჟკაცები, მამისსახლის სახელოვანი თავკაცები.

²⁵როცა მათ ზურგი აქციეს მამათა ღმერთს და გზააბნეულნი გაჰყვნენ იმ ქვეყნის ხალხის ღმერთებს, მათგან რომ განდევნა ღმერთმა,

²⁶მაშინ აღძრა ისრაელის ღმერთმა ფულის, აშურის მეფის, სული და აშურის მეფის თილგათ-ფილნესერის სული და გადაასახლა რეუბენის ძენი, გადის ძენი და მანაშეს ნახევარტომი, და ჩაასახლა ისინი ხალახში, ხაბორში, ჰარაში, და მდინარე გოზანთან, დღემდე.

პირველი ნეშტთა 6

¹ლევის ძენი: გერშონი, კოჰათი და მერარი.

²კოჰათის ძენი: ყამრამი, იცჰარი, ხებრონი და ყუზიელი.

³ყამრამის ძენი: აარონი, მოსე, მირიამი. აარონის ძენი: ნადაბი, აბიჰუ, ელეაზარი და ითამარი,

⁴ელეაზარმა შვა ფინეხასი, ფინეხასმა შვა აბიშუაყი,

⁵აბიშუაყმა შვა ბუკი, ბუკმა შვა ყუზი,

⁶ყუზიმ შვა ზერახია, ზერახიამ შვა მერაიოთი,

⁷მერაიოთმა შვა ამარია, ამარიამ შვა ახიტუბი.

⁸ახიტუბმა შვა ცადოკი, ცადოკმა შვა ახიმაყაცი,

⁹ახიმაყაცმა შვა ყაზარია, ყაზარიამ შვა იოხანანი.

¹⁰იოხანანმა შვა ყაზარია, – ეს იმ ტაძრის მღვდელი იყო, რომელიც სოლომონმა ააშენა იერუსალიმში.

¹¹ყაზარიამ შვა ამარია, ამარიამ შვა ახიტუბი,

¹²ახიტუბმა შვა ცადოკი, ცადოკმა შვა შალუმი,



- ¹³შალუმმა შვა ხილკია, ხილკიამ შვა ყაზარია,
¹⁴ყაზარიამ შვა სერაია, სერაიამ შვა იეჰოცადაკი.
¹⁵იეჰოცადაკი ტყვედ წაიყვანეს, როცა უფალმა იუდა და იერუსალიმი
 ნაბუქოდონოსორის ხელით გაასახლა.
¹⁶ლევის ძენი: გერშომი, კოჰათი და მერარი;
¹⁷გერშომის ძეთა სახელები: ლიბნი და შიმეყი.
¹⁸კოჰათის ძენი: ყამრამი იცჰარი, ხებრონი და ყუზიელი.
¹⁹მერარის ძენი: მახლი და მუში. აჰა, ლევის საგვარეულონი, თავ-თავიანთი
 მამისსახლების მიხედვით.
²⁰გერშომის ძე იყო ლიბნი, მისი ძე იყო იახათი, მისი ძე იყო ზიმა,
²¹მისი ძე იყო იოახი, მისი ძე იყო ყიდო, მისი ძე იყო ზერახი, მისი ძე იყო
 იეათრაი.
²²ხოლო კოჰათის ძე იყო ყამინადაბი, მისი ძე იყო კორახი, მისი ძე იყო
 ასირი,
²³მისი ძე იყო ელკანა, მისი ძე იყო ებიასაფი, მისი ძე იყო ასირი,
²⁴მისი ძე იყო თახათი, მისი ძე იყო ურიელი, მისი ძე იყო ყუზია, მისი ძე
 იყო შაული.
²⁵ელკანას ძენი იყვნენ: ყამასაი და ახიმოთი.
²⁶ახიმოთის ძე იყო ელკანა, მისი ძე იყო ცოფაი, მისი ძე იყო ნახათი,
²⁷მისი ძე იყო ელიაბი, მისი ძე იყო იეროხამი, მისი ძე იყო ელკანა.
²⁸ხოლო სამუელის ძენი იყვნენ: იოელი – პირმშო და მისი მომდევნო აბია.
²⁹მერარის ძე იყო მახლი, მისი ძე იყო ლიბნი, მისი ძე იყო შიმეყი, მისი ძე
 იყო ყუზა,
³⁰მისი ძე იყო შიმეყა, მისი ძე იყო ხაგია, მისი ძე იყო ყასაია.
³¹აჰა, ისინი, რომლებიც მგალობლებად დაადგინა დავითმა უფლის სახლში,
 მას შემდეგ, რაც კიდობანი დაასვენა იქ.
³²ისინი სადღესასწაულო კარავთან ასრულებდნენ სამსახურს გალობით,
 სანამ სოლომონი იერუსალიმში უფლის ტაძარს აშენებდა. ისინი თავიანთი
 სამსახურის წესისამებრ იდგნენ.
³³აჰა, ისინი, ვინც სამსახურს ეწეოდნენ, და მათი ძენი: კოჰათის ძეთაგან იყო
 ჰემანი – მგალობელი, იოელის ძე, მისა სამუელისა,



- ³⁴მისა ელკანასი, მისა იეროხამისა, მისა ელიელისა, მისა თოახისა,
- ³⁵მისა ცუფისა, მისა ელკანასი, მისა მახათისა, მისა ყამასაისი,
- ³⁶მისა ელკანასი, მისა იოელისა, მისა ყაზარიასი, მისა ცეფანიასი,
- ³⁷მისა თახათისა, მისა ასირისა, მისა ებიასაფისა, მისა კორახისა,
- ³⁸მისა იცჰარისა, მისა კოჰათისა, მისა ლევისა, მისა ისრაელისა,
- ³⁹და მისი ძმა ასაფი, მის მარჯვნივ იდგა. და იყო ასაფი ბერექიას ძე, შიმეყას ძისა,
- ⁴⁰მისა მიქაელისა, მისა ბაყასეიასი, მისა მალქიასი,
- ⁴¹მისა ეთნისა, მისა ზერახისა, მისა ყადაიასი,
- ⁴²მისა ეთანისა, მისა ზიმასი, მისა შიმეყისა,
- ⁴³მისა იახათისა, მისა გერშომისა, მისა ლევისა.
- ⁴⁴მერარის ძენი, მათი ძმები, მარცხნივ რომ იდგნენ: ეთან კიშის ძე, მისა ყაბდისა, მისა მალუქისა,
- ⁴⁵მისა ხაშაბიასი, მისა ამაციასი, მისა ხილკიასი,
- ⁴⁶მისა ამცისა, მისა ბანისა, მისა შუმერისა,
- ⁴⁷მისა მახლისა, მისა მუშისა, მისა მერარისა, მისა ლევისა.
- ⁴⁸მათი ძმები – ლევიანები – ღვთის სახლის სავანის ყველანაირი სამსახურისთვის იყვნენ გამწესებულნი.
- ⁴⁹აარონი და მისი ძენი სრულად დასაწველის სამსხვერპლოზე და საკმევლის სამსხვერპლოზე აკმევდნენ, წმიდათა წმიდაში ყველა საქმეს აკეთებდნენ და ყველაფერს ისე ასრულებდნენ ისრაელის განსაწმედად, როგორც ბრძანა ღვთის მსახურმა მოსემ,
- ⁵⁰აჰა, ესენი არიან აარონის ძენი: მისი ძე იყო ელეაზარი, მისი ძე იყო ფინეხასი, მისი ძე იყო აბიშუაყი,
- ⁵¹მისი ძე იყო ბუკი, მისი ძე იყო ყუზი, მისი ძე იყო ზერახია,
- ⁵²მისი ძე იყო მერაიოთი, მისი ძე იყო ამარია, მისი ძე იყო ახიტუბი,
- ⁵³მისი ძე იყო ცადოკი, მისი ძე იყო ახიმაყაცი.
- ⁵⁴ეს მათი საცხოვრებელი, მათი დაბებისა და საზღვრის მიხედვით ერგოთ აარონის ძეთ, კოჰათელთა საგვარეულოდან წილისყრით მათ ეკუთვნოდათ.
- ⁵⁵და მისცეს მათ ხებრონი, იუდას ქვეყანაში, თავისი სანახებითა და შემოგარენითურთ.



- ⁵⁶ამ ქალაქის მინდორ-ველი და სოფლები ქალებს მისცეს, იეფუნეს ძეს.
- ⁵⁷აარონის ძეთ მისცეს თავშესაფარი ქალაქები: ხებრონი, ლიბნა თავისი სანახებით, იათირი და ეშთემოაყი თავისი სანახებით,
- ⁵⁸ხილენი თავისი სანახებით, დებირი თავისი სანახებით,
- ⁵⁹ყაშანი თავისი სანახებით, ბეთ-შემეში თავისი სანახებით.
- ⁶⁰ბენიამინის ტომიდან: გეზაყი თავისი სანახებით, ყალემეთი თავისი სანახებით, ყანათოთი თავისი სანახებით. მათ საგვარეულოებში სულ 13 ქალაქი იყო.
- ⁶¹ხოლო დანარჩენი კოჭათიანებს, ამ ტომის საგვარეულოდან, მანაშეს ნახევარტომის ნახევრიდან ათი ქალაქი ერგოთ წილისყრით.
- ⁶²გერშომიანებს, თავ-თავიანთი საგვარეულოების მიხედვით, ისაქარის, აშერის, ნაფთალისა და მანაშეს ტომებიდან 13 ქალაქი ერგოთ ბაშანში.
- ⁶³მერარიანებს, თავ-თავიანთი საგვარეულოების მიხედვით, რეუბენის, გადისა და ზებულუნის ტომებიდან 12 ქალაქი შეხვდათ წილისყრით.
- ⁶⁴ეს ქალაქები მისცეს თავისი სანახებით ისრაელის ძეებმა ლევიაანებს.
- ⁶⁵წილისყრით მისცეს იუდას, სიმეონისა და ბენიამინის ძეთა ტომებიდან ის ქალაქები, რომელთაც სახელები ერქვათ.
- ⁶⁶კოჭათიანთა საგვარეულოებმა თავიანთი სასაზღვრო ქალაქები ეფრემის ტომისაგან მიიღეს.
- ⁶⁷მათვე მისცეს თავშესაფარი ქალაქები: შექემი – ეფრემის მთაზე, თავისი სანახებით, გეზერი თავისი სანახებით,
- ⁶⁸იოკმეყამი თავისი სანახებით, ბეთ-ხორონი თავისი სანახებით,
- ⁶⁹აიალონი თავისი სანახებით და გათ-რიმონი თავისი სანახებით.
- ⁷⁰მანაშეს ნახევარტომიდან – ყანერი თავისი სანახებით და ბალაამი თავისი სანახებით მისცეს კოჭათიანთა დანარჩენ საგვარეულოებს.
- ⁷¹გერშომიანებს, მანაშეს ნახევარტომის საგვარეულოდან, ბაშანში მისცეს: გოლანი თავისი სანახებით და ყაშთაროთი თავისი სანახებით.
- ⁷²ისაქარის ტომიდან მისცეს კედეში თავისი სანახებით, დაბრათი თავისი სანახებით,
- ⁷³რამოთი თავისი სანახებით, ყანემი თავისი სანახებით.
- ⁷⁴აშერის ტომიდან მისცეს: მაშალი თავისი სანახებით, ყაზდონი თავისი სანახებით.



⁷⁵ხუკოკი თავისი სანახებით, რეხოზი თავისი სანახებით.

⁷⁶ნაფთალის ტომიდან მისცეს კედეში გალილეაში თავისი სანახებით, ხამონი თავისი სანახებით და კირიათაიმი თავისი სანახებით.

⁷⁷დანარჩენ მერარიანებს კი ზებულუნის ტომიდან მისცეს რიმონო თავისი სანახებით და თაბორი თავისი სანახებით.

⁷⁸იორდანეს გადაღმა, იერიხოსთან, იორდანეს აღმოსავლეთით რეუბენის ტომიდან მისცეს: ბეცერი უდაბნოში თავისი სანახებით, და იაჰცა თავისი სანახებით.

⁷⁹კედემოთი თავისი სანახებით და მეფაყათი თავისი სანახებით.

⁸⁰გადის ტომიდან მისცეს რამოთი გალაადში თავისი სანახებით, და მახანაიმი თავისი სანახებით,

⁸¹და ხეშბონი თავისი სანახებით და იაყზერი თავისი სანახებით.

პირველი ნეშტა 7

¹ისაქარის ძენი: თოლაყი, ფუვა, იაშუბი, შიმრონი – ოთხნი.

²თოლაყის ძენი: ყუზი, რეფაია, იერიელი, იახმაი, იხსამი, შემუელი – თოლაყის მამისსახლის თავკაცები, თავ-თავიანთი მოდგმის მაგარი ვაჟკაცები. დავითის დროს მათი რიცხვი 22600 იყო.

³ყუზის ძე იყო იზრაზია. და იზრაზიას ძენი იყვნენ: მიქაელი, ყოზადია, იოელი, იშია – სულ ხუთი თავკაცი.

⁴თავ-თავიანთი მოდგმიდან და მამიისსახლიდან 36 ათასი მეზრდოლი გამოჰყავდათ ომში, რადგან მათ ბევრი ცოლები და ძენი ჰყავდათ.

⁵მათი ძმები, ისაქარის ყველა საგვარეულოს მაგარი ვაჟკაცები, 87 ათასნი იყვნენ. ყველანი საგვარტომო ნუსხაში იყვნენ ჩაწერილნი.

⁶ბენიამინის ძენი იყვნენ: ბელაყი, ბექერი და იედიყელი – სამნი.

⁷ბელაყის ძენი იყვნენ: ეცბონი, ყუზი, ყუზიელი, იერიმოთი, ყირი – ხუთნი, მამისსახლის თავკაცები. საგვარტომო ნუსხაში 22034 არის ჩაწერილი.

⁸ბექერის ძენი: ზემირა, იოყაში, ელიყეზერი, ელიოყენაი, ყომრი, იერემოთი, აბია, ყანათოთი და ყალამეთი. ყველა ესინი ბექერის ძენი არიან.

⁹საგვარტომო ნუსხაში ისინი თავ-თავიანთ მამისსახლთა თავკაცების მიხედვით არიან ჩაწერილნი – სულ 2200 ძლიერი მეზრდოლი.



- ¹⁰იედიყაელის ძენი: ბილჰანი. ბილჰანის ძენი: იეყუში, ბენიამინი, ეჰუდი, ქენაყანა, ზეთანი, თარშიში და ახიშახარი.
- ¹¹ყველა ესენი იედიყაელის ძენი არიან, მამისსახლთა თავკაცები. მათგან 17200 მებრძოლი გამოდიოდა საომრად.
- ¹²შუფიმი და ხუფიმი ყირის ძენი იყვნენ, ხოლო ხუშიმი ახერის ძე იყო.
- ¹³ნაფთალის ძენი: იახციელი, გუნი, იეცერი და შალუმი ბილჰას შვილები იყვნენ.
- ¹⁴მანაშეს ძენი იყვნენ: ასრიელი, რომელიც მისმა არამელმა ხარჭამ უშვა; მასვე ეყოლა მაქირი – გალაადის მამა.
- ¹⁵მაქირმა ცოლები მოუყვანა ხუფიმს და შუფიმს. მათ დას მაყაქა ერქვა, ვაჟს – ცელოფხადი. ცელოფხადს ასულები ჰყავდა.
- ¹⁶მაყაქამ, მაქირის ცოლმა, ვაჟი გააჩინა და ფერეში დაარქვა. მის ძმას შერეში ერქვა. მისი ვაჟები იყვნენ: ულამი და რეკემი.
- ¹⁷ულამის ძე – ბედანი. აჰა, ძენი გალაადისა, მაქირის ძისა, მანაშეს ძისა.
- ¹⁸მისმა დამ, ჰამოლექეთმა, შვა იშჰოდი, აბიყეზერი და მახლა.
- ¹⁹შემიდაყის ძენი იყვნენ: ახიანი, შექემი, ლიკხი და ანიყამი.
- ²⁰ეფრემის ძენი იყვნენ: შუთელახი – მისი ძე იყო ბერედი, მისი ძე იყო თახათი, მისი ძე იყო ელყადა, მისი ძე იყო თახათი,
- ²¹მისი ძე იყო ზაზადი, მისი ძე იყო შუთელახი – და ყეზერი და ელყადი. ისინი გათელებმა ამოხოცეს, ამ ქვეყნის მკვიდრებმა, რადგან ისინი პირუტყვის წასართმევად დაესხნენ თავს.
- ²²დიდხანს გლოვობდა ეფრემი, მათი მამა და მის სანუგეშებლად მისი ძმები მოვიდნენ.
- ²³და შევიდა იგი თავის ცოლთან; დაორსულდა ის და ბიჭი შვა. მამამ მას სახელად ბერიყა დაარქვა, რადგან მის სახლში უბედურება მოხდა.
- ²⁴შეერა მისი ასული იყო, შეერამ ააშენა ზემო და ქვემო ბეთ-ხორონი და უზენ-შეერა.
- ²⁵მისი ძე იყო რეფახი, და აგრეთვე რეშეფი, მისი ძე იყო თელახი, მისი ძე იყო თახანი,
- ²⁶მისი ძე იყო ლაყდანი, მისი ძე იყო ყამიჰუდი, მისი ძე იყო ელიშამაყი,
- ²⁷მისი ძე იყო ნავე, მისი ძე იყო იესო.



²⁸მათი სამფლობელო და საცხოვრებელი იყო ბეთელი და მისი დაბასოფლები. აღმოსავლეთით ნაყარანი და დასავლეთით გეზერი თავისი დაბასოფლებით, შექემი თავისი დაბასოფლებით ყაიამდე და მის დაბასოფლებამდე.

²⁹მანაშეს ძეთა ხელში იყო: ბეთ-შეანი თავისი დაბასოფლებით, თაყანაქი თავისი დაბასოფლებით, მეგიდო თავისი დაბასოფლებით, დორი თავისი დაბასოფლებით. ამ ქალაქებში ცხოვრობდნენ იოსების, ისრაელის ძის, ძენი.

³⁰აშერის შვილები იყვნენ: იმნა, იშვა, იშვი, ბერიყა და მათი და სერახი.

³¹ბერიყას ძენი იყვნენ: ხებერი და მალქიელი, ბირზაითის მამა.

³²ხებერმა შვა იაფლეტი, შომერი, ხოთამი და მათი და შუაყა.

³³იაფლეტის ძენი იყვნენ: ფასაქი, ბიმჰალი და ყაშვათი; ესენი არიან იაფლეტის ძენი.

³⁴შემერის ძენი იყვნენ: ახი, როჰგა, იეხუბა და არამი.

³⁵მისი ძმის, ჰელემის ძენი იყვნენ: ცოფახი, იმნაყი, შელეში და ყამალი.

³⁶ცოფახის ძენი იყვნენ: სუახი, ხარნეფერი, შუყალი, ბერი და იმრა,

³⁷ბეცერი და ჰოდი, შამა და შილშა, იორანი და ბერა.

³⁸იეთერის ძენი იყვნენ: იეფუნე, ფისფა და არა.

³⁹ყულას ძენი იყვნენ: არახი, ხანიელი და რიცია.

⁴⁰ყველა ესენი აშერის ძენი არიან, მამისსახლთა თავკაცები, რჩეული და ძლიერი მებრძოლები, მთავართა თავკაცები. მათ საგვარტომო ნუსხაში რიცხვით 26 ათასი ომში მებრძოლი კაცია ჩაწერილი.

პირველი ნეშტა 8

¹ბენიამინმა შვა თავისი პირმშო ბელაყი, მეორე – აშხელი, მესამე – ახარახი,

²მეოთხე – ნოხა, მეხუთე – რაფა.

³ბელაყს ჰყავდა ძეები: ადარი, გერა, აბიჰუდი,

⁴აბიშუაყი, ნაყამანი, აჰოაჰი,

⁵გერა, შეფუფანი, ხურამი,

⁶ესენი არიან ეჰუდის ძენი – მამისსახლთა თავკაცები, რომელნიც გეზაყში ცხოვრობდნენ და მანახათში გადაასახლეს.



- ⁷ნაყამანი, ახია და გერა, რომელმაც გადაასახლა ისინი; მას შეეძინა ყუზა და ახიხუდი.
- ⁸შახარაიმს მოაბის ქვეყანაში შეეძინა შვილები მას შემდეგ, რაც თავისი ცოლები, ხუშიმი და ბაყარა გაუშვა.
- ⁹ხოდეშისგან, თავისი ცოლისგან, მას შეეძინა: იოზაბი, ციბია, მეშა, მალქამი,
- ¹⁰იეყუცი, საქია და მირმა. ესენი არიან მამისსახლთა თავკაცები.
- ¹¹და ხუშიმისაგან მას ეყოლა აბიტუბი და ელფაყალი.
- ¹²ელფაყალის ძენი იყვნენ: ებერი, მიშყამი და შემედი. ამან ააშენა ონო და ლოდი თავისი დაბა-სოფლებიანად.
- ¹³ბერიყა და შემაყი მამისსახლთა თავკაცები იყვნენ და აიალონში ცხოვრობდნენ, მათ განდევნეს გათელები.
- ¹⁴ახიო, შაშაკი, იერემოთი,
- ¹⁵ზეზადია, ყარადი, ყედერი,
- ¹⁶მიქაელი, იშვა, იოზა ბერიყას ძენი იყვნენ.
- ¹⁷ზეზადია, მეშულამი, ხიზკი, ხებერი,
- ¹⁸იმშერაი, იზლია, იოზაბი ელფაყალის ძენი იყვნენ.
- ¹⁹იაკიმი, ზიქრი, ზაბდი,
- ²⁰ელიყენაი, ცილთაი, ელიელი,
- ²¹ყადაია, ბერაია, შიმრათი შიმეყის ძენი იყვნენ.
- ²²იმფანი ებერი, ელიელი,
- ²³ყაბდონი, ზიქრი, ხანანი,
- ²⁴ხანანია, ყელამი, ყანთოთია,
- ²⁵იფდეია, ფენუელი შაშაკის ძენი იყვნენ.
- ²⁶შამშერაი, შეხარია, ღათალია,
- ²⁷იყარეშია, ელია, ზიქრი იეროხამის ძენი იყვნენ.
- ²⁸ესენი არიან მამისსახლთა თავკაცები, მთავარნი თავ-თავიანთ გვარ-ტომში. ესენი იერუსალიმში ცხოვრობდნენ.
- ²⁹გიბეონში ცხოვრობდა მამა გიბეონელთა, რომლის ცოლსაც მაყაქა ერქვა;
- ³⁰მისი პირმშო ძე იყო ყაბდონი, მას მოსდევდნენ ცური, კიში, ბაყალი, ნადაბი,



³¹გედორი, ახიო, ზეჟერი.

³²ხოლო მიკლოთმა შვა შიმეა. ისინი ცხოვრობდნენ იერუსალიმში თავიანთი ძმების გვერდით.

³³ნერიმ შვა კიში, კიშიმ შვა საული, საულმა შვა იონათანი, მალქი-შუაყი, აბინადაბი და ეშბაყალი.

³⁴იონათანის ძე იყო მერიბ-ბაყალი. მერიბ-ბაყალმა შვა მიქა.

³⁵მიქას ძენი იყვნენ: ფითონი, მელექი, თარეაყი, ახაზი.

³⁶ახაზმა შვა იეჰოყადა, იეჰოყადამ შვა ყალამეთი, ყაზმავეთი და ზიმრი, ზიმრიმ შვა მოცა,

³⁷მოცამ შვა ბინყა. მისი ძე იყო რაფა, მისი ძე იყო ელყასა, მისი ძე იყო აცელი.

³⁸აცელს ექვსი ვაჟი ჰყავდა. აი მათი სახელები: ყაზრიკამი, ბოქრუ, ისმაელი, შეყარია, ყობადია და ხანანი – ყველა ესენი აცელის ძენი არიან.

³⁹მისი ძმის, ყეშეკის, ძენი იყვნენ: მისი პირმშო ულამი, მეორე – იეყუში, მესამე – ელიფელეტი.

⁴⁰ულამის ძენი მაგარი ვაჟკაცები იყვნენ, მშვილდოსნები და 150 შვილისა და შვილიშვილის პატრონები. ყველა ესენი ბენიამინის ძეთაგან იყვნენ.

პირველი ნეშტა 9

¹მთელი ისრაელი აღწუსხეს თავიანთი გვარტომობის მიხედვით და ისრაელის მეფეთა წიგნში ჩაწერეს. იუდაელნი კი ბაბილონის ტყვეობით დასაჯა უფალმა მათი ურჯულოების გამო.

²პირველი მკვიდრნი, თავიანთ სამფლობელოებსა და ქალაქებში რომ ცხოვრობდნენ, იყვნენ: მღვდლები, ლევიანები, ტაძრის მსახურნი და სხვა ისრაელიანები.

³იერუსალიმში ცხოვრობდნენ იუდას, ბენიამინის, ეფრემისა და მანაშეს ძეთაგან.

⁴იუდას ძეთაგან: ყუთაი, ძე ყამიჰუდისა, ძე ყომრისა, ძე იმრისა, ძე ბანისა, – იუდას ძის, ფერეცის მოდგმიდან;

⁵შელახისაგან იყვნენ: მისი პირმშო ყასაია და მისი ძენი;

⁶ზერახის ძეთაგან იყვნენ: იეყუელი და მისი ძმები – 690.



⁷ზენიამინის ძეთაგან იყვნენ: სალუ, ძე მეშულამისა, ჰოდავიას ძისა, ძისა ჰასენუასი,

⁸და იზნეია ძე იეროხამისა, და ელა, ძე ყუზისა, მიქრის ძისა, მეშულამი, ძე შეფატეასი, ძე რელუელისა, ძე იზნიასი.

⁹მათი ძმები თავ-თავიანთ გვარ-ტომთა მიხედვით 956-ნი იყვნენ. ყველა ეს ვაჟკაცი მამისსახლის თავკაცი იყო.

¹⁰მღვდელთაგან იყვნენ: იედაყია, იეჰოიარიბი, იაქინი,

¹¹ყაზარია, ძე ხილკიასი, მეშულამის ძისა, ცადოკის ძისა, მერაიოთის ძისა, ახიტუბის ძისა – ღვთის სახლის წინამძღვარი;

¹²ყადაია, ძე იეროხამისა, ძისა ფაშხურისა, ძისა მალქიასი, და მაყასაი ძე ყადიელისა, ძისა იახზერასი, ძისა მეშულამისა, ძისა მეშილემითისა, ძისა იმერისა.

¹³მათი ძმები, მამისსახლთა თავკაცები იყვნენ ღვთის სახლის სამსახურში ნაცადი 1760 კაცი.

¹⁴ლევიათაგან: შემაყია, ძე ხაშუბისა, ძისა ყაზრიკამისა, ძისა ხაშაბიასი – მერარიანთაგან;

¹⁵და ბაკბაკარი, ხერეში და გალალი და მათანია, ძე მიქასი, ძისა ზიქრისა, ძისა ასაფისა,

¹⁶და ყობადია, ძე შემაყიასი, ძისა გალალისა, ძისა იედუთუნისა, და ბერექია ძე ასასი, ძისა ელკანასი, რომელიც ცხოვრობდა ნეტოფათელთა დაბაში.

¹⁷ხოლო კარიბჭის მცველნი იყვნენ: შალუმი, ყაკუბი, ტალმონი, ახიმანი; მათი ძმა შალუმი თავკაცი იყო,

¹⁸და დღემდე ის დგას სამეფო კარიბჭეში, აღმოსავლეთით. ესენი იყვნენ ლევიათა ბანაკის კარიბჭის მცველნი.

¹⁹შალუმი, ძე კორესი, ძისა ებიასაფისა, ძისა კორახისა, და მისი ძმები. მისი მამისსახლიდან, კორახელნი, სამსახურს ეწეოდნენ და კარვის ზღურბლებს იცავდნენ; ხოლო მათი მამები უფლის ბანაკთან მისასვლელს დარაჯობდნენ;

²⁰ფინეხას ელეაზარის ძე უწინ მათი წინამძღოლი იყო და უფალიც მასთან იყო.

²¹ზაქარია მეშელემიას ძე სადღესასწაულო კარვის კარის მცველი იყო.

²²ზღურბლების მცველებად ამორჩეულნი მთლიანად 212 იყო; ისინი საგვარტომო ნუსხაში თავ-თავიანთ დაბა-სოფლების მიხედვით არიან



ჩაწერილნი. დავითმა და სამუელ მხილველმა დააყენეს ისინი მათი ერთგულების გამო.

²³ ისინი თავიანთ ძეებთან ერთად დარაჯობდნენ უფლის ტაძრის (კარვის) კარიბჭეებს.

²⁴ კარისმცველები ოთხივ მხრივ იდგნენ: აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით.

²⁵ მათი ძმები თავიანთ დაბა-სოფლებში იყვნენ, რათა დროდადრო შვიდი დღით მისულიყვნენ მათთან.

²⁶ რადგან კარიბჭეების მცველთა ის ოთხი მეთაური, რომლებიც ლევიანები იყვნენ, მუდამ ოთახებთან და ღვთის სახლის საგანძურებთან იდგნენ.

²⁷ ისინი ღვთის სახლის ირგვლივ ათევდნენ ღამეს, რადგან მათ ებარათ დაცვა და ყოველ დილით კარიბჭის გაღება.

²⁸ ერთ მათგანს სამსახურებელი ჭურჭელი ებარა, ვინაიდან თვლით შეჰქონდათ და თვლით გაჰქონდათ.

²⁹ მათგან ზოგიერთებს დაევაღათ ზრუნვა ჭურჭლეულობაზე და ყველა სხვა წმიდა ნივთებზე; გამტკიცულ ფქვილზე, ღვინოზე, ზეთზე, გუნდრუკსა და სურნელებებზე.

³⁰ მღვდელთა ზოგიერთი ძე კი სანელსაცხებლე ზეთს ხარშავდა სულნელებათაგან.

³¹ მათითიას, ერთ-ერთ ლევიანთაგანს, შალუმ კორახელის პირმშოს, ტაფებზე მომზადება მიენდო.

³² ზოგიერთ მათ ძმათაგანს, კოჰათიანთაგან, საწინაშეო პურის ცხოზა ჩააბარეს, რათა ყოველ შაბათს მოემზადებინათ.

³³ ხოლო მგალობელნი, ლევიანთა მამისსახლთა თავკაცები, ტაძრის ოთახებში საქმიანობისგან გათავისუფლებულნი იყვნენ, რადგან ისინი დღე და ღამ თავიანთი საქმით იყვნენ დაკავებული.

³⁴ ესენი არიან ლევიანების მამისსახლთა თავკაცები, თავ-თავიანთ გვარ-ტომთა თავკაცები. ისინი იერუსალიმში ცხოვრობდნენ.

³⁵ გიბეონში ცხოვრობდა გიბეონის მამა იეყიელი. მის ცოლს სახელად მაყაქა ერქვა.

³⁶ მისი ძე, პირმშო ყაბდონი, მერე – ცური, კიში, ბაყალი, ნერი, ნადაბი,

³⁷ გედორი, ახიო, ზაქარია და მიკლოთი.



³⁸მიკლოთმა შვა შიმეამი. ისინი თავიანთი ძმების მეზობლად, თავიანთ ძმებთან ერთად ცხოვრობდნენ იერუსალიმში.

³⁹წერმა შვა კიში, კიშმა შვა საული. საულმა შვა იონათანი, მალქი-შუაყი, აბინადაბი და ეშბაყალი.

⁴⁰იონათანის ძე იყო მერიბ-ბაყალი. მერიბ-ბაყალმა შვა მიქა.

⁴¹მიქას ძენი: ფითონი, მელექი, თახრეაყი და ახაზი.

⁴²ახაზმა შვა იაყრა, იაყრამ შვა ყალამეთი, ყაზმავეთი და ზიმრი. ზიმრიმ შვა მოცა,

⁴³მოცამ შვა ბინყა; მისი ძე იყო რეფაია, მისი ძე იყო ელყასა, მისი ძე იყო აცელი.

⁴⁴აცელს ექვსი ძე ჰყავდა. აი მათი სახელები: ყაზრიკამი, ბოქრუ, ისმაელი, შეყარია, ყობადია, ხანანი – ესენი არიან აცელის ძენი.

პირველი ნეშტა 10

¹და შეებრძოლნენ ფილისტიმელები ისრაელს და გაექცნენ ისრაელიანები ფილისტიმელებს. და გილბოაყის მთაზე დაეცნენ ძლეულნი,

²და მიეწივნენ ფილისტიმელები საულს და მის ვაჟებს და დახოცეს იონათანი, აბინადაბი და მალქი-შუაყი – საულის ძენი.

³და გაუძნელდა ბრძოლა საულს. ნიშანში ამოიღეს იგი მშვილდოსნებმა და მძიმედ დაჭრეს.

⁴და უთხრა საულმა თავის საჭურველთმტვირველს: „იშიშვლე მახვილი და გამიყარე, რომ არ მოვიდნენ ის წინადაუცვეთელნი და არ შეურაცხმეონ.“ და ვერ გაზედა საჭურველთმტვირთველმა, რადგან ძალიან ეშინოდა. მაშინ საულმა აიღო თავისი მახვილი და ზედ დაეგო.

⁵როცა დაინახა საჭურველთმტვირთველმა რომ მოკვდა საული, ისიც ზედ დაეგო მახვილს და მოკვდა.

⁶და ერთად დაიხოცნენ საული, მისი სამი ვაჟი და მთელი მისი სახლეული.

⁷როცა ველზე მყოფმა ისრაელიანებმა დაინახეს, რომ უკუიქცნენ ისრაელიანები და, რომ დაიხოცნენ საული და მისი ძენი, დააგდეს თავიანთი ქალაქები და გადაიხვეწნენ. და მოვიდნენ ფილისტიმელები და ჩასახლდნენ იქ.

⁸მეორე დღეს მოვიდნენ ფილისტიმელები დახოცილთა გასაძარცვავად და, როცა ნახეს გილბოაყის მთაზე დაცემული საული და მისი ძენი,



⁹გამარცვეს იგი, აიღეს მისი თავი და საჭურველი და მოატარეს ფილისტიმელთა ქვეყნის ირგვლივ, რათა ეხარებინათ თავიანთი კერპებისა და ხალხისათვის.

¹⁰მისი საჭურველი თავიანთი ღმერთის ტაძარში დააწყვეს, ხოლო მისი თავის ქალა დაგონის სახლზე მიაჭედეს.

¹¹როცა გაიგეს გალაადის იაბეშელებმა, როგორ მოექცნენ ფილისტიმელნი საულს,

¹²ადგა ყველა, ვინც ვაჟკაცი იყო, და წამოიღეს საულისა და მისი ძეების გვამები და მიიტანეს იაბეშში, და დამარხეს მათი ძვლები იაბეშში, მუხის ქვეშ. შემდეგ კი შვიდი დღის მანძილზე მარხულობდნენ.

¹³ასე მოკვდა საული თავისი ორგულობის გამო, რომლითაც ღალატობდა უფალს და უფლის სიტყვას არ იცავდა და საკითხავად მესულთანეს მიმართავდა.

¹⁴უფალს არ ეკითხებოდა. ამიტომ მოკლა იგი უფალმა და მისი სამეფო დავითს, იესეს ძეს, მისცა.

პირველი ნეშტა 11

¹შეიკრიბა მთელი ისრაელი დავითთან ხებრონში და უთხრეს: „აჰა, შენი სისხლი და ხორცი ვართ.

²გუშინაც და იმის უწინაც, როცა საული მეფობდა, შენ გამოგყავდა და შეგყავდა ისრაელი, უფალმა, შენმა ღმერთმა, გითხრა: შენ დამწყემსავო ჩემს ერს, ისრაელს, შენ იქნებიო ჩემი ერის, ისრაელის, მთავარი.“

³და მოვიდა ისრაელის მთელი უხუცესობა მეფესთან ხებრონში და შეკრა დავითმა მათთან კავშირი ხებრონში უფლის წინაშე, და სცხეს დავითს მეფედ ისრაელზე უფლის სიტყვისამებრ სამუელის ხელით.

⁴და გაილაშქრეს დავითმა და ისრაელიანთ იერუსალიმისკენ, ანუ იებუსისკენ. იქ იყვნენ იებუსელნი, იმ ქვეყნის მკვიდრნი.

⁵და უთხრეს იებუსის მკვიდრებმა დავითს: აქ ვერ შემოხვალ. მაგრამ აიღო დავითმა სიონის ციხესიმაგრე, რომელიც დავითის ქალაქია.

⁶და თქვა დავითმა: „ვინც პირველი შემუსრავს იებუსელთ, ის იქნება თავკაცი და მხედართმთავარი.“ ყველაზე უწინ ცერუიას ძე, იოაბი ავიდა და გახდა მთავარი.

⁷და დადგა დავითი იმ ციხესიმაგრეში. ამიტომ უწოდეს მას დავითის ქალაქი.



⁸მან შემოაშენა ქალაქი გარშემო – მილოდან შემოგარენამდე. იოაბმა კი დანარჩენი ქალაქი აღადგინა.

⁹და სულ მაღლა და მაღლა მიდიოდა დავითი და ცაბაოთ უფალი იყო მასთან.

¹⁰აჰა, დავითის მოყმეთა მთავარნი, რომელნიც მხარს უმაგრებდნენ მას მის სამეფოში, ისრაელთან ერთად, მის გასამეფებლად, უფლის სიტყვისამებრ.

¹¹აჰა, დავითის მოყმეთა რიცხვი: იაშობეყამ ხაქმონის ძე, ოცდაათეულის თავკაცი. მან თავისი შუბით ერთ ჯერზე 300 კაცი მოკლა;

¹²მას შემდეგ ელეაზარი, ძე დოდო ახოხელისა, ერთ-ერთი იმ სამ მოყმეთაგანი,

¹³რომლებიც დავითს ახლდნენ ფეს-დამიმში, სადაც ფილისტიმელნი საომრად შეიყარნენ. იყო იქ ნაქერალი. და როცა უკუიქცა ხალხი ფილისტიმელთაგან,

¹⁴ისინი ჩადგნენ შუა მინდორში, ებრძოდნენ ფილისტიმელთ, დაიცვეს მინდორი – დიდი გამარჯვება მოუტანა მათ უფალმა.

¹⁵ვი თავკაციდან ეს სამნი ავიდნენ კლდეზე დავითთან, ყადულამის გამოქვაბულში. ხოლო ფილისტიმელთა ურდო რეფაიმის ველზე იყო დაბანაკებული.

¹⁶მაშინ დავითი საფარში იყო, ხოლო ფილისტიმელთა მეციხოვნე ბანაკი ბეთლემში იდგა.

¹⁷და მოსწყურდა დავითს და თქვა: „ვინ შემასმევს ბეთლემის ჭის წყალს, კარიბჭესთან რომ არის?“

¹⁸და გაარღვია ამ სამმა ფილისტიმელთა ბანაკი, და ამოიღეს წყალი ბეთლემის ჭიდან, კარიბჭესთან რომ არის, წამოიღეს და დავითს მიუტანეს. არ ინდომა დავითმა მისი შესმა და უფალს დაუღვარა.

¹⁹და თქვა: „შორს ჩემგან, ღმერთო, ასეთი საქმე! ნუმც შემესვას ამ ვაჟკაცთა სისხლი, თავის გასაწირად რომ წავიდნენ!“ და აღარ ინდომა დავითმა წყლის დაღევა. ასე მოიქცა ეს სამი მოყმე.

²⁰აბიშაი, იოაბის ძმა, ამ ოცდაათში პირველი იყო. მან 300 კაცს შეერკინა თავისი შუბით და ერთიანად განგმირა. მას მეტი სახელი ჰქონდა ამ ოცდაათში,

²¹მათზე მეტად იყო პატივდებული და მათ მეთაურობდა, მაგრამ იმ სამს ვერ უტოლდებოდა.



²²ბენაია იეჰოიადაყის ძე მაგარი ვაჟკაცი იყო, დიდ საქმეთა მოქმედი, იგი კაბცეელიდან.+ იყო. მან დაამარცხა ორი მოაბელი ლომკაცი; თოვლი რომ მოვიდა, იმ დღეს ორმოში ლომს ჩაუხტა და მოკლა.

²³მანვე მოკლა ეგვიპტელი კაცი, ხუთი წყრთის სიმაღლისა, რომელსაც საქსელავი ღერძის სისხო შუბი ეჭირა. ის კეტით მიუხტა ეგვიპტელს, ხელიდან გამოსტაცა შუბი და მისივე შუბით განგმირა.

²⁴ეს გააკეთა ბენაია იეჰოიადაყის ძემ და სახელი მოიხვეჭა ოცდაათ მოყმეს შორის.

²⁵ოცდაათისგან გამოირჩეოდა, მაგრამ იმ სამს ვერ უტოლდებოდა; დავითმა ის თავის მცველთა მეთაურად დანიშნა.

²⁶მებრძოლთა მეთაურები იყვნენ: ყასაელი, იოაბის ძმა, ელხანანი, ბეთლემელი დოდოს ძე,

²⁷შამოთ ჰარორელი, ხელეც ფელონელი,

²⁸ყირა, ყიკემის ძე, თეკოაყელი, აბიყეზერ ყანათოთელი,

²⁹სიბექაი ხუშათელი, ყილაი ახოხელი,

³⁰მაჰარაი ნეტოფათელი, ხელედ ბაყანას ძე, ნეტოფათელი,

³¹ითაი, რიბაის ძე, ბენიამინის გიბყადან, ბენაია ფირყათონელი,

³²ხურაი გაყაშის ხევიდან, აბიელ ყარბათელი,

³³ყაზმავეთ ბახარუმელი, ელიახზა შაყალბონელი.

³⁴ჰაშემ გიზონელის ძენი; იონათან შაგეს ძე, ჰარარელი,

³⁵ახიამ საქარის ძე, ჰარარელი, ელიფალ ურის ძე,

³⁶ხეფერ მექერათელი, ახია ფელონელი,

³⁷ხეცრო ქარმელელი, ნაყარაი ეზბაის ძე,

³⁸იოელ, ნათანის ძმა, მიზხარ ჰაგრის ძე,

³⁹ცელეკ ყამონელი, ნახარაი ბეროთელი, იოაბ ცერუიას ძის საჭურველთმტვირთველი,

⁴⁰ყირა ითრელი, გარებ ითრელი,

⁴¹ურია ხეთელი, ზაბად ახლაის ძე,

⁴²ყადინა შიზას ძე, რეუბენელი, რეუბენის ძეთა თავკაცი, და ვი მასთან ერთად.

⁴³ხანან მაყაქას ძე, იოშაფატ მითნელი,



⁴⁴ყუზია ყაშთერათელი, შამაყი და იეყიელი – ხოთამის ძენი – ყაროყერელნი.

⁴⁵იედიყაელ შიმრის ძე, მისი ძმა იოხა, მისი ძმა თიციელი,

⁴⁶ელიელ მახაველი, იერიბაი, იოშავია – ელნაყამის ძენი – და ითმა მოაბელი.

⁴⁷ელიელი, ყოხედი, იაყასიელ მეცობაელი.

პირველი ნეშტა 12

¹აჰა, ისინი, ციკლაგში რომ მივიდნენ დავითთან, როცა ის ჯერ კიდევ ემალებოდა საულს, კიშის ძეს. ისინი იმ მოყმეთა შორის იყვნენ, რომლებიც დავითს შეეწეოდნენ ბრძოლაში.

²შვილდ-ისრით შეიარაღებულნი, ორივე ხელით ქვისა და ისრის მტყორცნელნი, საულის მოძმე ტომელნი – ბენიამინელნი:

³პირველი ახიყეზერი და იოაში – შემაყა გიბეყათელის ძენი, იეზიელი და ფელეტი – ყაზმავეთის ძენი, ბერაქა და იეჰუ – ყანათოთელნი,

⁴იშმაყია გიბეონელი – ერთ-ერთი მოყმე ოცდაათში და ოცდაათის მეთაური, იერემია, იახაზიელი, იოხანანი, იოზაბად გედერელი,

⁵ელყუზაი, იერიმოთი, ბეყალია, შემარია, შეფატია ხარუფელი,

⁶ელკანა, იშია, ყაზარელი, იოყეზერი, იაშობეყამი – კორახელნი;

⁷იოყელა და ზეზადია, იეროხამ გედორელის ძენი.

⁸გადელებს ჩამოშორდნენ და დავითთან მივიდნენ უდაბნოს საფარში მამაცი მოყმენი, საომრად გაწვრთნილი ვაჟკაცები, ფარ-შუბით შეიარაღებულნი, სახით ლომის მსგავსნი და მთის არჩვივით სწრაფნი.

⁹მეთაური – ყეზერი, მეორე – ყოზადია, მესამე – ელიაზი,

¹⁰მეოთხე – მიშმანა, მეხუთე – იერემია,

¹¹მექეჰსე – ყათაი, მეშვიდე – ელიელი,

¹²მერვე – იოხანანი, მეცხრე – ელზაბადი,

¹³მეათე – იერემია, მეთერთმეტე – მაქბანაი.

¹⁴ესენი იყვნენ გადიანები, მხედართმთავრები; ყველაზე ნაკლები ასსა უფროსობდა, ყველაზე დიდი – ათასს.



¹⁵მათ პირველ თვეში გადალახეს იორდანე, როდესაც ადიდებული მდინარე ნაპირებიდან გადმოდის ხოლმე. მათ აღმოსავლეთით და დასავლეთით განდევნეს ამ ველების მკვიდრნი.

¹⁶ბენიამინისა და იუდას ძეთაგანაც მივიდნენ დავითთან საფარში.

¹⁷და გამოეგება მათ დავითი, და გამოელაპარაკა და უთხრა: „თუ სამშვიდობოდ და დამხმარედ მოხვედით ჩემთან, გიერთგულებთ. თუ იმისთვის მოხვედით, რომ ჩემი მტრის ხელს მზაკვრულად მიმცეთ, აჰა, ჩემი ხელი სუფთაა, დაე, ჩვენი მამების ღმერთმა იხილოს ეს და განსაჯოს.“

¹⁸მაშინ სულმა მოიცვა ყამასაი, ოცდაათის მეთაური, და თქვა: „მშვიდობა შენდა, დავით, იესეს ძეო! მშვიდობა შენ და მშვიდობა შენს დამხმარეთ, რადგან ღმერთია შენი შემწე!“ და მიიღო ისინი დავითმა და რაზმის მეთაურობა ჩააბარა.

¹⁹მანაშიანებიც მიემხრენ დავითს, როდესაც იგი ფილისტიმელებით მიდიოდა საულთან საომრად, მაგრამ არ მიხმარებიან ისინი, რადგან ფილისტიმელთა მთავრები შეითქვენ და უკან გამოაბრუნეს დავითი, ასე თქვეს: ჩვენდა საზიანოდ საულს, თავის ბატონს, მიემხრობაო.

²⁰როცა ციკლაგს მივიდა, მანაშეანებიც შეუერთდნენ: ყაძნახი, იოზაბადი, იდიყაელი, მიქაელი, იოზაბადი, ელიჰუ, ცილთაი – მანაშელთა ათასისტავები.

²¹ისინი ეხმარებოდნენ დავითს ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ყველანი მამაცი მოყმენი და მხედართმთავრები იყვნენ.

²²ყოველდღიურად მიედინებოდნენ დავითთან, ვიდრე მისი ლაშქარი ღვთის მხედრობასავით გაიზრდებოდა.

²³აჰა, რიცხვი იმ საომრად შეჭურვილი მეთაურებისა, რომელნიც დავითთან ხებრონში მივიდნენ, რათა უფლის სიტყვისამებრ საულის სამეფო გადაეცათ მისთვის.

²⁴იუდას ძენი, ფარ-შუბის მტვირთველნი, 6800 იყო საომრად.

²⁵სიმეონის ძეთაგან 7100 მამაცი მოყმე იყო.

²⁶ლევის ძეთაგან – 4600.

²⁷ხოლო იეჰოიადაყს, აარონელთა წინამძღოლს, თან 3 700 ახლდა.

²⁸ცადოკს, მამაც ყმაწვილს, და მის მამისსახლს 22 მეთაური ჰყავდა.

²⁹საულის ძმები, ბენიამინის ძეთაგან, 3 ათასნი იყვნენ. მათგან დიდი წილი საულის სახლში დარჩა.



³⁰ეფრემის ძენი 20800 იყო – მამაცი მოყმენი და თავიანთ მამისსახლთა სახელოვანი ვაჟკაცები.

³¹მანაშეს ნახევარტომიდან 18000 იყო, რომელნიც სახელებით გამოიხმეს, რათა დავითის გასამეფებლად მოსულიყვნენ.

³²ისაქარის ძეთაგან 200 მეთაური იყო. რომელთაც იცოდნენ დრო-ჟამთა გულისხმისყოფა და უწყოდნენ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ ისრაელიანთ. ყველა მათი ძმა მათი დარიგებით მოქმედებდა.

³³ზებულუნის ტომიდან გამოდიოდა და საომრად იყო დარაზმული ყოველგვარი საბრძოლო აღჭურვილობით 50 ათასი კაცი, რათა ერთსულოვნად დახმარებოდნენ დავითს.

³⁴ნაფთალის ტომიდან ათასი მთავარი იყო, 37 ათასი ფარ-შუბოსნის თანხლებით.

³⁵დანის ტომიდან იყო 28600 საომრად დარაზმული.

³⁶აშერიდან საომრად 40 ათასი საომრად დარაზმული გიმოდიოდა.

³⁷იორდანეს გაღმა მხრიდან გამოდიოდნენ: რეუბენიანთაგანნი, გადელნი, მანაშეს ნახევარტომელნი, ყველანაირი საბრძოლო საჭურველით, სულ 120 ათასი.

³⁸ყველა ეს მეზრძოლი ვაჟკაცი მწყობრად დარაზმული, წრფელი გულით მოვიდა ხებრონში დავითის გასამეფებლად მთელს ისრაელზე. ასევე მთელი დანარჩენი ისრაელი ერთსულოვანი იყო დავითის გასამეფებლად.

³⁹სამ დღეს დარჩნენ ისინი იქ, ჭამდნენ და სვამდნენ, რადგან მათ ძმებს ყველაფერი მოემზადებინათ მათთვის.

⁴⁰ასევე მათ მეზობლებს ისაქარის, ზებულუნისა და ნაფთალის ტომებიდანაც კი მოჰქონდათ ვირებით, აქლემებით, ჯორებითა და ხარებით სურსათ-სანოვაგე: პური, ცომეული, ლელვის ჩირი, ჩამიჩი, ღვინო, ზეთი; მოუდიოდათ უამრავი ცხვარ-ძროხა; რადგან სიხარული იყო ისრაელში.

პირველი ნეშტა 13

¹და ეთათბირა დავითი ათასისთავებს, ასისთავებს და ყველა მთავარს.

²და უთხრა დავითმა ისრაელის მთელ კრებულს: „თუ თქვენ თანახმა იქნებით და, თუ ეს უფლის, ჩვენი ღმერთის, ნება იქნება, ხალხი გავაგზავნოთ ისრაელის ყველა მხარეში ჩვენს ძმებთან, მღვდლებთან და ლევიანებთან მათს ქალაქებსა და სოფლებში, რათა შემოგვიერთდნენ,



³და ჩვენთან გადმოვასვენოთ ჩვენი ღვთის კიდობანი, რადგან საულის დროს მისთვის არ მიგვიმართავს.“

⁴და თქვა მთელმა კრებულმა: ასე იყოსო, ვინაიდან ამის გაკეთება ხალხმა მართებულად ჩათვალა.

⁵და შეყარა დავითმა მთელი ისრაელი ეგვიპტის შიხორიდან ხამათის მისადგომებამდე, კირიათ-იეყარიმიდან ღვთის კიდობნის გადმოსასვენებლად.

⁶და ავიდა დავითი მთელ ისრაელთან ერთად ბაყალაში, კირიათ-იეყარიმში, იუდაში რომ არის, რათა იქიდან წამოესვენებინათ ღვთის კიდობანი, ქერუბიმებზე მჯდომი უფალი ღმერთისა, კიდობანი, რომელიც მისი სახელით იწოდება.

⁷და შედგეს ღვთის კიდობანი ახალ ურემზე და წამოასვენეს აბინადაბის სახლიდან. ურემს ყუზა და მისი ძმა ახიო მოჰყვებოდნენ.

⁸დავითი და მასთან ერთად მთელი ისრაელი როკავდა ღვთის წინაშე მთელი ძალით. და მღეროდნენ და უკრავდნენ ქნარებს, ბობლნებს, დაფდაფებს, ჩანგებსა და წინწილებს.

⁹როცა კიდობნის კალოსთან მოვიდნენ, ყუზამ ხელი შეაშველა კიდობანს, რადგან ურემი დააყირავეს ხარებმა.

¹⁰და აენტო უფლის რისხვა ყუზაზე და იქვე დასცა იგი ღმერთმა კიდობანზე ხელის შეშველების გამო, და იქვე მოკვდა ღვთის წინაშე.

¹¹და შეწუხდა დავითი, რომ დაღუპა უფალმა ყუზა, და დღემდე იმ ადგილს ეწოდება ფერეც-ყუზა.

¹²და შეეშინდა დავითს ღვთისა იმ დღეს და თქვა: „როგორ მოვა ჩემამდე ღვთის კიდობანი?“

¹³და არ ინდომა დავითმა უფლის კიდობნის თავისათნ მიტანა დავითის ქალაქში და გათელი ყობედ-ედომის სახლისკენ გადაახვევინა მას.

¹⁴სამ თვეს ესვენა ღვთის კიდობანი გათელი ყობედ-ედომის სახლში და აკურთხა უფალმა ყობედ-ედომის სახლი და მთელი მისი სარჩო-საბადებელი.

პირველი ნეშტა 14

¹გაუგზავნა ხურამმა, ცორის მეფემ, დავითს მოციქულები და კედარის ხეტყე, კალატოზები და ხუროები მისთვის სახლის ასაშენებლად.



²და მიხვდა დავითი, რომ მტკიცედ ჰყავდა დადგენილი იგი უფალს ისრაელის მეფედ, და რომ აღამაღლა მისი სამეფო თავისი ერის, ისრაელის, გამო.

³და კიდევ მოიყვანა დავითმა იერუსალიმში ცოლები და კიდევ შეეძინა მას ძენი და ასულნი.

⁴აჰა, იმათი სახელები, რომელნიც იერუსალიმში შეეძინა: შამუაყი, შობაბი, ნათანი, სოლომონი,

⁵იზხარი, ელიშუაყი, ელფალეტი,

⁶ნოგა, ნეფეგი, იაფიაყი,

⁷ელიშამაყი, ბეყელიადაყი, ელიფელეტი.

⁸და შეიტყვეს ფილისტიმელებმა, რომ მთელი ისრაელის მეფედ აკურთხეს დავითი, და დაიდრნენ ფილისტიმელნი დავითის შესაპყრობად. შეიტყო ეს დავითმა და გამოვიდა მათ წინააღმდეგ.

⁹და მოვიდნენ ფილისტიმელები და რეფაიმის ველზე განლაგდნენ.

¹⁰დავითი ღმერთს დაეკითხა: „გავილაშქრო ფილისტიმელებზე? ჩამიგდებ მათ ხელში?“ და უთხრა მას უფალმა: „გაილაშქრე, რადგან ხელში ჩაგიგდებ ფილისტიმელებს.“

¹¹და ავიდნენ ბაყალ-ფერაციმში, და იქ სძლია დავითმა ფილისტიმელნი და თქვა დავითმა: „წალეკა ღმერთმა ჩემი მტრები ჩემი ხელით, როგორც ღვართქაფმა.“ ამიტომ ეწოდა იმ ადგილს ბაყალ-ფერაციმი.

¹²და იქ მიატოვეს ფილისტიმელებმა თავიანთი კერპები. დავითმა ბრძანა და ცეცხლში დაწვეს ისინი.

¹³და კვლავ გამოილაშქრეს ფილისტიმელებმა და ველზე განლაგდნენ.

¹⁴და კვლავ დაეკითხა დავითი ღმერთს. და უთხრა ღმერთმა: „პირდაპირ ნუ მიადგები მათ, გარს მოუარე და თუთის ხეების მხრიდან მიდი.

¹⁵და, როგორც კი თუთების კენწეროებიდან შრიალის ხმა შემოგესმება, იმ წამსვე შეიმართე საომრად, რადგან მაშინ წაგიძღვება ღმერთი ფილისტიმელთა ბანაკის შესამუსრად.“

¹⁶ისე მოიქცა დავითი, როგორც ღმერთმა უბრძანა, და გიბეონიდან გეზერამდე მუსრი გაავლო ფილისტიმელთა ურდოს.

¹⁷დავითმა მთელ ქვეყანაზე გაითქვა სახელი და უფალმა მისი შიში მისცა ყველა ხალხებს.



პირველი ნეშტა 15

- ¹და აიშენა დავითმა სახლები თავის ქალაქში და მოამზადა ადგილი ღვთის კიდობნისათვის და კარავი დაუდგა მას.
- ²მაშინ თქვა დავითმა: ლევიათა გარდა არავინ ატაროს კიდობანი, რადგან ისინი ამოირჩია უფალმა ღვთის კიდობნის მტარებლებად და მუდმივ მსახურებად.
- ³და შეყარა დავითმა მთელი ისრაელი იერუსალიმში, რომ დაესვენებინათ უფლის კიდობანი იმ ადგილზე, რომელიც მისთვის იყო გამზადებული.
- ⁴და შეკრიბა დავითმა აარონიანები და ლევიანები.
- ⁵კოჰათის ძეთაგან: მთავარი ურიელი და მისი მოძმენი – 120 კაცი;
- ⁶მერარის ძეთაგან: მთავარი ყასაია და მისი მოძმენი – 220 კაცი;
- ⁷გერშომის ძეთაგან: მთავარი იოელი და მისი მოძმენი – 130 კაცი;
- ⁸ელიცაფანის ძეთაგან: მთავარი შემაყია და მისი მოძმენი – 200 კაცი;
- ⁹ხებრონის ძეთაგან: მთავარი ელიელი და მისი მოძმენი – 80 კაცი;
- ¹⁰ყუზიელის ძეთაგან: მთავარი ყამინადაბი და მისი მოძმენი – 112 კაცი;
- ¹¹და მოუხმო დავითმა მღვდლებს: ცადოკსა და აბიათარს, და ლევიანებს: ურიელს, ყასაიას, იოელს, შემაყიას, ელიელს და ყამინადაბს,
- ¹²და უთხრა: „თქვენა ხართ ლევიათა მამისსახლთა თავკაცები; განიწმიდენით თქვენ და თქვენი ძმანი, და დაასვენეთ უფლის, ისრაელის ღმერთის, კიდობანი მისთვის მომზადებულ ადგილზე;
- ¹³და რაკი უწინ ამას არ ასრულებდით, უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, შეგვმუსრა, რადგან წესისამებრ არ ვეკითხებოდით მას.“
- ¹⁴და განიწმიდნენ მღვდლები და ლევიანები, რათა აეწიათ უფლის, ისრაელის ღმერთის კიდობანი.
- ¹⁵და ასწიეს ლევიანებმა ღვთის კიდობანი და, როგორც მოსეს ჰქონდა ნაბრძანები მათთვის უფლის სიტყვისამებრ, კეტებით შეიდგეს მხრებზე.
- ¹⁶დავითმა ლევიათა მთავრებს უბრძანა, რომ მათი ძმები დაეყენებინათ მაგლობლებად საკრავი იარაღებით, ბოზღნებით, ქნარებით და წინწილებით, რათა სიხარულის ხმები გამოეცათ.
- ¹⁷და დააყენეს ლევიანებმა: ჰემან იოელის ძე, მის მოძმეთაგან ასაფ ბერექიას ძე, ხოლო მათი ძმების, მერარის ძეთაგან, ეთან კუშაიას ძე.



¹⁸მათთან ერთად მათი მეორე რიგის მოძმენი: ზაქარია, იაყაზიელი, შემირამოთი, იეხიელი, ყუნი, ელიაბი, ბენაია, მაყასეია, მათითია, ელიფელეჰუ, მიკნეია და კარისმცველნი: ყობედ-ედომი და იეყიელი;

¹⁹მგალობელნი: ჰემანი, ასაფი და ეთანი ბრინჯაოს წინწილებს ახმიანებდნენ.

²⁰ხოლო ზაქარია, ყაზიელი, შემირამოთი, იეხიელი, ყუნი, ელიაბი, მაყასეია და ბენაია – ქნარებს ქალწულურ ჰანგზე.

²¹ხოლო მათითია, ელიფელეჰუ, მიკნეია, ყობედ-ედომი, იეყიელი, ყაზაზია – ებნებს, რვასიმძიანს, სალოტბაროდ.

²²ხოლო ქენანია, ლევიანთა მთავარი, სახიობის ხელმძღვანელად განაწესეს, ვინაიდან მცოდნე იყო.

²³ბერექია და ელკანა კიდობნის კარისმცველები იყვნენ.

²⁴ხოლო მღვდლები შებანია, იოშაფატი, ნეთანელი, ყამასაი, ზაქარია, ბენაია და ელიყეზერი საყვირებს უკრავდნენ ღვთის კიდობნის წინაშე. ყობედ-ედომი და იეხია კი კიდობნის კარისმცველნი იყვნენ.

²⁵და გაემართნენ დავითი, ისრაელის უზუცესობა და ათასისთავები სიხარულით უფლის აღთქმის კიდობნის წამოსასვენებლად ყობედ-ედომის სახლიდან.

²⁶ღვთის შეწევნით იყო რომ გადასვენეს ლევიანებმა უფლის აღთქმის კიდობანი და შვიდი ზვარაკი და შვიდი ვერძი შესწირეს.

²⁷დავითს ბისონის მოსასხამი ეხვია და აგრეთვე ყველა კიდობნის მატარებელ ლევიანს, ასევე მგალობლებს და ქენანიას, მგალობელთა ლოტბარს. დავითს ამასთან ერთად სელის ეფოდიც ემოსა.

²⁸მთელი ისრაელი მიაცილებდა უფლის აღთქმის კიდობანს ყიჟინით, ბუკისცემით, საყვირების, წინწილების, ბობლნებისა და ქნარების დაკვრით.

²⁹და როცა უფლის აღთქმის კიდობანმა დავითის ქალაქს მიაღწია, სარკმლიდან გამოიხედა საულის ასულმა მიქალმა და დაინახა მეფე დავითი მოთამაშე და მროკველი და გულში დასცინა.

პირველი ნეშტა 16

¹მოაბრძანეს უფლის კიდობანი და დაასვენეს შუაგულ კარავში, რომელიც მისთვის ჰქონდა დავითს მოწყობილი; და სრულადდასაწველი და სამშვიდობო მსხვერპლი შესწირეს ღმერთს.



- ²დაამთავრა დავითმა სრულადდასაწველის და სამშვიდობო მსხვერპლის შეწირვა და უფლის სახელით დალოცა ერი
- ³და ჩამოურიგა ისრაელის მთელ კრებულს, კაცსა და ქალს, თითო პურის კვერი, თითო ხორცის ნაჭერი და თითო კვერი ჩამიჩისა.
- ⁴და დააყენა დავითმა ლევიათა უფლის კიდობნის წინაშე სამსახურის გასაწევად, რათა მოეხსენებინათ, ედიდებინათ და ექოთ უფალი, ღმერთი ისრაელისა.
- ⁵ასაფი, მათი მეთაური იყო; ასაფის შემდეგ მეორე იყო ზაქარია. იეყიელი, შემირამოთი, იეხიელი, მათითია, ელიაბი, ბენაია, ყობედ-ედომი და იეყიელი – ბობღნებსა და ქნარებზე უკრავდნენ, ხოლო თვითონ ასაფი წინწილების დამკვრელი იყო.
- ⁶მღვდლებს: ბენაიასა და იახაზიელს კი საყვირები შეუჭერებლივ უნდა ეყვირებინათ ღვთის აღთქმის კიდობნის წინაშე.
- ⁷იმ დღეს პირველად ბრძანა დავითმა, რომ ასაფსა და მის ძმებს ქება ეძღვნათ უფლისათვის;
- ⁸ადიდეთ უფალი, მოუხმეთ მის სახელს, აუწყეთ ხალხებს საქმენი მისნი.
- ⁹უმღერეთ მას, უგალობეთ მას, ილაპარაკეთ ყველა მის სასწაულზე.
- ¹⁰დაიკვებეთ მისი წმიდა სახელით, გამხიარულდეს გული უფლის მეძიებელთა.
- ¹¹ემიეთ უფალი და ძლიერება მისი; ეძიეთ პირი მისი მარადის.
- ¹²გაიხსენეთ მისი ნამოქმედარი სასწაულები, საოცრებანი და მისი ბაგის სამართალნი.
- ¹³შთამომავალნი ისრაელისა, მისი მსახურისა, მენო იაკობისა, რჩეულნი მისნი.
- ¹⁴ის არის უფალი, ღმერთი ჩვენი, მთელ ქვეყნიერებაზეა სამართალნი მისნი.
- ¹⁵ახსოვს საუკუნოდ აღთქმა თვისი, სიტყვა, რომელიც ბრძანა ათასი თაობისთვის,
- ¹⁶რომელიც დაუდო აბრაამს, და თავისი ფიცი – ისააკთან.
- ¹⁷და დაუდგინა იაკობს იგი წესად და ისრაელს – საუკუნოდ აღთქმად.
- ¹⁸უთხრა: „შენ მოგცემ ქანაანის ქვეყანას წილად თქვენი მემკვიდრეობისა.“
- ¹⁹როცა ისინი, თითზე ჩამოსათვლელნი, ცოტანი და იქ შეხიზნულნი,



- ²⁰იარებოდნენ ერთი ხალხიდან მეორესთან, სამეფოდან – სხვა ერთან,
- ²¹უფალი არავის ანებებდა მათს დაჩაგვრას და მიუთითა მათზე მეფეებს:
- ²²„არ შეეხოთ ჩემს ცხებულებს და ჩემს წინასწარმეტყველებს არ უბოროტოთ.“
- ²³უგალობე უფალს, მთელი ქვეყნიერება! ამახარობლეთ დღითი დღე ხსნა მისმიერი.
- ²⁴მოუთხრეთ ხალხებს მისი ღირსება, ყოველ ერს – მისი სასწაულები.
- ²⁵რადგან დიდია უფალი და ღირსსაქებარი მეტად, ყველა ღმერთზე საშიშია ის.
- ²⁶რადგან ხალხთა ყველა ღმერთი კერპებია, ხოლო უფალმა ცანი შექმნა.
- ²⁷მშვენიერება და ბრწყინვალებაა მის წინაშე, სიძლიერე და მომხიბლაობა – მის ტაძარში.
- ²⁸შესწირეთ უფალს, ტომებო ხალხთა, შესწირეთ უფალს ქება და დიდება.
- ²⁹შესწირეთ უფალს ქება მისი სახელისა. წაუღეთ ძღვენი და მიდით მის ეზოებში.
- ³⁰ათრთოლდი მის წინაშე, მთელი ქვეყნიერება! მტკიცეა სამყარო, არ შეირყევა.
- ³¹გამხიარულდებიან ცანი და მოილხენს ქვეყანა. უთხარით ხალხებს: „უფალი მეფობს!“
- ³²იხმაურებს ზღვა და სავსება მისი, გაიხარებს ველი და ყოველი, რაც მასზეა,
- ³³მაშინ იზეიმებენ ყოველნი ხენი ტევრისანი უფლის წინაშე, რადგან მოვა ის ქვეყნიერების განსასჯელად.
- ³⁴აქეთ უფალი, რადგან კეთილია იგი. რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი.
- ³⁵და თქვით: „გვიხსენი, ჩვენი ხსნის ღმერთო, შეგვკრიბე და დაგვიცავ ხალხებისგან, რათა ვადიდოთ შენი წმიდა სახელი, დავიქადნო შენი ქება-დიდებათ.
- ³⁶კურთხეულ არს უფალი, ღმერთი ისრაელისა უკუნითი უკუნისამდე!“ და მიუგო ერმა: „ამინ! დიდება უფალს!“
- ³⁷და დატოვა დავითმა უფლის აღთქმის კიდობნის წინაშე ასაფი და მისი ძმები, რათა კიდობნის წინაშე სამსახური გაეწიათ მუდმივად, ყოველდღიურად,



³⁸და ყოზედ-ედომი და მისი ძმები, 68 კაცი, და ყოზედ-ედომი, იედუთუნის ძე და ხოსა – კარისმცველებად,

³⁹მღვდელი ცადოკი და მისი მღვდელმსახური ძმები უფლის სავანის წინ, გიბეონში რომ ბორცვია, იქ დააყენა,

⁴⁰რომ მუდამ, დილა-საღამოობით, სრულადდასაწველი აღევლინათ უფლისათვის სრულადდასაწველის სამსხვერპლოზე, და რომ ყოველივე შეესრულებინათ, რაც უფლის რჯულში სწერია და რაც მან დაუწესა ისრაელს.

⁴¹მათთან იყვნენ: ჰემანი, იედუთუნი და სხვა რჩეულნი, რომელნიც სახელებით იყვნენ დადგენილნი, რათა ექოთ უფლის სახელი, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი.

⁴²მათთან ერთად ჰემანი და იედუთუნი საყვირებით, წინწილებითა და საკრავებით ღვთის მგალობლებად იყვნენ დადგენილნი, იედუთუნის ძენი კი – კარიბჭესთან.

⁴³ყველანი თავ-თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. და დავითიც თავისი სახლის დასალოცად გაბრუნდა.

პირველი ნეშტა 17

¹როგორც კი დავითი თავის სახლში დამკვიდრდა, უთხრა ნათან წინასწარმეტყველს: „შეხედე, მე კედარის სახლში ვცხოვრობ, უფლის აღთქმის კიდობანი კი კარავში ასვენია.“

²უთხრა ნათანმა დავითს: „ყოველივე, რაც გულში გაქვს, გააკეთე, რადგან ღმერთი შენთანაა.“

³იმ ღამეს იყო, რომ ჩაესმა ნათანს უფლის სიტყვა:

⁴წადი, უთხარი ჩემს მსახურს, დავითს, ასე ამბობს-თქო უფალი: „შენ უნდა ამიშენო სახლი ჩემს დასავანებლად

⁵მე ხომ არ ვიმყოფებოდი სახლში იმ დროიდან, რაც ისრაელი გამოვიყვანე, და დღემდე, კარვიდან კარავში და სავანიდან სავანეში ვარ.

⁶ნუთუ მთელ ისრაელთან მოარულს ოდესმე სიტყვა მითქვამს ისრაელის რომელიმე მსაჯულისათვის, ვისთვისაც ჩემი ერის მწყემსობა მიბრძანებია, კედარის სახლს რატომ არ მიშენებთ-მეთქი?

⁷ახლა ასე უთხარი ჩემს მსახურს, დავითს, ასე ამბობს-თქო ცაბაოთ უფალი: ცხვრის ფარიდან წამოგიყვანე, რომ ჩემი ერის, ისრაელის, წინამძღოლი ყოფილიყავი.



⁸ყველგან შენთან ვიყავი, სადაც არ უნდა წასულიყავ, ვანადგურებდი შენს მტრებს შენს წინაშე. განვადიდე შენი სახელი, მსგავსად დიდებულთა სახელისა ამ ქვეყანაზე.

⁹ადგილი დავუდგინე ჩემს ერს, ისრაელს და დავაფუძნე იგი. ახლა თავისთვის იცხოვრებს უშიშრად და ბოროტმოქმედნი აღარ შეაჭირვებენ წინანდებურად.

¹⁰იმ დროიდან, რაც მე მსაჯულები დავუყენე ჩემს ერს, ისრაელს, მოსვენებული მყავხარ ყველა მტრისაგან. გამოგიცხადე, რომ სახლს აგიშენებს უფალი.

¹¹და როცა დრო მოვა და შენს მამებთან განისვენებ, მე აღვადგენ შენს შემდგომ შენს თესლს, რომელიც იქნება შენი პეტაგანი, და მის მეფობას განვამტკიცებ.

¹²ის ამიშენებს სახლს და მე განვამტკიცებ მის ტახტს უკუნისამდე,

¹³მე მამა ვიქნები მისთვის, ის კი შვილი იქნება ჩემთვის, წყალობას არ წავართმევ, როგორც შენს წინამორბედს წავართვი.

¹⁴და დავაყენებ მას ჩემს სახლში და ჩემს სამეფოში უკუნისამდე, მყარი იქნება მისი ტახტი უკუნისამდე.”

¹⁵მთელი ეს სიტყვები და ეს ხილვა გადასცა ნათანმა დავითს.

¹⁶და მივიდა დავით მეფე და დადგა უფლის წინაშე და თქვა: „ვინა ვარ მე, უფალო ღმერთო? და რა არის ჩემი სახლი, რომ აქამდე აღმაზევე?

¹⁷ესეც გეცოტავა თვალში ღმერთო, რომ სამომავლოდაც აღუთქვამ დაპირებას შენი მსახურის სახლს? შენ მიმზერ, როგორც განდიდებულ ადამიანს, უფალო, ღმერთო ჩემო.

¹⁸კიდევ რა უდნა გითხრას დავითმა, შენი მსახურის დიდებისათვის? შენ თავად იცნობ შენს მსახურს.

¹⁹უფალო, შენი მსახურისათვის და შენი გულის თანახმად აკეთებ ამ დიდებულ საქმეს, რათა გამოაცხადო მთელი შენი სიდიადე.

²⁰უფალო, არავინაა შენი მსგავსი; არ არის ღმერთი შენს გარდა, თანახმად ყველაფრისა, რაც ჩვენი ყურით მოვისმინეთ.

²¹თუ არის ამ ქვეყნად თუნდაც ერთი ხალხი შენი ერის, ისრაელის, მსგავსი, რომელსაც მოვლენოდეს ღმერთი, რომ თავისთვის გამოესყიდოს იგი, რომ ექციოს თავის ერად, რომ სახელოვანი გაეხადოს და ჩაედინოს დიადი და საკვირველი ამბები, ხალხების განდევნით შენი ერის წინაშე, რომელიც გამოიხსენ ეგვიპტიდან და ხალხებისაგან?



²²შენ შეჰქმენ შენი ერი, ისრაელი, რომ შენი ერი ყოფილიყო უკუნისამდე და შენ, უფალო, მათი ღმერთი ყოფილიყავი.

²³ახლა კი, უფალო, ეს სიტყვა, რომელიც თქვი შენს მსახურზე და მის სახლზე, განმტკიცდეს უკუნისამდე, და ქენი ისე, როგორც ნაბრძანები გაქვს.

²⁴განმტკიცდეს და იდიდოს შენმა სახელმა უკუნისამდე, რათა თქვან: ‘ცაბაოთ უფალი, ღმერთი ისრაელისა, ღმერთობს ისრაელზე!’ და შენი მსახურის, დავითის სახლი მტკიცე იყოს შენს წინაშე,

²⁵რადგან შენ გამოუცხადე, ღმერთო, შენს მსახურს, სახლს აგიშენებო. ამიტომ გაუწია გულმა შენს მსახურს ელოცა შენს მიმართ.

²⁶ახლა, უფალო, ღმერთი ხარ შენ და სასიკეთოდ ელაპარაკე შენს მსახურს.

²⁷ახლა შენ დალოცე შენი მსახურის სახლი, რათა საუკუნოდ იყოს შენს წინაშე, რადგან შენ აკურთხე, უფალო, და კურთხეული იქნება საუკუნოდ.“

პირველი ნეშტა 18

¹ამის შემდეგ იყო, რომ დაამარცხა დავითმა ფილისტიმელები, და დაიმორჩილა ისინი და ხელიდან გამოგლიჯა მათ გათი თავისი დაბასოფლებითურთ.

²და დაამარცხა მოაბიც. და გახდნენ მოაბელნი დავითის მსახურნი და მოხარკენი.

³და დაამარცხა დავითმა ჰადადეზერი, ცობას მეფე, ხამათში, როცა ის ეფრატზე ბატონობის განსამტკიცებლად მიდიოდა,

⁴და წაართვა მას დავითმა ათასი ეტლი, 7 ათასი ცხენოსანი და 20 ათასი ქვეითი. ეტლის ცხენებს მყესები გადაუჭრა დავითმა, 100 ეტლი დატოვა მათგან.

⁵და მოვიდნენ დამასკოს არამელები ცობას მეფის ჰადადეზერის დასახმარებლად და მუსრი გაავლო დავითმა არამელთაგან 22 ათასი კაცს.

⁶და დაადგინა დავითმა ხელისუფალნი დამასკოს არამში და გახდნენ არამელები დავითის მსახურნი და მოხარკენი. სადაც არ უნდა წასულიყო დავითი, ყველგან უფალი შეეწეოდა.

⁷და აიღო დავითმა ოქროს ფარები, ჰადადეზერის მსახურებს რომ ჰქონდათ, და იერუსალიმში მოიტანა.



⁸დიდძალი ბრინჯაო წამოიღო დავითმა ტიბხათიდან და ქუნიდან, ჰადადყეზერის ქალაქებიდან, რისგანაც შემდეგ სოლომონმა გააკეთა ბრინჯაოს ჭურჭელი.

⁹და შეიტყო თოყუმ, ხამათის მეფემ, რომ სძლია დავითმა ჰადადყეზერს, და ცობას მეფეს,

¹⁰და გაგზავნა თავისი ძე აღორამი დავით მეფესთან მოსაკითხად და მისალოცად, რომ შეებრძოლა ჰადადყეზერს და სძლია, რადგან თოყუს მოსისხლე იყო ჰადადყეზერი; თან გაატანა ოქრო-ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი.

¹¹მეფე დავითმა ესეც უფალს შესწირა იმ ოქრო-ვერცხლთან ერთად, დამორჩილებულ ხალხებს: ედომს, მოაბს, ყამონელთ, ფილისტიმელთ და ყამალექს რომ წაართვა.

¹²აბიშაი ცერუიას ძემ 18 ათასი ედომელი ამოწყვიტა მარილოვან ველზე,

¹³და დააყენა ედომში ხელისუფალნი და გახდა მთელი ედომი დავითის მსახური. და ყველგან, სადაც არ უნდა წასულიყო, უფალი შეეწეოდა დავითს.

¹⁴და მეფობდა დავითი მთელს ისრაელზე და წესსა და სამართალს აძლევდა თავის ხალხს.

¹⁵იოაბ ცერუიას ძე, სარდალი იყო, ხოლო იოშაფატ ახილუდის ძე – მემკვიდრე;

¹⁶ცადოკ ახიტუბის ძე და აბიმელექ აბიათარის ძე მღვდლები იყვნენ, ხოლო შავშა მწერალი იყო.

¹⁷ბენაია იეჰოიადაყის ძე ქერეთელებსა და ფელეთელებს განაგებდა; ხოლო დავითის ძენი პირველნი იყვნენ მეფის გვერდით.

პირველი ნეშტა 19

¹ამის შემდეგ იყო, რომ მოკვდა ყამონიანთა მეფე, ნახაში, ყამონის ძე, და მის ნაცვლად გამეფდა მისი ძე.

²და თქვა დავითმა: „წყალობას ვუზამ ხანუნს, ნახაშის ძეს, როგორც მამამისი მწყალობდა.“ და გაგზავნა დავითმა მოციქულები სანუგეშებლად მამის გამო; და მივიდნენ დავითის მსახურნი ყამონიანთა ქვეყანაში, ხანუნთან, სამძიმარზე.

³და უთხრეს ყამონიანთა მთავრებმა ხანუნს: „გგონია მამაშენის პატივისცემის გამო გიგზავნის დავითი სამძიმარზე? იქნებ იმისათვის



გამოგზავნა მან თავისი მსახურნი, რომ დაზვეროს ქვეყანა, მიათვალ-
მოათვალეროს და მერე დააქციოს?“

⁴და შეიპყრო ხანუნმა დავითის მსახურნი, წვერები დაპარსა, წელამდე
სანახევროდ შემოაჭრა სამოსელი და გაისტუმრა.

⁵და წავიდნენ ისინი. და შეატყობინეს დავითს ამ კაცების ამბავი, და
გაგზავნა მან ხალხი მათ შესაგებებლად, რადგან ძალზე შეურაცხყოფილნი
იყვნენ ისინი. და შეუთვალა მათ მეფემ: „იერიხოში დარჩით, ვიდრე წვერი
მოგეზრდებოდეთ და მერე დაბრუნდით.“

⁶და დაინახეს ყამონიანთ, რომ თავი შეაძულეს დავითს, და გააგზავნეს
ხანუნმა და ყამონიანთ ათასი ტალანტი ვერცხლი ეტლებისა და მხედრების
დასაქირავებლად შუამდინარეთიდან, მაყაქას არამიდან და ცობადან.

⁷და იქირავეს 32 ათასი ეტლი და მეფე მაყაქა თავისი ხალხით, რომლებიც
მივიდნენ და მედებას წინ დაბანაკდნენ. და შეიკრიბნენ ყამონიანები
თავიანთი ქალაქებიდან და საომრად გამოემართნენ.

⁸და შეიტყო ეს დავითმა და გაგზავნა იოაბი უმამაცესთა მთელი
ლაშქრითურთ.

⁹და გამოვიდნენ ყამონიანები და გაეწყვნენ საომრად ქალაქის კარიბჭესთან.
ხოლო ის მეფენი, რომელნიც მოვიდნენ, ცალ-ცალკე დადგნენ ველად.

¹⁰როცა იოაბმა დაინახა, რომ მტერი წინიდან და ზურგიდან იყო მისკენ
მიმართული, გამოარჩია ისრაელიანთა შორის ურჩეულებსნი და დააწყო
არამელთა წინააღმდეგ.

¹¹დანარჩენი ხალხი კი თავის ძმას, აბიშაის ჩააბარა, რათა ისინი ყამონიანთა
წინააღმდეგ გაწყობილიყვნენ.

¹²და თქვა: „თუ არამელები მე მძლევენ, შენ მომეშველები, ხოლო თუ
ყამონელები შენ გძლევენ, მე მოვალ შენს მოსაშველებლად.“

¹³გამაგრდი და მტკიცედ იდექი ჩვენი ხალხისათვის და ჩვენი უფლის, ჩვენი
ღმერთის ქალაქებისათვის. და უფალმა ქნას, რასაც ინებებს.“

¹⁴და გავიდნენ იოაბი და მისი ხალხი არამელებთან საომრად და უკუიქცნენ
არამელები.

¹⁵როცა ყამონიანთ დაინახეს, რომ არამელები გარბოდნენ, თავადაც გაექცნენ
აბიშაის და ქალაქში შეიკეტნენ. ხოლო იოაბი იერუსალიმში დაბრუნდა.

¹⁶და დაინახეს არამელებმა, რომ მარცხდებიან ისრაელთან და კაცები
გაუგზავნეს მდინარისგაღმელ არამელებს და გადმოიყვანეს. მათ
წინამძღოლობდა ჰადადყეზერის მხედართმთავარი შოფახი.



¹⁷და შეატყობინეს ეს დავითს და მანაც შეყარა მთელი ისრაელი. გადალახა იორდანე, და მივიდა მათთან და გაეწყო მათ წინააღმდეგ. ბრძოლა გაუმართა დავითმა არამელებს და ისინიც შეებნენ მას.

¹⁸და გაექცნენ არამელები ისრაელს. და დაუხოცა დავითმა არამელებს 7 ათასი ეტლოსანი და 40 ათასი ქვეითი. და მათი მხედართმთავარი შოფახიც მოკლულ იქნა.

¹⁹როცა ჰადადყეზერის მსახურებმა დაინახეს, რომ მარცხდებოდნენ ისრაელთან, დაეზავნენ დავითს და დაემორჩილნენ. არამელებმა ვეღარ გაბედეს ყამონიანთა დახმარება.

პირველი ნეშტა 20

¹ერთი წლის თავზე, მეფეთა საომრად გამოსვლის ჟამს, იოაბი ლაშქარს წაუძღვა და ყამონელთა ქვეყანა გაანადგურა; მივიდა და რაბას შემოადგა; ხოლო დავითი იერუსალიმში დარჩა. და სძლია იოაბმა რაბას და დაანგრია.

²და მოხდა დავითმა მათ მეფეს გვირგვინი, და ნახა, რომ ერთი ტალანტი ოქროს წონა ჰქონდა და ძვირფასი თვლებით იყო მოოჭვილი. თავზე დაიდგა იგი – და აურაცხელი ნადავლი წამოიღო ქალაქიდან.

³და გამოიყვანა იქ მყოფი ხალხი და მათი დახოცვა დაიწყო ხერხებით, რკინის საცეხვებითა და რკინის ცულებით. ასე მოექცა დავითი ყამონიანთა ქალაქს და დაბრუნდა იერუსალიმში თავისი მეომრების თანხლებით.

⁴ამის შემდეგ იყო, რომ ფილისტიმელებთან ომი ატყდა გეზერში. მაშინ სიბექაი ხუშათელმა მოკლა სიფაი, რეფაიმელთა ერთი შთამომავალი. და მშვიდობა ჩამოვარდა მათ შორის.

⁵და კვლავ ატყდა ფილისტიმელებთან ომი. მაშინ ელხანან იაყირის ძემ დაამარცხა ლახმი, გათელი გოლიათის ძმა, რომლის შუბის ბუნი საქსელე ლილვის სიმსხო იყო.

⁶და კვლავ ატყდა ომი გათში. იყო უზარმაზარი კაცი, რომელსაც ხელ-ფეხზე ექვს-ექვსი თითი ჰქონდა – სულ 24. ისიც გოლიათთა ნაშიერი იყო.

⁷და დასცინოდა ისრაელს, მაგრამ განგმირა იგი იონათან შიმეყას ძემ – დავითის ძმისწულმა.

⁸ესენი შეეძინნენ რაფას გათში და ყველანი დავითისა და მის მსახურთა ხელით დაეცნენ.

პირველი ნეშტა 21



- ¹სატანა აღდგა ისრაელზე და აღძრა დავითი ისრაელის აღსარიცხად.
- ²და უთხრა დავითმა იოაბსა და ხალხის მთავრებს: „წადით და აღრიცხეთ ისრაელი ბეერ-შებაყიდან დანამდე და წარმომიდგინეთ, რომ ვიცოდე მათი რიცხვი.“
- ³და თქვა იოაბმა: „რამდენიც არის, ასმაგად გაამრავლოს უფალმა თავისი ერი. მეფე-ბატონო, განა ყველა ისინი, ჩემი ბატონის მსახურნი არ არიან? მაშ ამას რაღად ითხოვს ჩემი ბატონი? რატომ უნდა დადანაშაულდეს ისრაელი?“
- ⁴მაგრამ მეფის სიტყვა კანონი იყო იოაბისთვის. და წავიდა იოაბი და მთელი ისრაელი მოიარა, და იერუსალიმში დაბრუნდა.
- ⁵და მიაერთა იოაბმა დავითს მეკომურთა სია და აღმოჩნდა მთელს ისრაელში მილიონ ასი ათასი მახვილის ამომწვდელი კაცი, ხოლო იუდაში 470 ათასი მახვილის ამომწვდელი კაცი.
- ⁶ლევიალები და ბენიამინი მათთან ერთად არ აღურიცხავს მას, რადგან არ მოეწონა იოაბს მეფის სიტყვა.
- ⁷ბოროტი იყო ეს საქმე ღვთის თვალში, ამიტომ დაამარცხა ისრაელი.
- ⁸და უთხრა დავითმა ღმერთს: „დიდად შევცოდე, ეს რომ გავაკეთე. ახლა მიუტევე, უფალო, შეცოდება შენს მსახურს, რადგან უგუნურად მოვიქეცი.“
- ⁹და დაელაპარაკა უფალი გადს, დავითის ნათელმხილველს, და უთხრა:
- ¹⁰„წადი და დაელაპარაკე დავითს: ასე ამბობს-თქო უფალი: ‘სამ სასჯელს შემოგთავაზებ და ერთ-ერთი ამოირჩიე, რომ იმით დაგსაჯო.’“
- ¹¹და მივიდა გადი დავითთან და უთხრა: „ასე ამბობს უფალი, ამოირჩიე:
- ¹²სამი წლის შიმშილობა გირჩევნია, სამი თვის დევნილობა მტრისაგან და მისი მახვილის მოწვენა, თუ სამი დღის მანძილზე უფლის მახვილი, შავი ჭირი და უფლის შემმუსვრელი ანგელოზი, ისრაელის მთელ სამკვიდრებელში?“
- ¹³და უთხრა დავითმა გადს: „ძალიან მიჭირს, მაგრამ მიჯობს უფლის ხელში ჩავვარდე, რადგან დიდია მისი მოწყალება, ოღონდაც კაცის ხელში ნუ ჩავვარდები.“
- ¹⁴და მოავლინა უფალმა შავი ჭირი ისრაელში და 70 ათასი კაცი გაწყვიტა.
- ¹⁵და გაგზავნა ღმერთმა იერუსალიმში ანგელოზი, რათა მოესპო იგი. და როდესაც მან განადგურება იწყო, მოხედა უფალმა და აკმარა უბედურება, და უთხრა შემმუსვრელ ანგელოზს: „კმარა, ახლა უკან წაიღე ხელი!“ უფლის ანგელოზი ორნან იებუსელის კალოსთან იდგა.



¹⁶გაიხედა და დაინახა დავითმა ცასა და დედამიწას შუა მდგარი უფლის ანგელოზი, ხელში გაშიშვლებული მახვილი რომ ეჭირა იერუსალიმზე დაღირებული. დავითი და უხუცესნი სახემებურვილნი, პირქვე დაემხნენ.

¹⁷და უთხრა დავითმა ღმერთს: „ხალხის აღრიცხვა ხომ მე ვბრძანე? მე შევცოდე, მე ჩავიდინე ბოროტება, ამ ცხვრებმა რაღა დააშავეს? უფალო, ღმერთო ჩემო! ჩემზე და მამაჩემის სახლზე იყოს შენი ხელი, ოღონდ შენს ერზე ნუ იქნება მის დასაღუპად.“

¹⁸და უთხრა უფლის ანგელოზმა გადს დავითისთვის სათქმელად: ადგეს და უფლის სამსხვერპლო ააგოს დავითმა ორნან იებუსელის კალოზე.

¹⁹და წავიდა დავითი გადის სიტყვისამებრ, რომელიც უფლის სახელით ჰქონდა ნათქვამი.

²⁰და გამოიხედა ორნანმა, დაინახა ანგელოზი და თავის ოთხ ვაჟთან ერთად დაიძალა. ორნანი იმ დროს ხორბალს ლეწავდა.

²¹და მივიდა დავითი ორნანთან. გამოიხედა ორნანმა და დაინახა დავითი, კალოდან გამოეგება და მდაბლად სცა თავყვანი დავითს.

²²და უთხრა დავითმა ორნანს: „მომეცი შენი კალო და უფლის სამსხვერპლოს ავაშენებ ზედ, თავის ფასში მომეცი, რათა განერიდოს ხალხს ჟამიანობა.“

²³და უთხრა ორნანმა დავითს: „აილოს და გააკეთოს მეფე-ბატონმა, რაც ნებავს. აჰა, ხარები სრულადდასაწველად მომირთმევია, კევრები – შეშად, ხორბალი – სამღვნო მსხვერპლად; ყველაფერ ამას მუქთად ვიდლევი.“

²⁴და უთხრა მეფე დავითმა ორნანს: „არა, სრულ ფასად უნდა ვიყიდო შენგან, რადგან უფალს ვერც შენს საკუთრებას შევწირავ და ვერც მუქთა სრულადდასაწველს.“

²⁵ამ ადგილის საფასურად დავითმა 600 შეკელი ოქრო მისცა ორნანს.

²⁶იმ ადგილას აუგო დავითმა უფალს სამსხვერპლო, და მიიტანა სრულადდასაწველი და სამშვიდობო მსხვერპლი. და მოუხმო უფალს. მან კი სრულადდასაწველის სამსხვერპლოზე ზეციდან ცეცხლის მოცემით უპასუხა.

²⁷და უბრძანა უფალმა ანგელოზს და მანაც თავისი მახვილი ქარქაშში ჩააგო.

²⁸იმ დროს, როცა დავითმა დაინახა, რომ უფალმა უპასუხა ორნან იებუსელის კალოზე, იქ შესწირა მსხვერპლი.

²⁹უფლის კარავი, მოსემ რომ გააკეთა უდაბნოში, და სრულადდასაწველის სამსხვერპლო იმჟამად ორივე გიბეონის ბორცვზე იდგა.



³⁰და არ შეეძლო დავითს იქ მისვლა ღვთისთვის საკითხავად, რადგან უფლის ანგელოზის მახვილის შიში ჰქონდა.

პირველი ნეშტთა 22

¹და თქვა დავითმა: „აჰა, უფალი ღმერთის სახლი და აჰა, სამსხვერპლო ისრაელის სრულადდასაწველისთვის.“

²და ბრძანება გასცა დავითმა, რომ თავი მოეყარათ ხიზნებისათვის, რომლებიც ისრაელის ქვეყნად იყვნენ, და განაწესა ისინი ქვისმთლელებად, რომ ღვთის სახლის ასაშენებლად ქვა დაეთალათ.

³დიდძალი რკინა გაიღო დავითმა კარიბჭის ლურსმნებისა და კაუჭების დასამზადებლად, დახარჯულ ბრინჯაოს ხომ წონა არა ჰქონდა.

⁴არც კედარის მორებსა ჰქონდა თვლა, რადგან ციდონელები და ცორელები უზიდავდნენ დავითს.

⁵და თქვა დავითმა: „ჩემი ძე სოლომონი ყმაწვილია და სუსტი, უფლისთვის ასაშენებელი სახლი კი ყველაზე დიდებული, სახელგანთქმული და მშვენიერი უნდა იყოს მთელ ქვეყანაზე. ამიტომ ყველაფერს მოვამზადებ მისთვის.“ და ბევრი მარაგი გაამზადა დავითმა სიცოცხლეში.

⁶და დაუძახა სოლომონს, თავის ძეს, და უფლისთვის, ისრაელის ღმერთისთვის სახლის აგება უანდერძა.

⁷და უთხრა დავითმა თავის ძეს, სოლომონს: „შვილო, გულით მეწადა უფალი ღმერთის სახელისათვის სახლი ამეგო.

⁸მაგრამ უფლის სიტყვა იყო ჩემდამი ნათქვამი: ‘ბევრი სისხლი გაქვს დაღვრილი და დიდი ომები გადაგიხდია, ამიტომ შენ არ ააშენებ ჩემს სახელზე სახლს, რადგან ბევრი სისხლი დაღვარე ქვეყნად ჩემს წინაშე.

⁹აჰა, ძე შეგეძინება და მშვიდი კაცი იქნება. ყველა მტრისაგან მოვასვენებ მას, ამიტომაც სოლომონი იქნება მისი სახელი და მის დღეებში მშვიდობას მივცემ ისრაელს.

¹⁰ის ააშენებს სახლს ჩემს სახელზე, ის იქნება ჩემთვის ძე და მე ვიქნები მისთვის მამა, და განვამტკიცებ მის სამეფო ტახტს ისრაელში უკუნისამდე.’

¹¹ახლა კი, შვილო ჩემო, უფალი იყოს შენთან, რათა ხელი მოგემართოს და უფლის, შენი ღმერთის სახლი ააშენო, როგორც თქვა უფალმა შენზე.

¹²უფალმა მოგცეს აზრი და გონიერება, და დაგაყენოს ისრაელზე, რათა დაიცვა შენი უფალი ღმერთის რჯული.



¹³მაშინ იქნები წარმატებული, თუ იმ წესებსა და კანონებს დაიცავ, რომელნიც მოსეს უბრძანა უფალმა ისრაელისათვის. მტკიცედ დეგ და გამაგრდი, ნუ შეშინდები და გული არ გაიტეხო.

¹⁴აჰა, ჩემი რუდუნებით უფლის ტაძრისათვის გავამზადე 100 ათასი ტალანტი ოქრო, მილიონი ტალანტი ვერცხლი, ბრინჯაოსა და რკინას წონა არა აქვს, რადგან უამრავია. ხე-ტყე და ქვაც გავამზადე, მაგრამ შენც შეგიძლია მიუმატო.

¹⁵ბევრი ხელოსანი მყავს: ტყისმჭრელები, ქვისმთლელები, ხუროები და ყველანაირი ხელობის ოსტატები.

¹⁶ოქროს, ვერცხლს, ბრინჯაოს თვლა არა აქვს. ახლა ადექი და საქმეს შეუდექი და უფალი შენთან იქნება.“

¹⁷და ბრძანა დავითმა, რომ ისრაელის ყველა მთავარი მიხმარებოდა მის ძეს, სოლომონს:

¹⁸„განა თქვენთან არ არის უფალი, ჩვენი ღმერთი? განა მან არ მოგცათ ირგვლივ მშვიდობა? მან ჩემს ხელში ჩაყარა ამ ქვეყნის მკვიდრნი, და დამორჩილდა ეს ქვეყანა უფლისა და მისი ერის წინაშე.

¹⁹ახლა კი გაუხსენით თქვენი გული და სული უფალს, თქვენს ღმერთს. ადექით და დაიწყეთ უფლის, ღვთის საწმიდრის შენება, რათა უფლის აღთქმის კიდობანი და ღვთის ჭურჭლეული უფლის სახელზე აგებულ სახლში გადასვენოთ.“

პირველი ნეშტა 23

¹მოხუცდა დავითი და გაძღა წლებით, და თავისი ძე, სოლომონი, დასვა ისრაელის მეფედ.

²და შეკრიბა ისრაელის მთავრები, მღვდლები და ლევიანები.

³და აღრიცხეს ლევიანები 30 წელს გადაცილებული ლევიანები. და გამოვიდა სულ 38 ათასი კაცი.

⁴აქედან 24 ათასი უფლის ტაძრის საქმეს უძღვებოდა, 6 ათასი კი მოხელეები და მსაჯულები იყვნენ.

⁵კარისმცველი 4 ათასი იყო, 4 ათასი კი უფალს ადიდებდა იმ საკრავებით, რომლებიც დავითმა გააკეთა.

⁶და დაყო დავითმა ისინი ლევის, გერშონის, კოჰათის და მერარის ძეთა დასებად.



- ⁷გერშონელთაგან იყვნენ: ლაყდანი და შიმეყი;
- ⁸ლაყდანის ძენი: უფროსი იეხიელი, ზეთამი და იოელი – სამნი.
- ⁹შიმეყის ძენი: შელომითი, ხაზიელი და ჰარანი – სამნი. ესენი არიან ლაყდანის მამისსახლთა თავკაცები.
- ¹⁰შიმეყის ძენი: იახათი, ზინა, იეყუში და ბერიყა. ესენი არიან შიმეყის ძენი – ოთხნი.
- ¹¹იახათი უფროსი იყო, ზიზა – მომდევნო; იეყუშა და ბერიყას ძალიან ცოტა შვილები ჰყავდათ, ამიტომ აღრიცხვისას ერთ მამისსახლს შეადგენდნენ.
- ¹²კოჰათის ძენი: ყამრამი, იცჰარი, ხებრონი და ყუზიელი – ოთხნი.
- ¹³ყამრამის ძენი: აარონი და მოსე. აარონი იმისთვის გამოირჩა, რომ წმიდათა წმიდისთვის ეკურთხებინათ იგი და მისი ძენი სამარადისოდ, რათა მათ ეკმიათ უფლის წინაშე, რათა სამსახური გაეწიათ მისთვის და მისი სახელით უკუნისამდე ეკურთხებინათ.
- ¹⁴მოსე ღვთისკაცი იყო და მისი ძენი ლევიათა ტომს მიათვალეს.
- ¹⁵მოსეს ძენი: გერშომი, ელიყეზერი.
- ¹⁶გერშომის ძე: შებუელი – უფროსი.
- ¹⁷ელიყეზერის ძე: რეხაბია – უფროსი. ელიყეზერს მეტი შვილი არც ჰყოლია, რეხაბიას ძენი კი ძალიან გამრავლდნენ.
- ¹⁸იცჰარის ძე: შელომითი – უფროსი.
- ¹⁹ხებრონის ძენი: იერია – უფროსი, ამარია – მეორე, იახაზიელი – მესამე, იეკამეყამი – მეოთხე,
- ²⁰ყუზიელის ძენი: მიქა – უფროსი, იშია – მეორე.
- ²¹მერარის ძენი: მახლი და მუში; მახლის ძენი: ელეაზარი და კიში.
- ²²ელეაზარი ისე მოკვდა, რომ ვაჟი არ ჰყოლია, მხოლოდ ასულები დარჩა. ისინი კიშის ძეებმა – ბიძაშვილებმა – შეირთეს.
- ²³მუშის ძენი: მახლი, ყედერი და იერემოთი – სამნი.
- ²⁴აჰა, ლევის ძენი, თავ-თავიანთი მამისსახლების მიხედვით, მამისსახლთა თავკაცები, სახელებისა და სულადობის რიცხვის მიხედვით აღრიცხულნი, რომელნიც უფლის ტაძრის სამსახურს უძღვებოდნენ, 20 წელს გადაცილებულნი.



²⁵რადგან თქვა დავითმა: „უფალმა ღმერთმა მისცა მშვიდობა ისრაელს, თავის ერს, და იერუსალიმში დამკვიდრდა იგი უკუნისამდე.

²⁶და აღარც ლევიალებს დასჭირდებათ სამსახურის გასაწევად სავანისა და მისი ჭურჭლის ტარება.“

²⁷დავითის უკანასკნელი სიტყვების მიხედვით აღრიცხეს 20 წელს გადაცილებული ლევიალები,

²⁸რათა ისინი მდგარიყვნენ აარონის ძეთა გვერდით, ემსახურათ უფლის სახლში, ეზოებში და ოთახებში, სუფთად შეენახათ ყოველი სიწმიდე და აღესრულებინათ ღვთის სახლის სამსახური.

²⁹და ეზრუნათ საწინაშეო პურზე, ძღვენზე, უფუარ კვერებზე, ტაფებზე და შესაწვავზე, ყველაფრის ზომა-წონაზე,

³⁰დილა-სადამოობით უფლის ქება-დიდებაზე,

³¹და ყველა სრულადდასაწველზე უფლისათვის შაბათობით, ახალმთვარეობების დღესასწაულების განსაზღვრულ რიცხვებში, როგორც მათთვისაა დაწესებული, უფლის წინაშე მარად აღსასრულებლად,

³²რომ დაიცვან დადგენილება სადღესასწაულო კარვის შესახებ, დადგენილება საწმიდრის შესახებ და დადგენილება აარონის ძეთა – მათი ძმების – შესახებ, უფლის სახლში სამსახურის გასაწევად.

პირველი ნეშტა 24

¹ეს იყო აარონის ძეთა დასები. აარონის ძენი იყვნენ: ნადაბი, აბიჰუ, ელეაზარი და ითამარი.

²ნადაბი და აბიჰუ მამაზე ადრე დაიხოცნენ; ორივე უძეოდ გადაეგნენ. ელეაზარი და ითამარი გახდნენ მღვდლები.

³და გაამწესა დავითმა ცადოკი, ელეაზარის ძეთაგან, და ახიმელექი, ითამარის ძეთაგან, თავ-თავიანთ სამსახურში, თავ-თავიანთი მოვალეობის მიხედვით.

⁴და აღმოჩნდა, რომ ელეაზარის შვილებში კაცები უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე ითამარის შვილებში, და დაანაწილეს მათ ისინი: ელეაზარის ძეთა მამისსახლს 16 თავკაცი არგუნეს, ხოლო ითამარის ძეთა მამისსახლს – რვა.

⁵ერთმანეთში წილისყრით დაინაწილეს, რადგან საწმიდრის წინამძღოლები და ღვთისმსახურები ელეაზარისა და ითამარის ძეთაგან იყვნენ.



⁶და აღნუსხა ისინი შემაყია ნეთანელის ძემ, ლევიათა მწიგნობარმა, მეფისა და მთავართა წინაშე, ცადოკ მღვდლისა და ახიმელექ აბიათარის ძის წინაშე, მღვდელთა და ლევიალების მამისსახლთა თავკაცების წინაშე. ერთი მამისსახლი ელეაზარს უყრიდა წილს და ერთი ითამარს უყრიდა წილს.

⁷და პირველი წილი იეჰოიარობს შეხვდა, მეორე – იედაყიას,

⁸მესამე – ხარიმს, მეოთხე – სეყორიმს,

⁹მეხუთე – მალქიას, მეექვსე – მიამინს,

¹⁰მეშვიდე – ჰაკოცს, მერვე – აბიას,

¹¹მეცხრე – იესოს, მეათე – შექანიას,

¹²მეთერთმეტე – ელიაშიბს, მეთორმეტე – იაკიმს,

¹³მეცამეტე – ხუფას, მეთოთხმეტე – იეშებაზს,

¹⁴მეთხუთმეტე – ბილგას, მეთექვსმეტე – იმერს,

¹⁵მეჩვიდმეტე – ხეზირს, მეთვრამეტე – ჰაფიცეცს,

¹⁶მეცხრამეტე – ფეთახიას, მეოცე – ეზეკიელს,

¹⁷ოცდამეერთე – იაქინს, ოცდამეორე – გამულს,

¹⁸ოცდამესამე – დელაიას, ოცდამეოთხე – მაყაზიას.

¹⁹ეს არის მათი განაწესი, თუ როგორ უნდა მისულიყვნენ უფლის სახლში იმ სამსახურის გასაწევად, მათი მამის, აარონის, მიერ რომ იყო დაწესებული ისე, როგორც უფალმა, ისრაელის ღმერთმა, უბრძანა მას.

²⁰ლევის დანარჩენ ძეთაგან იყვნენ: ყამრამის ძეთაგან – შუბაელი, შუბაელის ძეთაგან – იეხდეია,

²¹რეხაბიანთაგან – რეხაბიას ძეთაგან იშია იყო თავკაცი.

²²იცჰარელთაგან – შელომოთი, შელომოთის ძეთაგან – იახათი.

²³ხებრონის ძეთაგან – იერია, ამარია – მეორე, იახაზიელი – მესამე, იეკამეყამი – მეოთხე.

²⁴ყუზიელის ძეთაგან – მიქა, მიქას ძეთაგან – შამირი.

²⁵მიქას ძმა იყო იშია. იშიას ძეთაგან – ზაქარია.

²⁶მერარის ძენი: მახლი და მუში. იაყაზიას ძეთაგან: ბენო.

²⁷მერარის ძენი იაყაზიაჰუსგან: ბენო, შოჰამი, ზაქური და ყიბრი.

²⁸მახლისგან: ელეაზარი, რომელსაც ვაჟები არ ჰყოლია.



²⁹კიშისგან: კიშის ძე იერახმეელი.

³⁰მუშის ძენი: მახლი, ყედერი, იერიმოთი. ესენი არიან ლევიანები, თავ-თავიანთი მამისსახლების მიხედვით.

³¹მამისსახლთა თავკაცებმა უმცროსი ძმების თანასწორად ყარეს წილი თავიანთი ძმების – აარონიანების – მსგავსად, მეფე დავითის, ცადოკის, ახიმელექის, მღვდლებისა და ლევიანების მამისსახლთა თავკაცების წინაშე.

პირველი ნეშტა 25

¹დავითმა და მისი ჯარების მთავრებმა ამოირჩიეს ასაფის, ჰემანის და იედუთუნის ძენი განსაკუთრებული სამსახურისთვის, რომელთაც უნდა ეწინასწარმეტყველათ და დაკრათ ბოზღნებზე, ქნარებსა და წინწილებზე. აი მათი რიცხვი და მოვალეობა.

²ასაფის ძენი: ზაქური, იოსები, ნეთანია, ასარელა. ასაფის ძეთა ლოტბარი თვით ასაფი იყო. იგი წინასწარმეტყველებდა და უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა.

³იედუთუნისგან იყვნენ იედუთუნის ძენი: გედალია, ცერი, ესაია, ხაშაბია, მათითია, შიშა – ეს ექვსნი, თავიანთი მამის, იედუთუნის, ხელქვევით იყვნენ, რომელიც ბოზღანზე ასრულებდა უფლის ქება-დიდებას.

⁴ჰემანისგან – ჰემანის ძენი: ბუკია, მათანია, ყუზიელი, შებუელი, იერიმოთი, ხანანია, ხანანი, ელიათა, გიდალთი, რომამთი-ყეზერი, იოშბეკაშა, მალოთი, ჰოთირი, მახაზიოთი.

⁵ყველა ესენი იმ ჰემანის ძენი არიან, რომელიც მეფის ნათელმხედველი იყო, უფლის სიტყვების გამოსაცხადებლად და მისი დიდების რქის ასამაღლებლად. ღმერთმა ჰემანს 12 ვაჟი და სამი ასული მისცა.

⁶ყველა ესენი მათი მამის ლოტბარობით გალობდნენ უფლის სახლში წინწილებით, ქნარებით, ბოზღნებით, ღვთის სახლის მსახურებისათვის. ასაფი, იედუთუნი და ჰემანი უშუალოდ მეფისაგან იღებდნენ ბრძანებებს.

⁷უფლისათვის გალობაში განსწავლულთა და ყველა მცოდნეთა რიცხვი, თავიანთ ძმებთან ერთად 288 იყო.

⁸სამსახურის რიგზე წილი თანასწორად ყარეს, დიდმა და პატარამ, ოსტატმა და შეგირდმა.

⁹პირველი წილი ერგო ასაფს იოსებისთვის; მეორე – გედალიას; ის, მისი ძმები და შვილები თორმეტნი იყვნენ.

¹⁰მესამე – ზაქურს, მისი ძენი, და ძმები თორმეტნი იყვნენ.



- ¹¹მეოთხე – იეცერს, მისი ძენი და ძმანი – თორმეტნი იყვნენ.
- ¹²მეხუთე – ნეთანას, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ¹³მეექვსე – ბუკიას, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ¹⁴მეშვიდე – იესარელას, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ¹⁵მერვე – ესაიას, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ¹⁶მეცხრე – მათანას, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ¹⁷მეათე – შიმეყის, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ¹⁸მეთერთმეტე – ყაზარელს, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ¹⁹მეთორმეტე – ხაშაბიას, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ²⁰მეცამეტე – შუბაელს, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ²¹მეთოთხმეტე – მათითიას, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ²²მეთხუთმეტე – იერემოთს, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ²³მეთექვსმეტე – ხანანას, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ²⁴მეჩვიდმეტე – იოშბეკაშას, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ²⁵მეთვრამეტე – ხანანის, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ²⁶მეცხრამეტე – მალოთის, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ²⁷მეოცე – ელიათას, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ²⁸ოცდამეერთე – ჰოთირს, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ²⁹ოცდამეორე – გიდალთის, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ³⁰ოცდამესამე – მახაზიოთს, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.
- ³¹ოცდამეოთხე – რომამთი-ყეზერს, მისი ძენი და ძმანი თორმეტნი იყვნენ.

პირველი ნეშტა 26

- ¹კარისმცველთა დასები: კორახელთაგან: მეშელემია, კორეს ძე, ასაფის ძეთაგან.
- ²მეშელემიას ძენი იყვნენ: ზაქარია – პირმშო, იედიყაელი – მეორე, ზეზადია – მესამე, იათნიელი – მეოთხე,
- ³ყელამი – მეხუთე, იეჰოხანანი – მეექვსე, ელიეჰოყენაი – მეშვიდე.



- ⁴ყოზედ-ედომის ძენი: შემაყია – პირმშო, იეჰოზაბადი – მეორე, იოახი – მესამე, საქარი – მეოთხე, ნეთანელი – მეხუთე,
- ⁵ყამიელი – მეექვსე, ისაქარი – მეშვიდე, ფეყულთაი – მერვე, რადგან ღმერთმა აკურთხა იგი.
- ⁶მის ძეს, შემაყიას, ვაჟები ჰყავდა, რომლებიც მამისსახლს განაგებდნენ, ვინაიდან მაგარი ვაჟკაცები იყვნენ.
- ⁷შემაყიას ძენი იყვნენ: ყოთნი, რეფაელი, ყოზედი, ელზაბადი და მისი ძმები, მაგარი ხალხი, ელიჰუ და სემაქია.
- ⁸ყველანი ყოზედ-ედომის ძენი იყვნენ. ისინი თავიანთი ძეებიანად და ძმებიანად მაგარი ვაჟკაცები იყვნენ და სამსახურის გაწევის უნარი ჰქონდათ. ყოზედ-ედომს ასეთები სულ 62 ჰყავდა.
- ⁹მეშელემიას 18 ძე და ძმა ჰყავდა – მაგარი ვაჟკაცები.
- ¹⁰ხოსას, მერარის ერთ-ერთი ძეთაგანის, ვაჟები იყვნენ: უფროსი შიმრი იყო – თუმცა პირმშო არ ყოფილა – მამამისმა არგუნა მას უფროსობა;
- ¹¹ხილკია მომდევნო იყო, ტებალია – მესამე, ზაქარია – მეოთხე. ხოსას სულ 13 ძე და ძმა ჰყავდა.
- ¹²კარისმცველთა დასს, მოყმეთა თავკაცებს, დაევაღათ დაცვა, თავიანთ ძმებთან ერთად, უფლის სახლში სამსახურისთვის.
- ¹³ყველა კარიბჭეზე წილი ყარეს, როგორც დიდებმა, ისე პატარებმა, თავ-თავიანთი მამისსახლების მიხედვით.
- ¹⁴აღმოსავლეთის მხარე შელემიას ერგო წილად. მის ვაჟს, ზაქარიას, გონიერ მრჩეველს, უყარეს წილი და მას ჩრდილოეთის მხარე შეხვდა.
- ¹⁵ყოზედ-ედომს სამხრეთის მხარე ერგო, მის ძეებს – საკუჭნაოებთან.
- ¹⁶შუფიმსა და ხოსას დასავლეთის მხარე შეხვდათ, შალექეთის ჭიშკართან, საიდანაც გზა ადის და დაცვა დაცვის პირისპირ დგას.
- ¹⁷აღმოსავლეთით ექვსი ლევიანი იდგა, ჩრდილოეთით – დღეში ოთხი, სამხრეთით – დღეში ოთხი, საკუჭნაოებთან – ორ-ორი.
- ¹⁸ფარბარის დასავლეთით, გზაზე, ოთხნი იდგნენ, თავად ფარბართან – ორნი.
- ¹⁹აჰა, კორახისა და მერარის ძეების კარისმცველთა დასები,
- ²⁰ლევიანთაგან: ახია ღვთის სახლის საგანძურსა და შეწირული ნივთების საგანძურს დარაჯობდა.



²¹ლაყდანის ძენი, გერშონელთა შთამომავალნი ლაყდანისგან. ისინი იყვნენ მამისსახლთა თავკაცები იეხიელთაგან.

²²იეხიელის ძენი: ზეთამი და მისი ძმა იოელი უფლის ტაძრის საგანძურს დარაჯობდნენ²³ყამრამელებთან, იცჰარელებთან, ხებრონელებთან და ყუზიელებთან ერთად.

²⁴შებუელი ძე გერშომისა, მოსეს ძისა, საგანძურის მთავარი ზედამხედველი იყო.

²⁵მის ძმას, ელიყუზერს, ერთი ძე ჰყავდა – რეხაბია; მისი ძე იყო ესაია, მისი ძე იყო იორამი, მისი ძე იყო ზიქრი, მისი ძე იყო შელომითი.

²⁶ეს შელომითი თავისი ძმებითურთ დარაჯობდა მთელ შეწირულ განძეულს, რომელიც მეფე დავითმა, მამისსახლთა თავკაცებმა, ათასისთავებმა, ასისთავებმა და სარდლებმა შეწირეს.

²⁷ომის ნაალაფრიდან სწირავდნენ ისინი უფლის ტაძრის შესაკეთებლად.

²⁸ყველაფერი, რაც სამუელ მხილველმა, საულ კიშის ძემ, აზნერ ნერის ძემ, იოაბ ცერუიას ძემ შესწირეს, ყველა ეს შენაწირი შელომითისა და მისი ძმების ხელში იყო.

²⁹იცჰარელთაგან ქონანია და მისი ძენი ისრაელიანთა საგარეო სამსახურში იყვნენ განწესებულნი მოხელეებად და მსაჯულებად.

³⁰ხებრონელთაგან: ხაშაბია და მისი ძმები, მაგარი ვაჟკაცები, 1700 სული, დანიშნულნი იყვნენ ისრაელზე იორდანეს გაღმიდან დასავლეთამდე, უფლის ყოველგვარი საქმისათვის და მეფის ყოველგვარი სამსახურისათვის.

³¹ხებრონელებს იერია ხებრონელი ჰყავდათ თავკაცად, თავიანთ მოდგმასა და მამისსახლში, დავითის მეფობის მეორმოცე წელს გამოიკითხეს და მათ შორის მაგარი ვაჟკაცები აღმოაჩინეს გალაადის იაყზერში.

³²მათი ძმანი, მაგარი ვაჟკაცები, 2700 იყვნენ – მამისსახლის თავკაცი. დავით მეფემ ისინი რეუბენიანებში, გადელებში და მანაშეს ნახევარტომში გაამწესა ღვთისა და მეფის ყველა საქმეზე.

პირველი ნეშტა 27

¹ესენი არიან ისრაელიანები მათი რიცხვის მიხედვით, თავ-თავიანთ მამისსახლთა თავკაცები, ათასისთავები, ასისთავები და მათი მოხელეები, რომელნიც მეფეს ემსახურებოდნენ დასების ყველა საქმეში, მიდი-მოდიოდნენ ყოველთვიურად, წელიწადის ყოველ თვეში. თითოეული დასი

²⁴ ათასისგან შესდგებოდა.



- ²პირველ დასზე პირველი თვისთვის დადგენილი იყო იაშობეყამ ზაზდიელის ძე; მის დასში 24 ათასი იყო.
- ³იგი იყო ფერეცის შთამომავალი, პირველი თვის ყველა მხედართმთავრის უფროსი.
- ⁴მეორე თვის დასზე იყო დოდაი ახოხელი, მის დასშივე იყო მთავარი მიკლოთი. მის დასში 24 ათასი იყო.
- ⁵მესამე თვის მესამე მხედართმთავარი იყო ბენაია, იეჰოიადაყ მღვდლის ძე, მის დასშიც 24 ათასი იყო.
- ⁶ეს ბენაია ოცდაათ მოყმეთაგანი და მათი მეთაური იყო. მისი ძე ყამიზაზადიც მის დასში იყო.
- ⁷მეოთხე თვეში მეოთხე იყო ყასაელი, იოაბის ძმა. მის შემდეგ კი მისი ძე ზებადია. მის დასშიც 24 ათასი იყო.
- ⁸მეხუთე თვეში მეხუთე მხედართმთავარი იყო შამჰუთ იზრაახელი. მის დასშიც 24 ათასი იყო.
- ⁹მეექვსე თვეში მეექვსე იყო ყირა ყიკემის ძე, თეკოაყელი, მის დასშიც 24 ათასი იყო.
- ¹⁰მეშვიდე თვეში მეშვიდე იყო ხელეც ფელონელი, ეფრემის ძეთაგან. მის დასშიც 24 ათასი იყო.
- ¹¹მერვე თვეში მერვე იყო სიბეჟაი ხუშათელი, ზერახელთაგან. მის დასშიც 24 ათასი იყო.
- ¹²მეცხრე თვეში მეცხრე იყო აბიყეზერ ყანათოთელი, ბენიამინელთაგან. მის დასშიც 24 ათასი იყო.
- ¹³მეათე თვეში მეათე იყო მაჰარაი ნეტოფათელი, ზერახელთაგან. მის დასშიც 24 ათასი იყო.
- ¹⁴მეთერთმეტე თვეში მეთერთმეტე იყო ბენაია ფირყათონელი, ეფრემელთაგან, მის დასშიც 24 ათასი იყო.
- ¹⁵მეთორმეტე თვეში მეთორმეტე იყო ხელდაი ნეტოფათელი, ლოთნიელთაგან. მის დასშიც 24 ათასი იყო.
- ¹⁶ისრაელის შტოებზე: რეუბენის ძეთა წინამძღოლი იყო ელიყეზერ ზიქრის ძე; სიმეონიანთა – შეფატია მაყაქას ძე;
- ¹⁷ლევიანებისა – ხაშაბია კემუელის ძე; აარონიანთა – ცადოკი;
- ¹⁸იუდასი – ელიჰუ, დავითის ძმთაგანი; ისაქარისა – ყომრი, ძე მიქაელისა;



- ¹⁹ზებულუნისა – იშმაყია, ყოზადიაჰუს ძე; ნაფთალისა – იერიმოთი, ყაზრიელის ძე;
- ²⁰ეფრემის ძეთა – ჰოშეყ ყაზაზიას ძე, მანაშეს ნახევარტომისა – იოელ ფედაიას ძე;
- ²¹მანაშეს ნახევარტომისა გალაადში – იდო ზაქარიას ძე. ბენიამინისა – იაყასიელ აზნერის ძე;
- ²²დანისა – ყაზარელი, იეროხამის ძე. ესენი არიან ისრაელის ტომთა მთავარნი.
- ²³20 წლისანი და მის ქვემოთ არ აღურიცხავს დავითს, ვინაიდან უფალმა ისრაელს ცის ვარსკვლავებით გამრავლება აღუთქვა.
- ²⁴იოაბ ცერუიას ძემ დაიწყო აღრიცხვა, მაგრამ არ დაამთავრა. ამის გამო ისრაელს რისხვა დაატყდა. ეს აღრიცხვა დავით მეფის მატთანის აღრიცხვაშიც არ შეიტანეს.
- ²⁵სამეფო საუნჯეებზე დაყენებული იყო ყაზმავეთ ყადიელის ძე. ხოლო იმ საუნჯეებზე, რომლებიც მინდორში, ქალაქებსა და ციხესიმაგრეებში იყო – იონათან ყუზიას ძე.
- ²⁶მინდვრის სამუშაოების შემსრულებლებზე, მიწას რომ ამუშავებდნენ – ყეზრი, ქელუბის ძე.
- ²⁷ვენახეებზე – შიმეყი რამათელი, ყურძნისა და ღვინის მარაგებზე – ზაბდი შიფმელი;
- ²⁸ზეთისხილსა და სიკომოროებზე, დაბლობში რომ იყო – ბაყალ-ხანან გედერელი; ზეთის მარაგზე – იოყაში.
- ²⁹ხოლო იმ ნახირზე, შარონში რომ იმწყემსებოდა – შიტრაი შარონელი, ნახირზე ხეობებში – შაფატ ყადლაის ძე,
- ³⁰აქლემის ჯოგებზე – ობილ ისმაელიანი; სახედართა რემებზე – იეხდია მერონოთელი;
- ³¹ცხვრის ფარებზე – იაზიზ აგარელი. ყველა ესენი დავით მეფის ქონების მოურავები იყვნენ,
- ³²იონათანი, დავითის ბიძა, მრჩეველი იყო, კაცი გონიერი და მწიგნობარი. იეხიელი ხაქმონის ძე მეფისწულებთან იყო.
- ³³ახითოფელი მეფის მრჩეველი იყო; ხუშაი არქელი – მეფის მეგობარი იყო.
- ³⁴ახითოფელის შემდეგ იყვნენ იეჰოიადაყ ბენაიას ძე და აბიათარი. მეფის მხედართმთავარი იყო იოაბი.



პირველი ნეშტა 28

¹და შეყარა დავითმა იერუსალიმში ისრაელის ყველა მთავარი. შტოთა მთავარნი, დასების მეთაურები, მეფის სამსახურში მყოფნი, ათასისთავები, ასისთავები, მეფისა და მის ძეთა მთელი მამულებისა და ჯოგების მოურავები, მისი საჭურისნი და ყველა მაგარი ვაჟკაცი.

²და ფეხზე წამოდგა დავითი და თქვა: „ყური დამიგდეთ, ჩემო ძმებო და ჩემო ხალხო! გულით მეწადა ამეშენებინა მოსასვენებელი სახლი უფლის აღთქმის კიდობნისათვის, და ჩვენი ღმერთის კვარცხლბეკი, და მოვემზადე ასაშენებლად,

³მაგრამ ღმერთმა მითხრა: ‘სახლს ნუ ააშენებ ჩემს სახელზე, რადგან მეომარი კაცი ხარ და ბევრი სისხლი გაქვს დაღვრილი.’

⁴თუმცა უფალმა, ისრაელის ღმერთმა, მამაჩემის სახლიდან მე ამომირჩია, რათა მთელი ისრაელის მეფე გავმხდარიყავი საუკუნოდ. რადგან იუდა ამოირჩია მთავრად, იუდას სახლიდან კი მამაჩემის სახლი ამოირჩია, მამაჩემის ძეთაგან კი ჩემი გამეფება ინება მთელ ისრაელზე.

⁵ყველა ჩემს ვაჟს შორის კი, რადგან მრავალი შვილი მომცა უფალმა, ჩემი ძე სოლომონი ამოირჩია, რათა დამჯდარიყო უფლის სამეფოს – ისრაელის ტახტზე.

⁶და მითხრა: ‘შენი ძე, სოლომონი, ააშენებს ჩემს სახლსა და ეზოებს, რადგან იგი ჩემს ძედ ამოვირჩიე და მე ვიქნები მისი მამა.

⁷უკუნისამდე გავამყარებ მის სამეფოს, თუ იგი მტკიცედ დაიცავს ჩემს მცნებებს და რჯულდებს, როგორც დღემდე იცავდა.’

⁸ახლა კი მთელი ისრაელის უფლის კრებულის თვალწინ ჩვენი ღმერთის გასაგონად გეუბნებით: დაიცავით და გამოიკითხეთ უფლის, თქვენი ღმერთის, ყველა მცნება, რათა ამ სიმდიდრით სავსე მიწას დაეპატრონოთ და თქვენს შემდეგ თქვენს შვილებს დაუმკვიდროთ იგი საუკუნოდ,

⁹ხოლო შენ, სოლომონ, ძეო ჩემო, იცან მამაშენის ღმერთი და მთელი სულითა და გულით ემსახურე, რადგან ყოველთა გულის მხილველია უფალი და ყველა ფიქრისა და ზრახვის მცოდნეა. ძებნას თუ დაუწყებ მას, იპოვი კიდევ; ხოლო თუ მიატოვებ, ისიც სამუდამოდ მიგატოვებს.

¹⁰ახლა უყურე, რაკი უფალმა გამოგარჩია უფლის საწმიდრის აშენებლად, მტკიცედ იდექი და აკეთე.“



¹¹და მისცა დავითმა სოლომონს, თავის ძეს, გეგმა კარიბჭისა, მისი სახლებისა, საგანძურებისა, ქორედებისა, შიდა ოთახებისა და კიდობნის სახლისა.

¹²ასევე ყველაფრის გეგმა, რისი გაკეთებაც გულში ჰქონდა უფლის ტაძრის ეზოებისთვის, ირგვლივ განლაგებული ყველა ოთახისთვის, ღვთის სახლის საგანძურისა და შემოწირულობათა საგანძურისთვის.

¹³მღვდელთა და ლევიანთა დასებისთვის, უფლის ტაძრის სამსახურის ყველა საქმისთვის, უფლის ტაძრის მსახურების საჭირო მთელი ჭურჭლისთვის,

¹⁴ოქროულობა ოქროს წონით, ყველა სამსახურებელი ჭურჭლისთვის, ვერცხლის ყველა ჭურჭლისთვის, წონასთან ერთად, ყველა სამსახურებელი ჭურჭლისთვის.

¹⁵წონა ოქროს სასანთლეებისა და მისი ოქროს ლამპრებისა, თითოეული სასანთლისა და ლამპრების წონის აღნიშვნით; ასევე ვერცხლის სასანთლეები, მისი სასანთლეებისა და ლამპრების წონის აღნიშვნით, როგორც თითოეული სასანთლის მსახურებაში გამოყენების წესია.

¹⁶საკურთხი პურების ტაბლებისათვის საჭირო ოქროს წონა და ყველა სხვა ტაბლებისათვის, ასევე ვერცხლის ტაბლებისათვის.

¹⁷ხალასი ოქრო ჩანგლებისათვის, ჯამებისათვის, ოქროს ფიალებისათვის, თითოეული ფიალის წონის აღნიშვნით, აგრეთვე ვერცხლის ფიალებისათვის, თითოეული ფიალის წონის აღნიშვნით.

¹⁸საკმევლის სამსხვერპლოსათვის გაწმედილი ოქრო წონის აღნიშვნით, და გეგმა ეტლისა და ოქროს ქერუბიმებისა, გაშლილი ფრთებით რომ ფარავენ უფლის აღთქმის კიდობანს.

¹⁹„ეს ყველაფერი უფლის ხელით არის ჩაწერილი, – თქვა დავითმა, – მან ჩამაგონა შენების ყოველი წვრილმანი.“

²⁰და უთხრა დავითმა თავის ძეს, სოლომონს: „მტკიცედ იდექ და გამხნევდი, და შეუდექი საქმეს. ნუ შიშობ, და ნუ ძრწი, რადგან უფალი ღმერთი, ჩემი ღმერთი, შენთან არის, არ განგიდგება იგი და არ მიგატოვებს, ვიდრე არ შეასრულებ უფლის ტაძრის სამსახურის ყველა საქმეს.

²¹აჰა, მღვდელთა და ლევიანთა დასები, ღვთის სახლის ყოველგვარი სამსახურის გასაწევად. მხარში გიდგანან ყველა საქმეში ბეჯითნი და ყველა სამუშაოს მცოდნენი. მთავრები და მთელი ერი შენს ყველა ბრძანებაზეა.“

პირველი ნემტა 29



¹და უთხრა დავით მეფემ მთელ კრებულს: „სოლომონი, ჩემი ძე, რომელიც ღმერთმა ამოირჩია, ნორჩია და სუსტი, ეს საქმე კი ძალზე დიდია, რადგან ეს შენობა კაცისთვის კი არ არის, არამედ უფალი ღმერთისთვის.

²რაც შემეძლო, ყველაფერი მოვამზადე უფლის ტაძრისთვის: ოქრო – ოქროს ნივთებისათვის, ვერცხლი – ვერცხლის ნივთებისათვის, ბრინჯაო – ბრინჯაოს ნივთებისათვის, რკინა რკინეულისათვის, ძელი ძელეულისათვის, აგრეთვე ონიქსის ქვები, ბუდეებში ჩასმული ქვები, ლამაზი და ფერად-ფერადი ქვები, ყველანაირი ძვირფასი ქვები და უამრავი მარმარილოს ლოდები.

³ამასთან ერთად, ჩემი უფლის ტაძრის სიყვარულის გამო მაქვს საკუთარი ოქროსა და ვერცხლის საუნჯე, რომელსაც ღვთის სახლს ვწირავ, ყოველივე იმის გარდა, რაც წმიდა სახლისთვის მაქვს მომზადებული:

⁴3 ათასი ტალანტი ოქრო, ოფირის ოქრო, 7 ათასი ტალანტი გამოხურვებული ვერცხლი, სახლის კედლების მოსაპირკეთებლად,

⁵ოქროს ნივთებისათვის, ვერცხლის ნაკეთობებისათვის და ყველა საოქრომჭედლო საქმისთვის. კიდევ ვინ შესწირავს დღეს უფალს სავსე ხელით?“

⁶და გაიღეს შესაწირავი მამისსახლთა მთავრებმა, ისრაელის შტოთა მთავრებმა, ათასისთავებმა და მეფის მოურავებმა.

⁷და გამოიღეს უფლის ტაძრის სამსახურისთვის 5 ათასი ტალანტი ოქრო, 10 ათასი დრამა ოქრო, 10 ათასი ტალანტი ვერცხლი, 18 ათასი ტალანტი ბრინჯაო, 100 ათასი ტალანტი რკინა.

⁸ვისაც კი ძვირფასი ქვები აღმოაჩნდა, უფლის ტაძრის საგანძურისთვის ჩააბარეს იეხიელ გერშონელს.

⁹ხალხი ხარობდა შესაწირავის გამო, რადგან მთელი გულით სწირავდნენ უფალს, ასევე მეფე დავითიც დიდი სიხარულით ხარობდა.

¹⁰და აკურთხა დავითმა უფალი, მთელი კრებულის თვალწინ და თქვა დავითმა: „კურთხეულ ხარ, უფალო, ღმერთო ისრაელისა და ჩვენი მამების, უკუნითი უკუნისამდე!

¹¹შენია, უფალო, დიდება, ძლიერება, ქება, ძლევა და დიდებულება, ისევე როგორც ყოველივე ცასა და მიწაზე! შენია, უფალო, მეფობა, ყველაზე აღმატებული ხარ მთავრად!

¹²სიმდიდრე და დიდება შენგან მოდის, შენ განაგებ ყოველივეს, შენს ხელშია ძალა და ძლიერება, შენს ხელთაა ყოველივეს განდიდება და განმტკიცება.



13 აწ გაქებთ, ღმერთო ჩვენო, და ვადიდებთ შენს დიდებულ სახელს.

14 ვინა ვარ მე, ან ვინ არის ჩემი ერი, ამდენის შემოწირვა რომ შევიძელით? მაგრამ ყოველივე ეს შენგან არის, ეს ყოველივე შენი ხელით მოცემული შემოგწირეთ.

15 ვინაიდან მწირნი და ხიზანნი ვართ შენს წინაშე, ჩვენი მამების მსგავსად. აჩრდილივით არის ჩვენი დღენი ამ ქვეყნად, არაფერია საიმედო.

16 უფალო, ღმერთო ჩვენო! მთელი ეს სიმრავლე, რაც ჩვენ მოვამზადეთ, შენს წმიდა სახელზე სახლის ასაგებად, შენი ხელით არის მოცემული და შენია ყოველი.

17 ღმერთო ჩემო, ვიცი, რომ გულთამხილავი და სიმართლისმოყვარე ხარ. ეს ყველაფერი ჩემი წრფელი გულით შემოგწირე. ახლა კი გახარებულს ვხედავ აქ მყოფ შენს ხალხს, რომელიც შესაწირავს გიძღვნის.

18 უფალო, ღმერთო აბრაამისა, ისააკისა და ისრაელისა – ჩვენს მამათა – სამარადისოდ დაიცავი ეს შენი ხალხის გულის ფიქრები და ზრახვანი და შენსკენ წარმართე მათი გულები.

19 და სოლომონს, ჩემს ძეს, მიეცი მრთელი გული, რომ დაიცვას შენი მცნებები, შენი წესები და კანონები, რათა ყველაფერი გააკეთოს იმ შენობის ასაგებად, რომლისთვისაც მე დავიჭირე თადარიგი.“

20 და უთხრა დავითმა მთელ კრებულს: „აკურთხეთ უფალი, ღმერთი თქვენი!“ და აკურთხა მთელმა კრებულმა უფალი, თავის მამათა ღმერთი. და დაეცნენ და თაყვანი სცეს უფალსა და მეფეს.

21 მეორე დღეს შესწირეს უფალს მსხვერპლები, და სრულადდასაწველი აღუვლინეს: ათასი მოზვერი, ათასი ვერძი, ათასი კრავი, თავისი საღვრელით, და უამრავი მსხვერპლი მთელი ისრაელისათვის.

22 იმ დღეს დიდი სიხარულით ჭამდნენ და სვამდნენ უფლის წინაშე. მეორე დღეს კი სოლომონი გაამეფეს – დავითის ძე. უფლის წინაშე იგი წინამძღოლად სცხეს, ხოლო ცადოკი – მღვდლად.

23 და დაჯდა სოლომონი საუფლო ტახტზე მეფედ დავითის, მამამისის, ნაცვლად. წარმატებული იყო და მთელი ისრაელი ემორჩილებოდა მას.

24 ყველა მთავარი, მოყმე და მეფე დავითის ყველა ძე დაემორჩილა სოლომონ მეფეს.

25 და დიდად აღამაღლა უფალმა სოლომონი მთელი ისრაელის თვალში და ისეთი მეფური დიდება უბოძა, ისრაელის არც ერთ წინამორბედ მეფეს რომ არ ჰქონია.



²⁶და დავითი, იესეს ძე, მეფობდა მთელ ისრაელზე.

²⁷და ორმოც წელიწადს იმეფა მან ისრაელზე, აქედან შვიდი წელიწადი ხებრონში იმეფა, ვვ – იერუსალიმში.

²⁸და მოკვდა კეთილ სიბერეში, მამლარი წლებით, სიმდიდრითა და დიდებით. და მის ნაცვლად სოლომონი, მისი ძე, გამეფდა.

²⁹დავით მეფის საქმენი, ადრინდელნი და უკანასკნელნი, სამუელ მხილველის, ნათან წინასწარმეტყველის და გადი მხილველის სიტყვებშია აღწერილი.

³⁰მთელს მის მეფობასთან, მის სიქველესთან და იმ ამბებთან ერთად, რომლებიც თავად მას, ისრაელს და სხვა ქვეყანათა სამეფოებს გადახდა.



მეორე ნეშტა

მეორე ნეშტა 1

- ¹განმტკიცდა სოლომონი, დავითის ძე, თავის სამეფოში. უფალი, მისი ღმერთი, იყო მასთან და დიდად აღაზევა იგი.
- ²და მოუხმო სოლომონმა მთელ ისრაელს: ათისტავებს, ასისტავებს, მსაჯულებსა და მთელი ისრაელის ყველა წინამძღოლს, მამისსახლთა თავკაცებს.
- ³და გაემართნენ სოლომონი და მასთან ერთად მთელი კრებული იმ გორაკისაკენ, რომელიც გიბეონშია, რადგან იქ იყო სადღესასწაულო კარავი, მოსემ, უფლის მსახურმა, რომ გააკეთა უდაბნოში.
- ⁴ხოლო ღვთის კიდობანი დავითს კირიათ-იეყარიმიდან ჰქონდა გადმოტანილი იმ ადგილას, რომელიც მას მოუმზადა დავითმა, რადგან იერუსალიმში დადგა მისი კარავი.
- ⁵აგრეთვე ბრინჯაოს სამსხვერპლო, ბეცაღელმა, ხურის ძის ურის ძემ რომ გააკეთა, იქვე იყო, უფლის სავანის წინ. და მოძებნეს იგი სოლომონმა და კრებულმა.
- ⁶და იქ სოლომონმა უფლის წინაშე, ბრინჯაოს სამსხვერპლოზე, სადღესასწაულო კარვის წინ რომ არის, ათასი სრულადდასაწველი აღავლინა.
- ⁷იმ ღამეს გამოეცხადა ღმერთი სოლომონს და უთხრა: „ითხოვე, რა გინდა, რომ მოგცე.“
- ⁸და უთხრა სოლომონმა ღმერთს: „დიდად სწყალობდი მამაჩემს, დავითს, მის ნაცვლად კი მე გამამეფე.
- ⁹უფალო ღმერთო, ახლა აღსრულდეს შენი სიტყვა, დავითს, მამაჩემს, რომ უთხარი, რაკილა ქვიშასავით რიცხვმრავალ ხალხზე გამამეფე.
- ¹⁰ბარემ სიბრძნე და ცოდნაც მომეცი, რომ შევდიოდე და გამოვდიოდე ხალხის წინაშე, რადგან ვის შეუძლია განაგოს შენი ერი ესოდენ მრავალრიცხოვანი?“
- ¹¹და უთხრა უფალმა სოლომონს: „რაკი გულში ეს გქონდა და არ ითხოვე სიმდიდრე, ქონება, დიდება, შენი მტრების სული, და არც ხანგრძლივი სიცოცხლე ითხოვე, არამედ მხოლოდ სიბრძნე და ცოდნა გამომითხოვე სამართავად ჩემი ერისა, რომელზედაც მე გაგამეფე,



¹²გემლევა სიბრძნე და ცოდნა. და ისეთ სიმდიდრეს, ქონებასა და დიდებას მოგანიჭებ, რომლის მსგავსი არც შენს წინამორბედ მეფეებს ჰქონიათ და არც შენს შემდეგ ექნება ვინმეს.”

¹³გიბეონში რომ გორაკია, იქიდან ჩავიდა სოლომონი იერუსალიმში საკრებულო კარვიდან და მეფობდა ისრაელზე.

¹⁴და თავი მოუყარა სოლომონმა ეტლებსა და ცხენოსნებს, ჰყავდა 1400 ეტლი და 12 ათასი ცხენოსანი. და განალაგა ისინი ეტლების სადგომ ქალაქებში და იერუსალიმში, თავისთან.

¹⁵ოქრო-ვერცხლი ქვიშასავით ეყარა იერუსალიმში, ხოლო კედარი – სიკომორის ხესავით, დაბლობებში რომ იზრდება.

¹⁶სოლომონის ცხენები ეგვიპტიდან და კევედან იყო ამოყვანილი. მეფის ვაჭრები კევეში ყიდულობდნენ ფულით.

¹⁷ეტლები 600 ვერცხლად ამოჰყავდათ ეგვიპტიდან, ხოლო ცხენები – 150 ვერცხლად. ამავე ფასში მოჰქონდათ თავიანთი ხელით ხეთელთა და არამელთა მეფეებისთვისაც.

მეორე ნეშტთა 2

¹და ბრძანა სოლომონმა სახლის აშენება უფლის სახელზე და სამეფო სასახლისა თავისთვის.

²და აღრიცხა სოლომონმა 70 ათასი მტვირთავი, 80 ათასი ქვის მფლეთელი მთებში და 3600 მათი ზედამხედველი.

³და შეუთვალა სოლომონმა ხურამს, ცორის მეფეს: „როგორც დავითთან, მამაჩემთან, აკეთებდი და კედარის ხე-ტყეს უგზავნიდი მისი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, რომელშიც ის ცხოვრობდა, –

⁴აჰა, მე მსურს უფლის, ჩემი ღმერთის, სახელზე სახლი ავაშენო, მის საკურთხევლად, საკმევლის საკმევად, საწირი პურების მუდამჟამს მისართმევად, სრულადდასაწველის აღსავლენად დილა-სადამოს, შაბათობით, ახალ მთვარობასა და ჩვენი უფლის დღესასწაულებზე, რაც სამარადისოდ აკისრია ისრაელს.

⁵და ის სახლი, უფლისათვის რომ მსურს ავაშენო, დიდი უნდა იყოს, რადგან ჩვენი ღმერთი ყველა ღმერთებზე დიდია.

⁶ვის შესწევს ძალი, რომ უფლის სახლი ააშენოს, როცა უფალს ცანი და ცათა-ცათანი ვერ იტყვენ? ან მე ვინა ვარ, რომ შემემდლოს მისი სახლის აშენება? გარდა მის წინაშე, საკმევლის საკმევი ალაგისა?



⁷ახლა კი გამომიგზავნე ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის და მოწეულის, მეწამული და ლურჯი ფერის ნართების დამუშავების მცოდნე კაცი, ჩუქურთმის კვეთა რომ იცოდეს და იმუშაოს იმ ხელოსნებთან ერთად, იუდასა და იერუსალიმში რომ მყავს, რომლებიც დავითმა, მამაჩემმა, მოამზადა.

⁸ლიბანიდან გამომიგზავნე კედარის ხე-ტყე, კვიპაროსის და სანდალოზის მორები, რადგან ვიცი, რომ შენმა მსახურებმა იციან ლიბანის ხეების ჭრა და აპა, ჩემი ხალხი შენს ხალხთან ერთად იქნება,

⁹რათა უხვად დამიმზადონ ხე-ტყე, რადგან სახლი, მე რომ ვაშენებ, დიდებული და მშვენიერი უნდა იყოს.

¹⁰აპა, ვაძლევ ტყის მკაფავებს, შენს მუშებს, ხე-ტყეს რომ მიმზადებენ, 20 ათასი ქორ ხორბალს, 20 ათას ქორ ქერს, 20 ათას ბათ ღვინოსა და 20 ათას ბათ ზეთს.“

¹¹დაუპასუხა ხურამმა, ცორის მეფემ, წერილით, რომელიც გამოუგზავნა სოლომონს: „რაკი უფალს უყვარს თავისი ერი, ამიტომ დაგადგინა მის მეფედ.“

¹²კიდევ ეს მოსწერა ხურამმა: „კურთხეულ იყოს უფალი, ღმერთი ისრაელისა, რომელმაც შექმნა ცა და მიწა, რომელმაც მეფე დავითს ბრძენი, ჭკვიანი და გონიერი მე უბოძა, რომელიც აშენებს სახლს უფლისთვის და სამეფო სასახლეს თავისთვის.

¹³ახლა კი გიგზავნი ბრძენსა და გამოცდილ კაცს – ხურამ-აბის, ჩემს მრჩეველს,

¹⁴დანელი ქალის ძეს, მამით ცორელს, რომელმაც იცის ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, ქვის, ხის, მოწეულის და ლურჯი ნართების, სელისა და ყირმიზის დამუშავება; იცის ყოველგვარი ჩუქურთმის კვეთა, ყველა ჩანაფიქრის განსახორციელებლად, რაც კი დაევალება შენს ხელოსნებთან და ჩემი ბატონის, დავითის, ხელოსნებთან ერთად.

¹⁵ახლა გამოუგზავნოს ჩემმა ბატონმა ის ხორბალი, ქერი, ზეთი და ღვინო, თავის მსახურთ რომ შეჰპირდა.

¹⁶ჩვენ კი ლიბანში მოვჭრით ხე-ტყეს, რამდენიც დაგჭირდება, და ზღვაზე ტივებით დავაცურებთ იაფოსაკენ, იქიდან კი იერუსალიმს აზიდეთ.“

¹⁷და აღრიცხა სოლომონმა ყველა ხიზანი, ვინც კი ისრაელის ქვეყნად მამამისის, დავითის აღრიცხვის შემდეგ მოსულიყო, და აღმოჩნდა 153600 კაცი.



¹⁸მათგან 70 ათასი მტვირთავად გაამწესა, 40 ათასი – ქვის მფლეთელად მთაში, 3600 – ზედამხედველად, ხალხი რომ ემუშავებინათ.

მეორე ნეშტთა 3

¹და შეუდგა სოლომონი უფლის ტაძრის შენებას იერუსალიმში, მორიას მთაზე, სადაც უფალმა უჩვენა დავითს, მამამისს, იმ ადგილას, დავითმა რომ მოამზადა ორნან იებუსელის კალოზე.

²სოლომონი შენებას შეუდგა მეორე თვის მეორე დღეს, თავისი მეფობის მეოთხე წელს.

³აჰა, საფუძველი, რომელზედაც სოლომონმა ღვთის სახლის შენება დაიწყო: სიგრძით 60 წყრთა იყო, ძველი საზომით, სიგანით – 20 წყრთა.

⁴სტოა, სიგრძეზე რომ გასდევდა ტაძარს, მისი სიგანის შესაბამისად, 20 წყრთა იყო, სიმაღლით – 120. შიგნიდან ხალასი ოქროთი მოჭედა.

⁵კვიპაროსის ხის პანელები შემოაკრა დიდ დარბაზს, საუკეთესო ოქროთი მოფურცლა და ზედ ფინიკები და ჯაჭვები მოაჭედინა.

⁶ძვირფასი ქვებით დაამშვენა დარბაზი. ოქრო კი სულ ფარვაიმიული იყო.

⁷ოქროთი მოჭედა დარბაზი ძელები, ზღურბლები, კედლები და კარებები, კედლებზე ქერუბიმები ამოკვეთა.

⁸და გააკეთა წმიდათა წმიდა. მისი სიგრძე, სახლის სიგანის შესაბამისად, 20 წყრთა იყო, და სიგანეც 20 წყრთა და 600 ტალანტი საუკეთესო ოქროთი დაფარა იგი.

⁹ლურსმნები, წონით ხუთი შეკელი, ოქრო იყო. ქორედიც ოქროთი მოჭედა.

¹⁰წმიდათა წმიდაში გააკეთა ორი ქერუბიმის ქანდაკება და ოქროთი მოჭედა ისინი.

¹¹ქერუბიმების ფრთები სიგრძით 20 წყრთა იყო, ერთის ფრთა ხუთი წყრთა იყო და ოთახის კედელს სწვდებოდა, მეორე ფრთაც ხუთი წყრთა იყო, და მეორე ქერუბიმის ფრთას ეხებოდა.

¹²მეორე ქერუბიმის ფრთაც ხუთი წყრთა იყო, და დარბაზის კედელს ეხებოდა. მეორის ფრთაც ხუთი წყრთა იყო, და პირველი ქერუბიმის ფრთას ეხებოდა.

¹³ამ ქერუბიმების ფრთები 20 წყრთაზე იყო გაშლილი, ისინი ფეხზე იდგნენ და სახე დარბაზისაკენ ჰქონდათ მიქცეული.



¹⁴და გააკეთა ლურჯი ფარდა, მოწეული და მეწამული ნართისაგან, და ბისონისაგან, და ზედ ქერუბიმები გამოსახა.

¹⁵სახლის წინ ვი წყრთის სიმაღლის ორი სვეტი დადგა, თითოეულს თავზე ხუთწყრთიანი ბუღაური ედგა.

¹⁶და დაწნა ჯაჭვები და ბუღაურებზე მიამაგრა. გააკეთა 100 ბროწეული და ჯაჭვებზე ჩამოკიდა.

¹⁷ეს სვეტები ტაძრის წინ აღმართა, ერთი მარჯვნივ, ერთი მარცხნივ. მარჯვენას იაქინი დაარქვა, მარცხენას – ბოყაზი.

მეორე ნეშტა 4

¹და გააკეთა ბრინჯაოს სამსხვერპლო სიგრძით ²⁰ წყრთა, სიგანით ²⁰ წყრთა,

²და ჩამოსახა ბრინჯაოს ზღვა, სრულიად მრგვალი, კიდიტ კიდემდე ათი წყრთა იყო, სიმაღლე ხუთი წყრთა ჰქონდა, ვი წყრთა ლარი სწვდებოდა გარს.

³ეს ზღვა იდგა ხარების ქანდაკებებზე, რომლებიც ათ წყრთაზე ორ რიგად გარს ერტყმოდა მას და მასთან ერთ მთლიანობაში იყო ჩამოსხმული.

⁴იმ თორმეტ ხართაგან სამი ჩრდილოეთისკენ იყურებოდა, სამი – დასავლეთისკენ, სამი – სამხრეთისკენ, სამი – აღმოსავლეთისკენ. ზღვა ზედ ედგათ და გავები ყველას შიგნით ჰქონდათ მიქცეული.

⁵სისქე ერთი ნები ჰქონდა, პირზე კანტი შემოავლო თასივით; გაშლილ შროშანს მიემგვანებოდა; 3 000 ბათს იტევდა ის.

⁶და გააკეთა ათი საბანელი. ხუთი მარჯვენა ფრთაზე დადგა, ხუთი – მარცხენაზე, რომ მათში განბანილიყვნენ, – და სრულადდასაწველ საკლავსაც მასში ავლებდნენ. ხოლო ზღვა მღვდელთა განბანისთვის იყო განკუთვნილი.

⁷და გააკეთა ათი ოქროს სასანთლე მათი ფორმის შესაფერისი და ტაძარში დაალაგა – ხუთი მარჯვნივ და ხუთი – მარცხნივ.

⁸და გააკეთა ათი ტაბლა და ტაძარში დააწყო. – ხუთი მარჯვნივ და ხუთი – მარცხნივ. და გააკეთა ოქროს 100 ფიალა.

⁹და მოაწყო მღვდელთა ეზო, და დიდი ეზო, და ეზოს კარები, და ბრინჯაოთი მოჭედა ისინი.

¹⁰ზღვა მარჯვენა მხარეს დადგა, სამხრეთ-აღმოსავლეთით.



¹¹და გააკეთა ხურამმა ქვაბები, აქანდაზები და ფიალები. და მოამთავრა სოლომონის სამუშაო ღვთის სახლში.

¹²ორი სვეტი და სვეტებზე დასადგმელი ბუღაურები, და ორი ცხური ბუღაურებზე შემოსაკვრელად,

¹³და 400 ბროწეული ცხურებისთვის, ორ-ორი რიგი ბროწეულებისა ორთავე ცხურისათვის, სვეტებზე დასადგმელი, ბუღაურების მოსართავად.

¹⁴და გააკეთა კვარცხლბეკები, კვარცხლბეკებზე საბანლები დადგა.

¹⁵ერთი ზღვა და 12 ხარი მის ქვეშ.

¹⁶ქვაბები, აქანდაზები, ჩანგლები და ყველა სხვა ჭურჭელი, რაც კი ხურამმა სოლომონს გაუკეთა უფლის ტაძრისათვის, მზინვარე ბრინჯაოსა იყო.

¹⁷იორდანეს მიდამოებში ჩამოასხა ისინი მეფემ, თიხნარ ნიადაგზე, სუქოთსა და ცერედას შორის.

¹⁸და გააკეთა სოლომონმა ყველა ეს ჭურჭელი, ძალზე ბევრი, ისე, რომ არავინ იცოდა ბრინჯაოს წონა.

¹⁹და გააკეთა სოლომონმა ყველა ის ჭურჭელი, რაც კი ღვთის სახლშია: ოქროს სამსხვერპლო, ოქროსავე ტაბლები, რომლებზედაც საწინაშეო პურები ეწყო;

²⁰ხალასი ოქროს სასანთლებები და ლამპრები, რათა აენთოთ ისინი დაბირის წინ, წესისამებრ.

²¹ყვავილები, ლამპრები და მაშები ოქროსი იყო, ყველაფერი ხალასი ოქროსი,

²²დანები, ფიალები, კოვზები, საცეცხლურები – ხალასი ოქროსი. ასევე ტაძრის კარები: წმიდათა წმიდამი შესასვლელი შიდა კარებიც და ტაძრის საწმიდარში შესასვლელი კარებიც ოქროსი იყო.

მეორე ნეშტა 5

¹დაამთავრა ყველა საქმე, რასაც უფლის ტაძრისათვის აკეთებდა სოლომონი; და მოიტანა მამამისისგან შემოწირული: ვერცხლი, ოქრო და ყოველგვარი სხვა ჭურჭელი, და ღვთის სახლის საგანძურში დააწყო,

²მაშინ შეკრიბა სოლომონმა იერუსალიმში ისრაელის უზუცესობა და ტომთა ყველა თავკაცი, ისრაელიანთა მამისსახლთა თავკაცი, რომ გადმოესვენებინათ უფლის აღთქმის კიდობანი დავითის ქალაქიდან, ანუ სიონიდან.



- ³და შეიყარა სოლომონ მეფესთან მთელი ისრაელი სადღესასწაულოდ მეშვიდე თვეში,
- ⁴და მოვიდა ისრაელის მთელი უხუცესობა და ლევიაანებმა ასწიეს კიდობანი,
- ⁵და წაასვენეს კიდობანი და სადღესასწაულო კარავი და ყველა წმიდა ჭურჭელი, კარავში რომ ინახებოდა. და წაასვენეს ისინი მღვდლებმა და ლევიაანებმა.
- ⁶მეფე სოლომონი და მთელი ისრაელის კრებული, რომელიც მასთან შეიკრიბა კიდობნის წინ, მსხვერპლად სწირავდნენ ცხვრებსა და კურატებს, რომელსაც სათვალავი არ ჰქონდა.
- ⁷და დაასვენეს მღვდლებმა უფლის აღთქმის კიდობანი მისთვის განკუთვნილ ადგილზე ტაძრის დაბირში, წმიდათა წმიდაში, ქერუბიმთა ფრთებქვეშ,
- ⁸რადგან ფრთები ჰქონდათ გაშლილი ქერუბიმებს კიდობნის ადგილზე, და ზემოდან ფარავდნენ კიდობანს და მის კეტებს.
- ⁹კეტები იმ სიგრძისა იყო, რომ მითი ბოლოები კიდობანს სცდებოდა, დაბირის წინ, გარეთ კი არ ჩანდა, და დღემდე იქ არის ისინი.
- ¹⁰არაფერი არ იყო კიდობანში გარდა ორი ქვის დაფისა, მოსემ რომ ჩააწყო ხორების მთაზე, როცა კავშირი შეკრა უფალმა ისრაელიანებთან ეგვიპტიდან მათი გამოსვლის შემდეგ.
- ¹¹და გამოვიდნენ მღვდლები წმიდადან, რადგან ყველა იქ მყოფი მღვდელი განიწმიდა, განურჩევლად დასებისა;
- ¹²ასევე ყველა მგალობელი ლევიანი: ასაფი, ჰემანი, იედუთუნი, მათი ძენი და მათი ძმანი – სელით შემოსილნი, წინწილებით, ქნარებით, ებნებით სამსხვერპლოს აღმოსავლეთით მდგარნი, მათთანვე 120 მესაყვირე მღვდელი,
- ¹³ხმაშეწყობილნი იყვნენ მესაყვირენი და მგალობელნი, რათა ერთხმად ეგალობათ უფლისთვის და ედიდებინათ, და როცა იქუხა საყვირების და წინწილების ხმამ, უფლის ქებით: „რადგან კეთილია იგი, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი.“ მაშინ უფლის სახლი ღრუბელმა აავსო,
- ¹⁴და ვეღარ შეძლეს მღვდლებმა იქ დგომა და სამსახურის გაწევა ღრუბლის გამო, რადგან უფლის დიდებამ აავსო ღვთის სახლი.

მეორე ნეშტთა 6



- ¹მაშინ თქვა სოლომონმა: „ბნელში დავანება ინება უფალმა.
- ²სახლი აგიშენე სავანედ შენდა, სამყოფელი სამარადისო სამკვიდრებლად.”
- ³პირი ხალხისკენ იბრუნა მეფემ და აკურთხა ისრაელის კრებული. და ფეხზე იდგა მთელი ისრაელის კრებული.
- ⁴და თქვა: „კურთხეულ იყოს უფალი, ღმერთი ისრაელისა, რომელიც თავისი პირით ელაპარაკა დავითს, მამაჩემს, და თავისი ხელით შეასრულა, რასაც ამბობდა:
- ⁵‘იმ დღიდან, რაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოვიყვანე ჩემი ერი, ისრაელის არც ერთ ტომში არ ამირჩევია ქალაქი სახლის ასაშენებლად, რათა იქ დამკვიდრებულიყო ჩემი სახელი, და არც არავინ ამირჩევია ჩემი ერის, ისრაელის, წინამძღოლად,
- ⁶მხოლოდ იერუსალიმი ავირჩიე ჩემი სახელის დასამკვიდრებლად, და დავითი ავირჩიე ჩემს ერზე, ისრაელზე, დასადგენად.’
- ⁷გულში ჰქონდა მამაჩემს, დავითს, სახლის აშენება უფლის, ისრაელის ღმერთის, სახელზე.
- ⁸და უთხრა უფალმა მამაჩემს, დავითს: ‘კარგია, რომ გულში გაქვს ჩემს სახელზე სახლის აშენება,
- ⁹მაგრამ შენ არ ამიშენებ სახლს, არამედ შენი შვილი, შენი საზარდულიდან გამოსული, ის ააშენებს სახლს ჩემს სახელზე.’
- ¹⁰და დაამტკიცა უფალმა თავისი ნათქვამი სიტყვა. და აჰა, მე დავდექი მამაჩემის, დავითის, ადგილზე, ავედი ისრაელის ტახტზე, როგორც ნაბრძანები ჰქონდა უფალს, და უფლის, ისრაელის ღმერთის, სახელზე ავაშენე სახლი.
- ¹¹და დავასვენე იქ კიდობანი, რომელშიც უფლის აღთქმა ინახება, ისრაელიანთ რომ დაუდო.“
- ¹²და დადგა უფლის სამსხვერპლოს წინ მთელი ისრაელის კრებულისაჲკენ პირშექცევით და ხელები აღაჰყრო, –
- ¹³რადგან სოლომონმა გააკეთა ბრინჯაოს კვარცხლბეკი, სიგრძით ხუთი წყრთა, სიგანითაც ხუთი წყრთა, სიმაღლით სამი წყრთა, და შედგა მასზე, და მუხლი მოიყარა მთელი ისრაელის კრებულის წინაშე და ხელები აღაჰყრო ზეცისკენ,
- ¹⁴და თქვა: „უფალო, ღმერთო ისრაელისა! არ არსებობს შენი მსგავსი სხვა ღმერთი, არც ცაში და არც ქვეყნად, შენ ინახავ აღთქმასა და წყალობას შენს მსახურთა მიმართ, რომელნიც მთელი გულით დადიან შენს წინაშე.



¹⁵შენ შეუნახე სიტყვა შენს მსახურს, მამაჩემს დავითს, და დღეს შენმა ხელებმა აღასრულა, რაც შენს ბაგეებს ჰქონდა ნაბრძანები.

¹⁶ახლაც შეუნახე, უფალო, ღმერთო ისრაელისა, შენს მსახურს, მამაჩემს დავითს, შენი ნათქვამი სიტყვა, რომ უთხარი: ‘არ გამოგელევა მემკვიდრე ჩემს წინაშე, ისრაელის ტახტზე მჯდომი, ოღონდ შეინახონ შენმა შვილებმა წესი და რიგი და იარონ ჩემს წინაშე, როგორც შენ დადიოდი ჩემს წინაშე.’

¹⁷ახლაც მტკიცე იყოს, უფალო, ღმერთო ისრაელისა, შენი სიტყვა, შენს მსახურს, მამაჩემს, დავითს რომ უბრძანე.

¹⁸ნუთუ ნამდვილად იმკვიდრებს დედამიწაზე ღმერთი? აჰა, ვერ იტევენ მას ცანი და ცანი ცათანი, როგორღა დაიტევს ეს ჩემი აშენებული სახლი?

¹⁹მოხედე შენი მსახურის ლოცვა-ვედრებას, უფალო, ღმერთო ჩემო, ისმინე ღაღადი და ლოცვა, რომლითაც მოგმართავს შენი მსახური,

²⁰რომ თვალი გეჭიროს ამ სახლზე ღამით და დღისით, ამ ადგილზე, რომლის გამოც ნათქვამი გაქვს, აქ იქნებაო ჩემი სახელი, რომ ისმინო ლოცვა, რომელსაც იტყვის ამ ადგილას შენი მსახური.

²¹და ისმინე შენი მსახურისა და შენი ერის, ისრაელის, ვედრება, როცა დადგებიან ლოცვად ამ ადგილას, ისმინე შენს სამყოფელ ადგილზე ცათა შინა, ისმინე და შეგვიწყალე.

²²თუ შესცოდავს ვინმე თავის თვისტომს და ფიცით დააფიცებენ მას, და ეს ფიცი აღსრულდება შენს სამსხვერპლოსთან ამ სახლში,

²³მაშინ მოუსმინე ზეციდან და სამართალი გაუჩინე შენს მსახურთ, მტყუანი გაამტყუნე, რომ მის თავზე იყოს მისი საქციელი, მართალი კი გაამართლე, რომ მისი სიმართლისამებრ მიეზღას.

²⁴თუ დამარცხდება შენი ერი, ისრაელი, შენი მტრის მიერ, იმის გამო, რომ შეგცოდეს, მერე კი მოიქცევა შენსკენ, ქებას შეასხამს შენს სახელს და დაგიწყებს ლოცვა-ვედრებას ამ სახლში,

²⁵მოუსმინე ზეციდან და მიუტევე შეცოდება შენს ერს, ისრაელს; დააბრუნე იმ მიწაზე, რომელიც მის მამებს მიეცი.

²⁶როცა დაიკეტება ცა და აღარ იწვიმებს შეცოდების გამო, შენს წინაშე რომ ჩაიდინეს, და დაიწყებენ ლოცვას ამ ადგილას, განადიდებენ შენს სახელს, განერიდებიან ცოდვებს, რადგან უკვე დასჯილი გეყოლება ისინი,

²⁷მოუსმინე ზეციდან და მიუტევე შეცოდება შენს მსახურთ და შენს ერს, ისრაელს, რომ დააყენო სასიკეთო გზაზე, რომლითაც სიარული მართებთ, და აწვიმე წვიმა შენს მიწაზე, რომელიც სამკვიდრებლად მიეცი შენს ერს.



²⁸თუ შიმშილობა იქნება ქვეყანაზე, შავი ჭირი, მწველი ხორშაკი, სიყვითლე, კალია თუ მატლი, ან: თუ მტერი შემოადგება ქვეყანას მის კარიბჭეებს, ან: რაიმე უბედურება, თუ სნეულება,

²⁹ყოველი ლოცვა, ყოველი ვედრება ადამიანისგან და მთელი შენი ერისგან, ისრაელისგან, როდესაც ყველა გაიგებს თავის უბედურებას და ხელს გამოიწვდის ამ სახლისაკენ,

³⁰ისმინე ზეციდან, შენი სამყოფლიდან, და მიუტევე; მიაგე თითოეულს თავისი საქციელისამებრ შენ, რომელმაც უწყი მათი გულები, რადგან მხოლოდ შენ უწყი ადამიანთა გულები,

³¹რათა მუდამ შენი შიში ჰქონდეთ, ვიდრე ცხოვრობენ ამ მიწაზე, რომელიც ჩვენს მამებს მიეცი.

³²იმ უცხოელსაც უსმინე, რომელიც არ არის შენი ერიდან, ისრაელიდან, მაგრამ შორეული ქვეყნიდან მოვა შენი დიდი სახელის, მაგარი ხელის და შემართული მკლავის გამო, და მოვა და ილოცებს ამ ტაძართან.

³³ისმინე ზეციდან, შენი სამყოფელიდან, და შეუსრულე, რასაც შეგთხოვს უცხოელი, რომ მთელი ქვეყნის ხალხებმა გაიგონონ შენი სახელი და შიში მიეცეთ შენი ერის, ისრაელის, მსგავსად, რათა იცოდნენ, რომ შენი სახელი ჰქვია ამ სახლს, მე რომ ავაშენე.

³⁴როცა მტერთან საომრად გავა შენი ერი, დაადგება გზას, რომელზეც შენ დააყენებ, და დაიწყებს ლოცვას უფლისადმი ამ ქალაქისაკენ პირშემოქცეული, შენ რომ აირჩიე, და იმ სახლისაკენ, შენს სახელზე რომ ავაშენე,

³⁵მაშინ ისმინე ზეციდან მათი ლოცვა და ღაღადისი და სამართალი გაუჩინე.

³⁶როცა შეგცოდებენ, – რადგან არ არსებობს უცოდველი კაცი, – განურისხდები, მტრების ხელში ჩააგდებ და ტყვედ წაასხამენ მტრის ქვეყანაში, შორს იქნება თუ ახლოს,

³⁷გონს მოეგებიან იმ ქვეყანაში, სადაც იქნებიან ტყვედ, მოიქცევიან, შემოგლადებენ თავიანთი ტყვეობის ქვეყანაში, და იტყვიან: ‘შეგცოდეთ, დავაშავეთ, ბოროტება ჩავიდინეთ,’

³⁸და როცა მთელი სულითა და გულით მოიქცევიან შენსკენ მათი მტრების ქვეყანაში, რომელშიც ტყვედ წაასხეს, და დაიწყებენ ლოცვას იმ ქვეყნისაკენ პირმოქცეულნი, მათ მამებს რომ მიეცი, იმ ქალაქისაკენ, შენ რომ აირჩიე, იმ სახლისაკენ, მე რომ ავაშენე შენს სახელზე,

³⁹მაშინ ისმინე ზეციდან, შენი სამყოფლიდან, მათი ლოცვა-ვედრება, სამართალი გაუჩინე და მიუტევე შენს ერს, ისრაელს, რომელმაც შეგცოდა.



⁴⁰ახლა კი, ღმერთო ჩემო, თვალდია იყავ და ყურმახვილი ამ ადგილას ლოცვის მიმართ;

⁴¹ახლა კი დაიძარ, უფალო ღმერთო, შენი განსასვენებლისაკენ, შენი ძლიერების კიდობანთან ერთად! შეიმოსონ შენმა ძღვდლებმა, უფალო ღმერთო, ხსნა, და შენმა მადლიანებმა სიკეთით გაიხარონ.

⁴²უფალო ღმერთო! პირს ნუ შეაქცევ შენს ცხებულს, გაიხსენე დავითის, შენი მსახურის, მიმართ სიქველენი.“

მეორე ნეშტთა 7

¹როგორც კი დაასრულა სოლომონმა ლოცვა, ცეცხლი გადმოეშვა ზეციდან და შთანთქა სრულადდასაწველი და მსხვერპლები, და უფლის დიდებამ აავსო სახლი.

²ველარ შედიოდნენ ძღვდლები უფლის სახლში, რადგან უფლის დიდებით იყო სავსე უფლის სახლი.

³როცა დაინახეს ისრაელიანებმა სახლზე გადმოშავალი ცეცხლი და უფლის დიდება, პირქვე დაემხენ, ქვაფენილზე და თაყვანი სცეს, და მადლობდნენ უფალს, „რადგან კეთილია იგი, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!“

⁴და შესწირეს მსხვერპლი უფალს მეფემ და მთელმა ერმა.

⁵და შესწირა სოლომონმა 22 ათასი ხარი და 120 ათასი ცხვარი. ასე აკურთხეს მეფემ და მთელმა ერმა ღვთის სახლი,

⁶ძღვდლები თავ-თავიანთ სამსახურებელ ადგილებზე იდგნენ, ლევიანები კი მეფე დავითის მიერ გაკეთებული საუფლო საკრავებით აქებდნენ უფალს, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი, ისევე, როგორც დავითი აქებდა მათი მეოხებით; ძღვდლები საყვირებს აყვირებდნენ მათ გვერდით, და ფეხზე იდგა მთელი ისრაელი.

⁷და განწმიდა სოლომონმა უფლის ტაძრის შუა ეზოც, რადგან მიიტანა იქ სრულადდასაწველი და სამშვიდობო მსხვერპლის ლურთები, რადგან სოლომონის გაკეთებულმა ბრინჯაოს სამსხვერპლომ ველარ დაიტია სრულადდასაწველი და პურეულის ძღვენი და ლურთები.

⁸შვიდდღიანი დღესასწაული გადაიხადა მაშინ სოლომონმა. მთელი ისრაელი – დიდძალი ხალხი – შეიკრიბა ხამათიდან ვიდრე ეგვიპტის ხევამდე.

⁹მერვე დღეს გამართეს საზეიმო წვეულება, რადგან შვიდ დღეს ასრულებდნენ სამსხვერპლოს კურთხევას და შვიდ დღეს – დღესასწაულს.



¹⁰მეშვიდე თვის ოცდამესამე დღეს გაისტუმრა ხალხი თავ-თავიანთ კარვებში მხიარულნი და გულსავსენი იმ სიკეთის გამო, უფალმა რომ უყო დავითს, სოლომონს და ისრაელს – თავის ერს.

¹¹და დაასრულა სოლომონმა უფლის სახლი და სამეფო სახლი. და ყოველივე გულუხვად გაიღო უფლის ტაძრისა და თავისი სახლის წარმატებით ასაშენებლად.

¹²დამით გამოეცხადა უფალი სოლომონს და უთხრა: „შევსმინე შენი ლოცვა-ვედრება და ავირჩიე ეს ადგილი მსხვერპლის შესაწირ სახლად.

¹³თუ ცას დავხშავ და წვიმა აღარ მოვა, ან თუ კალიას დედამიწის გადაჭმას ვუბრძანებ, ან თუ შავ ჭირს მოვუვლენ ჩემს ერს,

¹⁴და ჩემი ერი, რომელიც ჩემი სახელით იწოდება, ქედს მოიდრეკს, ილოცებს, ძებნას დამიწყებს და შემობრუნდება თავისი უკეთური გზიდან, მაშინ ზეციდან მოვუსმენ, მივუტევებ ცოდვებს და განვკურნავ მათს ქვეყანას.

¹⁵ახლა თვალს დავიჭერ და ყურს მივაპყრობ ლოცვა-ვედრებას ამ ადგილიდან რომ აღევლინება.

¹⁶ახლა ავირჩიე და ვაკურთხე ეს სახლი ჩემი სახელის მარად სამკვიდრებლად. აქ იქნება ყოველ ცისმარე დღეს ჩემი თვალი და გული,

¹⁷თუ ივლი ჩემს წინაშე, როგორც მამაშენი, დავითი, დადიოდა, და ყველაფერს აღასრულებ, რაც ნაბრძანები მაქვს შენთვის, თუ დაიცავ ჩემს წესსა და სამართალს,

¹⁸განვამტკიცებ შენს სამეფო ტახტს, როგორც დავითს, მამაშენს, აღვუთქვი და ვუთხარი: არ გაგიწყდება-მეთქი ხელმწიფე ისრაელში.

¹⁹მაგრამ თუ განმიდგებით და მიატოვებთ ჩემს წესებსა და ბრძანებებს, მე რომ მოგეცით, შეუდგებით უცხო ღმერთებს და თაყვანს სცემთ მათ,

²⁰ამოვძირკვავ ისრაელიანთ ჩემი მიწიდან, რომელიც მათ მივეცი, და ამ სახლს, რომელიც განვწმიდე ჩემი სახელით, მოვიშორებ ჩემს თვალთაგან, საარაკოდ და სათრეველად გავხდი ყველა ხალხთა შორის.

²¹და ყველა, ვინც კი ჩაუვლის ერთდროს აღზევებულ ამ სახლს, გაოგნდება და იტყვის: ‘ასე რისთვის მოექცა უფალი ამ ქვეყანას და ამ სახლს?’

²²და უპასუხებენ: ‘რადგან დაივიწყეს უფალი, თავიანთი მამების ღმერთი, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოიყვანა ისინი, მოექიდნენ სხვადასხვა ღმერთებს, თაყვანს სცემდნენ მათ და ემსახურებოდნენ, ამიტომ დააწია მათ უფალმა ყველა ეს უბედურება.’“



მეორე ნეშტთა 8

- ¹ოცი წლის თავზე, როცა დაასრულა სოლომონმა უფლის ტაძრისა და თავისი სახლის შენება,
- ²გააშენა მან ის ქალაქებიც, რომლებიც ხურამმა მისცა მას, და ისრაელიანები ჩაასახლა იქ.
- ³და გაილაშქრა სოლომონმა ხამათ-ცობაზე და დაიპყრო იგი.
- ⁴გააშენა თადმორი უდაბნოში და ყველა ის სამარაგო ქალაქი, ხამათში რომ დააფუძნა.
- ⁵გააშენა ზემო ბეთ-ხორონი და ქვემო ბეთ-ხორონი, თავისი გალავნებით, კარიბჭეებითა და ხანდაკებით გამაგრებული ქალაქები;
- ⁶ბაყალათი და სამარაგო ქალაქები, რომლებიც კი ჰქონდა სოლომონს; საეტლო ქალაქები, ცხენოსანთა ქალაქები, და ყველაფერი, რისი გაშენებაც უნდოდა იერუსალიმში, ლიბანსა და მთელ თავის სახელმწიფოში.
- ⁷ყველა ხალხი, რომელიც დარჩა ხეთელთაგან, ამორეველთაგან, ფერიზელთაგან, ხიველთაგან და იებუსელთაგან, რომელიც არ იყო ისრაელიანთა მოდგმისა,
- ⁸და მათი შთამომავლები, მათ შემდეგ რომ დარჩნენ ქვეყანაში და არ გაუწყვეტიათ ისრაელიანთ, ბეგარაზე მომუშავეებად განაწესა სოლომონმა და ასე არიან დღემდე.
- ⁹ისრაელიანთაგან კი არავინ დაუყენებია სოლომონს თავის ბეგარაზე, რადგან მეომრებად ჰყავდა ისინი, თავის მცველთა მეთაურებად, თავისი ეტლებისა და მხედრების მეთაურებად.
- ¹⁰250 კაცი ჰყავდა მეფე სოლომონს ზედამხედველთა უფროსებად, რომელნიც ხალხს უძღვებოდნენ.
- ¹¹ფარაონის ასული სოლომონმა დავითის ქალაქიდან გადაიყვანა სახლში, რომელიც მას აუშენა, რადგან თქვა: „არ უნდა ცხოვრობდეს ჩემი ცოლი დავითის, ისრაელის მეფის, სახლში, რადგან წმიდაა ის ადგილი, სადაც უფლის კიდობანი შევიდა.“
- ¹²მაშინ დაიწყო სოლომონმა უფლისთვის სრულადდასაწველის შეწირვა უფლის სამსხვერპლოზე, რომელიც სტოასთან ააგო,
- ¹³რათა როგორც ეს ჩაწერილი იყო მოსეს რჯულში, მსხვერპლის ყოველდღიური აღვლენა; დაცვა შაბათებისა და ახალმთვარეობებისა და



წელიწადში სამი დღესასწაულისა: უფუარობის, შვიდეულთა და კარვობის ზეიმისა.

¹⁴დავითის, თავისი მამის მიერ დადგენილი წესის მიხედვით ჩააყენა მღვდელთა დასები მათს მსახურებაში, ლევიანები მათს სამსახურში, რათა სადიდებელი ეთქვათ და მღვდლებთან ერთად ემსახურათ ყოველდღიური მოვალეობის შესასრულებლად. ასევე ყველა კარს თავისი კარისმცველები მიუჩინა, თავ-თავისი დასების მიხედვით, რადგან ასე ბრძანა დავითმა, ღვთისკაცმა.

¹⁵არ უღალატიათ მეფის ბრძანებისათვის, რომელიც ეხებოდა მღვდლებსა და ლევიანებს, სხვა საქმეებსა და საგანძურებს.

¹⁶ასე ჰქონდა სოლომონს აწყობილი ყველა საქმე, საძირკვლის ჩაყრიდან დაწყებული, ვიდრე უფლის სახლი ბოლომდე არ გასრულდა.

¹⁷მაშინ წავიდა სოლომონი ზღვისპირეთში, ყეციონ-გებერსა და ელოთში, ედომის ქვეყანაში.

¹⁸ხურამმა თავის მსახურთა ხელით ხომალდები და თავისი ზღვისმცოდნე მსახურნი გაუგზავნა და ჩავიდნენ ისინი სოლომონის მსახურებთან ერთად ოფირში, და 450 ტალანტი ოქრო წამოიღეს იქიდან და მეფე სოლომონს მოუტანეს.

მეორე ნეშტთა 9

¹შებას დედოფალმა შეიტყო სოლომონის ამბავი და მოვიდა იერუსალიმში, რომ იგავებით გამოეცადა იგი. მოვიდა დიდძალი ამალით; აქლემებს მოჰქონდათ ნელსაცხებლები, უამრავი ოქრო და ძვირფასი თვლები; მოვიდა მასთან და ელაპარაკა ყველაფერზე, რაც გულში ჰქონდა სათქმელად.

²ყველა კითხვაზე გასცა პასუხი მეფემ. არაფერი იყო სოლომონისთვის ისეთი გაუგებარი, რომ პასუხი ვერ მიეცა.

³და დაინახა შებას დედოფალმა სოლომონის სიბრძნე; ნახა მისი აშენებული უფლის სახლი;

⁴მისი სუფრის სანოვაგე; მის მსახურთა საცხოვრებლები, მის მსახურთა პატივი და ჩაცმულობა; მისი მწდეები და მათი შესამოსელი; მისი კიბეები, რითაც ის უფლის სახლში ადიოდა, და გაოგნებული დარჩა.

⁵და უთხრა მეფეს: „მართალი ყოფილა, რაც ჩემს ქვეყანაში მქონდა გაგონილი შენზე და შენს სიბრძნეზე.



⁶სიტყვების არ მჯეროდა, ვიდრე თავად არ მოვედი და ჩემი თვალით არ ვიხილე: აჰა, თურმე ნახევარიც არ უთქვამთ ჩემთვის შენს უსაზღვრო სიბრძნეზე. ყველაფერს გადააჭარბა, რაც გაგონილი მქონდა.

⁷ბედნიერია შენი ხალხი. ბედნიერნი არიან შენი მსახურნი, მუდამ შენს წინაშე რომ ტრიალებენ და ისმენენ შენს სიბრძნეს.

⁸კურთხეულ იყოს უფალი, შენი ღმერთი, რომელმაც მოგისურვა, რათა მის ტახტზე დაესვი უფლის, შენი ღმერთის, მეფედ. შენი ღმერთის ისრაელისადმი სიყვარულის გამო დაგაყენა მასზე მეფედ, მის განსამტკიცებლად საუკუნოდ და სამართლისა და კანონის გასაჩენად.”

⁹და უბოძა მეფეს 120 ტალანტი ოქრო, დიდძალი ნელსაცხებელი და ძვირფასი ქვები. არ იყო ისეთი ნელსაცხებელი, შებას დედოფალს მეფე სოლომონისათვის რომ არ ებოძებინა.

¹⁰ხურამისა და სოლომონის მსახურებმა ოფირიდან ჩამოტანილ ოქროსთან ერთად სანდაზოლის ხეები და ძვირფასი ქვებიც ჩამოიტანეს.

¹¹და გააკეთა მეფემ სანდალოზის ხისაგან უფლის ტაძრისათვის და სამეფო სახლისათვის კიბეები; ებნები და ქნარები – მაგალობელთათვის, რის მსგავსიც მანამდე არასდროს უნახავთ იუდას ქვეყანაში.

¹²და უბოძა მეფე სოლომონმა შებას დედოფალს ყველაფერი მისთვის სასურველი, რაც კი მან ითხოვა, იმაზე მეტიც კი, რაც მან მოართვა მეფეს; და უკან გაბრუნდა ის და წავიდა თავის ქვეყანაში თავის მსახურებთანად.

¹³666 ტალანტი ოქრო შემოსდიოდა სოლომონს ყოველწლიურად.

¹⁴ამას გარდა მოგზაურებს, ვაჭრებს, არაბთა მეფეებსა და მხარეთა განმგებლებსაც შემოჰქონდათ ოქრო-ვერცხლი.

¹⁵და გააკეთა მეფე სოლომონმა 200 ფარი ოქროთი ნაჭედი. 600 შეკელი ოქრო დაიხარჯა თითოეულ ფარზე.

¹⁶და გააკეთა 300 პატარა ფარი ოქროთი ნაჭედი, 300 შეკელი ოქრო დაიხარჯა თითოეულ ფარზე. და დააწყო ისინი მეფემ ლიბანის ხე-ტყით ნაგებ სახლში.

¹⁷და გააკეთა მეფემ სპილოსძვლისაგან დიდი ტახტი და ხალასი ოქროთი მოჭედა.

¹⁸ექვსი საფეხური ჰქონდა ტახტს, ოქროს ფეხსადგამი ჰქონდა ტახტს მიდგმული, საჯდომის ორსავე მხარეს მკლავები ჰქონდა, ხოლო მკლავებს თითო ლომი ედგა გვერდით.

¹⁹ექვს საფეხურზე, აქეთ-იქით, 12 სხვა ლომი იდგა.



²⁰მეფე სოლომონის ყველა სასმისი ოქროსი იყო, ყველა ჭურჭელი ლიბანის ხე-ტყის სახლში რჩეული იყო. ვერცხლმა და ბრინჯაომ ფასი დაკარგა სოლომონის დროს,

²¹რადგან მეფის ხომალდები ხურამის მსახურებთან ერთად თარშიშისკენ მიცურავდნენ; თარშიშული ხომალდები სამ წელიწადში ერთხელ ბრუნდებოდნენ და მოჰქონდათ ოქრო-ვერცხლი და სპილოსძვალი; მოჰყავდათ ყაფუზუნები და ფარშევანგები.

²²და განდიდდა მეფე სოლომონი ქვეყნის ყველა მეფეზე მეტად თავისი სიმდიდრითა და სიბრძნით.

²³ამ ქვეყნად ყველა მეფე ესწრაფოდა სოლომონის ნახვას, რომ მოესმინა მისი სიბრძნე, რომელიც გულში ჩაუდო ღმერთმა.

²⁴და ყველას თავისი ძღვენი მოჰქონდა: ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, შესამოსელი, საჭურველი, ნელსაცხებლები, ცხენები და ჯორები ყოველწლიურად.

²⁵სოლომონს 4 ათასი თავლა ჰქონდა, ჰყავდა ეტლები და 12 ათასი ცხენოსანი, განლაგებული ჰყავდა ისინი ეტლების სადგომ ქალაქებსა და იერუსალიმში, თავისთან.

²⁶მისი ხელისუფლება ვრცელდებოდა ყველა მეფეზე ევფრატიდან ფილისტიმელთა ქვეყნამდე და ეგვიპტის საზღვრებამდე.

²⁷ვერცხლის ფასი უბრალო ქვის ფასს გაუთანაბრდა იერუსალიმში, ხოლო კედარისა – სიკომოროს ხეს, დაბლობებში რომ იზრდება.

²⁸სოლომონის ცხენები ეგვიპტიდან და ყველა ქვეყნიდან იყო მოყვანილი.

²⁹სოლომონის დანარჩენი ამბები – პირველნი და უკანასკნელნი – სწერია ნათან წინასწარმეტყველის მათიანეში, ახია შილოელის წინასწარმეტყველებაში, იეცდო მხილველის ხილვაში, იერობოყამ ნებატის ძეს რომ შეეხება.

³⁰და იმეფა სოლომონმა იერუსალიმში მთელს ისრაელზე 40 წელი.

³¹და განისვენა სოლომონმა თავის მამებთან და დამარხეს დავითის, მამამისის ქალაქში; მის ნაცვლად რეხოხოყამი, მისი ძე გამეფდა.

მეორე ნეშტა 10

¹და წავიდა შექემში რეხოხოყამი, რადგან შექემში იყო მისული მთელი ისრაელიანობა მის გასამეფებლად.



²როცა ეს ამბავი შეიტყო იერობოყამ ნებატის მემ, რომელიც ეგვიპტეში იმყოფებოდა, სადაც სოლომონ მეფისაგან იყო გაქცეული, უკან დაბრუნდა ეგვიპტიდან.

³შეუთვალეს და დაიბარეს იგი. და მოვიდა იერობოყამი და მთელი ისრაელი და ასე უთხრეს რეხოხოყამს:

⁴„უღელი დაგვიმძიმა მამაშენმა. ახლა შეგვიმსუბუქე ეს ძნელი სამუშაო და მძიმე უღელი, მამაშენმა რომ დაგვადგა, და დაგემორჩილებით.“

⁵ხოლო მან უთხრა მათ: „წადით და სამი დღის მერე მოდით ჩემთან.“ და წავიდა ხალხი.

⁶რჩევა ჰკითხა მეფე რეხოხოყამმა უხუცესებს, რომლებიც მამამისს, სოლომონს, ახლდნენ მის სიცოცხლეში, და უთხრა: „როგორ მირჩევთ, რა პასუხი გავცე ამ ხალხს?“

⁷ელაპარაკნენ მას და უთხრეს: „თუ კეთილი იქნები ამ ხალხისთვის, აამებ მათ და კეთილ სიტყვებს ეტყვი, მაშინ სამუდამოდ შენი მსახურნი იქნებიან ისინი.“

⁸არ დაუგდო ყური უხუცესების რჩევას, რაც ურჩიეს, და რჩევა მოყმეთ ჰკითხა, რომლებიც მასთან იყვნენ შეზრდილნი და ემსახურებოდნენ.

⁹და უთხრა მათ: „რას მირჩევთ, რა პასუხი გავცე მაგ ხალხს, რომ მეუბნებიან, შეგვიმსუბუქე მამაშენმა რომ უღელი დაგვადგაო?“

¹⁰და ელაპარაკნენ მოყმენი, მასთან რომ იყვნენ შეზრდილნი, და ურჩიეს: „ასე უთხარი იმ ხალხს, რომელიც გეუბნება: უღელი დაგვიმძიმა მამაშენმა და შენ უნდა შეგვიმსუბუქო; მამაჩემის წელზე მსხვილია-თქო ჩემი ნეკა თითი.“

¹¹ხომ დაგადგათ მამაჩემმა მძიმე უღელი, მე კი უფრო დაგიმძიმებთ მას! თუ მამაჩემი შოლტებითა გასჯიდათ, მე მორიელელებითდაგსჯით-თქო.“

¹²და მივიდნენ იერობოყამი და მთელი ხალხი მესამე დღეს რეხოხოყამთან, როგორც ნაბრძანები ჰქონდა მეფეს: „სამი დღის შემდეგ მოდითო ჩემთან.“

¹³და მკაცრი პასუხი გასცა მათ მეფემ: ყური არ ათხოვა მეფე რეხოხოყამმა უხუცესთა რჩევას.

¹⁴მოყმეთა რჩევისამებრ ელაპარაკა მათ და უთხრა: „ხომ დაგიმძიმათ მამაჩემმა უღელი, მე კიდევ უფრო დაგიმძიმებთ; ხომ შოლტებით გასჯიდათ მამაჩემი, მე მორიელელებით დაგსჯით.“



¹⁵არ შეიწყნარა მეფემ ხალხის სათხოვარი, რადგან ასეთი იყო ღვთის ნება, რათა აღსრულებულიყო უფლის სიტყვა, რაც ნათქვამი ჰქონდა იეროზოყამ ნებატის ძისათვის, ახია შილოელის პირით.

¹⁶და როცა დაინახა მთელმა ისრაელმა, რომ არ უსმინა მათ მეფემ, სიტყვა შეუბრუნა ხალხმა მეფეს და უთხრა: „რა წილი გვიდევს დავითში? რა მემკვიდრეობა გვაქვს იესეს ძისაგან? თქვენ-თქვენი კარვებისაკენ, ისრაელო! ახლა შენ მიხედუ შენს სახლს, დავით!“ და წავიდ-წამოვიდა ისრაელი თავ-თავის კარვებში.

¹⁷მხოლოდ იუდას ქალაქებში მცხოვრებ ისრაელის ძეებზე შერჩა მეფობა რეხობოყამს.

¹⁸და გაგზავნა მეფე რეხობოყამმა ჰადორამი, ხარკის ამკრებთა უფროსი, მაგრამ ქვით ჩაქოლეს ისრაელიანთ, და მოკვდა იგი. მაშინ სასწრაფოდ შეხტა მეფე რეხობოყამი ეტლზე და იერუსალიმში გაიქცა.

¹⁹და განუდგა ისრაელი დავითის სახლს და ასეა დღემდე.

მეორე ნეშტთა 11

¹და მივიდა რეხობოყამი იერუსალიმში და შეჰყარა იუდას და ბენიამინის მთელი სახლი – 180 ათასი რჩეული მეომარი, რათა შებრძოლებოდნენ ისრაელს რეხობოყამისათვის მეფობის დასაბრუნებლად.

²და გამოეცხადა უფლის სიტყვა შემაყიას, ღვთისკაცს:

³„უთხარი რეხობოყამს, სოლომონის ძეს, იუდას მეფეს, მთელ ისრაელს და ბენიამინის მთელ სახლს:

⁴ასე ამბობს-თქო უფალი: ‘ნუ გახვალთ საომრად თქვენს ძმებთან! თავ-თავის სახლში გაბრუნდეს ყველა, რადგან ჩემი ნებით მოხდა ეს ამბავი.’“ და ისმინეს უფლის სიტყვა და იეროზოყამთან საომრად გასულნი უკან გაბრუნდნენ.

⁵რეხობოყამი იერუსალიმში ცხოვრობდა და ციხესიმაგრეებად აქცია ქალაქები იუდაში.

⁶მან გაამაგრა: ბეთლემი, ყეტამი და თეკოაყი,

⁷ბეთ-ცური, სოქო, ყადულამი,

⁸გათი, მარეშა, ზიფი,

⁹ადორაიმი, ლაქიმი, ყაზეკა,



- ¹⁰ცორყა, აიალონი, ხებრონი – გამაგრებული ქალაქები – იუდასა და ბენიამინს რომ ეკუთვნოდა.
- ¹¹და გაამაგრა ეს ციხესიმაგრეები, და ჩააყენა მათში წინამძღოლნი და მისცა სურსათ-სანოვავის, ზეთისა და ღვინის მარაგი.
- ¹²და ყველა ქალაქს ფარ-შუბები ჩამოურიგა და ძლიერ გაამაგრა. მის ხელში იყო იუდა და ბენიამინი.
- ¹³მღვდლები და ლევიანები, ვინც კი იყო მთელს ისრაელში, თავ-თავიანთი საზღვრებიდან შეუდგნენ მას.
- ¹⁴ვინაიდან ტოვებდნენ ლევიანები თავიანთ სანახებს, სამფლობელოებს და მიდიოდნენ იუდაში და იერუსალიმში, რადგან იეროხოყამი და მისი ძენი უშლიდნენ მათ უფლის მღვდლობას.
- ¹⁵და დაიყენა იეროხოყამმა მღვდლები გორაკებზე, ციკნებისათვის და ხბორებისთვის, თვითონ რომ გააკეთებინა.
- ¹⁶მათ მიჰყვნენ ისრაელის ყველა ტომიდან, ვინც გულით ეძებდა უფალს, ისრაელის ღმერთს. ისინი მოვიდნენ იერუსალიმში, რომ მსხვერპლი შეეწირათ უფლისათვის, თავიანთი მამების ღმერთისათვის.
- ¹⁷და გაამაგრეს იუდას სამეფო და სამ წელიწადს მხარს უჭერდნენ რეხოხოყამს, სოლომონის ძეს, რადგან ამ სამ წელიწადს დადიოდა იგი დავითისა და სოლომონის გზით.
- ¹⁸რეხოხოყამმა ცოლად შეირთო მახალათი, რომლის მამა იყო იერიმოთ დავითის ძე, დედა კი – ელიაბ იესეს ძის ასული აბიხაილი.
- ¹⁹და შეეძინა მას ვაჟები: იეყუში, შემარია და ზაჰამი.
- ²⁰მის შემდეგ შეირთო მაყაქა, აბესალომის ასული, რომელმაც მას უშვა: აბია, ყათაი, ზიზა, შელომითი.
- ²¹რეხოხოყამს ყველა თავის ცოლზე და ხარჭაზე მეტად უყვარდა მაყაქა, აბესალომის ასული (მას 18 ცოლი და 60 ხარჭა ჰყავდა. და შეეძინა 28 ვაჟი და 60 ქალი).
- ²²და დააყენა ძმებში უფროსად რეხოხოყამმა აბია, მაყაქას ვაჟი, რადგან მისი გამეფება ეწადა.
- ²³გონივრულად მოიქცა და ყველა თავისი შვილი იუდასა და ბენიამინის ყველა კუთხეში და ყველა გამაგრებულ ქალაქში ჩაასახლა. და უხვად მისცა სარჩო და მრავალი ცოლი შერთო.

მეორე ნეშტა 12



- ¹როცა განმტკიცდა რეხოზოყამის მეფობა და გაძლიერდა, მაშინ მიატოვა მან უფლის რჯული და მასთან ერთად მთელმა ისრაელმა.
- ²რეხოზოყამის მეფობის მეხუთე წელს წამოვიდა შიშაკი, ეგვიპტის მეფე, იერუსალიმზე, რადგან შესცოდეს უფალს.
- ³მოვიდა 1200 ეტლით, 60 ათასი მხედრით, ურიცხვი ხალხით ეგვიპტიდან: ლიბიელები, სუქიმელები და ქუშელები,
- ⁴აიღო მან იუდას გამაგრებული ქალაქები და იერუსალიმს მიაღგა.
- ⁵მაშინ წინასწარმეტყველი შემაყია მივიდა რეხოზოყამთან და იერუსალიმში თავშეყრილ იუდას მთავრებთან, რომლებიც შიშაკს გაექცნენ და უთხრა მათ: „ასე ამბობს უფალი: რაკი თქვენ მიმატოვეთ, ახლა მეც მიგატოვებთო შიშაკის ხელში.“
- ⁶და დამორჩილდნენ ისრაელის მთავრები და მეფე და თქვეს: „მართალია უფალი!“
- ⁷და როცა დაინახა უფალმა, რომ დამორჩილდნენ, გამოეცხადა უფლის სიტყვა შემაყიას და უთხრა: „დამორჩილდნენ ისინი, აღარ მოვსპობ, სულ მალე გამოვიხსნი და აღარ დაატყდება იერუსალიმს ჩემი რისხვა შიშაკის ხელით.
- ⁸მაგრამ მისი ყმები გახდებიან, რათა იცოდნენ, როგორია ჩემი ყმოზა და ამქვეყნიური მეფეების ყმოზა.“
- ⁹და მოვიდა შიშაკი, ეგვიპტის მეფე, იერუსალიმში და წაიღო უფლის ტაძრისა და სამეფო სახლის განმეულობა, ყველაფერი წაიღო, წაიღო ოქროს ფარებიც, სოლომონმა რომ გააკეთა.
- ¹⁰და გააკეთა მეფე რეხოზოყამმა მათ ნაცვლად ბრინჯაოს ფარები და ჩააბარა მცველთა უფროსებს, რომელნიც სამეფო სახლის შესასვლელს დარაჯობდნენ.
- ¹¹და ყოველთვის, როცა მეფე უფლის სახლში შედიოდა, მცველები მოაცილებდნენ ამ ფარებით და მერე ისევ აბრუნებდნენ მცველთა ოთახში.
- ¹²და რაკი დამორჩილდა, გაბრუნდა უფლის რისხვა მისგან და საბოლოოდ აღარ დაღუპა იგი. იუდაშიც კეთილი ამბები იყო.
- ¹³და განმტკიცდა მეფე რეხოზოყამი იერუსალიმში. 41 წლისა იყო რეხოზოყამი, როცა გამეფდა, და 17 წელიწადს მეფობდა იერუსალიმში, ქალაქში, რომელიც უფალმა თავისი სახელის სამკვიდრებლად ამოირჩია ისრაელის ყველა ტომში. დედამისი იყო ნაყამა, ყამონელი.



¹⁴რეხოზოყამი ბოროტებას აკეთებდა, რადგან მთელი თავგამოდებით არ ეძებდა უფალს.

¹⁵რეხოზოყამის პირველი და უკანასკნელი ამბები ჩაწერილია წინასწარმეტყველ შემაყიასა და ყიდო მხილველის მატთანში, საგვარტომო ნუსხის მიხედვით; აგრეთვე ის ბრძოლები, რაც რეხოზოყამსა და იეროზოყამს შორის წარმოებდა მთელი მათი სიცოცხლის მანძილზე.

¹⁶და განისვენა რეხოზოყამმა თავის მამებთან, და დამარხეს დავითის ქალაქში; მის ნაცვლად მისი ძე, აბია, გამეფდა.

მეორე ნეშტა 13

¹იეროზოყამის მეფობის მეთვრამეტე წელს აბია გამეფდა იუდაზე.

²იგი სამ წელიწადს მეფობდა იერუსალიმში, დედამისი იყო მიქაია, ურიელის ასული, გიბეყადან. და იყო ომი აბიასა და იეროზოყამს შორის.

³აბიამ ომში მამაც მეზრძოლთაგან 400 ათასი რჩეული ვაჟკაცი გამოიყვანა. იეროზოყამი კი მათ წინააღმდეგ საომრად 800 ათასი რჩეული მეომრით გამოვიდა.

⁴და დადგა აბია ცემარაიმის მწვერვალზე, ეფრემის მთებში რომ არის, და თქვა: „მისმინეთ, იეროზოყამ და მთელი ისრაელი!

⁵განა არ იცით, რომ უფალმა, ისრაელის ღმერთმა, დავითსა და მის ძეებს საუკუნო აღთქმით მისცა მეფობა ისრაელზე საუკუნოდ?

⁶და მაინც აღდგა იეროზოყამ ნებატის ძე, დავითის ძის, სოლომონის მსახური, და გაილაშქრა თავისი ბატონის წინააღმდეგ.

⁷და შემოიკრიბა თავის ირგვლივ უღირსი, უგვანი ხალხი, და გამაგრდნენ რეხოზოყამის, სოლომონის ძის წინააღმდეგ. რეხოზოყამი ყმაწვილი იყო და გულდელადი, ამიტომ ვერ გაუძლო მათ.

⁸ახლა თქვენ ფიქრობთ, გაუმკლავდეთ უფლის სამეფოს, რომელიც დავითის ძეთა ხელშია? თქვენ ჩვენზე ბევრად მეტნი ხართ და თქვენთან არის ოქროს ხბორები, იეროზოყამმა რომ ღმერთებად დაგიყენათ.

⁹განა თქვენ არ გამორეკეთ უფლის მღვდლები – აარონის ძენი და ლევიალები? განა თქვენ არ იყავით, რომ სხვა ქვეყნების ხალხთა მსგავსად მღვდლები გაიჩინეთ? ყველა, ვინც თავის საკურთხებლად მოდის ხბოთი და შვიდი ვერძით, ცრულმერთის მღვდელი ხდება.

¹⁰ჩვენ კი უფალი, ჩვენი ღმერთი, გვყავს. არ მიგვიტოვებია იგი. მღვდლები უფალს ემსახურებიან, აარონის ძენი და ლევიალები საქმეზე დგანან.



¹¹დილა-სადამოს უფლისთვის სრულადდასაწველს აღავლენენ, სურნელებას აკმევენ, შესაწირ პურს სუფთა ტაბლაზე აწყობენ, ანთებენ ლამპრებს ოქროს სასანთლეებზე, ღამ-ღამობით რომ ენთოს, რადგან უფლის, ჩვენი ღმერთის მცნებებს ვასრულებთ, თქვენ კი მიატოვეთ ისინი.

¹²აჰა, ღმერთი და მისი მღვდლები ჩვენთან არიან და სათავეში გვიდგანან, მომარჯვებული გვაქვს მჭექარე საყვირები თქვენს წინააღმდეგ დასაჭექებლად; ისრაელის ძენო! არ გაბედოთ უფალთან, თქვენი მამების ღმერთთან ბრძოლა, რადგან არ მოგემართებათ ხელი.”

¹³ამასობაში იერობოყამმა უკან ჩაუსაფრა ხალხი; თვით იუდაელთა წინ იყვნენ, საფარი კი მათ უკან ეყენათ.

¹⁴თვალი მოავლო იუდამ, და აჰა, წინიდან და უკნიდან ომია გაჩაღებული. მაშინ მოუხმეს მათ უფალს და მღვდლებმაც ჩაჰბერეს საყვირებს.

¹⁵საომარი კიჟინა დასცეს იუდაელებმა. და როდესაც კიჟინა დასცეს, ღმერთმა დაამარცხა იერობოყამი და მთელი ისრაელი აბიასა და იუდას წინაშე.

¹⁶და გაექცნენ ისრაელიანები იუდას, მაგრამ ღმერთმა მათ ხელში ჩაყარა ისინი.

¹⁷და სძლია მათ აბიამ და მისმა ხალხმა დიდი ძლევით, 500 ათასი მკვდარი დაეცა ისრაელის რჩეულ ვაჟკაცთაგან.

¹⁸და მოდრკნენ ისრაელიანები, ხოლო იუდაელები კი გაძლიერდნენ, რადგან მინდობილნი იყვნენ უფალს, თავიანთი მამების ღმერთს.

¹⁹და გაედევნა აბია იერობოყამს და წაართვა ქალაქები: ბეთელი თავისი დაბებით, იეშანა თავისი დაბებით, ყეფრონი თავისი დაბებით.

²⁰და ველარ მოიკრიბა იერობოყამმა ძალა აბიას დღეებში, და დაჰკრა მას უფალმა და მოკვდა იგი.

²¹აბია კი განმტკიცდა და 14 ცოლი შეირთო. და შეეძინა 22 ძე და 16 ასული.

²²აბიას დანარჩენი ამბები, საქმეები და მისი სიტყვები აღწერილია ყიდო წინასწარმეტყველის წიგნში.

მეორე ნეშტა 14

¹და განისვენა აბიამ თავის მამებთან, და დამარხეს დავითის ქალაქში; მის ნაცვლად ასა გამეფდა, მისი ძე. ასას დროს ათ წელიწადს მოსვენებული იყო იუდას ქვეყანა.



- ²კეთილად იქცეოდა და სწორად იქცეოდა ასა უფლის, თავისი ღმერთის, თვალში:
- ³მოშალა უცხო ღმერთების სამსხვერპლოები და მაღლობები, შემუსრა ქანდაკებები და აჩეხა აშერები.
- ⁴და უთხრა იუდას, გამოეძია უფალი, თავისი მამების ღმერთი, და შეესრულებინა მისი რჯული და მცნებები.
- ⁵და გააუქმა იუდას ყველა ქალაქში სამსხვერპლო მაღლობები და მზის სვეტები. და მოისვენა სამეფომ მის ხელში.
- ⁶და ააგო იუდაში გამაგრებული ქალაქები, რადგან მოსვენებული იყო ქვეყანა და არც ომი ჰქონია იმ წლებში, რაკი უფალმა სიმშვიდე მისცა.
- ⁷და უთხრა იუდას: „ავაშენოთ ეს ქალაქები და გარს გალავნები, კოშკები, კარიბჭეები და ბურჯები შემოვაგლოთ. ქვეყანა კვლავ ჩვენს ხელშია, რადგან გამოვიძიეთ უფალი, ჩვენი ღმერთი. გამოვიძიეთ და ირგვლივ სიმშვიდე გვიბოძა.“ და დაიწყეს შენება და ხელი მოემართათ.
- ⁸ასას ჯარი ჰყავდა: 300 ათასი ფარითა და შუბით შეიარაღებული კაცი იუდადან და 240 ათასი ფარით შეიარაღებული და მშვილდოსანი კაცი ბენიამინიდან. ყველანი მაგარი ვაჟკაცები იყვნენ.
- ⁹და წამოვიდა მათ წინააღმდეგ ზერახ ქუშელი ათასჯერ ათასიანი ჯარით, 300 ეტლით და მარეშას მოადგა.
- ¹⁰და გამოვიდა ასა მის წინააღმდეგ საომრად და დაეწყვნენ ცეფათას ხეობაში, მარეშას ახლოს.
- ¹¹და უხმო ასამ უფალს, თავის ღმერთს, და უთხრა: „უფალო, განა შენგან არ არის შეწევნა ძლიერისა და უძლურისა? შეგვეწიე, უფალო, ღმერთო ჩვენი, რადგან შენზე ვართ მონდობილნი და შენი სახელით გამოვედით ამ ურდოს წინააღმდეგ. უფალო, შენ ღმერთი ხარ ჩვენი, ვერ გაგიძლებს კაცი!“
- ¹²და შემუსრა უფალმა ქუშელნი ასასა და იუდას წინაშე და გაიქცნენ ქუშელნი.
- ¹³და გაედევნენ ასა და მასთან მყოფი ხალხი, გერარამდე. და დაეცნენ ქუშელნი, არავინ გადარჩენილა ცოცხალი, რადგან გატყდნენ უფლის წინაშე და მისი მხედრობის წინაშე; და დიდძალი ნადავლი იგდო იუდამ ხელთ.
- ¹⁴და გაანადგურეს ქალაქები გერარის ირგვლივ, რადგან უფლის შიშმა მოიცვა ის მხარე. და გაძარცვეს ყველა ქალაქი იუდაელებმა, რადგან იქ ბევრი იყო საალაფო.



¹⁵პირუტყვის სადგომებიც გაანადგურეს, და უამრავი ცხვარი და აქლემი გამოირეკეს და იერუსალიმში დაბრუნდნენ.

მეორე ნეშტა 15

¹მაშინ ყაზარია ყოდედის ძეზე გადმოვიდა ღვთის სული,

²და გამოეგება იგი ასას და უთხრა: „მისმინეთ, ასავ, მთელი იუდაც და ბენიამინო, უფალი თქვენთან არის, როცა თქვენ მასთან ხართ. თუ ძებნას დაუწყებთ მას, იპოვით; თუ თქვენ მიატოვებთ, ისიც მიგატოვებთ.

³დიდხანს იყო ისრაელი ჭეშმარიტი ღმერთის გარეშე, დამმოდღვრავი მღვდლისა და რჯულის გარეშე.

⁴გასაჭირში იყო და მოუხმო უფალს, ისრაელის ღმერთს. და ეძებდნენ მას და აპოვნინა თავი.

⁵იმ ხანებში არ ჰქონდა მშვიდობა არც გამომსვლელს და არც შემსვლელს, რადგან დიდი შფოთი იყო ატეხილი იმ ქვეყნების მთელ მოსახლეობაში.

⁶ხალხი ხალხს ებრძოდა, ქალაქი – ქალაქს, რადგან ღმერთმა შეაშფოთა ისინი ყოველგვარი უბედურებით.

⁷თქვენ კი განმტკიცდით და მხრებს ნუ ჩამოყრით, რადგან თქვენი საქმისამებრ მოგეზღვებათ.“

⁸ხოლო როცა ასამ მოისმინა ეს სიტყვები და აზარია, ყოდედის ძის წინასწარმეტყველება, გამხნევდა და აღმოფხვრა სიბილწენი იუდასა და ბენიამინის ქვეყნიდან, აგრეთვე იმ ქალაქებიდან, ეფრემის მთაზე რომ დაიპყრო. და განაახლა უფლის სამსხვერპლო, უფლის ტაძრის წინ რომ არის.

⁹და შემოიკრიბა მთელი იუდა და ბენიამინი, ეფრემისგან, მანაშესგან და სიმეონისგან წამოსულ ხიზნებთან ერთად, რადგან მრავალნი გადავიდნენ მის მხარეს ისრაელიდან, რაკი დაინახეს, რომ მასთან უფალი იყო.

¹⁰ასას მეფობის მეთხუთმეტე წელს, მესამე თვეში, შეიყარნენ ისინი იერუსალიმს.

¹¹და მსხვერპლად შესწირეს უფალს იმ დღეს მოტანილი ნადავლიდან 700 ხარი და 7 ათასი ცხვარი.

¹²და აღთქმა დადეს, რომ ეძიათ უფალი, თავიანთი მამების ღმერთი, მთელი გულითა და მთელი სულით.



¹³და ყველა, ვინც არ ეძიებდა უფალს, ისრაელის ღმერთს, უნდა მომკვდარიყო – დიდი იქნებოდა თუ პატარა, კაცი, თუ ქალი.

¹⁴და ეფიცებოდნენ უფალს დიდი ხმითა და ღაღადით, საყვირებითა და ბუკებით.

¹⁵და ხარობდა მთელი იუდა ამ ფიცის გამო, რადგან მთელი გულით შეჰფიცეს, მთელი გულმოდგინებით ეძიებდნენ მას და ისიც გამოუჩნდა მათ; და უბოძა უფალმა სიმშვიდე ყოველი მხრიდან.

¹⁶მაყაქას, თავის დედასაც კი, ჩამოართვა დედოფლობა ასამ, რადგან აშერასათვის კერპი ჰქონდა გაკეთებული. და აჩება ასამ მისი კერპი, ნაფოტებად აქცია და კიდრონის ხევში დაწვა.

¹⁷ისრაელში კი არ მოუშლიათ გორაკები. მხოლოდ ასას გული იყო სრულიად მიწოდებული უფალს მთელი მისი სიცოცხლე.

¹⁸და შეიტანა ღვთის სახლში მამამისისა და მის მიერ შეწირული ნივთები: ოქრო-ვერცხლი და ჭურჭელი.

¹⁹და ომებიც აღარ ყოფილა ასას მეფობის ოცდამეათე წლამდე.

მეორე ნეშტა 16

¹ასას მეფობის ოცდამეათეცხმეტე წელს ამხედრდა ისრაელის მეფე ბაყაშა იუდას წინააღმდეგ და იწყო რამას შენება, რათა ასასთან, იუდას მეფესთან შეწყვეტილიყო მისვლა მოსვლა.

²და გამოიტანა ასამ ვერცხლი და ოქრო უფლის ტაძრისა და მეფის სახლის საგანძურიდან და გაუგზავნა ბენ-ჰადადს, არამის მეფეს, დამასკოში რომ იჯდა, და შეუთვალა:

³„იყოს კავშირი ჩვენს შორის, როგორც ჩვენს მამებს შორის იყო. აჰა, გიგზავნი ვერცხლსა და ოქროს, რათა კავშირი გაწყვიტო ბაყაშასთან, ისრაელის მეფესთან, და ჩამომეხსნება ის მე.“

⁴და დაუჯერა ბენ-ჰადადმა მეფე ასას და გაგზავნა თავისი მხედართმთავრები, ვინც ჰყავდა, ისრაელის ქალაქების წინააღმდეგ. და დალაშქრეს ყიონი, დანი, აბელ-მაიმი, და ნაფთალის ყველა სამარაგო ქალაქი.

⁵ეს რომ შეიტყო ბაყაშამ, შეწყვიტა რამას შენება და შეაჩერა თავისი საქმე.

⁶და შეკრიბა მეფე ასამ მთელი იუდა და გადაზიდეს რამადან ქვა და ხე-ტყე, რითაც ბაყაშა აშენებდა. და ააშენა ამით გეზაყი და მიცფა.



⁷იმ დროს მივიდა იუდას მეფე ასასთან ხანან მხილველი და უთხრა: „არამის მეფეს რომ მიენდე და არ მიენდე უფალს, შენს ღმერთს, ამის გამო გადაურჩა არამის ჯარი შენს ხელს.

⁸განა ქუშელთა და ლიბიელთა ლაშქარი დიდი არ იყო, მრავლის უმრავლესი ეტლი და მხედარი არ ჰყავდათ? მაგრამ უფალს რომ იყავი მინდობილი, ამიტომაც ჩაყარა ისინი შენს ხელში;

⁹რადგან უფლის თვალი დაჰყურებს მთელ ქვეყანას, რომ მხარი დაუჭიროს იმას, ვინც მთელი გულით არის მასზე მინდობილი. უგუნურად მოგივიდა ეს. ამიტომ ომები გექნება ამიერიდან.“

¹⁰და განურისხდა ასა მხილველს და საჰეროებში ჩააგდო, რადგან გაგულისებული იყო მისი ნათქვამის გამო; სხვა მრავალი ადამიანიც დაიჩაგრა მაშინ.

¹¹ასას პირველი და უკანასკნელი ამბები ჩაწერილია იუდასა და ისრაელის მეფეთა წიგნში.

¹²თავისი მეფობის ოცდამეცხრამეტე წელს ასას ფეხები დაუავადდა. ძალზე მძიმე იყო მისი სენი, მაგრამ თავის სწეულებიდან კი არ ეძებდა უფალს, არამედ მკურნალებს.

¹³და განისვენა ასამ თავის მამებთან, და მიიცვალა თავისი მეფობის ორმოცდამეერთე წელს.

¹⁴და დამარხეს მის სამარხში, თავისთვის რომ გაიმზადა, დავითის ქალაქში. და დაასვენეს იგი სარეცელზე, რომელიც აავსეს საამო სურნელებებითა და მენელსაცხებლეთა ხელობით დამზადებული ნაირნაირი ნელსაცხებლებით. და დაუნთეს მას დიდზე დიდი კოცონი.

მეორე ნეშტა 17

¹მის ნაცვლად მისი ძე იოშაფატი გამეფდა. ძალა მოიკრიბა ისრაელიანთა წინააღმდეგ იოშაფატმა.

²და ჩააყენა ჯარი იუდას ყველა გამაგრებულ ქალაქში. მცველები დააყენა იუდას ქვეყანაში და ეფრემის ქალაქებში, რომელიც მამამისმა ასამ დაიპყრო.

³და უფალი იყო იოშაფატთან, რადგან დავითის, მამამისის, პირვანდელი გზით დადიოდა და ბაყალები არ უძებნია.

⁴და ეძიებდა თავისი მამის ღმერთსა და მის მცნებებს ასრულებდა და არ იქცეოდა ისრაელიანთა მსგავსად.



- ⁵და გააძლიერა უფალმა სამეფო მის ხელში. და მთელი იუდა ძღვენს აძლევდა იოშაფატს და დიდი დოვლათი და პატივი ჰქონდა.
- ⁶და გული მიეცა უფლის გზებზე და კვლავ მოშალა გორაკები და აშერები იუდაში.
- ⁷თავისი მეფობის მესამე წელს გაგზავნა თავისი მთავრები: ბენ-ხაილი, ყობადია, ზაქარია, ნეთანელი და მიქაია იუდას ქალაქების დასამოძღვრად.
- ⁸მათ თან გააყოლა ლევიანები: შემაყია, ნეთანია, ზეზადია, ყასაელი, შემირამოთი, იონათანი, ადონია, ტობია, ტობ-ადონია და მათვე გააყოლა მღვდლები: ელიშამაყი და იორამი.
- ⁹და მოძღვრავდნენ ხალხს იუდაში და თან ჰქონდათ უფლის რჯულის წიგნი. და მოიარეს იუდას ყველა ქალაქი და დამოძღვრეს ხალხი.
- ¹⁰უფლის დიდი შიში ჰქონდა ყველა იმ ქვეყნის სამეფოს, იუდას ირგვლივ რომ იყო, და არ ებრძოდნენ იოშაფატს.
- ¹¹ფილისტიმელთ იოშაფატთან მოჰქონდათ ძღვენი და ვერცხლით იხდიდნენ ხარკს; ასევე არაბებსაც მოჰყავდათ 7 700 ვერძი და 7 700 ვაცი.
- ¹²და თანდათან განდიდდა და აღზევდა იოშაფატი. და ააშენა იუდაში სიმაგრეები და სამარაგო ქალაქები.
- ¹³დიდძალი მარაგი ჰქონდა იუდას ქალაქებში, და მეზრძოლი ხალხი, მაგარი ვაჟკაცები, ჰყავდა იერუსალიმში.
- ¹⁴აჰა, მათი ჩამონათვალი მამისსახლთა მიხედვით. იუდას ათასისთავები: თავკაცი ყადნა, მას ჰყავდა 300 ათასი მაგარი ვაჟკაცი;
- ¹⁵მის მერე იყო თავკაცი იეჰოხანანი. მას 280 ათასი ჰყავდა;
- ¹⁶მის მერე იყო ამასია, ზიქრის ძე, ნებით რომ შესწირა თავი უფალს, მასთან იყო 200 ათასი მაგარი ვაჟკაცი;
- ¹⁷ბენიამინს ჰყავდა მამაცი ვაჟკაცი ელიადაყი და მასთან ერთად 200 ათასი ფარ-შუბოსანი კაცი;
- ¹⁸მის მერე იყო იეჰოზაბადი და მასთან ერთად 180 ათასი აღჭურვილი მეზრძოლი.
- ¹⁹აჰა, ისინი, ვინც მეფეს ემსახურებოდნენ, მათ გარდა, მეფემ იუდას ყველა გამაგრებულ ქალაქში რომ ჩააყენა.

მეორე ნეშტთა 18



- ¹უხვად ჰქონდა დოვლათი და პატივი იოშაფატს, და დაუმოყვრდა იგი ახაბს.
- ²რამდენიმე წლის შემდეგ ჩავიდა ახაბთან სამარიაში და მრავალი ცხვარ-ძროხა დაუკლა ახაბმა მას და იმ ხალხს, თან რომ ახლდნენ. და მან დაიყოლია იგი გალაადის რამოთზე გასალაშქრებლად.
- ³და უთხრა ახაბმა, ისრაელის მეფემ, იოშაფატს, იუდას მეფეს: „წამომყვები გალაადის რამოთზე?“ და უთხრა: „რამ გაგვყო მე და შენ, რამ გაყო ჩემი ხალხი და შენი ხალხი? შენთან ვარ ბრძოლაში.“
- ⁴და უთხრა იოშაფატმა ისრაელის მეფეს: „აბა, დაეკითხე დღეს, რას იტყვის უფალი.“
- ⁵და შეკრიბა ისრაელის მეფემ ოთხასამდე წინასწარმეტყველი და უთხრა მათ: „გავილაშქროთ გალაადის რამოთზე, თუ თავი შევიკავოთ?“ უთხრეს: „გაილაშქრე, ღმერთი მეფის ხელში ჩაყრის მათ.“
- ⁶და თქვა იოშაფატმა: „ხომ არ არის აქ სადმე კიდეც უფლის წინასწარმეტყველი, რომ მასაც დავეკითხო?“
- ⁷უთხრა ისრაელის მეფემ იოშაფატს: „კიდეც არის ერთი კაცი, რომელსაც შეგვიძლია ვაკითხვინოთ უფლისათვის, მაგრამ მძულს იგი, რადგან სასიკეთოს არ წინასწარმეტყველებს ჩემზე, არამედ მხოლოდ ცუდს. ის არის მიქაია იმლას ძე.“ თქვა იოშაფატმა: „ნუ ამბობს ასე მეფე.“
- ⁸და უხმო ისრაელის მეფემ ერთ-ერთ კარისკაცს და უთხრა: „სასწრაფოდ მომგვარე მიქაია იმლას ძე.“
- ⁹ისრაელის მეფე და იუდას მეფე იოშაფატი სამოსლით შემოსილნი ისხდნენ თავ-თავის ტახტებზე, კალოზე, სამარიის კარიბჭესთან და წინასწარმეტყველნი წინასწარმეტყველებდნენ მათ წინაშე.
- ¹⁰და გაიკეთა ცედეკია ქენაყანას ძემ რკინის რქები და თქვა: „ასე ამბობს უფალი: ‘ამით შენ ურქენ არამს და ბოლოს მოუღებ.’“
- ¹¹ყველა წინასწარმეტყველი ამასვე წინასწარმეტყველებდა: „მიუხედავად გალაადის რამოთს და გაიმარჯვებ, მეფის ხელში ჩააგდებს უფალი მას.“
- ¹²ასე ეუბნებოდა მიქაიას მის დასაძახებლად გაგზავნილი მოციქული: „აჰა, მეფის სასიკეთოს ამბობენ ერთხმად წინასწარმეტყველნი, შეეთანხმოს შენი სიტყვებიც მათ სიტყვებს; შენცა თქვი რამ სასიკეთო.“
- ¹³და თქვა მიქაიამ: „უფალს ვფიცავ, იმას ვიტყვი, რასაც ღმერთი მიბრძანებს.“



¹⁴და მივიდა მეფესთან და უთხრა მეფემ: „მიქაია, გავილაშქროთ გალაადის რამოთზე თუ თავი შევიკავოთ?“ თქვა: „გავილაშქრე და გაიმარჯვებ, თქვენს ხელში ჩაგვივდებიან.“

¹⁵და უთხრა მეფემ: „რამდენჯერ უნდა დაგაფიცო, მხოლოდ სიმართლე მელაპარაკე-მეთქი უფლის სახელით?“

¹⁶და უთხრა: „ვიხილე მთელი ისრაელი, უმწყემსო ფარასავით მთებზე მიმოფანტული, და თქვა უფალმა: ‘პატრონი არ ჰყავთ მათ, დაე მშვიდობით დაუბრუნდნენ თავ-თავიანთ სახლებს.’“

¹⁷და უთხრა ისრაელის მეფემ იოშაფატს: „ხომ გეუბნებოდი სასიკეთოს არ წინასწარმეტყველებს-მეთქი ჩემზე, არამედ მხოლოდ ცუდს.“

¹⁸და თქვა მიქაიამ: „აბა, ისმინეთ უფლის სიტყვა: ვიხილე, თავის ტახტზე იჯდა უფალი, და ცათა მთელი მხედრობა ედგა გვერდში – მარჯვნივ და მარცხნივ.

¹⁹და თქვა უფალმა: ‘ვინ გაიტყუებს ახაბს, ისრაელის მეფეს, რომ გავილაშქროს და დაეცეს გალაადის რამოთს?’ ერთი ერთს ამბობდა, მეორე – მეორეს.

²⁰და გამოვიდა სული, და წარუდგა უფალს და თქვა: ‘მე გავიტყუებ.’ და უთხრა უფალმა: ‘რითი?’

²¹და თქვა: ‘გავალ და სიცრუის სულად ვიქცევი ყველა მის წინასწარმეტყველთა ბაგეებში.’ და თქვა უფალმა: ‘გავიტყუებ და კიდევ გამოგივა. წადი, ასე გააკეთე.’

²²აჰა, სიცრუის სული ჩაუდგა უფალმა ამ შენს წინასწარმეტყველებს, უფალს კი ცუდი აქვს ნათქვამი შენზე.“

²³მიეჭრა ცედეკია ქენაყანას ძე და სილა გააწნა მიქაიას, და უთხრა: „როგორ მოხდა, რომ გვერდი ამიარა უფლის სიტყვამ და შენში მეტყველებს?“

²⁴და თქვა მიქაიამ: „მაშინ ნახავ, ოთახიდან ოთახში რომ დაიწყებ სირბილს დასამალად.“

²⁵და თქვა ისრაელის მეფემ: „შეიპყარით მიქაია და მიჰგვარეთ ამონს, ქალაქის თავს, და უფლისწულ იოაშს.

²⁶და უთხარით, ასე ამბობს-თქო მეფე: ‘საპყრობილეში ჩააგდეთ ეს კაცი და აჭამეთ სიმწრის პური და ასვით სიმწრის წყალი, ვიდრე მშვიდობით მოვბრუნდებოდე.’“

²⁷და თქვა მიქაიამ: „თუ მშვიდობით მოვბრუნდი, უფალს არ ულაპარაკია ჩემი პირით.“ და თქვა: „ხალხნო, ისმინეთ ყველამ!“



²⁸და წავიდნენ ისრაელის მეფე და იოშაფატ იუდას მეფე გალაადის რამოთზე.

²⁹და უთხრა ისრაელის მეფემ იოშაფატს: „გადავიცვამ და ისე გავალ საომრად. ჩაიცვი შენი სამოსელი.“ და გადაიცვა ისრაელის მეფემ და გავიდნენ საომრად.

³⁰არამის მეფემ უბრძანა ეტლების მეთაურებს, ვინც ჰყავდა: „ნუ შეებრძოლებით ნურც მცირეს, ნურც დიდს, მხოლოდ ისრაელის მეფეს შეებრძოლეთ.“

³¹და როცა დაინახეს ეტლების მეთაურებმა იოშაფატი, იფიქრეს: ეს უნდა იყოს ისრაელის მეფე. და მისკენ გაემუზნენ, რომ შეებრძოლებოდნენ. და შეღალადა იოშაფატმა და უფალი შეეწია – ღმერთმა მოაშორა მას მომხდურნი.

³²და როცა მიხვდნენ ეტლების მეთაურები, რომ ის არ იყო ისრაელის მეფე, გაერიდნენ მას.

³³ალაღბედზე მოზიდა მშვილდი ვიღაც კაცმა და ჯაჭვის პერანგის ნაწიბურთან დაჭრა ისრაელის მეფე. და უთხრა თავის მეეტლეს: „გატრიალდი და ბრძოლიდან გამიყვანე, რადგან დაჭრილი ვარ.“

³⁴და გახურდა ომი იმ დღეს და დარჩა ეტლში ისრაელის მეფე არამელთა პირისპირ საღამომდე და მოკვდა მზის ჩასვლისას.

მეორე ნეშტა 19

¹და დაბრუნდა იოშაფატი, იუდას მეფე, თავის სახლში მშვიდობით, იერუსალიმში.

²და გამოეგება მისანი იეჰუ ხანანის ძე და უთხრა მეფე იოშაფატს: „განა შეგშვენოდა უღვთო კაცისთვის დახმარების გაწევა და უფლის მოძულის სიყვარული? ამის გამო უფლის რისხვა დაგატყდება თავს.“

³თუმცადა კეთილი საქმეებიც აღმოგაჩნდა, რადგან მოსპე აშერები ქვეყნიდან და გულით განეწყვე ღვთის საძიებლად.“

⁴და ცხოვრობდა იოშაფატი იერუსალიმში, და კვლავ გავიდა ხალხში ბეერ-შებაყიდან ეფრემის მთამდე და მოაქცია იგი უფლისაკენ, მამათა ღმერთისაკენ,

⁵და დააყენა მსაჯულები ქვეყანაში, იუდას ყველა გამაგრებულ ქალაქში, ყოველ ქალაქში.



⁶და უთხრა მსაჯულებს: „დაუკვირდით, რას აკეთებთ, რადგან კაცისათვის კი არ გამოგაქვთ მსჯავრი, არამედ უფლისათვის. იგი თქვენთან არის სამსჯავროზე.“

⁷უფლის შიში იქონიეთ, ფრთხილად მოიქეცით, რადგან არ არის უფალთან, ჩვენს ღმერთთან, უსამართლობა, არც თვალთმაქცობა და არც ანგარება.“

⁸იოშაფატმა იერუსალიმში უფლის მსჯავრის გამოსატანად და დავის გადასაწყვეტად დააყენა ლევიათაგან მღვდელნი და ისრაელის მამისსახლთა თავკაცები და დაბრუნდნენ იერუსალიმს.

⁹და უბრძანა მათ და უთხრა: „ასე აკეთეთ საქმე უფლის მოშიშებით, ჭეშმარიტებითა და ერთგულებით.“

¹⁰ყველა სადაო საქმე, რომელიც კი შემოვა თქვენთან თქვენს მოძმეთაგან, თავიანთ ქალაქებში რომ ცხოვრობენ, სასისხლო იქნება ეს თუ რჯულის, მცნების, წესებისა და კანონების საქმე, გააფრთხილეთ, რომ უფალს არ შესცოდონ და თქვენც, თქვენს ძმებთან ერთად უფლის რისხვა არ დაიტეხოთ. ასე გააკეთეთ და არ შესცოდავთ.

¹¹აჰა, მღვდელმთავარი ამარია გეყოლებათ ყველა საუფლო საქმეში, ზეზადია ისმაელის ძე კი, იუდას სახლის წინამძღოლი, ყველა სამეფო საქმეში. ზედამხედველებად ლევიალები იქნებიან თქვენს წინაშე. მტკიცედ იდექით და იმოქმედეთ და კეთილთან იქნება უფალი.“

მეორე ნეშტთა 20

¹ამის შემდეგ იყო, რომ მოვიდნენ მოაბის ძენი და ყამონელები, მეყუნიმელნიც მათთან იყვნენ იოშაფატის წინააღმდეგ საომრად.

²და მოვიდნენ და ამბავი მოუტანეს იოშაფატს და უთხრეს: „დიდი ურდო გადმოვიდა შენს წინააღმდეგ საომრად ზღვის გაღმიდან და არამიდან. აჰა, ისინი ხაცაცონ-თამარში არიან, ანუ ყენ-გედიში.“

³და შეშინდა იოშაფატი და საკითხავად უფალს მიმართა. და მთელ იუდაში მარხვა გამოაცხადა.

⁴და შეიკრიბა იუდა უფლისგან სათხოვრად. იუდას ყველა ქალაქიდან მოვიდნენ უფალთან შესავედრებლად.

⁵და წარდგა იოშაფატი იუდასა და იერუსალიმის კრებულში, უფლის სახლში, ახალი ეზოს წინ,



⁶და თქვა: „უფალო, ჩვენი მამების ღმერთო, განა შენ არა ხარ ღმერთი ზეცაში? განა შენ არ ბატონობ ხალხთა ყველა სამეფოში? შენს ხელთ არ არის ძალა და სიმტკიცე? და ვერც ვერავინ აღგიდგება წინ.

⁷განა შენ არ განდევნე ამ ქვეყნის მცხოვრებნი შენი ერის, ისრაელის, თვალწინ? განა შენ არ მიეცი იგი საუკუნოდ შენი მოყვასის, აბრაამის მოდგმას?

⁸და დამკვიდრდნენ იქ, და საწმიდარი ააშენეს შენს სახელზე და თქვეს:

⁹‘თუ თავს რამე უბედურება დაგვატყდება, მახვილი იქნება, მსჯავრი, ჭირი თუ შიმშილი, დავდგებით ამ სახლის წინაშე და შენს წინაშე, რადგან შენი სახელია ამ სახლში, და მოგიხმობთ ჩვენს გასაჭირში, შენ კი მოისმენ და გვიხსნი.’

¹⁰აჰა, ახლა ყამონიანები და მოაბი, სეყირის მთიელები, მათს ქვეყანაზე გავლის ნება რომ არ დართე უფალო ისრაელიანთ, როცა ეგვიპტის ქვეყნიდან გამოდიოდნენ, ამიტომ მათ გვერდი აუარეს და არ გაანადგურეს ისინი,

¹¹აჰა, სამაგიეროს იმით გვიხდიან, რომ მოვიდნენ ჩვენი სამკვიდრებლის წასართმევად, რომელიც შენ დაგვიმკვიდრე.

¹²ღმერთო ჩვენო, განა შენ არ დაადებ მათ სასჯელს? რადგან უძლურნი ვართ ამ მრავალრიცხოვანი ურდოს წინაშე, ჩვენს წინააღმდეგ რომ არის მოსული. ჩვენ აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ, რადგან შენსკენაა ჩვენი თვალი მოპყრობილი!“

¹³მთელი იუდა უფლის წინაშე იდგა თავიანთი ჩვილებით, ქალებითა და ვაჟებით.

¹⁴მაშინ გადმოვიდა შუაგულ კრებულში უფლის სული იახაზიელზე, ზაქარიას ძეზე, მისა ბენაიასი, მისა იეყიელისა, მისა მათანაისი, ლევიაზე ასაფიანთაგან,

¹⁵და თქვა: „ყური მიგდეთ, იუდავ და იერუსალიმის მცხოვრებნო, მეფე იოშაფატ! ასე გეუბნებათ უფალი: ‘ნუ გეშინიათ და ნუ შეძრწუნდებით ამ უზარმაზარი ურდოს წინაშე, რადგან თქვენ კი არ გმართებთ ომი, არამედ ღმერთს.

¹⁶ხვალ დაემვით მათკენ. აჰა, ისინი ციცის მაღლობზე ამოდიან, ხევის ბოლოში წააწყდებით მათ, იერუელის უდაბნოს წინ.

¹⁷ამჯერად თქვენ არ იბრძოლებთ. გადით და დადექით და უცქირეთ უფლის მიერ თქვენს ხსნას. იუდავ და იერუსალიმო!’ ნუ გეშინიათ და ნუ ძრწოხართ. ხვალ გახვალთ მის წინააღმდეგ და უფალი იქნება თქვენთან.“



¹⁸და პირქვე დაემხო იოშაფატი მიწაზე, და მთელი იუდა და იერუსალიმის მცხოვრებნი უფლის თაყვანისცემად.

¹⁹და წამოიმართნენ ლევანები კოჰათიანთაგან და კორახიანთაგან, რათა მაღალი ხმით ექოთ უფალი, ღმერთი ისრაელისა.

²⁰და ადგნენ დილაადრიანად და თეკოაყის უდაბნოსკენ გავიდნენ. გასვლისას დადგა იოშაფატი და თქვა: „მისმინეთ, მთელო იუდავ და იერუსალიმის მცხოვრებნო, დაენდეთ უფალს, თქვენს ღმერთს, მტკიცედ იდექით, გწამდეთ მის წინასწარმეტყველთა და მოგემართებათ ხელი.“

²¹და დაეთათბირა ხალხს და დაუყენა უფალს მგალობელნი წმიდა სამოსელში გამოწყობილნი, რომ ექოთ უფალი შეიარაღებულთა წინ მავალთ და ეთქვათ: „ადიდეთ უფალი, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი.“

²²იმ დროს, როცა დაიწყეს ყიჟინა და სიმღერა, უფალმა შფოთში მოაქცია იუდას წინააღმდეგ მოსული მოაბელნი, ყამონიანები და სეყირის მთიელები და გაანადგურა.

²³ადგნენ ყამონიანები, და მოაბის ძენი სეყირის მთის მცხოვრებლებზე მათ დასახოცად და ამოსაწყვეტად, და როცა სეყირის მცხოვრებთ მოუღეს ბოლო, ერთმანეთს დაერივნენ დასახოცად.

²⁴და ავიდნენ იუდაელნი უდაბნოს ბორცვზე, და გადახედეს ურდოს, და აჰა, გვამები ყრია მიწაზე და აღარავინ გადარჩენილა.

²⁵და მივიდნენ იოშაფატი და მისი ხალხი მათთან ნადავლისათვის და იპოვეს დიდძალი ქონება, სამოსელი, საუცხოო ჭურჭელი. და იმდენი შეიგროვეს, რომ ველარ მიჰქონდათ. სამ დღეს ეზიდებოდნენ ნადავლს, იმდენი იყო.

²⁶მეოთხე დღეს კურთხევის ველზე შეიკრიბნენ, რადგან იქ აკურთხეს უფალი. ამიტომ ეძახიან დღემდე იმ ადგილს კურთხევის ველს.

²⁷და გამობრუნდა მთელი იუდა და იერუსალიმი იოშაფატის მეთაურობით, რათა გახარებულები დაბრუნებულიყვნენ იერუსალიმში, რადგან უფალმა გაახარა ისინი მტრებზე.

²⁸და შევიდნენ იერუსალიმში ქნარებით, ბობლნებითა და საყვირებით უფლის ტაძრისაკენ.

²⁹და შიში დაეცა ქვეყანათა ყველა სამეფოს, როცა გაიგეს, რომ ისრაელის მტრებს უფალი ებრძოდა.

³⁰და მოისვენა იოშაფატის სამეფომ, სიმშვიდე უბოძა მას ყოველი მხრიდან მისმა ღმერთმა.



³¹და მეფობდა იოშაფატი იუდაზე. 35 წლისა გამეფდა იოშაფატი და 25 წელს მეფობდა იერუსალიმში. მისი დედა იყო ყაზუბა, შილხის ასული.

³²ასას, თავისი მამის, გზას ადგა და არ უხვევდა მისგან. სწორად იქცეოდა უფლის თვალში.

³³ოღონდ გორაკები არ იყო გაუქმებული და ხალხსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა მტკიცედ მობრუნებული გული თავიანთი მამების ღმერთისაკენ.

³⁴იოშაფატის დანარჩენი საქმენი, პირველნი და უკანასკნელნი, ჩაწერილია იეჰუ ხანანის ძის მათიანეში, რომელიც შეტანილია ისრაელის მეფეთა წიგნში.

³⁵ამის შემდეგ იოშაფატმა, იუდას მეფემ, კავშირი შეკრა ახაზიასთან, ისრაელის მეფესთან, რომელიც ბოროტს აკეთებდა.

³⁶მასთან კავშირი იმიტომ შეკრა, რომ ხომალდები აეგო თარშიში წასასვლელად. და გააკეთეს ხომალდები ყეციონ-გებერში.

³⁷და იწინასწარმეტყველა იოშაფატზე ელიყუზერ დოდავაჰუს ძემ, მარეშელმა, და თქვა: „რაკი კავშირი შეჰკარი ახაზიასთან, ამიტომ უფალი ჩაფუშავს შენს საქმეს.“ და დაიღწა ხომალდები და ვეღარ შეძლეს თარშიში წასვლა.

მეორე ნეშტა 21

¹განისვენა იოშაფატმა თავის მამებთან და დაიმარხა მათ გვერდით დავითის ქალაქში. და მის ნაცვლად იორამი, მისი ძე, გამეფდა.

²და ჰყავდა მას ძმები, იოშაფატის ვაჟები: ყაზარია, იეხიელი, ზაქარია, ყაზარია, მიქაელი, შეფატია, ესინი არიან იოშაფატის, ისრაელის მეფის, ძენი.

³და მისცა მათ მამამ მრავალი საჩუქარი – ვერცხლი, ოქრო და ძვირფასეულობა, იუდას გამაგრებულ ქალაქებთან ერთად; სამეფო კი იორამს გადასცა, რადგან იგი პირმშო იყო.

⁴და დაიჭირა მამამისის სამეფო იორამმა და, როცა გაძლიერდა, მახვილით დახოცა თავისი ძმები და ისრაელის მთავრები.

⁵32 წლისა იყო იორამი, როცა გამეფდა და რვა წელი იმეფა იერუსალიმში.

⁶ისრაელის მეფეთა გზით დადიოდა იგი, როგორც იქცეოდა ახაზის სახლი, რადგან ახაზის ასული ჰყავდა ცოლად და ბოროტს აკეთებდა უფლის თვალში.



- ⁷მაგრამ არ უნდოდა უფალს დავითის სახლის დაქცევა იმ აღთქმის გამო, დავითს რომ დაუდო, როცა შეჰპირდა, რომ მისცემდა ლამპარს მას და მის შთამომავალთ სამარადისოდ.
- ⁸მის დროს განუდგა ედომი იუდას და დაისვეს სხვა მეფე.
- ⁹და გაემართა იორამი თავისი მხედართმთავრებით და მთელი თავისი ეტლიონით. და ადგა ღამით და სძლია ედომელებს, გარს რომ ეხვივნენ, და ეტლიონთა მეთაურებს.
- ¹⁰და განუდგა ედომი იუდას და ასეა დღემდე; იმხანადვე განუდგა ლიბნაც იუდას, რადგან მიატოვა იორამმა უფალი, თავისი მამების ღმერთი.
- ¹¹მანაც მოაწყო მალღობები იუდას მთებში და გარყვნა იერუსალიმის მცხოვრებნი და აცდუნა იუდა.
- ¹²და წერილი მოუვიდა მას ელია წინასწარმეტყველისაგან, რომელშიც ეწერა: „ასე ამბობს უფალი, მამაშენის, დავითის, ღმერთი: იმის გამო, რომ შენ არ დაადექი მამაშენის, იოშაფატის და იუდას მეფე ასას, გზას,
- ¹³არამედ ისრაელის მეფეთა გზით წახვედი, გარყვნი იუდა და იერუსალიმის მცხოვრებნი ახაბის სახლის გარყვნილების მსგავსად, თანაც შენზე უკეთესი შენი ძმები – მამაშენის სახლი – ამოწყვიტე,
- ¹⁴აჰა, უფალი სასტიკად მოსრავს შენს ხალხს, შენს ვაჟებსა და შენს ცოლებს და მთელ შენს სარჩო-საბადებელს.
- ¹⁵შენ კი მძიმე სენს შეგყრის, ნაწლავთა სენს, ისე რომ ნაწლავები სნეულებით დღე და დღე გადმოგცვივა.“
- ¹⁶და აღძრა უფალმა იორამის წინააღმდეგ ფილისტიმელთა და არაბთა სული, ქუშელთა მეზობლად რომ ცხოვრობენ;
- ¹⁷და გაილაშქრეს იუდაზე, და შეიჭრნენ მასში და ხელში ჩაიგდეს მთელი ქონება, რაც კი მეფის სახლში აღმოჩნდა, აგრეთვე მისი ვაჟები და ცოლები. მე აღარ დარჩა, გარდა იეჰოახაზისა, მის ძეთა შორის უმრწემესისა.
- ¹⁸ყოველივე ამის შემდეგ დასცა უფალმა იგი უკურნებელი სენით.
- ¹⁹ასე იყო დღე და დღე. მეორე წლის ბოლოს კი გადმოსცვივდა ნაწლავები სენისაგან და საშინელი ტანჯვებით მოკვდა. მისმა ხალხმა არ დაუნთო კეთილსურნელების კოცონი, როგორც მის მამებს უნთებდნენ.
- ²⁰ვ2 წლისა იყო როცა გამეფდა, და რვა წელი იმეფა იერუსალიმში. ისე წავიდა, რომ არავის დანანებია. და დამარხეს დავითის ქალაქში, სამეფო სამარხში.



მეორე ნეშტთა 22

- ¹და გაამეფეს იერუსალიმის მცხოვრებლებმა მის ნაცვლად ახაზია, მისი უმცროსი ძე, რადგან უფროსები ბანაკში შემოჭრილმა არაბებმა ამოხოცეს. და გაამეფდა ახაზია, იუდას მეფის, იორამის, ძე.
- ²42 წლისა იყო ახაზია, რომ გაამეფდა, და ერთი წელი იმეფა იერუსალიმში. მისი დედა იყო ღათალია, ყომრის ასული.
- ³ახაზიაც ახაზის სახლის გზით დადიოდა, ვინაიდან დედამისი ურჩევდა უღმერთოების კეთებას.
- ⁴ბოროტს აკეთებდა უფლის თვალში, ახაზის სახლის მსგავსად, რადგან, მისდა საუბედუროდ, მამამისის სიკვდილის შემდეგ მისი მრჩეველნი ისინი იყვნენ.
- ⁵იგი მათი რჩევით გაჰყვა იორამ ახაზის ძეს, ისრაელის მეფეს, არამის მეფე ხაზაელთან საომრად გალაადის რამოთში. და დაჭრეს არამელებმა იორამი.
- ⁶და მობრუნდა ის, რომ იზრეყელში მოეშუშებინა ჭრილობები, რაც რამაში მიაყენეს, როცა ხაზაელს, არამის მეფეს, ეომებოდა. და ჩამოვიდა ახაზია იორამის ძე, იუდას მეფე, იზრეყელში იორამ ახაზის ძის სანახავად, რადგან ავად იყო იგი.
- ⁷იორამთან მისვლა ღვთისაგან იყო ახაზიას დასალუპად: რადგან მისვლისთანავე იორამთან ერთად გაილაშქრა იეჰუ ნიშმის ძის წინააღმდეგ, რომელსაც უფალმა სცხო ახაზის სახლის დასაქცევად.
- ⁸როცა იეჰუ მსჯავრს სდებდა ახაზის სახლს, მოძებნა იუდას მთავარნი და ახაზიას ძმისწულები, ახაზიას რომ ემსახურებოდნენ, და ყველანი დახოცა.
- ⁹და მოაძებნინა ახაზიაც და შეიპყრეს იგი სამარიაში სადაც იმალებოდა, და მიჰგვარეს იეჰუს. და მოკლეს ის და დამარხეს, რადგან თქვეს: „შვილია იოშაფატისა, რომელიც მთელი გულით ეძიებდა უფალს.“ აღარავინ დარჩა ახაზიას სახლში, მეფობა რომ შესძლებოდა.
- ¹⁰რადგან ღათალიამ, ახაზიას დედამ, როცა დაინახა, რომ მოკვდა მისი ძე, ადგა და გაწყვიტა იუდას სახლის მთელი სამეფო მოდგმა.
- ¹¹აიყვანა იეჰოშაბეყათმა, იორამ მეფის ასულმა, იოაში, ახაზიას ვაჟი, თავის ძიძასთან ერთად, რადგან იეჰოშაბეყათი, იეჰოიადაყ მღვდლის ცოლი, ახაზიას და იყო, და საწოლ ოთახში გადამალა ღათალიასაგან და ვერ მოკლეს იგი.
- ¹²და ექვს წელიწადს იმალებოდა იოაში მათთან ღვთის სახლში, ვიდრე ღათალია ქვეყნის დედოფალი იყო.



მეორე ნეშტთა 23

- ¹მეშვიდე წელს ძალი მოიცა იეჰოიადამა და დაუკავშირდა ასისტავებს: ყაზარია იეროხამის ძეს, ისმაელ იეჰოხანანის ძეს, ყაზარია ყობედის ძეს, მაყასეია ყადაიაჰუს ძეს და ელიშაფატ ზიქრის ძეს.
- ²და წავიდნენ ისინი იუდაში, შეკრიბეს ლევიანები იუდას ყველა ქალაქში და ისრაელის ტომთა მთავრები და იერუსალიმში მოვიდნენ.
- ³აღთქმა დადო მთელმა კრებულმა მეფესთან ღვთის სახლში. და უთხრა მათ იეჰოიადამა: „აჰა, უფლისწული უნდა გამეფდეს, როგორც უფალმა ბრძანა დავითის ძეებზე.
- ⁴აი, რა უნდა გააკეთოთ: თქვენგან ერთი მესამედი შაბათს შემომსვლელ მღვდელთაგან და ლევიათაგან ზღურბლთა მცველები იქნებიან;
- ⁵ერთი მესამედი მეფის სასახლეში იქნება; ერთი მესამედი – საძირკვლის კარიბჭეში, დანარჩენი ხალხი კი – უფლის ტაძრის ეზოებში.
- ⁶არავინ შევიდეს სახლში, გარდა მღვდლებისა და მომსახურე ლევიანებისა. ისინი შევიდნენ, რადგან განწმედილნი არიან. მთელი ხალხი კი უფლის სადარაჯოზე დადგეს.
- ⁷და გარს უნდა შემოერთყნენ ლევიანები მეფეს იარაღით ხელში, და, ვინც ტაძარში შევა, უნდა მოიკლას. იყავით მეფესთან შესვლისას და გამოსვლისას.“
- ⁸ყველაფერი ისე გააკეთეს ლევიანებმა და ყოველმა იუდაელმა, როგორც იეჰოიადამ მღვდელმა უბრძანა მათ; წაიყვანეს თავ-თავისი ხალხი შაბათს შემომსვლელნი შაბათს გამომსვლელებთან ერთად, რადგან იეჰოიადამ მღვდელს არ გაუუქმებია დღითი-დღედი მსახურება.
- ⁹და დაურიგა იეჰოიადამ მღვდელმა ასისტავებს შუბები, დიდი და მცირე ფარები, მეფე დავითს რომ ჰქონდა უფლის სახლში,
- ¹⁰და დააყენა მთელი ხალხი, თითოეული თავისი იარაღით ხელში, ტაძრის მარჯვენა ფრთიდან მარცხენა ფრთამდე, სამსხვერპლოსთან, მეფის ირგვლივ.
- ¹¹და გამოიყვანეს უფლისწული, დაადგეს გვირგვინი და მისცეს მოწმობა. და გაამეფეს იგი და სცხეს იეჰოიადამა და მისმა ძეებმა და თქვეს: „იცოცხლოს მეფემ!“
- ¹²და შემოესმა ღათალიას ხალხის ჩოჩქოლი, რომ მორბოდნენ და ადიდებდნენ მეფეს, და გავიდა ხალხთან უფლის ტაძრისაკენ.



¹³და, აჰა, დაინახა შესასვლელთან თავის სვეტთან მდგარი მეფე; მეფის გვერდით მისი მხედართმთავრები და მესაყვირენი იყვნენ, ქვეყნის მთელი ხალხი ხარობდა და საყვირებს უბერავდა; მგალობელნი კი სამუსიკო საკრავებით ქება-დიდებას უძღვნიდნენ. და დაიპო სამოსელი ღათალიამ და იყვირა: „ღალატია, ღალატია!“

¹⁴და გაიხმო იეჰოიადაყ მღვდელმა ასისტავები, მხედართმთავრები და უთხრა: „გარეთ გაიყვანეთ და ვინც უკან გაჰყვება მახვილით მოკალით!“ – რადგან იფიქრა: „უფლის ტაძარში არ მოკლანო.“

¹⁵გზა მისცეს და, როცა მივიდა ტაძრის ცხენთა კარიბჭესთან, იქ მოკლეს.

¹⁶და დადო იეჰოიადაყმა აღთქმა თავის თავსა, მთელ ერსა და მეფეს შორის, რათა ისინი უფლის ერი გამხდარიყვნენ.

¹⁷და შევიდა მთელი ხალხი ბაყალის სახლში და დაანგრეს თავისი სამსხვერპლოიანად, და დაღწეს მისი გამოსახულებანი და მოკლეს მათანი, ბაყალის ქურუმი, სამსხვერპლოების წინ.

¹⁸უფლის ტაძრის საქმენი იეჰოიადაყმა იმ ლევთან მღვდლებს ჩააბარა, რომლებიც დავითმა უფლის სახლში გაამწესა სიხარულითა და გალობით უფლისთვის სრულადდასაწველის შესაწირად, როგორც მოსეს რჯულში სწერია, დავითის განაწესის მიხედვით.

¹⁹და ჩააყენა მცველები უფლის ტაძრის კარებში, რათა რაიმეთი გაუწმიდურებული არავინ შესულიყო.

²⁰და წამოიყვანა ასისტავები, დიდებულები, ერისმთავრები, ქვეყნის მთელი ერი, და გაჰყვა მეფეს უფლის სახლიდან, ზემო ჭიშკრის გავლით, მეფის სასახლემდე, და დასვეს მეფე სამეფო ტახტზე.

²¹და გამხიარულდა ქვეყნის ერი და დაწყნარდა ქალაქი. ხოლო ღათალია მახვილით მოკლეს.

მეორე ნეშტა 24

¹შვიდი წლის იყო იოაში, როცა გამეფდა, და ⁴⁰წელი იმეფა იერუსალიმში. მისი დედა იყო ციბია, ბეერ-შებაყელი.

²სწორად იქცეოდა უფლის თვალში იოაში იეჰოიადაყ მღვდლის სიცოცხლეში.

³ორი ცოლი მოუყვანა მას იეჰოიადაყმა, და შეეძინა ძენი და ასულნი.

⁴ამის შემდეგ იოაშმა გულით მოიწადინა უფლის ტაძრის შეკეთება.



⁵და შეკრიბა მღვდლები და ლევიანები და უთხრა: „დაიარეთ იუდას ქალაქები და მთელ ისრაელში ვერცხლი აკრიბეთ წლიდან წლამდე უფლის ტაძრის შესაკეთებლად, დააჩქარეთ ეს საქმე!“ მაგრამ ლევიანებმა არ დააჩქარეს.

⁶და დაიბარა მეფემ იეჰოიადაყი, მათი თავკაცი, და უთხრა: „რატომ არ მოსთხოვ ლევიანებს, რომ იუდასგან და იერუსალიმისაგან აკრიბონ ის გადასახადი, რომელიც მოსემ, უფლის მსახურმა, და ისრაელის კრებულმა დაადგინეს სადღესასწაულო კარვისათვის?“

⁷რადგან ურჯულო ღათალიამ და მისმა ვაჟებმა დააზიანეს ღვთის სახლი და უფლის ტაძრის მთელი შემოწირულობა ბაყალებს მოახმარეს.

⁸და ბრძანა მეფემ და გააკეთეს ერთი ყუთი და დადგეს იგი უფლის სახლის შესასვლელთან, გარეთ,

⁹და გამოაცხადეს იუდაში და იერუსალიმში, რომ უფლისთვის მოეტანათ ის შესაწირავი, რაც მოსემ, ღვთის მსახურმა, დაუწესა ისრაელიანთ უდაბნოში ყოფნისას.

¹⁰და გაიხარა ყველა მთავარმა და მთელმა ერმა. და მოდიოდნენ და ყრიდნენ კიდობანში, ვიდრე არ გაივსო.

¹¹როცა ლევიანთა ხელით კიდობანს მეფის მოხელეებს წაუღებდნენ და ნახავდნენ, რომ იგი სავსე იყო ვერცხლით, მოვიდოდნენ მეფის მწერალი და მღვდელმთავრის სანდო კაცი და გადმოაპირქვავებდნენ ყუთს, მერე ისევ წაიღებდნენ და თავის ადგილზე დააბრუნებდნენ. ასე აკეთებდნენ ყოველ ცისმარე და დიდძალი ვერცხლი დააგროვეს.

¹²და აბარებდნენ ამას მეფე და იეჰოიადაყი უფლის ტაძრის სამუშაოთა შემსრულებლებს. ისინი ქირაობდნენ ქვისმთლელებსა და ხუროებს უფლის ტაძრის გასამაგრებლად.

¹³და იშრომეს სამუშაოს შემსრულებლებმა და მოამთავრეს შეკეთება მათი ხელით. და აღადგინეს ღვთის სახლი თავისი წესის და რიგის მიხედვით და გაამაგრეს.

¹⁴როცა მორჩნენ, მეფესა და იეჰოიადაყს მიუტანეს დარჩენილი ვერცხლი. და დაამზადეს მისგან ტაძრისთვის ჭურჭლეული – სამსახურებელი და სრულადდასაწველისთვის საჭირო ჭურჭელი, თასები, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი. იეჰოიადაყის მთელი სიცოცხლის მანძილზე მუდამ აღავლენდნენ სრულადდასაწველს უფლის სახლში.

¹⁵და დაბერდა იეჰოიადაყი და გაძღა დღეებით, და მოკვდა. 130 წლისა იყო, როცა მოკვდა.



¹⁶და დამარხეს იგი დავითის ქალაქში, მეფეთა გვერდით, რადგან სიკეთეს აკეთებდა ისრაელში ღვთისთვის და მისი სახლისათვის.

¹⁷იეჰოიადაყის სიკვდილის შემდეგ მოვიდნენ იუდას მთავრები და თაყვანისცეს მეფეს. მაშინ გაუგონა მათ მეფემ.

¹⁸და მიატოვეს უფლის, თავიანთი მამების ღმერთის, სახლი და დაუწყეს მსახურება აშერებსა და კერპებს. და განრისხდა უფალი იუდაზე და იერუსალიმზე ამ დანაშაულის გამო.

¹⁹და მოუვლინა წინასწარმეტყველები, რათა უფალს დაბრუნებოდნენ ისინი, მაგრამ ყურს არ უგდებდნენ მათ.

²⁰ღვთის სულმა მოიცვა ზაქარია, იეჰოიადაყის ძე, მღვდელი, და შედგა იგი ხალხის წინ შემადღებაზე და თქვა: „ასე ამბობს ღმერთი: რატომ არღვევთ უფლის მცნებებს? ამიტომ ხელი აღარ მოგემართებათ; რაკი მიატოვეთ უფალი, ისიც გტოვებთ თქვენ.“

²¹აუჯანყდნენ ზაქარიას და მეფის ბრძანებით ჩააქვავეს უფლის ტაძრის ეზოში.

²²და არ გაიხსენა მეფე იოაშმა მადლი, რაც იეჰოიადაყმა, მამამისმა, უყო მას, და მოკლა მისი ძე. და როცა კვდებოდა, თქვა: „იხილოს უფალმა და მოჰკითხოს!“

²³წელიწადი რომ შემოიქცა, წამოვიდა მის წინააღმდეგ არამის ლაშქარი, შეიჭრა იუდაში და იერუსალიმში და გაწყვიტა ხალხში ყველა ერისმთავარი. და მთელი ნაალაფარი დამასკოს მეფეს გაუგზავნეს.

²⁴მცირეოდენი ხალხით მოვიდა არამის ლაშქარი, მაგრამ უფალმა მათ ხელში დიდძალი ლაშქარი ჩააგდო, რადგან მიატოვეს უფალი, მამათა ღმერთი. და მსჯავრი დასდეს იოაშს.

²⁵და როცა წავიდნენ მისგან და მძიმედ დასნეულებული მიატოვეს, აუჯანყდნენ მას მისი მსახურნი იეჰოიადაყ მღვდლის შვილის სისხლი რომ აეღოთ და თავისსავე საწოლში მოკლეს. და მოკვდა იგი და დამარხეს დავითის ქალაქში, მაგრამ არა მეფეთა სამარხში.

²⁶აჰა, მის წინააღმდეგ აჯანყებულნი: ზაზადი, ძე შიმეყათისა, ყამონელი დიაცისა, და იეჰოზაზადი, ძე შიმრითისა, მოაბელი დიაცისა.

²⁷მისი ვაჟების, მასზე თქმული მრავალი ნაქადაგარის და ღვთის სახლის შეკეთების ამბავი მეფეთა წიგნის საკითხავშია ჩაწერილი. მის ნაცვლად ამაცია, მისი ძე, გამეფდა.

მეორე ნეშტია 25



- ¹25 წლისა იყო ამაცია, როცა გამეფდა, და 29 წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო იეჰოყადინი, იერუსალიმელი ქალი.
- ²სწორად იქცეოდა უფლის თვალში, თუმცა არა მთელი გულით.
- ³და, როცა განიმტკიცა მეფობა, დახოცა თავისი მსახურნი, რომელთაც მოკლეს მეფე, მამამისი,
- ⁴მაგრამ მათი შვილები არ დაუხოცია, რადგან სწერია მოსეს რჯულის წიგნში, უფლის ბრძანებისამებრ: „არ უნდა მოიკლან მამები შვილების გამო, და შვილები – მამების გამო, არამედ ყველა თავისი დანაშაულის გამო უნდა მოიკლას.“
- ⁵და შეკრიბა ამაციამ იუდა და დააყენა მამისსახლების, ათასისთავების და ასისთავების მიხედვით მთელი იუდა და ბენიამინი. და აღრიცხა 20 წლის ასაკს გადაცილებულნი და გამოვიდა 300 ათასი ლაშქარში გამსვლელი რჩეული ვაჟკაცი, და ფარ-შუბოსანი.
- ⁶ას ქანქარ ვერცხლად იქირავა ისრაელისაგან 100 ათასი მამაცი მებრძოლი.
- ⁷და მივიდა მასთან ღვთისკაცი და უთხრა: „მეფეო, ნუ გაიყოლებ ისრაელის ჯარს, რადგან არ არის უფალი ისრაელთან, არც ერთთან ეფრემის ძეთაგან.
- ⁸მხოლოდ შენ წადი, იმოქმდე და მტკიცედ იყავი ბრძოლაში, თორემ დაგამარცხებს უფალი შენი მტრების წინაშე, რადგან ღმერთს შეწევნაც შეუძლია და დამარცხებაც.“
- ⁹და უთხრა ამაციამ ღვთის კაცს: „ას ქანქარს რაღა ვუყო, რომელიც უკვე მივეცი ისრაელის მოქირავნეებს?“ და თქვა ღვთისკაცმა: „უფალს ამაზე მეტი შეუძლია მოგცეს.“
- ¹⁰და გამოაცალკევა ამაციამ ჯარი, ეფრემიდან რომ მოუვიდა, თავიანთ ადგილზე დასაბრუნებლად. ძალიან განრისხდნენ იუდაზე და გაცეცხლებულნი დაბრუნდნენ თავ-თავიანთ ადგილას.
- ¹¹და ძალი მოიცა ამაციამ, გაუძღვა თავის ხალხს მარილოვანი ველისაკენ და 10 ათასი სეყირის ძე ამოხოცა.
- ¹²10 ათასი კაცი ცოცხლად ჩაიგდეს ტყვედ და წამოასხეს იუდას ძეთ. და აიყვანეს კლდის თავზე და გადმოყარეს კლდიდან. და ყველანი ერთიანად დაიხოცნენ.
- ¹³ხოლო ლაშქარი, რომელიც ამაციამ უკან გააბრუნა, რომ საომრად არ გაჰყოლოდა, შეესია იუდას ქალაქებს სამარიიდან ბეთ-ხორონამდე და 3 ათასი კაცი დახოცეს და დიდძალი ნაძარცვი დახვეტეს.



¹⁴და, როცა დაბრუნდა ამაცია ედომელების განადგურების შემდეგ, წამოიღო სეყირიანთა ღმერთები და ღმერთებად დაიყენა. და სცემდა მათ თაყვანს და უკმევდა.

¹⁵და განურისხდა უფალი ამაციას და მოუვლინა წინასწარმეტყველი, რომელმაც უთხრა: „რად მოძებნე მაგ ხალხის ღმერთები, რომელთაც ვერ იხსნეს თავისი ხალხი შენი ხელიდან?“

¹⁶და როცა ამას ეუბნებოდა, უპასუხა მეფემ: „რაო, მეფის მრჩევლად დაგაყენეს? შეწყვიტე, რომ თავი არ მოაკვლევინო!“ გაჩერდა წინასწარმეტყველი და თქვა: „ვიცი, შენი დალუპვა გადაწყვიტა უფალმა, რადგან ეს გააკეთე და არ გაიგონე ჩემი რჩევა.“

¹⁷და ითათბირა ამაციამ, იუდას მეფემ, და კაცი გაუგზავნა იოაშს, იოახაზ იეჰუს ძის ვაჟს, ისრაელის მეფეს, და შეუთვალა: „მოდით, მოვსინჯოთ ერთმანეთი.“

¹⁸და შეუთვალა იოაშმა, ისრაელის მეფემ, ამაციას, იუდას მეფეს: „ლიბანის ძეძვმა შეუთვალა ლიბანის კედარს: ‘ცოლად მიათხოვე შენი ასული ჩემს ძეს.’ მაგრამ ჩაიარა ლიბანის ნადირმა და გადათელა კვრინჩხი.

¹⁹შენ ამბობ: ‘ედომი დავამარცხე,’ და აჰა, გული მოგეცა საამპარტავნოდ. ახლა იჯექი შენს სახლში, რატომ ატეხე შფოთი? შენც დაეცემი და შენთან ერთად იუდაც.“

²⁰ყური არ ათხოვა ამაციამ, რადგან ღმერთს ასე უნდოდა, რომ მტერს ჩავარდნოდა ხელში, რადგან ედომელთა ღმერთებს შეუდგა.

²¹და გამოვიდა იოაში, ისრაელის მეფე, და მოსინჯეს ერთმანეთი ამაციამ და იუდას მეფემ ბეთ-შემეშთან, იუდაში რომ არის.

²²და დამარცხდა იუდა ისრაელის ძეგბთან და თავ-თავის კარვებში გაიფანტნენ.

²³ხოლო ამაცია, იუდას მეფე, ძე იოაშისა, ძისა იეჰოახაზიასა, შეიპყრო იოაშმა, ისრაელის მეფემ, ბეთ-შემეშში და მიადგა იერუსალიმს, და დაანგრია იერუსალიმის კედელი ეფრემის კარიბჭიდან კუთხის კარიბჭემდე 400 წყრთის სიგრძეზე.

²⁴და გაზიდა მთელი ოქრო-ვერცხლი და მთელი ჭურჭელი, რაც კი უფლის სახლში ინახებოდა ყოზედ-ედომთან, და მეფის სახლის საგანძურიც. და აიყვანა მძევლები და გაბრუნდა სამარიაში.

²⁵ისრაელის მეფის, იოაშ იეჰოახაზიას ძის, სიკვდილის შემდეგ 15 წელი იცოცხლა ამაციამ, იოაშის ძემ, იუდას მეფემ.



²⁶ამაციას დანარჩენი საქმეები – პირველნი და უკანასკნელნი – იუდასა და ისრაელის მეფეთა წიგნშია ჩაწერილი.

²⁷მას შემდეგ, რაც ამაცია უფალს განუდგა, იერუსალიმი აუჯანყდა მას და მან თავი ლაქიშს შეაფარა. მიუგზავნეს კაცები ლაქიშში და იქ მოკლეს.

²⁸და წამოასვენეს ცხენებით და დამარხეს თავის მამათა გვერდით იუდას ქალაქში.

მეორე ნეშტთა 26

¹და გამოიყვანა მთელმა იუდამ ყუზია, ¹⁶ წლის ყმაწვილი, და მამამისის, ამაციას, ნაცვლად გაამეფა.

²მან აღადგინა ელოთი და დაუბრუნა იუდას, მას შემდეგ, რაც განისვენა მეფე ამაციამ თავის მამებთან.

³¹⁶ წლისა გამეფდა ყუზია და 52 წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო იერუსალიმელი იეჟოლია.

⁴სწორად იქცეოდა უფლის თვალში, როგორც ამაცია, მამამისი, იქცეოდა,

⁵და ეძიებდა ღმერთს, ვიდრე ცოცხალი იყო ზაქარია წინასწარმეტყველი, საღვთო ხილვებში განბრძნობილი. ვიდრე ეძიებდა უფალს, ღმერთიც შეეწეოდა მას.

⁶და გადიოდა და ებრძოდა ფილისტიმელებს. და დაანგრია გათის, იაზნესა და აშდოდის კედლები, და ქალაქები გააშენა აშდოდსა და ფილისტიმში.

⁷ღმერთი შეეწეოდა ყუზიას ფილისტიმელების, გურ-ბაყალში მცხოვრები არაბებისა და მეყუნელთა წინააღმდეგ.

⁸ყამონელნი ძღვენს უგზავნიდნენ ყუზიას და მისმა სახელმა ეგვიპტის საზღვრებამდე მიაღწია, რადგან მეტად გაძლიერდა იგი.

⁹და ააგო ყუზიამ გოდოლნი იერუსალიმში კუთხის კარიბჭის თავზე და ველის კარიბჭეზე და კუთხეში, და გაამაგრა ისინი.

¹⁰და ააგო გოდოლნი უდაბნოშიც და მრავალი ჭა ამოთხარა, რადგან ბევრი ცხვარ-ძროხა ჰყავდა დაბლობებსა და ვაკეებზე. მიწისმუშაკნი და მევენახენი კი მთებში და ქარმელში ჰყავდა, რადგან მიწის მოყვარული იყო.

¹¹ყუზიას მებრძოლი ჯარი ჰყავდა, რომელიც გუნდ-გუნდად გამოდიოდა ომში და აღნუსხული იყო მათი რიცხვის მიხედვით იეყიელ მწერლისა და მაყასეია ზედამხედველის ხელით, და ხანანიას, მეფის ერთ-ერთი კარისკაცის, ხელმძღვანელობით.



- ¹²მამისსახლთა თავკაცების, მაგარ ვაჟკაცთა, სრული რიცხვი იყო 2 600.
- ¹³მათ ხელში იყო 307 500 კაცისგან შემდგარი ლაშქარი, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა მეფის დასახმარებლად მტრების წინააღმდეგ.
- ¹⁴და დაუმზადა ყუზიამ მთელ ლაშქარს ფარები, შუბები, მუზარადები, ჯაჭვის პერანგები, მშვილდები და შურდულის ქვეები.
- ¹⁵და ააწყო იერუსალიმში გონიერი ოსტატების მიერ მოფიქრებული მანქანები, რომ დაედგათ გოდლებსა და კუთხეებში დიდრონი ისრებისა და ლოდების სატყორცნად. შორს გაითქვა სახელი, რადგან საოცრად შეეწეოდა უფალი, ვიდრე გაძლიერდებოდა,
- ¹⁶და, როცა გაძლიერდა, გაამჰარტავნდა და თავის დასაღუპავად შესცოდა უფალს, თავის ღმერთს, რადგან შევიდა უფლის ტაძარში საკმევლის საკმევად სამსხვერპლოზე.
- ¹⁷და მიჰყვა უკან მღვდელი ყაზარია და მასთან ერთად უფლის მღვდლები – 80 მაგარი ვაჟკაცი.
- ¹⁸ისინი წინ გადაუდგნენ მეფე ყუზიას და უთხრეს: „შენ არ გეკუთვნის, ყუზია, უფლისათვის კმევა, არამედ მღვდლებს, აარონის ძეთ, რომელნიც მკვმევლებად არიან ნაკურთხი. გამოდი საწმიდრიდან, რადგან შესცოდე და პატივად არ ჩაგეთვლება უფლისგან, შენი ღმერთისაგან.“
- ¹⁹და განრისხდა ყუზია, ხელში კი საცეცხლო ეჭირა საკმევად. და როცა განურისხდა მღვდლებს, კეთრი გამოაჩნდა შუბლზე მღვდლების წინაშე, უფლის სახლში, საკმევლის სამსხვერპლოსთან.
- ²⁰და მიიხედეს მისკენ ყაზარია მღვდელმთავარმა და ყველა მღვდელმა და აჰა, შუბლზე კეთრი აქვს. და სასწრაფოდ გამოიყვანეს იქიდან. თვითონაც ჩქარობდა გამორიდებას, რადგან უფალმა დაჰკრა მას.
- ²¹სიკვდილამდე კეთროვანი იყო მეფე ყუზია, და ცხოვრობდა ცალკე სახლში, როგორც კეთროვანი, რადგან მოკვეთილი იყო უფლის სახლიდან. და იოთამი, მისი ძე, განაგებდა მეფის სახლს და განიკითხავდა ქვეყნის ერს.
- ²²ყუზიას დანარჩენი ამბები – პირველნი და უკასკნელნი – აღწერა წინასწარმეტყველმა ესაიამ, ამოცის ძემ.
- ²³და განისვენა ყუზიამ თავის მამებთან და დამარხეს იგი თავისი მამების გვერდით, მეფეთა სამარხავ მინდორზე, რადგან ამბობდნენ: კეთროვანიაო. მის ნაცვლად მისი ძე, იოთამი, გამეფდა.

მეორე ნეშტთა 27



- ¹იოთამი 25 წლისა იყო, როცა გამეფდა და 16 წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო იერუშა, ცადოკის ასული.
- ²და სწორად იქცეოდა უფლის თვალში, როგორც მამამისი, ყუზია, იქცეოდა. ოღონდ ტაძარში არ შესულა. ხალხი კი ძველებურად სცოდავდა.
- ³და ააგო უფლის ტაძრის ზემო კარიბჭე და ყოფელის კედელიც ბევრგან აღადგინა.
- ⁴და იუდას მთაზე ქალაქები ააშენა, ტყეებში კი – ციხესიმაგრეები და გოდლები.
- ⁵ყამონელთა მეფეს ებრძოდა და სძლია მას. ყამონელთ იმ წელიწადს 100 ტალანტი ვერცხლი, 10 ათასი ქორი ხორბალი და 10 ათასი ქორი ქერი მისცეს. ამდენსავე აძლევდნენ ყამონიანები მეორე და მესამე წელს.
- ⁶და გაძლიერდა იოთამი, რადგან თავის გზებს უფლის, თავისი ღმერთის, წინაშე წარმართავდა.
- ⁷იოთამის დანარჩენი ამბები, ყველა მისი ომი და ნამოქმედარი ჩაწერილია იუდასა და ისრაელის მეფეთა წიგნში.
- ⁸25 წლისა იყო იოთამი, როცა გამეფდა და 16 წელი იმეფა იერუსალიმში.
- ⁹და განისვენა იოთამმა თავის მამებთან და დამარხეს დავითის ქალაქში. მის ნაცვლად მისი ძე ახაზი გამეფდა.

მეორე ნეშტა 28

- ¹²⁰ წლისა იყო ახაზი, როცა გამეფდა და ¹⁶ წელი იმეფა იერუსალიმში. სწორს არ აკეთებდა უფლის თვალში, მამამისის, დავითის, მსგავსად არ იქცეოდა;
- ²დადიოდა ისრაელის მეფეთა გზით და ბაყალების ქანდაკებებიც კი ჩამოასხა;
- ³და საკმეველს აკმევდა ბენ-ჰინომის ველზე; და ცეცხლში ატარებდა თავის შვილებს იმ წარმართთა ბილწი ჩვეულებისამებრ, რომელნიც აჰყარა უფალმა ისრაელიანთაგან.
- ⁴მსხვერპლს სწირავდა და საკმეველს აკმევდა გორაკებზე, ბორცვებზე და ყოველი ფოთლოვანი ხის ძირას.
- ⁵და ჩააგდო იგი უფალმა, მისმა ღმერთმა, არამის მეფის ხელში. და დაამარცხეს იგი, და მრავალნი დაატყვევეს და დამასკოში წაასხეს. გარდა ამისა, ისრაელის მეფის ხელშიც ჩააგდო, რომელმაც სასტიკად დაამარცხა.



⁶ფეკახ რემალიას ძემ ერთ დღეში 120 ათასი ამოხოცა იუდაში – ყველა კარგი ვაჟკაცი, რადგან მიატოვეს უფალი, თავიანთი მამების ღმერთი.

⁷ზიქრიმ, ეფრემელმა გოლიათმა, დახოცა უფლისწული მაყასეია, სახლთუხუცესი ყაზრიკამი და ელკანა, მეფის შემდეგ პირველი კაცი.

⁸და ტყვედ წაიყვანეს ისრაელიანებმა თავიანთ მოძმეთაგან 200 ათასი ქალი, ძე და ასული. დიდძალი ნადავლი წაართვეს და სამარიაში მიიტანეს ნაალაფარი.

⁹იყო იქ უფლის წინასწარმეტყველი, სახელად ყოდედი. და გამოვიდა სამარიაში დაბრუნებული ლაშქრის წინაშე და უთხრა: „აჰა, განრისხებულია უფალი, თქვენი მამების ღმერთი, იუდაზე, ხელში ჩაგიგდოთ იგი და თქვენც ამოწყვეტეთ ისინი ისეთი სიცოფით, რომელიც ცას მისწვდა.“

¹⁰ახლა კი ფიქრობთ, რომ ყმებად და მხევლებად გაიხადოთ იუდას ძენი და იერუსალიმი! განა თქვენ არა გაქვთ დანაშაული უფლის, თქვენი ღმერთის, წინაშე?

¹¹ახლა კი გამიგონეთ და დააბრუნეთ ტყვეები, თქვენი მოძმეებისგან რომ წამოასხით, თორემ უფლის რისხვა დაგატყდებათ.“

¹²წინ აღუდგნენ ეფრემის ძეთა თავკაცები: ყაზარია იეჰოხანანის ძე, ბერეკია მეშილემოთის ძე, ხიზკია შალუმის ძე და ყამასა ხადლაის ძე ომიდან დაბრუნებულთ,

¹³და უთხრეს: „ნუ შემოიყვანთ აქ ტყვეებს, რადგან დანაშაული გვაქვს უფლის წინაშე ჩადენილი, თქვენ კი გინდათ, რომ კიდევ შემატოთ ჩვენს ცოდვებს და დანაშაულებს, რადგან დიდია ჩვენი დანაშაული და რისხვა ისრაელზე.“

¹⁴და მიატოვეს მხედრებმა ტყვეები და ნაალაფარი მხედართმთავრებისა და კრებულის წინაშე.

¹⁵და ადგნენ სახელებით მოხსენებული ეს კაცები, მოჰკიდეს ხელი ტყვეებს და, ვინც კი შიშველი იყო მათგან, ყველა შემოსეს იმ ნაალაფარით; შემოსეს და ფეხზე ჩააცვეს, აჭამეს და ასვეს. ზეთი სცხეს, მერე სახედრებზე შესხეს ყველა დაუძლურებული და მიაცილეს იერიხომდე, ფინიკების ქალაქამდე, მათ მოძმეებამდე. თვითონ კი სამარიაში დაბრუნდნენ.

¹⁶იმ დროს მეფე ახაზმა მოციქულები გაუგზავნა აშურის მთავრებს, რათა დახმარება გაეწიათ მისთვის,

¹⁷და კვლავ მოვიდნენ ედომელები, და დაამარცხეს იუდა და ტყვეები წაასხეს.



¹⁸ფილისტიმელებიც მოედვნენ დაბლობისა და იუდას სამხრეთის ქალაქებს და დაიპყრეს ბეთ-შემეში, აიალონი, გედეროთი, სოქო და მისი დაბები, თიმნა და მისი დაბები, გიმზო და მისი დაბები, და იქ დასახლდნენ.

¹⁹ასე დაამდაბლა უფალმა იუდა ახაზის, იუდას მეფის, გამო, რადგან გარყვნა მან იუდა და ცოდვით სცოდავდა უფალს.

²⁰და მიუხდა მას თილგათ-ფილნესერი, აშურის მეფე, და დახმარების ნაცვლად შეავიწროვა იგი.

²¹რადგან გაძარცვა ახაზმა უფლის სახლი, მეფის სახლი, და მთავრები, და მისცა აშურის მეფეს, მაგრამ არა თავისდა შესაწევად.

²²თავისი გასაჭირის ჟამს უფრო სცოდავდა უფლის წინაშე მეფე ახაზი.

²³და მსხვერპლს სწირავდა დამასკოს ღმერთებს, რაკი ფიქრობდა, რომ მათ დასცეს იგი, და ამბობდა: „არამის მეფეთა ღმერთები ეხმარებიან არამელთ, შევწირავ მათ მსხვერპლს და მეც შემეწევიათ.“ მაგრამ ისინი მისი და მთელი ისრაელის დასამხოზად იყვნენ გამზადებულნი.

²⁴და მოაგროვა ახაზმა ღვთის სახლის ჭურჭელი და მთლიანად დალეწა, და დაკეტა უფლის სახლის კარები, და სამსხვერპლოები დაიდგა იერუსალიმის ყველა კუთხეში.

²⁵იუდას ყველა ქალაქში მაღლობები მოაწყო კერპებისთვის საკმევლის საკმევად და განარისხა უფალი, თავისი მამების ღმერთი.

²⁶დანარჩენი მისი ამბები და ყველა მისი ნამოქმედარი – პირველნი და უკანასკნელნი – იუდასა და ისრაელის მეფეთა წიგნშია ჩაწერილი.

²⁷და განისვენა ახაზმა თავის მამებთან და დამარხეს იერუსალიმში, ოღონდ ისრაელის მეფეთა სამარხში არ ჩაუსვენებიათ. მის ნაცვლად კი მისი ძე, ხიზკია, გამეფდა.

მეორე ნეშტთა 29

¹ხიზკია 25 წლისა გამეფდა და 29 წელი იმეფა იერუსალიმში. დედამისი იყო აბია, ზაქარიას ასული.

²სწორად იქცეოდა უფლის თვალში, როგორც დავითი, მამამისი, იქცეოდა.

³მან თავისი მეფობის პირველი წლის პირველივე თვეში გააღო უფლის ტაძრის კარები და განაახლა ისინი;

⁴და მოიყვანა მღვდლები და ლევიანები და აღმოსავლეთის მოედანზე მოუყარა თავი.



⁵და უთხრა მათ: „მისმინეთ, ლევიანებო! ახლა კი განიწმიდებით და განწმიდეთ უფლის, თქვენი მამების ღმერთის, სახლი, გამოიტანეთ უწმიდურება საწმიდრიდან.

⁶რადგან შესცოდეს ჩვენმა მამებმა, ბოროტად იქცეოდნენ უფლის, ჩვენი ღმერთის, თვალში და მიატოვეს იგი, პირი აარიდეს უფლის სავანეს და ზურგი შეაქციეს,

⁷დაგმანეს კარიბჭის კარებები და ჩააქრეს სასანთლენი, აღარც საკმეველი აკმიეს და აღარც სრულადდასაწველი აღუვლინეს საწმიდარში ისრაელის ღმერთს.

⁸უფლის რისხვა დაატყდა იუდასა და იერუსალიმს და სამარცხვინოდ იქცა, მოსაოხრებლად და დასასტვენად, როგორც თქვენი თვალთ ხედავთ.

⁹აჰა, მახვილით დაეცნენ ჩვენი მამები; ჩვენი ძენი და ასულნი და ცოლები ტყვეებად არიან ამის გამო.

¹⁰ახლა გულით მწადია აღთქმა დავუდო უფალს, ისრაელის ღმერთს, რათა მიაქციოს ჩვენგან თავისი რისხვა.

¹¹ჩემო შვილებო, ნუ იქნებით დაუდევარნი, რადგან თქვენ ამოგირჩიათ უფალმა, რათა თავის წინაშე დაეყენებინეთ, რომ სამსახური გაგეწიათ, მისი მსახურები და საკმევლის მკმევლები ყოფილიყავით.“

¹²და ადგნენ ლევიანები: მახათ ყამასაის ძე, იოელ ყაზარაის ძე – კოჰათის ძეთაგან; მერარის ძეთაგან: კიში, ძე ყაზდისა, და ყაზარია, ძე იეჰალელელისა; გერშონის ძეთაგან: იოახ ზიმას ძე და ყედენ იოახის ძე;

¹³ელიცაფანის ძეთაგან: შიმრი და იეყიელი; ასაფის ძეთაგან: ზაქარია და მათანია;

¹⁴ჰემანის ძეთაგან: იეხიელი და შიმეყი; იედუთუნის ძეთაგან: შემაყია და ყუზიელი.

¹⁵და შეკრიბეს თავიანთი მოძმენი და განწმიდეს. მივიდნენ, როგორც მეფემ ბრძანა, უფლის სიტყვის მიხედვით, უფლის ტაძრის დასასუფთავებლად.

¹⁶და შევიდნენ მღვდლები უფლის სახლში, რათა გაეწმიდათ, და გამოხვეტეს ყოველგვარი უწმიდურება, რაც კი უფლის ტაძარსა და მის ეზოში ნახეს. და გამოიტანეს ლევიანებმა გარეთ, კიდრონის ხევში გადასაყრელად.

¹⁷პირველი თვის პირველ დღეს დაიწყეს გაწმენდა. თვის მერვე დღეს კი უფლის კარიბჭეს მიადგნენ და რვა დღე წმინდეს უფლის სახლი და პირველი თვის მეთექვსმეტე დღეს მოათავეს.



¹⁸და შევიდნენ მეფე ხიზკიასთან და მოახსენეს: „გავასუფთავეთ, უფლის მთელი სახლი, სრულადდასაწველის სამსხვერპლო და მთელი მისი ჭურჭელი, საწინაშეო პურების მაგიდა და მთელი მისი ჭურჭელი;

¹⁹ასევე ყველა ის ჭურჭელი, რომელიც მეფე ახაზმა თავის მეფობაში შეაგინა თავისი ურჯულოებით, ჩვენ მოვამზადეთ და წმიდავყავით და აჰა, უფლის სამსხვერპლოს წინ აწყვია ის.“

²⁰დილაადრიანად ადგა მეფე ხიზკია, შეკრიბა ქალაქის მთავრები და უფლის სახლში ავიდა.

²¹შვიდი ზვარაკი, შვიდი ვერძი, შვიდი კრავი და შვიდი ვაცი მიიყვანეს სამეფოს, საწმიდრისა და იუდას ცოდვისთვის, და აარონის ძეთ – მღვდლებს – უბრძანა მათი აღვლენა უფლის სამსხვერპლოზე.

²²და დაკლეს ზვარაკები და აიღეს მღვდლებმა სისხლი და სამსხვერპლოს აპკურეს; და დაკლეს ვერძები და სისხლი სამსხვერპლოს აპკურეს; და დაკლეს კრავები და სისხლი სამსხვერპლოს აპკურეს.

²³და მორექეს ცოდვის განტევების ვაცები მეფისა და კრებულის წინაშე და ხელები დააწყვეს მათ.

²⁴და დაკლეს ისინი მღვდლებმა და განწმიდეს მათი სისხლით სამსხვერპლო მთელი ისრაელის ცოდვების დასაფარავად. რადგან მთელი ისრაელისათვის ბრძანა მეფემ სრულადდასაწველი და ცოდვის მსხვერპლის აღვლენა.

²⁵და დააყენა ლევიანები უფლის სახლში წინწილებით, ებნებითა და ქნარებით, დავითისა და გადის – მეფის მზილველის – და ნათან წინასწარმეტყველის მიერ დადგენილი წესის მიხედვით, რადგან ეს წესი უფლის მიერ იყო დადგენილი, მის წინასწარმეტყველთაგან.

²⁶ლევიანები დავითის საკრავებით დადგნენ, მღვდლები კი საყვირებით.

²⁷და გასცა ბრძანება ხიზკიამ, რომ აღევლინათ სრულადდასაწველი სამსხვერპლოზე. როგორც კი დაიწყო სრულადდასაწველის აღვლენა, მაშინვე გაისმა უფლის საგალობელი საყვირების ხმა დავითის, ისრაელის მეფის, საკრავების თანხლებით.

²⁸და მთელი კრებული თაყვანს სცემდა; მგალობელნი გალობდნენ და საყვირები ხმიანობდა. ასე გრძელდებოდა სრულადდასაწველის აღვლენის დამთავრებამდე.

²⁹სრულადდასაწველს რომ მორჩნენ, მეფემ და ყველა მასთან მყოფმა, მუხლი მოიყარეს და თაყვანი სცეს.



³⁰მეფე ხიზკიამ და მთავრებმა უთხრეს ლევანებს, რომ ედიდებინათ უფალი დავითისა და ასაფ მზილველის სიტყვებით, და ისინიც სიხარულით აქებდნენ, მუხლს იდრეკდნენ და თაყვანს სცემდნენ უფალს.

³¹და მიუგო ხიზკიამ და თქვა: „ახლა თქვენ უკვე ნაკურთხი ხართ უფლისათვის; მოდით და შემოსწირეთ საკლავები და სამადლობელო ძღვენი უფლის სახლში.“ და შესწირა კრებულმა საკლავები და სამადლობელო ძღვენი, ხოლო ვინც გულუხვობა გამოიჩინა – სრულადდასაწველიც.

³²იმ სრულადდასაწველთა რიცხვი, კრებულმა რომ მოიყვანა, იყო: 70 ზვარაკი, 100 ვერძი, 200 კრავი; ყოველივე ეს უფლისათვის იყო სრულადდასაწველად.

³³სულ შეწირულ იქნა: 600 ზვარაკი და 3 ათასი ცხვარი.

³⁴ოღონდ ცოტანი იყვნენ მღვდლები და ვეღარ აუდიოდნენ ყველა სრულადდასაწველის გატყავებას, ამიტომ მათი მოძმე ლევანები ეხმარებოდნენ მათ, ვიდრე საქმე არ მოთავდა და მღვდლები არ განიწმიდნენ, რადგან ლევანები უფრო გულმოდგინეობდნენ განსაწმედად, ვიდრე მღვდლები.

³⁵თანაც უამრავი იყო სრულადდასაწველი სამშვიდობო მსხვერპლის ქონთან და სრულადდასაწველის საღვრელთან ერთად. და ასე აღდგა უფლის ტაძრის სამსახური.

³⁶და გაიხარა ხიზკიამ და მთელმა ერმა იმის გამო, რომ ასე განაწყო უფალმა ხალხი, რადგან ეს მოულოდნელად მოხდა.

მეორე ნეშტთა 30

¹და შეუთვალა ხიზკიამ მთელს ისრაელს და იუდას, წერილები მისწერა ეფრემსა და მანაშეს, რათა მოსულიყვნენ უფლის სახლში, იერუსალიმში, უფლისათვის, ისრაელის ღმერთისათვის, პასექის გასამართად.

²და გადაწყვიტეს მეფემ, მისმა მთავრებმა და მთელმა კრებულმა იერუსალიმში, რომ პასექი მეორე თვეში გადაეხადათ.

³რადგან იმჟამად არ შეეძლოთ თავის დროზე გადახდა, რაკი მღვდლები არ იყვნენ განწმედილნი საკმარისი რაოდენობით, და ჯერ არც ხალხი იყო თავმოყრილი იერუსალიმში.

⁴სწორად ჩათვალეს ეს მეფემ და მთელმა კრებულმა.



⁵და დაადგინეს, ხმა გაეგრძელებინათ მთელ ისრაელში, ბეერ-შებაყიდან დანამდე, რომ მოსულიყვნენ და პასეჟი გადაეხადათ უფლისათვის, ისრაელის ღმერთისათვის, იერუსალიმში, რადგან დიდხანს არ ჰქონდათ გადახადილი იმ დროს, როცა დაწესებული იყო.

⁶და მოიარეს მალემსრბოლელებმა მეფისა და მთავრების წერილებით მთელი ისრაელი და იუდა, და მეფის ბრძანებისამებრ გამოუცხადეს ხალხს: „ისრაელიანებო, დაუბრუნდით უფალს, აბრაამის, ისაკის და ისრაელის ღმერთს, და ისიც დაუბრუნდება თქვენს ნატამალს, რაც აშურის მეფეთა ხელს გადაურჩით.

⁷ნუ იქნებით თქვენი მამებისა და მოძმეთა მსგავსნი, რომელთაც შესცოდეს უფალს, თავიანთი მამების ღმერთს და, როგორც ხედავთ, მანაც გასწირა ისინი გასაპარტახებლად.

⁸ახლა მაინც ნუ იქნებით ქედვიცხელნი, თქვენი მამების მსგავსად; დაემონეთ უფალს, მოდით მის საწმიდარში, რომელიც მან საუკუნოდ განწმიდა; ემსახურეთ უფალს, თქვენს ღმერთს, და გაბრუნდება თქვენგან მისი რისხვა.

⁹თუ დაუბრუნდებით უფალს, შებრალეხას ჰპოვებენ თქვენი ძმები და შვილები მათ წინაშე, ვინც ისინი დაატყვევეს, და დააბრუნებენ ამ ქვეყანაში, რადგან მოწყალე და შემბრალეა უფალი, თქვენი ღმერთი. ზურგს აღარ შეგაქცევთ, თუ დაუბრუნდებით მას.”

¹⁰და დადიოდნენ მალემსრბოლნი ქალაქიდან ქალაქში, ეფრემის, მანაშესა და ზებულუნის ქვეყანაში, მაგრამ დასცინოდნენ მათ და აბუჩად იგდებდნენ.

¹¹მხოლოდ ზოგიერთნი მოდრკნენ აშერში, მანაშესა და ზებულუნში და მოვიდნენ იერუსალიმს.

¹²იუდაზეც იყო ღვთის ხელი მათზე, რათა ერთი ფიქრი ჰქონოდათ, რომ შეესრულებინათ, რაც მეფემ და მთავრებმა უბრძანეს, უფლის სიტყვისამებრ.

¹³და დიდძალი ხალხი მოაწყდა იერუსალიმს მეორე თვეს უფუარობის დღესასწაულზე. მრავლის უმრავლესი იყო კრებული.

¹⁴და ადგნენ და მოაშორეს სამსხვერპლოები, იერუსალიმში რომ იყო. ასევე ყველაფერი, რაზეც საკმევლს უკმევდნენ, აიღეს და კიდრონის ხევში გადაყარეს.



¹⁵და დაკლეს საპასეო კრავი მეორე თვის მეთოთხმეტე დღეს. და შერცხვით მღვდლებსა და ლევიანებს, განიწმიდნენ და სრულადდასაწველი მიიტანეს უფლის სახლში.

¹⁶და დადგნენ თავ-თავის ადგილას მათი წესისამებრ, მოსეს, ღვთისკაცის, რჯულის მიხედვით. მღვდლები აპკურებდნენ სისხლს, რომელსაც ლევიათა ხელიდან იღებდნენ.

¹⁷მრავლად იყვნენ კრებულში განუწმედელნი, ამიტომ დაკლეს ლევიანებმა საპასეო კრავები ყველა გაუწმიდურებულისთვის, რათა უფლისათვის განეწმიდათ ყველა გაუწმიდურებული.

¹⁸თუმცა ხალხის უმრავლესობა, მეტწილად ეფრემისგან, მანაშესგან, ისაქარისგან და ზებულუნისგან არ განწმედილა, მაინც ჭამეს პასეჟი, წერილის საწინააღმდეგოდ, რადგან ასე ილოცა მათთვის ზიზკიამ: „სახიერმა უფალმა მიუტეოს ყველას,

¹⁹ვინც განამზადა თავისი გული, რომ მოეძებნა უფალი ღმერთი, თავისი მამების ღმერთი, თუმცა კი საწმიდრის წესით არ განწმედილა.”

²⁰და უსმინა უფალმა ზიზკიას და მიუტევა ხალხს.

²¹ისრაელიანთ და იმათ, ვინც კი იერუსალიმში იყო, შვიდ დღეს იზეიმეს უფუარობის დღესასწაული დიდის სიხარულით. ლევიანები და მღვდლები ყოველდღე ადიდებდნენ უფალს უფლის სადიდებელი საკრავებით.

²²გულითადად ელაპარაკა ზიზკია ყველა ლევიანს, რომელიც კეთილი გონებით ემსახურებოდა უფალს. შვიდი დღე ჭამდნენ სადღესასწაულოს, სწირავდნენ სამშვიდობო მსხვერპლს და მადლობდნენ უფალს, თავიანთი მამების ღმერთს.

²³და გადაწყვიტა მთელმა კრებულმა, რომ მომდევნო შვიდი დღეც ეზეიმათ, და ეს შვიდი დღეც სიხარულში გაატარეს,

²⁴რადგან ზიზკიამ, იუდას მეფემ, კრებულისთვის გაიღო ათასი ზვარაკი და 7 ათასი ცხვარი, მთავრებმა გაიღეს კრებულისთვის ათასი ზვარაკი, 9 ათასი ცხვარი, და განიწმიდა მრავალი მღვდელი.

²⁵და ხარობდა იუდას მთელი კრებული, მღვდლები და ლევიანები, ისრაელიდან მოსული მთელი კრებული, ისრაელის ქვეყნიდან მოსული ზიზნები და იუდას მკვიდრნი.

²⁶ისეთი დიდი სიხარული სუფევდა იერუსალიმში, რომლის მსგავსი სოლომონის, დავითის ძის, ისრაელის მეფის დღეების მერე არ ყოფილა იქ.



²⁷და წამოდგნენ მღვდლები, ლევიანები და აკურთხეს ერი, მოსმენილ იქნა მათი ხმა, და აღევლინა მთელი ლოცვა მის წმიდა სამყოფელამდე ზეცაში.

მეორე ნეშტთა 31

¹ყოველივე ეს რომ დამთავრდა, გავიდა იქ მყოფი მთელი ისრაელი იუდას ქალაქებში და დაღუწეს სვეტები, გაჩეხეს აშერები, დაანგრეს მალღობები და სამსხვერპლოები მთელ იუდაში, ბენიამინში, ეფრემში, მანაშეში – ერთიანად. და დაბრუნდა ყველა ისრაელიანი თავ-თავის სამკვიდრებელში, თავის ქალაქში.

²და დააყენა ხიზკიამ მღვდელთა და ლევიათა დასები, მათი დასებისდა მიხედვით, თავ-თავისი სამსახურის შესასრულებლად, მღვდლებად ან ლევიანებად სრულადდასაწველისა და სამშვიდობო მსხვერპლის შესაწირავად, უფლის ბანაკის კარიბჭეში საქებრად და სადიდებლად.

³და დააწესა მეფემ წილი თავისი ქონებიდან, სრულადდასაწველისათვის: სრულადდასაწველისათვის დილისა და სრულადდასაწველისათვის მწუხრისა და სრულადდასაწველთათვის შაბათებისა და ახალმთვაროებისა და დღესასწაულებში, როგორც უფლის რჯულშია ჩაწერილი.

⁴და უბრძანა იერუსალიმში მცხოვრებ ხალხს, რომ თავიანთი წილი გასამრჯელო მიეცათ მღვდლებისთვის და ლევიანებისთვის, რათა მტკიცედ დაეცვათ უფლის რჯული,

⁵როგორც კი ეს ბრძანება გავრცელდა, უხვად მოიტანეს ისრაელიანთ მარცვლეულის, ღვინის, ზეთის, თაფლისა და მინდვრის მოსავლის პირველნაყოფი, და სხვა ყველაფრის მეთაუდიც უხვად მოიტანეს.

⁶იუდას ქალაქებში მცხოვრებმა ისრაელიანებმა და იუდაელებმა ასევე მორეკეს მეთაუდი ცხვარ-ძროხისა და მოიღეს მეთაუდი შენაწირიდან, რომელიც უფლისთვის, თავიანი ღმერთისთვის ჰქონდათ მიძღვნილი. მოიტანეს და გროვად დაახვავეს.

⁷მესამე თვეში დაიწყეს შეგროვებულის დახვავება და მეშვიდე თვეში დაამთავრეს.

⁸და მოვიდნენ ხიზკია და მთავრები, და ნახეს ხორაგი და აკურთხეს უფალი და მისი ერი – ისრაელი.

⁹ჰკითხა ხიზკიამ მღვდლებსა და ლევიანებს ხორაგის თაობაზე.

¹⁰და უთხრა მას ყაზარია მღვდელმთავარმა, ცადოკის სახლის პირველმა კაცმა: როცა დაიწყეს უფლის სახლში ძღვენის მოტანა, ძღომაზე ვჭამდით,



მაგრამ მაინც ბევრი დარჩა, რადგან უფალმა აკურთხა თავისი ერი, და მონარჩენიდან კიდევ ამდენი დარჩა.

¹¹და თქვა ხიზკიამ, ბელლები მოემზადებინათ უფლის სახლში. და მოამზადეს.

¹²და შეზიდეს ბელლებში ძღვენი, მეათედი და შეწირულობანი. უფროსად იყო ლევიანი ქონანია, მისი ძმა შიმეყი მეორე კაცი იყო.

¹³იეხიელი, ყაზაზია, ნახათი, ყასაელი, იერიმოთი, იოზაბადი, ელიელი, ისმაქია. მახათი და ბენაია მეთვალყურენი იყვნენ ქონანიასა და შიმეყის, მისი ძმის, ხელქვეით, მეფე ხიზკიასა და ყაზარიას, უფლის ტაძრის წინამძღვრის ბრძანებით.

¹⁴კორე იმნას ძე, ლევიანი, აღმოსავლეთის მხარის კარის მცველი ღვთისადმი ნებაყოფლობით შესაწირავზე იყო, რათა გაეცა უფლის ძღვენი და წმიდათა წმიდა შეწირულობა.

¹⁵მის ხელქვეით ძღვდელთა ქალაქებში იყვნენ: ყედენი, მინიამინი, იესო, შემაყია, ამარია, შექანია, რომ პატიოსნად გაენაწილებინათ მოძმეთათვის, მათი დასებისდა მიხედვით, როგორც დიდისთვის, ისე პატარისთვის,

¹⁶გარდა საგვარტომო ნუსხაში ჩაწერილთა, სამი წლის ასაკიდან მოყოლებული ყველა მამაკაცისთვის, უფლის სახლში ყველა მომსვლელისა ყოველდღიურ საქმეზე, მათი სამსახურისთვის მათი თანამდებობისდა მიხედვით,

¹⁷საგვარტომო ნუსხაში ჩაწერილი მღვდლებისთვის, მათ მამისსახლთა მიხედვით, 20 წლის ასაკს გადაცილებულ ლევიანთათვის, მათი თანამდებობისა და დასების მიხედვით.

¹⁸საგვარტომო ნუსხაში ჩაწერილი ყველა მათი წვრილშვილისთვის, ცოლებისთვის, ვაჟებისთვის და ასულებისთვის, მთელი კრებულისთვის, რადგან პატიოსნად განიწმიდნენ წმიდა მსახურებისათვის.

¹⁹ხოლო აარონის ძეთათვის – მღვდელთათვის, მათი ქალაქების ირგვლივ, ველ-მინდვრებზე რომ მკვიდრობდნენ, ყოველ ქალაქში კაცები განაწესეს სახელდებით, რომ წილი მიეცათ ყოველი მამაკაცისთვის სამღვდელთა შორის და საგვარტომო ნუსხაში ჩაწერილი ყველა ლევიანისთვის.

²⁰ასე გააკეთა ხიზკიამ მთელ იუდაში, და იგი სიკეთით, სისწორით და პატიოსნებით გააკეთა უფლის, თავისი ღმერთის, წინაშე.

²¹ყველა საქმეში, რასაც კი წამოიწყებდა, ღვთის სახლის სამსახურში, რჯულში თუ მცნებებში, ყველგან თავის ღმერთს ეძებდა, მთელი გულით მოქმედებდა და იმარჯვებდა.



მეორე ნეშტა 32

- ¹ამ პატიოსან საქმეთა შემდეგ მოვიდა სენახერიბი, აშურის მეფე, შემოიჭრა იუდაში და ალყა შემოარტყა ციხე-ქალაქებს. მათ გატეხას ფიქრობდა.
- ²როცა დაინახა ხიზკიამ, რომ მოვიდა სენახერიბი და იერუსალიმზე ლაშქრობას აპირებს,
- ³გადაწყვიტა თავის მთავრებთან და თავის მეზრძოლებთან ერთად, ამოეცხოს წყლის სათავეები, რომლებიც ქალაქგარეთ იყო, და ისინიც მიეხმარნენ.
- ⁴შეიყარა უამრავი ხალხი და დაწყვიტეს ყველა სათავე და ნაკადული, რაც კი დიოდა იმ მიწაზე, რადგან თქვეს: „რატომ უნდა ნახონო მოსულმა აშურის მეფეებმა ბევრი წყალი?“
- ⁵მოიცა ძალი და ამოაშენა ყველა დანგრეული კედელი, აამაღლა გოდლები და გარედან კიდევ სხვა კედელი შემოაშენა. გაამაგრა მილო დავითის ქალაქში, დაამზადა დიდძალი საჭურველი და ფარები.
- ⁶მხედართმთავრები დაუყენა ხალხს, შემოიკრიბა ისინი ქალაქის კარიბჭის მოედანზე და გაამხნევა:
- ⁷„განმტკიცდით და გამლიერდით! ნუ შიშობთ და ნუ თრთით აშურის მეფისა და იმ ურდოს წინაშე, თან რომ ახლავს, რადგან ჩვენთან უფრო დიდი ძალაა, ვიდრე მასთან.
- ⁸მასთან ხორციელი ძალაა, ჩვენთან კი უფალი, ჩვენი ღმერთი, რათა შეგვეწიოს და იომოს ჩვენს ბრძოლებში.“ და გამხნევდა ხალხი ხიზკიას, იუდას მეფის, სიტყვებზე.
- ⁹ამის შემდეგ სენახერიბმა, აშურის მეფემ, რომელიც მთელი თავისი ძალებით ლაქიშის წინ იდგა, გაუგზავნა თავისი მსახურნი იერუსალიმში ხიზკიას, იუდას მეფეს, და მთელ იუდას, იერუსალიმში მყოფს, რომ ეთქვათ:
- ¹⁰„ასე ამბობს სენახერიბი, აშურის მეფე: რისი იმედი გაქვთ, იერუსალიმის ციხესიმაგრეში რომ ჩამსხდარხართო?
- ¹¹განა ხიზკია არ გაცდუნებთ, რომ შიმშილითა და წყურვილით ამოგხადოთ სული, როცა გეუბნებათ: ‘უფალი, ჩვენი ღმერთი, გვიხსნისო აშურის მეფის ხელიდან?’
- ¹²განა მაგ ხიზკიამ არ დაანგრია მისი გორაკები და სამსხვერპლოები? განა ასე არ უთხრა იუდასა და იერუსალიმს: ‘ერთი სამსხვერპლოს წინაშე უნდა სცეთ თაყვანი, და მასზე უნდა აკმიოთ საკმეველი?’



- ¹³განა არ იცით, რა დღე დავაწიეთ მე და ჩემმა მამებმა ქვეყნის ყველა ხალხებს? განა შეძლეს ქვეყნის ხალხების ღმერთებმა, რომ ჩემი ხელიდან ეხსნათ მათი ქვეყნები?
- ¹⁴რომელი იყო ჩემი მამებისგან განადგურებულ ამ ხალხების ღმერთთაგან ისეთი, თავისი ხალხი რომ ეხსნა ჩემი ხელიდან, რომ ახლა თქვენმა ღმერთმა გიხსნათ ჩემი ხელიდან?“
- ¹⁵ახლა არ მოგატყუოთ ხიზკიამ და არ გაცდუნოთ ამგვარად. არ დაუჯეროთ მას, რაკი ვერცერთი ხალხის და სამეფოს ვერცერთმა ღმერთმა ვერ შეძლო თავისი ხალხის ხსნა ჩემი და ჩემი მამების ხელიდან, ვერც თქვენი ღმერთი ვერ გიხსნითო ჩემი ხელიდან.
- ¹⁶კიდევ ელაპარაკნენ მისი მსახურნი უფლის, მათი ღმერთის, წინააღმდეგ და მისი მსახურის, ხიზკიას, წინააღმდეგ.
- ¹⁷უფლის, ისრაელის ღმერთის, სალანძღავ წერილებს წერდა იგი და ასეთ სიტყვებს ამბობდა მასზე: „როგორც ქვეყნიერების ხალხების ღმერთებმა ვერ იხსნეს თავისი ხალხი ჩემი ხელიდან, ასევე ვერც ხიზკიას ღმერთი იხსნის თავის ხალხს ჩემი ხელიდან.“
- ¹⁸ხმამაღლა უყვიროდნენ ებრაულად იერუსალიმელთ, გალავანზე მყოფთ, რომ შეეშინებინათ და თავზარი დაეცათ, და აეღოთ ქალაქი.
- ¹⁹ისე ლაპარაკობდნენ იერუსალიმის ღმერთზე, როგორც ქვეყნიერების ხალხთა ღმერთებზე, ადამიანის ხელით შექმნილებზე.
- ²⁰ამის გამო ილოცეს მეფე ხიზკიამ და წინასწარმეტყველმა ესაია ამოცის ძემ, და ცას შეჰღაღადეს.
- ²¹მოავლინა უფალმა ანგელოზი და ამოწყვიტა აშურის მეფის ბანაკში ყველა მაგარი ვაჟკაცი, წინამძღოლი და მეთაური. შერცხვენილი გაბრუნდა იგი თავის ქვეყანაში და, როცა თავისი ღმერთის სახლში შევიდა, მისი საზარდულიდან გამოსულმა შვილებმა მახვილით განგმირეს იქ.
- ²²იხსნა უფალმა ხიზკია და იერუსალიმის მკვიდრნი აშურის მეფის – სენახერიბის – და ყველას ხელიდან, და დაიფარა ყოველი მხრივ.
- ²³მრავალს მოჰქონდა იერუსალიმში ძღვენი უფლისათვის და რჩეული საჩუქრები იუდას მეფე ხიზკიასთვის. მას შემდეგ ამაღლდა იგი ყველა ხალხების თვალში.
- ²⁴იმ დღეებში სასიკვდილოდ დასნეულდა ხიზკია და შეევედრა უფალს. ელაპარაკა უფალი და მისცა ნიშანი.



²⁵მაგრამ არ მიაგო ხიზკიამ სანაცვლო, მის მიმართ გამოჩენილი სიკეთისთვის, რადგან გამედიდურდა. და იყო ღვთის რისხვა მასზე, იუდასა და იერუსალიმზე.

²⁶და, როცა დაიცხრო ხიზკიამ მედიდურება – თვითონ და მასთან ერთად იერუსალიმის ყველა მკვიდრმა – აღარ დასტყდომიათ თავს ღვთის რისხვა ხიზკიას დღეებში.

²⁷დიდზე დიდი დოვლათი და პატივი ჰქონდა ხიზკიას. საგანძურები მოიწყო ვერცხლისთვის, ოქროსთვის, პატიოსანი ქვებისთვის, ნელსაცხებლებისთვის, ფარებისათვის და ყოველგვარი ძვირფასი ნივთისათვის;

²⁸ბელელ-მარნები აიშენა მიწის ნაყოფისთვის: პურისთვის, ღვინისთვის და ზეთისთვის; ბაკები – ყოველგვარი პირუტყვისთვის, და ფარეხები – ცხვრის ფარეხისთვის;

²⁹ქალაქებიც ააშენა თავისთვის; ცხვარ-ძროხა მრავლად ჰყავდა, რადგან ღმერთი მას დიდძალ დოვლათს აძლევდა.

³⁰მანვე გადაკეტა გიხონის ზემო წყაროების სათავეები და ქვემოთ ჩამოიყვანა წყალი, დავითის ქალაქის დასავლეთ მხარეს; წარმატება ჰქონდა ხიზკიას ყველა საქმეებში.

³¹ხოლო როცა ბაბილონის მთავრები აგზავნიდნენ მასთან მოციქულებს, რათა გამოეძიებინათ მისგან მის ქვეყანაში მომხდარი სასწაულები, მიუშვა იგი ღმერთმა, რომ გამოეცადა და სცოდნოდა ყოველი მისი გულისნადები.

³²ხიზკიას დანარჩენი საქმენი და მისი სიკეთენი აღწერილია წინასწარმეტყველ ესაიას, ამოცის მის, ხილვაში, და იუდასა და ისრაელის მეფეთა წიგნში.

³³და განისვენა ხიზკიამ თავის მამებთან და დამარხეს იგი დავითიანთა სამარხების გვერდით. პატივი მიაგეს მას სიკვდილის შემდეგ მთელმა იუდამ და იერუსალიმის მკვიდრებმა. და გამეფდა მის ნაცვლად მისი ძე, მანაშე.

მეორე ნეშტა 33

¹¹² წლისა იყო მანაშე, როცა გამეფდა და 55 წელი იმეფა იერუსალიმში.

²და უკუღმართად იქცეოდა უფლის თვალში. იმ ხალხების სიბილწეთა კვალზე, რომელნიც აჰყარა უფალმა ისრაელიანთაგან.



³მან კვლავ აღადგინა სამსხვერპლო მაღლობები, მამამისმა ხიზკიამ რომ მოსპო; სამსხვერპლოები აღუმართა ბაყალებს; გააკეთა აშერები და თაყვანს სცემდა ცის მხედრობას და ემსახურებოდა მათ.

⁴ააგო სამსხვერპლოები უფლის სახლში, რომელზეც უფალმა თქვა: „იერუსალიმში საუკუნოდ იქნებაო ჩემი სახელი.“

⁵აუგო სამსხვერპლოები ცის მხედრობას უფლის ტაძრის ორთავე ეზოში.

⁶ცეცხლში ატარებდა თავის შვილებს ბენ-ჰინომის ველზე, მკითხაობდა, მისნობდა, ჯადოსნობდა, დაადგინა მესულთანეები და მჩხიბავები. ბევრ უკუღმართობას სჩადიოდა უფლის თვალში მის გასარისხებლად.

⁷და დადგა ჩამოსხმული კერპი ღვთის სახლში, იმ სახლში, რომელზეც ეუბნებოდა ღმერთი დავითს და მის ძეს სოლომონს: „ამ სახლში და იერუსალიმში, რომელიც ამოვირჩიე ისრაელის ყველა შტოდან, საუკუნოდ დავამკვიდრებო ჩემს სახელს,

⁸აღარ მოვაცვლევიანებ ფეხს ისრაელს ამ მიწიდან, რომელიც მის მამებს დავუდგინე, ოღონდ უნდა შეასრულონ, რაც ვუბრძანე, თანახმად მთელი რჯულისა, წესებისა და მცნებებისა, მოსეს მიერ რომ მიეცათ.“

⁹მაგრამ აცდუნა მანაშემ იუდა და იერუსალიმის მკვიდრნი და იმ ხალხზე უფრო უკუღმართად იქცეოდნენ, რომლებიც გადააშენა უფალმა ისრაელიანთა წინაშე.

¹⁰ელაპარაკა უფალი მანაშესა და მის ხალხს, მაგრამ არ შეისმინეს.

¹¹ამიტომ მიუსია მას უფალმა აშურის მეფის მხედართმთავრები. შეიპყრეს მანაშე, დაატყვევეს, ბორკილები დაადეს და ბაბილონს წაიყვანეს.

¹²გასაჭირში მყოფი მანაშე შეევედრა უფალს, თავის ღმერთს, და ძლიერ მოდრკა თავის მამათა წინაშე.

¹³ილოცა ღმერთის მიმართ და მანაც შეივედრა იგი; შეიწყნარა მისი ვედრება და იერუსალიმში, მის სამეფოში, დააბრუნა. მიხვდა მანაშე, რომ თვით ღმერთია უფალი.

¹⁴ამის შემდეგ გარე კედელი შემოუშენა დავითის ქალაქს გიხონის დასავლეთით, ხევისკენ, თევზთა კარიბჭის შესასვლელამდე, გარს შემოარტყა ყოფელს და ძალზე აამაღლა. და ჩააყენა მხედართმთავრები იუდას ყველა გამაგრებულ ქალაქში.

¹⁵მოაშორა უცხო ღმერთები და კერპები უფლის ტაძარს, ასევე ყველა საკერპო, უფლის ტაძრის მთაზე რომ ააგო იერუსალიმში, და ქალაქგარეთ გადაყარა.



¹⁶განაახლა უფლის სამსხვერპლო, და შესწირა მასზე სამშვიდობო და სამადლობელო მსხვერპლი, და უბრძანა იუდაელთ, ემსახურათ უფლისთვის, ისრაელის ღმერთისთვის.

¹⁷მაგრამ ხალხი მაინც სამსხვერპლო მადლობებზე სწირავდა მსხვერპლს, ოღონდ მხოლოდ უფალს, თავის ღმერთს.

¹⁸მანაშეს დანარჩენი ამბები, მისი ლოცვა თავისი ღმერთის მიმართ, და იმ მხილველთა სიტყვები, რომელნიც მას უფლის, ისრაელის ღმერთის, სახელით ელაპარაკებოდნენ, ისრაელის მეფეთა მატიაზეა ჩაწერილი.

¹⁹და მისი ლოცვა და როგორ უსმინა მას უფალმა, და მთელი მისი ცოდვები და უკეთურება, რასაც აკეთებდა, სამსხვერპლო მადლობები რომ მოაწყო და აშერები და კერპები რომ აღმართა, ყველაფერი (თვით იქამდე, ვიდრე მოინანიებდა), ხოზაის მატიაზეა ჩაწერილი.

²⁰განისვენა მანაშემ თავის მამებთან, და დამარხეს თავის სახლში. მის ნაცვლად მისი ძე, ამონი, გამეფდა.

²¹²² წლისა იყო ამონი, როცა გამეფდა, და ორი წელი იმეფა იერუსალიმში.

²²უკუღმართად იქცეოდა უფლის თვალში, როგორც მამამისი, მანაშე იქცეოდა. მამამისის მიერ გაკეთებულ ყველა კერპს მსხვერპლს სწირავდა ამონი და ემსახურებოდა.

²³ადარ მოდრკა უფლის წინაშე, როგორც მანაშე, მამამისი, მოდრკა, არამედ უფრო გაამრავლა ამონმა დანაშაულები.

²⁴შეითქვნენ მის წინააღმდეგ მისი მსახურნი და თავისავე სახლში მოკლეს იგი.

²⁵ხალხმა ამოწყვიტა მეფე ამონის წინააღმდეგ შეთქმულნი და მის ნაცვლად მისი ძე, იოშია, გაამეფა.

მეორე ნეშტა 34

¹რვა წლისა იყო იოშია, როცა გამეფდა და ³¹ წელიწადი იმეფა იერუსალიმში.

²სწორედ იქცეოდა უფლის თვალში და დავითის, მამამისის, გზას მიჰყვებოდა, არც მარჯვნივ გადაუხვევია, არც – მარცხნივ.

³თავისი მეფობის მერვე წელს, ჯერ კიდევ ყმაწვილი რომ იყო, მიება დაუწყო დავითის, მამამისის, ღმერთს. მეთორმეტე წელს კი შეუდგა იუდასა და იერუსალიმის გაწმედას მადლობებისაგან და აშერებისაგან, გამოქანდაკებული და ჩამოსხმული კერპებისაგან.



⁴მის წინაშე დაანგრიეს ბაყალების სამსხვერპლოები. აჩეხა სამზეო სვეტები, მათ ზემოთ რომ იყო აღმართული, დალექა აშერები და გამოქანდაკებული და ჩამოსხმული კერპები მტვრად აქცია და იმათ სამარხებს გადააყარა, ვინც მსხვერპლს სწირავდნენ მათ.

⁵მათსავე სამსხვერპლოზე დაწვა მათი ქურუმების ძვლები და გაწმიდა იუდა და იერუსალიმი.

⁶მანაშეს, ეფრემისა და სიმეონის ქალაქებში, ნაფთალიმდე, ირგვლივ მათ ნაოხარებში

⁷დაანგრია სამსხვერპლოები და აშერები, მტვრად აქცია კერპები და აჩეხა სამზეო სვეტები მთელს ისრაელის ქვეყანაში და იერუსალიმში დაბრუნდა.

⁸თავისი მეფობის მეთორმეტე წელს, მას შემდეგ, რაც ქვეყანა და უფლის სახლი გაწმინდა, უფლის, თავისი ღმერთის, სახლის შესაკეთებლად გაგზავნა შაფან აცალიას ძე, ქალაქის თავი მაყასეია და მწერალი იოახ იოახაზის ძე.

⁹მივიდნენ ხილკია მღვდელმთავართან და მისცეს უფლის სახლში შეგროვილი ვერცხლი, რომელიც ლევიაწებმა და ზღურბლის მცველებმა აკრიფეს მანაშეს, ეფრემის, სხვა ისრაელიანების, მთელი იუდასა და ბენიამინის ხელიდან და დაბრუნდნენ იერუსალიმს.

¹⁰ხელში ჩააბარეს სამუშაოთა შემსრულებლებს, რომელნიც უფლის სახლში იყვნენ განწესებულნი. ისინი აძლევდნენ მას სამუშაოთა შემსრულებლებს, რომელნიც უფლის სახლში მუშაობდნენ მის შეკეთებასა და გამაგრებაზე.

¹¹ისინი კი ურიგებდნენ ხუროებსა და მშენებლებს, რათა ეყიდათ გათლილი ქვები და მორები კოჭებისთვის და სახლების გადასახურავად, იუდას მეფეებმა რომ დაანგრიეს.

¹²ხალხი პატიოსნად ასრულებდა სამუშაოს. თავზე ეყენათ იახათი და ყობადიაჰუ – ლევიაწები მერარიანთაგან, ზაქარია და მეშულამი – კოჰათიანთაგან, და ლევიაწები, ყველანი, ვინც საკრავების დაკვრაში იყვნენ გაწაფულნი.

¹³მტკირთავეზზეც იყვნენ დადგენილნი და თვალყურს ადევნებდნენ ყველა სამუშაოს შემსრულებელს და ყველა საქმეს. ლევიაწთაგან იყვნენ: მწერლები, ზედამხედველები და კარისმცველები.

¹⁴როცა უფლის სახლში მიტანილი ვერცხლი გამოჰქონდათ, ხილკია მღვდელმა მოსეს ხელით მოცემული უფლის რჯულის წიგნი იპოვა.

¹⁵უთხრა ხილკიამ შაფან მწერალს: „რჯულის წიგნი ვიპოვე უფლის სახლში.“ და ჩააბარა ხილკიამ წიგნი შაფან მწერალს.



- ¹⁶შაფან მწერალმა მეფეს წაუღო წიგნი, თან ამბავი მიუტანა და უთხრა: „ყველაფერს აკეთებენ შენი მსახურნი, რაც დავალებული აქვთ.
- ¹⁷გადმოყარეს ვერცხლი, რაც კი უფლის სახლში აღმოჩნდა, და ხელში ჩააბარეს ზედამხედველებსა და სამუშაოთა შემსრულებლებს.”
- ¹⁸ამბავი მიუტანა შაფან მწერალმა მეფეს და უთხრა: „წიგნი მომცა მღვდელმა ხილკიამ.“ და წაიკითხა მეფის წინაშე.
- ¹⁹როცა მეფემ მოისმინა რჯულის სიტყვები, სამოსელი შემოიხია.
- ²⁰და უბრძანა მეფემ ხილკიას, ახიკამ შაფანის ძეს, ყაბდონ მიქას ძეს, შაფან მწერალს, ყასაიას, მეფის მსახურს:
- ²¹„წადით და შეეკითხეთ უფალს ჩემზე, ისრაელში და იუდაში დარჩენილებზე და ნაპოვნი წიგნის სიტყვებზე, რადგან დიდია უფლის რისხვა, თავს რომ დაგვატყდა, რადგან არ დაიცვეს ჩვენმა მამებმა უფლის სიტყვები, რომ მოქცეულიყვნენ ყოველივე იმის მიხედვით, რაც ამ წიგნში სწერია.“
- ²²წავიდნენ ხილკია და, ვისაც მეფემ უბრძანა, ხულდა წინასწარმეტყველთან, ცოლთან შალუმისა, მისა თოკჰათისა, მისა ხასრასი, სამოსლის მცველისა (ქალი იერუსალიმის მეორე ნაწილში ცხოვრობდა) და ელაპარაკნენ ამის თაობაზე.
- ²³უთხრა მათ: „ასე ამბობს უფალი, ღმერთი ისრაელისა: უთხარით იმ კაცს, ვინც ჩემთან გამოგაგზავნათ:
- ²⁴ასე ამბობს-თქო უფალი: ‘აჰა, უბედურებას დავატებ იმ ადგილს, მის მკვიდრებს კი – იმ წყევლა-კრულვას, რაც ამ წიგნში სწერია, იუდას მეფის წინაშე რომ წაიკითხეს.
- ²⁵რაკი მიმატოვეს და სხვა ღმერთებს უკმის საკმეველი ჩემს გასარისხებლად თავიანთი ხელის ნამოქმედართ, ამიტომ ჩემი რისხვა გადმოიღვრება იმ ადგილზე და აღარ დაცხრება.
- ²⁶იუდას მეფეს კი, უფლის საძიებლად რომ გამოგაგზავნათ, ასე უთხარით: ასე ამბობს-თქო უფალი, ღმერთი ისრაელისა, იმ სიტყვათა თაობაზე, შენ რომ მოისმინე:
- ²⁷რაკი გული მოგიღბა და თავი მოიდრიკე ღვთის წინაშე, რაც მისი სიტყვები მოისმინე ამ ადგილისა და მისი მკვიდრების თაობაზე, და მოდრკი ჩემს წინაშე, სამოსელი შემოიხიე და ტიროდი ჩემს წინაშე, მეც ამიტომ შეგიწყნარე, – ამბობს უფალი. –



²⁸აჰა, მოგასვენებ შენს მამებთან, მშვიდობით შეერთდები შენს სამარხს და აღარ იხილავენ შენი თვალები ყველა იმ უბედურებას, რომელსაც ამ ადგილს და მის მკვიდრებს დავატებო.“ მიუტანეს მეფეს სიტყვა.

²⁹დაგზავნა მეფემ და შეკრიბა მთელი იუდასა და იერუსალიმის უხუცესობა.

³⁰ავიდა მეფე უფლის სახლში და მასთან მთელი იუდა და იერუსალიმის მკვიდრნი, მღვდლები, ლევიანები, და მთელი ერი დიდიდან პატარამდე. მათ გასაგონად წაიკითხა უფლის სახლში ნაპოვნი აღთქმის წიგნის ყოველი სიტყვა.

³¹დადგა მეფე თავის ადგილზე და აღთქმა დადო უფლის წინაშე, რომ გაჰყვებოდა უფალს, დაიცავდა მის მცნებებს, მოწმობებს და წესებს მთელი თავისი გულითა და სულით, ამ წიგნში ჩაწერილი აღთქმის სიტყვების შესასრულებლად.

³²დაუდგინა იგი ყველას, ვინც იერუსალიმსა და ბენიამინში იმყოფებოდნენ. და იქცეოდნენ იერუსალიმის მკვიდრნი ღმერთის, მათი მამების ღმერთის, აღთქმის თანახმად.

³³განაგდო იოშიამ ყოველი სიბილწე ისრაელიანთა ყველა ქვეყნიდან და უფალს, მათ ღმერთს, ამსახურა ყველა, ვინც კი ისრაელში იმყოფებოდა. თავის დღეში აღარ განდგომიან უფალს, თავიანთი მამების ღმერთს.

მეორე ნეშტთა 35

¹გადაუხადა იოშიამ პასექი უფალს იერუსალიმში, და დაკლეს საპასექო კრავი პირველი თვის მეთოთხმეტე დღეს.

²დააყენა მღვდლები თავ-თავიანთ საქმეებზე და ამხნევებდა უფლის ტაძრის სამსახურისთვის.

³და უთხრა ლევიანებს, რომელნიც მთელ ისრაელს მოძღვრავდნენ და საუფლოდ იყვნენ ნაკურთხი: „დადგით წმიდა კიდობანი იმ სახლში, სოლომონმა, დავითის ძემ, ისრაელის მეფემ რომ ააშენა. რად გინდათ მისი მხრებით ტარება? ემსახურეთ ახლა უფალს, თქვენს ღმერთს, და მის ერს – ისრაელს.

⁴მოემზადეთ თქვენ-თქვენი მამისახლებისა და დასების მიხედვით, დავითის, ისრაელის მეფის, განწესების მიხედვით და სოლომონის, მისი ძის, განწესების მიხედვით.

⁵დადექით საწმიდარში თქვენი მოძმეების – ერის შვილობის – მამისახლთა ჯგუფების მიხედვით და ლევიანთა მამისახლების დასების მიხედვით.



⁶დაკალით საპასეჟო კრავი და განიწმიდენით, და მოუმზადეთ ის თქვენს ძმებს, რათა მოსეს მიერ გადმოცემული უფლის სიტყვისამებრ მოიქცეთ.“

⁷უბოძა იოშიამ ერის შვილებს და ყველას, ვინც კი იქ იყო, კრავები და თიკნები, ყველაფერი საპასეჟო მსხვერპლისთვის – რიცხვით 30 ათასი და ზვარაკებიც 3 ათასი. ეს მეფის ქონებიდან იყო.

⁸და მისმა მთავრებმა ნებაყოფლობით უბოძეს ხალხს, მღვდლებსა და ლევიანებს. ხილკიამ, ზაქარიამ და იეხიელმა – ღვთის სახლის წინამძღვრებმა – მღვდლებს საპასეჟოდ მისცეს 2600 კრავი და 300 ზვარაკი.

⁹ქონანამ, შემაყიამ, ნეთანელმა და მისმა ძმებმა, ხაშაბიამ, იეყიელმა და იოზაბადმა – ლევიანთა მთავრებმა – ლევიანებს საპასეჟო მსხვერპლად უძღვნეს 5 ათასი კრავი და 500 ზვარაკი.

¹⁰ასე დაწესდა ღვთისმსახურება. და მღვდლები თავიანთ ადგილებზე დადგნენ და ლევიანები – თავ-თავიანთ დასებში მეფის ბრძანების მიხედვით.

¹¹და კლავდნენ საპასეჟო კრავებს, მღვდლები სისხლს ხელით იღებდნენ ლევიანთაგან და აპკურებდნენ, და ლევიანები ატყავებდნენ.

¹²და გამოაცალკევეს, რაც სრულადდასაწველისთვის იყო, რომ გაენაწილებინათ ერის შვილების მამისსახლთა ჯგუფების მიხედვით, რათა ისე შეეწირათ მსხვერპლი უფლისათვის, როგორც მოსეს წიგნში სწერია. ასევე აკეთებდნენ ზვარაკების შეწირვისასაც.

¹³შეწვეს საპასეჟო კრავი ცეცხლზე, წესის მიხედვით; ხოლო რაც გაწმედილი იყო ქვაბებსა და სიავეებში მოხარშეს და სწრაფად ჩამოურიგეს ხალხს.

¹⁴შემდეგ თავისთვის და მღვდლებისთვისაც მოამზადეს; რადგან მღვდლები – აარონიანები – მწუხრამდე სწირავდნენ სრულადდასაწველსა და ლურთებს, ამიტომაც მოამზადეს ლევიანებმა თავისთვის და მღვდლებისთვის – აარონის ძეთათვის.

¹⁵და მაგალობელნი – ასაფის ძენი – თავის ადგილას იდგნენ, როგორც დაწესებული იყო დავითის, ასაფის, ჰემანის და მეფის მზილველის იედუთუნის მიერ. კარისმცველნიც იდგნენ ყოველ კარში, მათ არ უხდებოდათ თავიანთი ადგილის მიტოვება, რადგან მათი მოძმე ლევიანები მათთვისაც ამზადებდნენ.

¹⁶ასე დაწესდა იმ დღეს უფლის ყველა სამსახური, რომ პასეჟი გადაეხადათ და სრულადდასაწველი აღევლინათ უფლის სამსხვერპლოზე, მეფე იოშიას ბრძანებისამებრ.



¹⁷შვიდი დღის განმავლობაში იხდიდნენ იმ დროს იქ მყოფი ისრაელიანები პასექს და უფუარობის დღესასწაულს.

¹⁸სამუელ წინასწარმეტყველის დღეების შემდეგ არ გადაეხადათ ისრაელში ასეთი პასექი. ისრაელის არც ერთ მეფეს არ გადაუხდია ასეთი პასექი, როგორც იოშიამ, მღვდლებმა, ლევიტებმა, მთელმა იუდამ, იქ მყოფმა ისრაელიელებმა და იერუსალიმის მკვიდრებმა რომ გადაუხადეს უფალს.

¹⁹იოშიას მეფობის მეთვრამეტე წელს იქნა გადახდილი ეს პასექი.

²⁰ყოველივე ამის შემდეგ, როგორც კი იოშიამ მოაწესრიგა უფლის სახლი, გამოხდა ეგვიპტის მეფე ნექო, საომრად, მდინარე ევფრატზე, ქარქემიშთან და გამოვიდა იოშია მის შესახვედრად.

²¹მოციქულები გამოუგზავნა ნექომ და შემოუთვალა: „რა საქმე გვაქვს ერთმანეთთან მე და შენ, იუდას მეფევ? დღეს შენს წინააღმდეგ არ წამოვსულვარ, არამედ იმ სახლის წინააღმდეგ, რომელსაც ვეომები. ღმერთმა მიბრძანა, რომ ვიჩქარო, ჩამოეცალე ღმერთს, თან რომ მახლავს, რომ არ დაგლუპოს.“

²²პირი არ იბრუნა მისგან იოშიამ და შეიჭურვა მის წინააღმდეგ საომრად; არ შეისმინა ღმერთისგან შთაგონებული ნექოს სიტყვები; და გავიდა მეგიდოს ველზე საომრად.

²³სტყორცნეს მშვილდოსნებმა მეფე იოშიას და დაჭრეს. უთხრა მეფემ თავის მსახურთ: „გამიყვანეთ, რადგან მძიმედ დავიჭერი.“

²⁴ჩამოსვეს მისმა მსახურებმა ეტლიდან, აიყვანეს მის მეორე ეტლზე და იერუსალიმში წაიყვანეს. მოკვდა იგი და თავისი მამების სამარხში დაიმარხა. მთელმა იუდამ და იერუსალიმმა დაიტირა იგი.

²⁵გამართა გოდება იერემიამ იოშიაზე. ყველა მაღლობელი კაცი და ქალი დღემდე მოთქვამს იოშიაზე თავის საგოდებლებში. წესად დაუდგინეს ისინი ისრაელს, და აჰა, საგოდებლებშია ჩაწერილი.

²⁶იოშიას დანარჩენი საქმენი და მისი სიქველენი, უფლის რჯულში ჩაწერილის თანახმად აღსრულებულნი,

²⁷და მისი საქმენი – პირველნი და უკანასკნელნი – იუდასა და ისრაელის მეფეთა წიგნშია ჩაწერილი.

მეორე ნეშტთა 36

¹გამოიყვანა ხალხმა იეჰოახაზი, იოშიას ძე, და მამამისის ნაცვლად გაამეფა იერუსალიმში.



- ²იოახაზი 23 წლისა იყო, როცა გამეფდა და სამი თვე იმეფა იერუსალიმში;
- ³გადააყენა იგი ეგვიპტის მეფემ იერუსალიმში და დააკისრა ქვეყანას 100 ტალანტი ვერცხლი და ერთი ტალანტი ოქრო.
- ⁴ეგვიპტის მეფემ მის ნაცვლად მისი ძმა, ელიაკიმი, გაამეფა იუდაში და იერუსალიმში, და იეჰოიაკიმად შეუცვალა სახელი. მისი ძმა იოახაზი კი შეიპყრო ნექომ და ეგვიპტეში წაიყვანა.
- ⁵იეჰოიაკიმი 25 წლისა იყო, როცა გამეფდა და 11 წელი იმეფა იერუსალიმში. უკუღმართად იქცეოდა უფლის, თავისი ღმერთის, თვალში.
- ⁶მოუხდა მას ნაბუქოდონოსორი, ბაბილონის მეფე, და დაადო ბორკილები ბაბილონში წასაყვანად.
- ⁷და წაიღო ნაბუქოდონოსორმა უფლის ტაძრის ჭურჭლეულის ნაწილი ბაბილონში და დააწყო თავის საკერპოში, ბაბილონში.
- ⁸იეჰოიაკიმის დანარჩენი საქმენი და სიბილწენი, რაც ჩაიდინა, და რაც მის წინააღმდეგ აღმოჩნდა, ისრაელისა და იუდას მეფეთა წიგნშია ჩაწერილი. მის ნაცვლად მისი ძე იეჰოიაქინი გამეფდა.
- ⁹იეჰოიაქინი 18 წლისა იყო, როცა გამეფდა და სამი თვე და ათი დღე იმეფა იერუსალიმში და უკუღმართად იქცეოდა ის უფლის თვალში.
- ¹⁰ხოლო წელიწადი რომ შემოიქცა, ხალხი გაგზავნა მეფე ნაბუქოდონოსორმა და ბრძანა მისი გადაყვანა ბაბილონში და უფლის ტაძრის ძვირფასი ჭურჭლის გადატანა, ხოლო იუდასა და იერუსალიმზე მისი ძმა, ცედეკია, გაამეფა.
- ¹¹ცედეკია 21 წლისა იყო, როცა გამეფდა, და 11 წელიწადი იმეფა იერუსალიმში.
- ¹²იგი უკუღმართად იქცეოდა უფლის, თავისი ღმერთის, თვალში, და არ მოდრკა იერემია წინასწარმეტყველის წინაშე, რომელიც მას იმას ელაპარაკებოდა, რაც მისთვის უფალს ჰქონდა ნათქვამი.
- ¹³და განუდგა იგი მეფე ნაბუქოდონოსორსაც, რომელმაც ღმერთზე დააფიცა. გაიფიცხა ქედი და გული არ მოიღბო უფლისკენ, ისრაელის ღმერთისკენ, რომ მოქცეულიყო.
- ¹⁴ასევე იუდას ყველა დიდებული და მღვდლები, და ხალხი მრავალს სცოდავდნენ წარმართთა ყველა სისამაგლის კვალობაზე, და ბილწავდნენ უფლის ტაძარს, რომელიც გაწმინდა მან იერუსალიმში.



¹⁵უფალი, მათი მამების ღმერთი, ადრიდანვე უგზავნიდა და უგზავნიდა მათ სიტყვას თავის მოციქულთა პირით, რადგან ებრალებოდა თავისი ერი და თავისი სამყოფელი.

¹⁶მაგრამ ისინი აბუჩად იგდებდნენ ღვთის მოციქულებს, არად აგდებდნენ მის სიტყვებს და დასცინოდნენ მის წინასწარმეტყველებს, ვიდრე მის ხალხს უფლისაგან უსაშველო რისხვა არ დაატყდა.

¹⁷და მოუვლინა მათ ქალდეველთა მეფე და მახვილით ამოხოცა მათი ჭაბუკები საწმიდრის სახლში; არ დაინდო არც ჭაბუკი და არც ქალწული, არც მოხუცი და არც თმაჭაღარა – ყველანი მის ხელში ჩაყარა.

¹⁸ღვთის სახლის მთელი ჭურჭელი, დიდი და მცირე, უფლის ტაძრის განძეულობა, მეფისა და მთავრების განძეულობითურთ ერთიანად ბაბილონში გაზიდა.

¹⁹გადაწვეს ღვთის სახლი და დაანგრეს იერუსალიმის კედელი, გადაბუგეს ყველა მისი სასახლე და გაანადგურეს ყველა მისი ძვირფასეულობა.

²⁰მახვილს გადარჩენილნი ბაბილონში გადაასახლა და გახდნენ მისი და მის ძეთა მსახურნი სპარსეთის მეფობის დამყარებამდე,

²¹ვიდრე აღსრულდებოდა უფლის სიტყვა იერემიას პირით ნათქვამი: ვიდრე ქვეყანა თავის შაბათებს იზეიმებსო. მთელს გაუკაცრიელების ხანაში შაბათობდა, ის, ვიდრე 70 წელი არ შესრულდა.

²²სპარსეთის მეფის, კიროსის პირველ წელს, როცა იერემიას პირით ნათქვამი უფლის სიტყვა აღსრულდა, უფალმა აღძრა სპარსეთის მეფის სული და მან საქვეყნოდ გამოაცხადა მთელ თავის სამეფოში სიტყვიერად და წერილობით:

²³„ასე ამბობს კიროსი, სპარსეთის მეფე: ქვეყნის ყველა სამეფო მე მიზოძა უფალმა, ცათა ღმერთმა, და დამავალა მისთვის სახლის აგება იერუსალიმში, იუდაში რომ არის. ვინც თქვენს შორის მისი ერიდან არის, უფალი, მათი ღმერთი, იყოს მათთან და ავიდნენ ისინი იქ!“



ეზრა

ეზრა 1

¹სპარსეთის მეფის, კიროსის, მეფობის პირველ წელს, რათა აღსრულებულიყო იერემიას პირით თქმული უფლის სიტყვა, გააღვიძა უფალმა სული კიროსისა, სპარსეთის მეფისა, და მისცა ბრძანება, გამოეცხადებინათ მთელ მის სამეფოში წერილობითაც და სიტყვითაც:

²„ასე ბრძანებს კიროსი, სპარსეთის მეფე: ქვეყნიერების ყველა სამეფონი მე მომცა უფალმა, ცათა ღმერთმა, და მიბრძანა ავუშენო მას ტაძარი იერუსალიმში, იუდაში.

³ვინც კი არის თქვენს შორის მისი ხალხიდან, ღმერთი იყოს მასთან, ავიდეს იერუსალიმს, იუდაში, და აშენოს უფლის, ტაძარი, ისრაელის ღმერთისა – იმ ღმერთისა, რომელიც იერუსალიმშია.

⁴და ყველა დანარჩენს ყველგან, სადაც ის ცხოვრობს, ხელი შეუწყოს იმ ადგილის ხალხმა ვერცხლით, ოქროთი და სხვა ქონებით; პირუტყვითა და ნებაყოფლობითი ძღვენით უფლის ტაძრისთვის, რომელიც იერუსალიმში არის.“

⁵და ადგნენ იუდასა და ბენიამინის მამისსახლთა თავკაცები, მღვდლები და ლევიანები, და ყველა, ვისაც კი სული გაუღვიძა ღმერთმა, რათა ასულიყვნენ უფლის ტაძრის ასაშენებლად, რომელიც იერუსალიმშია.

⁶გარდა იმისა, რაც ტაძარში შეწირულობა შედიოდა, ყველა, ვინც მათ ირგვლივ ცხოვრობდა, ეხმარებოდა მათ ყველაფრით: ვერცხლით, ოქროთი და სხვა ქონებით, პირუტყვითა და ძვირფასი საგნებით.

⁷ხოლო მეფე კიროსმა ბრძანა, გამოეტანათ უფლის ტაძრის ჭურჭელი, რომელიც ნაბუქოდონოსორმა ოდესღაც წაიღო იერუსალიმიდან და თავისი ღმერთის ტაძარში დააწყო.

⁸და გამოიტანა ის კიროსმა, სპარსეთის მეფემ, მითრიდატე მოლარეთუხუცესის ხელით, და თვლით ჩააბარა შეშბაცარს, იუდას მთავარს.

⁹და აი, მათი რაოდენობა: ოქროს ლანგარი – 30, ვერცხლის ლანგარი – 1000, დანა – 29,

¹⁰ოქროს ბარძიმი – 30, ვერცხლის ორმაგი ბარძიმი – 410 და სხვადასხვა ჭურჭელი – 1000.



¹¹ოქროს და ვერცხლის ჭურჭელი სულ 5400 იყო. ეს ყოველივე წამოიღო შემზადარმა, როცა გადასახლებულები ბაბილონიდან იერუსალიმში დააბრუნეს.

ეზრა 2

¹ესენი არიან იუდას ქვეყნის მცხოვრებნი ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის, მიერ ბაბილონში გადასახლებულ ტყვეთაგან რომ დაბრუნდნენ იერუსალიმსა და იუდაში, თითოეული თავის ქალაქში,

²რომელნიც მოვიდნენ ზერუბაბელთან, იესოსთან, ნემიასთან, სერაიასთან, რეყელაიასთან, მორდექაისთან, ბილშანთან, მისფართან, ბიგვაისთან, რეხუმთან და ბაყანასთან ერთად. აჰა, ისრაელიან მამაკაცთა რიცხვი:

³ფარყოშის ძენი – 2 172,

⁴შეფატაის ძენი – 372,

⁵არახის ძენი – 775,

⁶ფახათ-მოაბის ძენი, იესოს ძეთაგან და იოაბის ძეთაგან – 2 812,

⁷ყელამის ძენი – 1 254,

⁸ზათუს ძენი – 945,

⁹ზაქაის ძენი – 760,

¹⁰ბანის ძენი – 642,

¹¹ბეზაის ძენი – 623,

¹²ყაზგადის ძენი – 1 222,

¹³ადონიკამის ძენი – 666,

¹⁴ბიგვაის ძენი – 2 056,

¹⁵ყადინის ძენი – 454,

¹⁶ატერის ძენი ხეზეკიად წოდებულის – 98,

¹⁷ბეცაის ძენი – 323,

¹⁸იორას ძენი – 112,

¹⁹ხაშუმის ძენი – 223,

²⁰გიბარის ძენი – 95,

²¹ბეთლემელი კაცები – 123,



- ²²ნეტოფაელი კაცები – 56,
- ²³ყანათოთელი კაცები – 128,
- ²⁴ყაზმავეთის ძენი – 42,
- ²⁵კირიათ-იეყარიმის, ქეფირას და ბეეროთის ძენი – 743,
- ²⁶რამას და გეზაყის ძენი – 621,
- ²⁷მიქმაშელი კაცები – 122,
- ²⁸ბეთელელი და ღაიელი კაცები – 223,
- ²⁹ნებოს ძენი – 52,
- ³⁰მაგბიშის ძენი – 156,
- ³¹ყელამის სხვა ძენი – 1 254,
- ³²ხარიმის ძენი – 320,
- ³³ლოდის, ხადიდის და ონოს ძენი – 725,
- ³⁴იერიხოელი კაცები – 345,
- ³⁵სენაას ძენი – 3 630,
- ³⁶მღვდლები: იედაყიას ძენი იესოს სახლიდან – 973,
- ³⁷იმერის ძენი – 1 052,
- ³⁸ფაშურის ძენი – 1 247,
- ³⁹ხარიმის ძენი – 1 017,
- ⁴⁰ლევიანები: იესოს და კადმიელის ძენი, ჰოდავიას ძეთაგან – 74;
- ⁴¹მგალობელნი: ასაფის ძენი – 128;
- ⁴²კარისმცველთა ძენი: შალუმის, ატერის, ტალმონის, ყაკუბის, ხატიტას და შობაის სულ – 139;
- ⁴³ტაძრის მსახურთა ძენი: ციხას, ხაშუფას, ტაბაყოთის,
- ⁴⁴კეროსის, სიაყას, ფადონის,
- ⁴⁵ლებანას, ხაგაბას, ყაკუბის,
- ⁴⁶ხაგაბის, შამლაის, ხანანის,
- ⁴⁷გიდეელის, გახარის, რეაიას,
- ⁴⁸რეცინის, ნეკოდას, გაზამის,
- ⁴⁹ყუზას, ფასეახის, ბესაის,



- ⁵⁰ასნას, მეყუნიმის, ნეფისიმის,
- ⁵¹ბაკბუკის, ხაკუფას, ხარხურის,
- ⁵²ბაცლუთის, მეხიდას, ხარშას,
- ⁵³ბარკოსის, სისერას, თემახის,
- ⁵⁴ნეციახის და ხატიფას ძენი;
- ⁵⁵სოლომონის მსახურთა ძენი: სოტაის, ჰასოფერეთის, ფერუდას,
- ⁵⁶იაცალახის, დარკონის, გიდელის,
- ⁵⁷შეფატაის, ხატილის, ფოქერეთ-ჰაცეზაიმის და ამის ძენი;
- ⁵⁸სულ ტაძრის მსახურნი და სოლომონის მსახურთა ძენი – 392.
- ⁵⁹და ესენი გამოვიდნენ თელ-მელახიდან, თელ-ხარშადან, ქერუბიდან, ადანიდან, იმერიდან, მაგრამ ვერ შეძლეს გაერკვიათ მათი მამისსახლები და მოდგმა ისრაელიდან თუ იყო.
- ⁶⁰დელაიას, ტობიას და ნეკოდას ძენი – სულ 652.
- ⁶¹და მღვდლების ძეთაგან: ძენი ხაზაიასი, ჰაკოცისა, ბარზილაისა, რომელმაც გალაადელი ბარზილაის ასულთაგანი შეირთო ცოლად და მათივე სახელი ეწოდა,
- ⁶²ესენი ეძებდნენ თავიანთ საგვარტომო ნუსხას და ვერ იპოვეს, ამიტომაც მღვდლობიდან ამოირიცხნენ.
- ⁶³და უთხრა მათ განმგებელმა, რომ არ ეჭამათ დიდი სიწმიდიდან, ვიდრე არ დადგებოდა მღვდელი ურიმითა და თუმიმით.
- ⁶⁴მთელი კრებული ერთად შეადგენდა 42 360,
- ⁶⁵გარდა მათი მსახურებისა და მათი მხევლებისა, ესენი იყვნენ 7 337; და მათ შორის – 200 მგალობელი კაცი და ქალი.
- ⁶⁶მათი ცხენები – 736, ჯორები – 245,
- ⁶⁷მათი აქლემები – 435, სახედრები – 6 720.
- ⁶⁸და მამისსახლთა თავკაცებმა უფლის სახლთან მისვლისას, იერუსალიმში, ნებაყოფლობით შესწირეს ღვთის სახლს, რათა აღდგენილიყო იგი თავის საძირკველზე.
- ⁶⁹თავიანთი შეძლებისამებრ საგანძურში შეიტანეს სამუშაოებისათვის: 61 ათასი დრაქმა ოქრო, 5 ათასი მინა ვერცხლი და 100 ხელი სამღვდელო სამოსელი.



⁷⁰და დასახლდნენ მღვდლები, ლევიანები და მდაბიონი იერუსალიმში, ხოლო მგალობლები, კარისმცველები, სატაძრო მსახურნი – თავ-თავის ქალაქებში, და დანარჩენი ისრაელიანები – თავ-თავის ქალაქებში.

ეზრა 3

¹და, როცა დადგა მეშვიდე თვე და ისრაელიანები უკვე თავიანთ ქალაქებში ცხოვრობდნენ, შეიკრიბა მთელი ხალხი იერუსალიმში, როგორც ერთი კაცი.

²და ადგნენ იესო იოცადაკის ძე, მისი ძმები, მღვდლები და ზერუბაბელი, შეალთიელის ძე, და მისი ძმები, და აუგეს სამსხვერპლო ისრაელის ღმერთს, რათა მასზე აღევლინათ სრულადდასაწველი, როგორც სწერია მოსეს, ღვთისკაცის, რჯულში.

³და დადგეს სამსხვერპლო თავის სამირკველზე – რადგან შიში ჰქონდათ სხვა ქვეყნების ხალხისა – და იწყეს მასზე უფლისადმი დილისა და საღამოს სრულადდასაწველის აღვლენა.

⁴და მართავდნენ კარვობის დღესასწაულს, როგორც დაწერილია, და სწირავდნენ დღიურ სრულადდასაწველს განსაზღვრულ რიცხვში, ყოველი დღის წესისამებრ.

⁵და ამის შემდეგ სწირავდნენ ყოველდღიურ სრულადდასაწველს, და ახალმთვარობის მსხვერპლს, და უფლისადმი მიძღვნილ ყოველ წმიდა დღესასწაულზე, და, ამას გარდა, ყველასათვის, ვისაც ნებაყოფლობით რაიმე მოჰქონდა უფლისათვის.

⁶მეშვიდე თვის პირველი დღიდანვე დაიწყეს უფლისათვის სრულადდასაწველის აღვლენა. ხოლო უფლის ტაძრის სამირკველი ჯერაც არ ჰქონდათ ჩაყრილი.

⁷და მისცეს ვერცხლი ქვისმთლელებს და ხუროებს – სასმელ-საჭმელი, და ზეთი – ციდონელებს და ცორელებს, რათა მოეზიდათ კედარის მორები ზღვით ლიბანიდან იაფოში, იმ ნებართვით, რომელიც მისცა მათ სპარსეთის მეფე კიროსმა.

⁸და იერუსალიმში ღვთის სახლთან მათი მისვლის მეორე წლის მეორე თვეს შეუდგნენ საქმეს ზერუბაბელ შეალთიელის ძე, იესო იოცადაკის ძე და დანარჩენი მათი ძმები, მღვდლები და ლევიანები, რომლებიც ტყვეობიდან დაბრუნდნენ იერუსალიმში; და დააყენეს ლევიანები, 20 წლიდან და ზევით, უფლის ტაძრის სამუშაოების ზედამხედველებად.

⁹და დადგნენ იესო და მისი ძენი და მისი ძმები, და კადმიელი და მისი ძენი, ძენი იუდასი, როგორც ერთი კაცი, ღვთის სახლში მომუშავეთა



ზედამხედველებად, ასევე ხენადადის ძენი, მათი ძენი და მათი ძმები – ლევანები.

¹⁰და როცა მშენებლებმა უფლის ტაძრის საძირკველი ჩაყარეს, დააყენეს შემოსილი მღვდლები საყვირებით, და ლევანები, ასაფის ძეთაგან, წინწილებით, რათა ედიდებინათ უფალი დავითის, ისრაელის მეფის, წესის მიხედვით.

¹¹და შეჰღაღადეს მონაცვლეობით უფალს გალობით: „აუარებდით უფალსა და აქებდით, რამეთუ კეთილია, რადგან საუკუნოა წყალობა მისი ისრაელზე!“ და მთელი ხალხი უფლის ტაძრის დაფუძნების გამო მაღალი ხმით ამბობდა უფლის ქება-დიდებას.

¹²და მრავალნი მღვდელთაგან და ლევანთაგან, მამისსახლთა თავკაცთაგან, და მოხუცებულთაგან, რომელთაც ნანახი ჰქონდათ პირველი ტაძარი, ხმამაღლა ტიროდნენ, როცა მათ თვალწინ საძირკველს უყრიდნენ ტაძარს, ბევრმა კი სიხარულის ყიჟინა დასცა.

¹³და ხალხი ველარ არჩევდა სიხარულის ყიჟინას და ტირილის ხმას, რადგან ხალხი დიდი ხმით გუგუნებდა და შორს ისმოდა მათი ხმა.

ეზრა 4

¹და გაიგეს იუდასა და ბენიამინის მტრებმა, რომ ტყვეობიდან დაბრუნებულნი ტაძარს უშენებდნენ უფალს, ისრაელის ღმერთს,

²და მივიდნენ ისინი ზერუბაბელთან და მამისსახლთა თავკაცებთან, და უთხრეს: „ჩვენც თქვენთან ერთად გვინდა ვაშენოთ, რადგან ჩვენც თქვენსავით ვეძებთ თქვენს ღმერთს და ჩვენც ვწირავთ მას მსხვერპლს აშურის მეფის, ესარხადონის, დღეთაგან, რომელმაც აქ ამოგვიყვანა.“

³და უთხრეს მათ ზერუბაბელმა და იესომ და ისრაელის მამისსახლთა დანარჩენმა თავკაცებმა: „არ შეიძლება, რომ თქვენ და ჩვენ ერთად ვაშენოთ ჩვენი ღვთის სახლი, რადგან მხოლოდ ჩვენ უნდა ავუშენოთ სახლი უფალს, ისრაელის ღმერთს, როგორც ნაბრძანები აქვს ჩვენთვის კიროსს, სპარსთა მეფეს.“

⁴და იქაური ხალხი ხელს უშლიდა იუდაელთ და აბრკოლებდა ტაძრის შენებაში.

⁵და იწყეს მათ წინააღმდეგ მრჩევლების მოსყიდვა, რათა ჩაეშალათ მათი განზრახვა სპარსეთის მეფე კიროსის დღეებიდან დარიოსის გამეფებამდე.

⁶და, როცა ახაშვეროში გამეფდა, მისი მეფობის დასაწყისში მათ დაწერეს ცილისწამება იუდასა და იერუსალიმის მოსახლეობაზე.



⁷და არტაქსერქსეს დღეებში მისწერეს სპარსეთის მეფეს, არტაქსერქსეს, ბიშლამმა, მითრიდატემ, ტაბელმა და სხვა მათმა თანამოაზრეებმა. წერილი დაწერილი იყო არამეული ასოებით არამეულ ენაზე.

⁸რეხუმ მრჩეველმა და შიმშიაი მწიგნობარმა მეფე ართახშასთას ერთი ასეთი წერილი მისწერეს იერუსალიმის წინააღმდეგ:

⁹„ჩვენ, რეხუმ მრჩეველმა და შიმშიაი მწიგნობარმა და სხვა თანამოაზრეებმა, მსაჯულებმა, განმგებლებმა, მწიგნობრებმა, და ხელისუფლებმა, ერეკლეებმა, ბაბილონელებმა, შუშანელებმა, ანუ ყელამელებმა,

¹⁰და დანარჩენმა ხალხმა, რომელნიც აჰყარა დიდმა და სახელოვანმა ოსნაფარმა და დაასახლა სამარიის ქალაქებში და სხვა ქალაქებში ევფრატის გაღმა...“ –

¹¹და აი, რა იყო შემდეგ ნათქვამი იმ წერილში, რომელიც მათ გაუგზავნეს მას: „მეფე ართახშასთას, შენი მსახურნი, ადამიანები, რომლებიც მდინარის გაღმა ცხოვრობენ და სხვანი.

¹²მეფემ უნდა იცოდეს, რომ იუდაელნი, რომელნიც შენგან გამოვიდნენ, ჩვენთან ამოვიდნენ, იერუსალიმში, და აშენებენ ამ მეამბოხე და ბოროტ ქალაქს; კედლები აჰყავთ და ბურჯებს ამაგრებენ.

¹³ახლა იცოდეს მეფემ, რომ თუ ეს ქალაქი აშენდა და კედლები დამთავრდა, ისინი გადასახადს, ხარკსა და ბეგარას აღარ გადაგიხდიან და სამეფო ხაზინა დაზარალდება.

¹⁴ახლა, რაკი ჩვენ მეფის სასახლის მარილი გვაქვს ნაჭამი, მეფის ზარალის შორიდან ყურება არ შეგვიძლია, ამიტომ ვუგზავნით მეფეს უწყებას და ვატყობინებთ:

¹⁵მოჩხრიკონ შენი მამების მატრიანეში, – და შენ ნახავ და გაიგებ, რომ ეს ქალაქი მეამბოხე ქალაქია და საზიანოა მეფეთათვის და ქვეყნისათვის; და რომ ძველთაგანვე ამბოხებები ხდებოდა აქ, ამიტომაც იქნა ეს ქალაქი განადგურებული.

¹⁶და ახლა ვატყობინებთ ჩვენს მეფეს, რომ თუ ეს ქალაქი აშენდა და კედლები დამთავრდა, მდინარის გაღმა სამფლობელო აღარ შეგრჩება.“

¹⁷მეფემ ასეთი პასუხი გამოუგზავნა მათ: „რეხუმ მრჩეველს, შიმშიაი მწიგნობარს და მათ სხვა თანამოაზრეებს, რომლებიც ცხოვრობენ სამარიასა და ევფრატის გაღმა მხარის დანარჩენ ქალაქებში: მშვიდობა იყოს თქვენთან!

¹⁸წერილი, რომელიც თქვენ გამომიგზავნეთ, სიტყვა-სიტყვით წაიკითხეს ჩემს წინაშე.



¹⁹და ჩემი ბრძანებით გამოჩხრიკეს და აღმოაჩინეს, რომ ეს ქალაქი ძველთაგანვე უჯანყდებოდა მეფეებს და ამბოხება და არეულობა ხდებოდა იქ.

²⁰და ძლიერი მეფენი განაგებდნენ იერუსალიმს, და ეპყრათ მათ მდინარის მთელი გაღმა მხარე და გადასახადებს, ხარკსა და ბეგარას იღებდნენ იქიდან.

²¹ახლა გაეცით ბრძანება, რომ შეწყვიტონ მუშაობა ამ ხალხმა, რათა არ აშენდეს ეს ქალაქი, ვიდრე ჩემგან არ გამოვა ბრძანება.

²²და ფრთხილად იყავით, არაფერი გამოგეპაროთ ამ საქმეში, თორემ დიდი ზარალი იქნება და სამეფო დაზიანდება.“

²³როგორც კი მეფე ართახშასტას წერილი წაიკითხეს რეხუმისა და შიმშაი მწიგნობრისა და მათ თანამოაზრეთა წინაშე, დაუყოვნებლივ წავიდნენ ისინი იერუსალიმში იუდაელებთან და იძულებით შეაჩერებინეს სამუშაოები.

²⁴მაშინ შეწყდა ღმერთის ტაძრის შენება იერუსალიმში და გაჩერებული იყო, სპარსეთის მეფის, დარიოსის, მეფობის მეორე წლამდე.

ეზრა 5

¹წინასწარმეტყველებმა ანგიამ და ზაქარია ყიდოს მემ იუდასა და იერუსალიმში მცხოვრებ იუდაელებს ისრაელის ღმერთის სახელით უწინასწარმეტყველეს.

²მაშინ ადგნენ ზერუბაბელ შეალთიელის ძე და იესო იოცადაკის ძე, და შეუდგნენ ღმერთის ტაძრის შენებას იერუსალიმში. და მათთან იყვნენ ღვთის წინასწარმეტყველნი, რომელნიც განამტკიცებდნენ მათ.

³მაშინ მოვიდნენ მათთან მდინარისგაღმელი განმგებელი თათენაი და შეთარ-ბოზენაი, და მათი თანამოაზრენი და უთხრეს მათ: „ვინ მოგცათ ბრძანება ამ ტაძრის აშენებისა და ამ კედლების დასრულებისა?“

⁴მაშინ ვუთხარით მათ იმათი სახელები, ვინც ამ შენობას აგებდნენ.

⁵და მათი ღვთის თვალი იყო იუდაელთა უხუცესებზე, და მათაც არ შეუწყვეტინებიათ მათთვის მუშაობა, ვიდრე შეტყობინება მიუვიდოდა დარიოსს და ვიდრე საპასუხო წერილს მიიღებდნენ ამ საქმეზე.

⁶აი, პირი იმ წერილისა, რომელიც მეფე დარიოსს გაუგზავნეს თათენაიმ, მდინარისგაღმელმა განმგებელმა, და შეთარ-ბოზენაიმ და მათმა თანამოაზრე აფარსახელმა ხელისუფლებმა, რომლებიც იმ დროს მდინარის გღმა იყვნენ.



⁷შეტყობინებაში, რომელიც მათ გაუგზავნეს, ნათქვამი იყო: „მშვიდობა ნუ მოაკლავს მეფე დარიოსს!“

⁸უწყოდეს მეფემ, რომ ჩვენ ვიყავით იუდას მხარეში, დიდი ღვთის სახლთან. იგი შენდება თლილი ქვით და კედლებში ჩამოგანულ მორებს ატანენ, მუშაობა მათ ხელში სწრაფად და გამართულად მიდის.

⁹ჩვენ ვკითხეთ მათ უხუცესებს და ასე ვუთხარი: ‘ვინ მოგვით ამ სახლის შენებისა და ამ კედლების ამოყვანის ბრძანება?’

¹⁰და გამოვიკითხეთ მათი სახელები, რომ გვეცნობებინა შენთვის და დაგვეწერა იმათი სახელებიც, ვინც სათავეში უდგანან მათ.

¹¹მათ კი ასეთი პასუხი გაგვცეს: ‘ჩვენ ვართ მსახურნი ცისა და მიწის ღმერთისა; თავიდან ვაშენებთ ტაძარს, რომელიც მრავალი წლის წინ იდგა აქ, და რომელიც ისრაელის დიდმა მეფემ ააგო და სრულქმნა.

¹²მაგრამ, მას შემდეგ, რაც ჩვენმა მამებმა განარისხეს ცათა ღმერთი, მან ბაბილონის მეფის, ქალდეველი ნაბუქოდონოსორის, ხელში ჩაყარა ისინი, რომელმაც ეს ტაძარი დაანგრია და ხალხი ბაბილონში გადაასახლა.

¹³მაგრამ ბაბილონში კიროსის გამეფის პირველივე წელს მეფე კიროსმა გასცა ბრძანება ამ ღვთის სახლის აშენებისა.

¹⁴და ღვთის სახლის ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, რაც ნაბუქოდონოსორმა გაზიდა იერუსალიმის ტაძრიდან და წაიღო ბაბილონის ტაძარში, უკან გამოიტანა კიროს მეფემ და გადასცა იგი შეშბაცარს, რომელიც მხარის განმგებლად დასვა მან.

¹⁵და უთხრა მას: აიღეო ეს ჭურჭელი, წადი და წაიღე იერუსალიმის ტაძარში, და აშენდეს ღვთის სახლი თავის ადგილზეო.

¹⁶მაშინ მოვიდა ის შეშბაცარი და სამირკველი ჩაუყარა ღვთის სახლს იერუსალიმში; და იმ დღიდან მოკიდებული აქამდე შენდება ის, მაგრამ ჯერ არ დასრულებულა.’

¹⁷და ახლა, თუ მეფე ინებებს, მოჩხრიკონ მეფის საგანძური იქ, ბაბილონში, ნამდვილად გასცა თუ არა კიროს მეფემ განკარგულება ამ ღვთის სახლის აშენებისა იერუსალიმში, და მეფის ის გადაწყვეტილება ამ საქმის თაობაზე გამოგვიგზავნონ.“

ეზრა 6

¹მაშინ დარიოს მეფემ გასცა ბრძანება, გადაესინჯათ საგანძურთსაცავები ბაბილონში, სადაც წიგნებიც უნდა ყოფილიყო.



²და იპოვეს ეკბატანაში, მიდიის მხარის ციხე-ქალაქში, ერთი გრაგნილი, რომელზედაც ეწერა: „მეგლის-წერა –

³მეფე კიროსის მეფობის პირველ წელს მეფე კიროსმა გასცა ბრძანება ღვთის სახლის იერუსალიმში ხელახლა აშენების თაობაზე: დაე აშენდეს ტაძარი იმ ადგილას, სადაც მსხვერპლს სწირავენ, და მტკიცე საძირკველი ჩაეყაროს მას. სიმაღლე მისი 60 წყრთა იყოს, სიგანე მისი – 60 წყრთა;

⁴სამი რიგი დიდი გათლილი ქვა ეწყოს, და ერთი რიგი – ჩამოგანული მორი; ხარჯები კი მეფის სასახლიდან გაიცეს.

⁵ღვთის სახლის ჭურჭელიც, ოქროსი და ვერცხლისა, რაც ნაბუქოდონოსორმა გაიტანა იერუსალიმის ტაძრიდან და ბაბილონში წაიღო, უკან იქნას დაბრუნებული თავის ადგილზე, იერუსალიმის ტაძარში, და ღვთის სახლში იქნას დაბინავებული.

⁶და ახლა, თათენაი, მდინარისგაღმელო განმგებელო, შეთარ-ბოზენაი, შენი თანამდგომი მდინარისგაღმელი აფარსახელებიანად, დაეხსენით მათ!

⁷დაანებეთ ღვთის სახლზე მუშაობა! იუდას განმგებელმა და მათმა უზუცესებმა ააშენონ ეს ღვთის სახლი თავის ძველ ადგილას.

⁸და ვიდრე ბრძანებას იმის თაობაზე, კერძოდ, რით უნდა შეეწიოთ იუდას უზუცესებს, ღვთის სახლის შენებაში: სამეფო ქონებიდან – მდინარისგაღმა მხარის ხარკიდან – დაუყოვნებლივ აიღეთ და მიეცით იმ ხალხს, რათა სამუშაოები არ შეჩერდეს.

⁹და რამდენიც საჭიროა, მოზვრები იქნება, თუ ვერძები, თუ კრავები ცათა ღმერთისათვის სრულადდასაწველის აღსავლენად; ასევე ხორბალი, მარილი, ღვინო და ზეთი, როგორც იერუსალიმის მღვდლები იტყვიან, მიეცეს მათ ყოველდღიურად, შეუფერხებლივ,

¹⁰რათა მათ შესწირონ სურნელოვანი მსხვერპლები ცათა ღმერთს და ილოცონ მეფისა და მის ძეთა დღეგრძელობისათვის.

¹¹და ვბრძანებ, რომ თუ ვინმე შეცვლის ამ ბრძანებას, გამოიღონ მისი სახლის თავზე, აღმართონ და ზედ მიაღწერს იგი, ხოლო მისი სახლი ნანგრევებად აქციონ;

¹²და ღმერთმა, რომლის სახელიც იქ არის დავანებული, დაამხოს ყოველი მეფე და ხალხი, ვინც ხელს აღმართავს ამ ბრძანების შესაცვლელად, ან ამ ღვთის სახლის საზიანოდ, რომელიც იერუსალიმშია. მე, დარიოსმა, გავეცი ეს ბრძანება; დაე, ზედმიწევნით შესრულდეს იგი!“



¹³მაშინ თათენაიმ, მდინარისგაღმელმა განმგებელმა, შეთარ-ბოზენაიმ და მათმა თანამოაზრეებმა, დარიოს მეფის მიერ გამოგზავნილი სიტყვისამებრ, ყველაფერი ზედმიწევნით შეასრულეს.

¹⁴და იუდას უხუცესნი აშენებდნენ და ხელი ემართებოდათ თანახმად წინასწარმეტყველ ანგიასა და ზაქარია ყიდოს ძის წინასწარმეტყველებისა. და ააშენეს და დაასრულეს ისრაელის ღმერთის ბრძანებისამებრ და სპარსეთის მეფეების: კიროსის, დარიოსისა და ართახშასთას ბრძანებისამებრ.

¹⁵და დასრულდა ეს ტაძარი ადარის თვის მესამე დღეს; ეს იყო მეფე დარიოსის მეფობის მეექვსე წელი.

¹⁶და ისრაელის ძეთ, მღვდლებმა, ლევიანებმა და დანარჩენმა ტყვედნამყოფმა ხალხმა სიხარულით აღასრულეს ღვთის სახლის კურთხევა.

¹⁷და შესწირეს ღვთის ამ სახლის კურთხევისათვის 100 მოზვერი, 200 ვერძი, 400 კრავი, და 12 ვაცი – ისრაელის ტომთა რიცხვის მიხედვით – მთელი ისრაელის ცოდვათა განსატევებლად.

¹⁸და დააყენეს მღვდლები თავიანთი ხარისხის მიხედვით და ლევიანები თავიანთი რიგის მიხედვით ღვთის სამსახურისათვის იერუსალიმში, როგორც დაწესებულია მოსეს წიგნში.

¹⁹და აღასრულა ტყვედნამყოფმა ხალხმა პასექი პირველი თვის მეთოთხმეტე დღეს.

²⁰რადგან განიწმიდნენ მღვდლები და ლევიანები, როგორც ერთი კაცი, ყველანი წმიდები გახდნენ, და დაკლეს საპასექო მსხვერპლი ყველა ტყვედნამყოფი ხალხისთვის, თავიანთი მოძმე მღვდლებისა და თავისთვის.

²¹ჰამდნენ გადასახლებიდან დაბრუნებული ისარელიანები და ყველა, ვინც განუდგა მათთან ერთად ქვეყნის ერის ბიწიერებას, რათა შევრდომოდნენ უფალს, ისრაელის ღმერთს.

²²და იზეიმეს უფუარობის დღესასწაული შვიდ დღეს, რადგან გაახარა ისინი უფალმა და გული მოაბრუნებინა მათკენ აშურის მეფეს, რათა მკლავი განემტკიცებინა მათთვის ისრაელის უფალი ღმერთის ტაძრის შენების საქმეში.

ეზრა 7

¹და ამ ამბების შემდეგ სპარსეთის მეფის, ართახშასთას, მეფობაში ეზრა, ძე სერაიასი, ძისა ყაზარაიასი, ძისა ხილკიასი,



- ²მისა შალუმისა, მისა ცადოკისა, მისა ახიტუბისა,
- ³მისა ამარიასი, მისა ყაზარიასი, მისა, მერაიოთისა,
- ⁴მისა ზერახიასი, მისა ყუზისა, მისა ბუკისა,
- ⁵მისა აბიშუაყისა, მისა ფინეხასისა, მისა ელეაზარისა, მისა აარონისა, მღვდელმთავრისა, –
- ⁶ეს ეზრა, რომელიც გამოვიდა ბაბილონიდან, იყო მწიგნობარი, მოსეს რჯულში ჩახედული, რომელიც მისცა უფალმა, ისრაელის ღმერთმა. და მისცა მას მეფემ ყოველივე, რაც ითხოვა, რადგან უფლის, მისი ღმერთის, ხელი იყო მასზე.
- ⁷ართახშასთა მეფის მეფობის მეშვიდე წელს იერუსალიმში დაბრუნდნენ ისრაელიანთაგან, მღვდელთაგან, ლევიათაგან, მგალობელთაგან, კარისმცველთაგან და ტაძრის მსახურთაგან ზოგიერთები.
- ⁸და მივიდა ეზრა იერუსალიმში მეფის მეშვიდე წლის მეხუთე თვეს.
- ⁹რადგან მან პირველი თვის პირველ დღეს დაიწყო გამოსვლა ბაბილონიდან და მეხუთე თვის პირველ დღეს დაბრუნდა იერუსალიმში, რადგან მისი ღმერთის კეთილი ხელი იყო მასზე.
- ¹⁰რადგან ეზრამ გულს-იდვა უფლის რჯულის ძიება, მისი შესრულება და წესისა და სამართლის სწავლება ისრაელში.
- ¹¹და აჰა, პირი წერილისა, რომელიც მისცა მეფე ართახშასთამ ეზრას, რომელიც იყო მღვდელი, მწიგნობარი, განსწავლული უფლის მცნებების და მის წესთა მოძღვარი ისრაელში:
- ¹²„ართახშასთა, მეფეთა მეფე, ეზრა მღვდელს, ცათა ღმერთის რჯულის მწიგნობარს, სრული მშვიდობა!
- ¹³მე ვბრძანე, რომ თუ ვინმეს, ჩემს სამეფოში მყოფ ისრაელიანთა მღვდლებსა და ლევიათ სურთ იერუსალიმში წასვლა, შენთან ერთად წამოვიდნენ.
- ¹⁴რადგან შენ იგზავნები მეფისა და მისი შვიდი მრჩევლისგან, რათა იხილო იუდასა და იერუსალიმში როგორ სრულდება შენი ღმერთის რჯული, რომელიც შენ ხელთა გაქვს;
- ¹⁵და რომ წაიღო იქ ვერცხლი და ოქრო, რომელიც მეფემ და მისმა მრჩევლებმა შესწირეს ისრაელის ღმერთს, რომლის სავანეც იერუსალიმშია,
- ¹⁶და მთელი ვერცხლი და ოქრო, რასაც შენ შეაგროვე მთელი ბაბილონის მხარეში, იმ ერისკაცთა და მღვდელთა შემოწირულობასთან ერთად, რაც ნებაყოფლობით შესწირეს თავიანთი ღვთის სახლს იერუსალიმში.



¹⁷ამიტომ დაუყოვნებლივ იყიდე ამ ვერცხლით ზვარაკები, ვერძები და კრავები, აგრეთვე პურეულის შესაწირავი მათთან ერთად, და საღვრელი მათთვის, და მიიტანე ის თქვენი ღვთის ტაძრის სამსხვერპლოზე იერუსალიმში.

¹⁸და დანარჩენი ვერცხლითა და ოქროთი, თქვენი ღმერთის ნებით შენ და შენმა მოძმეებმა ის გააკეთეთ, რასაც კეთილგონივრულად ჩათვლით.

¹⁹და ჭურჭელი, რომელიც შენი ღმერთის ტაძრის მღვდელმსახურების აღსასრულებლად მიიღე, უკლებლივ მიიტანე იერუსალიმის ღმერთის წინაშე.

²⁰და დანარჩენი, რაც საჭიროა შენი ღვთის ტაძრისათვის, რასაც შენ საჭიროდ ჩათვლი, გაეცი სამეფო საგანძურებიდან.

²¹და მე, მეფე ართახშასთა, ვიძლევი განკარგულებას მდინარისგაღმელ ყველა მეგანძურის მიმართ, რომ რასაც მოგთხოვთ ეზრა მღვდელი, ცათა ღმერთის მწიგნობარი, დაუყოვნებლივ მიეცით:

²²ვერცხლი 100 ტალანტი, ხორბალი 100 ქორი, ღვინო 100 ბათი, ზეთიც 100 ბათი, ხოლო მარილი, რამდენიც საჭირო იქნება.

²³ყოველი, რაც ნაბრძანებია ცათა ღმერთისაგან, აღსრულდეს ზუსტად ცათა ღმერთის ტაძრისათვის, რათა არ დაატყდეს რისხვა სამეფოს, მეფეს და უფლისწულთ.

²⁴და გაცნობებთ, რომ არც ერთ მღვდელს, ლევიანს, მგალობელს, კარისმცველს, ტაძრის მსახურს, და ვინც ამ ღვთის სახლს ემსახურება, არ უნდა დაეკისროს ხარკი, გადასახადი და ბეგარა.

²⁵ხოლო შენ, ეზრა, შენი ღვთის სიბრძნისამებრ, რაც შენ გაგაჩნია, დანიშნე მმართველნი და მსაჯულნი, რათა განსაჯონ მთელი მდინარისგაღმელი ხალხი და ყველა, ვინც იცის შენი ღმერთის კანონები, ხოლო ვინც არ იცის, ასწავლეთ.

²⁶და ვინც არ აღასრულებს შენი ღვთის სჯულსა და მეფის კანონებს, დაუყოვნებლივ აღასრულონ მასზე სამართალი: სიკვდილი ან განდევნა, ფულადი გადასახადი ან დაპატიმრება.“

²⁷კურთხეულ იყოს უფალი, ჩვენი მამების ღმერთი, რომელმაც მეფეს შთააგონა, რომ უფლის ტაძარი იერუსალიმში ასე დიდებულად შეემკო,

²⁸და ჩემსკენაც მომართა მოწყალება მეფისა, მისი მრჩევლებისა და მამაცი მთავრებისა; და მეც გავმაგრდი, რადგან უფლის, ჩემი ღმერთის, ხელი იყო ჩემზე; და შევკრიბე ისრაელიანთა მთავრები, რათა ჩემთან ერთად დაბრუნებულიყვნენ.



ეზრა 8

- ¹ესენი არიან მამისსახლთა თავკაცები და მათი გვარ-ტომისანი, რომელნიც წამოვიდნენ ჩემთან ერთად ბაბილონიდან ართახშასთას მეფობაში;
- ²ფინეხასის ძეთაგან – გერშომი; ითამარის ძეთაგან – დანიელი; დავითის ძეთაგან – ხატუში;
- ³შექანias ძეთაგან და ფარყოშის ძეთაგან – ზაქარია და მასთან მითვლილი 150 მამაკაცი;
- ⁴ფახათ-მოაბის ძეთაგან – ელიეჰოყენაი, ზერახიას ძე და მასთან ერთად 200 მამაკაცი;
- ⁵ზათუს ძეთაგან – შექანია, იახაზიელის ძე და მასთან ერთად 300 მამაკაცი;
- ⁶ყადინის ძეთაგან – ყებედი, იონათანის ძე და მასთან ერთად 50 მამაკაცი;
- ⁷ყელამის ძეთაგან – ესაია, ლათალიას ძე და მასთან ერთად 70 მამაკაცი;
- ⁸შეფატias ძეთაგან – ზეზადია, მიქაელის ძე და მასთან ერთად 80 მამაკაცი;
- ⁹იოაბის ძეთაგან – ყობადია, იეზიელის ძე და მასთან ერთად 218 მამაკაცი;
- ¹⁰ბანის ძეთაგან – შელომითი, იოსიფიას ძე და მასთან ერთად 160 მამაკაცი;
- ¹¹ბეზაის ძეთაგან – ზაქარია, ბეზაის ძე და მასთან ერთად 28 მამაკაცი;
- ¹²ყაზგადის ძეთაგან – იოხანანი, ჰაკატანის ძე და მასთან ერთად 110 მამაკაცი;
- ¹³ადონიკამის ძეთაგან – უკანასკნელნი, და აჰა, მათი სახელები: ელიფელეტი, იეყიელი და შემაყია და მათთან ერთად 60 მამაკაცი;
- ¹⁴ბიგვაის ძეთაგან – ყუთაი და ზაქური, და მათთან ერთად 70 მამაკაცი.
- ¹⁵და შევკრიბე ისინი მდინარესთან, რომელიც ერთვის აჰავას, და ვიდექით იქ სამი დღე. ვნახე ხალხი და სამღვდელოება, მაგრამ მათ შორის ლევიანთაგან იქ ვერავინ ვიპოვე.
- ¹⁶და დავიბარე ელიყუზერი, არიელი, შემაყია, ელნათანი, იარიბი, ელნათანი, ნათანი, ზაქარია, მეშულამი – თავკაცები, და იოიარიბი და ელნათანი – ბრძენკაცები.
- ¹⁷გავგზავნე ისინი იდოსთან, ქასიფიას მხარის საზოგადოების მთავართან, და შევუთვალე მათი პირით იდოს და მის ძმებს, ტაძრის მსახურებს, ქასიფიას მხარეში მყოფთ, რათა მოეყვანათ ჩვენთვის მსახურნი ჩვენი ღმერთის ტაძრისათვის.



¹⁸რადგან კეთილი ხელი ჩვენი ღმერთისა ჩვენზე იყო, მათ მოიყვანეს ჩვენთან ერთი გონიერი კაცი მახლის ძეთაგან, ლევის ძისა, ისრაელის ძისა, სახელად შერებია, და მისი ვაჟები და სხვა 18 კაცი;

¹⁹და ხაშაბია, და მასთან ესაია მერარის ძეთაგან, მისი ძმები და მისი ვაჟები – 20 კაცი.

²⁰და ტაძრის მსახურთაგან, რომლებიც დავითმა და მისმა მთავრებმა ლევიალებს მისცეს მსახურებად – 220 ტაძრის მსახური; ყველა მათგანი თავისი სახელით იყო ჩაწერილი.

²¹და გამოვაცხადე იქ მარხვა, მდინარე აჰავაზე, რათა თავი დაგვემდაბლებინა ჩვენი ღმერთის წინაშე, რათა მისთვის გვეთხოვა უსაფრთხო მოგზაურობა ჩვენთვის და ჩვენი წვრილშვილისა და მთელი ჩვენი მონაგარისათვის,

²²რადგან შემრცხვა მეთხოვა მეფისთვის ლაშქარი და მხედრები, გზაზე მტრისაგან თავდასაცავად, რადგან ნათქვამი გვქონდა მისთვის: ჩვენი ღმერთის ხელი სასიკეთოა ყველასთვის, ვინც ეძებს მას, ხოლო მისი ძალა და რისხვა თავს ატყდება ყველას, ვინც განუდგება მას!

²³და ვიმარხულეთ და ვთხოვეთ ჩვენს ღმერთს ეს, და შეისმინა მან ჩვენი.

²⁴და გამოვყავი 12 კაცი მღვდლების უფროსთაგან: შერებია, ხაშაბია და მათთან ერთად ათი კაცი მათი ძმებიდან.

²⁵და ავუწონე მათ ვერცხლი, ოქრო და ჭურჭელი, ჩვენი ღვთის სახლის შეწირულობა, რაც შესწირეს მეფემ, მისმა მრჩევლებმა, მთავრებმა და იქ მყოფმა მთელმა ისრაელიანებმა.

²⁶და მივუწონე მათ ხელში 650 ტალანტი ვერცხლი, ვერცხლის ჭურჭელი – 100 ტალანტისა და 100 ტალანტი ოქრო;

²⁷და ოქროს 20 თასი ათას დრაქმიანი და წმინდა ბრინჯაოს ორი საუკეთესო ჭურჭელი, რომელთაც ოქროს ფასი აქვს.

²⁸და ვუთხარი მათ: „თქვენ წმიდა ხართ უფლისათვის და ეს ჭურჭელიც წმიდაა; და ვერცხლი და ოქრო ნებაყოფლობითი შეწირულობაა უფლის, თქვენი მამების ღმერთისადმი.

²⁹ფრთხილად იყავით და მოუფრთხილდით ამას, ვიდრე მიუწონიდეთ მღვდლების უფროსებს, ლევიალებს და ისრაელის მამისსახლთა უფროსებს იერუსალიმში, უფლის ტაძრის საგანძურში.”

³⁰და ჩაიბარეს მღვდლებმა და ლევიალებმა ვერცხლი და ოქრო, და ჭურჭელი წონით, რათა წაეღოთ იერუსალიმში, ჩვენი ღვთის სახლში.



³¹და დავიძარით მდინარე აჰავადან იერუსალიმში წასასვლელად პირველი თვის მეთორმეტე დღეს; და ჩვენი ღმერთის ხელი იყო ჩვენზე და გვიხსნიდა ჩვენი მტრის ხელიდან და გზაში ჩასაფრებულთაგან.

³²და მივედით იერუსალიმში, და დავყავით იქ სამი დღე.

³³და მეოთხე დღეს ვერცხლი, ოქრო და ჭურჭელი ჩვენი ღვთის სახლში ხელში მივუწონეთ მერემოთს, ურია მღვდლის ძეს; და მასთან ერთად იყო ელეაზარ ფინეხასის ძე; და მათთან ერთად იყვნენ იოზაბადი, იესოს ძე, და ნოყადია ბინუის ძე – ლევიანები.

³⁴ყველაფერი დაითვალა და აიწონა, და ჩაიწერა მთელი ის წონა.

³⁵ტყვეობიდან დაბრუნებულმა გადანასახლებმა ხალხმა სრულადდასაწველი შესწირეს ისრაელის ღმერთს: 12 მოზვერი, მთელი ისრაელისათვის, 96 ვერძი, 77 კრავი, 12 ვაცი ცოდვის მსხვერპლად; ყოველივე ეს უფლისათვის სრულადდასაწველად.

³⁶და გადასცეს მეფისნაცვლებს და მდინარისგაღმელ განმგებელთ მეფის ბრძანება; და ისინიც ხელს უწყობდნენ ხალხსა და ღვთის სახლს.

ეზრა 9

¹და ეს ყოველივე რომ დასრულდა, მეახლნენ მე მთავრები და მითხრეს: „ისრაელიანები, მღვდლები და ლევიანები არ განდგომიან უცხოთესლთა – ქანაანელთა, ხეთელთა, ფერიზელთა, იებუსელთა, ყამონელთა, მოაბელთა, ეგვიპტელთა და ამორეველთა სიბილწეებს,

²რადგან მათ მათი ასულები მოიყვანეს ცოლებად და თავის ძეებსაც მოყვავარეს; და შეერია წმიდა თესლი უცხოთესლს; და ამ ურჯულოებაში უმთავრესად წარჩინებულთა და წინამძღოლთა ხელი ერია.“

³ეს ამბავი რომ გავიგე, შემოვიხიე სამოსელი და მოსასხამი, ვიგლეჯდი თმა-წვერსა და გაოგნებული ვიჯექი.

⁴და ჩემთან თავი მოიყარა ყველამ, ვისაც ეშინოდა ისრაელის ღმერთის სიტყვებისა ტყვედყოფილთა ურჯულოების გამო; მე კი ვიჯექი გაოგნებული სადამოს მსხვერპლშეწირვამდე.

⁵და სადამოს მსხვერპლშეწირვისას ავდექი ჩემი გლოვის ადგილიდან, და ჩემი შემოხეული სამოსლითა და მოსასხამით დავემხე მუხლებზე და ხელი აღვაკყარ უფლის, ჩემი ღმერთის, მიმართ



⁶და ვთქვი: „ღმერთო ჩემო! მრცხვენია და მერიდება, რომ სახე მოვაპყრო შენსკენ, რადგან ჩვენი ურჯულოებანი თავზე გადაგვდის და ჩვენი დანაშაული ცას სწვდება.

⁷ჩვენი მამების დროიდან დღემდე დიდ დანაშაულში ვართ; და ჩვენი ურჯულოების გამო ჩვენ, ჩვენი მეფენი და ჩვენი მღვდლები უცხო ქვეყნების მეფეთა ხელში ჩავცვივდით, მახვილის ქვეშ და ტყვეობაში; სხვისი სათარეშო და დასაცინი გავხდით – როგორც დღეს ვართ.

⁸და ახლა წამიერად მოიღო უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, ჩვენზე წყალობა და დატოვა ჩვენი ნატამალი და მოგვცა დასამკვიდრებელი თავის წმიდა ადგილზე, რომ გაენათებინა ჩვენი თვალები ჩვენს ღმერთს და ცოტათი მაინც გავეცოცხლებინეთ ჩვენს მონობაში.

⁹რადგან მონები ვართ ჩვენ და ჩვენს მონობაშიც არ მივუტოვებოვართ ჩვენს ღმერთს და განავრცო ჩვენზე წყალობა სპარსეთის მეფეთა წინაშე, რომ გავეცოცხლებინეთ, რომ აღგვემართა ჩვენი ღმერთის სახლი; აღგვედგინა ნანგრევებიდან, რომ ზღუდე გვქონოდა იუდასა და იერუსალიმში.

¹⁰და ახლა რაღა გვეთქმის, ღმერთო ჩვენო, ამის შემდეგ? რადგან მივატოვეთ შენი მცნებანი,

¹¹შენი მსახურების, შენი წინასწარმეტყველების, პირით რომ გვაუწყე და გვითხარი: ‘ქვეყანა, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხართ, უწმიდური ქვეყანაა იმ ქვეყნების ხალხების უწმიდურებისა და სიბილწის გამო, რომელთაც კიდით კიდემდე აავსეს იგი თავიანთი სიბინძურით.

¹²და ახლა თქვენი ასულები არ გაატანოთ მათ ძეებს და მათი ასულები არ მოუყვანოთ თქვენს ძეებს. არ ეძებოთ მათი მშვიდობა და სიკეთე უკუნისამდე, რათა გაძლიერდეთ და ჭამოთ იმ ქვეყნის დოვლათი და სამარადისოდ დაუმკვიდროთ იგი თქვენს ძეებს.’

¹³და ყოველივე ამის შემდეგ, რაც თავს დაგვატყდა ჩვენი ავი საქმეებისა და ჩვენი დიდი დანაშაულის გამო, რადგან შენ, ღმერთო ჩვენო, იმაზე ნაკლებად დაგვსაჯე, ვიდრე ამას ჩვენი უკეთურებანი იმსახურებდნენ, და მოგვმადლე ამგვარი ხსნა.

¹⁴ნუთუ კვლავ დავარღვევთ შენს მცნებებს და დავუმოყვრდებით ამ ბილწ ხალხებს? მაშინ ხომ განგვირისხდები მოსასპობად ისე, რომ ჩვენი აღარც ნატამალი იქნება და აღარც ვინმე გადარჩენილი.

¹⁵უფალო, ღმერთო ისრაელისა! სამართლიანი ხარ, რადგან გადარჩენილი ნატამალი ვართ დღესდღეობით. აჰა, ჩვენ შენს წინაშე ვართ ჩვენი



დანაშაულიანად, თუმცა ყოველივე ამის შემდეგ, უღირსნი ვართ, რომ შენს წინაშე ვიდგეთ.“

ეზრა 10

¹და როცა ეზრა უფლის ტაძრის წინ მუხლმოყრილი ღოცულობდა ტირილით და აღსარებას ამბობდა, თავი მოიყარა მის გარშემო ისრაელიანთა დიდძალმა კრებულმა: კაცებმა, ქალებმა და ბავშვებმა, რადგან ხალხიც მწარედ ტიროდა.

²და მიუგო ყელამელმა შექანამ, იეხიელის ძემ, და უთხრა ეზრას: „დანაშაული ჩავიდინეთ ჩვენი ღმერთის წინაშე და უცხოელი ქალები დავისვით ცოლებად ამ ქვეყნის ხალხთაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის იმედი ისრაელიანთათვის ამ საქმეში!“

³ახლა აღთქმა დავუდვით ჩვენს ღმერთს, რომ ყველანი გავუშვებთ ცოლებსა და მათგან შობილ ბავშვებს ჩემი უფლისა და ჩვენი ღმერთის მცნებების მოშიში ხალხის რჩევით, – იყოს, როგორც რჯული ამბობს.

⁴ადექი, რადგან შენზეა ეს საქმე და ჩვენც შენთან ვართ. გამხნევდი და იმოქმედე!“

⁵და ადგა ეზრა და სთხოვა მღვდლების, ლევიანებისა და მთელი ისრაელის უფროსებს, მიეცათ ფიცი, რომ ასე იზამდნენ. და მათ დადეს ფიცი.

⁶და ადგა ეზრა ღვთის ტაძრიდან და წავიდა იეჰოხანანის, ელიაშიბის ძის, სენაკისაკენ, და მივიდა იქ. პური არ უჭამია და წყალი არ დაუღვია, რადგან ტყვედნამყოფი ხალხის ურჯულოებას გლოვობდა.

⁷და გამოუცხადეს იუდასა და იერუსალიმში მყოფ ყველა ტყვედნამყოფს, რათა იერუსალიმში მოეყარათ თავი.

⁸და ყველას, ვინც სამ დღეში არ მოვიდოდა, მთავართა და უზუცესთა გადაწყვეტილებით ჩამოერთმეოდა მთელი ქონება და მოიკვეთებოდა ტყვედნამყოფთა კრებულიდან.

⁹და სამ დღეში იერუსალიმში თავი მოიყარა ბენიამინისა და იუდას ყველა მამაკაცმა; ეს იყო მეცხრე თვის მეოცე დღეს. ისხდა მთელი ხალხი ღვთის ტაძრის მოედანზე და კანკალებდა, როგორც ამ ამბის, ისე თავსხმა წვიმის გამო.

¹⁰და ადგა ეზრა მღვდელი და უთხრა მათ: „თქვენ დანაშაული ჩავიდინეთ და უცხოთესლთა ქალები დაისხით ცოლებად, რითაც გაზარდეთ ისრაელის დანაშაული.“



¹¹და ახლა მოინანიეთ უფლის, თქვენი მამების ღმერთის, წინაშე და აღასრულეთ მისი ნება: განუდექით ამ ქვეყნის ხალხებს და უცხოელ ცოლებს.“

¹²და მიუგო მთელმა კრებულმა და უთხრა დიდი ხმით: „ისე იქნება, როგორც შენ თქვი!

¹³მაგრამ ხალხი ბევრია და წვიმიანობის დროა, და აღარ შეგვიძლია გარეთ დგომა; თანაც ეს ერთი-ორი დღის ამბავი არ არის, რადგან ჩვენ ბევრი შეგვიცოდავს ამ საქმეში.

¹⁴დადგნენ ჩვენი თავკაცები მთელი კრებულის ნაცვლად, ხოლო ყველა, ვისაც ჩვენ ქალაქებში უცხოელი ცოლები ჰყავთ, მოვიდნენ დანიშნულ დროზე თავიანთი ქალაქების უზუცესებთან და მსაჯულებთან ერთად, ვიდრე აგვცილდება ჩვენი ღვთის რისხვა ამ ამბის გამო.“

¹⁵მხოლოდ იონათან ყასაელის ძე და იახზეია თიკვას ძე გამოვიდნენ ამის წინააღმდეგ; მეშულამი და ლევიანი შაბეთაი უჭერდნენ მათ მხარს.

¹⁶ასე გააკეთეს ტყვეობიდან დაბრუნებულებმა. ეზრა მღვდელმა ამისთვის გამოარჩია კაცები, თავ-თავისი მამისსახლების მიხედვით, და ყველა მათგანი თავისი სახელით იყო ჩაწერილი. და დასხდნენ ისინი მეათე თვის პირველ დღეს ამ საქმის გამოსადიებლად.

¹⁷და მორჩნენ პირველი თვის პირველი დღისათვის ყველა იმ მამაკაცის საქმეს, რომელთაც უცხოელი ცოლები ჰყავდათ.

¹⁸სამღვდელოთა შთამომავლებში, რომელთაც უცხოელი ცოლები ჰყავდათ, აღმოჩნდნენ: იესო იოცადაკის ძის ძენი და მისი ძმები: მაყასეია, ელიყეზერი, იარიბი და გედალია;

¹⁹მათ ხელი მისცეს იმის დასტურად, რომ გაუშვებდნენ ცოლებს, და რომ თავისი დანაშაულის გამო ვერძებს შესწირავდნენ ცოდვის მსხვერპლად.

²⁰და იმერის ძეთაგან: ხანანი და ზეზადია;

²¹და ხარიმის ძეთაგან: მაყასეია, ელია, შემაყია, იეხიელი, ყუზია;

²²და ფაშხურის ძეთაგან: ელიოყენაი, მაყასეია, ისმაელი, ნეთანელი, იოზაბადი და ელყასა;

²³და ლევიათაგან: იოზაბადი, შიმეყი, კელაია, იგივე კელიტა, ფეთახია, იუდა და ელიყეზერი;

²⁴და მგალობელთაგან: ელიაშიბი; და კარის მცველთაგან: შალუმი, ტელემი და ხური;



- ²⁵და ისრაელიანთაგან, – ფარყოშის ძენი: რამია, იზია, მალქია, მიამინი, ელეაზარი, მალქია, ბენაია;
- ²⁶ყელამის ძეთაგან: მათანია, ზაქარია, იეხიელი, ყაბდი, იერემოთი, ელია;
- ²⁷ზათუს ძეთაგან: ელიოყენაი, ელიაშიბი, მათანია, იერემოთი, ზაბადი, ყაზიზა;
- ²⁸ბეზაის ძეთაგან: იეჰოხანანი, ხანანია, ზაბაი, ყათლაი;
- ²⁹ბანის ძეთაგან: მეშულამი, მალუქი, ყადაია, იაშუბი, შეალი, იერემოთი;
- ³⁰და ფახათ-მოაბის ძეთაგან: ყადნა, ქელალი, ბენაია, მაყასეია, მათანია, ბეცალელი, ბინუი და მანაშე;
- ³¹ხარიმის ძეთაგან: ელიყეზერი, იშია, მალქია, შემაყია, შიმყონი,
- ³²ბენიამინი, მალუქი, შემარია;
- ³³ხაშუმის ძეთაგან: მათენაი, მათათა, ზაბადი, ელიფელეტი, იერემაი, მანაშე, შიმეყი;
- ³⁴ბანის ძეთაგან: მაყადაი, ყამრამი, უელი,
- ³⁵ბენაია, ბედია, ქელუჰი,
- ³⁶ვანია, მერემოთი, ელიაშიბი,
- ³⁷მათანია, მათენაი და იაყასუ,
- ³⁸ბანი, ბინუი შიმეყი,
- ³⁹შელემია, ნათანი, ყადაია,
- ⁴⁰მაქნადებაი, შაშაი, შარაი,
- ⁴¹ყაზარელი, შელემია, შემარია,
- ⁴²შალუმი, ამარია, იოსები,
- ⁴³ნებოს ძეთაგან: იეყიელი, მათითია, ზაბადი, ზებინა, იადაი, იოელი და ბენაია.
- ⁴⁴ყველა ამათ უცხოელი ცოლები ჰყავდათ. ზოგიერთებს მათი ცოლებიდან შვილებიც შესძენოდათ.



ნეემია

ნეემია 1

¹ეს არის ნეემიას, ხაქალიას ძის, ამბავი. მეოცე წელს ქისლევის თვეში, სატახტო ქალაქ შუშანში რომ ვიყავი,

²ხანანი, ერთ-ერთი ჩემი მოძმეთაგანი, და სხვა რამდენიმე კაცი მოვიდა იუდეიდან, და ვკითხე მათ დარჩენილ იუდაელებზე, ტყვეობას რომ გადაურჩნენ, და – იერუსალიმზე.

³და მითხრეს მე: „დარჩენილნი, ტყვეობას რომ გადაურჩნენ იქ, თავიანთ ქვეყანაში, დიდ უბედურებასა და გასაჭირში არიან; იერუსალიმის კედელი დარღვეულია და მისი კარიბჭენი ცეცხლით არის გადაბუგული.“

⁴ეს სიტყვები რომ მოვისმინე, დავჯექი და ავტირდი და რამდენიმე დღე ვგლოვობდი; ვმარხულობდი და ვლოცულობდი ცათა ღმერთის წინაშე,

⁵და ვეუბნებოდი: „გემუდარები, უფალო, ცათა ღმერთო, ღმერთო დიდებულო და შიშის მომგვრელო, რომელიც აღთქმასა და წყალობას უნახავ შენს მოყვარულებს და შენი მცნებების დამცველო!

⁶ყური შენი სმენად იყოს და თვალი შენი – ხილვად, რათა შეისმინო შენი მსახურის ლოცვა, ახლა დღედაღამ რომ ლოცულობს შენს წინაშე ისრაელის ძეთათვის, შენს მორჩილთათვის, და აღიარებს ისრაელიანთა ცოდვებს, რომლითაც შენ შეგცოდეს. მე და ჩემმა მამისახლმაც შეგცოდეთ.

⁷დავაშავეთ შენს წინაშე. არ ვასრულებდით იმ მცნებებს და წესებს და სამართალს, რაც უბრძანე მოსეს, შენს მსახურს.

⁸გაიხსენე სიტყვა, რომელიც აღუთქვი მოსეს, შენს მსახურს: თუ მიღალატეთ, ხალხებში გაგფანტავთ,

⁹ხოლო თუ მოიქცევით ჩემსკენ და დაიცავთ ჩემს მცნებებს და აღასრულებთ მათ, ცის კიდემდეც რომ იყოთ გაფანტულნი, იქიდან შეგაერთებთ და მოგიყვანთო იმ ადგილას, რომელიც ჩემი სახელის დასავანებლად ამოვირჩიეო.

¹⁰ისინი ხომ შენი მსახურნი არიან და შენი ერი, რომელიც გამოისყიდე შენი დიდი ძალითა და მტკიცე მარჯვენით.

¹¹გევედრები, უფალო, შენი ყური სმენად იყოს შენი მსახურის ლოცვისა და შენს მსახურთა ლოცვების მიმართ, რომელთაც სწადიათ შენი სახელის მოწიწება და ახლა გემუდარები, ხელი მოუმართე შენს მსახურს და წყალობა აპოვნინე ამ კაცის წინაშე!“ – მაშინ მე მეფის ღვინის მწდე ვიყავი.



ნეემია 2

- ¹და ერთხელ, ნისანის თვეში, ართახშასთა მეფის მეფობის მეოცე წელს, ღვინო იდგა მის წინ; ავიღე ეს ღვინო და მივართვი მეფეს; და მწუხარე სახით ვიდექი მის წინაშე,
- ²და მკითხა მეფემ: „რატომა გაქვს სახე სევდიანი? ცხადია, რომ ავად არა ხარ! ეს სხვა რა უნდა იყოს, თუ არა სევდა გულისა?“ და ძალზე შევშინდი.
- ³და ვუთხარი მეფეს: „იცოცხლოს მეფემ უკუნისამდე! როგორ არ მექნება სახე სევდიანი, როცა ქალაქი, სადაც ჩემი მამების საფლავები მეგულება, დანგრეულია და მისი კარიბჭენი ცეცხლშია დაბუგული?“
- ⁴და მითხრა მეფემ: „ახლა რას ითხოვ?“ და ვილოცე ცათა ღმერთის მიმართ.
- ⁵და ვუთხარი მეფეს: „თუ მეფე ინებებს და, თუ შენმა მსახურმა მაღლი ჰპოვა შენს წინაშე, გამიშვი იუდაში, ჩემი მამების სამკვალეთა ქალაქში, და ხელახლა გავაშენებ მას.“
- ⁶და მითხრა მეფემ, რომელსაც დედოფალიც ეჯდა გვერდით: „რამდენი ხანი მოუწადებია ამას და როდის დაბრუნდები?“ და არ დაუშლია მეფეს ჩემთვის წასვლა და გამიშვა, რაკი მე დრო დავუთქვი.
- ⁷და ვუთხარი მეფეს: „თუ მეფე ინებებს, წერილები გამატანოს მდინარისგაღმელ განმგებლებთან, რათა მათ გზა მომცენ, ვიდრე იუდას მივაღწევდე.“
- ⁸და ერთი წერილი ასაფთან გამატანოს, სამეფო ტყის მცველთან, რათა მომცეს ხე-ტყე ციხესიმაგრის კარიბჭეებისთვის, რომელიც ღვთის სახლთანაა, და ქალაქის კედლისათვის, და სახლისათვის, რომელშიც მე შევალ.“ და მიბოძა მეფემ, რადგან ღვთის კეთილი ხელი იყო ჩემზე.
- ⁹და მივედი მდინარისგაღმელ განმგებლებთან და გადავეცი მეფის წერილები. მეფემ მხედარმთავრები და მხედრები გამომაყოლა.
- ¹⁰და გაიგეს ეს სანბალატ ხორონელმა და ტობიამ, ყამონელმა მოხელემ, და დიდად ეწყინათ, რომ ისრაელის ძეთათვის სიკეთის საძიებლად მოვიდა კაცი.
- ¹¹და მივედი იერუსალიმში, და ვიყავი იქ სამი დღე.
- ¹²და ავდექი ღამით რამდენიმე კაცთან ერთად და არავისთვის არ მითქვამს, რისი გაკეთება ჩამიღო ღმერთმა გულში იერუსალიმისათვის, და არავითარი პირუტყვი არ მყოლია თან გარდა იმისა, რომელზეც ვიყავი ამხედრებული.



¹³და გავედი ღამით ნაღვარევის კარიბჭით და გავემართე გველშაპის წყაროსკენ და სანაგვის კარიბჭისაკენ, და დავათვალიერე იერუსალიმის დარღვეული კედლები, მისი ცეცხლში გადაბუგული კარიბჭეები.

¹⁴და გავიარე წყაროს კარიბჭისა და მეფის აუზისაკენ, თუმცა არ იყო ადგილი, რომ იმ პირუტყვს გაევლო, რომელზეც ვიყავი ამხედრებული.

¹⁵და ასე ავუყევი ღამით ხევს, დავათვალიერე კედელი, უკან გამოვბრუნდი, მივედი ნაღვარევის კარიბჭესთან, და შინ დავბრუნდი.

¹⁶ქალაქის მოხელეებმა არ იცოდნენ, სად დავდიოდი და რას ვაკეთებდი; არც იუდაელებს, არც მღვდლებს, არც დიდებულებს, არც მოხელეებს, არც საქმის მკეთებელთ ჯერ არ ვუმხელდი.

¹⁷და მხოლოდ ვუთხარი: თქვენ ხედავთ-მეთქი, რა უბედურ დღეში ვართ, როგორაა იერუსალიმი მოოხრებული და როგორ არის ცეცხლში დაბუგული მისი კარიბჭენი; წავიდეთ და ავაშენოთ იერუსალიმის კედელი და ნულარ ვიქნებით ასე შერცხვენილნი.

¹⁸და ვაუწყე მათ ჩემი ღვთის ხელზე, სასიკეთო რომ იყო ჩემთვის, აგრეთვე მეფის სიტყვებზე, მეფეს რომ ჰქონდა ჩემთვის ნათქვამი. და თქვეს: ავდგეთ და ავაშენოთო. და ხელი განიმტკიცეს სასიკეთოდ.

¹⁹და გაიგეს ეს სანბალატ ხორონელმა, ტობიამ, ყამონელმა მოხელემ, და გეშემ არაბმა, და დაგვცინეს, აბუჩად აგვიგდეს და თქვეს: „ამას რას შვრებით? მეფეს უჯანყდებით?“

²⁰და ვუპასუხე მათ: „ცათა ღმერთი შეგვეწევა. და ჩვენ, მისი მსახურნი, ავდგებით და ავაშენებთ! თქვენ კი იერუსალიმში არა გაქვთ წილი, არც უფლება და არც სახსენებელი.“

ნეემია 3

¹და ადგნენ ელიაშიბი, დიდი მღვდელი, და მისი მღვდელი ძმები, და აღადგინეს ცხვრის კარიბჭე: მათ განათლეს ის და კარი შეაბეს, და განათლეს მეას გოდლიდან ხანანელის გოდლამდე.

²და მის გვერდით აშენებდნენ იერიხოელნი, ხოლო მათ გვერდით აშენებდა ზაქურ იმრის ძე.

³და თევზთა კარიბჭეს აშენებდნენ ჰასენაას ძენი; მათ გადახურეს იგი და კარები შეაბეს თავისი რაზა-კოჭატებითა და ურდულებით.



⁴მათ გვერდით კედელს ამაგრებდა მერემოთი, ძე ურასი, ძისა ჰაკოცისა. მათ გვერდით ამაგრებდა მეშულამი, ძე ბერექიასი, ძისა მეშეზაბელისა; მათ გვერდით ცადოკ ბაყანას ძე ამაგრებდა.

⁵მათ გვერდით ამაგრებდნენ თეკოაყელები, მაგრამ მათი დიდებულნი კი ქედს არ იდრეკდნენ, რომ თავიანთი უფალი ღმერთისთვის ეშრომათ.

⁶ძველ კარიბჭეს ამაგრებდნენ იოიადაყი, ძე ფასეახის, და მეშულამი, ძე ბესოდეიასი; მათ გადახურეს იგი და ჩაუყენეს კარები თავისი რაზა-კოჭატებითა და ურდულებით.

⁷მათ გვერდით ამაგრებდნენ მელატია გიბეონელი და იადონ მერონოთელი, გიბეონისა და მიცფას მკვიდრები, რომელნიც მდინარისგაღმელ განმგებელს ემორჩილებოდნენ.

⁸მის გვერდით ამაგრებდა ყუზიელ ხარჰაიას ძე – ოქრომჭედელი; და მის გვერდით ამაგრებდა ხანანია, რომელიც მენელსაცხებელთაგან იყო, და აღადგენდნენ იერუსალიმს ფართო კედლამდე.

⁹მათ გვერდით ამაგრებდა რეფაია ხურის ძე, იერუსალიმის ნახევარსამთავროს მთავარი.

¹⁰და მის გვერდით ამაგრებდა იედაია, ძე ხარუმაფისა – თავისი სახლის წინ. და მის გვერდით ამაგრებდა ხატუმ ხაშაბნიას ძე.

¹¹მეორე მხარეს ამაგრებდნენ მალქია ხარიმის ძე და ხაშუმ ფახათ-მოაბის ძე; მათვე გაამაგრეს ღუმელთა გოდოლი.

¹²და მის გვერდით ამაგრებდა შალუმი, ჰალოხეშის ძე, იერუსალიმის ნახევარსამთავროს მთავარი, ის და მისი ასულები.

¹³ნაღვარევის კარიბჭე გაამაგრეს ხანუნმა და ზანოახის მკვიდრებმა; მათ ააშენეს იგი, კარები შეაბეს თავისი რაზა-კოჭატებითა და ურდულებით; და მათვე გაამაგრეს სიგრძით ათასი წყრთა კედელი სანაგვის კარიბჭემდე.

¹⁴და სანაგვის კარიბჭე გაამაგრა მალქიამ, რექაბის ძემ, ბეთ-ჰაქერემის სამთავროს მთავარმა; მან ააშენა იგი და შეაბა კარები თავისი რაზა-კოჭატებითა და ურდულებით.

¹⁵წყაროსთვალის კარიბჭეს ამაგრებდა შალუმი, ქოლ-ხოზეს ძე, მიცფას სამთავროს მთავარი; მან აღადგინა და გადახურა იგი, შეაბა კარები თავისი რაზა-კოჭატებითა და ურდულებით. მანვე ააშენა კედელი შელახის აუზთან, მეფის ბაღის წინ დავითის ქალაქიდან ჩასასვლელ კიბეებამდე.



- ¹⁶მის იქით ამაგრებდა ნეემია, ყაზბუკის ძე, ბეთ-ცურის ნახევარსამთავროს მთავარი, დავითის საფლავის მოპირდაპირე მხარემდე, და ხელოვნურ ტბორამდე და გმირთა სახლამდე.
- ¹⁷მის იქით გაამაგრეს ლევანებმა რეხუმის, ბანის ძის, ხელმძღვანელობით და მის გვერდით გაამაგრა ხაშაბიამ, კეცილას ნახევარსამთავროს მთავარმა, თავისი სამთავროს სახელით.
- ¹⁸მის იქით ამაგრებდნენ მათი ძმები, ბინუი ხენადადის ძის, კეცილას ნახევარსამთავროს მთავრის ხელმძღვანელობით.
- ¹⁹მის გვერდით – ყეზერ იესოს ძემ, მიცფას სამთავროს მთავარმა, გაამაგრა კედლის მეორე უბანი აიარაღის საწყობის ასასვლელის პირდაპირ, კუთხესთან.
- ²⁰მის იქით თავგამოდებით ამაგრებდა მეორე უბანს ბარუქი, ზაბაის ძე, კუთხიდან ელიაშიბ მღვდელმთავრის სახლის კარამდე.
- ²¹მის იქით მეორე უბანს ამაგრებდა მერემოთი, ურიას ძე, ძისა ჰაკოცისა – ელიაშიბის სახლის კარიდან ელიაშიბის სახლის ბოლომდე.
- ²²მის იქით სანახებში მცხოვრებმა მღვდლებმა გაამაგრეს.
- ²³მის იქით, თავიანთი სახლის წინ, ამაგრებდნენ ბენიამინი და ხაშუბი; მათ იქით თავის სახლთან გაამაგრა ყაზარიამ მაყასეიას ძემ, ძისა ყანანიასი;
- ²⁴მათ შემდეგ გაამაგრა ბინუი ხენადადის ძემ, მეორე უბანი – ყაზარიას სახლიდან კუთხემდე და მოსახვევამდე.
- ²⁵მის იქით ფალალ უზაის ძე ამაგრებდა კუთხისა და იმ გოდლის მოპირდაპირე მხარეს, რომელიც მეფის ზემო სახლიდან გამოდის და სატუსაღოს ეზოს ემიჯნება. მის იქით ფედაია ფარყოშის ძე ამაგრებდა.
- ²⁶ტადრის მსახურებმა კი, ყოფელში რომ ცხოვრობდნენ, გაამაგრეს წყლის კარიბჭისა და გამოშვერილი გოდლის წინ, აღმოსავლეთით.
- ²⁷მათ იქით მეორე მხარეს თეკოაყელები ამაგრებდნენ დიდი გამოშვერილი გოდლის პირდაპირ ყოფელის ზღუდემდე.
- ²⁸ცხენების კარიბჭის ზემოთ მღვდლებმა გაამაგრეს – თითოეულმა თავისი სახლის წინ.
- ²⁹მათ იქით გაამაგრა ცადოკმა, იმერის ძემ, თავისი სახლის წინ. და მის იქით გაამაგრა შემაყია შექანიას ძემ, აღმოსავლეთის კარიბჭის მცველმა.
- ³⁰მის იქით ხანანია შელემიას ძემ და ხანუნ ცალაფის მეექვსე ძემ გაამაგრეს მეორე უბანი; მის იქით ამაგრებდა მეშულამ ბერექიას ძე თავისი ბინის წინ.



³¹მის იქით გაამაგრა მალქიამ, ცორფის ძემ, ტაძრის მსახურთა და ვაჭართა სახლამდე, სათვალთვალ კარიბჭის პირდაპირ, კუთხის ზემოთვალამდე.

³²ამ ზემოთვალსა და ცხვრის კარიბჭეს შორის გაამაგრეს ოქრომჭედლებმა და ვაჭრებმა.

ნეემია 4

¹როცა სანბალატმა გაიგო, რომ კედელს ვაშენებთ, ძალიან გაცხარდა, ბევრი იჯავრა და მასხრად აიგდო იუდაელები.

²თავისი მოძმეებისა და სამარიის ლაშქრის წინაშე თქვა: „რასა შვრებიან ეს საცოდავი იუდაელები? ნუთუ მისცემენ მათ ამის უფლებას? ნუთუ მსხვერპლს შესწირავენ? ნუთუ ოდესმე მოათავებენ სამუშაოს? ნუთუ ქვებს გააცოცხლებენ დანაცრეული ნანგრევებიდან?“

³და ტობია ყამონელმა, რომელიც მის გვერდით იყო, თქვა: „როგორც არ უნდა აშენონ, ერთი მეღაც კი რომ მიადგეს მათ ქვის კედელს, ისიც კი დააქცევს.“

⁴ისმინე, ღმერთო ჩვენო, რადგან დასაციინი და შეურაცხნი გავხდით! მათი ლანძღვა მათვე მიუბრუნე, და მიეცი ისინი საკიცხელად თავიანთი ტყვეობის ქვეყანაში!

⁵და ნუ დაფარავ მათ დანაშაულს; და შენს წინაშე ნუ წაიშლება მათი ცოდვა, რადგან შეურაცხჰყოფდნენ ისინი მშენებლებს.

⁶და ავაშენეთ ქალაქის კედელი, და შეიკრა მთელი კედელი მისი სიმაღლის ნახევრამდე. და ჰქონდა ხალხს საქმის გულმოდგინება.

⁷და როცა გაიგეს სანბალატმა, ტობიამ და არაბებმა, ყამონელებმა და აშდოდელებმა, რომ გრძელდებოდა იერუსალიმის კედლების აღდგენა და მისი ბზარების გამთელება, ძალიან გაცხარდნენ.

⁸და ყველანი შეითქვნენ, რათა საომრად მოსულიყვნენ იერუსალიმში და არეულობა ჩამოეგდოთ იქ.

⁹და ჩვენ ვევედრებოდით ჩვენს ღმერთს, და დაცვა გვეყენა მათ წინააღმდეგ დღედაღამ.

¹⁰და თქვეს იუდაელებმა: „წელში გაწყდნენ მზიდავები, ნაგავი კი ბევრია; ჩვენ ვეღარ ავაშენებთ კედელს.“

¹¹ხოლო ჩვენი მტრები კი ამბობდნენ: „ვერც გაიგებენ და ვერც შეამჩნევენ, ისე გავჩნდებით მათ შორის და ისე გავავლებთ მუსრს და სამუშაოებს შევაწყვეტინებთ.“



¹²და როცა მათ ახლოს მცხოვრები იუდაელები მოდიოდნენ და დღეში ცხრაჯერ მაინც გვიმეორებდნენ: ყოველი მხრიდან დაგვესხმიანო თავს, –

¹³მაშინ ჩავაყენე ხალხი დაბლობებში, კედლის გარეთ ღია ადგილებში, და დავაყენე ხალხი საგვარეულოთა მიხედვით, თავიანთი მახვილებით, შუბებითა და მშვილდებით.

¹⁴და შევხედე, წამოვდექი და ვუთხარი დიდებულებს და მოხელეებს და დანარჩენ ხალხს: „ნუ გეშინიათ მათი; გაიხსენეთ უფალი, დიდი და შიშის მომგვრელი, და იბრძოლეთ თქვენი ძმების, თქვენი ძეების და ასულების, თქვენი ცოლებისა და სახლ-კარისათვის.“

¹⁵და როგორც კი ჩვენმა მტრებმა გაიგეს, რომ ჩვენ ვიცით მათი ამბავი და, რომ ღმერთმა ჩაშალა მათი განზრახვა, ყველანი დავბრუნდით კედელთან, თითოეული თავის საქმეზე.

¹⁶და იმ დღიდან მოყოლებული, ჩემი ჭაბუკების ნახევარი მუშაობდა, მეორე ნახევარს კი ტანზე აბჯარი ეცვა, ხელში შუბები, ფარები და მშვილდები ეჭირათ. მთავრები კი მთელი იუდას სახლის უკან იდგნენ.

¹⁷კედლის მშენებლები აშენებდნენ, მზიდავები ტვირთს ეზიდებოდნენ; ცალი ხელით საქმეს აკეთებდნენ და ცალით იარაღი ეჭირათ.

¹⁸და თითოეულ მშენებელს წელზე მახვილი ერტყა და ისე აშენებდა. გვერდით კი მეზუკე მყავდა.

¹⁹და ვუთხარი დიდებულებს, მოხელეებს და დანარჩენ ხალხს: „საქმე დიდი და ვრცელია, ჩვენ კი კედელზე ვართ შემოფანტულნი და ერთმანეთსა ვართ მოშორებულნი,

²⁰ამიტომ საიდანაც ბუკისცემის ხმას გაიგონებთ, იქ მოგროვდით ჩვენთან; ჩვენი ღმერთი იბრძოლებს ჩვენთვის.“

²¹ასე ვაკეთებდით საქმეს; ნახევარს კი ალიონის დამკვრიდან ვარსკვლავების გამოჩენამდე შუბი ეჭირა.

²²მაშინ იყო, რომ ვუთხარი ხალხს: თითოეულმა თავის მსახურთან ერთად ღამე გაათიოს იერუსალიმში. ასე რომ ღამით ჩვენთან ერთად იყარაულებდნენ, დღისით კი იმუშვებდნენ.

²³და არც მე და არც ჩემი ძმები, არც ჩემი მსახურნი, არც მცველები, თან რომ დამყვებოდნენ, ტანსაცმელს არ ვიხდიდით; თითოეულს ხელში თავისი მახვილი გვეჭირა, მაშინაც კი, როდესაც წყალზე მივდიოდით.

ნეემია 5



- ¹დიდი დრტვინვა ატყდა ხალხში და მათ ცოლებში თავიანთ იუდაელ მოძმეთა წინააღმდეგ.
- ²და იყვნენ ისეთები, რომლებიც ამბობდნენ: ჩვენ, ჩვენი ძენი და ჩვენი ასულნი ბევრნი ვართ და პური გვინდა ვიშოვოთ, რომ ვჭამოთ და ვიცოცხლოთ.
- ³და იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამბობდნენ: ჩვენს მინდვრებს, ვენახებს და სახლებს ვაგირავებთ, რათა ხორბალი ვიშოვოთო შიმშილობის ჟამს.
- ⁴და იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამბობდნენ: „ჩვენი მიწებისა და ჩვენი ვენახების დაგირავებით ფულს ვშოულობთ მეფისთვის ხარკის გადასახდელად.
- ⁵და ჩვენი ხორციც ისეთივეა, როგორც ჩვენი მოძმეებისა. და ჩვენი ძენი ისეთივენი არიან, როგორიც მათი ძენი, მაგრამ ჩვენ გვიხდება ჩვენი ძეებისა და ასულების მონებად მიცემა და ზოგიერთი ჩვენი ასულთაგანი უკვე დამონებულია. ხელში ძალა გამოგვეცალა და ჩვენი ყანები და ვენახები სხვებს რჩებათ.“
- ⁶მალიან გავცეცხლდი, როდესაც მათი დრტვინვა და ეს სიტყვები მოვისმინე.
- ⁷მაგრამ გულმა მიკარნახა და ვეჩხუბე დიდებულებს, მოხელეებს და ვუთხარი მათ: „თქვენი მოძმეებისაგან ვახშს იღებთ.“ და მოვიწვიე მათ წინააღმდეგ დიდი კრებული.
- ⁸და ვუთხარი მათ: „ჩვენ გამოვისყიდეთ სხვა ხალხებს მიყიდული ჩვენი იუდაელი ძმები, როგორც შეგვეძლო, თქვენ კი საკუთარ ძმებს ჰყიდით, რომლებიც მერე ჩვენ უნდა გამოვისყიდოთ.“ და დუმდნენ ისინი და სიტყვას ვეღარ პოულობდნენ.
- ⁹და ვთქვი: „არ არის კარგი ეს საქმე, რასაც თქვენ აკეთებთ! განა ღვთის შიშით არ უნდა დადიოდეთ, რათა ხალხებისგან და მტრებისგან დაცინვა აიცილოთ?
- ¹⁰მე, ჩემი ძმები და ჩემი მსახურნი სესხად ვაძლევთ ვერცხლს და ხორბალს. მოდით, ვაპატიოთ მათ ეს ვალი.
- ¹¹დღესვე დაუბრუნეთ მათ მათი ყანები, ვენახები, ზეთისხილის ბაღები, სახლები, და სარგებელი ვერცხლის, ხორბლის, ღვინის და ზეთის, რასაც მათგან ითხოვდით.“
- ¹²და თქვეს: „დავუბრუნებთ და აღარ მოვთხოვთ; ისე მოვიქცევით, როგორც შენ ამბობ.“ და მღვდლებს დავუძახე და დავაფიცე ისინი, რომ იმ სიტყვისამებრ მოქცეულიყვნენ.



¹³და დავიბერტყე მოსასხამის კალთა და ვთქვი: „ასე გაიბერტყოს ყოველი ის კაცი თავისი სახლიდან და თავისი მონაგარიდან, ვინც არ შეასრულებს ამ სიტყვას, და ასე იყოს გაბერტყილი და გამოცარიელებული.“ და თქვა მთელმა კრებულმა: „ამინ!“ და ხოტბა შეასხა უფალს და შეასრულა ხალხმა ეს სიტყვა.

¹⁴აგრეთვე იმ დღიდან, რაც მეფემ იუდას განმგებლობა მიბრძანა, მეფე ართახშასთას მეოცე წლიდან ოცდამეთორმეტე წლამდე – 12 წლის განმავლობაში – მე და ჩემს ძმებს განმგებლის პური არ გვიჭამია.

¹⁵განმგებლები, ჩემამდე ვინც იყვნენ, ამძიმებდნენ ხალხს და 40 შეკელის გარდა, პურსა და ღვინოსაც ართმევდნენ. მათი მსახურნიც ბატონობდნენ ხალხზე, მაგრამ მე ასე არ მოვქცეულვარ ღვთის მოშიშობის გამო.

¹⁶თანაც მე გადაგებული ვიყავი კედლის შენებაზე. მინდვრებს აღარ ვყიდულობდით და ყველა ჩემი მსახური იქ იყრიდა თავს სამუშაოდ.

¹⁷150 კაცი მესხდა სუფრაზე – იუდაელები და მოხელეები, გარდა ჩვენს გარშემო მცხოვრებ ხალხებიდან მოსულთა.

¹⁸აი, რა მზადდებოდა ერთი დღისათვის: ერთი ხარი, ექვსი რჩეული ცხვარი, ასევე ფრინველს ამზადებდნენ ჩემთან; და ყოველ ათ დღეში ყველანაირი ღვინო მოჰქონდათ უხვად. მაგრამ განმგებლის პურს არ ვითხოვდი, რადგან მძიმე იყო ამ ხალხის სამუშაო.

¹⁹ყველაფერი სასიკეთოდ გამიხსენე, ღმერთო ჩემო, რაც ამ ხალხისათვის გამიკეთებია.

ნეემია 6

¹და როდესაც სანბალატმა, ტობიამ, გეშემ არაბმა და დანარჩენმა ჩვენმა მტრებმა გაიგეს, რომ ავაშენეთ კედელი და არ დარჩენილა მასში ბზარი, – თუმცა იმ ხანად კარებები ჯერ კიდევ არა მქონდა ჩაყენებული კარიბჭეებში,

²სანბალატმა და გეშემმა მომიგზავნეს მსახური და შემომითვალეს: წამო, ონოს ხეობის რომელიმე სოფელში შევიკრიბოთო. მათ განზრახული ჰქონდათ ჩემთვის ბოროტება გაეკეთებინათ.

³მაგრამ მე მოციქულები გავუგზავნე და შევუთვალე: „დიდ საქმეს ვაკეთებ და ვერ ჩამოვალ. რატომ უნდა შეჩერდეს საქმე, თუ მივატოვებ მას და თქვენთან ჩამოვალ?“

⁴და ოთხჯერ მომიგზავნეს ამ სიტყვით და მეც იგივე პასუხი დავუბრუნე.



⁵და ამავე სიტყვით მეხუთედ გამომიგზავნა სანბალატმა თავისი მსახური, რომელსაც ხელში გახსნილი წერილი ჰქონდა.

⁶და ეწერა მასში: „ხალხებში ხმა დადის და გეშეშავს ამბობს, რომ შენ და იუდაელებს ამბობება გაქვთ განზრახული, ამისათვის აშენებ კედელს. და შენ მათი მეფე იქნები, ამავე ხმების თანახმად.

⁷და წინასწარმეტყველნიც დაგიყენებია, რათა იერუსალიმში იქადაგონ შენზე და თქვან: მეფე არისო იუდაში! და ახლა მეფის ყურამდე მივა ეს ხმები. ამიტომ მოდი და მოვილაპარაკოთ.“

⁸მე კაცი გავუგზავნე და შევუთვალე: „ასეთი რამ, რასაც შენ ამბობ, არ ყოფილა, რადგან შენი ჭკუიდან ჩმახავ მაგას!“

⁹ყველანი ჩვენს დაშინებას ცდილობდნენ, ფიქრობდნენ: ხელები ჩამოუცვივით საქმიდან და ვერ დაასრულებენო. მაგრამ ახლა უფრო განვამტკიცე ჩემი ხელები.

¹⁰შემაყიას, დელაიას, მეჰეტაბელის ძის, ვაჟს მივაკითხე და შინ იყო ჩაკეტილი; და მითხრა: „წავიდეთ ღვთის სახლში, შიგ ტაძარში, და ჩავკეტოთ ტაძრის კარი, რადგან შენს მოსაკლავად მოდიან; და ამაღამ მოვლენ შენს მოსაკლავად.“

¹¹მაგრამ მე ვუთხარი: „ჩემისთანა კაცი როგორ უნდა გაიქცეს? ან ჩემისთანა კაცი თავის გადასარჩენად ტაძარში როგორ უნდა შევიდეს? მე არ შევალ.“

¹²მივხვდი, ღვთის გამოგზავნილი რომ არ იყო. თუმცა კი წინასწარმეტყველურად მელაპარაკა, და, რომ ტობიასა და სანბალატს ჰყავდათ იგი მოსყიდული.

¹³მოსყიდული იმისთვის იყო, რომ შემშინებოდა, ისე მოვქცეულიყავი, რომ ცოდვა ჩამედინა; ამით ისინი სახელს გამიტეხდნენ და ჩემს დასაცინად გამოიყენებდნენ.

¹⁴გაიხსენე, ღმერთო ჩემო, ტობია და სანბალატი მათი საქმეებისამებრ; და აგრეთვე ნოყადია, წინასწარმეტყველი ქალი, და დანარჩენი წინასწარმეტყველნი, რომელთაც ჩემი დაშინება სურდათ.

¹⁵და დასრულდა კედელი ელულის ოცდახუთში – 52 დღეში.

¹⁶ეს რომ ყველა ჩვენმა მტერმა გაიგო და ყველა ჩვენს ირგვლივ მცხოვრებმა ხალხმა დაინახა, ძალიან დამცირდნენ საკუთარ თვალში და მიხვდნენ, რომ ღვთის შეწევნით გაკეთდა ეს საქმე.

¹⁷იმავე დღეებში იუდას დიდებულთა მრავალ წერილს ღებულობდა ტობია და ისინი ღებულობდნენ მის წერილებს.



¹⁸რადგან იუდაში მრავალი იყო მასთან ფიცით შეკრული, რაკი იგი შექანია არახის ძის სიძე იყო და მის ძეს, იეჰოხანანს, ცოლად ჰყავდა მეშულამის, ბერეკიას ძის, ასული.

¹⁹და მის კეთილ საქმეებზე ჩემს წინაშე ლაპარაკობდნენ. ჩემი სიტყვები მასთან მიჰქონდათ. ტობია კი წერილებს მიგზავნიდა დასაშინებლად.

ნეემია 7

¹კედელი რომ აშენდა, კარებები შევაბით და გავამწესე კარისმცველები, მაგალობელნი და ლევანები,

²და ვუბრძანე ხანანის, ჩემს ძმას, და ხანანიას, იერუსალიმის ციხისთავს, რადგან ის სანდო კაცი იყო და სხვებზე მეტად ღვთისმოშიში,

³და ვუთხარი მათ: არ გააღონ იერუსალიმის ბჭენი ვიდრე მზე არ დააცხუნებს, და სანამ ისინი დგანან საგუმგოზე, მანამ დაკეტონ და ურდულით დაგმანონ კარნი. და იერუსალიმის მკვიდრთაგან დააყენეთ, თითოეული თავის საგუმგოზე და თითოეული თავისი სახლის წინ.

⁴და ქალაქი ვრცელი და დიდი იყო, ხალხი კი ცოტა იყო მასში, და არც სახლები იყო აშენებული.

⁵ჩემმა ღმერთმა გულში ჩამიდო, რათა შემეკრიბა დიდებულები და მოხელეები და ხალხი აღსანუსხავად. და მივაგენი იერუსალიმში პირველად ამოსულთა საგვარტომო წიგნს, და ვნახე მასში ჩაწერილნი:

⁶ქვეყნის ის მკვიდრნი, რომელნიც გადასახლებულ ტყვეებიდან ამოვიდნენ, რომლებიც გადაასახლა ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის მეფემ, და დაბრუნდნენ ისინი იერუსალიმში და იუდაში – თითოეული თავის ქალაქში,

⁷რომელნიც მოვიდნენ ზერუბაბელთან, იესოსთან, ნეემიასთან, ყაზარიასთან, რაყამიასთან, ნახამანისთან, მორდექაისთან, ბილშანთან, მისფერეთთან, ბიგვაისთან, ნეხუმთან და ბაყანასთან. ეს არის ისრაელი ხალხის მამაკაცთა რიცხვი:

⁸ფარყოშის ძენი – 2172;

⁹შეფატაის ძენი – 372;

¹⁰არახის ძენი – 652;

¹¹ფახათ-მოაბის ძენი, იესოსა და იოაბის ძეთაგან – 2818;

¹²ყელამის ძენი – 1254;



- ¹³ზათუს ძენი – 845;
¹⁴ზაქაის ძენი – 760;
¹⁵ზინუის ძენი – 648;
¹⁶ზეზაის ძენი – 628;
¹⁷ყაზგადის ძენი – 2322;
¹⁸ადონიკამის ძენი – 667;
¹⁹ზიგვაის ძენი – 2067;
²⁰ყადინის ძენი – 655;
²¹ატერის ძენი ხიზკიას სახლიდან – 98;
²²ხაშუმის ძენი – 328;
²³ზეცაის ძენი – 324;
²⁴ხარიფის ძენი – 112;
²⁵გიბეონელი კაცები – 95;
²⁶ბეთლემისა და ნეტოფას მკვიდრნი – 188;
²⁷ყანათოთის მკვიდრნი – 128;
²⁸ბეთ-ყაზმავეთის მკვიდრნი – 42;
²⁹კირიათ-იეყარიმის, ქეფირას და ბეეროთის მკვიდრნი – 743;
³⁰რამას და გეზაყის მკვიდრნი – 621;
³¹მიქმაშის მკვიდრნი – 122;
³²ბეთელისა და ლაის მკვიდრნი – 123;
³³სხვა ნებოს მკვიდრნი – 52;
³⁴სხვა ყელამის მკვიდრნი – 1254;
³⁵ხარიმის ძენი – 320;
³⁶იერიხოს ძენი – 345;
³⁷ლოდის, ხადიდის და ონოს ძენი – 721;
³⁸სენაას ძენი – 3930.
³⁹მღვდლები: იედაყიას ძენი იესოს სახლიდან – 973;
⁴⁰იმერის ძენი – 1052;



- ⁴¹ფაშხურის პენი – 1247;
- ⁴²ხარიმის პენი – 1017.
- ⁴³ლევიანები: იესოს პენი კადმიელის სახლიდან, ჰოდევას პენი – 74.
- ⁴⁴მაგალობელნი: ასაფის პენი – 148.
- ⁴⁵კარის მცველნი: შალუმის პენი, ატერის პენი, ტალმონის პენი, ყაკუბის პენი, ხატიტას პენი, შობაის პენი, – 138.
- ⁴⁶ტაძრის მსახურნი: ციხას პენი, ხაშუფას პენი, ტაბაყოთის პენი,
- ⁴⁷კეროსის პენი, სიყას პენი, ფადონის პენი,
- ⁴⁸ლებანას პენი, ხაგაბას პენი, შალმაის პენი,
- ⁴⁹ხანანის პენი, გიდელის პენი, გახარის პენი,
- ⁵⁰რეაიას პენი, რეცინის პენი, ნეკოდას პენი,
- ⁵¹გაზამის პენი, ყუზას პენი, ფასეახის პენი,
- ⁵²ბესაის პენი, მეყუნიმის პენი, ნეფუშესიმის პენი,
- ⁵³ბაკბუკის პენი, ხაკუფას პენი, ხარხურის პენი,
- ⁵⁴ბაცლითის პენი, მეხიდას პენი, ხარშას პენი,
- ⁵⁵ბარკოსის პენი, სისერას პენი, თემახის პენი,
- ⁵⁶ნეციახის პენი, ხატიფას პენი.
- ⁵⁷სოლომონის მსახურთა პენი: სოტაის, სოფერეთის, ფერიდას,
- ⁵⁸იაყალას, დარკონის, გიდელის,
- ⁵⁹შეფატაის, ხატილის, ფოქერეთ-ჰაცეზაიმის და ამონის პენი.
- ⁶⁰სოლომონისა და ტაძრის მსახურთა პენი – სულ 392.
- ⁶¹და ესენი იყვნენ ამოსულნი თელ-მელახიდან, თელ-ხარშადან, ქერუბიდან, ადონიდან და იმერიდან, მაგრამ ველარაფერი თქვეს თავიანთ მამისსახლზე და მოდგმაზე ისრაელიდან თუ იყვნენ ისინი:
- ⁶²დელაიას პენი, ტობიას პენი, ნეკოდას პენი – 642.
- ⁶³მღვდელთაგან: ხაბაიას პენი, ჰაკოცის პენი, პენი ბარზილაისა, რომელმაც მოიყვანა ცოლი გალაადელი ბარზილაის ასულთაგან და მათ სახელზე დაეწერა.
- ⁶⁴ამათ ეძებეს თავიანთი საგვარტომო ნუსხის ჩანაწერი და ვერ იპოვეს, და განიკვეთნენ მღვდლობიდან.



⁶⁵და განმგებელმა გააფრთხილა ისინი, რომ არ ექამათ დიდი სიწმიდიდან, ვიდრე მღვდელი არ დადგებოდა ურიმითა და თუმით.

⁶⁶მთელი კრებული ერთიანად იყო – 42360 კაცი,

⁶⁷გარდა მონებისა და მხევლებისა, რომლებიც იყვნენ 7337; მათ ჰყავდათ მგალობელი კაცები და მგალობელი ქალები – 245.

⁶⁸მათ ჰყავდათ 736 ცხენი, 245 ჯორი,

⁶⁹435 აქლემი, 6720 სახედარი.

⁷⁰და საგვარეულოთა უფროსთაგან ზოგიერთმა სამუშაოსთვის წილი გაიღო. განმგებელმა შესწირა საგანძურს ათასი დრაქმა ოქრო, 50 თასი და 530 სამღვდელო კვართი.

⁷¹მამისსახლის თავკაცთაგან საგანძურს შესწირეს სამუშაოსათვის 20 ათასი დრაქმა ოქრო და 2200 მინა ვერცხლი.

⁷²დარაც დანარჩენმა ხალხმა შესწირა იყო: 20 ათასი დრაქმა ოქრო და 2 ათასი მინა ვერცხლი და 67 სამღვდელო კვართი.

⁷³და დასახლდნენ მღვდლები, ლევიანები, კარის მცველნი, მგალობელნი, ნაწილი ხალხისა, ტაძრის მსახურნი და მთელი ისრაელი თავ-თავიანთ ქალაქებში. და დადგა მეშვიდე თვე და ისრაელის ძენი თავიანთ ქალაქებში იყვნენ.

ნემია 8

¹და შეიკრიბა მთელი ერი, როგორც ერთი კაცი, იმ მოედანზე, წყლის კარიბჭის წინ რომ არის, და უთხრეს ეზრა მწიგნობარს, მოეტანა მოსეს რჯულის წიგნი, რომელიც გამოუცხადა უფალმა ისრაელს.

²და მოიტანა ეზრა მღვდელმა წიგნი კრებულის წინაშე, რომელიც შედგებოდა მამაკაცებისაგან, დედაკაცებისაგან და ყველა იმათაგან, ვისაც გაგების უნარი შესწევდა, ეს იყო მეშვიდე თვის პირველ დღეს.

³და კითხულობდა მას მოედანზე, რომელიც წყლის კარიბჭის წინ იყო, განთიადიდან შუადღემდე, მამაკაცთა და დედაკაცთა და ყველა მათ წინაშე, ვისაც აღქმა შეეძლო; და მთელი ერის ყური მიჰყრობილი იყო რჯულის წიგნისაკენ.

⁴და იდგა ეზრა მწიგნობარი ფიცრის შემადღებაზე, რომელიც ამ ამბის გამო გაემართათ. მას მარჯვნივ ედგნენ მათითია, შემა, ყანაია, ურია, ხილკია, ზაქარია, მეშულამი და მაყასეია; მარცხნივ – ფედაია, მიშაელი, მალქია, ხაშუმი და ხაშბადანა.



- ⁵და გახსნა ეზრამ წიგნი მთელი ხალხის თვალწინ, რადგან ის მთელ ხალხზე მაღლა იდგა; და როდესაც გახსნა იგი, მთელი ხალხი წამოუდგა.
- ⁶და აკურთხა ეზრამ უფალი, დიდი ღმერთი, და მიუგო მთელმა ხალხმა აღპყრობილი ხელებით: „ამინ! ამინ!“ მერე მათ მუხლი მოიყარეს და თაყვანი სცეს უფალს მიწაზე დამხოვნილებმა.
- ⁷და იესო, ბანი, შერებია, იამინი, ყაკუბი, შაბეთაი, ჰოდია, მაყასეია, კელიტა, ყაზარია, იოზაბადი, ხანანი, ფელაია და ლევიანები განუმარტავდნენ ხალხს რჯულს, ხალხი კი იდგა თავის ადგილზე.
- ⁸და კითხულობდნენ ისინი წიგნიდან, ღვთის რჯულიდან, გარკვევით, განმარტავდნენ და ხალხიც იგებდა წაკითხულს.
- ⁹და განმგებელმა ნეემიამ, ეზრამ – მღვდელმა და მწიგნობარმა – და ლევიანებმა, ხალხს რომ მოძღვრავდნენ, განუცხადეს მთელ ერს: „ეს დღე წმიდა არის უფლისთვის, თქვენი ღვთისათვის, ნუ გლოვობთ და ნუ ტირით!“ რადგან მთელი ხალხი ტიროდა, რჯულის სიტყვებს რომ ისმენდა.
- ¹⁰და უთხრა მათ: „წადით, ჰამეთ ქონიანი და დალიეთ ტკბილი და იქიდან წილობები იმათ გაუგზავნეთ, ვისაც არაფერი მოუმზადებია, რადგან ეს დღე წმიდაა ჩვენი უფლისათვის; და ნუ სწუხხართ, რადგან სიხარული უფლის წინაშე სიმტკიცეა თქვენი.“
- ¹¹და ლევიანები აწყნარებდნენ მთელ ხალხს და ეუბნებოდნენ: „დაწყნარდით, რადგან წმიდაა ეს დღე და ნუ სწუხხართ.“
- ¹²და წავიდა მთელი ხალხი საჰმელად და სასმელად, და წილობების დასაგზავნად და დიდი მხიარულების საყოფად, რადგან შეისმინეს სიტყვები, მათ რომ აუწყეს.
- ¹³და მეორე დღეს ეზრა მწიგნობართან მოიყარეს თავი მთელი ხალხის საგვარეულოთა უფროსებმა, მღვდლებმა, ლევიანებმა, რათა მათთვის აეხსნა რჯულის სიტყვები.
- ¹⁴და ნახეს დაწერილი რჯულში, რომელიც უფალმა მისცა ხალხს მოსეს მიერ, რომ ისრაელის ძეთ კარვებში უნდა ეცხოვრათ მეშვიდე თვის დღესასწაულისას,
- ¹⁵და რომ გამოეცხადებინათ და ასეთი ხმა დაერხიათ ყველა თავიანთ ქალაქში და იერუსალიმში: „გადით მთაზე და მოიტანეთ ბაღის ზეთისხილისა და ველური ზეთისხილის რტოები, მირტის, პალმისა და სხვა ხეების რტოები კარვების გასაკეთებლად, დაწერილის მიხედვით.“



¹⁶და გავიდა ხალხი და მოიტანა და გაიკეთა თავისთვის კარვები – თითოეულმა თავის ბანზე, თავის ეზოში, ღვთის სახლის ეზოებში, წყლის კარიბჭის მოედანზე და ეფრემის კარიბჭის მოედანზე.

¹⁷და გადანასახლებმა მთელმა კრებულმა გააკეთა კარვები და დასახლდა მათში, რადგან იესო ნავეს მის დღეთაგან იმ დღემდე არ გაუკეთებიათ ასე ისრაელის ძეთ, და იყო ძალზე დიდი სიხარული.

¹⁸დღითი დღე კითხულობდა იგი ღვთის რჯულის წიგნს – პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე. შვიდი დღე იზეიმეს დღესასწაული, მერვე დღეს კი საზეიმო შეკრებულობა ჰქონდათ, წესისამებრ.

ნემია 9

¹ამავე თვის ოცდამეოთხე დღეს შეიკრიბნენ ისრაელიანები, იწყეს მარხვა, მამები ჩაიცვეს და თავზე იყრიდნენ მტვერსა და ნაცარს.

²გამოეყო ისრაელის მოდგმა ყველა სხვა უცხოთესლს და ადგნენ და აღიარეს თავიანთი ცოდვები და თავიანთი მამების უკუღმართობა.

³და იდგნენ თავიანთ ადგილებზე და კითხულობდნენ ღვთის რჯულის წიგნს მეოთხედი დღე, მეორე მეოთხედი დღე კი აღსარებას ამბობდნენ, და თაყვანსა სცემდნენ უფალს, თავიანთ ღმერთს.

⁴და დადგნენ ლევიათა შემალღებაზე იესო, ბანი, კადმიელი, შებანია, ბუნი, შერებია, ბანი და ქენანი და შეჰღაღადეს უფალს, თავიანთ ღმერთს.

⁵და თქვეს ლევიათებმა – იესომ, კადმიელმა, ბანიმ, ხაშაბნეიამ, შერებიამ, ჰოდიამ, შებანიამ, ფეთახიამ: „ადექით! აკურთხეთ უფალი, ღმერთი თქვენი, უკუნითი უკუნისამდე! კურთხეული იყოს შენი დიდებული სახელი, რომელიც ყველა კურთხევასა და ქებას აღმატება!

⁶შენ ხარ უფალი, მხოლოდ შენ; შენ შეჰქმენ ცა და ცანი ცათანი და მთელი მათი ლაშქარი, მიწა და ყოველი, რაც მასზეა, ზღვები და ყოველი, რაც მათშია; ყველას მაცოცხლებელი შენა ხარ, და შენა გცემს თაყვანს ზეცის ლაშქარი.

⁷შენა ხარ ის უფალი ღმერთი, აბრამი რომ ამოირჩიე და გამოიყვანე ქალდეველთა ურიდან, და მას სახელად აბრაამი უწოდე.

⁸და ჰპოვე მისი გული სარწმუნო, წინაშე შენსა და აღთქმა დაუდე, რომ მის მოდგმას მისცემდი ქვეყანას ქანაანელთა, ხეთელთა და ამორეველთა, ფერიზელთა, იებუსელთა და გირგაშელთა. და შენ შეასრულე შენი სიტყვა, რადგან მართალი ხარ.



⁹შენ დაინახე ჩვენი მამების გაჭირვება ეგვიპტეში, და შეისმინე მათი ღაღადი მეწამულ ზღვაზე.

¹⁰შენ მიეცი ნიშნები და სასწაულები ფარაონის, მისი ყველა მსახურისა და მთელი ქვეყნის ხალხის წინააღმდეგ, რადგან იცოდი, რომ კადნიერად ექცეოდნენ მათ, და შენ სახელი გაითქვი დღევანდელ დღემდე.

¹¹შენ გააპე მათ თვალწინ ზღვა, და მათაც შუა ზღვაში გაიარეს, როგორც ხმელეთზე; მათი მღევრები კი ისე ჩადირე მორევში, როგორც ლოდი აბობოქრებულ წყლებში.

¹²შენ დღისით ღრუბლის სვეტით უძღოდი მათ წინ, და ღამით ცეცხლის სვეტით, იმ გზის გასანათებლად, რომელსაც ისინი ადგნენ.

¹³შენ ჩამოხვედი სინაის მთაზე და ზეციდან ელაპარაკე მათ, და მიეცი მათ სწორი სამართალი და ჭეშმარიტი რჯული, კეთილი წესები, და მცნებები.

¹⁴შენ გააცანი მათ შენი წმიდა შაბათი; და შენ მიეცი მათ მცნებები, წესდებები და რჯული, შენი მსახურის, მოსეს, ხელით.

¹⁵შენ აძლევდი მათ პურს ზეციდან შიმშილის მოსაკლავად, შენ გადმოუდინე მათ წყალი კლდიდან წყურვილის დასაცხრობად. და უთხარი, რომ იმ ქვეყნის დასამკვიდრებლად წასულიყვნენ, რომელზეც შენ აღმართე ხელი და ფიცით აღუთქვი, რომ მათ მისცემდი.

¹⁶მაგრამ ჩვენი მამები გაკადნიერდნენ, გაიფიცხეს ქედი და ყური არ ათხოვეს შენს მცნებებს.

¹⁷და არც გაგონება იწებეს და არც შენი საოცარი საქმეები გაიხსენეს, მათ შორის რომ მოახდინე. გაიფიცხეს ქედი, დაიყენეს ბელადი, რათა მონობას დაბრუნებოდნენ ამბოხებით. მაგრამ შენა ხარ ღმერთი შემნდობი, მოწყალე და შემბრალე. ნელი რისხვაში და უხვი სიყვარულში, ამიტომ შენ არ მიგიტოვებია ისინი.

¹⁸თუმცა მათ ხბო ჩამოასხეს და თქვეს: ესაა შენი ღმერთი, რომელმაც ამოგიყვანაო ეგვიპტიდან. დიდი საგმობი საქმეები ჩაიდინეს მათ.

¹⁹მაგრამ შენი დიდი სიბრალულის გამო არ მიატოვე ისინი უდაბნოში: დღისით ღრუბლის სვეტი არ შორდებოდათ გზაზე საწინამძღვროდ და ღამით ცეცხლის სვეტი იმ გზის გასანათებლად, რომელსაც ისინი ადგნენ.

²⁰და შენი კეთილი სული მიანიჭე მათ შესაგონებლად, და შენი მანანა არ მოგიშორებია მათი პირისათვის, და წყალს აძლევდი წყურვილის მოსაკლავად.



²¹და ორმოც წელიწადს არჩენდი მათ უდაბნოში, – არ აკლდათ არაფერი; სამოსელი არ გასცვეთიათ და ფეხები არ დასიებიათ.

²²და მიეცი მათ სამეფოები და ხალხები, და დაუნაწილე მათ ყველა კუთხე და ისინიც დაეპატრონენ სიხონის ქვეყანას, ხეშბონის მეფის ქვეყანას და ბაშანის მეფის, ყოგის, ქვეყანას.

²³შენ გაამრავლე ცის ვარსკვლავებით მათი ძენი და მოიყვანე ისინი ქვეყანაში, რომელზეც ნათქვამი გქონდა მათი მამებისათვის, რომ მიიყვანდი მის დასაპატრონებლად.

²⁴და მოვიდნენ ძენი, და დაეპატრონენ ქვეყანას. და შენ დაუმორჩილე მათ იმ ქვეყნის მკვიდრნი, ქანაანელნი, და ხელში ჩაუგდე მეფეებიანად და იმ ქვეყნის ხალხებიანად, რათა მათ თავიანთ ნებაზე მოქცეოდნენ.

²⁵და დაიპყრეს მათ ციხე-ქალაქები, პოხიერი მიწა, დაეპატრონენ ყოველგვარი სიკეთით სავსე სახლებს, კლდეში ამოკვეთილ ჭებს, ვენახებს, ზეთისხილითა და ხეხილით სავსე ბაღებს. მრავლად; და ჭამეს და გაძლნენ, და გასუქდნენ, და მიეცნენ განცხრომას შენი დიდი სიკეთის წყალობით.

²⁶და მაინც ურჩობდნენ და ამბოხიც კი მოგიწყვეს, შენი რჯული ზურგს უკან მოისროლეს, და დახოცეს ის შენი წინასწარმეტყველები, რომელნიც აფრთხილებდნენ მათ, რომ შენკენ მოქცეულიყვნენ, მაგრამ ისინი შენს წინაშე დიდად საგმობ საქმეებს ჩადიოდნენ.

²⁷ამიტომაც ჩაყარე ისინი მტრების ხელში, რომლებიც ავიწროვებდნენ მათ. თავიანთი შეჭირვების ჟამს ისინი შენ შემოგლალადებდნენ და შენც ზეციდან უსმენდი და შენი დიდი სიბრალულისამებრ მხსნელებს უგზავნიდი, და ისინიც იხსნიდნენ მათ მათი მტრების ხელიდან.

²⁸მაგრამ როგორც კი სულს მოითქვამდნენ, ისევ ბოროტის კეთებას იწყებდნენ შენს წინაშე. და შენ კვლავ მტრის ხელში ყრიდი მათ და ისინიც ბატონობდნენ მათზე; და კვლავ შემოგლალადებდნენ, და შენც ზეციდან ისმენდი და იხსნიდი მათ შენი სიბრალულისამებრ მრავალგზის.

²⁹და აფრთხილებდი მათ, რათა შენი რჯულისაკენ მოქცეულიყვნენ, მაგრამ ისინი კადნიერად იქცეოდნენ და ყურს არ უგდებდნენ შენს მცნებებს და სცოდავდნენ შენი კანონების წინააღმდეგ, რომელთა აღსრულებითაც უნდა იცოცხლოს კაცმა; აიჩეჩეს ჯიუტი მხრები და გაიფიცხეს ქედი და არაფერს ისმენდნენ.

³⁰შენ სულგრძელი იყავ მათ მიმართ მრავალი წელი და აფრთხილებდი შენი სულით, შენი წინასწარმეტყველების მეშვეობით მაგრამ მათ ყურად არ იღეს და ამიტომ ჩაყარე ისინი ქვეყნის ხალხების ხელში.



³¹და მაინც შენი დიდი სიბრალულის გამო არ მოსპე და არ მიატოვე ისინი, რადგან მოწყალე და შემბრალელებელი ღმერთი ხარ.

³²ახლა კი, ღმერთო ჩვენო, ღმერთო დიდო, ძლიერო და შიშის მომგვრელო, აღთქმისა და წყალობის შემნახველო, თვალში ნუ გეცოტავება ის გაჭირვება, რაც ჩვენ, ჩვენს მეფეებს, ჩვენს მთავრებს, ჩვენს მღვდლებს, ჩვენს წინასწარმეტყველებს, ჩვენს მამებს და ჩვენს ხალხს შეემთხვა აშურის მეფეთა დღეთაგან ამ დღემდე.

³³შენ მართალი ხარ ყველაფერში, რაც კი ჩვენზე მოავლინე, რადგან შენ სწორად იქცეოდი, ჩვენ კი ურჯულოებას ვიქმოდით.

³⁴და ჩვენი მეფენი, ჩვენი მთავარნი, ჩვენი მღვდლები და ჩვენი მამები არ ასრულებდნენ შენს რჯულს და ყურს არ უგდებდნენ შენს მცნებებს და შენს შეგონებებს, რომლებითაც შეაგონებდი მათ.

³⁵ისინი თავიანთ სამეფოშიც კი, მიუხედავად იმ დიდი სიკეთისა, შენ რომ უწყალობე მათ, მიუხედავად იმ ვრცელი და პოხიერი მიწისა, შენ რომ წინ გადაუშალე, არ გემსახურებოდნენ და უკულმართი საქმეებისაგან უკან არ იხევდნენ.

³⁶და, აჰა, დღეს ჩვენ მონები ვართ იმ ქვეყანაში, ჩვენს მამებს რომ უბოძე, რათა მისი ნაყოფითა და მისი დოვლათით ესაზრდოვათ, დამონებული ვართ.

³⁷მისი უხვი მოსავალი იმ მეფეებისთვისაა, რომლებიც ჩვენ დაგვიდგინე ჩვენი ცოდვების გამო; ისინი ეპატრონებიან ჩვენს სხეულებსაც და ჩვენს პირუტყვსაც, თავიანთ ნებაზე. დიდ გაჭირვებაში ვართ.

³⁸და ყოველივე ამის გამო ჩვენ ვდებთ მტკიცე აღთქმას წერილობით. ჩვენმა მთავარებმა, ლევიანებმა და მღვდლებმა ბეჭედი დაუსვეს.“

ნეემია 10

¹აჰა, ისინი, ვინც ბეჭდები დაუსვეს: ნეემია ხაქალიას ძე – განმგებელი, ცედეკია,

²სერაია, ყაზარია, იერემია,

³ფაშხური, ამარია, მალქია,

⁴ხატუმი, შებანია, მალუქი,

⁵ხარიმი, მერემოთი, ყობადია,

⁶დანიელი, გინეთონი, ბარუქი,



- ⁷მეშულამი, აბია, მიაამინი,
⁸მაყაზია, ბილგაი, შემაყია – ესენი მღვდლები იყვნენ.
⁹და ლევანები: იესო აზანიას ძე, ბინუი ხენადადის ძე, კადმიელი.
¹⁰და მათი ძმები: შებანია, ჰოდია, კელიტა, ფელაია, ხანანი,
¹¹მიქა, რეხოზი, ხაშაბია,
¹²ზაქური, შერებია, შებანია,
¹³ჰოდია, ბანი, ბენინუ.
¹⁴ხალხის თავკაცები: ფარყოში, ფახათ-მოაზი, ყელამი, ზათუ, ბანი,
¹⁵ბუნი, ყაზგადი, ბეზაი,
¹⁶ადონია, ბიგვაი, ყადინი,
¹⁷ატერი, ხიზკია, ყაზური,
¹⁸ჰოდია, ხაშუმი, ბეცაი,
¹⁹ხარიფი, ყანათოთი, ნეზაი,
²⁰მაგფიყაში, მეშულამი, ხეზირი,
²¹მეშეზაბელი, ცადოკი, იადუაყი,
²²ფელატია, ხანანი, ყანაია,
²³ჰოშეაყი, ხანანია, ხაშუმი,
²⁴ჰალოხეში, ფილხა, შობეკი,
²⁵რეხუმი, ხაშაზნა, მაყასეია,
²⁶ახია, ხანანი, ყანანი,
²⁷მალუქი, ხარიმი და ბაყანა.
²⁸და დანარჩენი ხალხი, მღვდლები, ლევანები, კარისმცველნი, მგალობელნი, ტაძრის მსახურები და ყველა სხვა ქვეყნების ხალხებს გამორიდებულნი და ღვთის რჯულისაკენ მოქცეულნი, მათი ცოლები, მათი ძეები, მათი ასულები ყველა მცოდნე და გამგები
²⁹შეუერთდნენ თავიანთ ძმებს, თავიანთ დიდებულებს, და წყევლითა და ფიცით შეიკრნენ, რათა ევლოთ ღვთის რჯულით, რომელიც მოსეს, ღვთის მსახურის, ხელით იყო მოცემული, და დაეცვათ და შეესრულებინათ უფლის, ჩვენი ღმერთის, ყველა მცნება, მისი სამართალი და მისი წესები,



³⁰და რათა არ მიგვეცა ჩვენი ასულები სხვა ქვეყნის ხალხებისთვის და არც მათ ასულებს შევართვევინებდით ჩვენს ძეებს.

³¹და რათა ქვეყნის სხვა ხალხთაგან, რომელთაც შაბათობით მოაქვთ გასაყიდად საქონელი და ყველანაირი საზრდო, არაფერი შეგვეძინა შაბათსა და წმიდა ღვთის; და ყოველ მემზიდე წელს თანანადები მიგვეტევებინა.

³²და წესად დავიდეთ, რომ წელიწადში გაგველო შეკელის მესამედი ჩვენი ღვთის სახლის სამსახურისათვის:

³³საწინაშეო პურისათვის, ყოველდღიურ პურთათვის და მუდმივი ძღვენისათვის, მუდმივი სრულადდასაწველისათვის, შაბათებისათვის, ახალმთვარეობებისათვის, დღესასწაულებისათვის და წმიდა ნივთებისათვის, ისრაელის ცოდვის გამომსყიდველი მსხვერპლებისა და ჩვენი ღვთის სახლის ყოველნაირი საქმისათვის.

³⁴და წილი ვუყარეთ ძღვედლებს, ლევიალებს და ხალხს შესაწირავი შემოს მოზიდვაზე, რათა ღვთის სახლში ეზიდათ მამისსახლთა მიხედვით დაწესებულ დროს, წლითიწლობით უფლის, ჩვენი ღმერთის, სამსხვერპლოზე დასაწვავად, როგორც რჯულში სწერია.

³⁵და ჩვენ ვიკისრეთ ჩვენი მიწის პირველნაყოფისა და ყოველი ხეხილის პირველნაყოფის წლითიწლობით უფლის სახლში მიიტანა,

³⁶ასევე ჩვენი ძეებიდან პირმშოების, ჩვენი პირუტყვიდან პირველმოგებულებისა, როგორც რჯულში სწერია, და ჩვენი ცხვარ-ძროხის პირველმოგებულების მიყვანა ძღვედლებთან, ღვთის სახლში რომ მსახურობენ.

³⁷ასევე ჩვენი პირველი ცომისა, ჩვენი შესაწირავისა, ყველა ხეხილის ნაყოფისა, მაჭრისა და ზეთისა ძღვედლებთან, ღვთის სახლის ოთახებში მიიტანა. ასევე ჩვენი მიწიდან მეათედისა ლევიათათვის; სწორედ ეს ლევიალები არიან, მეათედს რომ იღებენ ყველა ჩვენი სამიწათმოქმედო ქალაქებიდან.

³⁸აარონიანი ძღვედელი იქნება ლევიალებთან, როცა ლევიალები მეათედს მიიღებენ. ლევიალები ამ მეათედიდან მეათედს ჩვენი ღვთის სახლის საგანძურის ოთახებში მიიტანენ,

³⁹რადგან ისრაელის ძეთ და ლევიალებმა ამ ოთახებში უნდა მიიტანონ ხორბლის შესაწირავი, ღვინო და ზეთი. იქ არის საწმიდრის ჭურჭელი, და იქ არიან ძღვედლები და ტაძრის მსახურები, კარისმცველები და მაგალობლები. და არ მივატოვებთ ჩვენი ღვთის სახლს.



ნეემია 11

¹და დასახლდნენ ერისმთავრები იერუსალიმში, დანარჩენმა ხალხმა კი წილი ყარა, რათა ათეულიდან ერთი იერუსალიმში, წმიდა ქალაქში, შეეყვანათ საცხოვრებლად, ხოლო ცხრა დანარჩენი – სხვა ქალაქებში.

²და აკურთხა ხალხმა ყველა ისინი, ვინც საკუთარი სურვილით დასახლდნენ იერუსალიმში.

³და ესენი არიან მხარეთა მთავრები, რომლებიც იერუსალიმში დასახლდნენ, ხოლო იუდას ქალაქებში – თითოეული თავის სამკვიდრებელში და თავის ქალაქში: ისრაელის პენი, მღვდლები და ლევიანები, ტაძრის მსახურნი და სოლომონის მსახურთა შთამომავალნი.

⁴იერუსალიმში დასახლდნენ იუდას ძეთაგან და ბენიამინის ძეთაგან. იუდას ძეთაგან: ყათაია ყუზიას ძე, ზაქარიას ძე, ამარიას ძე, შეფატაის ძე, მაჰალაელის ძე – ფერეცის ძეთაგან.

⁵და მაყასეია ბარუქის ძე, ქოლ-ხოზეს ძე, ხაზაიას ძე, ყადაიას ძე, იოიარიბის ძე, ზაქარიას ძე, შელახის ძე.

⁶ფერეცის პენი, იერუსალიმში რომ სახლობდნენ, 468 იყვნენ, მამაცი ვაჟკაცები.

⁷აჰა, ბენიამინის პენი: სალუ მეშულამის ძე, იოყედის ძე, ფედაიას ძე, კოლაიას ძე, მაყასეიას ძე, ითიელის ძე, ესაიას ძე,

⁸მის შემდეგ გაბაი და სალაი – 928.

⁹და იოელ ზიქრის ძე მათი უფროსი იყო; იუდა ჰასენუას ძე კი ქალაქში მეორე კაცი იყო.

¹⁰მღვდელთაგან: იედაყია იოიარიბის ძე, იაქინი,

¹¹სერაია ხილკიას ძე, მეშულამის ძე, ცადოკის ძე, მერაიოთის ძე, ახიტუბის ძე, ღვთის სახლის უფროსი.

¹²და მათი ძმები, რომელნიც სახლის საქმეს ასრულებდნენ – 822. და ყადაია იეროხამის ძე, ფელაღიას ძე, ამცის ძე, ზაქარიას ძე, ფაშხურის ძე, მალქიას ძე,

¹³და მისი ძმები, მამისსახლთა თავკაცები – 242. და ყამაშაი ძე ყაზარელისა, ახზაის ძე, მეშილემოთის ძე, იმერის ძე.

¹⁴და მათი ძმები, მამაცი მეომრები – 128. და მათ თავკაცობდა ზაბდიელი, ჰაგედოლიმის ძე.



- ¹⁵და ლევიანთაგან – შემაყია ხაშუბის ძე, ყაზრიკამის ძე, ხაშაბიას ძე, ბუნის ძე.
- ¹⁶და შაბეთაი და იოზაბადი, ლევიანთა თავკაცთაგან, ღვთის სახლის გარე სამუშაოების გამრიგე.
- ¹⁷და მათანია მიქას ძე, ზაბდის ძე, ასაფის ძე – ლოცვისას კურთხევის მთავარი დამწყები, და ბაკბუკია, მის ძმათაგან მეორე, და ყაბდა შამუაყის ძე, გალალის ძე, იედუთუნის ძე.
- ¹⁸წმიდა ქალაქში სულ 284 ლევიანი იყო.
- ¹⁹და კარისმცველნი: ყაკუბი, ტალმონი და მათი ძმები, კარიბჭეებს რომ იცავდნენ – 172.
- ²⁰და დანარჩენი ისრაელის ძენი, მღვდლები, ლევიანები იუდას ყველა ქალაქში სახლობდნენ, თავ-თავიანთ სამკვიდროებში.
- ²¹და ტაძრის მსახურნი ყოფელში სახლობდნენ, და მათ თავკაცობდნენ ციხა და გიშვა.
- ²²და ლევიანთა უფროსი იერუსალიმში იყო ყუზი, ძე ბანისა, ძე ხაშაბიასი, ძე მათანიასი, ძე მიქასი – იმ ასაფიანთაგან, მგალობლებად რომ იყვნენ ღვთის სახლში სამსახურისას,
- ²³რადგან მათზე გაცემული იყო მეფის განკარგულება და დაწესებული იყო ყოველდღიური სარჩო მგალობელთათვის.
- ²⁴და ფეთახია, ძე მეშეზაბელისა, ზერახის ძეთაგან, იუდას ძისა, მეფის მარჯვენა ხელი იყო ყველა სახალხო საქმეში.
- ²⁵და იუდას ძეთაგან სოფლად თავიანთ ველებზე დასახლდნენ: კირიათ-არბაყში და მის სოფლებში, დიბონში და მის სოფლებში, იეკაბცეელში და მის სოფლებში;
- ²⁶იესოში, მოლადაში, ბეთ-ფელეტში;
- ²⁷ხაცარ-შუყალში, ბეერ-შეზაყში და მის სოფლებში;
- ²⁸ციკლაგში, მექონაში და მის სოფლებში;
- ²⁹ყენ-რიმონში, ცორყაში, იარმუთში,
- ³⁰ზანოახში, ყადულამში და მათ სოფლებში; ლაქიშში და მის ველებზე; ყაზეკაში და მის სოფლებში. და დაიბანაკეს ბეერ-შეზაყიდან ჰინომის ველამდე.
- ³¹ბენიამინის ძენი დასახლდნენ გეზაყიდან მოკიდებული მიქმაშსა და ყაიაში, და ბეთელსა და მის სოფლებში;



- ³²ყანათოთში, ნობში, ყანანიაში,
³³ხაცორში, რამაში, გითაიმში,
³⁴ხადიდში, ცეხოყიმში, ნებალატში,
³⁵ლოდში და ონოში და ხელოსანთა ხეობაში.
³⁶და იუდას ლევიათაგან ზოგიერთი ბენიამინს მიეკედლა.

ნეემია 12

- ¹ესენი იყვნენ მღვდლები და ლევანები, რომელნიც ამოვიდნენ იერუსალიმს ზერუბაბელ შეალთიელის ძესთან და იესოსთან ერთად: სერაია, იერემია, ეზრა,
²ამარია, მალუქი, ხატუში,
³შექანია, რეხუმი, მერემოთი,
⁴ყიდო, გინეთოი, აბია,
⁵მიამინი, მაყადია, ბილგა,
⁶შემაყია, იოიარიბი, იედაყია,
⁷სალუ, ყამოკი, ხილკია, იედაყია – ესენი იყვნენ მღვდლების თავკაცები და მათი ძმები იესოს დღეებში.
⁸და ლევანები: იესო, ბინუი, კადმიელი, შერებია, იუდა. მათანია თავის ძმებთან ერთად ხელმძღვანელობდა სამადლობელო საგალობლებს.
⁹და ბაკუკია და ყუნი თავიანთი ძმებითურთ მოპირდაპირე მხარეს გუშაგობდნენ.
¹⁰და იესომ შვა იეჰოიაკიმი, და იეჰოიაკიმმა შვა ელიაშიბი, და ელიაშიბმა შვა იოიადაყი,
¹¹და იოიადაყმა შვა იონათანი და იონათანმა – იადუაყი.
¹²და იეჰოიაკიმის დღეებში მამისსახლთა თავკაცები იყვნენ მღვდლები: სერაიას სახლიდან მერაია, იერემიას სახლიდან – ხანანია,
¹³ეზრას სახლიდან – მეშულამი, ამარიასთან – იეჰოხანანი,
¹⁴მალუქის სახლიდან – იონათანი, შებანიას სახლიდან – იოსები.
¹⁵ხარიმის სახლიდან – ყადნა, მერაიოთის სახლიდან – ხელკაი.
¹⁶ყიდოს სახლიდან – ზაქარია, გინეთონის სახლიდან მეშულამი,



- ¹⁷ აზიას სახლიდან – ზიქრი, მინიამინის სახლიდან და მოყადიას სახლიდან – ფილტაი,
- ¹⁸ ბილგას სახლიდან – შამუაყი, შემაყიას სახლიდან იონათანი,
- ¹⁹ იოიარიბის სახლიდან – მათენაი, იედაყიას სახლიდან – ყუზი,
- ²⁰ სალაის სახლიდან – კალაი, ყამოკის სახლიდან – ებერი,
- ²¹ ხილკიას სახლიდან – ხაშაბია, იედაყიას სახლიდან – ნეთანელი.
- ²² ლევიანები, მამისსახლთა თავკაცები ელიაშიბის, იოიადაყის, იოხანანის და იადუაყის დღეებში იქნენ ჩაწერილნი, ნუსხაში, ხოლო მღვდლები კი დარიოს სპარსელის მეფობისას.
- ²³ ლევის ძენი, მამისსახლის თავკაცები, ჩაწერილნი იქნენ მატიანეთა წიგნში იოხანან ელიაშიბის ძის დღეებამდე.
- ²⁴ და ლევიათა თავკაცები: ხაშაბია, შერებია და იესო კადმიელის ძე და მათი ძმები, მათივე მოპირდაპირე მხარეს იყვნენ, რათა რიგ-რიგობით ექოთ და ედიდებინათ დავითის, ღვთისკაცის, ბრძანებისამებრ.
- ²⁵ მათანია, ბაკბუკია, ყობადია, მეშულამი, ტალმონი, ყაკუბი – კარისმცველნი იყვნენ, და კარიბჭეთა ზღურბლებთან ყარაულობდნენ.
- ²⁶ ესენი იყვნენ იეჰოიაკიმის იესოს ძის, იოცადაკის ძის დღეებში, და ნეემია განმგებლისა და ეზრა მღვდლისა და მწიგნობრის დღეებში.
- ²⁷ და იერუსალიმის კედლის კურთხევისას დამებნეს ლევიანები ყველგან მათ ადგილებში, რათა იერუსალიმში ამოეყვანათ, რომ ეზეიმათ კურთხევა სიხარულით, სამადლობელით, გალობითა და წინწილებით, ჩანგებითა და ქნარებით.
- ²⁸ და შეიკრიბნენ მგალობელთა ძენი იერუსალიმის სანახებიდან და ნეტოფათის სოფლებიდან.
- ²⁹ და ბეთ-გილგალიდან, გებაყისა და ყაზმავეთის ველ-მინდვრებიდან, რადგან მგალობლებს სოფლები ჰქონდათ გაშენებული იერუსალიმის სანახებში.
- ³⁰ და განიწმიდნენ მღვდლები და ლევიანები, და განწმიდეს ხალხი და კარიბჭენი და კედელი.
- ³¹ და ავიყვანე იუდას მთავარნი კედელზე, და დავაყენე ორი დიდი მაღლისმწირველი გუნდი. ერთი მარჯვენა მხარეს, კედლის თავზე, გაუყვა გზას, სანაგვის კარიბჭისაკენ.
- ³² და მათ უკან მისდევდნენ ჰოშაყია და იუდას მთავართა ნახევარი,



- ³³და ყაზარია, ეზრა და მეშულამი,
- ³⁴იუდა, ბენიამინი, შემაყია და იერემია,
- ³⁵და მღვდლების ძეთაგან საყვირებით: ზაქარია იონათანის ძე, შემაყიას ძე, მათანიას ძე, მიქაიას ძე, ზაქურის ძე, ასაფის ძე.
- ³⁶და მისი ძმები: შემაყია, ყაზარელი, მილალაი, გილალაი, მაყაი, ნეთანელი, იუდა და ხანანი, ღვთისკაცის, დავითის, სამუსიკო საკრავებით; წინ ეზრა მწიგნობარი მიუძღვოდა.
- ³⁷წყაროსთვალის კარიბჭესთან, მათ მოპირდაპირე მხარეს ავიდნენ დავითის ქალაქის კიბეებზე, კედლის ასასვლელთან, დავითის სახლის ზემოდან წყლის კარიბჭემდე, აღმოსავლეთით.
- ³⁸მეორე მადლისმწირველი გუნდი მარცხენა მხარეს მიიკვლევდა გზას და მეც და ნახევარი ხალხი მას მივდევდით კედელზე – ღუმელთა გოდლიდან სქელ კედლამდე.
- ³⁹ეფრემის კარიბჭეზე, და ძველ კარიბჭეზე და თევზის კარიბჭეზე, და ხანანელის გოდოლზე, და ასეულის გოდოლზე გავლით ცხვრის კარიბჭემდე; და შედგნენ დილეგის კარიბჭესთან.
- ⁴⁰და დადგა ორივე მადლისმწირველი გუნდი ღვთის სახლში და მეც იქ დავდექი მოხელეთა ნახევრის თანხლებით.
- ⁴¹და იქ იყვნენ მღვდლები: ელიაკიმი, მაყასეია, მინიამინი, მიქაია, ელიოყენაი, ზაქარია, ხანანია თავიანთი საყვირებით;
- ⁴²და აგრეთვე მაყასეია, შემაყია, ელეაზარი, ყუზი, იეჰოხანანი, მალქია, ყელამი და ყეზერი; და მგალობლებმა დააგუგუნეს გალობა იეზრახიას ლოტბარობით.
- ⁴³და შესწირეს იმ დღეს დიდძალი მსხვერპლი. ხარობდნენ, რადგან ღმერთმა დიდი სიხარულით გაახარა ისინი; ხარობდნენ ქალები და ბავშვებიც. იერუსალიმის სიხარულის ხმა შორს გაისმოდა.
- ⁴⁴იმავ დღეს კაცები მიუჩინეს ოთახებს, განკუთვნილთ საკუჭნაოთათვის, პირველნაყოფთათვის, მეათედისათვის, რათა იქ დაეხვავებინათ ქალაქების ყანებიდან მოტანილი წილი, რომელიც რჯულით იყო დაწესებული მღვდლებისა და ლევიალებისათვის. რადგან ხარობდა იუდა, უყურებდა რა სამსახურად მდგომ მღვდლებსა და ლევიანებს,
- ⁴⁵რომლებიც ასრულებდნენ თავიანთი ღვთის სამსახურს და განწმედის სამსახურს. ასევე იქცეოდნენ მგალობლები და კარისმცველები დავითისა და მისი ძის, სოლომონის, მიერ დადგენილი წესის თანახმად.



⁴⁶რადგან ძველთაგან, დავითისა და ასაფის დღეებში იყვნენ განწესებულნი მგალობელთა ლოტბარნი და მაშინვე დაწესდა ღვთის საგალობლები.

⁴⁷და მთელი ისრაელი ზერუბაბელის დღეებში და ნემიას დღეებში აძლევდა წილს დღითი დღე მგალობლებს და კარისმცველებს, ისინი წილს აძლევდნენ ლევიაანებს, ლევიაანები კი წილს აარონიანებს აძლევდნენ.

ნემია 13

¹იმ დღეს წაკითხულ იქნა მოსეს წიგნი ხალხის გასაგონად და ნახეს მასში დაწერილი, რომ ყამონელი და მოაბელი უკუნისამდე არ უნდა შევიდეს ღვთის კრებულში,

²რადგან არ შეეგებნენ ისინი ისრაელის მეთ პურიტა და წყლით, არამედ მოისყიდეს ბალაამი მათ წინააღმდეგ, რათა დაეწყევლა ისინი, მაგრამ ჩვენმა ღმერთმა ის წყევლა კურთხევად აქცია.

³და ეს რჯული რომ მოისმინეს, გამოყვეს ყოველი შერეული ხალხი ისრაელიდან.

⁴და ამის წინ ელიაშიბ მღვდელმა, ტობიას ახლობელმა, ჩვენი ღვთის სახლის ოთახებზე მიჩენილმა,

⁵ტობიას ის დიდი ოთახი მოუწყო, სადაც უწინ ინახავდნენ ხოლმე სამღვნოს, საკმეველს, ჭურჭლეულს, ხორბლის, მაჭრის და ზეთის მეთაედს, რაც დაწესებული იყო ლევიაანთათვის, მგალობელთათვის, კარისმცველთათვის და მღვდლების შესაწირავისათვის.

⁶ამ დროს მე იერუსალიმში არ ვიყავი, რადგან ბაბილონის მეფის ართახშასთას 32-ე წელს ვეახელი მეფეს. რამოდენიმე ხნის შემდეგ დავეთხოვე მეფეს.

⁷დავბრუნდი იერუსალიმს და შევიტყვე იმ ბოროტების შესახებ, ელიაშიბს რომ გაეკეთებინა ტობიასთვის ღვთის სახლის ეზოებში ოთახის მიცემით.

⁸მალიან მეწყინა ეს და ოთახიდან გამოვყარე ტობიას სახლის ყველა ნივთი.

⁹და ვუბრძანე, გამოესუფთავებინათ ის ოთახები. და დავაბრუნე იქ ღვთის სახლის ჭურჭელი, პურეულის სამღვნო და გუნდრუკი.

¹⁰და შევიტყვე, რომ ლევიაანებს თავიანთი წილი არ ეძლეოდათ და ლევიაანები და მგალობელნი, რომლებიც საქმეს უძღვებოდნენ, გადახვეწილები იყვნენ თავ-თავიანთ მინდვრებში.

¹¹და ვეჩხუბე მოხელეებს და ვუთხარი: „რატომ არის მიტოვებული ღვთის სახლი?“ და შევკრიბე ისინი, და დავაყენე თავ-თავიანთ ადგილებზე.



¹²და მთელმა იუდამ დაიწყო ხორბლის, მაჭრისა და ზეთის ნაათაღის მოტანა საკუჭნაოებში.

¹³საკუჭნაოების მეუნჯეებად დავნიშნე შელემია მღვდელი, ცადოკ მწიგნობარი და ფედაია ლევიათი, და მათთან იყო ხანანი, ძე ზაქურისა, მათანას ძისა, რადგან ისინი სანდოებად იყვნენ მიჩნეული, და მათი მოვალეობა იყო ძმებისათვის განაწილება.

¹⁴ამის გულისათვის გამიხსენე, ჩემო ღმერთო, და ნუ წაშლი ქველ საქმეებს, ღვთის სახლისათვის და მისი სამსახურისათვის რომ გამიკეთებია.

¹⁵და იმ დღეებში დავინახე, რომ იუდაში შაბათობით ყურძენს წურავდნენ საწნახელში; ძნას ეზიდებოდნენ; სახედრებს ჰკიდებდნენ, როგორც ღვინოს, ყურძენს და ლელვს, ასევე ყველანაირ საპალნეს, და ყველაფერი ეს მოჰქონდათ იერუსალიმში შაბათ დღეს. და გავაფრთხილე ისინი იმ დღეს, როცა ხორაგეულს ჰყიდდნენ.

¹⁶და ცორელები სახლობდნენ იერუსალიმში და მოჰქონდათ თევზი და ყოველნაირი გასაყიდი და შაბათობით ასყიდებდნენ იუდაელებს, თვით იერუსალიმშიც კი.

¹⁷და ვეჩხუბე იუდას დიდებულებს და ვუთხარი მათ: „რა არის ეს ბოროტი საქმე, თქვენ რომ სჩადიხართ და ბღალავთ შაბათ დღეს?“

¹⁸განა ასე არ იქცეოდნენ თქვენი მამები, და განა ჩვენმა ღმერთმა არ მოავლინა ყველა ეს უბედურება ჩვენზე და ამ ქალაქებზე? თქვენ კი შაბათის შებღალავით უმატებთ მის რისხვას ისრაელზე!“

¹⁹როდესაც იერუსალიმის კარიბჭესთან ჩამოხვდნენ, შაბათის დადგომამდე, ვუბრძანე კარებები ჩაეკეტათ და განკარგულება გავეცი, არ გაეღოთ ისინი, ვიდრე შაბათის მომდევნო დილა არ დადგებოდა. და ჩემი მსახურნი დავაყენე კარიბჭეებთან, რომ ტვირთი არ შემოსულიყო შაბათ დღეს.

²⁰სოვდაგრებმა და ნაირ-ნაირი საქონლით მოვაჭრებმა ერთი-ორჯერ იერუსალიმის გარეთ გაათიეს ღამე.

²¹და გავაფრთხილე ისინი და ვუთხარი მათ: „რად ათევთ ღამეს ქალაქის კედლის წინ? თუ კიდევ ასე მოქცეულხართ, ხელს აღვმართავ თქვენზე.“ და მას აქეთ აღარ მოსულან შაბათობით.

²²და ვუბრძანე ლევიათებს, რომ განწმედილიყვნენ, მოსულიყვნენ და დაეცვათ კარიბჭეები, რათა წმიდად შეენახათ შაბათი დღე. ესეც გამიხსენე, ღმერთო ჩემო, და შემიწყალე შენი დიდი წყალობისამებრ.



²³იმავე დღეებში ვნახე იუდაელები, რომელთაც აშდოდელი, ყამონელი და მოაბელი ქალები ჰყავდათ მოყვანილი.

²⁴და ამიტომაც მათი ძენი ნახევრად აშდოდურად ლაპარაკობდნენ ან სხვადასხვა ხალხთა ენებზე, და იუდეური ლაპარაკი არ შეეძლოთ.

²⁵ვეჩხუბე მათ, ვწყევლე, ვურტყი ზოგიერთ კაცს და ვაგლიჯე თმა, ღმერთი დავაფიცე და ვუთხარი: „არ გაატანოთ თქვენი ასულები მათ ვაჟებს და ნურც თქვენს ვაჟებს მოუყვანთ მათ ასულებს და ნურც თქვენ მოიყვანთ!“

²⁶ამ ამბებზე არ იყო, რომ შესცოდა სოლომონმა, ისრაელის მეფემ? მრავალ ხალხს შორის არ ყოფილა ისეთი მეფე, და უყვარდა იგი თავის ღმერთს და დაადგინა იგი ღმერთმა მეფედ მთელ ისრაელზე, მაგრამ ისიც აცდუნეს უცხოელმა ქალებმა!

²⁷სად გაგონილა ამდენი ბოროტობის კეთება და ამოდენა ცოდვის ჩადენა ჩვენი ღმერთის წინააღმდეგ, უცხოელ ცოლებთან წოლით?“

²⁸იეჰოიადაყის, ელიაშიბ მღვდელმთავრის ძის ვაჟთაგან ერთ-ერთი იყო ხორონელი სანბალატის სიძე; თავიდან მოვიშორე იგი.

²⁹გაუხსენე მათ, ღმერთო ჩემო, რადგან მათ შებღალეს მღვდელთა და ლევიანთა აღთქმა.

³⁰და განვწმიდე ისინი ყოველივე უცხოურისაგან და დავუწესე მოვალეობანი მღვდლებს და ლევიანებს, თითოეულს თავისი საქმე.

³¹ვიზრუნე შეშისა და პირველნაყოფების დაწესებულ დროზე მოტანისათვის. გამიხსენე მე, ღმერთო ჩემო, სასიკეთოდ!



ესთერი

ესთერი 1

- ¹ეს მოხდა ახაშვეროშის დროს, იმ ახაშვეროშისა, რომელიც 127 ქვეყანაზე მეფობდა ინდოეთიდან ვიდრე ქუშამდე.
- ²როდესაც ის თავის სამეფო ტახტზე იჯდა ციხე-ქალაქ შუმანში,
- ³თავისი მეფობის მესამე წელს მან ნადიში გაუმართა ყველა თავის მთავარსა და კარისკაცს. სპარსეთისა და მიდიის მხედართმთავრები, დიდებულები და სამთავროთა განმგებლებიც მის წინაშე ისხდნენ.
- ⁴იგი უჩვენებდა თავისი სამეფოს დიდ სიმდიდრეს და თავისი სიდიადის ბრწყინვალეობას და მშვენიერებას მრავალ დღეს, 140 დღეს.
- ⁵ეს დღეები რომ ჩათავდა მეფემ ყველა იმ ხალხს, ვინც, სატახტო ქალაქ შუმანში იმყოფებოდა, დიდიდან პატარამდე, შვიდდღიანი ნადიში გაუმართა მეფის სასახლის ბაღში.
- ⁶მარმარილოს სვეტებს შორის ვერცხლის რგოლებზე ბისონის მოწეული ზონრებით თეთრი და ცისფერი ფარდები ეკიდა; ოქროსა და ვერცხლის ტახტები იდგა მწვანე, თეთრ, ყვითელ და შავ მარმარილოს იატაკზე.
- ⁷სასმელს ოქროს აზარფეშებით სვამდნენ, ნაირ-ნაირი სასმისებით; სამეფო ღვინო უხვად იყო, მეფის სიუხვისამებრ.
- ⁸და სვამდნენ წესიერად, დაუძალებლად, რადგან ასე ჰქონდა დადგენილი მეფეს თავისი სახლთუხუცესებისათვის, რათა თითოეულის სურვილისამებრ მოქცეულიყვნენ.
- ⁹და ვაშთი დედოფალმაც გამართა ბანოვანთათვის ნადიში მეფე ახაშვეროშის სასახლეში.
- ¹⁰და მეშვიდე დღეს, როცა ღვინით მოილხინა მეფის გულმა, მან უბრძანა მეკუმანს, ბიზთას, ხარბონას, ბიგთას, აბაგთას, ზეთარს და ქარქასს – შვიდ საჭურისს, რომელნიც მეფე ახაშვეროშის წინაშე მსახურობდნენ,
- ¹¹მოეყვანათ მეფის წინაშე ვაშთი დედოფალი სამეფო გვირგვინით, რათა ეჩვენებინათ ხალხისა და მთავრებისათვის მისი სილამაზე, რადგან მშვენიერი სანახავი იყო იგი.
- ¹²მაგრამ არ ინება ვაშთი დედოფალმა მისვლა მეფის ბრძანებაზე, რაც საჭურისთა პირით ეუწყა მას. ძლიერ გაგულიდა მეფე და რისხვით აენტო.



¹³და ჰკითხა მეფემ დრო-ჟამთა მცოდნე ბრძენკაცებს, რადგან მეფეს ჩვეულებად ჰქონდა, რჩევა ეკითხა რჯულისა და სამართლის ყოველი მცოდნისათვის;

¹⁴რომელთა შორისაც იყვნენ: ქარშენა, შეთარი, ადმათა, თარშიში, მერესი, მარსენა და მემუქანი – სპარსეთისა და მიდიის შვიდი მთავარი, მეფის პირის მხილველნი, სამეფოში პირველ ადგილზე მსხდომნი:

¹⁵რჯულის მიხედვით, რა უნდა ვუყოთო ვაშთი დედოფალს, რომ არ შეასრულაო მეფე ახაშვეროშის ბრძანება, რაც საჭურისთა პირით ეუწყაო?

¹⁶და თქვა მემუქანმა მეფისა და მთავართა წინაშე: არა მარტო მეფის წინაშე დააშავაო ვაშთი დედოფალმა, არამედ ყველა მთავრისა და ხალხის წინაშეც, ვინც კი მეფე ახაშვეროშის სამეფოებში ცხოვრობენ.

¹⁷რადგან მიუვათ დედოფლის ამბავი ქალებს და ისინიც აითვალწუნებენ თავიანთ ქმრებს და იტყვიან: მეფე ახაშვეროშმა ბრძანა მის წინაშე მოეყვანათ ვაშთი დედოფალი, მაგრამ არ ეახლაო იგი.

¹⁸და დღესვე სპარსეთისა და მიდიის ბანოვანები, რომელნიც შეიტყობენ დედოფლის ამბავს, ასევე შეეპასუხებიან მეფის ყველა მთავარს, ბევრი დამცირება და წყენა შეგვხვდება.

¹⁹თუ მეფე ინებებს, გასცეს მეფური ბრძანება და ჩაიწეროს იგი სპარსეთისა და მიდიის რჯულში და არ შეიცვალოს, რომ ვაშთი აღარ შევიდეს მეფე ახაშვეროშის წინაშე; ხოლო მისი დედოფლობა მეფემ სხვას გადასცეს, მასზე უკეთესს.

²⁰როცა გაიგებენ მეფის ამ დადგენილებას, რომელიც გავრცელდება მთელ მის სამეფოში, თუმცა კი უვრცელესია იგი, ყველა ცოლი, ბანოვანიდან დაწყებული მდაბიომდე, პატივისცემით მოეპყრობა თავის ქმარს.

²¹და მოეწონათ ეს სიტყვა მეფეს და მთავრებს, და მოიქცა მეფე მემუქანის სიტყვისამებრ,

²²და დაუგზავნა წერილები თავის სამთავროებს – თითოეულ სამთავროს თავისი დამწერლობით, თითოეულ ხალხს თავის ენაზე, რათა ყოველი კაცი ბატონი ყოფილიყო თავის სახლში, და რომ ეს ყველას გამოსცხადებოდა მის ბუნებით ენაზე.

ესთერი 2

¹ამ ამბების შემდეგ, როდესაც რისხვა დაუცხრა მეფე ახაშვეროშს, გაიხსენა მან ვაშთი და ის, რაც მან ჩაიდინა და, რაც მას გადაუწყდა.



²და თქვეს მეფის კაცებმა, რომლებიც მას ემსახურებოდნენ: მოუძებნონ მეფეს ლამაზი და ნორჩი ქალწულები.

³და დანიშნოს მეფემ ზედამხედველები თავისი სამეფოს ყველა სამთავროში, რომ თავი მოუყარონ ყველა ლამაზსა და ნორჩ ქალწულს შუმანში, სატახტოში, სადიაცო სახლში და ჩააბარონ ჰეგაის, მეფის საჭურისს, ქალთა მცველს, და მიეცეთ მათ თავიანთი ფერუმარილი.

⁴და იმ ყმაწვილქალმა, რომელიც თვალში მოუვა მეფეს, იდედოფლოს ვაშთის ნაცვლადო. მოეწონა ეს სიტყვა მეფეს და ასეც მოიქცა.

⁵იყო ერთი იუდაელი კაცი შუმანში, სატახტო ქალაქში, სახელად მორდექაი, ძე იაირისა, ძისა შიმეყისა, ძისა კიშისა, ბენიამინელი,

⁶რომელიც გადასახლებულ იქნა იერუსალიმიდან იმ ტყვეებთან ერთად, რომელნიც გადასახლებული იყვნენ იუდას მეფე იეჰონიასთან ერთად, რომელიც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა, გადაასახლა.

⁷და იგი იყო გამდელი ჰადასასი, ანუ ესთერისა, თავისი ბიძაშვილისა, რადგან არ ჰყავდა ესთერს არც მამა და არც დედა. ეს ყმაწვილქალი, ტანადი და პირმშვენიერი იყო და როცა დედ-მამა დაეხოცა, მორდექაიმ იშვილა.

⁸როცა მეფის ბრძანება და განკარგულება გამოცხადდა და თავი მოუყარეს მრავალ ყმაწვილქალს შუმანში, სატახტო ქალაქში, და ჩააბარეს ჰეგაის. მაშინ ესთერიც წაიყვანეს მეფის სახლში და ჩააბარეს ქალთა მცველს.

⁹ყმაწვილქალი მოეწონა მას და მადლი ჰპოვა მის წინაშე. სასწრაფოდ მიაცემინა მისთვის კუთვნილი ფერუმარილი და მისი წილი საზრდო, მიაჩენინა შვიდი რჩეული მხევალი მეფის სახლიდან და გადაიყვანა ის და მისი მხევლები სადიაცო სახლის საუკეთესო სამყოფელში.

¹⁰ესთერს არ გაუმხელია თავისი ერი და თავისი სამშობლო, რადგან იგი მორდექაის ჰყავდა დარიგებული, რომ არ უნდა ეთქვა.

¹¹და ყოველდღე დადიოდა მორდექაი სადიაცო სახლის ეზოს წინ, რათა გაეგო, როგორ იყო ესთერი და რა ხდებოდა მის თავს.

¹²როცა მოუწევდა ყოველ ყმაწვილქალს რიგი მეფე ახაშვეროშთან შესასვლელად, 12 თვის ბოლოს, როგორც დაწესებული იყო ქალებისათვის, რადგან ასე სრულდებოდა მათი დაზელვის დღეები: ექვსი თვე სურნელოვანი ზეთით და ექვსი თვე ნელსაცხებლებით და სხვადასხვა სადიაცო ფერუმარილით,

¹³მიდიოდა ყმაწვილქალი მეფესთან და ყველაფერს, რისი წაღებაც არ უნდა ეთხოვა მას, ატანდნენ სადიაცო სახლიდან მეფის სახლში.



¹⁴საღამოს შედიოდა ის და დილით ბრუნდებოდა მეორე სადღაცო სახლში შაყაშგაზის, მეფის საჭურისის, ხარჭათა მცველის, ხელქვეით; ვერ შევიდოდა ის მეფესთან მეტჯერ, თუ მეფე არ ისურვებდა მას და არ დაუძახებდა სახელდებით.

¹⁵და როდესაც ესთერს, მორდექაის ბიძის – აბიხაილის ასულს, რომელიც მორდექაის ჰყავდა ნაშვილები, მეფესთან შესვლის რიგმა მოუწია, არაფერი მოუთხოვია, გარდა იმისა, რაც მეფის საჭურისმა, ქალთა მცველმა, ჰეგაიმ ურჩია. და ესთერმა წყალობა ჰპოვა ყველა მისი მნახველის თვალში.

¹⁶და მიჰგვარეს ესთერი მეფე ახაშვეროშს მის სამეფო სახლში მეათე თვეს, ანუ ტებეთის თვეში, მისი მეფობის მეშვიდე წელს.

¹⁷და ყველა ქალზე მეტად შეიყვარა მეფემ ესთერი და მან წყალობა და მაღლი ჰპოვა მის წინაშე ყველა ქალწულზე მეტად. და დაადგა მან თავზე სამეფო გვირგვინი და გაადედოფლა იგი ვაშთის ნაცვლად.

¹⁸და გამართა მეფემ დიდი ნადიმი, ესთერის ნადიმი, ყველა თავისი მთავრისთვის და მსახურისთვის, და შეუმსუბუქა გადასახადები სამთავროებს, და გასცა საჩუქარები მეფური სიუხვით.

¹⁹და როდესაც მეორედ მოუყარეს თავი ქალწულებს, მეფის კარიბჭესთან იჯდა მორდექაი.

²⁰ესთერი ჯერ კიდევ არ ამხელდა თავის სამშობლოს და ერს, როგორც მორდექაის ჰყავდა დარიგებული; და მორდექაის სიტყვას ესთერი ისევე ასრულებდა, როგორც მაშინ, როდესაც მის მეურვეობაში იყო.

²¹და იმ დღეებში, როდესაც მორდექაი მეფის კარიბჭესთან იჯდა, ბიგთანა და თერეში, მეფის ორი საჭურისი, ზღურბლის მცველები, გაჯავრდნენ და განიზრახეს მეფე ახაშვეროშზე ხელის აღმართვა.

²²შეიტყო ეს ამბავი მორდექაიმ და აცნობა დედოფალ ესთერს, ესთერმა კი მეფეს მოახსენა მორდექაის სახელით.

²³და გამოძიებულ იქნა ეს საქმე და დადასტურდა, და ორივენი ხეზე ჩამოჰკიდეს. და ჩაიწერა ეს მატთანის წიგნში მეფის წინაშე.

ესთერი 3

¹ამ ამბების შემდეგ მეფე ახაშვეროშმა განადიდა ჰამანი, ჰამედათა აგაგელის ძე, აღაზევა იგი და დაუდგა ტახტი ყველა იმ მთავარზე მაღლა, ვინც კი ჰყავდა.



²და მეფის ყველა მსახური, ვინც კი მეფის კარიბჭესთან იყო, უჩოქებდა და თაყვანს სცემდა ჰამანს, რადგან ასეთი იყო მეფის ბრძანება. მორდექაი კი არც უჩოქებდა და არც თაყვანს სცემდა.

³და ეუბნებოდნენ მორდექაის მეფის მსახურნი, რომელნიც მეფის კარიბჭესთან იყვნენ: მეფის ბრძანებას რატომ არ ემორჩილებიო?

⁴დღითი დღე რომ ეუბნებოდნენ და ყურს არ უგდებდა მათ, ჰამანს მიუტანეს ამბავი, რათა ენახათ, იდგებოდა თუ არა თავის სიტყვაზე მორდექაი, რადგან მას ნათქვამი ჰქონდა მათთვის, რომ იუდაელი იყო.

⁵და დაინახა ჰამანმა, რომ მორდექაი არ უჩოქებს და არ სცემს თაყვანს მას, და აღივსო ჰამანი რისხვით.

⁶ითაკილა მარტო მორდექაიზე აღემართა ხელი, რადგან მისთვის ნათქვამი ჰქონდათ, რომელ ერს ეკუთვნოდა მორდექაი. გადაწყვიტა ჰამანმა გაენადგურებინა მთელი იუდაელობა, მორდექაის ერი, ახაშვეროშის მთელ სამეფოში.

⁷და პირველ თვეში, რომელიც არის თვე ნისანისა, ახაშვეროშის მეფობის მეთორმეტე წელს, ჰამანის წინაშე ყრიდნენ ფურს, ანუ წილს დღითი დღე და თვიდან თვემდე, მეთორმეტე თვემდე, რომელიც არის თვე ადარისა.

⁸და უთხრა ჰამანმა მეფე ახაშვეროშს: არის ერთი ხალხი განთესილი და გაფანტული სხვა ხალხებს შორის შენი სამეფოს ყველა სამთავროში. მათი რჯული განსხვავდება ყველა ხალხის რჯულისაგან, და არ ასრულებენ მეფის კანონებს, და არ შეშვენის მეფეს მათი დატოვება.

⁹თუ მეფე ინებებს, გადაწყდეს მათი განადგურება. 10 ათას ტალანტ ვერცხლს მივუწონი ხელში მეფის მოურავებს, რათა მეფის საგანძურებში შეიტანონ.

¹⁰და წაიძრო მეფემ ბეჭედი ხელიდან და მისცა ის ჰამანს, ჰამედათა აგაგელის ძეს, იუდაელთა მტერს.

¹¹და უთხრა მეფემ ჰამანს: ვერცხლიც გეძლევა და ხალხიც, მოიქეცი, როგორც შენ გენებოსო.

¹²და მოუხმეს მეფის მწიგნობრებს პირველი თვის მეცამეტე დღეს და ისე დაიწერა, როგორც ჰამანმა უბრძანა მეფის სატრაპებს და სამთავროთა განმგებლებს, ყოველი ხალხის მთავარს, თითოეულ სამთავროს თავისი დამწერლობით და თითოეულ ხალხს თავის ენაზე. მეფე ახაშვეროშის სახელით დაიწერა და დაიბეჭდა მეფის ბეჭდით.

¹³და დაუგზავნეს წერილები მალემსრბოლთა ხელით მეფის ყველა სამთავროს, რათა გაეწყვიტათ, დაეხოცათ და დაეღუპათ ყველა იუდაელი,



ყმაწვილიდან მოხუცამდე; ბალები და ქალები ერთ დღეს, მეთორმეტე თვის მეცამეტე დღეს, რომელიც არის თვე ადარისა და დაეტაცათ მათი ქონება.

¹⁴ბრძანების ნუსხები, როგორც კანონი, უნდა დაეგზავნათ ყველა სამთავროში, რათა მზად ყოფილიყვნენ ამ დღისათვის.

¹⁵მალემსრბოლებმა სწრაფად წაიღეს მეფის განკარგულება და გაცემულ იქნა ბრძანება შუშანში, სატახტო ქალაქში; და დასხდნენ სმად მეფე და ჰამანი; შუშან-ქალაქი კი შეძრული იყო.

ესთერი 4

¹როცა მორდექაიმ შეიტყო ყველაფერი, რაც მოხდა, შემოიხია სამოსელი, ჩაიცვა ჯვალა, თავზე მიწა-მტვერი გადაიყარა, შუაქალაქში გავიდა და ხმამაღლა მოთქვამდა გამწარებული

²და მეფის კარიბჭემდე მივიდა, რადგან არ შეიძლებოდა მეფის კარიბჭეში ჯვალათი შესვლა.

³ყველა სამთავროში, ყველგან, სადაც კი მეფის ბრძანება და განკარგულება მივიდა, დიდი გლოვა, მარხვა, გოდება და ქვითინი ჰქონდათ; ბევრი ძაძებსა და მიწა-მტვერში იჯდა.

⁴და მივიდნენ ესთერის მხევლები და მისი საჭურისები და მოახსენეს მას ეს ამბავი. ძლიერ შეძრწუნდა დედოფალი. გაუგზავნა სამოსელი, რომ შემოსილიყო მორდექაი და გაეხადა ჯვალა, მაგრამ მან არ მიიღო.

⁵და მოუხმო ესთერმა ჰათაქს, მეფის საჭურისს, რომელიც მას ემსახურებოდა და უბრძანა, წასულიყო მორდექაისთან და გაეგო, რა იყო ეს და რის გამო.

⁶და გავიდა ჰათაქი მორდექაისთან, ქალაქის მოედანზე, მეფის კარიბჭის წინ.

⁷და მოახსენა მას მორდექაიმ ყოველივე, რაც შეემთხვა და ვერცხლის ზუსტი თანხის ამბავი, რომლის მეფის საგანძურებში შეტანაც ჰქონდა აღთქმული ჰამანს იუდაელთა მოსასპობად.

⁸და გადასცა ნუსხა განკარგულებისა, შუშანში რომ იყო გამოსული მათ ამოსაწყვეტად, რათა ეჩვენებინა იგი ესთერისათვის, ეუწყებინა მისთვის და ებრძანებინა, რომ მისულიყო მეფესთან, შევედრებოდა მას და წყალობა გამოეთხოვა მისგან თავისი ერისთვის.

⁹და მივიდა ჰათაქი და მოახსენა ესთერს მორდექაის ნათქვამი.



¹⁰და უთხრა ესთერმა ჰათაქს და მორდექაისთან დააბარა:

¹¹მეფის ყველა მსახურმა და მის სამთავროთა ხალხმა იცის, რომ ყოველი კაცისთვის თუ ქალისთვის, ვინც კი მეფისგან მოუხმობლად შევა მეფესთან შიდა ეზოში, ერთი კანონია – სიკვდილი, ცოცხალი მხოლოდ ის გადარჩება, ვისაც მეფე თავის ოქროს კვერთხს გაუწვდის. მე კი უკვე 30 დღეა, რაც მეფესთან მისასვლელად არ ვყოფილვარ დამახებული.

¹²და მიუტანეს მორდექაის ესთერის ნათქვამი.

¹³და მორდექამ ესთერს საპასუხოდ შეუთვალა: არ გეგონოს, მეფის სახლიდან მხოლოდ შენ გადარჩე იუდაელთაგან,

¹⁴რადგან ახლა თუ დადუმდები, მაშინ შვება და ხსნა სხვა მხრიდან მოვა, შენ და შენი მამის სახლი კი დაიღუპებით. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ დღისათვის ეწიე შენ დედოფლობას?

¹⁵მიუგო პასუხად ესთერმა მორდექაის:

¹⁶წადი, თავი მოუყარე შუშანის მთელ იუდაელობას და იმარხულეთ ჩემთვის; და ნუ ჭამთ და ნუ სვამთ სამ დღეს, ნურც ღამით და ნურც დღისით; მეც ვიმარხულე ჩემს მხევლებთან ერთად; ასე წავალ მეფესთან, თუმცა ეს კანონს ეწინააღმდეგება. და, თუ დავიღუპები, დავიღუპო!

¹⁷და წავიდა მორდექაი და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ესთერმა დაარიგა.

ესთერი 5

¹მესამე დღეს შეიმოსა ესთერი დედოფლურად და დადგა მეფის სასახლის შიდა ეზოში, მეფის სახლის წინ. მეფე კი თავის სამეფო ტახტზე იჯდა სამეფო სახლში, შესასვლელის პირდაპირ.

²და, როგორც კი დაინახა მეფემ ეზოში მდგარი დედოფალი ესთერი, მაღლი ჰპოვა ესთერმა მის თვალში და გაუწოდა მეფემ მას ოქროს კვერთხი, ხელში რომ ეჭირა, და მიუახლოვდა ესთერი და კვერთხის თავს შეეხო.

³და უთხრა მას მეფემ: რა იყო, დედოფალო ესთერ? და რა სათხოვარი გაქვს? თუნდაც ნახევარი სამეფოც რომ იყოს, მოგეცემა!

⁴და უთხრა ესთერმა: თუ მეფე ინებებს, მობრძანდნენ მეფე და ჰამანი ნადიმზე, რომელიც მოვუმზადე მას.

⁵და ბრძანა მეფემ: სასწრაფოდ დამიძახეთ ჰამანს, რათა შესრულდეს ესთერის სიტყვა! და მივიდნენ მეფე და ჰამანი ნადიმზე, რომელიც ესთერს ჰქონდა მომზადებული.



⁶და უთხრა მეფემ ესთერს ღვინის სმის დროს: რა არის შენი სათხოვარი? მოგეცემა. რა არის შენი სახვეწარი? ნახევარი სამეფოც რომ იყოს, აგისრულდება!

⁷და მიუგო ესთერმა: ეს არის ჩემი სახვეწარი და სათხოვარი:

⁸თუ მადლი მიპოვია მეფის თვალში და თუ მეფე ინებებს ჩემი სათხოვრის მოცემას და ჩემი სახვეწრის აღსრულებას, მოვიდეს მეფე და ჰამანი ხვალ ნადიმზე, რომელსაც მათ მოვუმზადებ, და ხვალ მოვიქცევი მეფის სიტყვისამებრ!

⁹და გავიდა ჰამანი იმ დღეს მხიარული და გულსავსე, მაგრამ როგორც კი ჰამანმა მეფის კარიბჭესთან თვალი მოჰკრა მორდექაის, რომელიც არ წამომდგარა მის წინაშე და არც განძრეულა, რისხვით აღეგზნო ჰამანი მორდექაის მიმართ.

¹⁰მაგრამ შეიკავა თავი ჰამანმა და მივიდა თავის სახლში და დაიბარა თავისი მეგობრები და ზერეში, თავისი ცოლი.

¹¹და მოუთხრო მათ ჰამანმა ამბავი თავისი დიდი დოვლათის, თავისი უამრავი ვაჟისა და ყოველივე იმისა, რითაც განადიდა იგი მეფემ და აღაზევა მეფის მთავრებზე და მსახურებზე.

¹²და თქვა ჰამანმა: დედოფალ ესთერს არავინ მოუწვევია მეფესთან ერთად თავის მომზადებულ ნადიმზე ჩემს მეტი და მე ხვალაც მიწვეული ვარ მასთან მეფესთან ერთად.

¹³და ეს ყოველივე არაფრად მიღირს მანამ, სანამ იუდაელ მორდექაის ვხედავ მეფის კარიბჭესთან მჯდარს.

¹⁴და უთხრეს მას ზერეშმა, მისმა ცოლმა და ყველა მისმა მეგობარმა: დაამზადებინე ორმოცდაათწერთიანი ძელი და დილით უთხარი მეფეს, მასზე ჩამოახრჩონ მორდექაი, მერე წადი მეფესთან ერთად ნადიმზე მხიარული. და მოეწონა ეს სიტყვა ჰამანს და დაამზადებინა ძელი.

ესთერი 6

¹იმ ღამეს ძილი გაუკრთა მეფეს. და ბრძანა მოეტანათ ყოველდღიური ამბების ჩანაწერების წიგნი, და როდესაც ის წაკითხულ იქნა მეფის წინაშე,

²აღმოჩნდა ჩანაწერი თუ როგორ ამხილა მორდექაიმ ბიგთანა და თერეში, მეფის ორი საჭურისი, ზღურბლის მცველნი, რომელთაც მეფე ახაშვეროშზე ხელის აღმართვა ჰქონდათ განზრახული.



³და თქვა მეფემ: რა პატივი და დიდება მიაგესო მორდექაის ამისათვის? და მოახსენეს მეფეს მისმა მსახურებმა: მას არაფერი რგებიაო.

⁴და იკითხა მეფემ: ვინ არისო ეზოში? ხოლო ჰამანი იყო მოსული მეფესთან იმის სათქმელად, რომ ჩამოეხრჩოთ მორდექაი მისთვის გამზადებულ ძეგლზე.

⁵და მოახსენეს მეფის მსახურებმა მას: აჰა, ჰამანი დგასო ეზოში. და ბრძანა მეფემ: შემოვიდესო.

⁶და შევიდა ჰამანი, და ჰკითხა მას მეფემ: რა ვუყოთ კაცს, ვისი პატივისცემაც სურს მეფეს? და გაიფიქრა ჰამანმა გულში: ვისი პატივისცემა უნდა სურდეს მეფეს, თუ არა ჩემიო?

⁷და უთხრა მეფეს: იმ კაცს, ვისი პატივისცემაც სურს მეფეს,

⁸უბოძონ სამეფო მოსასხამი, რომელიც ემოსა მეფეს, და ცხენი, რომელზეც იგი იჯდა, როცა გვირგვინი უკურობეს.

⁹ხელში მისცენ მოსასხამი და ცხენი მეფის ყველაზე დიდებულ მთავარს; შემოსონ ის კაცი, ვისი პატივისცემაც სურს მეფეს; გაატარონ ცხენით ქალაქის მოედანზე და იყვირონ მის წინაშე: ასე ექცევიან მას, ვისაც მეფე მიაგებსო პატივს!

¹⁰და უბრძანა მეფემ ჰამანს: ახლავე აიღეო მოსასხამი და ცხენი, როგორც თქვი, და ასე მოექეცი მორდექაის, იუდაელს, მეფის კარიბჭესთან რომ ზის; არაფერი დააკლოო შენს ნათქვამს.

¹¹და აიღო ჰამანმა მოსასხამი და ცხენი, შემოსა მორდექაი, ამხედრებული გაიყვანა ქალაქის მოედანზე და მის წინაშე ყვიროდა: ასე ექცევიან მას, ვისაც მეფე მიაგებსო პატივს!

¹²და დაბრუნდა მორდექაი მეფის კარიბჭესთან, ჰამანი კი გაეშურა შინისაკენ, დამწუხრებული და თავდაბურული.

¹³და უამბო ჰამანმა ზერემს, თავის ცოლს, და ყველა თავის მეგობარს, ყველაფერი, რაც მას შეემთხვა. და უთხრეს მას მისმა ბრძენკაცებმა და ზერემმა, მისმა ცოლმა: თუ მორდექაი, რომლის გამოც ემზობი, იუდაელთა მოდგმისაა, მაშინ ვერ დასძლევო მას, უსათუოდ დაემზობიო მის წინაშე.

¹⁴ისინი ჯერ კიდევ ამას ელაპარაკებოდნენ, რომ მოვიდნენ მეფის საჭურისები და დააჩქარეს ჰამანი, ესთერის მიერ მომზადებულ ნადიმზე წასასვლელად.

ესთერი 7



- ¹და ეწვივნენ მეფე და ჰამანი დედოფალ ესთერს ნადიმზე.
- ²და ჰკითხა მეფემ ესთერს მეორე დღესაც, ღვინონასვამმა: რა სათხოვარი გაქვს, დედოფალო ესთერ? და შეგისრულდება! და რა სახვეწარი გაქვს? და ნახევარი სამეფოც რომ იყოს, მიიღებ.
- ³და მიუგო დედოფალმა ესთერმა და უთხრა: თუ წყალობა მიპოვია შენს თვალში, მეფეო, და თუ ინებებს მეფე, მომცეს ჩემი სიცოცხლე ჩემს სათხოვარში და ჩემი ერი ჩემს სახვეწარში.
- ⁴რადგან გაყიდულნი ვართ ჩვენ – მე და ჩემი ერი – გასაწყვეტად, დასახოცად და დასაღუპად. მონებად და მხევლებად რომ გავყეიდეო, დავდუმდებოდი, მაგრამ მტერი ვერ ზღავს მეფის ზარალს.
- ⁵და თქვა მეფე ახაშვეროშმა და ჰკითხა დედოფალ ესთერს: ვინ არის ის და სად არის, ვინც გაზედა ამის ჩადენა?
- ⁶და თქვა ესთერმა: მოქიშპე და მტერი ეს ბოროტი ჰამანია! ელდა ეცა ჰამანს მეფისა და დედოფლის წინაშე.
- ⁷ადგა განრისხებული მეფე ნადიმიდან და გავიდა სასახლის ბაღში; ჰამანი კი დარჩა, რათა სიცოცხლის შენარჩუნება გამოეთხოვა ესთერ დედოფლისაგან, რადგან ხედავდა, რომ მისი დაღუპვა გადაწყვეტილი იყო მეფისაგან.
- ⁸და როდესაც მეფე დაბრუნდა სასახლის ბაღიდან სანადიმო დარბაზში, ჰამანი იმ სარეცელზე დამხობილი დაუხვდა, რომელზეც ესთერი იყო. მეფემ თქვა: დედოფალზეც ძალადობს ჩემთან სახლშიო? სიტყვა დასცდა მეფის ბაგეს და მაშინვე დაუფარეს სახე ჰამანს.
- ⁹და ხარბონამ, ერთმა საჭურისთაგანმა, მეფის წინაშე განაცხადა: აჰა, ჰამანის სახლთან დგას ის ძელი, ჰამანმა რომ მოუმზადა მორდექაის, მეფისთვის კეთილის მსურველს, 50 წყრთაა სიმაღლით! და თქვა მეფემ: ჩამოჰკიდეთ მასზე!
- ¹⁰და ჩამოჰკიდეს ჰამანი იმ ძელზე, მორდექაისთვის რომ ჰქონდა გამზადებული და დაცხრა მეფის რისხვა.

ესთერი 8

- ¹იმავე დღეს მისცა მეფე ახაშვეროშმა დედოფალ ესთერს იუდაელთა მტრის, ჰამანის, სახლი. მორდექაი კი ეახლა მეფეს, რადგან გაუმხილა ესთერმა, ვინც იყო იგი მისი.



²და წაიძრო მეფემ თავისი ბეჭედი, ჰამანისთვის ჩამორთმეული, და მისცა მორდექაის. ხოლო ესთერმა მორდექაი ჰამანის სახლის მოურავად დააყენა.

³კვლავ დაელაპარაკა მეფეს ესთერი, ფეხებში ჩაუვარდა და ატირდა; ემუდარებოდა, გაეუქმებინა ჰამან აგაგელის ბოროტი განზრახვა, რომელიც იუდაელთა წინააღმდეგ ჰქონდა ჩაფიქრებული.

⁴და გაუწოდა მეფემ ესთერს ოქროს კვერთხი; და წამოდგა ესთერი და დადგა მეფის წინაშე.

⁵და თქვა: თუ მეფე ინებებს, და თუ მე წყალობა მიპოვია მის წინაშე, და თუ ეს საქმე სწორია მეფის წინაშე და მეც მოსაწონი ვარ მის თვალში, დაიწეროს ბრძანება, რომელიც გააუქმებს ჰამანის, ჰამედათა აგაგელის მის, მიერ შეთხზულ წერილებს, რომლებიც მან დაწერა იუდაელთა მოსასპობად, რომელნიც მეფის ყველა სამთავროში ცხოვრობენ.

⁶რადგან, როგორ ვუყურო უბედურებას, რაც ჩემს ერს უნდა დაატყდეს? როგორ ვუყურო ჩემი სამშობლოს დაღუპვას?!

⁷და უთხრათ მეფე ახაშვეროშმა დედოფალ ესთერს და იუდაელ მორდექაის: აჰა, ხომ მივეცი ესთერს ჰამანის სახლი, ჰამანი კი ძელზე ჩამოჰკიდეს, რადგან მან იუდაელებზე აღმართა ხელი.

⁸და თქვენ დაწერეთ მეფის სახელით იუდაელებზე, რაც გაგიხარდებათ, და მეფისავე ბეჭდით დაბეჭდეთ, რადგან არ შეიცვლება მეფის სახელით დაწერილი და მეფის ბეჭდით დაბეჭდილი.

⁹მაშინ მოუხმეს მეფის მწიგნობრებს მესამე თვის, ანუ სივანის თვის ოცდამესამე დღეს და ყველაფერი ისე დაიწერა, როგორც უბრძანა მორდექაიმ იუდაელებს, სატრაპებს, განმგებლებს, სამთავროთა მთავრებს ინდოეთიდან ქუშამდე, 127 სამთავროს, ყოველ სამთავროს თავისი დამწერლობით, ყოველ ხალხს თავის ენაზე, იუდაელებსაც თავიანთი დამწერლობით და თავიანთ ენაზე.

¹⁰და მან დაწერა მეფე ახაშვეროშის სახელით, და დაბეჭდა მეფის ბეჭდით, და დააგზავნა წერილები სამეფო ბედაურებზე ამხედრებული მალემსრბოლების ხელით,

¹¹ის, რომ მეფე ნებას აძლევდა იუდაელებს, რომელ ქალაქებშიც არ უნდა იყვნენ, რათა შეიკრიბნენ და დაიცვან თავი; გაწყვიტონ, დახოცონ და დაღუპონ იმ ხალხისა და სამთავროს ყოველი მძლავრი, რომელიც მტრობს მათ; მათი ბაღლებიცა და ქალებიც არ დაინდონ, და მათი მონაგარი მიიტაცონ,



¹²მეფე ახაშვეროშის ყველა სამთავროში ერთი დღის განმავლობაში – მეთორმეტე თვის, ანუ ადარის მეცამეტე დღეს.

¹³წერილის პირი უნდა გადაეცათ, როგორც კანონი, ყველა სამთავროში, მთელი ხალხისათვის გამოსაცხადებლად, რომ იუდაელები მზად ყოფილიყვნენ ამ დღისათვის, თავიანთ მტრებზე შურისსაძიებლად.

¹⁴და სამეფო ბედაურებზე ამხედრებულმა მალემსროლებმა მეფის ბრძანებით აჩქარებულებმა და გამალებულებმა გაჰქუსლეს. განკარგულება, სატახტო ქალაქ შუმანშიც, იქნა გამოცხადებული.

¹⁵და მორდექაი გამოვიდა მეფისაგან ლურჯი და თეთრი ფერის სამეფო სამოსლით, ოქროს დიდი გვირგვინით, ბისონისა და მოწეულის მოსასხამით. შუმან-ქალაქი კი ზეიმობდა და ხარობდა.

¹⁶და იუდაელთათვის იყო ნათელი, სიხარული, შვება და პატივი.

¹⁷ყველა სამთავროში, ყველა ქალაქში, ყველგან, სადაც კი მივიდა მეფის ბრძანება და განკარგულება, სიხარული და შვება ჰქონდათ იუდაელებს, ნადიმი და დღეობა. ქვეყნის ბევრი მცხოვრები იუდაელი გახდა, რადგან იუდაელთა შიშმა მოიცვა ისინი.

ესთერი 9

¹და მეთორმეტე თვეში, რომელიც არის ადარის თვე, მეცამეტე დღეს, როდესაც დადგა ჟამი მეფის ბრძანებისა და განკარგულების აღსრულებისა, იმ დღეს, როცა იუდაელთა მტრებს იმედი ჰქონდათ მათ დაეუფლებოდნენ, პირუკუ მოხდა იუდაელები დაეუფლნენ თავიანთ მტრებს,

²შეიკრიბნენ იუდაელები თავიანთ ქალაქებში, მეფე ახაშვეროშის ყველა სამთავროში, რათა ხელი აღემაართათ მათთვის ავის მამიებლებზე. წინ ვერავინ აღუდგა მათ, რადგან მათმა შიშმა მოიცვა მთელი ხალხი.

³და სამთავროთა მთავრები, სატრაპები, განმგებლები, მეფის საქმის აღმასრულებლები შეეწეოდნენ იუდაელებს, რადგან მორდექაის შიშს შეეპყრო ისინი.

⁴რადგან დიდი იყო მორდექაი მეფის სახლში და მისწვდა მისი ამბავი ყველა სამთავროს, რადგან უფრო და უფრო დიდი ხდებოდა ეს კაცი.

⁵და დასცხეს იუდაელებმა ყველა თავიანთ მტერს მახვილით, ხოცვითა და ჟლეტით, როგორც უნდოდათ, ისე მოექცნენ თავიანთ მტრებს.

⁶და შუმანში, სატახტო ქალაქში, იუდაელებმა დახოცეს და მოსპეს 500 კაცი.

⁷და ფარშანდათა, დალფონი, ასფათა,



⁸ფორათა, ადალია, არიდათა,

⁹ფარმაშთა, არისაი, არიდაი და ვაიზათა –

¹⁰ჰამან ჰამედათას ძის ათი ვაჟი დახოცეს, დასატაცებლად კი ხელი არ გაუწვდიათ.

¹¹და იმ დღესვე შეატყობინეს მეფეს შუშანში, სატახტო ქალაქში, დახოცილთა რიცხვი.

¹²და უთხრა მეფემ ესთერ დედოფალს: შუშანში, სატახტო ქალაქში, იუდაელებმა დახოცეს და მოსპეს 500 კაცი და ჰამანის ათი ვაჟი; მეფის სხვა სამთავროებში რაღას იზამდნენ! კიდევ რა არის შენი სათხოვარი? მოგეცემა. კიდევ რა არის შენი სახვეწარი? აგისრულდება!

¹³და თქვა ესთერმა: თუ მეფე ინებებს, ხვალაც დაანებონ იუდაელებს, რომელნიც შუშანში ცხოვრობენ, ამ დღევანდელი განკარგულებისამებრ იმოქმედონ და ჰამანის ათი ვაჟი ძელზე ჩამოჰკიდონ.

¹⁴და ბრძანა მეფემ ასე გაეკეთებინათ. და განკარგულება გასცეს შუშანში და ჩამოჰკიდეს ჰამანის ათი ვაჟი.

¹⁵და შეიკრიბნენ შუშანში მცხოვრები იუდაელები ადარის თვის მეთოთხმეტე დღესაც და დახოცეს შუშანში სამასი კაცი, დასატაცებლად კი ხელი არ გაუწვდიათ.

¹⁶და დანარჩენმა იუდაელებმა, მეფის სამთავროებში რომ იყვნენ, რათა თავი დაეცვათ და მტრებისაგან მოესვენათ, დახოცეს 75 ათასი, დასატაცებლად კი ხელი არ გაუწვდიათ.

¹⁷ეს მოხდა ადარის თვის მეცამეტე დღეს და მის მეთოთხმეტე დღეს კი მოისვენეს და ნადიმისა და სიხარულის დღედ აქციეს.

¹⁸იუდაელები, რომელნიც შუშანში ცხოვრობდნენ, იკრიბებოდნენ მეცამეტე და მეთოთხმეტე დღეს, ხოლო მეთხუთმეტე დღეს ისვენებდნენ, ნადიმისა და სიხარულის დღედ გაიხადეს.

¹⁹ამიტომ არის, რომ სოფლელი იუდაელებისთვის, რომელნიც უგალავნო დაბებში ცხოვრობენ, ადარის თვის მეთოთხმეტე დღე სიხარულის, ნადიმის, დღეობისა და ერთმანეთისათვის საჩუქრების გაგზავნის დღეა.

²⁰და დაწერა მორდექაიმ ეს ამბები და დაუგზავნა წერილები ყველა იუდაელს, მეფე ახაშვეროშის ყველა სამთავროში მცხოვრებს, ახლო მყოფსა და შორს მყოფს,

²¹რათა ეკისრათ და ყოველწლიურად აღენიშნათ ადარის თვის მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე დღე,



²²რადგან იმ დღეებში მოისვენეს იუდაელებმა თავიანთი მტრებისაგან, და იმ თვეში შეეცვალათ მწუხარება სიხარულად და გლოვა – დღესასწაულად. რათა ექციათ ეს დღეები ნადიმისა და სიხარულის, ერთმანეთისათვის საჩუქრების გაგზავნის და ღარიბების მოკითხვის დღედ.

²³და იუდაელთ მიიღეს ის, რისი გაკეთებაც თავად დაიწყეს, და რასაც სწერდა მათ მორდექაი.

²⁴რადგან ჰამან ჰამედათა აგაგელის ძეს, ყველა იუდაელის მოძულეს, ჩაფიქრებული ჰქონდა იუდაელების მოსპობა და ფური, ანუ წილი ყარა, რათა გაეწყვიტა და დაეღუპა ისინი.

²⁵მაგრამ როცა ესთერი მეფეს წარუდგა, მეფემ მაშინვე გასცა წერილობითი განკარგულებები, რათა ჰამანის ავი ზრახვა, რაც იუდაელთა წინააღმდეგ ჰქონდა ჩაფიქრებული, მის თავზე მოქცეულიყო და ძელზე ჩამოეკიდათ იგი და მისი ძენი.

²⁶ამიტომ უწოდეს იმ დღეებს ფურიმი, ფურის სახელი. ამიტომ, თანახმად ამ წერილის სიტყვებისა და საკუთარი თვალთნანახისა, და თანახმად იმისა, რაც მათ შემთხვათ,

²⁷დაუდგინეს იუდაელებმა თავიანთ თავს და თავიანთ შთამომავლობას და ყველას, მათთან შეხიზნულებს, რომ მოუშლელად, ყოველწლიურად ეზეიმათ ეს ორი დღე დაწესებულისამებრ და დათქმულ დროს.

²⁸ეს დღეები უნდა ხსომებოდათ და ეზეიმათ ყველა თაობაში, ყველა საგვარეულოში, ყველა სამთავროში, ყველა ქალაქში. და ფურიმის დღეები არ უნდა გაუქმებულიყო იუდაელთა შორის, და არ უნდა გამქრალიყო შთამომავლობაში მათი ხსოვნა.

²⁹და წერდნენ ესთერ დედოფალი, აბიხაილის ასული, და მორდექაი იუდაელთა მთელი ძალისხმევით, რათა ეკისრათ შესრულება მეორე წერილისა ფურიმის თაობაზე.

³⁰დაუგზავნა წერილები ყველა იუდაელს, ახაშვეროშის სამეფოს ას ოცდაშვიდსავე სამეფოში, მშვიდობისა და ჭეშმარიტების სიტყვები,

³¹რათა დაეცვათ ფურიმის ეს დღეები თავის დროზე, როგორც მორდექაი იუდაელს და ესთერ დედოფალს ჰქონდათ დაწესებული; როგორც მათ ჰქონდათ დაწესებული თავიანთი თავისთვის და თავიანთი შთამომავლობისათვის, – მარხვისა და მოთქმის წესები.

³²და ესთერის ბრძანებამ დააწესა ფურიმის ადამ-წესები და ჩაწერილ იქნა წიგნში.



ესთერი 10

- ¹და ხარკი დააკისრა მეფე ახაშვეროშმა ქვეყანას და ზღვის კუნძულებს.
- ²და მისი ძლიერებისა და გმირობის ყველა საქმე, მორდექაის დიდების ამბავი, რომელიც განადიდა მეფემ, განა მიდიისა და სპარსეთის მეფეთა მატთანეთა წიგნებში არ არის ჩაწერილი?
- ³რადგან იუდაელი მორდექაი მეორე კაცი იყო მეფე ახაშვეროშის შემდეგ, დიდი კაცი იყო იუდაელთა შორის, და სანატრელი თავის მრავალრიცხოვან მოძმეთათვის; სიკეთის მაძიებელი თავისი ერისათვის, მშვიდობისმეტყველი მთელი თავისი მოდგმისათვის.



იობი

იობი 1

¹ცხოვრობდა ყუცის ქვეყანაში კაცი, სახელად იობი. და იყო ის უმწიკვლო და მართალი, ღვთისმოშიში და უკეთურებას განრიდებული კაცი.

²და შეეძინა მას შვიდი ძე და სამი ასული.

³და ჰყავდა საქონელი: 7 ათასი ცხვარი, 3 ათასი აქლემი, 500 უღელი ხარი, 500 ჭაკი ვირი, და უამრავი მსახური; და იყო ეს კაცი ყველაზე სახელგანთქმული აღმოსავლეთის მკვიდრთა შორის.

⁴მისი ძენი მონაცვლეობით მართავდნენ ნადიმს თავიანთ სახლებში და სტუმრობდნენ ერთმანეთს. და წარგზავნიდნენ და იწვევდნენ სამ დასაც, რათა მათთან ერთად ესვათ და ეჭამათ.

⁵ნადიმის დღეები რომ დამთავრდებოდა, იობი წარგზავნიდა და განწმედდა მათ: ადგებოდა დილაადრიან და სრულადდასაწველს აღავლენდა მათი რიცხვის მიხედვით, რადგან ამბობდა იობი: „ეგებ შესცოდეს ჩემმა შვილებმა და დაგმეს ღმერთი თავინთ გულში.“ ყოველთვის ასე იქცეოდა იობი.

⁶ერთ დღეს მივიდნენ ღვთის შვილები უფლის წინაშე წარსადგომად, და ეშმაკიც მივიდა მათ შორის.

⁷ჰკითხა უფალმა ეშმაკს: „საიდან მოდიხარ?“ მიუგო ეშმაკმა უფალს: „ქვეყნაზე აღმა-დაღმა ხეტიალიდან.“

⁸და კვლავ ჰკითხა უფალმა ეშმაკს: „თუ შეგინიშნავს ჩემი მსახური იობი? არავინ არის მისი მსგავსი ამ ქვეყანაზე: უმწიკვლო და მართალი, ღვთისმოშიში და უკეთურებას განრიდებული.“

⁹ეშმაკმა კი მიუგო უფალს: „მერედა განა ტყუილად არის იობი ღვთისმოშიში?

¹⁰განა შენ არა გყავს იგი ყოველმხრივ დაცული, მთელი მისი სახლ-კარითა და საბადებლითურთ? შენგან არის კურთხეული მისი ნახელავი, ხოლო მისი საქონელი გამრავლებულია ქვეყნად.

¹¹აბა, გაიწოდე ხელი და შეეხე მთელ მის საბადებელს, თუ პირში გმოხას არ დაგიწყებს.“

¹²და უთხრა უფალმა ეშმაკს: „აჰა, შენს ხელთ იყოს მთელი მისი საბადებელი, ოღონდ თავად მას ნუ შეეხები!“ და გაშორდა ეშმაკი უფალს.



¹³ერთ დღეს, როცა მისი ძენი და ასულნი ჭამდნენ და ღვინოს სვამდნენ თავიანთი უფროსი ძმის სახლში,

¹⁴მაცნე მივიდა იობთან და უთხრა: „ხარები ხნავდნენ, სახედრები კი მათ გვერდით მოვდნენ;

¹⁵და დაეცნენ შებაელნი მათ და გაირეკეს, მსახური ბიჭები კი მახვილით ამოხოცეს. მეღა გადავრჩი ამბის მომტანი.“

¹⁶ამის ლაპარაკში იყო, რომ მოვიდა სხვა და უთხრა: „ღვთის ცეცხლი ჩამოვარდა ზეციდან, ცხვარი და მსახური ბიჭები გადაბუგა და შთანთქა. მეღა გადავრჩი ამბის მომტანი.“

¹⁷ამის ლაპარაკში იყო, რომ მოვიდა კიდევ სხვა და უთხრა: „ქალდეველნი დაეწყვნენ სამ რაზმად, დაეცნენ აქლემებს და გაირეკეს ისინი, მსახური ბიჭები კი მახვილით ამოხოცეს. მეღა გადავრჩი ამბის მომტანი.“

¹⁸ამის ლაპარაკში იყო, რომ მოვიდა კიდევ სხვა და უთხრა: „შენი ძენი და ასულნი ჭამდნენ და ღვინოს სვამდნენ თავიანთი უფროსი ძმის სახლში,

¹⁹და ამ დროს დიდი ქარი მოვარდა უდაბნოდან, ეკვეთა სახლის ოთხსავე კუთხეს, ჭერი თავზე დაემხოთ ყმაწვილებს და დაიხოცნენ. მეღა გადავრჩი ამბის მომტანი.“

²⁰ადგა იობი, შემოიხია სამოსი, გადაიპარსა თავი, დაეცა მიწაზე და თაყვანი სცა,

²¹და თქვა: „შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველი დავბრუნდები იქ. უფალმა მომცა და უფალმა წაიღო. კურთხეულ იყოს უფლის სახელი.“

²²ყოველივე ამაში არ შეუცოდავს იობს, ღმერთის აუგი არ დასცდენია.

იობი 2

¹ერთ დღესაც მივიდნენ ღვთის შვილები უფლის წინაშე წარსადგომად, და ეშმაკიც მივიდა მათ შორის.

²ჰკითხა უფალმა ეშმაკს: „საიდან მოდიხარ?“ მიუგო ეშმაკმა უფალს: „ქვეყნაზე აღმა-დაღმა ხეტიალიდან.“

³და კვლავ ჰკითხა უფალმა ეშმაკს: „თუ შეგინიშნავს ჩემი მსახური იობი? არავინ არის მისი მსგავსი ამ ქვეყანაზე: უმწიკვლო და მართალი, ღვთისმოშიში და უკეთურებას განრიდებული. იგი კვლავ ინარჩუნებს უმწიკვლოებას, შენ კი მაქეზებდი მის წინააღმდეგ, რომ უმიზეზოდ დამელუპა იგი.“



⁴ეშმაკმა კი მიუგო უფალს: „ტყავი ტყავის წილ, მაგრამ სიცოცხლისათვის ყველაფერს გაიღებს კაცი.“

⁵აბა, გაიწოდე ხელი, და შეახე მის ძვალსა და რბილს, თუ პირში გმოხას არ დაგიწყებს.“

⁶და უთხრა უფალმა ეშმაკს: „აჰა, შენს ხელთ იყოს იგი, ოღონდ მის სიცოცხლეს გაუფრთხილდი.“

⁷და განშორდა ეშმაკი უფალს და შეჰყარა იობს საშინელი წყლულები ფეხის ტერფიდან თხემამდე.

⁸აილო იობმა კეცის ნატეხი წყლულების მოსაფხეკად და ნაცარში ჩაჯდა.

⁹მაშინ უთხრა მას ცოლმა: „შენ კიდევ მტკიცედ დგახარ შენს უმწიკვლოებაში? დაგმე ღმერთი და მოკვდი!“

¹⁰მან კი მიუგო: „უგუნური დედაკაცივით ლაპარაკობ. თუ სიკეთეს ვიღებთ ღმერთისგან, განსაცდელი აღარ უნდა მივიღოთ?“ არც ყოველივე ამაში შეუცოდავს იობს თავისი ბაგეებით.

¹¹როდესაც იობის სამმა მეგობარმა შეიტყო ყველა ის უბედურება, რაც იობს დაატყდა თავს, გამოვიდნენ თავიანთი ადგილებიდან: ელიფაზ თემანელი, ბილდად შუხელი და ცოფარ ნაყამათელი, შეიკრიბნენ ერთად, რათა მასთან მისულიყვნენ თანაგრძნობის გამოსახატავად და სანუგეშებლად.

¹²და შორიდან რომ დაინახეს, ვერ იცნეს იგი, ხმამაღალი ტირილი მორთეს. შემოიხიეს სამოსი, და თავს ზევით მტკერი გადაიყარეს.

¹³ისხდნენ მასთან ერთად მიწაზე შვიდ დღეს და შვიდ ღამეს. არავის არაფერი უთქვამს მისთვის, რადგან ხედავდნენ, რომ მეტისმეტად დიდი იყო მისი სატანჯველი.

იობი 3

¹ამის შემდგომ გახსნა იობმა ბაგე და დაწყევლა თავისი გაჩენის დღე.

²და თქვა იობმა:

³„დაიქცეს ის დღე, მე რომ დავიბადე, და ის ღამე, მე რომ ჩავისახე!

⁴დაე, დაბნელდეს ის დღე, აღარ მოხედოს მას ღმერთმა ზეგარდმო და აღარ ინათოს მასზე ნათელმა!

⁵სიკვდილის ბნელმა და წყვდიადმა მოიცვას ის, ღრუბლებმა დაფარონ, შეაძრწუნოს ის დღის სიშავემ!



- ⁶დაე, უკუნეთმა შთანთქას ის ღამე, არ ჩაითვალოს წლის დღეთა შორის; და, არც თვეთა რიცხვში აღარ ითვლებოდეს!
- ⁷აჰა, გაბერწდეს ის ღამე, აღარ ისმოდეს მხიარული შეძახილები.
- ⁸დღის მაწყევრებმა დაწყევლონ იგი, მათ, რომელთაც ძალუძთ ლევიათანის გამოღვიძება!
- ⁹დაე, დაბნელდნენ მისი განთიადის ვარსკვლავები, ელოდოს ნათელს და არ ჩანდეს, და ვერ იხილოს სხივი ცისკრისა.
- ¹⁰რადგან დედაჩემის საშოშივე არ ჩამიკეტა მან კარი, და არ განმარიდა ამ სატანჯველს.
- ¹¹რატომ არ მოვკვდი გაჩენისთანავე, მუცლიდან გამოსვლისთანავე რად არ გავთავდი?
- ¹²რატომ მიმიღეს მე მუხლებმა, და რად მაწოვეს ძუძუ?
- ¹³მაშინ ხომ ვიწვებოდი დამშვიდებული, მოსვენებული ვიქნებოდი ძილში,
- ¹⁴ქვეყნიერების მეფეებთან და მრჩევლებთან, სასახლეებს რომ აღადგენენ თავისთვის.
- ¹⁵ან მთავრებთან, რომელნიც ოქროთი და ვერცხლით ივსებენ სახლებს.
- ¹⁶ან რატომ არ დამმარხეს და არ გადამმალეს უდღეური ჩვილივით, ნათელი რომ არ უნახავს?
- ¹⁷ბოროტნი იქ აღარ შფოთავენ, და მოქანცულნი განისვენებენ იქ.
- ¹⁸იქ მშვიდად არიან ტუსაღები და ზედამხედველთა ხმა არ ესმით მათ.
- ¹⁹მცირენი და დიდნი იქ არიან, და მონა თავისუფალია თავისი ბატონისაგან.
- ²⁰რისთვის მიეცა ტანჯულს ნათელი, და სულგამწარებულს – სიცოცხლე, –
- ²¹მათ, რომელნიც სიკვდილს ნატრობენ და ვერ პოულობენ, თუმცა დამარხულ განძზე მეტად ეძებენ,
- ²²რომელნიც უზომოდ გახარებულნი და აღტაცებულნი არიან საფლავის პოვნით?
- ²³რისთვის მიეცა ნათელი იმ კაცს, ვისი გზაც დაფარულია და რომელიც ყველმხრივ შებორკა ღმერთმა?
- ²⁴რადგან ოხვრა მქცევია საზრდოდ, და ჩემი ქვითინი წყალივით იღვრება.
- ²⁵რადგან მეწია შიში, რომელიც მზარავდა, და რაც მაძრწუნებდა, ის დამემართა.



²⁶ადარ მაქვს სიმშვიდე, აღარც შვება, არც მოსვენება, – მხოლოდ ვაება.“

იოზი 4

¹მაშინ მიუგო ელიფაზ თემანელმა და უთხრა:

²„სიტყვა რომ შემოგბედოთ, ხომ არ აღშფოთდები? მაგრამ ვის შეუძლია ლაპარაკისგან თავის შეკავება?

³აჰა, შენ ბევრს არიგებდი ჭკუას, და დაუძლურებულ მკლავებს აღონივრებდი;

⁴შენი სიტყვა წაქცეულს ფეხზე აყენებდა და აკანკალებულ მუხლებს განამტკიცებდა.

⁵მაგრამ ახლა, – შენ დაგიდგა ჯერი და გაბეზრდი, განსაცდელი გეწია და შეძრწუნდი,

⁶განა ღვთის შიში არა გაქვს ნუგეშად და შენს გზათა სიმართლე – იმედად?

⁷გაიხსენე, განა დაღუპულა ვინმე უდანაშაულოდ, ან სადმე მართალნი თუ ამომწყდარან?

⁸რაც მე მინახავს, სიავის მხვნელნი და შფოთის მთესველნი მასვე იმკიან.

⁹ღმერთის ამოსუნთქვისაგან იღუპებიან ისინი, დაუბერავს იგი და აღგვის პირისაგან მიწისა.

¹⁰ღრიალი ლომისა წყდება და ლომის ბოკვერთ კბილები უცვდებათ.

¹¹ლომი იღუპება უნადავლოდ, და ძუ ლომის ბოკვერნი იფანტებიან.

¹²იდუმალად მეუწყა მე სიტყვა და ჩურჩული ჩამესმა ყურში.

¹³დამეულ ხილვათა ფიქრებში გართული, როცა კაცთ ძილქუში ეცემათ,

¹⁴შიშმა და ძრწოლამ შემიპყრო, და ყველა ძვალი ამიცახცახდა.

¹⁵სახეზე სუნთქვამ გადამიქროლა და სხეულზე თმები ყალყზე დამიდგა.

¹⁶შედგა, მაგრამ ვერ გავარჩიე მისი სახე, ჩემს თვალწინ რაღაც ხატება იყო; დუმილი და აჰა, ხმა მესმა:

¹⁷შეიძლება მოკვდავი ღმერთზე მართალი იყოს? შეიძლება კაცი წმიდა იყოს თავისი შემოქმედის წინაშე?

¹⁸თავის მსახურებსაც კი არ ენდობა ის, და თავის ანგელოზებშიც კი პოულობს ნაკლს!



¹⁹რაღა ითქმის თიხის სახლებში მცხოვრებლებზე, მტვერში რომ გაუდგამთ საძირკველი, ჩრჩილივით რომ იმუსრებიან,

²⁰განთიადიდან სადამოდე ძლივს რომ ცოცხლობენ და შეუმჩნევლად იღუპებიან?

²¹აჰა, გაწყვეტილია მათი კარვის საბელი მათში, სიბრძნის გარეშე კვდებიან ისინი.

იოზი 5

¹აწ მოუხმე; არის ვინმე, ვინც პასუხს გაგცემს? ან ანგელოზთაგან ვის მიმართავ?

²ჭეშმარიტად, უგუნურს ჯავრი ჰკლავს, და ბრიყვს შური ღუპავს.

³ვნახე უგუნური ფესვგადგმული და მყისვე დავწყევლე მისი სამკვიდრო.

⁴შორს არიან მისი შვილები ხსნისაგან, კარიბჭესთან გათელავენ, და არავინ ეყოლებათ მოსარჩლე.

⁵სამკალს დამშეულნი შეუჭამენ, ეკლებიდანაც კი ააცლიან და მწყურვალნი შთანთქავენ მათ დოვლათს.

⁶რადგან სიავე მტვრიდან არ მოდის და არც სატანჯველი აღმოცენდება მიწიდან.

⁷რადგან ადამიანი ტანჯვისთვის იზადება, და როგორც ნაპერწკალი, ისწრაფვის ზევით!

⁸მაგრამ მე ისევ ღმერთს დავეკითხებოდი და ღმერთს მივანდობდი ჩემს საქმეს,

⁹ის არის შემოქმედი დიადი და შეუცნობელი საქმეებისა, საკვირველებათა, რომელთაც არა აქვს რიცხვი.

¹⁰წვიმას მოავლნენს ხმელეთზე, და წყლებს აგზავნის ველებზე.

¹¹აღამაღლებს დამდაბლებულთ და შვებას ჰგვრის მგლოვიარეთ.

¹²ის ამსხვრევს ცბიერთა ზრახვებს და მათი ხელები ველარ აღწევენ საწადელს.

¹³იჭერს ბრძენკაცებს მათსავე ცბიერებაში, და მზაკვართა ხრიკები ფუჭი ხდება.

¹⁴დღისით ისინი წყვდიადს აწყდებიან; შუადღისას ხელისცეცებით დადიან, როგორც ღამეში.



- ¹⁵ის იხსნის ღატაკს მათი ბასრი ენებისგან და ძლიერთა ხელიდან.
- ¹⁶ასე რომ, უმწეოს იმედი აქვს, ხოლო უსამართლობა პირს იხშავს.
- ¹⁷აჰა, ნეტარია კაცი, რომელსაც ამხილებს ღმერთი! ამიტომ ყოვლადძლიერის შეგონებას ნუ უკუაგდებ!
- ¹⁸რამეთუ, თვითონ ლახვრავს და თვითონვე ახვევს, წყლავს, მაგრამ მისივე ხელები კურნავენ.
- ¹⁹ექვსი გაჭირვებიდან გიხსნის შენ, და მეშვიდედ არ შეგემთხვევა ბოროტება.
- ²⁰შიმშილობის ჟამს სიკვდილისაგან გიხსნის, ხოლო ბრძოლის ჟამს – მახვილისაგან.
- ²¹დაგიფარავს ენით გამათრახებისაგან, და არ შეგეშინდება უბედურებისა, როცა ის მოვა.
- ²²უბედურებასა და შიმშილზე გაგეცინება, და ნადირისა არ შეგეშინდება.
- ²³რადგან შენი მინდვრები გაწმენდილი იქნება ქვებისგან, და მოსვენებული იქნები გარეული ცხოველებისგან.
- ²⁴გეცოდინება, რომ მშვიდობაა შენს კარავში, თვალს გადაავლებ შენს სამყოფელს და დანაკლისი არ გექნება.
- ²⁵დაინახავ, რომ მრავალრიცხოვანია შენი მოდგმა, და მიწის ბალახივითაა შენი ნაშიერი.
- ²⁶ისეთი დღესრული ჩახვალ საფლავში, როგორც პურის ძნა, თავის დროზე რომ იმკება.
- ²⁷აჰა, ეს გამოვიკვლიეთ და ეს არის ჭეშმარიტება, შეისმინე და შენთვის იცოდე.“

იოზი 6

- ¹მაშინ მიუგო იოზმა და უთხრა:
- ²„ჩემი ჯავრი რომ აწონილიყო, და ჩემი უბედურება სასწორზე რომ დადებულყო,
- ³მაშინ იგი ზღვის ქვიშაზე უფრო მძიმე იქნებოდა, და ამიტომაც არის ნაჩქარევი ჩემი სიტყვები.
- ⁴რადგან ჩამერჭო ყოვლადძლიერის ისრები და მათ შხამსა სვამს ჩემი სული; საშინელებანი დამატყდა თავს ღმერთისაგან.



- ⁵განა ყროყინებს კანჯარი, თუ ბალახი აქვს? განა ბლავის ხარი თავის საკვებთან?
- ⁶განა იჭმევა უგემური რამ მარილის გარეშე? ან და რამე გემო თუ აქვს კვერცხის ცილას?
- ⁷გული არ მიმდის მათზე; საძულველია ჩემთვის ლუკმაც კი.
- ⁸ნეტავ ახდებოდეს ჩემი ნატვრა, და იმედს გამიმართლებდეს ღმერთი!
- ⁹ნეტა, ინებებდეს ღმერთი და შემმუსრავდეს! გამოიწვდიდეს ხელს და მომკვეთდეს!
- ¹⁰ეს იქნებოდა ჩემი ნუგეში, და განვმტკიცდებოდი უმოწყალო სატკივარში, რადგან არ უარმიყვია წმიდის სიტყვები.
- ¹¹რა არის ჩემი ძალა, რომ დავენდო? და რა არის ჩემი ბოლო, რომ დავითმინო?
- ¹²განა ქვასავით მტკიცეა ჩემი ძალა? განა ბრინჯაოსია ხორცი ჩემი?
- ¹³ჭეშმარიტად, აღარ არის შეწევნა ჩემთვის. წარკვეთილი მაქვს ყოველგვარი სასოება.
- ¹⁴ვინც მეგობრისადმი არ არის მოწყალე, მას ყოვლადძლიერის შიში არა აქვს.
- ¹⁵ჩემი მოძმენი მუხანათობენ, როგორც ხევების ნაკადულები, ის ნაკადულები, უკვალოდ რომ უჩინარდებიან,
- ¹⁶ყინულისაგან რომ ამღვრეულან და ჩამდნარი თოვლით აზვირთებულან.
- ¹⁷მაგრამ როგორც კი მზე დააჭერს, მაშინვე ქრებიან, დააცხუნებს და ადგილზევე უჩინარდებიან.
- ¹⁸ქარავნები გეზს იცვლიან, გადიან უდაბურ ადგილებში და ილუპებიან.
- ¹⁹თემას ქარავნები ეძიებენ წყალს, და შებას მოგზაურებს იმედი აქვთ.
- ²⁰გაწბილდნენ, რადგან იმედი ჰქონდათ, მივიდნენ იქ და შეძრწუნდნენ.
- ²¹ახლა ასეთივე გამოუსადეგარნი გახდით თქვენ ჩემთვის, იხილეთ საშინელება და შეძრწუნდით.
- ²²გითხარით განა: ‘რამე მომიტანეთ,’ ან ‘თქვენი დოვლათიდან ჩემთვის ქრთამი გაეცით?’
- ²³ან: ‘დამიხსენით მტრის ხელიდან და მჩაგვრელთა ხელიდან გამომისყიდეთ?’
- ²⁴ამიხსენით და დავდუმდები, გამაგებინეთ, რა შემეშალა.



²⁵როგორი მწარეა წრფელი სიტყვა! მაგრამ რას მემართლება თქვენი საყვედური?

²⁶ნუთუ ფიქრობთ, რომ შეგიძლიათ მისაყვედუროთ, თითქოს სასოწარკვეთილის სიტყვები ქარისთვის გასატანებელი იყოს?

²⁷თქვენ ობოლზეც კი წილის ყრა შეგიძლიათ და გაჰყიდით საკუთარ მეგობარს.

²⁸ახლა კი მოწყალება მოიღეთ და მომხედეთ, და ნახეთ, რომ არ ვცრუობ თქვენს წინაშე.

²⁹მოზრუნდით, გევედრებით, და ნუ იქნებით უსამართლონი. მოზრუნდით, ჩემი სიმართლე კვლავაც ჩემშია!

³⁰განა არის ჩემს ენაზე უსამართლობა, და ჩემი სასა ვერ შეიგრძნობს უბედურებას?

იოზი 7

¹განა კაცის ცხოვრება მძიმე სამსახურივით არაა ამქვეყნად? განა მისი ყოფა მოჯამაგირის ყოფას არა ჰგავს?

²როგორც მონას სწყურია ჩრდილი, როგორც მოჯამაგირე ელის თავის გასამრჯელოს,

³ასე მხვდა წილად ამაოების თვენი, და მწუხარების ღამენი მომეთვალა.

⁴ვწევარ და ვამბობ: ‘როდის ავდგები?’ მაგრამ გრძელა ღამე, და ბორგვით ვიღლები განთიადამდე.

⁵ჩემი ხორცი მატლებით და მიწის მტვრით შეიმოსა, ჩემი კანი სკდება და იხრწნება.

⁶ჩემი დღენი ჯარაზე სწრაფად ბრუნავენ და უიმედოდ იწურებიან.

⁷გახსოვდეთ, ერთი ამოსუნთქვაა ჩემი სიცოცხლე; არ მოზრუნდება ჩემი თვალი სიკეთის ხილვად.

⁸თვალები, რომელნიც მხედავენ, ველარ მიხილავენ, თვალებს მომაპყრობთ, მაგრამ მე უკვე აღარ ვიქნები!

⁹როგორც ღრუბელი ქრება და უჩინარდება, ისე შავეთს ჩასული კაცი უკან არ ამოდის,

¹⁰შინ აღარასდროს ბრუნდება, და აღარ არის მისი ხსოვნა მის მხარეში.



- ¹¹ამიტომაც არ დავდუმდები, ვილაპარაკებ შეჭირვებული სულით, ვიღალადებ სულგამწარებული.
- ¹²განა ზღვა ვარ ან ზღვის ურჩხული, მეთვალყურე რომ მომიჩინე?
- ¹³როცა ვამბობ: ‘მანუგეშებს ჩემი საწოლი, და ჭმუნვას შემიმსუბუქებს ჩემი სარეცელი,’
- ¹⁴მაშინ მაძრწუნებ სიზმრებით და მაშინებ ხილვებით.
- ¹⁵ისე რომ, ჩემი სული უმაღ დახრჩობასა და სიკვდილს ირჩევს, ვიდრე ამ სხეულში ყოფნას.
- ¹⁶მომძულდა სიცოცხლე! მუდამ ხომ არ ვიცოცხლებ. დამეხსენ, რადგან ერთი ამოსუნთქვაა ჩემი დღეები.
- ¹⁷რა არის ადამიანი, ასე რომ განადიდებ? მისკენ რომ მიგიპყრია გულისყური?
- ¹⁸ყოველ დილას რომ დახედავ და სცდი ყოველ წამს?
- ¹⁹როდემდე არ მომაშორებ მზერას? როდემდე არ დამეხსნები, რომ ნერწყვი მაინც გადავცლაპო?
- ²⁰მე თუ შევცოდე, შენ რა გავნე, ადამიანთა ზედამხედველო? რად მაქციე შენს სამიზნედ და რად ვიქეც შენს ტვირთად?
- ²¹რატომ არ მომიტევებ ცოდვას და არ წარმიხოცავ დანაშაულს? რადგან მალე ჩავწვები მიწაში; ძებნას დამიწყებ, მაგრამ აღარ ვიქნები!”

იოზი 8

- ¹მაშინ მიუგო ბილდად შუხელმა:
- ²„როდემდე ილაპარაკებ ასე? შენი პირიდან გამოსული სიტყვები ცარიელი ქარია!
- ³ნუთუ ღმერთი გაამრუდებს სამართალს, და ყოვლადძლიერი გაამრუდებს სიმართლეს?
- ⁴თუ შენმა შვილებმა შესცოდეს მის წინაშე, მან ისინი გადასცა მათსავე ურჯულოებას.
- ⁵შენ რომ ღმერთი გეძებნა და ყოვლადძლიერს შევედრებოდი,
- ⁶წრფელი რომ ყოფილიყავი, ახლა იფხიზლებდა ის შენთვის და აღგიდგენდა შენი სიმართლის ადგილს.
- ⁷და თუ შენი დასაწყისი მცირე იყო, შენი დასასრული დიდად გაიზრდება.



- ⁸ჰკითხე გარდასულ თაობას და ყურად იღე მამების ნაკვლევი.
- ⁹რადგან გუშინდელნი ვართ და არაფერი ვიცით, რადგან ჩრდილია ჩვენი დღეები ამ ქვეყანაზე.
- ¹⁰განა არ დაგმოდვრავენ და არ გეტყვიან? და გულიდან არ ამოიღებენ სიტყვებს?
- ¹¹ნესტის გარეშე თუ იზრდება ჭილი? უწყლოდ თუ ამოდის ლერწამი?
- ¹²იგი ჯერ ნორჩია და მოუჭრელი, და მაინც ყველა ბალახზე ადრე ჭკნება.
- ¹³ასევეა ყველას ბილიკები, ვინც ღმერთს ივიწყებს. და უღვთოთა იმედი გაქარწყლდება.
- ¹⁴რადგან წარიკვეთება მათი სასო და მათი იმედი ობობის ქსელს დაემსგავსება.
- ¹⁵მიეყდნობა თავის სახლს, ის კი ვერ გაუძლებს, მოეჭიდება მას და ვერ დაიჭერს.
- ¹⁶ცოდვილი ნედლია მზის ამოსვლამდე, ბაღნარზეა გადმოშლილი მისი ყლორტები.
- ¹⁷ქვების გროვაშია ჩახლართული მისი ფესვები, ქვის ლოდებშია ჩაჭედილი.
- ¹⁸მაგრამ თუ ამოგლიჯეს თავისი ადგილიდან, ბაღი უარყოფს მას: არასოდეს მინახიხარო.
- ¹⁹აჰა, ეს არის მისი გზის სიხარული, მიწიდან კი სხვა აღმოცენდება.
- ²⁰ხედავ, ღმერთი არ მოიძულებს უმანკოს, და არ შეეწევა ბოროტმოქმედებს.
- ²¹კვლავ აგივსებს პირს სიცილით, და ბაგეებს აგივსებს სიხარულის ყიჟინით.
- ²²შენი მოძულენი სირცხვილით შეიმოსებიან და ურჯულოთა კარავი აღარ იქნება!“

იოზი 9

- ¹მაშინ მიუგო იოზმა და თქვა:
- ²„ჭეშმარიტად ვიცი, რომ ასეა, როგორ გამართლდება კაცი ღმერთის წინაშე?
- ³ვინმემ ღმერთთან კამათი რომ მოინდომოს, ათასში ერთზეც ვერ გასცემს პასუხს.
- ⁴გულით ბრძენია და ძალით ძლიერი, ვინ გაჯიუტებია მას და გადარჩენილა?



- ⁵მთებს ისე უცვლის ადგილს, რომ მათ არც იციან. იგი ამხობს მათ თავისი რისხვით,
- ⁶ატორტმანებს დედამიწას თავისი ადგილიდან და მისი სვეტები ირყევიან.
- ⁷უბრძანებს მზეს და არ აღმოხდება, და ვარსკვლავებს ასვამს ბეჭედს.
- ⁸მარტო თვითონ ჭიმავს ზეცას და ზღვის ტალღებზე დადის.
- ⁹იგია შემოქმედი დიდი დათვისა, ორიონისა, ხომლისა და სამხრეთის პალატებისა.
- ¹⁰იგი ქმნის გამოუკვლეველ დიდებულებას და ურიცხვ საკვირველებას.
- ¹¹აჰა, გადაივლის ჩემს თავზე და ვერ დავინახავ, ჩაივლის და ვერ აღვიქვამ მას.
- ¹²აჰა, გაიტაცებს და ვინ არის დამკავებელი? ვინ ეტყვის: რას აკეთებ?
- ¹³ღმერთი არ შეაბრუნებს თავის რისხვას, რაჰაბის შემწენი მის ქვეშ დაემხოვინ.
- ¹⁴როგორ უნდა შევეპასუხო მას, როგორ შევარჩიო ჩემი სიტყვები?
- ¹⁵მართალიც რომ ვიყო, ვერ შევეპასუხები, ჩემს მსაჯულს შევევედრები.
- ¹⁶მისთვის რომ მომეხმო და პასუხი გაეცა, არ დავიჯერებდი, რომ მან ისმინა ჩემი ხმა.
- ¹⁷გრიგალივით მღეწავს და უმიზეზოდ მიმრავლებს ჭრილობებს.
- ¹⁸სულს არ მათქმევინებს, მავსებს სიმწარით.
- ¹⁹თუ საქმე ძალაშია, აჰა, ის ძლიერია, და თუ საქმე სამართალშია, ვინ მოჰკითხავს მას პასუხს?
- ²⁰მართალიც რომ ვიყო, ჩემივე პირი გამამტყუნებს, უმწიკვლოც რომ ვიყო, მაინც ბრალს დამდებს.
- ²¹უდანაშაულო ვარ, მაგრამ არად ვაგდებ ჩემს თავს: სიცოცხლე მომძულდა.
- ²²სულერთია; ამიტომ ვამბობ: უდანაშაულოსა და დამნაშავეს ერთნაირად ანადგურებს იგი.
- ²³როდესაც მისი მათრახი უეცრად კლავს, იგი დასცინის უბრალოთა განსაცდელს.
- ²⁴დედამიწა ურჯულოთა ხელშია, ის თვალს უხვევს მის მსაჯულებს. თუ ის არა, მაშ ვინ?



- ²⁵ჩემი დღეები მალემსრბოლზე უსწრაფესია, მიექანებიან, სიკეთეს ვერ ხედავენ.
- ²⁶მიჰქრიან ლერწმის ნავებივით, ორბივით, თავის მსხვერპლს რომ აცხრება.
- ²⁷თუ ვიტყვი: ‘დავივიწყებ ჩემს ჩივილს, მოვეშვები პირქუშობას და გავმხნევდები,’
- ²⁸მაშინებს ყველა ჩემი სატკივარი, ვიცი, რომ არ გამამართლებ.
- ²⁹მე გავმტყუნდები! ამაოდ რად უნდა გავისარჯო?
- ³⁰თუნდაც თოვლის წყლით განვიბანო თავი, და აბრეშუმზე შევიწმინდო ხელები,
- ³¹მაინც წუმპეში ჩამძირავ და ჩემსავე სამოსს შევზიზღდები.
- ³²რადგან ის ჩემსავით ადამიანი კი არ არის, რომ პასუხი გავცე და სამსჯავროში ერთად წავიდეთ.
- ³³არ არსებობს ჩვენს შორის შუამავალი, რომ ორივეს დაგვადოს ხელი.
- ³⁴თუ განმარიდებდა ჩემგან თავის კვერთხს, და მისი შიში არ შემადრწუნებდა,
- ³⁵მაშინ ვილაპარაკებდი და არ შემეშინებოდა, რადგან მე ასეთი არა ვარ ჩემში.

იოხი 10

- ¹შესძაგდა ჩემს სულს სიცოცხლე. გასაქანს მივცემ ჩემს წუხილს, ვილაპარაკებ ჩემი სულის სიმწარით,
- ²ვეტყვი ღმერთს: ‘ნუ გამამტყუნებ, გამაგებინე, რისთვის მედავები?’
- ³კარგია, რომ თრგუნავ, რომ მოიძულე შენს ხელთა ქმნილება და ურჯულოთა ზრახვას სინათლეს ჰფენ?
- ⁴ნუთუ შენც ხორციელი თვალები გაქვს? ნუთუ შენც ადამიანივით იყურები?
- ⁵ნუთუ შენი დღეები ადამიანის დღეებივითაა? ნუთუ კაცის დღეებივითაა შენი წლები,
- ⁶ჩემს ბრალს რომ ეძებ და ჩემს ცოდვას იკვლევ?
- ⁷თუმცა იცი, რომ დამნაშავე არა ვარ, და არავინაა შენი ხელიდან ჩემი დამხსნელი.



⁸შენმა ხელებმა გამომსახეს და შემქმნეს მე ერთიანად, ყოველმხრივ, და შენვე მანადგურებ?

⁹აბა, გაიხსენე, თიხასავით რომ შემქმენი, და ისევ მტვრად მაქცევ?

¹⁰განა რძესავით არ გადმომღვარე და ყველივით არ შემადედე?

¹¹ტყავით და ხორციტ შემმოსე, ძვლებითა და ძარღვებით მომქსოვე,

¹²სიცოცხლე და წყალობა მოავლინე ჩემზე და შენმა ზრუნვამ შეინარჩუნა ჩემი სული.

¹³მაგრამ ეს გქონდა გულში დაფარული, ვიცი, რომ ეს იყო შენი მიზანი.

¹⁴რომ შეგცოდო, შენ დამიდარაჯდები და არ მომიტევებ დანაშაულს.

¹⁵თუ დამნაშავე ვარ, ვაი ჩემს თავს! თუ მართალი ვარ, თავი ვერ ამიწევია! რადგან სავსე ვარ შერცხვენით. შეხედე ჩემს სივაგლახეს.

¹⁶წამოვიწევი და ლომივით ნადირობ ჩემზე, და კვლავ სასწაულებს ახდენ ჩემზე,

¹⁷ახალ-ახალი მოწმეები გამოგყავს ჩემს წინააღმდეგ და აძლიერებ შენს რისხვას ჩემზე. ახალ-ახალი ჯარები ენაცვლებიან ერთმანეთს ჩემს წინააღმდეგ.

¹⁸დედის საშოდან რისთვის გამომიყვანე? მოვმკვდარიყავი, რომ არავის თვალს არ ვეხილე.

¹⁹ცყოფილიყავი, როგორც არყოფილი, საშოდან საფლავში ჩავსულიყავი.

²⁰განა მცირე არაა ჩემი დღეები? მომეშვი, რომ ცოტათი მაინც დავმშვიდდე,

²¹სანამ წავიდოდე უკანმოუქცევლად ბნელეთისა და წყვდიადის ქვეყანაში,

²²წყვდიადის ქვეყანაში, სიკვდილის აჩრდილის წყვდიადში, სადაც ქაოსია, და სადაც ნათელი წყვდიადს ემსგავსება.”“

იობი 11

¹მაშინ მიუგო ცოფარ ნაყამათელმა:

²„ნუთუ სიტყვათა სიმრავლე უპასუხოდ დარჩება? ნუთუ მრავალსიტყვაობა გამართლდება?

³ნუთუ შენი ფუჭსიტყვაობა დაადუმებს მამაკაცებს? ნუთუ დაცინვას მოჰყვები და არავინ იქნება შემარცხვენელი?

⁴შენ ამბობდი: ‘ხალასია ჩემი განსჯა და სუფთა ვარ შენს თვალში!’



- ⁵ნეტავ ღმერთი ალაპარაკდებოდეს და გახსნიდეს ბაგეებს შენს მიმართ,
- ⁶და გაგიცხადებდეს თავისი სიბრძნის საიდუმლოებებს! რადგან მრავალმხრივია სიბრძნე და, იცოდე, რომ ღმერთი შენთვის ივიწყებს ზოგიერთ შენს შეცოდებას.
- ⁷შეგიძლია ჩასწვდე ღმერთის სიღრმეს? მისწვდე ყოვლადძლიერის საზღვარს?
- ⁸იგი ზეცაზე მაღალია – რას იზამ? ქვესკნელზე ღრმაა – რას გაიგებ?
- ⁹ზომით იგი დედამიწის უგრძესია და ზღვაზე უვრცესია.
- ¹⁰თუ ჩაივლის, შებორკავს და წარუდგენს სამსჯავროს, წინ ვინ აღუდგება?
- ¹¹რადგან ის სცნობს ცბიერ ადამიანებს და როცა უსამართლობას ხედავს, განა ყურადღებას არ მიაპყრობს?
- ¹²ცარიელი თავის განსწავლა ისევე შეუძლებელია, როგორც კანჯრის ჩოჩრის მოთვინიერება.
- ¹³თუ შენ განაწყობ შენს გულს და მისკენ გაიწვდი ხელს,
- ¹⁴თუ შენს ხელში უსამართლობაა და განიშორებ მას, რომ შენს კარვებში არ დაივანოს უსამართლობამ,
- ¹⁵მაშინ აღმართავ შენს სახეს უმწიკვლოდ, განმტკიცდები და შიში არ გექნება,
- ¹⁶დაივიწყებ შენს ტანჯვას, და როგორც ჩავლილ წყალს, ისე გაიხსენებ.
- ¹⁷შენი სიცოცხლე შუადღეზე ნათელი გახდება, და ბნელი დილასავით განათდება.
- ¹⁸იმედიანად იქნები, რადგან არის სასოება. მიმოიხედავ და იმედით დაწვები.
- ¹⁹და დაივანებ, და არავინ იქნება შენი შემწუხებელი, და მრავალნი დაგიწყებენ პირფერობას.
- ²⁰ურჯულოთა თვალნი კი დაივსებიან, დაეკარგებათ თავშესაფარი, და მათი სასოება მხოლოდ სულის განტევება იქნება.“

იოზი 12

- ¹მაშინ მიუგო იოზმა და თქვა:
- ²„ჭეშმარიტად, ხალხი მხოლოდ თქვენა ხართ, და სიბრძნე თქვენთან ერთად მოკვდება.“



- ³მეც თქვენსავით მაქვს გონება, თქვენზე ნაკლები არც მე ვარ. ვინ არ იცის ეს ყოველივე?
- ⁴მოყვასის დასაცინი შევიქენი, მე, ღვთისმხმობელი და მისგან პასუხის მიმღები. დასაცინი შევიქენი, კაცი მართალი და უდანაშაულო.
- ⁵გალაღებული კაცისთვის სამარცხვინოა მარცხი, ფეხდასხლეტილის ხვედრი კი უბედურებაა.
- ⁶მყუდროება სუფევს მძარცველთა კარვებში, უშიშრად არიან ღვთის განმარისხებელნი, მათი ხელებია მათი ღმერთი.
- ⁷ჰკითხე პირუტყვს და ის გასწავლის, ცის ფრინველს და ის გეტყვის.
- ⁸გაესაუბრე მიწის მცენარეებს და ისინი გასწავლიან, და მოგახსენებენ ზღვის თევზები.
- ⁹ვინ არ იცის მათ შორის, რომ უფლის ხელმა შექმნა ეს ყველაფერი?
- ¹⁰მის ხელთაა ყველა სულდგმულის სული, და ყოველი ძეხორციელის სუნთქვა.
- ¹¹განა ყური არ განარჩევს სიტყვებს? განა სასა არ გრძნობს საჭმლის გემოს?
- ¹²განა სიბრძნე მოხუცებშია და გონება – დღეგრძელებში?
- ¹³ღმერთთანაა სიბრძნე და ძალა, მასთანაა რჩევა და გონება.
- ¹⁴აჰა, დაანგრევს და ვერავინ ააშენებს, დაამწყვდევს და ვერავინ გამოიხსნის.
- ¹⁵აჰა, შეაკავებს წყლებს და დაშრებიან, გამოუშვებს მათ და გადათელავენ მიწას.
- ¹⁶მასთანაა ძალა და ნამდვილი სიბრძნე, მისია მოტყუებული და მომტყუებელი.
- ¹⁷ტყვედ მიჰყავს მრჩეველნი და მსაჯულებს აბრიყვებს.
- ¹⁸ბორკილებს ხსნის მეფეებს და წელზე სარტყელს არტყამს.
- ¹⁹ფეხშიშველი მიჰყავს მღვდლები, და ამხოვს ძლიერებს.
- ²⁰ართმევს მეტყველებას თავდაჯერებულთ და გამჭრიახოვას – უხუცესებს.
- ²¹დამცირებას ანთხევს დიდებულებზე და ძლიერთა სარტყელს ასუსტებს.
- ²²აცხადებს სიბნელის იდუმალებებს და სიკვდილის აჩრდილი სინათლეზე გამოჰყავს.
- ²³განადიდებს ერებს და ანადგურებს, განავრცობს ერებს და მიუძღვის მათ.



²⁴გონებას ურევს ქვეყნის თავკაცებს და უგზო-უკვლოდ ახეტიალებს უდაბნოში.

²⁵ხელის ცეცებით დადიან ბნელში უსინათლოდ და მთვრალეობით დაბორიალობენ!

იოზი 13

¹აჰა, ეს ყოველივე ჩემმა თვალმა იხილა, ჩემმა ყურმა ისმინა და შეიგნო.

²რაც თქვენ იცით, მეც ვიცი, არც მე ვარ თქვენზე ნაკლები.

³მაგრამ მე დაველაპარაკებოდი ყოვლადმღიერს, და ჩემს საბუთებს მოვახსენებდი ღმერთს.

⁴თქვენ კი სიცრუის მთხზველები ხართ, უვარგისი მკურნალები ხართ!

⁵ნეტავ ღუმლით მაინც დადუმდებოდეთ! ეს იქნებოდა თქვენი სიბრძნე.

⁶გთხოვთ, ისმინეთ ჩემი საბუთები და ისმინეთ ჩემი ბაგეების საჩივარი!

⁷ღმერთის გულისათვის იტყვიტ ტყუილს? მისი გულისთვის იტყვიტ სიცრუეს?

⁸მიკერძოებას გამოიჩენთ მის მიმართ? ღმერთს გამოესარჩლებით?

⁹კარგი იქნება, რომ გამოგააშკარავოთ მან? კაცი კაცს რომ ატყუებს, ისე მოატყუებთ მას?

¹⁰ნამდვილად გაგვიცხავთ ის თქვენ, მიკერძოებას თუ გამოიჩენთ მალულად.

¹¹ნუთუ არ შეგეშინდებათ მისი სიდიადისა და მისი შიში თავს არ დაგატყდებათ?

¹²თქვენი შეგონებანი ნაცრის არაკებია, თქვენი სიმაგრეები თიხის სიმაგრეებია.

¹³დადუმდით ჩემს წინაშე და მალაპარაკეთ, და მერე, რაც მომივა, მომივიდეს.

¹⁴კბილით ვზიდავ ჩემს ხორცს და ხელში დავიჭერ ჩემს სიცოცხლეს.

¹⁵რომ მომკლას კიდეც, მაინც მისი იმედი მექნება, მაინც დავიცავ ჩემს გზებს მის წინაშე.

¹⁶ესეც ჩემი ხსნა იქნება, რადგან უღვთო კაცი ვერ მივა მის წინაშე.

¹⁷სმენით ისმინეთ ჩემი სიტყვა, ყური უგდეთ ჩემს ნათქვამს!



- ¹⁸ აჰა, სამსჯავროსთვის გამიმზადებია ჩემი სარჩელი! ვიცი, რომ გავმართლდები.
- ¹⁹ ვინ არის ჩემი მოდავე? რადგან მაშინ დავდუმდებოდი და მოვკვდებოდი!
- ²⁰ ოღონდ ორ რამეს ნუ მიზამ, და შენს სახეს არ დავემალე:
- ²¹ შენი ხელი ამარიდე და შენი შიშის ზარი ნუ შემადრწუნებს.
- ²² მაშინ მიხმე და პასუხს გაგცემ, ან მე ვილაპარაკებ და შენ მიპასუხე!
- ²³ რამდენი ბრალი და ცოდვა მაწევს? მაცოდინე ჩემი დანაშაული და ჩემი ცოდვა!
- ²⁴ რად მალავ სახეს? შენს მტრად რაღა მთვლი?
- ²⁵ მოფარფატე ფოთოლს აფრთხობ და ხმელ ჩალას სდევნი?
- ²⁶ რადგან მწარე ამბებს წერ ჩემს წინააღმდეგ და მიმკვიდრებ სიჭაბუკის ცოდვებს,
- ²⁷ ხუნდებში მაყოფინებ ფეხებს, უდარაჯებ ყველა ჩემს გზას, და ჩემს ნაკვალევს იკვლევ.
- ²⁸ კაცი კი იხრწნება, როგორც დამპალი რამ, როგორც ჩრჩილისგან დაჭმული სამოსელი.

იობი 14

- ¹ ადამიანი, ქალის ნაშობი, დღემოკლეა და სავსეა ურვით.
- ² ყვავილივით იფურჩქნება და ჭკნება, ჩრდილივით გადაივლის და კვალს არ ტოვებს.
- ³ და მაინც თვალს აპყრობ მას, და სამსჯავროში მიგყავარ შენთან?
- ⁴ ვინ შექმნის წმიდას უწმიდურისგან? ვერავინ!
- ⁵ თუ მისი დღეები განსაზღვრულია, თუ მისი თვეების რიცხვი შენს ხელთაა, თუ საზღვარი დაუდე მას და ვერ გადავა,
- ⁶ დაეხსენი, მოისვენოს, ვიდრე დღიურ მუშასავით დაამთავრებდეს თავის დღეს.
- ⁷ რადგან ხესაც აქვს იმედი, რომ თუ მოჭრიან, კვლავ განახლდება, აყვავდება და ყლორტები არ მოაკლდება.
- ⁸ თუ ფესვი მიწაში დაუბერდა და ღერო მტვერში ჩაუკვდა,
- ⁹ წყლის სუნზე კვლავ გაყვავილდება და ნერგივით ყლორტებს გამოიყრის.



- ¹⁰კაცი კი კვდება და უძლურდება, სულს განუტევენ ადამიანი და სადღა არის?
- ¹¹როგორც წყალი გაედინება ტბიდან, და მდინარე იწრიტება და შრება,
- ¹²ასევე ადამიანებიც წვებიან და ვეღარ დგებიან. ვერ გაიღვიძებენ, ვიდრე არ გაქრება ცანი, ძილისაგან ვერ გამოფხიზლდებიან.
- ¹³ნეტავ შავეთში დაგემალე, დაგეფარე, ვიდრე დაცხრებოდა შენი რისხვა, დრო დაგენიშნა ჩემთვის და შემდეგ გაგხსენებოდი.
- ¹⁴თუ მოკვდა ადამიანი, განა გაცოცხლდება? მთელი ჩემი მსახურების დღეებში დავიცდიდი, ვიდრე არ დადგებოდა ჩემი ხსნა.
- ¹⁵დამიძახებდი და გიპასუხებდი, მოგენატრებოდა შენს ხელთა ქმნილება,
- ¹⁶რადგან ჩემს ნაბიჯებს დაითვლიდი, მაგრამ ჩემს ცოდვებს არ უთვალთვალე.
- ¹⁷ჩაიბეჭდებოდა გრაგნილში ჩემი დანაშაული, და ჩემს ბრალს შენ წარხოცავდი.
- ¹⁸მაგრამ როგორც ჩამოქცეული მთა იშლება და კლდე ცურდება თავისი ადგილიდან,
- ¹⁹როგორც ქვებს ცვეთს წყალი, როგორც მისი ნიაღვრები წალეკავენ მიწას, ასევე წარხოცავ შენ კაცთა იმედს.
- ²⁰სძლევ მათ სამუდამოდ და მიდიან, სახეს შეუცვლი და უშვებ.
- ²¹პატივში იქნებიან მათი შვილები, მათ კი არ ეცოდინებათ; დამცირდებიან ისინი, ისინი კი ვერ მიხვდებიან.
- ²²მათ მხოლოდ საკუთარი ხორცი სტკივათ, და საკუთარ თავს გლოვობენ ისინი!“

იოზი 15

- ¹მიუგო ელიფაზ თემანელმა და თქვა:
- ²„განა თავქარიანად უნდა პასუხობდეს ბრძენკაცი? განა აღმოსავლეთის ქარით უნდა ივსებდეს მუცელს?
- ³უსარგებლო მსჯელობით და სიტყვებით უნდა დაობდეს, რომლებშიც არავითარი სიკეთე არ არის?
- ⁴შენ აქარწყლებ ღვთისმოშიშებას, და აბრკოლებ ღოცვას ღმერთის წინაშე,
- ⁵რადგან შენი უკეთურება წვრთნის შენს ბაგეს და ცბიერთა ენა აგირჩევია.



- ⁶შენივე პირი გამტყუნებს, მე კი არა, და შენი ბაგენი მოწმობენ შენს წინააღმდეგ.
- ⁷პირველშობილი ხომ არა ხარ კაცთა შორის, ბორცვებზე უწინარეს ხომ არ შექმნილხარ?
- ⁸ღვთის საიდუმლო ხომ არ მოგისმენია და სიბრძნე ხომ არ მოგიხვეჭია?
- ⁹ისეთი რა იცი, ჩვენ რომ არ ვიცოდეთ? რას ხვდები ისეთს, ჩვენ რომ ვერ მივმხვდარვართ?
- ¹⁰ჩვენს შორის თმაჭაღარაც არის და მოხუცებულის, მამაშენს რომ აღემატება დღეებით.
- ¹¹მცირეა შენთვის ღვთის ნუგეში და თვინიერი სიტყვა, შენთან მოუბარი?
- ¹²სხვაგან რად მიგიწევს გული, და რად ახამხამებ თვალებს?
- ¹³ღმერთის წინააღმდეგ რომ მიმართავ შენს სულს და ასეთი სიტყვები ამოგდის პირიდან?
- ¹⁴რა არის კაცი, რომ სუფთა იყოს, ან მართალი იყოს ქალის ნაშობი?
- ¹⁵აჰა, თავისი წმიდებსაც არ ერწმუნება იგი, და მის თვალში ზეცაც კი არ არის სუფთა,
- ¹⁶მეტადრე საძაგელი და გახრწნილია კაცი, წყალივით რომ სვამს უკეთურებას!
- ¹⁷გეტყვი და მომისმინე, ნანახს მოგიყვები,
- ¹⁸რაც ბრძენკაცებს სმენიათ და რაც არ დაუმაღავთ მათთვის მამებს.
- ¹⁹მათ, მხოლოდ მათ მიეცათ ქვეყანა, და არ გაუვლია უცხოს მათ შორის.
- ²⁰იტანჯება ურჯულო მთელი თავისი დღე და მოსწრება, და წელთა რიცხვი დაფარულია მტარვალისათვის,
- ²¹შიშის ზარია მათ ყურებში, მშვიდობის დროსაც მათ ესხმის დამღუპველი.
- ²²არ სწამთ მათ, რომ წყვდიადიდან დაბრუნდებიან, განწირულნი არიან მახვილისათვის.
- ²³დაწანწალებენ ლუკმაპურისთვის, მაგრამ სად არის? იციან, რომ შავი დღე შერჩებათ ხელში.
- ²⁴ადრწუნებთ მათ ვიწროება და გასაჭირი, სჯახნიან მათ, მსგავსად საომრად გასული მეფისა.
- ²⁵რადგან ღვთის წინააღმდეგ აღმართეს ხელი და ყოვლადძლიერს აუჯანყდნენ.



- ²⁶უტევდნენ მას ჯიუტად, თავისიანთი სქელკოპებიანი ფარით,
- ²⁷რადგან ქონით დაიფარეს სახე და ქონი მოიდეს თეძოებზე.
- ²⁸იცხოვრებენ აოხრებულ ქალაქებში, მიტოვებულ სახლებში, რომლებიც დასანგრევადაა განწირული.
- ²⁹ვერ გამდიდრდებიან და ვერ გაძლებს მათი დოვლათი, და ფესვს ვერ გაიდგამს მიწაში მათი მონაპოვარი.
- ³⁰ვერ გაექცევიან წყვილიადს, ალი დააჭკნობს მათ ყლორტებს, და მათ ყვავილს ქარი წაიღებს.
- ³¹ნუ ირწმუნებენ ამაოებას ისინი, თავს ნუ მოიტყუებენ, რადგან ამაოება იქნება მათი საზღაური.
- ³²უდროოდ გათავდებიან და მათი ტოტები ვერ ამწვანდება.
- ³³ჩამოიბერტყავენ ვაზივით შემჭკნარ ისრიმს, და ზეთისხილივით, ყვავილს რომ ჩამოყრის,
- ³⁴რადგან ბერწია უღვთოთა კრებული, და ცეცხლი შეჭამს მექრთამეთა კარვებს.
- ³⁵მუცლად იღებენ საღმობას და შობენ სიავეს და მათი გული ამზადებს სიცრუეს.“

იოზი 16

- ¹და მიუგო იოზმა და თქვა:
- ²„ამისთანები ბევრი მსმენია, ამაო ნუგეშისმცემელნი ხარო თქვენ ყველანი!
- ³ნეტა მოელეზა ბოლო ქარივით სიტყვებს? რა გაიძულებს ასეთ ლაპარაკს?
- ⁴მეც შემეძლო თქვენსავით მელაპარაკა, ჩემს ადგილზე თქვენ რომ ყოფილიყავით. თავს მოვუყრიდი სიტყვებს თქვენს წინააღმდეგ, და თავის ქნევას დავიწყებდი,
- ⁵გაგამხნევებდით ჩემი პირით, და ჩემს ბაგეთა მოძრაობა დაგიამებდათ ტკივილს.
- ⁶თუ ვილაპარაკებ, ტკივილი არ დამიამდება, თუ დავდუმდები, განა გამშორდება?
- ⁷მაგრამ ახლა მან სრულიად დამქანცა. მან გაანადგურა მთელი ჩემი ახლობლები.



- ⁸გამიჩინა ნაოჭები, რომლებიც მოწმობენ ჩემს წინააღმდეგ, წამოიძარათა ჩემს წინააღმდეგ ჩემი სიმჭლევე, და იგი მოწმობს ჩემს წინააღმდეგ.
- ⁹რისხვით დამფლითა და შემძულა, კბილებს მიღრჭენს, ჩემი მტერი თვალებს აკვესებს ჩემზე,
- ¹⁰პირი აქვთ ჩემზე დაღრენილი, მაგინებენ და სახეში მცემენ, ერთად შეითქვენ ჩემს წინააღმდეგ.
- ¹¹მიმცა მე ღმერთმა უსამართლოებს, და ურჯულოთა ხელში ჩამაგდო.
- ¹²მშვიდად ვიყავი და დამამსხვრია; ჩამავლო კისერში ხელი და გადამამტვრია, და თავის სამიზნედ დამსვა.
- ¹³გარს მეხვევიან მისი მოისრები. ის სერავს ჩემს თირკმელებს და არ მიბრალებს, ანთხევს ჩემს ნაღველს მიწაზე.
- ¹⁴ლეწვით მლეწავს და მლეწავს, მეომარივით მეკვეთება.
- ¹⁵მაძა გადავიკერე კანზე და მიწის მტვერში ამოვიგანგლე რქა.
- ¹⁶სახე ალეწილი მაქვს ტირილისაგან და სიკვდილის აჩრდილია ჩემს წამწამებზე.
- ¹⁷თუმცა არაა ძალადობა ჩემს ხელებში და ჩემი ლოცვაც წმიდაა.
- ¹⁸მიწავ, ნუ დაფარავ ჩემს სისხლს, და ნუ იქნება დაფარული ჩემი მოთქმა.
- ¹⁹ახლა კი, აჰა, ცაშია ჩემი მოწმე, ჩემი ქომაგი მაღალთა შინაა.
- ²⁰ჩემი მეგობრები ჩემი მკიცხველები არიან, ღვთის მიმართ ღვრიან ჩემი თვალები ცრემლს,
- ²¹რათა განსაჯოს მან კაცსა და ღმერთს შორის, როგორც ადამიანსა და მის მოყვასს შორის,
- ²²რადგან რამდენიმე წელიწადში გათავდება ჩემს წელთა რიცხვი და დავდგები უკანმოუქცეველ გზაზე.

ოობი 17

- ¹სული შემემუსრა, ჩამიქრა დღეები, გათხრილია საფლავი ჩემთვის.
- ²გარს მახვევიან მქირდავნი! ჩემი თვალები მათი შემოტევისგან ღამეს თეთრად ათენებენ.
- ³მომხედე, შენვე გამიწიე თავდებობა შენს წინაშე. სხვა ვინ დამიდგება თავდებად?



- ⁴შენ დახურე მათი გული გონიერებისთვის, და ამიტომაც არ გაამარჯვებინებ მათ.
- ⁵ვინც მეგობრებს ასმენს ანგარებით, მის შვილებს თვალები დაეცემა.
- ⁶ხალხის საიგავოდ გამხადა, და მათ დასაციინად ვიქეცი.
- ⁷თვალთ დამიბნელდა დარდისაგან, და აჩრდილს დაემსგავსნენ ჩემი სხეულის ასოები.
- ⁸განცვიფრდებიან ამის გამო წრფელნი, და მართალი ურჯულოზე აღდგება.
- ⁹მართალი განაგრძობს თავის გზას, და ხელწმიდა კაცი უფრო განმტკიცდება.
- ¹⁰თქვენ კი, მობრუნდით, მოდით ყველანი, ბრძენს მაინც ვერ ვიპოვი თქვენს შორის.
- ¹¹ჩემმა დღეებმა განვლეს, ჩაიფუშა ჩემი ზრახვები – ჩემი გულის ფიქრები.
- ¹²ისინი ღამეს დღედ აქცევენ, ამბობენ: ‘ახლოა ნათელი ბნელთან.’
- ¹³თუ ველი შავეთს, როგორც ჩემს სახლს, თუ ბნელში დავაგე ჩემი ლოგინი,
- ¹⁴თუ ჩავძახი საფლავს: ‘შენ მამა ხარ ჩემი!’ ჭიას ვეუბნები: ‘ჩემი დედა ხარ და ჩემი და ხარ!’
- ¹⁵მაშინ სადღაა ჩემი სასოება? ვინღა იხილავს ჩემს სასოებას?
- ¹⁶თან ჩამომყვება ის შავეთში? ერთად ჩავალთ მიწაში?“

იოზი 18

- ¹მაშინ მიუგო ბილდად შუხელმა და თქვა:
- ²„როდემდე ინადირებთ სიტყვებზე? დაფიქრდი და მერე ვილაპარაკოთ.
- ³რატომ გვთვლი პირუტყვებად და გონებაჩლუნგებად?
- ⁴საკუთარმა რისხვამ გასურს დაგფლითოს? შენი გულისთვის ხომ არ იქნება მიტოვებული მიწა, და დაიდრება კლდე თავისი ადგილიდან?
- ⁵ურჯულოთა ნათელი იშრიტება და არ ელვარებს ალი მათი ცეცხლისა.
- ⁶მათ კარავში ნათელი ბნელდება და მათი სანთელი მათ თავზე ქრება.
- ⁷მოკლდება მათი ძლიერების ნაბიჯები, და საკუთარი რჩევა ამხოვს მათ,
- ⁸რადგან ფეხებით ბადეში იხლართებიან და მახეში აბიჯებენ.
- ⁹მარყუჟი ქუსლით იჭერს მათ, და მახე იხელთებს მათ.



- ¹⁰დამალულია მიწაზე მათთვის საბელი, დაგებულია ხაფანგი მათ ბილიკზე.
- ¹¹ყოველი მხრიდან აფრთხოვენ მათ საშინელებები, და ფეხდაფეხ მისდევენ მათ.
- ¹²შიშშილი ძალას აცლის, დაღუპვა მზადაა, მათ გვერდითაა.
- ¹³კანს უჭამთ ნაწილ-ნაწილ, ასობს უჭამთ სიკვდილის პირში.
- ¹⁴ამოიძირკვებიან საიმედო კარვიდან, და საშინელებათა მეფესთან წაჰგვრიან მათ.
- ¹⁵მათ კარავში აღარაფერი რჩება, მათ საბინადროს გოგირდი გადაეყრება.
- ¹⁶ქვეშ ფესვები უხმებათ, მაღლიდან ტოტები უჭკნებათ.
- ¹⁷ქრება მათი სახსენებელი ქვეყნიდან, და სახელი აღარა აქვთ ქუჩაზე.
- ¹⁸განდევნილნი არიან ნათლიდან ბნელში, წუთისოფელს მოწყვეტილნი.
- ¹⁹არც ნაშიერი, არც შთამომავალი არ ეყოლებათ თავის ხალხს შორის. არც ნამატი დაურჩებათ საბინადროში.
- ²⁰მათი ბედის გამო განცვიფრდებიან დასავლეთში, და აღმოსავლეთში მყოფთ შეიპყრობს ძრწოლა.
- ²¹სწორედ ასეთია უღვთოთა საცხოვრებლები და ასეთია მათი ადგილი, ვინც ღმერთს არა სცნობს.“

იოზი 19

- ¹მაშინ მიუგო იოზმა და თქვა:
- ²„როდემდე უნდა მიწუხებდეთ სულს და მთრგუნავდეთ სიტყვებით?
- ³უკვე ათჯერ შეურაცხმყავით, და არ გრცხვენიათ, რომ მძრახავთ.
- ⁴თუ მე მართლა შევცდი, ჩემი შეცდომა ჩემთანვე რჩება.
- ⁵თუ თქვენ მართლა ჩემზე დიდად მოგაქვთ თავი და ჩემს შერცხვენას ჩემს წინააღმდეგ საბუთად აქცევთ,
- ⁶იცოდეთ, რომ ღმერთმა ჩამაგდო განსაცდელში და გამხვია თავის ბადეში.
- ⁷აჰა, ვლადებ: ‘ძალადობა!’ მაგრამ პასუხს არავინ მამღევს, შველას ვითხოვ, მაგრამ არ არის სამართალი.
- ⁸მან გადამიღობა გზა და ვეღარ გადავსულვარ, მან მოჰფინა ჩემს ბილიკებს ბნელი.



- ⁹შემომადარცვა ჩემი დიდება, და თავიდან გვირგვინი მომხადა.
- ¹⁰ყოველმხრივ დამაქცია და უკვე მივდივარ, ხესავით ამომიძირკვა სასოება.
- ¹¹აღაგზნო ჩემზე თავისი რისხვა. და თავის მტრად შემრაცხა.
- ¹²ერთად მომადგნენ მისი ურდოები, ალყა შემომარტყეს და ჩემი კარვის ირგვლივ დაიბანაკეს.
- ¹³ჩემი ძმები ჩამომაშორა, და ჩემი ნაცნობები გამიუცხოვდნენ.
- ¹⁴მახლობლები განმიდგნენ და ნაცნობებმა დამივიწყეს.
- ¹⁵ჩემ სახლში მოსული სტუმრები და ჩემი სახლის მხევლები ხიზნად მთვლიან, მათ თვალში უცხო გავხდი.
- ¹⁶ჩემს მსახურს ვეძახი და არ მპასუხობს; ვევედრები მას ჩემი პირით.
- ¹⁷ჩემი სუნთქვა შესმაგდა ჩემს ცოლს, და ჩემი სიმყრალე – დედაჩემის ძეთ.
- ¹⁸ბავშვებმაც შემიზიზღეს მე, წამოვდგები და აბუჩად მიგდებენ.
- ¹⁹მომიძულეს ჩემმა სანდო მეგობრებმა და ვინც მიყვარდა, ზურგი მაქცია.
- ²⁰ჩემი ტყავი და ხორცი ძვალს მიეკრა, ცარიელი ღრძილებილა დავრჩი.
- ²¹შემიწყალეთ, მეგობრებო, რადგან ღვთის ხელი შემეხო მე!
- ²²რატომ მდევნით თქვენც, როგორც ღმერთი? და რატომ არ ძლებით ჩემი ხორციით?
- ²³ნეტავ ჩაიწერებოდეს ჩემი სიტყვები, ნეტავ წიგნში ჩაიბეჭდებოდეს,
- ²⁴რკინისა და ტყვიის საჭრეთლით კლდეზე ამოიკვეთებოდეს სამარადისოდ!
- ²⁵რადგან მე ვიცი, რომ ცოცხალია ჩემი მხსნელი და საბოლოოდ მიწაზე წამომართება.
- ²⁶მას შემდეგ, რაც ასე შემომემარცვება კანი ჩემი ხორციდან, ვიხილავ ღმერთს,
- ²⁷მე თავად ვიხილავ მას ჩემს გვერდით და ჩემი თვალები დაინახავენ მას და არა სხვისი. დამელთა გული ჩემს წიაღში.
- ²⁸თუ იტყვით: ‘აი, როგორ ვდევნით მას!’ და: ‘საქმის ფესვი ნაპოვნია მასში!’
- ²⁹გეშინოდეთ მახვილისა, რადგან რისხვას მოაქვს მახვილით სასჯელი, რათა იცოდეთ, რომ არის განკითხვა!“



იოზი 20

- ¹მიუგო ცოფარ ნაყამათელმა და თქვა:
- ²„მომხედე! მაიძულეზენ ჩემი ფიქრები პასუხს, და ამის გამოა, რომ ვჩქარობ;
- ³რადგან ჩემს შეურაცხმყოფელ შენიშვნას ვისმენ, და ჩემი გონების სული მათქმევინებს პასუხს.
- ⁴ხომ იცი ეს ძველთაგან, მას აქეთ, რაც ადამიანი დამკვიდრდა მიწაზე,
- ⁵რომ ურჯულოთა ლხენა ხანმოკლეა, და უღვთოს სიხარული – წამიერი.
- ⁶თუნდაც ცად ამალღდეს მისი დიდება და მისი თავი ღრუბლებს მისწვდეს,
- ⁷თავისი განავალივით გაქრება სამუდამოდ, და მისი მნახველნი იკითხავენ: ‘სადაა იგი?’
- ⁸სიზმარვით გაფრინდება და ვერავინ იპოვის, ღამეულ ჩვენებასავით გაუჩინარდება.
- ⁹თვალი, მისი მნახველი, ვეღარ იხილავს მას, და ვეღარც მისი ადგილი დაინახავს მას.
- ¹⁰მისი ძენი ღარიბ-ღატაკთა მომადლიერებას ეცდებიან, და საკუთარი ხელით დააბრუნებენ დოვლათს.
- ¹¹მათი ძვლები, სავსე სიჭაბუკვით, მათთან ერთად იქცევიან მტვრად.
- ¹²თუმცა ბოროტება ეტკბილებათ პირში და ენის ქვეშ ინახავენ,
- ¹³თუმცა ზოგავენ მას, არ გადმოაგდებენ და პირში იჩერებენ,
- ¹⁴მაინც გადაექცევათ საჭმელი სიმწარედ მუცელში, ასპიტთა შხამად მათ ნაწლავებში.
- ¹⁵ყლაპავენ დოვლათს, მაგრამ ამოანთხევენ, ღმერთი გამოუდევნის მათ მუცლიდან.
- ¹⁶ასპიტთა შხამს შეისრუტავენ, უნასის ენა მოჰკლავს მათ.
- ¹⁷ვერ იხილავენ ნაკადულებს, მდინარეებს, თაფლისა და ერბოს მდინარეებს.
- ¹⁸დააბრუნებენ ნაოფლარს და ვერ ჩაყლაპავენ. ნავაჭრის დოვლათიდან ვერ ნახავენ კმაყოფილებას.
- ¹⁹რადგან ჩაგრავდნენ და ივიწყებდნენ ღარიბ-ღატაკებს, სახლს ანგრევდნენ და არ აშენებდნენ.



- ²⁰ვინაიდან არ ასვენებდათ მუცელი, მათთვის სასურველს ვერაფერს გადაარჩენენ.
- ²¹არაფერი მორჩენიათ შეუსანსლავი, ამიტომ ვერ გასტანს მათი კეთილდღეობა.
- ²²თავიანთი სისავსის სიუხვეში ვიწროდ იქნებიან, ყოველი გატანჯული ხელი მისწვდება მათ.
- ²³მუცელს რომ ამოიყორავენ, ღმერთი მოუვლენს მათ თავისი რისხვის ცეცხლს და აწვიმებს მათზე.
- ²⁴გაექცევიან რკინის იარაღს, – განგმირავს მათ ბრინჯაოს მშვილდი.
- ²⁵გამოიძრობენ და გამოვა მათი სხეულიდან ისარი, და ელვა გამოვა მათი ნაღველადან, თავზარი დაეცემა მათ.
- ²⁶სრული წყვდიადი იქნება მათი განძი. შეჭამს მათ დაუნთებელი ცეცხლი, და ეწევა სიავე მათი კარვის ნარჩენებს.
- ²⁷გააცხადებს ზეცა მათ დანაშაულს და მიწა აღდგება მათ წინააღმდეგ.
- ²⁸მათი სახლის დოვლათი გადაივლის და წაილეკება მისი რისხვის დღეს.
- ²⁹ეს არის წილი ურჯულო კაცისა, ხვედრი, ღმერთის მიერ ნაბრძანები.“

იოზი 21

- ¹მაშინ მიუგო იოზმა და თქვა:
- ²„სმენით ისმინეთ ჩემი სიტყვა, ეს იყოს თქვენი ნუგეშისცემა ჩემთვის.
- ³ჯერ მე მათქმევინეთ და როცა ვიტყვი, მერე დამცინეთ.
- ⁴განა ადამიანს ვემდური? სულმოკლე ხომ არა ვარ?
- ⁵შემომხედეთ და განცვიფრდით, და პირზე აიფარეთ ხელი.
- ⁶ამაზე ფიქრიც კი მზარავს, და ძრწოლა იპყრობს ჩემს ხორცს.
- ⁷რატომ არის, რომ ცოცხლობენ ურჯულონი, სიბერეს აღწევენ და ძალით მძლავრობენ?
- ⁸მათსავე სიცოცხლეში მათ წინაშე გამყარებულია მათი მოდგმა, და მათი შთამომავლობა მათ თვალწინაა.
- ⁹მათი სახლები დაცულია შიშისგან და არც ღვთის კვერთხია მათზე.
- ¹⁰მათი კურო ამაკებს და არ ააცდენს, მათი ფური მაკდება და მკვდარს არ იგებს.



- ¹¹ფარასავით უშვებენ თავიანთ ბაღებს, და კუნტრუმობენ მათი პატარები.
- ¹²მღერიან დაირაზე და ქნარზე და მხიარულობენ სალამურის ხმაზე.
- ¹³კეთილდღეობაში ატარებენ დღეებს, და მშვიდად ჩადიან შავეთს.
- ¹⁴ღმერთს ეუბნებიან: ‘ჩამოგვმორდი, არ გვსურს ვიცოდეთ შენი გზები.
- ¹⁵რა არის ყოვლადმღიერი, რომ ვემსახუროთ? და რას გვარგებს, რომ ვემუდაროთ?’
- ¹⁶აჰა, განა მათი კეთილდღეობა მათ ხელთ არ არის? – ურჯულოთა რჩევა შორს არის ჩემგან!
- ¹⁷ხშირად ყოფილა, რომ ჩამქრალა ურჯულოთა სანთელი? რამდენჯერ სწვევიათ მათ უბედურება? თავისი რისხვის ჟამს უნაწილებს ღმერთი მათ სატანჯველს?
- ¹⁸არიან ისინი ჩალის წველივით ქარის წინაშე და ქარიშხლისაგან მოტაცებული ბზესავით?
- ¹⁹შენ იტყვი: ‘ღმერთი სატანჯველს უნახავს მათ შვილებს.’ – დაე, თავად მათ მიაგოს ღმერთმა, რომ იწვნიონ!
- ²⁰იხილონ მათმა თვალებმა უბედურება და თავად შესვან ყოვლადმღიერის რისხვა.
- ²¹რადგან რაღა ენაღვლებათ თავისი სახლი სიკვდილის შემდეგ, როცა მათი თვეების რიცხვი შეწყდება?
- ²²განა ღმერთს ჭკუა ესწავლება, ის ხომ ზენას განიკითხავს?
- ²³ზოგი სრული კეთილდღეობის ჟამს კვდება, სრულიად მშვიდი და უზრუნველი.
- ²⁴მისი წიაღი სავსეა რძით და მისი ძვლები სავსეა ტვინით.
- ²⁵ზოგი კი სულგამწარებული კვდება, ისე, რომ არ უნახავს სიკეთის გემო.
- ²⁶ერთად წვანან მიწაში და ჭიები ფარავენ მათ.
- ²⁷მე ვიცი თქვენი ფიქრები და მზაკვრობანი, რითაც ძალადობთ ჩემზე,
- ²⁸რადგან ამბობთ: ‘სად არის დიდებულის სახლი, და სად არის ურჯულოს კარავი?’
- ²⁹განა არ გიკითხავთ გზად ჩამვლელთათვის, და არ გსმენიათ მათი მოწმობები,
- ³⁰რომ წარწყმედის დღეს დაზოგილია ბოროტი, გარიდებულია რისხვის დღეს?



³¹ვინ ამხელს მათ პირში მათი გზის გამო, და ვინ მიუზღავს მათ ნამოქმედარისთვის?

³²სამარემდის მიასვენებენ და დარაჯს მიუჩენენ მათ საფლავს.

³³ტკბილად მიიღებენ ველის გორახები, მრავალი კაცი გააცილებს მათ ცხედარს, და წინაც მრავალი წაუძღვებათ.

³⁴როგორღა მანუგეშებთ ფუჭი სიტყვებით? თქვენი პასუხები სიცრუედ რჩება!“

იოზი 22

¹მიუგო ელიფაზ თემანელმა და თქვა:

²„რას არგებს ღმერთს კაცი? განა ბრძენიც კი თავის თავს არა რგებს?

³რა აზრი აქვს ყოვლადმღიერისთვის, შენ თუ მართალი ხარ? და რას მოუტანს მას, თუ წრფელია შენი გზები?

⁴განა შენი ღვთისმოშიშების გამო გყვედრის შენ და შედის შენთან სამსჯავროში?

⁵განა დიდი არაა შენი ბოროტება? განა აქვს ბოლო შენს შეცოდებებს?

⁶რადგან არაფრის გულისთვის ართმევდი გირაოს შენს ძმებს, და შიშველ-ტიტვლებს ხდიდი ტანსაცმელს.

⁷წყურვილით დატანჯულს წყალს უკავებდი და მშიერს პურს არ აწვდიდი.

⁸განა ძლიერი კაცისაა ეს ქვეყანა, და წარჩინებული უნდა მკვიდრობდეს მასზე?

⁹ქვრივებს ხელცარიელს ისტუმრებდი და ობლებს მკლავებს უმსხვრევდი.

¹⁰ამიტომ გახვევიან გარს მახეები და გაკრთობს ანაზდეული შიში.

¹¹იქნებ ბნელა და ველარ ხედავ, და წყლის ნიაღვარმა დაგფარა?

¹²განა ღმერთი ცათა მწვერვალზე არ არის? ახედე ვარსკვლავებს, რა მაღალნი არიან!

¹³და შენ ამბობ: ‘რა იცის ღმერთმა? ბნელ ღრუბელთაგან განიკითხავს?’

¹⁴ღრუბელნი საფარველად აქვს და ვერ იხედება, ცის კაბადონზე დადის.’

¹⁵ნუთუ იმ ძველ გზას ადგახარ, ავკაცნი რომ დადიოდნენ,

¹⁶რომელნიც უდროოდ იქნენ წარტაცებულნი, რომელთა საძირკველიც მდინარემ გადარეცხა?



- ¹⁷ისინი ეუბნებოდნენ ღმერთს: ‘გაგვეცაღე!’ და: ‘ყოვლადძლიერი რას გვარგებს?’
- ¹⁸მან კი სიკეთით აუვსო მათ სახლები. მაგრამ ურჯულოთა რჩევა შორსაა ჩემგან!
- ¹⁹უყურებენ მართალნი და ხარობენ და უმწიკვლონი დასცინიან მათ.
- ²⁰ამბობენ: ‘აჰა, გამწყდარა ჩვენი მტერი და მათი ნარჩენი ცეცხლმა შთანთქა.’
- ²¹დაუახლოვდი მას – და იყავი მშვიდობით; ასე მოვა სიკეთე შენთან.
- ²²მიიღე მისი პირიდან რჯული და მისი სიტყვები გულში ჩაიმარხე.
- ²³თუ დაუბრუნდები ყოვლადძლიერს, კვლავ აშენდები, განაშორე უსამართლობა შენს კარავს.
- ²⁴თუ შენს ოქროს მტვერში ჩაყრი, და ოფირის ოქროს – ხევების ლოდებში.
- ²⁵და თუ ყოვლადძლიერი იქნება შენი ოქრო, და ძვირფასი ვერცხლი იქნება შენთვის,
- ²⁶მაშინ დატკბები ყოვლადძლიერში და ღმერთს მიაპყრობ სახეს.
- ²⁷ილოცებ მის მიმართ და მოგისმენს, და აღასრულებ შენს აღთქმებს.
- ²⁸რასაც გადაწყვეტ, აგისრულდება, და შენს გზაზე ნათელი იბრწყინებს.
- ²⁹როცა დაგამდაბლებენ, იტყვი: ‘ამაღლება’ და ის იხსნის თვალდახრილს.
- ³⁰ის გადარჩენს დამნაშავესაც; და გადარჩება ის შენს ხელთა სიწმიდით.“

თავი 23

- ¹მაშინ მიუგო მას იობმა და თქვა:
- ²„დღესაც მწარე ჩივილია ჩემი სიტყვა; მისი ხელი ძიმედ მაწევს ჩემი კვნესის მიუხედავად.
- ³ნეტავი მაცოდინა, სად ვიპოვო იგი და მიმაღწევინა მის სამყოფელამდე,
- ⁴წინ დავუდებდი ჩემს სარჩელს და საბუთებით ავივსებდი პირს.
- ⁵გავიგებდი სიტყვებს, რასაც მომიგებდა, და მივხვდებოდი, რასაც მეტყოდა.
- ⁶თავისი დიდი ძალით ხომ არ გამიმართავდა პაექრობას? არა! მხოლოდ ყურს დამიგდებდა.
- ⁷იქ მართალი შეძლებდა თავის მართლებას მის წინაშე – და მე სამუდამოდ დავიხსნიდი თავს მსაჯულისაგან.



- ⁸აჰა, წინ მივდივარ – და იგი არ ჩანს, უკან მივდივარ, კვლავაც ვერ ვხედავ.
- ⁹მარცხნივ ვეძებ, და ვერ ვხედავ, მარჯვნივ შევბრუნდები და კვლავ დაფარულია.
- ¹⁰მაგრამ მან იცის ჩემი გზა-კვალი, და როდესაც გამომცდის, ოქროსავით გამოვალ.
- ¹¹ჩემი ტერფი ჩაეჭიდა მის კვალს, მის გზას ვიცავდი განუხრელად.
- ¹²მის ბაგეთა მცნებებისგან არ გადამიხვევია, მისი პირის სიტყვებს საკუთარზე მეტად ვიცავდი.
- ¹³მაგრამ იგი უცვლელია და ვინ შემოაბრუნებს მას? რასაც მისი ხელი მოისურვებს, იმას აკეთებს.
- ¹⁴რადგან ის აღასრულებს, რაც დაადგინა ჩემთვის, და მრავალი ასეთი განზრახვა აქვს მას.
- ¹⁵ამიტომ ვკრთი მის წინაშე, ჩავუკვირდები და მეშინია მისი.
- ¹⁶ღმერთმა დააძაბუნა ჩემი გული და ყოვლადძლიერმა შემადრწუნა მე.
- ¹⁷მაგრამ სიბნელემ ვერ მომკვეთა და წყვდიადმა არ დამფარა მე

იოხი 24

- ¹რატომ არ ადგენს ყოვლადძლიერი სამსჯავრო ვადებს ცოდვილთათვის, და მისი მცოდნენი რატომ ვერ ხედავენ მის დღეებს?
- ²ურჯულონი საზღვრებს ანაცვლებენ, იტაცებენ ფარებს და მწყემსავენ მათ.
- ³ობოლთა სახედრებს ერეკებიან, ქვრივის ხარი გირაოში მიჰყავთ;
- ⁴გაჭირვებულს გზიდან აგდებენ, და იმალებიან ქვეყნის ღარიბნი.
- ⁵როგორც უდაბნოში კანჯრები, მძიმედ შრომობენ, საკვებს ეძებენ ტრამალში თავიანთი ბავშვებისათვის.
- ⁶სხვის ყანაში მკიან და ურჯულოს ვენახს იმცვრევენ.
- ⁷შიშვლად ათევენ, უმოსასხამოდ და არა აქვთ დასაფარებელი ყინვაში.
- ⁸მთების თქემში ილუმპებიან, და შესაფარებლად კლდეს ეკვრიან.
- ⁹ბუძუს სწყვეტენ ობოლს, და მიჰყავთ ღარიბისაგან გირაოდ.
- ¹⁰შიშველნი დაწანწალებენ უსამოსოდ, და დამშეულნი ძნებს მიათრევენ.
- ¹¹მათ კედლებში ზეითუნის ზეთს ხდიან, საწნახლებში წურავენ ყურძენს, თავად კი სწყურიათ.



- ¹²ქალაქიდან მომკვდავნი გმინავენ და დაჭრილთა სულები შველას ითხოვენ, ღმერთი კი ყურს არ უგდებს მათ ვედრებას.
- ¹³არიან ნათლის წინააღმდეგ მემამოხენი, რომლებიც არ ცნობენ მის გზებს და არ დგანან მის გზაზე.
- ¹⁴განთიადზე დგება მკვლელი, კლავს ღარიბსა და გლახაკს, ღამით კი ქურდობს.
- ¹⁵მრუმის თვალი ბინდის მოლოდინში ამბობს: ‘კაცის თვალი ვერ მიხილავს.’ და სახეზე საფარველს იფარებს.
- ¹⁶ბნელში ძირს უთხრიან სახლებს, დღისით კი თავისთვის იკეტებიან, არ იციან ნათელი,
- ¹⁷რადგან წყვდიადი მათთვის დილაა, რადგან შეუამხანაგდნენ წყვდიადის საშინელებებს.
- ¹⁸მსუბუქნი არიან ისინი წყლის ზედაპირზე, დაწყევლილია მათი ხვედრი მიწაზე, მუშაკი არ გაუხვევს მათი ვენახებისკენ.
- ¹⁹გვალვა და ხორშაკი შთანთქავს თოვლის წყალს, შავეთი კი – ცოდვილებს.
- ²⁰დაივიწყებს მათ დედის საშო; ჭია შეჭამს მათ, აღარავის გაახსენდებიან, ასე ხესავით გადატყდება უკეთურება.
- ²¹ისინი ბოროტად ექცევიან ბერწ ქალს, უშვილოს, და ქვრივს სიკეთეს არ უკეთებენ.
- ²²ღმერთი სიცოცხლეს უხანგრძლივებს ძლიერთ თავისი ძალით, წამოდგებიან, თუმცა იმედი გადაწურული ჰქონდათ.
- ²³იგი აძლევს მათ სიმშვიდეს და აქვთ საყრდენი, და თვალი მათ გზებზე უჭირავს.
- ²⁴მცირე ხნით აღზევდებიან და აჰა, აღარ არიან. დამდაბლდებიან, დაეცემა, როგორც ყველანი, და თავთავივით მოიკვეთებიან.
- ²⁵ასე არ არის? ვინ გამამტყუნებს და ვინ გამიბათილებს სიტყვას?“

იოზი 25

- ¹და მიუგო ბილდად შუხელმა და თქვა:
- ²„უფლება და შიში არის ღმერთთან, მშვიდობას ამკვიდრებს თავის სიმაღლეებში.
- ³თუ აქვს რიცხვი მის მხედრობას? და ვისზე არ ამოდის მისი ნათელი?
- ⁴რა გაამართლებს კაცს ღმერთის წინაშე? და რა განწმედს ქალის ნაშობს?



⁵მთვარე არ ნათობს და ვარსკვლავნი არ არიან სუფთანი მის თვალში.

⁶მით უფრო კაცი, რომელიც ჭიაა, და ადამიანის ძე, რომელიც მატლია!“

იოზი 26

¹მაშინ მიუგო იოზმა და თქვა:

²„როგორ შეეწიე უძლურს! როგორ იხსენი უმწეო მკლავი!

³როგორ დაარიგე სიბრძნეს მოკლებული! რამდენი სიბრძნე გისწავლებია!

⁴ვინ გათქვევინა ეს სიტყვები, და ვისი სული გამოდიოდა შენგან?

⁵ლანდები ძრწიან ქვეშეთში, წყალნი და მისი მკვიდრნი.

⁶გაშიშვლებულია შავეთი ღმერთის წინაშე და არა აქვს საფარველი აბადონს.

⁷მან განავრცო ჩრდილოეთი სიცარიელეზე, არარაობაზე დაჰკიდა დედამიწა.

⁸იგი კრავს წყლებს თავის ღრუბლებში, და არ სკდება ღრუბელი მათ ქვეშ.

⁹იგი უბურავს სავსე მთვარეს პირს, თავისი ღრუბელი მასზე განართხო.

¹⁰წყლის ზედაპირზე წრე შემოავლო ნათლისა და ბნელის საზღვრამდე.

¹¹ცის სვეტები ირყევიან და ძრწიან მის რისხვაზე.

¹²თავისი ძალით დააცხრო ზღვა და თავისი გონებით შემუსრა რაჰაბი.

¹³მისი სულით ცა გამშვენიერდა, მისმა ხელმა განგმირა გაქცეული გველი.

¹⁴აჰა, ესენია მისი გზების კიდენი. და რა მცირე ჩურჩული გვესმის მასზე! ვინ შეიცნობს მისი ძლიერების გრგვინვას?“

იოზი 27

¹კვლავ განაგრძო იოზმა თავისი სათქმელი და თქვა:

²„ვფიცავ ღმერთს, რომელმაც წამართვა სამართალი, და ყოვლადძლიერს, რომელმაც სული გამიმწარა.

³რადგან, ვიდრე ჩემი სუნთქვა ჩემშია და ღვთის სული ჩემს ნესტოებშია,

⁴ჩემი ბაგეები არ იტყვიან ტყუილს და ჩემს ენას არ დასცდება სიცრუე.

⁵ღმერთმა დამიფაროს, ვთქვა, რომ მართლი ხართ! სიკვდილამდე არ განვიშორებ ჩემს უმწიკვლოებას!



- ⁶ჩემი სიმართლე მტკიცედ მიჭირავს და არ გავუშვებ ხელს. არ გავუმტყუნებია ჩემს გულს ჩემი დღე და მოსწრება.
- ⁷მტერი ჩემი იყოს ურჯულოსავით, და მოწინააღმდეგე ჩემი უკეთურივით.
- ⁸რადგან რა არის უღვთოს იმედი, როცა ღმერთი მოიკვეთს მას, როდესაც ღმერთი წარსტაცებს სულს?
- ⁹განა შეისმენს მის ღაღადს ღმერთი, როცა მას გასაჭირი ეწევა?
- ¹⁰ინეტარებს განა ყოვლადმღიერში და ღვთის ხსენებაში იქნება გამუდმებით?
- ¹¹მე თქვენ გასწავლით ღმერთის ხელის შესახებ, რაც ყოვლადმღიერთან არის, არ დავფარავ.
- ¹²აჰა, თქვენ ყველას ნანახი გაქვთ და მაშ რაღად ლაპარაკობთ ასე?
- ¹³ასეთია ურჯულო კაცის ხვედრი ღმერთთან, და მტარვალთა ხვედრი, ყოვლადმღიერისაგან რომ ერგებათ:
- ¹⁴თუ ვაჟები გაუმრავლდება, მხოლოდ მახვილისათვის, და მისი შთამომავალნი პურით ვერ გაძლებიან.
- ¹⁵მის შთამომავალს სიკვდილი დაასამარებს, და მათი ქვრივები ვერ დაიტირებენ მათ.
- ¹⁶თუნდაც მტვერით დააგროვოს ვერცხლი და თიხასავით დააგროვოს სამოსი,
- ¹⁷ის კი მოამზადებს, მაგრამ მართალი შეიმოსავს, ვერცხლი კი უდანაშაულოს ერგება წილად.
- ¹⁸ობობასავით იშენებს სახლს, და დარაჯივით იკეთებს ქოხს.
- ¹⁹წვება მდიდარი და არაფერი აკლია, თვალებს გაახელს და აღარაფერი აქვს.
- ²⁰დაატყდება საშინელებანი ნიაღვარივით, და ღამით გრიგალი გაიტაცებს მას.
- ²¹წაიღებს მას აღმოსავლეთის ქარი, და წარხვეტს მას მისი ადგილიდან.
- ²²და მოისვრის მას და არ შეიბრალებს. განა გაექცევა მის ხელს?
- ²³ხალხი ტაშს შემოჰკრავს მის გამო და სტვენას დაუწყებს მას თავისი ადგილიდან.

ოობი 28

- ¹ვერცხლს საბადო აქვს და ოქროს ადგილი, სადაც წმენდენ მას.



- ²რკინას მიწიდან იღებენ, სპილენძს კი მადნიდან ადნობენ.
- ³ზღვარი დაუდო ადამიანმა ბნელს და ქვეყნის კიდემდე ეძებს მადანს წყვდიადსა და ბნელში.
- ⁴გათხარა მადაროები ხეობაში, შორს, უკაცრიელ, მივიწყებულ ადგილებში. გამოკიდებულნი არიან მემადაროელები ხალხისგან შორს და ქანაობენ იქ.
- ⁵ხოლო მიწა – მისგან აღმოცენდება პური, მისი ქვეშეთი კი ამობრუნებულია, თითქოს ცეცხლისგან.
- ⁶მისი ქვეები საფირონის ადგილია და მისი მტვერი ოქროს შემცველია.
- ⁷ის გზა არ იცის არც ერთმა მტაცებელმა ფრინველმა, და შევარდნის თვალსაც არ დაუნახავს.
- ⁸ამაყ მხეცებს იქ ფეხი არ დაუდგამთ, ლომს მასზე არ გაუვლია.
- ⁹ადამიანი კაჟზე იწვდის ხელს, მთლიანად აყირავებს მთებს.
- ¹⁰კლდეებში არხები გაჰყავს და ყოველივე ძვირფასს სჭვრეტს მისი თვალი.
- ¹¹მდინარეთა დინებას აკავებს, და დამალული სინათლეზე გამოაქვს.
- ¹²მაგრამ სად მოიპოვება სიბრძნე? და სად არის გონების ადგილი?
- ¹³არ იცის მისი ფასი ადამიანმა, და ცოცხალთა ქვეყანაში არ მოიპოვება ის.
- ¹⁴უფსკრული ამბობს ‘ის ჩემში არ არის!’ და ზღვაც ამბობს: ‘ჩემთან არ არის!’
- ¹⁵არ გაიცვლება ხალას ოქროში, და არ აიწონება ვერცხლი მის საფასურად.
- ¹⁶არ შეფასდება ოფირის ოქროდ, არც ძვირფასი ონიქსითა და საფირონით.
- ¹⁷ვერ გაუსწორდება მას ოქრო და ბროლი, და ვერც ბაჯაღლოს ჭურჭელში გაიცვლება.
- ¹⁸მარჯანი და ბროლი არც არის სახსენებელი, სიბრძნის მოხვეჭა მარგალიტთა უმჯობესია.
- ¹⁹ვერ გაუსწორდება მას ქუშის ტოპაზი, ხალასი ოქროთი ვერ შეფასდება.
- ²⁰საიდან მოდის სიბრძნე? ან სად არის გონების ადგილი?
- ²¹იგი დამალულია ყოველი ცოცხალის თვალთაგან, და დაფარულია ცის ფრინველთაგან.
- ²²აბადონი და სიკვდილი ამბობენ: ‘ყური მოგვიკრავს მისთვის!’
- ²³ღმერთმა იცის მისი გზა და მან უწყის მისი ადგილი,
- ²⁴რადგან ის გაჰყურებს ქვეყნის კიდეებს, და ჭვრეტს მთელ ცისქვეშეთს.



- ²⁵როდესაც ქარს წონას უწესებდა იგი და წყალს საწყაოთი წყავდა,
²⁶როდესაც წვიმას წესს უდებდა და მეხისცემას – გზა-სავალს,
²⁷მაშინ იხილა იგი და გამოაცხადა, დაადგინა და გამოიკვლია,
²⁸და უთხრა ადამიანს: ‘ჭეშმარიტად, უფლის შიშია სიბრძნე და
 ბოროტისაგან განრიდებაა გონიერება.’“

იოზი 29

- ¹და განაგრძო იოზმა თავისი სათქმელი და თქვა:
²„ნეტავ ისე ვიყო, როგორც წარსულ თვეებში, როგორც იმ დღეებში, როცა
 მიცავდა ღმერთი;
³როცა მისი ლამპარი თავს დამნათოდა, და მის შუქზე ბნელში ვიკვლევდი
 გზას.
⁴როგორც ვიყავი ჩემი შემოდგომის დღეებში, როცა ღვთის მეგობრობა ადგა
 ჩემს კარავს;
⁵როცა ჯერ კიდევ ჩემთან იყო ყოვლადძლიერი, და გარს ჩემი შვილები
 მეხვივნენ;
⁶როცა ჩემს ტერფებს რძეში ვიბანდი, და კლდე ღვარად აღენდა ჩემთვის
 ზეთის ნაკადებს;
⁷როდესაც გავდიოდი ქალაქის კარიბჭესთან, ვემზადებოდი მოედანზე
 დასაჯდომად,
⁸დამინახავდნენ ჭაბუკები და იმალებოდნენ, ხოლო მოხუცები
 წამოდგებოდნენ და ფეხზე იდგნენ;
⁹მთავარნი თავს იკავებდნენ სიტყვის თქმისაგან და პირზე ხელს
 იფარებდნენ;
¹⁰დიდებულებს ხმა უწყდებოდათ და სასაზე ეკვროდათ ენა.
¹¹ყური მისმენდა და ნეტარად მრაცხდა, თვალი მხედავდა და მემოწმებოდა,
¹²რადგან ვიხსნიდი ლატაკს, შველას რომ ითხოვდა, და ობოლს, შემწე რომ
 არ ჰყავდა.
¹³კურთხევა განწირულისა ჩემზე მოდიოდა, და ქვრივის გულს ვახარებდი.
¹⁴სიმართლით შევიმოსე და მან შემმოსა; მოსასხამივით და
 თავსაკვრელივით იყო ჩემი სამართალი.
¹⁵ბრმისათვის თვალები ვიყავი, და კოჭლისთვის – ფეხები;



- ¹⁶გლახაკისთვის მამა ვიყავი; და ჩემთვის უცნობი საქმეს ვიძიებდი.
- ¹⁷უკეთური კაცისთვის ყბები დამილეწავს, და მოტაცებული კბილებიდან გამომიგლეჯია.
- ¹⁸მაშინ ვფიქრობდი: ‘ჩემს საბუდარში მოვკვდები და ქვიშასავით იმრავლებენ ჩემი დღეები.
- ¹⁹ჩემი ფესვი გადგმულია წყლებისაკენ და ცვარი ათევს ღამეს ჩემს რტოებზე.
- ²⁰ჩემი დიდება კვლავ აღდგება და ხელში მშვილდი განმიახლდება.’
- ²¹მისმენდნენ და მელოდნენ, და ჩემს რჩევაზე დუმდნენ;
- ²²ჩემი სიტყვის შემდეგ აღარაფერს ამბობდნენ, და მათზე ეწვეთებოდა ჩემი ნათქვამი;
- ²³წვიმასავით მელოდნენ, და როგორც გაზაფხულის წვიმას, პირს მიშვერდნენ;
- ²⁴გავუღიმებდი და არ სჯეროდათ, და ჩემი სახის ნათელი არ მოუქუფრავთ.
- ²⁵გზას ვურჩევდი მათ და მთავრად ვიჯექი; და ვიყავი, როგორც მეფე ლაშქარში, როგორც მგლოვიარეთა ნუგეშისმცემელი!

იოზი 30

- ¹ახლა კი დამცინიან ჩემზე უმცროსები, რომელთა მამებსაც ჩემი ფარის ძაღლებშიც კი არ გავრევდი.
- ²რისთვის მინდა მათი ხელების ძალა? ძაღგამოცლილები,
- ³სიდუხჭირითა და შიმშილით ღონემიხდილნი გარბიან გვალვიან ტრამალებში, უდაბნოსა და ხრიოკებში.
- ⁴მწარე ბალახებს წიწკნიან ჯაგებთან და წნორნარის ფესვი მათი პურია.
- ⁵ხალხიდან აძევებენ მათ, და როგორც ქურდს, ისე მიჰკივიან;
- ⁶აწყდებიან ხევ-ხუვებს, მიწის მღვიმეებს და კლდის ნაპრალებს.
- ⁷ბუჩქებს შორის ყროყინებენ სახედრებივით, ჯაგნარებში შეყუჟულან, –
- ⁸მენი უგუნურთა და მენი უსახელოთა, ქვეყნიდან განდევნილნი.
- ⁹ახლა კი გავხდი მათი სამღერელი და მათი საანდაზო.
- ¹⁰მიზიზღებენ, გამირბიან და ჩემი სახის წინ ფურთხს არ ზოგავენ.
- ¹¹რადგან მან ახსნა ჩემი საბელი, პირწინ დამიგდეს ჩემი აღვირი.



- ¹²მარჯვნივ ბრბო აღმიდგა, ფეხი დამიბრკოლეს, ჩემს წინააღმდეგ წარმართეს თავიანთი დამღუპველი გზები.
- ¹³მათ აანგრეს ჩემი ბილიკი, სარგებლობენ ჩემი უიღბლობით, და არავინ აკავებს მათ.
- ¹⁴როგორც ფართე მოედანზე, ისე მოექანებიან ქარიშახლივით.
- ¹⁵საშინელებანი დამატყდა თავს, ქარივით მიქრის ჩემი დიდება და ღრუბელივით გადავიდა ჩემი კეთილდღეობა.
- ¹⁶აწ ჩემში დაიღვარა ჩემი სული, ჩამიგდეს ხელში გაჭირვების დღეებმა.
- ¹⁷დამ-დამობით ძვლები მტეხავს, და ტკივილი, მე რომ მწიწკნის, არ მიამდება.
- ¹⁸ტანჯვით ვიხდი სამოსს, კვართის საყელოსავით მიჭერს.
- ¹⁹მისროლა ლაფში და დავემსგავსე მტვერსა და ნაცარს.
- ²⁰შველას გთხოვ და პასუხს არ მაძლევ. მე ვდგავარ და შენ თვალს არ მაცილებ.
- ²¹სასტიკი გახდი ჩემს მიმართ, და მდევნი მე შენი ხელის ძალით.
- ²²ქარზე შემომსვამ, მაიძულებ, გავინავარდო. მაცამტვერებ ქარის ღრიალში,
- ²³ასეა, ვიცი, სიკვდილისკენ წამიყვან, ყოველი ცოცხალის შესაკრებელი სახლისკენ.
- ²⁴წანგრევებში მყოფს ხელს არვინ უწვდის, დაღუპვის პირას ვინც ითხოვს შველას.
- ²⁵განა არ მიტირია ბედშავზე? სული არ შემწუხებია გაჭირვებულზე?
- ²⁶მაგრამ როდესაც სიკეთის იმედი მქონდა, ბოროტება მეწია, ნათელს ველოდი და ბნელი მეწია,
- ²⁷გულ-ღვიძლი მიდულს და არ ცხრება: ტანჯვა-წამების დღეები დამიდგა.
- ²⁸ჩაშავებული დავიარები, უმზეოდ; კრებულში ვდგავარ და შველას ვითხოვ.
- ²⁹ტურებს ძმად გავუხდი და მეგობრად სირაქლეებს.
- ³⁰კანი გამიშავდა და ძვლები მივარვარებს სიცხისაგან.
- ³¹გოდებად იქცა ჩემი ქნარი, და მოტირალთა ხმად – ჩემი სალამური.

ოობი 31



- ¹აღთქმა დავუდე ჩემს თვალებს, რომ ქალწულს არ შევხედავდი.
- ²და რა არის ჩემი წილხვედრი მაღლიდან ღმერთისაგან, ან სამკვიდრო ყოვლადმღიერისაგან ზესკნელიდან?
- ³განა დაღუპვა უკეთურისათვის არ არის, და ავბედობა ბოროტმოქმედთათვის?
- ⁴განა არ ხედავს ის ჩემს გზებს, და არ ითვლის ჩემს ყოველ ნაბიჯს?
- ⁵თუ სიცრუით მევლოს და სამზაკვროდ ამჩქარებოდეს ფეხი,
- ⁶ამწონოს მე მართალ სასწოროზე და გაიგოს ღმერთმა ჩემი უმწიკვლობა.
- ⁷თუ გზიდან გადაეხვიოს ჩემს ტერფს, ან თვალებს აჰყოლოდეს ჩემი გული, და ბიწი მოსცხებოდეს ჩემს ხელებს,
- ⁸მაშინ, დაე, მე ვთესო და სხვამ ჭამოს, და ამოიძირკვოს ჩემი მონაგარი.
- ⁹თუ ჩემი გული ოდესმე ცდუნებულიყოს დედაკაცისაგან, და ჩემი მოყვასის კართან მეთვალთვალოს,
- ¹⁰მაშინ სხვას უფქვას ჩემმა ცოლმა, და სხვებმა ჩაიმუხლონ მასზე.
- ¹¹რადგან ეს მრუმობაა და დასასჯელი დანაშაული.
- ¹²რადგან ეს ცეცხლი იქნებოდა აბადონამდე შთამნთქმელი, და ძირამდე დასწვავდა მთელ ჩემს მოსავალს.
- ¹³თუ ოდესმე ჩემი მსახურისა და მხევლისთვის სამართალზე უარი მეთქვას, როცა დავა ჰქონიათ ჩემთან,
- ¹⁴მაშინ რას ვიზამ, როცა ღმერთი აღდგება? როცა მომკითხავს, რა პასუხს გავცემ?
- ¹⁵განა მან, ვინც დედის მუცელში შემქმნა, მანვე არ შექმნა ისინი? განა ჩვენ ერთმა ღმერთმა არ გამოგვსახა საშოში?
- ¹⁶თუ ოდესმე უარი მეთქვას ღატაკთა სათხოვარზე, ან ქვრივის თვალები გამეწილებინოს,
- ¹⁷ან თუ ჩემი პურის ლუკმა მარტოს მეჭამოს და ობლისათვის არ გამეყოს, –
- ¹⁸მისი ყრმობიდანვე ისე იზრდებოდა ის ჩემთან, როგორც მამასთან, და დედის მუცლიდანვე ვიცავდი ქვრივს;
- ¹⁹თუ მენახოს უსამოსლობით სიკვდილის პირას, ან გლახაკი უმოსასხამოდ,
- ²⁰და მის საზარდულს არ დაველოცე და არ გამთბარიყო ჩემი ცხვრის მატყლით,



- ²¹თუ ობოლზე ხელი აღმემართოს, როცა კარიბჭესთან მცველებს ვხედავდი,
- ²²მაშინ ზურგს მოსწყდეს ჩემი მხარი და მკლავი იდაყვში გადამიტყდეს!
- ²³რადგან მაშინებს ღვთის რისხვა და მის სიმძიმეს ვერ გავუძლებ.
- ²⁴განა მიმიჩნევია ოქრო საიმედოდ, ან ბაჯალლო ოქრო ხსნად დამისახავს?
- ²⁵განა გამიხარია იმით, რომ დიდძალი სიმდიდრე მაქვს? რომ ჩემმა ხელმა ბევრი მოიხვეჭა?
- ²⁶რომ დამენახა მზე ან მთვარე დიდებულად მოარული,
- ²⁷და იდუმალ ცდუნებულებო ჩემი გული და ჩემს ბაგეებს ჩემი ხელისთვის ეკოცნათ,
- ²⁸ესეც განსასჯელი დანაშაული იქნებოდა, რადგანაც მაღალი ღმერთის უარყოფელი ვიქნებოდი.
- ²⁹განა გამხარებია ჩემი მოძულის უბედურება? ან მიზეზია მის ცუდ ამბავზე?
- ³⁰არ ჩამიდენინებია ცოდვა ჩემი სასისთვის, და წყევლით არ მითხოვია დაღუპვა მისი სულისა.
- ³¹განა არ უთქვამთ ჩემი კარვის კაცებს: ‘ვინ არ გამძღარა მისი ხორცი?’
- ³²მწირს გარეთ არ გაუთევია, კარი ღია მქონდა მგზავრისთვის.
- ³³განა დამიფარავს ჩემი დანაშაული ადამივით, უბეში შემემალა ჩემი შეცოდება?
- ³⁴მაშინ შემაკრთობდა ხალხის სიმრავლე და საგვარეულოს გაკიცხვა შემაშინებდა, დავდუმდებოდი და გარეთ არ გავიდოდი.
- ³⁵ნეტავ ვინმე მომისმენდეს! აჰა, ესაა ჩემი ნიშანი! ყოვლადმღიერმა პასუხი გამცეს! ნეტავ საჩივრის წიგნი მომცა, ჩემი მოშუღლის ხელით ნაწერი!
- ³⁶მაშინ მე ზურგით ვატარებდი მას, გვირგვინივით შემოვიხვევდი,
- ³⁷მოვახსენებდი ჩემს ყოველ ნაბიჯს, და როგორც მთავარს, ისე ვეახლებოდი.
- ³⁸თუ ჩემზე ჩემს მიწას დაუჩივლია და ხნულები ატირებულიყვნენ,
- ³⁹თუ მუქთად მიაჭამი მისი მოსავალი ან მის მეპატრონეთა სული შემიწუხებია,
- ⁴⁰მაშინ ნაცვლად ხორბლისა ძეძვი ამოვიდეს, და ნაცვლად ქერისა – ღვარძლი!“ ამით დასრულდა იოხის სიტყვები.



იოზი 32

- ¹და შეწყვიტა სამმა კაცმა იოზისათვის პასუხის გაცემა, რადგან მართალი იყო იგი თავის თვალში.
- ²მაშინ განრისხდა ელიჰუ, ბუზელი ბარაქელის ძე, რამის საგვარეულოდან. განრისხდა იოზზე იმის გამო, რომ მან თავი ღმერთზე მართლად ჩათვალა.
- ³ხოლო თავის სამ მეგობარზე ის იმის გამო განრისხდა, რომ თუმცა საპასუხო ვერ უპოვნეს, მაგრამ მაინც იოზი გაამტყუნეს.
- ⁴ელიჰუ იცდიდა, რომ იოზს დალაპარაკებოდა, რადგან ყველანი მასზე უფროსები იყვნენ წლებით.
- ⁵რაკი დაინახა ელიჰუმ, რომ ამ სამი კაცის პირს პასუხი არ ჰქონდა, განრისხდა.
- ⁶და მიმართა ელიჰუმ, ბუზელი ბარაქელის ძემ, და უთხრა: „წლებით მე უმცროსი ვარ, თქვენ კი მოხუცებულნი; ამიტომ მერიდებოდა და მეშინოდა, რომ ჩემი აზრი თქვენთვის მომეხსენებინა.
- ⁷მე ვთქვი: დღეებმა უნდა ილაპარაკონ და სიბრძნე წელთა სიმრავლემ უნდა ასწავლოს-მეთქი.
- ⁸მაგრამ კაცში იმყოფება სული, და სუნთქვა ყოვლადძლიერისა მას აგონიერებს.
- ⁹დღეგრძელნი ყოველთვის როდი არიან ბრძენნი, და მხოლოდ უხუცესნი როდი ხვდებიან სამართალს.
- ¹⁰ამიტომ ვამბობ: მისმინეთ, რათა მეც ვთქვა ჩემი აზრი.
- ¹¹ვუცდიდი მე თქვენს სიტყვებს, ყურს ვუგდებდი თქვენს მსჯელობას, როცა სათქმელს ეძებდით.
- ¹²გაკვირდებოდით თქვენ, და აჰა, არ იყო თქვენს შორის მამხილებელი, პასუხი რომ მიეგო იოზისთვის.
- ¹³ნუ იტყვით: ‘სიბრძნე ვიპოვეთ, ღმერთი მოიგერიებს მას და არა კაცი.’
- ¹⁴არ მოუმართავს მას ჩემს წინააღმდეგ სიტყვები, და არც მე მივმართავ მას თქვენი სიტყვებით.
- ¹⁵სასო წარეკვეთათ, ვეღარ უპასუხეს, დაელიათ სიტყვები;
- ¹⁶უნდა ველოდო, რადგან შეწყვიტეს ლაპარაკი, რაკი დადგნენ და აღარ პასუხობენ?
- ¹⁷გავცემ მეც ჩემს წილ პასუხს, მეც გამოვთქვამ ჩემს აზრს.



- ¹⁸რადგან სავსე ვარ სიტყვებით, სული შიგნიდან მაწვება.
- ¹⁹აჰა, ჩემი შინაგანი მაჭარივითაა, რომელსაც თავი დაუცეს და ხეთქავს ახალ ტიკს.
- ²⁰ვილაპარაკებ, რომ სული მოვითქვა: გავხსნი ბაგეებს და ვუპასუხებ.
- ²¹პირფერობას არ დავუწყებ კაცს, და ადამიანს არ ვემლიქვნელები.
- ²²რადგან მე მლიქვნელობა არ ვიცი – უმაღლეს ჩემმა გამჩენმა წამიყვანოს!

იოზი 33

- ¹ახლა კი ისმინე, იოზ, ჩემი ნათქვამი და ყური მიუგდე ჩემს ყოველ სიტყვას.
- ²აჰა, ვხსნი ბაგეებს, ლაპარაკობს ჩემი ენა ჩემს სასაში.
- ³ჩემი გულის სიწრფოებაა ჩემი სიტყვები, ჩემს ბაგეთა ცოდნას ნათლად გადმოსცემენ ისინი.
- ⁴ღვთის სულმა შემქმნა და ყოვლადმღიერის სუნთქვა მასულდგმულებს.
- ⁵თუ შეგიძლია, მიპასუხე: დაალაგე სიტყვები და დაიცავი თავი.
- ⁶აჰა, მეც შენისთანა ვყავარ ღმერთს, მეც თიხისგან ვარ გამოძერწილი.
- ⁷აჰა, ჩემმა შიშმა არ უნდა შეგაძრწუნოს, და არც ჩემმა ხელმა უნდა დაგამძიმოს.
- ⁸აკი ასმენდი შენ ჩემს ყურს და მე გავიგონე შენი სიტყვების ხმა:
- ⁹‘სუფთა ვარ მე და უცოდველი, უმწიკვლო ვარ და არა მაქვს ბრალი.
- ¹⁰აჰა, საბაბი მინახა, თავის მტრად შემრაცხა.
- ¹¹ხუნდებში მაყოფინებს ფეხებს, და ჩემს ყოველ გზას უთვალთვალეს!’
- ¹²აი, ამაში არა ხარ მართალი, მე გპასუხობ, რომ კაცზე დიდია ღმერთი.
- ¹³რად ედავები მას? ის პასუხს არ აგებს თავის ნამოქმედარზე.
- ¹⁴ერთხელ იტყვის ღმერთი, და, თუ ვერავინ შენიშნა, მეორედაც.
- ¹⁵სიზმარში, ღამეულ ხილვაში, როცა ადამიანებს ძილქუში ეცემათ, როცა თავიანთ საწოლზე თვლებმენ,
- ¹⁶მაშინ ხსნის იგი ადამიანთა ყურს და ბეჭედს უსვამს მათთვის შეგონებას,
- ¹⁷რომ აარიდოს ადამიანი უკეთურ საქმეს, და დაიფაროს კაცი ამპარტავნებისაგან;



¹⁸რომ იხსნას მისი სული შავეთისაგან, და მისი სიცოცხლე – მახვილით დაღუპვისაგან.

¹⁹კაცი სატკივრით ისჯება თავის საწოლზე, დაუამებელი ტკივილით მისი ძვლებისა;

²⁰შესძაგდება მის სიცოცხლის პური და მის სულს – საყვარელი საჭმელი.

²¹გაქრება მისი ხორცი, უხილავი გახდება, და ამოასხდებიან ძვლები, რომელნიც არ ჩანდნენ.

²²და მიაწევს მისი სული ხარომდე და მისი სიცოცხლე – სიკვდილის წლებამდე.

²³მაშინ, თუ ჰყავს მას მეოხი ანგელოზი, ათასში ერთი, რომ განაცხადოს ადამიანის სიალალმართლე,

²⁴შეიწყალებს მას და იტყვის: ‘იხსენი იგი, დაიფარე იგი საფლავში ჩასვლისაგან. მისთვის ნაპოვნი მაქვს გამოსასყიდი!’

²⁵მაშინ მისი ხორცი სიჭაბუკის დროინდელზე მეტად განახლდება, მისი სიყმაწვილის დღეები დაუბრუნდება.

²⁶ილოცებს ღმერთის მიმართ და ისიც შეიწყალებს, და სიხარულით შეხედავს მის სახეს, და დაუბრუნებს კაცს მის სიმართლეს.

²⁷იგი იმღერებს კაცთა წინაშე და იტყვის: ‘ვცოდე მე და სწორი გავამრუდე, მაგრამ არ მომეგო საკადრისად.

²⁸მან გამოისყიდა ჩემი სული ხაროში ჩასვლისგან, და ჩემი სიცოცხლე ნათელს იხილავს,’

²⁹აჰა, ყოველივე ამას ღმერთი ორგზის, სამგზის უკეთებს ადამიანს,

³⁰რათა დააბრუნოს მისი სული ხაროდან, და გაანათლოს სიცოცხლის ნათელით.

³¹გამიგონე, იოზ, ისმინე ჩემი, დადუმდი და მე ვილაპარაკებ.

³²თუ სათქმელი გაქვს, მიპასუხე, ილაპარაკე, რადგან შენი გამართლება მწადია;

³³თუ არა და, ისმინე ჩემი, დადუმდი, და მე გასწავლი სიბრძნეს.“

იოზი 34

¹და განაგრძო ელიჰუმ და თქვა:

²„ისმინეთ, ბრძენნო, ჩემი სიტყვები, მცოდნენო, ყური დამიგდეთ!



- ³რადგან ყური გამოცდის სიტყვებს, როგორც სასა გემოს უგებს საკვებს.
- ⁴ავირჩიოთ, რაც სამართლიანია. ჩვენს შორის გავარკვიოთ, რა არის კეთილი.
- ⁵რადგან იობმა თქვა: ‘მართალი ვარ და ღმერთმა წამართვა ჩემი სამართალი.
- ⁶ტყუილი ვთქვა ჩემს სამართალზე? მოუშუშებელია ჩემი იარა, თუმცა უდანაშაულო ვარ!’
- ⁷ვინ არის იობის მსგავსი კაცი, დაცინვას წყალივით რომ სვამდეს?
- ⁸ავისმოქმედთა გუნდს რომ მისდევდეს? და უკეთურ ხალხთან იაროს?
- ⁹რადგან მან თქვა: ‘არაფრად არგია კაცს, რომ ღმერთს აამოს.’
- ¹⁰ამიტომ ისმინეთ ჩემი, გულისხმიერნო კაცნო! შორს არის ღმერთი ბოროტებისაგან და ყოვლადმღიერი უსამართლობისაგან!
- ¹¹რადგან საქმისამებრ მიუზღავს ადამიანს, და კაცს მისი გზისამებრ მიაგებს.
- ¹²ქეშმარიტად, ღმერთი არ იქმნ ბოროტს და ყოვლადმღიერი არ ამრუდებს სამართალს!
- ¹³ვინ ჩააბარა მას მიწა? ან ვინ მიანდო მას მთელი სამყარო?
- ¹⁴თუ თავისკენ მიაპყრობს თავის გულისყურს, უკანვე წაიღებს თავის სულსა და სუნთქვას,
- ¹⁵ერთიანად გაწყდება ყოველი ხორციელი და ადამიანი მტვრად მიიქცევა.
- ¹⁶თუ შეგიძლია, ისმინე ეს, ყური უგდე ჩემი სიტყვების ჩქამს!
- ¹⁷ნუთუ სამართლის მოძულე იგანმგებლებს? და ნუთუ ბრალს დასდებ ძალმოსილ მართალს?
- ¹⁸ვინ ეუბნება მეფეს: ‘არამზადავ!’ და დიდგვაროვანს: ‘უკეთურო!’;
- ¹⁹ვინ არ მიჰკერძავს მთავრებს და მდიდარს ღარიბზე მეტად არ მიიჩნევს, რადგან ყველანი მის ხელთა ქმნილებანი არიან?
- ²⁰ერთ წამში იხოცებიან ისინი; შუალამისას ტორტმანებს ხალხი და ილუპება, და წაიყვანენ და მოაშორებენ ძლიერს კაცის ხელის გარეშე,
- ²¹რადგან მისი თვალები ადამიანის გზებს დასცქერის და ხედავს მის ყოველ ნაბიჯს.
- ²²არ არსებობს არც ბნელი და არც წყვდიადი, სადაც დაიმალებოდა ავისმოქმედი;



- ²³რადგან იგი არ უწესებს კაცს ვადას ღმერთთან სამსჯავროზე მისასვლელად.
- ²⁴ის მუსრავს ძლიერთ განუკითხავად და სხვებს აყენებს მათ ნაცვლად,
- ²⁵რადგან იცის მათი ნამოქმედარი. ღამით დაამხოვს მათ და შეიმუსრებიან;
- ²⁶უკეთურთ დალაზვრავს სხვათა თვალთა წინ.
- ²⁷რადგან განუდგნენ მას და არ შეიმეცნეს მისი გზები.
- ²⁸მასთან მივიდა ღატაკთა ღაღადი, და დაჩაგრულთა ღაღადი მისწვდა მას.
- ²⁹როცა ის დუმს, ვინ არის მისი ბრალმდებელი? როცა სახეს იფარავს, ვინ არის მისი მხილველი? იქნება ეს ერი, თუ ერთი კაცი? –
- ³⁰რათა არ იმეფოს უღვთო ადამიანმა, ხალხის მახეში გამბმელმა.
- ³¹ვინმეს თუ უთქვამს ღმერთისათვის: ‘მე მოვიხადე სასჯელი, აღარ შევცოდავ,
- ³²შენ მასწავლე, რასაც ვერ ვხედავ. თუ უკეთურება ჩამიდენია, მეტს აღარ ვიზამ’.
- ³³განა შენი განსჯით უნდა მიუზღავდეს იგი, რადგან შენ მას ეწინააღმდეგები? შენ უნდა აირჩიო და არა მე. მაშ თქვი, რაც იცი.
- ³⁴მეტყვიან გულისხმიერი კაცები და ბრძენნი, მე რომ მისმენენ:
- ³⁵‘უაზროდ ლაპარაკობს იობი და მის სიტყვებს გონიერება აკლია.’
- ³⁶ერთი ბოლომდე გამოიცდებოდეს იობი, ავკაცთა მსგავსად რომ პასუხობს!
- ³⁷რადგან თავის ცოდვას უმატებს ამბოხს, ხელს ხელზე შემოჰკრავს ჩვენს შორის და სიტყვას ამრავლებს ღვთის წინააღმდეგ!’“

იობი 35

- ¹განაგრძო ელიჰუმ და თქვა:
- ²„ნუთუ სამართლიანად მიგაჩნია, რომ ამბობ: ‘ღმერთზე მართალი ვარ?’
- ³რომ ამბობ: ‘რას მარგებს, რას მომიტანს ჩემი უცოდველობა?’
- ⁴მე გიპასუხებ შენ და შენს მეგობრებსაც, შენთან ერთად რომ არიან:
- ⁵ახედე ზეცას და იხილე, შეხედე ღრუბლებს – ისინი შენზე მაღლაა.
- ⁶თუ შენ შესცოდე, რას დაუშავებ ამით მას? თუ შენს დანაშაულს გაამრავლებ, ამით რას უზამ მას?



- ⁷თუ შენ მართალი ხარ, რას შემატებ მას? ან რას მიიღებს შენი ხელიდან?
- ⁸მხოლოდ შენისთანა კაცზე მოქმედებს შენი უკეთურება, და ადამის ძეზე – შენი სიმართლე.
- ⁹ბევრი ჩაგვრისაგან ღაღადებს ხალხი, შველას ითხოვენ ძლიერის მკლავიდან.
- ¹⁰და არავინ ამბობს: ‘სად არის ღმერთი, ჩემი გამჩენი, ძალის მომძღვნელი ღამით,
- ¹¹რომელიც გვწვრთნის ჩვენ მიწის მხეცებზე მეტად, და განგვაბრძნობს ჩვენ ცის ფრინველებზე მეტად?’
- ¹²ღაღადებენ იქ ისინი და ის პასუხს არ სცემს, ავკაცთა ამპარტავნების გამო.
- ¹³ნამდვილად, ამოღა ღაღადს არ შეისმენს ღმერთი და ყოვლადძლიერი არ მოხედავს მას.
- ¹⁴თუმცა შენ ამბობ, რომ ვერ ხედავ მას, მაგრამ საკითხი მის წინაშეა, დაელოდე მას.
- ¹⁵და ახლა, რაკი მისი რისხვა არ სჯის, და ყურადღებას არ აქცევს სისულელეს,
- ¹⁶ამოდ ხსნის ბაგეს იოზი, და უაზროდ ხარჯავს სიტყვებს.“

იოზი 36

- ¹და განაგრძო ელიჰუმ და თქვა:
- ²„ცოტა დამაცადე და გაჩვენებ, რადგან კიდევ არის ღმერთის სახელით სათქმელი სიტყვები.
- ³შორიდან წამოვიღებ ჩემს აზრს და ჩემს გამჩენს მივაგებ სიმართლეს,
- ⁴რადგან ნამდვილად არ არის ცრუ ჩემი სიტყვები, ცოდნაში სრული შენს წინაშეა.
- ⁵აჰა, ძლიერია ღმერთი, და არავინ სძულს. ის სიბრძნის ძალითაა ძლიერი.
- ⁶იგი ცოცხალს არ გაუშვებს უკეთურს, და ჩაგრულთ მიაგებს სამართალს;
- ⁷თვალს არ აშორებს თავის მართალს და მეფეებთან ერთად ტახტზე სვამს სამარადისოდ, და აღზევდებიან ისინი.
- ⁸და თუ მათ ბორკილები ადევთ და ტანჯვის საკვრელით არიან შეკრულნი,
- ⁹განუცხადებს მათ თავიანთ ნამოქმედარს და დანაშაულს, რადგან გაამპარტავანდნენ ისინი.



- ¹⁰გაუხსნის მათ ყურებს შეგონებისთვის და ეტყვის, რათა სიავისგან უკუმოიქცნენ.
- ¹¹თუ შეისმენენ და დაემორჩილებიან, დღეებს სიკეთეში დაასრულებენ და წლებს – ნეტარებაში.
- ¹²ხოლო თუ არ შეისმენენ, მახვილით დაეცემიან და უგუნურებაში ამოხდებათ სული.
- ¹³გულმრუდნი აღძრავენ რისხვას, შველას არ ითხოვენ მისგან, როდესაც ბორკილს ადებს მათ.
- ¹⁴სიჭაბუკეშივე კვდება მათი სული, და მათი სიცოცხლე თავდება სირცხვილში.
- ¹⁵ის იხსნის ტანჯულს მისივე ტანჯვით, და დათრგუნვის ჟამს უხსნის მას ყურებს.
- ¹⁶და შენც გამოგიყვანდა შეჭირვების პირიდან სიფართოვეში, სადაც არაა სივიწროვე, და შენი სუფრაც სავსე იქნებოდა ცხიმით.
- ¹⁷შენ კი სავსე ხარ უკეთურთა სასჯელით, მსჯავრი და სამართალი დაგაცხრა შენ.
- ¹⁸ფრთხილად იყავი, გულისწყრომამ სასაცილო არ გაგხადოს, დიდმა გამოსასყიდმა არ გადაგხაროს.
- ¹⁹ყვირილი გიშველის განა გასაჭირში, ან მთელი შენი ძალისხმევა?
- ²⁰ნუ ინატრებ იმ ღამეს, როცა ხალხები აიყრებიან თავიანთი ადგილებიდან,
- ²¹იფრთხილე, არ მოიქცე ავკაცობისკენ, რადგან ამით სატანჯველს ირჩევ.
- ²²აჰა, ღმერთი მაღალია თავისი ძლიერებით, ვინ არის მისი მსგავსი მოძღვარი?
- ²³ვის დაუწესებია მისთვის გზა და ვის უთქვამს: ‘უკეთურება გაქვს ჩადენილი?’
- ²⁴გახსოვდეს, რომ უნდა ადიდო მისი საქმენი, რომელთაც ხალხი უგალობს.
- ²⁵ყველა ადამიანს უნახავს ისინი, კაცი შორიდანვე ამჩნევს მათ.
- ²⁶აჰა, მაღალია ღმერთი და ვერ შევიცნობთ მას, მის წელთა რიცხვი აურაცხელია.
- ²⁷ის აკავებს წყლის წვეთებს, და ისინი ნისლიდან ასხურებენ წვიმას,
- ²⁸ღრუბლები ღვრიან მას, უხვად ესხურება ადამიანს.



²⁹თუ მიხვდება ვინმე ღრუბლების განფენილობას, მისი კარვის ჭექა-ქუხილს?

³⁰აჰა, ის განფენს მასზე თავის ელვას, დაფარავს იგი ზღვის ფესვებს,

³¹რადგან ამით მართავს ხალხებს, უხვად იძლევა საზრდოს.

³²ხელებს ელვით იფარავს, უბრძანებს მას სამიზნისაკენ.

³³მისი ქუხილი ამას იუწყება, და ჯოგიც გრძნობს წინასწარ გრიგალის ამოვარდნას.

იოზი 37

¹ესეც აძრწოლებს ჩემს გულს, და ამოვარდა თავისი ბუდიდან.

²მოსმენით ისმინეთ მისი გრგვინვის ხმა და გუგუნი, მისი პირიდან გამომავალი.

³მთელ ცისქვეშეთში აჭექებს მას და მისი ელვა ქვეყნიერების კიდეებს სწვდება.

⁴ამის შემდეგ მისი ხმა დაიჭექებს, დაიქუხებს დიდებულ ხმაზე, და არა წყვეტს ელვას, როცა ისმის მისი ხმა.

⁵გრგვინავს ღმერთი თავის საკვირველ ხმაზე, იქმს დიად საქმეებს, რომელთა შეცნობაც ჩვენ არ შეგვიძლია.

⁶რადგან თოვლს ეუბნება: ‘დაეფინე მიწას!’ და უბრძანებს წვიმის თქემსა და ძლიერ თავსხმას.

⁷იგი ბეჭდავს ყოველი ადამიანის ხელს, რათა იცოდეს ყველა კაცმა მისი საქმენი.

⁸მხეცი საფარველში მიდის და თავის ბუნაგში ივანებს.

⁹სამხრეთიდან გამოდის გრიგალი და ჩრდილოეთიდან – ყინვა.

¹⁰ღვთის სუნთქვა იძლევა ყინულს, და წყალთა სივრცე იყინება.

¹¹იგი სინოტივით ავსებს ქუფრ ღრუბელს, ღრუბელი ფანტავს მის ელვას.

¹²ისინი იცვლიან მიმართულებას, ბრუნავენ მისი განგებით, რათა აღასრულონ ყოველი მისი ბრძანება მთელ ქვეყნიერებაზე.

¹³ან დასასჯელად, ან თავისი ქვეყნისთვის, ან წყალობისათვის გამოაჩენს მას.

¹⁴ყურად იღე ეს, იოზ, დადექ და დააკვირდი ღვთის სასწაულებს.



- ¹⁵იცი, როგორ განაგებს მათ ღმერთი, და როგორ გამოასხივებს ელვას თავისი ღრუბლიდან?
- ¹⁶იცი ქუფრ ღრუბელთა განფენილობის ამბავი, და სასწაულები, რომელთაც იქმს ცოდნაში სრული?
- ¹⁷რა ახურებს შენს სამოსს, როცა ქვეყანა ირინდება სამხრეთის ქარში?
- ¹⁸შეგიძლია განფინო ცანი მასავით, მტკიცე, სარკესავით ჩამოსხმული?
- ¹⁹გვასწავლე, რა ვუთხრათ მას? ვერაფერს ვაწყობთ სიბნელის გამო.
- ²⁰მოხსენდება მას, რომ მე ვლაპარაკობ? ვინმე გაბედავს და მოინდომებს მისგან შთანთქმას?
- ²¹ახლა ვერავინ ხედავს ნათელს, ცათა შინა მოკაშკაშეს, მაგრამ როცა ქარი გადაივლის, გააკრიალებს მათ.
- ²²ჩრდილოეთიდან მოდის ოქროს ციალი. ღმერთის ირგვლივ საზარელი ბრწყინვალებაა.
- ²³ყოვლადძლიერი! ვერ ვწვდებით მას. დიდია ის ძალით; თავისი მსჯავრით და დიადი სიმართლეთ ის არავის ჩაგრავს.
- ²⁴ამიტომ ეშინიათ მისი ადამიანებს; ზედ არ უყურებს მათ, ვისაც თავი ბრძენი ჰგონია.“

იოზი 38

- ¹მაშინ მიუგო უფალმა იოზს ქარიშხლიდან და უთხრა:
- ²„ვინ არის ეს, უგუნური სიტყვებით განგებას რომ აბნელებს, იმ საგნებზე რომ ლაპარაკობს, რაც არ ესმის?
- ³წელი შემოისარტყლე ვაჟკაცურად, მე შეგეკითხები და შენ პასუხი გამეცი:
- ⁴სად იყავი, დედამიწას რომ ვაფუძნებდი? მითხარი, თუ გაქვს გაგება,
- ⁵ვინ დაადგინა მისი ზომები, თუ იცი? ან ვინ გადაჭიმა მასზე ლარი?
- ⁶რაზე დგას მისი საძირკველი? ან ვინ დადო მისი ქვაკუთხედი,
- ⁷როცა გალობდნენ დილის ვარსკვლავები, და ღვთის ძენი ყიჟინებდნენ?
- ⁸ვინ ჩაუკეტა ზღვას კარიბჭენი, როცა ამოხეთქა, როგორც საშოდან?
- ⁹როცა ღრუბელი მივეცი მას სამოსად და წყვდიადი – სახვევად?
- ¹⁰როცა დავუდგინე მას ჩემი წესი და დავუტანე ურდული და ბჭენი?



- 11 და ვუთხარი: ‘აქამდე მოხვალ და მეტს არა. აქ უნდა შედგნენ შენი ზვიადი ზვირთები?’
- 12 ოდესმე თუ გიბრძანებია დილისათვის და გიუწყებია ცისკრისთვის მისი ადგილი,
- 13 რომ მოეცვა ქვეყნის კიდეები და უკეთურნი ჩამოებერტყა მისგან?
- 14 იგი იცვლება, როგორც თიხა საბეჭდავის ქვეშ, და ისინი დგანან, როგორც სამოსელი.
- 15 და წაერთმევათ უკეთურთ ნათელი, შემართული მკლავი შეიმუსრება.
- 16 თუ ჩაგიღწევია ზღვის წყაროებამდე, და თუ გივლია უფსკრულის ფსკერზე?
- 17 თუ გახსნილან შენს წინაშე სიკვდილის ბჭენი, და ბნელეთის ბჭენი თუ გინახავს?
- 18 თუ გამოგიკვლევია დედამიწის სიგრძე-სიგანე? მითხარი, თუ იცი ეს ყველაფერი?
- 19 სად არის გზა ნათლის საგანისა? და სად არის წყვდიადის ადგილი?
- 20 რომ მიაღწიო მის საზღვარს და მიაგნო მისი სახლის ბილიკებს.
- 21 იცი შენ, რადგან მაშინ დაიბადე, და დიდია რიცხვი შენი დღეებისა!
- 22 თუ შესულხარ თოვლის საგანძურებში, და სეტყვის საგანძურები თუ გიხილავს,
- 23 ძნელბედობისთვის რომ მოვიმარაგე, ბრძოლისა და ომის დღისათვის?
- 24 რა გზით ნაწილდება ნათელი, და როგორ ვრცელდება აღმოსავლეთის ქარი მიწაზე?
- 25 ვინ გახსნა კალაპოტი ნიაღვრისათვის და გზა – ჭექა-ქუხილთათვის,
- 26 რომ აწვიმოს უკაცრიელ მიწაზე და უდაბნოში, სადაც ადამიანის ჭაჭანება არ არის?
- 27 რათა გაადლოს უდაბური და ხრიოკი და აღმოაცენოს მწვანე ბალახი.
- 28 თუ ჰყავს წვიმას მამა? ან ვინ დაბადა ნამის წვეთები?
- 29 ყინული ვისი საშოდან გამოვიდა? და ციური ჭირხლი ვინ დაბადა?
- 30 წყალი ქვასავით იყინება, და იკვრის უფსკრულის ზედაპირი.
- 31 თუ შეკრავ ხომლის საკვრელებს ან ორიონის საბელებს თუ გახსნი?



- ³²თუ ამოიყვან თანავარსკვლავედს თავის დროზე, და თუ წარუძღვები დათვს თავის ბელებთან ერთად?
- ³³თუ იცი ცათა კანონები? ან თუ დაადგენ მის წესს მიწაზე?
- ³⁴ღრუბელს თუ მიაწვდენ ხმას, რათა წყლის თქემმა დაგფაროს?
- ³⁵ელვებს თუ წარავლენ, რომ წავიდნენ და გითხრან: ‘აქა ვართ?’
- ³⁶ვინ ჩადო გულში სიბრძნე? და ვინ მისცა გონებას გამჭრიახობა?
- ³⁷ვისა აქვს სიბრძნე ღრუბლების დასათვლელად, და ვინ წამოაქცევს ცის რუმბებს,
- ³⁸როცა მტკერი შენივთდება და გოროხები ერთმანეთს ეწებება?
- ³⁹შეგიძლია ლომს მსხვერპლი მოუწადირო, და შიმშილი მოუკლა ლომის ბოკვერებს,
- ⁴⁰როცა ბუნაგებში გაწოლილან ან თავიანთ საფარში წვანან?
- ⁴¹საზრდოს ვინ უმზადებს ყორანს, როცა მისი ბახალები ღმერთს შესჩხავიან, და საზრდოს საძიებლად დაძრწიან?

იოზი 39

- ¹თუ იცი ნიამორთა დაბადების ჟამი? თვალს თუ ადევნებ ფურ-ირემთა მშობიარობას?
- ²აღრიცხავ მათ თვეთა აღვსებას? და თუ იცი ჟამი მათი მოგებისა?
- ³ჩაიმუხლებენ, დაყრიან ნაშიერთ, შობის ტკივილისგან თავისუფლდებიან;
- ⁴კაჟდებიან მათი ნუკრები, ველად იზრდებიან, გადიან და აღარ ბრუნდებიან.
- ⁵ვინ გაუშვა კანჯარი ნებაზე? და ვინ ახსნა კანჯარს საკვრელი?
- ⁶რომელსაც მე სახლად ტრამალი მივეცი და სამყოფლად – მლაშობი?
- ⁷ის არად აგდებს ქალაქის გნიასს, არ ესმის მენახირის შეძახილები.
- ⁸მთებში სამოვრად დაეხეტება და ყოველგვარ სიმწვანეს დაემებს.
- ⁹ინებებს გარეული ხარი შენს სამსახურს? თუ გაათევს შენს ბაგაზე?
- ¹⁰გარეულ ხარს სახნავში თუ შეაბამ აპეურით? თუ დაგიფარცხავს ის ველებს შენს უკან?
- ¹¹დაენდობი მას, რაკი დიდია მისი ძალა? მიანდობ სამუშაოს?



- ¹²თუ გჯერა, რომ თესლს დაგიბრუნებს და შენს კალოზე მოგიგროვებს?
- ¹³შენ მიეცი სირაქლემას მხიარულად მოფრიალე ფრთა და ყანჩას ნაკრტენი და ბუმბული?
- ¹⁴რადგან ის თავის კვერცხებს მიწაზე ტოვებს და მათ მტვერში ათბობს,
- ¹⁵და ავიწყდება, რომ ფეხით შეიძლება დალეწონ და ველის მხეცებმა გათელონ.
- ¹⁶ულმობლად ექცევა ის თავის ბარტყებს, თითქოს მისები არ იყვნენ, ამოა გარჯა არ ენადვლება.
- ¹⁷რადგან ღმერთმა დაავიწყა მას სიბრძნე და წილად არ არგუნა გონება.
- ¹⁸რაჟამს შეიმართება გასაფრენად, დასცინის ცხენსა და მის მხედარს.
- ¹⁹შენ მიეცი ცხენს ძლიერება? შენ შემოსე ფაფარით მისი კისერი?
- ²⁰შენ ახტუნავებ მას კალიასავით? მისი მჭახე ჭიხვინი ზარდამცემია!
- ²¹მიწას თხრის ის ველზე და ხარობს ძლიერებით, და მძლავრად ეგებება იარაღს.
- ²²შიშს დასცინის და არ კრთის და მახვილისგან პირს არ იბრუნებს.
- ²³მის თავზე ჩხრიალებს კაპარჭი, ელავს შუბი და ჰოროლი.
- ²⁴შმაგად და მძვინვარედ ნთქავს მიწას და არ წყნარდება საყვირის ხმაზე.
- ²⁵ბუკის ცემაზე ამბობს: ‘აჰა!’ და შორიდან იყნოსავს ბრძოლას, სარდალთა შეძახილსა და ყიჟინს.
- ²⁶შენი სიბრძნით არის, ქორი რომ ნავარდობს და სამხრეთისკენ შლის ფრთებს?
- ²⁷შენი ბრძანებით ფრენს ორბი აღმა და მაღლა იკეთებს თავის ბუდეს?
- ²⁸კლდეზე ბუდობს და ღამეს ათევს კლდის ქიმსა და სიმაგრეზე.
- ²⁹იქიდან ეძებს თავის საზრდოს; მისი თვალები შორიდან ჭვრეტენ მას,
- ³⁰მისი მართვენი სისხლს სვამენ, და სადაც ლეშია, იქ არის ისიც.“

იოზი 40

- ¹და მიმართა უფალმა იოზს და თქვა:
- ²„გაბედავს სხვისი შეცდომის მაძიებელი შეედავოს ყოვლადძლიერს? ღმერთის მამხილებელმა პასუხი უნდა გასცეს!“



- ³მიუგო იობმა უფალს და უთხრა:
- ⁴„აჰა, არარაობა ვარ მე, რა გიპასუხო? პირზე ხელს ვიფარებ.
- ⁵ერთხელ ვთქვი და აღარას ვიტყვი მეორედ, და აღარას დავძენ.“
- ⁶და მიუგო უფალმა იობს ქარიშხლიდან და უთხრა:
- ⁷„შემოისარტყლე წელი ვაჟკაცურად, შეგეკითხები და მითხარი.
- ⁸ნუთუ გააუქმებ ჩემს სამართალს, მე გამამტყუნებ, რათა თავად გამართლდე?
- ⁹ნუთუ ღვთისდარი მკლავი გაქვს, და მისი მსგავსი ხმით შეგიძლია ჭექა?
- ¹⁰აბა, მოიკაზმე დიდებითა და სიდიადით, შარავანდი და ბრწყინვალეობა შეიმოსე.
- ¹¹გადმოაფრქვიე მძვინვარება შენი რისხვისა, დახედე ქედმაღალს და დაამდაბლე.
- ¹²დახედე ყოველ ქედმაღალს, დაამცირე და გათელე უკეთურნი მათსავე ადგილზე.
- ¹³ჩამარხე მტკერში ერთიანად, მათი სახე ქვესკნელში მობურე.
- ¹⁴მაშინ მეც ვაღიარებ, რომ გიხსნის შენი მარჯვენა.
- ¹⁵აჰა, ბეჭემოთი, შენთან ერთად რომ შევქმენი, ხარივითა მოვს ბალახს.
- ¹⁶აჰა, მის წელშია მისი ძალა და მისი ღონე მისი მუცლის კუნთებში.
- ¹⁷კედარივით დრეკს თავის კუდს, ბარძაყის ძარღვები გადაგრეხილი აქვს,
- ¹⁸მისი ძვლები ბრინჯაოს მიღებია. მისი სახსრები რკინის წნელებივითაა.
- ¹⁹ის პირველია ღვთის ქმნილებათაგან, მხოლოდ მისი გამჩენი თუ დაჰკრავს მახვილს.
- ²⁰რადგან მთები აძლევენ საზრდოს, და იქ შეიქცევს თავს ველის ყოველი ცხოველი.
- ²¹ლოტოსებს ქვეშ გაწოლილა, ლერწმისა და ჭაობის საფარში.
- ²²ლოტოსები ჩრდილს ჰფენენ მას, გარს ძეწნები ახვევია.
- ²³აჰა, წყალს სვამს მდინარისას და არ ჩქარობს, არ კრთება, მშვიდაა, მის პირს იორდანეც რომ მიასკდეს.
- ²⁴ვინ შეიპყრობს მას? ვინ გაუხვრეტს ცხვირს ჩანგლებით?

იობი 41



- ¹თუ ამოატრევ ლევიათანს ანკესით და საბელით თუ დაუბამ ენას?
- ²ლერწამს თუ გაუყრი მას ცხვირში და კაუჭით თუ გაუხვრეტ ყბას?
- ³თუ განამრავლებს ის შენს მიმართ ვედრებას და ტკბილად თუ დაგელაპარაკება?
- ⁴თუ დაგიდებს აღთქმას, და საუკუნო მონად გაიხდი?
- ⁵თუ ეთამაშები მას, როგორც ჩიტს და თუ დაუბამ მას შენს გოგონებს?
- ⁶თუ ივაჭრებენ მასზე მოვაჭრენი თუ გაყოფენ მას ვაჭართა შორის?
- ⁷თუ აუვსებ მას კანს ისრებით და თავს – ბარჯებით?
- ⁸დაადე მას შენი ხელი, გახსოვდეს ბრძოლა; და აღარ შეცდები!
- ⁹აჰა, გაცრუვდა შენი იმედი; მის შეხედვაზეც კი დაეცემი.
- ¹⁰რომელი მამაცი გააღვიძებს მას? ვინ დაუდგება წინ?
- ¹¹ვინ გამოიწვევს და გადაურჩება? – ვინ მთელ ცისქვეშეთში?
- ¹²არ დავდუმდები მისი სხეულის კიდურებზე, მის ძლიერებაზე, მის მოხდენილ აღნაგობაზე.
- ¹³ვინ მოხდის მას მოსასხამს? ვინ შეაღწევს მის ორკეც აბჯარში?
- ¹⁴მისი პირისახის კარს ვინ გააღებს? მის კბილთა ირგვლივ საშინელებაა!
- ¹⁵მისი ზურგი ფარების წყებაა, მჭიდრო ბეჭდით შეკრული.
- ¹⁶ერთი მეორეზეა და ქარი ვერ ატანს მათ შორის:
- ¹⁷ერთმანეთზე არიან მიწებებულნი, შეიკვრნენ და ველარ დაშორდებიან.
- ¹⁸მისი ცხვირის ცემინება ნათელს აკვესებს და მისი თვალები ცისკრის წამწამებივითაა.
- ¹⁹მისი სახიდან ჩირაღდნები გამოდის და ცეცხლის ნაპერწკალები ცვივა.
- ²⁰მისი ნესტოებიდან კვამლი გამოდის, როგორც ათუხთუხებული ქვაბიდან და ცეცხლმოკიდებული ლერწმიდან.
- ²¹მისი სუნთქვა ნაკვერცხლებს აღვივებს, და მისი პირიდან ალი იფრქვევა.
- ²²მის ქედზე ძალა ათენებს, და მის წინაშე ცეკვავს ძრწოლა.
- ²³მისი ხორცის ნაწილები შეწებებულია ერთმანეთს, მტკიცედ ასხია მას, უძვრელად.
- ²⁴მისი გული ქვასავით მტკიცეა. და ქვედა დოლაბივით მაგარია.
- ²⁵მის წამომართვაზე ძრწიან ღმერთები.



²⁶სწვდება მას მახვილი, მაგრამ ვერას აკლებს, ვერც შუბი, ლახვარი და ჰოროლი.

²⁷რკინა ჩაღად უჩანს, ბრინჯაო ფუტურო ხედ.

²⁸ვერ გააქცევს მას ისარი, თივასავითაა მისთვის შურდულის ქვები.

²⁹ზზედ უჩანს მას ლახტი და დასცინის ჰოროლის ზუზუნს.

³⁰ქვემოდან წამახული კეცის ნატეხები აქვს, კევრივით არის გაწოლილი საფლობში,

³¹ქვაბივით ადუღებს უფსკრულს, ზღვას საცხებლის ქვაბად აქცევს.

³²თავის უკან ბილიკს ანათებს, უფსკრული ჭადარად ჩანს.

³³არ არის მიწაზე მისი მსგავსი, უშიშარი ქმნილება.

³⁴ყოველივე მაღალს ხედავს: ის მეფობს ყოველ ქედმაღალზე.“

იოზი 42

¹და მიუგო იოზმა უფალს:

²„ვიცი, რომ ყველაფერი შეგიძლია, და შენი განზრახვა არ დაბრკოლდება.

³ვინაა ეს, განგებას რომ აზნელებს და არაფერი ესმის? ასე ვლაპარაკობდი და არ გამეგებოდა, ჩემთვის საკვირველზე, და ვერაფერს ვხვდებოდი.

⁴მისმინე და მე ვილაპარაკებ, შეგეკითხები, და მაცოდინე.

⁵ყურმოკვრით მქონდა გაგონილი შენზე, ახლა კი ჩემმა თვალმა გიხილა შენ.

⁶ამიტომ თავს ვიდრეც და ვინანიებ მტვერსა და ნაცარში.“

⁷და მას შემდეგ, რაც წარმოთქვა უფალმა ეს სიტყვები იოზის მიმართ, უთხრა მან ელიფაზ თემანელს: „აღეზნო ჩემი რისხვა შენს მიმართ და შენი ორი მეგობრის მიმართ, რადგან ჩემი მსახური იოზივით წრფელად არ ილაპარაკეთ ჩემზე.

⁸ახლა კი წაიყვანეთ შვიდი ხზო და შვიდი ვერძი, და მიდით იოზთან, ჩემს მსახურთან, და აღავლინეთ თქვენთვის სრულადდასაწველი. და ჩემი მსახური იოზი ილოცებს თქვენთვის, რადგან მის ლოცვას მივიღებ, რათა თქვენი უტიფრობისამებრ არ მოგექცეთ, რადგან ჩემი მსახური იოზივით წრფელად არ ილაპარაკეთ ჩემზე.“

⁹და წავიდნენ ელიფაზ თემანელი, ბილდად შუხელი და ცოფარ ნაყამათელი და ისე მოიქცნენ, როგორც უფალმა უბრძანა მათ. და მიიღო უფალმა იოზის ლოცვა.



¹⁰და აღუდგინა უფალმა იობს უწინდელი წარმატება, როცა ილოცა იობმა თავისი მეგობრებისათვის. ორმაგად მიუმატა უფალმა ყოველივე, რაც ებადა იობს.

¹¹და მივიდა მასთან ყველა მისი ძმა და ყველა მისი და, და ყველა მისი უწინდელი ნაცნობ-მეგობარი, და ჭამეს მასთან პური მის სახლში. და მათ უთანაგრძნეს მას და ანუგეშეს ყველა იმ უბედურების გამო, რაც უფალმა მოუვლინა მას, და თითოეულმა მისცა თითო ქესიტა და თითო ოქროს ბეჭედი.

¹²და აკურთხა უფალმა იობის უკანასკნელი დღეები პირვანდელზე მეტად: და ჰყავდა მას 14 ათასი ცხვარი, 6 ათასი აქლემი, ათასი უღელი ხარი და ათასი სახედარი.

¹³და ჰყავდა მას შვიდი ძე და სამი ასული.

¹⁴და დაარქვა ერთს სახელად იემიმა, მეორეს – კეციყა და მესამეს – კერენ-ჰაფუქი.

¹⁵და არ მოიძებნებოდნენ იობის ასულებისთანა ტურფა ქალები მთელს ქვეყანაზე. და მისცა მათ მამამ სამკვიდრო მათ ძმათა შორის.

¹⁶და იცოცხლა იობმა ამის შემდეგ 140 წელი და იხილა მან თავისი შვილთაშვილები, ოთხი თაობა.

¹⁷და მოკვდა იობი დღეებით სავსე.



ფსალმუნნი

ფსალმუნნი 1

¹შოშანისებურად. გალობა ბედნიერებისა. ნეტარია კაცი, რომელიც არ მისდევს უღმრთოთა რჩევას, არ დგას ცოდვილთა გზაზე, არ ზის ავყიათა საკრებულოში,

²არამედ უფლის რჯულია მისი სიამე და მის რჯულზე ფიქრობს იგი დღედაღამ.

³და იქნება იგი წყლის ნაკადებთან დანერგილ ხესავით, თავის დროზე რომ იძლევა ნაყოფს და ფოთოლი მისი არ ჭკნება, და ყოველი მისი საქმე წარმატებულია.

⁴უღმრთონი კი ასე არ არიან, ბზეს წააგვანან ქარისგან აღგვილს.

⁵ამიტომ ვერ წამოიმართებიან უღმრთონი სასამართლოში, და ვერც ცოდვილნი – მართალთა კრებულში.

⁶რადგან უფალია მართალთა გზის მფარველი, უღმრთოთა გზა კი წარიხვეტება.

ფსალმუნნი 2

დავითის ფსალმუნნი

¹რატომ ბოზოქრობენ ერები და ერები იზრახავენ ამაოებას?

²დასხდნენ ამა ქვეყნის მეფენი და წარჩინებულნი და შეითქვნენ უფლისა და მისი ცხებულის წინააღმდეგ:

³„დავგლეჯთ მათ სადავეებს და მოვიშორებთ მათ ხუნდებს.“

⁴მკვიდრი ზეცისა გაიცინებს, უფალი აბუჩად აიგდებს მათ.

⁵მაშინ ეტყვის რისხვით და მრისხანებით შეაძრწუნებს:

⁶„მე თვით ვაკურთხე ჩემი მეფე სიონზე – ჩემს წმიდა მთაზე.“

⁷გაუწყებთ უფლის განწესებას: უფალმა მითხრა: „შენ მე ხარ ჩემი, დღეს გშობე შენ;

⁸მთხოვე და მოგცემ ხალხებს სამკვიდროდ, ქვეყნის კიდევს – სამფლობელოდ,

⁹დალეწავ მათ რკინის კვერთხით, მეთუნის ჭურჭელივით დაამსხვრევ მათ.“



- ¹⁰ახლა კი გონს მოდით, მეფენო! გაფრთხილდით, ქვეყნის მმართველნო!
- ¹¹ემსახურეთ უფალს შიშით, შეჰღაღადეთ ძრწოლით!
- ¹²თაყვანი ეცით ძეს, რომ არ განრისხდეს და არ დაიღუპოთ გზაში, რადგან მალე აღეგზნება მისი რისხვა. ნეტარია ყველა, მასზე მინდობილი.

ფსალმუნი 3

- ¹ფსალმუნი დავითისა. როცა გაურბოდა აბესალომს, თავის ძეს.
- ²უფალო! როგორ გამრავლდნენ ჩემი მტრები! მრავალნი აღდგნენ ჩემს წინააღმდეგ;
- ³მრავალია, ვინც ამბობს ჩემს შესახებ: „არ არის მისთვის შემწეობა ღმერთისაგან!“
- ⁴მაგრამ შენ, უფალო, ჩემი ფარი ხარ, დიდება ჩემი და ჩემი თავის ამმაღლებელი.
- ⁵ვღაღადებ უფალის მიმართ და ის მპასუხობს თავისი წმიდა მთიდან.
- ⁶ვწვები, ვიძინებ და ვიღვიძებ, რადგან უფალია ჩემი შემწე.
- ⁷ვერ შემაშინებს ხალხის სიმრავლე, გარს რომ მერტყმიან ყოველი მხრიდან.
- ⁸აღსდებ, უფალო! მიხსენ, ღმერთო ჩემო! რადგან შენ უღეწავ ყბებს ყველა ჩემს მტერს, კბილებს უმუსრავ ბოროტებს.
- ⁹უფლისგან არის ხსნა; შენი კურთხევა იყოს შენს ერზე!

ფსალმუნი 4

- ¹გუნდის ლოტბარს. დავითის საგალობელი. ფსალმუნი.
- ²მიპასუხე, ოდეს მოგიხმობ, ჩემი სიმართლის ღმერთო! შენ მიბოძე გასაქანი შევიწროების ჟამს. შემიწყალე მე და ისმინე ჩემი ლოცვა!
- ³შვილნო კაცისა! როდემდე იქნება თქვენი გული დამძიმებული? როდემდე გეყვარებათ ამაოება და ეძიებთ სიყალბეს?
- ⁴უწყოდეთ, რომ უფალი იქმს სასწაულებს თავისი ერთგულისათვის, უფალი ისმენს, ოდეს მოვუხმობ მას.
- ⁵რისხვისას ნუ შესცოდავთ: განსაჯეთ გულში თქვენს სარეცლებზე და იყურეთ.
- ⁶შესწირეთ შესაწირავები სიმართლისა და მიენდეთ უფალს.



⁷მრავალნი ამბობენ: ნეტავ გამოგვიჩნდეს სიკეთე! გადმოგვაფინე შუქი შენი სახისა, უფალო!

⁸შენ უბოძე ჩემს გულს სიხარული უფრო მეტი, ვიდრე მათ აქვთ პურისა და მაჭრის სიუხვისას.

⁹მშვიდად დავწვები და დავიძინებ, რადგან შენ ერთადერთი, უფალო, მამყოფე უშიშრად.

ფსალმუნი 5

¹ლოტბარს. სალამურზე. დავითის ფსალმუნი.

²ყურად იღე, უფალო, ჩემი სიტყვები, ჩასწვდი ჩემს გულისთქმას.

³ისმინე ჩემი ღაღადი, მეუფევ ჩემო და ღმერთო ჩემო!

⁴შენს მიმართ ვლოცულობ, უფალო! განთიადზე გესმის შენ ჩემი ხმა, განთიადზე ვამზადებ ჩემს მსხვერპლს და გელოდები.

⁵რადგან შენ არა ხარ ბოროტების მოყვარული ღმერთი; ცოდვილი ვერ დაისადგურებს შენთან;

⁶ვერ დადგებიან ქედმაღალნი შენს წინაშე: შენ გძულს უსამართლობის ჩამდენნი.

⁷შენ ანადგურებ სიცრუის მთქმელებს; სისხლისმსმელებს და მაოხრებლებს განიშორებს უფალი.

⁸მე კი შენი უხვი წყალობით მოვალ შენს სახლში, ვეთაყვანები შენს წმიდა ტაძარს – შენდამი შიშით.

⁹უფალო, მატარე შენი სიმათლის გზით ჩემს მტერთა გამო, გაასწორე შენი გზა ჩემს წინაშე.

¹⁰რადგან არ არის ჭეშმარიტება მათ ბაგეებზე, ბილწია მათი შიგნეულობა, მათი ხორხი ღია საფლავია, მათი ენები – მაცდუნებელნი.

¹¹განსაჯე ისინი, ღმერთო, დაე დაღუპონ ისინი მათმა ზრახვებმა; მათი ცოდვების სიმრავლის გამო განიშორე ისინი, რადგან აღდგნენ შენს წინააღმდეგ.

¹²ყველა შენზე მონდობილმა კი იხაროს, იმხიარულოს უკუნისამდე; შენ დაიცავ მათ, გაიხარებენ შენით შენი სახელის მოყვარულნი.

¹³რადგან შენ აკურთხებ მართალს, უფალო, ჯავშანივით მოსავ მას შენი წყალობით.



ფსალმუნი 6

- ¹რვაძალიან საკრავზე. გუნდის ლოტბარს. ფსალმუნი დავითისა.
- ²უფალო! შენი გულისწყრომით ნუ მამხილებ, და შენი რისხვით ნუ დამსჯი მე.
- ³შემიწყალე, უფალო, რადგან უძლური ვარ; განმკურნე, უფალო, რადგან შეძრწუნდნენ ჩემი ძვლები.
- ⁴ჩემი სულიც შეძრწუნებულია; მაგრამ შენ, უფალო – როდემდე?
- ⁵შემობრუნდი, უფალო, იხსენ ჩემი სული, მიხსენ შენი წყალობისათვის.
- ⁶რადგან არ არის შენი ხსოვნა სიკვდილში; ვინ შეგასხამს შავეთში ქება-დიდებას?
- ⁷მოვიქანცე ჩემი ვაებით, ყოველდამ ვასველებ ჩემს ბალიშს, ცრემლებით ვალტობ ჩემს სარეცელს.
- ⁸დამეშრიტა წუხილით თვალნი, გადმომცვივდა მტრების სიმრავლისაგან.
- ⁹განშორდით, უსამართლობის ყოველნო მომქმედნო! რადგან ისმინა უფალმა ჩემი გოდების ხმა.
- ¹⁰ისმინა უფალმა ჩემი ვედრება; უფალი შეიწყნარებს ჩემს ლოცვას.
- ¹¹გაწბილდება და შეძრწუნდება ყველა ჩემი მტერი; უკუიქცევინ უეცარი შერცხვენისაგან.

ფსალმუნი 7

- ¹გალობა დავითისა, ბენიამინელი ქუმის სიტყვების გამო რომ უმღერა უფალს.
- ²უფალო, ღმერთო ჩემო! შენზე ვარ მონდობილი; მიხსენ ყველა მდევნელისაგან და გადამარჩინე,
- ³რათა არ დაგლიჯონ, ვითარცა ლომებმა, სული ჩემი, დაფლითონ და არ იყოს მხსნელი.
- ⁴უფალო, ღმერთო ჩემო! თუ რამ ჩავიდინე, თუ უსამართლობა გამოვიდა ჩემი ხელიდან,
- ⁵თუ ჩემთვის მშვიდობის მსურველს ბოროტებით მივუზღე და გავაგდე თუნდაც ჩემი მტერი ხელცარიელი, –



⁶დაე, დევნოს მტერმა სული ჩემი და წამოეწიოს, დაე, დედამიწაზე დაანარცხოს სიცოცხლე ჩემი, და მტვრად აქციოს ღირსება ჩემი.

⁷აღსდექ, უფალო, შენი რისხვით, წამოიმართე გულისწყრომით ჩემს მტრებზე, გამოიღვიძე ჩემთვის სამართლის დასადგენად, რომელიც შენ დადე მცნებად.

⁸გარს შემოიხვიე გუნდი ხალხებისა, მათ ზემოთ ამაღლდი მწვერვალზე!

⁹უფალი განსჯის ხალხებს; განმიკითხე, უფალო, ჩემი სიმართლით და უბიწოებით,

¹⁰შეწყდეს ბოროტება ბიწიერთა, ხოლო მართალი გაამართლე, რადგან შენა ხარ გულისა და ზრახვების შემმოწმებელი, ღმერთო მართალო!

¹¹ჩემი ფარი უპყრია ღმერთს, გულმართალთა მხსნელს.

¹²ღმერთი მართალი მსაჯულია, არ ჩქარობს რისხვას.

¹³მაგრამ თუ არ მორჯულდა, შერისხავს; გალესავს მახვილს, მშვილდს მოზიდავს და დაუმიზნებს;

¹⁴მომაკვდინებელ იარაღს ამზადებს, ცეცხლს უკიდებს ისრებს.

¹⁵აჰა, შეხედე: ბოროტს ჩაესახა სიმრუდე, დაორსულდა უკუღმართობით და შვა სიცრუე.

¹⁶ორმო თხარა და ღრმად ამოკვეთა, სხვისთვის გაამზადა და თვითონ ჩავარდა.

¹⁷მისი ავგულობა მის თავს დაუბრუნდება და მისი ბოროტება – მის თხემს დაეცემა.

¹⁸ვადიდებ უფალს მისი სიმართლით და ვუგალობებ უზენაესის სახელს.

ფსალმუნი 8

¹გუნდის ლოტბარს. გითითის ხმაზე. ფსალმუნი დავითისა.

²უფალო, ჩვენო მბრძანებელო! რაოდენ დიდია შენი სახელი მთელს ქვეყანაზე! შენი დიდება იგალობება ცათა ზემოთ

³ჩვილთა და ძუძუმწოვართა ბაგეებიდანაც კი. შენ განამტკიცე ციხე-ბურჯი შენი მტრების წინააღმდეგ, რათა დაადუმო შენი მტერი და მეამბოხე.

⁴როს ვუმზერ შენს ზეცას – შენს თითთა ქმნილებას, მთვარესა და ვარსკვლავებს, რომლებიც დააფუძნე –

⁵რა არის კაცი, რომ გახსოვს იგი? ან მე ადამისა, რომ ზრუნავ მასზე?



⁶დიდად არ დაგიმცირებია იგი ანგელოზებზე; დიდება და ღირსება დაადგი გვირგვინად.

⁷გააბატონე შენი ხელის ქმნილებებზე; ყოველივე დაუმორჩილე მას –

⁸ყველა პირუტყვი – წვრილფეხა და მსხვილფეხა, და ასევე ნადირი ველისა,

⁹ფრინველი ცისა და თევზი ზღვისა, წყლის ბილიკებით რომ მოძრაობენ.

¹⁰უფალო, ჩვენო მბრძანებელო, რაოდენ დიდია შენი სახელი მთელს ქვეყანაზე!

ფსალმუნი 9

¹გუნდის ლოტბარს, ლაბანის სიკვდილზე. ფსალმუნი დავითისა.

²მადლობას შეგწირავ შენ, უფალო, მთელი გულით, ვაუწყებ მთელ შენს სასწაულებს.

³ვიხარებ და ვილხენ შენით, ვუგალობებ შენს სახელს, უზენაესო.

⁴როდესაც დაბრუნდნენ ჩემი მტრები უკან, დამარცხდნენ და დაილუპნენ შენს წინაშე;

⁵რადგან შენ გაარჩიე ჩემი დავა და სამართალი; დაბრძანდი ტახტზე, სიმათლის მსაჯულო.

⁶განრისხდი ერებზე, მოსპე ბოროტი, მათი სახელი წაშალე უკუნითი უკუნისამდე.

⁷მტერი გაქრა, გაპარტახდა სამუდამოდ, შენ დაანგრე მათი ქალაქები, მათთან ერთად მოისპო მათი ხსენება.

⁸უფალი კი ტახტზე ზის უკუნისამდე. სამართლისათვის დაადგინა მან თვისი ტახტი.

⁹სიმათლით განსჯის სამყაროს, გაასამართლებს ხალხებს სისწორით.

¹⁰უფალი არის ჩაგრულის შემწე, დასაყრდენი გასაჭირის ჟამს.

¹¹შენ მოგენდობიან შენი სახელის მცოდნენი, ვინაიდან არ მიატოვებ, უფალო, შენს მაძიებლებს.

¹²უგალობეთ უფალს, სიონის მკვიდრს! აუწყეთ მისი საქმენი ხალხებს!

¹³რადგან ის იძიებს მათ სისხლს, ახსოვს ისინი, არ ივიწყებს ტვირთმძიმეთა გოდებას.

¹⁴შემიწყალე, უფალო, იხილე ჩემი შეჭირვება მოძულეებისაგან, გამომაბრუნე სიკვდილის კარიბჭიდან,



- ¹⁵რათა ვაუწყო შენი ქება, სიონის ასულის კარიბჭეებთან ვიხარო შენმიერი ცხონებით.
- ¹⁶ჩაცვივდნენ ერები თავიანთ ამოთხრილ ორმოში, მათ მიერ გამზადებულ ბადეში გაება მათივე ფეხი.
- ¹⁷გაცხადდა უფალი, ქმნა სამართალი; ბოროტი გაება თავისი ხელით დაგებულ მახეში.
- ¹⁸ჩაცვივდებიან ბოროტნი ჯოჯოხეთში, ყველა ერები, რომელნიც ივიწყებენ ღმერთს.
- ¹⁹სამუდამოდ არ იქნება დავიწყებული ღატაკი, არც უპოვართა იმედი დაიღუპება სამარადისოდ.
- ²⁰აღსდექ, უფალო, ნუ იმძლავრებს კაცი; გაასამართლე ერები შენს წინაშე.
- ²¹შიშის ზარი დაეცი მათ, უფალო! დაე შეიტყონ ერებმა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანები არიან ისინი!
- ²²რატომ დგახარ, უფალო, შორს? რატომ მარიდებ თვალს გაჭირვების ჟამს?
- ²³ქედმაღლად დევნიან ბოროტნი ღატაკთ; დაე შეპყრობილ იქნენ მზაკვრობით, რომელიც განიზრახეს.
- ²⁴რადგან ტრაბახობს ბოროტი თავისი სულის ავხორცობით, და ანგარების მოყვარული უარყოფს უფალს.
- ²⁵ბოროტი თავისი ქედმაღლობით არ ეძიებს მას, მისი აზრით არ არსებობს ღმერთი.
- ²⁶წარმატებულია მისი გზა ყოველ ჟამს; მიუწვდომელია შენი სამართალი მისთვის; სულის შებერვით ამარცხებს თავის მტრებს.
- ²⁷ამბობს თვის გულში: არ წავბორძიკდები, თაობიდან თაობამდე არ შემხვდება სიავე.
- ²⁸მისი პირი სავსეა წყევლით, სიცრუით და ჩაგვრით; მისი ენა – სიმრუდე და უკუღმართობაა.
- ²⁹ჩასაფრდება ეზოებს უკან, სამალავიდან კლავს უდანაშაულოს, მისი თვალები საწყლებს უთვალთვალევენ,
- ³⁰უდარაჯდება საფარში, როგორც ღომი შამბნარში, უსაფრდება საწყალს მოსატაცებლად; მოიტაცებს, ოდეს მოიმწყვდევს თავის ბადეში.
- ³¹მოიზნიქება, გაწვება და საწყლებს თავის ბრჭყალებში მოაქცევს.



³²ამბოზს თვის გულში: დაივიწყა ღმერთმა, სახე დამალა, ვერ იხილავს ვერასოდეს.

³³აღსდექ, უფალო! ღმერთო, აღმართე ხელი, ნუ დაივიწყებ ჩაგრულებს.

³⁴რად უგულებელყოფს ბოროტი ღმერთს და ამბოზს თვის გულში, რომ არ მოჰკითხავ?

³⁵მაგრამ შენ ხედავ; ხედავ წყენასა და შევიწროებას, რათა სამაგიერო გადაუხადო შენი ხელით, შენ განდობს თავის თავს ჩაგრული, შენ ხარ ობოლის შემწე.

³⁶გადაამსხვრიე ბოროტისა და უკეთურის მკლავი! გამოიძიე მისი ბოროტება, სანამ ვეღარც ერთს ვეღარ იპოვი!

³⁷უფალი ხელმწიფეა უკუნითი უკუნისამდე, აღიგვებიან წარმართნი მისი ქვეყნიდან.

³⁸უფალო, ისმინე მორჩილთა გოდება, შეამზადე მათი გული, მიაპყარ ყური;

³⁹მიეც სამართალი ობოლს და ჩაგრულს, რომ აღარ თესონ ადამიანებმა შიში ქვეყანაზე.

ფსალმუნი 10

¹დავითის საგალობელი. რვაძალიან საკრავზე. გუნდის ლოტბარს. ფსალმუნი დავითისა. უფალს ვარ მინდობილი; როგორ ეუბნებით ჩემს სულს: „ფრინველივით გაფრინდი მთაზე;“

²რადგან აგერ, ბოროტნი მოზიდავენ მშვილდს, ღარზე ამაგრებენ ისარს, რომ სიბნელიდან ესროლონ გულმართლებს.

³თუ საძირკველი დანგრეულია, მართალმა რა ქნას?

⁴უფალი თავის წმიდა ტაძარშია, ცაშია უფლის ტახტი; მისი თვალები ჰვრეტენ, მისი ქუთუთოები ამოწმებენ ადამის შვილებს.

⁵უფალი გამოსცდის მართალსა და ბოროტს, ძალადობის მოყვარული სძულს მის სულს.

⁶აწვიმებს ბოროტებზე ცეცხლსა და გოგირდს; ქარბორბალაა მათი ხვედრი.

⁷რადგან მართალია უფალი; მას უყვარს სიმართლე. გულწრფელნი იხილავენ მის სახეს.

ფსალმუნი 11



- ¹გუნდის ლოტბარს, ფსალმუნი დავითისა.
- ²მიხსენ, უფალო! რადგან აღარ არსებობს ღვთისმოსავი, რადგან გამქრალან ჭეშმარიტნი კაცთა მოდგმიდან.
- ³ტყუილს ეუბნება მეგობარი მეგობარს, ქლესა ტუჩებით ორპირად ლაპარაკობს;
- ⁴მოსპოს უფალმა ქლესა ბაგეები, გოროზად მოლაპარაკე ენები,
- ⁵რომელნიც ამბობენ: „ჩვენი ენებით ვიმძლავრებთ, ბაგენი ჩვენნი ჩვენთანაა; ვინ გვიბატონებს?“
- ⁶ღარიბთა კვნესისა და ჩაგრულთა გმინვის გამო აღვდგები, – ამბობს უფალი, – ვუბოძებ შველას, ვისაც სწყურია იგი.
- ⁷უფლის სიტყვები – წმიდა სიტყვებია, ქურაში გამოდნობილი ვერცხლი, შვიდჯერ გაწმენდილი.
- ⁸უფალო, შენ დაიფარავ მათ, დაიცავ მათ ამ მოდგმისაგან უკუნისამდე.
- ⁹ირგვლივ მიმოდინა ბოროტნი, რადგან საქებარი გახდა ბოროტება კაცთა მოდგმაში.

ფსალმუნი 12

- ¹გუნდის ლოტბარს. დავითისა.
- ²როდემდე უფალო? ნუთუ სამუდამოდ დამივიწყებ? როდემდე დაფარავ შენს სახეს ჩემგან?
- ³როდემდე ვინახო ზრახვანი ჩემს სულში, ნაღველი ვატარო გულში დღენიადაგ? როდემდე იქნება მტერი ჩემზე აღზევებული?
- ⁴გადმომხედე, მიპასუხე, უფალო, ღმერთო ჩემო! მოჰფინე სინათლე ჩემს თვალებს, რომ არ დავიძინო სასიკვდილოდ.
- ⁵თორემ იტყვის ჩემი მოძულე: მე ვპლიე მას. გაიხარებენ ჩემი მტრები, თუ წავბორძიკდი.
- ⁶ხოლო მე შენი წყალობის იმედი მაქვს, გაახარე შენი ხსნით ჩემი გული! ვუგალობებ უფალს, ჩემს კეთილისმყოფელს, ვუგალობებ უფლის სახელს, ჩემს მოწყალეს!

ფსალმუნი 13



- ¹ფსალმუნი. დავითისა. თქვა უგუნურმა თავის გულში: „არ არის ღმერთი.“ გაირყვნენ, სისაძაგლეს ჩადიან; არავინ არის სიკეთის მქმნელი.
- ²უფალმა ზეციდან გადმოხედა ადამიანთა შვილთ, რომ დაენახა, თუ არის ვინმე გონიერი, ღმერთს რომ ეძიებს,
- ³ყველამ უარყო, ერთიანად გაიხრწნა ყველა; არ არის მქმნელი სიკეთისა, ერთიც არ არის.
- ⁴ნუთუ ვერ შეუგნიათ უწესობის ჩამდენთ, ჩემი ხალხის პურივით მჭამელთ, უფალს რომ არ უხმობენ?
- ⁵იქ შეკრთებიან ისინი შიშით, სადაც არ არის შიში, რადგან ღმერთი მართალთა თაობაშია.
- ⁶თქვენ დასცინეთ საწყალის გეგმებს, მაგრამ უფალია მისი მფარველი.
- ⁷ოჰ, რომ მოვიდოდეს სიონიდან ხსნა ისრაელზე! როცა უფალი დააბრუნებს თავის ხალხს, მოილხენს იაკობი, გაიხარებს ისრაელი!

ფსალმუნი 14

- ¹მეგლისწერა დავითისა. უფალო! ვინ დაივანებს შენს კარავში? ვინ დამკვიდრდება შენს წმიდა მთაზე?
- ²ვინც უმწიკვლოდ დადის, სიმართლის მოქმედია, და ჭეშმარიტებას ამბობს თავის გულში;
- ³ვინც ფლობს თავის ენას, ავს არ მიაგებს მოყვასს და აუგს არ ამბობს მეზობლებზე;
- ⁴ვის თვალშიც დამცირებულია საძაგელი, ხოლო უფლის მოშიშებს პატივს მიაგებს; თუ დაიფიცებს, თუნდაც თავის საზიანოდ, – არ შეცვლის;
- ⁵ვინც ფულს ვახშით არ გასცემს და ქრთამს უდანაშაულოს საწინააღმდეგოდ არ იღებს; ამის მოქმედი არასოდეს წაიფორხილებს.

ფსალმუნი 15

- ¹მეგლისწერა დავითისა. დამიფარე, უფალო ღმერთო, რადგან შენზე ვარ მონდობილი.
- ²ვუთხარი უფალს: შენ ხარ ჩემი უფალი! არ არის ჩემთვის სიკეთე შენს გარეშე!



³წმიდებთან, რომლებიც დედამიწაზე არიან და ძლიერებთან არის ყველა ჩემი სურვილი.

⁴დარდი გაუმრავლდეთ, ვინც უცხო კერპებისაკენ ისწრაფვის. მე არ ვასხურებ მათს სისხლიან შესასხურებელს და არც მოვიტან პირზე მათ სახელს.

⁵ჩემი მემკვიდრეობა და თასი უფალია; შენს ხელშია ჩემი ხვედრი.

⁶მამულები მშვენიერ ადგილებში მერგო, სამკვიდროც მოსაწონია ჩემთვის.

⁷ვაკურთხებ უფალს, რომელმაც დამარიგა; ღამ-ღამობით მწვრთნიან ჩემი გულისთქმანი.

⁸უფალი მუდამ ჩემს თვალწინაა; რადგან ჩემს მარჯვნივ არის, არ დავეცემი.

⁹ამიტომ ხარობს ჩემი გული და ილხენს ჩემი სული; ჩემი ხორციც მოისვენებს იმედიანად.

¹⁰რადგან შენ არ დაუტოვებ ჩემს სულს ჯოჯოხეთს, გასახრწნელად არ გაიმეტებ შენს წმიდას.

¹¹მასწავლე გზა ცხოვრებისა, სიხარულის სისავსეა შენი სახის წინაშე, ნეტარებაა შენს მარჯვენაში – უკუნისამდე!

ფსალმუნი 16

¹გუნდის ლოტბარს. უფლის მსახურის, დავითისა, რომელმაც წარმოთქვა უფლის მიმართ ამ გალობის სიტყვები მაშინ, როცა უფალმა იხსნა ყველა მისი მტრისა და საულის ხელთაგან. ისმინე, უფალო, სიმართლე, ყური მოაპყარ ჩემს ღაღადს, ჩემს ლოცვას უბიწო ბაგეთაგან.

²შენგან გამოვიდეს ჩემი სამართალი, შენმა თვალებმა განმჭვრიტონ სწორად!

³თუ გასინჯავ ჩემს გულს, მომინახულებ ღამით, გამომცდი, ვერ იპოვი ბოროტს ჩემში. არ შემიცოდავს ჩემი პირით სხვა ხალხის მსგავსად.

⁴თავს ვიცავდი უკუღმართი გზებისაგან შენს ბაგეთა სიტყვის თანახმად,

⁵გავამყარე ჩემი ნაბიჯები შენს გზაზე, არ გადაუხვევიათ ჩემს ტერფებს.

⁶მოგიხმობ, რადგან შენ მომისმენ მე, ღმერთო; ყური მომაპყარ, ისმინე ჩემი სიტყვები.

⁷გვიჩვენე შენი გასაოცარი წყალობა, შენი მარჯვენით მოშულლეთაგან შენს მოიმედეთა მხსნელო.



- ⁸დამიფარე თვალისჩინივით, შემიფარე შენი ფრთების ქვეშ,
- ⁹ბოროტთაგან, რომელნიც თავს მესხმიან, მტრებისაგან, გარს რომ მერტყმიან.
- ¹⁰ისინი ქონში ჩაიკეტნენ, მათი ბაგეები ამპარტავნობით ლაპარაკობენ,
- ¹¹ყოველ ნაბიჯზე აწ გარს მერტყმიან, მითვალთვალევენ, რათა ძირს დამცენ.
- ¹²ლომევით, მსხვერპლი რომ სწყურია, საფარში მჯდომი ლომის ბოკვერევით.
- ¹³აღსდექ, უფალო, წინ გადაუდექ, დააჩოქე! იხსენი ჩემი სული ბოროტისაგან შენი მახვილით.
- ¹⁴იმ კაცთაგან – შენი ხელით, უფალო, – ამქვეყნიურ კაცთაგან, რომელთაც წილი ამ ცხოვრებაში აქვთ, რომელთა მუცლებსაც ავსებ შენი საგანძურებიდან; დაე გაძღნენ მათი შვილები და ნარჩენი თავიანთ შვილებს დაუტოვონ.
- ¹⁵მე კი სიმართლით ვიხილავ შენს სახეს, გავძლები გამოღვიძებისას შენი ხატების მზერით.

ფსალმუნი 17

- ¹გუნდის ლოტბარს. ფსალმუნი უფლის მსახურის, დავითისა, რომელმაც წარმოთქვა უფლის მიმართ ეს სიტყვები, როდესაც უფალმა იხსნა იგი ყველა თავისი მტრებისა და საულის ხელთაგან. და თქვა:
- ²შეგიყვარებ შენ, უფალო, სიმტკიცევ ჩემო.
- ³უფალი არის ჩემი კლდე და სიმაგრე ჩემი, მხსნელი ჩემი, ღმერთი ჩემი, – ჩემი კლდე, თავშესაფარი, ფარი ჩემი და ჩემი ხსნის რქა, საყრდენი ჩემი.
- ⁴ქებით მოვუხმობ უფალს, მტრებისგან მიხსნის ის.
- ⁵გარს შემომერტყა სიკვდილის ხვია და შემადრწუნეს უკუღმართმა ნაკადებმა.
- ⁶ჯოჯოხეთის ბორკილებში მოვექეც და წინ სიკვდილის ხაფანგები გადამეღობა.
- ⁷გაჭირვებაში ვუხმობდი უფალს და მოვუწოდებდი ჩემს ღმერთს. ისმინა ჩემი ხმა თავისი ტაძრიდან და მის ყურს მისწვდა ჩემი ღალადი.
- ⁸შეძრწუნდა და შეირყა დედამიწა, შეკრთნენ მთათა საფუძვლები; შეძრწუნდნენ, რადგან განრისხდა იგი.



- ⁹ აღმოხდა კვამლი მისი რისხვისა, მომსვრელი ცეცხლი მის ბაგეთაგან, ნაკვერცხლები აღმოენთენ მისგან.
- ¹⁰ დახარა ცანი და გადმოვიდა, მის ფერხთა ქვეშ – ნისლია უკუნი.
- ¹¹ ქერუბიმებზე ამხედრდა და გამოფრინდა, გამოეშურა ქარის ფრთებით.
- ¹² წყვდიადი თავის საფარველად აქცია; ქუფრ მძიმე ღრუბლებში გამოეხვია.
- ¹³ მისი პირის ბრწყინვალეობით გაიფანტნენ ღრუბლები, სეტყვა და ნაკვერცხლები.
- ¹⁴ დაიგრგვინა უფალმა ზეცაში, უზენაესმა გამოსცა ხმა თავისი სეტყვით და ნაკვერცხლებით.
- ¹⁵ გაუშვა ისრები და მიმოფანტა და განაბნია ელვა მრავალი.
- ¹⁶ გამოჩნდნენ წყარონი წყალთა, გაშიშვლდნენ სამყაროს საფუძვლები შენს მრისხანე დამახილზე, უფალო, შენი პირის ქარის ქროლაზე.
- ¹⁷ გამომიწოდა ხელი სიმაღლიდან, ამომიყვანა; მრავალ წყალთაგან გამომიხსნა.
- ¹⁸ დამიხსნა ძლიერი მტრისაგან, ჩემს მოძულეთაგან, ჩემზე ძლიერნი რომ იყვნენ.
- ¹⁹ აღდგნენ ჩემს წინააღმდეგ ჩემი გაჭირვების ჟამს, მაგრამ უფალი იყო ჩემი საყრდენი.
- ²⁰ გამომიყვანა გაშლილ სივრცეზე, მიხსნა, რადგან ვუყვარვარ მე.
- ²¹ მომიზღო უფალმა ჩემი სიმართლით, ჩემს ხელთა სიწმიდის კვალობაზე დამაჯილდოვა.
- ²² ვინაიდან მივეყვებოდი უფლის გზებს და არ ვცოდავდი ღმერთის წინაშე;
- ²³ ვინაიდან ჩემს თვალწინაა ყველა მისი მცნება და მისი კანონებიდან არ გადამიხვევია.
- ²⁴ უცოდველი ვიყავი მის წინაშე და თავს ვიცავდი შეცოდებისგან.
- ²⁵ ამიტომ მომიზღო უფალმა ჩემი სიმართლით, ჩემს ხელთა სიწმიდის კვალობაზე მის თვალთა წინაშე.
- ²⁶ გულმოწყალეს წყალობით ექცევი, გულმართალს – გულმართლად;
- ²⁷ ჭეშმარიტს ჭეშმარიტად ექცევი, უკუღმართს – უკუღმართად;
- ²⁸ რადგან საწყალ ხალხს იხსნი და მედიდურ თვალებს ამდაბლებ.
- ²⁹ ანთებს ჩემს ლამპარს უფალი; ჩემი ღმერთი სინათლედ მიქცევს სიბნელეს.



- ³⁰ აჰა, შენით ვამარცხებ ლაშქარს და ჩემი ღმერთის შეწევნით გადავევლები გალავანს.
- ³¹ უმწიკვლოა გზა ღვთისა, ხალასია სიტყვა უფლისა; ფარია იგი ყველასთვის, ვინც მას მიენდობა.
- ³² რადგან ვინ არის ღმერთი, გარდა უფლისა? ანდა ვინ არის ბურჯი, გარდა ჩვენი ღმერთისა?
- ³³ ღმერთი შემომსარტყლავს ძალით და სწორ გზას მიბოძებს.
- ³⁴ ჩემს ფეხებს ირმისას ამსგავსებს და სიმაღლეებზე მაყენებს მტკიცედ.
- ³⁵ ომს ასწავლის ჩემს ხელებს, და რვალის მშვილდს ადრეკინებს ჩემს მკლავებს.
- ³⁶ შენ მომეცი ფარი შენი ხსნისა, შემეწიე შენი მარჯვენით; შენ განმადიდე შენი წყალობით;
- ³⁷ გამიფართოვე ნაბიჯი ჩემს ქვეშ, და ჩემი ფეხი აღარ წაბორძიკებულა.
- ³⁸ დავედევნები ჩემს მტრებს, წამოვეწევი და არ დავბრუნდები, ვიდრე არ მოვსპობ.
- ³⁹ დავამარცხებ და წამოდგომას ვეღარ შეძლებენ, ჩემს ფერხთა ქვეშ განერთხმებიან.
- ⁴⁰ რადგან შენ შემომსარტყლე ძალით საომრად, მოდრიკე ჩემზე აღმდგარნი ჩემს ფეხქვეშ.
- ⁴¹ ჩემს მტრებს ზურგი აბრუნებინე ჩემგან და მე ამოვწყვიტე ჩემი მოძულენი.
- ⁴² აღაღადნენ, მაგრამ მშველელი არ ჰყავთ; უფლის მიმართ, – და არ პასუხობს.
- ⁴³ გავაცამტვერებ, როგორც ქარი მტვერს, გავთელავ, როგორც ტალახს ქუჩაში.
- ⁴⁴ შენ მიხსენი ხალხთა დავისგან, დამაყენე ერთა უფროსად, ხალხი, რომელსაც არ ვიცნობდი, მემსახურება.
- ⁴⁵ ყურის მოკვრითაც მმორჩილებენ, უცხო ტომები პირფერობენ ჩემთან.
- ⁴⁶ უცხო ტომები დაფნენხნენ და თრთიან თავიანთ სიმაგრეებში.
- ⁴⁷ უკვდავია უფალი! დიდებულია სიმაგრე ჩემი! ამაღლდეს ღმერთი – ჩემი მშველელი,
- ⁴⁸ ღმერთი, რომელმაც შური იძია ჩემთვის და მიმორჩილებს ერებს.



⁴⁹ჩემი მხსნელია მტრებისაგან, შენ ამამაღლე მათზე, ვინც აღსდგა ჩემს წინააღმდეგ; შენ მიხსენი უკეთურ კაცთაგან.

⁵⁰ამისთვის გადიდებ ერებს შორის, უფალო, და შენს სახელს ვუგალობებ.

⁵¹ამრავლებს ის შველას მეფისათვის და წყალობას თავისი ცხებულისათვის, დავითისა და მისი მოდგმისათვის – საუკუნოდ.

ფსალმუნი 18

¹გუნდის ლოტბარს. ფსალმუნი. დავითისა.

²ცანი ღალადებენ ღმერთის დიდებას, მის ხელთა საქმეებს გვამცნობს სამყარო.

³დღე დღეს გადასცემს სიტყვას, და ღამე ღამეს უმხელს აზრს,

⁴არ არის ენა და არცა სიტყვა, სადაც არ ისმის მათი ხმა.

⁵მთელი დედამიწის ზურგზე გადის მათი ხმა და სამყაროს კიდებამდე აღწევს მათი სიტყვები; მზეს დაუდგა კარავი მათში.

⁶ვითარცა ნეფე, გამოდის ის საქორწინო ტავბტრევანიდან; ვითარცა გმირი, ხარობს ის გარბენას გზისას.

⁷ცათა კიდიდან არის მისი აღმოსავალი და მისი ბრუნვა – ცათა კიდეზე, ვერაფერი ემალება მის მხურვალეობას.

⁸რჯული უფლისა სრულყოფილია, სულს განამტკიცებს; მცნება უფლისა ჭეშმარიტია, სიბრძნეს ანიჭებს გულუბრყვილოებს.

⁹მართებულია უფლის ბრძანებანი, გულს ახარებენ; მცნება უფლისა სპეტაკია, შუქს აძლევს თვალებს.

¹⁰შიში უფლისა წმიდაა, მარადიული. უფლის განსჯანი ჭეშმარიტნი, მართალნი ერთობ.

¹¹სასურველნი არიან ოქროზე და თვით ბაჯაღლოზე მეტად და უტკბილესნი თაფლისა და გოლეულისა.

¹²შენი მორჩილი მათით არის განათლებული; დიდია საზღაური მათი დაცვისთვის.

¹³ვინ გულისხმა-ჰყოს შეცდომანი თვისნი? განმწმიდე მე დაფარულთაგან.

¹⁴უნებლიე ცოდვებს განაშორე მსახური შენი, რათა არ გაბატონდნენ ჩემზე! მაშინ უმწიკვლო ვიქნები და თავს დავაღწევ დიდ ცოდვას.



¹⁵დაე, იყოს შენთვის სასურველი ჩემი პირის სიტყვანი და ჩემი გულის ზრახვანი, უფალო, ბურჯო და მხსნელო ჩემო.

ფსალმუნი 19

¹გუნდის ლოტბარს. ფსალმუნი. დავითისა.

²გისმინოს უფალმა გაჭირვების დღეს! დაგიცვას შენ იაკობის ღმერთის სახელმა!

³გამოგიგზავნოს შემწეობა სიწმიდიდან და სიონიდან განგამტკიცოს შენ!

⁴გაიხსენოს ყველა შენი შესაწირავი და მსუყე იყოს მისთვის სრულადდასაწველი შენი!

⁵გიბოდოს შენ შენი გულისამებრ და აღგისრულოს ყოველი შენი განაზრახი!

⁶გავიხარებთ შენი გამარჯვებით, და ჩვენი ღმერთის სახელით ავაფრიალებთ დროშებს; ყველა შენი სათხოვარი შეგისრულოს უფალმა!

⁷ახლა მივხვდი, რომ იხსნის უფალი თავის ცხებულს; მისი წმიდა ზეციდან უპასუხებს მას თავისი მხსნელი მარჯვენის ძლიერებით.

⁸ზოგნი ეტლებით იქადიან და ზოგნი ცხენებით, ჩვენ კი უფლის, ჩვენი ღმერთის სახელით ვიქადით.

⁹ისინი მოიდრიკებიან და დაეცემიან, ჩვენ კი წამოვდგებით და წელში გავიმართებით.

¹⁰მიეც მეფეს გამარჯვება, უფალო! გვისმინე, როდესაც შემოგღალადებთ.

ფსალმუნი 20

¹გუნდის ლოტბარს. ფსალმუნი. დავითისა.

²უფალო, შენი ძლიერებით ხარობს მეფე და შენი შველით ილხენს დიდად!

³შენ შეუსრულე მას გულის ნატვრა და მის ბაგეთა თხოვნა არ უკუაგდე.

⁴რადგან შენ შეაგებე მას კეთილი კურთხევა, ბაჯაღლო ოქროს გვირგვინი დაადგი თავზე.

⁵სიცოცხლე გთხოვა და უბოძე მას, დღეგრძელობა უკუნითი უკუნისამდე.

⁶დიდია ღირსება მისი შენი შემწეობით, დიდება და მშვენიერება მიანიჭე მას.



⁷შენ უბოძე მას კურთხევებს სამარადჟამოდ, ლხენას ანიჭე მას შენთან ყოფნის სიხარულით.

⁸რადგანაც უფალზე არის მინდობილი მეფე, უზენაესის მოწყალებით არ დაეცემა.

⁹შენი ხელი მისწდება ყველა შენს მტერს, შენი მარჯვენა გაანადგურებს შენს მოძულეებს.

¹⁰ცეცხლოვან თონეს დაამსგავსებ მათ შენი გამოჩენის ჟამს; უფალი თავისი რისხვით დასწავს, ცეცხლი შთანთქავს მათ.

¹¹შენ მათ ნაშვირს წარხოცავ ქვეყნიდან და მათ მოდგმას კაცთა ძეთაგან.

¹²თუ სიავეს განიზრახავენ შენს წინააღმდეგ, ბოროტს დაგეგმავენ, ვერაფერს გახდებიან.

¹³ვინაიდან შენ უკუაქცევ მათ, შენს მშვილდს მიმართავ მათი პირისკენ.

¹⁴ამაღლდი შენი ძალით, უფალო! ვუმღერებთ და ვუგალობებთ შენს ძლიერებას.

ფსალმუნი 21

¹გუნდის ლოტბარს. ცისკრის აღმოზრწყინებისას. ფსალმუნი დავითისა.

²ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! რად მიმატოვე? შემოგლალადებ, მაგრამ შორს არის ჩემგან შველა.

³ღმერთო ჩემო! მოგიხმობ დღისით და არ მპასუხობ, ღამით – და არ არის სიმშვიდე ჩემთვის.

⁴შენ კი, წმიდა ხარ და მკვიდრობ ისრაელის ხოტბათა შორის.

⁵შენ გესავდნენ ჩვენი მამები, გესავდნენ და იხსენი კიდევ.

⁶შენ გევედრებოდნენ და გადარჩნენ; შენი იმედი ჰქონდათ და არ გაწბილდნენ.

⁷მე კი მატლი ვარ და არა კაცი, სამრახისი ადამიანთა და საძულველი ერისა.

⁸ყველა, ვინც მხედავს, დამცინის; მქირდავენ და თავს აქნევენ:

⁹„უფალს მიენდო, მაშ მანვე იხსნას, მან უშველოს თავის სასურველს!“

¹⁰შენ გამომიყვანე დედის მუცლიდან, დამამშვიდე დედის მკერდზე.

¹¹შენი იმედი მქონდა დედის მუცლიდან; დედის წიაღიდან შენ ხარ ჩემი ღმერთი.



- ¹²ნუ განმშორდები, რადგან ახლოა უბედურება, ხოლო შემწე არავინ არის.
- ¹³გარს შემომერტყნენ ძლიერი ხარები, ბაშანის ხარებმა რკალი შემომარტყეს.
- ¹⁴პირს აღებენ ჩემს წინააღმდეგ, მსხვერპლს დადევნებული და მბრძღვინავი ლომივით.
- ¹⁵ვითარცა წყალი დავიღვარე და დაიშალნენ ჩემი ძვლები; ცვილს დაემსგავსა ჩემი გული, დადნა ჩემს გვამში.
- ¹⁶გამოიფიტა ჩემი ძალა, ვითარცა თიხა; ენა სასაზე მიმეკრა, ჩამიყვანე სიკვდილის მტვერში.
- ¹⁷გარს შემომეხვივნენ ძაღლები; ბოროტთა ხროვა წრედ შემომერტყა, გამიხვრიტეს ხელნი და ფერხნი.
- ¹⁸მთელი ჩემი ძვლები დაითვლება; მომჩერებიან ნიშნის მოგებით.
- ¹⁹ჩემს სამოსელს ინაწილებენ და წილს იყრიან ჩემს კვართზე.
- ²⁰მაგრამ შენ, უფალო, ნუ განმშორდები! სიმძლავრევ ჩემო, ჩემდა შემწედ გამოემურე!
- ²¹გადაარჩინე ჩემი სული მახვილისაგან და ძაღლთაგან ჩემი სიცოცხლე!
- ²²მიხსენი ლომის ხახისაგან და გარეული ხარების რქისგან!
- ²³ჩემს ძმებს მოვუთხრობ შენს სახელზე, კრებულთა შორის გადიდებ შენ.
- ²⁴უფლის მოშიშნო, ადიდეთ იგი! პატივი მიაგოს მას იაკობის ჩამომავლობამ და გეშინოდეს მისი, ისრაელის მთელი მოდგმავ!
- ²⁵რადგან არ დაამცირა და არ უგულუბელყო ტანჯვა გლახაკისა, არ მოარიდა პირი თვისი, უსმინა მას, როს მოუხმობდა.
- ²⁶მინდა შეგასხა ხოტბა მრავალთა კრებულში, მის მოშიშთა წინაშე გადავიხდი აღთქმულს.
- ²⁷შეჭამენ ლატაკნი და გაძლებიან, ადიდებენ უფალს მისი მაძიებლები; სამარადჟამოდ იცოცხლონ თქვენმა გულებმა!
- ²⁸გაიხსენებენ და უფალთან დაბრუნდებიან ქვეყნიერების ყველა კიდენი, და თაყვანს სცემს მას ყველა ტომი წარმართებისა.
- ²⁹რამეთუ უფალს ეკუთვნის მეფობა და ის არის ხალხთა მბრძანებელი.
- ³⁰თაყვანს სცემს ამ ქვეყნის ყველა ამაყი, მის წინაშე ქედს მოიხრის ყველა, ვინც მტვრად უნდა იქცეს, ვისაც არ ძალუძს თვისი სულის ხსნა.



³¹შთამომავლობა ემსახურება მას; მოუთხოვს მომავალ თაობებს უფლის შესახებ.

³²აუწყებენ მის სიმართლეს ხალხს, ჯერ არ შობილს, იმას, რაც მოიმოქმედა უფალმა.

ფსალმუნი 22

¹ფსალმუნი. დავითისა. უფალი ჩემი მწყემსია, არაფერი არ მომაკლდება.

²ხასხასა მოლზე დამასვენებს და წყნარ წყლებზე წარმიძვება.

³სულს დამიწყნარებს, სიმართლის კვალზე დამაყენებს თავისი სახელის გულისათვის.

⁴სიკვდილის აჩრდილთა ველზეც რომ ვიარო, ბოროტებისა არ შემეშინდება, რადგან შენა ხარ ჩემთან; მანუგებებენ შენი კვერთხი და შენი საყრდენი.

⁵შენ გააწყვე ტაბლა ჩემს წინაშე ჩემს მტერთა თვალწინ, ზეთი სცხე ჩემს თავს; სავსეა ჩემი თასი პირამდე.

⁶ასე, სიკეთე და წყალობა მახლავს თან მთელი სიცოცხლე და დავმკვიდრდები უფლის სახლში დღენი მრავალნი.

ფსალმუნი 23

¹ფსალმუნი. დავითისა. უფლისა არის ქვეყნიერება და სავსება მისი, სამყარო და მისი მკვიდრნი.

²რადგან ზღვებზე დააფუძნა და მდინარეებზე მოაწყო იგი.

³ვინ ავა უფლის მთაზე? ან ვინ დადგება მის წმიდა ადგილზე?

⁴ვისაც ხელები სუფთა აქვს და გული სპეტაკი, ვინც მიუღწეველს არ წაპოტინებია და ყალბად არ დაუფიცავს,

⁵ის მიიღებს კურთხევას უფლისაგან და სიმართლის წყალობას მხსნელი ღმერთისაგან.

⁶ასეთია მის მაძიებელთა თაობა, ვინც ეძიებს შენი სახის ხილვას, ღმერთო იაკობისა!

⁷მალა ასწიეთ, კარიბჭენო, თქვენი თავები! და აიწიეთ, ბჭენო მარადნო! რომ შემოვიდეს მეფე დიდებისა.

⁸ვინ არის მეფე დიდებისა? უფალი – მტკიცე და ძლიერი, უფალი – ომში ძლევამოსილი.



⁹მაღლა ასწიეთ, კარიბჭენო, თქვენი თავები! და აიწიეთ, ბჭენო მარადნო! რომ შემოვიდეს მეფე დიდებისა.

¹⁰ვინ არის მეფე დიდებისა? უფალი ძალთა, ის არის მეფე დიდებისა.

ფსალმუნი 24

¹ფსალმუნი დავითისა. შენსკენ აღვაპყრობ, უფალო, ჩემს სულს.

²ღმერთო ჩემო! შენ გესავ, ნუ შევრცხვები, ნუ აზეიმებ მტერს ჩემზე.

³ნუ შერცხვება ნურავინ, ვინც შენ გასაოებს. შერცხვენ ფუჟად შემცოდველნი.

⁴შენი გზები მაუწყე, უფალო, მასწავლე შენი კვალი.

⁵წარმიძელ შენი ჭეშმარიტებით და მასწავლე, რადგან შენ ხარ ღმერთი ჩემი ხსნისა; შენი იმედი მაქვს მთელი დღე.

⁶გაიხსენე, უფალო, წყალობა შენი და გულმოწყალება შენი, რადგან ისინი საუკუნოა.

⁷ცოდვანი ჩემი სიჭაბუკისა და ბრალი ჩემი არ გაიხსენო; გამიხსენე შენი გულმოწყალებით, შენი სიკეთით, უფალო!

⁸კეთილი არის უფალი და მართალი, ამიტომ კვლავ აბრუნებს ცოდვილთ გზაზე.

⁹შეუძღვება თავმდაბალთ სამართალში და გზას ასწავლის მორჩილთ.

¹⁰ყველა გზა უფლისა წყალობაა და ჭეშმარიტება მის აღთქმათა და მცნებათა შემნახველთათვის.

¹¹შენი სახელისათვის, უფალო, შემინდე ჩემი შეცოდება, რადგან დიდია იგი.

¹²ვინ არის კაცი, მოშიში უფლისა? მას უჩვენებს გზას, რომელიც უნდა აირჩიოს.

¹³მისი სული კეთილად განისვენებს და მისი მოდგმა დაიმკვიდრებს ქვეყანას.

¹⁴საიდუმლო უფლისა – მოშიშთა მისთა, და თავის აღთქმას აუწყებს მათ.

¹⁵ჩემი თვალები მუდამ უფლისკენ არის მიმართული, მახისაგან იხსნის იგი ჩემს ფეხებს.

¹⁶გადმომხედე და შემიწყალე მე, ვინაიდან მარტოსული ვარ და ბედუკუდმართი.



- ¹⁷განივრცო ტანჯვა ჩემი გულისა, მიხსენ ჩემი გასაჭირისგან.
- ¹⁸შეხედე ჩემს ტანჯვას და დაქანცულობას და შემინდე ყველა ჩემი შეცოდება.
- ¹⁹მოხედე, როგორ გამრავლდნენ ჩემი მტრები და საშინელი სიძულვილით შემიძულეს მე.
- ²⁰დაიფარე ჩემი სული და დამიხსენი; ნუ შევრცხვები, რადგან შენ გესავ.
- ²¹უბიწოებამ და სიმართლემ დამიფაროს მე, რადგან შენა ხარ ჩემი იმედი.
- ²²იხსენ, უფალო, ისრაელი ყოველი მისი გასაჭირისგან.

ფსალმუნი 25

- ¹ფსალმუნი დავითისა. განმსაჯე, უფალო, რადგან სიწრფელით დავდივარ ჩემს გზაზე, უფალზე ვარ მინდობილი, არ წავბორძიკდები.
- ²გამომცადე, უფალო, და შემამოწმე, ბრძმედში გამოატარე შიგნეულობა და გული ჩემი.
- ³რადგან თვალწინ მიდგას შენი წყალობა და მივყვები შენს ჭეშმარიტებას.
- ⁴არ დავმეგობრებივარ სიცრუის მოყვარულთ და მზაკვრებთან არ მივალ.
- ⁵შევიძულე კრებული უკეთურთა და ბოროტთა გვერდით არ დავჯდები.
- ⁶ხელებს დავიბან უბიწოებით და გარს შემოვუვლი შენს სამსხვერპლოს, უფალო.
- ⁷რომ ვიღაღადო მადლიერებით და ვაუწყო ყველა შენი საოცრება.
- ⁸უფალო, მიყვარს მშვენება შენი სახლისა და ადგილი, სადაც დავანებულია შენი დიდება.
- ⁹ნუ მოსპობ ჩემს სულს ცოდვილთა გვერდით და ჩემს სიცოცხლეს სისხლისმსმელებთან,
- ¹⁰რომელთაც ხელთ აქვთ ბოროტება და მათი მარჯვენა სავსეა ქრთამით.
- ¹¹ხოლო მე ვივლი უბიწოებით; მიხსენ და შემიწყალე მე.
- ¹²სწორ გზაზე დგას ჩემი ფეხი; საკრებულოებში ვადიდებ უფალს.

ფსალმუნი 26

- ¹ფსალმუნი დავითისა. უფალი არის ჩემი სინათლე და ხსნა ჩემი: ვის შევუშინდე? უფალი ბურჯია ჩემი სიცოცხლისა: ვისგან შევძრწუნდე?



²თუ დამესხმიან თავს ბოროტნი ჩემს ჩასანთქმელად, მჩაგვრელნი ჩემნი და მტერნი ჩემნი, თვით წაბორძიკდებიან და დაეცემიან.

³ჯარმაც რომ დაიბანაკოს ჩემს წინააღმდეგ, არ შეშინდება ჩემი გული; თუ ომი ატყდა ჩემს წინააღმდეგ, მაინც იმედი მექნება.

⁴ერთსა ვთხოვ უფალს, ამას ვევედრები: რომ დავემკვიდრო უფლის სახლში მთელი სიცოცხლე, ვუმზერდე უფლის მშვენიერებას და მის ტაძარში დავდიოდე.

⁵რადგან შემიფარებს იგი თავის კარავში გაჭირვების ჟამს, დამიცავს თავისი კარვის საფარქვეშ, კლდეზე ამამაღლებს.

⁶ახლა კი მაღლა აღვმართავ თავს გარს შემოხვეული მტრების ზემოთ და შევწირავ მის კარავში ქების მსხვერპლს, ვუმღერებ და ვუგალობებ უფალს.

⁷ისმინე, უფალო, ჩემი ხმა, როცა მოგიხმობ, შემიწყალე და მიპასუხე!

⁸შენგან თქვა ჩემმა გულმა: ეძიეთ ჩემი სახე! შენს სახეს მოვძებნი, უფალო.

⁹ნუ დამალავ შენს სახეს ჩემგან, რისხვით ნუ უკუაგდებ შენს მორჩილს; ჩემი შემწე იყავი უწინ; ახლაც ნუ მკრავ ხელს და ნუ მიმატოვებ, ჩემი ხსნის ღმერთო!

¹⁰რადგან მიმატოვა ჩემმა დედ-მამამ; მაგრამ უფალი მიმიღებს მე.

¹¹მიწინამძღვრე, უფალო, შენს გზაზე და დამაყენე სწორ კვალზე ჩემი მტრების გამო.

¹²ნუ გადამცემ ჩემი მტრების სურვილისამებრ; რადგან აღდგნენ ჩემს წინააღმდეგ ცრუ მოწმენი და ბოროტებით სუნთქავენ.

¹³მწამს, რომ ვიხილავ უფლის სიკეთეს ცოცხალთა ქვეყანაში!

¹⁴მიენდე უფალს, გამხნევდი და გაიმაგრე გული, ელოდე უფალს!

ფსალმუნი 27

¹ფსალმუნი დავითისა. მოგიხმობ შენ, უფალო, ბურჯო ჩემო, ნუ დადუმდები ჩემთვის! ვაი, თუ დადუმდე ჩემთვის და დავემსგავსო საფლავში ჩასულებს.

²ისმინე ჩემი მუდარის ხმა, როცა მოგიხმობ, როს ხელებს აღვაპყრობ შენი წმიდა ტაძრისაკენ.

³ნუ შემაერთებ ბოროტებთან და სიყალბის მქმნელებთან, რომელნიც მოყვასთან მშვიდობიანად ლაპარაკობენ, გულში კი სიავე უდევთ.



⁴მიუზღე მათ მათი საქმეებისამებრ, აზღვევინე მათი ბოროტმოქმედებისამებრ; მათ ხელთა საქმისამებრ მიუზღე მათ, აზღვევინე დამსახურებული.

⁵რადგან არ ესმით მოქმედებანი უფლისა და მისთა ხელთა საქმენი. ის დაანგრევს მათ და აღარ აღაშენებს.

⁶კურთხეულია უფალი, რადგან ისმენს ჩემი ვედრების ხმას.

⁷უფალი ძალაა ჩემი და ფარი ჩემი; მას ესავდა ჩემი გული; დამეხმარა და გაიხარა ჩემმა გულმა, ჩემი სიმღერით ვიტყვი მის ქებას.

⁸უფალი ძალაა თავისი ხალხისა და თავისი ცხებულის მხსნელი ფარია.

⁹იხსენი შენი ხალხი და აკურთხე შენი სამკვიდრო, მწყემსე ისინი და აამაღლე უკუნისამდე!

ფსალმუნი 28

¹ფსალმუნი დავითისა. უძღვენით უფალს, ღვთის შვილებო, უძღვენით უფალს ძალა და დიდება.

²უძღვენით უფალს მისი სახელის დიდება; თაყვანი ეცით უფალს წმიდა ბრწყინვალებით.

³ხმა უფლისა წყლებზე, დიდების ღმერთმა დაიგრგვინა; უფლის ხმა მრავალ წყალზე.

⁴ხმა უფლისა ძლიერია, ხმა უფლისა ბრწყინვალეა.

⁵ხმა უფლისა ამსხვრევს კედრებს; ამსხვრევს ლიბანის კედრებს უფალი.

⁶ათამაშებს ლიბანს ხბოსავით, და სირიონს – მარტორქის შვილივით.

⁷ხმა უფლისა გაჰკვეთს ცეცხლის ალს.

⁸ხმა უფლისა არყევს უდაბნოს; არყევს უფალი კადემის უდაბნოს.

⁹ხმა უფლისა ამშობიარებს ირმებს; აშიშვლებს ტყეებს; და მის ტაძარში ყოველივე ღაღადებს: დიდება!

¹⁰უფალი ზის წარღვნაზე, ზის უფალი ხელმწიფედ უკუნისამდე.

¹¹დაე უფალმა უბოძოს ძალა თავის ხალხს! აკურთხოს უფალმა თავისი ხალხი მშვიდობით!

ფსალმუნი 29



- ¹ფსალმუნი. ქება ტაძრის განახლებისა. დავითისა.
- ²განგადიდებ შენ, უფალო, რადგან მიხსენი და არ გაახარე ჩემზე მტრები.
- ³უფალო, ღმერთო ჩემო, მოგიხმე და შენ განმკურნე მე.
- ⁴უფალო, შენ ამოიყვანე ჩემი სული ჯოჯოხეთიდან, გამაცოცხლე, რომ საფლავში არ ჩავსულიყავ.
- ⁵უფალობეთ უფალს, მისო წმიდებო, ადიდეთ ხსენება მისი სიწმიდისა.
- ⁶რადგან წამიერია რისხვა მისი, ხოლო გულმოწყალება – მთელი სიცოცხლე; თუ ღამით გლოვა დაისადგურებს – ცისკრის ჟამს მხიარულება მოვა.
- ⁷და ვთქვი მე ჩემი ნეტარების ჟამს: არ დავეცემი უკუნისამდე.
- ⁸შენი სურვილით, უფალო, დამადგინე მთასავით მკვიდრად; დაფარე შენი სახე და – შევძრწუნდი.
- ⁹შენ მოგიხმე, უფალო, და ჩემს მეუფეს შევევედრე:
- ¹⁰რა სარგებლობა იქნება ჩემს სისხლში, როდესაც საფლავში ჩავალ? განა მტვერი შეგასხამს ხოტბას? განა შენს ჭეშმარიტებას განაცხადებს?
- ¹¹უფალო, მომისმინე და შემიწყალე, იყავი შემწე ჩემი.
- ¹²შენ ჩემი წუხილი როკვად მიქციე, ძაძა გამხადე და სიხარულით შემომსარტყლე.
- ¹³ამისათვის გიგალობებს სული ჩემი და არ დადუმდება. უფალო, ღმერთო ჩემო, შენ გადიდებ უკუნისამდე!

ფსალმუნი 30

- ¹გუნდის ლოტბარს. ფსალმუნი. დავითისა.
- ²შენში ვეძებ ხსნას, უფალო, ნურც შევრცხვენილვარ ნურასოდეს; შენი სიმართლით გამომიხსენი.
- ³მომაპყარ ყური შენი, სწრაფად გადამარჩინე, იყავ ჩემთვის კლდე და ბურჯი, ციხესიმაგრე ჩემს დასახსნელად.
- ⁴რადგანაც ჩემი კლდე და ბურჯი ხარ; შენი სახელის გულისათვის მიჩვენე გზა და გამიძეხი.
- ⁵გამომიყვანე მახისაგან, რომელიც ჩუმად დამიგეს, რადგან შენა ხარ სიმაგრე ჩემი.



⁶შენს ხელს შევავედრებ ჩემს სულს. შენ დამიხსნი, უფალო, ღმერთო ჭეშმარიტო.

⁷შენ შეიძულე ფუჭი კერპების თაყვანისმცემლები მე კი უფალს მივენდე.

⁸ვილხენ და ვიხარებ შენი წყალობით, რადგან შენ იხილე ჩემი სისაწყლე, შეიცან ტანჯვა ჩემი სულისა.

⁹და არ მიმეცი მტრის ხელს; ფართოდ დაამკვიდრე ფერხნი ჩემნი.

¹⁰შემიწყალე, უფალო, რადგან მიჭირს, დაიშრიტა წუხილით თვალი ჩემი, სული ჩემი და მუცელი ჩემი.

¹¹რადგან გაილია ნაღველში ჩემი სიცოცხლე და ჩემი წლები – გლოვაში. დაუძლურდა ჩემი ძალა ჩემი ცოდვებით და ჩემი ძვლები დაიფშვნა.

¹²ყველა ჩემი მტრისაგან შერცხვენილი შევიქენ, მეზობელთათვის – ძრწოლა, და საშიში ნაცნობთათვის; ვინც კი ქუჩაში დამინახავს, გარბის ჩემგან.

¹³გულიდან ამომიგდეს, ვითარცა მკვდარი; დამსხვრეულ ჭურჭელს დავემსგავსე.

¹⁴რადგან მესმის ცილისწამება მრავალთა, შიშია ყოველი მხრიდან! ისინი შეითქვნენ ჩემს წინააღმდეგ, ჩემი სულის ამოხდა განიზრახეს,

¹⁵მე კი შენი იმედი მაქვს, უფალო, ვთქვი: შენა ხარ ჩემი ღმერთი.

¹⁶შენს ხელთ არის ჩემი დრო-ჟამი. მიხსენ ჩემს მტერთა და მდევნელთა ხელთაგან.

¹⁷უჩვენე შენი ბრწყინვალე სახე შენს მორჩილს, გადამარჩინე შენი წყალობით.

¹⁸უფალო, ნუ შემარცხვენ, რადგან შენ მოგიხმობ. დაე, შერცხვნენ ბოროტნი და დადუმდნენ ჯოჯოხეთში.

¹⁹დაე, დამუნჯდნენ ცრუ ბაგეები, რომელნიც ქედმაღლად ლაპარაკობენ მართალზე, ამპარტავნებით და სიძულვილით.

²⁰რაოდენ მრავალი სიკეთე გაქვს, უფალო, შენს მოშიშთათვის რომ ინახავ, შენს მსასოებელთ რომ განუმზადე ადამის ძეთა წინაშე.

²¹შენ იფარავ მათ შენი პირის საფარველქვეშ ადამიანის ხრიკებისაგან, იცავ მათ ენით გამომწვეული დავიდარაბისგან.



²²კურთხეულია უფალი, რადგან მომივლინა თავისი საკვირველი წყალობა გამაგრებულ ქალაქში.

²³და მე ვფიქრობდი ძრწოლით: მოწყვეტილი ვარ შენს თვალთაგან. მაგრამ შენ ისმინე ჩემი მუდარის ხმა, როცა მოგიხმე საშველად.

²⁴შეიყვარეთ უფალი, მისნო წმიდანო; ერთგულს იცავს უფალი და მრავალგზის მიუზღავს ამპარტავნებს.

²⁵გამხნევდით და გული გაიმაგრეთ, ყველამ, ვისაც უფლის მოლოდინი გაქვთ.

ფსალმუნი 31

¹მოდღვრება. დავითისა. ნეტარია, ვისაც მიეტევა დანაშაული, ვისი ცოდვებიც დაიფარა.

²ნეტარია კაცი, ვისაც უფალი ცოდვას არ მოჰკითხავს, და ვის სულშიც არ არის სიყალბე.

³როდესაც ვდუმდი ჩემს ცოდვებზე, გაცვითა ჩემი ძვლები ყოველდღიურმა გოდებამ ჩემმა.

⁴რადგან დღისით და ღამით მძიმდებოდა შენი ხელი ჩემზე, სინედლე ჩემი შეიცვალა ზაფხულის გვალვით.

⁵ცოდვა ჩემი გაუწყე, და ბრალი ჩემი არ დამიმაღავს. ვთქვი: „ვადიარებ ჩემს ცოდვებს უფლის წინაშე. და შენ მომიტევე დანაშაული ჩემი ცოდვისა.“

⁶ამიტომ, დაე ილოცოს შენს მიმართ ყველა ღვთისმოსავმა შეწყნარების ჟამს; თუნდ იყოს წარღვნა წყალთა მრავალთა, ვერ მისწვდება მას.

⁷შენა ხარ ჩემი მფარველი, გაჭირვებისგან მიცავ, ხსნის სიხარული შემომარტყი გარს.

⁸გასწავლი და დაგაყენებ გზაზე, რომელზეც უნდა იარო, თვალს დავიჭერ შენზე.

⁹ნუ იქნებით, ვითარცა ცხენი ან ჯორი უგუნური. ლაგამი და აღვირია მათი შემკავებელი, სხვაგვარად ვერ მიუახლოვდები.

¹⁰მრავალი სატკივარი აქვს ბოროტს, უფალზე მინდობილი კი წყალობით არის გარემოცული.

¹¹იხარეთ უფლის მიერ და ილხინეთ, მართალნო; იზეიმეთ, გულით მართლებო!



ფსალმუნი 32

- ¹ღვთის სადიდებული გალობა იხარეთ უფლით, მართალნო!
გულწრფელებს შეშვენით ქება.
- ²ადიდეთ უფალი ქნარით, ათსიმინი ებანით უგალობეთ მას!
- ³უგალობეთ მას გალობა ახალი, კეთილად ააწყვეთ ჰანგი მოძახილით.
- ⁴რადგან სწორია უფლის სიტყვა და ყოველი მისი საქმე ჭეშმარიტია.
- ⁵უყვარს მას სიმართლე და სამართალი; უფლის წყალობით სავსეა ქვეყანა;
- ⁶უფლის სიტყვით შეიქმნა ზეცა და მისი ბაგეების სუნთქვით მთელი მისი კრებული.
- ⁷შეკრიბა, ვითარცა ტიკში, წყალნი ზღვისანი, საცავეებში მოათავსა უფსკრულები.
- ⁸ემინოდეს უფლისა მთელ დედამიწას, თრთოდეს მისგან სამყაროს ყოველი მკვიდრი.
- ⁹რადგან მან თქვა და მსწრაფლ შეიქმნა, მან ბრძანა და არსებობს.
- ¹⁰უფალი ჩაშლის ერების ზრახვებს, ხალხების ჩანაფიქრს გააცამტვერებს.
- ¹¹აზრი უფლისა იდგება მარადიულად, თაობიდან თაობამდე – გულისზრახვანი მისნი.
- ¹²ნეტარია ერი, ვისი ღმერთიც არის უფალი, ხალხი – მისგან მემკვიდრედ ამორჩეული!
- ¹³ზეციდან იმზირება უფალი, ხედავს ყველა მეს კაცისა.
- ¹⁴თავისი საბრძანებლიდან უთვალთვალეებს ქვეყნის ყველა მკვიდრს.
- ¹⁵ის ქმნის თვითოეულის გულს და სწვდება ყველა მათ საქმეს.
- ¹⁶მეფეს ვერ იხსნის ჯარის სიმრავლე, გმირს ვერ გადაარჩენს დიდი ძალა.
- ¹⁷უიმედოა ცხენი შველისთვის, მთელი მისი ძალა ვერ იხსნის მას.
- ¹⁸აი, თვალი უფლისა მის მოშიშთა თავზე, ვისაც მისი წყალობის იმედი აქვს,
- ¹⁹რომ იხსნის მათ სულს სიკვდილისაგან და ასაზრდოებს შიმშილის ჟამს.
- ²⁰ჩვენი სამშვიინველი მოელის უფალს, ის არის დამხმარე და მფარველი ჩვენი.
- ²¹აჰა, მისით ხარობს ჩვენი გული, რადგან გვწამს მისი წმიდა სახელი.



²²იყოს ჩვენზე შენი წყალობა, უფალო, რადგანაც შენზე ვამყარებთ იმედს.

ფსალმუნი 33

¹დავითისა. როცა სიგიჟე მოიგონა აბიმელექის წინაშე, განიდევნა და წავიდა.

²ვადიდებ უფალს ყოველ ჟამს, მარად იქნება მისი ქება ჩემს ბაგეებზე.

³უფლით იქადის ჩემი სული; ისმინონ მშვიდებმა და გაიხარონ.

⁴ადიდეთ უფალი ჩემთან ერთად, ვადიდოთ მისი სახელი ერთად!

⁵მოვიძიე უფალი და მიპასუხა მან და მიხსნა ყველა განსაცდელისგან.

⁶უმზირეთ მას და გასხივოსნდით; არასოდეს არ შერცხვება პირი თქვენი.

⁷აგერ გლახაკმა მოუხმო მას და უფალმა ისმინა მისი და ყველა გასაჭირისგან იხსნა იგი.

⁸დაივანებს უფლის ანგელოზი მის მოშიშთა ირგვლივ და იხსნის მათ.

⁹განიცადეთ და ნახეთ, რომ კეთილია უფალი! ნეტარია ის, ვინც მასზეა მინდობილი.

¹⁰გეშინოდეთ უფლისა, წმიდანო მისნო, რადგან არა აქვთ შეჭირვება მის მოშიშთ!

¹¹ლომის ბოკვერები იტანჯებიან და შიმშილობენ, ხოლო უფლის მაძიებლებს არავითარი სიკეთე არ მოაკლდებათ.

¹²მოდით, შვილებო, მისმინეთ! უფლის მოშიშებას გასწავლით თქვენ.

¹³ვინ არის კაცი, რომელსაც სურს სიცოცხლე, უყვარს დღეგრძელობა სიკეთის სანახავად?

¹⁴შეიკავე შენი ენა სიავისაგან და ბაგენი შენნი – ცბიერ სიტყვათაგან.

¹⁵ერიდე ბოროტებას და ჰქმენ სიკეთე; ეძიე მშვიდობა და მიჰყევი მას.

¹⁶უფლის თვალები მიპყრობილია მართალთაკენ და მისი ყურები – მათი ღაღადისაკენ.

¹⁷პირი უფლისა – ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ, რათა წარხოცოს დედამიწიდან მათი სახსენებელი.

¹⁸მართალნი მოუხმობენ და ისმენს უფალი, იხსნის მათ ყველა გასაჭირისგან.

¹⁹ახლოა უფალი გულმოდრეკილებთან, და სულით მორჩილებს იხსნის ის.



- ²⁰მრავალია სიძნელე მართლისა; მაგრამ ყველაფრისაგან იხსნის უფალი.
- ²¹ის იცავს მის ყოველ ძვალს, მათგან ერთიც არ შეიმუსრება.
- ²²მოკლავს ცოდვილს ბოროტება, ხოლო მართლის მოძულენი დაიგმოზიან.
- ²³იხსნის უფალი თავის მორჩილთა სულებს, არ განისჯება მასზე მინდობილი.

ფსალმუნი 34

- ¹დავითისა. ედავე, უფალო, ჩემს მოდავეებს, შეებრძოლე ჩემს წინააღმდეგ მებრძოლთ!
- ²აილე ფარი და საჭურველი, და აღსდექ ჩემს შესაწევნად!
- ³იშიშვლე მახვილი და გზა გადაუკეტე ჩემს მდევნელებს! უთხარი ჩემს სამშვინველს: „შენი მხსნელი ვარ!“
- ⁴შერცხვნენ და გაწბილდნენ ჩემი სიკვდილის მაძიებელნი; უკუიქცნენ და გაწბილდნენ ჩემთვის სიავის მსურველნი!
- ⁵შეიქნენ, ვითარცა მტვერი ქარის წინაშე, უფლის ანგელოზმა უკუაგდოს ისინი!
- ⁶იყოს მათი გზა ბნელი და მოლიპული, უფლის ანგელოზი სდევნიდეს მათ!
- ⁷რადგან უმიზეზოდ დამიგეს მახე, უმიზეზოდ გაუთხარეს ორმო ჩემს სამშვინველს.
- ⁸ეწიოს მათ უეცარი უბედურება! მახეში, რომელიც მოამზადეს, გაებან თვითონ, დასაღუპავად ჩაცვივდნენ შიგ!
- ⁹მაშინ ჩემი სამშვინველი გაიხარებს უფლით, ილხენს მისი შემწეობით.
- ¹⁰ყოველი ჩემი ძვალი იტყვის: უფალო, ვინ არის შენი მსგავსი, შენი, რომელიც იხსნი საწყალს ძლიერისგან, ღარიბს და ღატაკს – მძარცველისაგან?
- ¹¹აღსდგნენ ჩემს წინააღმდეგ ავი ცრუმოწმენი; რაც არ ვიცი, იმას მეკითხებიან.
- ¹²სიკეთის წილ ბოროტებით მიზღავენ, ჩემი სულის დაოზლება სურთ.
- ¹³მე კი მათი სნეულების ჟამს ძაძებს ვიცვამდი, ჩემს სულს მარხვით ვაძაბუნებდი, მაგრამ ჩემი ღოცვა უკან მიბრუნებოდა.
- ¹⁴ისე ვწუხდი, როგორც მეგობრისა ან ძმისთვის, დედას რომ დასტირის კაცი, ისეთი თავდახრილი და მგლოვიარე.



¹⁵ ისინი კი ჩემი მარცხის ჟამს ხარობდნენ, იკრიბებოდნენ; იკრიბებოდნენ ჩემს წინააღმდეგ სულმდაბალნი, და არ ვიცი, რატომ; სულს მიფლეთდნენ და არ მეშვებოდნენ.

¹⁶ პირფერი მანჭვითა და დაცინვით აღრქენდნენ კბილებს ჩემს წინააღმდეგ.

¹⁷ უფალო, როდემდე უყურებ ამას? მიხსენ გაპარტახებისაგან, ლომებისაგან იხსენ ჩემი სიცოცხლე!

¹⁸ მადლობას შემოგწირავ დიდ კრებულში, ხალხთა სიმრავლეში შეგასხამ ხოტბას.

¹⁹ არ გაიხარონ ჩემზე მტრებმა ტყუილუბრალოდ, ნუ ანიშნებენ უმიზეზოდ ჩემი მოძულენი თვალთა ერთმანეთს.

²⁰ რადგან მშვიდობაზე არ ლაპარაკობენ, არამედ ქვეყნიერების მორჩილთა მიმართ მზაკვრობას განიზრახავენ.

²¹ ფართოდ აღებენ პირს ჩემზე, ყვირიან: ოჰო! ოჰო! იხილა თვალმა ჩვენმა.

²² შენ ხომ იხილე, უფალო, ნუ დადუმდები! უფალო, ნუ განმერიდები მე;

²³ აღსდეგ, გამოიღვიძე ჩემს დასაცავად, ჩემი დავის გასარჩევად, ღმერთო ჩემო და უფალო ჩემო!

²⁴ გამასამართლე შენი სიმართლით, უფალო, ჩემო ღმერთო, და ნუ გაიხარებენ ჩემზე!

²⁵ ნუ იტყვიან თავიანთ გულში: ოჰო! სწორედ ასე გვენება! ნუ იტყვიან: ჩავყლაპეთ იგი!

²⁶ შერცხვეს და გაწბილდეს ყველა, ვისაც ჩემი ავი უხარია; სირცხვილით შეიმოსოს, ვინც მე მედიდურად მექცევა!

²⁷ იგალობონ და იხარონ ჩემი გამართლების მსურველებმა და თქვან მარადჟამს: დიდია უფალი, მისი მორჩილისათვის მშვიდობის მსურველი!

²⁸ ჩემი ენა კი ილაღადებს სიმართლეს შენსას და ქებას შენსას დღენიადაგ.

ფსალმუნი 35

¹ გუნდის ლოტბარს. უფლის მორჩილის, დავითისა.

² ბიწიერება ელაპარაკება ცოდვილებს გულების სიღრმეში; არ არის შიში ღმრთისა მათ თვალთა წინაშე.

³ რადგან ეპირფერებიან საკუთარ თავს, რათა მათი ურჯულოება არ გამოჩნდეს და არ შეიძულონ.



⁴მათ ბაგეთა სიტყვები სიავე და სიყალბეა, ბრძნული და კეთილი საქციელი არა სჩვევიათ.

⁵უსამართლობას იზრახავენ თავიანთ სარეცელზე, უკეთურ გზას ადგებიან, ბოროტს არ თაკილობენ.

⁶უფალო, ზეცამდეა შენი წყალობა, ჭეშმარიტება შენი – ღრუბლებამდე.

⁷სიმათლეს შენი, ვითარცა მთები ღმერთისა, სამართალი შენი – ღრმა უფსკრულივით. ადამიანსა და პირუტყვს შენ იხსნი, უფალო.

⁸რაოდენ ძვირფასია შენი წყალობა, ღმერთო! ადამის ძენი შენს ფრთებქვეშ აფარებენ თავს.

⁹დაპურდებიან შენი სახლის სიუხვით და შენს სიტკბოთა ნაკადებიდან შეასმევ მათ.

¹⁰რადგან შენთან არის წყარო სიცოცხლისა, შენი შუქით ვხედავთ სინათლეს.

¹¹მოჰვინე წყალობა შენი შენს აღმსარებლებს, და შენი მხსნელი სიმათლეს გულწრფელებს!

¹²ნუ მოაღწევს ჩემთან ფეხი ამპარტავნისა, ნურც ბოროტთა ხელი განმდევნის მე.

¹³იქ არიან განრთხმულნი უსამართლობის მოქმედნი, დაენარცხნენ და აღარ ძალუძთ წამოდგომა.

ფსალმუნი 36

¹დავითისა. ნუ შეგეხარბება ბოროტმოქმედებისა, ნურც უკანონობის ჩამდენთა შეგშურდება შენ,

²რადგან ბალახივით მალე გახმებიან და მწვანილივით დაჰკნებიან.

³მიენდე უფალს და ქმენ კეთილი; მაშინ დამკვიდრდები ქვეყანაზე და იქნები უსაფრთხოდ.

⁴უფალი იყოს შენი სიხარული, ის აგისრულებს გულის საწადელს.

⁵წარმართე უფლისკენ შენი სავალი გზა, მიენდე მას და ის აღასრულებს.

⁶გამოავლენს ნათელივით სიმათლეს შენსას და შენს სამართალს – შუადღესავით.

⁷დაემორჩილე უფალს და დაელოდე მას. ნუ შეგშურდება თავის გზაზე წარმატებულის, კაცისა, რომელიც ბოროტს იზრახავს.



- ⁸მოეშვი რისხვას და მიატოვე გულისწყრომა! ნუ გამძვინვარდები, არ გაბოროტდე.
- ⁹რადგან ბოროტმოქმედნი ამოწყდებიან, ხოლო უფალზე მინდობილნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას.
- ¹⁰კიდევ ცოტა, და აღარ იქნება ბოროტი, დაუკვირდები მის ადგილს და აღარ იქნება იქ.
- ¹¹ხოლო თავმდაბალნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას და დაამდებიან დიდი მშვიდობით.
- ¹²ავი განზრახვა აქვს ბოროტს მართლის მიმართ და კბილებს აღრჭენს მის წინააღმდეგ.
- ¹³მაგრამ უფალი დასცინის მას, ვინაიდან ხედავს, რომ მოდის მისი დღე.
- ¹⁴მახვილი იშიშვლეს ბოროტებმა და მოზიდეს მშვილდი, რათა ძირს დასცენ ღარიბ-ღატაკი და მოსპონ გზიანები.
- ¹⁵მათი მახვილი მათსავე გულს განეწონება და მათი მშვილდი შეიმუსრება.
- ¹⁶მართლის მცირედი სჯობია უკეთურთა დიდ სიმდიდრეს.
- ¹⁷რადგან უკეთურთა მკლავები შეიმუსრება, მართალთა შემწე კი უფალია.
- ¹⁸იცის უფალმა უცოდველთა დღენი, მათი მემკვიდრეობა უკუნისამდე იქნება;
- ¹⁹არ შერცხვებიან სიავის ჟამს და შიმშილის დღეებში დაპურდებიან.
- ²⁰ბოროტნი კი დაიღუპებიან და მტერნი უფლისა, მსგავსად მინდვრის ბალახისა, გაქრებიან, კვამლივით გაქრებიან.
- ²¹ბოროტი სესხულობს და არ იხდის, მართალი კი შემბრალელებელია და გასცემს.
- ²²რადგან უფლის მიერ ნაკურთხნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას, მის მიერ წყეულნი კი ამოწყდებიან.
- ²³უფლის მიერ წარიმართება კაცის ნაბიჯები, და გაამყარებს მას, ვის გზასაც შეიყვარებს.
- ²⁴კიდევ რომ წაბოროდიკდეს, არ დაეცემა, რადგან უფალს მტკიცედ უჭირავს მისი ხელი.
- ²⁵ყმაწვილი ვიყავი, კიდევ მოვხუცდი და არ მინახავს მართალი კაცი მიტოვებული, და მისი მოდგმა – პურზე ხელგაწვდილი.



²⁶ის ყოველდღე მოწყალებას გაიღებს და გაასესხებს, და მისი შთამომავალი კურთხეულია.

²⁷ერიდე ბოროტს და ქმენ სიკეთე და იარსებებ სამარადჟამოდ.

²⁸რადგან უფალს უყვარს სამართალი; არ მიატოვებს თავის წმიდებს, სამარადისოდ დაცულნი იქნებიან, ბოროტთა ნაშვირი კი ამოწყდება.

²⁹მართალნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას და იქნებიან მასზე უკუნისამდე.

³⁰მართლის ბაგენი სიბრძნეს წარმოთქვამენ და მისი ენა სიმართლეს ამბობს.

³¹მისი ღმერთის რჯული მის გულშია, არ დაუსხლტება ნაბიჯები.

³²ბოროტი უთვალთვალებს წმიდას და მის მოკვლას აპირებს.

³³მაგრამ უფალი არ მიატოვებს მას მის კლანჭებში და არ გაამტყუნებს მას სამსჯავროზე.

³⁴მიენდე უფალს, დარჩი მის გზაზე და ის აგამაღლებს, რომ დაიმკვიდრო ქვეყანა; იხილავ უკეთურთა განადგურებას.

³⁵მინახავს ბოროტი გამძვინვარებული, ფესვგადგმული, ვითარცა ლიბანის კედარი.

³⁶მაგრამ ჩავაიარე, და აჰა, აღარ არის, დავეძებ მას და ვეღარ ვპოულობ.

³⁷დაუკვირდი უმანკოს და უმზირე მართალს, რადგან მშვიდობიან კაცს ეკუთვნის მომავალი.

³⁸ხოლო ბრალეულნი ერთიანად მოისპობიან, ბოროტთა მომავალი გადაშენდება.

³⁹მართალთა შველა კი უფლისგან არის, ის არის მათი მფარველი გაჭირვების ჟამს.

⁴⁰ეხმარება მათ უფალი და იხსნის; იხსნის ბოროტთაგან და შველის, რადგან მასზე არიან მინდობილნი.

ფსალმუნი 37

¹ფსალმუნი დავითისა. გასახსენებელი.

²უფალო, შენი რიხსვით ნუ მამხილებ, და ნუ დამსჯი განრისხების ჟამს!

³რადგან შენი ისრები ჩემშია განწონილი და შენი ხელი მამძიმებს მე.

⁴აღარ არის ჯანსაღი ადგილი ჩემს სხეულში შენი რისხვის გამო; აღარ არის სისაღე ჩემს ძვლებში ჩემი ცოდვის გამო.



- ⁵რადგან ცოდვანი ჩემნი ასცილდნენ ჩემს თავს, მძიმე ტვირთად დამძიმდნენ ჩემზე.
- ⁶აყროლდნენ, დალპნენ ჩემი წყლულები ჩემი უგუნურების გამო.
- ⁷წელში მოვიხარე, დავმდაბლდი, მთელ დღეს ნაღვლიანი დავიარები.
- ⁸რადგან ჩემი წელი გათანგულია სიცხით და აღარ არის ჯანსაღი ადგილი ჩემს სხეულში.
- ⁹დავუძლურდი და დავძაბუნდი მეტისმეტად, ვღრიალებ ჩემი გულის სატკივარით.
- ¹⁰უფალო, შენს წინაშეა ყველა ჩემი სურვილი, ჩემი ოხვრა დაფარული არ არის შენგან.
- ¹¹ჩემი გული თრთის, ძალღონემ დამტოვა, ჩემს თვალთა სინათლე – აღარც ის არის ჩემთან.
- ¹²მოყვარულნი და მეგობარნი განერიდნენ ჩემს წყლულებს, და ახლობლები შორს განმიდგნენ.
- ¹³მახეს მიგებენ ჩემი სულის მაძიებლები, ჩემი სიავის მსურველები ბჭობენ ჩემს დასალუპად და მთელ დღეს მზაკვრობას განიზრახავენ.
- ¹⁴მე კი არ მესმის, ვითარცა ყრუს და ვითარცა მუნჯს, პირს რომ ვერ ადებს.
- ¹⁵დავემსგავსე კაცს, რომელსაც არ ესმის და რომლის ბაგეებსაც არ შეუძლიათ პასუხის გაცემა.
- ¹⁶მაგრამ მე შენ გელოდები, უფალო, შენ მიპასუხებ, უფალო, ღმერთო ჩემო.
- ¹⁷გევედრები: ნუ გაახარებ მათ ჩემზე, თუ ფეხი გადამიბრუნდა, ნუ გააბატონებ ჩემზე!
- ¹⁸რადგან მარცხი მემუქრება და ჩემი სატკივარი მუდამ ჩემთანაა.
- ¹⁹ჩემს ბრალს ვაცხადებ, ვწუხვარ ჩემი ცოდვის გამო.
- ²⁰უსამართლოდ გადამტრეხულები კი ძლიერდებიან, მრავლდებიან ჩემი ამაოდ მოძულენი.
- ²¹კეთილის წილ ბოროტის გადამხდელნი მმტრობენ იმისთვის, რომ კეთილს ვცდილობ.
- ²²ნუ მიმატოვებ, უფალო! ღმერთო ჩემო, ნუ განმშორდები!
- ²³გამოეშურე ჩემს შესაწევნად, უფალო, მხსნელო ჩემო!

ფსალმუნი 38



- ¹გუნდის ლოტბარს, იედუთუნს. დავითის ფსალმუნი.
- ²ვთქვი: „დავიცავ ჩემს გზებს, რომ არ შევცოდო ჩემი ენით; ალიკაპს ავიკრავ პირზე, ვიდრე ბოროტნი იმყოფებიან ჩემს სიახლოვეს.“
- ³მთლიანად დავმუნჯდი, დავდუმდი, მშვიდობას ვიცავდი, მაგრამ ვაება გამიძლიერდა.
- ⁴გახურდა გული ჩემს შიგნით, ჩემს აზრებში ცეცხლი აღეგზნო; მაშინ დავიწყე ლაპარაკი ჩემი ენით:
- ⁵„მაუწყე, უფალო, ჩემი აღსასრული, ჩემი დღეების ხანგრძლივობა, მაუწყე, რა არის ჩემი ბედისწერა!“
- ⁶აჰა, გოჯებით მომეცი დღენი, ჩემი სიცოცხლის ხანი არაფერია შენს წინაშე; ჭეშმარიტად, ერთი ამოსუნთქვაა კაცის სიცოცხლე!
- ⁷ჭეშმარიტად, აჩრდილივით დაეხეტება ადამიანი, ამაოდ ფაციფუცობს, აგროვებს და არ იცის, ვის დარჩება!
- ⁸ახლა კი, რას ველი, უფალო? შენა ხარ ჩემი იმედი.
- ⁹მიხსენ ყოველი ჩემი ბრალისაგან, ნუ გამხდი ბრიყვის სალანძღავად!“
- ¹⁰დავდუმდი, ბაგეებს ველარ ვხსნი, რადგან ასე ჰქმენ შენ.
- ¹¹ამარიდე სასჯელი შენი; გავილიე შენი ხელის დარტყმებისაგან.
- ¹²თუ ცოდვის მხილებით დასჯი ადამიანს, ჩრჩილივით შეჭამ ყველა მის სურვილს; ჭეშმარიტად, მხოლოდ ამოებაა ყოველი კაცი!
- ¹³ისმინე ჩემი ლოცვა, უფალო, და ჩემს ვედრებას ყური მოაპყარ; ნუ დადუმდები ჩემი ცრემლების მიმართ, რადგან მწირი ვარ შენი, ხიზანი, ვითარცა ჩემი მამა-პაპანი.
- ¹⁴მზერა მომაცილე, რათა მოვმაგრდე, ვიდრე წავალ და აღარ ვიქნები!

ფსალმუნი 39

- ¹გუნდის ლოტბარს. დავითის ფსალმუნი.
- ²მტკიცედ ვესავდი უფალს; ყური მომაპყრო და შეისმინა ჩემი ვედრება,
- ³ამომიყვანა საზარელი ორმოდან, გაუვალი ლაფიდან, დააყენა კლდეზე ფეხნი ჩემნი, განამტკიცა ნაბიჯნი ჩემნი,
- ⁴მისცა ჩემს ბაგეებს ახალი გალობა ჩვენი ღმერთის სადიდებლად. მრავალნი იხილავენ და შეშინდებიან, და მიენდობიან უფალს.



⁵ნეტარ არს კაცი, ვინც უფალზე ამყარებს იმედს, ვინც არ მისდევს კადნიერთ და გზას არ ასცდება ცრუ ღმერთების მოყვარულთა მსგავსად.

⁶შენ გაამრავლე, უფალო, ღმერთო ჩემო, შენი სასწაულები და შენი ჩანაფიქრები ჩვენთვის; ვინ შეგედრება შენ! ვიქადაგებ და ვილაპარაკებ მათზე; – მაგრამ ძნელია სათქმელად.

⁷მსხვერპლი და შესაწირავი არ ისურვე; მაგრამ ყური გამიმახვილე; სრულადდასაწველი და ცოდვის მსხვერპლი არ მოგიტხოვია;

⁸მაშინ ვთქვი: „აჰა, მოვედი; წიგნის გრაგნილში წერია ჩემზე.

⁹შენი სურვილის შესრულება მწადია, ღმერთო, და რჯული შენი ჩემს გულშია.“

¹⁰შენს სიმართლეს მოვუთხრობდი დიდ კრებულს, აჰა, ბაგენი ჩემნი არ მომიკუმავს, უფალო, შენ უწყი.

¹¹შენი სიმართლე არ დამიფარავს ჩემს გულში; შენს ერთგულებასა და შენს ხსნაზე ვლაპარაკობდი; შენი წყალობა და ჭეშმარიტება არ დამიმაღლავს დიდი კრებულის წინაშე.

¹²უფალო, ნუ მომაკლებ შენს წყალობას; შენი მადლი და შენი ჭეშმარიტება მუდამ მიცავენ მე!

¹³რადგან გარს მერტყმის აურაცხელი უბედურება, წამომეწივნენ ცოდვანი ჩემნი, აღარ ძალმიძს მე გზის დანახვა; ჩემი თმის ბეწვებზე მეტად მომრავლდნენ და გული ჩამწყდა.

¹⁴ისურვე, უფალო, ჩემი ხსნა! უფალო, ჩემს დასახმარებლად გამოეშურე!

¹⁵დაე, შერცხვნენ და გაწბილდნენ ჩემი სიცოცხლის დაღუპვის მაძიებელნი, უკუიქცნენ და წახდნენ ჩემი ავის მდომნი;

¹⁶დაე, შეძრწუნდნენ სირცხვილისაგან, ვინც მეუბნებოდა: ოჰო, ოჰო!

¹⁷გაიხაროს და გამხიარულდეს ყველა, ვინც შენ გეძიებს; შენი ხსნის მოყვარულებმა თქვან მუდამ: დიდია უფალი!

¹⁸ხოლო მე კი ღარიბ-ღატაკი ვარ; მაგრამ უფალი ფიქრობს ჩემზე. შენა ხარ ჩემი დამხმარე და მხსნელი, ღმერთო ჩემო, ნუ დააყოვნებ!

ფსალმუნი 40

¹გუნდის ლოტბარს. დავითის ფსალმუნი.

²კურთხეულია, ვინც ფიქრობს ღატაკზე; უბედურების დღეს იხსნის მას უფალი.



- ³უფალი დაიცავს და აცოცხლებს მას; ბედნიერი იქნება ქვეყანაზე; შენ არ გადასცემ მას მტრების სურვილისამებრ.
- ⁴უფალი გაამაგრებს მას მისი სნეულების სარეცელზე; მთელ მის სარეცელს შეცვლი შენ ავადმყოფობის ჟამს.
- ⁵მე კი ვთქვი: უფალო, შემიწყალე, განმკურნე, რადგან შეგცოდე.
- ⁶ჩემი მტრები ავს ამბობენ ჩემზე: როდის მოკვდება და გაქრება მისი სახელი?
- ⁷ვინმე თუ მოვა ჩემს სანახავად, ცარიელ სიტყვებს ამბობს; მისი გული კი სიცრუეს თხზავს; გარეთ გავა და ალაპარაკდება.
- ⁸ერთთავად ჩემზე ჩურჩულებენ ჩემი მოძულენი; ყველაზე უარესს ისურვებენ ჩემთვის.
- ⁹ამბობენ: სასიკვდილო სენი დაეუფლა მას; ვინც ერთხელ დაწვა, ველარ წამოდგება!
- ¹⁰ჩემმა განუყრელმა მეგობარმაც კი, ვისი იმედიც მქონდა, ვინც ჩემს პურს ჭამდა, ქუსლი აღმართა ჩემზე.
- ¹¹ხოლო შენ, უფალო, შემიწყალე, წამომაყენე, და მე მივუზღავ მათ.
- ¹²იმით გავიგე, რომ გიყვარვარ, რომ მტერმა არ გაიხარა ჩემზე.
- ¹³ჩემი უბიწოებისათვის შემეწიე და შენს წინაშე დამაყენე სამარადისოდ.
- ¹⁴კურთხეულ არს უფალი, ღმერთი ისრაელისა, უკუნითი უკუნისამდე! ამინ, ამინ.

ფსალმუნი 41

- ¹გუნდის ლოტბარს. მოძღვრება კორახის ძეთა.
- ²როგორც ირემი მიილტვის წყლის ნაკადებისკენ, ისე მოილტვის ჩემი სული შენსკენ, ო ღმერთო!
- ³ცოცხალი ღმერთის წყურვილი აქვს ჩემს სულს: როდის მოვალ და ვიხილავ სახეს ღმერთისას?
- ⁴ჩემი ცრემლები პურად მქონდა დღისით და ღამით, როს მეუბნებოდნენ გამუდმებით: სად არის ღმერთი შენი?
- ⁵როდესაც სული მეღვრება, მახსენდება, როგორ ვიდოდი ხალხის გუნდში, როგორ მივუძღვოდი უფლის სახლამდე მოზეიმე გუნდს მხიარულებისა და მადლიერების ხმით.



⁶რას დაღვრემილხარ, სულო ჩემო, და რად დამკვნესი? მიენდე ღმერთს, რადგან კვლავაც ვადიდებ მას, ჩემს მხსნელსა და ჩემს ღმერთს.

⁷დაღვრემილია სული ჩემი; ამიტომ გიხსენებ იორდანეს მიწიდან და ხერმონის მწვერვალებიდან, მიცყარის მთიდან.

⁸უფსკრული უფსკრულს გასძახის შენი ჩანჩქერების ხმით; ყველა ტალღამ და ზვირთმა შენმა ჩემზე გადაიარა.

⁹დღისით გამოგზავნის უფალი თავის წყალობას, და ღამით ვუგალობებ მას, ეს არის ჩემი ღოცვა ჩემი ცოცხალი ღმერთის მიმართ.

¹⁰ვუთხარი ღმერთს, ჩემს სიმტკიცეს: რად დამივიწყე? რატომ უნდა ვიარო მგლოვიარე გულით, მტრისგან გათელილმა?

¹¹ჩემი ძვლების შემუსვრის დროს მლანძღავენ ჩემი მტრები, მეუბნებიან ყოველდღე: სად არის ღმერთი შენი?

¹²რას დაღვრემილხარ, სულო ჩემო, და რად დამკვნესი? მიენდე ღმერთს; რადგან კვლავაც ვადიდებ მას, – ჩემს მხსნელსა და ჩემს ღმერთს.

ფსალმუნი 42

¹განმიკითხე, ღმერთო, გამომესარჩლე, მიხსენ ცბიერ და უღმერთო კაცთაგან.

²რადგან შენა ხარ ღმერთი ჩემი სიმაგრისა; რად მიმატოვე? რატომ უნდა ვიარო მგლოვიარემ, მტრისგან გათელილმა?

³გამოგზავნე ნათელი შენი და ჭეშმარიტება შენი, რათა წარმიძღვნენ მე და მიმიყვანონ შენს წმიდა მთასთან და შენს სამკვიდროსთან!

⁴მაშინ მივალ ღმერთის საკურთხეველთან, ჩემი უშრეტი სიხარულის ღმერთთან; გადიდებ ქნარით, ღმერთო, ჩემო ღმერთო!

⁵რას დაღვრემილხარ, სულო ჩემო, და რად დამკვნესი? მიენდე ღმერთს; რადგან კვლავაც ვადიდებ მას, – ჩემს მხსნელსა და ჩემს ღმერთს.

ფსალმუნი 43

¹გუნდის ლოტბარს. კორახის ძეთა მოძღვრება.

²ღმერთო, ჩვენი ყურით მოვისმინეთ, ჩვენი მამები გვიამბობდნენ, რა საქმენი მოიმოქმედე მათ დღეებში, უძველეს დროში.

³შენი ხელით განდევნე წარმართნი, ხოლო ისინი დანერგე; გაანადგურე ერები და განდევნე, ისინი კი გააფართოვე.



- ⁴ვინაიდან მათ ხმლით კი არ მოუპოვებიათ ქვეყანა, და არც მათ მკლავებს მოუტანია მათთვის გამარჯვება, არამედ შენმა მარჯვენამ, შენმა მკლავმა და შენი სახის ნათელმა, რადგან მათდამი კეთილგანწყვე.
- ⁵შენა ხარ ჩემი ხელმწიფე და ჩემი ღმერთი, შენ უბოძებ შველას იაკობს.
- ⁶შენით ვანარცხებო ჩვენს მტრებს; შენი სახელით ვთრგუნავთ ჩვენს მოდავეებს.
- ⁷რადგან ჩემს მშვილდზე არა ვარ დანდობილი და ვერც ჩემი მახვილი მიხსნის,
- ⁸არამედ შენ გვიხსენი ჩვენი მტრებისაგან და ჩვენი მოძულეები შეარცხვინე.
- ⁹ღმერთით ვიქადოდით დღეყოველ და შენს სახელს ვადიდებთ უკუნისამდე.
- ¹⁰მაგრამ მიგვატოვე და დაგვამცირე, და არ გამოხვედი ჩვენს მხედრობასთან.
- ¹¹უკუგვაქციე მტრისაგან, და მოძულეებმა გაგმარცვეს ჩვენ.
- ¹²მიგვეცი, როგოც ცხვარი, შესაჭმელად, გაგვფანტე ერებს შორის.
- ¹³გაყიდე შენი ერი სარგებლის გარეშე, არ იდავე მათ ფასზე.
- ¹⁴მიგვეცი შესარცხვენად მეზობლებს, დასაცინად და საგინებლად – ირგვლივ მყოფთ.
- ¹⁵იგავად გვაქციე ერებს შორის, თავის საქნევად ხალხებს შორის.
- ¹⁶დღეყოველ ჩემი აუგი ჩემს წინაშეა, და სირცხვილი მიფარავს სახეს
- ¹⁷დამცინავისა და მაგინებელის ხმისაგან, მტრისა და შურისმაძიებლისაგან.
- ¹⁸ყოველივე ეს გვეწია ჩვენ, თუმცა არ დაგვივიწყებიათ, და არ გაგვიმრუდებია შენი აღთქმა.
- ¹⁹არ უკუქცეულან ჩვენი გულები, და არც ჩვენს ტერფებს გადაუხვევიათ შენი ბილიკიდან.
- ²⁰და მაინც შეგვმუსრე ტურების ადგილას და გადაგვაფარე წყვდიადის ჩრდილი.
- ²¹ჩვენ რომ დაგვევიწყებინა სახელი ჩვენი ღმერთისა, და ხელი გაგვეშვირა უცხო კერპებისაკენ,
- ²²განა ღმერთი არ გვაზღვევინებდა ამას? რადგან მან იცის საიდუმლონი გულისა.
- ²³შენი გულისთვის გვხოცავენ ყოველდღე; დასაკლავ ცხვრებად მიგვიჩნიეს.



²⁴გამოიღვიძე, რატომ გძინავს, უფალო? გამოფხიზლდი, სამუდამოდ ნუ მიგვატოვებ!

²⁵რატომ იფარავ სახეს და ივიწყებ ჩვენს მწუხარებას და გასაჭირს?

²⁶რადგან ჩვენი სული მტვრამდეა დამდაბლებული, მიწას განერთხა ჩვენი სხეული.

²⁷აღსდექ! გამოეშურე ჩვენს საშველად! გვიხსენი შენი წყალობისათვის!

ფსალმუნი 44

¹გუნდის ლოტბარს. შოშანისებურად. კორახის ძეთა. მოძღვრება; გალობა სიყვარულისა.

²აღივსო ჩემი გული კეთილი სიტყვებით; ჩემი სიმღერა მეფეს ეკუთვნის; ჩემი ენა კალამია ხელოვანი მწერლისა.

³ადამის ძეთა შორის უმშვენიერესი ხარ, მაღლი იღვრება შენს ბაგეთაგან, რადგან გაკურთხა ღმერთმა უკუნისამდე.

⁴შეიბ მახვილი წელზე, გმირო, შენი დიდებით და მშვენიერებით!

⁵შენი დიდებით დაბრძანდი ეტლზე ჭეშმარიტების, თვინიერებისა და სიმართლისათვის, გვაჩვენოს საოცრებანი მარჯვენამ შენმა!

⁶შენი ისრები წამახულია, გულში ერჭობიან მეფის მტრებს, ხალხები ეცემიან შენს ფეხქვეშ.

⁷ტახტი შენი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდეა. სამართლის კვერთხია კვერთხი შენი მეუფებისა.

⁸შენ შეიყვარე სიმართლე და შეიძულე ბოროტება; ამიტომ გცხო ღმერთმა, შენმა ღმერთმა, სიხარულის ზეთი შენს მეგობრებზე მეტად.

⁹მთელი შენი სამოსი – ვითარცა მური, ალოე და კასია; სპილოს ძვლის დარბაზებიდან ქნართა ხმა გაგამხიარულებს შენ.

¹⁰მეფეთა ასულნი შენს დიდებულებს შორის არიან; შენს მარჯვნივ დადგა დედოფალი ოფირის ოქროთი შემკული.

¹¹მისმინე, ასულო, მოიხედე და მომაპყარ ყური. დაივიწყე ხალხი შენი და სახლი მამაშენისა.

¹²დატკბება მეფე შენი მშვენებით. რადგან ის არის შენი უფალი, თაყვანი ეცი მას.



¹³ასული ცორისა ძღვენით მოვა შენთან; ხალხთა მდიდარნი ყოველგვარი განძით;

¹⁴დიდებულია მეფის ასული მთლიანად შიგნით; ოქრონართისაა მისი სამოსი.

¹⁵მოქარგული კაბით მოჰყავთ იგი მეფესთან; უკან მოჰყვებიან ქალწულნი, დობილნი მისნი.

¹⁶სიხარულით და ლხენით შედიან მეფის სასახლეში.

¹⁷შენს წინაპართა ადგილას იქნებიან შენი ძენი; მათ დააყენებ მთავრებად მთელ ქვეყანაზე.

¹⁸დავაფუძნებ შენს სახელს თაობიდან თაობაში, ამიტომ ხალხები ხოტბას შეგასხამენ უკუნიითი უკუნისამდე.

ფსალმუნი 45

¹გუნდის ლოტბარს. კორახის ძეთა. ყალამოთის ხმაზე. გალობა.

²ღმერთია ჩვენი მფარველი და ძალა, სწრაფი შემწე გასაჭირში.

³ამიტომ არ შეგვეშინდება, ქვეყნიერებაც რომ შეიცვალოს, მთები რომ იძრნენ ზღვათა შუაგულში.

⁴თუნდ იხმაურონ, იბოხოქრონ მათმა წყლებმა. მთები ირყეოდნენ მათი მღელვარებისგან.

⁵არსებობს მდინარე, რომლის ნაკადებიც ახარებენ ღმერთის ქალაქს, წმიდა სადგომს უზენაესისას.

⁶ღმერთი მის შუაგულშია; ის არ შეიძვრის, განთიადზევე მოვა ღმერთი მის დასახმარებლად.

⁷ღრიალებენ ერები, ზანზარებენ სამეფონი; როდესაც ის ხმას გამოსცემს, ღღვება დედამიწა.

⁸ძალთა უფალი ჩვენთანაა; ჩვენი ბურჯია ღმერთი იაკობისა.

⁹მოდით, იხილეთ საქმენი უფლისანი, როგორ გააპარტახა დედამიწა.

¹⁰ის წყვეტს ომებს დედამიწის კიდემდე, მშვილდს მუსრავს და შუბს ამსხვრევს, ეტლებს ბუგავს ცეცხლით.

¹¹შეჩერდით და შეიცანით, რომ მე ვარ ღმერთი: ამაღლებული ერებს შორის, ამაღლებული ქვეყნიერებაზე.

¹²ძალთა უფალი ჩვენთან არის; ჩვენი ბურჯია ღმერთი იაკობისა.



ფსალმუნი 46

- ¹გუნდის ლოტბარს. კორახის ძეთა ფსალმუნი.
- ²ერნო ყოველნო, შემოჰკარო ტაში, შეჰღაღადეთ ღმერთს სიხარულის გალობით!
- ³რადგან საშიშია უფალი უზენაესი – დიადი ხელმწიფე მთელი ქვეყნისა.
- ⁴დაგვიმორჩილა ხალხები, და ერები – ჩვენს ფერხთა ქვეშ.
- ⁵ამოგვირჩია სამკვიდრებელი, მშვენება იაკობისა, რომელიც შეიყვარა.
- ⁶ამაღლდა ღმერთი შეძახილით, უფალი – საყვირის ხმაზე.
- ⁷ხოტბა შეასხით, ღმერთს, უგალობეთ! ხოტბა შეასხით, ჩვენს მეფეს, უგალობეთ!
- ⁸რადგან მთელი ქვეყნიერების მეფეა ღმერთი; ხოტბა შეასხით გალობით!
- ⁹ღმერთი მეფობს ერებზე, ღმერთი ზის თავის წმიდა ტახტზე.
- ¹⁰ხალხთა მთავარნი შეიკრიბნენ აბრაამის ღმერთის ხალხად, რადგან ღმერთისაა ფარნი ქვეყნისანი; ამაღლდა ფრიად!

ფსალმუნი 47

- ¹გალობა; ფსალმუნი კორახის ძეთა.
- ²დიდია უფალი, და დიდად საქებარი ღმერთის ქალაქში!
- ³მისი წმიდა მთა მშვენივრადაა აღმართული, სიხარულია მთელი ქვეყნიერებისა; მთა სიონისა, ჩრდილოეთ მხარეს, ქალაქია დიდი მეფისა.
- ⁴ღმერთი თავის სიმაგრეებში გამოგვეცხადა, ვითარცა საიმედო მცველი.
- ⁵რადგან აგერ, შეიკრიბნენ მეფენი და მოვიდნენ ერთად.
- ⁶მაგრამ რომ ნახეს, განცვიფრდნენ, შეძრწუნდნენ და გაიქცნენ.
- ⁷ძრწოლამ შეიპყრო, იკლავნებიან მშობიარესავით.
- ⁸აღმოსავლეთის ქარით შემუსრე შენ თარშიშის ხომალდები.
- ⁹როგორც ვისმინეთ, ისე ვიხილეთ ძალთა უფლის ქალაქში, ჩვენი ღმერთის ქალაქში. ღმერთმა დააფუძნა ის უკუნისამდე.
- ¹⁰ვფიქრობდით, ღმერთო, შენს წყალობაზე შენი ტაძრის შუაგულში.
- ¹¹ვითარცა სახელი შენი, ღმერთო, შენი დიდებაც დედამიწის კიდით-კიდემდეა; სავსეა გამარჯვებით შენი მარჯვენა.



¹²დაე იხაროს სიონის მთამ! იმხიარულონ იუდას ქალწულებმა შენი სიმართლის გამო!

¹³მიეახლეთ ყოველი მხრიდან და გარს შემოუარეთ სიონს; დათვალეთ მისი კოშკები.

¹⁴გული მიაპყარით მის სიმაგრეებს; დაიარეთ მისი დარბაზები, რათა უამბოთ მომავალ თაობას,

¹⁵რომ ის არის ღმერთი, ჩვენი ღმერთი სამარადჟამოდ. ის იქნება ჩვენი წინამძღოლი უკუნიითი უკუნისამდე.

ფსალმუნი 48

¹გუნდის ლოტბარს. კორახის ძეთა. ფსალმუნი.

²ისმინეთ ეს, ყოველნო ერნო, ყური მოაპყართ, ქვეყნიერების ყველა მცხოვრებნო:

³უბრალოებმაც, დიდგვაროვნებმაც, მდიდარმა და ღარიბმა ერთად!

⁴ჩემი პირი წარმოთქვამს სიბრძნეს, ჩემი გულის განსჯა – გონიერებას.

⁵ყურს მივუგდებ იგავს, ქნარზე ამოვხსნი ჩემს გამოცანას.

⁶რად უნდა შემეშინდეს უბედურების ჟამს, როცა ჩემი მოდავეების ბოროტება გარს შემომეხვევა,

⁷რომელთაც თავიანთი ძალის იმედი აქვთ და უხვი სიმდიდრით იკვებებიან?

⁸მა დახსნით ვერ დაიხსნის კაცს, ვერ მისცემს ღმერთს მის გამოსასყიდს.

⁹რადგან ძვირია მისი სულის გამოსახსნელი, ვერ გადაიხდის იმდენს უკუნისამდე,

¹⁰რომ ცოცხალი დარჩეს სამარადისოდ და აცდეს საფლავი.

¹¹აჰა, დაინახავს, რომ ბრძენნიც იხოვებიან, ისევე, როგორც ბრიყვნი და სულელნი, და თავიანთ დოვლათს სხვას უტოვებენ.

¹²საფლავებია მათი სამუდამო სახლი, მათი საცხოვრებელი თაობათა მანძილზე; თუმცა საკუთარ სახელებს უწოდებდნენ თავიანთ მამულებს.

¹³ვერ შეინარჩუნებს ადამიანი პატივს; დასაკლავი პირუტყვის მსგავსია იგი.

¹⁴ასეთია გზა უგუნურთა და თვითკმაყოფილთა დასასრული.

¹⁵ცხვრებივით ჯოჯოხეთის კერძნი არიან; სიკვდილი იქნება მათი მწყემსი, პირდაპირ საფლავში ჩაეშვებიან, მათი კვალიც კი აღარ დარჩება, ჯოჯოხეთი იქნება მათი სადგომი.



- ¹⁶ხოლო ჩემს სულს ღმერთი დაიხსნის ჯოჯოხეთიდან, რადგან მიმიღებს მე.
- ¹⁷ნუ შეგეშინდება, თუ კაცი გამდიდრდა, თუ გამრავლდა მისი სახლის დიდება.
- ¹⁸რადგან, როცა მოკვდება, თან ვერაფერს წაიღებს, თან არ ჩაჰყვება მისი დიდება.
- ¹⁹თუმცა სიცოცხლეში თავს ბედნიერად თვლის, – რადგან აქებენ იმას, ვინც კეთილს უკეთებს საკუთარ თავს.
- ²⁰ის მივა თავისი მამების მოდგმასთან, რომელნიც ვერასოდეს ვერ იხილავენ სინათლეს.
- ²¹ვერ შეინარჩუნებს ადამიანი პატივს; დასაკლავი პირუტყვის მსგავსია იგი.

ფსალმუნი 49

- ¹ფსალმუნი ასაფისა. ღმერთმა ღმერთთა, უფალმა, დაილაპარაკა და მოუწოდებს ქვეყნიერებას მზის აღმოსავლიდან დასავალამდე.
- ²სიონიდან, მშვენიერების სრულქმნილებიდან, გამობრწყინდა უფალი.
- ³მოდის ჩვენი ღმერთი და არ არის მდუმარე; მის წინაშე შთანთქმელი ცეცხლია, მის ირგვლივ – ძლიერი ქარიშხალი.
- ⁴მოუწოდებს ზეცას და დედამიწას თავისი ხალხის განსასჯელად:
- ⁵შემოიკრიბეთ ჩემი ერთგულნი, რომელთაც აღთქმა დადეს ჩემთან შესაწირავზე!
- ⁶ცანი ღაღადებენ მის სიმართლეს, რადგან თვით ღმერთია მსაჯული!
- ⁷ისმინე, ჩემო ხალხო, და გეტყვი; ისრაელო, მე ვმოწმობ შენს წინააღმდეგ: მე ვარ ღმერთი, შენი ღმერთი.
- ⁸მსხვერპლისათვის კი არ გსაყვედურობ; შენი შესაწირავები ყოველთვის ჩემს წინაშეა.
- ⁹არ შევიწირავ შენი სახლიდან ზვარაკს, არც ვაცებს შენი ფარეხებიდან.
- ¹⁰რადგან ჩემია ტყის ყველა ცხოველი, ათასობით მთის პირუტყვი.
- ¹¹ჩემთვის ცნობილია მთის ყველა ფრინველი და მინდვრის ცხოველები ჩემს წინაშე არიან.
- ¹²თუ მომშივდა, არ გეტყვი შენ, რადგან ჩემია სამყარო და სავსება მისი.
- ¹³განა ხარების ხორცსა ვჭამ და ვაცების სისხლსა ვსვამ?



¹⁴შესწირე ღმერთს მადლობის მსხვერპლი და აღუსრულე უზენაესს ალთქმანი შენნი.

¹⁵მომიხმე გაჭირვების დღეს, გადაგარჩენ და შენ განმადიდებ.

¹⁶ბოროტს კი უთხრა ღმერთმა: რა უფლებით ქადაგებ ჩემს წესებს და პირთან მიგაქვს ჩემი პირობა?

¹⁷მაშინ როდესაც გძულს დარიგება და უკუისვრი ჩემს სიტყვებს?

¹⁸ქურდს რომ დაინახავ, მასთან გარბიხარ, და გარყვნილებთან დაიდე წილი.

¹⁹პირი შენი მიშვებული გაქვს სიავეზე და შენი ენა სიყალბეს თხზავს.

²⁰დაჯდები და შენი ძმის წინააღმდეგ ლაპარაკობ, დედაშენის შვილის შერცხვენას ცდილობ.

²¹ამას ჩადიოდი და მე ვდუმდი; გეგონა, რომ შენი მსგავსი ვარ; აწ კი გამხილებ და შენს თვალწინ დაგიმტკიცებ.

²²ჩაუფიქრდით ამას, ღმერთის დამვიწყებელნო, თორემ მოგსპობთ და აღარ იქნება მშველელი!

²³მადლობის მსხვერპლის შემომწირავი განმადიდებს მე, სწორ გზაზე მდგომს ვუჩვენებ მე შველას ღმრთისას!

ფსალმუნი 50

¹გუნდის ლოტბარს. დავითის ფსალმუნი.

²რაჟამს მივიდა მასთან ნათან წინასწარმეტყველი, მას შემდეგ, რაც ბათშებაყთან შევიდა.

³შემიწყალე, ღმერთო, შენი სათნოებისამებრ, შენი მრავალმოწყალებით წაშალე ჩემი დანაშაული.

⁴სრულად განმბანე ჩემი ბრალისგან და ჩემი ცოდვისაგან განმწმინდე მე!

⁵რადგან ვიცი ჩემი დანაშაული, და ჩემი ცოდვა მუდამ ჩემს თვალწინაა.

⁶შენ, მხოლოდ შენ შეგცოდე და ბოროტება შენს თვალ წინ ჩავიდინე, ამიტომ მართალია შენი მსჯავრი და სწორია შენი სამართალი.

⁷აჰა, უკანონოდ ჩავისახე და ცოდვით დაორსულდა დედაჩემი ჩემზე.

⁸აჰა, შენ შეიყვარე ჭეშმარიტება გულით, შენ მასწავლი დაფარულ სიბრძნეს.

⁹მასხურე მე უსუპით და განვიწმინდები; განმბანე და თოვლზე მეტად განვსპეტაკდები.



- ¹⁰ აღმავსე ლხენითა და სიხარულით, გაახარე ჩემი ძვლები, შენ რომ დათრგუნე.
- ¹¹ აარიდე სახე ჩემს შეცდომებს და ყველა ჩემი ბრალი წაშალე.
- ¹² წმიდა გული შეჰქმენ ჩემში, ღმერთო, და წრფელი სული განმიახლე ჩემს სხეულში.
- ¹³ ნუ უკუმაგდებ შენგან და ნუ წამართმევ შენი სიწმინდის სულს.
- ¹⁴ დამიბრუნე შენი ხსნის სიხარული, და მძლავრი სულით განმამტკიცე.
- ¹⁵ მაშინ ვასწავლი დამნაშავეებს შენს გზებს, და ცოდვილნი შენთან დაბრუნდებიან.
- ¹⁶ მიხსენ სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ჩემი ხსნისა, და ჩემი ენა ხოტბას შეასხამს შენს ხსნას.
- ¹⁷ უფალო, გახსენი ჩემი ბაგენი, და ჩემი პირი იტყვის შენს ქებას.
- ¹⁸ რადგან მსხვერპლი არა გსურს, და სრულადდასაწველს არ ინებებ.
- ¹⁹ შესაწირავი ღმერთისა არის სული მოდრეკილი; მოდრეკილსა და მორჩილ გულს არ დაამცირებ, ღმერთო.
- ²⁰ სიკეთე უყავ შენი კეთილგანწყობით სიონს, აღადგინე გალავნები იერუსალიმისა.
- ²¹ მაშინ ისურვებ სიმათლოს შესაწირავებს და სრულადდასაწველს; მაშინ აიტანენ შენს სამსხვერპლოზე ზვარაკებს.

ფსალმუნი 51

- ¹ გუნდის ლოტბარს. მოძღვრება დავითისა.
- ² როცა მოვიდა დოეგ ედომელი და გააგებინა საულს, რომ დავითი ახიმელექის სახლში მივიდა.
- ³ რატომ იქადი, ძლიერო, ბოროტებით? ღმერთის წყალობა საუკუნოა!
- ⁴ გალესილი სამართებელივით დაღუპვას იზრახავს შენი ენა და თხზავს სიცრუეს;
- ⁵ გიყვარს ბოროტება სიკეთეზე მეტად. სიცრუე მეტად, ვიდრე სიმართლე;
- ⁶ გიყვარს ყოველგვარი ცილისწამება, ენავ მზაკვარო!
- ⁷ ამიტომ დაგცემს ღმერთი სამუდამოდ, გაგანადგურებს, გაგაძევებს შენი კარვიდან, ამოგძირკვავს ცოცხალთა ქვეყნიდან.



⁸ნახავენ მართალნი და შეშინდებიან, დასცინებენ უკეთურს და იტყვიან:

⁹აგერ კაცი, რომელმაც ღმერთი არ მიიჩნია თავის სიმაგრედ, არამედ თავისი დიდი სიმდიდრის იმედი ჰქონდა და თავის ბოროტებაში გამაგრდა.

¹⁰ხოლო მე, ვითარცა ამწვანებული ზეთისხილის ხე ღმერთის სახლში, ღმერთის წყალობაზე ვარ მინდობილი უკუნიითი უკუნისამდე.

¹¹გადიდებ მუდამ შენი საქმეებისთვის, და ვაღიარებ შენს სახელს შენს წმიდათა წინაშე, რადგან კეთილია იგი.

ფსალმუნი 52

¹გუნდის ლოტბარს. მახალათის ხმაზე. მოძღვრება დავითისა.

²ამბობენ უგუნურნი თავიანთ გულებში: არ არის ღმერთი! გაირყვნენ, სისამაგლეს ჩადიან; აღარ არსებობს სიკეთის მქმნელი.

³ღმერთი ზეციდან უჭვრეტს ადამის ძეთ, რათა იხილოს, თუ არის ვინმე გონიერი, ღმერთს რომ ეძიებს.

⁴ყველა გაუკუღმართდა, გაიხრწნა ერთობ, აღარ არსებობს სიკეთის მქმნელი, ერთიც არ არის!

⁵ნუთუ ვერ შეიგნეს სიმრუდის მოქმედებმა, ჩემს ხალხს რომ ჭამენ, თითქოს პურს ჭამდნენ, ღმერთს კი არ უხმობენ?

⁶იქ შეშინდებიან ისინი შიშით, სადაც არ არის შიში; რადგან ღმერთი განაბნევს შენს წინააღმდეგ ამხედრებულთა ძვლებს; შერცხვებიან, რადგან ღმერთმა უკუაგდო ისინი.

⁷ნეტავ მოვიდოდეს სიონიდან ხსნა ისრაელისა! ოდეს შემოაქცევს ღმერთი თავისი ხალხის ტყვეობას, ილხენს იაკობი, გაიხარებს ისრაელი.

ფსალმუნი 53

¹გუნდის ლოტბარს. სიმეზიან საკრავზე. მოძღვრება დავითისა.

²როცა მოვიდნენ ზიფელნი და უთხრეს საულს: აჰა, დავითი ჩვენთან იმალებაო.

³ღმერთო, შენი სახელით მიხსენი, და შენი ძალით გამასამართლე!

⁴ღმერთო, ისმინე ჩემი ლოცვა; ყური მოაჰყარ სიტყვებს ჩემი პირისა!

⁵რადგან ქედმაღალნი აღიძრნენ ჩემზე, მოძალადენი ეძიებენ ჩემს სულს; არა ჰყავთ ღმერთი თავიანთ წინაშე.



- ⁶აჰა, ღმერთია ჩემი შემწე, ღმერთი აძლევს ჩემს სულს სიმტკიცეს.
- ⁷ის მიაგებს ბოროტებას ჩემს მტრებს; შენი ჭეშმარიტებით მოსპე ისინი.
- ⁸ნებით შემოგწირავ მსხვერპლს, ვადიდებ შენს სახელს, უფალო, რადგან კეთილია იგი!
- ⁹რადგან შენ მიხსენი ყოველგვარი გასაჭირისგან, და თვალმა ჩემმა იხილა ჩემი მტრების დაცემა.

ფსალმუნი 54

- ¹გუნდის ლოტბარს. სიმეზიან საკრავზე. მოძღვრება დავითისა.
- ²ისმინე, ღმერთო, ჩემი ლოცვა, ნუ დაემალები ჩემს ვედრებას!
- ³ყური მომაპყარ და მიპასუხე; მწუხარება დამეუფლა,
- ⁴გონება დავკარგე მტრის ხმისაგან, ბოროტთა შევიწროებისაგან, რადგან სიმრუდეს მაბრალევენ და სიძულვილით მირისხდებიან.
- ⁵ჩემი გული თრთის ჩემს შიგნით, სიკვდილის საშინელება დამატყდა თავს.
- ⁶შიში და ძრწოლა დამეუფლა და შიშის ზარი მიპყრობს.
- ⁷და ვამბობ: ო, რომ მქონოდა მტრედის ფრთები! გავფრინდებოდი და სიმშვიდეს მოვიპოვებდი;
- ⁸შორს, შორს გადავიხვეწებოდი, უდაბნოში დავიდებდი ბინას;
- ⁹ვიჩქარებდი, რომ მეპოვა თავშესაფარი მრისხანე ქარიშხლისაგან.
- ¹⁰ჩაშალე მათი გეგმები, უფალო, დაყავი მათი ენები; რადგანაც ვხედავ ძალადობას და შუღლს ქალაქში.
- ¹¹დღედაღამ გარს უვლიან მის კედლებს, სიმრუდე და უბედურებაა მასში,
- ¹²ნგრევან მის შუაგულში, არ სცილდება მის ქუჩებს სიცრუე და ვერაგობა.
- ¹³ვინც მე მლანძღავს, ჩემი მტერი არ არის – ამას ავიტანდი; ჩემი მოძულენი კი არ განდიდებულან ჩემზე – მათ დავემალეოდი;
- ¹⁴არამედ ეს შენ ხარ, კაცი, ჩემი სწორი, ამხანაგი და მეგობარი ჩემი,
- ¹⁵ერთად რომ ვსაუბრობდით ტკბილად, ღვთის სახლში დავდიოდით მეგობრულად.
- ¹⁶დაატყდეს მათ სიკვდილი, ცოცხლად ჩავიდნენ ჯოჯოხეთში, რადგან ბოროტებაა მათ სადგომში, მათ გულში.
- ¹⁷მე კი ღმერთს მოვუხმობ, და უფალი მიშველის.



¹⁸საღამოს, დილით და შუადღისას შევევედრები და შევტირებ და ის შეისმენს ჩემს ხმას.

¹⁹მშვიდობით გადაარჩენს ჩემს სულს მათგან, მე რომ მებრძვიან, რადგან ბევრნი არიან ჩემზე აღმდგარნი.

²⁰შეისმენს ღმერთი, მოათვინიერებს მათ დასაბამიდან მყოფი; რადგან არ არის ცვლილება მათში და არა აქვთ შიში ღმერთისა.

²¹მან ხელი გაიწოდა მისთვის მშვიდობის მსურველთა წინააღმდეგ, აღთქმა დაარღვია.

²²ქონზე ჩვილია მისი ბაგენი, გულში კი ომი აქვს; ზეთზე რბილია მისი სიტყვები, მაგრამ ისინი გაშიშვლებული ხმლებია.

²³მიანდე უფალს შენი ბედი და ის განგამტკიცებს, არასოდეს არ დაუშვებს მართლის წაბორძიკებას.

²⁴ღმერთო, შენ ჩაიყვან მათ უძირო უფსკრულში; სისხლის მოყვარულნი და ვერაგნი ვერ მიაღწევენ თავიანთ დღეთა ნახევარს. მე კი შენ გესავ.

ფსალმუნი 55

¹გუნდის ლოტბარს. მტრედზე, რომელიც მდუმარებს შორეთში. დავითის ძეგლისწერა, როცა ფილისტიმელებმა შეიპყრეს იგი გათში.

²შემიწყალე, ღმერთო, რადგან გათელვას მიპირებს კაცი, ყოველდღე მავიწროებს მოშულარი.

³ჩემი მტრები მთრგუნავენ ყოველდღიურად, მრავალი მეომება ამპარტავნებით.

⁴საშიშროების დღეს შენ მოგენდობი –

⁵ღმერთს, რომლის სიტყვასაც ვადიდებ; ღმერთს ვარ მინდობილი და არ მეშინია, რას მიზამს ხორციელი?

⁶დღენიადაგ ამახინჯებენ ჩემს სიტყვებს; ავია ყოველი მათი ზრახვა ჩემს მიმართ.

⁷გროვდებიან, მისაფრდებიან, ჩემს ნაკვალევს უთვალთვალევენ, თითქოსდა ჩემს სულს ელოდებიან.

⁸ნუთუ ამ სიმრუდეს უნდა გადაურჩენ? რისხვით დაამხე ხალხები, ღმერთო!

⁹ჩემი ხეტიალი აღრიცხული გაქვს; შენს ჭურჭელში მოათავსე ჩემი ცრემლები, – განა შენს წიგნში არ არიან ისინი?



¹⁰უკუიქცევია ჩემი მტრები, რა დღესაც მოგიხმობ; ვიცი, რომ ღმერთი ჩემთან არის.

¹¹ღმერთს, რომლის სიტყვასაც ვაქებ, უფალს, რომლის სიტყვასაც ვადიდებ,

¹²ღმერთს მივენდე – არ მეშინია; რას მიზამს კაცი?

¹³ჩემს აღთქმებს შენდამი აღვასრულებ, ო ღმერთო; მადლიერების მსხვერპლს შემოგწირავ.

¹⁴რადგან შენ იხსენი ჩემი სული სიკვდილისაგან, ჩემი ფეხი – წაბორძიკებისაგან, რათა ვიარო ღმერთის წინაშე სიცოცხლის შუქით.

ფსალმუნი 56

¹გუნდის ლოტბარს. ნუ მოსპობ. დავითის ძეგლისწერა, როცა საულს გაექცა მღვიმეში.

²შემიწყალე, ღმერთო, შემიწყალე, რადგან შენ მოგენდო ჩემი სული; შენი ფრთების ჩრდილქვეშ შევაფარებ თავს, ვიდრე გასაჭირი გადაივლიდეს.

³მოვუხმობ უზენაეს ღმერთს, ღმერთს, რომელიც თავის ნებას აღასრულებს ჩემზე.

⁴გამომიგზავნის ზეციდან ხსნას, შეარცხვენს ჩემი გათელვის მსურველს. გამომიგზავნის ღმერთი თავის წყალობას და ჭეშმარიტებას.

⁵ჩემი სული ლომების შუაგულშია, რომლებიც ხარბად შთანთქამენ ადამიანს, რომელთა კბილები მშვილდ-ისრებია, ენა კი ბასრი მახვილი.

⁶ამაღლდი ცათა ზემოთ, ღმერთო! მთელს დედამიწაზე იყოს შენი დიდება!

⁷ზადე გაამზადეს ჩემს ფერხთათვის; ჩემი სული მოიდრიკა; წინ ორმო გამითხარეს, მაგრამ თვით ჩაცვივდნენ შიგ.

⁸წრფელია ჩემი გული, ღმერთო, წრფელია ჩემი გული! გიმღერებ და გიგალობებ!

⁹გამოიღვიძე, დიდებაჲ ჩემო! გამოიღვიძე, ჩანგო და ქნარო! გამოვალვიძებ ცისკარს!

¹⁰განგადიდებ ხალხებს შორის, უფალო, გიგალობებ ერებში.

¹¹რადგან ზეცამდებ შენი წყალობა, და ღრუბლებამდე – შენი ჭეშმარიტება.

¹²ამაღლდი ცათა ზემოთ, ღმერთო! მთელ დედამიწაზე იყოს შენი დიდება!

ფსალმუნი 57



- ¹გუნდის ლოტბარს. „ნუ მოსპობ,“ დავითის ძეგლისწერა.
- ²განა მართლა სიმართლეს ამბობთ, ღმერთებო? სისწორით სჯით ადამის ძეგებს?
- ³არა, გულში უკუღმართობას თხზავთ, დედამიწაზე თქვენს ხელთა ძალმომრეობას დებთ სასწორზე.
- ⁴გადაუხვიეს ბოროტებმა დაბადებიდანვე; გზას ასცდნენ დედის მუცლიდანვე სიცრუის მქმნელნი.
- ⁵მათი გესლი მსგავსია გველის გესლისა, ყრუ ასპიტისა, ყურს რომ დაიხშობს,
- ⁶რომ არ ისმინოს ხმა შემლოცველთა, არც დაბრძენებულ მისანთ-მისნისა.
- ⁷ღმერთო, შენ შეუმუსრე კბილები პირში! ლომთა ეშვები მოთხარე, უფალო!
- ⁸დაე გაქრნენ, ვითარცა წყალი დაღვრილი; როდესაც ისრებს მოზიდავენ, იყოს გადამსხვრეულივით.
- ⁹ლოკოკინასავით დაუძლურდნენ, ქალის საშოდან მოწყვეტილივით ვერ იხილონ მზე.
- ¹⁰ვიდრე იგრძნობდნენ თქვენი ქვაბები აალებულ კვრინჩხს, უმიც და გამომცხვარიც ქარში წარიხვეტოს.
- ¹¹გაიხარებს მართალი, როცა იხილავს შურისგებას; ფეხებს დაიბანს ბოროტის სისხლში.
- ¹²იტყვიან კაცნი: აი, ნაყოფი მართლისა! ჭეშმარიტად არსებობს ღმერთი, განმსჯელი ქვეყნიერებისა!

ფსალმუნი 58

- ¹გუნდის ლოტბარს. ნუ მოსპობ. დავითის ძეგლისწერა, როდესაც საულმა გაგზავნა მისი სახლის სათვალთვალოდ, რომ მოეკლათ იგი.
- ²მიხსენ მტრებისგან, ღმერთო ჩემო! დამიცავი მოდავეთაგან!
- ³მიხსენ სიმრუდის მოქმედთაგან, სისხლის მსმელთაგან გადამარჩინე.
- ⁴რადგანაც აჰა, უთვალთვალევენ ჩემს სულს; სასტიკი ხალხი იკრიბება ჩემს წინააღმდეგ, უფალო, თუმცა არც დანაშაული მიმიძღვის, არც შეცოდება;
- ⁵გამორბიან და ემზადებიან. გამოიღვიძე ჩემს საშველად და მომხედე!



⁶შენ, უფალო, ღმერთო ძალთა, ღმერთო ისრაელისა, გამოიღვიძე, რომ მოჰკითხო ყველა ერებს; არ დაინდო არც ერთი ღალატით მზრახველი უკანონობისა.

⁷ყოველ სადამოს ბრუნდებიან, ძაღლებივით ყმუიან და გარს უვლიან ქალაქს.

⁸აჰა, ანთხევენ პირით, მახვილი აქვთ ბაგეებში, აქაოდა, ვინ ისმენსო?

⁹მაგრამ შენ, უფალო, დასცინებ მათ, აბუჩად აიგდებ ყველა ერებს.

¹⁰ძალავ ჩემო, მე შენ მოგმართავ, რადგან შენა ხარ, ღმერთო, ჩემი სიმაგრე.

¹¹ღმერთი, ჩემი მწყალობელი, წინ წარმიძღვება; ღმერთი მიჩვენებს მტრებზე გამარჯვებას.

¹²ნუ დახოცავ მათ, რომ არ დაივიწყოს ჩემმა ხალხმა, გაფანტე შენი ძალით და დაამდაბლე, უფალო, ფარო ჩვენო!

¹³რადგან მათი პირის ცოდვა არის მათი სიტყვა, დაე გაეხან მახეში თავიანთი ქედმაღლობით, ტყუილი ფიცისა და პირფერობისათვის,

¹⁴მოსპე რისხვით, მოსპე ერთიანად, ამით შეიტყონ, რომ ღმერთი ბატონობს იაკობში, ქვეყნიერების კიდით-კიდემდე.

¹⁵დაე, დაბრუნდნენ სადამოობით, ძაღლებივით იყმუვლონ და გარს შემოუარონ ქალაქს.

¹⁶დაე, იწანწალონ საჰმლისათვის და მშვივრებმა ათიონ ღამე.

¹⁷მე კი შენს სიძლიერეს ვუმღერებ, დილდილობით ვიღაღადებ შენს წყალობაზე, რადგან შენ იყავი ჩემი ბურჯი და თავშესაფარი ჩემი გაჭირვების დღეს.

¹⁸სიმტკიცევ ჩემო, შენ გიგალობებ; რადგან ღმერთია ჩემი მტკიცე ბურჯი, ღმერთი, ჩემი მწყალობელი.

ფსალმუნი 59

¹გუნდის ლოტბარს. შუშან ყედუთზე. დავითის ძეგლისწერა; შესწავლისათვის.

²როდესაც ეომებოდა შუამდინარეთის არამს და ცობის არამს, და დაუბრუნდა იოაბი და გაანადგურა 12 ათასი ედომელი მარილოვან ველზე.

³ღმერთო, რომელმაც მიგვატოვე და გაგვაპარტახე რისხვით; – კვლავ აღგვადგინე!



⁴შენ შეაზანზარე მიწა, შუა გაჰკვეთე; გაამრთელე მისი ნაპრალები, რადგან ზანზარებს!

⁵შენ აჩვენე შენს ხალხს სიძნელე, გვასვი ღვინო შეძრწუნებისა.

⁶შენ მიეცი დროშა შენს მოშიშთ, რათა ჭეშმარიტებისათვის ააფრიალონ.

⁷გვიხსენ შენი მარჯვენით და გვიპასუხე, რათა გადარჩნენ, ვინც შენ გიყვარს!

⁸ღმერთმა თქვა თავისი სიწმიდეში: „ვიზეიმებ! დავყოფ შექემს, და სუქოთის დაბლობს დავანაწილებ.“

⁹ჩემია გალაადი და ჩემია მანაშე, ეფრემი სიმაგრეა ჩემი თავისა, იუდა – კვერთხია ჩემი;

¹⁰მოაბი ჩემი საბანელია, ედომს დავადირებ ჩემს ხამლს; ჩემს წინაშე, ფილისტიმო, განადგურდები.“

¹¹ვინ შემიყვანს გამაგრებულ ქალაქში? ვინ შემიძღვება ედომში?

¹²ნუთუ შენ არა, ღმერთო, ნუთუ მიგვატოვე? არ გამოდიხარ, ღმერთო, ჩვენს მხედრობასთან?

¹³მოგვმადლე შველა მტრებთან ბრძოლაში, რადგან ამაოა ხსნა ადამიანისგან!

¹⁴ღმერთით ვიქმთ დიდ საქმეებს, რადგან ღმერთი დაამხოვს ჩვენს მტრებს.

ფსალმუნი 60

¹გუნდის ლოტბარს. სიმეზიან საკრავზე. დავითისა.

²ისმინე, უფალო, ვედრება ჩემი, ყური მოაპყარ ჩემს ლოცვას.

³ქვეყნის კიდიდან შემოგღალადებ გულგათანგული. სიმაღლით ჩემთვის მიუწვდომელ კლდეზე წარმიძედ!

⁴რადგან შენა ხარ ჩემი მფარველი, ძლიერი კოშკი, მტრისგან დამცველი.

⁵დამამცვიდრდე შენს კარვებში სამარადისოდ! დამიფარე შენი ფრთების ქვეშ!

⁶რადგან შენ, ღმერთო, ისმინე ჩემი აღთქმანი; შენ მიბოძე შენი სახელის მოშიშთა სამცვიდრო.

⁷შესძინე დღეები მეფის დღეებს, წლები მისი იყოს თაობიდან თაობამდე!

⁸დაე იჯდეს ის ტახტზე მარად ღვთის წინაშე, წყალობა და ჭეშმარიტება ფარავდეს მას!



⁹ასე ვუგალობებ შენს სახელს უკუნისამდე, და აღვასრულებ ჩემს აღთქმებს დღენიადაგ.

ფსალმუნი 61

¹გუნდის ლოტბარს. იედუთუნისთვის. ფსალმუნი დავითისა.

²მხოლოდ ღმერთს ელის მდუმარედ სული ჩემი; მისგან არის ჩემი ხსნა.

³მხოლოდ ის არის ჩემი კლდე და ჩემი ხსნა, ჩემი მაღალი კოშკი; არ დავეცემი.

⁴როდემდე დაესხმით თავს ადამიანს, შეეცდებით მის წაქცევას, როგორც დაკიდული კედლისა, მორყეული ყორისა?

⁵განიზრახეს სიმაღლიდან მისი გადმოგდება; მიმართავენ სიცრუეს; პირით აკურთხებენ, გულით კი სწყევლიან.

⁶მხოლოდ ღმერთს ელოდება ჩემი სული მდუმარედ; რადგან მისგან არის ჩემი იმედი.

⁷მხოლოდ ის არის ჩემი კლდე და ჩემი ხსნა, ჩემი სიმაგრე; არ დავეცემი.

⁸ღმერთისგან არის ჩემი ხსნა და ჩემი ღირსება; ღმერთი არის ჩემი კლდე და თავშესაფარი.

⁹მას მიენდეთ ყოველჟამს, ხალხნო, თქვენი გული გადმოღვარეთ მის წინაშე! ღმერთია ჩვენი თავშესაფარი.

¹⁰არარაობა არიან მდაბიონი, ცრუობენ დიდების მქონენი; სასწორზე რომ დადო, ყველა ერთად არარაობაზე ნაკლები იქნება.

¹¹ნუ დაამყარებთ იმედს მმარცველობაზე, მტაცებლობას ნუ გამოედევნებით; თუ დოვლათი გაიზრდება, გულს ნუ მიაპყრობთ მას.

¹²ერთხელ თქვა ღმერთმა, ორჯერ მოვისმინე, რომ ღმერთისაა ძალა.

¹³და შენი არს, უფალო, წყალობა, რადგან შენ მიუზღავ თითოეულს მისი საქმისამებრ.

ფსალმუნი 62

¹ფსალმუნი დავითისა, იუდას უდაბნოში ყოფნის დროს.

²ღმერთო! შენ ხარ ჩემი ღმერთი; შენ დაგეძებ, შენ სწყურებარ ჩემს სულს, შენსკენ მოილტვის ჩემი სხეული, როგორც უკაცრიელ და გამოფიტულ, უწყლო მიწაზე;



- ³ასე გიხილე სიწმიდეში; ვიხილე შენი ძალა და დიდება შენი.
- ⁴რადგან სიცოცხლეზე მეტია შენი წყალობა, ჩემი ბაგენი გაქებენ შენ.
- ⁵ამიტომ გადიდებ მთელი სიცოცხლე, შენი სახელით აღვაპყრობ ხელებს.
- ⁶ქონითა და სიმსუქნით დამსუყდა სული ჩემი; აღფრთოვანებული ბაგეებით გაქებს პირი ჩემი, –
- ⁷როცა გიხსენებ ჩემს სარეცელზე, და მთელ ღამეებს ვფიქრობ შენზე;
- ⁸რადგან შენ იყავ დამხმარე ჩემი, შენს ფრთათა ჩრდილქვეშ ლხენით გიმღერი.
- ⁹შენ მოგტმასნია სული ჩემი; შენი მარჯვენაა ჩემი საყრდენი.
- ¹⁰ხოლო ისინი, ვინც ჩემი სულის დაღუპვას ეძებენ, უფსკრულში ჩავლენ!
- ¹¹მახვილის წერა გახდებიან, ტურების კერძი შეიქნებიან!
- ¹²მეფე კი გაიხარებს ღმერთით; განდიდდება ყველა, ვინც მას იფიცებს; სიცრუის მთქმელთა პირი კი დაიგმანება.

ფსალმუნი 63

- ¹გუნდის ლოტბარს. ფსალმუნი დავითისა.
- ²ისმინე, ღმერთო, ჩემი ლოცვის ხმა; დაიცავი ჩემი სიცოცხლე მტრის შიშისაგან.
- ³დამიფარე ვერაგთა იდუმალ ზრახვათაგან, სიმრუდის მოქმედთა ამბოხისაგან.
- ⁴რომელნიც ენას მახვილივით ილესავენ, მწარე სიტყვას ისარივით მიმიზნებენ,
- ⁵რათა საფარიდან მესროლონ უდანაშაულოს; მოულოდნელად ისვრიან და არ ეშინიათ.
- ⁶ძალას იკრებენ ავი საქმისთვის, თათბირობენ მახეების დასაგებად, ამბობენ: ვინ შეგვამჩნევს?
- ⁷სიმრუდეს ფიქრობენ: ჩვენ მზადა ვართ, საიდუმლოდ აღვასრულებთ ჩვენს გეგმას. – რადგან შიგანი კაცისა და გული ღრმაა!
- ⁸მაგრამ ესვრის ღმერთი მათ ისარს, უეცრად დაწყლულდებიან.
- ⁹მათი ენების გამო დაანარცხდებიან მათ; თავს ჩაქინდრავს ყოველი მათი მხილველი.



¹⁰მაშინ შეშინდებიან კაცნი, გამოაცხადებენ ღმერთის ნამოქმედარს და მის საქმეს ჩაუკვირდებიან.

¹¹გაიხარებს მართალი უფალში და მიენდობა მას, და განდიდებას გულმართლები.

ფსალმუნი 64

¹გუნდის ლოტბარს. ფსალმუნი დავითისა. გალობა.

²შენ შეგშვენის ხოტბა, ღმერთო, სიონზე; შენ აღგისრულებენ აღთქმებს,

³შენ, შემსმენო ლოცვისა! შენთან მოვა ყველა ხორციელი.

⁴ჩადენილმა ცოდვებმა დაგვჯახნეს, შენ შეგვინდობ ჩვენს დანაშაულს.

⁵ნეტარია, ვისაც ამოირჩევ და დაიახლოვებ, რომ იცხოვროს შენს ეზოებში! გავძლებით შენი სახლის, შენი წმიდა ტაძრის სიკეთით!

⁶დანაშაულზე ხსნით გვპასუხობ, ღმერთო, ჩვენო მხსნელო, დედამიწის ყველა კუთხისა და შორეული ზღვის მცხოვრებთა სასოებაჲ;

⁷შენ დადგი მთები შენი ძალით, გარს შემოირტყი ძლიერებით;

⁸შენ აწყენარებ ზღვათა ღრიალს, ტალღების ხმაურს, ერების მღელვარებას.

⁹აძრწუნებს კიდეთა მცხოვრებთ შენი სასწაულები; დილას და საღამოს აღვიძებ შენს სადიდებლად.

¹⁰კეთილად იხსენებ მიწას და რწყავ, დიდად ამდიდრებ მას; ნაკადი ღვთისა სავსეა წყლით; აძლევ ადამიანებს პურს, რადგან ასე მოამზადე იგი.

¹¹მის კვლებს არწყულებ, ასწორებ მის ბელტებს, ჟუჟუნა წვიმით ალბობ, მის აღმონაცენს აკურთხებ.

¹²აკურთხებ წელიწადის გვირგვინს შენი სიკეთით, შენი ნაკვალევიდან წვეთავს პოხიერება.

¹³წვეთავენ უდაბნოს საძოვრები, ქედები ღზენით იმოსებიან.

¹⁴საძოვრები ცხვრით აჭრელდებიან, დაბლობები მარცვლით იფარება; ღაღადებენ და მღერიან სიხარულით.

ფსალმუნი 65

¹გუნდის ლოტბარს. გალობა ფსალმუნისა. შეჰღაღადე ღმერთს, მთელი ქვეყნიერებაჲ!



- ²უფალობეთ მისი სახელის ღირსებას, ხოტბა შეასხით მის დიდებას.
- ³უთხარით ღმერთს: რა საოცარია შენი საქმენი, შენი ძალის სიდიადეს ქვეშ ეგებიან შენი მტრები.
- ⁴მთელი ქვეყნიერება თაყვანს გცემს შენ; მთელი დედამიწა გადიდებს შენ; ხოტბას ასხამს შენს სახელს!
- ⁵მოდით, იხილეთ ღმერთის საქმენი; შემადრწუნებელია მისი მოქმედება ადამიანის შვილებზე.
- ⁶ზღვა ხმელეთად აქცია; მდინარე ფეხით გადალახეს; იქ გავიხარეთ მის გამო.
- ⁷გაბატონებულია თავისი ძალით საუკუნოდ, მისი თვალები ჭვრეტენ ერებს, ურჩნი ნუ გაამაყდებიან!
- ⁸ადიდეთ, ერებო, ღმერთი ჩვენი, აღავლინეთ ხმა მისი ქებისა,
- ⁹ვინც შეუნარჩუნა ჩვენს სულს სიცოცხლე და ფეხი ჩვენი დაიცვა წაბორძიკებისაგან.
- ¹⁰რადგან შენ, ღმერთო, გამოგვცადე, გადაგვადნე, როგორც ვერცხლს აღნობენ.
- ¹¹მოგვაქციე ბადეში, ჩაგვრის ტვირთი აგვკიდე ზურგზე.
- ¹²დაგვასვი თავზე კაცი; გაგვატარე ცეცხლსა და წყალში, მაგრამ ბოლოს გაგვიხალვათე.
- ¹³მოვალ შენს სახლში საცეცხლო მსხვერპლით, აღვისრულებ ჩემს აღთქმებს,
- ¹⁴რომლებიც წარმოთქვეს ჩემმა ბაგეებმა, და ჩემმა პირმა აღვითქვა გასაჭირში.
- ¹⁵მსუყე სრულადდასაწველს ამოგიტან საკმევლითა და ვერძებით, შემოგწირავ ხბორებს და ვაცებს.
- ¹⁶მოდით, ისმინეთ ყველამ, ვისაც ღმერთის შიში გაქვთ, და გიამბობთ, რა ქმნა ჩემი სულისთვის.
- ¹⁷მას შევღალადე ჩემი ბაგეებით, და ხოტბა შევასხი ჩემი ენით.
- ¹⁸სიმრუდე რომ შეემჩნია ჩემს გულში, არ შეისმენდა უფალი.
- ¹⁹მაგრამ მისმინა ღმერთმა, ყური მოაპყრო ჩემი ლოცვის ხმას.
- ²⁰კურთხეულ იყოს უფალი, რომელმაც არ უარყო ჩემი ლოცვა და არ მომაკლო თავისი წყალობა!



ფსალმუნი 66

- ¹გუნდის ლოტბარს. სიმებიან საკრავზე. ფსალმუნი გალობისა.
- ²დაე შეგვიწყალოს და გვაკურთხოს ღმერთმა, გამოგვიბრწყინოს თავისი სახე,
- ³რათა შეიცნონ შენი გზები ქვეყნიერებაზე და შენი მხსნელი ძალა ყველა ერს შორის.
- ⁴დაე გადიდონ ხალხებმა, ღმერთო, დაე გადიდოს ყველა ხალხმა!
- ⁵იხარონ და ილხინონ ხალხებმა, რადგან განსჯი მათ სისწორით, და ქვეყანაზე წარმართავ მათ.
- ⁶გადიდონ ერებმა, ღმერთო, გადიდონ ხალხებმა ერთიანად!
- ⁷მიწამ მოგვცა ნაყოფი თავისი; ღმერთმა, ჩვენმა ღმერთმა, გვაკურთხა ჩვენ.
- ⁸გვაკურთხა ღმერთმა; ეშინოდეთ მისი დედამიწის კიდით-კიდემდე!

ფსალმუნი 67

- ¹გუნდის ლოტბარს. დავითისა. ფსალმუნი საგალობელისა.
- ²დაე აღდგეს ღმერთი, განიბნენ მისი მტრები, და მისი მოძულენი უკუიქცნენ მისგან!
- ³როგორც კვამლი იფანტება, ისე გაფანტე; როგორც ცვილი დნება ცეცხლზე, ისე დაიღუპონ ბოროტნი ღმერთის სახის წინაშე!
- ⁴ხოლო მართლებმა გაიხარონ, ილხინონ ღმერთის წინაშე, სიხარულით იზეიმონ!
- ⁵ადიდეთ ღმერთი, უგალობეთ მის სახელს! მოუმზადეთ გზა მას, ვინც უდაბნოებს სერავს; უფალია მისი სახელი; ილხინეთ მის წინაშე!
- ⁶მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა არის ღმერთი თავის წმიდათა წმიდაში;
- ⁷ღმერთი ბინას აძლევს ეულებს, გამოჰყავს ტყვეები საჰერობილედან, ხოლო ურჩნი ხრიოკზე რჩებიან.
- ⁸ღმერთო, როცა შენი ხალხის წინაშე გამოხვედი, როცა ფეხი დადგი უდაბნოში,
- ⁹დედამიწა იძრა, ცანიც კი წვეთავდნენ ღმერთის სახის წინაშე; ეს სინაიც ირყეოდა წინაშე ღმერთისა, ისრაელის ღმერთისა.



- ¹⁰ბარაქიან წვიმას აწვიმებდი, ღმერთო, შენს სამკვიდროს, და როდესაც უძლურდებოდა, შენ ამაგრებდი.
- ¹¹შენმა სამწყსომ იქ ჰპოვა ბინა; შენი სიკეთით განუმზადე ღარიბს, ო ღმერთო.
- ¹²უფალი იძლევა სიტყვას, დიდია ამ სიტყვის მახარობელთა გუნდი:
- ¹³„ჯარების მეფენი გარბიან, გარბიან! შინ მყოფი ქალები კი ნადავლს იყოფენ.“
- ¹⁴მაშინაც კი, როდესაც ცხვრის ბაკებში წევხართ – მტრედის ფრთები ვერცხლით არის დაფარული და მისი ნაკრტენი მოოქროვილია.
- ¹⁵როცა ყოვლადძლიერმა გაფანტა იქ მეფეები, დაითოვლა ცალმონი.
- ¹⁶ბაშანის მთაო, მთაო ღმერთისა, მწვერვალმრავალო მთაო, მთაო ბაშანისა!
- ¹⁷რატომ შეჰყურებთ შურით, მწვერვალებით მდიდარო მთებო, მთას, რომელიც ღმერთმა ისურვა სამოსახლოდ, რომელსაც უფალი დაიმკვიდრებს სამუდამოდ?
- ¹⁸ღმერთის ეტლები უთვალავია, ათასეულები; მათ შორის არის უფალი სინაიზე, წმიდა ადგილას.
- ¹⁹შენ ახვედი მალა, დაატყვევე ტყვეობა, მიიღე ძღვენი კაცთა შორს, რათა ურჩებთანაც დაისადგუროს უფალმა ღმერთმა.
- ²⁰კურთხეულ არს უფალი, რომელიც ყოველ დღე ზრუნავს ჩვენზე, ღმერთი, ჩვენი მხსნელი.
- ²¹ჩვენი ღმერთი არის ღმერთი დამხმარე, და უფალი ღმერთის ხელში არის ხსნა სიკვდილისაგან.
- ²²მაგრამ ღმერთი თავს გაუჭიჭყავს მტრებს, აჯაგრულ კეფას – დანაშაულის გზით მოსიარულეს.
- ²³თქვა უფალმა: ბაშანიდან დავაბრუნებ მათ; დავაბრუნებ ზღვის სიღრმეებიდან,
- ²⁴რათა ჩადგათ თქვენი ფეხები მტრების სისხლში, და თქვენმა ძაღლებმა ჩაყონ შიგ ენა;
- ²⁵ნახეს შენი შესვლა, ღმერთო, შესვლა ჩემი ღმერთისა, ჩემი მეფისა, წმიდაში.
- ²⁶წინ მგალობლები, უკან – მემუსიკენი, შუაში – მედაირე ქალწულები.
- ²⁷კრებულთა შორის ადიდეთ ღმერთი, უფალი, წყარო ისრაელისა!



²⁸იქ ბენიამინი – უმრწემესი – წინ მიუძღვით; იუდას მთავრები გუნდად, ზებულუნის მთავრები, ნაფთალის მთავრები.

²⁹შენმა ღმერთმა მოგაკუთვნა ძალა, ღმერთო, განამტკიცე ის, რაც მოიმოქმედე ჩვენთვის.

³⁰შენი ტაძრის გამო, რომელიც იერუსალიმშია, ძღვენს მოგართმევენ მეფენი.

³¹შერისხე მხეცი ლერწმიანისა, ხარების ჯოგი ხბორებით, ხალხი, რომელიც იქადის ვერცხლის ზოდებით. მიმოფანტე ომის მოყვარული ხალხები.

³²ბრინჯაოს მოიტანენ ეგვიპტიდან, ქუში გაიწოდებს ხელს ღმერთისაკენ.

³³უმღერეთ ღმერთს ქვეყნიერების სამეფონო, უგალობეთ დიდება უფალს,

³⁴ამაღლებულს ძველთუძველეს ცათა ცაში! აჰა, ის გამოსცემს თავისი ძლიერების ხმას.

³⁵მიანიჭეთ სიძლიერე ღმერთს! მისი სიდიადე ისრაელზეა და მისი სიძლიერე – ღრუბლებში.

³⁶საოცარი ხარ, ღმერთო, შენს ტაძარში. ღმერთი ისრაელისა – ის აძლევს ძალასა და სიმაგრეს თავის ხალხს; კურთხეულ არს ღმერთი!

ფსალმუნი 68

¹გუნდის ლოტბარს. შოშანისებურად. დავითისა.

²მიხსენი, ღმერთო! რადგან ყელამდე მომადგა წყალი.

³ჩავიძირე გაუვალ ლაფში, არ არსებობს ფეხის დასადგამი; შევედი წყლის სიღრმეში და სწრაფმა დინებამ წამიღო.

⁴მოვიქანცე ღალადით, ყელი გამიშრა, თვალები ამომიღამდა ჩემი ღმერთის მოლოდინში.

⁵უმიზეზოდ მოძულე მეტი მყავს, ვიდრე თმა თავზე. გაძლიერდნენ ჩემი მოსპობის მსურველნი, ჩემზე ტყუილ-უბრალოდ გადამტერებულნი; რაც არ წამირთმევია, უნდა დავაბრუნო.

⁶ღმერთო, შენ უწყი ჩემი უგუნურება; ჩემი დანაშაული დაფარული არ არის შენგან.

⁷ნუ შერცხვებიან ჩემს გამო შენი მოიმედენი, ღმერთო, უფალო, ღმერთო ძალთაო; ნუ გაწბილდებიან ჩემს გამო შენი მაძიებელნი, ღმერთო ისრაელისა.

⁸რადგანაც შენთვის მივიღე ლანძღვა, სირცხვილმა დაფარა ჩემი სახე.



- ⁹შორეული გავხდი ჩემი ძმებისათვის, უცხო – დედაჩემის შვილთათვის.
- ¹⁰რადგან შენი სახლის შურმა შემჭამა მე და შენთა მლანძღველთა ლანძღვა დამატყდა თავს.
- ¹¹როდესაც ვტიროდი ჩემი სულის მარხვით, მათი სალანძღავი გავხდი;
- ¹²როცა ჩავიცვი სამოსად ძაძა, იგავად ვიქეცი მათთვის.
- ¹³ჩემზე ლაპარაკობენ კარიბჭესთან მსხდომნი, და ჩემზე მღერიან ღვინის მსმელები.
- ¹⁴მე კი შენს მიმართ ვლოცულობ, უფალო, სასურველ დროს; ღმერთო, შენი დიდი წყალობით მიპასუხე.
- ¹⁵მიხსენ ჭაობისაგან, რომ არ დავინთქა; გადამარჩინე მოძულეთაგან და წყლის სიღრმეთაგან.
- ¹⁶ნუ გამიტაცებს წყლის ტალღა, ნუ ჩამყლაპავს მორევი, ნუ შეიკრავს ჩემზე პირს ჭა.
- ¹⁷მიპასუხე, უფალო, რადგან კეთილია შენი წყალობა; შენი დიდი სიბრალულით გადმომხედე.
- ¹⁸ნუ დაფარავ სახეს შენი მორჩილისგან, რადგან მიჭირს; მსწრაფლ მიპასუხე.
- ¹⁹მოუახლოვდი ჩემს სულს, გამომიხსენი; გამომისყიდე ჩემი მტრების გამო!
- ²⁰შენ იცი ჩემი ლანძღვა, გაწბილება და შერცხვენა ჩემი; შენს თვალწინ არიან ჩემი მტრები.
- ²¹დამცირებამ დაამსხვრია ჩემი გული, ქანცი გამიწყდა; ველოდი თანამგრძნობს და არავინ იყო, მანუგეშებელს, – და ვერ ვპოვე.
- ²²შეურიეს ჩემს საჭმელში ნაღველი, წყურვილის დროს ძმარი შემასვეს.
- ²³იყოს მათი ტაბლა მათთვის ხაფანგი და მშვიდად მყოფთათვის – მახე.
- ²⁴დაუბნელდეთ მათ თვალები და წელი მათი სამუდამოდ მოადუნე.
- ²⁵გადმოაფრქვიე მათზე შენი მრისხანება, და შენი რისხვის ალი ეწიოთ მათ.
- ²⁶სამკვიდრებელი მათი გაპარტახდეს, მათ კარვებში არ იყოს მკვიდრი!
- ²⁷ვინაიდან, ვინც შენ გვემე, დევნიან, და შენგან დაჭრილის სატკივარს ამრავლებენ.
- ²⁸დაურთე მათ სასჯელი სასჯელზე; ნუმც შეაღწევინ შენს სიმაღლეში.
- ²⁹ამოიშალონ ცოცხალთა წიგნიდან, მართლებთან ნუ ჩაიწერებიან.



³⁰ხოლო მე ღატაკი და დავრდომილი ვარ; შენმა შველამ, ღმერთო, ამამაღლოს მე!

³¹შევაქებ ღმერთის სახელს გალობით, განვადიდებ მაღლიერებით.

³²ეს უფრო სათნო იქნება უფლისთვის, ვიდრე ხარი ან ხბო რქიანი და ჩლიქიანი.

³³ნახონ მოკრძალებულებმა და გაიხარონ, გაცოცხლდეს გული თქვენი, მაძიებელნო ღმრთისა.

³⁴რადგან უსმენს ღატაკს უფალი და არ უგულებელყოფს თავისიანებს ტყვეობაში.

³⁵განადიდოს იგი ცამ და დედამიწამ, ზღვებმა და ყოველმა, რაც მათში მოძრაობს.

³⁶რადგან იხსნის ღმერთი სიონს და აღადგენს იუდას ქალაქებს, იქ დასახლდებიან და დამკვიდრდებიან მისი მსახურნი.

³⁷მის მორჩილთა შთამომავლობა დაეუფლება მას, და მისი სახელის მოყვარულნი იცხოვრებენ მასში.

ფსალმუნი 69

¹გუნდის ლოტბარს. დავითისა. გასახსენებელი.

²ისწრაფე, ღმერთო ჩემო, ჩემს სახსნელად, უფალო, ჩემს დასახმარებლად!

³დაე, შერცხვნენ და გაწბილდნენ ჩემი სულის მაძიებელნი; უკუიქცნენ და დასაცინი გახდნენ ჩემთვის სიავის მსურველნი!

⁴დაე, უკუიქცნენ სირცხვილნაჰამნი, ვინც მეუბნება: ოჰო! ოჰო!

⁵ილხინოს და გაიხაროს შენით ყველამ, ვინც შენ გეძიებს! ვისაც უყვარს შენი ხსნა, დაე თქვას მუდამ: დიდია ღმერთი!

⁶ხოლო მე ღარიბ-ღატაკი ვარ; ღმერთო, იჩქარე ჩემსკენ! ჩემი შემწე და მხსნელი ხარ შენ, უფალო, ნუ დააყოვნებ!

ფსალმუნი 70

¹მე შენ გესავ, უფალო, ნუ შევრცხვები უკუნისამდე!

²შენი სიმართლით მიხსენ და გადამარჩინე, ყური მომაპყარ და მიშველე!

³იყავ ჩემთვის კლდოვანი თავშესაფარი, ჩემი ხსნის ბურჯი, რადგან შენა ხარ ჩემი კლდე და სიმაგრე ჩემი.



- ⁴ღმერთო ჩემო, მიხსენ ბოროტის ხელისაგან, უკანონობის მოქმედის და მძარცველის ხელისგან.
- ⁵რადგან შენა ხარ ჩემი იმედი, უფალო, ღმერთო ჩემო, ჩემი სასოება ყრმობიდანვე.
- ⁶შენზე ვიყავი დაყრდნობილი დედის მუცლიდან, შენ გამომიყვანე დედის წიაღიდან; შენ გეკუთვნის ჩემი ხოტბა მუდამ.
- ⁷საოცრებასავით ვარ მრავალთათვის; მაგრამ შენ ხარ ჩემი მტკიცე თავშესაფარი.
- ⁸სავსეა ჩემი პირი შენი ქებით, და შენი დიდებით ყოველ ჟამს.
- ⁹ნუ უკუმაგდებ სიბერის დროს, უძლურებისას ნუ მიმატოვებ.
- ¹⁰რადგან მოითათბირეს ჩემმა მტრებმა ჩემზე და ერთად იზრახავენ ჩემი სულის წინააღმდეგ ჩასაფრებულნი.
- ¹¹ამბობენ: ღმერთმა მიატოვა იგი; დაედევნეთ და შეიპყარით, რაკი არა ჰყავს მხსნელი.
- ¹²ღმერთო, ნუ გამშორდები; ღმერთო ჩემო, ჩემს შესაწევად გამოეშურე.
- ¹³დაე, შერცხვნენ და მოისპონ ჩემი სულის მაშფოთებელნი; სირცხვილმა და გაწბილებამ დაბუროს ჩემთვის სიავის მაძიებელნი.
- ¹⁴ხოლო მე მსურს მარად მოველოდე და ვამრავლებდე შენს დიდებას.
- ¹⁵ჩემი ბაგენი შენს სიმართლეზე ილაპარაკებენ ყოველდღე, შენმიერ შველაზე, რომელთა რიცხვიც არ ვიცი.
- ¹⁶შევალ განსჯაში უფლის ძლიერებაზე, გავიხსენებ შენს სიმართლეს, მხოლოდ შენსას.
- ¹⁷ღმერთო, შენ მმოდვრავდი ყრმობიდანვე და დღემდე ვაუწყებ შენს საოცრებებს.
- ¹⁸მოხუცებულობამდე და ღრმა სიბერემდეც ნუ მიმატოვებ, ღმერთო, ვიდრე გავაცნობდე შენს მკლავს და შენს სიძლიერეს ყველა მომავალ თაობას.
- ¹⁹შენი ძალა და შენი სიმართლე, ღმერთო, ზეცამდეა, შენ ჰქმენ დიადი საქმენი; ღმერთო, ვინ არის შენი ბადალი?
- ²⁰შენ მაჩვენე მრავალი და მძიმე გაჭირვება; კვლავ გამაცოცხლებ, დედამიწის უფსკრულიდან კვლავ ამომიყვან.
- ²¹შენ გაამრავლებ ჩემს დიდებას და მობრუნდები ჩემს სანუგეშებლად.



²²და მეც მადლობას შემოგწირავ ებნის საკრავით, ვადიდებ შენს ჭეშმარიტებას, ღმერთო, გიგალობებ ქნართ, წმიდაო ისრაელისა.

²³იხარებენ ჩემი ბაგენი, როს გიგალობებ შენ, და ჩემი სულიც, შენ რომ იხსენი.

²⁴ჩემი ენაც ყოველდღე წარმოსთქვამს შენს სიმართლეს; რადგან შერცხვნენ და დამცირდნენ ჩემი ავის მაძიებელნი.

ფსალმუნი 71

¹სოლომონისთვის. ღმერთო, მიეც შენი სამართალი მეფეს, და შენი სიმართლე – მეფის ძეს.

²რათა სიმართლით გასაჯოს შენი ხალხი, და შენი ლატაკნი – სამართლიანად!

³მთები მშვიდობას მოუტანენ ხალხს, და ბორცვები – სამართლიანობას.

⁴გაასამართლებს ის ხალხის ლატაკთ, იხსნის შვილს ღარიბისას და დაჩაგრავს მჩაგვრელს.

⁵შენი შიში ჰქონდეთ, ვიდრე მზე და მთვარეა, თაობიდან თაობამდე!

⁶ემსგავსოს ის წვიმას, რომელიც მოდის მოთიბულ ბალახზე, წვეთებს, მიწას რომ აღბობენ.

⁷გაიფურჩქნოს მის დღეებში სიწმინდე, გამრავლდეს მშვიდობა, ვიდრე მთვარე არსებობს!

⁸იბატონოს მან ზღვიდან ზღვამდე და მდინარიდან დედამიწის კიდეებამდე!

⁹ქედი მოიდრიკონ მის წინაშე უდაბნოს მცხოვრებლებმა, და მისმა მტრებმა მტვერი ალოკონ!

¹⁰თარშიშისა და კუნძულთა მეფეებმა ხარკი მოუტანონ მას, შებასა და სებას მეფეებმა ძღვენი მოართვეან!

¹¹ყველა მეფემ თაყვანი სცეს მას, და ყველა წარმართი დაემორჩილოს.

¹²რადგანაც იგი იხსნის ღარიბს, როდესაც შეჰლაღადებს, და ლატაკს, რომელსაც არა ჰყავს შემწე.

¹³შეიწყნარებს დავრდომილსა და ღარიბს, და ღარიბთა სიცოცხლეს დაიხსნის.



¹⁴იხსნის მათ სიცოცხლეს ვერაგობისა და ძალადობისგან, ძვირფასი იქნება მათი სისხლი მის თვალში.

¹⁵დღეგრძელი იყოს! მიართვან მას შებას ოქრო. დღენიადაგ ილოცონ მისთვის, ყოველდღე აკურთხონ ის!

¹⁶იყოს სიუხვე პურისა დედამიწაზე, ამაღლდეს თავთავი მთის წვერებამდე, ლიბანივით ამაღლდეს ნაყოფი მისი; აყვავდნენ კაცნი ქალაქებში, როგორც ბალახი დედამიწაზე!

¹⁷იყოს მისი სახელი უკუნისამდე; ვიდრე მზე არსებობს, იდიდოს მისი სახელი! იკურთხოს მასში ქვეყნიერების ყოველი ტომი, ყოველმა ერმა კურთხეული უწოდოს მას!

¹⁸კურთხეულ იყოს უფალი, ღმერთი ისრაელისა, მხოლოდ ის იქმს სასწაულებს!

¹⁹კურთხეულ იყოს სახელი მისი დიდებისა უკუნისამდე, აივსოს მისი დიდებით ქვეყნიერება! ამინ, ამინ!

²⁰დამთავრდა ლოცვები დავითისა, იესეს ძისა.

ფსალმუნი 72

¹ფსალმუნი ასაფისა. ჭეშმარიტად, კეთილია ღმერთი ისრაელის მიმართ, გულწრფელთა მიმართ.

²მე კი – კინალამ გადაუხვიეს ჩემმა ფეხებმა, კინალამ მომიცურდა ნაბიჯები!

³რადგან შემშურდა უგუნურთა, როდასაც დავინახე ბოროტთა კეთილდღეობა.

⁴რადგან არა აქვთ შეჭირვება, ჯანსაღი და მრთელია მათი გვამი.

⁵არ იტანჯებიან სხვა კაცთა მსგავსად, სხვა ადამიანებით არ ტვირთმძიმობენ.

⁶ამიტომ მძივივით გარს შემოერთყა მათ ამპარტავნება და ძალადობით, როგორც სამოსელით, არიან მოსილნი.

⁷სიმსუქნისაგან თვალები გადმოკარკლეს, გულები სიბრიყვით აევსოთ.

⁸ავად და დამცინავად ლაპარაკობენ, ძალადობით იმუქრებიან.

⁹მათი პირი ცას მისწვდა და მათი ენა დედამიწაზე დაიარება.

¹⁰ამიტომ მისი ხალხიც აქეთ მიიქცევა და სვამენ წყალს სავსე თასიდან.

¹¹ამბობენ: როგორ შეიტყობს ღმერთი? განა უზენაესს შეუძლია გაგება?



- ¹² აჰა, ესენი არიან ბოროტნი, უზრუნველნი ამა სოფლისა, იხვეჭენ დოვლათს.
- ¹³ ამოდ გამისუფთავებია გული, დამიბანია ხელები სიწმიდით,
- ¹⁴ რადგან გვემა იყო ჩემი ხვედრი ყოველდღე, და ვიტანჯებოდი ყოველ დილით.
- ¹⁵ რომ მეთქვა: ვიმსჯელებ ასე, მაშინ შენი შვილების თაობას ვუღალატებდი.
- ¹⁶ მაგრამ როდესაც ვფიქრობდი, თუ როგორ გამეგო ეს – ძნელი ჩანდა ეს ჩემს თვალში –
- ¹⁷ ვიდრე მოვიდოდი ღმერთის ტაძარში და გავიგებდი მათ ბოლოს.
- ¹⁸ ნამდვილად მოლიპულ გზაზე დააყენე ისინი და უფსკრულში გადაჩეხავ.
- ¹⁹ როგორ მეყსეულად ნადგურდებიან, აღიგვებიან შიშის ზარისგან!
- ²⁰ როგორც სიზმარი ქარწყლდება გამოღვიძების შემდეგ, ისე დაამცირებ მათ სახეებს, უფალო, როცა გამოფხიზლდები.
- ²¹ როდესაც გული მიმწარდებოდა და შიგანი მეფლითებოდა,
- ²² უმეცარი ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, პირუტყვივით ვიყავი შენს წინაშე.
- ²³ მაგრამ მაინც მე მუდამ შენთან ვარ, ხელთ გიპყრია მარჯვენა ჩემი.
- ²⁴ შენი რჩევით მიმიძღვები წინ, შემდგომ კი პატივში მიმიღებ.
- ²⁵ ვინ არის ჩემთვის ზეცაში შენს გარდა? შენს გარდა არავინ მსურს არც დედამიწაზე.
- ²⁶ ქანცგამოლეულია ჩემი სხეული და გული; მაგრამ ღმერთია ჩემი გულის სიმაგრე და ჩემი ხვედრი უკუნისამდე.
- ²⁷ რადგან აჰა, შენგან განშორებულნი დაიღუპებიან; შენ მოსპობ ყველას, ვინც გიორგულებს.
- ²⁸ ხოლო ჩემთვის სასიკეთოა ღმერთთან სიახლოვე; უფალ ღმერთზე ვამყარებ იმედს, რათა ვაუწყო ყველა შენი საქმე.

ფსალმუნი 73

- ¹ მოძღვრება. ასაფისა. ღმერთო, რატომ მიგვატოვე სამუდამოდ, რატომ აინთო შენი რისხვა შენი სამწყსოს ცხვარზე?
- ² გაიხსენე შენი თემი, ადრევე რომ შეიძინე, ტომი, რომელიც იხსენი შენს სამკვიდროდ! გაიხსენე მთა სიონისა, რომელზედაც შენი საგანია.



³წარმართე შენი ნაბიჯები მარადიული ნანგრევებისაკენ; ყველაფერი მოსპო მტერმა ტაძარში!

⁴შენი მოდავენი ღმუიან შენს წმიდა ადგილას; დადეს თავიანთი ნიშნები სასწაულების მაგიერ.

⁵ცულები ჩაასვეს ხის ჩარჩოებს,

⁶და ახლა ამსხვრევენ მის ჩუქურთმებს ერთიანად უროთი და ცულით.

⁷ცეცხლს მისცეს შენი ტაძარი, მიწასთან გაასწორეს შენი სახელის სამკვიდრებელი.

⁸თქვეს თავიანთ გულში: გავანადგურებთ მათ ერთიანად. დაწვეს ღმერთის ყველა საკრებულო ქვეყანაზე.

⁹ჩვენს სასწაულებს ვეღარ ვხედავთ, აღარა გვყავს წინასწარმეტყველი, არავინ არის ჩვენს შორის მცოდნე იმისა, თუ როდემდე გაგრძელდება ასე.

¹⁰ღმერთო, როდემდე უნდა დაგვცინოს მტერმა? ნუთუ სამარადჟამოდ დაგმობს მოშუღარი შენს სახელს?

¹¹რატომ სწევ ხელს უკან და ფარავ შენს მარჯვენას? გამოიღე უბიდან და მოსპე!

¹²მაგრამ ღმერთი ჩემი მეფეა ძველთაგანვე, შველისა და ხსნის მოქმედი ქვეყნიერებაზე.

¹³შენ გაკვეთე ზღვა შენი ძალით, მიუმტვრიე თავები წყლის ურჩხულებს;

¹⁴შენ გაუჭეჭყე თავი ლევიათანს, მიეცი საჭმელად უდაბნოს მხეცებს.

¹⁵შენ გააპე წყარო და ხევი, შენ დააშრე ძლიერი მდინარენი.

¹⁶შენია დღე, ღამეც შენია; შენ დაადგინე მთვარე და მზე.

¹⁷შენ დასდე ქვეყნიერების ყველა საზღვარი, ზაფხულ-ზამთარი შენ დაადგინე.

¹⁸უფალო, გაიხსენე ეს: როგორ გაგინებს შენ მტერი, და არამზადა ხალხი როგორ ლანძღავს შენს სახელს.

¹⁹მხეცებს ნუ მისცემ შენი გვრიტის სულს, შენი ღარიბების სიცოცხლეს ნუ დაივიწყებ.

²⁰გაიხსენე შენი აღთქმა; რადგან აივსო ქვეყნიერების ბნელი ადგილები ძალადობის სადგომებით.

²¹ნუ დაბრუნდება ჩაგრული გაწბილებული, დაე ღარიბ-ღატაკნი აქებდნენ შენს სახელს!



²²აღდეგ, ღმერთო, ედავე შენს მოდავეებს, გაიხსენე ყოველდღიური შენი ლანძღვა არამზადებისაგან!

²³ნუ დაივიწყებ შენს მოდავეთა ხმას; შენი მტრის ღრიალს, მუდამ რომ ამოდის!

ფსალმუნი 74

¹გუნდის ლოტბარს. „ნუ მოსკობ.“ ფსალმუნი ასაფისა. გალობა.

²გმადლობთ, ღმერთო, გადიდებთ შენ, რადგან ახლოსაა შენი სახელი, შენი საოცრებანი გვეუწყა ჩვენ.

³როცა მოვა შესაფერი დრო, გავასამართლებ სისწორით.

⁴როცა ირყევა დედამიწა ყველა მისი მცხოვრებით, მე ვამაგრებ მის სვეტებს.

⁵ვეუბნები ამპარტავნებს: ნუ იქადით! და ბოროტებს: ნუ აიმაღლებთ რქას!

⁶ნუ აღმართავთ თქვენს რქას, ნუ ილაპარაკებთ ამპარტავანი ქედით.

⁷რადგან არც აღმოსავლეთიდან და არც დასავლეთიდან და არც უდაბნოდან არის კაცის ამაღლება.

⁸არამედ ღმერთია მსაჯული, რომელიც ერთს დაამდაბლებს და მეორეს აღამაღლებს.

⁹რადგან უფლის ხელშია თასი, რომელშიც დუღს ღვინო, წარევით სავსე, ის ასხამს იქიდან, და ყოველნი ბოროტნი ამა ქვეყნისა შესვამენ მას და გამოსცლიან.

¹⁰ხოლო მე მარადის ვაუწყებ, ვუგალობებ დიდებას იაკობის ღმერთს.

¹¹ბოროტთა რქები ერთიანად შეიმუსრება, მართალთა რქები კი ამაღლდება!

ფსალმუნი 75

¹გუნდის ლოტბარს. სიმებიან საკრავზე. ფსალმუნი ასაფისა. გალობა.

²ცნობილია იუდაში ღმერთი, დიდია ისრაელში მისი სახელი.

³საღემშია მისი კარავი, ხოლო მისი სავანე სიონშია.

⁴იქ შემუსრა მან მშვილდის ისრები, ფარი და ხმალი, და ომი.

⁵დიდებული ხარ შენ, და უფრო ბრწყინვალე, ვიდრე მთები სალოცავი.

⁶გულმაგრები გამარცვეს; ჩათვლიმეს, ჩაეძინათ, მეომრებს ხელებმა უმტყუნეს.



- ⁷შენი შემოტევით, ღმერთო იაკობისა, რული მოერია ცხენსაც და მხედარსაც.
- ⁸საშიში ხარ შენ! ვინ შეძლებს დადგეს შენს წინაშე განრისხების ჟამს?
- ⁹ზეციდან შეგვასმინე შენ სამართალი; დედამიწა შეშინდა და მიწყნარდა,
- ¹⁰როდესაც აღსდგა ღმერთი განსჯისათვის, ქვეყნიერების ყველა ჩაგრულის დასახსნელად.
- ¹¹ადამიანის რისხვა გადაიქცევა მადლიერებად, ხოლო რისხვის ნატამალს შენ მოთოკავ.
- ¹²აღუთქვით და აღუსრულეთ აღთქმანი უფალს, თქვენს ღმერთს, მის ირგვლივ ყველამ ძღვენი მიართვას საშიშს,
- ¹³ის ამდაბლებს მთავრებს, შიშის ზარს სცემს მეფეებს ამა ქვეყნისა.

ფსალმუნი 76

- ¹გუნდის ლოტბარს. იედუთუნისთვის. ასაფის ფსალმუნი.
- ²ჩემი ხმა ღმერთის მიმართაა და მე შევლაღადებ მას; ჩემი ხმა ღმერთის მიმართაა და ის მომისმენს.
- ³ჩემი გაჭირვების დღეს უფალს ვეძიებ; ღამდამობით გაწვდილია ჩემი ხელი და არ ივანებს, უარყოფს ნუგეშს სული ჩემი.
- ⁴ვიხსენებ ღმერთს და ვკვნესი, ვფიქრობ, და უძლურდება სული ჩემი.
- ⁵თვალიც არ მომახუჭინე, შევძრწუნდი და ხმას ველარ ვიღებ.
- ⁶ვიგონებ ადრინდელ დღეებს, გარდასულ წლებს;
- ⁷ვიხსენებ ჩემს გალობას ღამდამობით, ჩემს გულს ვესაუბრები, სული ჩემი ეძიებს პასუხს:
- ⁸ნუთუ საუკუნოდ მიმატოვებს უფალი და აღარასოდეს მომისურვებს?
- ⁹ნუთუ სამუდამოდ გაქრა მისი წყალობა, სამარადჟამოდ დასრულდა მისი აღთქმანი?
- ¹⁰სამუდამოდ დაივიწყა შეწყალება ღმერთმა? უარყო რისხვით სიბრალული?
- ¹¹და ვთქვი: ჩემი უბედურება უზენაესის მარჯვენის შეცვლაა.
- ¹²გავიხსენებ უფლის საქმეებს, ჭეშმარიტად გავიხსენებ შენს ძველ სასწაულებს.
- ¹³ჩავუკვირდები ყველა შენს საქმეს, დავფიქრდები შენს ნამოქმედარზე.



- ¹⁴ღმერთო, წმიდაა შენი გზა! რომელი ღმერთია შენსავით დიდი?
- ¹⁵შენა ხარ ღმერთი, სასწაულთმოქმედი; შენ გამოავლინე ერებზე ძლიერება შენი.
- ¹⁶შენი მკლავით გამოიხსენი შენი ერი – იაკობისა და იოსების ძენი.
- ¹⁷როდესაც გიხილეს წყლებმა, ღმერთო, როდესაც გიხილეს წყლებმა, შეძრწუნდნენ, ზღვათა უფსკრულებიც კი შეიძრნენ.
- ¹⁸გადმოღვარეს წყლები ღრუბლებმა, დაიქუხეს ცათა, შენმა ისრებმა იელვეს.
- ¹⁹შენი გრგვინივის ხმამ დაიგრგვინა ცის თაღზე – გაანათეს ელვებმა სამყარო, შეძრწუნდა და შეირყა დედამიწა.
- ²⁰ზღვაში გაიარა შენმა გზამ და შენმა ბილიკმა – დიდ მდინარეებში, და მაინც შენი კვალი უცნობი დარჩა.
- ²¹ფარასავით მიუძღოდი შენ შენს ხალხს მოსესა და აარონის ხელით.

ფსალმუნი 77

- ¹მოდღვრება; ასაფისა. ისმინე, ჩემო ხალხო, რჯული ჩემი; ყური მოაპყარ ჩემს ბაგეთა სიტყვებს.
- ²მისმინეთ, იგავების საუწყებლად გავხსნი ბაგეებს, ავამეტყველებ ბნელ გამოცანებს უძველეს დროთა,
- ³რაც გვსმენია და გაგვიგია, რაც უამბიათ ჩვენთვის ჩვენს მამებს,
- ⁴არ დავუმაღავთ ამას მათ შვილებს, ვაუწყებთ მომავალ თაობას ჩვენი უფლის დიდებულ საქმეებს, მის ძლიერებას და სასწაულებს, რომელნიც მან ქმნა.
- ⁵რადგან დაუდგინა წესდება იაკობს და დაუდო რჯული ისრაელს, დაუწესა იგი ჩვენს მამებს მათ შვილთათვის საუწყებლად;
- ⁶რათა შეიტყოს მომავლმა თაობამ, შვილებმა, რომელნიც დაიბადებიან და გაუცხადონ თავიანთ შვილებს,
- ⁷რომ ღმერთზე უნდა დაამყარონ იმედი, არ დაივიწყონ საქმენი ღმრთისა და დაიცვან მისი მცნებანი;
- ⁸არ დაემსგავსონ თავიანთ მამებს, გულარძნილსა და ურჩ თაობას, თაობას, რომელმაც არ მოამზადა გული თავისი და არ უერთგულა ღმერთს სულით.
- ⁹შენი ეფრემისა, მშვილდით აღჭურვილნი, უკუიქცნენ ბრძოლის დღეს,



- ¹⁰რადგან არ დაიცვეს აღთქმა უფლისა და მის მცნებაზე სიარული აღარ ისურვეს.
- ¹¹დაივიწყეს მისი საქმენი და სასწაულნი, მათ რომ მოუვლინა.
- ¹²მათი მამების თვალწინ მოიმოქმედა მან სასწაული ეგვიპტის ქვეყანაში, ცოყანის ველზე.
- ¹³გააპო ზღვა და შიგ გაატარა, კედლად წამომართა წყლები,
- ¹⁴დღისით ღრუბელით მიუძღოდა მათ, და მთელი ღამე – ცეცხლის შუქით.
- ¹⁵გააპო კლდენი უდაბნოში და მისცა მათ წყალი ვით უფსკრულის წყალსატევიდან.
- ¹⁶გადმოადინა კლდის ნაკადები, მდინარესავით წარმოადინა წყლები.
- ¹⁷ისინი კი განაგრძობდნენ შეცოდებას მის მიმართ, ეურჩებოდნენ უზენაესს უდაბნოში.
- ¹⁸სცდიდნენ ღმერთს თავიანთ გულში, მოითხოვდნენ საკვებს თავიანთი სულისათვის.
- ¹⁹ლაპარაკობდნენ ღმერთის წინააღმდეგ, ამბობდნენ: განა შეძლებს ღმერთი უდაბნოში ტაბლის გამართვას?
- ²⁰აჰა, კლდეს დაჰკრა და გადმოსკდა წყალი და გადმოდინდა ნაკადები. პურის მოცემაც თუ ძალუმს? ხორცითაც მოამარაგებს თავის ხალხს?
- ²¹ესმა უფალს და განრისხდა, მოედო ცეცხლი იაკობს, რისხვა აღიმართა ისრაელზე,
- ²²რადგან არ ერწმუნენ ღმერთს და მისი ხსნის იმედი არ ჰქონდათ.
- ²³და მაინც უბრძანა ღრუბლებს მაღლიდან, და გახსნა ცათა ბჭენი;
- ²⁴გადმოაწვიმა მათზე მანანა საზრდოდ, და ციური პური მისცა მათ.
- ²⁵ანგელოზთა პურს ჭამდა კაცი; საზრდოს უგზავნიდა მათ მამდრისად.
- ²⁶აღძრა აღმოსავლეთის ქარი ზეცაზე და წარმართა თავისი ძალით სამხრეთის ქარი,
- ²⁷აწვიმა მათზე ხორცი, ვითარცა მტვერი, და ვითარცა ზღვის ქვიშა – ფრთოსანი ფრინველი.
- ²⁸ჩამოყარა მათ ბანაკთან, მათი საცხოვრისების გარშემო.
- ²⁹ჭამეს და გაძლნენ, შეუსრულა სურვილი მათი.



- ³⁰მაგრამ ჯერ კიდევ არ გამძლარიყვნენ, საჭმელი ჯერ კიდევ პირში ჰქონდათ,
- ³¹რომ ღვთის რისხვა აღიძრა მათზე და ამოხოცა სხვებზე მსუქნები, და ჩააჩოქა რჩეულები ისრაელისა.
- ³²და მაინც შესცოდეს კიდევ, და არ ირწმუნეს მისი სასწაულები.
- ³³მაშინ დაასრულა მათი დღეები ფუჟად და მათი წლები – ძრწოლით.
- ³⁴როდესაც ხოცავდა, მაშინ ეძიებდნენ მას და კვლავ ბრუნდებოდნენ ღმერთისაკენ.
- ³⁵იხსენებდნენ, რომ ღმერთია მათი სიმაგრე, და უზენაესი ღმერთია მათი მხსნელი.
- ³⁶მაგრამ ელაქუცებოდნენ პირით, და ცრუ იყო მათი ენის სიტყვები;
- ³⁷რადგან არ იყო მათი გული წრფელი მის მიმართ და არ იყვნენ ერთგულნი მისი აღთქმისა.
- ³⁸მაგრამ მან, გულმოწყალემ, შეუწოდო მათ ცოდვა და არ მოსპო, მრავალჯერ უკუაგდო თავისი რისხვა და არ აღაგზნო მთელი თავისი გულისწყრომა.
- ³⁹რადგან ახსოვდა, რომ ხორციელნი არიან ისინი, ქარი, რომელიც ჩაიქროლებს და აღარ დაბრუნდება.
- ⁴⁰რამდენჯერ გაჯიუტდნენ უდაბნოში, განარისხეს იგი უკაცრიელ ადგილას.
- ⁴¹და სცდიდნენ ღმერთს ისევ და ისევ, შეურაცხყოფდნენ ისრაელის სიწმიდეს.
- ⁴²არ ახსოვდათ ხელი მისი, დღეები, როცა დაიხსნა მტრისგან;
- ⁴³როცა მოიმოქმედა ეგვიპტეში სასწაულები, და საოცრებანი ცოყანის ველზე;
- ⁴⁴როცა გადააქცია სისხლად მდინარენი და ნაკადები მათი, რომ ველარ ესვათ.
- ⁴⁵მიუსია ბუზანკალი მათ დასაკბენად და – ბაყაყი მათ დასაღუპად.
- ⁴⁶და მისცა მუხლუხოს მათი მოსავალი, და მათი ნაჯაფი – კალიას;
- ⁴⁷სეტყვით მოსრა ვენახი მათი, და სიკომორო მათი – თრთვილით;
- ⁴⁸მისცა სეტყვას მათი პირუტყვი, და ხორშაკ ქარებს – ჯოგები მათი;
- ⁴⁹მოუვლინა მათ თავისი რისხვის ალი, მრისხანება, მძვინვარება და გასაჭირი, როს წარუგზავნა უკეთური ანგელოზები;



⁵⁰გზა გაუკვალა თავის მრისხანებას, არ დაინდო სიკვდილისაგან მათი სული და მათი სიცოცხლე ჭირს მისცა;

⁵¹განგმირა ყოველი პირმშო ეგვიპტეში, პირველშობილნი – ქამის კარვებში.

⁵²ცხვარივით გაირეკა თავისი ხალხი, და უდაბნოში, როგორც ფარას, ისე წარუძღვა.

⁵³ფხიზლად უძლოდა მათ და შიში არ ჰქონდათ, მათი მტრები კი ზღვამ ჩაიტანა.

⁵⁴მოიყვანა თავის წმიდა საზღვარზე, მთაზე, რომელიც მოიპოვა მისმა მარჯვენამ.

⁵⁵განდევნა მათ წინ ხალხები, გაუნაწილა მათ მიწები სამკვიდრებლად, დაასახლა მათ კარვებში ისრაელის ტომები.

⁵⁶კვლავ გამოსცადეს და გაუჯიუტდნენ უზენაეს ღმერთს, და მისი მცნებანი არ დაიცვეს.

⁵⁷უკან იხევდნენ და ღალატობდნენ თავიანთი მამების მსგავსად, უკან ბრუნდებოდნენ ყალბი მშვილდით.

⁵⁸განარისხეს თავიანთი სამსხვერპლოებით და თავიანთი კერპებით გამოაღვიძეს მისი შური.

⁵⁹ისმინა ღმერთმა და განრისხდა და სრულიად მოიძულა ისრაელი.

⁶⁰მიატოვა შილოს სავანე, კარავი, სადაც ადამიანებთან ერთად იყო დამკვიდრებული.

⁶¹და ტყვედ გასწირა სიმაგრე თვისი და დიდება თვისი მტერს ჩაუგდო ხელთ.

⁶²გასწირა მახვილისათვის თავისი ხალხი, თავის მემკვიდრეობაზე განრისხდა.

⁶³მისი ჭაბუკები ცეცხლმა შეჭამა, და მისმა ქალწულებმა ვერ ისმინეს საქორწილო სიმღერა.

⁶⁴მისი მღვდლები ხმლით დაეცნენ, მათმა ქვრივებმა ვერ დაიტირეს.

⁶⁵მაგრამ გაიღვიძა უფალმა, ვითარცა მძინარემ, როგორც დევგმირმა, ღვინისაგან გამოფხიზლებულმა;

⁶⁶და განგმირა მისი მტრები ზურგში, სამუდამო სირცხვილი მიაგო მათ.

⁶⁷უარყო იოსების კარავი და ეფრემის ტომი არ გამოირჩია.

⁶⁸გამოირჩია ტომი იუდასი, მთა სიონისა, რომელიც უყვარს.



⁶⁹მოაწყო თავისი ტაძარი ცასავით, და დედამიწასავით სამუდამოდ დააფუძნა იგი.

⁷⁰ამოირჩია დავითი, თავისი მონა და წამოიყვანა ცხვრის ფარეხებიდან.

⁷¹ცხვრის მწველავთაგან წამოიყვანა ის, რათა ემწყემსა იაკობი – ერი თავისი – და ისრაელი, თავისი წილხვედრი.

⁷²და მწყემსა ისინი წრფელი გულით და მარჯვე ხელით უძღოდა მათ.

ფსალმუნი 78

¹ფსალმუნი ასაფისა. ღმერთო, ერები მოვიდნენ შენს სამკვიდრებელში; შებილწეს შენი წმიდა ტაძარი, იერუსალიმი ნანგრევებად აქცის.

²მისცეს შენს მსახურთა გვამები ცის ფრინველებს საჯიჯგნად, შენთა წმიდათა სხეულები – მიწის ნადირებს.

³წყალივით დაღვარეს მათი სისხლი იერუსალიმის გარშემო, და დამმარხავი არავინაა.

⁴სალანძლავი გავხდით ჩვენი მეზობლებისთვის, მასხარად ასაგდები და დასაცინი – ჩვენს ირგვლივ მყოფთათვის.

⁵როდემდე უფალო? ნუთუ შენი რისხვა სამუდამოა? სამუდამოდ იგიზგიზებს შური შენი, ვითარცა ცეცხლი?

⁶გადმოღვარე შენი რისხვა ერებზე, რომლებიც არ გიცნობენ, და სამეფოებზე, შენს სახელს რომ არ მოუხმობენ!

⁷რადგან შექამეს იაკობი და მისი სადგომი გააპარტახეს.

⁸ნუ გაგვიხსენებ წინაპართა ცოდვებს; მალე შეგვეგებოს შენი წყალობა, რადგან მეტისმეტად დავძაბუნდით.

⁹გვიშველე, ღმერთო, ჩვენო მხსნელო, შენი სახელის ღირსებისათვის გადაგვარჩინე, შეგვინდე ცოდვები შენი სახელის გულისათვის!

¹⁰რატომ უნდა თქვან ერებმა: სად არის მათი ღმერთი? დაე ჩვენს თვალწინ ცნობილი გახდეს ერებს შორის შენს მსახურთა დათხეული სისხლის შურისძიება!

¹¹მოაღწიოს შენამდე ტუსადის კვნესამ, შენი მკლავის სიძლიერით შეეწიე სიკვდილის შვილებს!

¹²დაუბრუნე ჩვენს მეზობლებს შვიდმაგად მათ წიაღში ის დამცირება, შენ რომ გამცირებდნენ, უფალო!



¹³ხოლო ჩვენ – შენი ხალხი და შენი სამწყსოს ცხვარი – მადლობას შემოგწირავთ მარადჟამს; თაობიდან თაობებს მოვუთხრობთ შენს დიდებას.

ფსალმუნი 79

¹გუნდის ლოტბარს. შოშანისებურად. ასაფისა. ფსალმუნი.

²ყური მომაპყარ, მწყემსო ისრაელისა, წინ რომ უძლოდი იოსებს, ვითარცა ცხვარს! ქერუბიმებზე ამხედრებულს, გამოგვეცხადე.

³ეფრემის, ბენიამინისა და მანაშეს წინაშე აღაგზნე შენი ძალა და გამოეშურე ჩვენს სახსნელად!

⁴ღმერთო! მოგვაქციე ჩვენ; დაე გაბრწყინდეს სახე შენი და დავიხსნებით!

⁵უფალო, ღმერთო ძალთაო, როდემდე იქნები განრისხებული შენი ხალხის ლოცვის მიმართ?

⁶გამოკვებე ისინი ცრემლიანი პურით და შეასვი თასი, ცრემლებით სავსე.

⁷დაგვსვი გასაკიცხად ჩვენს მეზობლებში, და ჩვენი მტრები აბუჩად გვიგდებენ.

⁸ღმერთო ძალთაო, მოგვაქციე ჩვენ, დაე გაბრწყინდეს სახე შენი და დავიხსნებით!

⁹ეგვიპტიდან გადმოიტანე ვაზი, განდევნე ერები და დანერგე ის;

¹⁰გაწმინდე ადგილი მის წინ, გაადგმევინე ფესვები და აავსო ქვეყანა.

¹¹მთები დაფარა მისმა ჩრდილმა და მისმა რქებმა – მაღალი კედრები;

¹²რქები გაიტანა ზღვამდე და მდინარემდე – ტოტები თვისი.

¹³რატომ დაანგრე ზღუდენი მისნი, ისე რომ ყოველი გამვლელი ძარცვავს მას?

¹⁴ანადგურებს მას ტყიური ტახი და ველის ნადირნი კორტნიან მას.

¹⁵შემობრუნდი, ღმერთო ძალთაო! გადმოგვხედე ზეციდან და იხილე, და მოხედე ამ ვაზს.

¹⁶გაამაგრე ის, რაც დანერგა შენმა მარჯვენამ, ყლორტი, შენთვის რომ გააძლიერე!

¹⁷დაწვეს ცეცხლით, აკაფეს; შენი სახის რისხვით იღუპებიან.

¹⁸იყოს შენი ხელი შენი მარჯვენის კაცზე, ადამის ძეზე, შენთვის რომ გააძლიერე!



¹⁹ჩვენ კი არასდროს არ უკუვდგებით შენგან, გვაცოცხლე და შენს სახელს მოვუხმობთ!

²⁰უფალო, ღმერთო ძალთაო, მოგვაქციე ჩვენ, დაე გაბრწყინდეს სახე შენი და დავიხსენებით!

ფსალმუნი 80

¹გუნდის ლოტბარს, გითითის ხმაზე. ასაფისა.

²უფალობეთ ღმერთს, სიმაგრეს ჩვენსას; სიხარულით შეჰღაღადეთ იაკობის ღმერთს!

³ამაღლეთ სიმღერა, დაუკარით დაირა, ტკბილხმიანი ქნარი ებანთან ერთად.

⁴ჩაჰბერეთ ბუკს ახალმთვარეობისას, სავსე მთვარეზე, ჩვენს დღესასწაულზე.

⁵რადგან ეს არის კვალი ისრაელისა, წესდება იაკობის ღმერთისა.

⁶ეს დაადგინა მან მოწმობად იოსებისთვის, რაჟამს გამოვიდა ეგვიპტის ქვეყნიდან;

⁷ენა, რომელიც არ იცოდა, ისმინა: „მოვხსენი ტვირთი მხრებიდან, ხელები გავუთავისუფლე გოდრისაგან.

⁸გაჭირვებაში მომიხმე და გიხსენი, გიპასუხე ქუხილის იდუმალი საუფლოდან, გამოგცადე მერიბას წყლებზე.

⁹ისმინე, ჩემო ხალხო, და გიმოწმებ! ისრაელო, თუ მომისმენ მე!

¹⁰არ იყოს შენში სხვა ღმერთი, თაყვანი არ სცე უცხო ღმერთს.

¹¹მე ვარ უფალი, ღმერთი შენი, შენი გამომყვანი ეგვიპტის ქვეყნიდან; განავრცე პირი შენი და მე აღვაკებ მას.

¹²მაგრამ არ ისმინა ჩემმა ხალხმა ჩემი ხმა, და ისრაელი არ დამემორჩილა.

¹³მაშინ მივუშვი ისინი თავიანთ გულისწადილზე, დაე იარონ თავიანთ ნებაზე.

¹⁴ჩემს ხალხს რომ ესმინა ჩემი და ისრაელს ჩემს გზაზე ევლო,

¹⁵მალე მოვდრეკდი მათს მტრებს და მათს მჩაგვრელებზე ხელს აღვმართავდი.

¹⁶უფლის მოძულენი ლიქნას დაუწყებდნენ და მათი ჟამი იქნებოდა სამარადისო.



¹⁷ნოყიერი ხორბლით გამოვკვებავდი და კლდის თაფლით გავაძლავდი.“

ფსალმუნი 81

¹ფსალმუნი ასაფისა. უფალი დადგა ღმერთთა კრებულში, ღმერთებს შორის ქმნა სამართალი:

²როდემდე განიკითხავთ უსამართლოდ და მიემხრობით ბოროტთ?

³განიკითხეთ გლახაკი და ობოლი, მიეცით სამართალი ღარიბსა და ღატაკს.

⁴გადაარჩინეთ ბეჩავი და უპოვარი, ბოროტთა ხელიდან გამოიხსენით.

⁵არ იციან და არ გაეგებათ, წყვდიადში დადიან; ირყევა ყველა საფუძველი დედამიწისა.

⁶მე ვთქვი: ღმერთები ხართ თქვენ, და უზენაესის მენი ხართ თქვენ ყველანი.

⁷მაგრამ თქვენ დაიხოცებით, როგორც ადამიანები და დაეცემით, როგორც ერთი მთავართაგანი.

⁸აღსდექ, ღმერთო, განსაჯე ქვეყანა, რადგან შენ დაიმკვიდრებ ყველა ერს!

ფსალმუნი 82

¹გალობა. ფსალმუნი ასაფისა.

²ღმერთო, ნუ დადუმდები, ყურს ნუ დაიხშავ და ნუ დამშვიდდები!

³რადგან აჰა, შენი მტრები ღრიალებენ, და შენმა მოძულეებმა თავი წამოყვეს.

⁴შენი ხალხის წინააღმდეგ საიდუმლოდ მზაკვრობენ და თათბირობენ მათ წინააღმდეგ, შენ რომ იფარავ.

⁵თქვეს: მოდით, ამოვიძირკვოთ ისინი, როგორც ერი და აღარ იხსენიებოდეს სახელი ისრაელისა!

⁶მოითათბირეს ერთსულოვნად, შენს წინააღმდეგ შეკრეს პირობა;

⁷ედომის ბანაკებმა და ისმაელიანებმა, მოაბმა და აგარის ნაშიერმა;

⁸გებალმა, ყამონმა და ყამალეკმა, ფილისტიმელებმა ცორელებთან ერთად.

⁹აშურიც მათ დაუკავშირდა, და შეიქნენ მკლავნი ლოტის ძეთათვის.

¹⁰ჰქმენ ისინი, როგორც მიდიანი, როგორც სისერა, როგორც იაბინი კიშონის ხევზე;



- ¹¹რომლებიც განადგურდნენ ყენ-დორში, გადაიქცნენ მინდვრის სასუქად.
- ¹²დამართე მათ დიდებულებს იგივე, რაც ყორებს და ზეებს, რაც ზებახს და ცალმუნაყს, და ყველა მათ მთავარს,
- ¹³რომელნიც ამბობდნენ: დავიმკვიდროთ ჩვენთვის სამკვიდრებელი ღვთისა.
- ¹⁴ღმერთო ჩემო, ჰყავ ისინი ვითარცა ბზე, ვითარცა ნამჯა ქარში;
- ¹⁵როგორც ცეცხლი წვავს ტყეს, და ალი ბუგავს მთებს,
- ¹⁶ისე დაედევნე მათ შენი რისხვით, და შენი ქარიშხლით შეაძრწუნე ისინი!
- ¹⁷ავსე მათი პირი სირცხვილით, რათა ეძიონ შენი სახელი, უფალო.
- ¹⁸შერცხვენ და შეძრწუნდნენ სამუდამოდ, შერცხვენილნი დაიღუპონ.
- ¹⁹მიხვდნენ, რომ შენი სახელია უფალი, და მხოლოდ შენა ხარ უზენაესი მთელ ქვეყანაზე.

ფსალმუნი 83

- ¹გუნდის ლოტბარს. გითითის ხმაზე. კორახის ძეოთა. ფსალმუნი.
- ²რაოდენ სასურველია შენი სადგომები, უფალო ძალთა!
- ³ნატრობს და ელტვის ჩემი სული უფლის ეზოებს; გული ჩემი და სხეული ჩემი უმღერიან ცოცხალ ღმერთს.
- ⁴ჩიტიც კი პოულობს ბინას და მერცხალი ბუდეს, რომ ჩასხას თავისი ბარტყები შენს საკურთხევლებთან, უფალო ძალთა, მეუფე ჩემო და ღმერთო ჩემო!
- ⁵კურთხეულ არიან შენს სახლში მკვიდრნი, მარადჟამს შენი მადიდებელნი იქნებიან ისინი!
- ⁶ნეტარ არიან კაცნი, რომელთა ძლიერებაც შენშია, რომელთა გულშიც სიონისკენ აღმავალი გზაა.
- ⁷ხრიოკ ველზე გავლისას მას წყაროდ გადააქცევენ, კურთხევით დაფარავს მათ ადრეული წვიმა.
- ⁸ძლიერებიდან ძლიერებისკენ ივლიან, ღმერთის წინაშე გამოცხადდებიან სიონში.
- ⁹უფალო, ღმერთო ძალთაო, ისმინე ჩემი ლოცვა, ყური მომაჰყარ, ღმერთო იაკობისა!
- ¹⁰იხილე ჩვენი ფარი, იხილე, ღმერთო, მოხედე შენი ცხებულის სახეს!



¹¹რადგან ერთი დღე შენს ეზოებში სჯობს სხვაგან ათასს; ჩემი ღმერთის სახლის ზღურბლთან დგომას ვარჩევ ბოროტთა კარვებში ბინადრობას.

¹²რადგან მზე და ფარია უფალი ღმერთი. მადლისა და ღირსების მომნიჭებელია უფალი, სიკეთეს არ მოაკლებს უბიწოდ მოარულთ.

¹³უფალო ძალთა! კურთხეულია კაცი, შენზე მონდობილი!

ფსალმუნი 84

¹გუნდის ლოტბარს. კორახის ძეთა. ფსალმუნი.

²უფალო, შენ მოწყალე იყავი შენი ქვეყნისათვის, შენ აღადგინე კეთილდღეობა იაკობისა,

³მიუტევე ურჯულოება შენს ხალხს, დაფარე ყველა მისი ცოდვა.

⁴შენ აგვარიდე შენი გულისწყრომა, დააცხრე შენი მრისხანება.

⁵მოგვაქციე ჩვენ, ჩვენი ხსნის ღმერთო, და წარხოცე შენი რისხვა ჩვენზე!

⁶ნუთუ სამუდამოა შენი მრისხანება, თაობიდან თაობამდე გააგრძელებ შენს რისხვას ჩვენზე?

⁷ნუთუ აღარ დაგვიბრუნებ სიცოცხლეს, რათა შენმა ხალხმა იხაროს შენით?

⁸გვიჩვენე, უფალო, წყალობა შენი და გვიბოძე შემწეობა შენი.

⁹მე კი შევისმენ, რას იტყვის უფალი ღმერთი; რადგან მშვიდობას ეტყვის ის თავის ხალხს, თავის წმიდებს, და ისინი აღარ დაუბრუნდებიან უგუნურებას.

¹⁰მართლაც ახლოა ხსნა მისმიერი მის მოშიშთათვის, რათა დიდებამ დაისადგუროს ჩვენს ქვეყანაში.

¹¹წყალობა და ჭეშმარიტება შეხვდებიან ერთმანეთს, სიმართლე და მშვიდობა ეამბორებიან ერთიმეორეს.

¹²ჭეშმარიტება აღმოცენდება დედამიწიდან და სიმართლე ზეციდან გადმოიხედავს.

¹³აჰა, უფალი გვიბოძებს სიკეთეს და ჩვენი მიწა გამოსცემს ნაყოფს.

¹⁴სიმართლე ივლის მის წინ და გზას გაუკაფავს მის ნაბიჯებს.

ფსალმუნი 85



- ¹ლოცვა დავითისა. ყური მომაპყარ, უფალო და მიპასუხე, რადგან ღარიბი და ღატაკი ვარ მე.
- ²დაიფარე სული ჩემი, რადგან ღვთისმოსავი ვარ მე; იხსენ მორჩილი შენი, რომელიც შენ გესავს.
- ³შენ ხარ ჩემი ღმერთი; შემიწყალე, უფალო, რადგან შენ მოგიხმობ ყოველდღე.
- ⁴გაახარე სული შენი მორჩილისა, რადგან, უფალო, შენსკენ აღვაპყრობ ჩემს სულს.
- ⁵რადგან კეთილი და შემბრალე ხარ შენ, უფალო, და დიდად მოწყალე ყველასთვის, ვინც შენ მოგიხმობს.
- ⁶ისმინე, უფალო, ლოცვა ჩემი და ყურად იღე ჩემი მუდარა,
- ⁷ჩემი გაჭირვების დღეს მოგიხმობ, რადგან შენ მიპასუხებ მე.
- ⁸არ არსებობს შენი მსგავსი ღმერთებს შორის, და არც მსგავსი საქმეთა შენთა.
- ⁹ყოველი ერი, შექმნილი შენგან, მოვა და მუხლს მოიდრეკს შენს წინაშე, უფალო, და განადიდებს შენს სახელს;
- ¹⁰რადგან დიდი ხარ და სასწაულთმოქმედი, მხოლოდ შენა ხარ ღმერთი.
- ¹¹მასწავლე, უფალო, შენი გზა, რათა ვიარო შენი ჭეშმარიტებით. წარმართე ჩემი გული შენი სახელის მოშიშებით.
- ¹²მადლობას გწირავ, უფალო, ღმერთო ჩემო, მთელი გულით და ვადიდებ შენს სახელს უკუნისამდე.
- ¹³რადგან დიდია შენი წყალობა ჩემს მიმართ, შენ იხსენი ჩემი სული შავეთის უფსკრულთაგან.
- ¹⁴ღმერთო! ამპარტავანნი აღდგნენ ჩემს წინააღმდეგ და მტარვალთა კრებული ეძიებს ჩემს სულს, და არად შეგრაცხეს თავიანთ წინაშე.
- ¹⁵შენ კი, უფალო, შენ ხარ ღმერთი შემბრალე და მადლმოსილი, ნელი რისხვაში, დიდად მოწყალე და ჭეშმარიტი.
- ¹⁶მოიქეც ჩემსკენ და შემიწყალე, უბოძე შენი ძალა შენს მორჩილს და იხსენ მე შენი მხევლისა.
- ¹⁷მიჩვენე ნიშანი შენი სიკეთისა, რათა იხილონ ჩემმა მოძულეებმა და შერცხვნენ, რადგან შენ, უფალო, შემეწიე და მანუგეშე მე.

ფსალმუნი 86



- ¹კორახის ძეთა. ფსალმუნი. გალობა. წმიდა მთაზე დგას მისი დაფუძნებული ქალაქი,
- ²უყვარს უფალს სიონის ბჭენი იაკობის ყველა სამყოფელზე მეტად.
- ³ქება-დიდებას გიძღვნიან შენ, ღმერთის ქალაქო.
- ⁴რაჰაბსა და ბაბილონს ვახსენებ მათ შორის, ვინც მე მიცნობს. აჰა, ფილისტიმი და ცორი ქუშთან ერთად: ეს დაიბადა იქ – ამბობენ ისინი.
- ⁵სიონზე კი იტყვიან: ესა და ეს კაცი იშვა მის წიაღში, და უზენაესმა წარმართა იგი.
- ⁶უფალი ჩაწერს ხალხთა ნუსხაში: ეს დაიბადა აქ.
- ⁷როკავენ და მღერიან: „ყველა ჩემი წყარო შენშია.“

ფსალმუნი 87

- ¹გალობა. ფსალმუნი კორახის ძეთა. გუნდის ლოტბარს. მახალათის ხმაზე საგალობლად. მოძღვრება ჰემან ეზრაზელისა.
- ²უფალო, ღმერთო ჩემი ხსნისა, შენს წინაშე ვღალატებ დღისით და ღამით!
- ³მოვიდეს შენს წინაშე ჩემი ლოცვა, ყური მოაპყარ ვედრებას ჩემსას!
- ⁴რადგან აღივსო წუხილით სული ჩემი და ჩემი სიცოცხლე ჯოჯოხეთს უახლოვდება.
- ⁵შევირაცხე მათ გვერდით, ვინც სამარეში ჩადის, შევიქენი, ვითარცა კაცი უძლური,
- ⁶მკვდრებს შორის ჩაგდებული, განგმირული, სამარეში მდებარე, ვისაც აღარც იხსენებ, რადგან შენი ხელით არის განგმირული.
- ⁷მომათავსე ქვესკნელის ორმოში, წყვდიადსა და სიღრმეში.
- ⁸თავს დამატყდა შენი რისხვა, და ყველა შენმა ტალღამ ჩემზე გადაიარა.
- ⁹შენ განმაშორე ჩემი ნაცნობნი, საზიზღარი გამხადე მათთვის; დატყვევებული ვარ და ვერ გამოვდივარ.
- ¹⁰თვალი დამებინდა ტანჯვით; მოგიხმობდი, უფალო, ყოველდღე, შენსკენ ვიწვდიდი ხელებს.
- ¹¹განა მკვდრებისთვის იქმ სასწაულებს? განა მიცვალებულნი წამოდგებიან და მადლობას შემოგწირავენ?
- ¹²განა საფლავში ილაპარაკებენ შენს წყალობაზე, და ჯოჯოხეთში – შენს ჭეშმარიტებაზე?



¹³განა შეიცნობენ წყვდიადში შენს სასწაულებს და შენს სიმართლეს – დავიწყების ქვეყანაში?

¹⁴მე კი, უფალო, შენ გევედრები, განთიადისას ჩემი ღოცვა წინ გეგებება.

¹⁵რად მიატოვე, უფალო, სული ჩემი, შენი პირისახე დაფარე ჩემგან?

¹⁶საწყალი და ტანჯული ვარ ყრმობიდანვე, შენს საშინელებებს ვზიდავ; დავუძლურდი.

¹⁷თავზე გადამიარა შენმა რისხვამ, შიშის ზარმა გამანადგურა.

¹⁸მთელი დღე წყალივით გარს მივლიდნენ, გარს მერტყმოდნენ ყველანი ერთად.

¹⁹შენ განმაშორე მოყვასი და მეგობარი, ჩემი ნაცნობნი ბნელით მოცულან.

ფსალმუნი 88

¹მოძღვრება. ეთან ეზრახელისა.

²მარადჟამს ვუგალობებ უფლის წყალობებს, თაობებს აუწყებს შენს ჭეშმარიტებას ჩემი პირი.

³რადგან ვთქვი: უკუნისამდე დაფუძნდება წყალობა შენი, ცათა შინა განამტკიცებ ჭეშმარიტებას შენსას.

⁴შენ თქვი: „შევკარ პირობა ჩემს რჩეულთან, შევფიცე დავითს, ჩემს მსახურს:

⁵“უკუნისამდე დავადგენ შენს შთამომავლობას და თაობიდან თაობამდე დავაფუძნებ შენს ტახტს.”“

⁶განადიდებენ ზეცანი შენს საოცრებებს, უფალო, შენს ჭეშმარიტებას წმიდათა კრებულში!

⁷რადგან ვინ შეედრება ზეცაში უფალს, ვინ მიემსგავსება უფალს ღვთის შვილთა შორის?

⁸დიდებულია ღმერთი წმიდათა კრებულში, და საშიშია ყველასთვის ირგვლივ.

⁹უფალო, ღმერთო ძალთაო! ვინ არის შენებრ მძლავრი? შენი ჭეშმარიტება შენს გარშემოა!

¹⁰შენ ბატონობ ზღვის მოქცევაზე, შენ ამშვიდებ აბოზოქრებულ ტალღებს.

¹¹დაამსხვრიე რაჰაბი, როგორც განგმირული; ძლიერი მკლავით გაფანტე მტრები.



- ¹²შენია ცანი, დედამიწაც შენია; სამყარო და მისი სავსება შენ დააფუძნე.
- ¹³ჩრდილოეთი და სამხრეთი შენ შექქმენი; თაბორი და ხერმონი შენს სახელს უმღერიან.
- ¹⁴შენია მკლავი მაგარი; ძლიერია ხელი შენი, მაღალია მარჯვენა შენი.
- ¹⁵სიმართლე და მართლმსაჯულებაა შენი ტახტის საფუძველი, წყალობა და ჭეშმარიტება შენი სახის წინაშე დადიან.
- ¹⁶კურთხეულია ხალხი, რომელიც სცნობს საზეიმო ხმებს, რომელნიც შენი სახის შუქით დადის, უფალო;
- ¹⁷ვინც შენი სახელით ილხენს ყოველდღე და შენს სიმართლეს ადიდებს.
- ¹⁸რადგან შენა ხარ დიდება მათი ძალისა, და შენი ნებით ამაღლდება ჩვენი რქა.
- ¹⁹რადგან უფალი არის ჩვენი ფარი და ისრაელის წმიდა – მეუფე ჩვენი.
- ²⁰მაშინ დაელაპარაკე ხილვით შენს წმიდას და უთხარი: „ვუბოძე დახმარება გმირს; ავამაღლე რჩეული ხალხისაგან;
- ²¹ვპოვე დავითი, მსახური ჩემი, და ჩემი წმიდა ზეთი ვცხე მას.
- ²²ჩემი ხელი წარმართავს მას, და ჩემი მკლავი განამტკიცებს მას.
- ²³ვერ დაჯახნის მას მტერი, და ვერც ურჯულოების ძე დაჩაგრავს მას.
- ²⁴მოვსრავ მის წინაშე მის მოდავეთ, და მის მოძულეებს დავამხოვ;
- ²⁵ჭეშმარიტება და წყალობა ჩემი მასთანაა და ჩემი სახელით ამაღლდება ღირსება მისი.
- ²⁶ზღვას გადავაწვდენ მის ხელს, და მდინარეებს – მის მარჯვენას.
- ²⁷ის მომიხმობს: ‘შენ მამა ხარ ჩემი, ჩემი ღმერთი და ბურჯი ჩემი ხსნისა.’
- ²⁸და მეც პირმშოდ დავადგენ მას, ქვეყნიერების მეფეებზე აღმატებულებას ვუბოძებ,
- ²⁹უკუნისამდე შევუნარჩუნებ წყალობას ჩემსას, და ჩემი აღთქმა მტკიცე იქნება მისთვის.
- ³⁰დავამკვიდრებ უკუნისამდე მის ნაშიერს და მის ტახტს, ვითარცა დღეებს ზეცათა.
- ³¹თუ მიატოვეს მისმა შვილებმა ჩემი რჯული და ჩემს სამართალს არ გაჰყვნენ,
- ³²თუ ჩემს წესდებებს დაარღვევენ და ჩემს მცნებებს არ დაიცავენ,



- ³³კვერთხით მოვკითხავ მათ დანაშაულს და გვემით – შეცოდებას.
- ³⁴მაგრამ ჩემს წყალობას არ მოვუშლი მას და არ გავაცრუებ ჩემს ერთგულებას.
- ³⁵არ უარვყოფ ჩემს აღთქმას და არ შევცვლი, რაც აღმოხდა ჩემს ბაგეებს.
- ³⁶ერთხელ შევფიცე ჩემი სიწმიდით; არ ვეცრუები დავითს.
- ³⁷მისი ნაშიერი მარადჟამს იქნება და მისი ტახტი, ვითარცა მზე, ჩემს წინაშე;
- ³⁸დამკვიდრდება მთვარესავით უკუნისამდე, და იქნება ჭეშმარიტი მოწმე ზეცაში.“
- ³⁹მაგრამ ახლა მიატოვე და შეიზიზღე, განრისხდი შენს ცხებულზე!
- ⁴⁰უგულებელჰყავ აღთქმა შენს მორჩილთან, მიწას დაანარცხე გვირგვინი მისი;
- ⁴¹მოშალე ყველა ზღუდენი მისნი; ნანგრევებად აქციე მისი სიმაგრენი.
- ⁴²მარცვავს მას ყველა გამვლელ-გამომვლელი, მეზობლის დასაციინი გახდა;
- ⁴³მალლა ასწიე მის მოშუღართა მარჯვენა, გაახარე ყველა მისი მტერი.
- ⁴⁴დააჩლუნგე მისი მახვილი და არ შეეწიე გამარჯვებით ომში;
- ⁴⁵გააცამტვერე სიწმიდე მისი და ტახტი მისი მიწასთან გაასწორე;
- ⁴⁶შეამცირე დღენი მისი სიჭაბუკისა, და სირცხვილით შემოსე იგი.
- ⁴⁷როდემდე დაგვეფარები, უფალო? ნუთუ მარადჟამს იგიზგიზებს ცეცხლივით შენი რისხვა?
- ⁴⁸გაიხსენე, რა არის ჩემი წუთისოფელი; როგორ ამაოებად შეჰქმენი ყოველი ძე კაცისა!
- ⁴⁹ვინ არის კაცი, რომ სიკვდილი არ იხილოს, და იხსნას სული თვისი ჯოჯოხეთის ხელთაგან?
- ⁵⁰სად არის შენი ძველი წყალობა, უფალო, დავითს რომ შეჰფიცე შენი ჭეშმარიტებით?
- ⁵¹გაიხსენე, უფალო, შენს მორჩილთა დამცირება, უბით რომ ვატარებ ძლიერ ხალხთაგან.
- ⁵²როგორ მწყევლიან შენი მტრები, უფალო, როგორ წყევლიან შენი ცხებულის კვალს.
- ⁵³კურთხეულ არს უფალი უკუნისამდე! ამინ, ამინ!



ფსალმუნი 89

- ¹ლოცვა მოსესი, ღვთისკაცისა. უფალო! შენ იყავი ჩვენი თავშესაფარი
თაობებიდან თაობებამდე.
- ²ვიდრე მთები დაიბადებოდნენ და შექმნიდი დედამიწასა და სამყაროს,
თვით უკუნითი უკუნისამდე შენა ხარ ღმერთი.
- ³კვლავ მტვრად აქცევ კაცს და ამბობ: დაბრუნდით, ძენო კაცთაო!
- ⁴რადგან ათასი წელი შენს თვალში, ვითარცა გუშინდელი დღე, რომ
გადაიარა, ან ერთი გუშაგობა ღამისა.
- ⁵ღვართქაფივით გააქანებ მათ, სიზმარს ემსგავსებიან, ბალახს, რომელიც
ფერს იცვლის ყოველ დილით:
- ⁶დილას ყვავის და განახლდება, საღამოს კი ჭკნება და ხმება.
- ⁷რადგან დავილიეთ შენი რისხვით და შენმა გულისწყრომამ შეგვაძრწუნა.
- ⁸ჩვენი დანაშაულებანი წინ დაიდე, ჩვენი საიდუმლო შეცოდებანი – შენი
სახის შუქის წინ.
- ⁹რადგან ყველა ჩვენი დღე განილევს შენი რისხვით, ისე მიდის ჩვენი წლები,
როგორც ერთი ამოსუნთქვა.
- ¹⁰ჩვენს წელთა რიცხვი 70 წელია, ჯანმანათლების დროს კი – 80 წელი; და
ამათგან უმეტესი ჯაფაა და არარაობა, სწრაფად მიქრიან და ჩვენც იქით
მივფრინავთ.
- ¹¹ვინ იცის შენი რისხვის ძალა, და შენი მძვინვარება შენი შიშისამებრ?
- ¹²გვასწავლე ჩვენს დღეთა დათვლა, რათა შევიძინოთ გული სიბრძნისა.
- ¹³მობრუნდი, უფალო, – როდემდე ვიქნებით მიტოვებულნი? – ნუგეში ეცი
შენს მორჩილებს!
- ¹⁴გაგვაძლე გარიჟრაჟზე შენი წყალობით, რათა ვიხაროთ და ვიმხიარულოთ
ყოველთა დღეთა ჩვენთა.
- ¹⁵გაგვაძლევს იმ დღეთა წილ, რომ დაგვტანჯე, იმ წელთა წილ,
გაჭირვება რომ ვნახეთ.
- ¹⁶იხილონ შენმა მორჩილებმა შენი საქმენი და შენი ბრწყინვალება – მათმა
შვილებმა.
- ¹⁷იყოს კეთილმოსურნეობა უფლისა, ჩვენი ღმერთისა, ჩვენდამი, და საქმე
ჩვენი ხელისა წარმართე ჩვენთვის, და საქმე ჩვენი ხელისა წარმართე!



ფსალმუნი 90

- ¹უზენაესის საფარქვეშ დამკვიდრებული ყოვლადმღიერის ჩრდილქვეშ განისვენებს.
- ²ეტყვის უფალს: „ჩემი ფარი და სიმაგრეა ღმერთი ჩემი, რომელსაც ვესავ.“
- ³ის გიხსნის მონადირის მახისაგან, მომსრავი ჭირისაგან;
- ⁴ბუმბულს გადაგაფარებს, და მის ფრთებქვეშ შეაფარებ თავს; ფარი და ბურჯია მისი ჭეშმარიტება.
- ⁵არ შეგაშინებს საშინელება ღამისა, ისარი – დღისით გაფრენილი,
- ⁶შავი ჭირი – ბნელში მოარული, სენი – შუადღისას მძვინვარე.
- ⁷დაეცემა შენს გვერდით ათასი და 10 ათასი შენს მარჯვნივ, შენ კი არ მოგეკარება.
- ⁸მხოლოდ შენი თვალით შეხედავ და დაინახავ საზღაურს ბოროტთა.
- ⁹რადგან შენა ხარ, უფალო, ჩემი თავშესაფარი, – შენს საცხოვრისად აირჩიე უზენაესი,
- ¹⁰არ შეგემთხვევა სიავე, წყლული ვერ მიეკარება შენს კარავს.
- ¹¹რადგან თავის ანგელოზებს უბრძანებს დაგიცვან შენ ყველა შენს გზაზე.
- ¹²ხელში აყვანილს გატარებენ, ფეხი რომ არ წამოჰკრა ქვას.
- ¹³ლომსა და ასპიტს ფეხს დაადგამ, ლომის ბოკვერს და ურჩხულს გაქელავ.
- ¹⁴რაკი შემიყვარა, ვიხსნი მას, დავიფარავ, რადგან შეიცნო სახელი ჩემი.
- ¹⁵მომიხმობს და ვუპასუხებ, მასთან ვიქნები გასაჭირში; გამოვიხსნი და განვადიდებ.
- ¹⁶დღეთა ხანგრძლივობით გავაძლებ და შემწეობას ვუჩვენებ ჩემსას.

ფსალმუნი 91

- ¹ფსალმუნი. გალობა შაბათის დღისათვის.
- ²კარგია, მაღლი შევწიროთ უფალს, და ვუგალობოთ დიდება შენს სახელს, უზენაესო!
- ³ვაუწყოთ დილ-დილობით შენი წყალობა და შენი ერთგულება – ღამ-ღამობით.
- ⁴ათსიმიანსა და ჩანგზე, ქნარზე გალობით.



⁵რადგან შენ გამახარე, უფალო, შენი საქმეებით, შენს ხელთა საქმეს ვუმღერებ ლხენით.

⁶რაოდენ ღრმაა შენი ზრახვანი, უფალო, რაოდენ დიდია შენი საქმენი!

⁷უგუნური კაცი ვერ შეიცნობს და უმეცარი ვერ გაიგებს ამას,

⁸რადგან თუმცა ბოროტნი ყვავიან ბალახით, და სიმრუდის მოქმედნი იფურჩქნებიან, ისინი დაილუპებიან სამუდამოდ.

⁹შენ კი მაღალი ხარ მარადჟამს, უფალო!

¹⁰რადგანაც, შენი მტრები, უფალო, რადგანაც აგერ შენი მტრები დაილუპებიან, განიზნევა ყველა სიმრუდის მოქმედი.

¹¹მაგრამ შენ აამაღლებ რქას ჩემსას მარტორქის რქასავით, ახალ ზეთს მცხებ მე.

¹²ჩემი თვალი იხილავს ჩემი მტრების დაცემას, ჩემს წინააღმდეგ აღმდგარ ბოროტმოქმედებზე გაიგონებენ ჩემი ყურები.

¹³წმიდანნი კი ფინიკივით გაიფურჩქნებიან, ლიბანის კედარივით წამოიმართებიან.

¹⁴უფლის სახლში არიან დარგულნი, ჩვენი ღმერთის ეზოებში ყვავიან;

¹⁵სიბერეშიც გამოიღებენ ნაყოფს, წვნიანსა და ხასხასას;

¹⁶რათა გაცხადდეს, რომ მართალია უფალი; ის არის ჩემი საყრდენი, და არ არის მასში უსამართლობა.

ფსალმუნი 92

¹უფალი მეფობს, დიდებითაა მოსილი; შეიმოსა უფალი, ძლიერება გარს შემოირტყა; მტკიცედ დააფუძნა სამყარო, არ შეირყევა.

²მტკიცედ დგას შენი ტახტი დასაბამიდან; მარადისობიდან ხარ შენ.

³აიმაღლეს მდინარეებმა, უფალო, ხმა აიმაღლეს მდინარეებმა, აღმართეს მდინარეებმა ტალღების ღრიალი;

⁴უფალი მაღალი უფრო ძლიერია, ვიდრე ღრიალი წყალთა მრავალთა, ზღვის მძლავრ ტალღებზე ძლიერია უფალი!

⁵მცნებანი შენნი მტკიცეა ფრიად; შენს სახლს შემშვენის სიწმინდე, უფალო, სამარადჟამოდ.

ფსალმუნი 93



- ¹უფალო, ღმერთო შურისგებისა, ღმერთო შურისგებისა, გამოჩნდი!
- ²წამოიმართე, ქვეყნიერების მსაჯულო, მიუზღე საზღაური ამპარტავნებს!
- ³ვიდრემდე იზეიმებენ, უფალო, ბოროტნი, ვიდრემდე უნდა ილხენდნენ ბოროტნი?
- ⁴სიცრუეს ამბობენ ქედმაღლად, ტრაბახობენ სიმრუდის მოქმედნი.
- ⁵ჩაგრავენ შენს ხალხს, უფალო, ტანჯავენ შენს სამკვიდროს.
- ⁶ქვრივსა და ხიზანს ხოცავენ და ობლებს ჟლეტენ.
- ⁷ამბობენ: ვერ იხილავს უფალი, ვერც გაიგებს ღმერთი იაკობისა.
- ⁸გონს მოდით, უგუნურნო ხალხისა! უმეცარნო, როდის დაბრძენდებით?
- ⁹ყურის დამწერგავს განა არ ესმის? თვალის შემქმნელი განა ვერ ხედავს?
- ¹⁰ერთა გამრიგე განა ვერ ამხილებს – ის, ვინც აწვდის ადამიანს ცოდნას?
- ¹¹უფალმა იცის ზრახვანი კაცისა, რომ ამაოა ისინი.
- ¹²ნეტარია კაცი, რომელსაც სწვრთნი, უფალო, და შენს რჯულს ასწავლი.
- ¹³შენ ასვენებ მას ავი დღეებისაგან, ვიდრე ბოროტს ორმო გაეთხრებოდეს.
- ¹⁴რადგან არ გასწირავს უფალი თავის ხალხს და თავის სამკვიდროს არ მიატოვებს;
- ¹⁵რადგან სამართალი დაბრუნდება მართლებთან, და მას გაჰყვება ყველა გულმართალი.
- ¹⁶ვინ აღუდგება ჩემს გამო ბოროტებს? მხარში ვინ ამომიდგება სიმრუდის მოქმედთა წინააღმდეგ?
- ¹⁷უფალი რომ არ ყოფილიყო ჩემი შემწე, ცოტაც და, დასახლდებოდა ჩემი სული დუმილის ქვეყანაში.
- ¹⁸როდესაც ვთქვი: „მომიცურდა ფეხი,“ შენმა წყალობამ განმამტკიცა, უფალო.
- ¹⁹როცა ზრუნვით მევსება გული, შენი ნუგეში მიამებს სულს.
- ²⁰ნუთუ შემოგიერთდება უკუღმართობის ტახტი, უსამართლობას რომ სჩადის შენი რჯულის წინააღმდეგ?
- ²¹ილაშქრებენ მართლის სულზე, და წმიდა სისხლს ბრალში ხვევენ.
- ²²მაგრამ უფალი არის ჩემი მტკიცე სიმაგრე, ღმერთია ჩემი თავშესაფრის კლდე.



²³უკან მიუბრუნებს მათ თავიანთ უსამართლობას და მათი სიავისათვის მოსპობს მათ, მოსპობს მათ უფალი, ღმერთი ჩვენი!

ფსალმუნი 94

¹მოდით, ვუგალობოთ უფალს, სიხარულით შევღადადოთ ჩვენი ხსნის ბურჯს!

²სამადლობელით წარვდგეთ მის წინაშე, და სიხარულის ხოტბა შევასხათ მას.

³რადგან უფალი არის დიადი ღმერთი, დიადი მეფე, ყველა ღვთაებაზე აღმატებული;

⁴მის ხელთაა სიღრმენი მიწისა, და მთების მწვერვალებიც მისია.

⁵მისია ზღვა, მან შექმნა იგი; და ხმელეთიც მის ხელთა ქმნილებაა.

⁶მოდით, თაყვანი ვცეთ და შევუვრდეთ, მუხლი მოვიდრიკოთ უფლის, ჩვენი შემოქმედის წინაშე!

⁷რადგან ის არის ჩვენი ღმერთი, ჩვენ კი – მისი სამწყსოს ხალხი ვართ და ცხვარი მისი სამწყემსი. ო, დღეს რომ მოგესმინათ მისი ხმა!

⁸უ გაისასტიკებთ გულებს, ვითარცა მერიბაში, როგორც გამოცდის დღეს მასას უდაბნოში

⁹როდესაც გამომცადეს თქვენმა მამებმა, გამომცადეს – თუმცა იხილეს ჩემი საქმენი.

¹⁰ორმოც წელიწადს მომაბეზრა თავი იმ თაობამ, და ვთქვი: მცდარი გულის ხალხია ისინი და არ იციან ჩემი გზები.

¹¹ამიტომ დავიფიცე ჩემი მრისხანების ჟამს, რომ ვერ შევლენ ისინი ჩემს სიმშვიდეში.

ფსალმუნი 95

¹უგალობეთ უფალს გალობა ახალი, უგალობე უფალს, მთელი ქვეყნიერება!

²უგალობეთ უფალს, ადიდეთ მისი სახელი, ახარეთ დღითი დღე ხსნა მისმიერი.

³აუწყეთ ერებს მისი ღირსება, ყველა ხალხებს – მისი სასწაულები!



⁴რადგან დიდია უფალი და ღირსსაქები მეტად, ყველა ღმერთებზე საშიშია ის.

⁵რადგან ერების ყველა ღმერთები კერპებია, ხოლო უფალმა შექმნა ცანი.

⁶ღირსება და ბრწყინვალებაა მის წინაშე, სიმძლავრე და მშვენება – მის ტაძარში.

⁷შესწირეთ უფალს, ტომებო ერთა, შესწირეთ უფალს ქება და დიდება!

⁸შესწირეთ უფალს მისი სახელის დიდება. წაიღეთ ძღვენი და მიდით მის ეზოებში!

⁹თავიანი ეცით უფალს მოწიწებით; ათრთოლდი მის წინაშე, მთელი ქვეყნიერება!

¹⁰უთხარით ერებს: უფალი მეფობს! ამიტომ მტკიცეა სამყარო, არ შეირყევა. ის განიკითხავს ხალხებს სისწორით.

¹¹გამხიარულდნენ ცანი და ილხინოს ქვეყანამ; იხმაუროს ზღვამ და სავსებამ მისმა.

¹²გაიხაროს ველმა და ყოველმა, რაც მასზეა, მაშინ იზეიმებენ ყოველნი ხენი ტყისანი

¹³უფლის წინაშე, რადგან ის მოდის, რადგან ის მოდის ქვეყნიერების განსასჯელად; განსჯის სამყაროს სიმართლით და ხალხებს – თავისი ჭეშმარიტებით.

ფსალმუნი 96

¹უფალი მეფობს; იხაროს ქვეყნიერებამ, ილხინოს მრავალმა კუნძულმა!

²ღრუბელი და ნისლია მის ირგვლივ, სიმართლესა და სამართალზე არის დაფუძნებული მისი ტახტი.

³ცეცხლი დადის მის წინაშე, სწვავს მის მტრებს ყოველი მხრიდან.

⁴მისი ელვანი ანათებენ სამყაროს; ხედავს ქვეყანა და ძრწის.

⁵მთები ცვილივით დნებიან უფლის წინაშე, მთელი ქვეყნიერების უფლის წინაშე.

⁶ცანი ღაღადებენ მის სიმართლეს, ყველა ხალხებმა იხილეს დიდება მისი.

⁷შერცხვენილია ქანდაკების ყველა მსახური, ყველა, ვინც ფუჭი კერპებით იქადის; ყველა ღმერთი მუხლს იდრეკს მის წინაშე.



⁸ესმის სიონს და უხარია, და ილხენენ იუდას ასულნი, შენ სამართალთა გამო, უფალო!

⁹რადგან შენ, უფალო, უზენაესი ხარ მთელ ქვეყანაზე, მეტისმეტად აღზევებული ყველა ღმერთებზე.

¹⁰უფლის მოყვარულნო, შეიძულეთ ბოროტება! ის იცავს მის წმიდათა სიცოცხლეს, ბოროტთა ხელიდან იხსნის მათ.

¹¹ნათელი იღვრება მართალთათვის და გულწრფელთათვის – მხიარულება.

¹²იხარეთ, მართალნო, უფლით, მაღლი შესწირეთ მის წმიდა სახელს!

ფსალმუნი 97

¹ფსალმუნი. უგალობეთ უფალს ახალი გალობა! რადგან სასწაულები მოიმოქმედა მან! გამარჯვება მოუტანა მას მისმა მარჯვენამ და წმიდა მკლავმა.

²გააცხადა უფალმა ხსნა მისმიერი, სიმაღლეთვისი გადაშალა ერების თვალწინ.

³გაუხსენა თავისი წყალობა და ჭეშმარიტება ისრაელის სახლს; დედამიწის ყველა კუთხეში იხილა ჩვენი ღმერთის გამარჯვება.

⁴შეჰლადადეთ უფალს, მთელი ქვეყანავ! შესძახეთ სიხარულით, უგალობეთ დიდება!

⁵უგალობეთ უფალს ქნარით, ქნარით და გალობის ხმით!

⁶რქითა და ბუკის ხმით შეჰლადადეთ აღფრთოვანებით მეუფეს, უფალს!

⁷ახმაურდეს ზღვა და მისი სავსება, მსოფლიო და მისნი მკვიდრნი!

⁸მდინარეებმა ტაში შემოჰკრან, იხარონ მთებმა ერთობლივად უფლის წინაშე, რადგანაც მოდის ქვეყნიერების განსასჯელად.

⁹განსჯის მსოფლიოს სიმაღლით და ხალხებს – სისწორით.

ფსალმუნი 98

¹უფალი მეფობს; შეძრწუნდნენ ხალხები! ქერუბიმებზეა ამხედრებული, შეიძრეს ქვეყანა.

²დიდია უფალი სიონში, მაღალია ყველა ხალხებზე.

³აქონ შენი სახელი, დიდი და საშიში – წმიდაა იგი!



⁴სიძლიერეს მეფისას უყვარს სამართალი. შენ დაამკვიდრე სისწორე; სამართალი და სიმართლე სრულჰქმენ იაკობში.

⁵აღამაღლეთ უფალი, ღმერთი ჩვენი, და თაყვანი ეცით მის ფერხთა საყრდენს! წმიდაა იგი!

⁶მოსე და აარონი იყვნენ მის მღვდელთა შორის და სამუელი მისი სახელის მხმობელთა შორის, ისინი უხმობდნენ უფალს და ის პასუხობდა მათ.

⁷ღრუბლის სვეტიდან ელაპარაკებოდა მათ; დაიცვეს მათ მისი მცნებანი და წესდება, მათთვის მიცემული.

⁸უფალო, ღმერთო ჩვენო! შენ პასუხობდი მათ; მიმტევებელი ღმერთი იყავი მათთვის, მაგრამ შურისმგებელი მათი შეცდომებისთვის.

⁹აღამაღლეთ უფალი, ღმერთი ჩვენი, და თაყვანი ეცით მის წმიდა მთას! რადგან წმიდაა უფალი, ღმერთი ჩვენი!

ფსალმუნი 99

¹ფსალმუნი. სახოტბო. შეჰლაღადეთ სიხარულით უფალს, ყველა ქვეყნებო!

²ემსახურეთ უფალს სიხარულით, მიდით მის წინაშე სიმღერით!

³უწყოდეთ, რომ უფალი ღმერთია; მისი შექმნილები ვართ და არა თვით ჩვენი, მისი ხალხი ვართ და ცხვრები მისი სამწყსოსი.

⁴შედით მის კარიბჭეებში მადლის შეწირვით, მის ეზოებში – ქება-დიდებით; მადლობა შესწირეთ მას, ადიდეთ სახელი მისი!

⁵რადგან კეთილია უფალი, საუკუნოა წყალობა მისი; და თაობიდან თაობამდეა ჭეშმარიტება მისი.

ფსალმუნი 100

¹დავითის ფსალმუნი. წყალობისა და სამართლის შესახებ ვიმღერებ; შენ შეგასხამ ხოტბას, უფალო!

²ვიფიქრებ უბიწო გზაზე: როდის მოხვალ ჩემთან? ვივლი ჩემი გულის უმანკოებით ჩემს სახლში.

³თვალწინ არ დავიყენებ არაფერს უკეთურს; დამნაშავეთა საქმე მოვიძულე, არ მომეკარება.

⁴მრუდე გული შორს იყოს ჩემგან, ბოროტს არ მინდა ვცნობდე.



⁵მოყვასის ფარულად მბეზღარს ამოვწყვეტ, ამპარტავან თვალსა და გაუმადლარ გულს არ მოვითმენ.

⁶თვალს მივაპყრობ მართლებს ქვეყნისა, რომ დასხდნენ ჩემთან; ვინც უბიწოების გზით დადის, ის იქნება ჩემი მსახური.

⁷ვერ დამკვიდრდება ჩემს სახლში სიყალბის მქმნელი; სიცრუის მოქმელი ვერ დაეფუძნება ჩემს თვალწინ.

⁸დღითიდღე მოვსპობ ქვეყანაში ყველა ბოროტს, რათა განიდევნოს უფლის ქალაქიდან ყოველი სიმრუდის მოქმედი.

ფსალმუნი 101

¹ლოცვა გლახაკისა, ოდეს იტანჯება და უფლის წინაშე გადმოღვრის თავის გულისნადებს.

²უფალო, ისმინე ჩემი ლოცვა, და ჩემი ღაღადისი მოვიდეს შენთან!

³ნუ დაფარავ შენს სახეს ჩემგან ჩემი გაჭირვების ჟამს, მომაპყარ ყური; ოდეს მოგიხმობ, მსწრაფლ მიპასუხე!

⁴რადგან გაქრნენ კვამლივით ჩემი დღენი და ჩემი ძვლები ვარვარებს, როგორც კოცონი.

⁵ბალახივით დაჰკნა და გახმა ჩემი გული, მავიწყდება ჩემი პურის ჭამა.

⁶ჩემი კვნესის ხმისაგან ხორცს მიჰკვრია ჩემი ძვლები.

⁷დავემსგავსე უდაბნოს ფრინველს, გავხდი ვითარცა ბუკიოტი ნანგრევებში.

⁸მილი გამიტყდა და ვზივარ, ვითარცა ეული ჩიტი სახურავზე.

⁹ყოველდღე მლანძღავენ ჩემი მტრები, ჩემი განმაქიქებლები საწყევლად იყენებენ ჩემს სახელს;

¹⁰რადგან პურივით ვჭამდი ნაცარს და ჩემს სასმელს ცრემლით ვაზავებდი

¹¹შენი რისხვისა და გულისწყრომის გამო; რადგან ამიყვანე და დამანარცხე.

¹²ჩემი დღეები გადახრილი ჩრდილივითაა და ბალახივით ვხმები.

¹³შენი არსება კი, უფალო, საუკუნოა, შენი ხსენება – თაობიდან თაობამდე.

¹⁴შენ აღსდგები და შეიწყალებ სიონს, რადგან ჟამია შეწყალებისა. აჰა, მოვიდა აღთქმული ჟამი!

¹⁵რადგან უყვართ შენს მსახურთ მისი ქვები და მისი მიწა ენანებათ.



- ¹⁶შეეშინდებათ ერებს უფლის სახელისა და ამა ქვეყნის ყველა მეფეს შენი დიდების.
- ¹⁷როდესაც აღაშენებს უფალი სიონს, გამოცხადდება თვისი დიდებით;
- ¹⁸მოხედავს გულმოდრეკილთა ლოცვას და არ უკუაგდება მათ ვედრებას.
- ¹⁹დაიწერება ეს მომავალი თაობისათვის, და ხალხი, რომელიც დაიბადება, ადიდება უფალს.
- ²⁰რადგან მან გადმოიხედა თავისი წმიდა სიმაღლიდან, მოიხილა უფალმა ზეციდან ქვეყანა,
- ²¹რათა შეესმინა პატიმრის კვნესა, გაეთავისუფლებინა სიკვდილის ძენი.
- ²²რათა აუწყონ სიონს უფლის სახელი და ქება მისი იერუსალიმს,
- ²³როცა შეგროვდებიან ხალხები ერთად და სამეფონი უფლის მსახურებისთვის.
- ²⁴გაასავათა მან გზაში ჩემი ძალა, შეამცირა ჩემი დღენი.
- ²⁵ვეტყვი: ღმერთო ჩემო! ნუ მომტაცებ ჩემი დღეების ნახევარს! თაობიდან თაობამდეა შენი წლები.
- ²⁶ძველთაგან დააფუძნე დედამიწა, და შენს ხელთა ქმნილებაა ზეცა.
- ²⁷ისინი გარდავლენ, შენ კი იქნები; ყველანი ტანსაცმელივით დამძველდებიან, სამოსელივით გამოიცვლი მათ და გაქრებიან.
- ²⁸შენ კი იგივე ხარ, და შენი წლები არ დაილევს!
- ²⁹იცხოვრებენ უსაფრთხოდ შენს მსახურთა ძენი და შთამომავალი მათი დამკვიდრდება შენს წინაშე.

ფსალმუნი 102

- ¹დავითისა. ადიდე, სულო ჩემო, უფალი და მთელი შიგნეულობავ ჩემო, მისი წმიდა სახელი!
- ²ადიდე, სულო ჩემო, უფალი, არ დაივიწყო მთელი მისი სიკეთე!
- ³ის არის შემნდობი ყველა შენი ბრალისა, მკურნალი ყველა შენი სნეულებისა,
- ⁴საფლავიდან დამხსნელი შენი სიცოცხლისა, წყალობისა და შებრალების გვირგვინის დამდგმელი,
- ⁵სიკეთით აღმსვები შენი სიცოცხლისა, არწივივით განმაახლებელი შენი სიჭაბუკისა.



- ⁶სიმართლეს და სამართალს იქმს უფალი ყველა ჩაგრულისათვის.
- ⁷აუწყა თავისი გზები მოსეს, ისრაელიანთ – თვისი საქმენი.
- ⁸შემბრალე და ღმობიერია უფალი, სულგრძელი და მრავალმოწყალე.
- ⁹სამუდამოდ არ გაწყრება და არც მისი რისხვა არის საუკუნო.
- ¹⁰არც ჩვენი ცოდვების მიხედვით მოგვაგებს და არც ჩვენი ბრალისამებრ გადაგვიხდის.
- ¹¹რადგან როგორც ცა მაღალია დედამიწაზე, ასევე დიდია წყალობა მისი მოშიშთა მიმართ;
- ¹²როგორც შორს არის აღმოსავლეთი დასავლეთისგან, ისე განგვაშორა მან დანაშაულნი ჩვენნი.
- ¹³როგორც მამა შეიწყნარებს შვილებს, ისე შეიწყნარებს უფალი მის მოშიშებს;
- ¹⁴ვინაიდან უწყის აგებულება ჩვენი, ახსოვს, რომ მტკერი ვართ;
- ¹⁵ბალახივით არის დღენი კაცისა; ველის ყვავილივით აყვავდება;
- ¹⁶მაგრამ ქარი გადაუქროლებს და აღარ არის, მისმა ადგილმა აღარაფერი იცის მის შესახებ;
- ¹⁷ხოლო წყალობა უფლისა უკუნისამდეა მის მოშიშთა მიმართ, და მისი სიმართლე – შვილთაშვილებზე;
- ¹⁸მათზე, ვინც იცავს თავის აღთქმას და ვისაც ახსოვს მისი მცნებანი და აღასრულებს მათ.
- ¹⁹ცაში დაიდგა ტახტი უფალმა, და მეუფება მისი განაგებს ყოველივეს.
- ²⁰ადიდეთ უფალი, ანგელოზნო მისნო; ძალით ძლიერნო, მისი სიტყვის აღმსრულებელნო, მორჩილნო მისი სიტყვისა!
- ²¹ადიდეთ უფალი, ყოველნო დასნო მისნო, მსახურნო მისნო, მისი ნების აღმსრულებელნო!
- ²²ადიდეთ უფალი, ყოველნი საქმენი მისნი, მისი მეუფების ყოველ ადგილას! ადიდე, სულო ჩემო, უფალი!

ფსალმუნი 103

- ¹აკურთხე, სულო ჩემო, უფალი! უფალო, ღმერთო ჩემო, დიდი ხარ ფრიად. ღირსებითა და დიდებითა ხარ მოსილი.
- ²გაკრავს სინათლე სამოსელივით, განგიფენია ცა კარავივით,



- ³ვინც წყლებზე ააგო ზესართულები, ღრუბლები გაიხადა ეტლად თავისთვის, მიმოდოდა ქარის ფრთებზე.
- ⁴რომელმაც ქმნა ქარები თავის ანგელოზებად, და ცეცხლი და ალი – თავის მსახურებად.
- ⁵დააფუძნა დედამიწა თავის საძირკვლებზე, არ შეირყევა უკუნისამდე.
- ⁶უფსკრულით, როგორც სამოსელით, დაფარე იგი; მთებზე დგას წყლები;
- ⁷შენი რისხვისგან გარბიან, შენი ქუხილის ხმაზე ილტვიან.
- ⁸ადიან მთანი, ჩადიან ველები, იმ ადგილას, სადაც დაუდგინე.
- ⁹საზღვარი დაუდე – ვერ გადალახავენ, ვეღარ დაბრუნდებიან დედამიწის დასაფარად.
- ¹⁰მიუშვი წყაროები ხევებში, რათა მთებს შორის იდინონ;
- ¹¹რომ დალიოს ყოველმა მხეცმა ველისამ, კანჯრებმა მოიკლან წყურვილი.
- ¹²ცის ფრინველნი დამკვიდრებულან მათთან, ტოტოებიდან ხმიანობენ.
- ¹³რწყავ მთებს შენი ზესართულებიდან; შენს საქმეთა ნაყოფით ძლება ქვეყანა.
- ¹⁴აღმოაცენებ ბალახს პირუტყვისათვის და მცენარეებს – ადამიანის მსახურებისთვის, რათა გამოიღოს საკვები მიწიდან,
- ¹⁵და ღვინო, რათა გაამხიარულოს გული კაცისა, საცხებელმა გააბრწყინოს სახე მისი, და პურმა შეამტკიცოს გული კაცისა.
- ¹⁶გამღწენ წყლით უფლის ხეები და კედრები ლიბანისა, მან რომ დანერგა.
- ¹⁷ჩიტები იდებენ იქ ბუდეს: კვიპაროსები ყანჩას სახლია.
- ¹⁸მთანი მაღალნი – ქურციკთათვის, კლდენი – კურდღელთა თავშესაფარი.
- ¹⁹შექმენ მთვარე ჟამთათვის; მზემ იცის თავისი დასავლის ჟამი.
- ²⁰ჩამოაწვენ ბნელს და დგება ღამე, მაშინ ამოძრავდება ტყის ყველა ნადირი.
- ²¹ლომის ბოკვერები ბრდღვინავენ ნადავლისათვის, მოითხოვენ ღმერთისგან საკვებს.
- ²²ამობრწყინდება მზე და გროვდებიან და თავიანთ ბუნაგებში წვებიან.
- ²³გადის ადამიანი, რათა იშრომოს და იმუშავოს მწუხრის ჟამამდე.
- ²⁴რაოდენ მრავალია საქმენი შენი, უფალო! ყოველივე სიბრძნით შეგიქმნია, სავსეა დედამიწა შენი ქმნილებებით.



²⁵ეს ზღვაა, დიდი და უკიდევანო, იქ ქვეწარმავალია ურიცხვი, ცხოველნი – მცირენი დიდებთან ერთად.

²⁶იქ ხომალდები დადიან; ლევიათანი – ეს შენ შექმენი გასართობად.

²⁷ყველა შენგან მოელის საზრდოს თავთავის დროზე.

²⁸მისცემ და აიღებენ, გახსნი შენს ხელს – გაძლებიან სიკეთით.

²⁹დაფარავ შენს სახეს – შეძრწუნდებიან, სულს წაართმევ – იხოცებიან, კვლავ მტვრად მიიქცევიან;

³⁰გაგზავნი შენს სულს – წარმოიქმნებიან, და განაახლებ პირს მიწისას.

³¹იყოს დიდება უფლისა უკუნისამდე! იხაროს უფალმა თავისი ქმნილებით!

³²დახედავს დედამიწას და ათრთოლდება, შეეხება მთებს და აკვამლდებიან!

³³ვუგალობებ უფალს მთელი ჩემი სიცოცხლე, ვუგალობებ ჩემს ღმერთს, ვიდრე ვარსებობ.

³⁴სათნო იყოს მისთვის ჩემი ფიქრები! გავიხარებ უფალში.

³⁵გაქრნენ ცოდვილნი ქვეყნიერებიდან და ბოროტნი ნუღარ იქნებიან! აკურთხე, სულო ჩემო, უფალი! ალელუია!

ფსალმუნი 104

¹ადიდეთ უფალი, მოუხმეთ მის სახელს, აუწყეთ ერებს მისი საქმენი.

²ადიდეთ იგი, უგალობეთ მას, აუწყეთ მისი სასწაულები!

³განდიდდით მისი წმიდა სახელით! გამხიარულდეს გული უფლის მაძიებელთა!

⁴ემიეთ უფალი და ძლიერება მისი, ეძიეთ პირი მისი მარადის!

⁵გაიხსენეთ მისი საოცარი საქმენი, სასწაულები და მის ბაგეთა მსჯავრნი!

⁶თესლო აბრაამისა, მისი მორჩილისა, ძენო იაკობისა, რჩეულნო მისნო!

⁷ის არის უფალი, ღმერთი ჩვენი; მთელ ქვეყნიერებაზეა მისი სამართალნი.

⁸ახსოვს მარადის აღთქმა თავისი, სიტყვა, რომელიც დაადგინა ათას თაობამდე,

⁹რომელიც დაუდო აბრაამს, რომელიც შეჰფიცა ისააკს.

¹⁰რაც დაუდგინა იაკობს წესად, და ისრაელს – სამარადჟამო აღთქმად.



- 11 უთხრა: „შენ მოგცემ ქანაანის ქვეყანას შენი მემკვიდრეობის წილად.“
- 12 როცა ისინი თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ, ცოტანი და იქაური ხიზნები,
- 13 როდესაც გადიოდნენ ერთი ერიდან მეორესთან, ერთი სამეფოდან მეორეში,
- 14 არავის ანებებდა მათ დაჩაგვრას, და ამუნათებდა მათ გამო მეფეებს:
- 15 „არ შეეხოთ ჩემს ცხებულებს და ჩემს წინასწარმეტყველებს არაფერი ავნოთ.“
- 16 და მოუხმო შიმშილს დედამიწაზე და ყოველი სახსარი პურისა შემუსრა.
- 17 გაგზავნა მათ წინ კაცი, მონად გაიყიდა იოსები.
- 18 გატანჯეს ბორკილებით ფერხნი მისნი, რკინა მისწვდა მის სულს,
- 19 ვიდრე ასრულდებოდა მისი ნათქვამი; უფლის სიტყვამ გამობრძმედა იგი.
- 20 გაგზავნა მეფემ და გაათავისუფლა იგი; ხალხთა გამგებელმა გამოიხსნა იგი.
- 21 დააყენა თავისი სახლის ბატონად და გამგებლად მთელი თავისი მონაგარისა.
- 22 რათა მოქცეოდა მის მთავრებს თავისი სურვილისამებრ და განებრძნო მოხუცებულნი მისნი.
- 23 მაშინ მოვიდა ისრაელი ეგვიპტეში, ხიზანი გახდა იაკობი ქამის ქვეყანაში.
- 24 და ააღორძინა ღმერთმა თავისი ხალხი ფრიად და გაამრავლა მის მტრებზე მეტად,
- 25 მოაქცია მათი გული უფლის ხალხის შესაძულებლად, მის მორჩილთა მიმართ მზაკვრობის განსაზრახად.
- 26 გაგზავნა მოსე, მსახური თვისი, და აარონი, რომელიც ამოირჩია.
- 27 ქმნეს მათში მისი სასწაულები, საოცრებანი მოიმოქმედეს ქამის ქვეყანაში.
- 28 მიავლინა წყვდიადი და იქმნა ღამე, და არ გაურჩებულან მის სიტყვაზე.
- 29 აქცია მათი წყლები სისხლად და დახოცა მათი თევზები.
- 30 აავსო მათი ქვეყანა ბაყაყით, თვით მეფეთა პალატებიც კი.
- 31 თქვა და მოვიდა ბუზანკალი, მკბენარი – მთელს მათ საზღვრებში.
- 32 წვიმის მაგიერ სეტყვა გაუგზავნა, აღმოდებული ცეცხლი – მათ ქვეყანას.
- 33 მოსრა ვაზი მათი და ლეღვი მათი, და დალეწა ხეები მათ საზღვრებში.



- ³⁴თქვა და მოვიდა კალია და მგრაგნელი აურაცხელი,
³⁵და გადაჭამეს მთელი ბალახი მათ ქვეყანაში, და გადასანსლეს მთელი
 ნაყოფი მათი მინდვრისა.
³⁶მოსრა ყოველი პირმშო მათ ქვეყანაში, დასაბამი მთელი მათი ძალისა.
³⁷გამოიყვანა ისინი ვერცხლით და ოქროთი, და მათ ტომებში არავინ იყო
 უძლური.
³⁸გაუხარდა ეგვიპტეს მათი გამოსვლა, რადგან თავს დაატყდა მათი შიში.
³⁹გადააფარა ღრუბელი საჩრდილობლად და ცეცხლი – ღამის
 გასანათებლად.
⁴⁰ითხოვეს და გაუგზავნა მწყერი და ზეციური პურით გააძღო ისინი.
⁴¹გახსნა კლდე და გადმოდინდა წყალი, წავიდა ნაკადებად უდაბნოში
 მდინარედ.
⁴²რადგან გაიხსენა თავისი წმიდა სიტყვა აბრაამის, თავისი მორჩილის,
 მიმართ.
⁴³გამოიყვანა თავისი ხალხი სიხარულით, რჩეულნი თვისნი ზარ-ზეიმით.
⁴⁴მისცა მათ წარმართთა ქვეყნები, და ნაჯაფი ერებისა დაიმკვიდრეს მათ.
⁴⁵რათა დაიცვან წესები მისი და მის კანონებს დაემორჩილონ. ალელუია!

ფსალმუნი 105

- ¹ადიდეთ უფალი! მაღლი შესწირეთ უფალს, რადგან კეთილია; წყალობა
 მისი მარადიულია!
²ვის ძალუმს აუწყოს უფლის სიძლიერე, გამოთქვას მისი ქება-დიდება?
³ნეტარ არიან სამართლის დამცველნი და სიმართლის მოქმედნი ყოველ
 ჟამს!
⁴გამიხსენე, უფალო, შენი ხალხისადმი კეთილგანწყობისას, მომხედე
 შენმიერი შველით,
⁵რათა ვიხილო სიკეთე შენს რჩეულთა, გავიხარო შენი ერის სიხარულით,
 და ვიქადო შენს სამკვიდროსთან ერთად.
⁶შევცოდეთ ჩვენს მამებთან ერთად, სიმრუდე და ბოროტება ჩავიდინეთ.
⁷ვერ შეიცნეს ჩვენმა მამებმა ეგვიპტეში შენი სასწაულები, არ გაიხსენეს შენი
 მრავალი წყალობა და აგიმხედრდნენ ზღვაზე, მეწამულ ზღვაზე.



- ⁸მაგრამ მან იხსნა ისინი თავისი სახელის გულისათვის, რათა შეეცნოთ ძლიერება მისი.
- ⁹შეუტია მეწამულ ზღვას და დაშრა, და გაატარა ისინი უფსკრულებში, როგორც უდაბნოში.
- ¹⁰იხსნა მოძულის ხელიდან და განარინა მტრის ძალისაგან.
- ¹¹წყალმა დაფარა მათი მტრები, ერთი მათგანიც არ დარჩენილა.
- ¹²მაშინ ირწმუნეს მისი სიტყვები, იმღერეს მისი ქება.
- ¹³მაგრამ აჩქარდნენ, დაივიწყეს მისი საქმენი, არ დაელოდნენ მის რჩევას.
- ¹⁴აჰყვნენ გულისთქმას უდაბნოში და გამოსცადეს ღმერთი უკაცრიელ ადგილას.
- ¹⁵და შეუსრულა თხოვნა მათი, მაგრამ მოუვლინა სიმჭლევე მათ სულებს.
- ¹⁶როდესაც შური აღეძრათ მოსეს მიმართ ბანაკში, უფლის წმიდის აარონის მიმართ,
- ¹⁷გაიპო მიწა და ჩაყლაპა დათანი, და დაფარა ხროვა აბირამისა.
- ¹⁸მოედო ცეცხლი მათ ხროვას, ალი მოეკიდა ბოროტებს.
- ¹⁹გააკეთეს ხბო ხორებთან და თაყვანი სცეს ჩამოსხმულ კერპს.
- ²⁰გაცვალეს თავიანთი დიდება ბალახის მძოველი ხარის გამოსახულებაში.
- ²¹დაივიწყეს ღმერთი, თავიანთი მხსნელი, დიდ საქმეთა მოქმედი ეგვიპტეში,
- ²²საოცრებათა მოქმედი ქამის ქვეყანაში, საშინელებათა მეწამულ ზღვაზე.
- ²³წარმოთქმული ჰქონდა მათი მოსპობა, რომ მოსე, მისი რჩეული, არ დამდგარიყო ნაპრალთან მის წინაშე, რათა გაებრუნებინა მისი რისხვა, და აღარ მოესრა ისინი.
- ²⁴შემდეგ კი დაიწუნეს ქვეყანა სასურველი, აღარ ირწმუნეს სიტყვები მისი.
- ²⁵დრტვინავდნენ თავიანთ ბანაკებში, არ უსმენდნენ უფლის ხმას.
- ²⁶მაშინ ზეაღმართა თავისი ხელი, რომ დაეხოცა ისინი უდაბნოში
- ²⁷და გაეფანტა მათი ნაშიერი ერებს შორის და განებნია ისინი ქვეყნებში.
- ²⁸დაუკავშირდნენ ბაყალ-ფელორს და ჭამეს მკვდრების შესაწირავი.
- ²⁹განარისხეს თავიანთი მოქმედებით; და თავს დაატყდათ მომსვრელი სენი.
- ³⁰წამოდგა ფინეხასი და ილოცა, და შეჩერდა მომსვრელი სენი.



- ³¹ჩაეთვალა მას ეს სიმართლედ თაობიდან თაობამდე, სამარადჟამოდ.
- ³²განარისხეს მერიბას წყლებზე და დაისაჯა მოსე მათ გამო,
- ³³რადგანაც სული გაუმწარეს და აჩქარებული სიტყვა გამოთქვა თავისი ბაგეებით.
- ³⁴არ მოსპეს ერები, როგორც უფალმა უბრძანა მათ,
- ³⁵აირივნენ წარმართებში და ისწავლეს მათი საქმეები.
- ³⁶ემსახურებოდნენ მათ კერპებს, რომლებიც მახედ იქცნენ მათთვის.
- ³⁷სწირავდნენ თავიანთი ძეებს და ასულებს დემონებს.
- ³⁸დაღვარეს სისხლი უცოდველი, თავიანთ ძეთა და ასულთა სისხლი, რომელიც შესწირეს ქანაანის კერპებს, და შეირყვნა ქვეყანა სისხლით.
- ³⁹შეიბილწნენ თავიანთი საქმეებით და იმრუშეს თავიანთი მოქმედებით.
- ⁴⁰მაშინ აღეგზნო რისხვა უფლისა თავის ხალხზე და შესძაგდა მას სამკვიდრო თვისი.
- ⁴¹ხელში ჩაუგდო ისინი ერებს და გაბატონდნენ მათზე მათი მოძულენი.
- ⁴²ავიწროებდნენ მათ მტრები, და მოიდრიკნენ მათ ხელქვეით.
- ⁴³მრავალგზის იხსნა ისინი, მაგრამ ისინი უჯანყდებოდნენ თავიანთი ზრახვებით, და დამდაბლდნენ ბრალით.
- ⁴⁴და მაინც მოხედა მათ გაჭირვებას, როცა ისმინა მათი ლაღადი.
- ⁴⁵გაიხსენა აღთქმა თავისი და ანუგეშა თავისი მრავალმოწყალებით.
- ⁴⁶აღვიძებდა მათდამი თანაგრძნობას ყველა მათ დამტყვევებელს შორის.
- ⁴⁷გვიხსენი, უფალო, ღმერთო ჩვენო, და გამოგვკრიბე წარმართთაგან, რათა მაღლი შევწიროთ შენს წმიდა სახელს და განვდიდეთ შენი ქება-დიდებით!
- ⁴⁸კურთხეულ არის უფალი, ღმერთი ისრაელისა, ამიერიდან და უკუნისამდე! და თქვას მთელმა ხალხმა: ამინ! ადიდეთ უფალი!

ფსალმუნი 106

- ¹მაღლი შესწირეთ უფალს, რადგან კეთილია, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!
- ²ასე სთქვან დახსნილებმა უფლის მიერ, რომელნიც იხსნა მტრის ხელთაგან
- ³და გამოკრიბა ისინი ქვეყნებიდან – აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან.



- ⁴აებნათ მათ გზა უკაცრიელ უდაბნოში, დაბა ვერ ჰპოვეს დასამკვიდრებლად;
- ⁵შიოდათ და სწყუროდათ, სული მისდიოდათ.
- ⁶მაშინ შეჰღადადეს უფალს თავიანთი გაჭირვების ჟამს და გასაჭირისგან იხსნა ისინი.
- ⁷დააყენა სწორ გზაზე, რათა მისულიყვნენ დასახლებულ ქალაქში.
- ⁸დაე, შესწირონ უფალს მადლი წყალობისათვის, საოცრებათათვის ადამის ძეთა მიმართ!
- ⁹რადგან გააძღო მან სული მწყურვალს, და სული მშვიერი აავსო სიკეთით.
- ¹⁰ისხდნენ ისინი ბნელში და სიკვდილის წყვდიადში, ტყვენი ტანჯვისა და ბორკილისა,
- ¹¹რადგან ეურჩებოდნენ ღმერთის მცნებებს და უზენაესის რჩევას უგულვებელყოფდნენ.
- ¹²მოდრიკა ჯაფით მათი გული, ეცემოდნენ და შემწე არ ჰყავდათ.
- ¹³შეჰღადადეს უფალს თავიანთი გაჭირვების ჟამს და იხსნა ისინი ურვისაგან.
- ¹⁴გამოიყვანა ბნელიდან და სიკვდილის წყვდიადიდან, ბორკილები მათი დაწყვიტა,
- ¹⁵დაე, შესწირონ უფალს მადლი წყალობისათვის, საოცრებათათვის ადამის ძეთა მიმართ!
- ¹⁶რადგან შემუსრა ბჭენი რვალისა და დაფშვნა ურდულნი რკინისა.
- ¹⁷ბრიყვნი თავიანთი უკანონო გზებისა და ცოდვებისთვის იტანჯებოდნენ,
- ¹⁸ყოველგვარი საჭმელი შეიზიზღა მათმა სულმა და მიუახლოვდნენ სიკვდილის კარიბჭეს.
- ¹⁹შეჰღადადეს უფალს გაჭირვების ჟამს და ურვისგან იხსნა ისინი.
- ²⁰მოუვლინა სიტყვა თავისი და განკურნა ისინი, იხსნა ისინი საფლავებიდან.
- ²¹დაე, აქონ უფლის წყალობა და საოცრებანი მისნი ადამის ძეთა მიმართ!
- ²²შესწირონ შესაწირავები ქებისა და აუწყონ მისი საქმეები გალობით!
- ²³ზღვაში ხომალდებით მოგზაურებმა, დიდ წყლებზე საქმის აღმსრულებლებმა,



- ²⁴რომელთაც ნახეს უფლის საქმენი და მისი საოცრებანი სიღრმეებში.
- ²⁵ის იტყვის და ამოვარდება ქარიშხალი, და ზეადიმართებიან ზვირთები,
- ²⁶ავლენ ზეცამდე, ჩავლენ უფსკრულში, სული მათი განსაცდელში დაიღვეა.
- ²⁷წრიალებენ და ირყევიან, ვითარცა მთვრალნი, და მთელი მათი სიბრძნე დაინთქა.
- ²⁸მაგრამ შეჰლადადეს უფალს თავიანთი გაჭირვების ჟამს და გამოიყვანა ისინი ურვიდან.
- ²⁹დააწყნარა ზღვის ღელვა და დაადუმა მისი ტალღები.
- ³⁰გამხიარულდნენ, რადგან დაწყნარდნენ; და წარუძღვა ნანატრ ადგილას,
- ³¹დაე, აქონ უფლის წყალობა და საოცრებანი მისნი ადამის ძეთა მიმართ,
- ³²დაე, აღამაღლონ ის ხალხის კრებულში და მოხუცებულთა შესაკრებელში ხოტბა შეასხან!
- ³³აქცევს მდინარეებს უდაბნოდ, წყაროს წყლებს – ურწყულად.
- ³⁴ნაყოფიერ მიწას – ბიცად, მის მკვიდრთა უკეთურების გამო.
- ³⁵აქცევს უდაბნოს წყალუხვ ტბად და გამოფიტულ მიწას – წყაროს წყლად.
- ³⁶ასახლებს იქ მშვიერო, და აფუძნებენ ისინი დასახლებულ ქალაქს;
- ³⁷თესავენ მინდვრებს და აშენებენ ვენახს, და უხვ ნაყოფს მოიწევენ;
- ³⁸აკურთხევენ მათ და მრავლდებიან ფრიად, და მათ პირუტყვს არ შეამცირებს.
- ³⁹როდესაც დამცირდებიან და მოიდრიკებიან ჩაგვრის, სალმობათა და გასაჭირისგან,
- ⁴⁰სირცხვილს დაატებს მთავრებს და ახეტიალებს უგზო-უკვლოდ;
- ⁴¹ღარიბს კი გამოიყვანს სიღატაკიდან და მოაშენებს ცხვრის ფარასავით მის შთამომავალს.
- ⁴²ნახავენ წრფელნი და გაიხარებენ, და ყოველი ურჯულოება აიკრავს პირს.
- ⁴³ვინც ბრძენია და დაიცავს ამას, ის გულისხმას ჰყოფს უფლის წყალობას.

ფსალმუნი 107

- ¹გალობა. ფსალმუნი. დავითისა.



²მზად არის ჩემი გული, ღმერთო, მსურს გაქო და გიგალობო; გამოიღვიძე, სულო ჩემო!

³გამოიღვიძე, ჩანგო და ქნარო! გამოვალვიძებ ცისკარს!

⁴გადიდებ, უფალო, ხალხებს შორის, გიგალობებ ერებს შორის,

⁵რადგან ზეცაზე დიდია წყალობა შენი და ღრუბლებამდეა ჭეშმარიტება შენი.

⁶ამაღლდი ცათა ზემოთ, ღმერთო, მთელ ქვეყნიერებას გასწვდეს შენი დიდება!

⁷რათა გადარჩნენ საყვარელნი შენნი; მიხსენ შენი მარჯვენით და მიპასუხე!

⁸ღმერთმა თქვა თავის სწმიდეში: ვიზეიმებ! გავანაწილებ შექემს და სუქოთის დაბლობს გავზომავ.

⁹ჩემია გალაადი, ჩემია მანაშე, ეფრემი ჩაჩქანია ჩემი თავისა, იუდა – კვერთხი ჩემი.

¹⁰მოაბი ავზია ჩემი განსაბანი, ედომს მისწვდებიან ხამლნი ჩემნი, ფილისტიმს დავკვივლებ.

¹¹ვინ შემიყვანს გამაგრებულ ქალაქში? ვინ წამიდღვება ედომისაკენ?

¹²ნუთუ შენ არა, ღმერთო, ნუთუ მიგვატოვე და აღარ გამოხვალ ჩვენს მხედრობასთან?

¹³მოგვეც შეწევნა გასაჭირში, რადგან ამაოა შველა კაცთაგან!

¹⁴ღმერთით შევექმნით ლაშქარს, ის დათრგუნავს ჩვენს მტრებს.

ფსალმუნი 108

¹გუნდის ლოტბარს. დავითის ფსალმუნი. ღმერთო ჩემი დიდებისა, ნუ დადუმდები.

²რადგან პირი ბოროტისა და პირი მზაკვრისა გაიხსნა ჩემს წინააღმდეგ. მელაპარაკებიან ცბიერი ენით.

³სიძულვილის სიტყვებით გარს შემომერტყნენ და უმიზეზოდ მეომებიან.

⁴ჩემი სიყვარულის წილ გადამემტერნენ, მე კი ვლოცულობ.

⁵მომაგეს ბოროტი კეთილის წილ და სიძულვილი – ჩემი სიყვარულის წილ.

⁶ამბობენ: „დააყენე ბოროტი მასზე, და ბრალმდებელი დადგეს მის მარჯვნივ.



- ⁷განკითხვისას გამოვიდეს მტყუანი, და მისი ლოცვა ცოდვად შეერაცხოს!
- ⁸იყოს დღეები მისი მცირე, და მისი ქონება სხვამ მოიხვეჭოს.
- ⁹დარჩნენ მისი შვილები ობლად და მისი ცოლი – ქვრივად.
- ¹⁰იხეტილონ მისმა შვილებმა და იმათხოვრონ, ითხოვდნენ პურს მათი ნანგრევებიდან.
- ¹¹მოვალემ მიითვისოს, რაც გააჩნია, და წარიტაცონ უცხოებმა ნაჯაფი მისი.
- ¹²ნუ ეყოლება მოწყალე, და ნურც შეიწყალებენ მის ობლებს!
- ¹³მოისპოს მისი შთამომავლი, შემდგომ თაობაში წაიშალოს მისი სახელი.
- ¹⁴გაუხსენდეს ბრალი მისი მამებისა უფლის წინაშე, და ცოდვა მისი დედისა ნუ წაიშლება!
- ¹⁵იყოს უფლის თვალის წინ მუდამ, მოისპოს ქვეყნიერებიდან მისი სახსენებელი!
- ¹⁶რადგან არ გახსენებია წყალობის ქმნა, და სდევნიდა ღარიბ-ღატაკსა და გულდაჩაგრულს მოსაკლავად.
- ¹⁷შეიყვარა წყევლა – მასვე მიუვიდეს! არ ისურვა კურთხევა – განშორდეს მას!
- ¹⁸შეიმოსა წყევლით, როგორც სამოსელით, შევიდეს წყევლა, როგორც წყალი, მის შინაგანში, და როგორც ზეთი – მის ძვლებში!
- ¹⁹იყოს მისთვის, ვითარცა სამოსელი, რომელსაც იცვამს, და ვითარცა სარტყელი, გარს რომ ირტყამს.”
- ²⁰ასეთი იყოს მისაგებელი უფლისა ჩემს მახეზღართა და ჩემს სულზე ავის მთქმელთა მიმართ!
- ²¹ხოლო შენ, უფალო, ღმერთო ჩემო, იმოქმედე ჩემს მიმართ შენი სახელის გულისათვის, რადგან კეთილია წყალობა შენი, გადამარჩინე!
- ²²რადგან ღარიბი და ღატაკი ვარ მე და გული ჩემი შეძრწუნდა გვამსა ჩემსა.
- ²³ვითარცა ჩრდილი გადახრის ჟამს, დავილიე, ვეხეთქებოდი აქეთ-იქით კალისასავით.
- ²⁴ჩემი მუხლები დაუძლურდნენ მარხვისაგან, ზეზეურად ჩამოვხმი;
- ²⁵შევიქენ მათი სალანძღავი; თავს აქნევდნენ ჩემი დამნახავნი.
- ²⁶შემეწიე, უფალო, ღმერთო ჩემო! მიხსენი შენი წყალობით.
- ²⁷დაე, გაიგონ, რომ შენი ხელია ეს, რომ შენ მოიმოქმედე ეს, უფალო.



²⁸დაე დამწყევლონ, შენ კი მაკურთხე; აღდგებიან ჩემზე და შერცხვებიან, და მორჩილი შენი გაიხარებს.

²⁹შეიმოსონ ჩემი მბეზღარნი გაწბილებით და ქურქივით წამოიხან თავიანთი სირცხვილი!

³⁰ხმამალა შევაქებ უფალს ჩემი პირით, და მრავალთა შორის ვადიდებ მას,

³¹რადგან გვერდით დაუდგება ღატაკს, რათა იხსნას მისი სულის განმსჯელთაგან.

ფსალმუნი 109

¹დავითის ფსალმუნი. უთხრა უფალმა უფალს ჩემსას: „იჯექ ჩემს მარჯვნივ, ვიდრე დავამხობდე შენს მტრებს შენს ფერხთა ქვეშ.“

²კვერთხს შენი ძალისა გამოგზავნის უფალი სიონიდან; იბატონე შენს მტერთა შორის.

³შენი ხალხი მოხალისედ წამოვა შენი გალაშქრების ჟამს. წმიდა ბრწყინვალებით, განთიადის საშოდან, ვითარცა ცვარი, დაიბადება სიჭაბუკე შენი.

⁴დაიფიცა უფალმა და არ შეინანებს: შენ ხარ მღვდელი უკუნისამდე მელქიცედეკის წესით.

⁵უფალი შენს მარჯვინივას, რისხვის დღეს მოსპობს მეფეებს.

⁶განსჯის ერებს, აავსებს მძორებით, მრავალს გაუჭექყავს თავს მიწაზე.

⁷ნაკადულიდან დაღევს გზაში; ამიტომ მაღლა ასწევს თავს.

ფსალმუნი 110

¹აღელუია! მადლობას შევწირავ უფალს მთელი გულით მართალთა საკრებულოსა და თემში.

²დიდია საქმენი უფლისა, სასურველია ყველა მათ მოყვარულთათვის.

³დიდებული და ბრწყინვალეა მისი საქმე, სიმართლე მისი მარადიულია.

⁴სამახსოვროდ ქმნა საოცრებანი თვისნი; მოწყალე და შემბრალეა უფალი.

⁵ამღევს საზრდოს თავის მოშიშებს, ახსოვს მარადის თავისი აღთქმა.

⁶აჩვენა თავის ხალხს თავის საქმეთა ძალა, როდესაც მისცა მათ წარმართთა მემკვიდრეობა.



⁷მის ხელთა საქმენი ჭეშმარიტება და სამართალია, სარწმუნოა ყველა მისი მცნება,

⁸მტკიცეა უკუნითი უკუნისამდე, დაფუძნებული ჭეშმარიტებასა და სისწორეზე.

⁹ხსნა მოუვლინა თავის ხალხს, მცნებად დაუდო საუკუნოდ თავისი აღთქმა; წმიდა და საშიშია სახელი მისი!

¹⁰სიბრძნის დასაბამია შიში უფლისა; აზრკეთილია ყველა, ვისაც ის აქვს. დიდება მისი მარადიულია. ალელუია!

ფსალმუნი 111

¹ნეტარ არს კაცი, მოშიში უფლისა, მის მცნებათა ფრიად მოყვარული.

²მძლავრი იქნება ქვეყანაზე მისი შთამომავლობა; მართალის მოდგმა დაილოცება.

³სიუხვე და სიმდიდრეა მის სახლში, მისი სიმართლე მარადიულია.

⁴წრფელთ გამოუბრწყინებს სიბნელეში ნათელს, მოწყალე, შემზრალე და მართალი.

⁵კარგია კაცი მოწყალე და გამსესხებელი – სამართლიანად წარმართავს თავის საქმეებს;

⁶რადგან მართალი უკუნისამდე არ წაბორძიკდება; საუკუნო იქნება მისი სახსენებელი.

⁷ცუდი ამბავი არ შეაშინებს, მტკიცეა მისი გული, უფალზე მინდობილი.

⁸იმედია მისი გული; არ შეშინდება, ოდეს იხილავს თავის მტრებს.

⁹განაზნია, მისცა ღატაკთ; სიმართლე მისი მარადიულია, მისი რქა ამაღლებულია დიდებით.

¹⁰ბოროტი ნახავს და განრისხდება, კბილებს დააღრჭენს და დადნება; ბოროტთა საწადელი განადგურდება.

ფსალმუნი 112

¹ალელუია! ადიდეთ, მორჩილნო უფლისა, ადიდეთ უფლის სახელი!

²კურთხეულ იყოს უფლის სახელი ამიერიდან უკუნისამდე!

³მზის აღსავლიდან დასავალამდე იდიდოს უფლის სახელი!



- ⁴მაღალია ყველა ერებზე უფალი, ცათა მაღლაა მისი დიდება!
- ⁵ვინ არის, ვითარცა უფალი, ღმერთი ჩვენი, რომელიც ასე მაღლაა დამკვიდრებული,
- ⁶რომელიც დაბლა დასცქერის ცასა და მიწას?
- ⁷ის წამოაყენებს მტვრიდან საწყალს, სკორედან აღამაღლებს ღატაკს,
- ⁸რათა დასვას დიდებულებთან, თავისი ხალხის დიდებულებთან;
- ⁹რომელიც ბერწს დაამკვიდრებს სახლში, რათა იყოს შვილებით ბედნიერი დედა. ადიდეთ უფალი!

ფსალმუნი 113

- ¹როდესაც გამოვიდა ისრაელი ეგვიპტიდან, სახლი იაკობისა – უცხოენოვანი ერისაგან,
- ²გახდა იუდა მისი სიწმიდე, ისრაელი – მისი სამფლობელო.
- ³ზღვამ დაინახა და ილტვოდა, იორდანე უკან გაბრუნდა;
- ⁴მთები აცეკვდნენ ერკემლებივით, ბორცვნი ხტოდნენ კრავებივით.
- ⁵რა დაგემართა, ზღვაო, რომ ილტვი, და, იორდანევ, უკან რომ გაბრუნდი?
- ⁶მთებო, რას ცეკვავთ ერკემლებივით, ბორცვებო, რატომ ხტით კრავებივით?
- ⁷უფლის წინაშე ძრწოდე, დედამიწავ, იაკობის ღმერთის წინაშე,
- ⁸რომელმაც აქცია კლდე წყალსატევად, კაჟი – წყაროს წყლად!
- ⁹ჩვენ არა, უფალო, ჩვენ არა, შენს სახელს მიაგე დიდება შენი წყალობითა და შენი ჭეშმარიტებით.
- ¹⁰რატომ უნდა თქვან ერებმა: სად არის მათი ღმერთი?
- ¹¹ჩვენი ღმერთი ზეცაშია; ყოველივე, რაც სურდა, მოიმოქმედა.
- ¹²მათი კერპები ვერცხლი და ოქროა, ადამიანთა ხელით შექმნილი.
- ¹³პირი აქვთ და ვერ ლაპარაკობენ, თვალები აქვთ და ვერ ხედავენ,
- ¹⁴ყურები აქვთ და არ ესმით, ცხვირი აქვთ და ვერ იყნოსავენ,
- ¹⁵ხელები აქვთ და ვერაფერს ეხებიან, ფეხები აქვთ და ვერ დადიან, ხმას ვერ გამოსცემენ თავიანთი ხორხიდან.
- ¹⁶მათ დაემსგავსებიათ მათი გამკეთებელნი, ყველა, ვინც მათზეა მინდობილი.



- ¹⁷ ისრაელო, მიენდე უფალს! – ის არის მათი შემწე და ფარი.
- ¹⁸ აარონის სახლო, მიენდე უფალს! – ის არის მათი შემწე და ფარი.
- ¹⁹ მოშიშნო უფლისა, მიენდეთ უფალს! – ის არის მათი შემწე და ფარი.
- ²⁰ უფალს ვახსოვართ – გვაკურთხეხს! აკურთხეხს ისრაელის სახლს, აკურთხეხს აარონის სახლს!
- ²¹ აკურთხეხს უფლის მოშიშებს, დიდსა და მცირეს.
- ²² დაე, გამრავლოთ უფალმა თქვენ და თქვენი შვილები.
- ²³ კურთხეული ხართ უფლის მიერ, ცისა და ქვეყნის შემოქმედის მიერ.
- ²⁴ ცანი – ცანია უფლისა, ხოლო ქვეყანა მისცა კაცთა შვილებს.
- ²⁵ მკვდრები კი არ აქებენ უფალს, და არც მდუმარებაში ჩასულნი,
- ²⁶ არამედ ჩვენ ვადიდებთ უფალს ამიერიდან უკუნისამდე. ადიდეთ უფალი!

ფსალმუნი 114

- ¹ მიყვარს უფალი, რადგან ისმენს ჩემს ხმასა და ჩემს ვედრებას;
- ² მან მომაპყრო მე ყური, ამიტომ მთელი ჩემი დღენი მუდამ მოვუხმობ მას.
- ³ გარს შემომერტყნენ სასიკვდილო ტკივილები, ჯოჯოხეთის სატანჯველი მომადგა, გასაჭირსა და მწუხარებაში ჩავვარდი.
- ⁴ მოვუხმობ უფლის სახელს: „გევედრები, უფალო, იხსენ სული ჩემი!”
- ⁵ მოწყალეა უფალი და მართალი, შემბრალეა ღმერთი ჩვენი.
- ⁶ იცავს უფალი გულუბრყვილოებს; ოდეს დავუძლურდი, მან მიშველა მე.
- ⁷ დაუბრუნდი, სულო ჩემო, სიმშვიდეს შენსას, რადგან უფალმა კეთილი მოგაგო შენ!
- ⁸ რადგან შენ იხსენი სული ჩემი სიკვდილისაგან, თვალი ჩემი – ცრემლთაგან, ფეხი ჩემი – წაბორძიკებისაგან;
- ⁹ ვივლი უფლის წინაშე ცოცხალთა ქვეყანაში.

ფსალმუნი 115

- ¹ მწამდა მაშინაც, როდესაც ვამბობდი: „დავიტანჯე, ფრიად დავიტანჯე.“
- ² ვთქვი შეპრწუნებისას: „ყოველი კაცი ცრუა!“



- ³რით მივაგო უფალს ყველაფრისათვის, რაც მე მომაგო?
- ⁴თასს შეწევნისას ავიღებ და უფლის სახელს წარმოვთქვამ;
- ⁵ჩემს აღთქმებს უფლისადმი აღვასრულებ მთელი მისი ხალხის წინაშე.
- ⁶მვირფასია უფლის თვალში სიკვდილი მის წმიდათა.
- ⁷უფალო, შენი მორჩილი ვარ; მსახური ვარ შენი, ძე შენი მხევლისა, შენ გახსენი ჩემი ბორკილები.
- ⁸შენ შემოგწირავ მადლობის მსხვერპლს და უფლის სახელს მოვუხმობ.
- ⁹ჩემს აღთქმებს უფლისადმი აღვასრულებ მთელი ხალხის წინაშე,
- ¹⁰უფლის სახლის ეზოში, შენს შუაგულში, იერუსალიმო! ადიდეთ უფალი!

ფსალმუნი 116

- ¹ადიდეთ უფალი, ყოველნო ერნო! ადიდეთ იგი, ხალხნო ყოველნო!
- ²რადგან დიადია ჩვენს მიმართ წყალობა მისი, და ჭეშმარიტება უფლისა უკუნისამდეა. ადიდეთ უფალი!

ფსალმუნი 117

- ¹ადიდეთ უფალი, რადგან კეთილია, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!
- ²თქვას ისრაელმა: „მართლაც უკუნისამდეა წყალობა მისი!”
- ³თქვას აარონის სახლმა: „მართლაც უკუნისამდეა წყალობა მისი!”
- ⁴თქვან მოშიშებმა უფლისა: „მართლაც უკუნისამდეა წყალობა მისი!”
- ⁵გაჭირვებიდან მოვუხმე უფალს; სიფართოვით მიჰასუხა უფალმა.
- ⁶უფალი ჩემთან არის – არ მეშინია, რას მიზამს კაცი?
- ⁷უფალი ჩემთან არის შემწედ და მე ვიზეიმებ ჩემს მტრებზე.
- ⁸უკეთესია დაყრდნობა უფალზე, ვიდრე დაიმედება ადამიანზე.
- ⁹უკეთესია დაყრდნობა უფალზე, ვიდრე დაიმედება მთავრებზე.
- ¹⁰ყოველნი თესლ-ტომნი გარს შემომერტყნენ; უფლის სახელით ამოვწყვეტ მათ.
- ¹¹გარს შემომერტყნენ, გარემომიცვეს, უფლის სახელით ამოვწყვეტ მათ.
- ¹²გარს შემომერტყნენ ფუტკრებით; აბრიალდნენ, ვითარცა ცეცხლი ძეძვისა; უფლის სახელით ამოვწყვეტ მათ.



- ¹³ძლიერად მკრეს ხელი ძირს დასაცემად, მაგრამ უფალი შემეწია მე.
- ¹⁴ჩემი ძალა და გალობაა უფალი, ის არის ჩემი მხსნელი.
- ¹⁵ხმა სიმღერისა და შეწევნისა მართალთა კარვებში: უფლის მარჯვენა მქმნელია ძალის!
- ¹⁶უფლის მარჯვენა მაღალია, უფლის მარჯვენა მქმნელია ძალის!
- ¹⁷არ მოვკვდები, არამედ ვიცოცხლებ და ვაუწყებ უფლის საქმეებს.
- ¹⁸დასჯით დამსაჯა უფალმა, სიკვდილს კი არ მიმცა.
- ¹⁹გამიღეთ ბჭენი სიმართლისა, შევალ მათში, ვადიდებ უფალს!
- ²⁰ეს არის კარიბჭე უფლისა! მართალნი შევლენ შიგ.
- ²¹მადლობას გწირავ, რადგან მიპასუხე და გახდი ჩემი ხსნა!
- ²²ქვა, დაწუნებული მშენებლების მიერ, თავკიდური გახდა;
- ²³უფლისაგან არის ეს; საოცარია ეს ჩვენს თვალში.
- ²⁴ეს არის დღე, რომელიც ქმნა უფალმა; ვილხინოთ და ვიმხიარულოთ მასში!
- ²⁵გევედრებით, უფალო, გვიხსენი! გევედრებით, უფალო, გაგვიმარჯვე!
- ²⁶კურთხეულია უფლის სახელით მომავალი! გაკურთხებთ უფლის ტაძრიდან.
- ²⁷ღმერთია უფალი და გვინათებს ჩვენ. მიაბით მსხვერპლი საბლით სამსხვერპლოს რქებზე.
- ²⁸ჩემი ღმერთი ხარ შენ და გადიდებ! ღმერთო ჩემო, მადლობას გწირავ!
- ²⁹ადიდეთ უფალი, რადგან კეთილია, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

ფსალმუნი 118

- ¹ანბანთქება. ნეტარ არიან, ვისი გზაც უბიწოა, რომელნიც დადიან უფლის რჯულზე.
- ²ნეტარ არიან მის მცნებათა დამცველნი, მთელი გულით რომ ეძებენ მას.
- ³სიაკვაცე არ ჩაუდენიათ, არამედ მის გზას ადგანან!
- ⁴შენ უბრძანე მათ შენს განწესებათა დმტკიცედ დაცვა.
- ⁵ნეტამც წარიმართოს ჩემი გზები შენს წესდებათა დასაცავად!
- ⁶მაშინ აღარ შემრცხვება, ოდეს შევხედავ ყოველ შენს მცნებას.



- ⁷განგადიდებ გულის სიწრფელით, როს მასწავლი სამართალს შენი სიმართლისა.
- ⁸შენს წესებს დავიცავ; ნუ მიმატოვებ საბოლოოდ!
- ⁹რით შეინახოს ყმაწვილმა სიწმინდე თავისი გზისა? დაცვით მისი შენი სიტყვისამებრ!
- ¹⁰მთელი გულით გეძიებ შენ; ნუ გადამახვევინებ შენს მცნებათაგან!
- ¹¹გულს ჩავიმარხე შენი სიტყვები, რომ არ შეგცოდო.
- ¹²კურთხეული ხარ შენ, უფალო! მასწავლე წესები შენი.
- ¹³ჩემი ბაგეებით ვაუწყებ შენი პირის ყველა სამართალს.
- ¹⁴შენს მცნებათა გზაზე ვხარობ, ვითარცა სრულ სიმდიდრეში მყოფი.
- ¹⁵შენს მცნებებზე ვიფიქრებ და დავუკვირდები შენს გზებს.
- ¹⁶შენი წესებით გავიხარებ, არ დავივიწყებ შენს სიტყვებს.
- ¹⁷კეთილი უყავ შენს მორჩილს, რათა ვიცოცხლო და დავიცვა შენი სიტყვა.
- ¹⁸აღმიხილე თვალნი, რათა ვჭკვრეტდე შენი რჯულის საოცრებებს!
- ¹⁹მწირი ვარ ქვეყანაზე, ნუ დამიმაღლავ შენს მცნებებს!
- ²⁰მოითენთა ჩემი სული შენი სამართლის წადილით ყოველჟამს.
- ²¹შერისხე ამპარტავანნი, წყეულნი, რომელთაც გადაუხვიეს შენს მცნებათაგან.
- ²²ამაცილე შერცხვენა და შეურაცხოფა, რადგან შენს მცნებებს ვიცავდი!
- ²³თუმცა დასხდნენ მთავარნი ჩემს წინააღმდეგ სათათბიროდ, შენი მორჩილი შენს წესებს განსჯის.
- ²⁴შენი მცნებები სიხარულია ჩემთვის, მრჩეველნი ჩემნი. დაღეთ
- ²⁵მტვერს მიეკრა სიცოცხლე ჩემი; გამაცოცხლე შენი სიტყვისამებრ!
- ²⁶როდესაც გიცხადებდი ჩემს გზებს, მპასუხობდი; მასწავლე წესები შენი!
- ²⁷შენი ბრძანებების გზა შემაგნებინე და ვიფიქრებ შენს საოცრებებზე.
- ²⁸ნაღველმა დაადნო ჩემი სული, განმამტკიცე შენი სიტყვისამებრ!
- ²⁹გზა სიცრუისა განმაშორე და შენი რჯულით შემიწყალე!
- ³⁰გზა ჭეშმარიტებისა ამოვირჩიე, შენი სამართალნი წინ დავიყენე.
- ³¹მივეკარ შენს მცნებებს, უფალო, ნუ გამაწბილებ!



- ³²შენი მცნებების გზით ვირბენ, როდესაც განავრცობ ჩემს გონებას!
- ³³მასწავლე, უფალო, გზა შენთა წესთა, და დავიცავ მათ ბოლომდე.
- ³⁴გამაგებინე და დავიცავ შენს რჯულს და შევინახავ მთელი გულით.
- ³⁵დამაყენე შენს მცნებათა კვალზე, რადგანაც მწადია იგი.
- ³⁶მიდრიკე ჩემი გული შენს მოწმობათაჲს და არა ანგარებისკენ.
- ³⁷მოარიდე ჩემი თვალი ამაოების მზერას; შენი გზით მაცოცხლე!
- ³⁸განუმტკიცე შენს მონას სიტყვა შენი, რადგან შენი მოშიშია იგი.
- ³⁹ამაცილე შერცხვენა, რომლისაც მეშინია, რადგან შენი სამართალნი კეთილია!
- ⁴⁰აჰა, ვისურვე ფრიად შენი ბრძანებანი; შენი სიმართლით მაცოცხლე მე!
- ⁴¹მოვიდეს ჩემზე შენი წყალობა, უფალო, ხსნა შენმიერი, შენი სიტყვისამებრ!
- ⁴²მაშინ პასუხს გავცემ ჩემს მაგინებელს, რადგან შენი სიტყვის იმედი მაქვს.
- ⁴³ნუ წაართმევ ჩემს ბაგეებს ჭეშმარიტების სიტყვას სრულიად, რადგან შენს სამართალს მოველი!
- ⁴⁴დავიცავ შენს რჯულს მარადის, უკუნითი უკუნისამდე.
- ⁴⁵ვივლი ხალვათად, რადგან შენს ბრძანებებს ვეძიებდი.
- ⁴⁶ვაუწყებ შენს მოწმობებს მეფეთა წინაშე და არ შემრცხვება.
- ⁴⁷გავიხარებ შენი მცნებებით, რომლებიც მიყვარს;
- ⁴⁸ხელებს აღვაპყრობ შენს მცნებათა მიმართ, რომლებიც მიყვარს, და დავუკვირდები შენს წესებს.
- ⁴⁹გაუხსენე შენს მსახურს სიტყვა, რომლითაც დამაიმედე!
- ⁵⁰ეს არის ჩემი ნუგეში გასაჭირში, რადგან შენი ნათქვამი მაცოცხლებს.
- ⁵¹ამპარტავანნი დამცინიან მეტისმეტად; მაგრამ მე არ გადავუხვევ შენი რჯულისგან.
- ⁵²ოდეს ვიხსენებ შენს სამართალს, უფალო, რომელიც უკუნისიდანაა, ვიქარვებ დარდს.
- ⁵³თავზარი მეცემა ურჯულოთა გამო, რომლებიც ტოვებენ შენს რჯულს.
- ⁵⁴სიმღერებად იქცა ჩემთვის შენი წესები ჩემს საცხოვრებელ სახლში.
- ⁵⁵ვიხსენებ ღამით შენს სახელს, უფალო, და ვიცავ შენს რჯულს.



- ⁵⁶ეს წყალობაა ჩემთვის, რადგან შენს ბრძანებას ვიცავდი.
- ⁵⁷უფალია ჩემი ხვედრი; ვთქვი: „უფალო, დავიცავ შენს სიტყვებს!“
- ⁵⁸გვედრები მთელი გულით; შემიწყალე შენი სიტყვისამებრ.
- ⁵⁹ოდეს ვფიქრობ ჩემს გზებზე, ვაბრუნებ ფეხს შენი მცნებებისაკენ.
- ⁶⁰ვჩქარობ და არ ვაყოვნებ შენს მცნებათა დაცვას.
- ⁶¹თუმცა საბელბივით გარს შემომერტყნენ ბოროტნი, შენს რჯულს არ ვივიწყებ.
- ⁶²შუალამისას ვდგები შენს სადიდებლად, შენი მართალი განსჯების გამო.
- ⁶³თანაზიარი ვარ ყველა შენი მოშიშისა, ვინც იცავს შენს მცნებებს.
- ⁶⁴შენი წყალობით, უფალო, სავსეა ქვეყნიერება; მასწავლე შენი წესდებანი.
- ⁶⁵შენ კეთილი ქმენ შენი მორჩილისათვის, უფალო, შენი სიტყვისამებრ.
- ⁶⁶მასწავლე მე კეთილი განსჯა და აზრი, რადგან ვირწმუნე შენი მცნებანი.
- ⁶⁷ვიდრე დავიტანჯებოდი, ვცდებოდი; ახლა კი შენს სიტყვას ვიცავ.
- ⁶⁸კეთილი ხარ და კეთილს იქმ, მასწავლე წესები შენი.
- ⁶⁹ტყუილს ჩმახავენ ამპარტავანნი ჩემზე, მე კი მთელი გულით ვიცავ შენს ბრძანებებს.
- ⁷⁰დამსუყდა ქონივით მათი გული, მე კი შენი რჯულით ვხარობ.
- ⁷¹კარგია ჩემთვის, რომ დავიტანჯე, ამ გზით ვისწავლი წესდებებს შენსას.
- ⁷²უმჯობესია ჩემთვის შენი პირის რჯული, ვიდრე ათასი ოქრო და ვერცხლი.
- ⁷³შენმა ხელებმა შემქმნეს და ჩამომაყალიბეს; შთამაგონე და ვისწავლი შენს მცნებებს.
- ⁷⁴მოშიშნი შენნი შემხედავენ და გაიხარებენ, რადგან შენს სიტყვებზე ვარ მონდობილი.
- ⁷⁵ვიცი, უფალო, რომ მართალია შენი სამართალი, და სამართლიანად შემაჭირვე მე.
- ⁷⁶დაე იყოს შენი წყალობა ჩემს სანუგეშოდ, როგორც აღუთქვი შენს მორჩილს.
- ⁷⁷მოვიდეს ჩემთან შენი წყალობა და ვიცოცხლებ! რადგან შენი რჯული სიხარულია ჩემი.



- ⁷⁸შერცხვენენ ამპარტავანნი, რადგან ტყუილად მჩაგრავდნენ; მე კი შენს ბრძანებებს დავუკვირდები.
- ⁷⁹დაბრუნდნენ ჩემთან შენი მოშიშნი, რათა შეიცნონ შენი მცნებები.
- ⁸⁰იყოს ჩემი გული უბიწო შენს სამართალში, რათა არ შევრცხვე.
- ⁸¹დადნა შენი შეწევნის მოლოდინში ჩემი სული. შენი სიტყვის იმედი მაქვს.
- ⁸²დადნენ თვალნი ჩემნი შენი სიტყვის მოლოდინში, ვამბობ: როდის მანუგეშებ მე?
- ⁸³ვიყავი, ვითარცა ტიკი ორთქლში, და მაინც შენი წესები არ დავივიწყე.
- ⁸⁴რამდენი უნდა დაითმინოს შენმა მორჩილმა? როდის განსჯი ჩემს მდევნელთ?
- ⁸⁵გამითხარეს ამპარტავნებმა ორმო, ისინი არ მიჰყვებიან შენს რჯულს.
- ⁸⁶ყველა შენი მცნება ჭეშმარიტია; უმიზეზოდ მდევნიან, მიშველე.
- ⁸⁷ლამის გამანადგურეს მიწაზე; და მაინც არ მივატოვე შენი ბრძანებები.
- ⁸⁸შენი წყალობით მაცოცხლე და დავიცავ შენი პირის მოწმობებს.
- ⁸⁹უფალო, უკუნისამდეა შენი სიტყვა დაფუძნებული ზეცაში.
- ⁹⁰თაობიდან თაობამდეა წყალობა შენი! დაამყარე ქვეყანა და მტკიცედ დგას.
- ⁹¹შენი მსჯავრით დგანან დღესაც, რადგან ყოველი არსი შენ გმსახურებს.
- ⁹²შენი რჯული რომ არ ყოფილიყო ჩემდა ნუგეშად, დავილუპებოდი ჩემს ტანჯვაში.
- ⁹³უკუნისამდე არ დავივიწყებ შენს ბრძანებებს, რადგან მათით მასულდგმულვადი.
- ⁹⁴შენი ვარ; მიხსენი, რადგან შენს ბრძანებებს ვეძიებდი!
- ⁹⁵მიდარაჯებენ ბოროტნი, რომ დამლუპონ; მე კი შენს მცნებებს ღრმად ვუკვირდები.
- ⁹⁶ყოველგვარი სრულქმნილების მინახავს ბოლო; შენი მცნებანი კი ვრცელია ფრიად.
- ⁹⁷რარიგად მიყვარს შენი რჯული! ის არის ჩემი საფიქრალი დღენიადაგ.
- ⁹⁸ჩემს მტრებზე მეტად დამაბრძენე შენი მცნებებით; რადგან მარადის ჩემთანაა ისინი.
- ⁹⁹ყველა ჩემს მასწავლებელზე გონიერი გავხდი, რადგან შენი მცნებანი საფიქრალია ჩემი.



- 100 მოხუცებზე მეტად საზრიანი ვარ, რადგან შენს ბრძანებებს ვიცავ.
- 101 ყოველგვარ ბოროტ გზას მოვარიდე ფეხი, რათა დავიცვა შენი სიტყვა.
- 102 არ გადავუხვევ შენს განწესებებს, რადგან შენ განმსწავლე.
- 103 რარიგ ატკობს ჩემს სასას შენი სიტყვები, თაფლზე ტკბილია ჩემი პირისთვის!
- 104 შენი ბრძანებებით საზრიანი გავხდი, ამიტომ მოვიძულე სიცრუის ყოველი გზა.
- 105 სანთელია ჩემი ფეხისთვის შენი სიტყვა და სინათლე – ჩემი ბილიკისათვის.
- 106 დავიფიცე და ავასრულე, მივდეგ შენს მართალ განსჯებს.
- 107 დავმდაბლდი ფრიად; უფალო, მაცოცხლე შენი სიტყვისამებრ!
- 108 ჩემი ქების მსხვერპლი ისურვე, უფალო, და შენი სამართალნი მასწავლე.
- 109 სული ჩემი ჩემს ხელისგულზეა მუდამ, შენს რჯულს არ ვივიწყებ.
- 110 დამიგეს ბოროტებმა მახე, მაგრამ შენი ბრძანებებისთვის არ გადამიხვევია.
- 111 დავიმკვიდრე შენი მოწმობანი საუკუნოდ, რადგან ისინი ჩემი გულის სიხარულია.
- 112 მოვდრიკე გული ჩემი შენს წესთა შესასრულებლად საუკუნოდ, სამარადისოდ.
- 113 ბოროტგანმზრახველნი შევიძულე, და შენი რჯული შევიყვარე.
- 114 თავმესაფარი და ფარი ხარ ჩემი; შენს სიტყვაზე ვარ დაიმედებული.
- 115 შორს ჩემგან, უკეთურნო, რათა დავიცვა მცნებანი ჩემი ღმერთისა!
- 116 შემეწიე შენი სიტყვისამებრ, რათა ვიცოცხოლო, და ნუ გამიწბილებ ჩემს იმედს!
- 117 განმამტკიცე, რათა გადავრჩე, და ყოველთვის დავუკვირდები შენს წესდებებს.
- 118 შენ მოსპე ყოველი, ვინც განუდგა შენს წესებს, რადგან ამაოა მათი ხრიკები.
- 119 როგორც წიდა, მოსპე ყოველი ბოროტი ქვეყანაზე, ამიტომ შევიყვარე შენი მცნებები.
- 120 ძრწის შენი შიშით ჩემი სხეული და შიში მაქვს შენი განკითხვებისა.



- 121 ვქმენ სამართალი და სიმართლე; ნუ შემატოვებ ჩემს მჩაგვრელებს.
- 122 გამოესარჩლე შენს მორჩილს სასიკეთოდ, რომ არ დამჩაგრონ ამპარტავნებმა.
- 123 დადნენ ჩემი თვალნი შენი შეწევნისა და შენი სიმართლის სიტყვის მოლოდინში.
- 124 ვქმენ შენი მორჩილისთვის შენი წყალობისამებრ და წესდებანი შენნი მასწავლე.
- 125 მორჩილი ვარ შენი; გონიერ-მყავ, რათა შევიცნო მოწმობანი შენნი.
- 126 ჟამია უფლის მოქმედებისა – რადგან დაარღვიეს რჯული შენი!
- 127 ამიტომ მიყვარს მცნებანი შენნი ოქროზე და ბაჯალლოზე მეტად;
- 128 ამიტომ წარვმართავ ჩემს ნაბიჯებს შენი მცნებებით; მძულს ყოველი გზა სიცრუისა.
- 129 საოცარია მოწმობანი შენნი; ამიტომ ინახავს მათ სული ჩემი.
- 130 საწყისი შენი სიტყვებისა ანათებს, გონიერებას ანიჭებს მიამიტებს.
- 131 პირი გავხსენი და ამოვისუნთქე, რადგან მომენატრა მცნებანი შენნი.
- 132 მომხედე და შემიწყალე, როგორც შეეფერებათ შენი სახელის მოყვარულთ.
- 133 ჩემი ნაბიჯები წარმართე შენი სიტყვისამებრ და ნუ გააბატონებ ჩემზე ნურა უსამართლოს.
- 134 მიხსენ ადამიანის ჩაგვრისაგან, რათა შევძლო შენი ბრძანებების დაცვა.
- 135 შენი სახე გამოუბრწყინე შენს მორჩილს და მასწავლე წესდებანი შენი.
- 136 ცრემლთა ნაკადები გადმომდის თვალთაგან, რადგან არ იცავენ შენს რჯულს.
- 137 მართალი ხარ შენ, უფალო, და სწორია განსჯანი შენნი.
- 138 შენ გვამცნე სიმართლით შენი მოწმობანი და ჭეშმარიტია მეტად.
- 139 დამღრღნა ეჭვმა, რადგან ივიწყებენ შენს სიტყვებს ჩემი მტრები.
- 140 ხალასია შენი ნათქვამი ფრიად და შენს მორჩილს უყვარს იგი.
- 141 მცირე ვარ და მოძულეებული; შენს ბრძანებებს არ ვივიწყებ.
- 142 შენი სიმართლე მარადიული სიმართლეა, და რჯული შენი ჭეშმარიტია.
- 143 განსაცდელი და გასაჭირი წამომეწია; მაგრამ შენი ბრძანებანი სიხარულია ჩემთვის.



- 144 სიმართლეა შენი მოწმობანი მარადის; შთამაგონე და ვიცოცხლებ!
- 145 მოგიხმობ მთელი გულით; მიპასუხე, უფალო! შენს წესდებებს დავიცავ.
- 146 შენ მოგიხმობ, მიხსენი, და დავიცავ შენს მოწმობებს.
- 147 გარიჟრაჟამდე ვდგები და ვღალადებ, შენს სიტყვაზე ვარ დაიმედებული.
- 148 ჩემმა თვალებმა ასწრებენ ღამის სადარაჯოს, რათა დავუკვირდე შენს აღთქმას.
- 149 ისმინე ჩემი ხმა მოწყალედ, უფალო, შენი სიმართლით მაცოცხლე.
- 150 მომიახლოვდნენ ჩემთვის ავისმზრახველნი; შენი რჯულისაგან შორს დგანან ისინი.
- 151 მაგრამ შენ ახლოს ხარ, უფალო, და ყველა მცნება შენი ჭეშმარიტებაა.
- 152 ადრიდანვე შევიტყვე შენს მოწმობათა შესახებ, რადგან სამარადჟამოდ დააფუძნე ისინი.
- 153 მოხედე ჩემს ტანჯვას და მიხსენი, რადგან შენს რჯულს არ ვივიწყებ!
- 154 გამომესარჩლე და დამიხსენი, შენი სიტყვისამებრ მაცოცხლე.
- 155 შორს არის ბოროტთაგან შველა, რადგან შენს წესდებებს არ ეძიებენ.
- 156 უხვია შენი წყალობანი, უფალო, შენი სამართლის მიხედვით მაცოცხლე.
- 157 ბევრია ჩემი მღევარი და მოდავე; მე კი შენი მოწმობებისათვის არ გადამიხვევია.
- 158 ვხედავ განდგომილთ და ზიზღი მიპყრობს, რადგან შენს სიტყვებს არ იცავენ.
- 159 ნახე, რარიგ შევიყვარე შენი ბრძანებანი; უფალო, შენი წყალობისამებრ მაცოცხლე.
- 160 დასაბამი შენი სიტყვისა ჭეშმარიტებაა, და საუკუნოა შენი სამართლის ყველა განწესება.
- 161 მთავარნი მღევნიან უმიზეზოდ; მაგრამ შენი სიტყვების კრძალვა აქვს ჩემს გულს.
- 162 ვხარობ შენს სიტყვაზე, ვითარცა მპოვნელი უხვი ნადავლისა.
- 163 მძულს და მძაგს სიცრუე; შენი რჯული კი მიყვარს.
- 164 დღეში შვიდგზის გაქებ შენი მართალი სამსჯავროსათვის.
- 165 დიდია მშვიდობა შენი რჯულის მოყვარულთა, და არ არსებობს მათთვის დაბრკოლება.



- ¹⁶⁶იმედი მაქვს შენი შეწევნისა, უფალო, და შენს ბრძანებებს ვასრულებ.
- ¹⁶⁷იცავს ჩემი სული შენს მოწმობებს; მე ისინი მიყვარს ძალიან.
- ¹⁶⁸ვიცავ შენს ბრძანებებს და მოწმობებს. რადგან ყველა ჩემი გზა შენს წინაშეა.
- ¹⁶⁹მოაღწიოს ჩემმა ღაღადმა შენს წინაშე, უფალო, და შენი სიტყვისამებრ განმსწავლე!
- ¹⁷⁰მოვიდეს ჩემი ვედრება შენს წინაშე, მიხსენი შენი აღთქმისამებრ!
- ¹⁷¹წარმოთქვამენ ჩემი ბაგენი ქებას, რადგან მასწავლე წესდებანი შენნი.
- ¹⁷²აუწყებს ჩემი ენა შენს სიტყვებს, რადგან ყველა შენი მცნება სიმართლეა.
- ¹⁷³იყოს შენი ხელი ჩემს შემწედ, რადგან შენი ბრძანებანი ამოვირჩიე.
- ¹⁷⁴ვნატრობ შენს შველას, უფალო, და შენი რჯული საამოა ჩემთვის.
- ¹⁷⁵იცოცხლოს ჩემმა სულმა, რათა გაქოს შენ, და შენი განგება შემეწიოს.
- ¹⁷⁶დავიბენი, ვითარცა ცხვარი დაკარგული; მოძებნე შენი მორჩილი, რადგან შენი მცნებანი არ დავივიწყე!

ფსალმუნი 119

- ¹გალობა აღსავალთა. მოვუხმობ უფალს ჩემი გაჭირვების ჟამს, რათა მიპასუხოს:
- ²იხსენ, უფალო, ჩემი სული ცრუ ბაგეთაგან, მზაკვარი ენისგან!
- ³რა მოგეცემა შენ და რას შეიძენ, ენავ მზაკვარო?
- ⁴მეომრის წამახული ისრებს, წნორნარის ნაკვერცხლებთან ერთად!
- ⁵ვაიმე, ხიზანი ვარ მეშექისა, კედარის კარვებთან ვბინადრობ!
- ⁶დიდხანს მკვიდრობდა ჩემი სული მათთან, ვისაც სძულს მშვიდობა.
- ⁷მე მშვიდობა მსურს, მაგრამ როდესაც დავილაპარაკებ, ისინი საომრად ემზადებიან!

ფსალმუნი 120

- ¹გალობა აღსავალთა. თვალებს მივაპყრობ მთებს: საიდან მოვა შეწევნა ჩემი?
- ²ჩემი შეწევნა უფლისგანაა, რომელმაც შექმნა ცა და ქვეყანა.



- ³არ წააბორძიკებს შენს ფეხს, არ წათვლემს დამცველი შენი.
- ⁴აჰა, არ წათვლემს და არ დაიძინებს მცველი ისრაელისა.
- ⁵უფალია შენი მცველი; უფალია შენი მფარველი შენს მარჯვნივ.
- ⁶დღისით მზე არ გავნებს, და ღამით – მთვარე.
- ⁷უფალი დაგიცავს ყველა სიავისაგან, დაიცავს შენს სულს;
- ⁸უფალი დაიცავს შენს წასვლას და მოსვლას ამიერიდან და უკუნისამდე.

ფსალმუნი 121

- ¹გალობა აღსავალთა. დავითისა. გავიხარე, როდესაც მითხრეს: უფლის სახლში წავიდეთ.
- ²დგანან ჩვენი ფერხნი შენს კარიბჭეებში, იერუსალიმო!
- ³იერუსალიმი ნაგებია, ვითარცა ქალაქი მტკიცედ შეკრული,
- ⁴სადაც ადიან ტომნი, ტომნი უფლისა – მოწმობა ისრაელისა, – სამადლობელად უფლის სახელისა.
- ⁵რადგან იქ დგას ტახტები სამართლისა, ტახტები დავითის სახლისა.
- ⁶ითხოვეთ მშვიდობა იერუსალიმისათვის! დაე დამშვიდდნენ მოყვარულნი შენნი!
- ⁷იყოს მშვიდობა შენს ზღუდეებში, უსაფრთხოება – შენს ციხესიმაგრეებში!
- ⁸ჩემთა ძმათა და მეგობართა გამო ვამბობ: მშვიდობა შენდა!
- ⁹ჩვენი უფალი ღმერთის სახლისთვის გისურვებ სიკეთეს შენ.

ფსალმუნი 122

- ¹გალობა აღსავალთა. შენსკენ აღვაპყრობ თვალებს, მკვიდრო ზეცათა!
- ²აჰა, ვითარცა მონათა თვალნი ბატონის ხელისაკენ, ვითარცა თვალნი მხევლისა ქალბატონის ხელისაკენ, ასევე ჩვენი თვალნი მიპყრობილია ჩვენი უფალი ღმერთისაკენ, ვიდრე შეგვიწყალებდეს.
- ³შეგვიწყალე, უფალო, შეგვიწყალე, რადგან მეტისმეტად გავძეხით სიძულვილით!
- ⁴მეტისმეტად აღივსო ჩვენი სული მდიდართა ყვედრებით და ამპარტავანთაგან ჩაგვრით.



ფსალმუნი 123

- ¹გალობა აღსავალთა. დავითისა. უფალი რომ არ ყოფილიყო ჩვენთან – თქვას ისრაელმა –
- ²უფალი რომ არ ყოფილიყო ჩვენთან, როცა აღდგნენ ჩვენს წინააღმდეგ კაცნი,
- ³მაშინ ცოცხლად ჩაგვცლაპავდნენ, რაჟამს განრისხდნენ ჩვენზე.
- ⁴მაშინ წყლები წაგვლეკავდნენ, ნაკადი გადაუვლიდა ჩვენს სულს;
- ⁵გადაუვლიდნენ ჩვენს სულს ბოხოქარი წყლები.
- ⁶კურთხეულ არს უფალი, რომ არ მიგვცა ულუფად მათ კბილთათვის.
- ⁷ჩვენი სული გადარჩა, ვითარცა ჩიტი მონადირის მახიდან; მახე დაიმსხვრა და ჩვენ გადავრჩით!
- ⁸ჩვენი შეწევნა უფლის სახელშია – ცისა და ქვეყნის შემოქმედისა.

ფსალმუნი 124

- ¹გალობა აღსავალთა. უფალზე დანდობილნი სიონის ურყევი მთასავით არიან, რომელიც დგას უკუნისამდე.
- ²როგორც იერუსალიმს არტყია ირგვლივ მთები, ისე უფალი თავისი ხალხის გარშემო ამიერიდან უკუნისამდე.
- ³რადგან არ დარჩება კვერთხი ბოროტისა მართალთა წილზე, რათა არ გაიწოდონ მართლებმა ხელი სიმრუდეზე.
- ⁴სიკეთე უყავ, უფალო, კეთილებს და გულმართლებს!
- ⁵ხოლო გულარძნილობისკენ გადახრილებს განდევნის უფალი ბოროტმოქმედებთან ერთად. მშვიდობა ისრაელს!

ფსალმუნი 125

- ¹გალობა აღსავალთა. როცა დააბრუნა უფალმა ტყვეები სიონისა, თავი სიზმარში გვეგონა.
- ²მაშინ აივსო სიცილით ჩვენი ბაგეები და ჩვენი ენა – გალობით; მაშინ ამბობდნენ ერებს შორის: დიადი საქმე მოიმოქმედა უფალმა მათთვის.
- ³დიადი საქმე მოიმოქმედა უფალმა ჩვენთვის, – გავმხიარულდით.
- ⁴დააბრუნე, უფალო, ჩვენი ტყვეები, ვით ნაკადები ნეგების მიწაზე.



⁵ცრემლით მთესველნი სიმღერით მოიმკიან.

⁶მიდის და ტირის მთესველი თესლისა, მოდის და სიმღერით მოაქვს თავისი ძნები.

ფსალმუნი 126

¹გალობა აღსავალთა. სოლომონისა. თუ უფალი არ აშენებს სახლს, ამაოდ ირჯებიან მისი მშენებლები; თუ უფალი არ იცავს ქალაქს, ამაოდ ფხიზლობს გუშაგი.

²ამაოდ დგებით ადრიან, აგვიანებთ დასხდომას, ჭამთ ჭმუნვის პურს, რადგან მილს ანიჭებს ის თავის საყვარელს.

³აჰა, მემკვიდრეობა უფლისაგან – შვილები, გასამრჯელო – მუცლის ნაყოფი.

⁴როგორც ისრები მეომრის ხელში, ისეა ახალგაზრდა თაობა.

⁵ნეტარია კაცი, რომელმაც გაივსო კაპარჭი მათით; არ შერცხვება მტრებთან კარიბჭეში ლაპარაკისას.

ფსალმუნი 127

¹გალობა აღსავალთა. ნეტარია ყოველი, რომელსაც ეშინია უფლისა და დადის მისი გზებით!

²შენს ხელთა შრომის ნაყოფს შეჭამ შენ, ნეტარება და სიკეთე გექნება შენ!

³ცოლი შენი, ვითარცა მსხმოიარე ვაზი შენი სახლის კედლებში; შენი შვილები, ვითარცა ზეთისხილის ნორჩი ხეები შენი სუფრის გარშემო.

⁴ასე მიიღებს კურთხევას კაცი, მოშიში უფლისა!

⁵გაკურთხოს უფალმა სიონიდან, იხილე სიკეთე იერუსალიმისა მთელი შენი სიცოცხლე!

⁶იხილე შვილნი შვილთა შენთანი! მშვიდობა ისრაელს!

ფსალმუნი 128

¹გალობა აღსავალთა. მრავალგზის მავიწროებდნენ ჩემი ყრმობიდან – თქვას ისრაელმა, –

²მრავალგზის მავიწროებდნენ ჩემი ყრმობიდან, მაინც ვერ მძლიეს;

³ჩემს ზურგზე ხნავდნენ მხვნელები და გრძელი კვლები გაჰყავდათ.



- ⁴უფალი სამართლიანია; დაამსხვრია ხუნდები ბოროტთა.
- ⁵დაე შერცხვნენ და უკუიქცნენ ყოველნი მოძულენი სიონისა!
- ⁶იყვნენ ისინი, ვითარცა ერდოს ბალახი, რომელიც მოწყვეტამდე ხმება,
- ⁷რომლითაც ვერ აივსებს პეშვს მომკალი და ილლიას – ძნის შემკვრელი;
- ⁸რომელთაც არ ეტყვიან გამვლელნი: კურთხევა უფლისა თქვენზე!
გაკურთხებთ თქვენ უფლის სახელით!

ფსალმუნი 129

- ¹გალობა აღსავალთა. სიღრმეებიდან მოგიხმობ, უფალო.
- ²უფალო, ისმინე ჩემი ხმა! გთხოვ, მომაპყარ შენი ყური ჩემი ვედრების ხმის შესასმენად!
- ³თუ ცოდვებს შემოგვინახავ, უფალო, ვინ დაგიდგება?
- ⁴მაგრამ შენგან არის შენდობა, რათა გეკრძალონ.
- ⁵მეიმედება უფალი, ესავს ჩემი სული, მის სიტყვას ველოდები.
- ⁶სული ჩემი ელოდება უფალს უფრო მეტად, ვიდრე გუშაგნი – დილას, უფრო მეტად, ვიდრე გუშაგნი – დილას.
- ⁷ესავდეს ისრაელი უფალს, რადგან უფალთან არის წყალობა და უხვია ხსნა მისმიერი.
- ⁸ის დაიხსნის ისრაელს ყველა მის ცოდვათაგან.

ფსალმუნი 130

- ¹გალობა აღსავალთა. დავითისა. უფალო, არ გავდიდგულებულვარ და თვალნი მაღლა არ ამიწევია; არც ჩემთვის ზედმეტად დიადისა და მიუწვდომლისაკენ მივლია.
- ²არამედ ვაწყნარებდი და ვაყუჩებდი ჩემს სულს, ვით დედის ძუძუდან მოწყვეტილ ყრმას. ვითარცა ძუძუს მოწყვეტილი ყრმა, ისეა ჩემში ჩემი სული.
- ³ესავდეს ისრაელი უფალს ამიერიდან უკუნისამდე.

ფსალმუნი 131

- ¹გალობა აღსავალთა. გაიხსენე დავითი, უფალო, და ყოველი ურვა მისი.



- ²როგორ შეჰფიცა უფალს, აღთქმა დაუდო იაკობის ძლიერს:
- ³არ შევალ ჩემი სახლის კარავში, არ ავალ ჩემს სარეცელზე,
- ⁴არ მივცემ ძილს ჩემს თვალებს და რულს ჩემს წამწამებს,
- ⁵ვიდრე არ ვიპოვი ადგილს უფლისათვის, სავანეს იაკობის ძლიერისათვის.
- ⁶აჰა, გვესმა მასზე ეფრათაში; ვპოვეთ იგი იაყარის ველზე!
- ⁷მივიდეთ მის სადგომში, თაყვანი ვცეთ მის ფერხთა საყრდენს!
- ⁸აღსდექ, უფალო, და მიდი შენს განსასვენებელში, შენ და კიდობანი შენი ძლიერებისა!
- ⁹შენი მღვდელნი შეიმოსონ სიმართლით და იხარონ შენმა წმიდებმა.
- ¹⁰შენი მორჩილის, დავითის გულისათვის ნუ უკუაგდებ შენი ცხებულის სახეს.
- ¹¹შეჰფიცა უფალმა დავითს ჭეშმარიტად და არ გადაუხვევს მისგან: „ნაყოფისაგან შენი მუცლისა დავსვამ შენს ტახტზე!
- ¹²თუ დაიცავენ შენი ძენი ჩემს აღთქმას და ჩემს მოწმობებს, რომელთაც ვასწავლი მათ, მათი შვილებიც უკუნისამდე ისხდებიან შენს ტახტზე.“
- ¹³რადგან ამოირჩია უფალმა სიონი, ისურვა სამკვიდროდ თავისთვის.
- ¹⁴ეს არის ჩემი განსასვენებელი უკუნისამდე, აქ დავსახლდები, რადგან ვისურვე იგი.
- ¹⁵მის საზრდოს კურთხევით ვაკურთხებ, მის ღარიბებს გავამღებ პური.
- ¹⁶მის ღვთისმსახურთ შევმოსავ შეწევნით და მისი წმიდები სიხარულით გაიხარებენ.
- ¹⁷აქ აღმოვაცენებ დავითის რქას, გავამზადებ სინათლეს ჩემი ცხებულისათვის.
- ¹⁸მის მტრებს სირცხვილით შევმოსავ, ხოლო მასზე იბრწყინებს გვირგვინი მისი!

ფსალმუნი 132

- ¹გალობა აღსავალთა. აჰა, რა კარგია და რა საამურია, როდესაც ერთად ცხოვრობენ ძმები!
- ²როგორც ძვირფასი ზეთი თავზე, წვერებზე რომ ჩამოსწვეთს, აარონის წვერზე, მისი სამოსის კალთებზე ჩამოსწვეთს,



³ვითარცა ცვარი ხერმონისა, სიონის მთაზე მოსული! რადგან იქ დაადგინა უფალმა კურთხევა – სიცოცხლე უკუნისამდე.

ფსალმუნი 133

¹სიმღერა აღსავალთა. აჰა, ადიდეთ უფალი, ყოველნო მსახურნო უფლისა, რომელნიც დგახართ უფლის სახლში ღამდამობით!

²აღაპყრეთ ხელნი თქვენნი წმინდა ადგილისაკენ და ადიდეთ უფალი!

³გაკურთხოს სიონიდან უფალმა, ცისა და ქვეყნის შემოქმედმა!

ფსალმუნი 134

¹აღელუია! ადიდეთ სახელი უფლისა! ადიდეთ, მსახურნო უფლისა,

²რომელნიც დგახართ უფლის სახლში, ეზოებში ჩვენი ღმერთის სახლისა!

³ადიდეთ უფალი, რადგან კეთილია უფალი; უგალობეთ მის სახელს, რადგან მოწყალეა!

⁴რადგან იაკობი ამოირჩია თავისთვის უფალმა, ისრაელი – თავის წარჩინებულად.

⁵რადგან ვიცი, რომ დიდია უფალი; ჩვენი უფალი ყველა ღმერთზე დიდია.

⁶ყოველივეს, რაც სურს, იქმს უფალი, ცაში და ქვეყანაზე, ზღვებსა და უფსკრულებში.

⁷ამოჰყავს ღრუბლები ქვეყნის კიდიდან, ელვებს წვიმად აქცევს, გამოჰყავს ქარი თავისი საცავებიდან.

⁸მან მოსრა პირმშო ეგვიპტისა – ადამიანიდან პირუტყვამდე.

⁹მოავლინა ნიშნები და სასწაულები შენს შორის, ეგვიპტევ, ფარაონისა და მის მსახურეთა წინააღმდეგ.

¹⁰მან მოსრა მრავალი თესლ-ტომი და დახოცა ძლიერი მეფენი:

¹¹სიხონი – მეფე ამორეველთა, ყოგი – მეფე ბაშანისა, და ყველა მეფე ქანაანისა.

¹²და მისცა მათ ქვეყანა სამკვიდროდ, სამკვიდროდ ისრაელს – თავის ხალხს.

¹³უფალო, შენი სახელი მარადიულია, უფალო, შენი სახსენებელი თაობიდან თაობამდეა.



¹⁴რადგან განიკითხავს უფალი თავის ხალხს და თავის მორჩილთ შვივრდომებს.

¹⁵წარმართთა კერპები ვერცხლი და ოქროა, ადამიანის ნახელავი.

¹⁶პირი აქვთ და ვერ ლაპარაკობენ, თვალები აქვთ და ვერ ხედავენ;

¹⁷ყურები აქვთ და ვერ ისმენენ, სუნთქვაც არა აქვს მათ ბაგეებს.

¹⁸მათი მსგავსნი იქნებიან მათი შემქმნელნი და ყველა, ვინც მათზეა მინდობილი.

¹⁹ისრაელის სახლო, აკურთხე უფალი! აარონის სახლო, აკურთხე უფალი!

²⁰ლევის სახლო, აკურთხე უფალი! უფლის მოშიშნო, აკურთხეთ უფალი!

²¹კურთხეულია უფალი სიონიდან, დამკვიდრებული იერუსალიმში. ადიდეთ უფალი!

ფსალმუნი 135

¹მაღლი შესწირეთ უფალს, რადგან კეთილია, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

²მაღლი შესწირეთ ღმერთს ღმერთთა, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

³მაღლი შესწირეთ უფალს უფალთა, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

⁴მარტოდმარტო მოქმედს დიდ საოცრებათა, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

⁵ცათა შემქმნელს გონიერებით, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

⁶რომელმაც დედამიწა განავრცო წყლებზე, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

⁷რომელმაც შექმნა დიდი მნათობები, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

⁸მზე – სამართავად დღისა, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

⁹მთვარე და ვარსკვლავები – ღამის სამართავად, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

¹⁰რომელმაც განგმირა ეგვიპტელნი თავიანთი პირმშოებითურთ, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

¹¹და გამოიყვანა ისრაელი მათი შუაგულიდან, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!



¹²ხელით ძლიერით და მკლავით შემართულით, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

¹³რომელმაც გააპო მეწამული ზღვა ორად, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

¹⁴და გაატარანა ისრაელი მის შუაგულში, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

¹⁵და ჩაღუპა ფარაონი და მისი ჯარი მეწამულ ზღვაში, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

¹⁶რომელიც წინ უძღოდა თავის ხალხს უდაბნოში, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

¹⁷რომელმაც განგმირა მეფენი დიდნი, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

¹⁸და დახოცა მეფენი ძლიერნი, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

¹⁹სიხონი – მეფე ამორეველთა, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

²⁰ყოგი – მეფე ბაშანისა, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

²¹და მისცა მათი ქვეყანა სამკვიდრებლად, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

²²სამკვიდრებლად ისრაელს, თავის მორჩილს, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

²³რომელმაც ჩვენი დამცირების ჟამს გაგვიხსენა, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

²⁴და გვიხსნა ჩვენი მტრებისაგან, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

²⁵რომელიც აძლევს პურს ყოველ ხორციელს, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

²⁶მაღლი შესწირეთ ცათა ღმერთს, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი!

ფსალმუნი 136

¹ბაბილონის მდინარეებთან ვისხედით და ვტიროდით, როდესაც ვიგონებდით სიონს.

²მეწნებზე, იქ რომ დგანან, ჩამოვკიდეთ ჩვენი ქნარები.

³რადგან იქ მოგვთხოვეს ჩვენმა დამტყვევებლებმა სიმღერის სიტყვები და ჩვენმა მჩაგვრელებმა – მხიარულება: „გვიმღერეთ სიმღერა სიონისა!“

⁴როგორ უნდა გვემღერა სიმღერა უფლისა უცხო მიწაზე?



- ⁵თუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმო, დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა!
- ⁶მიეკრას ჩემი ენა ჩემს სასას, თუ არ გაგიხსენო, თუ იერუსალიმი არ დავაყენო ჩემი სიხარულის სათავეში!
- ⁷გაუხსენე, უფალო, ედომელთა შვილებს დღე იერუსალიმისა, როცა ამბობდნენ: დაანგრეთ, დაანგრეთ ის ძირისძირამდე!
- ⁸ასულო ბაბილონისა, გამპარტახებელო! ნეტარ არს, რომელმან მოგიზღოს, რაც ჩვენ მოგვაწიე!
- ⁹ნეტარი იქნება, ვინც შეიპყრობს შენს ჩვილებს და კლდეს შეანარცხებს!

ფსალმუნი 137

- ¹დავითისა. მადლობას გწირავ, უფალო, მთელი ჩემი გულით, ღმერთების წინაშე გიგალობებ შენ!
- ²თაყვანს ვცემ შენს წმიდა ტაძარს, და მადლობას ვწირავ შენს სახელს შენი წყალობისა და ჭეშმარიტების გამო, რადგან განადიდე ყველაფერზე მეტად შენი სახელი და სიტყვა შენი.
- ³რა დღესაც მოგიხმობდი, შენ მპასუხობდი; მხნეობად მიეც ჩემს სულს სიძლიერე.
- ⁴განგადიდებენ, უფალო, ყოველნი მეფენი ქვეყნიერებისა, როცა მოისმენენ შენს ბაგეთა ნათქვამს.
- ⁵და უგალობებენ უფლის გზასავალს, რადგან დიდია დიდება უფლისა.
- ⁶რადგან მაღალია უფალი და თავმდაბალს ხედავს; ხოლო მედიდურს შორიდან შეიცნობს.
- ⁷თუნდაც საფრთხეში გავიარო, შენ მე დამიცავ; ჩემი მტრების ჯიბრზე გამომიწოდებ ხელს და დამიხსნის მარჯვენა შენი.
- ⁸უფალი თავის მიზანს აღასრულებს ჩემზე; უფალო, შენი წყალობა მარადიულია; ნუ მიატოვებ ხელთა შენთა ქმნილებას.

ფსალმუნი 138

- ¹გუნდის ლოტბარს. დავითის ფსალმუნი. უფალო, შენ გამომცადე და შემიცან მე.
- ²შენთვის ცნობილია, როდის ვჯდები და როდის ვდგები; შეიცნობ ჩემს ზრახვებს შორიდან.



- ³ჩემს სვლასა და ჩემს წოლას შენ განსაზღვრავ, და ყველა ჩემი გზა შენ გამოიკვლიე.
- ⁴თუნდაც ჯერ არ იყოს სიტყვა ჩემს ენაზე, შენ უკვე იცი, უფალო, სრულად.
- ⁵უკნიდან და წინიდან გარემომიცავი და დადე ჩემზე ხელი შენი.
- ⁶მაოცებს – როგორ შემიცან ასე; მაღალია, ვერ შევწვდები ამას.
- ⁷საით წაუვალ შენს სულს და შენს სახეს სად გავექცევი?
- ⁸ზეცაში თუ ავალ, შენ იქა ხარ, ქვესკნელში ჩავალ – იქაც ხარ შენ!
- ⁹ფრთებიც რომ გამოვისხა განთიადისა, დავსახლდე ზღვის კიდეზე,
- ¹⁰იქაც შენი ხელი წამიდგება და შემვივრდომებს მარჯვენა შენი!
- ¹¹თუ ვიტყვი: ვაი თუ ბნელმა დამფაროს, – ღამეც კი სინათლედ გადაიქცევა ჩემს ირგვლივ.
- ¹²სიბნელეც არაა წყვდიადი შენთვის, და ღამე დღესავით განათდება; რადგან სიბნელეც სინათლეა შენთვის!
- ¹³რადგან შენ დაბადე თირკმელნი ჩემნი, შენ გამომძერწე დედის წიაღში.
- ¹⁴გადიდებ, რადგან საოცრებით შემქმენი; საკვირველია საქმენი შენნი! კარგად ვიცი ეს მე.
- ¹⁵არ დაფარულა ჩემი ძვლები შენგან, როცა ჩავისახე იდუმალებაში, შევნივთდი მიწის წიაღში.
- ¹⁶ჩემი ჩანასახი იხილეს შენმა თვალებმა და შენს წიგნში ჩაწერილი იყო ჩემი მომავალი დღეები, როცა ჯერ არ იყო არც ერთი მათგანი.
- ¹⁷რაოდენ ძვირფასია შენი ზრახვანი ჩემთვის, ღმერთო! რაოდენ დიდია მათი რიცხვი!
- ¹⁸თუ დავთვლი, ქვიშაზე უმრავლესია; გავიღვიძებ და, ისევ შენთან ვარ!
- ¹⁹ნეტამც მოსრავდე, ღმერთო, ბოროტს! ნეტავ გამშორდნენ სისხლისმსმელები!
- ²⁰ავს რომ ამბობენ შენზე და ბოროტად სარგებლობენ შენი სახელით.
- ²¹განა არ უნდა მოვიძულო, უფალო, შენი მოძულენი, და შენს მოდავეებს არ უნდა ვედაო?
- ²²სრული სიძულვილით მოვიძულე ისინი, და მტრებად მექცნენ მე.
- ²³გამომცადე, ღმერთო, და შეიცან ჩემი გული; შემამოწმე და შეიცან ჩემი აზრები.



²⁴იხილე, ბოროტების გზაზე ხომ არ ვდგავარ, და წამიძეხი მარადიულ გზაზე!

ფსალმუნი 139

¹გუნდის ლოტბარს. ფსალმუნი დავითისა.

²მიხსენ, უფალო, ბოროტი ადამიანისაგან, მოძალადე კაცისაგან დამიფარე!

³რადგან ბოროტებას იზრახავენ ისინი გულში და ყოველდღე საომრად ემზადებიან.

⁴გველივით მოილესეს ენები, ასპიტის შხამია მათ ბაგეებს ქვეშ.

⁵დამიცავი, უფალო, ბოროტთა ხელისაგან, მოძალადე კაცთაგან დამიფარე, რომელთაც განიზრახეს ჩემი ნაბიჯების დაბრკოლება!

⁶გამიმზადეს ამპარტავნებმა მახე და საბელი, ბადე განართხეს გზაზე, ხაფანგი დამიგეს. –

⁷ვუთხარი უფალს: „ჩემი ღმერთი ხარ; ისმინე, უფალო, ხმა ჩემი ვედრების!“

⁸უფალო, ღმერთო ჩემო, ძალავ ჩემი ხსნისა! შენ დაიფარე ჩემი თავი ბრძოლის დღეს!

⁹ნუ აღასრულებ, უფალო, ბოროტის გულისწადილს, მის ბოროტ ზრახვას ნუ მისცემ გზას,

¹⁰დაფაროს ჩემს გარემომცველთა თავი მათ ბაგეთა ბოროტებად;

¹¹გავარვარებული ნაკვერჩხლები დაეფრქვეთ თავზე, ჩაინთქნენ ისინი ღრმა ორმოში, რომ ველარ წამოდგნენ!

¹²ავსიტყვა კაცი ნუ გაძლებს ქვეყანაზე, მოძალადე კაცი ბოროტებამ მოინადიროს ძირს დასაცემად!

¹³ვიცი, რომ განიკითხავს უფალი გლახაკს და მისცემს სამართალს უპოვართ.

¹⁴ხოლო მართალნი მადლს შესწირავენ შენს სახელს, და წრფელნი დამკვიდრდებიან შენს წინაშე.

ფსალმუნი 140

¹ფსალმუნი დავითისა. უფალო, შენ მოგიხმობ, გამოეშურე ჩემსკენ! ისმინე ჩემი ხმა, რაჟამს მოგიხმობ!



²წარემართოს ჩემი ლოცვა შენს წინაშე, ვითარცა საკმეველი, ჩემს ხელთა აღპყრობა იყოს სადამოს მსხვერპლი!

³დაუყენე, უფალო, გუშაგი ჩემს პირს, დაიცავი ბაგენი ჩემნი.

⁴არ გადაახვევინო ჩემს გულს ავი სიტყვისაკენ, ბოროტ საქმეთა ჩასადენად ურჯულო კაცებთან ერთად, და ნუ ვიგემებ მათი სუფრიდან!

⁵დაე, დამსაჯოს მართალმა: ეს წყალობაა; დაე, მამხილოს: ეს რჩეული ზეთია ჩემი თავისათვის, არ ავნებს ჩემს თავს, რადგან ჩემი ლოცვა მუდამ ბოროტების წინააღმდეგ არის მიმართული.

⁶დაიმსხვრნენ კლდის ქიმებზე მსაჯულნი მათნი. მაშინ მიხვდებიან, რომ უფლის სიტყვა ჭეშმარიტია.

⁷როგორც დაღეწილი წისქვილის ქვა მიწაზე, ისე განიბნევა მათი ძვლები შეოლის ყბაში.

⁸რადგან შენსკენაა, უფალო, ღმერთო ჩემო, თვალი ჩემი; შენ გესავ, ნუ დატოვებ დაუცველს ჩემს სულს!

⁹დამიფარე მახისაგან, რომელიც დამიგეს და ურჯულოთა ხაფანგისაგან.

¹⁰დაე გაეზნენ თავიანთ ბადეებში ბოროტნი ერთიანად, ვიდრე მე გავივლიდე.

ფსალმუნი 141

¹მოდღვრება დავითისა, მისი მღვიმეში ყოფნის დროს. ლოცვა. ჩემი ხმით უფალს შევლაღადებ, ჩემი ხმით უფალს შევევედრები.

²გადმოვღვრი მის წინაშე ჩემს გულისნადებს, გამოვთქვამ ჩემს გასაჭირს მის წინაშე.

³როცა ჩემს შიგნით შეწუხებულია სული ჩემი, შენ იცი ჩემი გზა-კვალი! გზაზე, რომლითაც დავდივარ, დამიგეს მახე.

⁴ვიმზირები მარჯვნივ და ვუყურებ, მაგრამ არავინ მცნობს მე; აღარ არსებობს ხსნა ჩემთვის, არავინ ზრუნავს ჩემზე.

⁵ამიტომ მოგიხმობ, უფალო; ვამბობ: შენ ხარ ჩემი თავშესაფარი, ჩემი ხვედრი ცოცხალთა ქვეყანაში.

⁶ყური მიუგდე ჩემს ღაღადისს, რადგან დავმდაბლდი ფრიად; მიხსენი ჩემს მდევნელთაგან, ვინაიდან ჩემზე ძლიერნი არიან!

⁷გამოიყვანე საპყრობილედან სული ჩემი, რათა ვადიდო სახელი შენი! გარს შემომეხვევიან მართალნი, რადგან კეთილს მომაგებ.



ფსალმუნი 142

- ¹ფსალმუნი დავითისა. უფალო, ისმინე ლოცვა ჩემი, ყურად იღე ჩემი ვედრება! მიპასუხე შენი ჭეშმარიტებით, შენი სიმართლით!
- ²ნუ შეხვალ სამართალში შენს მსახურთან, რადგან ვერ გამართლდება შენს წინაშე ვერავინ.
- ³რადგან დევნა მტერმა ჩემი სული, მიწაზე დაანარცხა ჩემი სიცოცხლე, დამსვა ბნელეთში დიდი ხნის მკვდრების მსგავსად.
- ⁴ამიტომ შეწუხდა ჩემში სული ჩემი, გული ჩემი დანალვლიანდა ჩემში.
- ⁵ვიხსენებ ძველ დღეებს, ვფიქრობ ყოველ შენს ნამოქმედარზე, ვუკვირდები შენი ხელის საქმეებს.
- ⁶ვიწვდი ხელებს შენსკენ; ჩემს სულს, ვითარცა მიწას გამოფიტულს, მოსწყურდი შენ.
- ⁷მსწრაფლ მიპასუხე, უფალო, სული ჩემი გაილია! ნუ დაფარავ შენს სახეს ჩემგან, თორემ დავემსგავსები საფლავში ჩასულებს.
- ⁸მომასმენინე დილდილობით შენი წყალობა, რადგანაც შენი იმედი მაქვს. მაუწყე, რომელი გზით ვიარო, რადგან შენსკენ აღვაპყრობ ჩემს სულს.
- ⁹მიხსენ ჩემს მტერთაგან, უფალო; შენთან ვაფარებ თავს!
- ¹⁰მასწავლე შესრულება შენი ნებისა, რადგან შენა ხარ ჩემი ღმერთი! შენი კეთილი სული წამიდღვეს სიმართლის გზაზე!
- ¹¹შენი სახელის გულისათვის მაცოცხლე, უფალო! შენი სიმართლით გამოიყვანე გასაჭირიდან ჩემი სული!
- ¹²შენი წყალობით მოსპე ჩემი მტრები, დაღუპე ყოველი მჩაგვრელი ჩემი სულისა, რადგან მე შენი მორჩილი ვარ.

ფსალმუნი 143

- ¹დავითისა. კურთხეულ არს უფალი, კლდე ჩემი, რომელიც ასწავლის ჩემს ხელებს ბრძოლას, ჩემს თითებს – ომს.
- ²მწყალობელო ჩემო და სიმაგრე ჩემო, მცველო ჩემო და მხსნელო ჩემო; ჩემი ფარი ხარ, რომელიც მიფარავს, მიმორჩილებს ჩემს ხალხს.
- ³უფალო, რა არის კაცი, რომ გახსოვს იგი, მე ადამისა, რომ რაიმედ მიიჩნევ?
- ⁴ადამიანი ჰგავს ამოსუნთქვას, მისი დღეები – ვითარცა ჩრდილი გარდასული.



- ⁵უფალო, მოდრიკე ცანი შენნი და გადმოდი! შეეხე მთებს, რომ აკვამლდნენ!
- ⁶გამოაელვე ელვანი და გაფანტე ისინი, გამოუშვი ისარნი შენნი და თავზარი დაეცი მათ!
- ⁷გამოიწოდე შენი ხელი მაღლიდან; მიხსენ და გადამარჩინე მრავალ წყალთაგან, უცხო ტომთა ხელთაგან,
- ⁸რომელთა ბაგენი ტყუილს ამბობენ და რომელთა მარჯვენა სიცრუის მარჯვენაა.
- ⁹ღმერთო, ახალ გალობას გიგალობებ შენ. ათსიმიან ჩანგზე გიგალობებ,
- ¹⁰შენა ხარ მეფეთათვის ძლევის მიმნიჭებელი, შენ იხსნი დავითს, შენს მსახურს. მიხსენ მე მსახვრალი მახვილისაგან.
- ¹¹გადამარჩინე უცხოთესლთა ხელიდან, რომელთა ბაგენი ტყუილს ამბობენ და რომელთა მარჯვენა სიცრუის მარჯვენაა.
- ¹²დაე ჩვენი ძენი ნერგებივით იყვნენ სიჭაბუკეში; იყვნენ ჩვენი ასულნი, ვითარცა სასახლის მშვენივრად თლილი სვეტები.
- ¹³ჩვენი ბედლები სავსე იყოს მოსავლით; ჩვენი ცხვრები ათასობდნენ და 10 ათასობდნენ ჩვენს საძოვრებზე.
- ¹⁴ჩვენი ხარები დატვირთულნი იყვნენ, არ იყოს არც ზარალი და არც დანაკლისი და არც გოდება ჩვენს ქუჩებში!
- ¹⁵ნეტარ არს ხალხი, რომელიც ასეა ნაკურთხი! ნეტარ არს ხალხი, რომლის ღმერთიც უფალია!

ფსალმუნი 144

- ¹ხოტბა დავითისა. აღგამაღლებ შენ, ღმერთო ჩემო და მეფეო ჩემო, და ვაკურთხებ შენს სახელს უკუნითი უკუნისამდე.
- ²ყოველდღე ვაკურთხებ შენ და ვადიდებ შენს სახელს უკუნითი უკუნისამდე.
- ³დიდია უფალი და ქებულია ფრიად, სიდიადე მისი მიუწვდომელია.
- ⁴თაობა თაობას უქებს შენს საქმეებს და შენს სიძლიერეს აუწყებენ.
- ⁵შენს დიად მშვენებას, შენს დიდებას, შენს საოცარ საქმეებს დავუკვირდები.
- ⁶შენს საზარელ სიძლიერეზე ილაპარაკებენ, და მე შენს სიდიადეს ვაუწყებ.
- ⁷შენი მრავალი სიკეთის დიდებას წარმოთქვამენ, და შენს სიმართლეს უმღერებენ.



- ⁸გულმოწყალე და შემბრალეა უფალი, სულგრძელი და დიდად მოწყალე.
- ⁹კეთილია უფალი ყველას მიმართ და მისი წყალობა ყველა მის ქმნილებაზეა.
- ¹⁰მადლობას მოგიძღვნის შენ, უფალო, ყველა შენი ქმნილება, და შენი წმიდანნი დაგლოცავენ შენ.
- ¹¹შენი მეფობის დიდებას აუწყებენ, და შენს სიძლიერეზე ილაპარაკებენ,
- ¹²რათა ამცნონ ადამის ძეთ შენი სიძლიერე და ბრწყინვალე დიდება შენი მეუფებისა.
- ¹³შენი მეფობა – მეფობაა ყველა საუკუნისა და შენი ბატონობა – თაობებში.
- ¹⁴უფალი შემწეა ყველა დაცემულისა და გამმართავი ყველა წელში მოხრილისა.
- ¹⁵ყველას თვალები შენ შემოგცქერის და შენ აძლევ მათ საზრდოს თავის დროზე.
- ¹⁶გახსნი შენს ხელს და დააკმაყოფილებ ყოველ სულდგმულს.
- ¹⁷მართალია უფალი ყველა თავის გზაზე და მოწყალეა ყველა თავის საქმეში.
- ¹⁸ახლოსაა უფალი ყველა მის მლოცველთან, ყოველთან, ვინც მას მოუხმობს ჭეშმარიტებით.
- ¹⁹მის მოშიშთა სურვილს ასრულებს, მათ ღადადს ისმენს და შველის მათ.
- ²⁰იცავს უფალი ყველა მის მოყვარულს და ყველა ბოროტს მოსპობს.
- ²¹ხოტბას უფლისა აუწყებს პირი ჩემი, და აქებს ყოველი ხორციელი მის წმიდა სახელს უკუნითი უკუნისამდე!

ფსალმუნი 145

- ¹ადიდეთ უფალი! ადიდე, სულო ჩემო, უფალი!
- ²ვადიდებ უფალს მთელი სიცოცხლე, ვუგალობებ ჩემს ღმერთს, ვიდრე ვარსებობ!
- ³ნუ დაამყარებთ იმედს მთავრებზე, ადამის ძეებზე, რომელთაც არ შეუძლიათ შველა,
- ⁴როდესაც ამოუვათ სული, დაუბრუნდებიან მიწას; იმ დღესვე განქარდება მისი გეგმები.



⁵ნეტარ არს, ვისი შემწეცაა ღმერთი იაკობისა, ვინც უფალზე, მის ღმერთზე ამყარებს იმედს,

⁶რომელმაც შექმნა ცა და მიწა, ზღვა და ყოველივე, რაც მასშია; რომელიც იცავს ერთგულებას უკუნისამდე;

⁷იქმს სამართალს ჩაგრულთათვის, აძლევს პურს მშვიდრებს, უფალი ათავისუფლებს ტყვეებს.

⁸უფალი თვალს უხელს ბრძემს, უფალი აღმართავს წელმოდრეკილებს, უფალს უყვარს მართალნი.

⁹უფალი იცავს ხიზნებს; ქვრივ-ობლებს ამხნევებს, ბოროტთა გზებს კი ანადგურებს.

¹⁰იმეფებს უფალი უკუნისამდე, ღმერთი შენი, სიონო, თაობიდან თაობამდე. ადიდეთ უფალი!

ფსალმუნი 146

¹ადიდეთ უფალი! რადგან კარგია განდიდება ჩვენი უფლისა: რადგან სასურველია და შემშენის ქება-დიდება.

²უფალი აღაშენებს იერუსალიმს, კრებს განდევნილებს ისრაელისა.

³კურნავს გულგატეხილებს და ჭრილობებს უხვევს მათ.

⁴იგი განსაზღვრავს ვარსკვლავთა რიცხვს, ყველას თავის სახელს უწოდებს.

⁵დიდია უფალი და ძალმოსილი, მისი გონიერება განუზომელია.

⁶ამხნევებს მორჩილებს უფალი, ბოროტებს კი ამდაბლებს მიწამდე.

⁷უმღერეთ უფალს მადლობის გალობით, უგალობეთ ჩვენს ღმერთს ქნარით!

⁸ის ფარავს ცას ღრუბლებით, ამზადებს დედამიწისათვის წვიმას, აღმოაცენებს მთებში ბალახს;

⁹აძლევს საზრდოს პირუტყვს და ყორნის ბახალებს, რომელნიც მოუხმობენ მას.

¹⁰არც ცხენის ძლიერებას ისურვებს, არც კაცის მუხლმაგრობას ინებებს.

¹¹სათნო არიან უფლისათვის მისი მოშიშნი, მისი წყალობის მოიმედენი.

ფსალმუნი 147

¹აქე, იერუსალიმო, უფალი! ადიდე შენი ღმერთი, სიონო!



- ²რადგან ის ამაგრებს შენი ჭიშკრების ურდულებს, ის აკურთხებს შენს ძეებს.
- ³ამკვიდრებს შენს საზღვრებზე მშვიდობას, ხორბლის ყუათით დაგამაძღრისებს.
- ⁴წარმოავლენს თავის სიტყვას დედამიწაზე, სწრაფად რბის ბრძანება მისი.
- ⁵წარმოგზავნის თოვლს მატყლივით, თრთვილს ფერფლად მიმოფანტავს.
- ⁶გადმოუშვებს სეტყვას პურის ნატეხებივით, მის სუსხს ვინ დაუდგება წინ?
- ⁷მოავლენს თავის სიტყვას და დაადნობს მათ; დაუბერავს ქარს და წყლებს აღმოადენს.
- ⁸ამცნობს თავის სიტყვას იაკობს, წესებს და სამართალს თვისას – ისრაელს.
- ⁹არ უქმნია ეს არც ერთი სხვა ერისათვის და მისი სამართალნი არ იციან მათ. ადიდეთ უფალი!

ფსალმუნი 148

- ¹ადიდეთ უფალი! ადიდეთ უფალი ზეციდან, ადიდეთ იგი მაღლთა შინა!
- ²ადიდეთ იგი, ყოველნო ანგელოზნო მისნო; ადიდეთ იგი, ყოველნო ძალნო მისნო!
- ³ადიდეთ იგი, მზეო და მთვარევ; ადიდეთ იგი, ყოველნო შუქურვარსკვლავნო!
- ⁴ადიდეთ იგი, ცანო ცათანო, და მისნო წყალნო, რომელნიც ხარო ცათა ზემოთ!
- ⁵ადიდონ სახელი უფლისა! რადგან მან ბრძანა და შეიქმნენ,
- ⁶და დააყენა ისინი უკუნითი უკუნისამდე; მისცა წესი და ვერვინ გადაუხვევს.
- ⁷ადიდეთ უფალი დედამიწიდან, ზღვის ურჩხულნო და ყოველნო უფსკრულნო!
- ⁸ცეცხლო და სეტყვავ, თოვლო და ნისლო, ქარბუქო, მისი სიტყვის შემსრულებლო!
- ⁹მთანო და ბორცვნო, მსხმოიარე ხეებო და კედარნო ყოველნო!
- ¹⁰მხეცნო და პირუტყვნო, ქვეწარმავალნო და ფრინველნო ფრთოსანნო!
- ¹¹მეფენო ქვეყნისა და ყოველნო ტომნო, მთავარნო და ყოველნო მმართველნო ქვეყნისა!



¹²ჭაბუკნო და თქვენც, ქალწულნო, მოხუცნო, ყმაწვილებთან ერთად!

¹³ადიდეთ სახელი უფლისა, რადგან მხოლოდ მისი სახელია ამაღლებული, მისი სიდიადეა ქვეყნად და ცაში.

¹⁴მან აამაღლა რქა თავისი ერისა, დიდება ყოველი მისი წმიდისა, ისრაელის მეთა, ხალხისა, რომელიც ახლოს არის მასთან. ადიდეთ უფალი!

ფსალმუნი 149

¹ადიდეთ უფალი! უგალობეთ უფალს გალობა ახალი, დიდება მისი წმიდათა კრებულში!

²იხაროს ისრაელმა თავისი შემოქმედით, იზეიმონ სიონის ძეებმა თავიანთი მეუფით!

³განადიდონ მისი სახელი როკვით, დაფით და ქნარით უგალობონ მას!

⁴რადგან ისურვებს უფალი თავის ხალხს, დაამშვენებს თავმდაბლებს გამარჯვებით.

⁵იმხიარულონ წმიდებმა ღირსებით, ილაღადონ სიხარულით თავიანთ სარეცლებზე.

⁶ღმერთის განდიდება იყოს მათ ხორხში და ორლესული მახვილი მათ ხელში.

⁷რათა შური იძიონ ერებზე, დასაჯონ ტომები,

⁸შეკრან მათი მეფენი ბორკილებით და დიდებულნი მათნი – რკინის ხუნდებით.

⁹განუმზადონ მათ სამართალი დაწერილი! დიდებაა ის ყველა მისი წმიდისათვის. ადიდეთ უფალი!

ფსალმუნი 150

¹ადიდეთ უფალი! ადიდეთ ღმერთი თავის სიწმიდეში, ადიდეთ იგი მისი ძლიერების სიმყარეში!

²ადიდეთ იგი მის მძლავრ საქმეთათვის, ადიდეთ იგი მისი უსაზღვრო სიდიადით!

³ადიდეთ იგი ბუკის ცემით, ადიდეთ იგი ჩანგით და ქნარით!

⁴ადიდეთ იგი დაფით და როკვით, ადიდეთ იგი ებნით და სტვირით!



⁵ადიდეთ იგი ტკბილხმოვანი წინწილებით, ადიდეთ იგი წკრიალა წინწილებით!

⁶ყოველმა სულდგმულმა ადიდოს უფალი! ადიდეთ უფალი!



იგავნი სოლომონისა

იგავნი 1

- ¹იგავნი სოლომონისა, დავითის ძისა, ისრაელის მეფისა.
- ²შესაცნობად სიბრძნისა და შეგონებისა, გონიერ ნათქვამთა შესამეცნებლად;
- ³ბრძნული ქცევის, სიმართლის, სამართლისა და სიწრფელის სწავლების მისაღებად;
- ⁴ბრიყვთათვის გონიერების, ყმაწვილთათვის ცოდნისა და სიფრთხილის მისანიჭებლად.
- ⁵ისმინოს ბრძენმა და სიბრძნე შეემატოს, გონიერმა კი გამჭრიახობა შეიძინოს,
- ⁶რომ მიხვდეს იგავებსა და ანდაზებს, ბრძენთა სიტყვებსა და გამოცანებს.
- ⁷უფლის შიში ცოდნის სათავეა, ბრიყვებს კი სძულთ სიბრძნე და დარიგება.
- ⁸ისმინე, შვილო ჩემო, მამაშენის დარიგება და დედაშენის სწავლებას ნუ გადახვალ,
- ⁹რადგან ისინი ბრწყინვალე გვირგვინია შენს თავზე და მშვენიერი სამკაული შენს ყელზე.
- ¹⁰შვილო ჩემო, თუ ცოდვილნი ეცდებიან გაცდუნონ, ნუ გაჰყვები მათ.
- ¹¹თუ გეტყვიან: „წამოდი ჩვენთან, ჩავუსაფრდეთ სისხლის საღვრელად, უმიზეზოდ დავუდარაჯდეთ უდანაშაულოთ,
- ¹²და ცოცხლად გადავცლაპოთ ისინი, როგორც შავეთმა საფლავში ჩამავალნი,
- ¹³ყოველგვარ სიმდიდრეს მოვიხვეჭთ, ჩვენს სახლებს ნაყაჩადართ ავაესებთ;
- ¹⁴წილი დაიდე ჩვენთან, საერთო ქისა გვექნება ყველას!”
- ¹⁵შვილო ჩემო, ნუ ივლი მათი გზით, ფეხი მოარიდე მათ ბილიკებს,
- ¹⁶რადგან მათი ფეხი საბოროტოდ რბის და სისხლის დათხევას ესწრაფვის;
- ¹⁷ამაოდ უგებენ ფრინველს მახეს, თუ მისი მახვილი თვალი ხედავს მას.
- ¹⁸თავიანთი სისხლის დასაღვრელად არიან ჩასაფრებულნი და საკუთარი თავის მოსაკლავად დადარაჯებულან ისინი.
- ¹⁹ასეთია ყველა უძლევი მომხვეჭლის გზები: საკუთარ თავს ღუპავენ ისინი.



- ²⁰სიბრძნე ქუჩებში ღაღადებს და მოედნებზე იმაღლებს ხმას;
- ²¹ხალხმრავალ ადგილებში ქადაგებს, ქალაქის კარიბჭის ზღურბლთან ამბობს თავის სათქმელს:
- ²²„როდემდის უნდა უყვარდეთ უგუნურებს სიბრიყვე? როდემდის უნდა ტკბებოდნენ თავქარიანები თავქარიანობით? და როდემდის უნდა სძულდეთ სულელებს ცოდნა?
- ²³დაუბრუნდით ჩემს შეგონებებს, აჰა, გამოგითქვამთ ჩემს გულისთქმას, გაუწყებთ ჩემს სიტყვებს.
- ²⁴მე მოგიხმობდით, თქვენ კი ყურს არ მიგდებდით; ხელს გიწვდიდით, მაგრამ გამგონე არავინ იყო.
- ²⁵თქვენ უგულებელყავით ყველა ჩემი რჩევა და ჩემი შეგონებები არ ისურვეთ.
- ²⁶ამიტომ მეც გავიცინებ თქვენს უბედურებაზე; გავიხარებ, როცა თავზარი დაგეცემათ.
- ²⁷როცა ქარიშხალივით დაგაცხრებათ ძრწოლა და უბედურება გრიგალივით დაგატყდებათ თავს, როდესაც გეწევთ უბედურება და გასაჭირი,
- ²⁸მაშინ მომიხმობენ და მე არ ვუპასუხებ; ძებნას დამიწყებენ და ვერ მიპოვიან.
- ²⁹რაკი მოიძულეს ცოდნა და უფლის შიში არ ირჩიეს,
- ³⁰არ ინდომეს ჩემი რჩევა, მოიძულეს ყველა ჩემი შეგონება, –
- ³¹იგემებენ თავიანთი გზის ნაყოფს და თავიანთი ბოროტი ზრახვებით გაძლებიან.
- ³²რადგან ბრიყვებს მათი განდგომა მოკლავს და ქარაფშუტებს – მათი დაუდევრობა.
- ³³ხოლო ვინც მომისმენს, მშვიდად იცხოვრებს და არ ექნება უბედურების შიში.“

იგავნი 2

- ¹შვილო ჩემო, თუ მიიღებ ჩემს ნათქვამს და ჩემს მცნებებს დაიუნჯებ,
- ²ყურადღებით თუ მოუსმენ სიბრძნეს, შენს გულს მიაპყრობ გონიერებას,
- ³თუ გონებას მოუხმობ და აიმაღლებ ხმას საზრიანობისთვის,



- ⁴თუ მიელტვი მას, როგორც ვერცხლს, და ეძიებ მას, როგორც დაფარულ საუნჯეს,
- ⁵მაშინ შეიგნებ უფლის შიშსა და უფლის შეცნობას ჰპოვებ.
- ⁶რადგან უფალი იძლევა სიბრძნეს, მისგანაა ცოდნა და გონიერება.
- ⁷ის აგროვებს საზრიანობას პატიოსანთათვის, ის ფარია უბიწოდ მავალთათვის,
- ⁸ის იცავს სამართლის გზებს და წმიდათა ბილიკებს უფრთხილდება.
- ⁹მაშინ შეიცნობ სამართალსა და სიმართლეს და პატიოსნებას – სიკეთის ყველა ბილიკს.
- ¹⁰მაშინ შევა სიბრძნე შენს გულში და ცოდნა ეამება შენს სულს,
- ¹¹განსჯა დაგიფარავს და საზრიანობა დაგიცავს,
- ¹²რათა გიხსნას ბოროტი გზისაგან, სიცრუის მეტყველი კაცისაგან,
- ¹³მათგან, რომელნიც ტოვებენ სწორ გზებს, რათა იარონ სიბნელეში,
- ¹⁴რომლებიც ხარობენ ბოროტმოქმედებით და ილხენენ ბოროტი უკუღმართობით,
- ¹⁵რომელთა გზები მრუდეა და რომელთა ბილიკები უკუღმართია;
- ¹⁶მაშინ გადარჩები უცხო ქალისაგან, მრუშისაგან, რომელიც მლიქვნელი ენით გზიბლავს,
- ¹⁷რომელმაც დატოვა თავისი სიჭაბუკის მეგობარი და თავისი ღმერთის აღთქმა დაივიწყა,
- ¹⁸რადგან მისი სახლი სიკვდილის მახეა და მისი ბილიკები შავეთის აჩრდილებისკენ მიემართება.
- ¹⁹ვერც ერთი იქ ჩასული უკან ვერ ბრუნდება და ველარ ჰპოვებს სიცოცხლის გზას.
- ²⁰ამიტომ იარე კეთილთა გზით და მართალთა ბილიკებს არ გადაუხვიო.
- ²¹რადგან წრფელნი ქვეყანას დაიმკვიდრებენ და უბიწონი დარჩებიან მასში;
- ²²ბოროტნი კი ქვეყნიდან მოიკვეთებიან და მზაკვარნი აღმოიფხვრებიან მისგან.

იგავნი 3



- ¹შვილო ჩემო, ჩემს სწავლებას ნუ დაივიწყებ, და ჩემი მცნებანი დაიცვას შენმა გულმა,
- ²რადგან დღეგრძელობას, სიცოცხლის წლებსა და მშვიდობას შეგმატებენ შენ.
- ³წყალობა და ჭეშმარიტება ნუ დაგტოვებს, შეიბი ისინი ყელზე და დაიწერე გულის ფიცარზე,
- ⁴მაშინ ჰპოვებ წყალობასა და სიკეთეს ღმერთისა და კაცის თვალში.
- ⁵მიენდე უფალს მთელი გულით და შენს გონებას ნუ დაენდობი.
- ⁶ყოველ შენს გზაზე შეიცანი იგი, და ის წარმართავს შენს ბილიკებს.
- ⁷ნუ იქნები ბრძენი შენს თვალში; გეშინოდეს უფლისა და განერიდე ბოროტებას.
- ⁸მკურნალი იქნება ეს შენი სხეულისთვის და ძალას შემატებს შენს ძვლებს.
- ⁹პატივი მიაგე უფალს შენი ქონებით და მთელი შენი ჭირნახულის პირველნაყოფით,
- ¹⁰და გაივსება შენი ბელები ჭერამდე და მაჭარი აქაფდება შენს საწნახელებში.
- ¹¹უფლის წვრთნას, შვილო ჩემო, ნუ უკუაგდებ და მის შეგონებას ნუ მოიძულებ;
- ¹²რამეთუ ვინც უყვარს, იმას სჯის უფალი, როგორც მამა – საყვარელ შვილს.
- ¹³ნეტარია სიბრძნის მპოვნელი და გონიერების მომხვეჭელი!
- ¹⁴რადგან სიბრძნის მოხვეჭა ვერცხლის მოხვეჭას სჯობს, და მისი ქონა ხალასი ოქროს ქონას აღემატება.
- ¹⁵თვალ-მარგალიტზე უფრო ძვირფასია იგი და არაფერი სანატრელი არ შეედრება მას.
- ¹⁶დღეგრძელობაა მის მარჯვენაში, მის მარცხენაში – სიმდიდრე და პატივი.
- ¹⁷მისი გზები საამურია, და მისი ყველა ბილიკი მშვიდობაა.
- ¹⁸სიცოცხლის ხეა იგი მის მსასოებელთათვის; ნეტარია, ვინც მას არ დასთმობს.
- ¹⁹სიბრძნით დააფუძნა უფალმა დედამიწა, გონებით განამტკიცა ცანი.
- ²⁰მისი სიბრძნით უფსკრულები გაიხსნა და ღრუბელნი ცვარს აპკურებენ.



- ²¹შვილო ჩემო! ნუ დაიფარება ეს შენს თვალთაგან; შეინარჩუნე გონიერება და განსჯა.
- ²²და იქნებიან ისინი სიცოცხლე შენი სულისა და სამკაული შენი ყელისა.
- ²³მაშინ ივლი უსაფრთხოდ შენს გზაზე და შენი ფეხი არ დაბრკოლდება.
- ²⁴როცა დაწვები, არ შეგეშინდება და ტკბილი ძილით დაიძინებ.
- ²⁵ნუ შეგაკრთობს უეცარი შიში და ნურც ქარიშხალი, რომელიც ბოროტეულთ ატყდება თავს,
- ²⁶რადგან უფალი იქნება შენი საყრდენი და დაიცავს შენს ფეხს მახისაგან.
- ²⁷ნუ დაუჭერ სიკეთეს მას, ვისაც სჭირდება, თუ შენს ხელს ძალუმს ამის გაკეთება.
- ²⁸ნუ ეტყვი მოყვასს: წადი და ხვალ მოდი და მაშინ მოგცემო, თუ მისაცემელი თანა გაქვს.
- ²⁹ნუ განიზრახავ შენი მოყვასისათვის ბოროტს, თუ ის მოგენდო და ცხოვრობს შენთან.
- ³⁰ნუ შეედავები ადამიანს უმიზეზოდ, თუ ბოროტი არ შეუმთხვევია შენთვის.
- ³¹ნუ შეგშურდება მოძალადისა და ნუ აირჩევ ნურც ერთს მის გზათაგან;
- ³²რადგან სისამაგლეა უფლის წინაშე მზაკვრობა, წრფელებს კი დაიახლოვებს იგი.
- ³³უფლის წყევლაა ბოროტეულის სახლზე, ხოლო მართალთა საცხოვრისს აკურთხებს იგი.
- ³⁴მკრეხელებს დასცინის, თავმდაბლებს კი მადლს აძლევს იგი.
- ³⁵ბრძენნი პატივს დაიმკვიდრებენ, ხოლო ბრიყვთა ხვედრი დამცირებაა.

იგავნი 4

- ¹ისმინეთ, შვილებო, მამის დარიგება, ყური დაუგდეთ, ჭკუა რომ ისწავლოთ.
- ²რადგან კარგ შეგონებებს გაძლევთ ის; ნუ მიატოვებთ ჩემს მოძღვრებას,
- ³რადგან მეც შვილი ვიყავი ჩემი მამისა, ნებიერი ჩემი დედისა,
- ⁴მამა მასწავლიდა და მეუბნებოდა: „მიიღოს შენმა გულმა ჩემი სიტყვები, დაიცავი ჩემი მცნებები და იცოცხლებ.



- ⁵შეიძინე სიბრძნე, შეიძინე გონიერება, ნუ დაივიწყებ და ნუ გადაუხვევ ჩემს ნათქვამს.
- ⁶ნუ განაგდებ სიბრძნეს და ის შეგეწევა შენ, გიყვარდეს იგი და ის დაგიცავს შენ.
- ⁷სიბრძნის სათავეა სიბრძნის შეძენა, ყოველგვარი საუნჯის ფარდად გამჭრიახობა შეიძინე.
- ⁸განადიდე იგი და აგამაღლებს შენ, პატივს მოგაგებს, თუ შეიტკბობ მას.
- ⁹ის დაგადგამს მაღლის გვირგვინს, დიდების შარავანდედით შეგამკობს შენ.”
- ¹⁰ისმინე, შვილო ჩემო, მიიღე ჩემი ნათქვამი და გაგიმრავლდება შენი სიცოცხლის წლები.
- ¹¹მე გასწავლე სიბრძნის გზა და სწორი გზა მიგითითე.
- ¹²გზაში არ დაგიმოკლდება ნაბიჯი და გაქცეული არ წაიბოროდიკებ.
- ¹³კრძალვით მოეპყარ ჩემს დარიგებას, ნუ მიატოვებ, დაიცავი, რადგან შენი სიცოცხლეა იგი.
- ¹⁴უკეთურთა კვალზე ნუ ივლი და ბოროტთა გზას ნუ დაადგები,
- ¹⁵ჩამოსცილდი მას და ნუ გაივლი მასზე, გადაუხვიე და გაიარე.
- ¹⁶რადგან არ დაიძინებენ ისინი, ბოროტება თუ არ ჩაიდინეს, და ძილი გაუკრთებათ, თუ ვინმე არ აცდუნეს,
- ¹⁷რადგან უღმრთოების პურს ჭამენ და ძალადობის ღვინოს სვამენ.
- ¹⁸მართალთა კვალი განთიადის ნათელივითაა, რომელიც თანდათან ძლიერდება დღის დადგომამდე.
- ¹⁹უღმრთოთა გზა კი წყვდიადია, არ იციან, სად წაიბოროდიკებენ.
- ²⁰შვილო ჩემო, ჩემს სიტყვებს უსმინე და ჩემს ნათქვამს მოაპყარ ყური;
- ²¹ნუ მოიშორებ მათ, გულის წიაღში დაიმარხე,
- ²²რადგან ისინი სიცოცხლეა მათი მპოვნელისათვის და კურნებაა მთელი მისი სხეულისათვის.
- ²³ყველა დასაცავზე მეტად დაიცავი შენი გული, რადგან მისგან მოედინებიან სიცოცხლის წყაროები.
- ²⁴მოიცვილე სიცრუე ბაგეთაგან და მზაკვრობა ენისაგან.
- ²⁵დაე, შენმა თვალებმა წინ იყურონ, და შენი წამწამები არ დახარო.



²⁶სწორად წარმართე შენი ნაბიჯები და ყველა შენი გზა უსაფრთხო იქნება.

²⁷ნურც მარჯვნივ გადაუხვევ, ნურც მარცხნივ და ფეხი შენი განარიდე ბოროტებას.

იგავნი 5

¹შვილო ჩემო, უსმინე ჩემს სიბრძნეს და ყური მიაპყარ ჩემს სწავლებას,

²რათა შეინარჩუნო გონიერება და შენმა ბაგეებმა დაიმარხონ ცოდნა.

³რადგან თაფლი მოსწვეთს უცხო ქალის ბაგეთაგან და ზეთივით ნაზია მისი სიტყვები,

⁴ბოლოს კი აბზინდაზე უმწარესი გახდება და ბასრი, ვით ორლესული მახვილი.

⁵მისი ფეხი სიკვდილისკენ მიდის, შავეთისკენ მიემართება,

⁶სიცოცხლის გზაზე ვერ დადის, გზა-კვალი არეული აქვს, ველარას აგნებს.

⁷მაშ მისმინეთ, შვილებო და ნუ უკუიქცევით ჩემს სიტყვათაგან.

⁸შორს დაიჭირე თავი მისგან და მისი სახლის ზღურბლს ნუ მიუახლოვდები,

⁹რათა არ მისცე სხვებს შენი ღირსება და წლები შენი სიცოცხლისა – დაუნდობელთ,

¹⁰რათა არ აღივსონ სხვები შენი ძალით, და შენი ნაოფლარით არ გაივსოს უცხოთა სახლები.

¹¹და აკვნესდები ბოლოს, როცა ძვალ-ტყავად იქცევი,

¹²და იტყვი: „რად მოვიძულე დარიგება და შეგონება რად შეიძაგა ჩემმა გულმა?“

¹³რად არ ვუსმინე ჩემს მწვრთნელთა ხმას, რად არ მივაპყარ ყური დარიგებებს?

¹⁴განადგურების პირასა ვარ თემისა და ხალხის წინაშე.“

¹⁵სვი წყალი შენი ჭიდან და შენი წყაროდან.

¹⁶რად უნდა იდინონ შენმა წყაროებმა ქუჩებში და ნაკადულებმა – მოედნებზე?

¹⁷მხოლოდ შენი იყოს ისინი და უცხო ნურავინ ჩაგეზიარება.

¹⁸კურთხეულ იყოს შენი წყარო და იხარე შენი სიჭაბუკის მეუღლით,



¹⁹საყვარელი შვლითა და ტურფა ნიამორით. მისმა მკერდმა მოგიკლას წყურვილი მარადჟამ, მისი სიყვარულით ტკბებოდე მუდამ!

²⁰რატომ გიტაცებს, შვილო ჩემო, უცხო ქალი და რატომ ეხვევი უზნეოს მკერდს?

²¹რამეთუ უფლის თვალწინაა კაცის გზები, და ის ხედავს მის ყოველ ნაბიჯს.

²²საკუთარი ავკაცობა შეიპყრობს უკეთურს და თავისი ცოდვის ბორკილებში გაიხლართება;

²³მოკვდება უგუნურებით, უზომო სიბრიყვით დაიკარგება.

იგავნი 6

¹შვილო ჩემო, თუ თავდებად დაუდექი შენს ახლობელს, თუ ხელი მიეცი სხვისთვის, –

²მახეში გაეხი შენი სიტყვით, შენი ბაგეთა ნათქვამის ტყვედ ქცეულხარ.

³ეცადე, შვილო ჩემო, და რაღაც ილონე, რომ გადარჩე შენი მეზობლის ხელიდან: წადი, იჩქარე, შეეხვეწე, არ მოეშვა;

⁴თვალი არ მოხუჭო, ძილი არ მიაკარო შენს ქუთუთოებს,

⁵იხსენი თავი, როგორც ქურციკმა მონადირისაგან და ვით ფრინველმა ფრინველთა მჭერისგან.

⁶მიდი ჭიანჭველასთან, მცონარავ, დააკვირდი მის გზებს და ისწავლე სიბრძნე.

⁷არა ჰყავს მას არც უფროსი, არც ზედამხედველი და არც ბატონი.

⁸ზაფხულში იმზადებს საზრდოს და მოსავლის აღებისას აგროვებს საკვებს.

⁹როდემდე იწვები, მცონარავ? როდის გელირსება გაღვიძება?

¹⁰ცოტას კიდევ იძინებ, ცოტას წასთვლემ, კიდევ იქნები გულხელდაკრეფილი,

¹¹და თავს დაგადგება სიღატაკე მაწანწალასავით, და გაჭირდება – ყაჩაღივით.

¹²კაცი უგვანი და უსამართლო სიცრუეს ვერ იშლის,

¹³თვალეbs ჭუტავს, ფეხს იცვლის, ხანაც თითებს იშვერს.

¹⁴მანკიერია მისი გული, ბოროტს განიზრახავს ყოველ ჟამს, განხეთქილებას თესავს.



- ¹⁵ამიტომ ანაზდად ეწევა უბედურება და უკურნებელი მარცხი.
- ¹⁶ექესი რამ სძულს უფალს და შვიდი რამ ეზიზღება:
- ¹⁷ამპარტავანი მზერა, ცრუ ენა, უცოდველი სისხლით დასვრილი ხელი,
- ¹⁸ბოროტ ზრახვათა მზრახველი გული, ბოროტებისკენ მორბენალი ფეხი,
- ¹⁹ცრუ და მზაკვარი მოწმე, და ძმათა შორის შუღლის მთესავი.
- ²⁰დაიცავი, შვილო ჩემო, მცნება მამისა, და დედის დამოდღვრას ნუ გადახვალ.
- ²¹გულზე დაიბნიე სამუდამოდ და ყელზე შემოიხვიე;
- ²²სიარულისას გიწინამძღვრებენ, ძილში დაგიფარავენ და გამოღვიძებულს კეთილად გესაუბრებიან.
- ²³რადგან მცნება ლამპარია, სწავლა – სინათლეა, ხოლო შეგონება სიცოცხლის გზაა.
- ²⁴ისინი დაგიფარავენ ავი ქალისაგან, უცხო ქალის დაშაქრული ენისაგან.
- ²⁵გულში ნუ ჩაგეჭრება მისი მშვენება, და ნუ დაგატყვევებს თავისი წამწამებით,
- ²⁶რადგან მეძავის ფასი ნატეხი პურია, სხვისი ცოლი კი მთელი შენი სიცოცხლის მომნადირებელია.
- ²⁷ვინ გამოიკრავს ცეცხლს უბეში, სამოსელი რომ არ დაეწვას?
- ²⁸თუ გაივლის ვინმე ნაკვერცხლებზე ფეხების დაუწველად?
- ²⁹ასევეა სხვის ცოლთან მიმსვლელიც, დამნაშავე იქნება მისი მიმკარებელი.
- ³⁰არ შეიზიზღებენ ქურდს, რომელიც ლუკმაპურს იპარავს მშვიერი;
- ³¹მაგრამ თუ წაასწრებენ პარვაზე, შვიდმაგად ახდევინებენ, მთელ ქონებას ართმევენ.
- ³²ვინც ქმრიან ქალთან მრუშობს, უგუნურია. თავს ილუპავს ამის ჩამდენი.
- ³³გვემასა და დამცირებას ჰპოვებს და მისი სირცხვილი ვერ წარიხოცება.
- ³⁴რადგან ეჭვიანობა ქმარს განარისხებს, და არ დაინდობს ის შურისგების დღეს.
- ³⁵არ მიიღებს გამოსასყიდს და არ მოლბება, რაც უნდა აძლიო.

იგავნი 7



- ¹შვილო ჩემო, დაიცავი ჩემი სიტყვები და დაიუნჯე ჩემი მცნებები.
- ²თვალისჩინივით დაიცავი ჩემი მცნებები და ჩემი რჯული და იცოცხლე.
- ³დაიბნე თითებზე და დაიბეჭდე გულის ფიცარზე.
- ⁴უთხარი სიბრძნეს: „ჩემი და ხარ შენ,“ და საუკეთესო მეგობრად გაიხადე გონიერება,
- ⁵რათა დაგიფარონ მათ სხვისი ცოლისაგან, უცხო ქალისაგან, რომელიც დაშაქრული ენით ცდილობს მოხიბვლას.
- ⁶ერთხელ, როცა ჩემი სახლიდან დარაბაში გავიჭვრიტე,
- ⁷ბრიყვთა შორის დავინახე, ჭაბუკთა შორის შევნიშნე უგუნური ყმაწვილი,
- ⁸რომელიც ქუჩაზე გადადიოდა მისი სახლის კუთხესთან და იმ ქალის სახლისაკენ წავიდა
- ⁹სადამოს მწუხრში, ღამის სიბნელესა და წყვდიადში.
- ¹⁰და აჰა, გამოდის ქალი მის შესახვედრად, მეძავის სამოსითა და მზაკვარი გულით.
- ¹¹თავხედია ის და თავშეუკავებელი, ფეხი შინ არ უჩერდება:
- ¹²ხან ქუჩაშია, ხან მოედნებზე და ყოველ კუთხესთანაა ჩასაფრებული.
- ¹³აჰა, დაიჭირა, ჰკოცნის და ურცხვი სახით ეუბნება:
- ¹⁴„სამადლობელო მსხვერპლი მქონდა შესაწირი, დღეს შევასრულე ჩემი აღთქმა,
- ¹⁵ამიტომ გამოვედი შენს შესახვედრად, შენი სახის საძებრად და გიპოვე კიდევ;
- ¹⁶საფენები დავაგე ჩემს სარეცელზე, ეგვიპტური ფერადი ქსოვილი;
- ¹⁷ჩემს საწოლს მური ვაპკურე, ალოე და დარიჩინი.
- ¹⁸შემოდი, გავძლეთ დილამდე სიყვარულით, დავტკბეთ ალერსით,
- ¹⁹რადგან ჩემი ქმარი შინ არ არის, შორ გზაზეა წასული,
- ²⁰ფულით სავსე ქისა აიღო ხელში და მხოლოდ სავსე მთვარეობისას დაბრუნდება შინ.“
- ²¹და აცდუნა თავისი სიტყვებით, თავისი დაშაქრული ენით მოხიბლა იგი.
- ²²მაშინვე გაჰყვა ყმაწვილი, როგორც დასაკლავი ხარი, როგორც შეპყრობილი ცხოველი,



²³სანამ ისარი არ გაუვლის ღვიძლში, ფრინველივით მიისწრაფვის ის მახისკენ და არ იცის, რომ თავს ილუპავს.

²⁴ახლა კი მისმინეთ, ჩემო შვილებო, მომისმინეთ მე და ყური დაუგდეთ ჩემს ბაგეთა ნათქვამს:

²⁵ნუ მიბრუნდება თქვენი გული მისი გზებისკენ, ნუ იხეტილებთ მის ბილიკებზე,

²⁶რადგან მრავალი განგმირული დასცა მან და რიცხვი არა აქვს მის მსხვეპლთ.

²⁷მისი სახლი შავეთის გზაა, მკვდართა სავანეში ჩამავალი.

იგავნი 8

¹განა სიბრძნე არ ღაღადებს? განა გონიერება არ იმაღლებს ხმას?

²სიმაღლეებზე, გზის პირას, გზაჯვარედინებზე დგას იგი,

³გვიხმობს ქალაქის კარიბჭეებთან, შესასვლელებთან მოგვიწოდებს:

⁴„ხალხნო, თქვენ მოგიხმობთ ჩემი ხმა, ადამიანთა მიმართაა იგი.

⁵განისწავლენით უგუნურნო და შეიმეცნეთ სიბრძნე, უმეცარნო;

⁶ისმინეთ ჩემი, რადგან სასიკეთოდ გიხმობთ და სიმართლე მოდის ჩემს ბაგეთაგან;

⁷რამეთუ ჭეშმარიტებას იტყვის ჩემი პირი და უკეთურება სისამაგლეა ჩემს ბაგეთათვის.

⁸სამართლიანია ჩემი პირის ყოველი სიტყვა, არაა მათში მზაკვრობა და სიცრუე.

⁹ყოველი მათგანი სანდოა გამგებისათვის და სწორია ცოდნის მაძიებელთათვის.

¹⁰მიიღეთ ჩემი დარიგება ვერცხლის ნაცვლად, და ცოდნა რჩეული ოქროს წილ.

¹¹რადგან სიბრძნე სჯობს თვალ-მარგალიტზე და ვერაფერი სანატრელი ვერ შეედრება მას.

¹²მე, სიბრძნე, ვმკვიდრობ გონიერებასთან და მოვიპოვებ ცოდნას და განსჯას.

¹³უფლის შიში ბოროტების სიძულვილია; ამპარტავანება და ქედმაღლობა, უკეთურების გზა და სიცრუის მეტყველი ბაგენი მძულს მე.



- ¹⁴ჩემია რჩევა და საღი აზრი; მე ვარ გონიერება, ჩემია ძალა;
- ¹⁵ჩემი მეშვეობით მეფობენ მეფენი და ხელისუფალნი აწესებენ სამართალს.
- ¹⁶ჩემით მთავრობენ მთავარნი და დიდებულნი, ქვეყნის ყოველი მოსამართლე.
- ¹⁷მიყვარს ჩემი მოყვარულნი და მპოულობენ ჩემი მძებნელნი.
- ¹⁸ჩემთან არის სიმდიდრე და პატივი, ულუვი დოვლათი და სიმართლე.
- ¹⁹ჩემი ნაყოფი ხალას ოქროზე უკეთესია და ჩემგან უფრო მეტი სარგებელია, ვიდრე რჩეული ვერცხლისაგან.
- ²⁰სიმართლის გზით დავდივარ, სამართლის ბილიკებით,
- ²¹რათა გავამდიდრო ჩემი მოყვარულნი და ავუვსო საგანძურები.
- ²²უფალმა შემქმნა თავისი გზის დასაწყისში, ყველა თავის ქმნილებამდე, იმ ჟამითვე.
- ²³უწინარეს საუკუნეთა აღმოცენდი, ჟამთ უწინარეს, ქვეყნიერების დასაბამს.
- ²⁴უფსკრულთა უწინარეს გავჩნდი, მაშინ, როცა წყალუხვი წყაროებიც ჯერ არ იყო;
- ²⁵მე დავიბადე მთების დაფუძნებამდე, ბორცვთა აღმართვამდე,
- ²⁶როცა ჯერ კიდევ არ შეექმნა უფალს მიწა და ველ-მინდვრები, სამყაროს დასაბამი მტვერი.
- ²⁷როცა ის განამზადებდა ცათა, მე მასთან ვიყავ. როცა წრეს ავლებდა უფსკრულის პირზე,
- ²⁸როცა ღრუბელთა ზემოთ ზესკნელს ამყარებდა, როცა ამაგრებდა უფსკრულთა ნაკადებს,
- ²⁹როცა ზღვებს წესს უდგენდა, რათა წყლებს არ გადაელახათ ნაპირები, როცა დედამიწას საფუძველს უყრიდა,
- ³⁰მე ვიყავ მის წინაშე აღმშენებლად და ყოველდღიურ სიხარულად, ვხარობდი მის წინაშე ყოველ ჟამს,
- ³¹ვხარობდი სამყაროში მის მიწაზე, და ადამის მოდგმა იყო ჩემი სიხარული.
- ³²და ახლა, მისმინეთ, შვილებო, ნეტარია, ვინც ჩემს გზებს იცავს!
- ³³ისმინეთ ჩემი შეგონება, იყავით ბრძენნი და ნუ განუდგებით მას.



³⁴ნეტარია კაცი, რომელიც მისმენს, ჩემს კარებთან ფხიზლობს დღენიადაგ და მელოდება ჩემს ზღურბლთან.

³⁵რადგან ჩემმა მპოვნელმა სიცოცხლე ჰპოვა და მოიხვეჭა უფლის წყალობა;

³⁶ხოლო ჩემი შემცოდე თავის თავს ავნებს; ყოველ ჩემს მოძულეს სიკვდილი უყვარს.“

იგავნი 9

¹სიბრძნემ სახლი აიშენა და გათალა მისი შვიდი ბოძი,

²დაკლა სამსხვერპლო, ღვინო გააზავა და ტაბლა გაამზადა.

³დაგზავნა თავისი მხეველები, ქალაქის მაღლობებიდან იძახის:

⁴„უგუნურებო, აქეთ შემოუხვიეთ!“ ბრიყვებს ეუბნება:

⁵„მოდით, ჭამეთ პური და სვით ღვინო, ჩემი შეზავებული.

⁶დატოვეთ უგუნურება და იცოცხლებთ, და იარეთ გონიერების გზით.“

⁷ღთისმგმობის დამრიგებელს დამცირება არ ასცდება, უკეთურის მამხილებელს – შეურაცხყოფა.

⁸ნუ ამხილებ ურჯულოს, რათა არ შეგიძულოს; ამხილე ბრძენი და შეგიყვარებს.

⁹დაარიგე ბრძენი და უფრო დაბრძენდება, ასწავლე მართალს და ცოდნას გაიმრავლებს.

¹⁰უფლის შიში სიბრძნის დასაბამია, სიწმიდის შეცნობა – გონიერება.

¹¹რადგან ჩემით გამრავლდება შენი დღეები და სიცოცხლის წლები შეგემატება.

¹²თუ ბრძენი ხარ, შენთვის ხარ ბრძენი, და თუ ღვთისმგმობი ხარ, შენვე აგებ პასუხს.

¹³სულელი ქალი ლაქლაქაა, უზრდელია და უვიცი.

¹⁴ჯდება თავისი სახლის ზღურბლთან, სკამზე ან ქალაქის მაღლობებზე,

¹⁵რათა დაუძახოს გამვლელთ, თავიანთი გზით სწორად მავალთ:

¹⁶„ბრიყვებო, აქეთ გადმოუხვიეთ!“ უგუნურს კი ეუბნება:

¹⁷„მოპარული წყალი ტკბილია და ჩუმად შეჭმული პური – გემრიელი.“

¹⁸მათ არ იციან, რომ ის მათ მკვდართა აჩრდილებთან ეპატიჟება, რომ მისისტუმრები – შავეთის უფსკრულებში იმყოფებიან.



იგავნი 10

- ¹ბრძენი შვილი მამას ახარებს, უგუნური შვილი კი დედის საწუხარია.
- ²უკეთურთა საუნჯენი უსარგებლოა, სიმართლე კი სიკვდილისაგან იხსნის.
- ³უფალი არ დაამშევს მართალის სულს, უკეთურთა სიხარბეს კი უკუაგდებს.
- ⁴ზარმაცი ხელი აღარიბებს, გამრჯე ხელი კი ამდიდრებს.
- ⁵ვინც ზაფხულში აგროვებს, გონიერი შვილია, სამკალში მძინარა კი შემარცხვენელია.
- ⁶უფლის კურთხევაა მართლის თავზე, უკეთურთა ბაგენი კი ძალადობას ქადაგებენ.
- ⁷მართლის ხსოვნა კურთხეულ იქნება, ხოლო უკეთურთა სახელიც კი იხრწნება.
- ⁸გულით ბრძენი რჩევებს მიიღებს, სულელურად მოლაქლაქე კი უბედურებას გადაეყრება.
- ⁹სწორი გზით მოარული უშიშრად ივლის, გზის გამმრუდებელი კი გამომჟღავნდება.
- ¹⁰თვალის ჩამკვრელს წუხილი მოაქვს, ბრიყვულად მეტყველი კი უბედურებას გადაეყრება.
- ¹¹მართლის ბაგენი სიცოცხლის წყაროა, უკეთურთა ბაგენი კი ძალადობას ქადაგებენ.
- ¹²სიძულვილი შუღლის აღმძვრელია, სიყვარული კი ყველა ცოდვას ფარავს.
- ¹³გონიერის ბაგეებზე სიბრძნეა, უგუნურის ზურგს კი წკეპლა ელის.
- ¹⁴ბრძენი ცოდნას იუნჯებს, სულელის სიტყვები კი დაღუპვას აახლოებს.
- ¹⁵მდიდრის ქონება მისთვის ციხე-სიმაგრეა, ხოლო ღარიბთა სიღატაკე დამღუპველია მათთვის.
- ¹⁶მართლის შრომა სიცოცხლისთვისაა, უკეთურის მონახვეჭი კი – ცოდვისათვის.
- ¹⁷შეგონებათა დამცველი სიცოცხლის გზით დადის, მისი უკუმგდებელი კი გზააბნეული დაეხეტება.
- ¹⁸სიძულვილს ვინც მალავს, ცრუ ბაგეები აქვს, ჭორების დამყრელი კი სულელია.



- ¹⁹მრავალსიტყვაობისას ცოდვა გარდაუვალია, გონიერი კი ბაგეებს ალაგმავს.
- ²⁰მართლის ენა რჩეული ვერცხლია, უკეთურის გონება კი არად ფასობს.
- ²¹მართლის ბაგენი მრავალთ მწყემსავენ, სულელნი კი უჭკუობით იხოცებიან.
- ²²უფლის კურთხევა ამდიდრებს მართალს და მწუხარება არ ეწევა მას.
- ²³ავის ქმნა ბრიყვის გასართობია, ხოლო სიბრძნე – გონიერის.
- ²⁴რაც უკეთურს აშინებს, სწორედ ის შეემთხვევა, მართალს კი წადილი აუსრულდება.
- ²⁵გადაივლის ქარიშხალი და აღარ დარჩება უკეთური, მართალი კი საუკუნოდ დაფუძნდება.
- ²⁶რაც ძმარია კბილთათვის და კვამლი თვალთათვის, იგივეა მცონარა მისი დამსაქმებლისთვის.
- ²⁷უფლის შიში სიცოცხლეს ახანგრძლივებს, უკეთურთა სიცოცხლე კი მოკლეა.
- ²⁸მართალთა სასოებას სიხარული მოსდევს, უკეთურთა იმედი კი დაიღუპება.
- ²⁹გზა უფლისა სიმტკიცეა მართალთათვის, ხოლო ავისმქნელთ ანადგურებს უფალი.
- ³⁰მართალი არ შეირყევა უკუნისამდე, უკეთურნი კი ვერ დაიმკვიდრებენ ქვეყანას.
- ³¹მართლის პირს სიბრძნე მოაქვს, უკუღმართი ენა კი მოიკვეთება.
- ³²მართალთა ბაგეებიდან სიკეთე მოედინება, ბოროტთა პირიდან კი უკუღმართობა.

იგავნი 11

- ¹მრუდი სასწორი სძულს უფალს, ზუსტი საწონები კი – სათნოა მისთვის.
- ²ამპარტავნებას დამცირება მოჰყვება, სიბრძნე კი თვინიერებთან არის.
- ³გულმართალთ უბიწოება წარმართავს, ვერაგებს კი მათივე ცბიერება ღუპავს.
- ⁴სიმდიდრე უსარგებლოა სასჯელის დღეს, სიმართლე კი იხსნის სიკვდილისაგან.



- ⁵სიმართლე წარმართავს უბიწოს გზას, უკეთური კი თავისი უკეთურების მსხვერპლია.
- ⁶გულით წრფელთ მათი სამართლიანობა იხსნის, მზაკვართ კი მათივე ზრახვები დაატყვევებს.
- ⁷უკეთურ ადამიანთა სიკვდილთან ერთად ისპობა მათი იმედები და უღმრთოთა სასოება ქარწყლდება.
- ⁸მართალი უბედურებას აირიდებს, უკეთური კი ჩავარდება მასში.
- ⁹უღმერთო თავისი ენით ღუპავს მოყვასს, მართალნი კი ცოდნით გადარჩებიან.
- ¹⁰მართალთა კეთილდღეობისას ხარობს ქალაქი და უკეთურთა დაღუპვისას ზეიმობს.
- ¹¹წრფელთა კურთხევით ამაღლდება ქალაქი, უკეთურთა პირით კი ინგრევა.
- ¹²ვინც მოყვასს ამცირებს, სულელია, გონიერი კაცი კი დუმს.
- ¹³ორპირი კაცი საიდუმლოს გასცემს, ერთგული კი საიდუმლოს ინახავს.
- ¹⁴გონიერი წარმართვის გარეშე ერი იღუპება, მრავალი მრჩეველი კი უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.
- ¹⁵უცხოთა თავმდები საკუთარი თავის მტერია, ის კი, ვინც თავმდებად არ დგება, უსაფრთხოდ არის.
- ¹⁶სათნო ქალი პატივს იხვეჭს, უკეთური კი სირცხვილს მოიგვრის.
- ¹⁷მოწყალე კაცი სიკეთეს მიუზღავს თავის სულს, უმოწყალო კი თავს იღუპავს.
- ¹⁸უღმერთო ნამდვილ ჯილდოს ვერ მიიღებს, მოწყალების მთესველი კი ჭეშმარიტ საზღაურს ეწევა.
- ¹⁹სიმართლეს კაცი სიცოცხლისკენ მიჰყავს, ბოროტების მადევარს კი სიკვდილი ელის.
- ²⁰გულმრუდნი სძულს უფალს, უმწიკვლოთა გზა კი სათნოა მისთვის.
- ²¹იცოდე, უკეთურს სასჯელს არ ასცდება, მართალნი კი გადარჩებიან.
- ²²ლამაზი, მაგრამ უგუნური ქალი იგივეა, რაც ღორის დინგზე წამოცმული ოქროს რგოლი.
- ²³მართალთა საწადელი კეთილად ბოლოვდება, ურჯულოთა მოლოდინი – რისხვით.



²⁴ზოგი უხვად გასცემს და უფრო ემატება, ზოგი კი თავს იკავებს გაცემისაგან და მაინც აკლდება.

²⁵ქველმოქმედი გამდიდრდება, და ვინც სხვას ასმევს, მწყურვალს არ დარჩება.

²⁶ხორბლის დამჭერს წყევლის ხალხი, გამცემის თავზე კი კურთხევაა.

²⁷ვინც სიკეთეს ეძიებს, მადლს ჰპოვებს, ბოროტების მაძიებელს კი ბოროტება ეწევა.

²⁸თავისი სიმდიდრით დაიმედებული დაეცემა, მართალნი კი მწვანე ფოთლებივით გაიშლებიან.

²⁹თავისი სახლის გამჩანაგებელი ქარს დაიმკვიდრებს, ხოლო სულელი – ბრძენის მონობას.

³⁰მართლის ნაყოფი სიცოცხლის ხეა, ძალადობა კი სიცოცხლეს სპობს.

³¹მართალს ამქვეყნად მიეზღვება, და მითუმეტეს მიეზღვება საკადრისი უკეთურსა და ცოდვილს!

იგავნი 12

¹ვისაც წვრთნა უყვარს, ცოდნაც უყვარს, უგუნურს კი სძულს მხილება.

²კეთილი უფლის მადლს მოიხვეჭს; ავის განმზრახველს კი შეაჩვენებს ის.

³უკეთურებით ადამიანი ვერ დაფუძნდება, მართალთა ფესვი კი შეურყეველია.

⁴ღირსეული ქალი ქმრის გვირგვინია, შემარცხვენელი კი ხრწნაა მის ძვლებში.

⁵მართალთა ფიქრები სამართლისკენაა, უკეთურთა ზრახვანი კი ვერაგობისკენ.

⁶უკეთურთა სიტყვები ბოროტი მახეა, მართალთ კი მათი პირი იხსნის.

⁷დაემხობიან უკეთურნი და აღარ იქნებიან; მართალთა სახლი კი იდგება.

⁸გონიერებისათვის აქებენ კაცს, გულმრუდი კი სძაგს ხალხს.

⁹ათვალწუნებული, მაგრამ მსახურიანი კაცი ჯობს თავმომწონეს, მაგრამ ულუკმაპუროს.

¹⁰მართალს პირუტყვიც ებრალება; უკეთურთა გული კი სასტიკია.

¹¹ვინც თავისას ხნავს და თესავს, არ დაიმშვეა; უაზრო მიზნების მადევარი კი უგუნურია.



- ¹²უკეთურის წადილია უკეთური ნადავლი; მართალთა ფესვი კი ნაყოფს გამოიღებს.
- ¹³ბოროტეულს თავისი ბაგენი უგებენ მახეს; მართალი კი გასაჭირს დააღწევს თავს.
- ¹⁴თავის ბაგეთა ნაყოფი კაცს სიკეთით გააძღობს, და ხელით გარჯა აუნაზღაურდება მას.
- ¹⁵ბრიყვს თავისი გზა სწორი ჰგონია, ბრძენი კი რჩევას უსმენს.
- ¹⁶ბრიყვი გაბრაზებას ვერ მაღავეს, გონიერი კი ფარავს წყენას.
- ¹⁷პატიოსანი კაცის სიტყვა სიმართლეა სამსჯავროში; ცრუმოწმის სიტყვა კი ცბიერებაა.
- ¹⁸ზოგი ფუჭსიტყვა ისე ლაპარაკობს, თითქოს მახვილით გჩხვლეთდეს; ბრძენთა ენა კი კურნებაა.
- ¹⁹მართალი ბაგეები მარად რჩება, ცრუ ენა კი წამიერია.
- ²⁰ცბიერებაა ავკაცთა გულში, მშვიდობისმყოფელთ კი სიხარული აქვთ.
- ²¹ზიანი არ მოუვა მართალს, უკეთურთ კი უბედურება ავსებთ.
- ²²ცრუ ბაგენი სძულს უფალს, ერთგული კი სასურველია მისთვის.
- ²³გონიერი ადამიანი ფარავს ცოდნას, უგუნური გონება კი სისულელეებს მოჰფენს ქვეყანას.
- ²⁴ბეჯითი ხელი იბატონებს; ზარმაცს კი ბეგარა დაედება.
- ²⁵დარდი გულს ამძიმებს, კეთილი სიტყვა კი ახარებს მას.
- ²⁶მართალი მოყვასის გზის მანათობელია, უკეთურთა გზა კი მაცდუნებელია.
- ²⁷ზარმაცი სარგებელს ვერ ნახავს, ბეჯითი კი გამდიდრდება.
- ²⁸სიმართლის გზაზე სიცოცხლეა და ამ ბილიკებზე არ არის სიკვდილი.

იგავნი 13

- ¹ბრძენ შვილს უყვარს მამის შეგონება, თავხედი კი ყურს არ უგდებს მხილებას.
- ²გონიერი თავის ბაგეთა სიტყვების კეთილ ნაყოფს იგემებს, უღმრთოთა მისწრაფება კი ბოროტებას იძკის.



- ³ვინც თავის ბაგეებს უფრთხილდება, თავის სიცოცხლეს იცავს, ყბედს კი უბედურება ელის.
- ⁴ზარმაცის სულს სწადია და არა აქვს, ბეჯითის სული კი აღივსება.
- ⁵მართალს სძულს ცრუ სიტყვა, უკეთური კი სამარცხვინოდ და უღირსად იქცევა.
- ⁶უბიწოს სიმართლე იცავს მის გზაზე, უკეთურს კი ცოდვა ღუპავს.
- ⁷ზოგი მდიდრად აჩვენებს თავს და არაფერი აქვს, ზოგი კი – ღარიბად და დიდი ქონება აქვს.
- ⁸მდიდარს სიმდიდრე სიცოცხლის გამოსასყიდად შეიძლება დასჭირდეს, ღარიბს კი ეს საფრთხე არ ემუქრება.
- ⁹მართალთა ნათელი ბრწყინავს, უკეთურთა სანთელი კი ქრება.
- ¹⁰ამპარტავნება წარმოშობს შუღლს, ხოლო სადაც რჩევაა, იქ სიბრძნეა.
- ¹¹ქარით მოტანილი ქონება მცირდება, შრომით შემკრებელი კი ამრავლებს მას.
- ¹²აუხდენელი იმედი გულს ქანცავს, აღსრულებული სურვილი კი სიცოცხლის ხეა.
- ¹³ვინც სიტყვას არაფრად აგდებს, დაზარალდება, მცნების მოშიში კი საზღაურს მიიღებს.
- ¹⁴ბრძენის დარიგება სიცოცხლის წყაროა, სიკვდილის მახისგან გამრიდებელი.
- ¹⁵კეთილგონიერება მაღლის მომცემია, ორგულთა გზა კი წარწყმედაა.
- ¹⁶ყოველი გონიერი საზრიანად მოქმედებს, უგუნურნი კი სისულელეს ამჟღავნებენ.
- ¹⁷უკეთურ მაცნეს უბედურება მოაქვს, ერთგულ მოამბეს კი – კურნება.
- ¹⁸სიღარიბე და დამცირება ეწევა მას, ვინც დარიგება უკუაგდო; ხოლო შეგონების დამცველი პატივში იქნება.
- ¹⁹აღსრულებული სურვილი სულს ეამება, რეგვენს კი სძაგს ბოროტებისაგან განდგომა.
- ²⁰ბრძენთან ერთად მავალი დაბრძენდება, უგუნურთა მეგობარი კი დაზარალდება.
- ²¹ცოდვილებს ბოროტება თან სდევთ, მართალთ კი კეთილდღეობა მიეზღვებათ.



²²კეთილი კაცი შვილთაშვილთ მემკვიდრეობას უტოვებს, ცოდვილის ქონება კი მართლთათვის ინახება.

²³ღარიბთა ყანებშიც შეიძლება კარგი მოსავალი მოვიდეს, მაგრამ უსამართლობით დაეკარგოს.

²⁴ვინც თავისი შვილისთვის წკებლას ზოგავს, სძულს ის, ხოლო ვისაც უყვარს შვილი, ბეჯითად წვრთნის მას.

²⁵მართალი ძღომაზე ჭამს, უკეთურთა მუცელი კი ცარიელია.

იგავნი 14

¹ბრძენი ქალი აშენებს თავის სახლს, სულელი კი საკუთარი ხელით ანგრევს მას.

²სწორი გზით მავალს ეშინია უფლისა; გზის გამამრუდებელი კი გმობს მას.

³სულელის სიტყვები მისი დამსჯელი წკებლაა, ბრძენთ კი მათი ბაგენი იცავენ.

⁴სადაც ხარები არ არიან, იქ ბაგა ცარიელია, დიდი მოსავალი კი ხარის ძალითაა.

⁵სარწმუნო მოწმე არ ცრუობს, ცრუ მოწმე კი ტყუილებით სუნთქავს.

⁶ღვთის მგმობი სიბრძნეს ეძებს და ვერ პოულობს, გონიერი კი ადვილად იძენს ცოდნას.

⁷განერიდე ბრიყვს, ჭკვიანურ სიტყვას ვერ მოისმენ მისი პირიდან.

⁸გონიერთა სიბრძნე საკუთარი გზის ცოდნაა, უგუნურს კი უგუნურება აცდენს გზას.

⁹ბრიყვნი იცინიან დანაშულზე, მაგრამ უფლის მაღლი წრფელთა შორისაა.

¹⁰მხოლოდ გულმა იცის თავისი სიმწარე, და ვერც მის სიხარულს გაინაწილებს სხვა.

¹¹უკეთურთა სახლი დაემხოვა, მართალთა კარავი კი აყვავდება.

¹²არის გზა, რომელიც სწორად ეჩვენება კაცს, მაგრამ მისი ბოლო სიკვდილის გზაა.

¹³ზოგჯერ სიცილის დროსაც შეიძლება კაცს გული სტკიოდეს და მხიარულების ბოლო სევდა იყოს.

¹⁴გარყვნილ კაცს თავისი გზების შესაბამისად მიეზღვება, კეთილს – მისი საქმეების შესაფერად.



- ¹⁵სულელი ყოველ სიტყვას იჯერებს, გონიერი კი თავის ნაბიჯებს ზომავს.
- ¹⁶ბრძენი ფრთხილობს და გაურბის ბოროტებას; ბრიყვი კი თავგასული და წინდაუხედავია.
- ¹⁷გულფიცს კაცს სისულელე წასცდება, ავისგანმზრახველს კი სიძულვილი ელის.
- ¹⁸უგუნურებს სისულელე ამშვენებს, გონიერთ კი ცოდნის გვირგვინი ამკობთ.
- ¹⁹ბოროტნი კეთილთა წინაშე მოიდრეკენ ქედს, უკეთურნი – მართალთა კარიბჭეებთან.
- ²⁰ღარიბი თავისიანსაც სძულს, მდიდარს კი მრავალი მეგობარი ჰყავს.
- ²¹მოყვასის მოძულე სცოდავს, ღარიბთა მოწყალე კი ნეტარია.
- ²²განა ავისმზრახველთა გზა-კვალი არეული არ არის? კეთილგანმზრახველთ კი წყალობა და ჭეშმარიტება ახლავთ.
- ²³ყოველ გარჯაში მატებაა, ლიტონ სიტყვებს კი ზარალი მოაქვთ.
- ²⁴ბრძენთა გვირგვინი მათი სიბრძნეა, ბრიყვებს კი სიბრიყვე ამშვენებთ.
- ²⁵მართალი მოწმე სიცოცხლეს იხსნის, ცრუ კი მოღალატეა.
- ²⁶უფლის მოშიშს, მტკიცე სიმაგრე აქვს, და მისი ძენიც დაცულნი იქნებიან.
- ²⁷უფლის შიში სიცოცხლის წყაროა, სიკვდილის მახეთაგან მხსნელი.
- ²⁸ხალხის სიმრავლე მეფის დიდებაა, ხოლო ხალხის შემცირება კი მმართველის დაღუპვას იწვევს.
- ²⁹ნელი რისხვაში დიდად გონიერია, ფიცხი კი სისულელეს ამჟღავნებს.
- ³⁰ხორცის სიცოცხლეა მშვიდი გონება, შფოთვა კი ძვალთა ხრწნაა.
- ³¹გლახაკის მჩაგვრელი მათ შემოქმედს შეურაცხყოფს, ღატაკის შემწყალე კი უფლის მადიდებელია.
- ³²უკეთურს მისი ბოროტება დაამხოვს, მართალს კი უბიწოება იცავს.
- ³³გონიერის გულში სიბრძნეა დავანებული, ბრიყვთა გული კი მას არ იცნობს.
- ³⁴სიმართლე აღაზევებს ერს, ცოდვა კი ხალხის გაჩანაგებაა.
- ³⁵გონიერი მსახურის ხვედრი მეფის წყალობაა; შემარცხვენელს კი მისი რისხვა ელის.



იგავნი 15

- ¹მშვიდი პასუხი რისხვას აცხრობს, შეურაცხყოფელი სიტყვა კი ბრაზს იწვევს.
- ²ბრძენთა ენა ცოდნის სიკეთეს გვიჩვენებს, უმეცართა პირი კი სისულელეს აფრქვევს.
- ³უფლის თვალი ყველაფერს სწვდება; ის ხედავს ბოროტთაც და კეთილთაც.
- ⁴მშვიდი ენა სიცოცხლის ხეა, მზაკვარი კი სულის შემმუსვრელია.
- ⁵სულელი აბუჩად იგდებს მამის დარიგებას; შეგონების დამცველი კი წარმატებულია.
- ⁶მართლის სახლში დიდძალი განძია, უკეთურის მონახვექს კი უბედურება მოსდევს.
- ⁷ბრძენთა ბაგენი ცოდნას ავრცელებენ, ეს არ შეუძლია ბრიყვთა გონებას.
- ⁸უკეთურთა მსხვერპლი სისაძაგლეა უფლის წინაშე, მართალთა ლოცვა კი სათნოა მისთვის.
- ⁹უფლის წინაშე სისაძაგლეა უკეთურის გზა, სიმართლის გზით მოარული კი უყვარს მას.
- ¹⁰გზას აცდენილი მკაცრ სასჯელს მიიღებს, მხილების მოძულე კი დაიღუპება.
- ¹¹შავეთი და ჯოჯოხეთი ღიაა უფლის წინაშე, მით უფრო – ადამიანთა გული!
- ¹²ურჯულოს სძულს მხილება, ბრძენთან არ წავა იგი.
- ¹³მხიარული გული სახეს ახალისებს, გულის სევდა კი გულგატეხილობას იწვევს.
- ¹⁴გონიერი გული ცოდნას ეძებს, ბრიყვის პირი კი სისულელით იკვებება.
- ¹⁵ლატაკის ყოველი დღე სევდით არის სავსე, გულმხიარულს კი მუდამ ზეიმი აქვს.
- ¹⁶სჯობს მცირე უფლის შიშით, ვიდრე დიდი საუნჯე ელდით და შფოთვით.
- ¹⁷სჯობს ბოსტნეული და სიყვარული, ვიდრე მსუქანი ხარი და სიძულვილი.
- ¹⁸ფიცხი შფოთს ტებს, სულგრძელი კი შუღლს აქრობს.
- ¹⁹ზარმაცის გზა ეკალ-ბარდებიანია, პატიოსანთა გზა კი ფართოა.
- ²⁰ბრძენი შვილი მამას ახარებს, ბრიყვი კი დედის შემარცხვენელია.



- ²¹სისულელე უგუნურის სიხარულია, გონიერი კი სწორი გზით დადის.
- ²²რჩევის გარეშე ჩანაფიქრი იფუშება, მრავალ მრჩეველს კი წარმატება მოაქვს.
- ²³სწორი პასუხი ადამიანის სიხარულია, რა კარგია დროზე ნათქვამი სიტყვა!
- ²⁴გონიერის ცხოვრების გზა აღმავალია, რათა ქვევით შავეთს განერიდოს.
- ²⁵ამპარტავანთა სახლს ანგრევს უფალი, ქვრივის საზღვრებს კი ამაგრებს.
- ²⁶ბოროტთა განზრახვანი სისაძაგლეა უფლის წინაშე, მართალთა სიტყვები კი საამოა მისთვის.
- ²⁷უსამართლო მოგებას დახარბებული თავის სახლს ანგრევს, ქრთამის მოძულე კი იცოცხლებს.
- ²⁸მართლის გული პასუხს წონის, უკეთურთა პირი კი ბოროტებას აფრქვევს.
- ²⁹უფალი შორსაა უკეთურთაგან, მართალთა ლოცვას კი შეისმენს.
- ³⁰თვალთა სინათლე გულს ახარებს და კარგი ამბავი ძვლებს აპოხიერებს.
- ³¹მაცოცხლებელი მხილების შემწყნარებელი ყური ბრძენთა შორის დაივანებს.
- ³²სწავლის უარყოფელს თავისი სული სძულს, მხილების შემწყნარებელი კი გონიერებას იხვეჭს.
- ³³უფლის შიში სიბრძნის სწავლაა და მორჩილება წინ უძღვის დიდებას.

იგავნი 16

- ¹გულის ზრახვანი კაცისგანაა, პასუხი კი უფლისგან მოდის.
- ²კაცის ყველა გზა სუფთაა მის თვალში, მაგრამ უფალი წონის სულს.
- ³მიანდე უფალს შენი საქმენი და შენი გეგმები აღსრულდება.
- ⁴უფალმა ყველაფერი თავისი მიზნისათვის შექმნა, თვით უკეთურიც კი – უბედური დღისათვის.
- ⁵ყველა ქედმაღალი სძულს უფალს; ნამდვილად ვერ გაექცევინ ისინი სასჯელს.
- ⁶წყალობითა და პატიოსნებით განიწმიდება ცოდვა; და უფლის შიშით განუდგება კაცი სიავსს.



- ⁷როდესაც მოსაწონია უფლისთვის კაცის გზები, მტრებსაც კი დაუშოშმინებს მას.
- ⁸სჯობს სიმართლით მცირედი უსამართლობით მონახვეჭ მრავალს.
- ⁹ადამიანი ირჩევს გზას, უფალი კი წარმართავს მის ნაბიჯებს.
- ¹⁰შთაგონებული სიტყვაა მეფის ბაგეებზე, სამსჯავროში არ შესცოდავს მისი პირი.
- ¹¹სწორი სასწორი და საწონები უფლისაა.
- ¹²სმაგთ მეფეებს ბოროტმოქმედება, რამეთუ სამართლით ფუძნდება ტახტი.
- ¹³სათნოა მეფისათვის მართალი ბაგენი და წრფელად მოუბარი უყვარს მას.
- ¹⁴მეფის გულისწყრომა სიკვდილის მაცნეა, ხოლო ბრძენკაცი დააცხრობს მას.
- ¹⁵მეფის სახის ნათელი სიცოცხლეა, მისი წყალობა კი გაზაფხულის წვიმის მომტანი ღრუბელივითაა.
- ¹⁶სიბრძნის შეძენა ოქროზე უკეთესია და გონიერების მოპოვება – ვერცხლზე.
- ¹⁷მართალთა გზა ბოროტებისგან გარიდებულია; თავისი გზის დამცველი სიცოცხლეს იცავს.
- ¹⁸ამპარტავნება წინ უსწრებს დაღუპვას, და ქედმაღლობა – დაცემას.
- ¹⁹ლატაკთან ერთად სულიერი მორჩილება გერჩივნოს ამაყის ნადავლში მოწილეობას.
- ²⁰საქმეში ფრთხილი სიკეთეს ჰპოვებს, უფალს მინდობილი ბედნიერია.
- ²¹გულით ბრძენს გონიერს უწოდებენ და ტკბილი ბაგენი დამარწმუნებელია.
- ²²სიბრძნე სიცოცხლის წყაროა მფლობელისთვის, ბრიყვთა სასჯელი კი სიბრიყვეა.
- ²³ბრძენის გული გონიერს ხდის მის მეტყველებას, და მის ბაგეებს დამარწმუნებლობას მატებს.
- ²⁴საამო სიტყვა გოლეული თაფლია, სულის სიტკბოა და ხორცის კურნება.
- ²⁵არის გზა, რომელიც სწორი ჰგონია კაცს, მისი ბოლო კი სიკვდილის გზაა.
- ²⁶მადა მშრომელის მამოძრავებელია, შიმშილი უბიძგებს შრომისაკენ.



²⁷უღირსი კაცი ბოროტებას იზრახავს და მის ბაგეებზე მწველი ცეცხლი გიზგიზებს.

²⁸უკუღმართი კაცი შუღლს ავრცელებს და ჭორის გამავრცელებელი მეგობრების გამყრელია.

²⁹მოდალადე მოყვასს აცდუნებს და უკეთურ გზაზე აყენებს;

³⁰ვინც თვალს ჭუტავს, უკუღმართობას ზრახავს, ვინც ტუჩებს იკვნეტს – სიავე მოაქვს.

³¹ჭაღარა დიდების გვირგვინია, სიმართლის გზაზე მოიპოვება იგი.

³²წელი რისხვაში ძლიერს სჯობს, ხოლო ვინც საკუთარ თავს დაიურვეს – ქალაქის დამპყრობს.

³³წილისყრა კალთიდან ხდება, მაგრამ გადაწყვეტა უფლისგანაა.

იგავნი 17

¹ერთი ლუკმა ხმელი პური და სიმშვიდე სჯობს საკლავით სავსე სახლს, სადაც უთანხმოებაა.

²გონიერი მსახური იბატონებს ბატონის შემარცხვენელ შვილზე, და წილს დაიდებს მემკვიდრებს შორის როგორც ერთი ძმათაგანი.

³ოქრო და ვერცხლი ბრძმედში გამოიწრთობა, გულებს კი უფალი გამოსცდის.

⁴ბოროტმოქმედი ურჯულოთა ბაგეებს უგდებს ყურს, და ცრუ – უხამს ენას.

⁵ვინც ღარიბს აბუჩად იგდებს, თავის გამჩენს გმობს. მოძმის უბედურებით მოხარულს სასჯელი არ ასცდება.

⁶შვილთა შვილები მოხუცთა გვირგვინია; შვილთა დიდება – მათი მშობლებია.

⁷უგუნურს არ უხდება რჩეული სიტყვები, კიდევ უფრო ნაკლებად ესადაგება კეთილშობილს ყალბი მეტყველება.

⁸ქრთამი ჯოჯოხეთის გამნათებელი ჰგონია მის გამღებს: საითაც მიმართავს, წარმატების იმედი აქვს.

⁹ვინც წყენას ივიწყებს, ის მეგობრობას განამტკიცებს, ხოლო ვინც წყენას აღრმავებს, მეგობრებს კარგავს.

¹⁰საყვედური გონიერზე უფრო ღრმად მოქმედებს, ვიდრე ბრიყვზე ასი დარტყმა.



- ¹¹ბოროტი მხოლოდ შფოთს დაეძებს, მაგრამ სასტიკი ანგელოზი გაიგზავნება მის წინააღმდეგ.
- ¹²სჯობს ბელდაკარგული დათვი გადაეყაროს კაცს, ვიდრე სისულელეში გახლართული ბრიყვი.
- ¹³ბოროტება არ მოშორდება მის სახლს, ვინც სიკეთეს ბოროტებით იხდის.
- ¹⁴დავის დასაწყისი წყლის გადმოხეთქვას ჰგავს; შეწყვიტე დავა, ვიდრე გაჩაღდება.
- ¹⁵უკეთურის გამამართლებელი და მართლის გამამტყუნებელი – ორივე საძაგელია უფლის წინაშე.
- ¹⁶რად უნდა ქონება ბრიყვს სიბრძნის შესაძენად? მას ხომ მის შესათვისებლად გონება არ ერჩის!
- ¹⁷მეგობარს ყოველთვის უყვარხარ და ძმა გასაჭირისთვის არის შობილი.
- ¹⁸უჭკუო კაცი თავდებად უდგება მოყვასს.
- ¹⁹ვისაც ჩხუბი უყვარს, ცოდვა უყვარს, ვინც მაღლა სწევს კარს, დაღუპვას ეძებს.
- ²⁰ბოროტი გული სიკეთეს ვერ ჰპოვებს და ენამრუდი უბედურებაში ჩავარდება.
- ²¹ბრიყვი შვილი მშობლის დარდია, სულელის მამა ვერ გაიხარებს.
- ²²მხიარული გული აჯანმრთელებს, დავრდომილი სული კი ძვლებს ფიტავს.
- ²³უკეთური ქრთამს უბიდან იღებს, რათა სიმართლის გზები გაამრუდოს.
- ²⁴გონიერი სიბრძნეს შეჰყურებს, ბრიყვი კი თვალს ქვეყნის კიდემდე აცეცებს.
- ²⁵ბრიყვი შვილი მამის დარდია და დედის მწუხარება.
- ²⁶არ არის კარგი მართალის დასჯა და კეთილშობილთა ცემა სიმართლისთვის.
- ²⁷სიტყვამუნწი კაცი გონიერია, და თავშეკავებული – გაგების უნარის მქონე.
- ²⁸მდუმარე სულელიც ბრძნად მოგეჩვენება, ენის მომთოკველი კი – გონიერად.

იგავნი 18



- ¹თავკერძა კაცი თავის სურვილებს მიჰყვება, ყოველ საღ აზრს ეწინააღმდეგება.
- ²ბრიყვი გაგებას არ ცდილობს, არამედ მხოლოდ თავისი აზრების გამოხატვა უნდა.
- ³უკეთურებას გაკიცხვა მოჰყვება, და უღირსობას – შერცხვენა.
- ⁴კაცის სიტყვები ღრმა მორევია; სიბრძნის წყარო კი – მორაკრაკე ნაკადული.
- ⁵არ არის კარგი უკეთური კაცისადმი მიკერძოება და არც მართლის გამტყუნება სამსჯავროზე.
- ⁶ბრიყვის ენა შუღლს იწვევს, მისი ბაგენი – აყალ-მაყალს.
- ⁷ბრიყვის ენა მისი დაღუპვაა, და მისი ბაგე – მისი სულის მახე.
- ⁸ჭორიკანას სიტყვები ნუგბარივითაა და მუცლამდე აღწევს.
- ⁹გულარხეინი საქმეში დამანგრეველის ძმაა.
- ¹⁰უფლის სახელი – ძლიერი გოდოლია, მართალი შეაფარებს თავს და სამშვიდობოზეა.
- ¹¹მდიდრის ქონება მისი ძლიერი ქალაქია, მაღალი დამცველი კედელივითაა.
- ¹²ქედმაღლობა წინ უსწრებს დამხობას, მორჩილება კი წინ უძღვის დიდებას.
- ¹³ვინც კითხვის დამთავრებას არ უცდის და ისე იძლევა პასუხს, სულელია და თავს ირცხვენს.
- ¹⁴კაცის სული უძლებს სენს, მაგრამ სულის შემუსვრას ვინ გადაიტანს?
- ¹⁵გონიერის გული ცოდნას იძენს, და ბრძენთა ყური ცოდნას ეძიებს.
- ¹⁶ძღვენი კაცს გზას უფართოებს და დიდკაცთა წინაშე მიჰყავს.
- ¹⁷პირველი მოდავე მართალი ჩანს სარჩელში, მაგრამ მოდის მისი მოსარჩლე და ყველაფერი იცვლება.
- ¹⁸წილისყრა ბოლოს უღებს დავას და ძლიერ მეტოქეებს არიგებს.
- ¹⁹შეურაცხყოფილი ძმა გამაგრებულ ქალაქზე მიუდგომელია, და ასეთი მოდავე ციხე-სიმაგრის ურდულივითაა ჩაკეტილი.
- ²⁰კაცი თავისი სიტყვების ნაყოფით ივსებს სტომაქს, თავის ბაგეთა მოსავლით ძღება.



²¹სიკვდილ-სიცოცხლე ენის ხელშია, და ლაპარაკის მოყვარულნი იგემებენ მის ნაყოფს.

²²ვინც კარგი ცოლი ჰპოვა, მან სიკეთე ჰპოვა და უფლის მადლი მოიხვეჭა.

²³ღარიბი ვედრებით ლაპარაკობს, მდიდარი კი უკმეხად პასუხობს.

²⁴ზოგი მეგობრის მეგობრობა თვალთმაქცობაა, ზოგი მეგობარი კი ძმაზე ძვირფასია.

იგავნი 19

¹უმწიკვლოდ მავალი ღატაკი სჯობს ცრუსა და თანაც უგუნურს.

²სურვილი ცოდნის გარეშე ცუდია, ფეხს ვინც ააჩქარებს, კვალი აერევა.

³კაცს საკუთარი უგუნურება ღუპავს, მაგრამ მისი გული უფალს ემდურის.

⁴სიმდიდრე კაცს მეგობრებს მატებს, უქონელი კი იმათაც კარგავს, ვინცა ჰყავს.

⁵ცრუმოწმე დაუსჯელი არ დარჩება და სიცრუის მთქმელი ვერ გადარჩება.

⁶ბევრი ეძებს წყალობას დიდებულთაგან და უხვად გამცემთან ყველა მეგობრობს.

⁷ღარიბი მის ძმებსაც კი სძულთ, კიდევ უფრო გაურბიან მას მეგობრები! ეძახის და არ აქცევენ ყურადღებას.

⁸სიბრძნის მოპოვება საკუთარი თავის სიყვარულს ნიშნავს; ვინც გონიერებას იცავს, სიკეთეს ჰპოვებს.

⁹ცრუ მოწმე დაუსჯელი არ დარჩება და ტყუილის მთქმელი დაიღუპება.

¹⁰ბრიყვს არ შეჰფერის ფუფუნება, კიდევ უფრო ნაკლებად მონას – ბატონობა მთავრებზე.

¹¹გონიერება ადამიანს სულგრძელს ხდის და მისი ღირსება წყენის დავიწყებაა.

¹²ლომის ბრდღვინვას ჰგავს მეფის რისხვა, მისი წყალობა კი ცვარ-ნამის მსგავსია.

¹³ბრიყვი შვილი მამის უბედურებაა, ჭირვეული ცოლი კი სახურავიდან წყლის შეუწყვეტელი წანწყარი.

¹⁴სახლი და ქონება მამის მემკვიდრეობაა, გონიერი ცოლი კი უფლისგანაა.

¹⁵მცონარება ძილს ჰგვრის კაცს და უქნარა სული იშიშვლებს.



- ¹⁶მცნების დამცველი იცოცხლებს, ხოლო ვინც უფლის გზებს აბუჩად იგდებს – მოკვდება.
- ¹⁷ლატაკის გამკითხველი უფალს აძლევს სესხს და ის მიაგებს მას სამაგიეროს.
- ¹⁸გაწვრთენი შვილი, სანამ დროა და ნუ დააღუპვინებ თავს.
- ¹⁹გულბოროტი და ბრაზიანი მკაცრად დასაჯე, თუ დაინდობ, კვლავ მოგიწევს დასჯა.
- ²⁰ისმინე რჩევა და მიიღე დარიგება, რათა მოიპოვო სიბრძნე სამომავლოდ.
- ²¹მრავალი განზრახვაა კაცის გულში, მაგრამ მხოლოდ უფლისგან განსაზღვრული ასრულდება.
- ²²კაცის სიკეთე მისი მოწყალე გულია; და ლატაკი სჯობს მატყუარას.
- ²³უფლის შიში მაცოცხლებელია, მისი მოშიში კმაყოფილი იქნება და არ ეწევა ბოროტი.
- ²⁴ზარმაცს ხელი ჯამში აქვს, მაგრამ პირთან მიტანა ეზარება.
- ²⁵უკეთურს ურტყი და გულუბრყვილოც გაიგებს; შეაგონე გონიერს და ჭკუას ისწავლის.
- ²⁶მამის მაგინებელი და დედის გამძევებელი შერცხვენისა და ყვედრების ღირსია.
- ²⁷ნუ უგულვებელყოფ, შვილო ჩემო, შეგონებას, რათა გონიერი სიტყვები არ დაგეკარგოს.
- ²⁸უღირსი მოწმე სამართალს დასცინის, და უკეთურთა პირი უსამართლობას ნთქავს.
- ²⁹უზნეოთათვის სასჯელი მზადაა და რეგვენთა ზურგისთვის – სახრე.

იგავნი 20

- ¹ღვინო კაცს მასხარად აქცევს, მაგარი სასმელი – შფოთს ატეხინებს და მისით გზას აცდენილი უჭკუოა.
- ²მეფის რისხვა ლომის ბრდღვინვას ჰგავს და ვინც მას განარისხებს, თავს საფრთხეში იგდებს.
- ³შუღლის აღკვეთა ღირსეული საქციელია, სულელი კი შფოთის ამტეხია.
- ⁴ზარმაცი თავის დროზე არ ხნავს, მკის დროს კი დაფაცურდება, მაგრამ რას მოიმკის?



- ⁵კაცის გულის ზრახვები ღრმა მორევია, გონიერი კაცი კი ამოზიდავს მათ.
- ⁶ბევრი იქადის თავისი სიკეთით, მაგრამ საიმედო ადამიანს სად ნახავ?
- ⁷ნეტარია მისი მოდგმა, ვინც მართალია და უზაკველად ატარებს ცხოვრებას;
- ⁸მეფე, რომელიც მსაჯულის ტახტზე ზის, ყოველგვარ ბოროტებას აქარწყლებს თვალის გადავლებით.
- ⁹ვის შეუძლია თქვას: „მანკიერება არ არის ჩემს გულში, მე განვიწმიდე ჩემი ცოდვებისაგან?“
- ¹⁰მრუდე საწონი და მრუდე ადლი – ერთიც და მეორეც სძულს უფალს.
- ¹¹ბავშვებიც კი ამჟღავნებენ თავს თავიანთი საქციელით, სწორი თუ არასწორი მოქმედებით.
- ¹²გამგონე ყური და დამნახავი თვალი – ორივე უფლის შექმნილია.
- ¹³მილისგუდა ნუ იქნები და არ გაღატაკდები. თვალს ნუ მოხუჭავ და პური გექნება.
- ¹⁴„არ ვარგა, არ ვარგა“ – ამბობს მყიდველი, – ცოტას გაივლის და ნავაჭრით ტრაბახობს.
- ¹⁵არსებობს ოქრო და მრვალი თვალ-მარგალიტი, მაგრამ ყველაზე დიდი განძი მცოდნე ბაგეებია.
- ¹⁶აილე მისი სამოსი, ვინც უცხოს დაუდგა თავდებად; გამოართვი უცხოელისთვის მიცემული გირაო.
- ¹⁷არამად ნაშოვნი პური ეტკბილება კაცს, ბოლოს კი ბელტებით აევსება პირი.
- ¹⁸გეგმები რჩევით მწიფდება; ომიც სიბრძნით უნდა მომზადდეს.
- ¹⁹ჭორიკანა საიდუმლოს გამცემია, პირმორღვეულს ახლოს ნუ გაიკარებ.
- ²⁰დედ-მამის მაგინებელს სანთელი ჩაუქრება უკუნეთ ღამეში.
- ²¹ნაჩქარევად მოპოვებული სამკვიდრო ბოლოს უკურთხეველი დარჩება.
- ²²ნუ იტყვი: „მივაგებ ბოროტს სანაცვლოს“, უფალს მიენდე და ის დაგეხმარება.
- ²³ყალბი საწონები სძულს უფალს, და მრუდი სასწორი არ არის კარგი.
- ²⁴კაცის ნაბიჯებს უფალი წარმართავს; მაშ როგორ გაიგებს ადამიანი საკუთარ გზა-კვალს?



²⁵მახეა კაცისთვის ნაჩქარევი სიტყვები: „ეს წმიდაა“ და დაუფიქრებლად მიცემული აღთქმა.

²⁶ბრძენი მეფე გაფანტავს უკეთურთ და კევრით გალენავს მათ.

²⁷კაცის სული უფლის სანთელია, აშუქებს გულის ყველა კუთხე-კუნჭულს.

²⁸მოწყალეა და სიმართლე იცავენ მეფეს, და სამართალი განამტკიცებს მის ტახტს.

²⁹ჭაბუკთა დიდება მათი ძალაა, მოხუცთ კი ჭაღარა ამშვენებთ.

³⁰დარტყმა და ჭრილობა ბოროტისგან განმწმედია, გვემა კი კაცის შინაგანს ასუფთავებს.

იგავნი 21

¹მეფის გული წყლის ნაკადია უფლის ხელში, საითაც მოისურვებს, იქით მიმართავს მას.

²კაცის ყველა გზა სწორია მის თვალში, ხოლო გულს უფალი წონის.

³სიმართლისა და სამართლის ქმნა მსხვერპლშეწირვაზე სასურველია უფლისათვის.

⁴მედიდური თვალი და ამპარტავანი გული, ეს უკეთურთა ლამპარი – დიდი ცოდვაა.

⁵ბეჯითის ზრახვანი მატებას იწვევს, ხოლო დაუდევრისა – კლებას.

⁶სიცრუით სიმდიდრის მოხვეჭა წარმავალი ორთქლია და სიკვდილის მახე.

⁷უკეთურთ მათივე ძალადობა წაღეკავს, რადგან ისინი უარს ამბობენ სამართლის ქმნაზე.

⁸მრუდეა დამნაშავეს გზა, ხოლო სუფთა კაცისა – წრფელი.

⁹სხვენის კუნჭულში ცხოვრება სჯობია ანჩხლ დედაკაცთან ერთ ჭერქვეშ ყოფნას.

¹⁰უკეთურის სულს ბოროტება სწადია; მოყვასი მის თვალში წყალობას ვერ პოულობს.

¹¹უზნეო როდესაც ისჯება, გულუბრყვილო ბრძენდება, ბრძენი კი შეგონებით იძენს ცოდნას.

¹²მართალი აკვირდება უკეთურის სახლს; ის დაეცემა და განადგურდება.

¹³ვინც ღარიბთა კვნესას წაუყრუებს, ერთ დღეს ისიც აკვნესდება, მაგრამ არავინ შეიწყნარებს.



- ¹⁴ფარული ძღვენი წყრომას აცხრობს, რისხვას კი უბეში ჩადებული ქრთამი.
- ¹⁵სამართლის ქმნა სიხარულია მართლისათვის და შიშის ზარი – ბოროტათათვის.
- ¹⁶გონიერ გზას აცდენილი კაცი მკვდართა კრებულში განისვენებს.
- ¹⁷სიამეთა მოყვარული გადატაკდება, ღვინისა და ფერ-უმარილის მოყვარული ვერ გამდიდრდება.
- ¹⁸ბოროტი მართლის გამოსასყიდია და მზაკვარი – გულწრფელისა.
- ¹⁹უდაბნოში ცხოვრება სჯობს ანჩხლ და კაპას ცოლთან ყოფნას.
- ²⁰მვირფასი განძი და ნელსაცხებელი ბრძენის სახლში რჩება, ბრიყვი კი ფლანგავს მათ.
- ²¹სიმართლისა და მოწყალების მიმდევარი კაცი სიცოცხლესა და პატივს ჰპოვებს.
- ²²ბრძენი დაიპყრობს ძლიერთა ქალაქს და დაანგრევს მათ საიმედო სიმაგრეს.
- ²³ზაგისა და ენის შემაკავებელი, თავს იცავს უბედურებისაგან.
- ²⁴„დამცინავს“ უწოდებენ ზვიადსა და ამპარტავანს, ის ქედმაღალი სიამაყით მოქმედებს.
- ²⁵ზარმაცს მისი სურვილები დაღუპავს, რადგან მისი ხელი უარს ამბობს გარჯაზე.
- ²⁶მას ყოველდღე ხარბად სწადია რაღაც, მართალი კი გასცემს და არ ზოგავს.
- ²⁷უკეთურთა მსხვერპლი სისამაგლეა, მით უფრო, თუ ცბიერებით არის შეწირული.
- ²⁸ცრუ მოწმე დაიღუპება, ხოლო ვინც თავისი ყურით მოსმენილს ამბობს, მუდამ ილაპარაკებს.
- ²⁹უკეთური კაცი კარგი კაცის ნიღაბს ირგებს, წრფელი კი თავის გზას უკვირდება.
- ³⁰არც სიბრძნე და არც გონება, არც რჩევა არ არგებს არავის, თუ ის უფლის საწინააღმდეგოა.
- ³¹ცხენს ბრძოლის დღისათვის ამზადებენ, მაგრამ გამარჯვება უფლისგანაა.

იგავნი 22



- ¹კეთილი სახელი სიმდიდრეზე უკეთესია და ადამიანთა კეთილგანწყობა – ოქროსა და ვერცხლზე.
- ²მდიდარი და ღატაკი ერთად შეიყრებიან – ორივე უფლის ქმნილებაა.
- ³გონიერი ხედავს საფრთხეს და გაერიდება, ბრიყვები კი არ ეპუებიან და ისჯებიან.
- ⁴თავმდაბლობის და უფლის შიშის საზღაური არის სიმდიდრე, პატივი და სიცოცხლე.
- ⁵ეკალი და მახეა უკეთურის გზაზე, ფრთხილი კი გაერიდება მათ.
- ⁶ყმაწვილი თავიდანვე სწორად გაწვრთენი და სიბერეშიც არ გადაუხვევს გზიდან.
- ⁷მდიდარი ღატაკებზე მბრძანებლობს და მოვალე მონაა მევალისა.
- ⁸უსამართლობის მთესველი უბედურებას მოიმკის და მისი მრისხანების კვერთხი გადაიმსხვრევა.
- ⁹გულმოწყალე კურთხეული იქნება, რადგან ღუკმა გაუყო ღარიბს.
- ¹⁰გააგდე თავხედი და გაჰყვება შუღლი; დავას და ლანძღვას ბოლო მოელება.
- ¹¹ვისაც სუფთა გული აქვს და კეთილი ენა, მეფის მეგობარი გახდება.
- ¹²უფლის თვალები ცოდნას მფარველობენ, ორპირის ნათქვამს კი უკუაგდებენ.
- ¹³მცონარა ამბობს: ღომია გარეთ, შუა მოედანზე მომკლავს.
- ¹⁴როსკიპის პირი ღრმა ორმოა, უფლის შერისხული შიგ ჩავარდება.
- ¹⁵ყმაწვილის გულში უგუნურება ბუდობს, მაგრამ აღმზრდელის წკეპლა გამოდევნის მას.
- ¹⁶ვინც ღარიბ-ღატაკს ავიწროებს გასამდიდრებლად და ვინც მდიდარს ამღევს – ორივე დაკარგავს.
- ¹⁷ყური დამიგდე და ისმინე ბრძენთა სიტყვები, და მოაჰყარ გული ჩემს სწავლებას,
- ¹⁸რადგან ის სიამეს მოგგვრის, თუკი შენში დაიმარხავ და მუდამ პირზე გეკერება.
- ¹⁹დღეს გაუწყებ მე შენ მათ, რათა სასოება გქონდეს უფლისა.
- ²⁰განა არ მოგწერე ვი შეგონება, სადაც ნახავდი რჩევებსა და ცოდნას,



²¹რათა მეჩვენებინა შენთვის, რა არის ჭეშმარიტი და მართალი, რათა გადასცე ჭეშმარიტების სიტყვები შენს მომავლინებელთ?

²²ნუ გაძარცვავ ღარიბს, რადგან ღარიბია, და ნუ დაჩაგრავ უბედურს კარიბჭესთან,

²³რადგან უფალი გამოესარჩლება მათ, და მათი გაძარცვისათვის სიცოცხლეს წაგართმევს.

²⁴ნუ დაუმეგობრდები გულმწყრალს და გულფიცხელ კაცს ნუ გაეკარები,

²⁵რომ არ აჰყვე მის გზებს და მახე არ დაუგო შენს სულს.

²⁶ნუ იქნები მათ შორის, ვინც ხელს აძლევს და თავდებად უდგება მოვალეებს.

²⁷რადგან თუ ვერაფრით გადაიხდი, რატომ იგდებ თავს იმ დღეში, რომ ქვეშაგებიც გამოგაცალონ?

²⁸ნუ გადასწევ ძველ საზღვარს, შენმა მამებმა რომ დადეს.

²⁹თუ გინახავს თავისი საქმის ოსტატი? ის მეფეთა წინაშე წარსდგება და არ მოემსახურება მდაბიოთ.

იგავნი 23

¹თუ მთავართან დაჯდები პურის საქმელად, კარგად დააკვირდი, რა გიძევს წინ;

²თავი შეიკავე, თუ მსუნაგი ხარ.

³ნუ მიეძალები მასპინძლის ნუგზარს, რადგან მაცდური პურია.

⁴ძალ-ღონეს ნუ შეაღვე გამდიდრებას, მოიშორე ამაზე ფიქრი.

⁵გაიხედავ და აღარ არის, რადგან ორბივით ფრთებს შეისხამს და ზეცაში აფრინდება.

⁶ნუ შეჰამ მოშურნესთან პურს, და გულით ნუ ისურვებ მის საქმელებს,

⁷რადგან რასაც ამბობს, იმას არ ფიქრობს: „ჰამე და სვიო“, გეუბნება, მისი გული კი სხვას ამბობს.

⁸რაც ჰამე, უკან ამოარწყევ და ფუჰად დახარჯავ თავაზიან სიტყვებს.

⁹ბრიყვის გასაგონად ნუ ილაპარაკებ, რადგან აბუჩად აიგდებს შენს გონივრულ სიტყვებს.

¹⁰ნუ შეცვლი ძველ საზღვრებს და ობოლთა ყანებში ნუ შეხვალ,



- ¹¹რადგან მათი გამომსყიდველი ძლიერია, ის იდავებს მათ დავას შენთან.
- ¹²გული მიაპყარ დარიგებას და ყური – ცოდნის სიტყვებს.
- ¹³ნუ მოაკლებ წვრთნას შენს შვილებს; წკეპლა არ მოკლავს მათ.
- ¹⁴წკეპლის ცემით შენ მის სულს სიკვდილისაგან იხსნი.
- ¹⁵შვილო, თუ დაბრძენდება შენი გული, ჩემი გულიც გაიხარებს,
- ¹⁶ჩემი გული გაიხარებს, როდესაც შენი პირიდან სიმართლეს გავიგებ.
- ¹⁷ნუ შეშურდება შენს გულს ცოდვილისა, არამედ უფლის შიში გქონდეს მუდამ,
- ¹⁸რადგან არის მომავალი და შენი იმედი არ მოისპობა.
- ¹⁹ისმინე, შვილო, და იყავი ბრძენი, და მიმართე შენი გული სარწმუნო გზაზე.
- ²⁰ნუ იქნები მემთვრალეთა და ხორციით გაუმადლართა შორის,
- ²¹რადგან ლოთი და მსუნაგი გალატაკდება და ძილის მოყვარული ჩაიცვამს ძონძებს.
- ²²უსმინე შენს მამას, მან გშობა შენ და ნუ მოიძულებ შენს დედას, როდესაც მოხუცდება.
- ²³სიმართლე შეიძინე და აღარ გაყიდო; შეიძინე სიბრძნე, შეგონება და გონიერება.
- ²⁴ლხენით ილხენს მართლის მამა და ბრძენის მშობელი იხარებს მისით.
- ²⁵გაიხარონ შენმა მამამ და დედამ – შენმა მშობელმა.
- ²⁶მომეცი, შვილო, შენი გული და შენმა თვალებმა დაიცვან ჩემი გზა.
- ²⁷მეძავი ქალი ღრმა ორმოა და ვიწრო ჭაა სხვისი ცოლი.
- ²⁸ყაჩაღივით გისაფრდება და მოღალატეებს ამრავლებს ხალხში.
- ²⁹ვინ გმინავს? ვინ დაობს? ვინ ჩივის? ვისა აქვს უდანაშაულო ჭრილობები? ვისა აქვს ჩაწითლებული თვალები?
- ³⁰ვინც ღვინოს გვიანამდე უზის, ვინც განზავებული ღვინის საჭაშნიკოდ დადის.
- ³¹ნუ დახარბდება ღვინის სიწითლეს, აზარფეშაში ნაპერწკლებს რომ ისვრის და მორაკრაკებს;
- ³²შემდეგ კი გველივით გიკბენს და ასპიტივით გიჩხვლევს.



³³შენს თვალებს უცნაურობანი მოელანდება და შენი გული უკუღმართად ილაპარაკებს;

³⁴შუაგულ ზღვაში მძინარესავით იქნები, ანძის წვერზე მძინარესავით.

³⁵იტყვი: „მცემდნენ და არ მტკიოდა, მირტყამდნენ და ვერ ვიგებდი; გამოვიღვიძე და ისევ ძეხნას დავუწყებ სასმელს.“

იგავნი 24

¹ნუ შეგშურდება ბოროტებისა და ნუ ისურვებ მათთან ყოფნას,

²რადგან ძალადობაზე ფიქრობს მათი გონება და მათი ბაგენი მავნებლობაზე ლაპარაკობენ.

³სიბრძნით შენდება სახლი და გონიერებით მტკიცდება;

⁴ცოდნის წყალობით ივსება ოთახები ყოველგვარი ძვირფასი და საუცხოო სიმდიდრით.

⁵ბრძენი მეომარი ღონიერზე ძლიერია და მცოდნე კაცი – ძალ-ღონით სავსეზე.

⁶გონივრულად წარმართე ომი და ხსნა მრჩეველთა სიმრავლის წყალობით გექნება.

⁷სულელი ძნელად მისწვდება სიბრძნეს, კარიბჭესთან ენას ვერ დაძრავს.

⁸სიავის განმზრახველს ბოროტმოქმედი ჰქვია.

⁹ბრიყვის განზრახვა ცოდვაა და უზნეო კაცი სიძულვილს იმკის.

¹⁰თუ გასაჭირის დღეს დაეცემი, უძლური ყოფილხარ.

¹¹იხსენ სასიკვდილოდ წაყვანილნი და ნუ მიატოვებ სასიკვდილოდ განწირულთ;

¹²თუ იტყვი: „ჩვენ ხომ არ ვიცოდით,“ – განა გულთამხილავი ვერ გაიგებს? შენი სულის მფარველმა განა არ იცის და არ მიუზღავს ადამიანებს მათი საქმისამებრ?

¹³ჟამე, შვილო, თაფლი, რადგან კარგია იგი და გოლეულიც ეტკობა შენს სასას.

¹⁴ასეთივეა ცოდნა და სიბრძნე შენი სულისათვის: თუ იპოვი, მომავალი გექნება და შენი იმედი არ გაწბილდება.

¹⁵ნუ ჩაუსაფრდები, უკეთურო, მართლის სახლს, თავს ნუ დაესხმი მის სამყოფელს,



- ¹⁶რადგან შვიდჯერაც რომ დაეცეს მართალი, მაინც ადგება, უკეთურნი კი დაიღუპებიან.
- ¹⁷შენი მტრის დაცემისას ნუ გაიხარებ, და ფეხს რომ წაიტეხავს, ნუ გაიხარებს შენი გული,
- ¹⁸თორემ იხილავს უფალი და ცუდად გამოჩნდება მის თვალში, და მოაქცევს მისგან თავის რისხვას.
- ¹⁹ნუ გაეჯიბრები ბოროტმოქმედთ და ნუ შეგშურდება უკეთურთა,
- ²⁰რადგან მომავალი არა აქვს ბოროტებას; უკეთურთა სანთელი ჩაქრება.
- ²¹გეშინოდეს, შვილო, უფლისა და მეფისა, და მეამბოხეებში ნუ გაერევი,
- ²²რადგან უცაბედად მოვა მათგან დაღუპვა, და ვინ იცის, რა უბედურებას დაგატეხენ?
- ²³ესეც ბრძენთა ნათქვამია: მიკერძოებით განსჯა ცუდია.
- ²⁴ვინც დამნაშავეს ამართლებს, ხალხი დასწყევლის და ერი შეაჩვენებს;
- ²⁵ხოლო დამნაშავეთა განმსჯელნი სათნო იქნებიან და მათზე კეთილი კურთხევა გადმოვა.
- ²⁶ვინც მართალ სიტყვას ამბობს, ის პირზე კოცნის.
- ²⁷ჯერ გარეთ მოათავე შენი საქმე, მინდვრად ხვნა-თესვას მორჩი და მერე ააშენე სახლი.
- ²⁸ნუ დადგები შენი მოძმის წინააღმდეგ ცრუ მოწმედ, შენი ენა ნუ იტყვის სიცრუეს.
- ²⁹ნუ იტყვი: „როგორც ის მომექცა, მეც ისე მოვექცევი, რაც გამიკეთა, იმას გავუკეთებ.“
- ³⁰ზარმაცი კაცის ყანასთან გავიარე და მცონარას ვენახთან,
- ³¹და აჰა, მთლად ღვარძლით იყო სავსე, ეკალ-ბარდებს დაეფარა მთლიანად და ღობე მორღვეულიყო.
- ³²და ეს რომ ვნახე, ჩავფიქრდი და ჰკუა ვისწავლე:
- ³³ცოტას წაუძინებ, ცოტას წასთვლებ, თავქვეშ ამოიწყო ხელებს,
- ³⁴და სილატაკე ყაჩაღივით დაგადგება თავს და სიღარიბე – იარაღასხმული მეომარივით.

იგავნი 25



- ¹ესეც სოლომონის იგავებია, იუდას მეფის, ეზეკიას ვეზირების შეკრებილი:
- ²საქმეთა დაფარვა ღმერთის დიდებაა, საქმის გამოკვლევა კი – მეფის დიდება.
- ³ისევე როგორც ზეცის სიმაღლე და მიწის სიღრმე, მეფეთა გულიც შეუცნობელია.
- ⁴მოაშორეთ წიდა ვერცხლს და გამოჰედავს ოქრომჟეღელი ჭურჭელს.
- ⁵მოაშორეთ მეფეს უკეთური და მისი ტახტი სიმართლით განმტკიცდება.
- ⁶ნუ განიდიდებ თავს მეფის წინაშე და დიდებულთა ადგილზე ნუ დადგები;
- ⁷სჯობს გითხრან: „ზემოთ ამოდი“, ვიდრე დაგამცირონ დიდებულის წინაშე. როგორც კი რაღაცას დაინახავ,
- ⁸უმაღლ ნუ გაიქცევი სასამართლოში, თორემ ბოლოს რას იზამ, შენი მეზობელი თუ შეგარცხვენს?
- ⁹დავით კი ედავე შენს მეზობელს, მაგრამ სხვის საიდუმლოს ნუ გასცემ,
- ¹⁰თორემ ვინც გაიგებს, გაგკიცხავს და სახელი გაგიტყდება.
- ¹¹მოსწრებული სიტყვა ვერცხლით მოვარაყებული ოქროს ვაშლებს ჰგავს.
- ¹²ოქროს საყურეა და ბაჯაღლოს სამკაული ბრძენის შეგონება გამგონე ყურისთვის.
- ¹³რაც თოვლის სიგრილე იქნებოდა მკის დროს, ის არის ერთგული მაცნე მისი გამგზავნისათვის, ის მას სულს უგრილებს.
- ¹⁴ფუჭი ძღვენით მოტრაბახე კაცი იგივეა, რაც ღრუბელი და ქარი წვიმის გარეშე.
- ¹⁵მოთმინებით შეიძლება მთავრის მოდრეკა, და წყლიანი ენა ძვალს დაამსხვრევს.
- ¹⁶თაფლს თუ იპოვი, ზომაზე ჭამე, თორემ მუცლის გვრემით უკან ამოარწყევ.
- ¹⁷ფეხი დაადვირე შენი მოძმის სახლში, თორემ მოზეზრდები და შეგიძულეხ.
- ¹⁸კაცი, რომელიც ცრუდ მოწმობს მოყვასის წინააღმდეგ, შუბი, მახვილი და ბასრი ისარია.
- ¹⁹როგორც ჭიანი კბილი და დადამბლავებული ფეხი, ასევე არ არის სანდო ღალატიანი კაცი გასაჭირში.



²⁰სიცივეში ტანსაცმლის წაგლეჯას და ჭრილობაზე ძმრის დასხმას ჰგავს ნაღვლიანისთვის მხიარული სიმღერის მღერა.

²¹თუ შენი მტერი მშიერია, დააპურე; თუ სწყურია, წყალი მიაწოდე,

²²რადგან ამით ნაკვერცხლებს შეაგროვებ მის თავზე და უფალი მოგიზღავს შენ.

²³ჩრდილოეთის ქარი თავსხმას იწვევს და ენის აყოლა – მრისხანე მზერას.

²⁴სხვენის კუნჭულში ცხოვრება სჯობია ანჩხლ დედაკაცთან ერთად ცხოვრებას.

²⁵რაც ცივი წყალია მწყურვალისათვის, ის არის კარგი ამბავი შორი ქვეყნიდან.

²⁶რალა ამღვრეული ნაკადული და გაბინძურებული წყარო, და რალა ბოროტის წინაშე წაფორხილებული მართალი.

²⁷ბევრი თავლის ჭამა არაა კარგი, და არც ზედმეტი დიდების ძიება.

²⁸რალა უგალავნო ქალაქი და რალა კაცი, რომელიც საკუთარ თავს ვერ მართავს.

იგავნი 26

¹ისევე, როგორც თოვლი ზაფხულისთვის და წვიმა მკისთვის, ასევე შეუფერებელია ბრიყვისთვის პატივი.

²ბელურას გაფრენისა და მერცხლის ნავარდივით ასცდება კაცს უმიზეზო წყევლა.

³მათრახი – ცხენისთვის, ლაგამი – ვირისთვის, სახრე – ბრიყვისთვის.

⁴ნუ უპასუხებ ბრიყვს მისი სირეგვნისამებრ, რათა არ დაემსგავსო მას.

⁵უპასუხე ბრიყვს მისი სიბრიყვის შესაბამისად, თორემ თავი ბრძენი ეგონება.

⁶ვინც ბრიყვს აგზავნის მაცნედ, ფეხქვეშ მიწას იცლის და თავს გასაჭირში იგდებს.

⁷რალა კოჭლის ფეხები და რალა ბრიყვის ბაგეზე იგავი.

⁸ბრიყვისთვის პატივის მიგება იგივეა, რაც მიბმული ქვის შურდულით სროლა.

⁹რალა ძეძვის ეკლიანი ჯოხი მთვრალის ხელში და რალა იგავი ბრიყვის პირში.



- ¹⁰ბრიყვისა და გზად გამვლელის დამქირავებელი ჰგავს მოისარს, განურჩევლად ყველას რომ ესვრის.
- ¹¹როგორც ძაღლი უბრუნდება თავის ნარწყევს, ისე იმეორებს ბრიყვი თავის სისულელეებს.
- ¹²გინახავს კაცი, რომელსაც თავი ბრძენი ჰგონია? ბრიყვს მეტი ფასი აქვს, ვიდრე მას.
- ¹³ზარმაცი ამბობს: „ლომია გზაზე! ლომია ქუჩაში!“
- ¹⁴კარი თავის ანჯამაზე ბრუნავს, ზარმაცი – თავის საწოლზე.
- ¹⁵ზარმაცი ჯამში ჰყოფს ხელს, პირთან მიტანა კი ეზარება.
- ¹⁶საკუთარ თვალში ზარმაცი გონიერი პასუხების გამცემ შვიდ ბრძენზე ბრძენია.
- ¹⁷რაღა კაცი, რომელმაც ძაღლს ყურებში წაავლო ხელი და რაღა სხვის ჩხუბში ჩარეული.
- ¹⁸რაღა გიჟი, რომელიც ისვრის მუგუზლებს, ისრებს და სიკვდილს,
- ¹⁹და რაღა კაცი, რომელიც ატყუებს თვის მოყვასს და ამბობს: „გეხუმრეო.“
- ²⁰სადაც შეშა არ არის, ცეცხლი ქრება; სადაც ენის მიმტანი არ არის, შუღლს ბოლო ედება.
- ²¹ნახშირი – ნაკვერცხლისათვის, შეშა – ცეცხლისათვის, შარიანი კაცი შუღლისათვის.
- ²²ენატანის სიტყვები ნუგბარივითაა და მუცლის წიაღამდე აღწევენ.
- ²³როგორც წიდიანი ვერცხლი თიხის ჭურჭელზე, ისეა ფარისეველი ენა და ბოროტი გული.
- ²⁴ენით თავს მოაჩვენებს მტერი, გულში კი მზაკვრობა უდევს.
- ²⁵ნუ ენდობი მას, როცა ხმას ინახებს, რადგან შვიდი სიბილწეა მის გულში.
- ²⁶თუმც სიძულვილს პირფერობით ფარავს, მისი ბოროტება კრებულში გამომჟღავნდება.
- ²⁷ვინც ორმოს თხრის, შიგ ჩავარდება, ვინც ქვას ზემოთ აისვრის, მასვე დაუბრუნდება.
- ²⁸ცრუ ენას სძულს თავისი მსხვერპლი და მლიქვნელი პირი დამხოვას ამზადებს.

იგავნი 27



- ¹ნუ იქადი ხვალინდელი დღით, რადგან არ იცი, ეს დღე რას მოიტანს.
- ²ნუ შეიქებ თავს, სხვამ შეგაქოს; სხვამ, და არა შენმა ბაგეებმა.
- ³ლოდი მძიმეა და არც ქვიშაა მსუბუქი, ხოლო სულელის რისხვა ორივეზე მძიმეა.
- ⁴მრისხანება სისასტიკეა, ბრაზი – წამლეკავი, შურს კი ვინ აღუდგება წინ?
- ⁵ცხადი მხილება სჯობს დაფარულ სიყვარულს.
- ⁶მეგობრის სილა გერჩივნოს მტრის კოცნას.
- ⁷მადლარი თაფლსაც დაიწუნებს, მშვიდს კი მწარეც ტკბილი ჰგონია.
- ⁸სახლიდან გადახვეწილი კაცი მსგავსია ბუდემოშლილი ჩიტისა.
- ⁹ზეთი და საკმეველი გულს ახარებს, მაგრამ მეგობრის რჩევა უფრო ტკბილია.
- ¹⁰შენს მეგობარსა და მამაშენის მეგობარს ნუ მიატოვებ, და შენი ძმის სახლში ნუ წახვალ შენი გასაჭირის დღეს. კარის მეზობელი გერჩიოს შორს მყოფ ძმას.
- ¹¹დაბრძენდი, შვილო, და გამიხარე გული; და მეც სათქმელი მექნება მოწინააღმდეგისთვის.
- ¹²გონიერი ხედავს საფრთხეს და იმალება, გულუბრყვილო კი ჯიქურ მიდის და ისჯება.
- ¹³აილე მისი მოსასხამი, რადგან უცხოვს დაუდგა თავდებად, და უცხოტომელის წილად გაცემული გირაოც.
- ¹⁴ხმამაღალი მისალმება დილაუთენია წყევლად ჩათვლება მიმსალმებელს.
- ¹⁵რაღა ცივი წვიმა და რაღა ანჩხლი ცოლი;
- ¹⁶მისი შემკავებელი ქარს აკავებს და მუჭით ზეთს იჭერს.
- ¹⁷რკინა რკინას ლესავს და კაცი კაცს.
- ¹⁸ვინც ლელვს უვლის, მის ნაყოფს იგემებს და ბატონის მომვლელს პატივი არ მოაკლდება.
- ¹⁹როგორც წყალში ირეკლება კაცის სახე, ისე ირეკლება გული – გულში.
- ²⁰როგორც შავეთი და ჯოჯოხეთი ვერ გაძლება, ისე – კაცის თვალი.
- ²¹ვერცხლი ბრძმედში იწრთობა გამოხურვებით, ოქრო – ქურაში, კაცი კი ქებით გამოიცდება.
- ²²ფილაშიც რომ ნაყო სულელი, სიბრიყვეს ვერ მოაცილებ.



- ²³იცოდე შენი სამწყსოს ზნე და იზრუნე ფარაზე,
- ²⁴რადგან საუკუნო არა არის სიმდიდრე და მუდამ არც გვირგვინი გადადის თაობიდან თაობაზე.
- ²⁵ბალახი ჭკნება, მაგრამ ამოიწვერება ახალი ჯეჯილი, და გადაითიბება მთის კალთები;
- ²⁶გეყოლება ცხვარი სამოსისათვის და თხა – მინდვრის საფასურისთვის,
- ²⁷თხის რძე საკმარისი გექნება სახლეულისა და მონა-მხევალთა სარჩენად.

იგავნი 28

- ¹ბოროტნი მაშინაც გარბიან, როცა არავინ მისდევთ; მართალნი კი ლომივით უშიშარნი არიან.
- ²ამბოხის დროს მმართველები მრავლდებიან, ხოლო გონიერ და მცოდნე კაცთა ხელში ხანგრძლივი სტაბილობაა.
- ³ლატაკი, რომელიც ჩაგრავს ლატაკს, წვიმის თქემია, ნათესს რომ სპობს.
- ⁴რჯულის დამტოვებელნი უღვთოს აქებენ, რჯულის დამცველნი კი ებრძვიან ურჯულოს.
- ⁵ბოროტთ არ ესმით, რა არის სამართალი, უფლის მამიებელთ კი ყველაფერი იციან.
- ⁶თავისი სიმართლით მავალი ღარიბი სჯობს მრუდე გზით მავალ მდიდარს.
- ⁷რჯულის დამცველი გონიერი ძეა; ხარბებთან დამეგობრებული კი მამის შემარცხვენელია.
- ⁸ვინც ქონებას ვახშითა და სარგებლით იმრავლებს, ლატაკთა მწყალობლისთვის აგროვებს მას.
- ⁹ვინც რჯულის მოსმენას ყურს არიდებს, მისი ლოცვაც კი სიბილწეა.
- ¹⁰ვინც წრფელებს აცდუნებს და ბოროტი გზისკენ უბიძგებს, თავად ჩავარდება თავის ამოთხრილ ორმოში; ხოლო უბიწონი სიკეთეს დაიმკვიდრებენ.
- ¹¹მდიდარ კაცს ბრძენი ჰგონია თავი, მაგრამ მას გონიერი უპოვარი ამხელს.
- ¹²მართალთა აღზევება დიდი ზეიმია, უკეთურთა აღზევებისას კი ხალხი იმალება.
- ¹³საკუთარ დანაშაულთა დამფარველს ხელი არ მოემართება, ვინც აღიარებს და მიატოვებს ცოდვას, შეიწყალებული იქნება.



¹⁴ნეტარია ფრთხილი კაცი, ხოლო ვინც გულს გაისასტიკებს, უბედურებაში ჩავარდება.

¹⁵უკეთური ბატონი ღატაკთათვის მბრძღვინავი ლომია და მღრინავი დათვი.

¹⁶უგუნური მთავარი სასტიკი მოძალადეა, ანგარების მოძულე კი დღეგრძელი იქნება.

¹⁷კაცის სისხლით დამძიმებულმა სამარემდე ირბინოს, ნურავინ დაეხმარება მას.

¹⁸უმწიკვლოდ მავალი კაცი გადარჩება, ხოლო ღვლარქნილი გზით მავალი კი, ერთხელაც იქნება, დაეცემა.

¹⁹თავისი მიწის მხვნელ-მთესველი მაძლარი იქნება; ამაო საქმეთა მადევარი კი სიღარიბით აივსება.

²⁰ერთგული კაცი კურთხევითაა მდიდარი, გამდიდრების მოსწრაფე კი დაუსჯელი არ დარჩება.

²¹პირმოთნეობა კარგი არ არის: პირმოთნე ლუკმა პურისთვისაც კი შესცოდავს.

²²ხარბი კაცი გამდიდრებას ესწრაფვის, ის კი არ იცის, რომ გაჭირვება ემუქრება.

²³მამხილებელი კაცი ბოლოს უფრო მეტ მადლს ჰპოვებს, ვიდრე პირმოთნე.

²⁴ვინც დედ-მამას მარცვავს და ამბობს: „ეს დანაშაული არ არის“, მარცველთა თანაზიარია.

²⁵ხარბი მუდამ შუღლს ეძებს, უფალს მინდობილი კი გამდიდრდება.

²⁶საკუთარი თავის იმედით მყოფი ბრიყვია, სიბრძნით მავალი კი გადარჩება.

²⁷ღარიბის გამკითხავი არ გადარიბდება, ხოლო ვინც გაჭირვებულს თვალს არიდებს, წყევლა-კრულვით აივსება.

²⁸უკეთურთა აღზევებისას ხალხი იმალება, ხოლო მათი წარწყმედისას მართალნი ძლიერდებიან.

იგავნი 29

¹თუ მრავალგზის მხილებული მაინც ქედვიცხელობს, ანაზდეულად გადატყდება და არ იქნება მისთვის კურნება.



- ²მართალთა აღზევებისას ხალხი ხარობს; უკეთურთა ბატონობისას კი გმინავს.
- ³სიბრძნის მიმდევარი მამას ახარებს; მეძავთა ამყოლი კი ქონებას ანიავეს.
- ⁴მეფე სამართლით განამტკიცებს ქვეყანას; მძიმედ დამბეგრავი კი ამხოვს მას.
- ⁵მოყვასთან მლიქვნელი, მახეს უგებს მას ფეხქვეშ.
- ⁶ბოროტი კაცი დანაშაულის ხაფანგში ებმება, ხოლო მართალი მღერის და ხარობს.
- ⁷მართალმა იცის ღატაკთა უფლებები, უკეთურს არა აქვს ეს ცოდნა.
- ⁸თავქარიანები ცეცხლს უკიდებენ ქალაქს, ხოლო ბრძენნი უკუაქცევენ რისხვას.
- ⁹სულელ კაცთან მოდავე ბრძენკაცს, ბრაზობს თუ იცინის, სულერთია, არ ექნება მოსვენება.
- ¹⁰სისხლის მოყვარულებს სძულთ უბიწო, წრფელნი კი ზრუნავენ მასზე.
- ¹¹ბრიყვი მთელ თავის რისხვას გამოხატავს, ბრძენი კი თავს იკავებს.
- ¹²თუ მმართველი სიცრუეს ყურს მიუგდებს, მისი ყველა მსახური უკეთური იქნება.
- ¹³ღატაკს და თაღლითს ერთი აქვთ საერთო: თვალის ჩინს ორივეს უფალი აძლევს.
- ¹⁴მეფე, რომელიც სამართლიანად ასამართლებს ღარიბთ, სამუდამოდ განამტკიცებს თავის ტახტს.
- ¹⁵წკეპლას და შეგონებას სიბრძნე მოაქვს, მიშვებული ყმაწვილი კი დედის შემარცხვენელია.
- ¹⁶უკეთურთა მმართველობისას დანაშაული მრავლდება; მაგრამ მართალნი იხილავენ მათ დამხოვას.
- ¹⁷გაწვრთნი შვილი და შვებას მოგგვრის. სიამეს მიანიჭებს შენს გულს.
- ¹⁸თუ გამოცხადებები არ არის მაღლიდან, ხალხი თავს იშვებს; ნეტარია რჯულის დამცველი.
- ¹⁹სიტყვით ვერ გაწვრთნი მონას, რადგან კიდევაც რომ გაიგოს, არ დაგიჯერებს.
- ²⁰გინახავს სიტყვაჩქარი კაცი? ბრიყვის მეტი იმედი გქონდეს, ვიდრე ამგვარი კაცისა.



- ²¹მონას თუ სიყრმიდანვე გაანებივრებ, მემკვიდრედ გაგიხდება.
- ²²მრისხანე კაცი შულღს თესავს, და გულფიცხი ბევრს ცოდავს.
- ²³ქედმაღლობას დამცირება მოსდევს, თვინიერებას კი დიდება მოაქვს.
- ²⁴ქურდის მოზიარე თავის მოძულეა; ესმის როგორ წყევლიან ქურდს, მაგრამ არ ამხელს.
- ²⁵კაცის შიში მახეა, უფალს მინდობილი კი ხელშეუხებელია.
- ²⁶მრავალი ეძებს ბატონის მოწყალე სახეს, მაგრამ კაცის ბედი უფლის ხელთაა.
- ²⁷მართალთათვის საზიზღრობაა უსამართლო კაცი, ხოლო უკეთურთათვის სწორი გზით მავალია საზიზღრობა.

იგავნი 30

- ¹სიტყვები აგურისა, იაკეს ძისა, მისნისა, თქმული ითიელის, ითიელის და უქალისადმი:
- ²ყველაზე უმეცარი ვარ კაცთაგან და ადამიანური გონება არ გამაჩნია;
- ³არ მისწავლია სიბრძნე და ღვთიურისა არაფერი გამეგება.
- ⁴ვინ ავიდა ზეცაში და ვინ ჩამოვიდა? ვინ შეაგროვა ქარი მუჭებით? ვინ გამოიკრა წყალი კვართში? ვინ დაადგინა მიწის ყველა საზღვარი? რა არის მისი სახელი და რა არის მისი ძის სახელი, თუ იცი?
- ⁵ღმერთის ყოველი სიტყვა ხალასია; ფარია მასზე მინდობილთათვის.
- ⁶ნურაფერს მიუმატებ მის სიტყვებს, რათა არ გამხილოს და ცრუ არ გამოდგე.
- ⁷ორ რამეს გთხოვ, უარს ნუ მეტყვი, სანამ ცოცხალი ვარ:
- ⁸განმაშორე ტყუილი და სიყალბე, ნუ მომცემ ნურც სიღარიბეს და ნურც სიმდიდრეს, მაკმარე პური ჩემი არსობისა,
- ⁹რათა გამძღარმა არ უარგყო და არა ვთქვა: „ვინ არის უფალი?“ ან გაღარიბებულმა არ ვიქურდო და არ შევბღალო სახელი ჩემი ღმერთისა.
- ¹⁰ნუ დასწამებ ცილს მონას თავისი ბატონის წინაშე, თორემ მოგეწევა მისი წყევლა.
- ¹¹არიან ისეთნი, ვინც მამას სწყევლის და დედას არ ლოცავს;
- ¹²არიან საკუთარ თვალში სუფთანი, მაგრამ განუბანელი თავიანთი სიბინძურისაგან;



- ¹³არიან კაცნი – როგორი ამპარტავანნი, რა ქედმაღალი მზერის!
- ¹⁴არიან კაცნი, რომელთა კბილები მახვილებია, ღოჯები დანებია, ღვთისმოსავთა და კაცთა შორის ღარიბ-ღატაკთა შესაჭმელად ამქვეყნად.
- ¹⁵წურბელას ორი ასული ჰყავს: „მომე, მომე!“ ეს სამნი გაუმაძღარნი არიან და ოთხნი არასდროს იტყვიან: „კმარა“
- ¹⁶შავეთი და უნაყოფო საშო, წყლით გაუმაძღარი მიწა და ცეცხლი არასდროს არ ამბობენ: „კმარა!“
- ¹⁷მამის დამცინავ და დედის ურჩ ყვავ-ყორანი ამოკორტნის თვალებს და ორბის მართვენი შეჭამენ.
- ¹⁸სამი რამ მაოცებს და ოთხი რამ არ ვიცი:
- ¹⁹არწივის გზა ცაში, გველის გზა კლდეზე, ხომალდის გზა შუაგულ ზღვაში და კაცის გზა ქალწულისაკენ.
- ²⁰ასეთია გზა მრუში ქალისა: შეჭამს, პირს მოიწმენდს და ამბობს: „ცუდი არაფერი გამიკეთებია.“
- ²¹სამი რამ არყევს მიწას და ოთხი ვერ აუტანია:
- ²²გამეფებული მონა, მამდარი ბრიყვი,
- ²³კახპას გათხოვება და ქალბატონის ადგილს რომ იჭერს მისი მხევალი.
- ²⁴ოთხი რამ არის მცირე დედამიწაზე, მაგრამ ისინი ბრძენზე ბრძენნი არიან:
- ²⁵ჭიანჭველა სუსტია, მაგრამ ზაფხულშივე იმზადებს საზრდოს;
- ²⁶კლდის ბოცვერი ძლიერი არ არის, მაგრამ კლდეზე იდგამს სახლს;
- ²⁷მეფე არა ჰყავთ კალიებს, მაგრამ მწყობრად გამოდიან;
- ²⁸ხვლიკს ხელით დაიჭერ, მაგრამ მეფის სასახლეშიც კი ცხოვრობს.
- ²⁹სამნი გამართულნი დააბიჯებენ და ოთხნი მარჯვედ დადიან:
- ³⁰ლომი უძლიერესია მხეცთა შორის და გზიდან არავის ჩამოეცლება;
- ³¹ამაყი ვაცი და მეფე, ლაშქარს რომ მიუძღვის.
- ³²თუ სისულელით თავი აიმაღლე ან ბოროტება განიზრახე, პირი მოკუმე,
- ³³რადგან რძის დღვება კარაქს იძლევა, ცხვირის ქექვა – სისხლი გადმოადენს და რისხვის გადმონთხევა კი შუღლს წარმოშობს.

იგავნი 31



- ¹იტყვანი მეფე ლემუელისა, მისნისა, რომლებსაც ასწავლიდა დედამისი:
- ²რაო, ჩემო შვილო, რაო, შვილო ჩემი მუცლისა? რაო, შვილო ჩემი აღთქმებისა?
- ³ნუ შეაღევ ქალებს შენს ძალას და შენს გზებს – მეფეთა დამღუპველ დიაცებს!
- ⁴მეფეებს არ შეჰფერით, ლემუელ, მეფეებს არ შეჰფერით ღვინის სმა, და არც მთავრებს – თაფლუჭზე მიძალება,
- ⁵თორემ დალევენ და დაივიწყებენ კანონებს, გაამრუდებენ ჩაგრულთა სამართალს.
- ⁶მიეცით ძლიერი სასმელი მომაკვდავს და ღვინო – გამწარებულს.
- ⁷დალიოს და დაივიწყოს თვისი სიღარიბე და თავისი სატანჯველი აღარ გაიხსენოს.
- ⁸გახსენი პირი მუნჯებისთვის, ყველა მიტოვებულისთვის სამართლის გასაჩენად.
- ⁹გახსენი პირი, განსაჯე სამართლიანად და დაიცავი ღარიბ-ღატაკთა უფლებები.
- ¹⁰ვინ იპოვის გამრჯე ცოლს? ობოლ მარგალიტზე ძვირია მისი ფასი.
- ¹¹ენდობა მას მისი ქმრის გული და არ მოაკლდება შემოსავალი.
- ¹²ის მთელი სიცოცხლე სიკეთეს მიაგებს ქმარს და არა ვნებას.
- ¹³მატყლს და სელს მოიპოვებს და ბეჯითად მუშაობს საკუთარი ხელით.
- ¹⁴სავაჭრო ხომალდივით არის იგი – შორიდან ეზიდება საზრდოს.
- ¹⁵გათენებამდე დგება და საკვებს უმზადებს ოჯახს და საქმეს უნაწილებს მხევალთ.
- ¹⁶შეარჩევს მიწას და შეიძენს, თავისი ხელით აშენებს ვენახს.
- ¹⁷ძალას შემოირტყამს წელზე და მკლავს გაიმაგრებს.
- ¹⁸ხედავს თავისი შრომის ნაყოფს და ღამით არ ქრება მისი სანთელი.
- ¹⁹ჯარას აბრუნებს და თითისტარს ატრიალებს.
- ²⁰გლახაკთან ხელგაშლილია და მკლავს აშველებს დავრდომილს.
- ²¹არ აშინებს ყინვა, რადგან მთელი ოჯახი თბილად ჰყავს შემოსილი.
- ²²ფარდაგებს იკერავს და სელითა და ძოწეულით იმოსება.
- ²³მისი ქმარი ცნობილია კარიბჭესთან და ქვეყნის უხუცესებს შორის ზის.



- ²⁴სელის სამოსს კერავს და ყიდის; სარტყლებს ვაჭრებს ატანს გასაყიდად.
- ²⁵ძალით და ღირსებით არის მოსილი და ხვალინდელ დღეს ღიმილით ხვდება.
- ²⁶პირს სიბრძნით ხსნის და მადლიან დარიგებებს წარმოსთქვამს მისი ენა.
- ²⁷კარგად უძღვება საოჯახო საქმეებს და მუქთა პურს არ ჭამს.
- ²⁸დგებიან მისი შვილები და ლოცავენ დედას; ქმარიც დგება და აქებს მას:
- ²⁹„მრავალი ქალი მოქცეულა სანაქებოდ, მაგრამ შენ ყველას გადააჭარბე!“
- ³⁰მაცდურია მშვენიერება და ამაოა სილამაზე, უფლის მოშიში ქალი კი ქებულია.
- ³¹მიაგეთ მას მისი გარჯის ნაყოფი და მისი საქმეები განადიდებენ მას კარიბჭეებთან.



ეკლესიასტე

ეკლესიასტე 1

- ¹სიტყვანი ეკლესიასტესი, ძისა დავითისა, მეფისა იერუსალიმში.
- ²ამაოება ამაოებათა, თქვა ეკლესიასტემ, ამაოება ამაოებათა! ყოველივე ამაოებაა!
- ³რა სარგებელი აქვს კაცს მთელი იმ ჯაფიდან, მზისქვეშეთში რომ ეწევა?
- ⁴თაობა მიდის და თაობა მოდის, ქვეყანა კი სამუდამოდ რჩება.
- ⁵მზე ამოდის და მზე ჩადის, და იმ ადგილს უბრუნდება, საიდანაც ამოვიდა.
- ⁶სამხრეთისაკენ მიქრის ქარი, შემობრუნდება და ჩრდილოეთისაკენ მიიქცევა; ტრიალებს, ტრიალებს ქარი და თავის წრეებზე ბრუნდება.
- ⁷ყველა მდინარე ზღვისკენ მიედინება, ზღვა კი არ ივსება; საითკენაც მიედინებოდნენ მდინარეები, კვლავაც იქით მიედინებიან.
- ⁸ყოველი საქმე მომქანცველია, უფრო მეტად, ვიდრე სიტყვას ძალუმს ამის გამოთქმა; თვალი ვერასდროს ძლება ხილვით, და ვერც ყური ივსება სმენით.
- ⁹რაც ყოფილა, ისევ ის იქნება, და რაც მომხდარა, იგივე მოხდება: არაფერია ახალი მზისქვეშეთში.
- ¹⁰განა არის ისეთი რამ, რაზეც იტყოდნენ: „ნახე, ეს სიახლეა!“ ესეც ყოფილა წინა საუკუნეებში, ჩვენამდე რომ იყო.
- ¹¹არ დარჩენილა გარდასულთა ხსოვნა, და არც მათ შემდგომთ გაიხსენებს მათ უკან მყოფი.
- ¹²მე, ეკლესიასტე, ვმეფობდი ისრაელზე იერუსალიმში.
- ¹³გულმოდგინედ ვიწყე სიბრძნით ძიება და განსჯა იმისა, რაც ხდება ცისქვეშეთში; ეს მძიმე საქმე მიუჩინა უფალმა ადამიანებს აღსასრულებლად.
- ¹⁴და ვიხილე ყოველი საქმე, რაც მომხდარა მზისქვეშეთში, და აჰა, ყოველივე ამაოებაა და დევნა ქარისა.
- ¹⁵გამრუდებულს ვერ გაასწორებ, და რაც გარდავიდა, ვეღარ აღრიცხავ.
- ¹⁶ვუთხარი ჩემს გულს: „აჰა, დიდი სიბრძნე მოვიპოვე და აღვემატე ყველა ჩემზე უწინარეს მყოფს იერუსალიმში. და ეზიარა ჩემი გული უამრავ სიბრძნესა და ცოდნას.“



¹⁷და განვაწყვე ჩემი გონება, რათა შემეცნო სიბრძნე და შემეცნო სიშლეგე და სისულელე. და გავიგე, რომ ესეც დევნაა ქარისა.

¹⁸რადგან დიდ სიბრძნეში დიდი დარდია და ცოდნის გამრავლება წუხილს ამრავლებს.

ეკლესიასტე 2

¹კუთხარი ჩემს თავს: „მოდო, გამოვცდი სიამეს, რათა გავიგო, რა მოაქვს მას.“ მაგრამ ესეც ამაოება იყო.

²სიცილზე ვთქვი: „სისულელეა.“ და სიამეზე: „რის მაქნისია?“

³ვიფიქრე, ღვინით გამეხალისებინა ჩემი სხეული, გონებას კი სიბრძნით ეფიზლა; უგუნურებაც გამომეცადა, რათა მეხილა, რისი კეთება არის სასიკეთო კაცთათვის ცისქვეშეთში მათი სიცოცხლის დათვლილ დღეებში.

⁴დიდი საქმენი ვქმენ: ავიგე სახლები და გავაშენე ვაზი;

⁵გავიშენე ბაღები და წალკოტები და დავრგე იქ ყოველგვარი ხეხილი.

⁶მოვაწყვე წყალსატევები ნორჩი ტევრების მოსარწყავად.

⁷შევიძინე მონა-მხევალნი და შინ შობილი მონაც მრავლად მყავდა. ცხვარ-ძროხა უფრო მეტი მყავდა, ვიდრე მათ, ვისაც ჩემზე წინ უმეფია იერუსალიმში.

⁸მოვიხვეჭე ოქრო და ვერცხლი და უამრავი განძი ყოველთა მეფეთაგან და მხარეთა. გავიჩინე მგალობლები, კაცნი და ქალნი, და სიამენი ხორციელნი – მშვენიერი ხარჭანი.

⁹და განვდიდდი და გავმდიდრდი, გადავაჭარბე ყველას, ჩემზე ადრე მყოფს იერუსალიმში; და ჩემი სიბრძნეც არ მტოვებდა მე.

¹⁰და რასაც თვალი მომთხოვდა, არაფერზე ვიხევდი უკან; არცერთი სიამე არ მოვაკელი ჩემს გულს, რადგან ხარობდა იგი ჩემი ნაღვაწით, და ეს იყო საზღაური ჩემი შრომისა.

¹¹და გადავხედე ყველა ჩემს საქმეს, რაც გააკეთეს ჩემმა ხელებმა, ყველეფერს, რაც შრომით შევქმენი, და ყოველივე ამაოება და ქარის დევნა იყო, და სარგებელი ვერაფერი დავინახე მზისქვეშეთში.

¹²და ვიწყე განსჯა სიბრძნისა, სიშლეგისა და უგუნურებისა. რა უნდა გააკეთოს კაცმა, ვინც მოვა მეფის შემდგომ? მხოლოდ ის, რაც უკვე გაკეთებულია.



¹³და დავინახე, რომ უპირატესობა აქვს სიბრძნეს სიბრიყვესთან, ისევე როგორც სინათლეს – სიბნელესთან.

¹⁴ბრძენის თვალი მხედველია, ბრიყვი კი სიბნელეში დაეცემა; თუმცა იმასაც მივხვდი, რომ ერთი ბოლო აქვთ ერთსაც და მეორესაც.

¹⁵და ვუთხარი ჩემს გულს: „რაც ბრიყვს მოელის, მეც იგივე მელის, მაშ რილასათვის ვიყავი ბრძენი?“ და გულსავე ვუთხარი, რომ ესეც ამაოება ყოფილა;

¹⁶რადგან მარადიული არ იქნება ხსოვნა ბრძენისა, ისევე როგორც ხსოვნა ბრიყვისა; მომავლის დღენი ყველაფერს დავიწყებას აძლევენ. ვაგლახ, რომ ერთნაირად კვდებიან ბრიყვიც და ბრძენიც!

¹⁷და შევიძულე ცხოვრება, რადგან მწუხარე აღმოჩნდა ყველა საქმე, რაც მზისქვეშეთში ხდება, რადგან ყოველივე ამაოებაა და დევნა ქარისა.

¹⁸და შემძულდა მთელი ჩემი ნაღვაწი, რაც ვიღვაწე მზისქვეშეთში, რადგან უნდა დავუტოვო კაცს, რომელიც ჩემს შემდეგ მოვა.

¹⁹ვინ იცის, ბრძენი იქნება ის თუ უგუნური, რომელიც დაეპატრონება მთელ ჩემს ნაღვაწს, ჩემი შრომითა და სიბრძნით რომ მოვიპოვე მზისქვეშეთში. და აჰა, ესეც ამაოებაა.

²⁰და გულგატეხილად შევაქციე ზურგი მთელ ჩემს ნაღვაწს მზისქვეშეთში.

²¹რადგან ისე ხდება, რომ ადამიანი შრომობს ბრძნულად, ცოდნით და ნიჭიერებით, და ნაღვაწი კი სხვას ხვდება წილად, რომელსაც ამაზე არ უშრომია. და ესეც ამაოებაა და დიდი ბოროტება.

²²რადგან რა რჩება ადამიანს მთელი თავისი შრომიდან და თავისი გულისწრაფვიდან, მზისქვეშეთში რომ იღწვის იგი?

²³დღენი მისნი ტანჯვითაა სავსე, საზრუნავი მისი – წუხილია; ღამითაც არ ისვენებს, უმფოთავს გული. აჰა, ესეც ამაოებაა.

²⁴განა უკეთესი არ არის კაცისთვის, რომ ჭამოს და სვას და დაიტკბოს სული თავისი შრომით? და დავინახე, რომ ესეც ღვთის ხელთაა;

²⁵რადგან ვის შეუძლია ჭამოს და დატკბეს მის გარეშე?

²⁶რადგან ადამიანს, რომელიც კეთილია მის წინაშე, აძლევს ის სიბრძნეს, ცოდნას და სიხარულს; ცოდვილს კი აძლევს საზრუნავს – შეკრიბოს და მოაგროვოს, რათა მისცეს მას, ვინც კეთილია უფლის წინაშე. ესეც ამაოებაა და ქარის დევნა.

ეკლესიასტე 3



- ¹ყველაფერს აქვს თავისი დრო და ყოველ მოვლენას თავისი ჟამი ცისქვეშეთში;
- ²ჟამი დაბადებისა და ჟამი გარდაცვალებისა; ჟამი დარგვისა და ჟამი დარგულის აღმოფხვრისა;
- ³ჟამი მოკვდინებისა და ჟამი კურნებისა; ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა;
- ⁴ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა; ჟამი გლოვისა და ჟამი ცეკვა-თამაშისა;
- ⁵ჟამი ქვათა გაფანტვისა, და ჟამი ქვათა შეგროვებისა; ჟამი შეხვედრისა, და ჟამი განშორებისა;
- ⁶ჟამი ძებნისა და ჟამი დაკარგვისა; ჟამი შენახვისა და ჟამი გაფლანგვისა;
- ⁷ჟამი დარღვევისა და ჟამი შეკერვისა; ჟამი დუმილისა, და ჟამი საუბრისა;
- ⁸ჟამი სიყვარულისა და ჟამი სიძულვილისა; ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა.
- ⁹რასა რგებს მშრომელს მისი ნაშრომი?
- ¹⁰მე ვიხილე საქმენი, რომელიც ღმერთმა მიუჩინა ადამიანებს შესასრულებლად.
- ¹¹ყველაფერი, რაც ღმერთმა შექმნა, მშვენიერია თავისი დროის შესაფერად; და თუმცა მარადიულის შეცნობის უნარი მიაჩნია მან კაცთა გონებას, მაგრამ ისე, რომ ვერ შეიცნოს ღმერთის ნამოქმედარის თავი და ბოლო.
- ¹²ვიცი, რომ არაფერია კაცთათვის იმაზე კარგი, რომ იბედნიერონ და იხარონ სანამ ცოცხლობენ.
- ¹³და თუ ვინმე ჭამს და სვამს და სიკეთეს ხედავს მთელ მის ნაღვაწში, ეს ღვთისგან აქვს მას ნაბოძები.
- ¹⁴ვუწყი, რომ ყოველივე, რასაც ღმერთი აკეთებს, მარადიულად იარსებებს – ვერც დაემატება რაიმე და ვერც მოაკლდება; და ეს იმისთვის მოაწყო ღმერთმა, რათა შიში ჰქონდეთ მის წინაშე.
- ¹⁵რაც არის, ის უკვე იყო; და რაც იქნება, ისიც უკვე იყო ადრე, და ღმერთი გამოიძიებს უკვე გარდასულს.
- ¹⁶და კიდევ ვიხილე მზისქვეშეთში: მართლმსაჯულების ადგილას – უსამართლობა; სამართლიანობის ადგილას – უკანონობა.
- ¹⁷ვთქვი ჩემს გულში: მართალს და მტყუანს ღმერთი განსჯის, რადგან მან განსაზღვრა ჟამი ყოველი საგნისა და ყოველი საქმისა.



¹⁸ვთქვი მე ჩემს გულში კაცთა მოდგმაზე: ასე გამოსცდის ღმერთი მათ, რათა დარწმუნდნენ, რომ თავისთავად პირუტყვები არიან მხოლოდ.

¹⁹რადგან ხვედრი ადამიანთა და ხვედრი პირუტყვთა ერთი და იგივეა: როგორც ერთი კვდება, ისე კვდება მეორეც. და ერთი სუნთქვა უდგას ყველას, და არა აქვს ადამიანს უპირატესობა პირუტყვზე, რამეთუ ყოველივე ამაოებაა.

²⁰ყოველივე ერთი ადგილისკენ მიდის: ყველაფერი მტვერია და ყველაფერი მტვრად იქცევა.

²¹ვინ უწყის, ადის კი ზევით სული კაცისა, ხოლო პირუტყვისა – ქვევით, ქვესკნელისაკენ?

²²და ვიხილე, რომ არაფერია იმაზე უკეთესი, ვიდრე იხაროს ადამიანმა თვისი საქმით, რადგან ესაა მისი ხვედრი. და ვინ დაანახვებს მას, რა მოხდება მის შემდეგ?

ეკლესიასტე 4

¹და კიდევ ვიხილე ყოველი ძალადობა, რომელიც ხდება მზისქვეშეთში: ვნახე ცრემლი ჩაგრულთა და ნუგეშისმცემელი არ ჰყავდათ მათ; და ძალა მათ მჩაგვრელთა ხელთ იყო, მათ კი არ ჰყავდათ ნუგეშისმცემელი.

²დიდი ხნის მკვდარნი უფრო ბედნიერად შევრაცხე, ვიდრე ჯერაც ცოცხალნი.

³ხოლო ორივეზე ბედნიერი მაინც ის არის, ვინც ჯერ არ შობილა, რომელსაც არ უხილავს ის ბოროტება, მზისქვეშეთში რომ ხდება.

⁴და ისიც ვიხილე, რომ ყოველი სიბეჯითე და მოხერხება საქმეში მხოლოდ კაცთა შორის ერთურთის შურით არის გამოწვეული. ესეც ამაოებაა და დევნა ქარისა.

⁵ბრიყვს გულზე ხელები დაუკრეფია და თავის ხორცს ჭამს.

⁶ერთი მუჭა სიმშვიდე სჯობს ტანჯვით სავსე მთელ კალთა ფუჭ საზრუნავსა და ქარის დევნას.

⁷და კვლავ ვიხილე ამაოება მზისქვეშეთში:

⁸ესენი არიან მარტოხელანი: არც მე ჰყავთ, არც ძმა, ბოლო კი არ უჩანს მათ ჯაფას, მაგრამ მათი თვალი ვერ ძღება სიმდიდრით. „ვისთვისა ვშრომობ“, კითხულობენ ისინი, „და რისთვის ვაკლებ ჩემს სულს სიამეს?“ – ესეც ამაოებაა და ფუჭი საქმე.



⁹ორის ყოფნა სჯობს ერთისას, რადგან უკეთესი საზღაური მიეზღვება მათ გარჯას.

¹⁰რადგან თუ დაეცემა ერთი, მეორე წამოაყენებს მეგობარს; მარტომყოფი კი თუ დაეცა, ვინ წამოაყენებს მას?

¹¹თუ ორნი დაწვებიან, თბილად იქნებიან. მარტომყოფს კი ვინ გაათბობს?

¹²ერთის ძლევა იოლია, ორს კი ძალუმს გამკლავება. სამმაგი ბაწარი დიდხანს ძლებს.

¹³ღარიბი და გონიერი ჭაბუკი სჯობს მოხუცებულ უგუნურ მეფეს, რომელსაც აღარ ესმის შეგონება.

¹⁴ჭაბუკი შეიძლება სატუსალოდან გამოვიდეს და მეფე გახდეს, თუმცა ღატაკად იყო შობილი იმ სამეფოში.

¹⁵ვიხილე, რომ ყოველ მცხოვრებს, ვიდრე ის მზისქვეშეთში დადის, მიჰყვება ყრმა, რომელიც მის ადგილს დაიჭერს.

¹⁶დასასრული არ უჩანდა მთელ იმ ხალხს, ვისაც ის წინამძღოლობდა. მაგრამ არც მათ შემდგომნი მოიპოვებენ სიხარულს. ჭეშმარიტად, ესეც ამაოებაა და დევნა ქარისა.

ეკლესიასტე 5

¹დაუკვირდი შენს ნაბიჯებს, როდესაც ღმერთის სახლისაკენ მიემართები; არჩიე მოსმენა უგუნურთა მსხვერპლშეწირვას, რადგან არ უწყიან, უკეთურებას რომ სჩადიან.

²ენა ნუ გაგისწრებს წინ და გული ნუ აგიჩქარდება ღმერთის წინაშე სიტყვის სათქმელად, რადგან ღმერთი ცაშია, შენ კი – მიწაზე. ამიტომ შეიკავე თავი მრავალსიტყვაობისაგან.

³ბევრ საზრუნავს სიზმრები მოსდევს, ბრიყვის ხმას კი მრავალსიტყვაობა ახლავს.

⁴თუ აღთქმას მისცემ ღმერთს, ნუ დააყოვნებ აღსრულებას, მას არ უყვარს უგუნურნი; დროზე აღასრულე შენი აღთქმა.

⁵ჯობს არ აღუთქვა, ვიდრე აღუთქვა და არ აღასრულო.

⁶ნუ დაგცდება პირიდან ისეთი სიტყვა, რომ ცოდვაში ჩაიგდო თავი; და ნუ იტყვი ანგელოზის წინაშე: შევცდიო. ნუ განარისხებ ღმერთს შენი სიტყვებით, რათა არ დაღუპოს მან შენი ხელით შექმნილი.



⁷სიზმრების სიმრავლეს ამაოება და მრავალსიტყვაობა მოსდევს. გეშინოდეს ღმერთის!

⁸თუ იხილავ სადმე ღატაკთა ჩაგვრას და სამართლისა და სიმართლის შერყვნას, ნუ გაიკვირვებ, რადგან მაღალს უმზერს უფრო მაღალი, ხოლო მათ ზემოთ კიდევ უფრო მაღალი არის.

⁹მიწის ნაყოფი საერთოა, გადახნულ მიწას კი მეფემ უნდა მიხედოს.

¹⁰ვერცხლისმოყვარე ვერ გაძლება ვერცხლით, და ვერც ფუფუნების ტრფიალი აღივსებს საწყაულს. ესეც – ამაოებაა!

¹¹დოვლათი რომ იზრდება, მჭამელთა რიცხვიც იზრდება. რა სარგებელი აქვს პატრონს, გარდა მათი ყურებისა?

¹²ტკბილია მშრომელის ძილი, ბევრს შეჭამს თუ ცოტას; მდიდარს კი სიმამღრე ძილს უფრთხობს.

¹³მძიმე სატკივარი ვიხილე მზისქვეშეთში: სიმდიდრე – პატრონის მიერ დამარხული თავის საუბედუროდ.

¹⁴დაეკარგა სიმდიდრე უბედური შემთხვევის გამო და მისი შვილი ხელცარიელი დარჩა;

¹⁵შიშველი გამოვიდა დედის მუცლიდან და შიშველი წავა, ამაოდ ჩაივლის მისი შრომა, ვერას წაიღებს თან!

¹⁶და ესეც მტანჯველი ბოროტებაა: როგორც მოვიდა, ისე წავა; და რას მიიღებს ქარის დევნით?!

¹⁷მთელი მისი სიცოცხლის დღეებს ბნელში ამოჭამს დარდასა და ვაებაში.

¹⁸და დავინახე, რა არის კეთილი და შესაფერი: ჭამა, სმა და სიამე საკუთარი შრომის ნაყოფით, რასაც კაცი აკეთებს მზისქვეშეთში თავისი სიცოცხლის იმ დათვლილ დღეებში, რომელსაც ღმერთი გვაძლევს; რადგან ესაა ჩვენი წილხვედრი.

¹⁹თუ ღმერთი კაცს აძლევს სიმდიდრეს და ქონებას, რათა ისარგებლოს და მიიღოს თავისი წილი და იხაროს თავისი შრომით – ეს ღმერთის ნაბოძებია.

²⁰ის აღარ დარდობს თავისი სიცოცხლის გარდასულ დღეებზე, რადგან ღმერთი აძლევს მას გულის სიხარულს.

ეკლესიასტე 6

¹არის ბოროტება, რომელიც ვიხილე მზისქვეშეთში და მრავლად არის კაცთა შორის:



²ზოგ კაცს ღმერთი აძლევს სიმდიდრეს და ქონებას და პატივს და არაფერს აკლებს, რასაც ისურვებს, მაგრამ არ აძლევს შესაძლებლობას, რომ მოიხმაროს ეს ყველაფერი, არამედ სხვა მოიხმარს მათ. ესეც ამაოებაა და უბედურება.

³კაცმა რომ შვას ასი შვილი და მრავალ წელს იცოცხლოს, თუ მის სულს სიკეთე არ უგემია და საფლავიც არ ეღირსა, მე ვიტყვი: დედის მუცელს რომ მოსწყვეტოდა, ის ჯობდა.

⁴რადგან ამაოებაში მოდის და ბნელში მიდის და წყვდიადი შთანთქავს მის სახელს.

⁵რადგან მუცელს მოწყვეტილს მზე არც უხილავს და არც არაფერი გაუგია; იმ კაცზე უფრო მოსვენებულია.

⁶თუ ვერაფერი სიკეთე ნახა, ორჯერ ათასი წელიც რომ ეცხოვრა, რა ბედენაა, ბოლოს განა ყველა ერთად არ შეიყრება?

⁷კაცთა მთელი შრომა მათი პირისთვისაა, მაგრამ მადა აღუვსებელია.

⁸რადგან რა უპირატესობა აქვს ბრძენს უგუნურზე? ან რა სარგებელი აქვს ღატაკს, რომელმაც იცის, როგორ გაუძლოს ცხოვრებას?

⁹სჯობს თვალთ ნანახი, ვიდრე ნაოცნებარი – ესეც ამაოებაა და დევნა ქარისა.

¹⁰ყველაფერს, რაც შეიქმნა, უკვე სახელიც მიეცა დიდი ხანია; ისიც ცნობილია, რა არის კაცი: თავისზე ძლიერთან დავა არ ძალუძს.

¹¹რაც მეტია სიტყვები, მით დიდია ამაოება. მაშ რა სარგებელი აქვს კაცს მათგან?

¹²ვინ უწყის, რა არის უკეთესი კაცისთვის მისი ამაო ცხოვრების დათვლილ დღეებში, რომელნიც აჩრდილივით ქრებიან? ვინ ეტყვის კაცს, რა იქნება მის შემდეგ მზისქვეშეთში?

ეკლესიასტე 7

¹კარგი სახელი სჯობს ძვირფას ნელსაცხებელს და სიკვდილის დღე – გაჩენის დღეს.

²ქორწილში წასვლას სატირალში წასვლა სჯობს, რადგან ეს არის ბოლო ყოველი კაცისა, ცოცხალს უნდა ახსოვდეს ეს.

³მწუხარება სჯობს სიცილს, რადგან სევდიანი სახე გულს აღმოზიერებს.

⁴ბრძენთა გული სატირალშია, ბრიყვთა გული კი – ქორწილში.



- ⁵სჯობს ბრძენმა შეგრისხოს, ვიდრე ბრიყვმა გაქოს.
- ⁶ცეცხლზე დაყრილი ფიჩხის ტკაცუნია ბრიყვის სიცილი; ესეც ამაოებაა.
- ⁷ჩაგვრა ბრძენს უგუნურს გახდის, და ქრთამი კი გულს რყვნის.
- ⁸საქმის ბოლო მის დასაწყისს სჯობს, მოთმინება კი – ქედმაღლობას.
- ⁹ნუ ეშურები გულისწყრომას, გულისწყრომა უგუნურთა უბეში ბუდობს.
- ¹⁰ნუ იტყვი: წარსული აწყმოს რად სჯობდაო? რადგან სიბრძნე აკლია ამ კითხვას.
- ¹¹სიბრძნე მემკვიდრეობას სჯობს, და დიდად სარგოა მზის მჭვრეტელთათვის.
- ¹²სიბრძნეც იცავს კაცს და ფულიც, მაგრამ ცოდნის უპირატესობა ის არის, რომ სიბრძნე სიცოცხლეს ანიჭებს მის მფლობელს.
- ¹³შეხედე ღმერთის საქმეებს: ვინ შეძლებს გაასწოროს, რაც მან გაამრუდა?
- ¹⁴კეთილდღეობისას გაიხარე და ძნელბედობისას იფიქრე; ესეც და ისიც ღმერთმა შექმნა, ისე რომ კაცი ვერ მისწვდება იმას, რაც მოხდება შემდგომში.
- ¹⁵ყოველივე ვიხილე ჩემი ამაოების დღეებში: მართალი დაღუპულა თავის სიმართლეში და უკეთური დღეგრძელობს თავის ბოროტებაში.
- ¹⁶ნუ იქნები ზედმეტად მართალი და ნურც ზედმეტად დაბრძენდები, ნუ დაიღუპავ თავს.
- ¹⁷ნუ იქნები მთლად უღმრთო და ნურც მთლად ბრიყვი, რათა მშვიდობით გალიო შენი სიცოცხლის დღენი.
- ¹⁸უმჯობესია, ერთიც იყო და მეორეც; არც ერთი უარყო და არც მეორე; რადგან ღვთისმოშიში ყველაფერს გაუძლებს.
- ¹⁹სიბრძნე კაცს ათ ხელისუფალზე ძლიერად აქცევს, ქვეყნად რომ მბრძანებლობენ.
- ²⁰არ არის ქვეყანაზე მართალი კაცი, მხოლოდ სიკეთეს რომ იქმოდეს და არ სცოდავდეს.
- ²¹ყველა სიტყვას, რასაც ამბობენ, ყურს ნუ მიუგდებ, რათა არ გაიგონო, როგორ გაძაგებს შენი მონა;
- ²²შენმა გულმა ხომ იცის, რომ შენც ბევრს აძაგებ.
- ²³სიბრძნით გამოვცადე ეს ყოველივე და ვთქვი: დავბრძენდები-მეთქი, მაგრამ შორსაა ის ჩემგან!



²⁴რაც არის, ის შორსაა და მიწის უფსკრულებშია, ვინ მისწვდება მას?

²⁵გულში ჩავიდე, შემეცნო, შემესწავლა და გამომეკვლია, რა არის სბრძნე და გონიერება, რათა გამეგო, რომ უკეთურება სიბრიყვეა და უგუნურება – შეშლილობა.

²⁶მივხვდი, რომ სიკვდილზე მწარეა დიაცი, რადგან ის ხაფანგია, მისი გული ბადეა და მისი ხელები – ბორკილები. უფლის სათნო გადაურჩება მას, ცოდვილს კი გააბამს მახეში.

²⁷აი, რას მივხვდი, – თქვა ეკლესიასტემ, – ერთი მეორის მიყოლებით, ხანგრძლივი კვლევით –

²⁸რასაც ჩემი გონება კვლავაც ეძებდა, მაგრამ ვერ ვპოვე. ათასში ერთი მამაკაცი ვნახე, მაგრამ ქალი მათ შორის – ვერც ერთი.

²⁹და აჰა, მხოლოდ ეს ვპოვე: ღმერთმა ადამიანები მართლად შექმნა, მათ კი მრავალი თავსატეხი გაიჩინეს.

ეკლესიასტე 8

¹ვინაა ბრძენის მსგავსი? და ვინ შეიცნობს საგანთა ბუნებას? ადამიანის სიბრძნე ანათებს მის სახეს და ცვლის მისი სახის სიმკაცრეს.

²აღასრულე მეფის ბრძანება, რადგან ღმერთისთვის გაქვს მიცემული ამის აღთქმა.

³ნუ იჩქარებ მისი პირისგან წასვლას და ნუ დადგები ჯიუტად ბოროტ საქმეზე, რადგან რასაც ის ინებებს, გააკეთებს.

⁴ვინაიდან მეფის სიტყვა ძალმოსილია; ვინ შებედავს უთხრას: რას აკეთებო?

⁵ბრძანების დამცველი შარში არ გაეხვევი; სამართლის დრო და ჟამი იცის ბრძენის გულმა.

⁶ვინაიდან ყველაფერს თავისი ჟამი და წესი აქვს, კაცის უბედურება კი ის არის,

⁷რომ მან არ იცის, რა მოხდება; რადგან ვინ ეტყვის მას, რა იქნება?

⁸კაცი ვერ შეაჩერებს ქარს, ვერ განაგებს თავისი სიკვდილის დღეს; ბრძოლის ველს ვერ დაუსხლტება ჯარისკაცი, უკეთურებით თავს ვერ გადაირჩენს.

⁹ყოველივე ვიხილე და გული მივაპყარ ყოველ საქმეს, რაც მზისქვეშეთში მომხდარა. ის დროც ვნახე, როდესაც კაცი კაცზე ბატონობდა და ბოროტებას შეამთხვევდა.



¹⁰ისიც ვიხილე, როგორ მარხავდნენ უკეთურთ და წმიდა ადგილიდან როგორ ბრუნდებოდნენ უკან; და ივიწყებდა ბოროტეულთ ქალაქი. და ესეც ამაოებაა.

¹¹რაკი მსწრაფლ არ ისჯება ბოროტი საქმეები, ამიტომ მიუწევს კაცს გული ბოროტებისკენ.

¹²თუმცა ვხედავ, რომ ცოდვილი ასჯერ სჩადის ბოროტებას და მაინც დიდხანს ცოცხლობს, – მე მაინც ვიცი, რომ მიეგებათ მაღლი ღვთისმოშიშთ, რომელთაც ეშინიათ ღვთისა.

¹³არ მიეგებათ მაღლი ბოროტეულთ და ლანდივით დღემოკლე იქნება ყველა, ვისაც ღმერთის არ ეშინია.

¹⁴არის ამაოება, რომელიც ხდება ქვეყნად: მართლებს ბოროტეულთა საქმეთამებრ მიეგებათ; და არიან ბოროტეულნი, რომელთაც მართალთა საქმეთაებრ მიეგებათ. და მე ვთქვი: ესეც ამაოებაა.

¹⁵და შევაქე მოლხენა, რადგან არაფერია უკეთესი კაცისთვის მზისქვეშეთში, ვიდრე სმა-ჭამა და განცხრომა. ეს ახლავს მას შრომასთან ერთად მთელი მისი დღენი, რომლებიც მისცა მას ღმერთმა მზისქვეშეთში.

¹⁶და როდესაც გული მივაპყარ იმას, რომ შემეცნო სიბრძნე და მომეხილა ყოველი საქმე, რაც ქვეყნად ხდება, დღედაღამ თვალის მოუხუჭავად,

¹⁷მაშინ ვიხილე ღმერთის ყოველი საქმე, და ის, რომ კაცი ვერ მისწვდება იმას, რაც ხდება მზისქვეშეთში: რამდენსაც არ უნდა დაშვრეს კაცი და ეძიოს, ვერას მიხვდება. თუნდაც რომ თქვას ბრძენმა, რომ ყოველივე იცის, ვერას მიხვდება.

ეკლესიასტე 9

¹ყოველივე ეს ჩავიდე გულში და გამოვიკვლიე, რომ მართალნი და ბრძენნი და მათი საქმენი ღმერთის ხელთაა. კაცმა არ იცის, წინ რა ელოდება – სიყვარული თუ სიძულვილი. და ყველაფერი, რაც ემართება

²ამაოებაა; ერთი ხვედრი აქვს ყველას: მართალსა და უკუღმართს, კეთილსა და ბოროტს, სუფთას და უწმინდურს, მსხვერპლის შემწირავსა და მსხვერპლის არ შემწირავს, კეთილსა და ბოროტს, მოფიცარსა და ფიცის მოშორს.

³ესაა ცუდი მზისქვეშეთში, რომ ყველას ერთი ხვედრი აქვს; კაცთა გულები აღივსო ბოროტებით, და სიშლეგე ბუდობს მათ გულებში მთელი სიცოცხლე; მერე კი სიკვდილი მოდის.



- ⁴და ვიდრე ცოცხლობს კაცი, ნუგეშად აქვს: ცოცხალი ძალის მკვდარ ლომს სჯობიაო.
- ⁵რადგან ცოცხალმა იცის, რომ მოკვდება; მკვდრებმა კი არაფერი იციან და აღარც საზღაური მიეზღვებათ, რადგან მათი ხსოვნა უკვე დავიწყებას მიეცა.
- ⁶გაქრა მათი სიმულვილიც, შურიც და ტრფობაც; აღარ ექნებათ აღარასოდეს წილი იმაში, რაც მზის ქვეშ ხდება.
- ⁷მაშ მიდი და ლხენით ჭამე შენი პური და უდარდელად სვი შენი ღვინო, რადგან ღმერთმა მოიწონა შენი საქმენი.
- ⁸ქათქათა სამოსელი გეცვას ყოველდღე, და ნელსაცხებელი არ მოიკლო თავზე.
- ⁹საყვარელ ცოლთან სიამტკბილობით გაატარე ამო დღენი, ღმერთმა რომ მოგცა მზისქვეშეთში, – ეს არის შენი წილი მზისქვეშეთში რუდუნებისთვის.
- ¹⁰აკეთე, რისი კეთების ძალაც შესწევს შენს ხელს, რადგან არც საქმე, არც ფიქრი, არც ცოდნა, და არც სიბრძნე არ გაგყვება შავეთში, სადაც მიდიხარ.
- ¹¹ისიც ვიხილე მზისქვეშეთში, რომ მკვირცხლთა ნებაზე არაა რბოლა, არც მამაცთა ნებაზეა ომი, არც ბრძენთა ნებაზეა პური, არც გონიერთა ნებაზეა სიმდიდრე, არც მცოდნეთა ნებაზეა ძალა; რადგან დრო და შემთხვევა განაგებს ყველაფერს.
- ¹²რადგან კაცმა არ უწყის თავისი ჟამი; ავ ბადეში გახლართული თევზივით და მახეში გაბმული ჩიტივით იქნება იგი შეპყრობილი ავბედით ჟამს, უეცრად რომ დაუდგება.
- ¹³კიდევ ასეთი სიბრძნე ვიხილე მზისქვეშეთში და დიდად ჩავთვალე ის:
- ¹⁴იყო პატარა ქალაქი და მცირე ხალხი ცხოვრობდა მასში. და აჰა, მოადგა მას დიდი მეფე და შემოარტყა მძლავრი ალყა.
- ¹⁵მაგრამ მოიძებნა იქ ლატაკი ბრძენი და მან გაადარჩინა ქალაქი სიბრძნით, მაგრამ არავის აღარ გახსენებია ის ლატაკი.
- ¹⁶და ვთქვი მე: „სიბრძნე სჯობს სიმამაცეს. მაგრამ ლატაკის სიბრძნეც აბუჩადაა აგდებული და მის სიტყვას არავინ უსმენს.“
- ¹⁷ბრძენის მშვიდად თქმული სიტყვა სჯობს მმართველის ყვირილს.
- ¹⁸სიბრძნე სჯობს ხმალ-ხანჯლის ქნევას, მაგრამ ერთ ცოდვილს ბევრის დალუპვა შეუძლია.

ეკლესიასტე 10



- ¹მკვდარი ბუზები ამყარალებენ მენელსაცხებლის სურნელოვან ზეთს; მცირე სიბრიყვეს შეუძლია გადაწონოს სიბრძნე და ღირსება.
- ²ბრძენის გული მარჯვნივ იხრება, ბრიყვის გული კი – მარცხნივ.
- ³რა გზასაც არ უნდა გაუდგეს ბრიყვი, ბრიყვადვე რჩება, ყველა ხედავს, რომ სულელია.
- ⁴თუ ბატონი გაგირისხდა, ნუ გაექცევი, რადგან მომთმენს ბევრს აპატიებენ.
- ⁵არის ბოროტება, რომელიც ვიხილე მზისქვეშეთში, რომელიც მოდის ხელისუფლის შეცდომისაგან:
- ⁶უგუნური დიდ სიმაღლეზე აჰყავთ, მდიდრები კი დაბლა სხედან.
- ⁷ვიხილე მონები ცხენებზე, მთავრები კი მონებივით ფეხით მოარულნი.
- ⁸ვინც ორმოს თხრის, თავად ჩავარდება შიგ, ხოლო ვინც ზღუდეს გამოანგრევს, მას გველი უკბენს.
- ⁹ქვისმთელს ქვა დაეცემა და ხის მჭრელს ხისგან ემუქრება საფრთხე.
- ¹⁰თუ ცული დაგიჩლუნგდა, გალესე, თორემ ჯაფა დაგადგება; საქმე ჭკუით უნდა აკეთო.
- ¹¹თუ შეულოცველს უკბინა გველმა, შემლოცველი ვეღარ უშველის.
- ¹²ბრძენის სიტყვებს მისთვის პატივი მოაქვს, უგუნურს კი მისი ბაგეები ღუპავენ.
- ¹³მისი სიტყვები უგუნურებით იწყება და ავი სიშლეგით მთავრდება.
- ¹⁴ბრიყვი ბევრს ლაყბობს. მაგრამ არავინ იცის, რა იქნება და ვინ იტყვის, რა მოხდება შემდგომ?
- ¹⁵უგუნურთა შრომა ქანცავს მათ, რადგან ქალაქის გზაც კი არ იციან.
- ¹⁶ვაი ქვეყანას, რომლის მეფეც ყრმაა, მისი მთავარნი კი დილას ჭამით იწყებენ.
- ¹⁷ნეტარება შენ, ქვეყანავ, როდესაც შენი მეფე კეთილშობილია, ხოლო შენი მთავრები თავის დროზე ჭამენ ძალ-ღონის მოსაკრებად და არა სიმთვრალისთვის.
- ¹⁸სიზარმაცით ჭერი ჩამოწვება და გულხელდაკრევით წყალი ჩამოვა სახლში.
- ¹⁹ნადიმი გასართობად ეწყობა; ღვინო ახალისებს სიცოცხლეს, ფული კი ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.



²⁰ გულშიც კი ნუ გაივლებ მეფის წყევლას, შენს მოსასვენებელშიც ნუ აგინებ მდიდარს; თორემ ცის ფრინველი მიუტანს ამბავს და ფრთოსანი აუწყებს შენს სიტყვებს.

ეკლესიასტე 11

¹ წყალს გაატანე შენი პური, გავა ხანი და უკან დაგიბრუნდება.

² გაანაწილე შენი ქონება შვიდ ან რვა ნაწილადაც კი, რადგან არ იცი, რა უბედურება მოხდება ქვეყანაზე.

³ ღრუბლები ივსებიან, წვიმას ღვრიან მიწაზე. როდესაც ხე წაიქცევა, სამხრეთით დაეცემა თუ ჩრდილოეთით, იქვე დარჩება, სადაც დაეცემა.

⁴ ქარის მაყურებელი ვერ დათესავს და ღრუბლების შემყურე ვერ მომკის.

⁵ როგორც არ იცი ქარის გზა და როგორ ისახება ძვლები ორსულის მუცელში, ისე ვერ შეიცნობ ღმერთის საქმეს, რომელიც ყოველივეს ქმნის.

⁶ დილით დათესე და საღამოს ხელს ნუ გააჩერებ, რადგან არ იცი, რომელი უფრო სასიკეთოა: ეს თუ ის, თუ ორივე ერთნაირად სიეთეს მიიტანს.

⁷ ტკბილია სინათლე და თვალისთვის საამურია მზის ჭვრეტა.

⁸ თუნდაც მრავალი წელი იცხოვროს კაცმა და იხაროს ყოველი წლით, ახსოვდეს, რომ შავი დღეებიც მრავლად იქნება; და ყველაფერი, რაც მოვა, ამაოებაა.

⁹ იხარე, ყრმაო, სიყმაწვილეში, გამხიარულოს გულმა ჭაბუკობის ხანს, მიჰყევი შენი გულის გზებს და შენს თვალთა სურვილს; მაგრამ იცოდე, რომ ყოველივე ამისთვის ღმერთი წარგადგენს სამსჯავროზე.

¹⁰ გადაიყარე გულიდან დარდი და სხეულს არიდე ტკივილი, რადგან ბავშვობაცა და სიყმაწვილეც ამაოებაა.

ეკლესიასტე 12

¹ გახსოვდეს შენი გამჩენი სიჭაბუკეში, სანამ არ მოსულა გასიჭირის დღეები და არ დამდგარა წლები, როცა იტყვი: „აღარ არის სიამე მათში ჩემთვის;“

² სანამ არ დაბნელებულა მზე და სინათლე და მთვარე და ვარსკვლავები, და ღრუბლები არ დაბრუნებულან წვიმის შემდეგ,

³ იმ დღემდე, ვიდრე არ შეკრთებიან სასახლის მცველნი და ძლიერი მამაკაცები არ მოიხრებიან; მეწისქვილე ქალები შეწყვეტენ მუშაობას,



რადგან მცირედნილა დარჩებიან; ვიდრე თვალები დაებინდებათ სარკმლიდან მჭვრეტელთ;

⁴ვიდრე დაიგმანებოდეს ქუჩის კარები, მიჩუმდებოდეს დოლაბის რაკუნი, მიწყდებოდეს ფრინველთა ჟრიამული, დადუმდებოდეს ყოველი გალობა;

⁵როდესაც ადამიანს შეაშინებს სიმაღლე და გზებზე შიში დაივანებს, აყვავდება ნუში, დამძიმდება კალია და დაცხრება ვნებები, – რადგან მიდის ყოველი კაცი თავის საუკუნო სახლში და უკან მიჰყვებიან მოტირალნი;

⁶ვიდრე გაწყდებოდეს ვერცხლის საბელი და დაიმსხვრეოდეს ოქროს აზარფეშა, კოკა გატყდებოდეს წყალზე და დაიშლებოდეს ოწინარის ბორბალი ჭაზე;

⁷ვიდრე მიიქცეოდეს მტვერი მიწად, როგორიც იყო, და სული დაუბრუნდებოდეს ღმერთს, რომელმაც შთაგვბერა.

⁸ამაოებათა ამაოება, – თქვა ეკლესიასტემ, – ყოველივე ამაოებაა!

⁹იმას გარდა, რომ ბრძენი იყო ეკლესიასტე, ხალხსაც ასწავლიდა. წონიდა, იკვლევდა, სწავლობდა და თხზავდა მრავალ იგავს.

¹⁰ემებდა ეკლესიასტე სასურველ სიტყვებს და წრფელად ჩაიწერა ჭეშმარიტი სიტყვები.

¹¹ბრძენთა სიტყვები დეზებივითაა, ჩაჭედილი ლურსმნების მსგავსია იგავთა კრებული, რომელიც ერთი მწყემსისაგან არის შთაგონებული.

¹²და კიდევ, შვილო ჩემო, გაფრთხილდი: ბევრი წიგნების წერას არა აქვს ბოლო და ბევრი ფიქრი ასუსტებს სხეულს.

¹³მაშ მოვისმინოთ დასკვნა ყველაფერი ამისა: გეშინოდეს ღმერთისა და დაიცავი მისი მცნებები, რადგან სულ ესაა ადამიანის მოვალეობა.

¹⁴რადგან ყველა საქმეს ღმერთი მიიტანს სამსჯავროზე, ყოველივე დაფარულსაც – კარგი იქნება ის თუ ცუდი.



ქებათა-ქება სოლომონისა

ქება 1

- ¹ქებათა ქება სოლომონისა.
- ²დაე მომიძღვნას მან მე თავის ბაგეთა ამბორი! რადგან ღვინოზე ტკბილია შენი სიყვარული,
- ³სურნელოვანია შენი ნელსაცხებელი, და სახელი შენი დაღვრილი ნელსაცხებელია. ამიტომ შეგიყვარეს შენ ქალწულებმა.
- ⁴თან წარმიტაცე და გავიქცეთ ერთად. მეფემ შემიყვანა თავის პალატებში. ვიხარებთ და ვიშვებთ შენით, ვაქებთ შენს ალერსს ღვინოზე მეტად. ღირსეულად შეგიყვარეს შენ!
- ⁵შავგვრემანი ვარ და მშვენიერი, ასულნო იერუსალიმისანო, ვით კედარის კარვები და სოლომონის კრეტსაბმელნი.
- ⁶ნუ უყურებთ, რომ შავგვრემანი ვარ, რამეთუ მზისგან ვარ დამწვარი. ძენი დედისა ჩემისანი გამირისხდნენ, ვენახის მცველად დამაყენეს, მაგრამ ვენახი ჩემი ვერ დავიცავი.
- ⁷მითხარ, შენ, რომელიც შეიყვარა ჩემმა სულმა, სად ამოვებ, სად ისვენებ შუადღის ხვატში, რად ვიხეტილო შენი მეგობრების ფარებში?
- ⁸თუ არ იცი, უმშვენიერესო ასულთა შორის, გაჰყევი ცხვრის კვალს და მწყემსთა კარვების შორიახლო ამოვე შენი თიკნები.
- ⁹ფარაონის ეტლში შებმულ მერანს გამსგავსე, სატრფოვ ჩემო!
- ¹⁰მშვენიერია შენი ღაწვები, მძივებით შემკული, და ყელი – მარგალიტების მძივებით მორთული.
- ¹¹ოქროს საყურეებს გაგიკეთებთ, ვერცხლით დაწინწკლულს.
- ¹²როდესაც ინახით იჯდა მეფე, სურნელს აკმევდა ჩემი ნარდიონი.
- ¹³საყვარელი ჩემი მურის ჭურჭელია – ჩემთანაა, ჩემს ძუძუთა შორის ისვენებს.
- ¹⁴ვამსგავსე ჩემი სატრფო ყენ-გედის ვენახების ინის მტევანს.
- ¹⁵აჰა, მშვენიერი ხარ, სატრფოვ ჩემო, აჰა, მშვენიერი ხარ! მტრედები ბუდობენ შენს თვალებში.
- ¹⁶აჰა, მშვენიერი ხარ, საყვარელო ჩემო, და სანატრელი! ხასხასა მოლია ჩვენი სარეცელი!



¹⁷კედარისაა ჩვენი სახურავი, ჭერი კი – კვიპაროსისა.

ქება 2

¹მე ვარ ნარგიზი შარონისა და შრომანი ველთა.

²როგორც შრომანი ეკალთა შორის, ისეთია ჩემი სატრფო ასულთა შორის!

³როგორც ვაშლის ხე ტყის ხეთა შორის, ისეთია ჩემი საყვარელი ჭაბუკთა შორის. დიდი სიამით დავჯექ მის ჩრდილში; ნაყოფი მისი ეტკზო ჩემს სასას.

⁴შემიყვანა მან ღვინის სახლში და სიყვარულის ალამი დამადგა თავზე.

⁵განმამტკიცეთ ყურმნით, გამომაცოცხლეთ ვაშლებით, რადგან დავსწნულდი სიყვარულისგან.

⁶ნეტავ თავქვეშ მედოს მისი მარცხენა და მისი მარჯვენა მეხვეოდეს!

⁷გაფიცვით, ასულნო იერუსალიმისანო, ველის ნიამორებს და ირმებს გაფიცვით. არ შეაშფოთოთ, არ გამოაფხიზლოთ სიყვარული, ვიდრე თავად არ ინებებს!

⁸აჰა, გაისმის ხმა ჩემი სატრფოსი, აჰა, მოდის იგი, მორბის მთებზე, მოხტის ბორცვებზე.

⁹ვამსგავსე საყვარელი ჩემი ქურციკსა და შვლის ნუკრს. აჰა, დგას იგი ჩვენი ზღუდის უკან, სარკმელში იჭვრიტება და დარაბებში ილანდება.

¹⁰მომმართავს სატრფო ჩემი და მეუბნება: ადექ, საყვარელო, მშვენიერო ჩემო, და წამომყევი,

¹¹რადგან, აჰა, მიიწურა ზამთარი, ჟამი ღვარებისა გარდავიდა, გაგვშორდა.

¹²ყვავილები ამოიწვერნენ მიწის პირზე, მოიწია ჟამი გალობისა და გვრიტის ღულუნის ისმის ჩვენს მხარეში.

¹³ლელვმა გამოიღო ყვავილი, ვაზის ყვავილი სურნელებას აკმევს; ადექი, სატრფოვ ჩემო, მშვენიერო ჩემო, და წამომყევი!

¹⁴კლდეებში შეხიზნულო ჩემო მტრედო! მიჩვენე შენი სახე, მასმინე შენი ხმა! რამეთუ ტკბილია შენი ხმა და სახე შენი მშვენიერი.

¹⁵დაგვიჭირეთ მელიები, პატარა მელიები, ვენახის გამჩანაგებლები, რადგან აყვავდა ჩვენი ვენახები.

¹⁶ჩემი საყვარელი ჩემია და მე მისი ვარ, ის მწყესავს შრომანთა ველებზე.

¹⁷სანამ დღე სუნთქავს და ჩრდილები გარბიან, მობრუნდი, საყვარელო ჩემო, მსგავსად ქურციკისა და შვლის ნუკრისა ნაპრალოვან მთებზე.



ქება 3

- ¹ვეძებე ღამით ჩემს სარეცელზე საყვარელი ჩემი სულისა, ვეძებე და ვერ ვიპოვე.
- ²„ავდგები-მეთქი და მოვივლი ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს. მოვძებნი ჩემი სულის საყვარელს.“ ვეძებე და ვერ ვიპოვე.
- ³შემომხვდნენ მცველნი, ქალაქის შემომვლელნი: „ხომ არ გინახავთ ჩემი სულის სატრფო?“
- ⁴ცოტას გავშორდი და ვიპოვე საყვარელი ჩემი სულისა. დავიჭირე და აღარ გავუშვი, ვიდრე არ შევიყვანე დედაჩემის სახლში და ჩემი მშობლის გალიაკში.
- ⁵გაფიცვით, ასულნო იერუსალიმისანო, ველის ნიამორებს და ირმებს გაფიცვით, არ შეაშფოთოთ, არ გამოაფხიზლოთ სიყვარული, ვიდრემდის თავად არ ინებოს!
- ⁶ვინ არის იგი, უდაბნოდან ამომავალი, ვით კვამლის სვეტი, კმეული მურიტა და გუნდრუკით და მენელსაცხებელთა ნელსაცხებელთა სურნელით?
- ⁷აჰა, სოლომონის სარეცელი! დგას მის გარშემო 60 ძლიერი ძლიერთაგან ისრაელისა.
- ⁸მახვილამოწვდილნი დგანან; ბრძოლაში ნაცადნი არიან; თითოეულს ხმალი აკრავს წელზე ღამეულ საფრთხეთა გამო.
- ⁹ლიბანის ნაძვის ტახტრევანი გაიკეთა მეფე სოლომონმა;
- ¹⁰სვეტები ვერცხლისა გაუკეთა, საზურგე – ოქროსი, საჯდომი – მოწეულისა, სიყვარულით რომ მოჰქარგეს იერუსალიმის ასულებმა.
- ¹¹გამოდით, ასულნო სიონისა, და იხილეთ მეფე სოლომონი გვირგვინით, რომელიც დედამ დაადგა მას მისი ქორწილისა და გულის სიხარულის დღეს.

ქება 4

- ¹რა მშვენიერი ხარ, სატრფოვ ჩემო, რა მშვენიერი ხარ! შენი თვალები მტრედებია შენი პირბადის ქვეშ; შენი დაღალები არვეა თხათა, გალაადის მთიდან რომ ეშვება.
- ²კბილნი შენნი – გაპარსული ცხვრების ფარაა, საბანელიდან ამომავალი, თითოეულ მათგანს ტყუპი მოჰყვება და ბერწი არ არის მათ შორის.



³ზაგენი შენნი ძოწის ძაფის მსგავსია, და შენი პირი – საამური. შენი ღაწვები ბროწეულის ლეხნებია შენი პირბადის ქვეშ.

⁴შენი ყელი დავითის გოდოლია, აგებული საჭურველთათვის, ათასი ფარი ჰკიდია მასზე – ძლევამოსილთა ყველა ფარი.

⁵მკერდი შენი ტყუპი თიკანია ნიამორისა, შრომანთა ველზე რომ ძოვენ.

⁶ვიდრე ბინდი ჩამოწვებოდეს და ჩრდილები გაქრებოდნენ, მე ავალ მურის მთაზე და გუნდრუკის ბორცვზე.

⁷ყოვლად მშვენიერი ხარ, სატრფოვ ჩემო, ნაკლი არა გაქვს!

⁸წამომყევი ლიბანიდან, ჩემო პატარძალო! დაეშვი ამანას მწვერვალიდან, სენირისა და ხერმონის მწვერვალიდან, ლომთა ბუნაგთა და ჯიქთა მთებიდან.

⁹შენ დაატყვევე ჩემი გული, დაო ჩემო, პატარძალო ჩემო, ერთი შეხედვით, შენი ყელსაბამის ერთი გულქანდით.

¹⁰რა საამურია შენი ალერსი, პატარძალო ჩემო, დაო ჩემო! რა ტკბილია შენი ალერსი – ღვინოზე უმჯობესია, შენი სამოსის სურნელი უმჯობესია ყოველ საკმეველთა.

¹¹გოლი მოსწვეთს შენს ზაგეებს, ჩემო პატარძალო! თაფლი და რძეა შენი ენის ქვეშ; შენი სამოსის სურნელი ლიბანის სურნელია!

¹²ბაღი ხარ დახშული, პატარძალო ჩემო, დაო ჩემო, ჭა ხარ დაგმანული, წყარო დაბეჭდილი.

¹³შენი ნარგავები ბროწეულის ბაღია, რჩეული ნაყოფით – ინითა და ნარდიონით,

¹⁴ნარდიონით და ზაფრანით, სურნელოვანი ლერწმითა და დარიჩინით, ყოველგვარი გუნდრუკის ხეებითურთ, მურით და ალოეთი, ყოველგვარი რჩეული სურნელებით.

¹⁵წალკოტა წყარო ხარ, ჭა ხარ ცხოველი წყლისა და ლიბანიდან მორაკრაკე ნაკადულები.

¹⁶აღსდექ ჩრდილოეთიდან, ქარო, მომეახლე სამხრეთის ქარო, მოჰბერე ჩემს წალკოტს, მიმოიფრქვეს მისი სურნელი! მოვიდეს თავის წალკოტში საყვარელი ჩემი და იგემოს მისი რჩეული ნაყოფი!

ქება 5



¹მოვდივარ ჩემს ბაღში, პატარძალო ჩემო და დაო ჩემო; ვკრებ მურსა და ჩემს სურნელებას. მივირთმევ ფიჭას ჩემსას და თაფლს ჩემსას, ვსვამ ღვინოს ჩემსას და რძეს ჩემსას. მიირთვით, მოყვასნო, სვით და დათვერით სიყვარულით!

²მე მეძინა, ჩემს გულს კი ეღვიძა. აჰა, მესმის ხმა ჩემი საყვარელისა, კარზე კაკუნი: „გამიღე კარი, დაო ჩემო, სატრფოვ ჩემო, მტრედო ჩემო, სრულქმნილო ჩემო! რადგან თავი ცვარმა ამივსო და თმები – ღამის წვეთებმა.“

³გახდილი მაქვს სამოსელი, როგორღა ჩავიცვა? დაბანილი მაქვს ფეხები, როგორღა დავისვარო?

⁴ჩემმა საყვარელმა შემოყო ხელი კარის ღრიჭოში და შემემძრა შიგნეული.

⁵ავდექი, რომ გამეღო ჩემი საყვარლისათვის; ხელებიდან წვეთავდა მური, თითებიდან ეწვეთებოდა მური კარის სახეღურს.

⁶გავუღე კარი ჩემს საყვარელს, მაგრამ გაბრუნდა ჩემი საყვარელი და წავიდა. სული დამელია მის ხმაზე. ვეძებდი მას და ვერ ვპოულობდი; ვუხმობდი და არ მაგონებდა.

⁷შემომხვდნენ მცველნი, ქალაქის შემომვლელნი. მცემეს და დამჭრეს. მომხადეს მოსასხამი ზღუდის მცველებმა.

⁸გაფიცებთ, ასულნო იერუსალიმისანო, თუ იპოვით ჩემს საყვარელს, რას ეტყვით მას? უთხარით, რომ დავსწნეულდი სიყვარულით.

⁹რითი სჯობს საყვარელი შენი სხვათა საყვარლებს, უმჯობესო ასულთა შორის? რითი სჯობს საყვარელი შენი სხვათა საყვარლებს, ასე რომ გვაფიცებ?

¹⁰თეთრ-ყირმიზია საყვარელი ჩემი, 10 ათასთაგან გამორჩეული.

¹¹თავი მისი ოქროა რჩეული, მისი კულულები შავი ყორანივითაა.

¹²თვალები მისი მტრედებია წყლის ნაკადულებთან, რძეში განბანილნი, კოხტად რომ სხედან ბუდეში.

¹³ღაწვები მისი სურნელოვან მცენარეთა კვლებია, საამო სურნელის მფრქვევნი; მისი ბაგეები შროშანებია, წვეთავს მათგან მდინარი მური.

¹⁴ხელები მისი თლილი ოქროა, იაგუნდებით მოოჭვილი; მუცელი მისი სპილოს ძვლის ჭურჭელია, საფირონებით მოჭედილი.

¹⁵წვივები მისი მარმარილოს სვეტებია, ოქროს კვარცხლბეკზე დაფუძნებული. მისი სახე ღიბანის მსგავსია, და დიდებული, როგორც კედარი.



¹⁶მისი სასა სიტკბოებაა, თავად კი – ყოვლად სანატრელი. ეს არის საყვარელი ჩემი, ეს არის სატრფო ჩემი, ასულნო იერუსალიმისანო!

ქება 6

¹სად წავიდა საყვარელი შენი, უმშვენიერესო ქალთა შორის? საით მიიქცა საყვარელი შენი? მოვძებნით შენთან ერთად.

²თავის წალკოტში ჩავიდა საყვარელი ჩემი, სურნელოვან კვლებში, სამწყემსად თავის ფარისა, შრომანთა დასაკრეფად.

³მე ჩემი საყვარლისა ვარ და ჩემია საყვარელი ჩემი, რომელიც მწყემსავს შრომანთა ველზე.

⁴მშვენიერი ხარ, სატრფოვ ჩემო, თირცასავით და სანატრელი – იერუსალიმივით! საშინელი – ბაირაღებით მორთული ბანაკივით!

⁵მიაქციე თვალები ჩემგან, რადგან მატყვევებენ! შენი თმები, თხათა არვეა, გალაადიდან დაშვებული.

⁶კბილები შენი ცხვრის ფარაა, საბანელიდან ამომავალი; თითოეულს ტყუპი ციკანი მოჰყვება და ბერწი არ არის მათ შორის.

⁷ღაწვები შენი ბროწეულის ლებნებია შენი პირბადის ქვეშ.

⁸60 დედოფალია, 80 – ხარჭა, და ურიცხვი – ქალწული;

⁹ის კი ერთადერთია, მტრედი ჩემი, უნაკლო ჩემი; ის ერთადერთია დედამისისთვის, გამორჩეულია მისი მშობლისათვის. იხილეს ის ქალწულებმა და ბედნიერად შერაცხეს. დედოფლებმა და ქალწულებმა – და ხოტბა შეასხეს მას.

¹⁰„ვინ არის იგი, ცისკარივით გაბრწყინებული, მთვარისებრ მშვენიერი და მზისებრ ნათელი? და საშინელი, როგორც ბაირაღებით მორთული ბანაკი?“

¹¹ჩავედი ნიგვზნარში, რომ მენახა მწვანე ჭალები; მენახა, თუ აყვავდა ვაზი, თუ გაიფურჩქნა ბროწეული.

¹²არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდი ჩემი უფლისწულის დიდებულ ეტლში.

ქება 7

¹მობრუნდი, მობრუნდი, სულამით! მობრუნდი, მობრუნდი, რომ დავტკბეთ შენი ხილვით! რად უნდა უმზიროთ სულამითს, როგორც მახანაიმის ფერხულს?



²რა მშვენიერია შენი ფეხები სანდლებში, მთავართა ასულო! თეძოთა მოყვანილობა ყელსაბამს მიგიგავს, ოსტატის შექმნილს.

³ჭიპი შენი მრგვალი თასია სურნელოვანი ღვინით აღსავსე; შენი მუცელი ხორბლის ხვავია, შროშნებით გარემოცული.

⁴მკერდი შენი ტყუპი თიკანია ნიამორისა.

⁵შენი ყელი სპილოს ძვლის გოდოლია; შენი თვალები ხეშბონის ტბორებია ბათ-რაბიმის კარიბჭესთან; შენი ცხვირი ლიბანის გოდოლია, დამასკოს მიმართ მიქცეული.

⁶თავი შენი შენს ტანზე ქარმელის მთაა და ნაწნავნი შენნი ძოწეულია, მეფე კი მათი ტყვეა.

⁷რა მშვენიერი ხარ, რა სანატრელი, საყვარელო, შენი სიტკბოებით!

⁸შენი ტანი ფინიკის ხეა, შენი მკერდი – ვაზის მტევნები.

⁹ვთქვი: ავალ ფინიკზე და მის რტოებს მოვეჭიდები-მეთქი; შენი მკერდი ვაზის მტევნებივითაა და შენი ნესტოების სურნელი – ვით ვაშლის სურნელი.

¹⁰შენი კოცნა ღვინოა კეთილი, – ის ჩემი საყვარლისაკენ მიედინება, ბაგეთა დამატკბობელი.

¹¹მე ჩემი საყვარლისა ვარ და ჩემსკენ მოილტვის ისიც.

¹²მოდო, საყვარელო ჩემო, გავიდეთ ველად, სოფლად ვათიოთ ღამე.

¹³ავდგებოდით სისხამ დილით ვენახების მოსახილველად; ვნახავდით, თუ ყვავის ვაზი, თუ იშლებიან ვაზის კვირტები, თუ ყვავის ბროწეული; ჩემს ალერსს იქ მოგიძღვნიდი.

¹⁴სურნელებას დააფრქვევდნენ მანდრაგორები; ყოველგვარი ხილია ჩვენი კარის წინ – ახალი და ძველი. შენთვის მაქვს შენახული, საყვარელო ჩემო.

ქება 8

¹ნეტავ ჩემი ძმა ყოფილიყავი, დედაჩემის ძუძუს მწოველი! შემოგხვდებოდი, გაკოცებდი და არ დამძრახავდნენ.

²წაგიძღვებოდი და დედაჩემის სახლში შეგიყვანდი; შენ მასწავლიდი, მე კი სურნელოვან ღვინოს – ჩემი ბროწეულის წვენს – შეგასმევდი.

³მისი მარცხენა ჩემს თავქვეშ იქნებოდა, მარჯვენა მომეხვეოდა მისი!



⁴გაფიცვით თქვენ, ასულნო იერუსალიმისანო, არ შეაშფოთოთ, არ გამოაფხიზლოთ სიყვარული, ვიდრემდის თავად არ ინებებს!

⁵ვინ არის იგი, უდაბნოდან ამომავალი, თავისი საყვარლის მხარს დაყრდნობილი? ვაშლის ხის ქვეშ გაგაღვიძე შენ. იქ გშვა შენ დედამ შენმა, იქ გშვა შენ მშობელმა შენმა.

⁶დამდე, როგორც ბეჭედი, შენს მკერდზე, როგორც სამკლავური – შენს მკლავზე; რადგან სიკვდილივით ძლიერია სიყვარული, ჯოჯოხეთივით სასტიკია ეჭვი; მისი ისრები ცეცხლის ისრებია; მრისხანე ცეცხლის ალია ის.

⁷ვერ დაშრეტს სიყვარულს წყალი მრავალი და მდინარეები ვერ წარხოცავენ მას. კიდევ რომ შესთავზოს კაცმა მთელი თავისი სახლის დოვლათი სიყვარულის წილ, არავინ დათანხმდება ამაზე.

⁸პატარა და გვყავს და ჯერ არ დაკოკრებია მკერდი. რა ვუყოთ ჩვენს დას იმ დღეს, როცა დაუდგება ნიშნობის ჟამი?

⁹ზღუდე რომ იყოს, ვერცხლის ქონგურებს დავაშენებდით; კარი რომ იყოს, კედარის ფიცრებით მოვჭედავდით.

¹⁰მე ზღუდე ვარ და გოდლებივითაა ჩემი მკერდი; ამიტომაც მოწიფული ვჩანვარ მის თვალში.

¹¹ჰქონდა ბაალ-ხამონში ვენახი სოლომონს და ჩააბარა მცველებს ეს ვენახი. თითოეულს ათასი ვერცხლი უნდა მოეტანა ყურძნის სანაცვლოდ.

¹²ჩემი ვენახი კი ჩემთანაა. ათასი შენი იყოს, სოლომონ, და 200 – ნაყოფთა მცველებისა.

¹³ბალების მკვიდრო, მეგობრები ისმენენ შენს ხმას – მეც მასმინე!

¹⁴გაიქეცი, საყვარელო ჩემო! ემსგავსე ქურციკსა და შვლის ნუკრს სურნელთა მთებზე.



ესაია წინასწარმეტყველი

ესაია 1

- ¹ხილვა ესაიასი, ამოცის ძისა, რომელიც იხილა იუდეასა და იერუსალიმზე, იუდას მეფეების: ყუზიას, იოთამის, ახაზისა და ხიზკიას დღეებში.
- ²ისმინე ცაო და ყურადილე, მიწაო, რადგან უფალი ლაპარაკობს: მენი დავზარდე და აღვაზევე, ისინი კი განმიდგნენ.
- ³ხარი იცნობს თავის ბატონს და ვირი – თავისი პატრონის ბაგას; ისრაელი კი ვერ ცნობს, ჩემი ერი ვერ იგებს.
- ⁴ვაი, ცოდვილო ხალხო, დანაშაულით დამძიმებულო ხალხო, ბოროტმოქმედთა მოდგმავ, წარწყმედილო მენო! მათ მიატოვეს უფალი, ისრაელის წმიდა ღმერთი დაგმეს, განუდგნენ!
- ⁵რამდენიღა უნდა გცემონ, ურჩობას რომ აგრძელებთ? თავი მთლიანად დაგისწეულდათ და გული დაგიუძღურდათ.
- ⁶თავით ფეხთამდე საღი ადგილი აღარ შეგრჩათ: ყველგან ჭრილობა და წყლული, დაჩირქებული იარები, გამოურწყველი და შეუხვეველი, სალბუნით დაუამებელი.
- ⁷აოხრებულია თქვენი ქვეყანა, ცეცხლითაა გადამწვარი თქვენი ქალაქები; თქვენს მინდვრებს თქვენს თვალწინ ჭამენ უცხონი; ყველაფერი გაუდაბურებულია, როგორც უცხოთა შემოსევებისას.
- ⁸და დარჩა სიონის ასული, როგორც კარავი ვენახში, როგორც ქოხი ბოსტანში, როგორც ალყაშემორტყმული ქალაქი.
- ⁹ცაბაოთ უფალს რომ მცირე ნატამალი არ დაეტოვებინა ჩვენთვის, სოდომივით ვიქნებოდით, გომორას დავემსგავსებოდით.
- ¹⁰ყურად იღეთ უფლის სიტყვა, თქვე სოდომის მთავრებო! ყური დაუგდეთ ჩვენი ღმერთის რჯულს, თქვე გომორას ხალხო!
- ¹¹რად მინდა მე თქვენი შესაწირავები? – ამბობს უფალი, – გავძეხი სრულადდასაწველი ვერძებით და მსუქანი მოზვრების ლურთებით; აღარ მსურს კურატების, ცხვრებისა და ვაცების სისხლი.
- ¹²როდესაც მოდიხართ ჩემს წინაშე წარსადგომად, ვინ დაგავალათ, რომ ჩემს ეზოებს თელავთ?



13 არ მომიტანოთ მეტად ამაო ძღვენი; თქვენი საკმეველი სისაძაგლეა ჩემთვის, ახალმთვაროების და შაბათების სადღესასწაულო შეკრებები მძულს – ურჯულოება და დღესასწაული?!

14 თქვენი ახალმთვაროები და დღესასწაულები შეიძულა ჩემმა სულმა, ტვირთად მექცა ისინი, დავიღალე მათი ზიდვით.

15 და, როცა ხელს გამომიშვერთ, მე თვალს აგარიდებთ, და რამდენიც არ უნდა ილოცოთ, არ მოგისმენთ, რადგან სისხლითაა დასვრილი თქვენი ხელები.

16 განიბანეთ, განიწმიდეთ, მოაშორეთ თქვენი ბოროტი საქმეები ჩემს თვალთაგან, შეწყვიტეთ ბოროტება.

17 ისწავლეთ სიკეთის კეთება, ეძიეთ სამართალი; გაამხნვეთ ჩაგრული, სამართლიანად განიკითხეთ ობოლი, გამოესარჩლეთ ქვრივს.

18 მოდით და ვიკამათოთ, – ამბობს უფალი. – ყირმიზივით რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით გასპეტაკდება, და ჭიაფერივით წითელიც რომ იყოს, მატყლივით გახდება.

19 თუ მოინდომებთ და შეისმენთ, მიწის დოვლათს შეჭამთ,

20 მაგრამ თუ უარს იტყვით და ურჩობას გასწევთ, მახვილით მოისპობით, რადგან უფლის პირმა თქვა ეს.

21 როგორ იქცა მეძავად ერთგული ქალაქი? სავსე იყო სამართლიანობით, სიმართლე დაივანებდა იქ, ახლა კი მკვლელები არიან.

22 შენი ვერცხლი წიდად იქცა, შენი ღვინო გაწყალდა.

23 შენი მთავარნი განდგომილნი არიან და მპარავთა მეგობრები. ქრთამები უყვართ და საზღაურს ელტვიან, ობოლს არ განიკითხავენ სამართლიანად და ქვრივის საჩივარს არ უყურებენ.

24 ამიტომ ამბობს მეუფე, ცაბაოთ უფალი, ისრაელის ძლიერი: რისხვას გადმოვანთებ ჩემს მოწინააღმდეგეებზე და შურს ვიძიებ ჩემს მტრებზე!

25 ხელს შემოგიბრუნებ და გამოგადნობ, გაგწმედ ხენჯისგან, და მოგაცილებ ყველა მინარევს.

26 და დაგიბრუნებ შენს მსაჯულებს, როგორც თავდაპირველად იყო და შენს მრჩეველთ, როგორც დასაწყისში იყო; ამის შემდეგ გეწოდება შენ სამართლიანობის ქალაქი, სარწმუნო დედაქალაქი.

27 სიონი სამართლით გამოისყიდება და მისკენ მოქცეულნი – სიმართლით.



²⁸ყველა განდგომილი და ცოდვისმქნელი ერთად შეიმუხრება და უფლის მიმტოვებელნი მოისპობიან.

²⁹რადგან შერცხვებით მუხათა გამო, რომლებსაც თქვენ შენატროდით, და შერცხვებათ ბაღებისა, რომლებიც თქვენ ამოირჩიეთ;

³⁰რადგან იქნებით შიშველ მუხასავით და უწყლო ბაღვით.

³¹და მენძად იქცევა ძლიერი, და მისი საქმე – ნაპერწკლად; და ორივე ერთად აბრიალდება, და ჩამქრობი არავინ იქნება.

ესაია 2

¹ხილვა ესაიასი, ამოცის ძისა, იუდასა და იერუსალიმზე.

²და იქნება, რომ უკანასკნელ დღეებში განმტკიცდება მთა უფლის ტაძრისა, ყველა მთების სათავეში დადგება ის და ამაღლდება და დინებას დაიწყებს მისკენ ყველა წარმართი.

³და დაიდვრებიან მრავალი ხალხები მისკენ და იტყვიან: „მოდით, ავიდეთ უფლის მთაზე, იაკობის ღმერთის სახლში, ის გვასწავლის თავის გზებს, და ვივლით მისი ბილიკებით.“ რადგან სიონიდან გამოვა რჯული, და უფლის სიტყვა – იერუსალიმიდან.

⁴და განიკითხავს ის ერებს, და ამხილებს მრავალ ხალხებს; ისინი თავიანთ მახვილებს სახნისებად გამოჰყდავენ და შუბისწვერებს – ნამგლებად. ხალხი ხალხის წინააღმდეგ აღარ აღმართავს მახვილს და ომს აღარასოდეს ისწავლიან.

⁵სახლო იაკობისა, მოდით და ვიაროთ უფლის ნათელში!

⁶მაგრამ შენ მიატოვე შენი ხალხი, სახლი იაკობისა, რადგან მისნობენ აღმოსავლეთის მსგავსად და ჯადოსნობენ ფილისტიმელთა და უცხოტომელთა მსგავსად; და მიეწებნენ უცხოტომელთა შვილებს.

⁷და გაივსო მისი ქვეყანა ვერცხლითა და ოქროთი, და ბოლო არ უჩანს მათ საგანძურს; აივსო მათი ქვეყანა ცხენებით, ბოლო არა აქვს მის ეტლებს.

⁸და გაივსო მისი ქვეყანა კერპებით, თავიანთი ხელით გაკეთებულს სცემენ თაყვანს, იმას, რაც მათმა ხელებმა გააკეთეს.

⁹და დამდაბლდა ადამიანი და დამცირდა კაცი; და შენ ნუ შეუნდობ მათ.

¹⁰კლდეთა მღვიმეებში შეასწარ და მიწაში დაემაღლე უფლის შიშსა და მისი დიდებულების ბრწყინვალეობას.



- ¹¹ადამიანის ზვიადი მზერა დამდაბლდება, და კაცთა ამპარტავანება დამცირდება, მხოლოდ უფალი განდიდება იმ დღეს.
- ¹²რადგან ცაბოთ უფლის დღე დაუდგება ყოველ ქედმაღალსა და ამპარტავანს და ყოველ აღზევებულს, და დამცირდება ის;
- ¹³ლიბანის ყველა მაღალ და აზიდულ კედარს, ბაშანის ყველა მუხას;
- ¹⁴ყველა მაღალ მთას, ყველა შემადლებულ ბორცვს;
- ¹⁵ყველა მაღალ გოდოლს, და ყველა გამაგრებულ გალავანს;
- ¹⁶და თარშიშის ყველა ხომალდს, და ყველა მათ სასურველ ნივთს.
- ¹⁷დამდაბლდება ადამიანის ქედმაღლობა, და დამცირდება კაცთა ამპარტავანება, მხოლოდ უფალი განდიდება იმ დღეს.
- ¹⁸ერთიანად გაქრებიან კერპები.
- ¹⁹ადამიანები კლდეთა მღვიმეებსა და მიწის ნაპრალებში შეიხიზნებიან უფლის შიშით, და მისი დიდების ბრწყინვალეებისაგან, როდესაც ის წამოიმართება ქვეყნიერების შესაზარად.
- ²⁰იმ დღეს კაცი თხუნელებსა და ღამურებს გადაუყრის თავის ვერცხლის კერპებს და თავის ოქროს კერპებს, სათაყვანოდ რომ გაიკეთა.
- ²¹და შეიხიზნებიან კლდეთა მღვიმეებსა და მიწის ნაპრალებში, შეიხიზნებიან უფლის შიშისაგან და მისი დიდების ელვარებისაგან, როდესაც ის წამოიმართება ქვეყნიერების შესაზარად.
- ²²ნუ მიენდობით ადამიანს, სული რომ ნესტოებში უდგას, რადგან რაღა ღირსება აქვს მას?

ესაია 3

- ¹რადგან, აჰა, მეუფე, ცაბოთ უფალი, წაართმევს იერუსალიმსა და იუდას არმალსა პურისასა და ძალსა წყლისასა,
- ²მამაც მეთაურსა და მებრძოლს, მსაჯულსა და წინასწარმეტყველს, მისანსა და უხუცესს,
- ³ორმოცდაათის თავსა და დიდებულს, მრჩეველს, ბრძენ გრძნეულსა და ოსტატ ჯადოქარს.
- ⁴და დავაყენებ ყმაწვილებს მათ მეთაურებად და ბავშვები იბატონებენ მათზე.



- ⁵ხალხი ერთმანეთს დათრგუნავს, თითოეული – თავის მოყვასს, გაუთავხედდება ყმაწვილი მოხუცს და უღირსი – პატივდებულს.
- ⁶დაიჭერს კაცი თავის ძმას თავისი მამის სახლში და ეტყვის: „სამოსელი გაქვს, გახდი ჩვენი უფროსი და იყოს ეს ნანგრევები შენს ხელთ!“
- ⁷ხოლო ის მაშინათვე უპასუხებს ფიცით: „ვერ ვიქნები მე ხალხის მკურნალი, როცა ჩემს სახლში არც პურია და არც სამოსელი, ნუ დამაყენებთ მე ხალხის მთავრად!“
- ⁸რადგან წაბორძიკდა იერუსალიმი და დაეცა იუდა, რაკი მათი სიტყვა და საქმე უფლის წინააღმდეგაა, უპატიებელი მისი დიდების თვალში.
- ⁹მათი სახის გამომეტყველება მოწმობს მათ წინააღმდეგ, და თავიანთ ცოდვებს ღიად აცხადებენ, როგორც სოდომელნი, არ ფარავენ; ვაი, მათ სულს, რადგან თავს ბოროტება მიაგეს!
- ¹⁰უთხარით მართალს, რომ სიკეთეს ეწევა, რადგან თავის შრომის ნაყოფს შეჭამს.
- ¹¹ვაი ურჯულოს, რადგან მოიმკის თავისი ხელის ნამოქმედარს!
- ¹²ბავშვები არიან ჩემი ხალხის მჩაგვრელნი, ქალები ბატონობენ მათზე; ჩემო ხალხო, შენი მეგზურები გაცდუნებენ და გზა-კვალს გირევენ.
- ¹³აღდგა უფალი სამსჯავროზე – და დგას ხალხთა განსასჯელად.
- ¹⁴უფალი მსჯავრს სდებს მისი ხალხის უზუცესებს და მთავრებს: თქვენ ააოხრეთ ვენახი; ღარიბ-ღატაკთა ნაძარცვით სავსეა თქვენი სახლები.
- ¹⁵რატომ ავიწროებთ ჩემს ხალხსა და ჩაგრავთ ღარიბ-ღატაკთ? – ამბობს მეუფე, ცაბოთ უფალი.
- ¹⁶და თქვა უფალმა: „რადგან გამედიდურდნენ სიონის ასულნი და დადიან ყელმოღერებით და ურცხვი მზერით, გამოდიან ცუნდრუკით და ფერხთა რგოლების ჟღარუნით,
- ¹⁷თხემებს გაუქაჩლებს უფალი სიონის ასულთ და გაუშიშვლებს სარცხინელს.“
- ¹⁸იმ დღეს შემოაცლის მათ უფალი ფეხსამკაულ შიბებს, შუბლსაკრავებსა და ყელსაბამებს,
- ¹⁹საყურეებს, სამაჯურებსა და პირბადეებს,
- ²⁰თავსაბურავებს, ხელსამკაულებს და სარტყლებს, სუნამოს ჭურჭლებს და ავგაროზებს,
- ²¹ბეჭდებსა და ნესტოს რგოლებს,



²²მოხდენილ ტანსაცმელსა და მოსასხამებს, ხელმანდილებსა და ქისებს,

²³სარკეებს, პერანგებს, დოლბანდებსა და ხალათებს.

²⁴და იქნება სუნამოს ნაცვლად – სიმყრალე, სარტყლის ნაცვლად – ჯვალო, კულულთა ნაცვლად – სიქაჩლე, მშვენიერი მოსასხამის ნაცვლად – ჯვალო, სილამაზის ნაცვლად – დადი.

²⁵შენი ვაჟკაცები მახვილით დაეცემიან და შენი მამაცები – ბრძოლის ველზე.

²⁶და მოჰყვებიან მოთქმას და გოდებას მისი ბჭენი; თავად კი მტვერსა და ნაცარში იჯდება იავარქმნილი.

ესაია 4

¹და ჩაეჭიდება შვიდი ქალი ერთ კაცს იმ დღეს და ეტყვის: „ჩვენს პურს შევჭამთ და ჩვენს სამოსელს ჩავიცვამთ, ოღონდ შენი სახელით ვიაროთ, სირცხვილი ჩამოგვრეცხე.“

²იმ დღეს უფლის ყლორტი იქნება მშვენებად და პატივად, და მიწის ნაყოფი – ღირსებად ისრაელის გადარჩენილ ძეთათვის.

³მაშინ სიონის ნატამალი და იერუსალიმის გადარჩენილნი წმიდად იქნებიან წოდებულნი; ყველა, ვინც ჩაწერილია სიცოცხლისათვის იერუსალიმში.

⁴როცა ჩამორეცხავს უფალი სიონის ასულებს სისამაგლეს და იერუსალიმის წიაღს სისხლს მოჰბანს სამსჯავროსა და ცეცხლის სულით,

⁵და შექმნის უფალი სიონის მთის ყველა ადგილზე და მის შესაკრებლებზე ღრუბელს და კვამლს დღისით და კამშაჟა ცეცხლის ნათებას – ღამით, რადგან მთელ დიდებაზე იქნება გავალაკი .

⁶და კარავი იქნება მათ საჩრდილობლად დღის ხვატში, და თავშესაფრად და დასაცავად ავდარსა და წვიმაში.

ესაია 5

¹ვუმღერებ ჩემს სატრფოს ჩემი ტრფობის სიმღერას მის ვენახზე. ვენახი ჰქონდა ჩემს სატრფოს პოხიერ გორაკზე.

²ღობე შემოავლო და ქვა აკრიფა, ვაზი ჩაყარა რჩეული და კოშკი ააგო შუაგულ ზვარში, საწნახელიც ამოკვეთა შიგ და ესავდა რჩეული ყურძენის მტევნებს, მაგრამ მან კრიკინა მოისხა.



³და ახლა, იერუსალიმის მცხოვრებნო და იუდას ხალხნო, გთხოვთ განმსაჯოთ:

⁴მეტი რა უნდა გამეკეთებინა ჩემი ვენახისათვის და რა არ გავუკეთე მას? რატომ ველოდი რჩეულ ყურძენს, როცა მან კრიკინა მოისხა?

⁵და ახლა გეტყვით, რასაც ვუზამ ჩემს ვენახს: ღობეს მოვარღვევ და გახდება სამოვარი, ზღუდეს მოვანგრევ და გასაჯეგი გახდება.

⁶ოხრად დავაგდებ და აღარც გაისხვლება და აღარც გაითოხნება; ნარ-ეკლი მოედება და ღრუბლებს ვუბრძანებ, არ აწვიმონ მასზე წვიმა.

⁷ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლია, და იუდას ხალხი ნერგია მისი სიამისა; და ესავდა ის სამართალს და, აჰა, – ძალადობაა! ესავდა სიმართლეს და, აჰა, – სასოწარკვეთის ხმაა!

⁸ვაი თქვენ, სახლზე სახლს რომ მიიტაცებთ და მინდორზე მინდორს რომ იმატებთ და სხვას ადგილი აღარ რჩება, თითქოს მხოლოდ თქვენ უნდა ცხოვრობდეთ ქვეყანაზე.

⁹ჩემს გასაგონად თქვა ცაბაოთ უფალმა: მრავალი ასეთი სახლი დაიცლება – დიდი და ღამაზი – გამოცარიელდება.

¹⁰რადგან ათი ქცევა ვენახი ერთ ბათსაც ვერ გამოიღებს და ხომერი თესლი ეფასაც ვერ გამოიღებს.

¹¹ვაი მათ, დილაადრიან სასმელს რომ ეძებენ და გვიან ღამემდე უსხედან – ღვინო აღაგზნებს მათ.

¹²და ქნარი და ებანი, დაფი და სტვირი, და ღვინოა მათ ნადიმებზე; და უფლის საქმეს არ უყურებენ, და მის ხელთა ქმნილებას ვერ ხედავენ.

¹³უგონობის გამო განიდევნება ჩემი ხალხი; მისი ღირსეულნი შიმშილით გაწყდებიან, მისი ბრბო კი – წყურვილით.

¹⁴ამიტომ გააფართოვა შავეთმა ხახა და დააფჩინა პირი; და იქ ჩავა მისი ბრწყინვალება, მისი ხმაურიანი და ხალისიანი ბრბო.

¹⁵დამდაბლდება ადამიანი და დამცირდება კაცი, და ქედმაღალნი დახრიან თვალებს.

¹⁶და აღზევდება ცაბაოთ უფალი სამსჯავროზე, და წმიდა ღმერთი სიწმიდეს გამოაჩენს სამართალში.

¹⁷და აჲ, როგორც სამოვარზე, დაიმწყემსება ცხვარი; და ბატკნები საკვების ძებნას ნანგრევებში დაიწყებს.



¹⁸ვაი, მათ, ვინც ამაოების საბელებით მიითრევენ ურჯულოებას, და საურმე ჭაპნებით – ცოდვას;

¹⁹რომელნიც ამბობენ: „ისწრაფოს, დააჩქაროს თავისი საქმე, რათა ვიხილოთ; მოვიდეს და აღსრულდეს რჩევა ისრაელის წმიდა ღმერთისა, აი მაშინ კი დავრწმუნდებით.“

²⁰ვაი მათ, რომელნიც ავს კარგს უწოდებენ და კარგს – ავს, სიბნელეს სინათლედ თვლიან და სინათლეს – სიბნელედ, მწარეს ტკბილად თვლიან და ტკბილს – მწარედ.

²¹ვაი მას, ვისაც თავი ბრძენი ჰგონია და გონიერი – თავისი ჭკუით.

²²ვაი მათ, ღვინის სმით რომ ვაჟკაცობენ და მამაცობენ თაფლუქის დაყენებით;

²³ერთამით დამნაშავის გამამართლებელთ და ალალმართლის გამამტყუნებელთ.

²⁴ამიტომ, როგორც ბზეს შეჭამს ცეცხლის ენა და თივა ჩაიფერფლება ალში, მათი ფესვი ჩალპება და მათ ყვავილს ქარი წაიღებს, რადგან უკუაგდეს ცაბაოთ უფლის რჯული და ისრაელის წმიდის ნათქვამი არაფრად მიიჩნიეს.

²⁵ამიტომ აენტება უფლის რისხვა მის ხალხზე, და ხელს მოუღერებს ის თავის ხალხს და დაჰკრავს ისე, რომ შეიძვრიან მთები; და მათი მძორები სკორესავით ეყრება ქუჩებში, მაგრამ მაინც არ დაცხრება მისი რისხვა და მისი ხელი ისევ იქნება დაღერებული მათზე.

²⁶და ბაირაღს აუწევს შორეულ ხალხებს, და სტვენით ნიშანს მისცემს ქვეყნის განაპირას მცხოვრებთ, – და, აჰა, სწრაფად და მსუბუქად მოვლენ ისინი.

²⁷მათგან არავინ იქნება არც დაღლილი და არც დაქანცული; არც ჩასთვლემს ვინმეს და არც ჩაეძინება; სარტყელი არავის შეეხსნება წელზე და ფეხსაცმლის თასმა არავის გაუწყდება.

²⁸მათი ისრები წამახულია და მათი ყველა მშვილდი მოჭიმულია; მათი ცხენების ფლოქვები კაჟივითაა და მათ ეტლთა ბორბლები გრიგალივითაა.

²⁹მათი ღრიალი ლომის ღრიალია; და ღრიალებენ ისინი, ვით ლომის ბოკვერნი. და დაიღმუვლებენ ისინი და დაიტაცებენ ნადავლს, წაათრევენ და ვერავინ გამოგლეჯთ.



³⁰იმ დღეს მათი ღმუილი საკბილოზე იქნება ზღვის ღმუილივით. დახედავ მიწას და დაინახავ წყვდიადსა და ნაღველს, და ღრუბლები დაფარავენ სინათლეს.

ესაია 6

¹მეფე ყუზიას სიკვდილის წელს ვიხილე მაღალ და აღზევებულ ტახტზე მჯდომი უფალი, მისი სამოსლის კალთები მთელს ტაძარს ავსებდა.

²თავით სერაფიმები ედგნენ; ექვს-ექვსი ფრთა ჰქონდა თითოეულს: ორით სახეს იფარავდნენ, ორით – ფეხებს და ორით დაფრინავდნენ.

³და ასე გასძახოდნენ ერთიმეორეს: „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა უფალი ცაბოთ, სავსეა მთელი ქვეყანა მისი დიდებით!“

⁴და ზანზარებდა კარის წირთხლები მათი ძახილის ხმაზე, და ტაძარი აივსო საკმევლით.

⁵და ვთქვი: „ვაი მე, დავიღუპე! რადგან ბაგეუწმიდური კაცი ვარ და ბაგეუწმიდურ ხალხში ვცხოვრობ, ჩემმა თვალებმა კი მეუფე იხილეს, ცაბოთ უფალი.“

⁶და მოფრინდა ჩემთან ერთი სერაფიმი, ხელში ნაკვერჩხალი ეჭირა, რომელიც მაშით აიღო სამსხვერპლოდან.

⁷და შემახო ბაგეებზე და თქვა: „აჰა, შეეხო ეს შენს ბაგეებს და მოგცილდა შენი ურჯულოება, მიგეტევა შენი ცოდვა.“

⁸და მოვისმინე უფლის ხმა, რომელიც ამბობდა: „ვინ გავაგზავნო? ვინ იქნება ჩვენი მაცნე?“ და ვთქვი: „მე გამაგზავნე!“

⁹და თქვა მან: „წადი და უთხარი ამ ხალხს: ‘სმენით მოისმენთ და ვერ გაიგებთ, ხედვით დაინახავთ და ვერ მიხვდებით!’

¹⁰გულით უგრძნობნი გახდა ეს ხალხი, ყურთ დაეცოთ და თვალი დაეცოთ, რათა თვალით ვერ იხილონ და ყურით ვერ ისმინონ, გულით ვერ მიხვდნენ, და არ შემობრუნდნენ და არ განიკურნონ.“

¹¹და ვკითხე მე: „როდემდის, უფალო?“ და თქვა მან: „მანამდე, ვიდრე უმკვიდროდ დარჩენილი ქალაქები გაუდაბურდება, სახლები გამოცარიელდება და მინდორ-ველები ოხრად დარჩება,

¹²უფალი განდევნის ადამიანებს და ამ ქვეყანაში დიდი უდაბურება გამეფდება.



¹³და თუ დარჩება ამ მიწაზე ხალხის მეათედი მაინც, კვლავ წამოვა განადგურება; როგორც მძლავრ მუხას რომ მოჭრიან და მაინც რჩება მისი ძირკვი, ისე იქნება ამ ქვეყნის წმიდა თესლი – მისი ძირკვი.“

ესაია 7

¹იუდას მეფის, ახაზის, იოთამის ძის, ყუზიას ძის დღეებში იყო, რომ გამოვიდნენ არამელთა მეფე რეცინი და ისრაელის მეფე ფეკახი, რემალიას ძე, იერუსალიმის წინააღმდეგ საომრად, მაგრამ ვერ დაიპყრეს.

²და ეუწყა დავითის სახლს ასე: ეფრემის მიწაზე დაბანაკდაო არამი. და გული შეერყა ახაზსა და მის ხალხს, როგორც ხეები ირყევიან ტყეში ქარისაგან.

³და უთხრა უფალმა ესაიას: წადით შენ და შენი ძე შეარ-იაშუბი, ახაზის შესახვედრად ზემო ტბორის წყალსადენის ბოლოს, მრეცხავთა ველის გზაზე რომ არის,

⁴და უთხარი მას: „მშვიდად იყავი, ნუ შეშინდები, ნუ წახდები იმის გამო, რომ რისხვით აინთო ეს ორი მხრჩოლავი მუგუზალი – არამელი რეცინი და რემალიას ძე.

⁵იმის გამო, რომ ბოროტი განიზრახეს შენს წინააღმდეგ არამელებმა, ეფრემელთ და რემალიას ძემ, როცა თქვეს:

⁶‘ავიდეთ იუდაში და შევაშინოთ ის, და დავიმორჩილოთ, და დავსვათ იქ მეფედ ტაბეელის ძე.’

⁷მაგრამ ასე ამბობს უფალი ღმერთი: არ გამოვა! ასე არ მოხდება!

⁸რადგან არამზე დამასკო მბრძანებლობს, დამასკოზე კი – რეცინი. კიდევ 65 წელი – და გაქრებიან ეფრემელნი.

⁹ეფრემზე მბრძანებლობს სამარია და სამარიაზე – რემალიას ძე. თუ თქვენი რწმენა მერყევია, თქვენც მერყევენი ყოფილხართ.“

¹⁰კვლავ ლაპარაკობდა უფალი ახაზთან და უთხრა:

¹¹„მოსთხოვე უფალს, შენს ღმერთს, ნიშანი: ქვესკნელიდან ან მაღლა ზეციდან.“

¹²და თქვა ახაზმა: „არ ვკითხავ და არ გამოვცდი უფალს.“

¹³მაშინ ესაიამ თქვა: „ისმინე, დავითის სახლო, არ გეყოთ ადამიანები რომ გასარჯეთ, ახლა ჩემი ღმერთის გარჯაც გინდათ?



¹⁴ამიტომ უფალი თვითონ მოგცემთ ნიშანს: აჰა, ქალწული დაორსულდება და შობს ძეს და უწოდებს მას სახელად ემანუელს.

¹⁵სანამ ისწავლიდეს ბოროტისა და კეთილის გარჩევას, მისი საქმელი ნაღები და თაფლი იქნება.

¹⁶და კიდევ, ვიდრე ისწავლიდეს ის ბოროტისა და კეთილის გარჩევას, იმ ორი მეფის მიწაზე, რომლებისაც შენ გეშინია, კაცი აღარ დარჩება.

¹⁷უფალი მოაწევს შენზე და შენს ხალხზე და შენი მამისახლზე ისეთ დღეებს, როგორიც არ ყოფილა იუდასაგან ეფრემის განდგომის შემდეგ – აშურის მეფეს მოგივლენს.“

¹⁸იმ დღეს იქნება რომ სტვენით მოუხმობს უფალი ბუხს, რომელიც ეგვიპტის მდინარეების შესართავთანაა, და ფუტკარს, რომელიც აშურის ქვეყანაშია,

¹⁹და მოფრინდებიან და შეესევინან დაცლილ ველებსა და კლდეთა ნაპრალებს და ყოველ ეკლიან ბუჩქსა და ყოველ ღელეს.

²⁰იმ დღეს უფალი მოავლენს თქვენზე მდინარის გაღმიდან აშურის მეფისგან ნაქირავებ სამართებელს და გაგპარსავთ თავსა და ფეხის ბალანს, და წვერსაც მოგაკვეცთ.

²¹და იმ დღეს გამოზრდის კაცი ერთ დეკეულსა და ორ ცხვარს.

²²და იმდენს მოიწველიან ისინი, რომ ნაღებით გამოიკვებება ის, და ყველა ამ ქვეყანაზე გადარჩენილს ნაღები და თაფლი ექნება საკვებად.

²³და მაშინ იქნება, რომ ნავენახარი, სადაც ათასი ვაზი ათას ვერცხლად ფასობდა, ნარ-ეკლით დაიფარება.

²⁴მშვილდ-ისრით ივლიან იქ ადამიანები, რადგან მთელი ქვეყანა ნარ-ეკლით იქნება დაფარული.

²⁵იმ ფერდობებზე აღარ გახვალ, რომლებსაც თოხით ანარნარებდი, რადგან შეგეშინდება ნარ-ეკლისა და ჯაგნარის; სამოვრად გარეკავენ იქ ცხვარ-ძროხას, და საქონელი გადაჯეგავს მას.

ესაია 8

¹და მითხრა უფალმა: „აილე დიდი დაფა და დაწერე ზედ გარკვევით: ‘მაჰერ-შალალ-ხაშ-ბაზ.’“

²და ავიყვანე სარწმუნო მოწმენი: ურია მღვდელი და ზაქარია იეზერექიას ძე.



³და მივუწევი ქადაგ ქალს; დაორსულდა ის და მე გამიჩინა. და მითხრა უფალმა: „სახელად დაარქვი მას მაჰერ-შალალ-ხაშ-ბაზ,

⁴რადგან, სანამ ყმაწვილი შეძლებს თქვას: ‘მამა’ ან ‘დედა’, დამასკოს სიმდიდრესა და სამარიის ნადავლს წაიღებენ აშურის მეფის წინაშე.“

⁵და კვლავ მითხრა მე უფალმა:

⁶„იმის გამო, რომ ხალხმა მოიძულა შილოახის მდორე წყალი და შეხარიან რეცინსა და რემალიას ძეს,

⁷უფალი მიუგდებს მათ დიდი მდინარის უზღვავ და მქუხარე წყლებს – აშურის მეფეს და მთელ მის ძალას – და აიწევს მისი კალაპოტი, გადმოხეთქავს და წალეკავს მთელ სანაპიროებს.

⁸წარღვნასავით მოვა, იუდას წალეკავს, ყელამდე იქნება, ფრთებით დაფარავს მთელს შენს ქვეყანას, ემანუელ!“

⁹აბოზოქრდით, ხალხებო, და თრთოდეთ! ყურად იღე, ქვეყნის კიდით-კიდეც! ბრძოლისთვის განემზადეთ და თრთოდეთ! ბრძოლისთვის განემზადეთ და თრთოდეთ!

¹⁰ბჭობდეთ, მაგრამ დაირღვევა თქვენი თათბირი, სიტყვა თქვით, მაგრამ არ შესრულდება, რადგან ჩვენთანაა ღმერთი!

¹¹აი რა მითხრა მე უფალმა, როცა ხელით შემეხო და მარიგებდა, რომ არ მევლო ამ ხალხის გზებით. მან მითხრა:

¹²„შეთქმულებას ნუ დაარქმევთ ყოველივე იმას, რასაც ეს ხალხი შეთქმულებას უწოდებს. და ნურც იმისი შეგეშინდებათ, რისიც მათ ეშინიათ, და ნურც შეძრწუნდებით.

¹³წმიდად შერაცხეთ ცაბაოთ უფალი, მისი შიშის ზარი გცემდეთ.

¹⁴ის იქნება სიწმიდე და დაბრკოლების ქვა, ქვა, რომელსაც ფეხს წამოჰკრავს ისრაელიანთა ორივე სამეფო; მახე და ბადე იქნება ის იერუსალიმის მკვიდრთათვის.

¹⁵მრავალნი წაიბორძიკებენ მასზე, დაეცემიან, ჩაცვივიან და შეპყრობილ იქნებიან.

¹⁶შეკარი ეს მოწმობა, ბეჭედი დაასვი ამ დარიგებას, იყოს ეს ჩემს მოწაფეთათვის.“

¹⁷უფლის იმედით ვიქნები, თუმცა მან გარემიიქცია სახე იაკობის სახლისგან. და მე ვესავ უფალს.



¹⁸აჰა, მე და ბავშვები, რომლებიც მომცა მე უფალმა, როგორც ნიშნები და სასწაულები ისრაელიანთათვის ცაბაოთ უფლისგან, რომელიც სიონის მთაზეა დავანებული.

¹⁹თუ გეტყვიან: რჩევისთვის მიმართეთო მკვდრის გამომძახებელთ და გრძნეულთ, მოჩურჩულეთ და მობუტბუტეთ – განა ყოველი ხალხი თავის ღმერთს არ გამოჰკითხავს მკვდართა მეშვეობით ცოცხალთათვის?

²⁰რჯულსა და მოწმობას ვფიცავ, უეჭველად ასე გეტყვიან, მაგრამ ასეთ სიტყვას ძალა არა აქვს.

²¹და ჩაივლის იქ სასოწარკვეთილი და მშვიერი და განრისხებული დასწყევლის თავის მეფესა და თავის ღმერთს, და აიხედავს ზემოთ,

²²ან მიწას დახედავს და, აჰა, ყველგან ვაება და წყვდიადი. უკუნეთში არიან განდევნილი. მაგრამ აღარ იქნება წყვდიადი ჩაგრულთათვის.

ესაია 9

¹როგორც წინა დროებამ დაამცირა ზებულუნის ქვეყანა და ნაფთალის ქვეყანა, ასე უკანასკნელ დროს განადიდებს ზღვისპირეთს, გაღმა-იორდანეს და წარმართთა გალილეას.

²ბნელში მოარულმა ხალხმა იხილა დიდი სინათლე; ნათელი გამოუბრწყინდათ წყვდიადის ქვეყანაში მცხოვრებთ.

³შენ მიეცი მათ დიდი სიხარული, უძღვენი დიდი მხიარულება: ხარობენ ისინი შენს წინაშე, როგორც მხირულობენ მოსავლის აღებისას, როგორც ილხენენ ნადავლის გაყოფისას.

⁴უღელი მისი ტანჯვისა, ტვირთი, მათ მხრებს რომ აწვა, სახრე ზედამხედველისა – ეს ყველაფერი შენ შემუსრე, როგორც მიდიანის დღეს.

⁵რადგან ბრძოლაში ნატარები ყოველი ფეხსაცმელი, ხმაურით რომ დააბიჯებდა და სისხლით დასვრილი მუნდირი ცეცხლის კერძი გახდება.

⁶რადგან ყრმა შეგვეძინა, ძე გვებოძა! და მის მხრებზეა ძალაუფლება; და უწოდებენ მას სახელად: საკვირველმოქმედს, ძლევამოსილ ღმერთს, საუკუნო მამას, მშვიდობის მეუფეს,

⁷მისი მტკიცე ხელმწიფება და კეთილდღეობა არ დასრულდება: ის დააფუძნებს და გაამყარებს დავითის ტახტსა და სამეფოს სამართლიანობითა და ჭეშმარიტებით ამიერიდან და სამარადისოდ. ცაბაოთ უფლის შური იზამს ამას.

⁸სიტყვა მიავლინა უფალმა იაკობის წინააღმდეგ და სიტყვა ისრაელს ეწია!



⁹და გაიგებს მთელი ხალხი ეფრემისა და სამარიის მცხოვრებნი, გაზვიადებულნი და გადიდგულებულნი რომ ამბობენ:

¹⁰„დაინგრა აგურის კედლები, მაგრამ გათლილი ქვით ავაშენებთ; სიკომორი გაიჩეხა და კედარით შევცვლით მათ.“

¹¹და აღძრავს უფალი მის წინააღმდეგ რეცინის მტრებს და მის მოშურნეებს შეაგულიანებს:

¹²არამელთ აღმოსავლეთიდან და ფილისტიმელთ დასავლეთიდან, და შეჭამენ ისინი ისრაელს შეუბრალებლად! მაგრამ მაინც არ დაცხრება მისი რისხვა, მისი ხელი კვლავ მოღერებული იქნება მათზე.

¹³იგი ურტყამდა მათ, მაგრამ ხალხი არ შებრუნდა მისიკენ, არ მოუხმობდა ცაბაოთ უფალს.

¹⁴და წააცლის უფალი ისრაელს თავსაც და კუდსაც, გაკაფავს ფინიკსაც და ლერწამსაც ერთ დღეს.

¹⁵თავი – უხუცესნი და წარჩინებულნი არიან, ხოლო კუდი – წინასწარმეტყველნი, რომლებიც სიცრუეს ქადაგებენ.

¹⁶ამ ხალხს მისი წინამძღოლნი გზა-კვალს ურევენ და მათგან გაძლოლილნი იკარგებიან.

¹⁷ამის გამო მის ჭაბუკებზე არ გაიხარებს უფალი, და მის ობლებსა და მის ქვრივებს არ შეიწყალებს; რადგან ყველა ურჯულო და უკეთურია, და ყოველი ბაგე სიცრუეს ამბობს; ამიტომაც არ შებრუნდება მისი გულისწყრომა, მისი ხელი კვლავ დაღერებულია მათზე.

¹⁸ცეცხლივით გიზგიზებს ურჯულოება, ჭამს ეკალ-ბარდებს, ძეძვისა და ქაცვის ჯაგნარს, ცეცხლს უკიდებს უღრან ტყესა და ამოდის კვამლის ბოლქვები.

¹⁹ცაბაოთ უფლის წყრომისაგან იბუგება მიწა: ხალხი ცეცხლის ლუკმა გახდა, ადამიანები აღარ ინდობენ ერთმანეთს.

²⁰მარჯვნივ შეჭამენ და მშვივრები დარჩებიან, მარცხნივ მოჭამენ და ვერ გაძლებიან. ყოველი მათგანი თავისი მკლავის ხორცსა ღრღნის!

²¹მანაშე ეფრემსა ჭამს, ეფრემი – მანაშეს, და ორივე ერთად – იუდას. მაგრამ არც ამის გამო შებრუნდა მისი რისხვა და მისი ხელი კვლავ დაღერებულია.

ესაია 10



- ¹ვაი უსამართლო კანონებს გამომცემთ და სასტიკი გადაწყვეტილებების გამომტანთ,
- ²ვინც ღარიბებს სამართალს უმრუდებენ და უფლებებს ართმევენ ჩემი ერის გალატაკებულ შვილებს! ქვრივებს იტაცებენ, ობლებს სძარცვავენ!
- ³მაგრამ რას გააკეთებთ იმ დღეს, როცა სასჯელი თავს დაგატყდებათ? როცა ქარიშხალი მოვარდება შორიდან? ვისთან გაიქცევით შემწეობისათვის, სად გადამალავთ თქვენს სიმდიდრეს?
- ⁴მუხლებზე დადგომა მოგიწევთ ტყვეთა შორის ან დაეცემით დახოცილთა შორის! მაგრამ ამითაც არ დაცხრება უფლის რისხვა და მისი ხელი კვლავაც მოღერებული იქნება თქვენზე.
- ⁵ვაი აშურს, ჩემი მრისხანების კვერთხს! ჯოხი მის ხელში ჩემი რისხვის იარაღია!
- ⁶აშური მივაგლინე უღმრთო ხალხზე, მივმართე ტომისკენ, რომელზეც მე ვმრისხანებდი, რათა გააცამტვეროს, გაძარცვოს, გადათელოს ქუჩის ტალახივით.
- ⁷მაგრამ მას ეს არ სურს, ამაზე არ ფიქრობს, მისი გული სხვას იზრახავს – მან განიზრახა გაანადგუროს და მოსპოს მრავალი ხალხები.
- ⁸რადგან ის ამბობს: „განა ყველა ჩემი მთავარი მეფე არ არის?”
- ⁹განა ქარქემიშივით არ არის ქალნო? განა არფადივით არ არის ხამათი? განა დამასკოსავით არ არის სამარია?
- ¹⁰მე დამემორჩილნენ სამეფოები, რომელთაც უფრო მეტი კერპები აქვთ, ვიდრე იერუსალიმსა და სამარიას;
- ¹¹მე იერუსალიმსაც და მის კერპებსაც ისე მოვექცევი, როგორც სამარიასა და მის კერპებს!”
- ¹²და როდესაც დაასრულებს უფალი მთელ თავის საქმეს სიონის მთაზე და იერუსალიმში, იგი სამაგიეროს მიუზღავს აშურის მეფეს მისი დიდგულობის ნაყოფს – მის ქედმაღლურ მზერას.
- ¹³რადგან ის ამბობს: „ჩემი ხელის ძალით და ჩემი სიბრძნით გავაკეთე ეს, რადგან გონიერი ვარ! მე წავშალე ხალხთა საზღვრები, დავიტაცე მათი საგანძურები, ისე გადმოვყარე ტახტებიდან მბრძანებელნი, როგორც ველურმა ბუღამ.
- ¹⁴მე დავეუფლე ხალხების დოვლათს, თითქოს ჩიტის ბუდე ჩამომეშალოს, საბუდარში მიტოვებულ კვერცხებს რომ აგროვებენ, ისე შევაგროვე



ქვეყნიერების სამეფოები. ფრთა არავის შეურხევია, ნისკარტი არ გაუღია, არ დაუჟღერტულებია.“

¹⁵განა შეუძლია გაუყოფოჩდეს ცული მჩეხავს? თუ გაუდიდგულდება ხერხი მხერხავს? თუ დაელირება კვერთხი მის მომქნევს? კეტი თუ აღიმართება თავისით, თითქოს ხე არ იყოს?

¹⁶ამიტომ ცაბაოთ უფალი დაასუსტებს მისგოლიათებს, და დასწვავს მათ დიდებას, როგორც კოცონზე.

¹⁷და თვით უფალი, ნათელი ისრაელისა, ცეცხლად იქცევა მაშინ, თვით ის, ისრაელის წმიდა ღმერთი, ცეცხლის ალად იქცევა – და ერთ დღეში მოსპობს მას და გადაბუგავს მის ეკალ-ბარდებს.

¹⁸მისი მშვენიერი ტყეები და ბალ-ვენახები გატიალდება, ცოცხალი აღარაფერი გადარჩება იქ – ასე ტოვებს ავადმყოფს სიცოცხლე.

¹⁹ცოტა ხეებილა გადარჩება იქ: ყმაწვილიც კი აღნუსხავს მათ.

²⁰და იქნება იმ დღეს: ისრაელის ნატამალი, იაკობის ძეთა ნატამალი, აღარ დაეყრდნობა მას, ვინც გვემა იგი, არამედ დაეყრდნობა უფალს, ისრაელის წმიდა ღმერთს, და მისი ერთგული იქნება.

²¹ნატამალი დაუბრუნდება, იაკობის ძეთა ნატამალი დაუბრუნდება ძლიერ ღმერთს.

²²ო ისრაელ! თუმცა შენ მრავალი ხარ ზღვის ქვიშასავით, მხოლოდ ნატამალი დაბრუნდება: გადაწყვეტილია განადგურება – გადამეტებული შურისგება!

²³ცაბაოთ უფალი აღასრულებს მთელს ქვეყანაზე დამუქრებულ სასჯელს.

²⁴ამიტომ ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: „ჩემო ხალხო, სიონის მცხოვრებნო! ნუ გეშინიათ აშურისა, რომელიც ჯოხით გცემთ, და სახრეს გიღერებთ, როგორც უწინ ეგვიპტელნი.

²⁵სულ ცოტაც და გადაივლის ჩემი წყრომა, და ჩემი რისხვა შებრუნდება აშურეთისკენ, რათა დაღუპოს იგი.

²⁶და აღმართავს მასზე ცაბაოთ უფალი შოლტს, როგორც ყორების კლდესთან შემუსრა მიდიანელნი, კვერთხს აღმართავს ზღვაზე, როგორც ოდესღაც ეგვიპტეზე.

²⁷და იქნება იმ დღეს: ჩამოიხსნება თქვენი მხრებიდან ტვირთი, მან რომ მოგკიდათ, უღელი, ქედზე რომ დაგადგათ, დაილეწება.“ სამარიიდან მოდის ის.

²⁸მან ჩაუარა ყაიათს, გადაიარა მიგრონზე, მიქმაშში დააყენა თავისი ალალი.



²⁹მათ გაიარეს ვიწროები, გებაყში გაათიეს ღამე. შეიძრა რამა, საულის გიბეყადან ხალხი გაიქცა.

³⁰ხმამაღლა იყვირე, გალიმის ასულო! ეს ყვირილი მოისმინე, ლაიშავ, და საბრალო ყანათოთო!

³¹ხალხით დაიცალა მადმენა, გებიმელებმა თავს უშველეს.

³²მტერი დღეს დადგება ნობთან, ხელს მოუღერებს სიონის მთას, იერუსალიმის ბორცვს.

³³აი მეუფე, ცაბაოთ უფალი, რტოებს ჩამოგლეჯს – საშინელია მისი ძალა, ტანმაღალნი გაიჩეხნენ და აღზევებულნი დაეცნენ.

³⁴რკინით იჩეხება ტყის უღრანები და ლიბანის მშვენება წახდა.

ესაია 11

¹და გამოვა ყლორტი იესეს მოჭრილი ძირკვიდან და ნორჩი ამონაყარი მისი ფესვებიდან.

²და დაივანებს მასზე უფლის სული, სული სიბრძნისა და გონიერებისა, სული რჩევისა და ძლიერებისა, სული ცოდნისა და უფლის მოშიშებისა.

³უფლის მოშიშება აავსებს მას. დანახულით არ განსჯის, და გაგონილით არ გადაწყვეტს.

⁴ღარიბთა საქმეებს პატიოსნად განსჯის, და სისწორით განიკითხავს ამ ქვეყნის ჩაგრულთ. ქვეყანას დასჯის თავისი სიტყვების კვერთხით, თავის ბაგეთა ქარით მოკლავს უკეთურს.

⁵შემოისარტყლება ჭეშმარიტებით და სიმართლე იქნება მისი სარტყელი.

⁶მგელი იცხოვრებს კრავთან ერთად, ჯიქი თიკნის გვერდით წამოწვება, ხბო და ლომი ერთად გამოიკვებებიან, და პატარა ბიჭი დამწყემსავს მათ.

⁷ძროხა და დათვი ერთად დაიმწყემსება, და მათი შვილები გვერდი-გვერდ წამოწვებიან, და ლომი ხარივით დაიწყებს ჩალის ჭამას.

⁸მუძუთა ბავშვი ასპიტის ხვრელთან ითამაშებს და ბიჭუნა ხელს ჩაყოფს გველგესლას ბუნაგში.

⁹არ იბოროტებენ და არ იბილწებენ მთელს ჩემს წმიდა მთაზე, რადგან ქვეყანა აივსება უფლის ცოდნით, როგორც წყალი ავსებს ზღვას.

¹⁰და იქნება იმ დღეს: იესეს ფესვი ბაირაღად იდგება ხალხთათვის, და მისკენ გაემართებიან ერები; მისი ქვეყანა იქნება დიდებაში.



¹¹და იქნება იმ დღეს: უფალი მეორედ გაიწვდენს ხელს და დაიბრუნებს თავისი ხალხის ნატამალს, დაიბრუნებს გადარჩენილთ აშურიდან, ეგვიპტიდან, ფათროსიდან და ქუშიდან, ყელამიდან და შინყარიდან, ხამათიდან და ზღვისპირეთის მიწიდან.

¹²ბაირალს აღუმართავს ერებს, შეკრებს ისრაელიდან დევნილთ, და იუდადან გაფანტულთ შემოიკრებს ქვეყნის ოთხივე კიდიდან.

¹³დაცხრება ეფრემის სიძულვილი, გაქრება იუდას მტრობა: ეფრემი აღარ შეიძულებს იუდას და იუდა აღარ დაემტერება ეფრემს.

¹⁴და დააცხრებიან ისინი ფილისტიმელთა ქვეყანას დასავლეთში, და ერთიანად ყველას გაძარცვავენ, ვინც აღმოსავლეთში ცხოვრობს. ედომსა და მოაბს ხელს დაადებენ, და ყამონელნი დაემორჩილებიან მათ.

¹⁵მაშინ უფალი ამოაშრობს ეგვიპტის ზღვის ყურეს, ხელს დაადერებს მდინარეზე, და გაგზავნის იქ თავის ძლიერ ქარს, და დაყოფს მდინარეს შვიდ ნაკადად, რომლის გადალახვაც ფეხგაუხდელად იქნება შესაძლებელი.

¹⁶და გზას გაუშლის წინ თავისი ხალხის ნატამალს, მათ, ვინც გადარჩა, – გზას აშურიდან, ისე, როგორც მისცა ისრაელიანთ ეგვიპტიდან მათი გამოსვლის დღეს.

ესაია 12

¹და იტყვი იმ დღეს: გადიდებ შენ, უფალო! შენ მრისხანებდი ჩემზე, მაგრამ შენი რისხვა დაცხრა და შენ დამამშვიდე მე.

²აჰა, ღმერთია ჩემი მხსნელი! მას მივენდობი და არ შემეშინდება, რადგან უფალია ჩემი ძლიერება, ის არის ჩემი ძალა! ის არის ჩემი მხსნელი.

³და თქვენ სიხარულით ამოხაპავთ წყალს ხსნის წყაროებიდან.

⁴და იტყვით იმ დღეს: ადიდეთ უფალი, მოუხმეთ მის სახელს, ხალხებს აუწყეთ მისი საქმენი; შეახსენეთ, რომ დიადია მისი სახელი!

⁵უფალობეთ უფალს, დიდა მისი საქმენი! განთქმულია მთელს ქვეყანაზე!

⁶ილხინეთ და იმხიარულეთ, სიონის მცხოვრებნო: დიდა შენს შორის ისრაელის წმიდა ღმერთი!

ესაია 13

¹წინასწარმეტყველება ბაბილონზე, რომელიც იხილა ესაიამ, ამოცის ძემ.



- ²შიშველ ბორცვზე აღმართეთ ბაირადი, ხმამაღლა გასძახეთ, მათ; ხელი დაუქნიეთ: დაე, შემოვიდნენ მთავართა კარიბჭით.
- ³მე ვუბრძანე ჩემს განწყმედით, აღეგზნო ჩემი რისხვა, და მოვუხმე ჩემს გმირებს, ჩემი სიამაყით მოზეიმეთ.
- ⁴დიდი გუგუნია მთებში – მსგავსად მრვალრიცხოვანი ხალხისა, ერთად შეკრებილთა, ხალხთა და სამეფოთა, ცაბაოთ უფალი ათვალიერებს საბრძოლო ლაშქარს.
- ⁵მოდინა შორეული ქვეყნიდან, ცის კიდიდან უფალი და მისი რისხვის იარაღი მთელი ქვეყნის დასაქცევად.
- ⁶ღაღადებდით, რადგან მოახლოებულია უფლის დღე, ყოვლადძლიერის ნებით გამოგზავნილი ეს დღე, განადგურებას მოიტანს.
- ⁷ამიტომ ყოველი მარჯვენა დაუძლურდება და ყოველი კაცის გული დადნება.
- ⁸შიში დაეცემა ყველას, ტანჯვა და ტკივილები შეიპყრობს მათ, მშობიარესავით გაწამდებიან, განკრთომილნი შეხედავენ ერთმანეთს, აეჭარხლებათ სახეები.
- ⁹აი, მოდის უფლის დღე – სასტიკი, გულისწყრომითა და რისხვით, რათა იავარჰყოს ქვეყანა, მოსპოს მისი ცოდვილნი.
- ¹⁰ცის ვარსკვლავები და თანავარსკვლავედნი აღარ გამოსცემენ ნათელს, ჩაბნელდება ამომავალი მზე და მთვარე არ მოაფენს ნათელს.
- ¹¹მე დავსჯი ქვეყნიერებას ცოდვებისათვის, უკეთურთ – მათი დანაშაულებისათვის, ბოლოს მოვუღებ ბოროტისმზრახველთა ზვიადობას და მტარვალთა ამპარტავნებას დავცემ.
- ¹²ისე ვიზამ, რომ კაცი ბაჯაღლოზე იშვიათი იყოს და ადამიანი – ოფირის ოქროზე.
- ¹³ვაიძულებ ცას, შეიძრას, და დედამიწა შეზანზარდება თავისი ადგილიდან ცაბაოთ უფლის წყრომის გამო, მისი მძვინვარე რისხვის დღეს.
- ¹⁴და მაშინ ადამიანები გაიქცევიან დამფრთხალი ქურციკებივით, მეცხვარის გარეშე დარჩენილი გაფანტული ცხვრებივით, და თითოეული თავის ხალხს მიაშურებს და თითოეული თავის ქვეყანას.
- ¹⁵ყოველი, ვისაც წამოეწევიან, ხანჯლით განიგმირება, და ყოველი, ვისაც დაიჭერენ, მახვილით დაეცემა.
- ¹⁶მათ ჩვილებს თვალწინ დაუხოცავენ, სახლებს გაუძარცვავენ, და მათ ცოლებს ნამუსს ახდიან.



¹⁷აჰა, მე აღვძრავ მათზე მიდიელთ, რომელთაც ვერცხლი არაფრად უღირთ და ოქრო არ ახარებთ.

¹⁸ჭაბუკებს მშვილდით შემუსრავენ; და მუცლის ნაყოფს არ შეიბრალებენ, და ყმაწვილებს არ დაზოგავს მათი თვალი.

¹⁹და ბაბილონს, სამეფოთა მშვენიებას, ქალდეველთა სიამაყის სახელსა და დიდებას, დაამხოვს ღმერთი, ვითარცა დაამხო სოდომი და გომორა.

²⁰აღარასოდეს დასახლდება იგი და თაობიდან თაობამდე არავინ იცხოვრებს იქ, არაბნი არ გაშლიან იქ კარვებს, და მწყემსები არ დაყრიან იქ თავიანთ ფარებს.

²¹ბუნაგს გაიჩენენ იქ უდაბნოს მხეცები, მათი სახლები ბუკიოტებით გაივსება, სირაქლემები დაიდებენ ბინას და ჭინკები იხტუნავენ იქ.

²²აფთრები იჩხავლებენ მის კოშკებში, და ტურები იკივლებენ დიდებულ სასახლეებში. ახლოს არის მისი ჟამი და მისი დღეები დათვლილია.

ესაია 14

¹უფალი შეიწყნარებს იაკობს, კვლავ აირჩევს ისრაელს და დააბრუნებს ისრაელიანთ თავიანთ მიწაზე; უცხოტომელნი შეუერთდებიან მათ და იაკობის ძეთ მიეტმასნებიან.

²ხალხები იაკობის ძეთ დააბრუნებენ თავიანთ სამშობლოში, და იქ, უფლის მიწაზე, ისრაელის მოდგმა ამ ხალხს თავის მონებად და მხევლებად აქცევს. დაატყვევებენ ისინი მათ, ვისი ტყვეებიც თავად იყვნენ და იხელმწიფებენ მათზე, ვინც მათ ჩაგრავენ.

³და იქნება იმ დღეს, როცა დაგასვენებს უფალი ტანჯვა-წამებისა და შიშისაგან, და მძიმე ჯაფისაგან, რომლითაც დამონებული იყავი,

⁴მაშინ წარმოსთქვამ შენ ამ დამცინავ სიმღერას ბაბილონის მეფეზე და იტყვი: აღარ არის მჩაგვრელი! და, აჰა, ბოლო მისი მრისხანებისა!

⁵გადატეხა უფალმა არგანი ბოროტეულთა, კვერთხი მბრძანებელთა,

⁶რისხვით რომ აყენებდა ხალხებს დარტყმას დარტყმაზე, ერებს რომ სჯიდა განრისხებული, უწყალოდ რომ ავიწროვებდა.

⁷ისვენებს მთელი დედამიწა, მშვიდადაა, მხიარული სიმღერები გაისმის.

⁸კვიპაროსებიც შეგხარიან, ლიბანის კედრები ამზობენ: რაც შენ დაზიანდი, ხის მჭრელი არ გამოჩენილაო აქ.



⁹ქვემოთ შეიძრა შავეთი შენს გამო, რომ შეგეგებოს შენი მისვლისას; შენთვის გამოაღვიძა მიძინებულნი, ქვეყნის ყველა წინამძღოლი; თავიანთი ტახტებიდან წამოაყენა ხალხთა ყველა მეფე.

¹⁰ყველანი მოგიგებენ და გეტყვიან: „ახლა შენც ჩვენსავით უძლური ხარ, ჩვენ დაგვემსგავსე.“

¹¹შავეთში ჩაეშვა შენი დიდება და ჟღერა შენი ებნებისა, შენი საწოლი ჭია-მატლისაა, ჭია-მატლისაა შენი საბანიც.

¹²როგორ ჩამოვარდი ციდან, მთიებო, განთიადის ძევ, მიწას დაენარცხე, ხალხთა მძლეველო!

¹³შენ კი ფიქრობდი: „ზეცაში ავალ, ღმერთის ვარსკვლავებს ზემოთ, მაღლა ავწევ ჩემს ტახტს, და დავჯდები საკრებულო მთაზე, ჩრდილოეთის კიდეებზე.“

¹⁴მაღალ ღრუბლებზე ავალ, უზენაესს დავემსგავსები!“

¹⁵მაგრამ შავეთში ხარ ჩაგდებული, იქ, გათხრილ სამარეში.

¹⁶ყველა, ვინც შენ დაგინახავს, დაგაკვირდება და იტყვის: „ნუთუ ეს ისაა, ძრწოლას რომ ჰგვრიდა ქვეყანას, სამეფოებს რომ ანგრევდა?“

¹⁷ქვეყნიერება რომ უდაბნოდ აქცია, ქალაქები – ნანგრევებად, ტყვეებს რომ უკან არ აბრუნებდა?“

¹⁸ხალხების ყველა მეფე პატივით განისვენებს, თითოეული თავის სამარხში.

¹⁹შენ კი უსამაროდ ხარ დატოვებული, დაგდებული, როგორც დამპალი ტოტი. შენ წევხარ მკვდრებში, მახვილით აჩეხილთა შორის, რომლებსაც ქვის ორმოებში ყრიან. შენს გვამს ფეხით თელავენ.

²⁰სხვებს დამარხავენ, შენ კი არა, რადგან შენ ააოხრე შენი ქვეყანა, გაწყვიტე შენი ხალხი. ბოროტმოქმედთა თესლი ნუმც მოიხსენება საუკუნოდ.

²¹სასაკლაო გაუმზადეთ მის ძეთ მათი მამების ურჯულოების გამო, თორემ მთელ დედამიწას დაიპყრობენ ისინი და ქვეყანა აივსება მათი ქალაქებით.

²²მე აღვდგები მათ წინააღმდეგ! – ამბობს ცაბაოთ უფალი, – და აღარ დარჩება ბაბილონს აღარც სახელი და აღარც კვალი, აღარც ბავშვები და აღარც მისი მოდგმა! – ამბობს ცაბაოთ უფალი.

²³და ვაქცევ ბაბილონს ზღარბთა სოროებად და ჭაობებად, და განადგურების ცოცხით გამოვხვეტავ! – ამბობს ცაბაოთ უფალი.

²⁴და დაიფიცა ცაბაოთ უფალმა: როგორც მე ჩავიფიქრე, ყველაფერი ისე იქნება, და როგორც მე განვიზრახე, ისე აღსრულდება.



²⁵შევმუსრავ აშურს ჩემს მიწაზე და გავთელავ ჩემს მთებზე! ჩემი ხალხი გადაიგდეს მის უღელს და მისი ტვირთი მათ მხრებს ჩამოეხსნება.

²⁶ესაა განაჩენი, გადაწყვეტილი მთელი ქვეყნის მიმართ და ესაა ხელი, დაღერებული ყველა ხალხებზე.

²⁷ცაბაოთ უფალმა გადაწყვიტა – ვინ დაარღვევს მის გადაწყვეტილებას? დაღერებულია მისი ხელი – ვინ შეაჩერებს მას?

²⁸მეფე ახაზის სიკვდილის წელს იყო ეს წინასწარმეტყველება:

²⁹ნუ გიხარია, ფილისტიმელთა ქვეყანავ, რომ დაიმსხვრა თქვენი მგვემელი კვერთხი! რადგან გველის ფესვიდან გამოვა ასპიტი და მისი ნაყოფი ფრთოსანი გველია.

³⁰დატაკთა შვილები საზრდოს ჰპოვებენ ჩემს ველზე და ღარიბნი სამშვიდობოს დაიმყუდროვებენ; შიმშილით ამოვწყვეტ შენს ფესვს და მოვსპობ შენს ნატამალს.

³¹მოთქვამდეთ, კარიბჭენო! გოდებდე, ქალაქო! ძრწოდე, ფილისტიმელთა ქვეყანავ! რადგან ჩრდილოეთიდან კვამლი დაიდრა: მეომრები მოდიან და არავინ დატოვებს რიგებს.

³²რას ეტყვიან წარმართთა მაცნეებს? ეტყვიან, რომ უფალმა სიონი დააფუძნა და მასში ჰპოვებენ თავშესაფარს მისი ხალხის ჩაგრულნი.

ესაია 15

¹წინასწარმეტყველება მოაბზე. ერთ ღამეში გამარცვული ყარ-მოაბი დადუმდა. ერთ ღამეში გამარცვული კირ-მოაბი დადუმდა.

²მისი მცხოვრებნი ავიდნენ ტაძარში, დიბონის მცხოვრებნი ტირილით მივიდნენ საწმიდარში. ნებოსა და მედებზე მოთქვამენ მოაბელნი. თავები გადაპარსული აქვთ, წვერები – მოკვეცილი.

³ქუჩებში ჯვალოთი დადიან, მოსთქვამენ ბანებზე, ტირიან მოედნებზე, ცრემლად იღვრებიან.

⁴ხეშბონისა და ელყალეს ზარი იაჰაცამდე აღწევს. მოაბის მეზრძოლნიც თრთიან, გული უშფოთავს მოაბს.

⁵გული მიკვნესის მოაბზე. მოაბის ლტოლვილნი ცოყარში მოვიდნენ, ყეგლათ-შელიშიაში. ტირილით ადიან ლუხითის აღმართზე, ხორონაიმის გზაზე მოთქმით ტირიან თავიანთ უბედურებაზე.

⁶ნიმრიმის წყლები დაშრა, ბალახი გაჰვნა, ჯეჯილი ჩაღპა, სიმწვანე გაქრა.



⁷მოაბელთ გადააქვთ თავიანთი მონაგარი, თავიანთი სიმდიდრის ნარჩენები, გადადიან ძეწნათა ხევზე.

⁸მოაბელთა კივილი ქვეყნის საზღვრებამდე ისმის, ეგლაიმამდე აღწევს მისი გმინვა, ბერ-ელიმამდე.

⁹დიმონის წყლები სისხლით გაივსო. მაგრამ მე ამას არ ვაკმარებ დიმონს: ლომებს მივუსევ გადარჩენილ მოაბელთ, მთელი ქვეყნის ნატამალს.

ესაია 16

¹კრავები გაუგზავნეთ საჩუქრად ქვეყნიერების მბრძანებელს სელაყიდან უდაბნოს გზით სიონის ასულის მთაზე.

²ბუდეშობილი ფრინველებივით იქნებიან მოაბის ასულნი არნონის ფონებთან.

³„მიეცი რჩევა, ქმენი სამართალი, გადმოაფარე შენი ჩრდილი შუადღის ხვატში, როგორც ღამით; დაიფარე ლტოლვილი, ნუ გასცემ დევნილს.

⁴შეიხიზნე მოაბის ლტოლვილნი; შეიფარე ყაჩაღებისაგან!“ ვიდრე არ შემწყდარა მძლავრობა, ვიდრე ბოლო არ მოღებია ყაჩარობას, ვიდრე არ გადაშენებულა დამთრგუნველი ამ ქვეყნიდან;

⁵და წყალობით არ დამყარებულა ტახტი, და მასზე, დავითის კარავში, სამარადისოდ არ დამჯდარა მსაჯული – რათა ქმნას სამართალი და ესწრაფოდეს მართალ განკითხვას.

⁶ვისმინეთ ჩვენ მოაბის მზვაობრობა, მეტისმეტი ზვიადობა, მისი ამპარტავნება, მისი მძვინვარება, ამაო ტრაბახი.

⁷ამიტომ მოუწია მოაბელს მოაბელის დატირება, – ქვითინებს მთელი მოაბი; უბედურნო, როგორ მოსთქვამთ კირ-ხარესეთის ტკბილეულზე!

⁸ხეშბონის ვენახები წახდა, წახდა სიბმას ვაზი! ოდესღაც ხომ ამ ვაზის ღვინით თვრებოდნენ ქვეყნის მეუფენი, იაყზერს რომ სწვდებოდა და იმას იქითაც – უდაბნოს აღწევდა. ზღვამდე იფურჩქნებოდა მისი რქები.

⁹იაყზერთან ერთად ვიგლოვებ მე სიბმას ვაზებზე. ჩემი ცრემლებით მოვრწყავ ხეშბონსა და ელყალეს! რადგან შენს რთველსა და ალოობაში აღარ გაისმის მხიარული ყიჟინა.

¹⁰შეწყდა მხიარულება და სიხარული ნაყოფიერ მიწაზე; ვენახებში აღარ მღერიან და აღარ ისმის მხიარული შემოძახილი; საწნახელში ღვინოს აღარ დაწურავს მეზვრე, რადგან მე შევაწყვეტინე მხიარული ხმები.



¹¹ამიტომაც ქნარივით კვნესის ჩემი გული მოაბზე და ჩემი სული – კირხერესზე.

¹²გამოჩნდებიან მოაბელნი თავის საწმიდარში, ძალას არ დაიშურებენ; მივლენ თავის ტაძარში სალოცავად, მაგრამ აღარაფერი ეშველებათ.

¹³ეს არის სიტყვა, რომელიც რახანია წარმოთქვა უფალმა მოაბზე.

¹⁴ახლა კი ასე ამბობს უფალი: „სამი წლის შემდეგ, ქირავნობის წლების მიხედვით, შერცხვება მოაბის დიდება, მიუხედავად მათი დიდი სიმრავლისა; გადარჩება მხოლოდ მცირე ნატამალი – უმნიშვნელო და უძლური.“

ესაია 17

¹წინასწარმეტყველება დამასკოზე.

ქალაქი დამასკო გაქრება, ნანგრევებად იქცევა.

²ყაროყერის ქალაქებს მიატოვებენ სამუდამოდ, ცხვრის ფარების სამოვრებად იქცევა, დაეყრებიან და არავინ იქნება მათი წამომშლელი.

³აღარ ექნება ეფრემს ციხესიმაგრეები, აღარ დასხდებიან მეფეები დამასკოში. არამის ნატამალსაც იგივე დაემართება, რაც ისრაელიანთა დიდებას, – ამბობს ცაბაოთ უფალი.

⁴და იქნება იმ დღეს: დაკნინდება იაკობის დიდება, გამოიფიტება მისი გაფუებული ტანი.

⁵ყანის მკას დაემსგავსება ეს ყოველივე: მომკელის მარჯვენა რომ გადამკის ყანას, რეფაიმის ველზე რომ მოიმცვრევენ ჩაბნეულ თავთავს.

⁶გადარჩებიან მხოლოდ ცოტანი. ზეთისხილის ხის ბერტყასავით იქნება, როცა ბერტყის შემდეგ აქა-იქ თითო-ოროლა ნაყოფი რჩება კენწეროზე, ოთხი-ხუთი ცალი ტოტებზე, – ამბობს უფალი, ღმერთი ისრაელისა.

⁷იმ დღეს მიმართავს ადამიანი თავის შემოქმედს, თვალს მიაპყრობს ისრაელის წმიდა ღმერთს.

⁸და აღარ შეხედავს თავისი ხელით ნაგებ სამსხვერპლოებს, თვალს მოარიდებს იმას, რაც მისმა ხელმა გააკეთა: აშერას სვეტებს და სასაკმევლებს.

⁹იმ დღეს დაიცლება მათი გამაგრებული ქალაქები – როგორც მიატოვეს ისრაელიანთა წინაშე ხიველებმა და ამორეველებმა ყველაფერი, და დაიწყება დიდი გავერანება.



¹⁰დაგავიწყდა ღმერთი, ის ვინც შენი მხსნელია. აღარ გახსოვს შენი სიმტკიცის კლდე. ნეტარების ბაღებს აშენებ და უცხოური ვაზი ჩაგიყრია.

¹¹რა დღესაც დარგავ, იმავე დღეს იზრდებიან – ნარგავები დილიდანვე ყვავიან, მაგრამ შენი მოსავალი გაქრება, როდესაც დადგება ტანჯვის დღე, უკურნებელი ტკივილების დღე.

¹²ვაი, ხმაურს უზღვავი ხალხისა! – ხმაურობენ ზღვის ხმაურით. ვაი, ხალხების ღრიალს! – ღრიალებენ ადიდებული მდინარის ღრიალით.

¹³ტომები ღრიალებენ, როგორც დიდი წყლები ღრიალებენ; მაგრამ როცა ის მათ დაემუქრება, გაიქცევიან შორს, და გაიხვეტებიან, როგორც ქარი მიანიავეს ბზეს გორდაგორ, და როგორც მტვერს – ქარბორბალა.

¹⁴დადგება მწუხრი და, აჰა, დაეცემა შიშისზარი და განთიადამდე ვეღარ გაძლებს. ასეთია ჩვენს მძარცველთა წილი და ჩვენს მათხოვრებელთა ხვედრი.

ესაია 18

¹ვაი, ფრთებმოშრიალე ქვეყანას, ქუშის მდინარეთა გაღმა რომ არის!

²ელჩებს რომ აგზავნის ზღვით, და მდინარეებზე – ჭილის ნავებით. წადით, მკვირცხლო მოციქულნო, ბრგე და უწვერულ ერთან, დასაბამიდან დღესაქამომდე ხალხთა დამთრგუნველთან და გადამთელავთან, რომლის ქვეყანასაც მდინარეები სერავენ!

³ქვეყნიერების ყველა მცხოვრებო და ყველა ბინადარო! როცა ბაირადი აღიმართება მთებზე – დაინახავთ, და როცა რქის საყვირი ახმიანდება – გაიგონებთ!

⁴რადგან ასე მითხრა მე უფალმა: მშვიდად გადმოვიხედავ ჩემი განსასვენებელი ადგილიდან, როცა მზე გამობრწყინდება და ხვატი ჩამოდგება, როცა ალოობის პაპანაქებაში ცვარის ღრუბელი ჩამოემგება.

⁵რადგან რთვლობის წინ, როცა ყვავილობა დამთავრებულია და მტევანი მწიფობას იწყებს, უფალი დანით აკაფავს ლერწმებს და რქებს მოაშორებს ვაზს.

⁶ყველაფერი მტაცებელ ფრინველებს მთებზე და ველის ნადირს დარჩება; გაიზაფხულებენ მასზე მტაცებელი ფრინველები და მიწის ყველა ცხოველი დაიზამთრებს იქ.

⁷მაშინ ძღვენს მიართმევს ცაბაოთ უფალს, ცაბაოთ უფლის ადგილას, სიონის მთაზე, ბრგე და უწვერული ერი, დასაბამიდან დღესაქამომდე



ხალხთა დამორგუნველი და გადამთელავი, რომლის ქვეყანასაც მდინარეები სერავენ.

ესაია 19

¹წინასწარმეტყველება ეგვიპტეზე. აჰა, უფალი დაბრძანებულა სწრაფ ღრუბლებზე და მიჰქრის ეგვიპტეში, და შეიძვრებიან ეგვიპტის კერპები მის წინაშე, და ეგვიპტის გული გაირინდება.

²მე ავამხედრებ ეგვიპტელს ეგვიპტელზე; და შეებრძოლება ძმა ძმას და მოყვასი მოყვასს, ქალაქი ქალაქს, სამეფო სამეფოს.

³დაიშრიტება ეგვიპტის სული მის წიაღში; ჩავშლი მის განზრახვას. კერპებს, მჩხიბავებს და გარდაცვლილთა სულებს დაუწყებს ძებნას სამკითხაოდ.

⁴მრისხანე მბრძანებლის ხელში ჩავყრი ეგვიპტელთ, სასტიკი მეფე იქნება მათი მბრძანებელი! – ამბობს ცაბაოთ უფალი.

⁵და ამოშრება წყალი ზღვაში, მდინარე დაიწრიტება და დაშრება.

⁶ამყრალდებიან მდინარეები, დაიწრიტებიან და დაშრებიან ეგვიპტის მდინარეები, ლერწამი და ჭილი დაჰკნება.

⁷გაშიშვლდება მინდვრები, მდინარის მთელი სანაპირო და მთელი ნათესები გადახმება, განიავდება და გაქრება.

⁸დაღონდებიან მეზადურები: ცრემლად დაიღვრება მდინარეში ანკესის ყველა ჩამშვები, ქანცი გაუწყდება წყალზე ბადეების გამშლელს.

⁹დანადვლიანდებიან სელის მრთველნი და თეთრი ტილოს მქსოველნი.

¹⁰დაიმსხვრევა მათი დაზგები, ქირის მუშები დამწუხრდებიან.

¹¹შეიშალნენ ცოყანის მთავრები: ფარაონის ბრძენ მრჩეველთა თათბირი გაცუდდა! როგორ ეტყვიტ ფარაონს: „მე ბრძენთა ძე ვარ, ძე უწინდელ მეფეთა?“

¹²სად არიან ისინი? სად არიან შენი ბრძენნი? ახლა გითხრან მათ და შეიტყონ, რა გადაუწყვიტა ცაბაოთ უფალმა ეგვიპტეს!

¹³გაბრიყვდნენ ცოყანის მთავარნი, მოტყუვდნენ ნოფის მთავარნი, გზაკვალი აურიეს ეგვიპტეს მისი ტომების მთავრებმა.

¹⁴უფალმა დაუბნელა მათ გონება, და მათ მთლად გადარიეს ეგვიპტე: ახლა ეგვიპტე მთვრალსა ჰგავს, თავის ნარწყევში რომ დააბიჯებს.

¹⁵და არ იქნება ეგვიპტეში საქმე, რის გაკეთებასაც შეძლებს თავი და კუდი, ფინიკის ფოთოლი და ლერწამი.



¹⁶იმ დღეს ეგვიპტელები ქალებს დაემსგავსებინ, დაფრთხებიან და შეეშინდებათ ცაბაოთ უფლის მოღერებული ხელისა.

¹⁷და იქნება იუდას მიწა შიშის ზარი ეგვიპტისათვის; ყოველი, ვინც მას გაიხსენებს, აკანკალდება ცაბაოთ უფლის განაჩენით, რაც მან განაჩინა მასზე.

¹⁸იმ დღეს ეგვიპტის ქვეყანაში ხუთი ქალაქი ილაპარაკებს ქანაანის ენაზე და დაიფიცებს ცაბაოთ უფალს, ერთ მათგანს ყირ-ჰერესს უწოდებენ.

¹⁹იმ დღეს უფლის სამსხვერპლო ეგვიპტის ქვეყნის შუაგულში იქნება და უფლის სვეტი – მის საზღვრებთან.

²⁰და იქნება ის ნიშნად და მოწმობად ცაბაოთ უფალზე ეგვიპტის ქვეყანაში, რადგან შეჰღალადებენ ისინი უფალს შემჭირვებელთა გამო, და ის გამოუგზავნის მათ მხსნელსა და ქომაგს და უშველის მათ.

²¹და გამოეცხადება უფალი ეგვიპტეს; და ეგვიპტელნი შეიცნობენ უფალს იმ დღეს, და მოიტანენ მსხვერპლსა და ძღვენს, და აღთქმას აღუთქვამენ უფალს და კიდევ აღასრულებენ.

²²და დაჰკრავს უფალი ეგვიპტეს; დაჰკრავს და განკურნავს; და მოიქცევიან ისინი უფლისაკენ, და ის შეისმენს მათ ვედრებას, და განკურნავს მათ.

²³იმ დღეს ეგვიპტიდან აშურისაკენ იქნება დიდი გზა, და ივლიან აშურელნი ეგვიპტეში და ეგვიპტელნი – აშურში; და ეგვიპტელნი აშურელებთან ერთად თაყვანს სცემენ უფალს.

²⁴იმ დღეს ისრაელი მესამე სახელმწიფო იქნება – გაუთანასწორდება ეგვიპტესა და აშურს. კურთხევა იქნება დედამიწის შუაგულში.

²⁵ცაბაოთ უფალი ასე აკურთხებს მათ: „კურთხეულ იყოს ჩემი ხალხი – ეგვიპტელნი და ჩემი ხელის ნაკეთები – აშური და ჩემი სამკვიდრებელი – ისრაელი.“

ესაია 20

¹იმ წელს, როდესაც აშდოდს მოადგა თართანი, აშურის მეფის, სარგონის, მიერ გამოგზავნილი, და შეებრძოლა აშდოდს და დაიპყრო იგი,

²სწორედ მაშინ უთხრა უფალმა ესაიას, ამოცის ძეს: „წადი, ჯვალო მოიხსენი წელიდან და ხამლი გაიხადე ფეხზე.“ სწორედ ასე გააკეთა მან – დადიოდა ტიტველი და ფეხშიშველი.



³და თქვა უფალმა: „როგორც ჩემი მონა ესაია დადიოდა ტიტველი და ფეხშიშველი სამ წელიწადს, ნიშნად და სასწაულად იყოს ეგვიპტისა და ქუშისთვის.

⁴ასე გაირეკავს აშურის მეფე ტყვეებს ეგვიპტიდან და ქუშიდან გადასახლებულთ, ყმაწვილებსა და მოხუცებულთ, ტიტველთ, ფეხშიშველთ და დუნდულგაშიშვლებულთ – ეგვიპტის შესარცხვენად.

⁵მაშინ შეძრწუნდებიან და შერცხვებათ მათი სასოების, ქუშის გამო და მათი საკვებური ეგვიპტის გამო.

⁶და იტყვიან იმ დღეს ამ ზღვისპირეთის მცხოვრებნი: ‘აი, რა დაემართა ჩვენს იმედს, მათგან, ვისკენაც გავრბოდით შემწეობისათვის აშურის მეფისაგან გადასარჩენად! რა უნდა გვეშველოს ახლა?’“

ესაია 21

¹წინასწარმეტყველება ზღვისპირეთის უდაბნოზე. როგორც გრიგალები მძვინვარებენ სამხრეთზე, ისე მოდის ის უდაბნოდან, საშინელი ქვეყნიდან.

²სასტიკი ხილვა მეჩვენა მე: მოღალატე ღალატობს და მძარცველი ძარცვავს. ამოდი, ყელამ! ალყა შემოარტყი, მიდია! ახლა ბოლოს მოვუღებ ყველა მის ოხვრას.

³ამის გამო ჩემი წელი კანკალმა მოიცვა, ტკივილებმა შემიპყრო მე, მსგავსად მშობიარის ტკივილებისა, მოვიკრუნჩხე გაგონილისაგან, შევძრწუნდი ნახულისაგან.

⁴გული მითრთის, შიში მზარავს; სიამის ღამე საშინელებად მექცა.

⁵ტაბლა გააწყვეს, ნოხები დააგეს, ჭამენ და სვამენ. ადექით, მთავრებო, ფარები გაპოხეთ!

⁶ასე მითხრა უფალმა: „მიდი, დააყენე მზირი, რათა გაუწყოს, რასაც ხედავს.

⁷და დაინახავს ის წყვილ-წყვილად მომავალ მხედრებს, და ხალხს ჯორ-აქლემებზე ამხედრებულთ. ყურადღებით იყოს, დიდი გულისყურით.“

⁸და ლომივით იყვირა მზირმა: „უფალო, საგუშაგოზე ვიდექი დღისით და ღამით.

⁹აჰა, მოდის ეტლიონი, დაწყვილებული ცხენოსნები!“ და შემდეგ შესძახა: „დაეცა, დაეცა ბაბილონი! მისი კერპები დაიმსხვრა, მიწაზე ყრია დანარცხებული.“



¹⁰ოჰ, ჩემო კალოზე გაღეწილო და განიავებულო ხალხო! რაც ვისმინე მე ცაბაოთ უფლის, ისრაელის ღმერთისაგან, ახლა გაუწყებთ მე თქვენ.

¹¹წინასწარმეტყველება დუმაზე. სეყირიდან მეძახიან: „გუშაგო, ღამის რა ჟამია? გუშაგო, ღამის რა ჟამია?“

¹²გუშაგი პასუხობს: „გათენება ახლოვდება, მაგრამ ჯერ ისევ ღამეა! თუ კითხვა გინდათ, იკითხეთ, კვლავ მოდით.“

¹³წინასწარმეტყველება არაბეთზე. არაბეთის ჩირგვნარებში გაათიეთ ღამე დედანელთა ქარავნებო!

¹⁴თემას ქვეყნის მცხოვრებნო, მწყურვალს მიაწოდეთ წყალი; გაქცეულებს გამოუტანეთ პური!

¹⁵რადგან მახვილს გაურბიან ისინი, ამოწვდილ მახვილს, მოჭიმულ მშვილდს და ომის სიმძიმეს.

¹⁶ასე მითხრა მე უფალმა: „ერთი წელიც მოქირავნის წლებით და გაქრება მთელი დიდება კედარისა.“

¹⁷ცოტანილა გადარჩებიან კედარის მშვილდოსანთაგან.“ ასე თქვა უფალმა, ისრაელის ღმერთმა.

ესაია 22

¹წინასწარმეტყველება ხილვათა ხეობაზე. რა დაემართათ შენს მცხოვრებთ, რომ მთლიანად ერდოებზე გამოშლილან?

²ხმაურით სავსე, მშფოთვარე ქალაქო, მოზეიმე ქალაქო! შენი დამარცხებულნი მახვილით არ დაცემულან და არც ბრძოლაში დაღუპულან.

³ყველა შენი მხედართმთავარი ერთად გაიქცა, მშვილდები დაყარეს, ტყვედ ჩაცვივდნენ; ყველა, ვინც გადარჩა, ერთად არიან დატყვევებულნი, თუმცა შორს გარბოდნენ ისინი.

⁴ამიტომ ვთქვი მე: პირი შემაქციეთ, მწარედ უნდა ვიტყვო. ნუ შეეცდებით ჩემს ნუგეშისცემას, ჩემი ერის ასულის შემუსვრის გამო.

⁵რადგან აურზაურის, მარცხის და დაბნეულობის დღეა ცაბაოთ უფალისაგან ხილვათა ველზე! კედელს ანგრევენ და ყვირილი მთის მწვერვალამდე აღწევს.



⁶ყელამის მეზრძოლებმა კაპარჭები მოიმარჯვეს, საომარი ეტლები და მხედრები გაემზადნენ ბრძოლისათვის, კირელმამეზრძოლებმა ფარები ასწიეს.

⁷შენი ულამაზესი ველები სავსეა ეტლებით, მხედრები კარიბჭის პირდაპირ დაეწყვნენ.

⁸ახდილია იუდას საფარველი! იმ დღეს თქვენ შეხედეთ მაღნარის სასახლის საჭურველს.

⁹თქვენ იხილეთ, რომ მრავალი ნაპრაღია დავითის ქალაქის კედლებში, და აგროვებდით წყალს ქვემო ტბორში;

¹⁰და ათვალიერებდით იერუსალიმის სახლებს და ანგრევდით ზოგიერთს გალავნის გასამაგრებლად.

¹¹და მოაწყვეთ წყლის საცავი ორ კედელს შუა ძველი საგუმბრის წყლისთვის. მაგრამ არად აგდებთ მის შემქმნელს, ძველთაგან მის დამსახველს.

¹²მოუხმობს ცაბაოთ უფალი იმ დღეს სატირლად და საგლოვად, თმის გადასაპარსად და წელზე ჯვალს შემოსასარტყლად.

¹³მაგრამ თქვენ ილხენტ და მხიარულობთ, კლავთ ზვარაკებსა და ყელს ჭრით ცხვრებს, ჭამთ ხორცსა და სვამთ ღვინოს. ამბობთ: ვჭამოთ და ვსვათ, რადგან ხვალ დავიხოცებითო.

¹⁴და ყურში გამიმხილა ცაბაოთ უფალმა: „არ მიგეტევებათ თქვენ ეს ურჯულოება სიკვდილამდე!“ თქვა მეუფემ, ცაბაოთ უფალმა.

¹⁵ასე თქვა მეუფემ, ცაბაოთ უფალმა: წადი და უთხარი ამ სამეფოს ეზოსმოდვარს – შებნას:

¹⁶რა გაქვს აქ და ვინა გყავს აქ, რომ ამოგიკვეთავს შენთვის სამარხი? – ის კვეთს თავის სამარხს მაღლობზე, კლდეში ჭრის თავის სავანეს.

¹⁷აჰა, უფალი მოგისვრის შენ, როგორც მოისვრის ძლიერი კაცი და დაგჭმუჭნის,

¹⁸დაგგორგლავს და მოგისვრის ვრცელ ქვეყანაში. იქ იქნება შენი და შენი ბრწყინვალე ეტლების ბოლო, შემარცხვენელო შენი ბატონის სახლისა!

¹⁹გადაგისვრი შენი ადგილიდან და შენი მდგომარეობიდან დაგამხოვ.

²⁰და იქნება იმ დღეს: მოვიხმობ ჩემს მონას ელიაკიმს, ხილკიას ძეს,

²¹და შევმოსავ შენი სამოსით, და შენს ქამარს შემოვარტყამ წელზე, და შენს ხელმწიფებას გადავცემ მას; და იქნება ის იერუსალიმის მცხოვრებთა და იუდას მოდგმის მამა.



²²გადავკიდებ მხარზე დავითის სახლის გასაღებს, დაკეტავს და ვერავინ გააღებს, გააღებს და ვერავინ დაკეტავს.

²³პალოსავით ჩავარჭობ მას მყარ ადგილზე, და იქნება ის თავისი მამისსახლისათვის დიდების ტახტი.

²⁴და ჩამოჰკიდებენ მას მამამისის სახლის მთელ დიდებას – მოდგმას და ნაშიერს, სახლის მთელ ჭურჭელს – თასიდან დაწყებული უკანასკნელ ჭინჭილამდე.

²⁵იმ დღეს, – ამბობს ცაბათ უფალი, – მოირყევა მყარ ადგილზე ჩარჭობილი პალო, გადატყდება და დაეცემა, და მოწყდება ტვირთი, რომელიც მას აწვა, რადგან უფალმა თქვა ეს.

ესაია 23

¹წინასწარმეტყველება ცორზე. ივალაღეთ, თარშიშის ხომალდებო, რადგან ცორი გაპარტახდა, აღარც სახლია, აღარც სახლში შესასვლელი. ქითიმის ქვეყნიდან დაბრუნებულებმა შეიტყვეს ეს ამბავი.

²იგლოვეთ, ზღვისპირეთის მკვიდრნო, ციდონის ზღვაოსანი ვაჭრები გამდიდრებდნენ შენ.

³დიდი წყლებით მოდიოდა შიხორის მარცვლეული, ნილოსის სანაპიროების სამკალი იყო მისი მოსავალი, სხვადასხვა ხალხებიდან ნაყიდი.

⁴გრცხვენოდეს, ციდონო! ასე ამბობს ზღვა, ზღვისპირეთის სიმაგრე: „არ განმიცდია მშობიარობის ტკივილები, არ მიშვია და არ გამიზრდია ჭაბუკნი, არ აღმიზრდია ქალწულები.“

⁵როდესაც ცორის ამბავს შეიტყობენ ეგვიპტელნი, ძრწოლა შეიპყრობთ.

⁶გადადით თარშიშში! იქვითინე, ზღვისპირეთის ტომო.

⁷ნუთუ ესაა თქვენი მხიარული ქალაქი, რომლის დასაბამი ძველისძველია? მისი ფეხები შორეთში დაატარებენ მას.

⁸ვინ გადაუწყვიტა ეს ცორს, ქალაქს, რომელიც გვირგვინებით ამკობდა მეფეებს, რომლის სოვდაგარნიც მზრძანებლობდნენ, რომლის ვაჭრებსაც პატივით ეპყრობოდა მთელი ქვეყანა?

⁹ცაბათ უფალმა გადაწყვიტა, შეებღალა ქედმაღლობა ყოველგვარი დიდებისა, დაემცირებინა ქვეყნის ყველა ღირსებანი.



¹⁰გაეშურე შენი ქვეყნისკენ, თარშიშის ასულო! რადგან აღარაა ნავსაყუდელი.

¹¹უფალმა ხელი დაუღერა ზღვას და შეძრა სამეფოები; უფალმა ბრძანა ქანაანზე, დაექციათ მისი ციხესიმაგრენი.

¹²მან თქვა: ველარ გაიხარებ ამიერიდან, შერცხვენილო ქალწულო, ციდონის ასულო! ადექი, გადადი ქითიმში, მაგრამ არც იქ გექნება მოსვენება.

¹³აჰა, ქალდეველთა ქვეყანა – ეს ხალხი უწინ არ იყო. აშურმა მისცა ის უდაბნოს ველურ არსებებს. აშურელებმა მიაყენეს მას საბრძოლო კოშკები, დაანგრიეს, გააცამტვერეს მისი ციხესიმაგრეები.

¹⁴ივალაღეთ, თარშიშის ხომალდებო, რადგან თქვენი სიმაგრე შემუსრულია.

¹⁵და მოხდება იმ დღეს, დავიწყებული იქნება ცორი 70 წელიწადს – ერთი მეფის ცხოვრების დღეების კვალობაზე; 70 წლის ბოლოს დაემართება ცორს ის, რაც მეძავის სიმღერაშია:

¹⁶აიღე ქნარი, შემოიარე ქალაქი, დავიწყებული მეძაო! ტკბილად დაუკარი, ბევრი იმღერე, იქნებ გაგიხსენონ შენ!

¹⁷70 წლის შემდეგ მოხედავს უფალი ცორს. და ისევ დაუბრუნდება ცორი თავის სიძვის გასამრჯელოს და იმეძავებს ქვეყნის ყველა სამეფოსთან დედამიწის ზურგზე.

¹⁸მაგრამ მისი ნავაჭრი და მისი მოგება მიძღვნილი იქნება უფლისადმი; არ დაგროვდება საგანძურებსა და საწყობებში, რადგან უფლის წინაშე მცხოვრებთათვის იქნება, რომ მამღრისად ჭამონ და დიდებულად შეიმოსნენ.

ესაია 24

¹აჰა, უფალი გააპარტახებს დედამიწას და უნაყოფოდ აქცევს მას; სახეს შეუცვლის და გაფანტავს მის მცხოვრებთ.

²ერთი ბედი ელის ერსა და ბერს, მონასა და მის ბატონს, მხევალსა და მის ქალბატონს, მყიდველსა და გამყიდველს, გამსესხებელსა და მსესხებელს, მევახშესა და მოვალეს.

³გაპარტახდება ქვეყანა და გაიძარცვება, რადგან უფალმა თქვა ეს სიტყვა.

⁴გლოვობს, იღუპება ქვეყანა, სასოწარკვეთილებაში მიიღია ქვეყნიერება, იღუპებიან ქვეყნის ძლიერნი.



- ⁵დედამიწა შეიბილწა მის მკვიდრთა მიერ, რადგან გადაუხვიეს რჯულს, შეცვალეს წესი, დაარღვიეს საუკუნო აღთქმა.
- ⁶ამის გამო წყევლა ჭამს დედამიწას და ისჯებიან მისი მკვიდრნი; ამიტომ ქრებიან ქვეყნის მკვიდრნი, სულ ცოტადა დარჩა ხალხი.
- ⁷მაჭარი დამწარდა, გახმა ვაზი, ოხრავს ყველა გულმხიარული,
- ⁸შეწყდა დაფდაფებით ლხინი, მიწყდა მოლხინეთა ჟრიამული, გაცუდდა ქნარების ჟღერა.
- ⁹სიმღერით აღარ სვამენ ღვინოს; ემწარებათ თაფლუჭი მის მსმელებს.
- ¹⁰დანგრეულია დაცლილი ქალაქი, დაიკეტა ყველა სახლი, ვეღარ შეხვალ.
- ¹¹ღვინოზე ტირიან ქუჩებში; ჩაჟამდა ყოველგვარი მხიარულება; განიდევნა ქვეყნიდან სიხარული.
- ¹²გაუდაბურდა ქალაქი. ნანგრევებად იქცა კარიბჭე.
- ¹³რადგან ასე იქნება შუაგულ ქვეყანაში, ხალხებს შორის, როგორც ზეთისხილის ჩამობერტყისას, როგორც მომცვრევისას, როცა მთავრდება მოსავლის აღება.
- ¹⁴ხმამაღალი, მხიარული ხმა ისმის – დასავლეთში უფლის დიდებას უმღერიან.
- ¹⁵აქეთ უფალი, აღმოსავლეთის მკვიდრო! ზღვისპირეთის მკვიდრო ადიდეთ უფლის სახელი, ისრაელის ღმერთისა.
- ¹⁶ქვეყნის კიდიდან ვისმინეთ სიმღერა: დიდება მართალს! და მე ვამბობ: ვაგლახ მე! ვაგლახ მე! ვაი მე! მზაკვარნი მზაკვრობენ, ზაკვით იმოსებიან მზაკვარნი.
- ¹⁷შიში, ორმო და მახეა შენთვის, ქვეყნის მკვიდრო!
- ¹⁸შიშის ხმაზე გაქცეული ხაროში ჩავარდება, და ხაროდან ამოსული მახეში გაებმება; რადგან გახსნილია ცის სარკმელნი და ქვეყნის საფუძვლები ირყევიან.
- ¹⁹მღიერ დაილეწა ქვეყანა, სრულად დაიმსხვრა ქვეყანა, საშინლად შეირყა ქვეყანა.
- ²⁰მთვრალივით ბარბაცებს დედამიწა და აკვანივით ირწევა; ცოდვამ დაამძიმა; დაეცემა და ვეღარ აღდგება.
- ²¹და იქნება იმ დღეს: დასჯის უფალი ზეცაში ციურ მხედრობას და მიწაზე მიწის მეფეებს.



²²ტყვეებს ერთად შეკრებენ, და ორმოში ჩაყრიან, ჩაკეტავენ, და მრავალი დღის შემდეგ მოვა სასჯელი.

²³გაწბილდება მთვარე და შერცხვება მზეს, როცა ცაბოთ უფალი გამეფდება სიონის მთაზე და იერუსალიმში. და თავის დიდებას მოუვლენს თავის უხუცესთ.

ესაია 25

¹უფალო, შენა ხარ ჩემი ღმერთი! აღგამაღლებ შენ, ვადიდებ შენს სახელს, რადგან საოცრება მოიმოქმედე – ის იყო შენი ჩანაფიქრი შორეული დროიდან, და ახლა შენ გამოაჩინე ჭეშმარიტება.

²შენ აქციე ქალაქი ქვა-ღორღის გროვებად, გამაგრებული ქალაქი – ნანგრევებად, უცხოტომელთა სასახლეები აღარაა ქალაქში, აღარ აღდგება უკუნისამდე.

³ამიტომ ვადიდებს შენ ძლიერი ერი, სასტიკ ტომთა ქალაქები ძრწიან შენს წინაშე.

⁴რადგან შენ ხარ საწყლის თავშესაფარი, თავშესაფარი გლახაკისა გაჭირვების ჟამს. შენ ხარ საფარი ქარიშხლით დევნილთა, ჩრდილი პაპანაქებაში; რადგან მტარვალთა სუნთქვა ქარიშხალს ჰგავდა კედელზე მიმწყდარს.

⁵როგორც ხვატმა უდაბნოში, შენ ჩაახშე მტრების გნიასი; როგორც ხორშაკი ღრუბლების ჩრდილში, ისე დაითრგუნა მოძალადეთა ზეიმი.

⁶ცაბოთ უფალი გამართავს ამ მთაზე ხალხებისთვის უხვ ნადიმს, მსუყე საჭმელებით, წკრიალა ღვინოებით.

⁷და გააქრობს ამ მთაზე საფარველს ყველა ხალხებისა, ყველა ტომებს რომ ბურავს.

⁸შთანთქავს სიკვდილს საუკუნოდ, და მოწმედს უფალი ღმერთი ცრემლს ყოველ სახეს, და სირცხვილს მოხოცავს თავის ერს მთელს ქვეყანაზე; რადგან ასე ამბობს უფალი.

⁹და იტყვიან იმ დღეს: აჰა, ის, ჩვენი ღმერთია! მას მოველოდით; და მან გვიხსნა ჩვენ. ეს არის უფალი, მისი გვეიმედებოდა; ვილხინოთ და ვიხაროთ, რადგან გვიხსნა მან.

¹⁰რადგან დაადგება უფლის ხელი ამ მთას და გაითელება მოაბი თავის ადგილზე, როგორც ჩალა ითელება სანეხვეზე.



¹¹და გაშლის მოაზი ხელებს მის წიაღში, როგორც მოცურავე საცურაოდ; მაგრამ უფალი დაამდაბლებს მის სიამაყეს მისი ხელის ცბიერებასთან ერთად.

¹²და შენს გამაგრებულ მაღალ კედლებს ჩამოშლის, მიწაზე დაანარცხებს, გააცამტვერებს.

ესაია 26

¹იმ დღეს იმღერებენ ამ სიმღერას იუდაში: გამაგრებული ქალაქი გვაქვს! ხსნა მოგვენიჭა ჩვენ, ის ზღუდეს ჩვენთვის და მიწაყრილი.

²გახსენით კარიბჭე! შემოვიდეს მართალი, რწმენის დამცველი ხალხი.

³სულით ძლიერთ, შენ გაუგზავნი კეთილდღეობას, რადგან შენზეა მონდობილი.

⁴მიენდეთ უფალს უკუნითი უკუნისამდე, რადგან უფალი ღმერთია საუკუნო კლდე.

⁵მან დაამხო მაღლის მკვიდრნი, აღზევებული ქალაქი; დაამხო, მიწასთან გაასწორა, გააცამტვერა.

⁶ფეხი თელავს მას, ბეჩავთა ფეხი, ღატაკთა ტერფები.

⁷მართლის გზა მოსწორებულია. უფალო, შენ ასწორებ მართალთა სავალს.

⁸შენი სამართლის გზებზე შენი იმედით ვიყავით უფალო; შენი სახელისა და შენი ხსოვნისაკენ იყო ჩვენი სულის წადილი.

⁹ჩემი სამშვინველით ვისწრაფოდი შენსკენ ღამით, და ჩემი სულით გეძებდი ჩემში განთიადიდან: რადგან, როდესაც მსჯავრს სდებდი ქვეყანას, სამართლიანობას სწავლობდნენ ქვეყნიერების მკვიდრნი.

¹⁰თუ შეწყალებული იქნებიან ბოროტნი, აღარ ისწავლიან სამართლიანობას. მართალთა ქვეყანაში უსამართლოდ მოიქცევიან და არ დაინახავენ უფლის სიდიადეს.

¹¹უფალო! აღმართული იყო შენი ხელი, მაგრამ ისინი არ უყურებდნენ მას; დაინახავენ და შერცხვებათ შენი ერის მოძულეთ; ცეცხლი შეჭამს შენს მტრებს.

¹²უფალო! შენ გვაძლევ მშვიდობას, რადგან ყველა ჩვენი საქმეები შენ მოიმოქმედე.

¹³უფალო, ღმერთო ჩვენო! შენს გარდა სხვებიც ბატონობდნენ ჩვენზე, ჩვენ კი სხვა არავინ ვიცით, შენს სახელს ვადიდებთ.



¹⁴მიძინებულნი ვერ გაცოცხლდებიან; აჩრდილები ვერ აღდგებიან: შენ დასაჯე და გაანადგურე ისინი, მოსპე მათი სახსენებელი.

¹⁵შენ გაამრავლე ხალხი, უფალო! შენ გაამრავლე ხალხი, შენ განდიდდი, განავრცე ქვეყნის კიდეები.

¹⁶უფალო! როცა გასაჭირი დგება, შენ დაგეძებთ; როდესაც სასჯელს გვიმზადებ, შიში და ძრწოლა გვიპყრობს.

¹⁷მსგავსად ფეხმძიმისა, მშობიარობის მოახლოებისას რომ იტანჯება და კივის ტკივილებისაგან, ასე ვართ შენს წინაშე, უფალო!

¹⁸ფეხმძიმედ ვიყავით, ვიტანჯეთ, მაგრამ მხოლოდ ქარი ვშობეთ; ხსნა ვერ მოვუტანეთ ქვეყანას, ქვეყნიერების მკვიდრი არ დაიბადებოდა.

¹⁹გაცოცხლდებიან შენი მიძინებულნი. აღდგებიან გარდაცვლილთა გვამები. გამოიღვიძეთ და იყიჟინეთ, მტვრის ბინადარნო, რადგან შენი ცვარი ნათლის ცვარია! მიწა მკვდრებს გამოუშვებს.

²⁰წადი, ჩემო ხალხო, შედი შენს საკნებში და კარი ჩაიკეტე! ერთი წამით დაიმაღე, სანამ რისხვა გადაივლიდეს.

²¹რადგან, აჰა, უფალი გამოდის თავისი ადგილიდან, რათა მოძებნოს მიწის მკვიდრთა ბოროტება. და მიწა გამოაჩენს მასზე დათხეულ სისხლს, და ველარ დაფარავს მასზე დახოცილთ.

ესაია 27

¹იმ დღეს დასჯის უფალი თავისი სასტიკი, დიდი და მაგარი მახვილით ლევიათანს, მოსრიალე გველს, ლევიათანს, დაკლაკნილ გველს, და მოკლავს ზღვის ურჩხულს.

²იმ დღეს იმღერებთ მასზე – მშვენიერ ვენახზე:

³მე, უფალი, მისი მცველი ვარ, ყოველ წამს ვრწყავ მას; დღითა და ღამით ვიცავ მას, რათა არავინ შემოიჭრას.

⁴რისხვა არ არის ჩემში, მაგრამ თუ ვინმე ნარ-ეკალს დაყრის ჩემს წინ, შევებრძოლები მას, ერთიანად გადავბუგავ.

⁵უკეთესია, დაცვა ეძებოს ჩემგან და მშვიდობის პირობა დადოს ჩემთან, დამიზავდეს.

⁶დადგება ღლე და ფესვს გაიდგამს იაკობი, გაიფურჩქნება და გაიკვირტება ისრაელი, და გაავსებს ქვეყნიერებას თავისი ნაყოფით.



⁷თუ უგვემია უფალს ისრაელიანები, როგორც გვემდა მათს მგვემელთ? თუ დაუხოცავს მას იმდენი ისრაელიანი, რამდენიც მათი მტრებისგანაა დახოცილი?

⁸მიბრუნდი მათ წინააღმდეგ და მიუვლინე უბედურება – გაძევება. შორს გაიტაცა უფლის მძვინვარე ქროლვამ, აღმოსავლეთის ქარის მსგავსმა.

⁹ამით წარიხოცება იაკობის ურჯულოება; და ეს იქნება ნაყოფი მისი ცოდვის მიტევებისა: როცა სამსხვერპლოთა ლოდებს იგი კირქვასავით დაფშვნის, როცა აღარ იქნება აშერები და მზის კერპები.

¹⁰რადგან გამაგრებული ქალაქი დაიცლება, საცხოვრებლები მიტოვებული და მიგდებული იქნება უდაბნოსავით. ხბო დაიწყებს იქ მოვნას და იქ დაიდებს ბინას, და დაიწყებს ყლორტების კორტნას.

¹¹როდესაც გახმება მისი ამონაყარი, მოამსხვრევენ, ქალები მოვლენ და დაწვავენ მას; რადგან ეს ხალხი უგონოა. ამიტომაც მათი შემოქმედი არ შეიბრალებს მათ, მათი შემქმნელი არ შეიწყალებს მათ.

¹²და იქნება იმ დღეს, რომ გალენავს უფალი მთელ მნას, დიდი მდინარიდან ეგვიპტის ნაღვარევამდე, და თქვენ, ისრაელიანებო, სათითაოდ აიკრიფებით.

¹³და იქნება იმ დღეს, რომ ბუკს დასცემენ და მოვლენ აშურის ქვეყანაში დაკარგულნი და ეგვიპტის ქვეყანაში გაძევებულნი, და თაყვანს სცემენ უფალს იერუსალიმის წმიდა მთაზე.

ესაია 28

¹ვაი, გვირგვინს, რომლითაც ამყობენ მთვრალი ეფრემელნი, დამჰკნარ ყვავილს, ეფრემის მშვენიებასა და დიდებას, ყვავილს, რომელიც ამაღლებულა ღვინით ძლეულთა პოხიერი ველის თხემზე.

²აჰა, უფლის ძლიერი გოლიათი, მსგავსი თავსხმისა და სეტყვის თქემისა, გამანადგურებელი ქარიშხლისა, აბორგებული მდინარეების წყლებისა, მიწაზე დაანარცხებს მას თავისი ხელით.

³ფეხით გაითელება მემთვრალე ეფრემელთა სიამაყის გვირგვინი,

⁴იგივე დაემართება მისი დიდებული მშვენიერების დამჰკნარ ყვავილს, პოხიერი ველის თხემზე რომ არის, რაც ზაფხულის ნაადრევ ლელვს, რომელსაც მისი მნახველი მოწყვეტს და უმაღლ შეჭამს.

⁵იმ დღეს ცაბაოთ უფალი იქნება გვირგვინი და მშვენიერება, დიდების ჯილა თავისი ერის ნატამალისთვის.



⁶უფალი იქნება სიმართლის სული სასამართლოში მჯდომისათვის, და სიმამაცე კარიბჭეზე მომწყდარი მტრის მომგერიებელთათვის.

⁷მაგრამ ესენიც ბარბაცებენ ღვინისგან და ფეხი ერევათ თაფლუჭისაგან. მღვდელიცა და წინასწარმეტყველიც ფეხზე ვეღარ დგანან მათრობელასგან, სძლიათ ღვინომ, გონება აურიათ თაფლუჭმა, ბანცალებენ ხილვებისას, ენა ებორკებათ განკითხვისას.

⁸რადგან ტაბლები სავსეა ნარწყევით, აღარ დარჩა სუფთა ადგილი.

⁹ამბობენ: ვინ უნდა დამოდვროსო მაგისტანამ ცოდნით? ვის უნდა განუმარტოსო მოსმენილი? რძეს გადაჩვეულ ჩვილებს? ძუძუს მოწყვეტილთ?

¹⁰რადგან რჩევა რჩევაზე, რჩევა რჩევაზე, წესი წესზე, წესი წესზე, ცოტა აქ, ცოტა იქ.

¹¹ასევე გაურკვეველ ენაზე და უცხო კილოზე ილაპარაკებს უფალი ამ ხალხთან დღეიდან.

¹²უწინ ის ამბობდა: „აქ თქვენ დასვენება გელით, დაე დაღლილებმა დაისვენონ. აქ მშვიდი ადგილია.“ მაგრამ მათ არ სურდათ მოსმენა.

¹³და ასეთი იქნება მათთვის უფლის სიტყვა: რჩევა რჩევაზე, რჩევა რჩევაზე, წესი წესზე, წესი წესზე, ცოტა აქ, ცოტა იქ... და წავლენ ისინი, დაეცემიან, დაიღწებიან, მახეში გაეხეებიან, ტყვეობა მოუწევთ.

¹⁴ისმინეთ უფლის სიტყვა, მოლაყბენო, იერუსალიმელთა განმგებელნო.

¹⁵თქვენ ამბობთ: ჩვენ კავშირი შევკარითო სიკვდილთან და სიკვდილის სამეფოსთან დავდეთო ხელშეკრულება. როდესაც წამლეკავი წარღვნა გადაივლის, ჩვენ ვერ მოგვეჩევა, რადგან სიცრუე გავიხადეთო თავშესაფარად და ტყუილიაო ჩვენი საფარველი.

¹⁶ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: „აჰა, ქვა დავდე სიონში, საიმედო ქვა, ძვირფასი ქვაკუთხედი, მყარი საძირკველი, ვინც მას დაენდობა, არ შეირყევა.

¹⁷მე დავდებ სამართალს ლარად და სიმართლეს – შვეულად, და წარხვეტავს სეტყვა სიცრუის თავშესაფარს, და სამალავს წყალი წარღვნის.

¹⁸დაირღვევა თქვენი კავშირი სიკვდილთან და ხელშეკრულება სიკვდილის სამეფოსთან ვერ გაძლებს. და როდესაც წამლეკავი წარღვნა გადმოივლის, გზას გამოიკვლევს თქვენსკენ.

¹⁹როცა კი გადმოივლის, წაგიღებთ – დილა იქნება, შუადღე, თუ საღამო! როცა ამ ამბავს შეიტყობთ, კანკალი შეგიპყრობთ.“



²⁰რადგან მოკლე იქნება საწოლი, რომ ფეხი გაშალოთ, და საბანი – ვიწრო, რომ შიგ გაეხვიოთ.

²¹რადგან აღდგება უფალი და იბრძოლებს, როგორც ფერაციმის მთაზე და, როგორც გიბეონის ველზე. და, უჩვეულო საქმეებს სჩადის და არნახულ საქმეებს მოიმოქმედებს.

²²მაშ, ნუ მკრეხელობთ, რათა არ დამძიმდეს თქვენი ბორკილები, რადგან მე ცაბაოთ უფლისაგან მოვისმინე, რომ მთელ ქვეყანას განადგურება ელის.

²³ყური მომაპყარით და ისმინეთ ჩემი ხმა; ყურადღებით იყავით და შეისმინეთ ჩემი ნათქვამი.

²⁴განა მხვნელი, როცა თესვის დრო დგება, მაშინა ხნავს, მაშინა ფარცხავს თავის მიწას?

²⁵განა არ ასწორებს მის ზედაპირს, მიმოფანტავს სოინჯს და თესავს კვლიავს, ხორბალს და ქერს თავის ადგილზე და ასლს ყანის კიდეებზე?

²⁶ესა აქვს წესად დადებული, მისმა ღმერთმა დამოძღვრა ასე.

²⁷რადგან ზოგი ჯიში კევრითა და ურიკით არ ილეწება – სახრითა და ჯოხებით ბერტყავენ.

²⁸ხორბლისა და ქერის ძნას კევრით ლეწენ, მაგრამ ძნა რომ მოზვევდება, კევრს აჩერებენ, რომ კევრის კოხებმა და ცხენის ფლოქვებმა მარცვალი არ დააზიანონ.

²⁹ესეც ცაბაოთ უფლისაგან გამოდის. საოცარია მისი რჩევა, დიდია მისი სიბრძნე.

ესაია 29

¹ვაი, არიელ, არიელ, დავითის ქალაქო! დრო გაივლის წლითიწლობით, დღესასწაულს მოჰყვება დღესასწაული.

²მე შევაჭირებ არიელს, და გამეფდება იქ ვაი და ვიში; და იქნება ის ჩემთვის არიელი.

³დავბანაკდები შენს ირგვლივ, გოდლებს ავაგებ შენს გარშემო, საალყო სიმაგრეებს აღიმართავ წინ.

⁴დაბლა, მიწაში აღმოჩნდები, იქიდან ილაპარაკებ, მიწა-მტვრიდან გაისმება შენი ნათქვამი და, როგორც ხმა გარდაცვლილისა, მიწიდან გაისმება, ჩურჩულივით წამოვა შენი სიტყვები მიწა-მტვრიდან.



⁵მტვრის კორიანტელივით მრავალი მტერი მოგადგება და ბზესავით ურიცხვი – მრისხანე ურდო; უეცრად მოხდება ეს, წამიერად.

⁶ცაბაოთ უფალი გამოგეცხადება ქუხილით, მიწისძვრითა და დიდი ხმით, ქარიშხლით, გრიგალითა და შემქმელი ცეცხლით.

⁷და, როგორც სიზმარი, როგორც ღამის მოჩვენება იქნება არიელთან მებრძოლი ხალხების სიმრავლე, და ყველა მის წინააღმდეგ გალაშქრებულის, მის სიმაგრეთა წინააღმდეგ გამოსულთა და მის შემავიწროებელთა,

⁸როგორც მშვიერს ესიზმრება, რომ ვითომ ჭამს, მაგრამ როცა გამოიღვიძებს, ხედავს, რომ შია; როგორც მწყურვალს ესიზმრება, რომ ვითომ სვამს, მაგრამ როცა გამოიღვიძებს, ხედავს, რომ დაქანცულია და ყელი უშრება. ასე მოუვა ყველა ურდოებს, სიონის მთის წინააღმდეგ გალაშქრებულთ.

⁹შეყოვნდით და გაოცდით: მათ სხვებიც დააბრმავეს და თავადაც დაბრმავდნენ; მთვრალეები არიან, მაგრამ არა ღვინით, – ბარბაცებენ, მაგრამ არა სასმელით.

¹⁰რადგან გადმოგაღვარათ უფალმა ძილქუშის სული და თვალი დაგიხუჭათ, წინასწარმეტყველნო, გონება დაგიხშოთ, მისნებო.

¹¹ყოველგვარი ხილვა თქვენთვის გახდა, როგორც სიტყვები ბეჭედდასმული გრაგნილისა, რომელსაც აძლევენ წერა-კითხვის მცოდნეს და ეუბნებიან: წაიკითხო; მაგრამ ის პასუხობს: „არ შემიძლია, რადგან ბეჭედდასმულია.“

¹²და გადასცემენ იმ გრაგნილს წერა-კითხვის უცოდინარს და ეუბნებიან: წაიკითხო; მაგრამ ის პასუხობს: არ ვიცოი წერა-კითხვა.

¹³და თქვა უფალმა: ეს ხალხი მხოლოდ სიტყვით არის ჩემთან ახლოს, მხოლოდ სიტყვით მცემს პატივს, მათი გული კი შორს არის ჩემგან. მათი შიში ჩემს წინაშე – მხოლოდ მცნებაა, კაცთაგან რომ აუთვისებიათ.

¹⁴ამიტომ, აჰა, კვლავ მოვახდენ ამ ხალხზე გასაოცარ, არნახულ საქმეებს. და დაიკარგება მის ბრძენთა სიბრძნე, გონება არ შერჩებათ გონიერთ.

¹⁵ვაი მათ, ვინც ღრმად დამალვას ფიქრობენ, რათა უფალს დაუმალონ თავისი განზრახვა, წყვდიადში აკეთებენ თავის საქმეებს და ამბობენ: ვინ დაგვინახავსო?

¹⁶რა უგუნურებაა! განა მეთუნე და თიხა ერთია? განა ნაკეთობა იტყვის თავის გამკეთებელზე: არ გავუკეთებიაო? და ქმნილება იტყვის თავის შემქმნელზე: არაფერი გაეგებაო?



¹⁷ცოტაც, სულ ცოტაც და ლიბანი ბაღნარად იქცევა, და ბაღნარი, ტყედ არ დაფასდება.

¹⁸იმ დღეს ყრუები გაიგონებენ გრაგნილიდან ამოკითხულ სიტყვებს, და ბრმათა სიბნელითა და წყვდიადით დახშული თვალები იხილავენ.

¹⁹წამებულნი მეტად და მეტად გაიხარებენ უფალში, და ღარიბ-ღატაკნი ისრაელის წმიდამი იზეიმებენ.

²⁰რადგან აღარ იქნება მტარვალი, და ბოლო მოეღება მაგინებელს, და მოისპობიან ურჯულოებისთვის თავდადებულნი,

²¹სიტყვით რომ აცდუნებენ ადამიანს და კარიბჭესთან მოსულ მომჩივანს მახეს უგებენ, და მართალს დევნიან.

²²ამიტომ ასე ამბობს იაკობის სახლზე უფალი, აბრაამის გამომსყიდველი: აღარ მოუწევს იაკობს შერცხვენა და ამიერიდან აღარ გაუფითრდება მას სახე.

²³რადგან როცა თავისთან დაინახავს თავის შვილებს, ჩემს ხელთა ქმნილებას, – და ყველა ისინი წმიდა ჰყოფენ ჩემი სახელის სიწმიდეს, წმიდა ჰყოფენ იაკობის წმიდა ღმერთს, ისრაელის ღმერთის წინაშე შეშინდებიან.

²⁴სულით ცთომილნი გონს მოეგებიან და ჭირვეულნი დაიმოდვრებიან.

ესაია 30

¹ვაი, გაურჩებულ შვილებს, – ამბობს უფალი, – რჩევებს მიჰყვებიან, მაგრამ არა ჩემსას, კავშირებს კრავენ, მაგრამ არა ჩემი სულით, რათა ცოდვას ცოდვა მიუმატონ.

²მე არ მეკითხებიან და ისე მიდიან ეგვიპტეში, რათა განმტკიცდნენ ფარაონის ძალით, და ეგვიპტის ჩრდილს შეაფარონ თავი.

³მაგრამ ფარაონის მფარველობა სირცხვილად გექცევათ, ეგვიპტის ჩრდილში თავშეფარება – დამცირებად.

⁴რადგან მისი მთავარნი უკვე ცოცხანში არიან, მისმა მოციქულებმა ხანესამდე მიაღწიეს.

⁵მაგრამ ყველა ისინი შერცხვენილი არიან იმ ხალხის გამო, რომელიც ვერ შეეწევა მათ; რადგან ის ხალხი ვერც დაეხმარება მათ და ვერც გვერდში დაუდგება; მხოლოდ სირცხვილს აჰმევს და სამასხროდ გახდის.

⁶წინასწარმეტყველება სამხრეთის პირუტყვებზე.



ტანჯვისა და წვალეების ქვეყნის გავლით, საიდანაც გამოდიან ძუ და ხვალი ლომები, ასპიტები და მფრინავი ურჩხულები, სახედრებზე აკიდებული მიაქვთ მათ თავიანთი დოვლათი, და აქლემთა კუზით – თავიანთი საუნჯე გამოუსადეგარ ხალხთან.

⁷ეგვიპტის შემწეობა კი ამაო და ფუჭია; ამიტომაც შევარქვი მას: „უქმად მოქადული.“

⁸ახლა მიდი და დაუწერე მათ ეს დაფაზე, და წიგნში ამოკვეთე, რომ დარჩეს უკუნითი უკუნისამდე.

⁹რადგან ურჩი ხალხია ის, ცრუ ძენი; ძენი, რომელთაც არ სურთ უფლის რჯულის მოსმენა,

¹⁰რომლებიც მისნებს ეუბნებიან: ნუ მისნობთო! და წინასწარმეტყველთ: ნუ გვიწინასწარმეტყველებთო სიმართლეს, გვითხარით რამ საამებელი, გვიწინასწარმეტყველეთ რამ სამხიარულო.

¹¹გადადექით გზიდან, გადაუხვიეთ ბილიკიდან; თვალიდან მოგვაშორეთ ისრაელის წმიდა.

¹²ამიტომ ასე ამბობს ისრაელის წმიდა ღმერთი: რაკი თქვენ შეიძულეთ ეს სიტყვა და მიენდეთ ტყუილსა და სიცრუეს,

¹³ამიტომ ეს ურჯულოება თქვენთვის იქნება მუქარა, როგორც მაღალ კედელზე გაჩენილი ბზარი, რომელიც დაარღვევს მას ერთ წამში, ანაზდეულად ჩამოაქცევს. რომლის ჩამოქცევა მეყსეულად მოვა.

¹⁴და უფალი დაამსხვრევს მას, როგორც ლეწავენ თიხის ჭურჭელს, ნამსხვრევებად, რომ აქცევენ შეუბრალებლად ისე, რომ არ მოინახება იმ ნამსხვრევებში ნატეხი, კერიდან ცეცხლის ასაღებად, ან საგუბრიდან წყლის ამოსახაპად.

¹⁵რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი, ისრაელის წმიდა: თქვენი გადარჩენა ის იქნება, რომ დაბრუნდეთ და მშვიდად იყოთ. თქვენი ძალა სიმყუდროვესა და იმედით ყოფნაშია. მაგრამ თქვენ ეს არ ისურვეთ.

¹⁶და ამბობდით: არა, ცხენებით გავქუსლავთო, – ამიტომაც გაქუსლავთ; ჩვენ სწრაფი ცხენებით გავჭენდებითო, – ამიტომაც სწრაფნი იქნებიან თქვენი მდევარნი.

¹⁷თუ ერთი დაგემუქრებათ, ათასნი გაიქცევით, ხუთნი დაგემუქრებიან და ყველანი გაიქცევით; ხოლო ვინც თქვენგან გადარჩება, როგორც ჭოკი ისე დარჩება მთის თხემზე, როგორც ბაირალი ბორცვზე.



¹⁸მაგრამ უფალი დროს უცდის და შეგიწყალებთ, აღდგება და გიხსნით, რადგან სამართლის ღმერთია უფალი, ნეტარია ყველა მისი მოიმედე.

¹⁹სიონის ხალხო, და იერუსალიმში მცხოვრებნო, გამრება თქვენი ცრემლები. როცა ხსნისთვის შედლადებთ, უფალი გიშველით. უმაღლეს გიპასუხებთ, როგორც კი თქვენი ხმა მისწვდება.

²⁰და მოგცემთ უფალი გაჭირვებაში პურს და სიმძიმეში წყალს. და თქვენი მოძღვრები აღარ დაიმალებიან, და თქვენი თვალთ იხილავთ თქვენს მოძღვარს.

²¹როცა მარჯვნივ ან მარცხნივ გადაუხვევთ გზიდან, ხმას გაიგონებთ ზურგიდან: „აი გზა, მას გაჰყევით!“

²²სიბილწედ შერაცხავთ თქვენი ძეგლების ვერცხლის პერანგებს და თქვენი კერპების ოქროს სამოსელს; მიმოფანტავთ მათ, როგორც სიბინძურეს; და ეტყვიან მათ: აქედან მოშორდითო!

²³და მისცემს უფალი წვიმას შენს თესლს, რომელსაც მიწაზე დათესავ. და შენ მოგცემს პურს – მიწის მოსავალს – უხვსა და ყუათიანს; შენი სამწყსო იმ დღეს გაშლილ ველებზე იბალახებს.

²⁴შენი გუთნის ხარი და ვირი მარილიან ბზეს შეჭამს, ნიჩბითა და ფიწლით განიავებულს.

²⁵და ყოველი მაღალი მთიდან და ყოველი მაღალი ბორცვიდან ნაკადულები გადმოხეთქენ, დიდი შემუსვრის დღეს, როცა გოდლები დაეცემიან.

²⁶და იქნება მთვარის ნათელი, როგორც მზის ნათელი, და მზის ნათელი შვიდმაგად იბრწყინებს, შვიდი დღის ნათელივით, იმ დღეს, როდესაც უფალი შეუხვევს მოტეხილს თავის ხალხს და ჭრილობებს განუკურნავს.

²⁷აჰა, უფლის სახელი მოდის შორიდან, გიზგიზებს მისი რისხვა, გაუსამღისია, მისი ბაგენი სავსეა მრისხანებით და მისი ენა დამბუგავი ცეცხლივითაა.

²⁸მისი სუნთქვა მოვარდნილი ღვართქაფივითაა, ყელამდე რომ უწვდენს, რათა გაცხრილოს ხალხები სიკვდილის ცხრილში, ლაგამი ამოსდოს ხალხებს რომ წარმართოს ცდუნებათავენ.

²⁹იმღერებთ, როგორც წმიდა დღესასწაულის ღამეს, და გულით იხარებთ, როგორც უფლის მთისაკენ მიმავალი ხარობს სალამურის ხმაზე, ისრაელის კლდეზე რომ ადის.



³⁰იქუხებს უფლის მრისხანე ხმა, და თავის შემართულ მკლავს გამოაჩენს მძვინვარე რისხვაში და შემჭმელი ცეცხლის ალში, მეხისტეხასა და თავსხმაში, და მზუგავი ცეცხლის ალში, ქარიშხალსა და ქვის სეტყვაში.

³¹უფლის ხმა შეარყევს აშურს, უფალი კვერთხით ჰგვემს მას.

³²ყოველი დარტყმა სასჯელის კვერთხისა, რომელსაც უფალი დასცემს მას, დაფდაფთა და ქნართა ხმის თანხლებით იქნება; და ის ბრძოლით წავა მის წინააღმდეგ.

³³დიდი ხანია მზადაა დაკრძალვის კოცონი, გამზადებულია მეფის მისაღებად: დიდი კოცონია გაწყობილი ღრმა ორმოში – ცეცხლი მზადაა, მოგროვებულია ბევრი შეშა. უფლის სუნთქვა გააჩაღებს მას, მსგავსი გავარვარებული გოგირდის ნაკადივით.

ესაია 31

¹ვაი მათ, ვინც ეგვიპტეში ჩადიან შემწეობისთვის, ცხენებისა და ეტლების იმედით, რამეთუ მრავლადაა ის, და იმედით მხედრებისა, რადგან მძლავრნი არიან ისინი, ისრაელის წმიდა ღმერთს კი არ უყურებენ, უფალს არ ეკითხებიან რჩევას.

²მაგრამ ის ბრძენია; და მოაწევს უბედურებას, და თავის სიტყვებს არ გააუქმებს; წინ აღუდგება ბიწიერთა სახლს და ავისმოქმედთა შემწეთ.

³მაგრამ ეგვიპტელნი ადამიანები არიან და არა ღმერთები, და მათი ცხენები ხორცია და არა სული; უფალი ხელს მოუღერებს და წაბორძიკდება შემწე, დაეცემა შეწევნილიც, და ყველანი ერთად დაიღუპებიან.

⁴რადგან ასე მითხრა მე უფალმა: როგორც ღომი და როგორც ღომის ბოკვერი ბრძღვინავენ თავის ნადავლზე, თუნდაც მთელი მწყემსობა დაჰკიოდეს, მათი ხმებისაგან არ დაფრთხებიან და მათ სიმრავლეს არ შეუშინდებიან, ასე ჩამოვა ცაბაოთ უფალი საომრად სიონისთვის და მისი მთისთვის.

⁵როგორც ფრინველი – ბარტყებს, ისე გადაეფარება ცაბაოთ უფალი იერუსალიმს, დაიცავს და უშველის, დაინდობს და გადაარჩენს.

⁶ისრაელიანებო, მიუბრუნდით იმას, ვისაც ისე ჯიუტად განუდექით.

⁷რადგან იმ დღეს გადაყრის ყოველი კაცი თავის ვერცხლისა და ოქროს კერპებს, თქვენმა ხელებმა რომ გააკეთეს თქვენივე ცოდვისათვის.



⁸აშურელნი დაეცემიან მახვილით, მაგრამ არა კაცის მახვილით! მახვილი მოსრავს მათ, მაგრამ არა ადამიანის მახვილი! – ის გაექცევა მახვილს, მისი ჭაბუკები კი ტყვედ ჩაცვივიან.

⁹შიში შეაზანზარებს მის სიმაგრეებს და ჩამოიშლებიან ისინი: მისი მთავარნი საბრძოლო ბაირაღების დანახვაზე დაფრთხებიან, – ამბობს უფალი, ვისი ცეცხლიც სიონზე გიზგიზებს და სახმილი – იერუსალიმში.

ესაია 32

¹აჰა, სამართლიანად იმეფებს მეფე და მთავარნი სიმართლით იმთავრებენ.

²ყოველი მათგანი იქნება, როგორც საფარი ქარში და თავშესაფარი გრიგალში; როგორც წყლის ნაკადები ნაგვალ მიწაზე, როგორც ჩრდილი მაღალი კლდისა მოღალულ მიწაზე.

³ადარ დაებინდებათ მხილველთ თვალები და მსმენელთ ადარ დაეცმებათ ყურთ.

⁴და ქარაფშუტათა გული ცოდნას ეზიარება, და ენაბრგვილნი მკაფიოდ ამეტყველებიან.

⁵უგუნურს ადარ დაერქმევა ღირსეული და გაიძვერაზე არ იტყვიან პატიოსანიაო,

⁶რადგან უგუნური სისულელეს რომავს და სიავეს განიზრახავს; უკეთურია მისი საქციელი და უკუღმართად ლაპარაკობს უფალზე. მშიერს ლუკმას უქრობს და მწყურვალს წყალს ართმევს.

⁷გაიძვერას იარაღი ბოროტეულია; ვერაგობას განიზრახავს, რომ უპოვარი ცრუ სიტყვით დაღუპოს, თუნდაც ის უპოვარი მართალი იყოს.

⁸ქველი კი სიქველეზე ფიქრობს, და თავის სიქველეზე დგას.

⁹წამოდექით უზრუნველო ქალებო, ისმინეთ ჩემი ხმა! უდარდელო ასულნო, ყური მოაჰყარით ჩემს სიტყვებს!

¹⁰წელიწადი და რამდენიმე დღე და შეძრწუნდებით, უდარდელნო: რადგან ადარ იქნება რთველი, ალოობა ადარ დადგება.

¹¹გეშინოდეთ, უზრუნველნო, შეძრწუნდით, უდარდელნო, გაიხადეთ და გამიშვლდით და ჯვალო შემოირტყით წელზე.

¹²ძუძუები გამოითქვიფეთ გულით სასურველი ხოდაბუნებისა და ნაყოფიერი ვენახების გამო.



¹³ჩემი ხალხის ველ-მინდვრები გაივსება ეკალ-ნარით, და ზეიმით სავსე ქალაქის სიხარულით სავსე სახლებიც;

¹⁴რადგან დაიცლება სასახლეები, ობლად დარჩება ხმაურიანი ქალაქი, ბორცვი და საგუშაგო კოშკი გავერანდება უკუნისამდე – კანჯართა საღალღობოდ და ფარების სადგომებად,

¹⁵სანამ არ მოგვეფინება სული მაღლიდან და უდაბნო ბაღნარად არ იქცევა, და ბაღნარი ტყედ არ შეირაცხება.

¹⁶და დაივანებს უდაბნოში სამართალი და სამართლიანობა – ნაყოფიერ მიწაზე.

¹⁷და იქნება სიმართლის საქმე იქნება მშვიდობა, და სამართლიანობის ნაყოფი – სიმშვიდე და უსაფრთხოება უკუნისამდე.

¹⁸მაშინ ჩემი ხალხი დამკვიდრდება მშვიდობიან სავანეებში, უსაფრთხო დაბებსა და მშვიდ ნავთსაყუდლებში.

¹⁹გამანადგურებელი სეტყვა დაატყდება ტყეს და ქალაქი მიწასთან გასწორდება.

²⁰ნეტარება გელით წყლის პირას მთესველთ, ყველგან დამწყემსავთ თქვენს ხარსა და სახედარს.

ესაია 33

¹ვაი შენ, მარბეველო, რომელიც არ დარბეულხარ, გამცემო, რომელიც არ გაცემულხარ! დაამთავრებ რბევას და შენც დაგარბევენ, ბოლო მოგეღება.

²უფალო! შეგვიწყალე, რამეთუ შენით ვსასოებთ; მკლავი განგვიმტკიცე ყოველ დილით და გვიხსენი გაჭირვების ჟამს.

³შენს მრისხანე ხმაზე გაიქცევიან ერები, შენს შემართვაზე გაიფანტებიან ტომები.

⁴აიკრიფება თქვენი ნადავლი, როგორც კრეფს ბოცომკალი, კალიების გუნდივით დაესხმიან მას თავს.

⁵მაღალია უფალი, რადგან მაღლის მკვიდრია, ის აავსებს სიონს სამართლითა და სიმართლით.

⁶და დადგება შენი უსაფრთხო ჟამი, სიუხვე ხსნისა, სიბრძნისა და ცოდნისა; უფლის შიში შენი საუნჯეა.

⁷აჰა, მათი რაინდები ყვირიან ქუჩებში; მშვიდობის მაცნენი მწარედ ტირიან.



⁸დაიცალა გზები; აღარ ჩანს მგზავრი; დაირღვა შეთანხმებები, მოწმე ათვალწუნებულია, პატივს აღარავის სცემენ.

⁹გლოვობს, მწუხარებს დედამიწა, ხმება; შერცხვენილია ლიბანი, ჩამოჰკნა; შარონი უდაბნოს დაემსგავსა, ფოთოლი დასცვივდა ბაშანსა და ქარმელს.

¹⁰„ახლა ავდგები, – ამბობს უფალი, – ახლა განვდიდდები, ახლა აღვზევდები.

¹¹თივით ორსულნო, ჩალას შობთ, თქვენი სუნთქვა თქვენვე გშთანთქავთ, როგორც ცეცხლი.

¹²და დაიწვებიან ადამიანები, კირივით გახდებიან, აკაფული ძეძვივით ჩაიფერფლებიან ცეცხლში.

¹³ისმინეთ, შორს მყოფნო, რას მოვიმოქმედებ მე; და თქვენ, ახლო მყოფნო, შეიცანით ჩემი ძალა.”

¹⁴სიონზე შეშინდნენ ცოდვილები; შიშის ზარი დაეცათ უკეთურთ: „რომელი ჩვენგანი დაუდგება შემჭმელ ცეცხლს? რომელი ჩვენგანი დაუდგება მარადიულ ხანძარს?“

¹⁵ის ვინც სიმართლით დადის და ჭეშმარიტებას ლაპარაკობს; ვისაც სძულს მარცვით მონახვეჭი, ვინც ხელს არ ჰკიდებს ქრთამს, ყურს იცობს, რათა არ ესმოდეს სისხლისღვრის ამბები, და თვალს ხუჭავს, რათა არ ხედავდეს ბოროტებას;

¹⁶ის სიმაღლეებში დაივანებს; შეუმართებელი კლდეებია მისი თავშესაფარი; თავისი პური მიეცემა, თავისი წყალი არ შეუწყდება.

¹⁷შენი თვალები მეფეს იხილავენ მის ბრწყინვალებაში; შორეულ ქვეყანას იხილავენ.

¹⁸შენი გული გაიხსენებს მხოლოდ საშინელებებს და იტყვი: „სადაა ახლა ის, ვინც თვლიდა და სწონიდა? სადაა ის, კოშკებს რომ ითვლიდა?“

¹⁹გამძვინვარებულ ხალხს აღარ იხილავ, ხალხს, რომლის ლაპარაკიც მძიმე და გაუგებარია.

²⁰შეხედე სიონს, ჩვენი სადღესასწაულო შეკრებების ქალაქს! შენი თვალები იხილავენ იერუსალიმს, მყუდრო სავანეს, შეურყეველ კარავს; მისი პალოები არასოდეს მოირყევა და არც ერთი მისი საბელი არ გაწყდება.

²¹იქ ჩვენთან იქნება დიადი უფალი, მდინარეთა და ფართო არხების ნაცვლად, სადაც ნიჩბიანი ხომალდი არ შემოვა და დიდი გემი არ გაივლის მასში.



²²რადგან უფალია ჩვენი მსაჯული, უფალია ჩვენი რჯულმდებელი, უფალია ჩვენი მეფე; ის გვიხსნის ჩვენ.

²³მოეშვა შენი საბელები, ვეღარ აკავებენ თავის ფუძეზე ანძას, აფრას ვეღარ ჭიმავენ. მაშინ განაწილდება დიდი ნადავლი, ხეიბარნიც დაიწყებენ ალაფობას.

²⁴და აღარ იტყვის მკვიდრი: ავად ვარო! იქ მცხოვრებ ხალხს მიეტევება ცოდვები.

ესაია 34

¹მოდექით, წარმართნო, და მოისმინეთ; ტომებო, ყურად იღეთ! დაე, მოისმინოს მიწამ და მისმა სავსებამ, ქვეყნიერებამ და ყოველმა, რაც მასზე ცოცხლობს!

²რადგან უფალი მრისხანებს ყველა წარმართზე და წყრება – მთელ მათ მხედრობაზე. დაარისხა ისინი, გაწირა დასაკლავად.

³მათი დახოცილნი მიტოვებულ იქნებიან, მათი გვამები აყროლდება, მთებს მორწყავს მათი სისხლი;

⁴დაღპება ცის მხედრობა, ცა ეტრატით დაიგრაგნება, და მთელი მისი მხედრობა ჩამოცვივა, როგორც ფოთოლი სცვივა ვაზს, და როგორც დამჟკნარი ფოთოლი სცვივა ლელვს.

⁵ცაში გამოჩნდება ჩემი მახვილი; ედომს დააცხრება – სასჯელს აღასრულებს იმ ხალხზე, რომელიც დასაღუპად დავარისხე.

⁶უფლის მახვილი სისხლშია დასვრილი! კრავების, ვაცების სისხლსა და ვერძთა თირკმელების ქონში ცურავს: მსხვერპლს სწირავენ უფალს ბოცრაში, დიდი დაკვლებია ედომელთა მიწაზე.

⁷მათთან ერთად ხოცავენ გარეულ ხარებს და მოზვრებს და უშობელებს, მიწა დათვრება სისხლით, და ნიადაგი ქონით გაიპოხება.

⁸შურისძიების დღე აქვს უფალს, საზღაურის წელი სიონის გამო.

⁹და იქცევა მისი მდინარეები ფისად და მისი ნიადაგი – გოგირდად. და მისი მიწა გავარვარებულ ფისად გადაიქცევა.

¹⁰არც ღამით, არც დღისით არ ჩაქრება; საუკუნოდ იდენს მისი კვამლი; თაობიდან თაობამდე უკაცრიელი იქნება ყოველთვის. უკუნეთიდან უკუნისამდე არავინ გაივლის იქ.



¹¹და დაიმკვიდრებენ მას ვარხვი და ზღარბი; ჭოტი და ყორანი დაიბუდებენ მასზე; და გადაიზომება ის მოოხრების ღარიტ და უკაცრიელების შვეულიტ.

¹²მისი დიდებულნი გამოაცხადებენ, რომ იქ აღარაა სამეფო. და მისი მთავარნი არარაობად იქცევიან.

¹³მის სასახლეებში ეკალ-ბარდი აღმოცენდება, ციხესიმაგრეებში – ჭინჭარი და კუროსთავი; და იქნება ის ტურების ბუნაგი, სირაქლემათა საყუდელი.

¹⁴და შეხვდებიან იქ უდაბნოს მხეცები აფთრებს, ჭინკები ერთმანეთს გასჩხავლებენ. იქ დაივანებს ალი და ჰპოვებს მშვიდ ადგილს.

¹⁵იქ დაიბუდებს ბუ, კვერცხებს დადებს და ბარტყებს გამოიყვანს, და შემოიკრებს ჩრდილში. იქ შეგროვდებიან ძერებიც, წყვილ-წყვილად მოფრინდებიან.

¹⁶მოდებნეთ უფლის წიგნში, წაიკითხეთ: არცერთი მათგანი არ დააკლდება იქ, სათითაოდ სამებარნი არ იქნებიან, რადგან უფლის ბაგეებმა ასე უბრძანა მათ, მისი სუნთქვა შეკრებს მათ იქ.

¹⁷ყველა მათგანს თავად უყრის წილს და საზომი ღარით გაუნაწილებს იმ მიწას მათ და მარად დაიმკვიდრებენ მას, თაობიდან თაობამდე დაეპატრონებიან მას.

ესაია 35

¹გაიხარებს უდაბნო და ხრიოკი მიწა, გამხიარულდება ვრცელი ქვეყანა და შროშანივით აყვავდება.

²თვალისწარმტაცად აყვავდება და იხარებს; ღიბანის დიდებულებას შეიძენს, ქარმელისა და შარონის ბრწყინვალეებას; ისინი იხილავენ უფლის დიდებას, ჩვენი ღმერთის სიდიადეს.

³განმტკიცეთ ჩამოყრილი მკლავები და დასუსტებული მუხლები გაიმაგრეთ.

⁴უთხარით სულმოკლეთ: „განმტკიცდით, ნუ შეშინდებით; აჰა, თქვენი ღმერთი, შურისგება მოვა – ღვთის საზღაური, ის მოვა და გიხსნით.“

⁵მაშინ აეხილებათ თვალი ბრმებს და ყრუთ ყურები გაეღებათ.

⁶მაშინ ირემივით იხტუნებს ხეივარი და მუნჯის ენა ამღერდება; რადგან უდაბნოში წყლები ამოხეთქავენ და მწყურვალ მიწაზე – ნაკადები.



⁷და იქცევა უდაბნოს წყლის მირაჟები ტბებად და მწყურვალ მიწა – წყლის ნაკადებად; ტურების სანებივრო ბუნაგი ლერწმითა და ლელით გადამწვანდება.

⁸შარაგზა იქნება იქ, და წმიდათა გზა დაერქმევა მას: უწმიდური არ გაივლის მასზე; განწმედის გზაზე მავალისთვის იქნება იგი; ამ გზით მავალნი – გამოუცდელნიც კი – არ შეცდებიან.

⁹არ იქნება იქ ლომი და ნადირი ვერ ავა იქ; ვერ გაიჭაჭანებს, და ივლიან მხოლოდ გადარჩენილნი.

¹⁰და დაბრუნდებიან უფლის გამოსყიდულნი, ავლენ სიონში მხიარული შეძახილებით. საუკუნო სიხარული იქნება მათ თავზე; ლხინსა და სიხარულს ეწევიან, დარდი და ოხვრა გაქრება.

ესაია 36

¹ხიზკიას მეფობის მეთოთხმეტე წელს აშურის მეფე სენახერიბი მიადგა იუდას ყველა გამაგრებულ ქალაქს და დაიპყრო.

²და გაგზავნა აშურის მეფემ რაბშაკე ლაქიშიდან იერუსალიმში მეფე ხიზკიასთან დიდი ლაშქრით; და დაიბანაკა მან ზემო ტბორის წყალსატევთან, მრეცხავთა მინდვრის გზაზე.

³და გამოვიდნენ მასთან ეზოსმოდვარი ელიაკიმ ხილკიას ძე, შებნა მწიგნობარი და იოახი, ასაფის ძე – მემატიანე.

⁴და უთხრა მათ რაბშაკემ: „უთხარით ხიზკიას: ასე ამბობს-თქო დიდი მეფე, მეფე აშურისა: რისი იმედითა ხარ?

⁵მე ვფიქრობ, რომ ეგ შენი იმედი მხოლოდ ფუჭი სიტყვებია, ომისთვის კი გონება და ძალაა საჭირო, ახლა ვისი იმედი გაქვს, რომ გადამიდექი?

⁶აჰა, შენ ფიქრობ ეგვიპტეს დავეყრდნობო, ამ გადატეხილ ლერწმის ჯოხს, რომელსაც, თუ ვინმე დაეყრდნობა, ხელში შეერჭობა და გაუხვრეტს; ასეა ფარაონი, ეგვიპტის მეფე, ყველა მისი მოიმედისათვის.

⁷და თუ მეტყვი, ჩვენი უფალი ღმერთის იმედი გვაქვსო, ეს ის ღმერთი ხომ არ არის, რომლის მადლობები და სამსხვერპლოები გაანადგურა ხიზკიამ და ამცნო იუდასა და იერუსალიმს: მხოლოდ ამ სამსხვერპლოს წინაშე ეცითო თაყვანი?

⁸ახლა, აბა, დაენიძლავე ჩემს ბატონს, აშურის მეფეს და მე შენ მოგცემ 2 ათას ცხენს, თუ მოაგროვებ იმდენ მხედარს, რომ მათზე შეაჯინო?



⁹მაშ, როგორ გინდა მოიგერიო ჩემი ბატონის ერთი, თუნდაც ყველაზე სუსტი, მეთაური მის მსახურთაგან, როცა თავად ეგვიპტის ეტლებისა და ცხენების იმედითა ხარ?

¹⁰და ახლა განა უფლის ნების გარეშე მოვადექი ამ ქვეყანას ასაოხრებლად? უფალმა მითხრა მე: გაილაშქრე ამ ქვეყანაზე და ააოხრო იგი.“

¹¹და უთხრეს ელიაკიმმა, შებნამ და იოახმა რაბშაკეს: „გველაპარაკე შენს მონებს არამეულად, რადგან გვესმის, და ნუ დაგველაპარაკები იუდეურად, იმ ხალხის გასაგონად, გალავანზე რომ სხედან.“

¹²და უთხრა მათ რაბშაკემ: „განა მხოლოდ შენს ბატონთან და შენთან გამომავაზნა ჩემმა ბატონმა ამ სიტყვების სათქმელად? არამედ გალავანზე მყოფ ხალხთანაც, მათაც ხომ თქვენთან ერთად უნდა ჭამონ თავიასი განავალი და სვან თავიასი შარდი?“

¹³და ადგა რაბშაკე და ხმამაღლა გაჰყვირა იუდეურად და თქვა: „ისმინეთ სიტყვები დიდი მეფისა, აშურის მეფისა!

¹⁴ასე ბრძანებს მეფე: ნუ გაცდუნებთ თქვენ ხიზკია, რადგან ვერ დაგიხსნით ის თქვენ.

¹⁵ნუ გაიმედებთ უფლით ხიზკია, რომ გეუბნებათ: ‘უფალი გვიხსნის ჩვენ; ხელში არ ჩაუგდება ამ ქალაქს აშურის მეფეს.’

¹⁶ნუ მოუსმენთ ხიზკიას, რადგან ასე ამბობს აშურის მეფე: დამნებდით მე და გამოდით ჩემთან, დაე ჭამოს თითოეულმა ნაყოფი თავისი ვაზისა და თავისი ლეღვისა, და სვას თითოეულმა წყალი თავისი ჭისა,

¹⁷სანამ არ მოვსულვარ და არ წამიყვანიხართ თქვენი ქვეყნის მსგავს ქვეყანაში, პურისა და ღვინის ქვეყანაში, ხილისა და ვენახების ქვეყანაში.

¹⁸ნუ გაცდუნებთ ხიზკია, რომ ამბობს: უფალი გვიხსნისო ჩვენ! რომელი ხალხების ღმერთებმა იხსნეს თავისი ქვეყანა აშურის მეფის ხელიდან?

¹⁹სად არიან ხამათისა და არფადის ღმერთები? სად არიან სეფარვაიმის ღმერთები? თუ იხსნეს მათ სამარია ჩემი ხელიდან?

²⁰ამ ქვეყნების ღმერთებიდან რომელმა იხსნა თავისი ქვეყანა ჩემი ხელიდან? რომ უფალმა იხსნას იერუსალიმი ჩემი ხელიდან?“

²¹მაგრამ ისინი დუმდნენ და კრინტი არ დაუძრავთ, რადგან ასეთი იყო მეფის ბრძანება: არ უპასუხოთო მას!

²²მივიდნენ ეზოსმოძღვარი ელიაკიმი, ხილკიას ძე, მწიგნობარი შებნა და მემატიანე იოახ ასაფის ძე, ხიზკიასთან შემოხეული ტანსაცმლით და გადასცეს რაბშაკეს სიტყვები.



ესაია 37

¹და როდესაც მოისმინა ეს მეფე ხიზკიამ, შემოიხია ტანსაცმელი და ჯვალთი შემოსილი მივიდა უფლის ტაძარში.

²და გაგზავნა ეზოსმოდვარი ელიაკიმი, მწიგნობარი შებნა და უხუცესი მღვდლები, ჯვალთი ჩაცმულნი, წინასწარმეტყველ ესაიასთან, ამოცის მესთან.

³და უთხრეს მას: „ასე თქვა ხიზკიამ: უბედურების, დასჯისა და შეგინების დღეა ეს დღე, რადგან მშობიარობის საღმრთო დაიწყო, მაგრამ ღონე არაა შობისა.

⁴იქნებ მოისმინოს შენმა უფალმა ღმერთმა რაბშაკეს სიტყვები, რომელიც მისმა ბატონმა, აშურის მეფემ, შემოთვალა ცოცხალი ღმერთის საგინებლად და იმ სიტყვებით სათრევად, რომლებიც მოისმინა უფალმა, შენმა ღმერთმა; აღავლინე ლოცვა დარჩენილთათვის, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები არიან.“

⁵მივიდნენ მეფე ხიზკიას მსახურნი ესაიასთან,

⁶და უთხრა მათ ესაიამ: „ასე უთხარით თქვენს ბატონს: ასე ამბობს-თქო უფალი: ნუ გეშინია იმ სიტყვებისა, რომლებიც მოისმინე, რომლებითაც მე მლანძღავდნენ აშურის მეფის მსახურნი.

⁷აჰა, მე მივუვლენ მას სულს, მოისმენს ამბავს და დაბრუნდება თავის მიწაზე, და მახვილით დავცემ მის ქვეყანაში.“

⁸რადგან შეეტყო, რომ ლაქიშიდან აიყარაო მეფე, დაბრუნდა რაბშაკე და ნახა, რომ აშურის მეფე ლიბნას ებრძოდა.

⁹და ქუშის მეფეზე, თირჰაკაზე შეიტყო აშურეთის მეფემ: გამოვიდაო შენთან საომრად. გაიგო და გაგზავნა მაცნენი ხიზკიასთან და დააბარა:

¹⁰„ასე უთხარით ხიზკიას, იუდას მეფეს: ნუ გაცდუნებს შენი ღმერთი, რომლის იმედიც გაქვს და ფიქრობ: არ ჩაუვარდებაო იერუსალიმი აშურის მეფეს ხელში.

¹¹აჰა, შენ გაგონილი გექნება, რაც აშურის მეფეებმა უყვეს მთელ ქვეყნებს, რომ ცეცხლსა და მახვილს მისცეს ის. შენ რა გიხსნის?

¹²თუ იხსნეს ისინი ღმერთებმა იმ ხალხებისა, რომლებიც ჩემმა მამებმა ააოხრეს? თუ იხსნეს გოზანი და ხარანი, რეცეფი, და ყედენელნი – თელასარში რომ ცხოვრობდნენ?



¹³სად არიან ახლა ხამათის, არფადის და ქალაქ სეფარვაიმის მეფეები? სად არიან ჰენაყისა და ღივას მეფეები?“

¹⁴გამოართვა ხიზკიამ გრაგნილი მაცნეებს და წაიკითხა. მერე ავიდა უფლის ტაძარში და გაშალა იგი უფლის წინაშე.

¹⁵და ევედრებოდა ხიზკია უფალს და ამბობდა:

¹⁶„ცაბაოთ უფალო, ღმერთო ისრაელისაო, ქერუბიმებზე მჯდომო! მხოლოდ შენა ხარ ღმერთი ქვეყნიერების ყველა სამეფოსი; შენ შეჰქმენი ცა და მიწა.

¹⁷ყური მოაჰყარ, უფალო, და ისმინე; თვალი გაახილე, უფალო, და მოიხილე! ისმინე სიტყვები სენახერიბისა, რომელმაც გამოგზავნა მაცნეები ცოცხალი ღმერთის საგინებლად.

¹⁸ეს მართალია, უფალო, რომ აშურის მეფეებმა გაანადგურეს ყველა ქვეყანა და მათი მიწა-წყალი;

¹⁹ცეცხლს მისცეს მათი ღმერთები; თუმცა ისინი ღმერთები არ იყვნენ, არამედ ადამიანის ხელით ნაკეთები ხე და ქვა, ამიტომაც გაანადგურეს ისინი.

²⁰და ახლა, ჩვენო უფალო ღმერთო, გვიხსენ მისი ხელიდან; და შეიტყობს ქვეყნის ყველა სამეფო, რომ მხოლოდ შენა ხარ უფალი ღმერთი!“

²¹და გაგზავნა ესაიამ, ამოცის ძემ, ხიზკიასთან მაცნენი და შეუთვალა: „ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი, პასუხად იმისა, რასაც მევედრებოდი სენახერიბის, აშურის მეფის, წინააღმდეგ, –

²²აი, სიტყვა, რომელსაც ამბობს უფალი მასზე: აბუჩად აგიგდებს, დაგცინებს, ქალწული, ასული სიონისა! თავს გააქნევს შენს უკან ასული იერუსალიმისა.

²³ვის ძრახავდი და ვის აგინებდი? და ვისზე აიმაღლე ხმა? შენ ზემოდან დაჰყურებდი ისრაელის წმიდას.

²⁴შენი მონების პირით აგინებდი უფალს და ამბობდი: ‘ჩემი მრავალი ეტლით ავედი მთების სიმაღლეზე, ლიბანის კალთებზე და ავჩეხე მისი მაღალი კედრები, მისი რჩეული კვიპაროსები, მივალწიე მის მწვერვალამდე, მის უღრან ტევრამდე.

²⁵ჭები დავთხარე და ვსვი წყალი, და ჩემი ტერფებით ამოვაშრე ეგვიპტის ყველა მდინარე.’

²⁶განა არ გსმენია, რომ ადრიდანვე ვამზადებდი ამას? და, რაც ძველთაგანვე მქონდა დასახული, ახლა მოვაწიე იმით, რომ ციხე-ქალაქებს ანადგურებ შენ, ნანგრევების გროვებად აქცევ.



²⁷და მათ მცხოვრებთ ღონე მიეხადათ, ძრწიან და შერცხვენილნი სხედან; ხორშაკით გამომხმარ მინდვრის ბალახს დაემსგავსნენ, მწვანე მოლს, ერდოებსა და კლდეებზე მოდებულ ხავსს.

²⁸ვიცი შენი ჯდომა და დგომა, შენი გამოსვლა და შესვლა, და შენი გაცოფება ჩემს წინააღმდეგ.

²⁹რადგან შენ გაცოფებულხარ ჩემს წინააღმდეგ და შენი ურდოების ხმაურმა ამოაღწია ჩემს ყურამდე, ნესტოებში ჩემს რგოლს გაგიყრი და ჩემს ლაგამს ამოგდებ ყბებში, და უკან გაგაბრუნებ იმავე გზით, რომლითაც მოხვედი.

³⁰და ეს იქნება, ეზეკია, ნიშანი შენთვის: ამ წელს ნაგერალი ჭამეთ, და მომდევნო წელს – ველურად გაზრდილი; მესამე წელს კი დათესეთ და მომკეთ, გააშენეთ ვენახები და ჭამეთ მათი ნაყოფი.

³¹იუდას სახლის გადარჩენილი ნატამალი კვლავ გაიდგამს დაბლა ფესვს და ნაყოფს გამოიღებს მაღლა.

³²რადგან იერუსალიმიდან გამოვა ნატამალი და გადარჩენილი – სიონის მთიდან ჩამოვლენ, ცაბაოთ უფლის რისხვით აღსრულდება ეს.

³³ამიტომ ასე ამბობს უფალი აშურის მეფეზე: ვერ ამოვა ის ამ ქალაქში და ვერ ისვრის აქ ისარს, ვერ მიაღება მას ფარით და ვერ მიწაყრილს ვერ მოაწყობს მის წინ.

³⁴იმავე გზით გაბრუნდება უკან, რომლითაც მოვიდა, და ვერ შემოვა ის ამ ქალაქში, – ამბობს უფალი. –

³⁵მე დავიცავ ამ ქალაქს, რათა ვიხსნა ის ჩემთვის და ჩემი მსახურის, დავითისთვის.“

³⁶გავიდა უფლის ანგელოზი და დასცა აშურელთა ბანაკში 185 ათასი მეგრძოლი. ადგნენ დილით და, აჰა, ირგვლივ უსულო გვამები ყრია.

³⁷აიყარა და წავიდა სენახერიბი, აშურის მეფე და ცხოვრობდა ნინევეში.

³⁸და ერთხელ, როდესაც თაყვანს სცემდა ნისროქს, თავის ღმერთს, მის სახლში, ადრამელექმა და სარეცერმა, მისმა ძეებმა, დასცეს ის მახვილით, და გაიქცნენ არარატის ქვეყანაში, და მის ნაცვლად გამეფდა ესარხადონი, მისი ძე.

ესაია 38

¹იმ დღეებში სასიკვდილოდ დასნეულდა ხიზკია. და მივიდა მასთან წინასწარმეტყველი ესაია, ამოცის ძე, და უთხრა: „ასე ამბობს უფალი: ანდერძი დაუტოვე შენს სახლს, რადგან მოკვდები, ვერ გადარჩებიო.“



- ²მაშინ ხიზკიამ პირი კედლისაკენ ქნა და შეევედრა უფალს;
- ³„გაიხსენე, უფალო, რომ შენს წინაშე ჭეშმარიტებით და ერთგულებით დავდიოდი, და იმას ვაკეთებდი, რაც შენ მოგწონდა.“ და მწარედ ატირდა ხიზკია.
- ⁴და იყო უფლის სიტყვა ესაიას მიმართ:
- ⁵„მიდი და უთხარი ხიზკიას: ასე ამბობს-თქო უფალი, დავითის, მამაშენის ღმერთი: მე ვისმინე შენი ვედრება, დავინახე შენი ცრემლები, და, აჰა, მე ვუმატებ შენი სიცოცხლის დღეებს კიდევ თხუთმეტი წელიწადს.
- ⁶აშურის მეფის ხელიდან გიხსნით მე – შენცა და ამ ქალაქსაც.
- ⁷და ეს იყოს იმის ნიშნად უფლისაგან, რომ იგი შეასრულებს იმ სიტყვას, რომელიც მან თქვა:
- ⁸აჰა, ათი საფეხურით უკან დავაბრუნებ ჩრდილს, რომელიც ახაზის კიბის საფეხურებზე ჩავიდა.“ და დაბრუნდა მზე უკან: ჩრდილმა ათი საფეხურით აიწია, იმავე საფეხურებით, რომლებზეც ის იყო ჩამოსული.
- ⁹ლოცვა ხიზკიასი, იუდას მეფისა, როდესაც განიკურნა ავადმყოფობისაგან:
- ¹⁰ვთქვი: ჩემი დღეების შუაძალზე მივადექი შავეთის კარიბჭეებს, მომაკლდება დანარჩენი წლები.
- ¹¹ვთქვი: ვეღარ ვიხილავ უფალს, უფალს ცოცხალთა ქვეყანაზე! ვეღარც ადამიანს ვიხილავ წუთისოფელში.
- ¹²ჩემი სავანე აყრილი და წაღებულია, როგორც მწყემსის კარავი; ჩემი სიცოცხლე ავახვიე, როგორც მქსოველმა მოქსოვილი ტილო; დგომის+ ძირშივე მომკვეთს უფალი. დღითა და ღამით მიღებდა ბოლოს.
- ¹³განთიადამდე ვითხოვდი შველას, მაგრამ უფალი ღომივით მიღეწავდა ძვლებს, დღითა და ღამით მიღებდა ბოლოს.
- ¹⁴მერცხალივით ვჟიოდი, წეროსავით ვყიოდი, მტრედივით ვკვნესოდი, დაღლილი თვალებით შევყურებდი ზეცას: უფალო, გამიჭირდა, მომეშველე!
- ¹⁵რა მეთქმის? – როგორც მითხრა, ისე აღასრულა. სულგამწარებული ვიხეტიალებ მთელი ჩემი სიცოცხლის წლები.
- ¹⁶უფალო! ასე ცოცხლობენ ადამიანები და ასეთია ჩემი სულის სიცოცხლე. შენ განმკურნავ მე და შენ მაცოცხლებ მე.



¹⁷კეთილდღეობა არა მხვდომია მე წილად, არამედ სიმწარე, დიდი სიმწარე. შენ იხსენი ჩემი სული სიკვდილისა და გახრწნის სამარიდან, შენ მოისროლე ჩემი ცოდვები ზურგს უკან.

¹⁸შავეთი არ გაქებს შენ, სიკვდილი არ შეგასხამს ხოტბას, სამარხებში ჩასულნი არ სასოობენ შენი ჭეშმარიტებით.

¹⁹ცოცხალი! მხოლოდ ცოცხალი გადიდებს შენ, როგორც მე გადიდებ დღეს. მამა მოუყვება შვილებს შენს ჭეშმარიტებას.

²⁰უფალი მიხსნის მე! და სიმღერებს ვიმღერებთ სიმთა ჟღერით უფლის ტაძარში მთელი ჩვენი სიცოცხლე.

²¹და თქვა ესაიამ: „მოუტანონ ლეღვის ტყლაპი, წყლულზე დაადონ და გადარჩება.“

²²თქვა ხიზკიამ: „რა ნიშნით ვინიშნებ, რომ კვლავ ავალ უფლის ტაძარში?“

ესაია 39

¹იმ დროს გაუგზავნა მეროდაქ-ბალადანმა, ბალადანის ძემ, ბაბილონის მეფემ, წერილი და საჩუქრები ხიზკიას, რადგან შეიტყო, რომ ავად იყო და გამოჯანმრთელდაო.

²გაიხარა ხიზკიამ მათი მოსვლით, და უჩვენა მათ თავისი საგანძურების სახლი, ოქრო-ვერცხლი და ნელსაცხებლები, და ძვირფასი ზეთები, მთელი თავისი არსენალი, და ყველაფერი, რაც მის საგანძურებში მოიპოვებოდა, არაფერი დარჩენილა ისეთი, რომ არ ეჩვენებინა მათთვის ხიზკიას თავის სახლსა და საბრძანებელში.

³მივიდა ესაია წინასწარმეტყველი მეფე ხიზკიასთან და უთხრა: „რა ილაპარაკეს იმ კაცებმა და საიდან მოვიდნენ შენთან?“ და უპასუხა მას ხიზკიამ: „შორი ქვეყნიდან მოვიდნენ ჩემთან, ბაბილონიდან.“

⁴და ჰკითხა ესაიამ: „რა ნახეს მათ შენს სახლში?“ და უპასუხა ხიზკიამ: „ყველაფერი ნახეს, რაც ჩემს სახლშია; არაფერი დარჩენილა ჩემს საგანძურებში, რომ არ მეჩვენებინა მათთვის.“

⁵და უთხრა ესაიამ ხიზკიას: „ისმინე სიტყვა ცაბაოთ უფლისა:

⁶აი, მოდის დღეები, და წაიღებენ ბაბილონში ყველაფერს, რაც შენმა მამებმა დააგროვეს ამ დღემდე. არაფერი დარჩება! – თქვა უფალმა.

⁷და ზოგიერთს შენს ძეთაგან, რომლებიც შენგან გამოვლენ, წაიყვანენ და საჭურისებად დააყენებენ ბაბილონის მეფის კარზე.”



⁸და უთხრა ხიზკიამ ესაიას: „კეთილია უფლის სიტყვა, რომელიც შენ თქვი, რადგან მშვიდობა და სიმტკიცე ჩემს დღეებში მაინც იქნება.“

ესაია 40

¹ანუგეშეთ, ანუგეშეთ ჩემი ერი! – ამბობს თქვენი ღმერთი. –

²გული მოუოხეთ იერუსალიმს და აუწყეთ, რომ დასრულდა მისი ტყვეობა, რომ გამოსყიდულია მისი ცოდვები, რადგან ორმაგად მიუზღო უფალმა ყველა მისი ცოდვების გამო.

³ხმა მღაღადებლისა: „უდაბნოში განუმზადეთ გზა უფალს, ბილიკები მოუსწორეთ ტრამალებზე ჩვენს ღმერთს!

⁴ყოველი ხევი ამოივსება და ყოველი მთა და ბორცვი დადაბლდება, ფერდობები დავაკდება და მთაგრეხილები – დასწორდება.

⁵გამოჩნდება უფლის დიდება და იხილავს ამას ყოველი ხორციელი ერთად, რადგან უფლის ბაგემ თქვა ეს.“

⁶ხმა ამბობს: „უქადაგე!“ მე ვკითხე: „რა ვუქადაგო?“ – „უქადაგე, რომ ყოველი ხორციელი ბალახია და მთელი მისი მშვენება – მინდვრის ყვავილი.

⁷ხმება ბალახი, ჭკნება ყვავილი, როდესაც უფალი დაუბერავს მას. ასეა, ბალახია ხალხი!

⁸ხმება ბალახი, ჭკნება ყვავილი, ჩვენი ღმერთის სიტყვა კი მარად რჩება.“

⁹მაღალ მთაზე ადი, სიონო, მაცნეო სიხარულისა! იერუსალიმ, მაცნეო სიხარულისა, დაიგრგვინე! აღიმადლე, ნუ ძრწი! დასმახე იუდას ქალაქებს: „აჰა, თქვენი ღმერთი!”

¹⁰აჰა, მოვა უფალი ღმერთი, ძლიერია იგი, და იხელმწიფებს მისი მარჯვენა! აჰა, მასთანაა მისი ჯილდო და მისი გარჯის ნაყოფი მის წინაშეა.

¹¹ის დამწყემსავს თავის ფარას, როგორც მწყემსი; თავისი მარჯვენით შეკრებს კრავებს და უბით ატარებს, წინ წაუძღვება ბატონის დედებს.

¹²ვის ამოურწყავს ზღვა მუჭით და გადაუზომია ცა მტკავლით, ვის ჩაუტევია საწყაოში ქვეყნიერების ქვიშა და სასწორის პინებით ვის აუწონია მთები და ბორცვები?

¹³ვის წარუმართავს უფლის სული? და ვის დაუმოდვრავს იგი თავისი რჩევით?



14 ვისთვის უთხოვია მას რჩევა და ვინ განაბრძნო იგი? ვინ დააყენა ის სიმართლის გზაზე? ვინ აღჭურვა ის ცოდნით, და ვინ მიუთითებს გონიერების გზისაკენ?

15 აჰა, მთელი ხალხები, ისე არიან უფალთან, როგორც ერთი წვეთი სავსე კოკასთან, როგორც სასწორის პინაზე დარჩენილი მტვერი; აჰა, კუნძულებს მტვერით ახვეტავს უფალი.

16 ლიბანის ტყეები არ ეყოფა სამსხვერპლო ცეცხლად და მისი პირუტყვი – სრულად დასაწველად.

17 მთელი ხალხები არარაობაა მის წინაშე, ფუჭად და ამაოდ შეირაცხებიან მის თვალში.

18 მაშ ვის მიამგვანებდით ღმერთს? რა მსგავსებას მოუძებნიდით მას?

19 კერპი ხომ ხელოსნის ჩამოსხმულია, ოქრომჭედელი ოქროთი ჭედავს მას და ვერცხლის შიბებით ამკობს.

20 ვინც ვერ გასწვდება ასეთ შესაწირავს, უღპობელ ხეს ირჩევს, გამოცდილ ხელოსანს ეძებს, რათა გამოახარატებინოს ისეთი კერპი, ურყევად რომ იდგება.

21 ნუთუ არ იცით? ნუთუ არ გსმენიათ? ნუთუ არ გეუწყათ დასაბამიდან? ნუთუ ვერა სცანით დედამიწის საფუძვლები?

22 უფალი ზის დედამიწის კამარაზე, ხოლო დედამიწის მკვიდრნი კალიებს ჰგვანან მის წინაშე. მან გაფინა ცა მსუბუქი ქსოვილივით და საცხოვრებელი კარავივით გაშალა.

23 ის მეუფეებს არაფრად აქცევს და ქვეყნის მსაჯულთ – არარაობად.

24 ის იყო დაინერგნენ, ის იყო დაითესნენ, ის იყო მიწაში გაიდგეს ფესვი, და როგორც კი დაჰქროლა უფალმა მათ, გახმნენ და ქარიშხალმა ბზესავით წაიღო ისინი.

25 „ვის მიმამსგავსებთ მე, ვინ შემედრება მე?“ – ამბობს წმიდა.

26 აღაპყრეთ თვალი ზეცაში და იხილეთ – ვინ შექმნა ისინი? მან, ვისაც სათვალავით გამოჰყავს ეს ციური მხედრობა, ყველას მათი სახელით მოუხმობს. ყველა გამოდის – ერთიც არ დააკლდება – ასეთია მისი ძალა და ძლევამოსილება.

27 რატომ ამბობ, იაკობ, და ლაპარაკობ, ისრაელ: დაფარულიაო ჩემი გზა უფლისაგან, და ჩემი სამართალი განუკითხავიაო ღვთისაგან?



²⁸განა არ იცი? განა არ გსმენია, რომ მარადიული უფალი ღმერთი, შემქმნელი ქვეყნიერების კიდეებისა, არ იღლება და არ იქანცება? მიუწვდომელია მისი გონება.

²⁹ის აძლევს ძალას დაღლილს და დაქანცულს სიმტკიცეს მატებს.

³⁰იღლებიან ჭაბუკნი და იქანცებიან, ყმაწვილნი ეცემიან,

³¹ხოლო უფლის მოსაგნი ძალას განიახლებენ; ფრთებს გაშლიან ორბებივით, მორბენალნი არ დაიქანცებიან, მავალნი არ დაიღლებიან.

ესაია 41

¹დადუმდით ჩემს წინაშე, კუნძულებო! ხალხებმა ძალი განიახლონ; ახლოს მოდგნენ და თქვან: ერთად მივიდეთო სამსჯავროზე.

²ვინ აღძრა აღმოსავლეთიდან სიმართლის კაცი, ვინ მოუხმო, რომ მას მიჰყოლოდა, მის წინაშე მიიყვანა ხალხები და დაუმონა მეფენი? თავისი მახვილით გააცამტვერა ისინი, თავისი მშვილდით მიმოფანტა, როგორც ქარი ანიავეს ბზეს.

³ის მიერეკება მათ, მშვიდობით მიდის გზაზე, რომელზედაც არასოდეს დაუდგამს ფეხი.

⁴ვინ მოიმოქმედა და აღასრულა ეს? თაობათა გამომხმობმა დასაბამით. მე ვარ უფალი, – პირველი და უკანასკნელ თაობასთანაც მე ვიქნები.

⁵დაინახეს კუნძულებმა და შეშინდნენ, ქვეყნის კიდეები შეძრწუნდნენ, მოახლოვდნენ და მოდგნენ.

⁶თითოეული თავის მოყვასს ეხმარება და თავის ძმას განამტკიცებს: „ნუ შედრკები!“

⁷მჭედელი ჩამომსხმელს ამხნევებს, უროთი მბეგველი – გრდემლზე კვერის დამკვრელს, ნაწიბურზე ამბობს: კარგიაო! და კერპს ამაგრებს ლურსმნებით, რომ არ დაიშალოს.

⁸ხოლო შენ, ისრაელ, ჩემო მსახურო იაკობ, რომელიც მე ამოგირჩიე, თესლო ჩემი საყვარელი აბრაამისა,

⁹შენ, რომელიც აგიყვანე ქვეყნის კიდეებიდან და მისი კუთხეებიდან მოგიხმე, გითხარი: „ჩემი მსახური ხარ შენ!“ მე ამოგარჩიე შენ და უკუ არ გაგდე.



¹⁰ნუ გეშინია, რადგან მე შენთანა ვარ; ნუ ფრთხი, რადგან შენი ღმერთი ვარ მე. გაგამაგრებ და შეგეწევი და მხარს დაგიჭერ ჩემი სიმაღლის მარჯვენით.

¹¹აჰა, შერცხვებიან და გაწბილდებიან შენი მოძულენი; არარაობად იქცევიან და დაიღუპებიან შენი მოშულარნი.

¹²მებნას დაუწყებ და ვერ ჰპოვებ მათ, შენს შეურაცხყოფელთ; არაფრად და არარაობად იქცევიან შენთან მებრძოლნი.

¹³რადგან მე, შენი უფალი ღმერთი, შენი მარჯვენის განმამტკიცებელი გეუბნები: ნუ კრთი, მე შეგეწევი!

¹⁴ნუ გეშინია, მატლო იაკობ, ციცქნა ისრაელო, მე შეგეწევი შენ! – ამბობს უფალი, და შენი გამომსყიდველი, ისრაელის წმიდა ღმერთი!

¹⁵აჰა, შენა ხარ ჩემი ახლად მოკოხილი კევრი; შენ გალეწავ მთებს და დაფშვნი, ბორცვებს ბზესავით აქცევ.

¹⁶გაანიავენ და ქარი წაიღებს მათ, ქარიშხალი მიმოფანტავს, შენ კი გაიხარებ უფალში, ისრაელის წმიდა ღმერთი იქნება შენი დიდება.

¹⁷ღარიბ-ღატაკნი წყალს ეძებენ და არ არის, ენა გაუშრათ წყურვილისაგან. მაგრამ მე, უფალი, ღმერთი ისრაელისა ვუპასუხებ მათ, არ მივატოვებ.

¹⁸ხრიოკ გორაკებზე წყლის ნაკადებს გადმოვადენ და ველ-მინდვრებზე – ნაკადულები ამოხეთქს, უდაბნოს ტბები დაფარავს და გამოგოლვილი მიწა წყლით გაძლება.

¹⁹უდაბნოში კედარს ვახარებ, აკაციას, მირტსა და ზეთისხილს; კვიპაროსთან ერთად ჭადარსა და ფიჭვს გავაშენებ ტრამალებზე,

²⁰რათა ნახონ და გაიგონ, და მიხვდნენ და დაიჯერონ, რომ უფლის ხელმა გააკეთა ეს, და ისრაელის წმიდა ღმერთმა შექმნა ეს ყოველივე.

²¹გაგვაცანით თქვენი სარჩელი, – ამბობს უფალი, – მოიტანეთ თქვენი მტკიცებულებანი, – ამბობს იაკობის მეფე.

²²მოვიდნენ და გვითხრან, რა მოხდება; წინასწარ გვითხრან რაიმე, ვიდრე ის არ მომხდარა, და გულისხმავყოფთ და გავიგებთ მის დასასრულს. ან მომავალზე გვასმინონ რაიმე წინასწარ,

²³წინასწარ გვაუწყეთ, რა მოხდება, და გვეცოდინება, რომ ღმერთები ხართ; ქმენით სიკეთე, ან ბოროტება, რათა გაოცებით შევხედოთ და ერთად ვნახოთ.

²⁴მაგრამ ფუჭნი ხართ თქვენ, და თქვენი საქმეებიც არარაობაა; სისაძაგლეს ირჩევენ თქვენით.



²⁵აღვძარი იგი ჩრდილოეთიდან და მოვიდა; მან აღმოსავლეთიდან მოუხმო ჩემს სახელს! ტალახივით ჩაზელს ის ხელმწიფეთ, როგორც მეთუნე თიხას.

²⁶ვინ გამოაცხადა თავდაპირველად ეს, რომ გვცოდნოდა, და ადრიდანვე რომ მანამდე დიდი ხნით ადრე გვეთქვა: „ის მართალი იყო?“ მაგრამ არავის გამოუცხადებია, არავის გაუგებინებია, არავის გაუგია თქვენი ნათქვამი.

²⁷მე პირველმა ვაუწყე სიონს: „აჰა, ისინი!“ მახარობელი გავუგზავნე იერუსალიმს.

²⁸გავიხედე და არავინ იყო; არავინ იყო მათგან მრჩეველი, რომ მეკითხა და გაეცა პასუხი.

²⁹აჰა, არარანი არიან ისინი, ფუჭია მათი საქმეები; ქარია და სიცარიელე მათი ჩამოსხმული კერპები.

ესაია 42

¹აი ჩემი მონა, რომელიც ხელით მიჭირავს, ჩემი რჩეული, რომელიც მოიწონა ჩემმა სულმა. დავდებ მე მასზე ჩემს სულს და სამართალს გაუჩენს იგი ხალხებს.

²არ იყვირებს და არ აღიმადლებს ხმას, ქუჩაში ვერავინ მოისმენს მის ხმას.

³დაბზარულ ლერწამს არ დაღეწავს და მბჟუტავ პატრუქს არ ჩააქრობს; სწორ სამართალს გააჩენს.

⁴არ დაცხრება და არ გატყდება, ვიდრე არ დაამყარებს ქვეყნად სამართალს. მის განგებულებას მოელიან კუნძულები.

⁵ასე ამბობს უფალი ღმერთი, რომელმაც შექმნა ზეცა და განფინა იგი; შექმნა დედამიწა მისი აღმონაცენითურთ; მისცა სუნთქვა ხალხს და სული – ქვეყნად მოარულთ.

⁶მე, უფალმა, მოგიწოდე სიმართლით, ხელში გწვდები და დაგიცავ, დაგადგენ აღთქმად ხალხისთვის და წარმართთა სინათლედ,

⁷რათა აუხილო ბრმებს თვალები, რათა პატიმარნი ამოიყვანო საპყრობილიდან, და წყვდიადიდან – ბნელში მსხდომნი.

⁸მე ვარ უფალი, ეს არის ჩემი სახელი. არ მივცემ ჩემს დიდებას სხვას და ჩემს ქებას – კერპებს.

⁹აჰა, ახდა უწინ ნაუწყები, ახალსაც გაუწყებთ; ვიდრე ის მოხდებოდეს, მე გაუწყებთ.



¹⁰უგალობეთ უფალს ახალი გალობა, ქება შეასხით მას ქვეყნის კიდებიდან, თქვენ, ზღვაზე მავალთ და მთელმა მისმა სისავსემ, კუნძულებმა და მათმა მობინადრეებმა.

¹¹დაე, აღავლინონ ხმა უდაბნომა და მისმა ქალაქებმა, დაბა-სოფლებმა, სადაც კედარელნი მკვიდრობენ; იგალობონ კლდეებში მცხოვრებთ, და მათათა მწვერვალებიდან დასჭექონ!

¹²დიდება მიაგებონ უფალს და მისი ქება კუნძულებზე აუწყონ.

¹³უფალი მამაცი მეომარივით გამოვა; მებრძოლივით შურით აღივსება; შემოსძახებს და დასცემს საბრძოლო ყიჟინას, და ძალას გამოიჩენს თავისი მტრების წინააღმდეგ.

¹⁴დიდხანს ვდუმდი, ჩუმად ვიყავი, ვითმენდი; ახლა მშობიარესავით ავკივლდები, დავამსხვრევ და ვშთანთქავ ყოველივეს.

¹⁵გავაუდაბურებ მთებსა და ბორცვებს და გადავახმო მთელ მათ სიმწვანეს, მდინარეებს კუნძულებად ვაქცევ, ტბებს ამოვაშრობ.

¹⁶ვატარებ ბრმებს იმ გზით, რომელიც მათ არ იცოდნენ, მათთვის უცნობი ბილიკებით წავიყვან, მათ წინაშე სიბნელეს სინათლედ ვაქცევ და ოღრო-ჩოღროებს – ვაკეებად. ეს არის საქმეები, რომელთაც გავაკეთებ და არ მივატოვებ.

¹⁷უკან დაიხევენ და დიდი სირცხვილით შერცხვებიან კერპებით მოიმედენი, რომლებიც ეუბნებიან კერპებს: „თქვენა ხართ ჩვენი ღმერთები.“

¹⁸ყრუებო, ისმინეთ! ბრმებო, უყურეთ, რომ დაინახოთ.

¹⁹ვინ არის ისე ბრმა, როგორც ჩემი მონა? და ყრუ, როგორც ჩემი გაგზავნილი მაცნე? ვინ არის ისე ბრმა, როგორც მახლობელი ჩემი, ისე ბრმა, როგორც უფლის მონა?

²⁰იყურები, მაგრამ ვერ ამჩნევ, აყურადებ, მაგრამ ვერ ისმენ.

²¹უფალმა ინება თავისი სიმაღლისათვის განედიდებინა და დიდებულ-ეყო რჯული;

²²მაგრამ ეს გაძარცული და დარბეული ხალხია, გამოქვაბულებში არიან შეყრილნი და საპყრობილებში ჩაკეტილნი; აყაჩაღებდნენ და არ იყო მშველელი, ძარცვავდნენ და არავინ იყო მთქმელი: დაუბრუნეთო!

²³რომელმა თქვენგანმა გაიგონა ეს? ყური ვინ მიაპყრო და ვინ მოისმინა მომავალი?



²⁴ვინ მისცა იაკობი დასარბევად, და ისრაელი – გასამარცვად? განა უფალმა არა, რომელსაც შევცოდეთ? მათ არ ისურვეს მისი გზით სიარული, და მისი რჯული არ ისმინეს.

²⁵და გადმოღვარა უფალმა მათზე თავისი რისხვა – ომის მრისხანება! ცეცხლი შემოუნთო მათ ირგვლივ, მაგრამ მათ ვერაფერი გაიგეს, იწვოდნენ, მაგრამ გონთ ვერ მოეგნენ.

ესაია 43

¹მაგრამ ახლა, ასე ამბობს უფალი, შენი შემქმნელი, იაკობ, და შენი გამომსახველი, ისრაელ: „ნუ გეშინია, რადგან მე გამოგისყიდე, მოგიწოდებ შენი სახელით; ჩემი ხარ შენ.

²როდესაც გაივლი წყლებში, მე შენთანა ვარ, მდინარეებში გატოპავ და ვერ წაგლეკავენ ისინი. ცეცხლში გაივლი და არ დაიწვები, მისი ალი არ მოგედება.

³რადგან მე ვარ უფალი შენი ღმერთი, ისრაელის წმიდა, შენი მხსნელი; შენს გამოსასყიდში ეგვიპტე მივეცი, ქუში და სება – შენს სანაცვლოდ.

⁴მვირფასი ხარ შენ ჩემს თვალში, შეუფასებელი და მე შეგიყვარე შენ, სხვა ადამიანებს გავიღებ შენს სანაცვლოდ და სხვა ხალხებს შენი სიცოცხლის ფასად.

⁵ნუ გეშინია, მე შენთანა ვარ; აღმოსავლეთიდან მოვიყვან შენს თესლ-ტომს და დასავლეთიდან შემოგიკრებ შენ.

⁶ჩრდილოეთს ვეტყვი: ‘მომეცი ისინი!’ და სამხრეთს: ‘ნუ დამიკავენ მათ!’ მოიყვანეთ ჩემი ძენი შორეთიდან და ჩემი ასულნი – ქვეყნის კიდეებიდან,

⁷ყოველი, ჩემი სახელით წოდებული, ვინც ჩემი დიდებისათვის გავაჩინე; ვინც გამოვსახე და შევქმენი!“

⁸გამოიყვანეთ ხალხი, რომელთაც არც თვალი აკლიათ და არც ყური, მაგრამ ბრმანი და ყრუნი არიან.

⁹ყველა ხალხები ერთად უნდა შეიკრიბნენ და უნდა შეერთდნენ ტომები; მათგან წინასწარ ვინ გვითხრა, ვინ გვაუწყა ის, რაც აღსრულდა? წარმოადგინონ მოწმენი, რომ თავი იმართლონ, რათა მათმა მსმენელმა თქვას: „მართალია!“

¹⁰„თქვენ ჩემი მოწმენი ხართ! – ამბობს უფალი, – და ჩემი მორჩილი, რომელიც მე ამოვარჩიე, რათა იცოდეთ და მერწმუნოთ მე, და გაიგოთ, რომ ეს მე ვარ: ჩემამდე არ ყოფილა სხვა ღმერთი და ჩემს შემდეგაც არ იქნება.



- ¹¹მე ვარ უფალი და არ არის ჩემს გარდა სხვა მხსნელი.
- ¹²მე ვთქვი და გიხსენი, და გამოგიცხადე, რომ არ არის თქვენს შორის უცხო ღმერთი, თქვენა ხართ ჩემი მოწმენი! – ამბობს უფალი, – რომ მე ვარ ღმერთი;
- ¹³და ძველთაგან – ეს მე ვარ! და ვერავინ იხსნის ჩემი ხელიდან. რაც მე მოვიმოქმედე, ვინ შეცვლის მას?“
- ¹⁴ასე ამბობს უფალი, თქვენი გამომხსნელი, ისრაელის წმიდა: „თქვენი გულისათვის გავგზავნი მე ბაბილონში და დავუმტვრევ საკეტურებს და დავამხობ ქალდეველებს, თავიანთი ხომალდებით რომ მედიდურობდნენ.
- ¹⁵მე, ვარ უფალი, თქვენი წმიდა, ისრაელის გამჩენი, თქვენი მეფე.“
- ¹⁶ასე ამბობს უფალი, ზღვაზე გზის გამხსნელი და ძლიერ წყლებზე – ბილიკისა,
- ¹⁷რომელმაც გამოიტყუა ეტლები და ცხენები, ძლიერ მეომართა ურდოები; ერთიანად ჩაწვნენ ისინი, ველარ ადგნენ, დაიშრიტნენ, პატრუქივით ჩაქრნენ.
- ¹⁸ნუ გაიხსენებთ წარსულს და მომავალზე ნუ იფიქრებთ!
- ¹⁹რადგან მე შევქმნი ახალს, ახლა გამობრწყინდება იგი, ნუთუ ვერ შეამჩნევთ? უდაბნოში გავიყვან გზას, ტრამალებზე წყლის ნაკადებს ვადენ.
- ²⁰თვით ველის მხეცნიც კი განმადიდებენ – ტურები და სირაქლემები, როცა მივუშვებ უდაბნოში წყალს და ტრამალებზე წყლის ნაკადებს ამოვახეთქინებ, რათა წყალი ვასვა ჩემს რჩეულ ხალხს.
- ²¹ეს ხალხი მე ჩემთვის შევქმენი, რათა თქვას ჩემი სადიდებელი.
- ²²მაგრამ შენ არ მოგიხმივარ, იაკობ, ჩემთვის არ დაქანცულხარ, ისრაელ!
- ²³არ მოგიყვანია ჩემთვის კრავები სრულადდასაწველად და მსხვერპლებით არ გიცია პატივი; ძღვნით არ მიმსახურებია და არც გუნდრუკის კმევით მომიღლიხარ.
- ²⁴ოქროზე არ გიყიდია ჩემთვის სურნელოვანი ლერწამი, და შენი სამსხვერპლოს ლურთებით არ გაგიძღვივარ, შენ კი მამსახურებდი შენი ცოდვებით, მქანცავდი შენი დანაშაულებებით.
- ²⁵მე ვარ, მე ის ვარ, ვინც ჩემი გულისათვის წარვხოცავ შენს დანაშაულებებს, და შენს ცოდვებს არ გავიხსენებ.
- ²⁶მომაგონე, განვიკითხოთ ერთმანეთი! ილაპარაკე, რათა გამართლდე!
- ²⁷შენმა მამამთავარმა შესცოდა და შენი შუამავლები გადამიდგნენ.



²⁸შენმა მთავრებმა შეაგინეს ჩემი საწმიდარი და მივეცი იაკობი წარსაწყმედელად, და ისრაელი – საგინებლად.

ესაია 44

¹და ახლა ისმინე, იაკობ, მონაო ჩემო, და ისრაელ, ჩემო რჩეულო!

²ასე ამბობს უფალი, შენი შემქმნელი და გამომსახველი, დედის მუცლიდან შენი შემწე: ნუ გეშინია, ჩემო მსახურო, იაკობ; და შენ, იეშურუნ,+ რომელიც მე აგირჩიე;

³მე გადმოვადენ წყლებს მწყურვალ მიწაზე და ნაკადებს – გამომხმარ ბელტებზე; ჩემს სულს მოვაფენ შენს თესლ-ტომზე, და ჩემს კურთხევას – შენს მოდგმაზე.

⁴და აღმოცენდებიან ისინი ბალახებს შორის, როგორც ძეწნები წყლის პირებზე.

⁵ერთი იტყვის: „მე უფლისა ვარ!“ მეორე იაკობის სახელით ივლის, სხვა ხელზე დაიწერს: „მე უფლისა ვარ“ და სახელად ისრაელი დაერქმევა.

⁶ასე ამბობს უფალი, ისრაელის მეუფე და მისი გამომხსნელი, ცაბაოთ უფალი: მე ვარ პირველი და მე ვარ უკანასკნელი, და ჩემს გარდა არ არის სხვა ღმერთი.

⁷ვინ არის ჩემი მსგავსი? დაე წარმოთქვას, გამოაცხადოს და მიაშბოს დალაგებულად ყოველივე იმ დღიდან, რაც შევქმენი ძველი ხალხი; ანდა მომავალი გითხრან მოსვლამდე.

⁸ნუ გეშინიათ და ნუ ფრთხით! მე ხომ ძველთაგან გაუწყეთ ყოველივე, მოგიყევით, და თქვენ ხართ ჩემი მოწმენი. განა არის სხვა ღმერთი ჩემს გარდა? არა, არავითარი სხვა კლდე მე არ ვიცი.

⁹კერპების ყოველი მკეთებელი არარაობაა და თვით კერპები და მათი მოყვარულნიც უსარგებლონი არიან; მათი მოწმენი ვერაფერს ხედავენ, ვერაფერს ხვდებიან – ამიტომაც შერცხვენილნი იქნებიან.

¹⁰ვინ გამოსახავს ღმერთებს, და ვინ ჩამოასხავს კერპებს, რომელნიც სრულიად უსარგებლონი არიან?

¹¹კერპების ყველა თანამდგომი შერცხვება; მათი გამკეთებლები ხომ ადამიანები არიან და სხვა არაფერი; შეიკრიბოს ყველა და ერთად დადგნენ – შეშინდებიან და ყველა შერცხვება.



¹²მჭედელი რკინის ნაკეთობას ნაკვერჩხლებზე ახურებს, კვერით ჭედავს. შრომობს ოსტატის ძლიერი მაჯა; ჭამის დროც არა აქვს, იქანცება, წყალი ვერ დაუღევია – ბოლოს ძალაც ეცლება.

¹³ხურო ღარს გაჭიმავს, მონიშნავს ხეს, ხელეჩოთი თლის, საჭვრეტლით ამუშავებს, აგლუვებს, კაცის სახეს აძლევს, აკობტავებს, რათა დადგას სახლში.

¹⁴გაჩეხავს კედრებს, ირჩევს ძელქვას ან მუხას; ინიშნავს ხეებს ტყეში, დრომდე უცდის მათ დაზრდას; ან რგავს ფიჭვს, რომელსაც წვიმები ზრდიან.

¹⁵სწვავს კაცი ხეს, ეზიდება, რათა გათბეს. აჩაღებს კერიას, აცხობს პურს; კერპებსაც აკეთებს და თაყვანს სცემს, გამოჩორკნის ხის კერპს და ქედს უხრის მას.

¹⁶ნახევარ ხეს ცეცხლში წვავს, ნახევრით ხარშავს ხორცს და მიირთმევს. თბება და ამბობს: „ოჰ, გავთბი, ცეცხლმა გააკაშკაშა აქაურობა!“

¹⁷მორის ნარჩენისგან ღმერთი გამოჩორკნა, თავის კერპად, ქედს უხრის მას, თაყვანს სცემს და ევედრება მას და ამბობს: „დამიფარე, რადგან ჩემი ღმერთი ხარ შენ!“

¹⁸ამ ხალხს არაფერი ესმის, ვერაფერს ხვდება; მან დაუხშო მას ხედვა, რომ ვერაფერი დაინახოს, და – გული, რომ ვერაფერს მიხვდეს.

¹⁹არავინ დაფიქრებულა, გონება არავის ჰყოფნის, რომ თქვას: „იმ ხის ნახევარი ცეცხლში დავწვი მის ნაკვერჩხალზე პური გამოვიცხვე, ხორცი შევიწვი და შევჭამე. მისი მონარჩენით ნუთუ სისაძაგლე უნდა გამოვჩორკნო, ხის ნაგლეჯს უნდა ვეთაყვანო?“

²⁰ფერფლსა მწყემსავს ის, მოტყუებულმა გულმა გზა-კვალი აურია. სულს ვერ გადაირჩენს და ვერ იტყვის: „ჩემს მარჯვენაში მხოლოდ სიცრუეა!“

²¹გახსოვდეს, იაკობ, და გახსოვდეს, ისრაელ, რადგან ჩემი მონა ხარ; მე გამოგსახე: ჩემი მონა ხარ ისრაელ! ვერ დაგივიწყებ, ისრაელ!

²²წარვხოცე მე, როგორც ნისლი, შენი დანაშაულებანი და როგორც ჯანღი – შენი ცოდვები! მობრუნდი ჩემსკენ, რადგან მე გამოგისყიდე შენ!

²³გიხაროდეთ, ცანო, რადგან უფალმა მოიმოქმედა ეს! შემოსძახეთ, მიწის უფსკრულნო! დასჭექეთ მხიარულად, მთებო! შენც, ტყეო და შენმა ყველა ხემ! რადგან გამოისყიდა უფალმა იაკობი და ისრაელში განდიდდა.



²⁴ასე ამბობს უფალი, შენი გამომხსნელი და დედის მუცელში შენი გამომსახველი: „მე ვარ უფალი, ყოვლისშემოქმედი, ცის გარდამრთხმელი, დედამიწის დამგები,

²⁵რომელიც არარაობად აქცევს ცრუწინასწარმეტყველთა ნიშნებს და ააშკარავებს მისანთა შეშლილობას, უკან ახევინებს ბრძენთ და მათ ცოდნას სისულელედ აქცევს,

²⁶თავისი მსახურის სიტყვას აღასრულებს, და თავის მოციქულთა რჩევას განასრულებს, ვინც ამბობს იერუსალიმზე: ‘დასახლდება’ და იუდას ქალაქებზე – ‘აშენდება, და მის ნანგრევებს მე აღვადგენ!’“

²⁷ის ეუბნება უფსკრულს: „ამოხმი! და შენს ნაკადებს მე ამოვაშრობ!“

²⁸ვინც ამბობს კიროსზე: „მწყემსია ჩემი! და ჩემს ყველა სურვილს ის აღასრულებს!“ და ეუბნება იერუსალიმს: „აშენდები!“ და ტაძარს – „კვლავ აღიმართები!“

ესაია 45

¹ასე ეუბნება უფალი თავის ცხებულს, კიროსს: შენი მარჯვენა მე მიჭირავს, რათა დაგიმორჩილო ხალხები, სარტყლები შევხსნა მეფეებს წელზე, რათა გაიღოს შენს წინაშე ყველა კარი და კარიბჭენი აღარ დაიკეტოს.

²მე წაგიძღვები და მთებს დავავაკებ, ბრინჯაოს კარებებს შევლეწავ და რკინის ურდულებს დავამტვრევ.

³და მოგცემ შენ ბნელში დაცულ საუნჯეთ და საიდუმლოდ დამარხულ თვალ-მარგალიტს, რათა მიხვდე, რომ მე, უფალი, მოგიხმობ სახელით, მე, ისრაელის ღმერთი!

⁴ჩემი მონის, იაკობის, და ისრაელის, ჩემი რჩეულის გულისათვის მოგიხმე ჩემი სახელით, პატივი დაგდე, თუმცა შენ არ მიცნობდი მე.

⁵მე ვარ უფალი, და სხვა არავინაა, ჩემს გარდა არ არიან სხვა ღმერთები; თუმცა შენ მე არ მიცნობდი, მაგრამ მე მაინც შემოგარტყი სარტყელი,

⁶რათა იცოდნენ მზის აღმოსავლეთში და დასავლეთში, რომ არავინაა ჩემს გარდა; მე ვარ უფალი და სხვა არავინაა.

⁷მე გამვსახავ ნათელს და ვქმნი ბნელს, ვაგზავნი მშვიდობას და უბედურებას მოვავლენ; მე, უფალი, ვიქმ ყოველივე ამას.

⁸ჩამოასხურე, ზეცავ, მაღლიდან და ღრუბლებმა სიმართლე გადმოღვარონ; გაიხსნას მიწა და გამოიღოს ხსნა, და სამართალი აღმოცენდეს მასთან ერთად. მე, უფალმა, შევქმენი ეს ყოველივე.



⁹ვაი, თავის უფალთან მოშუღარს, ერთ ნატებს თიხის ნამსხვრევთაგან! განა ეტყვის თიხა თავის გამომსახველს: რას აკეთებო? ან შენი ნაკეთობა თუ გეტყვის: ხელი არ გივარგაო?

¹⁰ვაი, მას, ვინც თავის მამას ეუბნება: რისთვის გამაჩინეო ქვეყანაზე? ან დედას: რისთვის ეწამეო ჩემი შობით?

¹¹ასე ამბობს უფალი, ისრაელის წმიდა ღმერთი, მისი გამომსახველი: „ჩემს მომავალ ძეებზე მეკითხებით და ჩემი ხელის ნაკეთებზე მიმითითებთ?

¹²მე შევქმენი მიწა და ადამი გავაჩინე მასზე; ჩემმა ხელებმა, გარდაართხეს ცა და მთელი მისი მხედრობა განვაწესე.

¹³მე აღვძარი კიროსი სიმართლით და მის ყველა გზებს მე მოვასწორებ. ის ააშენებს ჩემს ქალაქს და ჩემს დევნილთ ის გაუშვებს უსასყიდლოდ!“ – ამბობს ცაბაოთ უფალი.

¹⁴ასე ამბობს უფალი: „ეგვიპტის ჭირნახული, ქუშის ნავაჭრი და საბეანელნი – ტანადი ხალხი, შენთან გადმოვლენ და შენი იქნებიან; შენ შემოგიდგებიან, ბორკილასხმულნი წამოვლენ და შენ გცემენ თაყვანს, შენ მოგძახებენ: ‘მხოლოდ შენთან არის ღმერთი და სხვა ღმერთები არ არის!’“

¹⁵ჭეშმარიტად შენა ხარ დაფარული ღმერთი, ისრაელის ღმერთი, მხსნელი.

¹⁶შერცხვებიან და გაწბილდებიან ყველანი. ერთიანად ჩაცვივიან სირცხვილში კერპთა მკეთებელნი.

¹⁷უფალი იხსნის ისრაელს საუკუნო ხსნით; არ შერცხვებით და არ გაწბილდებით უკუნითი უკუნისამდე.

¹⁸რადგან ასე ამბობს უფალი, ცათა შემოქმედი, (ის არის ღმერთი, დედამიწის გამომსახველი და მისი შემქმნელი; მან დაამყარა იგი; იმად არ შეუქმნია, რომ უკაცრიელი ყოფილიყო, არამედ დასასახლებლად გამოსახა): – „მე ვარ უფალი, და სხვა არ არის!

¹⁹ფარულად არ მილაპარაკია დედამიწის ბნელ ადგილზე; არ მითქვამს მე იაკობის თესლ-ტომისთვის: ამაოდ მეძებეთ-მეთქი. მე ვარ უფალი, სიმართლის მთქმელი, ჭეშმარიტების გამომცხადებელი.

²⁰შეიკრიბეთ და მოდით, ერთად მოდექით, წარმართთაგან გადარჩენილნი! არაფერი იციან მათ, თავიანთ ხის კერპს რომ ატარებენ და ევედრებიან ღმერთს, რომელსაც არ შეუძლია მათი ხსნა.

²¹გამოაცხადეთ და თქვით, ითათბირეთ ერთმანეთში. ვინ გვასმინა მოსახდენი ძველთაგან, წინასწარ ვინ თქვა ეს? განა მე არა, უფალმა? და არ



არის სხვა ღმერთი ჩემს გარდა, ღმერთი მართალი და მხსნელი ღმერთი არაა ჩემს მეტი.

²²მოიქცეით ჩემსკენ და გადარჩებით, დედამიწის ყოველი კიდეც, რადგან მე ვარ ღმერთი და არ არის სხვა ღმერთი.

²³ჩემს თავს ვიფიცებ: ჩემი პირიდან სიმართლე გამოდის, გადაუთქმელი სიტყვა, რომ ჩემს წინაშე მოიდრიკება ყოველი მუხლი და მე დამიფიცებს ყოველი ენა.

²⁴იტყვიან ჩემზე: მხოლოდ უფალშიაო სიმართლე და ძალა.“ შერცხვენილნი წარდგებიან უფლის წინაშე ისინი, ვინც მას მტრობდნენ.

²⁵უფლის წყალობით გამართლდება და განდიდდება ისრაელის მთელი მოდგმა.

ესაია 46

¹ჩაილუნა ბელი, მოიხარა ნებო; მათი კერპები პირუტყვსა და სასაპანლე ცხოველებს აჰკიდეს; მძიმედ დააწვა თქვენი ტვირთი დაღლილ პირუტყვს.

²წელში გაწყდნენ, დაცვივდნენ; ვერ შეძლეს ტვირთის გადარჩენა, და თვითონაც ტყვეობაში წავიდნენ.

³მისმინეთ, იაკობის ძენო, ისრაელიანთა ნატამალო, თქვენ, რომელთაც შობიდანვე მე გატარებდით, ხელში აყვანილს გატარებდით თქვენი დაბადების დღიდან:

⁴თქვენს სიბერემდე მე იგივე ვიქნები, გაჭაღარავდებით და მე კვლავ გატარებთ; მე შეგქმენით დ მე გატარებთ, მე დაგიფარავთ და გადაგარჩენთ.

⁵ვის მიმამსგავსებთ და შემადარებთ, ვის გამიტოლებთ, რომ მივემსგავსო?

⁶ოქროს და ვერცხლს წამოყრიან ქისიდან და სასწორზე წონიან; ქირაობენ ხელოსანს, რომ ღმერთი ჩამოუსხას მისგან, შემდეგ ქედს უხრიან და თაყვანს სცემენ მას.

⁷გაიდებენ მხარზე, ატარებენ, და მის ადგილზევე დადგამენ. დგას და არ იძვრის ადგილიდან, უყვირიან და პასუხს არ აძლევს ის მათ, ვერ იხსნის მათ გასაჭირში.

⁸გაიხსენეთ ეს და გულთან მიიტანეთ, ცოდვილნო.

⁹გაიხსენეთ, რა იყო თავდაპირველად, დასაბამიდან, რადგან მე ვარ ღმერთი და არ არის სხვა ღმერთი, და არ არის ჩემი მსგავსი.



¹⁰დასაბამიდანვე ვიუწყები, რაც ბოლოს უნდა მოხდეს, და ძველთაგანვე – რაც ჯერ არ მომხდარა, ვამბობ: ჩემი განაზრახი აღსრულებს, და ყოველ ჩემს ნება-სურვილს აღვასრულებ.

¹¹მზის აღმოსავლეთიდან მოვუხმე მტაცებელ ფრინველს – შორეული ქვეყნიდან მოვუხმე მას, ჩემი განაზრახვის აღმსრულებელს; მე ვთქვი და მოვაწევ კიდეც ამას, მე დავსახე და აღვასრულებ კიდეც!

¹²მისმინეთ მე, გულქვანო, სიმართლეს განშორებულნო:

¹³მე მოვაახლოვე ჩემი სიმართლე, შორს არ არის ის და ჩემი ხსნა არ დაახანებს. და მივაგებ სიონს ხსნას და ისრაელს – ჩემს დიდებას.

ესაია 47

¹ჩამოდი და ჩაჯექი მტვერში, ქალწულო, ბაბილონის ასულო! დაჯექი მიწაზე უტახტოდ, ქალდეველთა ასულო, რადგან მეტად აღარ გიწოდებენ შენ ნაზსა და სათუთს.

²აილე დოლაბი და დაფქვი ფქვილი, მოიხადე პირბადე, აიკრიფე კალთები, გაიშიშვლე წვივები, გადაიარე მდინარეები.

³გამოჩნდება შენი სიშიშვლე და დანახულ იქნება შენი სირცხვილი. შურს ვიძიებ და ვერავინ დამაბრკოლებს, –

⁴ჩვენი მხსნელი ისრაელის წმიდა ღმერთია. ცაბაოთ უფალია მისი სახელი.

⁵უხმოდ იჯექი და ჩაიძირე წყვდიადში, ქალდეველთა ასულო, რადგან აღარ გიწოდებენ სამეფოთა დედოფალს.

⁶მე განვურისხდი ჩემს ხალხს, გავანადგურე ჩემი სამკვიდრებელი და შენ ჩაგიგდე ხელში ისინი, მაგრამ შენ არ მოიღე მათზე წყალობა, მოხუცს მეტისმეტად დაუმძიმე უღელი.

⁷შენ ამბობდი: საუკუნოდ ვიქნებიო დედოფალი! არ მიიტანე ეს ამბები შენს გულთან, არ გიფიქრია, ბოლო რა იქნებოდა.

⁸ახლა კი, ისმინე, ფუფუნების მოყვარულო, უზრუნველად რომ ცხოვრობ და გულში ფიქრობ: „სხვა არავინაა ჩემს გარდა; არ დავქვრივდები და შვილები არ დამეკარგებიან.“

⁹მაგრამ გეწვევა ეს ორივე ერთ დღეს, უეცრივ: ძეთა დაკარგვაცა და სიქვრივეც; სრულად დაგატყდება თავს, ვერ გიმველის შენი ურიცხვი გრძნეულებები, შენი მაგარი ჯადოები.



¹⁰რადგან დაიმედებული ხარ ბოროტის ქმნაზე, შენ გაიძახი: „ვერავინ მხედავს!“ შენმა სიბრძნემ და შენმა ცოდნამ გაცდუნა; შენ ამბობ გულში: „მე ვარ და არავინ არის ჩემს გარდა!“

¹¹თავს დაგატყდება საშინელება, შენ ვერ გაიგებ, საიდან მოდის ის; და დაგეცემა უბედურება, ვერ შეძლებ მის უკუგდებას; უეცრივ მოვა შენს თავს განადგურება, რასაც არ ელი.

¹²იდექი ახლა შენს გრძნეულებებზე და შენს უამრავ ჯადოქრობაზე, რაზეც ზრუნავდი შენი სიყმაწვილიდან; იქნებ გიშველოს, იქნებ გაუმაგრდე.

¹³დაქანცული ხარ მრავალი თათბირებით; დაე, მოდგნენ ცისმზომელნი, ვარსკვლავთმეტყველნი, ახალმთვარეთა მაუწყებელნი, და გიხსნან იმისგან, რაც უნდა დაგატყდეს თავს.

¹⁴აჰა, ჩალასავით გახდნენ, ცეცხლმა შთანთქა ისინი, თავი ვერ დააღწიეს ალს, ნაკვერჩხალიც არ დარჩა გასათბობად, არც ცეცხლი – მის პირას ჩამოსაჯდომად.

¹⁵ასეთები გახდნენ შენთვის ისინი, რომლებთანაც შრომობდი, ვისთანაც ვაჭრობდი სიყმაწვილიდან; ყველა თავისი გზით წახეტიალდა; აღარავინაა შენი მხსნელი!

ესაია 48

¹ისმინეთ, იაკობის სახლო, ისრაელის სახელით წოდებულნი და იუდას თესლიდან გამოსულნი; ისინი უფლის სახელს იფიცავენ და ისრაელის ღმერთს მოუხმობენ, მაგრამ შორს არიან ჭეშმარიტებისა და სიმართლისაგან,

²რადგან წმიდა ქალაქიდან წარმოშობილს უწოდებენ თავს და დანდობილნი არიან ისრაელის ღმერთზე, რომლის სახელია ცაბაოთ უფალი.

³რაც ადრე იყო, დიდი ხნით ადრე ვაცხადებდი; ჩემი პირიდან გამოვიდა ის, მე ვიტყვოდი და უცბად ვიქმოდი, და ყოველივე სრულდებოდა.

⁴მე ვიცოდი, რომ ჯიუტი ხარ და რკინის მარღვები გაქვს კისერში, ბრინჯაოსია შენი შუბლი.

⁵ამიტომაც ვიდრე ეს მოვიდოდა, დიდი ხნით ადრე გიცხადებდი, გაუწყებდი, რომ არ გეთქვა: „ჩემმა ქანდაკმა გააკეთა ეს, და ჩემმა ჩამოსხმულმა კერპმა მიბრძანა, რომ ასე იქნებოდა!“

⁶შენ მოგისმენია, – ახლა იხილე ეს ყველაფერი! ნუთუ არ აღიარებ ამას? ახლა მე გაუწყებ შენ ახალს და დაფარულს, რაც არ იცოდი.



⁷ახლა მოხდა ის, და არა დიდი ხნის წინ, და არა გუშინ; დღემდე არ გსმენია შენ ეს, ვერ იტყვი: „აჰა, მე ვიცოდი ეს!“

⁸არც გსმენია და არც იცოდი, არც უწინდლიდან იყო გახსნილი შენი ყური; რადგან ვიცოდი, მიღალატებდი, ვიცოდი, რომ დედის მუცლიდანვე შემცოდე გერქვა.

⁹ჩემი სახელის გულისათვის ვიცხრობდი რისხვას, და ჩემი დიდების გულისათვის ვიოკებდი თავს, რომ არ მომესპე.

¹⁰აჰა, მე გამოგადნე, მაგრამ არა როგორც ვერცხლი – წამების ბრძმედში გამოგცადე.

¹¹ჩემი თავისთვის, მხოლოდ ჩემი თავისთვის ვაკეთებ ამას, რადგან, როგორ უნდა შევაღახვიო ჩემი სახელი? ჩემს დიდებას სხვას არ დავუთმოვ.

¹²მისმინე მე, იაკობ და ისრაელ, ჩემგან წოდებულო: მე იგივე ვარ, მე ვარ პირველი და მე ვარ უკანასკნელი.

¹³ჩემმა ხელმა დააფუძნა დედამიწა, და ჩემმა მარჯვენამ გადაჭიმა ზეცა; მე მოვუხმობ მათ და ერთად დადგებიან.

¹⁴შეგროვდით ყველა და ისმინეთ! მათგან ვინ იწინასწარმეტყველა ეს? უფალმა შეიყვარა იგი; ის შეასრულებს უფლის ნებას ბაბილონზე, და მისი მკლავი ქალდეველებზე აღიმართება.

¹⁵მე, მე ვთქვი და მე მოვუხმე მას, მე მოვიყვანე ის და იგი გაიმარჯვებს.

¹⁶მომიახლოვდით მე, ისმინეთ ეს: მე თავიდანვე ფარულად არ ვლაპარაკობდი; იმ დროიდანვე, რაც ეს ხდებოდა, მე იქ ვიყავი. ახლა კი უფალმა ღმერთმა და მისმა სულმა აქ მომავლინა.

¹⁷ასე ამბობს უფალი, შენი მხსნელი, ისრაელის წმიდა ღმერთი: მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, სასიკეთოდ რომ გმოდღვრავს და მიგიძღვის იმ გზაზე, რომელზეც უნდა დადიოდე.

¹⁸ნეტავ ყურად გელო ჩემი მცნებები! მაშინ მდინარესავით იდენდა შენი მშვიდობა, და შენი სიმართლე – ზღვის ტალღებით.

¹⁹ქვიშასავით მრავალი იქნებოდა შენი თესლი, და შენი წიაღის ნაშიერნი მისი კენჭებით. არ ამოიკვეთებოდა და არ წაიშლებოდა მისი სახელი ჩემს წინაშე.

²⁰გამოდით ბაბილონიდან, გაიქეცით ქალდეველთაგან! მხიარული ხმით გამოაცხადეთ, აუწყეთ ეს, გაავრცელეთ ქვეყნის კიდემდე, თქვით: გამოისყიდაო უფალმა თავისი მონა იაკობი!



²¹არ მოსწყურებიათ, როცა მიჰყავდა ისინი უდაბნოს გზით: კლდიდან უდინა მათ წყალი, გააპო კლდე და გადმოჩქეფა წყალმა.

²²„არ არის მშვიდობა ბოროტეულთათვის!“ – ამბობს უფალი.

ესაია 49

¹მისმინეთ მე, კუნძულებო, და ყურად იღეთ, შორეულო ხალხებო: უფალმა დედის მუცლიდან მომიხმო მე, დედაჩემის წიაღიდან ახსენა ჩემი სახელი.

²და დასდო ჩემი პირი ბასრი მახვილივით; თავის ხელის ჩრდილში შემეფარა მე, და დამდო მე წამახულ ისრად, თავის კაპარჭში დამმალა მე

³და მითხრა: „ჩემი მსახური ხარ შენ, ისრაელ, რომელშიც გავბრწყინდები!“

⁴მე ვუთხარი: „ამაოდ დავშვერი, ფუჭად და ტყუილად დავხარჯე ჩემი ძალა, მაგრამ ჩემი სამართალი უფალთანაა და ჩემი საზღაური – ჩემს ღმერთთან!“

⁵და ახლა თქვა ჩემმა უფალმა, დედის მუცლიდან თავის მსახურად ჩემმა გამომსახველმა, რათა მივაბრუნო მისკენ იაკობი, და ისრაელი მასთან შეიკრიბოს, რათა პატივდებული ვიყო უფლის თვალში, და ჩემი ღმერთი იყოს ჩემი ძალა.

⁶და თქვა მან: არ „კმარა, რომ იქნები ჩემს მსახურად იაკობის შტოთა აღსადგენად და ისრაელის ნატამალთა დასაბრუნებლად. მე გაგხდი შენ ხალხების სინათლედ, რათა ჩემი ხსნა დედამიწის კიდემდე იყოს.“

⁷ასე ეუბნება უფალი, ისრაელის გამომსყიდველი, მისი წმიდა, დაბეჩავებულს, ხალხებისგან შეზიზღებულს, ხელმწიფეთა მონას: „მეფენი დაინახავენ და წამოდგებიან, მთავარნი თაყვანს სცემენ უფლის გამო, რომელიც მტკიცეა, და ისრაელის წმიდის გამო, რომელმაც შენ ამოგარჩია.“

⁸ასე ამბობს უფალი: „სასურველ დროს გისმინე შენ და ხსნის დღეს შეგეწიე; დაგიცავ და გაგხდი ერის აღთქმად, რათა აღადგინო ქვეყანა და მემკვიდრეთ დაუმკვიდრო აოხრებული სამკვიდროები,

⁹რომ უთხრა ტყვეთ: ‘გამოდით!’ და იმათაც, ვინც ბნელშია: ‘გამოჩნდით!’“ გზისპირებზე გამოიკვებებიან, და ყოველ ქაჩალ ბორცვზე იქნება მათი საძოვარი.

¹⁰არ მოშივდებათ და არ მოსწყურდებათ, და არ დაჰკრავს მათ ხორშაკი და მზის არმური, რადგან მათი შემბრალელებელი წარუძღვება მათ და წყლის სათავეებთან მიიყვანს.

¹¹ჩემს ყველა მთას გზად ვაქცევ, და ჩემი ბილიკები აიწევა.



¹²აჰა, ესენი შორიდან მოვლენ და, აჰა, ესენი – ჩრდილოეთიდან და ზღვიდან, ესენი კი – სიენეს ქვეყნიდან.

¹³იმხიარულეთ, ცანო, და ილხინე, დედამიწავ! და შემოსძახეთ, მთებო, სიმღერა, რადგან ანუგეშა უფალმა თავისი ერი და თავის დაჩაგრულთ შეიბრალებს.

¹⁴და თქვა სიონმა: „დამტოვა მე უფალმა და დამივიწყა მე უფალმა!“

¹⁵განა დაივიწყებს ქალი თავის ძუძუთა ბავშვს და არ შეიბრალებს ძეს თავისი მუცლისას? იმათაც რომ დაივიწყონ, მე არ დაგივიწყებ შენ!

¹⁶მე ხომ ჩემს ხელის გულებზე გამოგხაზე, შენი ზღუდენი მუდამ ჩემს წინაშეა.

¹⁷ისწრაფიან შენსკენ შენი მშენებელნი, შენი დამარბეველნი და ამოხრებელნი გავლენ შენგან.

¹⁸მოავლე ირგვლივ თვალი და დაინახე; ყველანი შეიკრიბნენ, მოდიან შენთან. ცოცხალი ვარ, – ამბობს უფალი, – რადგან მათ ყველას სამკაულებივით შეიმოსავ, პატარძალივით მოირთვები.

¹⁹რადგან შენი ნანგრევები და გაუდაბურებული ადგილები, შენი დარბეული ქვეყანა ახლაც კი ძლიერ ვიწრო იქნება საცხოვრებლად, და შენი ჩამყლაპავნი მოგშორდებიან შენ.

²⁰კვლავ იტყვიან შენს გასაგონად შენი დაკარგული შვილების წილ ახლად შეძენილნი: „ვიწროა ჩემთვის ეს ადგილი, გაიწიე, რომ დავსახლდე!“

²¹და შენ იტყვი შენს გულში: „ვინ მიშვა მე ესენი? მე ხომ შვილმკვდარი დედა ვიყავი, უნაყოფო, დევნილი და უკუგდებული? ვინ დაზარდა ესენი? მე ხომ მარტო დავრჩი, სად იყვნენ ესენი?“

²²ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, მე აღვმართავ ჩემს ხელს ხალხებისაკენ, და ერების წინაშე გამოვუტან ჩემს ალამს ტომებს და ისინი მოიყვანენ შენს ვაჟებს კალთით, და შენს ასულთ მხრებით!

²³მეფენი იქნებიან შენი გამზრდელნი და მათი დედოფალნი – შენი ძიძგები. პირქვე დაემხოებიან შენს სათაყვანოდ, და შენს ფერხთა მტკერს ალოკავენ და მიხვდები, რომ მე ვარ უფალი, რომ არ შერცხვებიან ჩემი მოიმედენი!

²⁴განა წაერთმევა ნაალაფარი ძლიერს, ან წაართმევს ვინმე გამარჯვებულს ტყვეებს?

²⁵რადგან ასე ამბობს უფალი: ძლიერსაც წაერთმევა ტყვეები და სასტიკის ნადავლიც გადარჩება, რადგან მე თავად გავუმართავ დავას შენს მოდავეს, და შენს ვაჟებს მე ვიხსნი.



²⁶ვაჭმევ შენს შემჭირვებელთ თავიანთ ხორცს, და, როგორც ტკბილი ღვინით, დათვრებიან ისინი საკუთარი სისხლით. და შეიტყობს ყოველი ხორციელი, რომ მე ვარ უფალი, შენი მხსნელი და შენი გამომსყიდველი, იაკობის ძლიერი.

ესაია 50

¹ასე ამბობს უფალი: სად არის გაყრილობის ბარათი, რომლითაც მე დედათქვენი გავუშვი? ან რომელი ჩემი მევახშისთვის მიმიყიდიახართ ვალში? არა, თქვენ თქვენი ურჯულოების გამო ხართ გაყიდულნი, და დედათქვენიც თქვენი დანაშაულის გამო არის გაშვებული.

²მოვედი და რატომ არავინ არის, ვიძახი და რატომ არავინ იძლევა პასუხს? განა დამოკლდა ჩემი ხელი გამოსყიდვისთვის, ნუთუ აღარ არის ჩემში ძალა ხსნისა? მე ხომ ჩემი მუქართ ზღვას ვაშრობ, უდაბნოდ ვაქცევ ველ-მინდვრებს, სადაც მდინარეები მიედინებოდნენ, თევზი იხოცება წყურვილით და ყროლდება უწყლობით.

³მე ზეცას წყვდიადით ვფარავ და ძაძებით ვბურავ.

⁴უფალმა ღმერთმა მომცა მე ბრძენთა ენა, რომ შევძლო დადლილის გამხნეება სიტყვით. ყოველ დილით მაღვიძებს ის მე, აღვიძებს ჩემს ყურს, რომ მოვისმინო, როგორც ბრძენნი ისმენენ.

⁵უფალმა ღმერთმა გამიხსნა მე ყური, და მე არ გავუძალიანდი, უკან არ დავიხიე.

⁶ზურგი მივუშვირე ჩემს მგვემელთ და ყბები – ვინც წვერებს მაგლეჯდნენ. სახეს არ ვიფარავდი გინებისა და ფურთხისაგან.

⁷ცაბაოთ უფალი მეხმარება მე, ამიტომაც არ დავმცირებულვარ, ამიტომ გავიკაჟე სახე და ვიცი, რომ არ შევრცხვები.

⁸მიახლოვდება ჩემი გამამართლებელი: ვინ არის, რომ მედავება? ერთად დავდგეთ! ვინ არის ჩემი მომჩივანი? მოვიდეს ჩემთან.

⁹აჰა, ცაბაოთ უფალი მეხმარება მე: ვინ უნდა გამამტყუნოს? ყველა ისინი სამოსელივით დაიძენდებიან, ჩრჩილი შეჭამს მათ.

¹⁰ვინ არის თქვენგან, ვისაც ეშინია უფლისა, ვინც უსმენს მისი მსახურის ხმას? ვინ დადის ბნელში და ნათელს ვერ ხედავს, უფლის სახელს ესავს და მინდობილია თავის ღმერთს.



¹¹აჰა, ცეცხლის გამჩაღებელნო, აღმოდებული ისრებით აღჭურვილნო, იარეთ თქვენი ცეცხლის ალში და ხანძრებში, თქვენ რომ დაანთეთ! ჩემი ხელიდან მიიღებთ ამას; ტანჯვით დაიხოცებით.

ესაია 51

¹მისმინეთ მე, სიმართლის მწყურვალნო, უფლის მაძიებელნო! შეხედეთ კლდეს, რომლისგანაც ხართ გამოკვეთილნი, და ნაპრალის სიღრმეს, რომლისგანაც ხართ ამოყვანილნი.

²შეხედეთ აბრაამს, თქვენს მამას, და სარას, თქვენს გამჩენს; რადგან იმ ერთს მოვუხმე, ის ვაკურთხე და ის გავამრავლე.

³რადგან უფალი ანუგეშებს სიონს, ანუგეშებს მის ყველა ნანგრევს; ედემივით აქცევს მის უდაბნოს და მის ტრამალს – უფლის წალკოტივით, სიხარული და მხიარულება იქნება მასში, სამადლობელი და გალობის ხმები.

⁴მისმინე, ჩემო ერო, და ჩემო ტომო, ყური მიგდე! რადგან ჩემგან გამოვა რჯული და ჩემს სამართალს ხალხებს სინათლედ დავუდგენ.

⁵ახლოვდება ჩემი სიმართლე; მოაწია ჩემმა ხსნამ და ჩემი მარჯვენა განსჯის ხალხებს. მე დამენდობიან კუნძულები და ჩემი მკლავის იმედი ექნებათ.

⁶მაღლა ზეცას მიაპყარით თვალი და დაბლა დედამიწას დახედეთ, რადგან ზეცა კვამლივით გაიფანტება და დედამიწა სამოსელივით დაიძენძება, და მისი მცხოვრებნიც მკბენარვით გაწყდებიან, ჩემი ხსნა კი საუკუნოდ იქნება, და ჩემი სიმართლე არ შეწყდება.

⁷მისმინეთ მე, სიმართლის მცოდნენო, ხალხო, რომელთაც ჩემი რჯული გულში გაქვთ. ნუ გემინიათ კაცთაგან შეურაცხებისა და მათი ლანძვარ-გინება ნუ დაგაფრთხობთ.

⁸რადგან, როგორც ტანსაცმელს, ჩრჩილი შეჭამს მათ, და როგორც მატყლს – მატლი, ჩემი სიმართლე კი საუკუნოდ იქნება, და ჩემი ხსნა – თაობიდან თაობაში გადავა.

⁹გაიღვიძე, გაიღვიძე, ძალი შეიმოსე, უფლის მარჯვენავ! გაიღვიძე, როგორც ძველ დროში, შორეულ თაობებში! განა შენ არ შემუსრე რაჰაბი, შენ არ განგმირე ურჩხული?

¹⁰განა შენ არ ამოაშრე ზღვა, წყლები დიდი უფსკრულისა? ზღვის სიღრმენი გზად არ აქციე გამოხსნილთა გასავლელად?



¹¹და დაბრუნდებიან უფლის მიერ გამოსყიდულნი და მოვლენ სიონში სიმღერით, და საუკუნო სიხარული იქნება მათ თავს. შვებას და სიხარულს ეწევიან ისინი: ოხვრა და ვარამი განქარდება.

¹²მე ვარ, მე თავად თქვენი ნუგეშისმცემელი. ვინ ხარ შენ, რომ გეშინია მოკვდავი კაცისა? და ადამის ძისა, რომლის სიცოცხლეს ბალახვითაა?

¹³დაგვიწყებია უფალი, შენი შემქმნელი, ცათა გარდამრთხმელი და დედამიწის დამფუძნებელი. და დღენიდაგ გეშინია შემაჭირებლის რისხვისა, რომელიც შენს მოსასპობად ემზადებოდა. მაგრამ სადღაა შენი შემაჭირებლის რისხვა?

¹⁴მალე გათავისუფლდება დატყვევებული, არ მოკვდება დილეგში, არ მოაკლდება პური.

¹⁵მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, ის ვინც ზღვას დაატებს ქარიშხლებს და აღმუვლებს მის ზვირთებს; ის, ვისი სახელიც ცაბოთ უფალია.

¹⁶მე ჩავდებ ჩემს სიტყვებს შენს ბაგეებში და ჩემი ხელების ჩრდილით დაგფარავ შენ, რათა მოვაწყო ზეცა და დავაფუძნო დედამიწა, და ვუთხრა სიონს: „ჩემი ერი ხარ შენ!“

¹⁷გამოიღვიძე, გამოიღვიძე, ადექი, იერუსალიმ, შენ, რომელმაც შესვი უფლის ხელიდან მისი რისხვის თასი! თრობის თასი ბოლომდე გამოცალე.

¹⁸არა ჰყავდა მას წინამძღოლი მის ნაშობ ძეთა შორის; არა ჰყავდა ხელის შემშველბელი ძეთა შორის, რომლებიც მან დაზარდა.

¹⁹ეს ორივე შენ გეწია – ვის დაენანები? – ძარცვა და დაქცევა, შიმშილი და მახვილი – ვინ განუგემოს შენ?

²⁰შენი ძენი დაუძლურდნენ, ყოველი ქუჩის კუთხე-კუნჭულებში ყრიან, როგორც ბადეში გაბმული არჩვები, სავსენი უფლის რისხვით, შენი ღმერთის მუქარით.

²¹ამიტომ ისმინე ეს, წამებულო და უღვინოდ მთვრალო!

²²ასე ამბობს შენი მეუფე, უფალი და ღმერთი შენი, მოსარჩლე თავისი ხალხისა: „აჰა, ხელიდან გართმევ თრობის თასს, ჩემი რისხვის ფიალას, რომ მეტჯერ აღარ შესვა იგი.

²³და ხელთ მივცემ მას შენს მტანჯველთ, რომლებიც გეუბნებოდნენ: პირქვე დაემხე, რათა შენს ზურგზე გადავიაროთო! და შენ შენი ზურგი მიწასავით დააგე, და ქუჩასავით – გამვლელ-გამომვლელთათვის.“

ესაია 52



- ¹გაიღვიძე, გაიღვიძე, შეიმოსე შენი ძალა, სიონ! შეიმოსე შენი დიდების სამოსი, იერუსალიმ, წმიდა ქალაქო! რადგან ველარ გაივლის შენს ქუჩებში წინადაუცვეთელი და უწმიდური.
- ²ჩამოიბერტყე მტვერი; ადექი, დატყვევებული იერუსალიმ, ქედზე შეიხსენი ჯაჭვები, დატყვევებული სიონის ასული!
- ³რადგან ასე ამბობს უფალი: მუქთად იყავით მიცემულნი და ვერცხლით არ გამოისყიდებით.
- ⁴რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: ერთ დროს მწირობად ჩავიდა ჩემი ერი ეგვიპტეში; შემდეგ კი აშურმა უსამართლოდ დაიმონა იგი.
- ⁵ახლა რა დამრჩენია აქ? – ამბობს უფალი, – როცა ჩემი ხალხი მუქთად არის დატყვევებული, მისი მთავრები გოდებენ, – ამბობს უფალი, – და დღენიადაგ გაუთავებლად იბღალეზა ჩემი სახელი.
- ⁶ამიტომ შეიცნობს ჩემი ერი ჩემს სახელს; ამიტომ სწორედ იმ დღეს შეიცნობს, რომ მე იგივე ვარ, ვინც თქვა: „აჰა, მე აქა ვარ!“
- ⁷რა საამოა მთებზე მახარობლის ფეხის ხმა, მშვიდობის მაუწყებლის, სიკეთის მაცნის, ხსნის მოამბის, რომელიც ეუბნება სიონს: „გამეფდა შენი ღმერთი!“
- ⁸ხმა გაისმა შენი გუშაგებისა – მათ ხმა აღიმალღეს, და ყველამ ერთად შეჰყიჟინა, რადგან თავისი თვალთ ხედავენ უფლის დაბრუნებას სიონში.
- ⁹მხიარულად შემოსძახეთ ყველამ ერთად, იერუსალიმის ნანგრევებო, რადგან ანუგეშა უფალმა თავისი ერი, გამოისყიდა იერუსალიმი.
- ¹⁰დაიკაპიწა უფალმა წმიდა მკლავები ყველა ხალხების თვალწინ; და დაინახავს დედამიწის ყოველი კიდე ხსნას ჩვენი ღმერთის მიერ.
- ¹¹გაშორდით, გაშორდით, გამოდით იქიდან, ნუ შეეხებით უწმიდურს, გამოდით იქიდან, განიწმიდეთ, უფლის ჭურჭლის მტვირთველნო!
- ¹²მაგრამ გამოსვლისას არ იჩქარებთ და არც სირბილით ივლით, რადგან უფალი წაგიძღვებათ, და თქვენს უკან მცველად იგივე იქნება – ისრაელის ღმერთი.
- ¹³აჰა, წარემართება ჩემს მონას, აღიმართება, აიწევა და დიდად ამაღლდება.
- ¹⁴მრავალი მისი მნახველი განცვიფრდა, რადგან დამახინჯებული იყო მისი პირისახე ისე, როგორც არავისი, და მისი იერი ადამის ძისას აღარ ჰგავდა.
- ¹⁵აჰა, გაოცდებიან მრავალი ხალხები, მისი შემხედვარე მეფენი დადუმდებიან მის წინაშე, როცა იხილავენ იმას, რაც არავის უამბია მათთვის, და რაც არ სმენიათ, იმას გაიგებენ.



ესაია 53

¹ვინ დაიჯერა უწყება, რაც ჩვენგან გაისმა? ვის გამოეცხადა უფლის მარჯვენა?

²ამოიზარდა, როგორც მორჩი უფლის წინაშე და როგორც ფესვი ურწყული მიწიდან; არც ღირსება ჰქონია მას და არც მშვენება, რომ შეგვეხედა მისთვის, არც იერი, რომ მივეზიდეთ.

³საძულველი იყო, კაცთაგან ათვალწუნებული, გატანჯული და დასნეულებული. სახეს ვარიდებდით მას, შესაზიზღი იყო და არაფრად ვაგდებდით.

⁴მაგრამ მან იტვირთა ჩვენი სნეულებანი და ჩვენი ტკივილებით გაიტანჯა, ჩვენ კი ვფიქრობდით, რომ ნაგვემი იყო, ღმერთის მიერ დასჯილი და დამცირებული.

⁵მაგრამ ის დაჭრილი იყო ჩვენი ცოდვების გამო, და ტანჯული ჩვენი უკეთურების გამო; ჩვენი სასჯელი მასზე იყო; და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ.

⁶ჩვენ ყველას გზა აგვებნა ცხვრებივით და თითოეული ჩვენგანი თავის გზას დაადგა. უფალმა მას დააკისრა ყველა ჩვენგანის ცოდვები.

⁷ის ევნო და თავისი ნებით ეწამა და არ გაუხსნია ბაგე; როგორც ცხვარი ისე მიჰყავდათ დასაკლავად და როგორც კრავი დუმს მისი მპარსველის წინაშე, ისე არ გაუხსნია მას ბაგეები.

⁸შეიპყრეს ის და სამსჯავროს გადასცეს; ვის ადარდებდა მისი ბედი? მოკვეთილ იქნა ცოცხალთა ქვეყნიდან, განიგმირა ჩემი ხალხის დანაშაულის გამო.

⁹სამარხი ბოროტმოქმედთა გვერდით მიუჩინეს, მაგრამ მდიდართან დაიკრძალა, რადგან არ ჩაუდენია ცოდვა, და სიცრუე არ იყო მის ბაგეებში.

¹⁰მაგრამ უფალმა ინება მისი შემუსვრა, და მან მისცა იგი დასატანჯად; როცა მისი სული მიიტანს ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად, იხილავს თავის მონაგარს, გაუგრძელდება დღეები და უფლის ნება მისი ხელით აღსრულდება.

¹¹თავისი სულის ნაღვაწს კმაყოფილებით იხილავს; თავისი სიბრძნით მრავალთ გაამართლებს მართალი ჩემი მონა, და მათ ცოდვებს ის იტვირთავს.

¹²ამიტომ წილს მივცემ მას მრავალთა შორის და ძლიერებთან გაინაწილებს ნადავლს, იმის სანაცვლოდ, რომ სასიკვდილოდ გაწირა თავისი სული და



ბოროტმოქმედებთან შეირაცხა. და მრავალთა ცოდვა იტვირთა და ცოდვილებს გამოესარჩლა.

ესაია 54

¹გაიხარე, ბერწო, უშობელო; შესძახე და იკიჟინე უტანჯველო მშობიარობით; მიტოვებულს მეტი ძენი ეყოლება, ვიდრე ქმრიანსო, – ამბობს უფალი.

²განავრცე ადგილი შენი კარვისა და შენი ჩარდახების ფარდაგები გააფართოვე; ნუ ერიდები, დააგრძელე შენი საბელები და ღრმად დასხი შენი პალოები,

³რადგან მარჯვნივ და მარცხნივ განივრცობი და შენი მოდგმა ხალხებს დაიპყრობს და გაუკაცრიელებულ ქალაქებს დაასახლებს.

⁴ნუ გეშინია, რადგან არ შერცხვები; ნუ შეძრწუნდები, რადგან არ გაილანძლები: დაგავიწყდება სიჭაბუკის დღეთა დაცინვა, და შენს სამარცხვინო დაქვრივებას არ გაიხსენებ.

⁵რადგან შენი შემქმნელი ქმარია შენი; ცაბაოთ უფალია მისი სახელი; და შენი მხსნელი – ისრაელის წმიდა; ქვეყნიერების ღმერთი ეწოდება მას.

⁶რადგან როგორც მიტოვებულ და სულგამწარებულ ქალს, ისე მოგიხმობს შენ უფალი, და როგორც სიყრმის ცოლს, რომელიც მოძულებული ჰყავდა ქმარს! – ამბობს შენი ღმერთი.

⁷მცირე ხნით მიგატოვე, მაგრამ დიდი მოწყალებით შეგკრებ შენ.

⁸რისხვის გზნებაში დაგიფარე დროებით ჩემი სახე, მაგრამ საუკუნო წყალობით შეგიწყალებ! – ამბობს შენი მხსნელი უფალი.

⁹რადგან ეს ჩემთვის ნოეს წყლებივით არის: როგორც დავიფიცე, რომ ნოეს წყლები მეტად აღარ გადაუვლიან დედამიწას, ისე დავიფიცე, რომ აღარ განვრისხდე შენზე და არ გაგკიცხო.

¹⁰რადგან მთები დაიდვრებიან და ბორცვები შეირყევიან, ჩემი წყალობა კი არ მოგცილდება შენ, და ჩემი სამშვიდობო აღთქმა არ შეირყევა, – ამბობს შენი მწყალობელი უფალი.

¹¹წამებულო, ქარიშხლით წაღებულო, უნუგეშებულო! აჰა, შემოგიშენებ კედლებს ანთრაკის ქვით და საძირკვლად საფირონს დაგიდებ.

¹²ზადახშით გაგიკეთებ ქონგურებს და კარიბჭეებს – ლალის ქვით, და შენს ყველა ზღუდეს – პატიოსანი ქვით.

¹³შენს ყველა ძეს უფალი განსწავლის და დიდი იქნება მათი კეთილდღეობა.



¹⁴სიმართლით განმტკიცდები, შორს იქნები ჩაგვრისაგან, არ შეძრწუნდები და შიშის ზარი არ აგიტანს შენ.

¹⁵აჰა, მოგიხდებიან, მაგრამ არა ჩემგან; ვინც კი შეგებრძოლება, შენს წინ დაეცემა.

¹⁶მე გავაჩინე მჭედელი, რომელიც ნახშირს აღვივებს ცეცხლში და იარაღს ჭედავს თავისი საქმისათვის; და მე ვქმნი დამღუპველს, რომელსაც განადგურება მოაქვს.

¹⁷ყოველი იარაღი, შენს წინააღმდეგ რომ იჭედება, გაცუდდება; და ყოველ ენას, რომელიც შენს წინააღმდეგ წარსდგება სამსჯავროში, შენ დასძლევ. ეს არის ხვედრი უფლის მონათა, და მათი გამართლება ჩემგან არის, – ამბობს უფალი.

ესაია 55

¹წყლებთან მოდით მწყურვალნო! თქვენც უვერცხლონო, მოდით, მიიღეთ საჭმელი და ჭამეთ. მოდით და მიიღეთ ღვინო და რძე უვერცხლოდ და უსასყიდლოდ.

²რატომ უწონით ვერცხლს იმაში, რასაც პურს ვერ დაარქმევ? რატომ აძლევთ თქვენი კირთებით ნაშოვნს იმაში, რაც მაწიერი არ არის? მე თუ მომისმენთ, ნუგბარს შეჭამთ, და სიმსუყეში განცხრება თქვენი სული.

³ყური მომაპყარით და მოდით ჩემთან, მისმინეთ და იცოცხლებს თქვენი სული; და დავდებ თქვენთან საუკუნო აღთქმას, როგორც სარწმუნო წყალობას, დავითს რომ აღვუთქვი.

⁴აჰა, ერების მოწმედ განვაწესე იგი, ხალხების წინამძღოლად და მბრძანებლად.

⁵აჰა, ხალხს, რომელსაც არ იცნობდი, მოუხმობ შენ! და ხალხები, რომელნიც არ გიცნობდნენ, მოგაშურებენ, შენი უფალი ღმერთის და ისრაელის წმიდის გამო, რადგან მან განგადიდა შენ.

⁶ემიეთ უფალი, ვიდრე შეიძლება მისი პოვნა, მოუხმეთ მას, სანამ ახლოსა.

⁷დატოვოს ბოროტმა თავისი გზა, ცოდვილმა – თავისი ზრახვები; დაუბრუნდეს უფალს და ის შეიწყალებს მას; მიუბრუნდეს ჩვენს ღმერთს, რადგან მრავალმოწყალეა ის.

⁸ჩემი ფიქრები თქვენი ფიქრები არ არის, და თქვენი გზები ჩემი გზები არ არის, – ამბობს უფალი. –



⁹როგორც ცაა დედამიწაზე მაღლა, ისე ჩემი გზებია თქვენს გზებზე მაღლა, და ჩემი ზრახვებია – თქვენს ზრახვებზე მაღლა.

¹⁰რადგან, როგორც წვიმა და თოვლი ჩამოდის ციდან და უკან აღარ ბრუნდება, თუ არ მორწყა მიწა, თუ არ აშობინა და არ აღმოაცენებინა, რომ მისცეს თესლი მთესველს და პური მჭამელს.

¹¹ასევეა ჩემი სიტყვაც, რომელიც გამოდის ჩემი ბაგეებიდან, – ის უკან არ მიბრუნდება უნაყოფოდ, რადგან იმას აკეთებს, რაც მე მწადია, და იმას აღასრულებს, რისთვისაც მე მივაველებ მას.

¹²სიხარულით გახვალთ, და მშვიდობის გზით ივლით. მთები და ბორცვები მხიარულ ყიჟინას დასცემენ თქვენს წინაშე და ველის ყველა ხე ტაშს დაგიკრავთ.

¹³მეძვის ნაცვლად კვიპაროსები დაიზრდება და ქაცვის წილ – მირტი. და იქნება ეს უფლის დიდების საუკუნოდ წარუშლელ ნიშნად.

ესაია 56

¹ასე ამბობს უფალი: „დაიცავით რჯული და ქმენით სამართალი, რადგან ახლოსაა ჩემი ხსნა, და ჩემი სიმართლე გაცხადდება.“

²ნეტარია კაცი, ვინც ამას მისდევს, და ადამის ძე, ვინც მას შეითვისებს; ვინც იცავს შაბათს და ხელს არ იწვდის სიავის საქმენილად.“

³ნუ იტყვის უფალთან შემოერთებული უცხოტომელის ძე: უფალმა სრულიად გამმიჯნაო თავისი ერისაგან; და ნუ იტყვის საჭურისი: მე ხომ გამხმარი ხე ვარო!

⁴რადგან ასე ამბობს უფალი: „საჭურისებს, რომლებიც ჩემს შაბათებს იცავენ, ჩემს საწადელს ირჩევენ და ჩემს აღთქმას ინახავენ,

⁵მე მივცემ ჩემს სახლში და ჩემს კედლებში ადგილსა და სახელს უკეთესს, ვიდრე ჩემს ვაჟებსა და ასულებს; საუკუნო სახელს მივცემ მათ, რომელიც არასოდეს წაიშლება.“

⁶და ასევე, უფალთან შემოერთებულ უცხოტომელთ, რომლებიც ემსახურებიან მას და უყვართ უფლის სახელი, რათა იყვნენ მისი მსახურნი; ყველას, შეუბღალავად რომ იცავს შაბათს, და ჩემს აღთქმას მოჰიდებულთ.

⁷მე მოვიყვან მათ ჩემს წმიდა მთაზე და გავახარებ ჩემს სამლოცველო სახლში; მათი სრულადდასაწველები და შესაწირავები სასურველი იქნება ჩემს სამსხვერპლოზე, რადგან ჩემს სახლს სამლოცველო სახლი დაერქმევა ყველა ხალხებისათვის.“



⁸ამბობს უფალი ღმერთი, გაფანტულ ისრაელიანთა შემკრები: „მასთან შეკრებილებთან კიდევ სხვებსაც შევკრებ.“

⁹მოდიოთ, ველის ნადირებო, ტყის მხეცებო, მოდიოთ და ჭამეთ!

¹⁰გუშაგნი აქ ბრმები არიან, უგუნურნი, ყველა მათგანი მუნჯი ძაღლია, არ შეუძლია ყეფა, ძილისგუდები არიან, დაბლა ყრიან, თვლემა უყვართ.

¹¹სულხარბი ძაღლები არიან, რომლებიც ვერ ძღებიან; მწყემსები არიან, უგონონი, ყველა თავისი გზით გაემართა, თითოეული – თავის ანგარებას ეძებს.

¹²და ამბობენ: „მოდიოთ, ავიღოთ ღვინო და დავთვრეთ სასმელით, დღესაც გვეყოფა და ხვალისთვისაც ბევრი დარჩება!“

ესაია 57

¹კვდება მართალი და არ არის კაცი, გულთან რომ მიიტანოს ეს; მადლის კაცები წარიტაცებიან და არავის ესმის, რომ ბოროტების მიზეზით წარიტაცება მართალი.

²ის გადის სამშვიდობოს; სწორი გზით მავალნი საკუთარ სარეცლებზე დაისვენებენ.

³მოახლოვდით აქ, გრძნეული ქალის ძენო, მრუშისა და მეძავის თესლნო.

⁴ვის დასცინით? ვისზე მოგიღრღვევიათ პირი, წაგიგრძელებიათ ენა? თქვენ ხომ ცოდვის ძენი ხართ, სიცრუის თესლი!

⁵მუხათა შორის აღგეძვრებათ თქვენი გულისთქმა, ყოველი მწვანე ხის ქვეშ, თქვენს ბავშვებს კი მსხვერპლად სწირავთ კლდეთა ნაპრალებში!

⁶ხევის სიპ ქვებშია შენი წილი, ისინია შენი ხვედრი. სწორედ მათ უღვრიდი შენ საღვრელს, მიართმევდი ძღვენს. როგორ მოვითმინო ეს დამშვიდებით?

⁷მაღალ და აღმართულ მთაზე მოაწყვე შენი საწოლი, იქაც ადიხარ მსხვერპლის შესაწირად.

⁸კარსა და წირთხლებს უკან დასდე შენი სამახსოვრო ნიშნები; რადგან ჩემგან გაიშიშვლე თავი და მაღლა ახვედი, გააფართოვე შენი საწოლი და კავშირი შეჰკარი მათთან, მათი საწოლიც შეიყვარე და იხილე მათი კაცობა.

⁹ეცხადებოდი მეფეს ნელსაცხებლებით პოხილი, და აუხვებდი შენს ნელსაცხებლებს, და გზავნიდი შენს მაცნეებს შორეთამდე და ქვესკნელამდე იმდაბლებდი თავს.



¹⁰შენი გრძელი გზა გქანცავდა, მაგრამ არ გითქვამს: იმედი დავკარგეო; შენს სხეულში სიცოცხლეს გრძნობდი, ამიტომაც არ დამაბუნდი.

¹¹ვის უფრთხოდი და ვისი შეგეშინდა, როცა მღალატობდი და აღარ გახსოვდი? გულთან რომ არ მიმიტანე? რაკი დიდხანს ვდუმდი, ალბათ ამიტომ არ გეშინოდა ჩემი.

¹²მე გამოვაცხადებ შენს სიმაღლეს და შენს საქმეებს, და სიკეთეს არ მოგიტანენ ისინი.

¹³როცა აყვირდები, მაშინ გიშველოს შენი კერპების კრებულმა! მაგრამ მათ ყველას ქარი წაიღებს, მსუბუქი ქროლვაც კი, ჩემი მოიმედე კი დაიმკვიდრებს მიწას, და ჩემს წმიდა მთას დაეპატრონება.

¹⁴და თქვა: „მოასწორეთ, მოასწორეთ, გაამზადეთ გზა, მოაშორეთ დაბრკოლება ჩემი ხალხის გზიდან!“

¹⁵რადგან ასე ამბობს მაღალი და აღზევებული, მარადმსუფვეი და წმიდა სახელიანი: „მე ვსუფევ მაღალში და სიწმიდეში, მაგრამ მე ვარ ტანჯულთანაც და სულით გლახაკთანაც, რათა გავაცოცხო გლახაკთა სული და გავაცოცხო ტანჯულთა გული.“

¹⁶რადგან საუკუნოდ არ ვიდავებ და არც უკუნისამდე ვიმრისხანებ მე, რადგან დაუძლურდება ჩემს წინაშე სული და სამშვინელნი, მე რომ შევქმენი.

¹⁷მათი ანგარების ცოდვის გამო განვრისხდი და ვგვემე ისინი, დავმალე სახე და ვმრისხანებდი; ის კი, განდგომილი, მიდიოდა თვისი გულის გზით.

¹⁸მისი გზები ვიხილე მე, განვკურნავ მას და წავიყვან, ვანუგეშებ და გავამართლებ მგლოვიარეს.

¹⁹და გავაჩენ მათ ბაგეებში ქების სიტყვას. მშვიდობა, მშვიდობა – შორებელსა და ახლობელს! – ამბობს უფალი. – მე განვკურნავ მათ!“

²⁰ბოროტეულნი კი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ ცხრება, და ანთხევს მისი წყალი შლამსა და ტალახს.

²¹„არაა მშვიდობა ბოროტეულთათვის,“ – ამბობს ჩემი ღმერთი.

ესაია 58

¹იყვირე მთელი ხმით, თავს ნუ დაზოგავ; ბუკივით აღიმადლე ხმა, და გამოუცხადე ჩემს ხალხს მისი დანაშაული და იაკობის სახლს – მისი ცოდვები.



- ² ისინი ყოველდღე მეძიებენ მე და სურთ ჩემი გზების ცოდნა, როგორც ერი, რომელიც სიმართლეს იქმს და თავისი ღმერთის სამართალს არ ივიწყებს; მეკითხებიან მე მართალ სამართალზე, ღმერთთან სიახლოვე სწადიათ მათ.
- ³ რატომ ვმარხულობთ, თუკი არ გვხედავო? რატომ მოვიდრეკთ სულს, თუკი არ გვამჩნევო? – აჰა, თქვენი მარხვის დღეს აღწევთ თქვენს საწადელს და მძიმე შრომას მოითხოვთ სხვათაგან.
- ⁴ თქვენ ხომ დავისთვის და ჩხუბისათვის მარხულობთ, და იმისათვის, რომ დაურიდებლად ურტყათ სხვებს. ნუ იმარხულებთ, როგორც დღეს, რათა ცას მისწვდეს თქვენი ხმა.
- ⁵ განა ასეთია ის მარხვა, რომელიც მე ამოვარჩიე, დღე, როცა ადამიანი სულს იტანჯავს, როცა თავს იდრეკს ლერწამივით, და ძამასა და ნაცარს იფენს ქვეშ? ამას უწოდებ მარხვასა და უფლის საწადელ დღეს?
- ⁶ აი მარხვა, რომელიც ამოვარჩიე: გახსენი ხუნდები უსამართლობის, შეხსენი აპეურები უღელს, ჩაგრულნი გაათავისუფლე და ყველა უღელი დალექე;
- ⁷ გაუნაწილე შენი ლუკმა მშვიერს და ღარიბნი და მწირნი შემოიყვანე სახლში; შიშველს რომ ნახავ, შემოსე, და შენს სისხლსა და ხორცს ნუ დაემალები.
- ⁸ მაშინ ცისკარივით აკიაფდება შენი ნათელი, და შენი კურნება სწრაფად აღმოცენდება, წინ წაგიძღვება შენი სიმართლე, და უფლის დიდება გარემოგიცავს.
- ⁹ მაშინ მოუხმობ და უფალი გიპასუხებს; შეჰღალადებ და ის გეტყვის: „აქა ვარ!“ როცა მოიცილებ უღელს, თითის მიშვერას და ძვირის თქმას,
- ¹⁰ და მისცემ მშვიერს შენს სულს და წამებულის სულს გაადლობ, მაშინ გაბრწყინდება სიბნელეში შენი ნათელი და შენი წყვდიადი შუადღესავით იქნება.
- ¹¹ წინ წაგიძღვება უფალი მუდამ და დააკმაყოფილებს შენს სულს გვალვებში, შენს ძვლებს გაამაგრებს და იქნები, როგორც მორწყული ბაღი და როგორც წყარო, რომლის წყლებიც არასდროს დაშრება.
- ¹² საუკუნო ნანგრევებზე კვლავ ააშენებ ქალაქებს: შენ აღადგენ მრავალ თაობათა საფუძვლებს, და დაგერქმევა ნანგრევთა აღმდგენელი, ხალხთა გზების განმახლებელი.
- ¹³ თუ დააკავებ შაბათს შენს ფეხს შენი სურვილის შესრულებისაგან, ჩემს წმიდა დღეს, და უწოდებ შაბათს – შვებას, უფლის წმიდა დღეს,



განდიდებულს და განადიდებ მას იმით, რომ არ გააკეთებ შენს ჩვეულ საქმეებს, არ ეძიებ საწადელს და ფუჭსიტყვაობას არ მოჰყვები,

¹⁴მაშინ გაიხარებ უფალში, მე აგიყვან დედამიწის სიმაღლეებზე და გამოგვკვებავ იაკობის, შენი მამის, წილხვედრით, რადგან უფლის ბაგეებმა ბრძანა ეს.

ესაია 59

¹აჰა, არ დამოკლებულა უფლის ხელი, რომ იხსნას; და არ დამძიმებულა მისი ყური, რომ ისმინოს.

²რადგან თქვენმა უკეთურებამ გაგმიჯნათ ერთმანეთისგან თქვენ და თქვენი ღმერთი, და თქვენმა ცოდვებმა დაფარეს მისი სახე თქვენგან, რომ არ ესმინა.

³რადგან თქვენი ხელები დასვრილია სისხლით და თქვენი თითები – უკეთურებით; თქვენი ბაგენი სიცრუეს ლაპარაკობენ, თქვენი ენა ტყუილს წარმოთქვამს.

⁴არავინ იმალღებს ხმას სიმართლისთვის, არავინ იცავს ჭეშმარიტებას; ამოთი იმედოვნებენ და სიცრუეს ლაპარაკობენ, ფეხმძიმდებიან სიავით და შობენ ბოროტებას.

⁵ასპიტის კვერცხებს ჩეკენ და ობობას ქსელს ქსოვენ. მათი კვერცხის მჭამელი მოკვდება, და თუ ვინმე გატეხს, იქედნე გამოძვრება.

⁶მათი ქსელი გამოუსადეგარია სამოსლად, და თავიანთი ნაკეთობით ვერ დაიფარავენ თავს. მათი საქმეები უსამართლო საქმეებია, და ძალმომრეობაა მათ ხელებში.

⁷ფეხები ბოროტებისაკენ გაურბით, და უდანაშაულო სისხლის დასაღვრელად ისწრაფიან; მათი ზრახვები უკეთური ზრახვებია, ნგრევა და გაპარტახებაა მათ ბილიკებზე.

⁸მშვიდობის გზები არ იციან მათ, და სამართალი არაა მათ ბილიკებზე; მათი გზები გამრუდებულია, და იმ გზებზე მავალმა არავინ იცის მშვიდობა.

⁹ამიტომაც რომ გაგვშორდა სამართალი და სიმართლე ვერ გვეწვევა ჩვენ; სინათლეს ველით, მაგრამ ბნელში ვართ, ველით გამობრწყინებას, მაგრამ წყვდიადში დავდივართ.

¹⁰ბრმეებივით ხელის შეხებით მივყვებით კედელს და როგორც უთვალისჩინონი, ხელის ცეცებით დავდივართ; ვბორძიკობთ შუადღისას, როგორც ბინდში, ვართ ცოცხალთა შორის – როგორც მკვდრები.



¹¹დათვებივით ვღრიალებთ ყველანი და ვკვნესით მტრედებივით; მოველით სამართალს და არ ჩანს, მოველით ხსნას – და შორსაა ჩვენგან.

¹²რადგან გამრავლდა ჩვენი დანაშაული შენს წინაშე, და ჩვენი ცოდვები მოწმობენ ჩვენს წინააღმდეგ; რადგან ჩვენი დანაშაული ჩვენთანაა და ჩვენი შეცოდებანი ჩვენ ვიცით.

¹³ღალატი და თვალთმაქცობა ჩავიდინეთ უფლის წინაშე, და განვუდექით ჩვენს ღმერთს; ვლაპარაკობდით სიავესა და ღალატზე, ჩავისახავდით და გულიდან წარმოვთქვამდით ცრუ სიტყვებს.

¹⁴უკან დაიხია სამართალმა, და შორს განდგა სიმართლე, რადგან წაბორძიკდა ჭეშმარიტება მოედანზე, და პატიოსნება ვეღარ შემოდის.

¹⁵ადარ არის ჭეშმარიტება და ბოროტისაგან გამდგარი შეურაცხყოფილია. დაინახა უფალმა ეს და შესძაგდა მის თვალს, რომ არ არის სამართალი.

¹⁶დაინახა, რომ არ არის კაცი, და გაოცდა, რომ არ იყო დამცველი; და მიეშველა უფალს მისი მკლავი და მისი სიმართლე შეუდგა საყრდენად.

¹⁷და შეიმოსა უფალმა სიმართლე, როგორც ჯავშანი, და ხსნის მუზარადი თავის თავზე; და შეიმოსა შურისგების სამოსელი ტანსაცმლად და მრისხანება მოისხა მოსასხამივით.

¹⁸შურისგების მიხედვით მიუზღავს იგი თავის მოწინააღმდეგეთ – მრისხანებით, თავის შემჭირვებელთ – შურისგებით, კუნძულებს სამაგიეროს მიუზღავს.

¹⁹და შეეშინდებათ უფლის სახელისა დასავლეთში და მისი დიდებისა მზის აღმოსავლეთში. თუ მტერი მოვა ნიაღვარივით, უფლის ქარის ქროლვა გადენის მას.

²⁰და მოვა მხსნელი სიონისა და ცოდვას განრიდებულ იაკობის ძეთა, – ამბობს უფალი. –

²¹და ეს არის ჩემი აღთქმა მათთან, – ამბობს უფალი: – ჩემი სული, რომელიც შენზეა, და ჩემი სიტყვები, რომლებიც ჩაგიდე ბაგეებში, არ განდგებიან შენი ბაგეებიდან, არც შენი მოდგმის ბაგეებიდან, არც შენს მოდგმათა მოდგმის ბაგეებიდან, ამიერიდან და უკუნისამდე, – ამბობს უფალი.

ესაია 60

¹ადექი, განათდი, იერუსალიმ, რადგან მოვიდა შენი ნათელი და უფლის დიდება შენზე ამობრწყინდა.



- ²რადგან, აჰა, წყვდიადი დაფარავს დედამიწას, და ბნელი – ხალხებს; შენზე კი უფალი ინათებს და მისი დიდება შენზე გამოჩნდება.
- ³და მოვლენ ხალხები შენს ნათელზე და მეფენი – შენი სხივების ნათებაზე.
- ⁴თვალი მოატარე ირგვლივ და იხილე: ყველანი იკრიბებიან, შენთან მოდიან; შენი ძენი შორიდან მოდიან და შენი ასულნი მხრებით მოჰყავთ .
- ⁵მაშინ დაინახავ და გაიხარებ, აგიძგერდება გული და გაგეხსნება, რადგან შენსკენ მოიქცევა ზღვის სიმდიდრე, ხალხთა დოვლათი შენთან მოვა.
- ⁶აქლემთა სიმრავლე დაგფარავს შენ – მიდიანისა და ეფას კოზაკები; ყველანი შებადან მოვლენ, ოქროსა და გუნდრუკს მოიტანენ და უფლის დიდებას გააცხადებენ.
- ⁷კედარის მთელ ფარებს შენთან მორეკავენ; ვერძნი ნებაიოთისა შენს ხელთ იქნებიან: სასურველ მსხვერპლად ავლენ ჩემს სამსხვერპლოზე, და ჩემი დიდების სახლს გავუთქვამ სახელს.
- ⁸ვინ არიან ესენი, რომ ღრუბლებივით დაცურავენ, და ფრენენ, როგორც მტრედები, თავიანთ სამტრედესთან?
- ⁹მე მელიან კუნძულები და თარშიშის ხომალდები პირველნი მოცურავენ აქეთ! შორიდან მოჰყავთ შენი ძენი, მოაქვთ მათი ოქრო-ვერცხლი – შენი უფალი ღმერთისა და ისრაელის წმიდის სასახელოდ, რადგან მან განგადიდა შენ.
- ¹⁰უცხოტომელთა ძენი აგიშენებენ გალავნებს და მათი მეფენი მოგემსახურებიან, რადგან ჩემი მრისხანებისას გგვემდი შენ, ხოლო ჩემი სათნოებისას მოწყალე ვიქნები შენს მიმართ.
- ¹¹და ღია იქნება მუდამ შენი კარიბჭე, არც დღისით და არც ღამით არ დაიკეტება, რათა მოიტანონ შენთან ხალხთა დოვლათი და შემოიყვანონ მათი მეფეები.
- ¹²რადგან ხალხი და სამეფონი, რომელნიც არ დაგემორჩილებიან, – დაილუპებიან; და ის ხალხები სრულიად გაქრებიან.
- ¹³ლიბანის დიდება შენთან მოვა, კვიპაროსი და ნეკერჩხალი და ფიჭვი მათთან ერთად, რათა დამიმშვენონ ჩემი საწმიდრის ადგილი, და მე განვადიდებ ჩემს კვარცხლბეკს.
- ¹⁴მოგივლენ ქედმოდრეკილნი შენს შემაჭირვებელთა ძენი, და თაყვანს სცემენ შენს ფერხთა მტვერს ყველა შენი მოძულენი, და გიწოდებენ საუფლო ქალაქს, ისრაელის წმიდის სიონს.



¹⁵იმის წილ, რომ მიტოვებული და მოძულებული იყავი და არავინ გადიოდა შენს გზებზე, მე გაქცევ საუკუნო სიამაყედ, სიხარულად თაობიდან თაობამდე.

¹⁶შენ გაძღები ხალხების რძით და მეფეთა ძუძუს მოსწოვ, და გაიგებ, რომ მე ვარ უფალი – შენი მხსნელი და შენი გამომსყიდველი, იაკობის ძლიერი.

¹⁷ბრინჯაოს ნაცვლად მოგიტან ოქროს და რკინის ნაცვლად ვერცხლს, ხის ნაცვლად – ბრინჯაოს და ქვის ნაცვლად – რკინას; და განმგებლად დაგიყენებ მშვიდობას და შენს ზედამხედველად – სიმართლეს.

¹⁸ვედარ გაიგონებენ ძალადობის ხმას შენს ქვეყანაში, ძარცვისა და ნგრევისას – შენს საზღვრებში; და უწოდებ შენს გალავნებს ხსნას და შენს კარიბჭეებს – დიდებას.

¹⁹მზე აღარ გექნება დღის სინათლედ და მთვარის ციალი არ გაგინათებს, არამედ უფალი იქნება შენი საუკუნო ნათელი, და შენი ღმერთი – შენი დიდება.

²⁰აღარ ჩავა მეტად შენი მზე და შენი მთვარე არ დაცხრება, რადგან უფალი იქნება შენი საუკუნო ნათელი, და დასრულდება დღენი შენი გლოვისა.

²¹და შენი ერი ერთიანად მართალი იქნება; საუკუნოდ დაიმკვიდრებს ქვეყანას, ყლორტს – ჩემი მორჩისას, ჩემი ხელის ქმნილებას, ჩემს სადიდებლად.

²²მცირედი ათასეულად იქცევა და უმრწემესი – ძლიერ ხალხად. მე, უფალი, თავის დროზე დავაჩქარებ ამას.

ესაია 61

¹უფალი ღმერთის სულია ჩემზე, რადგან მცხო მე უფალმა გლაზაკთა სახარებლად; წარმომავლინა, რათა წყლული გავუმრთელო გულშემუსვრილთ, ტყვეებს ვახარო გათავისუფლება და პატიმართ – დილეგის კარის გაღება;

²რათა გამოვაცხადო უფლის სასურველი წელი და ჩვენი ღმერთის შურისგების დღე, და რათა ვანუგეშო ყოველი მგლოვიარე,

³ვაუწყო სიონზე მყოფ მგლოვიარეთ, რომ მიიღებენ ნაცრის წილ დიადემას, გლოვის წილ – სიხარულის საცხებელს, მჭმუნვარე სულის წილ მშვენიერ სამოსელს, და უწოდებენ მათ სიმართლის მუხებს, უფლისგან დანერგილს მის სადიდებლად.



⁴და გააშენებენ საუკუნოვან ნაოხარებს, აღადგენენ წარსულის დღეთა ნანგრევებს და განაახლებენ დანგრეულ ქალაქებს, თაობიდან თაობამდე გაუდაბურებულთ.

⁵მოვლენ უცხოთა ნაშობნი და დამწყემსავენ თქვენს ფარებს; და უცხოთესლნი იქნებიან თქვენი მიწისმუშები და თქვენი მევენახეები.

⁶უფლის მღვდლებს გიწოდებენ, და თქვენზე იტყვიან: ჩვენი ღვთის მსახურნი არიანო; ხალხების დოვლათს შექამთ და მათი დიდება გადმოვა თქვენზე.

⁷თქვენი სირცხვილის ნაცვლად ორმაგი სიხარული მოგეზღვებათ, და შეურაცხების ნაცვლად – მხიარულება, ამიტომ თავიანთ ქვეყანაში ორმაგ წილს დაიმკვიდრებენ, და საუკუნო სიხარული ექნებათ.

⁸რადგან მე, უფალს, მიყვარს სამართალი, მძაგს ყაჩაღობა, მე მივაგებ მათ საზღაურს ჭეშმარიტებით და საუკუნო აღთქმას დავუდებ;

⁹და ცნობილი გახდება მათი მოდგმა წარმართთა შორის, და მათი შთამომავალნი – ერებს შორის; ყველა მათი მხილველი მიხვდება, რომ უფლის მიერ ნაკურთხი თესლია ის.

¹⁰სიხარულით ვიხარებ უფალში და მოილხენს ჩემი სული ჩემს ღმერთში, რადგან მან შემშოა მე ხსნის სამოსლით, სიმართლის ტანსაცმელი ჩამაცვა მე, როგორც ნეფეს დამადგა გვირგვინი და როგორც სასძლო, მომართო სამკაულებით.

¹¹რადგან, როგორც მიწა აღმოაცენებს მცენარეს და, როგორც ბაღი ზრდის ჭირნახულს, ისე უფალი ღმერთი გამოავლენს სამართალს და დიდებას ყოველი მოდგმის წინაშე.

ესაია 62

¹სიონის გამო არ დავდუმდები და იერუსალიმის გამო არ დავმშვიდდები, ვიდრე ნათელივით არ გამოვა მისი სიმართლე და მისი ხსნა ანთებული ჩირაღდანივით.

²და დაინახავენ ხალხები შენს სიმართლეს და ყოველი მეფე – შენს დიდებას, და გიწოდებენ ახალ სახელს, რომელსაც წარმოსთქვამენ უფლის ბაგენი.

³და იქნები დიდების გვირგვინად უფლის ხელში და სამეფო დიადემად შენი ღმერთის მარჯვენაში.

⁴აღარ დაგიძახებენ მიტოვებულს და შენს ქვეყანას აღარ დაერქმევა უკაცრიელი, რადგან გეწოდება: „ჩემი სასურველი“, და შენს ქვეყანას –



„დაწინდული“, რადგან შენ მოგისურვა უფალმა და შენს ქვეყანას „დამწინდავი“ გაუჩნდება.

⁵როგორც ჭაბუკი ქორწინდება ქალწულზე, ისე დაქორწინდებიან შენზე შენი ძენი; და როგორც ნეფე ხარობს თავის საპატარძლოთი, ისე შენი ღმერთი იხარებს შენით.

⁶იერუსალიმ, შენს კედლებზე მეციხოვნენი დავაყენე, რომლებიც არასოდეს დადუმდებიან, არც დღე და არც ღამე. და თქვენ, უფლის გამხსენებელნო, ნუ დადუმდებით, –

⁷ნუ დადუმდებით მის წინაშე, ვიდრე არ აღადგენს იერუსალიმს და არ აქცევს მას ქვეყნის დიდებად.

⁸დაიფიცა უფალმა თავისი მარჯვენა და ძალა თავისი მკლავისა: „არ მივცემ მეტად ხორბალს საზრდოდ შენს მტრებს და არ შესვამენ უცხოთა შვილები შენს ღვინოს, რომელიც ოფლით მოიწიე,

⁹რადგან მისი მომკელნი შეჭამენ მას და მადლს შესწირავენ უფალს, და მისი დამკრეფნი შესვამენ მას ჩემი საწმიდრის ეზოებში.“

¹⁰შედიტ, შედიტ კარიბჭეებში, განუმზადეთ გზა ხალხს! მოასწორეთ, მოასწორეთ სავალი, წამოკრიფეთ ქვები, ბაირადი აღუმართეთ ხალხებს!

¹¹აჰა, უფალი იუწყება დედამიწის კიდებამდე: „უთხარით სიონის ასულს: ‘ჰა, მოდის შენი ხსნა! და მისი საზღაური მასთანაა და მისი მისაგებელი მის წინაშეა.’“

¹²და უწოდებენ მათ წმიდა ერს, უფლის მიერ გამოსყიდულს; შენ კი გიწოდებენ სასურველ ქალაქს, მიუტოვებელს.

ესაია 63

¹„ვინ არის ის, ედომიდან რომ მოდის, ბოცრადან – მეწამული სამოსლით? ეს ვინ არის თავისი ბრწყინვალე სამოსლით თავისი ძალის სიდიადით მომავალი?“ – „მე ვარ, სიმათლის მთქმელი, ხსნის შემძლებელი.“

²„რატომ არის წითელი შენი სამოსელი და შენი მოსასხამი საწნახლის შხეფებით დასვრილივით?“ –

³„მე მარტო ვწურავდი საწნახელში, და ჩემიანი კაცი არ იყო ჩემთან. ვწურავდი განრისხებული და ვწნებავდი გულისწყრომით; მათი სისხლი ეშხეფებოდა ჩემს მოსასხამს, და მთელი ჩემი სამოსელი დავსვარე.

⁴რადგან შურისგების დღეა ჩემს გულში და ჩემს გამოსყიდულთა წელიწადი დადგა.



⁵ვიყურებოდი და არ იყო ჩემი შემწე; მიკვირდა, რომ არ იყო მხარდამჭერი; და მიხსნა მე ჩემმა მარჯვენამ, და ჩემმა რისხვამ მიშველა.

⁶და დავთრგუნე მე ხალხები ჩემი მძვინვარებით და დავათვრე ჩემი რისხვით, და მიწაზე დავღვარე მათი სისხლი.“

⁷მადლს მივაგებ უფალს, ქება-დიდებას უფალს ყველა წყალობისთვის, რაც მოიმოქმედა ჩვენთვის უფალმა, და დიდი სიკეთისთვის, ისრაელის სახლზე რომ მოიმოქმედა თავისი მოწყალებით და, მრავალი წყალობით რომ მიაგო.

⁸მან თქვა: „ის ჭეშმარიტად ჩემი ერია, ძენი, რომლებიც არ მიღალატებენ.“ და იყო ის მათი მხსნელი.

⁹მათი ყველა ტანჯვები მისი ტანჯვები იყო, და მისი სახის ანგელოზი შველოდა მათ; თავისი სიყვარულითა და თავისი მოწყალებით გამოისყიდა ისინი, აიყვანა და ხელით ატარებდა მათ ძველ დღეთაგან.

¹⁰მაგრამ ისინი ეურჩნენ და დაამწუხრეს მისი წმიდა სული; ამიტომაც მტრად ექცა იგი მათ და თავად ებრძოდა.

¹¹და გაიხსენა მისმა ხალხმა მოსეს ძველი დღეები. სად არის ახლა ის, ვინც ამოიყვანა ისინი ზღვიდან თავისი სამწყსოს მწყემსებთან ერთად? სად არის ის, ვინც დადო მათზე თავისი წმიდა სული,

¹²ვინც წარმართა მოსეს მარჯვენა თავისი დიდებული მკლავით? ვინც გააპო წყლები მათ წინაშე, რათა გაეთქვა თავისი საუკუნო სახელი?

¹³მორევში მათი გამომყვანი წაუფოროხილებლად უდაბნოს ცხენებივით?

¹⁴ხეობაში ჩასული ნახირივით დაავანა ისინი უფლის სულმა. ასე ატარებდი შენს ერს, რათა მოგეპოვებინა შენთვის დიდებული სახელი.

¹⁵გადმოიხედე ზეციდან და შეხედე შენი წმიდა და დიადი სავანიდან: სად არის შენი შურისგება და შენი ძლევამოსილება? შენი გულის ძვრა და შენი მოწყალება არ მოვიდა ჩემამდის.

¹⁶მხოლოდ შენა ხარ ჩვენი მამა; რადგან აბრაამი არ გვცნობს და ისრაელი თავისებად არ გვაღიარებს. შენა ხარ, უფალო, ჩვენი მამა. ჩვენი მხსნელია შენი სახელი დასაბამიდან.

¹⁷რატომ გვაცდენ ჩვენ, უფალო, შენი გზებიდან, ასასტიკებ ჩვენს გულებს, რათა არ გვეშინოდეს შენი? მოხედე შენს მონებს, შენს წილხვედრ შტოთ.

¹⁸მცირეხანს მბრძანებლობდა აქ შენი წმიდა ერი, მტრები შემოიჭრნენ შენს საწმიდარში.

¹⁹ისე ვართ, როგორც დასაბამს, როცა არ ხელმწიფებდი ჩვენზე, როცა არ ვიწოდებოდით შენი სახელით.



ესაია 64

- ¹ნეტავ გაგერღვია ცა და ჩამოსულიყავ! მთები შეირყეოდნენ შენს წინაშე –
- ²ასე აბრიალებს ცეცხლი ფიჩხს, წყალს ადუღებს – შენ გამოუცხადებდი მტრებს შენს სახელს! შენი სახის წინაშე შეძრწუნდებოდნენ ხალხები.
- ³როდესაც შენ იქმოდი საშინელებებს, რომლებსაც არ ველოდით და ჩამოდიოდი, მთები დნებოდნენ შენს წინაშე.
- ⁴დასაბამიდან არ სმენიათ, ყური არ მოუკრავთ, თვალს არ უხილავს სხვა ღმერთი შენს გარდა, რომ მოემოქმედა ასეთი რამ თავის მოიმედეთათვის.
- ⁵შენ ეგებები მას, ვინც სიმართლეს იქმს სიხარულით, ვინც შენი გზებით დადის და გიხსენებს. შენ მრისხანებდი, რადგან ძველთაგან ვცოდავთ, და როგორღა გადავრჩებით?
- ⁶და გავხდით ჩვენ ყველანი უწმიდურებივით, წვირიანი სამოსელივით გახდა ყოველი ჩვენი სიქველე; ფოთოლივით დავჴკნით ყველანი და ჩვენმა ურჯულოებამ ქარივით წაგვხვეტა.
- ⁷და არავინაა შენი სახელის მხმობელი, რომელიც მაგრად მოგეჭიდებოდა, რადგან გვიფარავ შენს სახეს და მიგვატოვე ჩვენივე ურჯულოების მსხვერპლად.
- ⁸მაგრამ ახლა, უფალო, ჩვენი მამა ხარ შენ, ჩვენ თიხა ვართ, შენ კი ჩვენი გამომსახველი; შენი ხელის ნაკეთობა ვართ ჩვენ ყველანი.
- ⁹ნუ განრისხდები, უფალო, მეტისმეტად და სამუდამოდ ნუ გემახსოვრება ჩვენი ურჯულოება. აჰა, შეხედე, შენი ერი ვართ ჩვენ ყველანი.
- ¹⁰შენი სიწმიდის ქალაქები გაუდაბურდა, სიონი უდაბნოდ იქცა; – გაუკაცრიელდა იერუსალიმი.
- ¹¹სახლი ჩვენი სიწმიდისა და დიდებისა, სადაც გაქებდნენ ჩვენი მამები, ცეცხლმა შთანთქა, და ყოველივე ჩვენთვის ძვირფასი ნანგრევებად იქცა.
- ¹²ნუთუ ყოველივე ეს არ შეგძრავს, უფალო? კვლავ დადუმდები და უარესად დაგვტანჯავ?

ესაია 65

- ¹გამოვეცხადე მათ, ვინც არ მკითხულობდა; მიპოვნეს მათ, ვინც არ მეძებდა. აქა ვარ, აქა ვარ-მეთქი! – ვეუბნებოდი ხალხს, რომელიც ჩემი სახელით არ იწოდებოდა.



- ²დღენიადაგ ხელს ვიშვერდი ურჩი ხალხისკენ, უკეთური გზით რომ დადიან თავიანთი ზრახვების კვალზე,
- ³ხალხისკენ, რომელიც გამუდმებით შეურაცხყოფს თვალდათვალ! ჭალებში მსხვერპლს რომ სწირავენ და საკმეველს აკმევენ აგურებზე;
- ⁴აკლდამებში სხედან და მღვიმეებში ათევენ ღამეებს; ღორის ხორცს ჭამენ და საძაგელი ნახარში უდგათ ქოთნებში;
- ⁵და ამბობენ: „შეჩერდი, ნუ მომეკარები, რადგან მე წმიდა ვარ შენთვის.“ ეს კვამლია ჩემს საყნოსელად, ცეცხლი, რომელიც დღენიადაგ გიზგიზებს.
- ⁶აჰა, დაწერილია ეს ჩემს წინაშე. არ დავდუმდები, მივუზღავ, მთლიანად მივუზღავ მე მათ წიაღს.
- ⁷თქვენი ურჯულოების და თქვენი მამების ურჯულოების გამო, რომლებიც გუნდრუკს უკმევდნენ მთებზე, და ბორცვებზე შეურაცხყოფდნენ მე, – ამბობს უფალი, – და გავზომავე წინდაწინ მათ ნამოქმედარს მათ წიაღში!
- ⁸ასე ამბობს უფალი: „როცა ყურძნის მტევანში თვალი შევა, იტყვიან: ‘ნუ დააზიანებ მას, რადგან კურთხევა არის მასში!’ მეც ასევე მოვექცევი ჩემს მონებს, რათა არ დავღუპო ყველანი.
- ⁹აღმოვაცენებ იაკობისგან თესლს და იუდასაგან – ჩემი მთების მემკვიდრეს, და დაიმკვიდრებენ მას ჩემი რჩეულნი და ჩემი მონები დასახლდებიან იქ.
- ¹⁰გახდება შარონი ცხვრის სამოვრებად და ყაქორის ველი – ნახირის დასაყრელად ჩემი ერისა, რომელმაც მომძებნა მე.
- ¹¹თქვენ კი, რომელთაც მიატოვეთ უფალი და დაივიწყეთ ჩემი წმიდა მთა, თქვენ, რომლებიც გადს უმზადებთ სუფრას და მენს სასმისებს უვსებთ,
- ¹²მე გადაგცემთ მახვილს და ყველანი დასაკლავად იქნებით მუხლმოყრილნი, რადგან მე გიხმობდით და არ გამომეპასუხეთ, ვლაპარაკობდი და არ ისმინეთ; და ბოროტს აკეთებდით ჩემს თვალში და, რაც არ მსურდა, იმას ირჩევდით.“
- ¹³ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აი, ჩემი მონები შეჭამენ და თქვენ დაიმშვეით; ჩემი მონები შესვამენ და თქვენ წყურვილი შეგიპყრობთ, ჩემი მსახურნი გაიხარებენ და თქვენ სირცხვილს ჭამთ;
- ¹⁴ჩემი მონები იმღერებენ გულის სიამით და თქვენ იყვირებთ გულისტკივილით, და სულშემუსვრილნი აქვითინდებით.
- ¹⁵დაუტოვებთ თქვენს სახელს საწყევრად ჩემს რჩეულთ, და დაგხოცავთ თქვენ უფალი ღმერთი. და თავის მონებს სხვა სახელს შეარქმევს.



¹⁶ვინც კურთხევას მოუხმობს თავის თავზე ქვეყნად, ჭეშმარიტების ღმერთის სახელით იკურთხება; და ვინც ქვეყნად დაიფიცებს, ჭეშმარიტების ღმერთის სახელით დაიფიცებს, რადგან დავიწყებული იქნება უწინდელი მწუხარებანი და დაფარული ჩემს თვალთაგან.

¹⁷რადგან, აჰა, მე ვქმნი ახალ ცასა და ახალ მიწას, აღარ გაიხსენებენ უწინდელს, ფიქრადაც არავის მოუვა.

¹⁸მაგრამ გაიხარებთ და ილხენთ უკუნისამდე იმით, რასაც მე შევქმნი: რადგან, აჰა, მე ვქმნი იერუსალიმს სალხენად და მის ერს სასიხარულოდ.

¹⁹და მეც მოვილხენ იერუსალიმზე და გავიხარებ ჩემი ხალხის გამო; მეტად აღარ გაისმება იქ ხმა მოთქმისა და გოდებისა.

²⁰იქ არ იქნება არც ბავშვი და არც მოხუცი, რომლის დღენიც არ იქნებიან აღვსილნი; და ასი წლის კაცი რომ მოკვდება, იტყვიან, რომ ჯერ დრო არა ჰქონდაო; ხოლო ვინც ას წელს ვერ მიაღწევს, წყეულად ჩაითვლება.

²¹აიგებენ სახლებს და შიგ თავად იცხოვრებენ; ვაზს ჩაყრიან და თავად მოისთვლიან ნაყოფს.

²²არ ააგებენ სხვის საცხოვრებლად, და ვაზს არ ჩაყრიან სხვის მოსასთვლელად, რადგან ჩემი ხალხის ასაკი ხის ასაკივით იქნება და თავადვე გაცვეთენ საკუთარი ხელის ქმნილებას ჩემი რჩეულნი.

²³ამაოდ არ დაშვრებიან და ბავშვებს სამსხვერპლოდ არ შობენ, რადგან უფლის კურთხეული თესლი არის ის და მთელი მათი მოდგმა.

²⁴და სანამ მომიხმობენ, მე ვუპასუხებ; ვიდრე ლაპარაკში იქნებიან, მე უკვე მოსმენილი მექნება.

²⁵მგელი და კრავი ერთად დაიმწყესება და ლომი ხარივით თივას მოძოვს, გველის საკვები კი მიწა იქნება: ისინი არ იბოროტებენ და არც რასმე წაახდენენ ჩემს წმიდა მთაზე, – ამბობს უფალი.

ესაია 66

¹ასე ამბობს უფალი: „ცა ჩემი ტახტია, დედამიწა კვარცხლბეკია ჩემი. სად უნდა ამიგოთ სახლი? და სად არის ჩემი დასავანებელი ადგილი?

²ყველაფერი ეს ჩემმა ხელმა შექმნა და გაჩნდა ყოველივე ეს, – ამბობს უფალი. – აი, ვის მოვხედავ: გლაზაკს და სულგამწარებულს, ჩემი სიტყვების მოშიშს.

³უკეთური რომ ზვარაკსა მწირავს, თუნდაც კაცი დაეკლას; კრავს რომ მწირავს, თუნდაც ძალდი დაეხრჩოს; ძღვენს რომ აღმივლენს, თუნდაც



ღორის სისხლი შემოეწიროს; გუნდრუკს რომ მიკმევს, თუნდაც კერპი ეკურთხებინოს; და როგორც მათ თავად აირჩიეს თავიანთი გზები, და სისაძაგლენი სურდა მათ სულს,

⁴მეც აბუჩად ავიგდებ მათ და საშინელებას მოვაწევ მათ, რადგან ვუხმობდი და არ იყო პასუხის გამცემი, ვლაპარაკობდი და არ ისმინეს, ბოროტებას სჩადიოდნენ ჩემს თვალში და, რაც მე არ მსურდა, ის ამოირჩიეს!”

⁵ისმინეთ უფლის სიტყვა, მისი სიტყვის მოშიშნო: „ასე ამბობენ თქვენი თანამოდმენი, რომელთაც მოგიძულეს თქვენ ჩემი სახელის გულისთვის: დაე, გამოჩნდესო უფალი დიდებით, ჩვენ ვნახავთო თქვენს სიხარულს! მაგრამ ისინი შერცხვებიან.“

⁶ხმაურის ხმაა ქალაქიდან, ხმაა ტაძრიდან, ხმაა უფლისა, თავის მტრებს რომ მიაგებს საზღაურს.

⁷ჯერ მშობიარობა არ დაწყებოდა და უკვე შვა, ჯერ არ დაწყებოდა მშობიარობის ტკივილები და უკვე დაბადა ვაჟი.

⁸ვის გაუგონია ასეთი რამ? ვის უნახავს ამის მსგავსი? თუ შობილა რომელიმე ქვეყანა ერთ დღეს? შობილა კი ერი უეცრივ? როგორც სიონმა შვა, როგორც დაეწყო მშობიარობის ტკივილები, უმაღლესი შვა თავისი ძენი.

⁹განა მშობიარობამდე მივაღწევინებ და არ ვამშობიარებ? – ამბობს უფალი. – როგორ დავუხშობ საშოს, როცა მე ვარ მამშობიერებელი? – ამბობს შენი ღმერთი.

¹⁰გაიხარეთ იერუსალიმთან ერთად, და ილხინეთ მისით, ვინც მისი მოყვარულნი ხართ! გაიხარეთ მასთან სიხარულით ყველამ, ვინც მას იგლოვთ!

¹¹რათა მოწოვოთ და გაძლეთ მისი მანუგეშებელი ძუძუთი, რათა წოვოთ და დატკბეთ მისი დიდების სიუხვით.

¹²რადგან ასე ამბობს უფალი: აჰა, მოვაფენ მასზე მშვიდობას მდინარესავით და მოვარდნილი ნიაღვარივით ხალხთა დოვლათს; და გამოიზრდებით, ჩვილებივით იქნებით ხელში ატატებულნი და მუხლებზე ნალოლიავები.

¹³როგორც დედა ანუგეშებს შვილს, ისე განუგეშებთ მე თქვენ და იერუსალიმში იქნებით ნუგეშცემულნი.

¹⁴და დაინახავთ ამას და გაიხარებთ თქვენი გული, თქვენი ძვლები ჯეჯილივით აბიბინდება და გამოეცხადება უფლის ხელი მის მონებს, და თავის მტრებს განურისხდება უფალი.



¹⁵რადგან, აჰა, უფალი ცეცხლში მოვა და გრიგალივითაა მისი ეტლები, რათა გაამძვინვაროს თავისი რისხვა და თავისი წყრომა ცეცხლის ენებად აღატყინოს.

¹⁶რადგან უფალი განსჯის ცეცხლითა და მახვილით ყოველ ხორციელს, და ბევრნი იქნებიან უფლის მიერ დახოცილნი.

¹⁷ისინი, ვინც განიწმიდებიან და სუფთავდებიან თავიანთ ჭალებში, ღორის ხორცსა ჭამენ, ჭამენ ყოველგვარ სისამაგლეს და თავგებს, ერთიანად მოისპობიან, – ამბობს უფალი.

¹⁸რამეთუ მე ვიცი მათი საქმენი და ფიქრები. მოდის დრო ყველა ხალხებისა და ყველა ენების შეკრებისა, და მოვლენ და იხილავენ ჩემს დიდებას.

¹⁹და მე მივცემ მათ ნიშანს და გავგზავნი მათგან გადარჩენილებს ხალხებთან თარშიში, ფულში და ლუდში; გავგზავნი მშვილდის მომჭიმელთ თუბალში და იავანში; გავგზავნი შორეულ ნაპირებზე, სადაც არ სმენიათ ჩემი და არ უნახავთ ჩემი დიდება. და აუწყებენ ჩემს დიდებას ხალხებს.

²⁰ისინი წამოიყვანენ თქვენს ყოველ მოძმეს ყველა ხალხებიდან უფლისადმი ძღვნად, ცხენებითა და ეტლებით, ტახტრევნებით, ჯორებითა და აქლემებით ჩემს წმიდა მთაზე, იერუსალიმში, – ამბობს უფალი, – როგორც ისრაელიანებს მოაქვთ ძღვენი სუფთა ჭურჭლით უფლის სახლში.

²¹და მათგანაც ავიყვან მღვდლებად და ლევიანებად, – ამბობს უფალი. –

²²რადგან როგორც ახალი ცა და ახალი მიწა, რომელთაც მე შევქმნი, დადგებიან ჩემს წინაშე, – ამბობს უფალი, – ასევე იქნება თქვენი თესლი და თქვენი სახელი.

²³და ყოველ თვეს და ყოველ შაბათს მოვა ყოველი ხორციელი თაყვანისსაცემად ჩემს წინაშე, – ამბობს უფალი. –

²⁴და გავლენ და დაინახავენ ჩემგან განდგომილ ადამიანთა გვამებს, რადგან მათი მატლი არ მოკვდება და მათი ცეცხლი არ ჩაქრება. და იქნებიან ისინი სისამაგლედ ყოველი ხორციელისათვის.



იერემია წინასწარმეტყველი

იერემია 1

- ¹სიტყვები იერემიასი, ხილკიას ძისა, იმ მღვდელთაგანისა, რომლებიც ყანათოთში იყვნენ, ბენიამინის მიწაზე.
- ²რომლის მიმართაც იყო უფლის სიტყვა იუდას მეფის იოშია ამონის ძის დროს, მისი მეფობის მეცამეტე წელს,
- ³და იუდეის მეფის იეჰოიაკიმ იოშიას ძის დროს, და იუდას მეფის იოშიას ძის, ცედეკიას მეთერთმეტე წლის ბოლოს, იერუსალიმის ტყვეობამდე, მეხუთე თვეს.
- ⁴იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ თქმული:
- ⁵სანამ გამოგსახავდი დედაშენის მუცელში, მე გიცნობდი შენ, და სანამ გამოხვიდოდი დედის საშოდან, მე წმიდა-გყავ შენ და ხალხების წინასწარმეტყველად დაგადგინე.
- ⁶მე ვუპასუხე: ეჰ, უფალო, ღმერთო! მე არ ვიცი ლაპარაკი, რადგან ყმაწვილი ვარ.
- ⁷და მითხრა მე უფალმა: ნუ ამბობ: ყმაწვილი ვარო, რადგან, ყველგან წახვალ სადაც მიგავლენ, და ყველაფერს ილაპარაკებ, რასაც გიბრძანებ.
- ⁸ნუ შეგეშინდება მათი, რადგან შენთანა ვარ შენს გადასარჩენად, – ამბობს უფალი.
- ⁹და გამოიწოდა უფალმა ხელი და შეეხო ჩემს ბაგეებს, და მითხრა მე უფალმა: აჰა, ბაგეებში ჩაგიდეს ჩემი სიტყვა.
- ¹⁰იცოდე, მე დღეს დაგაყენე შენ ხალხებსა და სამეფოებზე, რათა აღმოფხვრა და შემუსრო, მოსპო და დაანგრეო, ააშენო და დარგა.
- ¹¹და იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ ნათქვამი: რას ხედავ შენ, იერემია? და ვუთხარი მე: ნუშის ხის კვერთხს ვხედავ.
- ¹²და მითხრა მე უფალმა: კარგად ხედავ, რადგან მე ვჩქარობ ჩემი სიტყვის შესრულებას.
- ¹³და იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ მეორედ: რას ხედავ შენ? და ვუთხარი: მოთუხთუხე ქვაბს ვხედავ, ჩრდილოეთიდან რომ ეშვება.
- ¹⁴და მითხრა მე უფალმა: ჩრდილოეთიდან დაატყდება უბედურება ამ ქვეყნის ყველა მკვიდრს.



¹⁵რადგან მე მოვუხმობ ჩრდილოეთის სამეფოების ყველა ტომს, – ამბობს უფალი, – და მოვლენ და დადგამს თითოეული თავის ტახტს იერუსალიმის კარიბჭეებსთან, მისი კედლების ირგვლივ, ყველგან, იუდას ყველა ქალაქში.

¹⁶განაჩენს გამოვუტან ყველა მათი ბოროტების გამო, რადგან მიმატოვეს მე და სხვა ღმერთებს უკმევდნენ და თავიანთ ნახელავს სცემდნენ თაყვანს.

¹⁷შენ კი შემოისარტყლე წელი, ადექ და უთხარი ხალხს ყოველივე, რასაც მე გიბრძანებ, ნუ შეგეშინდება მათი, რომ არ დაგამხო მათ წინაშე.

¹⁸მე გაქციე შენ დღეს გამაგრებულ ქალაქად, რკინის სვეტად და ბრინჯაოს ზღუდედ მთელი ამ ქვეყნის წინააღმდეგ, იუდას მეფეების, მისი მთავრების, მისი მღვდლებისა და მთელი ქვეყნის ხალხის წინააღმდეგ.

¹⁹და შეგებრძოლებიან ისინი, მაგრამ ვერ გძლევენ, რადგან მე შენთანა ვარ – შენს გადასარჩენად! – ამბობს უფალი.

იერემია 2

¹და იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ ნათქვამი:

²„წადი და გამოაცხადე იერუსალიმის გასაგონად: ასე ამბობს-თქო უფალი: ‘მე მახსოვს, რომ შენს სიყმაწვილეში საპატარძლოსავით ერთგული იყავი ჩემს მიმართ, უკან რომ მომყვებოდი უდაბნოში, უხნავ-უთესავ მიწაზე.

³უფლის წმიდა იყო ისრაელი, ნათავარი მისი მოსავლისა; ყოველი მისი მჭამელი დადანაშაულებდა, უბედურება ეწევა მათ.’“ – ამბობს უფალი.

⁴ისმინეთ უფლის სიტყვა, იაკობის სახლო და ისრაელის სახლის ყველა საგვარეულოვ!

⁵ასე ამბობს უფალი: რა უსამართლობა ჰპოვეს თქვენმა მამებმა ჩემში, რომ გამშორდნენ და ამაოებას მიჰყვნენ, და თავადაც ამაოებად იქცნენ?

⁶და არც უთქვამთ: სად არისო უფალი, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგვიყვანა? უდაბნოში გვატარა, შიშველ და უკაცრიელ მიწაზე, ურწყულ და სიკვდილის აჩრდილთა ქვეყანაში, ქვეყანაში, სადაც არავის გაუვლია და სადაც კაცისშვილს არ უცხოვრია.

⁷მე მოგიყვანეთ ნაყოფიერ მიწაზე, რათა გექამათ მისი ნაყოფი და მისი დოვლათი. თქვენ კი მოხვედით და შებილწეთ ჩემი ქვეყანა და ჩემი სამკვიდრებელი სისამაგლედ აქციეთ.

⁸მღვდლებს არ უკითხავთ, თუ სად არისო უფალი? და ვისაც რჯულის დაცვა ევალებოდა, მან მე არ მიცნო; თქვენი მოძღვრები განმიდგნენ, წინასწარმეტყველნი ბაყალის სახელით ქადაგებდნენ და კერპებს აჰყვნენ.



⁹ამიტომ კიდევ შეგედავებით, – ამბობს უფალი, – და თქვენს შვილთაშვილებსაც შევედავები.

¹⁰რადგან, აბა, წადით ქითიმელთა კუნძულებზე და ნახეთ, და კედარში გააგზავნეთ, და ყურადღებით დააკვირდით და ნახეთ თუ სადმე ყოფილა ამის მსგავსი რამ?

¹¹თუ გაუცვლია რომელიმე ხალხს თავისი ღმერთები? თუმცა ისინი არ არიან ღმერთები. ჩემმა ხალხმა კი კერპებზე გაცვალა თვისი დიდება.

¹²გაიკვირვებ ეს, ცანო, და შეძრწუნდით და შეშფოთდით, – ამბობს უფალი.

¹³რადგან ორი ბოროტება ჩაიდინა ჩემმა ერმა: მე – ცოცხალი წყლის წყარო – მიმატოვა და ტბორები დათხარა, დახეთქილი ტბორები, რომლებიც წყალს ვერ იკავებენ.

¹⁴მონაა ისრაელი, თუ ხიზნის ნაშობი, რატომ იქცა იგი ნადავლად?

¹⁵მას დაღრიალებდნენ ლომის ბოკვრები, ბრდღვინავდნენ და უდაბნოდ აქციეს მისი მიწა; მისი ქალაქები გადამწვარია და უკაცური.

¹⁶ნოფელთ და თახფანხესელთაც კი ჩაგიმსხვრიეს კეფა.

¹⁷განა იმის გამო არ დაგემართა ეს, რომ მიატოვე შენი უფალი, შენი ღმერთი, იმ დროს, როდესაც წინ მიგიძღვოდა?

¹⁸მაშ ახლა რად ადგახარ ეგვიპტის გზას? ნილოსის წყლის დაღევა გასურს? რა გინდა აშურის გზაზე? ეფფრატის წყლის დაღევა გასურს?

¹⁹შენი ბოროტება დაგსჯის შენ და შენი განდგომილება გამხილებს შენ. დაფიქრდი და ნახე, რა ცუდია და მწარე, რომ მიატოვე უფალი, შენი ღმერთი, და შიში არ გაქვს ჩემს წინაშე! – ამბობს ცაბაოთ უფალი. –

²⁰ძველთაგან დავლექე შენი უღელი, დავწყვიტე შენი აპეურები, და შენ ამბობდი: აღარ მოვემსახურებო კერპებს, მაგრამ ყოველ მაღალ ბორცვზე და ყოველი ფოთლოვანი ხის ქვეშ მეძაობდი.

²¹მე დაგრგე, როგორც რჩეული ვაზი, დაგთესე, როგორც ჭემმარიტი თესლი, როგორ გადამიჯიშდი და ველურ ლერწად როგორ მექეცი!

²²ამიტომ, კიდევაც რომ გაირეცხო ტუტით და მრავლად იხმარო ნაცარწმული, მაინც ლაქად დარჩება შენი ურჯულოება ჩემს წინაშე! – ამბობს უფალი ღმერთი. –

²³როგორ ამბობ: არ შევბილწულვარო, არ მივლიაო ბაყალის კვალზე? გაიხსენე, რას აკეთებდი ველზე მყოფი, გაიხსენე შენი საქციელი, ატეხილო ფურაქლემო, თავნებად რომ თოხარიკობ!



²⁴ვინ შეაკავებს უდაბნოს შეჩვეულ კანჯარს, ვნებით ატეხილი რომ გარბის ფრუტუნით? ყოველი მისი მძებნელი არ დაიღლება, მყვინთალობისას იპოვის მას.

²⁵ფეხსაცმელს ნუ შემოიგლეჯ ფიცხელ გზაზე და წყურვილით ყელს ნუ გამოიშრობ! მაგრამ შენ თქვი: იმედი ნუ გექნებაო, რადგან მიყვარსო უცხონი და მათ კვალზე ვივლიო.

²⁶როგორც ქურდს წაუხდება ნირი, როცა პარვაზე წაასწრებენ, ისე შეირცხვინა თავი ისრაელის სახლმა: მათ, მათმა მეფეებმა, მათმა მთავრებმა, მათმა მღვდლებმა და მათმა წინასწარმეტყველებმა,

²⁷ხეს რომ მიმართავენ: შენ მამა ხარო ჩემი! და ქვას – შენ მშობეო მე! რადგან ზურგი მომაქციეს მე და არა სახე, ხოლო თავიანთი უბედურების ჟამს მეტყვიან: ადექი და გვიხსენიო ჩვენ!

²⁸სად არიან თქვენი ღმერთები, თქვენთვის რომ გაიკეთეთ? ადგნენ, აბა, თუ გიხსნიან შენი უბედურების ჟამს, რადგან რამდენი ქალაქიც გაქვს, იმდენი ღმერთი გყავს შენ, იუდავ!

²⁹რატომღა მედავებით? თქვენ ხომ ყველანი გამიდექით მე, – ამბობს უფალი. –

³⁰ამაოდ ვგვემდი თქვენს ძეთ, ჭკუა ვერ ისწავლეს. თქვენმა მახვილმა შეჭამა თქვენი წინასწარმეტყველნი, როგორც გამანადგურებელმა ლომმა.

³¹ბოროტო მოდგმავ, შეიგონე უფლის სიტყვა: განა უდაბნო ვიყავი ისრაელისათვის? განა წყვდიადის ქვეყანა ვიყავი? რატომ ამბობს ჩემი ერი: თავისუფლები ვართ, შენთან აღარ მოვალთო?

³²განა დაივიწყებს ქალწული თავის სამკაულებს? ან პატარძალი – თავის მორთულობას? ჩემმა ხალხმა კი რახანია დამივიწყა მე.

³³რა ოსტატურად მართავ შენს გზებს სიყვარულის მიებაში! და საამისოდ დანაშაულებანიც კი მიაჩვიე შენს გზებს!

³⁴შენი კაბის კალთებსაც კი ამჩნევია უდანაშაულო ღატაკთა სულების სისხლი, რომლებსაც თავზე არ წასდგომიხარ კედლის გამოთხრისას, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა,

³⁵შენ მაინც ამბობ: უდანაშაულო ვარ და უეჭველად ამცდებო მისი რისხვა! მაგრამ აჰა, მე გაგასამართლებ, რომ ამბობ: არ შემიცოდავსო.

³⁶რას დაეხეტები და იცვლი გზებს? ეგვიპტისგანაც ისე შერცხვები, როგორც აშურისაგან შერცხვი.



³⁷იქიდანაც გამოხვალ თავში ცემით, რადგან უარყო უფალმა შენი იმედები და ვერაფერს გამორჩები მათ.

იერემია 3

¹უფალი ამბობს: „თუ კაცი გაუშვებს თავის ცოლს, მისგან წავა და სხვა კაცს გაჰყვება, განა კიდევ დაიბრუნებს ეს კაცი იმ ცოლს? განა სიბილწით არ შეიბილწება ის ქვეყანა? შენ კი მეძაობდი მრავალ საყვარელთან და ახლა გინდა დაბრუნდე ჩემთან? – სიტყვა უფლისა. –

²მიაპყარ თვალი ხრიოკ მაღლობებს და ნახე, სად არ უმრუშიათ შენთან? გზის პირას უჯექი მოგზაურთ, როგორც არაბი უდაბნოში; და შებილწე ქვეყანა შენი გარყვნილებითა და შენი ბოროტებით.

³ამიტომაც შეწყდა წვიმები და გაზაფხულის წვიმაც არ მოსულა, მაგრამ შენ შუბლის ძარღვი გქონდა გაწყვეტილი, სირცხვილი დაივიწყე.

⁴წელან არ იყო, რომ მეძახდი: ‘ჩემო მამავ, ჩემი სიყმაწვილის წინამძღვარი ხარ!

⁵ნუთუ მუდამ იმრისხანებს უფალი? ან სამარადისოდ ჩაიმარხავს გულში რისხვას?’ – აი, ასე ამბობ შენ, ბოროტებას კი სჩადიხარ, რაც კი შეგიძლია!“

⁶მითხრა მე უფალმა იოშია მეფის დღეებში: შენ თუ ნახე, რა გააკეთა განდგომილმა, ისრაელის ასულმა? მიდიოდა ის ყოველ მაღალ გორაკზე და ყოველი ფოთლოვანი ხის ქვეშ მეძაობდა.

⁷მე ვამბობდი: ყოველივე ამის გაკეთების შემდეგ მობრუნდება-მეთქი ჩემსკენ; მაგრამ არ მობრუნებულა; და ამას ხედავდა მისი მოღალატე და – იუდა.

⁸ნახა, რომ გარყვნილების გამო გავუშვი ისრაელის განმდგარი ასული და მივეცი გაყრილობის ბარათი, მაგრამ არ შეშინებია მის მოღალატე დას – იუდას, და ისიც წავიდა და მეძაობდა.

⁹და თავისი საქვეყნო სიძვით შებილწა ქვეყანა. და მრუშობდა ქვასთან და ხესთან.

¹⁰და მაინც არ მოიქცა ჩემსკენ წრფელი გულით იუდა, მისი მოღალატე და, არამედ მხოლოდ თვალთმაქცურად მოიქცა, – ამბობს უფალი.

¹¹და მითხრა მე უფალმა: ისრაელის განდგომილი ასული, მოღალატე იუდაზე უფრო მართალია.



¹²წადი და გამოუცხადე ეს სიტყვები ჩრდილოეთს და თქვი: მობრუნდი, ისრაელის განდგომილო ასულო, – მე არ მოვაწევ თქვენზე რისხვას, რადგან მოწყალე ვარ, – ამბობს უფალი, – და არ ვიმრისხანებ სამუდამოდ.

¹³ოღონდ აღიარე შენი დანაშაული, რომ განუდექი შენს უფალ ღმერთს და უზნეობდი უცხოთესლთან ყოველი ფოთლოვანი ხის ქვეშ და ჩემს ხმას არ უსმენდით, – ამბობს უფალი.

¹⁴მობრუნდით, განდგომილო ძენო, – ამბობს უფალი, – რადგან მე ვარ თქვენი პატრონი. თითოს გამოგიყვანთ ყოველი ქალაქიდან, ორ-ორს – ყოველი ტომიდან და მოგიყვანთ სიონში.

¹⁵და მოგიჩენთ ჩემი გულის სასურველ მწყემსებს და დაგმწყემსავენ თქვენ ცოდნითა და კეთილგონივრულად.

¹⁶და როდესაც გამრავლდებით და ინაყოფიერებთ ამ მიწაზე, იმ დღეებში, – ამბობს უფალი, – და აღარ იტყვიან მეტად: კიდობანი უფლის აღთქმისაო. აღარ იფიქრებენ მასზე, არ მოინაკლისებენ, და სხვა კიდობანს აღარ გააკეთებენ.

¹⁷იმ დროს იერუსალიმს უწოდებენ უფლის ტახტს; და ყველა ხალხები თავსმოიყრიან იერუსალიმში და მეტად აღარ აჰყვებიან თავისი გულის ბოროტ ზრახვებს.

¹⁸იმ დღეებში მივა იუდას სახლი ისრაელის სახლთან და ერთად წავლენ ჩრდილოეთის ქვეყნიდან, იმ ქვეყანაში, რომელიც მე დავუმკვიდრე თქვენს მამებს.

¹⁹და მე ვთქვი: როგორ ჩავთვალო ჩემს შვილად და როგორ მოგცე შენ სანატრელი ქვეყანა, უმშვენიერესი სამკვიდრებელი ხალხებისა? და ვთქვი: მამას დამიძახებ და აღარ განდგები ჩემგან.

²⁰მართლაც, როგორც ცოლი ღალატობს თავის ქმარს, ისე მიღალატე შენ, ისრაელის სახლო! – ამბობს უფალი.

²¹მაღლობებზე გაისმის ხმა ისრაელიანთა მოთქმისა, რადგან მათ გაიმრუდეს გზა და დაივიწყეს უფალი, მათი ღმერთი.

²²მობრუნდით, განდგომილო ძენო, მე განვკურნავ თქვენს ურჩობას! – აჰა, ჩვენ მოვდივართ შენთან, რადგან შენა ხარ უფალი, ჩვენი ღმერთი.

²³მართლაც, ამაოდ გვქონდა იმედი ბორცვების და უამრავი გორაკებისა; მართლაც უფალში, ჩვენს ღმერთში, არის ისრაელის ხსნა.

²⁴ჩვენი სიყმაწვილიდან ეს სისამაგლე ჭამდა ჩვენი მამების ნაჯაფარს, მათ ცხვარსა და ძროხას, მათ ძეთა და ასულთ.



²⁵ჩვენი სისაძაგლით დავისვარეთ და ჩვენი სირცხვილი გვახურავს ზედ, რადგან უფალს, ჩვენს ღმერთს, ვცოდავდით ჩვენ და ჩვენი მამები ჩვენი სიყმაწვილიდან დღევანდელ დღემდე, და არ ვუსმენდით ჩვენი უფალი ღმერთის ხმას.

იერემია 4

¹თუ მოიქცევი, ისრაელ, – ამბობს უფალი, – თუ ჩემსკენ მოიქცევი; შენს სისაძაგლებს მომაშორებ, აღარ იწანწალებ.

²თუ დაიფიცავ უფლის სახელით ჭეშმარიტად, სამართალსა და სიმართლეში, იკურთხებიან შენს მიერ ხალხები და შენს მიერვე განითქმებიან.

³რადგან ასე ეუბნება უფალი იუდას ხალხსა და იერუსალიმს: მოიხანით ახალი მინდვრები და ნუ დათესავთ ეკალ-ბარდებში.

⁴წინადაიცვითეთ უფლისათვის და მოიცილეთ წინადაუცვეთლობა თქვენი გულისა, იუდას ხალხო და იერუსალიმის მკვიდრო, რათა ცეცხლივით არ გამოვარდეს ჩემი რისხვა და თქვენი ბოროტმოქმედების გამო ისე არ აგიზგიზდეს, რომ ვერავინ ჩააქროს.

⁵გამოაცხადეთ იუდაში და გაახშიანეთ იერუსალიმში, ამცნეთ და ბუკის კვრა გააჩაღეთ ქვეყანაში; იყვირეთ მთელი ხმით და აუწყეთ: შეგროვდით და წავიდეთ-თქო გამაგრებულ ქალაქებში!

⁶სიონისკენ მიმართეთ ბაირალი, გაიქეცით, ნუ გაჩერდებით, რადგან უბედურება და დიდი დაღუპვა მომაქვს ჩრდილოეთიდან.

⁷ლომი გამოდის შამბნარიდან, ხალხების გამანადგურებელი დაიდრა: გამოდის თავისი ბუნაგიდან, რათა უდაბნოდ აქციოს შენი მიწა. აოხრდება შენი ქალაქები, კაცი არ დარჩება იქ.

⁸ამიტომ შემოირტყით ძაძვები, იგლოვდეთ და მოთქვამდეთ, რადგან უფლის რისხვა არ აგვცდება.

⁹და იქნება იმ დღეს, – ამბობს უფალი, – რომ გული შეუდრკებათ მეფეს და მთავრებს, მღვდლები შეძრწუნდებიან და წინასწარმეტყველნი გაოგნდებიან.

¹⁰და ვთქვი მე: ოჰ, უფალო ღმერთო, ნუთუ მართლა შენ მოატყუე ეს ხალხი და იერუსალიმი, რომ უთხარი: მშვიდობა გექნებათო? მაგრამ მახვილი ყელზეა მობჯენილი.



¹¹იმ დროს ეტყვიან ამ ერსა და იერუსალიმს: ხორშაკი უბერავს უდაბნოს ხრიოკი მაღლობებიდან ჩემი ერის ასულის გზაზე – ვერც კალოს განფიწლავ ამ ქარით და ვერც ნაწმენდს გამოაცლი ხვავს.

¹²მასზე ძლიერი ქარი ატყდება ჩემი ნებით იქიდან – მაშინ მეც გამოვუცხადებ განაჩენს მათ.

¹³აჰა, ღრუბელივით ამოდის იგი და ქარბორბალასავითაა მისი ეტლები. ორბეზზე უსწრაფესნი არიან მისი ცხენები, ვაი ჩვენს თავს, ვერ გადავრჩებით!

¹⁴გულიდან ამოირეცხე ბოროტება, იერუსალიმ, რომ გადარჩე! როდემდე უნდა ელოლიავებოდე ბოროტ ზრახვებს?

¹⁵ყვირილი ისმის დანიდან და ავის ნიშანია ეფრემის მთიდან.

¹⁶გამოუცხადეთ ხალხებს, ხმა მიაწვდინეთ იერუსალიმს, დამპყრობლები მოდიან შორეული ქვეყნიდან და ყიჟინით აყრუებენ იუდას ქალაქებს.

¹⁷როგორც მეველეები, გარს ერტყმიან მას, რადგან მე ამიჯანყდა ის, – ამბობს უფალი.

¹⁸შენმა საქციელმა და შენმა საქმეებმა დაგმართეს შენ ეს ყოველივე; შენი ბოროტებაა იმის მიზეზი, რომ გული ვარამით გეფლითება.

¹⁹ვაიმე, ჩემი გულ-ღვიძლი, გულ-ღვიძლი მეწვის! გულის ფიცარი მტკივა, მიკვნესის გული! ვერ დავდუმდები; რადგან ბუკის ხმა გესმის, სულო ჩემო, საბრძოლო ყიჟინა!

²⁰უბედურება უბედურებაზე: მთელი ქვეყანა ისპობა, უცებ გაიძარცვა ჩემი კარვები, წამიერად – ჩემი ჩარდახები.

²¹როდემდე უნდა ვუყურებდე დროშებს და მესმოდეს ბუკისცემის ხმა?

²²რეგვენია ჩემი ხალხი, მე არა მცნობს! ბრიყვი ბავშვები არიან ისინი. უგნურნი არიან ისინი, ჭკუა მხოლოდ ბოროტებისთვის ჰყოფნით, სიკეთის გაკეთება კი არ იციან.

²³დავყურებ მიწას და, აჰა, უსახური და უდაბურია, შევყურებ ზეცას – და იქ სინათლე არ ჩანს.

²⁴მთებს ვუყურებ და, აჰა, ზანზარებენ ისინი და ირყევა ყველა ბორცვი.

²⁵ვუყურებ, და, აჰა, ადამიანი აღარ ჩანს და ცის ფრინველნიც გაფრენილან;

²⁶ვუყურებ და, აჰა, ნაყოფიერი მხარე უდაბნოდ ქცეულა და ყველა მისი ქალაქი გაცამტვერებულა უფლის წინაშე, მისი მრისხანე გულისწყრომისაგან.



²⁷რადგან ასე ამბობს უფალი: მთელი ეს ქვეყანა უდაბნოდ იქცევა, მაგრამ საბოლოოდ არ მოვსპობ.

²⁸ამაზე იგლოვებს დედამიწა და მაღლა ცა დაბნელდება, რადგან მე უკვე ვთქვი ჩემი განაჩენი და არ ვნანობ და უკან არ დავიხევ.

²⁹მხედართა და მშვილდოსანთა ხმას გაურბიან ქალაქები, შევიდნენ უღრანებში და კლდეებში შეიხიზნენ, მთელი ქალაქები მიტოვებულია და მებორციელი არ დარჩენილა მათში.

³⁰შენ კი, გაპარტახებულო, რას გააკეთებ? თუმცა მოჩეულით იმოსები, თუმცა ოქროს სამკაულებით იმოსები, თვალებს იღებავ, მაგრამ ამაოდ ღამაზდები – საყვარლებმა შეგიძულეს, შენი მოკვლა სურთ.

³¹რადგან ხმა მესმა, თითქოს მშობიარე ქალები ყვირიანო, თითქოს პირველმშობიარე კივისო, ხმა – სიონის ასულისა; ქვითინით იწვდის ხელებს: ვაიმე, დაიქანცაო ჩემი სული მკვლელების წინაშე!

იერემია 5

¹მოიარეთ იერუსალიმის ქუჩები, მიიხედ-მოიხედეთ და ეძებეთ მის მოედნებზე; და თუ იპოვით სამართლიან კაცს, ჭეშმარიტების მძებნელს, მაშინ მეც ვაპატიებ იერუსალიმს.

²თუმცა ისინი ამბობენ: უფალს ვფიცავთო! მაგრამ სინამდვილეში ცრუდ იფიცებიან.

³უფალო, განა შენი თვალი ჭეშმარიტებისაკენ არაა მიპყრობილი? შენ ჰგვემ მათ, ისინი კი ვერ გრძნობენ ტკივილს; შენ ანადგურებ მათ, მაგრამ ჭკუას არ სწავლობენ; გაქვავდნენ, მოქცევა არ სურთ.

⁴მე ჩემთვის ვთქვი: შესაძლოა, ბეჩავნი არიან ისინი და უგუნურნი, რადგან არ იციან უფლის გზები, თავიანთი ღმერთის სამართალი.

⁵წავალ დიდებულებთან და მათ დაველაპარაკები, რადგან მათ იციან უფლის გზები, თავიანთი ღმერთის სამართალი. მაგრამ მათაც დალეწეს უღელი, დაწყვიტეს აპეურები.

⁶ამიტომაც დასცემს მათ ტყიური ღომი, ტრამალის მგელი გააჩანაგებს მათ, ჯიქი ჩაუსაფრდება მათ ქალაქებთან; ყოველ გარეთ გამოსულს დაფლეთს, რადგან გამრავლდა მათი ცოდვები, გაიზარდა მათი განდგომა.

⁷როგორ გაპატიებ შენ ამას? შენმა ძეებმა დამტოვეს მე და თავიანთ ცრუ ღმერთებს ფიცულობენ. მე ვაძღვებდი მათ, ისინი კი მრუშობდნენ და როსკიპთა სახლებსმიეძალნენ.



⁸ისინი ატეხილი ულაცებივით არიან: ყოველი მათგანი თავისი მოყვასის ცოლს შესჭიხვინებს.

⁹ნუთუ ამის გამო არ დავსჯი მათ, – ამბობს უფალი, – და ამ ხალხზე არ იძიებს შურს ჩემი სული?

¹⁰დაუარეთ მის ვაზებს და გააჩანაგეთ, მაგრამ მთლად არ მოსპოთ; ლერწი შეაჭერთ, რადგან უფლის არ არიან ისინი.

¹¹რადგან მიღალატა მე ისრაელის სახლმა და იუდას სახლმა! – ამბობს უფალი.

¹²უფალს განუდგნენ ისინი და ამბობდნენ: არ არისო ის, და არ გვეწევო უბედურება, და მახვილსა და შიმშილს არ ვიხილავთო.

¹³ეს წინასწარმეტყველნი ქარად იქცევიან და უფლის სიტყვა არ არის მათში. ასეც დამართნიათ მათ.

¹⁴ამიტომ ასე ამბობს უფალი, ცაბოთ ღმერთი: რადგან თქვენ ამ სიტყვებს ლაპარაკობთ, მე ჩემს სიტყვებს ცეცხლად ჩაგიდებთ ბაგეებში, ხოლო ამ ხალხს – შეშად, რომელსაც ეს ცეცხლი დაბუგავს!

¹⁵აჰა, მე მოგისევ ხალხს შორიდან, ისრაელის სახლო, – ამბობს უფალი, – ძლიერი ხალხია იგი, ძველი ხალხია იგი, ხალხი, რომლის ენა არ იცი შენ, და ვერ გაიგებ, რას ილაპარაკებს.

¹⁶მისი კაპარჭი ღია საფლავივითაა; ყველანი მამაცი მეომრები არიან.

¹⁷გადაჭამენ ისინი შენს სამკალს და შენს პურს, შეჭამენ შენს ძეთ და შენს ასულთ, შეჭამენ შენს ცხვარ-ძროხას, შეჭამენ შენს ყურძენსა და ლევს, მახვილით მოაოხრებენ შენს გამაგრებულ ქალაქებს, რომელთა იმედიტაც ხარ.

¹⁸და იმ დღეებშიც, – ამბობს უფალი, – არ მოგსპობთ მთლიანად.

¹⁹და თუ იკითხავენ: რის გამო გაგვიკეთაო ჩვენ უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, ეს ყოველივე? უთხარი მათ: როგორც თქვენ მიმატოვეთ მე და ემსახურებოდით უცხო ღმერთებს თქვენს ქვეყანაში, ასევე მოემსახურებით უცხოელებს იმ ქვეყანაში, რომელიც თქვენი არ იქნება.

²⁰აუწყეთ ეს იაკობის სახლში და გამოაცხადეთ იუდაში ასე:

²¹ისმინე ეს, ბრიყვო და უგუნურო ხალხო: თვალები აქვთ მათ და ვერ ხედავენ, ყურები აქვთ და ვერ ისმენენ .

²²განა ჩემი არ უნდა გეშინოდეთ, – ამბობს უფალი, – ჩემს წინაშე არ უნდა კანკალებდეთ? მე ქვიშა დავუდე ზღვას საზღვრად, საუკუნო მიჯნად,



რომელსაც ვერ გადმოხეთქავს; თუმცა ღელავენ მისი ტალღები, მაგრამ ვერ სძლევენ, ბოხოქრობენ, მაგრამ ვერ გადალახავენ მას.

²³ამ ხალხს კი ურჩი და მეამბოხე გული აქვს, განმიდგნენ და წავიდნენ.

²⁴გულში არც გაუვლიათ: გვეშინოდესო უფლისა, ჩვენი ღმერთისა, რომელიც თავის დროზე გვაძლევს შემოდგომისა და გაზაფხულის წვიმებს, გვიწესებს ალოობის შვიდეულებს.

²⁵თქვენმა ურჯულოებამ დაგაკარგვინათ ეს ყოველივე და თქვენმა ცოდვებმა მოგაკლოთ სიკეთე.

²⁶რადგან ჩემს ერში არიან ბოროტეულნი, თავწახრით ჩასაფრებულან, როგორც ფრინველზე მონადირენი, მახეებს აგებენ, კაცთა შესაპყრობად.

²⁷როგორც ფრინველებით სავსე გალია, ისეა მათი სახლები სიცრუით გავსილი. ამიტომ განდიდდნენ და გამდიდრდნენ ისინი,

²⁸დასუქდნენ, დასქელდნენ, გადააჭარბეს ბოროტების ყოველგვარ საზღვარს, უსამართლოდ განსჯიან, ობოლთა გასაჭირს არ უყურებენ; ღატაკთა მართალ საჩივარს არ დაგიდევენ.

²⁹ნუთუ ამის გამო არ დაგსჯი? – ამბობს უფალი, – განა ასეთ ხალხზე არ იძიებს შურს ჩემი სული?

³⁰საშინელი და საზარელი ამბები ხდება ქვეყანაზე.

³¹სიცრუეს იუწყებიან წინასწარმეტყველნი, მღვდლები ბატონობენ მათი ხელით, ჩემს ერს კი მოსწონს ეს. მაგრამ რა მოგელით ამის შემდეგ?

იერემია 6

¹გაიქეციტ, ბენიამინის ძენო, იერუსალიმიდან, და თეკოაყში ჰკარით ბუკს, ბეთ-ჰაქერემს კოცონით ანიშნეთ, რადგან უბედურება და დიდი დაღუპვა მოდის ჩრდილოეთიდან.

²შევადრი სიონის ასულს მშვენიერ სამოვარს.

³მწყემსები მოვლენ მასთან და მორეკავენ ფარებს, გაშლიან მის ირგვლივ კარებს და თითოეული თავის სამოვარზე დამწყესავს.

⁴მოემზადეთ მასთან საომრად; ადექით და ავიდეთ შუადღისას. ვაი ჩვენ, რადგან მიიღია დღე, წაგრძელდა სადამოს ჩრდილები.

⁵ადექით და ავიდეთ ღამით და გავანადგუროთ მისი დარბაზები!



⁶რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: გაჩეხეთ მისი ხეები და გააკეთეთ იერუსალიმის წინ მიწაყრილი, ეს ქალაქი უნდა დაისაჯოს – ძალადობით საესეა იგი.

⁷როგორც წყაროს ნაკადი ამოხეთქავს წყალს, ისე ამოანთხევს ის თავის ბოროტებას, მარცვისა და ძალადობის ხმა ისმის იქ, ჩემს წინაშე მუდამ სნეულებაა და ჭრილობები.

⁸გონთ მოდი, იერუსალიმ, რომ არ განგიდგეს ჩემი სული, უდაბურ და უკაცრიელ ქვეყნად რომ არ გაქციო.

⁹ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: ვენახივით მოიმცვრევენ ისრაელის ნარჩენს; გაიწოდე ხელი ვაზისაკენ, როგორც ყურძნის მკრეფავი იწვდის გოდრისაკენ.

¹⁰ვის ველაპარაკო? ვინ გავაფრთხილო, რომ მოისმინოს? აჰა, წინადაუცვეთელია მათი ყური და არ შეუძლია გაგონება. აჰა, უფლის სიტყვა სამასხროდ ჰქონდათ მათ, არ სიამოვნებდათ.

¹¹სავსე ვარ უფლის რისხვით, ველარ ვიტევ! გადმოანთხიე იგი ქუჩაში ყმაწვილებზე და ერთად თავშეყრილ ჭაბუკებზე, რადგან ქმარსაც ცოლთან ერთად შეიპყრობენ და ჭარმაგს – ხანდაზმულთან ერთად.

¹²და მათი სახლები სხვებს დარჩებათ, ასევე მათი ცოლები და ყანები, რადგან მე ხელს გავიწვდი ამ ქვეყნის მცხოვრებლებზე, – ამბობს უფალი.

¹³რადგან დიდთან-პატარიანად ყველა ანგარებით არის შეპყრობილი და წინასწარმეტყველიდან მღვდლამდე ყველა სიცრუის მოქმედია.

¹⁴ჩემი ხალხის ჭრილობებს კი ზერელედ კურნავენ, რომ ამბობენ: მშვიდობაა! მშვიდობააო! მაგრამ არ არის მშვიდობა.

¹⁵რცხვენიათ კი მათ, როცა სისამაგლეს აკეთებენ? სრულიადაც არა და არც წითლდებიან, ამიტომ დაეცემიან ისინი დაცემულთა შორის. წაიფორხილებენ, როცა დავსჯი მათ, – ამბობს უფალი.

¹⁶ასე ამბობს უფალი: შეჩერდით გზებზე და მიმოიხედეთ, და იკითხეთ ძველი ბილიკები, რომელი გზაა უკეთესი, და იარეთ მასზე და შვებას მოუპოვებთ თქვენს სულებს. მაგრამ მათ თქვეს: არ ვივლითო.

¹⁷მცველები დავუყენე მე მათ და ვუთხარი: ყური დაუგდეთ-მეთქი ბუკის ხმას! მაგრამ მათ თქვეს: არ მოვუსმენთო.

¹⁸ამიტომ ისმინეთ, ხალხებო, და იცოდეთ, საზოგადოებავე, რაც მოუვა მათ.

¹⁹ისმინე, დედამიწავ: აჰა, მე მომაქვს უბედურება ამ ხალხებისთვის, ნაყოფი მათი ზრახვებისა, რადგან ჩემს სიტყვებს არ მოუსმინეს და ჩემი რჯული მოიძულეს.



²⁰რად მინდა მე გუნდრუკი, შებადან რომ მოაქვთ, და სურნელოვანი ლერწამი შორეული ქვეყნიდან? თქვენი სრულადდასაწველი მიუღებელია ჩემთვის და თქვენი მსხვერპლები უამური.

²¹ამიტომაც ასე ამბობს უფალი: აჰა, მე ამ ხალხს ფეხწამოსაკრავებს ვუწყობ წინ და დაბრკოლებიან მათზე მამები და შვილები ერთად, მეზობელი და მისი მოყვასი, ფეხს წამოჰკრავენ და დაიღუპებიან.

²²ასე ამბობს უფალი: აჰა, ხალხი მოდის ჩრდილოეთის ქვეყნიდან და დიდი ერი აღიმგრის ქვეყნის კიდეებიდან.

²³მშვილდი და შუბი უჭირავთ მათ; სასტიკნი არიან და დაუნდობელნი, მათი ხმა აბოხოქრებული ზღვასავითაა; ცხენებზე ამხედრებული მოდიან; როგორც ერთი, ყველა მზადაა შენთან საომრად, სიონის ასულო.

²⁴მათი ამბავი მოგვესმა და მკლავები ჩამოგვცვივდა, ტანჯვებმა შეგვიპყრეს, როგორც ქალი მშობიარობის ტკივილებმა.

²⁵ველად ნუ გახვალთ და გზას ნუ დაადგებით, რადგან მტრის მახვილს საშინელება მოაქვს ყოველი მხრიდან.

²⁶ჩემი ერის ასულო, შემოირტყი ძაძა და ნაცარი გადაიყარე თავზე; იგლოვე, თითქოს დედისერთა მოგკვდომოდეს, მწარედ ატირდი, რადგან უეცრივ დაგვეცემა შემმუსვრელი.

²⁷გამომკვლევად განგაწესე ჩემს ერში, რათა გცოდნოდა მათი გზები და გამოგეკვლია.

²⁸ყველანი ჯიუტი განდგომილნი არიან, ცილისწამებით მცხოვრებნი; ბრინჯაო და რკინა, ყველა წარწყმედილია.

²⁹ქმინავს საბერველი, ტყვია ჩაიკარგა ცეცხლში; ამაოდ აღნობდა მქანდაკებელი, რადგან მათი უკეთურება არ დადნა.

³⁰გამოუხურვებელ ვერცხლს დაარქმევნ მათ, რადგან უფალმა უარყო ისინი.

იერემია 7

¹უფლის სიტყვა, თქმული იერემიას მიმართ:

²დადექი უფლის ტაძრის კარიბჭეში და აუწყე იქ ეს სიტყვა, და თქვი: ისმინეთ უფლის სიტყვა, იუდაელნო, უფლის სათაყვანებლად ამ კარიბჭეებში შემომსვლელნო.



- ³ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: გამოასწორეთ თქვენი გზები და საქმენი, და მე დაგამკვიდრებთ ამ ადგილას.
- ⁴ნუ დანდობილხართ ცრუ სიტყვებს: აი ის, უფლის ტაძარია, უფლის ტაძარია, უფლის ტაძარი არისო!
- ⁵მაგრამ თუ გამოასწორებთ თქვენს გზებსა და თქვენს საქმეებს, თუ სამართალს გააჩნთ კაცსა და მის მოყვასს შორის,
- ⁶თუ მწირსა და ქვრივ-ობლებს არ დაჩაგრავთ, და უდანაშაულო სისხლს არ დაღვრით ამ ადგილზე და, თუ უცხო ღმერთებს არ გამოედევნებით თქვენს სავალალოდ,
- ⁷მაშინ დაგამკვიდრებთ ამ ადგილას, ამ ქვეყანაში, რომელიც მე მივეცი თქვენს მამებს სამარადისოდ.
- ⁸თქვენ კი დანდობილხართ ცრუ სიტყვებს, რომლებიც არაფერს მოგიტანენ.
- ⁹იპარავთ, კლავთ, მრუშობთ, ცილფიცულობთ, ბაყალს უკმევთ და სხვა ღმერთებს აჰყოლიხართ, რომელთაც არ იცნობდით.
- ¹⁰მერე კი მოდიხართ და დგებით ჩემს წინაშე ამ სახლში, ჩემი სახელით რომ იწოდება, და ამბობთ: გადავრჩითო! და კვლავ აკეთებთ ყველა ამ სისამაგლეს.
- ¹¹ავაზაკთა ბუნაგი ხომ არ გგონიათ ეს სახლი, რომელიც ჩემი სახელით იწოდება? აჰა, მე ვხედავ, რომ ასეა, – ამბობს უფალი.
- ¹²წადით შილოში, იქ, სადაც პირველად დავავანე ჩემი სახელი, და ნახეთ, რა ვუყავი მას ჩემი ერის, ისრაელის, ბოროტების გამო.
- ¹³ახლა კი, რადგან თქვენ ყოველივე ამას აკეთებთ, – ამბობს უფალი, – თუმცა კი მე გეუბნებოდით განთიადიდან, გელაპარაკებოდით და არ გესმოდათ, გიხმობდით და არ მაგონებდით, –
- ¹⁴ისევე მოვექცევი სახლს, რომელიც ჩემი სახელით იწოდება და რომელზეც თქვენა ხართ დანდობილნი, და იმ ადგილს, რომელიც მოგეცით თქვენ და თქვენს მამებს, როგორც მოვექეცი შილოს.
- ¹⁵და მოგისვრით ჩემს თვალთაგან, როგორც მოვისროლე ყველა შენი ძმა, ეფრემის მთელი მოდგმა.
- ¹⁶შენ კი, ნუ ილოცებ ამ ხალხისათვის, ნუ იტირებ მათთვის, ნუ აამაღლებ ვედრებასა და ლოცვას, ნუ შემეხვეწები, რადგან მე არ მოგისმენ შენ.
- ¹⁷განა ვერ ხედავ, რას აკეთებენ ისინი იუდას ქალაქებსა და იერუსალიმის ქუჩებში?



¹⁸შვილები შეშას აგროვებენ, მამები ცეცხლს აჩაღებენ; ქალები ცომს ზელენ ცის დედოფლისთვის კოტორების გამოსაცხოზად; საღვრელს უღვრიან სხვა ღმერთებს ჩემს გასაბოროტებლად.

¹⁹მაგრამ განა მე მაგულისებენ ისინი, – ამბობს უფალი, – უფრო თავის თავს არცხვენენ.

²⁰ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, ჩემი რისხვა და ჩემი გულისწყრომა გადმოინთხევა ამ ადგილზე, კაცსა და პირუტყვზე, ველის ხეებზე და მიწის ჭირნახულზე; გაღვივდება და არ ჩაქრება.

²¹ასე ამბობს ცაბათ უფალი, ისრაელის ღმერთი: თქვენი სრულადდასაწველები დაუმატეთ თქვენს მსხვერპლებს და ჭამეთ ხორცი,

²²რადგან მე არაფერი მითქვამს თქვენი მამებისათვის, როცა ეგვიპტის ქვეყნიდან გამომყავდა, და არ მომითხოვია მათთვის სრულადდასაწველი და მსხვერპლები;

²³მხოლოდ ეს ვუბრძანე მათ: გაიგონეთ ჩემი სიტყვა და მე ვიქნები თქვენი ღმერთი და თქვენ იქნებით ჩემი ერი, და ივლით ყველა იმ გზით, რომელსაც გიბრძანებთ, რომ სიკეთეს ეწიოთ.

²⁴მაგრამ მათ არ გაიგონეს და ყურიც არ შეიბერტყეს; თავისი ჭკუით ცხოვრობდნენ და თავიანთი ბოროტი გულისთქმით; და პირი უკულმა ქნეს ჩემგან.

²⁵იმ დღიდან, რაც თქვენი მამები გამოვიდნენ ეგვიპტის ქვეყნიდან, დღემდე გიგზავნიდით ჩემს მსახურთ – წინასწარმეტყველთ; დღენიადაგ გიგზავნიდით დილაადრიან,

²⁶მაგრამ არ მისმინეს მე და არ დამიგდეს ყური, ქედი გაიფიცხეს და თავიანთ მამებზე უარესად იქცეოდნენ.

²⁷შენ კი ეტყვი მათ ყველა ამ სიტყვას, მაგრამ არ მოგისმენენ; მოუხმობ, მაგრამ და არ გიპასუხებენ.

²⁸უთხარი მათ: ესაა ხალხი, რომელმაც არ ისმინა უფლის, თავისი ღმერთის, ხმა და არ მიიღო დარიგება; დაკარგა ჭეშმარიტება, ამოიკვეთა იგი მათი ბაგეებიდან.

²⁹მოიკვეცე დალალები და გადაყარე, გოდება მოფინე არემარეს, რადგან უფალმა უარყო და დატოვა ეს მოდგმა, რომელმაც განარისხა იგი.

³⁰რადგან იუდაელნი ბოროტად იქცევიან ჩემს თვალწინ, – ამბობს უფალი, – თავიანთი სისამაგლეები დააწყვეს სახლში, რომელიც ჩემი სახელით იწოდება, რათა შებილწონ იგი,



³¹და ააგეს თოფეთის მაღლობი ბენ-ჰინომის ველზე, რათა ცეცხლში დაწვან თავიანთი ძენი და ასულნი, რაც არ მიბრძანებია და არც გულში გამივლია.

³²ამიტომ დადგება დღე, – ამბობს უფალი, – და აღარ ეტყვიან ამ ადგილს თოფეთს და ბენ-ჰინომის ველს, არამედ სასაკლავო ველს; და თოფეთში მკვდრების დასამარხი ადგილი გაჭირდება.

³³და ეყრება ამ ხალხის გვამები ცის ფრინველთა და ველის მხეცთა საჯიჯგნად, კაცი აღარ იქნება მათი მომგერიებელი.

³⁴და შევწყვეტ მე იუდას ქალაქებსა და იერუსალიმის ქუჩებში მხიარულების ხმას და ლხინის ხმას, ნეფის ხმასა და საპატარძლოს ხმას, რადგან უდაბნოდ იქცევა ეს ქვეყანა.

იერემია 8

¹იმ დროს, – ამბობს უფალი, – ამოყრიან მათი საფლავებიდან იუდას მეფეთა და მის მთავართა, მის მღვდელთა, მის წინასწარმეტყველთა და იერუსალიმის მკვიდრთა ძვლებს.

²და მიმოფანტავენ მათ მზისა და მთვარისა და ცის მთელი მხედრობის გულზე, რომლებიც უყვარდათ მათ და, რომლებსაც ემსახურებოდნენ და რომელთაც მიჰყვებოდნენ, რომელთაც ეძებდნენ და რომელთაც თაყვანს სცემდნენ; არავინ აკრეფს მათ და არ დამარხავს. ნაგვად ეყრება მიწაზე.

³და ყველა გადარჩენილს, ამ ბოროტი მოდგმის ნეშტს, სიკვდილი გაუხდება სანატრელი, – ამბობს ცაბაოთ უფალი.

⁴უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი: ნუთუ ვინც დაეცა, ველარ აღდგება, ან გზასაცდენილნი ველარ დაბრუნდებიან?

⁵რატომ გამიდგა ეს ერი, იერუსალიმ, სამუდამო განდგომით? ისინი ებლაუჭებიან სიცრუეს და აღარ უნდათ მობრუნება.

⁶ყურს ვუგდებდი და მოვისმინე, რომ სიმართლეს არ ლაპარაკობენ, არავინ ნანობს თავის ბოროტებას, არავინ ამბობს: რა დავაშავეო? თითოეული თავის სარბიელს უბრუნდება, ომში შევარდნილი ცხენივით.

⁷ცისქვეშეთში ყანჩამაც კი იცის თავისი ვადები, და გვრიტი და მერცხალი და წერო იცავენ თავიანთი მოსვლის ჟამს, ჩემმა ერმა კი არ იცის უფლის განგება.

⁸როგორ ამბობთ: ბრძენნი ვართ და უფლის რჯული ჩვენთან არისო? მაგრამ აჰა, მწიგნობართა ცრუ კალამმა ისიც გააყალბა .



⁹თავი შეირცხვინეს ბრძენკაცთ, შეძრწუნდნენ, თავგზა აებნათ. აჰა, მოიძულეს უფლის სიტყვა და რაღაა მათი სიბრძნე?

¹⁰ამიტომ მათ ცოლებს სხვებს გადავცემ, მათ მინდვრებს – უცხო მფლობელებს, რადგან დიდიან-პატარიანად ყველა ანგარების მოყვარეა, წინასწარმეტყველიდან მღვდლამდე ყველა ყალბისმქნელია.

¹¹და ზერელედ მკურნალობენ ჩემი ერის ასულის ჭრილობას, გაიძახიან: მშვიდობა, მშვიდობაო! მაგრამ არ არის მშვიდობა.

¹²რცხვენიათ მაინც, სისამაგლეს რომ სჩადიან? არა, არცკი წითლდებიან. ამიტომ დაეცემიან დაცემულთა შორის; იმ დროს, როდესაც მოვიკითხავ მათ, წაიფორხილებენ ისინი, – ამბობს უფალი.

¹³პირწმინდად გავცლი მათ მოსავალს, – ამბობს უფალი, – მტევანი არ შერჩება ვაზს და ერთი ცალი ლეღვი არ დარჩება ხეზე, ჩამოჰყვნება ფოთოლი და, რაც მივეცი მათ, ხელიდან გამოეცლებათ.

¹⁴რას ვუსხედვართ? თავი მოიყარეთ, წავიდეთ გამაგრებულ ქალაქებში და იქ დავილუპოთ; რადგან უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, დაგვლუპა და გვასვა მოწამლული წყალი, რადგან შევცოდეთ უფლის წინაშე.

¹⁵მშვიდობას ველით და არ არის სიკეთე, განკურნების ჟამს – და, აჰა, საშინელება.

¹⁶დანიდან ისმის მისი ცხენების ჭიხვინი, მისი ულაყების თქარა-თქური მთელ დედამიწას აზანზარებს. მოდიან ისინი და ჭამენ ქვეყანას და მის სისავსეს, ქალაქებსა და მათ მკვიდრთ.

¹⁷რადგან მე მოგივლენთ გველებს და ასპიტებს, რომელთა წინააღმდეგაც არ ჭრის შელოცვა, და დაგგესლავენ ისინი, – ამბობს უფალი.

¹⁸სევდა მომეძალა, წუხს ჩემი გული!

¹⁹აჰა, მესმის ჩემი ერის ასულის ქვითინის ხმა შორეული ქვეყნიდან: ნუთუ აღარ არისო უფალი სიონზე? ნუთუ აღარ არის იქ მეფე? რატომ განმარისხა ჩემმა ერმა თავიანთი კერპებით – უცხოთა ამ არარაობებით?

²⁰ალოობა დამთავრდა, მიიღია ზაფხული, ჩვენ კი არ გვეშველა.

²¹ჩემი ერის ასულის შემუსვრით მეც შევიმუსრე, დავბნელდი, საშინელებამ შემიპყრო.

²²ნუთუ აღარ არის ბალზამი გალაადში? ნუთუ აღარც მკურნალი არის იქ? მაშ რატომ არ განიკურნა ჩემი ერის ასული?

იერემია 9



- ¹ო, ნეტავ მომცა მოგზაურთა სადგური უდაბნოში! ვიტყვებდი მე დღე და ღამე ჩემი ერის ასულის წყლულებზე!
- ²ო, ნეტავ, უდაბნოში მოგზაურთა თავშესაფარი მომცა! დავტოვებდი ჩემს ერს და გავშორდებოდი, რადგან ყველანი მრუშები არიან, მოღალატეთა ხროვა.
- ³მშვილდივით ჭიმავენ ენებს სიცრუისათვის, და სიმართლისათვის კი არ გამაგრდნენ ქვეყანაზე, არამედ ბოროტებიდან ბოროტებაზე გადადიან და არ მცნობენ მე, – ამბობს უფალი.
- ⁴მოერიდეთ თითოეული თავის მოყვასს და ნურც ერთ თქვენს ძმათაგანს ნუ ენდობით, რადგან ყოველი ძმა ფეხს უდებს მეორეს და ყოველი მოყვასი ცილისწამებას ავრცელებს.
- ⁵ყოველი თავის მოყვასს დასცინის და სიმართლეს არ ლაპარაკობენ; მიაჩვიეს ენა სიცრუეს, ქანცი გაუწყდათ თვალთმაქცობით.
- ⁶ვერაგობაში ცხოვრობ შენ! ვერაგნი არიან, ჩემი დანახვა არ სურთ, – ამბობს უფალი.
- ⁷ამიტომ ასე ამბობს ცაბათ უფალი: აჰა, მე გადავადნობ და გამოვცდი მათ, სხვაგვარად როგორ მოვიქცე ჩემი ერის ასულისთვის?
- ⁸მათი ენა – გამაპოებელი ისარი, მზაკვრობით სავსეა მათი ბაგეები. პირით მშვიდობას ეუბნებიან მოყვასს, გულში კი მახეს უგებენ.
- ⁹როგორ არ დავსაჯო ისინი ამის გამო? – ამბობს უფალი, – ნუთუ ასეთ ხალხზე არ იძიებს შურს ჩემი სული?
- ¹⁰მთების გამო ავამაღლებ ტირილს და მოთქმას, და ველ-მინდვრების საძოვრების გამო, რადგან გადაბუგულია ისინი და აღარავინ დადის იქ, არ ისმის ნახირის ზმუილი; ცის ფრინველები გაფრინდნენ, მხეცები გადაიხვეწნენ.
- ¹¹და ვაქცევ იერუსალიმს ქვა-ღორღის გროვებად, ტურების ბუნაგად; და იუდას ქალაქებს გავაუდაბურებ, უკაცურს გავხდი.
- ¹²ვინ არის ისეთი ბრძენი, რომ ეს გაიგოს? და ვის მიმართავენ უფლის ბაგენი, რომელსაც შეუძლია ამცნოს, თუ რისთვის დაიღუპა ეს ქვეყანა და რისთვის გადაიხრუკა უდაბნოსავით, რომ აღარავინ ჭაჭანებს იქ?
- ¹³და ამბობს უფალი: ეს იმის გამოა, რომ მიატოვეს ჩემი რჯული, რომელიც მე მივეცი მათ და არ შეისმინეს ჩემი ხმა, და არ გაჰყვნენ მას,
- ¹⁴არამედ დადიოდნენ თავიანთი გულისთქმითა და ბაყალების კვალზე, როგორც მათმა მამებმა ასწავლეს მათ.



¹⁵ამიტომ ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: მე შევაჭმევ ამ ერს აბზინდას, და შევასმევ გესლოვან წყალს;

¹⁶და გავფანტავ მათ ხალხებში, რომლებსაც არ იცნობდნენ არც ისინი და არც მათი მამები, და მახვილს მივაყოლებ უკან, ვიდრე არ ამოვწყვეტ მათ.

¹⁷ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: დაუკვირდით და მოუხმეთ მოზარე ქალებს, რომ მოვიდნენ, და გაგზავნეთ განთქმულ მოზარეებთან, რომ ისინიც მოვიდნენ.

¹⁸დროზე მოვიდნენ და ზარი თქვან ჩვენზე, რომ ჩვენს თვალთაგან ცრემლმა იდინოს და წამწამებიდან – წყალმა.

¹⁹მოთქმის ხმა ისმის სიონიდან: როგორ გავნადგურდით! როგორ მწარედ შევრცხვით, რომ მივატოვეთ ჩვენი ქვეყანა და დავაგდეთ ჩვენი სახლ-კარი!

²⁰აბა, ისმინეთ, ქალებო, უფლის სიტყვა! ყურად იღეთ სიტყვა მის ბაგეთა და ასწავლეთ თქვენს ასულთ მოთქმა და ერთმანეთს – გოდება;

²¹სიკვდილი მოგვადგა კარზე, შემოდის ჩვენს დარბაზებში, ბავშვებს ქუჩებში ცელავს და ჭაბუკებს – მოედნებზე.

²²და უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი: ადამიანთა გვამები მინდორზე ეყრება, როგორც ფუნა და, როგორც ხელეური მომკელის კვალზე და კაცი არ იქნება მათი ამკრეფი.

²³ასე ამბობს უფალი: ნუ იამაყებს ბრძენი თავისი სიბრძნით, და ნუ იამაყებს ძლიერი თავისი ძალით, და ნუ იამაყებს მდიდარი თავისი სიმდიდრით.

²⁴არამედ მან იამაყოს, ვინც იმით ამაყობს, რომ მე მიცნობს, რადგან მე, უფალი, ვიქმ წყალობას, სამართალსა და სიმართლეს ქვეყანაზე, რადგან ეს არის ჩემთვის სასურველი! – ამბობს უფალი. –

²⁵აჰა, დგება ჟამი, – ამბობს უფალი, – როცა დავსჯი მათ, ვისაც მხოლოდ ჩუჩა აქვს დაცვეთილი.

²⁶მე დავსჯი ეგვიპტესა და იუდას, ედომსა და ყამონელთ, მოაბსა და ყველა საფეთქელაპარსულს, რომლებიც უდაბნოში ცხოვრობენ. სხვა ხალხები წინადაუცვეთელნი არიან, ასევე ისრაელიანთა გულებიც წინადაუცვეთელია.

იერემია 10

¹ისმინე სიტყვა, ისრაელის სახლო, რომელსაც უფალი გეუბნება შენ.



- ² ასე ამბობს უფალი: ნუ ისწავლით წარმართთა გზას და ცის ნიშნებისა ნუ შეგეშინდებათ, რომლებისაც წარმართებს ეშინიათ.
- ³ რადგან ადამიანთა კერპები არარაობაა: ტყეში მოჭრეს ხე, დურგლმა გათალა ნაჯახით,
- ⁴ ვერცხლითა და ოქროთი დაფერა და ლურსმნებითა და ჩაქუჩით დაამაგრა, რომ არ ირყეოდეს.
- ⁵ ბოსტანში დადგმულ საფრთხობელას ჰგვანან, ლაპარაკი არ შეუძლიათ, ხელით ატარებენ, რადგან თავად ვერ დადიან; ნუ შეგეშინდებათ მათი, რადგან ვერ იბოროტებენ, მაგრამ არც სიკეთის ქმნა შეუძლიათ.
- ⁶ არავინ არის შენი მსგავსი, უფალო, დიდი ხარ შენ და დიდი ძალისაა შენი სახელი.
- ⁷ ვის არ შეეშინდება შენი, ხალხთა მეუფე? მხოლოდ შენ ერთს გეკუთვნის ეს; რადგან წარმართთა ყველა ბრძენს შორის და ყველა მათ სამეფოში არავინ არის შენი მგავსი.
- ⁸ ყველა ერთიანად გამოტვინდა და გასულელდა, ხის კერპია მათი ჭკუის მასწავლებელი,
- ⁹ თარშიშის ვერცხლით და უფაზის ოქროთი მოჭედილი, დურგლისა და ოქრომჭედლის ნახელავი; მათი სამოსელი – იაკინთი და ძოწეული – ოსტატთა ნახელავია.
- ¹⁰ უფალი კი ჭეშმარიტი ღმერთია, ის არის ცოცხალი ღმერთი და საუკუნო მეფე, დედამიწა ირყევა მისი რისხვით და ვერ უძლებენ ხალხები მის რისხვას.
- ¹¹ ასე უთხარით მათ: ღმერთები, რომელთაც არ შეუქმნიათ ცა და მიწა, გაქრებიან ამ ქვეყნიდან და ცისქვეშეთიდან.
- ¹² უფალმა შექმნა დედამიწა თავისი ძალით, განამტკიცა სამყარო თავისი სიბრძნით, და თავისი გონიერებით განავრცო ზეცა,
- ¹³ მის ხმაზე ხმაურობენ წყლები ზეცაში, ღრუბლები ამოჰყავს მას ქვეყნის კიდეებიდან, ის წარმოშობს საწვიმრად ჭექა-ქუხილს, აგზავნის ქარს თავისი საგანძურებიდან.
- ¹⁴ უვიცობისგან გაბრიყვდა ადამიანი, შერცხვენილია ოქრომჭედელი თავისი კერპით, რადგან ფუჭია მისი ქანდაკი, სული არ უდგას.
- ¹⁵ სრული სიცარიელეა ისინი – საქმე ცთომილებისა, მათი განკითხვისას გაქრებიან ისინი.



¹⁶ასეთი არ არის იაკობის წილხვედრი, რადგან იგია ყოველივეს შემოქმედი, ისრაელი კი მისი სამკვიდროს კვერთხია, ცაბაოთ უფალია მისი სახელი.

¹⁷აიკრიფე გუდა-ნაზადი და დატოვე შენი ქვეყანა, ალყაში მოქცეულ!

¹⁸რადგან ასე ამბობს უფალი: აჰა, მე გავდევნი ახლა ამ ქვეყნის მცხოვრებთ, ამჯერად უბედურებას დავატებ მათ თავს, რათა ბოლომდე შესვან იგი.

¹⁹ვაი, ჩემს უბედურებას! უკურნებელია ჩემი წყლული! ვიფიქრე: ნამდვილად ეს იყო-მეთქი ჩემი უბედურება და მე მეწია-მეთქი ის!

²⁰ჩემი კარავი გაძარცვულია და ყველა საბელი გაწყვეტილია, ჩემი ძენი წავიდნენ ჩემგან და აღარ არიან: აღარავინ მყავს კარვის გამშლელი და ფარდების გამჭიმავი.

²¹გამიგიჟდნენ მწყემსები და არ მოიკითხეს უფალი, გაუგუნურდნენ და მთელი მათი სამწყსო გაიფანტა.

²²ხმა დადის: აჰა, ის მოდის, და დიდი ღრიანცელი ჩრდილოეთის ქვეყნიდან, რათა უდაბნოდ აქციოს იუდას ქალაქები და ტურების ბუნაგად.

²³ვიცი, უფალო, რომ ადამიანის ხელთ არაა მისი გზა, რომ მავალი ვერ წარმართავს თავის ნაბიჯებს.

²⁴დამსაჯე მე, უფალო, ოღონდ სამართლით და არა შენი რისხვით, რათა არ დამამცრო.

²⁵გადმოანთხიე შენი გულისწყრომა წარმართებზე, რომლებიც არ გიცნობენ, და ტომებზე, რომლებიც შენს სახელს არ მოუხმობენ; რადგან შეჭამეს მათ იაკობი, მოსპეს ის და მოაოხრეს მისი სამოვრები.

იერემია 11

¹უფლის სიტყვა, თქმული იერემიას მიმართ:

²ისმინეთ ამ აღთქმის სიტყვები და უთხარით იუდას ხალხსა და იერუსალიმის მცხოვრებთ.

³და უთხარი მათ, ასე ამბობს-თქო უფალი, ისრაელის ღმერთი: წყეულია კაცი, რომელიც არ მოუსმენს ამ აღთქმის სიტყვებს,

⁴რომელიც მე ვუბრძანე თქვენს მამებს მათი გამოყვანის დღეს ეგვიპტის ქვეყნიდან – საკირის ცეცხლიდან: ისმინეთ ჩემი ხმა და გააკეთეთ ყოველივე, რასაც მე გიბრძანებთ, და იქნებით ჩემი ერი და მე ვიქნები თქვენი ღმერთი,



⁵რათა დავამტკიცო ფიცი, რომლითაც შევფიცე თქვენს მამებს, რომ მივცემდი მათ ქვეყანას, რძითა და თაფლით მდინარს, როგორც ეს დღესაც არის. და მე ვუპასუხე: ამინ, უფალო!

⁶და მითხრა მე უფალმა: წარმოთქვი ყველა ეს სიტყვა იუდას ქალაქებსა და იერუსალიმის ქუჩებში და თქვი: ისმინეთ-თქო ამ აღთქმის სიტყვები და შეასრულეთ!

⁷რადგან ვაფრთხილებდი თქვენს მამებს ეგვიპტიდან მათი გამოყვანის დღიდან დღევანდლამდე; განთიადიდან ვაფრთხილებდი, უსმინეთ-მეთქი ჩემს ხმას.

⁸მაგრამ არ უსმინეს და ყურიც არ მათხოვეს; და აჰყვა თითოეული თავის ბოროტ გულისთქმას, და მე მოვაწიე მათზე ამ აღთქმის ყველა სიტყვა, რომელიც ვუბრძანე მათ შესასრულებლად და არ შეასრულეს.

⁹და მითხრა უფალმა: შეთქმულნი არიან იუდაელნი და იერუსალიმის მცხოვრებნი.

¹⁰ისინი დაუბრუნდნენ თავიანთი მამების ურჯულოებას, რომლებმაც უარი თქვეს ჩემი სიტყვების მოსმენაზე, სხვა ღმერთებს აჰყვნენ, და ემსახურებოდნენ მათ. ისრაელის სახლმა და იუდას სახლმა დაარღვიეს ჩემი აღთქმა, რომელიც მე აღვუთქვი მათ მამებს.

¹¹ამიტომ ასე ამბობს უფალი: აჰა, მოვაწიე მათზე უბედურებას, რომლისგან თავის დაღწევას ვერ შეძლებენ ისინი, და, როცა შემომღალადებენ, მე არ მოვუსმენ მათ.

¹²და წავლენ იუდას ქალაქები და იერუსალიმის მცხოვრებნი და შეჰღალადებენ იმ ღმერთებს, რომელთაც უკმევენ, მაგრამ ვერ იხსნიან ის ღმერთები მათი უბედურების ჟამს.

¹³რადგან რამდენი ქალაქიც გაქვს, იმდენი ღმერთი გყავს, იუდავ! რამდენი ქუჩაც არის იერუსალიმში, იმდენი სისამაგლის სამსხვერპლო გაქვს აღმართული – ბაყალის საკმევი სამსხვერპლო.

¹⁴ნუ მთხოვ ამ ერისათვის და ნუ აამაღლებ მათზე ლოცვა-ვედრებას, რადგან არ მოვისმენ, როცა შემომღალადებენ მათი უბედურების ჟამს.

¹⁵რა უნდა ჩემს საყვარელ ხალხს ჩემს ტაძარში, როცა ამდენ ბოროტებას სჩადის? განა უბედურებას აგაშორებს სამსხვერპლო ხორცი, სიავეს რომ სჩადიხარ და ხარობ?

¹⁶ამწვანებული, მშვენიერი და ნაყოფსავსე ზეთისხილი გიწოდა შენ უფალმა, მაგრამ დიდი გრგვინვის ხმაზე აბრიალდა ცეცხლი და რტონი შეემუსრა.



¹⁷და ცაბაოთ უფალმა, შენმა დამნერგავმა, გიწინასწარმეტყველა ბოროტება ისრაელის სახლისა და იუდას სახლის ბოროტების წილ, რომელიც შეიმთხვეის მათ იმით, რომ ჩემს გასარისხებლად უკმევდნენ ბაყალს.

¹⁸უფალმა მაცოდინა და მე ვიცი; შენ მიჩვენე მე მათი საქმეები.

¹⁹მე კი დასაკლავად მიყვანილი უწყინარი კრავივით ვიყავი და არ ვიცოდი, რას განიზრახავდნენ ჩემს წინააღმდეგ, და თქვეს: შევმუსროთო ხე ვიდრე ნედლიაო, და ამოვძირკვოთო ცოცხალთა ქვეყნიდან, რომ მისი სახელი მეტად აღარ იხსენებოდესო.

²⁰ცაბაოთ უფალო, სამართლიანო მსაჯულო, გამომცდელო გულთა და თირკმელთა, მომასწარი შენს შურისძიებას მათზე, რადგან შენ მოგანდე ჩემი საქმე.

²¹ამიტომ ასე ამბობს უფალი ყანათოთელ კაცებზე, მოკვლას რომ გიპირებენ და გეუბნებიან: ნუ წინასწარმეტყველბო უფლის სახელით, ჩვენი ხელით რომ არ მოკვდეო.

²²ამიტომ ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: აჰა, მე დავსჯი მათ: მათი ჭაბუკნი მახვილით დაეცემიან, მათი ძენი და ასულნი კი შიმშილით გაწყდებიან.

²³მათი ნატამალი არ დარჩება, რადგან უბედურებას მოვაწევ ყანათოთელებზე სასჯელის წელიწადს.

იერემია 12

¹შენ მართალი ხარ, უფალო, როცა დავას დაგიწყებ, მაგრამ მაინც ვილაპარაკებ შენს სამართალზე. რატომაა ბოროტმოქმედთა გზა წარმატებული და ცრუნი რატომ არიან უზრუნველად?

²შენ დანერგე ისინი, ფესვები გაიდგეს, გაიზარდნენ და ნაყოფიც გამოიღეს; ახლოსა ხარ შენ მათ ბაგეთაგან, მათი გულისაგან კი შორსა ხარ.

³ხოლო მე მიცნობ, უფალო, მხედავ მე და სცდი ჩემს გულს, როგორაა შენს მიმართ. გადაარჩიე ისინი დასაკლავი ცხვრებივით და მოამზადე დაკვლის დღისათვის.

⁴როდემდე უნდა გლოვობდეს მიწა და ხმებოდეს მინდვრის ბალახი? მოისრა საქონელი და ფრინველი – მიწის მკვიდრთა უკეთურების გამო, რომ ამბობენ: ის ვერ იხილავსო ჩვენს გზებს.

⁵თუ შენ ქვეითებთან დარბოდი და მათ დაგქანცეს, როგორღა შეეჯიბრები ცხენებს? თუ ქვეყანაში, სადაც საშიშროება არაა, საფრთხე გაშინებს, მაშ როგორღა მოიქცევი იორდანეს აბობოქრებისას?



⁶შენი ძმებიც და შენი მამისსახლიც კი გღალატობს, ისინიც სტვენით დაგდევენ უკან. ნუ ერწმუნები მათ, თუნდაც სასიკეთოს გელაპარაკებოდნენ.

⁷მე დავტოვე ჩემი სახლი; დავაგდე ჩემი სამკვიდრო; ჩემი სულის სასურველი მის მტრებს ჩავუგდე ხელთ.

⁸ჩემი სამკვიდრო ტყის ლომად მექცა, შემომღრიალებს; ამიტომაც მოვიძულე ის.

⁹ჩემი სამკვიდრო ჭრელ ფრინველს დაემსგავსა, მტაცებელი ფრინველები ეხვევიან გარს. წადით, შეჰყარეთ ველის მხეცები, მოიყვანეთ მის შესაჭმელად.

¹⁰მრავალმა მწყემსებმა ააოხრეს ჩემი ვენახი, გათელეს ჩემი ნაკვეთი, ჩემი დავარცხნილი ხოდაბუნები ცარიელ უდაბნოდ აქციეს,

¹¹გააუკაცრიელეს, იგლოვს ჩემს წინაშე გაუკაცრიელებული; გაუკაცურდა მთელი ქვეყანა, რადგან არავის მიაქვს ეს გულთან.

¹²უდაბნოს ყველა ხრიოკ გორაკს მოესივნენ მძარცველნი, რადგან უფლის მახვილი ყველაფერს ჭამს ქვეყნის ერთი კიდიდან მეორემდე. ყოველმა ხორციელმა დაკარგა მშვიდობა.

¹³ხორბალი დათესეს და ეკალი მოიძკეს; დაშვრნენ და სარგებელი ვერ ნახეს. შეგრცხვეთ თქვენი მოსავლისა – უფლის აგიზგიზებული რისხვის.

¹⁴ასე ამბობს უფალი: ჩემს ყველა მეზობელს, რომლებიც აზიანებენ იმ სამკვიდრებელს, რომელიც მე დავუმკვიდრე ჩემს ერს, ისრაელს, წარვხოცავ მათი მიწიდან და იუდას მოდგმასაც გამოვიყვან მათგან.

¹⁵და, როცა გამოვიყვან, კვლავ შევიწყალებ მათ, და დავაბრუნებ თითოეულს თავის სამკვიდრებელზე და თითოეულს თავის ქვეყანაში.

¹⁶და თუ ისინი ისწავლიან ჩემი ხალხის გზებს, რათა დაიფიცონ ჩემი სახელით: „ცოცხალ არს უფალი!“, როგორც ბაყალის დაფიცება ასწავლეს ჩემს ერს, მაშინ ისინიც აშენდებიან ჩემს ერთან ერთად.

¹⁷ხოლო თუ არ მომისმენენ, მაშინ სრულიად აღმოვფხვრი ამ ხალხს და მოვსპობ! – ამბობს უფალი.

იერემია 13

¹ასე მითხრა უფალმა: წადი და იყიდე სელის სარტყელი, შემოირტყი წელზე და წყალში არ დაგისველდეს.



- ²ვიყიდე სარტყელი უფლის სიტყვისამებრ და შემოვირტყი თემოებზე.
- ³და იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ მეორედ:
- ⁴აილე ეს სარტყელი, რომელიც იყიდე და თემოებზე გაქვს შემორტყმული; ადექი და წადი ევფრატზე და დამალე იქ, კლდის ნაპრალში.
- ⁵და წავედი ევფრატზე და დავმალე, როგორც მიბრძანა მე უფალმა.
- ⁶მრავალი დღის შემდეგ მითხრა მე უფალმა: ადექი, წადი ევფრატზე და აილე იქიდან ის სარტყელი, რომლის იქ დამალვაც გიბრძანე.
- ⁷და წავედი მე ევფრატზე და ამოვთხარე და ავილე ის სარტყელი იქიდან, სადაც დავმალე და, აჰა, დამპალიყო სარტყელი, აღარაფრად ვარგოდა.
- ⁸და იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ:
- ⁹ეს არის, რასაც ამბობს უფალი: ასე დავალპობო იუდას მედიდურებას და იერუსალიმის ამპარტავნებას.
- ¹⁰ეს ბოროტი ხალხი, რომელსაც არ უნდა ჩემი სიტყვის გაგონება, დადის თავისი უკუღმართი გულის შეუპოვრობით და მიჰყვება სხვა ღმერთებს, რათა ემსახუროს მათ და თაყვანი სცეს, იქნება, როგორც ეს სარტყელი, რომელიც არაფრისათვის აღარ გამოდგება.
- ¹¹რადგან როგორც სარტყელი ეკრობა კაცის თემოებს, ისე მივიახლოვე მე მთელი ისრაელის სახლი და იუდას სახლი, – ამბობს უფალი, – რათა ყოფილიყვნენ ისინი ჩემს ერად, ჩემს დიდებად, საქებრად და მშვენებად; მაგრამ არ მისმინეს.
- ¹²და უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი, ისრაელის ღმერთი: ყველა ტიკი ღვინით ივსება. და გეტყვიან ისინი: განა არ ვიცით, რომ ყველა ტიკი ღვინით ივსება?
- ¹³უთხარი მათ, რომ ასე ამბობს-თქო უფალი: აჰა, მე ღვინით გავბრუე ამ ქვეყნის ყველა მცხოვრებს და ყველა მეფეებს, დავითის ტახტზე რომ სხედან, და ყველა მღვდელს და წინასწარმეტყველს და იერუსალიმის ყველა მცხოვრებს,
- ¹⁴და ერთმანეთს შევაღეწ მათ, მამებს და შვილებს ერთიანად, – ამბობს უფალი; – არ შევიბრალებ და არ დავინდობ, და არ ვინანებ მათ გაწყვეტას!
- ¹⁵მოისმინეთ და გაიგონეთ: ნუ გამედიდურდებით, რადგან უფალი ლაპარაკობს.
- ¹⁶პატივი მიაგეთ უფალს, თქვენს ღმერთს, სანამ არ ჩამოუბნელებია მას, და სანამ არ წაფორხილებულხართ წყვდიადის მთებზე. თქვენ დაელოდებით სინათლეს, მაგრამ ის სიკვდილის აჩრდილად და სიბნელედ აქცევს მას.



¹⁷და თუ არ მოისმენთ, მალულად იტირებს ჩემი სული თქვენი სიამაყის გამო, მწარედ იგოდებს და ცრემლებად დაიღვრება ჩემი თვალები; რადგან ტყვედ გაირეკავენ უფლის სამწყსოს.

¹⁸უთხარი მეფესა და დედოფალს: ტახტიდან გადმოდიო-თქო, ქვემოთ დასხედით, რადგან თავიდან მოგეხადათ გვირგვინი თქვენი დიდებისა.

¹⁹სამხრეთის ქალაქები ალყაშია და არავინაა შემწე: ტყვედ გაირეკეს მთელი იუდა, სრულად წაასხეს.

²⁰გაიხედეთ, შეხედეთ ჩრდილოეთიდან მომავალთ. სადაა სამწყსო, შენ რომ მოგეცა, შენი მშვენიერი ფარები?

²¹მაშინ რას იტყვი, სიონის ასულო, როდესაც მოგიხილავს უფალი? განა შენ არ ასწავლე მათ, როგორ გაგბატონებოდნენ? განა ტკივილები არ გაგაწამებენ მაშინ მშობიარე ქალივით?

²²და თუ იტყვი შენს გულში: რატომ დამემართაო ეს ყოველივე? განა შენი მრავალი ცოდვების გამო არ გადაგეხადა კალთები და გამოგიჩნდა ტერფები.

²³თუ ქუშელი შეძლებს შეიცვლოს კანის ფერი და ჯიქი თავის ხალებს, მაშინ თქვენც, ბოროტებას ჩვეულნი, შეძლებთ სიკეთის ქმნას.

²⁴და გავანიავებ როგორც ბზეს, უდაბნოს ქარი რომ წარიტაცებს.

²⁵ეს არის შენი ხვედრი, ჩემგან გამოზომილი შენი წილი, – ამბობს უფალი, – რადგან დამივიწყე და სიცრუით სასოებდი.

²⁶და მეც წამოგხდი კალთებს სახემდე და გამოჩნდება შენი სირცხვილი,

²⁷ვიხილე შენი გახრწნილება და შენი ავხორცი ქიხვინი, უხამსობა შენი სიძვისა, ველად ვიხილე შენი სისამაგლე ბორცვებზე. ვაი შენ, იერუსალიმ! როდისღა განიწმიდები?!

იერემია 14

¹აი, უფლის სიტყვა იერემიას მიმართ გვალვების წლებზე:

²დამგლოვიარდა იუდა, გაცუდდა მისი კარიბჭენი, მიწაზე ყრია, ჩაშავდა, კივილი ისმის იერუსალიმში.

³დიდებულები მსახურებს აგზავნიან წყალზე; მიდიან ჭებთან და წყალი არ არის; ცარიელი ჭურჭლებით ბრუნდებიან უკან. გაწბილებულნი არიან, დამცირებულნი, სახეს მალავენ.

⁴მიწა დასკდა უწვიმრობით, შერცხვნენ მხვნელ-მთესველნი, სახეს მალავენ.



- ⁵შველმაც შობა ველზე და იქვე დატოვა ნუკრი, რადგან ბალახი არაა.
- ⁶კანჯრებიც შემდგარან ხრიოკ ბორცვებზე და ტურებივით იყნოსავენ ჰაერს, თვალები დაებინდათ, რადგან არ არის ბალახი.
- ⁷თუმცა ჩვენი ურჯულოებანი გვამხილებენ, მაგრამ გამოგვესარჩლე, უფალო, შენი სახელის გულისათვის მაინც, რადგან დიდია ჩვენი განდგომილება, ჩვენ ცცოდეთ შენს წინაშე.
- ⁸ისრაელის იმედო და მხსნელო მისი უბედურების ჟამს! რატომ ხარ მწირივით ამ ქვეყანაში და ღამის გასათევად შეჩერებული მოგზაურივით?
- ⁹რატომ ხარ გაოგნებული კაცივით, გმირივით, რომელსაც ხსნის ძალი არ შესწევს? შენ ხომ ჩვენს შორის ხარ, უფალო, და ჩვენ ხომ შენი სახელით ვიწოდებით; ნუ მიგვატოვებ, უფალო!
- ¹⁰ასე ამბობს უფალი ამ ხალხზე: რადგან მათ უყვარდათ ხეტიალი და ფეხს ვერ აჩერებდნენ, ამიტომ არ სურს ისინი უფალს. ახლა გაიხსენებს მათ ურჯულოებას და ცოდვებს მოჰკითხავს მათ.
- ¹¹და მითხრა მე უფალმა: ნუ ილოცებ ამ ხალხის სასიკეთოდ.
- ¹²თუ იმარხულებენ ისინი, არ მოვუსმენ მე მათ ვედრებას; თუ აღმივლენენ სრულადდასაწველსა და ძღვენს, არ მივიღებ. მახვილით და შიმშილით და შავი ჭირით შევმუსრავ მათ.
- ¹³და ვთქვი მე: ჰოი, უფალო ღმერთო! აჰა, წინასწარმეტყველნი ეუბნებიან მათ: არ იხილავთო მახვილსა და შიმშილს, რადგან ჭემმარიტებასა და მშვიდობას მოგცემთო ამ ადგილას.
- ¹⁴და მითხრა მე უფალმა: სიცრუეს წინასწარმეტყველებენ წინასწარმეტყველნი ჩემი სახელით; მე არ გამომიგზავნია ისინი და არც ბრძანება მიმიცია მათთვის, და არც მილაპარაკია მათთან; ცრუ ხილვებსა და ამაო მისნობას, და თავიანთი გულის ნებებს გიქადაგებენ ისინი.
- ¹⁵ამიტომ ასე ამბობს უფალი წინასწარმეტყველებზე: ჩემი სახელით წინასწარმეტყველებენ ისინი, მე კი არ გამომიგზავნია ისინი; თუმცა კი ამბობენ, მახვილი და შიმშილი არ იქნებაო ამ ქვეყანაში, მაგრამ მახვილითა და შიმშილით მოისპობიან ის წინასწარმეტყველნი,
- ¹⁶და ხალხი, რომელსაც ისინი უწინასწარმეტყველებენ, შიმშილითა და მახვილით დაეცემა იერუსალიმის ქუჩებში, და არავინ იქნება მათი ცოლების, მათ ძეთა და ასულთა დამმარხავი. და მე გადმოვანთხევ მათზე მათ ბოროტებას.



¹⁷და უთხარი შენ მათ ეს სიტყვები: დაე, დღისით და ღამით იდინოს ცრემლმა ჩემს თვალთაგან, და ნუ შეწყვეტენ ტირილს, რადგან დიდი შემუსვრით შეიმუსრა ქალწული, ასული ჩემი ერისა – განუკურნებელი ჭრილობებით.

¹⁸ველად გავდივარ, და, აჰა, ვხედავ მახვილით დახოცილთ; ქალაქში შევდივარ და ვხედავ შიმშილით დაწერტილთ; თვით წინასწარმეტყველიც და მღვდელიც უაზროდ დაეხეტებიან ქვეყანაში.

¹⁹ნუთუ სრულიად მოიძულე, უფალო, იუდა? თუ სიონი შეიძულა შენმა სულმა? ისე რატომ გვგვემე, რომ აღარ არის ჩვენი განკურნება? ვესავთ მშვიდობას და არ ჩანს სიკეთე; ველოდით განკურნების ჟამს და, აჰა – საშინელება.

²⁰ვიცით, უფალო, ჩვენი ცოდვები და ურჯულოებანი ჩვენი მამებისა, რადგან შეგცოდეთ შენ.

²¹ნუ უარგვყოფ, შენი სახელის გულისათვის, ნუ დაამცრობ შენი დიდების ტახტს; გაიხსენე ჩვენთვის მოცემული აღთქმა და ნუ დაარღვევ მას.

²²განა არის წარმართთა ამო ღმერთებს შორის ისეთი, წვიმის მოყვანა რომ შეეძლოს? ან იქნებ ცას შეუძლია თავისით თავსხმა გადმოუშვას? ეს ხომ მხოლოდ შენ ძალგიძს, უფალო, ჩვენო ღმერთო? შენ გესავთ, რადგან შენ ქმნი ყოველივე ამას.

იერემია 15

¹და მითხრა მე უფალმა: თვით მოსე და სამუელიც რომ დადგნენ ჩემს წინაშე, არ იქნებოდა ჩემი სული ამ ხალხთან. თვალთ არ დამანახვო, მომცილდნენო!

²და თუ გეტყვიან: სად წავიდეთო? უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი: ზოგნი სიკვდილით მოკვდებით, ზოგნი მახვილით მოისრებით, ზოგნი შიმშილით ამოწყდებით და ზოგსაც ტყვეობაში წაგიყვანენ-თქო.

³და მოვუვლენ მათ ოთხგვარ სასჯელს, – ამბობს უფალი, – მახვილით სიკვდილს, ძაღლებით თრევას, ცის ფრინველთა და მიწის მხეცთაგან ჯიჯგნასა და მოსპობას.

⁴მე მათ საშინელ მაგალითად გავხდი ქვეყნიერების ყველა სამეფოსთვის, იმის გამო, რასაც იუდას მეფე, ხიზკიას ძე, მანაშე, აკეთებდა იერუსალიმში.

⁵ვინ შეგიბრალებს შენ, იერუსალიმ, ვინ თანაგიგრძნობს, ვინ შემოუხვევს შენი მშვიდობის საკითხავად?



⁶შენ მიმატოვე მე, – ამბობს უფალი, – შენ განმიდექი; და მე გამოვიწვდენ შენზე ხელს და დაგლუპავ. მე დავიღალე შენი შეწყალებით.

⁷ფიწლით გავანიავე მე ისინი ქვეყნიერების კარიბჭეებს მიღმა; უშვილოდ დავტოვე, მოვსპე ჩემი ერი, თავიანთი გზებიდან კი არ მოიქცნენ.

⁸ზღვის ქვიშაზე მეტად გამიმრავლდნენ მათი ქვრივები; დღისით-მზისით მოვუვლენ მათ, ჭაბუკთა დედებს, გამანადგურებელს; უეცრივ დაეცემა მათ ელდა და შიში.

⁹ღონემიხდილი წევს შვიდის მშობელი, სულს ღაფავს; ჯერ კიდევ დღისით ჩაესვენა მისი მზე, შერცხვენილი და გაწბილებულია. მათ ნეშტს კი მახვილს მივცემ მათი მტრის თვალწინ, – ამბობს უფალი.

¹⁰ვაიმე, დედაჩემო, მთელი ქვეყნის მოცილედ და მოდავედ რომ გიშობივარ! ვახშით არავისთვის მიმიცია, და არც ვინმეს მოუცია ჩემთვის ვალად, მაგრამ ყველა მე მწყევლის.

¹¹უფალმა მითხრა: ბოლო კეთილი გექნება, და მე ვაიძულებ შენს მტერს, არ გადაგიაროსო უბედურებისა და გაჭირვების ჟამს.

¹²ვინ რა უნდა დააკლოს რკინას, განსაკუთრებით ჩრდილოეთისას და ბრინჯაოს?

¹³შენს დოვლათსა და შენს საუნჯეს სამარცვავად მივცემ, უსასყიდლოდ, ყველა შენი ცოდვების გამო, მთელს შენს საზღვრებში.

¹⁴და გავატან შენს მტრებს ქვეყანაში, რომელიც არ გინახავს, რადგან გაღვივდა ცეცხლი ჩემი რისხვისა და თქვენ შემოგენტებათ ის.

¹⁵შენ ყოველივე იცი, უფალო, გამიხსენე და მომხედე, შური იძიე ჩემს მადევარზე! გადამარჩინე შენი სულგრძელებით; შენ იცი, რომ შენს გამო ვიტან დამცირებას.

¹⁶შევიგნე მე შენი სიტყვები და შევითვისე ისინი; შენი სიტყვები შვებად მექცა და გულის სიხარულად, რადგან შენი სახელით ვიწოდები მე, უფალო, ცაბოთ ღმერთო.

¹⁷არ ვმჯდარვარ ლაზღანდარების კრებულში და არ გავლაღებულვარ; შენი მძიმე ხელის შიშით ვიჯექი ეულად, რადგან საყვედურებით გამავსე მე.

¹⁸რატომ არის ჩემი სენი ასე გაუთავებელი და ჩემი ჭრილობა – განუკურნელი, რომ წამლობას არ ემორჩილება? შენ ჩემთვის დამშრალ ღელედ იქეცი, მაცდუნებელ წყლად.



¹⁹და თქვა უფალმა: თუ დაბრუნდები, მე გიპასუხებ, შენ ჩემს წინაშე იდგები. თუ ძვირფასს გამოარჩევ ფუჭისაგან, ჩემს ბაგეებს გაუტოლდები. ადამიანები შენსკენ მობრუნდებიან, მაგრამ შენ არ მიბრუნდე მათკენ.

²⁰და აღმართავ ამ ხალხის წინააღმდეგ ბრინჯაოს დაუძლეველ ზღუდედ; ისინი შეგებრძოლებიან, მაგრამ ვერ დაგძლევენ, რადგან შენთანა ვარ, შენი ხსნისა და გადარჩენისთვის, – ამბობს უფალი.

²¹და გადაგარჩენ ბოროტთაგან და გამოგიხსნი სასტიკთა ხელიდან.

იერემია 16

¹და იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ ნათქვამი:

²ნუ მოიყვან აქ ცოლს და ნუ იყოლიებ ძეთა და ასულთ.

³რადგან ასე ამბობს უფალი აქ შობილ ძეებსა და ასულებზე, მათ მშობელ დედებსა და შემქმნელ მამებზე:

⁴საზარელი ტკივილებით გაწყდებიან ისინი; არ ეყოლებათ მოზარე და დამმარხველი; ფუნასავით ეყრებიან ველზე; მახვილითა და შიმშილით აღესრულებიან, და მათი მძორები ცის ფრინველთა და ტყის ნადირთა საჯიჯგნი გახდება.

⁵ასე ამბობს უფალი: ნუ შეხვალ მგლოვიარეთა სახლში. ნუ მიხვალ მათ სატირალზე და სამძიმარზე, რადგან განვაშორე ჩემი მშვიდობა ამ ხალხს, წავართვი ჩემი წყალობა და შებრალება.

⁶და მოისრებიან დიდიან-პატარიანად ამ ქვეყანაში, არავინ დამარხავს და არავინ დაიტირებს მათ, სახეს არავინ ჩამოიხოკავს და ნაწნავებს არავინ დაიჭრის მათთვის;

⁷კურს არავინ გატეხს ჭირისუფლის სანუგეშებლად, დედ-მამის შესანდობარ თასს არავინ შეასმევს მათ.

⁸ნადიმის სახლში ნუ მიხვალ მათთან დასაჯდომად სმა-ჭამისთვის.

⁹რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: აჰა, მე შევწყვეტ თქვენს თვალწინ და თქვენს დღეებში ამ ადგილიდან შვების ხმასა და სიხარულის ხმას, ნეფის ხმასა და პატარძლის ხმას.

¹⁰როდესაც ეტყვი ამ ერს ყველა ამ სიტყვას და ისინი გკითხავენ: რატომ გვიქადისო უფალი ჩვენ ამ დიდ უბედურებას? ან: რა ბრალი მიგვიძღვისო მის წინაშე და რა არისო ჩვენი ცოდვა, რომლითაც ჩვენ შევცოდეთო უფალს, ჩვენს ღმერთს?



¹¹ასე უთხარი მათ: უფალი ამბობს-თქო: ის, რომ თქვენმა მამებმა მიმატოვეს და სხვა ღმერთებს გაჰყვნენ და ემსახურობდნენ მათ, და თაყვანს სცემდნენ, მე კი განმიდგნენ და ჩემი რჯული არ დაიცვეს.

¹²და თქვენც თქვენს მამებზე მეტ ბოროტებას შვრებით: ყოველი თქვენგანი თავის ბოროტ გულისთქმას აჰყოლია და მე აღარ მისმენს.

¹³ამიტომ მე გადაგყრიტ ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც არ იცნობთ არც თქვენ და არც თქვენი მამები იცნობდნენ; და მოემსახურებით იქ სხვა ღმერთებს დღე და ღამე, რადგან მე არ შეგიწყალებთ თქვენ.

¹⁴ამიტომ აჰა, დადგება ჟამი, – ამბობს უფალი, – როცა აღარ იტყვიან: „ვფიცავთ უფალს, რომელმაც ისრაელიანები გამოიყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან!“

¹⁵არამედ: „ვფიცავთ უფალს, რომელმაც გამოიყვანა ისრაელიანები ჩრდილოეთის ქვეყნიდან და ყველა ქვეყნიდან, სადაც გაფანტა ისინი!“ და მე კვლავ დავაბრუნებ მათ თავიანთ მიწაზე, რომელიც მივეცი მათ მამებს.

¹⁶მე გამოვგზავნი ბევრ მეთევზეს, – ამბობს უფალი, – მათ დასაჭერად. ამის შემდეგ გავგზავნი მრავალ მონადირეს და ჩამორეკავენ ისინი მათ ყოველი მთიდან, ყოველი ბორცვიდან და კლდეთა ნაპრალებიდან,

¹⁷რადგან თვალი მიჭირავს ყველა მათ გზაზე, ვერ დამემალებიან და არც მათი დანაშაული გამოეპარება ჩემს თვალს.

¹⁸და ორმაგად მივაგებ მათ მათი დანაშაულისა და ცოდვების გამო, რადგან შებილწეს ჩემი მიწა, თავის სისამაგლეთა გვამებით და თავის საზიზღრობებით გაავსეს ჩემი სამკვიდრებელი.

¹⁹უფალო, ძალო ჩემო და შემწევ ჩემო, შესავედრებელო ჩემო გაჭირვების ჟამს! შენთან მოვლენ ხალხები ქვეყნის კიდეებიდან და იტყვიან: მხოლოდ სიცრუე დაიმკვიდრეს ჩვენმა მამებმა, მხოლოდ ამაოება, და ის, რასაც სარგებლობა არ ჰქონდა.

²⁰განა შეძლებს კაცი, რომ გაიკეთოს ღმერთები, რომლებიც სინამდვილეში ღმერთები არ არიან?

²¹ამიტომ, აჰა, მე ახლა ვუჩვენებ მათ ჩემსმკლავსა და ძლიერებას, და გაიგებენ ისინი, რომ: ჩემი სახელი არის უფალი.

იერემია 17



- ¹იუდაელთა ცოდვები რკინის საჭრეთლითაა ამოღარული, აღმასის წვეტითაა ამოკაწრული მათი გულის ფიცარზე და თქვენს სამსხვერპლოთა რქებზე.
- ²როგორც თავიანთ შვილებზე, ისე წუხან ისინი თავიანთ სამსხვერპლოებსა და აშერებზე ფოთლოვანი ხეების ძირას და მაღალ ბორცვებზე.
- ³შენს მთებს, მთელ შენს ქონებას და შენს საგანძურებს სამარცვავად მივცემ, და მთელ შენს მაღლობებს – შენი ცოდვების წილ მთელ შენს საზღვრებში.
- ⁴შენს გამო დაკარგავ სამკვიდროს, რომელიც მე მოგეცი; მტრებს მივცემ მონად იმ ქვეყანაში, რომელიც შენ არ გინახავს, რადგან თქვენ გააღვივეთ ჩემი რისხვის ცეცხლი, რომელიც საუკუნოდ იგიზგიზებს.
- ⁵ასე ამბობს უფალი: წყეულია კაცი, რომელიც ადამიანებში ხედავს დასაყრდენს და ხორციელში ეძებს შემწეობას, და რომლის გულიც შორდება უფალს.
- ⁶იქნება იგი ეული, ეკლიანი ბუჩქივით უდაბნოში, ვერსაიდან იხილავს სიკეთეს და იცხოვრებს გადახრუკულ ტრამალზე, ბიცოვან და დაუსახლებელ მიწაზე.
- ⁷კურთხეულია კაცი, რომელსაც უფლის იმედი აქვს, და უფალია მისი საესავი.
- ⁸და იქნება ის, როგორც წყლის ნაკადებთან დარგული ხე, და ნოტიოზე გაიდგამს ფესვებს, და არ შეშინდება, როცა ხვატი დააცხრება მიწას, არ დაუჭკნება ნორჩი ყლორტები, გვალვიანი წელიწადი ვერ შეაშინებს, და არ მოაკლდება კეთილი ნაყოფი.
- ⁹ცბიერია გული კაცისა, უკუდმართია, ვინ შეიცნობს მას?
- ¹⁰მე, უფალი, გულთამხილავი ვარ და თირკმელთა გამომცდელი, რათა მივაგო ყოველ კაცს მისი გზისამებრ, მის საქმეთა ნაყოფისამებრ.
- ¹¹გნოლმა გამოჩეკა გუგულის კვერცხები, რაც მას არ დაუდვია. ასეა უსამართლოდ მომხვეჭელი კაციც – ცხოვრების შუაძალზე დაკარგავს, რაც მისი არ იყო, და ბოლოს ცარიელი რჩება.
- ¹²დიდების ტახტი, დასაბამიდან ამაღლებული, არის ჩვენი საწმიდრის ადგილი.
- ¹³უფალო სასოებაო ისრაელისაო, ყოველნი, რომელთაც მიგატოვეს, შერცხვებიან! ყველა ჩემი უარმყოფელი მიწაზე დაიწერება, რადგან მიატოვეს უფალი, ცოცხალი წყლის წყარო.



¹⁴განმკურნე მე, უფალო, და გავჯანმრთელდები; გამომიხსნი და გამოხსნილი ვიქნები, რადგან შენა ხარ ჩემი დიდება.

¹⁵აჰა, ისინი მეუბნებიან მე: რა იქნაო უფლის სიტყვები? აბა, გვეწიოსო!

¹⁶მე არ დავღლილვარ შენს კვალზე სვლით, და ბედითი დღეც არა მსურდა გამთენებოდა. რაც წარმოუთქვამთ ჩემს ბაგეებს, შენს წინაშეა.

¹⁷ნუ გახდები ჩემთვის საშინელება, შენა ხარ ჩემი თავშესაფარი გასაჭირის ჟამს.

¹⁸სირცხვილით შერცხვენ ჩემი მდევნელნი, და მე ნუ შევრცხვები! შემუსვრით შეიმუსრნენ ისინი და მე ნუ შევიმუსრები! მოაწიე მათზე უბედურების დღე და დაღეწე ისინი უმძიმესი დარტყმით!

¹⁹ასე მითხრა მე უფალმა: წადი და დადექიო საერთო კარიბჭესთან, სადაც შემოდიან და საიდანაც გადიან იუდას მეფენი; და ასევე იერუსალიმის ყველა სხვა კარიბჭესთან.

²⁰და უთხარი მათ: ისმინეთ უფლის სიტყვა, იუდას მეფენო, ყველა იუდაელნო და იერუსალიმის მკვიდრნო, შემომსვლელნო ამ კარიბჭეებში!

²¹ასე ამბობს უფალი: თავს გაუფრთხილდით, და შაბათ დღეს ტვირთს ნუ აიკიდებთ და ნუ შემოიტანთ იერუსალიმის კარიბჭეებში.

²²თქვენი სახლებიდან ნუ გამოიტანთ ტვირთს შაბათ დღეს და ნურაფერს გააკეთებთ. წმიდად იუქმეთ შაბათი დღე, როგორც ვუბრძანე თქვენს მამებს,

²³მაგრამ მათ არ მისმინეს და ყური არ მათხოვეს; გაჯიუტდნენ, რათა არ გაეგოთ და ჭკუა არ ესწავლათ ჩემგან.

²⁴მაგრამ თუ ყურადღებით მომისმენთ მე, – ამბობს უფალი, – და შაბათ დღეს არ შეიტანთ ტვირთს ამ ქალაქის კარიბჭეებში და წმიდად შეინახავთ შაბათს და არ ისაქმებთ ამ დღეს,

²⁵შემოვლენ ამ ქალაქის კარიბჭეებით მეფენი და მთავრები, რომლებიც დავითის ტახტზე სხედან, შემოვლენ ეტლებითა და ცხენებით, ისინი და მათი მთავრები, იუდაელნი და მკვიდრნი იერუსალიმისა, და დასახლდება ეს ქალაქი საუკუნოდ.

²⁶და მოვლენ იუდას ქალაქებიდან, იერუსალიმის შემოგარენიდან, ბენიამინის მიწიდან, მთიდან და ბარიდან, და სამხრეთიდან, რათა მოიტანონ სრულადდასაწველი და მსხვერპლი, პურეულის ძღვენი და გუნდრუკის ძღვენი, და მოიტანონ სამადლობელო მსხვერპლები უფლის სახლში.



²⁷და თუ არ მომისმენთ და წმიდად არ იუქმებთ შაბათ დღეს და ტვირთს აიკიდებთ ამ დღეს და შეიტანთ იერუსალიმის კარიბჭეებში, მე ცეცხლს მივცემ მის კარიბჭეებს, რომელიც შეჭამს იერუსალიმის სასახლეებს და არ ჩაქრება.

იერემია 18

¹სიტყვა, რომელიც თქვა უფალმა იერემიას მიმართ:

²ადექი და ჩადი მეთუნის სახლში და იქ გაუწყებ ჩემს სიტყვას.

³მე ჩავედი მეთუნის სახლში, მეთუნე თავის მორგვთან+ მუშაობდა.

⁴და ქოთანი, რომელსაც ის აკეთებდა თიხისგან, ხელში გაუფუჭდა. მიუბრუნდა და იმავე თიხით სხვა გააკეთა, როგორიც მოიფიქრა.

⁵და იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ ნათქვამი:

⁶განა ამ მეთუნესავით არ შემიძლია მოგეცეთ თქვენ, ისრაელის სახლო? – ამბობს უფალი, – აჰა, როგორც თიხაა მეთუნის ხელში, ისე ხართ თქვენ ჩემს ხელში, ისრაელის სახლო.

⁷ზოგჯერ ვიტყვი რომელიმე ხალხზე ან სამეფოზე, რომ აღმოვფხრა იგი, გავაცამტვერო და მოვსპო;

⁸და ის ხალხი, რომელზეც ეს ვთქვი, თუ მოიქცევა ბოროტებისგან, მაშინ შევინანებ და არ ვუზამ ბოროტებას, რაც განზრახული მქონდა.

⁹ზოგჯერ ვიტყვი რომელიმე ხალხზე და სამეფოზე, რომ ავაშენო ის და გავამყარო;

¹⁰და თუ ჩაიდენს ბოროტს ჩემს თვალში, არ მოუსმენს ჩემს ხმას, მაშინ მე გავაქარწყლებ იმ სიქველეს, რომელიც უნდა გამეკეთებინა მის სასიკეთოდ.

¹¹და ახლა, უთხარი იუდას კაცებს და იერუსალიმის მკვიდრთ: ასე ამბობს-თქო უფალი: აჰა, მე მოგაწევთ უბედურებას და ბოროტი განზრახვა განვიზრახე თქვენზე, მოიქეცით თითოეული თქვენი ბოროტი გზიდან და გამოასწორეთ თქვენი გზები და საქციელი!

¹²ისინი კი ამბობენ: არც იფიქროო! რადგან ჩვენს განზრახვებს მივყვებით და თითოეული ჩვენი ბოროტი გულის შეუპოვრობით ვიქცევითო.

¹³ამიტომ ასე ამბობს უფალი: იკითხეთ წარმართთა შორის, თუ სმენია ვინმეს ასეთი რამ? დიდი საზარელი საქმეები ჩაიდინა ისრაელის ქალწულმა.



¹⁴განა მოაკლდება თოვლი ლიბანის მთის თხემებს, განა შეწყდება უცხო ადგილებიდან მოწანწკარე ცივი წყლები?

¹⁵მე კი მიმატოვა ჩემმა ერმა; ამაო ღმერთებს უკმევინ, ბორძიკობენ თავიანთ გზებზე, მიატოვეს ძველთაძველი გზები, რათა ევლოთ გაუკვალავი ბილიკებით,

¹⁶რათა საშინელებად ექციათ თავიანთი ქვეყანა, სამუდამო სამასხროდ, ისე, რომ ყოველ იქ გამვლელს შეძრწუნებულს გაექნია თავი.

¹⁷ხორშაკი ქარივით მიმოვფანტავ მათ მათი მტრების წინაშე; ზურგს ვუჩვენებ მათ და არა სახეს მათი უბედურების დღეს.

¹⁸და თქვეს მათ: მოდით და პირი შევკრათ იერემიას წინააღმდეგ, რათა არ დაეკარგოს რჯული მღვდელს, რჩევა – ბრძენს და სიტყვა წინასწარმეტყველს! მოდით და დავცეთ ის ენით, რომ არ გავიგონოთ არც ერთი მისი სიტყვა.

¹⁹ყური მომაპყარ, უფალო! და ჩემს მოდავეთა ხმაც მოისმინე.

²⁰განა სიკეთეს ბოროტებით უნდა მიეზღოს? ისინი ორმოს უმზადებენ ჩემს სულს. გაიხსენე: შენს წინაშე ვიდექი, სიკეთეს გთხოვდი მათთვის, რათა ამეცილებინა მათთვის შენი გულისწყრომა.

²¹მაშ მიეცი მათი შვილები შიმშილს და მოაწიე მათზე მახვილი; და დარჩნენ მათი ცოლები უშვილოდ და ქვრივებად, მათი ქმრები სიკვდილით მოისრნენ, მათი ჭაბუკნი კი მახვილით დაეცნენ ბრძოლაში.

²²და გაისმას კივილი მათი სახლებიდან, როცა ანაზდად მიუსევ ურდოებს, რადგან თხრილს თხრიან ჩემს შესაპყრობად და მახეს მიგებენ ფეხებში.

²³შენ კი, უფალო, იცი მათი ყველა განზრახვა ჩემს წინააღმდეგ, ჩემს მოსაკლავად; ნუ მიუტევებ მათ ურჯულოებას და მათ ცოდვებზე თვალს ნუ დახუჭავ; დაე, დაემხო ისინი შენს წინაშე, გაუსწორდი მათ შენი რისხვის ჟამს.

იერემია 19

¹ასე ამბობს უფალი: წადი და იყიდე მეთუნისგან თიხის დოქი; თან წაიყვანე ხნიერი ხალხი და მღვდლების უხუცესნი.

²გადი ბენ-ჰინომის ველზე, რომელიც ხარშითის კარიბჭის გარეთ არის, და თქვი იქ ის სიტყვები, რომლებსაც მე გეტყვი.

³და თქვი: ისმინეთ უფლის სიტყვა, იუდას მეფენო და იერუსალიმის მკვიდრნო! ასე ამბობს-თქო ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: აჰა, მე



მოვაველენ ამ ადგილას ისეთ უბედურებას, რომ მის გამგონეს ყურები ჟუილს დაუწყებს,

⁴იმის გამო, რომ მათ მიმატოვეს მე და უცხო ღმერთებს დაუთმეს ეს ადგილი და აქ უკმევინ უცხო ღმერთებს, რომელთაც არ იცნობდნენ არც თვითონ და არც მათი მამები, და არც იუდას მეფენი; და მორწყეს ეს ადგილი უდანაშაულოთა სისხლით.

⁵და მოუწყვეს ბაყალს მაღლობები, რათა ცეცხლში დაეწვათ თავიანთი ძენი ბაყალის სრულადდასაწველ მსხვერპლად, რაც მე არ მიბრძანებია მათთვის და არ მითქვამს, და გულშიც არ გამივლია.

⁶ამიტომ აჰა, მოდის დღეები, – ამბობს უფალი, – და აღარ ერქმევა ამ ადგილს თოფეთი ანუ ბენ-ჰინომის ველი, არამედ სასაკლავო ველი.

⁷და ჩავშლი ამ ადგილას იუდაელთა და იერუსალიმელთა გეგმებს, და მახვილით დავცემ მათ მათი მტრების წინ და მათი სულის მაძიებელთა ხელით, და მათ გვამებს ცის ფრინველთა და ტყის ნადირთა საჯიჯგნად გავხდი.

⁸და ვაქცევ ამ ქალაქს საშინელებად და დასაცინად. და ყოველი იქ გამვლელი შეძრწუნდება და დაუსტვენს მისი ნანგრევების მნახველი.

⁹კბილით დავაჭმევ აქ მცხოვრებთ თავის ძეთა და ასულთა ხორცს; და ყოველი კაცი თავისი მოყვასის ხორცს შეჭამს მტერთაგან და მათი სულის მაძიებელთაგან ალყასა და გასაჭირში მყოფი.

¹⁰და დაამსხვრიე დოქი თანწამოყოლილი ხალხის თვალწინ,

¹¹და უთხარი მათ: ასე თქვა-თქო ცაბაოთ უფალმა: ასე დავამსხვრევ ამ ხალხს და ამ ქალაქს, როგორც ამსხვრევინ თიხის ჭურჭელს, რომლის შეკოწიწებაც აღარ მოხერხდება, და თოფეთში დამარხავენ მათს მკვდრებს, სხვა დასამარხი ადგილი რომ აღარ დარჩება ქალაქში.

¹²ასე მოვექცევი ამ ადგილს და მის მკვიდრთ, – ამბობს უფალი, – თოფეთივით ვაქცევ ამ ქალაქს.

¹³და იერუსალიმის სახლები და იუდას მეფეთა სახლები თოფეთივით შეილანძლება, რადგან ყოველი სახლის ბანზე ცის მხედრობას უკმევინ და საღვრელს უღვრიან უცხო ღმერთებს.

¹⁴და მოვიდა იერემია თოფეთიდან, სადაც ის უფალმა წინასწარმეტყველებისთვის გააგზავნა, და დადგა ის უფლის ტაძრის ეზოში და აუწყა მთელ ხალხს:



¹⁵ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: აჰა, მე მომაქვს ამ ქალაქისათვის და იუდეის მთელი ქალაქებისთვის ყველა ის უბედურება, რომლითაც დავემუქრე მათ, რადგან ქედი არ მოიხარეს ჩემი სიტყვების მოსასმენად.

იერემია 20

¹და გაიგონა ფაშხურმა, იმერის ძემ, მღვდელმა, რომელიც იყო უფლის ტაძრის ზედამხედველი და წინამძღვარი, ის სიტყვები, იერემია რომ ქადაგებდა.

²და სცემა ფაშხურმა იერემია წინასწარმეტყველს და ჩააგდო დილეგში, ბენიამინის ზემო კარიბჭესთან რომ იყო, უფლის სახლში.

³მეორე დღეს გამოუშვა ფაშხურმა იერემია დილეგიდან. და უთხრა მას იერემიამ: უფლის ნებით ამიერიდან შენი სახელი იქნება არა ფაშხური, არამედ „საშინელება-ირგვლივ“;

⁴რადგან ასე ამბობს უფალი: აჰა, მე საშინელებად გაქცევთ შენცა და ყველა შენს მეგობარსაც, და მტრის მახვილით დაეცემიან ისინი შენს თვალწინ. და მთელს იუდას ბაბილონის მეფეს ჩავუგდებ ხელთ, და ტყვედ წაასხამს მათ ბაბილონში და მახვილით მოსრავს.

⁵და მას მივცემ ამ ქალაქის მთელ სიმდიდრეს, მთელ მის ნაოფლარს, და მთელ მის თვალ-მარგალიტს; და იუდას მეფეთა მთელ საუნჯეს მივცემ მათი მტრის ხელთ, დაიტაცებენ, დაისაკუთრებენ, და ბაბილონში გაზიდავენ მას.

⁶და შენ, ფაშხურ, და მთელ შენს სახლეულს ტყვეობა მოგიწევთ ბაბილონში; იქ მოკვდები, და იქ დაიმარხებით შენცა და ყველა შენი მეგობარიც, რომლებსაც შენ ცრუდ უწინასწარმეტყველებდი.

⁷შენ მომატყუე, უფალო, და მეც მოვტყუვდი; შენ ძლიერი ხარ ჩემზე და გადამძალე; მთელ დღეს დამცინიან, მასხრად მიგდებენ.

⁸რადგან, როგორც კი ლაპარაკს ვიწყებ, ვყვირი ძალადობისა და მარცვა-გლეჯის გამო, რადგან უფლის სიტყვა ყოველდღიურ დაცინვად და დამცირებად შემომექცა.

⁹და ვთქვი: აღარ ვახსენებ უფალს და აღარ ვილაპარაკებ-მეთქი მისი სახელით, მაგრამ გულზე ცეცხლი მომედო, ძვლებში გამიარა; ვცდილობდი გამეძლო, მაგრამ ვერ შევძელი.



¹⁰რადგან მესმა მე მრავალთაგან გმობა და მუქარა ირგვლივ: დაასმინეთ და ჩვენც დავასმენთ! და ყველა ჩემი მოზავე დამდარაჯებია, რომ იქნებ სადმე წავიტეხო ფეხი: იქნებ შეცდეს და ჩვენ ვპლიოთო და შური ვიძიოთო მასზე.

¹¹მაგრამ უფალი ჩემთანაა, როგორც ძლიერი მეზრდოლი. ამიტომაც ჩემი მადევარნი კისერს მოიტეხენ და ვერ მძლევენ მე, და ფრიად შერცხვებიან, რადგან ვერ მიხვდნენ თავის უგუნურებას, თავსლავდასხმულნი დარჩებიან სამუდამოდ.

¹²ცაბაოთ უფალო, გამომცდელო სიმართლისა, მცნობელო გულთა და თირკმელთა, მომასწარ შენს შურისგებას მათ მიმართ, რადგან შენ მოგანდე ჩემი გასაჭირი.

¹³უგალობეთ უფალს, ადიდეთ უფალი, რადგან გადაარჩინა საწყლის სული უკეთურთა ხელთაგან.

¹⁴წყეულიმც იყოს დღე ჩემი გაჩენისა! არ იკურთხოს ის დღე, როდესაც დედამა მშობა!

¹⁵წყეულიმც იყოს კაცი, რომელმაც ახარა მამაჩემს: მე შეგეძინაო და დიდად გაახარა!

¹⁶და გაიხაროს მან ისე, როგორც გაიხარეს ქალაქებმა, რომლებიც უფალმა დააქცია თავისი გულისწყრომით და არ შეინანა; განთიადზე კვილი აღვიძებდეს და სამხრობას ომის ღრიანცელი ესმოდეს.

¹⁷რამეთუ საშოშივე არ მომკლა მე და არ იქცა დედაჩემი ჩემს სამარედ, მისი საშო კი – რად არ დარჩა სამუდამოდ ორსული.

¹⁸რისთვის გამოვედი მე დედის საშოდან? იმად, რომ ჯაფა და ტკივილი მქონოდა და ჩემი დღეები სირცხვილში დასრულებულიყო?

იერემია 21

¹სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ უფლისაგან ნათქვამი, როდესაც ცედეკიამ გააგზავნა მასთან ფაშური, მალქიას ძე, და ცეფანია, მაყასეია მღვდლის ძე, რომ ეთქვათ მისთვის:

²ჰკითხე უფალს ჩვენზე, რადგან ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი გარს მოგვადგა. იქნებ უფალმა ჩვენთვის მოახდინოს თავის სასწაულთა მსგავსი რამ სასწაული, რომ უკუიქცეს ჩვენგან ნაბუქოდონოსორი.

³და უთხრა მათ იერემიამ: უთხარით ცედეკიას:

⁴ასე ამბობს-თქო უფალი, ისრაელის ღმერთი: აჰა, მე წაგართმევთ საჭურველს, რომელიც თქვენს ხელთაა, რომლითაც თქვენ ეომებით



ბაბილონის მეფეს და ქალდეველთ, რომელთაც ალყა შემოარტყეს თქვენს გალავნებს. და დავყრი იმ იარაღს ამ ქალაქის შუაგულში.

⁵და მე თვითონ ვიომეზ თქვენს წინააღმდეგ აღმართული მკლავით და მლიერი მარჯვენით და გულისწყრომითა და დიდ მრისხანებით.

⁶და დავცემ მე ამ ქალაქის მცხოვრებთ, კაცსა და პირუტყვს, და მოისრებიან ისინი შავი ჭირით.

⁷და ამის შემდეგ, – ამბობს უფალი, – ჩავყრი ცედეკიას, იუდას მეფეს და მის მსახურთ, და ამ ქალაქის მცხოვრებთ, ვინც შავ ჭირს, მახვილსა და შიმშილს გადაურჩება, ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის, ხელში, და სხვა მტერთა ხელში, და მათი სულის მამიებელთა ხელში; და დასცემს ის მათ მახვილის პირით, არ დაინდობს, არ შეიბრალებს და არ შეიწყალებს მათ!

⁸ამ ხალხს კი უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი: აჰა, მე გაძლევთ სიცოცხლის გზას და სიკვდილის გზას.

⁹ვინც ამ ქალაქში დარჩება მახვილით, შიმშილითა და შავი ჭირით მოისრება, ხოლო ვინც გავა და ქალდეველთ ჩაბარდება, რომელთაც ალყაში მოგიქციეს, ცოცხალი გადარჩება და მისი ცოცხლად გადარჩენა იქნება მისი ჯილდო.

¹⁰რადგან ამ ქალაქისკენ მივაქციე სახე უბედურებისათვის და არა სიკეთისათვის, – ამბობს უფალი, – ბაბილონის მეფის ხელთ გადაეცემა იგი და ის ცეცხლით გადაბუგავს მას.

¹¹იუდას მეფის სახლს კი უთხარი: ისმინეთ-თქო უფლის სიტყვა:

¹²დავითის სახლო! – ასე ამბობს უფალი: დილითვე საჯეთ სამართალი და გადაარჩინეთ მმარცველის ხელით მიტაცებული, ვიდრე ცეცხლივით აბრიალდება ჩემი რისხვა, აგიზგიზდება და არავინ იქნება ჩამქრობი თქვენი ავკაცობის გამო.

¹³აჰა, შენზე მოვდივარ, ველის მკვიდრო, დაბლობის კლდეო! – ამბობს უფალი, – რომ გაიძახით: ვინ დაგვესხმის და ვინ გაბედავს შინ შემოგვეჭრასო?

¹⁴მე მოგკითხავთ თქვენი ნამოქმედარის ნაყოფისამებრ, – ამბობს უფალი, – ცეცხლს მივცემ მის ტყეს და იგი ირგვლივ ყველაფერს შეჭამს.

იერემია 22



¹ასე თქვა უფალმა: ჩადი იუდას მეფის სახლში, ჩაიტანე იქ ეს სიტყვა² და თქვი: ისმინეთ უფლის სიტყვა, იუდას მეფევ, დავითის ტახტზე რომ ზიხარ, შენ და შენმა მსახურებმა და ამ კარიბჭეებით მავალმა შენმა ხალხმა!

³ასე ამბობს-თქო უფალი: ქმენით სამართალი და სიმართლე; დაიხსენით უპოვარი მოძალადის ხელიდან; მწირსა და ქვრივ-ობოლს ნუ მოატყუებთ, ნუ გაძარცვავთ და უდანაშაულო სისხლს ნუ დაღვრით ამ ადგილას.

⁴თუ შეასრულებთ ამ სიტყვას, მაშინ შემოვლენ ამ სასახლის კარიბჭეებში დავითის ტახტზე მსხდომი მეფენი, ამხედრებულნი ეტლებსა და ცხენებზე, და შემოვლენ მათი მსახურნი და მათი ხალხი.

⁵და თუ არ გაიგონებთ ამ სიტყვებს, ჩემს თავს ვიფიცავ, – ამბობს უფალი, – რომ ნანგრევებად იქცევა ეს სასახლე.

⁶რადგან ასე ამბობს უფალი იუდას მეფის სახლზე: თუმცა გალადი ხარ შენ ჩემთვის, ლიბანის მწვერვალი ხარ, მაგრამ მაინც უდაბნოდ გაქცევ და უკაცრიელ ქალაქად.

⁷და მოგისევ შემმუსვრელთ, ნაჯახებით ხელში, და გაჩეხავენ ისინი შენს რჩეულ კედრებს და ცეცხლში ჩაყრიან.

⁸და გადაივლიან მრავალი წარმართნი ამ ქალაქზე და ეტყვიან ერთმანეთს: რატომ მოექცაო უფალი ასე ამ დიდებულ ქალაქს?

⁹და უპასუხებენ: იმის გამო, რომ მიატოვეს უფლის, თავიანთი ღმერთის, აღთქმა და სხვა ღმერთებს სცემდნენ თაყვანს და მათ ემსახურებოდნენო.

¹⁰ნუ სტირით მკვდარს და ნუ იგლოვთ მას, იტირეთ ტირილით მიმავალი, რადგან არასოდეს დაბრუნდება ის, და ვეღარ იხილავს მშობელ ქვეყანას.

¹¹რადგან ასე ამბობს უფალი შალუმზე, იუდას მეფის, იოშias ძეზე, ვინც თავისი მამის, იოშias შემდგომ მეფობდა და ვინც გავიდა აქედან და აღარ დაბრუნდება აქ,

¹²რადგან იქ მოკვდება, სადაც დაასახლეს, და ამ ქვეყანას ვეღარ იხილავს.

¹³ვაი მას, ვინც უსამართლობით იშენებს სახლს და უკანონობით – პალატებს! თავის მოძმეს მუქთად ამუშავებს და გასამრჯელოს არ ამღევს;

¹⁴ვინც ამბობს: ავიშენებ ფართო სახლს და ვრცელ დარბაზებსო, – სარკმლებს ატანს, კედრით აპირკეთებს და ჟღალისფრად ღებავს.

¹⁵იმად ხომ არ მეფობ, რომ კედარზე გაგიჟდე? განა მამაშენი არ ჭამდა და არ სვამდა? მაგრამ სამართალსა და სიმართლეს იქმოდა და ამიტომაც ჰქონდა სიკეთე;



¹⁶მდაბალსა და დავრდომილს განიკითხავდა, და სიკეთე არ აკლდა, განა ეს არ არის, რომ მან სწორად შემიცნო? – ამბობს უფალი.

¹⁷შენი თვალ-გული კი მხოლოდ ანგარებას ეძებს, უდანაშაულო სისხლისღვრას, ძარცვა-გლეჯასა და ძალადობას.

¹⁸ამიტომ ასე ამბობს უფალი იეჰოიაკიმზე, იუდას მეფის, იოშias, ძეზე: არ დაიტირებენ მას: „ვაი, ძმაო ჩემო!“ და: „ვაი, დაო ჩემო!“ „ვაი, ხელმწიფეო!“ და: „ვაი, დიდებული მბრძანებელო!“

¹⁹დამარხავენ, როგორც ვირს მარხავენ, გაათრევენ და იერუსალიმის კარიბჭეთა მიღმა დააგდებენ.

²⁰ადი ლიბანზე და კივილი მორთე, ბაშანამდე უწიე შენი ხმა და ყაბარიმიდან იყვირე, რადგან დაილეწა ყველა შენი მეგობარი.

²¹მე გელაპარაკებოდი შენი ბედნიერების ჟამს, მაგრამ შენ ამბობდი: არ მოვისმენო! ასეთი იყო შენი გზა შენი სიყმაწვილიდან, რომ არ უსმენდი ჩემს ხმას.

²²ყველა შენს მწყემსს ქარი წაიღებს, და შენს მეგობრებს ტყვეებად გაირეკავენ. მაშინ კი შერცხვები და შეურაცხ-იქმნები ყველა შენი ბოროტების გამო.

²³ლიბანის მკვიდრო, კედრებში დაბუდებულო, რა სანახავი იქნები, როდესაც გეწევა ტანჯვა, როგორც მშობიარის ტკივილები.

²⁴თავს ვფიცავ, – ამბობს უფალი, – რომ შენ, ქონია იეჰოიაკიმის ძე, იუდას მეფე, ბეჭედიც რომ იყო ჩემი მარჯვენა ხელისა, თუ არ წაგიძრო²⁵ და არ მიგცე შენი სულის მამიებელთა ხელთ, და მათ ხელთ, რომელთა წინაშეც ძრწი – ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის, ხელთ და ქალდეველთა ხელთ.

²⁶და გაგაძევებთ შენ და დედაშენს სხვა ქვეყანაში, სადაც არ შობილხართ, და იქ დაიხოცებით;

²⁷ხოლო იმ ქვეყანაში, საითკენაც დაბრუნებას გაუწევთ გული, ვეღარ დაბრუნდებიან ისინი.

²⁸ნუთუ მართლაც უღირსი ქმნილებაა, განკიცხულია ეს ქონია? თუ უსარგებლო ჭურჭელი? რატომ არიან გადაყრილნი ის და მისი თესლი და იმ ქვეყანაში, რომელსაც არ იცნობდნენ?

²⁹ქვეყანავ, ქვეყანავ, ქვეყანავ! ისმინე უფლის სიტყვა.



³⁰ასე ამბობს უფალი: ჩაწერეთ ეს კაცი, როგორც უმემკვიდრო, რომელმაც ვერ გაიხარა თავის დღეში: რადგან ვერ გაიხარებს მისი მემკვიდრე, ვერ დაჯდება დავითის ტახტზე, რომ იმეფოს იუდაზე.

იერემია 23

¹ვაი მწყემსებს, რომლებიც ღუპავენ და ფანტავენ ჩემი სამწყსოს ცხვარს! – ამბობს უფალი.

²ამიტომ ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი, მწყემსებზე, რომლებიც ჩემს ერს მწყემსავენ: თქვენ დაფანტეთ ჩემი ცხვარი, თქვენ გაგიფრთხათ და ყური არ უგდეთ! მე მოგკითხავთ პასუხს თქვენი ბოროტი საქმეების გამო, – ამბობს უფალი.

³მე შევაგროვებ ჩემს გადარჩენილ ცხვრებს ყველა ქვეყნიებიდან, სადაც გავფანტე ისინი და დავაბრუნებ თავიანთ ფარეხებში, და დაინერბებიან და გამრავლდებიან.

⁴და დავუყენებ მათ მწყემსებს და ისინი დამწყემსავენ. აღარ შეეშინდებათ და აღარ დაფრთხებიან, და ერთი ბატკანიც არ დააკლდებათ, – ამბობს უფალი.

⁵ჰა, დგება ჟამი, – ამბობს უფალი, – და აღვუდგენ დავითს მართალ მორჩს, და იმეფებს მეფე და მართლად განსჯის, და სამართალსა და სიმართლეს დაამკვიდრებს ქვეყნად.

⁶მის დღეებში თავს დაიხსნის იუდა და ისრაელი უშიშრად იცხოვრებს; და ამ სახელით უწოდებენ მას: „უფალი ჩვენი სიმართლისა!“

⁷ამიტომ დადგება ჟამი, – ამბობს უფალი, – და აღარ იტყვიან: უფალს ვფიცავთ, რომელმაც ისრაელის ძენი ეგვიპტის ქვეყნიდან ამოიყვანაო.

⁸არამედ: უფალს ვფიცავთ, რომელმაც გამოიყვანა და მოიყვანა ისრაელის სახლის თესლი ჩრდილო ქვეყნიდან და ყველა ქალაქიდან, სადაც გავფანტე ისინი, და იცხოვრებენ თავიანთ მიწაზე.

⁹წინასწარმეტყველთა შესახებ ნათქვამი: გული მისკდება მკერდში და ძვლები მიელავს, ღვინომორეულ კაცსა ვგავარ, უფლის გამო და მისი წმიდა სიტყვების გამო.

¹⁰რადგან მეძაობით გაივსო ქვეყანა; მათ გამო მოსთქვამს დედამიწა; გადაიტრუსა ტრამალთა საძოვრები; ბოროტებას ესწრაფიან, ძალას უსამართლობაში ხედავენ,



- ¹¹რადგან შეიბილწნენ მღვდლებიცა და წინასწარმეტყველნიც; ჩემს სახლშიც კი ვიხილე მათი ნაავკაცარი, – ამბობს უფალი.
- ¹²ამიტომ მათი სავალი ისეთი იქნება, როგორც მოლიპული გზა წყვდიადში; ხელს კრავენ და დაეცემიან, რადგან მათი განკითხვის წელს უბედურებას მოვაწევ მათ, – ამბობს უფალი.
- ¹³სამარიის წინასწარმეტყველებშიც ვიხილე უგუნურება: ბაყალის სახელით წინასწარმეტყველებდნენ და აცდუნებდნენ ჩემს ერს – ისრაელს.
- ¹⁴იერუსალიმის წინასწარმეტყველებშიც ვხედავ საშინელ ამბებს: მრუშობენ და სიცრუით დადიან, უკეთურთა მხარეზე არიან, რათა არავინ მოიქცეს თავისი ბოროტი გზიდან. ყველა სოდომელივით გახდა ჩემთვის და მისი ყველა მკვიდრი – გომორელივით.
- ¹⁵ამიტომ ასე ამბობს ცაბაოთ უფალი წინასწარმეტყველებზე: აჰა, მე შევაჭმევ მათ აბზინდას და შევასმევ გესლოვან წყალს, რადგან იერუსალიმის წინასწარმეტყველთაგან გამოდის ცდუნება მთელს ქვეყანაზე.
- ¹⁶ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: ნუ მოუსმენთ წინასწარმეტყველთა სიტყვებს, რომლებიც თქვენ ცუდს გიწინასწარმეტყველებენ; ისინი გატყუებენ, თავიანთი გულის ხილვებით ლაპარაკობენ, და არა იმას, რაც უფლის ბაგეთაგან მოდის.
- ¹⁷ისინი განუწყვეტლივ ეუბნებიან ჩემს მოძულეთ: უფალმა თქვა, მშვიდობა გექნებათო. და ყველა გულგაკერპებულს ეუბნებიან: არ მოაწევსო უბედურება თქვენს თავს.
- ¹⁸რადგან ვინ იდგა უფლის საბჭოში და ვინ იხილა და მოისმინა მისი სიტყვები? ვინ უგდებდა ყურს მის სიტყვებს და ვინ მოისმინა?
- ¹⁹აჰა, უფლის ქარიშხალი რისხვით ამოვარდა! საშინელი ქარბორბალა დაუბერავს და ბოროტეულთ დაატყდებათ თავს.
- ²⁰არ მიიქცევა უფლის რისხვა, სანამ არ აღისრულებს გულის ზრახვებს; უკანასკნელ დღეებში ბოლომდე მიხვდებით ამას.
- ²¹არ მომივლინებია ეს წინასწარმეტყველნი და თავად მორბოდნენ, მე არაფერი მითქვამს მათთვის და თავისით წინასწარმეტყველებდნენ.
- ²²ჩემს საბჭოში რომ მდგარიყვნენ, აუწყებდნენ ჩემს სიტყვებს ჩემს ხალხს, და მოაქცევდნენ მათ ბოროტი გზიდან და მათი ბოროტი საქმეებიდან.
- ²³მხოლოდ მაშინა ვარ ღმერთი, როცა ახლოს ვარ? – ამბობს უფალი, – შორს მყოფი აღარა ვარ ღმერთი?



²⁴განა ვინმე შეძლებს დაიმალოს საიდუმლო ადგილას, სადაც მე ვერ დავინახავ მას? – ამბობს უფალი; – განა ცასა და მიწას მე არ ვავსებ? – ამბობს უფალი.

²⁵მესმა, რასაც ამბობენ წინასწარმეტყველნი, ჩემი სახელით რომ ცრუდ წინასწარმეტყველებენ: მე დამესიზმრაო მე, დამესიზმრაო.

²⁶როდემდე ექნებათ ეს წინასწარმეტყველთა გულში, სიცრუეს რომ წინასწარმეტყველებენ, და ქადაგებენ თავიანთ გულის ნაფიქრალს.

²⁷იქნებ ჰგონიათ მათ, რომ დაავიწყებენ ჩემს ხალხს ჩემს სახელს თავიანთი სიზმრებით, რომლებსაც ისინი უყვებიან ერთმანეთს, როგორც მათმა მამებმა დაივიწყეს ჩემი სახელი ბაყალის გამო?

²⁸წინასწარმეტყველმა, რომელმაც სიზმარი ნახა, იამბოს ის, როგორც სიზმარი; ხოლო მან, ვისთანაც ჩემი სიტყვაა, ჭეშმარიტად იამბოს ჩემი სიტყვა. სად ბზე და სად ხორბალი? ასეა ჩემი სიტყვებიც, – ამბობს უფალი.

²⁹განა ცეცხლივით არაა ჩემი სიტყვა, – ამბობს უფალი, – უროსავით რომ ანგრევს კლდეებს!

³⁰ამიტომ, აჰა, მე ვარ წინასწარმეტყველთა წინააღმდეგ, – ამბობს უფალი, – ჩემს სიტყვებს რომ ერთმანეთს პარავენ.

³¹აჰა, მე ვარ წინასწარმეტყველთა წინააღმდეგ, – ამბობს უფალი, – რომლებიც თავიანთი ენის გამონაგებს მე მაბრალევენ და ამბობენ: მანა თქვაო.

³²აჰა, მე ვარ ცრუ სიზმრებით მოწინასწარმეტყველთა წინააღმდეგ, – ამბობს უფალი, – რომლებიც მოუთხრობენ ამ სიზმრებს და აცდუნებენ ჩემს ერს თავიანთი ტყუილებითა და ლაზღანდარობით. მე კი არ გამომიგზავნია ისინი და არც არაფერი მიბრძანებია მათთვის, და არავითარი სარგებელი არ მოაქვთ მათ ამ ერისათვის, – ამბობს უფალი.

³³და თუ გკითხავს შენ ეს ხალხი, ან წინასწარმეტყველი, ან მღვდელი: რა არისო უფლის ტვირთი? უთხარი მათ: თქვენა ხართ-თქო ტვირთი, და მე მოგისვრით-თქო თქვენ, – ამბობს უფალი.

³⁴თუ წინასწარმეტყველი, მღვდელი ან ვინმე იტყვის: უფლის ტვირთიაო, შურს ვიძიებ იმ კაცზე და მის სახლზე.

³⁵ასე უთხრას ყოველმა კაცმა მოყვასსა თვისსა და ყოველმა კაცმა ძმასა თვისსა: რა მოგიგო უფალმა? და რა თქვა უფალმა?



³⁶ხოლო უფლის ტვირთი აღარ ახსენოთ, რადგან ტვირთად ექნება იმ კაცს თავისი სიტყვა, რადგან თქვენ დაამახინჯეთ ცოცხალი ღმერთის, ცაბაოთ უფლის, ჩვენი ღმერთის, სიტყვები.

³⁷ასე უთხარი წინასწარმეტყველს: რა გიპასუხა-თქო უფალმა, და რას ამბობს-თქო უფალი?

³⁸და თუ იტყვით: უფლის ტვირთი არისო, – ასე ამბობს უფალი, – რადგან თქვენ თქვით ეს სიტყვა: უფლის ტვირთი, მე კი შემოგიტვალეთ, რომ აღარ გეთქვათ: უფლის ტვირთი.

³⁹ამიტომ მე დაგივიწყებთ თქვენ; მოგიცილებთ ჩემს თვალთაგან და დაგამხოვთ თქვენ და დავამხოვ თქვენს ქალაქს, რომელიც მე მოგეცით თქვენ და თქვენს მამებს.

⁴⁰და მოვაწევ თქვენზე სამუდამო სირცხვილსა და სამუდამო დამცირებას, რომელიც არასოდეს დაივიწყება.

იერემია 24

¹მას შემდეგ, რაც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა, გადასახლა იუდას მეფე იეჰონია, იეჰოიაკიმის ძე, და იუდეის მთავარნი, ხურონი და კვერით-ხურონი იერუსალიმიდან და ბაბილონში მიიყვანა, უფალმა მიჩვენა ლეღვით სავსე ორი კალათა, რომლებიც უფლის ტაძრის წინ იდგა.

²ერთ კალათაში კარგი ლეღვი იყო, როგორც ლეღვის პირველნაყოფია, ხოლო მეორე კალათაში – ძალიან ცუდი, რომლის ჭამაც არ შეიძლებოდა, იმდენად უვარგისი იყო.

³და მითხრა მე უფალმა: რას ხედავ, იერემია? და მივუგე მე: ლეღვს. კარგი ლეღვი ძალიან კარგია და ხენეში – ძალიან ხენეში, რომლის ჭამაც არ შეიძლება, იმდენად ცუდია.

⁴და იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ ნათქვამი:

⁵ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: ამ კარგი ლეღვივით გამოვარჩევ ტყვეობაში მყოფ იუდაელთ, რომელნიც გავუშვი აქედან ქალდეველთა ქვეყანაში;

⁶და მე მივაპყრობ მათ ჩემს თვალს სასიკეთოდ და უკანვე დავაბრუნებ ამ ქვეყანაში; ავაშენებ მათ და არ დავანგრევ, ხელახლა დავნერგავ მათ და არ აღმოვფხვრი.



⁷და მე მივცემ მათ გულს ჩემს შესაცნობად, რომ მე ვარ უფალი. ისინი იქნებიან ჩემი ერი, და მე ვიქნები მათი ღმერთი; რადგან მთელი გულით მოიქცევიან ჩემსკენ.

⁸და როგორც ხენემ ლედვს, რომლის ჭამაც არ შეიძლება მისი უვარგისობის გამო, ისე მოვექცევი, – ამბობს უფალი, – ცედეკიას, იუდას მეფეს, და მის მთავართ და იერუსალიმის ნატამალს, ამ ქვეყანაში დარჩენილს, და ეგვიპტის ქვეყანაში მცხოვრებთ.

⁹და ვაქცევ მათ ქვეყნის ყველა სამეფოსათვის სასირცხვოდ და საიგავოდ, დასაცინად და ასაგდებად ყველგან, სადაც კი გავყრი მათ.

¹⁰და მივაწევ მათზე მახვილს, შიმშილსა და შავ ჭირს, სანამ არ აღვგვი იმ მიწიდან, რომელიც მივეცი მათ და მათ მამებს.

იერემია 25

¹სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ იუდას მთელს ერზე იუდას მეფის, იოშიას ძის, იეჰოიაკიმის, მეოთხე წელს (ეს იყო ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის პირველი წელი),

²სიტყვა, რომელიც უქადაგა იერემია წინასწარმეტყველმა იუდას მთელ ერსა და იერუსალიმის ყველა მცხოვრებს:

³იუდას მეფის, ამონის ძის, იოშიას, მეფობის მეცამეტე წლიდან დღემდე, აი უკვე 23 წელია, რაც იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ, და მე გელაპარაკებოდით თქვენ, როგორც კი თვალს გავახელდი, და თქვენ არ ისმენდით.

⁴და აგზავნიდა უფალი თქვენთან ყველა თავის მსახურს, წინასწარმეტყველთ, განთიადიდან გიგზავნიდათ და არ უსმენდით, აინუნშიც არ აგდებდით მის სიტყვას.

⁵გეუბნებოდნენ: მოიქცესო ყოველი კაცი თავისი ბოროტი გზიდან და თავისი ბოროტი საქმეებიდან, და დასახლდითო მიწაზე, რომელიც უფალმა მოგცათ თქვენ და თქვენს მამებს საუკუნოდ;

⁶ნუ მისდევთო უცხო ღმერთებს სამსახურებლად და თაყვანისსაცემად, რათა არ გამარისხოთ მე თქვენი ხელით ნაკეთებით, და მეც არაფერს დაგიშავებთო.

⁷მაგრამ თქვენ არ მისმენდით მე, – ამბობს უფალი, – და მარისხედით თქვენი ხელით ნაკეთებით, თქვენსავე საბოროტოდ.



⁸ამიტომ ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: იმის გამო, რომ არ ისმინეთ ჩემი სიტყვები,

⁹აჰა, მოვუხმობ და წამოვიყვან ჩრდილოეთის ყველა ტომს, – ამბობს უფალი, – და ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორს, ჩემს მსახურსაც გავუზავნი კაცებს და ავამხედრებ მათ ამ ქვეყანაზე და მის მცხოვრებლებზე და ყველა იმ ხალხებზე, ირგვლივ რომ ცხოვრობენ; სრულიად გავანადგურებ მათ; უკაცრიელ, დასაცინ და საუკუნო ნანგრევებად ვაქცევ ყოველივეს.

¹⁰და მოვსპობ მათგან შვებისა და სიხარულის ხმას, ნეფის ხმასა და საპატარძლოს ხმას, დოლაბების რაკუნსა და ლამპრის შუქს.

¹¹და მთელი ეს ქვეყანა გაოხრდება და გაუკაცურდება, და მთელი ეს ხალხები ბაბილონის მეფის მონობაში იქნებიან 70 წელიწადს.

¹²და როცა გაივლის 70 წელი, დავსჯი მე ბაბილონის მეფეს და ამ ხალხს, – ამბობს უფალი, – და ქალდეველთა ქვეყანას მათი ურჯულოების გამო, და სამარადისო უდაბნოდ ვაქცევ მას.

¹³და ავახდენ იმ ქვეყანაზე ყველა ჩემს სიტყვას, რომელიც წარმოვთქვი მასზე, ყოველივეს ჩაწერილს ამ წიგნში, რომელიც იწინასწარმეტყველა იერემიამ ყველა ამ ხალხებზე.

¹⁴რადგან მათაც დაიმონებენ მრავალი ხალხები და დიდი მეფენი; და მივუზღავ მათ მათი საქმეებისა და მათ ხელთა ნაქნარისამებრ.

¹⁵რადგან ასე მითხრა მე უფალმა, ისრაელის ღმერთმა: ჩამომართვი ეს რისხვის ღვინით სავსე თასი და შეასვი ყველა ხალხებს, რომლებთანაც შენ გაგაგზავნი.

¹⁶და შესვამენ და აბოხოქრდებიან და გაგიჟდებიან მახვილის წინაშე, რომელსაც მე მოვუვლენ მათ.

¹⁷ხელიდან ჩამოვართვი უფალს თასი და შევასვი ყველა ხალხებს, ვისთანაც გამაგზავნა უფალმა:

¹⁸იერუსალიმს და იუდას ქალაქებს, და მის მეფეებს, და მის მთავრებს, რათა გაეოხრებინა, შემზარავი და სამარცხვინო სანახავი გაეხადა და შეეჩვენებინა, როგორც დღევანდლამდე არიან,

¹⁹ფარაონს – ეგვიპტის მეფეს, და მის მსახურთ, მის მთავრებს და მთელ მის ხალხს,

²⁰და ყველა შერეულ ხალხს, და ყუცის ქვეყნის ყველა მეფეს, და ფილისტიმელთა ქვეყნის ყველა მეფეს, და აშკელონს, ღაზას და ყეკრონს და აშდოდის ნატამალს,



- ²¹ედომს და მოაბს, და ყამონელთ,
- ²²და ცორის ყველა მეფეს და ციდონის ყველა მეფეს, და ზღვისგაღმელ მეფეთ;
- ²³დედანს, თემას და ბუზს, და ყველა საფეთქელაპარსულს;
- ²⁴და არაბეთის ყველა მეფეს, და უდაბნოში დავანებულ ყველა აღრეული ტომების მეფეებს;
- ²⁵და ზიმრის ყველა მეფეს, ყელამის ყველა მეფეს და მიდიის ყველა მეფეს;
- ²⁶ჩრდილოეთის ყველა მეფეს, ერთმანეთის ახლობელს და შორეულს; და მსოფლიოს ყველა სამეფოს, რომელიც დედამიწის ზურგზეა, და შეშაქის მეფე მათ შემდეგ შესვამს.
- ²⁷და უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: სვით და დათვერით, და ამოარწყით და დაცვივდით, და ნუ ადგებით მახვილის დანახვისას, რომელსაც მე მოვაავლენ თქვენზე.
- ²⁸და თუ უარს იტყვიან შენი ხელიდან თასის მიღებაზე, რომ შესვან, მაშინ უთხარი მათ: ასე ბრძანა ცაბაოთ უფალმა, რომ უნდა შესვათ-თქო.
- ²⁹რადგან ამ ქალაქზე, რომელიც ჩემი სახელით იწოდება, მე ვიწყებ უბედურების მოწევას; და ნუ იფიქრებთ, რომ არ დაისჯებით, რადგან მახვილს მოვუხმობ ამ ქვეყნის ყველა მცხოვრებზე, – ამბობს ცაბაოთ უფალი.
- ³⁰აუწყე მათ ყველა ეს სიტყვა და უთხარი მათ: უფალი სიმაღლიდან დაიგრგვინებს და მისი წმიდა სავანიდან გამოსცემს ხმას; საშინელი გრგვინით დაიგრგვინებს თავის ფარეხზე; როგორც საწნახელში ყურძნის მწურავები, ისე დასჭექს დედამიწის ყველა მცხოვრებთა თავზე.
- ³¹ხმა მიაღწევს ქვეყნის კიდეებამდე, რადგან დავა აქვს უფალს ხალხებთან: განიკითხავს იგი ყველა ხორციელს, ბოროტმოქმედნი მახვილს მიეცემიან, – ამბობს უფალი.
- ³²ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: აჰა, უბედურება გადადის ხალხიდან ხალხზე და დიდი ქარბორბალა აღიმგრის ქვეყნის კიდეებიდან.
- ³³და ეყრებიან იმ დღეს უფლის მიერ დახოცილნი ქვეყნის კიდიდან კიდემდე, და არავინ დაიტირებს მათ, არავინ აკრეფს და არავინ დამარხავს, ნეხვივით ეყრებიან მიწის ზურგზე.
- ³⁴ივალაღეთ, მწყემსებო, და იკივლეთ, და მიწა-მტვერი გადაიყარეთ თავზე, ფარების სარქლებო, რადგან მოაწია დღეებმა თქვენი დაკვლისა და გაფანტვისა, და დაიმსხვრევით, როგორც ძვირფასი ჭურჭელი.



³⁵არ ექნებათ თავშესაფარი მწყემსებს და ვეღარ გადარჩებიან ფარების სარქლები.

³⁶მწყემსთა ყვირილისა და ფარის სარქლების ვაების ხმაა, რადგან აჩანაგებს უფალი მათ სამოვრებს.

³⁷და ჩანაგდება მშვიდობიანი სამოვრები უფლის გაცეცხლებული რისხვით.

³⁸ლომით დატოვა მან თავისი ბუნაგი, რადგან გაუკაცრიელდა მათი ქვეყანა ამოხრებლის მრისხანებითა და მისი რისხვის ცეცხლით.

იერემია 26

¹იუდას მეფის, იეჰოიაკიმ იოშიას ძის მეფობის დასაწყისში იყო უფლის სიტყვა:

²ასე ამბობს უფალი: დადექი უფლის ტაძრის ეზოში და უთხარი იუდას ყველა ქალაქს, უფლის სახლში რომ მოდიან თაყვანის საცემად, ყოველი ეს სიტყვა, რომელიც მე გიბრძანე, რომ გეთქვა მათთვის; ერთი სიტყვაც არ დააკლო.

³იქნებ ისმინონ და მოიქცნენ თითოეული თავისი ბოროტი გზიდან, მაშინ მე შევინანებ იმ უბედურებებს, რაც მე განვიზრახე მათზე მოსაწევად მათი ბოროტი საქმეების გამო.

⁴უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი: თუ არ მომისმენთ მე და არ ივლით ჩემი რჯულის მიხედვით, რომელიც მე მოგეცით თქვენ,

⁵თუ არ შეისმენთ სიტყვებს ჩემს მსახურ წინასწარმეტყველთა, რომელთაც მე დღენიადაგ ვაგზავნიდი თქვენთან, თქვენ კი არ უსმენდით,

⁶მე გავხდი ამ სახლს შილოსავით და ქვეყნის ყველა ხალხების საწყევლად ვაქცევ მას!

⁷და უსმენდნენ მღვდელნი და წინასწარმეტყველნი, და მთელი ერი იერემიას, როცა ის ამ სიტყვებს წარმოთქვამდა უფლის სახლში.

⁸და როდესაც დაასრულა იერემიამ ყოველივე იმის თქმა, რაც უფალმა უბრძანა მთელი ერისათვის სათქმელად, დაიჭირეს ის მღვდლებმა და წინასწარმეტყველებმა და მთელმა ერმა, და უთხრეს: შენ უნდა მოკვდე!

⁹რატომ წინასწარმეტყველებ უფლის სახელით და ამბობ: შილოსავით იქნებაო ეს სახლი, ეს ქალაქი კი აოხრდება და უკაცური დარჩებაო? და მთელი ხალხი იერემიას მიუხდა უფლის სახლში.



¹⁰და გაიგეს იუდას მთავრებმა ეს ამბავი და მეფის სასახლიდან უფლის სახლში ავიდნენ, და დასხდნენ უფლის ტაძრის ახალ კარიბჭეში.

¹¹და მიმართეს მღვდლებმა და წინასწარმეტყველებმა მთავრებს და მთელ ხალხს: სასიკვდილო განაჩენი ამ კაცს, რადგან ამ ქალაქს განადგურება უწინასწარმეტყველა, როგორც თქვენი ყურით გაიგონეთ!

¹²და უთხრა იერემიამ ყველა მთავარს და მთელ ხალხს: უფალმა გამომავაზნა, რომ მეწინასწარმეტყველა ამ სახლზე და ამ ქალაქზე ყველა ის სიტყვა, რომელიც თქვენ მოისმინეთ.

¹³და ახლა გამოასწორეთ თქვენი გზები და თქვენი საქმეები, და უსმინეთ უფლის, თქვენი ღმერთის ხმას, მაშინ გადაიფიქრებს უფალი იმ უბედურებას, რასაც გიპირებთ.

¹⁴მე კი, აჰა, თქვენს ხელთა ვარ და ისე მომექეცით, როგორც სწორად და სამართლიანად მიიჩნიოთ.

¹⁵მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ, თუ მომკლავთ, უდანაშაულო სისხლს დაიდებთ თქვენცა და ეს ქალაქიც და მთელი მისი მკვიდრნიც, რადგან ნამდვილად უფალმა მომავლინა თქვენთან, რომ მეთქვა ყველა ეს სიტყვა თქვენს გასაგონად.

¹⁶მაშინ უთხრეს მთავრებმა და მთელმა ხალხმა მღვდლებსა და წინასწარმეტყველთ: ეს კაცი არ იმსახურებს სასიკვდილო განაჩენს, რადგან უფლის, ჩვენი ღმერთის, სახელით გველაპარაკებოდა.

¹⁷და წამოდგნენ ხალხის უხუცესთაგან და უთხრეს მთელი ხალხის კრებულს:

¹⁸მორეშეთელი მიქაც წინასწარმეტყველებდა იუდეის მეფის, ხიზკიას, დღეებში და ასე უთხრა მთელ იუდაელთ: ასე თქვა ცაბაოთ უფალმა: სიონი მინდორივით გადაიხვნება, და იერუსალიმი ნანგრევთა გროვად იქცევა, ეს ტაძრის მთა კი – ულრან ტყედო.

¹⁹მაგრამ განა მოკლეს იგი იუდეის მეფე ხიზკიამ და იუდაელებმა? განა არ შეეშინდა მას უფლისა? ხომ შესთხოვა უფალს, და გადაიფიქრა უფალმა ის უბედურება, რომელიც წარმოთქვა მათზე? ჩვენ კი თვით გვსურს მოვიწიოთ დიდი უბედურება ჩვენს სულელებზე!

²⁰სხვა კაციც წინასწარმეტყველებდა უფლის სახელით – ურია, შემაყიას ძე, კირიათ-იეყარიმელი, და წინასწარმეტყველებდა ამ ქალაქზე და ამ ქვეყანაზე ყველა იმ სიტყვებით, რომლებითაც იერემია წინასწარმეტყველებდა.



²¹როცა გაიგეს მისი სიტყვები მეფე იეჰოიაკიმმა, მისმა დიდებულებმა და მისმა მთავრებმა, მოითხოვა მეფემ მისი მოკვლა. გაიგო ეს ურიამ, შეეშინდა და გაიქცა ეგვიპტეში.

²²და გაგზავნა მეფე იეჰოიაკიმმა ეგვიპტეში თავისი კაცები: ელნათან ყაქბორის ძე და სხვები.

²³და მათ გამოიყვანეს ურია ეგვიპტიდან და მიუყვანეს მეფე იეჰოიაკიმს, და მან დასცა ის მახვილით, მისი გვამი კი მდაბიოთა სასაფლაოზე გადააგდეს.

²⁴ხოლო იერემიას ახიკამ შაფანის ძის ხელი მფარველობდა, რომ ხალხის ხელში არ ჩაეგდოთ მოსაკლავად.

იერემია 27

¹იუდას მეფის ცედეკიას, იოშიას ძის, მეფობის დასაწყისში ეს სიტყვა იყო იერემიას მიმართ უფლისაგან.

²ასე მითხრა მე უფალმა: გაიკეთე უღელი და აპეურები და დაიდგი ქედზე.

³და ისეთივე გაუგზავნე ედომის მეფეს, მოაბის მეფეს, ყამონელთა მეფეს, ცორის მეფეს და ციდონის მეფეს იმ მოციქულთა ხელით, რომლებიც იერუსალიმში მოვიდნენ იუდას მეფე ცედეკიასთან.

⁴და უბრძანე მათ უთხრან თავიანთ ბატონებს: ასე თქვა ცაბაოთ უფალმა, ისრაელის ღმერთმა: უთხარით-თქო თქვენს ბატონებს:

⁵მე შევექმენი ეს ქვეყანა და ადამიანი და პირუტყვი, რაც კი დედამიწის ზურგზეა, ჩემი დიდი ძალით და აღმართული მკლავით, და მივეცი მათ, ვინც ღირსად ჩავთვალე.

⁶და ახლა ყველა ეს ქვეყნები მე მივეცი ჩემს მსახურს, ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორს, და თვით ველის ნადირთაც მას ვაბარებ რათა ემსახურონ.

⁷და ყველა ხალხები დაემორჩილებიან მას და მის ძეებს და მის ძეთა ძეთ; სანამ დაუდგება მის ქვეყანასა და მას ჟამი უფლის რისხვისა, მანამ მორჩილებაში ეყოლება მას მრავალრიცხოვანი ხალხები და დიდი მეფენი.

⁸და თუ რომელიმე ხალხი ან სამეფო უარს ეტყვის მორჩილებაზე ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორს და ქედს ასწევს მისი უფლიდან, მახვილით, შიმშილით და შავი ჭირით დავსჯი იმ ხალხსა და სამეფოს, – ამბობს უფალი, – ვიდრე არ მოვსპობ მათ მისი ხელით.



⁹და თქვენ ნუ მოუსმენთ თქვენს წინასწარმეტყველთ და თქვენს მისნებს, და თქვენს მესიზმრეებს და თქვენს მკითხავებს და თქვენს გრძნეულებს, რომლებიც გეუბნებიან: არ ემსახუროთო ბაბილონის მეფეს.

¹⁰რადგან ტყუილს გიწინასწარმეტყველებენ ისინი, რათა მოგაშორონ თქვენი მიწიდან, და მე გაგაძეოთ და დაიღუპოთ.

¹¹ხოლო, იმ ხალხს, რომელიც ქედს მოუხრის ბაბილონის მეფის უღელს და დაემორჩილება, დავტოვებ თავის მიწაზე, – ამბობს უფალი, – და დაამუშავებენ მას და იცხოვრებენ იქ.

¹²ცედეკიას, იუდას მეფეს, ვუთხარი იგივე სიტყვები, რომ მოუხარეთ-მეთქი ქედი ბაბილონის მეფის უღელს, დაემორჩილეთ მას და მის ხალხს, და ცოცხალი გადარჩებით-მეთქი.

¹³რისთვის უნდა მოისრათ შენ და შენი ერი მახვილით, შიმშილითა და შავი ჭირით, როგორც დაემუქრა უფალი იმ ხალხს, რომელიც არ დაემორჩილება ბაბილონის მეფეს?

¹⁴ნუ მოუსმენთ წინასწარმეტყველთა სიტყვებს, რომლებიც ასე გეუბნებიან: არ ემსახუროთო ბაბილონის მეფეს! სიცრუეს გიწინასწარმეტყველებენ ისინი,

¹⁵რადგან მე არ გამომიგზავნია ისინი, – ამბობს უფალი, – სიცრუეს წინასწარმეტყველებენ ჩემი სახელით, რათა განგდევნოთ მე და დაიღუპოთ თქვენს წინასწარმეტყველებთან ერთად.

¹⁶მღვდლებსა და მთელ ამ ხალხს ველაპარაკე და ვუთხარი: ასე ამბობს-მეთქი უფალი: ნუ დაიჯერებთ თქვენს წინასწარმეტყველთა სიტყვებს, რომ გიქადაგებენ: აჰა, სადაც არის დაბრუნდებაო ბაბილონიდან უფლის ტაძრის ჭურჭელი; რადგან სიცრუეს გიწინასწარმეტყველებენ ისინი.

¹⁷ნუ დაუჯერებთ მათ, ემსახურეთ ბაბილონის მეფეს და ცოცხლები გადარჩებით. რატომ უნდა აოხრდეს ეს ქალაქი?

¹⁸თუ წინასწარმეტყველნი არიან ისინი და თუ უფლის სიტყვა არის მათ შორის, შეევედრონ ცაბაოთ უფალს, რომ უფლის სახლში, იუდას მეფის სახლსა და იერუსალიმში დარჩენილი ჭურჭელიც არ წავიდეს ბაბილონში.

¹⁹რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი სვეტებზე, ბრინჯაოს ზღვაზე, კვარცხლბეკებსა და ამ ქალაქში დარჩენილ სხვა ჭურჭელზე,

²⁰რაც არ წაუღია ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს, როცა იერუსალიმიდან ბაბილონში გადაასახლა იუდას მეფე იეკონია, იეჰოიაკიმის ძე, იუდეისა და იერუსალიმის მთავრებთან ერთად.



²¹რადგან ასე თქვა ცაბაოთ უფალმა, ისრაელის ღმერთმა, უფლის სახლში, იუდას მეფის სასახლესა და იერუსალიმში დარჩენილ ჭურჭელზე:

²²ბაბილონში გავზიდავ მას, და იქ დარჩება ის, ვიდრე არ ვიზრუნებ მასზე, – ამბობს უფალი, – და არ გამოვატანინებ და არ დავაბრუნებინებ ამ ადგილზე.

იერემია 28

¹და იყო იმავე წელს, იუდას მეფე ცედეკიას მეფობის დასაწყისში, მეოთხე წლის მეხუთე თვეს, ხანანია ყაზურის ძემ, გიბეონელმა წინასწარმეტყველმა, მითხრა მე უფლის სახლში მღვდლებისა და მთელი ხალხის თვალწინ:

²ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: მე დავლექვავ ბაბილონის მეფის უღელს.

³ორ წელიწადში დავაბრუნებო ამ ადგილას უფლის ტაძრის მთელ ჭურჭელს, რომელიც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა გაზიდა აქედან ბაბილონში;

⁴და იექონია იეჰოიაკიმის ძეს, იუდეის მეფეს, და ბაბილონში მყოფ ყველა ტყვედ წაყვანილ იუდაელს დავაბრუნებ ამ ადგილას, – ამბობს უფალი, – რადგან მე დავლექვავ ბაბილონის მეფის უღელს.

⁵და უთხრა იერემია წინასწარმეტყველმა ხანანია წინასწარმეტყველს უფლის სახლში მდგომი მთელი ხალხისა და მღვდლების თვალწინ,

⁶და თქვა იერემია წინასწარმეტყველმა: ამინ! ეგრე ყოს უფალმა! აღასრულოს უფალმა შენი სიტყვები, რომლებიც იწინასწარმეტყველე უფლის ტაძრის ჭურჭლისა და ყველა ტყვის დაბრუნებაზე ბაბილონიდან ამ ადგილას.

⁷მხოლოდ მოისმინე ეს სიტყვა, რომელსაც მე ვიტყვი შენს გასაგონად და მთელი ერის მოსასმენად.

⁸წინასწარმეტყველნი, რომლებიც ჩემზე უწინ იყვნენ და შენზე უწინაც დიდი ხნით ადრე, უწინასწარმეტყველებდნენ ბევრ ქვეყანას და დიდ სამეფოებს ომებს, უბედურებებსა და შავ ჭირს;

⁹თუ წინასწარმეტყველი მშვიდობას წინასწარმეტყველებს, მხოლოდ მაშინ აღიარებენ, უფლის მიერ მოვლინებულ ჭეშმარიტ წინასწარმეტყველად, როცა ახდება მისი წინასწარმეტყველება.

¹⁰მაშინ ახსნა ხანანია წინასწარმეტყველმა წინასწარმეტყველ იერემიას კისრიდან უღელი და დალექა.



¹¹და თქვა ხანანია მთელი ხალხის თვალწინ: „ასე ამბობს უფალი: ‘ასევე დავლენავ ნაბუქოდონოსორის, ბაბილონის მეფის, უღელს ორ წელიწადში ყველა ხალხების ქედზე.’“ და წავიდა იერემია წინასწარმეტყველი თავისი გზით.

¹²და იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ მას შემდეგ, რაც ხანანია წინასწარმეტყველმა ქედიდან მოხსნა წინასწარმეტყველ იერემიას უღელი და დალეწა:

¹³წადი და უთხარი ხანანიას: ასე ამბობს-თქო უფალი: შენ ხის უღელი დალეწე, ახლა რკინის უღელი მოვა-თქო მის ნაცვლად.

¹⁴რადგან ასე თქვა ცაბაოთ უფალმა, ისრაელის ღმერთმა: რკინის უღელი დავადგი მე ყველა ამ ხალხებს ქედზე, რათა დაემორჩილნენ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორს, და დაემორჩილებიან კიდეც, თვით ველის ნადირიც კი მას დაემორჩილება.

¹⁵და უთხრა იერემია წინასწარმეტყველმა ხანანია წინასწარმეტყველს: ისმინე, ხანანია, უფალს არ გამოუგზავნიხარ შენ, და ტყუილად აიძულებ ამ ხალხს.

¹⁶ამიტომ ასე ამბობს უფალი: აჰა, მოგაშორებ მზის ნათელს, ამ წელს მოკვდები, რადგან უფლის წინააღმდეგ ლაპარაკობდი.

¹⁷და მოკვდა ხანანია წინასწარმეტყველი იმ წელიწადს, მეშვიდე თვეში.

იერემია 29

¹ეს არის სიტყვები წერილისა, რომელიც იერემია წინასწარმეტყველმა გაუგზავნა ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმიდან ბაბილონში გადასახლებული უხუცესების, მღვდლების, წინასწარმეტყველებისა და ხალხის ნატამალს,

²(ეს იყო მას შემდეგ, რაც ბაბილონის მეფემ იერუსალიმიდან გაიყვანა მეფე იეჟონია, მისი დედა-დედოფალი, კარისკაცი და იუდასა და იერუსალიმის მთავრები, ხუროები და მჭედლები);

³ელყასა შაფანის ძის, და გემარია ხილკიას ძის ხელით, რომლებიც იუდას მეფე ცედეკიამ გაგზავნა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორთან ბაბილონში, რათა ეთქვათ მისთვის:

⁴ასე ეუბნება ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი, ყველა გადასახლებულს, რომლებიც მე გადავასახლე იერუსალიმიდან ბაბილონში:



- ⁵აიშენეთ სახლები და დასახლდით, და გააშენეთ ბალები და ჭამეთ მისი ნაყოფი,
- ⁶მოიყვანეთ ცოლები და შობეთ ძენი და ასულნი, და მოუყვანეთ თქვენს ძეებს ცოლები და თქვენი ასულნი გაათხოვეთ, და შვან მათ ძენი და ასულნი და გამრავლდით იქ და არ შემცირდეთ.
- ⁷და შესთხოვეთ მშვიდობა იმ ქალაქისათვის, სადაც გადაგასახლეთ თქვენ, და ევედრეთ მისთვის უფალს, რადგან მისი მშვიდობით თქვენც გექნებათ მშვიდობა.
- ⁸რადგან ასე ამბობს ცაბათ უფალი, ისრაელის ღმერთი: ნუ გაცდუნებენ თქვენ თქვენი წინასწარმეტყველნი, რომელნიც თქვენს შორის არიან, და თქვენი მისნები, და ნუ დაუჯერებთ თქვენს სიზმრებს, რომლებიც გესიზმრებათ.
- ⁹რადგან ტყუილს გიწინასწარმეტყველებენ ისინი ჩემი სახელით: მე არ გამომიგზავნია ისინი, – ამბობს უფალი.
- ¹⁰რადგან ასე ამბობს უფალი: როდესაც შეგისრულდებათ ბაბილონში სამოცდაათწლიანი ტყვეობა, მოგიკითხავთ მე თქვენ და აგისრულებთ ჩემს კეთილ სიტყვას, რომ გითხარით დაგაბრუნებთ-მეთქი ამ ადგილას.
- ¹¹რადგან მე კარგად ვიცი ის ზრახვები, რაც მე განვიზრახე თქვენთვის, – ამბობს უფალი, – სამშვიდობო ზრახვები, რომ მოგცეთ თქვენ მომავალი და იმედი.
- ¹²თქვენ მოხვალთ და შემევედრებით, მომიხმობთ და მე მოგისმენთ თქვენ;
- ¹³მეძიეთ და მიპოვით თუ მთელი გულით დამიწყებთ ძებნას.
- ¹⁴გამოგეცხადებით მე და დაგაბრუნებთ ტყვეობიდან, და შეგკრებთ ყველა იმ ხალხებიდან და ყველა იმ ადგილიდან, სადაც კი გამიძევებიახართ, – ამბობს უფალი, – და დაგაბრუნებთ იმავე ადგილას, საიდანაც გადაგასახლეთ.
- ¹⁵რადგან თქვენ ამბობთ: უფალმა ბაბილონშიც აღგვიდგინაო წინასწარმეტყველნი.
- ¹⁶რადგან ასე ამბობს უფალი დავითის ტახტზე მჯდომ მეფეზე, და ამ ქალაქში მცხოვრებ მთელ ხალხზე, თქვენს ძმებზე, რომლებიც თქვენთან ერთად არ წამოსულან გადასახლებაში;
- ¹⁷ასე თქვა ცაბათ უფალმა: აჰა, მე მოვუვლენ მათ მახვილს, შიმშილსა და შავ ჭირს და ვაქცევ მათ უვარგის ლელვად, საჭმელად რომ არ ვარგა.



¹⁸დავედვენები მათ მახვილით, შიმშილითა და შავი ჭირით, და საფრთხობელად ვაქცევ მათ ქვეყნიერების ყველა სამეფოსათვის, შესაჩვენებლად, შესაზარად, სამასხროდ და სასირცხვოდ ყველა ხალხში, სადაც კი გამიძევებია ისინი.

¹⁹იმის სანაცვლოდ, რომ არ უსმინეს ჩემს სიტყვებს, – ამბობს უფალი, – რომლებსაც ვუთვლიდი მათთან მივლინებული ჩემი მსახურების – წინასწარმეტყველების პირით, მაგრამ მათ არ უსმინეს მათ, – ამბობს უფალი.

²⁰თქვენ მაინც ისმინეთ უფლის სიტყვა, ყველა გადასახლებულო, ვინც კი გაგაგზავნეთ იერუსალიმიდან ბაბილონში.

²¹ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი, ახაბზე, კოლაიას ძეზე და ცედეკიაზე, მაყასეიას ძეზე, რომლებიც ჩემი სახელით ტყუილს გიწინასწარმეტყველებდნენ: აჰა, მე მივცემ მათ ბაბილონის მეფეს ნაბუქოდონოსორს ხელში და ის დახოცავს მათ თქვენს თვალწინ.

²²და ასე დაიწყევლის ბაბილონში გადასახლებული ყველა იუდაელი: „უფალმა გიყოს, რაც ცედეკიასა და ახაბს დამართა ბაბილონის მეფემ – ცეცხლზე რომ შეწვა!“

²³იმის გამო, რომ სისაძაგლე ჩაიდინეს მათ ისრაელში და მრუმობდნენ თავიანთ მოყვასთა ცოლებთან და ტყუილს ამბობდნენ ჩემი სახელით, რაც მე არ დამივალე მათთვის. მე კარგად ვიცი, რასაც ისინი აკეთებდნენ და მოწმეცა ვარ, – ამბობს უფალი.

²⁴და შემაყია ნეხელამელს უთხარი:

²⁵ასე ამბობს-თქო ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: იმის გამო, რომ შენი სახელით უგზავნიდი წერილებს იერუსალიმის მთელ ერს და მღვდელ ცეფანია მაყასეიას ძეს, და ყველა სხვა მღვდლებს, რომ

²⁶„უფალმა დამადგინაო მე მღვდლად იეჰოიადაყის ნაცვლად, რათა თვალი ვადევნო უფლის ტაძარში ყოველ ბნედიანს, წინასწარმეტყველი რომ ჰგონია თავი და ჩავსვა საპყრობილესა და საკანში.“

²⁷მაშ ახლა რატომ არ ურისხდებით იერემია ყანათოთელს, რომელიც თქვენ გიწინასწარმეტყველებთ?

²⁸იმიტომ, რომ მან ჩვენთანაც შემოთვალა ბაბილონში: ხანგრძლივი იქნებაო დევნილობა; აიშენეთ სახლები და დასახლდით და გააშენეთ ბაღები და ჭამეთ მისი ნაყოფი.

²⁹და წაიკითხა მღვდელმა ცეფანიამ ეს წერილი იერემია წინასწარმეტყველის გასაგონად;



³⁰და იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ:

³¹შეუთვალე ყველა გადასახლებულს: ასე ამბობს-თქო უფალი შემაყია ნეხელამელზე: იმის გამო, რომ შემაყია გიწინასწარმეტყველებთ თქვენ, მე კი არ გამომიგზავნია ის თქვენთან, და ტყუილებით გაიმედებთ,

³²ამიტომ ასე ამბობს უფალი: აჰა, მე დავსჯი შემაყია ნეხელამელს და მის მოდგმას; ვერ დარჩება მისი მოდგმა ამ ხალხში, და ვერ იხილავს ის იმ სიკეთეს, რასაც მე ჩემს ერს მივაგებ, – ამბობს უფალი, – რადგან უფლისაგან განდგომას ქადაგებდა.

იერემია 30

¹უფლის სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ:

²ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: გრაგნილში ჩაიწერე ყველა ის სიტყვა, რაც გითხარი.

³რადგან, აჰა, დგება ჟამი, – ამბობს უფალი, – როცა მე დავაბრუნებ ჩემს ერს – ისრაელსა და იუდას – ტყვეობიდან. დავაბრუნებ მათ იმ ქვეყანაში, რომელიც მივეცი მათ მამებს და ისინი დაიმკვიდრებენ მას.

⁴ეს ის სიტყვებია, რომლებიც თქვა უფალმა ისრაელსა და იუდაზე.

⁵ასე ამბობს უფალი: შიშის ხმა გვესმის ჩვენ, ძრწოლისა და არა მშვიდობისა.

⁶იკითხეთ და ნახეთ, თუ სადმე გაგონილა, რომ კაცი შობდეს? მაშ რატომ ვხედავ, რომ კაცებს მშობიარე დედაკაცებივით ხელით უჭირავთ თეძოები? და რატომ გაფითრებია ყველას სახე?

⁷ვაი, რა დიდია ის დღე, არ ყოფილა მისი მსგავსი. უბედურების ჟამია ის იაკობისთვის, მაგრამ ის გადარჩება.

⁸და იქნება იმ დღეს, – ამბობს ცაბაოთ უფალი – რომ დავლექვას მის უღელს შენ რომ გადგას ქედზე, და დავწყვეტ შენს აპეურებს; და აღარ მოემსახურებიან უცხოთესლთ.

⁹არამედ მოემსახურებიან ისინი უფალს, თავიანთ ღმერთს, და დავითს, თავიანთ მეფეს, რომელსაც მე აღვუდგენ მათ.

¹⁰და ნუ გეშინია, იაკობ, ჩემო მონავ! – ამბობს უფალი, – და ნუ შეშინდები, ისრაელ, რადგან, აჰა, მე დაგიხსნი შენ შორეთიდან და შენს თესლს – მათი ტყვეობის ქვეყნიდან. და დაბრუნდება იაკობი და იცხოვრებს წყნარად და მშვიდად და ველარავინ შეაშინებს მას.



¹¹რადგან შენთანა ვარ მე, – ამბობს უფალი, – რომ გიხსნა, რადგან ბოლოს მოვუღებ ყველა ხალხებს, რომელთა შორისაც გაგფანტე შენ, მაგრამ შენ არ მოგიღებ ბოლოს; შენ სამართლიანად დაგსჯი, დაუსჯელს კი არ დაგტოვებ.

¹²რადგან ასე ამბობს უფალი: უკურნებელია შენი ჭრილობა, მძიმეა შენი წყლული.

¹³არავინ არის შენი საქმის განმკითხველი, შესახორცებელი სალბუნი არ მოიძიება შენთვის.

¹⁴ყველა შენმა მეგობარმა დაგივიწყა, არ გკითხულობენ, რადგან მტრის ჭრილობით დაგჭერი მე, სასტიკი სატანჯველით – შენი მრავალი ურჯულოების გამო, რადგან გამრავლდა შენი ცოდვები.

¹⁵რას კვნესი შენს ჭრილობებზე, შენს უწყალო სატკივარზე? შენი მრავალი ურჯულოების გამო გიყავი მე ეს, იმის გამო, რომ გამრავლდა შენი ცოდვები.

¹⁶ამიტომ ყველა შენს შემჭმელს შეჭამენ; და ყველა შენს მოძალადეს ტყვედ წაიყვანენ; ყველა შენს ამოხრებელს ააოხრებენ, და ყველა შენს მძარცველს გავაძარცვინებ.

¹⁷მე მინდა მოგივლინო კურნება მძიმე წყლულებისაგან და განგკურნო, – ამბობს უფალი, – რადგან მოკვეთილი გიწოდეს და ამბობდნენ: ეს არისო სიონი, რომელსაც აღარავინ კითხულობსო.

¹⁸ასე ამბობს უფალი: მე დავაბრუნებ იაკობის კარვებიდან ტყვეობაში წაყვანილთ და შევიწყალებ მის დაბებს; და აშენდება ქალაქი თავის ბორცვებზე და ტაძარი თავის ძველ ადგილზე მოეწყობა.

¹⁹და გამოვა მათგან სამადლობელი და სიცილის ხმა; განვადიდებ მათ და არ დამცირდებიან.

²⁰და იქნებიან მათი ძენი უწინდელივით, მისი თემი ჩემს წინაშე წარსდგება და მე დავსჯი ყველა მის დამთრგუნველს.

²¹მისგანვე იქნება მისი მზრძანებელი და მისივე წიალიდან გამოვა მისი მთავარი. და მე მოვიახლოვებ მას და ის მოვა ჩემთან, რადგან თავისით ვინ გაბედავს, რომ მომიახლოვდეს მე? – ამბობს უფალი.

²²და თქვენ იქნებით ჩემი ერი და მე ვიქნები თქვენი ღმერთი.

²³აჰა, მძვინვარე ქარბორბალა წამოვიდა უფლისგან, მრისხანე ქარბორბალა, ბოროტეულთ დაატყდება თავს.

²⁴უკუ არ იქცევა უფლის გულისწყრომის რისხვა, ვიდრე არ შეისრულებს თავისი გულისნადებს. უკანასკნელ დღეებში მიხვდებით ამას.



იერემია 31

¹იმ დროს, – ამბობს უფალი, – მე ვიქნები ისრაელის ყველა ტომის ღმერთი და ისინი იქნებიან ჩემი ერი.

²ასე ამბობს უფალი: უდაბნოში ჰპოვა მადლი მახვილს გადარჩენილმა ხალხმა; წავალ, შვება რომ მოვუტანო ისრაელს.

³შორიდან გამომეცხადა უფალი და მითხრა: საუკუნო სიყვარულით შეგიყვარე შენ, ისრაელ, ამიტომაც მოგვინე წყალობა.

⁴კვლავ აგაშენებ და აშენდები, ქალწულო ისრაელისა, კვლავაც დამშვენდები შენი დაირებით და გამოხვალ მოკისკისე მროკველთა გუნდში.

⁵კვლავ აგაშენებ ვენახებს სამარიის მთებზე; დარგავენ მწიდავნი+ და ვინც დარგავენ, თავადვე მოისთვლიან მას.

⁶რადგან დადგება დღე, როცა ეფრემის მთაზე დაიძახებენ გუშაგნი: ადექით და ავიდეთ სიონზე უფალთან, ჩვენს ღმერთთან!

⁷რადგან ასე ამბობს უფალი: „სიხარულით იმღერეთ იაკობზე და გამოაცხადეთ ხალხთა მამის წინაშე; ადიდეთ და თქვით: ‘იხსენი, უფალო, შენი ერი, ნატამალი ისრაელისა!’“

⁸აჰა, მოვიყვან მათ ჩრდილოეთის ქვეყნიდან და შემოვიკრებ მათ ქვეყნის კიდეებიდან; მათ შორის იქნებიან ბრმები და კოჭლები, ფეხმძიმენი და მშობიარენი, დიდი კრებული მოიქცევა აქეთ.

⁹ტირილით გავიდნენ ისინი აქედან და ნუგეშისცემით წამოვუძღვები მათ; სწორი გზებით წამოვიყვან წყლის ნაკადების ახლოს და აღარ წაიფორხილებენ იქ, რადგან მამა ვარ მე ისრაელისა, და ეფრემი პირმშოა ჩემი.

¹⁰ისმინეთ უფლის სიტყვა, ხალხებო, და აუწყეთ შორეულ კუნძულებს, და უთხარით: ვინც გაფანტა ისრაელი, იგივე შეიკრებს მათ და დაიფარავს, როგორც მწყემსი თავის სამწყსოს.

¹¹რადგან გამოისყიდა უფალმა იაკობი და გამოიხსნა მასზე უძლიერესის ხელიდან.

¹²და მოვლენ ისინი, იზეიმებენ სიონის მთაზე, გაიხარებენ უფლის სიუხვით – მისი პურითა და ღვინით, ზეთითა და ცხვარ-ძროხით. და იქნება მათი სული აყვავებული ბაღით, და მათი ტანჯვები დამთავრდება.



¹³მაშინ გაიხარებს ქალწული ფერხულში, და გაიხარებენ ჭაბუკნი და ბერიკაცნი მათთან ერთად; და მათ გლოვას სიხარულად ვაქცევ და ვანუგეშებ მათ, და გავახარებ მათ და დარდებს გავუქარწყლებ.

¹⁴და გავაძღობ მღვდლებს ლურთებით, და ჩემი ერი გაძლება ჩემი დოვლათით, – ამბობს უფალი.

¹⁵ასე ამბობს უფალი: ხმა გაისმა რამაში, ტირილი და მწარე გოდება; რახელი დასტირის თავის ძეთ და არ უნდა ნუგეშისცემა თავისი შვილების გამო, რადგან აღარ არიან ისინი.

¹⁶ასე ამბობს უფალი: დაიოკე ხმა ტირილისა და ცრემლის ღვრა თვალთაგან, რადგან საზღაური აქვს შენს შრომას, – ამბობს უფალი, – დაბრუნდებიან ისინი მტრის ქვეყნიდან.

¹⁷იმედი გქონდეს შენი მომავლის, – ამბობს უფალი, – დაუბრუნდებიან შენი ძენი თავიანთ საზღვრებს.

¹⁸მესმის, რომ ტირის ეფრემი: შენ დამსაჯე მე და დავისაჯე, როგორც უღელდაუდგმელი მოზვერი, დამაბრუნე და დავბრუნდები მე, რადგან შენა ხარ უფალი, ჩემი ღმერთი.

¹⁹ჩემი დაბრუნების შემდეგ მოვინანიე; და მას შემდეგ, რაც გონს მოვეგე, მუხლებში ვიცემდი ხელებს; შერცხვენილი ვიყავი და შეძრწუნებული, რადგან ჩემი სიჭაბუკის სირცხვილს ვატარებდი.

²⁰განა ეფრემი ჩემი ძვირფასი ძე არ არის? განა საყვარელი ბავშვი არ არის? რადგან, როცა კი მასზე დავილაპარაკებ, მუდამ სიყვარულით ვიხსენებ. გულ-ღვიძლი მეწვის, რომ ვიგონებ, სიბრალული მიპყრობს, – ამბობს უფალი.

²¹ნიშები აღმართე, გზის მაჩვენებელი სამანები დასხი, გული მიაპყარ გზას, რომლითაც დადიოდი. დაბრუნდი, ქალწულო ისრაელისა, დაუბრუნდი ამ შენს ქალაქებს.

²²როდემდე იხეტიალებ, განდგომილო ასულო? უფალი შექმნის სიახლეს ქვეყანაზე – დედაკაცი დაიფარავს მამაკაცს.

²³ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: კვლავ იტყვიან ამ სიტყვას იუდას ქვეყანაში და მის ქალაქებში, როცა ტყვეობიდან დავაბრუნებ მათ: უფალმა გაკურთხოს შენ, სიმართლის სამკვიდრებელო, მთაო წმიდაო!

²⁴და კვლავ ერთად დასახლდებიან იუდასა და ყველა მის ქალაქში მხვნელ-მთესველნი და მწყემსნი.



²⁵რადგან წყურვილს მოვაკვლევინებ ყოველ მწყურვალ სულს და გავაძლებ ყოველ მშვიერ სულს.

²⁶და ამ დროს გამომეღვიძა და გავახილე თვალი და დავინახე, რომ მეამა მილი.

²⁷აჰა, მოდიან დღეები, – ამბობს უფალი, – და დავთესავ ისრაელისა და იუდას სახლში კაცის თესლსა და პირუტყვის თესლს.

²⁸და როგორც ვუთვალთვალე მათ, რომ აღმომეფხვრა და გამეცამტვერებინა ისინი, დამენგრია, მომესპო და მომეწია უბედურება მათზე, ასევე ვიფხიზლებ, რომ ავაშენო და დავნერგო, – ამბობს უფალი.

²⁹იმ დღეებში აღარ იტყვიან: პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრაო კბილი.

³⁰რადგან ყოველი თავისი ცოდვით მოკვდება; ვინც ტყემალს შეჭამს, კბილიც იმას მოეკვეთება.

³¹აჰა, მოდის დღეები, – ამბობს უფალი, – და ისრაელის სახლსა და იუდას სახლს ახალ აღთქმას დავუდებ.

³²არა ისეთ აღთქმას, რომელიც დავუდე მათ მამებს იმ დღეს, როდესაც ხელი მოვკიდე მათ, რომ გამომეყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან; ის ჩემი აღთქმა მათ დაარღვიეს, მე კი მაინც ვპატრონობდი მათ, – ამბობს უფალი.

³³რადგან ეს არის აღთქმა, რომელსაც დავუდებ ისრაელის სახლს იმ დღეების შემდეგ, – ამბობს უფალი, – წიაღში ჩავუდებ მათ ჩემს რჯულს და გულზე დავაწერ, და მე ვიქნები მათი ღმერთი და ისინი იქნებიან ჩემი ერი.

³⁴და აღარ ასწავლის მეტად თითოეული თავის მოყვასს და თითოეული თავის ძმას ასე: შეიცანითო უფალი! რადგან დიდიან-პატარიანად ყველას ვეყოლები შეცნობილი, – ამბობს უფალი, – რადგან ვაპატიებ მათ ურჯულოებას და მათ ცოდვებს აღარ გავიხსენებ მეტად.

³⁵ასე ამბობს უფალი, რომელიც მზეს იძლევა დღის გასანათებლად, უბრძანებს მთვარეს და ვარსკვლავებს, ღამე გაანათონ; რომელიც ისე აღელვებს ზღვას, რომ მისი ტალღები ღმუიან; ცაბოთ უფალია მისი სახელი.

³⁶თუ ეს წესები მოქმედებას შეწყვეტენ ჩემს წინაშე, – ამბობს უფალი, – მაშინ ისრაელიანთა თესლ-ტომიც შეწყდება და აღარ მეყოლება სამუდამოდ ჩემს ერად.



³⁷ასე ამბობს უფალი: თუ გაიზომება მაღლა ცა და დაბლა გამოიკვლევა დედამიწის საფუძვლები, მაშინ მეც შევიძულებ ისრაელიანთა მთელს მოდგმას ყოველივე იმის გამო, რაც მათ გააკეთეს, – ამბობს უფალი.

³⁸აჰა, მოდიან დღენი, – ამბობს უფალი, – და აუშენდება უფალს ქალაქი ხანანელის გოდლიდან კუთხის კარიბჭემდე.

³⁹და საზომი საბელი გადასწვდება გარეხის ბორცვამდე და გოყათს შემოუვლის.

⁴⁰და გვამებისა და ნაცრის მთელი ველი და მთელი მინდორი კიდრონის ნაღვარევამდე და ცხენთა კარიბჭის კუთხემდე აღმოსავლეთით – უფლის წმიდა იქნება. არ აღმოიფხვრება და არ განადგურდება უკუნისამდე.

იერემია 32

¹და იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ იუდას მეფის, ცედეკიას მეფობის მეათე წელს. ეს იყო ნაბუქოდონოსორის მეფობის მეთვრამეტე წელი.

²მაშინ ალყაში მოიქცია ბაბილონის მეფის ლაშქარმა იერუსალიმი და იერემია წინასწარმეტყველი დაპატიმრებული იყო იუდას მეფის სასახლის ყარაულთა ეზოში.

³იუდას მეფე ცედეკიამ დააპატიმრა იგი და უთხრა: რატომ წინასწარმეტყველებ ასე და ამბობ, რომ უფალმა თქვა: აჰა, მე ამ ქალაქს ბაბილონის მეფეს ვაძლევო ხელთ და ის დაიპყრობსო მას.

⁴და იუდას მეფე, ცედეკია, თავს ვერ დააღწევსო ქალდეველთაგან, რადგან გადაეცემაო ბაბილონის მეფის ხელთ და პირისპირ ილაპარაკებსო მასთან, და საკუთარი თვალით შეხედავენო ერთმანეთს.

⁵ბაბილონში წაიყვანსო ის ცედეკიას და იქნება იქ, სანამ არ გავიხსენებო მას, – ამბობს უფალი, – თუ შეებრძოლებით ქალდეველებს, წარმატებას ვერ მიაღწევთო.

⁶და თქვა იერემიამ: იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ:

⁷აჰა, ხანამელი, შენი ბიძის, შალუმის, მე, მოდის შენთან რათა გითხრას: იყიდე ჩემი მინდორი, ყანათოთში რომ მიჭირავს, რადგან გამოსყიდვის უფლებით შენ გეკუთვნის მისი დამკვიდრება.

⁸და მართლაც, უფლის სიტყვისამებრ მოვიდა ჩემთან საპყრობილის ეზოში ხანამელი, მე ჩემი ბიძისა, და მითხრა: იყიდე ჩემი მინდორი, რომელიც ყანათოთში მიჭირავს, ბენიამინის მიწაზე, რადგან მემკვიდრეობის



უფლებაც შენა გაქვს და გამოსყიდვისაც. იყიდე შენთვის. და მე მივხვდი, რომ ეს უფლის ბრძანება იყო.

⁹და მე ვიყიდე მინდორი ჩემი ბიძაშვილის, ხანამელისაგან, ყანათოთში, და მივუწონე მას ფულად – 17 შეკელი ვერცხლი.

¹⁰და ჩავწერე სიგელში, დავბეჭდე, დავისწარი მოწმეები და ვერცხლი ავწონე სასწოროზე.

¹¹ავიღე ნასყიდობის სიგელი, წესითა და რიგით ბეჭედდასმული და მისი ბეჭედდაუსმელი პირი.

¹²და მივეცი ნასყიდობის სიგელი ბარუქს, ნერიას ძეს, მახსეიას ძის ძეს, ჩემი ბიძის ძის, ხანამელის, თვალწინ, ყველა მოწმის თვალწინ, რომელთაც ხელი მოაწერეს სიგელზე, ყველა იუდაელის თვალწინ, რომელნიც ყარაულთა ეზოში ისხდნენ.

¹³და ასე ვუბრძანე ბარუქს მათი თანდასწრებით:

¹⁴ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: აიღე ეს დაწერილები და ეს ბეჭედდასმული და ეს ბეჭედდაუსმელი ნასყიდობის სიგელები და ჩადე ისინი თიხის ჭურჭელში, რათა დიდხანს ინახებოდეს.

¹⁵რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: კიდევ იყიდიან სახლებს და მინდვრებს და ვენახებს ამ ქვეყანაში!

¹⁶და მას შემდეგ, რაც ნასყიდობის სიგელი მივეცი ბარუქ ნერიას ძეს, ასე შევევედრე უფალს:

¹⁷ო, უფალო ღმერთო! აჰა, შენ შეჰქმენი ცა და დედამიწა შენი დიდი ძალითა და შენი აღმართული მკლავით; არაფერია შენთვის შეუძლებელი!

¹⁸წყალობასა იქმ ათასებზე და მამების ურჯულოებას მათ ძეთა წიაღში მიუზღავ მათ შემდეგ; შენ, დიდო და ძლიერო ღმერთო, რომლის სახელიც ცაბაოთ უფალია.

¹⁹სიტყვაგზიანო და მძლესაქმიანო, თვალს რომ არ აცილებ ადამის ძეთა ყოველ გზას, რათა მიუზღო თითოეულს თავისი გზისამებრ, მათ მოქმედებათა ნაყოფისამებრ;

²⁰რომელმაც მოიმოქმედე ნიშები და სასწაულები ეგვიპტის ქვეყანაში, და დღემდე ახდენ ისრაელსა და კაცთა მოდგმაში, და შეიქმენი სახელი, როგორც დღესა გაქვს.

²¹და გამოიყვანე შენი ერი, ისრაელი, ეგვიპტის ქვეყნიდან ნიშებითა და სასწაულებით, და მტკიცე ხელითა და აღმართული მკლავით და დიდი შიშის ზარით.



²²და მიეცი მათ ეს ქვეყანა, რომელიც შეჰფიცე მათ მამებს, რომ მისცემდი რძითა და თაფლით მდინარ ქვეყანას.

²³და მოვიდნენ ისინი და დაიმკვიდრეს ის, მაგრამ არ ისმინეს შენი ხმა და შენს რჯულზე არ იარეს, და ყოველივე, რისი გაკეთებაც ბრძანე, არ გააკეთეს, და შენ მოაწიე მათზე ყველა ეს უბედურება.

²⁴აჰა, მიწაყრილები შემოადგეს ქალაქს მის დასაპყრობად; და მახვილის, შიმშილისა და შავი ჭირისაგან ღონემიხდილი ქალაქი მის წინააღმდეგ მებრძოლ ქალდეველთა ხელში გადადის; და, რასაც ამბობდი, სრულდება და შენ ხედავ ამას.

²⁵შენ კი, უფალო ღმერთო, მითხარი: იყიდეო შენთვის მინდორი ვერცხლით და მოწმეები დაისწარიო; მაშინ, როცა ქალაქი ქალდეველთა ხელში გადადის.

²⁶და იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ:

²⁷მე ვარ უფალი, ღმერთი ყოველი ხორციელისა; განა რაიმე არის ჩემთვის შეუძლებელი?

²⁸ამიტომ ასე ამბობს უფალი: აჰა, მე ამ ქალაქს ხელში ჩავუგდებ ქალდეველებს და ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი დაიპყრობს მას.

²⁹და შემოვლენ ქალდეველნი, ალყაში მოიქცევენ ამ ქალაქს, ცეცხლს მისცემენ მას და გადაბუგავენ, და სახლებს, რომლის ბანებზეც უკმევდნენ ბაყალს და საღვრელს უღვრიდნენ უცხო ღმერთებს ჩემს გასარისხებლად.

³⁰რადგან ისრაელის ძენი და იუდას ძენი მხოლოდ ბოროტის მოქმედნი იყვნენ ჩემს თვალში მათი სიყმაწვილიდან, რადგან ისრაელის ძენი მხოლოდ მაბოროტებდნენ მე თავიანთი ხელის ნაკეთებით, – ამბობს უფალი;

³¹რადგან ჩემს რისხვას და გულისწყრომას იწვევდა ეს ქალაქი მისი აგების დღიდან დღემდე. ამიტომაც მოვიშორებ მას ჩემს თვალთაგან –

³²ისრაელის ძეთა და იუდას ძეთა ყველა ბოროტების გამო, რომელიც მათ ჩაიდინეს ჩემს გასარისხებლად, მათ, მათმა მეფეებმა, მათმა მთავრებმა, მათმა მღვდლებმა და მათმა წინასწარმეტყველებმა, იუდას კაცებმა და იერუსალიმის მკვიდრებმა.

³³მათ ზურგი მომაქციეს და არა სახე; და როცა მათ ვასწავლიდი, სისხამ დილიდან ვასწავლიდი, მაგრამ არ შეისმინეს ჩემი დარიგება.

³⁴და სახლში, რომელიც ჩემი სახელით იწოდება, დადგეს თავიანთი კერპები, რათა შეეხილწათ იგი.



³⁵და მოაწყვეს ბაყალის საკერპო ბენ-ჰინომის ველზე, რათა გაეტარებინათ ცეცხლში თავიანთი ძენი და ასულნი მოლექის მსხვერპლად, რაც მე არ მიბრძანებია მათთვის და გულშიც არ გამივლია გამეკეთებინა ეს სისაძაგლე იუდას საცდუნებლად.

³⁶და ამიტომ ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი ამ ქალაქზე, რომელზეც თქვენ ლაპარაკობთ: ბაბილონის მეფის ხელში ჩავარდებოა ის მახვილით, შიმშილითა და შავი ჭირით, –

³⁷აჰა, მე შევკრებ მათ ყველა ქვეყნიდან, სადაც გავაძევე ისინი ჩემი რისხვით და ჩემი გულისწყრომით და დიდი მძვინვარებით; და დავაბრუნებ მათ ამ ადგილას და დავასახლებ მათ უსაფრთხოდ.

³⁸და ისინი იქნებიან ჩემი ერი და მე ვიქნები მათი ღმერთი.

³⁹და მივცემ მათ ერთ გულს და ერთ გზას, რათა ეშინოდეთ ჩემი ყოველთვის, მათ სასიკეთოდ და მათ ძეთა სასიკეთოდ მათ შემდეგ.

⁴⁰და დავუდებ მათ საუკუნო აღთქმას, რომ ზურგს აღარ შევაქცევ მათ, რათა სიკეთე ვუყო და მივცე მათ გულებს ჩემი შიში და აღარ განდგნენ ჩემგან.

⁴¹გავიხარებ მათთვის სიკეთის ქმნით, და დავნერგავ მათ ამ ქვეყანაში მყარად მთელი ჩემი გულითა და მთელი ჩემი სულით,

⁴²რადგან ასე ამბობს უფალი: როგორც მოვუტანე ამ ხალხს ყველა დიდი უბედურება, ასევე მოვუტან მათ ყველა იმ სიკეთეს, რომელიც აღვუთქვი მათ.

⁴³და იყიდიან მინდვრებს ამ ქვეყანაში, რომელზეც თქვენ ამბობთ: ცარიელიაო, კაცისა და პირუტყვის ჭაჭანება არა ჩანსო, ქალდეველთ ჩაუვარდათო ხელთ.

⁴⁴მინდვრებს ვერცხლით იყიდიან და ნასყიდობის სიგელებს დაწერენ, და ბეჭდებს დაუსვამენ, და მოწმეებს დაისწრებენ ბენიამინის ქვეყანაში, იერუსალიმის შემოგარენსა და იუდას ქალაქებში, მთის ქალაქებში და ბარის ქალაქებში, და სამხრეთის ქალაქებში, რადგან დავაბრუნებ მათ ტყვეობიდან, – ამბობს უფალი.

იერემია 33

¹და იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ მეორედ, როდესაც ის ჯერ ისევ დამწყვდეული იყო ყარაულთა ეზოში.

²ასე ამბობს უფალი, რომელმაც შექმნა მიწა, უფალი, რომელმაც მოაწყო და დააფუძნა იგი, – უფალია მისი სახელი.



³მომიხმე მე და გიპასუხებ, და გაუწყებ დიდსა და მიუწვდომელს, რაც არ იცი შენ,

⁴რადგან ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი, ამ ქალაქის სახლებზე და იუდას მეფეთა სახლებზე, რომლებიც დაინგრა მიწაყრილთა და მახვილის წინაშე,

⁵როცა მოვიდნენ ქალდეველები საომრად და მათ ასავსებად ადამიანთა გვამებით, რომლებიც მე გავეწყვიტე ჩემი გულისწყრომითა და რისხვით, რადგან მათი ბოროტების გამო გარე-მივაქციე პირი ჩემი ამ ქალაქს.

⁶აჰა, მე შევუხვევ მას ჭრილობებს და განვკურნავ, და ვყოფ მისთვის მშვიდობისა და ჭეშმარიტების სიუხვეს,

⁷და დავაბრუნებ იუდასა და ისრაელის ტყვეებს და ძველებურად ავაშენებ მათ.

⁸და განვწმედ მათ ყველა მათი უწმიდურებისაგან, რითაც ცოდავდნენ ჩემს წინაშე, და მივუტევებ ყველა ურჯულოებას, რითაც ცოდავდნენ ჩემს წინაშე და განმიდგნენ მე.

⁹და იქნება ჩემთვის იერუსალიმი სიხარულის სახელი, საქებრად და სადიდებლად ქვეყნის ყველა ხალხების წინაშე, რომლებიც მოისმენენ ყველა იმ სიკეთეს, რასაც მე გავუკეთებ მას, და გაოცდებიან და შეძრწუნდებიან ყველა იმ სიკეთისა და კეთილდღეობის გამო, რასაც მას მოვუტან.

¹⁰ასე ამბობს უფალი: ამ ადგილას, რომელზეც თქვენ ამბობთ: აოხრებულიაო და არც კაცი და არც პირუტყვი არ ჭაჭანებსო, – იუდას ქალაქებსა და იერუსალიმის ქუჩებში, რომლებიც დაცარიელებულია, უკაცრიელია, სადაც არც კაცი და არც პირუტყვი ჭაჭანებს, კვლავაც გაისმება

¹¹მხიარულებისა და ლხენის ხმა, ნეფის ხმა და საპატარძლოს ხმა, ხმა, რომელიც იტყვის: ადიდეთ ცაბაოთ უფალი, რამეთუ კეთილია უფალი, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი! და ხმა უფლის სახლში სამადლობელო მსხვერპლის მომტანთა; რადგან დავაბრუნებ მათ ტყვეობიდან, როგორც უწინ იყვნენ, – ამბობს უფალი.

¹²ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: ამ გაუდაბურებულ ადგილზე და მის ქალაქებში, სადაც არ ჭაჭანებს არც კაცი, არც პირუტყვი, კვლავ გაჩნდება მწყემსთა ბინები, მათი ფარების სადგომები.

¹³მთის ქალაქებსა და ბარის ქალაქებში, სამხრეთის ქალაქებსა და ბენიამინის მიწაზე, იერუსალიმის გარეუბნებში და იუდას ქალაქებში კიდევაც გაივლის ფარები მწყემსის კომბლის ქვეშ დასათვლელად, – ამბობს უფალი.



¹⁴აჰა, დგება დღეები, – ამბობს უფალი, – როცა მე აღვასრულებ იმ სასიკეთო სიტყვას, რომელიც ისრაელის სახლსა და იუდას სახლს აღვუთქვი.

¹⁵იმ დღეებში და იმ ჟამს ჩემი ნებით აღმოცენდება ჭეშმარიტი მორჩი, დავითის მემკვიდრე, და ის იქმს სამართალსა და სიმართლეს ქვეყანაზე.

¹⁶იმ დღეებში გადარჩება იუდა და იერუსალიმი უსაფრთხოდ დასახლდება. და მისი სახელი იქნება: „უფალი ჩვენი ხსნა!“

¹⁷რადგან ასე ამბობს უფალი: არ დაეღევა დავითს ისრაელის სახლის ტახტზე მჯდომი,

¹⁸და ლევიათა მღვდლებს არ დაეღევათ კაცი ჩემს წინაშე, ყოველდღიურად სრულადდასაწველის აღმავლენელი და ძღვენის მკმეველი და მსხვერპლის შემწირველი.

¹⁹და იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ:

²⁰ასე ამბობს უფალი: თუ შეძლებთ ჩემი აღთქმის დარღვევას დღისა და ღამის მონაცვლეობაზე, რომ დღე და ღამე აღარ იწყებოდეს თავის დროზე,

²¹მაშინ შესაძლებელი იქნება ჩემი აღთქმის დარღვევაც დავითთან, ჩემს მონასთან, რომ აღარ ეყოლება მას ძე მის ტახტზე გასამეფებლად, და ასევე ლევიათა მღვდლებთან – ჩემს მსახურებთან.

²²როგორც უთვალავია ცის მხედრობა და ზღვაში ქვიშაა აღურიცხველი, ისე გავამრავლებ დავითის, ჩემი მონის, თესლ-ტომს და ლევიათებს, ჩემს მსახურთ.

²³და იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ:

²⁴წუთუ ვერ ხედავ, რას ამბობს ეს ხალხი: ის ორი ტომი, რომელიც უფალმა ამოირჩია, მანვე უარყო? და ამის გამო მათ მოიძულეს ჩემი ერი ისე, თითქოს ის არ ყოფილიყოს ხალხი მათ თვალში.

²⁵ასე ამბობს უფალი: რომ არ დამედო აღთქმა დღესთან და ღამესთან, და არ დამემტკიცებინა განჩინებანი ცისა და მიწისა,

²⁶მაშინ იაკობისა და დავითის, ჩემი მონის, მოდგმასაც უკუვაგდებდი და არ ავიყვანდი ხელმწიფეებს მისი თესლიდან აბრაამის, ისააკისა და იაკობის თესლისათვის; რადგან დავაბრუნებ მათ ტყვეობიდან და შევიწყალებ.

იერემია 34

¹სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ უფლისაგან, როდესაც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი და მთელი მისი ლაშქარი, და ქვეყნის ყველა



სამეფო, რომლებიც მისი ძალაუფლების ქვეშ იყვნენ, და ყველა ხალხები ალყაში იქცევდნენ იერუსალიმსა და ყველა მისი შემოგარენის ქალაქებს.

²ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: წადი და უთხარი ცედეკიას, იუდას მეფეს: ასე ამბობს-თქო უფალი: აჰა, მე ვამღერე ამ ქალაქს ბაბილონის მეფეს ხელთ და ცეცხლში დაწვავს იგი მას.

³შენ თავს ვერ დააღწევ მისი ხელიდან, რადგან შეგიპყრობენ და მის ხელთ გადაგცემენ, და შენი თვალები იხილავენ ბაბილონის მეფის თვალებს, და მისი ბაგეები დაელაპარაკებიან შენს ბაგეებს, და ბაბილონში წახვალ.

⁴მაშ ისმინე უფლის სიტყვა, ცედეკია, იუდას მეფე! ასე ამბობს უფალი შენზე: შენ მახვილით არ გიწერია სიკვდილი,

⁵მშვიდობით მოკვდები. და როგორც შენი მამებისთვის – შენი წინამორბედი მეფეებისათვის – დაკრძალვისას აკმევდნენ საკმეველს, ისევე დააკმევენ შენთვისაც და დაგატირებენ: ვაი, უფალო! და ეს ახდება, რადგან მე ვიწინასწარმეტყველე ეს, – ამბობს უფალი.

⁶და უთხრა იერემია წინასწარმეტყველმა ცედეკიას, იუდას მეფეს, ყველა ეს სიტყვა იერუსალიმში.

⁷ხოლო ბაბილონის მეფის ლაშქარი კი ალყაში იქცეოდა იერუსალიმსა და იუდას ქალაქებს – ლაქიშსა და ყაზეკას; რადგან იუდეის ქალაქებიდან ეს ორი ქალაქიდა იყო გამაგრებული.

⁸სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ უფლისაგან მას შემდეგ, რაც მეფე ცედეკიამ აღუთქვა მთელ ხალხს, რომელიც იერუსალიმში ცხოვრობდა, რომ თავისუფლება გამოეცხადებინათ;

⁹ყოველ კაცს უნდა გაეაზატებინა თავისი ყმა და მხევალი, ებრაელი ქალი და კაცი, რათა აღარავის ჰყოლოდა მონად თავისი მოძმე ებრაელი.

¹⁰და დამორჩილდა ყველა მთავარი და მთელი ხალხი, ვისაც კი აღთქმა ჰქონდა დადებული, რომ თავისუფლად გაუშვებდნენ თითოეულ თავის მსახურს და თითოეულ თავის მხევალს, რათა აღარ დაემონებინათ მეტად, – და დამორჩილდნენ და გაათავისუფლეს.

¹¹მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეს და დაიბრუნეს თავიანთი მსახურები და მხევლები, რომლებიც გააზატეს, და კვლავ დაიმორჩილეს ისინი მსახურებად და მხევლებად.

¹²და იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ ნათქვამი:



¹³ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: მე აღთქმა დავდე თქვენს მამებთან იმ დღეს, როდესაც ეგვიპტის ქვეყნიდან, მონობის სახლიდან, გამოვიყვანე ისინი და ვუთხარი:

¹⁴ყოველი შვიდი წლის ბოლოს გაუშვით-მეთქი თითოეულმა თქვენი მოძმე ებრაელი, რომელიც მოგეყიდათ და ექვს წელიწადს გემსახურათ, გააზატეთ-მეთქი. მაგრამ თქვენმა მამებმა არ გამიგონეს, ყურიც არ შეიბერტყეს.

¹⁵დღეს კი თქვენ შემობრუნდით და სწორად მოიქეცით ჩემს თვალში, რომ თავისუფლება გამოუცხადა თითოეულმა თავის მოძმეს, და აღთქმა დადო ჩემს წინაშე სახლში, რომელიც ჩემი სახელით იწოდება;

¹⁶მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეთ და შებღალეთ ჩემი სახელი, და დაიბრუნეთ თითოეულმა თავისი მსახური და თავისი მხევალი, რომლებიც გააზატეთ და გაუშვით, საითაც გული მიუწევდათ, და კვლავ აიძულებთ, რათა გყავდეთ თქვენს მსახურებად და თქვენს მხევლებად.

¹⁷ამიტომ ასე ამბობს უფალი: თქვენ არ მისმინეთ მე, რომ თავისუფლება გამოგეცხადებინათ თითოეულს თავისი მოძმისათვის და თავისი მოყვასისათვის. ამიტომაც აჰა, მე თავისუფლებას გიცხადებთ თქვენ, – ამბობს უფალი, – მახვილის, შავი ჭირისა და შიმშილისათვის, და აბუჩად გაგხდით ქვეყნის ყველა სამეფოსათვის.

¹⁸და ჩემი აღთქმის დამრღვევ ხალხს, რომელთაც არ შეასრულეს ჩემი აღთქმის სიტყვები, ჩემს წინაშე რომ დადეს, როცა ორად გააფეშოვებს ხბო და მის ნაწილებს შორის გაიარეს,

¹⁹იუდას მთავრებს და იერუსალიმის მთავრებს, საჭურისებსა და მღვდლებს, ქვეყნის მთელ ერს, ვინც გაფეშოვებული ხბოს ფეშხობებს შუა გაიარეს,

²⁰მივცემ მათი მტრებისა და მათი სულის მამიებელთა ხელთ, და მათი გვამები ცის ფრინველთა და ტყის ნადირთა კერძი გახდება.

²¹და ცედეკიას, იუდას მეფეს, და მის მთავრებს ჩავყრი მათ მტერთა, მათი სულის მამიებელთა და ბაბილონის მეფის ლაშქრის ხელში, რომელმაც უკან დაიხია თქვენგან.

²²აჰა, მე ვუბრძანებ, – ამბობს უფალი, – და მოვაბრუნებ მათ ამ ქალაქისაკენ, და იბრძოლებენ მის წინააღმდეგ, და დაიპყრობენ მას და ცეცხლით გადაბუგავენ, იუდას ქალაქებს კი უკაცრიელ უდაბნოდ ვაქცევ.

იერემია 35



- ¹სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ უფლისგან იუდას მეფის, იეჰოიაკიმ იოშიას ძის დღეებში:
- ²წადი რექაბელთა სახლში და დაელაპარაკე მათ, და მოიყვანე ისინი უფლის სახლში, ერთ-ერთ სენაკში, და ასვი მათ ღვინო.
- ³და წავიყვანე მე იააზანია, მე იერემიასი, ძისა ხაბაცინიასი, მისი ძმა, და მისი ყველა მე და რექაბელთა მთელი სახლი.
- ⁴და მივიყვანე ისინი უფლის სახლში, ღვთისკაცის, ხანან იგდალიას ძეთა სენაკში, რომელიც მთავართა სენაკის გვერდით იყო, მაყასეიას, შალუმის ძის – ზღურბლის დარაჯის – სენაკს ზემოთ.
- ⁵და დავაწყვე რექაბელთა სახლის ძეთა წინ ღვინით სავსე თასები და ფიალები, და ვუთხარი მათ: შესვით ღვინო.
- ⁶მათ თქვეს: ჩვენ არ ვსვამთ ღვინოს, რადგან იონადაბმა, რექაბის ძემ, ჩვენმა მამამ, გვიბრძანა: ღვინო არა სვათ არც თქვენ და არც თქვენმა შვილებმაო საუკუნოდ.
- ⁷სახლები არ აშენოთო, მარცვალი არ თესოთო და ვაზი არ ჩაყაროთო; და არც არაფერი იქონიოთო; მხოლოდ კარვებში იცხოვრეთ მთელი თქვენი დღე და მოსწრება, რათა დიდხანს გაძლოთ მიწაზე, სადაც თქვენა ხიზნობთო.
- ⁸და გავუგონეთ იონადაბის, რექაბის ძის, ჩვენი მამის, ხმას – ყოველივეს, რაც მან გვიანდერძა, რომ არა ვსვათ ღვინო მთელი ჩვენი დღე და მოსწრება, არც ჩვენ, არც ჩვენმა ცოლებმა, არც ჩვენმა ძეებმა და არც ჩვენმა ასულებმა, –
- ⁹და რომ არ უნდა ავიშენოთ სახლები საცხოვრებლად, და არა გვაქვს ვენახები, არც მინდორი და არც ხვნა-თესვას ვეწევით;
- ¹⁰ვცხოვრობთ კარვებში, და ვემორჩილებით იონადაბს, ჩვენს მამას, და ყველაფერს ისე ვაკეთებთ, როგორც მან გვიანდერძა.
- ¹¹მაგრამ როცა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი ამ ქვეყანას მოადგა, ჩვენ ვთქვით: მოდით, წავიდეთ იერუსალიმში, ვინაიდან უნდა გავექცეთ ქალდეველთა და არამელთა ლაშქარს. და, აჰა, ჩვენ ვცხოვრობთ იერუსალიმში.
- ¹²და იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ:
- ¹³ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: წადი და უთხარი იუდას კაცებს და იერუსალიმის მკვიდრთ: ნუთუ არ მიიღებთ ჩემს დარიგებას და არ გაიგონებთ ჩემს სიტყვებს? – ამბობს უფალი.



¹⁴იონადაბის, რექაბის ძის, სიტყვები, რომელმაც უბრძანა თავის ძეთ, არა სვათო ღვინო, სრულდება, და არ სვამენ ღვინოს, რადგან შეისმინეს თავიანთი მამის ბრძანება. მაგრამ რასაც მე ყოველ ცისმარე გეუბნებოდით, არ მისმენდით.

¹⁵მე გიგზავნიდით ყველა ჩემს მსახურთ – წინასწარმეტყველთ – და გითვლიდით: მოიქცეს ყოველი კაცი თავისი ბოროტი გზიდან, გამოისწორეთ საქციელი, ნუ მიჰყვებით უცხო ღმერთებს, ნუ ემსახურებით მათ, და იცხოვრებთ-მეთქი ამ მიწაზე, რომელიც მე მოგეცით თქვენა და თქვენს მამებს, მაგრამ ყური არ შეიბერტყეთ და არ მომისმინეთ.

¹⁶ხომ შეასრულეს იონადაბ რექაბის ძის ძეთ თავიანთი მამის ბრძანება, რაც უბრძანა მათ, ამ ხალხს კი არ უნდა, რომ მომისმინოს.

¹⁷ამიტომ ასე ამბობს ცაბათო უფალი, ღმერთი ისრაელისა: აჰა, მე მოვაწევ იუდასა და იერუსალიმის ყოველ მცხოვრებზე ყველა იმ უბედურებას, რითაც მათ დავემუქრე, რადგან ვეუბნებოდი მათ და არ მისმენდნენ, მოვუხმობდი მათ და პასუხი არ იყო.

¹⁸და უთხრა რექაბელთა სახლს იერემიამ: ასე თქვა ცაბათო უფალმა, ისრაელის ღმერთმა: იმის გამო, რომ დაემორჩილეთ იონადაბის, თქვენი მამის, ანდერძს და იცავთ მის ყველა მცნებას, და ასრულებთ ყოველივეს ისე, როგორც მან გიანდერძათ,

¹⁹ამიტომაც ასე ამბობს ცაბათო უფალი, ისრაელის ღმერთი: „არასოდეს გაქრება იონადაბ რექაბის ძის მოდგმა ჩემს წინაშე.“

იერემია 36

¹და იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ იუდას მეფის, იეჰოიაკიმ იოშias ძის მეფობის მეოთხე წელს:

²აიღე საწერი გრაგნილი და ზედ დაწერე ყველა ის სიტყვა, რომელთაც მე გეუბნებოდი ისრაელზე და იუდაზე, ყველა ხალხებზე იმ დღიდან, რაც დაგელაპარაკე – იოშias დღეებიდან დღემდე.

³იქნებ შეაძრწუნოს იუდას სახლი ყველა იმ უბედურებამ, რასაც მე ვპირდები, რომ თავს დავატებ, და მობრუნდეს თითოეული თავისი ბოროტი გზიდან, და მე ვაპატიო მათი დანაშაული და ცოდვები.

⁴და მოუხმო იერემიამ ბარუქს, ნერიას ძეს, და დაწერა ბარუქმა გრაგნილზე იერემიას პირით ნათქვამი ყოველი სიტყვა, რაც ნათქვამი ჰქონდა მისთვის უფალს.



⁵და უბრძანა იერემიამ ბარუქს ასე: მე დაპატიმრებული ვარ და არ შემძლია უფლის სახლში მისვლა,

⁶ამიტომ შენ წადი და უფლის სახლში მარხვის დღეს ხალხის გასაგონად წაიკითხე უფლის სიტყვები ამ გრაგნილზე, რომელიც შენ დაწერე ჩემი კარნახით; ასევე მთელი იუდაელებისა და მათი სხვა ქალაქებიდან მოსულთა გასაგონადაც წაიკითხე.

⁷იქნებ მისწვდეს უფალს მათი ვედრება და მოიქცნენ თავისი ბოროტი გზიდან, რადგან დიდია რისხვა და გულისწყრომა, რითაც უფალმა დააშინა ეს ხალხი.

⁸და ბარუქ ნერიას ძემ გააკეთა ყოველივე ისე, როგორც უბრძანა იერემია წინასწარმეტყველმა, რომ წაეკითხა გრაგნილიდან უფლის სიტყვები უფლის სახლში.

⁹და იყო, იუდას მეფის, იეჰოიაკიმ იოშias ძის მეფობის მეხუთე წლის მეცხრე თვეს, მარხვა გამოუცხადეს უფლის წინაშე იერუსალიმის მთელ ხალხს და იუდეის ქალაქებიდან იერუსალიმში მოსულთ.

¹⁰და ხმამაღლა წაიკითხა ბარუქმა გრაგნილიდან იერემიას სიტყვები უფლის სახლში, გემარიას, შაფან მწიგნობრის ძის დარბაზში, ზემო ეზოში, უფლის ტაძრის ახალი კარიბჭის შესასვლელში, მთელი ხალხის გასაგონად.

¹¹და ესმა მიქაიას, შაფანის ძის, გემარიას ძეს, გრაგნილზე წაკითხული უფლის ყოველი სიტყვა,

¹²და ჩავიდა მეფის სახლში, მწიგნობრის სენაკში, სადაც შეკრებილიყო ყველა მთავარი: ელიშამაყ მწიგნობარი და დელაია შემაყიას ძე, ელნათან ყაქბორის ძე და გემარია შაფანის ძე, ცედეკია ხანანიას ძე და ყველა სხვა მთავარი.

¹³და გადასცა მიქაიამ მათ ყველა ის სიტყვა, რომელიც მოისმინა, როდესაც ბარუქი გრაგნილს კითხულობდა ხალხის გასაგონად.

¹⁴და გაგზავნეს მთავრებმა ბარუქთან იეჰუდი, ძე ნეთანიასი, ძისა შელემიასი, ძისა ქუშისა და შეუთვალეს: გრაგნილი, რომელიც შენ წაიკითხე ხალხის გასაგონად, ხელში აიღე და აქ მოდიო. და აიღო ბარუქ ნერიას ძემ გრაგნილი ხელში და მივიდა მათთან.

¹⁵და უთხრეს მას: დაჯექი და წაიკითხე ჩვენს გასაგონად. და წაიკითხა ბარუქმა მათ გასაგონად.

¹⁶და, როცა მოისმინეს მათ ყველა ის სიტყვა, შიშით გადახედეს ერთმანეთს და უთხრეს ბარუქს: მეფეს გადავცემთო ყველა ამ სიტყვას.



- ¹⁷და ჰკითხეს ბარუქს: გვაუწყე, როგორ დაწერეო ყველა ეს სიტყვა?
- ¹⁸და უთხრა მათ ბარუქმა: თავისი პირით მკარნახობდა იერემია ამ სიტყვებს, მე კი მელწით ვწერდი გრაგნილზე.
- ¹⁹და უთხრეს მთავრებმა ბარუქს: წადით და დაიმაღლეთ შენ და იერემია და ნურავის ეცოდინება, სად იმყოფებით.
- ²⁰და წავიდნენ მთავრები მეფის სასახლეში, გრაგნილი კი შესანახად დატოვეს ელიშამაყ მწიგნობრის დარბაზში და აუწყეს მეფეს ყოველი სიტყვა.
- ²¹და გაგზავნა მეფემ იეჰუდი გრაგნილის წამოსაღებად და წამოიღო მან ელიშამაყ მწიგნობრის დარბაზიდან გრაგნილი; და წაიკითხა იეჰუდიმ მეფის გასაგონად და მეფესთან მდგომი ყველა მთავრის გასაგონად.
- ²²და იჯდა მეფე საზამთრო სახლში (მეცხრე თვე იყო), და ცეცხლი ენთო მის წინ.
- ²³და როდესაც იეჰუდი წაიკითხავდა სამ ან ოთხ კეფას, მეფე მოაჭრიდა მას გრაგნილს მწიგნობრის დანით და ცეცხლში აგდებდა, სანამ მთელი გრაგნილი ასე არ დაიწვა ცეცხლში.
- ²⁴და არც შეშინდნენ და არც სამოსელი შემოუგლეჯიათ ტანზე არც მეფეს და არც ერთ მის მსახურს, რომლებიც ისმენდნენ ამ სიტყვებს.
- ²⁵და ემუდარებოდნენ მეფეს ელნათანიც, დელაიაც და გემარიაც, რომ არ დაეწვა გრაგნილი, მაგრამ არ მოუსმინა მათ.
- ²⁶და უბრძანა მეფემ იერახმეელს, მეფის ძეს, სერაია ყაზრიელის ძეს, და შელემია ყაზდეელის ძეს, შეეპყროთ მწიგნობარი ბარუქი და წინასწარმეტყველი იერემია, მაგრამ უფალმა დაიფარა ისინი.
- ²⁷და იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ მას შემდეგ, რაც დაწვა მეფემ გრაგნილი და ის სიტყვები, რომელიც ბარუქმა დაწერა იერემიას კარნახით:
- ²⁸აილე სხვა გრაგნილი და დაწერე მასზე ყველა წინანდელი სიტყვა, რომელიც პირველ გრაგნილში იყო, და რომელიც იეჰოიაკიმმა, იუდას მეფემ, დაწვა.
- ²⁹და თქვი იეჰოიაკიმზე, იუდას მეფეზე: ასე ამბობს უფალი: შენ დაწვი ეს გრაგნილი და თქვი: რატომ დაწერეო გრაგნილზე ასე, რომ მოვა ბაბილონის მეფე და ააოხრებს ამ ქვეყანას და მოსპობსო ადამიანისა და პირუტყვის სახსენებელს?



³⁰ამიტომ ასე ამბობს უფალი იეჰოიაკიმზე, იუდას მეფეზე: არ ეყოლებათ მას დავითის ტახტზე მჯდომი, მისი მძორი კი ეგდება დღის ხვატში და ღამის ყინვაში.

³¹და დავსჯი მას და მის მოდგმას და მის მსახურთ მათი ურჯულოების გამო, და მოვაწევ მათზე – იერუსალიმისა და იუდას მცხოვრებლებზე – ყველა იმ ბოროტებას, რაზეც ველაპარაკებოდი მათ და არ მისმინეს.

³²და აიღო იერემიამ სხვა გრაგნილი და მისცა ბარუქ ნერიას ძეს, მწიგნობარს, და მან დაწერა მასზე იერემიას პირით ნათქვამი ყველა სიტყვა იმ გრაგნილისა, რომელიც იეჰოიაკიმმა, იუდას მეფემ, დაწვა ცეცხლში. და დაემატა მას სხვა მრავალი მათი მსგავსი სიტყვა.

იერემია 37

¹იეჰოიაკიმის ძის ქონიას ნაცვლად გამეფდა ცედეკია იოშიას ძე, რომელიც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა, დასვა იუდას ქვეყანაში.

²და არ ისმინეს არც მან და არც მისმა მსახურებმა და არც ქვეყნის მოსახლეობამ უფლის სიტყვები, რომელთაც იერემია წინასწარმეტყველის პირით აცხადებდა.

³და გაგზავნა მეფე ცედეკიამ იეჰუქალ შელემიას ძე და ცეფანია მაყასეია მღვდლის ძე იერემია წინასწარმეტყველთან, რომ ეთქვათ: შეევედრეო ჩვენთვის უფალს, ჩვენს ღმერთს.

⁴იერემია კი მაშინ ჯერ არ იყო დაპატიმრებული და ხალხში თავისუფლად დადიოდა.

⁵ამასობაში გამოვიდა ფარაონის ლაშქარი ეგვიპტიდან; და ქალდეელებმა, იერუსალიმს რომ ადგნენ გარს, შეიტყვეს ეს ამბავი და უკუიქცნენ იერუსალიმიდან.

⁶და იყო უფლის სიტყვა იერემია წინასწარმეტყველის მიმართ:

⁷ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: უთხარით იუდას მეფეს, რომელიც თქვენ გაგზავნით ჩემთან შესაკითხად: აჰა, ფარაონის ლაშქარი, რომელიც თქვენს დასახმარებლად გამოვიდა, უკანვე დაბრუნდება ეგვიპტეში, თავის ქვეყანაში.

⁸და კვლავ მობრუნდებიან ქალდეელები, ალყაში მოიქცევენ ამ ქალაქს, დაიპყრობენ მას და ცეცხლით დაბუგავენ.

⁹ასე ამბობს უფალი: თავს ნუ მოიტყუებთ და ნუ იფიქრებთ, რომ წავლენ აქედან ქალდეელები, რადგან არ დაგეხსნებიან.



¹⁰რადგან, კიდევაც რომ დაამარცხოთ ქალდეველთა ლაშქარი, რომელიც თქვენ გებრძვით, და დარჩნენ მახვილით დაკოდილი მათი მეზრძოლები, ისინი წამოდგებიან თითოეული თავისი კარვიდან და ცეცხლით დაბუგავენ ამ ქალაქს.

¹¹და როდესაც ქალდეველთა ლაშქარი უკუიქცა იერუსალიმიდან ფარაონის ლაშქრის შიშით,

¹²გამოვიდა იერემია იერუსალიმიდან ბენიამინის ქვეყანაში წასასვლელად, რათა იქ დაედო წილი თავის ხალხში.

¹³ბენიამინის კარიბჭესთან რომ მივიდა, იქ დახვდა საყარაულოს უფროსი, სახელად ირია, ძე შელემიასი, ძე ხანანიასი, და მან შეიპყრო იერემია წინასწარმეტყველი და უთხრა: ქალდეველებთან აპირებ გაქცევას?

¹⁴და უპასუხა იერემიამ: ტყუილია, მე არ გადავდივარ ქალდეველებთან. მაგრამ ირიამ არ უსმინა მას, დააპატიმრა იერემია და მთავართან მიიყვანა.

¹⁵და განრისხდნენ მთავრები იერემიაზე და სცემეს და საპატიმროში დაამწყვდიეს, იონათან მწიგნობრის სახლში, რადგან საპყრობილედ აქციეს ის.

¹⁶და როცა იერემია შევიდა დილეგის მღვიმეში და იჯდა იქ მრავალი დღე, –

¹⁷კაცი გაგზავნა მეფე ცედეკიამ მასთან და მოაყვანიდა; და თავის სახლში მეფე ფარულად შეეკითხა მას: არის რაიმე სიტყვა უფლისაგან? და უპასუხა იერემიამ: არის! და უთხრა: ბაბილონის მეფეს ჩაუვარდებიო ხელთ.

¹⁸უთხრა იერემიამ მეფე ცედეკიას: რა შევცოდე მე შენს წინაშე და შენს მსახურთა წინაშე და ამ ხალხის წინაშე, რომ საპყრობილეში ჩამაგდეთ?

¹⁹სად არიან თქვენი წინასწარმეტყველნი, რომლებიც ასე გიწინასწარმეტყველებდნენ: არ წამოვაო ბაბილონის მეფე თქვენს წინააღმდეგ და ამ ქვეყნის წინააღმდეგო?

²⁰ახლა კი, მისმინე, მეფე ბატონო, და შეიწყნარე ჩემი ვედრება, და ნუ დამაბრუნებ იონათან მწიგნობრის სახლში, რათა არ მოვკვდე იქ.

²¹და ბრძანა მეფე ცედეკიამ და გადასცეს იერემია ზედამხედველებს ყარაულთა ეზოში და აძლევდნენ მას ხაბაზთა რიგიდან დღეში ერთ პურის კვერს, ვიდრე ქალაქში პური მთლად არ გამოიღია. და ასე იჯდა იერემია ყარაულთა ეზოში.

იერემია 38



¹და მოისმინეს შეფატია მათანის ძემ, გედალია ფაშურის ძემ, იუქალ შელემიას ძემ და ფაშურ მალქიას ძემ ის სიტყვები, რომელთაც იერემია ეუბნებოდა მთელ ერს:

²ასე ამბობს უფალი: ვინც ამ ქალაქში დარჩებიან, მახვილით, შიმშილითა და შავი ჭირით გაწყდებიანო, და ვინც ქალდეველებთან გადავა, ცოცხალი გადარჩება, და თავისი სული ექნება მას ნადავლად და იცოცხლებსო.

³ასე ამბობს უფალი: აუცილებლად ჩაუვარდებაო ეს ქალაქი ბაბილონის მეფის ლაშქარს ხელში და ისინი დაიპყრობენო მას.

⁴და უთხრეს მთავრებმა მეფეს: სიკვდილით უნდა დაისაჯოს ეს კაცი, რადგან ის ძალას აცლის ამ ქალაქში დარჩენილ მეზრძოლთა და მთელი ერის მკლავებს ამგვარი ლაპარაკით, რადგან ეს კაცი მშვიდობას კი არ ეძებს ამ ხალხისათვის, არამედ უბედურებას.

⁵და თქვა მეფე ცედეკიამ: აჰა, თქვენს ხელთაა იგი, რადგან მეფე უძღურია თქვენს წინაშე.

⁶და წაიყვანეს იერემია და ჩააგდეს მალქია უფლისწულის დილეგში, რომელიც ყარაულთა ეზოში იყო, და საბელებით ჩაუშვეს იერემია ჭაში. ჭაში კი წყალი არ იყო, არამედ შლამი. და ჩაეფლო იერემია შლამში.

⁷გაიგო ყებედ-მელექმა, ქუშელმა საჭურისმა, რომელიც მეფის სასახლეში იყო, რომ დილეგში ჩააგდეს იერემია; მეფე კი ბენიამინის კარიბჭეში იჯდა.

⁸გამოვიდა ყებედ-მელექი მეფის სასახლიდან და ასე უთხრა მეფეს:

⁹მეფე-ბატონო, ამ კაცებმა დიდი ბოროტება ჩაიდინეს იერემია წინასწარმეტყველის წინაშე, რომელიც დილეგში ჩააგდეს. იქ ხომ შიმშილით მოკვდება, რადგან პური აღარაა ქალაქში.

¹⁰და უბრძანა მეფემ ქუშელ ყებედ-მელექს: წაიყოლე 30 კაცი აქედან და ამოიყვანე იერემია წინასწარმეტყველი დილეგიდან, ვიდრე არ მომკვდარა.

¹¹და წაიყვანა ყებედ-მელექმა ის კაცები და მივიდა მეფის სახლში, საგანძურის ქვეშ, მოკრიფა იქ ძონძები და ჩვრები და ჩააწოდა ისინი იერემიას დილეგში საბელებით.

¹²და უთხრა ქუშელმა ყებედ-მელექმა იერემიას: ამოიდე ძველი ძონძები და ჩვრები ილღიებში, საბელებს ქვეშ. და ასე გააკეთა იერემიამ.

¹³და ამოსწიეს იერემია საბელებით და ამოიყვანეს დილეგიდან; და დაჯდა იერემია ყარაულთა ეზოში.



¹⁴და კაცი გაგზავნა მეფე ცედეკიამ და მოაყვანიდა იერემია წინასწარმეტყველი უფლის ტაძრის მესამე შესასვლელთან, და უთხრა მეფემ იერემიას: „ერთ რამეს გკითხავ და ნურაფერს დამიმალავ.“

¹⁵და უთხრა იერემიამ ცედეკიას: „რომ გითხრა, ხომ არ მომკლავ? და კიდევაც რომ გირჩიო რამე, მაინც არ მომისმენ.“

¹⁶და საიდუმლოდ შეჰფიცა მეფე ცედეკიამ იერემიას ასე: „უფალს ვფიცავ, რომელმაც შექმნა ჩვენი სული, რომ მე არ მოგკლავ და არც იმ კაცთა ხელთ გადაგცემ, ვინც შენს სულს ეძიებენ.“

¹⁷და უთხრა იერემიამ ცედეკიას: ასე ამბობს უფალი, ცაბაოთ ღმერთი, ღმერთი ისრაელისა: თუ ჩაბარდები ბაბილონის მეფის მთავრებს, მაშინ იცოცხლებს შენი სული და ეს ქალაქი არ დაიწვება ცეცხლით; და იცოცხლებთ შენცა და შენი სახლიც;

¹⁸მაგრამ თუ არ ჩაბარდები ბაბილონის მეფის მთავრებს, მაშინ ეს ქალაქი ქალდეველთა ხელში ჩავარდება და ცეცხლით დაბუგავენ მას, და შენ თავს ველარ დაიხსნი მათი ხელიდან.

¹⁹და უთხრა მეფე ცედეკიამ იერემიას: მეშინია იუდაელებისა, რომლებიც ქალდეველთ ჩაუვარდნენ ხელთ, რომ არ გადამცენ მე მათ ხელთ და არ შეურაცხმყონ.

²⁰და უთხრა იერემიამ: არ გადაგცემენ; ოღონდ უსმინე უფლის ხმას, როგორც მე გეუბნები, და უკეთესად წაგივა საქმე, და იცოცხლებსო შენი სული;

²¹ხოლო თუ არ ისურვებ გადასვლას, ეს არის სიტყვა, რომელიც მესმა უფლისაგან:

²²აჰა, ყველა ქალი, რომლებიც იუდას მეფის სახლში დარჩნენ, ბაბილონის მეფის სარდლებს მიჰგვრიან და იტყვიან ის ქალები: მოგატყუეს შენ და გძლიეს შენმა მეგობრებმა, ხოლო როდესაც ტალახში ჩაგეფლო ფეხები, მიგატოვეს და წავიდნენ.

²³და შენს ყველა ცოლს და შენს ძეთ ქალდეველებს მიჰგვრიან, და შენც თავს ვერ დააღწევ მათი ხელიდან, რადგან ბაბილონის მეფის ხელით იქნები დაჭერილი და იმას გააკეთებ, რომ ეს ქალაქი ცეცხლით გადაიბუგება.

²⁴და უთხრა ცედეკიამ იერემიას: არავინ უნდა გაიგოს ეს ამბავი და არ მოკვდები;

²⁵მაგრამ თუ მთავრები გაიგებენ, რომ მე გელაპარაკებოდი, და მოვლენ და გეტყვიან: რა უთხარიო მეფეს და რა გითხრაო მეფემ, ნუ დაგვიმალავ და არ მოგკლავთო,



²⁶უთხარი: მე ვევედრებოდი მეფეს, რომ არ დამაბრუნონ იონათანის სახლში, თორემ იქ მოვკვდები-მეთქი.

²⁷და მოვიდა ყველა მთავარი იერემიასთან და გამოკითხვა დაუწყეს, და მანაც აუწყა მათ ყოველივე ისე, როგორც მეფემ უბრძანა მას, და მათ შეწყვიტეს მასთან ლაპარაკი, რადგან ვერაფერი შეიტყვეს.

²⁸და იჯდა იერემია ყარაულთა ეზოში, ვიდრე იერუსალიმი დაეცემოდა. და იქვე დარჩა იერუსალიმის აღების შემდეგაც.

იერემია 39

¹იუდას მეფის, ცედეკიას, მეფობის მეცხრე წლის მეათე თვეს მოადგა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი და მთელი მისი ლაშქარი იერუსალიმს და ალყაში მოიქცია.

²ცედეკიას მეფობის მეთერთმეტე წელს, მეოთხე თვის მეცხრე დღეს, გატყდა ქალაქი.

³და შემოვიდა ბაბილონის მეფის ყველა მთავარი და დადგნენ შუა კარიბჭესთან: ნერგალ-სარეცერი, სამგარ-ნებო, სარსექიმი – საჭურისთუხუცესი, ნერგალ-სარეცერი – მოგვთა უხუცესი და ბაბილონის მეფის ყველა დანარჩენი მთავარი.

⁴და როდესაც იუდას მეფე ცედეკიამ და მისმა მეომრებმა დაინახეს ისინი, გაიქცნენ და ღამით გავიდნენ ქალაქიდან მეფის ბაღის გზით, კარიბჭეში, ორ კედელს შორის რომ არის, და დაადგნენ ყარაბას გზას.

⁵მაგრამ უკან დაედევნენ მათ ქალდეველთა მეომრები და ცედეკიას იერიხოს ველზე დაეწივნენ, შეიპყრეს და ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორს მიჰგვარეს რიბლაში, ხამათის ქვეყანაში, და მანაც განაჩენი გამოუტანა მას.

⁶რიბლაში თვალწინ დაუბოცა ბაბილონის მეფემ ცედეკიას ძენი; და ასევე იუდას ყველა წარჩინებულნიც დახოცა ბაბილონის მეფემ.

⁷ცედეკიას კი თვალები დასთხარა და ხუნდები დაადო ბაბილონში წასაყვანად.

⁸მეფის სასახლე და ხალხის სახლები ცეცხლს მისცეს ქალდეველებმა და იერუსალიმის კედლები დაანგრიეს.

⁹დანარჩენი ხალხი, ვინც ქალაქში გადარჩა, და ისინი, ვინც მის მხარეზე გადავიდნენ, და სხვა გაქცეულებიც, ბაბილონში გადასახლა ნებუზარადანმა, ქონდაქართუხუცესმა.⁺¹⁰დარიბი ხალხი, რომელთაც



არაფერი გააჩნდათ, დატოვა ნებუზარადან ქონდაქართუხუცესმა, იუდეის ქვეყანაში და მალე დაურიგა ადგილ-მამულები.

¹¹იერემიაზე კი ასე უბრძანა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა ნებუზარადანს, ქონდაქართუხუცესს:

¹²წაიყვანე იგი და თვალი გექიროს მასზე, ცუდი არაფერი უყო, არამედ, როგორც გეტყვის, ისე მოექცე.

¹³ქონდაქართუხუცესმა ნებუზარადანმა და საჭურისთუხუცესმა ნებუშაზბანმა და მოგვთა უფროსმა ნერგალ-სარეცერმა და ბაბილონის მეფის ყველა მთავარმა,

¹⁴გაგზავნეს იერემიას წამოსაყვანად. წამოიყვანეს იერემია ყარაულთა ეზოდან და გადასცეს გედალიას, ახიკამის ძეს, შაფანის შვილიშვილს, რომ წაეყვანა იგი სახლში; და დარჩა იგი საცხოვრებლად თავის ხალხში.

¹⁵და იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ ყარაულთა ეზოში მისი პატიმრობისას:

¹⁶წადი და ასე უთხარი ქუშელ ყებედ-მელექს: ასე ამბობს-თქო ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: მოვაწევ ამ ქალაქზე ჩემს სიტყვებს საუბედუროდ და არა სასიკეთოდ; დადგება დღე და ამს შენი თვალითა ნახავ.

¹⁷მაგრამ შენ გადაგარჩენ იმ დღეს, – ამბობს უფალი, – და არ ჩავარდები იმ ხალხის ხელთ, ვისიც გეშინია,

¹⁸რადგან მე გიხსნი შენ. შენ არ დაეცემა მახვილით, და ნადავლად გექნება შენი სული, რადგან შენ ჩემით სასოობდი, – ამბობს უფალი.

იერემია 40

¹სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ უფლისაგან მას შემდეგ, რაც ნებუზარადან ქონდაქართუხუცესმა, გაათავისუფლა იგი რამადან; როცა გამოიყვანა, ბორკილებდადებული იყო იგი დატყვევებულ სხვა იერუსალიმელებსა და იუდაელებს შორის, რომლებიც ბაბილონში უნდა გადაესახლებინათ.

²და გამოიყვანა ქონდაქართუხუცესმა იერემია და უთხრა მას: უფალმა, შენმა ღმერთმა, წარმოთქვა ის უბედურება, რაც აქაურობას მოელოდა.

³და მოაწია და შეასრულა უფალმა, რაც თქვა; რადგან შესცოდეთ თქვენ უფლის წინაშე და არ შეისმინეთ მისი ხმა, და ამიტომაც ჩაცვივდით ამ დღეში.



⁴და ახლა, აჰა, დღეს გათავისუფლებ ბორკილებისგან, ხელებზე რომ გადევს; თუ მოინდომებ ჩემთან წამოსვლას ბაბილონში, წამოდი, და მე ვიზრუნებ შენზე. და, თუ არ გსურს ჩემთან წამოსვლა ბაბილონში, დარჩი. აჰა, მთელი ქვეყანა შენს წინაშეა, სადაც გერჩიოს და სწორად მიგაჩნდეს შენი წასვლა, იქ წადი.

⁵წასვლის წინ კი ნებუზარადანმა უთხრა: ან დაბრუნდი გედალიასთან, შაფანის ძის ახიკამის ძესთან, რომელსაც ბაბილონის მეფემ იუდას ქალაქები ჩააბარა, და იქ იცხოვრე შენს ხალხში, ან სადაც სწორად მიგაჩნდეს შენი წასვლა, იქ წადი. და მისცა მას ქონდაქართუხუცესმა საგზალი და საჩუქარი და გაისტუმრა.

⁶მივიდა იერემია გედალიასთან, ახიკამის ძესთან, მიცვაში და ცხოვრობდა მასთან ერთად ქვეყანაში დარჩენილ ხალხში.

⁷და როდესაც გაიგეს ველზე დარჩენილმა ჯარების მხედართმთავრებმა და მათმა კაცებმა, რომ ბაბილონის მეფეს გედალია ახიკამის ძისთვის ჩაუბარებიაო ქვეყანა და ხალხი კაციან ქალიანად და პატარა ბავშვები, და აგრეთვე ქვეყნის ღარიბები, ვინც ტყვედ არ წაიყვანეს ბაბილონში,

⁸მივიდნენ გედალიასთან მიცვაში: იშმაყელ ნეთანias ძე, იოხანანი და იონათანი, კარეახის ძენი, სერაია თანხუმეთის ძე, ნეტოფათელი ეფაის ძენი და იეზანია მაყაქათელის ძე და მათი კაცები.

⁹და ასე ეფიცებოდა გედალია, ახიკამ შაფანის ძის ძე, მათ და მათ კაცებს: ნუ შეგაშინებთ ქალდეველთა სამსახური, დასახლდით ქვეყანაში და დაემორჩილეთ ბაბილონის მეფეს; უკეთესი იქნებაო თქვენთვის.

¹⁰ხოლო მე დავრჩები მიცვაში, რომ ვიდგე ქალდეველთა წინაშე, როცა ჩვენთან მოვლენ; თქვენ კი შეაგროვეთ ღვინო და საზაფხულო ხილი და ზეთი, და შეინახეთ თქვენს ჭურჭლებში; და იცხოვრეთ თქვენს ქალაქებში, რომლებიც გიჭირავთ.

¹¹ასევე ყველა იუდაელმა, რომლებიც მოაბის მიწაზე იყვნენ და ყამონიანებში და ედომში და ყველა სხვა ქვეყანაში, გაიგეს, რომ ბაბილონის მეფემ დატოვა იუდაელთა ნაწილი და რომ გედალია, ძე ახიკამისა, ძისა შაფანისა, დაუნიშნაო განმგებლად.

¹²და დაბრუნდა ყველა იუდაელი იმ ქვეყნებიდან, სადაც გაძევებულნი იყვნენ, და მივიდნენ იუდეის ქვეყანაში გედალიასთან, მიცვაში, და შეაგროვეს ძალზე ბევრი ღვინო და საზაფხულო ხილი.

¹³და იოხანან კარეახის ძე და ყველა მხედართმთავარი, რომლებიც ველზე იყვნენ, მივიდნენ გედალიასთან მიცვაში



¹⁴და უთხრეს: იცი შენ, რომ ბაყალისმა, ყამონიანთა მეფემ, გამოაგზავნა შენს მოსაკლავად იშმაყელ ნეთანias ძე? მაგრამ არ დაუჯერა მათ გედალიამ, ახიკამის ძემ.

¹⁵და იოხანან კარეახის ძემ, საიდუმლოდ ასე უთხრა გედალიას მიცვაში: გამიშვი და მოვკლავ იშმაყელს, ნეთანias ძეს, და კაციშვილი ვერ გაიგებს; რატომ უნდა მოგისწრაფოს სიცოცხლე და დაიფანტოს შენთან შეკრებილი ყველა იუდაელი, და დაიღუპოს იუდეის ნატამალი?

¹⁶და უთხრა გედალიამ, ახიკამის ძემ, იოხანანს, კარეახის ძეს: „ნუ იქმ ამ საქმეს, რადგან სიცრუეს ლაპარაკობ იშმაყელზე.“

იერემია 41

¹და იყო მეშვიდე თვეს: იშმაყელი, ძე ნეთანiasი, მისა ელიშამაყისა, სამეფო მოდგმიდან, და მეფის დიდებულნი და ათი კაცი მასთან ერთად, მოვიდნენ მიცვაში გედალია ახიკამის ძესთან; და ჭამეს იქ პური ერთად, მიცვაში.

²და ადგა იშმაყელ ნეთანias ძე – ის და მასთან მყოფი ათი კაცი და მახვილით დასცეს გედალია, ძე ახიკამისა, მისა შაფანისა; მოკლეს კაცი, ვინც ბაბილონის მეფემ დანიშნა ქვეყნის განმგებლად.

³და ასევე დახოცა იშმაყელმა ყველა იუდაელი, რომლებიც გედალიასთან იყვნენ მიცვაში, და ქალდეველი მეომრები, რომლებიც აგრეთვე იქ იმყოფებოდნენ.

⁴გედალიას მკვლელობის მეორე დღეს, როცა არავინ არაფერი იცოდა ამის შესახებ,

⁵მოვიდნენ კაცები შექემიდან, შილოდან და სამარიიდან – 80 წვერგაპარსული, სამოსელშემოგლეჯილი და ტანდაკოდილი, ძღვენითა და გუნდრუკით ხელში უფლის სახლში მისატანად.

⁶და გამოვიდა იშმაყელი, ნეთანias ძე, მიცვადან მათ შესაგებებლად, მოდიოდა და ტიროდა; და როდესაც მათ შეხვდა, უთხრა: შედით გედალია ახიკამის ძესთან.

⁷და როგორც კი ქალაქში შევიდნენ იშმაყელ ნეთანias ძემ და მისმა კაცებმა დახოცეს ისინი, და ჭამი ჩაყარეს.

⁸მაგრამ ათი კაცი იყო მათ შორის, რომლებმაც უთხრეს იშმაყელს: ნუ დაგვხოცავთ, რადგან ჩვენ გადამალული გვაქვს მინდორში ხორბალი და ქერი, ზეთი და თაფლი. და ისიც გაჩერდა და არ დახოცა ისინი მათ მოძმებთან ერთად.



⁹ორმო კი, რომელშიც იშმაყელმა ჩაყარა ყველა იმ კაცთა გვამები, რომლებიც დახოცა გედალიას გამო, სწორედ ის იყო, მეფე ასამ რომ ამოთხარა ისრაელის მეფის, ბაყაშას, შიშით; დახოცილებით გაავსო იშმაყელმა, ნეთანიას ძემ, ის ორმო.

¹⁰და დაატყვევა იშმაყელმა ხალხის მთელი ნატამალი, რომელიც მიცფაში დარჩა: მეფის ასულნი და მიცფაში დარჩენილი ხალხი, რომლებიც ნებუზარადანმა, ქონდაქართუხუცესმა, ჩააბარა გედალია ახიკამის ძეს, ტყვედ წაასხა იშმაყელ ნეთანიას ძემ, და წავიდა ყამონიანებთან გადასასვლელად.

¹¹და გაიგეს იოხანან კარეახის ძემ და ყველა მხედართმთავარმა, რომლებიც მასთან იყვნენ, ყველა ის ბოროტება, რაც იშმაყელ ნეთანიას ძემ ჩაიდინა,

¹²და გაიყვანეს ყველა კაცი და წავიდნენ იშმაყელ ნეთანიას ძესთან საბრძოლველად და იპოვეს იგი დიდ წყლებთან, რომლებიც გიბეონშია,

¹³და გაიხარა მთელმა ხალხმა, რომელიც იშმაყელთან იყო, როდესაც დაინახა იოხანან კარეახის ძე და ყველა მხედართმთავარი, რომლებიც მასთან იყვნენ.

¹⁴და მთელმა ხალხმა, რომელიც იშმაყელს ტყვედ ჰყავდა მიცფადან წამოყვანილი, პირი იბრუნა და წავიდა იოხანანთან, კარეახის ძესთან.

¹⁵მაგრამ იშმაყელ ნეთანიას ძემ რვა კაცით დააღწია თავი იოხანანს და წავიდა ყამონიანებთან.

¹⁶წაიყვანეს იოხანან კარეახის ძემ და მასთან მყოფმა მხედართმთავრებმა ხალხის მთელი ნატამალი, რომელიც ტყვედ წამოასხა მიცფადან ისმაელ ნეთანიას ძემ გედალია ახიკამის ძის მოკვლის შემდეგ, მათ შორის: მამკაცები, მეომრები, ქალები და ბავშვები და საჭურისები, რომლებიც გიბეონიდან დააბრუნა.

¹⁷წავიდნენ ისინი და დადგნენ გერუთ-ქიმჰამში, რომელიც ბეთლემთან იყო, რათა წასულიყვნენ ეგვიპტეში და

¹⁸გარიდებოდნენ ქალდეველებს, რადგანაც მათი ეშინოდათ, ვინაიდან იშმაყელ ნეთანიას ძემ მოკლა გედალია ახიკამის ძე, რომელსაც ბაბილონის მეფემ ჩააბარა იუდეის ქვეყანა.

იერემია 42

¹ამის შემდეგ მივიდა ყველა მხედართმთავარი და იოხანან კარეახის ძე და აზარია ჰოშაყიას ძე, და მათთან ერთად მთელი ხალხი დიდიან-პატარიანად,



²და უთხრეს იერემია წინასწარმეტყველს: შეისმინე ჩვენი ხვეწნა და შევევდრე უფალს, შენს ღმერთს, ჩვენთვის, მთელი ამ დარჩენილი ხალხისთვის, რადგან, როგორც შენი თვალთ ხედავ, მრავალთაგან მცირედნილა დავრჩით.

³გვაჩვენოს უფალმა, შენმა ღმერთმა, რა გზით ვიაროთ და რა გავაკეთოთ.

⁴და უთხრა მათ იერემია წინასწარმეტყველმა: მესმის, და შევევდრები უფალს, თქვენს ღმერთს, თქვენი სიტყვისამებრ, და ყველაფერს, რასაც უფალი მიპასუხებს, გეტყვით, არაფერს დაგიმაღავთ.

⁵და მათ უთხრეს იერემიას: უფალი იყოს ჩვენს წინააღმდეგ ჭეშმარიტი და მტკიცე მოწმე, თუ არ შევასრულებთ ყოველივე იმას, რასაც უფალი, შენი ღმერთი, იტყვის ჩვენს გასაკეთებლად;

⁶კარგი იქნება თუ ცუდი, მოვუსმენთ უფლის, ჩვენი ღმერთის ხმას, რომელთანაც გაგზავნით, რათა სიკეთე გვეწიოს, როდესაც მოვუსმენთ უფლის, ჩვენი ღმერთის, ხმას.

⁷და ათმა დღემ რომ გაიარა, უფლის სიტყვა იყო იერემიას მიმართ.

⁸და მოიხმო იოხანან კარეახის ძე და ყველა მხედართმთავარი, რომლებიც მასთან იყვნენ, და მთელი ერი დიდიან-პატარიანად.

⁹და უთხრა მათ: ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი, რომელთანაც გამაგზავნეთ მე, რომ წარმედგინა მის წინაშე თქვენი მუდარა:

¹⁰თუ დასახლდებით ამ ქვეყანაში, მაშინ მე აგაშენებთ თქვენ და არ დაგანგრევთ, დაგნერგავთ და არ აღმოგვხვრით, რადგან ვნანობ მე იმ უბედურების გამო, რომელიც თქვენზე მოვაწიე.

¹¹ნუ შეგეშინდებათ ბაბილონის მეფისა, რომლისაც გეშინიათ, ნუ შეგეშინდებათ მისი, – ამბობს უფალი, – რადგან მე თქვენთანა ვარ, რათა დაგიფაროთ და გიხსნათ მისი ხელიდან.

¹²მე წყალობას მოგვქნით და ის შეგიწყალებთ თქვენ და დაგაბრუნებთ თქვენს მიწაზე.

¹³მაგრამ თუ იტყვით: არ გვინდაო ამ ქვეყანაში დარჩენა! და არ მოუსმენთ უფლის, თქვენი ღმერთის, ხმას,

¹⁴და იტყვით: წავალთო ეგვიპტის ქვეყანაში, სადაც არ ვიხილავთო არც ომსა და არც ბუკისცემის ხმას გავიგონებთ და არც ვიშიმშილებთ, და იქ ვიცხოვრებთო,



¹⁵მაშ ისმინე უფლის სიტყვა, იუდეის ნატამალო! ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: თუ თქვენ პირს იზამთ ეგვიპტისკენ წასასვლელად და მიხვალთ იქ საცხოვრებლად,

¹⁶მაშინ მახვილი, რომლისაც გემინიათ, ეგვიპტის ქვეყანაშიც მოგწვდებათ და შიმშილი, რომელიც გაწუხებთ, დაგედევნებათ და იქ დაიხოცებით.

¹⁷და ყოველი კაცი, რომელიც პირს მიიქცევს ეგვიპტეში წასასვლელად და იქ დარჩენას გადაწყვეტს, მახვილით, შიმშილითა და შავი ჭირით მოკვდება, და ვერავინ გადაურჩება იმ უბედურებას, რასაც მე მოვაწევ მათ.

¹⁸რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: როგორც ჩემი რისხვა და მძვინვარება გადმოინთხა იერუსალიმის მკვიდრებზე, ისე გადმოინთხება ჩემი მძვინვარება თქვენზე, ეგვიპტეში რომ ჩახვალთ. და იქნებით იქ საწყევარი, საშინელება, საგინებელი და შესარცხვენელი, და მეტად ველარ იხილავთ ამ ადგილს.

¹⁹თქვენზე წარმოთქვა უფალმა, იუდეის ნატამალო: ნუ წახვალთ ეგვიპტეში, იცოდეთ, მე თქვენ გამიფრთხილებიხართ დღეს!

²⁰რადგან თქვენ თვითონ შესცოდეთ თქვენს წინაშე! თქვენ გამაგზავნეთ უფალთან, თქვენს ღმერთთან, და მითხარით: შევედრეო ჩვენზე უფალს, ჩვენს ღმერთს, და ყოველივეს, რასაც უფალი, ჩვენი ღმერთი, იტყვის, გავაკეთებთო.

²¹მე გამოგიცხადეთ დღეს თქვენ, მაგრამ თქვენ არ მოუსმინეთ უფლის, თქვენი ღმერთის ხმას და ყოველივე იმას, რითაც მან გამომაგზავნა თქვენთან.

²²ახლა იცოდეთ, რომ მახვილით, შიმშილითა და შავი ჭირით დაიხოცებით იმ ადგილას, სადაც თქვენ საცხოვრებლად გინდათ წასვლა.

იერემია 43

¹და იყო, როდესაც იერემიამ დაასრულა ხალხისათვის მათი ღმერთის სიტყვების გადაცემა, ყველა იმ სიტყვისა, რომლითაც უფალმა, მათმა ღმერთმა, მიავლინა მათთან,

²მაშინ ყაზარია ჰოშაყიას ძემ და იოხანან კარეახის ძემ, და აგრეთვე ყველა ბოროტგანმზრახველმა კაცმა უთხრეს იერემიას: ტყუილს ამბობ; უფალს, ჩვენს ღმერთს, არ მოუვლინებიათ ამის სათქმელად: არ წახვიდეთ ეგვიპტეში იქ საცხოვრებლადო!

³ბარუქ ნერიას ძე გაქეზებს ჩვენს წინააღმდეგ, რომ ქალდეველთა ხელში ჩაგვყაროს და გაგჟლიტონ მათ, ან რომ ტყვედ წაგვასხან ბაბილონში.



⁴არ ისმინეს იოხანან კარეახის ძემ და ლაშქრის მეთაურებმა და მთელმა ხალხმა უფლის ხმა, რომ დარჩენილიყვნენ იუდეის ქვეყანაში.

⁵და წაიყვანეს იოხანან კარეახის ძემ და ლაშქრის მეთაურებმა იუდაელთა მთელი ნატამალი, რომელიც იუდეის ქვეყანაში დაბრუნდა სხვადასხვა ქვეყნებიდან, სადაც გაფანტულნი იყვნენ ისინი,

⁶კაცები, ქალები და ბავშვები, მეფის ასულები და ყველა, ვინც ნებუზარადან ქონდაქართუხუცესმა დატოვა გედალიასთან, შაფანის ძის, ახიკამის ძესთან; და მათთან ერთად იერემია წინასწარმეტყველი და ბარუქ ნერიას ძეც.

⁷და წავიდნენ ეგვიპტის ქვეყანაში, რადგან არ ისმინეს უფლის ხმა, და მივიდნენ თახფანხესამდე.

⁸და იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ თახფანხესში ასე:

⁹აილე დიდი ქვები და დამალე ისინი მოზელილ თიხაში იმ ადგილას, სადაც აგურს ჭრიან, ფარაონის სახლის შესასვლელთან, თახფანხესში, ისე, რომ იუდაელებმა დაინახონ.

¹⁰და უთხარი მათ: ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: აჰა, მე ვაგზავნი კაცებს ჩემი მსახურის, ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მოსაყვანად, და დავდგამ მის ტახტს ამ ქვებზე, რომლებიც დავმალე, და გადაჭიმავს მათზე თავის სამეფო კარვის ჩარდახს.

¹¹მოვა ის და ააოხრებს ეგვიპტის ქვეყანას: ვინც სასიკვდილოა, მოკვდება, ვინც ტყვედ წასაყვანია, ტყვედ იქნება წაყვანილი, და ვინც მახვილისათვის არის, მახვილით დაეცემა.

¹²და ცეცხლს წავუკიდებ ეგვიპტის ღმერთების სახლებს და ის დაწვავს მათ ან დაატყვევებს მათ კერპებს, და შეიფუთნება ეგვიპტის ქვეყნის ნადავლით, როგორც მწყემსი იფუთნება თავისი ტყაპუჭით; და გამოვა იქიდან მშვიდობით,

¹³და დალეწავს ბეთ-შემეშის სვეტებს, რომლებიც ეგვიპტის ქვეყანაშია, და ეგვიპტის ღმერთების ტაძრებს ცეცხლში დაწვავს.

იერემია 44

¹ეს არის უფლის სიტყვა იერემიას მიმართ თქმული ყველა იეუდაელზე, რომლებიც ცხოვრობდნენ ეგვიპტის ქვეყანაში – მიგდოლსა და თახფანხესში, ნოფსა და ფათროსის მიწაზე.



²ასე თქვა ცაბაოთ უფალმა, ისრაელის ღმერთმა: თქვენ იხილეთ ყველა ის უბედურება, რაც მე მოვაწიე იერუსალიმსა და იუდეის ყველა ქალაქს, და აოხრებულია დღეს ისინი და არავინ ცხოვრობს იქ,

³იმ ბოროტების გამო, რომელსაც ისინი ჩემს გასამწარებლად აკეთებდნენ, რომ უკმევდნენ და ემსახურებოდნენ უცხო ღმერთებს, რომლებსაც არ იცნობდნენ, და არ იცნობდით არც თქვენ და არც თქვენი მამები.

⁴და მე გიგზავნიდით ჩემს მსახურთ – წინასწარმეტყველთ – რომ ეთქვათ: ნუ გააკეთებთ ამ სისამაგლეს, რომელიც მე მძულს-მეთქი;

⁵მაგრამ ისინი არც მისმენდნენ და ყურსაც არ იბერტყავდნენ, რომ მოქცეულიყვნენ ბოროტებიდან და არ ეკმიათ უცხო ღმერთებისათვის.

⁶და გადმოინთხა ჩემი გულისწყრომა და ჩემმა რისხვამ მოიცვა იუდეის ქალაქები და იერუსალიმის ქუჩები, და ნაოხარად იქნენ ისინი, რასაც დღესაც ხედავთ.

⁷და ახლა ასე ამბობს უფალი ცაბაოთი, ისრაელის ღმერთი: რატომ უკეთებთ დიდ ბოროტებას თქვენსავე სულებს, რომ მოისპოთ სრულიად კაცი და ქალი, ყრმა და მეძუპური იუდაელთა შორის, და რომ აღარ დარჩეს თქვენი ნატამალი?

⁸რატომ მაგულისებთ თქვენი ხელის ნაკეთობებით, და უკმევთ უცხო ღმერთებს ეგვიპტის ქვეყანაში, სადაც თქვენ მწირობთ? რად გინდათ რომ ამოიძირკვოთ და შესაჩვენებელი და სამარცხვინო გახდეთ ქვეყნიერების თვალში?

⁹ნუთუ დაგავიწყდათ თქვენი მამების ბოროტმოქმედება, იუდეის მეფეთა ბოროტმოქმედება, მათი ცოლების ბოროტმოქმედება, თქვენი ბოროტმოქმედება და თქვენი ცოლების ბოროტმოქმედება, რაც ჩაიდინეთ იუდეის ქვეყანაში და იერუსალიმის ქუჩებში?

¹⁰დღემდე არ დაცხრნენ ისინი და არ შეშინდნენ, არ შეუდგნენ ჩემს რჯულსა და ჩემს კანონებს, რომლებიც თქვენ და თქვენს მამებს მოგეცით.

¹¹ამიტომ ასე ამბობს უფალი ცაბაოთი, ისრაელის ღმერთი: მე მოვაქცევ ჩემს სახეს თქვენს წინააღმდეგ თქვენს საუბედუროდ და მთელი იუდეის ამოსაგდებად,

¹²და იუდაელთა ნატამალს, რომელმაც მიაქცია პირი, რათა ეგვიპტის ქვეყანაში წასულიყო საცხოვრებლად, მთლიანად გავანადგურებ; და დაეცემიან ისინი ეგვიპტის ქვეყანაში მახვილით, შიმშილით გაწყდებიან დიდიან-პატარიანად, და საწყევარნი და საშინელებანი, საგინებლნი და სამარცხვინონი გახდებიან.



¹³და დავსჯი იუდაელთ, ეგვიპტის ქვეყანაში ნებით ჩასახლებულთ, როგორც იერუსალიმი დავსაჯე მახვილით, შიმშილითა და შავი ჭირით.

¹⁴თავდახსნილი და გადარჩენილი არ ეყოლება იუდეის ნატამალს, რომელიც ეგვიპტის ქვეყანაში მიდის საცხოვრებლად, ველარ დაბრუნდებიან იუდეის მიწაზე, საითკენაც ექნებათ მუდმივი სწრაფვა სულისა, რომ დასახლდნენ იქ. მაგრამ ველარავინ დაბრუნდება უკან, გარდა გამოქცეულებისა.

¹⁵და კაცებმა, რომლებმაც იცოდნენ, რომ უცხო ღმერთებს უკმევდნენ მათი ცოლები, და ქალების დიდმა ბრბომ და ეგვიპტის ქვეყანაში, ფათროსის მიწაზე დასახლებულმა მთელმა ხალხმა ასე უპასუხა იერემიას:

¹⁶ვერ დავუჯერებთ შენს სიტყვებს, რომლებიც უფლის სახელით გვითხარი,

¹⁷რადგან ჩვენ ყველაფერს ჩვენი სიტყვისამებრ გავაკეთებთ, როგორც ჩვენი პირიდან გამოვიდა, და კვლავაც ვუკმევთ ცის დედოფალს და კვლავაც ვულვრით მას საღვრელს, როგორც ვაკეთებდით ჩვენ და ჩვენი მამები, ჩვენი მეფენი და ჩვენი მთავრები იუდეის ქალაქებში და იერუსალიმის ქუჩებში; პური ძლომაზე გვქონდა და კარგად ვიყავით, და არც უბედურება გვინახავს.

¹⁸მას შემდეგ კი, რაც შევწყვიტეთ ცის დედოფლის საპატივცემოდ გუნდრუკის კმევა და მისთვის საღვრელის ღვრა, მოგვაკლდა ყოველივე და მახვილითა და შიმშილით ვიხოცებით.

¹⁹და როცა ცის დედოფალს ვუკმევდით და საღვრელს ვულვრიდით, განა ჩვენი კაცების თანხმობის გარეშე ვუცხოვდით მას ხმიადებს მისი გამოსახულებით და ვულვრიდით საღვრელს?

²⁰და უთხრა იერემიამ მთელ ხალხს – კაცსა და ქალს და მთელ მის მოპასუხეთ:

²¹განა ეს კმევა, რომელსაც თქვენ ასრულებდით იუდეის ქალაქებსა და იერუსალიმის ქუჩებში, თქვენ და თქვენი მამები და თქვენი მეფენი და თქვენი მთავრები და ქვეყნის ერი, არ გაიხსენა უფალმა და არ მოაგონდა?

²²და ველარ შეძლო უფალმა თქვენი ბოროტი ნამოქმედარისა და თქვენი სისადაგლეების მეტად მოთმენა, რომელსაც თქვენ სჩადიოდით, და თქვენი ქვეყანა განადგურდა და საშინელებად და საწყევარად და უკაცრიელად იქცა, როგორც დღესაა.

²³იმის გამო, რომ უკმევდით და სცოდავდით უფალს და არ ისმინეთ მისი ხმა, და მის რჯულზე და მის კანონებზე და მის მოწმობებზე არ იარეთ, ამიტომ გეწიათ თქვენ ეს უბედურება.



²⁴და უთხრა იერემიამ მთელ ხალხს და ყველა ქალს: ისმინეთ უფლის სიტყვა, იუდაელნო, ვინც კი ეგვიპტის ქვეყანაში ხართ,

²⁵ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: თქვენ და თქვენი ცოლები რასაც პირით ლაპარაკობდით, იმას აკეთებდით თქვენი ხელით, რომ ამბობდით: შევასრულებთო ჩვენს აღთქმებს, ცის დედოფალს კვლავაც ვუკმევთ და საღვრელსაც დავუღვრითო! – აჰა, მტკიცედ იცავთ თქვენს აღთქმებს და შურისგებითაც ასრულებთ.

²⁶ამიტომ ისმინეთ უფლის სიტყვა, ყველა იუდაელო, ეგვიპტის ქვეყანაში დასახლებულთ: მე დავიფიცე ჩემი დიდებული სახელით, – ამბობს უფალი, – თუ იქნება კიდევ ჩემი სახელი წარმოთქმული მთელს ეგვიპტის ქვეყანაში იუდაელის პირით, რომელიც იტყვის: უფალს ვფიცავო!

²⁷მე გავიღვიძე მათზე საბოროტოდ და არა სასიკეთოდ; და ყოველი იუდაელი, რომელიც ეგვიპტის ქვეყანაშია, მახვილითა და შიმშილით ამოწყდება, სანამ მთლიანად არ მოისპობიან.

²⁸და ეგვიპტის ქვეყნიდან მახვილს თავდაღწეული მცირერიცხოვანნი იუდეის ქვეყანაში დაბრუნდებიან. და გაიგებს ეგვიპტის ქვეყანაში საცხოვრებლად მისული ყველა დანარჩენი იუდაელი, თუ ვისი სიტყვა აღსრულდება – ჩემი თუ მათი.

²⁹აჰა, მე გაძლევთ ნიშანს, – ამბობს უფალი, – რომ დაგსჯით თქვენ ამ ადგილას, რომ იცოდეთ, რათა აღსრულებით აღსრულდება ჩემი სიტყვები თქვენდა საუბედუროდ.

³⁰და ამბობს უფალი: მე გადავცემ ეგვიპტის მეფეს, ფარაონ ხოფრას, მის მტერთა და მისი სულის მამიებელთა ხელში, როგორც ცედეკია, იუდეის მეფე, გადავეცი ბაბილონის მეფეს, ნაბუქოდონოსორს, მისი სულის მამიებელის ხელთ.

იერემია 45

¹სიტყვა, რომელიც უთხრა იერემიამ ბარუქს, ნერიას ძეს, როდესაც ის იერემიას პირით ნათქვამ ამ სიტყვებს სწერდა წიგნში იეჰოიაკიმ იოშიას ძის, იუდეის მეფის, მეფობის მეოთხე წელს:

²ასე გეუბნება უფალი, ისრაელის ღმერთი შენ, ბარუქ:

³შენ მოსთქვამ: ვაიმე, ვაიმე! უფალმა მწუხარება დართო ჩემს სატკივარს, მოვიქანცე ვაებით და სიმშვიდე ვერ მიპოვნია.

⁴ასე უთხარიო მას: ასე ამბობს-თქო უფალი: რაც მე ავაშენე, მევე დავანგრევ, და რაც მე დავნერგე, მევე ამოვძირკვავ, და ეს ასე იქნება მთელს ქვეყანაზე.



⁵შენ კი ბევრს მოითხოვ შენთვის. ნუ მოითხოვ, რადგან მე მოვაწევ უბედურებას ყოველ ხორციელზე, – ამბობს უფალი, – შენ კი შენს სულს მოგცემ ნადავლად ყველგან, სადაც კი წახვალ.

იერემია 46

¹უფლის სიტყვა, რომელიც იყო წინასწარმეტყველ იერემიასადმი ნათქვამი ხალხებზე.

²ეგვიპტეზე და ეგვიპტის მეფის, ფარაონ ნექოს, ლაშქარზე, რომელიც მდინარე ევფრატზე ქარქემიშში დაამარცხა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა იუდეის მეფის, იეჰოიაკიმ იოშიას ძის, მეფობის მეოთხე წელს.

³მომზადეთ ფარ-შუბები და წადით საომრად.

⁴შეკაზმეთ ცხენები და ამხედრდით, მხედრებო, და გამოეწყვეთ მუზარადებში, გალესეთ შუბები და ჩაიცვით ჯაჭვ-ჯავშანი.

⁵ეს რასა ვხედავ! ნუთუ იძლივნენ და უკან იხევნენ? მათი მამაცნი კი შეიმუსრნენ და გარბიან უკანმოუხედავად? საშინელებაა ირგვლივ, – ამბობს უფალი.

⁶ვერც ფეხმარდი გაიქცევა, ვერც მამაცი დააღწევს თავს; ჩრდილოეთით, მდინარე ევფრატთან, წაიბორძიკებენ და დაეცემიან ისინი.

⁷ვინაა ეს ნილოსივით რომ ადიდებულა, ღვარცოფივით რომ მოჰქუხს?

⁸ეგვიპტე ნილოსივით ადიდებულა და ღვარცოფივით მოჰქუხს. და ამბობს ის: მე გადმოვხეთქავ ნაპირებს და წავლეკავ ქვეყანას, დავღუპავ ქალაქებსა და იქ მცხოვრებთ.

⁹გაჭენდით ცხენებო და გაქროლდით ეტლებო! და გამოდით, მამაცო ფარისმტვირთველო ქუმელნო და ფუტელნო, ლუდელნო, მოისარნო და მშვილდის მომჭიმელნო!

¹⁰რადგან ეს დღე არის ცაბაოთ უფლის, ჩვენი ღმერთის, შურისგების დღე, რათა შური იძიოს თავის მტრებზე; და მახვილი შეჭამს და გაძლება მათი სისხლით; რადგან ეს იქნება უფლის მსხვერპლშეწირვა ჩრდილოეთის ქვეყანაში, ევფრატის პირას.

¹¹ადი გალაადზე და აილე ბალზამი, ქალწულო, ეგვიპტის ასულო; ამაოდ ახვავებ წამლებს, აღარაფერი გეშველება.

¹²გაიგონეს ხალხებმა შენი შერცხვენა და შენმა კივილმა აავსო ქვეყანა, როცა მამაცი მამაცს შეეჯახა და ორივენი ერთად დაეცნენ.



¹³სიტყვა, რომელიც უფალმა უთხრა იერემია წინასწარმეტყველს ეგვიპტის ქვეყნის დასამხოზად ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მოსვლაზე:

¹⁴აუწყეთ ეგვიპტეში და ასმინეთ მიგდოლში, გააგონეთ ნოფში და თახფანხესში, და თქვით: წამოდექი და მოემზადე, რადგან მახვილი შეჭამს შენს ირგვლივ ყველაფერს.

¹⁵რატომ დაეცა შენი მამაცი? ვერ გაუძლო, რადგან უფალმა უკუაქცია.

¹⁶მან გაამრავლა დაცემულნი, ერთმანეთზე ეცემოდნენ და ამბობდნენ: ადექით და დავუბრუნდეთ ჩვენს ხალხს და ჩვენს სამშობლო ქვეყანას, გავერიდოთ ბასრ მახვილს.

¹⁷და გაჰყვირიან იქ: ფარაონი, ეგვიპტის მეფე, გახელდა; მას გამოეპარა დათქმული ჟამი.

¹⁸ისე მე ვიცოცხლო, – ამბობს მეფე, – რომლის სახელია ცაბაოთ უფალი; რადგან, როგორც თაბორი დგას მთებს შორის და როგორც ქარმელია ზღვასთან, ისე ვიცი, რომ მოვა ის.

¹⁹გადასახლებულის ბარგი დაიმზადე, ეგვიპტის ასულის მკვიდრო, რადგან ნოფი აოხრდება და გაჩანაგდება, კაცის ჭაჭანება არ დარჩება იქ.

²⁰ჩრდილოეთიდან მტერი დაეცემა მშვენიერ ეგვიპტეს, ვით კრაზანა დეკეულს.

²¹მისი დაქირავებული ჯარიც, ნასუქალი ხბორებივით რომ იყვნენ, ვერ დადგა, უკუიქცა და გაიქცა, რადგან მათი დაღუპვის დღე მოვიდა, ჟამი მათი დასჯისა.

²²მისი ხმა გველის სისინის მსგავსი იქნება, რადგან ლაშქრით დადიან და ცულებით მოადგნენ, ხის მჭრელებივით.

²³გაჩეხავენ მის ტყეს, – ამბობს უფალი, – რადგან გაუვალია ის; რადგან კალიაზე მეტად გამრავლდნენ, სათვალავი არა აქვთ.

²⁴შერცხვენილია ეგვიპტის ასული, ჩრდილოელთ ჩაუვარდა ხელში.

²⁵და ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: აჰა, მე დავსჯი ამონს თებეში, და ფარაონს და ეგვიპტეს და მის ღმერთებს და მის მეფეებს, ფარაონს და მასზე მინდობილთ!

²⁶და გადავცემ მათ მათი სულის მამიებელთა ხელთ, და ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის, ხელთ, და მის მსახურთა ხელთ და ამის შემდეგ დასახლდება ის, როგორც პირვანდელ დღეებში. – ამბობს უფალი.

²⁷შენ კი ნუ გეშინია, ჩემო მსახურო იაკობ, და ნუ დაფრთხები, ისრაელ, რადგან მე გიხსნი შენ შორიდან და შენს მოდგმას მისი ტყვეობის ქვეყნიდან.



დაბრუნდება იაკობი და იცხოვრებს წყნარად და მშვიდად, და არ ეყოლება შემშინებელი.

²⁸ნუ გეშინია, ჩემო მსახურო იაკობ, – ამბობს უფალი, – რადგან მე შენთანა ვარ. მე მოვსპობ ყველა ხალხს, რომლებთანაც გაგაძვევ, შენ კი არ მოვსპობ, მხოლოდ მოგარჯულებ სამართლისამებრ, მაგრამ დაუსჯელიც არ დამრჩები.

იერემია 47

¹უფლის სიტყვა, რომელიც იყო წინასწარმეტყველ იერემიას მიმართ თქმული ფილისტიმელებზე, ვიდრე ფარაონი ღაზას დაამარცხებდა.

²ასე ამბობს უფალი: აჰა, წყლები მოდიდდებიან ჩრდილოეთიდან და წამლეკავ ღვართქაფებად გადაიქცევიან, და წალეკავენ ქვეყანას და ყოველივეს, რაც მასზეა, ქალაქებსა და მის მცხოვრებთ; აკივლდებიან ადამიანები და იქვითინებს ქვეყნის ყოველი მცხოვრები.

³მისი აქაფებული რაშების თქარათქურის, მისი ეტლების გრიალის, მისი ბორბლების გრუხუნის გამო მამები ვეღარ მიუბრუნდებიან შვილებს ასაყვანად, რადგან მკლავები ჩამოსწყდებათ,

⁴მომავალი დღის გამო, როდესაც დასცემენ ყველა ფილისტიმელს, რათა მოუსპონ ცორს და ციდონს ყველა გადარჩენილი შემწე, რადგან დაამხოვს უფალი ფილისტიმელთა ნატამალს, ქაფთორის კუნძულზე რომ გადარჩა.

⁵მწუხარებამ მოიცვა ღაზა და თავებს იხოტრავენ ღაზელნი+, ილუპება აშკელონი და ყენაკელთა ნატამალი. როდემდე უნდა იკაწრავდე ფრჩხილებით თავს?

⁶ო, უფლის მახვილო, როდემდე უნდა ჰკვეთდე, ჩაეგე შენს ქარქაშში, დასცხერ და დადუმდი!

⁷მაგრამ როგორ გინდა დასცხრე როდესაც უფალმა მიუშვა იგი აშკელონისა და ზღვისპირეთის წინააღმდეგ, იქ განაწესა თავისი მახვილი.

იერემია 48

¹ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი, მოაბზე: ვაი ნებოს! რადგან გაუდაბურდა; კირიათაიმი შერცხვენილია და დაპყრობილი; გაწბილებულია ციხესიმაგრე და დანგრეული.



- ²წახდა მოაბის დიდება; ხეშბონში ბოროტება განიზრახეს მის წინააღმდეგ: მოდით და ამოვძირკვოთო ეს ხალხი. მადმენა, შენც განადგურდები, მახვილი მოგდევს უკან!
- ³კივილის ხმა ისმის ხორონაიმიდან: გატიალება და ნგრევაა დიდი!
- ⁴შეიმუსრა მოაბი, კივიან მისი პატარები.
- ⁵რადგან ლუხითის აღმართზე ტირილი არ წყდება; და ხორონაიმიდან მომხვდურთ ნგრევისა და კივილის ხმა ესმით:
- ⁶გაიქეცით, იხსენით თქვენი სულები! და ღვიის ბუჩქივით იქნებით უდაბნოში.
- ⁷რადგან შენ ესავდი შენს ნამოქმედარსა და შენს საგანძურებზე, შენც შეგიპყრობენ და ქემოშსაც გადაასახლებენ თავის მღვდლებთან და მთავრებთან ერთად.
- ⁸და მძარცველი დაეცემა ყოველ ქალაქს, და ვერცერთი ქალაქი ვერ გადარჩება; ხეობა განადგურდება და აოხრდება ველ-მინდვრები, როგორც უფალმა თქვა.
- ⁹მიეცით ფრთები მოაბს, რომ გაფრინდეს, მისი ქალაქები უკაცრიელ უდაბნოდ იქცევიან.
- ¹⁰წყეულიმც იყოს, ვინც უფლის საქმეს უდიერად ექცევა და წყეულიმც იყოს, ვინც თავის მახვილს სისხლით არ ღებავს!
- ¹¹უშფოთველად იყო მოაბი სიყრმიდანვე, განისვენებდა, როგორც ღვინოა თავის თხლეზე. და არ გადაუღიათ ჭურჭლიდან ჭურჭელში, და ტყვეობაში არ წაუყვანიათ. ამიტომაც შერჩა თავისი გემო და სურნელება არ დაუკარგავს.
- ¹²მაგრამ მოდის დღეები, – ამბობს უფალი, – და მე გავუგზავნი მას მათ, ვინც გადაიღებენ! გადაიღებენ მას, ჭურჭელს დაუცარიელებენ და ქვევრებს დაუმსხვრევენ.
- ¹³და შერცხვება მოაბი ქემოშის გამო, როგორც ისრაელის სახლი შერცხვა მათი იმედის, ბეთელის, გამო.
- ¹⁴როგორღა ამბობთ: მამაცნი ვართ და ომისათვის ძალმოსილნიო?
- ¹⁵გაიძარცვა მოაბი და მტერი ავიდა მის ქალაქებში, და მისი რჩეული ჭაბუკნი სასაკლაოზე ჩავიდნენ, ამბობს უფალი, ცაბაოთია მისი სახელი.
- ¹⁶მოახლოვდა მოაბის აღსასრული და ძალზე მოისწრაფის მისი უბედურება.



¹⁷დაიტირეთ, ყველამ, ვინც მის ირგვლივ ცხოვრობთ და ყველამ, ვინც კი მისი სახელი იცით, თქვით: როგორ შეიმუშაო არგანი ძლიერებისა, კვერთხი დიდებისა!

¹⁸ჩამოდი დიდებიდან და დაჯექი ურწყულში, დიბონში მცხოვრებო ასულო, რადგან მოაბის წარმწყმედი ამოვა შენთან და დაანგრევს შენს ციხესიმაგრეებს.

¹⁹დადექი გზისპირას და თვალი ადევნე, ყაროყერის მკვიდრო, ჰკითხე გამოქცეულს და თავდახსნილს: რა მოხდა-თქო?

²⁰შერცხვენილია მოაბი, რადგან გაცამტვერდა; იქვითინეთ და იკივლეთ, აუწყეთ არნონში, რომ განადგურებულია მოაბი.

²¹სასჯელმა უწია დაბლობ ქვეყანას – ხოლონს, იაჰცას და მეფაყათს,

²²და დიბონს, ნებოს და ბეთ-დიბლათაიმს,

²³და კირიათაიმს, ბეთ-გამულს და ბეთ-მაყონს,

²⁴და კერიოთს, ბოცრას და მოაბის ქვეყნის ყველა შორეულ და მახლობელ ქალაქს.

²⁵მოაბს მოემტვრა რქები და გადაიმსხვრა მისი მაჯა, – ამბობს უფალი.

²⁶დაათვრეთ იგი, რადგან უფლის წინაშე მედიდურობს; და დაე, იგოროს მოაბმა თავის ნარწყევში და თავად გახდეს სასაცილო.

²⁷განა მასხრად არ იგდებდი ისრაელს? განა ქურდებში წაუსწრეს მას, რომ მის ყოველ ხსენებაზე თავს აქნევ ნიშნის მოგებით?

²⁸დატოვეთ ქალაქები და კლდეებში დაეშენეთ, მოაბის მკვიდრო, და მღვიმეთა პირას დაბუდებული მტრედივით იყავით.

²⁹გვესმა მოაბის ამპარტავნობა, მეტისმეტად ამაყია ის; გვესმა მისი ქედმაღლობა და მისი ამპარტავნობა, მისი მედიდურობა და მისი დიდგულობა.

³⁰მე ვიცი, – ამბობს უფალი, – მისი სიცოფე, ფუჭი ქადილი და ფუჭი საქმე.

³¹ამიტომ ვივალალებ მოაბზე და ყველა მოაბელზე ვიქვითინებ; და კირხერესის კაცებზე იკვნესებს ჩემი გული.

³²იაყზერზე მეტად დაგიტირებ, სიბმას ვენახო! შენი ლერწები ზღვას გადასწვდნენ, იაყზერის ზღვას მისწვდნენ; შენს საზაფხულო ხილსა და შენს მოწეულ ყურძენს მძარცველი დაეცა.



³³წაერთვა სიხარული და ლხენა ქარმელსა და მოაბის ქვეყანას; და დავწრიტე ღვინო შენს საწნახლებში; აღარ დაწურავენ მხიარული ყიჟინით; ბრძოლის გნიასი იქნება და არა სასიხარულო ყიჟინა.

³⁴ხეშბონის კივილს ელეყალემდე და იაჰაცამდე ბანს მისცემენ ცოყარიდან ხორონაიმამდე და ყეგლათ-შელიშიამდე, რადგან ნიმრიმის წყლებიც დაშრება.

³⁵და მოვსპობ მოაბში ყველას, – ამბობს უფალი, – ვისაც მსხვერპლი მიაქვთ მაღლობებზე და თავიანთ ღმერთებს უკმევენ.

³⁶ამიტომ სალამურივით კვნესის ჩემი გული მოაბზე; კირ-ხერესის ხალხზე მიკვნესის გული სალამურივით, რადგან მათი მონაგარი დაიღუპა,

³⁷გადაპარსული აქვს ყველას თავი, შეჭრილი აქვს ყველას წვერი, დასერილი აქვს ყველას ხელები და წელზე ჯვალაო არტყია.

³⁸მოაბის ბანებსა და მოედნებზე გლოვის ხმა ისმის, რადგან მე დავლეწე მოაბი უსარგებლო ჭურჭელივით, – ამბობს უფალი.

³⁹როგორ დაიქცა, როგორ მოთქვამენ, როგორ შეირცხვინა თავი და შეიქნა მოაბი სამასხროდ და შესაზარად ირგვლივმოფთათვის.

⁴⁰რადგან ასე თქვა უფალმა: ორბივით დააფრინდება მოაბს და ფრთებს გაშლის მასზე.

⁴¹დაიპყრობენ ქალაქებს და ციხესიმაგრეებს დაიკავენ; და იმ დღეს მოაბის ვაჟკაცთა გული მშობიარე ქალის გულივით გახდება.

⁴²და გაქრება მოაბი ხალხთაგან, რადგან გაუმედიდურდა უფალს.

⁴³შიში, ხნარცვი და მახე გელით, მოაბის მკვიდრნო, – ამბობს უფალი.

⁴⁴შიშისაგან გაქცეული ხნარცვში ჩავარდება და ხნარციდან ამოსული მახეში გაებმება, რადგან მოვაწევ მოაბზე მისი განკითხვის წელს, – ამბობს უფალი.

⁴⁵ხეშბონის ჩრდილში შეჩერდნენ ღონემიხდილი ლტოლვილნი; მაგრამ ცეცხლი გამოვარდა ხეშბონიდან და ალი სიხონის წიაღიდან, და საფეთქელი შეუტრუსა მოაბს და თხემი შფოთის ამტეხთ.

⁴⁶ვაი შენ, მოაბო, დაიკარგა ხალხი ქემოშისა, რადგან ტყვედ არიან წაყვანილნი შენი ძენი და დატყვევებულნი არიან შენი ასულნი.

⁴⁷მაგრამ დავაბრუნებ მოაბის ტყვეებს უკანასკნელ დღეებში! – ამბობს უფალი. აქ თავდება მოაბის განაჩენი.

იერემია 49



¹და ამბობს უფალი ყამონელებზე: განა არა ჰყავს ძენი ისრაელს? განა არა ჰყავს მემკვიდრე? რატომ დაიმკვიდრა მალქომმა გადი? მისი ხალხი რატომ ცხოვრობს მის ქალაქებში?

²ამიტომაც, აჰა, მოდის დღეები, – ამბობს უფალი, – როცა რაბაში ყამონელთა ძენი გაიგონებენ ბრძოლის განგაშს, და ის ნანგრევების გროვად იქცევა, და მისი შემოგარენი ცეცხლში დაიწვება; და დაიმკვიდრებს ისრაელი თავის სამკვიდრებელს! – ამბობს უფალი.

³მოთქვამდე, ხეშონ! რადგან გაუდაბურდა ღაი; კიოდეთ, რაბას ასულნო, ჩაიცვით ძაძები, დაიტირეთ და იხეტიალეთ კედლებს შორის, რადგან მალქომი ტყვეობაში წავა თავის ქურუმებთან და მთავრებთან ერთად.

⁴რას ტრაბახობ შენი ხეობებით? სისხლისგან დაიცლება შენი ხეობა, განდგომილო ასულო, შენი საგანძურის იმედით რომ გაიძახი: ვინ გამიბედავს, რომ გამომიხდესო?

⁵აჰა, შიშის ზარს დაგცემ, – ამბობს უფალი ცაბაოთ ღმერთი, – ყოველი მხრიდან და გაძევებული იქნებით სათითაოდ და ველარავინ შემოგკრებთ გზადაკარგულთ.

⁶და ამის შემდეგ დავაბრუნებ ყამონელთ ტყვეობიდან! – ამბობს უფალი.

⁷და ამბობს ცაბაოთ უფალი ედომზე: ნუთუ აღარ არის სიბრძნე თემანში? ნუთუ გაქრა გონიერთა რჩევა? და დაჩლუნგდა მათი სიბრძნე?

⁸გაიქეცით, პირი იბრუნეთ, მღვიმეებში შეიხიზნეთ, დედანის მკვიდრნო! რადგან მოვაწიე ესავზე მისი დაღუპვა, ჟამი, როცა განვიკითხავ მას.

⁹მერთვლეებიც რომ შემოგსეოდნენ, ისინიც კი დაგიტოვებდნენ მოსამცვრევ კუფხლებს, ქურდები ღამით მხოლოდ თავის სამყოფს გაიტაცებდნენ.

¹⁰მე კი დედიშობილად დავტოვებ ესავს, გამოვაჩენ მის საიდუმლო თავშესაფარს და ველარ შეძლებს დამალვას. განადგურდება მისი მოდგმა, მისი ძმებისაც და მეზობლებისაც. და აღარ იქნება იგი.

¹¹დატოვე შენი ობოლნი და მე ვარჩენ მათ, და შენი ქვრივნი მომენდონ მე.

¹²რადგან ასე ამბობს უფალი: აჰა, რომელთა განაჩენიც არ იყო ამ თასის შესმა, აუცილებლად შესვამენ და შენ გინდა დაუსჯელი დარჩე? დაუსჯელი არ დარჩები, რადგან უექველად შესვამ მას.

¹³რადგან ჩემს თავს ვიფიცებ, – ამბობს უფალი, – რომ შესაზარი, სამარცხვინო, უკაცრიელი და შესაჩვენებელი გახდება ბოცრა, ხოლო ყოველი მისი დაბა-სოფელი – მარადიული უდაბნო.



¹⁴ამბავი მესმა უფლისაგან და მაცნეები აუწყებენ ხალხებს: შეიკრიბეთ და შეუტით მას, და აღდექით საომრად!

¹⁵რადგან, აჰა, მე დაგამცრობ ხალხებში და საძულველად გაგხდი ადამის მოდგმაში;

¹⁶გაცდუნა შენ შენმა კერპმა, შენი გულის ზვიადობამ; კლდის ნაპრალებში რომ დამკვიდრებულხარ და მთის მწვერვალებზე. ორბივით მაღლაც რომ მოიწყო ბუდე, იქიდანაც გადმოგაგდებ, – ამბობს უფალი.

¹⁷და იქცევა ედომი საშინელებად და ყოველი იქ გამვლელი გაოცდება, და დაუსტვენს ყველა, ვინც შეხედავს მის წყლულებს.

¹⁸როგორც სოდომი და გომორა და მისი მეზობელი დაბები დაიქცა, – ამბობს უფალი, – ასევე კაციშვილი აღარ დარჩება ედომში და აღარც არავინ დასახლდება.

¹⁹აჰა, როგორც ლომი ამოდის იორდანეს უღრანებიდან და დაეცემა გამაგრებულ ქოხებს, ისე მოიწევს ის, მაგრამ მე წამში გავაქცევ მას ედომიდან და ჩემს რჩეულს დავადგენ მასზე. რადგან ვინაა ჩემი მსგავსი და ვინ დამიწესებს მე ჟამს და ვინ არის ის მწყემსი, ვინც წინ დამიდგება?

²⁰ამიტომ ისმინეთ უფლის განაჩენი, რაც ედომს გაუჩინა და მისი განზრახვა, რაც თემანზე განიზრახა: ნახეთ, თუ არ წაათრიონ ისინი მწყემსის ბიჭებმა, თუ თავზე არ დაუმხონ ფარეხები!

²¹მათი დაცემის ხმა მიწას შეარყევს, მათი კივილი მეწამულ ზღვას მისწვდება.

²²აჰა, ორბივით აიწევა და გაფრინდება, და გადმოშლის ფრთებს ბოცრაზე. და იმ დღეს ედომის მამაცთა გული დაემსგავსება მშობიარე ქალის გულს.

²³დამასკოზე. შერცხვებიან ხამათი და არფადი, რადგან ავი ამბები მოისმინეს და სულით დაეცნენ, კიჟინაა ზღვაზე, ვერ დამშვიდებულან.

²⁴შედრკა დამასკო, გასაქცევადაა, ძრწოლამ შეიპყრო იგი, ტკივილმა და კრუნჩხვებმა დაუარეს მშობიარე ქალივით.

²⁵როგორ ვერ გადარჩა დიდების ქალაქი, საყვარელი ჩემი?

²⁶ამიტომ დაეცემიან მისი ჭაბუკნი მის მოედნებზე და ყველა მებრძოლი დაეცემა იმ დღეს, – ამბობს ცაბაოთ უფალი.

²⁷და ცეცხლს მივცემ დამასკოს კედლებს და შეჭამს იგი ბენ-ჰადადის პალატებს.



²⁸კედარისა და ხაცორის სამეფოებზე, რომლებიც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა დაამხო, ასე ამბობს უფალი: ადექით, გაილაშქრეთ კედარზე და მოსრენით აღმოსავლეთის ძენი.

²⁹წაიღებენ მათ კარებსა და მათ ფარებს გაირეკავენ ისინი. მათ ფარდებს და მთელ მათ ჭურჭელს და მათ აქლემებს წაიღებენ და დასძახებენ მათ: საშინელებაა ყოველი მხრიდან!

³⁰გაიქეცით, შორს წადით, ღრმად ჩასხედით ნაპრალებში, ხაცორის მკვიდრნო, – ამბობს უფალი, – რადგან განაჩენი გამოგიტანათ ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის მეფემ, და ავი განზრახვა განიზრახა თქვენზე.

³¹ადექით, დალაშქრეთ უზრუნველი, უსაფრთხოდ მცხოვრებ ხალხზე, – ამბობს უფალი. – არც კარები უბიათ და არც რაზა-კოჭატი ადევთ მათ ბინებს, განმარტოებით სახლობენ.

³²გამარცვავენ მათს აქლემებს და მათი ურიცხვი საქონელი ნადავლად იქცევა. ოთხივ ქარისაკენ გავფანტავ ამ საფეთქლებაპარსულთ, და ყოველი მხრიდან მოვაწევ მათზე დალუპვას, – ამბობს უფალი.

³³და იქცევა ხაცორი ტურების ბუნაგად, საუკუნო უდაბნოდ; კაციშვილი არ იცხოვრებს იქ და ადამიანი აღარ დასახლდება მასში.

³⁴უფლის სიტყვა ყელამზე, იერემიას მიმართ თქმული, იუდეის მეფე ცედეკიას, მეფობის დასაწყისში:

³⁵ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: აჰა, მე გადავტეხავ ყელამის მშვილდს, მათი ძლიერების დასაბამს.

³⁶და მოვაწევ ყელამზე ოთხ ქარს ცის ოთხი კიდიდან და გავფანტავ ყელამს ყველა ამ ოთხი ქარით, და არ იქნება ხალხი, რომელთანაც არ მივა ყელამელი მწირი.

³⁷და შიშს დავცემ მე ყელამელთ მათი მტრების თვალწინ და მათი სულის მაძიებელთა თვალწინ, და თავს დავატებ მათ უბედურებასა და ჩემს მძვინვარებას, – ამბობს უფალი, – და დავადევნებ მათ უკან მახვილს, სანამ არ მოვუღებ ბოლოს.

³⁸და დავდგამ ჩემს ტახტს ყელამში და მოვსპობ იქიდან მეფესა და მთავრებს, – ამბობს უფალი.

³⁹მაგრამ ბოლოს დავაბრუნებ ყელამს ტყვეობიდან, – ამბობს უფალი.

იერემია 50



¹სიტყვა, რომელიც თქვა უფალმა ბაბილონზე და ქალდეველთა ქვეყანაზე იერემია წინასწარმეტყველის პირით:

²გამოაცხადეთ და ასმინეთ ხალხებში, და აღმართეთ ალამი, ასმინეთ, ნუ დაფარავთ, თქვით: აღებულია ბაბილონი, შერცხვენილია ბელი, დაღწილია მეროდაქი, შერცხვენილია მისი კერპები, დამსხვრეულია მათი ძეგლები!

³რადგან მის წინააღმდეგ აღდგა ხალხი ჩრდილოეთიდან, უდაბნოდ აქცევს მის ქვეყანას და არ დარჩება მასში მცხოვრები, კაციან პირუტყვიანად ყველა წავა და გადაიხვეწება.

⁴იმ დღეებში და იმ დროს, – ამბობს უფალი, – მოვლენ ისრაელიანები, ისინი და იუდაელნი ერთად ივლიან მოთქმით და ძებნას დაუწყებენ უფალს, თავიანთ ღმერთს.

⁵სიონის გზას იკითხავენ, აქეთ მოაქცევენ პირს და იტყვიან: მოდით და შევეკრათ უფალს, საუკუნო კავშირით, რომელიც არ იქნება დავიწყებული.

⁶გზააბნეულ ფარას ჰგავს ჩემი ერი, მათმა მწყემსებმა აუბნიეს გზა, მთებზე ახეტიალებენ; მთიდან ბორცვებზე გადადიან, დაივიწყეს თავისი ბინა.

⁷ყველას ლუკმა იყვნენ, ვისაცკი გადაეყრებოდნენ. მათი მტრები ამბობდნენ: ბრალი არა გვაქვს, რადგან მათ შესცოდეს უფალს, უფალს – სიმართლის სავანეს, და უფალს – მათი მამების იმედს.

⁸დაიძარით ბაბილონიდან და ქალდეველთა ქვეყნიდან გამოდით; და იქნებით, როგორც ფარის წინამძღოლი ვაცები,

⁹რადგან, აჰა, მე გამოვალვიძებ და აღვძრავ ბაბილონზე დიდი ხალხების ურდოებს ჩრდილოეთის ქვეყნიდან, დაჯარდებიან ისინი მის წინააღმდეგ და ტყვედ ჩაიგდებენ; მათი ისრები ხელოვანი მეომრის ისრებია და ფუჭად არ ბრუნდებიან უკან.

¹⁰ქალდეველთა ქვეყანა მათი ნადავლი გახდება და გაძლება ყველა მისი მძარცველი, – ამბობს უფალი.

¹¹რადგან გიხაროდათ და ილხენდით, ჩემი სამკვიდრებლის ყაჩაღებო; რადგან გასუქდით, როგორც დეკეული მწვანეზე, და ბედაურებივით ჭიხვინებდით.

¹²შერცხვენილი დარჩება დედათქვენი, გაწითლდება თქვენი მშობელი; აჰა, ხალხების მომავალი – უდაბნო, ურწყული და ტრამალი.



- ¹³უფლის რისხვის გამო აღარ დასახლდება და მთლიანად უდაბნოდ იქცევა. ბაბილონზე გამვლელი ყოველი კაცი გაოცდება და დაუსტვენს მისი წყლულების შემხედვარე.
- ¹⁴გარსშემოეწყვეთ ბაბილონს, ყველა მშვილდის მომჭიმელნო, დაუშინეთ ისრები, ნუ დაინანებთ, რადგან შესცოდა მან უფალს.
- ¹⁵დასჭექეთ მის ირგვლივ! ხელები ჩამოსწყდა მას, დაიქცა მისი ბურჯები, დაირღვა მისი ზღუდე, რადგან უფლის შურისგებაა ეს; შური იძიეთ მასზე, როგორც იქცეოდა, ისე მოექცეით მას!
- ¹⁶მხვნელ-მთესველი მოსპეთ ბაბილონში და ნამგლის ამღები მკათათვეში. ყველამ თავის ერს მიაშუროს და ყველა თავის ქვეყანაში გაიქცეს ბასრი მახვილის შიშით.
- ¹⁷გაფანტული ცხვარია ისრაელი; ლომებმა დააფრთხეს ის. ჯერ აშურის მეფე ჭამდა მას, ბოლოს ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა დაუმტვრია ძვლები.
- ¹⁸ამიტომ ასე თქვა ცაბაოთ უფალმა, ისრაელის ღმერთმა: მე დავსჯი ბაბილონის მეფეს და მის ქვეყანას, როგორც დავსაჯე მეფე აშურისა.
- ¹⁹კვლავ დავაბრუნებ მე ისრაელს თავის სამოვრებზე და იბალახებს ქარმელზე და ბაშანზე, და ეფრემისა და გალაადის მთებზე გაძლება მისი სული.
- ²⁰იმ დღეებში და იმ დროს, – ამბობს უფალი, – ძებნას დაუწყებენ ისრაელის ურჯულოებას და აღარ იქნება იგი, და იუდეის ცოდვებს და ვერ იპოვნიან, რადგან მივუტევებ მათ, ვისაც ცოცხლად დავტოვებ.
- ²¹მერათაიმის ქვეყანას დაეცი და ფეკოდის მცხოვრებთ და ააოხრე და გაანადგურე ყველაფერი მათ შემდეგ, – ამბობს უფალი, – და გააკეთე ყოველივე ისე, როგორც მე გიბრძანე.
- ²²ბრძოლის კიჟინაა ქვეყანაში და დიდია ნგრევა.
- ²³როგორ გადატყდა და დაიმსხვრა ურო მთელი ქვეყნისა! როგორ იქცა ბაბილონი ხალხთა შიშის დამცემი!
- ²⁴მახე დაგიგე და შეპყრობილი ხარ, ბაბილონო, შენ კი ვერც მიხვდი. მოგძებნეს და შეგიპყრეს კიდეც, რადგან უფალს აუჯანყდი.
- ²⁵გახსნა უფალმა თავისი საცავი და გამოიტანა თავისი რისხვის საჭურველი, რადგან უფალს, ცაბაოთ ღმერთს ანგარიში აქვს ქალდეველთა ქვეყანასთან.
- ²⁶შედიოთ იქ ქვეყნის ყოველი კიდიდან, გახსენით მისი ბედლები, გალენით იგი ბზესავით და მოსრეთ სრულიად, რათა აღარ დარჩეს მისი ნატამალი.



²⁷მახვილს მიეცით მისი ხარები, ჩარეკეთ სასაკლაოზე! ვაი მათ, რადგან დადგა მათი დღე, ჟამი მათი განკითხვისა.

²⁸გაქცეულთა და ლტოლვილთა ხმაა ბაბილონის ქვეყნიდან, რათა სიონზე გამოაცხადონ უფლის, ჩვენი ღმერთის შურისგება მისი ტაძრის სანაცვლოდ.

²⁹მოუხმეთ ბაბილონის წინააღმდეგ მოისართ, ყველა მშვილდის მომჭიმელმა დაიბანაკოს მის ირგვლივ, რათა არ იყოს მისი ხსნა, მისი საქმისამებრ მიუზღეთ მას; როგორც იქცეოდა, ისე მოექცეით, რადგან გაუმედიდურდა უფალს, ისრაელის წმიდას.

³⁰ამიტომ მისი ჭაბუკნი მის მოედნებზე დაეცემიან და ყველა მისი მეზრძოლი დაილუპება იმ დღეს, – ამბობს უფალი.

³¹აჰა, მოვდივარ შენზე, გულზვიადო, – ამბობს უფალი, ცაბაოთ ღმერთი, – რადგან დადგა შენი დღე, ჟამი შენი განკითხვისა!

³²და წაიბორძიკებს გამედიდურებული და დაეცემა; არავინ იქნება მისი ამყენებელი; ცეცხლს მივცემ მის ქალაქებს და ის შეჭამს მის დაბა-სოფლებს.

³³ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: ემძლავრებიან ისრაელიანთ და იუდეის მეთ; მოძალადეებს მაგრად უჭირავთ ისინი და არ უნდათ მათი გაშვება.

³⁴მაგრამ ძლიერია მათი გამომხსნელი, უფალი ცაბაოთია მისი სახელი, ის განიკითხავს მათ საქმეს, რათა შვებით ამოასუნთქოს ქვეყანას და ძრწოლა მოჰგვაროს ბაბილონის მკვიდრთ.

³⁵მახვილი ქალდეელებს, – ამბობს უფალი, – და ბაბილონის მცხოვრებთ, მის მთავრებს და მის ბრძენთ!

³⁶მახვილი მისნებს და შეიშლებიან ისინი; მახვილი მის მამაცებს და დაფრთხებიან ისინი;

³⁷მახვილი მის ცხენებს და მის ეტლებს და ყველა მის უცხოტომელს, რომლებიც იქ მწირობენ, და დადედლდებიან ისინი; მახვილი მის საგანძურებს და გაიძარცვებიან ისინი;

³⁸გვალვა მის წყლებს და დაშრებიან, რადგან კერპთა ქვეყანაა ის და შეიშლებიან ისინი კერპებისაგან!

³⁹ამიტომ დაიბუდებს იქ ველის ნადირი აფთრებთან ერთად, და დაიბუდებს იქ სირაქლელმა. და აღარ დასახლდება ის აღარასოდეს და იქნება უკაცური თაობიდან თაობამდე.

⁴⁰როგორც ღვთისგან დაქცეული სოდომი და გომორაა და მათი ახლო ქალაქები, – ამბობს უფალი, – ასევე იქაც კაციშვილი არ იცხოვრებს და ადამის ძე არ დასახლდება მასში.



⁴¹აჰა, ხალხი მოდის ჩრდილოეთიდან, დიდი ხალხი, და მრავალი მეფეები აღდგებიან ქვეყნის კიდეებიდან.

⁴²მშვილდი და ლახვარი უჭირავთ ხელთ; სასტიკნი არიან და უწყალონი, მათი ხმა ზღვასავით გრგვინავს და ცხენებზე ამხედრებულან; როგორც ერთი, მზად არიან შენთან საომრად, ბაბილონის ასულო!

⁴³მოესმა ბაბილონის მეფეს მათი ამბავი და ხელები დაუძაბუნდა, ტკივილმა შეიპყრო, კრუნჩხვებმა დაუარეს მშობიარე ქალივით.

⁴⁴ლომევით წამოვიდა იგი იორდანეს შამხნარებიდან სამოვრებისაკენ; მე წამში გავაქცევ მათ იქიდან და ჩემს რჩეულს დავადგენ მასზე; რადგან ვინ არის ჩემი მსგავსი და ვინ დამიწესებს ჟამს? და რომელი მწყემსი დამიდგება წინ?

⁴⁵ამიტომ ისმინეთ უფლის განაჩენი, რაც ბაბილონს განუჩინა და მისი ზრახვები, რაც ქალდეველთა ქვეყნის წინააღმდეგ განიზრახა. ნახეთ, თუ არ დაიტაცონ კრავები ფარებიდან, თუ მათთან ერთად არ გააჩანაგოს მათი ფარეხები!

⁴⁶და შეზანზარდება დედამიწა, როცა ხმა გაისმება: ბაბილონი დაეცაო და კივილის ხმა გავარდება ხალხებში.

იერემია 51

¹ასე ამბობს უფალი: აჰა, მე აღვძრავ ბაბილონსა და ქალდეაში მცხოვრებ ჩემს მტრებზე გამანადგურებელ ქარბორბალას.

²უცხოტომელებს მივუსევ ბაბილონს და გაანიავებენ მას, და გააპარტახებენ მის მიწას, რადგან ყოველი მხრიდან შეესევია მისი უბედურების ჟამს.

³ნუ მოზიდავს მომზიდველი მშვილდს და ნუ გადიდგულდება თავის ჯავშანში; ნუ დაინდობთ მის ჭაბუკებს, გაანადგურეთ მთელი მისი ლაშქარი!

⁴და დაეცემიან დახოცილნი ქალდეველთა ქვეყანაში და განგმირულნი მის ქუჩებში,

⁵რადგან არ დაქვრივებულა ისრაელი და იუდეა მათი ღმერთის, ცაბაოთ უფლის მიერ, თუმცა კი მათი ქვეყანა დანაშაულითაა სავსე ისრაელის წმიდის წინაშე.

⁶გაიქეცით ბაბილონიდან და ყველამ თავისი თავი გადაარჩინოს; ნუ დაილუპებით მისი ურჯულოების გამო, რადგან შურისგების ჟამია უფლისათვის, მისაგებელს მიაგებს მას.



⁷ოქროს თასი იყო ბაბილონი უფლის ხელში, დამატრობელი მთელი ქვეყნისა; იმით სვამდნენ ხალხები ღვინოს და უგუნურებდნენ.

⁸უცებ დაეცა ბაბილონი და შეიმუსრა. ჰგოდებდეთ მასზე, ბალზამი დაადეთ მის ჭრილობებს, იქნებ განიკურნოს.

⁹ვმკურნალობდით ბაბილონს და ვერ განიკურნა; დავტოვოთ იგი და წავიდეთ ჩვენ-ჩვენს ქვეყნებში, რადგან ცას მისწვდა მისი სასჯელი და ღრუბლებამდე აიწია.

¹⁰უფალმა გამოიტანა სინათლეზე ჩვენი სიმართლე, წავიდეთ და მოვუთხოვოთ სიონზე საქმე უფლისა, ჩვენი ღმერთისა.

¹¹აღესეთ ისრები, გაივსეთ კაპარჭები! აღძრა უფალმა მიდიელ მეფეთა სული, რადგან ბაბილონის განადგურება განიზრახა, რადგან უფლის შურისგებაა ეს, შურისგება მისი ტაძრის გამო.

¹²ბაბილონის გალავნის წინააღმდეგ აღმართეთ ბაირადი, გაამაგრეთ დაცვა, დააყენეთ გუშაგნი, მოაწყვეთ საფრები, რადგან განიზრახა უფალმა და კიდევ შეასრულებს, რაც თქვა ბაბილონის მცხოვრებლებზე.

¹³დიდ წყლებზე დასახლებულო, მრავალ საგანძურთა მფლობელო, მოვიდა შენი აღსასრული, შენი სიხარბისამებრ.

¹⁴დაიფიცა ცაბოთ უფალმა: როგორც კალიებით, ისე გაგავსებ ადამიანებით, და საომარ ყიჟინას დაგცემენ.

¹⁵მან შექმნა ქვეყანა თავისი ძალით, სამყარო განამტკიცა თავისი სიბრძნით და თავისი გონებით ცა გარდაართხა.

¹⁶მის ხმაზე წყლები ხმაურობენ ცაში; და ღრუბლებს მოელალება ქვეყნის კიდეებიდან; საწვიმრად აჩენს ელვას და ქარი გამოაქვს თავისი საგანძურებიდან.

¹⁷უვიცობისგან გაბრიყვდა ადამიანი, შერცხვენილია ოქრომჭედელი თავისი კერპით, რადგან ფუჭია მისი ქანდაკი, სული არ უდგას.

¹⁸არარაობანი არიან ისინი, ენით ასაგდები, მათი განკითხვის ჟამს გაქრებიან ისინი.

¹⁹მათი მსგავსი არაა იაკობის წილხვედრი, რადგან მისი ღმერთი ყოველივეს შემოქმედია, და მათ შორის თავისი სამკვიდრებელი ტომისაც – ცაბოთ უფალია მისი სახელი.

²⁰შენ ჩემი ურო ხარ – საბრძოლო იარაღი, შენით ვაცამტვერებდი ხალხებს და ვსპობდი სამეფოებს,



²¹შენით ვაცამტვერებდი ცხენებსა და მათ მხედრებს, ეტლებსა და ეტლოსნებს;

²²შენით ვაცამტვერებდი კაცსა და ქალს, მოხუცსა და ყმაწვილს, ჭაბუკსა და ქალწულს;

²³შენით ვაცამტვერებდი მწყემსსა და მის ფარას, მხვნელ-მთესველსა და მის ხარ-კამეხს, მთავრებსა და განმგებლებს.

²⁴და თქვენს თვალწინ მივუზღავ ბაბილონსა და ყოველ ქალდეველს იმ ბოროტებათა გამო, რაც ჩაიდინეს სიონის მიმართ! – ამბობს უფალი.

²⁵აჰა, შენს წინააღმდეგ ვარ, დამლუპველო მთაო, – ამბობს უფალი, – გამანადგურებლო მთელი ქვეყნისა; ხელს მოგიღერებ და კლდეზე გადმოგანგრევ და გადაბუგულ მთად გაგხდი.

²⁶და ქვასაც ვერ აიღებენ შენი ნანგრევებიდან ქვაკუთხედისა და სამირკვლისათვის, რადგან საუკუნოდ გაუდაბურდები, – ამბობს უფალი.

²⁷ბაირალი აღმართეთ ქვეყანაში, დაეცით ნალარა, დარაზმეთ ხალხები მის წინააღმდეგ, მოუხმეთ მის წინააღმდეგ არარატის, მინისა და აშქენაზის სამეფოებს, დასვით მის წინააღმდეგ სპასპეტი, მიუშვით აქაფებული ცხენები – ურიცხვი, როგორც კალია.

²⁸გზა დაულოცეთ ხალხებს მის წინააღმდეგ, მიდიის მეფეებს და მის მთავრებს, და ყველა მის განმგებელს და მთელ მის სახელმწიფოს.

²⁹ირყევა მიწა და ტკივილით იხლართება, რადგან ბაბილონს უსრულდება უფლის მუქარა – უკაცრიელ უდაბნოდ აქციოს ბაბილონის ქვეყანა, სადაც კაცისშვილი არ გაიჭაჭანებს.

³⁰ბაბილონის მეომრებმა შეწყვიტეს ბრძოლა, ჩასხდნენ ციხესიმაგრეებში, დადნა მათი ძალა, ქალებს დაემსგავსნენ; გადაწვეს მათი სავანეები, დაილეწა მათი ურდულები.

³¹მალემსრბოლი მალემსრბოლზეა და მაცნე – მაცნეზე, რათა აუწყონ ბაბილონის მეფეს, რომ დაპყრობილია მისი ქალაქი ყოველი მხრიდან;

³²რომ წყალზე ფონები დაკავებულია, ჩახერგილები ცეცხლით გადაწვეს, და შემდრკალნი გარბიან.

³³რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: ბაბილონის ასული არის გასალეწად გამზადებული კალო, ცოტაც და მოაწევს მისი გალეწვის ჟამი.



³⁴შემჰამა მე, დამდეჰა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა, ცარიელ ჭურჭლად მაქცია, როგორც გველშაჰმა, გაივსო სტომაქი ჩემი ნუგბარით და ამომანთხია.

³⁵ჩემი სიაბუჩე და ჩემი ხორცის თრევა ბაბილონზეა, – ამბობს სიონის ასული+, და ჩემი სისხლი ქალდის მცხოვრებთა საზღაურია, – ამბობს იერუსალიმი.

³⁶ამიტომ ასე ამბობს უფალი: აჰა, მე განვსჯი შენს მომრევს და შურს ვიძიებ შენს გამო; ამოვუშრობ ზღვასა და დავუშრეტ წყლებს.

³⁷და იქცევა ბაბილონი ნანგრევების გორებად, ტურების ბუნაგად, საშინელებად, ასაგდებად და უკაცურად.

³⁸ლომებივით ერთად აბრდღვინდებიან ისინი და ლომის ბოკვერებივით აღრიალდებიან.

³⁹მადა აღძრულებს ნადიმს გავუმართავ და დავათრობ, რომ გახალისდნენ და დაიძინონ საუკუნო ძილით და აღარ გამოიღვიძონ, – ამბობს უფალი.

⁴⁰კრავებივით ჩამოვრეკავ მათ დასაკლავად, როგორც ვერძებსა და ვაცებს.

⁴¹როგორ დაეცა შეშაქი, და როგორ დაიპყრეს ქვეყნიერების სიამაყე! როგორ გახდა ბაბილონი ხალხთა შესაზარად!

⁴²ზღვამ აიწია ბაბილონზე, მისმა ბოზოქარმა ზვირთებმა შთანთქეს იგი.

⁴³გაუკაცურდა მისი ქალაქები, ურწყულ და ტრამალ მიწებად იქცა, სადაც კაციშვილი აღარ დასახლდება და ადამის ძე არ გაივლის.

⁴⁴და მე მივაკითხავ ბელს ბაბილონში და პირიდან ამოვანთხევინებ, რაც გადაყლაპა. და აღარ ივლიან მისკენ ხალხები, ბაბილონის გალავანიც ჩამოიქცევა.

⁴⁵გამოდი მისი წიაღიდან, ჩემო ერო, და იხსენით თითოეულმა თავისი სული უფლის გაცეცხლებული რისხვისაგან.

⁴⁶ნუ შეგიდრკებათ გული, ნუ წაგახდენთ ამბის გაგონება, ქვეყანაზე რომ ისმის; და მოვა ის ამბავი ერთ წელს, და მას შემდეგ სხვა ამბავიც მოვა მომდევნო წელს; და იქნება ძალადობა ქვეყანაზე, და აღდგება ხელმწიფე ხელმწიფის წინააღმდეგ.

⁴⁷ამიტომ აჰა, მოდის დღეები, როდესაც დავსჯი ბაბილონის კერპებს, და მთელი მისი ქვეყანა შერცხვება და ყველა მისი დაცემულნი მის მიწაზე ეყრებიან.

⁴⁸და იზეიმებენ ბაბილონზე ცა და ქვეყანა და ყოველივე, რაც მათშია, რადგან ჩრდილოეთიდან დაესხმიან მძარცველნი, – ამბობს უფალი.



⁴⁹როგორც ბაბილონმა დახოცა ისრაელიანები და დასცა, ბაბილონშიც დაეცემიან მათი დახოცილნი.

⁵⁰მახვილს თავდაღწეულნო, წადით, ნუ შეჩერდებით! შორიდან გაიხსენეთ უფალი, და იერუსალიმი მოიგონეთ თქვენს გულში.

⁵¹გვრცხვენოდა, როცა ჩვენს გინებას ვისმენდით; გინებამ დაფარა ჩვენი სახე, როცა უცხოთესლი მოადგა უფლის ტაძრის სიწმიდეებს.

⁵²ამიტომ მოდის დღეები, – ამბობს უფალი, – და მე შურს ვიძიებ მის კერპებზე და მთელ მის ქვეყანაში იკვნესებენ სასიკვდილოდ დაჭრილნი.

⁵³კიდევაც რომ აღზევდეს ბაბილონი ცამდე და კიდევაც რომ გაამაგროს ზეცაში თავისი ძლიერება, მიუვლენ მას მაოხარნი ჩემგან, – ამბობს უფალი.

⁵⁴გოდების ხმა ისმის ბაბილონიდან და დიდი დაქცევისა ქალდეველთა ქვეყნიდან.

⁵⁵რადგან უფალი მოარბევს ბაბილონს და ჩააწყვეტინებს გაამპარტავნებულ ხმას; და ახმაურდებიან მისი ტალღები დიდი წყლებივით და გაისმება მათი გრიალის ხმა.

⁵⁶რადგან დაესხმის მას, ბაბილონს, მაოხარი და შეიპყრობიან მისი მამაცნი, დაილეწება მათი მშვილდები, რადგან ღმერთი, შურისგების უფალი, მიუზღავს მათ.

⁵⁷დავათრობ მის მთავრებსა და მის ბრძენთ, მის განმგებლებს და მის ნაცვლებს, და მის მებრძოლებს და დაიძინებენ საუკუნო ძილით და აღარ გაიღვიძებენ, – ამბობს მეფე, ცაბაოთ უფალია მისი სახელი.

⁵⁸ასე თქვა ცაბაოთ უფალმა: ბაბილონის განიერი გალავნები საძირკვლამდე დაინგრევა და მისი მაღალი კარიბჭენი ცეცხლში დაიწვება; ამაოდ უშრომიათ ხალხებს და მხოლოდ ცეცხლისათვის დამაშვრალან ერები.

⁵⁹სიტყვა, რომელიც იერემია წინასწარმეტყველმა უანდერძა სერაიას ნერიას ძეს, მახსეიას ძეს, როდესაც ის იუდეის მეფე ცედეკიასთან ერთად წავიდა ბაბილონში, მისი მეფობის მეოთხე წელს (სერაია მესაწოლეთუხუცესი იყო).

⁶⁰და ჩაწერა იერემიამ ერთ წიგნში ყველა ის უბედურება, რაც ბაბილონს უნდა დასტყდომოდა თავს, ბაბილონზე დაწერილი ყველა ის სიტყვა.

⁶¹და უთხრა იერემიამ სერაიას: როდესაც ბაბილონში მიხვალ, მაშინ ნახავ და წაიკითხავ ყველა ამ სიტყვას.

⁶²და თქვი: უფალო, შენ წარმოთქვი ამ ადგილას, რომ ისე გაანადგურებ მას, რომ ვერავინ იცხოვრებს მასში კაციდან პირუტყვამდე, რადგან საუკუნო უდაბნოდ იქცევა იგი.



⁶³და როდესაც შენ დაასრულებ ამ წიგნის კითხვას, შეაბი მას ქვა და ჩააგდე შუაგულ ევფრატში.

⁶⁴და თქვი: ასე ჩაიძირება ბაბილონი და აღარ წამოდგება იმ უბედურების გამო, რომელსაც მე მოვაწევ მას, და ქანცი გაუწყდებათ! აქ წყდება იერემიას სიტყვები.

იერემია 52

¹²¹ წლისა იყო ცედეკია მისი გამეფებისას და თერთმეტ წელს იმეფა იერუსალიმში. დედამისი, სახელად ხამუტალი, იერემიას ასული, ლიბნადან იყო.

²ბოროტს აკეთებდა უფლის თვალში, როგორც იეჰოიაკიმი სჩადიოდა,

³ამიტომაც უფლის გულისწყრომა იყო იერუსალიმსა და იუდეაზე, ვიდრე თვალიდან არ მოიცილა მან ისინი, და განუდგა ცედეკია ბაბილონის მეფეს.

⁴მისი მეფობის მეცხრე წლის მეათე თვის მეათე დღეს იერუსალიმს ბაბილონის მეფე, ნაბუქოდონოსორი, მოადგა მთელი თავისი ლაშქრით, ალყაში მოიქცია ქალაქი და ირგვლივ მიწაყრილი აღმართა.

⁵და იყო ქალაქი ალყაშემორტყმული მეფე ცედეკიას მეფობის მეთერთმეტე წლამდე.

⁶მეოთხე თვის მეცხრე დღეს გაძლიერდა შიმშილი ქალაქში და პური აღარ ჰქონდა ხალხს.

⁷და გატყდა ქალაქი და ყველა მეციხოვნე გაიქცა, და ღამით გავიდა ქალაქიდან ორ გაღავანს შორის მოქცეულ კარიბჭის გზით, რომელიც მეფის ბაღთან იყო, და დაადგნენ ყარაბას გზას. ქალდეველნი კი ქალაქის ირგვლივ იყვნენ დაბანაკებულნი.

⁸და დაედევნა ქალდეველთა ლაშქარი მეფეს და დაეწია ცედეკიას იერიხოს გაღმა უდაბნოში, და მთელი მისი მსახურნი შემოეფანტნენ მას.

⁹და შეიპყრეს მეფე და მიჰგვარეს ბაბილონის მეფეს რიბლაში, ხამათის ქვეყანაში, და მან განაჩენი გამოუტანა ცედეკიას.

¹⁰და დაკლა ბაბილონის მეფემ ცედეკიას ძენი მის თვალწინ და იუდეის ყველა მთავარიც დაკლა რიბლაში.

¹¹ცედეკიას კი თვალები დასთხარა და ბორკილები დაადო. და წაიყვანა იგი ბაბილონის მეფემ ბაბილონში და საპყრობილეში ჩასვა სიკვდილის დღემდე.



¹²მეხუთე თვის მეათე დღეს – ეს იყო მეცხრამეტე წელი ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის, მეფობისა, მოვიდა იერუსალიმში ნებუზარადანი, ქონდაქართუხუცესი, ბაბილონის მეფის წინაშე მდგომელი

¹³და დაწვა უფლის სახლი, მეფის სასახლე და იერუსალიმის ყველა სახლი; და ყველა დიდი სახლი ცეცხლში დაწვა.

¹⁴და დაანგრია ქალდეველთა ლაშქარმა, რომელიც ქონდაქართუხუცესს ახლდა, იერუსალიმის ირგვლივ მთელი გალავანი.

¹⁵და მდაბიო ხალხი და ქალაქში დარჩენილი ხალხის ნატამალი და შევრდომილნი, რომლებიც ბაბილონის მეფეს თავისით დანებდნენ, და ბრბოს ნატამალი გადაასახლა ნებუზარადანმა, ქონდაქართუხუცესმა.

¹⁶ქვეყნის მდაბიოთაგან ნაწილი მევენახეებად და მხვნელ-მთესველებად დატოვა ქონდაქართუხუცესმა ნებუზარადანმა.

¹⁷და ბრინჯაოს სვეტები, რომელიც უფლის ტაძარს ედგა, და კვარცხლბეკები და ბრინჯაოს ზღვა, რომელიც უფლის სახლში იყო, დაამტკრიეს ქალდეველებმა და მთელი ბრინჯაო ბაბილონში გაზიდეს.

¹⁸და ქვაბები და აქანდაზები, დანები და თასები, კოვზები და ბრინჯაოს მთელი ჭურჭელი, რაც ღვთისმსახურებისას იხმარებოდა, თან წაიღეს.

¹⁹თევზები, მაშები, სასხურებლები, ქვაბები, ლამპრები, სასაკმევლები, საწდეები, რაც ოქროსი და ვერცხლისა იყო, წაიღო ქონდაქართუხუცესმა.

²⁰ასევე წაიღო ორი სვეტი, ერთი ზღვა და ბრინჯაოს 12 ხარი, რომლებიც კვარცხლბეკის ქვეშ იდგნენ, სოლომონ მეფემ რომ გააკეთებინა უფლის ტაძრისათვის. მთელ ამ ბრინჯაოს ჭურჭელს წონა არ ჰქონდა.

²¹სვეტების სიმაღლე 18 წყრთა იყო და 12 წყრთის სიგრძე ლარი ევლებოდა გარშემო; კედელს სისქე ოთხი თითის დადება ჰქონდა და ღრუ იყო.

²²და მისი გვირგვინი ბრინჯაოსი იყო, გვირგვინის სიმაღლე ხუთი წყრთა იყო; და ბადე და ბროწეულები გვირგვინის ირგვლივ მთლიანად ბრინჯაოსი იყო; და ასეთივე იყო მეორე სვეტი და ბროწეულები.

²³და 96 ბროწეული იყო გარედან, და ბროწეული ბადეზე ირგვლივ სულ 100 იყო.

²⁴და წაიყვანა ქონდაქართუხუცესმა ტყვეებად სერაია, მთავარი მღვდელი, და ცეფანია, მეორე მღვდელი და ზღურბლის სამი მცველი.

²⁵ქალაქიდან აიყვანა ერთი საჭურისი, რომელიც მებრძოლთა ზედამხედველი იყო, და მეფის წინაშე წარჩინებული შვიდი კაცი,



რომლებიც ქალაქში იმყოფებოდნენ, და მხედართმთავრის მწიგნობარი, ქვეყნის ხალხის აღმწერელი, და 60 კაცი ქალაქში მყოფი ქვეყნის ხალხიდან.

²⁶და წაიყვანა ისინი ნებუზარადანმა, ქონდაქართუხუცესმა, და მიიყვანა ბაბილონის მეფესთან რიბლაში.

²⁷და სცემა მათ ბაბილონის მეფემ და დახოცა ისინი რიბლაში, ხამათის ქვეყანაში. და გადაასახლა მან იუდეა თავისი მიწა-წყლიდან.

²⁸ეს არის ხალხის რაოდენობა, რომელიც ნაბუქოდონოსორმა გადაასახლა: მეშვიდე წელს 3023 იუდაელი;

²⁹თავისი მეფობის მეთვრამეტე წელს 832 სული იერუსალიმიდან.

³⁰და ოცდამესამე წელს ნებუზარადანმა, ქონდაქართუხუცესმა, გადაასახლა 745 სული იუდაელი: მთლიანად 4600 სული.

³¹იუდეის მეფის, იეჰოიაქინის გადასახლების ოცდამეჩვიდმეტე წლის მეთორმეტე თვის მეხუთე დღეს ევილ-მეროდაქმა, ბაბილონის მეფემ, თავისი მეფობისას განადიდა იეჰოიაქინი, იუდეის მეფე, და გამოიყვანა იგი საპყრობილიდან.

³²კეთილად ელაპარაკა მას და ტახტი დაუდგა იმ მეფეთა ტახტზე მაღლა, რომლებიც მასთან იყვნენ ბაბილონში.

³³გამოიცვალა იოაქინმა ტუსადის სამოსი და პურს მუდამ მეფის სუფრაზე ჭამდა, მთელი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე.

³⁴და ეძლეოდა მას თავისი მუდმივი ულუფა ბაბილონის მეფისაგან ყოველდღე მისი სიკვდილის დღემდე, მთელი სიცოცხლის მანძილზე.



გოდება იერემიასი

გოდება 1

¹როგორ დაცლილა ერთდროს ხალხმრავალი ქალაქი! ზის როგორც ქვრივი ქალი, ოდესღაც ხალხთა მთავარი და ქვეყნების დედოფალი რომ იყო, დღეს სხვას უნდა ემსახუროს.

²მწარედ ქვითინებს ის ღამით, და ცრემლი უსველებს ღაწვებს. ნუგეშისმცემელი აღარ ჰყავს, ყველა მეგობარმა, ყველა მოყვასმა უღალატა, ყველა მტრად გაუხდა.

³გადაიხვეწა იუდეა ჩაგვრისა და ურვისა და მძიმე მონობის გამო, დასახლდა წარმართთა შორის, ვერ ჰპოვა მოსვენება, ვიწროებში წამოეწივნენ მღევრები.

⁴დაცარიელდა სიონის გზები, აღარ ჩანან ზეიმზე მომავალნი. დაყრუვდა მისი კარიბჭენი; ოხრავენ მისი მღვდლები, დასევდიანდნენ მისი ქალწულნი და თავადაც გამწარებულია.

⁵მისი მეტოქენი თავში მოექცნენ, მისი მტრები ზეიმობენ, რადგან უფალმა დასაჯა იგი მისი უღმრთოების გამო, მის ბავშვებს ტყვეებად მიერეკებიან მტრები.

⁶დაკარგა სიონის ასულმა მშვენიერება; მისი მთავარნი იმ ირმებს ჰგვანან, სამოვარი რომ ვერ უპოვიათ და ღონემიხდილნი მარბიელს წინ გაურბიან.

⁷გაიხსენა იერუსალიმმა მისი სიგლახაკისა და დევნილობის დღეებში თავისი განძი, ძველთაგან რომ ჰქონდა; გაიხსენა რომ დაეცა მისი ერი მტრის ხელით და არა ჰყავს მშველელი; მისი მტრები შეჰყურებენ და დასცინიან მის შაბათებს.

⁸მძიმედ შესცოდა იერუსალიმმა, ამიტომაც გახდა შესაზარი. და ყველამ, ვინც პატივს სცემდა უწინ, შეიძულა იგი, რადგან იხილეს მისი სიშიშველე. თავად კი ოხრავს და სირცხვილით პირს არიდებს მათ.

⁹კალთაწაბილწულმა არ იფიქრა, რა ბოლო ექნებოდა და საარაკოდ დაეცა; არა ჰყავს ნუგეშისმცემელი. მოხედე, უფალო, ჩემს გასაჭირს, რადგან მუმბერაზობს მტერი ჩემზე.

¹⁰მტერმა ხელი მიჰყო მის ყველა საგანძურს, რადგან დაინახა, რომ მის საწმიდარში შევიდნენ წარმართნი, რომელთაც შენ აუკრძალე შენს კრებულში შესვლა.



¹¹მთელი მისი ერი ოხრავს პურის ძებნაში; ლუკმაპურში აძლევენ თვალმარგალიტს, სული რომ მოითქვან! მოიხილე, უფალო, და იხილე, როგორ დავმცირდი!

¹²თქვენ გაშორეთ ამგვარი რამ, გზად ჩამვლელნო! შეხედეთ და ნახეთ, თუ არის საღმობა მსგავსი საღმობისა, რომელიც მე მეწია, რომლითაც დამამწუხრა მე უფალმა თავისი მძვინვარე რისხვის დღეს?

¹³მაღლიდან გაუჩინა ცეცხლი ჩემს ძვლებს და სძლია მათ. მახე დამიგო ფეხებში, დამცა, დამაგდო ოხრად და სამუდამოდ სწეულად.

¹⁴მძიმეა უღელი ჩემი ცოდვებისა; მისი ხელით დაიწნა ის. ქედზე მაწვება, ძალა წამართვა; უფალმა მათ მიმცა ხელთ, ვისაც ველარ წამოვუდექი.

¹⁵მოსპო უფალმა ყოველი ჩემი ძლიერი, რაც კი გამაჩნდა; მოუხმო ჩემს წინააღმდეგ კრებულს, რათა შემეუსრონ ჩემი მოყმენი; როგორც საწნახელში ყურძენი, ისე დაწურა უფალმა ქალწული, იუდეის ასული.

¹⁶ამაზე ვტირი მე ასე, და ცრემლად ვიღვრები, რადგან შორსაა ჩემგან ნუგეშისმცემელი, ჩემი სულის მომაბრუნებელი. მიტოვებულნი არიან პენი ჩემნი, რადგან მტერმა გვძლია.

¹⁷სიონი ხელებს იწვდის, მაგრამ არავინაა ნუგეშისმცემელი; უფალმა ბრძანა, გარშემოდგომოდნენ მას იაკობის მტრები; სიბილწედ შეირაცხა იერუსალიმი მათ თვალში.

¹⁸მართალია უფალი, რადგან არ დავმორჩილდი მის სიტყვას. ისმინეთ, ყველა ხალხებო, და იხილეთ ჩემი სატკივარი: ქალწულნი ჩემნი და ჭაბუკნი ჩემნი ტყვეობაში წავიდნენ.

¹⁹ვუხმობდი ჩემს მახლობელთ, ხოლო მათ მომატყუეს მე; ჩემი მღვდლები და ჩემი უზუცესნი ქალაქში იხოცებიან, რადგან ლუკმა პურს დაეძებენ სულის მოსაბრუნებლად.

²⁰მომხედე, უფალო, რადგან მიჭირს მე, ნაწლავები მეწვის, გული გადამიბრუნდა მკერდში, რადგან ჯიუტად გეურჩებოდი; გარეთ უშვილო მქნა მახვილმა, და შინაც სიკვდილია.

²¹გაიგონეს მათ, რომ ვკვნესი მე და არავინა მყავს ნუგეშისმცემელი. ჩემმა მტრებმა გაიგეს ჩემი უბედურება და ხარობენ, რომ შენ გააკეთე ეს. ნეტავ მოაწევდე შენს დათქმულ დღეს, და ისინიც ჩემსავით გახდნენ.

²²ნეტავ მოაწევდეს მათი ბოროტება შენს წინაშე და მოექცეოდე მათ ისე, როგორც მე მომექცეი მთელი ჩემი ცოდვების გამო, რადგან გამრავლდა სულთქმანი ჩემნი და შემიღონდა გული.



გოდება 2

- ¹როგორ დააბნელა უფალმა რისხვით სიონის ასული! ზეციდან მიწაზე გადმოაგდო ისრაელის მშვენება და არ გახსენებია თავისი კვარცხლბეკი მისი მრისხანების დღეს.
- ²უწყალოდ მოსპო უფალმა იაკობის ყოველი მშვენიერება; გულისწყრომით დააქცია იუდას ასულის ციხესიმაგრენი, მიწასთან გაასწორა; შებღალა სამეფო და მისი მთავარნი.
- ³გულისწყრომის რისხვით მოამტვრია რქები ისრაელს; მტერს მოარიდა თავისი მარჯვენა და ცეცხლი ააგიზგიზა იაკობში, როგორც ხანძრის ალი, ირგვლივ ყველაფრის მომჭმელი.
- ⁴მშვილდი მოზიდა, როგორც მტერმა, აღმართა მარჯვენა, როგორც მომხდურმა, და მოსრა ყოველი თვალის საამური ჩემი; სიონის ასულის კარავზე გადმოანთხია თავისი გულისწყრომა, როგორც ცეცხლი.
- ⁵მტრად მექცა უფალი, დააქცია ისრაელი, მოსპო მისი პალატები, დაანგრია მისი ციხესიმაგრენი და გაამრავლა იუდეის ასულის კვნესა და ტირილი.
- ⁶დაანგრია მისი ბაღი და კარავი, დააქცია მისი სადღესასწაულო ადგილი; დაავიწყებინა უფალმა სიონში დღესასწაული და შაბათი, შეიძულა თავის მძვინვარე რისხვაში მეფე და მღვდელი.
- ⁷უარყო უფალმა თავისი სამსხვერპლო, მოიძულა თავისი საწმიდარი, მტერს ჩაუგდო ხელთ თავისი პალატების კედლები; ხმა გაიღეს მათ უფლის სახლში, როგორც დღესასწაულის დღეს.
- ⁸განიზრახა უფალმა სიონის ასულის გალავანთა დანგრევა, ლარი გაჭიმა, ხელი არ აუღია მის მოსპობაზე; და დასცა მიწაყრილი და გალავანი – ერთად შეიმუსრნენ ისინი.
- ⁹მიწაში ჩაეფლნენ მისი კარიბჭენი; მან შემუსრა მისი ურდულები; წარმართებში გადააზღვა მისი მეფე და მთავრები; აღარ არის რჯული და ველარც მისი წინასწარმეტყველნი ხედავენ ხილვებს უფლისაგან.
- ¹⁰მდუმარედ სხედან მიწაზე სიონის ასულის უბუცესნი, მტვერი და ნაცარი წაიყარეს თავზე, ძაძვები შემოირტყეს ტანზე; მიწამდე დაუხრიათ თავი იერუსალიმის ქალწულებს.
- ¹¹ცრემლით დამებინდა თვალები, შიგნეული მიშფოთავს, ნალველი მეწვის ჩემი ერის ასულის უბედურების გამო, როცა ვხედავ შიმშილით გულწასულ ბავშვებსა და ჩვილებს ქალაქის ქუჩებში.



¹²დედებს შესტირიან: სად არის პური და ღვინო? როდესაც გული მისდით ქალაქის ქუჩებში, როგორც მძიმედ დაჭრილებს და სული ამოსდით დედის კალთაზე.

¹³რა გიწოდო შენ, რას შეგადარო, იერუსალიმის ასულო? ვის მიგამსგავსო, რომ განუგეშო, ქალწულო, სიონის ასულო, რადგან ზღვასავით დიდია შენი წყლული? ვინ განგკურნოს შენ?

¹⁴შენი წინასწარმეტყველნი ცრუსა და სულელურ ხილვებს გაუწყებდნენ შენ და არ გიმხელდნენ შენს შეცოდებებს, რომ აგცდენოდა ტყვეობა; მხოლოდ ცრუსა და მაცთუნებელ ხილვებს გაუწყებდნენ, რომელთაც დევნულებისაკენ მიჰყავდი შენ.

¹⁵ტაშს შემოჰკრავს ყველა გზად გამვლელი, დაუსტვენს და თავს გააქნევს იერუსალიმის ასულზე: ნუთუ ეს არის ის ქალაქი, რომელზეც ამბობდნენ სრულქმნილი მშვენება არისო, მთელი ქვეყნის სიხარულიაო?

¹⁶დააღო შენზე პირი ყველა შენმა მტერმა, უსტვენენ და კბილებს ახრჭიალებენ, ამბობენ: გადავცლაპეთო ჩვენ იგი, ნამდვილად ეს ის დღეა, რომელსაც ველოდითო, ვიპოვეთ, ვიხილეთო!

¹⁷აღასრულა უფალმა, რაც განიზრახა, აახდინა თავისი ნათქვამი, რომელიც ბრძანა ძველთაგან; დაანგრია და არ შეიბრალა; გაახარა შენზე მტერი, აღამაღლა შენს მაჭირვებელთა რქა.

¹⁸მათი გული უფალს შეჰღალადებს: სიონის ასულის კედლებო, მდინარესავით ღვარეთ ცრემლი დღედაღამ; ნუ მისცემ შენს თავს მოსვენებას; ცრემლი ნუ შეგაშრება თვალებზე.

¹⁹ადექი, შეჰღალადე ღამის ყოველ გუშაგობაზე, წყალივით გადმოღვარე შენი გული უფლის წინაშე; მისკენ გაიწოდე ხელი შენს ჩვილთა სასიცოცხლოდ, შიმშილით რომ სულს ღაფავენ გზათაგასაყარებზე.

²⁰მოიხედე, უფალო, და მოიხილე, ვის მოქცევიხარ ასე? სად ყოფილა, რომ დედებს დაეჭამათ ნაყოფი თავისი მუცლისა – ძუძუთა ჩვილები? სად ყოფილა, რომ უფლის საწმიდარში მოეკლათ მღვდელი და წინასწარმეტყველი?

²¹ქუჩებში ყრიან ყმაწვილები და მოხუცები, ჩემი ქალწულნი და ჩემი ჭაბუკნი მახვილით დაეცნენ, შენი რისხვის დღეს დახოცე ისინი, შეუბრალებლად დაკალი.

²²როგორც დღესასწაულის დღეს, მოუხმე ყოველი მხრიდან ჩემს მაძიებელთ, და არ იყო უფლის რისხვის დღეს არც გაქცეული და არც



გადარჩენილი. ვისაც სათუთად ვანებივრებდი და ვზრდიდი, ჩემმა მტერმა მოუღო ბოლო.

გოდება 3

- ¹მე ვარ კაცი, მისი წყრომის კვერთხისაგან ჭირის მნახველი.
- ²ის წამიდღვა და მატარა ბნელში და არა ნათელში.
- ³მხოლოდ მე მიღერებს ხელს დღენიადაგ;
- ⁴გაღია ჩემი ხორცი და ტყავი, ძვლები დამიღეწა.
- ⁵შემომადგა და ტანჯვა-წამება შემომარტყა.
- ⁶ბნელში დამასახლა, როგორც საუკუნოდ მკვდარი.
- ⁷ზღუდე შემომავლო, რომ ვერ გამოვიდე, დაამძიმა ჩემი ბორკილები.
- ⁸კიდევაც რომ ვიღალადო და მოვუხმო მშველელს, ის ჩაახშობს ჩემს ვედრებას.
- ⁹თლილი ქვით გადამიღობა გზები, დამიხლართა ბილიკები.
- ¹⁰დათვივით მიმზერს საფარიდან, ლომივით ჩამისაფრდა.
- ¹¹გააუკუდმართა ჩემი გზები და დამფლითა, არარაობად მაქცია.
- ¹²მშვილდი მოჭიმა და ისრის სამიზნედ დამსვა.
- ¹³თირკმელებში გამიტარა გესლი თავისი კაპარჭისა.
- ¹⁴მთელი ჩემი ხალხის დასაცინი გავხდი, ყოველდღიური საშაირო,
- ¹⁵სიმწარით გამაძღო, ნაღვლით დამატრო.
- ¹⁶ქვით ჩამიფხვნა კბილები, ნაცარი მაჭამა.
- ¹⁷მშვიდობა გაშორდა ჩემს სულს, დამავიწყდა კეთილდღეობა.
- ¹⁸და ვთქვი: წახდა ჩემი ძალა და იმედი უფლისგან.
- ¹⁹გაიხსენე, უფალო, ჩემი უბედურება და ტანჯვა და სიმწარე.
- ²⁰კარგად ახსოვს ეს ჩემს სულს და მიღონდება სული.
- ²¹ამას ვპასუხობ ჩემს გულს, ამის გამო ვესავ მას:
- ²²უფლის მადლით არ გავქრით, რადგან მისი გულმოწყალება არ დასრულებულა.
- ²³განახლდებიან ისინი ყოველ დილით, დიდია შენი ერთგულება.



- ²⁴ჩემი ხვედრია უფალი, – ამბობს ჩემი სული, – ამიტომაც ვესავ მას.
- ²⁵კეთილია უფალი მისი მოსავისთვის, მისი მაძიებელი სულისათვის.
- ²⁶სიკეთე მას, ვინც მოთმინებით ელოდება უფლისგან ხსნას.
- ²⁷სიკეთე კაცს, რომელმაც ზიდა თავისი უღელი სიყმაწვილეში;
- ²⁸რომელიც განმარტობით ზის და დუმს, რადგან უფალმა დაადგა მას იგი.
- ²⁹მიწას ეხება ბაგეებით ამ ფიქრით: იქნებ კიდევ არისო იმედი.
- ³⁰ლოყა მიუშვიროს თავის მცემელს, გაძღეს საყვედურებით.
- ³¹რადგან არ მიატოვებს უფალი სამუდამოდ.
- ³²რადგან, თუ დაამწუხრებს, შეიბრალებს კიდევ თავისი დიდი მოწყალებით.
- ³³რადგან არა თავისი ნებით აყენებს ის ტანჯვას და ამწუხრებს ადამიანის ძეთ,
- ³⁴რომ გათელოს თავის ფეხქვეშ ქვეყნის ყველა პერობილი,
- ³⁵რომ გაამრუდოს კაცის სამართალი უზენაესის წინაშე,
- ³⁶რომ გააბათილოს ადამიანი მის საქმეში – არ ხედავს ამას უფალი?
- ³⁷ვინ არის, რომ თქვა და შესრულდა, განა უფალს არ უბრძანებია?
- ³⁸განა უზენაესის ბაგეებიდან არ გამოდის უბედურებაცა და სიკეთეც?
- ³⁹რატომ ჩივის ცოცხალი ადამიანი თავისი ცოდვების სასჯელის გამო?
- ⁴⁰მოვიძიოთ ჩვენი გზები და გამოვიძიოთ და მივუბრუნდეთ უფალს.
- ⁴¹ხელით ავწიოთ ჩვენი გულები ღმერთისაკენ ზეცაში.
- ⁴²ჩვენ შეგცოდეთ და გეურჩებოდით, შენ ეს არ გვაპატიე.
- ⁴³შენ შეიმოსე რისხვით და გვდევენ, გვხოცავდი და არ გვიბრალებდი.
- ⁴⁴შენ ქუფრ ღრუბლებში, გაეხვიე, რათა არ მოეღწია შენამდე ჩვენს ლოცვას.
- ⁴⁵ნაგვად და სისაძაგლედ გვაქციე ხალხებს შორის.
- ⁴⁶პირი დააღო ჩვენზე ყველა ჩვენმა მტერმა.
- ⁴⁷შიში და ორმო წილად გვხვდა, ნგრევა და შემუსვრა.
- ⁴⁸ნაკადულებად მდის ცრემლები ჩემი ერის ასულის დაღუპვის გამო.
- ⁴⁹თვალთაგან ცრემლი მდის უწყვეტ ნაკადად,
- ⁵⁰ვიდრე გადმოხედავდეს უფალი ზეციდან და დაინახავდეს.



- 51 სულს მიმწუხრებს ჩემი თვალი ჩემი ქალაქის ყველა ასულის გამო.
- 52 გაძლიერდნენ ჩემი მტრები, რათა უცოდველი ჩიტით მომინადირონ.
- 53 მღვიმეში ჩაკლეს ჩემი სიცოცხლე და ქვით ჩამქოლეს.
- 54 თავზე გადამიარეს წყლებმა და ვთქვი: დავიღუპე-მეთქი.
- 55 ქვესკნელიდან ვუხმობდი შენს სახელს, უფალო.
- 56 შენ გესმოდა ჩემი ხმა; ნუ დაიმძიმებ ყურებს ჩემი სულთქმის მოსასმენად, ჩემი ღალატების გასაგონად.
- 57 შენ მიახლოვდებოდი იმ დღეს, როდესაც მოგიხმობდი და მანუგეშებდი: ნუ გეშინისო.
- 58 შენ იცავდი, უფალო, ჩემი სულის საქმეს; შენ იხსენი ჩემი სიცოცხლე.
- 59 შენ ხედავ, უფალო, როგორ უსამართლოდ მექცევიან, განსაჯე ჩემი საქმე.
- 60 შენ ხედავ მთელ მათ შურისგებას, მათ ზრახვებს ჩემს მიმართ.
- 61 შენ გესმის, უფალო, როგორ მაგინებენ, რას განიზრახავენ ჩემს წინააღმდეგ.
- 62 რას ამბობენ ჩემს მომხდურთა ბაგენი, რა ხრიკებს აწყობენ ჩემს წინააღმდეგ დღენიადაგ.
- 63 შეხედე, სხედან თუ დგანან, მე დამცინიან თავიანთი სიმღერებით.
- 64 მიაგე მისაგებელი მათი, უფალო, მათი ხელმრუდობისთვის.
- 65 დაუბნელე მათ გული, შენი წყევლა იყოს მათზე.
- 66 დევნე ისინი რისხვით და გაანადგურე უფლის ცის ქვეშ.

გოდება 4

- 1 როგორ მრუმე იქმნა ოქრო, ბაჯალლომ დაკარგა ბზინვარება; წმიდა პატიოსანი ქვები ქუჩებში ყრია!
- 2 ფასშეუწონარ სიონის ძეთ, ხალას ოქროდ რომ ფასობდნენ, როგორ დაედოთ ახლა მეთუნის ნახელავი ქოთნის ფასი!
- 3 ტურებიც კი მკერდს უშვერენ თავის ლეკვებს და აჭმევენ ძუძუს! ჩემი ერის ასული კი გასასტიკდა, როგორც სირაქლემა უდაბნოში.
- 4 ძუძუს ბავშვის ენა წყურვილისაგან სასას აეკრა; პატარა ბავშვები პურს ითხოვენ და ლუკმას არავინ აწვდის.



⁵წუგბარით რომ ნებივრობდნენ, შიმშილით გული მისდით ქუჩებში; მოწეულში ნაზარდნი ნეხვებში წვანან.

⁶და განდიდდა ჩემი ერის ასულის ურჯულოება უმეტეს ცოდვათა სოდომისა, რომელიც ერთ წამში დაიქცა საუკუნო დაქცევით და ვერა ხელმა ვერ დაიხსნა.

⁷სიონის მთავარნი თოვლზე სპეტაკნი იყვნენ, რძეზე თეთრნი, მათი სახე ბადახშზე მეტად ღაჟღაჟებდა, მათი აღნაგობა მსგავსი იყო საფირონისა.

⁸ახლა კი მურზე შავია მათი სახე; წინ რომ შეგხვდნენ, ვერ იცნობ; ძვალ-ტყავად ქცეულან; ხესავით ჩამომხმარან.

⁹მახვილით დახოცილნი უფრო ბედნიერნი იყვნენ, ვიდრე შიმშილით დახოცილები, რომლებიც ჩამოჰყვნენ და გაწყდნენ მიწის ნაყოფის უქონლობით.

¹⁰გულმოწყალე ქალები საკუთარი ხელით ხარშავდნენ თავიანთ შვილებს, საზრდოდ რომ ჰქონოდათ ჩემი ერის ასულის დაღუპვის ჟამს.

¹¹აღასრულა უფალმა თავისი გულისწყრომა, გადმოაფრქვია რისხვის ალი და ცეცხლი დაანთო სიონზე, რომელმაც შეჰამა მისი სამირკვლები.

¹²არ სწამდათ ქვეყნის მეფეებს და ქვეყნიერების არც ერთ მცხოვრებს, რომ მტერი და მომხვდური შეაღწევდა იერუსალიმის კარიბჭეებში.

¹³მაგრამ ეს მოხდა მის ცრუწინასწარმეტყველთა ცოდვების გამო, მის მღვდელთა ურჯულოების გამო, რომლებიც მის წიაღში მართალთა სისხლს ღვრიდნენ.

¹⁴ისინი ბრმეებით ხეტიალობდნენ ქუჩებში, სისხლით ისე იბილწებოდნენ, რომ ვერ შეეხებოდი მათ სამოსელს.

¹⁵მოგვმორდიო ბილწო! – უყვიროდნენ მათ. – მოგვმორდით, მოგვმორდით, არ შეგვეხოთო! ასე შორდებოდნენ და დაწანწალებდნენ ისინი, წარმართნი კი ამბობდნენ: დიდხანს ვეღარ იცხოვრებენო ჩვენთან.

¹⁶თვით უფალმა გაფანტა ისინი და აღარ მოხედავს მათ მეტად. მღვდლებს პატივს არ სცემდნენ ისინი, მოხუცები არ ებრალებოდათ.

¹⁷თვალები დაგვაწყდა შემწეობის ამაო მოლოდინში; ჩვენი სათვალთვალო გოდლიდან ველოდით ხალხს, რომელსაც ჩვენი შველა არ შეეძლო.

¹⁸ისინი გვზვერავდნენ, რომ არ გაგვევლო ჩვენს ქუჩებში, მოახლოვდა ჩვენი ბოლო; აივსო ჩვენი დღეები; მოვიდა ჩვენი აღსასრული.

¹⁹ცის ორბებზე სწრაფნი იყვნენ ჩვენი მდევარნი: მთებზე გვედევნებოდნენ, უდაბნოში გვისაფრდებოდნენ.



²⁰სუნთქვა ჩვენი სიცოცხლისა, უფლის ცხებული, მათ ორმოშია დაჭერილი, ის, ვისზეც ვამბობდით: მის ჩრდილში ვიცოცხლებთო ხალხთა შორის.

²¹იმხიარულე და იხარე, ედომის ასულო, ყუცის ქვეყანაში მცხოვრებო! შენთანაც ჩამოივლის თასი – დათვრები და გაშიშვლდები.

²²დასრულდა შენი ურჯულოების სასჯელი, სიონის ასულო, უფალი აღარ გაგდევნის მეტად; შენს ურჯულოებას კი მოგკითხავს, ედომის ასულო, და გამოაჩენს შენს ცოდვებს.

გოდება 5

¹გაიხსენე, უფალო, რა დაგვემართა ჩვენ, გადმოიხედე და იხილე როგორ გვათრევენ და გვაგინებენ.

²ჩვენი სამკვიდრო უცხოებს დარჩათ, ჩვენი სახლები – გადამთიელებს.

³დავობლდით, უმამოდ დავრჩით; ჩვენი დედები ქვრივებად სხედან.

⁴ჩვენსავე წყალს ვერცხლის ფასადა ვსვამთ; ჩვენი ტყის შეშაც სასყიდელი გაგვიხდა.

⁵ქედზე უღელდადგმულებს გვერეკებიან; ქანცი გაგვწყდა და შვება არსაიდანაა.

⁶ეგვიპტისკენ ხელს ვიწვდით კავშირის შესაკვრელად; აშურისკენ – პურით გასაძლომად.

⁷ჩვენმა მამებმა შესცოდეს, ისინი ახლა ცოცხლები აღარ არიან და ჩვენ უნდა ვზიდოთ მათი ცოდვის ტვირთი.

⁸მონები გაგვიბატონდნენ და არავინ არის, რომ მათი ხელიდან დაგვიხსნას.

⁹მახვილის საფრთხის ფასად ვმოულობთ პურს უდაბნოში.

¹⁰თონესავით გვიხურს კანი შიმშილის ცხელებით.

¹¹გააუპატიურეს ჩვენი ქალები სიონში და ქალწულები – იუდეის ქალაქებში.

¹²მთავრები ჩამოახრჩვეს და უხუცესებს პატივი აჰყარეს.

¹³ჭაბუკებს დოლაბებს ატრიალებინებენ და ყმაწვილებს შეშის ზიდვით სულს ხდიან.

¹⁴მოხუცები კარიბჭესთან აღარ სხედან და ჭაბუკებმა შეწყვიტეს სიმღერა.

¹⁵შეწყდა მხიარულება ჩვენი გულისა, გლოვად იქცა ჩვენი ფერხულები.

¹⁶გვირგვინები მოგვეხადა თავზე, ვაი ჩვენ, რომ შევცოდეთ!



- ¹⁷ამიტომაც წუხს ჩვენი გული, ამიტომაც დაგვიბნელდა თვალები,
¹⁸რომ აოხრდა სიონის მთა და მელები დაშლიდნენ იქ.
¹⁹შენ კი საუკუნოდ მყოფობ უფალო, შენი ტახტი – თაობიდან თაობამდე.
²⁰რატომ დაგვივიწყე სამუდამოდ, რატომ დაგვტოვე ასე დიდხანს?
²¹მოგვაქციე, უფალო, შენსკენ და ჩვენც მოვბრუნდებით; განაახლე ჩვენი
 დღეები, როგორც უწინ იყო!
²²ნუთუ საბოლოოდ მოგვიძულე და მეტისმეტად მრისხანებ ჩვენზე?



ეზეკიელ წინასწარმეტყველი

ეზეკიელ 1

- ¹როცა ოცდამეათე წელს, მეოთხე თვის მეხუთე დღეს მე დევნილთა შორის ვიყავი მდინარე ქებარის პირას, ცა გაიხსნა და ვიხილე ღვთიური ხილვები.
- ²თვის მეხუთე დღეს (ეს იყო მეფე იეჰოიაქინის ტყვეობის მეხუთე წელს),
- ³გამოეცხადა უფლის სიტყვა ეზეკიელს, ბუზის ძეს, მღვდელს, ქალდეველთა ქვეყანაში, მდინარე ქებარის პირას; და იყო იქ მასზე უფლის ხელი.
- ⁴და მე ვიხილე: აჰა, მოდის მძვინვარე ქარი ჩრდილოეთიდან, ძლიერი ღრუბლები და ელვარე ცეცხლი და ციალი მის ირგვლივ, მის შუაში კი რაღაც კაშკაშა ლითონით, ცეცხლის გულიდან ამომავალი.
- ⁵და მის შიგნით ჩანდა ოთხი ცხოველი, რომელთაც ადამიანის მსგავსი სახე ჰქონდათ.
- ⁶თითოეულ მათგანს ოთხ-ოთხი სახე და ოთხ-ოთხი ფრთა ჰქონდა.
- ⁷სწორი ფეხები ჰქონდათ და ტერფები ხბოს ჩლიქებივით, და ტანი ბრინჯაოსავით უელავდათ;
- ⁸და ადამიანის ხელები მოუჩანდათ ფრთებქვეშ, ოთხივე მხარეს. ოთხივეს ჰქონდა სახე და ფრთები.
- ⁹ერთმანეთს ეხებოდა მათი ფრთები, არ ტრიალდებოდნენ სიარულისას, თითოეული თავისი სახის მიმართულებით მიდიოდა.
- ¹⁰შესახედაობა მათი სახისა კი ასეთი იყო: სახე ადამიანისა და სახე ლომისა ოთხივეს მარჯვენა მხარეს ჰქონდა; ხარის სახე ოთხ მათგანს მარცხენა მხარეს და ორბის სახე ოთხივე მათგანს;
- ¹¹ოთხივეს სახე და ფრთები ზემოთკენ ჰქონდათ მიმართული; ორ-ორი ფრთა ერთმანეთზე ჰქონდათ გადაჭდობილი, ორ-ორი ფრთით ტანს იფარავდნენ.
- ¹²თითოეული თავისი სახის მიმართულებით მიდიოდა იქით, საითაც სულს მიჰყავდა, იქით მიდიოდნენ, არ ტრიალებდნენ სიარულისას.
- ¹³შესახედაობა ამ ცხოველებისა გაღვივებული ნაკვერცხლების მსგავსი იყო; რაღაც ალივით მიმოდიოდა ცხოველებს შორის; ნათება იყო ცეცხლის ირგვლივ და ელვა გამოდიოდა ცეცხლიდან.
- ¹⁴ეს ცხოველები იქით-აქეთ აწყდებოდნენ, ელვის მსგავსად.



¹⁵ ვუყურებდი ამ ცხოველებს და, აჰა, თითო ბორბალი იყო მიწაზე ცხოველთა გვერდით, ოთხივე მხარეს.

¹⁶ შესახედაობა ამ ბორბლებისა და მათი ნაკეთობა მსგავსი იყო ქრიზოლითისა. ერთნაირი იყო ოთხივე და ისე იყო ნაკეთები, თითქოს ბორბალი ბორბალში ჩაუსვამთო.

¹⁷ როცა მოძრაობდნენ, ოთხივე მხარეს მიდიოდნენ, სვლისას არ უხვევდნენ.

¹⁸ და მათი ბორბლების ფერსოები გრძელი და საშინელი იყო. და მათი ოთხივე ბორბლის ფერსოები გარშემო სავსე იყო თვალებით.

¹⁹ და როდესაც ეს ცხოველები მოძრაობდნენ, ბორბლებიც თან მიჰყვებოდნენ, და როდესაც მიწიდან აიწევდნენ, ბორბლებიც იწეოდნენ მაღლა.

²⁰ საითაც გაიწევდა სული წასასვლელად, იქით მიდიოდნენ, საითაც არ უნდა გაეწია წასასვლელად, ბორბლებიც მოძრაობდნენ მათ კვალობაზე, რადგან ცოცხალ არსებათა სული ედგათ ბორბლებს.

²¹ მათი სვლისას ისინიც მიდიოდნენ და გაჩერებისას ისინიც ჩერდებოდნენ. მათი აწევით ბორბლებიც იწეოდნენ მიწიდან მათ კვალობაზე, რადგან ცოცხალ არსებათა სული ედგათ ბორბლებს.

²² ცხოველთა თავს ზემოთ თითქოს ბროლის გასაოცარი თაღი იყო გადაჭიმული.

²³ თაღს ქვემოთ მათი გაშლილი ფრთები ერთმანეთს უსწორდებოდა. თითოეულს ორ-ორი ფრთა უფარავდა სხეულს ერთ მხარეს და მეორე მხარეს.

²⁴ და მესმოდა მათი მოძრაობისას მათი ფრთების შრიალი, როგორც ხმა მრავალი წყლისა, როგორც ხმა ყოვლადმღიერისა, როგორც ხმა ამბოხისა, როგორც ხმა საბრძოლო ბანაკისა; როცა ჩერდებოდნენ, ფრთებს ჩამოყრიდნენ ხოლმე.

²⁵ და ხმა გადმოდიოდა თაღიდან, რომელიც მათ თავს ზემოთ იყო გადაჭიმული. როცა ჩერდებოდნენ, ფრთებს ჩამოყრიდნენ ხოლმე.

²⁶ თაღს ზემოთ, მათ თავზე რომ იყო გადაჭიმული, რაღაც ტახტის მაგვარი იდგა, მსგავსი საფირონის ქვისა, და ამ ტახტზე ადამიანის მსგავსი რამ იჯდა.

²⁷ და მე ვიხილე რაღაც გავარვარებული ლითონივით, ცეცხლის მაგვარი მის შიგნით და მის ირგვლივ, მის წელს ზემოთ; და მის წელს ქვემოთ და ირგვლივ ვიხილე რაღაც ცეცხლი და ციალი იყო მის ირგვლივ.



²⁸როგორც ცისარტყელა ჩანს წვიმიან ღრუბლებში, ისეთი იყო ის ციალი. უფლის დიდების მსგავსი იყო ეს ხილვა. და როცა ვიხილე, პირქვე დავემხე და მომესმა ხმა მეტყველისა.

ეზეკიელ 2

- ¹და მან მითხრა: ადამის ძევ, დადექი ფეხზე, მინდა გელაპარაკო.
- ²როდესაც ის მელაპარაკებოდადა შემოვიდა ჩემში სული და ფეხზე წამომაყენა, და მე ვუსმენდი ჩემთან მოლაპარაკეს.
- ³და მითხრა: ადამის ძევ, მე გაგზავნი ისრაელიანებთან, მეამბოხე ხალხთან, რომლებიც ჩემს წინააღმდეგ აჯანყდნენ. ისინი და მათი მამები სცოდავდნენ ჩემს წინააღმდეგ თვით დღევანდელ დღემდე.
- ⁴ეს პირგამეხებული და გულგასასტიკებული ხალხია. მე გაგზავნი მათთან, რათა უთხრა: „ასე და ასე ამბობს უფალი ღმერთი.“
- ⁵და რომც არ მოგისმინონ, რაკი მეამბოხე სახლია, იმას მაინც მიხვდებიან, რომ წინასწარმეტყველი არის მათთან მისული.
- ⁶შენ კი, კაცის ძევ, ნუ შეგეშინდება მათი და მათი ლაპარაკისა, თუმცა ნარეკლად მოგედებიან და მათ შორის ისე იქნები, თითქოს მორიელეზე იჯდე. მათი ლაპარაკის ნუ შეგეშინდება და მათი სახეები ნუ დაგაფრთხობს, რადგან მეამბოხე სახლია.
- ⁷და უთხარი მათ ჩემი სიტყვები, თუმცა ან მოგისმენენ, ან არა, რადგან მეამბოხენი არიან.
- ⁸შენ კი, ადამის ძევ, მოისმინე, რასაც მე გეტყვი: ნუ იქნები მეამბოხე, როგორც ეს მეამბოხე სახლია, გააღე პირი და ჭამე, რასაც მე მოგცემ.
- ⁹და მე ვიხილე ჩემსკენ გამოწვდილი ხელი, რომელსაც გრაგნილი ეჭირა.
- ¹⁰და მან გაშალა იგი ჩემს წინაშე. და ის გრაგნილი დაწერილი იყო წინიდან და უკნიდან; და ზედ ეწერა მოთქმა, ვაი და ვიში.

ეზეკიელ 3

- ¹და მან მითხრა მე: ადამის ძევ, შეჭამე, რასაც შენს წინ ხედავ, შეჭამე ეს გრაგნილი და წადი და ელაპარაკე ისრაელის სახლს.
- ²და გავაღე მე პირი და მან შემაჭამა ის გრაგნილი.



³და მითხრა მე: ადამის ძევ, გამოკვებე შენი მუცელი და გაავსე შენი სტომაქი ამ გრაგნილით, რომელსაც მე გაძლევ. და მე შევჭამე ის, და მეტკბო პირში, როგორც თაფლი.

⁴და მითხრა მე: ადამის ძევ, წადი, მიდი ისრაელის სახლში და ელაპარაკე მათ ჩემი სიტყვებით,

⁵რადგან არა გაურკვეველი მეტყველებისა და მძიმე ენის ხალხთან გაგზავნი, არამედ ისრაელის სახლთან.

⁶არა მრავალ გაურკვეველი მეტყველებისა და მძიმე ენის ხალხებთან, რომელთა ლაპარაკსაც ვერ გაიგებ; მათთან რომ გამეგზავნე, ისინიც კი მოგისმენდნენ შენ;

⁷მაგრამ ისრაელის სახლი არ ისურვებს მოგისმინოს, რადგან მათ არ სურთ ჩემი მოსმენა, რადგან ისრაელის სახლს სქელი შუბლი აქვს და ჯიუტი გული.

⁸აჰა, მე გავასასტიკე შენი სახე მათი სახესავით, გავასქელე შენი შუბლი მათი შუბლივით.

⁹კაჟზე მაგარი აღმასივით გავხადე შენი შუბლი; ნუ შეგეშინდება მათი და ნუ შეგაკრთობს მათი სახე, რადგან მეამბოხეთა სახლია ის.

¹⁰და მითხრა მე: ადამის ძევ, ყოველი ჩემი სიტყვა, რომელსაც მე გეტყვი, გულში ჩაიდე და ყურებში გაიყარე.

¹¹წადი და მიდი ტყვეობაში მყოფებთან, შენი ხალხის შვილებთან, და ელაპარაკე მათ და უთხარი: „ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი.“ მოგისმენენ, თუ არ მოგისმენენ.

¹²და ამიტაცა მე სულმა და მომესმა ჩემს უკან ძლიერი ხმაური, ისეთი, თითქოს მიწა იძრაო: კურთხეულია უფლის დიდება მის ზეციურ სავანეში!

¹³და შრიალი იმ ოთხი ცხოველის ფრთებისა, და ხმა ბორბლებისა, მათ გვერდით რომ მოძრაობდნენ და ხმა ძლიერი შეზანზარებისა.

¹⁴და ამიტაცა სულმა მე და წამიყვანა. და მივდიოდი მე გამწარებული და რისხვით ანთებული, და უფლის მაგარი ხელი იყო ჩემზე.

¹⁵და მივედი ტყვეობაში მყოფებთან, რომლებიც თელ-აბიბში ცხოვრობდნენ, მდინარე ქებარის პირას, და სადაც ისინი ცხოვრობდნენ, იქ დავრჩი მათთან შვიდ დღეს გაოგნებული.

¹⁶და შვიდი დღის ბოლოს იყო სიტყვა უფლისა ჩემს მიმართ:

¹⁷ადამის ძევ, ისრაელის სახლის გუშაგად დაგაყენე და ჩემი პირიდან მოისმენ სიტყვას და გააფრთხილებ მათ ჩემი სახელით.



¹⁸როდესაც მე ვეტყვი ბოროტს: შენ მოკვდები-მეთქი და შენ არ გააფრთხილებ მას რომ ბოროტი გზები მიატოვოს, რათა გადარჩეს, ის ბოროტი თავის ურჯულოებაში მოკვდება, მის სისხლს კი შენ მოგკითხავ.

¹⁹მაგრამ თუ შენ აფრთხილებდი ბოროტს და ის არ მოიქცა თავისი ბოროტებიდან და თავისი ბოროტი გზიდან, ის თავის ურჯულოებაში მოკვდება, შენ კი შენს სულს იხსნი.

²⁰და თუ მართალი განდგება თავისი სიმართლიდან და იქმს უსამართლობას, მაშინ, როცა მე დავდებ მის წინაშე დაბრკოლებას და მოკვდება იგი, მაშინ, თუ შენ არ აფრთხილებდი მას, ის თავის ცოდვაში მოკვდება და არ მოიხსენება მისი მართალი საქმენი, რომელნიც უკეთებია; მის სისხლს კი შენ მოგკითხავ.

²¹შენ კი, თუ გააფრთხილებ მართალს, რომ არ შესცოდოს, და არ შესცოდავს, გადარჩება, რადგან გაფრთხილდა, შენ კი იხსნი შენს სულს.

²²და იყო ჩემზე იქ ხელი უფლისა და მითხრა: ადექი, გადი ველად და იქ დაგელაპარაკები.

²³ავდექი და გავედი ველად. და, აჰა, უფლის დიდება იდგა იქ, მსგავსი დიდებისა, რომელიც ვიხილე მდინარე ქეზარის პირას. და პირქვე დავემხე.

²⁴და შემოვიდა ჩემში სული და დამაყენა ფეხზე, და მელაპარაკა და მითხრა: წადი, ჩაიკეტე შენს სახლში.

²⁵და შენ, ადამის ძევ, აჰა, დაგადებენ ბორკილებს და შეგკრავენ და ველარ ივლი მათ შორის.

²⁶და შენს ენას სასაზე აგაკრავ და დამუნჯდები, და აღარ ეყოლები მათ მამხილებლად, რადგან მეამბოხე სახლია ის.

²⁷და როცა დაგელაპარაკები, გავხსნი შენს ბაგეებს და ეტყვი მათ: „ასე ამბობს უფალი ღმერთი!“ მსმენელმა ისმინოს; ვისაც არ სურს, ნუ მოისმენს; რადგან მეამბოხე სახლია ის.

ეზეკიელ 4

¹და შენ, ადამის ძევ, აიღე თიხის ფირფიტა, წინ დაიდე და ზედ დახაზე იერუსალიმი.

²გამოსახე ალყა მის წინააღმდეგ, მოაწყვე სანგრები და აღმართე მის წინააღმდეგ მიწაყრილები, და განალაგე მის წინააღმდეგ ბანაკები, და დააყენე ტარანები ირგვლივ.



³შენ კი აიღე რკინის დაფა და დადგი იგი რკინის კედლად შენსა და ქალაქს შორის, და მიმართე სახე მისკენ, და შემოარტყი ალყა. ეს იქნება ნიშანი ისრაელის სახლისა.

⁴დაწექი მარცხენა გვერდზე და ზედ დაიდე ისრაელის სახლის ცოდვა. და რამდენ დღესაც იწვები მასზე, იმდენ ხანს ატარებ მათ ცოდვებს.

⁵და მე მიგითვლი მათი უკეთურების წლებს დღეების რიცხვის მიხედვით – 390 დღეს – და ატარებ ისრაელის სახლის უკეთურებას.

⁶და შეასრულე ეს და შემდეგ დაწექი მარჯვენა გვერდზე, და ატარე იუდას სახლის უკეთურება 40 დღეს; თითო წელზე თითო დღეს ჩაგითვლი.

⁷იერუსალიმის ალყისაკენ მიმართე შენი სახე და შიშველი მკლავი და იწინასწარმეტყველე მასზე.

⁸და მე დაგადებ შენ ბორკილებს და ვერ გადატრიალდები ერთი გვერდიდან მეორე გვერდზე შენი ალყის დღეების დასრულებამდე.

⁹შენ კი, აიღე შენთვის ხორბალი და ქერი, ცერცვი და ოსპი, ფეტვი და ასლი და ჩაყარე ერთ ჭურჭელში და გქონგეს საჭმელად იმდენ ხანს, რამდენსაც გვედზე იწვები – 390 დღეს უნდა ჭამო ის.

¹⁰საჭმელი, რაც უნდა ჭამო, წონით დღეში 20 შეკელი უნდა იყოს. ჟამიდან ჟამზე ჭამე.

¹¹და წყალი წყვით სვი – მეექვსედი ჰინი, ჟამიდან ჟამზე სვი.

¹²და ჭამე ქერის კვერებივით იგი და ადამიანის სკორეს ფუნაზე გამოაცხვე მათ თვალწინ.

¹³და თქვა უფალმა: ასე შეჭამენ ისრაელის ძენი თავიანთ უწმიდურ პურს იმ ხალხებში, რომლებთანაც განვდეგნი მათ.

¹⁴და ვთქვი: ოჰ, უფალო, ღმერთო! აჰა, ჩემი სული არ შებილწულა და მძორი და ნამხეცავი არ მიჭამია ჩემი სიჭაბუკიდან დღემდე, და ჩემს პირში არ ჩასულა უწმიდური ხორცი.

¹⁵და მითხრა მან მე: ნახე! მე გაძლევ ძროხის წივას, ადამიანის სკორეს ნაცვლად და მასზე გამოიცხვე პური.

¹⁶და კიდევ მითხრა: ადამის ძევ, აჰა, მე შევმუსრავ პურის მარაგს იერუსალიმში და ისინი პურს წონითა და სიმწრით შეჭამენ; და წყალს წყვითა და შიშით შესვამენ.

¹⁷რადგან მოაკლდებათ მათ პური და წყალი; და შეძრწუნებულნი დაუწყებენ ყურებას ერთმანეთს და ჩამოდნებიან თავიანთი უკეთურებით.



ეზეკიელ 5

- ¹შენ კი, ადამის ძე, აიღე მჭრელი დანა და დალაქის სამართებელივით გადაიტარე თავზე და წვერზე. აიღე სასწორი და გაანაწილე თმა.
- ²ერთი მესამედი ცეცხლში დაწვი ქალაქის შუაგულში, როცა ალყის დღეები დასრულდება; აიღე მესამედი და მახვილით დაკეპე ქალაქის განაპირას; სხვა მესამედი კი ქარს გაატანე, და მე მახვილს ვიშიშვლებ მათ კვალზე.
- ³იქიდან მცირეოდენი აიღე და შენი სამოსლის კალთაში გამოიკარი.
- ⁴და მათგან კიდევ აიღე და ჩაყარე ცეცხლში და დაწვი. და გამოვა იქიდან ცეცხლი მთელ ისრაელის სახლზე.
- ⁵და ასე ამბობს უფალი ღმერთი: ეს იერუსალიმია! წარმართთა შორის დავადგინე მე იგი, და ქვეყნებია მის ირგვლივ.
- ⁶ის კი წინ აღუდგა ჩემს სამართალს და შესცოდა წარმართებზე მეტად და წინ აღუდგა ჩემს წესებს იმ ქვეყნებზე უარესად, რომლებიც მის ირგვლივაა; რადგან ჩემი სამართალი შეიჯავრეს და ჩემი წესებით არ დადიან.
- ⁷ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: რადგან ურჯულოებით გადააჭარბეთ წარმართებს, რომლებიც თქვენს ირგვლივ არიან, ჩემი წესებით არ დადიხართ და ჩემს სამართალს არ მიჰყვებით, და არც წარმართთა სამართალს, რომლებიც თქვენს ირგვლივ არიან.
- ⁸ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, მეც შენს წინააღმდეგ ვიქნები და შენს შიგნით აღვასრულებ სამართალს წარმართთა თვალწინ.
- ⁹და გაგიკეთებ იმას, რაც არასოდეს გამიკეთებია და რის მსგავსსაც მეტად აღარ გავაკეთებ მთელი შენი სისაძაგლის გამო.
- ¹⁰ამიტომ თქვენში მამები შვილებს დაუწყებენ ჭამას და შვილები შეჭამენ თავიანთ მამებს; და აღვასრულებ შენში სამართალს და გავფანტავ მთელ შენს ნატამალს ყველა ქარისაკენ.
- ¹¹და თუ ვყოფილვარ! – ამბობს უფალი ღმერთი, – იმიტომ, რომ ჩემი საწმიდარი შებილწე შენი ყოველი სისაძაგლით და შენი ყოველი საზიზღრობით, მე დაგამცირებ შენ, და არ შეგიბრალებს ჩემი თვალი და არც მე დაგინდობ.
- ¹²შენი მესამედი შავი ჭირით დაიხოცება და სხვა მესამედი შიმშილით გაწყდება შენ შორის, მესამედი მახვილით დაეცემა შენს ირგვლივ, მესამედს ყველა ქარისაკენ გავფანტავ და მახვილს გავაშიშვლებ მათ კვალზე.



¹³და დასრულდება ჩემი რისხვა და დავაცხრობ ჩემს გულისწყრომას მათზე, და დავწყნარდები და გაიგებენ, რომ მე, უფალი ვლაპარაკობდი ჩემი ეჭვიანობისას, მათზე ჩემი რისხვის დასრულებისას.

¹⁴და მიგცემ შენ ასაოხრებლად და შესარცხვენად ხალხებს, შენს ირგვლივ რომ არიან, და ყოველი გამვლელის თვალში.

¹⁵და იქნები სამარცხვინოდ და სასაცილოდ, სალექსოდ და საშინელებად იმ ხალხებისათვის, შენს ირგვლივ რომ არიან, როცა აღვასრულებ შენზე მსჯავრს რისხვით და წყრომითა და სასტიკი სასჯელებით. მე, უფალი, ვლაპარაკობ ამას.

¹⁶როცა გავუშვებ მათკენ შიმშილის ულმოზელ ისრებს, რომლებიც თქვენი დამღუპველნი იქნებიან, რადგან თქვენს დასაღუპად მოვავლენ, და შიმშილს გავაძლიერებ თქვენზე და შევმუსრავ თქვენს პურის მარაგებს.

¹⁷და მოგივლენთ შიმშილსა და მძვინვარე მხეცებს, და შენი შვილები მათ მსხვერპლად იქცევიან; და შავი ჭირი და სისხლი გადაგივლის და მახვილს მოვაწევ შენზე. მე, უფალი ვამბობ ამას!

ეზეკიელ 6

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²ადამის ძევ! პირი მიაქციე ისრაელის მთებისაკენ და უწინასწარმეტყველე მათ,

³და უთხარი: მთანო ისრაელისა! ისმინეთ სიტყვა უფალი ღმერთისა: ასე უთხრა უფალმა ღმერთმა მთებს, ბორცვებს, ველებსა და ღელეებს: აჰა, მე მომაქვს თქვენზე მახვილი და მოვსპობ თქვენს სამსხვერპლო მაღლობებს.

⁴და დაინგრევა თქვენი სამსხვერპლოები და დაილეწება თქვენი მზის სვეტები და დაეცემიან თქვენი განგმირულები თქვენი კერპების წინ.

⁵და დავყრი ისრაელიანთა გვამებს მათი კერპების წინ და გავფანტავ თქვენს ძვლებს თქვენი სამსხვერპლოების ირგვლივ.

⁶მთელს თქვენს სამკვიდროში აოხრდება ქალაქები და დაინგრევა სამსხვერპლო მაღლობები, რათა გატიალდეს და განადგურდეს თქვენი სამსხვერპლოები, და დაილეწოს და მოისპოს თქვენი კერპები, და დაემხოთ თქვენი მზის სვეტები და აღმოიფხვრას თქვენი ხელით ნაქნარი.

⁷და დაეცემიან განგმირულები თქვენს შორის და გაიგებთ, რომ მე ვარ უფალი.



⁸მე დავტოვებ თქვენს ნატამალს, და გეყოლებათ მახვილს გადარჩენილნი, როდესაც გაიფანტებით ქვეყნებში.

⁹და გამიხსენებს მე თქვენი ნატამალი იმ ხალხებში, რომელთა შორისაც ტყვეებად იქნებიან, როდესაც შევმუსრავ მათ გარყვნილ გულებს, რომლებიც განდგნენ ჩემგან, და მათ თვალებს, რომლებიც მეძაობდნენ თავიანთი კერპების კვალზე, და შეზიზღდებათ საკუთარი თავი იმ უკეთურების გამო, რასაც სჩადიოდნენ მთელ თავიანთ სისამაგლებთან.

¹⁰და გაიგებენ, რომ მე ვარ უფალი და ამაოდ არ ვამბობდი, რომ მოვაწევდი მათ ამ უბედურებას.

¹¹ასე ამბობს უფალი ღმერთი: შემოჰკარი ხელი ხელს და ფეხი დაჰკარ მიწას და თქვი: ვაგლახ! ისრაელის სახლის ყველა ბოროტი სისამაგლის გამო, რადგან დაეცემიან მახვილით, შიმშილითა და შავი ჭირით!

¹²შორსმყოფი შავი ჭირით მოკვდება და ახლოსმყოფი მახვილით დაეცემა; ხოლო გადარჩენილი და ალყაშემორტყმული შიმშილით მოკვდება. და ასე დავასრულებ ჩემს რისხვას მათზე.

¹³და გაიგებთ, რომ მე ვარ უფალი, როდესაც თქვენი განგმირულები დაეცემიან თავიანთ კერპებს შორის, მათი სამსხვერპლოების ირგვლივ, ყველა მაღალ ბორცვზე, ყველა მთის თხემზე და ყველა ხემხვივანის ქვეშ და ყველა რტოგამლილი მუხის ქვეშ, იმ ადგილებზე, სადაც კეთილსურნელებებს უკმევდნენ კერპებს.

¹⁴და გავიწვდენ ჩემს ხელს მათზე და ვაქცევ იმ ქვეყანას ოხრად და ტიალად დიბლასუდაბნოზე უარესად, ყოველ მათ სამკვიდროში და გაიგებენ, რომ მე ვარ უფალი.

ეზეკიელ 7

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²შენ კი, ადამის ძე, თქვი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აღსასრული! აღსასრული მოადგა ისრაელის ქვეყანას ოთხივ მხრით.

³ახლა შენი აღსასრულიც დადგა; და მოვავლენ ჩემს რისხვას შენზე, და განგსჯი შენი გზებისამებრ, და თავს დაგათევ ყველა შენს სისამაგლეს.

⁴და არ შეგიცოდებს ჩემი თვალი და არ შეგიწყალებ, რადგან შენი გზებისამებრ მოგიზღავ! და შენი სისამაგლენი შენში იქნება და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი!

⁵ასე ამბობს უფალი ღმერთი: უბედურება, გაუგონარი უბედურება მოდის!



- ⁶აღსასრული დგება, მოვიდა აღსასრული, თავს გატყდება, აჰა, მოვიდა!
- ⁷მოვიდა შენი რიგი, ამ ქვეყნის მკვიდრო! მოვიდა ჟამი, მოახლოებულია დღე შემფოთებისა და არა მთებზე მხიარული ყიჟინისა.
- ⁸ახლა მალე გადმოგანთხევ ჩემს გულისწყრომას და დავასრულებ ჩემს რისხვას შენს მიმართ, და განგსჯი შენი გზებისამებრ, და შენ აგკიდებ ყველა შენს სისაძაგლეს.
- ⁹არ შეგიცოდებს ჩემი თვალი, და არ შეგიბრალებ. შენი გზებისამებრ მოგიზღავ. და შენი სისაძაგლენი შენთანვე იქნება და გაიგებთ, რომ მე ვარ უფალი შემმუსრველი!
- ¹⁰გაფრთხილდით, დადგა სასჯელის დღე! კვერთხი აყვავდა, ამპარტავნება გაიფურჩქნა.
- ¹¹ძალადობა აღდგა ბოროტეულის კვერთხად. არ დარჩება არაფერი არც მათგან, არც მათი სიმდიდრიდან, არც მათი ზარ-ზეიმიდან, და არც მათი ბრწყინვალეობიდან.
- ¹²მოვიდა ჟამი, დადგა ის დღე. მყიდველო, ნუ გიხარია და, გამყიდველო, ნუ იგლოვ, რადგან უფლის რისხვა მოაწევს მთელ ამ ხმაურიან ბრბოზე.
- ¹³რადგან გამყიდველი გაყიდულს ვერ დაუბრუნდება, თუნდაც ცოცხლები დარჩნენ ისინი, რადგან წინასწარმეტყველური ხილვა მთელ მათ სიმრავლეზე არ შეიცვლება და თავისი ურჯულოებით სიცოცხლეს ვერავინ შეინარჩუნებს.
- ¹⁴ნაღარას დაჰკრავენ და განემზადებიან, მაგრამ აღარავინ იქნება ომში წამსვლელი, რადგან ჩემი წყრომაა მთელ მათ სიმრავლეზე.
- ¹⁵მახვილი გარეთაა, შავი ჭირი და შიმშილი კი სახლში. ვინც ველადაა, მახვილით მოკვდება, და ვინც ქალაქშია, შიმშილი და შავი ჭირი შეჰამს მას.
- ¹⁶მათ შორის გადარჩენილნი მთებისკენ გაიქცევიან და იქ იქნებიან როგორც ველის მტრედები; ყოველი მათგანი იკვნესებს თავისი ურჯულოების გამო.
- ¹⁷ყველას ჩამოსწყდება მკლავები და მუხლები მოეკვეთება.
- ¹⁸ძაძებს ჩაიცვამენ და კანკალი აიტანთ, სახეზე ყველას სირცხვილი დაეწერება და ყველა თავი გაქაჩლდება.
- ¹⁹თავიანთ ვერცხლს ქუჩებში გადაყრიან და მათი ოქრო სიბილწედ იქცევა; ოქრო-ვერცხლი ვერ იხსნის მათ უფლის წყრომის დღეს. სულს ვერ გაიძღობენ და სტომაქს ვერ ამოიყორავენ, რადგან იგი იყო მათი უკეთურების მიზეზი.



²⁰და თავიანთი სამკაულების მშვენიერებით გაამაყდნენ და თავიანთ სიბილწეთა და სისამაგლეთა კერპები შექმნეს, ამიტომ სიბინძურედ ვაქცევ მას მათთვის.

²¹უცხოთა სამარცხვად გავხდი მას და ქვეყნის ბოროტთა ნადავლად, და ისინი შებღალავენ მას.

²²პირს ვიბრუნებ მათგან, და შებღალავენ ჩემს საუნჯეს, შიგ შემოვლენ მძარცველნი და შებღალავენ მას.

²³გააკეთე ჯაჭვი, რადგან ქვეყანა აივსო სისხლიანი ბოროტმოქმედებით და ქალაქი სავსეა ძალადობით.

²⁴მოვიყვან უპირსისხლიანესთ ხალხებიდან და ისინი დაიმკვიდრებენ მათ სახლებს. და გავანადგურებ მძლავრთა სიამაყეს, და შეიბღალებიან მათი სიწმიდენი.

²⁵დაღუპვა ახლოვდება და მშვიდობას დაუწყებენ ძებნას და არ იქნება ის.

²⁶უბედურება უბედურებაზე მოვა და ამბავი ამბავზე იქნება, და მოითხოვენ ხილვას წინასწარმეტყველისაგან, და რჯული დაეკარგება მღვდელს და რჩევა – უხუცესს.

²⁷მეფე იგლოვებს და მთავარი ძრწოლით აღივსება, და ქვეყნის ერს ხელი აუკანკალდება. მათი გზებისამებრ მოვექცევი მათ და მათი სიმართლისამებრ განვსჯი მათ; და გაიგებენ, რომ მე ვარ უფალი!

ეზეკიელ 8

¹იყო მეექვსე წელს, მეექვსე თვის მეხუთე დღეს, როცა ვიჯექი მე ჩემს სახლში და იუდას უხუცესნი ისხდნენ ჩემს წინ. და დაეშვა იქ ჩემზე ხელი უფალი ღმერთისა.

²და, აჰა, დავინახე რაღაც მსგავსება ცეცხლის კაცისა. წელს ქვემოთ ცეცხლი იყო, წელს ზემოთ კი გავარვარებული ლითონივით ელვარებდა.

³და მან გამოიწვდინა თავისი ხელის მსგავსება, თმებში ჩამავლო, და ამწია სულმა ცასა და მიწას შორის, და მიმიყვანა ღვთიურ ხილვებში იერუსალიმში ჩრდილოეთით მიმართულ შიდა კარიბჭის შესასვლელთან, იქ, სადაც დადგმული იყო შურისგების კერპი, რომელიც უფლის რისხვას აღძრავს.

⁴და იქ იყო ისრაელის ღმერთის დიდება, მსგავსი ჩვენებისა, რომელიც ვიხილე ველზე.



⁵და მითხრა: ადამის ძევ! მიაპყარ თვალი ჩრდილოეთის გზას. და მივაპყარ თვალი ჩრდილოეთის გზას და დავინახე სამსხვერპლოს კარიბჭის ჩრდილოეთით ის შურისგების კერპი.

⁶და მითხრა: ადამის ძევ! განა არ ხედავ რას აკეთებენ? დიდ სისაძაგლეს, რომელსაც ისრაელის სახლი აკეთებს აქ, რათა მოვშორდე ჩემს ტაძარს! მაგრამ წამომყევი და ნახავ სხვა დიდ სისაძაგლეებს.

⁷და მიმიყვანა ეზოს შესასვლელში და ვიხილე ერთი ხვრელი კედელში.

⁸და მითხრა: ადამის ძევ! გამოთხარე კედელი. გამოვთხარე კედელი და ვნახე შესასვლელი.

⁹და მითხრა: მიდი და ნახე ბოროტი სისაძაგლენი, რასაც ისინი სჩადიან აქ.

¹⁰და მივედი მე და ვნახე ყველანაირი გამოსახულება ქვეწარმავლისა და ბილწი ცხოველისა. ყველანაირი კერპი ისრაელის სახლისა ამოკვეთილი იყო ირგვლივ მთელ კედელზე.

¹¹ისრაელის სახლის უხუცესთაგან 70 კაცი დგას მათ წინ და იააზანია შაფანის ძევ იდგა მათ შორის. და იდგნენ ისინი კერპების წინაშე და თითოეულს თავისი სასაკმევლე ეჭირა ხელში და სქელი ბოლქვები საკმევლისა ადიოდა მაღლა.

¹²და მითხრა: ხომ ნახე, ადამის ძევ, რასაც ისრაელის სახლის უხუცესნი აკეთებენ სიბნელეში, თითოეული თავის მოხატულ ოთახში? რადგან ამბობენ: უფალი ვერ გვხედავსო ჩვენ. დატოვაო უფალმა ეს ქვეყანა!

¹³და კიდევ მითხრა: კიდევ დაბრუნდი და ნახავ დიდ სისაძაგლეებს, რომელთაც ისინი აკეთებენ.

¹⁴და მიმიყვანა მე უფლის ტაძრის კარიბჭის შესასვლელთან, რომელიც ჩრდილოეთისკენაა, და ვიხილე იქ ქალები, რომლებიც ისხდნენ და თამუზსა ჰგოდებდნენ.

¹⁵და მითხრა: ხომ ხედავ, ადამის ძევ? კიდევ წამოდი, ნახავ ამაზე დიდ სისაძაგლეებს.

¹⁶და შემიყვანა უფლის ტაძრის შიდა ეზოში და დავინახე უფლის ტაძრის შესასვლელთან, კარიბჭესა და სამსხვერპლოს შორის, ოცდახუთიოდე კაცი ზურგშექცევით რომ იდგნენ უფლის ტაძრისაკენ. მათ პირი აღმოსავლეთისკენ ჰქონდათ მიპყრობილი და თაყვანს სცემდნენ მზეს აღმოსავლეთით.

¹⁷და მითხრა: ხომ ნახე, ადამის ძევ? ცოტაა იუდას სახლისათვის ამ სისაძაგლეთა კეთება, რომელსაც ისინი აკეთებენ აქ? რადგან აავსეს ეს



ქვეყანა ძალადობით და მიიქცნენ ჩემს გასაწყრომად; და, აჰა, რტოები თავადვე მიაქვთ თავის ცხვირთან.

¹⁸და მეც მოვექცევი მათ გულისწყრომით, არ შეიცოდებს ჩემი თვალი მათ და არ შევიბრალებ მე. და, თუნდაც ყურში ჩამკიოდნენ, არ მოვუსმენ მათ.

ეზეკიელ 9

¹და ჩამძახა ყურში უფალმა დიდი ხმით და მითხრა: მოახლოვდა ქალაქის დასჯა; და თითოეულს ხელთ უპყრია გამანადგურებელი იარაღი.

²და, აჰა, ექვსი კაცი მოდის ზემო კარიბჭის გზით, რომელიც ჩრდილოეთისკენაა მიმართული, და თითოეულს ხელთ უპყრია გამანადგურებელი იარაღი; და მათ შორის ერთი კაცია სელით შემოსილი და მწიგნობრის სამელნე უდევს სარტყელში, და მოვიდნენ და დადგნენ ბრინჯაოს სამსხვერპლოსთან.

³და ისრაელის უფალი ღმერთის ბრწყინვალე მშვენიერება, ქერუბიმს რომ ედგა, აიწია და გაემართა ტაძრის ზღურბლისაკენ და სელით შემოსილ კაცს მოუხმო, რომელსაც მწიგნობრის სამელნე ედო სარტყელში.

⁴და უთხრა მას: შედი ქალაქ იერუსალიმში და შუბლზე ნიშნები დაადე ადამიანებს, რომელნიც კვნესიან და მოსთქვამენ იმ სისაძაგლეთა გამო, რაც მათ შორის ხდება.

⁵და სხვა დანარჩენთ უთხრა ჩემს გასაგონად: მიჰყევით მის კვალს ქალაქში და ყველა დახოცეთ, ნუ შეიბრალებს თქვენი თვალი და ნუ დაინდობთ!

⁶მოხუცი, ჭაბუკი და ქალწული, ბავშვი და ქალი ამოხოცეთ. და ყოველ კაცს, რომელსაც ნიშანი აზის შუბლზე, ნუ შეეხებით. ჩემი ტაძრიდან დაიწყეთ. და დაიწყეს მოხუცი ადამიანებიდან, რომელნიც ტაძრის წინ იყვნენ.

⁷და უთხრა მათ: შებილწეთ ეს ტაძარი და გაავსეთ ეზოები განგმირულებით და გადით! და გავიდნენ ისინი ქალაქში და დაიწყეს ხალხის ხოცვა-ჟლეტა.

⁸და როდესაც დახოცეს და მე დავრჩი, პირქვე დავემხე, შევღალადე და ვუთხარი: ოჰ, უფალო ღმერთო! ნუთუ გაწყვეტ ისრაელის მთელს ნატამალს, რისხვას რომ აფრქვევ იერუსალიმზე?

⁹და მან მითხრა მე: ურჯულოება ისრაელის სახლისა და იუდასი მეტისმეტად დიდია. გაივსო ეს ქვეყანა სისხლით და ქალაქი სავსეა სიცრუითა და უწმიდურებით, რადგან ამბობენ: დატოვა უფალმა ეს ქვეყანა და ვერაფერს ხედავსო.



¹⁰არ შეიბრალებს ჩემი თვალი და არ დავინდობ, მათსავე საქციელს დავატებ თავს.

¹¹და, აჰა, იმ კაცმა, სელით შემოსილმა, რომელსაც მწიგნობრის სამელნე ედო სარტყელში, პასუხად მოიტანა: როგორც მიბრძანე, ისე მოვიქცეო.

ეზეკიელ 10

¹და ვიხილე, აჰა, ცის თაღზე, ქერუბიმების თავს ზემოთ, რაღაც ლოდი საფირონისა – მსგავსი ტახტისა, მათ მაღლა.

²და ეუბნებოდა იმ სელით შემოსილ კაცს: შემოდი ბორბლებს შუა, ქერუბიმების ქვეშ, და მუჭები გაივსე ნაკვერჩხლებით, ქერუბიმებს შორის რომ არის, და ქალაქს გადააყარე. და შევიდა იგი ჩემს თვალწინ.

³ქერუბიმები იდგნენ უფლის ტაძრის მარჯვენა მხარეს, როცა ის კაცი შედიოდა, და ღრუბელმა გაავსო შიდა ეზო.

⁴და აიწია უფლის დიდება ქერუბიმიდან ტაძრის ზღურბლისაკენ და გაივსო ტაძარი ღრუბლით და გაივსო ტაძრის ეზო უფლის დიდების ნათლით.

⁵ქერუბიმების ფრთების შრიალის ხმა გარეთა ეზომდე ისმოდა, როგორც ხმა ყოვლადმღიერი ღმერთისა, როდესაც ის ლაპარაკობს.

⁶და როდესაც მან უბრძანა სელით შემოსილ კაცს: „აილე ცეცხლი ბორბლებს შორის, ქერუბიმებს შორის“ და შევიდა ის და დადგა ბორბლებთან,

⁷გაიწოდა ერთმა ქერუბიმმა ხელი ცეცხლისაკენ, რომელიც ქერუბიმებს შორის ენთო, აიღო იქიდან და მუჭაში ჩაუდო სელით შემოსილ კაცს. და მანაც აიღო და გავიდა.

⁸და მოუჩანდათ ქერუბიმებს ადამიანის ხელის მსგავსი რამ ფრთებქვეშ.

⁹და დავინახე ოთხი ბორბალი ქერუბიმებთან: თითო ბორბალი თითო ქერუბიმთან და ის ბორბლები თითქოს ქრიზოლითისგან იყო ნაჭედი.

¹⁰და ოთხივე ბორბალი ერთმანეთს ისე ჰგავდა, თითქოს ბორბალი ბორბალში ჩაუსვამთო.

¹¹სვლისას ოთხივე მხარეს მიდიოდნენ; სვლისას არ ბრუნავდნენ, რადგან იმ მიმართულებით მიდიოდნენ, საითკენაც თავი ჰქონდათ მიქცეული. სვლისას არ ბრუნავდნენ.

¹²და მთელი მათი ტანი, მათი ზურგი, მათი ხელები, მათი ფრთები და მათი ბორბლები ირგვლივ სავსე იყო თვალებით, ოთხივე მათგანის ბორბალი.

¹³და როგორც ჩემი ყურით გავიგონე, გრიგალი ერქვა მათ.



¹⁴და თითოეულს ოთხი სახე ჰქონდა: ერთი სახე – ქერუბიმის, მეორე – ადამიანის, მესამე – ლომის და მეოთხე – ორბის.

¹⁵და აღიმართნენ ქერუბიმები, ეს ის ცოცხალი არსებები იყვნენ, რომლებიც ვიხილე მდინარე ქეზარის პირას.

¹⁶ქერუბიმების სვლისას ბორბლებიც მიდიოდნენ მათთან ერთად; და, როდესაც ქერუბიმები ფრთებს გაშლიდნენ, რომ მიწიდან აწეულიყვნენ, ბორბლები არ ცილდებოდნენ მათ, არამედ მათთან ერთად იყვნენ.

¹⁷მათი გაჩერებისას ისინიც იდგნენ, და მათი აწევისას ისინიც აიწევდნენ ხოლმე მათთან ერთად, რადგან ცოცხალი სული იყო მათში.

¹⁸და კვლავ გავიდა უფლის დიდება ტაძრის ზღურბლიდან და ზედ დაადგა ქერუბიმებს.

¹⁹და გაშალეს ქერუბიმებმა ფრთები და ჩემს თვალწინ აიმართნენ მიწიდან; და როდესაც ისინი გადიოდნენ, ბორბლებიც მათთან იყო; და დადგნენ უფლის ტაძრის აღმოსავლეთის კარიბჭის შესასვლელთან და ისრაელის ღმერთის დიდება იყო მაღლა, მათ ზემოთ.

²⁰ეს ის არსებანი იყვნენ, რომლებიც მე ვიხილე მდინარე ქეზარის პირას, ისრაელის ღმერთის ტახტის ქვეშ რომ იდგნენ, და მივხვდი, რომ ქერუბიმები იყვნენ ისინი.

²¹ყოველ მათგანს ოთხი სახე ჰქონდა და ოთხი ფრთა, და თითოეულს ფრთებქვეშ ადამიანის ხელის მსგავსი რამ.

²²და შესახედაობა მათი სახისა მსგავსი იყო იმ სახეთა, რომლებიც მე ვიხილე მდინარე ქეზარის პირას, – მათი გამოსახულებაც და თვითონაც. თითოეული თავისი სახის მიმართულებით მიდიოდა.

ეზეკიელ 11

¹და ამიყვანა სულმა და მიმიყვანა უფლის ტაძრის აღმოსავლეთის კარიბჭესთან, რომელიც აღმოსავლეთით იყურება. და, აჰა, კარიბჭის შესასვლელში ²⁵ კაცია, და მე დავინახე მათ შორის იააზანია, ძე ყაზურისა და ფელატია ძე ბენაიასი, ხალხის მთავრები.

²და მითხრა: ადამის ძევ, ესენი არიან ადამიანები, მზაკვრობის განმზრახველნი და ბოროტი რჩევის მრჩეველნი ამ ქალაქში.

³ისინი ამბობენ: შორს არის დრო სახლების შენებისა; ეს ქალაქი ქვაბია, ჩვენ კი ხორცი.

⁴ამიტომ იწინასწარმეტყველე მათზე, იწინასწარმეტყველე, ადამის ძევ.



⁵და გადმოვიდა ჩემზე სული უფლისა და მითხრა: თქვი, ასე ამბობს-თქო უფალი: ვიცი, რასაც ამბობ, სახლო ისრაელისა, და რაც ფიქრად მოგდის.

⁶მრავალი მოკლულია ამ ქალაქში და გავსებულია მისი ქუჩები მათი გვამებით.

⁷ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: თქვენგან მოკლულები, რომლებიც ქუჩებში დაყარეთ, ხორცია, ის ქალაქი კი ქვაბია; მაგრამ მე თქვენ გამოგიყვანთ იქიდან.

⁸მახვილის გეშინიათ თქვენ და მახვილს მოვაწევ მე თქვენზე! – ამბობს უფალი ღმერთი.

⁹მე გამოგიყვანთ იქიდან და გადაგცემთ უცხოთესლთა ხელთ; და მე გამოგიტანთ სასჯელს.

¹⁰ისრაელის საზღვრებზე მოგეწევათ ჩემი მახვილი და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი.

¹¹ის ქალაქი არ იქნება თქვენთვის ქვაბი და თქვენ არ იქნებით მასში ხორცად. მე თქვენ ისრაელის საზღვარზე განგსჯით.

¹²და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი; თქვენ კი ჩემი წესებით არ დადიოდით და არც ჩემი სამართლით იქცოდით; თქვენ იმ ხალხების სამართალს მიჰყვებოდით, თქვენს ირგვლივ რომ არიან.

¹³და ისე მოხდა, რომ როდესაც მე ამას ვწინასწარმეტყველებდი, ბენაიას მე ფელატია მოკვდა. პირქვე დავემხე და დიდი ხმით შევლაღადე და ვთქვი: ვაგლახ მე, უფალო ღმერთო, ნუთუ სამუდამოდ უნდა მოსპო ისრაელის ნატამალი?

¹⁴და იყო სიტყვა უფლისა ჩემს მიმართ ნათქვამი:

¹⁵ადამის ძევ! შენს ძმებს, ჰო, შენს ძმებს, შენს ნათესავებს და მთელ ისრაელის სახლს, ყველას, რომელთაც ეუბნებიან იერუსალიმის მცხოვრებნი: მოშორდით უფალს, მან ჩვენ მოგვეცა ეს ქვეყანა სამკვიდროდ.

¹⁶ამიტომ უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: თუმცა მე განვიშორე ისინი წარმართთა შორის და გავფანტე მთელ ქვეყანაზე, მაინც მე ვიქნები მათთვის თუნდაც მცირე საწმიდარი იმ ქვეყნებში, სადაც შევიდნენ ისინი.

¹⁷ამიტომ უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: მე შემოგიკრებთ თქვენ იმ ხალხებიდან და შეგაგროვებთ იმ ქვეყნებიდან, სადაც გაფანტული ხართ, და მოგცემთ ისრაელის მიწას.

¹⁸და შევლენ იქ და მოაცილებენ მას ყოველგვარ სისამაგლეს.



¹⁹და მე მივცემ მათ სხვა გულსა და ახალ სულს ჩავუდგამ მათ; და ამოვგლეჯ მათ მკერდიდან ქვადქცეულ გულს და მივცემ მათ ცოცხალ გულს,

²⁰რათა ჩემი წესებით იარონ და ჩემი სამართალი დაიცვან და შეასრულონ. და იქნებიან ისინი ჩემი ერი და მე ვიქნები მათი ღმერთი.

²¹ხოლო ვისი გულიც მათი სიბილწისა და სისაძაგლისკენ მიილტვის, მათ საქციელს მათ თავზევე მოვაწევ, – ამბობს უფალი ღმერთი.

²²და გაშალეს ქერუბიმებმა ფრთები და ბორბლებიც თან გაჰყვათ. და ისრაელის ღმერთის დიდება მაღლა იყო, მათ ზემოთ.

²³და აიმართა უფლის დიდება ქალაქის შუაგულიდან და დადგა მთაზე, რომელიც ქალაქის აღმოსავლეთითაა.

²⁴და სულმა ამიტაცა და მიმიყვანა ქალდეველთა ქვეყანაში გადასახლებულებთან ხილვაში ღმერთის სულით. და გამშორდა ხილვა, რომელიც ვიხილე.

²⁵და მე ვუამბე ტყვეებს ყოველი სიტყვა, რაც გამომიცხადა უფალმა.

ეზეკიელ 12

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²ადამის ძევ! მეამბოხეთა სახლში ცხოვრობ შენ, რომელთაც თვალები აქვთ დასანახავად და ვერ ხედავენ, ყურები აქვთ მოსასმენად და არ ესმით, რადგან მეამბოხენი არიან ისინი.

³და შენ, ადამის ძევ, გაიმზადე ხიზნის ბარგი და დღისით-მზისით გადი მათ თვალწინ ხიზნად, და გადასახლდი შენი ადგილიდან სხვა ადგილას მათ თვალწინ, იქნებ გონს მოეგონ, თუმცა მეამბოხეთა სახლია ის.

⁴და გამოიტანე შენი ბარგი, როგორც ბარგი ხიზნისა დღისით, მათ თვალწინ, და გადი საღამოთი მათ თვალწინ, როგორც გადიან გადასახლებად.

⁵მათ თვალწინ გაანგრე კედელი და იქიდან გაიტანე შენი ბარგი.

⁶მათ თვალწინ მოიკიდე ზურგზე შენი ტვირთი და სიბნელეში გაიტანე; სახე დაიფარე, რომ არ დაინახო მიწა; რადგან ნიშნად მივეცი შენი თავი ისრაელის სახლს.

⁷და გავაკეთე ისე, როგორც მებრძანა: ჩემი ბარგი, როგორც საჭირო ნივთები გადასახლებაში მიმავლისა, გავიტანე დღისით, საღამოთი კი ხელით



გავანგრე კედელი, ბნელეში გავიტანე ბარგი და ზურგზე მოვიკიდე მათ თვალწინ.

⁸და იყო სიტყვა უფლისა ჩემს მიმართ დილით:

⁹ადამის ძევ! განა არ გკითხა ისრაელის სახლმა, მემბოხეთა სახლმა, რას აკეთებო?

¹⁰უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ეს განაჩენი ეხება იერუსალიმის მთავარს და მთელ ისრაელის სახლს, ყველას, ვინც იქ არის.

¹¹უთხარი მათ: მე ნიშანი ვარ-თქო თქვენთვის. რასაც მე ვაკეთებ, იგივე გადახდება იერუსალიმელთ, – ხიზნად და ტყვეებად მოუწევთ წასვლა.

¹²და მთავარი, რომელიც მათ შორისაა, ზურგზე მოიკიდებს ტვირთს სიბნელეში და გავა. კედელს გამოუთხრიან წინ, რათა გაიყვანონ იქიდან. სახეს დაიფარავს, რათა აღარ იხილოს თვალთ ეს ქვეყანა.

¹³და მოვისვრი მასზე ჩემს ბადეს და გაებმება ჩემს სათხეველში; და მოვიყვან მას ბაბილონში, ქალდეველთა ქვეყანაში, მაგრამ ვეღარ იხილავს მას, და იქ მოკვდება .

¹⁴და ყველას, ვინც მის ირგვლივ არიან, მის შემწეებს და მთელ მის ლაშქარს, გავფანტავ ყველა ქარის მიმართულებით, და მახვილს ვიშიშვლებ მათ კვალზე.

¹⁵და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი, როცა გავაბნევ მათ ხალხებში და ქვეყნებში მიმოვფანტავ.

¹⁶და მათგან მცირეოდენთ დავიფარავ მახვილის, შიმშილისა და შავი ჭირისაგან, რათა მოუთხრონ მთელი თავიანთი სისამაგლე წარმართებს, რომლებთანაც მივლენ. და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი.

¹⁷და იყო სიტყვა უფლისა ჩემს მიმართ ნათქვამი:

¹⁸ადამის ძევ! შენი პური ტკივილით ჭამე და შენი წყალი ჭირითა და ტანჯვით სვი.

¹⁹და უთხარი ამ ქვეყნის ხალხს: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი იერუსალიმისა და ისრაელის ქვეყნის მკვიდრებზე: თავის პურს ტკივილით შეჭამენ და თავის წყალს ჭირითა და ტანჯვით შესვამენ, რადგან დაცარიელდება მათი ქვეყანა მისი სისავსისაგან მის მცხოვრებთა ძალადობის გამო.

²⁰დასახლებული ქალაქები დაინგრევა და გაუდაბურდება ქვეყანა; და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი.

²¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემს მიმართ ნათქვამი:



²²ადამის ძევ! ეს რა ანდაზა გაქვთ თქვენ ისრაელის მიწაზე ნათქვამი: ჟამი გაივლის და ყოველი ხილვა გაქარწყლდებაო?

²³ამიტომ უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: გავაუქმებ მე ამ ანდაზას და აღარ იტყვიან მას ისრაელში. უთხარი მათ: ახლოსაა-თქო ჟამი, და აღსრულება ყოველი ხილვისა.

²⁴რადგან აღარ იქნება არავითარი ცრუ ხილვა და მაცდუნებელი მისნობა ისრაელის სახლში.

²⁵რადგან მე ვარ უფალი, და რასაც მე ვლაპარაკობ, ის მოხდება და აღარ გადაიდება, რადგან თქვენს დღეებში, მეამბოხეთა სახლო, ვიტყვი სიტყვას და ავახდენ მას! – ამბობს უფალი ღმერთი.

²⁶და იყო სიტყვა უფლისა ჩემს მიმართ ნათქვამი:

²⁷ადამის ძევ! აჰა, ისრაელის სახლი ამბობს: ის წინასწარმეტყველური ხილვა, რომელიც მან იხილა, აღსრულდება მრავალი დღეების შემდეგ, და ის წინასწარმეტყველებს შორეულ დღეებზე.

²⁸ამიტომ უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აღარ გადაიდება არც ერთი ჩემი სიტყვა, რადგან სიტყვა, რომელსაც მე ვიტყვი, შესრულდება! – ამბობს უფალი ღმერთი.

ეზეკიელ 13

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²ადამის ძევ! იწინასწარმეტყველე ისრაელის წინასწარმეტყველთა მიმართ და უთხარი თავიანთი გულიდან მოწინასწარმეტყველთ: ისმინეთ-თქო სიტყვა უფლისა.

³ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ვაი, უგუნურ წინასწარმეტყველთ, რომელნიც თავიანთ სულს მიჰყვებიან და არაფერი უხილავთ.

⁴წინასწარმეტყველნი შენნი, ისრაელ, როგორც ტურები უდაბურ ნანგრევებში!

⁵თქვენ არ გადიხართ განგრეულ კედელში და ზღუდეს არ ავლებთ ისრაელის სახლს, რათა მტკიცედ დადგეს ბრძოლაში უფლის დღეს.

⁶ამაოა მათი ხილვები და სიცრუეა მათი მისნობა და მათი ნათქვამი: უფალმა ბრძანაო. უფალს არ გამოუგზავნია ისინი; მათ კი იმედი აქვთ, რომ უფალი აღასრულებს მათ სიტყვას.



⁷განა ამო ხილვა არ იხილეთ და სიცრუეს არ მისწოდით, რომ ამბობდით: უფლის სიტყვა არისო! მე კი არაფერი მითქვამს.

⁸ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: რადგან თქვენი სიტყვები სიცრუეა და მისწობა თქვენი ამო, ამიტომ იცოდეთ, რომ თქვენს წინააღმდეგ ვარ, – ამბობს უფალი ღმერთი.

⁹და მისწვდება ჩემი ხელი წინასწარმეტყველთ, რომელთაც ამო ხილვები აქვთ და სიცრუეს მისწობენ; ჩემი ერის საფიხვნოში ვერ დასხდებიან ისინი და ისრაელის სახლის წიგნში ვერ ჩაიწერებიან და ისრაელის მიწაზე ვერ მოვლენ. და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი ღმერთი.

¹⁰იმის გამო, რომ ჩემს ერს აცდუნებენ და ეუბნებიან: მშვიდობა არისო, მაგრამ არ არის მშვიდობა. ჩემი ხალხი აშენებს კედელს, ისინი კი ტალახით აბათქაშებენ.

¹¹უთხარი ტალახით გამბათქაშებლებს: ჩამოწვება-თქო თქვენი კედელი. დაუშვებს კოკისპირული წვიმა, წამოვა კოხივით სეტყვა და ამოვარდება ქარიშხალი.

¹²და, აჰა, ჩამოწვება კედელი და ხომ გეტყვიან, სად არისო ის ბათქაში, რომლითაც შელესეთ?

¹³ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: განრისხებული ამოვადებ ქარიშხალს და წამოვა კოკისპირული წვიმა ჩემი გულისწყრომით; გაცეცხლებული დავუშვებ კოხივით სეტყვას შესამუსრად.

¹⁴და მე დავანგრევ იმ კედელს, რომელიც თქვენ გააბათქაშეთ ტალახით, და დავცემ მიწაზე და გამოჩნდება მისი საძირკველი. ჩამოწვება და დაილუპებით მის ნანგრევებში და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი.

¹⁵და დავასრულებ ჩემს რისხვას იმ კედელზე და ტალახის ბათქაშით მის გამბათქაშებლებზე, და გეტყვით: აღარ არის კედელი და აღარ არიან მისი გამბათქაშებელნი;

¹⁶ისრაელის წინასწარმეტყველნი, რომელნიც უწინასწარმეტყველებდნენ იერუსალიმს და აღუთქვამდნენ მშვიდობის ხილვას, მშვიდობა კი არ არის! – ამბობს უფალი ღმერთი.

¹⁷და შენ, ადამის ძევ! პირი ქენი შენი ერის ასულებისაკენ, რომელნიც წინასწარმეტყველებენ საკუთარი გულით, და იწინასწარმეტყველე მათზე.

¹⁸უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ვაი, იმ ქალებს, რომლებიც სულების მოსანადირებლად სამისწო ტომსიკებს იკერავენ საიდაყვებად და მათ, რომლებიც თავსაზურავენს ამზადებენ ყოველი სიმაღლის



ადამიანისთვის. ნუთუ გგონიათ, რომ ჩემი ერის სულების მონადირებით თქვენს სულებს გადაარჩენთ?

¹⁹და სახელს მიტეხავთ მე ჩემი ხალხის თვალში ერთი მუჭა ქერისა და პურის ნატეხისათვის, როცა ხოცავთ სულებს, რომლებიც არ არიან დასახოცი და ცოცხლად ტოვებთ სულებს, რომლებიც არ არიან სასიცოცხლო, რომ ატყუებთ ჩემს ერს, სიცრუის დამჯერებელს.

²⁰ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, აღვდგები თქვენი სამისწო ტომსიკების წინააღმდეგ, რომლებითაც სულებს იჭერთ. მე დაგაგლეჯთ მკლავებზე იმ ტომსიკებს და იმ სულებს, რომლებიც თქვენ დაიჭირეთ, გავათავისუფლებ.

²¹და დავფხრეწ თქვენს თავსაბურავებს და ვიხსნი ჩემს ერს თქვენი ხელიდან, და აღარ იქნებიან ისინი თქვენი ნანადირევი. და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი.

²²რადგან მართლის გულს სიცრუით ამწუხრებდით, მე კი არ დამიმწუხრებია იგი; და ბიწიერს ხელებს უმაგრებდით, რომ არ მობრუნებულიყო ბოროტი გზიდან თავისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

²³ამიტომ ამაო ხილვებს აღარ იხილავთ და მისწობით აღარ იმისნებთ. და მე ვიხსნი ჩემს ერს თქვენი ხელიდან და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი.

ეზეკიელ 14

¹მოვიდა ჩემთან რამდენიმე კაცი ისრაელის უხუცესთაგან და ჩემს წინ დაჯდა.

²და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

³ადამის ძევ! ამ ხალხმა გული გაუღო თავის კერპებს და თავისი უკეთურება დაბრკოლებად დაიდო წინ. განა დავუშვებ, რომ მე მათ რჩევას მოვუსმინო?

⁴ამიტომ ილაპარაკე მათთან და უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ყოველი კაცი ისრაელის სახლიდან, რომელიც გულს გაუღებს თავის კერპებს და თავის უკეთურებას დაბრკოლებად დაიდებს წინ და მივა წინასწარმეტყველთან, მე, უფალი, როგორ მივაგებ მას პასუხს, როცა მოდის თავისი მრავალი კერპებით?

⁵დაე მიხვდეს ისრაელის სახლი თავის გულში, რომ უცხონი გახდნენ ჩემთვის ყველანი თავიანთი კერპების გამო.



⁶ამიტომ უთხარი ისრაელის სახლს: ასე თქვა-თქო უფალმა ღმერთმა: დაბრუნდით და მოიქეცით თქვენი კერპებისაგან და ყველა თქვენი სისამაგლისაგან მოაბრუნეთ თქვენი პირი,

⁷რადგან ყოველი კაცი ისრაელის სახლიდან და მწირთაგან, რომელიც იცხოვრებს ისრაელში, და რომელიც უცხო გახდება ჩემთვის, და თავის კერპებს გაუღებს გულს და თავის უკეთურებას დაბრკოლებად დაიდებს წინ, და მივა წინასწარმეტყველთან და შეეკითხება ჩემზე, განა მე, თავად უფალი, მივაგებ მას პასუხს?

⁸და მივაქცევ ჩემს პირს იმ კაცის წინააღმდეგ, ნიშნად და იგავად დავდებ მას და მოვსპობ ჩემი ერიდან, და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი.

⁹და ეს წინასწარმეტყველი თუ ცდუნდება და ალაპარაკდება, თითქოს მე, უფალმა, ვაცდუნე ის წინასწარმეტყველი, ხელს მოვუღერებ მას და მოვსპობ ჩემი ერიდან, ისრაელიდან.

¹⁰და ორივე იტვირთავს თავის დანაშაულს და როგორიცაა დანაშაული შემკითხველისა, ისეთივე იქნება დანაშაული წინასწარმეტყველისა,

¹¹რათა მეტად აღარ განმიდგეს მე სახლი ისრაელისა და მეტად აღარ შეიბილწოს ყოველი თავისი დანაშაულით, არამედ ისინი იქნებიან ჩემი ერი და მე ვიქნები მათი ღმერთი! – ამბობს უფალი ღმერთი.

¹²და იყო უფლის სიტყვა ჩემდამი თქმული:

¹³ადამის ძევ! თუ ქვეყანა შესცოდავს ჩემს წინაშე და ღალატით განმიდგება, მე ხელს მოვუღერებ მას და შევუმუსრავ პურის ბეღლებს, და მოვუვლენ მას შიმშილს და მოვკვეთ მისგან კაცსა და პირუტყვს;

¹⁴და რომ იქ აღმოჩნდეს სამი კაცი: ნოე, დანიელი და იოზი, ისინი თავიანთი სიმართლით გადარჩებიან! – ამბობს უფალი ღმერთი. –

¹⁵ანდა, მძვინვარე მხეცები რომ მიმეშვა იმ ქვეყანაზე, ამოძირკვავდნენ ხალხსა და უდაბნოდ აქცევდნენ იქაურობას, და ვერავინ გაბედავდა იქ გავლას იმ მხეცების შიშით,

¹⁶ის სამი კაცი იქ რომ ყოფილიყო, ცოცხალი ვარ მე! – ამბობს უფალი ღმერთი, – ვერც ძეთ და ვერც ასულთ ვერ გადაარჩენდა, მხოლოდ ისინი გადარჩებოდნენ, ის ქვეყანა კი უდაბნოდ იქცეოდა.

¹⁷ან თუ მახვილს მოვუვლენდი იმ ქვეყანას და ვიტყვი: მახვილმა დაიაროს ამ ქვეყანაში და მოკვეთოს მისგან კაცი და პირუტყვი,

¹⁸ის სამი კაციც, ცოცხალი ვარ მე! – ამბობს უფალი ღმერთი, – ვერ გადაარჩენდა ძეთა და ასულთ, მხოლოდ ისინი გადარჩებოდნენ.



¹⁹ან თუ შავ ჭირს მოვუვლენდი იმ ქვეყანას და დავანთხევდი მასზე ჩემს რისხვას სისხლისღვრით კაცისა და პირუტყვის ამოსაწყვეტად.

²⁰ნოე, დანიელი და იობიც რომ ყოფილიყვნენ იქ, ცოცხალი ვარ მე, – ამბობს უფალი ღმერთი, – ვერც ძეს და ვერც ასულს ვერ გადაარჩენენ. ისინი თავიანთი სიმაართლით გადაარჩენენ მხოლოდ თავიანთ სულებს.

²¹რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: ჩემი ოთხი მძიმე სასჯელიც რომ მოვუვლინო: მახვილი, შიმშილი, მძვინვარე მხეცი და შავი ჭირი იერუსალიმს კაცისა და პირუტყვის აღმოსაკვეთად,

²²აჰა, დარჩება მასში ნატამალი – ძენი და ასულნი, რომელნიც გამოყვანილ იქნებიან იქიდან. აჰა, გამოვლენ ისინი თქვენთან და დაინახავთ მათ გზასა და მათ საქციელს, და დაგავიწყდებათ უბედურება, რაც მე მოვაწიე იერუსალიმს, ყველაფერი, რაც მე მოვაწიე მას.

²³და განუგეშებენ, როცა დაინახავთ მათ საქმეებსა და მათ საქციელს და მიხვდებით, რომ ამაოდ არ გამიკეთებია ყოველივე, რაც იქ გავაკეთე, – ამბობს უფალი ღმერთი.

ეზეკიელ 15

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²ადამის ძე! რითი სჯობს ვაზი სხვა ხეებს, ტყეში რომ ხარობენ?

³თუ ივარგებს მისი წალამი რაიმე საგნის გასაკეთებლად? თუ გაითლება მისგან პალო ზედ რაიმეს ჩამოსაკიდებლად?

⁴აჰა, ცეცხლში ყრიან მას დასაწველად, მთლიანად იწვის – განა გამოდგება სხვა რამეში?

⁵აჰა, მთელი იყო და არ ვარგოდა რაიმე საგნის გასაკეთებლად, მით უფრო, რომ ახლა, როდესაც ცეცხლმა შეჭამა, რილისთვის უნდა გამოდგეს?

⁶ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: როგორც ვაზის წალამი ტყის სხვა ხეებთან ერთად ცეცხლს მივეცი შესაჭმელად, ასევე მივცემ იერუსალიმის მცხოვრებთაც.

⁷და მივაქცევ ჩემს პირს მათ წინააღმდეგ; ცეცხლიდან გამოვიდნენ და მაინც ცეცხლი შეჭამს მათ. მაშინ მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი, როდესაც პირს მივაქცევ მათ წინააღმდეგ.

⁸და ავაოხრებ ამ ქვეყანას იმის გამო, რომ მღალატობდნენ! – ამბობს უფალი ღმერთი.



ეზეკიელ 16

- ¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:
- ²ადამის ძევ! აუწყე იერუსალიმს მისი სისაძაგლენი.
- ³და თქვი: ასე ეუბნება-თქო უფალი ღმერთი იერუსალიმს: ძირი შენი და სამშობლო შენი ქანაანის ქვეყნიდანაა. მამაშენი ამორეველი იყო, დედაშენი – ხეთელი.
- ⁴და შობასა შენსა, შენი დაბადების დღეს, ჭიპლარი არ მოუჭრიათ შენთვის; წყლით არ განუბანიხართ გასასუფთავებლად, და მარილით არ დაუხელიხართ და სახვევებში არ შეუხვევიათ.
- ⁵არავინ შემოგხედა სიბრალულის თვალთ, რათა გაეკეთებინათ შენთვის ერთი ამათგანი სამადლოდ; და ველზე გადაგადეს შენი შობის დღეს, რადგან საძულველი იყავი.
- ⁶და მე ჩაგიარე და დაგინახე სისხლში მოსვრილი, და მე გითხარი: შენს სისხლში იცოცხლე-მეთქი! ასე გითხარი, როცა შენს სისხლში იწექი: შენს სისხლში იცოცხლე
- ⁷და იზარდე; გაგამრავლე როგორც მცენარე ველისა. აღმოცენდი და გაიზარდე და ამაღლდი; და გახდი მშვენიერთა მშვენიერი! დაგაჩნდა ძუძუნი და თმა მოგეზარდა, შენ კი სამარცხვინოდ შიშველ-ტიტველი იყავი.
- ⁸მე ჩაგიარე და დაგინახე, და, აჰა, დაგდგომოდა ჟამი სიყვარულისა. და გადაგაფარე ჩემი კალთა და დავფარე შენი სიშიშველე. შემოგფიცე და აღთქმა დაგიდე, – ამბობს უფალი ღმერთი, – და გახდი ჩემი.
- ⁹დაგბანე წყლით, და ჩამოგრეცხე სისხლი და გცხე ზეთი.
- ¹⁰შეგმოსე ჭრელი სამოსლით და ფეხზე ჩაგაცვი ხამი ტყავის ხამლები; წელზე ბისონი შემოგარტყი და აბრეშუმის საბურველი შემოგავლე;
- ¹¹შეგამკე სამკაულებით; ხელზე სამაჯურები შეგასხი და ყელზე შიბები შეგაბი;
- ¹²რგოლი გაგიკეთე ცხვირზე და საყურეები – ყურებზე; და სანაქებო გვირგვინი დაგადგი თავზე.
- ¹³შემკული იყავი ოქროთი და ვერცხლით; შენი სამოსელი ბისონი, აბრეშუმი და ნაქარგი ქსოვილი იყო. გამტკიცულ ფქვილს, თაფლსა და ზეთს მიირთმევდი. და დიდად გალამაზდი და სადედოფლო შეიქენ.



¹⁴სახელი გაგივარდა ხალხებში შენი მშვენიერების გამო, რადგან სრულყოფილი ჩანდი ჩემი დიდებულებით, რომელიც მე დავდე შენზე, – ამბობს უფალი ღმერთი.

¹⁵და მიენდე შენს სილამაზეს, და, სარგებლობდი რა შენი დიდებით, მეძაობდი და ყველა გამვლელ-გამოვლელთან მეძაობდი, ვინც გინდა ყოფილიყო.

¹⁶აიღე შენი სამოსლიდან და ააჭრელე სამსხვერპლო მაღლობები, და მეძაობდი მათზე, რის მსგავსიც არ ყოფილა და არც იქნება.

¹⁷შენ აიღე შენი მშვენიერი სამკაულები რომელიც მე მოგეცი ჩემი ოქრო-ვერცხლიდან და გაიკეთე მამაკაცთა კერპები და მეძაობდი მათთან.

¹⁸აიღე შენი სამოსელი ნაქარგი ქსოვილისა და ჩააცვი მათ და ჩემი ზეთი და საკმეველი წინ დაუწყე მათ.

¹⁹და ჩემი პური, რომელსაც გაძლევდი, ფქვილი, ზეთი და თაფლი, რომლითაც მე გკვებავდი, შენ მიგქონდა მათ წინაშე სურნელოვან საყნოსავად! – ამბობს უფალი ღმერთი.

²⁰და წაიყვანე შენი ძენი და ასულნი, რომლებიც მე გამიჩინე, და მსხვერპლად შესწირე კერპებს შესაჭმელად, თითქოს შენი მეძაობა არ კმაროდა მათთან.

²¹და კლავდი ჩემს ძეთ და კერპებს გადასცემდი ცეცხლში დასაწვავად.

²²და მთელს შენს სისამაგლესა და მეძაობაში არ გაგხსენებია შენი სიყმაწვილის დღეები, როდესაც შიშველ-ტატველი შენს სისხლში ითხვრებოდი.

²³და ყველა შენი ბოროტების შემდეგ, – ვაი, ვაი შენ! – ამბობს უფალი ღმერთი, –

²⁴იყო, რომ აიშენე საკერპო და სათაყვანო მაღლობი გაიკეთე ყოველ მოედანზე.

²⁵ყოველი გზის გასაყარზე აიშენე სამსხვერპლო მაღლობი და არცხვენდი შენს სილამაზეს, ფეხებს უშლიდი ყველა გამვლელ-გამომვლელს და ამრავლებდი შენს მეძაობას.

²⁶და მეძაობდი ეგვიპტის ძეებთან, შენს დიდხორციან მეზობლებთან, და ამრავლებდი შენს მეძაობას ჩემს გასარისხებლად.

²⁷და, აჰა, ხელი მოგიღერე და შეგიმცირე წილი; დაგაგდე შენს მოძულეთა, ფილისტიმელ ასულთა, ანაბარა, რომელთაც ერცხვინებოდათ შენი უზნეო საქციელი.



²⁸და მეძაობდი აშურის ძეებთანაც დაუოკებელი ავხორცობის გამო, მეძაობდი მათთან და ვერ გაძეხი.

²⁹და გაამრავლე შენი მეძაობა ქანაანის ქვეყნიდან ქალდეველთა ქვეყნამდე და მაინც ვერ გაძეხი.

³⁰როგორ გიდნებოდა გული, – ამბობს უფალი ღმერთი, – როდესაც სჩადიოდი ყოველივე ამას – ურცხვი მეძავი ქალის საქმეს.

³¹როდესაც სამეძაოებს აშენებდი ყოველი გზის გასაყარზე, და აგებდი მაღლობებს ყოველ მოედანზე, მაშინ შენ არ იყავი მეძავივით, რომელიც მეძაობის გასამრჯელოს იღებს,

³²არამედ როგორც მრუში ცოლი, თავისი ქმრის ნაცვლად უცხოებს რომ ეძლევა!

³³ყველა მეძავს აძლევენ საჩუქრებს, შენ კი შენს საჩუქრებს აძლევდი ყველა შენს საყვარელს და ქრთამავდი, რომ მოსულიყვნენ შენთან ყოველი მხრიდან და შენთან ესიძვათ.

³⁴და შენს მეძაობაში სხვა ქალთა საპირისპიროდ იქცეოდი: შენ კი არ გედევნებიან სამეძაოდ, შენ აძლევ საჩუქრებს, შენ კი არ გაძლევენ, შენ პირიქით იქცევი.

³⁵ამიტომ, მეძავო დიაცო, ისმინე უფლის სიტყვა.

³⁶ასე ამბობს უფალი ღმერთი: რაკი გაანიავე შენი ფული და გამოაჩინე შენი სიშიშვლე შენს საყვარლებთან და შენი სისაძაგლის ყველა კერპთან შენი მეძაობისას, და შენს ძეთა სისხლის გამო, რომლებიც მათ შესწირე,

³⁷შევკრებ ყველა შენს საყვარელს, რომლებთანაც შენ ტკბებოდი და ყველას, ვინც გიყვარდა და ყველას, ვინც შენ გპულდა, მე შევკრებ მათ შენს წინააღმდეგ ყოველი მხრიდან და ავხდი შენს სიშიშვლეს მათ წინაშე და დაინახავენ მთელ შენს სიშიშვლეს.

³⁸და მე განგსჯი შენ მრუშთა და სისხლისმღვრელთა სამართლით და მიგცემ შენ სისხლიან რისხვასა და შურს.

³⁹და მე მიგცემ შენ მათ ხელთ და დაანგრევენ შენს საკერპოს და დაღეწავენ შენს მაღლობებს, და გაგხდიან სამოსელს და წაიღებენ შენს ჭურჭელს, შენს სამკაულებს და დაგტოვებენ შიშველ-ტიტველს.

⁴⁰და შეაგროვებენ შენს წინააღმდეგ ბრბოს და ჩაგქოლავენ ქვით და დაგჩეხავენ თავიანთი მახვილებით.



⁴¹და გადასწავენ შენს სახლებს ცეცხლით, და დაგდებენ მსჯავრს მრავალი ქალის თვალწინ, და მე შეგაწყვეტინებ მეძაობას და საჩუქრებსაც აღარ გაიღებ.

⁴²დავაცხრობ ჩემს რისხვას შენზე და მოგშორდება ჩემი შური, და დავწყნარდები და აღარ განვრისხდები მეტად.

⁴³იმის გამო, რომ არ გაიხსენე შენი სიყმაწვილის დღეები და მაწუხებდი ყოველივე ამით, მეც შენს საქციელს შენს თავზე მოვაწევ, – ამბობს უფალი ღმერთი, – რათა აღარ ჩაიდინო ეს გარყვნილება ყოველივე შენი სისამაგლის შემდეგ.

⁴⁴და ყოველი მეიგავე იტყვის შენზე ანდაზას: რაც დედაა, შვილიც ის არისო.

⁴⁵დედაშენის შვილი ხარ შენ, ქმარ-შვილის მოძულისა; დაი ხარ შენი დებისა, რომელთაც ეზიზღებოდათ თავიანთი ქმრები და მათი ძენი; დედათქვენი ხეთელია და მამათქვენი – ამორეველი.

⁴⁶შენი უფროსი და სამარიელია; ის და მისი ასულები შენს მარცხნივ ცხოვრობენ; ხოლო შენი უმცროსი და, შენს მარჯვნივ რომ ცხოვრობს, სოდომია თავის ასულებთან ერთად.

⁴⁷იმათი გზებით არ გივლია და არც მათი სისამაგლის მსგავსი რამ ჩაგიდენია, რადგან გეცოტავებოდა: შენ მათზე უზნეოდ იქცეოდი შენს ყველა გზაზე.

⁴⁸ცოცხალი ვარ მე, – ამბობს უფალი ღმერთი, – თუ სოდომს – შენს დას – და მის ასულთ ჩაედინოთ ის, რასაც შენ და შენი ასულნი აკეთებდით!

⁴⁹აჰა, ეს იყო ურჯულოება სოდომისა – შენი დისა: ამჰარტავნება, ღორმუცელობა და უზრუნველობა მისი და მისი ასულებისა; და ღარიბ-ღატაკის შეუწყალებლობა.

⁵⁰და გამედიდურდნენ და სისამაგლეებს აკეთებდნენ ჩემს თვალწინ; და მე უარვყავი ისინი, როცა ეს დავინახე.

⁵¹სამარიას შენი ცოდვების ნახევარიც არ ჩაუდენია: გადააჭარბე მათ შენი სისამაგლეებით და მართლებად გამოაჩინეს შენი დები შენმა სისამაგლეებმა, რომლებიც შენ ჩაიდინე.

⁵²შენც ატარე შენი სირცხვილი, რომ კიცხავდი შენს დებს შენი ცოდვების გამო, რომლითაც შეიბილწე შენ მათზე მეტად. ისინი შენზე მართლები არიან; მაშ შერცხვი და ატარე შენი სირცხვილი, რომ გაამართლო შენი დები.

⁵³და დავაბრუნებ მე მათ ტყვეებს, სოდომისა და მის ასულთა ტყვეებს, სამარიისა და მის ასულთა ტყვეებს, და შენს ტყვეებსაც მათ შორის,



⁵⁴რათა ატარო შენი სირცხვილი და გარცხვენდეს ყოველივე, რაც გააკეთე მათ სანუგეშებლად.

⁵⁵და შენი დები – სოდომი და მისი ასულნი – დაუბრუნდებიან თავიანთ წინანდელ ყოფას, სამარია და მისი ასულნიც დაუბრუნდებიან თავიანთ უწინდელ ყოფას, შენცა და შენი ასულნიც დაუბრუნდებით თქვენს უწინდელ ყოფას.

⁵⁶განა სოდომი – შენი და – ყბად არა გყავდა აღებული შენი ამპარტავნების დღეებში?

⁵⁷სანამ ჯერ კიდევ არ იყო გაცხადებული შენი ბოროტება, როგორც შენი შერცხვენის დღეებში, არამის ასულთა და მის ირგვლივ მყოფ, ფილისტიმელ ასულთა წინაშე, რომელთაც ყოველმხრივ მოგიძულეს შენ.

⁵⁸შენი გარყვნილება და შენი სისამაგლე ატარე ახლა! – ამბობს უფალი.

⁵⁹რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: და მეც ისე მოგექცევი, როგორც შენ მოიქეცი, როცა აბუჩად აიგდე ფიცი და დაარღვიე აღთქმა.

⁶⁰გავიხსენებ მე ჩემს აღთქმას შენთან, შენი სიყმაწვილის დროინდელს, და აღვადგენ შენთან მარადიულ აღთქმას.

⁶¹და გაიხსენებ შენს გზებს და შეგრცხვება, როცა შენს უფროს და უმცროს დებს მიიღებ; ასულებად მოგცემ მათ, მაგრამ არა შენი აღთქმის საზღაურად.

⁶²და მე აღვადგენ ჩემს აღთქმას შენთან და მიხვდები, რომ მე ვარ უფალი.

⁶³რათა გაიხსენო და შეგრცხვეს და აღარ გქონდეს ჩემთან გამოსაჩენი პირი შენი სირცხვილის გამო, როდესაც მოგიტევებ ყოველივეს, რაც გააკეთე. – ამბობს უფალი ღმერთი.

ეზეკიელ 17

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²ადამის ძევ! გამოიცანი გამოცანა და უთხარი იგავი ისრაელიანთ.

³და თქვი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: დიდი ორბი, ფართოფრთებიანი, გრძელნაკრტენიანი, ხშირბუმბულიანი, ჭრელი ბუმბულით დაფარული, მოფრინდა ლიბანში და კენწერო მოგლიჯა კედარს.

⁴მოტეხა მისი მთავარი ყლორტი და წაიღო ქანაანის ქვეყანაში და მოვაჭრეთა ქალაქში დადო.



⁵და აიღო იმ ქვეყნის თესლი და ჩათესა ნაყოფიერ ველზე, სადაც წყალი უხვად იყო, და ტირიფივით დარგო.

⁶აღმოცენდა იგი და შეიქმნა რტოგაშლილი ვაზი, დაბალი, მისი ლერწები ორბისაკენ მიიწევდა და მისი ფესვებიც მის ქვეშ იყო. და შეიქმნა ვაზი და გამოიტანა წიდნები და გაუშვა ბაბილონი.

⁷და იყო ერთი დიდი ორბი, ფართოფრთებიანი და ხშირბუმბულიანი; და ამ ვაზმა მიმართა თავისი ფესვები მისკენ და თავისი ლერწები მისკენ გაიშვირა, რათა მას მოერწყა ეს ვაზი მისი ნარგავის კვალიდან.

⁸კარგ ნიადაგში იყო იგი დარგული უხვ წყლებთან, რათა ამოეყარა მორჩები და მოესხა ნაყოფი, რომ გამხდარიყო საუცხოო ვაზი.

⁹უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: წარმატება თუ ექნება? განა მის ფესვებს არ ამოძირკვავენ და მის ნაყოფს არ მოგლეჯენ და არ გახმება იგი? ყველა მისი ყლორტი გახმება. და არ იქნება საჭირო დიდი ძალა და მრავალი ხალხი, რათა აღმოფხვრან იგი ძირფერსვიანად.

¹⁰და, აჰა, დარგულია, მაგრამ თუ აღორძინდება? განა არ გახმება, როცა აღმოსავლეთის ქარი ეკვეთება? იმავე კვლებში გახმება, სადაც გაიზარდა.

¹¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

¹²უთხარი მეამბოხე სახლს: ნუთუ არ იცით რას ნიშნავს ეს? უთხარი: აჰა, მოვიდა ბაბილონის მეფე იერუსალიმს და წაიყვანა მისი მეფე და მისი მთავარნი, და მიიყვანა ისინი თავისთან ბაბილონში.

¹³და სხვა ვინმე წაიყვანა სამეფო მოდგმიდან და აღთქმა დაუდო მას და დაადებინა ფიცი, და ძლიერნი იმ ქვეყნისა წაიყვანა თავისთან,

¹⁴რათა ყოფილიყო სამეფო დამდაბლებული და არ ამაღლებულიყო, მაგრამ დაეცვა მასთან კავშირი და მტკიცედ მდგარიყო.

¹⁵ხოლო ის აუჯანყდა მას, მოციქულები გაგზავნა ეგვიპტეში, რათა მიეცათ მისთვის ცხენები და ბევრი ხალხი; მაგრამ განა წარმატება ექნება მას? განა გადარჩება ამის გამკეთებელი? მან აღთქმა დაარღვია და გადარჩება?

¹⁶ცოცხალი ვარ მე! – ამბობს უფალი ღმერთი, – თუ თავისი გამმეფებელი მეფის ქვეყანაში, ბაბილონში, არ მოკვდეს ის, ვინც არაფრად ჩააგდო ფიცი, რომ ჩემი აღთქმა დაერღვია.

¹⁷დიდი ლაშქრითა და დიდძალი ხალხითაც ვერაფერს უშველის მას ფარაონი ამ ომში, როცა აღიმართება მიწაყრილები და აიგება საბრძოლო გოდლები მრავალი სულის გასაჟლეტად.



¹⁸არაფრად ჩააგდო ფიცი, რომ ჩემი აღთქმა დაერღვია; და, აჰა, მისცა თავისი ხელი და ყოველივე ეს გააკეთა მან; ვერ გადარჩება.

¹⁹ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: ცოცხალი ვარ მე! ჩემს ფიცს, რომელიც აბუჩად აიგდო, და ჩემს აღთქმას, რომელიც დაარღვია, მის თავზე დავათევ!

²⁰და ვესვრი მას ჩემს ბადეს და მოემწყვდევა ჩემს სათხეველში; მოვიყვან მას ბაბილონში და იქ განვსჯი მას მისი მუხთლობისთვის, რომლითაც მიმუხთლა მე.

²¹და მისი რაზმებიდან ყველა გაქცეული, მახვილით დაეცემა და გადარჩენილთ ყველა ქარს გავატან; და მაშინ მიხვდებით, რომ მე, უფალმა, ვთქვი ეს.

²²ასე ამბობს უფალი ღმერთი: ავიღებ ტოტს მაღალი კედარიდან და დავრგავ; ზემოთა ყლორტებიდან მოვწყვეტ ყველაზე ნაზს და მაღალ და ასვეტილ მთაზე დავრგავ.

²³ისრაელის უმაღლეს მთაზე დავრგავ მას და გაშლის ტოტებს და გამოიღებს ნაყოფს; და გახდება დიდებული კედარი; და მის ქვეშ დაბინავდება ყველა ფრინველი, ყველა ფრთოსანი მის შტოთა ჩრდილში დაიბუდებს.

²⁴და გაიგებს ველის ყველა ხე, რომ მე ვარ უფალი, რომელიც ვადაბლებ მაღალ ხეს, ვამაღლებ დაბალ ხეს, ვახმოვ ნედლ ხეს და ვაყვავებ გამხმარ ხეს. მე, უფალი ვამბობ ამას და აღვასრულებ.

ეზეკიელ 18

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²რას გულისხმობთ, ისრაელის მიწის შესახებ რომ ანდაზას ამბობთ: პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრაო კბილი?

³მე არ ვიყო ცოცხალი ღმერთი, – ამბობს უფალი ღმერთი, – თუდა გქონდეთ თქვენ მომავალში სათქმელად ეს ანდაზა ისრაელში!

⁴ყველა სული ჩემია, როგორც სული მამისა, ისევე სული ძისა. შემცოდე სული კი მოკვდება.

⁵და თუ კაცი მართალია და სამართლიანად და ჭეშმარიტებით იქცევა,

⁶სამსხვერპლო მაღლობებზე არ ჭამს და თვალი ისრაელის სახლის კერპებისაკენ არა აქვს მიპყრობილი, მოყვასის ცოლს არ ბილწავს და წიდოვან ქალს არ ეკარება,



- ⁷არავის ჩაგრავს და თავის მევალეს ვალს უბრუნებს; მარცვით არავის მარცვავს, თავის ლუკმას მშიერს უყოფს და შიშველ-ტიტველს ტანზე აცმევს.
- ⁸ვახშით არ არის გამსესხებელი და სარგებელს არ იღებს; უსამართლობისგან შორს არის მისი ხელი და კაცსა და კაცს შორის სწორ სამართალს აჩენს;
- ⁹ჩემი წესებით დადის და ჩემს სამართალს იცავს, რათა ჭეშმარიტება აკეთოს – ის არის მართალი კაცია და იცოცხლებს, – ამბობს უფალი ღმერთი. –
- ¹⁰მაგრამ თუ შეეძინება მოძალადე ძე, სისხლისმღვრელი, რომელიც თავის მოძმეს გაუკეთებს ისეთ რამეს,
- ¹¹რაც მის მამას არასდროს ჩაუდენია, და სამსხვერპლო მაღლობებზე ჭამს, მოყვასის ცოლს ბილწავს,
- ¹²ღარიბ-ღატაკს ჩაგრავს, მტაცებლობს, ვალს არ აბრუნებს და კერპებისაკენ უჭირავს თვალი, სისაძაგლეს სჩადის,
- ¹³ვახშით გასცემს სესხს და სარგებელს იღებს – უნდა იცოცხლოს? არ უნდა იცოცხლოს. ყოველივე ამ სისაძაგლის ჩამდენი უცილოდ მოკვდება და მისი სისხლი მის თავზე იქნება.
- ¹⁴და, აჰა, შვა ძე, რომელიც ხედავდა მამამისის ყოველ ცოდვას, რასაც ის აკეთებდა, ხედავდა და არ აკეთებდა მის მსგავს საქმეებს,
- ¹⁵სამსხვერპლო მაღლობებზე არ ჭამდა და თვალი ისრაელის სახლის კერპებისაკენ არ ეჭირა, მოყვასის ცოლს არ ბილწავდა,
- ¹⁶არავინ დაუჩაგრავს, გირაოს არ იღებდა და მარცვით არავის მარცვავდა, თავის ლუკმას მშიერ-მწყურვალს უყოფდა და შიშველ-ტიტველს აცმევდა,
- ¹⁷ღარიბის ჩაგვრაში მისი ხელი არ გარეულა, ვახშსა და სარგებელს არ იღებდა, ჩემს სამართალს ასრულებდა და ჩემი წესებით დადიოდა, ის არ მოკვდება მამამისის ურჯულოების გამო, ის იცოცხლებს.
- ¹⁸მამამისი კი, რადგან ჩაგრავდა, მოძმეს მარცვავდა და ბოროტებას სჩადიოდა თავის ხალხში, თავის ურჯულოებაში მოკვდება.
- ¹⁹თქვენ ამბობთ: რატომ არ უნდა იტვირთოსო შვილმა მამის ცოდვა? თუ შვილი სამართალსა და სიმართლეს იქმს, ჩემს ყველა წესს იცავს და ასრულებს – ის იცოცხლებს.
- ²⁰ცოდვილი სული კი მოკვდება. შვილმა არ უნდა იტვირთოს მამის დანაშაული და არც მამამ – შვილის ურჯულოება. მართლის სიმართლე მასზევე იქნება და ბოროტის ბოროტებაც – მასზევე.



21 ბოროტი კი, თუ მოიქცევა თავისი ცოდვებისგან, რაც ჩაუდენია და დაიცავს ყველა ჩემს წესს და იქმს სამართალსა და სიმართლეს, იცოცხლებს, არ მოკვდება.

22 ყველა მის დანაშაულს, რაც კი ჩაუდენია, არ გაუხსენებენ მას. თავისი სიმართლით, რომელსაც მისდევდა, იცოცხლებს.

23 განა მე ვისურვებ ბოროტის სიკვდილს? – ამბობს უფალი ღმერთი, – განა არ მინდა, რომ მოიქცეს თავისი გზიდან და იცოცხლოს?

24 მართალი კი, თუ მიიქცა თავისი სიმართლიდან და უსამართლობას სჩადის, ყველა იმ სისამაგლის მსგავსს, რასაც ბოროტი სჩადის, განა იცოცხლებს? ყოველ მის სიმართლეს, რაც ადრე აკეთა, არ გაუხსენებენ. და მოკვდება თავისი მუხთლობით, რომლითაც მუხთლობდა, და თავისი ცოდვით, რომლითაც სცოდავდა.

25 და თქვენ ამბობთ: არ არისო სწორი უფლის გზა. მომისმინე, სახლო ისრაელისა, ჩემი გზა არ არის სწორი? ეს თქვენი გზებია, სწორი რომ არ არის?

26 თუ მართალი თავისი სიმართლიდან მიიქცევა და ჩაიდენს უსამართლობას, ამის გამო მოკვდება; თავისი უსამართლობის გამო, რომელიც ჩაიდინა, მოკვდება იგი.

27 და თუ ბოროტი თავისი ჩადენილი ბოროტებიდან მოიქცა და იქმს სამართალსა და სიმართლეს, ის თავის სულს თავად გაიცოცხლებს.

28 თუ შეიგნებს და მოიქცევა თავისი დანაშაულებებიდან, რაც ჩაუდენია, ის იცოცხლებს, არ მოკვდება.

29 ისრაელის სახლი ამბობს: არ არისო სწორი უფლის გზა. ჩემი გზა არ არის სწორი, ისრაელის სახლო? განა თქვენი გზები არის სწორი?

30 ამიტომ თითოეულს თავისი გზის მიხედვით განგსჯით, ისრაელის სახლო, – ამბობს უფალი ღმერთი, – მოინანიეთ და მოიქცით თქვენი ყველა დანაშაულიდან და არ გექცევით ურჯულოება დაბრკოლებად.

31 მოიშორეთ ყველა თქვენი ცოდვები, რომლითაც სცოდეთ, და შეიქმენით ახალი გული და ახალი სული; და რატომღა უნდა ამოწყდეთ, ისრაელის სახლო?

32 რადგან მე არ მსურს მოსაკლავთა სიკვდილი, – ამბობს უფალი ღმერთი, – მაშ, მოიქცით და იცოცხლებით.

ეზეკიელ 19



- ¹შენ კი გოდება იწყე ისრაელის მთავრებზე
- ²და თქვი: ძუ ლომი იყო დედაშენი! ლომებს შორის იწვა, ლომის ბოკვერებთან ერთად ზრდიდა თავის ბოკვერებს.
- ³და გამოზარდა ერთი თავის ბოკვერთაგან, ლომი გახდა და ისწავლა ნადავლის ტაცება – ადამიანებს ჭამდა.
- ⁴და ესმათ მისი ამბავი ხალხებს; ორმოში შეიპყრეს ის და ჭიმით ჩაიყვანეს ეგვიპტეში.
- ⁵და ნახა ძუ ლომმა, რომ ამაოდ ელოდა, რომ დაიკარგა მისი იმედი, და აიყვანა ერთი სხვა თავის ლეკვთაგანი და ბოკვრად დააწესა.
- ⁶და ცხოვრობდა ის ლომებში, გაიზარდა და ისწავლა ნადავლის ტაცება – ადამიანებს ჭამდა.
- ⁷და ანგრევდა მათ სიმაგრეებს და მათ ქალაქებს აოხრებდა; და შეძრწუნდა ქვეყანა მისი ღრიალის ხმაზე.
- ⁸და აღდგნენ მასზე ხალხები შემოგარენთაგან, ბადე ესროლეს და შეიპყრეს ორმოში.
- ⁹და ჩასვეს გალიაკში ჭიმით და მიიყვანეს ბაბილონის მეფესთან და შეაყენეს საპყრობილეში, რათა აღარ გაისმას მისი ღრიალის ხმა ისრაელის მთებში.
- ¹⁰დედაშენი ვაზს ჰგავდა, წყლის პირას დანერგილ ბროწეულის ყვავილს; ნაყოფიერი და რტომრავალი იყო უხვი წყლებისაგან.
- ¹¹მაგარი ტოტები ჰქონდა მბრძანებელთა კვერთხებისათვის; გაიზარდა, ღრუბლებამდე აიყარა ტანი – ასე ჩანდა აზიდული და რტომრავალი.
- ¹²მაგრამ აღმოიფხვრა რისხვით, მიწაზე იქნა დანარცხებული და ხორშაკმა ქარმა გაახმო მისი ნაყოფი. გახმა მისი ძლიერების კვერთხი, ცეცხლმა შეჭამა იგი.
- ¹³ახლა უდაბნოშია დარგული, გამოწრეტილ და გვალვიან ქვეყანაში.
- ¹⁴და გამოვარდა ცეცხლი მისი მძლავრი ტოტებიდან, შეჭამა მისი ნაყოფი და აღარ შერჩა მას მაგარი ტოტი ხელმწიფის კვერთხისათვის. ეს არის გოდება და დარჩება გოდებად.

ეზეკიელ 20

- ¹და იყო, მეშვიდე წელს, მეხუთე თვის მეათე დღეს, მოვიდნენ კაცები, ისრაელის უბუცესთაგან, რომ შეკითხოდნენ უფალს, და დასხდნენ ჩემს წინ.
- ²და იყო უფლის სიტყვა ჩემდამი თქმული:



³ადამის ძევ! ელაპარაკე ისრაელის უხუცესებს და უთხარი: ასე თქვა-თქო უფალმა ღმერთმა: ჩემთან მოხვედით საკითხავად? ცოცხალი ვარ მე, თუ გაკითხვინეთ! – ამბობს უფალი ღმერთი. –

⁴განსჯი მათ? განსჯი მათ, ადამის ძევ? მათი მამების სისამაგლენი აუწყე მათ.

⁵და უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: იმ დღეს, როდესაც მე ამოვარჩიე ისრაელი და ხელი აღვმართე იაკობის სახლის მოდგმისთვის, და გამოვეცხადე მათ ეგვიპტის ქვეყანაში, და აღვმართე მათთვის ჩემი ხელი და ვუთხარი, მე ვარ-მეთქი უფალი, თქვენი ღმერთი.

⁶იმ დღეს აღვმართე ჩემი ხელი ფიცით, რომ გავიყვანდი მათ ეგვიპტის ქვეყნიდან იმ ქვეყანაში, რომელიც გამოვძებნე მათთვის, სადაც მოედინება რძე და თაფლი და ქვეყნიერების მშვენიება არის.

⁷და ვუთხარი მათ: ყოველმა თქვენგანმა თავიდან მოიშოროს-მეთქი სისამაგლეები თვალწინ რომ უდგათ და ეგვიპტის კერპებით ნუ შეიბილწებით. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი.

⁸მაგრამ ისინი წინ აღმიდგნენ მე და არ ისურვეს ჩემი მოსმენა. არავინ მოიშორა თვალთაგან სისამაგლეები და ეგვიპტის კერპები არ მიატოვა; და მე ჩავითქვი, გადმომენტხია ჩემი რისხვა და დამესრულებინა ჩემი წყრომა მათზე ეგვიპტის ქვეყანაშივე.

⁹მაგრამ მე ვმოქმედებდი ჩემი სახელის გულისთვის, რათა არ შებღალულიყო ის იმ ხალხების თვალში, რომელთა შორისაც ისინი იყვნენ, რომელთა თვალწინაც გამოვუცხადე მათ, რომ გამოვიყვანდი ეგვიპტის ქვეყნიდან.

¹⁰და მე გამოვიყვანე ისინი ეგვიპტის ქვეყნიდან და მივიყვანე უდაბნოში.

¹¹და მივეცი მათ ჩემი წესები და ჩემი სამართალი გამოვუცხადე, რათა შეესრულებინათ ისინი ადამიანებს და მათი მიხედვით ეცოცხლათ.

¹²და ჩემი შაბათებიც მივეცი მათ, რათა ისინი ყოფილიყო ნიშნად ჩემსა და მათ შორის, რათა სცოდნოდათ, რომ მე ვარ უფალი, მათი განმწმედელი.

¹³მაგრამ ისრაელის სახლი წინ აღმიდგა მე უდაბნოში, ჩემი წესებისამებრ არ იარეს და ჩემი სამართალი შეიზიზღეს, რომელიც უნდა შეესრულებინა ადამიანს და იმით ეცოცხლა. და ჩემი შაბათები შებღალეს მეტისმეტად. და მე ჩავითქვი, გადმომენტხია მათზე უდაბნოში ჩემი რისხვა, რათა ამომეწყვიტა ისინი.



¹⁴მაგრამ ვმოქმედებდი ჩემი სახელის გულისათვის, რათა არ შებღალულიყო იმ ხალხების თვალში, რომელთა თვალწინაც გამოვიყვანე ისინი.

¹⁵და აღვმართე ხელი უდაბნოში მათ წინააღმდეგ და დავიფიცე, რომ არ მივიყვანდი მათ იმ ქვეყანაში, სადაც მოედინება რძე და თაფლი, და ქვეყანა ქვეყნიერების მშვენება არის.

¹⁶რადგან შეიზიზღეს ჩემი სამართალი და ჩემი წესებით არ იარეს და შებღალეს ჩემი შაბათები, რადგან კერპებს მისტიროდა მათი გული.

¹⁷მაგრამ შეიბრალა ისინი ჩემმა თვალმა დასაღუპად და არ მოვსპე უდაბნოში.

¹⁸და მე ვუთხარი მათ ძეებს უდაბნოში: თქვენი მამების წესებით ნუ ივლით, მათი სამართალი არ დაიცვათ და მათი კერპებით თავს ნუ იბილწავთ-მეთქი.

¹⁹მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, ჩემი წესებით იარეთ და ჩემი სამართალი დაიცავით, და ის შეასრულეთ-მეთქი.

²⁰ჩემი შაბათები წმიდად დაიცავით და იყოს ისინი ნიშნად მე და თქვენს შორის იმის გასახსენებლად, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი.

²¹მაგრამ წინ აღმიდგნენ მე ისრაელიანთა ძენი, ჩემი წესებით არ იარეს და ჩემი სამართალი არ დაიცვეს, არ შეასრულეს ისინი, რომელთა შესრულებითაც ადამიანმა უნდა იცოცხლოს. ჩემი შაბათები შებღალეს და მე ჩავითქვი, გადმომეღვარა მათზე ჩემი რისხვა, დამესრულებინა მათზე ჩემი გულისწყრომა უდაბნოში.

²²მაგრამ მე დავიფიცე და ვმოქმედებდი ჩემი სახელის გულისათვის, რათა არ შებღალულიყო იგი იმ ხალხების თვალში, რომელთა თვალწინაც გამოვიყვანე ისინი.

²³და აღვუმართე მათ ჩემი ხელი უდაბნოში და დავიფიცე, რომ გავფანტავდი მათ წარმართებში და გავფანტავდი ქვეყნებში.

²⁴რადგან ჩემი სამართალი არ შეასრულეს და ჩემი წესები შეიზიზღეს; ჩემი შაბათები შებღალეს და თავიანთი მამების კერპებისკენ ეჭირათ თვალი.

²⁵და თავად მეც მივეცი მათ ცუდი წესები და სამართალი, რითაც ვერ იცოცხლებდნენ,

²⁶და უწმიდურად გამოვაცხადე ისინი თავიანთი მსხვერპლებით (პირველშობილი ყრმების ცეცხლში დაწვით რომ ხდებოდა), რათა გამეჩანაგებინა ისინი, და გაეგოთ, რომ მე ვარ უფალი.



²⁷ამიტომ ელაპარაკე ისრაელის სახლს, ადამის ძეგ, და უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი, რომ თქვენმა მამებმა იმითაც შემზღალეს, რომ ვერაგულად იქცეოდნენ ჩემს მიმართ.

²⁸და მოვიყვანე ქვეყანაში, რომლის მიცემასაც ხელის აპყრობითა და ფიცით შევპირდი, რომ მივცემდი მათ; და მათ კი მოძებნეს ყოველი სამსხვერპლო მალლობი და ყოველი ხემზვივანი და სწირავდნენ იქ თავიანთ მსხვერპლს, მიჰქონდათ იქ თავიანთი შესაწირავები ჩემს გასარისხებლად, აკმევდნენ იქ კეთილსურნელებას და უღვრიდნენ იქ თავიანთ საღვრელს.

²⁹და მე ვუთხარი მათ: რა არის ის მალლობი, სადაც თქვენ დადიხართ-მეთქი? მას შემდეგ დღევანდელ დღემდე იმ ადგილს მალლობი ეწოდება სახელად.

³⁰და ამიტომ უთხარი ისრაელის სახლს, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: განა თქვენი მამების გზით არ იბილწებით და მათი სისამაგლეების კვალობაზე არა მრუშობთ?

³¹თქვენი შესაწირავების მოტანით, თქვენს ძეთა ცეცხლში დაწვით არ იბილწებით მთელი თქვენი კერპებითურთ დღემდე? და კიდევ გინდათ, რომ მე გეკითხვინოთ, ისრაელის სახლო? ცოცხალი ვარ მე! – ამბობს უფალი ღმერთი, – თუ გეკითხვინოთ.

³²არ ახდება, რაც თქვენ გუნებაში მოგივიდათ, რომ ამბობთ: ვიქნებით სხვა ხალხებივით, სხვა ქვეყნების ტომებივით ვემსახურებით ხესა და ქვასაო.

³³ცოცხალი ვარ მე! – ამბობს უფალი ღმერთი, – თუ ძლიერი ხელითა და აღმართული მკლავით და რისხვის გადმონთხევით არ ვიმეფო თქვენზე!

³⁴გამოგიყვანთ ძლიერი ხელითა და აღმართული მკლავით ხალხებიდან და შეგკრებთ იმ ქვეყნებიდან, სადაც გაფანტულნი ხართ, გადმოვანთხევ რისხვას,

³⁵და მიგიყვანთ ხალხთა უდაბნოში და განგსჯით იქ პირისპირ.

³⁶როგორც განვსაჯე თქვენი მამები ეგვიპტის ქვეყნის უდაბნოში, ისევე განგსჯით თქვენ! – ამბობს უფალი ღმერთი. –

³⁷და გაგატარებთ კვერთხქვეშ და შეგიყვანთ დათვლილს .

³⁸და გამოვყოფ თქვენგან მეამბოხეებსა და ჩემს ურჩებს. მათი ხიზნობის ქვეყნიდან გამოვიყვან, მაგრამ ისრაელის მიწაზე ვერ მივლენ. და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი!

³⁹და შენ, სახლო ისრაელისა, – ასე ამბობს უფალი ღმერთი, – თითოეული თავის კერპთან წადით და ემსახურეთ მას, და მერე, თუ არ მომისმენთ, ჩემს



წმიდა სახელს მეტად ველარ შებღალავთ თქვენი შესაწირავებითა და თქვენი კერპებით.

⁴⁰რადგან, ჩემს წმიდა მთაზე, ისრაელის მაღალ მთაზე, – ამბობს უფალი ღმერთი, – უნდა მემსახუროს მთელი ისრაელის სახლი, ყველა ერთობლივ, ვინც კი არის ქვეყანაზე; იქ მოვისურვებ მათ და იქ მოვითხოვ თქვენს შეწირულობებს და პირველნაყოფს თქვენი მოსავლისა ყველა თქვენს სიწმიდეებთან ერთად.

⁴¹კეთილსურნელებად შეგიტკობთ თქვენ, როდესაც გამოგიყვანთ ხალხებიდან და შეგკრებთ ქვეყნებიდან, რომლებშიც გაიფანტეთ, და ჩემს სიწმიდეს გამოვაჩენ თქვენში ხალხების თვალწინ.

⁴²და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი, როდესაც მიგიყვანთ თქვენ ისრაელის მიწაზე, ქვეყანაში, რომლის მიცემასაც შევპირდი ხელის აღმართვით თქვენს მამებს.

⁴³და გაიხსენებთ იქ თქვენს გზებს და ყველა თქვენს ნამოქმედარს, რომლითაც შეიბილწეთ, და შეგძაგდებათ თქვენი თავი ყველა იმ სიბოროტის გამო, რაც ჩაიდინეთ.

⁴⁴და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი, როდესაც მოგექცევით ჩემი სახელის გულისათვის, არა თქვენი ბოროტი გზებისა და თქვენი შერყვნილი ნამოქმედარისამებრ, ისრაელის სახლო! – ამბობს უფალი ღმერთი.

⁴⁵და იყო სიტყვა უფლისა ჩემს მიმართ ნათქვამი:

⁴⁶ადამის ძევ! მიმართე შენი პირი თემანის გზისაკენ და უქადაგე სამხრეთს და იწინასწარმეტყველე სამხრეთის ველის ტყეზე.

⁴⁷და უთხარი სამხრეთის ტყეს: ისმინე სიტყვა უფლისა; ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ცეცხლს შეგინთებ და შეჭამს შენში ყველა ნედლსა და ყველა გამხმარ ხეს. არ ჩაქრება აბრიალებული ალი და გადაიბუგება ყველაფერი სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე.

⁴⁸და იხილავს ყოველი ხორციელი, რომ მე, უფალმა, გავაღვივე ის და არ ჩაქრება!

⁴⁹და მე ვთქვი: „ოჰ, უფალო, ღმერთო! ისინი ამბობენ ჩემზე: ზღაპრებსა ყვებაო?“

ეზეკიელ 21

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:



²ადამის ძევ! მიმართე შენი პირი იერუსალიმისაკენ და იქადაგე საწმიდრებზე და უწინასწარმეტყველე ისრაელის მიწას,

³და უთხარი ისრაელის მიწას, ასე ამბობს-თქო უფალი: აჰა, შენს წინააღმდეგ ვარ; ამოვიწვდი ჩემს მახვილს ქარქაშიდან და მოვკვეთ შენგან მართალსა და ბოროტს.

⁴რომ მოვკვეთო შენგან მართალი და ბოროტი, ამოიწვდება ჩემი მახვილი მისი ქარქაშიდან ყველა ხორციელზე – სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე –

⁵და მიხვდება ყველა ხორციელი, რომ მე, უფალმა, ამოვიწოდე მახვილი ქარქაშიდან, და აღარ ჩაეგება ის.

⁶და შენ, ადამის ძევ! იკვნესე წელმოტეხილმა და გამწარებულმა, იკვნესე მათ თვალწინ.

⁷და რადგან გკითხავენ: რატომ კვნესიო? უთხარი: ხმის გამო, რომელიც მოდის-თქო, და დადნება ყოველი გული, და მოდუნდება ყოველი მკლავი, და დაუძლურდება ყოველი სული, და ყოველი მუხლი გაწყალდება. აჰა, ეს მოვა და ახდება, – ამბობს უფალი ღმერთი.

⁸და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

⁹ადამის ძევ! იწინასწარმეტყველე და თქვი: ასე ამბობს-თქო უფალი: თქვი: მახვილი, მახვილი გალესილია და გაფერილი!

¹⁰გალესილია, რომ დახოცოს, დაფერილია, რომ ელავდეს! უნდა გვიხაროდეს რომ, ჩემი ძის კვერთხი დასცინის ყველა ხეს?

¹¹და მივეცი დასაფერად, ხელში ასაღებად. გალესილია ეს მახვილი და დაიფერა მკვლელის ხელში გადასაცემად.

¹²ზარი თქვი და ივალაღე, ადამის ძევ! რადგან ის ჩემი ერის, ისრაელის, ყველა მთავრის წინააღმდეგ არის მოღერებული! მახვილს არიან მიცემულნი ჩემს ერთან ერთად, ამიტომ უნდა ირტყა თემოებზე ხელი;

¹³რადგან ის მახვილი უკვე გამოცდილია. და რა არის, თუ კვერთხსაც დასცინის? – ამბობს უფალი ღმერთი.

¹⁴და შენ, ადამის ძევ! იწინასწარმეტყველე და შემოჰკარი ხელი ხელს და გაორკეცდება მახვილი და გასამკეცდება განგმირულთა ზედა, მახვილი დიდი ძლევისა, მათი მღევარი.

¹⁵რათა დადნეს გულები და გამრავლდნენ დაცემულნი. ყველა მათ კარიბჭეზე დავდებ ბასრ მახვილს – მოელვარეს, საკლავად დაფერილს.

¹⁶გაემზადე და წადი მარჯვნივ ან გაემართე მარცხნივ – საითკენაც კი შენი სახე იქნება მიმართული.



¹⁷და მეც შემოვკრავ ხელი ხელს და დავიცხრობ რისხვას. მე, უფალმა, ვთქვი ეს.

¹⁸და იყო სიტყვა უფლისა ჩემს მიმართ ნათქვამი:

¹⁹და შენ, ადამის ძე! დაადგინე ორი გზა, საიდანაც უნდა შემოვიდეს ბაბილონის მეფის მახვილი. ორივე ის გზა ერთი ქვეყნიდან გამოვა; და დასვი გზამკვლევი ბოძი, ქალაქის გზის დასაწყისში დასვი.

²⁰დასახე გზა, რომლითაც შემოვა მახვილი ყამონიანთა რაბასა და იუდაში, გამაგრებულ ქალაქ იერუსალიმში;

²¹რადგან დადგა ბაბილონის მეფე გზათა გასაყართან, ორი გზის დასაწყისში, სამისნოდ: შეარხია ისრები, ჰკითხა თერაფიმებს, ათვალიერებს ღვიძლს.

²²მის ხელმარჯვნივ იერუსალიმზე იყო წილი, რომ განელაგებინათ ტარანები, ხოცვა-ჟლეტისთვის გაეხსნათ პირი, აეტეხათ საომარი ყიჟინა, ტარანები კარიბჭეებისკენ მიეშვირათ, აღემართათ მიწაყრილები და აეგოთ გოდლები.

²³და იქნება ეს მათ თვალში, როგორც ფუჭი მისნობა; ფიცთა ფიცი აქვთ დადებული, მაგრამ ის ახსენებს იმ ურჯულოებას, რის გამოც შეპყრობილ იქნებიან.

²⁴ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: რადგან თქვენ გაიხსენეთ თქვენი ურჯულოება, როდესაც გამოამჟღავნეთ თქვენი დანაშაულებანი, რათა გეჩვენებინათ თქვენი ცოდვანი თქვენს ყველა ნამოქმედარში, ისე, როგორც თქვენ იყავით გახსენებულნი, ხელით იქნებით შეპყრობილნი.

²⁵და შენ, ისრაელის ბოროტო მთავარო, რომელსაც დაუდგა ჟამი, როცა უნდა მოეღოს ბოლო დანაშაულს,

²⁶და ასე ამბობს უფალი ღმერთი: მოიშორე ჯილა და მოიხადე გვირგვინი; ყოველთვის ასე არ იქნება; დამდაბლებული ამაღლდება და ამაღლებული დამდაბლდება.

²⁷ნანგრევებად, ნანგრევებად, ნანგრევებად ვაქცევ მას. და ისიც აღარ იქნება, სანამ ის არ მოვა, ვის ხელშიც არის სამართალი, რომ მას ჩავაბარო.

²⁸და შენ, ადამის ძე! იწინასწარმეტყველე და თქვი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი ყამონიანებზე და მათ შერცხვენაზე. და თქვი: მახვილი, მახვილია გაშიშვლებული დასახოცად, დაფერილია შესამუსრად, რათა ელვასავით ელავდეს.



²⁹ყალბი ხილვებით, ცრუ მისნობით მიგაგდებენ დახოცილ ბოროტეულთა გვამებთან, რომელთაც დაუდგათ ჟამი, როცა ბოლო უნდა მოეღოს დანაშაულს.

³⁰ჩააგე ქარქაშში. იმ ადგილას, სადაც შეიქმენი, შენი შობის ქვეყანაში განგსჯი შენ.

³¹და გადმოვანთხევ შენზე ჩემს რისხვას, ჩემი წყრომის ცეცხლს დავბერავ შენზე და მიგცემ მძვინვარე, მკვლელობაში გაწაფულ, ადამიანთა ხელთ.

³²ცეცხლის შესაჭმელი იქნები შენ, შენი სისხლი ქვეყნის შუაგულში იქნება და არ გაგიხსენებენ, რადგან მე, უფალმა, ვთქვი ეს.

ეზეკიელ 22

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²და შენ, ადამის ძე! გინდა, რომ განსაჯო ამ მკვლელთა ქალაქი? გამოუცხადე მას მთელი მისი სისაძაგლე

³და უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ოჰ, ქალაქო, შენს კედლებში მართალთა სისხლი რომ დაათხიე, შენს განსაკითხად, და კერპებს რომ აკეთებდი, შენს შესაბილწად!

⁴იმ სისხლით, რომელიც დაღვარე, დადანაშაულდი და შენი კერპებით, რომლებიც გააკეთე, შეიბილწე. და მოიახლოვე შენი აღსასრულის დღეები და მიიღია შენი წლები. ამის გამო წარმართთა საგინებლად გაქცევ და მთელი ქვეყნის სამასხროდ.

⁵ახლობელნი და შორეულნი დაგცინებენ შენ, უწმიდურო და მრავალი ურჯულოებით სავსე!

⁶აჰა, ისრაელის მთავარნი, თითოეული ძალას იკრებდა, რათა სისხლი დაეთხია შენში.

⁷მამას და დედას ამცირებენ თქვენში, მწირს უპატიოდ ექცევიან, ქვრივ-ობლებს ჩაგრავენ.

⁸ჩემს სიწმიდეებს აბუჩად იგდებ და ჩემს შაბათებს არღვევ;

⁹ცილისმწამებელნი არიან შენში, რომლებიც სისხლს ღვრიან; სამსხვერპლო მალობებზე ჭამენ ნაზორევს+ ; გარყვნილებას ეწევიან შენში.

¹⁰მამის სიშიშვლეს აჩენენ თქვენში, წიღოვან ქალზე ძალადობენ,

¹¹ერთი თავისი მოყვასის ცოლთან სჩადის სისაძაგლეს, მეორე თავის რძალს ბილწავს, და სხვა – თავის დას, თავისი მამის ასულს, ხდის ნამუსს.



¹²ქრთამებს იღებენ თქვენში, რათა სისხლი დაღვარონ; ვახშა და სარგებელს იღებენ და ძალადობით ყვლეფ შენს მოყვასს, მე კი დამივიწყე! – ამბობს უფალი ღმერთი. –

¹³და, აჰა, მე ხელი ხელს შემოვკარი შენი ანგარების გამო, რაც აკეთებ, და შენგან დაღვრილი სისხლისღვრის გამო, რაც თქვენში ხდება.

¹⁴თუ დამიდგება შენი გული, ან თუ შერჩება ძალა შენს ხელებს იმ დღეებში, როცა აღვიძვრები შენს წინააღმდეგ? მე, უფალი, ვამბობ ამას და გავაკეთებ.

¹⁵და მე გაგფანტავ შენ წარმართთა შორის, და მიმოგაბნევ სხვადასხვა ქვეყნებში, რათა ბოლო მოვუღო შენს სისამაგლეს.

¹⁶და შეიბღალე წარმართთა თვალწინ და მიხვდები, რომ მე ვარ უფალი!

¹⁷და იყო სიტყვა უფლისა ჩემს მიმართ ნათქვამი:

¹⁸ადამის ძევ! ისრაელის სახლი ჩემთვის წიდას დაემსგავსა; ყველა ისინი, როგორც სპილენძი, კალა, რკინა და ტყვია ბრძმედში ყრია და ვერცხლის წიდა და ხენჯი არიან.

¹⁹ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: რადგან თქვენ ყველანი იქეცით წიდად, ამიტომ მე შეგაგროვებთ იერუსალიმში,

²⁰როგორც აგროვებენ ვერცხლს და სპილენძს, რკინას, ტყვიასა და კალას ბრძმედში, რათა შეუნთონ ცეცხლი გამოსადნობად, ასე შეგაგროვებთ ჩემი რისხვითა და წყრომით, და ჩაგყრით და გადაგადნობთ.

²¹შეგკრებთ და გავალვივებ თქვენზე ჩემი წყრომის ცეცხლს და გადადნებით მასში.

²²როგორც ვერცხლი დნება ბრძმედში, ისე გადადნებით თქვენ და მიხვდებით, რომ მე, უფალმა, გადმოვანთხიე ჩემი რისხვა თქვენზე.

²³და იყო სიტყვა უფლისა ჩემს მიმართ ნათქვამი:

²⁴ადამის ძევ! უთხარი მას: შენა ხარ-თქო გამოგოლვილი მიწა რისხვის დღეს!

²⁵შეთქმულან იქ მისი წინასწარმეტყველნი, ლომებივით ბრდღვინავენ, ნადავლს გლეჯენ და ცოცხლად ჭამენ; საუნჯესა და განძეულს იტაცებენ, ქვრივებს ამრავლებენ იქ.

²⁶მისი მღვდლები ჩემს რჯულს აყალბებენ და ჩემს სიწმიდეებს ბღალავენ; წმიდასა და შებღალულს ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ და შებილწულსა და განწმედილს არ აცხადებენ; ჩემს შაბათებს თვალს არიდებენ, და მე შევილახე მათ გარემოში.



²⁷მისი მთავრები მგლებს ჰგვანან, ნადავლს რომ იტაცებენ; სისხლს ღვრიან; სიცოცხლეს უსწრაფებენ ადამიანებს თავიანთი გამდიდრებისათვის.

²⁸მისი წინასწარმეტყველნი თვალში ნაცარს აყრიან მათ ამაო ხილვებით და ცრუმისნობით სიცრუეს ეუბნებიან: ასე ამბობსო უფალი ღმერთი, უფალს კი არ უთქვამს.

²⁹ამ ქვეყნის ერი ერთმანეთზე ძალადობს, მარცვავს ღარიბსა და ღატაკს, მწირს ავიწროვებს უსამართლოდ.

³⁰და მე ვეძიე მათში კაცი, რომელიც აღადგენდა ზღუდეს და ჩემს წინაშე დადგებოდა ნანგრევებთან ამ ქვეყნის გადასარჩენად, რათა არ დამელუპა იგი, მაგრამ ვერ ვიპოვე.

³¹ამიტომ გადმოვანთხევ მათზე ჩემს რისხვას, ჩემი მძვინვარების ცეცხლით გავწყვეტ მათ და მათს ნამოქმედარს მათსავე თავზე მოვაქცევ, – ამბობს უფალი ღმერთი.

ეზეკიელ 23

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²ადამის ძევ! იყო ორი ქალი, ასული ერთი დედისა.

³და მეძაობდნენ ისინი ეგვიპტეში, სიყმაწვილეშივე იმეძავეს. იქ დაუსრისეს მათ ძუძუები და დაუჭყლიტეს დვრილნი ქალწულობისა.

⁴და სახელები მათი: უფროსისა – ოჰოლა და მისი დისა – ოჰოლიბა. და ჩემები იყვნენ ისინი და მიშვეს ძენი და ასულნი. და სახელები მათი: ოჰოლა სამარია არის და ოჰოლიბა – იერუსალიმი.

⁵და გაბოზდა ოჰოლა ჩემს ხელში და ეტრფოდა თავის საყვარლებს, აშურელ მეომრებს,

⁶მოწეულით შემოსილ სპასპეტსა და ერისმთავრებს. ყველანი ლამაზი ჭაბუკები იყვნენ – მხედრები, ცხენებზე ამხედრებულნი.

⁷და იმეძავა მათთან, აშურის ყველა რჩეულ ძესთან, ვისაც ეტრფოდა, და ყველა მათი კერპით შეიბილწა.

⁸და თავისი მეძაობა ეგვიპტეში არ მიატოვა, რადგან იწვნენ მასთან მის სიყმაწვილეში და მათ სრისეს მისი სიქალწულის დვრილები და დაღვარეს თავიანთი სიძვა მასზე.

⁹ამიტომ მივეცი მე იგი მისი საყვარლების ხელთ, აშურის ძეთა ხელთ, რომლებსაც ეტრფოდა.



¹⁰მათ გამოაჩინეს მისი სიშიშველე, მისი ძენი და ასულნი წაიყვანეს, ის კი მახვილით მოკლეს. და გახდა მისი სახელი სირცხვილად ქალთა შორის და მსჯავრი დასდეს მას.

¹¹და დაინახა ეს მისმა დამ, ოჰოლიბამ, და თავის დაზე მეტად გახრწნა თავისი ტრფიალება, და მეძაობით თავისი დის მეძაობას გადააჭარბა.

¹²ისიც აშურის ძეთ ეტრფოდა, სპასპეტა და ერისმთავართ, თავის მეზობლებს ბრწყინვალედ შემოსილთ, მხედრებს, ცხენებზე ამხედრებულთ – ყველა რჩეულ ჭაბუკს.

¹³და მე ვნახე, რომ შეიბილწა – ერთი გზა ჰქონდა ორივე დას.

¹⁴მოუმატა თავის მეძაობას: ნახა კაცები გამოხატულნი კედელზე, გამოსახულებანი ქალდეველთა, სინგურით დახატული,

¹⁵წელზე სარტყელშემორტყმულნი, თავზე დოლბანდჩამოფარებულნი, მსგავსნი მხედართმთავართა, შესადარნი ბაბილონის ძეთა, რომელთა მშობლიური ქვეყანა ქალდეა არის.

¹⁶და მიეტრფო მათ თვალის ერთი შეხედვით და გაგზავნა მათთან მოციქულნი ქალდეაში.

¹⁷და მივიდნენ მასთან ძენი ბაბილონისა სასიყვარულო სარეცელზე და შებილწეს იგი თავიანთი სიძვით. და შეიბილწა მათგან და განშორდა მათ მისი სული.

¹⁸და გამოაჩინა მან თავისი მეძაობა და გამოაჩინა თავისი სასირცხვო. და განშორდა ჩემი სული მას, როგორც განშორდა ჩემი სული მის დას.

¹⁹და ამრავლა მან თავისი მეძაობა, როცა იხსენებდა თავის სიყმაწვილის დღეებს, როდესაც მეძაობდა ეგვიპტის ქვეყანაში,

²⁰და ეტრფოდა თავის საყვარლებს, რომელთა ხორციც ვირების ხორცია და ულაცთა ქუქუნია მათი ქუქუნი .

²¹შენ გაიხსენე გარყვნილება შენი სიყმაწვილისა, როცა ეგვიპტელნი გისრესდნენ შენი სიყმაწვილის ძუძუთა დვრილებს.

²²ამიტომ, ოჰოლიბა, – ასე ამბობს უფალი ღმერთი, – აჰა, მე აღვძრავ შენს საყვარლებს შენზე, რომელთაც მოშორდა შენი სული და მოგისევ მათ ყოველი მხრიდან,

²³ბაბილონის ძეთ და ყველა ქალდეველს, ფეკოდელს, შოაყელს და კოაყელს, აშურის ყველა ძეს მათთან ერთად, ლამაზ ჭაბუკთ, სპასპეტთ და ერისმთავართ, მხედართმთავართ და დიდებულთ – ცხენებით მოდგრიალეთ.



²⁴შეგესევთან საჭურვლით, ცხენებითა და ეტლებით ხალხთა ბრბოები; გარს მოგიცავენ თოროსნები ფარმუზარადით. და მე მიგცემ მათ სამსჯავროდ და დაგდებენ მსჯავრს თავიანთი სამართლით.

²⁵და მოვაწევ ჩემს გულისწყრომას შენზე და რისხვით მოგექცევთან ისინი, ცხვირსა და ყურებს დაგაჭრიან და შენი დანარჩენები მახვილით დაეცემიან. შენს ძეთ და შენს ასულთ ტყვეებად გაირეკავენ და შენს დანარჩენს ცეცხლი შეჭამს.

²⁶სამოსელს შემოგძარცვავენ და წაიღებენ შენს სამკაულებს.

²⁷და აღვკვეთავ შენს გარყვნილებას და შენს ეგვიპტის ქვეყნიდან მოყოლილ შენს მეძაობას, და აღარ მიაპყრობ თვალებს მათ და ეგვიპტეს აღარ გაიხსენებ.

²⁸რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: მე გადაგცემ შენ იმათ ხელთ, ვინც შეიძულე, იმათ ხელთ, ვინც მოიშორა შენმა სულმა,

²⁹მოგექცევთან შენ სიძულვილით და წაიღებენ მთელ შენს ქონებას, და დაგტოვებენ შიშველ-ტიტველს, და გამოჩნდება შენი უხამსობის სირცხვილი, შენი გარყვნილება და შენი მეძაობა.

³⁰ეს დაგემართება შენი მეძაობის გამო წარმართებთან, მათი კერპებით რომ შეიბილწე.

³¹შენი დის გზაზე დადიოდი; ამიტომ მოგცემ ხელთ მის სასმისს.

³²ასე ამბობს უფალი ღმერთი: შენი დის სასმისს შესვამ, ღრმასა და ფართოს და იქნები დასაციანი და მასხარად აგდებული; ბევრს იტევს იგი.

³³სიმთვრალითა და ნალველით აივსები; სასოწარკვეთილებისა და გატიალების სასმისია შენი დის, სამარიის, სასმისი.

³⁴შესვამ მას და გამოწრუპავ, ნაპირებს მოულოკავ და მკერდს დაიგლეჯ, რადგან მე ვთქვი ეს! – ამბობს უფალი ღმერთი.

³⁵ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: რადგან შენ დამივიწყე და ზურგსუკან მომისროლე, ატარე ახლა შენი გარყვნილებისა და მეძაობის სასჯელი.

³⁶და მითხრა უფალმა მე: ადამის ძევ! მსჯავრი გინდა დასდო ოჰოლასა და ოჰოლიბას? უთხარი მათ მათი სისამაგლეები.

³⁷რადგან ისინი მეძაობდნენ და ხელი სისხლში აქვთ გასვრილი. თავიანთ კერპებთან მეძაობდნენ და თავის ძეებს, რომლებიც მე მიშვეს, ცეცხლში ატარებდნენ კერპების შესაჭმელად.



³⁸კიდევ აი რა გამიკეთეს მე: შებღალეს ჩემი საწმიდარი იმ დღეს და ჩემი შაბათები შელახეს.

³⁹და როდესაც სწირავდნენ თავის შვილებს თავიანთ კერპებს, იმავე დღეს მოდიოდნენ ჩემს საწმიდარში და ზღალავდნენ მას. აი როგორ იქცეოდნენ ისინი ჩემს სახლში.

⁴⁰ამას გარდა შორიდან მოსასვლელ ხალხსაც კი იბარებდნენ; მოციქული იგზავნებოდა; მოდიოდნენ ისინი, ვისთვისაც იბანებოდი, თვალებს იოლავდი და სამკაულებით ირთვებოდი;

⁴¹ბრწყინვალე საწოლზე ჯდებოდი და გაწყობილი ტაბლა იდგა მის წინ და ზედ ჩემს საკმეველსა და ჩემს ზეთს აწყობდი.

⁴²უდარდელი ბრბოს ხმა გაისმოდა იქ და ამ უამრავ ხალხთან მოჰყავდათ უდაბნოდან საბეელები, რომლებიც სამაჯურებს უკეთებდნენ ხელებზე მათ და თავზე ლამაზ გვირგვინებს ადგამდნენ.

⁴³და მე ვთქვი მეძაობით გაცვეთილებზე: ახლა კი დამთავრდება მისი მეძაობა მასთან ერთად.

⁴⁴და მოდიოდნენ მასთან, როგორც მიდიან მეძავ ქალთან, ისე მოდიოდნენ ოჰოლასთან და ოჰოლიბასთან – გარყვნილ ქალებთან.

⁴⁵მაგრამ მართალი ხალხი განსჯის მათ გარყვნილთა მსჯავრით და სისხლისმღვრელთა მსჯავრით, რადგან გარყვნილნი არიან და სისხლია მათ ხელებზე.

⁴⁶რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: ბრბო მიუსიე მათ და მიეცი ისინი ძრწოლასა და ძარცვა-გლეჯას.

⁴⁷და ჩაქოლავს მათ კრებული ქვით, და დაჩეხავენ მათ თავისი მახვილებით, მათ ძეთა და ასულთ დახოცავენ და მათ სახლებს ცეცხლში დასწვავენ.

⁴⁸და შევწყვეტ გარყვნილებას ამ ქვეყანაზე და ყველა ქალი ისწავლის ჭკუას და არ მოიქცევიან თქვენი გარყვნილებისამებრ.

⁴⁹და თქვენზევე მოაქცევენ თქვენს გარყვნილებას და იტვირთავთ თქვენს კერპთა ცოდვებს, და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი ღმერთი.

ეზეკიელ 24

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი მეცხრე წელს, მეათე თვის მეათე დღეს:

²ადამის ძევ! ჩაიწერე ამ დღის სახელი, სწორედ ამ დღისა; ამ დღეს მოადგა ბაბილონის მეფე იერუსალიმს,



- ³წარმოთქვი ურჩ სახლს იგავი და უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: შემოდგი ქვაბი ცეცხლზე, შემოდგი და ჩაასხი შიგ წყალი.
- ⁴ჩაყარე შიგ ნაჭრები, კარგი ნაჭრები – ბარკლის და ბეჭის, ნარჩევი ძვლიანებით გაავსე.
- ⁵საუკეთესო ცხვარი გამოარჩიე, და შეუკეთე ქვაბს შეშა, აადუდე, რომ ძვლებიც კი ჩაიხარშოს.
- ⁶ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: ვაი მოსისხლე ქალაქს, წაკალულ ქვაბს რომ ჰგავს, რომელსაც გესლი არა სცილდება. ნაჭერ-ნაჭერ წამოყარეთ, რჩევას ნუ დაუწყებთ.
- ⁷რადგან მისი სისხლი მასში იყო. შიშველ კლდეზე დადო ის, არ დაღვარა მიწაზე, სადაც მას მტვერი დაფარავდა.
- ⁸რათა გამეღვიძებინა რისხვა შურისძიებისთვის, მე დავდე მისი სისხლი შიშველ კლდეზე, რათა არ დაფარულიყო.
- ⁹ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: ვაი, სისხლში მოსვრილ ქალაქს! მეც გავაჩაღებ დიდ ხანძარს.
- ¹⁰შეშას მოუმატე, გააჩაღე ცეცხლი, ჩახარშე ხორცი; წვენი დააშრეს და ძვლები ჩაიშალოს.
- ¹¹და ცარიელი ქვაბი ნაკვერჩხლებზე დადგი, რათა გამოიწვას, სპილენძი გავარვარდეს, და გადნეს მისი გესლი და გაქრეს მისი ნადედი.
- ¹²და რამდენსაც არ უნდა ვარვარებდეს ქვაბი, შემხმარი გესლი არ ჩაიწვება ცეცხლში.
- ¹³შენს სიბილწეშია ისეთი სისაძაგლე, რომ რამდენიც არ უნდა წმინდო, მაინც არ იწმინდება შენი სიბილწისაგან, ვიდრე არ დავაცხრობ ჩემს რისხვას შენზე.
- ¹⁴მე, უფალმა, ვთქვი და ახდება; გავაკეთებ, არ დავაყოვნებ, არ დავინდობ, არ შევიბრალებ. შენი გზებისა და შენი ნამოქმედარისამებრ განგსჯი შენ! – ამბობს უფალი ღმერთი.
- ¹⁵და იყო სიტყვა უფლისა ჩემს მიმართ ნათქვამი:
- ¹⁶ადამის ძევ! უეცარი სიკვდილით წავიყვან შენგან შენი თვალის სასურველს, მაგრამ შენ ნუ იგლოვ და ნურც იტირებ, ცრემლს ნუ დაიდენ.
- ¹⁷ჩუმად ოხრავდე, მკვდრებს გლოვას ნუ გაუმართავ; თავსაბურავი შემოიხვიე და უხამური ნუ იქნები, წვერს ნუ დაიფარავ და უცხოთა პურს ნუ შეჭამ.



¹⁸ველაპარაკე ხალხს დილით და საღამოთი მოკვდა ჩემი ცოლი; მეორე დღეს ისე გავაკეთე, როგორც მებრძანა.

¹⁹და მითხრა მე ხალხმა: არ გვეუბნები, რას ნიშნავს ეს ჩვენთვის, რასაც შენ აკეთებ?

²⁰და მე ვუთხარი მათ: უფლის სიტყვა იყო ჩემს მიმართ ნათქვამი:

²¹უთხარი ისრაელის სახლს, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, მე სალანძღავად ვადღევ ჩემს საწმიდარს, თქვენი ძლიერების სიამაყეს, თქვენს თვალთა სასურველს, და თქვენი სულის სანუკვარს. თქვენი ძენი და ასულნი, რომელნიც მიატოვეთ, მახვილით დაეცემიან.

²²და თქვენც იმას გააკეთებთ, რაც მე გავაკეთე: წვერ-ულვაშს არ დაიფარავთ და უცხოთა პურს არ შეჭამთ;

²³საბურველი უნდა გქონდეთ თავზე და არ იყოთ უხამური; ნუ იგლოვებთ და ნუ იტირებთ. დადნებით თქვენს ცოდვებში და ერთმანეთს შესტირებთ.

²⁴და იქნება ეზეკიელი თქვენთვის მაგალითად და რაც მან გააკეთა, თქვენც იმას გააკეთებთ. და როცა ეს ახდება, მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი ღმერთი.

²⁵და შენ, ადამის ძევ! იმ დღეს, როცა წავართმევ მათ ძლიერებას, მათი მშვენების სიხარულს, მათი თვალის სასურველს და უძვირფასესს მათი სულისა, მათ პეთ და მათ ასულთ, –

²⁶იმ დღეს მოვა შენთან გადარჩენილი, რათა ყურში ჩაგასმინოს ამბავი.

²⁷იმ დღეს გაგეხსნება ბაგე გადარჩენილის მიმართ და ალაპარაკდები; აღარ დადუმდები მეტად და იქნები მათთვის სასწაულად; და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი.

ეზეკიელ 25

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²ადამის ძევ! მიაქციე პირი ყამონიანებისკენ, და იწინასწარმეტყველე,

³და უთხარი ყამონის ძეთ: ისმინეთ სიტყვა უფალი ღმერთისა: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: რაკი აუგს ამბობ ჩემს საწმიდარზე, რადგან შეიბღალა იგი, – და ისრაელის მიწაზე, რადგან აოხრდა, და იუდას სახლზე, რადგან ტყვეობაშია წაყვანილი, –



⁴ამიტომ აჰა, მე მიგცემ შენ აღმოსავლეთის ძეთ სამკვიდროდ. და მოაწყობენ შენს მიწაზე თავიანთ ბანაკებს და გაშლიან თავიანთ კარებს, შეჭამენ შენი მიწის ნაყოფს და დალევენ შენს რძეს.

⁵რაბას ვაქცევ აქლემთა სამოვრებად, და ყამონიანთა ქვეყანას – ცხვრის ფარეხებად. და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი.

⁶რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: ტაშს რომ უკრავდი და ბუქნას რომ უვლიდი და მთელი შენი სულის ზიზღით ხარობდი ისრაელიანთა უბედურებაზე,

⁷ამიტომ, აჰა, ხელს მოგიღერებ და მიგცემ ხალხებს სამარცვავად, და მოგკვეთავ ხალხებიდან, და მოგსპობ ქვეყნებიდან; გაგანადგურებ და მიხვდები, რომ მე ვარ უფალი.

⁸ასე ამბობს უფალი ღმერთი: რადგან ასე ამბობენ მოაბი და სეყირი: აჰა, როგორც ყველა სხვა ხალხები, ისეა სახლი იუდასი,

⁹ამიტომ, აჰა, მე გავარღვევ მოაბის სიმაგრეებს – ქალაქებს, მის სასაზღვრო ქალაქებს, ქვეყნიერების მშვენიერებს: ბეთ-იეშიმოს, ბაყალ-მეყონს და კირიათაიმს

¹⁰აღმოსავლეთის ძეთათვის და სამემკვიდრეოდ მიგცემ მათ, ყამონის ძეებიანად, რათა აღარ იხსენიებოდნენ ყამონიანები ხალხებში,

¹¹და მოაბს დავდებ მსჯავრს და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი.

¹²ასე ამბობს უფალი ღმერთი: რაკი შურისგებით ექცეოდა ედომი იუდას სახლს და შესცოდა, მის მიმართ შურისძიებით,

¹³ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: ხელს მოვუღერებ ედომს და მოვსპობ კაცსა და პირუტყვს, და უდაბნოდ ვაქცევ; თემანიდან დედანამდე ყველა მახვილით დაეცემა.

¹⁴და აღვასრულებ შურისგებას ედომზე ჩემი ერის, ისრაელის ხელით და მოექცევიან ედომს ჩემი რისხვისა და გულისწყრომისამებრ; მაშინ მიხვდებიან ჩემს შურისგებას, – ამბობს უფალი ღმერთი.

¹⁵ასე ამბობს უფალი ღმერთი: იმის გამო, რომ ფილისტიმელნი შურისძიებით იქცეოდნენ და სულის ზიზღით იძიებდნენ შურს მოსასპობად მარადიული მტრობით,

¹⁶ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, მე ხელს მოვუღერებ ფილისტიმელებს და მოვსპობ ქერეთელებს და გავანადგურებ მათ ნატამალს ზღვის პირას;



¹⁷და აღვასრულებ მათზე დიდ შურისგებას მრისხანე სასჯელებით; და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი, როცა შურს ვიძიებ მათზე.

ეზეკიელ 26

¹მეთერთმეტე წლის პირველი თვის პირველ დღეს იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²ადამის ძევ! იმის გამო, რომ ცორი ამბობს იერუსალიმზე: აჰა! ვაჰა! შემუსრულია ის – კარიბჭე ხალხთა; ის ჩემსკენ მოიქცევა და ავივსები, ის კი გაუკაცრიელდება.

³ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, მე ვარ შენს წინააღმდეგ, ცორო, და აღვძრავ შენზე მრავალ ხალხებს, როგორც ზღვა აღძრავს თავის ტალღებს,

⁴და დაანგრევენ ცორის ზღუდეებს და დააქცევენ მის გოდლებს; მიწას ჩამოვრეცხავ და პიტალო კლდეებად ვაქცევ.

⁵ზადეების გასაფენი ადგილი იქნება ის შუაგულ ზღვაში, რადგან მე ვთქვი, – ამბობს უფალი ღმერთი, – და იქნება იგი ხალხების სათარეშოდ.

⁶და ხმელეთზე მყოფი მისი ასულნი მახვილით დაეცემიან. და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი.

⁷რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: მე მოვიყვან ცორზე ჩრდილოეთიდან ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს, მეფეთა მეფეს, ცხენებითა და ეტლებით, მხედრებითა და კრებულით და მრავალი ხალხით.

⁸ხმელეთზე მყოფ შენს ასულებს მახვილით დახოცავს; საალყო კომკებს მოგადგამს და მიწაყრილს შემოგავლებს გარს; და ფარს აღმართავს შენს წინააღმდეგ.

⁹ტარანებს დადგამს შენს კედლებთან და შენს გოდლებს წერაქვით დაანგრევს.

¹⁰მისი ცხენების კორიანტელი დაგფარავს; მხედრებისა და ეტლების ხმა შეარყევს შენს კედლებს, როდესაც შემოვლენ შენს კარიბჭეებში, როგორც ზღუდეგარღვეულ ქალაქში შედიან.

¹¹მისი ცხენების ფლოქვები გადაჯეგავენ შენს ქუჩებს, შენი ხალხი მახვილით დაეცემა და შენი ძლიერების სვეტები მიწაზე დაემხოზა.

¹²გამარცვავენ შენს დოვლათს, და დაიტაცებენ შენს ნავაჭრს, დაანგრევენ შენს კედლებს, შენს მშვენიერ სახლებს გააცამტვერებენ; შენს ქვასა და ხეს, შენს მიწას წყალს მისცემენ.



- ¹³დავადუმებ შენი სიმღერების გუგუნს და შენი ქნარების ხმა მიწყდება.
- ¹⁴შიშველ კლდეებად გაქცევ, ბადეების გასაფენი იქნები და აღარ აშენდები მეტად, რადგან მე, უფალმა, ვთქვი, – ამბობს უფალი ღმერთი.
- ¹⁵ასე ეუბნება უფალი ღმერთი ცორს: ნუთუ შენი დაცემის ხმისგან, ხოცვა-ჟლეტისას დაჭრილთა კვნესისაგან არ შეირყევინ კუნძულები?
- ¹⁶ჩამოვლენ თავიანთი ტახტებიდან ზღვის ხალხების ხელმწიფენი და მოიხსნიან მოსასხამებს, და ნაქარგ სამოსელს გაიხდიან, ძრწოლით შეძრწუნებულნი მიწაზე დასხდებიან და კვნესას მოჰყვებიან შენზე.
- ¹⁷გოდებას დაიწყებენ შენზე და გეტყვიან: როგორ დაიღუპე, ზღვაოსნებით დასახლებულო, განთქმულო ქალაქო, ზღვებზე რომ მძლავრობდით შენცა და შენი მკვიდრნიც, შიშის ზარს რომ სცემდით ყველას!
- ¹⁸ახლა, შენი დაცემის დღეს, შეძრწუნდებიან კუნძულები; და შეძრწუნდებიან ზღვის კუნძულები, შენი დაცემის გამო.
- ¹⁹რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: როდესაც გაქცევ აოხრებულ ქალაქად, უკაცრიელ ქალაქთა მსგავსად, როდესაც წამოიძარება შენზე უფსკრული და დაგფარავს ბევრი წყლები,
- ²⁰ჩაგიყვან საფლავად ჩამავლებთან, უწინდელ ხალხთან, და დაგამკვიდრებ ქვესკნელში, მარადიულ უდაბნოში, საფლავში ჩასულებთან, რათა აღარ დასახლდე; და დიდებას მივცემ ცოცხალთა ქვეყანას.
- ²¹საშინელებად გაქცევ შენ, და აღარ იარსებებ, ძებნას დაგიწყებენ და ვეღარ გიპოვიან საუკუნოდ, – ამბობს უფალი ღმერთი.

ეზეკიელ 27

- ¹იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:
- ²და შენ, ადამის ძევ! იწყე გოდება ცორზე.
- ³და უთხარი ცორს, დასახლებულს ზღვის მისადგომებში, მრავალი კუნძულის ხალხებთან მოვაჭრეს: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ცორო, შენ ამბობ, სრულქმნილი მშვენება ვარო.
- ⁴ზღვის გულშია შენი საზღვრები; შენმა მშენებლებმა სრულქმნეს შენი მშვენება.
- ⁵სენირის კვიპაროსებისგან გაგითალეს ყველა ფიცარი, ლიბანიდან კედარი მოზიდეს, რომ გაეკეთებინათ შენთვის ანძები;



- ⁶ზაშანის მუხის ნიჩბები გაგითალეს; მერხები ქითიმელთა კუნძულების წიფლისაგან გაგიკეთეს და სპილოსძვლით მორთეს;
- ⁷ეგვიპტური მოქარგული ქსოვილისა იყო შენი იალქნები, რათა გქონოდა დროშად. ელიშას კუნძულებიდან მოტანილი ცისფერი და მეწამული იყო შენი გადასაფარებელი.
- ⁸ციდონის და არვადის მცხოვრებნი იყვნენ შენი მენიჩბენი; მესაჭეებად შენივე მცოდნე ხალხი გყავდა.
- ⁹ღებალის უხუცესნი და მისი მცოდნენი გყავდნენ შენი გემების ბზარების შესაკეთებლად; ყველა გემი და ყველა მათი მეზღვაური იყო თქვენში საქონლის გაცვლა-გამოცვლისვის.
- ¹⁰სპარსელნი, ლუდელნი და ფუტელნი იყვნენ შენი ჯარისკაცი; ფარსა და მუზარადს შენთან ჰკიდებდნენ; ისინი გიქმნიდნენ დიდებას.
- ¹¹არვადელები და შენი ლაშქარი ირგვლივ იცავდნენ შენს ზღუდეებს, და გამადელნი გუშაგობდნენ შენს გოდლებზე. თავიანთ კაპარჭებს ჰკიდებდნენ შენს კედლებზე ირგვლივ; ისინი სრულჰყოფდნენ შენს მშვენებას.
- ¹²თარშიში, შენთან ვაჭრობდა შენი სიმდიდრის გამო; ვერცხლს, რკინას, კალას და ტყვიას სცვლიდა შენს საქონელში.
- ¹³იავანი, თუბალი და მეშექი ვაჭრობდნენ შენთან ადამიანთა სულადობითა და სპილენძით.
- ¹⁴თოგარმას სახლიდან საომარ და საფერხე ცხენებს და ჯორებს ცვლიდნენ შენს საქონელში.
- ¹⁵დედანელები ვაჭრობდნენ შენთან. მრავალი კუნძული გიცვლიდა საქონელს; სპილოსძვალსა და ებანოზს გთავაზობდნენ.
- ¹⁶არამელნი ვაჭრობდნენ შენთან შენი დიდძალი ნახელავის გამო; ზურმუხტს, ძოწეულს და ნაქარგ ქსოვილს, ბისონს, მარჯანს და ლალს გიცვლიდნენ შენს საქონელში.
- ¹⁷იუდა და ისრაელი ვაჭრობდა შენთან; მინითის ხორბალსა და ტკბილეულს, თაფლს, ზეთსა და ბალზამს გიცვლიდნენ შენს საქონელში.
- ¹⁸დამასკო ვაჭრობდა შენთან შენი მრავალი ნახელავის გამო და აურაცხელი დოვლათის გამო, ხელბონის ღვინითა და თეთრი მატყლით.
- ¹⁹ვედანი და იავანი უზალიდან შენს საქონელში გამოჰყედილ რკინას, კასიასა და სურნელოვან ლერწამს გიცვლიდნენ.
- ²⁰დედანი ვაჭრობდა შენთან ცხენის შატროვნებით.



²¹არაბნი და კედარის ყველა მთავარი გაცვლა-გამოცვლას ეწეოდა შენთან კრავებით, ვერძებითა და ვაცებით.

²²შებასა და რაყმას ვაჭარნი ვაჭრობდნენ შენთან ყოველგვარი საუკეთესო სურნელითა და პატიოსანი ქვებით, და ოქროს გაძლევდნენ შენს საქონელში.

²³ხარანი, ქანე, ყედენი, შებას მოვაჭრენი, აშური და ქილმადი შენთნ ვაჭრებდნენ.

²⁴ისინი ვაჭრობდნენ შენთან ბრწყინვალე ტანსაცმლით, აბრეშუმისა და ნაქარგი ქსოვილებით, რაც მოჰქონდათ შენს ბაზრებში კედარის ძვირფას ყუთებში ჩაწყობილი.

²⁵თარშიშის ხომალდები იყო შენი სავაჭრო ქარავნები, და გამდიდრდი და სახელი გაითქვი მთელს ზღვებზე.

²⁶დიდ წყლებზე გატარეს შენმა ნიჩბოსნებმა; აღმოსავლეთის ქარმა დაგლეწა შენ ზღვების გულში.

²⁷შენი სიმდიდრე და შენი საქონელი, შენი სავაჭრო, შენი მეზღვაურნი და შენი მესაჭენი, შენი ბაზრების შემკეთებელნი და შენი საქონლის გამსაღებლები, და ყველა შენი მეზრძოლი, და მთელი შენი კრებული, ზღვის გულში ჩაინთქმებიან შენი დაცემის დღეს.

²⁸შენს მესაჭეთა ღრიალით შეირყევინა შემოგარენი.

²⁹და მათი ხომალდებიდან ჩამოვა ყველა ნიჩბოსანი, მეზღვაური, ყველა ზღვის მესაჭე და ხმელეთზე დადგება.

³⁰მაღალი ხმით იყვირებენ შენს გამო, და მწარედ აქვითინდებიან თავზე ნაცარგადაყრილნი და მტვერში დაიწყებენ გორვას.

³¹თავებს გადიპარსავენ, ძაძებს ჩაიცვამენ და იტირებენ შენზე სულგამწარებულნი და მწარე გოდებით.

³²და აამაღლებენ შენზე მჭმუნვარე გოდებას, და ასე ივალალებენ შენზე: ვინ არის, რომ ცორივით დადუმებულიყოს შუაგულ ზღვაში?!

³³როდესაც ზღვებიდან გადიოდა შენი საქონელი, აძლობდი ხალხებს შენი სიმდიდრით, და შენი საქონლით ამდიდრებდი ქვეყნის მეფეებს.

³⁴და ახლა, როცა დაგლეწეს შენ ზღვებმა წყლების ჯურღმულებში, შენი სავაჭრო და მთელი შენი კრებული შთაინთქა.

³⁵კუნძულთა მცხოვრებნი შეძრწუნდნენ შენს გამო, მათი მეფეები შეირყნენ და სახე შეეშალათ.



³⁶სხვა ხალხთა ვაჭრებმა დაგისტვინეს; საშინელებად იქეცი და აღარ იქნები საუკუნოდ.

ეზეკიელ 28

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²ადამის ძევ! უთხარი ცორის მთავარს: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: რადგან აღზევდა შენი გული და ამბობდი, მე ვარო ღმერთი, ღმერთის სამკვიდრებელი დავიმკვიდრეო ზღვის გულში, თუმცა ადამიანი ხარ და არა ღმერთი, ღმერთის გულს კი უტოლებ შენს გულს, –

³აჰა, შენ დანიელზე ბრძენი ხარ, არ არსებობს საიდუმლო შენგან დაფარული;

⁴შენი სიბრძნით და შენი გონებით მოიხვეჭე ქონება, ოქრო-ვერცხლით გაავსე შენი საგანძურები,

⁵შენი დიდი სიბრძნით, ვაჭრობით გაამრავლე შენი დოვლათი, და აღზევდა შენი გული შენი დოვლათით.

⁶ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: რადგან შენი გული ღმერთის გულს გაუტოლე,

⁷ამიტომ, აჰა, მოგისევ უცხოელებს, უსასტიკესთ ხალხთა შორის, და იშიშვლებენ მახვილებს შენი სიბრძნის მშვენების წინააღმდეგ და დააბნელებენ შენს ბრწყინვალებას.

⁸საფლავში ჩაგიყვანენ და ზღვების გულში დახოცილთა სიკვდილით მოკვდები.

⁹განა ეტყვი შენს მკვლელს: მე ღმერთი ვარო, როცა ადამიანი ხარ შენს დამღუპველთა ხელში და არა ღმერთი.

¹⁰წინადაუცვეთელთა სიკვდილით მოკვდები უცხოთა ხელით, რადგან მე ვთქვი, – ამბობს უფალი ღმერთი.

¹¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

¹²ადამის ძევ! იტირე ცორის მეფეზე და უთხარი მას: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: შენ ბეჭედი ხარ სრულყოფილებისა, სიბრძნით სავსე და მშვენებით სრული.

¹³ედემში იმყოფებოდი, ღმერთის ბაღში; შემკული იყო შენი შესამოსელი ყოველგვარი პატიოსანი ქვით: ლალით, ტოპაზით და აღმასით, ქრიზოლითით, ონიქსით, იასპით, საფირონით, ზურმუხტით, ბივრილითა



და ოქრო-ქვით; ოქროთი და მარგალიტით იყო გაკეთებული შენი საყურეები, შენი შექმნის დღეს იქნა ისინი დამზადებული.

¹⁴შენ ცხებული ქერუბიმი იყავი, დამცველად დაგადგინე მე; შენ იყავი ღმერთის წმიდა მთაზე, და ცეცხლის ქვებს შორის დადიოდი.

¹⁵უნაკლო იყავი შენს გზაზე შენი შექმნის დღიდან, სანამ არ აღმოჩნდა შენში უსამართლობა.

¹⁶უზომო ნავაჭრმა აავსო შენი შიგნეულობა ძალადობით და შესცოდე; და მე გადაგადე ღმერთის მთიდან, როგორც უწმიდური, გაგაძევე, მფარველო ქერუბიმო, ცეცხლის ქვებიდან.

¹⁷აღზევდა შენი გული შენი მშვენების გამო, დაღუპე შენი სიბრძნე შენი ამპარტავნების გამო; ამიტომაც მიწაზე დაგანარცხე, მეფეთა წინაშე დაგსვი გასამასხრებლად.

¹⁸შენი მრავალი ურჯულოებით, შენი ვაჭრობის უსამართლობით შებღალე შენი საწმიდრები; და შენი შუაგულიდან ამოვიღებ ცეცხლს, რომელიც შეგჭამს შენ; და მე გაქცევ ნაცარ-მტვრად მიწაზე ყველა შენი მნახველის თვალწინ.

¹⁹ყველა, ვინც გიცნობს შენ წარმართთა შორის, გაოცებულნი შეგხედავენ; საშინელებად იქცევი და აღარ იქნები უკუნისამდე.

²⁰და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²¹ადამის ძევ! პირი ქენი ციდონისაკენ და იწინასწარმეტყველე მასზე.

²²და უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, შენს წინააღმდეგ ვარ, ციდონო, და განვდიდდები შენს შორის, და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი, როდესაც აღვასრულებ მასზე სამართალს და გამოვაცხადებ ჩემს სიწმიდეს მასში;

²³და მოვუვლენ მას შავ ჭირსა და სისხლისღვრას ქუჩებში, და დაეცემიან მასში დახოცილნი მახვილით, ყოველი მხრიდან მათი შემჭმელი; და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი.

²⁴და აღარ იქნება ის ისრაელის სახლის მჩხვლეტავი ეკალი და შემაწუხებელი ხიჭვი, მათ შორის, ვინც გარს ახვევია და მისი მოძულენი არიან, და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი ღმერთი.

²⁵ასე ამბობს უფალი ღმერთი: როდესაც მე შევკრებ ისრაელის სახლს ხალხებიდან, რომლებშიც არიან გაფანტულნი, და გამოვაცხადებ მათში ჩემს სიწმიდეს წარმართთა თვალწინ, და დასახლდებიან თავიანთ მიწაზე, რომელიც მე მივეცი ჩემს მსახურს, იაკობს;



²⁶და დასახლდებიან მასზე უსაფრთხოდ, და ააშენებენ სახლებს, და ჩაყრიან ვაზს და იცხოვრებენ მშვიდად, როდესაც მე აღვასრულებ სამართალს ყველა მათ მოძულეზე მათ ირგვლივ, მაშინ მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი, მათი ღმერთი.

ეზეკიელ 29

¹მეათე წელს, მეათე თვის მეთორმეტე დღეს იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²ადამის ძევ! პირი ქენი ეგვიპტის მეფის, ფარაონის, მიმართ, და იწინასწარმეტყველე მასზე და მთელ ეგვიპტეზე,

³ელაპარაკე და უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, შენ წინააღმდეგ ვარ, ფარაონო, ეგვიპტის მეფევ, დიდო ურჩხულო, რომელიც გაწოლილხარ შენს მდინარეთა შორის და ამბობ: ჩემია მდინარე და მე წარმოვშვიო იგი ჩემთვის.

⁴მაგრამ მე გაგიყრი ჩანგლებს ყბებში და აგაკრავ შენი მდინარეების თევზებს ქერეჭებზე, და ამოგათრევ შენი მდინარეებიდან და ყველა შენი მდინარის თევზი ქერეჭზე გექნება მიკრული;

⁵და დაგყრი თუდაბნოში შენ და შენი მდინარეების თევზებს. ვრცელ ტრამალზე დაეცემი; არავინ აგკრეფთ და არავინ შეგაგროვებთ; ტყის ნადირსა და ცის ფრინველებს მიგცემ საჯიჯგნად.

⁶და გაიგებს ეგვიპტის ყველა მცხოვრები, რომ მე ვარ უფალი; რადგან ეგვიპტელნი ლერწმის საყრდენი იყვნენ ისრაელის სახლისთვის.

⁷როდესაც გიბჯენდნენ, შენ იმსხვრეოდი და მხრებში ესობოდი მათ; და როდესაც გეყრდნობოდნენ, ტყდებოდი და წელს უსერავდი.

⁸ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, მე მომაქვს შენზე მახვილი და მოვსრავ შენს კაცსა და პირუტყვს.

⁹გაპარტახდება და გაუდაბნოვდება ეგვიპტის ქვეყანა, და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი, რადგან ის ამბობს: ჩემია მდინარე და მე წარმოვშვიო იგი;

¹⁰ამიტომ, აჰა, შენს წინააღმდეგ ვარ და შენი მდინარეების წინააღმდეგ, და გავხდი ეგვიპტის ქვეყანას უდაბურად, უკაცრიელად, მიგდოლიდან სიენემდე და ქუშის საზღვრამდე.

¹¹არ გაიჭაჭანებს იქ ადამიანის ფეხი და პირუტყვის ჩლიქი არ დაეკარება მას, და არავინ დასახლდება იქ ორმოც წელიწადს.



¹²და უდაბნოდ ვაქცევ ეგვიპტის ქვეყანას უკაცრიელ ქვეყნებს შორის; და მისი ქალაქები უდაბურ ქალაქებს შორის უკაცრიელნი იქნებიან ორმოც წელიწადს. და გავფანტავ ეგვიპტელთ ხალხებში და გავაბნევ ქვეყნებში.

¹³რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: 40 წლის ბოლოს შევკრებ ეგვიპტეს იმ ხალხებიდან, რომლებშიც გაიფანტნენ ისინი.

¹⁴და დავაბრუნებ ეგვიპტის ტყვეებს, დავაბრუნებ მათ ფათროსის ქვეყანაში, მათი წარმოშობის ქვეყანაში, და იქნებიან იქ დამდაბლებულ სამეფოდ.

¹⁵სხვა სამეფოებს შორის დამდაბლდება და ველარ აღზევდება ხალხებზე; და მე შევამცირებ მას, რათა ველარ გაუბატონდეს ხალხებს.

¹⁶და აღარ იქნება ის ისრაელის სახლის საყრდენად, მათი ურჯულოების გამახსენებლად, როდესაც მიმართავდნენ მას. და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი ღმერთი.

¹⁷ოცდამეშვიდე წელს, პირველი თვის პირველ დღეს, იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

¹⁸ადამის ძეგ! ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა მოქანცა თავისი ლაშქარი ცოლის წინააღმდეგ; ყველა თავი გაქაჩლდა და ყველა ბეჭი გადატყავდა, მაგრამ ვერც მან და ვერც მისმა ლაშქარმა ჯილდო ვერ მიიღო ცორიდან იმ კირთებისათვის, რასაც ირჯებოდა მის წინააღმდეგ.

¹⁹ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, მე ვაძლევ ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს, ეგვიპტის ქვეყანას, და წაიღებს ის მის ქონებას, მიიტაცებს მის ნადავლს, და გაძარცვავს მას და ექნება ჯილდო მის ლაშქარს.

²⁰მისი გარჯის ჯილდოდ, რომელიც გასწია მან იქ, ვაძლევ ეგვიპტის ქვეყანას, რადგან ისინი ჩემთვის ირჯებოდნენ, – ამბობს უფალი ღმერთი. –

²¹იმ დღეს დავუბრუნებ რქას ისრაელის სახლს, და გაგიხსნი ბაგეს მათ შორის და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი.

ეზეკიელ 30

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²ადამის ძეგ! იწინასწარმეტყველე და თქვი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ივალაღეთ, ვაი, უბედურ დღეს!

³რადგან ახლოს არის ის დღე, და ახლოს არის დღე უფლისა, დღე ღრუბლიანი. დგება ხალხების ჟამი!



⁴და მოვა მახვილი ეგვიპტეზე და იქნება ძრწოლა ქუშში, როცა მახვილით დაეცემიან ეგვიპტეში, როცა წაიღებენ მის სიმდიდრეს და დაანგრევენ მის ფუძეებს.

⁵ქუში და ფუტი, ლუდი და მათთან ერთად ყოველნი მწირნი და ქუბი და მათი მეკავშირენი მათთან ერთად დაეცემიან მახვილით.

⁶ასე ამბობს უფალი: დაეცემიან ეგვიპტის მხარდამჭერნი და დამდაბლდება მისი ძლიერების ამპარტავნება. მიგდოლიდან სიენემდე მახვილით დაეცემიან, – ამბობს უფალი ღმერთი.

⁷და მოოხრდება განადგურებულ ქვეყნებს შორის და მისი ქალაქები ნაოხარ ქალაქთა შორის იქნება.

⁸და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი, როცა ცეცხლს მივცემ ეგვიპტეს და გაცამტვერდება ყველა მისი შემწე.

⁹იმ დღეს ხომალდებით გავლენ ჩემგან წარგზავნილნი, რათა შეაშინონ უზრუნველი ქუშელნი, და დათესონ მათში საშინელება ეგვიპტის დღეს, რადგან, აჰა, მოდის იგი.

¹⁰ასე ამბობს უფალი ღმერთი: და მე ბოლოს მოვუღებ ეგვიპტელთ ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის ხელით.

¹¹ის და მისი ხალხი, უსასტიკესნი ხალხთაგან, მოყვანილნი იქნებიან ეგვიპტის ქვეყნის მოსასპობად, და მახვილებს იშიშვლებენ ეგვიპტეზე, და გაავსებენ ქვეყანას განგმირულებით.

¹²და ამოვაშრობ მის მდინარეებს, და ამ ქვეყანას ჩავაგდებ ბოროტეულთა ხელთ, და წარვწყმედ ქვეყანას და მის სისავსეს უცხოთა ხელით. მე, უფალმა, ვთქვი ეს.

¹³ასე ამბობს უფალი ღმერთი: გავანადგურებ კერპებს და აღვგვი ცრულმერთებს ნოფში, და მბრძანებელი აღარ იქნება ეგვიპტის მიწიდან, და შიშის ზარს დავცემ ეგვიპტის ქვეყანას.

¹⁴და გავაუდაბურებ ფათროსს, ცეცხლს წავუკიდებ ცოყანს, და სასჯელს დავადებ თებეს.

¹⁵და გადმოვღვრი ჩემს რისხვას სინიზე, ეგვიპტის სიმაგრეზე, წარვწყმედ თებელთა სიმრავლეს.

¹⁶და ცეცხლს გავუგზავნი ეგვიპტეს. ძრწოლით აწრიალდება სინი, და დაინგრევა თებე, ნოფს კი მტერი მოადგება დღისით.

¹⁷ჭაბუკნი ონისა და ფი-ბესეთისა მახვილით დაეცემიან და მათ ცოლებს ტყვეობაში წაიყვანენ.



¹⁸თახფანხესში დღე დაბნელდება, როცა დავლენავ იქ ეგვიპტის უღელს და შეწყდება იქ ამპარტავნება მისი ძლიერებისა. ღრუბელი დაფარავს მას და ტყვეობაში წავლენ მისი ასულნი.

¹⁹სასჯელს დავადებ ეგვიპტეს და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი.

²⁰მეთერთმეტე წელს, პირველი თვის მეშვიდე დღეს, იყო სიტყვა უფლისა ჩემს მიმართ ნათქვამი:

²¹ადამის ძევ! მე შევმუსრე მკლავი ფარაონისა, ეგვიპტის მეფისა, და, აჰა, ჯერ კიდევ შეუხვეველია იგი, რომ განკურნებულიყო; არტახებით არ შეუკრავთ, რომ გამაგრებულიყო მახვილის ამოსაწვდელად.

²²ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, ფარაონის, ეგვიპტის მეფის, წინააღმდეგ ვარ და შევმუსრავ მის მკლავებს – მთელსაც და მოტეხილსაც, და გავაგდებინებ მახვილს ხელიდან.

²³და გავფანტავ ეგვიპტელებს ხალხებში და გავაბნევ ქვეყნებში.

²⁴და გავუმაგრებ ბაბილონის მეფეს მკლავებს და მივცემ ჩემს მახვილს ხელში, ფარაონს კი გადავუმსხვრევ მკლავებს, და იკვნესებს სასიკვდილოდ დაჭრილის კვნესით მის წინაშე.

²⁵და გავუმაგრებ ბაბილონის მეფეს მკლავებს და ჩამოუცვივა ფარაონს მკლავები. და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი, როცა მივცემ ჩემს მახვილს ბაბილონის მეფეს ხელში და მოუღერებს მას ეგვიპტის ქვეყანას.

²⁶და გავფანტავ ეგვიპტელებს ხალხებში და გავაბნევ მათ ქვეყნებში, და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი.

ეზეკიელ 31

¹მეთერთმეტე წლის, მესამე თვის პირველ დღეს იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²ადამის ძევ! უთხარი ფარაონს, ეგვიპტის მეფეს, და მის ხალხს: თავს ვის უტოლებ-თქო შენი სიდიადით?

³აჰა, აშური – კედარი ლიბანისა, რტომშვენიერი და ჩრდილოვანი ტევრი; ზრომაღალი იყო და ღრუბლებს სწვდებოდა მისი კენწერო.

⁴წყლებმა გაზარდეს ის და უფსკრულმა აამაღლა; მდინარეები გარს უვლიდნენ მის ნერგს და თავიანთ ნაკადებს უგზავნიდნენ ველის ყოველ ხეს.



⁵ამიტომაც ამაღლდა ველის ყველა ხეზე მეტად და გაუხშირდა რტო; და, როცა ზრდა დაიწყო, ბევრი წყლისაგან დაუგრძელდა ტოტები.

⁶მის რტოებში იზუდებდა ცის ყველა ფრინველი; მისი ტოტების ქვეშ შობდა ველის ყველა ცხოველი; და მის ჩრდილში ცხოვრობდნენ მრავალრიცხოვანი ხალხები.

⁷მშვენიერად იყო თავისი სიმაღლით, თავისი გრძელი ტოტებით, რადგან ფესვები დიდ წყლებში ჰქონდა გადგმული.

⁸ღვთის ბაღის კედლებმა ვერ დაჩრდილეს იგი; კვიპაროსები ვერ ედრებოდნენ თავისი რტოებით; და ჭადრები ვერ იყო მისი რტოების მსგავსი; ღვთის ბაღის ვერც ერთი ხე ვერ უსწორდებოდა მის სილამაზეს.

⁹მშვენიერი შექმენი იგი თავისი ხშირი ტოტებით; და შურდა მისი სილამაზე ყველა ხეს ღვთის ბაღში.

¹⁰ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: იმიტომ, რომ ზრო აიყარა და კენწეროთი ღრუბლებს მისწვდა და აღზევდა მისი გული მისი სიმაღლით,

¹¹ხელთ მივეცი იგი ხალხთა მბრძანებელს; და მან მიაგო მას მისაგებელი მისი; მისი ბოროტების გამო უარყავ იგი.

¹²და მოკვეთეს ის უცხოთესლისებმა, უსასტიკესებმა ხალხთა შორის, და მიატოვეს მთებსა და ხეობებში; და დაიყარა მისი ტოტები ველ-მინდვრებზე და ჩაილეწა მისი რტოები ღარტაფებში. და გამოვიდნენ მისი ჩრდილიდან ქვეყნიერების ყველა ხალხები და მიატოვეს ის.

¹³ცის ფრინველებმა დაიბუდეს მის დაყრილ ტოტებში და მიწის მხეცებმა დაიდეს ბუნაგები.

¹⁴ნუ გამედიდურდებიან თავისი სიმაღლით წყლის პირს გაზრდილი ხეები და არ მისწვდნენ კენწეროთი ღრუბლრუბლებს, და წყლის პირს გაზრდილმა ხეებმა არ დაჩაგრონ სხვა ხეები; რადგან ყველანი სასიკვდილოდ არიან განწირულნი ქვეშეთისათვის საფლავში ჩასულ ადამის ძეთა შორის.

¹⁵ასე ამბობს უფალი ღმერთი: შავეთში მისი ჩასვლის დღეს გლოვა გავუმართე მას, უფსკრული დავგმანე მის გამო, და შევაჩერე მისი მდინარეები, და შევაკავე დიდი წყლები და დავამწყუბრე მასზე ლიბანი, და ველ-მინდვრის ყოველი ხე დაღონდა მის გამო.

¹⁶მისი დაცემის ხმაზე შევაძრწუნე ხალხები, როდესაც შავეთში ჩავიყვანე ის, საფლავებში ჩასულებთან, და გაიხარა შავეთის ქვეყანაში ედემის ყველა ხემ, ლიბანის რჩეულმა და საუკეთესომ, ყველა წყლის მსმელმა.



¹⁷რადგან ისინიც მასთან ერთად ჩავიდნენ შავეთში მახვილით დაცემულებთან, და მისი შემწენიც მის ჩრდილში მსხდომნი, ხალხებს შორის.

¹⁸ვის ედარები პატივითა და სიდიდით ედემის ხეთა შორის? ახლა კი ედემის ხეთა მსგავსად ჩაყვანილ იქნები შავეთში და მახვილით დაცემულ წინადაუცვეთელთა შორის დაწვები. ასე მოუვა ფარაონსა და მთელ მის გამედიდურებულ ხალხს, – ამბობს უფალი ღმერთი.

ეზეკიელ 32

¹მეთორმეტე წელს, მეთორმეტე თვის პირველ დღეს იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²ადამის ძევ! იწყე მოთქმა ფარაონზე, ეგვიპტის მეფეზე, და უთხარი მას: როგორც ლომის ბოკვერი ხალხებს შორის და ურჩხული ზღვებზე, ისე აწყდები შენს მდინარეებს და შენი თათებით ამღვრევ წყლებს, და თელავ მათ დინებებს.

³ასე ამბობს უფალი ღმერთი: მოვისვრი შენზე ჩემს ბადეს ხალხთა კრებულში და ამოგათრევენ ისინი ჩემი სათხევლით

⁴და მიგაგდებ მიწაზე, მინდვრის პირას მიგატოვებ და დავაბინავებ შენზე ცის ყველა ფრინველს, და გავაძღობ შენით მიწის ყველა მხეცს.

⁵და დავყრი შენს ხორცს მთებზე და გავავსებ ხევ-ხუვებს შენი მძორით.

⁶შენს სისხლს შევასმევ მიწას მთების კალთებამდე და კალაპოტები გაივსება შენით.

⁷და როდესაც ჩაქრები, მე დავფარავ ზეცას და დავაბნელებ მის ვარსკვლავებს, მზეს ღრუბლით დავფარავ და მთვარე არ გაანათებს თავისი ნათელით.

⁸ყველა მნათობს დაგიბნელებ ცაზე და წყვდიადს დავამკვიდრებ შენს მიწაზე, – ამბობს უფალი ღმერთი.

⁹შევაშფოთებ მრავალი ხალხების გულს, როდესაც გამოვაცხადებ შენს დაცემას ხალხებში, ქვეყნებში, რომლებიც შენ არ იცოდი.

¹⁰და გავაოგნებ შენით მრავალ ხალხებს, და მათი მეფენი შეძრწუნდებიან შენს გამო, როცა მოვიქნევ ჩემს მახვილს მათ წინაშე, და იკანკალებს ყოველ წამს თითოეული თავისი დაღუპვის შიშით შენი დაცემის დღეს.

¹¹რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: ბაბილონის მეფის მახვილი მოვაო შენზე.



¹²მამაცთა მახვილით დავცემ შენს ხალხს; ყველა ისინი – უსასტიკესნი არიან წარმართთა შორის, და წარწყმედენ ეგვიპტის სიამაყეს; და განადგურდება მთელი მისი სიმრავლე.

¹³გავწყვეტ მთელ მის პირუტყვს დიდ წყლებთან, და ადამიანის ფეხი აღარ ამღვრევს მათ, და არც საქონლის ჩლიქი ამღვრევს მათ.

¹⁴მაშინ დავამდორებ მათ წყლებს, და მათ მდინარეებს ზეთივით ვადენ, – ამბობს უფალი ღმერთი.

¹⁵როცა გავაუდაბურებ ეგვიპტის მიწას და დაცარიელდება მისი სავსე ქვეყანა, როდესაც განვგმირავ მის ყველა მცხოვრებს, მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი.

¹⁶ეს არის საგოდებელი სიმღერა, რომელსაც იგოდებენ; ხალხთა ასულნი იგოდებენ მას; ეგვიპტესა და მის სიმრავლეზე იგოდებენ მას, – ამბობს უფალი ღმერთი.

¹⁷მეთორმეტე წელს, იმ თვის მეთხუთმეტე დღეს იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

¹⁸ადამის ძევ! დაიტირე ეგვიპტის ამაყი ხალხი, და ჩაიყვანე ის და ასულნი ძლიერი ხალხებისა შავეთში საფლავებში ჩამავლებთან ერთად.

¹⁹ვის აღმატები შენ? ჩადი და დაწექი წინადაუცვეთელებთან.

²⁰ისინი დაეცემიან მახვილით დაცემულებთან ერთად, და ისიც მიეცა მახვილს; წაათრიეთ ისიც და მთელი მისი სიმრავლეც.

²¹შავეთში ილაპარაკებენ მასზე და მის შემწეებზე უძლიერესნი ძლიერთა შორის; ისინი დაეცნენ და იქვე წვანან მახვილით განგმირულნი წინადაუცვეთელთა გვერდით.

²²იქაა აშური და მთელი მისი მხედრობა; მის ირგვლივაა მისი საფლავები; ყველა მახვილითაა განგმირული და დაცემული.

²³მისი საფლავები შავეთის უფსკრულშია, და მისი მხედრობა მისი საფლავის ირგვლივაა, ყველა განგმირულნი, მახვილით დაცემულნი, ისინი, ვინც შიშის ზარს ჰგვრიდნენ ცოცხალთა ქვეყანას.

²⁴იქაა ყელამი მთელი მისი სიმრავლით მისი საფლავის ირგვლივ, ყველა ის განგმირული, მახვილით დაცემული, რომლებიც წინადაუცვეთელებთან ერთად ჩავიდნენ შავეთში, რომლებიც შიშის ზარს ჰგვრიდნენ ცოცხალთა ქვეყანას და ატარებენ თავიანთ შერცხვენას საფლავებში ჩასულებთან ერთად.



²⁵განგმირულთა შორის მისცეს მას საწოლი მთელ მის მხედრობასთან ერთად; მის ირგვლივაა მათი საფლავები; ყველანი წინადაუცვეთელნი არიან, მახვილით დაცემულნი; და როგორც ისინი შიშის ზარს ჰგვრიდნენ ცოცხალთა ქვეყანას, ისე ატარებენ თავიანთ შერცხვენას საფლავში ჩასულებთან ერთად და განგმირულნი არიან განგმირულთა შორის.

²⁶იქ არიან მეშექი და თუბალი მთელი მათი სიმრავლით; მის ირგვლივაა მათი საფლავები, ყველანი წინადაუცვეთელნი არიან, მახვილით განგმირულნი, რადგან შიშის ზარს ჰგვრიდნენ ცოცხალთა ქვეყანას.

²⁷ნუთუ არ უნდა იწვნენ ისინი წინადაუცვეთელ გმირთაგან დაცემულებთან, რომელნიც ჩავიდნენ შავეთში თავიანთი საომარი საჭურვლიანად და თავქვეშ ამოიდეს მახვილები, და მათ ძვლებზე დარჩა მათი ურჯულოება, რადგან ის ძლიერნი შიშის ზარს ჰგვრიდნენ ცოცხალთა ქვეყანას.

²⁸და შენ წინადაუცვეთელთა შორის დაილეწები და მახვილით განგმირულებთან ერთად დაწვები.

²⁹იქაა ედომი და მისი მეფენი და ყველა მისი მთავარნი, რომელნიც თავიანთი ძლიერების მიუხედავად მახვილით დაეცნენ და წინადაუცვეთელთა და საფლავში ჩასულთა შორის წვანან.

³⁰იქ არიან ჩრდილოეთის ხელმწიფენი, ყველა ისინი, და ყველა ციდონელი, რომელნიც ჩავიდნენ განგმირულებთან ერთად, მათი ზარდამცემი ძლიერებით სირცხვილნაჰამნი და წვანან წინადაუცვეთელნი მახვილით განგმირულებთან ერთად და თან აქვთ წაღებული თავიანთი სირცხვილი საფლავში ჩასულებთან ერთად.

³¹მათ იხილავს ფარაონი და ინუგემებს მთელი მისი სიმრავლის გამო, მახვილით განგმირულთა გამო, ფარაონი და მთელი მისი ლაშქარი, – ამბობს უფალი ღმერთი.

³²რადგან მე მოვგვრი შიშის ზარს ცოცხალთა ქვეყანას, და დაწვება ფარაონი და მთელი მისი სიმრავლე მახვილით განგმირულ წინადაუცვეთელთა შორის, – ამბობს უფალი ღმერთი.

ეზეკიელ 33

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²ადამის ძეგ! ელაპარაკე შენი ერის ძეთ და უთხარი მათ: თუ აღვმართავ მახვილს რომელიმე ქვეყანაზე და აიყვანს იმ ქვეყნის ხალხი ერთ თავისიან კაცს და დაიყენებს მას გუშაგად,



³და დაინახავს ის მახვილს, აღმართულს ამ ქვეყანაზე, ჩაჰბერავს საყვირს და გააფრთხილებს იმ ერს,

⁴და მომსმენი მოისმენს ბუკის ხმას, მაგრამ არ გაფრთხილდება, – და როცა მოვა მახვილი და წაიყვანს მას, მისი სისხლი მის თავზე იქნება.

⁵ბუკის ხმა მოისმინა მან და არ გაფრთხილდა, მისი სისხლი მასზე იქნება; ხოლო ვინც გაფრთხილდება, გადაირჩენს თავს.

⁶გუშაგი კი, თუ დაინახავს მომავალ მახვილს და არ დასცემს ბუკს და ხალხს არ გააფრთხილებს, მაშინ, როცა მოვა მახვილი და წაართმევს მათგან რომელიმეს სულს, ის მისი ცოდვის გამო იქნება წაყვანილი, მის სისხლს კი გუშაგის ხელიდან მოვიკითხავ.

⁷შენ კი, ადამის ძე, ისრაელის სახლის გუშაგად დაგაყენე და ჩემი პირიდან მოისმენ სიტყვას და გააფრთხილებ მათ ჩემგან.

⁸როდესაც მე ვეტყვი ბოროტს: ბოროტო! მოკვდები-მეთქი, შენ კი არაფერს ეტყვი ბოროტს, რომ გაფრთხილდეს მისი გზის გამო, ის ბოროტი თავის ურჯულოებაში მოკვდება, მის სისხლს კი შენი ხელიდან მოვიკითხავ.

⁹მაგრამ თუ გააფრთხილე ბოროტი მისი გზის გამო, რომ მოქცეულიყო, მაგრამ არ მოიქცა თავისი გზიდან, ის თავის ურჯულოებაში მოკვდება, შენ კი შენს სულს იხსნი.

¹⁰და შენ, ადამის ძე! უთხარი ისრაელის სახლს: თქვენ ასე ამბობდით: რაკი ჩვენი დანაშაულებანი და ჩვენი ცოდვანი ჩვენზეა, და ჩვენ მათში ვდნებით, როგორღა ვიცოცხლებთ?

¹¹უთხარი მათ: ცოცხალი ვარ მე! – ამბობს უფალი ღმერთი, – მე არ მსურს ბოროტის სიკვდილი, არამედ ბოროტის მოქცევა მისი გზიდან, რომ იცოცხლოს მან. მოიქეცით, მოიქეცით თქვენი ბოროტი გზებიდან! რატომ უნდა დაიხოცოთ, ისრაელის სახლო?

¹²შენ კი, ადამის ძე! უთხარი შენი ერის შვილებს: მართალს მისი სიმართლე ვერ იხსნის დანაშაულის დღეს, და ბოროტს ბოროტება ვერ დააბრკოლებს მისი ბოროტებისგან მოქცევისას, და მართალს მისი სიმართლე ვერ გადაარჩენს მისი ცოდვის დღეს.

¹³როდესაც ვეუბნები მართალს: იცოცხლებ-მეთქი, ხოლო მას იმედი აქვს თავისი სიმართლისა და ბოროტებას იქმს, მის სიმართლეს არავინ გაიხსენებს და მისგან ჩადენილი ბოროტებით მოკვდება.

¹⁴და როდესაც ვეუბნები ბოროტმომქმედს: მოკვდები-მეთქი, და ის მოიქცევა ცოდვებისგან და სამართალსა და სიმართლეს იქმს,



¹⁵გირაოს დააბრუნებს წაგლეჯილს ზღავს, სიცოცხლის წესებით ივლის, უსამართლობას აღარ ჩაიდენს, იცოცხლებს და არ მოკვდება.

¹⁶ყველა მის ცოდვას, რაც შესცოდა, აღარ გაუხსენებენ; სამართალსა და სიმართლეს იქმს და იცოცხლებს.

¹⁷მაგრამ ამბობენ ძენი შენი ერისა: უფლის გზა არ არისო სწორი! მაშინ, როცა მათი გზა არ არის სწორი.

¹⁸თუ მართალი თავისი სიმართლისგან მიიქცევა და ჩაიდენს უსამართლობას, მოკვდება.

¹⁹და როდესაც ბოროტი თავისი ბოროტებისგან მიიქცევა და იქმს სამართალსა და სიმართლეს, მათ გამო იცოცხლებს.

²⁰თქვენ კი ამბობთ: უფლის გზა არ არისო სწორი! მაგრამ თითოეულს თავისი გზისამებრ განგსჯით, ისრაელის სახლო.

²¹ჩვენი გადასახლების მეთორმეტე წლის, მეათე თვის მეხუთე დღეს, მოვიდა ჩემთან ერთი გადარჩენილი იერუსალიმიდან და მითხრა: დაიქცაო ქალაქი.

²²უფლის ხელი იყო ჩემზე იმ საღამოს გადარჩენილის მოსვლამდე და უფალმა გამიხსნა ბაგე დილით, მის მოსვლამდე. გამიხსნა ბაგე და აღარ დავდუმებულვარ.

²³იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²⁴ადამის ძევ! ისრაელის ამ მოოხრებულ მიწაზე მცხოვრებნი ასე ამბობენ: ერთი იყოო აბრაამი და დაიმკვირდა ეს ქვეყანა, ჩვენ კი ბევრნი ვართ. ჩვენ მოგვეცაო ეს ქვეყანა დასამკვიდრებლად.

²⁵ამიტომ უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: სისხლითურთ ჭამთ და თვალი კერპებისაკენ გაქვთ მიპყრობილი, და სისხლს ღვრით; და ეს ქვეყანა გინდათ დაიმკვიდროთ?

²⁶თქვენი მახვილის იმედით ხართ, სისამაგლეს შვრებით, ერთმანეთის ცოლებს ბილწავთ და ამ ქვეყნის დამკვიდრება გსურთ?

²⁷ასე უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ცოცხალი ვარ მე! თუ ისინი, ვინც ნაოხარებში არიან, მახვილით არ დაეცნენ; და ისინი, ვინც გაშლილ ველზე არიან, თუ მხეცებს არ მივცე შესაჭმელად; და ვინც ციხესიმაგრეებში და გამოქცეულებში სხედან, თუ შავი ჭირით არ დაიხოცნენ.



²⁸და უდაბნოდ და უდაბურად ვაქცევ ამ ქვეყანას, და შეწყდება მისი ამპარტავნული ძლიერება და გაუკაცრიელდება ისრაელის მთები და აღარ იქნება მასზე ფეხის დამკარებელი.

²⁹და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი, როდესაც უდაბნოდ და უდაბურად ვაქცევ ამ ქვეყანას მათი ყველა სისაძაგლის გამო, რაც ჩაიდინეს.

³⁰და შენ, ადამის ძევ! ძენი შენი ერისა შენზე ლაპარაკობენ კედლებთან და სახლების შესასვლელებთან და ეუბნებიან ერთიმეორეს, თითოეული თავის ძმას: მოდით და მოისმინეთ სიტყვა, რომელიც გამოვიდაო უფლისაგან.

³¹და მოდიან შენთან, როგორც სახალხო შეკრებაზე, და სხდება შენს წინ ჩემი ერი და ისმენენ შენს სიტყვებს, მაგრამ არ ასრულებენ მას, რადგან საღალღობოდ აქცევენ მათ თავიანთი ბაგეებით, ანგარებისკენ მიუწევთ გული.

³²აჰა, საღალღობო გასართობი მომღერალი ხარ მათთვის ლამაზხმიანი და კარგი დამკვრელი. ისმენენ შენს ნათქვამს, მაგრამ არ ასრულებენ მას.

³³მაგრამ როცა აღსრულდება, – და, აჰა, ახდა კიდეც, – მიხვდებიან, რომ წინასწარმეტყველი იყო მათ შორის.

ეზეკიელ 34

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²ადამის ძევ! იწინასწარმეტყველე ისრაელის მწყემსებზე, იწინასწარმეტყველე და უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ვაი ისრაელის მწყემსებს, რომელნიც საკუთარ თავს მწყემსავენ! განა მწყემსები ცხვარს არ უნდა მწყემსავდნენ?

³ლურთებს თქვენა ჭამთ, მატყლით იმოსებით და ნასუქალ ცხვარს იკლავთ, ცხვრის ფარას კი არა მწყემსავთ.

⁴დავარდნილებს არ უვლით და ავადმყოფებს არ კურნავთ, ნაჭრილობებს არ უხვევთ და გზააბნეულს არ აბრუნებთ, დაკარგულს არ ეძებთ, უხინჯოებს კი ძალადობითა და სისასტიკით იურვებთ.

⁵და გაიფანტა უმწყემსოდ დარჩენილი ჩემი ფარა და გახდა ველის ნადირთა ლუკმა.

⁶გზააბნეულია ჩემი ცხვარი ყველა მთაზე და ყველა გორაკზე, და მთელს ქვეყანაზე გაიბნა ჩემი ფარა და არ არის მომკითხავი და არც მომძებნი.

⁷ამიტომ, მწყემსებო, ისმინეთ სიტყვა უფლისა:



⁸ცოცხალი ვარ მე! – ამბობს უფალი ღმერთი, – რაკი ჩემი ცხვარი იყო გასამარცხავად და ველის ყველა ნადირის ლუკმად ქცეული უმწყემსობის გამო, და არ მოიკითხეს მწყემსებმა ჩემი ცხვარი, და მწყემსეს მათ თავისი თავი და ჩემი ცხვარი არა მწყემსეს, –

⁹ამიტომ, მწყემსებო, ისმინეთ სიტყვა უფლისა.

¹⁰ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, მე მწყემსებთანა მაქვს საქმე, და მათ მოვკითხავ ჩემს ცხვრებს, და აღარ დავანებებ მათ ცხვრის მწყემსვას, და ველარც დამწყემსავენ ისინი თავის თავს; და ვიხსნი ჩემს ცხვრებს მათი პირიდან და აღარ გახდებიან მათი კერძი.

¹¹რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: თავად მე მოვკითხავ ჩემს ცხვარს და მე მოვძებნი.

¹²როგორც მწყემსი ეძებს თავის ცხვარს, როცა თავის გაფანტულ ფარაში ჩადგება, მეც ისე მოვძებნი ჩემს ცხვარს და დავიხსნი ყველა იმ ადგილიდან, სადაც კი გაიფანტნენ ნისლიან და ღრუბლიან დღეს.

¹³და გამოვიყვან მათ ყველა ხალხებიდან და შევაგროვებ ყველა ქვეყნებიდან და მოვიყვან თავიანთ მიწაზე, და დავმწყემსავ მათ ისრაელის მთებზე და წყლის ნაკადებთან, და ამ ქვეყნის ყველა დასახლებულ ადგილას.

¹⁴კარგ სამწყემსურში დავმწყემსავ მათ და ისრაელის მაღალ მთებში იქნება მათი სამოვარი. იქ დაეყრებიან კარგ ფარეხებში და ისრაელის მთების ნოყიერ სამოვრებზე იბალახებენ.

¹⁵მე თავად დავმწყემსავ ჩემს ცხვარს და დავასვენებ მათ, – ამბობს უფალი ღმერთი.

¹⁶დაკარგულს მოვკითხავ და გაბნეულს დავაბრუნებ, მოტეხილს შევუხვევ და დაცემულს მოვადლიერებ, ჩასუქებულებს და გაჯიქებულებს გავანადგურებ. სამართლიანად დავმწყემსავ მათ.

¹⁷თქვენზე კი, ჩემო ცხვრებო, – ამბობს უფალი ღმერთი, – მე ვიქნები მსაჯული ცხვარსა და ცხვარს შუა, ვერძებსა და ვაცებს შუა.

¹⁸ის არა გყოფნით, რომ საუკეთესო სამოვარზე დაბალახობთ? რომ რაც ვერ გამოვეთ, იმას ფეხით თელავთ? ანკარა წყალს რომ სვამთ? დარჩენილს რატომღა ამღვრევთ ფეხით?

¹⁹ჩემმა ცხვრებმა თქვენი ფეხით გათელილი უნდა ძოვონ და თქვენი ფეხით ამღვრეული უნდა სვან?

²⁰ამიტომ ასე ეუბნება მათ უფალი ღმერთი: აჰა, მე თვითონ განვსჯი მსუქან ცხვარსა და მჭლე ცხვარს შორის.



²¹რადგან ფერდისა და მხრის კვრით და რქების რქენით ერეკებით ყველა სუსტს გარეთ, –

²²მე ვიხსნი ჩემს ცხვრებს, და აღარ იქნებიან ისინი დასატაცებლად, და განვსჯი ცხვარსა და ცხვარს შუა.

²³და დავუყენებ მათ ერთ მწყემსს, ჩემს მსახურს, დავითს, და ის დამწყემსავს მათ, და ის იქნება მათი მწყემსი.

²⁴და მე, უფალი, ვიქნები მათი ღმერთი და ჩემი მსახური, დავითი, მათი მთავარი იქნება. მე, უფალმა, ვთქვი ეს.

²⁵და მე დავდებ მათთან მშვიდობის აღთქმას და მოვსპობ მძვინვარე მხეცებს ამ ქვეყნიდან, რომ ისინი უდაბნოში უსაფრთხოდ დაემკვიდრნენ და ტყეებში მშვიდად იძინონ.

²⁶და მე ვაკურთხებ მათ და ჩემი ბორცვის შემოგარენს, და დავუშვებ წვიმას თავის დროზე; და ის იქნება კურთხეული წვიმები.

²⁷და ველის ხეები გამოისხამენ ნაყოფს და მიწა გამოიღებს მოსავალს; და იქნებიან ისინი თავის მიწაზე უსაფრთხოდ და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი, როცა დავწყვეტ მათი უღლის აპურებს და ვიხსნი მათი დამმონებლების ხელიდან.

²⁸და აღარ იქნებიან ხალხების ნადავლად, და ქვეყნის მხეცები არ დაჭამენ მათ; იცხოვრებენ უსაფრთხოდ და ვეღარავინ შეაშინებს მათი.

²⁹და აღმოვუცენებ მათ დიდებულ ნერგს, და აღარ დაიხოცებიან შიმშილით ამ ქვეყანაში და აღარ დაითმენენ წარმართთაგან შეურაცხყოფას.

³⁰და მიხვდებიან, რომ მე, მათი უფალი ღმერთი, მათთან ვარ, ისინი კი, სახლი ისრაელისა, ჩემი ხალხია, – ამბობს უფალი ღმერთი, –

³¹და რომ, თქვენ ხართ ჩემი ცხვრები, ჩემი სამწყსოს ცხვრები; თქვენ ადამიანები ხართ, მე კი თქვენი ღმერთი, – ამბობს უფალი ღმერთი.

ეზეკიელ 35

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

²ადამის ძევ! სეყირის მთისკენ ქენი პირი და იწინასწარმეტყველე მასზე.

³და უთხარი მას: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, შენს წინააღმდეგ ვარ, სეყირის მთაო, ხელს მოგიღერებ და გაქცევ ოხრად და ტიალად.

⁴შენს ქალაქებს ნანგრევებად ვაქცევ და შენც გატიალდები და მიხვდები, რომ მე ვარ უფალი.



⁵რაკი საუკუნოდ დაემტერე ისრაელიანთ და მახვილს მიუგდე ისინი მათი გასაჭირის ჟამს, უკანასკნელი დაღუპვის ჟამს,

⁶ამიტომ, ცოცხალი ვარ მე, – ამბობს უფალი ღმერთი, – სისხლად გაგცევ და სისხლი დაგიწყებს დევნას; და რაკი სისხლი არ გძულდა, სისხლი დაგიწყებს დევნას.

⁷ოხრად და ტიალად ვაქცევ სეყირის მთას, და გამვლელ-გამომვლელის ფეხს ამოვკვეთ იქ.

⁸და გავავსებ მის ბორცვებს განგმირულებით. მახვილით განგმირულები დაეცემიან შენს ბორცვებსა და ხევებში, და შენს ღრანტეებში.

⁹საუკუნოდ აგაოხრებ და შენი ქალაქები აღარ დასახლდებიან, და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი.

¹⁰რაკი ამბობდი, ჩემი იქნებაო ეს ორი ხალხი და ეს ორი ქვეყანა, და ჩვენ დავიმკვიდრებთო მათ, თუმცაღა უფალი იქ იყო.

¹¹ამიტომ, ცოცხალი ვარ მე! – ამბობს უფალი ღმერთი, – თუ არ მოგექცე შენი რისხვისამებრ და შენი შურისამებრ, როგორც მოექცე მათ შენი სიძულვილით, და გამოვცხადდები მათში, როცა სასჯელს გამოგიტან.

¹²და მიხვდები, რომ მე, უფალმა, მოვისმინე ყველა შენი ლანძღვა, რომელიც წარმოსთქვი ისრაელის მთების მიმართ: აოხრდნენ, ჩვენ მოგვეცაო შესაჭმელად.

¹³ენით მედიდგულებოდი და მრავალსიტყვაობით ჩემს წინააღმდეგ; ჩემი ყურით მესმოდა.

¹⁴ასე ამბობს უფალი ღმერთი: როცა მთელი ქვეყანა გაიხარებს, მაშინ გაქცევ შენ უდაბურად.

¹⁵როგორც ხარობდი შენ ისრაელის სახლის სამკვიდროს გაუდაბურებაზე, ისე მოგექცევი შენ: ერთად გაუდაბურდებით, სეყირის მთაო, და ედომო, მთლიანად, და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი.

ეზეკიელ 36

¹და შენ, ადამის ძე! უწინასწარმეტყველე ისრაელის მთებს და უთხარი: მთანო ისრაელისა, ისმინეთ უფლის სიტყვა!

²ასე ამბობს უფალი ღმერთი: იმის გამო, რომ მტერი ამბობს თქვენზე: აჰა, სამკვიდროდ დაგვრჩაო საუკუნო გორაკები!



- ³ამიტომ იწინასწარმეტყველე და თქვი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: რაკი განადგურებენ და ყოველი მხრიდან ესწრაფვიან თქვენს შთანთქმას, რათა გახდეთ წარმართთა საბრძანებელი, და მიეცეთ ენით ასაგდებად და სამრახავად.
- ⁴ამიტომ, ისრაელის მთებო, ისმინეთ უფალი ღმერთის სიტყვა: ასე ეუბნება უფალი ღმერთი მთებსა და ბორცვებს, ღარტაფებსა და ხეობებს, აოხრებულ ნანგრევებსა და მიტოვებულ ქალაქებს, რომელნიც იყვნენ ნადავლად და დასაცინად იმ ხალხებს, რომელნიც ირგვლივ არიან.
- ⁵ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: ხომ ჩემი რისხვის ცეცხლში ვამბობდი ამ ხალხებსა და მთელ ედომზე, რომელთაც მიითვისეს ჩემი ქვეყანა მემკვიდრეობად მთელი გულის სიხარულითა და სულის ზიზღით, რათა მისი სანახები გამარცულიყო.
- ⁶ამიტომ იწინასწარმეტყველე ისრაელის მიწაზე და უთხარი მთებსა და ბორცვებს, ღარტაფებსა და ველებს: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, ჩემი შურითა და გულისწყრომით ვილაპარაკე ეს, რადგან წარმართთაგან შეურაცხყოფას ითმენდით.
- ⁷ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: მე ფიცით აღვმართე ხელი და ნახავთ, თუ წარმართებმა, რომელნიც თქვენს ირგვლივ არიან, არა ჭამონ სირცხვილი.
- ⁸თქვენ კი, მთანო ისრაელისა, კვლავაც ამწვანდებით და ნაყოფს მოუტანთ ჩემს ერს, ისრაელს, – რადგან ის მალე დაბრუნდება აქ.
- ⁹რადგან, აჰა, მე თქვენ მოგხედავთ, და მოიხვნებით და დაითესებით.
- ¹⁰და დავასახლებ თქვენზე ადამიანს, მთელ ისრაელის სახლს, მთლიანად, და დასახლდება ქალაქები და ნაოხარები აშენდება.
- ¹¹და გავამრავლებ თქვენზე ადამიანსა და პირუტყვს, და ინაყოფიერებენ და გამრავლდებიან, და დაგასახლებთ უწინდებურად და კეთილად მოგექცევით, უწინდელზე უკეთესად, და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი.
- ¹²და მოვიყვან თქვენთან ხალხს – ჩემს ერს, ისრაელს, რათა დაგიმკვიდრონ და გახდეს მათი წილხვედრი, რომ აღარასოდეს გახადო ისინი შვილმკვდარნი.
- ¹³ასე ამბობს უფალი ღმერთი: რადგან გეუბნებიან შენ: კაცის მჭამელი ხარ და შენი ერის შვილმკვდარყოფელიო,
- ¹⁴ამიტომ კაცს აღარ შეჭამ და შენს ერს აღარ გახდი შვილმკვდარს, – ამბობს უფალი ღმერთი.



¹⁵და აღარ მოგასმენინებ შენს დაცინვას წარმართთაგან, და ლანძღვას ტომთაგან და შენს ხალხს შვილმკვდრად აღარ დასხავ, – ამბობს უფალი ღმერთი.

¹⁶და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

¹⁷ადამის ძეგ! როდესაც ისრაელის სახლი თავის მიწაზე ცხოვრობდა, შებილწა იგი თავისი საქმითა და საქციელით. მათი გზა ჩემს წინაშე ისეთი იყო, როგორც უწმიდურება დედაკაცისა წიღოვანებისას.

¹⁸და გადმოვანთხიე მათ ჩემი რისხვა იმ სისხლის გამო, რომელსაც ღვრიდნენ ქვეყანაზე, და იმის გამო, რომ კერპებით შებილწეს იგი.

¹⁹და გავფანტე ისინი წარმართთა შორის და გავაბნეე ქვეყნებში, და განვსაჯე მათი გზისა და მათი საქმეებისამებრ.

²⁰და მივიდნენ ისინი წარმართებთან, და სადაც მივიდნენ, შელახეს ჩემი წმიდა სახელი, რადგან მათზე ამბობდნენ: ეს უფლის ერია და მისი ქვეყნიდან არიანო გამოსული.

²¹და შევიბრალე ჩემი წმიდა სახელი, რომელიც შელახა ისრაელის სახლმა წარმართთა შორის, სადაც ისინი მივიდნენ.

²²ამიტომ უთხარი ისრაელის სახლს: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: თქვენი გულისთვის არ ვაკეთებ ამას, სახლო ისრაელისა, არამედ ჩემი წმიდა სახელისათვის, რომელიც შელახეთ წარმართთა შორის, სადაც მიხვედით.

²³და მე განვწმედ ჩემს დიად სახელს, შელახულს წარმართთა შორის, რომელიც შელახეთ თქვენ მათ შორის. და მიხვდებიან წარმართნი, რომ მე ვარ უფალი! – ამბობს უფალი ღმერთი, – როდესაც გამოვაჩენ ჩემს სიწმიდეს თქვენზე მათ თვალწინ.

²⁴და გამოგიყვანთ წარმართთაგან და გამოგკრებთ ყველა ქვეყნიდან და მოგიყვანთ თქვენს მიწაზე.

²⁵და გასხურებთ წმიდა წყალს, და განიწმიდებით მთელი თქვენი სიბილწისაგან, და ყველა თქვენი კერპისაგან განგწმედთ.

²⁶და მოგცემთ თქვენ ახალ გულს და ახალ სულს მოგცემთ თქვენ, ამოგარიდებთ ქვის გულს სხეულიდან და ხორცის გულს ჩაგიდგამთ.

²⁷ჩემს სულს ჩავდებ თქვენში და გავაკეთებ ისე, რომ ჩემი მცნებებით ივლით და ჩემს სამართალს დაიცავთ და შეასრულებთ.

²⁸და იცხოვრებთ ქვეყანაში, რომელიც თქვენს მამებს მივეცი, და იქნებით ჩემი ერი და მე ვიქნები თქვენი ღმერთი.



²⁹მე გიხსნით ყველა თქვენი უწმიდურებისაგან, და მოვუხმობ ხორბალს, და გავამრავლებ მას, და არ მოვავლენ თქვენზე შიმშილობას.

³⁰გავამრავლებ ხეზე ნაბამსა და მინდვრის მოსავალს, რათა აღარ დაითმინოთ შიმშილის სირცხვილი წარმართთა შორის.

³¹მაშინ გაიხსენებთ თქვენს ბოროტ გზებს და თქვენს ცუდ საქციელს, და შეგმაგდებათ საკუთარი თავი თქვენი ურჯულოებისა და თქვენი სისამაგლის გამო.

³²იცოდეთ, რომ თქვენი გულისთვის არ ვაკეთებ ამას, – ამბობს უფალი ღმერთი, – გრცხვენოდეთ და გაწითლდით თქვენი გზების გამო, ისრაელის სახლო.

³³ასე ამბობს უფალი ღმერთი: მაშინ, როცა მე განგწმედოთ თქვენი ყველა ურჯულოებისაგან და დავასახლებ თქვენს ქალაქებს და აშენდება ნაოხარები,

³⁴და ეს გაჩანაგებული მიწა, უდაბურად რომ უჩანდა ყოველ ჩამვლელს, მოიხვნება,

³⁵და იტყვიან: ეს გაუდაბურებული ქვეყანა ედემის ბაღად ქცეულა; და ეს აოხრებული, გაუდაბურებული და დანგრეული ქალაქები გამაგრებულია და დასახლებული.

³⁶და მიხვდებიან წარმართნი, რომლებიც თქვენს ირგვლივ დარჩებიან, რომ მე, უფალმა, აღვადგინე დანგრეული, გავაშენე გაუდაბურებული. მე, უფალმა, ვთქვი და გავაკეთე.

³⁷ასე ამბობს უფალი ღმერთი: კიდევ იმით გამოვავლენ ჩემს წყალობას ისრაელის სახლის მიმართ, რომ ცხვრის ფარასავით გავუმრავლებ ხალხს.

³⁸როგორც მრავალია სამცხვერპლო ცხვარი იერუსალიმში მის დღესასწაულებზე, ისე აივსება გაუდაბურებული ქალაქები ხალხით, და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი.

ეზეკიელ 37

¹იყო უფლის ხელი ჩემზე, და გამიყვანა მე უფლის სულმა და დამსვა შუაგულ ველზე, რომელიც ძვლებით იყო სავსე.

²და შემომატარა მათ ირგვლივ, და აჰა, ძალზე ბევრი ეყარა ისინი ველზე და, აჰა, მთლად გამხმრები იყო.

³და მითხრა მან მე: ადამის ძევ! თუ გაცოცხლდებიან ეს ძვლები? და ვუთხარი მე: უფალო ღმერთო, მხოლოდ შენ უწყი ეს.



⁴და მითხრა მან: უწინასწარმეტყველე ამ ძვლებს და უთხარი: გამხმარო ძვლებო, ისმინეთ სიტყვა უფლისა!

⁵ასე ეუბნება უფალი ღმერთი ამ ძვლებს: შემოვიყვან თქვენში სულს და გაცოცხლდებით.

⁶მოგცემთ თქვენ ძარღვებს და ამოვიყვან თქვენზე ხორცს, დაგფარავთ კანით და მოგცემთ სულს, და გაცოცხლდებით და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი.

⁷და ვიწინასწარმეტყველე მე, როგორც მებრძანა; და როდესაც ვწინასწარმეტყველებდი, მესმა ხმა, და აჰა, შეიქმნა ზრიალი, და მიედგა ძვალი თავის ძვალს.

⁸და დავინახე: აჰა, ძარღვებით შეივსო და ხორცი და ტყავი გადაეკრა ზედ, სული კი არ იყო მათში.

⁹და მითხრა მე: უწინასწარმეტყველე სულს, უწინასწარმეტყველე, ადამის ძევ, და უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ოთხი ქარიდან მოდიო, სულო, და შთაბერე ამ დახოცილებს და გაცოცხლდებიან.

¹⁰მეც ვიწინასწარმეტყველე, როგორც უფალმა მიბრძანა. და შევიდა მათში სული და გაცოცხლდნენ და დადგა ფეხზე ძალზე, ძალზე დიდი ლაშქარი.

¹¹და მითხრა მე უფალმა: ადამის ძევ! ეს ძვლები მთელი ისრაელის სახლია. აჰა, შენ გესმის, რომ ისინი ამბობენ: გახმა ჩვენი ძვლები და წარწყმდაო სასოება ჩვენი, მოვისპენითო.

¹²ამიტომ უწინასწარმეტყველე და უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: მე გავხსნიო თქვენს საფლავებს და ამოვიყვანთო იქიდან, ჩემო ხალხო, და მიგიყვანთო ისრაელის მიწაზე.

¹³და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი, როდესაც გავხსნი თქვენს საფლავებს და ამოვიყვანთ თქვენი საფლავებიდან, ჩემო ერო!

¹⁴და ჩავდებ ჩემს სულს თქვენში და გაცოცხლდებით. და დაგსხამთ თქვენს მიწაზე და მიხვდებით, რომ მე, უფალმა, ვთქვი და გავაკეთე, – ამბობს უფალი.

¹⁵და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:

¹⁶და შენ, ადამის ძევ! აილე ერთი ჯოხი და დააწერე: იუდასთვის და მის თანამდგომ ისრაელიანთათვის; და აილე მეორე ჯოხი და დააწერე: ჯოხი ეფრემის, იოსებისთვის; ეს ჯოხი არის ეფრემისა და მთელი ისრაელის სახლისა, მისი თანამდგომისა.

¹⁷ერთმანეთს მიადგი შენთვის ის ჯოხები და იყოს, როგორც ერთი, შენს ხელში.



¹⁸და როდესაც გკითხავენ ძენი შენი ერისა: არ გაგვაგებინებ, ეს რა გიჭირავს?

¹⁹უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, ავიღებ იოსების კვერთხს, რომელიც ეფრემისა და მასთან გაერთიანებულ ისრაელის ტომების ხელშია, და მივუდგამ მას იუდას კვერთხს და ერთ კვერთხად ვაქცევ მათ, და ერთნი გახდებიან ჩემს ხელში;

²⁰და კვერთხები, რომლებზეც შენ დაწერე, ხელში გექნება მათ თვალწინ.

²¹და უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: მე გამოვიყვან ისრაელის ძეთ წარმართთაგან, რომლებთანაც წასული არიან, და შემოვიკრებ მათ ყოველი მხრიდან და მოვიყვან თავიანთ მიწაზე.

²²და ამ მიწაზე, ისრაელის მთებზე, ერთ ხალხად ვაქცევ მე და ერთი მეფე ეყოლება ყველას და აღარ იქნება ორი ხალხი, და აღარასოდეს გაიყოფიან ორ სამეფოდ.

²³და აღარ შეიბილწებიან თავიანთი კერპებით და თავიანთი სისამაგლეებით და ყოველგვარი მანკიერებით, და ვიხსნი მათ მათი ყველა საცხოვრებლიდან, სადაც სცოდავდნენ, და განვწმედ მათ, და იქნებიან ჩემს ერად, და მე ვიქნები მათი ღმერთი.

²⁴და ჩემი მსახური დავითი იქნება მათი მეფე და მათი მწყემსი, და ჩემი მცნებებით ივლიან ისინი, და ჩემს წესებს დაიცავენ და შეასრულებენ.

²⁵და იცხოვრებენ მიწაზე, რომელიც მე მივეცი ჩემს მსახურს, იაკობს, სადაც ცხოვრობდნენ მათი მამები; იქ იცხოვრებენ ისინი და მათი შვილები და შვილიშვილები უკუნისამდე; და ჩემი მსახური დავითი იქნება მათი მთავარი საუკუნოდ.

²⁶და დავუდებ მათ მშვიდობის აღთქმას, და საუკუნო აღთქმა იქნება ის. და დავამკვიდრებ მათ და გავამრავლებ, და აღვმართავ ჩემს საწმიდარს მათ შორის საუკუნოდ.

²⁷და მათთან იქნება ჩემი სავანე, და ვიქნები მათი ღმერთი და ისინი იქნებიან ჩემი ერი.

²⁸და მიხვდებიან წარმართნი, რომ მე ვარ უფალი, განმწმედელი ისრაელისა, როდესაც ჩემი საწმიდარი იქნება მათ შორის საუკუნოდ.

ეზეკიელ 38

¹და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამი თქმული:



²ადამის ძეგ! პირი ქენი მაგოგელი+ გოგისკენ, როშის, მეშექისა და თუბალის უმაღლესი მთავრისკენ და იწინასწარმეტყველე მასზე.

³და უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, შენს წინააღმდეგ ვარ, გოგ, როშის, მეშექისა და თუბალის უმაღლესო მთავარო!

⁴და მოგიტყუებ შენ და ჩანგლებს გაგიყრი ყბებში და გამოგიყვან შენ და მთელ შენს ლაშქარს, ცხენებსა და მხედრებს, ბრწყინვალედ დარახტულთ; მთელ ურდოს აბჯრითა და ფარით აღჭურვილს; ყველა მახვილის ამომწვდელს;

⁵სპარსელთ, ქუმელთ და ფუტელთ, მათთან ერთად, და ყველა ფარ-მუზარადიანს;

⁶გომერსა და მთელ მის ურდოს; თოგარმას სახლს ჩრდილოეთის კიდეებიდან მთელი მისი ურდოებით; მრავალ ხალხს შენთან ერთად.

⁷გაემზადეთ და საჭურველი აისხით შენ და მთელმა შენმა ურდომ, შენთან შემოკრებილმა, და იყავი მათი სარდალი!

⁸მრავალი ხნის შემდეგ განემზადები და უკანასკნელ ჟამს შეხვალ მახვილს გადარჩენილ ქვეყანაში, მრავალი ხალხისგან შემოკრებილში, ისრაელის მთებზე, რომელიც მუდამ უკაცრიელი იყო; ისინი გამოვლენ ხალხებიდან და უზრუნველად იცხოვრებენ ყველანი.

⁹აღიძვრებით, როგორც ქარიშხალი, წამოხვალთ, როგორც ღრუბელი, რათა დაფაროთ ქვეყანა შენ და შენმა ურდოებმა და შენთან მყოფმა უამრავმა სხვა ხალხებმა.

¹⁰ასე ამბობს უფალი ღმერთი: იმ დღეს აღგეძვრება ფიქრები გულში და განიზრახავ ბოროტ ზრახვებს,

¹¹და იტყვი: გავილაშქრებ გაუმაგრებელ ქვეყანაზე, დავეცემი მშვიდად და უსაფრთხოდ მცხოვრებთ, რომლებიც უკედლებოდ დამკვიდრებულან და ურდულები და კარებები არა აქვთ,

¹²რათა გავძარცვო და მოვიხვეჭო, ვიალაფო და ხელი გავიწოდო ხელახლა აღორძინებულ ნანგრევებზე დასახლებულ წარმართთაგან გამოსულ ერზე, რომელმაც გაიმრავლა ცხვარ-ძროხა და დოვლათი, და, რომელიც ცხოვრობს ქვეყნის ჭიპზე.

¹³შემა და დედანი და ვაჭარნი თარშიშისა და მისი ბოკვრები გეტყვიან: ჩვენს გასაძარცვად მოხვედი? ნადავლის სააღაფოდ შეკრიბე შენი ურდო, ოქრო-ვერცხლის წასაღებად, ცხვარ-ძროხის გასარეკად და დოვლათის დასატაცებლად, დიდი ძარცვით საძარცვავად?



¹⁴ამიტომ იწინასწარმეტყველე, ადამის ძევ, და უთხარი გოგს: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: განა იმ დღეს, როდესაც ჩემი ერი, ისრაელი, უსაფრთხოდ იცხოვრებს, არ გეცოდინება ეს?

¹⁵და მოხვალ შენი სამყოფიდან, ჩრდილოეთის კიდეებიდან, შენ და შენი ურიცხვი ხალხი, ცხენებზე ამხედრებულნი, დიდი კრებული და დიდძალი ლაშქარი.

¹⁶და აღიმართები ჩემს ერზე, ისრაელზე, როგორც ღრუბელი, რათა დაფარო ეს ქვეყანა: უკანასკნელ დღეებში მოხდება ეს, რომ მე წამოგიყვან ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ, რათა მიცნონ ხალხებმა, როცა ჩემს სიწმიდეს გამოვაჩენ შენში, გოგ, მათ თვალწინ.

¹⁷ასე ამბობს უფალი ღმერთი: განა შენ ის არა ხარ, რომელზეც ვლაპარაკობდი მე შორეულ წარსულში ჩემს მსახურთა, ისრაელის წინასწარმეტყველთა პირით, რომელნიც წინასწარმეტყველებდნენ იმ დღეებში, რომ მე მოგიყვანდით მათ წინააღმდეგ.

¹⁸და იქნება იმ დღეს, გოგის მოსვლის დღეს ისრაელის მიწაზე, – ამბობს უფალი ღმერთი, – როცა გოგი მოვა, აღეგზნება ჩემი გულისწყრომის რისხვა.

¹⁹და ჩემი შურით, ჩემი მძვინვარების ცეცხლით ვთქვი მე: მართლაც იმ დღეს მოხდება დიდი ძვრა ისრაელის მიწაზე.

²⁰და შეიძვრებიან ჩემს წინაშე ზღვის თევზნი და ცის ფრინველნი, და ნადირნი ველისა და ყოველი ქვეწარმავალი, მიწაზე მცოცავნი, ყოველი კაცი, რომელიც დედამიწის ზურგზეა; და ჩამოინგრევა მთები და ჩაიშლებიან უფსკრულები და ყველა ზღუდე დაეცემა მიწაზე.

²¹და მოვუხმობ მის წინააღმდეგ ჩემს ყველა მთაზე მახვილს, – ამბობს უფალი ღმერთი, – და ყოველი კაცი მახვილს აღმართავს თავის ძმაზე.

²²და დავსჯი მას შავი ჭირითა და სისხლისღვრით; თავსხმა წვიმას და ქვის სეტყვას, ცეცხლსა და გოგირდს დავუშენ მასა და მის რაზმებს და იმ ურიცხვ ხალხებს, რომლებიც მასთან არიან.

²³და გამოვაჩენ ჩემს დიდებას და სიწმიდეს, და გამოვცხადებდი მრავალი ხალხის თვალწინ, და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი.

ეზეკიელ 39

¹და შენ, ადამის ძევ! იწინასწარმეტყველე გოგზე და თქვი: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: გაფრთხილდი, შენს წინააღმდეგ ვარ, გოგ, რომის, მემუქისა და თუბალის მთავარო!



²მოგაბრუნებ და წამოგიძღვები, და ამოგიყვან ჩრდილოეთის კიდეებიდან და მოგიყვან ისრაელის მთებზე.

³და გაგდებინებ მშვილდს მარცხენა ხელიდან და ისრებს – მარჯვენა ხელიდან.

⁴ისრაელის მთებზე დაეცემით შენ, და მთელი შენი ურდოები და ხალხები, რომლებიც შენთან არიან. მტაცებელ ფრინველებსა და ველის ნადირს მიგცემ შესაჭმელად.

⁵ტრიალ მინდორზე დაეცემი, რადგან მე ვთქვი, – ამბობს უფალი ღმერთი.

⁶გავგზავნი ცეცხლს მაგოგში და უზრუნველ ზღვისპირელებში და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი.

⁷და ჩემს წმიდა სახელს გამოვაცხადებ ჩემს ერში, ისრაელიანებში, და აღარ შეიბღალეა ჩემი წმიდა სახელი, და მიხვდებიან წარმართნი, რომ მე, უფალი, წმიდა ვარ ისრაელში.

⁸აჰა, ეს მოდის და ახდება, – ამბობს უფალი ღმერთი, – ეს ის დღეა, რომელზეც მე ვლაპარაკობდი.

⁹და გამოვლენ ისრაელის ქალაქების მცხოვრებნი და გააჩაღებენ ცეცხლს და დაწვავენ საჭურველს, დიდსა და პატარა ფარებს, მშვილდებსა და ისრებს, კომბლებსა და შუბებს და გააჩაღებენ ყველაფერ ამით ცეცხლს შვიდ წელიწადს.

¹⁰და აღარ გაზიდავენ მინდვრიდან შეშას, და აღარ გაჩეხავენ ტყეებს, რადგან საჭურვლით გააჩაღებენ ცეცხლს, და გაძარცვავენ თავიანთ მძარცველთ და წაართმევენ თავიანთ დამყაჩაღებელთ, – ამბობს უფალი ღმერთი.

¹¹და იმ დღეს იქნება, რომ მივცემ გოგს დასამარხ ადგილს ისრაელში, დასავლეთიდან მომავალთა ხეობაში, და გზას გადაუღობავს მომავალთ; იქ დამარხავენ გოგს და მთელს მის ურდოს; და დაერქმევა მას გოგის ურდოსხევი.

¹²შვიდ თვეს მოუნდება მათ დამარხვას ისრაელის სახლი, რათა გაწმინდოს ქვეყანა.

¹³და დამარხავს მათ ამ ქვეყნის მთელი ერი; და სასახელო იქნება ის დღე, როცა დიდებით გამოვჩნდები, – ამბობს უფალი ღმერთი.

¹⁴და საგანგებო კაცებს გამოარჩევენ ქვეყნად მავალთაგან, რომ მათთან ერთად დამარხონ ზემოთ დარჩენილნი, რათა გაწმინდონ მიწა. შვიდი თვის ბოლოს დაუწყებენ ძებნას ზემოთ დაყრილთ.



¹⁵და გაივლიან ქვეყნად მავალნი და დაინახავს ვინმე ადამიანის ძვალს, დადგამს მის გვერდით ნიშანს, სანამ არ დამარხავენ მას მესაფლავენი გოგის ურდოსხევიში.

¹⁶და ქალაქის სახელი იქნება ხამონა (ურდო). და ასე გაწმენდენ ქვეყანას.

¹⁷და შენ, ადამის ძე, – ასე ამბობს უფალი ღმერთი, – უთხარი ყოველ ფრთოსანსა და ველის ყოველ ცხოველს: შეგროვდით და მოდით, შეიკრიბეთ ყოველი მხრიდან ჩემს მსხვერპლთან, რომელსაც მე დავკლავ თქვენთვის, დიდ მსხვერპლთან ისრაელის მთებზე; და შეჭამთ ხორცსა და შესვამთ სისხლს.

¹⁸მლიერთა ხორცს შეჭამთ და შესვამთ ამ ქვეყნის მთავართა სისხლს, როგორც ბაშანში ნასუქალი ვერძების, კრავების, ვაცებისა და ხარების სისხლს.

¹⁹მამღრივ შეჭამთ ლურთებს და დათრობამდე შესვამთ სისხლს ჩემი საკლვი მსხვერპლისა, რომელსაც თქვენთვის დავკლავ.

²⁰და გაძლებით ჩემს სუფრაზე ცხენიცა და მხედარიც, და ყოველი მეომარი, – ამბობს უფალი ღმერთი.

²¹და გამოვაჩენ ჩემს დიდებას წარმართთა შორის და დაინახავს ყველა წარმართი ჩემს სამართალს, რომელიც აღვასრულე, და ჩემს ხელს, რომელსაც დავდებ მათზე.

²²და მიხვდება ისრაელის სახლი, რომ მე ვარ მათი უფალი ღმერთი ამ დღიდან და შემდგომაც.

²³და მიხვდებიან წარმართნი, რომ თავისი ურჯულოების გამო წარიტყვენა ისრაელის სახლი; იმის გამო, რომ მიმუხთლეს და მე ზურგი ვაქციე მათ და მივეცი ისინი მათ მტრებს; და მახვილით დაეცნენ ყველა ისინი.

²⁴მათი სიბილწისა და დანაშაულის გამო გავაკეთე მე ეს და ზურგი ვაქციე მათ.

²⁵ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: ახლა დავაბრუნებ იაკობს ტყვეობიდან და შევიწყნარებ მთელ ისრაელის სახლს, და შურს ვიძიებ ჩემი წმიდა სახელისათვის.

²⁶და მიხვდებიან ისინი თავიანთ სირცხვილს და მთელ თავიანთ ურჯულოებას, რასაც აკეთებდნენ ჩემს წინაშე, როცა იცხოვრებენ თავიანთ მიწაზე უსაფრთხოდ და აღარავინ იქნება მათი შემშინებელი.

²⁷როდესაც დავაბრუნებ მათ ხალხებიდან და შემოვკრებ მათ მათი მტრების ქვეყნებიდან, და გამოვაჩენ ჩემს დიდებას მრავალი ხალხების თვალწინ,



²⁸და მიხვდებიან ისინი, რომ მე ვარ უფალი, მათი ღმერთი, რომელმაც განვდევნე ისინი წარმართებში და კვლავ შევკრიბე თავიანთ მიწაზე და არ დავტოვებ იქ არც ერთ მათგანს;

²⁹და აღარ დავფარავ მეტად ჩემს სახეს მათგან, რათა გადმოვღვარო ჩემი სული ისრაელის სახლზე, – ამბობს უფალი ღმერთი.

ეზეკიელ 40

¹ჩვენი ტყვეობის ოცდამეხუთე წელს, წლის დასაწყისში, თვის მეათე დღეს, ქალაქის დაცემის მეთოთხმეტე წელს, სწორედ იმ დღეს იყო ჩემზე ხელი უფლისა და მიმიყვანა იქ.

²ღვთიურ ხილვებში მომიყვანა მე ისრაელის ქვეყანაში და დამსვა ძალიან მაღალ მთაზე, და მასზე, სამხრეთის მხარეს, ქალაქური შენობები იყო;

³და მიმიყვანა იქ. და, აჰა, ვნახე კაცი, რომელსაც სახე ბრიჯაოსავით უბზინავდა; ხელში სელის ლარი+ და საზომი ლერწამი ჰქონდა და იდგა იგი კარიბჭეში.

⁴და მელაპარაკა ის კაცი: ადამის ძევ! ნახე შენი თვალით და შენი ყურით მოისმინე და გულთან მიიტანე ყოველივე, რასაც მე გიჩვენებ, რადგან მოყვანილი ხარ აქ იმისათვის, რომ გიჩვენო. ყოველივე, რასაც აქ იხილავ, უთხრა ისრაელის სახლს.

⁵აჰა, გალავანია ტაძრის ირგვლივ და იმ კაცს ლერწმის ექვსი წყრთის სიგრძის საზომი აქვს ხელთ; იმ წყრთაში – წყრთა და ერთი მტკაველია. და გაზომა სიგანე ამ შენობისა და იყო ერთი ლერწამი, და სიმაღლეც – ერთი ლერწამი.

⁶და მივიდა კარიბჭესთან, რომელიც აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული, და ავიდა მის საფეხურებზე და გაზომა კარიბჭის ერთი ზღურბლი; სიგანე ერთი ლერწამი, მეორე ზღურბლის სიგანეც ერთი ლერწამი.

⁷და თითო გვერდითა სენაკის სიგრძე ერთი ლერწამი იყო და სიგანეც – ერთი ლერწამი; და სენაკებს შორის ხუთი წყრთა იყო; კარიბჭის ზღურბლი შიდა კარიბჭის სტოასთან ერთი ლერწამი იყო;

⁸გაზომა შიდა კარიბჭის სტოა და ერთი ლერწამი იყო.

⁹გაზომა კარიბჭის სტოა – რვა წყრთა იყო; და მისი სვეტები ორ-ორი წყრთა იყო; კარიბჭის სტოა შიგნით იყო.

¹⁰აღმოსავლეთის კარიბჭეს ერთ მხარეს სამი სენაკი ჰქონდა, მეორე მხარესაც სამი; ერთი ზომის იყო სამივე; ერთი ზომის იყო ორივე მხარის სვეტები.



- ¹¹გაზომა კარიბჭის შესასვლელის სიგანე და ათი წყრთა იყო, სიგრძე – ცამეტი წყრთა;
- ¹²სენაკების წინ ფართობი თითო წყრთა იყო ორივე მხარეს; სენაკები – ექვსი წყრთა ერთ მხარეს და ექვსი წყრთა მეორე მხარეს.
- ¹³გაზომა კარიბჭე ერთი სენაკის სახურავიდან მეორე სენაკის სახურავამდე – სიგანე ოცდახუთი წყრთა; კარი კარის პირდაპირ იყო;
- ¹⁴სვეტებს შუა 60 წყრთა გამოუვიდა; სვეტების წინ ეზო და კარიბჭე იყო.
- ¹⁵და შესასვლელის კარიბჭიდან შიდა კარიბჭის სტოამდე – 50 წყრთა.
- ¹⁶ცხაურიანი სარკმლები ჰქონდა სენაკებს და სვეტებს კარიბჭის შიგნით, ირგვლივ; და ასევე სტოებს; სარკმლები იყო ირგვლივ შიდა მხარეს და სვეტებზე პალმები იყო.
- ¹⁷და მიმიყვანა მე გარეთა ეზოში და, აჰა, ვნახე სენაკები, და ქვაფენილია დაგებული ეზოში ირგვლივ, 30 სენაკი იმ ქვაფენილზე.
- ¹⁸ქვაფენილი კარიბჭეთა გვერდით იყო, მთელს სიგრძეზე; ეს იყო ქვედა ქვაფენილი.
- ¹⁹გაზომა სიგანე ქვედა კარიბჭიდან შიდა ეზოს ბოლომდე 100 წყრთა აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით.
- ²⁰ჩრდილოეთისკენ მიმართული გარეთა ეზოს კარიბჭის სიგრძე და სიგანეც გაზომა.
- ²¹სენაკები ერთ მხარეს სამი იყო, მეორე მხარესაც სამი; მისი სვეტები და სტოა პირველი კარიბჭის ზომისა იყო – სიგრძე 50 წყრთა და სიგანე 25 წყრთა.
- ²²სარკმლები, სტოები და ფინიკის ჩუქურთმები იმავე ზომისა ჰქონდა, როგორც აღმოსავლეთის კარიბჭეს; შვიდი საფეხური იყო ასასვლელი და სტოა მის წინ;
- ²³შიდა ეზოს კარიბჭე ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის კარიბჭეთა პირდაპირ იყო; და გაზომა კარიბჭიდან კარიბჭემდე 100 წყრთა.
- ²⁴და წამიყვანა მან სამხრეთისაკენ, და აჰა, სამხრეთის კარიბჭე. და გაზომა მისი სვეტები და სტოა და იგივე ზომისა იყო.
- ²⁵და ჰქონდა სარკმლები და სტოები ირგვლივ ისეთივე, როგორც სხვა სარკმლები იყო; სიგრძე 50 წყრთა და სიგანე 25 წყრთა.
- ²⁶და იყო ასასვლელი შვიდ საფეხურიანი, სტოა მის წინ და პალმის ჩუქურთმები მის სვეტებზე, თითო-თითო ორივე მხარეს;



²⁷და იყო შიდა ეზოს კარიბჭე სამხრეთისაკენ. გადაზომა იმ კარიბჭიდან მეორე კარიბჭემდე სამხრეთისაკენ 100 წყრთა.

²⁸და შემოყვანა სამხრეთის კარიბჭით შიდა ეზოში, და გაზომა სამხრეთის კარიბჭე და იგივე ზომისა იყო.

²⁹მათი გვერდითი სენაკები, მათი სვეტები და სტოები იმავე ზომისა იყო. ირგვლივ სარკმლები ჰქონდა სენაკებსა და სტოებს; სენაკებსა და მათ სტოებს 50 წყრთა ეჭირა სიგრძით და 25 სიგანით.

³⁰ირგვლივ სტოები იყო სიგრძით 25 და სიგანით ხუთი წყრთა.

³¹მისი სტოები გადიოდა გარეთა ეზოსაკენ; და ფინიკები იყო დახატული მის სვეტებზე, და რვა საფეხური ჰქონდა მასზე ასასვლელად.

³²და შემოყვანა აღმოსავლეთის კარიბჭით შიდა ეზოში და გაზომა ის კარიბჭე და იგივე ზომების იყო.

³³მისი სენაკები, სვეტები და სტოები იმავე ზომისა იყო. სარკმლები ჰქონდა ირგვლივ სენაკებსა და მათ სტოებს: სიგრძე 50 წყრთა და სიგანე 25 წყრთა.

³⁴მისი სტოები გადიოდა გარეთა კარიბჭისაკენ; და მის სვეტებზე ფინიკები იყო ორივე მხრიდან; რვა საფეხური ადიოდა მისკენ.

³⁵მიმოყვანა მე ჩრდილოეთის კარიბჭესთან და გაზომა და იგივე ზომებისა იყო.

³⁶თავისი სენაკებით, თავისი სვეტებით, თავისი სტოებით და სარკმლებით ირგვლივ იყო სიგრძით 50 წყრთა და სიგანით 25 წყრთა.

³⁷მისი სტოა მიმართული იყო წინა ეზოსაკენ, სვეტებს ფინიკის ჩუქურთმები ედგა ორივე მხარეს და ასასვლელი რვა საფეხურიანი იყო.

³⁸სენაკი ჰქონდა თავისი შესასვლელით კარიბჭის სვეტებთან. იქ ბანდნენ სრულადდასაწველს.

³⁹კარიბჭის სტოაში ორი მაგიდა იდგა ერთ მხარეს და ორი მაგიდა მეორე მხარეს, რათა ზედ დაეკლათ სრულადდასაწველი და ცოდვის შესაწირავი და დანაშაულის შესაწირავი მსხვერპლები.

⁴⁰გარეთა ფრთაზე ასასვლელთან, ჩრდილოეთის კარიბჭის შესასვლელთან ორი მაგიდა იდგა, მეორე ფრთაზე კარიბჭის სტოასთანაც ორი მაგიდა იდგა;

⁴¹ოთხი მაგიდა ერთ მხარეს და ოთხი მაგიდა მეორე მხარეს, კარიბჭის ფრთასთან; რვა მაგიდა იყო მსხვერპლის დასაკლავად.

⁴²ოთხი მაგიდა სრულადდასაწველისთვის თლილი ქვისაგან გაკეთებული; სიგრძე ერთნახევარი წყრთა, სიგანე ერთნახევარი წყრთა და სიმაღლე ერთი



წყრთა; მასზე აწყობდნენ იარაღს, რომლითაც უნდა დაეკლათ სრულადდასაწყველი და სხვა მსხვერპლები.

⁴³და ორკაპი ჩანგლები, ერთი მტკაველის სიგანისა, მიმაგრებული იყო შენობის კედელზე ორივე მხარეს, მაგიდეზე კი სამსხვერპლო ხორცი ეწყო.

⁴⁴შიდა კარიბჭის გარეთ მაგალობელთა სენაკები იყო; შიდა ეზოში, ჩრდილოეთის კარიბჭის ფრთასთან; ერთი სამხრეთისაკენ იყურებოდა, მეორე კი აღმოსავლეთის კარიბჭის ფრთასთან – ჩრდილოეთისაკენ იყო მიქცეული.

⁴⁵და მითხრა მან: ეს საკანი, სამხრეთისაკენ რომ არის მიქცეული, მღვდლებისათვისაა, რომლებიც ტაძრის სამსახურს ასრულებენ.

⁴⁶ხოლო სენაკი, ჩრდილოეთისკენ რომ არის მიქცეული, მღვდლებისთვისაა, რომლებიც სამსხვერპლოს სამსახურს ასრულებენ; ესინი ცადოკის პენი არიან, ლევის ტომიდან, უფლის ახლოს მყოფნი და მისი მსახურნი.

⁴⁷და გადაზომა ეზო: სიგრძით 100 წყრთა და სიგანითაც 100 წყრთა. სამსხვერპლო ტაძრის წინ იდგა.

⁴⁸და მიმიყვანა ტაძრის სტოასთან და გადაზომა სტოას სვეტებში: ხუთი წყრთა ერთ მხარეს და ხუთი წყრთა მეორე მხარეს, კარიბჭის სიგანე სამი წყრთა ერთ მხარეს და სამი წყრთა მეორე მხარეს.

⁴⁹სტოას სიგრძე – 20 წყრთა და სიგანე – 12 წყრთა; აღსავალთან, რომლითაც ადიან, სვეტები იყო, ერთი – ერთ მხარეს, მეორე – მეორე მხარეს.

ეზეკიელ 41

¹შემდეგ შემიყვანა მან ტაძარში და გაზომა სვეტებს შუა ექვსი წყრთა სიგანე ერთი მხრიდან და ექვსი წყრთა სიგანე მეორე მხრიდან. ეს იყო კარვის სიგანე.

²სიგანე შესასვლელისა 10 წყრთა; შესასვლელის ფრთა ხუთი წყრთა ერთ მხარეს და ხუთი წყრთა მეორე მხარეს; გაზომა მისი სიგრძე 40 წყრთა და სიგანე 20 წყრთა.

³და შევიდა შიგნით და გაზომა შესასვლელის სვეტებში კართან ორი წყრთა და შესასვლელი ექვსი წყრთა, და შესასვლელის სიგანე – შვიდი წყრთა.

⁴და გაზომა მისი სიგრძე 20 წყრთა და სიგანეც 20 წყრთა ტაძრისა, და მითხრა: ეს არის წმიდათა წმიდა.

⁵და გაზომა ტაძრის კედელი ექვსი წყრთა და სიგანე გვერდითი სენაკებისა ოთხ-ოთხი წყრთა ტაძრის ირგვლივ.



⁶გვერდითი სენაკები 33 იყო, სენაკი სენაკის გვერდით; და მიუყვებოდა ტაძრის კედელს ირგვლივ, რომ ერთმანეთით ყოფილიყვნენ გამაგრებული და ტაძრის კედელს არ დაყრდნობოდნენ.

⁷გვერდითი სენაკების სიგანე ფართოვდებოდა მაღლა და მაღლა ტარძრის გარშემო, რადგან ტაძარიც განივრდებოდა მაღლა და მაღლა, ისე რომ ქვედა სართულიდან ზედა სართულზე შუადან იყო ასასვლელი.

⁸დავინახე, სახლს ჰქონდა შემადლებული ბაქანი ირგვლივ; გვერდითი სენაკების საფუძველი სრული ექვსი წყრთა იყო.

⁹გვერდითი სენაკების გარეთა კედლის სიგანე ხუთი წყრთა იყო, ხოლო ცარიელი ადგილი იყო ტაძრის გვერდით სენაკებს შორის.

¹⁰მანძილი სენაკებს შორის 20 წყრთა იყო ტაძრის ირგვლივ.

¹¹გვერდითი სენაკიდან ღია სივრცეში იყო გასასვლელები, ერთი გასასვლელი ჩრდილოეთისკენ და ერთი გასასვლელი სამხრეთისკენ; ღია სივრცის სიგანე ხუთი წყრთა იყო ირგვლივ.

¹²შენობა, რომელიც მოედნის წინ იდგა დასავლეთისკენ, სიგანით 70 წყრთა იყო; შენობის კედლის სიგანე ხუთი წყრთა იყო ირგვლივ და სიგრძე – 90 წყრთა.

¹³გაზომა ტაძრის სიგრძე 100 წყრთა; მოედანი შენობითურთ და მისი კედლები სიგრძით 100 წყრთა.

¹⁴ტაძრის სიგანე წინა მხარეს და მოედნისა აღმოსავლეთისკენ 100 წყრთა.

¹⁵გაზომა შენობის სიგრძე მოედნის წინ, მის უკანა მხარეს, თავისი გვერდითი სენაკებით ორივე მხარეს გაზომა 100 წყრთა შიდა ტაძრიანად და ეზოს სტოებითურთ.

¹⁶კარების ზღურბლები და ცხაურიანი სარკმლები და გვერდითი სენაკები ირგვლივ, სამთავე სართულად, ზღურბლების წინ, ხით იყო მოპირკეთებული, ასევე იატაკიდან სარკმლებამდე; სარკმლები ყრუ იყო.

¹⁷შესასვლელის თავზე, როგორც ტაძრის შიგნით, ასევე გარეთ, და მთელ კედელზე ირგვლივ, შიგნიდან და გარედან, მოჩუქურთმებული გამოსახულებები იყო.

¹⁸და ამოკვეთილი იყო ქერუბიმები და ფინიკები. და ფინიკი იყო ქერუბიმსა და ქერუბიმს შორის, და ორ-ორი სახე ჰქონდა ყოველ ქერუბიმს.

¹⁹ადამიანის სახე იყო მიმართული ფინიკისაკენ ერთი მხრიდან, და ლომის ბოკვერის სახე ფინიკისაკენ მეორე მხრიდან. ასე იყო ირგვლივ მთელ ტაძარში.



²⁰იატაკიდან შესასვლელის თავამდე ქერუბიმები და ფინიკები იყო გამოსახული, ასევე ტაძრის კედლებზე.

²¹ტაძრის კარის წირთხლები ოთხკუთხედი იყო, და საწმიდარსაც ისეთივე შესახედაობა ჰქონდა.

²²ხის სამსხვერპლო სიმაღლით სამი წყრთა იყო, სიგრძე – ორი წყრთა. მისი კუთხეები, მისი კვარცხლბეკი და მისი კედლები ხისა იყო; და მითხრა მან: ეს არის მაგიდა, რომელიც უფლის წინაშეა.

²³ორ-ორი კარი ჰქონდა ტაძარსაც და წმიდათა წმიდასაც.

²⁴თითოეულ კარს ორი ფრთა ჰქონდა, ორივე იღებოდა. ორი ფრთა ერთ კარს და ორი ფრთა მეორე კარს.

²⁵ტაძრის კარებზე ქერუბიმები და ფინიკები იყო გამოსახული, ისეთი, როგორც კედლებზე. გარეთ, სტოას წინ, ხის ზღურბლი იყო.

²⁶და ცხაურიანი სარკმლები ფინიკებით სტოას კედლების ორივე მხარეს.

ეზეკიელ 42

¹გამიყვანა მე გარეთა ეზოში ჩრდილოეთის გზით და მიმიყვანა სენაკებთან, რომლებიც მოედნის პირდაპირ იყო მოთავსებული ჩრდილოეთის მხარეს.

²ჩრდილოეთის შესასვლელის წინა მხარის სიგრძე 100 წყრთა იყო, სიგანე – 50.

³შიდა ეზოს პირდაპირ ოც წყრთაზე და ქვაფენილის პირდაპირ, გარეთა ეზოში, დერეფანი დერეფნის პირდაპირ იყო სამ სართულად.

⁴და სენაკთა წინ გასავლელი 10 წყრთა სიგანით და შიდა გზა ერთი წყრთა; მათი კარებები ჩრდილოეთისკენ იყო.

⁵ზედა სენაკები უფრო მოკლე იყო, რადგან დერეფნებს მათგან უფრო მეტი ადგილი ეჭირათ, ვიდრე შენობის ქვემო და შუა სართულებს,

⁶რადგან სამსართულად იყო ისინი და არ ჰქონდათ სვეტები, ეზოს სვეტების მსგავსად, ამიტომ დაშორებული იყო ქვემო და შუა სართულებს იატაკიდან.

⁷და კედელი, რომელიც გარედან იყო სენაკთა პირდაპირ გარეთა ეზოსკენ, 50 წყრთა იყო.

⁸რადგან სენაკთა სიგრძე, რომლებიც გარეთა ეზოში იყო, 50 წყრთა იყო, ხოლო ტაძრის წინ 100 წყრთა იყო.

⁹ამ სენაკთა ქვევით, აღმოსავლეთის მხრიდან იყო შესასვლელი, გარეთა ეზოდან შესასვლელად.



¹⁰ეზოს გალავნის სიგანეზე აღმოსავლეთით, მოედნისა და შენობის პირდაპირ სენაკები იყო.

¹¹გზა მათ წინ იყო მსგავსი იმ სენაკების გზისა, რომლებიც ჩრდილოეთისკენ იყო მიმართული: სიგრძით, სიგანით, და ყველა მათი შესასვლელ-გამოსასვლელით ისეთივე იყო.

¹²ისეთივე კარებებით როგორც სენაკებს ჰქონდა სამხრეთისაკენ, და მათში შესასვლელად კარი იყო გზის დასაწყისში, რომელიც მიუყვებოდა კედლის გასწვრივ აღმოსავლეთისკენ.

¹³და მითხრა მან: ჩრდილოეთის სენაკები, სამხრეთის სენაკები, რომლებიც ტაძრის დარბაზის წინაა, წმიდა სენაკებია, სადაც უფალს მიახლოებული მღვდლები ჰამენ უწმიდეს მსხვერპლს. იქ აწყობენ უწმიდეს მსხვერპლებს, და პურეულის ძღვენს, ცოდვისა და დანაშაულის შესაწირავს, რადგან წმიდაა ეს ადგილი.

¹⁴როდესაც იქ მღვდლები შედიან, აღარ უნდა გავიდნენ ამ წმიდა ადგილიდან გარეთა ეზოში, ვიდრე იქ არ დააწყობენ თავიანთ სამოსელს, რომლითაც მსახურება აღასრულებს, რადგან წმიდაა ისინი; მათ სხვა სამოსელი უნდა ჩაიცვან და ისე გავიდნენ ხალხთან.

¹⁵დაასრულა მან შიდა ტაძრის გაზომვა და გამომიყვანა კარიბჭის გზით, რომელიც აღმოსავლეთითაა მიმართული, და გაზომა ის ირგვლივ.

¹⁶და გაზომა აღმოსავლეთის მხარე ლერწმის საზომით – 500 წყრთა.

¹⁷გაზომა ჩრდილოეთის მხარე – 500 წყრთა საზომი ლერწმით.

¹⁸სამხრეთის მხარე გაზომა – 500 წყრთა საზომი ლერწმით.

¹⁹მიტრიალდა დასავლეთისკენ და გაზომა 500 წყრთა საზომი ლერწმით.

²⁰ოთხივ კუთხივ გაზომა მან იგი; გალავანი იყო მის ირგვლივ, სიგრძე – 500 და სიგანე – 500 წყრთა, რათა გამოეცალკეებინა წმიდა ადგილი არაწმიდისაგან.

ეზეკიელ 43

¹წამიყვანა მან ჭიშკართან, იმ ჭიშკართან, რომელიც აღმოსავლეთით იყო მიქცეული.

²და, აჰა, ისრაელის ღმერთის დიდება მოვიდა აღმოსავლეთის გზიდან და დაიჭექა, როგორც მოვარდნილმა ღვართქაფმა. და მიწა განათდა მისი დიდებით.



³და ეს ხილვა ისეთივე იყო, რომელიც მე ადრე ვიხილე; სწორედ ისეთივე, რომელიც ვიხილე, როდესაც მოვედი ამ ქალაქის დაღუპვის საუწყებლად, და ხილვანი, მსგავსი იმ ხილვებისა, რომლებიც მე ვიხილე მდინარე ქებართან. და პირქვე დავემხე.

⁴და უფლის დიდება შემოვიდა ტაძარში კარიბჭის გზით, რომელიც აღმოსავლეთისკენ იყურებოდა.

⁵და ამაყენა მე სულმა და შემიყვანა შიდა ეზოში, და, აჰა, აავსო უფლის დიდებამ მთელი ტაძარი.

⁶და გავიგონე ვიღაცის ხმა, რომელიც ტაძრიდან მელაპარაკებოდა, ის კაცი კი ჩემს გვერდით იდგა.

⁷და მითხრა: ადამის ძევ! აჰა, ადგილი ჩემი ტახტისა და ადგილი ჩემი ტერფებისა, სადაც მე დავივანებ ისრაელის ძეთა შორის საუკუნოდ; და აღარ შებილწავს ისრაელის სახლი ჩემს წმიდა სახელს, აღარც ისინი და აღარც მათი მეფენი თავიანთი სიძვითა და თავიანთი მეფეთა გვამებით, თავიანთ სამსხვერპლო მალღობებზე.

⁸ისინი დგამდნენ თავიანთ ზღურბლს ჩემს ზღურბლთან და თავიანთ წირთხლებს ჩემს წირთხლებთან, ასე, რომ ჩემსა და მათ შორის ერთი კედელი იყო; ბილწავდნენ ჩემს წმიდა სახელს თავიანთი სისამაგლეებით, რასაც ისინი აკეთებდნენ, და ამიტომაც მოვსპე ისინი ჩემი რისხვით.

⁹ახლა მომაშორებენ თავიანთ სიძვასა და თავიანთ მეფეთა გვამებს, და დავივანებ მათ შორის საუკუნოდ.

¹⁰შენ, ადამის ძევ! აუწყე ისრაელის სახლს ამ ტაძარზე, რათა შერცხვეთ თავიანთი ურჯულოებისა, და რათა გაზომონ ის შენობა.

¹¹თუ შერცხვებათ ყველაფრისა, რაც ჩადენილი აქვთ, გამოუცხადე მათ ტაძრის ნახაზი, მისი აღნაგობა, მისი შესასვლელ-გამოსასვლელები, მთელი მისი ნახაზი და ყოველი წესი და კანონი; დაწერე მათ თვალწინ, რომ დაიცვან ყოველი მისი ნახაზი და წესი, და შეასრულონ.

¹²ეს არის ტაძრის რჯული: მთის თხემზე მთელი მიდამო ირგვლივ – წმიდათა წმიდაა. აჰა, ეს არის ტაძრის რჯული.

¹³ეს არის სამსხვერპლოს ზომები წყრით (ამ წყრთაში წყრთა და ერთი მტკაველია). საფუძველი – ერთი წყრთა, სიგანე – ერთი წყრთა, და მისი ძგიდე მის კიდეზე ირგვლივ ერთი მტკაველი; ეს არის სიმაღლე სამსხვერპლოსი.



¹⁴მიწაზე მდგარი საფუძვლიდან ქვემო შვერილამდე ორი წყრთა და სიგანე ერთი წყრთა; მცირე შვერილიდან დიდ შვერილამდე ოთხი წყრთა, სიგანე ერთი წყრთა.

¹⁵და სამსხვერპლოს კერა – ოთხი წყრთა და კერიდან მაღლა ამოდის ოთხი რქა.

¹⁶და კერა – 12 წყრთაა სიგრძით და 12 – სიგანით და ოთხკუთხედია მის ოთხივე მხარეს.

¹⁷შვერილის სიმაღლე 14 წყრთა, სიგანეც 14 წყრთა მის ოთხივე მხარეს; ძგიდე მის ირგვლივ ნახევარი წყრთა, მისი საფუძვლის ირგვლივ კი ერთი წყრთა; მისი საფეხურები აღმოსავლეთისკენაა.

¹⁸და მითხრა მან: ადამის ძევ, ასე ამბობს უფალი ღმერთი: ესაა წესები სამსხვერპლოსი მისი გაკეთების დღისათვის, რათა აღავლინონ მასზე სრულადდასაწველი და მოაპკურონ მასზე სისხლი.

¹⁹და მისცემ ლევთან მღვდლებს, ცადოკის შთამომავალთ, ჩემთან დაახლოებულთ მსახურებისთვის, – ამბობს უფალი ღმერთი, – ხვასტაგიდან ხბოს ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად.

²⁰აიღე მისი სისხლი და აპკურე სამსხვერპლოს ოთხივე რქას და შვერილის ოთხივე კუთხეს და ძგიდეს ირგვლივ, და ასე განწმენდ მას ცოდვისგან და გაასუფთავე.

²¹და გაიყვანე ხბო ცოდვის მსხვერპლად და დაწვი ის ტაძრის დანიშნულ ადგილზე, საწმიდრის გარეთ.

²²და მეორე დღეს შესწირე უხინჯო თიკანი ცოდვის მსხვერპლად; და ასე განწმენდ ცოდვისგან სამსხვერპლოს, როგორც განწმინდე ხბოთი.

²³როდესაც დაასრულებ განწმედას, შესწირე უხინჯო ხბო და უხინჯო ვერძი ფარიდან.

²⁴და შესწირე ისინი უფლის წინაშე; და მღვდლები დააყრიან მათ მარილს და სრულადდასაწველ მსხვერპლად აღუვლენენ უფალს.

²⁵შვიდი დღის მანძილზე სწირავდე ცოდვისათვის. თითო თხა დღეში და თითო ხბო და უხინჯო ვერძი ფარიდან.

²⁶შვიდი დღის მანძილზე წმინდონ მათ სამსხვერპლო, ასუფთაონ და აკურთხონ, და აივსონ ხელი.

²⁷და როდესაც დასრულდება ეს დღეები, მერვე დღეს და შემდგომაც, მღვდლებმა მიიტანონ სამსხვერპლოზე თქვენი სრულადდასაწველი და



თქვენი სამშვიდობო მსხვერპლები; და მე გამოვიჩენ თქვენს მიმართ წყალობას, – ამბობს უფალი ღმერთი.

ეზეკიელ 44

¹და დამაბრუნა მან საწმიდრის აღმოსავლეთისაკენ მიქცეული გარეთა კარიბჭის გზით, და დახშული იყო იგი.

²და მითხრა მე უფალმა: ეს კარიბჭე დახშული იქნება, არ გაიღება და კაცი არ შევა მასში, რადგან ისრაელის უფალი ღმერთი შევიდა მასში, და იქნება იგი დახშული.

³ხოლო მთავარი კი დაჯდება იქ, როგორც მთავარი, რათა ჭამოს პური უფლის წინაშე. სტოას კარიბჭის გზით შევა და იმავე გზით გამოვა.

⁴შემდეგ მიმიყვანა მან ჩრდილოეთის კარიბჭის გზით ტაძრის წინ და დავინახე, რომ უფლის დიდებამ გაავსო ტაძარი უფლისა, და პირქვე დავემხე.

⁵და მითხრა უფალმა: ადამის ძეგ! დაიმახსოვრე და დაინახე შენი თვალით, და გაიგონე შენი ყურით ყოველივე, რასაც გეუბნები უფლის ტაძრის ყველა წესსა და რჯულზე, და დაიმახსოვრე ტაძარში ყველა შესასვლელი და საწმიდრის ყველა გასასვლელი.

⁶და უთხარი ისრაელის მეამბოხე სახლს: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: გეყოფათ სისაძაგლეთა კეთება, სახლო ისრაელისა!

⁷რომ მოგყავდათ უცხოტომელნი, წინადაუცვეთელნი გულით და წინადაუცვეთელნი ხორციით, რათა ყოფილიყვნენ ისინი ჩემს საწმიდარში, რათა შეებღალათ ჩემი ტაძარი, როდესაც მსხვერპლად მოგქონდათ ჩემი პური, ლურთები და სისხლი და არღვევდით ჩემს აღთქმას მთელი თქვენი სისაძაგლეებით.

⁸არ ასრულებდით მოვალეობას ჩემს სიწმიდეთა მიმართ, და თქვენს ნაცვლად მათ აყენებდით ჩემი საწმიდრის გუშაგებად.

⁹ასე ამბობს უფალი ღმერთი: არც ერთი უცხოთესლი, რომელიც ისრაელის ძეთა შორის ცხოვრობს – წინადაუცვეთელი გულითა და წინადაუცვეთელი ხორციით – არ უნდა შემოვიდეს ჩემს საწმიდარში, თვით ის უსხოთესლი, რომელიც ისრაელიანთა შორის ცხოვრობს.

¹⁰რადგან ლევიანებიც, რომელნიც განმიდგნენ ისრაელის განდგომისას, რომელთაც მიმატოვეს და კერპებს გაედევნენ, იტვირთავენ სასჯელს თავიანთი ურჯულოების გამო.



¹¹და იქნებია ლევანები ჩემს საწმიდარში ტაძრის კარიბჭეთა მცველებად და ტაძრის სამსახურის აღმსრულებლებად; ისინი დაკლავენ ხალხისთვის სრულადდასაწველს და სხვა მსხვერპლებს და იდგებიან მათ წინაშე, რათა მოემსახურონ მათ.

¹²რადგან ისინი ემსახურებოდნენ მათ მათი კერპების წინაშე და აცდუნებდნენ ისრაელის სახლს ურჯულოებისაკენ, ამიტომაც მე ხელი აღვმართე მათზე, – ამბობს უფალი ღმერთი, – და იტვირთავენ ისინი თავიანთ ცოდვების სასჯელს.

¹³ვერ მომეახლებიან ისინი, რომ მღვდლობა გამიწიონ და მიეახლონ ყოველ ჩემს სიწმიდეს, ჩემს წმიდათა წმიდას, არამედ იტვირთავენ თავიანთ სირცხვილს და თავიანთ სისაძაგლეს, რაც ჩაიდინეს.

¹⁴და დავაყენებ მათ ჩემი ტაძრის სამსახურის შესასრულებლებად ყველა საქმეში და ყველაფერში, რაც აქ კეთდება.

¹⁵ლევანი მღვდლები, ცადოკის შთამომავალნი, რომელნიც ასრულებდნენ სამსახურს ჩემს საწმიდარში, როდესაც ისრაელის პენი განმიდგნენ, მომიახლოვდებიან, რათა მემსახურონ და იდგნენ ჩემს წინაშე, რათა შემომწირონ მე ლურთები და სისხლი, – ამბობს უფალი ღმერთი.

¹⁶ისინი შემოვლენ ჩემს საწმიდარში და მიუახლოვდებიან ჩემს ტრაპებს, რათა მემსახურონ მე და აღასრულონ თავიანთი მოვალეობა.

¹⁷და როდესაც მივლენ შიდა ეზოს კარიბჭესთან, სელის სამოსელი უნდა ეცვათ და არაფერი მატყლისა შიდა ეზოს კარიბჭეებში და ტაძარში მსახურებისას.

¹⁸სელის კიდარი ედგმებათ თავზე და სელის არდაგი ექნებათ შემორტყმული წელზე. ისეთი არაფერი უნდა შემოიხვიონ, რომ გაიოფლონ.

¹⁹და როდესაც გარეთა ეზოში გავლენ ხალხთან, უნდა გაიხადონ სელის სამოსელი, რომლითაც მსახურობენ და დააწყონ წმიდა სენაკებში, და ჩაიცვან სხვა სამოსელი, რათა არ შეეხონ ხალხს თავიანთი წმიდა სამოსლით.

²⁰თავი არ უნდა გადაიპარსონ, მაგრამ თმაც არ უნდა დაიგრძელონ – თავი უნდა გაიკრიჭონ.

²¹და ღვინო არ უნდა დალიონ მღვდლებმა შიგნითა ეზოში შესვლისას.

²²ქვრივი ან ქმრისგან გაშვებული არ უნდა შეირთონ ცოლად, არამედ მხოლოდ ქალწული ისრაელის სახლის თესლიდან და მღვდლის ქვრივი.



²³ჩემს ერს ასწავლონ გარჩევა წმიდისა და არაწმიდისა და განსხვავება უსუფთაოსა და სუფთას შორის აუწყონ მათ.

²⁴როცა დავის დროს დადგებიან განსასჯელად, ჩემი სამართლით განსაჯონ; ჩემი რჯული და ჩემი წესები დაიცვან ჩემს ყველა დღესასწაულზე და ჩემი შაბათები წმიდად შეინახონ.

²⁵მკვდარს არ შეეხო, რათა არ შეიბილწონ; შეუძლიათ მხოლოდ მამას და დედას, ძესა და ასულს, ძმასა და გაუთხოვარ დას არ მოერიდნენ.

²⁶და მისი განწმედის შემდეგ შვიდ დღეს გადაუთვლიან მას.

²⁷და იმ დღეს, როდესაც შევა ის წმიდაში, შიდა ეზოში, რათა იმსახუროს წმიდაში, შესწირავს თავისი ცოდვის მსხვერპლს, – ამბობს უფალი ღმერთი.

²⁸და ნუ ექნებათ მათ სამკვიდრო, მე ვარ მათი სამკვიდრო; და საკუთრებას ნუ მისცემთ მათ ისრაელში, რადგან მე ვარ მათი საკუთრება.

²⁹მათ ჭამონ პურეულის ძღვენი, მსხვერპლი ცოდვისა და დანაშაულისა; და ყოველი დარისხებული ისრაელში მათ ეკუთვნით.

³⁰ყოველი ნათავარი, ყოველი პირველმოწეული და ყოველი აღსამართავი შესაწირი თქვენს აღსამართავთაგან მღვდლებს ეკუთვნით. თქვენი ცომის ნათავარი მღვდელს მიეცით, რომ კურთხევამ დაივანოს თქვენს სახლზე.

³¹არავითარი უსულადო და ნამხეცავი არ ჭამონ მღვდლებმა – არც ფრინველისა და არც პირუტყვისა.

ეზეკიელ 45

¹და როდესაც წილისყრით გაინაწილებთ ქვეყანას სამემკვიდრეოდ, გამოუყავით უფალს წმიდა ნაწილი მიწიდან სიგრძით ²⁵ ათასი და სიგანით ¹⁰ ათასი წყრთა ლერწმის საზომით; წმიდა იქნება ის ადგილი მთელ მის საზღვრებში ირგვლივ.

²აქიდან საწმიდრისა იქნება კვადრატული ნაკვეთი 500 წყრთა 500 წყრთაზე და 50 წყრთა სიგანის – მოედანი მის ირგვლივ.

³და ამ საზომით გადაზომე სიგრძე 25 ათასი წყრთა და სიგანე 10 ათასი, და იქ იქნება საწმიდარი და წმიდათა წმიდა.

⁴ამ მიწის წმიდა ნაწილი იქნება საწმიდრის მომსახურე მღვდლებისთვის, რომელნიც მიახლოებულნი არიან უფალს, რათა ემსახურონ. და იქნება ის მათი სახლების ჩასადგმელი ადგილი და წმიდა ნაკვეთი საწმიდრისათვის.



⁵და 25 ათასი წყრთა სიგრძე და 10 ათასი სიგანე იქნება ტაძარში მომსახურე ლევიანთა საკუთრებად, მათ საცხოვრებლად.

⁶და ქალაქის საკუთრებად გაეცით 5 ათასი სიგანით და სიგრძით 25 ათასი წყრთა უფლისთვის გამოყოფილი წმიდა ადგილის გასწვრივ; ეს მთელი ისრაელის სახლს უნდა ეკუთვნოდეს.

⁷მთავარს კი მიეცით წილი თითოეული მხრიდან, წმიდის შესაწირავისა და ქალაქის საკუთრებიდან წმიდის შესაწირავის წინ და ქალაქის საკუთრების წინ ზღვის მხრიდან ზღვისაკენ და აღმოსავლეთის მხრიდან აღმოსავლეთით. და სიგრძე მისი თანაბარი იქნება ერთი ნაწილისა დასავლეთის საზღვრიდან აღმოსავლეთის საზღვრამდე.

⁸ეს იქნება მისი მიწა, მისი სამფლობელო ისრაელში, რათა ჩემმა მთავრებმა აღარ შეავიწროვონ ჩემი ერი, და რათა მისცენ ისრაელის სახლს მიწა მათი ტომების მიხედვით.

⁹ასე ამბობს უფალი ღმერთი: გეყოთ, ისრაელის მთავარნო! დაივიწყეთ ძალადობა და ძარცვა-გლეჯა, ქმენით მართალი სამართალი და შეწყვიტეთ ჩემი ერის დევნა, – ამბობს უფალი ღმერთი. –

¹⁰გქონდეთ სწორი სასწორი, სწორი ეფა და სწორი ბათი.

¹¹ეფა და ბათი ერთი ზომისა იყოს, რათა ჩაეტიოს ხომერის მეათედი ბათში და მეათედი ხომერისა ეფაში; ხომერის მიხედვით იყოს მათი ტევადობა.

¹²შეკელში 20 გერაა. 20 შეკელი და 25 შეკელი და 15 შეკელი თქვენი ერთი მნა იქნება.

¹³ესაა შესაწირავი, რომელსაც უნდა სწირავდეთ: ერთი ხომერი ხორბლიდან მეექვსედი ეფა და მეექვსედი ეფა ერთი ხომერი ქერიდან.

¹⁴ზეთზე დაწესებულია: ერთი ქორი ზეთიდან ბათის მეათედი; 10 ბათი არის ერთ ხომერში, რადგან 10 ქორია ხომერში.

¹⁵ერთი კრავი ყოველი 200 ცხვრიდან, ისრაელის ნოყიერი საძოვრებიდან: ეს ყველაფერი პურეულის ძღვნად და სრულადდასაწველ და სამადლობელო მსხვერპლად, რათა განიწმიდონ, – ამბობს უფალი ღმერთი.

¹⁶ქვეყნის მთელმა ერმა უნდა მიუტანოს ეს შესაწირავი ისრაელის მთავარს.

¹⁷მთავარზე იქნება სრულადდასაწველნი და ძღვენი და პურეულის ძღვენი და საღვრელი დღესასწაულებში, ახალ მთვაროებში და შაბათებში, ისრაელის ტაძრის ყველა დღესასწაულებზე; მან უნდა მიიტანოს ცოდვის მსხვერპლი და პურეულის ძღვენი, და სრულადდასაწველი, და სამადლობელო მსხვერპლი, ისრაელის სახლის განსაწმედად.



¹⁸ასე ამბობს უფალი ღმერთი: პირველი თვის პირველ დღეს მოიყვანე უხინჯო ხბო ნახირიდან და გაწმიდე ცოდვისგან საწმიდარი.

¹⁹აიღოს მღვდელმა ცოდვის შესწირავის სისხლი და აპკუროს ტაძრის წირთხლებსა და სამსხვერპლოს შვერილის ოთხივე კუთხეს და შიდა ეზოს კარიბჭის წირთხლებს.

²⁰ასე გააკეთე ამ თვის მეშვიდე დღეს მათთვის, ვინც შესცოდეს უნებლიედ ან უმეცრებით, და ასე განწმიდეთ ტაძარი.

²¹პირველი თვის მეთოთხმეტე დღეს უნდა გქონდეთ პასეჟი, შვიდდღიანი დღესასწაული, როცა უფუარს უნდა ჭამდეთ.

²²იმ დღეს მთავარმა უნდა გაამზადოს თავისთვის და ქვეყნის მთელი ერისთვის ხბო ცოდვის მსხვერპლად.

²³დღესასწაულის შვიდივე დღეს მან უნდა მიუტანოს უფალს სრულადდასაწველად დღეში შვიდი უხინჯო ხბო და შვიდი ვერძი, და ცოდვის მსხვერპლად დღეში ერთი თხა.

²⁴მიიტანოს ერთი ეფა პურეულის ძღვენი ხბოზე და ვერძზე და ერთი ჰინი ზეთი ეფაზე.

²⁵მეშვიდე თვის მეთხუთმეტე დღეს, დღესასწაულზე, ყოველივე ეს გააკეთოს შვიდი დღის განმავლობაში: იგივე ცოდვის მსხვერპლი, იგივე სრულადდასაწველი, და იმდენივე პურეულის ძღვენი და იმდენივე ზეთი.

ეზეკიელ 46

¹და თქვა უფალმა ღმერთმა: აღმოსავლეთით მიქცეული შიდა ეზოს კარიბჭე დახშული იქნება ექვსი საემის დღის განმავლობაში, ხოლო შაბათ დღეს და ახალმთვარობის დღეს გაიღება.

²და შემოვა მთავარი კარიბჭის სტოას გზით გარედან და დადგება კარიბჭის წირთხლებთან; და შესწირავს მღვდლები მის სრულადდასაწველსა და მის სამადლობელო მსხვერპლს; და თაყვანს სცემს იგი უფალს კარიბჭის ზღურბლთან და გავა, ხოლო კარიბჭე ღია დარჩება საღამომდე.

³და თაყვანს სცემს იმ ქვეყნის ხალხი უფლის წინაშე იმ ჭიშკრის შესასვლელში შაბათებსა და ახალმთვარობებში.

⁴და სრულადდასაწველი, რომელსაც შესწირავს მთავარი უფალს შაბათ დღეს, იქნება ექვსი უხინჯო კრავი და უხინჯო ვერძი,

⁵და პურეულის ძღვენი – ერთი ეფა ვერძზე, ხოლო ძღვენი კრავებზე – მისი ხელგაშლილობის მიხედვით, ხოლო ზეთი – ეფაზე ერთი ჰინი.



⁶ახალმთვარობის დღეს მან უნდა მოიყვანოს ერთი უხინჯო ხბო ნახირიდან, ასევე ექვსი უხინჯო კრავი და ერთი ვერძი, აგრეთვე უხინჯო.

⁷პურეულის ძღვენს ის მოიტანს ერთ ეფას ხბოზე და ერთ ეფას ვერძზე, ხოლო კრავებზე, მისი ხელგაშლილობის მიხედვით, და ზეთს ეფაზე ჰინს.

⁸და როდესაც მოვა მთავარი, კარიბჭის სტოას გზით შემოვა და იმავე გზით გავა.

⁹და როდესაც მოვა უფლის წინაშე ერი ქვეყნისა დღესასწაულებზე თაყვანისცემად, ჩრდილოეთის კარიბჭის გზით შემოსულნი სამხრეთის კარიბჭით უნდა გავიდნენ, ხოლო სამხრეთის კარიბჭის გზით შემოსულნი ჩრდილოეთის კარიბჭით უნდა გავიდნენ. არ უნდა გავიდნენ იმავე კარიბჭის გზით, რომლითაც შემოვიდნენ, არამედ მოპირდაპირეთი უნდა გავიდნენ.

¹⁰და მთავარიც მათ შორის უნდა იყოს; მათი შემოსვლისას შემოვა და მათი გასვლისას გავა.

¹¹და დღესასწაულებში და საზეიმო დღეებში მისი პურეულის ძღვენი უნდა იყოს: ერთი ეფა ხბოზე და ერთი ეფა ვერძზე, ხოლო კრავებზე – მისი შეძლებისდაგვარად, და ზეთი – ერთი ჰინი ეფაზე.

¹²და თუ მთავარს სურს უფალს შესწიროს სრულადდასაწველი ან სამადლობელო მსხვერპლი, უნდა გაუღონ მას აღმოსავლეთით მიქცეული კარიბჭე, და ის შეასრულებს თავის სრულადდასაწველს და თავის სამადლობელო მსხვერპლშეწირვას ისევე, როგორც შეასრულა შაბათის დღეს, და ამის შემდეგ ის გავა და დაიხურება კარიბჭე.

¹³ყოველდღე შესწირე უფალს სრულადდასაწველად უხინჯო თოხლი; ყოველ განთიადზე შესწირე.

¹⁴და პურეულის ძღვენი მოუტანე მას განთიადზე ეფის მეექვსედი და ზეთი ჰინის მესამედი, რათა მოზილოს განმტკიცული ფქვილი. ესაა საუკუნო წესი უფლისთვის პურეულის მიძღვნისა.

¹⁵და მოამზადონ კრავი და პურეულის ძღვენი და ზეთი განთიადზე – სამუდამო სრულადდასაწველად.

¹⁶ასე ამბობს უფალი ღმერთი: თუ მთავარი თავისი მემკვიდრეობიდან საბოძვარს აძლევს თავის ძეთაგან რომელიმეს, მის ძეთა მემკვიდრეობაც იქნება იგი; ეს საკუთრება მემკვიდრეობითი უნდა გახდეს.

¹⁷და თუ ის თავისი სამკვიდრებლიდან თავის რომელიმე მსახურთაგანს რაიმეს უბოძებს, მისი იქნება ეს საჩუქარი მისი გათავისუფლების წლამდე,



შემდეგ კი მთავარსვე დაუბრუნდება. მხოლოდ მის ძეგზე გადადის მთავრის მემკვიდრეობა.

¹⁸ვერ აიღებს მთავარი ხალხის სამკვიდრებლიდან რაიმეს საკუთრებიდან მათი გამოძევებით. მხოლოდ თავისი საკუთრებიდან დაუმკვიდრებს თავის ძეთ, რათა ჩემი ხალხიდან არავინ იქნეს გამოძევებული თავისი სამკვიდრებლიდან.

¹⁹და მიმიყვანა შესასვლელთან, რომელიც კარიბჭის გვერდით არის, მღვდელთა წმიდა სენაკებთან, რომლებიც ჩრდილოეთითაა მიქცეული, და მიჩვენა იქ ერთი ადგილი კიდეზე, დასავლეთით.

²⁰და მითხრა: ეს არის ადგილი, სადაც მღვდლები ხარშავენ დანაშაულისა და ცოდვის მსხვერპლს, სადაც აცხოვენ პურეულის ძღვენს, რათა არ იქნეს გატანილი გარეთა ეზოში, რომ არ შეეხო ხალხი სიწმიდეს.

²¹და გამიყვანა გარეთა ეზოში და მომატარა ეზოს ოთხივე კუთხე. და, აჰა, ეზო ეზოს ყოველ კუთხეში.

²²ეზოს ოთხივე კუთხეში ჩაკეტილი ეზოები იყო, 40 წყრთა სიგრძით და 50 სიგანით. ერთი ზომისა ოთხივე კუთხეში.

²³და მათ ოთხივეს ირგვლივ – კედლები, და კედლებში ირგვლივ დატანებული იყო ცეცხლის კერები.

²⁴და მითხრა: ესაა სამზარეულოები, სადაც ტაძრის მსახურნი ხალხისგან შეწირულ მსხვერპლს ხარშავენ.

ეზეკიელ 47

¹და დამაბრუნა ტაძრის კართან და, აჰა, წყალი გამოდის ტაძრის ზღურბლის ქვეშიდან აღმოსავლეთისაკენ, რადგან ტაძარი პირით აღმოსავლეთისაკენ იდგა, და წყალი ჩამოდიოდა ტაძრის მარჯვენა მხრის ქვეშიდან, სამსხვერპლოს სამხრეთით.

²და გამომიყვანა ჩრდილოეთის კარიბჭით, და გარეთა გზით გამატარა გარეთა კარიბჭისაკენ, იმ გზით, რომელიც აღმოსავლეთით მიდიოდა; და, აჰა, წყალი მოედინება მარჯვენა მხრიდან.

³როდესაც ეს კაცი წავიდა აღმოსავლეთით, მას ხელში ლარი ეჭირა და გადაზომა ათასი წყრთა და გამიყვანა წყალში – წყალი კოჭებამდე მწვდებოდა.



⁴კვლავ გადაზომა ათასი და გამიყვანა წყალში – მუხლებამდე მწვდებოდა წყალი; და კვლავ გადაზომა ათასი და კვლავ გამიყვანა წყალში – წყალი ამჯერად წელამდე მწვდებოდა.

⁵და კვლავ გადაზომა ათასი – და ისეთი დინება იყო, რომლის გადალახვა არ შემეძლო, რადგან აიწია წყალმა. წყალი გადასაცური იყო, დინების გადალახვა კი შეუძლებელი იყო.

⁶და მითხრა მან: ნახე, ადამის ძევ? და წამიყვანა და დამაბრუნა მდინარის ნაპირას.

⁷და როდესაც დავბრუნდი, მდინარის ნაპირებზე მრავალი ხე დავინახე, ორივე მხარეს.

⁸და მითხრა მან: ეს წყალი მიედინება დედამიწის აღმოსავლეთის მხარეს, გადაივლის ტრამალს და ჩაედინება ზღვაში, რომლის წყალსაც გააჯანსაღებს.

⁹და ყოველი სულიერი არსება, რომელიც იძვრის ყველგან, სადაც ეს ორი ნაკადი ჩაივლის, გაცოცხლდება, და გამრავლდება თევზი, რადგან სადაც ეს წყლები ჩაივლის, ყველაფერი განიკურნება და გაცოცხლდება.

¹⁰და დადგებიან მასთან მებადურნი ყენ-გედიდან ყენ-ეგლაიმამდე, ბადეებს მოისვრიან. ისეთივე იქნება მათი თევზი, როგორც დიდი ზღვისა; და უამრავი იქნება თევზი.

¹¹მისი ჭაობები და მისი ჭყანტობები არ განიკურნება – მარილისთვის დარჩება.

¹²მდინარის ორსავე ნაპირას გაიზრდება ყველანაირი ნაყოფიერი ხე, ფოთოლი რომ არ დაუჭკნება და ნაყოფი რომ არ მოეღევა. ყოველ თვეს დამწიფდება ახალი ხილი, რადგან მისთვის წყალი საწმიდრიდან გამოედინება; და იქნება მათი ნაყოფი საჭმელად და მათი ფოთოლი – წამლად.

¹³ასე ამბობს უფალი ღმერთი: ესაა საზღვრები, რომელთა თანახმად უნდა დაუნაწილოთ მიწა, ისრაელის თორმეტ ტომს: იოსებს ექნება ორი წილი.

¹⁴და დაიმკვიდრეთ იგი, როგორც ერთმა, ისე მეორემ, თითოეულმა თანაბრად; რადგან ხელის აღმართვით შევფიცე თქვენს მამებს, რომ მათ მივცემდი ამ ქვეყანას, ამიტომაც თქვენი სამკვიდრო იქნება ეს ქვეყანა.

¹⁵ეს არის ამ ქვეყნის საზღვრები: ჩრდილოეთით დიდი ზღვიდან ხეთლონის გზის ცეცხლამდე.



¹⁶ხამათამდე, ბეროთამდე, სიბრაიმამდე, რომელიც დამასკოს საზღვარსა და ხამათის საზღვარს შორის არის მოქცეული, და შუა ხაცერ-ჰათიქონამდე, რომელიც ხავრანის საზღვართან მდებარეობს.

¹⁷საზღვარი გავა ზღვიდან ხაცარ-ყენონამდე, საზღვარი დამასკოსა და ცაფონის საზღვართან, ჩრდილოეთით, და ხამათის საზღვართან. ეს არის ჩრდილოეთის მხარე.

¹⁸აღმოსავლეთის მხრიდან ხავრანსა და დამასკოს შორის, და გალაადსა და ისრაელს შორის – იორდანე; ჩრდილოეთის საზღვრიდან აღმოსავლეთის ზღვამდე გადაზომე. ეს იქნება აღმოსავლეთის მხარე.

¹⁹და სამხრეთის საზღვარი – სამხრეთისაკენ თამარიდან მერიბათ-კადემის წყლებამდე, მდინარის გაყოლებაზე დიდი ზღვისაკენ. და ეს არის სამხრეთის საზღვარი, სამხრეთით.

²⁰და დასავლეთის საზღვარი – დიდი ზღვა, სამხრეთის საზღვრიდან ხამათში მიმავალ გზამდე. ეს არის დასავლეთის საზღვარი.

²¹გაინაწილეთ წილისყრით ეს ქვეყანა თქვენს შორის, ისრაელის ტომების მიხედვით.

²²და გაანაწილეთ წილისყრით თქვენთვის და თქვენს შორის მცხოვრებ ხიზანთათვის, რომელთაც თქვენს შორის შობეს შვილები; და ისინიც, როგორც ისრაელის ძენი, ბუნებრივ მკვიდრთა თანასწორად უნდა ჩაითვალებოდნენ, და თქვენთან ერთად უნდა იყარონ წილი ისრაელის ტომთა შორის.

²³და იმ ტომში, რომელშიც ხიზანი იცხოვრებს, იქ მისცემთ მას მის წილს, – ამბობს უფალი ღმერთი.

ეზეკიელ 48

¹და ეს არის ტომთა სახელები. ჩრდილოეთის კიდიდან ხეთლონის გზის გასწვრივ, ხამათისა და ხაცარ-ყენანის მიმართულებით – დამასკოს საზღვარი ჩრდილოეთის ხამათის გასწვრივ – მხარე აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ეკუთვნის დანს – ერთი ტომი.

²დანის საზღვართან, აღმოსავლეთის კიდიდან დასავლეთის კიდეამდე, ეს არის ერთი წილი აშერისა.

³აშერის საზღვართან აღმოსავლეთის კიდიდან დასავლეთის კიდეამდე, ეს არის ერთი წილი ნაფთალისა.



- ⁴ნაფთალის საზღვართან აღმოსავლეთის კიდიდან დასავლეთის კიდემდე ეს არის ერთი წილი მანაშესი.
- ⁵და მანაშეს საზღვართან აღმოსავლეთის კიდიდან დასავლეთის კიდემდე, ეს არის ერთი წილი ეფრემისა.
- ⁶და ეფრემის საზღვართან აღმოსავლეთის კიდიდან დასავლეთის კიდემდე, ეს არის ერთი წილი რეუბენისა.
- ⁷და რეუბენის საზღვართან აღმოსავლეთის კიდიდან დასავლეთის კიდემდე, ეს არის ერთი წილი იუდასი.
- ⁸და იუდას საზღვართან აღმოსავლეთის კიდიდან დასავლეთის კიდემდე, ეს იქნება შესაწირავი ნაკვეთები, რომელსაც შესწირავთ: სიგანით 25 ათასი წყრთა და სიგრძით, ერთ-ერთი სხვა წილის ტოლი, აღმოსავლეთის კიდიდან დასავლეთის კიდემდე; და იქნება საწმიდარი მასში.
- ⁹და ნაკვეთი, რომელსაც შესწირავთ თქვენს უფალს, იქნება სიგრძით 25 ათასი წყრთა და სიგანით 10 ათასი.
- ¹⁰და ეს წმიდა ნაკვეთი მღვდლებს უნდა ეკუთვნოდეს, ჩრდილოეთით 25 ათასი წყრთა და დასავლეთით – სიგანე 10 ათასი და აღმოსავლეთით – სიგანე 10 ათასი და სამხრეთით – სიგრძე 25 ათასი წყრთა. და იქნება უფლის საწმიდარი მის შიგნით.
- ¹¹ეს არის განწმედილ მღვდელთათვის, ცადოკის ძეთაგან, რომელთაც აღმისრულეს მოვალეობა და რომელნიც არ განმიდგნენ ისრაელის ძეთა განდგომისას, როგორც განმიდგნენ ლევიანები,
- ¹²იქნება მათთვის შესაწირი ქვეყნის შესაწირიდან წმიდათა წმიდა – ლევიანთა საზღვართან.
- ¹³და ლევიან მღვდელთა საზღვრის გასწვრივ – 25 ათასი წყრთა სიგრძით და 10 ათასი წყრთა სიგანით, მთელი სიგრძე 25 ათასი წყრთა და სიგანე – 10 ათასი წყრთა.
- ¹⁴და ვერ გაყიდიან მისგან და ვერ გაცვლიან და ვერ გადასცემენ ქვეყნის ნათავარს, რადგან წმიდაა უფლისათვის.
- ¹⁵და დანარჩენი 5 ათასი წყრთა სიგანით და 25 ათასი სიგრძით არის სადაგი ადგილი ქალაქის დასასახლებლად და მისი სანახებისთვის, და შუაში იქნება ქალაქი.
- ¹⁶და ესაა მისი ზომები: ჩრდილოეთით – 4 500 წყრთა, სამხრეთით – 4 500, აღმოსავლეთით – 4 500 და დასავლეთით – 4 500.



¹⁷და იქნება სანახები ქალაქისა ჩრდილოეთით – 250 წყრთა, სამხრეთით – 250, აღმოსავლეთით – 250 და დასავლეთით 250 წყრთა.

¹⁸და დარჩენილი სიგრძე წმიდა შეწირულების გასწვრივ – 10 ათასი წყრთა აღმოსავლეთით და – 10 ათასი დასავლეთით. და იქნება ეს წმიდა შეწირულების გასწვრივ, და იქნება მისი მოსავალი ქალაქის მშრომელთა გამოსაკვებად.

¹⁹იმუშავებენ ქალაქში მშრომელები ისრაელის ყოველი ტომიდან.

²⁰მთელი შეწირული ნაკვეთი სიგრძით – 25 ათასი წყრთა სიგანით – 25 ათას წყრთაზე, კვადრატი, შესწირეთ ეს წმიდა ნაკვეთი ქალაქის საკუთრებასთან ერთად.

²¹დანარჩენი კი მთავრისა იქნება წმიდა ნაკვეთისა და ქალაქის საკუთრების ორივე მხარეს; ნაკვეთის გასწვრივ – 25 ათასის გაყოლებაზე აღმოსავლეთის საზღვრამდე და დასავლეთით 25 ათასის გაყოლებაზე დასავლეთის საზღვართან – წილების შესაბამისად – მთვარისაა, ისე რომ, წმიდა ნაკვეთი და საწმიდარი მის შუაგულში იქნება.

²²და ლევანთა საკუთრებიდან და ქალაქის საკუთრებიდან იმ ნაწილის შიგნით, რომელიც მთავრისაა, იუდას საზღვარსა და ბენიამინის საზღვარს შორის, მთავრისათვის იქნება.

²³დანარჩენი ტომებიდან, აღმოსავლეთის საზღვრიდან დასავლეთის საზღვრამდე – ერთი ნაკვეთი ბენიამინს.

²⁴ბენიამინის საზღვართან აღმოსავლეთის საზღვრიდან დასავლეთის საზღვრამდე – ერთი ნაკვეთი სიმეონს.

²⁵სიმეონის საზღვრის გვერდით აღმოსავლეთის საზღვრიდან დასავლეთის საზღვრამდე – ერთი ნაკვეთი ისაქარს.

²⁶ისაქარის საზღვრის გვერდით აღმოსავლეთის საზღვრიდან დასავლეთის საზღვრამდე – ერთი ნაკვეთი ზებულუნს.

²⁷ზებულუნის საზღვრის გვერდით აღმოსავლეთის საზღვრიდან დასავლეთის საზღვრამდე – ერთი ნაკვეთი გადს.

²⁸გადის საზღვრის გვერდით სამხრეთის საზღვრისაკენ სამხრეთით იქნება საზღვარი თამარიდან მერიბათ-კადეშის წყლამდე, დიდ ზღვამდე.

²⁹ეს არის ქვეყანა, რომელსაც გაანაწილებთ წილისყრით ისრაელის ტომების სამკვიდრებლიდან და ესენია ქალაქის კარიბჭენი, – ამბობს უფალი ღმერთი.

³⁰და ესენია ქალაქის გასასვლელები: ჩრდილოეთის მხრიდან – 4500 წყრთა.



³¹ქალაქის კარიბჭეები ისრაელის ტომთა სახელებით იწოდება; სამი კარიბჭე ჩრდილოეთით – ერთი რეუბენის კარიბჭე, ერთი იუდას კარიბჭე, ერთი ლევის კარიბჭე.

³²და აღმოსავლეთის მხარეს 4 500 წყრთა; სამი კარიბჭე: იოსების კარიბჭე, ბენიამინის კარიბჭე და დანის კარიბჭე.

³³სამხრეთის მხარეს 4500 წყრთა; სამი კარიბჭე: ერთი სიმეონის კარიბჭე, ერთი ისაქარის კარიბჭე, ერთი ზებულუნის კარიბჭე.

³⁴დასავლეთის მხარეს 4 500 წყრთა; და მათი კარიბჭეები სამი: გადის კარიბჭე, აშერის კარიბჭე და ნაფთალის კარიბჭე.

³⁵ირგვლივ 18 000 წყრთა. და ქალაქის სახელი იმ დღიდან იქნება: უფალი სუფევს იქ.



დანიელ წინასწარმეტყველი

დანიელ 1

¹იუდას მეფე იეჰოიაკიმის მბრძანებლობის მესამე წელს წამოვიდა ბაბილონის მეფე, ნაბუქოდონოსორი, იერუსალიმზე და ალყაში მოიქცია ის.

²ხელში ჩაუგდო მას უფალმა იუდას მეფე იეჰოიაკიმი, და ღვთის ტაძრის ჭურჭლეულის ნაწილი. ჭურჭლეული მან გააგზავნა შინყარის ქვეყანაში, თავისი ღმერთის სახლში, და მის საგანძურში შეიტანა.

³უთხრა მეფემ აშფენაზს, თავის საჭურისთა მთავარს, რომ სურდა მისთვის მიეგვარა ტყვე ისრაელიანთაგან მეფური შთამომავლობისა და დიდებულთა მოდგმის ყმაწვილები,

⁴რომელთაც არ ექნებოდათ არავითარი ფიზიკური ხინჯი, იქნებოდნენ შესახედავად სანდომიანი, ყველა სიბრძნეში დახელოვნებული, ნიჭიერი და სწავლის უნარიანი, რომლებიც შეძლებდნენ სამეფო კარზე სამსახურს, და ქალდეველთა მწიგნობრობისა და ენის შესწავლას.

⁵და დაუწესა მეფემ ყოველდღიური ულუფა სამეფო სუფრიდან და იმ ღვინისა, თავად რომ სვამდა; და ბრძანა სამ წელიწადს ეწვრთნათ ისინი და შემდეგ წარედგინათ მის წინაშე.

⁶მათ შორის იუდაელ ყმაწვილთაგან იყვნენ: დანიელი, ხანანია, მიშაელი და ყაზარია.

⁷სახელები შეუცვალა მათ საჭურისთა მთავარმა: დანიელს ბელტეშაცარი უწოდა, ხანანიას – შადრაქი, მიშაელს – მეშაქი, ყაზარიას – ყაბედ-ნეგო.

⁸დანიელმა გულში ჩაიდო, არ გაუწმინდურებულიყო სამეფო სუფრის საჭმელებითა და იმ ღვინით მეფე რომ სვამდა, და სთხოვდა საჭურისთა მთავარს, მიეცა ნება, რომ არ გაუწმინდურებულიყო.

⁹ღმერთი დანიელს აძლევდა მადლსა და წყალობას საჭურისთა მთავრის წინაშე,

¹⁰და უთხრა საჭურისთა მთავარმა დანიელს: „მეშინია ჩემი ბატონი მეფისა, რომელმაც თავად განაწესა, რა უნდა ჭამოთ და რა უნდა სვათ; თუ ის დაინახავს, რომ თქვენი სახე თქვენი ასაკის სხვა ყმაწვილებზე უფრო გამხდარია, ამით თქვენ მე დამდებთ ბრალს მეფის წინაშე.“

¹¹უთხრა დანიელმა მწდეს, რომელსაც საჭურისთა მთავარმა ჩააბარა დანიელი, ხანანია, მიშაელი და ყაზარია:



¹²„მოდი, ათი დღის მანძილზე გამოსცადე შენი მსახურნი, რომ საჭმელად ბოსტნეული მოგვცენ და სასმელად – წყალი.

¹³მერე კი ნახე ჩვენი პირისახე და პირისახე იმ ყმაწვილებისა, სამეფო ულუფაზე რომ იქნებიან, და მერე, როგორც გენებოს, ისე მოგვექეცი შენს მსახურთ.“

¹⁴მანაც დაუჯერა მათ და ათი დღე სცდიდა.

¹⁵ათი დღე რომ გავიდა, აღმოჩნდა, რომ ისინი შესახედად უფრო ლამაზები და ჯანსაღები ჩანდნენ, ვიდრე ის ყმაწვილები, რომლებიც სამეფო ულუფაზე იყვნენ.

¹⁶ამიტომ მწდეს უკან მიჰქონდა მათი ულუფა და მათი დასაღვნი ღვინო და ბოსტნეულსდა უტოვებდა.

¹⁷მოჰმადლა ღმერთმა ამ ოთხ ყმაწვილს ცოდნა და წვდომა ყველა წიგნისა და სიბრძნისა, ხოლო დანიელს, ამას გარდა, მისცა ხილვებისა და სიზმრების ახსნის უნარი.

¹⁸როცა ამოიწურა ვადა, რომელიც მეფემ ისრაელიან ყმაწვილთა მის წინაშე წარსადგენად დანიშნა, საჭურისთა მთავარმა ისინი ნაბუქოდონოსორის წინაშე წარადგინა.

¹⁹და ესაუბრა მათ მეფე და მათ შორის არავინ აღმოჩნდა დანიელის, ხანანიას, მიშაელისა და ყაზარეას ბადალი. და ჩადგნენ ისინი მეფის სამსახურში.

²⁰და დარწმუნდა მეფე, რომ ყოველგვარ სიტყვასა, სიბრძნესა და ცოდნაში, რაშიც ის მათ სცდიდა, ისინი მისი სამეფოს ყველა გრძნეულსა და ჯადოქარზე ათჯერ უფრო გონიერნი იყვნენ.

²¹და იყო დანიელი მსახურად კიროსის მეფობის პირველ წლამდე.

დანიელ 2

¹თავისი მეფობის მეორე წელს ნაბუქოდონოსორმა სიზმარი ნახა, სული აუფორიაქდა და ძილი გაუკრთა.

²მოახმობინა მეფემ გრძნეულები, ჯადოქრები, მისნები და ქალდეველნი, რათა მათ მისთვის აეხსნათ მისი სიზმარი. მოვიდნენ ისინი და წარსდგნენ მეფის წინაშე.

³უთხრა მათ მეფემ: „სიზმარი ვნახე და სული ამიფორიაქდა, მინდა ამ სიზმრის ახსნა.“



⁴ქალდეველებმა მეფეს არამეულად მიუგეს: „მეფეო, იცოცხლე უკუნისამდე! უამბე შენი სიზმარი შენს მსახურთ და აგიხსნით მის აზრს.“

⁵მიუგო მეფემ და უთხრა ქალდეველთ: „ის სიტყვა დამეკარგა. თუ იმ სიზმარს არ გამახსენებთ და არ ამიხსნით, ასო-ასო აიკუწებით და თქვენი სახლები ნანგრევებად იქცევა.“

⁶ხოლო თუკი სიზმარსა და მის ახსნას მეტყვით, საჩუქრებს, ჯილდოსა და დიდ პატივს მიიღებთ ჩემგან. ამიტომ მომაგონეთ ის სიზმარი და ამიხსენით.“

⁷მათ კვლავ მიუგეს და უთხრეს: „უბრძანოს მეფემ მის მსახურთ თავისი სიზმარი და ჩვენც ვეტყვით მის მნიშვნელობას.“

⁸მიუგო მეფემ და თქვა: „ნამდვილად ვიცი, დროის მოგება გინდათ, რაკი ხედავთ, რომ სიტყვა გამშორდა .

⁹რაკი სიზმარი არ გინდათ გამახსენოთ, ერთი ზრახვა გქონიათ: გინდათ, რომ ცრუ და საზიანო სიტყვა მითხრათ დროის გასაყვანად. ამიტომ მომიყევით სიზმარი და მეც დავიჯერებ, რომ მისი ახსნა შეგიძლიათ.“

¹⁰მიუგეს ქალდეველებმა მას და უთხრეს: „ქვეყანაზე არ მოიძებნება ისეთი კაცი, მეფისათვის ამ ბრძანების შესრულება რომ შეეძლოს, რადგან არც ერთ მეფეს, არც დიდებულს, ან განმგებელს მსგავსი არაფერი მოუთხოვია რომელიმე გრძნეულისაგან, ჯადოქრისაგან თუ ქალდეველისაგან.“

¹¹საქმე, მეფე რომ ითხოვს, იმდენად ძნელია, რომ ვერავინ შეუსრულებს მას იმ ღმერთების მეტი, რომლებიც ძე-ხორციელთა შორის არ მკვიდრობენ.“

¹²ამან აღაშფოთა მეფე და ძლიერ განარისხა. ბრძანება გასცა, ყველა ბაბილონელი ბრძენი მოეკლათ.

¹³როცა ბრძანება გამოვიდა ბრძენკაცთა გასაჟლეტად, დანიელს და მის მეგობრებსაც დაუწყეს ძებნა დასახოცად.

¹⁴მაშინ დანიელმა საზრიანი და ბრძნული პასუხი გასცა არიოქს, მეფის ქონდაქართუხუცესს+ , რომელიც ბაბილონელ ბრძენკაცთა დასახოცად იყო გამოსული.

¹⁵და ჰკითხა არიოქს, მეფის მოხელეს: „რა მიზეზით გასცა მეფემ ასეთი მკაცრი ბრძანება?“ მაშინ ყველაფერი აუწყა არიოქმა დანიელს.

¹⁶წავიდა დანიელი მეფესთან და დრო მოსთხოვა, სიზმრის ასახსნელად.

¹⁷მერე შინ დაბრუნდა დანიელი და თავის ამხანაგებს: ხანანias, მიშაელსა და ყაზარias გააგებინა ეს ამბავი,



¹⁸რომ ზეციერი ღმერთისთვის გამოეთხოვათ წყალობა ამ საიდუმლოს გასაგებად, რათა დანიელი და მისი მეგობრები დანარჩენ ბაბილონელ ბრძენკაცებთან ერთად არ დაეხოცათ.

¹⁹დანიელს ღამის ხილვაში გაეხსნა საიდუმლო და აკურთხა მან ზეციერი ღმერთი.

²⁰და დანიელმა თქვა: „კურთხეულ იყოს ღვთის სახელი უკუნითი უკუნისამდე! რადგან მისია სიბრძნე და ძალი;

²¹იგი ცვლის დრო-ჟამს, იგი ამხოვს მეფეებს და იგივე აღაზევებს მათ; ბრძენთ სიბრძნეს აძლევს და გონიერთ – ცოდნას;

²²ააშკარავებს ღრმასა და დაფარულს, იცის, რა იმალება წყვედიადში, და ნათელი მასთანაა დავანებული.

²³ჩემი მამების ღმერთო, გაქებ და გადიდებ! შენ მომეცი სიბრძნე და ძალი, შენ გამიხსენი ის, რასაც ჩვენ გევედრებოდით შენ, რადგან შენ გაგვიხსენი მეფის ამბავი!“

²⁴ამის შემდეგ მივიდა დანიელი არიოქთან, ვისაც მეფემ ბაბილონელ ბრძენკაცთა დასჯა დაავალა. მიეახლა მას და ასე უთხრა: „ნუღარ დახოცავ ბაბილონელ ბრძენკაცებს, მეფესთან წამიყვანე და მე ავუხსნი სიზმარს.“

²⁵მაშინ არიოქმა დაუყოვნებლივ მიჰგვარა დანიელი მეფეს და უთხრა: „აჰა, ვნახე კაცი ტყვედწამოსხმულ იუდაელთა შორის, რომელსაც შეუძლია აუხსნას მეფეს სიზმარი.“

²⁶მიუგო მეფემ და უთხრა დანიელს, ბელტეშაცარად წოდებულს: „მართლა შეგიძლია მითხრა სიზმარი, მე რომ ვნახე, და ამიხსნა?“

²⁷მიუგო დანიელმა მეფეს და უთხრა: „ბრძენო, შემლოცველთ, მისნებს და გრძნეულთ არ შეუძლიათ იმ საიდუმლოს ახსნა, რასაც მეფე ითხოვს,

²⁸მაგრამ არის ზეცაში საიდუმლოთა განმცხადებელი ღმერთი; სწორედ მან ამცნო მეფე ნაბუქოდონოსორს, რაც იქნება უკანასკნელ დღეებში. აჰა, შენი სიზმარი და შენი ხილვა, რომელიც შენს სარეცელზე იხილე:

²⁹მეფეო, შენს სარეცელზე შენ ფიქრობდი, თუ რა იქნებოდა მომავალში, და ღმერთმა, რომელმაც ყოველივე უწყის, სიზმარში ის გიჩვენა, რაც იქნება მომავალში.

³⁰ხოლო მე ეს საიდუმლო იმიტომ კი არ განმეცხადა, რომ მე ყველაზე ბრძენი ვარ ცოცხალთა შორის, არამედ იმიტომ, რომ მეფეს მისცემოდა ახსნა და გაეგო თავისი გულის ზრახვანი.



³¹აჰა, მეფეო, შენ ასეთი ხილვა გქონდა: აჰა, რაღაც დიდი კერპია; უზარმაზარი იყო ის კერპი და უცხოვრებელი იდგა შენს წინაშე და საშინელი შესახედავი იყო.

³²ამ კერპს თავი წმიდა ოქროსი ჰქონდა, მკერდი და ხელები – ვერცხლისა, მუცელი და ბარკლები – ბრიჯაოსი,

³³წვივები – რკინისა, ტერფები – ნაწილობრივ რკინის, ნაწილობრივ თიხისა.

³⁴შენ დაინახე, რომ ხელისუკვრელად ადგილიდან მოწყდა ერთი ლოდი, დაეცა კერპს, რკინისა და თიხის ფეხებზე შემდგარს, და შემუსრა იგი.

³⁵მაშინ ყველაფერი ერთიანად დაიფშვნა. რკინა, თიხა, ბრინჯაო, ვერცხლი და ოქრო ისეთი გახდა, როგორც ბზე ზაფხულის კალოზე. ქარმა წაიღო ისინი და მათი კვალიც კი აღარ დარჩა. ხოლო ის ლოდი, კერპს რომ დაეცა, ვეებერთელა მთად იქცა და მთელი დედამიწა დაფარა.

³⁶ეს იყო სიზმარი! ახლა კი მის ახსნასაც ვიტყვი მეფის წინაშე.

³⁷მეფეო, შენ ის მეფეთა მეფე ხარ, რომელსაც ზეციერმა ღმერთმა ხელმწიფება, ძალი და დიდება უბოძა.

³⁸და ყოველივე, რაც ქვეყნად ცოცხლობს: ძენი კაცთანი, მხეცნი მიწისანი და ფრინველნი ცისანი შენ ჩაგაბარა და მათ ბატონ-პატრონად დაგადგინა. შენ ხარ ის ოქროს თავი!

³⁹შენს შემდეგ სხვა სამეფო აღდგება, შენს სამეფოზე უდარესი; შემდეგ მესამე სამეფო იქნება – ბრიჯაოსი, რომელიც მთელს ქვეყანაზე იბატონებს.

⁴⁰მეოთხე სამეფო რკინასავით მტკიცე იქნება. როგორც რკინა, ყველაფერს რომ ამსხვრევს და აქუცმაცებს, ასევე ისიც შემმუსვრელ რკინასავით ყოველივეს დააქუცმაცებს და შემუსრავს;

⁴¹როგორც იხილე, მას ფეხები და ფეხის თითები ნაწილობრივ მეთუნის თიხისა ჰქონდა, ნაწილობრივ – რკინისა, ასევე ის სამეფოც გაყოფილი იქნება: მასში ნაწილობრივ რკინის სიმტკიცე იქნება, რადგან თავადაც დაინახე მეთუნის თიხასთან შერეული რკინა.

⁴²როგორც მისი ფეხის თითები ნაწილობრივ რკინისა იყო და ნაწილობრივ თიხისა, ასევე სამეფოც ნაწილობრივ მტკიცე იქნება და ნაწილობრივ – მყიფე.

⁴³როგორც შენ თიხაში შერეული რკინა იხილე, ისინიც ისე შეერევინა კაცთა მოდგმის ძალით ერთმანეთს, მაგრამ ვერ შეერწყმიან ერთმანეთს, როგორც რკინა არ შეუდუღდება თიხას.



⁴⁴და იმ სამეფოთა დღეებში ზეციერი ღმერთი აღადგენს თავის სამეფოს, რომელიც უკუნისამდე არ დაემხოება, და მისი ხელმწიფება სხვა ხალხის ხელთ არ გადავა. იგი შემუსრავს და დააქცევს ყველა სამეფოს, თავად კი უკუნისამდე დარჩება,

⁴⁵როგორც თავად იხილე – ის ლოდი კაცთა ხელუკვრელად მოსწყდა მთას და ნამსხვრევებად აქცია რკინა, თიხა, ვერცხლი და ოქრო. დიდმა ღმერთმა ასე აუწყა მეფეს, თუ რა მოხდება მის შემდეგ. უტყუარია ეს სიზმარი და სარწმუნოა მისი ახსნა.“

⁴⁶მაშინ პირქვე დაემხო მეფე ნაბუქოდონოსორი დანიელის წინაშე, და ბრძანა მისთვის საღვრელი და საკმევლის მსხვერპლის მოტანა.

⁴⁷და უთხრა მეფემ დანიელს: „ჭეშმარიტად თქვენი ღმერთი ღმერთთა ღმერთია და მეფეთა უფალი, საიდუმლოთა განმცხადებელი, როგორც შენ შეძელი ამ საიდუმლოს გაცხადება.“

⁴⁸მაშინ განადიდა მეფემ დანიელი, ძვირფასი საჩუქრები უბოძა და მთელი ბაბილონის ქვეყნის განმგებლად და ბაბილონის ყველა ბრძენთმთავრად დაადგინა.

⁴⁹სთხოვა დანიელმა მეფეს და მეფემ ბაბილონის ქვეყნის საქმეები შადრაქს, მეშაქსა და ყაბედ-ნეგოს ჩააბარა. თავად დანიელი კი მეფის კარზე დარჩა.

დანიელ 3

¹გააკეთა მეფე ნაბუქოდონოსორმა ოქროს კერპი, ⁶⁰ წყრთა სიმაღლისა და ექვსი წყრთა სიგანისა. და ბაბილონის ქვეყანაში დადგა იგი, დურას ველზე.

²ხალხი დაგზავნა ნაბუქოდონოსორმა, რათა სატრაპნი, მთავარნი, მეფისნაცვალნი, მრჩეველნი, მეგანძურენი, მსაჯულნი, რჯულისკაცნი და განმგებელნი შეყრილიყვნენ და მოსულიყვნენ იმ კერპის სატფურებაზე, მეფე ნაბუქოდონოსორმა რომ აღმართა.

³მაშინ შეიკრიბნენ სატრაპნი, მთავარნი, მეფისნაცვალნი, მრჩეველნი, მეგანძურენი, მსაჯულნი, რჯულისკაცნი და მხარეთა განმგებელნი იმ კერპის სატფურებაზე, რომელიც მეფე ნაბუქოდონოსორმა აღმართა, და დადგნენ ისინი იმ კერპის წინ.

⁴მაშინ ქადაგმა რიხიანად დაიძახა: „თქვენ გიცხადებთ, ერებო, ტომებო და სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ადამიანებო,

⁵როგორც კი საყვირის, სალამურის, ბობლნის, სამბუკის, ქნარის, სტვირის და სხვა საკრავების ხმას გაიგონებთ, პირქვე დაემხეთ და თაყვანი ეცით ამ ოქროს კერპს, მეფე ნაბუქოდონოსორმა რომ აღმართა.



⁶ვინც არ დაემხოა და თაყვანს არა სცემს, იმწამსვე ცეცხლით გავარვარებულ ქურაში იქნება ჩაგდებული!”

⁷ამიტომ, როგორც კი ერებმა და ტომებმა გაიგონეს საყვირის, სალამურის, ბობლნის, სამბუკის, ქნარისა და სხვა საკრავების ხმა, ყველა ხალხები, ტომები და ენები დაემხნენ და თაყვანი სცეს ოქროს კერპს, რომელიც მეფე ნაბუქოდონოსორმა აღმართა.

⁸ამ დროს მოვიდა ზოგიერთი ქალდეველი და ბრალს სდებდა იუდაელთ.

⁹მათ უთხრეს ნაბუქოდონოსორ მეფეს: „მეფეო, იცოცხლე უკუნისამდე!

¹⁰მეფეო, შენ განკარგულება გაეცი, რომ ყოველი კაცი, რომელიც კი საყვირის, სალამურის, სამბუკის, ქნარის, სტვირისა და ყველა სხვა საკრავის ხმას გაიგონებდა, დამხობილიყო და ოქროს კერპისთვის ეცა თაყვანი;

¹¹ხოლო ის, ვინც არ დაემხობოდა და თაყვანს არ სცემდა, ჩაგდებული იქნებოდა ცეცხლით გავარვარებულ ღუმელში.

¹²მაგრამ არიან იუდაელნი, რომელთაც შენ ბაბილონის ქვეყნის საქმეები ჩააბარე: შადრაქი, მეშაქი და ყაბედ-ნეგო. მეფეო, ეს კაცები არ დაემორჩილნენ შენს განკარგულებას. ისინი არც შენს ღმერთებს ემსახურებიან და არც იმ ოქროს კერპს სცემენ თაყვანს, შენ რომ აღმართე.“

¹³მაშინ განრისხებულმა ნაბუქოდონოსორმა ბრძანა შადრაქის, მეშაქისა და ყაბედ-ნეგოს მოყვანა. და მოჰგვარეს მეფეს ეს კაცები.

¹⁴ნაბუქოდონოსორმა უთხრა მათ: „შადრაქ, მეშაქ და ყაბედ-ნეგო, ნუთუ განზრახ არ ემსახურებით ჩემს ღმერთებს და თაყვანს არ სცემთ იმ ოქროს კერპს, მე რომ აღვმართე?

¹⁵ახლა კი მოემზადეთ და საყვირის, სალამურის, ბობლნის, სამბუკის, ქნარის, სტვირისა და სხვა ყველანაირი საკრავის ხმის გაგონებაზე, დაემხეთ და თაყვანი ეცით იმ კერპს, მე რომ გავაკეთე, ხოლო თუ თაყვანი არ გიციათ, იმწამსვე ცეცხლით გავარვარებულ ღუმელში იქნებით ჩაყრილი. მაშინ ვნახოთ რომელი ღმერთი დაგვიხსნით ჩემი ხელიდან?“

¹⁶შადრაქმა, მეშაქმა და ყაბედ-ნეგომ მიუგეს მეფეს: „ნაბუქოდონოსორ, ჩვენ არ ვსაჭიროებთ, გიჰასუხოთ მაგაზე.

¹⁷მეფეო, ჩვენს ღმერთს, რომელსაც ვემსახურებით, შესწევს ძალი, რომ ცეცხლით გავარვარებული ღუმლიდანაც კი გადაგვარჩინოს და შენი ხელიდანაც დაგვიხსნას.

¹⁸და თუ ასეც არ მოხდება, იცოდე, მეფეო, ჩვენ მაინც არ მოვემსახურებით შენს ღმერთებს და თაყვანს არა ვცემთ იმ ოქროს კერპს, შენ რომ აღმართე.”



¹⁹მაშინ ნაბუქოდონოსორი გულისწყრომით აღივსო, შადრაქზე, მეშაქზე და ყაბედ-ნეგოზე გაბრაზებულს სახე შეეცვალა და ბრძანება გასცა, ღუმელი შვიდჯერ უფრო მეტად გაეხურებინათ, ვიდრე ჩვეულებრივ ახურებდნენ.

²⁰და უბრძანა თავის საუკეთესო მხედრებს, შეეკრათ შადრაქი, მეშაქი და ყაბედ-ნეგო და ცეცხლით გავარვარებულ ღუმელში ჩაეყარათ.

²¹მაშინ ეს კაცები შეკრეს ისევე ჩაცმულები და თავსაბურველითა და სხვა სამოსლითურთ და ცეცხლით გახურებულ ღუმელში ჩაყარეს.

²²რაკი მკაცრი იყო მეფის ბრძანება და ღუმელი მეტისმეტად იყო გახურებული, ის კაცები, რომლებიც შადრაქს, მეშაქსა და ყაბედ-ნეგოს ყრიდნენ ღუმელში, ცეცხლის ალმა დახოცა.

²³ხოლო ის სამნი: შადრაქი, მეშაქი და ყაბედ-ნეგო გავარვარებულ ღუმელში შებოჭილნი ჩაცვივდნენ...

²⁴მაშინ გაოცებული ნაბუქოდონოსორი ფეხზე წამოიჭრა და უთხრა თავის მრჩეველთ: „განა ჩვენ სამი შეკრული კაცი არ ჩავაგდეთ ცეცხლში?“ მათ პასუხად მიუგეს მეფეს: „ჭეშმარიტად ასეა, მეფეო!“

²⁵მიუგო მეფემ და თქვა: „აჰა, ოთხ ხელ-ფეხ გახსნილ კაცს ვხედავ, შუაგულ ცეცხლში რომ მიმოდიან უვნებლად. მეოთხე შესახედაობით ღვთის შვილსა ჰგავს.“

²⁶მაშინ მიდგა ნაბუქოდონოსორი გავარვარებული ღუმლის კართან და შესძახა: „შადრაქ, მეშაქ და ყაბედ-ნეგო, მაღალი ღმერთის მსახურნო, გამოდით და აქ მოდით!“ მაშინ შადრაქი, მეშაქი და ყაბედ-ნეგო გამოვიდნენ შუა ცეცხლიდან.

²⁷შემოიკრიბნენ სატრაპნი, მთავარნი, მეფისნაცვალნი და მრჩეველნი და ნახეს, რომ ამ კაცების ტანზე ცეცხლს თავისი ძალა ვერ მიეტანა: თავზე თმებიც კი არ შეტრუსოდათ, სამოსელიც არ აღანძოდათ და ნატისუსალიც კი არ ასდიოდათ.

²⁸მაშინ ნაბუქოდონოსორმა შესძახა: „კურთხეულია ღმერთი შადრაქისა, მეშაქისა და ყაბედ-ნეგოსი, რომელმაც მოავლინა თავისი ანგელოზი და იხსნა თავისი მსახურნი, რომლებიც მას მიენდვნენ, არ დაემორჩილნენ მეფის ბრძანებას და საკუთარი სხეული ცეცხლს მისცეს, რათა თავიანთი ღმერთის გარდა, სხვა ღმერთისთვის არ ეცათ თავყვანი!“

²⁹ამიტომ ვბრძანებ: ყოველი ხალხი, ტომი ან ენა, რომელიც შადრაქის, მეშაქის და ყაბედ-ნეგოს ღმერთზე აუგს იტყვის, ასო-ასო აიკუწოს, მისი სახლი კი ნანგრევებად იქცეს. რადგან არ არსებობს სხვა ღმერთი, ასე რომ შეეძლოს ხსნა.“



³⁰მაშინ მეფემ კვლავ აღამაღლა ბაბილონის ქვეყანაში შადრაქი, მეშაქი და ყაბედ-ნეგო.

დანიელ 4

¹მეფე ნაბუქოდონოსორი ყველა ხალხებს, ტომებს, ენებსა და მთელი დედამიწის ზურგზე მცხოვრებთ: მშვიდობა გიმრავლოთ!

²ნიშნები და სასწაულები, რომელნიც მაღალმა ღმერთმა ჩემზე მოახდინა, კეთილად მიმაჩნია, გაცხადებულ იქნას.

³რაოდენ დიდია მისი ნიშნები, რაოდენ ძლიერია მისი სასწაულები! მისი სამეფო საუკუნო სამეფოა, მისი ხელმწიფება კი თაობიდან თაობაშია!

⁴მე, ნაბუქოდონოსორი, მშვიდად ვიყავი ჩემს სახლში და ვყვოდი ჩემს სასახლეში.

⁵ვნახე სიზმარი, რომელმაც თავზარი დამცა. ფიქრებმა და ჩემი თავის ხილვებმა შემადრწუნეს ჩემს სარეცელზე.

⁶განკარგულება გავეცი, რომ ჩემთან მოეყვანათ ყველა ბაბილონელი ბრძენკაცი, რათა აეხსნათ სიზმარი.

⁷მაშინ მოვიდნენ გრძნეულები, შემლოცველები, ქალდეველები და მკითხავეები. მე მოვუყევი მათ ჩემი სიზმარი, მაგრამ ვერ შეძლეს მისი ახსნა.

⁸ბოლოს მოვიდა დანიელი, რომელსაც ჩემი ღმერთის საპატივცემოდ ბელტეშაცარი ჰქვია და რომელშიც წმიდა ღმერთების სულია. და ვუამბე მას სიზმარი და ვუთხარი:

⁹„ბელტეშაცარ, გრძნეულთა მთავარო, ვიცი, შენში წმიდა ღმერთების სულია და არანაირი საიდუმლო არ არის შენთვის საძნელო. აჰა, ხილვები ჩემი სიზმრისა, მე რომ ვნახე, და მითხარი მისი ახსნა.

¹⁰ჩემი თავის ხილვები ჩემს სარეცელზე ასეთი იყო: ვხედავ, აჰა, დედამიწის შუაში ხე დგას, დიდი სიმაღლისა.

¹¹გაიზარდა ეს ხე და გამაგრდა. მისი კენწერო ცას მისწვდა და დედამიწის ყველა კუთხიდან მოჩანდა.

¹²ფოთლები მშვენიერი ჰქონდა და ნაყოფი – უხვი. მასზე ყველასათვის იყო საზრდო, მინდვრის მხეცები მის ძირას პოულობდნენ ჩრდილს და მის ტოტებში ცის ფრინველები ბუდობდნენ, და მისგან საზრდოობდა ყოველი ხორციელი.



¹³და ვნახე ჩემს სარეცელზე სიზმარში: აჰა, ზეციდან ჩამოეშვა წმიდა გუშაგი.

¹⁴მან ომახიანად დაიძახა: მოჭერით ეგ ხე, აკაფეთ ტოტები, დააცალეთ ფოთლები, გააბნით მისი ნაყოფი. გაეცალონ მის ძირს მხეცები, ფრინველები – მის ტოტებს!

¹⁵ოღონდ მისი მთავარი ფესვი მიწაში ჩატოვით, რკინის და ბრინჯაოს ბორკილებში, მინდვრის ბალახებს შორის. ზეცის ცვარ-ნამით ირწყვებოდეს იგი და მხეცებთან ერთად მიწის ბალახში ჰქონდეს წილი.

¹⁶კაცის გული გამოეცვლება და მხეცის გული მიეცემა. შვიდი წელიწადი გადაუვლის მას.

¹⁷ეს სასჯელი არის გუშაგთა ბრძანებით, და განაჩენი – წმიდათა სიტყვით, რათა ცოცხლებმა იცოდნენ, რომ უზენაესი ხელმწიფებს კაცთა სამეფოზე, ვისაც უნდა, იმას აძლევს მას და კაცთაგან ყველაზე დამცირებულს აღაზევებს მასზე.

¹⁸ეს სიზმარი ვნახე მე, ნაბუქოდონოსორმა. შენ კი, ბელტეშაცარ, უნდა ამიხსნა იგი, რადგან ჩემს სამეფოში არც ერთ ბრძენს არ შეუძლია მისი ახსნა, შენ კი შეგიძლია, რადგან შენშია წმიდა ღმერთების სული.“

¹⁹მაშინ დანიელი, რომლის სახელია ბელტეშაცარი, ერთხანს თავზარდაცემული იყო და ფიქრები აშფოთებდა. მიუგო მეფემ და უთხრა: „ბელტეშაცარ, ნუ გაშფოთებს ეს სიზმარი და მისი ახსნა.“ მიუგო ბელტეშაცარმა და უთხრა: „ჩემო ბატონო, შენს მოძულეთ ეს სიზმარი და შენს მტრებს მისი ახსნა.

²⁰ის ხე, რომელიც შენ ნახე, რომ იზრდებოდა, მაგრდებოდა, კენწეროთი ცას სწვდებოდა და მთელ დედამიწაზე რომ მოჩანდა,

²¹მშვენიერი ფოთლები, მრავალი ნაყოფი და ყველასათვის საზრდო რომ ჰქონდა, რომლის ქვეშაც ველის ნადირები იყვნენ და რომლის ტოტებზეც ცის ფრინველები ბუდობდნენ,

²²ეს შენა ხარ, მეფეო, განდიდებული და განმტკიცებული. შენი სიდიადე გაიზარდა და ცას მისწვდა, შენი ხელისუფლება კი – ქვეყნიერების კიდეებს.

²³მეფემ რომ წმიდა გუშაგი იხილა, რომელიც ზეციდან ჩამოეშვა და თქვა: ‘მოჭერით და აჩეხეთ, ოღონდ მისი მთავარი ფესვი მიწაში ჩატოვით რკინისა და ბრინჯაოს ბორკილებში, მინდვრის ბალახებს შორის, ზეცის ცვარ-ნამით ირწყვებოდეს და მინდვრის მხეცებთან ჰქონდეს წილი, ვიდრე შვიდი წელიწადი არ გადაუვლის’,



²⁴ესაა მისი ახსნა, მეფეო, და ეს არის უზენაესის ბრძანება, რომელიც ჩემს მეფე-ბატონს დაატყდება თავს.

²⁵მოიკვეთები კაცთაგან და მინდვრის მხეცებთან დაიდებ ბინას; როგორც ხარს ბალახს მოგადოვებენ; ზეცის ცვარ-ნამით დასველდები და შვიდი ჟამი გადაივლის შენს თავზე, ვიდრე მიხვდებოდე, რომ უზენაესი ხელმწიფებს კაცთა სამეფოზე და ვისთვისაც მოისურვებს, იმას აძლევს იმ სამეფოს.

²⁶ხოლო ხის მთავარი ფესვის დატოვება რომ იყო ნაბრძანები, ეს იმას ნიშნავს, რომ შენი სამეფო შეგრჩება, როცა აღიარებ ზეციურ ხელმწიფებას.

²⁷ამიტომ, მეფეო, მოსაწონი იყოს შენთვის ჩემი რჩევა და შენი ცოდვები სიმართლით ჩამოიცილე, შენი უსამართლობანი კი – ღარიბებისადმი გულმოწყალებით. ვინძლო გახანგრძლივდეს შენი მშვიდობა.“

²⁸ახდა ყოველივე ეს მეფე ნაბუქოდონოსორზე.

²⁹12 თვის შემდეგ, ბაბილონის სამეფო სასახლეში სეირნობისას,

³⁰ალაპარაკდა მეფე და თქვა: „ეს ის დიდებული ბაბილონი არ არის, რომელიც სამეფო სახლად ავაშენე ჩემი ხელმწიფების ძალით, ჩემი სიდიადის საქებრად?“

³¹მეფეს ჯერ კიდევ პირზე ჰქონდა სიტყვა, რომ ზეციდან ხმა ჩამოისმა: „შენ გეუბნებიან, მეფე ნაბუქოდონოსორ, გაგშორდა სამეფო.

³²მოიკვეთები კაცთაგან, მინდვრის მხეცებთან გექნება ბინა, ხარების მსგავსად ბალახს მოგადოვებენ და შვიდი ჟამი გადაივლის შენს თავზე, ვიდრე მიხვდებოდე, რომ უზენაესი ხელმწიფებს კაცთა სამეფოზე და ვისთვისაც მოისურვებს, იმას აძლევს.“

³³მყისვე აღსრულდა ნაბუქოდონოსორზე ეს განაჩენი. მოკვეთეს იგი კაცთაგან. ხარების მსგავსად ბალახის ჭამა დაიწყო. მისი სხეული ზეცის ცვარ-ნამით სველდებოდა, სანამ თმები არწივის ბუმბულივით არ გაეზარდა, ფრჩხილები კი – ფრინველის კლანჭებივით.

³⁴ის დღეები რომ ჩამოთავდა, თვალები ზეცას მივაპყარ მე, ნაბუქოდონოსორმა, და გონება დამიბრუნდა. ვაკურთხე უზენაესი, ვაქე და ვადიდე მარადცოცხალი, რომლის ხელმწიფებაც სამარადისო ხელმწიფებაა და მისი სამეფო თაობიდან თაობაშია.

³⁵დედამიწის ყველა მკვიდრი – არაფერია. უზენაესი თავის ნებაზე იქცევა, როგორც ზეცის მხედრობაში, ისევე ქვეყნის მკვიდრთა შორის, მის ხელს წინ ვერავინ აღუდგება და ვერ ეტყვის: „ამას რას აკეთებ?“



³⁶მაშინ დამიბრუნდა გონება, ჩემი სამეფოს სადიდებლად დამიბრუნდა ჩემი დიდება და ჩემი უწინდელი სახე. მაშინ მომძებნეს ჩემმა მრჩეველებმა და დიდებულებმა და კვლავ დადგენილი ვიქენ ჩემს სამეფოზე და ჩემი სიდიადე უფრო მეტად მომეცა.

³⁷ახლა მე, ნაბუქოდონოსორი, ვაქებ, აღვამაღლებ და ვადიდებ ზეციერ მეფეს, რომლის ყოველი საქმე ჭეშმარიტია და გზები – სამართლიანი, რომელსაც ძალუმს დაამდაბლოს გაამაყებულნი.

დანიელ 5

¹მეფე ბელშაცარმა დიდი ღვინო გაუმართა თავის ათას დიდებულს და იმ ათასის თვალწინ სვა ღვინო.

²ღვინით გაღეშილმა ბელშაცარმა ბრძანა, მოერთმიათ მისთვის ოქროს და ვერცხლის თასები, რომლებიც ნაბუქოდონოსორს, მამამისს, ჰქონდა წამოღებული იერუსალიმის ტაძრიდან, რათა მეფეს, მის დიდებულებს, მის ცოლებსა და ხარჭებს იმეებით ესვათ.

³მოიტანეს ის ოქროს თასები, რომლებიც წამოღებული იყო იერუსალიმის ტაძრიდან. იმ თასებით სვამდნენ მეფე, მისი დიდებულები, მისი ცოლები და ხარჭები.

⁴სვამდნენ ისინი ღვინოს და ადიდებდნენ ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, ხისა და ქვის ღმერთებს.

⁵სწორედ მაშინ გამოჩნდა ადამიანის ხელის თითები და სასანთლის წინ, მეფის სასახლის კედლის ბათქაშზე წერა იწყეს. როდესაც მეფემ დაინახა ხელის მტევანი, რომელიც წერდა,

⁶ფერი ეცვალა; ფიქრებმა შეაშფოთეს, წელი მოსწყდა და მუხლების კანკალი აუტყდა.

⁷ხმამაღლა იყვირა მეფემ, რათა მოეყვანათ შემლოცველები, ქალდეველები და მკითხავები. მეფემ უთხრა ბაბილონელ ბრძენკაცებს: „ვინც ამ წარწერას წაიკითხავს და მის მნიშვნელობას ამოხსნის, მოწეულით შევმოსავ, კისერზე ოქროს შიბს ჩამოვკიდებ და ქვეყანაში მესამე იქნება მთავართა შორის.“

⁸მოვიდა მეფის ყველა ბრძენკაცი, მაგრამ წარწერის წაკითხვა და მეფისათვის მისი მნიშვნელობის ახსნა ვერ შეძლეს.

⁹მაშინ ძლიერ აღშფოთდა მეფე ბელშაცარი და სახეზე ფერი ეცვალა. აფორიაქდნენ მისი დიდებულებიც.



¹⁰მეფისა და დიდებულების ლაპარაკზე სანადიმო დარბაზში დედოფალი შემოვიდა. მიუგო დედოფალმა მეფეს და უთხრა: „მეფეო, იცოცხლე უკუნისამდე! ფიქრებმა ნუ შეგაკრთეს და ნუ გაფითრებულხარ!“

¹¹შენს სამეფოში არის ერთი კაცი, რომელშიც წმიდა ღმერთის სულია. მამაშენის დროს მასში აღმოჩნდა ნათელი, გონიერება და სიბრძნე – ღმერთების სიბრძნის დარი. მამაშენმა, მეფე ნაბუქოდონოსორმა, მისნების, შემლოცველების, ქალდეველებისა და გრძნეულების მთავრად დააყენა ის,

¹²რადგან მასში, დანიელში, რომელსაც მეფემ ბელტეშაცარი დაარქვა, აღმოჩნდა საკვირველი სული, ცოდნა და გონიერება და უნარი სიზმრების ახსნისა, იგავთა განმარტებისა და კვანძების გახსნისა. ახლა დანიელს უხმე და ის აგიხსნის.“

¹³მაშინ მოიყვანეს დანიელი მეფის წინაშე. მიუგო მეფემ დანიელს და უთხრა: „შენა ხარ ის დანიელი, ტყვე იუდაელთაგანი, რომლებიც მამაჩემმა, მეფემ, იუდადან წამოასხა?“

¹⁴შენზე გაგონილი მაქვს, რომ შენში ღვთის სულია და ნათელი, გონიერება და საკვირველი სიბრძნე.

¹⁵ახლახან ბრძენკაცები და შემლოცველები მყავდნენ მოყვანილნი ჩემს წინაშე წარწერის წასაკითხად და მის ასახსნელად; მაგრამ მათ ვერ შეძლეს მისი ახსნა.

¹⁶შენზე გაგონილი მაქვს, რომ შენ შეგიძლია მნიშვნელობის ახსნა და კვანძების გახსნა. თუ შენ ახლა შეძლებ ამ წარწერის ამოკითხვას და ამიხსნი მას, მოწეულით შეგმოსავ, ყელზე ოქროს შიბს ჩამოგკიდებ და სამეფოში მესამე იქნები ჩემს მთავრებში.“

¹⁷მაშინ მიუგო დანიელმა მეფეს და უთხრა: „შენი საჩუქარი შენვე გქონდეს და შენი ძღვენი სხვას მიეცი. წარწერას კი მე წავუკითხავ მეფეს და მის მნიშვნელობასაც ვაუწყებ.“

¹⁸მეფეო, მაღალმა ღმერთმა უბოძა მამაშენს, ნაბუქოდონოსორს, სამეფო, სიდიადე, პატივი და დიდება.

¹⁹ღვთის მიერ ნაბოძები დიდების გამო ყველა ხალხი, ტომი და ენა მის წინაშე ძრწოლასა და შიშს მოეცვა. ვისაც უნდოდა, ჰკლავდა, ვისაც უნდოდა, ცოცხალს ტოვებდა, ვისაც უნდოდა, აღამაღლებდა და ვისაც უნდოდა, დაამდაბლებდა.

²⁰მაგრამ, როდესაც გული აღიმადლა და სული ამპარტავნებით აივსო, სამეფო ტახტიდან ჩამოგდებულ იქნა და პატივაცარიელი.



²¹მოკვეთილ იქნა ადამიანის მეთაგან, გულმხეცი გახდა და კანჯრებთან დაიდო ბინა. ბალახს აჭმევდნენ, როგორც ხარს და მისი ტანი ციური ცვარით ინამებოდა, ვიდრე არ შეიგნო, რომ უზენაესი ხელმწიფებს კაცთა სამეფოზე და, ვისაც უნდა, იმას აძლევს მეფობას.

²²შენ, ბელშაცარმა, მისმა ძემ, გული არ დაიმდაბლე, თუმცა იცოდი ეს ყველაფერი,

²³არამედ აღზევდი ცათა უფლის წინააღმდეგ. შენს წინაშე მოიტანეს მისი ტაძრის თასები და შენ, შენი დიდებულები, შენი ცოლები და ხარჭები იმით სვამდით ღვინოს. ადიდებდი ვერცხლის, ოქროს, ბრინჯაოს, რკინის, ხისა და ქვის ღმერთებს, რომელნიც ვერ ხედავენ, არ ესმით და ვერ აზროვნებენ. ის ღმერთი, რომლის ხელშიც შენი სიცოცხლე და ყოველი შენი გზასავალია, არ განადიდე.

²⁴ამიტომაც მოივლინა მისგან ხელის მტევანი და დაიწერა ეს წარწერა.

²⁵აჰა, წარწერა, რომელიც დაიწერა: მენე, მენე, თეკელ უფარსინ.

²⁶აჰა, ამ სიტყვების მნიშვნელობა: მენე – აღრიცხა ღმერთმა შენი სამეფო და ბოლო მოუღო მას.

²⁷თეკელ – სასწოროზე აიწონე და მსუბუქი აღმოჩნდი.

²⁸ფერეს – გაიყო შენი სამეფო და მიდიელებსა და სპარსელებს გადაეცა იგი.“

²⁹მაშინ ბრძანა მეფე ბელშაცარმა და დანიელს მოწეული ჩააცვეს, კისერზე ოქროს შიბი შეაბეს და გამოაცხადეს, რომ იგი სამეფოში მესამე მთავარი იყო.

³⁰იმავე ღამეს იქნა მოკლული ბელშაცარი, ქალდეველთა მეფე.

³¹და დარიოს მიდიელმა 62 წლისამ მიიღო სამეფო.

დანიელ 6

¹დარიოსმა გადაწყვიტა, თავის სამეფოში 120 სატრაპი დაეყენებინა, რათა მთელს სამეფოში ყოფილიყვნენ.

²მათ კი სამი მთავარი დაუყენა, მათ შორის ერთი დანიელი, რათა სატრაპებს მათთვის ჩაებარებინათ ანგარიში, რომ მეფეს საზრუნავი არ ჰქონოდა.

³მაშინ სხვა მთავრებსა და სატრაპეზზე მეტად გამოირჩა დანიელი, რადგან მასში საკვირველი სული იყო, და მეფე ფიქრობდა მთელი სამეფოს მთავრად დაეყენებინა იგი.



⁴მაშინ მთავრებმა და სატრაპებმა საბაბს დაუწყეს ძებნა, რომ დანიელისთვის სამეფოს მართვის საქმეში ბრალი დაედოთ. მაგრამ რაიმე საბაბისა და შეცოდების პოვნა ვერ მოახერხეს, რადგან ერთგული იყო იგი და რაიმე შეცდომა ან დანაშაული არ აღმოაჩნდა.

⁵მაშინ ამ კაცებმა თქვეს: „დანიელს ვერავითარ ბრალს ვერ ვუპოვნით, მისი საწინააღმდეგო მისივე ღმერთის რჯულში თუ არ ვიპოვეთ.“

⁶მთავრები და სატრაპები საჩქაროდ მიადგნენ მეფეს და უთხრეს: „მეფე დარიოს, იცოცხლე უკუნისამდე!“

⁷სამეფოს ყველა მთავრებმა, მეფისნაცვლებმა, სატრაპებმა, მრჩევლებმა და მხედართმთავრებმა მოითათბირეს, რათა გამოცემულიყო სამეფო დადგენილება და შემოღებულიყო მტკიცე აკრძალვა, რომ ყველა, ვინც კი 30 დღის განმავლობაში რომელიმე ღმერთს ან კაცს, შენს გარდა, მეფეო, რაიმე თხოვნით მიმართავდა, ღომეების ხაროში ჩაეგდოთ.

⁸ახლა კი, მეფეო, დაამტკიცე ეს აკრძალვა და ხელი მოაწერე სიგელს, რომ შეუცვლელი იყოს ეს ბრძანება, მიდიელთა და სპარსელთა კანონისამებრ, რომელთა გაუქმებაც შეუძლებელია.“

⁹ამიტომ ხელი მოაწერა მეფე დარიოსმა ამ ბრძანების სიგელს.

¹⁰როდესაც დანიელმა შეიტყო, რომ ასეთი სიგელი იქნა ხელმოწერილი, შინ წავიდა. მისი ზემოთვალის სარკმლები იერუსალიმის მხარეს იყო გაღებული. დღეში სამჯერ იდრეკდა მუხლს, ლოცულობდა და მადლს სწირავდა თავისი ღმერთის წინაშე, როგორც ამას მანამდეც აკეთებდა.

¹¹მაშინ ამ კაცებმა დაუყარაულებს და წაასწრეს დანიელს, როცა იგი ლოცულობდა და თავისი ღმერთისგან წყალობას ითხოვდა.

¹²შემდეგ ეახლნენ მეფეს და მოახსენეს მისი ბრძანების დარღვევის თაობაზე: „მეფეო, განა შენ არ დაწერე ბრძანება, რომ ყველა ის კაცი, რომელიც 30 დღის განმავლობაში, შენს გარდა, რომელიმე ღმერთს ან კაცს, თხოვნით მიმართავდა, ღომეების ხაროში უნდა ჩაეგდოთ?“ მიუგო მეფემ და უთხრა მათ: „მართალია, სპარსელთა და მიდიელთა კანონის დარღვევა შეუძლებელია.“

¹³მაშინ მიუგეს მათ მეფეს: „მეფეო, დანიელი, იუდადან ტყვედ რომ არის წამოყვანილი, არც შენ გაქცევს ყურადღებას და არც შენს მიერ ხელმოწერილ ბრძანებას; დღეში სამჯერ შესთხოვს თავის ღმერთს.“

¹⁴ეს რომ მეფემ გაიგო, ძალზე შეწუხდა, დანიელის ხსენა ჩაიდო გულში და მზის ჩასვლამდე ცდილობდა როგორმე ეშველა მისთვის.



¹⁵მაშინ ის კაცები მივიდნენ და უთხრეს: „იცოდე, მეფეო, მიდიელთა და სპარსელთა კანონია, რომ მეფის ყოველი აკრძალვა და დადგენილება უცვალებელი უნდა იყოს.“

¹⁶მაშინ ბრძანა მეფემ და მოიყვანეს დანიელი. და მათ ლომების ხაროში ჩააგდეს იგი. მეფემ კი უთხრა დანიელს: „შენმა ღმერთმა, რომელსაც ერთგულად ემსახურები, იმან გიხსნას!“

¹⁷მოიტანეს ლოდი და იმ ხაროს დაადეს თავზე. მეფემ იგი თავისი ბეჭდითა და დიდკაცების ბეჭდებით დაბეჭდა, რათა დანიელის მიმართ არაფერი შეცვლილიყო.

¹⁸მერე თავის სასახლეში წავიდა მეფე. ღამე მარხულმა გაატარა, თავშესაქცევი არ მოუტანიათ მის წინაშე, და ძილიც გაუკრთა.

¹⁹განთიადის ალიონზე ადგა მეფე და ლომების ხაროს მიაშურა.

²⁰ორმოს რომ მიუახლოვდა, ნაღვლიანი ხმით ჩასძახა დანიელს: „დანიელ, ცოცხალი ღმერთის მსახურო, აბა, თუ შეძლო შენი ხსნა ლომებისგან იმ ღმერთმა, მუდამ რომ ემსახურები?“

²¹მაშინ გამოეპასუხა დანიელი მეფეს: „მეფეო, იცოცხლე უკუნისამდე!“

²²ჩემმა ღმერთმა თავისი ანგელოზი მოავლინა, ლომებს პირები აუკრა და მათაც არა მავნეს რა, რადგან ღვთის წინაშეც სუფთა აღმოვჩნდი და შენს წინაშეც ბრალი არა მაქვს, მეფეო.“

²³მაშინ დიდად გაიხარა მეფემ და ბრძანა, დანიელი ხაროდან ამოეყვანათ. ამოიყვანეს დანიელი ხაროდან. არაფერი ვნებოდა, რადგან მას სწამდა თავისი ღმერთისა.

²⁴მეფემ ბრძანა და მოიყვანეს ის კაცები, რომელთაც დანიელი დააბეზღეს, და ლომების ხაროში ჩაყარეს ისინი და მათი შვილები და ცოლები. ჯერ ხაროს ძირამდე არც კი ჩაეღწიათ მათ, რომ ებდღვნენ ლომები და ძვლებიანად დახრეს.

²⁵მაშინ დარიოსმა ყველა ხალხს, ტომს და ენას – მთელი ქვეყნის მკვიდრებს – მისწერა: „მშვიდობა გაგიმრავლდეთ!“

²⁶ბრძანებას ვიძლევი, რომ ჩემი სამეფოს ყველა სამთავროში ძრწოლა და შიში ჰქონდეთ დანიელის ღმერთის წინაშე, რადგან იგი ცოცხალი და მარადმყოფელი ღმერთია, მისი სამეფო შეუმუსრავია და მისი ხელმწიფება – უსასრულო;

²⁷იგი შველის და იხსნის, სასწაულებსა და ნიშნებს ახდენს ცაზე და მიწაზე. მან იხსნა დანიელი ლომებისგან.“



²⁸და წარმატებული იყო დანიელი, როგორც დარიოსის მეფობაში, ასევე კიროს სპარსელის მეფობის დროსაც.

დანიელ 7

¹ბაბილონის მეფის, ბელშაცარის, მეფობის პირველ წელს დანიელმა ნახა სიზმარი და ხილვა თავის სარეცელზე. მაშინ ჩაიწერა მან ეს სიზმარი და გადმოსცა მთავარი აზრი.

²და თქვა დანიელმა: „ღამით ჩემს ხილვაში ვხედავდი, აჰა, ზეცის ოთხი ქარი დიდ ზღვას აწყდებოდა.

³ზღვიდან ოთხი, ერთიმეორისაგან განსხვავებული, ვეება მხეცი ამოვიდა.

⁴პირველი ლომსა ჰგავდა და არწივის ფრთები ჰქონდა. ვუყურებდი, სანამ ფრთები დააწყდებოდა. იგი წამოყენებულ იქნა მიწიდან, ფეხზე დადგა კაცივით და კაცისავე გული მიეცა.

⁵აჰა, სხვა მეორე მხეცი, დათვის მსგავსი. იდგა პირველის გვერდით და სამი ნეკნი ეჭირა კბილებით. მას უთხრეს: ‘ადექ, ჭამე ბევრი ხორცი!’

⁶ამის შემდეგ ვიხილე ჩემს ღამეულ ხილვაში ავაზას მსგავსი მხეცი, ზურგზე ოთხი ფრთა ჰქონდა, ფრინველისა. ოთხი თავი ჰქონდა ამ მხეცს და ხელმწიფება მიეცა მას.

⁷ამის შემდეგ ვიხილე ჩემს ღამეულ ხილვაში მეოთხე მხეცი, საშინელი, საზარელი და ძალზე ღონიერი; რკინის ვეება კბილები ჰქონდა. იგი ნთქავდა, მუსრავდა და ნარჩენებს ფეხით თელავდა. გამოირჩეოდა ყველა წინამორბედი მხეცისგან და ათი რქა ჰქონდა.

⁸მე ვაკვირდებოდი ამ რქებს და, აჰა, მათ შორის კიდევ ერთი მომცრო რქა ამოვიდა და სამი პირვანდელი რქა ძირიანად ამოვარდა მის წინაშე. და, აჰა, ამ რქას თვალები კაცის მსგავსი ჰქონდა და პირი – ამპარტავნულად მოლაპარაკე.

⁹ვიხილე, რომ ტახტრევნები დაიდგა და დაჯდა დღეებით ძველი. მისი სამოსელი თოვლივით სპეტაკი იყო და მისი თმები – მატყლივით სუფთა. მისი ტახტი ცეცხლის ალი იყო, მისი ეტლის ბორბლები – მოგიზგიზე ცეცხლი.

¹⁰მოედინებოდა ცეცხლის მდინარე და მის წინიდან გამოდიოდა. 1000 ათასეული ემსახურებოდა მას და 10 ათასეული იდგა მის წინაშე. დასხდა სამსჯავრო და გადაიშალა წიგნები.



- ¹¹მაშინ ვიხილე: იმ ამპარტავნული სიტყვების გამო, რქა რომ ამბობდა, ჩემს თვალწინ, მოკლულ იქნა ის მხეცი; მისი გვამი კი შეიმუსრა და ცეცხლს მიეცა დასაწველად.
- ¹²დანარჩენ მხეცებს წაერთვათ ძალაუფლება, მაგრამ მათ მიეცათ დრო და ჟამი, თუ ვის რამდენი უნდა ეცოცხლა.
- ¹³ვიხილე ჩემს ღამეულ ხილვაში, აჰა, დავინახე, ცის ღრუბლებზე მოდიოდა ადამიანის ძის მსგავსი; იგი დღეებით ძველთან მოვიდა და წარდგენილ იქნა მის წინაშე.
- ¹⁴მიეცა მას ხელმწიფება, დიდება და მეფობა, რათა ყველა ხალხები, ტომები და ენები ემსახურონ. მისი ხელმწიფება საუკუნო ხელმწიფებაა, რომელიც არ გადაივლის და მისი სამეფო არ დაიქცევა.
- ¹⁵მე, დანიელს, შემიწუხდა სული სხეულში და ჩემმა ხილვებმა შემაშფოთეს.
- ¹⁶მივუახლოვდი ერთ იქ მდგომთაგანს და ვკითხე ყოველივე ამის ნამდვილი მნიშვნელობა. მითხრა მან და გამაგებინა ყოველივეს მნიშვნელობა:
- ¹⁷‘ის ოთხი ვეება მხეცი ოთხი მეფეა, რომლებიც მიწიდან აღდგებიან.
- ¹⁸შემდეგ მიიღებენ უზენაესის წმიდა სამეფოს და დაეუფლებიან მას სამუდამოდ, უკუნითი უკუნისამდე.’
- ¹⁹მაშინ მოვიწადინე სინამდვილის გაგება იმ მეოთხე მხეცზე, რომელიც ყველასგან გამორჩეული და მეტად საზარელი იყო თავისი რკინის კბილებითა და ბრიჯაოს ბრჭყალებით, რომელიც ნთქავდა, მუსრავდა და ნარჩენებს ფეხით თელავდა.
- ²⁰და იმ ათ რქაზე, თავზე რომ ჰქონდა, და იმ სხვა რქაზე, რომელიც ამოუვიდა და, რომლის წინაშეც სამი რქა ამოვარდა; ამ რქას ჰქონდა თვალები და პირი ამპარტავნულად მოლაპარაკე, და რომელიც უფრო დიდი იყო, ვიდრე სხვები.
- ²¹ვიხილე ეს რქა, წმიდებს რომ ებრძოდა და მანამდე ჯაბნიდა მათ,
- ²²სანამ დღეებით ძველი მოვიდოდა. მაშინ ეს სამსჯავრო უზენაესის წმიდებს გადაეცა. მაშინ დადგა ის ჟამი, როდესაც სამეფოს წმიდები დაეუფლნენ.
- ²³და მან ასე თქვა: ‘მეოთხე მხეცი მეოთხე სამეფო იქნება ქვეყნად. გამორჩეული იქნება ყველა სამეფოსგან და გადაჭამს მთელ ქვეყანას, გაქელავს და შემუსრავს მას.



²⁴ხოლო ათი რქა ეს არის ათი მეფე, რომლებიც ამ სამეფოდან აღდგებიან. მათ შემდეგ სხვა აღდგება. იგი განსხვავებული იქნება პირველთაგან და სამ მეფეს დაამდაბლებს.

²⁵უზენაესის წინააღმდეგ სიტყვებს იტყვის და უზენაესის წმიდებს შეავიწროვებს. განიზრახავს დროთა და რჯულის შეცვლას. ისინი ხელში მიეცემიან მას დროის, ორი დროისა და ნახევარი დროის მანძილზე.

²⁶შემდეგ დასხდება სამსჯავრო და წაართმევს მას ხელმწიფებას, მის ბოლომდე მოსასპობად და დასაღუპად.

²⁷მეფობა, ხელმწიფება და ცისქვეშეთის ყველა სამეფოს დიდება უზენაესის წმიდების ერს მიეცემა. მისი სამეფო საუკუნო სამეფო იქნება და ყველა ხელმწიფე მას მოემსახურება და მას დაემორჩილება.’

²⁸აქ არის სიტყვის დასასრული. მე, დანიელი, ჩემმა ფიქრებმა ძალზე შემაშფოთეს და სახეზე ფერი მეცვალა, მაგრამ ეს ამბავი გულში დავიმარხე.“

დანიელ 8

¹მეფე ბელშაცარის მეფობის მესამე წელს მე, დანიელს, კვლავ მქონდა ხილვა, მის მერე, პირველად რომ მეჩვენა.

²ვხედავდი ხილვაში და, როცა ვხედავდი, სატახტო ქალაქ შუშანში ვიყავი, ყელამის ქვეყანაში რომ არის. დავინახე ხილვაში, რომ მდინარე ულაის პირას ვიდექი.

³თვალები ავახილე და დავინახე: აჰა, მდინარის პირას ერთი ვერძი დგას, ორი რქა აქვს, ორთავე გრძელი. ერთი რქა მეორეზე გრძელია, და ის გრძელი უფრო გვიან ამოუვიდა.

⁴დავინახე, ეს ვერძი ირქინებოდა დასავლეთისკენ, ჩრდილოეთისკენ, სამხრეთისკენ. წინ ვერცერთი მხეცი ვერ უდგებოდა და ვერც ვერავინ ახერხებდა მისგან თავდახსნას. რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა და იზრდებოდა.

⁵როდესაც მე ამას ვუკვირდებოდი, აჰა, დასავლეთიდან ერთი ვაცი მოდიოდა, მთელი დედამიწის ზურგზე გამოექანა, მიწას ფეხს არ აკარებდა; ვაცს თვალებს შუა საჩინო რქა ჰქონდა.

⁶მოვიდა იგი იმ ორრქიან ვერძთან, მდინარის პირას მდგომი რომ ვნახე, და მთელი თავისი ძალის რისხვით მივარდა მას.



⁷დავინახე, იგი მიუახლოვდა ვერძს, რისხვა აეშალა მასზე, დაეტაკა და ორთავე რქა მოსტეხა. ძალა არ ეყო ერკემალს+, რომ წინ აღდგომოდა. მან მიწას დაანარცხა იგი და გაქელა, და არავინ იყო ერკემლის მხსნელი მისგან.

⁸მაშინ ძალზე განდიდდა ვაცი. როდესაც გაძლიერდა, მოსტყდა მას დიდი რქა და მის ადგილას ოთხი სხვა რქა ამოუვიდა ზეცის ოთხი ქარის მიმართულებით.

⁹ერთ იმათგანზე სხვა მომცრო რქა ამოუვიდა, რომელიც მეტისმეტად გაიზარდა სამხრეთის, აღმოსავლეთისა და მშვენიერი ქვეყნის მიმართულებით.

¹⁰იგი ცის მხედრობამდე გაიზარდა, მიწაზე დასცა მხედრობისა და ვარსკვლავების ნაწილი და გაქელა ისინი.

¹¹იგი ამ მხედრობის მთავრამდე გაიზარდა და წაერთვა მთავარს მუდმივი მსხვერპლი და დამხობილ იქნა მისი საწმიდრის ადგილი.

¹²მხედრობა მიცემულ იქნა მუდმივ მსხვერპლთან ერთად დანაშაულის გამო და მან მიწაზე დაამხო ჭეშმარიტება და მოქმედებდა და წარემართებოდა.

¹³გავიგონე, ერთი წმიდა ლაპარაკობდა. უთხრა ამ ერთმა წმიდამ ვილაცას, რომელიც ლაპარაკობდა: „როდემდე გასტანს ეს ხილვა მუდმივ მსხვერპლზე და გატიალების დანაშაულზე, საწმიდარზე და მხედრობაზე, რომელიც უნდა გაიქელოს?“

¹⁴მითხრა: „2300 სადამოსა და დილას გასტანს და ამის შემდეგ აღდგება საწმიდარი.“

¹⁵როცა მე, დანიელმა, ვნახე ეს ხილვა და ვცდილობდი მის გაგებას, აჰა, ჩემს წინ ვილაც იდგა, კაცის იერის მქონე.

¹⁶და შემომესმა კაცის ხმა შუა ულაიდან . დაიძახა მან და თქვა: „გაბრიელ, აუხსენი მაგას ეგ ხილვა!“

¹⁷და მოვიდა იმ ადგილას, სადაც მე ვიდექი. მისი მოსვლისთანავე თავზარი დამეცა და პირქვე დავემხე. მითხრა: „იცოდე, ადამის ძეო, რომ ეს ხილვა აღსასრულის ჟამს შეეხება.“

¹⁸რომ მელაპარაკებოდა, გაოგნება დამეცა მიწაზე პირქვე გართხმულს. მაშინ ის შემეხო და ჩემს ადგილას დამაყენა.

¹⁹და მითხრა: „აჰა, მე გაუწყებ, რაც მოხდება რისხვის დასასრულს, რადგან ეს აღსასრულის დათქმულ ჟამს შეეხება.“

²⁰ორრქიანი ვერძი რომ ნახე, ეს მიდიისა და სპარსეთის მეფეები არიან,



²¹ხოლო ის ვაცი საბერძნეთის მეფეა; თვალებს შუა ამოსული დიდი რქა მისი პირველი მეფეა.

²²ის რქა მოტყდა და მის ნაცვლად ოთხი ამოუვიდა – ოთხი სამეფო აღდგება მისი ხალხიდან, მაგრამ მათ მისი მსგავსი ძალა არ ექნებათ.

²³მათი სამეფოს აღსასრულისას, როდესაც დამნაშავენი თავისას აღასრულებენ, აღდგება ურცხვინო და ორპირობაში გაწაფული მეფე.

²⁴განმტკიცდება მისი ძლიერება, ოღონდ არა მისი საკუთარი ძალით. უდაბნოებად აქცევს ქვეყნებს და წარემართება და იმოქმედებს, და გაანადგურებს ძლიერებს და წმიდა ერს.

²⁵და გარდა თავისი ჭკუისა და მზაკვრობისა, წარმატებაც ექნება ხელთ. გულზვიადი გახდება და ქვეყანაზე მრავალს დაღუპავს. წინ აღუდგება მაღალ ღმერთს, მაგრამ შეიმუხრება, ოღონდ არა კაცთა ხელით.

²⁶ხოლო მწუხრისა და დილის ხილვა, რომელიც შენ იხილე, ჭეშმარიტია. მაგრამ დამალე ეს ხილვა, რადგან დიდი დროა მის ახდენამდე.“

²⁷და მე, დანიელი, დავუძღურდი და რამდენიმე დღე ავად ვიყავი; მერე ავდექი და მეფის საქმეებს შევუდექი; გაოცებული ვიყავი ამ ხილვით, მაგრამ ვერაფერს ვხვდებოდი.

დანიელ 9

¹პირველ წელს, დარიოს ახაშვეროშის ძის მეფობისა, მოდგმით მიდიელისა, რომელიც ქალდეველთა სამეფოზე გამეფდა,

²სწორედ მისი მეფობის იმ პირველ წელს მე, დანიელმა, წიგნებით გავიგე იმ წლების რიცხვი, რომელთა შესახებაც იყო უფლის სიტყვა იერემია წინასწარმეტყველისადმი, რომ 70 წელიწადი შეუსრულდებოდა იერუსალიმის ნანგრევებს.

³პირი ვიბრუნე უფალი ღმერთისაკენ, რათა პასუხი მიმეღო ლოცვით და ვედრებით, მარხვით, ჯვალთი და მიწა-მტკრის დაყრით.

⁴ვილოცე ჩემი უფალი ღმერთის მიმართ, ვაღიარე და ვუთხარი: „ჰოი, უფალო ჩემო, ღმერთო დიდებულო და მრისხანეო, რომელიც უნახავ აღთქმასა და წყალობას შენს მოყვარულებს და შენი მცნებების დამცველთ!

⁵ჩვენ შევცოდეთ და უკეთურება ჩავიდინეთ; ურჯულოდ ვიქცეოდით; გავჯიუტდით და გადავუხვიეთ შენს მცნებებსა და წესებს.



⁶ყურს არ ვუგდებდით შენს მსახურებს – წინასწარმეტყველთ, რომლებიც შენი სახელით ელაპარაკებოდნენ ჩვენს მეფეებს, ჩვენს მთავრებს, ჩვენს მამებსა და მთელი ქვეყნის ხალხს.

⁷უფალო, შენა ხარ მართალი, ხოლო ჩვენ – სახე შერცხვენილნი, დღეს, – იუდას კაცი, იერუსალიმის მკვიდრნი, მთელი ისრაელი, ახლობლები და შორეულები ყველა იმ ქვეყანაში, სადაც შენ განდევნე იმ სიმუხთლის გამო, რომლითაც შენ გიმუხთლეს.

⁸უფალო, სირცხვილი გვაწერია სახეზე, ჩვენს მეფეებს, ჩვენს მთავრებსა და ჩვენს მამებს, რადგან შეგცოდეთ შენ,

⁹ჩვენს უფალსა და ჩვენს ღმერთს; შეწყალებასა შენსა და პატიებასა შენსა განვუდექით

¹⁰და ყურს არ ვუგდებდით უფლის, ჩვენი ღმერთის, ხმას, რათა გვევლო მისი რჯულებებით, თავისი მსახურების – წინასწარმეტყველების – ხელით რომ დაგვიდო წინ.

¹¹მთელი ისრაელი გადავიდა შენი რჯულიდან და გადაუხვია, რათა შენი ხმა არ მოესმინა. ამიტომაც გადმოინთხა ჩვენზე ის წყევლა და ფიცი, რომელიც ღვთის მსახურის, მოსეს, რჯულში სწერია, რადგან შეგცოდეთ მას.

¹²შეასრულა მან თავისი სიტყვა, რომელიც ნათქვამი ჰქონდა ჩვენი და ჩვენი მსაჯულების წინააღმდეგ, სამართალს რომ გვიდგენდნენ, და თავს დიდი უბედურება დაგვატეხა. მთელს ცისქვეშეთში იმის მსგავსი არაფერი მომხდარა, რაც იერუსალიმში მოხდა.

¹³როგორც მოსეს რჯულში სწერია, ყველა ეს უბედურება დაგვატყდა თავს; მაგრამ ჩვენ მაინც არ შევევდრეთ უფალს, ჩვენს ღმერთს, რათა მიგვეტოვებინა ჩვენი უკეთურება და შენი ჭეშმარიტება შეგვეგნო.

¹⁴ამიტომაც დაგვატეხა თავს უფალმა ეს უბედურება. რადგან მართალია უფალი, ჩვენი ღმერთი, ყველა მის საქმეში, მაგრამ ჩვენ ყურს არ ვუგდებდით მის ხმას.

¹⁵ახლა კი, უფალო, ღმერთო ჩვენო, რომელმაც შენი მტკიცე მარჯვენით გამოიყვანე შენი ერი ეგვიპტის ქვეყნიდან და სახელი მოიხვეჭე, დღეს რომ გაქვს! შევცოდეთ ჩვენ და უკეთურება ჩავიდინეთ.

¹⁶უფალო, მთელი შენი სიმართლით გაერიდოს შენი რისხვა და წყრომა შენს ქალაქს – იერუსალიმს, შენს წმიდა მთას; რადგან ჩვენი ცოდვებისა და ჩვენი მამების უკეთურების გამო არის იერუსალიმი და შენი ერი შეგინებული ყველა ჩვენს ირგვლივმოფთავან.



¹⁷ახლა კი, ჩვენო ღმერთო, ისმინე შენი მსახურის ლოცვა-ვედრება და შენი გულისთვის მოაპყარ შენი ნათელი სახე შენს გაპარტახებულ საწმიდარს, უფალო.

¹⁸ღმერთო ჩემო, ყური მომაპყარ და ისმინე, აახილე თვალი და მოხედე ჩვენს ნანგრევებსა და ქალაქს, შენი სახელი რომ ეწოდება. რადგან ჩვენი სიმართლის გამო კი არ მოგვაქვს შენს წინაშე ჩვენი სავედრებელი, არამედ შენი დიდი მოწყალების გამო.

¹⁹უფალო, ისმინე! უფალო, გვაპატიე! უფალო, ყური მოგვაპყარ და იმოქმედე, და ნუ დააყოვნებ, შენი გულისთვის, ღმერთო ჩემო! რადგან შენი სახელი ეწოდება შენს ქალაქს და შენს ერს.“

²⁰ჯერ კიდევ ვლაპარაკობდი და ვლოცულობდი და ვადიარებდი ჩემი და ჩემი ერის, ისრაელის, ცოდვებს და მიმქონდა ჩემი სავედრებელი უფლის, ჩემი ღმერთის, წინაშე, ჩემი ღმერთის წმიდა მთაზე,

²¹ჯერ კიდევ ლოცვაში ვლაპარაკობდი, რომ გაბრიელი, ის კაცი წინა ხილვაში რომ მყავდა ნანახი, სწრაფი ფრენით მომიახლოვდა სალამოს მსხვერპლშეწირვისას.

²²შემაგონა, მელაპარაკა და მითხრა: „დანიელ! ახლა გამოვედი, რომ ჭკუა დაგარიგო.

²³შენი ვედრების დასაწყისში სიტყვა გამოვიდა და მე მოვედი, რომ შეგატყობინო, რადგან შენ სასურველი კაცი ხარ. გაიგე ეს სიტყვა და მიხვდი ხილვას.

²⁴შენი ერისთვის და შენი წმიდა ქალაქისთვის 70 შვიდეულია დადგენილი, რათა აღიკვეთოს დანაშაული, რათა ბოლო მოეღოს ცოდვებს, რათა შენდობილ იქნას უკეთურება, რათა დამყარდეს საუკუნო სამართლიანობა, რათა დაიბეჭდოს ხილვა და წინასწარმეტყველება და რათა ცხებულ იქნას წმიდათა წმიდა.

²⁵ოღონდ იცოდე და შეიგნე: იერუსალიმის აღდგენისა და აშენების ბრძანების გამოსვლიდან ცხებული მეფის მოსვლამდე, იქნება შვიდი შვიდეული. და 62 შვიდეულში აღდგება და აშენდება უბნები და ზღუდე, ოღონდ ძნელბედობის ჟამს.

²⁶62 შვიდეულის შემდეგ მოიკვეთება ცხებული და აღარავინ იქნება მასთან. ქალაქსა და საწმიდარს დაანგრევს მომავალი მბრძანებლის ხალხი, და მისი აღსასრული წარღვნასავით მოვა, და ომის ბოლომდე გაპარტახდება ყოველივე.



²⁷მრავალთათვის განამტკიცებს აღთქმას ერთ შვიდეულში, ხოლო ნახევარ შვიდეულში გააუქმებს მსხვერპლსა და ძღვენს. და ამ ადგილზე იქნება მოოხრების სისაძაგლე, და წინასწარ განსაზღვრული დაღუპვა ეწევა ამოოხრებელს.“

დანიელ 10

¹სპარსეთის მეფე კიროსის ხელმწიფების მესამე წელს გამოცხადება ჰქონდა დანიელს, ბელტეშაცარად წოდებულს. ჭეშმარიტი იყო ეს გამოცხადება და დიდი ძალის მქონე. მან გაიგო ეს გამოცხადება და მიხვდა ამ ხილვას.

²იმ დღეებში მე, დანიელი, სამი შვიდეულის მანძილზე მგლოვიარე ვიყავი.

³გემრიელი პური არ მიჭამია; ხორცი და ღვინო პირში არ ჩამიშვია, და ნელსაცხებელი არ მიმიკარებია, ვიდრე სამი შვიდეული არ დასრულდა.

⁴პირველი თვის ოცდამეოთხე დღეს, დიდი მდინარის, ტიგროსის, პირას ვიყავი,

⁵თვალი ავახილე და დავინახე: აჰა, სელით შემოსილი კაცი დგას, წელი უფაზის ოქროთი აქვს შემოსარტყლული.

⁶ტანი ქრიზოლითს მიუგავდა, სახე – ელვას, თვალები – ანთებულ ლამპრებს, მკლავები და წვივები – მზინვარე ბრინჯაოს, სიტყვის ბგერადობა – ბევრი ხალხის გუგუნს.

⁷მხოლოდ მე, დანიელმა, ვიხილე ეს ხილვა, ხოლო მათ, ვინც ჩემთან იყვნენ, ვერ დაინახეს ეს ხილვა, დიდი შიში დაეცა მათ და დასამალად გაიქცნენ.

⁸მე მარტო დავრჩი და ვუყურებდი ამ დიად ხილვას, ღონე აღარ შემრჩა, სახე გამიხურდა და სიმხნევე დავკარგე.

⁹მისი სიტყვების ბგერადობა შემომესმა და მისი სიტყვების ბგერადობის გაგონებისთანავე გაოგნებული დავემხე და მიწაზე ვეგდე პირქვე.

¹⁰და, აჰა, ხელი შემეხო და წამომაყენა მუხლებზე და ხელის გულეზე.

¹¹და მითხრა მან: „დანიელ, სასურველო კაცო! ჩასწვდი ამ სიტყვებს, მე რომ გეტყვი, და მუხლებში გაიმართე, რადგან შენთანა ვარ ახლა მოვლენილი.“ როცა ეს სიტყვები მითხრა, აცახცახებული წამოვდექი.

¹²მითხრა: „ნუ გეშინია, დანიელ! რადგან პირველივე დღიდან, რაც შენი გული გონიერებასა და შენი ღვთის მორჩილებას მიეცე, შესმენილია შენი სიტყვები, და მეც შენი სიტყვების გამო მოვედი.



¹³სპარსეთის სამეფოს მთავარი 21 დღე მეწინააღმდეგეობდა; და, აჰა, ჩემს საშველად მოვიდა მიქაელი, ერთ-ერთი პირველ მთავართაგანი, და მე იქ დავრჩი სპარსეთის მეფეებთან.

¹⁴ახლა კი მოვედი, რომ გაგაგებინო, თუ რა ბედი ეწევა შენს ერს უკანასკნელ დღეებში, რადგან ეს ხილვაც იმ შორეულ დღეებს შეეხება.“

¹⁵როცა ამ სიტყვებს მეუბნებოდა, მიწაზე პირქვე დავემხე და დავმუნჯდი.

¹⁶და, აჰა, ადამიანის ძის მსგავსი, შეეხო ჩემს ბაგეს, და მე გავხსენი ბაგე და ავლაპარაკდი და ვუთხარი ჩემს წინ მდგომს: „ჩემო ბატონო! ამ ხილვისგან ტკივილებმა დამიარეს ნაწლავებში, და ძალი ვეღარ მოვიკრიბე.

¹⁷როგორ შეუძლია ჩემი ბატონის მსახურს ელაპარაკოს ჩემს ასეთ ბატონს? რადგან აღარც ძალი შემრჩა და სუნთქვაც შემეკრა.”

¹⁸მაშინ კვლავ შემეხო კაცის იერის მქონე და გამამაგრა

¹⁹და მითხრა: „ნუ გეშინია, სასურველო კაცო! მშვიდობა შენდა; გამაგრდი, გამაგრდი!“ როცა მელაპარაკებოდა, გავმაგრდი და ვუთხარი: „ილაპარაკე, ჩემო ბატონო, რადგან შენ გამამაგრე.“

²⁰მითხრა: „თუ იცი, რისთვის მოვედი შენთან? ახლა სპარსეთის მთავართან საომრად უნდა გავბრუნდე, და, როცა მე გავალ, აჰა, მაშინ მოვა იავანის მთავარი.

²¹მაგრამ მე გაუწყებ ჭეშმარიტების წიგნში დაწერილს: არავინა მყავს, ვინც მომეხმარებოდა მათ წინააღმდეგ, გარდა მიქაელისა, თქვენი მთავრისა.“

დანიელ 11

¹დარიოს მიდიელის პირველ წელს მე შემწედ და საყრდენად დავუდექი მას.

²„ახლა ჭეშმარიტებას გეტყვი: აჰა, სპარსეთში კიდევ სამი მეფე დადგება. მეოთხე კი ყველას გადააჭარბებს დიდძალი სიმდიდრით და, როდესაც თავისი სიმდიდრით გაძლიერდება, ყველას იავანის სამეფოს წინააღმდეგ აამხედრებს.

³აღდგება იქ ძლიერი მეფე, დიდი ძალაუფლებით იხელმწიფებს და, რასაც მოისურვებს, იმას გააკეთებს.

⁴მაგრამ როცა ის აღდგება, შეიმუსრება მისი სამეფო და ზეცის ოთხ ქარს გაუნაწილდება, მაგრამ არა მის შთამომავლებს, და არც იმ ხელმწიფეებით, რომლითაც ხელმწიფებდა; რადგან დაქუცმაცდება მისი სამეფო და სხვების გახდება, და არა მათი.



⁵გაძლიერდება სამხრეთის მეფე, მაგრამ მასზე მეტად გაძლიერდება ერთ-ერთი მისი მთავართაგანი და ხელმწიფებას მოიხვეჭს. მისი ხელმწიფება დიდი ხელმწიფება იქნება.

⁶წლების მერე ისინი კავშირს შეკრავენ, და სამხრეთის მეფის ასული ჩრდილოეთის მეფესთან მივა წრფელი პირობის შესაკვრელად, მაგრამ ასული ვერ შეინარჩუნებს თავისი მკლავის ძალას და ვერც მეფე და მისი მოდგმა გაძლებს, და გადასცემენ მას თავისი ამალით, თავისი შვილებითა და თავისი შემწითურთ იმ ხანებში.

⁷მისი ფესვიდან მორჩი ამოვა, გამოილაშქრებს ჯარის წინააღმდეგ, ჩრდილოეთის მეფის ციხესიმაგრეში შეიჭრება, გაუსწორდება მათ და გაძლიერდება.

⁸თვით მათ ღმერთებს, მათ კერპებს, ძვირფას ჭურჭელს – ოქრო-ვერცხლისას წაიღებს ეგვიპტეში, და წლობით ამაღლდება ჩრდილოეთის მეფეზე.

⁹ის გაილაშქრებს სამხრეთის სამეფოზე, მაგრამ უკანვე დაბრუნდება თავის ქვეყანაში.

¹⁰მისი ვაჟები იარაღს აისხამენ და დიდ ურდოს შეყრიან; და ერთ-ერთი მათგანი წარღვნასავით წამოვა და გადაივლის. მერე შემოიბრუნდება და შეებრძოლება მის ციხესიმაგრემდე.

¹¹გამძვინვარდება სამხრეთის მეფე და გამოვა და შეებრძოლება ჩრდილოეთის მეფეს. იგი დიდ ურდოს გამოიყვანს, მაგრამ ეს ურდო ხელში ჩაუვარდება მის მოწინააღმდეგეს.

¹²და გამხნევდება ურდო და აღზევდება მეფე, 10 ათასებს დასცემს, მაგრამ ამით ვერ გაძლიერდება.

¹³რადგან ჩრდილოეთის მეფე დაბრუნდება და პირვანდელზე დიდ ურდოს შეყრის, და რამდენიმე წლის შემდეგ მოვა დიდი ურდოთი და კარგად შეიარაღებული.

¹⁴იმ ხანებში მრავალნი აღუდგებიან სამხრეთის მეფეს და მეამბოხენი წამოიძმართებიან შენი ხალხიდან, რათა აღსრულდეს ხილვა, მაგრამ დაეცემიან ისინი.

¹⁵მოვა ჩრდილოეთის მეფე, მიწაყრილებს მოაწყობს და გამაგრებულ ქალაქს დაიპყრობს. სამხრეთის ძალები ვერ გაუწევენ წინააღმდეგობას და ვერც რჩეული მხედრობა; აღარ იქნება ძალა წინააღმდეგობისთვის.



¹⁶მის წინააღმდეგ გამოსული მასვე დაემორჩილება და წინ ვერავინ აღუდგება. იგი მშვენიერ ქვეყანაში დასცემს თავის ბანაკს და მის ხელთ იქნება იმ ქვეყნის დაღუპვა.

¹⁷განიზრახავს, რომ გაილაშქროს მთელი თავისი სამეფოს ძლიერებით და თავისი მთავრებითურთ სამხრეთის სამეფოს წინააღმდეგ, და ამ განზრახვას შეასრულებს კიდეც; და თავის ასულს ცოლად მისცემს მას, რათა დაღუპოს, მაგრამ ეს განზრახვა არ აღსრულდება, და ვერც ვერაფერს ისარგებლებს აქედან.

¹⁸პირს კუნძულებისკენ იბრუნებს და მრავალს დაიპყრობს; მაგრამ ერთი მთავარი აღკვეთს მისგან შერცხვენას, და მისგან შერცხვენას მასვე შეაჭმევს.

¹⁹ამის შემდეგ თავისი ქვეყნის ციხესიმაგრეებისაკენ იბრუნებს პირს, მაგრამ წაიფორხილებს, დაეცემა და ველარსად იპოვიან.

²⁰მის ნაცვლად სხვა დადგება, რომელიც გზირებს დაგზავნის, რომ მეფეს პატივი მიაგონ; მაგრამ ის რამდენიმე დღეში დაიღუპება, რისხვისა და ბრძოლის გარეშე.

²¹მის ნაცვლად სამუღველი კაცი დადგება, რომელსაც სამეფო პატივს არ მიაგებენ. იგი უჩუმრად შემოიპარება და მზაკვრობით დაეუფლება სამეფოს.

²²წამლეკავი ურდოები წაილეკებიან და შეიმუსრებიან მის მიერ, და თვით აღთქმის მთავარიც .

²³რადგან მასთან კავშირის შეკვრის შემდეგ, მზაკვრულად იმოქმედებს, აღზევდება და გაძლიერდება ერთი მუჭა ხალხის შემწეობით.

²⁴ქვეყნის მშვიდსა და ნაყოფიერ მხარეებში შეიჭრება და ისეთ რამეს ჩაიდენს, რაც არც მის მამებს და არც მის მამის მამებს ჩაუდენიათ; ნაალაფარს და ნაძარცვ დოვლათს გაუნაწილებს თავისიანებს, ციხესიმაგრეებისკენ ექნება ზრახვები, მაგრამ ეს გაგრძელდება გარკვეულ დრომდე.

²⁵აღძრავს თავის ძალასა და გულს სამხრეთის მეფის წინააღმდეგ დიდძალი ურდოთი; სამხრეთის მეფეც დიდძალი და მეტისმეტად ძლიერი ლაშქრით გამოვა საომრად, მაგრამ მას ვერ გაუძლებს, რადგან მის წინააღმდეგ ვერაგობას ექნება ადგილი.

²⁶მისი თანამეინახენი დაღუპავენ მას. განადგურდება მისი ლაშქარი და მრავალი მოკლული დაეცემა.

²⁷ორთავე მეფეს გულში მზაკვრობა ექნება. სიცრუეს ილაპარაკებენ ერთ სუფრაზე, მაგრამ ვერ წარემართებათ, რადგან აღსასრული კვლავ მოსასვლელია დათქმულ ჟამამდე.



²⁸დიდძალი დოვლათით გაბრუნდება ის თავის ქვეყანაში, მაგრამ გული წმიდა აღთქმის წინააღმდეგ ექნება მიმართული. შეასრულებს მას და თავის ქვეყანაში დაბრუნდება.

²⁹დათქმულ ჟამს დაბრუნდება და მოვა სამხრეთში, მაგრამ პირვანდელივით არ იქნება ეს უკანასკნელი ლაშქრობა.

³⁰ქითიმის ხომალდები წამოვლენ მის წინააღმდეგ, და დაფრთხება იგი და უკან გაბრუნდება, და გაშმაგდება წმიდა აღთქმაზე, და აღასრულებს თავის განზრახვას, და კვლავ შეეკვრება წმიდა აღთქმისგან განდგომილთ.

³¹და წამოვა მისი ურდოების ნაწილი და შებილწავენ ძლიერების საწმიდარს, და გააუქმებენ ყოველდღიურ მსხვერპლს, და გატიალების სიბილწეს დაამყარებენ.

³²აღთქმის მიმართ უკეთურად მოქმედთ მზაკვრობით მიიმხრობს; თავისი ღმერთის მცოდნე ხალხი კი მტკიცედ დადგება და იმოქმედებს.

³³გონიერი ხალხი კი მრავალთ მოიყვანენ გონთ, თუმცა კი ერთხანს ევნებიან მახვილით, ცეცხლით, ტყვეობითა და ძარცვით;

³⁴დევნულობისას მცირეოდენ შეწევნას მიიღებენ, და მრავალნი შეუერთდებიან მათ, თუმცა კი თვალთმაქცურად.

³⁵ზოგიერთი გონიერი დაეცემა, რათა გამოიცადოს, განიწმიდოს და განსპეტაკდეს უკანასკნელ ჟამებამდე, რადგან ჯერ კიდევ არის დრო დათქმულ ვადამდე.

³⁶თავის ნებაზე მოიქცევა ის მეფე, თავს აღიზევებს და განიდიდებს ყველა ღმერთზე მაღლა და საშინელებებს ილაპარაკებს ღმერთთა ღმერთზე, და წარმატებული იქნება, ვიდრე დადგებოდეს რისხვის ჟამი, რადგან რაც განისაზღვრა, აღსრულდება.

³⁷იგი არც მამების ღმერთებს ჩააგდებს რამედ, არც ქალთა სანუკვარს და არც ყველა სხვა ღმერთს მიაგებს პატივს, რადგან ყველა მათზე განიდიდებს თავს.

³⁸სამაგიეროდ ციხესიმაგრეთა ღმერთს განადიდებს, ღმერთს, რომელსაც მისი მამები არ იცნობდნენ, ოქრო-ვერცხლით, ძვირფასი ქვებითა და სხვა ძვირფასეულობით განადიდებს.

³⁹და აუგებს მტკიცე ციხესიმაგრეებს უცხო ღმერთს, რომელიც მის ამლიარებელთ პატივს გაუმრავლებს, და ხელმწიფებას მისცემს მრავალზე და მიწებს დაურიგებს ჯილდოდ.



⁴⁰აღსასრულის ჟამს სამხრეთის მეფე შეებმება მას და ქარტხილივით ეკვეთება ჩრდილოეთის მეფე ეტლებით, მხედრებითა და უამრავი ხომალდებით, დააცხრება მხარეებს, წალეკავს და გადაუვლის.

⁴¹შევა უმშვენიერეს ქვეყანაში, და მრავალი მხარე დაეცემა, და მის ხელს გადაურჩება ედომი, მოაბი და ყამონელთა დიდი ნაწილი.

⁴²ხელს მოუღერებს ქვეყნებს და ეგვიპტის ქვეყანაც კი ვერ გადარჩება.

⁴³დაეპატრონება იგი ეგვიპტის ოქრო-ვერცხლის საგანძურებსა და ყველა სხვა ძვირფასეულობას; ლიბიელნი და ქუშელნი.

⁴⁴მაგრამ აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მოსული ხმები შეაწუხებენ მას და დიდი რისხვით გამოვა მრავალთა გასაწყვეტად და გასაჟლეტად.

⁴⁵დასცემს თავის სეფე-კარვებს ზღვასა და მშვენიერ წმიდა მთას შორის. მერე მიატანს თავის აღსასრულამდე და ვედარავინ უშველის მას.“

დანიელ 12

¹„იმ დროს აღდგება მიქაელი, დიდი მთავარი, შენი ხალხის ძეთა მფარველად მდგომი; და ისეთი ვაების დრო მოვა, კაცის გაჩენიდან დღემდე რომ არ ყოფილა; იმ დროს შენი ხალხიდან ყველა გადარჩება, ვინც კი წიგნში იქნება ჩაწერილი.

²და მრავალი მიწის მტკერში მიძინებული გამოიღვიძებს, ზოგი საუკუნო სიცოცხლისათვის, ზოგი საუკუნო გმობისა და შერცხვენისათვის.

³გონიერნი გაბრწყინდებიან, როგორც ცის კამარის მნათობნი, და მრავალთა სამართლისკენ მომაქცეველნი, როგორც ვარსკვლავები უკუნითი უკუნისამდე.

⁴შენ კი, დანიელ, დაფარე ეს სიტყვები და დაბეჭდე ეს წიგნი უკანასკნელ ჟამამდე. მრავალნი გადაშლიან მას და დიდ ცოდნას ეზიარებიან.“

⁵მაშინ მე, დანიელმა, გავიხედე და, აჰა, ორი სხვა დგას: ერთი მდინარის გამოღმა ნაპირზე, ერთი გაღმა ნაპირზე.

⁶უთხრა მან სელით შემოსილ კაცს, მდინარის წყლებზე რომ იდგა: „როდის იქნება ამ საოცრებათა ბოლო?“

⁷მოვუსმინე სელით შემოსილ კაცს, მდინარის წყლებზე რომ იდგა. ზეცისკენ აღაპყრო მან მარჯვენა და მარცხენა და დაიფიცა მარადცოცხალი: „ეს იქნება დათქმული ჟამისა და ჟამის ნახევრისთვის. და როდესაც გათავდება წმიდა ერის ძალის მუსვრა, ყოველივე ეს აღსრულდება.“



⁸მესმოდა, მაგრამ ვერ ვხვდებოდი და ვუთხარი: „უფალო ჩემო, რა იქნება ამის შემდეგ?“

⁹და თქვა მან: „წადი, დანიელ, რადგან ეს სიტყვები დაფარული და დაბეჭდილია ბოლო ჟამამდე.

¹⁰მრავალი განიწმიდება, განსპეტაკდება და გამოხურდება; ხოლო ურჯულონი ურჯულოებაში დარჩებიან; და ვერც ერთი ურჯულო ვერ ჩასწვდება ამას, ხოლო ბრძენნი ჩასწვდებიან.

¹¹მუდმივი მსხვერპლის გაუქმებისა და გატიალების სიბილწის დადგომიდან 1 250 დღე გავა.

¹²ნეტარია, ვინც დაელოდება და მიაწევს 1 335 დღეს.

¹³შენ კი გასწიე შენი აღსასრულისაკენ, და დაისვენე, და აღდგები შენი წილის მისაღებად დღეთა დასასრულისას.“



ოსია წინასწარმეტყველი

ოსია 1

¹უფლის სიტყვა, რომელიც იყო ოსიას მიმართ, ბერის ძისა, იუდეის მეფეების: ყუზიას, იოთამის, ახაზისა და ხეზეკიას დროს, და ისრაელის მეფის იერობოყამ იოაშის ძის დროს.

²როცა იწყო უფალმა ქადაგება ოსიას პირით, უთხრა: წადი, მოიყვანე გარყვნილი ქალი და გარყვნილების ძენი, რადგან გაირყვნა ქვეყანა და განადგურდა უფალი.

³წავიდა და მოიყვანა გომერი, დიბლაიმის ასული. დაორსულდა ქალი და უშვა ძე.

⁴და უთხრა უფალმა მას: დაარქვი სახელად იზრეყელი, რადგან, ცოტაც და, უნდა მოვკითხო იზრეყელის სისხლი იეჰუს სახლს და გავაუქმო ისრაელის მეფობა.

⁵იმ დღეს იქნება, რომ შევმუსრავ ისრაელის მშვილდს იზრეყელის ველზე.

⁶კვლავ დაორსულდა ქალი და შვა ასული. უთხრა უფალმა: დაარქვი სახელად ლო-რუხამა (არა შესაწყალისი), რადგან აღარ შევიწყალებ ისრაელის სახლს და არასოდეს შევუნდობ.

⁷იუდას სახლს კი შევიწყალებ და ვიხსნი უფლის, მათი ღვთის, ხელით; არც მშვილდით, არც მახვილით, არც ბრძოლით, არც მხედრებით არ ვიხსნი მათ.

⁸მოწყვიტა ძუძუს ლო-რუხამა და ისევ დაორსულდა და შვა ძე.

⁹თქვა უფალმა: დაარქვი სახელად ლო-ყამი (არა ჩემი ერი), რადგან აღარ ხართ ჩემი ერი და მეც აღარ ვარ თქვენი.

¹⁰ზღვის ქვიშასავით იქნება ისრაელიანთა რიცხვი, რომელიც არც გაიზომება და არც აღირიცხება; და ნაცვლად იმისა, რომ უთხრან, ლო-ყამი (არა ჩემი ერი) ხართო, ეტყვიან, ცოცხალი ღმერთის შვილები ხართო.

¹¹შეიყრებიან ერთად იუდაელები და ისრაელიანები და დაისვამენ ერთ მთავარს და გამოვლენ ქვეყნიდან, რადგან დიდი იქნება იზრეყელის დღე.

ოსია 2

¹დაუმახეთ თქვენს ძმებს: „ჩემი ერი“ და თქვენს დებს: „შეწყალებული.“



²უჩივლეთ დედათქვენს, უჩივლეთ, რადგან აღარ არის ის ჩემი ცოლი და მეც აღარ ვარ მისი ქმარი. ჩამოიცილოს გარყვნილება პირისახიდან და მრუშობა მკერდიდან.

³თორემ გავაშიშვლებ და ისე გამოვაჩენ, როგორც მისი დაბადების დღეს იყო; უდაბნოსავით ვაქცევ; უწყლო მიწად გავხდი და წყურვილით დავახრჩობ.

⁴არ შევიწყალებ მის შვილებს, რადგან სიძვის შვილები არიან.

⁵რადგან მრუშობდა მათი დედა და თავი შეირცხვინა მათმა მუცლადმღებელმა, რადგან თქვა: გავეკიდები ჩემს საყვარლებს, რომლებიც მაძლევენო პურსა და წყალს, მატყლსა და სელს, ზეთსა და სასმელებს.

⁶ამიტომ, აჰა, ეკალ-ბარდებით გადავუღობავ გზას და ყორეს აღვუმართავ წინ, რომ ვერ გაიგნოს თავისი ბილიკები.

⁷გაედევნება თავის საყვარლებს და ვერ დაეწევა; ძებნას დაუწყებს მათ და ვერ იპოვის. იტყვის: წავალ, დავბრუნდები ჩემს პირველ ქმართან, რადგან მაშინ ახლანდელზე უკეთ ვიყავიო.

⁸მან კი არ იცოდა, რომ მე ვაძლევდი მას პურს, ღვინოს და ზეთს; რომ მე გავუმრავლე ოქრო და ვერცხლი, რომელსაც ბაყალს ახარჯავდა.

⁹ამიტომაც უკან წავიღებ მე ჩემს ხორბალს მის სიმწიფეში და ჩემს ღვინოს მისი დაღვინებისას; წავართმევ ჩემს მატყლსა და სელს, რითაც სიშიშვლე უნდა დაეფარა.

¹⁰ახლა კი გამოვააშკარავებ მის სირცხვილს მისი საყვარლების თვალწინ და ვერავინ გამომტაცებს მას ხელიდან.

¹¹გავაუქმებ ყველა მის სიხარულს, ზეიმს, ახალმოვარობას, შაბათს, ყველა დღესასწაულს;

¹²გავუჩანაგებ ვაზსა და ლედვის ხეებს, რომლებზეც ამბობს, ჩემი საჩუქრებია, ჩემმა საყვარლებმა მაჩუქესო; ტყედ ვაქცევ და ტყის ნადირი შეჭამს მათ.

¹³მას მოვკითხავ ბაყალთა დღეებს, როცა გუნდრუკს უკმევდა მათ, და საყურეებითა და ყელსაბამებით ირთვებოდა; როცა საყვარლებს დასდევდა, მე კი მივიწყებდა, – თქვა უფალმა.

¹⁴ამიტომაც აჰა, შევიტყუებ და უდაბნოში წავიყვან, რომ გულითადად ველაპარაკო.



¹⁵იქ მივცემ მას თავის ვენახს და ყაქორის ხეობას იმედის კართან; იქ იმღერებს, როგორც ყმაწვილქალობისას მღეროდა, როცა ეგვიპტის ქვეყნიდან ამომყავდა.

¹⁶იმ დღეს იქნება, – თქვა უფალმა, – რომ დამიძახებ: „ჩემო ქმარო!“ და აღარ დამიძახებ: „ჩემო ბაყალო!“

¹⁷მოვაშორებ მის ბაგეებს ბაყალოთა სახელებს, რომ აღარ იხსენებოდნენ თავიანთი სახელებით.

¹⁸დავდებ იმ დღეს მათთვის აღთქმას ველის ნადირთან, ცის ფრინველთან და ქვეწარმავლებთან; მოვსპობ ქვეყანაზე მშვილდს, მახვილს და ომიანობას, და მშვიდობით ცხოვრებას დავანებებ მათ.

¹⁹და მე საუკუნოდ დაგწინდავ ჩემთვის, დაგწინდავ სიმართლით და სამართლით, წყალობითა და სიყვარულით;

²⁰დაგწინდავ რწმენით და შეიცნობ უფალს.

²¹იმ დღეს იქნება, რომ მე მოვუსმენ, – თქვა უფალმა, – მოვუსმენ ცას და ისიც მოუსმენს მიწას;

²²მიწა მოუსმენს ხორბალს, ღვინოსა და ზეთს, ხოლო ესენი მოუსმენენ იზრეყელს.

²³და ჩემთვის დავითესავ მას მიწაზე და შევიწყალებ ლო-რუხამას და ვეტყვი ლო-ყამს: ჩემი ერი ხარ-მეთქი, და ის მეტყვის: ჩემი ღმერთი ხარო.

ოსია 3

¹კვლავ მითხრა უფალმა: „წადი და შეიყვარეო ქმრის საყვარელი ცოლი, მაგრამ მემრუშე, მსგავსად იმისა, როგორც უფალს უყვარს ისრაელიანები, ისინი კი უცხო ღმერთებისკენ იყურებიან და მათი ჩამიჩის კვერები უყვართ.“

²ნაყიდი მყავს ის ქალი 15 ვერცხლად და ერთ ხომერ ქერად,

³ვეუბნებოდი: „დიდხანს დარჩი ჩემთან, ნუ იმრუშებ, სხვისი ნუ გახდები და მეც არ შემოვალ შენთან.“

⁴რადგან დიდხანს დარჩებიან ისრაელიანები უმეფოდ, უმთავროდ, უმსხვერპლოდ და სამსხვერპლოს გარეშე; უეფოდოდ და უთერაფიმოდ,

⁵მერე მოიქცევიან ისრაელიანები და ძებნას დაუწყებენ უფალს, თავიანთ ღმერთს, და დავითს, თავიანთ მეფეს, და მოწიწებით განიმსჭვალებიან უფლისა და მისი მადლის წინაშე უკანასკნელ დღეებში.



ოსია 4

¹ისმინეთ უფლის სიტყვა, ისრაელიანებო! რადგან დავა აქვს უფალს ქვეყნის მკვიდრებთან; რადგან არ არის ჭეშმარიტება, არც სიქველე, არც ღვთის ცოდნა ქვეყნად.

²წყევლა და ტყუილი, კაცისკვლა, ქურდობა და მრუმობა გავრცელდა; სისხლისღვრას სისხლისღვრა მოსდევს.

³ამიტომაც გოდებს მიწა; ჩაკვდა მისი ყოველი მკვიდრი ველის მხეცებთან და ცის ფრინველებთან ერთად; ზღვის თევზებიც კი გაქრებიან.

⁴არავინ იდაოს, არავინ იყოს მამხილებელი, რადგან შენი ერი მღვდელს ედავება.

⁵წაიფორხილებ დღისით, და წაიფორხილებს ღამით წინასწარმეტყველიც შენთან ერთად; და მე მოვსპობ დედაშენს.

⁶მოისპობა ჩემი ერი უმეცრების გამო, რადგან შენ უარჰყავი ცოდნა, და მეც გადაგაყენებ ჩემს წინაშე მღვდელმსახურებისაგან; და როგორც შენ გაქვს დავიწყებული შენი ღმერთის სიყვარული, მეც დავივიწყებ შენს შვილებს.

⁷რაც უფრო მრავლდებიან ისინი, მით მეტად სცოდავენ ჩემს წინაშე; მათ პატივს სირცხვილად ვაქცევ.

⁸ცოდვებით იკვებება ჩემი ერი და უკეთურებისაკენ მიუწევს გული.

⁹და რაც ერს მოუვა, იგივე მოუვა ბერს; მსჯავრს დავდებ მათ მათი გზების გამო და მათი საქმეების გამო.

¹⁰ჰამენ და ვერ ძლებიან, ბოზობენ და ვერ მრავლდებიან, რადგან დაივიწყეს უფლის სამსახური.

¹¹ბოზობამ, ღვინომ და მაჭარმა დაიპყრო მათი გული.

¹²ჩემი ერი თავის ხეს ეკითხება და მისი კვერთხი აძლევს მას პასუხს, რადგან ბოზობის სულმა შეაცდინა ის და განუდგა თავის ღმერთს.

¹³მთათა თხემებზე სწირავენ მსხვერპლს და გორაკებზე უკმევინ საკმეველს მუხის, ვერხვისა და ტერებინთოს ქვეშ, რადგან საამური მათი ჩრდილი; ამიტომ ბოზობენ თქვენი ასულები და მრუმობენ თქვენი რძლები.

¹⁴არ მოვთხოვ პასუხს შენს ასულებს და შენს რძლებს, როცა მრუმობენ, რადგან მამაკაცები მეძავ ქალებთან დაეთრევიან და ტაძრის მემრუმებთან ერთად სწირავენ მსხვერპლს, უგუნური ხალხი კი იღუპება.

¹⁵თუ შენ მრუმობ, ისრაელო, იუდეა მაინც ნუ შესცოდავს, ნუ ივლის გილგალში, ნუ ავა ბეთ-ავენში, ნუ დაიფიცავს: ცოცხალიმც არისო უფალი!



¹⁶რადგან ატეხილი ფურივით არის ისრაელი ატეხილი; ამიტომ როგორ ამოვებს ახლა მათ უფალი, როგორც ცხვარს, ვრცელ სამოვარზე?

¹⁷შეეკრა კერპებს ეფრემი, დაეხსენით, იყოს მარტო.

¹⁸გამოუნელდებათ სიმთვრალე და ბოზობას იწყებენ, მიეჩვივნენ სირცხვილს მისი მთავრები.

¹⁹გაახვევს მათ ქარი თავის ფრთებში და მათ შერცხვებათ თავიანთი მსხვერპლისა.

ოსია 5

¹ისმინეთ ეს, მღვდლებო, გაიგონე, ისრაელის სახლო და ყურად-იღე, მეფის სახლო! რამეთუ სამსჯავრო გელით, რადგან მახედ ექეცით მიცფას და მოსროლილ სათხევლად – თაბორს.

²ღრმად ჩაეფლნენ ისინი გარყვნილებაში; ამიტომაც ყველას მოვიყვან ჭკუაზე.

³მე კარგად ვიცნობ ეფრემს, და ისრაელი ვერ დამემალება; რადგან შენც ბოზობ ახლა, ეფრემ, და წაბილწულია ისრაელი.

⁴მათი ბოროტი საქმეები არ ანებებენ, რომ მიიქცნენ თავიანთი ღვთისაკენ, რადგან ბოზობის სულია მათ წიაღში და უფალი ვერ უცვნიათ.

⁵ისრაელის ამპარტავნება დამცირებულია მათ თვალში; წაიფორხილებენ ისრაელი და ეფრემი თავიანთი ცოდვების გამო, წაიფორხილებს იუდეაც მათთან ერთად.

⁶თავიანთ ცხვარ-ძროხიანად წავლენ უფლის სამიებლად, მაგრამ ვერ იპოვნიან მას – იგი განერიდა მათ.

⁷უღალატეს უფალს და შობენ უცხოთა შვილებს; ამიერიდან ახალმთვარობა შეჭამს მათ მათი წილხვედრიანად.

⁸ჩაჰბერეთ ბუკს გიბეყაში, საყვირს რამაში, დაეცით ყიჟინა ბეთ-ავენში: „მოგდევენ, ბენიამინ!“

⁹უდაბნოდ იქცევა ეფრემი განკითხვის დღეს; ისრაელის ტომთა შორის გამოვაცხადე მე ეს.

¹⁰სამანის გადამნაცვლებლებივით გახდნენ იუდეის მთავრები, წყალივით გადმოვღვრი მათზე ჩემს რისხვას.

¹¹დამონებულია ეფრემი, დათრგუნულია მსჯავრით, რადგან ამაოთა კვალზე ისურვა სიარული.



¹²ჩრჩილად გავუხდები ეფრემს და მატლად – იუდეის სახლს.

¹³დაინახა ეფრემმა თავისი სენი და იუდეამ თავისი ჭრილობა; წავიდა ეფრემი აშურში და შეუთვალა იარებ მეფეს; მაგრამ ის ვერ შეძლებს თქვენს განკურნებას და ჭრილობებს ვერ მოგიშუშებთ.

¹⁴რადგან მე ლომივით ვექცევი ეფრემს და ლომის ბოკვერივით – იუდეის სახლს; დავგლეჯ და წავალ; გავიტაცებ და ვერავინ იხსნის.

¹⁵წავალ და დავუბრუნდები ჩემს ადგილს, ვიდრე არ შეიგნებენ თავიანთ დანაშაულს და ძებნას არ დაუწყებენ ჩემს სახეს; გაუჭირდებათ და მომძებნიან.

ოსია 6

¹წავიდეთ და მივიქცეთ უფლისაკენ, რადგან მან დაგვგლიჯა და თავადვე განგკურნავს; მან დაგვჭრა და თავადვე დაგვადებს სალბუნს.

²ის გაგვაცოცხლებს ორი დღის შემდეგ, მესამე დღეს აღგვადგენს, და ჩვენ ვიცოცხლებთ მისი სახის წინაშე.

³მაშ შევიცნოთ, ვესწრაფოთ უფლის შეცნობას; აისივითაა მისი მოსვლა, წვიმასავით მოგვივა, გაზაფხულის წვიმასავით, მიწას რომ აჟიებს.

⁴რა გიყო, ეფრემ? რა გიყო იუდეა? თქვენი სიკეთე დილის ნისლივითაა, ცვარივითაა, მალე რომ ქრება.

⁵ამიტომაც ვცემდი მათ წინასწარმეტყველთა ხელით და ვხოცავდი ჩემს ბაგეთა სიტყვებით; და ჩემი მსჯავრი ნათელივით ამოვა.

⁶რადგან წყალობა მსურს და არა მსხვერპლი, უფლის ცოდნა და არა სრულადდასაწველი.

⁷მათ კი ადამის მსგავსად დაარღვიეს აღთქმა და იქ მიღალატეს მე.

⁸ბოროტმოქმედთა ქალაქია გალაადი, სისხლით დასვრილი.

⁹ყაჩაღებივით არიან ჩასაფრებულნი მღვდლები და ხოცავენ შექემის გზაზე; სიბილწეს სჩადიან.

¹⁰საშინელებას ვხედავ ისრაელის სახლში; იქ არის ეფრემის გარყვნილება, უწმიდურებს ისრაელი.

¹¹შენზეც მოაწევს მკის ჟამი, იუდეა, როცა ტყვეობიდან დავაბრუნებ ჩემს ერს!

ოსია 7



- ¹როცა ისრაელს ვკურნავდი, გამოაშკარავდა ეფრემის უკეთურება და სამარიის ბოროტება, რადგან თვალთმაქცურად იქცეოდნენ; და შემოდის ქურდი, ყაჩაღი ძარცვავს გზებზე!
- ²გულში არც კი გაუვლიათ იმაზე ფიქრი, რომ მე მახსოვს ყოველი მათი ბოროტება; ახლა გარემოუცავს ისინი თავიანთ საქმეებს; ჩემს წინაშე არიან ისინი.
- ³თავიანთი ბოროტებით ამხიარულებენ მეფეს და თავიანთი ტყუილებით – მთავრებს.
- ⁴ყველა ისინი მრუშობით გიზგიზებენ, გახურებულნი არიან ხაბაზის თონესავით, რომელსაც პურის ჩაკვრის წინ განელება სჭირდება.
- ⁵დღეს ჩვენი მეფის გვირგვინის კურთხევის დღეა! – ამბობენ ღვინით გახურებული მთავრები, მეფე კი მასხარებისაკენ იწვდის ხელს.
- ⁶რადგან თონესავით გახდა მათი გული მზაკვრობისაგან; მთელი ღამე სძინავს ხაბაზს, დილით კი ანთია თონე აგიზგიზებული ცეცხლივით.
- ⁷ყველანი გახურებულნი არიან თონესავით და ჭამენ თავიანთ მსაჯულებს; განმდგარია ყველა მათი მეფე, და არავინ მიხმობს მათგან.
- ⁸ეფრემი შეერია ხალხებს; ნამცხვარს დაემგვანა, რომლის გადაბრუნებაც არავის სურს.
- ⁹უცხონი ჭამდნენ მის ძალას, ის კი ვერ ამჩნევდა; კიდევ გაჭაღარავდა, მას კი არაფერი უგრძნია.
- ¹⁰ისრაელის ამპარტავნება დამცირებულია მათ თვალში, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი არ მოიქცნენ თავიანთი უფალი ღმერთისკენ და არ უძებნიათ იგი.
- ¹¹ჩერჩეტი მტრედივით იქცა ეფრემი, უგულისხმო გახდა: ეგვიპტეს უხმობენ, აშურში მიდიან.
- ¹²როგორც კი წავლენ, ჩემს სათხეველს მოვისვრი მათზე და ცის ფრინველებით ჩამოვბერტყავ; დავსჯი მათ, როგორც გაფრთხილებული იყვნენ თავიანთ კრებულში.
- ¹³ვაი მათ, რადგან ზურგი მაქციეს! დაღუპვა მათ, რადგან განმიდგნენ! მე ვიხსენი ისინი, ისინი კი მზაკვრობენ ჩემს წინააღმდეგ!
- ¹⁴და გულით არ შემომღალადებდნენ მე, არამედ კვნესოდნენ თავიანთ საწოლებში; პურისა და ღვინისთვის იკრიბებიან, მე კი განმიდგნენ.
- ¹⁵მე ვმოდღვრავდი მათ, მკლავს ვუმაგრებდი, ისინი კი ავს განიზრახავდნენ ჩემს წინააღმდეგ.



¹⁶ისინი მიიქცნენ, მაგრამ არა ყოვლადძლიერისაკენ, არამედ მოშვებულ მშვილდს დაემსგავსნენ; მახვილით დაეცემიან მათი მთავრები უტიფარი ენის გამო; ეს იქნება მათი სირცხვილი ეგვიპტის ქვეყანაში.

ოსია 8

¹მძლავრად დასცხეთ ბუკი! ორბივით დააცხრება მტერი უფლის ტაძარს, რადგან გადავიდნენ ჩემს აღთქმას და რჯული დაარღვიეს.

²ილაღადებენ ჩემს მიმართ: „ჩემი ღმერთი ხარ შენ; ჩვენ, ისრაელიანები, გიცნობთ შენ!“

³უარყო ისრაელმა სიკეთე; მტერი დაუწყებს დევნას.

⁴მეფეები დაისხეს ჩემს უნებართვოდ, მთავრები დაისხეს ჩემს დაუკითხავად; თავიანთი ოქროთი და თავიანთი ვერცხლით გაიკეთეს კერპები თავის დასაღუპად.

⁵შენი ხბო მოვისროლე, სამარია! აღიგზნო ჩემი რისხვა მათ წინააღმდეგ. როდემდის არ უნდა განიწმიდნენ ისინი?

⁶რადგან ისრაელის საქმეა ეს: ოსტატის ნახელავია, ღმერთი არ არის; ამიტომაც დანაფოტდება სამარიის ხბო.

⁷და რაკი ქარს თესდენ, ქარიშხალს მოიმკიან. მათი თავთავი ფქვილს ვერ მოსცემს, და რომც მოსცეს, უცხოთა ლუკმა გახდება.

⁸დაინთქა ისრაელი; ახლა უსარგებლო ჭურჭელივით არის იგი წარმართთა შორის.

⁹ისინი აშურისკენ გარბიან კანჯარივით, მარტო რომ დადის; ეფრემი საჩუქრებით მოისყიდდა მისადმი პატივს.

¹⁰თუმცა გასცემდნენ ისინი ხალხებში, ახლა შევკრებ მათ; ცოტაც და, დაიტანჯებიან მთავართა მეფის ტვირთქვეშ;

¹¹რადგან ცოდვისათვის გაამრავლა ეფრემმა სამსხვერპლოები, – ცოდვისათვის აქვს მას სამსხვერპლოები.

¹²დავუწერე მას ჩემი მთავარი კანონები, მაგრამ უცხო სწავლებად შერაცხა მან იგი.

¹³სამსხვერპლოდ მოაქვთ ჩემთვის ხორცი და მიირთმევენ მას; უფალს არ მოსწონს ისინი; ახლა კი გაიხსენებს მათ უკეთურებას და მოჰკითხავს ცოდვებს; ეგვიპტეში დაბრუნდებიან ისინი.



¹⁴დაივიწყა ისრაელმა თავისი შემქმნელი და საკერპოებს აშენებს; იუდეამ გაამრავლა ციხე-ქალაქები; მაგრამ მე ცეცხლს მოვავლენ მის ქალაქებზე და ის შთანთქავს მის პალატებს.

ოსია 9

¹ნუ ხარობ, ისრაელო, ნუ ილხენ სხვა ხალხებივით, რადგან შენ მრუმობ ღვთისაგან განმდგარი; სიძვის საჩუქრებს ირჩევ ყოველ კალოზე.

²კალო და საწნახელი არ გამოკვებავს მათ და ღვინო უმტყუნებს მათ.

³არ იცხოვრებენ უფლის მიწაზე: ეფრემი ეგვიპტეში დაბრუნდება და უწმიდურს შეჭამენ აშურში.

⁴არ დაუღვრიან უფალს ღვინოს და მათი მსხვერპლი არ აამებს მას; მათი პური ქელეხის პურივით იქნება; ყოველი მისი მჭამელი გაუწმიდურდება, რადგან ეს პური მათთვის არის, და ვერ შევა უფლის სახლში.

⁵რას იზამთ დღესასწაულის დღეს და საუფლო ზეიმის დღეს?

⁶რადგან, აჰა, წაუვლენ აოხრებას. ეგვიპტე თავს მოუყრის მათ და ნოფი დამარხავს მათ; მისი ვერცხლის საგანძურს ეკალ-ბარდები დაიმკვიდრებენ და ძეძვი ამოვა მის კარვებში.

⁷დადგა განკითხვის დღეები, დადგა ნაცვალგების დღეები. იცოდეს ისრაელმა, რომ სულელი იყო წინასწარმეტყველი, შემლილი იყო სულის კაცი, შენი დიდი სიცრუის გამო გამრავლდა ცბიერება

⁸ეფრემის – ჩემი ღვთის ერის – მცველი წინასწარმეტყველია. ყველა გზაზე ხაფანგია დაგებული და მხოლოდ მტრობაა მისი ღვთის სახლში.

⁹ღრმად გაირყვნენ, როგორც გიბეყას დღეებში; მაგრამ ის გაიხსენებს მათ უკეთურებას და მოჰკითხავს ცოდვებს.

¹⁰ყურძენივით ვიპოვე უდაბნოში ისრაელი; როგორც პირველნაყოფი ლეღვის ხეზე, როგორც მისი ნათავარი, ისე მივიჩნიე თქვენი მამები; მაგრამ ბაყალ-ფელორთან წავიდნენ ისინი, სირცხვილს მისცეს თავი და ვინც შეიყვარეს, მათსავით საძაგლები შეიქნენ.

¹¹ეფრემი – ჩიტივით გაფრინდება მისი დიდება! არც შობა, არც ორსულობა, არც მუცლადღება!

¹²თუმცა გაზრდიან შვილებს, მაგრამ წავართმევ მათ; ერთი კაციც აღარ დარჩება; და ვაი მათ, თუ მივატოვე!



¹³ეფრემი, როგორც დავინახე, მშვენიერ მდელოზეა დარგული, როგორც ცორი, მაგრამ ეფრემი მკვლელს გაუყვანს თავის შვილებს.

¹⁴უფალო მიეცი მათ: რას მისცემ მათ? მიეცი ბერწი საშო და გამომშრალი ძუძუსთავები.

¹⁵გილგალშია მთელი მათი ბოროტება; იქ შევიძულე ისინი მათი ავი საქმეების გამო; ჩემი სახლიდან გავყრი მათ და აღარასოდეს შევიყვარებ; განდგომილია ყველა მისი მთავარი.

¹⁶აჩეხილია ეფრემი, გამხმარია მისი ფესვები, აღარ გამოიღებს ნაყოფს; კიდეც რომ შობონ, მოვაკვდინებ მათი საშოს სანატრელ ნაშიერს.

¹⁷მოიშორებს მათ ჩემი ღმერთი, რადგან არ გაუგონეს მას, და წარმართთა შორის ხეტიალს მოჰყვებიან.

ოსია 10

¹რქამშვენიერი ვენახია ისრაელი, ნაყოფსაც თავის მსგავსს იძლევა; რა უხვი ნაყოფიც ჰქონდა, ასევე გააუხვა სამსხვერპლოები; რა კარგი მიწაც ჰქონდა, ასევე დაამშვენა სვეტები .

²მათი გული გაიყო, რის გამოც მსჯავრი დაედებათ; შეიმუსრება მათი სამსხვერპლოები, დაილეწება მათი სვეტები.

³ახლა ისინი ამბობენ: მეფე არა გვყავს, რადგან უფლის არ გვეშინია. მეფემ კი, – რა უნდა გვიყოსო?

⁴ცარიელ სიტყვებს ლაპარაკობენ, ცრუდ იფიცებიან აღთქმის დადებისას; აღმოცენდება მსჯავრი მათზე, როგორც შხამიანი ბალახი ხნულებში.

⁵შეშინდებიან სამარიის მცხოვრებნი ბეთ-ავენის ხბოს გამო, რადგან იგლოვებს მას მისი ერი და მისი ქურუმები, მისით რომ ხარობდნენ; იგლოვებენ მის დიდებაზე, რადგან ის განეშორება მათ.

⁶თავად მას კი აშურში იარებ მეფეს მიაართმევნ ძღვნად; სირცხვილი აიტანს ეფრემს და ისრაელს შერცხვება თავისი განზრახვისა.

⁷გაქრება სამარია თავისი მეფითურთ, როგორც ქაფი წყლის პირზე.

⁸განადგურდება ავენის გორაკები – ისრაელის ცოდვა; ნარ-ეკალი და ძეძვი ამოვა მათ სამსხვერპლოებზე და ეტყვიან მთებს: გადაგვეფარეთ და ბორცვებს – თავზე დაგვემხეთო!

⁹გიბეყას დღეებიდან მოყოლებული სცოდავ, ისრაელ! იქ დგანან; არ მიწვდენიათ მათ გიბეყაში უკეთურების ძეთა წინააღმდეგ გალაშქრება.



¹⁰ჩემი ნებისამებრ დავსჯი მათ; შეიკრიბებიან მათ წინააღმდეგ ხალხები, როცა შეპყრობილნი იქნებიან ორმაგი დანაშაულის გამო.

¹¹ეფრემი – გამოქნილი მოზვერი, კევრში ნაბამი; მე თავად დავადგამ უღელს მას სქელ კისერზე, და მასზე შემსხდარნი ივლიან; იუდეა შეუდგება ხვნას, იაკობი – ფარცხვას.

¹²თესეთ თქვენთვის სიმართლე და წყალობას მოიმკით; გატებით თქვენთვის ყამირი; დროა უფლის ძიებისა, რათა, როცა მოვა, სიმართლე რომ გაწვიმოთ.

¹³თქვენ ხნავთ ბოროტს და უსამართლობას იმკით; ჭამთ სიცრუის ნაყოფს, რადგან თქვენს გზასა და თქვენს მეომართა სიმრავლეზე ხართ მინდობილნი.

¹⁴საომარი ყიჟინა ატყდება შენს ხალხში და ყველა შენი ციხესიმაგრე დაიქცევა; როგორც შალმანდააქცია ბეთ-არბელი ბრძოლის დღეს, დედა რომ მოკლეს შვილებთან ერთად,

¹⁵ასე დაგმართებთ თქვენ ბეთელი თქვენი უზომო ბოროტებისათვის. ამოვა ცისკრის ვარსკვლავი და აღარ იქნება ისრაელის მეფე.

ოსია 11

¹როცა ყრმა იყო ისრაელი, მიყვარდა ის და ეგვიპტიდან მოვიხმე იგი, ჩემი ძე.

²უხმობდნენ მათ, ისინი კი გარბოდნენ მათგან, რომ მსხვერპლი შეეწირათ ბაყალებისათვის და კერპებისათვის საკმეველი ეკმიათ.

³მე ავადგმევინე ფეხი ეფრემს; ხელით ვატარებდი, მაგრამ ისინი ვერ იგებდნენ, რომ მე ვკურნავდი მათ.

⁴ვიზიდავდი მათ ადამიანური გრძნობის არტახებით, სიყვარულის ძაფებით; ლაგმის წამომყრელივით ვიყავი მათი ყბებიდან, და სიყვარულით ვაძლევდი მათ საკვებს.

⁵არ გაბრუნდება ის ეგვიპტის ქვეყნისაკენ, მაგრამ აშური იქნება მათი მეფე, რადგან არ ინდომეს ჩემსკენ მოქცევა.

⁶მახვილი დატრიალდება მის ქალაქებში და დალეწავს მის საკეტურებს, და შთანთქავს მათ ავი ზრახვების გამო.

⁷მიდრეკილია ჩემგან განდგომად ჩემი ერი, მაღლისაკენ უხმობენ მას, მაგრამ არავინ აღამაღლებს.



⁸როგორ გაგიმეტო, ეფრემ? როგორ გადაგაგდო, ისრაელ? როგორ გაგიმეტო ადმასავით? როგორ მოგექცე ცეზოიმივით? გადამიბრუნდა გული, ერთიანად ამიტანა სიბრალულმა.

⁹აღარ ავინთები რისხვით, აღარ აღვიძვრები ეფრემის დასალუპად, რადგან ღმერთი ვარ მე და არა კაცი, მე წმიდა ვარ თქვენში და რისხვით არ მოვალ.

¹⁰უფალს გაჰყვებიან ისინი; ლომივით დაიწყებს ბრდღვინავს ის, და როცა დაიწყებს ბრდღვინვას, მისკენ შიშით წამოვლენ ძენი დასავლეთიდან.

¹¹შიშით წამოვლენ ეგვიპტიდან, როგორც ჩიტები და, როგორც მტრედები, აშურის ქვეყნიდან; და დავასახლებ მათ თავიანთ სახლებში, – ამბობს უფალი.

¹²შემომეხვია სიცრუით ეფრემი და ტყუილით – ისრაელის სახლი; კიდევ მერყეობს იუდა ღმერთის წინაშე და წმიდის წინაშე, რომელიც ურყევია.

ოსია 12

¹ეფრემი მწყემსავს ქარსა და ხორშაკს აედევნა; დღითი დღე ამრავლებს ტყუილს და ძალადობას; აშურთან შეკრა კავშირი და ზეთი გააქვს ეგვიპტეში.

²დავა აქვს უფალს იუდეასთან და მოჰკითხავს იაკობს მის საქციელს; მის საქმეთაებრ მიაგებს მას.

³ჯერ კიდევ დედის საშოში ქუსლზე მოეჭიდა თავის ძმას, ხოლო როცა დავაჟკაცდა, ღმერთს შეერკინა.

⁴შეერკინა ანგელოზს და სძლია, ტიროდა და ემუდარებოდა მას. ბეთელში გვიპოვა ჩვენ და იქ დაგველაპარაკა.

⁵ხოლო უფალი ღმერთი ცაბაოთია; არსი არის მისი სახელი.

⁶შენ კი შენი ღვთისკენ მიიქეცი, ერთგულება და სამართალი დაიცავი და შენს ღმერთს ესავდე მარად.

⁷ქანაანელია, მრუდე სასწორი რომ უჭირავს ხელში, და ჩაგვრა უყვარს.

⁸და ამბობს ეფრემი: აჰა, ხომ გავმდიდრდი და მოვიხვეჭეო დოვლათი; მთელს ჩემს ნამუშაკევში ვერ მიპოვნია დანაშაულს, რომ რამეში შემეცოდოსო.

⁹მე, შენი უფალი ღმერთი ვარ ეგვიპტის ქვეყნიდან მოყოლებული; კვლავ დავასახლებთ კარვებში, როგორც დღესასწაულის დღეებში.



¹⁰მე ველაპარაკებოდი წინასწარმეტყველთ, და მე გავამრავლე ხილვები; წინასწარმეტყველთა მეშვეობით იგავებით ვლაპარაკობდი.

¹¹თუ იყვნენ კერპები გალაადში, ნამდვილად გაცამტვერდნენ ისინი; გილგალში ხარებს სწირავდნენ მსხვერპლად, მათი სამსხვერპლოებიც ქვის გროვასავით ყრია საყანის მიჯნებზე.

¹²გაიქცა იაკობი არამის მინდვრებში და შრომობდა ისრაელი ცოლის გულისთვის, და ცოლის გულისთვის ფარებს მწყემსავდა.

¹³წინასწარმეტყველის მეშვეობით ამოიყვანა უფალმა ისრაელი ეგვიპტიდან და წინასწარმეტყველის მეშვეობით იყო დაცული.

¹⁴გაამწარა ეფრემმა თავისი უფალი, ამიტომაც მასზევე დაანთხევს მის დაღვრილ სისხლს და მოჰკითხავს მის სასირცხვილო საქმეებს.

ოსია 13

¹როცა დაძრავდა სიტყვას ეფრემი, შიშის ზარი ლევდა ყველას; იგი აღზევდა ისრაელში, მაგრამ დადანაშაულდა ბაყალის გამო და მოკვდა.

²ახლა უმატეს ცოდვას; ჩამოისხეს ქანდაკნი ვერცხლისაგან, ოსტატურად; კერპები, რომელთაც ყოველი მჭედელი აკეთებს. ისინი ამბობენ მათზე: კაცის შემწირველნი ხბორებს კოცნიანო!

³ამიტომაც დილის ნისლივით იქნებიან ისინი და ცვარივით, ადრე რომ ქრება; კალოდან ქარისგან ახვეტილ ბზესავით და საკვამურიდან ადენილი კვამლივით არიან.

⁴მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, ეგვიპტის ქვეყნიდან მოყოლებული; სხვას არავის იცნობთ ჩემს გარდა არავინაა მხსნელი.

⁵მე გცანი შენ უდაბნოში, მწყურვალე მიწაზე.

⁶როცა საძოვრები გაუჩნდათ და გაძლნენ, გადიდგულდნენ, ამიტომაც დამივიწყეს მე.

⁷მე კი ლომად ვექცევი მათ, ჯიქივით ჩავუსაფრდები გზაზე.

⁸ბელეზწაგვრილი დათვივით დავეცემი თავს, შევუნგრევ გულისფიცარს და ლომივით შევჭამ მათ; ველის მხეცები დაფლეთენ მათ.

⁹თავი წაიწყმიდე, ისრაელ, რადგან მხოლოდ ჩემშია შენი შეწევნა!

¹⁰სად არის ახლა შენი მეფე, რომ გიხსნას ყოველ შენს ქალაქში? ან შენი მსაჯულნი, რომლებსაც ეუბნებოდი: მომეცი მეფე და მთავრებიო.



¹¹მე მოგეცი შენ მეფე ჩემი მრისხანებისას და წაგართმევ ჩემი გულისწყრომისას.

¹²შეფუთულია ეფრემის უკეთურებანი, გადანახულია მისი ცოდვები.

¹³მშობიარის ტკივილები ეწევა მას; უგუნური შვილია, თორემ არ დაყოვნდებოდა საშოს კართან.

¹⁴ჯოჯოხეთის ხელიდან გამოვისყიდი მათ, სიკვდილისაგან ვიხსნი. სად არის შენი ნესტარი, სიკვდილო? სად არის შენი ძლევა, ჯოჯოხეთო? შებრალემა მიეფარა ჩემს თვალს!

¹⁵თუმცა განივრცო ეფრემი ძმათა შორის, მაგრამ დაუბერავს აღმოსავლეთის ქარი, უფლის ქარი ამოვარდება უდაბნოდან და დაშრება მისი წყარო და დაწყდება მისი სათავე; ის გაძარცვავს ყოველნაირ ძვირფას ჭურჭელთა საგანძურს.

ოსია 14

¹მსჯავრი დაედება სამარიას, რადგან აუჯანყდა თავის ღმერთს; მახვილით დაეცემიან ისინი; მათი ძენი აიკუწებიან, და მათი ორსულნი გაიფატრებიან.

²მოიქეც, ისრაელ, შენი უფალი ღმერთისკენ, რადგან წაფორხილდი შენს უკეთურებაზე.

³შეიგონეთ სიტყვები და მოიქეცით უფლისკენ. უთხარით მას: „სრულიად აგვხადე უკეთურება, მიგვიღე ჩვენ კეთილად, ჩვენ კი ჩვენი ბაგეების ნაყოფს შემოგწირავთ.

⁴ველარ გვიხსნის აშური, ცხენებზე აღარ ავმხედრდებით და ჩვენს ღმერთებად აღარ შევრაცხავთ ჩვენსავე ნახელავს, რადგან მხოლოდ შენში ჰპოვეს სიბრალულს ობოლი.“

⁵განვკურნავ მათ განდგომას და გულით შევიყვარებ მათ, რადგან გაივლის ჩემი რისხვა მათდამი.

⁶ვიქნები ცვარი ისრაელისათვის; აყვავდება, როგორც შრომანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს.

⁷განზე წავლენ მისი რტოები, ზეთისხილის ბრწყინვალეობა ექნება და ლიბანის სურნელი.

⁸დაბრუნდებიან მის ჩრდილში მსხდომნი; სიცოცხლეს მიანიჭებენ ხორბალს და ვაზივით აყვავილდებიან; ლიბანის ღვინოსავით გაითქვამს სახელს.



⁹რაღა მესაქმება, ეფრემ, კერპებთან? მე შევიწყნარე და მივხედავ მას; მე ამწვანებული კვიპაროსი ვარ, ჩემგან გექნება შენ ნაყოფი.

¹⁰ვინც ბრძენია, შეიგრძნოს ეს, ვინც გონიერია, იცოდეს ეს, რადგან სწორია უფლის გზები და მართალნი დადიან მასზე; განდგომილნი კი ფორხილობენ მასზე.



იოველ წინასწარმეტყველი

იოველ 1

- ¹სიტყვა უფლისა, რომელიც იყო იოელ ფეთუელის ძის მიმართ:
- ²ისმინეთ ეს, უხუცესნო, ყურად იღეთ ქვეყნის ყველა მკვიდრნო! თუ მომხდარა ეს თქვენს დროს ან თქვენი მამების დროს?
- ³გადაეცით თქვენს შვილებს ამის თაობაზე, თქვენმა შვილებმა თავიანთ შვილებს გადასცენ, მათმა შვილებმა კი – მომავალ თაობას:
- ⁴რაც მუხლუხოს გადაურჩა კალიამ მოჭამა, რაც კალიას გადაურჩა კუტკალიამ მოჭამა, რაც კუტკალიას გადაურჩა ბოცომკალმა მოჭამა.
- ⁵გაიღვიძეთ, ლოთებო, იტირეთ და ივალაღეთ, ღვინის მსმელნო, ყურძნის წვენის გამო, რადგან ის ბაგეთაგან აგაცალეს!
- ⁶რადგან მოადგა ჩემს ქვეყანას ძლიერი და ურიცხვი ხალხი. კბილები მისი – კბილები ლომისა, ყბები მისი – ყბები ძუ ლომისა.
- ⁷გამიჩანაგა ვენახი და შემიმუსრა ლედვიანი, გაყვლიფა და მიაგდო; გაუფითრდა რტოები.
- ⁸იტირე ძაძით მოსილი ქალწულივით, თავის საქმროს რომ დასტირის!
- ⁹შეწყდა პურეულის ძღვენი და საღვრელი უფლის სახლში; გოდებენ მღვდლები, უფლის მსახურნი.
- ¹⁰გაჩანაგდა ყანები, გოდებს მიწა, რადგან გაოხრდა ხორბალი, გაშრა წვენი, გახმა ზეთისხილი.
- ¹¹გაწბილდნენ მხვნელ-მთესველნი და მეზვრენი, აღარაა ხორბალი და ქერი, მთელი მოსავალი დაიღუპა.
- ¹²გადახმა ვაზი და ჩამოჭკნა ლეღვი; გახმა ბროწეული, ფინიკი და ვაშლი და ველის ყველა ხე. ამიტომაც გაუქრა სიხარული ადამის ძეს.
- ¹³შემოირტყით ჯვალო და იგლოვეთ, მღვდლებო! ივალაღეთ, სამსხვერპლოს მსახურნო! წადით, ჯვალოში გაათიეთ ღამე, ჩემი ღვთის მსახურნო! რადგან შეწყდა თქვენი ღვთის სახლში პურეულის ძღვენი და შეწყდა საღვრელი.
- ¹⁴დათქვით წმიდა მარხვა, გამოაცხადეთ საზეიმო თავყრილობა; შეკრიბეთ უხუცესნი, ქვეყნის ყოველი მკვიდრი, უფლის, თქვენი ღმერთის, სახლში და უფალს შეღაღადეთ.



¹⁵ვაი, ჩვენს დღეს! რადგან ახლოსაა უფლის დღე და მოდის უზენაესისაგან როგორც ტანჯვა ტანჯვათაგან.

¹⁶განა თვალწინ არ წარგვტაცეს საზრდო, და სიხარული და ღვთის სახლიდან?

¹⁷ჩაღპა მარცვალი ბელტებს ქვეშ, დაცარიელდა კალოები, დაინგრა ბელლები, რადგან გადახმა ყანები.

¹⁸როგორ კვნესის პირუტყვი! დაღონებული დადის ნახირი, რადგან აღარა აქვს საძოვარი; ცხვრის ფარებსაც ილაჯი გაუწყდა.

¹⁹შენ შემოგღაღადებ, უფალო, რადგან ცეცხლმა გადაჭამა უდაბნოს საძოვრები, ალმა გადაბუგა ველზე ყოველი ხე.

²⁰ველის ნადირიც შენ შემოგყურებს, რადგან დაიშრიტა წყლის სათავეები და ცეცხლმა გადაჭამა უდაბნოს საძოვრები.

იოველ 2

¹ჩაჰბერეთ საყვირს სიონზე, განგაში ატეხეთ ჩემს წმიდა მთაზე! დაე, შეძრწუნდნენ ქვეყნის მკვიდრნი, რადგან უფლის დღე მოდის, რადგან ახლოსაა ის –

²დღე სიბნელისა და წყვდიადისა, დღე ღრუბლისა და ნისლისა! ალიონივით ეფინება მთებს მრავალი და ძლიერი ხალხი, რომლის მსგავსიც არ ყოფილა დასაბამიდან და არც მის მერე იქნება მოდგმიდან მოდგმამდე.

³მის წინ ცეცხლი ჭამს, მის უკან ალი ბუგავს; მის წინ მიწა ედემის ბაღივითაა, მის უკან უკაცრიელი ველებია, და ვერავინ გააღწევს მას.

⁴ცხენთა რემას ჰგვანან და მხედრებით მიაჭენებენ;

⁵ეტლებივით გრუხუნებენ მთათა თხემებზე; ჩაღას მოდებული ცეცხლის ალივით ბრიალებენ; გუგუნებენ როგორც საომრად დარაზმული ძლიერი ხალხი.

⁶მის წინაშე ძრწიან ხალხები, სახე უფითრდებათ.

⁷ფალავნებივით დარბიან, მეომრებივით დაცოცავენ გაღავანზე და თითოეული თავის გზას მიჰყვება, და არ ბრკოლდებიან გზაში.

⁸ერთმანეთს არ ეხლებიან, თითოეული თავის ბილიკს მიჰყვება; შუბებზე ეგებიან, მაგრამ უკან მაინც არ იხევენ.

⁹ქალაქში ნავარდობენ, კედლებზე არბიან, სახლებში იჭრებიან, ქურდებივით სარკმლებიდან მიძვრებიან.



- ¹⁰მიწა ტორტმანებს მათ წინაშე, ცა ირყევა, ბნელდება მზე და მთვარე, ვარსკვლავები აღარ ბრწყინავენ.
- ¹¹უფალმა გასცა ხმა თავისი მხედრობის წინაშე, რადგან დიდზე დიდია მისი ბანაკი, რადგან ძლიერია სიტყვის აღმსრულებელი, რადგან დიდია უფლის დღე და ძალზე საშინელი, ვინ გაუძლებს მას?
- ¹²მაგრამ ახლაც ამბობს უფალი: მოიქეცითო ჩემსკენ მთელი გულით, მარხვით და მოთქმა-გოდებით;
- ¹³გულები დაიგლიჯეთ და არა სამოსელი, დაუბრუნდით უფალს, თქვენს ღმერთს; მოწყალე და შემბრალებელია იგი, სულგრძელი და მრავალმადლიანი, და ნანობს ბოროტის ქმნას.
- ¹⁴ვინ იცის, კიდევ შეინანოს და მოიტოვოს კურთხევა, პურეულის ძღვენი და საღვრელი თქვენი უფალი ღმერთისათვის.
- ¹⁵ჩაჰბერეთ საყვირს სიონზე, დათქვით მარხვა და გამოაცხადეთ შეკრებულობა.
- ¹⁶შეჰყარეთ ერი, მოიწვიეთ საკრებულო, შეკრიბეთ უხუცესობა, შეყარეთ ჭაბუკები და ძუძუთა ბავშვები! გამოვიდეს სიძე თავის პალატიდან და პატარძალი – სანთიობოდან!
- ¹⁷ატირდებიან კარიბჭესა და სამსხვერპლოს შორის მღვდლები, უფლის მსახურნი, და იტყვიან: შეიწყალე, უფალო, ერი შენი! ნუ გახდი სამარცხვინოდ შენს სამკვიდროს, ნუ ჩააგდებ წარმართთა ყბაში! რატომ უნდა ილაპარაკონ: აბა სად არისო მათი ღმერთი?
- ¹⁸მაშინ გამოესარჩლება უფალი თავის ქვეყანას და დაინდობს თავის ერს.
- ¹⁹და მიუგებს უფალი და ეტყვის თავის ხალხს: აჰა, გიგზავნი პურს, ღვინოსა და ზეთს, და გაძეხი ამით; სამარცხვინოდ აღარ გაგხდით ხალხების თვალში.
- ²⁰ამ ჩრდილოელ მტერსაც მოგაშორებთ და შევყრი ურწყავ და უკაცრიელ ქვეყანაში, მის წინა ურდოებს – აღმოსავლეთის ზღვაში, უკანა ურდოებს – დასავლეთის ზღვაში, და აუვა მას სუნი და ამყრალდება, რადგან მრავალი ბოროტება აქვს ჩადენილი.
- ²¹ნუ გეშინია, მიწავ: იხარე და იმხიარულე, რადგან დიდია უფალი, რათა მოიმოქმედოს ეს საქმენი.
- ²²ნუ გეშინიათ, ნადირნო ველისანო, რადგან ბალახი ამოვა უდაბნოს სამოვრებზე, ნაყოფს გამოიღებს ხე; ლელვი და ვაზი გამოსცემენ თავიანთ დოვლათს.



²³მენო სიონისა, იხარეთ და იმხიარულეთ თქვენი უფალი ღმერთის გამო, რადგან მოგცემთ ჟუჟუნა წვიმას, და ძველებურად გამოგიგზავნით ადრეულსა და გვიანა წვიმებს.

²⁴და გაივსება ბედლები ხორბლით, გალიცლიცდება კოდები ღვინითა და ზეთით.

²⁵და აგინაზღაურებთ მე იმ წლებს, რომლებიც მოჰამეს კალიამ, კუტკალიამ, ბოცომკალმა და მუხლუხომ – ჩემმა დიდმა ლაშქარმა, რომელიც მოგისიეთ.

²⁶ჰამეთ და დაძეხით და ადიდეთ თქვენი უფალი ღმერთის სახელი, რომელიც საკვირვლად გექცევით; და არ შერცხვება ჩემი ერი უკუნისამდე.

²⁷მიხვდებით, რომ მე ისრაელის შუაგულში ვარ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი და სხვა არავინ არის, და რომ არ შერცხვება ჩემი ერი უკუნისამდე.

იოველ 3

¹და იქნება, რომ ამის შემდეგ მოვაფენ ჩემს სულს ყოველ ხორციელზე და გაქადაგდებიან თქვენი ძენი და ასულნი; თქვენი უხუცესნი ნახავენ სიზმრებს და ჭაბუკები ხილვებს იხილავენ.

²მონა-მხევლებზეც მოვაფენ იმ დღეს ჩემს სულს.

³გამოვაჩენ ნიშნებს ცაზე და მიწაზე: სისხლს, ცეცხლსა და კვამლის სვეტებს.

⁴მზე დაბნელდება და მთვარე გასისხლიანდება, სანამ დადგებოდეს უფლის დღე, დიდი და საშინელი.

⁵ყველა, ვინც კი მოუხმობს მაშინ უფლის სახელს, გადარჩება, რადგან სიონის მთაზე და იერუსალიმში იქნება ხსნა მათთვისაც, ვისაც უფალი მოუხმობს, როგორც ნათქვამი აქვს უფალს.

იოველ 4

¹რადგან აჰა, იმ დღეებში და იმხანად იქნება, რომ შემოვაბრუნებ იუდეას და იერუსალიმს.

²შევკრებ ყველა ხალხს და ჩავიყვან იოშაფატის ველზე; იქ განვსჯი მათ ჩემი ერის გამო, ჩემი სამკვიდრო ისრაელის გამო, რომ გაფანტეს იგი წარმართთა შორის და დაინაწილეს ჩემი ქვეყანა.

³წილი ყარეს ჩემს ერზე, ყმაწვილი მეძავზე გაცვალებს, ყმაწვილქალი ღვინოზე გაყიდეს და სვამდნენ.



- ⁴რა გინდათ ჩემგან, ცორო და ციდონო, და ფილისტიმის მხარეებო? სამაგიერო ხომ არ გინდათ მომიზღალო? თუ ამას მიპირებთ, ადვილად და მალევე მოვაქცევ თქვენს თავზე თქვენსავე შურისგებას.
- ⁵იმის გამო, რომ ჩემი ვერცხლი და ოქრო გაქვთ წაღებული, და თქვენს ტაძრებში გაქვთ შეზიდული ჩემი რჩეული განძეული.
- ⁶ბერძნებს მიჰყიდეთ იუდეისა და იერუსალიმის შვილები, რომ მოგეშორებიანთ ისინი თავიანთი საზღვრებიდან.
- ⁷აჰა, აღვძრავ მათ იმ ადგილიდან, სადაც გაყიდეთ, და თქვენს თავზე მოვაქცევ თქვენსავე შურისგებას.
- ⁸მივყიდი თქვენს ძეთა და ასულთ იუდაელთ და ისინი მიჰყიდიან მათ საბაელთ, შორეულ ხალხს, როგორც ნათქვამი აქვს უფალს.
- ⁹გამოაცხადეთ ეს ამბავი ხალხებში, განემზადეთ ომისათვის, აღძარიტ გმირები, რომ ფეხზე დადგეს ყველა მეომარი.
- ¹⁰სახნისებისაგან მახვილები გამოჰქედეთ, თოხებისაგან – შუბები! უძლურმა თქვას: ძლიერი ვარო!
- ¹¹იჩქარეთ, დაიდარით, ხალხებო, ყოველი მხრიდან და შეგროვდით! იქ მიავლინე, უფალო, შენი გმირები!
- ¹²გაიღვიძონ ხალხებმა და მიაშურონ იოშაფატის ველს, რადგან იქ დავჯდები, რომ განვსაჯო ყველა ხალხი, ვინც კი გარშემოა.
- ¹³გაამზადეთ ნამგლები, რადგან დაპურდა ყანა. წადით, ჩადით, რადგან აივსო საწნახელი, გალიცლიცდა კოდები, რადგან გამრავლდა მათი ბოროტება.
- ¹⁴ურდოები აწყდებიან სასჯელის ველს, რადგან ახლოვდება უფლის დღე სასჯელის ველზე.
- ¹⁵მზე და მთვარე დაბნელდება, ვარსკვლავებს წაერთმევათ ბრწყინვალეობა.
- ¹⁶იგრგვინებს უფალი სიონიდან და ხმას გამოსცემს იერუსალიმიდან; შეირყევა ცა და მიწა, მაგრამ უფალი დაიცავს თავის ერს და დაიფარავს ისრაელის ძეთ.
- ¹⁷მაშინ მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, სიონზე, ჩემს წმიდა მთაზე, დავანებული; გახდება იერუსალიმი საწმიდარი და ვეღარასოდეს შევა იქ უცხოთესლი.
- ¹⁸იმ დღეს გადმოჩქევს მთებიდან შანარი+ და რძე გადმოიღვრება ბორცვებიდან; და წყლით გაივსება იუდეის ყოველი ხევი, წყარო გამოვა უფლის სახლიდან და აავსებს შიტიმის ხევს.



- ¹⁹ გაუკაცურდება ეგვიპტე და უდაბნოდ იქცევა ედომი, რადგან ჩაგრავდნენ იუდაელთ, უცოდველ სისხლს ღვრიდნენ მათ ქვეყანაში.
- ²⁰ უკუნისამდე დარჩება იუდეა, და თაობიდან თაობამდე – იერუსალიმი.
- ²¹ ავიღებ მათ სისხლს, რაც არ ამიღია; და სიონზე დაივანებს უფალი.



ამოს წინასწარმეტყველი

ამოს 1

¹ამოსის, თეკოაყელი მწყემსის, სიტყვები, რომლებიც ისმინა მან ისრაელის შესახებ იუდეის მეფის ყუზიას დროს და ისრაელის მეფის იერობოყამ იოაშის ძის დროს, მიწისძვრამდე ორი წლით ადრე.

²და თქვა მან: უფალი სიონიდან იგრგვინებს და ხმას გამოსცემს იერუსალიმიდან; გადახმება სამწყემსურის სამოვრები და გადაირუჯება ქარმელის თხემი.

³და თქვა უფალმა: სამსა და ოთხ დანაშაულს არ ვაპატიებ დამასკოს, რადგან ცეცხლის კვერით გალეწეს გალაადი.

⁴ცეცხლს მივცემ ხაზაელის სახლს და ცეცხლი შთანთქავს ბენ-ჰადადის დარბაზებს.

⁵დავლენავ დამასკოს საკეტურებს; ამოვძირკვავ ავენის ველების მკვიდრთ და ბეთ-ყედენის სახლის კვერთხისმპყრობელს; გადაიხვეწებიან არამელნი კირში, – ამბობს უფალი.

⁶ასე თქვა უფალმა: სამ დანაშაულს ვაპატიებ ღაზას, მეოთხეს აღარ ვაპატიებ, რადგან მათ ყველა ტყვედ წაიყვანეს, რომ ედომისთვის გადაეცათ ისინი.

⁷ცეცხლს მივცემ ღაზას კედლებს და ის შთანთქავს მის დარბაზებს.

⁸ამოვძირკვავ აშდოდის მკვიდრთ და აშკელონელ კვერთხისმპყრობელს; ყვერონზეც შევმართავ ხელს და საბოლოოდ გაწყდება ფილისტიმელთა ნატამალი, – ამბობს უფალი.

⁹ასე ამბობს უფალი: სამ დანაშაულს ვაპატიებ ცორს, მეოთხეს აღარ ვაპატიებ, რადგან ტყვედ ჩაუგდეს მთელი ხალხი ედომს, აღარ გაიხსენეს ძმური აღთქმა.

¹⁰ცეცხლს მივცემ ცორის კედლებს და ის შთანთქავს მის დარბაზებს.

¹¹ასე ამბობს უფალი: სამ დანაშაულს ვაპატიებ ედომს, მეოთხეს აღარ ვაპატიებ, რადგან მახვილით დევნიდა თავის ძმას, ჩაიხშო ნათესაური გრძნობები, მუდამ ბრძღვინავს რისხვით და ბრაზს ინახავს გულში.

¹²ცეცხლს მივცემ თემანს და ის შთანთქავს ბოცრას დარბაზებს.



¹³ასე თქვა უფალმა: სამ დანაშაულს ვაპატიებ ყამონელებს, მეოთხეს აღარ ვაპატიებ, რადგან ფატრავდნენ ორსულ ქალებს გალაადში, რომ გაეფართოვებინათ თავიანთი საზღვრები.

¹⁴ცეცხლს მივცემ რაბას კედლებს და ის შთანთქავს მის დარბაზებს ყიჟინის ხმაზე ბრძოლის დღეს, ქარბორბალათი ქარიშხლიან დღეს.

¹⁵ტყვედ ჩავარდება მათი მეფე თავის დიდებულებთან ერთად, – ამბობს უფალი.

ამოს 2

¹ასე ამბობს უფალი: სამ დანაშაულს ვაპატიებ მოაბს, მეოთხეს აღარ ვაპატიებ, რადგან ცეცხლში დაანაცრა ედომის მეფის ძვლები.

²ცეცხლს მივცემ მოაბს და ის შთანთქავს კერიოთის დარბაზებს; მოკვდება მოაბი ღრიანცელის, საომარი ყიჟინისა და საყვირის ხმაზე.

³ამოვძირკვავ მსაჯულს მისი წიაღიდან და დავხოცავ ყველა მთავარს მასთან ერთად, – ამბობს უფალი.

⁴ასე ამბობს უფალი: სამ დანაშაულს ვაპატიებ იუდეას, მეოთხეს აღარ ვაპატიებ, რადგან უკუაგდო უფლის რჯული და არ იცავენ მის წესებს; რადგან გზა-კვალი აურიეს მათ ცრუდმერთებმა, რომელთაც მათი მამები მიჰყვებოდნენ.

⁵ცეცხლს მივცემ იუდეას და შთანთქავს იერუსალიმის დარბაზებს.

⁶ასე ამბობს უფალი: სამ დანაშაულს ვაპატიებ ისრაელს, მეოთხეს აღარ ვაპატიებ, რადგან ვერცხლზე ჰყიდიან მართალს და ღარიბ-ღატაკს – წყვილ ხამლად –

⁷ისინი არიან, რომლებიც უმწეოთა თავს მტვერსა და ნაცარში ქელავენ და გზიდან აცდენენ ბეჩავთ; შვილი და მამა ერთ ქალთან შედიან, რათა შელახონ ჩემი წმიდა სახელი.

⁸გირაოში წამოღებულ სამოსელზე გართხმულან ყოველ სამსხვერპლოსთან, და ბრალდებულთაგან გამოძალულ ღვინოს სვამენ თავიანთი ღმერთის სახლში.

⁹გავანადგურებ ამორეველს მათ წინაშე, კედარივით რომ ამაღლდა და მუხასავით რომ გაძლიერდა; გავანადგურებ მაღლა მის ნაყოფს და დაბლა მის ფესვებს.

¹⁰იმისთვის გამოგიყვანეთ ეგვიპტის ქვეყნიდან და 40 წელი გატარეთ უდაბნოში, რომ დაგემკვიდრებინათ ამორეველთა ქვეყანა.



¹¹შენს ძეთა შორის აღძმარი წინასწარმეტყველნი, და შენს ყრმათა შორის – მოწმიდარნი. ასე არ იყო, ისრაელიანებო? – ამბობს უფალი. –

¹²თქვენ კი ღვინოს ასმევდით მოწმიდარებს და უბრძანებდით წინასწარმეტყველთ: ნუ წინასწარმეტყველებთო!

¹³აჰა, გადაგჯეგავთ, როგორც ძნით სავსე ურემი ჯეგავს, –

¹⁴მკვირცხლი დაკარგავს სირბილის უნარს და ძლიერი ძალას ვერ მოიცემს; მამაცი კაცი თავს ვერ დაიხსნის.

¹⁵მშვილდისმპყრობელი ვერ გაუძლებს, ვერც ფეხმარდი ვერ გადარჩება და ვერც მხედარი ვერ იხსნის თავს.

¹⁶მამაცთა შორის გულადიც კი შიშველი გაიქცევა იმ დღეს, – ამბობს უფალი.

ამოს 3

¹ისმინეთ ეს სიტყვა, რომელიც თქვენზე თქვა უფალმა, ისრაელიანებო, მთელს მოდგმაზე, რომელიც ეგვიპტიდან გამოვიყვანე:

²მხოლოდ თქვენ გცანით მთელი ქვეყნიერების მოდგმათა შორის, ამიტომაც მოგკითხავთ ყველა თქვენს დანაშაულს.

³თუ ივლიან ორნი ერთად, თუ ერთმანეთში არ შეთანხმდნენ?

⁴თუ ბრდღვინავს ლომი ტყეში, როცა ნადავლი არ ეგულება თავის წინ? თუ გამოსცემს ხმას ლომის ბოკვერი თავისი ბუნაგიდან, როცა არაფერი შეუპყრია?

⁵თუ გაეზმება ჩიტ ბადეში მიწაზე თუ იქ მახე არ იქნება დაგებული?

⁶თუ ახმიანებულა ბუკი ქალაქში და ხალხს არ შეშინებია? თუ მომხდარა ქალაქში უბედურება უფლის უნებურად?

⁷რადგან არაფერს მოიმოქმედებს უფალი ღმერთი, თუ არ გაუცხადა თავისი საიდუმლო თავის მსახურთ, წინასწარმეტყველთ.

⁸ლომი ბრდღვინავს – ვინ არ შეშინდება! უფალი ღმერთი ლაპარაკობს – ვინ არ გაქადაგდება!

⁹გააგონეთ დარბაზებს აშდოდში და დარბაზებს ეგვიპტის ქვეყანაში, უთხარით: შეიკრიბეთ სამარიის მთებზე და იხილეთ დიდი შფოთი მათ შორის და ძალადობა – მის წიაღში!

¹⁰არ იციან სიმართლის ქმნა, – ამბობს უფალი, – მარცვა-გლეჯით ავსებენ საგანძურებს თავიანთ დარბაზებში.



¹¹ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: მტერი შემოადგება ირგვლივ ქვეყანას, დაამხოვს შენს ციხესიმაგრეს და დარბაზებს გაგიძარცვავს.

¹²ასე ამბობს უფალი: როგორც მწყემსი ლომს გამოგლეჯს ხახიდან ორ კანჭს ან ყურისძირს, ისე გადარჩებიან ისრაელიანები, სამარიაში საწოლის კუთხეში მსხდომნი და დამასკოში – სარეცელზე.

¹³ისმინეთ და დაუმოწმეთ იაკობის ხალხს, – ამბობს უფალი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი ღმერთი: –

¹⁴რადგან იმ დღეს, როცა მოვკითხავ ისრაელს მის შეცოდებებს და მოვკითხავ სამსხვერპლოთა გამო ბეთელში, მოეკვეთება რქები სამსხვერპლოს და მიწაზე დაემხოვა.

¹⁵დავაქცევ ზამთრის სახლს ზაფხულის სახლთან ერთად, განადგურდება სპილოსძვლის სახლები და ბევრი სახლი აღიგვება, – ამბობს უფალი.

ამოს 4

¹ისმინეთ ეს სიტყვები, ბაშანის ფურებივით ნასუქალო სამარიელო ქალბატონებო, ბეჩავთა და ღარიბ-ღატაკთა შემვიწროებელნო, რომ ეუბნებით თქვენს ქმრებს: მოგვითანეთ, რომ დავლიოთო!

²დაიფიცა უფალმა ღმერთმა თავისი სიწმიდე: აჰა, დაგიდგებათ დღე და თქვენ კაუჭებით წაგათრევენ და თქვენს დანარჩენთ ანკესებით.

³გარღვეული კედლებიდან გაგრეკავენ ჰარმონისაკენ, – ამბობს უფალი. –

⁴წადით ბეთელში და შესცოდეთ; გილგალში ამრავლეთ ცოდვები; ყოველ დილით მიიტანეთ თქვენი მსხვერპლი და ყოველ მესამე დღეს – თქვენი მეთაუდები.

⁵შეწირეთ საფუარიანი სამადლობელო მსხვერპლი, გაახმაურეთ თქვენი ნებაყოფლობითი შესაწირი და ქვეყანას გააგებინეთ, რადგან ეს გიყვართ, ისრაელიანებო, – ამბობს უფალი ღმერთი.

⁶კბილის დასადგმელი არაფერი მოგეცით თქვენს ქალაქებში, და უპურობა მოგეცით თქვენს ადგილებზე; მაინც არ მოქცეულხართ ჩემსკენ, – ამბობს უფალი.

⁷წვიმაც კი შეგიწყვიტეთ მკამდე სამი თვით ადრე; ვაწვიმებდი ერთ ქალაქზე და მეორე ქალაქზე არ ვაწვიმებდი; ერთ ყანას წვიმით ვაჟიებდი, მეორე ყანა კი უწვიმრად იშრიტებოდა.

⁸ორი-სამი ქალაქი ერთ ქალაქში იყრიდა თავს წყლის სასმელად და ვერ იკლავდნენ წყურვილს; მაინც არ მოქცეულხართ ჩემსკენ, – ამბობს უფალი.



⁹მუსრი გაგავლეთ ხურვებითა და სიყვითლით; თქვენი უამრავი ბაღები და ვენახები, ლეღვი და ზეთისხილი კუტკალიამ გადაჭამა, და მაინც არ მოქცეულხართ ჩემსკენ, – ამბობს უფალი. –

¹⁰შეგყარეთ შავი ჭირი, როგორც ეგვიპტეში, მახვილით ვხოცავდი თქვენს ჭაბუკებს, ვიტაცებდი თქვენს ცხენებს, და თქვენი ბანაკების სიმყრალე თქვენს ნესტოებს მივაწვდინე; მაინც არ მოქცეულხართ ჩემსკენ, – ამბობს უფალი. –

¹¹დაგაქციეთ, როგორც ღმერთმა დააქცია სოდომი და გომორა, და მაინც არ მოქცეულხართ ჩემსკენ, – ამბობს უფალი.

¹²ამიტომ ასე მოგექცევი, ისრაელ! და რაკი ამას დაგმართებ, გაემზადე შენი ღმერთის შესახვედრად, ისრაელ!

¹³რადგან, აჰა, ის, მათათა გამომსახველი და ქარის შემქმნელი, კაცისთვის მისი ფიქრის გამომცხადებელი, ნათლის ბნელად გარდამქცეველი და ქვეყნის სიმაღლეთა გადამთელავი, უფალი ცაბაოთ ღმერთია მისი სახელი!

ამოს 5

¹ისმინე ეს სიტყვა, ისრაელის სახლო; რადგან თქვენზე მინდა აღვამაღლო ეს გოდება:

²ისრაელის ქალწული დაეცა, ველარ დგება; მიწაზეა გართხმული, და არავინაა მისი წამომყენებელი.

³რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი: ათასის გამომყვან ქალაქს, ასილა შერჩება, და ვისაც ასი გამოჰყავდა, ათილა შერჩება ისრაელის სახლიდან.

⁴რადგან ასე ეუბნება უფალი ღმერთი ისრაელის სახლს: მეძებეთ და ცოცხალი გადარჩებით.

⁵ნუ ეძებთ ბეთელს და გილგალში ნუ მიდიხართ, ბეერ-შებაყში ნუ დაიარებით; რადგან გილგალს დატყვევებულს წაიყვანენ, ბეთელი აოხრდება.

⁶ეძებეთ უფალი და ცოცხალი გადარჩებით, რათა უფალი იოსების სახლს მშანთქმელი ცეცხლივით არ მოედოს, რომლის ჩამქრობიც არავინ იქნება ბეთელში –

⁷ჰოი, თქვენ, სამართალს რომ აბზინდად აქცევთ და სიმართლეს მიწაზე თელავთ!



⁸რომელმაც შექმნა ხომლი და ორიონი, რომელიც კუნაპატ ღამეს აისად აქცევს და დღეს ღამესავით აბნელებს; რომელიც მოუხმობს ზღვის წყლებს და მიწის პირზე მოაქცევს – უფალია მისი სახელი.

⁹დაქცევით დაატყდება თავს ძლიერს და ეწევა დაქცევა ციხესიმაგრეს.

¹⁰მოიძულეს სამსჯავროში მამხილებელი და წრფელად მოუბარი შეიძაგეს.

¹¹ამიტომ, რაკი თრგუნავთ ბეჩავ ხალხს და უკანასკნელ ლუკმას აცლით პირიდან, თლილი ქვით იშენებთ სახლებს, მაგრამ იქ ვერ იცხოვრებთ; საუცხოო ვენახებს გააშენებთ, მაგრამ ვერ შესვამთ მათ ღვინოს.

¹²რადგან ვუწყი უამრავი შენი დანაშაული და მძიმე ცოდვები: მართალს ავიწროებთ, ქრთამს იღებთ და სამსჯავროდან დევნით ღარიბ-ღატაკთ.

¹³ამიტომაც დუმს ბრძენი კაცი ასეთ დროში, რადგან ეს ცუდი დროებაა.

¹⁴ემიეთ სიკეთე და არა ბოროტება, რათა ცოცხალი გადარჩეთ; ყოვლისშემძლე უფალი ღმერთიც თქვენთან იქნება, როგორც თქვენ ამბობთ.

¹⁵შეიძულეთ ბოროტი და კეთილი შეიყვარეთ; დაამკვიდრეთ სამსჯავროში სამართალი, ვინძლო შეიწყალოს უფალმა, ყოვლისმპყრობელმა ღმერთმა, იოსების ნატამალი!

¹⁶რადგან ასე ამბობს უფალი ღმერთი ცაბათი: ყველა ქუჩაზე გლოვა იქნება, და იტყვიან ყველა შუკაში: ვაი! ვაიო! მოუხმობენ მუშა კაცს საგოდებლად და გლოვისთვის – მოტირალთ.

¹⁷ყველა ვენახში გლოვა იქნება, როცა მე გავივლი შენს წიაღში, – ამბობს უფალი.

¹⁸ვაი, უფლის დღის მონატრულთ! რისთვის გინდათ უფლის დღე? ბნელია ის და არა ნათელი,

¹⁹ისევეა, როგორც ლომისგან გაქცეულ კაცს რომ დათვი დახვდეს, ან შინ მისული რომ კედელს მიეყრდნოს და გველმა დაგესლოს.

²⁰განა ბნელი არ არის უფლის დღე და არა ნათელი? წყვდიადია ის და ნათების ციალი არ არის მასში.

²¹მძულს და მეზიზღება თქვენი დღესასწაულები, სუნთქვა მეკვრის თქვენს ზეიმებზე.

²²სრულადდასაწველი და პურეული ძღვენიც რომ აღმივლინოთ, არ მივიღებ მათ და ზედაც არ შევხედავ თქვენს ნასუქალ მოზვრებს, სამადლობელო მსხვერპლად რომ მწირავთ.



²³მომაცილეთ თქვენი სიმღერების ხმა, თქვენი ქნარის ხმის მოსმენა აღარ მსურს.

²⁴წყალივით იდინოს სამართალმა და იყოს სიმართლე დაუწყვეტელი ნაკადულივით.

²⁵განა მოგქონდა ჩემთან მსხვერპლი და პურეული ძღვენი 40 წლის მანძილზე უდაბნოში, ისრაელის სახლო?

²⁶დაატარებდით თქვენს მეფე-კერპ საქუთს და ვარსკვლავ-ღმერთ კაივანს, თქვენსავე ნაკეთებს.

²⁷ამიტომაც დამასკოს იქით გადაგასახლებთ, – ამბობს უფალი, ყოვლისმპყრობელი ცაბაოთ ღმერთია მისი სახელი.

ამოს 6

¹ვაი, უზრუნველთ სიონზე და ვაი, უდარდელთ სამარიის მთაზე; სახელოვანთ უპირველეს ხალხში, ვისთანაც მიდის ისრაელის სახლი!

²მოიარეთ ქალნე და ნახეთ, იქიდან დიდი ხამათისკენ გასწიეთ და ფილისტიმელთა გათში ჩადით; ნუთუ თქვენზე უკეთესია ეს სამეფოები? ან თქვენს საზღვრებზე ვრცელია მათი სამანები?

³თქვენ, რომელნიც ფიქრობთ, რომ შორსაა უბედურების დღე და იახლოვებთ ძალადობის სუფევას, –

⁴თქვენ, რომლებიც განისვენებთ სპილოსძვლის საწოლებზე და ნებივრობთ თქვენს სარეცლებზე; მიირთმევთ ფარის საუკეთესო კრავებსა და ნასუქალ ხბორებს,

⁵მღერით ქნარის ხმაზე და თავი მოგაქვთ, თითქოს დავითივით ფლობდეთ საკრავს.

⁶თასებით სვამთ ღვინოს, საუცხოო ზეთებს იცხებთ, და არ განადვლებთ იოსების უბედურება.

⁷ამიტომაც ტყვედ წავლენ ახლა, ტყვეთა თავში მოქცეულნი, და ნებიერთა სიხარულის ხმა მიწყდება.

⁸დაიფიცა უფალმა ღმერთმა თავისი თავი, ამბობს უფალი, ღმერთი ცაბაოთი: მძულს იაკობის ამპარტავნება და მეზიზღება მისი დარბაზები; ამიტომაც გავცემ ქალაქს და მის სისავსეს.

⁹და თუ ათი კაცი დარჩა ერთ სახლში, ისინიც დაიხოცებიან,



¹⁰როცა ნათესავი ან ჭირისუფალი აიღებს მათ, რომ სახლიდან გაიტანოს მათი ძვლები, და ეტყვის შინმყოფს: თუ კიდევ დაგრჩა ვინმე? და ისიც უპასუხებს: ყველა წასულიაო; უთხრას: ჩუმად! რადგან არ ეგების უფლის სახელის ხსენება.

¹¹რადგან, აჰა, უფალი ბრძანებს და დააქუცმაცებს დიდ სახლებს და გააცამტვერებს პატარა სახლებს.

¹²თუ ურბენიათ ცხენებს კლდეებზე? ან თუ უხნავთ ზღვა ხარებით? თქვენ კი შხამად აქციეთ სამართალი და აზოინდად – სიმართლის ნაყოფი.

¹³სიხარულით ამბობთ, ჩვენი ძალით ავიღეთო ლო-დებარი და კარნაიმი!

¹⁴აჰა, აღვძრავ ხალხს შენს წინააღმდეგ, ისრაელის სახლო, – ამბობს უფალი, ცაბაოთ ღმერთი, – და მიგამწყვდევს ხმათის მისადგომიდან უდაბნოს ხევამდე.

ამოს 7

¹ასეთი ხილვა მომცა მე უფალმა ღმერთმა: აჰა, შექმნა მან კალია გვიანი ბალახის ამოსვლის ხანს; და აჰა, სამეფო თიბვები რომ დამთავრდა, აღმოცენდა ბალახი.

²როცა კალიამ გადმოვა ბალახი მიწაზე, მე ვთქვი: უფალო ღმერთო, მოწყალე იყავ! რა გადაარჩენს იაკობს? ის ძალიან მცირეა.

³შეინანა უფალმა და თქვა: ეს არ მოხდება!

⁴ასეთი ხილვა მომცა მე უფალმა ღმერთმა: აჰა, მოუხმო ღმერთმა ცეცხლის სასჯელს და შთანთქა მან დიდი უფსკრული და შთანთქა ყანები.

⁵მე ვთქვი: უფალო ღმერთო! შეაჩერე; რა გადაარჩენს იაკობს? ის ძალიან მცირეა.

⁶შეინანა უფალმა: არც ეს მოხდებაო, – თქვა უფალმა ღმერთმა.

⁷ასეთი ხილვა მომცა მე უფალმა: აჰა, დგას უფალი შვეულ კედელზე და ტყვიის შვეული უჭირავს ხელში.

⁸მითხრა მე უფალმა: რას ხედავ, ამოს? ვუთხარი: შვეულს. თქვა უფალმა: აჰა, დავდებ შვეულს ჩემი ერის, ისრაელის, შუაგულში; მეტს აღარ ვაპატიებ მას.

⁹გაუკაცურდება ისააკის გორაკები და ისრაელის საწმიდრები განადგურდება; მახვილით აღვდგები იეროზოყამის სახლის წინააღმდეგ.



¹⁰შეუთვალა ამაციაჲ, ბეთელის მღვდელმა, იერობოყამს, ისრაელის მეფეს: შეთქმულებას გიწყობს ამოსი შუაგულ ისრაელის სახლში. მიწა ვერ აიტანს მის სიტყვებს;

¹¹რადგან ასე ამბობს ამოსი: მახვილით მოკვდება იერობოყამი და ისრაელს აუცილებლად წაიყვანენ ტყვედ თავისი ქვეყნიდან.

¹²უთხრა ამაციაჲ ამოსს: მისანო, გაიქეცი იუდას ქვეყანაში, იქ ჭამე პური და იქ იწინასწარმეტყველე.

¹³ბეთელში ნუღარ იწინასწარმეტყველებ, რადგან ის სამეფო საწმიდარია და სამეფო სახლი.

¹⁴მიუგო ამოსმა ამაციას და უთხრა: მე არც წინასწარმეტყველი ვარ და არც წინასწარმეტყველის ძე; მე მწყემსი ვიყავი და სიკომოროს მკრეფავი.

¹⁵წამომიყვანა მე უფალმა ფარიდან და მითხრა: წადი და უწინასწარმეტყველეო ჩემს ერს, ისრაელს.

¹⁶ახლა ისმინე უფლის სიტყვა. შენ ამბობ, არ იწინასწარმეტყველო ისრაელის წინააღმდეგ და არ იქადაგო ისააკის სახლის წინააღმდეგო.

¹⁷ამიტომ, ასე ამბობს უფალი: შენი ცოლი იბოზებს ქალაქში და შენი ძენი და ასულნი მახვილით დაეცემიან; შენი მიწა საზომი ღარით დანაწილდება, უწმიდურ მიწაზე მოკვდები შენ, ისრაელიანთ კი ტყვედ წაიყვანენ თავისი ქვეყნიდან.

ამოს 8

¹ასეთი ხილვა მომცა მე უფალმა ღმერთმა, და მე ვიხილე: აჰა, დგას მწიფე ხილით სავსე კალათა.

²და მითხრა მე მან: რას ხედავ, ამოს? ვთქვი: მწიფე ხილით სავსე კალათას. მითხრა უფალმა: მოაწია ჩემი ერის, ისრაელის, ბოლომ. მეტს აღარ ვაპატიებ.

³მოთქმით იტყვიან სასახლის სიმღერებს იმ დღეს, – ამბობს უფალი ღმერთი, – უამრავი გვამი იქნება, ყველგან დაყრილი უხმოდ.

⁴ისმინეთ ეს, ღარიბ-ღატაკთა მშთანთქმელნო და ქვეყნის ბეჩავთა დამღუპველნო;

⁵რომ ამბობთ: როდის გავა ახალმთვარობა, რომ გავყიდოთ პური, და – შაბათი, რომ გავადოთ ბედლები, შევამციროთ ეფა, გავზარდოთ შეკელი და ვიტყუოთ მრუდე სასწორით,



⁶ვიყიდოთ ვერცხლით ბეჩავნი და წყვილი ხამლით ღარიბ-ღატაკნი, ხორბლის ნაკმაზი კი გავყიდოთ.

⁷დაიფიცა უფალმა იაკობის დიდება: ჭეშმარიტად საუკუნოდ არ დავივიწყებ ერთ მათ ნამოქმედარსაც კი.

⁸ნუთუ არ შეიძვრება მიწა ამის გამო და არ მოჰყვება გოდებას ყოველი მისი მკვიდრი? და აიწევს ერთიანად მდინარესავით, მოვარდება და უკუიქცევა ეგვიპტის მდინარესავით.

⁹იმ დღეს იქნება, – ამბობს უფალი ღმერთი, – რომ შუადღისას ჩავიყვან მზეს და დღისით მზისით დავაბნელებ ქვეყანას.

¹⁰დღესასწაულებს გლოვად გიქცევთ და ყველა თქვენს სიმღერას გოდებად; ჯვალს შემოგახვევთ წელზე და ყველა თავი გადაიპარსება; ავატირებ ქვეყანას, როგორც მხოლოდშობილზე ტირიან, და მწარე დღე იქნება მისი ბოლო!

¹¹აჰა, დგება დღეები, – ამბობს უფალი ღმერთი, – როცა მოვავლენ ქვეყანაზე შიმშილს, შიმშილს არა პურისას და წყურვილს წყლისას, არამედ უფლის სიტყვათა მოსმენისას.

¹²იხეტილებენ ზღვიდან ზღვამდე და ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთამდე; მიმოივლიან უფლის სიტყვის სამეზნელად, მაგრამ ვერ ჰპოვებენ.

¹³ღონე მიეხდებათ იმ დღეს მშვენიერ ქალწულებს და ჭაბუკებს წყურვილისაგან.

¹⁴სამარიელ აშიმას მოფიცარნი, რომ ამბობენ: „ცოცხალია შენი ღმერთი, დანო, ცოცხალია, ბერ-შეზაყის გზა,“ დაეცემიან და ველარ ადგებიან.

ამოს 9

¹ვიხილე უფალი, საკურთხეველთან მდგარი, და მითხრა: დაჰკარი ბუღაურებს, რომ შეირყეს ზღურბლი და თავზე დაამხე მათ ყველას; მათ უკანასკნელს კი მე მოვსრავ მახვილით, გამქცევი ვერსად გაიქცევა და მათგან ვერავინ გადარჩება.

²შავეთშიც რომ ჩაიმარხოვნ, იქიდან ამოიყვანს მათ ჩემი ხელი; ზეცაშიც რომ ავიდნენ, იქიდანაც ჩამოვიყვან;

³ქარმელის წვერზეც რომ დაიმალონ, იქაც მოვძებნი მათ და შევიპყრობ; ჩემს თვალსაც რომ მიეფარნენ ზღვის ფსკერზე, იქ ვუბრძანებ გველებს და დაკბენენ მათ;



⁴ტყვედაც რომ ჩაუვარდნენ თავიანთ მტრებს, ვუბრძანებ მახვილს, რომ იქ ამოხოცოს ისინი. თვალს დავადგამ მათ ავბედითად, და არა სასიკეთოდ.

⁵უფალი, ცაბაოთ ღმერთი თუ შეეხო მიწას, დადნება იგი და ატირდება ყოველი მისი მკვიდრი; აიწევს მაღლა ნილოსივით და დაბლა დაიწევს ეგვიპტის მდინარესავით.

⁶ცაში ააგო მან თავისი სამყოფელი და მიწაზე დააფუძნა თავისი კამარა; მოუხმობს ზღვის წყლებს და მიუღვრის მათ მიწის ზედაპირს. უფალია მისი სახელი.

⁷განა ქუმელებივით არა ხართ ჩემთვის, ისრაელიანებო? – ამბობს უფალი. განა ისრაელი არ ამოვიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან, როგორც ფილისტიმელნი ქაფთორიდან და არამელები კირიდან?

⁸აჰა, უფალი ღმერთის თვალი ცოდვილ სამეფოზეა, და აღვგვი მას პირისაგან მიწისა, ოღონდ საბოლოოდ არ აღვგვი იაკობის სახლს, – ამბობს უფალი. –

⁹რადგან აჰა, ვბრძანებ და გავცხრილავ ისრაელის სახლს ყველა ხალხს შორის, როგორც ხორბალი იცხრილება. და ერთი მარცვალიც არ დავარდება მიწაზე.

¹⁰მახვილით მოკვდება ყველა ცოდვილი ჩემს ერში, რომლებიც ამბობენ, არ დააჩქარებო, არ მოაწევო ჩვენზე უბედურებას.

¹¹იმ დღეს აღვმართავ დავითის დამხობილ სახლს; გარღვეულს შევკრავ, დანგრეულს გავამთელებ და ისე აღვადგენ, როგორც ძველ დროში იყო.

¹²რათა დაეპატრონონ ედომის ნატამალს და ყველა ხალხს, რომელთა შორისაც ჩემი სახელი იხსენიება, – ამბობს უფალი ღმერთი, ამის მოქმედი.

¹³აჰა, დადგება დრო, – ამბობს უფალი, – როცა მხვნელი თავს წაადგება მომკელს და ყურძნის მწურავი – მთესველს; ბადაგად დაიღვრებიან მთები და გორაკები ჩამოდნებიან.

¹⁴დავაბრუნებ ტყვეობიდან ჩემს ერს, ისრაელს; ააშენებენ გაუკაცურებულ ქალაქებს და დასახლდებიან; ჩაყრიან ვაზს და დალევენ მის ღვინოს, გააშენებენ ბალებს და შეჭამენ მათ ხილს.

¹⁵დავწერგავ მათ თავიანთ მიწაზე, და აღარ აღმოიფხვრებიან თავიანთი მიწიდან, რომელიც მივეცი მათ, – ამბობს უფალი, შენი ღმერთი.



აბდია წინასწარმეტყველი

აბდია 1

¹ხილვა აბდიასი. ასე ამბობს უფალი ღმერთი ედომზე: ხმა მოგვწვდა უფლისაგან და მაცნე დაეგზავნათ ხალხებს: ადექით, გავიდეთ ედომის წინააღმდეგ საბრძოლველადო! –

²აჰა, დაგამცირებ ხალხთა შორის და აბუჩად აგიგდებს ყველა!

³შენმა გულზვაობამ დაგაბრმავა. კლდეთა ნაპრალებში დასახლებულხარ, მაღალზეა შენი სადგომი. გულში ამბობ: ვინ ჩამომავდებსო ძირს?

⁴ორბივით მაღლა აჭრილხარ, მაგრამ ვარსკვლავთა შორისაც რომ დაიბუდო, იქიდანაც ჩამოგავდებ, – ამბობს უფალი. –

⁵ქურდებიც რომ დაგცემოდნენ თავს, ანდა ყაჩაღები ღამით – ასე როგორ გაჩანაგდებოდი?! განა ისინი, მხოლოდ თავის სამყოფს არ მოიპარავდნენ? მერთვლენი რომ შემოგსეოდნენ, ორიოდ კუფხალს ისინიც დაგიტოვებდნენ.

⁶როგორ გაძარცულა ესავი, გაუხვეტავთ მისი საგანძურები!

⁷გიმუხთლებს ყველა შენი მოკავშირე და საზღვრებს იქით გაგრეკავენ ისინი; შენი მოზავენი გაბატონდებიან შენზე; შენს პურზე გამოზრდილნი დაგიგებენ მახეს. სად არის მისი გონიერება ახლა?

⁸განა ეს იმავე დღეს არ მოხდება, – ამბობს უფალი, – როცა ბრძენკაცებს მოვსპობ ედომში და გონიერებას – ესავის მთაზე?

⁹შედრკებიან შენი მებრძოლები, თემან, რადგან ხოცვა-ჟლეტით მოვსპობ კაცის სახსენებელს ესავის მთაზე.

¹⁰რადგან უმოწყალოდ მოექეცი შენს ძმას, იაკობს, სირცხვილი დაგფარავს და სამუდამოდ გადაშენდები.

¹¹იმ დღეს, როცა განზე გაუდექი, მაშინ როცა უცხო თესლი შეიჭრა მის კარიბჭეში და წილი ჰყარა იერუსალიმზე, როცა უცხოტომელებმა ხელთ იგდეს მისი ქონება, შენც ერთი იმათგანი იყავი!

¹²არ უნდა გეხარა შენი ძმის უბედურების დღეს; იუდაელი ხალხის დაღუპვის დღეს არ უნდა გეხარა; და არც უნდა გეცინა მათი ჭირ-ვარამის დღეს.



¹³არ უნდა შეჭრილიყავი ჩემი ერის კარიბჭეში მისი დაღუპვის დღეს. არ უნდა გემხიარულა მათ ტანჯვაზე მისი დაღუპვის დღეს, ხელი არ უნდა გაგეწოდა მის ქონებაზე მისი დაღუპვის დღეს.

¹⁴დასაღუპად არ უნდა ჩასაფრებოდი მის ლტოლვილებს გზაჯვარედინებზე, და გადარჩენილები მტრის ხელში არ უნდა ჩაგეყარა იმ ჭირ-ვარამის დღეს.

¹⁵აჰა, ახლოა უფლის დღე ყველა ხალხისათვის. როგორც იქცეოდი, ისე მოგექცევიან და შენი ნამოქმედარი შენვე მოგიბრუნდება.

¹⁶რა სასმისიც თქვენ შესვით ჩემს წმიდა მთაზე, იმავეს შესვამს ყოველი ხალხი თქვენს ირგვლივ; შესვამს და შთაინთქმებიან, თითქოს არც ყოფილიყვნენ.

¹⁷მაგრამ, მოვა ხსნა სიონის მთაზე და წმიდა ადგილი იქნება იგი. თავის სამკვიდრებელს დაიმკვიდრებს იაკობის სახლი.

¹⁸იაკობის სახლი ცეცხლი იქნება და იოსების სახლი – ალი, ხოლო ესავის სახლი – ნამჯა. გადასწვავენ და შთანთქავენ მას. ვერავინ გადარჩება ესავის სახლიდან, რადგან უფალმა ბრძანა.

¹⁹ნეგებელნი დაიმკვიდრებენ ესავის მთას, ხოლო შეფელას მკვიდრნი – ფილისტიმელთა ქვეყანას. ისინი დაიმკვიდრებენ ეფრემის მხარეს და სამარიის მხარეს, ხოლო, ბენიამინი – გალაადს.

²⁰ხალახში მცხოვრებ ისრაელიანთა განთესილი ერი ცარეფათამდე დაიმკვიდრებს ქანაანს, სეფარადში განთესილი იერუსალიმის მკვიდრნი კი ნეგების ქალაქებს დაიმკვიდრებენ.

²¹ავლენ გამარჯვებულნი სიონის მთაზე ესავის მთის განსასჯელად და უფლისა იქნება მეფობა.



იონა წინასწარმეტყველი

იონა 1

- ¹და იყო უფლის სიტყვა ამითაის ძის, იონასადმი თქმული:
- ²ადექი, წადი დიდებულ ქალაქ ნინევეში და აუწყე, რომ უფალი ხედავს მათ ბოროტებას.
- ³მაგრამ იონა ადგა, რომ უფალს თარშიში გაქცეოდა. იგი იაფოში ჩავიდა, თარშიშისაკენ მიმავალი ხომალდი მონახა, საფასური გადაიხადა და შიგ ჩაჯდა, რათა თარშიში წასულიყო და უფალს გასცლოდა.
- ⁴მაგრამ უფალმა ძლიერი ქარი ამოაგდო ზღვაზე. ქარიშხალმა ზღვა ძლიერ ააბოხოქრა; ცოტაც და, ხომალდი დაილეწებოდა.
- ⁵შეშინდნენ მეზღვაურები, ყველამ თავ-თავის ღმერთს შეჰლადა. რაც რამ საქონელი ჰქონდათ ზღვაში გადაყარეს, რომ ხომალდი შეემსუბუქებინათ. იონა კი ხომალდის ბანქვეშ ჩასულიყო, იწვა და არხეინად ეძინა.
- ⁶მივიდა მასთან ხომალდის მეთაური და უთხრა: „რას დაგიძინია? ადექი, შენც შეღალადე შენს ღმერთს, იქნებ მან შეგვიწყალოს და არ დავიღუპოთ.“
- ⁷შემდეგ მეზღვაურებმა ერთმანეთში თქვეს: „მოდით, წილი ვყაროთ და გავიგოთ, ვის გამო ჩავცვივდით ამ დღეში.“ წილი ყარეს და იონას შეხვდა.
- ⁸ჰკითხეს მას: „გვითხარი, რატომ აღმოვჩნდით ამ განსაცდელში? რა ხელობის კაცი ხარ, საიდან მოდიხარ, სადაური ხარ და რა მოდგმისა?“
- ⁹იონამ მიუგო: „ებრაელი ვარ, უფლის, ცათა ღმერთის, მსახური, რომელმაც ზღვა და ხმელეთი შექმნა.“
- ¹⁰როცა ეს გაიგეს, ძლიერ შეშინდნენ, რადგან იონა გამოუტყდათ, რომ უფალს გაურბოდა. უთხრეს: „ეს რა ჩაგიდენია?!“
- ¹¹და, რადგან ზღვა კვლავინდებურად ბოხოქრობდა, ჰკითხეს: „რა უნდა გიყოთ, რომ ზღვა დაწყნარდეს?“
- ¹²იონამ უთხრა: „ამიღეთ, წყალში გადამაგდეთ და ზღვა დაწყნარდება, რადგან ვიცი, ეს დიდი ქარიშხალი თავს ჩემს გამო დაგატყდათ.“
- ¹³მეზღვაურებმა ნიჩბები მოუსვეს, რომ ხმელეთს მისდგომოდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, რადგან ზღვა კიდევ უფრო აბოხოქრდა.
- ¹⁴მაშინ უფალს შეჰლადა და უთხრეს: „უფალო, ნუ დაგვლუპავ ამ კაცის გამო, და ნურც მის მართალ სისხლს მოგვკითხავ, რადგან ყოველივე ისე ხდება, უფალო, როგორც შენ გინდოდა.“



¹⁵აიღეს და წყალში გადააგდეს იონა. ზღვამ ღელვა შეწყვიტა.

¹⁶მეზღვაურებს ძლიერ შეეშინდათ უფლისა; მსხვერპლი შესწირეს და აღთქმები დაუდეს მას.

იონა 2

¹უფალმა დიდი თევზი მოავლინა და შთაანთქმევინა იონა. მან სამი დღე და სამი ღამე დაჰყო თევზის მუცელში.

²იონამ თევზის მუცლიდან ლოცვა აღუვლინა უფალს, თავის ღმერთს.

³თქვა: „ჭირში მყოფმა შემოგღალადე, უფალო, და შენ ხმა გამეცი. შავეთის მუცლიდან შველა ვითხოვე და შენ ისმინე ჩემი ვედრება.

⁴ზღვის შუაგულში გადამაგდე და მორევმა სიღრმეში ჩამითრია, თავზე შენი ტალღები და ღვარი გადამდიოდა,

⁵ვთქვი: გაძევებული ვარ შენგან, უფალო, ნუთუ ვეღარასდროს მეღირსება შენი წმიდა ტაძრის ხილვა?

⁶წყალი ყელამდე მომწვდა და უფსკრულმა მომიცვა; თავზე ლელი შემომეწნა,

⁷მთების ფესვებამდე ჩავედი და ჩემს უკან მიწა სამუდამოდ ჩაირაზა. მაგრამ შენ უფალო, ღმერთო ჩემო, ქვესკნელს გამოსტაცე, ჩემი სიცოცხლე!

⁸როცა სულს ვღაფავდი, ვახსენე უფალი და ჩემმა ვედრებამ შენამდე მოაღწია შენს წმიდა ტაძარში.

⁹ამაოებათა მსახურნი ვერ ეღირსებიან წყალობას!

¹⁰მე კი მსხვერპლს შემოგწირავ სამადლობელი სიტყვებით; შევასრულებ, რაც აღთქმული მაქვს, ვინაიდან ხსნა უფლისგან არის!”

¹¹უბრძანა უფალმა თევზს და მან ხმელეთზე ამოანთხია იონა.

იონა 3

¹მეორედ იყო უფლის სიტყვა იონასადმი თქმული:

²„ადექი, წადი დიდებულ ქალაქ ნინევეში და აუწყე ის, რასაც მე გეტყვი.“

³ადგა იონა და წავიდა ნინევეში, როგორც უფალმა უბრძანა. დიდი ქალაქი იყო ნინევე, სამი დღის სავალი.

⁴იარა იონამ ერთი დღე ქალაქში და ქადაგება იწყო, ამბობდა: კიდევ 40 დღე და დაიქცევა ნინევე.



⁵წინეველებმა ღმერთი იწამეს, გამოაცხადეს მარხვა და დიდიან-პატარიანად ჯვალთი შეიმოსნენ.

⁶შეიტყო ეს ამბავი წინევეს მეფემ, ტახტიდან ჩამოვიდა, შემოიძარცვა სამეფო შესამოსელი, ჯვალა ჩაიცვა და ნაცარში ჩაჯდა.

⁷შემდეგ, მეფისა და მისი დიდებულების ბრძანება გამოაცხადებინა წინევეში: „არც კაცმა და არც პირუტყვმა – ძროხამ თუ ცხვარმა, არ ჭამოს, არ მოძოვოს და არც წყალი დალიოს.

⁸ჯვალა ატაროს კაცმაც და პირუტყვმაც, მთელი ძალით შეჰღაღადონ ღმერთს, მიატოვონ ბოროტების გზა და ყველა ავი საქმე, რაშიც კი ხელი აქვთ გასვრილი.

⁹ვინმე გული მოუბრუნდეს ღმერთს, დაუცხრეს რისხვა და აღარ დავიდუპოთ!“

¹⁰შეხედა ღმერთმა მათ საქციელს, რომ დააგდეს ბოროტების გზა, და გული მოუბრუნდა მათზე და აღარ მოუვლინა ის განსაცდელი, რასაც უმზადებდა.

იონა 4

¹იონა ძალზე განაწყენდა და გამწარდა.

²ლოცვა აღუვლინა უფალს და უთხრა: „განა ამას არ ვამბობდი, უფალო, როცა ჯერ კიდევ ჩემს მიწაზე ვიყავი? თავიდანაც იმიტომ გავრბოდი თარშიში, რომ ვიცოდი, მოწყალე და მიმტევებელი ღმერთი ხარ, რისხვაგვიანი და დამთმენი; ყოველთვის თავს არიდებ დასჯას.

³ახლა ბარემ სული ამომხადე, უფალო, რადგან ამ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია.“

⁴ჰკითხა უფალმა: „ასე რატომ გამწარდი?“

⁵იონა გავიდა ქალაქიდან და მის აღმოსავლეთით გაჩერდა; იქ ერთი ჩარდახი გაიკეთა, დაჯდა მის ქვეშ, ჩრდილში, და უცდიდა ენახა, რა მოუვიდოდა ქალაქს.

⁶უფალმა აყირო აღმოაცენა და იგი იონას თავს ზემოთ აიზარდა, რომ დაეჩრდილებინა მისთვის და წყენა გაექარებინა. დიდად გაახარა ამ აყირომ იონა.

⁷მეორე დღეს, განთიადისას, ღმერთმა მატლი მოავლინა, გამოაჭმევინა აყირო და გახმა იგი.



⁸როცა მზე ამოვიდა, ღმერთმა აღმოსავლეთის ცხელი ქარი ამოაგდო; მზემ ისე დააცხუნა იონას თავზე, რომ ღონემიხდილმა სიკვდილი ინატრა, თქვა: ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნიაო.

⁹მაშინ ჰკითხა ღმერთმა იონას: „ასე გამწარდი ამ აყიროს გამო?“ მიუგო: „მაგრად გავმწარდი, ღამის მოვკვდე.“

¹⁰უფალმა კი უთხრა: „შენ ერთი აყირო დაგენანა, თუმცა შენ არ დაგირგავს და არც გაგიზრდია. ერთი ღამის შვილი იყო და ერთ ღამეში გახმა.

¹¹აბა, მე როგორ არ დამენანოს ამხელა ქალაქი ნინევე, სადაც 120 ათასზე მეტი უსუსური ადამიანი ცხოვრობს, და სადაც უთვალავი პირუტყვია?“



მიქა წინასწარმეტყველი

მიქა 1

¹უფლის სიტყვა, რომელიც იყო მორეშეთელი მიქას მიმართ იუდეის მეფეების: იოთამის, ახაზის და ხეზეკიას დროს, და რომელიც გამოეცხადა სამარიისა და იერუსალიმის გამო.

²ისმინეთ, ყველა ხალხებო! გაიგონოს დედამიწამ და მისმა სისავსემ! უფალი ღმერთი იყოს მოწმე თქვენს წინააღმდეგ, უფალი თავისი წმიდა ტაძრიდან.

³რადგან, აჰა, უფალი გამოდის თავისი ადგილიდან, ჩამოდის და შედგება დედამიწის სიმაღლეებზე.

⁴მთები იძვრიან მის ფერხთა ქვეშ და ღელენი დნებიან მის ქვეშ, როგორც ცვილი ცეცხლის წინაშე, როგორც ქარაფებიდან გადმოვარდნილი წყალი.

⁵იაკობის უკეთურების გამოა ეს ყველაფერი და ისრაელის სახლის ცოდვის გამო. რა არის იაკობის უკეთურება? სამარია ხომ არა? რა არის იუდეის გორაკი? იერუსალიმი ხომ არა?

⁶ველზე დაყრილ ნანგრევებად ვაქცევ სამარიას, ვაზის გასაშენებელ ადგილად; ველზე გადაყრი მის ქვებს და გამოვაჩენ მის საძირკველს.

⁷ყველა მისი კერპი დაიმსხვრევა, ყოველი მისი სიძვით მოგებული ცეცხლში დაიწვება, და გავანადგურებ ყველა მის ქანდაკს, რადგან სიძვის გასამრჯელოთი აგროვებდა მათ, ამიტომაც სიძვის გასამრჯელოდ იქცევიან.

⁸ამაზე ვიგლოვებ და ვიტირებ, ფეხშიშველი და დედიშობილა ვივლი; ტურასავით ვიკივლებ და სირაქლემასავით ვიკვნესებ.

⁹რადგან უკურნებელია მისი ჭრილობები, რადგან მიადგა იუდეას; და ჩემი ერის კარიბჭეს – იერუსალიმსაც – უწია.

¹⁰ნუ გამოაცხადებთ ამას გათში, მოთქმას ნუ გამართავთ! მიწა-მტვერში გაგორდით ბეთ-ლეყაფრაში.

¹¹ჩაიარე შენთვის შაფირელო, სამარცხვინო სიშიშვლეში! ვერ დააღწევს თავს ცაანანელი, ბეთ-ეცელში გლოვა არ დაგაყენებთ.

¹²რადგან წუხს თავის დოვლათზე მართელი დიაცი, რადგან უბედურებამ ჩამოაღწია უფლისგან იერუსალიმის კარიბჭემდე.

¹³შეაბი ეტლში ბედაურები, ლაქიშელო, შენ – სიონის ასულის ცოდვის დასაბამო, რადგან შენ გამოგაჩნდა ისრაელის უღმრთოებანი!



¹⁴ამიტომ შენ გაუგზავნი განტევების საჩუქარს მორეშეთ-გათს. აქიზის სახლები მაცდუნებლად ექცევიან ისრაელის მეფეებს.

¹⁵ახალ პატრონს მოგაყენებ, მარეშელო დიაცო, ყადულამს მიაღწევს ისრაელის დიდება.

¹⁶თმა გადაიკრიჭე, გადაიპარსე სანუკვარი შვილების გამო, სვაკივით მოიტვლიპე, რადგან გადაასახლებენ მათ შენგან.

მიქა 2

¹ვაი მათ, ვინც უკანონობას განიზრახავენ სარეცელზე მწოლნი, და რა ინათებს – განთიადზე – ისრულებენ მას, რადგან ძალა აქვთ ხელში!

²ხოდებუნებს მოისურვებენ და სტაცებენ, სახლები მოუნდებათ და ართმევენ; ავიწროებენ ყოველ სახლს, ყოველ სამკვიდროს.

³ამიტომ ასე ამბობს უფალი: აჰა, ბოროტს განვიზრახავ ამ მოდგმაზე, რომლის უღლისგანაც ქედს ვერ აიშვებთ და გამართულად ვერ ივლით, რადგან ავი დროება იქნება.

⁴იმ დღეს შეთხზავენ თქვენზე იგავს, გაიმართება გლოვა და ითქმება: გამარცულნი ვართ! ჩემი ხალხის წილი სხვამ მიიკუთვნა! როგორღა დამიბრუნდება! უცხოთესლთ დაუნაწილდა ჩვენი მინდვრები.

⁵ამიტომ არ გეყოლება უფლის კრებულში წილისყრით მიწის გამზომელი.

⁶ნუ ქადაგებთ, მოქადაგენო! არ უქადაგოთ მათ, ვინც ვერ გაეცევა სირცხვილს.

⁷ნათქვამია, იაკობის სახლო: განა სულმოკლეა უფალი? ასეთია მისი საქმეები? განა კეთილი არ მოაქვს ჩემს სიტყვებს მათთვის, ვინც წრფელად იქცევა?

⁸ხალხი, რომელიც უწინ მე მეკუთვნოდა, მტრად მექცა, და თქვენ ხდით ტანისამოსს ბრძოლიდან დაბრუნებულთ, მშვიდად მომავალთ.

⁹ჩემი ერის ქალებს მათი სანუკვარი სახლებიდან ერეკებით. მათ ბავშვებს სამუდამოდ ართმევთ ჩემს დიდებას.

¹⁰ადექით და წადით, არ არის აქ განსასვენებელი ადგილი. უწმიდურების გამო გაიტანჯება და მწარე იქნება სატანჯველი.

¹¹ოჰ, ერთი მოიტყუებოდეს ქარისა და სიცრუის მადევარი კაცი: „მე გიქადაგებთ ღვინოზე და თაფლუჭზე!“ სწორედ ის იქნებოდა ამ ხალხის შესაფერისი ქადაგი.



¹²მთლიანად შეგვრებ შენ, იაკობ, და თავს მოვუყრი ისრაელის ნატამალს; ერთად შევყრი, როგორც ცხვარს ბოსორში, როგორც ფარას ფარეხში; ახმაურდებიან ისინი კაცთა სიმრავლით.

¹³მათ წინ აივლის კედლის მნგრეველი, გაანგრევენ და გაივლიან კარიბჭეში, და უკანვე გამოვლენ. ჩაივლის მათ წინ მათი მეფე და უფალი – მათ სათავეში.

მიქა 3

¹და ვთქვი მე: ისმინეთ, იაკობის სახლის მთავარნო და ისრაელის სახლის მსაჯულნო! განა თქვენი ვალი არაა სამართლის ცოდნა?

²თქვენ კი სიკეთე გმულთ და ბოროტება გიყვართ; ტყავს აძრობთ ჩემს ხალხს და ძვლებიდან ხორცს აგლეჯთ.

³როცა ჭამენ ჩემი ხალხის ხორცს, ტყავს ხდიან, მათ ძვლებს ამტვრევენ და აქუცმაცებენ, როგორც ქოთანში, და ხორცს, როგორც ქვაბში ჩასაყრელად.

⁴მაშინ შეჰღადადებენ უფალს, ის კი ხმას არ სცემს მათ. თავის სახეს უმაღავს იმ დროს, როცა ბოროტებას სჩადიან.

⁵ასე ამბობს უფალი წინასწარმეტყველებზე, რომლებიც გზა-კვალს ურევენ ჩემს ხალხს. მშვიდობას რომ ქადაგებენ და კბილებით კი რაღაცას ჯიჯგნიან. თუ ვინმემ რამე არ ჩაუდო პირში, ომს უცხადებენ.

⁶ამიტომ დაგიდგებათ ღამე ხილვების გარეშე და სიბნელე – მისნობის გარეშე; მზე ჩაესვენება წინასწარმეტყველთა თავზე და დღე დაუბნელდებათ.

⁷გაწილდებიან მისნები, შერცხვებიან მკითხავები და პირს მოკუმავენ ყველანი, რადგან პასუხს არ გაიღებს ღმერთი.

⁸მე კი აღვსილი ვარ ძალით, უფლის სულით, სიმართლითა და სიმტკიცით, რომ გამოვუცხადო იაკობს მისი დანაშაული და ისრაელს – მისი ცოდვა.

⁹ისმინეთ ეს, იაკობის სახლის მთავარნო და ისრაელის სახლის განმგებელნო, რომელთაც შეგიძულებიათ სამართალი და ყოველივე წრფელი გაგიმრუდებიათ.

¹⁰სისხლით რომ აშენებთ სიონს და უსამართლობით – იერუსალიმს.

¹¹მისი მთავრები ქრთამით სჯიან სამართალს და მისი მღვდლები გასამრჯელოს იღებენ დამოდვრაში; მისი წინასწარმეტყველნი ვერცხლზე მისნობენ, უფალს კი იშველიებენ და ამბობენ: განა ჩვენს შორის არ არისო უფალი? უბედურება არ გვეწვევაო.



¹²ამიტომაც თქვენს გამო საყანესავით გადაიხვნება სიონი და იერუსალიმი ნანგრევთა გორებად იქცევა, ტაძრის მთა კი – ტყიან ბორცვად.

მიქა 4

¹უკანასკნელ დღეებში იქნება, რომ მთათა თავში დამყარდება უფლის სახლის მთა, ბორცვებზე მაღლა აღიმართება და მისკენ დაიწყებენ დენას ხალხები.

²მოვლენ უამრავი ხალხები და იტყვიან: წამო, ავიდეთ უფლის მთაზე და იაკობის ღვთის ტაძარში, რომ გვასწავლოს თავისი გზები და ვიაროთ მისი ბილიკებითო. რადგან სიონიდან გამოდის რჯული და იერუსალიმიდან – უფლის სიტყვა.

³განიკითხავს ის სამართალს უამრავ ხალხებს შორის და მსჯავრს დასდებს ძლიერ ხალხებს შორეთამდე. თავიანთ მახვილებს სახნისებად გამოჭედავენ და შუბებს – ნამგლებად. ხალხი ხალხის წინააღმდეგ აღარ აღმართავს მახვილს და ომს აღარასოდეს ისწავლიან.

⁴ყველა თავისი ვაზის და ლელვის ქვეშ იჯდება და არავინ იქნება დამაფრთხილებელი, რადგან ცაბაოთ უფლის ბაგე ლაპარაკობს ამას.

⁵რაკი ყოველი ხალხი თავისი ღმერთის სახელით დადის, ჩვენც ვივლით უფლის, ჩვენი ღმერთის სახელით საუკუნოდ.

⁶იმ დღეს, – ამბობს უფალი, – შევკრებ ხეიბართ და თავს მოვუყრი განდევნილთ, და მათ, რომელთაც მე დავატებე უბედურება.

⁷ნატამალად დავტოვებ ხეიბართ და ძლიერ ხალხად გავხდი მოკვეთილებს. უფალი იქნება მათი მეფე სიონის მთაზე უკუნისამდე.

⁸შენ კი, ფარეხის გოდოლო, გორაკო სიონის ასულისა! შენამდე მოვა, დაგიბრუნდება წინანდელი ხელმწიფება, მეუფება დაუბრუნდება იერუსალიმის ასულს.

⁹ახლა რად გაჰყვირი ასე ხმამაღლა? განა მეფე არა გყავს შენ? იქნებ დაგელუპა მრჩეველი, რომ კრუნჩხვები დაგმართნია მშობიარესავით?

¹⁰იტანჯე და იკვნესე, სიონის ასულო, მშობიარესავით, რადგან ახლა გახვალ ქალაქიდან და ველზე იცხოვრებ. ბაბილონამდე ივლი და იქ გადარჩები, იქ გამოგისყიდის უფალი, მტრების ხელიდან გამოგიხსნის.

¹¹ახლა კი უამრავი ხალხი გყავს შემოსეული და ამბობენ: წაიბილწოსო და ჰვრეტდესო სიონს ჩვენი თვალი.



¹²მათ არ უწყიან უფლის ზრახვანი და ვერ ხვდებიან მის განაჩენს, რომ ძნევივით დაახვავა ისინი კალოზე.

¹³მიდექი და ლეწე, სიონის ასულო, რადგან რკინის რქებს დაგადგამ და ბრინჯაოს ჩლიქებს გაგიკეთებ, რომ გააცამტვერო უამრავი ხალხები და შესწირო უფალს მათი მონახვეჭი და მათი დოვლათი – მთელი ქვეყნიერების უფალს.

მიქა 5

¹ახლა კი დაირაზმე, რაზმეულთა ასულო; ალყა შემოგვარტყეს, კვერთხს შემოჰკრავენ სახეში ისრაელის მსაჯულს.

²შენ კი, ეფრათას ბეთლემო, უმცირესი ხარ იუდას ათასეულთა შორის, მაგრამ შენგან გამომივა მე ის, ვინც იხელმწიფებს ისრაელში, და დასაწყისიდან იქნება მისი წარმოშობა, საუკუნო დღეებიდან.

³ამიტომ მიუშვეს მათ იმ დრომდე, ვიდრე არ შობს ის, რომელმაც უნდა შობოს. დანარჩენი ძმებიც დაბრუნდებიან ისრაელის ძეებთან.

⁴დადგება და დამწყემსავს უფლის ძალით, უფლის, თავისი ღმერთის, სახელის სიდიადით, და მობრუნდებიან, რადგან ამიერიდან იდიდებს ის ქვეყნის კიდემდე.

⁵და ის იქნება, მშვიდობას რომ მოიტანს. როცა აშური მოვა ჩვენს ქვეყანაში, და როცა ფეხს დაადგამს ჩვენს დარბაზებში; მაშინ აღვძრავ მის წინააღმდეგ შვიდ მწყემსს და რვა ცხებულს.

⁶დამწყემსავენ აშურის ქვეყანას მახვილით და ნიმროდის ქვეყანას მის კართან, და იხსნის აშურისაგან, როცა ის მოვა ჩვენს ქვეყანაში და, როცა ჩვენს საზღვრებში შემოდგამს ფეხს.

⁷და იქნება იაკობის ნატამალი უამრავ ხალხთა შორის, როგორც უფლის ცვარი, როგორც შხაპუნა წვიმა ბალახზე. აღარ ექნება კაცის იმედი, და აღარ დაენდობა ადამიანებს.

⁸და იქნება იაკობის ნატამალი ხალხებში, უამრავ ერებს შორის, როგორც ლომი ტყის ნადირთა შორის, ლომის ბოკვერივით ცხვრის ფარაში – თუ ჩაიარა, თელავს და გლეჯს და არავინაა მხსნელი.

⁹ადიმართება შენი ხელი შენს მტრებზე და წარიხოცება ყველა შენი მოწინააღმდეგე.

¹⁰მაშინ იქნება, – ამბობს უფალი, – რომ გაგიწყვეტ ცხენებს ქვეყანაში და ეტლებს გაგინადგურებ.



¹¹გავანადგურებ ქალაქებს შენს ქვეყანაში და დავაქცევ ყველა შენს ციხესიმაგრეს.

¹²ხელიდან გამოგვლეჯ ჯადოქრებს და აღარ გეყოლება მჩხიბავები.

¹³შეგიმუსრავ კერპებს და სათაყვანო სვეტებს, და აღარ დაუწყებ თაყვანისცემას შენსავე ნახელავს.

¹⁴ამოვძირკვავ შენს აშერებს შენი გარემოდან, და დავაქცევ შენს ქალაქებს.

¹⁵რისხვითა და გულისწყრომით მოვახდენ შურისგებას ხალხებზე, რომელთაც არ ინდომეს მოსმენა.

მიქა 6

¹ისმინეთ, რას ამბობს უფალი: აღდექ, დავა გაუმართე მთებს და ისმინონ შენი ხმა ბორცვებმა!

²ისმინეთ, ბორცვებო, უფლის დავა, და თქვენც, დედამიწის მყარო საფუძვლებო, რადგან დავა აქვს უფალს თავის ერთან და უჩივის ისრაელს.

³ჩემო ერო, რა გაგიკეთე და რითი დაგაღონე? გამეცი პასუხი.

⁴ხომ გამოგიყვანე ეგვიპტის ქვეყნიდან და მონობის სახლიდან გამოგისყიდე; წინ წაგიმძღვარე მოსე, აარონი და მირიამი.

⁵ჩემო ერო, გაიხსენე, რას განიზრახავდა ბალაკი – მოაბის მეფე, და რა პასუხს აძლევდა მას ბალაამ ბეყორის ძე, შიტიმიდან გილგალამდე, რათა გცოდნოდა უფლის წყალობანი.

⁶„რითი წარვდგე უფალთან და თაყვანი ვცე მაღალ ღმერთს? სრულადდასაწველებით, წელგამოვლილი ზვარაკებით?

⁷ეამება კი უფალს ათასი ვერძი, ზეთის 10 ათასი მდინარე? ხომ არ მივცე ჩემი პირმშო ჩემი დანაშაულისთვის, ნაყოფი ჩემი წიაღისა ჩემი საკუთარი ცოდვისათვის?“

⁸ხომ გეუწყა შენ, მოკვდავო, რა არის სიკეთე, და რას ითხოვს შენგან ღმერთი? მხოლოდ სამართლის ქმნას, და წყალობის სიყვარულს; მოწიწებით სიარულს უფლის წინაშე.

⁹უფლის ხმა მოუწოდებს ქალაქს და, ვინც ნაცადია, შეეშინდება შენი სახელის: გაუგონეთ კვერთხს და მის დამდგენელს.

¹⁰თუ არის კიდევ უკეთურის სახლში უკეთური განძი და დამცრობილი საწყაო, დაწყევლილი?

¹¹როგორ გავამართლო უკეთური სასწორი და ქისა – მატყუარა საწონით?



¹²რადგან ქალაქის მდიდრები აივსნენ დატაცებულით. მისი მცხოვრებნი ტყუილებს ლაპარაკობენ, და ცრუა მათი ენა მათ პირში.

¹³და მეც სასტიკად დაგცხებ, გაგატილებ შენი ცოდვების გამო.

¹⁴შეჭამ და ვერ ვაძლები. ცარიელი გექნება მუცელი. გადამალავ, მაგრამ ვერ შეინარჩუნებ; და რასაც შეინარჩუნებ, მახვილს მივცემ.

¹⁵დათესავ და ვერ მოიმკი, ზეთს გამოხდი და ვერ იცხებ, ღვინოს დაწურავ და ვერ შესვამ.

¹⁶თქვენში მოქმედებს ყომრის ადათები და ყოველი საქმე ახაბის სახლისა, და მისდევთ მათ თათბირს; და მიგცემ გატილებას მე და სასაცილოდ გავხდი შენს მცხოვრებთ, და თქვენ იტვირთავთ ჩემი ერის სირცხვილს.

მიქა 7

¹ვაგლახ, რომ ნარჩენი ხილის შემგროვებელსა და ყურძნის მომმცვრეველს დავემსგავსე! ერთი მტევანიც არ გადარჩენილა საჭმელად, აღარც საადრეო ლელვი, რასაც ნატრობს ჩემი სული.

²გადაშენდა ღვთისნიერი ქვეყანაზე და აღარავინ არის წრფელი კაცთა შორის; ყველა სისხლის დასადვრელად ჩასაფრებულა, ერთმანეთზე ნადირობენ ბადით;

³გაწაფულია მათი ხელი ბოროტის ქმნაში; მთავარი და მსაჯული საჩუქრებს თხოულობენ, მოსამართლე ქრთამით ასამართლებს; დიდებული სიხარბეს იჩენს და სამართალს ამრუდებს;

⁴უკეთესი მათ შორის ნარ-ეკალსა ჰგავს, წრფელი კი ძემძვზე უარესია. დადგება შენი მოთვალყურის დღე, შენი მონახულების დღე, მაშინ შემფოთდებიან ისინი.

⁵ნუ ერწმუნები ახლობელს, ნუ ენდობი მეგობარს, შენს მკლავზე მწოლისგან დაიცავი შენს ბაგეთა კარი!

⁶რადგან შვილი არცხვენს მამას, ქალიშვილი თავის დედას ეურჩება, რძალი – თავის დედამთილს. კაცის მტრები არიან მისი შინაურები.

⁷მე კი უფალს შევცქერი, ვესავ ჩემი ხსნის ღმერთს. შემიწყნარებს ჩემი ღმერთი.

⁸ნუ ხარობ ჩემზე, ჩემო მტერო! თუმც დაცემული ვარ, აღვდგები; თუმც ბნელში ვზივარ, უფალია ჩემი ნათელი!



- ⁹დავითმენ უფლის რისხვას, (რადგან ცოდვილი ვარ მის წინაშე), ვიდრე ჩემს საქმეს არ განიკითხავს და არ გადამიწყვეტს თავის სამართალს. ნათელში გამიყვანს და მე ვიხილავ მის სიკეთეს.
- ¹⁰დაინახავს ამას ჩემი მტერი და სირცხვილი შეიპყრობს, რომ მეუბნებოდა: სად არისო უფალი, შენი ღმერთი? მაშინ იხილავენ მას ჩემი თვალები, როცა ქუჩის ტალახივით სათელავი გახდება.
- ¹¹შენი კედლების აშენების დღე შენი საზღვრების გავრცელების დღე იქნება.
- ¹²იმ დღეს შენამდეც მოვლენ აშურიდან და ეგვიპტის ქალაქებიდან; ეგვიპტიდან ევფრატამდე, ზღვიდან ზღვამდე და მთიდან მთამდე.
- ¹³გაუდაბურდება ქვეყანა მის მკვიდრთა მიზეზით, მათ ნამოქმედართა ნაყოფების მიზეზით.
- ¹⁴დამწყესე შენი კვერთხით შენი ერი, შენი სამკვიდროს ფარა, ტყეში მარტოდმარტო რომ ცხოვრობს, ქარმელს შორის! იბალახოს ბაშანში და გალაადში ძველებურად!
- ¹⁵გაჩვენებ სასწაულებს, როგორც იმ დღეებში გაჩვენე, როცა ეგვიპტის ქვეყნიდან გამოდიოდი.
- ¹⁶დაინახვენ ხალხები და შერცხვებათ თავიანთი ძლიერებისა; ხელს პირზე მიიდებენ და სასმენელნი დაუყრუვდებათ;
- ¹⁷მტერს დაუწყებენ ლოკვას გველივით, ქვეწარმავალივით; აკანკალდებიან თავიანთ ციხე-კოშკებში; შიშის ზარი ექნებათ უფლის, ჩვენი ღვთისა, და შენიც შეეშინდებათ.
- ¹⁸რომელ ღმერთს მოუთმენია შენს გარდა უკეთურება და უპატიებია ცოდვა თავისი სამკვიდროს ნატამალისთვის? ის არ მრისხანებს სამუდამოდ, რადგან წყალობის მოყვარულია.
- ¹⁹კვლავ შეგვიბრალეbs ჩვენ; დათრგუნავს ჩვენს უკეთურებებს. ზღვის უფსკრულებში მოისვრის ყოველ მათ ცოდვას.
- ²⁰დაუდასტურებ იაკობს გამტანობას და აბრაამს – სიყვარულს, რომელიც ჩვენს მამებს შეჰფიცე ძველთაგანვე.



ნაუმ წინასწარმეტყველი

ნაუმ 1

- ¹ეს არის ნინევეს განაჩენი, წიგნი ელკოშელი ნაუმის ხილვისა.
- ²მოშურნე და შურისმგებელი ღმერთია უფალი. შურისმგებელია უფალი და რისხვიანი. შურს მიაგებს უფალი თავის მოწინააღმდეგეთ და ჯავრს არ შეარჩენს თავის მტრებს.
- ³სულგრძელია უფალი და დიდძალოვანი, დაუსჯელს არავის დატოვებს. გრიგალშია უფალი და ქარბორბალაშია მისი სავალი. ღრუბელი მის ფერხთა მტვერია.
- ⁴დაემუქრება ზღვას და ამოაშრობს, და დაშრეტს ყველა მდინარეს. გადახმება ბაშანი და ქარმელი, დაჰკნება ლიბანის ყვავილი.
- ⁵მთები კანკალებენ მის წინაშე და ლღვებიან ბორცვები. დედამიწა თრთის მის წინაშე, სამყარო და ყოველი მისი მკვიდრი.
- ⁶ვინ გაუძლებს მის წყრომას? ვინ აიტანს მის მძვინვარებას? ცეცხლად იღვრება მისი რისხვა, კლდეები ირღვევიან მისგან.
- ⁷კეთილია უფალი – ციხესიმაგრე გასაჭირში, და სცნობს მათ, ვინც მას ესავენ.
- ⁸მოვარდნილი ღვართქაფივით წალეკავს მის ადგილს, და თავის მტრებს ჩარეკავს წყვდიადში.
- ⁹რა განუზრახეთ უფალს? ბოლოს მოუღებს ყველაფერს და ვეღარ აღდგება მტერი.
- ¹⁰რადგან ეკალ-ბარდებივით ჩახლართულნი და ლოთებივით ნაბახუსევნი ერთიანად გადაიბუგებიან ხმელ ჩალასავით.
- ¹¹შენგან გამოვიდა უფლის წინააღმდეგ ავისმზრახველი, ბელიარის მრჩეველი.
- ¹²ასე თქვა უფალმა: თუნდაც ჯანით სავსენი იყვნენ და უამრავნიც, მაინც გაწყდებიან, გადაშენდებიანო. ხომ გაგტანჯე, მაგრამ მეტად აღარ გაგტანჯავო.
- ¹³ახლა კი დავლექავ მის უღელს, ქედზე რომ გადგას, და დაწყვეტ შენს ბორკილებსო.



¹⁴ასე ბრძანა შენზე უფალმა: აღარ დარჩება თესლი შენი სახელით. გავაქრობ კერპსა და ქანდაკს შენი ღმერთის სახლიდან; საფლავს გაგიშადავ, რადგან არარაობა ხარ.

¹⁵აჰა, გაისმა მთებზე მახარობლის ფეხის ხმა მშვიდობის მაუწყებლისა! გამართე დღესასწაულები, იუდეა, აღთქმები შეასრულე, რადგან აღარ დაგეცემა თავს ბელიარი, საბოლოოდ განადგურდა.

ნაუმ 2

¹შეიმართა შენს თავზე დამანგრეველი. დაიცავი ციხესიმაგრე! თვალი გეჭიროს გზისკენ, წელი გაიმაგრე, ძალა მოიკრიბე!

²რადგან დააბრუნა უფალმა იაკობის დიდება, როგორც დიდება ისრაელისა! რადგან გამარცვული ჰყავდათ ისინი მმარცველებს, აჩანაგებდნენ მათ ვენახებს.

³წითლად შეიღება გმირთა ფარები, მეწამული მოსავთ მეომრებს; ცეცხლებს აკვესებს ეტლების ფოლადი, როცა მზადაა საბრძოლველად, და ირხევინ კვიპაროსის შუბები.

⁴დაქრიან ქუჩებში ეტლები, მოედნებზე დაგრიანებენ, ჩირაღდნის ალივით ლაპლაპებენ, ელვასავით ელავენ.

⁵ის მოუხმობს თავის ძლიერებს, მაგრამ სრბოლისას წაიფორხილებენ ისინი, მიაწყდებიან კედლებს და საფარს მოაწყობენ.

⁶გაიღება მდინარეთა ჭიშკრები და აირ-დაირევა სასახლე.

⁷გადაწყდა: გაშიშვლდება, გაიტაცებენ! მისი მხევლები მტრედის ხმაზე მოთქვამენ, გულში ხელს იცემენ.

⁸წყლისგან დაიცალა, ნინევე – წყალსატევი, ისინი კი გარბიან. დადექით! დადექითო! – ეძახიან, მაგრამ არავინ ბრუნდება უკან.

⁹დაიტაცეთ ვერცხლი! დაიტაცეთ ოქრო! არ დაიღევა მდიდრული ნახელავი – ძვირფასი ნივთები.

¹⁰გატიალდა, გაოხრდა, გაპარტახდა! დადნა გული და კანკალებს მუხლები, მოსწყდათ წელი, ფერი დაკარგეს.

¹¹სად არის ლომთა ბუნაგი და ბოკვერთა სანავარდო, სადაც დადიოდნენ ხვადი და ძუ ლომები და მათი ბოკვრები, და ვერავინ აშინებდა მათ?

¹²ლომი გლეჯს თავისი ლეკვებისთვის, და აღრჩობს თავისი ძუსათვის, ნატაცებით ავსებს ბუნაგს და გამოქვაბულს – დაგლეჯილი ნადავლით.



¹³„აჰა, მითქვამს შენთვის,“ – ამბობს ცაბაოთ უფალი, – „ცეცხლში დავწვავ შენს ეტლს, მახვილი შეჭამს შენს ბოკვრებს. შენს მტაცებლობას აღვკვეთავ ქვეყანაზე და აღარ გაისმება შენი მოციქულების ხმა.“

ნაუმ 3

¹ვაი, მოსისხლე ქალაქს! სიცრუით არის გატენილი, სავსეა ძალადობით და არ ეშვება მტაცებლობას.

²შოლტის ტყლაშუნი და ბორბლების გრიალი, ცხენების ჭიხვინი და ეტლების დგანდგარი.

³მხედართა კვეთება და მახვილთა კვესება, შუბების ელვა; უამრავ დახოცილ გვამთა გროვა! არ დაილია ცხედრები, ფორთხილებენ მათ გვამებზე.

⁴მეძავი დიაცის უზომო სიძვის გამოა, მომხიზვლელისა და ჯადოქრისა, რომელიც თავისი სიძვით ჰყიდის ხალხებს და ჯადოქრობით – ტომებს.

⁵აჰა, – ამბობს ცაბაოთ უფალი, – მე შენ ბოლომდე აგიწევ კალთას, რომ ხალხებს დავანახო შენი სიშიშვლე, სამეფოებს – შენი უტიფრობა.

⁶მოგაყრი ნაგავს, წაგბილწავ და სასეიროდ გაგხდი.

⁷ვინც კი შეგხედავს, გაგეცლება და იტყვის: გამარცვულიაო ნინევე, ვის დაენანებაო იგი? ვინ მოგიძებნო ნუგეშისმცემელი?

⁸რითი ჯობიხარ თებეს, მდინარეთა შორის რომ ცხოვრობდა და წყლები ევლებოდა ირგვლივ? რომლის დოვლათი ზღვა იყო და ზღვისგანვე იყო მისი კედელი?

⁹ქუშის ქვეყანა გამაგრებდა და უსაზღვრო ეგვიპტე, ფუტი და ლიბიელნი გიჭერდნენ მხარს.

¹⁰ისიც გადაასახლეს, ტყვედ წაიყვანეს, მის ბავშვებსაც თავები დაუჭეჭყეს გზაჯვარედინებზე; მის დიდებულებზე წილს იყრიდნენ და წარჩინებულებს ბორკილებს ადებდნენ.

¹¹დათვრები და დაიმალები, მტრებისგან თავშესაფარს დაუსწყებ ძებნას.

¹²შენი ციხე-კოშკები მწიფე პირველნაყოფიანი ლედვის ხეა – თუ შეარხიე, პირში ჩაუცვივა მჭამელს.

¹³აჰა, შენი ერი ქალებივით არიან შენს წიაღში! ფართოდ გაეღებათ შენს მტრებს შენი ქვეყნის კარიბჭეები, ცეცხლი შეჭამს შენს საკეტურებს.

¹⁴მოიმარაგე საალყოდ წყალი, გაამაგრე ციხე-კოშკები; მოჭერი თიხა, მოზილე ალიზი, შეაკეთე სააგურე ქურა.



¹⁵იქ შეგჭამს ცეცხლი, გაგწყვეტს მახვილი; შეგჭამს, როგორც კალია. შექუჩდი კალიასავით, მოზღვავდი ბოცომკალივით.

¹⁶მოვაჭრეები ცის ვარსკვლავებზე მეტად გაგიმრავლებია; კალია ფრთებს გაშლის და გაფრინდება.

¹⁷შენი მოხელეები ბოცომკალს ჰგვანან; შენი იასაულები ჭრიჭინების გუნდია, ცივ ამინდში ღობის ძირას რომ იბუდევენ: მზე ამოვა და გაიფანტებიან, მათ კვალს ველარავინ მიაგნებს.

¹⁸ჩასძინებიათ შენს მწყემსებს, მეფეო აშურისავ; ისვენებენ შენი დიდებულები, მთებში გაფანტულა შენი ხალხი და არავინაა მათი შემკრები.

¹⁹არ გიშუშდება ჭრილობა, გაგიარჯლდა წყლული. ვინც კი გაიგებს შენს ამბავს, ტაშს დაგცემს, რადგან ვის არ მისწვდენია შენი გაუთავებელი სიავე?



აბაკუმ წინასწარმეტყველი

აბაკუმ 1

- ¹განაჩენი, რომელიც იხილა აბაკუმ წინასწარმეტყველმა:
- ²როდემდის უნდა შემოგთხოვდე შველას, უფალო, და შენ არ ისმენდე? შემოგჩიოდე ძალადობის გამო და არ მშველოდე?
- ³რისთვის მაყურებინებ სიცრუეს და მახილვინებ სიავეს? მარცვა-გლეჯა და ძალადობაა ჩემს წინაშე, მტრობა და შუღლია ჩამოვარდნილი.
- ⁴ამიტომაც გაცუდდა რჯული და აღარ ჭრის სამართალი. რადგან უსამართლო ჯაზნის მართალს, ამიტომაც გამოდის უკუღმართი მსჯავრი.
- ⁵შეხედეთ ხალხებს, დააკვირდით და განცვიფრდით, რადგან ისეთ რამეს მოვიმოქმედებ თქვენს დროში, ამბად გაგონილსაც არ დაიჯერებდით.
- ⁶რადგან, აჰა, აღვძრავ ქალდეველებს, – სასტიკსა და ფიცხელ ხალხს, და მოივლიან მთელს დედამიწას, რომ დაეპატრონონ საცხოვრებლებს, რომლებიც მათ არ ეკუთვნით.
- ⁷საშიშია და შემზარავი, მისგან გამოდის მსჯავრი და სასჯელი.
- ⁸ჯიქზე უსწრაფესია მისი ცხენები, ბინდის მგლებივით მზერამახვილნი. დაჯირითობენ მისი მხედრები, მოგრილდებიან მხედრები შორიდან, მოფრინდებიან მსხვერპლს დაღირებული ორბებივით.
- ⁹ერთიანად მოდის დასარბევად, აღმოსავლეთისკენ პირმიქცეული, და ქვიშასავით მიხვეტავს ტყვეებს.
- ¹⁰ამასხრებს მეფეებს და მთავრებს სასაცილოდ იგდებს. დასცინის ყოველ ციხესიმაგრეს, მიწაყრილებს ახვავებს მათ ასაღებად.
- ¹¹მაშინ მოიცემს გულს, საზღვარს გადავა და შესცოდებს. მისი ძალა მის ღმერთშია!
- ¹²განა უკუნისიდან არა ხარ, უფალო, ჩემო ღმერთო, ჩემო წმიდავ? არ დავიხოცებით! უფალო, სამსჯავროდა გყავს დადგენილი იგი! საფარველო, სამხილებლად გყავს განწესებული!
- ¹³სუფთაა სახედველნი ბოროტების საყურებლად და არ ძალგიძს სიავის ჭვრეტა. რატომ უცქერ მუხანათებს და დუმხარ, როცა უკეთური ყლაპავს მართალს?
- ¹⁴ზღვის თევზებივით გაგიხდია ადამიანები, უპატრონო ქვეწარმავლებივით.



¹⁵ყველანი ანკესით ჰყავს ამოყვანილი, თავისი სათხევლით ამოთრეული და თავის ბადეში გამომწყვდეული. ამიტომ ხარობს და ზეიმობს.

¹⁶ამიტომ სწირავს მსხვერპლს თავის სათხეველს და უკმევს თავის ბადეს, რადგან მათგან აქვს მსუყე კერძი და ნოყიერი საჭმელი.

¹⁷ნუთუ ამისთვის უნდა ისროდეს თავის ბადეს და უწყალოდ ხოცავდეს ხალხებს გამუდმებით?

აბაკუმ 2

¹ჩემს სადარაჯოზე დავდგები, და გავალ კოშკზე, დავაყურადებ, რომ ვნახო, რას მეტყვის და რა ვუპასუხო ჩემს მხილვებაზე.

²მომიგო უფალმა და მითხრა: ჩაწერე ხილვა, ქვის დაფებზე ამოკვეთე, რომ სწრაფად წაიკითხოს მკითხველმა.

³რადგან უკვე დათქმული ჟამისთვის არის ხილვა და ბოლოს გაცხადდება, არ გამტყუნდება. თუ დააგვიანდეს, დაელოდე, რადგან უსათუოდ მოვა, არ დაბრკოლდება.

⁴აჰა, გაიბერა, ვერ გასწორდა მასში მისი სული. მართალი კი თავისი რწმენით იცოცხლებს.

⁵მატყუარა ღვინოსავითაა ამპარტავანი, არ მოისვენებს. ჯოჯოხეთივით გაიბერა სული და სიკვდილივით გაუმაძღარია. თავისკენ შემოიკრებს ყველა ხალხს და ყველა ერს თავისთან შემოხვეტავს.

⁶ხომ ყველანი საარაკოდ გახდიან მას და მასხარად აიგდებენ, იტყვიან: ვაი მას, ვინც სხვისას იგროვებსო, – როდემდის? – და მონახვეჭით იმძიმებსო თავს!

⁷ხომ უეცრად აღდგებიან შენი მკბენელნი და აღიმრებიან შენი დამაფრთხოებელნი, რომ მათ კერძად იქცე?

⁸რაკი უამრავი ხალხი გყავს გამარცვული, შენც გაგმარცვავს ყველა დანარჩენი ერი დაღვრილი სისხლის წილ, ქვეყნის, ქალაქის და მის მკვიდრთა ჩაგვრის წილ.

⁹ვაი მას, ვინც უსამართლოდ იხვეჭს თავისი სახლისთვის და მაღალზე იბუდებს, რომ თავი დაიხსნას ბოროტის ხელიდან!

¹⁰სირცხვილი გადაუწყვიტე შენს ხალხს, რომ მოსპე უამრავი ხალხი, საკუთარ თავს შესცოდე.

¹¹რადგან ქვები ღალადებენ კედლებიდან და ძელები ეპასუხებიან.



¹²ვაი მას, ვინც სისხლზე აშენებს ქალაქს და უსამართლობაზე აფუძნებს დარბაზებს.

¹³განა ცაბაოთ უფლისგან არ არის, რომ ცეცხლისთვის იღწვიან ხალხები და არაფრისთვის დაშვრებიან ტომები?

¹⁴რომ უფლის დიდების ცოდნით აივსოს ქვეყანა, როგორც ზღვა არის წყლით დაფარული?

¹⁵ვაი მას, ვინც თავისთვის ტომს ასმევს თავისი რისხვის თასს და ათრობს, რომ სიშიშვლეს უყუროს!

¹⁶პატივის ნაცვლად დამცირებით გაძღები. შენც სვი და გაშიშვლდი, შენც შეგხვდება უფლის მარჯვენის თასი და შენი პატივის დამცირება.

¹⁷რადგან ლიბანის თრგუნვა შენს თავზე გადმოვა და პირუტყვთა აკლება შეგაშინებს, რადგან კაცის სისხლი გაქვს დაღვრილი და ქვეყანა, ქალაქი და მისი მცხოვრებნი – დათრგუნული.

¹⁸რა სარგებლობა აქვს მოქანდაკის გამოკვეთილ კერპს, ტყუილის მოძღვარს? მაგრამ მოქანდაკე ესავს თავის ნაქანდაკეს, თუმცა უტყვნია მისი შექმნილი ღმერთები.

¹⁹ვაი მას, ვინც ხეს ეუბნება: გაიღვიძეო, და მდუმარე ქვას: გამოფხიზლდიო. ეს არის მოძღვარი? აჰა, ოქრო-ვერცხლშია ჩასმული, სული კი არ უდგას.

²⁰უფალი კი თავის წმიდა ტაძარშია. დადუმდეს მთელი ქვეყანა მის წინაშე!

აბაკუმ 3

¹აბაკუმ წინასწარმეტყველის ლოცვა საგალობლად.

²უფალო, გავიგონე შენგან გასაგონი და შემეშინდა. უფალო, იხსენ შენი ქმნილება სიცოცხლის შუაძალზე; გააცხადე სიცოცხლის შუაძალზე, რომ რისხვის დროსაც კი გახსოვს შეწყალება.

³თემანიდან მოდის ღმერთი და წმიდა – ფარანის მთიდან. დაფარა ზეცა მისმა ბრწყინვალეობამ და მისმა დიდებამ აავსო დედამიწა.

⁴დღესავით ბრწყინავს მისი ნათელი, შუქს ასხივებს მისი ხელი და აქ იმალება მისი ძლიერება.

⁵შავი ჭირი მიუძღვება წინ და ფეხდაფეხ მიჰყვება ჟამი.

⁶შედგა და გათელა მიწა, გაიხედა და შეაძრწუნა ხალხები. გაცამტვერდა საუკუნო მთები, ჩამოიქცა საუკუნო ბორცვები. საუკუნოა მისი გზასავალი.



⁷ განსაცდელში ვხედავ ქუშანის კარვებს, ირხევიან მიდიანის ქვეყნის ფარდები.

⁸ ნუთუ მდინარეებს დაატყდა შენი რისხვა, უფალო, ნუთუ მდინარეებს – შენი მძვინვარება და ზღვას – შენი გულისწყრომა, შენს ცხენებზე, შენს ძლევის ეტლებზე რომ ამხედრდი?

⁹ შენ გააშიშვლე მშვილდი, როგორც ხალხებისთვის გქონდა დაფიცებული, მდინარეებად დაღარე დედამიწა.

¹⁰ დაგინახეს და შედრკნენ მთები. გადაიარა წყლის ნიაღვარმა, ხმა გაიღო წყლის უფსკრულმა, აღმართა ხელები.

¹¹ მზე და მთვარე დაყოვნდნენ თავიანთ სადგომებში. შენი ისრების შუქზე დადიან ისინი, შენი ელვარე შუბის შარავანდზე.

¹² რისხვით აბიჯებ დედამიწაზე და გულისწყრომით თელავ ხალხებს.

¹³ შენი ერის გამოსახსნელად გამოხვედი, შენი ცხებულის გამოსახსნელად. ჭერი ჩაუნგრე უკეთურის სახლს, ფუძიდან სახურავამდე გააშიშვლე.

¹⁴ თავი გაუპე მათივე კვერთხებით მის ბელადებს, როცა მოგრილდნენ ჩემს გასაცამტვერებლად და ხარობდნენ იმ ფიქრით, თითქოს ბედშავს იდუმალ ჩაყლაპავდნენ.

¹⁵ შენი ცხენებით ზღვა გაქვს გათელილი, ადიდებული წყლების ზვირთები.

¹⁶ გავიგონე და შემემძრა შიგნეული, მის ხმაზე ამითრთოლდა ბაგეები, ტეხა დამიწყეს ძვლებმა და ადგილზე დავბარბაცდი. მაგრამ მშვიდად დაველოდები გასაჭირის დღეს, როცა ჩემს ხალხს გასაძარცვად თავს დაესხმიან.

¹⁷ თუნდაც აღარ აყვავდეს ლეღვი, აღარ გამოისხას ვაზმა მტევანი, გამტყუნდეს ზეთისხილის ნაყოფი, ყანებმა საზრდო არ მოიტანონ, მოწყდეს ფარებიდან ცხვარი და აღარ დარჩეს ბოსლებში საქონელი,

¹⁸ მე მაინც უფალში გავიხარებდი, ჩემი ხსნის ღმერთში ვნახავდი შვებას.

¹⁹ უფალი ღმერთია ჩემი ძალა. ჩემს ფეხებს ირმისას ამსგავსებს და ჩემს გორაკებს მომატარებს. (ლოტბარისთვის, ჩემს სიმებიან საკრავებზე).



სოფონია წინასწარმეტყველი

სოფონია 1

¹უფლის სიტყვა, რომელიც იყო სოფონიას მიმართ, ქუშის ძისა, ძისა გედალიასი, ძისა ამარიასი, ძისა ხიზკიასი – იუდეის მეფის – იოშია ამონის ძის დროს.

²ყველაფერს ავხვეტავ მიწის პირიდან, – ამბობს უფალი.

³ავხვეტავ კაცსა და პირუტყვს, ცის ფრინველს და ზღვის თევზებს, ცდუნებებს უკეთურებთან ერთად. მოვკვეთ კაცთა მოდგმას მიწის პირიდან, – ამბობს უფალი.

⁴ხელს მოვუღერებ იუდეას და იერუსალიმის ყველა მკვიდრს. მოვკვეთ ამ ადგილიდან ბაყალის ნატამალს, ქურუმთა სახსენებელს მღვდლებთან ერთად,

⁵მათ, ვინც ერდოებზე თაყვანს სცემენ ციურ ლაშქარს, ვინც თაყვანს სცემენ და უფალს იფიცავენ და მასთან ერთად თავიანთ მილქომსაც იფიცავენ;

⁶მათ, ვინც განუდგნენ უფალს და აღარ ეძიებდნენ უფალს, და აღარ კითხულობდნენ.

⁷დადუმდი უფალი ღმერთის წინაშე! რადგან ახლოსაა უფლის დღე. რადგან გამზადებული აქვს მსხვერპლი უფალს, არჩეული ჰყავს სტუმრები.

⁸დადგება საუფლო მსხვერპლის დღე: მსჯავრს დავდებ მთავრებს და უფლისწულებს და ყველას, უცხო სამოსლით მოსილს.

⁹მსჯავრს დავდებ იმ დღეს ყველას, ზღურბლის დამლახველს და თავიანთი უფლის სახლის მძლავრობითა და სიცრუით ამავსებელს.

¹⁰გაისმება იმ დღეს, – ამბობს უფალი, – გოდების ხმა თევზთა კარიბჭიდან და მოთქმა საპირისპირო მხრიდან, დიდი უბედურების ამბავი – მთაგორებიდან.

¹¹ივალაღეთ, მორტარის ხეობის მკვიდრნო, რადგან გადაშენდება ყოველი მოვაჭრე, ამოწყდება ყველა ვერცხლისმტვირთველი.

¹²სწორედ მაშინ იქნება, რომ ლამპრით მოვათვალიერებ იერუსალიმს, და მსჯავრს დავდებ საკუთარ საფუარზე გაფუებულით, გულში რომ ამბობენ: არც კარგს აკეთებს უფალი, არც ცუდსო.

¹³განიავდება მათი ქონება და გაუკაცურდება მათი სახლები. ააშენებენ სახლებს და შიგ ვერ იცხოვრებენ; ჩაყრიან ვაზს და მათ ღვინოს ვერ შესვამენ.



¹⁴ახლოს არის უფლის დიდი დღე, ახლოს არის და მოვა სულ მალე ხმა უფლის დღისა, და მწარედ იყვირებს მაშინ თვით ყველაზე მაგარი ვაჟკაციც კი.

¹⁵რისხვის დღეა ის დღე, ჭირისა და სიმწრის დღე, ნგრევისა და მოოხრების დღე, სიბნელისა და წყვდიადის დღე, ჯანლისა და ნისლის დღე,

¹⁶ბუკისა და ყიჟინის დღე, ციხე-ქალაქთა და მაღალ კოშკთა წინააღმდეგ.

¹⁷ხალხს შევაჭირვებ და ბრმეებით ივლიან, რადგან შესცოდეს უფალს. მტვერით გაიფანტება მათი სისხლი და ნეხვით – მათი ხორცი.

¹⁸ვერც ვერცხლი, ვერც ოქრო ვერ იხსნის მათ უფლის რისხვის დღეს, და მისი შურის ცეცხლი შთანთქავს მთელ ქვეყანას, რადგან ბოლოს მოუღებს უცაბედად ქვეყნის ყველა მკვიდრს.

სოფონია 2

¹გონს მოდი, უსირცხვილო ხალხო.

²ვიდრე მოაწევდეს განგება, ვიდრე ბუესავით არ განიავდებოდეს დღე, ვიდრე არ დაგტეხიათ უფლის რისხვა, ვიდრე არ დაგტეხიათ უფლის რისხვის დღე.

³ემიეთ უფალი, ქვეყნის თვინიერნო, ვინც ასრულებთ მის რჯულს; ემიეთ სიმართლე, ემიეთ თვინიერება, ვინძლო დაიძალოთ უფლის რისხვის დღეს.

⁴რადგან მიატოვებენ ღაზას, გაუკაცურდება აშკელონი, დღისით-მზისით აიყრება აშდოდი და ამოიფხვრება ყეკრონი.

⁵ვაი, ზღვისპირელებს, ქერეთელთ! შენზეა უფლის სიტყვა, ქანაანო, ფილისტიმელთა ქვეყანავ! გაგანადგურებ და გაუკაცურდები.

⁶გადაიქცევა ზღვისპირეთი მწყემსთა იალაღებად და ცხვრის ფარეხებად.

⁷იუდას სახლის ნატამალს ერგება ზღვისპირეთის მხარე, იქ დამწყემსავენ და აშკელონის სახლებში დაისვენებენ საღამოობით, რადგან მოხედავს მათ მათი უფალი ღმერთი და დააბრუნებს მათ ტყვეებს.

⁸მესმოდა როგორ ილანძლებოდა მოაბი და როგორ ავსიტყვაობდნენ ყამონელები, როგორ ლანძღავდნენ ჩემს ერს და დიდგულობდნენ მის საზღვრებთან.

⁹ამიტომაც ვფიცავ, – ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი, – რომ მოაბი სოდომით გახდება და ყამონი – გომორასავით, ჭინჭარი და მლაშობები მოიცავს იმ ადგილს, და მარადიულ უდაბნოდ იქცევა. ჩემი ხალხის ნატამალი დაიმკვიდრებს მათ.



¹⁰ეს მოელთ მათი ამპარტავნების გამო, რომ ილანძღებოდნენ და ედიდგულებოდნენ ცაბოთ უფლის ერს.

¹¹საშინელი იქნება მათთვის უფალი, რადგან გააცამტვერებს ქვეყნიერების ყველა ღმერთს, და მას დაუწყებს თაყვანისცემას ყოველი კაცი თავისი ქვეყნიდან, წარმართთა ყოველი კუნძული.

¹²თქვენც, ქუშელებო, დაილახვრებით ჩემი მახვილით.

¹³გაიწვდის ხელს ჩრდილოეთისკენ და გაანადგურებს აშურს, და გაატიალებს ნინევეს, გაახრიოკებს უდაბნოსავით.

¹⁴იქ დაეყრებიან ფარები და ყველა სახის ცხოველი დაიბუდებს; ვარხვი და ზღარბი გაითენებენ მის ბუღურებზე. ჭოტის კივილი გაისმება სარკმლებში. ყორანი ჩამოჰყევს ზღურბლს, რადგან ჩამოსცვივა კედარი კედლებს.

¹⁵ეს მოელის მხიარულსა და უდარდელ ქალაქს, რომელიც ამბობდა გულში: მე ვარ და ჩემს მეტი არავინ არისო. როგორ გატიალდა! როგორ გადაიქცა მხეცების ბუნაგად! ყოველი კაცი, ვინც მას შორიახლოს ჩაუვლის, სინანულით დაუსტვენს და ხელს ჩაიქნევს.

სოფონია 3

¹ვაი გაჯიუტებულს და წაბილწულს, მოძალადე ქალაქს!

²ხმას არ უსმინა, არ შეიგონა, უფალს არ ესავდა, თავის ღმერთს არ მიეახლა.

³მისი მთავრები მის შუაგულში – მბრძღვინავი ლომები არიან, მისი მსაჯულები საღამოს მგლები არიან, დილამდე ძვალსაც რომ არ ტოვებენ.

⁴მისი წინასწარმეტყველნი მსუბუქი ხალხია, ფიცისგამტეხნი; მისი მღვდლები საწმიდარს ბილწავენ, ფეხქვეშ თელავენ რჯულს.

⁵სამართლიანია უფალი მის შორის, უსამართლოდ არ იქცევა; დილ-დილობით აცხადებს თავის სამართალს დაუბრკოლებრივ. მაგრამ ღვთისმგმობმა არ იცის სირცხვილი.

⁶გავწყვიტე ხალხი, დაიქცა მათი ციხესიმაგრეები. გავაუკაცრიელე მათი ქუჩები, არ დარჩა გამვლელი, გაცამტვერდა მათი ქალაქები. კაცი არ დარჩა, აღარ არის იქ მცხოვრები.

⁷ვეუბნებოდი: ოღონდ გეშინოდეს ჩემი, მიიღე-მეთქი შეგონება. არ განადგურდებოდა მისი სამყოფელი, რამდენჯერაც არ უნდა დამესაჯა იგი. მაგრამ ბეჯითად რყვნიდნენ თავიანთ საქმეს.



⁸ამიტომაც მელოდეთ მე, – ამბობს უფალი, – იმ დღემდე, როცა მოწმედ დავდგები, რადგან ჩემი განგებით მოიყრიან თავს ხალხები, შეიკრიბებიან სამეფოები, რომ თავზე დავანთხიო ჩემი რისხვა, მთელი ჩემი წყრომა, რადგან ჩემი შურის ცეცხლში უნდა შთაინთქას მთელი ქვეყანა.

⁹რადგან მაშინ გავასუფთავებ ხალხთა ბაგეებს, რომ ყველამ ახსენოს უფლის სახელი და ერთსულოვნად ემსახუროს მას.

¹⁰ჩემი გაფანტული ხალხის ძენი ქუშის მდინარეთა გაღმიდან მომართმევენ ძღვენს.

¹¹იმ დღეს აღარ შეირცხვენ თავს შენი საქციელით, რითაც სცოდავდი ჩემს წინაშე, რადგან მაშინ მოვაცილებ შენს წიაღს შენი დიდებით მოქადულებს, რათა აღარ გამედიდურდე ჩემს წმიდა მთაზე.

¹²დავტოვებ შენს შორის თვინიერ და ბეჩავ ხალხს. უფლის სახელში ჰპოვებენ ისინი თავშესაფარს.

¹³აღარ ჩაიდენს უსამართლობას ისრაელის ნატამალი, აღარ იცრუებს, აღარ იქნება მათ ბაგეებში მზაკვარი ენა, რადგან თავად მოსძოვენ და დაისვენებენ, და აღარავინ იქნება მათი შემშინებელი.

¹⁴გიხაროდეს, ასულო სიონისაო! იზეიმე, ისრაელო! იმხიარულე და იხალისე მთელი გულით, იერუსალიმის ასულო!

¹⁵აგხადა უფალმა სასჯელი, უკუაქცია შენი მტერი. შენს შორისაა უფალი, მეფე ისრაელისა: უბედურებას აღარ იხილავ.

¹⁶იმ დღეს ეტყვიან იერუსალიმს: ნუ გეშინია! და სიონს: ნუმც მოგედლება მკლავი!

¹⁷უფალი, შენი ღმერთი, შენთან არის, ძალი შესწევს, რომ გიხსნას; სიხარულით გაიხარებს შენზე, მოწყალე იქნება თავის სიყვარულში, სიმღერით იზეიმებს შენს გამო.

¹⁸შევკრებ საზეიმო დღესასწაულთ მონატრებულთ: შენგან რომ გავიდნენ, სირცხვილი აწევთ ტვირთად.

¹⁹აჰა, გავუსწორდები იმ დროს ყველა შენს მჩაგვრელს. ვიხსნი ფეხმოკლეს, გაფანტულთ თავს მოვუყრი, დიდებას და სახელს მოვუხვეჭ ყველგან, მათი შერცხვენის ქვეყანაში.

²⁰იმ დროს წამოგიყვანთ და იმ დროსვე თავს ერთად მოგიყრით; მოგიხვეჭთ სახელს და დიდებას დედამიწის ყველა ხალხებში, როცა დავაბრუნებ თქვენს ტყვეებს თქვენს თვალწინ, – ამბობს უფალი.



ანგია წინასწარმეტყველი

ანგია 1

¹დარიოს მეფის მეორე წელს, მეექვსე თვის პირველ დღეს იყო უფლის სიტყვა ანგია წინასწარმეტყველის პირით ნათქვამი იუდეის განმგებლის – ზერუბაბელ შეალთიელის ძის და მღვდელმთავარ იესო იეჰოცადაკის ძის მიმართ:

²ასე თქვა ყოვლისმპყრობელმა უფალმა: ეს ხალხი ამბობს, რომ უფლის სახლის აშენების ჟამი ჯერ არ დამდგარაო.

³იყო უფლის სიტყვა ანგია წინასწარმეტყველის პირით ნათქვამი:

⁴იმის ჟამი კი არის, რომ გადახურულ სახლებში ნებივრობდეთ, მაშინ, როცა ჩემი სახლი მიტოვებულია?

⁵ახლა ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: დაუკვირდით თქვენს გზებს.

⁶თქვენ ბევრს თესავთ, მაგრამ ცოტას იმკით; ჭამთ, მაგრამ ვერ ძლებით; სვამთ, მაგრამ ვერ იკლავთ წყურვილს; იცვამთ, მაგრამ ვერ თბებით; გახვრეტილი ჯიბისთვის იღებს მშრომელი შრომის საზღაურს.

⁷ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: დაუკვირდით თქვენს გზებს.

⁸ადით მთაზე, აიტანეთ ხე-ტყე და ტაძარი ააშენეთ. მოვიწონებ ამას და დიდებით გამოვჩნდები, – ამბობს უფალი, –

⁹ბევრის მოლოდინი გაქვთ, მაგრამ მცირედი გისრულდებათ. რაც სახლში მიგაქვთ, იმასაც ვანიავებ. რატომ? – ამბობს ცაბაოთ უფალი. – იმიტომ, რომ მიტოვებულია ჩემი სახლი, თქვენ კი ყველანი თქვენს სახლებზე ზრუნავთ.

¹⁰ამიტომ არის, რომ დაგიკავათ ცამ ცვარი და მიწამ არ მოგცათ ნაყოფი.

¹¹გამოვიხმე გვალვა მიწაზე, მთებზე, ხორბალზე, ღვინოზე, ზეთისხილზე და ყველაფერზე, რასაც მიწა აღმოაცენებს, ადამიანზე, პირუტყვზე და ყოველივე ნაჭირნახულებზე.

¹²ისმინეს ზერუბაბელ შეალთიელის ძემ, იესო იეჰოცადაკის ძემ, მღვდელმთავარმა, და მთელმა დანარჩენმა ხალხმა უფლის, მათი ღვთის, ხმა და ანგია წინასწარმეტყველის სიტყვები, რამდენადაც იგი უფლის, მათი ღვთის, მოვლინებული იყო, და შეეშინდა ხალხს უფლისა.

¹³უთხრა ანგიამ, უფლის მოციქულმა, ხალხს უფლის მოციქულობის ძალით: მე თქვენთანა ვარ, – ამბობს უფალი.



¹⁴გააღვიძა უფალმა იუდეის განმგებლის, ზერუბაბელ შეალთიელის ძის სული, მღვდელმთავარ იესო იეჰოცადაკის ძის სული და მთელი დანარჩენი ხალხის სული და მივიდნენ და დაიწყეს ცაბაოთ უფლის, მათი ღვთის, სახლის სამუშაოები.

¹⁵მეექვსე თვის ოცდამეოთხე დღეს, დარიოს მეფის მეორე წელს.

ანგია 2

¹მეშვიდე თვის ოცდამეერთე დღეს იყო უფლის სიტყვა ანგია წინასწარმეტყველის პირით:

²უთხარი ზერუბაბელ შეალთიელის ძეს, იუდას განმგებელს, იესო იეჰოცადაკის ძეს, მღვდელმთავარს, და მთელს დანარჩენ ხალხს:

³ვინ არის დარჩენილი თქვენს შორის, ვინც მოსწრებია ამ სახლის პირვანდელ დიდებას? რას ხედავთ ახლა? ხომ არარაობად ჩანს თქვენს თვალში!

⁴ახლა გამაგრდი, ზერუბაბელ! – ამბობს უფალი. – გამაგრდი იესო იეჰოცადაკის ძევ, მღვდელმთავარო! მთელი ქვეყნის ერო! – ამბობს უფალი, – და იშრომეთ, რადგან თქვენთანა ვარ, – ამბობს ცაბაოთ უფალი. –

⁵სიტყვა, ეგვიპტიდან გამოსვლისას რომ დაგიდევით, და ჩემი სული იმყოფება თქვენს შორის. ნუ გეშინიათ.

⁶რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: კიდევ ცოტაც და შევარყევ ცას და მიწას, ზღვასა და ხმელეთს.

⁷შევარყევ ყველა ხალხს და აღსრულდება ყოველი ხალხის საწადელი: დიდებით ავაყვებ ამ სახლს, – ამბობს ცაბაოთ უფალი. –

⁸ჩემია ვერცხლი და ჩემია ოქრო, – ამბობს ცაბაოთ უფალი. –

⁹პირვანდელზე უფრო დიდი იქნება ამ უკანასკნელი სახლის დიდება, – ამბობს ცაბაოთ უფალი. – ამ ადგილზე მოვაფენ მშვიდობას, – ამბობს ცაბაოთ უფალი.

¹⁰მეცხრე თვის ოცდამეოთხე დღეს, დარიოსის მეორე წელს, იყო უფლის სიტყვა ანგია წინასწარმეტყველის პირით:

¹¹ასე თქვა ყოვლისმპყრობელმა უფალმა: ჰკითხე მღვდლებს რჯული:

¹²აჰა, მიაქვს კაცს წმიდა ხორცი თავისი კალთით, თუ შეეხო კალთით პურს, შეჭამადს, ღვინოს, ზეთს ან რაიმე საჭმელს, თუ გახდება წმიდა? მიუგეს მღვდლებმა და უთხრეს: არაო.



¹³თქვა ანგიამ: თუ შეეხო ამას ყველაფერს გაუწმიდურებული კაცი, გაუწმიდურდება ეს ყველაფერი? მიუგეს მღვდლებმა და უთხრეს: გაუწმიდურდებაო.

¹⁴მიუგო ანგიამ და უთხრა: ასეთია ეს ერი, ასეთია ეს ხალხი ჩემს წინაშე, – ამბობს უფალი, – ასეთია მათი ხელის ნამოქმედარი. მათი მოტანილი ყველაფერი უწმიდურია.

¹⁵ახლა დააკვირდით, რა ხდებოდა ძველად, ვიდრე ქვა ქვაზე დაიდებოდა უფლის ტაძარში.

¹⁶მივიდოდნენ ოცმნიან ზვინთან და აღმოჩნდებოდა 10. მივიდოდნენ საწნახელთან 50 საწყაოს ამოსახაპავად და აღმოჩნდებოდა 20.

¹⁷გინადგურებდით მთელს ნამუშავეს ხორშაკით, სიყვითლით და სეტყვით. და მაინც არ მოიქცით ჩემსკენ, – ამბობს უფალი. –

¹⁸დააკვირდით, რა ხდებოდა ძველად მეცხრე თვის ოცდამეოთხე დღიდან, იმ დღიდან, რაც უფლის ტაძარი დაფუძნდა, დააკვირდით:

¹⁹თულა დარჩა ბელელში თესლი? თუ გამოულია ნაყოფი ვაზს, ლელვს, ბროწეულს და ზეთისხილს? ამიერიდან კი ვაკურთხებ.

²⁰მეორედ იყო უფლის სიტყვა ანგიას მიმართ თვის ოცდამეოთხე დღეს:

²¹„ასე უთხარი ზერუბაბელს, იუდას განმგებელს: შევარყევ ცას და მიწას.

²²დავამხოვ სამეფოთა ტახტებს, მოვსპოვ წარმართთა სამეფოთა ძლიერებას, დავამხოვ ეტლებს მხედრებითურთ, და დაეცემიან ცხენები და მხედრები ერთმანეთის მახვილით,

²³იმ დღეს, – ამბობს ცაბაოთ უფალი, – აგიყვან შენ, ზერუბაბელ შეალთიელის ძეო, ჩემო მორჩილო, – ამბობს უფალი, – და ბეჭედივით მეყოლები, რადგან ჩემი რჩეული ხარ, – ამბობს ცაბაოთ უფალი.“



ზაქარია წინასწარმეტყველი

ზაქარია 1

¹დარიოსის მეფობის მეორე წლის მერვე თვეს იყო უფლის სიტყვა წინასწარმეტყველ ზაქარიას მიმართ, მისა ბერექიასი, მისა ყიდოსი:

²დიდი განრისხებით განურისხდა უფალი თქვენს მამებს.

³უთხარი მათ: ასე ამბობს-თქო ცაბაოთ უფალი: მოიქეცით ჩემსკენ, – ამბობს ცაბაოთ უფალი, – და მეც მოვიქცევი თქვენსკენ, – ამბობს ცაბაოთ უფალი.

⁴ნუ იქნებით, როგორც თქვენი მამები, რომელთაც მოუწოდებდნენ უწინდელი წინასწარმეტყველნი და ეუბნებოდნენ: „ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: მოიქეცით თქვენი ბოროტი გზებიდან და ბოროტი საქმეებისგან!“ მაგრამ არ მისმენდნენ და არ მიგონებდნენ, – ამბობს უფალი.

⁵სადღა არიან თქვენი მამები? და განა წინასწარმეტყველნიც საუკუნოდ ცოცხლობენ?

⁶მაგრამ ჩემი სიტყვები და მცნებები, რომლებიც ვუანდერძე ჩემს მსახურთ, წინასწარმეტყველთ, ხომ მისწვდა თქვენს მამებს? ისინი მიუბრუნდნენ ერთმანეთს და უთხრეს: „როგორც განიზრახა ცაბაოთ უფალმა მოგვეცეოდა ჩვენი გზებისა და საქმეების გამო, ისეც მოგვეცა.“

⁷მეთერთმეტე თვის, ანუ შებატის თვის, ოცდამეოთხე დღეს, დარიოსის მეორე წელს, იყო უფლის სიტყვა წინასწარმეტყველ ზაქარიასადმი, მისა ბერექიასი, მისა ყიდოსი.

⁸ვიხილე ღამით: აჰა, მხედარი ზის წითელ ცხენზე და დგას იგი მირტის ხეებში, შუა ველზე, მის უკან კი სხვა ცხენებია: წითელი, ჩალა და თეთრი.

⁹და ვთქვი: „ვინ არიან ესენი, ჩემო ბატონო?“ მითხრა ანგელოზმა, რომელიც მელაპარაკებოდა: „მე გაჩვენებ, ვინც არიან ესენი.“

¹⁰ხმა გაიღო კაცმა, მირტის ხეებში რომ იდგა, და თქვა: „ესენი არიან, რომლებიც მოავლინა უფალმა ქვეყნის შემოსავლელად.“

¹¹მიუგეს უფლის ანგელოზს, მირტის ხეთა შორის რომ იდგა, და უთხრეს: „შემოვიარეთ ქვეყანა და, აჰა, მთელი ქვეყანა დასახლებული და დამშვიდებულია.“

¹²მიუგო უფლის ანგელოზმა და თქვა: „ცაბაოთ უფალო! როდემდის არ მოიღებ მოწყალებას იერუსალიმზე და იუდას ქალაქებზე, რომლებიც უკვე 70 წელია, რაც შერისხული გყავს?“



¹³მიუგო უფალმა ანგელოზს, რომელიც მე მელაპარაკებოდა, კეთილი სიტყვები, ნუგეშის სიტყვები.

¹⁴მითხრა ანგელოზმა, რომელიც მე მელაპარაკებოდა: მოუწოდე და თქვი, ასე ამბობს-თქო ცაბაოთ უფალი: დიდი შურით ვარ აღძრული იერუსალიმისა და სიონის მიმართ.

¹⁵დიდი რისხვით ვარ განრისხებული ნებივრად მცხოვრებ ხალხებზე; რადგან ოდნავ განვრისხდი და – მოუმატეს მათ ბოროტებას.

¹⁶ამიტომ ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: მოწყალებით მივხედე იერუსალიმს; იქ აიგება ჩემი ტაძარი, – ამბობს ცაბაოთ უფალი, – და ღარი გაიჭიმება იერუსალიმზე.

¹⁷კიდევ მოუწოდე და თქვი: ასე ამბობს-თქო ცაბაოთ უფალი: „კვლავ აივსება ჩემი ქალაქები დოვლათით და კვლავ შეიწყალებს უფალი სიონს და კვლავ აირჩევს იერუსალიმს.“

¹⁸ავახილე თვალი და, აჰა, ოთხი რქაა.

¹⁹ვუთხარი ანგელოზს, რომელიც მე მელაპარაკებოდა: „რა არის ეს?“ მითხრა: „ესენი რქებია, რომლებმაც გაფანტა იუდა, ისრაელი და იერუსალიმი.“

²⁰და დამანახვა უფალმა ოთხი მჭედელი.

²¹და მე ვთქვი: „რის გაკეთებას აპირებენ ესენი?“ ასე მითხრა: „ესენი რქებია, რომლებმაც გაფანტა იუდა, ისე რომ არავის აუწყევია თავი მაღლა. ეს მჭედლები კი მოსულნი არიან დასაშინებლად, იმ ხალხთა რქების დასახრელად, რომელთაც რქა აღუმართავთ იუდეის ქვეყნის წინააღმდეგ, მის გასაფანტავად.“

ზაქარია 2

¹ავახილე თვალი და ვიხილე: აჰა, კაცი საზომი ღარით ხელში.

²ვკითხე: „სად მიდიხარ?“ მითხრა: „იერუსალიმის გასაზომად, რომ გავიგო მისი სიგრძე და განი.“

³აჰა, გამოდის ანგელოზი, რომელიც მელაპარაკებოდა, და სხვა ანგელოზიც გამოდის მის შესახვედრად.

⁴უთხრა მას: „გაიქეცი და უთხარი ამ ჭაბუკს: ვრცლად დასახლდება იერუსალიმი უამრავი ხალხითა და პირუტყვით.

⁵მე ვიქნები ცეცხლის კედელი მის ირგვლივ, – ამბობს უფალი, – და დიდება მის შუაგულში.“



⁶ჰოი, ჰოი! გაიქეცით ჩრდილოეთის ქვეყნიდან, – ამბობს უფალი, – რადგან ცის ოთხი ქარისკენ გაგფანტეთ, – ამბობს უფალი.

⁷თავს უშველე, სიონო, ბაბილონის ასულთან გადასახლებულო.

⁸რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, რომელმაც მე მომავლინა ხალხებთან, რომლებმაც შენ გაგძარცვეს: ის, ვინც თქვენ გეხებათ, ჩემი თვალის გუგას ეხება.

⁹რადგან, აჰა, ხელს მოვუღერებ მათ და ისინი მათი მონების ნადავლად იქცევიან, და მაშინ მიხვდებით, რომ ცაბაოთ უფალმა მომავლინა.

¹⁰იხარე და იმხიარულე, სიონის ასულო! რადგან, აჰა, მე მოვალ და დავივანებ შენს შორის, – ამბობს უფალი.

¹¹შეეფარებიან უამრავი ხალხები უფალს იმ დღეს, და გახდებიან ჩემი ხალხი; და მე დავივანებ შენს შორის, და მიხვდები, რომ ცაბაოთ უფალმა მომავლინა შენთან.

¹²და დაიმკვიდრებს უფალი იუდას, თავის წილხვედრს წმიდა მიწაზე, და კვლავ აირჩევს იერუსალიმს.

¹³და კრთოდეს ყოველ ხორციელ უფლის წინაშე, რადგან, აჰა, წამოიძარტა ის თავისი წმიდა სავანიდან.

ზაქარია 3

¹დამანახვა მან იესო, დიდი მღვდელი, უფლის ანგელოზის წინაშე მდგარი, და სატანა, მის ხელმარჯვნივ მდგარი, მის წინააღმდეგ რომ ემოქმედა.

²უთხრა უფალმა სატანას: „გიკრძალავს უფალი, სატანავ! გიკრძალავს უფალი, რომელმაც იერუსალიმი აირჩია! განა ეს ცეცხლიდან გამოგლეჯილი მუგუზალი არ არის?“

³იესოს ჭუჭყიანი სამოსელი ეცვა და იდგა ანგელოზის წინაშე,

⁴რომელმაც უთხრა თავის წინაშე მდგომთ: „გახადეთ ჭუჭყიანი სამოსელი!“ ხოლო მას უთხრა: „აჰა, წარგხოცე ბრალი და საზეიმო სამოსლით გმოსავ.“

⁵და თქვა: „დაახურეთ თავზე წმიდა კიდარი.“ და დაახურეს წმიდა კიდარი თავზე და შემოსეს სამოსელი. უფლის ანგელოზი კი იდგა.

⁶გამოუცხადა უფლის ანგელოზმა იესოს და უთხრა:

⁷ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: „თუ ჩემი გზებით ივლი და ჩემს სამსახურს შეასრულებ, გაუძღვები ჩემს სახლს და თვალყურს ადევნებ ჩემს ეზოებს, მოგცემ მოსასვლელს აქ მდგომარეთა შორის.“



⁸ისმინე, იესო, დიდო მღვდელო, შენ და შენმა მოძმეებმა, შენს წინ რომ სხედან, რადგან ნიშნად არიან ეს კაცები: აჰა, მე მოვაველინებ ჩემს მორჩილს – ყლორტს.

⁹რადგან აჰა, ის ქვა, რომელიც დავდევი იესოს წინ; შვიდი თვალია ამ ერთ ქვაზე. აჰა, ამოვკვეთავ მასზე ამოსაკვეთელს, – ამბობს ცაბაოთ უფალი, – და ერთ დღეში წარვხოცავ ამ მიწის ხალხის ცოდვებს.

¹⁰იმ დღეს, – ამბობს ცაბაოთ უფალი, – ერთმანეთს მიიწვევთ ვაზის ქვეშ და ლელვის ქვეშ.“

ზაქარია 4

¹მოზრუნდა ანგელოზი, რომელიც მელაპარაკებოდა, და გამაღვიძა, როგორც მილისგან აღვიძებენ კაცს.

²მითხრა: „რას ხედავ?“ ვუთხარი: „აჰა, ვხედავ მთლიან ოქროს სასანთლეს, თავზე პატარა საზეთური ჯამი ადგას, და შვიდი ლამპარი და შვიდი საწრეტი ლამპრებზე, რომლებიც მის თავზეა;

³ორი ზეთისხილის ხეა მასზე, ერთი ჯამის მარჯვნივ, მეორე მის მარცხნივ.“

⁴ხმა გავიღე და ვუთხარი ანგელოზს, მე რომ მელაპარაკებოდა: „რა არის ესენი, ჩემო ბატონო?“

⁵მომიგო ანგელოზმა, რომელიც მე მელაპარაკებოდა, და მითხრა: „განა არ იცი, რა არის ესენი?“ ვუთხარი: „არა, ჩემო ბატონო.“

⁶მომიგო და მითხრა: „ეს არის უფლის სიტყვა ზერუბაბელისადმი თქმული: არა კაცთა ძალითა და ძლიერებით, არამედ ჩემი სულით, – ამბობს ცაბაოთ უფალი.

⁷რა ხარ შენ, დიდო მთაო, ზერუბაბელის წინაშე? შენ ვაკე ხარ, გამოიტანს თავკიდურ ლოდს და შესძახებენ: მადლი, მადლი მას!“

⁸იყო უფლის სიტყვა ჩემდამი თქმული:

⁹„ზერუბაბელის ხელმა ჩაყარა ამ ტაძრის საძირკველი; და მისივე ხელი დაასრულებს მას, და მიხვდები, რომ ცაბაოთ უფალმა მომავლინა თქვენთან.

¹⁰რადგან ვინც კნინად შერაცხა ეს დღე, გაიხარებს, როცა დაინახავს შვეულს ზერუბაბელის ხელში. უფლის შვიდი თვალია ესენი, მთელს ქვეყანას რომ უმზერენ.”

¹¹მაშინ მივუგე მე და ვუთხარი: „რა არის ეს ორი ზეთისხილის რტო სასანთლის მარჯვნივ და მარცხნივ?“



¹²მეორედ მივუგე და ვუთხარი: „რა არის ეს ზეთისხილის ორი რტო ორი ოქროს მილაკიდან რომ მოსწვეთს ოქროსფერი ზეთი?“

¹³მითხრა: „არ იცი, რა არის ეს?“ ვუთხარი: „არა, ჩემო ბატონო.“

¹⁴მითხრა: „ეს ორი მთელი ქვეყნის უფლის წინაშე მდგომია, ზეთით ცხებული.“

ზაქარია 5

¹კვლავ ავახილე თვალი და ვიხილე: აჰა, მოფრიალებს გრაგნილი.

²მან მითხრა: „რას ხედავ?“ ვუთხარი მე: „აფრიალებულ გრაგნილს ვხედავ, სიგრძით 20 წყრთა არის, სიგანით – ათი წყრთა.“

³მან მითხრა: „ეს არის წყევლა, მთელს დედამიწაზე გადმომავალი, რადგან ყოველი მპარავი უნდა მოიკვეთოს, როგორც დაწერილია მის ერთ მხარეს, და ყოველი ცრუ მოფიცარი უნდა მოიკვეთოს, როგორც დაწერილია მის მეორე მხარეს.“

⁴მე გამოვიხმე იგი, – ამბობს ცაბაოთ უფალი, – და მიადგება მპარავის სახლს და ჩემი სახელის ცრუდ მოფიცარის სახლს, დაიღამებს მის სახლში და მოსპობს მას, მის ქვასა და ხეს.“

⁵გამოვიდა ანგელოზი, რომელიც მე მელაპარაკებოდა, და მითხრა: „ავახილე თვალი და დაინახე! რა არის ეს, რომ გამოდის?“

⁶მე ვკითხე: „რა არის?“ მითხრა: „ეს საწყაო ჩანს, რომელიც გამოდის.“ და თქვა: „ეს არის მათი სახე მთელს ქვეყანაზე.“

⁷აჰა, ტყვიის ნაჭერი ამოიწია, და იქ ერთი ქალი იჯდა შუა საწყაოში.

⁸და თქვა მან: „ეს არის ურჯულოება.“ და მან ჩააგდო იგი საწყაოში და ტყვიის ნაჭერი დაახურა ზედ.

⁹და ავახილე თვალი და დავინახე: აჰა, გამოჩნდა ორი ქალი და ქარი შლიდა მათ ფრთებს, ფრთებად კი ყანჩის ფრთები ჰქონდათ. და ასწიეს მათ საწყაო ცასა და მიწას შუა.

¹⁰ვუთხარი ანგელოზს, რომელიც მე მელაპარაკებოდა: „სად მიაქვთ ეს ეფა?“

¹¹მაშინ მითხრა მან მე: „შინყარის ქვეყანაში, რომ სახლი აუშენონ, და როცა მზად იქნება, თავის სამირკველზე დაიდგმება იგი.“

ზაქარია 6



- ¹კვლავ ავახილე თვალი და ვიხილე: აჰა, ოთხი ეტლი გამოდის ხეობიდან ორ მთას შუა; და ის მთები ბრინჯაოსი იყო.
- ²პირველ ეტლში წითელი ცხენები ება, მეორე ეტლში – შავი ცხენები.
- ³მესამე ეტლში – თეთრი ცხენები, მეოთხე ეტლში – ჩალა ცხენები.
- ⁴ხმა ამოვიღე და ვუთხარი ანგელოზს, რომელიც მე მელაპარაკებოდა: „რა არის ესენი, ჩემო ბატონო?“
- ⁵მომიგო ანგელოზმა და მითხრა: „ეს ცის ის ოთხი სული გამოდის, რომლებიც მთელი ქვეყნის უფლის წინაშე დგანან.
- ⁶წითელი ცხენები აღმოსავლეთისკენ გამოდიან, შავი ცხენები – ჩრდილოეთის ქვეყნისკენ, თეთრები – დასავლეთისკენ, ჩალა ულაყები სამხრეთის ქვეყნისკენ მიდიან.“
- ⁷ჩალა ულაყები გამოვიდნენ და მიიწევდნენ, რათა შემოევლოთ ქვეყანა; და მან უთხრა: „წადით, მოიარეთ ქვეყანა!“ და მოიარეს ქვეყანა.
- ⁸დამიძახა და ასე მითხრა: „შეხედე, ჩრდილოეთის ქვეყნისკენ გასულებმა დააცხრეს ჩემი სული ჩრდილოეთის ქვეყანაში.“
- ⁹და იყო უფლის სიტყვა ჩემდამი:
- ¹⁰გამოართვი ტყვედნამყოფთ: ხელდაის, ტობიას, და იედაყიას, რომლებიც ბაბილონიდან დაბრუნდნენ; წადი დღესვე და შედი იოშია ცეფანიას ძის სახლში,
- ¹¹გამოართვი ოქრო და ვერცხლი და გააკეთე გვირგვინები და დაადგი თავზე დიდ მღვდელს, იესო იეჰოცადაკის ძეს.
- ¹²უთხარი: ასე ამბობს-თქო ცაბაოთ უფალი: აჰა, კაცი, რომლის სახელიც არის მორჩი, რადგან თავისი ფესვიდან აღმოცენდება და ააგებს უფლის ტაძარს.
- ¹³ის ააგებს უფლის ტაძარს და მიიღებს დიდებას, დაჯდება და იხელმწიფებს თავის ტახტზე; ის იქნება დიდი მღვდელი თავის ტახტზე და მშვიდობა იქნება ამ ორთა შორის.
- ¹⁴და სამახსოვროდ გვირგვინი ჰქონდეთ ხელემს, ტობიას, იედაყიას და ხენს – ცეფანიას ძეს – უფლის ტაძარში.
- ¹⁵შორსმყოფნი მოვლენ და ააშენებენ უფლის ტაძარს. და მიხვდებით, რომ ცაბაოთ უფალმა მომავლინა თქვენთან. ეს მოხდება, თუ გაიგონებთ თქვენი უფალი ღმერთის ხმას.

ზაქარია 7



- ¹დარიოს მეფის მეფობის მეოთხე წელს იყო უფლის სიტყვა ზაქარიასადმი მეცხრე თვის, რომელსაც ქისლევს ეწოდება, მეოთხე დღეს,
- ²როცა გაგზავნა ბეთელმა სარეცერი და რეგემ-მელეჟი მათი კაცებითურთ უფლის წინაშე სალოცავად
- ³და ცაბაოთ უფლის სახლში მყოფი მღვდლებისა და წინასწარმეტყველებისათვის რომ ეკითხათ: „ვიტირო მეხუთე თვეს და ვიმარხულო, როგორც ამას უკვე მრავალი წელია ვაკეთებ?“
- ⁴და იყო ცაბაოთ უფლის სიტყვა ჩემდამი თქმული:
- ⁵ასე უთხარი ქვეყნის მთელ ხალხსა და მღვდლებს: როცა მარხულობდით და გლოვობდით მეხუთე და მეშვიდე თვეში მთელი ამ 70 წლის მანძილზე, განა ჩემთვის მარხულობდით? ნუთუ ჩემთვის?
- ⁶და როცა ჭამთ და, როცა სვამთ, განა თქვენთვის არა ჭამთ და განა თქვენთვის არა სვამთ?
- ⁷განა ეს სიტყვები არ არის, უფალმა რომ გამოაცხადა უწინდელ წინასწარმეტყველთა პირით, როცა იერუსალიმი ჯერ კიდევ დასახლებული და უზრუნველი იყო, როცა მის ირგვლივ ქალაქები, სამხრეთი ქვეყანა და დაბლობი დასახლებული იყო?
- ⁸და იყო უფლის სიტყვა ზაქარიასადმი:
- ⁹ასე ამბობდა ცაბაოთ უფალი მაშინ: ქმენით სწორი სამართალი, ყველა კეთილად და მოწყალებით მოექცეს თავის მოძმეს;
- ¹⁰ქვრივ-ობლებს, ხიზანსა და ღარიბ-ღატაკს ნუ დაჩაგრავთ, და ბოროტებას გულში ნუ ჩაიდებთ ერთმანეთის მიმართ.
- ¹¹მაგრამ მათ არ ისურვეს ყურისგდება, ზურგი მაქციეს და ყურები დაიყრუეს, რომ არ ესმინათ.
- ¹²გულები გაიქვავეს, რომ არ მოესმინათ რჯული და სიტყვები, რომლებსაც აგზავნიდა ცაბაოთ უფალი თავისი სულით, უწინდელ წინასწარმეტყველთა პირით; ამიტომაც დიდი რისხვა დაატეხა მათ ცაბაოთ უფალმა.
- ¹³და იყო, როგორც ის მოუხმობდა და არ უსმენდნენ, ასევე როცა ისინი მიხმობდნენ, მე არ ვუსმენდი მათ, – ამბობს ცაბაოთ უფალი.
- ¹⁴და მე გავფანტე ისინი წარმართთა შორის, რომელთაც ისინი არ იცნობდნენ, და გაუდაბურდა ქვეყანა მათ შემდეგ, ისე რომ აღარ იყო იქ გამვლელ-გამომვლელი, და მათ უდაბნოდ აქციეს რჩეული ქვეყანა.

ზაქარია 8



- ¹და იყო ცაბაოთ უფლის სიტყვა:
- ²ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: დიდი შურითა და დიდი რისხვით ვარ აღძრული სიონის მიმართ.
- ³ასე ამბობს უფალი: დავბრუნდები სიონში და დავივანებ იერუსალიმში და დაერქმევა იერუსალიმს ჭეშმარიტების ქალაქი, და ცაბაოთ უფლის მთას – წმიდა მთა.
- ⁴ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: კვლავ ისხდებიან ბერიკაცები და დედაბრები იერუსალიმის ქუჩებში, ყველა ჯოხზე იქნება დაყრდნობილი დღეთა სიმრავლის გამო.
- ⁵და ქალაქის ქუჩები სავსე იქნება გოგო-ბიჭებით, რომლებიც იქ ითამაშებენ.
- ⁶ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: თუ ეს შეუძლებელი იქნება დარჩენილი ხალხის ნატამალის თვალში იმ დღეებში, განა ჩემს თვალშიც შეუძლებელი იქნება? – ამბობს ცაბაოთ უფალი.
- ⁷ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: აჰა, მე დავიხსნი ჩემს ერს მზის აღმოსავალის ქვეყნიდან და მზის დასავალის ქვეყნიდან,
- ⁸და მოვიყვან მათ, რათა იცხოვრონ იერუსალიმში; ჩემი ერი იქნება ის და მე ვიქნები მათი ღმერთი ჭეშმარიტებასა და სიმართლეში.
- ⁹ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: უფლის ტაძრის ასაშენებლად ნუ მოგელლებათ მარჯვენა, ვინც ისმენთ ამ დღეებში იმ წინასწარმეტყველთა სიტყვებს, რომლებიც იყვნენ ცაბაოთ უფლის ტაძრის დაფუძნების ჟამს.
- ¹⁰რადგან ამ დღეთა უწინ არ არსებობდა გასამრჯელო არც კაცისთვის და არც პირუტყვისთვის; არ ჰქონდა მშვიდობა მიმსვლელ-მომსვლელს მტრის შიშით; და ერთიმეორეზე მყავდა მისეული ადამიანები.
- ¹¹ახლა ამ ერის ნატამალისთვის ისეთი აღარ ვარ, როგორც იმ დღეებში ვიყავ, – ამბობს ცაბაოთ უფალი,
- ¹²რადგან თესვა მშვიდობიანი იქნება; ვაზი ყურძენს დაისხამს, მიწა გამოიღებს ნაყოფს, და ცა მოსცემს ცვარ-ნამს. და ყოველივე ამას დავუმკვიდრებ ამ ხალხის ნატამალს.
- ¹³და როგორც მაშინ საწყევრად ჰყავდით ყბადაღებული წარმართებს, იუდას სახლო და ისრაელის სახლო, ისე გიხსნით ახლა და კურთხევად იქნებით; ნუ გეშინიათ; ნუ მოგელლებათ მარჯვენა!
- ¹⁴ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: როგორც თქვენი დასჯა განვიზრახე მაშინ, როცა განმარისხეს თქვენმა მამებმა, – ამბობს ცაბაოთ უფალი, – და არ გადავთქვი,



¹⁵ასე განვიზრახავ ახლა სიკეთის ქმნას იერუსალიმისთვის და იუდას სახლისთვის; ნუ გეშინიათ!

¹⁶აი, რა უნდა აკეთოთ თქვენ: ჭეშმარიტება ელაპარაკეთ ერთმანეთს; ჭეშმარიტება და სამშვიდობო სამართალი დაამყარეთ თქვენს კარიბჭეებთან;

¹⁷ბოროტებას ნუ ჩაიდებთ გულში თქვენი მოყვასისადმი და, ცრუფიცი ნუ გეყვარებათ, რადგან მძულს ეს ყველაფერი, – ამბობს უფალი.

¹⁸და იყო ცაბაოთ უფლის სიტყვა ჩემდამი:

¹⁹ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: მეოთხე თვის მარხვა, მეხუთე თვის მარხვა, მეშვიდე თვის მარხვა და მეათე თვის მარხვა იყოს იუდას სახლისთვის შვებად და სიხარულად, და სადღესასწაულო დღეებად. ოღონდ ჭეშმარიტება და მშვიდობა შეიყვარეთ.

²⁰ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: კიდევ ის მოხდება, რომ მოვლენ მრავალი ხალხები და მრავალ ქალაქთა მცხოვრებნი.

²¹ერთი ქალაქის მცხოვრებნი მეორეში წავლენ და იტყვიან: „წამოდი, წავიდეთ შესავედრებლად უფლის წინაშე და ცაბაოთ უფლის საძიებლად. მაშინ მეც შეჰქველად წავალ.“

²²და მოვლენ მრავალი ხალხები, წარმართნი ბრბოებად, ცაბაოთ უფლის საძიებლად იერუსალიმში და უფლის წინაშე შესავედრებლად.

²³ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: იმ ხანებში იქნება, რომ მოეჭიდება ათი კაცი წარმართთა ყოველი ენისა იუდაელი კაცის კალთებს და ეტყვის: „თქვენთან ერთად წამოვალთ, რადგან ჩვენ გავიგეთ, რომ თქვენთან არის ღმერთი.“

ზაქარია 9

¹განაჩენი. სიტყვა უფლისა ხადრაქის ქვეყანასა და დამასკოზე შეჩერდება, რადგან უფლის თვალი დაჰყურებს ადამიანებს და ისრაელის ყოველ ტომს,

²და ხამათს, მას რომ ესაზღვრება, ცორსა და ციდონს, რადგან მეტისმეტად გაბრძენდა ცორი.

³აიშენა ცორმა ციხესიმაგრე და ქვიშასავით დაახვავა ვერცხლი და რიყის ქვასავით – ოქრო.

⁴აჰა, უფალი ცარიელზე დატოვებს მას და ზღვაში ჩაამხოვს მის დოვლათს, თავად კი ცეცხლში განადგურდება.

⁵იხილავს აშკელონი და შეეშინდება; ღაზაც შეძრწუნდება მეტისმეტად და ყევრონიც, რადგან გაწბილდება მისი იმედი. გადაიკარგება მეფე ღაზადან და აღარ დასახლდება აშკელონი.



⁶უცხოთესლი იცხოვრებს აშდოდში და აღმოვფხვრი ფილისტიმელთა ამპარტავნებას.

⁷ზაგეებიდან ამოვგლეჯ სისხლს და მის სისამაგლეებს – კბილებიდან; ისიც ჩვენს ღმერთს დარჩება და იქნებიან, როგორც ათასისთავები იუდაში, ყეკრონის მცხოვრებნი კი, როგორც იებუსელები.

⁸ზანაკს მოვაწყობ ჩემს სახლთან ლაშქრის წინააღმდეგ, ყველა გამვლელის წინააღმდეგ, და ვეღარ გაიჭაჭანებს აქ შემვიწროვებელი, რადგან ამიერიდან თვალი მიჭირავს მასზე.

⁹იხარე, სიონის ასულო! იზეიმე, იერუსალიმის ასულო! აჰა, შენი მეფე მოდის შენთან, მართალი და მხსნელი; თვინიერია ის და ამხედრებულია სახედარზე და ჩოჩორზე, ვირის ნაშიერზე.

¹⁰მაშინ მოვსპობ ეტლებს ეფრემში და ცხენებს – იერუსალიმში; შეიმუსრება საბრძოლო მშვილდი; მშვიდობას გამოუცხადებს უფალი ხალხებს, და დამყარდება მისი ხელმწიფება ზღვიდან ზღვამდე, და მდინარიდან – ქვეყნის კიდეებამდე.

¹¹შენ კი, შენი აღთქმის სისხლის გამო გაგითავისუფლებ შენს ტყვეებს მღვიმეებიდან, სადაც არაა წყალი.

¹²დაუბრუნდით ციხესიმაგრეებს, იმედის მქონე ტყვეებო! რასაც დღეს გიცხადებთ, ორმაგად მოგაგებთ,

¹³რადგან მშვილდივით მოვზიდავ იუდას და ისრებად მექნება ეფრემი; აღვძრავ შენს ძეებს, სიონო, შენი ძეების წინააღმდეგ, იავანო, და მეომრის მახვილად გაქცევ!

¹⁴და გამოჩნდება უფალი მათ ზემოთ, და, ელვასავით გამოფრინდება მისი ისარი. და დასჭექს უფალი ღმერთი საყვირით და წამოვა სამხრეთის ქარიშხლებში.

¹⁵ცაბაოთ უფალი დაიფარავს მათ, და ისინი გაანადგურებენ და გადაჯეგავენ შურდულის ქვეებს, და შესვამენ სისხლს, როგორც ღვინოს და აივსებიან როგორც სამსხვერპლოს თასები, როგორც სამსხვერპლოს კუთხეები.

¹⁶და იხსნის იმ დღეს უფალი, მათი ღმერთი, თავის ხალხს როგორც ცხვრის ფარას; რადგან, როგორც გვირგვინის თვლები ისე გაბრწყინდებიან ისინი მის მიწაზე.

¹⁷ო, რაზომ დიდია მისი სიკეთე, რა საოცარია მისი მშვენება! ჭაბუკებს პური აძლიერებს, ქალწულებს – მაჭარი.



ზაქარია 10

- ¹შესთხოვეთ უფალს წვიმა გაზაფხულის+ წვიმების ჟამს. უფალი მოიღებს ღრუბელს და მოგცემთ წვიმის ღვარს ჯეჯილისთვის მინდვრებში.
- ²რადგან კერპები ტყუილს ლაპარაკობენ, მისნები სიცრუეს ხედავენ და არაფრისმთქმელ სიზმრებს ყვებიან. ამაოდ იმშვიდებენ თავს, ამიტომაც ცხვრებივით დაეხეტებიან, იტანჯებიან, რადგან არა ჰყავთ მწყემსი.
- ³მწყემსების მიმართ აინთო ჩემი რისხვა და დავსჯი ვაცებს, მაგრამ მოხედავს ცაბაოთ უფალი თავის ფარას – იუდას სახლს – და თავის დარახტულ რაშად ეყოლება ის ბრძოლაში.
- ⁴ის იქნება ქვაკუთხედი, ის იქნება პალოები, ის იქნება საბრძოლო მშვილდი, მისგან გამოვა ყველა განმგებელი.
- ⁵ისინი იქნებიან როგორც გმირები, ბრძოლაში რომ მტრებს თელავენ ტალახივით, და იბრძოლებენ, რადგან უფალი იქნება მათთან, და გასრესენ მტრის მხედრიონებს.
- ⁶გავაძლიერებ იუდას სახლს და ვიხსნი იოსების სახლს, და დავაბრუნებ მათ, რადგან შევიწყალე მათ. და ისე იქნებიან, თითქოს არასოდეს მიმეტოვებინოს: რადგან მე ვარ უფალი, მათი ღმერთი, და მოვუსმენ მათ.
- ⁷გოლიათივით გახდება ეფრემი და, როგორც ღვინით, გახალისდება მათი გული; დაინახავენ ამას მათი ძენი და გაიხარებენ, მოილხენს მათი გული უფალში.
- ⁸ნიშანს მივცემ მათ და თავს მოვუყრი ერთად, რადგან გამოვისყიდე ისინი, და ძველებურად გამრავლდებიან.
- ⁹თუმცა მე გავფანტე ისინი ხალხებში, შორეულ ქვეყნებში, მაინც უნდა ვახსოვდე მათ, დაზრდიან თავიანთ შვილებს და მათთან ერთად დაბრუნდებიან.
- ¹⁰დავაბრუნებ მათ ეგვიპტის ქვეყნიდან, და აშურიდან გამოვკრებ მათ, მოვიყვან გალაადის ქვეყანაში და ლიბანში, და ვერცკი დაეტევიან.
- ¹¹გადაივლის ზღვაზე უბედურება, და დაჰკრავს ზღვის ტალღებს; ამოშრება ნილოსის სიღრმეები, დაემხოვა აშურის დიდება, და წაერთმევა კვერთხი ეგვიპტეს.
- ¹²გავაძლიერებ მათ უფალში და ივლიან მისი სახელით, – ამბობს უფალი.

ზაქარია 11



- ¹გააღე, ლიბანო, შენი კარიბჭე, რომ ცეცხლმა შეჭამოს შენი კედრები!
- ²გოდებდე, კვიპაროსო, რადგან დაეცა კედარი, რადგან გაიძარცვნენ ძლევამოსილნი; გოდებდეთ, ბაშანის მუხებო, რადგან დაემხო უღრანი ტყე.
- ³ისმინეთ მწყემსთა გოდების ხმა, რადგან გაიძარცვა მათი იალაღები; ისმინეთ ლომთა ბრდღვინვა, რადგან გაიძარცვა იორდანეს მშვენება.
- ⁴ასე ამბობს უფალი, ჩემი ღმერთი: დამწყესე დასაკლავად განწირული ცხვრები,
- ⁵მოვაჭრენი რომ ხოცავენ უწყალოდ, გამყიდველნი კი ამბობენ: „კურთხეულია უფალი, რადგან გავმდიდრდით!“ მათ მწყემსებსაც არ ანაღვლებთ ისინი.
- ⁶რადგან მეც აღარ დავინდობ ამ ქვეყნის მკვიდრთ, – ამბობს უფალი, – აჰა, ჩავუგდებ ყოველ კაცს თავის თვისტომს ხელში და თავის მეფეს, და ისინი აიკლებენ ქვეყანას, და მე არ დავიხსნი მათ მათი ხელიდან.
- ⁷დავმწყემსავ ცხვარს, დასაკლავად განწირულ ცხვარს, დაბეჩავებულ ცხვარს. ავიღებ ორ კომბალს, ერთს ვუწოდებ სიკეთეს, მეორეს – საკრველს, და იმითი დავმწყემსავ ცხვარს.
- ⁸ერთ თვეში მოვსპობ სამ მწყემსს; და ველარ აიტანს მათ ჩემი სული, როგორც მათმა სულმა შემიძულა მე.
- ⁹და მე ვამბობ: „მე აღარ დავმწყემსავთ; მოსაკვდომი მოკვდეს, გასაწყვეტი გაწყდეს, დარჩენილებმა ერთმანეთის ხორცი ჭამონ.“
- ¹⁰ავიღებ კომბალს – სიკეთეს და გადავტეხ, რათა გავაქარწყლო ჩემი აღთქმა, რომელიც ყველა ხალხებს დავუდე.
- ¹¹და მოისპობა ის იმ დღეს, და მიხვდებიან ჩემი შემყურე დაბეჩავებული ცხვრები, რომ ეს უფლის სიტყვაა.
- ¹²და ვეტყვი მათ: „თუ გეტნევათ, მომეცით ჩემი გასამრჯელო, და თუ არა, ნუ მომცემთ;“ და მომიწონიან გასამრჯელოდ ოცდაათ ვერცხლს.
- ¹³და მითხრა უფალმა: „ჩაყარე ისინი საგანძურში,“ – საუკეთესო საფასური, როგორც შევფასდი მათგან. მეც ავიღე ვი ვერცხლი და ჩავყარე უფლის სახლის საგანძურში.
- ¹⁴და გავტეხ ჩემს მეორე კომბალს – საკრველს, რათა დავარღვიო სიყვარული იუდასა და ისრაელს შორის.
- ¹⁵და მითხრა უფალმა: კიდევ აიღე უგუნური მწყემსის იარაღი,



¹⁶რადგან აჰა, დავუყენებ ამ ქვეყანას მწყემსს, რომელიც მომაკვდავთ არ მიხედავს, დაკარგულს არ მოძებნის, დაცემულს არ განკურნავს, ფეხზე მდგარს არ გამოკვებავს, მაგრამ ნასუქალთა ხორცს შეჭამს და ჩლიქებს აახლეჩს.

¹⁷ვაი უმაქნის მწყემსს, ფარის მიმტოვებელს! მახვილი მის მკლავზე და მის მარჯვენა თვალზე. მთლიანად შეახმება მკლავი და მთლიანად დაეცემა მარჯვენა თვალი!

ზაქარია 12

¹განაჩენი. ასე ამბობს უფალი, რომელმაც გადაფინა ცა და დააფუძნა დედამიწა, და დაბადა სული კაცში:

²აჰა, იერუსალიმს ვაქცევ მათრობელ თასად ყველა ირგვლივ მცხოვრები ხალხებისთვის, და თვით იუდასთვის, როცა ალყაში მოექცევა იერუსალიმი.

³დადგება დრო და ვაქცევ იერუსალიმს საჯილდაო ქვად ყოველი ტომებისთვის, და ყოველი მისი ამწევი წელში გაწყდება, და ქვეყნის ყოველი ერი მის წინააღმდეგ შეიკრიბება.

⁴იმ დღეს, – ამბობს უფალი, – გავაცოფებ ყველა ცხენს და შევშლი მის მხედარს, მაგრამ იუდას სახლზე მექნება თვალი გახელილი; ხოლო ხალხების ყველა ცხენს დავაბრმავებ.

⁵და იტყვიან იუდას მთავარნი გულში: „ჩემი ძალა იერუსალიმის მცხოვრებნი არიან ცაბაოთ უფალში, მათ ღმერთში.“

⁶იმ დღეს იუდას მთავართ ანთებულ ქურად ვაქცევ ხეთა შორის და ანთებულ ჩირაღდნად ძნებს შორის, და ისინი შთანთქავენ მარჯვნივ და მარცხნივ ყველა ხალხებს ირგვლივ, იერუსალიმი კი კვლავ დასახლდება თავის ადგილას – იერუსალიმში.

⁷და უფალი ჯერ იუდას კარებს იხსნის, რათა დავითის სახლის დიდება და იერუსალიმის მკვიდრთა დიდება არ აღემატოს იუდას დიდებას.

⁸იმ დღეს დაიფარავს უფალი იერუსალიმის მკვიდრთ და მათ შორის ყველაზე ძაბუნიც კი დავითით იქნება, დავითის სახლი კი იქნება, როგორც ღმერთი, როგორც უფლის ანგელოზი მათ წინაშე.

⁹იმ დღეს იქნება, რომ გადავწყვეტ მთელიწარმართობის განადგურებას, ვინც კი გაილაშქრებს იერუსალიმზე.

¹⁰ხოლო დავითის სახლსა და იერუსალიმის მცხოვრებთა თავზე გადმოვდვრი წყალობისა და შეწყალების სულს და მიხილავენ ისინი მე,



რომელიც განმგმირეს მათ, და დამიტირებენ, როგორც მხოლოდშობილ ძეს დასტირიან და გამწარდებიან, როგორც პირმშოზე მწარდებიან.

¹¹იმ დღეს გაიმართება დიდი გლოვა იერუსალიმში, როგორც გლოვა ჰადად-რიმონისა მეგიდოს ველზე.

¹²და იგლოვებს მთელი ქვეყანა – ყოველი საგვარეულო ცალკე: დავითის სახლის საგვარეულო ცალკე, და მათი ქალები ცალკე, ნათანის სახლის საგვარეულო ცალკე და მათი ქალები ცალკე;

¹³ლევის სახლის საგვარეულო ცალკე და მათი ქალები ცალკე, შიმყის საგვარეულო ცალკე და მათი ქალები ცალკე.

¹⁴ყველა დარჩენილი საგვარეულო, ყოველი საგვარეულო ცალკე და მათი ქალები ცალკე.

ზაქარია 13

¹იმ დღეს ამოხეთქავს წყარო დავითის სახლისა და იერუსალიმის მცხოვრებთათვის ცოდვისა და უწმიდურების წარსახოცად.

²იმ დღეს იქნება, – ამბობს ცაბაოთ უფალი, – რომ მოვსპობ კერპთა სახელებს ამ ქვეყნიდან, რათა მეტად აღარ იყოს მათი ხსენება, და ცრუწინასწარმეტყველთ და უწმიდურ სულებსაც აღვგვი ქვეყნიდან.

³და მაშინ იქნება, რომ თუ ვინმე კვლავ გაქადაგდება, ეტყვიან მას მისი მშობელი მამა და დედა: „სიკვდილის ღირსი ხარ, რადგან სიცრუეს ლაპარაკობ უფლის სახელით;“ და განგმირავენ მას მისი მშობელი მამა და დედა, როცა გაქადაგდება.

⁴იმ დღეს იქნება, რომ შერცხვებათ ასეთ ქადაგთ თავისი ყოველი ხილვისა გაქადაგებისას და აღარ მოიხვევენ ღაზლის შალებს ხალხის თვალის ასახვევად,

⁵არამედ ყოველი მათგანი იტყვის: „მე არა ვარ წინასწარმეტყველი, მე მიწის მუშა ვარ, რადგან მონად ვარ ნაყიდი სიყმაწვილიდანვე.“

⁶და თუ ეტყვიან მას: „ეგ რა იარები გაქვს ზურგზე?“ ის მიუგებს: „ჩემი მოკეთის სახლში მომხვდა.“

⁷„მახვილო, აღიძარ ჩემს მწყემსთა წინააღმდეგ და ჩემი მახლობლის წინააღმდეგ,“ – ამბობს ცაბაოთ უფალი, – დასცხე მწყემსს და გაიფანტება ფარა; მაშინ მე ხელს მივყოფ კრავებს

⁸მთელს ქვეყანაზე, – ამბობს უფალი, – ორი წილი განადგურდება და გაწყდება, მესამედი კი გადარჩება.



⁹გავატარებ ცეცხლში ამ მესამედს და გამოვახურებ, როგორც ვერცხლს გამოახურებენ, და გავწმედ მათ, როგორც ოქროს აწმინდავებენ. მაშინ მოუხმობენ ჩემს სახელს, და მეც მოვუსმენ მათ და ვიტყვი: „ეს არის ჩემი ერი;“ და იტყვიან ისინი: „უფალია ჩემი ღმერთი!“

ზაქარია 14

¹აჰა, დგება უფლის დღე, და დანაწილდება შენი ნადავლი შენს წიაღში.

²და თავს მოვუყრი ყველა ხალხებს იერუსალიმის წინააღმდეგ საომრად, და აიღებენ ქალაქს, და გაძარცვავენ სახლებს, და ნამუსს ახდიან ქალებს, ნახევარ ქალაქს ტყვედ წაასხამენ; დანარჩენი ხალხი კი არ განადგურდება ქალაქში.

³მაშინ გამოვა უფალი და გაილაშქრებს ამ ხალხის წინააღმდეგ, როგორც ილაშქრა ბრძოლის დღეს.

⁴შედგება მისი ფეხი იმ დღეს ზეთისხილის მთაზე, იერუსალიმის პირდაპირ რომ არის, აღმოსავლეთით, შუაზე გაიპოზა ზეთისხილის მთა – აღმოსავლეთიდან დასავლეთით – და გაჩნდება ძალზე დიდი ველი, და მთის ერთი ნახევარი ჩრდილოეთისკენ წავა, მეორე ნახევარი – სამხრეთისკენ.

⁵და თქვენ გაიქცევით ჩემი მთების ველებისკენ, რადგან მთათა ხეობა აცელამდე მიაღწევს. გაიქცევით, როგორც მიწისძვრას გაურბოდით იუდას მეფის, ყუზიას, დროს; მაშინ მოვა უფალი, ჩემი ღმერთი, და ყველა წმიდა მასთან ერთად.

⁶იმ დღეს აღარ იქნება ნათელი, გაქრებიან მნათობნი, და იქნება სიცივე და ყინვა.

⁷ეს დღე იქნება ერთადერთი, მხოლოდ უფლისთვის საცნაური: არც დღე და არც ღამე; მხოლოდ საღამო ჟამს გაჩნდება ნათელი.

⁸იმ დღეს იქნება, რომ იდინებს იერუსალიმიდან სიცოცხლის წყალი, ერთი ნახევარი აღმოსავლეთის ზღვისკენ წავა, მეორე ნახევარი – დასავლეთის ზღვისკენ; ზამთარ-ზაფხულ ასე იქნება.

⁹და იქნება უფალი მეფედ მთელს ქვეყანაზე; იმ დღეს ერთი იქნება უფალი, და მისი სახელიც ერთი იქნება.

¹⁰ვაკედ იქცევა მთელი ეს ქვეყანა, გებაყიდან რიმონამდე, იერუსალიმის სამხრეთით; იერუსალიმი კი ამაღლდება და დასახლდება ბენიამინის კარიბჭიდან პირველ კარიბჭემდე, კუთხის კარიბჭემდე, და ხანანელის გოდლიდან მეფის საწნახლებამდე.



¹¹და იცხოვრებენ იქ და აღარ იქნება შეჩვენება, და მშვიდად იცხოვრებს იერუსალიმი.

¹²ეს იქნება სატანჯველი, რომლითაც დატანჯავს უფალი ყველა ხალხებს, ვინც კი იერუსალიმს ეომებოდა: ზეზეურად ჩამოხმებიან, თვალები ჩაუცვიათ ფოსოებში და ენა სასაზე აეწებებათ.

¹³იმ დღეს იქნება, რომ დიდი არეულობა ჩამოვარდება მათ შორის უფლისაგან, ისე, რომ ერთი ხელში სწვდება მეორეს, და ერთის ხელი თავისი მოძმის წინააღმდეგ აღიმართება.

¹⁴თვით იუდაც შეებრძოლება იერუსალიმს, და დახვავდება ყველა გარემემო ხალხების დოვლათი: დიდძალი ოქრო-ვერცხლი და სამოსელი.

¹⁵ასეთივე სატანჯველი დაადგებათ ცხენებს და ჯორებს, აქლემებსა და სახედრებს, ყოველ პირუტყვს, რომელიც კი მათ ბანაკებში იქნება.

¹⁶ისე მოხდება, რომ ყველა დანარჩენი იმ ხალხებიდან, იერუსალიმს რომ ესხმოდნენ თავს, წლიდან წლამდე ივლიან მეფის, ცაბაოთ უფლის, თაყვანსაცემად და კარვობის სადღესასწაულოდ.

¹⁷და ისე იქნება, რომ თუ ვინმე ქვეყნის ტომთაგანი არ ავა იერუსალიმს მეფის, ცაბაოთ უფლის, თაყვანისსაცემად, აღარ უწვიმებს მათ.

¹⁸და თუ ეგვიპტის ტომი არ დაადგება გზას და არ შევა იქ, აღარ უწვიმებს მას და იქნება სატანჯველი, რითაც დატანჯავს უფალი ხალხებს, რომლებიც არ ადიან კარვობის სადღესასწაულოდ.

¹⁹ეს ექნება სასჯელად ეგვიპტეს და სასჯელად ყველა ხალხებს, რომლებიც არ ივლიან კარვობის დღესასწაულზე.

²⁰იმ დღეს იქნება წარწერილი თვით ცხენთა ზანზალაკებზე: „წმიდა უფლისა.“ და ქვაბები უფლის ტაძარში შეირაცხება, როგორც სასხურებელი თასები სამსხვერპლოს წინაშე.

²¹ყოველი ქვაბი იერუსალიმსა და იუდაში წმიდა იქნება ცაბაოთ უფლისათვის. მოვა ყოველი მსხვერპლის შემწირველი, აიღებს იმ ქვაბებს და შიგ მოხარშავს. და აღარ იქნება იმ დღეს მოვაჰრე ცაბაოთ უფლის ტაძარში.



მალაქია წინასწარმეტყველი

მალაქია 1

- ¹განაჩენი. სიტყვა უფლისა ისრაელისადმი მალაქიას მიერ გაცხადებული:
- ²მე შეგიყვარეთ თქვენ, – გეუბნებათ უფალი, – თქვენ კი ამბობთ: როგორ შეგვიყვარე? განა ესავი და იაკობი ძმები არ იყვნენ? – ამბობს უფალი: – მაგრამ მე იაკობი უფრო შევიყვარე,
- ³ესავი კი შევიძულე, და გავაუდაბურე მისი მთები და უდაბნოს ტურებს მივეცი მისი სამკვიდრო.
- ⁴თუმცა ამბობს ედომი: დარბეული ვართ, მაგრამ კვლავ აღვადგენთ ნაოხარს. აი რას ამბობს ყოვლისშემძლე უფალი: შეიძლება ააშენონ, მაგრამ მე დავანგრევ. და დაარქმევნ მათ ბოროტების მხარეს, ხალხს, რომელსაც სამუდამოდ შემოსწყრა უფალი.
- ⁵თქვენი თვალთ იხილავთ ამას და იტყვით: დიდებულია უფალი ისრაელის საზღვრებს გარეთაც!
- ⁶შვილი პატივს სცემს მამას და ყმა – თავის ბატონს. თუ მამა ვარ, სად არის ჩემი პატივისცემა? თუ მათი ბატონი ვარ, სად არის ჩემდამი კრძალვა? თქვენ გეუბნებათ ყოვლისშემძლე უფალი: ჰოი მღვდლებო, ჩემი სახელის შეურაცხმყოფელნო! თქვენ კი ამბობთ: რითი შეურაცხვყავითო შენი სახელი?
- ⁷მოგაქვთ წაბილწული პური ჩემს სამსხვერპლოზე და ამბობთ: რითი წაგბილწეთო? იმიტომ, რომ ფიქრობთ: უფლის ტაბლა რა პატივის ღირსიაო.
- ⁸ბრმას რომ მწირავთ მსხვერპლად, ცუდი არ არის? კოჭლი და სნეული რომ მოგყავთ, ცუდი არ არის? აბა, მთავარი იგი შენს ხელისუფალს, თუ მოგიწონებს ან თუ კეთილად შემოგხედავს? – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი. –
- ⁹ახლა კი ევედრეთ ღმერთს, ვინძლო, შეგვიწყალოს. როგორღა შემოგხედავთ კეთილად, როცა თქვენი ხელიდან გამოდის ეს ძღვენი? – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი.
- ¹⁰რატომ არცერთი თქვენგანი არ დახშავს კარიბჭეებს, რომ ფუჭად აღარ ანთებდეთ ცეცხლს ჩემს სამსხვერპლოზე?! არ მეთნევით, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი და არ მივიღებ თქვენი ხელით მორთმეულ ძღვენს.
- ¹¹რადგან დიდია ჩემი სახელი ხალხებში, მზის აღმოსავალიდან მის დასავალამდე. ყოველ ადგილას უკმევნ საკმეველს ჩემს სახელს და წმიდა



ძღვენს მწირავენ, რადგან დიდია ჩემი სახელი ხალხებში, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი. –

¹²თქვენ კი შელახეთ ჩემი სახელი იმით, რომ ამბობთ: უფლის ტაბლა წაბილწულიაო და მასზე შეწირული ძღვენი საკვებად საძულველიო.

¹³ამბობთ: აჰა, რა დამქანცველიაო ეს საქმე. და გძულთ იგი, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი, – მოგყავთ ნატაცები, კოჭლი და სნეული და ეს არის თქვენი ძღვენი – როგორ მივიღებ მას თქვენი ხელიდან?! – ამბობს უფალი. –

¹⁴წყევლიმც იყოს ის თვალთმაქცი, ვისაც საღი მამალი პირუტყვი ჰყავს სამწყსოში და შეუთქვამს მას, მაგრამ მის ნაცვლად, ხინჯიანს სწირავს უფალს მსხვერპლად! რადგან დიდებული მეფე ვარ მე, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი, – და შიშის მომგვრელია ჩემი სახელი ხალხებში.

მაღაქია 2

¹და ახლა, მღვდლებო, თქვენთვის არის ეს მცნება:

²თუ არ გაიგონებთ მას და გულში არ ჩაიდებთ, რათა პატივი მიაგოთ ჩემს სახელს, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი, – წყევლას მოვაგვლენ თქვენზე და დავწყევლი თქვენს კურთხევებს. დავწყევლე კიდევ, რადგან არ ჩაგიდვიათ გულში.

³აჰა, წაგართმევთ მარჯვენას და სახეში მოგაყრით თქვენი შესაწირავების ნებვს, სადღესასწაულო მსხვერპლების ნებვს, და მასთან ერთად გამოგყრიან თქვენ.

⁴მაშინ მიხვდებით, რომ მე მოგივლინეთ ეს მცნება ლევანებთან ჩემი აღთქმის შესანარჩუნებლად, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი. –

⁵ჩემი აღთქმა მათდამი, იყო სიცოცხლისა და მშვიდობის აღთქმა, რომელიც მივეცი მათ, რათა მოკრძალება ჰქონოდათ ჩემი. და იყვნენ რიდით და კრძალვით ჩემდამი.

⁶ჭეშმარიტი რჯული იყო მათ პირში და უკეთურება არ იპოვებოდა მათ ბაგეებზე. მშვიდობით და სიმართლით დადიოდნენ ჩემს წინაშე და მრავალი მოაქციეს ბოროტებისგან.

⁷რადგან მღვდლის ბაგეები ცოდნას უნდა ადასრულებდნენ და ხალხი რჯულს მოელოდეს მისი პირიდან, რადგან ყოვლისშემძლე უფლის მოციქულია იგი.



⁸თქვენ კი გადაუხვიეთ გზიდან და ბევრი დააბრკოლეთ თქვენი სწავლებით და შებღალეთ ლევანთა აღთქმა, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი. –

⁹მეც საძულველად გაგხდით და დაგამცირებთ ხალხის თვალში, რამეთუ არ დაიცავით ჩემი გზები და მიკერძოებას იჩენდით თქვენს სწავლებაში.

¹⁰განა ერთი მამა არა გვყავს ყველას? განა ერთმა ღმერთმა არ შეგვქმნა? მაშ, რატომღა ვღალატობთ ერთმანეთს და ვბღალავთ ჩვენი წინაპრების აღთქმას?

¹¹ღალატიანობს იუდა და სისამაგლე ხდება ისრაელსა და იერუსალიმში: იუდამ უცხო ღმერთის ასულის შერთვით შებღალა სიწმიდე, რომელიც უფალს უყვარდა.

¹²დაე მოჰკვეთოს უფალმა იაკობის კარგებიდან ამის ჩამდენი კაცი – თუნდაც ძღვენის მიმტანი ყოვლისშემძლე უფლისადმი.

¹³აჰა, კიდევ რას აკეთებთ: ცრემლითა ფარავთ უფლის სამსხვერპლოს, ტირილითა და კვნესით, რადგან აღარ მოხედა თქვენს ძღვენს და კეთილგანწყობით აღარ იღებს თქვენი ხელიდან.

¹⁴თქვენ კი ამბობთ: რისთვისო? იმისთვის, რომ მოწამე იყო უფალი შენსა და შენი სიყრმის ცოლს შორის, რომელსაც უღალატე. ის კი შენი მეგობარი და შენი ცოლი იყო აღთქმით.

¹⁵არავინ ჩაიდენს ამას, ვისაც კი სულის ნატამალი შერჩენია. რას ითხოვს კაცი? შთამომავლობას ღვთისგან. ამიტომაც გაუფრთხილდით თქვენს სულს და ნუ უღალატებთ სიყრმის ცოლს.

¹⁶რადგან მძულს გაყრა, – ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი, – მსგავსად საკუთარი კალთის ვინმეზე ძალადობით გადამფარველისა, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი, – ამიტომაც გაუფრთხილდით თქვენს სულს და ნუ იქნებით ღალატელები.

¹⁷დაღალეთ უფალი თქვენი სიტყვებით. თქვენ კი კვლავ ამბობთ: რითი დავღალეთო? იმით, რომ ფიქრობთ: ყოველი ბოროტმოქმედი კეთილად უჩანსო უფალს და ისინი ეთნევიანო მას; ანდა რომ კითხულობთ: სად არის სამართლიანი ღმერთიო?

მაღაქია 3

¹აჰა, მოვავლენ ჩემს ანგელოზს და გაამზადებს გზას ჩემს წინაშე. უეცრად მოვა თავის ტამარში უფალი, რომელზეც ამბობთ, რომ ეძიებთ: აგრეთვე აღთქმის ანგელოზი, რომელიც თითქოს და გეთნევათ, აჰა, მოდის, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი. –



²მაგრამ ვინ აიტანს მისი მოსვლის დღეს და ვინ გაუძლებს მის გამოცხადებას? რადგან ის გამომდნობელის ცეცხლივით არის და მრეცხავთა ტუტესავით.

³დაჯდება, როგორც ვერცხლის გამომდნობელი და განმწმედელი; განწმედს ლევის მოდგმას და გაასუფთავებს მათ, როგორც ოქროსა და ვერცხლს, რომ სიმართლით მიუძღვნან უფალს შესაწირავი.

⁴მაშინ საამო იქნება უფლისათვის იუდას და იერუსალიმის შესაწირავი, როგორც ძველ დროში და გარდასულ წლებში.

⁵და აჰა, მოვალ თქვენს განსაკითხავად და ვიქნები ფიცხელი მოწამე ჯადოქართა, მრუშთა და ფიცის გამტეხთა წინააღმდეგ, მოჯამაგირისათვის გასამრჯელოს დამკავებელთა, ქვრივ-ობლის მჩაგვრელთა და ხიზანთა შემვიწროებლების წინააღმდეგ, და მათ წინააღმდეგ ვინც არ მეკრძალვის, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი. –

⁶რადგან მე, უფალი ვარ – არ შევცვლილვარ; და თქვენც, იაკობის ძენო, არ შევცვლილხართ.

⁷თქვენი წინაპრების დღეებიდან მოყოლებული, გადაუხვიეთ ჩემს რჯულს და არ აღასრულებდით მას. მობრუნდით ჩემსკენ და მეც მოვბრუნდები თქვენსკენ, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი. თქვენ კი ამბობთ: როგორ მოვბრუნდეთო?

⁸განა ადამიანი უნდა ატყუებდეს ღმერთს? თქვენ კი მაინც მატყუებთ მე და ამბობთ: როგორ გატყუებთო? მეათედში და შესაწირავში!

⁹წყევლითა ხართ დაწყევლილნი, რადგან მატყუებთ მე მთელი ერი.

¹⁰სრულად მოიტანეთ მეათედი საგანძურში რათა იყოს საკვები ჩემს სახლში. აბა, გამომცადეთ ამით, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი, – თუ არ გაგიხსნათ ცათა სარკმელები და არ გადმოგიცალოთ კურთხევა აურწყველად.

¹¹შენთვის დავაკავებ მღრნელს, რომ არ წაგიხდინოთ მიწის ნაყოფი და არ გაგიპარტახოთ ვენახში ვაზი, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი. –

¹²ნეტარად ჩაგთვლით ყოველი ხალხი, რადგან სანუკვარ ქვეყანაში იცხოვრებთ, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი. –

¹³მძლავრობენ ჩემზე თქვენი სიტყვები, – ამბობს უფალი, – თქვენ კი ამბობთ: რა გვითქვამს შენზეო?

¹⁴ამბობთ: ამაოა ღვთის მორჩილება, რას გვარგებსო მისი სამსახური და მონანულად სიარული ყოვლისშემძლე უფლის წინაშე?



¹⁵ აჰა, ვხედავთ, რომ ნეტარ არიან ამპარტავნები, ხოლო, ბოროტმოქმედნი არა მარტო აშენდნენ, არამედ ღმერთიც კი გამოსცადეს და გადარჩნენ.

¹⁶ როცა უფლის მოშიშნი ლაპარაკობდნენ ერთმანეთში, ყურს უგდებდა უფალი, ისმენდა და იწერებოდა მის წინაშე სამახსოვრო წიგნი უფლის მოშიშთათვის და მისი სახელის მადიდებელთათვის.

¹⁷ ჩემი უნჯი იქნებოდა ისინი, იმ დღისათვის, რომელსაც ვამზადებ – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი, – და დავინდობ მათ, როგორც მამა დაინდობს თავის შვილს, რომელიც მას მორჩილებს.

¹⁸ მაშინ კვლავ დაინახავთ განსხვავებას მართალსა და უკეთურს შორის, ღვთის მორჩილსა და მის ურჩს შორის.

მაღაქია 4

¹ რადგან აჰა, მოდის დღე, თონესავით ავარვარებული, და ყველა ამპარტავანი და ბოროტმოქმედი ჩალა იქნება და გადაბუგავს მათ მომავალი დღე, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი, – ისე, რომ არ დატოვებს არცერთ ღერს.

² ამოგიბრწყინდებათ, ჩემი სახელის მოშიშნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე. თქვენც გამოხვალთ და აკუნტრუშდებით ბაგიდან გამოშვებული ხბორებივით.

³ გათელავთ უკეთურთ, რადგან უნდა გაცამტვერდნენ ისინი თქვენს ტერფებქვეშ იმ დღეს, რომელსაც მე ვამზადებ, – ამბობს ყოვლისშემძლე უფალი. –

⁴ გაიხსენეთ მოსეს, ჩემი მორჩილის, რჯული, წესები და სამართალნი, რომელიც ვუბრძანე მას ხორების მთაზე მთელი ისრაელისთვის.

⁵ აჰა, მოგივლენთ ელია წინასწარმეტყველს უფლის დიდი და საშინელი დღის დადგომამდე.

⁶ ის დააბრუნებს მამების გულს შვილების გულთან და შვილების გულს მამების გულთან, რომ ჩემი მოსვლისას არ შევმუსრო ქვეყანა შეჩვენებით.



Georgian - All Bible

ახალი აღთქმა

მათეს სახარება

მათეს 1

- ¹წიგნი შობისა იესო ქრისტესი, დავითის ძისა, აბრაამის ძისა.
- ²აბრაამმა შვა ისაკი; ისაკმა შვა იაკობი; იაკობმა შვა იუდა და მისი ძმები;
- ³იუდამ შვა ფერეზი და ზარა თამარისგან; ფერეზმა შვა ესრომი; ესრომმა შვა არამი;
- ⁴არამმა შვა ამინადაბი; ამინადაბმა შვა ნაასონი; ნაასონმა შვა სალმონი;
- ⁵სალმონმა შვა ბოაზი რაჰაბისაგან; ბოაზმა შვა იობედი რუთისგან; იობედმა შვა იესე;
- ⁶იესემ შვა დავით მეფე; დავით მეფემ შვა სოლომონი ურიას ცოლისაგან;
- ⁷სოლომონმა შვა რობოამი; რობოამმა შვა აბია; აბიამ შვა ასა;
- ⁸ასამ შვა იოსაფატი; იოსაფატმა შვა იორამი; იორამმა შვა ოზია;
- ⁹ოზიამ შვა იოათამი; იოათამმა შვა აქაზი; აქაზმა შვა ეზეკია;
- ¹⁰ეზეკიამ შვა მანასე; მანასემ შვა ამონი; ამონმა შვა იოსია;
- ¹¹იოსიამ შვა იეჟონია და მისი ძმები ბაბილონში გადასახლებამდე;
- ¹²ბაბილონის გადასახლების შემდეგ იეჟონიამ შვა სალათიელი; სალათიელმა შვა ზორობაბელი;
- ¹³ზორობაბელმა შვა აბიუდი; აბიუდმა შვა ელიაკიმი; ელიაკიმმა შვა აზორი;
- ¹⁴აზორმა შვა სადოკი; სადოკმა შვა აქიმი; აქიმმა შვა ელიუდი;
- ¹⁵ელიუდმა შვა ელეაზარი; ელეაზარმა შვა მატთან; მატთანმა შვა იაკობი;
- ¹⁶იაკობმა შვა იოსები, ქმარი მარიამისა, რომლისაგანაც იშვა იესო, რომელსაც უწოდებენ ქრისტეს.
- ¹⁷ამრიგად, ყველა თაობა აბრაამიდან დავითამდე – 14 თაობა; დავითიდან ბაბილონში გადასახლებამდე – 14 თაობა; ბაბილონში გადასახლებიდან ქრისტემდე – 14 თაობა.



¹⁸ხოლო იესო ქრისტეს შობა ასე იყო: მისი დედა მარიამი დანიშნული იყო იოსებზე და ვიდრე ისინი შეუღლდებოდნენ, დაორსულებული აღმოჩნდა სულიწმიდის მიერ.

¹⁹ხოლო იოსებმა, მისმა ქმარმა, მართალმა კაცმა, არ ისურვა მისი გამხელა და განიზრახა მისი ფარულად გაშვება.

²⁰და როდესაც ამას განიზრახავდა, ეჩვენა მას სიზმარში უფლის ანგელოზი და უთხრა: „იოსებ, დავითის ძეო, ნუ გაშინებს მარიამის მიღება ცოლად, რადგან ის, ვინც მან უნდა შვას, სულიწმიდისგან არის.

²¹შობს ძეს და უწოდებ მას სახელად იესოს, რადგან იგი იხსნის თავის ხალხს მისი ცოდვებისაგან.“

²²ყოველივე ეს მოხდა, რათა აღსრულდეს უფლის სიტყვა, ნათქვამი წინასწარმეტყველის პირით, რომელიც ამბობს:

²³„აჰა, დაორსულდება ქალწული და შობს ძეს, და უწოდებენ მას სახელად ემმანუელს,“ რაც თარგმანით ნიშნავს: „ჩვენთან არს ღმერთი.“

²⁴სიზმრისგან გამოღვიძებული იოსები ისე მოიქცა, როგორც უფლის ანგელოზმა უბრძანა, და მიიღო თავისი ცოლი.

²⁵და არ შეუცვნია იგი, ვიდრე არა შვა თავისი ძე, და უწოდა მას სახელად იესო.

მათეს 2

¹როდესაც იშვა იესო იუდეის ბეთლემში, ჰეროდე მეფის დროს, მოვიდნენ იერუსალიმში მოგვები აღმოსავლეთიდან და თქვეს:

²„სად არის იუდეველთა მეფე, რომელიც იშვა? რადგან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას.“

³ეს რომ გაიგონა, შეძრწუნდა მეფე ჰეროდე და მასთან ერთად მთელი იერუსალიმი.

⁴და შეკრიბა ყველა მღვდელმთავარი და ხალხის მწიგნობარი და ეკითხებოდა მათ: „სად უნდა იშვას ქრისტე?“

⁵მათ უთხრეს: „იუდეის ბეთლემში. რადგან ასეა დაწერილი წინასწარმეტყველის მიერ:

⁶‘და შენ, ბეთლემ, იუდას მიწავ, არაფრითა ხარ უმცირესი იუდას მთავარ ქალაქებს შორის; რადგან შენგან გამოვა წინამძღოლი, რომელიც დამწყემსავს ჩემს ხალხს, ისრაელს.“



⁷მაშინ ჰეროდემ მალულად დაიბარა მოგვები და გამოიკითხა ვარსკვლავის გამოჩენის ჟამი,

⁸და წარგზავნა ისინი ბეთლემს და უთხრა: „წადით, ზუსტად გამოიკითხეთ იმ ყრმის ამბავი და როდესაც იპოვით, შემატყობინეთ, რომ მეც მივიდე და თაყვანი ვცე მას.“

⁹ეს რომ მოისმინეს მეფისგან, წავიდნენ. და, აჰა, ვარსკვლავი, რომელიც აღმოსავლეთში იხილეს, წინ უძღოდა მათ, სანამ არ მივიდა და არ დაადგა იმ ადგილს, სადაც იყო ყრმა.

¹⁰ვარსკვლავი რომ დაინახეს, ფრიად გაიხარეს.

¹¹და როდესაც სახლში შევიდნენ, დაინახეს ყრმა მარიამთან, თავის დედასთან ერთად, და დაემხნენ და თაყვანი სცეს მას. გახსნეს თავიანთი საუნჯენი და მიართვეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მურრი.

¹²და რაკი სიზმარში მიიღეს გაფრთხილება – არ დაბრუნებულიყვნენ ჰეროდესთან, სხვა გზით წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში.

¹³როდესაც ისინი წავიდნენ, აჰა, უფლის ანგელოზი გამოეცხადა სიზმარში იოსებს და უთხრა: „ადექი, წაიყვანე ყრმა და დედამისი და გაიქეცი ეგვიპტეში და იყავი იქ, ვიდრე მე გეტყოდე, რადგან ჰეროდეს სურს მაგ ყრმის მოძებნა, რათა დალუპოს იგი.“

¹⁴მაშინ ადგა იოსები და წაიყვანა ყრმა და დედამისი ღამით და წავიდა ეგვიპტეში.

¹⁵და იყო იქ ჰეროდეს სიკვდილამდე, რათა აღსრულებულიყო უფლის ნათქვამი წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: „ეგვიპტიდან მოვუხმე ჩემს ძეს.“

¹⁶როდესაც დაინახა, რომ გაწბილებული დარჩა მოგვებისგან, განრისხდა ჰეროდე და მიავლინა და მოაკვლევინა ყოველი ყრმა ორი წლისა და უმცროსი ბეთლემსა და მთელ მის საზღვრებში, იმ დროის მიხედვით, რომელიც მოგვებისგან შეიტყო.

¹⁷მაშინ აღსრულდა იერემია წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი, რომელიც ამბობს:

¹⁸„ხმა გაისმა რამაში, ტირილი და დიდი გოდება, რაქელი დასტირის თავის შვილებს და არ სურს ნუგეში, რადგან აღარ არიან ისინი.“

¹⁹ხოლო როდესაც ჰეროდე აღესრულა, აჰა, უფლის ანგელოზი გამოეცხადა სიზმრად იოსებს ეგვიპტეში



²⁰და უთხრა: „ადექი, წაიყვანე ყრმა და მისი დედა და წადი ისრაელის ქვეყანაში, რადგან დაიხოცნენ, ვინც მაგ ყრმის სულს ეძებდა.“

²¹ისიც ადგა, წაიყვანა ყრმა და დედამისი და მივიდა ისრაელის ქვეყანაში.

²²მაგრამ როდესაც შეიტყო, რომ იუდეაში მისი მამის, ჰეროდეს ნაცვლად მეფობს არქელაოსი, შეეშინდა იქ წასვლა; და სიზმრად მიიღო ბრძანება და წავიდა გალილიის მხარეში.

²³და მივიდა და დასახლდა ნაზარეთად წოდებულ ქალაქში, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველთა მიერ თქმული, რომ მას ნაზარეველი დაერქმევა.

მათეს 3

¹იმ დღეებში მოვიდა იოანე ნათლისმცემელი და ქადაგებდა იუდეის უდაბნოში,

²და ამბობდა: „მოინანიეთ, რადგან მოახლოებულია ცათა სასუფეველი.“

³რადგან ეს არის ის, ვისზეც ნათქვამია ესაია წინასწარმეტყველის მიერ: „ხმა მღალადებლისა უდაბნოში: ‘განუმზადეთ გზა უფალს, გაასწორეთ მისი ბილიკები.’“

⁴თვითონ იოანეს ეცვა აქლემის ბეწვის სამოსი და წელზე ერტყა ტყავის სარტყელი. ხოლო საკვები მისი იყო მკალი და ველური თაფლი.

⁵მაშინ გამოდიოდა მასთან იერუსალიმი და მთელი იუდეა, და მთელი იორდანეს მხარე.

⁶და ნათელს იღებდნენ მისგან იორდანეში და აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს.

⁷და როდესაც იოანემ დაინახა მისკენ მოსანათლავად მომავალი მრავალი ფარისეველი და სადუკეველი, უთხრა მათ: „იქედნეთა ნაშობნო, ვინ გასწავლათ მომავალი რისხვისაგან გაქცევა?

⁸შექმენით სინანულის ღირსი ნაყოფი!

⁹და ნუ იფიქრებთ, თქვით თქვენთვის: ‘ჩვენი მამა აბრაამია!’ რადგან, გეუბნებით თქვენ, ღმერთს შეუძლია ამ ქვებიდან აღუდგინოს აბრაამს შვილები.

¹⁰ცული უკვე დევს ხეთა ფესვებთან. ყოველ ხეს, რომელიც კეთილ ნაყოფს არ გამოიღებს, მოჭრიან და ცეცხლში ჩააგდებენ.



¹¹მე წყლით გნათლავთ თქვენ სინანულისთვის. მაგრამ ჩემს შემდეგ მომავალი ჩემზე ძლიერია, მე მისი ფეხსაცმლის ხელში აღების ღირსიც არა ვარ. ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდით და ცეცხლით.

¹²ნიჩაბი მის ხელთაა, ის გაასუფთავებს თავის კალოს, ხორბალს ბელელში შეკრებს, ხოლო ბზეს დაწვავს ჩაუქრობელი ცეცხლით.“

¹³მაშინ წამოვიდა იესო გალილეიდან იოანესთან იორდანეზე, რათა მის მიერ მონათლულიყო.

¹⁴ხოლო იოანე აკავებდა მას და ეუბნებოდა: „მე უნდა მოვინათლო შენგან, შენ კი ჩემთან მოდიხარ?“

¹⁵მიუგო იესომ და უთხრა მას: „ასე უნდა იყოს ახლა, რადგან ასე გვმართებს ჩვენ მთელი სიმართლის აღსრულება.“ მაშინ მიუშვა იგი.

¹⁶ნათელი რომ იღო, იესო მაშინვე ამოვიდა წყლიდან. და, აჰა, გაეხსნა მას ცანი და იხილა ღმერთის სული, მტრედივით გარდამომავალი, მასზე რომ ეშვებოდა.

¹⁷და, აჰა, ხმა იყო ციდან, რომელიც ამბობდა: „ეს არის ჩემი ძე საყვარელი, რომელშიც არის ჩემი სათნოება.“

მათეს 4

¹მაშინ აყვანილ იქნა იესო სულის მიერ უდაბნოში ეშმაკისაგან გამოსაცდელად.

²და ორმოც დღეს და ორმოც ღამეს იმარხულა და ბოლოს მოშივდა.

³და მიუხდა მას მაცდური და უთხრა: „თუ ღმერთის ძე ხარ, თქვი, რომ ეს ქვები პურებად იქცნენ.“

⁴ხოლო მან მიუგო და უთხრა: „დაწერილია, ‘არა მხოლოდ პურით ცოცხლობს ადამიანი, არამედ ღმერთის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით.’“

⁵მაშინ წაიყვანა იგი ეშმაკმა წმიდა ქალაქში და დააყენა ტაძრის ქიმზე.

⁶და უთხრა მას: „თუ ღმერთის ძე ხარ, გადაიგდე თავი ძირს, რადგან დაწერილია: ‘თავის ანგელოზებს უბრძანებს შენზე და ისინი ხელში აყვანილს გატარებენ, რათა ფეხი არ წამოჰკრა ქვას.’“

⁷უთხრა მას იესომ – დაწერილია ასევე: „არ გამოსცადო უფალი ღმერთი შენი.“



⁸წაიყვანა კვლავ იგი ეშმაკმა ძალიან მაღალ მთაზე, უჩვენა ქვეყნიერების ყველა სამეფო და მათი დიდება.

⁹და უთხრა მას: „ყოველივე ამას შენ მოგცემ, თუ დაემხოები და თაყვანს მცემ მე.“

¹⁰მაშინ ეუბნება მას იესო: „განვედ, სატანავ, რადგან დაწერილია: ‘უფალს შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე.’“

¹¹მაშინ დატოვა იგი ეშმაკმა და, აჰა, ანგელოზები მიეახლნენ და ემსახურებოდნენ მას.

¹²როდესაც გაიგო იესომ, რომ იოანე საპყრობილეშია, წავიდა გალილეას.

¹³და დატოვა ნაზარეთი, მივიდა და დასახლდა ზღვისპირა კაპერნაუმში, ზებულონისა და ნეფთალემის საზღვრებში,

¹⁴რათა აღსრულებულიყო ნათქვამი ესაია წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს:

¹⁵„ზებულონის მიწავ და ნეფთალემის მიწავ, ზღვისპირა გზავ იორდანეს გაღმით, წარმართთა გალილეავ!

¹⁶ხალხმა, რომელიც ბნელში იჯდა, იხილა დიდი ნათელი, და სიკვდილის ქვეყანასა და ჩრდილში მსხდომთ ნათელი გამოუბრწყინდა.“

¹⁷იმ დროიდან დაიწყო იესომ ქადაგება და ამბობდა: „მოინანიეთ, რადგან მოახლოვებულია ცათა სასუფეველი.“

¹⁸ხოლო როდესაც გალილეის ზღვის ნაპირას მიდიოდა, დაინახა ორი ძმა: სიმონი, პეტრედ წოდებული, და ანდრია, მისი ძმა. ისინი ბადეს ისროდნენ ზღვაში, რადგან მეზადურები იყვნენ.

¹⁹და ეუბნება მათ: მომყევით მე და ადამიანთა მეზადურებად გაქცევთ.

²⁰და მათ მყისვე მიატოვეს ბადე და გაჰყვნენ მას.

²¹იქიდან რომ წამოვიდა, დაინახა ორი სხვა ძმა: იაკობი, ზებედეს ძე, და იოანე, მისი ძმა, რომელნიც თავიანთ მამასთან, ზებედესთან ერთად ნავში ბადეებს აწესრიგებდნენ, და მოუხმო მათ.

²²და მათ მყისვე მიატოვეს ნავიც და მამაც და გაჰყვნენ მას.

²³და დადიოდა იესო მთელ გალილეაში, ასწავლიდა მათ სინაგოგებში, ქადაგებდა სასუფეველის სახარებას და კურნავდა ყოველგვარ სენსა და ყოველგვარ უძლურებას ხალხში.



²⁴და მოედო მისი ამბავი მთელ სირიას. და მოჰყავდათ მასთან ყველა უძლური, სხვადასხვა სნეულებითა და სატანჯველით შეპყრობილი, ეშმაკეული, მთვარეული, დამბლადაცემული და ის კურნავდა მათ.

²⁵და აედევნა მას დიდძალი ხალხი გალილეიდან და ათქალაქიდან, იერუსალიმიდან და იუდეიდან და იორდანეს გაღმიდან.

მათეს 5

¹და როდესაც დაინახა ხალხი, ავიდა მთაზე და დაჯდა. და მივიდნენ მასთან მისი მოწაფეები.

²და გახსნა ბაგეები, ასწავლიდა მათ და ეუბნებოდა:

³„ნეტარ არიან ღატაკნი სულით, რადგან მათია ცათა სასუფეველი.

⁴ნეტარ არიან მგლოვიარენი, რადგან ისინი ნუგეშისცემულ იქნებიან.

⁵ნეტარ არიან თვინიერნი, რადგან ისინი დაიმკვიდრებენ დედამიწას.

⁶ნეტარ არიან სიმართლისათვის მშიერ-მწყურვალნი, რადგან ისინი დაპურდებიან.

⁷ნეტარ არიან მოწყალენი, რადგან ისინი შეწყალებულ იქნებიან.

⁸ნეტარ არიან გულით წმიდანი, რადგან ისინი ღმერთს იხილავენ.

⁹ნეტარ არიან მშვიდობისმოყვარენი, რადგან ისინი ღმერთის შვილებად იწოდებიან.

¹⁰ნეტარ არიან სიმართლისათვის დევნილნი, რადგან მათია ცათა სასუფეველი.

¹¹ნეტარნი ხართ თქვენ, როდესაც გგმობენ, გდევნიან და ყოველგვარ ბოროტს ამბობენ თქვენზე ჩემს გამო.

¹²იხარეთ და ილხინეთ, რადგან დიდია თქვენი საზღაური ცაში. ასევე დევნიდნენ წინასწარმეტყველთ, რომლებიც თქვენზე ადრე იყვნენ.

¹³თქვენ ხართ მარილი მიწისა. ხოლო თუ მარილი გამოიფიტა, რილათი დამარილდეს? ის უკვე აღარაფრად გამოდგება, მხოლოდ გარეთ უნდა გადაიყაროს კაცთაგან გასათელად.

¹⁴თქვენ ხართ ქვეყნიერების ნათელი. ვერ დაიმალება მთაზე გაშენებული ქალაქი.

¹⁵არავინ ანთებს სანთელს, რათა ჭურჭლის ქვეშ შედგას, არამედ დგამს სასანთლეზე, რომ ყველას გაუნათოს სახლში.



¹⁶ასევე ანათებდეს თქვენი ნათელი ადამიანთა წინაშე, რათა ხედავდნენ ისინი თქვენს კეთილ საქმეებს და ადიდებდნენ თქვენს მამას, რომელიც ზეცაშია.

¹⁷არ იფიქროთ, თითქოს რჯულის ან წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად მოვედი. გასაუქმებლად კი არ მოვედი, არამედ – აღსასრულებლად.

¹⁸ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვიდრე ცა და მიწა არ გარდავლენ, რჯულის არც ერთი იოტა ან არც ერთი წერტილი არ გარდავა, სანამ ყოველივე არ აღსრულდება.

¹⁹ამრიგად, ვინც დაარღვევს ერთს ამ უმცირეს მცნებათაგანს და ისე ასწავლის ადამიანებს, უმცირესი დაერქმევა მას ცათა სასუფეველში, ხოლო ვინც აღასრულებს და ასწავლის, დიდი დაერქმევა ცათა სასუფეველში.

²⁰რადგან, გეუბნებით თქვენ: თუ თქვენი სიმართლე მეტი არ იქნება მწიგნობართა და ფარისეველთა სიმართლეზე, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში.

²¹თქვენ გსმენიათ, რომ უთქვამთ ძველებისთვის: ‘არ მოკლა!’ ვინც მოკლავს, სასჯელის თანამდები იქნება.

²²მე კი გეუბნებით თქვენ: ვინც განურისხდება თავის ძმას, სასჯელის თანამდები იქნება. ვინც თავის ძმას ეტყვის: ‘რაკა,’ სინედრიონის თანამდები იქნება. ხოლო ვინც ეტყვის: სულელო, ცეცხლის გეენას თანამდები იქნება.

²³ამიტომ, თუ მიიტან შენს ძღვენს სამსხვერპლოზე და იქ გაგახსენდება, რომ შენს ძმას რაიმე აქვს შენს წინააღმდეგ,

²⁴დატოვე შენი ძღვენი სამსხვერპლოსთან და წადი, ჯერ შენს ძმას შეურიგდი, და მერე მოდი და შესწირე შენი ძღვენი.

²⁵შეურიგდი შენს მოდავეს სასწრაფოდ, ვიდრე მასთან ერთად ადგახარ გზას, რომ მეტოქემ არ გადაგცეს მსაჯულს, ხოლო მსაჯულმა არ გადაგცეს მსახურს და არ ჩაგაგდონ საპყრობილეში.

²⁶ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვერ გამოხვალ იქიდან, სანამ არ გადაიხდი უკანასკნელ კოდრანტს.

²⁷გსმენიათ, რომ თქმულა: ‘არ იმრუშო.’

²⁸მე კი გეუბნებით, რომ ყველამ, ვინც ქალს გულისთქმით შეხედა, უკვე იმრუშა მასთან თავის გულში.



²⁹თუ შენი მარჯვენა თვალი გაცდუნებს, ამოითხარე და გადააგდე, რადგან უმჯობესია შენთვის, რომ შენს ასოთაგან ერთი დაიღუპოს, ვიდრე მთელი შენი სხეული გეენაში ჩავარდეს.

³⁰თუ შენი მარჯვენა ხელი გაცდუნებს, მოიკვეთე იგი და გადააგდე, რადგან უმჯობესია შენთვის, რომ შენს ასოთაგან ერთი დაიღუპოს, ვიდრე მთელი შენი სხეული გეენაში ჩავარდეს.

³¹ნათქვამი იყო: ‘ვინც ცოლს გაუშვებს, მისცეს მას გაყრის მოწმობა.’

³²მე კი გეუბნებით თქვენ: ყოველი, ვინც ცოლს გაუშვებს სიძვის მიზეზის გარეშე, მრუშად აქცევს მას. და ვინც გაშვებულს შეირთავს, მრუშობს.

³³კიდევ გსმენიათ, რომ უთქვამთ ძველებისათვის: ‘არ დაიფიცო ტყუილად, არამედ შეასრულე შენი ფიცი უფლის წინაშე.’

³⁴მე კი გეუბნებით თქვენ: სრულებით არ დაიფიცოთ! არც ცა, რადგან ღმერთის ტახტია იგი.

³⁵არც დედამიწა, რადგან მის ფეხთა კვარცხლბეკია. არც იერუსალიმი, რადგან დიდი მეფის ქალაქია.

³⁶არც საკუთარი თავი დაიფიცო, რადგან თმის ერთი ღერის გათეთრება ან გაშავება არ შეგიძლია.

³⁷არამედ იყოს თქვენი სიტყვა: ჰო, ჰო, არა, არა, ხოლო რაც ამაზე მეტია, ბოროტისგანაა.

³⁸გსმენიათ, რომ თქმულა: ‘თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ.’

³⁹მე კი გეუბნებით თქვენ: წინ ნუ აღუდგებით ბოროტს, არამედ, თუ ვინმე მარჯვენა ლოყაში გაგარტყამს, მეორე ლოყაც მიუშვირე.

⁴⁰ვინც მოისურვებს შენთან დავას და შენი პერანგის წაღებას, მოსასხამიც გაატანე.

⁴¹ვინც ერთ მილზე წაყოლას გაიძულებს, ორზე გაჰყევი.

⁴²ვინც გთხოვს, მიეცი და ზურგს ნუ შეაქცევ მას, ვისაც შენგან სესხება სურს.

⁴³გსმენიათ, რომ თქმულა: ‘შეიყვარე მოყვასი შენი და შეიძულე მტერი შენი.’

⁴⁴მე კი გეუბნებით თქვენ: გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროვებთ და გდევნით.



⁴⁵რათა გახდეთ შვილები თქვენი ზეციერი მამისა, ვისაც თავისი მზე ბოროტთა და კეთილთა თავზე ამოჰყავს და წვიმას უგზავნის მართლებსა და უსამართლოებს.

⁴⁶რადგან, თუ თქვენს მოყვარულებს შეიყვარებთ, რა საზღაური გექნებათ? განა მებაჟენიც ასევე არ იქცევიან?

⁴⁷და თუ მხოლოდ თქვენს ძმებს მიესალმებით, განსაკუთრებულს რას გააკეთებთ? განა წარმართებიც ასევე არ იქცევიან?

⁴⁸მაშ, იყავით სრულყოფილნი, როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი.

მათეს 6

¹ერიდეთ მოწყალების გაღებას ადამიანთა თვალწინ, მათ დასანახად, თორემ ვერ მიიღებთ საზღაურს თქვენი ზეციერი მამისაგან.

²ამიტომ, როდესაც მოწყალებას გასცემ, ნუ გაახმაურებ შენს წინაშე, როგორც თვალთმაქცი აკეთებენ სინაგოგებსა და ქუჩებში, რათა ხალხმა ადიდოს ისინი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ისინი უკვე იღებენ თავიანთ საზღაურს.

³შენ კი, როდესაც მოწყალებას გასცემ, შენს მარცხენას ნუ ეცოდინება, რას აკეთებს შენი მარჯვენა.

⁴რათა შენი მოწყალება დაფარულად იყოს და შენი მამა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგიზღავს შენ ცხადად.

⁵და როდესაც ლოცულობ, ნუ იქნებით, როგორც თვალთმაქცი, რომელთაც უყვართ სინაგოგებსა და ქუჩის კუთხეებში დგომა და ლოცვა, რათა დაინახოს ხალხმა. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ისინი უკვე იღებენ თავიანთ საზღაურს.

⁶შენ კი, როდესაც ლოცულობ, შედი შენს ოთახში, ჩაკეტე კარი და ილოცე შენი მამისადმი, რომელიც დაფარულია. და შენი მამა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგიზღავს შენ ცხადად.

⁷ხოლო ლოცვის დროს ზედმეტს ნუ იტყვით წარმართებივით, რადგან მათ ჰგონიათ, რომ თავიანთი მრავალსიტყვაობის გამო შესმენილ იქნებიან.

⁸ნუ დაემსგავსებით მათ, რადგან თქვენმა მამამ თქვენი საჭიროება თხოვნამდე იცის.

⁹თქვენ კი ასე ილოცეთ: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი.



¹⁰მოვიდეს სუფევა შენი, იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.

¹¹კური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს.

¹²და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა ჩვენთა.

¹³და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

¹⁴რადგან, თუ თქვენ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, თქვენც მოგიტევებთ თქვენი ზეციერი მამა.

¹⁵ხოლო თუ თქვენ არ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, არც თქვენ მოგიტევებთ თქვენი მამა თქვენს შეცოდებებს.

¹⁶ხოლო როდესაც მარხულობთ, ნუ იქნებით მწუხარენი თვალთმაქცებით. რადგან ისინი მწუხარე სახეებს იღებენ, რათა ადამიანებს მმარხველებად აჩვენონ თავი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ისინი უკვე იღებენ თავიანთ საზღაურს.

¹⁷ხოლო შენ, როდესაც მარხულობ, იცხე თავზე და დაიბანე პირი,

¹⁸რათა ადამიანებს კი არ ეჩვენო მმარხველად, არამედ დაფარულად მყოფ შენს მამას. და შენი მამა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგიზღავს შენ ცხადად.

¹⁹ნუ შეკრებთ საუნჯეს დედამიწაზე, სადაც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც ქურდები თხრიან და იპარავენ.

²⁰შეკრიბეთ საუნჯე ცაში, სადაც არც ჩრჩილი და არც ჟანგი სპობს და არც ქურდები თხრიან და იპარავენ.

²¹რადგან, სადაც არის შენი საუნჯე, იქ იქნება შენი გულიც.

²²სხეულის სანთელი თვალია. მაშ, თუ შენი თვალი სუფთაა, მთელი შენი სხეულიც ნათელი იქნება.

²³ხოლო თუ შენი თვალი ბოროტია, მთელი შენი სხეულიც ბნელი იქნება. თუკი ნათელი, რომელიც შენშია, სიბნელეა, სიბნელე რაოდენიდა იქნება?

²⁴არავის არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს: ან ერთს შეიძულებს და მეორეს შეიყვარებს, ანდა ერთს შეეთვისება და მეორეს დაამცირებს. ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და სიმდიდრესაც.

²⁵ამიტომ გეუბნებით თქვენ: ნუ ზრუნავთ თქვენი სამშვიინველისათვის, რა ჭამოთ ან რა სვათ, ნურც თქვენი სხეულისათვის, რით შეიმოსოთ. განა სიცოცხლე საზრდოზე მეტი არ არის და სხეული – სამოსელზე?



²⁶შეხედეთ ცის ფრინველებს: არც თესავენ, არც მკიან, არც ბელლებში აგროვებენ, და თქვენი ზეციერი მამა ასაზრდოებს მათ. განა თქვენ მათზე ბევრად უკეთესნი არა ხართ?

²⁷რომელ თქვენგანს შეუძლია ზრუნვით თავის სიმაღლეს ერთი წყრთა შემატოს?

²⁸სამოსელზე რაღას ზრუნავთ? დააკვირდით ველის შროშანებს, როგორ იზრდებიან: არც შრომობენ, არც ართავენ.

²⁹გეუბნებით თქვენ, რომ სოლომონიც კი, მთელი თავისი დიდებით, არ იყო შემოსილი ისე, როგორც ერთი ამათგანი.

³⁰თუკი მინდვრის ბალახს, რომელიც დღეს არის, ხვალ კი თონეში ჩაიყრება, ღმერთი ასე მოსავს, განა თქვენ უფრო მეტად არ შეგმოსავთ, მცირედმორწმუნენო?

³¹ნუ ზრუნავთ და ნუ ამბობთ: ‘რა ვჭამოთ?’ ან: ‘რა ვსვათ?’ ან: ‘რით შევიმოსოთ?’

³²რადგან ყოველივე ამას წარმართნი ეძიებენ. ხოლო თქვენმა ზეციერმა მამამ იცის, რომ თქვენ გესაჭიროებათ ეს ყველაფერი.

³³ეძიეთ უწინარეს ყოვლისა ღმერთის სასუფეველი და მისი სიმართლე, და ეს ყველაფერი შეგემატებათ.

³⁴ნუ ზრუნავთ ხვალინდელ დღეზე, რადგან ხვალინდელი დღე თავად იზრუნებს თავის თავზე. ეყოფა თითოეულ დღეს თავისი საზრუნავი.

მათეს 7

¹ნუ განსჯით, რათა არ განისაჯოთ.

²რადგან, როგორი განსჯითაც განსჯით, იმავეთი განისჯებით; და რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგეწყვებათ.

³რად უყურებ წველს შენი ძმის თვალში, საკუთარ თვალში კი დირესაც ვერ ამჩნევ?

⁴ანდა როგორ ეუბნები შენს ძმას: ‘მოდი, ამოგიღო თვალიდან წველი’ და, აჰა, შენს თვალში კი დირეა!

⁵თვალთმაქცო, ჯერ შენი თვალიდან ამოიღე დირე და მერე დაინახავ, როგორ ამოიღო წველი შენი ძმის თვალიდან.



⁶ნუ მისცემთ სიწმიდეს ძაღლებს და ნურც თქვენს მარგალიტებს დაუყრით წინ ღორებს, რათა ფეხებით არ გათელონ და არ შემოგიბრუნდნენ და არ დაგგლიჯონ.

⁷ითხოვეთ და მოგეცემათ. ეძიეთ და ჰპოვეთ. დარეკეთ და გაგელებათ.

⁸რადგან ყველა, ვინც ითხოვს, იღებს, ვინც ეძიებს, პოულობს და ვინც რეკავს, გაელება.

⁹განა არის თქვენს შორის კაცი, რომელსაც საკუთარმა შვილმა პური სთხოვოს, მან კი ქვა მისცეს?

¹⁰ანდა თევზი სთხოვოს და გველი მიაწოდოს?

¹¹მაშ, თუ თქვენ, ბოროტებმა, იცით კეთილ მისაცემელთა მიცემა თქვენი შვილებისთვის, მით უფრო თქვენი ზეციერი მამა მისცემს სიკეთეს მათ, ვინც სთხოვს.

¹²ამიტომ, ყველაფერი, რაც გინდათ, რომ გაგიკეთონ ადამიანებმა, თქვენც ასევე გაუკეთეთ მათ, რადგან ეს არის რჯული და წინასწარმეტყველნი.

¹³შედიით ვიწრო კარიბჭით, რადგან ფართოა კარიბჭე და განიერია დაღუპვისაკენ მიმავალი გზა, და მრავალნი არიან მასზე მავალნი.

¹⁴რადგან ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლისაკენ მიჰყავს, და მცირედნი არიან, ვინც ჰპოვენ მას.

¹⁵ერიდეთ ცრუწინასწარმეტყველებს, რომლებიც ცხვრის სამოსით მოდიან თქვენთან, შიგნით კი მტაცებელი მგლები არიან.

¹⁶მათი ნაყოფით იცნობთ მათ. განა ეკლიდან ყურძენს კრეფენ ან კუროსთავიდან ლელვს?

¹⁷ამგვარად, ყოველი კარგი ხე ნაყოფსაც კარგს ისხამს, ხოლო უკეთური ხე ცუდ ნაყოფს ისხამს.

¹⁸არ შეუძლია კარგ ხეს ცუდი ნაყოფის გამოღება და არც უკეთურ ხეს – კარგი ნაყოფის გამოღება.

¹⁹ყოველ ხეს, რომელიც კარგ ნაყოფს არ ისხამს, ჭრიან და ცეცხლში აგდებენ.

²⁰ამგვარად, მათი ნაყოფით იცნობთ მათ.

²¹ყველა, ვინც მეუბნება: ‘უფალო, უფალო!’ ვერ შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნებას.

²²ბევრი მეტყვის იმ დღეს: ‘უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს? და განა შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს?’



²³მაშინ მე განვუცხადებ მათ: ‘მე არასოდეს გიცნობდით თქვენ, გამშორდით, ურჯულოების მოქმედნო!’

²⁴ამიტომ ყველას, ვინც ისმენს ამ ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ, ვამსგავსებ გონიერ კაცს, რომელმაც სახლი კლდეზე აიშენა.

²⁵და მოვიდა წვიმა, მოვარდნენ მდინარეები, დაუბერეს ქარებმა და ეკვეთნენ იმ სახლს. ის კი არ დაეცა, რადგან კლდეზე იყო დაფუძნებული.

²⁶ხოლო ყველა, ვინც ისმენს ამ ჩემს სიტყვებს და არ ასრულებს, ემსგავსება უგუნურ კაცს, რომელმაც ქვიშაზე აიშენა სახლი.

²⁷მოვიდა წვიმა, მოვარდნენ მდინარეები, დაუბერეს ქარებმა და ეკვეთნენ იმ სახლს, და დაეცა ის, და ძალზე დიდი იყო მისი დაცემა.“

²⁸და როდესაც იესომ დაასრულა ეს სიტყვები, ხალხი გაოცებული იყო მისი მოძღვრებით,

²⁹რადგან იგი ასწავლიდა მათ, როგორც ხელმწიფების მქონე და არა როგორც მათი მწიგნობარნი.

მათეს 8

¹ხოლო როდესაც მთიდან ჩამოდიოდა, დიდძალი ხალხი მისდევდა უკან.

²და აჰა, მივიდა მასთან კეთროვანი, თაყვანი სცა და უთხრა: „უფალო, თუ გასურს, შეგიძლია ჩემი განწმედა.“

³იესომ გაიწოდა ხელი, შეახო მას და თქვა: „მსურს, განიწმიდე!“ და მყისვე განიწმიდა იგი თავისი კეთრისაგან.

⁴ეუბნება მას იესო: „იცოდე, არავის უთხრა, არამედ წადი და ეჩვენე მღვდელს და შესწირე ძღვენი, რომელიც ბრძანა მოსემ მათთვის დასამოწმებლად.“

⁵კაპერნაუმში შესვლისას, ასისტავი მივიდა მასთან, შეევედრა

⁶და უთხრა: „უფალო, სახლში მსახური მიწევს, დამბლადაცემული, და სასტიკად იტანჯება.“

⁷იესო ეუბნება: „მოვალ და განვკურნავ მას.“

⁸და მიუგო ასისტავმა და უთხრა: „უფალო, არა ვარ ღირსი, ჩემს ჭერქვეშ რომ შემოხვიდე, მხოლოდ სიტყვა თქვი და განიკურნება ჩემი მსახური.

⁹რადგან მეც ხელმწიფების ქვეშ მყოფი კაცი ვარ და ჩემს ხელქვეით მყვანან ჯარისკაცები. ერთს ვეუბნები, წადი! და მიდის. სხვას, მოდი! და მოდის. და ვეუბნები ჩემს მონას, ეს გააკეთე! და აკეთებს.“



- ¹⁰ეს რომ გაიგონა, იესოს გაუკვირდა და თავის მიმდევრებს უთხრა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ისრაელშიც ვერ ვპოვე ასეთი რწმენა.“
- ¹¹გეუბნებით თქვენ, რომ მრავალნი მოვლენ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, და დასხდებიან აბრაამთან, ისააკთან და იაკობთან ერთად ცათა სასუფეველში.
- ¹²ხოლო სასუფეველის შვილები გაიყრებიან გარესკნელის ბნელში. და იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა.“
- ¹³და უთხრა იესომ ასისტავს: „წადი და, როგორც გწამს, ისე მოგეგოს.“ და განიკურნა მისი მსახური იმავე საათს.
- ¹⁴მივიდა იესო პეტრეს სახლში და ნახა მისი სიდედრი მწოლიარე, სიცხით შეპყრობილი.
- ¹⁵შეეხო მის ხელს და გაუარა მას სიცხემ. წამოდგა და ემსახურებოდა მათ.
- ¹⁶ხოლო როდესაც მოსაღამოვდა, მრავალი ეშმაკეული მოიყვანეს მასთან და სიტყვით განდევნა სულები და ყველა სნეული განკურნა.
- ¹⁷რათა აღსრულებულიყო თქმული ესაია წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: „მან იკისრა ჩვენი უძლურებანი და იტვირთა ჩვენი სნეულებანი.“
- ¹⁸ხოლო როდესაც იესომ თავის გარშემო დიდძალი ხალხი დაინახა, ბრძანა გაღმა გასულიყვნენ.
- ¹⁹მიუახლოვდა მას ერთი მწიგნობარი და უთხრა: „მოდღვარო, გამოგყვები, სადაც კი წახვალ.“
- ²⁰ეუბნება მას იესო: „მელიებს სოროები აქვთ და ცის ფრინველთ – ბუდეები. კაცის ძეს კი არსად არა აქვს თავის მისადრეკი.“
- ²¹ხოლო სხვამ მოწაფეთაგან უთხრა მას: „უფალო, ნება მომეცი, ჯერ წავიდე და მამაჩემი დავმარხო.“
- ²²იესო კი ეუბნება მას: „შენ მე გამომყევი, მკვდრებმა კი თავიანთი მკვდრები დამარხო.“
- ²³ჩაჯდა იგი ნავში და მისი მოწაფეებიც გაჰყვნენ მას.
- ²⁴და, აჰა, ატყდა დიდი ღელვა ზღვაზე, ისეთი, რომ ნავი ტალღებით იფარებოდა. მას კი ეძინა.
- ²⁵და მივიდნენ მასთან, გააღვიძეს და უთხრეს: „უფალო, გვიხსენი, ვიღუპებით.“



²⁶და უთხრა მათ: – რამ შეგაშინათ, მცირედმორწმუნენო? – მერე წამოდგა, შერისხა ქარებს და ზღვას, და ჩამოვარდა დიდი მყუდროება.

²⁷ადამიანებს კი უკვირდათ და ამბობდნენ: „ვინ არის ეს, ქარებიც და ზღვაც რომ ემორჩილებიან?“

²⁸და როდესაც გაღმა, ღაღარენელთა მხარეში მივიდა, შემოხვდა ორი ეშმაკეული, რომლებიც სამარხებიდან გამოვიდნენ, ისეთი მძვინვარენი, რომ ვერავინ ბედავდა იმ გზაზე გავლას.

²⁹და, აჰა, ატეხეს ყვირილი: „რა გინდა ჩვენგან, ღმერთის ძეო? ვადაზე ადრე მოხვედი აქ ჩვენს სატანჯველად?“

³⁰მათგან მოშორებით ძოვდა ღორების დიდი კოლტი.

³¹ეშმაკები სთხოვდნენ მას: „თუ გაგვდეენი, ღორების კოლტში შეგვიშვი.“

³²უთხრა მათ: „წადით!“ ისინიც გამოვიდნენ და შევიდნენ ღორებში. და, აჰა, მთელი კოლტი გადაეშვა კბოდედან ზღვაში და წყალში დაიღუპა.

³³მწყემსები კი გაიქცნენ, მივიდნენ ქალაქში და მოყვნენ ყველაფერს, რაც ეშმაკეულებს დაემართათ.

³⁴და, აჰა, მთელი ქალაქი გამოვიდა იესოს შესახვედრად და რომ დაინახეს იგი, სთხოვეს, რომ გასცლოდა მათ საზღვრებს.

მათეს 9

¹და ჩაჯდა ნავში, გავიდა გაღმა და მივიდა თავის ქალაქში.

²და, აჰა, მიუყვანეს მას ლოგინზე მწოლიარე დამბლადაცემული. და როდესაც იხილა იესომ მათი რწმენა, უთხრა დამბლადაცემულს: „გამხნევდი, შვილო, მოგეტევა შენი ცოდვები.“

³მაშინ ზოგიერთმა მწიგნობართაგან თავისთვის თქვა: „ღმერთს გმობს ეს კაცი.“

⁴და მიხვდა იესო მათ ფიქრებს და უთხრა: „რატომ ფიქრობთ თქვენს გულში ბოროტს?“

⁵რისი თქმა უფრო ადვილია: ‘მოგეტევა შენი ცოდვები,’ თუ თქმა: ‘ადექი და იარე?’

⁶ხოლო რათა იცოდეთ, რომ კაცის ძეს აქვს ხელმწიფება დედამიწაზე ცოდვების მიტევებისა,“ – უთხრა დამბლადაცემულს: „ადექი, აილე შენი საწოლი და წადი შენს სახლში.“

⁷ისიც წამოდგა და წავიდა თავის სახლში.



⁸ამის შემყურე ხალხს უკვირდა და ადიდებდა ღმერთს, რომელმაც ასეთი ხელმწიფება მისცა ადამიანებს.

⁹იქაურობას რომ გაშორდა, დაინახა იესომ კაცი, რომელიც საბაჟოსთან იჯდა, სახელად მათე, და უთხრა მას: „გამომყევი მე.“ ისიც წამოდგა და გაჰყვა მას.

¹⁰და როდესაც სუფრასთან იჯდა მასთან სახლში, მრავალი მებაჟე და ცოდვილი მოვიდა და დაჯდა იესოსა და მის მოწაფეთა გვერდით.

¹¹ეს რომ ფარისევლებმა დაინახეს, უთხრეს მის მოწაფეებს: „რატომ ჭამს და სვამს თქვენი მოძღვარი მებაჟეებთან და ცოდვილებთან ერთად?“

¹²ეს რომ გაიგონა, მან თქვა: „მკურნალი ჯანმრთელებს კი არ სჭირდებათ, არამედ სნეულებს.

¹³წადით და შეისწავლეთ, რას ნიშნავს: ‘წყალობა მსურს და არა მსხვერპლი;’ მართალთა მოსახმობად კი არ მოვსულვარ, არამედ ცოდვილთა.“

¹⁴მაშინ მივიდნენ მასთან იოანეს მოწაფეები და უთხრეს: „რატომ არის, რომ ჩვენ და ფარისევლები ვმარხულობთ, შენი მოწაფეები კი არ მარხულობენ?“

¹⁵და უთხრა მათ იესომ: „განა შეუძლიათ იგლოვონ მექორწილებმა, ვიდრე სიძე მათთან არის? მაგრამ დადგება დღეები, როდესაც სიძე წაერთმევათ მათ და მაშინ იმარხულებენ.

¹⁶არავინ აკერებს ძველ ტანსაცმელს ახალი ქსოვილის საკერებელს, რადგან ახლად დაკერებული მოეხევა სამოსს და უარეს ნახევს გააჩენს.

¹⁷არც ახალ ღვინოს ასხამენ ძველ ტიკებში, რადგან ტიკები დასკდება, ღვინოც დაიღვრება და ტიკებიც გაფუჭდება. არამედ ახალ ღვინოს ახალ ტიკებში ასხამენ და ორივე გადარჩება.“

¹⁸როცა ამას ეუბნებოდა მათ, მივიდა მასთან ერთი მთავარი, თაყვანი სცა და უთხრა: „ეს-ესაა ქალიშვილი მომიკვდა, მაგრამ მოდი, დაადე მას ხელი და იცოცხლებს.“

¹⁹და წამოდგა იესო, გაჰყვა მას და მასთან ერთად მისი მოწაფეებიც.

²⁰და აჰა, ერთი ქალი, რომელიც 12 წლის მანძილზე იტანჯებოდა სისხლდენით, უკანიდან მიუახლოვდა მას და შეეხო მისი სამოსის კალთას.

²¹რადგან თავისთვის ამბობდა: „მის სამოსსაც რომ შევეხო, განვიკურნები.“

²²ხოლო იესო შემობრუნდა, დაინახა იგი და უთხრა: „გამხნევდი, ასულო, შენმა რწმენამ გიხსნა შენ.“ და მაშინვე განიკურნა ქალი.



²³მივიდა იესო მთავრის სახლში, დაინახა იქ მესტვირეები და შემწვითებული ხალხი,

²⁴და უთხრა მათ: „გაშორდით აქაურობას, რადგან გოგონა არ მომკვდარა, არამედ სძინავს.“ და დასცინოდნენ მას.

²⁵და როდესაც გაიყვანეს ხალხი გარეთ, შევიდა, მოჰკიდა ხელი ხელზე და წამოდგა გოგონა.

²⁶და მთელ იმ მხარეს მოედო ეს ამბავი.

²⁷და როდესაც იესო იქიდან მოდიოდა, ორი ბრმა აედევნა ყვირილით, და ამბობდნენ: „შეგვიწყალე, დავითის ძე!“

²⁸სახლში შესულს, მიადგნენ ბრმები და ეუბნება მათ იესო: „გწამთ, რომ შემძლია ამის გაკეთება?“ ეუბნებიან მას: „დიახ, უფალო!“

²⁹მაშინ შეეხო მათ თვალებს და უთხრა: „თქვენი რწმენისამებრ მოგეგოთ!“

³⁰დააეხილათ მათ თვალები. და მკაცრად გააფრთხილა ისინი იესომ და უთხრა: „იცოდეთ, არავინ გაიგოს.“

³¹მათ კი, როდესაც გავიდნენ, მთელ იმ მხარეს მოსდეს მისი ამბავი.

³²ისინი რომ გავიდნენ, მიუყვანეს მას ეშმაკეული მუნჯი კაცი.

³³და როცა ეშმაკი განდევნა, მუნჯმა ენა ამოიღა. და უკვირდა ხალხს და ამბობდა: „ასეთი რამ არასოდეს მომხდარა ისრაელში.“

³⁴ფარისევლები კი ამბობდნენ: „ეშმაკთა მთავრით განდევნის ეშმაკებს.“

³⁵და დადიოდა იესო ყველა ქალაქსა და დაბაში, ასწავლიდა მათს სინაგოგებში, ქადაგებდა სასუფევლის სახარებას და კურნავდა ყოველგვარ სენსა და ყოველგვარ უძლურებას.

³⁶ხალხის სიმრავლე რომ დაინახა, შეებრაღა ისინი, რადგან დამაშვრალნი და უმწეონი იყვნენ, როგორც უმწყემსო ცხვრები.

³⁷მაშინ უთხრა თავის მოწაფეებს: „სამკალი ბევრია, მუშაკნი კი – მცირენი.

³⁸ამიტომ ევედრეთ სამკალის უფალს, რომ გამოგზავნოს მუშაკნი თავის სამკალში.“

მათეს 10

¹და მოუწოდა თავის თორმეტ მოწაფეს და მისცა მათ ძალაუფლება უწმიდურ სულებზე, მათ განსადევნად და ყოველგვარი სენისა და ყოველგვარი უძლურების განსაკურნებლად.



- ²ხოლო 12 მოციქულის სახელებია: პირველი – სიმონი, პეტრედ წოდებული, და ანდრია, მისი ძმა, იაკობ ზებედეს ძე და მისი ძმა იოანე,
- ³ფილიპე და ბართლომე, თომა და მათე მებაჟე, იაკობ ალფეს ძე და თადეოსი,
- ⁴სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც გასცა იგი.
- ⁵ეს 12 მიაველინა იესომ, დაარიგა და უთხრა: „წარმართთა გზებზე არ იაროთ და სამარიელთა ქალაქში არ შეხვიდეთ.
- ⁶არამედ წადით ისრაელის სახლის დაკარგულ ცხვრებთან.
- ⁷და როდესაც მიხვალთ, იქადაგეთ, რომ მოახლოებულია ცათა სასუფეველი.
- ⁸სნეულები განკურნეთ, მკვდრები აღადგინეთ, კეთროვანები განწმიდეთ, ეშმაკები განდევნეთ. უსასყიდლოდ მიგიღიათ და უსასყიდლოდ გაეცით.
- ⁹ნურც ოქროს, ნურც ვერცხლს, ნურც სპილენძს ნუ წაიღებთ თან თქვენი სარტყლებით.
- ¹⁰ნურც გუდას გზისთვის, ნურც ორ პერანგს, ნურც ფეხსაცმელს, ნურც არგანს, რადგან ღირსია მშრომელი თავისი საზრდოსი.
- ¹¹რომელ ქალაქში ან დაბაშიც შეხვალთ, გამოიკითხეთ, ვინ არის იქ ღირსი, და დარჩით მასთან, ვიდრე გამოხვიდოდეთ,
- ¹²ხოლო სახლში შესვლისას მიესალმეთ მას და უსურვეთ მშვიდობა.
- ¹³და თუ სახლი ღირსი იქნება, დაე მიუვიდეს მას თქვენი მშვიდობა. ხოლო თუ არ იქნება ღირსი, თქვენი მშვიდობა თქვენვე დაგიბრუნდეთ.
- ¹⁴ხოლო თუ ვინმე არ მიგიღებთ თქვენ და არც მოისმენს თქვენს სიტყვებს, ამ სახლიდან ან ქალაქიდან გამოსვლისას, დაიბერტყეთ მტკერი თქვენს ფეხთაგან.
- ¹⁵ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სოდომისა და გომორას მიწას უფრო გაუადვილდება განსჯის დღეს, ვიდრე იმ ქალაქს.
- ¹⁶აჰა, მიგავლენთ თქვენ, როგორც ცხვრებს მგლებს შორის. მაშ იყავით გონიერნი, როგორც გველები, და უმანკონი, როგორც მტრედები.
- ¹⁷მოერიდეთ ადამიანებს, რადგან ისინი გადაგცემენ სინედრიონს და თავიანთ სინაგოგებში გაგამათრახებენ თქვენ.
- ¹⁸და წაგიყვანენ გამგებლებთან და მეფეებთან ჩემს გამო, მათთვის და წარმართთათვის სამოწმებლად.



- ¹⁹ხოლო როცა გადაგცემენ თქვენ, ნუ იზრუნებთ, რა თქვათ, ან როგორ თქვათ, რადგან მაშინ მოგეცემათ, რაც უნდა თქვათ.
- ²⁰რადგან თქვენ კი არ ილაპარაკებთ, არამედ თქვენი მამის სული ილაპარაკებს თქვენში.
- ²¹ძმა ძმას გასცემს სასიკვდილოდ და მამა – შვილს. აღდგებიან შვილები მშობლების წინააღმდეგ და დახოცავენ მათ.
- ²²და ყველა მოგიძულებთ ჩემი სახელის გამო. ხოლო ბოლომდე მომთმენი გადარჩება.
- ²³როცა ერთ ქალაქში დევნას დაგიწყებენ, მეორეში გაიქცით. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვერ მოასწრებთ ისრაელის ქალაქების მოვლას, რომ მოვა კაცის ძე.
- ²⁴არ არის მოწაფე მოძღვარზე მეტი, და არც მონა თავის ბატონზე მეტი.
- ²⁵საკმარისია მოწაფისათვის იყოს ისეთი, როგორიც მისი მოძღვარია და მონისათვის – როგორიც მისი ბატონია. თუ სახლის პატრონს ბელზებული უწოდეს, განა უარესს არ იტყვიან მის შინაურებზე?
- ²⁶ამიტომ ნუ გეშინიათ მათი, რადგან არაფერია დაფარული, რაც არ გაცხადდება და დამალული, რაც არ გახდება ცნობილი.
- ²⁷რასაც თქვენ სიბნელეში გეუბნებით, სინათლეზე ილაპარაკეთ, და რასაც ჩურჩულით მოისმენთ, ერდოებზე იქადაგეთ.
- ²⁸ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ ძალუძს. გეშინოდეთ უფრო მეტად მისი, ვისაც შეუძლია დალუპვა სულისაც და სხეულისაც გეენაში.
- ²⁹განა ერთ ასარად არ იყიდება ორი ბელურა? მაგრამ არც ერთი მათგანი არ დაეცემა მიწაზე თქვენი მამის გარეშე.
- ³⁰ხოლო თქვენს თავზე თმებიც კი დათვლილია.
- ³¹ნუ გეშინიათ: თქვენ ამ ბელურებზე ბევრად უფრო ძვირფასნი ხართ.
- ³²ყველას, ვინც მე მაღიარებს ადამიანთა წინაშე, მეც ვაღიარებ ჩემი ზეციერი მამის წინაშე.
- ³³ხოლო ვინც უარმყოფს მე ადამიანთა წინაშე, მას მეც უარვყოფ ჩემი ზეციერი მამის წინაშე.
- ³⁴ნუ იფიქრებთ, რომ მიწაზე მშვიდობის მოსაფენად მოვედი. მშვიდობის კი არა, მახვილის მოსატანად მოვედი.



³⁵რადგან მოვედი, რათა გავყო ადამიანი თავისი მამისაგან, ასული – თავისი დედისაგან და რძალი – თავისი დედამთილისაგან.

³⁶და საკუთარი შინაურები იქნებიან ადამიანის მტრები.

³⁷ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, ის არ არის ჩემი ღირსი, და ვისაც მე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, ის არ არის ჩემი ღირსი.

³⁸ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება, ის არ არის ჩემი ღირსი.

³⁹თავისი სამშვინველის მომპოვებელი, დაღუპავს მას, ხოლო თავისი სამშვინველის ჩემს გამო დამღუპველი, ჰპოვებს მას.

⁴⁰ვინც თქვენ მიგიღებთ, ის მე მიმიღებს, ხოლო ვინც მე მიმიღებს, ის ჩემს მომავლინებელს მიიღებს.

⁴¹ვინც წინასწარმეტყველს მიიღებს წინასწარმეტყველის სახელით, წინასწარმეტყველის საზღაურს მიიღებს, და ვინც მართალს მიიღებს მართლის სახელით, მართლის საზღაურს მიიღებს.

⁴²და ვინც შეასმევს ერთს ამ მცირეთაგანს თუნდაც ერთ სასმის ცივ წყალს მოწაფის სახელით, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მას არ დაეკარგება თავისი საზღაური.“

მათეს 11

¹და როდესაც დაასრულა იესომ თავისი ¹² მოწაფის დამოდღვრა, წავიდა იქიდან, რომ ესწავლებინა და ექადაგა მათ ქალაქებში.

²ხოლო იოანემ საპყრობილეში გაიგო ქრისტეს საქმენი და გაგზავნა თავისი ორი მოწაფე,

³რათა ეკითხათ მისთვის: „შენა ხარ ის, ვინც უნდა მოვიდეს, თუ სხვას უნდა ველოდოდეთ?“

⁴მიუგო იესომ და უთხრა მათ: „წადით და მოახსენეთ იოანეს, რასაც ისმენთ და ხედავთ:

⁵ბრმეები ხედავენ და ხეიბრები დადიან, კეთროვნები იწმიდებიან და ყრუებს ესმით, მკვდრები აღდგებიან და ლატაკებს ეხარებათ.

⁶და ნეტარია, ვინც არ დაექვდება ჩემში.“

⁷როდესაც ისინი წავიდნენ, იესომ უთხრა ხალხს იოანეზე: „რის სანახავად გადიოდით უდაბნოში? ქარისაგან შერხეული ლერწმისა?

⁸მაშ, რისთვის გადიოდით, ფაფუკად შემოსილი კაცის სანახავად? ფაფუკად შემოსილები მეფეთა სასახლეებში იმყოფებიან.



⁹მაშ, რისთვის გადიოდით? წინასწარმეტყველის სანახავად? დიახ, გეუბნებით თქვენ: და წინასწარმეტყველზე მეტისაც.

¹⁰რადგან ეს არის ის, ვისზეც დაწერილია: ‘აჰა, მე მოვავლენ შენს წინ ჩემს ანგელოზს, რომელიც განამზადებს შენს გზას შენს წინაშე.’

¹¹ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: დედაკაცთაგან ნაშობთა შორის არ აღმდგარა იოანე ნათლისმცემელზე დიდი, მაგრამ ცათა სასუფეველში უმცირესი მასზე დიდია.

¹²იოანე ნათლისმცემლის დღეებიდან აქამდე ცათა სასუფეველი ძალისხმევით აიღება და ძალისმხმეველნი მიიტაცებენ მას.

¹³რადგან ყველა წინასწარმეტყველი და რჯული იოანემდე წინასწარმეტყველებდა.

¹⁴და თუ მიღება გასურთ, ის არის ელია, რომელიც უნდა მოვიდეს.

¹⁵ვისაც ყურები აქვს, ისმინოს!

¹⁶მაგრამ ვის ვამსგავო ეს თაობა? იგი წააგავს ბავშვებს, რომლებიც მოედნებზე სხედან და გასძახიან თავიანთ ამხანაგებს

¹⁷და ეუბნებიან: ‘სალამურს გიკრავდით და ვერ აგაცეკვეთ, გოდება გაგიმართეთ და არ იგლოვეთ.’

¹⁸მოვიდა იოანე, არც ჭამს, არც სვამს, და ამბობენ: ეშმაკეულიაო.

¹⁹მოვიდა კაცის ძე, ჭამს და სვამს, და ამბობენ: ‘აჰა, კაცი, რომელიც ჭამს და ღვინოს სვამს, მეზაჟეთა და ცოდვილთა მეგობარი.’ ხოლო სიბრძნე თავისი საქმეებით მართლდება.“

²⁰მაშინ დაიწყო იესომ იმ ქალაქების ყვედრება, სადაც აღსრულდა უმეტესი მის ძალთაგან, იმის გამო, რომ არ მოინანიეს.

²¹„ვაი შენ, ქორაზინ, და ვაი შენ, ბეთსაიდა! რადგან ტვიროსსა და სიდონში რომ ქმნილიყო ძალნი, რომლებიც თქვენთან იქმნა, ისინი დიდი ხნის წინათ ძაძვებში და ნაცარში მოინანიებდნენ.

²²ხოლო თქვენ გეუბნებით: ტვიროსსა და სიდონს უფრო გაუადვილდებათ განსჯის დღეს, ვიდრე თქვენ.

²³შენ კი, კაპერნაუმ, განა ცამდე ამაღლდები? ჯოჯოხეთამდე დაეშვები. რადგან სოდომში რომ გამოვლენილიყო ის ძალნი, შენში რომ გამოვლინდა, დღემდე იდგებოდა.

²⁴ხოლო თქვენ გეუბნებით, – სოდომის მიწას უფრო გაუადვილდება სასჯელის დღეს, ვიდრე შენ.“



²⁵და მაშინ მიმართა იესომ და თქვა: „გადიდებ, შენ მამაო, უფალო ცისა და მიწისაო, რადგან დაფარე ეს ბრძენთა და გონიერთაგან და განუცხადე ჩვილებს.

²⁶დიახ, მამაო! რადგან ასეთი იყო შენი კეთილი ნება.

²⁷ყოველივე მომეცა მე ჩემი მამის მიერ და არავინ იცნობს ძეს, გარდა მამისა. არც მამას იცნობს ვინმე, გარდა ძისა და იმისა, ვისაც ძეს სურს, რომ გამოუცხადოს.

²⁸მოდით ჩემთან, ყველა მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ.

²⁹დაიდეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, რადგან მშვიდი და გულით მდაბალი ვარ, და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს.

³⁰რადგან ჩემი უღელი ადვილია და ჩემი ტვირთი – მსუბუქი.“

მათეს 12

¹იმ დროს, შაბათ დღეს, მიდიოდა იესო ყანებზე. მის მოწაფეებს მოშვიდათ და დაიწყეს თავთავეების წყვეტა და ჭამა.

²ფარისევლებმა დაინახეს ეს და უთხრეს მას: „აჰა, შენი მოწაფეები აკეთებენ, რის გაკეთებაც არ ეგების შაბათს.“

³მან კი უთხრა მათ: „არ წაგიკითხავთ, რა ქნა დავითმა, როდესაც მოშვიდა მას და მასთან მყოფთ?

⁴როგორ შევიდა ღმერთის სახლში და ჭამა საწინაშეო პურები, რაც არც მას უნდა ეჭამა და არც მასთან მყოფთ, არამედ მხოლოდ მღვდლებს?

⁵ანდა არ წაგიკითხავთ რჯულში, რომ შაბათობით მღვდლები ტაძარში არღვევენ შაბათს, მაგრამ უდანაშაულონი არიან?

⁶გეუბნებით თქვენ, რომ აქ არის ის, რაც ტაძარზე უმეტესია.

⁷რომ იცოდეთ, რას ნიშნავს: ‘წყალობა მნებას და არა მსხვერპლი,’ მაშინ აღარ განიკითხავდით უდანაშაულოებს.

⁸რადგან კაცის ძე შაბათის უფალიც არის.“

⁹და წავიდა იქიდან და მივიდა მათ სინაგოგაში.

¹⁰და, აჰა, იყო იქ ხელგამხმარი კაცი, და ჰკითხეს იესოს, რათა ბრალი დაედოთ მისთვის: „შეიძლება შაბათს განკურნება?“



11 ხოლო მან უთხრა მათ: „ვინ არის თქვენს შორის ისეთი, რომელსაც ერთი ცხვარი ჰყავდეს და შაბათს ორმოში ჩაუვარდეს, ხელი არ ჩაავლოს და არ ამოიყვანოს?“

12 ადამიანი კი რამდენად უკეთესია ცხვარზე! ამგვარად, შეიძლება შაბათს სიკეთის კეთება.“

13 მაშინ უთხრა იმ კაცს: „გაიწოდე შენი ხელი!“ მანაც გაიწოდა და ისეთივე საღი გაუხდა, როგორც მეორე.

14 ფარისევლები კი გამოვიდნენ და დაიწყეს თათბირი მის წინააღმდეგ, თუ როგორ დაეღუპათ იგი.

15 ხოლო იესომ შეიტყო ეს და გაეცალა იქაურობას. და დიდძალი ხალხი მისდევდა მას და ყველა განკურნა,

16 და აუკრძალა მათ მისი გაცხადება.

17 რათა აღსრულებულიყო ესაია წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი, რომელიც ამბობს:

18 „აჰა, მსახური ჩემი, რომელიც მე ამოვირჩიე, საყვარელი ჩემი, რომელიც მოიწონა ჩემმა სამშვინველმა. ჩემს სულს დავდე მასზე და ის აუწყებს სამსჯავროს წარმართებს.

19 არ იდავებს და არც იყვირებს, და არც ქუჩებში გაიგონებენ მის ხმას.

20 დაბზარულ ლერწამს არ დალეწავს და მბჟუტავ პატრუქს არ ჩააქრობს, ვიდრე სამართალს გამარჯვებამდე არ მიიყვანს

21 და მის სახელს მიენდობიან წარმართნი.“

22 მაშინ მოიყვანეს მასთან ეშმაკეული ბრმა და მუნჯი და მან განკურნა იგი, ისე რომ ბრმა და მუნჯმა დაინახა და ალაპარაკდა.

23 და გაკვირვებული იყო მთელი ხალხი და ამბობდა: „ნუთუ ეს დავითის ძეა?“

24 ხოლო ეს რომ ფარისევლებმა გაიგეს, თქვეს: „ნამდვილად ბელზებულის, ეშმაკთა მთავრის, ძალით განდევნის ეშმაკებს.“

25 იესო მიხვდა მათ ფიქრებს და უთხრა მათ: „ყოველი სამეფო, თავის თავის წინააღმდეგ გათიშული, გაუდაბურდება, და ყოველი ქალაქი ან სახლი, რომელიც გათიშება თავის თავის წინააღმდეგ, ვერ გაძლებს.

26 და თუ სატანა სატანას სდევნის, თავისი თავის წინააღმდეგ გათიშულა და როგორღა გაძლებს მისი სამეფო?



²⁷თუ მე ბელზებულთ გაწვევნი ეშმაკებს, თქვენი ძენი ვისით გაწვევნიან? ამიტომ ისინი იქნებიან თქვენი მსაჯულები.

²⁸ხოლო თუ მე ღმერთის სულით ვღვენი ეშმაკებს, მაშ, მოსულა თქვენთან ღმერთის სასუფეველი.

²⁹ანდა, განა შეძლებს ვინმე, შევიდეს ძლიერის სახლში და გაიტაცოს მისი ქონება, თუ ჯერ ძლიერს არ შეკრავს? და მაშინ გაძარცვავს მის სახლს.

³⁰ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი წინააღმდეგია, და ვინც ჩემთან არ კრებს, ის ფანტავს.

³¹ამიტომ გეუბნებით თქვენ: ყოველი ცოდვა და გმოზა მიეტევებათ ადამიანებს, მაგრამ სულიწმიდის გმოზა არ მიეტევებათ.

³²ვინც სიტყვას იტყვის კაცის ძის წინააღმდეგ, მიეტევება მას. ხოლო თუ ვინმე სულიწმიდის წინააღმდეგ იტყვის, არ მიეტევება მას არც ამ საუკუნეში და არც მომავალში.

³³ან კეთილი ხე შექმენით და მისი ნაყოფიც კეთილი იქნება, ან ცუდი ხე შექმენით და მისი ნაყოფიც ცუდი იქნება. რადგან ხე ნაყოფით იცნობა.

³⁴იქედნეთა ნაშობნო, როგორ შეგიძლიათ ილაპარაკოთ კეთილი, როდესაც ბოროტები ხართ? რადგან გულის სისავსისგან მეტყველებს პირი.

³⁵კეთილ კაცს კეთილი საგანძურიდან გამოაქვს სიკეთე, ბოროტ კაცს კი ბოროტი საგანძურიდან გამოაქვს ბოროტება.

³⁶გეუბნებით თქვენ, რომ ყოველი ფუჭი სიტყვისათვის, რომელსაც იტყვიან ადამიანები, პასუხს აგებენ სამსჯავროს დღეს.

³⁷რადგან შენი სიტყვებით გამართლდები და შენივე სიტყვებით განისჯები.“

³⁸მაშინ უთხრა მას ზოგიერთმა მწიგნობართა და ფარისეველთაგან: „მოდღარო, გვინდა ნიშანი ვიხილოთ შენგან.“

³⁹ხოლო მან მიუგო და უთხრა: „ბოროტი და მოღალატე თაობა ეძებს ნიშანს, მაგრამ ნიშანი არ მიეცემა მას, გარდა იონა წინასწარმეტყველის ნიშნისა.

⁴⁰რადგან, როგორც იონა იყო ვეშაპის მუცელში სამ დღესა და სამ ღამეს, ასევე კაცის ძე იქნება სამ დღესა და სამ ღამეს დედამიწის გულში.

⁴¹წინეველები აღდგებიან სამსჯავროზე ამ თაობასთან და მსჯავრს დასდებენ მას, რადგან მათ მოინანიეს იონას ქადაგებით და, აჰა, აქ იონაზე მეტია.



⁴²სამხრეთის დედოფალი აღდგება სამსჯავროზე ამ თაობასთან და მსჯავრს დასდებს მას, რადგან იგი მიწის კიდიდან მოვიდა სოლომონის სიბრძნის მოსასმენად და, აჰა, აქ სოლომონზე მეტია.

⁴³როდესაც უწმიდური სული გამოდის ადამიანისგან, დადის ურწყულ ადგილებში სიმშვიდის საძებნელად და ვერ პოულობს.

⁴⁴მაშინ ამბობს: ‘დავბრუნდები ჩემს სახლში, საიდანაც გამოვედი.’ და როცა მივა, იპოვის მას ცარიელს, დაგვილსა და მოვლილს,

⁴⁵მაშინ წავა და მოიყვანს შვიდ სხვა სულს, თავისზე უფრო ბოროტს და შევლენ და დამკვიდრდებიან იქ. და იმ კაცისათვის უკანასკნელი დღე პირველზე უარესი იქნება. ასე დაემართება ამ ბოროტ თაობასაც.“

⁴⁶როდესაც ჯერ კიდევ ელაპარაკებოდა ხალხს, აჰა, გარეთ იდგნენ მისი დედა და ძმები, რომელთაც ლაპარაკი სურდათ მასთან.

⁴⁷უთხრა მას ვილადამ: „აჰა, შენი დედა და შენი ძმები დგანან გარეთ და შენთან ლაპარაკი სურთ.“

⁴⁸მან კი მიუგო და უთხრა ამის მთქმელს: „ვინ არის ჩემი დედა და ვინ არიან ჩემი ძმები?“

⁴⁹და გაიწოდა ხელი თავისი მოწაფეებისკენ და თქვა: „აჰა, ჩემი დედა და ჩემი ძმები;

⁵⁰რადგან, ვინც ჩემი ზეციერი მამის ნებას აღასრულებს, ის არის ჩემი ძმაც, დაც და დედაც.“

მათეს 13

¹იმავე დღეს გამოვიდა იესო სახლიდან და დაჯდა ზღვის პირას.

²და მოგროვდა მასთან დიდძალი ხალხი, ისე რომ იგი ავიდა და ჩაჯდა ნავში, ხოლო მთელი ხალხი ნაპირზე იდგა.

³და ბევრს ელაპარაკებოდა მათ იგავებით და უთხრა: „აჰა, გამოვიდა მთესველი დასათესად.

⁴თესვისას ზოგი მარცვალ გზის პირას დაეცა, მოვიდნენ ფრინველები და აკენკეს ისინი.

⁵ზოგი კლდოვან ნიადაგზე დაეცა, სადაც მიწა ბევრი არ იყო, და მალე აღმოცენდა, რადგან ნიადაგს სიღრმე არ ჰქონდა.

⁶მზე რომ ამოვიდა, დაჰკნა და, რაკი ფესვი არ ჰქონდა, გახმა.

⁷ზოგი ეკლებში ჩაცვივდა. გაიზარდა ეკლები და მოაშთო ისინი.



⁸ზოგი კი კარგ მიწაზე დაეცა და ნაყოფი გამოიღო: ზოგმა ასი, ზოგმა 60 და ზოგმა 30.

⁹ვისაც ყურები აქვს, ისმინოს!“

¹⁰მივიდნენ მასთან მოწაფეები და უთხრეს მას: „რატომ ელაპარაკები მათ იგავებით?“

¹¹მან მიუგო და უთხრა მათ: „იმიტომ, რომ თქვენ მოცემული გაქვთ ცათა სასუფეველის საიდუმლოებათა ცოდნა, მათ კი არა აქვთ მიცემული.

¹²რადგან, ვისაც აქვს, მას მიეცემა და ექნება სიუხვე, ხოლო ვისაც არა აქვს, ისიც წაერთმევა, რაც აქვს.

¹³იგავებით იმიტომ ველაპარაკები მათ, რომ მხედველნი ვერ ხედავენ, მსმენელთ არ ესმით და ვერ ხვდებიან.

¹⁴და სრულდება მათზე ესაიას წინასწარმეტყველება, რომელიც ამბობს: ‘სმენით მოისმენთ, მაგრამ ვერ მიხვდებით, ხილვით იხილავთ, მაგრამ ვერ დაინახავთ.

¹⁵რადგან დაეხშო ამ ხალხს გული, ყურით მძიმედ ესმით და დახუჭეს თვალები, რომ თვალთ ვერ დაინახონ და ყურით ვერ მოისმინონ, გულით არ გაიგონ და არ მოიქცნენ, და არ განგკურნო ისინი.’

¹⁶ხოლო ნეტარ არიან თქვენი თვალები, რომ ხედავენ და თქვენი ყურები, რომ ისმენენ.

¹⁷ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ მრავალ წინასწარმეტყველსა და მართალს სურდა ეხილა ის, რასაც თქვენ ხედავთ, მაგრამ ვერ იხილეს, და ესმინა, რასაც თქვენ ისმენთ, მაგრამ ვერ მოისმინეს.

¹⁸თქვენ მოისმინეთ მთესველის იგავი.

¹⁹ყველასთან, ვისაც ესმის სიტყვა სასუფეველზე და ვერ იგებს მის მნიშვნელობას, მიდის ბოროტი და სტაცებს მის გულში ჩათესილს: აი, რას ნიშნავს გზისპირას დათესილი.

²⁰ხოლო კლდოვანზე დათესილი არის ის, ვინც სიტყვას მოისმენს და მაშინვე სიხარულით მიიღებს მას,

²¹მაგრამ არა აქვს ფესვები და ხანმოკლედ რჩება მასში. რაჟამს დადგება გასაჭირი ან დევნა სიტყვის გამო, მაშინვე დაბრკოლდება.

²²ხოლო ეკლებში დათესილი არის ის, ვინც სიტყვას ისმენს, მაგრამ ამ ქვეყნის საზრუნავი და სიმდიდრის საცდური აშთობენ სიტყვას და იგი უნაყოფო ხდება.



²³ხოლო კარგ მიწაზე დათესილი არის ის, ვინც მოისმენს სიტყვას და გონებით ჩასწვდება, და სწორედ ის არის ნაყოფიერი. და ზოგი ასს გამოიღებს, ზოგი სამოცს და ზოგიც ოცდაათს.“

²⁴სხვა იგავი წარუდგინა მათ და უთხრა: „ცათა სასუფეველი ჰგავს ადამიანს, რომელმაც კარგი თესლი დათესა თავის ყანაში.

²⁵მაგრამ როდესაც ხალხს ეძინა, მოვიდა მისი მტერი, ხორბალს შორის ღვარძლი ჩათესა და წავიდა.

²⁶ხოლო როდესაც ჯეჯილი ამოვიდა და ნაყოფი გამოიღო, მაშინ იჩინა ღვარძლმა თავი.

²⁷მივიდნენ მონები და უთხრეს ოჯახის უფროსს: ‘ბატონო! განა შენ კარგი თესლი არ დათესე შენს ყანაში? საიდანღა გაუჩნდა მას ღვარძი?’

²⁸მან კი უთხრა მათ: ‘მტერმა კაცმა გააკეთა ეს.’ ხოლო მონებმა უთხრეს მას: ‘გინდა, წავალთ და გავმარგლით?’

²⁹მან თქვა: ‘არა, რათა გამარგვლისას ღვარძლთან ერთად ხორბალიც არ ამოძირკვოთ.

³⁰დააცადეთ, გაიზარდოს ორივე ერთად მკის დრომდე. მკის დროს კი ვეტყვი მომკალთ: ჯერ ღვარძლი მოაგროვეთ და ძნებად შეჰკარით, რომ დაწვათ ისინი. ხორბალი კი ჩემს ბეღელში შეაგროვეთ.’“

³¹სხვა იგავიც წარუდგინა მათ და უთხრა: „ცათა სასუფეველი ჰგავს მდოგვის მარცვალს, რომელიც აიღო კაცმა და დათესა თავის ბაღაში.

³²იგი ყოველგვარ თესლზე მცირეა, მაგრამ როცა იზრდება, ყოველ მწვანილეულზე დიდია და ხედ იქცევა, ისე რომ, მოფრინავენ ცის ფრინველები და მის ტოტებში პოულობენ თავშესაფარს.“

³³სხვა იგავი უთხრა მათ: „ცათა სასუფეველი ჰგავს საფუარს, რომელიც ქალმა აიღო და დაფარა სამ საწყაო ფქვილში, და მთლიანად გაფუჭდა.“

³⁴ყოველივე ამას იესო იგავებით ეუბნებოდა ხალხს და იგავის გარეშე არაფერს ეუბნებოდა.

³⁵რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი, რომელიც ამბობს: „იგავებით გავხსნი ჩემს პირს. აღმოვთქვამ, რაც სამყაროს დასაბამიდან დაფარულია.“

³⁶მაშინ გაუშვა იესომ ხალხი და სახლში შევიდა. მივიდნენ მასთან მოწაფეები და უთხრეს: „გაგვიმარტე ყანის ღვარძლის იგავი.“

³⁷მან მიუგო და უთხრა: „კეთილი თესლის მთესველი კაცის ძეა;



³⁸ყანა ქვეყნიერებაა; კეთილი თესლი სასუფევლის ძენი არიან, ხოლო ღვარძლი – ბოროტის ძენი;

³⁹მტერი, რომელმაც ის დათესა, არის ეშმაკი; მკა კი არის საუკუნის აღსასრული, ხოლო მომკალნი ანგელოზები არიან.

⁴⁰ამგვარად, როგორც ღვარძლს აგროვებენ და ცეცხლში წვავენ, ასევე იქნება საუკუნის აღსასრულს.

⁴¹მოავლენს კაცის ძე თავის ანგელოზებს და მოაგროვებენ მისი სასუფევლიდან ყოველ საცთურსა და ურჯულოების ყველა მოქმედს,

⁴²და ჩაყრიან მათ ცეცხლის ქურაში. იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა.

⁴³მაშინ მართალნი მზესავით გაბრწყინდებიან თავიანთი მამის სამეფოში. ვისაც ყურები აქვს, ისმინოს!

⁴⁴ცათა სასუფეველი ჰგავს ყანაში დაფარულ განძს, რომელსაც იპოვის კაცი და დამალავს, და სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს, რაც აზადია, და ყიდულობს იმ ყანას.

⁴⁵კიდევ: ცათა სასუფეველი ჰგავს მოვაჭრე კაცს, რომელიც კარგ მარგალიტებს ეძებს.

⁴⁶ხოლო როდესაც წააწყდება ერთ ძვირფას მარგალიტს, წავა, გაყიდის ყველაფერს, რაც აზადია, და მას შეიძენს.

⁴⁷კიდევ: ცათა სასუფეველი ჰგავს ბადეს, ზღვაში გადასროლილს და ყოველგვარი თევზის შემგროვებელს,

⁴⁸რომელსაც, როცა ივსება, გამოათრევენ ნაპირზე, მერე დასხდებიან, კარგებს ჭურჭელში მოათავსებენ, ხოლო ცუდებს გარეთ გადაყრიან.

⁴⁹ასე იქნება ამ სოფლის აღსასრულის ჟამს: გამოვლენ ანგელოზები და განაცალკევებენ ბოროტებს მართლებისაგან.

⁵⁰და ჩაყრიან მათ ცეცხლის ქურაში. იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა.

⁵¹გაიგეთ ეს ყოველივე?“ მათ მიუგეს: „დიახ.“

⁵²მან კი უთხრა მათ: „ამიტომ ყოველი მწიგნობარი, რომელიც ცათა სასუფევლის მოწაფე გახდა, ჰგავს ადამიანს – ოჯახის უფროსს, რომელსაც თავისი საუნჯიდან გამოაქვს ძველიც და ახალიც.“

⁵³და როდესაც დაასრულა იგავები იესომ, გაეცალა იქაურობას.

⁵⁴მივიდა თავის მშობლიურ ქალაქში და ასწავლიდა მათს სინაგოგაში, ისე რომ, უკვირდათ და ამბობდნენ: „საიდანა აქვს მას ეს სიბრძნე და ძალნი?“



⁵⁵განა ეს ხუროს ძე არ არის? დედამისს განა მარიამი არა ჰქვია, მის ძმებს კი – იაკობი და იოსე, სიმონი და იუდა?

⁵⁶განა მისი დები ყველანი ჩვენს შორის არ არიან? საიდან აქვს ამას ეს ყოველივე?“

⁵⁷და დაეჭვდნენ მასში. იესომ კი უთხრა მათ: „არსად არ არის წინასწარმეტყველი უპატიოდ, გარდა თავისი მამულისა და საკუთარი სახლისა.“

⁵⁸და არ მოუხდენია იქ ბევრი სასწაული მათი ურწმუნოების გამო.

მათეს 14

¹იმ დროს ესმა ჰეროდე ტეტრარქს იესოს ამბავი.

²და უთხრა თავის მსახურებს: „ეს იოანე ნათლისმცემელია, მკვდრეთით აღდგა და ამიტომ მოქმედებენ მასში ძალნი.“

³რადგან ჰეროდემ შეიპყრო იოანე, შებორკა და საპყრობილეში ჩააგდო ჰეროდისა, თავისი ძმის, ფილიპეს ცოლის, გამო.

⁴რადგან იოანე ეუბნებოდა მას: „არა გაქვს უფლება, რომ შენ გყავდეს ის.“

⁵და უნდოდა მისი მოკვლა, მაგრამ ხალხისა ეშინოდა, რადგან წინასწარმეტყველად მიაჩნდათ იგი.

⁶ჰეროდეს დაბადების დღეს ჰეროდისა ასულმა იცეკვა შეკრებილთა წინაშე და ისე მოეწონა ჰეროდეს,

⁷რომ ფიცით შეჰპირდა მას, მიეცა, რასაც მოითხოვდა.

⁸ხოლო მან, თავისი დედისაგან დარიგებულმა, უთხრა: „მომეცი აქ ლანგრით იოანე ნათლისმცემლის თავი.“

⁹და შეწუხდა მეფე, მაგრამ ფიცისა და თანამეინახეთა რიდის გამო, ბრძანა მიცემა.

¹⁰და გაგზავნა და მოაკვეთინა თავი იოანესთვის საპყრობილეში.

¹¹და მოიტანეს მისი თავი ლანგრით და მისცეს ქალიშვილს, მან კი თავის დედას მიართვა.

¹²და მოვიდნენ მისი მოწაფეები, წაიღეს მისი ნეშტი და დამარხეს. და მივიდნენ და აუწყეს იესოს.



¹³ხოლო როდესაც გაიგო იესომ, წავიდა იქიდან ნავით და ერთ უდაბურ ადგილას განმარტოვდა. და როდესაც ეს ხალხმა გაიგო, ფეხით გაედევნა მას ქალაქებიდან.

¹⁴და როდესაც გადმოვიდა, უამრავი ხალხი დაინახა და შეებრაღა ისინი და განკურნა მათი სნეულები.

¹⁵როდესაც მოსაღამოვდა, მივიდნენ მასთან მოწაფეები და უთხრეს: „აქ უდაბური ადგილია, ჟამიც გვიანია. გაუშვი ეს ხალხი, რომ წავიდნენ სოფლებში და საჭმელი იყიდონ თავისთვის.“

¹⁶იესომ კი უთხრა მათ: „არ არის საჭირო მათი წასვლა. თქვენ მიეცით მათ საკვები.“

¹⁷მათ უთხრეს: „აქ არაფერი გვაქვს, გარდა ხუთი პურისა და ორი თევზისა.“

¹⁸მან თქვა: „მომიტანეთ აქ.“

¹⁹და უბრძანა ხალხს, ბალახზე დამსხდარიყვნენ. აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ზეცას ახედა, აკურთხა, დატეხა და დაურიგა პურები მოწაფეებს, მოწაფეებმა კი – ხალხს.

²⁰და ყველამ ჭამა და გაძღა. ხოლო დარჩენილი ნატეხებისგან 12 სავსე გოდორი აკრიფეს.

²¹მჭამელი კი 5 ათასამდე კაცი იქნებოდა, გარდა ქალებისა და ბავშვებისა.

²²და მაშინვე უბრძანა იესომ თავის მოწაფეებს, ჩამსხდარიყვნენ ნავში და მასზე ადრე გასულიყვნენ გაღმა, ვიდრე ის ხალხს გაუშვებდა.

²³და როდესაც გაუშვა ხალხი, მთაზე ავიდა, რათა განმარტოებით ელოცა. მოსაღამოვდა და იგი მარტო იყო იქ.

²⁴ნავი კი უკვე მრავალ სტადიონზე+ დაშორებოდა ხმელეთს და ტალღები ეხეთქებოდნენ მას, რადგან პირქარი იყო.

²⁵ღამის მეოთხე სადარაჯოზე მივიდა მათთან იესო ზღვაზე სვლით.

²⁶ზღვაზე მომავალი რომ დაინახეს, მოწაფეები შეძრწუნდნენ და თქვეს: „მოჩვენებაა!“ და შიშისაგან შეჰყვირეს.

²⁷მაგრამ იესო მყისვე დაელაპარაკა მათ და უთხრა: „გამხნევდით, მე ვარ, ნუ გეშინიათ!“

²⁸მიუგო მას პეტრემ და უთხრა: „უფალო, თუ ეს შენა ხარ, მიბრძანე, მოვიდე შენთან წყალზე.“

²⁹მან უთხრა: „მოდი!“ და გადმოვიდა პეტრე ნავიდან და წყალზე წავიდა, რათა იესოსთან მისულიყო.



³⁰მაგრამ როდესაც დაინახა, როგორი ძლიერი ქარი იყო, შეეშინდა, ჩაძირვა დაიწყო და იყვირა: „უფალო, მიხსენი მე!“

³¹იესომ მყისვე გაუწოდა ხელი, ამოიყვანა და უთხრა: „რატომ დაექვდი, მცირედმორწმუნევ?“

³²როდესაც ისინი ნავში ავიდნენ, ქარი ჩადგა.

³³ნავში მყოფები დაემხნენ მის წინ და უთხრეს: „ჭეშმარიტად ღმერთის ძე ხარ შენ.“

³⁴და გავიდნენ გაღმა და მივიდნენ გენესარეთის მიწაზე.

³⁵და იცნო იმ ადგილის ხალხმა იგი, შეატყობინეს მთელს იმ მხარეს და მოჰყავდათ მასთან ყველა ავადმყოფი

³⁶და ევედრებოდნენ მას, რომ მისი სამოსის კალთას მაინც შეხებოდნენ. და ვინც შეეხო, განიკურნა.

მათეს 15

¹მაშინ მივიდნენ იესოსთან იერუსალიმიდან ფარისეველნი და მწიგნობარნი და უთხრეს:

²„რატომ არღვევენ შენი მოწაფეები უხუცესთა გადმოცემას? რადგან ხელს არ იბანენ პურის ჭამის წინ.“

³ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: „თქვენ რატომღა არღვევთ ღმერთის მცნებას თქვენი გადმოცემის გამო?“

⁴რადგან ღმერთმა თქვა: ‘პატივი ეცი მამას და დედას, და მამის ან დედის აუგის მთქმელი სიკვდილით მოკვდეს.’

⁵თქვენ კი ამბობთ: ‘თუ ვინმე ეტყვის თავის მამას ან დედას: ეს ძღვენია, რითაც ჩემგან უნდა გესარგებლა,

⁶მას აღარ ესაჭიროება პატივის მიგება თავისი მამისა და დედისათვის.’ ამრიგად, თქვენ გააუქმეთ ღმერთის მცნება თქვენი გადმოცემით.

⁷თვალთმაქცნო, კარგად წინასწარმეტყველებდა თქვენზე ესაია, როდესაც ამბობდა:

⁸‘ეს ხალხი პატივს მცემს ბაგეებით, მათი გული კი შორს არის ჩემგან.

⁹ამაოდ მცემენ თაყვანს, რადგან ადამიანთა მცნებებს ისე ასწავლიან, თითქოს მოძღვრება იყოს.’“

¹⁰და მოუწოდა ხალხს და უთხრა მათ: „ისმინეთ და შეიგნეთ:



- ¹¹ადამიანს ბილწავს არა პირში შემავალი, არამედ ის, რაც პირიდან გამოდის. ეს ბილწავს ადამიანს.“
- ¹²მაშინ მოვიდნენ მოწაფეები და უთხრეს მას: „იცი, რომ ფარისევლები ამ სიტყვის მოსმენამ დააბრკოლა?“
- ¹³მან კი მიუგო და უთხრა: „ყოველი ნერგი, რომელიც ჩემს ზეციერ მამას არ დაურგავს, ძირფესვიანად აღმოიფხვრება.“
- ¹⁴მოეშვით მათ: ისინი ბრმათა ბრმა წინამძღოლები არიან. ხოლო თუ ბრმას ბრმა მიუძღვის, ორივენი ორმოში ჩაცვივდებიან.“
- ¹⁵მიუგო პეტრემ და უთხრა მას: „განგვიმარტე ეს იგავი.“
- ¹⁶ხოლო მან უთხრა: „ნუთუ ვერც თქვენ გაიგეთ ვერაფერი აქამდე?“
- ¹⁷ვერ გაიგეთ, რომ ყველაფერი, რაც პირში შედის, მუცელს გაივლის და გარეთ გაიყრება?
- ¹⁸პირიდან გამოსული კი გულიდან გამოდის და სწორედ ის ბილწავს ადამიანს.
- ¹⁹რადგან გულიდან ამოდიან: ბოროტი ზრახვანი, მკვლელობანი, მრუშობანი, მეძაობანი, ქურდობანი, ცრუმოწმობანი, გმობანი.
- ²⁰სწორედ ეს ბილწავს ადამიანს, დაუბანელი ხელით ჭამა კი არ ბილწავს ადამიანს.“
- ²¹წამოვიდა იქიდან იესო და მივიდა ტვიროსისა და სიდონის მხარეებში.
- ²²და, აჰა, ქანაანელი ქალი მოვიდა მასთან იმ ადგილებიდან, შეჰღალადა მას და უთხრა: „მეძიწყალე მე, უფალო, მეო დავითისა! ჩემი ქალიშვილი ეშმაკეულია.“
- ²³მაგრამ მან სიტყვაც არ უპასუხა. მოწაფეები მივიდნენ მასთან და სთხოვეს: „გაუშვი იგი, რადგან უკან მოგვეყვრის ჩვენ.“
- ²⁴მან მიუგო და უთხრა: „მე მოვლინებული ვარ მხოლოდ ისრაელის სახლის დაღუპულ ცხვრებთან.“
- ²⁵ქალი კი მივიდა, დაემხო მის წინ და უთხრა: „მიშველე მე, უფალო!“
- ²⁶მან მიუგო და უთხრა: „არ არის კარგი, რომ შვილებს წაართვა პური და ძაღლებს გადაუგდო.“
- ²⁷ქალმა უთხრა: „დიახ, უფალო, მაგრამ ძაღლებიც ხომ ჭამენ ნამცეცებს, რომლებიც მათი ბატონების სუფრიდან ცვივა.“



²⁸მაშინ მიუგო იესომ და უთხრა: „ო, ქალო! დიდია შენი რწმენა. დაე მოგეცეს შენ შენი სურვილისამებრ.“ და იმავე ჟამს განიკურნა მისი ქალიშვილი.

²⁹და წავიდა იესო იქიდან და მივიდა გალილეის ზღვასთან, ავიდა მთაზე და დაჯდა იქ.

³⁰და მივიდა მასთან დიდძალი ხალხი. თან ჰყავდათ კოჭლები, ბრმები, მუნჯები, ხეიბრები და მრავალი სხვა. დასხეს მის ფეხთით და მან განკურნა ისინი.

³¹ისე რომ, უკვირდა ხალხს, როცა ხედავდა, რომ მუნჯები ლაპარაკობდნენ, ხეიბრები გამოჯანსაღდნენ, კოჭლები დადიოდნენ და ბრმები ხედავდნენ. და აღიდეგდნენ ისრაელის ღმერთს.

³²იესომ კი მოუხმო თავის მოწაფეებს და უთხრა: „მებრალემა ეს ხალხი, უკვე სამი დღეა, რაც ჩემთან არიან და საჭმელი არაფერი აქვთ. არ მინდა მათი უჭმელად გაშვება, რომ გზაში არ დაუძლურდნენ.“

³³უთხრეს მას მოწაფეებმა: „სად ვიშოვით უდაბურ ადგილას იმდენ პურს, რომ ამდენი ხალხი გავამძღოთ?“

³⁴და უთხრა მათ იესომ: „რამდენი პური გაქვთ?“ მათ უთხრეს: „შვიდი და მცირეოდენი თევზი.“

³⁵და უბრძანა ხალხს, რომ მიწაზე დამსხდარიყვნენ.

³⁶აიღო შვიდი პური და თევზები, მადლი შესწირა, დატეხა და დაურიგა თავის მოწაფეებს, მოწაფეებმა კი – ხალხს.

³⁷და ჯამა ყველამ და გაძღა. ნარჩენი ნატეხებისაგან კი შვიდი სავსე კალათა აკრიფეს.

³⁸მჭამელი კი 4 ათასამდე კაცი იყო, გარდა ქალებისა და ბავშვებისა.

³⁹და როდესაც გაუშვა ხალხი, ჩაჯდა ნავში და წავიდა მაგდალას საზღვრებში.

მათეს 16

¹და მივიდნენ მასთან ფარისეველი და სადუკეველი და გამოსაცდელად სთხოვდნენ მას, ეჩვენებინა ნიშანი ციდან.

²ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: „სადამოს თქვენ ამბობთ: ‘ხვალ მოწმენდილი იქნება, რადგან ცა წითელია;’



³დილით კი – ‘დღეს გაავდრდება, რადგან ცა წითელი და მოღუშულია.’ ცის პირის გამოცნობა შეგიძლიათ, დროის ნიშანთა კი – არა.

⁴ბოროტი და ორგული თაობა ეძებს ნიშანს, მაგრამ ნიშანი არ მიეცემა მას, გარდა იონას ნიშნისა.“ და დატოვა ისინი და წავიდა.

⁵გაღმა გადასვლისას მის მოწაფეებს პურის წაღება დაავიწყდათ.

⁶იესომ უთხრა მათ: „ფრთხილად იყავით და მოერიდეთ ფარისეველთა და სადუკეველთა საფუარს.“

⁷ისინი კი გულში ფიქრობდნენ და ამბობდნენ: „პური არ წამოგვიღია.“

⁸მიხვდა იესო და უთხრა მათ: „რას ფიქრობთ გულში, მცირედმორწმუნენო, პური რომ არ წამოგიღიათ?

⁹ნუთუ კიდევ ვერ გაგიათ? აღარ გახსოვთ ის 5 ათასი კაცი და ხუთი პურიდან რამდენი გოდორი ნარჩენი აიღეთ?

¹⁰აღარც 4 ათასი და შვიდი პურიდან და რამდენი კალათი ნარჩენები აიღეთ?

¹¹როგორ ვერ ხვდებით, რომ პურის გამო არ მითქვამს, ერიდეთ-მეთქი ფარისეველთა და სადუკეველთა საფუარს?“

¹²მაშინლა მიხვდნენ, რომ იგი ეუბნებოდა, მორიდებოდნენ არა პურის საფუარს, არამედ ფარისეველთა და სადუკეველთა მოძღვრებას.

¹³ხოლო როდესაც ფილიპეს კესარიის საზღვრებში მივიდა, ჰკითხა იესომ თავის მოწაფეებს: „რას ამბობს ხალხი, ვინ არის კაცის ძე?“

¹⁴მათ თქვეს: „ზოგი ამბობს იოანე ნათლისმცემელიაო, ზოგი – ელიაო და ზოგი – იერემია ან ერთი წინასწარმეტყველთაგანიაო.“

¹⁵უთხრა მათ: „თქვენ კი რას იტყვით: ვინა ვარ მე?“

¹⁶მიუგო სიმონ-პეტრემ და თქვა: „შენ ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღმერთისა.“

¹⁷მიუგო იესომ და უთხრა მას: „ნეტარი ხარ შენ, სიმონ იონას+ ძეო, რადგან ხორცმა და სისხლმა კი არ გამოგიცხადა შენ ეს, არამედ ჩემმა მამამ, რომელიც ცაშია.

¹⁸და მე გეუბნები შენ, რომ შენ ხარ პეტრე (კლდე), და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და ვერ დაძლევენ მას ჯოჯოხეთის ბჭენი.

¹⁹მოგცემ შენ ცათა სასუფეველის გასაღებებს და, რასაც შეჰკრავ მიწაზე, ზეცაშიც შეკრული იქნება, და რასაც გახსნი მიწაზე, გახსნილი იქნება ცაშიც.“



- ²⁰მაშინ უბრძანა მოწაფეებს, არავისთვის გაემხილათ, რომ ის არის ქრისტე.
- ²¹მას შემდეგ დაიწყო იესომ გამხელა თავისი მოწაფეებისათვის, რომ უნდა წასულიყო იერუსალიმში და ვნებულიყო უხუცესებისა, მღვდელმთავრებისა და მწიგნობრებისაგან, მოკლულიყო და მესამე დღეს აღმდგარიყო.
- ²²ხოლო პეტრემ გაიხმო იგი და შეეპასუხა: „შეიწყალე თავი, უფალო, ნუმც ყოფილა ეგრე!“
- ²³ის კი მიუბრუნდა პეტრეს და უთხრა: „გამშორდი, სატანავ! შენ ჩემი საცდური ხარ, რადგან ღმერთისაზე კი არ ფიქრობ, არამედ კაცისაზე.“
- ²⁴მაშინ უთხრა იესომ თავის მოწაფეებს: „ვისაც უნდა, რომ გამოძევეს, უარყოს თავი, აილოს თავისი ჯვარი და გამოძევეს მე.“
- ²⁵რადგან ვისაც სურს თავისი სამშვინველის გადარჩენა, დალუპავს მას. ხოლო ვინც ჩემი გულისთვის დალუპავს თავის სამშვინველს, ის მოიპოვებს მას.
- ²⁶რა სარგებელი ექნება ადამიანს, თუ მთელ ქვეყნიერებას შეიძენს, თავის სამშვინველს კი დალუპავს? ან რას გაიღებს ადამიანი თავისი სამშვინველის სანაცვლოდ?
- ²⁷რადგან მოვა კაცის ძე თავისი მამის დიდებით თავის ანგელოზებთან ერთად და მაშინ მიუზღავს თითოეულს მისი ნამოქმედარის მიხედვით.
- ²⁸ჴეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არიან ზოგიერთნი აქ მდგომთაგან, რომლებიც არ იგემებენ სიკვდილს, სანამ არ იხილავენ კაცის ძეს მომავალს თავისი სუფევით.“

მათეს 17

- ¹ექვსი დღის შემდეგ წაიყვანა იესომ პეტრე, იაკობი და მისი ძმა იოანე, და აიყვანა ისინი მაღალ მთაზე განმარტოებით.
- ²და ფერი იცვალა მათ წინაშე: გაბრწყინდა მისი სახე მზესავით, ხოლო მისი სამოსი გასპეტაკდა როგორც ნათელი.
- ³და, აჰა, ეჩვენნენ მათ მოსე და ელია, მასთან მოსაუბრენი.
- ⁴და უთხრა პეტრემ იესოს: „უფალო, რა კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა! თუ გნებავს, გავაკეთებთ აქ სამ კარავს: ერთი შენ, ერთი მოსეს და ერთიც ელიას.“



⁵ის ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, რომ აჰა, ნათელმა ღრუბელმა მოუჩრდილა მათ, და გაისმა ხმა ღრუბლიდან: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელშიც არის ჩემი სათნოება. მას უსმინეთ!“

⁶გაიგონეს მოწაფეებმა და პირქვე დაემხნენ და ძალიან შეეშინდათ.

⁷და მიუახლოვდა იესო, შეეხო მათ და უთხრა: „წამოდექით და ნუ გეშინიათ.“

⁸თვალი რომ გაახილეს, ველარავინ დაინახეს, იესოს გარდა.

⁹და როდესაც მთიდან ჩამოდიოდნენ, იესომ უბრძანა მათ და უთხრა: „არავისთან არაფერი თქვათ ამ ხილვაზე, ვიდრე კაცის ძე მკვდრეთით არ აღდგება.“

¹⁰შეეკითხნენ მას მოწაფეები: „რატომ ამბობენ მწიგნობრები, რომ პირველად ელია უნდა მოვიდეს?“

¹¹ხოლო მან მიუგო და თქვა: „ნამდვილად, ელია მოვა და ყოველივეს აღადგენს.

¹²გეუბნებით თქვენ, რომ ელია უკვე მოვიდა, მაგრამ ვერ იცნეს იგი და ისე მოექცნენ, როგორც უნდოდათ. კაცის ძესაც ასევე მოელის მათგან ტანჯვა.“

¹³მაშინ მიხვდნენ მოწაფეები, რომ იოანე ნათლისმცემელზე ამბობდა.

¹⁴და როდესაც ხალხთან მივიდნენ, ერთი კაცი მიუახლოვდა და მუხლი მოიდრიკა მის წინაშე

¹⁵და უთხრა: „უფალო, შეიწყალე ჩემი ვაჟი, მთვარეულია და ძლიერ იტანჯება, რადგან წარამარა ცეცხლში ვარდება ან წყალში.

¹⁶მივუყვანე შენს მოწაფეებს, მაგრამ მათ ვერ შეძლეს მისი განკურნება.“

¹⁷მიუგო იესომ და უთხრა: „ო, ურწმუნო და უკუღმართო თაობავ! როდემდე ვიქნები თქვენთან? როდემდე მოგიტმენთ თქვენ? მომგვარეთ მე იგი!“

¹⁸და შერისხა იესომ და ეშმაკი გამოვიდა მისგან და იმავე ჟამს განიკურნა ყმაწვილი.

¹⁹მაშინ განმარტოებით მივიდნენ მოწაფეები იესოსთან და ჩუმად უთხრეს: „ჩვენ რატომ ვერ შევძელით მისი განდევნა?“

²⁰ხოლო იესომ უთხრა მათ: „თქვენი მცირე რწმენის გამო. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მდოგვის მარცვლისოდენა რწმენაც რომ გქონდეთ და უთხრათ ამ მთას: გადადი აქედან იქით, გადავა, და არაფერი იქნება თქვენთვის შეუძლებელი.

²¹ეს მოდგმა კი მხოლოდ ლოცვითა და მარხვით განიდევნება.“



²²გალილეაში გაბრუნებისას უთხრა მათ იესომ: „კაცის ძე გადაცემული იქნება ადამიანთა ხელში,

²³და მოკლავენ მას და მესამე დღეს აღდგება.“ და მეტისმეტად შეწუხდნენ ისინი.

²⁴კაპერნაუმში მისვლისას მიადგნენ პეტრეს დიდრაქმის ამკრეფნი და უთხრეს: „თქვენი მოძღვარი ხომ არ გადაიხდის დიდრაქმას?”

²⁵ეუბნება: „გადაიხდის.“ როცა ის სახლში შედიოდა, იესო მიუახლოვდა მას და უთხრა: „როგორ გგონია, სიმონ, მიწიერი მეფეები ვისგან იღებენ ხარკს ან ბაჟს – თავიანთ მეთაგან თუ უცხოელთაგან?”

²⁶ხოლო როდესაც უპასუხა: „უცხოელთაგან“, უთხრა მას იესომ: „მაშ, შენი თავისუფლები არიან.

²⁷მაგრამ, რომ არ დავაეჭვოთ ისინი, წადი ზღვაზე, გადააგდე ანკესი და პირველი თევზი, რომელიც მოხვდება, ამოიყვანე, გაუღე პირი და შიგ იპოვი სტატირს. მიიტანე და მიეცი ჩემთვის და შენთვის.“

მათეს 18

¹ამ დროს მივიდნენ მოწაფეები იესოსთან და უთხრეს: „ვინ უფრო დიდია კათა სასუფეველში?“

²იესომ დაუმახა ბავშვს და ჩააყენა მათ შორის,

³და უთხრა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ არ მოიქცევით და არ გახდებით ბავშვებით, ვერ შეხვალთ კათა სასუფეველში.

⁴ამრიგად, ვინც თავს დაიმდაბლებს, როგორც ეს ბავშვი, ის იქნება უდიდესი კათა სასუფეველში.

⁵და ვინც მიიღებს ერთ ასეთ ბავშვს ჩემი სახელით, მე მიმიღებს.

⁶ხოლო ვინც ერთს ამ მცირეთაგანს, რომელსაც ჩემი სწამს, აცდუნებს, მისთვის აჯობებდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ.

⁷ვინც ქვეყნიერებას ცდუნებებისაგან, რადგან ცდუნებები უნდა მოვიდეს, მაგრამ ვინც იმ კაცს, ვისგანაც მოდის ცდუნება.

⁸თუ შენი ხელი ან შენი ფეხი გაცდუნებს, მოიკვეთე და გადააგდე. გიჯობს ხეიბარი ან კოჭლი შეხვიდე სიცოცხლეში, ვიდრე ორი ხელით ან ორი ფეხით იქნე ჩაგდებული საუკუნო ცეცხლში.



⁹თუ გაცდუნებს შენი თვალი, ამოითხარე და გადააგდე. გიჯობს ცალი თვალით შეხვიდე სიცოცხლეში, ვიდრე ორი თვალი გქონდეს და ჩაგდებულ იქნე ცეცხლის გენაში.

¹⁰გაფრთხილდით, არ უგულებელყოთ არც ერთი ამ მცირეთაგანი. გეუბნებით თქვენ, რომ მათი ანგელოზები ზეცაში მუდამ ხედავენ ჩემი ზეციერი მამის სახეს.

¹¹რადგან კაცის ძე დაღუპულის სახსნელად მოვიდა.

¹²როგორ გგონიათ, კაცს რომ ასი ცხვარი ჰყავდეს და ერთ მათგანს გზა აებნეს, განა არ მიატოვებს მთებში ოთხმოცდაცხრამეტს და არ წავა გზააბნეულის მოსაძებნად?

¹³და თუ შეძლებს მის პოვნას, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, უფრო მეტად გაიხარებს მასზე, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტზე, რომლებსაც გზა არ აბნევიათ.

¹⁴ასევე არ სურს თქვენს ზეციერ მამას, რომ დაიღუპოს ერთი ამ მცირეთაგან.

¹⁵ხოლო თუ შესცოდავს შენი ძმა შენს წინააღმდეგ, მიდი და ამხილე იგი პირისპირ. თუ გაგიგონებს, შეგიძენია შენი ძმა.

¹⁶ხოლო თუ არ გაგიგონებს, წაიყოლე კიდევ ერთი ან ორი სხვა, რათა ორი ან სამი მოწმის პირით დამტკიცდეს ყოველი სიტყვა.

¹⁷თუ არც მათ გაუგონებს, ეკლესიას უთხარი; თუ არც ეკლესიას გაუგონებს, მაშინ იყოს იგი შენთვის, როგორც წარმართი და მებაჟე.

¹⁸ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც მიწაზე შეკრავთ, ცაშიც შეკრული იქნება, და რასაც მიწაზე გახსნით, ცაშიც გახსნილი იქნება.

¹⁹კვლავ ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ ორი თქვენგანი შეთანხმდება დედამიწაზე ითხოვონ რაიმე, მიეცემათ მათ ჩემი მამისაგან, რომელიც ცაშია.

²⁰რადგან, სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქ ვარ მათ შორის.“

²¹მაშინ მივიდა მასთან პეტრე და უთხრა: „უფალო! რამდენგზის უნდა მივუტევო ჩემს ძმას, ჩემს წინააღმდეგ თუ შესცოდა? შვიდგზის?“

²²ეუბნება მას იესო: „მე არ გეუბნები, შვიდგზის, არამედ სამოცდაათჯერ შვიდგზის.

²³ცათა სასუფეველი ჰგავს კაცს, მეფეს, რომელმაც მოისურვა თავისი მონებისათვის ანგარიშის გასწორება.



²⁴და როდესაც დაიწყო ანგარიში, წარუდგინეს მას ერთი, რომელსაც 10 ათასი ტალანტი ემართა მისი.

²⁵და რაკი არაფერი გააჩნდა, რომ გადაეხადა, ბატონმა ბრძანა გაეყიდათ იგი, მისი ცოლი, შვილები და ყოველივე, რაც კი ებადა, და გადაეხადა.

²⁶მონა დაემხო პირქვე, თაყვანი სცა და უთხრა: ‘სულგრძელი იყავ ჩემს მიმართ და ყველაფერს გადაგიხდი.’

²⁷ბატონს შეებრალა მონა, გაუშვა და ვალიც აპატია.

²⁸გამოსვლისას შეხვდა ამ მონას ერთი თავისი თანამონა, რომელსაც მისი 100 დინარი ემართა, დაიჭირა, ყელში სწვდა და უთხრა: ‘გადამიხადე, რაც გმართებს.’

²⁹პირქვე დაემხო თანამონა, შეევედრა და უთხრა: ‘სულგრძელი იყავ ჩემს მიმართ და ყველაფერს გადაგიხდი.’

³⁰მაგრამ მან არ ინდომა, არამედ წავიდა და ჩააგდო იგი საპყრობილეში, ვიდრე ვალს გადაუხდიდა.

³¹მისმა თანამონებმა რომ დაინახეს ეს, შეწუხდნენ, მივიდნენ თავიანთ ბატონთან და აუწყეს ყოველივე, რაც მოხდა.

³²მაშინ დაიბარა იგი მისმა ბატონმა და უთხრა მას: ‘ბოროტო მონავ! რაკი მთხოვე, მე მთელი ვალი გაპატიე.’

³³განა არ გმართებდა, შეგეწყალებინა შენი თანამონა, როგორც მე შეგიწყალე?’

³⁴და განრისხდა ბატონი და გადასცა იგი მტანჯველებს, ვიდრე მთელ თავის ვალს არ გადაუხდიდა.

³⁵ასევე მოგექცევით თქვენ ჩემი ზეციერი მამა, თუ ყოველი თქვენგანი მთელი გულით არ მიუტევებს თავის ძმას მის შეცოდებებს.“

მათეს 19

¹ეს სიტყვები რომ დაასრულა იესომ, წავიდა გალილეიდან და მივიდა იუდეის საზღვრებში, იორდანეს გაღმა.

²დიდძალი ხალხი მისდევდა მას და კურნავდა იგი მათ იქ.

³და მივიდნენ მასთან ფარისევლნი და სცდიდნენ და ეუბნებოდნენ: „დასაშვებია, რომ კაცმა გაუშვას ცოლი რაიმე მიზეზით?“

⁴ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: „არ წაგიკითხავთ, რომ შემოქმედმა დასაზამიდან კაცად და ქალად შექმნა ისინი?“



⁵და თქვა: „ამიტომ მიატოვებს კაცი თავის დედ-მამას, მიეკრობა თავის ცოლს და ორნი იქნებიან ერთხორცად.

⁶ამრიგად, ისინი უკვე ორნი კი აღარ არიან, არამედ ერთი ხორცი. ამიტომ, ვინც ღმერთმა შეაუღლა, კაცი ნუ განაშორებს.“

⁷ეუბნებიან მას: „აბა, მოსემ რატომღა დადო მცნებად გაყრის წერილის მიცემა და გაშვება?“

⁸ეუბნება მათ: „მოსემ თქვენი გულქვაობის გამო მოგცათ ცოლის გაშვების ნება, დასაბამიდან კი ასე არ იყო.

⁹მაგრამ მე გეუბნებით თქვენ: ვინც თავის ცოლს გაუშვებს, სიძვის მიზეზის გარეშე, და სხვას შეირთავს, მრუშობს.“

¹⁰ეუბნებიან მას მოწაფეები: „თუკი ასეთი არის კაცის მოვალეობა ცოლის მიმართ, უმჯობესია არ დაქორწინდეს.“

¹¹უთხრა მათ: „ყველა ვერ დაიტევს ამ სიტყვას, არამედ ვისაც მიცემული აქვს.

¹²რადგან არიან საჭურისნი, რომელნიც თავიანთი დედის მუცლიდან იშვნენ ასეთებად, და არიან საჭურისნი, რომელნიც ადამიანებმა დაასაჭურისეს, და არიან საჭურისნი, რომელთაც თვითონ დაისაჭურისეს თავი ცათა სასუფეველისათვის. ვისაც შეუძლია დატევა, დაიტიოს.“

¹³მაშინ მიიყვანეს მასთან ბავშვები, რომ ხელი დაედო მათთვის და ელოცა. მოწაფეები კი უკრძალავდნენ მათ.

¹⁴იესომ თქვა: „მოუშვით ბავშვები და ნუ აბრკოლებთ მათ ჩემთან მოსასვლელად, რადგან მათნაირებისაა ცათა სასუფეველი.“

¹⁵და დაადო მათ ხელი და წავიდა იქიდან.

¹⁶და, აჰა, მივიდა მასთან ერთი ვინმე და უთხრა: „კეთილო მოძღვარო, რა სიკეთე ვქნა, რომ საუკუნო სიცოცხლე მქონდეს?“

¹⁷ხოლო მან უთხრა მას: „რატომ მიწოდებ კეთილს? კეთილი მხოლოდ ერთი ღმერთია, ხოლო თუ სიცოცხლეში შესვლა გინდა, დაიცავი მცნებები.“

¹⁸ეუბნება მას: „რომლები?“ იესომ თქვა: „არა კლა, არ იმრუშო, არ იპარო, არ იმოწმო ცრუდ,

¹⁹პატივი ეცი მამას და დედას, და შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.“

²⁰ეუბნება მას ჭაბუკი: „ყოველივე ამას ვიცავდი სიყმაწვილიდან. რაღა მაკლია?“



²¹უთხრა მას იესომ: „თუ გინდა, სრულყოფილი იყო, წადი, გაყიდე შენი ქონება და მიეცი ღარიბებს, და გექნება საუნჯე ზეცაში. მერე მოდი და გამომყევი.“

²²ეს სიტყვა რომ მოისმინა ჭაბუკმა, დაღონებული განშორდა, რადგან დიდძალი ქონება ჰქონდა.

²³იესომ კი უთხრა თავის მოწაფეებს: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მნელია მდიდრისათვის ცათა სასუფეველში შესვლა.“

²⁴კიდევ გეუბნებით თქვენ: აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღმერთის სასუფეველში.“

²⁵ეს რომ მოისმინეს მისმა მოწაფეებმა, ძალიან გაუკვირდათ, და თქვეს: „მაშ, ვიღას შეუძლია გადარჩენა?“

²⁶შეხედა მათ იესომ და უთხრა: „კაცთათვის ეს შეუძლებელია, ღმერთისათვის კი ყველაფერი შესაძლებელია.“

²⁷მაშინ მიუგო პეტრემ და უთხრა მას: „აჰა, ჩვენ ყველაფერი მივატოვეთ და შენ გამოგყევით, რა გვექნება?“

²⁸იესომ უპასუხა მათ: „ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ ვინც მე გამომყევით, მეორედ შობისას, როდესაც კაცის ძე თავისი დიდების ტახტზე დაჯდება, თქვენც დასხდებით თორმეტ ტახტზე ისრაელის 12 ტომის განსაკითხავად.“

²⁹ყველა, ვინც მიატოვა სახლი ან ძმები, ან დები, ან მამა, ან დედა, ან შვილები, ან ყანები ჩემი სახელის გულისათვის, ასმაგად მიიღებს და საუკუნო სიცოცხლეს დაიმკვიდრებს.

³⁰ხოლო მრავალი პირველთაგან უკანასკნელი იქნება, უკანასკნელი კი – პირველი.

მათეს 20

¹რადგან ცათა სასუფეველი ჰგავს ადამიანს – მამულის პატრონს, რომელიც დილით ადრე გავიდა მუშაკთა დასაქირავებლად თავისი ვენახისთვის,

²მოურიგდა მუშაკებს დღეში თითო დინარად და გაისტუმრა თავის ვენახში.

³ასე მესამე საათს, გავიდა და დაინახა სხვები, მოედანზე უქმად მდგარნი.

⁴და უთხრა მათ: ‘წადით თქვენც ჩემს ვენახში და რაც გერგებათ, მოგცემთ.’ და ისინიც წავიდნენ.

⁵კიდევ გავიდა მეექვსე და მეცხრე საათს და ასევე მოიქცა.



⁶და ბოლოს, გავიდა მეთერთმეტე საათზე, ნახა სხვებიც მდგარნი და უთხრა მათ: ‘რას დგახართ აქ მთელ დღეს უქმად?’

⁷უპასუხეს მას: ‘არავინ დაგვიქირავა ჩვენ.’ ეუბნება მათ: ‘წადით ვენახში და, რაც გერგებათ, მოგცემთ.’

⁸როდესაც მოსაღამოვდა, ვენახის პატრონი ეუბნება თავის მოურავს: ‘დაუმახე მუშაკებს და გადაუხადე გასამრჯელო, უკანასკნელიდან პირველამდე.’

⁹მივიდნენ მეთერთმეტე საათზე დაქირავებულნი და მიიღეს თითო დინარი.

¹⁰პირველად მოსულებმა იფიქრეს, რომ მეტს მიიღებდნენ, მაგრამ იმათაც თითო დინარი მიიღეს.

¹¹და როდესაც იგივე მიიღეს, დაიწყეს დრტვინვა მამულის პატრონის მიმართ,

¹²და ამბობდნენ: ‘ამ უკანასკნელებმა მხოლოდ ერთი საათი იმუშავეს და ისინი ჩვენ გაგვიტოლეს, ვინც დღის სიმძიმე და სიცხე გადავიტანეთ.’

¹³მან მიუგო ერთ მათგანს და უთხრა: ‘მეგობარო, მე შენ არ გჩაგრავ. განა დინარად არ გაგირიგდი?’

¹⁴აიღე შენი და წადი. მე კი მინდა, ამ უკანასკნელსაც იგივე მივცე, რაც შენ.

¹⁵განა არა მაქვს უფლება, რომ ჩემი კუთვნილი ჩემი ნებისამებრ განვაგო? იქნებ შენს თვალს შურს, კეთილი რომ ვარ?’

¹⁶ასე იქნებიან უკანასკნელნი პირველნი და პირველნი – უკანასკნელნი, რადგან წვეული ბევრია, რჩეული კი – ცოტა.“

¹⁷და როდესაც იესო იერუსალიმში აღიოდა, თან გაიყოლა თორმეტნი განმარტოებით და უთხრა მათ გზაში:

¹⁸„აჰა, ჩვენ ავდივართ იერუსალიმში და კაცის ძე გადაეცემა მღვდელმთავრებსა და მწიგნობრებს, და სასიკვდილო მსჯავრს გამოუტანენ მას.

¹⁹და გადასცემენ მას წარმართებს, რომ შეაგინონ, გაამათრახონ და ჯვარს აცვან, და მესამე დღეს აღდგება.“

²⁰მაშინ მივიდა მასთან ზებედეს ძეთა დედა თავის ვაჟებთან ერთად, თაყვანი სცა და რაღაცას ითხოვდა მისგან.

²¹უთხრა მას: „რა გინდა?“ ეუბნება მას: „თქვი, რომ ეს ჩემი ორი ძე დაჯდეს ერთი შენს მარჯვნივ და მეორე შენს მარცხნივ შენს სასუფეველში.“



²²მიუგო იესომ და თქვა: „არ იცით, რას ითხოვთ. შეგიძლიათ იმ სასმისის შესმა, რომელსაც მე შევსვამ?“ ეუბნებიან მას: „შეგვიძლია.“

²³ეუბნება მათ: „ჩემს სასმისს შესვამთ, მაგრამ ჩემს მარჯვნივ და მარცხნივ დაჯდომის ნება ჩემგან არ არის, არამედ ვისთვისაც გამზადებულია ჩემი მამის მიერ.“

²⁴ეს რომ ათმა გაიგონა, გული მოუვიდათ ორ ძმაზე.

²⁵იესომ კი მოიხმო ისინი და უთხრა: „თქვენ იცით, რომ წარმართთა მთავარნი ბატონობენ ხალხზე და დიდებულნი ხელმწიფეებენ მათზე,

²⁶მაგრამ თქვენს შორის ასე ნუ იქნება, არამედ, ვისაც თქვენს შორის სურს იყოს უდიდესი, იყოს თქვენი მსახური.

²⁷და ვისაც თქვენს შორის პირველობა სურს, იყოს თქვენი მონა,

²⁸ისე, როგორც კაცის ძე არ მოსულა იმისათვის, რომ ემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ თავად ემსახუროს და თავისი სიცოცხლე გასცეს მრავალთა გამოსასყიდად.“

²⁹და როდესაც იერიქოდან გამოდიოდნენ, დიდძალი ხალხი მისდევდა მას.

³⁰და, აჰა, ორი ბრმა იჯდა გზის პირას და, რომ გაიგონეს, იესო აქეთ მოდისო, აყვირდნენ და ამბობდნენ: „შეგვიწყალე ჩვენ, უფალო, დავითის ძე!“

³¹ხალხი კი უწყრებოდა მათ და აჩუმებდა. ხოლო ისინი უფრო მეტად ყვიროდნენ და ამბობდნენ: „შეგვიწყალე, უფალო, დავითის ძე!“

³²და შეჩერდა იესო, დაუძახა მათ და უთხრა: „რა გინდათ, რომ გაგიკეთოთ?“

³³უთხრეს მას: „თვალები რომ აგვიხილო, უფალო.“

³⁴შეებრაღა იესოს ისინი და შეეხო მათ თვალებს. და მყისვე აეხილათ თვალები და გაჰყვნენ მას.

მათეს 21

¹და როდესაც მიუახლოვდნენ იერუსალიმს და ბეთზაგეში მივიდნენ, ზეთისხილის მთასთან, მაშინ იესომ გაგზავნა ორი მოწაფე

²და უთხრა მათ: „წადით სოფელში, რომელიც თქვენს წინაა, და მაშინვე იპოვით დაბმულ ვირს და ჩოჩორს მასთან ერთად. აუშვით და მომიყვანეთ.

³და თუ ვინმე რამეს გეტყვით, უთხარით: ‘უფალს სჭირდება’ და მაშინვე გამოგზავნის მათ.“



⁴ყოველივე ეს მოხდა, რათა აღსრულებულიყო ნათქვამი წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს:

⁵„უთხარით სიონის ასულს: ‘აჰა, შენი მეფე მოდის შენთან, მშვიდი და მჯდარი ვირზე და ჩოჩორზე, სახედრის ნაშიერზე.’“

⁶მოწაფეები წავიდნენ და ისე მოიქცნენ, როგორც უბრძანა მათ იესომ.

⁷მოუყვანეს მას ვირი და ჩოჩორი, დაუფინეს ზედ თავიანთი სამოსი და დაჯდა მათზე.

⁸დიდძალი ხალხი თავის სამოსს უფენდა გზაზე. სხვები კი ხეებს რტოებს აჭრიდნენ და გზაზე უფენდნენ.

⁹ხოლო ხალხი, რომელიც წინ უძღოდა და უკან მისდევდა, შესძახოდა: „ოსანა დავითის ძეს! კურთხეულია უფლის სახელით მომავალი! ოსანა მაღალთა შინა!“

¹⁰და როდესაც შევიდა იერუსალიმში, მთელი ქალაქი შეიძრა და ამბობდნენ: „ვინ არის ეს?“

¹¹ხალხი კი ამბობდა: „ეს იესოა, წინასწარმეტყველი გალილეის ნაზარეთიდან.“

¹²და შევიდა იესო ტაძარში და გამოყარა ყველა გამყიდველი და მყიდველი, ვინც ტაძარში იყო, და გადააყირავა ფულის მცვლელობა დახლები და მტრედების გამყიდველობა მერხები.

¹³და ეუბნებოდა მათ, დაწერილია: „ჩემი სახლი სამლოცველო სახლად იწოდება, თქვენ კი ავაზაკთა ბუნაგად აქციეთ იგი!“

¹⁴და მივიდნენ მასთან ტაძარში ბრძენები და კოჭლები და მან განკურნა ისინი.

¹⁵ხოლო როდესაც დაინახეს მღვდელმთავრებმა და მწიგნობრებმა სასწაულები, რომლებიც მან მოახდინა, და ბავშვები, რომლებიც ტაძარში იძახდნენ და ამბობდნენ: „ოსანა დავითის ძეს,“ – გული მოუვიდათ,

¹⁶და უთხრეს მას: „გესმის, რას ამბობენ ისინი?“ იესო ეუბნება მათ: „დიახ! ნუთუ არასოდეს წაგიკითხავთ: ‘ჩვილთა და ძუძუმწოვართა პირით განიმზადე ქება.’“

¹⁷და დატოვა ისინი, გავიდა ქალაქიდან ბეთანიაში და ღამე იქ გაათია.

¹⁸განთიადისას, ქალაქში რომ ბრუნდებოდა, მოშივდა.

¹⁹და გზაზე ერთი ლელვის ხე დაინახა, მივიდა ახლოს და რომ ვერაფერი იპოვა ზედ, გარდა ფოთლებისა, და უთხრა მას: „ნუღარასდროს გამოგეღოს ნაყოფი!“ და მყისვე გახმა ლელვი.



²⁰და დაინახეს ეს მოწაფეებმა, გაუკვირდათ და თქვეს: „რა უცებ გახმა ეს ლელვი!“

²¹მიუგო იესომ და უთხრა მათ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ გექნებათ რწმენა და არ დაექვდებით, მარტო იმას კი არ გააკეთებთ, რაც ამ ლელვს დაემართა, არამედ ამ მთას რომ უთხრათ, აიწიე და ზღვაში ჩავარდი, ასეც მოხდება.“

²²ყველაფერს, რასაც ლოცვაში რწმენით ითხოვთ, მიიღებთ.“

²³და როდესაც შევიდა ტაძარში და ასწავლიდა, მივიდნენ მასთან მღვდელმთავრები და ხალხის უხუცესნი და უთხრეს მას: „რომელი ხელმწიფებით აკეთებ ამას ან ვინ მოგცა შენ ეს ხელმწიფება?“

²⁴მიუგო იესომ და უთხრა მათ: „მეც გკითხავთ თქვენ ერთ სიტყვას და თუ მიპასუხებთ, მაშინ მეც გეტყვით თქვენ, რომელი ხელმწიფებით ვაკეთებ ამას.“

²⁵საიდან იყო იოანეს ნათლისცემა: ზეციდან თუ კაცთაგან? ხოლო ისინი ერთმანეთთან თათბირობდნენ და ამბობდნენ: თუ ვიტყვით – ზეციდან, გვეტყვის, მაშ, რატომ არ ერწმუნეთ მას?

²⁶ხოლო თუ ვიტყვით, კაცთაგან, ხალხისა გვეშინია, რადგან ყველას წინასწარმეტყველად მიაჩნია იოანე.“

²⁷და მიუგეს იესოს და უთხრეს: „არ ვიცით.“ მანაც უთხრა მათ: „არც მე გეტყვით თქვენ, რომელი ხელმწიფებით ვაკეთებ ამას.“

²⁸აბა, რას იტყვით ამაზე: „ერთ კაცს ორი შვილი ჰყავდა. მივიდა პირველთან და უთხრა: ‘შვილო, წადი დღეს და იმუშავე ვენახში.’“

²⁹მან მიუგო და უთხრა: ‘არ მინდა.’ ბოლოს კი ინანა და წავიდა.

³⁰მივიდა მეორესთან და იგივე უთხრა. მან მიუგო და უთხრა: ‘წავალ, ბატონო.’ მაგრამ არ წავიდა.

³¹ამ ორთაგან რომელმა შეასრულა თავისი მამის ნება?“ ეუბნებიან: „პირველმა.“ ეუბნება მათ იესო: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მებაჟეები და მეძავეები თქვენზე წინ შევლენ ღმერთის სასუფეველში.“

³²რადგან მოვიდა თქვენთან იოანე სიმართლის გზით და არ ერწმუნეთ მას, ხოლო მებაჟეები და მეძავეები ერწმუნენ. თქვენ კი იხილეთ ეს და მაინც არ შეიცვალეთ გონება, რათა გერწმუნათ იგი.

³³ისმინეთ სხვა იგავი: იყო კაცი – მამულის პატრონი, რომელმაც ვაზი ჩაყარა, გარს ღობე შემოავლო, შიგნით საწნახელი ამოკვეთა და კოშკი ააგო, მიწის მუშაკთ ჩააბარა და წავიდა.



³⁴და როდესაც რთველი მოახლოვდა, თავისი მონები გაუგზავნა მიწის მუშაკთ თავისი მოსავლის მისაღებად.

³⁵მიწის მუშაკებმა შეიპყრეს მისი მონები. ზოგს სცემეს, ზოგი დახოცეს, ზოგი ჩაქოლეს.

³⁶კიდევ გაუგზავნა სხვა მონები, უწინდელზე მეტი, და იმათაც ასევე მოექცნენ.

³⁷ბოლოს თავისი ძე გაგზავნა მათთან და თქვა: ‘ჩემი ძისა მოერიდებათ.’

³⁸მიწის მუშაკებმა ძე რომ დაინახეს, ერთმანეთს უთხრეს: ‘ეს მემკვიდრეა, მოდით, მოვკლათ იგი და დავისაკუთროთ მისი სამკვიდრებელი!’

³⁹და შეიპყრეს იგი, გაიყვანეს ვენახის გარეთ და მოკლეს.

⁴⁰მაშ, როდესაც მოვა ვენახის პატრონი, რას უზამს ამ მიწის მუშაკთ?’

⁴¹ეუბნებიან მას: „ამ ბოროტებს ბოროტად დალუპავს და ვენახს გადასცემს სხვა მიწის მუშაკთ, რომლებიც მოსავალს თავის დროზე მისცემენ.“

⁴²ეუბნება მათ იესო: „ნუთუ არასოდეს წაგიკითხავთ წერილებში: ‘ქვა, რომელიც მშენებლებმა დაიწყეს, ქვაკუთხედად იქცა. უფლისაგან მოხდა ეს და საოცარია ჩვენს თვალში.’

⁴³ამიტომ გეუბნებით თქვენ, რომ წაგერთმევით ღმერთის სასუფეველი და მიეცემა ერებს, რომლებიც გამოიღებენ მის ნაყოფს.

⁴⁴და ის, ვინც ამ ქვაზე დაეცემა, დაილეწება, ხოლო ვისაც ის დაეცემა, გასრესს.“

⁴⁵როდესაც მოისმინეს მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა იგავი, მიხვდნენ, რომ მათზე ამბობდა.

⁴⁶და ცდილობდნენ მის შეპყრობას, მაგრამ ხალხისა ეშინოდათ, რადგან წინასწარმეტყველად მიაჩნდათ იგი.

მათეს 22

¹და მიუგო იესომ ისევ იგავით და უთხრა მათ:

²„ცათა სასუფეველი ჰგავს კაცს, მეფეს, რომელმაც ქორწილი გაუმართა თავის ძეს.

³და გაგზავნა თავისი მონები ქორწილში წვეულთა მოსაპატიჟებლად, მაგრამ მათ არ ისურვეს მოსვლა.



⁴კვლავ გაგზავნა სხვა მონები და უთხრა: ‘უთხარით წვეულებს: აჰა, გამზადებულია ჩემი სუფრა, ჩემი ხარები და ნასუქალი საქონელი დაკლულია, ყველაფერი მზად არის, გვეწვიეთ ქორწილში!’

⁵მათ კი ყური არ ათხოვეს და ზოგი თავის ყანაში წავიდა, ზოგი თავის სავაჭროში.

⁶სხვებმა კი შეიპყრეს მისი მონები, შეურაცხვეს და დახოცეს.

⁷მეფემ რომ გაიგო, განრისხდა, გაგზავნა თავისი რაზმი და ამოჟლიტა ის კაცისმკვლელნი, მათი ქალაქი კი ცეცხლს მისცა.

⁸მაშინ უთხრა თავის მონებს: ‘ქორწილი მზად არის, მაგრამ წვეულები არ იყვნენ ღირსნი.

⁹ამიტომ გადით გზაჯვარედინებზე და მოიწვიეთ ქორწილში ყველა, ვისაც იპოვით.’

¹⁰და გავიდნენ მონები გზებზე და შეკრიბეს ყველა, ვინც კი იპოვეს, ბოროტი თუ კეთილი, და საქორწილო დარბაზი აივსო მეინახეებით.

¹¹შევიდა მეფე სტუმრების სანახავად და დაინახა იქ კაცი, რომელსაც საქორწილო სამოსი არ ეცვა,

¹²და ეუბნება მას: ‘მეგობარო, აქ როგორ შემოხვედი, საქორწილო სამოსი რომ არ გაცვია?’ ის კი დუმდა.

¹³მაშინ უთხრა მეფემ თავის მსახურებს: ‘შეუკარით მაგას ხელ-ფეხი და გააგდეთ გარესკნელის ბნელში. და იქნება იქ მოთქმა და კბილთა ღრჭენა.’

¹⁴რადგან წვეულნი ბევრნი არიან, რჩეულნი კი მცირედნი.“

¹⁵მაშინ ფარისევლები შეიკრიბნენ და მოითათბირეს, როგორ დაეჭირათ იგი სიტყვაზე.

¹⁶და მიუგზავნეს მას თავისი მოწაფეები ჰეროდთანებთან ერთად და უთხრეს: „მოძღვარო, ვიცით, რომ მართალი ხარ და ჭეშმარიტებით ასწავლი ღმერთის გზას და არავის ერიდები, რადგან არ უყურებ კაცთა გარეგნობას.

¹⁷მაშ, გვითხარი: როგორ ფიქრობ, უნდა ვაძლიოთ ხარკი კეისარს თუ არა?“

¹⁸მიხვდა იესო მათ მზაკვრობას და თქვა: „რატომ მცდით, თვალთმაქცნო?

¹⁹მაჩვენეთ ხარკის მონეტა.“ და მიუტანეს მას დინარი.

²⁰და ეუბნება მათ: „ვისია ეს სახე და წარწერა?“

²¹ეუბნებიან მას: „კეისრისა!“ მაშინ უთხრა მათ: „მიეცით კეისრისა კეისარს და ღმერთისა – ღმერთს!“



- ²²ეს რომ გაიგონეს, გაუკვირდათ, დატოვეს იგი და წავიდნენ.
- ²³იმ დღეს მივიდნენ მასთან სადუკეველნი, რომელნიც ამბობდნენ, რომ არ არსებობს აღდგომა და შეეკითხნენ მას:
- ²⁴„მოძღვარო, მოსემ თქვა: ‘თუ ვინმე უშვილოდ მოკვდება, მისმა ძმამ უნდაა შეირთოს მისი ცოლი და აღუდგინოს ნაშვირი თავის ძმას.’
- ²⁵გვყავდა ჩვენ შვიდი ძმა. პირველმა შეირთო ცოლი და მოკვდა. ნაშვირი არ ჰყავდა და თავისი ცოლი ძმას დაუტოვა.
- ²⁶ასევე მეორემაც, მესამემაც, მეშვიდემდე.
- ²⁷ყველას შემდეგ ქალიც მოკვდა.
- ²⁸მაშ აღდგომის ჟამს იმ შვიდიდან ვისი ცოლი იქნება იგი? ის ხომ ყველას ჰყავდა.“
- ²⁹მიუგო იესომ და უთხრა მათ: „ცდებით, რადგან არც წერილები იცით და არც ღმერთის ძალა.
- ³⁰რადგან აღდგომისას არც ცოლს ირთავენ, არც თხოვდებიან, არამედ არიან, როგორც ღმერთის ანგელოზები ცაში.
- ³¹ხოლო მკვდართა აღდგომაზე ნუთუ არ წაგიკითხავთ ღმერთისაგან თქვენთვის თქმული:
- ³²‘მე ვარ ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისაკისა და ღმერთი იაკობისა’? ღმერთი მკვდრებისა კი არაა, არამედ ცოცხლების.“
- ³³და ესმოდა ეს ხალხს და უკვირდა მისი მოძღვრება.
- ³⁴როდესაც ფარისევლებმა გაიგეს, რომ სადუკეველები გააჩუმა, შეიკრიბნენ ერთად.
- ³⁵და შეეკითხა მას ერთი მათგანი, რჯულის მცოდნე, გამოსაცდელად:
- ³⁶„მოძღვარო, რომელი მცნებაა რჯულში ყველაზე დიდი?“
- ³⁷უთხრა მას: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით.’
- ³⁸ეს არის პირველი და ყველაზე დიდი მცნება.
- ³⁹და მეორე ამის მსგავსი: ‘შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი.’
- ⁴⁰ამ ორ მცნებას ემყარება მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი.“
- ⁴¹როდესაც ფარისევლები შეიკრიბნენ, იესო შეეკითხა მათ:



⁴²„რას ფიქრობთ თქვენ ქრისტეზე? ვისი ძეა იგი?“ მათ უთხრეს: „დავითისა.“

⁴³ეუბნება მათ: „მაშ როგორღა უწოდებს დავითი სულით მას უფალს, როდესაც ამბობს:

⁴⁴‘უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჯექი ჩემს მარჯვნივ, ვიდრე დავამხობდე შენს მტრებს შენს ფეხთა ქვეშ?’

⁴⁵თუ დავითი უფალს უწოდებს მას, მაშ მისი ძე როგორღაა?“

⁴⁶და ვერავინ შეძლო მისთვის სიტყვის მიგება და არავის გაუბედავს იმ დღიდან შეკითხოდა მას.

მათეს 23

¹მაშინ იესომ მიმართა ხალხს და თავის მოწაფეებს,

²და თქვა: „მოსეს ტახტზე დასხდნენ მწიგნობარნი და ფარისეველნი.

³ამიტომ ყველაფერი, რის დაცვასაც ისინი მოგთხოვენ, შეასრულეთ და დაიცავით, მაგრამ მათ საქმეებს ნუ მიბადავთ, რადგან ამბობენ და არ ასრულებენ.

⁴კრავენ მძიმე და ძნელად საზიდ ტვირთს და ზურგზე ჰკიდებენ ადამიანებს, თავად კი თითოთაც არ სურთ მისი დაძვრა.

⁵ყველა თავიანთ საქმეს ადამიანთათვის საჩვენებლად აკეთებენ, იფართოებენ თავიანთ ფილაკტერიონებს და იგრძელებენ სამოსის ფოჩებს;

⁶უყვართ სერობებზე სათავეში ჯდომა და წინა ადგილებზე – სინაგოგებში,

⁷და მისალმებანი მოედნებზე, რომ ადამიანებმა მიმართონ მათ: ‘რაბი!’

⁸თქვენ კი ნუ გიწოდებენ რაბის, რადგან ერთია თქვენი მოძღვარი – ქრისტე და თქვენ ყველანი ძმები ხართ.

⁹ნურც მამას უწოდებთ ნურავის დედამიწაზე, რადგან ერთი მამა გყავთ თქვენ – ცაში.

¹⁰ნურც წინამძღოლს გიწოდებენ, რადგან ერთი გყავთ თქვენ წინამძღოლი – ქრისტე.

¹¹უდიდესი თქვენს შორის თქვენი მსახური იყოს.

¹²ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება, ხოლო ვინც თავს დაიმდაბლებს – ამაღლდება.



¹³ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომ ცათა სამეფოს კეტავთ ადამიანთა წინაშე, რადგან არც თქვენ შედიხართ და არც სხვა შემავალთ უშვებთ.

¹⁴ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რადგან ჭამთ ქვრივთა სახლებს და მოსაჩვენებლად დიდხანს ლოცულობთ. ამიტომ კიდევ უფრო დიდ სასჯელს მიიღებთ.

¹⁵ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომ შემოივლით ზღვასა და ხმელეთს, რათა ერთი ვინმე მაინც მოაქციოთ რჯულზე და როცა მოაქცევთ, გენას ძედ ხდით, საკუთარ თავზე ორჯერ უარესად.

¹⁶ვაი თქვენ, ბრმა წინამძღოლნო, რომლებიც ამბობთ: ვინც ტაძარს დაიფიცებს, არაფერია, ხოლო ვინც ტაძრის ოქროს დაიფიცებს, ის ვალდებულიაო.

¹⁷ბრიყვებო და ბრმებო! რა უფრო დიდია: ოქრო თუ ტაძარი, რომელიც ოქროს წმედს?

¹⁸და ამბობთ: ვინც სამსხვერპლოს დაიფიცებს, არაფერია, ხოლო ვინც დაიფიცებს ძღვენს, რომელიც მასზეა, ის ვალდებულიაო.

¹⁹ბრმებო, რომელი უფრო დიდია: ძღვენი თუ სამსხვერპლო, ძღვენს რომ განწმედს?

²⁰ამრიგად, ვინც სამსხვერპლოს იფიცებს, ის იფიცებს მას და ყველაფერს, რაც მასზეა.

²¹და ვინც ტაძარს იფიცებს, ის იფიცებს მასაც და მასში მყოფსაც.

²²და ვინც ცას იფიცებს, ის იფიცებს ღმერთის ტახტსაც და მასზე მჯდომსაც.

²³ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომლებიც იხდით პიტნის, კამისა და ძირას მეათედს და მიატოვებთ, რაც უფრო მნიშვნელოვანია რჯულში – სამართალი, წყალობა და რწმენა. ესეც უნდა გაგეკეთებინათ და არც ის უნდა მიგეტოვებინათ.

²⁴ბრმა წინამძღოლებო, კოლოს მწურავებო და აქლემის მელაპავებო!

²⁵ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომლებიც გარედან ასუფთავებთ სასმისსა თუ ჯამს, შიგნით კი სავსე ხართ ნატაცებით და სიხარბით.

²⁶ბრმა ფარისეველო, ჯერ შიგნიდან გაასუფთავე სასმისი და ჯამი, რომ გარედანაც სუფთა იყოს.



²⁷ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, შეთეთრებულ სამარხებს რომ ჰგავხართ, რომლებიც გარედან ლამაზები ჩანან, შიგნით კი სავსე არიან მკვდართა ძვლებითა და ყოველგვარი უწყიდურებით.

²⁸ასევე თქვენც გარეგნულად მართლები ჩანხართ ადამიანთა თვალში, შიგნით კი თვალთმაქცობით და ურჯულოებით ხართ აღვსილნი.

²⁹ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომ აშენებთ წინასწარმეტყველთა სამარხებს და ამკობთ მართალთა ძეგლებს

³⁰და ამბობთ: ‘ჩვენი მამების დროს რომ გვეცხოვრა, არ ვიქნებოდით მათი მოზიარენი წინასწარმეტყველთა სისხლში.’

³¹ამრიგად, საკუთარი თავის შესახებ მოწმობთ, რომ წინასწარმეტყველთა მკვლელების ძენი ხართ.

³²ბარემ თქვენც ბოლომდე აავსეთ თქვენი მამების საწყაული!

³³იქედნეთა ნაშობო გველებო, როგორ გაექცევით გენას სასჯელს?

³⁴ამიტომ, აჰა, მე მოგივლენთ წინასწარმეტყველთ, ბრძენთ და მწიგნობრებს. და ზოგს მოკლავთ და ჯვარს აცვამთ, ზოგს კი გაამათრახებთ თქვენს სინაგოგებში და განდევნით ქალაქიდან ქალაქში,

³⁵რომ გეწიოთ მთელი ეს მართალი სისხლი, მიწაზე დათხეული, მართალი აბელის სისხლიდან მოყოლებული ზაქარია ბარაქიას მის სისხლამდე, რომელიც ტაძარსა და სამსხვერპლოს შორის მოკალით.

³⁶ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ ყოველივე ეს მოეკითხება ამ თაობას.

³⁷იერუსალიმო, იერუსალიმო, წინასწარმეტყველთა დამხოცველო და შენთან მოვლინებულთა ჩამქოლავო! რამდენჯერ მინდოდა შენი შვილების შემოკრება, როგორც ფრინველი იკრებს ფრთებქვეშ თავის ბარტყებს, მაგრამ არ ინდომეთ.

³⁸აჰა, გრჩებათ თქვენი სახლი აოხრებული.

³⁹რადგან გეუბნებით თქვენ: ველარ მიხილავთ ამიერიდან, ვიდრე არ იტყვიან: ‘კურთხეულია უფლის სახელით მომავალი!’“

მათეს 24

¹როდესაც გამოვიდა იესო ტაძრიდან, მივიდნენ მასთან მისი მოწაფეები, და მიუთითეს ტაძრის შენობებზე.

²ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: „ხედავთ ყოველივე ამას? ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ქვა ქვაზე არ დარჩება აქ, რომ არ ჩამოიქცეს.“



³ხოლო როცა ზეთისხილის მთაზე იჯდა, მიუახლოვდნენ მას მოწაფეები განმარტოებით და უთხრეს: „გვითხარი, როდის მოხდება ეს და რა იქნება შენი მოსვლისა და ამ საუკუნის აღსასრულის ნიშანი?“

⁴მიუგო იესომ და უთხრა მათ: „გაფრთხილდით, რომ არავინ შეგაცდინოთ.

⁵რადგან ბევრნი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან: ‘მე ვარ ქრისტე!’ და მრავალს შეაცდენენ.

⁶გაიგებთ ომების შესახებ და ხმებს საომარ ამბებზე. იცოდეთ, ნუ შეძრწუნდებით, რადგან ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის აღსასრული.

⁷რადგან აღდგება ერი ერის წინააღმდეგ და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ, და იქნება შიმშილობანი, სნეულებანი და მიწისძვრანი ადგილ-ადგილ.

⁸ეს ყველაფერი კი მშობიარობის ტკივილების დასაწყისია.

⁹მაშინ გადაგცემენ სატანჯველად და დაგხოცავენ, და მოგიძულებენ ყველა ერები ჩემი სახელის გამო.

¹⁰და მაშინ ცდუნდებიან ბევრნი, ერთმანეთს გასცემენ და შეიძულებენ ერთმანეთს.

¹¹და მრავალი ცრუწინასწარმეტყველი აღდგება და ბევრს შეაცდენენ.

¹²და რაკი გამრავლდება ურჯულოება, მრავალს გაუნელდება სიყვარული.

¹³ბოლომდე დამთმენი კი გადარჩება.

¹⁴და ექადაგება ეს სახარება სასუფევლის შესახებ მთელს ქვეყნიერებას ყველა ერებისთვის დასამოწმებლად და მაშინ დადგება აღსასრული.

¹⁵ამრიგად, როდესაც იხილავთ გავერანების სიბილწეს, მდგომს წმიდა ადგილზე, წინასწარმეტყველი დანიელის მიერ თქმულს – წამკითხველმა გაიგოს, –

¹⁶მაშინ, ვინც იუდეაშია, მთებს მიაშუროს.

¹⁷ვინც ერდოზე იქნება, ნუ ჩამოვა შინიდან რაიმეს გამოსატანად.

¹⁸ვინც ყანაში იქნება, ნუ დაბრუნდება უკან თავისი სამოსის წასაღებად.

¹⁹ხოლო ვაი ორსულებს და მეძუძურებს იმ დღეებში!

²⁰ილოცეთ, რომ არ მოგიხდეთ გაქცევა ზამთარში ან ზაბათ დღეს.

²¹რადგან იქნება დიდი გასაჭირი, როგორიც არ ყოფილა სამყაროს დასაბამიდან დღემდე და აღარც არასოდეს იქნება.



²²ის დღეები რომ არ შემოკლდეს, ვერა ხორციელი ვერ გადარჩება. მაგრამ რჩეულთა გულისათვის შემოკლდება ის დღეები.

²³მაშინ ვინმემ რომ გითხრათ: ‘აჰა, აქ არის ქრისტე,’ ან: ‘იქ,’ არ ირწმუნოთ.

²⁴რადგან აღდგებიან ცრუქრისტენი და ცრუწინასწარმეტყველნი და მოახდენენ დიდ ნიშნებსა და სასწაულებს, რათა რჩეულნიც შეაცდინონ, თუკი შეძლებენ.

²⁵აჰა, წინასწარ გითხარით თქვენ.

²⁶თუ გეტყვიან: აჰა, ის უდაბნოშიაო, ნუ გამოხვალთ. აჰა, ის შიდა ოთახებშიაო, ნუ ირწმუნებთ.

²⁷რადგან, როგორც ელვა გამოჩნდება ხოლმე აღმოსავლეთიდან და თვით დასავლეთამდე ანათებს, ასევე იქნება კაცის ძის მოსვლაც.

²⁸სადაც არის მძორი, იქ გროვდებიან ორბები.

²⁹და მყისვე, გასაჭირის იმ დღეების შემდგომ, მზე დაბნელდება და მთვარე აღარ გამოსცემს თავის ნათელს, ვარსკვლავები ჩამოცვივიან ციდან და ციური ძალები შეირყევა.

³⁰და მაშინ გამოჩნდება კაცის ძის ნიშანი ცაზე, და მაშინ მოჰყვება მოთქმას დედამიწის ყველა ტომი, და იხილავენ კაცის ძეს, ცის ღრუბლებზე მომავალს, მრავალი ძალითა და დიდებით.

³¹და მოავლინებს თავის ანგელოზებს დიდხმიანი საყვირით და შეკრებენ მის რჩეულებს ოთხივე ქართაგან, ცათა ერთი კიდიდან მეორემდე.

³²ლელვისაგან ისწავლეთ მაგალითი: როცა მისი რტოები რბილდება და ფოთლებს ისხამს, იცით, რომ ახლოა ზაფხული.

³³ასევე თქვენც, როცა იხილავთ ყოველივე ამას, იცოდეთ, რომ კარზეა მომდგარი.

³⁴ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ გადავა ეს თაობა, ვიდრე ყოველივე ეს არ მოხდება.

³⁵ცა და დედამიწა გარდავლენ, ხოლო ჩემი სიტყვები არ გარდავლენ.

³⁶იმ დღეზე და ჟამზე კი არავინ იცის, არც ზეციურმა ანგელოზებმა, არც ძემ, არამედ მხოლოდ მამამ.

³⁷რადგან, როგორც იყო ნოეს დღეებში, ისევე იქნება კაცის ძის მოსვლაც.

³⁸რადგან, როგორც წარღვნამდელ დღეებში ჭამდნენ, სვამდნენ, ცოლს ირთავდნენ და თხოვდებოდნენ იმ დღემდე, ვიდრე ნოე კიდობანში არ შევიდა,



³⁹და არაფერი იცოდნენ, ვიდრე წარღვნა არ მოვიდა და ყველა არ წაღეკა, – ასევე იქნება კაცის ძის მოსვლაც.

⁴⁰მაშინ ორნი იქნებიან მინდვრად: ერთს წაიყვანენ და ერთი დარჩება;

⁴¹ორნი დაფქვავენ დოლაბზე: ერთს წაიყვანენ და ერთი დარჩება.

⁴²ამგვარად, ფხიზლად იყავით, რადგან არ იცით, რომელ დღეს მოვა თქვენი უფალი.

⁴³ეს კი უწყოდეთ: სახლის პატრონმა რომ იცოდეს, რომელ სადარაჯოზე მოვა ქურდი, იფხიზლებდა და თავისი სახლის ძირს არავის გამოათხრევინებდა.

⁴⁴ამიტომ თქვენც მზად იყავით, რადგან, რომელ საათზეც არ ფიქრობთ, მაშინ მოვა კაცის ძე.

⁴⁵ვინ არის ერთგული და გონიერი მონა იმათგან, რომლებიც დაუყენა ბატონმა თავის სახლეულს, რომ დროულად აძლევდეს მათ საზრდოს?

⁴⁶ნეტარია მონა, რომლის ბატონიც მოვა და ამგვარად მოქმედს ჰპოვებს მას.

⁴⁷ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ მთელ თავის საბადებელზე დააყენებს მას.

⁴⁸ხოლო თუ ეს მონა ბოროტია და თავის გულში იტყვის: ‘იგვიანებს ჩემი ბატონი,’

⁴⁹და ცემას დაუწყებს თავის თანამონებს და ლოთებთან დაიწყებს ჭამას და სმას,

⁵⁰მოვა იმ მონის ბატონი იმ დღეს, როცა არ ელის, და იმ ჟამს, როცა არ უწყის,

⁵¹და შუაზე გაკვეთს მას და თვალთმაქცებთან დაუდებს წილს. და იქნება იქ გოდება და კბილთა ღრჭენა.

მათეს 25

¹ცათა სასუფეველი მსგავსია ათი ქალწულისა, რომელთაც აიღეს თავიანთი ლამპრები და გამოვიდნენ სიძის შესახვედრად.

²ხუთი მათგანი უგუნური იყო და ხუთი – გონიერი.

³უგუნურებმა თავიანთი ლამპრები რომ აიღეს, ზეთი არ გაიყოლეს თან.

⁴ხოლო გონიერებმა თავიანთ ლამპრებთან ერთად ზეთიც გაიყოლეს ჭურჭლებით.



- ⁵სიძე რომ იგვიანებდა, ყველას ჩასთვლიდა და დაეძინა.
- ⁶შუალამისას კი გაისმა ძახილი: ‘აჰა, სიძე მოდის, გამოდით შესაგებებლად!’
- ⁷მაშინ წამოდგა ყველა ქალწული და გამართეს თავ-თავისი ლამპრები.
- ⁸უგუნურებმა უთხრეს გონიერებს: ‘გვიწილადეთ თქვენი ზეთისაგან, რადგან ლამპრები გვიქრება.’
- ⁹მიუგეს გონიერებმა და უთხრეს: ‘რომ არც ჩვენ დაგვაკლდეს და არც თქვენ, უმჯობესია, წახვიდეთ ვაჭრებთან და იყიდოთ თქვენთვის.’
- ¹⁰ხოლო როდესაც ისინი საყიდლად წავიდნენ, მოვიდა სიძე და გამზადებულნიც მასთან ერთად შევიდნენ ქორწილში და კარიც დაიხურა.
- ¹¹მოგვიანებით მოვიდნენ დანარჩენი ქალწულებიც და თქვეს: ‘უფალო, უფალო, გაგვიღე!’
- ¹²ხოლო მან მიუგო და თქვა: ‘ჭეშმარიტად გეუბნებით: არ გიცნობთ თქვენ!’
- ¹³მაშ, იფხიზლეთ, რადგან არ იცით არც დღე, არც საათი, როდის მოვა კაცის ძე.
- ¹⁴ასევე, მსგავსია ცათა სასუფეველი იმისა, რომ კაცმა, როდესაც გამგზავრებას დააპირებს, უხმოს თავის მონებს და ჩააბაროს თავისი ქონება.
- ¹⁵ერთს ხუთი ტალანტი მისცეს, მეორეს – ორი და სხვას – ერთი, თითოეულს მისი უნარის მიხედვით, და წავიდეს.
- ¹⁶ხუთი ტალანტის მიმღები მაშინვე წავიდეს, ივაჭროს და სხვა ხუთი მოიგოს.
- ¹⁷ასევე ორის მიმღებმაც კიდევ ორი სხვა მოიგოს.
- ¹⁸ხოლო რომელმაც ერთი მიიღო, წავიდეს, ამოთხაროს მიწა და დაფლას თავისი ბატონის ვერცხლი.
- ¹⁹კარგა ხნის შემდეგ მოვიდეს იმ მონების ბატონი და ანგარიში მოჰკითხოს მათ.
- ²⁰მოვიდეს ხუთი ტალანტის მიმღები, სხვა ხუთი ტალანტიც მოუტანოს და უთხრას: ‘ბატონო, ხუთი ტალანტი რომ ჩამაბარე, აჰა, სხვა ხუთი ტალანტი მოვიგე.’
- ²¹ეტყვის მას მისი ბატონი: ‘კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ! მცირედზე ერთგული იყავი, მრავალზე დაგაყენებ. შედი შენი ბატონის სიხარულში.’



²²მოვიდეს ორი ტალანტის მიმღები და უთხრას: ‘ბატონო, ორი ტალანტი რომ ჩამაბარე, აჰა, სხვა ორი ტალანტი მოვიგე.’

²³ეტყვის მას მისი ბატონი: ‘კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ! მცირედზე ერთგული იყავი, ბევრზე დაგაყენებ. შედი შენი ბატონის სიხარულში.’

²⁴მოვიდეს ისიც, რომელმაც ერთი ტალანტი მიიღო და უთხრას: ‘ბატონო, ვიცოდი, რომ სასტიკი ადამიანი ხარ: იმკი, სადაც არ დაგითესავს, და კრეფ, სადაც არ დაგიბნევია.’

²⁵შემეშინდა, წავედი და მიწაში დავფალი შენი ტალანტი. აჰა, შენი შენვე გქონდეს.’

²⁶მიუგებს მას მისი ბატონი და ეტყვის: ‘ბოროტო და ზარმაცო მონავ! შენ იცოდი, რომ ვიმკი, სადაც არ დამითესავს, და ვკრეფ, სადაც არ დამიბნევია.’

²⁷ამიტომ ჩემი ვერცხლი მოვაჭრეთათვის უნდა მიგეცა და დაბრუნებისას ჩემსას სარგებლითურთ მივიღებდი.

²⁸ამიტომ წაართვით მაგას ტალანტი და მიეცით ათი ტალანტის მქონეს.

²⁹რადგან ყველა მქონებელს მიეცემა და გაუმრავლდება, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს.

³⁰ეს უვარგისი მონა კი გააგდეთ გარესკნელის ბნელში. იქნება იქ მოთქმა და კბილთა ღრჭენა.’

³¹ხოლო როდესაც მოვა კაცის ძე თავისი დიდებით და ყველა მისი ანგელოზი მასთან ერთად, მაშინ დაჯდება თავისი დიდების ტახტზე.

³²და შეიკრიბება მის წინაშე ყოველი ერი და გამოარჩევს მათ ერთიმეორისაგან, როგორც მწყემსი არჩევს თხებს ცხვრებისაგან.

³³და დააყენებს ცხვრებს თავის მარჯვნივ და თხებს – მარცხნივ.

³⁴მაშინ ეტყვის მეფე თავის მარჯვნივ მდგომთ: ‘მოდით, ჩემი მამის კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ სამყაროს დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი.’

³⁵რადგან მშოიდა და საჰმელი მომეცით, მწყუროდა და მასვით, უცხო ვიყავი და მიმიღეთ,

³⁶შიშველი ვიყავი და შემმოსეთ, სნეული ვიყავი და მინახულეთ, საპყრობილეში ვიყავი და მომაკითხეთ.’

³⁷მაშინ მიუგებენ მას მართალნი და ეტყვიან: ‘უფალო, როდის გიხილეთ შენ მშოერი და დაგაპურეთ? ან მწყურვალი და გასვით?’



- ³⁸როდის გიხილეთ უცხო და მიგიღეთ? ან შიშველი და შეგმოსეთ?
- ³⁹როდის გიხილეთ შენ სნეული, ან საპყრობილეში მყოფი და მოგაკითხეთ?’
- ⁴⁰და მიუგებს მეფე და ეტყვის მათ: ‘ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს უმცირეს ძმათაგანს, მე გამიკეთეთ.’
- ⁴¹და მაშინ ეტყვის იმათაც, ვინც მარცხნივ: ‘წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისათვის.
- ⁴²რადგან მშვიოდა და საჭმელი არ მომეცით, მწყუროდა და არ მასვით,
- ⁴³უცხო ვიყავი და არ მიმიღეთ, შიშველი ვიყავი და არ შემმოსეთ, სნეული და საპყრობილეში მყოფი, და არ მინახულეთ.’
- ⁴⁴მაშინ ისინიც მიუგებენ და ეტყვიან: ‘უფალო, როდის გიხილეთ შენ მშვიერი ან მწყურვალი, ან უცხო, ან შიშველი, ან სნეული, ან საპყრობილეში მყოფი და არ გემსახურეთ?’
- ⁴⁵მაშინ მიუგებს მათ და ეტყვის: ‘ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: როგორც არაფერი გაუკეთეთ არც ერთს ამ უმცირესთაგანს, არც მე გამიკეთეთ.’
- ⁴⁶და წავლენ ესენი საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი – საუკუნო სიცოცხლეში.“

მათეს 26

- ¹როდესაც დაასრულა იესომ ყველა ეს სიტყვა, უთხრა თავის მოწაფეებს:
- ²„თქვენ იცით, რომ ორი დღის შემდეგ პასექი იქნება და კაცის ძე გადაეცემა ჯვარზე საცმელად.“
- ³მაშინ შეიკრიბნენ მღვდელმთავარნი და ხალხის უხუცესნი კაიაფას სახლში,
- ⁴და მოითათბირეს, რომ მზაკვრულად შეეპყროთ იესო და მოეკლათ.
- ⁵მაგრამ ამბობდნენ: „დღესასწაულზე არა, ხალხში შფოთი რომ არ ატყდეს.“
- ⁶ხოლო როდესაც იესო ბეთანიაში იყო, სიმონ კეთროვანის სახლში,
- ⁷მივიდა მასთან ერთი ქალი, მოიტანა ძვირფასი ნელსაცხებელი ალბასტრონის ჭურჭლით და ინახად მჯდომს თავზე დაასხა.
- ⁸მოწაფეებმა რომ დაინახეს, აღშფოთდნენ და თქვეს: „ასე ფუჭად რატომ დახარჯა?



⁹რადგან შეიძლებოდა ამ ნელსაცხებლის გაყიდვა კარგ ფასად და ღარიბებისათვის დარიგება.“

¹⁰ხოლო იესო მიხვდა ამას და უთხრა მათ: „რატომ აწბილებთ ამ ქალს? მან ხომ კეთილი საქმე გააკეთა ჩემთვის?“

¹¹რადგან ღარიბნი მუდამ თქვენთან გყავთ, მე კი მუდამ არ გეყოლებით.

¹²ეს ნელსაცხებელი რომ დაასხა ჩემს სხეულს, დასამარხად მომამზადა მე.

¹³ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სადაც კი იქადაგება ეს სახარება მთელ ქვეყნიერებაზე, ნათქვამი იქნება მის მოსაგონებლად ისიც, რაც მან გააკეთა.“

¹⁴მაშინ წავიდა ერთი იმ თორმეტთაგანი, იუდა, ისკარიოტელად წოდებული, მღვდელმთავრებთან

¹⁵და უთხრა: „რას მომცემთ, რომ გადმოგცეთ იგი?“ და მიუწონეს მას ვი ვერცხლი.

¹⁶მას აქეთ ეძებდა მარჯვე შემთხვევას, რომ გაეცა იგი.

¹⁷უფუარობის პირველ დღეს მივიდნენ მოწაფეები იესოსთან და უთხრეს მას: „სად გინდა, რომ მოგიმზადოთ საჭმელად პასექი?“

¹⁸მან უთხრა: „წადით ქალაქში ამა და ამ კაცთან და უთხარი, ასე ამბობს მოძღვარი: ‘ჩემი ჟამი მოახლოებულია, შენთან აღვასრულებ პასექს ჩემს მოწაფეებთან ერთად.’“

¹⁹და მოწაფეებმაც ისე გააკეთეს, როგორც იესომ უბრძანა, და მოამზადეს პასექი.

²⁰რომ მოსაღამოვდა, დაჯდა თორმეტ მოწაფესთან ერთად.

²¹და როდესაც ჭამდნენ, თქვა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ერთი თქვენგანი გამცემს მე.“

²²მალიან შეწუხდნენ და ყველამ სათითაოდ დაუწყო კითხვა: „მე ხომ არა, უფალო?“

²³მან მიუგო და უთხრა: „ვინც ჩემთან ერთად ხელს ჩააწოხს ჯამში, ის გამცემს.“

²⁴კაცის მე კი მიდის, როგორც დაწერილია მასზე, მაგრამ ვაი იმ კაცს, ვის მიერაც გაიცემა კაცის მე. უჯობდა იმ კაცს, არ დაბადებულიყო.“

²⁵მიუგო იუდამ, მისმა გადამცემმა, და უთხრა: „მე ხომ არა ვარ, რაბი?“ უთხრა მას: „შენ თქვი!“



²⁶ხოლო როდესაც ჭამდნენ, აიღო იესომ პური, აკურთხა, დატეხა და მისცა მოწაფეებს და თქვა: „აიღეთ, ჭამეთ. ეს არის ჩემი სხეული.“

²⁷აიღო სასმისი, მადლი შესწირა, მისცა მათ და უთხრა: „შესვით ყველამ აქედან,

²⁸რადგან ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად.

²⁹გეუბნებით თქვენ: ამიერიდან აღარ შევსვამ ამ ვაზის ნაყოფისაგან იმ დღემდე, როდესაც თქვენთან ერთად შევსვამ ახალს მამაჩემის სამეფოში.“

³⁰და იგალობეს და გავიდნენ ზეთისხილის მთისაკენ.

³¹მაშინ ეუბნება მათ იესო: „თქვენ ყველანი დაექვდებით ამაღამ ჩემში, რადგან დაწერილია: ‘დავცემ მწყემსს და გაიფანტებიან სამწყსოს ცხვრები.’

³²ხოლო ჩემი აღდგომის შემდეგ გაგიძღვებით წინ გალილეისაკენ.“

³³მიუგო პეტრემ და უთხრა მას: „ყველანი რომ დაექვდნენ შენში, მე არასოდეს დავექვდები.“

³⁴უთხრა მას იესომ: „ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ამაღამ, სანამ მამალი იყივლებდეს, სამჯერ უარმოყოფ მე.“

³⁵ეუბნება მას პეტრე: „მოკვდები შენთან ერთად და არ უარყოფ.“ ასევე ამბობდა ყველა მოწაფე.

³⁶მაშინ წავიდა იესო მათთან ერთად იმ ადგილას, რომელსაც გეთსემანია ჰქვია, და ეუბნება მოწაფეებს: „აქ ისხედით, სანამ იქ წავალ და ვილოცებ.“

³⁷და თან წაიყვანა პეტრე და ზებედეს ორივე ძე, და იწყო წუხილი და ურვა.

³⁸მაშინ ეუბნება მათ: „დამწუხრებულია ჩემი სული სასიკვდილოდ. დარჩით აქ და იფხიზლეთ ჩემთან ერთად.“

³⁹და მცირედი რომ გაიარა, პირქვე დაემხო, ლოცულობდა და ამბობდა: „მამაო ჩემო, თუ შესაძლებელია, ამარიდე ეს სასმისი; მაგრამ არა როგორც მე მსურს, არამედ როგორც შენ.“

⁴⁰და მივიდა მოწაფეებთან და ჰპოვა ისინი მძინარენი და უთხრა პეტრეს: „ნუთუ ვერ შესძელით ერთ საათს გეფხიზლათ ჩემთან ერთად?

⁴¹იფხიზლეთ და ილოცეთ, რომ არ ჩავარდეთ განსაცდელში. სული მხნეა, ხორცი კი უძლური.“

⁴²კვლავ წავიდა, ლოცულობდა და ამბობდა: „მამაო ჩემო, თუ შეუძლებელია ამარიდო ეს სასმისი, რომ არ შევსვა იგი, იყოს ნება შენი.“



⁴³და მივიდა და კვლავ მძინარენი ჰპოვა ისინი, რადგან თვალები დამძიმებოდათ.

⁴⁴და მიატოვა ისინი, კვლავ წავიდა და მესამედ ილოცა, და კვლავ იგივე სიტყვები წარმოთქვა.

⁴⁵მაშინ მივიდა მოწაფეებთან და ეუბნება მათ: „თქვენ ისევ გძინავთ და განისვენებთ? აჰა, მოახლოვდა ჟამი და კაცის ძე გადაეცემა ცოდვილებს ხელში.“

⁴⁶ადექით, წავიდეთ, აჰა, მოახლოვდა ჩემი გამცემი.“

⁴⁷და ჯერ სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ აჰა, მოვიდა იუდა, ერთი თორმეტთაგანი, და მასთან ერთად დიდძალი ხალხი მახვილებით და კეტებით – მღვდელმთავართაგან და ხალხის უხუცესთაგან.

⁴⁸ხოლო მისმა გამცემმა მისცა მათ ნიშანი და უთხრა: „ვისაც მე ვეამბორები, ის არის და შეიპყარით!“

⁴⁹და მყისვე მივიდა იესოსთან და უთხრა: „გიხაროდეს, რაბი!“ და ეამბორა.

⁵⁰ხოლო იესომ უთხრა მას: „რისთვის მოსულხარ, მეგობარო?“ მაშინ მივიდნენ, დაადეს ხელი იესოს და შეიპყრეს.

⁵¹და, აჰა, ერთ-ერთმა იესოსთან მყოფმა ხელი მიჰყო, იშიშვლა მახვილი, დაჰკრა მღვდელმთავრის მონას და ყური ჩამოათალა.

⁵²მაშინ ეუბნება მას იესო: „ჩააბრუნე მახვილი თავის ადგილას, რადგან ყველა, ვინც მახვილს აიღებს, მახვილითვე დაიღუპება.“

⁵³იქნებ გგონია, არ შემიძლია შევევედრო ჩემს მამას და ახლავე გამომიგზავნის ანგელოზთა თორმეტ ლეგიონს და მეტსაც?

⁵⁴მაშ როგორ აღსრულდეს წერილი, ეს რომ არ მოხდეს?“

⁵⁵იმ ჟამს უთხრა იესომ ხალხს: „მახვილებითა და კეტებით გამოხვედით ჩემს შესაპყრობად, როგორც ავაზაკზე. ყოველდღე ტაძარში ვიჯექი და ვასწავლიდი, და არ შეგიპყრივართ.“

⁵⁶მაგრამ ყოველივე ეს მოხდა, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველთა წერილები.“ მაშინ ყველა მოწაფემ მიატოვა იგი და გაიქცა.

⁵⁷იესოს შემპყრობლებმა კი წაიყვანეს იგი მღვდელმთავარ კაიაფასთან, სადაც თავი მოეყარათ მწიგნობრებსა და უხუცესებს.

⁵⁸ხოლო პეტრე მოშორებით მიჰყვებოდა მას მღვდელმთავრის ეზომდე. შევიდა შიგნით და მსახურებთან დაჯდა, რათა ენახა ბოლო.



⁵⁹მღვდელმთავარნი და მთელი სინედრიონი ეძებდნენ ცრუმოწმობას იესოს წინააღმდეგ, რათა მოეკლათ იგი

⁶⁰და ვერ პოულობდნენ, თუმცა ბევრი ცრუმოწმე მოდიოდა. ბოლოს მოვიდნენ ორნი

⁶¹და თქვეს: „ეს ამბობდა: “შემიძლია ღმერთის ტაძარი დავანგრეო და სამ დღეში ავაშენო.”“

⁶²მაშინ წამოდგა მღვდელმთავარი და უთხრა მას: „არაფერს უპასუხებ, რასაც ესენი შენს წინააღმდეგ მოწმობენ?“

⁶³იესო დუმდა. მაშინ მღვდელმთავრმა უთხრა მას: „ცოცხალ ღმერთს გაფიცებ, გვითხარი, შენა ხარ ქრისტე, ძე ღმერთისა?“

⁶⁴ეუბნება მას იესო: „შენ თქვი.“ მაგრამ მე გეუბნებით თქვენ: „ამიერიდან იხილავთ კაცის ძეს, ძალის მარჯვნივ მჯდომარეს და ცის ღრუბლებზე მომავალს.“

⁶⁵მაშინ მღვდელმთავარმა შემოიხია სამოსი და თქვა: „მან ჰგმო. რაღად გვინდა მოწმენი? აჰა, ახლა გაიგონეთ გმობა.

⁶⁶რას ფიქრობთ?“ ხოლო მათ მიუგეს და უთხრეს: „სიკვდილის ღირსია.“

⁶⁷მაშინ აფურთხეს სახეში და სცემეს, ზოგიერთებმა სილა გააწნეს

⁶⁸და ეუბნებოდნენ: „გვიწინასწარმეტყველე, ქრისტე, ვინ გაგარტყა?“

⁶⁹პეტრე კი იჯდა გარეთ, ეზოში და მივიდა მასთან ერთი მხევალი და უთხრა: „შენც იესო გალილეველთან იყავი.“

⁷⁰მან კი უარყო ყველას წინაშე და თქვა: „არ ვიცი, რას ამბობ.“

⁷¹როდესაც კარიბჭიდან გამოდიოდა, სხვამ დაინახა და ეუბნება იქ მყოფთ: „ესეც იესო ნაზარეველთან იყო.“

⁷²და კვლავ უარყო ფიცით: „არ ვიცნობ ამ კაცს.“

⁷³მცირე ხნის შემდეგ მიუახლოვდნენ იქ მდგომნი და უთხრეს პეტრეს: „ნამდვილად შენც მათგანი ხარ, რადგან შენი კილო გამხილებს შენ.“

⁷⁴მაშინ იწყო თავის თავის წყევლა და ფიცილი: „არ ვიცნობ ამ კაცს.“ და მყისვე იყივლა მამალმა.

⁷⁵და გაახსენდა პეტრეს იესოს ნათქვამი სიტყვა: „სანამ მამალი იყივლებდეს, სამჯერ უარმოყოფ მე.“ გამოვიდა გარეთ და მწარედ ატირდა.

მათეს 27



- ¹გათენებისას ყველა მღვდელმთავარმა და ხალხის უხუცესმა ითათბირა იესოს წინააღმდეგ და გადაწყვიტეს, რომ მოეკლათ იგი.
- ²და შეკრეს იგი, წაიყვანეს და გადასცეს პილატეს – გამგებელს.
- ³როდესაც დაინახა იუდამ, მისმა გამცემმა, რომ მას მსჯავრი დასდეს, ინანა და უკან დაუბრუნა ვი ვერცხლი მღვდელმთავრებს და უხუცესებს,
- ⁴და თქვა: „შევცოდე, – უბრალო სისხლი გავეცი.“ მათ კი უთხრეს: „ჩვენ რა? შენ იცი.“
- ⁵და დაყარა ვერცხლი ტაძარში, გამორდა, წავიდა და თავი ჩამოიხრჩო.
- ⁶მღვდელმთავრებმა აიღეს ვერცხლი და თქვეს: „არ ეგების ტაძრის საგანძურში ამის დადება, რადგან სისხლის საფასურია.“
- ⁷მოითათბირეს და იყიდეს ამ ვერცხლით მეთუნის მინდორი უცხოთა დასამარხად.
- ⁸ამის გამო იმ მინდორს დღემდე ეწოდება სისხლის მინდორი.
- ⁹მაშინ აღსრულდა წინასწარმეტყველი იერემიას მიერ ნათქვამი, რომელმაც თქვა: „და აიღეს ვი ვერცხლი, ფასი შეფასებულისა, რომელიც შეფასდა ისრაელის ძეთა მიერ,
- ¹⁰და მისცეს იგი მეთუნის მინდორში, როგორც მიბრძანა მე უფალმა.“
- ¹¹ხოლო იესო წარსდგა გამგებლის წინაშე და ჰკითხა მას გამგებელმა: „შენა ხარ იუდეველთა მეფე?“ იესომ უთხრა: „შენ ამბობ.“
- ¹²და როდესაც ბრალს სდებდნენ მას მღვდელმთავარნი და უხუცესები, არაფერს პასუხობდა.
- ¹³მაშინ ეუბნება მას პილატე: „არ გესმის, რამდენს მოწმობენ შენს წინააღმდეგ?“
- ¹⁴და არც ერთ მის სიტყვაზე არ უპასუხია, ისე რომ ძალიან უკვირდა გამგებელს.
- ¹⁵დღესასწაულზე ჩვეულებად ჰქონდა გამგებელს – ათავისუფლებდა პატიმარს, რომელსაც ხალხი მოისურვებდა.
- ¹⁶იყო მაშინ ცნობილი პატიმარი, ბარაბად წოდებული.
- ¹⁷როდესაც მათ თავი მოიყარეს, უთხრა მათ პილატემ: „ვინ გსურთ, რომ გაგითავისუფლოთ: ბარაბა თუ იესო, ქრისტედ წოდებული?“
- ¹⁸რადგან იცოდა, რომ შურიტ გასცეს იგი.



¹⁹ხოლო როდესაც ის სამსჯავროს ტახტზე იჯდა, მისმა ცოლმა გაუგზავნა და უთხრა: „არაფერი უყო მაგ მართალს, რადგან მე დღეს სიზმარში ბევრი ვიტანჯე მაგის გამო.“

²⁰ხოლო მღვდელმთავრებმა და უხუცესებმა დაარწმუნეს ხალხი, რომ ბარაბა გამოეთხოვათ, იესო კი დაედუპათ.

²¹მიუგო გამგებელმა და უთხრა მათ: „ამ ორიდან რომელი გსურთ, რომ გაგიტავისუფლოთ?“ მათ უთხრეს: „ბარაბა.“

²²ეუბნება მათ პილატე: „იესოს რაღა ვუყო, ქრისტედ წოდებულს?“ ყველამ თქვა: „ჯვარს ეცვას!“

²³ხოლო მან თქვა: „რა ბოროტება ჩაუდენია?“ მაგრამ ისინი დაჟინებით ყვიროდნენ: „ჯვარს ეცვას!“

²⁴როდესაც პილატემ დაინახა, რომ ვერაფერს შველის, არამედ შფოთიც კი იწყება, აიღო წყალი, დაიბანა ხელები ხალხის წინაშე და თქვა: „უბრალო ვარ ამ მართლის სისხლისაგან. თქვენ იცით.“

²⁵მიუგო მთელმა ხალხმა და უთხრა: „ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგის სისხლი.“

²⁶მაშინ გაუთავისუფლა მათ ბარაბა, ხოლო იესო გაამათრახებინა და გადასცა, რომ ჯვარს ეცვათ იგი.

²⁷მაშინ გამგებლის ჯარისკაცებმა წაიყვანეს იესო სამსჯავროში და თავს მთელი რაზმი დაახვიეს.

²⁸და განძარცვეს იგი და მოწეულის მოსასხამით შემოსეს.

²⁹და დაწნეს ეკლის გვირგვინი, დაადგეს მას თავზე და მარჯვენა ხელში ლერწმის კვერთხი მისცეს. მის წინაშე მუხლს იყრიდნენ, დასცინოდნენ და ეუბნებოდნენ: „გიხაროდეს, იუდეველთა მეფეო!“

³⁰და აფურთხებდნენ მას. აიღეს ლერწამი და ურტყამდნენ თავში.

³¹დაცინვით რომ გული იჯერეს, გახადეს მოსასხამი, ჩააცვეს მისივე სამოსი და წაიყვანეს, რომ ჯვარს ეცვათ.

³²და როდესაც გამოდიოდნენ, პოვეს კვირინელი კაცი, სახელად სიმონი, და აიძულეს წამოეღო მისი ჯვარი.

³³და მივიდნენ ადგილას, რომელსაც ჰქვია გოლგოთა, რაც ნიშნავს თხემის ადგილს.

³⁴მისცეს მას ნაღველნარევი ღვინო სასმელად და რომ იგემა, შესმა არ ინდომა.



³⁵ჯვარს რომ აცვეს, წილის ყრით გაიყვეს მისი სამოსელი.

³⁶და დასხდნენ იქ და დარაჯობდნენ მას.

³⁷და დაუდგეს თავს ზემოთ წარწერა ბრალდებით: ეს არის იესო, იუდეველთა მეფე.

³⁸მაშინ მასთან ერთად ჯვარს აცვეს ორი ავაზაკი: ერთი მარჯვნივ და ერთი მარცხნივ.

³⁹გამვლელები კი თავს აქნევდნენ და გმობდნენ მას.

⁴⁰და ამბობდნენ: „ტაძრის დამანგრეველო და სამ დღეში ამშენებელო, იხსენი შენი თავი. თუ ღმერთის ძე ხარ, გადმოდი ჯვრიდან.“

⁴¹ასევე მღვდელმთავარნი მწიგნობრებთან და უხუცესებთან ერთად დასცინოდნენ და ამბობდნენ:

⁴²„სხვებს იხსნიდა, საკუთარი თავის ხსნა კი არ შეუძლია. თუ ისრაელის მეფეა, გადმოვიდეს ჯვრიდან და ვიწამებთ მას.“

⁴³ღმერთს იყო მინდობილი და იხსნას იგი ახლა, თუ ნებავს, რადგან ამბობდა, ღმერთის ძე ვარო.

⁴⁴და მასთან ჯვარცმული ავაზაკებიც ლანძღავდნენ მას.

⁴⁵მეექვსე საათიდან ცხრა საათამდე ბნელმა მოიცვა მთელი დედამიწა.

⁴⁶მეცხრე საათი იქნებოდა, როდესაც შესძახა იესომ დიდი ხმით: „ელი, ელი! ლამა საბაქთანო?“ რაც ნიშნავს: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?“

⁴⁷იქ მდგომთაგან ზოგიერთებმა გაიგეს და თქვეს, ელიას უხმობსო.

⁴⁸და მყისვე გაიქცა ერთი მათგანი, აიღო ღრუბელი, ძმრით გაჟღინთა, წამოაგო ლერწამზე და მიაწოდა სასმელად.

⁴⁹დანარჩენები კი ამბობდნენ: „მოიცათ, ვნახოთ, თუ მოვა ელია მის გამოსახსნელად.“

⁵⁰ხოლო იესომ კვლავ შესძახა დიდი ხმით და განუტევა სული.

⁵¹და, აჰა, ტაძრის ფარდა გაიხა ორად მაღლიდან დაბლამდე, და შეიძრა დედამიწა, და კლდეები დასკდა.

⁵²და სამარხები გაიხსნა და ბევრი განსვენებული წმიდის სხეული აღდგა.

⁵³და გამოვიდნენ სამარხებიდან მისი აღდგომის შემდეგ და შევიდნენ წმიდა ქალაქში და ბევრს ეჩვენნენ.



⁵⁴ხოლო ასისტავსა და მათ, ვინც მასთან ერთად დარაჯობდა იესოს, მიწისძვრა და ყოველივე მომხდარი რომ ნახეს, მეტისმეტად შეეშინდათ და თქვეს: „ეს ჭეშმარიტად ღმერთის ძე იყო.“

⁵⁵იქ იყო აგრეთვე შორიდან მაყურებელი მრავალი ქალი, რომლებიც გალილეიდან მოჰყვებოდნენ იესოს და ემსახურებოდნენ მას.

⁵⁶მათ შორის იყვნენ მარიამ მაგდალელი, მარიამი, იაკობისა და იოსების დედა და ზებედეს ძეთა დედა.

⁵⁷და როდესაც მოსაღამოვდა, მოვიდა მდიდარი კაცი არიმათიიდან, სახელად იოსები, რომელიც აგრეთვე დაემოწაფა იესოს.

⁵⁸მივიდა იგი პილატესთან და გამოითხოვა იესოს სხეული. მაშინ პილატემ ბრძანა, მიეცათ.

⁵⁹და აიღო იოსებმა სხეული და შეახვია იგი სუფთა ტილოში.

⁶⁰და დაასვენა იგი თავის ახალ სამარხში, რომელიც კლდეში იყო გამოკვეთილი. სამარხის კარზე ლოდი მიაგორა და წავიდა.

⁶¹იქვე იყვნენ მარიამ მაგდალელი და სხვა მარიამი, რომლებიც სამარხის პირდაპირ ისხდნენ.

⁶²მეორე დღეს, რომელიც მოსდევს პარასკევს, მღვდელმთავარნი და ფარისეველნი შეიკრიბნენ პილატესთან

⁶³და თქვეს: „ბატონო, გაგვახსენდა, რომ იმ მატყუარამ, სანამ ცოცხალი იყო, თქვა: სამი დღის შემდეგ აღვდგებიო.

⁶⁴ამიტომ უბრძანე, მესამე დღემდე უდარაჯონ სამარხს, რომ არ მოვიდნენ მოწაფეები, არ მოიპარონ იგი და ხალხს არ უთხრან: მკვდრეთით აღდგაო. და უკანასკნელი ტყუილი პირველზე უარესი იქნება.“

⁶⁵უთხრა მათ პილატემ: „გყავთ თქვენ დარაჯები. წადით და დაიცავით, როგორც იცით.“

⁶⁶ისინი წავიდნენ და დაიცვეს სამარხი: დაბეჭდეს ლოდი და დარაჯები დაუყენეს.

მათეს 28

¹შაბათის გასულს, ერთშაბათის განთიადისას, მივიდნენ სამარხის სანახავად მარიამ მაგდალელი და სხვა მარიამი.

²და, აჰა, მოხდა დიდი მიწისძვრა; უფლის ანგელოზი გადმოვიდა ციდან, მივიდა, გადააგორა ლოდი და ზედ დაჯდა.



- ³მისი შესახედაობა ელვასავით იყო და მისი სამოსი – თოვლივით სპეტაკი.
- ⁴მისი შიშით შეძრწუნდნენ მცველები და მკვდრეზივით გახდნენ.
- ⁵მიუგო ანგელოზმა და უთხრა ქალებს: „ნუ გეშინიათ, ვიცი, რომ ჯვარცმულ იესოს ეძებთ.“
- ⁶აქ არ არის, აღდგა, როგორც თქვა. მოდით, ნახეთ ადგილი, სადაც ესვენა.
- ⁷და სასწრაფოდ წადით და უთხარით მის მოწაფეებს, რომ იგი აღდგა მკვდრეთით და, აჰა, წინ მიგიძღვით გალილეისაკენ. იქ ნახავთ მას. აჰა, გითხარით თქვენ.
- ⁸და სწრაფად გამოეშურნენ სამარხიდან შიშით და დიდი სიხარულით, და გაიქცნენ, რომ ეცნობებინათ მისი მოწაფეებისათვის.
- ⁹და, აჰა, იესო შემოხვდა მათ და უთხრა: „გიხაროდეთ!“ ისინი მივიდნენ, ფეხებზე მოეხვივნენ და თაყვანი სცეს მას.
- ¹⁰მაშინ ეუბნება მათ იესო: „ნუ გეშინიათ, წადით და აუწყეთ ჩემს ძმებს, რომ წავიდნენ გალილეას და იქ მნახავენ.“
- ¹¹და როდესაც ისინი მიდიოდნენ, აჰა, დარაჯთაგან ზოგიერთები მივიდნენ ქალაქში და აუწყეს მღვდელმთავრებს ყოველივე, რაც მოხდა.
- ¹²და შეიკრიბნენ ისინი უხუცესებთან ერთად, მოითათბირეს და დიდძალი ვერცხლი მისცეს ჯარისკაცებს
- ¹³და უთხრეს: „თქვით, რომ მისი მოწაფეები მოვიდნენ ღამით და მოიპარეს იგი, როცა თქვენ გეძინათ.
- ¹⁴და თუ ამას გამგებელი გაიგებს, ჩვენ დავარწმუნებთ მას და აგარიდებთ უსიამოვნებას.“
- ¹⁵მათაც აიღეს ვერცხლი და ისე მოიქცნენ, როგორც დაარიგეს. და გავრცელდა ეს ნათქვამი იუდეველებს შორის დღევანდელ დღემდე.
- ¹⁶ხოლო 11 მოწაფე წავიდა გალილეაში, იმ მთაზე, რომელზედაც იესომ მიუთითა მათ.
- ¹⁷და ნახეს იგი და თაყვანი სცეს, ზოგი კი ეჭვობდა.
- ¹⁸და მივიდა იესო, დაელაპარაკა მათ და უთხრა: „მე მომეცა მთელი ხელმწიფება ცაში და მიწაზე.
- ¹⁹ახლა წადით და მოიმოწაფეთ ყველა ერი, მონათლეთ ისინი მამისა და მისა და სულიწმიდის სახელით.



²⁰ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. და, აჰა, მე თქვენთან ვარ მარადჟამს საუკუნის აღსასრულამდე.“



მარკოზის სახარება

მარკოზის 1

- ¹დასაწყისი სახარებისა იესო ქრისტესი, ღმერთის ძისა.
- ²როგორც დაწერილია ესაია წინასწარმეტყველში: „აჰა, მოვაველენ შენი პირისახის წინაშე ჩემს ანგელოზს, რომელიც მოგიმზადებს შენ გზას.
- ³ხმა მღალაღებლისა უდაბნოში: ‘განუმზადეთ გზა უფალს, გაასწორეთ მისი ბილიკები.’“
- ⁴იოანე ნათლისმცემელი უდაბნოში იყო და ქადაგებდა სინანულის ნათლისღებას ცოდვათა მისატყვევლად.
- ⁵და გამოდიოდა მასთან მთელი იუდეის მხარე და ყველა იერუსალიმელი და ინათლებოდნენ მისგან მდინარე იორდანეში და აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს.
- ⁶ხოლო იოანეს ემოსა აქლემის ბეწვი და წელზე ტყავის სარტყელი ერტყა. და მკალი და ველური თაფლი იყო მისი საჭმელი.
- ⁷ქადაგებდა და ამბობდა: „ჩემს შემდეგ მოდის ჩემზე უძლიერესი, ვის წინაშეც არა ვარ ღირსი, რომ დავიხარო და შევუხსნა მას ფეხსაცმლის თასმა.
- ⁸მე მოგნათლეთ წყლით, ის კი მოგნათლავთ სული წმიდით.“
- ⁹იმ დღეებში მოვიდა იესო გალილეის ნაზარეთიდან და მოინათლა იორდანეში იოანეს მიერ.
- ¹⁰და მყისვე, როდესაც წყლიდან ამოდიოდა, იხილა გახსნილი ცა და სული, მტრედვიტ გარდამომავალი მასზე.
- ¹¹და ხმა იყო ციდან: „შენ ხარ ძე ჩემი საყვარელი, შენში არის ჩემი სათნოება.“
- ¹²და მყისვე გაიყვანა იგი სულმა უდაბნოში.
- ¹³და იყო უდაბნოში 40 დღე და გამოიცდებოდა სატანისაგან. და იყო მხეცებთან და ანგელოზები ემსახურებოდნენ მას.
- ¹⁴ხოლო მას შემდეგ, რაც იოანე გადაცემულ იქნა, მივიდა იესო გალილეაში, ქადაგებდა ღმერთის სახარებას
- ¹⁵და ამბობდა: „აღსრულდა ჟამი და მოახლოვდა ღმერთის სასუფეველი. მოინანიეთ და იწამეთ სახარება.“



¹⁶და როდესაც გალილეის ზღვის პირას დადიოდა, დაინახა სიმონი და სიმონის ძმა ანდრია, რომლებიც ზღვაში ბადეს ისროდნენ, რადგან მებადურები იყვნენ.

¹⁷და უთხრა მათ იესომ: „გამომყევით მე და ადამიანთა მებადურებად გაგხდით.“

¹⁸და მყისვე მიატოვეს ბადეები და გაჰყვნენ მას.

¹⁹და გაიარა მცირედი და დაინახა იაკობ ზებედეს ძე და მისი ძმა იოანე, რომლებიც ნავში ბადეებს აწესრიგებდნენ.

²⁰და მყისვე დაუძახა მათ. და მათაც მიატოვეს თავიანთი მამა ზებედე ნავში მყოფ დაქირავებულ კაცებთან ერთად და გაჰყვნენ მას.

²¹და მივიდნენ კაპერნაუმს და მაშინვე, შაბათ დღეს, ის შევიდა სინაგოგაში, და ასწავლიდა.

²²და გაოცებულნი იყვნენ მისი მოძღვრებით, რადგან ასწავლიდა მათ, როგორც ხელმწიფების მქონე და არა როგორც მწიგნობარნი.

²³და უეცრად იყვირა მათ სინაგოგაში მყოფმა, უწმიდური სულით შეპყრობილმა კაცმა:

²⁴„რა გინდა ჩემგან, იესო ნაზარეტელი? ჩვენს დასალუპად მოხვედი? გიცნობ, ვინც ხარ, ღმერთის წმიდავ.“

²⁵და შერისხა იგი იესომ და უთხრა: „გაჩუმდი და გადი მაგისგან.“

²⁶და შეანჯღრია იგი უწმიდურმა სულმა, იყვირა დიდი ხმით და გამოვიდა მისგან.

²⁷და განცვიფრდნენ ყველანი, და ეკითხებოდნენ ერთმანეთს: „რა არის ეს? ახალი მოძღვრება ხელმწიფებით! უწმიდურ სულებსაც კი უბრძანებს და ისინი ემორჩილებიან მას!“

²⁸და მოედო მისი ამბავი მყისვე გალილეის მთელ მხარეს.

²⁹სინაგოგიდან რომ გამოვიდა, სიმონისა და ანდრიას სახლში მივიდა იოანესთან და იაკობთან ერთად.

³⁰სიმონის სიდედრი იწვა სიცხით შეპყრობილი. და მაშინვე უთხრეს მას მასზე.

³¹მივიდა, მოჰკიდა ხელი და წამოაყენა. და გაუარა მას სიცხემ და ემსახურებოდა მათ.

³²სადამო ჟამს, მზის ჩასვლისას, მიუყვანეს მას ყველა, ვინც კი სნეული და ეშმაკეული იყო.



³³და მთელი ქალაქი შეკრებილი იყო კართან.

³⁴მრავალი სნეული განკურნა სხვადასხვა სენისაგან, ბევრი ეშმაკი განდევნა და ნებას არ აძლევდა ეშმაკებს, ეთქვათ, რომ იცნობდნენ მას.

³⁵განთიადამდე, ჯერ კიდევ ღამით, ადგა, გავიდა და წავიდა უდაბურ ადგილას, და იქ ლოცულობდა.

³⁶და გაედევნენ მას სიმონი და მასთან მყოფნი.

³⁷და იპოვეს იგი და უთხრეს: „ყველა შენ გეძებს.“

³⁸ეუბნება მათ: „წავიდეთ სხვაგან ახლომახლო დაბებში, რათა იქაც ვიქადაგო, რადგან ამისათვის ვარ მოსული.“

³⁹და დადიოდა მთელ გალილეაში, ქადაგებდა მათ სინაგოგებში და დევნიდა ეშმაკებს.

⁴⁰მივიდა მასთან ერთი კეთროვანი, მუხლი მოიყარა მის წინ, შეევედრა და უთხრა: „თუ გსურს, შეგიძლია ჩემი განწმედა.“

⁴¹შეეცოდა იგი, გაიწოდა ხელი, შეახო მას და უთხრა: „მსურს, განიწმიდე!“

⁴²და მყისვე მოშორდა კეთრი მას და განიწმიდა.

⁴³და მკაცრად გააფრთხილა იგი და მაშინვე გაუშვა,

⁴⁴უთხრა რა მას: „უყურე, არავის უთხრა, არამედ წადი და ეჩვენე მღვდელს და შესწირე შენი განწმედისათვის, რაც ბრძანა მოსემ, მათთვის დასამოწმებლად.“

⁴⁵მაგრამ მან კი, როდესაც გავიდა, დაიწყო ქადაგება და ისე ცნობილი გახდა ეს ამბავი, რომ იესო ცხადად ვეღარ შედიოდა ქალაქში, არამედ გარეთ, უდაბურ ადგილებში იმყოფებოდა. და ყოველი მხრიდან მიდიოდნენ მასთან.

მარკოზის 2

¹რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მივიდა კაპერნაუმში და როდესაც ხმა დაირხა, რომ სახლში იყო,

²იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ არც სახლში და არც კარის წინ ტევა არ იყო. და ეუბნებოდა მათ სიტყვას.

³და მოვიდნენ და მოიყვანეს დამბლადაცემული, რომელიც ოთხ კაცს მოჰყავდა.



⁴და რომ ვერ შეძლეს მასთან მიყვანა ხალხის გამო, გადახადეს სახლს სახურავი და ჩაუშვეს საწოლი, რომელზეც დამბლადაცემული იწვა, იქ, სადაც ის იყო.

⁵დაინახა იესომ მათი რწმენა და ეუბნება დამბლადაცემულს: „შვილო, მოგეტევა შენი ცოდვები!“

⁶ისხდნენ იქ ზოგიერთნი მწიგნობართაგან და გულში ფიქრობდნენ:

⁷„რატომ ლაპარაკობს ასე? ღმერთს გმობს. ვის შეუძლია ცოდვების მიტევება ერთი ღმერთის გარდა?“

⁸მაშინვე მიხვდა იესო თავისი სულით, რასაც თავისთვის ფიქრობდნენ ისინი, და უთხრა მათ: „რად ფიქრობთ გულში ასე?“

⁹რა უფრო ადვილია – თქმა დამბლადაცემულისთვის: ‘შენი ცოდვები მოგეტევა,’ თუ თქმა: ‘ადექი, აილე შენი საწოლი და გაიარე’?

¹⁰ხოლო, რათა იცოდეთ, რომ კაცის ძეს აქვს დედამიწაზე ცოდვების მიტევების ხელმწიფება“ – ეუბნება დამბლადაცემულს:

¹¹„გეუბნები შენ, ადექი, აილე შენი საწოლი და წადი შენს სახლში!“

¹²და ადგა იგი, მყისვე აიღო თავისი საწოლი და გამოვიდა ყველას თვალწინ. ყველა განცვიფრდა, ადიდებდნენ ღმერთს და ამბობდნენ: „არასოდეს გვინახავს მსგავსი რამ.“

¹³და კვლავ გავიდა ზღვაზე. მთელი ხალხი მიდიოდა მასთან და იქ ასწავლიდა მათ.

¹⁴და როდესაც მიდიოდა, დაინახა საბაჟოსთან მჯდომარე ლევი ალფესი და ეუბნება: „გამომყევი მე.“ და ისიც ადგა და გაჰყვა მას.

¹⁵და როდესაც ინახით იჯდა მის სახლში, იესოსთან და მის მოწაფეებთან ერთად იჯდა ბევრი მებაჟე და ცოდვილი, რადგან მრავალი იყო იქ, ვინც გაჰყვა მას.

¹⁶როდესაც ფარისეველთა მწიგნობრებმა დაინახეს, რომ ის მებაჟეებთან და ცოდვილებთან ერთად ჭამდა, უთხრეს მის მოწაფეებს: „რატომ ჭამს მებაჟეებთან და ცოდვილებთან ერთად?“

¹⁷გაიგონა ეს იესომ და ეუბნება მათ: „ჯანმრთელებს კი არ სჭირდებათ მკურნალი, არამედ სნეულებს. მართალთა მოსახმობად კი არ მოვსულვარ, არამედ ცოდვილთა.“

¹⁸და მარხულობდნენ იოანეს მოწაფეები და ფარისეველნი. და მივიდნენ მასთან და უთხრეს: „რატომაა, რომ იოანეს მოწაფეები და ფარისეველთა მოწაფეები მარხულობენ, შენი მოწაფეები კი არ მარხულობენ?“



¹⁹უთხრა მათ იესომ: „განა შეუძლიათ მარხვა მექორწილებს, ვიდრე სიძე მათთან არის? ვიდრე სიძე თანა ჰყავთ, არ შეუძლიათ მარხვა,

²⁰მაგრამ მოვა დღეები, როდესაც სიძე წაერთმევათ და მაშინ იმარხულებენ იმ დღეს.

²¹არავინ აკერებს ძველ ტანსაცმელს ახალი ქსოვილის საკერებელს, თორემ ახლადდაკერებული მოეხევა ძველს და უარესი ნახევრი გაუჩნდება.

²²არავინ ასხამს ახალ ღვინოს ძველ ტიკებში, თორემ ღვინო ტიკებს დახეთქავს და ღვინოც დაიღუპება და ტიკებიც. არამედ ახალ ღვინოს ახალ ტიკებში ასხამენ.“

²³და ერთხელ, როდესაც შაბათ დღეს ყანებზე გადადიოდა, მისმა მოწაფეებმა დაიწყეს გზადაგზა თავთავების წყვეტა.

²⁴ფარისევლებმა უთხრეს მას: „აჰა, რატომ აკეთებენ ისინი იმას, რაც შაბათ დღეს ნებადართული არ არის?“

²⁵ეუბნება მათ: „არასოდეს წაგიკითხავთ, რა ქნა დავითმა, როდესაც გაუჭირდა და მოშივდა მას და მასთან მყოფთ?

²⁶როგორ შევიდა ღმერთის სახლში აბიათარ მღვდელმთავრის დროს და ჭამა საწინაშეო პურები, რისი ჭამის ნებაც არავის ჰქონდა, გარდა მღვდლებისა, და მასთან ერთად მყოფებსაც მისცა?“

²⁷და უთხრა მათ: „შაბათი ადამიანისთვის არის შექმნილი და არა ადამიანი შაბათისთვის.“

²⁸ამრიგად, კაცის ძე არის შაბათის უფალი.

მარკოზის 3

¹და კვლავ შევიდა სინაგოგაში და იყო იქ კაცი, რომელსაც ხელი ჰქონდა გამხმარი.

²და უთვალთვალეზდნენ, შაბათ დღეს თუ განკურნავდა, რომ ბრალი დაედოთ მისთვის.

³და უთხრა ხელგამხმარ კაცს: „დადექი შუაში.“

⁴ეუბნება მათ: „შაბათ დღეს კეთილის კეთებაა ნებადართული თუ ბოროტისა? სიცოცხლის ხსნა თუ დაღუპვა?“ და დუმდნენ ისინი.

⁵გადახედა მათ რისხვით მათი გულდახშულობით შეწუხებულმა, და უთხრა იმ კაცს: „გაიწოდე ხელი!“ და მანაც გაიწოდა და აღუდგა ხელი.



⁶და გავიდნენ ფარისევლები და მაშინვე დაიწყეს თათბირი ჰეროდთან ერთად მის წინააღმდეგ, როგორ დაეღუპათ იგი.

⁷იესო კი თავის მოწაფეებთან ერთად ზღვისკენ გაემართა. დიდძალი ხალხი მისდევდა მას გალილეიდან და იუდეიდან,

⁸იერუსალიმიდან, იდუმეადან, იორდანეს გაღმიდან. დიდძალი ხალხი მივიდა მასთან ტვიროსისა და სიდონის სანახებიდან, როდესაც გაიგეს, რა მოიმოქმედა.

⁹და უთხრა თავის მოწაფეებს, ნავი გაემზადებინათ მისთვის, რათა ხალხს არ შეევიწროვებინა,

¹⁰რადგან ბევრი განკურნა, ისე რომ ზედ აწყდებოდა ყველა, ვისაც რა სენი სჭირდა, და ცდილობდა, შეხებოდა მას.

¹¹უწმიდური სულებიც, როგორც კი მას დაინახავდნენ, ეცემოდნენ მის წინაშე და ყვიროდნენ და ამბობდნენ: „შენა ხარ ძე ღმერთისა!“

¹²და მკაცრად უბრძანებდა მათ, რათა არ გაემჟღავნებინათ იგი.

¹³და ავიდა მთაზე და მოუხმო, ვინც მას სურდა, და მივიდნენ მასთან.

¹⁴და დაადგინა თორმეტნი, რათა მასთან ერთად ყოფილიყვნენ და გაეგზავნა საქადაგებლად,

¹⁵და ჰქონოდათ განკურნებისა და ეშმაკების განდევნის ხელმწიფება.

¹⁶და დაადგინა თორმეტნი და უწოდა სახელად: სიმონს – პეტრე;

¹⁷იაკობ ზებედესას და იოანეს, იაკობის ძმას უწოდა ზოანერგეს, რაც ნიშნავს – ქუხილის ძენი;

¹⁸ანდრია და ფილიპე, ბართლომე და მათე, თომა და იაკობ ალფესი, თადეოზი და სიმონ კანანელი.

¹⁹და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც გასცა იგი.

²⁰და მივიდა სახლში და კვლავ იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ პურიც ვეღარ ჭამეს.

²¹და გაიგეს მისიანებმა და მის შესაპყრობად წამოვიდნენ, რადგან ამბობდნენ: „შეშლილი არის!“

²²იერუსალიმიდან ჩამოსულმა მწიგნობრებმა თქვეს: „ბელზებულის ჰყავს და ეშმაკთა მთავრით სდევნის ეშმაკებს.“

²³და მოუხმო მათ და იგავებით უთხრა: „როგორ შეუძლია სატანას სატანის განდევნა?



²⁴თუ სამეფო თავისივე თავის წინააღმდეგ გაიყოფა, ის სამეფო ველარ გაძლებს.

²⁵და თუ სახლი თავისივე თავის წინააღმდეგ გაიყოფა, ის სახლი ველარ გაძლებს;

²⁶და თუ სატანა თავის თავს წინ აღუდგა და გაიყო, ველარ გაძლებს, არამედ დაუდგა აღსასრული.

²⁷ვერავინ შეძლებს ძლიერის სახლში შესვლას და მისი ნივთების გატაცებას, თუ ჯერ ძლიერს არ შეკრავს, და მაშინდა გამარცხავს მის სახლს.

²⁸ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ყველა ცოდვა და გმოზა მიეტევება კაცთა შვილებს, რამდენსაც უნდა გმოზდნენ;

²⁹ხოლო ვინც სულიწმიდას დაგმობს, აღარასოდეს მიეტევება, არამედ საუკუნო ცოდვის თანამდებია.“ –

³⁰რადგან თქვენ: „უწმიდური სული ჰყავს.“

³¹და მივიდნენ მისი ძმები და დედა, გარეთ დადგნენ და გაგზავნეს მის დასაძახებლად.

³²და ისხდა მის გარშემო ხალხი, და უთხრეს: „გარეთ არიან შენი დედა და შენი ძეები და შენი ძმები და გეძებენ.“

³³მიუგო მათ და უთხრა: „ვინ არიან ჩემი დედა და ჩემი ძმები?“

³⁴და გადახედა თავის გარშემო მსხდომთ და უთხრა: „აჰა, ჩემი დედა და ჩემი ძმები.“

³⁵რადგან ის, ვინც ღმერთის ნებას ასრულებს, არის ჩემი ძმაც, დაც და დედაც.“

მარკოზის 4

¹და კვლავ დაიწყო სწავლება ზღვის პირას. და მოიყარა თავი მასთან დიდძალმა ხალხმა, ისე რომ ნავში ჩაჯდა და გავიდა ზღვაზე. მთელი ხალხი კი ზღვის პირას იყო, ხმელეთზე.

²ზევრს ასწავლიდა იგი იგავეებით და მოძღვრავდა მათ და ეუბნებოდა:

³„ისმინეთ! აჰა, გამოვიდა მთესველი დასათესად.“

⁴თესვისას ზოგი თესლი გზის პირას დაეცა. მოვიდნენ ფრინველები და აკენკეს.



⁵ზოგი კლდოვანზე დაეცა, სადაც ბევრი მიწა არ იყო და მალე აღმოცენდა, რადგან მიწას სიღრმე აკლდა.

⁶ხოლო მზე რომ ამოვიდა, დაჰვნა და რაკი ფესვი არ ჰქონდა, გახმა.

⁷ზოგი ეკლებში ჩავარდა, გაიზარდა ეკლები და მოაშთეს იგი და ნაყოფი ველარ გამოიღო.

⁸ზოგი კარგ ნიადაგზე დაეცა და გამოიღო ნაყოფი. აღმოცენდა, გაიზარდა და იმატა: ზოგმა – ოცდაათად, ზოგმა – სამოცად და ზოგმა – ასად.“

⁹და თქვა: „ვისაც ყური აქვს სასმენად, ისმინოს!“

¹⁰და როდესაც მარტო დარჩა, შეეკითხნენ მას იგავის შესახებ მის გარშემო მყოფნი თორმეტთან ერთად.

¹¹და უთხრა მათ: „თქვენ მოგეცათ ცოდნა ღმერთის სასუფეველის საიდუმლოსი, ხოლო გარეშეთათვის ყველაფერი იგავებით ითქმის.

¹²რადგან ხედვით ხედავენ და ვერ შეიცნობენ, სმენით ისმენენ და ვერ იგებენ, რათა არ მოიქცნენ და არ მიეტევოთ.“

¹³და ეუბნება მათ: „არ გესმით ეს იგავი? მაშ როგორ მიხვდებით ყველა სხვა იგავს?

¹⁴მთესველი სიტყვას თესავს.

¹⁵გზის პირას მყოფნი არიან ისინი, ვისთანაც ითესება სიტყვა, მაგრამ როგორც კი მოისმენენ, მყისვე მოდის სატანა და იტაცებს მათში დათესილ სიტყვას.

¹⁶ასევე, კლდოვანზე დათესილნი ისინი არიან, რომლებიც, როგორც კი სიტყვას მოისმენენ, მყის სიხარულით იღებენ მას,

¹⁷მაგრამ ფესვი არა აქვთ თავის თავში და ხანმოკლენი არიან და როგორც კი დგება გასაჭირი ანდა დევნილება სიტყვის გამო, მყისვე ცდუნდებიან.

¹⁸სხვანი, ეკალთა შორის დათესილნი ისინი არიან, რომლებიც სიტყვას მოისმენენ,

¹⁹მაგრამ ამ სოფლის საზრუნავი, სიმდიდრის საცდური და სხვა გულისთქმანი მოდიან და აშთობენ სიტყვას და უნაყოფო ხდება.

²⁰კეთილ ნიადაგზე დათესილნი ისინი არიან, რომლებიც სიტყვას ისმენენ და იღებენ, და გამოაქვთ ნაყოფი: ერთი – ოცდაათად, სამოცად და ასად.“

²¹და უთხრა მათ: „განა იმისთვის მოაქვთ სანთელი, რომ ჭურჭლის ან საწოლის ქვეშ შედგან? განა იმისათვის არა, რომ სასანთლეზე დაიდგას?



²²არ არსებობს დაფარული, რომ არ გაცხადდეს, და არც დამალული, რომ არ გამჟღავნდეს.

²³თუ ვინმეს ყური აქვს სასმენად, ისმინოს!“

²⁴და უთხრა მათ: „დაუკვირდით, რასაც ისმენთ: რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგეწყვებათ და მოგემატებათ.“

²⁵რადგან, ვისაც აქვს, მას მიეცემა, და ვისაც არა აქვს, ისიც წაერთმევა, რაც აქვს.

²⁶და თქვა: „ღმერთის სასუფეველი მსგავსია კაცისა, რომელიც თესლს აგდებს მიწაში,

²⁷სძინავს ღამით და დგება დღისით. თესლი კი აღმოცენდება და იზრდება და მან არც კი იცის, როგორ.

²⁸რადგან მიწა თვითონ გამოიღებს ნაყოფს: პირველად ჯეჯილს, მერე თავთავს, შემდეგ კი სავსე მარცვალს თავთავში.

²⁹ხოლო როდესაც მომწიფდება ნაყოფი, მყისვე შეიტანს ნამგალს, რადგან მოაწია მკამ.“

³⁰და თქვა: „რას ვამსგავსოთ ღმერთის სასუფეველი? ან რომელი იგავით გადმოვცეთ?

³¹იგი ჰგავს მდოგვის მარცვალს, რომელიც მიწაზე დათესვისას ყველაზე მცირეა მიწაზე არსებულ თესლთა შორის,

³²მაგრამ როდესაც დაითესება, ამოდის და ყველაზე დიდ მწვანილად გადაიქცევა. დიდ ტოტებს გამოისხამს, ისე რომ მის ჩრდილში ცის ფრინველნი იბუდებენ.“

³³და მრავალი ასეთი იგავით ეუბნებოდა სიტყვას, რამდენის გაგებაც შეეძლოთ.

³⁴და იგავის გარეშე არ ელაპარაკებოდა მათ, თავის მოწაფეებს კი ცალკე განუმარტავდა ყველაფერს.

³⁵უთხრა მათ იმავე დღეს, როდესაც მოსაღამოვდა: „გადავცუროთ გაღმა.“

³⁶გაუშვეს ხალხი და წაიყვანეს იგი ნავით, რომელშიც იჯდა. მასთან სხვა ნავებიც იყო.

³⁷და ამოვარდა დიდი ქარიშხალი, ტალღები ნავს ეხეთქებოდა, ისე რომ ნავი უკვე იძირებოდა.

³⁸ის კი კიჩოზე იყო და სასთუმალზე ეძინა. გააღვიძეს და ეუბნებიან მას: „მოდღარო, არ გენადვლება, რომ ვიღუპებით?“



³⁹წამოდგა და შერისხა ქარს და უთხრა ზღვას: „დადუმდი, ჩადექ!“ და დაცხრა ქარი და დიდი მყუდროება ჩამოდგა.

⁴⁰და უთხრა მათ: „რატომ ხართ ასე მხდალნი? რატომ არა გაქვთ რწმენა?“

⁴¹შეეშინდათ მათ დიდი შიშით და ერთმანეთს უთხრეს: „ვინ არის ეს, ქარიცა და ზღვაც რომ ემორჩილება?“

მარკოზის 5

¹და გავიდნენ ზღვის გადაღმა, გერასენელთა მხარეში.

²ნავიდან რომ გადმოვიდა, შემოხვდა კაცი სამარხებიდან, უწმიდური სულით შეპყრობილი.

³მას სამყოფელი სამარხებში ჰქონდა და ჯაჭვებითაც კი არავის შეეძლო მისი შეკვრა.

⁴რადგან უკვე მრავალჯერ იყო შეკრული ბორკილებითა და ჯაჭვებით, მაგრამ წყვეტდა ჯაჭვებს, ამსხვრევდა ბორკილებს და არავის შეეძლო მისი დამორჩილება.

⁵დღისით და ღამით მუდამ სამარხებსა და მთებში ღრიალებდა და ეხეთქებოდა ლოდებს.

⁶და როდესაც დაინახა შორიდან იესო, მიირბინა მასთან და თაყვანი სცა.

⁷ხმამაღლა იყვირა და უთხრა: „რა გინდა ჩემგან, იესო, უზენაესი ღმერთის ძე? ღმერთს გაფიცებ, ნუ მტანჯავ!“

⁸რადგან უთხრა მას: „გადი ამ კაცისაგან, უწმიდურო სულო!“

⁹და ჰკითხა მას: „რა არის შენი სახელი?“ და უპასუხა მას: „ლეგიონია ჩემი სახელი, რადგან ბევრნი ვართ.“

¹⁰და ბევრს ევედრებოდნენ, რომ ამ არე-მარედან არ გაეძევებინა ისინი.

¹¹იქ კი, მთასთან, ღორების დიდი კოლტი მოვდა.

¹²და შეევედრნენ მას და უთხრეს: „გაგვზავნე ღორებთან, რომ შევიდეთ მათში.“

¹³და დართო მათ ნება და გამოსული უწმიდური სულები შევიდნენ ღორებში. და გადაეშვა კოლტი კბოდედან ზღვაში, 2 ათასამდე იყვნენ, და ჩაიხრჩო ზღვაში.

¹⁴ხოლო მათი მწყემსები გაიქცნენ და შეატყობინეს ქალაქსა და სოფლებს, და გამოვიდა ხალხი, რომ ენახათ, რა მოხდა.



- ¹⁵მივიდნენ იესოსთან და ხედავენ, რომ ეშმაკეული, რომელსაც ლეგიონი ჰყავდა, ზის, შემოსილი და გონსმოსული, და შეშინდნენ.
- ¹⁶და უამბეს მათ მხილველებმა, რაც დაემართა ეშმაკეულსა და ღორებს.
- ¹⁷და შეევედრნენ, გასცლოდა მათ საზღვრებს.
- ¹⁸ნავში ასვლისას, შეევედრა მას ყოფილი ეშმაკეული, შენთან დავრჩებიო.
- ¹⁹მაგრამ არ დართო ნება, არამედ უთხრა: „წადი შენს სახლში შენიანებთან და უამბე მათ, რა გაგიკეთა ღმერთმა და როგორ შეგიწყალა.“
- ²⁰წავიდა და გამოაცხადა ათქალაქში, რაც გაუკეთა მას იესომ, და ყველას უკვირდა.
- ²¹და როდესაც იესომ კვლავ გამოდმა გამოსცურა ნავით, დიდძალი ხალხი მოგროვდა მასთან. და იყო ზღვის პირას.
- ²²მოვიდა სინაგოგის ერთ-ერთი მთავარი, სახელად იაიროსი და, როდესაც დაინახა იგი, მის ფეხთით დაეცა.
- ²³მხურვალედ ევედრებოდა და ეუბნებოდა: „ჩემი გოგონა სიკვდილის პირასაა. მოდი და დაადე ხელები, რომ გამოჯანმრთელდეს და იცოცხლოს.“
- ²⁴და წაჰყვა მას. და აედევნა დიდძალი ხალხი და ზედ აწყდებოდნენ.
- ²⁵და იყო იქ ქალი, რომელსაც 12 წლის განმავლობაში სისხლის დენა ჰქონდა,
- ²⁶და მრავალი ტანჯვა ჰქონდა გადატანილი ბევრი მკურნალისაგან და, რაც კი ებადა, ყველაფერი დაეხარჯა, მაგრამ არაფერს ეშველა, არამედ უარეს დღეში იყო ჩავარდნილი,
- ²⁷მას გაეგო, რასაც ამბობდნენ იესოზე, და ხალხში უკანიდან მოუარა მას და შეეხო მის სამოსს.
- ²⁸რადგან ამბობდა: „მის სამოსსაც რომ შევეხო, განვიკურნები.“
- ²⁹და მყისვე დაიშრიტა მისი სისხლის წყარო და იგრძნო სხეულში, რომ განიკურნა სენისაგან.
- ³⁰მყისვე მიხვდა იესო, რომ ძალა გავიდა მისგან, მიუბრუნდა ხალხს და იკითხა: „ვინ შეეხო ჩემს სამოსს?“
- ³¹უთხრეს მას მისმა მოწაფეებმა: „ხედავ, ხალხი ზედ გაწყდება, შენ კი ამბობ, ვინ შემეხოო?“
- ³²და მიმოიხედა, რომ დაენახა ამის ჩამდენი.



³³ქალი კი, შეშინებული და აკანკალებული, რადგან იცოდა, რაც დაემართა, მივიდა, მის წინაშე დაემხო და უთხრა მთელი სიმართლე.

³⁴მან კი უთხრა: „შვილო, შენმა რწმენამ გიხსნა შენ, წადი მშვიდობით და განკურნებული იყავი შენი სენისაგან.“

³⁵ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, რომ მოვიდნენ სინაგოგის მთავრისაგან და თქვეს: „შენი ასული მოკვდა, რაღად აწუხებ მოძღვარს?“

³⁶იესომ კი არ მიაქცია ყურადღება ნათქვამს და ეუბნება სინაგოგის მთავარს: „ნუ გეშინია, ოღონდ გწამდეს.“

³⁷და არავინ გაიყოლა თან, გარდა პეტრესი, იაკობისა და იოანესი – იაკობის ძმისა.

³⁸და მივიდნენ სინაგოგის მთავრის სახლში და ხედავს, მღელვარებაა, ტირიან და მოთქვამენ.

³⁹და შევიდა და ეუბნება მათ: „რატომ ღელავთ და ტირით? არ მომკვდარა ბავშვი, სძინავს მხოლოდ.“

⁴⁰ისინი კი დასცინოდნენ მას. მან გაუშვა ყველა გარეთ, წაიყვანა ბავშვის დედ-მამა და მასთან მყოფნი და შევიდა, სადაც ბავშვი იწვა.

⁴¹მოკიდა ბავშვს ხელზე ხელი და ეუბნება მას: „ტალითა კუმი!“ რაც თარგმანით ნიშნავს: „გოგონა, შენ გეუბნები, ადექი!“

⁴²და მყისვე წამოდგა გოგონა და გაიარა. 12 წლისა იყო. და დიდად გაუკვირდათ.

⁴³და მან მკაცრად გააფრთხილა ისინი, რომ არავის გაეგო ეს ამბავი. და უთხრა, საჭმელი მიეცათ მისთვის.

მარკოზის 6

¹და გავიდა იქიდან და მივიდა თავის მშობლიურ მხარეში. და გაჰყვნენ მისი მოწაფეებიც.

²შაბათი რომ დადგა, დაიწყო სწავლება სინაგოგაში. და მრავალი მსმენელი გაოცებული ამბობდა: „საიდანა აქვს მას ეს ყველაფერი? რა სიბრძნე აქვს მონიჭებული? რა სასწაულები ხდება მისი ხელით?“

³განა ეს ხურო არ არის, მარიამის ძე, იაკობის, იოსეს, იუდას და სიმონის ძმა? განა აქვე ჩვენთან არ არიან მისი დები?“ და დაეჭვდნენ მასში.

⁴და უთხრა მათ იესომ: „არსად არ არის წინასწარმეტყველი უპატიოდ, გარდა თავისი მამულისა, ნათესავებისა და საკუთარი სახლისა.“



⁵და ვერ შეძლო მოეხდინა იქ რაიმე სასწაული, გარდა იმისა, რომ რამდენიმე სნეულს დაადო ხელები და განკურნა.

⁶და უკვირდა მათი ურწმუნოება, და დადიოდა გარშემო სოფლებში და ასწავლიდა მათ.

⁷და მოუხმო თორმეტს და დაიწყო მათი დაგზავნა წყვილად და აძლევდა მათ ხელმწიფებას უწმიდურ სულებზე.

⁸და გამოუცხადა მათ, არაფერი წაეღოთ გზაში, გარდა არგნისა, არც პური, არც გუდა, არც ბრინჯაო სარტყლით.

⁹ჩაეცვათ სანდლები და არ შემოსილიყვნენ ორი პერანგით.

¹⁰და უთხრა მათ: „რომელ სახლშიც შეხვალთ, იქ დარჩით, სანამ იმ ადგილიდან არ გამოხვალთ.

¹¹და თუ ვინმე არ მიგიღებთ და არ მოგისმენთ, იქიდან წამოსვლისას დაიბერტყეთ მტვერი თქვენს ფეხთაგან, როგორც მოწმობა მათ წინააღმდეგ. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სოდომსა და გომორას უფრო გაუადვილდება განკითხვის დღეს, ვიდრე იმ ქალაქს.“

¹²და გავიდნენ და დაიწყეს სინანულის ქადაგება.

¹³და განდევნეს მრავალი ეშმაკი და სცხებდნენ ზეთს მრავალ სნეულს და კურნავდნენ.

¹⁴და შეიტყო ეს მეფე ჰეროდემ, რადგან ცნობილი გახდა იესოს სახელი და თქვა: „იოანე ნათლისმცემელი აღმდგარა მკვდრეთით და ამიტომ მოქმედებენ ძალები მასში.“

¹⁵სხვები ამბობდნენ: „ეს ელია არის.“ ზოგი კი ამბობდა: „წინასწარმეტყველია, პირველ წინასწარმეტყველთაგანი.“

¹⁶შეიტყო ეს ჰეროდემ და თქვა: „ეს იოანეა, მე რომ თავი მოკვეთე, ის აღმდგარა მკვდრეთით.“

¹⁷რადგან მან, ჰეროდემ, შეაპყრობინა იოანე და საპატიმროში დაამწყვდია, თავისი ძმის, ფილიპეს ცოლის, ჰეროდისას გამო, ცოლად რომ ჰყავდა.

¹⁸რადგან იოანე ეუბნებოდა ჰეროდეს: „არ შეგფერის, რომ შენი ძმისცოლი გყავდეს ცოლად.“

¹⁹ჰეროდია კი მტრად იყო მასზე მოკიდებული და უნდოდა მისი მოკვლა, მაგრამ არ შეეძლო.



²⁰რადგან ჰეროდეს ეშინოდა იოანესი: იცოდა, რომ მართალი და წმიდა კაცი იყო და იფარავდა მას. მისი მოსმენა დიდად აფიქრებდა და სიამოვნებით უგდებდა ყურს.

²¹და დადგა მარჯვე დღე, როცა ჰეროდემ თავის დაბადების დღეს ლხინი გაუმართა თავის მთავრებს, ათასისთავებს და გალილეელ წარჩინებულებს.

²²შევიდა ჰეროდისას ასული, ცეკვავდა და აამებდა ჰეროდესა და მის თანამეინახეებს. და უთხრა მეფემ ქალიშვილს: „რაც გინდა, მთხოვე და მოგცემ.“

²³და ფიცით აღუთქვა მას: „რაც გინდა მთხოვე, მოგცემ, ჩემს ნახევარ სამეფოსაც კი.“

²⁴გამოვიდა და ჰკითხა თავის დედას: „რა ვთხოვო?“ მან კი უთხრა: „იოანე ნათლისმცემლის თავი.“

²⁵და მყისვე, სასწრაფოდ შევიდა მეფესთან და მოსთხოვა: „მინდა, რომ ახლავე ლანგრით მომართვა იოანე ნათლისმცემლის თავი.“

²⁶შეწუხდა მეფე, მაგრამ ფიცისა და თანამეინახეთა რიდის გამო არ ისურვა მისი გაწბილება.

²⁷მყისვე გაგზავნა მეფემ ჯალათი და უბრძანა მისი თავის მოტანა.

²⁸და წავიდა იგი და მოჰკვეთა მას თავი საპყრობილეში, ლანგრით მოიტანა მისი თავი და გადასცა ქალიშვილს, ხოლო ქალიშვილმა თავის დედას მისცა.

²⁹შეიტყვეს ეს მისმა მოწაფეებმა, მივიდნენ, აიღეს მისი გვამი და სამარხში დაასვენეს.

³⁰შეიკრიბნენ მოციქულები იესოსთან და უამბეს მას ყველაფერი, რაც გააკეთეს და რაც ასწავლეს.

³¹ეუბნება მათ: „წამოდით მარტო თქვენ უდაბურ ადგილას და მცირედ მოისვენეთ.“ რადგან მრავალი იყო მიმსვლელ-მომსვლელი და საჭმელადაც ვერ იცლიდნენ.

³²და წავიდნენ ნავით უდაბურ ადგილას მარტონი.

³³და დაინახეს, რომ მიდიოდნენ და ბევრმა იცნო ისინი. და გაედევნენ ფეხით ყოველი ქალაქიდან და მიასწრეს მათ.

³⁴და როდესაც გადმოვიდნენ, უამრავი ხალხი დაინახა, შეებრალა ისინი, რადგან უმწყემსო ცხვრებივით იყვნენ, და დაუწყო მათ ბევრის სწავლება.



- ³⁵უკვე გვიანი ხანი იყო, რომ მივიდნენ მასთან მისი მოწაფეები და უთხრეს: „უდაბურია ეს ადგილი და უკვე გვიან არის.“
- ³⁶გაუშვი ისინი, რომ წავიდნენ ახლომახლო დაბა-სოფლებში და იყიდონ თავისთვის საზრდო.“
- ³⁷მან კი მიუგო და უთხრა მათ: „თქვენ მიეცით მათ საჭმელი.“ და ეუბნებიან მას: „წავიდეთ, 200 დინარის პური ვიყიდოთ და მივცეთ ამათ საჭმელად?“
- ³⁸ეუბნება მათ: „რამდენი პური გაქვთ? წადით, ნახეთ!“ გაიგეს და ეუბნებიან: „ხუთი და ორიც თევზი.“
- ³⁹მაშინ უბრძანა მათ, ყველანი ჯგუფ-ჯგუფად დამსხდარიყვნენ მწვანეზე.
- ⁴⁰და დასხდნენ მწყობრად ას-ასად და ორმოცდაათ-ორმოცდაათად.
- ⁴¹და აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ახედა ცას, აკურთხა, დატეხა პურები და მისცა თავის მოწაფეებს, რომ მათთვის ჩამოერიგებინათ. და ორი თევზიც დაუნაწილა ყველას.
- ⁴²და ჭამა ყველამ და გაძღა.
- ⁴³და აკრიფეს დარჩენილი ნატეხებიდან და თევზიდან 12 სავესე გოდორი.
- ⁴⁴და იყო პურისმჭამელი 5 ათასამდე მამაკაცი.
- ⁴⁵მცისვე უბრძანა თავის მოწაფეებს, ასულიყვნენ ნავში და წინდაწინ გასულიყვნენ გაღმა, ბეთსაიდისკენ, ვიდრე ხალხს გაუშვებდა.
- ⁴⁶რომ გაისტუმრა ისინი, მთაზე ავიდა სალოცავად.
- ⁴⁷როდესაც მოსაღამოვდა, ნავი შუა ზღვაში იყო, ის კი მარტო დარჩა ხმელეთზე.
- ⁴⁸და როცა დაინახა, რომ მათ უჭირდათ ნიჩბების მოსმა, რადგან პირქარი იყო, ღამის მეოთხე სადარაჯოზე წავიდა მათკენ ზღვაზე სიარულით და უნდოდა გვერდი აეგლო მათთვის.
- ⁴⁹ხოლო მათ, ზღვაზე მოსიარულე რომ დაინახეს, იფიქრეს, მოჩვენება არისო, და შეჰყვირეს.
- ⁵⁰ყველამ დაინახა იგი და შეძრწუნდნენ. ის კი მცისვე გამოელაპარაკა მათ და უთხრა: „გამხნევდით, მე ვარ, ნუ გეშინიათ!“
- ⁵¹და ავიდა ნავში მათთან და ჩადგა ქარი. და კიდევ უფრო გაუკვირდათ.
- ⁵²რადგან ჯერ პურების ამბავსაც ვერ მიმხვდარიყვნენ, არამედ გული გაქვავებოდათ.
- ⁵³და გავიდნენ გაღმა ხმელეთზე გენესარეთისკენ, და ჩაუშვეს ღუზა.



⁵⁴როგორც კი ნავიდან გადმოვიდნენ, უმაღვე იცნეს იგი იქაურებმა.

⁵⁵შემოირბინეს მთელი ის მხარე და დაიწყეს საწოლებით სწეულთა გამოყვანა ყველგან, სადაც კი გაიგებდნენ, აქ არისო.

⁵⁶და სადაც არ უნდა შესულიყო, დაბებში, ქალაქებში თუ სოფლებში, დასხამდნენ თავიანთ სწეულებს მოედნებზე და ევედრებოდნენ, რომ სამოსის კალთაზე შეხების ნება მაინც მიეცა მათთვის. და ვინც კი ეხებოდა, იკურნებოდა.

მარკოზის 7

¹შეიკრიბნენ მასთან ფარისეველი და ზოგიერთი მწიგნობარი, რომლებიც იერუსალიმიდან მოვიდნენ,

²და როცა დაინახეს, რომ ზოგიერთი მის მოწაფეთაგან უსუფთაო, ესე იგი, დაუბანელი ხელებით ჭამდა პურს, –

³ხოლო ფარისეველი და იუდეველი ისე არ ჭამენ საჭმელს, თუ საგულდაგულოდ არ დაიბანეს ხელი და ასე იცავენ უხუცესთა გადმოცემას;

⁴სავაჭროდან დაბრუნებულები განზანის გარეშე არ ჭამენ, და სხვაც ბევრი რამ არის, რაც მიიღეს შესასრულებლად: სასმისების, თასების, ბრინჯაოს ქვაბების გავლება წყალში, –

⁵ჰკითხეს ფარისევლებმა და მწიგნობრებმა: „რატომ არ იქცევიან შენი მოწაფეები უხუცესთა გადმოცემისამებრ და დაუბანელი ხელით ჭამენ პურს?“

⁶ხოლო მან უთხრა მათ: „კარგად წინასწარმეტყველებდა ესაია წინასწარმეტყველი თქვენისთანა თვალთმაქცების შესახებ, როგორც წერია: ‘ეს ხალხი პატივს მცემს ბაგეებით, მათი გული კი შორსაა ჩემგან.

⁷ფუჭად მცემენ თაყვანს, ასწავლიან რა ადამიანურ მცნებათა მოძღვრებას.’

⁸ღმერთის მცნებათა მიმტოვებელნი იცავთ ადამიანთა გადმოცემას, სასმისების და თასების რეცხვას და მრავალ სხვას ამგვარს აკეთებთ.“

⁹და უთხრა მათ: „განა კარგია, რომ აუქმებთ ღმერთის მცნებას, რათა თქვენი გადმოცემა დაიცვათ!

¹⁰მოსემ თქვა: ‘პატივი ეცი შენს მამას და შენს დედას. მამის, გინდ დედის აუგის მთქმელი სიკვდილით მოკვდეს.’

¹¹თქვენ კი ამბობთ: თუ ადამიანი ეტყვის მამას ან დედას: კორბან (რაც ნიშნავს: შესაწირავია ის, რითაც ჩემგან უნდა გესარგებლა) –



- ¹²მას თქვენ ნებას რთავთ, აღარაფერი გააკეთოს მამისათვის ან დედისათვის.
- ¹³აუქმებთ ღმერთის სიტყვას თქვენი გადმოცემით, რომელსაც გადასცემთ, და სხვასაც ბევრს ამის მსგავსს აკეთებთ.“
- ¹⁴მოუწოდა კვლავ ხალხს და უთხრა მათ: „მისმინეთ ყველამ და გაიგეთ:
- ¹⁵არაფერია ადამიანის გარეთ, რასაც მასში შესვლით შეეძლოს მისი წაბილწვა. არამედ რაც ადამიანისაგან გამოდის, ის ბილწავს ადამიანს.
- ¹⁶თუ ვინმეს ყურები აქვს სასმენად, ისმინოს!“
- ¹⁷როდესაც ხალხს გაერიდა და სახლში შევიდა, მისმა მოწაფეებმა ჰკითხეს მას ამ იგავზე.
- ¹⁸და ეუბნება მათ: „მაშ თქვენც უმეცარნი ხართ და ვერ მიმხვდარხართ, რომ არაფერს, რაც ადამიანში გარედან შედის, არ ძალუძს მისი წაბილწვა?
- ¹⁹რადგან, მის გულში კი არ შედის, არამედ მუცელში და გარეთ გამოდის. ასე განიწმიდება ყოველგვარი საკვები.
- ²⁰და განაგრძო: კაცისაგან გამომავალი კი ბილწავს კაცს,
- ²¹რადგან ადამიანის გულიდან გამოდის ბოროტი ზრახვანი, სიძვანი, ქურდობანი, მკვლელობანი,
- ²²მრუშობანი, ანგარებანი, მზაკვრობანი, ვერაგობანი, გარყვნილებანი, შურიანობა, გმობანი, ამპარტავნება და უგუნურება.
- ²³ყველა ეს ბოროტება შიგნიდან გამოდის და ბილწავს ადამიანს.“
- ²⁴ადგა და იქიდან ტვიროსის საზღვრისკენ წავიდა. სახლში შესულს არ უნდოდა, რომ ვინმეს ეცნო, მაგრამ ვერ შეძლო დაფარვა.
- ²⁵მცისვე გაიგო მის შესახებ ერთმა ქალმა, რომლის ასული უწმიდური სულით იგვემებოდა, და მივიდა და დაემხო მის ფეხთით.
- ²⁶ეს ქალი ბერძენი იყო, წარმოშობით სიროფინიკიელი, და ემუდარებოდა, განედევნა ეშმაკი მისი ასულისაგან.
- ²⁷მან უთხრა მას: „მოითმინე, ჯერ შვილები გაძღნენ, თორემ არ არის კარგი, შვილებისთვის პურის წართმევა და ძაღლებისთვის გადაყრა.“
- ²⁸მან კი მიუგო და უთხრა: „მართალია, უფალო, მაგრამ ძაღლებიც ხომ ჭამენ მაგიდის ქვეშ შვილების ნამცეცებს.“
- ²⁹უთხრა მას: „მაგ სიტყვისათვის, წადი, გასულია ეშმაკი შენი ასულისაგან.“



³⁰წავიდა თავის სახლში და ნახა, რომ ბავშვი საწოლზე იწვა, ეშმაკი კი გასული იყო.

³¹და როდესაც კვლავ გაბრუნდა ტვიროსის საზღვრებიდან და მივიდა სიდონის გზით გალილეის ზღვასთან, ათქალაქის საზღვრებს შორის,

³²მიუყვანეს მას ყრუ-მუნჯი და შეევედრნენ, ხელი დაედო მისთვის.

³³გაიყვანა იგი ცალკე, ხალხისაგან მოშორებით, თითებით ყური დაუცო, დაანერწყვა და შეეხო მის ენას,

³⁴ახედა ცას, ამოისუნთქა და ეუბნება მას: „ეფფათა,“ რაც ნიშნავს: „განიხსენ.“

³⁵და მყისვე გაეხსნა მას სასმენელი, ენის ბორკილიც აეხსნა და გამართულად აღაპარაკდა.

³⁶და უბრძანა მათ, არავისთვის ეთქვათ, მაგრამ, რაც უფრო მეტად უკრძალავდა, მით უფრო აცხადებდნენ.

³⁷უკვირდათ მეტისმეტად და ამბობდნენ: „ყოველივეს სასიკეთოდ აკეთებს: ყრუებს სმენას უბოძებს და მუნჯებს აღაპარაკებს.“

მარკოზის 8

¹იმ დღეებში კვლავ დიდძალი ხალხი იყო მასთან და არაფერი ჰქონდათ, რომ ეჭამათ. მოუხმო თავის მოწაფეებს და უთხრა:

²„მებრალემა ეს ხალხი, რადგან უკვე სამი დღეა, რაც ჩემთან არიან და არაფერი აქვთ, რომ ჭამონ.

³უჭმელნი რომ გავუშვა შინ, დაუძლურდებიან. ზოგიერთი მათგანი ძალიან შორიდან არის მოსული.“

⁴მიუგეს მას მისმა მოწაფეებმა: „საიდან უნდა შევძლოთ ამდენი ხალხის დაპურება უდაბნოში?“

⁵და ჰკითხა მათ: „რამდენი პური გაქვთ?“ მათ თქვეს: „შვიდი.“

⁶და უბრძანა ხალხს მიწაზე დამსხდარიყვნენ. აიღო შვიდი პური, მადლი შესწირა, დატეხა და მისცა თავის მოწაფეებს, რომ ჩამოერიგებინათ. და ჩამოურიგეს ხალხს.

⁷და ჰქონდათ რამდენიმე პატარა თევზიც. აკურთხა ისინიც და უბრძანა ჩამოერიგებინათ.

⁸და ჭამეს და გაძლნენ, და დარჩენილი ნატეხებისგან შვიდი კალათი აიღეს.



⁹იყვნენ ასე 4 ათასამდე. და გაუშვა ყველანი.

¹⁰და მაშინვე ავიდა ნავზე თავის მოწაფეებთან ერთად და წავიდნენ დალმანუთის მხარეში.

¹¹და გამოვიდნენ ფარისეველნი და დაუწყეს კამათი და მოითხოვდნენ მისგან გამოსაცდელად ნიშანს ციდან.

¹²და ამოიოხრა ღრმად თავისი სულით და თქვა: „რისთვის თხოულობს ეს თაობა ნიშანს? ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ არ მიეცემა ამ თაობას ნიშანი.“

¹³და მიატოვა ისინი, კვლავ ავიდა ნავზე და გაღმა გავიდა.

¹⁴პურის წაღება დაავიწყდათ, ნავში კი ერთი პურის მეტი არა ჰქონდათ.

¹⁵და უბრძანა და უთხრა: „გაფრთხილდით, ერიდეთ ფარისეველთა საფუარს და ჰეროდეს საფუარს.“

¹⁶ისინი კი ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „არა გვაქვს პური.“

¹⁷მიხვდა და ეუბნება მათ: „რატომ ამბობთ, რომ პური არა გაქვთ? ნუთუ კიდევ ვერ გაიგეთ და ვერ შეიგნეთ? გული გაგიქვავდათ?

¹⁸თვალები გაქვთ და ვერ ხედავთ, ყურები გაქვთ და არ გესმით? და არც გახსოვთ?

¹⁹როდესაც ხუთი პური დავტეხე 5 ათასი კაცისათვის, რამდენი გოდორი აიღეთ ნატეხებით სავსე?“ ეუბნებიან: „თორმეტი.“

²⁰„როცა 4 ათასისათვის შვიდი პური დავტეხე, რამდენი კალათი აიღეთ ნატეხებით სავსე?“ და ეუბნებიან: „შვიდი.“

²¹და უთხრა მათ: „როგორ ვერ ხვდებით?“

²²მივიდნენ ბეთსაიდაში და მიუყვანეს ბრმა და ევედრებოდნენ, რომ შეხებოდა მას.

²³მოჰკიდა ბრმას ხელი, გაიყვანა სოფლიდან, თვალებზე დაანერწყვა, დაადო ხელი და ჰკითხა: „ხედავ რამეს?“

²⁴მან მაღლა აიხედა და თქვა: „ვხედავ ირგვლივ მოსიარულე ადამიანებს, როგორც ხეებს.“

²⁵მერე კვლავ დაადო ხელი თვალებზე და თვალისჩინი აღუდგა მას, განიკურნა და ყველაფერი ნათლად დაინახა.

²⁶გაისტუმრა შინ და უთხრა: „სოფელში ნუ შეხვალ.“



²⁷წავიდნენ იესო და მისი მოწაფეები ფილიპეს კესარიის სოფლებისკენ და გზაში შეეკითხა იგი თავის მოწაფეებს: „რას ამბობს ხალხი, ვინ ვარ მე?“

²⁸მათ უთხრეს: „ამბობენ, იოანე ნათლისმცემელიო, სხვები – ელიაო, სხვები – ერთ-ერთი წინასწარმეტყველიო.“

²⁹ჰკითხა მათ: „თქვენ რაღას იტყვით, ვინ ვარ მე?“ მიუგო პეტრემ და უთხრა: „შენ ხარ ქრისტე.“

³⁰და უბრძანა მათ, რომ არავისთვის ეთქვათ მასზე.

³¹და დაუწყო სწავლება, რომ კაცის ძეს მართებს ბევრი იტანჯოს, უარყოფილ იქნას უხუცესების, მღვდელმთავრებისა და მწიგნობრების მიერ, მოკლულ იქნეს და მესამე დღეს აღდგეს.

³²და ცხადად ამბობდა ამ სიტყვას. და გაიყვანა პეტრემ და დაუწყო კიცხვა.

³³ის კი მიბრუნდა და შეხედა თავის მოწაფეებს. და გაკიცხა პეტრე და ეუბნება: „გამშორდი, სატანავ! ღმერთისას კი არ ფიქრობ, არამედ ადამიანისას.“

³⁴და მოუხმო ხალხს თავის მოწაფეებთან ერთად და უთხრა: „თუ ვინმეს ჩემი გამოყოლა, უარყოს საკუთარი თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს მე.“

³⁵ვისაც სურს თავისი სამშვინველის ხსნა, დაღუპავს მას. ხოლო ვინც ჩემი ან სახარების გულისთვის დაღუპავს თავის სამშვინველს, იხსნის მას.

³⁶რას არგებს ადამიანს, თუნდაც მთელი ქვეყნიერება შეიძინოს, თავის სამშვინველს კი ავნოს?

³⁷ან რას გასცემს ადამიანი თავისი სამშვინველის სანაცვლოდ?

³⁸რადგან, ვისაც შერცხვება ჩემი და ჩემი სიტყვებისა ამ გარყვნილ და ცოდვილ თაობაში, კაცის ძესაც შერცხვება მისი, როდესაც მოვა თავისი მამის დიდებაში, წმიდა ანგელოზებთან ერთად.“

მარკოზის 9

¹და უთხრა მათ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ზოგიერთი აქ მდგომთაგან არ იგემებს სიკვდილს, სანამ არ იხილავს ღმერთის სასუფეველს, ძლიერებით მოსულს.“

²ექვსი დღის შემდეგ წაიყვანა იესომ პეტრე, იაკობი და იოანე, აიყვანა მაღალ მთაზე განმარტოებით და ფერი იცვალა მათ წინაშე.



³მისი სამოსი გახდა ბრწყინვალე, ისეთი ელვარე თეთრი, როგორც ვერც ერთი გამთეთრებული დედამიწის ზურგზე ვერ შეძლებდა გათეთრებას.

⁴და ეჩვენა მათ ელია მოსესთან ერთად და ელაპარაკებოდნენ იესოს.

⁵მიუგო პეტრემ და უთხრა იესოს: „რაბი, კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა; გავაკეთებთ სამ კარავს, ერთი შენ, ერთი მოსეს და ერთიც ელიას.“

⁶არ იცოდა, რას ლაპარაკობდა, რადგან შიშმა მოიცვა ისინი.

⁷და გამოჩნდა ღრუბელი, რომელმაც მოუჩრდილა მათ და იყო ხმა ღრუბლიდან: „ეს არის ძე ჩემი საყვარელი, ისმინეთ მისი!“

⁸და უცებ რომ მიმოიხედეს, ირგვლივ ველარავინ დაინახეს, გარდა იესოსი.

⁹და როდესაც მთიდან ჩამოდიოდნენ, უბრძანა, არავისთვის ეთქვათ, რაც იხილეს, კაცის ძის მკვდრეობით აღდგომამდე.

¹⁰და ეს სიტყვა დაიმარხეს თავისთავში და ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „რას ნიშნავს მკვდრეობით აღდგომა?“

¹¹ჰკითხეს მას: „ხომ ამბობენ მწიგნობრები, რომ პირველად ელია უნდა მოვიდეს?“

¹²და უთხრა მათ: „დიახ, ჯერ ელია მოდის და აღადგენს ყოველივეს. კაცის ძის შესახებ კი როგორ წერია? ის, რომ უნდა იტანჯოს და დამცირდეს.

¹³მაგრამ გეუბნებით თქვენ, რომ ელია მოვიდა და მას ისე მოექცნენ, როგორც უნდოდათ, როგორც წერია მასზე.“

¹⁴და როდესაც მოწაფეებთან მივიდა, დაინახა მათ ირგვლივ დიდძალი ხალხი და მათთან მოდავე მწიგნობრები.

¹⁵მყისვე დაინახა ის მთელმა ხალხმა და შეძრწუნებულები გაიქცნენ მისასაღმებლად.

¹⁶ჰკითხა მათ: „რას ედავებით მათ?“

¹⁷მიუგო მას ერთმა ამ ხალხიდან: „მოდღარო, შენთან მოვიყვანე ჩემი ვაჟი, რომელსაც სიმუნჯის სული სჭირს.

¹⁸და სადაც კი შეიპყრობს, ძირს დასცემს მას, და გადმოსდის დუჟი, კბილებს აღრჭენს და შეშდება. ვთხოვე შენს მოწაფეებს, რომ განედევნათ, მაგრამ ვერ შეძლეს.“

¹⁹მიუგო მათ და უთხრა: „ოჰ, ურწმუნო თაობავ! როდემდე ვიქნები თქვენთან? როდემდე უნდა გითმინოთ თქვენ? მომიყვანეთ იგი.“



²⁰და მოუყვანეს მას. და როგორც კი სულმა დაინახა იგი, დაანარცხა ძირს, დაეცა ის მიწაზე და გორავდა დუქმორეული.

²¹ჰკითხა მის მამას: „რამდენი ხანია, რაც ეს დაემართა?“ უთხრა: „პატარაობიდან.“

²²ბევრჯერ ჩაუგდია ცეცხლსა და წყალში, რომ დაეღუპა. თუკი რამე შეგიძლია, გვიშველე, შეგვიბრალე ჩვენ.“

²³იესომ უთხრა მას: „თუ კი რამე შეგიძლია? მორწმუნისათვის ყველაფერი შესაძლებელია.“

²⁴მცისვე შესძახა ბავშვის მამამ და თქვა: „მწამს! უშველე ჩემს ურწმუნოებას.“

²⁵როდესაც დაინახა იესომ, რომ ხალხი მორბის, შერისხა უწმიდურ სულს და უთხრა: „სიმუნჯის და სიყრუის სულო! გიბრძანებ, გადი მაგისგან და აღარ შეხვიდე მასში!“

²⁶და შეჰყვირა და მაგრად შეაზანზარა იგი და გავიდა. და მკვდარივით გახდა, ისე რომ, ბევრი ამბობდა კიდეც: მოკვდაო.

²⁷იესომ ჩასჭიდა ხელი, წამოაყენა და ისიც ფეხზე დადგა.

²⁸სახლში რომ შევიდა, მისმა მოწაფეებმა განმარტოებით ჰკითხეს მას: „ჩვენ რატომ ვერ განვდევენთ იგი?“

²⁹უთხრა მათ: „ეს მოდგმა ვერაფრით გამოვა, თუ არა ლოცვითა და მარხვით.“

³⁰იქიდან რომ წამოვიდნენ, გალილეაზე გადიოდნენ. და არ უნდოდა, რომ ვინმეს ეცნო.

³¹ასწავლიდა თავის მოწაფეებს და ეუბნებოდა: „კაცის ძე გადაცემულ იქნება ადამიანთა ხელში, და მოკლავენ მას და მესამე დღეს აღდგება.“

³²მათ კი ვერ გაიგეს ნათქვამი და ვერ ბედავდნენ, რომ შეკითხოდნენ მას.

³³მივიდნენ კაპერნაუმში და სახლში ყოფნისას ჰკითხა მათ: „რაზე დაობდით გზაში?“

³⁴ისინი დუმდნენ, რადგან გზაში ერთმანეთში დაობდნენ, ვინ უფრო დიდიაო.

³⁵დაჯდა და დაუძახა თორმეტს და უთხრა: „ვისაც სურს, რომ იყოს პირველი, იყოს ყველაზე უკანასკნელი და ყველას მსახური.“

³⁶მოიყვანა ბავშვი, ჩააყენა მათ შორის, მოეხვია და უთხრა მათ:



³⁷„ვინც ერთ ასეთ ბავშვს მიიღებს ჩემი სახელით, ის მე მიმიღებს. ხოლო ვინც მე მიმიღებს, ის მე კი არ მიღებს, არამედ ჩემს მომავლინებელს.“

³⁸უთხრა მას იოანემ: „მოდღვარო, ჩვენ ვნახეთ ვიღაც, რომელიც შენი სახელით დევნის ეშმაკებს, და ავუკრძალეთ მას, რადგან ჩვენ არ მოგვყვება.“

³⁹იესომ თქვა: „ნუ ავუკრძალავთ, რადგან, ვინც ჩემი სახელით სასწაულს მოახდენს, ვერ შეძლებს მალევე დამგმოს მე;

⁴⁰რადგან, ვინც ჩვენი წინააღმდეგი არ არის, ის ჩვენთან არის.

⁴¹რადგან ვინც ერთ ჭიქა წყალს შეგასმევთ ჩემი სახელით, რაკი ქრისტესნი ხართ, ჭემმარიტად გეუბნებით თქვენ, არ დაეკარგება მას თავისი საზღაური.

⁴²ხოლო ვინც აცდუნებს ერთს ამ მცირეთაგანს ჩემს მორწმუნეთაგან, მისთვის აჯობებდა, წისქვილის ქვა დაეკიდათ მისთვის კისერზე და ზღვაში გადაეგდოთ.

⁴³თუ შენი ხელი გაცდუნებს, მოიკვეთე იგი. გიჯობს, ხეიბარი შეხვიდე სიცოცხლეში, ვიდრე ორი ხელის მქონე შეხვიდე ჯოჯოხეთში, უშრეტ ცეცხლში,

⁴⁴სადაც მათი მატლი არ კვდება და ცეცხლი არ ნელდება.

⁴⁵თუ შენი ფეხი გაცდუნებს, მოიკვეთე იგი. გიჯობს, კოჭლი შეხვიდე სიცოცხლეში, ვიდრე ორი ფეხი გქონდეს და ჯოჯოხეთში ჩაგაგდონ,

⁴⁶სადაც მათი მატლი არ კვდება და ცეცხლი არ ნელდება.

⁴⁷თუ შენი თვალი გაცდუნებს, ამოითხარე იგი. გიჯობს, ცალთვალა შეხვიდე ღმერთის სასუფეველში, ვიდრე ორი თვალი გქონდეს და ჯოჯოხეთში ჩაგაგდონ,

⁴⁸სადაც მათი მატლი არ კვდება და ცეცხლი არ ნელდება.

⁴⁹რადგან ყოველივე ცეცხლით დამარილდება.

⁵⁰მარილი კარგია, მაგრამ თუ მარილი უმარილო გახდება, რიღათი აღადგენთ მას? იქონიეთ თქვენში მარილი და მშვიდობა გქონდეთ ერთმანეთში.“

მარკოზის 10

¹და ადგა და წავიდა იუდეის მხარეში, იორდანეს გაღმა. და კვლავ მოგროვდა მასთან ხალხი და, ჩვეულებისამებრ, კვლავ ასწავლიდა მათ.



- ²მოვიდნენ ფარისეველი და ეკითხებოდნენ: ნებადართულია კაცისთვის ცოლის გაშვება? და სცდიდნენ მას.
- ³ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: „რა დაგიწესათ მოსემ?“
- ⁴მათ თქვეს: „გაყრის წიგნის დაწერა და გაშვება.“
- ⁵იესომ კი უთხრა მათ: „თქვენი გულქვაობის გამო დაგიწერათ მან ეს მცნება.
- ⁶შესაქმის დასაბამიდან ღმერთმა კაცად და ქალად შექმნა ისინი.
- ⁷ამიტომ მიატოვებს კაცი თავის დედ-მამას და მიეკრობა თავის ცოლს.
- ⁸და იქნებიან ორნი ერთი სხეული. ამრიგად, ისინი ორნი კი აღარ არიან, არამედ ერთი ხორცი.
- ⁹ამრიგად, ვინც ღმერთმა შეაუღლა, კაცი ნუ გაყრის მათ.“
- ¹⁰სახლში ყოფნისას მოწაფეები კვლავ შეეკითხნენ ამაზე.
- ¹¹და ეუბნება მათ: „ვინც თავის ცოლს გაუშვებს და სხვას შეირთავს, იგი მრუშობს მის მიმართ.
- ¹²და თუ ცოლი გაეყრება ქმარს და სხვას შეირთავს, მრუშობს.“
- ¹³და მოჰყავდათ მასთან ბავშვები, რათა შეხებოდა მათ, მოწაფეები კი კიცხავდნენ მომყვანებს.
- ¹⁴დაინახა იესომ, გაწყრა და უთხრა მათ: „გამოუშვით ბავშვები და ნუ დაუშლით ჩემთან მოსვლას, რადგან მათნაირებისაა ღმერთის სასუფეველი.
- ¹⁵ჰქმმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ბავშვივით არ მიიღებს ღმერთის სასუფეველს, ვერ შევა შიგ.“
- ¹⁶მოეხვია მათ, ხელები დაადო და აკურთხა ისინი.
- ¹⁷გზას რომ გაუდგა, ვიღაც კაცმა მიირბინა მასთან, მუხლი მოიყარა მის წინაშე და შესთხოვა: „კეთილო მოძღვარო, რა ვქნა, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?“
- ¹⁸იესომ უთხრა მას: „რატომ მიწოდებ მე კეთილს? არავინ არის კეთილი, გარდა ერთი ღმერთისა.
- ¹⁹იცი მცნებანი: არ იმრუშო, არ მოკლა, არ იპარო, არ იყო ცრუმოწმე, არ მოატყუო, პატივი ეცი შენს მამას და დედას.“
- ²⁰მან უთხრა: „მოძღვარო, ყოველივე ამას ჩემი სიჭაბუკიდან ვიცავდი.“
- ²¹იესომ შეხედა, შეუყვარდა ის და უთხრა: „ერთი რამ გაკლია: წადი, რაც გაქვს, გაყიდე და ღარიბებს დაურიგე და ზეცაში გექნება საუნჯე. მერე მოდი და გამომყევი.“



²²ის კი შეწყობდა ამ სიტყვებზე და დანაღვლიანებული წავიდა, რადგან დიდძალი ქონება ჰქონდა.

²³მიმოიხედა იესომ და ეუბნება თავის მოწაფეებს: „რა ძნელია სიმდიდრის მქონეთათვის ღმერთის სასუფეველში შესვლა!“

²⁴მოწაფეები განცვიფრდნენ მის სიტყვებზე. იესომ კი კვლავ მიუგო და ეუბნება მათ: „შვილებო, რა ძნელია ღმერთის სასუფეველში შესვლა მათთვის, ვინც სიმდიდრეზეა დანდობილი!

²⁵აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღმერთის სასუფეველში.“

²⁶მათ კი უფრო მეტად გაიოცეს და ერთმანეთში თქვეს: „ვისღა შეუძლია გადარჩენა?“

²⁷შეხედა მათ იესომ და თქვა: „ეს შეუძლებელია ადამიანთათვის და არა ღმერთისათვის, რადგან ღმერთისათვის ყოველივე შესაძლებელია.“

²⁸დაუწყო პეტრემ მას ლაპარაკი: „აჰა, ჩვენ ყველაფერი მივატოვეთ და შენ გამოგყევით.“

²⁹თქვა იესომ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არავინ არის, ვინც ჩემი გულისთვის და სახარების გულისთვის მიატოვებს სახლს ან ძმებს, ან დებს, ან მამას, ან დედას, ან ცოლს, ან შვილებს, ან ყანებს,

³⁰და ასწილად არ მიიღებს ახლად, ამ ჟამს, სახლებს, ძმებს და დებს, დედებს და შვილებს, და ყანებს ამ დევნასთან ერთად, ხოლო მომავალ საუკუნეში – საუკუნო სიცოცხლეს.

³¹ხოლო პირველთაგან მრავალნი უკანასკნელნი იქნებიან, ხოლო უკანასკნელნი – პირველნი.“

³²გზად მყოფნი იერუსალიმში რომ ადიოდნენ, წინ იესო მიუძღოდათ, მაგრამ კრთოდნენ ისინი, და ვინც მისდევდა, მათაც ეშინოდათ. კვლავ გაიყვანა თორმეტნი და დაუწყო ლაპარაკი იმაზე, თუ რა შეემთხვეოდა მას:

³³„აჰა, ჩვენ ავდივართ იერუსალიმში და კაცის ძე გადაეცემა მღვდელმთავრებსა და მწიგნობრებს და სასიკვდილო მსჯავრს დასდებენ და წარმართებს გადასცემენ;

³⁴დასცინებენ მას, გაამათრახებენ, აფურთხებენ და მოკლავენ, მესამე დღეს კი აღდგება.“

³⁵და მივიდნენ მასთან იაკობი და იოანე, ზებედეს ძენი, და უთხრეს: „მოდღვარო, გვინდა, რომ შეგვისრულო, რასაც გთხოვთ.“

³⁶უთხრა მათ: „რა გინდათ, რომ შეგისრულოთ?“



³⁷მათ უთხრეს: „ნება მოგვეცი, ერთი ჩვენგანი შენს მარჯვნივ დაჯდეს და მეორე – მარცხნივ, შენს დიდებაში.“

³⁸ხოლო იესომ უთხრა მათ: „არ იცით, რას ითხოვთ. განა შეგიძლიათ შესვათ სასმისი, რომელსაც მე ვსვამ, და მიიღოთ ნათლობა, რომლითაც მე ვინათლები?“

³⁹მათ უთხრეს: „შეგვიძლია.“ იესომ უთხრა მათ: „სასმისს, რომელსაც მე ვსვამ, შესვამთ და ნათლობით, რომლითაც მე ვინათლები, მოინათლებით,

⁴⁰მაგრამ ჩემს მარჯვნივ ან მარცხნივ დაჯდომის მოცემა ჩემზე არ არის, არამედ მათია, ვისთვისაც გამზადებულია.“

⁴¹გაიგო ეს ათმა და დაიწყეს დრტვინვა იაკობზე და იოანეზე.

⁴²მოიხმო ისინი იესომ და ეუბნება: „თქვენ იცით, რომ წარმართთა მთავრებად მიჩნეულნი ბატონობენ მათზე და მათი დიდებულები ხელმწიფეობენ მათზე.

⁴³ნუ იქნება ასე თქვენს შორის, არამედ, ვისაც თქვენს შორის სურს იყოს დიდი, ის თქვენი მსახური იყოს,

⁴⁴და ვისაც თქვენს შორის პირველობა სურს, იყოს ყველას მონა!

⁴⁵რადგან კაცის ძე იმისთვის კი არ მოსულა, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისთვის, რომ თავად ემსახუროს და გასცეს თავისი სამშვინველი მრავალთა გამოსასყიდად.“

⁴⁶და მივიდნენ იერიქოში. იერიქოდან რომ გადიოდა თავის მოწაფეებთან და დიდძალ ხალხთან ერთად, გზის პირას იჯდა ბრმა მათხოვარი, ტიმეს ძე, ბარტიმეოსი.

⁴⁷და როდესაც მოესმა, იესო ნაზარეველიაო, დაიწყო ყვირილი და ამბობდა: „დავითის ძეო, იესო, შემიწყალე მე!“

⁴⁸ბევრი უწყრებოდა მას, რომ გაჩუმებულიყო, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ყვიროდა: „დავითის ძეო, შემიწყალე მე!“

⁴⁹შეჩერდა იესო და თქვა: „დაუძახეთ მას.“ და დაუძახეს ბრმას და უთხრეს: „ნუ გეშინია, ადექი, გეძახის.“

⁵⁰მან გადაიგდო მოსასხამი, წამოხტა და მივიდა იესოსთან.

⁵¹მიმართა მას იესომ და თქვა: „რა გინდა, რომ გაგიკეთო?“ ბრმამ უთხრა: „რაბუნი, რომ თვალი ამეხილოს.“

⁵²იესომ უთხრა მას: „წადი, იარე, შენმა რწმენამ გიხსნა შენ. და მყისვე აეხილა თვალი და გაჰყვა მას გზაზე.“



მარკოზის 11

¹და როდესაც მიუახლოვდნენ იერუსალიმს, ბეთზაგეს და ბეთანას, ზეთისხილის მთასთან, გაგზავნა ორნი თავის მოწაფეთაგან.

²და უთხრა მათ: „წადით სოფელში, რომელიც თქვენს წინ არის. როგორც კი შეხვალთ, მცისვე იპოვით დაბმულ ჩოჩორს, რომელზეც ჯერ ადამიანი არ შემჯდარა. ახსენით და მომიყვანეთ.

³და თუ ვინმემ გითხრათ: ‘ამას რას აკეთებთ?’ უთხარით, რომ უფალს სჭირდება და მალე დააბრუნებს.“

⁴წავიდნენ და იპოვეს ქუჩაში კართან დაბმული ჩოჩორი, და აუშვეს იგი.

⁵იქ მდგომთაგან ზოგიერთმა უთხრა მათ: „რას აკეთებთ, რატომ აუშვით ჩოჩორი?“

⁶მათაც უთხრეს, როგორც დააბარათ იესომ, და მოეშვენ მათ.

⁷და მიჰგვარეს ჩოჩორი იესოს. ზედ თავიანთი ტანისამოსი დაუფინეს და შეჯდა მასზე.

⁸ბევრი უფენდა მას გზაზე თავის ტანისამოსს, ზოგი კი მინდორში მოჭრილ ტოტებს.

⁹წინ მიმავალნი და უკან მიმყოლნიც იძახდნენ: „ოსანა! კურთხეულ არს უფლის სახელით მომავალი!

¹⁰კურთხეულ არს ჩვენი მამის, დავითის, მომავალი სამეფო! ოსანა, მაღალთა შინა!“

¹¹და შევიდა იესო იერუსალიმში, ტაძარში, და მოათვალიერა ყველაფერი. უკვე გვიან იყო და გავიდა ბეთანიისაკენ თორმეტთან ერთად.

¹²მეორე დღეს, ბეთანიიდან რომ გავიდნენ, მოშივდა.

¹³და დაინახა შორიდან შეფოთლილი ლელვის ხე და წავიდა მისკენ, რომ ზედ რამე ეპოვა. რომ მივიდა, ვერაფერი იპოვა ფოთლების მეტი, რადგან არ იყო ლელვობის ჟამი.

¹⁴და უთხრა მას: „ნუღარავინ ჭამოს უკუნისამდე შენი ნაყოფი!“ და გაიგონეს მისმა მოწაფეებმა.

¹⁵მივიდნენ იერუსალიმში და შევიდა ტაძარში იესო და დაიწყო გამყიდველთა და მყიდველთა გამოყრა ტაძრიდან. ფულის მცვლელები და ხლები და მტრედების გამყიდველთა მერხები ააყირავა.

¹⁶და არავის ანებებდა, რაიმე გაეტარებინათ ტაძარზე.



¹⁷ასწავლიდა მათ და ეუბნებოდა: „განა არა წერია: ‘ჩემი სახლი ყველა ერის სამლოცველო სახლად იწოდება’? თქვენ კი ავაზაკთა ბუნაგად აქციეთ.“

¹⁸და გაიგონეს მღვდელმთავრებმა და ეძებდნენ გზას, როგორ დაეღუპათ იგი, რადგან ეშინოდათ მისი, რაკი მთელი ხალხი განცვიფრებული იყო მისი მოძღვრებით.

¹⁹როდესაც მოსაღამოვდა, გავიდნენ ქალაქიდან.

²⁰როდესაც დილით ჩაიარეს და დაინახეს, რომ ლეღვი ფესვებამდე გამხმარიყო,

²¹გაახსენდა პეტრეს და ეუბნება მას: „რაბი, აჰა, ის ლეღვი, შენ რომ დასწყევლე, გამხმარა.“

²²მიუგო იესომ და ეუბნება მათ: „იქონიეთ ღმერთის რწმენა.

²³ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ ვინც ეტყვის ამ მთას: ‘აიწიე და ზღვაში ჩავარდი,’ და გულში არ შეეჭვდება, არამედ ირწმუნებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება, აუსრულდება მას.

²⁴ამიტომ გეუბნებით თქვენ: გწამდეთ, რომ ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, მიიღებთ და თქვენი იქნება.

²⁵და როდესაც ლოცვად დგახართ, მიუტევეთ, თუკი რაიმე გაქვთ ვინმეს წინააღმდეგ, რათა თქვენმა მამამაც, რომელიც ზეცაშია, მოგიტევოთ თქვენი შეცოდებანი.

²⁶ხოლო თუ თქვენ არ მიუტევებთ, არც თქვენი მამა, რომელიც ზეცაშია, მოგიტევებთ თქვენს შეცოდებებს.“

²⁷და მივიდნენ კვლავ იერუსალიმში და როდესაც ტაძარში მიმოდით, მღვდელმთავარი, მწიგნობარი და უხუცესნი მივიდნენ მასთან.

²⁸და უთხრეს მას: „რომელი ხელმწიფებით აკეთებ ამას? ან ვინ მოგცა შენ ეს ხელმწიფება?“

²⁹იესომ უთხრა მათ: „მეც გკითხავთ ერთ სიტყვას და მიპასუხეთ, და მეც გეტყვით, რომელი ხელმწიფებით ვაკეთებ ამას.

³⁰იოანეს ნათლისცემა ზეციდან იყო თუ ადამიანთაგან? მიპასუხეთ.“

³¹და ბჭობდნენ ერთმანეთში: „თუ ვიტყვით, – ზეციდან, გვეტყვის, მაშ რატომ არ ირწმუნეთ მისი?

³²მაგრამ თუ ვიტყვით, – ადამიანთაგან, – საშიშია, – რადგან ყველა ფიქრობდა, რომ იოანე წინასწარმეტყველი იყო.“



³³მიუგეს იესოს და უთხრეს: „არ ვიცით.“ და იესომ უთხრა მათ: „არც მე გეტყვით, რომელი ხელმწიფებით ვაკეთებ ამას.“

მარკოზის 12

¹და დაიწყო მათთან იგავებით ლაპარაკი: „კაცმა ჩაყარა ვაზი, ღობე შემოავლო, შიგნით საწნახელი ამოკვეთა და კოშკი ააგო. მიწის მუშაკთ ჩააბარა და წავიდა.

²ჟამმა რომ მოაწია, გაგზავნა მიწის მუშაკებთან მონა, რათა მიეღო მათგან ვენახის ნაყოფი.

³მათ კი შეიპყრეს იგი, სცემეს და ხელცარიელი გაუშვეს.

⁴და კვლავ სხვა მონა გაუგზავნა მათ. თავში ურტყეს მას და შეურაცხყვეს.

⁵სხვა გაგზავნა და მოკლეს იგი. და კიდევ ბევრი სხვა, რომელთაგან ზოგს სცემეს და ზოგიც მოკლეს.

⁶ჰყავდა ერთადერთი საყვარელი ძე. ბოლოს ისიც გაგზავნა მათთან, თქვა, ჩემი ძის მოერიდებათო.

⁷ამ მიწის მუშაკებმა კი თქვეს ერთმანეთში: ‘ეს მისი მემკვიდრეა. მოდი, მოვკლათ და მემკვიდრეობა ჩვენ დაგვრჩება.’

⁸შეიპყრეს იგი, მოკლეს და გადააგდეს ვენახს გარეთ.

⁹რას იზამს ვენახის პატრონი? – მივა, ამოწყვეტს მიწის მუშაკთ და ვენახს სხვებს გადასცემს.

¹⁰ნუთუ არ წაგიკითხავთ დაწერილი: ‘ქვა, მშენებლებმა რომ დაიწუნეს, ქვაკუთხედად იქცა.

¹¹უფლისგან მოხდა ეს და საოცრებაა ჩვენს თვალში?’“

¹²შეეცადნენ მის შეპყრობას, მაგრამ ხალხისა შეეშინდათ, მიხვდნენ, რომ მათზე თქვა ეს იგავი. და მიატოვეს იგი და წავიდნენ.

¹³და მიუგზავნეს მას ზოგიერთნი ფარისეველთა და ჰეროდიანთაგან, რომ დაეჭირათ სიტყვაზე.

¹⁴და მივიდნენ და უთხრეს მას: „მოძღვარო, ვიცით, რომ ჭეშმარიტი ხარ და ყველას მიმართ მიუკერძოებელი, რადგან კაცის სახეს კი არ უყურებ, არამედ ჭეშმარიტებით ასწავლი ღმერთის გზას. უნდა ვაძლიოთ ხარკი კეისარს თუ არა? მივცეთ თუ არ მივცეთ?“

¹⁵მან იცოდა მათი თვალთმაქცობა და უთხრა მათ: „რატომ მცდით? მომიტანეთ დინარი, რომ დავხედო.“



¹⁶მათაც მიუტანეს და ეუბნება მათ: „ვისია ეს სახე და წარწერა?“ უთხრეს მას: „კეისრისა.“

¹⁷იესომ უთხრა მათ: „მიეცით კეისრისა კეისარს და ღმერთისა – ღმერთს.“ და უკვირდათ მისი.

¹⁸მივიდნენ მასთან სადუკველნი, რომელნიც ამბობდნენ, რომ არ არის აღდგომა, და ჰკითხეს მას:

¹⁹„მოდღვარო, მოსემ დაგვიწერა: ‘თუ ვინმეს მოუკვდება ძმა და დარჩება ცოლი, ხოლო შვილი არ დარჩება, მისმა ძმამ უნდა შეირთოს ის ქალი და აღუდგინოს ნაშვირი თავის ძმას.’“

²⁰იყო შვიდი ძმა. პირველმა შეირთო ცოლი და ისე მოკვდა, ნაშვირი არ დარჩენია.

²¹მეორემ შეირთო იგი და მოკვდა. არც მას დარჩენია ნაშვირი. ასევე მესამემ.

²²შვიდთაგან არც ერთს არ დარჩენია ნაშვირი. ყველას შემდეგ კი ქალიც მოკვდა.

²³აღდგომისას, როცა აღდგებიან, რომელი მათგანის ცოლი იქნება, ის ხომ შვიდივეს ჰყავდა ცოლად?“

²⁴უთხრა მათ იესომ: „იმიტომ ხომ არ ცდებით, რომ არ იცით არც წერილები და არც ღმერთის ძალა?“

²⁵რადგან მკვდრებით აღდგომისას არც ცოლს ირთავენ, არც თხოვდებიან, არამედ არიან, როგორც ანგელოზები ცაში.

²⁶ხოლო მკვდრების შესახებ, რომლებიც აღდგებიან, არ წაგიკითხავთ მოსეს წიგნში, როგორ უთხრა მას მაყვლის ბუჩქთან ღმერთმა: ‘მე ვარ ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისააკისა და ღმერთი იაკობისა’?

²⁷მკვდრებისა კი არ არის ღმერთი, არამედ ცოცხლებისა. ძალიან სცდებით.“

²⁸მივიდა მასთან ერთი მწიგნობართაგანი, რომელიც ყურს უგდებდა მათ კამათს და იცოდა, რომ მან კარგად უპასუხა მათ, და ჰკითხა: „რომელია უპირველესი მცნება?“

²⁹მიუგო იესომ: „პირველი მცნებაა, – ისმინე, ისრაელო! – უფალი, ღმერთი ჩვენი, ერთადერთი უფალია;

³⁰შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი გონებით, მთელი შენი ძალით. ეს არის პირველი მცნება.

³¹მეორე არის: შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი. ამათზე დიდი მცნება არ არსებობს.“



³²და უთხრა მას მწიგნობარმა: „კეთილი, მოძღვარო, ჭეშმარიტებას ამბობ შენ, რადგან ‘ის ერთია და სხვა არავინ არის მის გარდა,’

³³და ‘გიყვარდეს იგი მთელი გულით, მთელი გონიერებით, მთელი ძალით, და გიყვარდეს მოყვასი, როგორც თავი შენი’ – ეს ყოველ სრულადდასაწველზე და შესაწირავზე მეტია.“

³⁴როდესაც იესომ დაინახა, რომ მან გონივრულად უპასუხა, უთხრა მას: „შორს არ დგახარ ღმერთის სასუფეველისგან.“ ამის შემდეგ ველარავინ შებედა, რაიმე ეკითხა მისთვის.

³⁵და მიმართა იესომ მათ და თქვა, როდესაც ასწავლიდა ტაძარში: „როგორ ამბობენ მწიგნობარნი, რომ ქრისტე დავითის ძეა?

³⁶თავად დავითმა თქვა სულიწმიდით: ‘უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჯექ ჩემს მარჯვნივ, ვიდრე დავამხობდე შენს მტრებს შენს ფეხთა ქვეშ.’

³⁷თავად დავითი უფალს უწოდებს მას და როგორღა არის ის მისი ძე?“ და დიდძალი ხალხი უსმენდა მას მოწადინებით.

³⁸და თქვა თავისი მოძღვრებით: „ერიდეთ მწიგნობრებს, რომელთაც უყვართ გრძელი სამოსით სიარული და მოედნებზე მოკითხვანი;

³⁹სინაგოგებში კი – წინა რიგები და ნადიმებზე – წინა ადგილები,

⁴⁰რომელნიც ჭამენ ქვრივთა სახლებს და მოსაჩვენებლად დიდხანს ლოცულობენ. ისინი უფრო დიდ სასჯელს მიიღებენ.“

⁴¹და იჯდა საგანძურის წინ და ხედავდა, როგორ ყრიდა ხალხი ფულს საგანძურში. ბევრმა მდიდარმა ბევრი ჩაყარა.

⁴²მოვიდა ერთი ღარიბი, ქვრივი ქალი და ჩადო სპილენძის ორი მონეტა, რომელიც კოდრანტს შეადგენს.

⁴³და დაუმახა თავის მოწაფეებს და უთხრა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ამ ღარიბმა ქვრივმა საგანძურში ყველა ჩამდებზე მეტი ჩადო.

⁴⁴რადგან ყველამ თავისი მოჭარბებულიდან ჩადო, ამათ კი თავისი ნაკლებიდან ჩადო, ყველაფერი, რაც კი სასიცოცხლოდ გააჩნდა.“

მარკოზის 13

¹და როდესაც ტაძრიდან გამოვიდა, ერთმა მის მოწაფეთაგან უთხრა მას: „შეხედე, მოძღვარო, როგორი ქვებია და როგორი შენობები!“

²იესომ უთხრა მას: „ხედავ ამ დიდ შენობებს? ქვა ქვაზე არ დარჩება, რომ არ ჩამოიქცეს.“



³და როდესაც ზეთისხილის მთაზე იჯდა ტაძრის პირდაპირ, ჰკითხეს მას განმარტოებით მყოფმა პეტრემ, იაკობმა, იოანემ და ანდრიამ:

⁴„გვითხარი, როდის მოხდება ეს, და რა არის იმის ნიშანი, რომ ყოველივე ეს უნდა აღსრულდეს?“

⁵იესომ დაუწყო მათ ლაპარაკი: „გაფრთხილდით, რომ არავინ შეგაცდინოთ,

⁶ბევრნი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან, რომ მე ვარ, და მრავალს შეაცდენენ.

⁷ხოლო როდესაც გაიგონებთ ხმებს ომებზე და ომების ამბებზე, ნუ შეძრწუნდებით: ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აღსასრული.

⁸აღდგება ერი ერის წინააღმდეგ და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ. იქნება მიწისძვრები ადგილ-ადგილ და შიმშილობები. ეს მშობიარობის ტკივილების დასაწყისია.

⁹თქვენ კი მიხედეთ თქვენს თავს: გადაგცემენ სამსჯავროებზე, გცემენ სინაგოგებში, გამგებელთა და მეფეთა წინაშე წარსდგებით ჩემს გამო, მათ წინაშე დასამოწმებლად.

¹⁰მაგრამ ჯერ სახარება უნდა ექადაგოს ყველა ერს.

¹¹და როდესაც წაგიყვანენ გადასაცემად, ნუ იზრუნებთ წინასწარ, რა თქვათ; არამედ, რაც იმ ჟამს მოგეცემათ, ის თქვით, რადგან თქვენ კი არ ილაპარაკებთ, არამედ სულიწმიდა.

¹²და გადასცემს ძმა ძმას სასიკვდილოდ და მამა – შვილს. და აღდგებიან შვილები მშობლების წინააღმდეგ და დახოცავენ მათ.

¹³და მოგიძულებთ ყველა ჩემი სახელის გამო. ხოლო ვინც ბოლომე მოითმენს, გადარჩება.

¹⁴როდესაც იხილავთ გავერანების სიბილწეს იქ, სადაც არა ჯერ-არს, იუდეაში მყოფმა მთებს მიაშუროს;

¹⁵ვინც ერდოზე იქნება, ძირს ნუ ჩამოვა და ნურც შინ შევა რაიმეს გამოსატანად;

¹⁶ვინც მინდორში იქნება, ნუ დაბრუნდება უკან თავისი სამოსის გამოსატანად,

¹⁷ვაი ორსულებსა და მეძუძურებს იმ დღეებში!

¹⁸ილოცეთ, რომ ზამთარში არ მოხდეს ეს,



¹⁹რადგან იმ დღეებში ისეთი გასაჭირი იქნება, რომლის მსგავსი არ ყოფილა დასაბამიდან ქმნილებისა, რომელიც შექმნა ღმერთმა, დღევანდელ დღემდე, და არც არასოდეს იქნება.

²⁰და უფალს რომ არ შეემოკლებინა ის დღეები, ვერა ხორციელი ვერ გადარჩებოდა. მაგრამ ის დღეები შეამოკლა რჩეულთათვის, რომლებიც ამოირჩია.

²¹მაშინ თუ გეტყვით ვინმე: ‘აჰა, აქ არის ქრისტე,’ ან ‘აჰა, იქ არის,’ არ ერწმუნოთ.

²²რადგან აღდგებიან ცრუქრისტეები და ცრუწინასწარმეტყველნი და მოიმოქმედებენ სასწაულებსა და ნიშნებს, რათა რჩეულნიც შეაცდინონ, თუკი შეძლებენ.

²³თქვენ კი გაფრთხილდით. წინასწარ გითხარით ყველაფერი.

²⁴ხოლო იმ დღეებში, იმ გასაჭირის შემდგომ, მზე დაბნელდება და მთვარე აღარ გამოსცემს თავის ნათელს.

²⁵იქნება ვარსკვლავთა ცვენა და შეირყევინა ციური ძალნი.

²⁶მაშინ იხილავენ კაცის ძეს, ღრუბლებზე მომავალს დიადი ძალითა და დიდებით.

²⁷მაშინ იგი წარგზავნის თავის ანგელოზებს და შეკრებენ თავის რჩეულებს ოთხივე ქარისაგან, მიწის კიდიდან ცის კიდემდე.

²⁸ლელვისაგან ისწავლეთ იგავი: როცა მისი რტოები დარბილდება და შეიფოთლება, იცით, რომ ახლოა ზაფხული.

²⁹ასევე, როცა დაინახავთ, რომ ეს ყოველივე ხდება, იცოდეთ, რომ კარსაა მომდგარი.

³⁰ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ გადაივლის ეს თაობა, ვიდრე ყოველივე ეს არ მოხდება.

³¹ცა და მიწა გარდავლენ, ჩემი სიტყვები კი არ გარდავლენ.

³²მაგრამ იმ დღეზე და ჟამზე არავინ იცის, არც ციურმა ანგელოზებმა, არც ძემ, არამედ მხოლოდ მამამ.

³³გაფრთხილდით, იფხიზლეთ და ილოცეთ, რადგან არ იცით, როდის დადგება ის ჟამი.

³⁴მსგავსად იმისა, როგორც გზაზე დამდგარი კაცი ტოვებს თავის სახლს, თავის მონებს აძლევს ხელმწიფებას, ყველას თავის საქმეს მიუჩენს და მეკარეს უბრძანებს ფხიზლად ყოფნას, –



³⁵ასევე იფხიზლეთ! რადგან არ იცით, როდის მოვა სახლის პატრონი – სადამოს თუ შუადამისას, მამლის ყივილზე თუ განთიადისას,

³⁶რათა მოულოდნელად მოსულმა მძინარენი არ გპოვოთ.

³⁷რასაც თქვენ გეუბნებით, ყველას ვეუბნები: იფხიზლეთ!“

მარკოზის 14

¹ორი დღის შემდეგ პასექისა და უფუარობის დღესასწაული იყო. მღვდელმთავარნი და მწიგნობარნი ეძიებდნენ, როგორ შეეპყრათ იგი მზაკვრობით და მოეკლათ.

²და ამბობდნენ: „ოღონდ დღესასწაულზე არა, რათა ხალხი არ აღშფოთდეს.“

³და როდესაც ბეთანიაში იყო, სიმონ კეთროვანის სახლში, და ინახად იჯდა, მივიდა ქალი, რომელსაც ალაბასტრონის ჭურჭლით ძვირად ღირებული ნარდის სუფთა ნელსაცხებელი ჰქონდა, გატეხა ალაბასტრონი და თავზე დაასხა მას.

⁴იყვნენ იქ ზოგიერთნი, რომლებიც აღშფოთებით ლაპარაკობდნენ ერთმანეთში: „ასე რად დაიხარჯა ნელსაცხებელი?“

⁵ხომ შეიძლებოდა ამ ნელსაცხებლის გაყიდვა სამას დინარზე მეტად და ღარიბებისათვის დარიგება?“ და კიცხავდნენ მას.

⁶იესომ თქვა: „მოეშვით მაგას, რატომ აწუხებთ? მან კეთილი საქმე გამიკეთა მე.

⁷რადგან ღარიბები მუდამ თქვენთან გყავთ და, თუკი მოისურვებთ, შეგიძლიათ სიკეთე უყოთ მათ. მე კი მუდამ არ გეყოლებით.

⁸მან გააკეთა, რაც შეეძლო: წინასწარ სცხო ჩემს სხეულს ნელსაცხებელი დასამარხავად.

⁹ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სადაც კი იქადაგება სახარება მთელ ქვეყნიერებაზე, იტყვიან იმასაც, რაც მან გააკეთა, მის მოსაგონებლად.“

¹⁰იუდა ისკარიოტელი, ერთი იმ თორმეტაგანი, წავიდა მღვდელმთავრებთან, რათა გაეცა იგი.

¹¹მათ მოისმინეს და გაიხარეს, და აღუთქვეს მას ვერცხლის მიცემა. ის კი მარჯვე შემთხვევას ეძებდა, რათა გაეცა იგი.



¹²უფუარობის პირველ დღეს, როცა პასეკი იკვლება, მისმა მოწაფეებმა უთხრეს მას: „სად გინდა, რომ წავიდეთ და მოგიმზადოთ საჭმელად პასეკი?“

¹³და გაგზავნა ორი თავის მოწაფეთაგან და უთხრა მათ: „წადით ქალაქში და შემოგხვდებით კაცი, რომელსაც კოკით წყალი მოაქვს. გაჰყევით მას

¹⁴და სადაც შევა, უთხარით სახლის პატრონს: მოძღვარმა თქვა: ‘სად არის ჩემი სასტუმრო ოთახი, ჩემს მოწაფეებთან ერთად რომ ვჭამო პასეკი?’

¹⁵და ის გიჩვენებთ ზემო დარბაზს, მოფარდაგებულსა და გამზადებულს. იქ მოგვიმზადეთ.“

¹⁶გამოვიდნენ მისი მოწაფეები და წავიდნენ ქალაქში, და იპოვეს, როგორც მან უთხრა, და მოამზადეს პასეკი.

¹⁷როდესაც მოსაღამოვდა, მოვიდა თორმეტთან ერთად.

¹⁸და როცა ისხდნენ და ჭამდნენ, იესომ თქვა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ერთი თქვენგანი, რომელიც ჩემთან ერთად ჭამს, გამცემს მე.“

¹⁹ისინი შეწუხდნენ და ეკითხებოდნენ სათითაოდ: „მე ხომ არა?“

²⁰მან უთხრა მათ: „ერთი თორმეტაგანი, ჩემთან ერთად ჯამში რომ ჩააწობს.

²¹რადგან კაცის ძე მიდის, როგორც დაწერილია მასზე, მაგრამ, ვაი იმ კაცს, ვის მიერაც გაიცემა კაცის ძე. ჯობდა იმ კაცისათვის, რომ არ დაბადებულიყო.“

²²და როდესაც ისინი ჭამდნენ, აიღო იესომ პური, აკურთხა, დატეხა, მისცა მათ და თქვა: „აიღეთ და ჭამეთ – ეს არის ჩემი სხეული!“

²³აიღო სასმისი, მაღლი შესწირა და მისცა მათ, და იქიდან შესვა ყველამ.

²⁴უთხრა მათ: „ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი.

²⁵ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: აღარ შევსვამ ვაზის ნაყოფისაგან იმ დღემდე, როდესაც შევსვამ ახალს ღმერთის სასუფეველში.“

²⁶და იგალობეს და გავიდნენ ზეთისხილის მთაზე.

²⁷ეუბნება მათ იესო: „ყველანი ცდუნდებით, რადგან დაწერილია: ‘დავცემ მწყემსს და გაიფანტებიან ცხვრები.’

²⁸მაგრამ ჩემი აღდგომის მერე წინ წაგიძღვებით გალილეაში.“

²⁹პეტრემ უთხრა მას: „თუნდაც ყველანი ცდუნდნენ, მაგრამ მე არა!“



³⁰და ეუბნება მას იესო: „ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ამაღამ, სანამ მამალი ორჯერ იყივლებდეს, სამჯერ უარმოყოფ მე.“

³¹ის კი მეტი დაჟინებით ამბობდა: „თუნდაც შენთან ერთად მოვკვდე, არ უარგყოფ.“ ასევე ამბობდნენ ყველანი.

³²მივიდნენ ადგილზე, რომლის სახელია გეთსემანია, და ეუბნება თავის მოწაფეებს: „ისხედით აქ, სანამ ვილოცებ.“

³³წაიყვანა თავისთან ერთად პეტრე, იაკობი და იოანე. და იწყო წუხილი და ურვა.

³⁴ეუბნება მათ: „დამწუხრებულია ჩემი სული სიკვდილამდე. იყავით აქ და იფხიზლეთ.“

³⁵გაიარა მცირედი და დაემხო მიწაზე და ლოცულობდა, რათა, თუ შესაძლებელი იყო, ასცდენოდა ეს ჟამი.

³⁶და თქვა: „აბა, მამო, შენთვის ყოველივე შესაძლებელია. ამაცილე ეს სასმისი. მაგრამ არა რაც მე მსურს, არამედ, რაც – შენ.“

³⁷მიდის და პოულობს მათ მძინარეთ და ეუბნება პეტრეს: „სიმონ, გძინავს? ვერ შესძელი, ერთ საათს გეფხიზლა?“

³⁸იფხიზლეთ და ილოცეთ, რომ არ ჩავარდეთ განსაცდელში. სული მხნეა, ხორცი კი უძლური.“

³⁹და კვლავ წავიდა, ლოცულობდა და იმავე სიტყვებს ამბობდა.

⁴⁰და კვლავ მივიდა და მძინარენი ჰპოვა ისინი, რადგან თვალები დამძიმებოდათ, და არ იცოდნენ, რა ეპასუხათ მისთვის.

⁴¹და მივიდა მესამედ და ეუბნება მათ: „თქვენ ისევ გძინავთ და განისვენებთ? კმარა. მოვიდა ჟამი. აჰა, კაცის ძე გადაეცემა ცოდვილთა ხელთ.“

⁴²ადექით, წავიდეთ. აჰა, მოახლოვდა ჩემი გამცემი.“

⁴³და უეცრად, როდესაც ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, მოვიდა იუდა, ერთი თორმეტთაგანი, და მასთან ერთად ხალხი მახვილებით და კეტებით – მღვდელმთავართა, მწიგნობართა და უხუცესთაგან.

⁴⁴მიეცა მის გამცემს მათთვის ნიშანი და ეთქვა: „ვისაც მე ვეამბორები, ის არის, შეიპყარით და დაცვით წაიყვანეთ.“

⁴⁵და მივიდა, მყისვე მიუახლოვდა მას და ეუბნება: „რაბი!“ და ეამბორა.

⁴⁶მათ კი ხელი დაადეს და შეიპყრეს იგი.



⁴⁷ერთმა იქ მდგომთაგან იძრო მახვილი, სცა მღვდელმთავრის მონას და ყური ჩამოათალა.

⁴⁸მიუგო იესომ და უთხრა მათ: „როგორც ავაზაკზე, ისე გამოხვედით ჩემს შესაპყრობად მახვილებითა და კეტებით.

⁴⁹ყოველდღე თქვენთან ვიყავი ტაძარში და გასწავლიდით, და არ შეგიპყრივართ. მაგრამ უნდა აღსრულდეს წერილები.“

⁵⁰და მიატოვეს იგი და გაიქცნენ ყველანი.

⁵¹ერთი ჭაბუკი, რომელსაც შიშველ სხეულზე ტილო მოესხა, მიჰყვებოდა მას და შეიპყრეს იგი.

⁵²და შეატოვა ტილო და შიშველი გაიქცა.

⁵³და მიიყვანეს იესო მღვდელმთავართან. და მოიყარა თავი ყველა მღვდელმთავარმა, უხუცესმა და მწიგნობარმა.

⁵⁴პეტრე შორიდან მიჰყვებოდა მას თვით მღვდელმთავრის ეზომდე, და დაჯდა მსახურებთან და ცეცხლს მიეფიცხა.

⁵⁵მღვდელმთავარნი და მთელი სინედრიონი ეძებდნენ მოწმობას იესოს წინააღმდეგ, რათა მოეკლათ იგი, მაგრამ ვერ პოულობდნენ.

⁵⁶მრავალი ცრუდ მოწმობდა მის წინააღმდეგ, მაგრამ ეს მოწმობანი ერთმანეთს არ ემთხვეოდა.

⁵⁷ზოგნი წამოდგნენ და ცრუდ მოწმობდნენ მის წინააღმდეგ და ამბობდნენ:

⁵⁸„ჩვენ მოვისმინეთ, რომ ამბობდა: ‘დავანგრევ ამ ხელთქმნილ ტაძარს და სამ დღეში ავაშენებ სხვას, ხელთუქმნელს.’“

⁵⁹მაგრამ არც მათი მოწმობანი ემთხვეოდა ერთმანეთს.

⁶⁰დადგა მღვდელმთავარი შუაში და ჰკითხა იესოს: „არაფერს უპასუხებ? რა არის, რასაც ესენი შენს წინააღმდეგ მოწმობენ?“

⁶¹ის კი დუმდა და არ პასუხობდა. კვლავ ეკითხება მღვდელმთავარი და ეუბნება: „შენა ხარ ქრისტი, მე კურთხეულისა?“

⁶²იესომ თქვა: „მე ვარ. იხილავთ კაცის ძეს ძალის მარჯვნივ მჯდომარეს და ცის ღრუბლებთან ერთად მომავალს.“

⁶³მღვდელმთავარმა შემოიხია სამოსი და თქვა: „რალად გვინდა მოწმეები?“

⁶⁴თქვენ მოისმინეთ გმობა. რას იტყვით?“ მაშინ ყველამ დასდო მსჯავრი მას, როგორც სიკვდილის თანამდებს.



⁶⁵და დაუწყეს ზოგიერთებმა მას ფურთხება; სახე დაუფარეს, სცემდნენ და ეუბნებოდნენ: „იწინასწარმეტყველე!“ და მსახურები სახეში ურტყამდნენ.

⁶⁶როდესაც პეტრე ქვემოთ, ეზოში იყო, მივიდა მასთან მღვდელმთავრის ერთი მხევალთაგანი,

⁶⁷დაინახა ცეცხლს მიფიცხებული პეტრე, დააკვირდა და ეუბნება: „შენც ნაზარეველთან ერთად იყავი, იესოსთან.“

⁶⁸მან უარყო და თქვა: „არ ვიცი და არც მესმის, რას ამბობ.“ გავიდა ეზოს გარეთ და მამალმა იყივლა.

⁶⁹მხევალმა დაინახა იგი და კვლავ დაიწყო ლაპარაკი იქ მდგომთა გასაგონად, ესეც იმათთაგანიაო.

⁷⁰მან კი კვლავ უარყო. მცირე ხნის შემდეგ იქ მდგომებმა კვლავ უთხრეს პეტრეს: „ნამდვილად იმათგანი ხარ, რადგან შენც გალილეელი ხარ, კილოზეც გეტყობა.“

⁷¹და დაიწყო მან თავის წყევლა და ფიცილი: „არ ვიცნობ იმ კაცს, ვისზეც მელაპარაკებით.“

⁷²და მყისვე მეორედ იყივლა მამალმა და პეტრეს გაახსენდა სიტყვა, რომელიც იესომ უთხრა: სანამ მამალი ორჯერ იყივლებდეს, სამჯერ უარმყოფ მე. და ატირდა.

მარკოზის 15

¹და მაშინვე, დილით ადრე, მოითათბირეს მღვდელმთავრებმა უხუცესებთან, მწიგნობრებთან და მთელ სინედრიონთან ერთად და შეკრეს იესო, წაიყვანეს და გადასცეს პილატეს.

²და ჰკითხა მას პილატემ: „შენ ხარ იუდეველთა მეფე?“ ხოლო მან მიუგო და უთხრა: „შენ ამბობ.“

³და ბევრ რამეს აბრალებდნენ მას მღვდელმთავრები.

⁴პილატემ კვლავ ჰკითხა მას: „არაფერს უპასუხებ? ხედავ, რამდენს გაბრალებენ?“

⁵ხოლო იესო აღარაფერზე პასუხობდა, და გააოცა ამით პილატე.

⁶ხოლო დღესასწაულებზე იგი უთავისუფლებდა მათ ერთ პატიმარს, ვისაც სთხოვდნენ.

⁷და იყო ვინმე, ბარაბად წოდებული, ბორკილდადებული მეამბოხეებთან ერთად, რომელთაც ამბოხისას მკვლელობა ჩაედინათ.



⁸ავიდა ხალხი და დაუწყო თხოვნა, რასაც იგი ჩვეულებისამებრ უსრულებდა მათ.

⁹პილატემ მიუგო მათ და უთხრა: „გინდათ გაგიტავისუფლოთ იუდეველთა მეფე?“

¹⁰რადგან იცოდა, რომ მღვდელმთავრებმა შურით გადასცეს იგი.

¹¹მღვდელმთავრებმა კი შეაგულიანეს ბრბო, რომ ბარაბას გატავისუფლება ეთხოვათ.

¹²პილატემ კვლავ მიმართა და უთხრა მათ: „რა გინდათ, რომ ვუყო მას, ვისაც თქვენ იუდეველთა მეფეს უწოდებთ?“

¹³მათ კი კვლავ იყვირეს: „ჯვარს აცვი იგი!“

¹⁴პილატემ უთხრა მათ: „მაგრამ რა ბოროტება ჩაიდინა?“ მაგრამ ისინი კიდევ უფრო მეტი დაჟინებით აყვირდნენ: „ჯვარს აცვი იგი!“

¹⁵პილატემ, რომელსაც სურდა ხალხის მომადლიერება, გაუტავისუფლა მათ ბარაბა, ხოლო იესო გამათრახების შემდეგ გადასცა, რათა ჯვარს ეცვათ.

¹⁶ჯარისკაცებმა შეიყვანეს იგი ეზოს შიგნით, პრეტორიუმში, და შეკრიბეს მთელი რაზმი,

¹⁷შემოსეს იგი მოწეულით და დაადგეს ეკლისგან დაწნული გვირგვინი.

¹⁸და დაუწყეს მას მისალმება: „გიხაროდეს, იუდეველთა მეფევ!“

¹⁹და ურტყამდნენ თავში ლერწამს, აფურთხებდნენ და მუხლმოყრილნი სცემდნენ თავყანს.

²⁰და როდესაც შეურაცხევეს, გახადეს მოწეული და მისივე ტანსაცმელი ჩააცვეს, და გამოიყვანეს, რომ ჯვარს ეცვათ.

²¹და აიძულეს ერთი გამვლელი, სიმონ კვირინელი, ალექსანდრეს და რუფეს მამა, რომელიც ყანიდან მოდიოდა, წამოეღო მისი ჯვარი.

²²და მიიყვანეს იგი იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია გოლგოთა (თარგმანით ეს არის თხემის ადგილი).

²³და მიაწოდეს მას მურწარევი ღვინო დასალევად, მაგრამ არ მიიღო.

²⁴და ჯვარს აცვეს და გაიყვეს მისი სამოსელი წილის ყრით, ვის რა ერგებოდა.

²⁵იყო მესამე საათი, როდესაც ჯვარს აცვეს იგი.

²⁶და იყო წარწერა მისი ბრალდებისა ამგვარად დაწერილი: „მეფე იუდეველთა.“



²⁷და მასთან ერთად ჯვარს აცვეს ორი ავაზაკი, ერთი მის მარჯვნივ და მეორე მარცხნივ.

²⁸და აღსრულდა წერილი, რომელშიც ნათქვამია: „ბოროტმოქმედთა შორის შეირაცხა.“

²⁹გამვლელები გმოზდნენ მას, თავს აქნევდნენ და ამზობდნენ: „ეჰა, ტაძრის დამანგრეველო და სამ დღეში ამშენებელო,

³⁰იხსენი საკუთარი თავი და გადმოდი ჯვრიდან!“

³¹ასევე მღვდელმთავარნი, მწიგნობრებთან ერთად, დასცინოდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „სხვებს იხსნიდა, საკუთარი თავის ხსნა კი არ შეუძლია.

³²ქრისტე, მეფე ისრაელისა, ჩამოვიდეს ახლა ჯვრიდან, რომ ვიხილოთ და ვირწმუნოთ.“ და მასთან თანაჯვარცმულებიც ლანძღავდნენ მას.

³³და როდესაც მეექვსე საათი დადგა, ბნელმა მოიცვა მთელი დედამიწა მეცხრე საათამდე.

³⁴მეცხრე საათზე შესძახა იესომ დიდი ხმით: „ელოი, ელოი, ლამა საბაქთანო?“ რაც ნიშნავს: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე მე?“

³⁵იქ მდგომთაგან ზოგიერთებმა გაიგონეს და თქვეს: „აჰა, ელიას უხმოზს.“

³⁶ერთი ვიღაც გაიქცა, ღრუბელი ძმრით გაჟღინთა, წამოაგო ლერწამზე და მიაწოდა დასაღევად, თან ამზობდა: „აბა, ვნახოთ, თუ მოვა ელია მის ჩამოსახსნელად.“

³⁷იესომ ხმამაღლა შესძახა და სული განუტევა.

³⁸და ტაძრის ფარდა ორად გაიპო თავიდან ბოლომდე.

³⁹როდესაც მის წინ მდგომმა ასისთავმა დაინახა, რომ ასე შესძახა და განუტევა სული, თქვა: „ჭეშმარიტად ღმერთის ძე იყო ეს ადამიანი.“

⁴⁰აქ იყვნენ ქალებიც, რომლებიც შორიდან უყურებდნენ. მათ შორის იყო მარიამ მაგდალელი, და მარიამი, იაკობ მცირისა და იოსეს დედა, და სალომე,

⁴¹რომლებიც მის გალილეაში ყოფნისას თან დაჰყვებოდნენ და ემსახურებოდნენ მას. ასევე მრავალი სხვაც, რომლებიც მასთან ერთად ამოვიდნენ იერუსალიმს.

⁴²როდესაც მოსაღამოვდა, რაკი პარასკევი იყო, რომელიც შაბათის წინადლეა,



⁴³მოვიდა იოსებ არიმათიელი, პატივდებული მრჩეველი, რომელიც თავადაც მოელოდა ღმერთის სასუფეველს, გაბედა და შევიდა პილატესთან და გამოითხოვა იესოს ცხედარი.

⁴⁴პილატეს გაუკვირდა, რომ უკვე მკვდარი იყო და დაუძახა ასისტავს და ჰკითხა, მოკვდა თუ არა უკვე.

⁴⁵და რომ შეიტყო ასისტავისაგან, უბოძა იოსებს ცხედარი.

⁴⁶და იყიდა მან ტილო, გარდამოხსნა იგი, შეგრაგნა ტილოთი და დაასვენა სამარხში, რომელიც კლდეში იყო გამოკვეთილი, და ლოდი მიაგორა სამარხს კარზე.

⁴⁷მარიამ მაგდალელმა და მარიამმა, იოსეს დედამ, დაინახეს, სადაც დაასვენეს იგი.

მარკოზის 16

¹შაბათი რომ გავიდა, მარიამ მაგდალელმა, მარიამ იაკობისამ და სალომემ იყიდეს ნელსურნელებანი, რომ მისულიყვნენ და ეცხოთ მისთვის.

²და ერთშაბათს, დილით ადრე, მივიდნენ სამარხთან მზის ამოსვლისას.

³და ამბობდნენ ერთმანეთში: „ვინ გადაგვიგორებს ლოდს სამარხის კარიდან?“

⁴გაიხედეს და დაინახეს, რომ ლოდი გადაგორებულია, ხოლო იყო ის ძალიან დიდი.

⁵შევიდნენ სამარხში და დაინახეს მარჯვნივ მჯდომარე ჭაბუკი, სპეტაკი სამოსით შემოსილი, და შემფოთდნენ.

⁶ის კი ეუბნება მათ: „ნუ შემფოთდებით! თქვენ ეძებთ იესო ნაზარეველს, ჯვარცმულს. ის აღდგა, აქ არ არის. აჰა, ადგილი, სადაც ის დაასვენეს.

⁷მაშ წადით, უთხარით მის მოწაფეებს და პეტრეს: ‘აჰა, ის წინ მიგიძღვით გალილეისაკენ. იქ ნახავთ მას, როგორც ნათქვამი აქვს თქვენთვის.’“

⁸და გამოვიდნენ და გაიქცნენ სამარხიდან, რადგან ძრწოლამ და განცვიფრებამ შეიპყრო ისინი. და არავის არაფერი უთხრეს, რადგან შეშინებულები იყვნენ.

⁹როდესაც აღდგა ერთშაბათის განთიადისას, პირველად ეჩვენა მარიამ მაგდალელს, ვისგანაც შვიდი ეშმაკი განდევნა.

¹⁰ის წავიდა და შეატყობინა მათ, ვინც მასთან იყო – მგლოვიარეთ და მტირალთ.



- ¹¹ხოლო მათ, როდესაც მოისმინეს, რომ ცოცხალია და მარიამმა იხილა იგი, არ ირწმუნეს.
- ¹²ამის შემდეგ სხვა სახით ეჩვენა იგი გზად მიმავალ ორ მათგანს, როდესაც სოფლისკენ მიდიოდნენ.
- ¹³ისინი მივიდნენ და სხვებს შეატყობინეს, მაგრამ არც ამათი ირწმუნეს.
- ¹⁴მოგვიანებით ეჩვენა თერთმეტს, ინახით მსხდართ, და უსაყვედურა ურწმუნოება და გულქვაობა, რადგან არ ირწმუნეს მათი, რომლებმაც აღმდგარი იხილეს იგი.
- ¹⁵და უთხრა მათ: „მოიარეთ მთელი ქვეყნიერება და უქადაგეთ სახარება ყველა ქმნილებას.
- ¹⁶ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება. ვინც არ ირწმუნებს, მსჯავრი დაედება.
- ¹⁷ეს ნიშნები იქნება მორწმუნეთა თანმხლები: ჩემი სახელით განდევნიან ეშმაკებს, ახალი ენებით ილაპარაკებენ,
- ¹⁸გველებს აიყვანენ ხელში და რაიმე მომაკვდინებელიც რომ შესვან, არ ავნებთ. ავადმყოფებს ხელებს დაადებენ და კარგად გახდებიან.“
- ¹⁹ასე, მათთან საუბრის შემდეგ უფალი იესო ამაღლდა ზეცად და დაჯდა ღმერთის მარჯვნივ.
- ²⁰ისინიც წავიდნენ და ქადაგებდნენ ყველგან. და უფალი შეეწეოდა მათ და განამტკიცებდა სიტყვას თანამდევი ნიშნებით. ამინ.



ლუკას სახარება

ლუკას 1

- ¹რადგან ახლა ბევრმა მიჰყო ხელი ჩვენს შორის მომხდარ ამბავთა მწყობრ აღწერას ისე,
- ²როგორც გადმოგვცეს მათ, რომელნიც თავიდანვე თვითმხილველნი და სიტყვის მსახურნი გახდნენ,
- ³მეც მივიჩნიე, რომ მას შემდეგ, რაც გულდასმით გამოვიკვლიე ყოველივე თავიდან, ზუსტად აგიწერო, ღირსეულო თეოფილე,
- ⁴რათა შეიცნო იმ მოძღვრების ჭეშმარიტება, რომელიც ნასწავლი გაქვს.
- ⁵იუდეის მეფის, ჰეროდეს დღეებში იყო მღვდელი ვინმე, სახელად ზაქარია, აბიას რიგიდან, ხოლო მას ცოლად ჰყავდა აარონის ასულთაგანი, სახელად ელისაბედი.
- ⁶ორივენი მართლები იყვნენ ღმერთის წინაშე და უმწიკვლოდ მისდევდნენ უფლის ყოველ მცნებასა და წესს.
- ⁷მათ არ ჰყავდათ შვილი, რადგან ბერწი იყო ელისაბედი და ორივენი ხანგადასულნი იყვნენ.
- ⁸ერთხელ, როდესაც იგი თავისი რიგისამებრ მღვდლობდა ღმერთის წინაშე,
- ⁹სამღვდლო ჩვეულებით წილად ხვდა კმევა და შევიდა უფლის ტაძარში,
- ¹⁰ხოლო გარეთ მთელი ხალხი ლოცულობდა კმევის დროს,
- ¹¹ეჩვენა მას უფლის ანგელოზი, საკმევლის სამსხვერპლოს მარჯვნივ მდგარი.
- ¹²და შეკრთა ამის მხილველი ზაქარია და შიშმა მოიცვა ის.
- ¹³და უთხრა მას ანგელოზმა: „ნუ გეშინია, ზაქარია, რადგან შეწყნარებულია შენი ლოცვა, და შენი ცოლი, ელისაბედი, გიშობს ძეს და დაარქმევ მას სახელად იოანეს.
- ¹⁴და გექნება შენ სიხარული და მხიარულება და მრავალი გაიხარებს მისი შობით.
- ¹⁵რადგან დიდი იქნება იგი უფლის წინაშე, ღვინოსა და თაფლუქს არ დალევს და სულიწმიდით იქნება აღვსილი დედის საშოდანვე.
- ¹⁶და ისრაელის მრავალ ძეს მოაქცევს უფლის, მათი ღმერთისაკენ.



¹⁷და ივლის ის მის წინაშე ელიას სულითა და ძალით, რათა მოაქციოს მამათა გულები შვილთა მიმართ, ხოლო ურჩნი მართალთა სიბრძნის მიმართ და წარუდგინოს უფალს განმზადებული ხალხი.“

¹⁸უთხრა ზაქარიამ ანგელოზს: „როგორ გავიგო ეს? მე ხომ მოხუცებული ვარ და ჩემი ცოლიც უკვე ხანგადასულია.“

¹⁹მიუგო ანგელოზმა და უთხრა მას: „მე ვარ გაბრიელი, ღმერთის წინაშე მდგომი და წარმოგზავნილი ვარ, რათა გაუწყო და გახარო ეს.

²⁰და, აჰა, დადუმდები და ვერ შეძლებ ლაპარაკს იმ დღემდე, ვიდრე ეს ახდება, რადგან არ ერწმუნე ჩემს სიტყვებს, რომლებიც თავის დროზე აღსრულდება.“

²¹ხალხი კი იდგა და ელოდა ზაქარიას და უკვირდა მისი დაყოვნება ტაძარში.

²²გარეთ გამოსულმა მათთვის ხმის გაცემა ვერ შეძლო. და მიხვდნენ, რომ ჩვენება იხილა ტაძარში. ის კი მოძრაობით ანიშნებდა მათ და დარჩა მუნჯად.

²³და როდესაც დასრულდა მისი მსახურების დღეები, წავიდა შინ.

²⁴იმ დღეთა შემდეგ დაორსულდა ელისაბედი, მისი ცოლი. ხუთ თვეს მალავდა თავს და ამბობდა:

²⁵„ეს მიყო მე უფალმა ამ დღეებში, როდესაც მომხედა, რათა წარეხოცა ჩემი სირცხვილი ადამიანთა შორის.“

²⁶მეექვსე თვეს კი წარმოგზავნილ იქნა ღმერთისაგან გაბრიელ ანგელოზი გალილეის ქალაქში, რომლის სახელია ნაზარეთი,

²⁷ქალწულთან, რომელიც დანიშნული იყო კაცზე, სახელად იოსებზე, დავითის სახლიდან, და ქალწულს ერქვა სახელად მარიამი.

²⁸და შევიდა მასთან ანგელოზი და უთხრა: „გიხაროდეს, მიმადლებულო, უფალი შენთანაა.“

²⁹იგი შეშფოთდა ამ სიტყვებზე და ჩაფიქრდა: „რას უნდა ნიშნავდეს ეს მოკითხვა?“

³⁰და უთხრა მას ანგელოზმა: „ნუ გეშინია, მარიამ, რადგან მაღლი გაქვს ნაპოვნი ღმერთთან.

³¹აჰა, საშოში ჩაგესახება და შობ ძეს და დაარქმევ მას სახელს – იესოს.

³²დიდი იქნება იგი და უზენაესის ძეს უწოდებენ. და მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის, ტახტს.



³³და საუკუნოდ იმეფებს იაკობის სახლზე და მის მეფობას არ ექნება დასასრული.”

³⁴უთხრა მარიამმა ანგელოზს: „როგორ იქნება ეს, როცა მე მამაკაცი არ ვიცი?“

³⁵მიუგო ანგელოზმა და უთხრა: „სულიწმიდა გადმოვა შენზე და მაღლის ძალა მოგიჩრდილავს შენ. ამიტომ ბავშვს, რომელიც დაიბადება, წმიდა და ღმერთის ძე დაერქმევა.

³⁶აჰა, შენს ნათესავს, ელისაბედსაც სიბერეში ჩაესახა ძე და მეექვსე თვეშია უკვე,

³⁷რადგან ღმერთისათვის არაფერია შეუძლებელი.“

³⁸თქვა მარიამმა: „აჰა, უფლის მხევალი ვარ მე. მეყოს მე შენი სიტყვისამებრ.“ და წავიდა მისგან ანგელოზი.

³⁹ადგა მარიამი იმ დღეებში და გაეშურა მთიან მხარეში, იუდეის ქალაქისაკენ.

⁴⁰და შევიდა ზაქარიას სახლში და მოიკითხა ელისაბედი.

⁴¹და მოხდა ისე, რომ როდესაც მოესმა მარიამის მოკითხვა ელისაბედს, შეიძრა ჩვილი მის საშოში. და აღივსო ელისაბედი სულიწმიდით,

⁴²და შესძახა დიდი ხმით და თქვა: „კურთხეული ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულია შენი საშოს ნაყოფი!

⁴³ვინა ვარ მე, რომ ჩემი უფლის დედა მოვიდა ჩემთან?

⁴⁴რადგან, როდესაც შენი მოკითხვის ხმა მოსწვდა ჩემს ყურს, სიხარულით შეიძრა ჩვილი ჩემში.

⁴⁵ნეტარია, ვინც ირწმუნა, რადგან აღსრულდება ყველაფერი, რაც უფალმა უთხრა მას.“

⁴⁶და თქვა მარიამმა: „ადიდებს სული ჩემი უფალს,

⁴⁷და ზეიმობს ჩემი სული ღმერთში, ჩემს მაცხოვარში,

⁴⁸რადგან მოხდა მან თავისი მხევლის სიმდაბლეს. და ამიერიდან ნეტარად ჩამთვლის მე ყოველი თაობა;

⁴⁹რადგან დიდი რამ მიყო ძლიერმა, და წმიდაა სახელი მისი.

⁵⁰და მისი წყალობა მის მოშიშებზე თაობიდან თაობამდეა.

⁵¹აჩვენა ძალა თავისი მკლავით, გაფანტა ქედმაღალნი თავიანთ გულის ზრახვებთან ერთად.



- ⁵²ტახტებიდან გადმოყარა ძლიერნი, და აამაღლა მდაბალნი;
- ⁵³მშვირები სიკეთით აღავსო, და მდიდრები ხელცარიელი გაუშვა.
- ⁵⁴შეეწია თავის შვილს, ისრაელს, რადგან გაიხსენა წყალობა,
- ⁵⁵როგორც აუწყა ჩვენს მამებს, აბრაამს და მის ნაშიერთ საუკუნოდ.“
- ⁵⁶დაყო მარიამმა მასთან სამიოდე თვე და დაბრუნდა თავის სახლში.
- ⁵⁷ხოლო ელისაბედს დაუდგა მშობიარობის ჟამი და შვა ძე.
- ⁵⁸და გაიგეს მისმა მეზობლებმა და ნათესავებმა, რომ განადიდა უფალმა თავისი წყალობა მასზე და მასთან ერთად ხარობდნენ.
- ⁵⁹მერვე დღეს მივიდნენ ბავშვის წინადასაცვეთად და უნდოდათ დაერქმიათ მისი მამის სახელი – ზაქარია.
- ⁶⁰და მიუგო მისმა დედამ და თქვა: „არა, იოანე უნდა ერქვას მას.“
- ⁶¹უთხრეს მას: „შენს სანათესაოში არავინ არის, ეგ სახელი რომ ერქვას.“
- ⁶²და ნიშნებით ჰკითხეს მამამისს, რა უნდოდა დაერქმია მისთვის.
- ⁶³მან ფიცარი მოითხოვა, დაწერა და თქვა: „იოანეა მისი სახელი.“ და ყველას გაუკვირდა.
- ⁶⁴და უცებ გაეხსნა მას პირი და ენა, აღაპარაკდა და აკურთხევდა ღმერთს.
- ⁶⁵შიშმა მოიცვა ყველა, ვინც მათ გარშემო ცხოვრობდა, და მთელს იუდეის მთიანეთში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ყოველივე ამის გამო.
- ⁶⁶ყველამ, ვინც ეს გაიგო, გულში ჩაიდო და თქვა: „რა გამოვა ამ ყრმისგან?“ და უფლის ხელი იყო მასთან.
- ⁶⁷ხოლო მამამისი, ზაქარია, აღივსო სულიწმიდით და წინასწარმეტყველებდა და ამბობდა:
- ⁶⁸„კურთხეულია უფალი ღმერთი ისრაელისა, რომ მოხედა და გაუმზადა გამოსყიდვა თავის ხალხს.
- ⁶⁹აღგვიდგინა მაცხოვარების რქა თავისი მსახურის, დავითის, სახლში,
- ⁷⁰როგორც გვაუწყებდა ძველთაგანვე თავისი წმიდა წინასწარმეტყველთა პირით,
- ⁷¹რომ გვიხსნიდა ჩვენი მტრებისა და ყველა ჩვენი მოძულის ხელიდან.
- ⁷²წყალობას უყოფდა ჩვენს მამებს, და გაიხსენებდა თავის წმიდა აღთქმას,
- ⁷³ფიცს, რომლითაც შეჰფიცა აბრაამს, ჩვენს მამას, რომ შეგვაძლებინებდა ჩვენ,



- ⁷⁴ჩვენი მტრების ხელიდან თავდახსნილებს, უშიშრად
- ⁷⁵გვემსახურა მისთვის სიწმიდესა და სიმართლეში მის წინაშე, მთელი ჩვენი დღე და მოსწრება.
- ⁷⁶და შენ, ყრმაო, დაგერქმევა მაღლის წინასწარმეტყველი, რადგან წინამორბედი იქნები უფლის წინაშე მისი გზების გასამზადებლად,
- ⁷⁷რათა მისცე მის ხალხს ცოდნა ხსნის შესახებ მათი ცოდვების მიტევებით,
- ⁷⁸ჩვენი ღმერთის გულმოწყალების მეშვეობით, რომლითაც გადმოგვხედა აღმოსავლეთმა მაღლიდან,
- ⁷⁹ზნელში და სიკვდილის ჩრდილში მსხდომარეთათვის ნათლის მისაცემად, ჩვენს ფეხთა წარსამართავად მშვიდობის გზაზე.“
- ⁸⁰ყრმა კი იზრდებოდა და სულით მტკიცდებოდა, და იყო უდაბნოში იმ დღემდე, ვიდრე ისრაელს გამოეცხადებოდა.

ლუკას 2

- ¹იმ დღეებში გამოვიდა ავგუსტუს კეისრის ბრძანება, აღეწერათ მთელი ქვეყანა.
- ²ეს აღწერა პირველი იყო და მოხდა ის სირიაში კვირინიუსის გამგებლობისას.
- ³და მიდიოდა ყველა აღსაწერად, თითოეული თავის ქალაქში.
- ⁴იოსებიც ავიდა გალილეიდან, ქალაქ ნაზარეთიდან, იუდეაში, დავითის ქალაქში, რომელსაც ეწოდება ბეთლემი, რადგან იგი დავითის სახლიდან და საგვარეულოდან იყო.
- ⁵რათა აღწერილიყო თავის დანიშნულთან, მარიამთან, ერთად, რომელიც ორსულად იყო.
- ⁶მათი იქ ყოფნისას დაუდგა მარიამს მშობიარობის ჟამი.
- ⁷და შვა მე, თავისი პირმშო, შეახვია და დააწვინა ბაგაში, რადგან სასტუმროში მათთვის ადგილი არ იყო.
- ⁸იმ მხარეში მწყემსები მინდვრად იყვნენ გასული და ღამის დარაჯად უდგნენ თავიანთ სამწყსოს.
- ⁹და, აჰა, უფლის ანგელოზი დაადგა მათ თავზე და უფლის დიდება გამოუბრწყინდა მათ და შეეშინდათ დიდი შიშით.



- ¹⁰და უთხრა მათ ანგელოზმა: „ნუ გეშინიათ. აჰა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისთვის იქნება:
- ¹¹რადგან დღეს დავითის ქალაქში თქვენთვის იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი.
- ¹²და ეს გექნებათ ნიშნად: იპოვით ჩვილს, შეხვეულს და ბაგაში მწოლარეს.“
- ¹³და უეცრად გაჩნდა ანგელოზთან ერთად დიდძალი ციური ლაშქარი და აქებდნენ ღმერთს და ამბობდნენ:
- ¹⁴„დიდება მაღალთა შინა ღმერთს და მშვიდობა დედამიწაზე კეთილი ნების ადამიანებს!“
- ¹⁵და როდესაც ანგელოზები მათგან ზეცად ადიოდნენ, მწყემსებმა უთხრეს ერთმანეთს: „წავიდეთ ბეთლემში და ვნახოთ მომხდარი, რაც უფალმა გვაუწყა.“
- ¹⁶გაემურნენ და ნახეს მარიამი და იოსები, და ბაგაში მწოლარე ჩვილი.
- ¹⁷და როდესაც ნახეს, აუწყეს მათ ის, რაც ემცნოთ ამ ჩვილის შესახებ.
- ¹⁸და ყველა, ვინც ისმენდა, გაკვირვებული იყო მწყემსების ნაამბობით.
- ¹⁹მარიამმა კი დაიუნჯა მთელი ეს ამბავი და გულში ამოდრავებდა მას.
- ²⁰და დაბრუნდნენ მწყემსები და ადიდებდნენ და აქებდნენ ღმერთს ყოველივე იმის გამო, რაც გაიგონეს და იხილეს, როგორც ემცნო მათ.
- ²¹და როდესაც შესრულდა რვა დღე მისი წინადაცვეთის შესასრულებლად, ეწოდა მას სახელად იესო, ანგელოზის მიერ დარქმეული საშოში ყოფნამდე.
- ²²და როდესაც დასრულდა მათი განწმედის დღეები მოსეს რჯულისამებრ, აიყვანეს იგი იერუსალიმს უფლის წინაშე წარსადგენად,
- ²³როგორც წერია უფლის რჯულში: „ყოველ პირველშობილ მამრს უფლის წმიდა ეწოდოს;“
- ²⁴და როგორც უფლის რჯულშია ნათქვამი – „წყვილი გვრიტის ან მტრედის ორი ხუნდის მსხვერპლად შესაწირად.“
- ²⁵და, აჰა, იყო კაცი იერუსალიმში, სახელად სიმეონი, კაცი მართალი და ღვთისმოშიში, რომელიც მოელოდა ისრაელის ნუგემისცემას, და სულიწმიდა იყო მასზე.
- ²⁶სულიწმიდისგან ჰქონდა ნაუწყები, რომ არ იხილავდა სიკვდილს უფლის ცხელების ხილვამდე.



²⁷და შევიდა სულით აღძრული სიმეონი ტაძარში, და როდესაც მშობლებმა მიიყვანეს ყრმა იესო, რათა ყველაფერი გაეკეთებინათ მისთვის, როგორც რჯულის წესია,

²⁸მან მიირქვა ჩვილი მკლავებზე, ადიდა ღმერთი და თქვა:

²⁹„ახლა კი გაუშვი, ბატონო, შენი მსახური მშვიდობით, როგორც ნათქვამი გაქვს,

³⁰რადგან იხილა ჩემმა თვალმა შენი მაცხოვარება,

³¹რომელიც შენ განამზადე ყოველი ერის წინაშე,

³²წარმართთათვის ნათლის გამოსაცხადებლად და შენი ხალხის, ისრაელის, სადიდებლად.“

³³იოსებს და მის დედას კი უკვირდათ მასზე ნათქვამი.

³⁴აკურთხა სიმეონმა ისინი და უთხრა მარიამს, მის დედას: „ჰა, დადგენილია ის ისრაელში მრავალთა დასამხოვად და აღსადგენად და ნიშნად, რომელსაც შეედავებიან –

³⁵და თვით შენს სულშიც გაივლის მახვილი, და გაცხადდება მრავალთა გულის ზრახვები.“

³⁶და იყო ჰანნა წინასწარმეტყველი, ფანუელის ასული, ამერის ტომიდან, ღრმად მოხუცებული, თავისი ქალწულობის შემდეგ შვიდ წელიწადს ქმართან ნაცხოვრები.

³⁷და იყო იგი 84 წლის ქვრივი და არ შორდებოდა ტაძარს, მარხვით და ვედრებით ემსახურებოდა დღისით და ღამით.

³⁸ისიც იმავე დროს მივიდა და ადიდებდა ღმერთს და აუწყებდა ყრმაზე ყველას, ვინც კი მოელოდა გამოსყიდვას იერუსალიმში.

³⁹და როდესაც აღასრულეს ყოველივე უფლის რჯულისამებრ, დაბრუნდნენ გალილეაში, თავიანთ ქალაქ ნაზარეთში.

⁴⁰ხოლო ყრმა იზრდებოდა, მტკიცდებოდა სულით და ივსებოდა სიბრძნით, და იყო ღმერთის მაღლი მასზე.

⁴¹და ადიოდნენ მისი მშობლები ყოველ წელიწადს იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე.

⁴²და 12 წლისა რომ გახდა, ავიდნენ იერუსალიმში ჩვეულებისამებრ, სადღესასწაულოდ.

⁴³ხოლო იმ დღეების დასრულების შემდეგ, უკან რომ ბრუნდებოდნენ, ყრმა იესო დარჩა იერუსალიმში, იოსებმა და მისმა დედამ კი არ იცოდნენ.



⁴⁴ეგონათ, რომ მგზავრებს შორის იყო და ერთი დღის გზა რომ გაიარეს, დაუწყეს ძებნა ნათესავებსა და ნაცნობებს შორის.

⁴⁵და როდესაც ვერ ნახეს, დაბრუნდნენ იერუსალიმში მის სამეზობლად.

⁴⁶სამი დღის შემდეგ იპოვეს ტაძარში მჯდომარე მოძღვართა შორის, უსმენდა და ეკითხებოდა მათ.

⁴⁷და გაოცებული იყო ყველა მსმენელი მისი გონიერებითა და პასუხებით.

⁴⁸დაინახეს იგი და გაუკვირდათ, და მისმა დედამ უთხრა მას: „ეს რა გვიყავი, შვილო? აჰა, მამაშენი და მე გულშემოყრილები დაგეძებდით.“

⁴⁹და უთხრა მათ: „რატომ მეძებდით? ნუთუ არ იცით, რომ რაც მამაჩემისა არის, მასში მმართვეს ყოფნა?“

⁵⁰ხოლო მათ ვერ გაიგეს სიტყვა, რასაც ის ეუბნებოდათ.

⁵¹და გაჰყვა მათ და მივიდა ნაზარეთს, და ემორჩილებოდა მათ. დედამისმა კი გულში დაიუნჯა მთელი ეს ამბავი.

⁵²ხოლო იესოს ემატებოდა სიბრძნე და ასაკი და მაღლი ღმერთისა და ადამიანების წინაშე.

ლუკას 3

¹ტიბერიუს კეისრის მმართველობის მეთხუთმეტე წელს, როდესაც პონტოელი პილატე იყო გამგებელი იუდეაში და ჰეროდე ტეტრარქი გალილეაში, ხოლო მისი ძმა, ფილიპე ტეტრარქი იყო იტურეასა და ტრაქონიტისის მხარეში, და ლისანიას ტეტრარქობისას აბილენეში,

²ანნას და კაიაფას მღვდელმთავრობის დროს, იყო სიტყვა ღმერთისა იოანეს, ზაქარიას ძის, მიმართ უდაბნოში.

³და დადიოდა იგი იორდანეს მთელს არემარეში და ქადაგებდა სინანულის ნათლისღებას ცოდვათა მისატევებლად,

⁴როგორც წერია ესაია წინასწარმეტყველის სიტყვათა წიგნში: „ხმა მღალაღებლისა უდაბნოში: ‘განუმზადეთ გზა უფალს, მოასწორეთ მისი ბილიკები.

⁵ყოველი ხევი ამოივსება, ყოველი მთა და ბორცვი დადაბლდება, მრუდე გასწორდება და ოღროჩოლრო გზა გავაკდება.

⁶და ყოველი ხორციელი იხილავს ღმერთის ხსნას.“

⁷მოსანათლად მისულ ხალხს იოანე ეუბნებოდა: „იქედნეთა ნაშობნო, ვინ გაგაფრთხილათ, რომ გაექცეთ მომავალ რისხვას?



⁸მაშ გამოიღეთ მონანიების ღირსი ნაყოფი და ნუ იფიქრებთ და იტყვით გულში: ‘მამად აბრაამი გვყავს;’ რადგან, გეუბნებით თქვენ, ღმერთს შეუძლია ამ ქვებიდან აღუდგინოს აბრაამს შვილები.

⁹უკვე დევს ხეთა ფესვთან ცული. ყოველ ხეს, რომელიც კეთილ ნაყოფს არ გამოიღებს, ჭრიან და ცეცხლში აგდებენ.“

¹⁰ჰკითხა მას ხალხმა და უთხრა: „მაშ, რა ვქნათ?“

¹¹მიუგო და უთხრა მათ: „ვისაც ორი მოსასხამი აქვს, მისცეს უქონელს. და ვისაც საჭმელი აქვს, ისიც ასე მოიქცეს.“

¹²მოვიდნენ მეზაჟენიც, რომ მონათლულიყვნენ და უთხრეს მას: „მოდვარო, რა ვქნათ?“

¹³უთხრა მათ: „თქვენთვის დაწესებულის მეტს ნურაფერს მოითხოვთ.“

¹⁴ჯარისკაცებიც ეკითხებოდნენ: „ჩვენ რა ვქნათ?“ უთხრა მათ: „ნურავის შეავიწროვებთ, ცილს ნუ დასწამებთ და თქვენს ჯამაგირს დასჯერდით.“

¹⁵როდესაც ხალხი მოლოდინში იყო და ყველა თავის გულში ფიქრობდა იოანეზე, ქრისტე ხომ არ არისო,

¹⁶მიუგებდა და ეუბნებოდა ყველას იოანე: „მე წყლით გნათლავთ, მაგრამ მოდის ჩემზე ძლიერი, რომლის ფეხსაცმლის თასმის გახსნის ღირსიც არა ვარ. ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდით და ცეცხლით,

¹⁷მის ხელშია ნიჩაბი, რათა გაწმიდოს თავისი კალო და თავის ბეღელში შეაგროვოს ხორბალი, ბზე კი დაწვას ჩაუქრობელი ცეცხლით.“

¹⁸კიდევ ბევრ სხვა რამესაც ახარებდა და შეაგონებდა ხალხს.

¹⁹ხოლო ჰეროდე ტეტრარქმა, რომელსაც იგი ამხილებდა მისი ძმის ცოლის, ჰეროდias, გამო, და ყოველივე იმის გამო, რა ბოროტებაც ჩაედინა,

²⁰ყოველივე ამას ისიც დაუმატა, რომ იოანე საპყრობილეში ჩასვა.

²¹როდესაც მთელი ხალხი ინათლებოდა და იესოც მოინათლა და ღოცულობდა, გაიხსნა ცა

²²და გადმოვიდა მასზე სულიწმიდა ხორციელი სახით, როგორც მტრედი, და გაისმა ზეციდან ხმა: „შენ ხარ ძე ჩემი საყვარელი, შენში არის ჩემი სათნოება.“

²³თვით იესო, როდესაც იწყებდა, იქნებოდა ვი წლისა. და, როგორც ფიქრობდნენ, იყო ძე იოსებისა, ელისა,

²⁴მათატიისა, ლევისა, მელექისა, იანაისა, იოსებისა,



- ²⁵მატათიასი, ამოსისა, ნაუმისა, ესლისა, ნაგაისა,
²⁶მაათისა, მატათიასი, სემეინისა, იოსექისა, იოდასი,
²⁷იოანანისა, რესასი, ზორობაბელისა, სალათიელისა, ნერისა,
²⁸მელქისა, ადისა, კოსამისა, ელმადამისა, ერისა,
²⁹იესუსი, ელიეზერისა, იორიმისა, მათატისა, ლევისა,
³⁰სიმეონისა, იუდასი, იოსებისა, იონამისა, ელიაკიმისა,
³¹მელეასი, მენასი, მატათასი, ნათანისა, დავითისა,
³²იესესი, იოზედისა, ბოაზისა, სალასი, ნაასონისა,
³³ამინადაბისა, ადმინისა, არნისა, ესრომისა, ფერეზისა, იუდასი,
³⁴იაკობისა, ისააკისა, აბრაამისა, თარასი, ნაქორისა,
³⁵სერუქისა, რაგავისა, ფელეკისა, ებერისა, სალასი,
³⁶კაინანისა, არფაქსადისა, სემისა, ნოესი, ლამექისა,
³⁷მათუსალასი, ენოქისა, იარედისა, მაჰალეელისა, კაინანისა,
³⁸ენოსისა, სეთისა, ადამისა, ღმერთისა.

ლუკას 4

- ¹იესო, სულიწმიდით აღვსილი, დაბრუნდა იორდანედან და სულის მიერ გაყვანილ იქნა უდაბნოში.
²ორმოც დღეს სცდიდა მას ეშმაკი. და არაფერი უჭამია იმ დღეების განმავლობაში; და მათი დასრულების შემდეგ მოშივდა.
³უთხრა მას ეშმაკმა: „თუ ღმერთის ძე ხარ, უთხარი ამ ქვას, რომ პურად იქცეს.“
⁴მიუგო მას იესომ: „დაწერილია: ‘არა მხოლოდ პურით ცოცხლობს ადამიანი, არამედ ღმერთის ყოველი სიტყვით.’“
⁵და აიყვანა იგი მაღალ მთაზე და უჩვენა მას ერთ წამში ქვეყნიერების ყველა სამეფო.
⁶და უთხრა მას ეშმაკმა: „მოგცემ მთელს ხელმწიფებას მათზე და მათ დიდებას, რადგან მე მომეცა და ვისაც მინდა, იმას ვაძლევ.
⁷თუ თაყვანს მცემ, შენი იქნება ყოველივე!”



⁸მიუგო იესომ და უთხრა მას: „დაწერილია: ‘უფალს, შენს ღმერთს, ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე.’“

⁹წაიყვანა იგი იერუსალიმში, დააყენა ტაძრის ქიმზე და უთხრა: „თუ ღმერთის ძე ხარ, გადაიგდე თავი აქედან ძირს,

¹⁰რადგან დაწერილია: ‘თავის ანგელოზებს უბრძანებს შენზე, რომ დაგიცვან,

¹¹და ხელში აყვანილს გატარებენ, ქვას ფეხი რომ არ წამოჰკრა.’“

¹²მიუგო და უთხრა მას იესომ – „ნათქვამია: ‘არ გამოსცადო უფალი ღმერთი შენი.’“

¹³და როდესაც დაამთავრა ყველა გამოცდა, განშორდა მას ეშმაკი სხვა ჟამამდე.

¹⁴და დაბრუნდა იესო სულის ძალით გალილეაში და მოედო მისი ამბავი მთელს არემარეს.

¹⁵ასწავლიდა მათს სინაგოგებში და ყველა ადიდებდა მას.

¹⁶და მივიდა ნაზარეთში, სადაც აღიზარდა. და შევიდა შაბათ დღეს, ჩვეულებისამებრ, სინაგოგაში და ადგა წასაკითხად.

¹⁷მიაწოდეს მას ესაია წინასწარმეტყველის გრაგნილი, და გაშალა გრაგნილი და იპოვა ადგილი, სადაც ეწერა:

¹⁸„უფლის სულია ჩემზე, რადგან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულგატეხილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების საუწყებლად და ბრმათათვის თვალის ასახელად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად,

¹⁹უფლის სამადლო წლის გამოსაცხადებლად.“

²⁰და დაახვია გრაგნილი, გადასცა მსახურს და დაჯდა. სინაგოგაში ყველას თვალი მისკენ იყო მიპყრობილი.

²¹და დაუწყო მათ ლაპარაკი: „დღეს აღსრულდა ეს წერილი, სწორედ ახლა, თქვენ რომ ისმენდით.“

²²ყველამ დაუმოწმა მას. გაოცებულნი იყვნენ მისი პირიდან გამოსული მადლის სიტყვებით და ამბობდნენ: „განა ეს იოსების ძე არ არის?“

²³უთხრა მათ: „ცხადია, მეტყვით ამ ანდაზას: ‘მკურნალო, განიკურნე შენი თავი. რაც ჩვენ კაპერნაუმში მომხდარის შესახებ მოვისმინეთ, მოახდინე აქაც, შენს სამშობლოში.’“



²⁴უთხრა მათ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არც ერთი წინასწარმეტყველი არ არის დაფასებული თავის სამშობლოში.

²⁵ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მრავალი ქვრივი იყო ისრაელში ელიას დროს, როდესაც დაიხშო ცა სამ წელიწადსა და ექვს თვეს და დიდი შიმშილობა ჩამოვარდა მთელ ქვეყანაზე,

²⁶მაშინ არც ერთ მათგანთან არ წარგზავნილა ელია, გარდა ქვრივი ქალისა სიდონის სარეფთაში.

²⁷კეთროვანიც მრავალი იყო ისრაელში ელისე წინასწარმეტყველის დროს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ განწმენდილა, გარდა ნაემან ასურისა.“

²⁸ამის მოსმენაზე სინაგოგაში მყოფნი, ყველანი რისხვით აღივსნენ.

²⁹ადგნენ და გააგდეს იგი ქალაქიდან, და მიიყვანეს იმ მთის კონცხამდე, რომელზეც მათი ქალაქი იყო გაშენებული, რათა გადაეგდოთ იგი.

³⁰მაგრამ მან გაიარა მათ შორის და წავიდა.

³¹და ჩავიდა გალილეის ქალაქ კაპერნაუმში და იქ ასწავლიდა მათ შაბათობით.

³²და გაოცებულნი იყვნენ მისი მოძღვრებით, რადგან ხელმწიფებით იყო მისი სიტყვა.

³³იყო სინაგოგაში ერთი კაცი, უწმიდური ეშმაკის სულით შეპყრობილი, და იყვირა:

³⁴„რას გვემართლები, იესო ნაზარეტელი? ჩვენს დასაღუპად მოხვედი? გიცნობ, ვინცა ხარ, ღმერთის წმიდავ.“

³⁵იესომ შერისხა იგი და უთხრა: „დადუმდი და გადი მაგისგან!“ და ძირს დასცა იგი ეშმაკმა შუა ხალხში და გამოვიდა მისგან, და არაფერი დაუშავებია მისთვის.

³⁶გაოგნებამ მოიცვა ყველა და თქვეს ერთმანეთში: „ეს რა სიტყვაა, რომ ხელმწიფებითა და ძალით უწმიდურ სულებს უბრძანებს და ისინიც გამოდიან?“

³⁷და მოედო მისი ამბავი იმ მხარის ყოველ კუთხეს.

³⁸დატოვა სინაგოგა და შევიდა სიმონის სახლში. ხოლო სიმონის სიდედრი შეჭირვებული იყო სიცხით და სთხოვეს მასზე.

³⁹და დაადგა მას თავზე და შერისხა სიცხე. და მანაც მიატოვა იგი. მყისვე წამოდგა და ემსახურებოდა მათ.



⁴⁰მზის ჩასვლისას ყველამ მიიყვანა მასთან სხვადასხვა სენით დაუძლურებულები და ყოველ მათგანს ხელები დაადო და განკურნა.

⁴¹ბევრისგან ეშმაკებიც გამოდიოდნენ, ყვიროდნენ და ამბობდნენ: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმერთისა!“ ის კი რისხავდა და უკრძალავდა ლაპარაკს, რადგან იცოდნენ მათ, რომ ქრისტე იყო იგი.

⁴²დღე რომ დადგა, გამოვიდა იქიდან და წავიდა უდაბურ ადგილას. ხალხმა კი მოძებნა იგი და მივიდნენ მასთან და აკავებდნენ, რომ არ წასულიყო მათგან.

⁴³მან კი უთხრა მათ: „სხვა ქალაქებსაც უნდა ვახარო ღმერთის სასუფეველი, რადგან ამისთვის ვარ წარმოგზავნილი.“

⁴⁴და ქადაგებდა იუდეის სინაგოგებში.

ლუკას 5

¹ერთხელ, როდესაც ხალხი გარს შემოსჯარვოდა მას, რომ ღმერთის სიტყვა მოესმინათ, ხოლო ის გენესარეთის ტბასთან იდგა,

²დაინახა ტბასთან მდგომი ორი ნავი. ნავებიდან გადმოსული მეზადურები ბადეებს რეცხავდნენ.

³ავიდა ერთ ნავზე, რომელიც სიმონისა იყო და სთხოვა, ნაპირს მცირედ გამოერებოდა, ჩაჯდა და ნავიდან ასწავლიდა ხალხს.

⁴და როდესაც დაამთავრა ლაპარაკი, უთხრა სიმონს: „შეაცურე ღრმად და მოისროლეთ ბადეები თევზის დასაჭერად.“

⁵მიუგო სიმონმა და უთხრა: „მომღვარო, მთელი ღამე ვიმრომეთ და ვერაფერი დავიჭირეთ. მაგრამ შენს სიტყვაზე ვისვრი ბადეს.“

⁶ასეც მოიქცნენ. და იმდენი თევზი დაიჭირეს, რომ ბადეები ეგლიჯებოდათ.

⁷ნიშანი მისცეს ამხანაგებს მეორე ნავში, რომ მოსულიყვნენ მოსაშველებლად. მოვიდნენ და ისე აავსეს ორივე ნავი, რომ ლამის იძირებოდნენ.

⁸ეს რომ დაინახა სიმონ-პეტრემ, მუხლებში ჩაუვარდა იესოს და უთხრა: „გამშორდი, უფალო, რადგან ცოდვილი კაცი ვარ.“

⁹რადგან გაოგნებამ მოიცვა იგი და ყველა მასთან მყოფი დაჭერილი თევზის გამო, მათ რომ გამოიტანეს.



¹⁰ასევე იაკობი და იოანე, ზებედეს ძენი, სიმონის მეწილეები. და უთხრა სიმონს იესომ: „ნუ გეშინია, ამიერიდან ადამიანთა მეზადური იქნები.“

¹¹მიაყენეს ნავები მიწას, ყველაფერი მიატოვეს და გაჰყვნენ მას.

¹²ერთხელ, ერთ-ერთ ქალაქში მისი ყოფნისას, აჰა, მოვიდა კეთრით დაფარული კაცი. დაინახა იესო და დაემხო, ევედრებოდა და ეუბნებოდა: „უფალო, თუ გსურს, შეგიძლია ჩემი განწმედა.“

¹³გაიწოდა ხელი, შეახო მას და თქვა: „მსურს, განიწმიდე!“ და მყისვე მოშორდა კეთრი.

¹⁴და უბრძანა მას: „არავის უთხრა, არამედ წადი და ეჩვენე მღვდელს, და შესწირე შენი განწმედისათვის, როგორც დააწესა მოსემ მათ სამოწმებლად.“

¹⁵და უფრო და უფრო ვრცელდებოდა მისი ამბავი, და დიდძალი ხალხი დაჰყვებოდა მას, რათა მოესმინათ მისთვის და განკურნებულიყვნენ თავიანთ სნეულებათაგან.

¹⁶ის კი უდაბურ ადგილებში მიდიოდა და ლოცულობდა.

¹⁷ერთ დღეს, როდესაც ასწავლიდა, ისხდნენ იქ ფარისევლები და რჯულის მოძღვარნი, რომელნიც მოსულიყვნენ გალილეისა და იუდეის ყოველი კუთხიდან და იერუსალიმიდან, და უფლის ძალა იყო მასთან განმკურნებლად.

¹⁸და აჰა, კაცებმა სარეცელით მოიყვანეს ადამიანი, რომელიც დამბლადაცემული იყო, და ცდილობდნენ, შიგნით შეეყვანათ და იესოს წინ დაეწვინათ.

¹⁹და რომ ვერ მოახერხეს მისი შეყვანა ხალხმრავლობის გამო, ერდოზე ავიდნენ და კრამიტებს შორის სარეცლიანად ჩაუშვეს შუაგულ ოთახში იესოს წინაშე.

²⁰მათი რწმენა რომ დაინახა, უთხრა: „ადამიანო, მოგეტევა შენ შენი ცოდვები.“

²¹და იწყეს მწიგნობრებმა და ფარისევლებმა მსჯელობა ერთმანეთში და ამბობდნენ: „ვინ არის ეს, ვინც ღმერთის გმობას ამბობს? ვის შეუძლია ცოდვების მიტევება, გარდა ერთი ღმერთისა?“

²²იესომ ამოიცნო მათი ფიქრები, მიუგო და უთხრა: „რას ფიქრობთ თქვენს გულში?

²³რისი თქმა უფრო ადვილია: ‘შენი ცოდვები მოგეტევა’, თუ თქმა: ‘ადექი და გაიარე’?



²⁴ხოლო რათა იცოდეთ, რომ კაცის მეს აქვს დედამიწაზე ცოდვების მიტევების ხელმწიფება,“ ეუბნება დამბლადაცემულს, „შენ გეუბნები, ადექი, აილე შენი სარეცელი და წადი შინ.“

²⁵და მყისვე წამოდგა მათ თვალწინ, აილო, რაზეც იწვა, და შინ წავიდა. და აღიდებდა ღმერთს.

²⁶განცვიფრებამ შეიპყრო ყველა. და აღიდებდნენ ღმერთს და შიშით აღვსილნი ამბობდნენ: „საოცრებანი ვიხილეთ დღეს.“

²⁷ამის შემდეგ გამოვიდა და დაინახა მებაჟე, სახელად ლევი, რომელიც საბაჟოში იჯდა, და უთხრა: „გამომყევი მე.“

²⁸მანაც ყველაფერი მიატოვა, ადგა და გაჰყვა.

²⁹და მოუმზადა ლევიმ მას დიდი ნადიმი თავის სახლში. და იყო იქ ბევრი მებაჟე და სხვები, რომლებიც ინახად ისხდნენ მათთან.

³⁰ხოლო დრტვინავდნენ მწიგნობარნი და ფარისევლნი და ეუბნებოდნენ მის მოწაფეებს: „რატომ ჭამთ და სვამთ მებაჟეებთან და ცოდვილებთან ერთად?“

³¹მიუგო იესომ და უთხრა მათ: „მკურნალი ჯანმრთელებს კი არ ესაჭიროებათ, არამედ სნეულებს.

³²მართალთა მოსახმობად კი არ მოვსულვარ, არამედ ცოდვილთა, რათა მოინანიონ.“

³³მათ კი უთხრეს მას: „იოანეს მოწაფეები ხშირად მარხულობენ და ლოცვებს აღავლენენ, ასევე ფარისევლებთანაც; შენები კი ჭამენ და სვამენ.“

³⁴იესომ უთხრა მათ: „შეგიძლიათ ამარხულოთ მექორწილები, ვიდრე სიძე მათთან არის?

³⁵მაგრამ დადგება დღეები, როდესაც სიძე წაერთმევათ მათ და მაშინ იმარხულებენ, იმ დღეებში.“

³⁶უთხრა მათ იგავიც: „არავინ მოხევს საკერებელს ახალ სამოსს და არ დაადებს ძველ სამოსს, თორემ ახალსაც გამოხევს და ძველსაც არ გამოადგება ახალი სამოსის საკერებელი.

³⁷არავინ ასხამს ახალ ღვინოს ძველ ტიკებში, რადგან ახალი ღვინო ტიკებს დახეთქავს და ღვინოც დაიღვრება და ტიკებიც წახდება.

³⁸ახალი ღვინო ახალ ტიკებში უნდა ჩაისხას.

³⁹არც ერთი ძველის დამლევი ახალს არ ინდომებს, იტყვის: ძველი სჯობიაო.“



ლუკას 6

- ¹ ისე მოხდა, რომ ერთ შაბათს, როდესაც ყანებზე გადიოდა, მისი მოწაფეები წყვეტდნენ თავთავებს, ხელზე იფშვნიდნენ და ჭამდნენ.
- ² ფარისეველთაგან ზოგიერთებმა უთხრეს მათ: „რატომ აკეთებთ, რისი გაკეთებაც შაბათს ნებადართული არ არის?“
- ³ მიუგო და უთხრა მათ იესომ: „ნუთუ არ წაგიკითხავთ, რა ქნა დავითმა, როდესაც მოშივდათ მას და მის თანმხლებთ?“
- ⁴ როგორ შევიდა ღმერთის სახლში, აიღო და შეჭამა საწინაშეო პურები და მის თანმხლებთაც დაურიგა, რისი ჭამის ნებაც არავის ჰქონდა, გარდა მღვდლებისა?“
- ⁵ და უთხრა მათ: „კაცის ძე არის შაბათის უფალი.“
- ⁶ და მოხდა ისე, რომ სხვა შაბათს შევიდა სინაგოგაში და ასწავლიდა მათ. იყო იქ კაცი, რომელსაც მარჯვენა ხელი გამხმარი ჰქონდა.
- ⁷ მწიგნობარნი და ფარისევლნი უთვალთვალებდნენ მას, – შაბათს თუ განკურნავსო, რათა მიზეზი ეპოვათ მის დასადანაშაულებლად.
- ⁸ მან იცოდა მათი ფიქრები და უთხრა კაცს, რომელსაც ხელი ჰქონდა გამხმარი: „ადექი და გამოდი შუაში!“ ისიც ადგა და დადგა შუაში.
- ⁹ უთხრა მათ იესომ: „გეკითხებით თქვენ: შაბათ დღეს სიკეთის ქმნა ეგების, თუ ბოროტისა? სიცოცხლის ხსნა, თუ დაღუპვა?“
- ¹⁰ და გადახედა ყველას და უთხრა მას: „გაიწოდე ხელი!“ ის ასეც მოიქცა და აღუდგა ხელი.
- ¹¹ ისინი კი მრისხანებით აღივსნენ და ერთმანეთში თათბირობდნენ, რა ექნათ იესოსთვის.
- ¹² ისე მოხდა, რომ იმ დღეებში წავიდა იგი მთაზე სალოცავად და მთელი ღამე ღმერთის მიმართ ლოცვაში გაატარა.
- ¹³ დღე რომ დადგა, დაუძახა თავის მოწაფეებს და ამოირჩია მათგან თორმეტი, რომელთაც მოციქულები უწოდა:
- ¹⁴ სიმონი, რომელსაც პეტრე შეარქვა, მისი ძმა ანდრია, იაკობი და იოანე, ფილიპე და ბართლომე,
- ¹⁵ მათე და თომა, იაკობ ალფესი და სიმონი, ზელოტად წოდებული,
- ¹⁶ იუდა იაკობისა და იუდა ისკარიოტელი, რომელიც გამცემი გახდა.



¹⁷და ჩავიდა მათთან ერთად და დადგა დავაკებულ ადგილას. იყო იქ მრავალი მისი მოწაფე და დიდძალი ხალხი იუდეიდან და იერუსალიმიდან, და ტვიროსისა და სიდონის ზღვისპირეთიდან,

¹⁸რომელნიც მოვიდნენ მის მოსასმენად და თავიანთ სნეულებათაგან განსაკურნებლად – უწმიდური სულით გატანჯულნიც – და იკურნებოდნენ.

¹⁹მთელი ხალხი ცდილობდა, შეხებოდა მას, რადგან მისგან ძალა გამოდიოდა და ყველას კურნავდა.

²⁰თვალი მიაპყრო თავის მოწაფეებს და უთხრა: „ნეტარნი ხართ თქვენ, გლახკნი, რადგან თქვენია ღმერთის სასუფეველი;

²¹ნეტარნი ხართ, ვისაც ახლა გშიათ, რადგან გაძლებით; ნეტარნი ხართ, ვინც ახლა ტირის, რადგან იცინებთ;

²²ნეტარნი ხართ, როდესაც სძულხართ ადამიანებს, როდესაც გაძევებენ და გლანძღავენ, ხოლო თქვენს სახელს დევნიან, როგორც ბოროტებას, კაცის მის გამო.

²³გაიხარეთ იმ დღეს და ილხინეთ, რადგან, აჰა, დიდია თქვენი საზღაური ცაში, რადგან ასევე ექცეოდნენ წინასწარმეტყველებს მათი მამები.

²⁴მაგრამ, ვაი თქვენ, მდიდრებო, რადგან უკვე მიიღეთ თქვენი ნუგეშისცემა.

²⁵ვაი თქვენ, ვინც ახლა მაძლარნი ხართ, რადგან მოგშივდებათ. ვაი თქვენ, ვინც ახლა იცინით, რადგან იგლოვებთ და იტირებთ.

²⁶ვაი თქვენ, როდესაც ყველა ადამიანი კარგს ილაპარაკებს თქვენზე. ასევე ექცეოდნენ ცრუწინასწარმეტყველებს მათი მამები.

²⁷ხოლო თქვენ, ვინც მისმენთ, გეტყვით: გიყვარდეთ თქვენი მტრები და სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს.

²⁸აკურთხეთ თქვენი მაწყევრები და ილოცეთ თქვენს შეურაცხმყოფელთათვის.

²⁹ვინც ლოყაში გაგარტყამს, მეორეც მიუშვირე. ვინც მოსასხამს გართმევს, პერანგსაც ნუ დაუკავებ.

³⁰ყველას, ვინც გთხოვს, მიეცი, და ვინც გამოგართმევს, უკან ნუღარ მოსთხოვ.

³¹როგორც თქვენ გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექცით მათ.

³²თუ თქვენი მოყვარულნი გეყვარებათ, თქვენთვის რა მადლია? რადგან ცოდვილთაც უყვართ თავიანთი მოყვარულნი.



³³თუ სიკეთეს გაუკეთებთ თქვენს კეთილისმყოფელთ, თქვენთვის რა პატივია? ცოდვილნიც ასევე იქცევიან.

³⁴თუ სესხს აძლევთ იმას, ვისი იმედიც გაქვთ, რომ უკან დაგიბრუნებთ, ეს რა მადლია? ცოდვილებიც ასესხებენ ცოდვილებს, რომ დაიბრუნონ იმდენივე.

³⁵ხოლო თქვენ გიყვარდეთ თქვენი მტრები, სიკეთე უყავით და გაასესხეთ და ნურაფერს მოელით, და დიდი იქნება თქვენი საზღაური: უზენაესის მენი იქნებით, რადგან იგი კეთილია უმადურთა და ბოროტთა მიმართ.

³⁶იყავით მოწყალენი, ისევე როგორც თქვენი მამაა მოწყალე.

³⁷ნუ განსჯით და არ განისჯებით; ნუ განკიცხავთ და არ განიკიცხებით; მიუტევეთ და მოგეტევებათ.

³⁸მიეცით და თქვენც მოგეცემათ: კარგი საწყაო, დატკეპნილი, გატენილი და პირთამდე სავსე, მოგეცემათ თქვენსავე კალთაში. რადგან რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგეწყვებათ.“

³⁹უთხრა მათ იგავიც: „განა შეუძლია ბრმას ბრმის მეგზურობა? განა ორივენი ორმოში არ ჩაცვივდებიან?

⁴⁰არ არის მოწაფე მოძღვარზე მეტი, ხოლო განსწავლული იქნება, როგორც მისი მოძღვარი.

⁴¹რად უყურებ წველს შენი ძმის თვალში, საკუთარ თვალში კი დირეს ვერ ამჩნევ?

⁴²როგორ ეუბნები შენს ძმას: ‘ძმაო, შენი თვალიდან წველი ამომალებინე,’ საკუთარ თვალში კი დირეს ვერ ხედავ? თვალთმაქცო, ჯერ შენი თვალიდან ამოიღე დირე და მერე დაინახავ, როგორ უნდა ამოუღო შენს ძმას თვალიდან წველი.

⁴³რადგან არ არსებობს კარგი ხე, ცუდი ნაყოფი რომ მოისხას, არც ცუდი ხე – კარგი ნაყოფი რომ მოისხას.

⁴⁴რადგან ყოველი ხე თავისი ნაყოფით იცნობა: ხომ ვერ მოკრეფენ ეკალზე ლელვს და ვერც მაყვლის ბუჩქებზე – ყურძენს.

⁴⁵კეთილ კაცს თავისი გულის კეთილი საუნჯიდან სიკეთე გამოაქვს, ბოროტ კაცს კი ბოროტისგან – ბოროტი, რადგან გულის სავსებისაგან მეტყველებს მისი პირი.

⁴⁶რატომ მეძახით: ‘უფალო, უფალო,’ და იმას კი არ აკეთებთ, რასაც გეუბნებით?



⁴⁷ყველა, ვინც ჩემთან მოდის და ჩემს სიტყვებს ისმენს და ასრულებს, მინდა გიჩვენოთ, ვის ჰგავს ის.

⁴⁸იგი ჰგავს სახლის მშენებელ კაცს, რომელმაც ამოთხარა, ჩააღრმავა და კლდეზე დადო საძირკველი. წყალდიდობისას მდინარე ეკვეთა იმ სახლს და ძვრა ვერ უყო, რადგან კარგად იყო ნაშენები.

⁴⁹ხოლო ვინც ისმენს და არ ასრულებს, იგი ჰგავს კაცს, რომელმაც უსაძირკველად ააშენა მიწაზე სახლი და როდესაც მდინარე ეკვეთა, მყისვე დაინგრა, და დიდი იყო იმ სახლის დაქცევა.“

ლუკას 7

¹მას შემდეგ, რაც მან დაასრულა ყველა თავისი სიტყვა ხალხისათვის, რომელიც უსმენდა, კაპერნაუმში შევიდა.

²ერთ ასისტავს უკვდებოდა ავადმყოფი მონა, რომელსაც დიდად აფასებდა.

³იესოს ამბავი რომ გაიგო, იუდეველთა უხუცესები გაუგზავნა და სთხოვდა, მოსულიყო და განეკურნა მისი მონა.

⁴ისინი მივიდნენ იესოსთან, სთხოვეს დაჟინებით და უთხრეს: „იგი ღირსია, რომ ეს გაუკეთო,

⁵რადგან უყვარს ჩვენი ხალხი და სინაგოგა აგვიშენა.“

⁶იესო წაჰყვა მათ და უკვე იმ სახლის შორიახლოს იყვნენ, როდესაც ასისტავმა გამოუგზავნა მეგობრები მისთვის სათქმელად: „უფალო, ნუ გაირჯები, რადგან ღირსი არა ვარ, რომ ჩემს ჭერქვეშ შემოხვიდე.

⁷ამიტომ ჩემი თავიც არ მივიჩნიე შენთან მოსვლის ღირსად. მხოლოდ სიტყვა თქვი და განიკურნება ჩემი მონა.

⁸რადგან მეც, ხელმწიფების ქვეშ მყოფს, ჩემს ხელქვეით მყვანან ჯარისკაცები. ერთს ვეუბნები: ‘წადი!’ და მიდის. და სხვას: ‘მოდო!’ და მოდის. ჩემს მონას: ‘გააკეთე ეს!’ და აკეთებს.“

⁹ეს რომ გაიგონა იესომ, გაუკვირდა მისი, მიუბრუნდა უკან მომავალ ხალხს და უთხრა: „გეუბნებით, რომ ისრაელშიც ვერ ვპოვე მე ასეთი რწმენა.“

¹⁰წარგზავნილებს, სახლში რომ დაბრუნდნენ, გამოჯანმრთელებული დაუხვდათ მონა.

¹¹ამის შემდეგ წავიდა იესო ქალაქში, რომელსაც ერქვა ნაინი, და თან მიჰყვებოდნენ მისი მოწაფეები და დიდძალი ხალხი.



¹²ქალაქის კარიბჭეს რომ მიუახლოვდა, გამოჰქონდათ მკვდარი, დედისერთა ჭაბუკი, რომლის დედაც ქვრივი იყო. ქალს ქალაქიდან დიდძალი ხალხი ახლდა.

¹³უფალმა რომ დაინახა, შეეცოდა და უთხრა: „ნუ ტირი.“

¹⁴მივიდა და შეეხო საკაცეს. გამსვენებლები შედგნენ და მან თქვა: „ჭაბუკო, შენ გეუბნები, ადექ!“

¹⁵მკვდარი წამოჯდა და ალაპარაკდა. და მის დედას ჩააბარა იგი.

¹⁶შიშმა მოიცვა ყველა. ღმერთს ადიდებდნენ და ამბობდნენ: „დიდი წინასწარმეტყველი აღმდგარა ჩვენს შორის და ღმერთმა მოხედა თავის ხალხს.“

¹⁷ეს ამბავი მოედო მთელ იუდეას და მთელ შემოგარენს.

¹⁸აუწყეს იოანეს მისმა მოწაფეებმა ყოველივე ეს.

¹⁹იოანემ დაიბარა ორი თავისი მოწაფე და იესოსთან გაგზავნა, რათა ეკითხათ: „შენა ხარ ის, ვინც უნდა მოსულიყო, თუ სხვას ველოდოთ?“

²⁰მივიდნენ მასთან და უთხრეს: „იოანე ნათლისმცემელმა გამოგვაგზავნა შენთან საკითხავად: შენა ხარ ის, ვინც უნდა მოსულიყო, თუ სხვას ველოდოთ?“

²¹იმჟამად მან ბევრი განკურნა სნეულებათაგან და სატკივართაგან და ავი სულელებისაგან, და მრავალ ბრძას მიმადლა მხედველობა.

²²მიუგო და უთხრა მათ: „წადით და უთხარით იოანეს, რაც ნახეთ და მოისმინეთ: ბრძებს მხედველობა უბრუნდებათ, ხეიბრები დადიან, კეთროვნები განიწმიდებიან, ყრუებს ესმით, მკვდრები დგებიან და გლახაკებს ეხარებათ.

²³და ნეტარია, ვინც არ შეცდება ჩემში.“

²⁴როდესაც იოანეს მოციქულები წავიდნენ, დაუწყო ხალხს ლაპარაკი იოანეზე: „რის სანახავად გადიოდით უდაბნოში? ლერწმისა, ქარი რომ არხევს?

²⁵მაშ რის სანახავად გადიოდით? კაცისა, რომელსაც ფაფუკი სამოსელი აცვია? აჰა, ისინი, ვინც მდიდრულად არიან შემოსილნი და ფუფუნებით ცხოვრობენ, სამეფო კარზე იმყოფებიან.

²⁶მაშ, რის სანახავად გადიოდით? წინასწარმეტყველისა? დიახ, გეუბნებით თქვენ: და წინასწარმეტყველზე მეტისაც.



²⁷რადგან ეს არის ის, ვისზედაც დაწერილია: ‘აჰა, მე ვგზავნი ჩემს ანგელოზს შენი სახის წინაშე, რომელიც გაგიმზადებს შენ გზას შენს წინ.’

²⁸გეუბნებით თქვენ: ქალთაგან ნაშობთა შორის არავინ არის იოანეზე დიდი, მაგრამ ღმერთის სასუფეველში უმცირესიც კი მასზე უფრო დიდია.“

²⁹მთელმა ხალხმა, რომელიც მას უსმენდა, და მეზაჟეებმა, განადიდეს ღმერთი და იოანეს ნათლისცემით მოინათლნენ.

³⁰ხოლო ფარისევლებმა და რჯულის კაცებმა განიშორეს ღმერთის განგება, რაკი თავი არ მოანათლინეს.

³¹„ვის გამსგავსო ეს თაობა და ვისი მსგავსნი არიან ისინი?

³²ისინი ჰგვანან ყრმებს, რომლებიც მოედნებზე სხედან და ერთმანეთს გასძახიან: ‘სალამური დაგიკარით და ვერ აგაცეკვეთ, გოდება გაგიმართეთ და ვერ აგატირეთ.’

³³რადგან მოვიდა იოანე ნათლისმცემელი: არც პურს ჭამს, არც ღვინოს სვამს, და თქვენ ამბობთ, ეშმაკი ჰყავსო.

³⁴მოვიდა კაცის ძე: ჭამს და სვამს და ლაპარაკობთ: აჰა, კაცი, მჭამელი და ღვინის მსმელი, მეზაჟეთა და ცოდვილთა მეგობარი.

³⁵და მართლდება სიბრძნე ყველა მისი შვილის მიერ.“

³⁶სთხოვა მას ვინმე ფარისეველთაგანმა, ეჭამა მასთან პური. და შევიდა იმ ფარისევლის სახლში და მიუჯდა სუფრას.

³⁷და, აჰა, იყო იმ ქალაქში ცოდვილი ქალი. როდესაც გაიგო, ფარისევლის სახლში ზისო, მოიტანა ნელსაცხებელი ალაბასტრონის ჭურჭლით,

³⁸დადგა უკან, მის ფეხებთან, ცრემლებით უსველებდა ფეხებს და თავისი თმებით უმშრალებდა, ფეხებს უკოცნიდა და ნელსაცხებელს სცხებდა.

³⁹ფარისეველმა, რომელმაც იესო მიიწვია, ამის დანახვაზე თავისთვის თქვა: „ეს რომ წინასწარმეტყველი იყოს, შეიტყობდა, ვინ და როგორი ქალი ეხება მას, რადგან ცოდვილია ეს ქალი.“

⁴⁰მიუგო იესომ და უთხრა მას: „სიმონ, რაღაც მაქვს შენთან სათქმელი.“ მან კი უთხრა: „თქვი, მოძღვარო.“

⁴¹თქვა: „ერთ მევახშეს ორი მოვალე ჰყავდა: ერთს 500 დინარი ემართა, მეორეს – 50.

⁴²მაგრამ რაკი არაფერი ჰქონდათ, რომ გადაეხადათ, ორივეს აპატია. ახლა მითხარი, რომელს უფრო მეტად ეყვარება იგი?“



⁴³მიუგო სიმონმა და თქვა: „მე ვფიქრობ, რომელსაც მეტი აპატია.“ ხოლო მან უთხრა მას: „სწორად განსაჯე.“

⁴⁴და მიბრუნდა ქალისაკენ და უთხრა სიმონს: „ხედავ ამ ქალს? შენს სახლში შემოვდი და წყალი არ მომეცი ფეხთათვის, ამან კი ცრემლით დამისველა ფეხები და თავისი თმებით შემიმშრალა.

⁴⁵შენ არ გიკოცნია ჩემთვის, ამას კი, რაც აქ შემოვიდა, არ შეუწყვეტია ჩემს ფეხთა კოცნა.

⁴⁶შენ ზეთით არ გიცხია ჩემი თავი, ამან კი ნელსაცხებელი სცხო ჩემს ფეხებს.

⁴⁷ამიტომ გეუბნები: მაგას მრავალი ცოდვა ეპატია, რადგან დიდი სიყვარული გამოავლინა, ხოლო ვისაც მცირედი ეპატიება, მას მცირედი სიყვარული აქვს.“

⁴⁸და უთხრა მას: „გეპატია შენ შენი ცოდვები.“

⁴⁹და დაიწყეს თანამეინახეებმა ლაპარაკი ერთმანეთში: „ვინ არის ეს, ცოდვებსაც რომ მიუტევებს?“

⁵⁰უთხრა მან ქალს: „შენმა რწმენამ გიხსნა შენ, წადი, მშვიდობით იარე.“

ლუკას 8

¹ამის შემდეგ დადიოდა იგი ქალაქებსა და სოფლებში, ქადაგებდა და ახარებდა ღმერთის სასუფეველს. და თორმეტნიც მასთან ერთად იყვნენ,

²და ზოგიერთი ქალიც, რომელნიც განიკურნენ ავი სულებისა და სნეულებებისაგან: მარიამი, მაგდალელად წოდებული, რომლისგანაც შვიდი ეშმაკი იყო გასული,

³იოანა, ჰეროდეს მოურავის, ქუზას ცოლი, სუსანა და ბევრი სხვა, რომელნიც ემსახურებოდნენ მათ თავიანთი ქონებიდან.

⁴როდესაც დიდძალი ხალხი მოგროვდა და ქალაქის ყველა მცხოვრები მოვიდა მასთან, დაიწყო იგავით ლაპარაკი:

⁵„გამოვიდა მთესველი თავისი თესლის დასათესად. და თესვისას ზოგი გზის პირას დაეცა, ფეხქვეშ გაითელა და ცის ფრინველებმა აკენკეს,

⁶ზოგი კლდოვანზე დაეცა, აღმოცენდა და გახმა, რადგან სინოტივე არ ჰქონდა.

⁷ზოგი ეკლებში ჩაცვივდა, მასთან ერთად ეკალიც გაიზარდა და მოაშთო იგი.



⁸ზოგი კარგ ნიადაგზე დაეცა, აღმოცენდა და ასმაგი ნაყოფი გამოიღო.“ ეს თქვა და შესძახა: „ვისაც ყურები აქვს სასმენად, ისმინოს!”

⁹ჰკითხეს მისმა მოწაფეებმა, რას ნიშნავდა ეს იგავი.

¹⁰მან თქვა: „თქვენ მოგეცათ ღმერთის სასუფეველის საიდუმლოებათა ცოდნა, ხოლო სხვებს იგავებით ეძლევათ, რომ უყურებდნენ და ვერ ხედავდნენ, ისმენდნენ და ვერ იგებდნენ.

¹¹ეს იგავი კი ამას ნიშნავს: თესლი ღმერთის სიტყვაა;

¹²გზასთან დაცვენილნი ისინი არიან, რომელნიც ისმენენ, მერე მოდის ეშმაკი და მიაქვს სიტყვა მათი გულიდან, რათა არ ირწმუნონ და არ გადარჩნენ;

¹³კლდეზე დაცვენილნი ისინი არიან, რომელნიც ისმენენ სიტყვას და სიხარულით იღებენ, მაგრამ ფესვი არა აქვთ და მხოლოდ მცირე ხანს სწამთ, განსაცდელის ჟამს კი განდგებიან;

¹⁴ეკლებში ჩაცვენილი ისინი არიან, რომლებიც ისმენენ, მაგრამ ცხოვრების გზის საზრუნავი, სიმდიდრე და ცხოვრების სიამენი აშთობენ მათ და ნაყოფი ვეღარ გამოაქვთ;

¹⁵ხოლო კარგ მიწაზე დაცვენილნი ისინი არიან, ვინც კეთილი და წრფელი გულით ისმენს სიტყვას, იცავს მას და მოთმინებით გამოაქვს ნაყოფი.

¹⁶არავინ ანთებს სანთელს, რომ ჭურჭელი დაახუროს ზედ ან საწოლ ქვეშ შედგას, არამედ სასანთლეზე დებს, რათა შემომსვლელებმა დაინახონ ნათელი.

¹⁷რადგან არაფერია დაფარული, ცხადი რომ არ გახდეს, და არც დამალული, რომ არ გამჟღავნდეს და არ გაცხადდეს.

¹⁸დაუკვირდით, როგორ ისმენთ: რადგან ვისაც აქვს, მიეცემა, ხოლო ვისაც არა აქვს, ისიც წაერთმევა, რაც ჰგონია, რომ აქვს.“

¹⁹მივიდნენ მასთან მისი დედა და ძმები და ვერ მიუახლოვდნენ ხალხის გამო.

²⁰შეატყობინეს მას: „შენი დედა და შენი ძმები გარეთ დგანან და შენი ნახვა სურთ.“

²¹ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: „ჩემი დედა და ჩემი ძმები ისინი არიან, ვინც ღმერთის სიტყვას ისმენს და ასრულებს.“

²²ისე მოხდა, რომ ერთ დღეს იგი ჩაჯდა ნავში თავის მოწაფეებთან ერთად და უთხრა მათ: „გადავიდეთ ტბის გაღმა.“ და გაცურეს.



²³როდესაც მიცურავდნენ, ჩაეძინა, და ტბაზე ქარიშხალი ამოვარდა. ნავი წყლით ივსებოდა და საფრთხეში იყვნენ.

²⁴მივიდნენ, გააღვიძეს ის და უთხრეს: „მოდღარო, მოდღარო, ვიღუპებით.“ და მან, გაღვიძებულმა, შერისხა ქარი და წყლის ღელვა, და დაცხრნენ, და ჩამოდგა მყუდროება.

²⁵უთხრა მათ: „სად არის თქვენი რწმენა?“ ისინი შიშითა და გაოცებით ეუბნებოდნენ ერთმანეთს: „ვინ არის ეს, ქარებსაც რომ უბრძანებს და წყალსაც, და ემორჩილებიან მას?“

²⁶და გაცურეს გერასენელთა მხარეში, რომელიც გალილეის გაღმაა.

²⁷ხმელეთზე გადასულს, წინ შემოხვდა ერთი კაცი ქალაქიდან, რომელსაც ეშმაკები ჰყავდა. დიდი ხნის მანძილზე არც სამოსელი ჩაუცვამს და არც სახლში უცხოვრია, არამედ სამარხებში.

²⁸იესო რომ დაინახა, შეჰყვირა, მის წინ დაეცა და დიდი ხმით შესძახა: „რას მემართლები იესო, ძეო მაღალი ღმერთისა? გევედრები, ნუ მტანჯავ!“

²⁹რადგან უბრძანა უწმიდურ სულს ამ კაცისგან გამოსულიყო – რადგან დიდ ხანს სტანჯავდა მას. აბამდნენ ჯაჭვებით და ბორკილებით, რომ დაეკავებინათ იგი, მაგრამ წყვეტდა ბორკილებს და იღევნებოდა ეშმაკისგან უდაბურ ადგილებში.

³⁰ჰკითხა მას იესომ: „რა არის შენი სახელი?“ მან უთხრა: „ლეგიონი.“ რადგან ბევრი ეშმაკი იყო მასში შესული.

³¹და ევედრებოდნენ მას, რომ არ ებრძანებინა მათთვის ქვესკნელში ჩასვლა.

³²იყო იქ ღორების დიდი კოლტი, რომელიც მთაზე ძოვდა. ეშმაკები შეევედრნენ იესოს, რომ ნება დაერთო შესულიყვნენ მათში, და მან დართო ნება.

³³და გამოვიდნენ ეშმაკები იმ კაცისგან და შევიდნენ ღორებში. კოლტი კბოდედან გადაეშვა ტბაში და ჩაიხრჩო.

³⁴მწყემსებმა რომ დაინახეს, რაც მოხდა, გაიქცნენ და შეატყობინეს ქალაქსა და სოფლებს.

³⁵გამოვიდნენ მომხდარის სანახავად და მოვიდნენ იესოსთან და ნახეს კაცი, რომლისგანაც ეშმაკები გავიდნენ. იგი შემოსილი და გონსმოგებული იჯდა იესოს ფეხთით, და შეეშინდათ.

³⁶მხილველებმა უამბეს, როგორ გადარჩა ეშმაკეული.

³⁷და სთხოვა მას გერასენელთა სანახების მთელმა ხალხმა, გასცლოდა მათ, რადგან დიდმა შიშმა მოიცვა ისინი. ისიც ჩაჯდა ნავში და გაბრუნდა.



³⁸ევდრებოდა მას ის კაცი, რომლისგანაც ეშმაკები გავიდნენ: შენთან ვიქნებიო. მაგრამ მან გაუშვა და უთხრა:

³⁹„დაბრუნდი შინ და უამბე, რაც გიყო ღმერთმა. ისიც წავიდა და მთელ ქალაქს ამცნობდა, რაც გაუკეთა მას იესომ.“

⁴⁰როდესაც იესო დაბრუნდა, ხალხმა მიიღო იგი, რადგან ყველანი ელოდნენ მას.

⁴¹და, აჰა, მოვიდა კაცი, სახელად იაიროსი, რომელიც სინაგოგის მთავარი იყო. დაემხო იესოს ფეხთით და ევდრებოდა, რომ მისულიყო მის სახლში.

⁴²რადგან ერთადერთი ასული ჰყავდა, 12 წლისა, და კვდებოდა. და როდესაც წავიდა, ხალხი გზად ზედ აწყდებოდა.

⁴³იყო ერთი ქალი, რომელიც 12 წლის მანძილზე სისხლდენით იტანჯებოდა, მთელი ქონება მკურნალებზე დაეხარჯა და ვერავის განეკურნა.

⁴⁴უკნიდან მიეახლა და მისი სამოსის კალთას შეეხო. და მყისვე შეუწყდა სისხლდენა.

⁴⁵და თქვა იესომ: „ვინ შემეხო?“ როცა ყველამ იუარა, უთხრა პეტრემ: „მოდღვარო, ხალხი გარს გახვევია და ზედ გაწყდება, შენ კი ამბობ, ვინ შემეხო?“

⁴⁶ხოლო იესომ თქვა: „ვიღაც შემეხო მე, რადგან გავიგე, რომ ძალა გავიდა ჩემგან.“

⁴⁷როდესაც ქალმა დაინახა, რომ შეუმჩნეველი არ დარჩა, მიუახლოვდა ძრწოლით, დაემხო მის წინ და მთელი ხალხის წინაშე განაცხადა, რისთვის შეეხო, და როგორ უცბად განიკურნა.

⁴⁸უთხრა მას: „ასულო, შენმა რწმენამ გიხსნა შენ. წადი მშვიდობით!“

⁴⁹ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, რომ ვიღაც მოვიდა სინაგოგის მთავრის სახლიდან და უთხრა: „შენი ასული მოკვდა, ნუღარ შეაწუხებ მოძღვარს.“

⁵⁰ეს რომ იესომ მოისმინა, მიუგო მას: „ნუ გეშინია, მხოლოდ ირწმუნე და განიკურნება.“

⁵¹სახლში რომ მივიდა, არავინ შეუშვა თავისთან ერთად, პეტრეს, იაკობის, იოანეს და გოგონას დედ-მამის გარდა.

⁵²ყველა ტიროდა და გოდებდა. მან კი თქვა: „ნუ ტირით, არ მომკვდარა, არამედ სძინავს.“

⁵³ისინი კი დასცინოდნენ მას, რადგან იცოდნენ, რომ მკვდარი იყო.

⁵⁴მან ხელი მოჰკიდა მას და შესძახა: „ადექი, ბავშვო!“



⁵⁵და დაუბრუნდა სული და მყისვე წამოდგა. და ბრძანა, რომ ბავშვისთვის საჭმელი მიეცათ.

⁵⁶გაოგნებული იყვნენ მისი მშობლები. მან კი უბრძანა მათ, არავისთვის ეთქვათ ეს ამბავი.

ლუკას 9

¹მოუხმო მან თორმეტს და მისცა მათ ძალი და ხელმწიფება ყველა ეშმაკზე და სნეულებათა განკურნებისათვის.

²და წარგზავნა ისინი ღმერთის სასუფეველის საქადაგებლად და სნეულთა განსაკურნებლად.

³და უთხრა მათ: „არაფერი წაიღოთ გზაში, არც არგანი, არც გუდა, არც პური, არც ვერცხლი; და არც ორი პერანგი იქონიოთ.

⁴რომელ სახლშიც შეხვალთ, იქ დარჩით და იქიდან გაემგზავრეთ.

⁵სადაც არ მიგიღებენ, იმ ქალაქიდან გამოსვლისას დაიბერტყეთ ფეხებიდან მტვერი, როგორც მოწმობა მათ წინააღმდეგ.“

⁶და წავიდნენ და იწყეს სოფელ-სოფელ სიარული, ახარებდნენ და ყველგან კურნავდნენ.

⁷გაიგო ჰეროდე ტეტრარქმა ყველაფერი, რაც ხდებოდა და გაოცდა, რადგან ერთნი ამბობდნენ, რომ იოანე აღდგა მკვდრეთით,

⁸მეორენი – ელია გამოჩნდაო, სხვები – აღდგაო რომელიღაც ძველ წინასწარმეტყველთაგან.

⁹ჰეროდემ თქვა: „იოანეს თავი მოვკვეთე, ეს კი ვინ არის, ვისზეც ასეთი ამბები მესმის?“ და უნდოდა მისი ნახვა.

¹⁰როდესაც დაბრუნდნენ მოციქულები, უამბეს მას, რაც გააკეთეს. მან წაიყვანა ისინი თავისთან ქალაქში, რომელსაც ეწოდება ბეთსაიდა.

¹¹შეიტყო დიდძალმა ხალხმა და გაჰყვა მას. და იღებდა მათ და ელაპარაკებოდა ღმერთის სასუფეველზე, ხოლო ვისაც განკურნება სჭირდებოდა, კურნავდა.

¹²დღე რომ იწურებოდა, მივიდნენ მასთან თორმეტნი და უთხრეს: „გაუშვი ეს ხალხი, რათა წავიდნენ გარემო სოფლებსა და დაბებში ღამის გასათევად და საზრდოს საშოვნელად, რადგან აქ უდაბურ ადგილას ვიმყოფებით.“



¹³უთხრა მათ: „თქვენ მიეცით საჭმელი.“ მათ უთხრეს: „ხუთი პურისა და ორი თევზის მეტი არაფერი გვაქვს, თუ არ წავედით და საჭმელი არ ვუყიდეთ მთელ ამ ხალხს.“

¹⁴რადგან იქ 5 ათასამდე კაცი იქნებოდა. მან უთხრა თავის მოწაფეებს: „დასხით ისინი ჯგუფ-ჯგუფად, თითოში ორმოცდაათამდე იყოს.“

¹⁵ასე მოიქცნენ და დასხეს ყველანი.

¹⁶აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ახედა ცას, აკურთხა, დატეხა და მისცა მოწაფეებს, რომ ჩამოერიგებინათ ხალხისთვის.

¹⁷ყველამ ჭამა და გაძღა. და აკრიფეს ნამუსრევი, რაც დარჩა – 12 გოდორი.

¹⁸ისე მოხდა, რომ როცა განმარტოებული ლოცულობდა და მოწაფეებიც მასთან იყვნენ, იესომ ჰკითხა მათ: „რას ამბობს ხალხი, ვინა ვარ მე?“

¹⁹მათ მიუგეს და თქვეს: „იოანე ნათლისმცემელი; სხვები – ელია, სხვები – რომელიღაც ძველ წინასწარმეტყველთაგანი აღდგაო.“

²⁰იესომ უთხრა: „თქვენ რაღას ამბობთ: ვინა ვარ მე?“ პეტრემ მიუგო და უთხრა: „ქრისტე, ღმერთის ცხებული.“

²¹ხოლო მან მკაცრად უბრძანა, არავისთვის ეთქვათ ეს.

²²უთხრა მათ: „კაცის მის ხვედრია, მრავალი ტანჯვა აიტანოს და უარყოფილ იქნას უხუცესთა, მღვდელმთავართა და მწიგნობართა მიერ, მოიკლას და მესამე დღეს აღდგეს.“

²³ყველას კი უთხრა: „ვისაც სურს გამომყვეს მე, უარყოს თავისი თავი, იტვირთოს ყოველდღე თავისი ჯვარი და გამომყვეს მე.“

²⁴რადგან, ვისაც სურს თავისი სამშვინველი იხსნას, იგი დაღუპავს მას. ხოლო ვინც ჩემი გულისთვის დაღუპავს მას, იგი იხსნის მას.

²⁵რადგან რას არგებს ადამიანს, თუ მთელ ქვეყნიერებას მოიგებს, თავის თავს კი დაღუპავს ან ავნებს?

²⁶რადგან, ვისაც შერცხვება ჩემი და ჩემი სიტყვებისა, კაცის მესაც შერცხვება მისი, როდესაც მოვა თავისი მამისა და წმიდა ანგელოზთა დიდებაში.

²⁷ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არიან ზოგიერთნი აქ მდგომთაგან, რომლებიც არ იგემებენ სიკვდილს, სანამ არ იხილავენ ღმერთის სასუფეველს.“

²⁸ამ სიტყვების თქმიდან რვა დღის შემდეგ პეტრე, იოანე და იაკობი წაიყოლა თან და ავიდა მთაზე სალოცავად.



²⁹და ლოცვისას, მისი სახის ხატება შეიცვალა და მისი სამოსი ქათქათა თეთრი გახდა.

³⁰და, აჰა, საუბრობდა მასთან ორი კაცი, ესენი იყვნენ მოსე და ელია,

³¹რომლებიც გამოჩნდნენ დიდებაში და ლაპარაკობდნენ მის წასვლაზე, რომელიც იერუსალიმში უნდა აღსრულებულიყო.

³²პეტრე და მასთან მყოფნი დამძიმებულნი იყვნენ ძილით და როდესაც გამოეღვიძათ, იხილეს მისი დიდება და მასთან მდგომი ორი კაცი.

³³ისე მოხდა, რომ როდესაც ისინი მას შორდებოდნენ, უთხრა პეტრემ იესოს: „მოდღვარო, რა კარგია ჩვენი აქ ყოფნა. გავაკეთოთ სამი კარავი: ერთი შენ, ერთი მოსეს და ერთი ელიას.“ რადგან არ იცოდა, რას ლაპარაკობდა.

³⁴ამას რომ ამბობდა, გამოჩნდა ღრუბელი და მოუჩრდილა მათ. ღრუბელში რომ შევიდნენ, შეეშინდათ.

³⁵და გაისმა ხმა ღრუბლიდან, რომელიც ამბობდა: „ეს არის ძე ჩემი რჩეული, უსმინეთ მას!“

³⁶ამ ხმის შემდეგ იესო მარტო აღმოჩნდა, ისინი კი დუმდნენ და იმ დღეებში არავისთვის უთქვამთ, რაც იხილეს.

³⁷ისე მოხდა, რომ მეორე დღეს, მთიდან ჩამოსვლისას, დიდძალი ხალხი შეეგება მას.

³⁸და, აჰა, იმ ხალხში ვიღაც კაცმა შეჰყვირა: „მოდღვარო, გევედრები, მოხედე ჩემს ძეს, რადგან ეს ერთადერთი მყავს.“

³⁹სულსა ჰყავს შეპყრობილი; უეცრად წამოაყვირებს, აქეთ-იქით ახეთქებს, დუჟს ადენს, და როცა ქანცს გაუწყვეტს, ძლივსლა გაეცლება.

⁴⁰ვთხოვე შენს მოწაფეებს, რომ გამოედევნათ, მაგრამ ვერ შეძლეს.”

⁴¹მიუგო იესომ და თქვა: „ო, ურწმუნო და უკუღმართო თაობავ, როდემდე უნდა ვიყო თქვენთან და გითმინოთ? მომიყვანე შენი ძე აქ.“

⁴²და ვიდრე მოვიდოდა, ეშმაკმა დაახეთქა და დაკრუნჩხა. იესომ შერისხა უწმიდური სული, განკურნა ყრმა და ჩააბარა თავის მამას.

⁴³ყველანი გაოცებულნი იყვნენ ღმერთის დიდებით. და როდესაც ყველა გაკვირვებული იყო ყველაფრით, რასაც ის აკეთებდა, უთხრა თავის მოწაფეებს:

⁴⁴„ყურად იღეთ ეს სიტყვები: კაცის ძე უნდა გადაეცეს ადამიანთა ხელთ.“



⁴⁵მაგრამ ისინი ვერ მიხვდნენ ამ ნათქვამს, იგი დაფარული დარჩა მათგან, ისე რომ ვერ ჩასწვდნენ მას. და ერიდებოდათ, ეკითხათ მისთვის ამ სიტყვების შესახებ.

⁴⁶ერთი საფიქრალი გაუჩნდათ მათ: ვინ უფრო დიდი იყო მათ შორის?

⁴⁷იესომ, რომელიც ხედავდა მათი გულის საფიქრალს, მოიყვანა ბავშვი და გვერდით დაიყენა.

⁴⁸უთხრა მათ: „ვინც მიიღებს ამ ბავშვს ჩემი სახელით, ის მე მიმიღებს. ხოლო ვინც მე მიმიღებს, ის ჩემს წარმომგზავნელსაც მიიღებს. ხოლო ვინც უმცირესია ყველა თქვენს შორის, ის არის დიდი.“

⁴⁹მიუგო იოანემ და თქვა: „მოდღარო, ჩვენ ვნახეთ კაცი, რომელიც შენი სახელით ემშაკებს დევნის, და დავუშალეთ მას, რადგან არ მოგვდევს ჩვენ.“

⁵⁰უთხრა მას იესომ: „ნუ დაუშლით, რადგან ის, ვინც თქვენს წინააღმდეგ არ არის, თქვენთანაა.“

⁵¹ისე მოხდა, რომ მისი ამალგების დღეების მოახლოებისას, იბრუნა პირი იერუსალიმში წასასვლელად.

⁵²და გაგზავნა მაცნეები თავის წინ. და წავიდნენ ისინი და შევიდნენ სამარიელთა სოფელში, რათა თადარიგი დაეჭირათ მისი მოსვლისათვის.

⁵³მაგრამ იქ არ მიიღეს იგი, რადგან პირი მიქცეული ჰქონდა იერუსალიმში წასასვლელად.

⁵⁴დაინახეს ეს მისმა მოწაფეებმა, იაკობმა და იოანემ, და უთხრეს: „უფალო, გინდა, ვუბრძანოთ, რომ ცეცხლი ჩამოვიდეს ციდან და მოსპოს ისინი, როგორც ელიამ გააკეთა?“

⁵⁵მაგრამ ის მიუბრუნდა მათ და გაუწყრა.

⁵⁶და წავიდნენ ისინი სხვა სოფელში.

⁵⁷გზაზე რომ მიდიოდნენ, ვიღაცამ უთხრა მას: გამოგყვები, სადაც კი წახვალ.

⁵⁸იესომ უთხრა მას: „მელიებს სოროები აქვთ და ცის ფრინველებს – ბუდეები, კაცის ძეს კი არა აქვს თავის მისადრეკი.“

⁵⁹მეორეს კი უთხრა: „გამომყევი.“ მან თქვა: „უფალო, გამიშვი, ჯერ წავიდე და მამაჩემი დავმარხო.“

⁶⁰მან კი უთხრა მას: „დაანებე მკვდრებს თავიანთი მკვდრების დამარხვა. შენ კი წადი და იქადაგე ღმერთის სასუფეველი.“



⁶¹სხვამაც თქვა: „მე გამოგყვები, უფალო, ოღონდ ჯერ გამიშვი, ჩემს სახლს გამოვეთხოვო.“

⁶²უთხრა მას იესომ: „არავინ გამოდგება ღმერთის სასუფეველისათვის, ვისაც გუთანზე უდევს ხელი და უკან იყურება.“

ლუკას 10

¹ამის შემდეგ ამოარჩია უფალმა სხვა 78 და თავის წინ წარგზავნა ორ-ორი ყველა ქალაქსა და სოფელში, სადაც მისვლას აპირებდა.

²უთხრა მათ: „სამკალი ბევრია, მუშაკი კი ცოტა. ამიტომ ევედრეთ სამკალის უფალს, რათა გამოგზავნოს მუშაკნი თავის სამკალში.

³წადით, აჰა, გაგზავნით თქვენ, როგორც კრავებს მგლებს შორის.

⁴არც ქისა წაიღოთ თან, არც გუდა, არც ფეხსაცმელი, არც არავინ მოიკითხოთ გზაში.

⁵რომელ სახლშიც შეხვალთ, ჯერ ეს თქვით: ‘მშვიდობა ამ სახლს!’

⁶და თუ იქნება იქ მშვიდობის ძე, მასზე დაივანებს თქვენი მშვიდობა, თუ არა და, თქვენვე დაგიბრუნდებათ.

⁷იმავე სახლში დარჩით, ჭამეთ და სვით, რაც მათ აქვთ, რადგან მუშაკი ღირსია თავისი საზღაურისა. სახლიდან სახლში ნუ დაიწყებთ სიარულს.

⁸რომელ ქალაქშიც მიხვალთ და მიგიღებენ, ჭამეთ, რასაც შემოგთავაზებენ.

⁹განკურნეთ იქ მყოფი სნეულნი და უთხარით: ‘მოგიახლოვდათ ღმერთის სასუფეველი.’

¹⁰ხოლო თუ რომელიმე ქალაქში მიხვალთ და არ მიგიღებენ, გადით ქუჩებში და თქვით:

¹¹‘თქვენი ქალაქის მტერს, ფეხებზე რომ აგვეკრო, თქვენზევე ვიბერტყავთ. ოღონდ იცოდეთ, რომ ახლოს არის ღმერთის სასუფეველი.’

¹²გეუბნებით, სოდომისთვის უფრო ადვილი ასატანი იქნება იმ დღეს, ვიდრე იმ ქალაქისათვის.

¹³ვაი შენ, ქორაზინ, და ვაი შენ, ბეთსაიდა! რადგან ტვიროსსა და სიდონში რომ მომხდარიყო სასწაულები, რომლებიც თქვენთან მოხდა, ისინი დიდი ხნის წინ მოინანიებდნენ ძაძებსა და ნაცარში მსხდომარენი.

¹⁴მაგრამ ტვიროსისა და სიდონისთვის უფრო ასატანი იქნება განსასჯელისას, ვიდრე თქვენთვის.



- ¹⁵შენ კი, კაპერნაუმ, განა ცამდე ამაღლდები? ჯოჯოხეთამდე დაეშვები!
- ¹⁶ვინც თქვენ მოგისმენთ, მეც მომისმენს; თქვენი უარყოფელი მეც უარყოფს; ხოლო ჩემი უარყოფელი უარყოფს ჩემს წარმომგზავნელს!“
- ¹⁷სიხარულით დაბრუნდნენ სამოცდათორმეტნი და უთხრეს: „უფალო, შენი სახელით ეშმაკებიც კი გვემორჩილებიან.“
- ¹⁸უთხრა მათ: „ვხედავდი სატანას, ელვასავით რომ ვარდებოდა ციდან.
- ¹⁹აჰა, გაძლევთ თქვენ ხელმწიფებას გველთა და მორიელთა და მტრის ყოველი ძალის დასათრგუნად. თქვენ კი არაფერი დაგიშავდებათ.
- ²⁰ოღონდ ის კი ნუ გიხარიათ, რომ სულელები გემორჩილებიან, არამედ გიხაროდეთ, რომ თქვენი სახელები ცაშია ჩაწერილი.“
- ²¹იმ დროს გაიხარა სულში იესომ და თქვა: „გადიდებ შენ, მამაო, უფალო ცისა და მიწისა, რადგან დაუფარე ეს ბრძენთა და გონიერთ, ჩვილებს კი განუცხადე. დიახ, მამაო, რადგან ასე იყო სათნო შენს წინაშე.
- ²²ყველაფერი ჩემი მამისგან გადმომეცა, და არავინ იცის, ვინ არის მამა, გარდა ძისა; და არავინ იცის, ვინ არის ძე, გარდა მამისა, და იმისა, ვისაც ძეს სურს, რომ განუცხადოს.“
- ²³მიუბრუნდა მოწაფეებს ცალკე და უთხრა: „ნეტარია თვალები, რომელნიც ხედავენ, რასაც თქვენ ხედავთ.
- ²⁴რადგან გეტყვით, რომ მრავალ წინასწარმეტყველსა და მეფეს სურდა ეხილა, რასაც თქვენ ხედავთ, მაგრამ ვერ იხილა, და ესმინა, რასაც თქვენ ისმენთ, და ვერ მოისმინა.“
- ²⁵აჰა, ერთი რჯულის მასწავლებელი წამოდგა და გამოსაცდელად თქვა: „რა უნდა გავაკეთო, მოძღვარო, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?“
- ²⁶უთხრა მას: „რჯულში როგორ წერია? შენ როგორ კითხულობ?“
- ²⁷მიუგო და უთხრა: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი ძალითა და მთელი შენი გონებით, და მოყვასი შენი, როგორც თავი შენი.“
- ²⁸უთხრა მას: „სწორად მიპასუხე. ეგრე მოიქეცი და იცოცხლებ.“
- ²⁹მაგრამ მას თავის გამართლება უნდოდა და უთხრა იესოს: „ვინ არის ჩემი მოყვასი?“
- ³⁰მიუგო იესომ და უთხრა: „ერთი კაცი მიდიოდა იერუსალიმიდან იერიქოში და თავს დაესხნენ ყაჩაღები, ტანსაცმელი გახადეს, დაჭრეს, ცოცხალ-მკვდარი მიატოვეს და წავიდნენ.



³¹შემთხვევით ერთმა მღვდელმა ჩაიარა იმ გზაზე, დაინახა იგი და მეორე მხარეს გადავიდა.

³²ასევე ლევანმა ჩაიარა იმ ადგილას, დაინახა და მეორე მხარეს გადავიდა.

³³ხოლო შემდეგ ვიღაც გზად მიმავალმა სამარიელმა გამოიარა, დაინახა და შეიბრალა.

³⁴მივიდა მასთან, ჭრილობები შეუხვია, ზეთი და ღვინო დაასხა, შესვა თავის სახედარზე, სასტუმროში მიიყვანა და უპატრონა.

³⁵მეორე დღეს ამოიღო ორი დინარი, მისცა სასტუმროს პატრონს და უთხრა: ‘მოუარე მას და თუ ზედმეტი ხარჯი მოგივა, რომ დავბრუნდები, მოგცემ.’

³⁶რას ფიქრობ, იმ სამიდან რომელი გამოდგა დაყაჩაღებულის მოყვასი?”

³⁷თქვა: „რომელმაც წყალობა უყო მას.“ უთხრა მას იესომ: „წადი და შენც ასევე მოიქეცი.“

³⁸განაგრძეს გზა და შევიდა იგი ერთ სოფელში და ერთმა ქალმა, სახელად მართამ, მიიწვია სახლში.

³⁹მას ჰყავდა და, სახელად მარიამი, რომელიც იესოს ფეხთით დაჯდა და ყურს უგდებდა მის სიტყვას.

⁴⁰მართა კი შეაჭირვა დიდმა სამზადისმა. მივიდა და უთხრა: „უფალო, არ განაღვლებს, რომ ჩემმა დამ შემატოვა ამ სამზადისს? უთხარი, მომეხმაროს.“

⁴¹მიუგო და უთხრა მას უფალმა: „მართა, მართა! შენ ბევრ რამეზე ზრუნავ და წუხხარ,

⁴²საჭირო კი ერთია. მარიამმა უკეთესი წილი ამოირჩია, რომელიც არ წაერთმევა მას.“

ლუკას 11

¹ისე მოხდა, რომ ერთგან, ლოცვისას, ლოცვა რომ დაასრულა, ერთმა მოწაფეთაგანმა უთხრა: „უფალო, გვასწავლე ლოცვა, როგორც იოანემ ასწავლა თავის მოწაფეებს.“

²უთხრა მათ: „როდესაც ლოცულობთ, თქვით: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი, მოვიდეს სუფევა შენი, იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.

³პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ ყოველ დღე.

⁴და მოგვიტევე ჩვენ ჩვენი ცოდვები, რადგან ჩვენც მივუტევებთ ყველა ჩვენს მოვალეს. და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში.“



⁵და უთხრა მათ: „რომელიმე თქვენგანს რომ მეგობარი ჰყავდეს და შუალამისას მიადგეს და უთხრას: ‘მეგობარო, მასესხე სამი პური,

⁶რადგან ნამგზავრი მეგობარი მომივიდა და არაფერი გამაჩნია, წინ რომ დავუდო,’

⁷და მან შიგნიდან გამოგძახოს: ‘ნუ მაწუხებ, კარი დაკეტილია, ბავშვებიც ლოგინში მიწვანან, არ შემიძლია წამოდგომა და პურის მოცემა.’

⁸გეუბნებით თქვენ, თუ არ ადგება მეგობრობის გამო და არ მისცემს პურს, თავს რომ მოაბეზრებს, მაშინ მაინც ადგება და მისცემს იმდენ პურს, რამდენიც სჭირდება.

⁹გეუბნებით თქვენ: ითხოვეთ და მოგეცემათ, ეძიეთ და იპოვით, დააკაკუნეთ და გაგელებათ.

¹⁰რადგან ყველა მთხოვნელი მიიღებს, და მძებნელი იპოვის, და დამკაკუნებელს გაელება.

¹¹რომელი მამა იქნება თქვენში, შვილმა პური სთხოვოს და ქვა მისცეს? ანდა თევზი სთხოვოს და თევზის წილ გველი მისცეს?

¹²ანდა, კვერცხი რომ სთხოვოს და მორიელი მისცეს?

¹³მაშ, თუ თქვენ, ბოროტებმა, იცით კეთილ მისაცემელთა მიცემა თქვენი შვილებისათვის, რამდენად უფრო მეტად მისცემს ზეციერი მამა სულიწმიდას მათ, ვინც სთხოვს!“

¹⁴და განდევნა ეშმაკი კაცისაგან, რომელიც მუნჯი იყო. და როდესაც ეშმაკი გავიდა, მუნჯი ალაპარაკდა და გაოცდა ხალხი.

¹⁵ზოგიერთი ამბობდა: „ეშმაკთა მთავრით, ბელზებულისთ, დევნის ეშმაკებს.“

¹⁶სხვანი გამოსაცდელად მოითხოვდნენ მისგან ნიშანს ციდან.

¹⁷ხოლო მან იცოდა მათი ფიქრები და უთხრა მათ: „ყოველი სამეფო, რომელიც თავისი თავის წინააღმდეგ არის გაყოფილი, გაუდაბურდება და სახლი სახლზე დაემხოვა.

¹⁸და თუ სატანა გაყოფილია თავისი თავის წინააღმდეგ, როგორღა გაძლებს მისი სამეფო? – რადგან ამბობთ, რომ მე ბელზებულისთ ვდევნი ეშმაკებს.

¹⁹თუ მე ბელზებულისთ ვდევნი ეშმაკებს, თქვენი შვილები ვიღათი დევნიან? ამიტომ ისინი იქნებიან თქვენი მსაჯულები.

²⁰თუ მე ღმერთის თითით ვდევნი ეშმაკებს, მაშ, მოსულა თქვენთან ღმერთის სასუფეველი.



²¹როდესაც ძლიერი კაცი იარაღით იცავს თავის კარ-მიდამოს, მაშინ მისი ქონება მშვიდობით არის.

²²მაგრამ თუ მასზე ძლიერი დაესხმის თავს და დაამარცხებს, წაართმევს იარაღს, რომლის იმედიც ჰქონდა, და ნადავლს გაანაწილებს.

²³ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემს წინააღმდეგაა, და ვინც ჩემთან არ აგროვებს, ის ფანტავს.

²⁴როდესაც უწმიდური სული გამოვა ადამიანისგან, დადის ურწყულ ადგილებში, ეძებს სიმშვიდეს, მაგრამ ვერ პოულობს. მაშინ ამბობს: ‘დავბრუნდები ჩემს სახლში, საიდანაც გამოვედი.’

²⁵მივა და იპოვის მას, დაგვილსა და მოწესრიგებულს.

²⁶მაშინ წავა და მოიყვანს შვიდ სხვა სულს, თავისზე უბოროტესს, შევლენ და დასახლდებიან იქ. და იმ კაცისთვის ეს უკანასკნელი პირველზე უარესი იქნება.“

²⁷ისე მოხდა, რომ ამის ლაპარაკისას, ერთმა ქალმა აღიმადლა ხმა ხალხიდან და უთხრა მას: „ნეტარია საშო, რომელმაც შენ გატარა და ძუძუნი, რომელთაც სწოვდი.“

²⁸ხოლო მან თქვა: „ნეტარ არიან ისინი, ვინც ისმენს და იცავს ღმერთის სიტყვას.“

²⁹და როდესაც უფრო მეტმა ხალხმა მოიყარა თავი, დაიწყო მან ლაპარაკი: „ეს თაობა ბოროტი თაობაა; ითხოვს ნიშანს და ნიშანი არ მიეცემა მას, გარდა იონას ნიშნისა;

³⁰რადგან, როგორც იონა იყო ნიშანი ნინეველთათვის, ასევე იქნება ამ თაობისთვის კაცის ძე.

³¹სამხრეთის დედოფალი წამოდგება სამსჯავროზე ამ თაობის ადამიანებთან ერთად და მსჯავრს დასდებს მათ. იგი დედამიწის კიდიდან მოვიდა სოლომონის სიბრძნის მოსასმენად და, აჰა, აქ სოლომონზე მეტია.

³²ნინეველები აღდგებიან სამსჯავროზე ამ თაობასთან ერთად და მსჯავრს დასდებენ მას, რადგან მათ მოინანიეს იონას ქადაგებით და, აჰა, აქ იონაზე მეტია.

³³არავინ ანთებს სანთელს, რომ დადგას მოფარებულში ანდა ჭურჭლის ქვეშ, არამედ სასანთლეზე, რათა შემოსულები ხედავდნენ ნათელს.

³⁴სხეულის სანთელი შენი თვალია. როდესაც შენი თვალი სუფთაა, მთელი შენი სხეულიც განათებულია. მაგრამ როდესაც იგი ავია, შენი სხეულიც ბნელია.



- 35 ამიტომ ნახე, ნათელი, რომელიც შენშია, ბნელი ხომ არ არის?
- 36 თუ შენი სხეული მთლიანად განათებულია და ბნელის არაფერია მასში, მაშინ ის მთლიანად გაბრწყინებული იქნება, თითქოს ნათელი ელვა განათებდეს თავისი ელვარებით.“
- 37 ამას რომ ამბობდა, ერთმა ფარისეველმა სთხოვა, მასთან ექამა პური. შევიდა და სუფრას მიუჯდა.
- 38 ფარისეველს გაუკვირდა, როდესაც დაინახა, რომ მან არ განიბანა ჭამის წინ.
- 39 უთხრა მას უფალმა: „თქვენ, ფარისეველნი, თასსა და ლანგარს გარედან ასუფთავებთ, თქვენი შინაგანი კი სავსეა მტაცებლობით და ბოროტებით.
- 40 უგუნურებო, განა გარეგანის შემქმნელმა არ შექმნა შინაგანიც?
- 41 მაშ გაეცით მოწყალება, რაც ჭურჭლის შიგნითაა, და, აჰა, ყველაფერი სუფთა გექნებათ.
- 42 მაგრამ, ვაი თქვენ, ფარისეველნო, რომ იხდით პიტნის, ტეგანისა და ყოველნაირი მწვანე მებაღის მებაღის და გვერდს უქცევთ ღმერთის სამართალსა და სიყვარულს! ეს უნდა გაგეკეთებინათ და არც ის უნდა უგულბებლგეყოთ.
- 43 ვაი თქვენ, ფარისეველნო, რადგან გიყვართ წინა ადგილებზე ჯდომა სინაგოგებში და პატივით მოსალმება მოედნებზე!
- 44 ვაი თქვენ, რადგან მიტოვებული სამარხებივით ხართ, რომლებზეც ადამიანები დადიან და არ კი იციან!“
- 45 მიუგო ერთმა რჯულის მოძღვარმა და უთხრა: „მოძღვარო, ამას რომ ამბობ, ამით ჩვენც შეურაცხავყოფ.“
- 46 მან კი უთხრა: „ვაი თქვენც, რჯულის მოძღვარნო, რომ ჰკიდებთ ადამიანებს მძიმე ტვირთს, თვითონ კი ამ ტვირთს თითსაც არ აკარებთ.
- 47 ვაი თქვენ, სამარხებს რომ უშენებთ წინასწარმეტყველებს, რომელნიც თქვენმა მამებმა დახოცეს!
- 48 ამით თქვენ ემოწმებით და ეთანხმებით თქვენი მამების საქმეებს, რადგან მათ დახოცეს წინასწარმეტყველნი, თქვენ კი მათ სამარხებს უშენებთ.
- 49 ამიტომ თქვა ღმერთის სიბრძნემ: ‘წარვგზავნი მათთან წინასწარმეტყველებსა და მოციქულებს, და მათგან ზოგს დახოცავენ, ზოგს განდევნიან,’



⁵⁰რათა ამ თაობას მოეკითხოს ყველა წინასწარმეტყველის სისხლი, რაც სამყაროს შექმნიდან დაღვრილა,

⁵¹აბელის სისხლიდან მოყოლებული ზაქარიას სისხლამდე, რომელიც სამსხვერპლოსა და ტაძარს შორის იქნა მოკლული. დიახ, გეუბნებით თქვენ, ამ თაობას მოეკითხება.

⁵²ვაი თქვენ, რჯულის მოძღვარნო, ცოდნის გასაღები რომ მიიტაცეთ! არც თქვენ შეხვედით და შემსვლელელებიც დააბრკოლეთ.“

⁵³როდესაც იქიდან გამოდიოდა, მწიგნობრებმა და ფარისევლებმა დაუწყეს დიდად შევიწროება და მაგრად შეუტყეს, რომ ბევრ რამეზე აელაპარაკებინათ.

⁵⁴ჩასაფრებულები იყვნენ, რომ რაიმე დაეცდენინებინათ და ბრალი დაედოთ მისთვის.

ლუკას 12

¹ამასობაში ათასობით ხალხი შეიყარა, ისე რომ, ერთმანეთს თელავდნენ. ჯერ თავის მოწაფეებს დაუწყო ლაპარაკი: „მოერიდეთ ფარისეველთა საფუარს, რაც თვალთმაქცობაა.

²არაფერია დაფარული, რომ არ გაცხადდეს, და – დამალული, რომ არ იქნეს შეცნობილი.

³ამიტომ, რაც ბნელში გითქვამთ, იმას ნათელში მოისმენენ, და რაც შიდა ოთახებში იჩურჩულებთ, ბანებზე გახმაურდება.

⁴გეტყვით თქვენ, ჩემს მეგობრებს, ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულსა კლავს და ამის შემდეგ ვედარაფრს აკეთებს.

⁵მაგრამ გაჩვენებთ, ვისი უნდა გეშინოდეთ: გეშინოდეთ მისი, ვისაც მოკვლის შემდეგ გეენაში ჩაგდების ხელმწიფება აქვს. დიახ, გეუბნებით თქვენ, მისი გეშინოდეთ.

⁶განა ხუთი ბელურა ორი ასარი არა ღირს? და არც ერთი მათგანი დავიწყებული არ არის ღმერთის წინაშე.

⁷თქვენს თავზე კი თმებიც კი დათვლილია. ჰოდა, ნუ გეშინიათ, თქვენ ბევრ ბელურაზე უკეთესნი ხართ.

⁸ამასაც გეტყვით: ყველას, ვინც მე მაღიარებს კაცთა წინაშე, კაცის მე აღიარებს ღმერთის ანგელოზთა წინაშე.



⁹ხოლო ვინც უარყოფს კაცთა წინაშე, ისიც უარყოფილი იქნება ღმერთის ანგელოზთა წინაშე.

¹⁰ყველას, ვინც იტყვის სიტყვას კაცის ძის წინააღმდეგ, მიეტევება, მაგრამ ვინც სულიწმიდას დაგმობს, არ მიეტევება.

¹¹როდესაც შეგიყვანენ სინაგოგებში მთავართა და ხელისუფალთა წინაშე, ნუ იზრუნებთ იმაზე, როგორ, ან რა უპასუხოთ, ან რა თქვათ,

¹²რადგან სულიწმიდა გასწავლით მაშინ, რა უნდა თქვათ.“

¹³ხალხიდან ვიღაცამ უთხრა მას: „მოდღვარო, უთხარი ჩემს ძმას, რომ გამიყოს მემკვიდრეობა.“

¹⁴უთხრა მას: „ადამიანო, ვინ დამაყენა თქვენს მსაჯულად ან გამყოფად?“

¹⁵უთხრა მათ: „დაუკვირდით და დაიცავით თავი ყოველი ანგარებისაგან, რადგან ადამიანის სიცოცხლე მისი ქონების სიუხვეში არ არის.“

¹⁶და უთხრა მათ იგავი: „ერთ მდიდარ კაცს ყანაში კარგი მოსავალი მოუვიდა.

¹⁷იფიქრა თავისთვის: ‘რა ვქნა? ადგილი არა მაქვს, რომ დავაბინავო ჩემი მოსავალი.’

¹⁸თქვა: ‘აი, რას ვიზამ: ჩემს ბედლებს დავანგრევ, უფრო დიდებს ავაშენებ და იქ შევაგროვებ მთელ ჩემს ხორბალს და დოვლათს,

¹⁹და ვეტყვი ჩემს სულს: სულო, ბევრი სიკეთე გაქვს დაგროვილი მრავალი წლისათვის; მოისვენე, ჭამე, სვი, იმხიარულე.’

²⁰მაგრამ უთხრა მას ღმერთმა: ‘უგუნურო, ამაღამ შენს სულს მოგთხოვენ და, რაც გაიმზადე, ვისი იქნება?’

²¹ასეა მისთვის, ვინც თავისი თავისთვის იუნჯებს და ღმერთში არ მდიდრდება.“

²²უთხრა თავის მოწაფეებს: „ამიტომ გეუბნებით თქვენ: ნუ ზრუნავთ თქვენს თავზე – რა ჭამოთ, ნურც თქვენს სხეულზე – რით შეიმოსოთ.

²³რადგან სამშვინველი საზრდოზე მეტია და სხეული – სამოსზე.

²⁴დააკვირდით ყორნებს: ისინი არც თესავენ, არც მკიან, არც ბეღელი აქვთ და არც საწყობი, და ღმერთი არჩენს მათ. თქვენ კი რამდენად სჯობიხართ ფრინველებს?

²⁵რომელ თქვენგანს შეუძლია ზრუნვით თავის სიმაღლეს ერთი წყრთა მაინც შემატოს?



- ²⁶მაშ, თუ უმცირესიც არ შეგიძლიათ, სხვაზე რაღას ზრუნავთ?
- ²⁷დააკვირდით შროშნებს, როგორ იზრდებიან: არც შრომობენ, არც ართავენ. მაგრამ გეუბნებით თქვენ, რომ სოლომონიც კი, მთელი თავისი დიდებით, არ შემოსილა ისე, როგორც ერთი ამათგანი.
- ²⁸თუკი ველის ბალახს, რომელიც დღეს არის, ხვალ კი თონეში ჩაიყრება, ღმერთი ამგვარად მოსავს, თქვენ უფრო მეტად არ შეგმოსავთ, მცირედმორწმუნენო?
- ²⁹თქვენც ნუ ეძებთ, რა ჭამოთ და რა სვათ, და ნუ შფოთავთ.
- ³⁰რადგან ყოველივე ამას ქვეყნიერების ყველა ერი ეძიებს. თქვენმა მამამ იცის, რომ გესაჭიროებათ ესენი.
- ³¹არამედ ეძიეთ ღმერთის სასუფეველი და ყოველივე ეს მოგეცემათ თქვენ.
- ³²ნუ გეშინია, მცირე სამწყსოვ, რადგან თქვენმა ზეციერმა მამამ ინება თქვენთვის სამეფოს მოცემა.
- ³³გაყიდეთ თქვენი ქონება და გაიღეთ მოწყალება. გაიმზადეთ უცვეთი ქისები, საუკუნოდ უღევი საუნჯე ზეცაში, სადაც ქურდი ვერ მიეკარება და ჩრჩილი ვერ მოსპობს,
- ³⁴რადგან, სადაც არის თქვენი საუნჯე, იქ იქნება თქვენი გულიც.
- ³⁵იყოს თქვენი წელი შემოსარტყლული და თქვენი სანთლები ანთებული.
- ³⁶თქვენ კი ემსგავსეთ იმ ადამიანებს, რომლებიც ელიან თავიანთი ბატონის დაბრუნებას ქორწილიდან, რომ როდესაც მოვა და დარეკავს, მყისვე გაუღონ.
- ³⁷ნეტარ არიან მონები, რომლებსაც შინ დაბრუნებული ბატონი ფხიზლებს ჰპოვებს. ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ შემოირტყამს სარტყელს და დასხამს მათ, მივა და მოემსახურება.
- ³⁸და თუ შუადამისას, ან თუნდაც გამთენიისას მოვიდა და ასე ჰპოვა, ნეტარ არიან ის მონები.
- ³⁹ეს კი იცოდეთ: სახლის პატრონმა რომ იცოდეს, რომელ საათზე მოვა ქურდი, იფხიზლებდა და თავისი სახლის გატეხვას არ დაანებებდა.
- ⁴⁰ამიტომ თქვენც მზად იყავით, რადგან, რომელ ჟამსაც არ ფიქრობთ, სწორედ მაშინ მოვა კაცის ძე.“
- ⁴¹უთხრა მას პეტრემ: „უფალო, ამ იგავს ჩვენ გვეუბნები, თუ ყველას?“



⁴²და თქვა უფალმა: „ვინ არის ერთგული და გონიერი მნე, რომელსაც დაუყენებს ბატონი თავის მსახურებს, რათა დროულად მისცეს მათ ულუფა?

⁴³ნეტარია მონა, რომლის ბატონი მოვა და ამის მოქმედს ჰპოვებს მას.

⁴⁴ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ მთელ თავის ქონებაზე დაადგენს მას.

⁴⁵ხოლო თუ ეს მონა თავის გულში იტყვის: ‘აგვიანებს ჩემი ბატონი მოსვლას,’ და დაიწყებს მსახურებისა და მხევლების ცემას, ჭამა-სმას და ლოთობას,

⁴⁶მოვა იმ მონის ბატონი იმ დღეს, როცა არ ელის, და იმ ჟამს, როცა არ იცის, შუაზე გაჰკვეთს მას და ურწმუნოებთან დაუდებს წილს.

⁴⁷ხოლო მონა, რომელმაც იცოდა თავისი ბატონის ნება და არ მოემზადა, ან არ მოიქცა მისი ნებისამებრ, მაგრად გაილახება.

⁴⁸ხოლო რომელმაც არ იცოდა და ისე მოიქცა, რომ ცემა დაიმსახურა, ნაკლებად გაილახება. ყველას, ვისაც მეტი მიეცა, მეტს მოსთხოვენ, და ვისაც მეტს მიანდობენ, მას მეტსაც მოჰკითხავენ.

⁴⁹ცეცხლის მოსატანად მოვედი ამ ქვეყნად, და როგორ მინდა, რომ უკვე ენთოს.

⁵⁰მე მაქვს ნათლობა, რომლითაც უნდა მოვინათლო, და როგორ ვიტანჯები, ვიდრე აღსრულდება.

⁵¹გგონიათ, რომ დედამიწაზე მშვიდობის მოსაფენად მოვედი? არა, გეუბნებით თქვენ, არამედ გასაყოფად.

⁵²რადგან ამიერიდან ხუთნი გაიყოფიან ერთ სახლში: სამი ორის წინააღმდეგ და ორი – სამის.

⁵³გაიყოფა მამა ძისაგან და ძე – მამისაგან, დედა ასულისაგან და ასული – დედისაგან, დედამთილი – თავისი რძლისაგან და რძალი – დედამთილისაგან.“

⁵⁴ხალხსაც უთხრა: „როდესაც დასავლეთით ამომავალ ღრუბელს დაინახავთ, მყისვე ამბობთ: ‘წვიმა მოვა;’ და ასეც ხდება.

⁵⁵ხოლო როდესაც სამხრეთის ქარი უბერავს, ამბობთ: ‘სიცხე იქნება;’ და ასეც ხდება.

⁵⁶თვალთმაქცნო! ცისა და დედამიწის პირის გამოცნობა შეგიძლიათ, ეს ჟამი კი როგორ ვერ გამოგიცვნიათ?

⁵⁷თავად რატომ არ განარჩევთ, რა არის მართალი?



⁵⁸როდესაც შენს მოდავესთან ერთად მთავართან მიდიხარ, ეცადე გზაშივე გათავისუფლდე მისგან, რომ მან არ მიგათრიოს მოსამართლესთან, მოსამართლემ არ გადაგცეს მოხელეს და მოხელემ არ ჩაგაგდოს საპყრობილეში.

⁵⁹გეუბნები შენ: ვერ გამოხვალ იქიდან, ვიდრე უკანასკნელ მწვლილს არ გადაიხდი.“

ლუკას 13

¹მოვიდნენ ამ დროს ზოგიერთები და ამცნეს მას გალილეელთა შესახებ, რომელთა სისხლი პილატემ შეურიო მათ მსხვერპლებს.

²მიუგო იესომ და უთხრა მათ: „თქვენ გგონიათ, რომ ეს გალილეელები ყველა სხვა გალილეელზე უფრო ცოდვილები იყვნენ, ასე რომ დაიტანჯნენ?“

³არა, გეუბნებით თქვენ, მაგრამ თუ არ მოინანიებთ, ყველანი მათსავით დაიღუპებით.

⁴ან როგორ გგონიათ, ის 18 კაცი, რომელთაც სილოამში კოშკი დაეცა თავზე და ამოწყვიტა, უფრო დამნაშავენი იყვნენ, ვიდრე ყველა ის ადამიანი, იერუსალიმში რომ ცხოვრობს?

⁵არა, გეუბნებით თქვენ, მაგრამ თუ არ მოინანიებთ, ყველანი მათსავით დაიღუპებით!“

⁶უთხრა ეს იგავი: „ერთ კაცს თავის ვენახში ლედვის ხე ედგა. მივიდა, რომ ზედ ნაყოფი ეპოვნა და ვერ ნახა.

⁷და უთხრა მევენახეს: ‘აჰა, სამი წელია მოვდივარ ამ ლედვის ნაყოფის სამეზნელად და ვერ ვპოულობ. მოჭერი, ტყუილად რად უნდა აცდენდეს მიწას?’

⁸მან კი მიუგო და უთხრა: ‘ბატონო, წელსაც დატოვე, ძირს გამოვუბარავ და ნაკელს დავუყრი,’

⁹იქნებ მოისხას ნაყოფი. თუ არა და, მერე მოჭერი.’“

¹⁰შაბათ დღეს ასწავლიდა მათ ერთ სინაგოგაში.

¹¹და, აჰა, იყო იქ ქალი, რომელიც თვრამეტ წელიწადს შეპყრობილი იყო უძლურების სულით. დაკრუნჩხული იყო და წელში ვერ იმართებოდა.

¹²იესომ რომ დაინახა, დაუძახა და უთხრა: „ქალო, თავისუფალი ხარ შენი უძლურებისაგან.“



¹³და დაადო ხელები და მაშინვე გაიმართა იგი, და ადიდებდა ღმერთს.

¹⁴განრისხდა სინაგოგის მთავარი, შაბათს რომ განკურნა იესომ, და უთხრა ხალხს: „ექვსი დღეა, როდესაც შეიძლება საქმობა. იმ დღეებში მოდიოდა განიკურნეთ, და არა შაბათ დღეს.“

¹⁵მიუგო მას უფალმა და უთხრა: „თვალთმაქცებო, განა ყოველი თქვენგანი არ უშვებს შაბათობით ბაგიდან თავის ხარს ან ვირს და არ მიჰყავს წყლის დასალევად?“

¹⁶ხოლო ეს აბრაამის ასული, რომელიც უკვე 18 წელიწადი შებორკილი ჰყავდა სატანას, არ შეიძლებოდა შაბათ დღეს გამოხსნილიყო ამ ბორკილებიდან?“

¹⁷როდესაც ამას ამბობდა, ყველა მის მოწინააღმდეგეს რცხვენოდა; ხოლო მთელი ხალხი ხარობდა მის მიერ ქმნილ დიდებულ საქმეთა გამო.

¹⁸და ამბობდა: „რას ჰგავს ღმერთის სასუფეველი და რას ვამსგავსო იგი?“

¹⁹იგი ჰგავს მდოგვის მარცვალს, რომელიც აიღო კაცმა და დათესა თავის ბოსტანში. გაიზარდა იგი და იქცა ხედა და მის ტოტებში ცის ფრინველებმა დაიბუდეს.“

²⁰და კიდევ თქვა: „რას ვამსგავსო ღმერთის სასუფეველი?“

²¹იგი ჰგავს საფუარს, რომელიც დედაკაცმა აიღო და შეზილა სამ საწყაო ფქვილში, ვიდრე მთლიანად არ აფუვდა.“

²²დადიოდა ქალაქებსა და სოფლებში, ასწავლიდა და იერუსალიმისაკენ მიემართებოდა.

²³უთხრა მას ვილაცამ: „უფალო, ნუთუ ცოტანი გადარჩებიან?“ მან კი უთხრა მათ:

²⁴„იღვაწეთ, რათა შეხვიდეთ ვიწრო კარით. რადგან, გეუბნებით, მრავალი ეცდება შესვლას და ვერ შეძლებს.“

²⁵როდესაც სახლის პატრონი ადგება და დაკეტავს კარს, მაშინ თქვენ, გარეთ მდგომნი, დააკაკუნებთ კარზე და ეტყვით: ‘უფალო, უფალო, გაგვიღე!’ მაგრამ ის მოგიგებთ და გეტყვით: ‘არ გიცნობთ, სადაურები ხართ.’

²⁶მაშინ დაუწყებთ ლაპარაკს: ‘შენს წინაშე ვჭამდით და ვსვამდით, და ჩვენს ქუჩებში ასწავლიდი.’

²⁷და გეტყვით: ‘გეუბნებით, არ გიცნობთ, სადაურები ხართ. გამშორდით ყველანი, ბოროტმოქმედნო.’



²⁸და იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა, როდესაც იხილავთ აბრაამს და ისააკს და იაკობს და ყველა წინასწარმეტყველს ღმერთის სასუფეველში, თქვენს თავს კი – გარეთ გაძევებულებს.

²⁹მოვლენ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, და ინახად დასხდებიან ღმერთის სასუფეველში.

³⁰და, აჰა, არიან უკანასკნელნი, რომელნიც პირველნი იქნებიან, და პირველნი, რომელნიც უკანასკნელნი იქნებიან.“

³¹ამ დროს მოვიდნენ ზოგიერთნი ფარისეველთაგან და უთხრეს მას: „წადი, გაეცალე აქაურობას, რადგან ჰეროდეს შენი მოკვლა უნდა.“

³²და უთხრა მათ: „წადით და უთხარით იმ მელას: ‘აჰა, ვდევნი ეშმაკებს და ვკურნავ დღესა და ხვალ, მესამე დღეს კი დავასრულებ.“

³³მაგრამ მე უნდა ვიარო დღეს, ხვალ და ზეგ, რადგან არ ხდება ისე, რომ წინასწარმეტყველი იერუსალიმის გარეთ დაიღუპოს!”

³⁴იერუსალიმო, იერუსალიმო, წინასწარმეტყველთა დამხოცველო და შენთან წარმოგზავნილთა ჩამქოლავო! რამდენჯერ მინდოდა შენი შვილების შეკრება, როგორც ფრინველი იკრებს ფრთებქვეშ თავის ბარტყებს, მაგრამ თქვენ არ ისურვეთ!

³⁵აჰა, სახლი აოხრებული გრჩებათ. გეუბნებით: ვეღარ მიხილავთ ამიერიდან, ვიდრე არ იტყვიან: ‘კურთხეულია მომავალი უფლის სახელით!’“

ლუკას 14

¹მოხდა ისე, რომ ერთ შაბათ დღეს ის ფარისეველთა ერთი მთავრის სახლში შევიდა პურის საჭმელად, და ისინი უთვალთვალდნენ მას.

²და, აჰა, მის წინაშე წარდგა ერთი კაცი, წყალმანკით დაავადებული.

³მიმართა იესომ და უთხრა რჯულის მოძღვრებს და ფარისევლებს: „შეიძლება თუ არა განკურნება შაბათს?“

⁴ისინი დუმდნენ. და შეეხო მას, განკურნა და გაუშვა.

⁵და უთხრა მათ: „რომელიმე თქვენგანს ვირი, ან ხარი რომ ჩაუვარდეს ჭაში შაბათ დღეს, განა მცისვე არ ამოიყვანს?“

⁶და ვერ შეძლეს ამაზე პასუხის გაცემა.

⁷როდესაც შენიშნა, როგორ ირჩევდნენ წინა ადგილებს მოწვეულები, იგავი უთხრა მათ:



- ⁸„ვინმემ რომ ქორწილში მიგიწვიოს, ნუ დაჯდები წინა ადგილზე, ვაითუ შენზე უფრო საპატიო სხვა ჰყავდეს მოწვეული,
- ⁹რომ არ მოვიდეს შენი და მისი მასპინძელი და არ გითხრას: ‘დაუთმე ამას შენი ადგილი!’ მაშინ შერცხვენილს უკანასკნელი ადგილის დაკავება მოგიწევს.
- ¹⁰მაგრამ როცა მიგიწვევენ, მიდი და დაჯექი ბოლო ადგილზე, რომ მოვიდეს შენი მასპინძელი და გითხრას: ‘მეგობარო, გადებრძანდი უფრო მაღლა!’ მაშინ გექნება მეტი დიდება ყოველი თანამეინახის წინაშე.
- ¹¹რადგან ყველა, ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება, და ვინც თავს დაიმდაბლებს, ამაღლდება.“
- ¹²უთხრა თავის მასპინძელსაც: „როდესაც სადილს ან ვახშამს გამართავ, ნუ მოიწვევ შენს მეგობრებს, ნურც შენს ძმებს, ნურც შენს ნათესავებს, ნურც მდიდარ მეზობლებს, რათა მერე იმათაც არ მიგიწვიონ და არ მიიღო სამაგიერო,
- ¹³არამედ, როცა ლხინს მართავ, მოიწვიე გლახაკნი, ხეიბრები, კოჭლები და ბრმები.
- ¹⁴და ნეტარი იქნები, რადგან მათ არაფერი აქვთ, რომ მოგიზღან. მაგრამ შენ მართალთა აღდგომისას მოგეზულდება.“
- ¹⁵ეს რომ გაიგონა ერთმა მასთან მჯდომმა, უთხრა მას: „ნეტარია, ვინც ჭამს პურს ღმერთის სასუფეველში.“
- ¹⁶მან კი უთხრა მას: „ერთმა კაცმა დიდი პურობა გამართა და ბევრი მოიწვია.
- ¹⁷პურობის დრომ რომ მოაღწია, გააგზავნა თავისი მონა, რათა წვეულთათვის ეთქვა: ‘მოზრძანდით, ყველაფერი მზად არის.’
- ¹⁸და ყველამ ერთხმად დაიწყო მოზოდითება. პირველმა თქვა: ‘ყანა ვიყიდე და მის სანახავად უნდა წავიდე, გთხოვ, მაპატიო;’
- ¹⁹მეორემ უთხრა: ‘ხუთი უღელი ხარი ვიყიდე და მათ გამოსაცდელად მივდივარ, გთხოვ, მაპატიო;’
- ²⁰მესამემ უთხრა: ‘ცოლი შევირთე და ამის გამო არ შემიძლია მოსვლა.’
- ²¹დაბრუნდა მონა და აუწყა ეს თავის ბატონს. განრისხდა მაშინ მასპინძელი და უთხრა თავის მონას: ‘გადი სასწრაფოდ ქალაქის მოედნებზე და ქუჩებში, მომიყვანე გლახაკნი, ხეიბრები, ბრმები და კოჭლები.’
- ²²და უთხრა მონამ: ‘ბატონო, აღსრულებულია, რაც ბრძანე, და კიდევ დარჩა ადგილი.’



²³და უთხრა ბატონმა მონას: ‘გადი გზებზე და ორღობეებში, დაიყოლიე ხალხი, რომ მოვიდნენ, რათა აივსოს ჩემი სახლი,

²⁴რადგან გეუბნებით: ვერავინ იმ წვეულთაგან ვერ იგემებს ჩემს პურობას!’“

²⁵მივიდა მასთან დიდძალი ხალხი და ის მიუბრუნდა მათ და უთხრა:

²⁶„თუ ვინმე მოვა ჩემთან და არ მოიძულებს თავის მამას და დედას, ცოლსა და შვილებს, ძმებსა და დებს, საკუთარ თავსაც კი, იგი ვერ გახდება ჩემი მოწაფე.

²⁷ვინც არ იტვირთავს თავის ჯვარს და არ გამომყვება, ვერ გახდება ჩემი მოწაფე.

²⁸რადგან რომელიმე თქვენგანმა რომ კოშკის აშენება მოისურვოს, განა თავდაპირველად არ დაჯდება და არ იანგარიშებს იმ ფასს, რაც მის დასამთავრებლად იქნება საჭირო?

²⁹რადგან საძირკველს თუ ჩაყრის და ვერ დაამთავრებს, ყველა, ვინც დაინახავს, დაცინვას დაუწყებს,

³⁰და იტყვის: ‘ამ კაცმა შენება დაიწყო და ველარ დაამთავრა.’

³¹ანდა, რომელი მეფეა, რომ მეორე მეფის წინააღმდეგ ომი დააპიროს და ჯერ სათათბიროდ არ დაჯდეს, შეუძლია თუ არა 10 ათასით დაუხვდეს 20 ათას მომხვედურს?

³²თუ არა და, ვიდრე იგი ჯერ კიდევ შორს არის, ელჩობას მიუგზავნის და ზავსა სთხოვს.

³³ასევეა ყოველი თქვენგანი. ვინც უარს არ იტყვის ყველაფერზე, რაც აბადია, ვერ შეძლებს ჩემს მოწაფეობას.

³⁴კარგია მარილი, მაგრამ, თუ მარილმა ძალა დაკარგა, რიღათი აღდგება?

³⁵არც მიწისთვის გამოდგება, არც ნაკელისთვის, ამიტომ შორს გადაყრიან. ვისაც ყურები აქვს მოსასმენად, ისმინოს!’“

ლუკას 15

¹უახლოვდებოდნენ მას ყველა მებაჟენი და ცოდვილნი და უსმენდნენ მას.

²ფარისევლნი და მწიგნობარნი დრტვინავდნენ და ამბობდნენ: „ცოდვილებს ღებულობს და მათთან ერთად ჭამს.“

³და უთხრა მათ ეს იგავი:



⁴„რომელიმე თქვენგანს რომ 100 ცხვარი ჰყავდეს და ერთი დაეკარგოს, განა არ დატოვებს ოთხმოცდაცხრამეტს უდაბნოში და არ წავა დაკარგულის საძებნელად, ვიდრე არ იპოვოს?

⁵და რომ იპოვოს, სიხარულით მხრებზე შეისვამს.

⁶შინ რომ დაბრუნდება, დაუძახებს მეგობრებსა და მეზობლებს და ეტყვის: ‘გაიხარეთ ჩემთან ერთად, დაკარგული ცხვარი ვიპოვე.’

⁷თქვენ გეუბნებით, რომ ასევე მეტი სიხარული იქნება ზეცაში ერთი ცოდვილის გამო, რომელმაც მოინანია, ვიდრე იმ 99 მართლის გამო, რომელთაც მონანიება არ სჭირდებათ.

⁸ანდა ქალი, რომელსაც ათი დრაქმა აქვს, ერთი დრაქმა რომ დაეკარგოს, განა არ აანთებს სანთელს და არ გამოგვის სახლს და გულმოდგინედ არ დაუწყებს ძებნას, ვიდრე არ იპოვოს?

⁹და როდესაც იპოვოს, დაუძახებს მეგობრებს და მეზობლებს და ეტყვის: ‘გაიხარეთ ჩემთან ერთად, რადგან დაკარგული დრაქმა ვიპოვე.’

¹⁰გეუბნებით თქვენ: ასევე იქნება სიხარული ღმერთის ანგელოზებთან ერთი ცოდვილის გამო, რომელმაც შეინანა.“

¹¹და თქვა: „ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა.

¹²უმცროსმა უთხრა მამას: ‘მომეცი ჩემი ხვედრილი წილი ქონებიდან.’ და მამამ გაუყო მათ ქონება.

¹³მცირე ხნის შემდეგ უმცროსმა ძემ მოაგროვა ყველაფერი, წავიდა შორეულ ქვეყანაში და გაფლანგა თავისი ქონება თავაშვებული ცხოვრებით.

¹⁴და როდესაც ყველაფერი გადააგო, იმ ქვეყანაში დიდი შიმშილობა ჩამოვარდა, და მას გაუჭირდა.

¹⁵წავიდა და იმ ქვეყნის ერთ მოქალაქეს მიეკედლა, რომელმაც თავის მინდვრებში გაგზავნა ღორების სამწყემსად.

¹⁶და ენატრებოდა, მუცელი იმ რკოთი მაინც ამოევსო, ღორები რომ ჭამდნენ, მაგრამ არავინ არაფერს აძლევდა.

¹⁷და როდესაც გონს მოეგო, თქვა: ‘მამაჩემთან რამდენ მოჯამაგირეს პური თავსაყრელი აქვს, მე კი შიმშილით ვკვდები.

¹⁸ავდგები, წავალ მამაჩემთან და ვეტყვი: მამა, შევცოდე ზეცის მიმართ და შენს წინაშე,

¹⁹ღირსი აღარა ვარ, რომ შენს ძედ ვიწოდებოდე. მიმიღე როგორც ერთი შენი მოჯამაგირეთაგანი!’



²⁰ადგა და წავიდა თავის მამასთან. როდესაც ჯერ კიდევ შორს იყო, მამამ დაინახა და შეებრაღა. გამოიქცა, ყელზე მოეხვია და აკოცა.

²¹და უთხრა: ‘მამა! შევცოდე ზეცის მიმართ და შენს წინაშე. ღირსი აღარა ვარ, რომ შენს პედ ვიწოდებოდე.’

²²უთხრა მამამ თავის მსახურებს: ‘სასწრაფოდ მოიტანეთ საუკეთესო სამოსი და ჩააცვით, გაუკეთეთ ბეჭედი ხელზე და ფეხსაცმელი ჩააცვით ფეხზე.’

²³მოიყვანეთ ნასუქალი ხბო და დაკალით. ვჭამოთ და გავიხაროთ,

²⁴რადგან ეს ჩემი ძე მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა.’ და დაიწყეს მხიარულება.

²⁵ხოლო მისი უფროსი ვაჟი მინდორში იყო. რომ მოდიოდა და სახლს მიუახლოვდა, მუსიკისა და ცეკვა-თამაშის ხმა შემოესმა.

²⁶დაუძახა ერთ მსახურთაგანს და ჰკითხა: ‘ეს რა ამბავია?’

²⁷მან უთხრა მას: ‘შენი ძმა მოვიდა და მამაშენმა ნასუქალი ხბო დაკლა, რაკი მრთელი დაუბრუნდა.’

²⁸გაბრაზდა და შესვლა აღარ უნდოდა. მამამისი გამოვიდა და იწვევდა შინ.

²⁹მიუგო და უთხრა თავის მამას: ‘აჰა, რამდენი წელია გემსახურები, არასოდეს შენს ბრძანებას არ გადავსულვარ და არასოდეს მოგიცია ერთი ციკანიც კი, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად გამეხარა.’

³⁰ხოლო როცა მოვიდა ეს შენი ძე, რომელმაც თავისი ქონება მეძავეებთან გაფლანგა, ნასუქალი ხბო დაუკალი.’

³¹მან უთხრა: ‘შვილო, შენ მუდამ ჩემთან ხარ და რაც გამაჩნია, შენია.’

³²მაგრამ უნდა ვილხენდეთ და ვხარობდეთ, რადგან შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა.’“

ლუკას 16

¹უთხრა მოწაფეებსაც: „იყო ერთი მდიდარი კაცი და ჰყავდა მნე, რომელზეც ამბავი მიუტანეს, რომ მის ქონებას ფლანგავდა.

²დაუძახა და უთხრა: ‘ეს რა მესმის შენზე? ჩამაბარე შენი მნეობის ანგარიში, რადგან ვეღარ იქნები მნე.’

³თქვა მნემ თავისთვის: ‘როგორ მოვიქცე? ჩემი ბატონი მართმევს მნეობას. თხრა არ შემიძლია, მათხოვრობის მრცხვენია.



⁴როცა მნეობას ჩამომამორებენ, ვიცი, რაც უნდა გავაკეთო, რომ მიმიღონ თავიანთ სახლებში.’

⁵დაიბარა სათითაოდ თავისი ბატონის მოვალეები. პირველს უთხრა: ‘რამდენი გმართებს ჩემი ბატონისა?’

⁶თქვა: ‘ასი საწყაული ზეთი.’ უთხრა მას: ‘მიიღე შენი ხელწერილი, დაჯექი სასწრაფოდ და დაწერე – 50.’

⁷მერე სხვას უთხრა: ‘შენ რამდენი გმართებს?’ თქვა: ‘100 საწყაო ხორბალი.’ უთხრა: ‘მიიღე შენი ხელწერილი და დაწერე – 80.’

⁸შეაქო ბატონმა უსამართლო მნე, გონივრულად რომ მოიქცა. რადგან ამ სოფლის ძენი ნათლის შვილებზე გონიერნი არიან თავიანთ თაობაში.

⁹და მეც გეუბნებით თქვენ: შეიძინეთ მეგობრები უსამართლო სიმდიდრით, რომ, როდესაც გადარიბდებით, მიგიღონ საუკუნო სავანეებში.

¹⁰მცირედში ერთგული ბევრშიც ერთგულია, და მცირედში ორგული ბევრშიც ორგულია.

¹¹ჰოდა, თუ უსამართლო სიმდიდრეში არ იქნებით ერთგული, ჭეშმარიტს ვინ განდობთ?

¹²და თუ სხვისას არ უერთგულეთ, თქვენსას ვინ მოგცემთ?

¹³არც ერთ მსახურს არ შეუძლია ორი ბატონის სამსახური: ან ერთი უნდა მოიძულოს და მეორე უყვარდეს. ან იმ ერთს შეეთვისოს და მეორე შეიძაგოს. ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და სიმდიდრესაც!“

¹⁴ესმოდათ ყოველივე ეს ფარისევლებს, რომლებიც ვერცხლისმოყვარენი იყვნენ, და დასცინოდნენ მას.

¹⁵და უთხრა მათ: „თქვენ თავს იმართლებთ ადამიანთა წინაშე, მაგრამ ღმერთმა იცის თქვენი გულები, რადგან, რაც კაცთა შორის აღმატებულია, ღმერთის წინაშე სისადაგლეა.

¹⁶რჯული და წინასწარმეტყველნი იოანემდე იყო. მის შემდეგ ღმერთის სასუფეველი იხარება და ყოველი ძალისხმევით შედის მასში.

¹⁷უფრო ადვილია ცისა და მიწის გარდასვლა, ვიდრე ერთი წერტილის ამოვარდნა რჯულიდან.

¹⁸ყველა, ვინც თავის ცოლს გაუშვებს და სხვას შეირთავს, მრუშობს; და ვინც ქმრის მიერ გაშვებულს შეირთავს, მრუშობს.

¹⁹იყო ერთი მდიდარი კაცი, მოწეულითა და ბისონით იმოსებოდა, ყოველდღე დიდებულად ილხენდა.



²⁰და იყო ერთი გლახაკიც, სახელად ლაზარე, რომელიც მის ჭიშკართან იწვა დაწყლულვებული.

²¹და ენატრებოდა მდიდრის სუფრიდან გადმოყრილი ნამცეცებით გაძღომა. ძაღლები მოდიოდნენ და წყლულებს ულოკავდნენ.

²²მოკვდა ის გლახაკი და ანგელოზებმა მიიყვანეს აბრაამის წიაღში. მდიდარიც მოკვდა და დამარხეს.

²³და ჯოჯოხეთში, ტანჯვა-წამებაში მყოფმა, აახილა თვალები და დაინახა შორიდან აბრაამი და ლაზარეც მის წიაღში.

²⁴შესძახა და თქვა: ‘მამაო აბრაამ, შემიწყალე და მომივლინე ლაზარე, რომ დაისველოს თითის წვერი წყალში და ენა გამიგრელოს, რადგან ვიტანჯები ამ ალში.’

²⁵უთხრა აბრაამმა: ‘შვილო, გაიხსენე, რომ უკვე მიიღე შენს სიცოცხლეში სიკეთენი და ლაზარემ კი – სიავენი. ახლა ის აქ ნუგემისცემულია, შენ კი იტანჯები.’

²⁶ესეც რომ არ იყოს, ჩვენსა და თქვენს შორის დიდი უფსკრული ძევს, რათა გადმოსვლის მსურველები ვერც აქედან გადმოვიდნენ თქვენსკენ და ვერც თქვენგან – ჩვენსკენ.’

²⁷თქვა: ‘რაკი ასეა, გთხოვ, მამაო, გააგზავნე ეგ მამაჩემის სახლში,

²⁸რადგან ხუთი ძმა მყავს და გააფრთხილოს, რომ არ მოხვდნენ ამ სატანჯველ ადგილას.’

²⁹უთხრა აბრაამმა: ‘მათ ჰყავთ მოსე და წინასწარმეტყველნი. იმათ უსმინონ.’

³⁰თქვა: ‘არა, მამაო აბრაამ, თუ ვინმე მკვდართაგანი მივა მათთან, შეიცვლიან გონებას.’

³¹უთხრა მას: ‘თუ მოსესა და წინასწარმეტყველთ არ უსმენენ, მკვდრეთითაც რომ აღდგეს ვინმე, არ ერწმუნებიან.’“

ლუკას 17

¹უთხრა თავის მოწაფეებს: „შეუძლებელია, რომ არ მოვიდეს ცდუნებები, მაგრამ ვაი მას, ვისი მეშვეობითაც ისინი მოვა.

²უმჯობესი იქნებოდა მისთვის წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვაში გადაეგდოთ, ვიდრე ერთი ამ მცირეთაგანი ეცდუნებინა.



³გაფრთხილდით: თუ შენმა ძმამ შეგცოდოს, უსაყვედურე მას და თუ მოინანიოს, მიუტევე.

⁴დღეში შვიდგზის რომ შეგცოდოს და შვიდგზისვე მოიქცეს და გითხრას, ვინანიებო, მიუტევე.“

⁵უთხრეს მოციქულებმა უფალს: „შეგვმატე რწმენა.“

⁶თქვა უფალმა: „მდოგვის მარცვლისოდენა რწმენაც რომ გქონდეთ და უთხრათ ამ თუთის ხეს: ‘აღმოიფხვერი და ზღვაში გადაინერგე,’ დაგემორჩილებათ.

⁷რომელიმე თქვენგანს მსახური რომ ჰყავდეს – მხვნელი ან მწყემსი – მინდვრიდან დაბრუნებულს ნუთუ ეტყვის: მოდი ჩქარა, სუფრას მიუჯექიო?

⁸განა არ ეტყვის: მომიმზადე ვახშამი და სარტყელშემორტყმული მემსახურე, ვიდრე ვჭამ და ვსვამ, მერე კი შენც ჭამე და სვიო?

⁹ნუთუ მადლობა ეთქმის მსახურს იმისათვის, რომ თავისი მოვალეობა შეასრულა?

¹⁰ასევე თქვენც, როდესაც შეასრულებთ ყველაფერს, რაც ნაბრძანები გქონდათ, თქვით: ‘უღირსი მსახურები ვართ, გავაკეთეთ მხოლოდ ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა.’“

¹¹ისე მოხდა, რომ იერუსალიმში მიმავალმა სამარიასა და გალილეას შორის გაიარა.

¹²ერთ სოფელში რომ შედიოდა, ათი კეთროვანი კაცი შემოხვდა, რომლებიც მოშორებით გაჩერდნენ,

¹³ხმა აიმაღლეს და შესძახეს: „შეგვიწყალე, იესო, მოძღვარო!“

¹⁴შეხედა და უთხრა მათ: „წადით და ეჩვენეთ მღვდლებს!“ და ისე მოხდა, რომ გზად მიმავალნი განიწმიდნენ.

¹⁵და როდესაც დაინახა, რომ განიკურნა, ერთი მათგანი მობრუნდა და მაღალი ხმით ადიდებდა ღმერთს.

¹⁶პირქვე დაემხო მის ფეხთით და მადლობდა. და იყო ის სამარიელი.

¹⁷მიმართა იესომ და უთხრა: „განა ათივე არ განიკურნა? ცხრა სადღა არის?

¹⁸არავინ აღმოჩნდა, რომ მობრუნებულიყო ღმერთის სადიდებლად, გარდა ამ უცხოთესლისა?“

¹⁹უთხრა მას: „ადექი, წადი, შენმა რწმენამ გიხსნა შენ.“



²⁰როდესაც ფარისევლებმა ჰკითხეს: „როდის მოვა ღმერთის სასუფეველი?“ მიუგო და უთხრა მათ: „ღმერთის სასუფეველი არ მოვა თვალსაჩინოდ.

²¹ვერ იტყვიან: ‘აჰა, აქ არის!’ ან: ‘აჰა, იქ არის!’ რადგან, აჰა, თავად თქვენშია ღმერთის სასუფეველი.“

²²უთხრა მოწაფეებს: „დადგება დღეები, როცა ინატრებთ, თუნდაც ერთი დღით იხილოთ კაცის ძე და ვერ იხილავთ.

²³და გეტყვიან: ‘აჰა, აქ არის!’ ან: ‘აჰა, იქ არის!’ ნუ წახვალთ და ნუ გაედევნებით,

²⁴რადგან, როგორც ელვა ელავს ცის ერთი კიდიდან და ანათებს მეორე კიდემდე, ასევე იქნება კაცის ძე თავის დღეს.

²⁵მაგრამ თავდაპირველად მან უნდა ბევრი იტანჯოს და უარყოფილ იქნეს ამ თაობის მიერ.

²⁶და როგორც ნოეს დღეებში იყო, ასევე იქნება კაცის ძის დღეებშიც:

²⁷ჭამდნენ, სვამდნენ, ცოლს ირთავდნენ, თხოვდებოდნენ იმ დღემდე, ვიდრე ნოე კიდობანში შევიდოდა. შემდეგ მოვიდა წარღვნა და ყველა დაიღუპა.

²⁸ისევე, როგორც ლოტის დროს იყო: ჭამდნენ, სვამდნენ, ყიდდნენ, ყიდულობდნენ, რგავდნენ და აშენებდნენ.

²⁹ხოლო იმ დღეს, როდესაც ლოტი სოდომიდან გავიდა, ცეცხლმა და გოგირდმა იწვიმა ციდან და ყველა დაიღუპა.

³⁰ასევე იქნება იმ დღესაც, როდესაც კაცის ძე გამოცხადდება.

³¹იმ დღეს, ვინც ბანზე იქნება, მისი ნივთები კი სახლში, არ ჩამოვიდეს ასაღებად; ვინც ყანაში იქნება, უკან არ მობრუნდეს.

³²გაიხსენეთ ლოტის ცოლი.

³³ვინც ეცდება თავისი სამშვიინველის გადარჩენას, დაღუპავს მას. ხოლო ვინც დაღუპავს თავის სამშვიინველს, გააცოცხლებს მას.

³⁴გეუბნებით თქვენ: იმ ღამეს ორნი იქნებიან ერთ სარეცელზე, ერთს წაიყვანენ და მეორე დარჩება.

³⁵ორი დამფქველი ქალი იქნება ერთად, ერთს წაიყვანენ, მეორე დარჩება.

³⁶ორნი იქნებიან მინდორში, ერთს წაიყვანენ, მეორე დარჩება.“

³⁷მიუგეს და უთხრეს მას: „სად, უფალო?“ ხოლო მან უთხრა მათ: „სადაც სხეულია, ორბებიც იქ მოგროვდებიან.“



ლუკას 18

- ¹უთხრა მათ იგავი მუდმივ ღოცვაზე და უდრეკობაზე.
- ²თქვა: „ერთ ქალაქში იყო ერთი მსაჯული, ღმერთისა არ ეშინოდა და ხალხისა არა რცხვენოდა.
- ³იმავე ქალაქში ცხოვრობდა ერთი ქვრივი ქალი. მივიდა მასთან და უთხრა: ‘დამიცავი ჩემი მომჩივანისგან.’
- ⁴ის კი დიდხანს უარზე იყო. მერე თქვა თავისთვის: ‘თუმცა ღმერთისა არ მეშინია და ხალხისა არა მრცხვენია,
- ⁵მაგრამ, რაკი ეს ქვრივი მოსვენებას არ მაძლევს, დავიცავ, რომ თავისი სიარულით აღარ შემაწუხოს.’“
- ⁶თქვა უფალმა: „გესმით, რას ამბობს უსამართლო მსაჯული?
- ⁷განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულთ, რომელნიც დღედაღამ მას შელადადებენ? და არ იქნება სულგრძელი მათდამი?
- ⁸გეუბნებით თქვენ: მალე დაიცავს მათ. მაგრამ, როდესაც კაცის მე მოვა, ჰპოვებს კი დედამიწაზე რწმენას?“
- ⁹ზოგიერთებს, ვისაც სჯეროდა, რომ მართალნი იყვნენ, სხვებს კი აბუჩად იგდებდნენ, უთხრა ეს იგავი:
- ¹⁰„ორი კაცი შევიდა ტაძარში სალოცავად: ერთი ფარისეველი და მეორე მებაჟე.
- ¹¹ფარისეველი იდგა და თავისთვის ღოცულობდა: ‘გმადლობ, შენ, ღმერთო, რომ არა ვარ ისეთი, როგორიც სხვა ადამიანები – მძარცველები, უსამართლონი, მრუმნი, ან როგორიც ეს მებაჟეა.
- ¹²კვირაში ორჯერ ვმარხულობ და მეათედს ვიძლევი ყოველი ჩემი შენაძენიდან.’
- ¹³ხოლო მებაჟე მოშორებით იდგა და ვერც კი ბედავდა, რომ ცისკენ აეხედა; მკერდში მჯილს იცემდა და ამბობდა: ‘ღმერთო, შემიწყალე მე, ცოდვილი.’
- ¹⁴გეუბნებით თქვენ: ეს უფრო გამართლებული წავიდა შინ, ვიდრე ის, რადგან ყველა, ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება, და ვინც თავს დაიმაბლებს, ამაღლდება.“
- ¹⁵მოუყვანეს მას ბავშვები, რომ შეხებოდა მათ. ეს რომ მოწაფეებმა დაინახეს, უშლიდნენ მათ.



¹⁶იესომ დაუძახა მათ და უთხრა: „მოუშვით ჩემთან ბავშვები და ნუ აბრკოლებთ მათ, რადგან ასეთებისაა ღმერთის სასუფეველი.“

¹⁷ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ისე არ მიიღებს ღმერთის სასუფეველს, როგორც ბავშვი, ვერ შევა მასში.“

¹⁸ჰკითხა ერთმა მთავარმა და უთხრა: „კეთილო მოძღვარო, რა ვქნა, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?“

¹⁹უთხრა მას იესომ: „რატომ მიწოდებ მე კეთილს? არავინ არის კეთილი, გარდა ერთი ღმერთისა.“

²⁰იცი მცნებები: არ იმრუშო, არ მოკლა, არ მოიპარო, არ იყო ცრუმოწმე, პატივი ეცი შენს მამას და დედას.“

²¹მან თქვა: „ყოველივე ამას ჩემი სიჭაბუკიდანვე ვიცავდი.“

²²ეს რომ მოისმინა, იესომ უთხრა: „ერთილა გაკლია: რაც გაქვს, ყველაფერი გაყიდე და ღარიბებს დაურიგე, და გექნება საუნჯე ზეცაში. შემდეგ მოდი და გამომყევი.“

²³ამის გაგონებაზე იგი დაღონდა, რადგან ძალიან მდიდარი იყო.

²⁴შეხედა მას იესომ და თქვა: „რა ძნელია სიმდიდრის მქონეთათვის შესვლა ღმერთის სასუფეველში!“

²⁵რადგან უფრო ადვილია აქლემის გაძვრომა ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდრის შესვლა ღმერთის სასუფეველში.”

²⁶ვინც ეს მოისმინა, თქვა: „აბა, ვის შეუძლია გადარჩენა?“

²⁷მან თქვა: „კაცთათვის შეუძლებელი ღმერთისთვის შესაძლებელია.“

²⁸თქვა პეტრემ: „აჰა, ჩვენ ყველაფერი მივატოვეთ და შენ გამოგყევით.“

²⁹უთხრა მათ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არავინ არის, ვინც ღმერთის სასუფეველისათვის დატოვებს სახლს, ან ცოლს, ან მშობლებს, ან ძმებს, ან შვილებს

³⁰და ახლავე არ მიიღებს მრავალგზის მეტს, ხოლო მომავალში – საუკუნო სიცოცხლეს.“

³¹გაიყოლა თავისი 12 მოწაფე და უთხრა მათ: „აჰა, ავდივართ იერუსალიმში და აღსრულდება ყველაფერი, რაც დაიწერა წინასწარმეტყველთა მიერ კაცის ძეზე,

³²რადგან გადაეცემა წარმართებს, და შეაგინებენ, შეურაცხყოფენ, აფურთხებენ,



³³გაამატრახებენ, მოკლავენ და მესამე დღეს აღდგება.“

³⁴მათ კი აქედან ვერაფერი გაიგეს და ეს სიტყვა დაფარული იყო მათგან, და ვერ ხვდებოდნენ ნათქვამს.

³⁵ისე მოხდა, რომ იერიქოსთან მიახლოებისას, ვიღაც ბრმა იჯდა გზაზე და მოწყალებას ითხოვდა.

³⁶ხალხის ჩავლის ხმა რომ გაიგონა, იკითხა: რა ამბავიაო.

³⁷უთხრეს: „იესო ნაზარეტელი მოდის.“

³⁸და იყვირა მან: „იესო, მეო დავითისა, შემიწყალე მე!“

³⁹წინ მიმავალნი გაუწყრნენ, რომ გაეჩუმებინათ, მაგრამ ის კიდევ უფრო აყვირდა: „მეო დავითისა, შემიწყალე მე!“

⁴⁰იესო შეჩერდა და ბრძანა, მასთან მოეყვანათ. როდესაც მიუახლოვდა, ჰკითხა:

⁴¹„რა გინდა, რომ გაგიკეთო?“ უთხრა: „უფალო, რომ თვალი ამეხილოს.“

⁴²იესომ უთხრა მას: „აახილე! შენმა რწმენამ გიხსნა შენ.“

⁴³და მყისვე აეხილა. გაედევნა მას და აღიდებდა ღმერთს. მთელი ხალხი ხედავდა ამას და აქებდა ღმერთს.

ლუკას 19

¹მივიდა იერიქოში და გადიოდა ქალაქზე.

²და იყო იქ ერთი კაცი, სახელად ზაქე – მებაჟეთა უფროსი და მდიდარი.

³და ცდილობდა დაენახა, ვინ იყო იესო, მაგრამ ვერ შეძლო ხალხის სიმრავლის გამო, რადგან ტანად დაბალი იყო.

⁴წინ გაიქცა და ლელვის ხეზე ავიდა, რათა დაენახა, რადგან იქით უნდა გაევიდოდა მას.

⁵იმ ადგილას რომ მივიდა, იესომ აიხედა მაღლა და უთხრა: „ზაქე, ჩამოდი სწრაფად, დღეს შენს სახლში უნდა დავრჩე.“

⁶და სწრაფად ჩამოვიდა და სიხარულით მიიღო იგი.

⁷როდესაც ეს დაინახეს, ყველა დრტვინავდა ამბობდა: „ცოდვილ კაცთან შევიდა.“

⁸ზაქე წამოდგა და უთხრა უფალს: „აჰა, უფალო, ჩემი ქონების ნახევარს ღარიბებს მივცემ და, თუ ვინმესთვის რამე გამომიტყუებია, ოთხმაგად მივაგებ.“



- ⁹უთხრა მას იესომ: „დღეს ამ სახლს ხსნა მოევლინა, რაკი ისიც აბრაამის ძეა.
- ¹⁰რადგან კაცის ძე დაკარგულის მოსაძებნად და გადასარჩენად მოვიდა.“
- ¹¹და დაურთო იგავი, რადგან ახლოს იყო იერუსალიმთან და მსმენელებს ეგონათ, ძალიან მალე გამოჩნდებოდა ღმერთის სასუფეველი.
- ¹²ამის გამო თქვა: „ერთი კეთილშობილი კაცი წავიდა შორეულ ქვეყანაში, რომ მეფობა მიეღო და უკან დაბრუნებულიყო.
- ¹³დაუძახა თავის ათ მონას, მისცა ათი მნა და უთხრა: ‘ვიდრე დავბრუნდებოდე, ივაჭრეთ.’
- ¹⁴მაგრამ მის თანამოქალაქეებს სძულდათ იგი და ელჩობა დაადევნეს უკან სათქმელად: ‘არ გვსურს მაგის მეფობა ჩვენზე.’
- ¹⁵როდესაც მეფობა მიიღო და უკან დაბრუნდა, ბრძანა მისთვის მიეგვარათ ის მსახურები, რომლებსაც ვერცხლი მისცა, რათა გაეგო, ვინ რა მოივაჭრა.
- ¹⁶მოვიდა პირველი და უთხრა: ‘ბატონო, შენმა მნამ ათი მნა მოიგო.’
- ¹⁷უთხრა მას: ‘კარგი, კეთილო მონავ, რაკი მცირედზე ერთგული იყავი, ათ ქალაქზე გქონდეს ხელმწიფება.’
- ¹⁸მოვიდა მეორე და უთხრა: ‘ბატონო, შენმა მნამ ხუთი მნა მოიტანა.’
- ¹⁹მასაც უთხრა: ‘შენც ხუთ ქალაქზე იყავი.’
- ²⁰მესამე მოვიდა და უთხრა: ‘ბატონო, აჰა, შენი მნა, რომელიც ხელსახოცში მქონდა გამოკრული,
- ²¹შემეშინდა, რადგან სასტიკი კაცი ხარ: იღებ, რაც არ დაგიდვია და იმკი, რაც არ დაგიტესია.’
- ²²უთხრა მას: ‘შენივე პირით განგიკითხავ, ბოროტო მსახურო! იცოდი, რომ სასტიკი კაცი ვარ: ვიღებ, რაც არ დამიდვია და ვიმკი, რაც არ დამიტესია.
- ²³რატომ არ ჩადე ჩემი ვერცხლი სავაჭროში, რომ დაბრუნებულს სარგებლითურთ მიმეღო?’
- ²⁴და იქ მდგომთ უთხრა: ‘წაართვით ამას ის ერთი მნა და მიეცით ათი მნის მქონეს.’
- ²⁵უთხრეს მას: ‘უფალო, მას ათი მნა აქვს.’
- ²⁶‘გეუბნებით თქვენ, რომ ყოველ მქონებელს მიეცემა, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს.
- ²⁷ხოლო ჩემი მტრები, რომლებსაც არ სურდათ, რომ მათზე გავმეფებულიყავი, მოიყვანეთ აქ და დახოცეთ ჩემს წინაშე.“



- ²⁸თქვა ეს და გაემართა იერუსალიმში ასასვლელად.
- ²⁹და როდესაც მიუახლოვდა ბეთზაგეს და ბეთანას, მთასთან, რომელსაც ზეთისხილისა ეწოდება, გაგზავნა ორი მოწაფე,
- ³⁰და უთხრა მათ: „წადით გაღმა სოფელში. რომ შეხვალთ, იპოვით დაბმულ ჩოჩორს, რომელზედაც ჯერ ადამიანი არ მჯდარა. ახსენით და მოიყვანეთ.
- ³¹თუ ვინმემ გკითხოთ, რატომ ხსნითო, ასე უთხარით: ‘მის უფალს სჭირდება.’“
- ³²წავიდნენ წარგზავნილები და იპოვეს, როგორც მან უთხრა.
- ³³და როდესაც ჩოჩორს ხსნიდნენ, მისმა პატრონებმა უთხრეს: „რატომ ხსნით ამ ჩოჩორს?“
- ³⁴მათ თქვეს: „იმიტომ, რომ მის უფალს სჭირდება.“
- ³⁵მიჰგვარეს იგი იესოს, ტანისამოსი დააფინეს ჩოჩორს და ზედ შესვეს იესო.
- ³⁶და როდესაც მიდიოდა, ხალხი თავის ტანისამოსს გზაზე უფენდა.
- ³⁷როდესაც ის უახლოვდებოდა ზეთისხილის მთის დაღმართს, მოწაფეთა მთელმა სიმრავლემ სიხარულით იწყო ხმამაღლა ღმერთის ხოტბა-დიდება ყველა სასწაულისათვის, რაც მათ იხილეს.
- ³⁸ამბობდნენ: „კურთხეულია უფლის სახელით მომავალი მეფე! მშვიდობა ცაზე და დიდება მაღალთა შინა!“
- ³⁹ხალხიდან ზოგიერთმა ფარისეველმა უთხრა მას: „მოდღარო, აუკრძალე შენს მოწაფეებს.“
- ⁴⁰მან მიუგო და უთხრა: „თქვენ გეუბნებით, ესენი რომ დადუმდნენ, ქვები ილაღადებენ!“
- ⁴¹და როდესაც მიუახლოვდა და დაინახა ქალაქი, ატირდა მის გამო.
- ⁴²თქვა: „ნეტავ ამ დღეს მაინც შეგეცნო, რა არის შენთვის სამშვიდობო! მაგრამ ახლა ეს დაფარულია შენს თვალთაგან.
- ⁴³რადგან დაგიდგება დღეები, როდესაც მტრები შენს წინააღმდეგ აღმართავენ მიწაყრილს, შემოგერტყმიან და შეგავიწროვებენ ყოველი მხრიდან.
- ⁴⁴მიწასთან გაგასწორებენ შენ და შენს შვილებს შენში, ქვას ქვაზე აღარ დატოვებენ, რადგან ვერ გაიგე შენი მონახულების ჟამი.“
- ⁴⁵და შევიდა ტაძარში და დაიწყო მოვაჭრეთა გამორეკვა.



⁴⁶უთხრა მათ: „დაწერილია: ‘ჩემი სახლი სამლოცველო სახლი უნდა იყოს. თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად აქციეთ იგი.’“

⁴⁷და ასწავლიდა ყოველდღე ტაძარში. ხოლო მღვდელმთავარნი, მწიგნობარნი და ხალხის თავკაცნი ცდილობდნენ მის დალუპვას.

⁴⁸მაგრამ ვერაფერი მოიფიქრეს, რა ეღონათ, რადგან მთელი ხალხი მიჰყვებოდა და უსმენდა მას.

ლუკას 20

¹მოხდა ისე, რომ ერთ დღეს, როდესაც იგი ხალხს ასწავლიდა ტაძარში და ახარებდა, მიადგნენ მღვდელმთავარნი და მწიგნობარნი უხუცესებთან ერთად

²და უთხრეს: „გვითხარი, რომელი ხელმწიფებით აკეთებ ამას, ან ვინ მოგცა შენ ეს ხელმწიფება?“

³მიუგო და უთხრა მათ: „მეც გვითხავთ ერთ სიტყვას და მითხარით:

⁴იოანეს ნათლისცემა ზეციდან იყო, თუ კაცთაგან?“

⁵ისინი ერთმანეთში თათბირობდნენ: „თუ ვიტყვით, ‘ზეციდან,’ იტყვის: ‘რატომ არ იწამეთ მისი?’

⁶თუ ვიტყვით ‘კაცთაგან,’ მთელი ხალხი ჩაგვქოლავს, რადგან სჯერათ, რომ იოანე წინასწარმეტყველი იყო.“

⁷და მიუგეს, რომ არ იცოდნენ, საიდან იყო.

⁸ისომ უთხრა მათ: „არც მე გეტყვით, რომელი ხელმწიფებით ვაკეთებ ამას.“

⁹და დაუწყო ხალხს ამ იგავის მოყოლა: „ერთმა კაცმა ვაზი ჩაყარა და მიწის მუშაკთ ჩააბარა. თვითონ კი სხვა ქვეყანაში წავიდა კარგა ხნით.

¹⁰როდესაც დრო მოვიდა, მსახური გაუგზავნა მიწის მუშაკებს, რომ მიეცათ ვენახის ნაყოფთაგან. მაგრამ მიწის მუშაკებმა სცემეს და ხელცარიელი გაუშვეს.

¹¹კვლავ გაუგზავნა სხვა მსახური. მასაც სცემეს, შეურაცხვეს და ხელცარიელი გაუშვეს.

¹²მერე მესამე გაგზავნა. დაჭრეს იგი და გარეთ გააგდეს.

¹³თქვა ვენახის პატრონმა: ‘როგორ მოვიქცე? ჩემს საყვარელ ძეს გავგზავნი, იქნებ მისი მოერიდოთ.’



¹⁴მაგრამ მიწის მუშაკებმა, ის რომ დაინახეს, ერთმანეთში მოითათბირეს და თქვეს: ‘ეს მემკვიდრეა, მოდი, მოვკლათ და მემკვიდრეობა ჩვენი იქნება.’

¹⁵გააგდეს ვენახის გარეთ და მოკლეს. რას უზამს მათ ვენახის პატრონი?

¹⁶მოვა, ამოწყვეტს იმ მიწის მუშაკებს და ვენახს სხვებს ჩააბარებს.“ ვინც მოისმინა, თქვეს: „ღმერთმა ნუ ქნას!”

¹⁷მან კი შეხედა მათ და თქვა: „რას ნიშნავს ეს დაწერილი: ‘ქვა, რომელიც მშენებლებმა დაიწყეს, ქვაკუთხედად იქცა’?”

¹⁸ყველა, ვინც იმ ქვაზე დაეცემა, დაიღწევა. ხოლო ვისაც ის დაეცემა, გასრესს.”

¹⁹მღვდელმთავრებმა და მწიგნობრებმა სწორედ ამ დროს მოინდომეს, ხელი დაედოთ მისთვის, მაგრამ ხალხისა ემინოდათ, რადგან იცოდნენ, რომ მათზე თქვა ეს იგავი.

²⁰და უთვალთვალედნენ მას, მიუგზავნეს მსტოვრები, რომლებიც თავს მართალ ადამიანებად აჩვენებდნენ, რათა სიტყვაში დაეჭირათ და ხელისუფლებისათვის და გამგებლის ხელმწიფებაში გადაეცათ.

²¹ჰკითხეს მას და უთხრეს: „მოძღვარო, ვიცით, რომ სიმართლეს ლაპარაკობ და ასწავლი, არავის მიჰკერძებ, არამედ ჭეშმარიტებით ასწავლი ღმერთის გზას.

²²უნდა მივცეთ თუ არა ხარკი კეისარს?”

²³მიუხვდა მათ მზაკვრობას და უთხრა:

²⁴„მიჩვენეთ დინარი: ვისია ეს სახე და წარწერა?“ თქვეს: „კეისრისა.“

²⁵უთხრა მათ: „მაშ, მიეცით კეისრისა კეისარს და ღმერთისა – ღმერთს.“

²⁶ვერ შეძლეს მისი სიტყვაში დაჭერა ხალხის წინაშე. გაუკვირდათ მისი პასუხი და დადუმდნენ.

²⁷მიუახლოვდა ზოგიერთი სადუკეველთაგან, რომლებიც ამბობდნენ, აღდგომა არ არისო, და ჰკითხეს მას:

²⁸„მოძღვარო, მოსემ დაგვიწერა: ‘თუ ვინმეს მოუკვდება ძმა, რომელსაც ცოლი ჰყავდა, მაგრამ უშვილოდ გადაეგო, მისმა ძმამ შეირთოს მისი ცოლი და აღუდგინოს ნაშიერი თავის ძმას.’

²⁹იყო შვიდი ძმა. პირველმა შეირთო ცოლი და მოკვდა უშვილოდ.

³⁰და მეორემაც



³¹და მესამემაც შეირთეს იგი. შვიდთაგან არც ერთს არ დარჩენია შვილი, და დაიხოცნენ.

³²ბოლოს ქალიც მოკვდა.

³³მაშ, აღდგომისას, რომელი ერთის ცოლი იქნება, რადგან შვიდივეს ჰყავდა ცოლად?“

³⁴და უთხრა მათ იესომ: „ამ საუკუნის შვილები ირთავენ ცოლებს და თხოვდებიან,

³⁵ხოლო ვინც ღირსი იქნება მოიპოვოს ის საუკუნე და მკვდრებით აღდგომა, არც ცოლს ირთავს, არც თხოვდება,

³⁶რადგან აღარც სიკვდილი შეუძლიათ მათ, რაკი ანგელოზთა სწორნი და ღმერთის ძენი არიან ისინი, აღდგომის ძენი.

³⁷ხოლო მკვდრები რომ აღდგებიან, ეს მოსემაც მიანიშნა მაყვლის ბუჩქით, როდესაც აბრაამის ღმერთს, ისააკის ღმერთს და იაკობის ღმერთს უწოდა უფალი.

³⁸ღმერთი მკვდრებისა კი არ არის, არამედ ცოცხლებისა, რადგან მისთვის ყველა ცოცხალია.“

³⁹მიუგეს ზოგიერთებმა მწიგნობართაგან და უთხრეს: „კარგად თქვი, მოძღვარო.“

⁴⁰და ველარ გაბედეს, რამე ეკითხათ მისთვის.

⁴¹ხოლო მან უთხრა მათ: „როგორ ამბობენ, ქრისტე დავითის ძე არის?

⁴²თავად დავითი ხომ ამბობს ფსალმუნთა წიგნში: ‘უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჯექი ჩემს მარჯვნივ,

⁴³ვიდრე შენს მტრებს ვაქცევდე შენს ფეხთა კვარცხლბეკად.’

⁴⁴აჰა, დავითი უფალს უწოდებს მას და როგორღა არის მისი ძე?“

⁴⁵და როდესაც მთელი ხალხი უსმენდა, უთხრა თავის მოწაფეებს:

⁴⁶„ერიდეთ მწიგნობრებს, რომლებსაც სურთ გრძელი სამოსით სიარული და უყვართ მოედნებზე მოკითხვანი, სინაგოგებში წინა სავარძლები და წინა ადგილები ნადიმებზე,

⁴⁷რომლებიც ჭამენ ქვრივთა სახლებს და მოსაჩვენებლად დიდხანს ლოცულობენ. ისინი უფრო დიდ სასჯელს მიიღებენ.“

ლუკას 21



- ¹აიხედა და დაინახა, რომ მდიდრები საგანძურში ყრიდნენ თავიანთ შესაწირავს.
- ²და დაინახა ერთი ღარიბი ქვრივი ქალიც, რომელმაც სპილენძის ორი მონეტა ჩააგდო.
- ³და თქვა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ ამ ღარიბმა ქვრივმა ყველაზე მეტი ჩადო,
- ⁴რადგან ყველამ თავისი მოჭარბებულისგან ჩადო, მან კი თავისი სიდუხჭირისაგან ჩადო მთელი სარჩო, რაც ებადა.“
- ⁵ხოლო როდესაც ზოგიერთები ამბობდნენ ტაძარზე, ძვირფასი ქვებით და შეწირულობებით არისო დამშვენებული, თქვა:
- ⁶„დადგება დღეები, როცა ამათგან, რასაც აქ ხედავთ, ქვა ქვაზე არ დარჩება, რომ არ ჩამოიქცეს.“
- ⁷ეკითხებოდნენ მას და ეუბნებოდნენ: „მოდღვარო, როდის იქნება ეს? და რა იქნება ნიშანი იმისა, რომ ეს უნდა მოხდეს?“
- ⁸მან თქვა: „ფრთხილად იყავით, არ შეცდეთ, რადგან ბევრი მოვა ჩემი სახელით და იტყვის: ‘მე ვარ!’ და რომ მოახლოებულია ჟამი. თქვენ ნუ გაჰყვებით მათ.
- ⁹როდესაც მოისმენთ ომებსა და შფოთებზე, ნუ შეძრწუნდებით, რადგან ჯერ ეს უნდა მოხდეს, ოღონდ მყისვე არ იქნება აღსასრული.“
- ¹⁰მაშინ უთხრა მათ: „აღდგება ერი ერის წინააღმდეგ და სამეფო – სამეფოს წინააღმდეგ.
- ¹¹იქნება დიდი მიწისძვრები, ადგილ-ადგილ შიმშილობა და ჭირიანობა, საშინელებანი და დიდი ნიშნები ციდან.
- ¹²ყოველივე ამის წინ ხელს დაგადებენ თქვენ და დაგიწყებენ დევნას, გადაგცემენ სინაგოგებსა და საპყრობილეებს, მეფეთა და განმგებელთა წინაშე მიგიყვანენ ჩემი სახელის გამო.
- ¹³ეს იქნება თქვენი მოწმობისათვის.
- ¹⁴ამიტომ თქვენს გულებში ჩაიდეთ, რომ წინასწარ არ იზრუნოთ, რითი იმართლოთ თავი,
- ¹⁵რადგან მე მოგცემთ თქვენ ბაგესა და სიბრძნეს, რომელთაც ვერ დაუპირისპირდებიან და ვერც შეეპასუხებიან თქვენი მოწინააღმდეგენი.
- ¹⁶გაცემულ იქნებით თვით მშობლებისა და ძმების, ნათესავებისა და მეგობრების მიერ, ხოლო ზოგიერთ თქვენგანს მოკლავენ.



- ¹⁷და ყველა მოგიძულეობ ჩემი სახელის გამო.
- ¹⁸მაგრამ ბეწვიც კი არ დაიკარგება თქვენი თავიდან.
- ¹⁹მოთმინებით მოიპოვეთ თქვენი სიცოცხლე.
- ²⁰და როდესაც იხილავთ იერუსალიმს, ლაშქრით გარშემორტყმულს, მაშინ იცოდეთ, რომ მოახლოვდა მისი გაუდაბურება.
- ²¹მაშინ იუდეაში მყოფები მთებში გაიქცნენ, ხოლო იერუსალიმში მყოფები გარეთ გავიდნენ; სოფელში მყოფები ნულარ დაბრუნდებიან იერუსალიმში.
- ²²რადგან ეს შურისგების დღეებია, რათა აღსრულდეს ყოველივე დაწერილი.
- ²³ვაი ორსულებსა და მეძუძურებს იმ დღეებში, რადგან დიდი იქნება უბედურება დედამიწაზე და რისხვა ამ ხალხზე.
- ²⁴დაეცემიან მახვილის პირით, ტყვედ წაასხამენ ყველა ერში. იერუსალიმი გათელილი იქნება წარმართთა მიერ, ვიდრე არ დასრულდება წარმართთა ჟამი.
- ²⁵და იქნება ნიშნები მზეზე და მთვარეზე და ვარსკვლავებზე. ხოლო დედამიწაზე ერები შეშფოთდებიან თავგზააბნეულნი ზღვის ხმაურისა და ბოხოქრობის გამო.
- ²⁶ადამიანებს გონება დაეკარგება შიშით და მსოფლიოზე მოსახდენის მოლოდინში, რადგან ციური ძალები შეირყევიან.
- ²⁷მაშინ იხილავენ კაცის ძეს, ღრუბელზე მომავალს, დიადი ძალითა და დიდებით.
- ²⁸ხოლო როდესაც ამის ახდენა დაიწყება, აღიმართეთ და თავი ასწიეთ, რადგან ახლოვდება თქვენი ხსნა.“
- ²⁹უთხრა მათ იგავი: „შეხედეთ ლეღვს და ყველა ხეს.
- ³⁰როგორც კი შეიფოთლებიან, შეხედავთ და იცით, რომ ახლოსაა ზაფხული.
- ³¹ასევე თქვენც, როდესაც იხილავთ ყოველივე ამის ახდენას, იცოდეთ, რომ ახლოსაა ღმერთის სასუფეველი.
- ³²ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ გადავა ეს თაობა, ვიდრე ყველაფერი ეს არ ახდება.
- ³³ცა და მიწა გარდავლენ, ჩემი სიტყვები კი არ გარდავლენ.



³⁴გაფრთხილდით, რომ არ დამძიმდეს თქვენი გულები ღრეობით, ლოთობითა და ყოველდღიური ზრუნვით, და იმ დღემ არ გიწიოთ უცაბედად,

³⁵რადგან მახესავით ეწევა ყველა მკვიდრს მთელი დედამიწის ზურგზე.

³⁶ყოველ ჟამს იფხიზლეთ და ილოცეთ, რათა შეძლოთ ყველა მოწევნადისგან თავის დაღწევა და წარდგომა კაცის ძის წინაშე.“

³⁷დღისით იესო ტაძარში იმყოფებოდა და ასწავლიდა. ღამით კი ადიოდა მთაზე, რომელსაც ზეთისხილისა ეწოდება.

³⁸და მთელი ხალხი დილიდანვე მიდიოდა მასთან ტაძარში მის მოსასმენად.

ლუკას 22

¹ახლოვდებოდა პასექად წოდებული უფუარობის დღესასწაული.

²მღვდელმთავარნი და მწიგნობარნი ეძებდნენ საშუალებას, როგორ მოეშორებინათ იგი, მაგრამ ხალხისა ეშინოდათ.

³შევიდა სატანა იუდაში, რომელსაც ისკარიოტელი ერქვა და ერთი თორმეტთაგანი იყო.

⁴და წავიდა, მოელაპარაკა მღვდელმთავრებსა და მცველთა უფროსებს, როგორ გადაეცა მათთვის იესო.

⁵გაუხარდათ და აღუთქვეს, რომ მისცემდნენ ვერცხლს.

⁶და დათანხმდა და ეძებდა მარჯვე შემთხვევას, რომ ხალხის შეუმჩნევლად გადაეცა იგი მათთვის.

⁷მოაწია უფუარობის დღემ, როდესაც პასექი უნდა დაკლულიყო.

⁸და გაგზავნა იესომ პეტრე და იოანე და უთხრა: „წადით, მოგვიმზადეთ პასექი, რომ ვჭამოთ.“

⁹მათ უთხრეს: „სად გინდა, რომ მოვამზადოთ?“

¹⁰უთხრა მათ: „აჰა, ქალაქში შესვლისას შემოგხვდებით კაცი, რომელსაც წყალი მიაქვს კოკით. მიჰყევით მას იმ სახლამდე, სადაც შევა,

¹¹და უთხარით სახლის პატრონს: ‘მომღვარი გეუბნება, სად არის სასტუმრო ოთახი, რომ ჩემს მოწაფეებთან ერთად ვჭამო პასექი?’

¹²ის გიჩვენებთ დიდ მოფარდაგებულ ზემო დარბაზს. იქ მოამზადეთ.“

¹³წავიდნენ და იპოვეს, როგორც მან უთხრა, და მოამზადეს პასექი.

¹⁴და როდესაც მოაწია ჟამმა, დაჯდა იგი და მოციქულებიც მასთან ერთად.



- ¹⁵უთხრა მათ: „ძალიან მინდოდა თქვენთან ერთად მეჭამა ეს პასეჟი ჩემი ტანჯვის წინ.
- ¹⁶რადგან გეუბნებით თქვენ, რომ აღარ ვჭამ მას, ვიდრე არ აღსრულდება ის ღმერთის სასუფეველში.“
- ¹⁷და აიღო სასმისი, მადლი შესწირა და უთხრა მათ: „მიიღეთ და გაინაწილეთ ერთმანეთში!
- ¹⁸რადგან გეუბნებით თქვენ: ამიერიდან აღარ შევსვამ ვაზის ნაყოფისგან, ვიდრე არ მოვა ღმერთის სასუფეველი.“
- ¹⁹და აიღო პური, მადლი შესწირა, დატეხა, მისცა მათ და უთხრა: „ეს ჩემი ხორცია, რომელიც თქვენთვის მიეცემა. ეს გააკეთეთ ჩემს მოსაგონებლად.“
- ²⁰ასევე – თასიც სერობის შემდეგ და თქვა: „ეს თასი ახალი აღთქმაა ჩემს სისხლში, თქვენთვის რომ იღვრება.
- ²¹მაგრამ, აჰა, ჩემი გამცემის ხელი ჩემთან ერთად არის ამ ტრაპეზზე;
- ²²რადგან კაცის ძე მიდის განგებისამებრ, მაგრამ ვაი იმ კაცს, ვის მიერაც გაიცემა იგი.“
- ²³და მათ დაიწყეს ერთმანეთის გამოკითხვა: რომელი მათგანი იზამდა ამას.
- ²⁴ასევე კამათიც წარმოიშვა მათ შორის: რომელი მათგანი უნდა ჩათვლილიყო უდიდესად.
- ²⁵უთხრა მათ: „წარმართთა მეფეები ბატონობენ მათზე და მათი ხელმწიფენი მწყალობლებად იწოდებიან.
- ²⁶თქვენ კი ასე არ უნდა იყოთ, არამედ თქვენს შორის უფროსი უმცროსივით იყოს და მბრძანებელი – მსახურივით.
- ²⁷რადგან ვინ არის უფრო დიდი: მეინახე თუ მსახური? განა მეინახე არა? მე კი თქვენ შორის ვარ, როგორც მსახური.
- ²⁸თქვენ კი ისინი ხართ, რომელნიც ჩემთან დარჩით ჩემს განსაცდელში.
- ²⁹და მე აღვითქვამთ თქვენ, როგორც მე აღვითქვა ჩემმა მამამ სასუფეველი,
- ³⁰რომ ჭამთ და სვამთ ჩემს ტრაპეზზე ჩემს სამეფოში და დასხდებით ტახტებზე ისრაელის 12 ტომის განსაკითხად.“
- ³¹თქვა უფალმა: „სიმონ, სიმონ! აჰა, სატანამ მოითხოვა თქვენი თავი ხორბალივით გასაცხრილად.
- ³²მაგრამ მე ვილოცე შენთვის, რომ არ დაილიოს შენი რწმენა და როდესაც კვლავ მოიქცევი, გაამხნევე შენი ძმები.“



³³მან უთხრა მას: „უფალო, მზად ვარ შენთან ერთად საპყრობილეში და სიკვდილშიც წამოვიდე.“

³⁴თქვა მან: „შენ გეუბნები, პეტრე, ჯერ მამალს არ ექნება ნაყივლი დღეს, რომ სამგზის უარმყოფ: არ ვიცნობო.“

³⁵უთხრა მათ: „როდესაც ქისის, გუდის და ფეხსაცმლის გარეშე გგზავნიდით, რაიმე გაკლდათ?“ თქვეს: „არაფერი.“

³⁶უთხრა მათ: „ახლა კი, ვისაც ქისა აქვს, აიღოს, ასევე გუდაც. ვისაც არა აქვს მახვილი, თავისი ტანსაცმელი გაყიდოს და იყიდოს.

³⁷თქვენ გეუბნებით, რომ ჩემზე უნდა აღსრულდეს ეს წერილი: ‘ბოროტმოქმედებთან შეირაცხა,’ რადგან ის, რაც ჩემზეა, დასასრულს უახლოვდება.“

³⁸თქვეს: „უფალო, აჰა, აქ ორი მახვილია.“ მან კი უთხრა: „საკმარისია.“

³⁹გამოვიდა იქიდან და, ჩვეულებისამებრ, წავიდა ზეთისხილის მთაზე. მოწაფეებიც გაჰყვნენ მას.

⁴⁰და როდესაც იმ ადგილს მიაღწია, უთხრა მათ: „ილოცეთ, რომ არ შეხვიდეთ განსაცდელში.“

⁴¹თავად კი განშორდა მათ ქვის სასროლზე, მუხლი მოიყარა და ლოცვისას

⁴²თქვა: „მამაო, თუ გსურს, ამაცილე ეს სასმისი, მაგრამ არა ჩემი, არამედ შენი ნება იყოს.“

⁴³და ეჩვენა მას ციდან ანგელოზი და განამტკიცებდა მას.

⁴⁴აგონიაში მყოფი უფრო მზურვალედ ლოცულობდა. და გახდა მისი ოფლი, როგორც სისხლის მსხვილი წვეთები, და მიწაზე ეცემოდა.

⁴⁵ლოცვიდან რომ წამოდგა, მივიდა მოწაფეებთან და ნახა ისინი მწუხარებისაგან ჩაძინებულები.

⁴⁶უთხრა მათ: „რა გაძინებთ? ადექით, ილოცეთ, რომ არ შეხვიდეთ განსაცდელში.“

⁴⁷ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, რომ აჰა, მოდის ხალხი და მათ წინ მოუძღვის ერთი თორმეტთაგანი, სახელად იუდა, და მივიდა იესოსთან საამბორებლად.

⁴⁸იესომ უთხრა მას: „იუდა, ამბორით გასცემ კაცის ძეს?“

⁴⁹მასთან მყოფებმა რომ დაინახეს, რაც ხდებოდა, უთხრეს: „უფალო, დავკრათ მახვილი?“



⁵⁰ერთმა მათგანმა დაჰკრა მღვდელმთავრის მონას და მარჯვენა ყური ჩამოათალა.

⁵¹მიუგო იესომ და თქვა: „გეყოფათ!“ და შეეხო მის ყურს და გაუმრთელა.

⁵²უთხრა იესომ მის წინააღმდეგ მოსულ მღვდელმთავრებს, ტაძრის მცველთა უფროსებს და უხუცესებს: „როგორც ყაჩაღის წინააღმდეგ, მახვილებით და კეტებით გამოხვედით ჩემს შესაპყრობად.

⁵³ყოველდღე თქვენთან ერთად ვიყავი ტაძარში და ჩემზე ხელი არ აგიმართავთ, მაგრამ ეს თქვენი ჟამია და ბნელის ხელმწიფება.“

⁵⁴და შეიპყრეს იგი, წაიყვანეს და მღვდელმთავრის სახლში შეიყვანეს. პეტრე კი მოშორებით მიჰყვებოდა.

⁵⁵როდესაც შუა ეზოში ცეცხლი დაანთეს და გარს შემოუსხდნენ, პეტრეც მათ შორის დაჯდა.

⁵⁶ერთმა მხევალმა იგი ცეცხლთან მჯდომარე რომ დაინახა, დააკვირდა და თქვა: „ესეც იმასთან იყო.“

⁵⁷მაგრამ მან უარყო და თქვა: „ქალო, არ ვიცნობ მას.“

⁵⁸ცოტა მოგვიანებით სხვამ დაინახა იგი და თქვა: „შენც იმათგანი ხარ.“ მაგრამ პეტრემ უთხრა: „ადამიანო, არა ვარ.“

⁵⁹თითქმის ერთი საათი იყო გასული, რომ ვიღაც სხვამ დაიწყო მტკიცება და ამბობდა: „ნამდვილად, ესეც იმასთან იყო, რადგან გალილეველია.“

⁶⁰თქვა პეტრემ: „ადამიანო, არ ვიცი, რას ამბობ.“ და მყისვე, როდესაც ამას ამბობდა, მამალმა იყივლა.

⁶¹მოზრუნდა უფალი და შეხედა პეტრეს. და გაახსენდა პეტრეს უფლის სიტყვა: „დღეს, სანამ მამალი იყივლებდეს, სამგზის უარმყოფ მე.“

⁶²გავიდა გარეთ და მწარედ ატირდა.

⁶³ხოლო კაცები, რომლებსაც შეპყრობილი ჰყავდათ იესო, დასცინოდნენ და სცემდნენ მას.

⁶⁴თვალები აუხვიეს და ეკითხებოდნენ: „იწინასწარმეტყველე, ვინ გირტყამს?“

⁶⁵და ბევრ სხვა სალანძღავს ამბობდნენ მასზე.

⁶⁶როდესაც დღე დადგა, შეიკრიბნენ ხალხის უხუცესები, მღვდელმთავრები და მწიგნობრები, და მიიყვანეს იგი თავიანთ სინედრიონში



⁶⁷და უთხრეს: „თუ ქრისტე ხარ, გვითხარი.“ უთხრა მათ: „რომ გითხრათ, არ მერწმუნებით,

⁶⁸და თუ გვითხავთ, არ მიპასუხებთ.

⁶⁹ამიერიდან კაცის ძე იქნება ღმერთის ძალის მარჯვნივ მჯდომარე.”

⁷⁰თქვა ყველამ: „მაშ, შენ ხარ ღმერთის ძე?“ უთხრა მათ: „თქვენ ამბობთ, რომ მე ვარ.“

⁷¹მათ თქვეს: „მეტი რა მოწმობა გვჭირდება? ჩვენ ხომ თავად მოვისმინეთ მისი პირიდან.“

ლუკას 23

¹და ადგა მთელი ეს კრებული და წაიყვანეს იგი პილატესთან.

²დაიწყეს მისი დადანაშაულება და თქვეს: „ჩვენ დავადგინეთ, რომ ეს გზიდან აცდენს ჩვენს ხალხს და კრძალავს კეისრისათვის ხარკის მიცემას, და თავს ქრისტე მეფედ აცხადებს.“

³პილატემ ჰკითხა მას: „შენ ხარ იუდეველთა მეფე?“ მან მიუგო და თქვა: „შენ ამბობ.“

⁴პილატემ უთხრა მღვდელმთავრებს და ხალხს: „მე ვერავითარ დანაშაულს ვერ ვპოულობ ამ კაცში.“

⁵მაგრამ ისინი დაჟინებით ამბობდნენ: „ეგ აშფოთებს ხალხს, ასწავლის მთელ იუდეაში, გალილეიდან მოყოლებული აქამდე.“

⁶ეს რომ გაიგონა პილატემ, იკითხა: „გალილეელია ეს კაცი?“

⁷და როდესაც შეიტყო, რომ ჰეროდეს ხელმწიფების ქვეშ იყო, გაუგზავნა იგი ჰეროდეს, რადგან იმ დღეებში ისიც იერუსალიმში იმყოფებოდა.

⁸იესო რომ დაინახა ჰეროდემ, ძალიან გაუხარდა, რადგან დიდი ხანია უნდოდა მისი ნახვა, რაკი გაგონილი ჰქონდა მისი ამბავი და სურდა მისგან მოხდენილი რაიმე სასწაულის ნახვა.

⁹ზევრს ეკითხებოდა, მაგრამ იგი არაფერს პასუხობდა.

¹⁰მღვდელმთავარნი და მწიგნობარნი კი იდგნენ და თავგამოდებით ადანაშაულებდნენ მას.

¹¹ხოლო ჰეროდემ თავის ჯარისკაცებთან ერთად შეურაცხყო და სასაცილოდ აიგდო იგი. ჩააცვა თეთრი სამოსი და უკან გაუგზავნა პილატეს.



¹²იმ დღეს პილატე და ჰეროდე მეგობრები გახდნენ, თუმცა მანამდე მტრობდნენ ერთმანეთს.

¹³პილატემ მოუხმო მღვდელმთავრებს, მთავრებს და ხალხს.

¹⁴და უთხრა მათ: „თქვენ მოიყვანეთ ჩემთან ეს ადამიანი, როგორც ხალხის გზიდან ამცდენი, და, აჰა, მე თქვენს წინაშე გამოვიძიე და ვერავითარი ბრალი ვერ ვპოვე ამ ადამიანში, რაშიც თქვენ ადანაშაულებთ მას,

¹⁵და ვერც ჰეროდემ, რადგან უკან გამოგვიგზავნა იგი. და, აჰა, სიკვდილის ღირსი არაფერი ჩაუდენია მას.

¹⁶ამიტომ ჭკუას ვასწავლი და გავუშვებ.“

¹⁷რადგან მას მართებდა სადღესასწაულოდ ვინმეს გაშვება.

¹⁸მაგრამ მთელმა ხალხმა ერთად იყვირა და თქვა: „დასაჯე ეგ და გაგვითავისუფლე ბარაბა!“

¹⁹ბარაბა კი საპყრობილეში იყო ჩაგდებული ქალაქში მომხდარი შფოთისა და მკვლელობისათვის.

²⁰პილატემ კვლავ მიმართა მათ, რადგან სურდა იესოს გაშვება.

²¹მაგრამ ისინი გაჰყვიროდნენ: „ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი იგი!“

²²მესამედ უთხრა მათ: „რა ბოროტება აქვს ჩადენილი? მე ვერაფერი სასიკვდილო ბრალი ვერ ვპოვე მასში. ჭკუას ვასწავლი და გავუშვებ.“

²³ისინი კი დაჟინებით მოითხოვდნენ ხმამაღალი ყვირლით, რომ ჯვარს ეცვათ იგი. და იმძლავრა მათმა ხმამ.

²⁴პილატემ გადაწყვიტა, შეესრულებინა მათი მოთხოვნა.

²⁵გაუშვა შფოთისა და მკვლელობისათვის საპყრობილეში ჩაგდებული, რომელსაც ისინი მოითხოვდნენ, და გადასცა იესო მათ ნებას.

²⁶და როდესაც მიჰყავდათ იგი, გზაში დაიჭირეს მინდვრიდან მომავალი ვინმე სიმონ კვირინელი, და აჰკიდეს ჯვარი, რომ ეტარებინა იესოს კვალდაკვალ.

²⁷მისდევდა მას დიდძალი ხალხი და ქალები, რომლებიც მოთქვამდნენ და გოდებდნენ.

²⁸იესო მიუბრუნდა მათ და უთხრა: „იერუსალიმის ასულნო, ნუ სტირით ჩემზე, არამედ თქვენ თავზე და თქვენს შვილებზე იტირეთ.

²⁹რადგან, აჰა, მოდის დღეები, როდესაც იტყვიან: ‘ნეტარ არიან უნაყოფონი და საშონი, რომელთაც არ უშვიათ, და ძუძუნი, რომელთაც არ უწოვებიათ!’



- ³⁰მაშინ ეტყვიან მთებს: ‘დაგვემხეთ ზედ!’ და ბორცვებს: ‘დაგვეფარეთ ჩვენ!’
- ³¹რადგან თუ ნედლ ხეს ასე ექცევიან, ხმელს რაღას უზამენ?”
- ³²მასთან ერთად სასიკვდილოდ მიჰყავდათ სხვებიც – ორი ყაჩალი.
- ³³როდესაც იმ ადგილას მივიდნენ, რომელსაც თხემის ადგილი ჰქვია, ჯვარს აცვეს იქ ის და ბოროტმოქმედნიც – ერთი მის მარჯვნივ და ერთი მის მარცხნივ.
- ³⁴იესომ თქვა: „მამაო, მიუტევე მათ, რადგან არ იციან, რას აკეთებენ.“ და გაიყვეს მისი სამოსელი წილისყრით.
- ³⁵იდგა ხალხი და შეჰყურებდა. მთავრები დასცინოდნენ და ამბობდნენ: „სხვებს იხსნიდა, იხსნას ახლა თავისი თავი, თუ ეგ ქრისტეა, ღმერთის რჩეული.“
- ³⁶ჯარისკაცებიც სასაცილოდ იგდებდნენ მას, მიდიოდნენ და ძმარი მიჰქონდათ მასთან,
- ³⁷ეუბნებოდნენ: „თუ იუდეველთა მეფე ხარ, იხსენი შენი თავი.“
- ³⁸მის ზემოთ იყო წარწერა: „ეს არის იუდეველთა მეფე.“
- ³⁹ერთი ჩამოკიდებული ბოროტმოქმედი შეურაცხყოფდა მას: „განა შენ ქრისტე არა ხარ? იხსენი შენი თავი და ჩვენც გვიხსენი.“
- ⁴⁰მეორე კი, უწყრებოდა მას და ამბობდა: „ნუთუ ღმერთისა არ გეშინია, როცა შენც იმავე სასჯელში ხარ?”
- ⁴¹ჩვენ სამართლიანად ვისჯებით, რადგან ჩვენ რაც გავაკეთეთ, იმისი საკადრისი მივიღეთ, მაგას კი არაფერი უჯერო არ ჩაუდენია.“
- ⁴²და თქვა: „იესო, გამიხსენე, როდესაც შენს სამეფოში მიხვალ.“
- ⁴³და უთხრა მას: „ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში.“
- ⁴⁴დღის ექვსი საათი იქნებოდა, როდესაც მთელი დედამიწა ბნელმა მოიცვა ცხრა საათამდე.
- ⁴⁵დაბნელდა მზე და ტაძრის ფარდა შუაზე გაიპო.
- ⁴⁶შესძახა იესომ დიდი ხმით და თქვა: „მამაო, შენს ხელთ ვაბარებ ჩემს სულს.“ ეს თქვა და სული ამოუშვა.
- ⁴⁷ასისტავმა რომ დაინახა, რაც მოხდა, ადიდა ღმერთი და თქვა: „ეს კაცი ნამდვილად მართალი იყო.“



⁴⁸ამ სანახაობაზე შეკრებილი მთელი ხალხი, მომხდარის მხილველი, გულში მჯილის ცემით ბრუნდებოდა უკან.

⁴⁹მოშორებით იდგა ყველა, ვინც მას იცნობდა, და ქალებიც, რომლებიც მას გალილეიდან მოჰყვნენ.

⁵⁰აჰა, ერთი კაცი, სახელად იოსები, საბჭოს წევრი, კეთილი და მართალი კაცი,

⁵¹იუდეველთა ქალაქ არიმათიიდან, რომელიც არ დაეთანხმა მათ თათბირსა და საქმიანობას, და რომელიც მოელოდა ღმერთის სასუფეველს,

⁵²მივიდა პილატესთან და გამოითხოვა იესოს გვამი.

⁵³გარდამოხსნა იგი, გაახვია ტილოში და დაასვენა კლდეში გამოკვეთილ სამარხში, სადაც ჯერ არავინ დაესვენებინათ.

⁵⁴ის დღე პარასკევი იყო და შაბათი იწყებოდა.

⁵⁵უკან გაჰყვნენ ქალებიც, რომელნიც იესოსთან ერთად მოვიდნენ გალილეიდან, და იხილეს სამარხიცა და ისიც, თუ როგორ დაიდო მისი გვამი.

⁵⁶დაბრუნდნენ და მოამზადეს სურნელებანი და ნელსაცხებელი. ხოლო შაბათს დაისვენეს მცნებისამებრ.

ლუკას 24

¹ერთშაბათს, დილით ადრე მივიდნენ სამარხთან და მიიტანეს ნელსურნელებანი, რომლებიც მომზადებული ჰქონდათ.

²და ნახეს ლოდი, სამარხიდან გადაგორებული.

³და რომ შევიდნენ, ვერ ნახეს უფალი იესოს სხეული.

⁴და როდესაც ამის გამო შეფიქრიანებულნი იყვნენ, აჰა, მათ წარუდგა ორი მამაკაცი, ბრწყინვალე სამოსით მოსილი.

⁵შეძრწუნებულებს სახე ძირს ჰქონდათ დახრილი. ხოლო მათ უთხრეს მათ: „რად ეძებთ ცოცხალს მკვდრებს შორის?“

⁶არ არის აქ, არამედ აღდგა. გაიხსენეთ, რას გეუბნებოდათ, როდესაც ჯერ კიდევ გალილეაში იყო,

⁷რომ კაცის ძე ცოდვილ ადამიანთა ხელთ უნდა გადაეცეს, ჯვარს ეცვას და მესამე დღეს აღდგეს.“

⁸და მათ გაიხსენეს მისი სიტყვები.



⁹და დაბრუნდნენ სამარხიდან და ყოველივე ეს უამბეს თერთმეტს და ყველა დანარჩენს.

¹⁰ესენი იყვნენ მარიამ მაგდალელი, იოანა და იაკობის დედა მარიამი, და დანარჩენები მათთან ერთად, რომლებმაც უთხრეს ეს მოციქულებს.

¹¹მაგრამ მათ ეს სიტყვები ფუჭად ეჩვენათ და არ ერწმუნენ.

¹²ხოლო პეტრე ადგა, გაიქცა სამარხისკენ და რომ დაიხარა, მხოლოდ ტილოები დაინახა, და დაბრუნდა მომხდარით გაკვირვებული.

¹³და, აჰა, იმავე დღეს ორი მათგანი მიდიოდა ერთ სოფელში, რომელიც 60 სტადიონით იყო დაშორებული იერუსალიმიდან და ერქვა ემაუსი.

¹⁴ისინი ერთმანეთში ლაპარაკობდნენ ყოველივე მომხდარის გამო.

¹⁵ამ ლაპარაკსა და მსჯელობაში რომ იყვნენ, თავად იესო მიუახლოვდა და დაემგზავრა მათ.

¹⁶მაგრამ თვალები დახშული ჰქონდათ, რომ ვერ ეცნოთ იგი.

¹⁷უთხრა მათ: „რაზე მსჯელობთ ერთმანეთში, როდესაც გზაზე დგახართ და რას დაუღონებხართ?“ ისინი შეჩერდნენ დამწუხრებულნი.

¹⁸მიუგო ერთმა მათგანმა, სახელად კლეოპამ, და უთხრა მას: „შენ ალბათ ერთადერთი ხარ იერუსალიმში მცხოვრებთაგან, რომელმაც არ იცი, რა ამბავი მოხდა იქ ამ დღეებში?“

¹⁹და უთხრა მათ: „რა ამბავი?“ მათ უთხრეს: „იესო ნაზარეტელის ამბავი, რომელიც იყო კაცი წინასწარმეტყველი, ძლიერი საქმითა და სიტყვით ღმერთისა და მთელი ხალხის წინაშე,

²⁰როგორ გადასცეს იგი ჩვენმა მღვდელმთავრებმა და მთავრებმა სიკვდილის მისასჯელად და ჯვარს აცვეს.

²¹ჩვენ კი იმედი გვქონდა, რომ იგი სწორედ ის იყო, ვისაც უნდა გამოეხსნა ისრაელი. ყველაფერ ამასთან ერთად, უკვე მესამე დღეა, რაც ეს მოხდა.

²²მაგრამ ზოგიერთმა ჩვენიანმა ქალმა გაგვაოცა, ისინი დილით ადრე იყვნენ სამარხთან

²³და ვერ იპოვეს მისი სხეული. მოვიდნენ და თქვეს, რომ იხილეს ჩვენება ანგელოზთა, რომელთაც უთქვამთ, ცოცხალიაო.

²⁴ზოგიერთი ჩვენთაგანიც წავიდა სამარხისკენ და, მართლაც, იგივე დაინახეს, რასაც ქალები ამბობდნენ, ის კი ვერ ნახეს.“

²⁵მან უთხრა მათ: „ოჰ, უგუნურნო და გულით მძიმენო, რომ ვერ ირწმუნეთ ის, რასაც წინასწარმეტყველები ამბობდნენ!



²⁶განა ასე არ უნდა დატანჯულიყო ქრისტე და შესულიყო თავის დიდებაში?“

²⁷და დაიწყო მოსედან და ყველა წინასწარმეტყველიდან და განუმარტავდა მათ ყოველ წერილში მასზე ნათქვამს.

²⁸მიუახლოვდნენ იმ სოფელს, სადაც მიდიოდნენ, ის კი თითქოს გზის გაგრძელებას აპირებდა.

²⁹მაგრამ ისინი აკავებდნენ მას და ეუბნებოდნენ: „დარჩი ჩვენთან, რადგან დღე უკვე მიიწურა და მწუხრი ჩამოდგა.“ ისიც შევიდა მათთან დასარჩენად.

³⁰და მოხდა ისე, რომ მათთან ინახით ჯდომისას, მან აიღო პური, აკურთხა, გატეხა და მისცა მათ.

³¹და აეხილათ თვალი და იცნეს. მაგრამ ის უჩინარი შეიქნა მათთვის.

³²უთხრეს ერთმანეთს: „განა გულში ცეცხლი არ გვენთო, როდესაც გზაში გველაპარაკებოდა და როდესაც წერილებს განგვიმარტავდა?!“

³³ადგნენ იმავე ჟამს და დაბრუნდნენ იერუსალიმში, მოძებნეს შეკრებილნი – თერთმეტნი – და მათთან მყოფნი,

³⁴რომელთაც უთხრეს: „უფალი ჭემმარიტად აღდგა და ეჩვენა სიმონს.“

³⁵მათაც უამბეს გზაში მომხდარი და ისიც, როგორ იცნეს იგი პურის გატეხისას.

³⁶ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც თვითონ იესო ჩადგა მათ შორის და თქვა: „მშვიდობა თქვენდა!“

³⁷შემძრწუნებულებსა და შეშინებულებს ეგონათ, რომ სულს ხედავდნენ.

³⁸მაგრამ უთხრა მან: „რატომ ხართ შეშფოთებული და რატომ გებადებათ გულში ასეთი ფიქრები?

³⁹შეხედეთ ჩემს ხელებსა და ჩემს ფეხებს. ეს მე ვარ თვითონ. შემეხეთ მე და ნახეთ, რადგან სულს არა აქვს ხორცი და ძვლები, მე კი მაქვს, როგორც ხედავთ.“

⁴⁰ეს რომ უთხრა, უჩვენა მათ ხელები და ფეხები.

⁴¹და რადგან სიხარულისაგან მათ ჯერ კიდევ არ ეჯერებოდათ და გაკვირვებულნი იყვნენ, უთხრა მათ: „გაქვთ აქ რაიმე საჭმელი?“

⁴²მათ მიაწოდეს შემწვარი თევზის ნაჭერი და თაფლის გოლეული.

⁴³გამოართვა და შეჭამა მათ თვალწინ. ხოლო მორჩენილი აიღო და მისცა მათ.



⁴⁴და უთხრა მათ: „ეს არის ჩემი სიტყვები, რომელთაც გეუბნებოდით, ვიდრე თქვენთან ვიყავი: უნდა შესრულდეს ყოველივე, რაც დაწერილია ჩემზე მოსეს რჯულში, წინასწარმეტყველებში და ფსალმუნებში.“

⁴⁵მაშინ გაუხსნა მათ გონება წერილთა გასაგებად

⁴⁶და უთხრა: „ასე წერია, რომ ქრისტე უნდა დაიტანჯოს და მკვდრეთით აღდგეს მესამე დღეს;

⁴⁷მისი სახელით ნაქადაგები უნდა იყოს სინანული ცოდვათა მისატევებლად ყველა ერში, იერუსალიმიდან დაწყებული.

⁴⁸და თქვენ ხართ ამის მოწამენი.

⁴⁹და, აჰა, მოვავლენ თქვენზე მამაჩემის აღთქმულს. თქვენ კი დარჩით ქალაქში, ვიდრე მაღლიდან ძალით შეიმოსებით.“

⁵⁰და გაიყვანა ისინი ბეთანიამდე, აღაპყრო ხელები და აკურთხა ისინი.

⁵¹და როდესაც აკურთხებდა, განშორდა მათ და ამაღლდა ცაში.

⁵²მათ თაყვანი სცეს მას და დაბრუნდნენ იერუსალიმში დიდი სიხარულით.

⁵³და მუდამ ტაძარში იყვნენ, ღმერთის მადიდებელნი და მაკურთხეველნი. ამინ.



იოანეს სახარება

იოანეს 1

- ¹დასაწყისში იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი.
- ²ის იყო დასაწყისში ღმერთთან.
- ³ყოველივე მის მიერ შეიქმნა და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა.
- ⁴მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ნათელი ადამიანთა.
- ⁵და ნათელი ბნელში ჩანს და ბნელი ვერ მისწვდა მას.
- ⁶იყო კაცი, მოვლინებული ღმერთისაგან, და სახელი მისი იოანე.
- ⁷იგი მოვიდა სამოწმებლად, რათა ემოწმებინა ნათლის შესახებ, რათა ყველას ერწმუნა მისგან.
- ⁸ის კი არ იყო ნათელი, არამედ რათა დაემოწმებინა ნათლის შესახებ.
- ⁹იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც განანათლებს ქვეყანაზე მომსვლელ ყოველ ადამიანს.
- ¹⁰იყო ქვეყანაზე და ქვეყანა მის მიერ შეიქმნა, და ქვეყანამ ის ვერ იცნო.
- ¹¹თავისიანებთან მოვიდა და თავისიანებმა არ მიიღეს იგი.
- ¹²ხოლო რომელთაც მიიღეს იგი, მისცა მათ ხელმწიფება ღმერთის შვილებად გახდომისა, ვისაც სწამს მისი სახელი,
- ¹³რომელნიც არა სისხლისაგან, არა ხორცის ნდომისაგან, არა მამაკაცის ნდომისაგან, არამედ ღმერთისაგან იშვნენ.
- ¹⁴და სიტყვა ხორციელი გახდა და დაემკვიდრა ჩვენს შორის და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც დიდება მხოლოდშობილისა მამისაგან, აღსავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა.
- ¹⁵იოანე მოწმობს მასზე და ღაღადებს: „ეს იყო, ვისზეც ვთქვი: ‘ჩემს შემდეგ მომავალი ჩემზე უწინარესია, რადგან ჩემზე უწინ იყო.’“
- ¹⁶და მისი სისავსიდან მივიღეთ ყველამ მადლი მადლისა წილ.
- ¹⁷რადგან რჯული მოცემულია მოსეს მიერ, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება იესო ქრისტეს მიერ იქმნა.
- ¹⁸ღმერთი არასოდეს არავის უხილავს. ღმერთის მხოლოდშობილმა ძემ, მამის წიაღში მყოფმა, გააცხადა.



¹⁹აჰა, მოწმობა იოანესი, როდესაც იუდეველებმა გაუგზავნეს იერუსალიმიდან მღვდელნი და ლევიაწი, რათა ეკითხათ მისთვის: „ვინა ხარ შენ?“

²⁰მან აღიარა და არ უარყო. აღიარა: „მე არა ვარ ქრისტი.“

²¹და ჰკითხეს მას: „მაშ ვინ ხარ? ელია ხარ?“ ამბობს: „არა ვარ.“ – „წინასწარმეტყველი ხარ?“ მიუგო: „არა.“

²²მაშინ უთხრეს მას: „მაშ ვინ ხარ, რომ პასუხი გავცეთ ჩვენს წარმომგზავნელთ: რას იტყვი შენზე?“

²³თქვა: „მე ვარ ხმა მღალაღებლისა უდაბნოში: ‘გაუსწორეთ გზა უფალს,’ როგორც თქვა ესაია წინასწარმეტყველმა.“

²⁴წარმოგზავნილები კი ფარისეველთაგანნი იყვნენ.

²⁵და ჰკითხეს მას და უთხრეს: „მაშ რატომ სცემ ნათელს, თუ არც ქრისტი ხარ, არც ელია, არც წინასწარმეტყველი?“

²⁶მიუგო მათ იოანემ და უთხრა: „მე ნათელს ვცემ წყლით, მაგრამ თქვენს შორის დგას ის, ვისაც არ იცნობთ,

²⁷ის ჩემს შემდეგ მოდის, მაგრამ მე მისი ფეხსაცმლის თასმის შეხსნის ღირსიც არა ვარ.“

²⁸ეს ბეთანიაში მოხდა, იორდანეს გაღმა, სადაც იოანე ნათლავდა.

²⁹მეორე დღეს იხილა მან მისკენ მომავალი იესო და თქვა: „აჰა, ღმერთის კრავი, რომელიც იტვირთავს ქვეყნიერების ცოდვებს.

³⁰ეს არის ის, ვისზეც ვთქვი: ‘ჩემს შემდეგ მოდის კაცი, რომელიც ჩემზე უპირატესია, რადგან ჩემზე უწინარეს იყო.’

³¹მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ იმიტომ მოვედი წყლით ნათლის საცემად, რათა ის გამოეცხადოს ისრაელს.“

³²და მოწმობდა იოანე და ამბობდა: „მე ვიხილე ციდან მტრედივით გარდამომავალი სული, რომელმაც დაივანა მასზე.

³³მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ ვინც მომავლინა წყლით ნათლის საცემად, მან მითხრა: ‘ვისზეც დაინახავ სულს, გარდამომავალს და დავანებულს, ის არის სულიწმიდით ნათლისმცემელი.’

³⁴და მე ვიხილე და ვმოწმობ, რომ ეს არის მე ღმერთისა.“

³⁵მეორე დღეს კვლავ იდგა იოანე და ორი მისი მოწაფეთაგანი.

³⁶და დაინახა მომავალი იესო და თქვა: „აჰა, ღმერთის კრავი.“



- ³⁷ორმა მოწაფემ გაიგონა მისი სიტყვა და გაჰყვა იესოს.
- ³⁸იესო მობრუნდა და დაინახა, რომ მიჰყვებიან, და ეუბნება მათ: „რას ეძებთ?“ მათ უთხრეს: „რაბი“ (რაც თარგმანით ნიშნავს: მოძღვარო), „სად დგახარ?“
- ³⁹ეუბნება მათ: „წამოდით და ნახავთ.“ წავიდნენ და ნახეს, სადაც იდგა. ის დღე მასთან დაჰყვეს. იქნებოდა, ასე, მეთათე საათი.
- ⁴⁰იყო ანდრია, ძმა სიმონ-პეტრესი, ერთი იმ ორთაგანი, რომელთაც იოანესგან მოისმინეს იესოზე და გაჰყვნენ მას.
- ⁴¹მან პირველად ნახა თავისი ძმა, სიმონი, და უთხრა: „ჩვენ ვიპოვეთ მესია“ (რაც თარგმანით ნიშნავს ქრისტეს).
- ⁴²მიიყვანა იგი იესოსთან. შეხედა მას იესომ და უთხრა: „შენ ხარ სიმონი, იოანეს ძე. ამიერიდან შენ გერქმევა კეფა.“ (რაც თარგმანით ნიშნავს კლდეს.)
- ⁴³მეორე დღეს მოისურვა გალილეას წასვლა, და ნახა ფილიპე. უთხრა მას იესომ: „გამომყევი მე.“
- ⁴⁴ხოლო ფილიპე ბეთსაიდიდან იყო, ანდრიას და პეტრეს ქალაქიდან.
- ⁴⁵ფილიპემ მოძებნა ნათანაელი და უთხრა: „ჩვენ ვნახეთ ის, ვისზეც დაწერეს რჯულში მოსემ და წინასწარმეტყველებმა: იესო, იოსების ძე, ნაზარეთიდან.“
- ⁴⁶და უთხრა მას ნათანაელმა: „ნაზარეთიდან რა სიკეთე შეიძლება იყოს?“ უთხრა მას ფილიპემ: „წამოდი და ნახე.“
- ⁴⁷იესომ რომ დაინახა მისკენ მომავალი ნათანაელი, თქვა მასზე: „აჰა, ნამდვილი ისრაელიანი, რომელშიც არ არის მზაკვრობა.“
- ⁴⁸ეუბნება მას ნათანაელი: „საიდან მიცნობ?“ მიუგო იესომ და უთხრა მას: „ვიდრე ფილიპე მოგიხმობდა, ლეღვის ქვეშ გიხილე.“
- ⁴⁹მიუგო მას ნათანაელმა: „რაბი, შენ ხარ ძე ღმერთისა, შენ ხარ მეფე ისრაელისა.“
- ⁵⁰მიუგო იესომ და უთხრა მას: „იმის გამო გწამს, რომ გითხარი, ლეღვის ქვეშ გიხილე? ამაზე მეტსაც იხილავ.“
- ⁵¹ეუბნება მას: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ამიერიდან იხილავთ გახსნილ ცას და ღმერთის ანგელოზებს, კაცის ძეზე აღმავალთ და გარდამომავალთ.“

იოანეს 2



- ¹მესამე დღეს იყო ქორწილი გალილეის კანაში და იყო იქ იესოს დედა.
- ²იესო და მისი მოწაფეებიც მიიწვიეს ქორწილში.
- ³და როდესაც ღვინო შემოაკლდათ, ეუბნება დედა იესოს: „ღვინო აღარა აქვთ.“
- ⁴ეუბნება მას იესო: „რა გინდა ჩემგან, ქალო? ჩემი ჟამი ჯერ არ დამდგარა.“
- ⁵ეუბნება მისი დედა მსახურებს: „გააკეთეთ, რასაც ის გეტყვით.“
- ⁶იყო იქ ექვსი ქვის ჭურჭელი, იუდეველთა განწმედის წესისათვის. თითოში ორი თუ სამი საწყაული ჩადიოდა.
- ⁷ეუბნება მათ იესო: „ავსეთ ეს ჭურჭლები წყლით.“ და მათაც აავსეს ისინი პირამდე.
- ⁸და ეუბნება მათ: „ახლა კი ამოიღეთ და მიართვით სუფრის თავს.“ და მიართვეს.
- ⁹როდესაც სუფრის თავმა გაუსინჯა გემო წყალს, რომელიც ღვინოდ იქცა – მან არ იცოდა, რა ღვინო იყო ეს, იცოდნენ მხოლოდ მსახურებმა, რომლებმაც წყლით აავსეს – დაუმახა სიმესე.
- ¹⁰და უთხრა: „ყოველი კაცი ჯერ კარგ ღვინოს ჩამოდგამს, ხოლო როდესაც შეთვრებიან – მდარეს. შენ კი აქამდე შემოგინახავს უკეთესი ღვინო.“
- ¹¹ასე დაუდო იესომ სათავე სასწაულებს გალილეის კანაში და გამოავლინა თავისი დიდება. და იწამეს მისი მისმა მოწაფეებმა.
- ¹²ამის შემდეგ ჩავიდნენ კაპერნაუმში ის და მისი დედა, ძმები და მოწაფეები. და იქ დარჩნენ რამდენიმე დღე.
- ¹³მოახლოებული იყო იუდეველთა პასექი და იესო ავიდა იერუსალიმს.
- ¹⁴და ნახა ტაძარში ხარებით, ცხვრებითა და მტრედებით მოვაჭრენი, და იქ მსხდომი ფულის მცვლელები.
- ¹⁵და გააკეთა საბელის შოლტი და გამორეკა ტაძრიდან ყველა, აგრეთვე ხარებიც და ცხვრებიც, ფულის მცვლელებს მონეტები დაუბნია და დახლები აუყირავა.
- ¹⁶მტრედების გამყიდველებს უთხრა: „გაიყვანეთ ესენი აქედან და ჩემი მამის სახლს ნუ აქცევთ სავაჭრო სახლად.“
- ¹⁷გაახსენდათ მის მოწაფეებს, რომ დაწერილია: „შენი სახლის შური შემჭამს მე.“



¹⁸მიმართეს იუდეველებმა და უთხრეს მას: „რა სასწაულს გვიჩვენებ, ამას რომ აკეთებ?“

¹⁹მიუგო იესომ და უთხრა მათ: „დაანგრეთ ეს ტაძარი და სამ დღეში აღვადგენ მას.“

²⁰უთხრეს იუდეველებმა: „ეს ტაძარი ორმოცდაექვს წელიწადს შენდებოდა და შენ სამ დღეში აღადგენ?“

²¹ის კი თავისი სხეულის ტაძარზე ამბობდა.

²²როდესაც ის მკვდრეთით აღდგა, მისმა მოწაფეებმა გაიხსენეს, ეს რომ თქვა, და იწამეს წერილი და სიტყვა, რომელიც იესომ უთხრა მათ.

²³ხოლო როდესაც იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე იყო, ბევრმა ნახა მის მიერ მოხდენილი სასწაულები და იწამა მისი სახელი.

²⁴თვითონ იესო კი არ ანდობდა მათ თავს, რადგან ყველას სცნობდა.

²⁵და არ სჭირდებოდა, რომ ვინმეს დაემოწმებინა ადამიანის შესახებ, რადგან იცოდა, რა იყო ადამიანში.

იოანეს 3

¹იყო კაცი, ერთი ფარისეველთაგანი, სახელად ნიკოდემოსი, იუდეველთა მთავარი.

²იგი მივიდა მასთან ღამით და უთხრა: „რაბი, ჩვენ ვიცით, რომ შენ ღმერთისგან ხარ მოსული მოძღვრად, რადგან არავის ძალუძს ისეთი სასწაულების ქმნა, როგორსაც შენ ახდენ, თუ ღმერთი არ არის მასთან.“

³მიუგო იესომ და უთხრა მას: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც ხელახლად არ იშვება, ვერ იხილავს ღმერთის სასუფეველს.“

⁴ეუბნება მას ნიკოდემოსი: „როგორ შეუძლია ადამიანს იშვას, თუ იგი მოხუცია? ნუთუ შესაძლებელია, დედის საშოში ხელმეორედ შესვლა და შობა?“

⁵მიუგო იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც არ იშვება წყლისა და სულისგან, ვერ შევა ღმერთის სასუფეველში.

⁶ხორცის მიერ შობილი ხორცია და სულის მიერ შობილი – სული.

⁷ნუ გაგიკვირდება, რომ გითხარი: ხელახლად უნდა იშვათ მაღლით.

⁸ქარს, სადაც სურს, იქ ქრის, და მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და საით მიდის. ასევეა ყველა შობილი სულისაგან.“



- ⁹მიუგო ნიკოდემოსმა და უთხრა მას: „როგორ შეიძლება ეს მოხდეს?“
- ¹⁰მიუგო იესომ და უთხრა მას: „შენ ისრაელის მოძღვარი ხარ და არ იცი ეს?
- ¹¹ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ჩვენ ვამბობთ იმას, რაც ვიცით, და ვმოწმობთ იმას, რაც გვინახავს, მაგრამ თქვენ არ იღებთ ჩვენს მოწმობას.
- ¹²თუ მიწიერისა გითხარით და არ გწამთ, როგორღა იწამებთ, ზეციერისა რომ გითხრათ?
- ¹³არავინ ასულა ზეცად, გარდა ზეციდან გარდამოსულისა – კაცის ძისა.
- ¹⁴როგორც მოსემ აღამაღლა გველი უდაბნოში, ასევე უნდა ამაღლდეს კაცის ძე.
- ¹⁵რათა ყველას, ვინც მას ირწმუნებს, საუკუნო სიცოცხლე ჰქონდეს.
- ¹⁶რადგან ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი, ვინც მას ირწმუნებს, არ დაიღუპოს, არამედ საუკუნო სიცოცხლე ჰქონდეს.
- ¹⁷რადგან იმისთვის კი არ მოავლინა ღმერთმა თავისი ძე ქვეყანაზე, რომ დასაჯოს ეს ქვეყანა, არამედ, რათა იხსნას ქვეყანა მისი მეშვეობით.
- ¹⁸ვისაც ის სწამს, არ დაისჯება, ხოლო ვისაც არ სწამს, უკვე დასჯილია, რადგან არ ირწმუნა ღმერთის მხოლოდშობილი ძის სახელი.
- ¹⁹სასჯელი კი ის არის, რომ ნათელი მოვიდა ქვეყანაზე და ადამიანებმა ნათელზე მეტად შეიყვარეს ბნელი, რადგან ბოროტი იყო მათი საქმეები.
- ²⁰რადგან ყველას, ვინც ბოროტებას სჩადის, სძულს ნათელი და არ მიდის ნათლისაკენ, რათა არ იქნას მხილებული მისი საქმეები.
- ²¹ხოლო ჭეშმარიტების მოქმედი ნათლისკენ მიდის, რათა ცხადი გახდეს მისი საქმეები, რადგან ღმერთშია ქმნილი.“
- ²²ამის შემდეგ იესო თავის მოწაფეებთან ერთად მივიდა იუდეის ქვეყანაში, დარჩა იქ მათთან და ნათელს სცემდა.
- ²³იოანე კი ნათელს სცემდა ენონში, სალიმის მახლობლად, რადგან ბევრი წყალი იყო იქ, და მიდიოდნენ მასთან და ინათლებოდნენ.
- ²⁴რადგან იოანე ჯერ კიდევ არ იყო საპყრობილეში ჩაგდებული.
- ²⁵მაშინ იოანეს მოწაფეებსა და იუდეველებს შორის დავა ჩამოვარდა განწმედის გამო.



²⁶მივიდნენ იოანესთან და უთხრეს: „რაბი, ის, ვინც შენთან იყო იორდანეს გაღმა, და ვისზეც შენ მოწმობდი, აჰა, ის ნათლავს და ყველანი მასთან მიდიან.“

²⁷მიუგო იოანემ და თქვა: „ადამიანი ვერაფერს მიიღებს თვითონ, თუ ზეციდან არა აქვს მიცემული.“

²⁸თქვენ თვითონ დამემოწმებით, რომ ვთქვი: ‘მე არა ვარ ქრისტე, არამედ მოვლენილი ვარ მის წინაშე.’

²⁹ვისაც სასძლო ჰყავს, ის სიძეა, ხოლო სიძის მეგობარი, რომელიც დგას და უსმენს მას, სიხარულით ხარობს სიძის ხმაზე. ეს ჩემი სიხარული უკვე აღსრულდა.

³⁰ის უნდა იზრდებოდეს, მე კი ვმცირდებოდე.

³¹ციდან მომავალი ყველაზე უმაღლესია. ვინც მიწიდან არის, მიწიერია, და მიწისას ლაპარაკობს. ზეციდან მომავალი კი ყველაზე უმაღლესია,

³²რაც მან იხილა და ისმინა, იმას მოწმობს და მის მოწმობას არავინ იღებს.

³³ვინც მიიღო მისი მოწმობა, დაბეჭდა, რომ ღმერთი ჭეშმარიტია.

³⁴ის, ვინც ღმერთმა მოავლინა, ღმერთის სიტყვებს ამბობს. რადგან ღმერთი ზომით არ იძლევა სულს.

³⁵მამას უყვარს ძე და ყველაფერი მისცა მას ხელთ.

³⁶ვისაც ძე სწამს, საუკუნო სიცოცხლე აქვს, ხოლო მის ურჩი ვერ იხილავს სიცოცხლეს, არამედ ღმერთის რისხვა დარჩება მასზე.“

იოანეს 4

¹როდესაც შეიტყო იესომ, რომ ფარისევლებს ესმათ, რომ იესო უფრო მეტ მოწაფეებს იძენს და ნათელს სცემს, ვიდრე იოანე,

²– თუმცა ნათელს სცემდა არა თვით იესო, არამედ მისი მოწაფეები –

³დატოვა იუდეა და კვლავ გალილეაში წავიდა.

⁴ხოლო მას სამარიაზე უნდა გაეცლო.

⁵და მივიდა სამარიელთა ქალაქში, რომელსაც ეწოდება სიქარი, იმ მიწის მახლობლად, რომელიც იაკობმა მისცა იოსებს, თავის ძეს.

⁶იყო იქ იაკობის ჭა. გზით დაღლილი იესო წყაროსთან ჩამოჯდა. იქნებოდა ასე მეექვსე საათი.



⁷და მოვიდა ქალი სამარიიდან წყლის ასავსებად. ეუბნება მას იესო: „მასვი მე წყალი!“

⁸რადგან მისი მოწაფეები ქალაქში იყვნენ წასული საჭმელის საყიდლად.

⁹ეუბნება მას სამარიელი ქალი: „როგორ, შენ, იუდეველი, წყალს მთხოვ მე, სამარიელ ქალს?“ (რადგან იუდეველებს არა აქვთ ურთიერთობა სამარიელებთან.)

¹⁰მიუგო იესომ და უთხრა მას: „შენ რომ იცოდე ღმერთის ნიჭი და ვინ არის ის, ვინც გეუბნება, წყალი შემასვით, მაშინ თვითონ შენ სთხოვდი მას და ისიც მოგცემდა ცოცხალ წყალს.“

¹¹ეუბნება მას ქალი: „უფალო, არც ჯამი გაქვს და ეს ჭაც ღრმაა. საიდანა გაქვს ცოცხალი წყალი?“

¹²ნუთუ შენ მეტი ხარ ჩვენს მამა იაკობზე, რომელმაც ეს ჭა მოგვცა? და თვითონაც აქედან სვამდა, მისი ძენიც და მისი პირუტყვიც?“

¹³მიუგო იესომ და უთხრა მას: „ყველას, ვინც ამ წყალს დალევს, კვლავ მოსწყურდება,

¹⁴ხოლო ვინც შესვამს წყლიდან, რომელსაც მე მივცემ მას, საუკუნოდ არ მოსწყურდება. რადგან წყალი, რომელსაც მე მივცემ, გადაიქცევა მასში წყაროდ, რომლიდანაც წყალი საუკუნო სიცოცხლედ იდენს.“

¹⁵ეუბნება მას ქალი: „ბატონო, მომეცი ის წყალი, რომ აღარ მომწყურდეს და აღარც წყლის ამოსაღებად მოვიდე აქ.“

¹⁶ეუბნება მას: „წადი, შენს ქმარს მოუხმე და მოდი აქ.“

¹⁷მიუგო ქალმა და უთხრა: „არა მყავს ქმარი.“ ეუბნება მას იესო: „კარგად თქვი: ქმარი არა მყავს, –

¹⁸რადგან ხუთი ქმარი გყავდა და, ვინც ახლა გყავს, არც ისაა შენი ქმარი. მართალი თქვი.“

¹⁹ეუბნება მას ქალი: „უფალო, ვხედავ, რომ წინასწარმეტყველი ხარ.

²⁰ჩვენი მამები ამ მთაზე სცემდნენ თაყვანს, თქვენ კი ამბობთ, რომ იერუსალიმშია თაყვენისცემის ადგილი.“

²¹ეუბნება მას იესო: „ქალო, მერწმუნე, დგება ჟამი, როდესაც არც ამ მთაზე და არც იერუსალიმში აღარ სცემთ თაყვანს მამას.

²²თქვენ არ იცით, რას სცემთ თაყვანს, ჩვენ კი ვიცით, რას ვცემთ თაყვანს, რადგან ხსნა იუდეველთაგანაა.



²³მაგრამ დგება ჟამი და დადგა კიდეც, როდესაც ჭეშმარიტი თაყვანისმცემელნი თაყვანს სცემენ მამას სულითა და ჭეშმარიტებით, რადგან მამა ასეთ თაყვანისმცემლებს ეძებს.

²⁴ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემელნი თაყვანს უნდა სცემდნენ მას სულითა და ჭეშმარიტებით.“

²⁵ეუბნება მას ქალი: „ვიცი, რომ მოდის მესია, რომელსაც ჰქვია ქრისტე. როდესაც ის მოვა, ყველაფერს გაგვიცხადებს.“

²⁶ეუბნება მას იესო: „მე ვარ, ვინც შენ გელაპარაკები.“

²⁷ამ დროს მოვიდნენ მისი მოწაფეები და გაუკვირდათ, რომ ქალთან საუბრობდა, მაგრამ არც ერთს არ უთქვამს: „რას ეძიებ?“ ან: „რას ელაპარაკები მას?“

²⁸ქალმა დატოვა თავისი ჭურჭელი, წავიდა ქალაქში და უთხრა ხალხს:

²⁹„წადით, ნახეთ ადამიანი, რომელმაც ყველაფერი მითხრა, რაც კი ჩამიდენია. ის ხომ არ არის ქრისტე?“

³⁰ისინი გამოვიდნენ ქალაქიდან და მისკენ წამოვიდნენ.

³¹ამასობაში მოწაფეებმა სთხოვეს მას და უთხრეს: „რაბი, ჭამე!“

³²მან უთხრა მათ: „მე მაქვს საკვები, რომელიც თქვენ არ იცით.“

³³მოწაფეებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს: „ნუთუ ვინმემ მოუტანა მას საჭმელი?“

³⁴ეუბნება მათ იესო: „ჩემი საკვებია – ვქმნა ჩემი მომავლინებლის ნება და აღვასრულო მისი საქმე.

³⁵განა თქვენ არ ამბობთ, რომ კიდეც ოთხი თვე და დადგება მკა? და აჰა, მე გეუბნებით თქვენ: თვალი აახილეთ და შეხედეთ ყანებს, როგორ გადათეთრებულან სამკალად.

³⁶მომკელი უკვე იღებს თავის საზღაურს და აგროვებს ნაყოფს საუკუნო სიცოცხლისათვის, ისე რომ, მთესველი და მომკელი ერთად გაიხარებენ.

³⁷ამგვარად, ჭეშმარიტია ანდაზა: ‘ერთი თესავს და სხვა იმკის.’

³⁸მე თქვენ მიგავლენთ იმის მოსამკელად, რაზეც არ გიმრომიათ. სხვებმა იშრომეს, თქვენ კი მათ ნამუშაკევში შეხვედით.“

³⁹ბევრმა იმ ქალაქში მცხოვრებმა სამარიელმა ირწმუნა იგი იმ ქალის სიტყვით, რომელიც ამოწმებდა: „ყველაფერი მითხრა, რაც ჩამიდენია.“



⁴⁰ამიტომ, როდესაც მივიდნენ მასთან სამარიელები და სთხოვეს, მათთან დარჩენილიყო, იგი ორ დღეს დარჩა იქ.

⁴¹და კიდევ მრავალმა ირწმუნა მისი სიტყვით.

⁴²უთხრეს ქალს: „უკვე შენი ნათქვამის გამო კი არა გვწამს, არამედ თვითონ მოვუსმინეთ და ვიცით, რომ ჭეშმარიტად ის არის ქვეყნიერების მხსნელი.“

⁴³და ორი დღის შემდეგ გამოვიდა იქიდან და გალილეაში წავიდა.

⁴⁴რადგან თავად იესო მოწმობდა, რომ წინასწარმეტყველს თავის სამშობლოში არა აქვს პატივი.

⁴⁵როდესაც გალილეაში მივიდა, გალილეელებმა მიიღეს იგი, რაკი ყველაფერი ნახეს, რაც მოიმოქმედა იერუსალიმში დღესასწაულზე, რადგან ისინიც ესწრებოდნენ დღესასწაულს.

⁴⁶კვლავ მივიდა იესო გალილეის კანაში, სადაც წყალი ღვინოდ აქცია. და იყო იქ ერთი მეფისკაცი, რომელსაც ძე ჰყავდა ავად კაპერნაუმში.

⁴⁷მან გაიგო, რომ იესო იუდეიდან გალილეაში იყო მისული; მივიდა მასთან და შეევედრა, წაჰყოლოდა და განეკურნა მისი ძე, რომელიც სიკვდილის პირას იყო.

⁴⁸უთხრა იესომ მას: „თუ ნიშნებსა და სასწაულებს არ იხილავთ, ისე არა გწამთ.“

⁴⁹ეუბნება მას მეფისკაცი: „უფალო, წამოდი, სანამ ჩემი ძე არ მომკვდარა.“

⁵⁰ეუბნება მას იესო: „წადი, ცოცხალია შენი ძე.“ ირწმუნა კაცმა სიტყვა, რომელიც უთხრა იესომ და წავიდა.

⁵¹შინ რომ ბრუნდებოდა, მისი მსახურები მიეგებნენ მას და უთხრეს: „ცოცხალია შენი ძე.“

⁵²ჰკითხა მათ: „რომელ საათზე გამომჯობინდა?“ უთხრეს: „გუშინ მეშვიდე საათზე გაუარა სიცხემ.“

⁵³ამით მიხვდა მამა, რომ ეს ის დრო იყო, როდესაც იესომ უთხრა: „ცოცხალია შენი ძე.“ და ირწმუნეს მან და მთელმა მისმა სახლეულმა.

⁵⁴ეს მეორე სასწაული მოახდინა იესომ მას შემდეგ, რაც იუდეიდან გალილეაში დაბრუნდა.

იოანეს 5

¹ამის შემდეგ იუდეველთა დღესასწაული იყო და ავიდა იესო იერუსალიმში.



- ²იერუსალიმში, ცხვრის კარიბჭესთან, არის საბანელი, რომელსაც ებრაულად ბეთზათა ეწოდება, და მას აქვს ხუთი სტოა.
- ³ისხდა იქ მრავალი სნეული: ბრმა, ხეიბარი და ჩამომხმარი, რომლებიც წყლის ამღვრევას ელოდნენ,
- ⁴რადგან უფლის ანგელოზი გადმოდიოდა დროდადრო და ამღვრევდა წყალს. ხოლო ვინც პირველი ჩადიოდა წყლის ამღვრევის შემდეგ, იკურნებოდა, რა სენითაც არ უნდა ყოფილიყო შეპყრობილი.
- ⁵იყო იქ კაცი, რომელსაც 38 წელი გაეტარებინა სნეულებაში.
- ⁶იესომ იხილა იგი მწოლარე და შეატყო, რომ უკვე დიდი ხნის სნეულია და უთხრა: „გსურს, განიკურნო?“
- ⁷მიუგო მას სნეულმა: „უფალო, კაცი არა მყავს, წყლის ამღვრევისას რომ ჩამიშვას აუზში. სანამ მე მივაღ, სხვა მასწრებს.“
- ⁸ეუბნება მას იესო: „ადექი, აილე შენი საწოლი და წადი!“
- ⁹და მაშინვე განიკურნა ის კაცი. აიღო თავისი საწოლი და გაიარა. ხოლო ის დღე შაბათი იყო.
- ¹⁰უთხრეს იუდეველებმა განკურნებულს: „დღეს შაბათია, ნება არა გაქვს საწოლის აღებისა.“
- ¹¹მან მიუგო მათ: ვინც განმკურნა, მითხრა: „აილე შენი საწოლი და წადი.“
- ¹²ჰკითხეს მას: „ვინ არის ის კაცი, ვინც გითხრა, აილე და წადი?“
- ¹³განკურნებულმა არ იცოდა, ვინ იყო იგი, რადგან იესო იქ მყოფ ხალხში გაუჩინარდა.
- ¹⁴ამის შემდეგ იესომ ტაძარში ნახა ის და უთხრა: „აჰა, შენ განიკურნე, ნუღარ შესცოდავ, რათა უარესი რამ არ დაგემართოს.“
- ¹⁵ის კაცი წავიდა და იუდეველებს უთხრა: „იესოა, ვინც მე განმკურნა.“
- ¹⁶და დაუწყეს იუდეველებმა იესოს დევნა იმის გამო, რომ შაბათს აკეთებდა ამას.
- ¹⁷იესომ მიუგო მათ: „მამაჩემი აქამდე აკეთებს და მეც ვაკეთებ.“
- ¹⁸ამიტომ იუდეველებმა უფრო მეტად დაუწყეს ძებნა მოსაკლავად, რადგან არა მარტო შაბათის წესი დაარღვია, არამედ ღმერთს მამა უწოდა, და თავი ღმერთს გაუტოლა.



- ¹⁹მიუგო იესომ და უთხრა მათ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მე თავის თავად ვერაფერს გააკეთებს, თუ არ იხილავს, რასაც მამა აკეთებს, რადგან რასაც ის აკეთებს, მეც იმასვე აკეთებს.
- ²⁰რადგან მამას უყვარს მე და ყველაფერს, რასაც აკეთებს, უჩვენებს მას. ამაზე უფრო დიდ საქმეებსაც უჩვენებს, ისეთებს, რომ გაგიკვირდებათ.
- ²¹რადგან, როგორც მამა აღადგენს მკვდრებს და სიცოცხლეს ანიჭებს მათ, ასევე მეც, ვისი გაცოცხლებაც სურს, გააცოცხლებს.
- ²²რადგან მამა არავის განსჯის, არამედ მთელი განსასჯელი მეს გადასცა,
- ²³რათა ყველამ პატივი მიაგოს მეს, როგორც მამას მიაგებენ პატივს. ვინც მეს არ მიაგებს პატივს, ის არც მამას მიაგებს პატივს, რომელმაც იგი მოავლინა.
- ²⁴ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ჩემს სიტყვებს ისმენს და ჩემს მომავლინებელს იწამებს, საუკუნო სიცოცხლე ექნება და არ განისჯება, არამედ გადავა სიკვდილიდან სიცოცხლეში.
- ²⁵ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მოდის ჟამი, და უკვე მოსულია, როდესაც მკვდრები გაიგონებენ ღმერთის ძის ხმას და ვინც გაიგონებს, იცოცხლებს.
- ²⁶რადგან, როგორც მამას აქვს სიცოცხლე თავის თავში, ასევე მესაც მისცა, რომ ჰქონდეს სიცოცხლე თავის თავში.
- ²⁷განსჯის ხელმწიფებაც მისცა მას, რადგან კაცის მე არის იგი.
- ²⁸ნუ გაგიკვირდებათ ეს, რადგან მოდის ჟამი, როდესაც ყველა, ვინც საფლავებში არის, მის ხმას გაიგონებს.
- ²⁹და კეთილის მოქმედნი სიცოცხლის აღდგომისთვის გამოვლენ, სიავის მოქმედნი კი განკითხვის აღდგომისათვის.
- ³⁰ჩემთავად არაფრის გაკეთება არ შემძლია. როგორც ვისმენ, ისე განვსჯი, და ჩემი სამართალი მართალია, რადგან მე ჩემს ნებას კი არ ვეძებ, არამედ ჩემი მომავლინებლის ნებას.
- ³¹მე რომ ვმოწმობდე ჩემს თავზე, ჩემი მოწმობა არ იქნებოდა ჭეშმარიტი.
- ³²სხვა არის დამმოწმებელი ჩემზე და ვიცი, რომ ჭეშმარიტია ის მოწმობა, რომლითაც ის ამოწმებს ჩემზე.
- ³³თქვენ მიავლინეთ იოანესთან და მან დაამოწმა ჭეშმარიტება.
- ³⁴თუმცა ადამიანისგან არ ვიღებ მოწმობას, მაგრამ ამას იმიტომ ვამბობ, რომ თქვენ გადარჩეთ.



³⁵იგი ანთებული და მანათობელი სანთელი იყო და თქვენ გინდოდათ გეხარათ ერთხანს მის ნათელში.

³⁶მე კი უფრო დიდი მოწმობა მაქვს, ვიდრე იოანესია, რადგან საქმენი, რომელნიც მამამ მომცა აღსასრულებლად, თვით ჩემს მიერ ქმნილი საქმენი, მოწმობენ ჩემზე, რომ მამამ მომავლინა.

³⁷და მამა, რომელმაც მე მომავლინა, მოწმობს ჩემზე, თქვენ კი არასოდეს გსმენიათ მისი ხმა და არც მისი ხატი გიხილავთ.

³⁸მისი სიტყვა ვერ დამკვიდრდა თქვენში, რადგან არა გწამთ მისი, რომელიც მან მოავლინა.

³⁹იკვლევთ წერილებს, რადგან გგონიათ, რომ მათში გაქვთ საუკუნო სიცოცხლე. ისინი კი ჩემზე მოწმობენ.

⁴⁰თქვენ ჩემთან მოსვლა არა გსურთ, რათა სიცოცხლე გქონდეთ.

⁴¹არ ვიღებ დიდებას ადამიანთაგან,

⁴²მაგრამ მე გიცნობთ თქვენ – ღმერთის სიყვარული არ არის თქვენში.

⁴³მე მოვედი ჩემი მამის სახელით და არ მიღებთ. სხვა თუ მოვა თავისი სახელით, მას მიიღებთ.

⁴⁴როგორ შეგიძლიათ ირწმუნოთ, როდესაც ერთმანეთისაგან იღებთ დიდებას, ხოლო ერთი ღმერთის დიდებას არ ეძებთ?

⁴⁵ნუ გგონიათ, რომ მე დაგდებთ ბრალს მამის წინაშე. თქვენი ბრალმდებელი მოსეა, ვისიც თქვენ გწამთ.

⁴⁶რადგან, თქვენ რომ მოსესი გწამდეთ, მეც მიწამებდით, რადგან მან ჩემზე დაწერა.

⁴⁷ხოლო თუ მისი დაწერილისა არ გწამთ, როგორღა იწამებთ ჩემს სიტყვებს?“

იოანეს 6

¹ამის შემდეგ გავიდა იესო გალილეის, ანუ ტიბერიის ზღვის გადაღმა.

²დიდძალი ხალხი მიჰყვებოდა მას, რადგან იხილეს სასწაულები, რომლებსაც ის ახდენდა სნეულებზე.

³ავიდა იესო მთაზე და დაჯდა იქ თავის მოწაფეებთან ერთად.

⁴ახლოვდებოდა პასეჟი, იუდეველთა დღესასწაული.



⁵იესომ გაიხედა და დაინახა, რომ უამრავი ხალხი მოდიოდა მისკენ და ეუბნება ფილიპეს: „სად ვიყიდოთ პური, ამათ რომ ჭამონ?“

⁶ამას გამოსაცდელად ეუბნებოდა, რადგან თვით იცოდა, რაც უნდა ექნა.

⁷მიუგო მას ფილიპემ: „200 დინარის პურიც არ ეყოფათ, რომ თითოეულ მათგანს ცოტაოდენი მაინც შეხვდეს.“

⁸ეუბნება მას ერთი მისი მოწაფეთაგანი, ანდრია, სიმონ-პეტრეს ძმა:

⁹„აქ არის ერთი ბიჭი, რომელსაც ხუთი ქერის პური და ორი თევზი აქვს, მაგრამ რა არის ეს ამდენი ხალხისათვის?“

¹⁰იესომ თქვა: „დასხით ეს ხალხი.“ ხოლო იმ ადგილას ხშირი ბალახი იყო. და დასხდა ასე, რიცხვით თითქმის 5 ათასამდე კაცი.

¹¹აიღო პურები იესომ, მაღლი შესწირა და დაურიგა იქ მსხდომთ, ასევე თევზიც, ვისაც რამდენი უნდოდა.

¹²და როდესაც დანაყრდნენ, უთხრა თავის მოწაფეებს: „მოაგროვეთ ნამუსრევი, რომ არაფერი დაიკარგოს.“

¹³მოაგროვეს და აავსეს 12 გოდორი იმ ხუთი ქერის პურის ნატეხებით, რაც ჭამის შემდეგ დარჩა.

¹⁴მაშინ იესოს მიერ მოხდენილი სასწაულის მხილველმა ხალხმა თქვა: „ესაა ჭეშმარიტად ის წინასწარმეტყველი, რომელიც ქვეყნიერებაზე უნდა მოსულიყო.“

¹⁵მიხვდა იესო, რომ აპირებენ მოსვლას მის მოსატაცებლად და გასამეფებლად, და კვლავ განმარტოვდა მთაზე.

¹⁶როდესაც მოსაღამოვდა, მისი მოწაფეები ჩავიდნენ ზღვაზე.

¹⁷შევიდნენ ნავში და გაემართნენ ზღვის გადაღმა, კაპერნაუმისკენ. უკვე ბნელდებოდა და იესო კი ჯერ არ მისულიყო მათთან.

¹⁸ზღვა ძლიერი ქარისაგან დელავდა.

¹⁹25 თუ 30 სტადიონი რომ გაცურეს, დაინახეს ზღვაზე მომავალი იესო, რომელიც ნავს უახლოვდებოდა, და შეეშინდათ.

²⁰მან კი უთხრა მათ: „მე ვარ, ნუ გეშინიათ.“

²¹უნდოდათ ნავზე აეყვანათ იგი; და ნავი მაშინვე მიაღმა ხმელეთს იმ ადგილას, სადაც მიდიოდნენ.

²²მეორე დღეს ზღვის გაღმა მდგომმა ხალხმა დაინახა, რომ იქ სხვა ნავი არ იყო, გარდა ერთისა, რომელშიც მისი მოწაფეები ჩასხდნენ, და რომ იესო არ



ჩამჯდარა ნავში თავის მოწაფეებთან ერთად, არამედ მხოლოდ მოწაფეებმა გაცურეს.

²³სხვა ნავებიც მოვიდნენ ტიბერიიდან იმ ადგილის მახლობლად, სადაც ჭამეს პური მას შემდეგ, რაც უფალმა მადლი შესწირა.

²⁴როდესაც დაინახა ხალხმა, რომ იქ არც იესოა და არც მისი მოწაფეები, ჩასხდნენ ნავებში და მივიდნენ კაპერნაუმში იესოს საძებრად.

²⁵და ნახეს იგი ზღვის გაღმა და უთხრეს მას: „რაბი, როდის მოხვედი აქ?“

²⁶მიუგო იესომ და უთხრა მათ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: იმიტომ კი არ მეძებთ, რომ სასწაული იხილეთ, არამედ იმიტომ, რომ პური ჭამეთ და გაძებით.

²⁷ნუ ირჯებით ხრწნადი საზრდოსათვის, არამედ იმ საზრდოსათვის გაისარჯეთ, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლისათვის, რომელსაც კაცის ძე მოგცემთ თქვენ, რადგან მას დაასვა ბეჭედი მამა ღმერთმა.”

²⁸უთხრეს მას: „როგორ მოვიქცეთ, რომ ღმერთის საქმენი ვაკეთოთ?“

²⁹მიუგო იესომ და უთხრა მათ: „ღმერთის საქმე ის არის, რომ ირწმუნოთ იგი, ვინც მან მოავლინა.“

³⁰უთხრეს მას: „რა ნიშანს იძლევი, რომ დავინახოთ და გერწმუნოთ? რას მოიმოქმედებ?”

³¹ჩვენი მამები მანანას ჭამდნენ უდაბნოში, როგორც დაწერილია: ‘პური ზეციდან მისცა მათ საზრდოდ.’“

³²უთხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მოსემ კი არ მოგცათ პური ზეციდან, არამედ ჩემი მამა გაძლევთ ჭეშმარიტ პურს ზეციდან.

³³რადგან ღმერთის პური ისაა, რომელიც ზეციდან ჩამოდის და სიცოცხლეს აძლევს ქვეყნიერებას.“

³⁴უთხრეს მას: „უფალო, მუდამ გვაძლიე ეს პური.“

³⁵უთხრა მათ იესომ: „მე ვარ პური სიცოცხლისა. ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება და ვინც მე მირწმუნებს, არასოდეს მოსწყურდება.

³⁶მაგრამ გეუბნებით, რომ კიდევაც მიხილეთ, მაგრამ არ მიწამეთ.

³⁷ყველა, ვინც მამამ მომცა, ჩემთან მოდის; ჩემთან მოსულს კი არ გავაძევებ.

³⁸რადგან ზეციდან ჩემი ნების აღსასრულებლად კი არ გადმოვედი, არამედ მისი ნებისა, ვინც მე მომავლინა.



³⁹ეს არის ჩემი მომავლინებლის ნება, რომ რაც მე მომცა, არაფერი დაგკარგო იქიდან, არამედ აღვადგინო უკანასკნელ დღეს.

⁴⁰ჩემი მამის ნება ისაა, რომ ყველას, ვინც მეს იხილავს და ირწმუნებს, საუკუნო სიცოცხლე ჰქონდეს, და მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს.“

⁴¹იუდეველები დრტვინავდნენ მის გამო, რომ თქვა: „მე ვარ პური, ზეციდან გადმოსული.“

⁴²თქვეს: „განა ეს იესო არ არის, იოსების ძე, რომლის მამას და დედას ვიცნობთ? როგორღა ამბობს, ზეციდან გადმოვედით?“

⁴³მიუგო იესომ და უთხრა მათ: „ნუ დრტვინავთ ერთმანეთს შორის.

⁴⁴არავის შეუძლია ჩემთან მოსვლა, თუ იგი ჩემმა მომავლინებელმა მამამ არ მოიყვანა, და მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს.

⁴⁵წინასწარმეტყველებს უწერიათ: ‘და ყველა განისწავლება ღმერთის მიერ.’ ყველა, ვინც უსმენს მამას და განისწავლება, ჩემთან მოდის.

⁴⁶არავის უხილავს მამა, მხოლოდ მან, ვინც ღმერთთანაა, იხილა მამა.

⁴⁷ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვისაც ჩემი სწამს, მას საუკუნო სიცოცხლე აქვს.

⁴⁸მე ვარ პური სიცოცხლისა.

⁴⁹თქვენმა მამებმა ჭამეს მანანა უდაბნოში და მოკვდნენ.

⁵⁰ხოლო ეს არის პური, რომელიც ზეციდან გადმოვიდა და ვინც შეჭამს მას, არ მოკვდება.

⁵¹მე ვარ ცოცხალი პური, რომელიც ზეციდან გადმოვედი; ვინც ამ პურს შეჭამს, უკუნისამდე იცოცხლებს. პური, რომელსაც მე გავცემ, ჩემი ხორცია, რომელსაც ქვეყნიერების სიცოცხლისათვის გავცემ.”

⁵²იუდეველები ერთმანეთს ედავებოდნენ და ამბობდნენ: „როგორ უნდა მოგვცეს თავისი ხორცი საჭმელად?“

⁵³უთხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ არ შეჭამთ კაცის ძის ხორცს და არ შესვამთ მის სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში.

⁵⁴ჩემი ხორცის მჭამელს და ჩემი სისხლის შემსმელს საუკუნო სიცოცხლე აქვს. და მე მას აღვადგენ უკანასკნელ დღეს.

⁵⁵რადგან ჩემი ხორცი ჭეშმარიტი საჭმელია და ჩემი სისხლი ჭეშმარიტი სასმელი.



⁵⁶ჩემი ხორცის მჭამელი და ჩემი სისხლის შემსმელი ჩემში რჩება, და მე – მასში.

⁵⁷როგორც მე მომავლინა ცოცხალმა მამამ და მე მამაში ვცოცხლობ, ასევე ჩემი მჭამელი იცოცხლებს ჩემში.

⁵⁸ეს არის პური, რომელიც ციდან გადმოვიდა. ისე კი არა, თქვენმა მამებმა რომ ჭამეს მანანა და დაიხოცნენ. ამ პურის მჭამელი უკუნიმამდე იცოცხლებს.”

⁵⁹ამას ამბობდა სინაგოგაში, როცა კაპერნაუმში ასწავლიდა.

⁶⁰ბევრმა მისმა მოწაფემ ამის გაგონებაზე თქვა: „მკაცრია მისი სიტყვა, ვინ გაუძლებს ამის მოსმენას?“

⁶¹თვითონ იესოც ამჩნევდა, რომ მისი მოწაფეები დრტვინავდნენ ამის გამო, და უთხრა მათ: „ეს გაცდუნებთ თქვენ?“ –

⁶²მაშინ როგორ იქნება, თუ იხილავთ კაცის ძეს აღმავალს იქ, სადაც იყო პირველად?

⁶³სული ცხოველყოფელია, ხოლო ხორცი უსარგებლო. სიტყვები, რომლებიც გითხარით, სული და სიცოცხლეა.

⁶⁴მაგრამ თქვენ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც არ სწამთ.“ რადგან იესომ თავიდანვე იცოდა, ვინ არიან ურწმუნონი და ვინ არის მისი გამცემი.

⁶⁵და თქვა: „ამიტომ გეუბნებოდით, რომ ჩემთან არავის შეუძლია მოსვლა, თუ მამისგან არ ექნება მიცემული.“

⁶⁶ამის შემდეგ ბევრი მისი მოწაფეთაგანი გაბრუნდა უკან და აღარ გაჰყვა მას.

⁶⁷მაშინ უთხრა იესომ თორმეტს: „თქვენც ხომ არ გინდათ წასვლა?“

⁶⁸მიუგო მას სიმონ-პეტრემ: „უფალო, ვისთან უნდა წავიდეთ? შენ გაქვს საუკუნო სიცოცხლის სიტყვები.

⁶⁹და ჩვენ ვიწამეთ და შევიცანით, რომ შენ ხარ ღმერთის წმიდა.“

⁷⁰მიუგო მათ იესომ: „თორმეტი არ ამოგიჩიეთ? და ერთი თქვენგანი ეშმაკია.“

⁷¹ეს თქვა იუდა სიმონის ძეზე, ისკარიოტელზე, რადგან იგი, ერთი თორმეტთაგანი, აპირებდა მის გაცემას.

იოანეს 7



- ¹ამის შემდეგ იესო გალილეაში დადიოდა და არ უნდოდა ევლო იუდეაში, რადგან იუდეველნი მოსაკლავად დაეძებდნენ.
- ²ახლოვდებოდა იუდეველთა დღესასწაული – კარვობა.
- ³უთხრეს მას მისმა ძმებმა: „წადი და მიდი იუდეაში, რათა შენმა მოწაფეებმა იხილონ შენი საქმეები, რომელთაც აკეთებ,
- ⁴რადგან ფარულად არავინ არაფერს აკეთებს, არამედ თავის გამოჩენას ეძებს. რაკი ასეთ საქმეებს იქმ, გამოეცხადე ქვეყნიერებას.“
- ⁵რადგან მის ძმებსაც არ სწამდათ მისი.
- ⁶ეუბნება მათ იესო: „ჩემი ჟამი ჯერ არ დამდგარა, თქვენი დრო კი მუდამ მზად არის.
- ⁷ქვეყნიერებას არ შეუძლია თქვენი მოძულება, მე კი ვძულვარ იმის გამო, რომ მე ვმოწმოვ მასზე, რომ მისი საქმეები ბოროტია.
- ⁸თქვენ ადით დღესასწაულზე, მე კი არ ავალ ამ დღესასწაულზე, რადგან ჩემი ჟამი ჯერ არ აღსრულებულა.“
- ⁹ეს უთხრა მათ და დარჩა გალილეაში.
- ¹⁰და როდესაც მისი ძმები ავიდნენ დღესასწაულზე, მაშინ თვითონაც ავიდა, მხოლოდ არა ცხადად, არამედ ფარულად.
- ¹¹იუდეველნი კი ეძებდნენ მას დღესასწაულზე და ამბობდნენ: „სად არის ის?“
- ¹²ხალხში ბევრი მითქმა-მოთქმა იყო მასზე: ერთნი ამბობდნენ, კეთილიაო. მეორენი ამბობდნენ, არა, ხალხს აცდუნებსო.
- ¹³მაგრამ ცხადად არავინ არ ლაპარაკობდა მასზე, რადგან იუდეველებისა ეშინოდათ.
- ¹⁴უკვე შუა დღესასწაულზე ავიდა იესო ტაძარში და ასწავლიდა.
- ¹⁵უკვირდათ იუდეველებს და ამბობდნენ: „როგორ იცის წერილები უსწავლელად?“
- ¹⁶მიუგო მათ იესომ და თქვა: „ჩემი მოძღვრება ჩემი კი არაა, არამედ ჩემი მომავლინებელისა.
- ¹⁷ვისაც სურს ადასრულოს მისი ნება, გაიგებს ამ მოძღვრების შესახებ – ღმერთისგან არის ის თუ ჩემით ვლაპარაკობ.



¹⁸ვინც თავისით ლაპარაკობს, საკუთარ დიდებას ეძებს; ხოლო ვინც ეძებს იმის დიდებას, ვინც იგი მოავლინა, ჭეშმარიტია და უსამართლობა არ არის მასში.

¹⁹განა მოსემ არ მოგცათ რჯული? მაგრამ არც ერთი თქვენგანი არ ასრულებს რჯულს. რატომ მეძებთ მოსაკლავად?“

²⁰მიუგო ხალხმა: „ეშმაკია შენში! ვინ გეძებს მოსაკლავად?“

²¹მიუგო იესომ და უთხრა მათ: „ერთი საქმე გავაკეთე და ყველას გიკვირთ.

²²მოსემ მოგცათ წინადაცვეთა – თუმცა იგი მოსესგან კი არ არის, არამედ მამებისგან – და შაბათობით წინადაცვეთით კაცს.

²³თუ კაცი წინადაცვეთას იღებს შაბათს, რათა მოსეს რჯული არ დაირღვეს, მე რაღად მრისხავთ იმის გამო, რომ მთელი ადიმიანი განგკურნე შაბათს?

²⁴ნუ განსჯით გარეგნობით, არამედ მართალი სამართლით განსაჯეთ.“

²⁵თქვეს ზოგიერთებმა იერუსალიმელთაგან: „განა ეს ის არაა, რომელსაც მოსაკლავად ეძებენ?

²⁶აჰა, აშკარად ლაპარაკობს და ვერაფერს ეუბნებიან. ხომ არ დარწმუნდნენ მთავრები, რომ იგი ნამდვილად ქრისტეა?

²⁷მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, საიდანაცაა იგი. ხოლო ქრისტე რომ მოვა, არავის ეცოდინება, საიდან არის.“

²⁸ხმა აიმაღლა იესომ ტაძარში სწავლებისას და თქვა: „მიცნობთ მე და იცით, საიდან ვარ. მაგრამ მე თვითონ კი არ მოვსულვარ, არამედ ჭეშმარიტია ჩემი მომავლინებელი, რომელსაც თქვენ არ იცნობთ.

²⁹მე ვიცნობ მას, რადგან მისგან ვარ და მან მომავლინა მე.“

³⁰ცდილობდნენ მის შეპყრობას, მაგრამ ხელი ვერავინ დაადო მას, რადგან მისი ჟამი არ იყო დამდგარი.

³¹ხალხიდან ბევრი ერწმუნა მას და თქვეს: „როდესაც ქრისტე მოვა, განა იგი იმაზე მეტ სასწაულებს მოახდენს, რაც ამან მოახდინა?“

³²გაიგეს ფარისევლებმა ხალხის ასეთი მითქმა-მოთქმა და მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა მსახურები გაგზავნეს მის შესაპყრობად.

³³თქვა იესომ: „მე კიდევ მცირე ხანს ვარ თქვენთან და წავალ ჩემს მომავლინებელთან.

³⁴ძებნას დამიწყებთ და ვერ მიპოვით; სადაც მე ვიქნები, იქ ვერ მოხვალთ.“



³⁵უთხრეს ერთმანეთს იუდეველებმა: „სად უნდა წავიდეს, რომ ვერ ვიპოვოთ? ბერძენეთა შორის განთესილებთან ხომ არ წავა და ბერძნებს ხომ არ დაუწყებს სწავლებას?“

³⁶ეს რა სიტყვაა, რომელიც თქვა: ‘მეზნას დამიწყებთ და ვერ მიპოვით და სადაც მე ვიქნები, იქ ვერ მოხვალთ?’“

³⁷დღესასწაულის უკანასკნელ დიდ დღეს ადგა იესო, შეღალადა და თქვა: „ვისაც სწყურია, მოვიდეს ჩემთან და შესვას;

³⁸ვისაც ჩემი სწამს, როგორც წერილი ამბობს, მისი წიაღიდან იდენენ ცოცხალი წყლის მდინარეები.“

³⁹ეს მან იმ სულზე თქვა, მის მორწმუნეებს რომ უნდა მიეღოთ. ჯერ კიდევ არ იყო მოცემული სული, რაკი იესო ჯერ არ იყო განდიდებული.

⁴⁰ხალხიდან ბევრმა თქვა ამ სიტყვების გაგონებაზე: „ეს ჭეშმარიტად წინასწარმეტყველია.“

⁴¹სხვებმა თქვეს: „ეს ქრისტეა.“ სხვები ამბობდნენ: „განა გალილეიდან მოვა ქრისტე?“

⁴²განა წერილი არ ამბობს, რომ ქრისტე არის დავითის ნაშიერი და მოდის ბეთლემიდან, იმ დაბიდან, საიდანაც დავითი იყო?“

⁴³და ჩამოვარდა ხალხში განხეთქილება მის გამო.

⁴⁴ზოგიერთ მათგანს მისი შეპყრობა უნდოდა, მაგრამ ხელი ვერავინ მიჰყო.

⁴⁵დაბრუნდნენ მსახურნი მღვდელმთავრებთან და ფარისევლებთან. მათ უთხრეს: „რატომ არ მოიყვანეთ იგი?“

⁴⁶მიუგეს მსახურებმა: „არასოდეს კაცს ისე არ ულაპარაკია, როგორც ეს კაცი ლაპარაკობს.“

⁴⁷მიუგეს მათ ფარისევლებმა: „ნუთუ თქვენც გაცდუნათ?“

⁴⁸განა მთავართაგან ან ფარისეველთაგან ვინმემ იწამა იგი?“

⁴⁹მაგრამ ეს რჯულის უმეცარი ხალხი დაწყევლილია.“

⁵⁰ეუბნება მათ ნიკოდემოსი, რომელიც ღამით მივიდა მასთან და ერთი იმათთაგანი იყო:

⁵¹„განა განიკითხავს ჩვენი რჯული ადამიანს, თუ წინასწარ არ მოუსმინა და არ გაიგო, რა ჩაიდინა მან?“

⁵²მიუგეს და უთხრეს მას: „შენც გალილეიდანა ხარ? გამოიკვლიე და ნახე, რომ გალილეიდან წინასწარმეტყველი არ აღდგება.“



⁵³და ყველანი თავიანთ სახლებში წავიდნენ.

იოანეს 8

¹და ავიდა იესო ზეთისხილის მთაზე.

²დილით ადრე კი კვლავ დაბრუნდა ტაძარში. და მთელი ხალხი მივიდა მასთან. და დაჯდა და ასწავლიდა მათ.

³მოიყვანეს მწიგნობრებმა და ფარისევლებმა ქალი, მრუშობაში შეპყრობილი, დააყენეს შუაში

⁴და უთხრეს მას: „მოდღვარო, ეს ქალი მრუშობაშია შეპყრობილი.

⁵მოსემ კი რჯულში მცნებად დაგვიდო ასეთების ჩაქოლვა. შენ რას იტყვი?“

⁶ამას გამოსაცდელად ეუბნებოდნენ, რათა რამეში ბრალი დაედოთ, მაგრამ იესო დაიხარა და მიწაზე თითით წერა დაიწყო.

⁷და რაკი დაჟინებით ეკითხებოდნენ, წამოიმართა და უთხრა მათ: „ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად მან ესროლოს ქვა.“

⁸და კვლავ დაიხარა და განაგრძო მიწაზე წერა.

⁹ეს რომ მოისმინეს, უხუცესებიდან მოყოლებული, სათითაოდ გაიკრიფნენ და დარჩა მარტო იესო და შუაში მდგომი ქალი.

¹⁰წამოიმართა იესო და უთხრა მას: „ქალო, სად არიან შენი ბრალმდებელნი? არავინ დაგდო მსჯავრი?“

¹¹უთხრა მან: „არავინ, უფალო!“ უთხრა იესომ: „არც მე განვსჯი. წადი და ამიერიდან ნულარ შესცოდავ.“

¹²და კვლავ დაიწყო იესომ და თქვა: „მე ვარ ნათელი ქვეყნისა. ვინც მე გამომყვება, არ ივლის ბნელში, არამედ სიცოცხლის ნათელი ექნება მას.“

¹³უთხრეს მას ფარისევლებმა: „შენ თვითონ მოწმობ შენს თავზე, შენი მოწმობა არ არის ჭეშმარიტი.“

¹⁴მიუგო იესომ და უთხრა მათ: „მე თუ ჩემს თავზე ვმოწმობ, ჩემი მოწმობა ჭეშმარიტია, რადგან ვიცი, საიდან მოვედი და სად მივდივარ. თქვენ კი არ იცით, საიდან მოვედი და სად მივდივარ.

¹⁵თქვენ ხორცის მიხედვით განსჯით, მე კი არავის განვსჯი.

¹⁶და მე თუ განვსჯი, ჩემი განსჯა ჭეშმარიტია, რადგან მე მარტო არ ვარ, არამედ მე და მამა, ჩემი მომავლინებელი.

¹⁷თქვენს რჯულშიც წერია, რომ ორი ადამიანის მოწმობა ჭეშმარიტია.



- ¹⁸მე ჩემს თავზე ვმოწმობ და ჩემზე მოწმობს მამა, ჩემი მომავლინებული.“
- ¹⁹უთხრეს მას: „სად არის შენი მამა?“ უთხრა მათ იესომ: „არც მე მიცნობთ, არც ჩემს მამას. მე რომ მიცნობდეთ, ჩემი მამაც გეცოდინებოდათ.“
- ²⁰ეს სიტყვები წარმოთქვა იესომ საგანძურთან, როდესაც ტაძარში ასწავლიდა. და არავინ შეიპყრო იგი, რადგან ჯერ არ დამდგარიყო მისი ჟამი.
- ²¹და კვლავ უთხრა მათ იესომ: „მე მივდივარ და თქვენ ძებნას დამიწყებთ, მაგრამ თქვენს ცოდვაში მოკვდებით. სადაც მე მივდივარ, იქ თქვენ ვერ შეძლებთ მოსვლას.“
- ²²იუდეველებმა ერთმანეთს უთხრეს: „თავი ხომ არ უნდა მოიკლას, რომ ამბობს: ‘სადაც მე მივდივარ, თქვენ ვერ შეძლებთ იქ მოსვლას?’“
- ²³უთხრა მათ: „თქვენ ქვემოდან ხართ, მე კი მაღლიდან ვარ. თქვენ ამ ქვეყნისანი ხართ, მე კი ამ ქვეყნისა არა ვარ.“
- ²⁴ამიტომ გითხარით, თქვენს ცოდვებში დაიხოცებით. რადგან, თუ არ იწამებთ, რომ მე ვარ, თქვენსავე ცოდვებში დაიხოცებით.“
- ²⁵უთხრეს მას: „ვინ ხარ შენ?“ უთხრა მათ იესომ: „თავიდანვე გითხარით და ახლაც გეუბნებით თქვენ:“
- ²⁶ბევრი მაქვს თქვენზე სათქმელი და განსასჯელი. მაგრამ ვინც მე მომავლინა, ჭეშმარიტია, და რაც მისგან მოვისმინე, იმას ვამბობ ქვეყნად.“
- ²⁷ვერ მიხვდნენ, რომ მამაზე ეუბნებოდა მათ.
- ²⁸უთხრა მათ იესომ: „როცა აამაღლებთ კაცის ძეს, მაშინ გაიგებთ, რომ ეს მე ვარ და არაფერს ვაკეთებ ჩემით, არამედ რაც მამამ მასწავლა, იმას ვლაპარაკობ.“
- ²⁹ვინც მე მომავლინა, ჩემთანაა, არ დამტოვა მარტო, რადგან მუდამ იმას ვაკეთებ, რაც მისთვის არის მოსაწონი.“
- ³⁰როდესაც ამას ამბობდა, ბევრმა ირწმუნა იგი.
- ³¹და უთხრა იესომ იმ იუდეველებს, რომლებიც ერწმუნენ მას: „თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები იქნებით,“
- ³²შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ.“
- ³³მიუგეს მას: „ჩვენ აბრაამის შთამომავალნი ვართ და არასოდეს არავისი მონები არ ვყოფილვართ; როგორღა ამბობ, გაგათავისუფლებთო?“
- ³⁴მიუგო მათ იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ყველა ცოდვის ჩამდენი ცოდვის მონაა.“



- ³⁵მაგრამ მონა არ რჩება სახლში საუკუნოდ, მე კი რჩება საუკუნოდ.
- ³⁶თუ მე გაგათავისუფლებთ, ნამდვილად თავისუფლები იქნებით.
- ³⁷ვიცი, რომ აბრაამის ნაშიერნი ხართ, მაგრამ ჩემი მოკვლა გინდათ, რადგან ჩემი სიტყვა ვერ ეტევა თქვენში.
- ³⁸მე იმას ვაუწყებ, რაც ჩემს მამასთან ვნახე, თქვენ კი აკეთებთ იმას, რაც თქვენი მამისაგან მოისმინეთ.“
- ³⁹მიუგეს და უთხრეს მას: „ჩვენი მამა აბრაამია!“ უთხრა მათ იესომ: „თქვენ რომ აბრაამის შვილები იყოთ, აბრაამის საქმეებს გააკეთებდით.
- ⁴⁰ახლა კი მე მეძებთ მოსაკლავად, ადამიანს, რომელმაც გითხარით ჭეშმარიტება, რაც ღმერთისაგან მოვისმინე. აბრაამს კი ასეთი რამ არ გაუკეთებია.
- ⁴¹თქვენ თქვენი მამის საქმეებს აკეთებთ.“ უთხრეს მას: „ჩვენ სიძვით შობილნი არა ვართ, ერთი მამა გვყავს – ღმერთი.”
- ⁴²უთხრა მათ იესომ: „ღმერთი რომ იყოს თქვენი მამა, მაშინ გეყვარებოდით მე, რადგან მე გამოვედი და მოვედი ღმერთისაგან, რადგან მე ჩემით კი არ მოვსულვარ, არამედ მან მომავლინა.
- ⁴³რატომ ვერ იგებთ ჩემს ნათქვამს? იმიტომ, რომ არ შეგიძლიათ ჩემი სიტყვების მოსმენა.
- ⁴⁴თქვენი მამა ეშმაკია და თქვენი მამის გულისთქმის შესრულება გწადიათ. ის კაცისმკვლელი იყო თავიდანვე და ჭეშმარიტებაში ვერ დადგა, რადგან არაა მასში ჭეშმარიტება. როდესაც სიცრუეს ამბობს, თავისას ამბობს, რადგან ცრუა იგი და სიცრუის მამა.
- ⁴⁵ხოლო რაკი მე ჭეშმარიტებას ვამბობ, არა გწამთ ჩემი.
- ⁴⁶რომელი თქვენგანი მამხილებს მე ცოდვის გამო? და თუ ჭეშმარიტებას ვამბობ, რატომ არა გწამთ ჩემი?
- ⁴⁷ვინც ღმერთისგანაა, ღმერთის სიტყვებს ისმენს. თქვენ იმიტომ არ ისმენთ, რომ ღმერთისგან არა ხართ.“
- ⁴⁸მაშინ მიუგეს იუდეველებმა და უთხრეს მას: „განა კარგად არ ვამბობთ, რომ შენ სამარიელი ხარ და ეშმაკია შენში?“
- ⁴⁹მიუგო იესომ: „ჩემში არ არის ეშმაკი, არამედ მე პატივს ვცემ ჩემს მამას, თქვენ კი უპატიოდ მყოფთ მე.
- ⁵⁰თუმცა მე არ ვეძებ ჩემს დიდებას. არის მძებნელი და განმსჯელი.



⁵¹ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ჩემს სიტყვას შეინახავს, იგი არ იხილავს სიკვდილს უკუნისამდე.“

⁵²უთხრეს მას იუდეველებმა: „ახლა კი მივხვდით, რომ ეშმაკი გყავს. აბრაამი და წინასწარმეტყველნი დაიხოცნენ, შენ კი ამბობ: ‘ვინც ჩემს სიტყვას ინახავს, უკუნისამდე არ იგემებს სიკვდილს.’“

⁵³ნუთუ შენ ჩვენს მამა აბრაამზე უდიდესი ხარ, რომელიც მოკვდა? წინასწარმეტყველნიც დაიხოცნენ. ვინ გგონია შენი თავი?“

⁵⁴მიუგო იესომ: „მე რომ ჩემს თავს განვადიდებდე, ჩემი დიდება არაფერი იქნებოდა. მე განმადიდებს ჩემი მამა, ვისზედაც ამბობთ, ჩვენი ღმერთი არისო.“

⁵⁵თქვენ ის ვერ გიცვნიათ, მე კი ვიცი ის. თუ ვიტყვი, რომ არ ვიცი იგი, თქვენისთანა ცრუ ვიქნები. მაგრამ ვიცი იგი და ვინახავ მის სიტყვას.

⁵⁶აბრაამი, თქვენი მამა, სიხარულით მოელოდა, რომ იხილავდა ჩემს დღეს, იხილა და გაიხარა.“

⁵⁷უთხრეს მას იუდეველებმა: „ჯერ 50 წლისაც არა ხარ და აბრაამი გიხილავს?“

⁵⁸უთხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვარ.“

⁵⁹მაშინ აიღეს ქვები მის ჩასაქოლად, მაგრამ იესო თვალს მიეფარა და გავიდა ტაძრიდან.

იოანეს 9

¹და რომ მიდიოდა, დაინახა კაცი, შობიდანვე ბრმა.

²ჰკითხეს მოწაფეებმა: „რაბი, ვინ შესცოდა, ამან თუ მისმა მშობლებმა, ბრმა რომ დაიბადა?“

³მიუგო იესომ: „არც მას შეუცოდავს და არც მის მშობლებს, არამედ, რათა ღმერთის საქმენი გამოცხადდეს მასზე.“

⁴ჩვენ უნდა ვაკეთოთ მისი საქმეები, ვინც მე მომავლინა, სანამ დღეა; მოდის ღამე, როდესაც ველარავინ შეძლებს კეთებას.

⁵სანამ ქვეყნად ვარ, მე ვარ ქვეყნიერების ნათელი.“

⁶ეს რომ თქვა, მიწაზე დაანერწყვა, ნერწყვით ტალახი აზილა და თვალებზე წაუსვა ბრმას.



⁷და უთხრა მას: „წადი და მოიბანე სილოამის საბანელში“ (რაც ნიშნავს: მოვლინებული). წავიდა, მოიბანა და მხედველი დაბრუნდა.

⁸მეზობლებმა და მათ, ვისაც ადრე ჰყავდათ ნანახი, რომ მათხოვარი იყო, თქვეს: „ეს ის არ არის, რომ იჯდა და თხოულობდა?“

⁹ერთნი ამბობდნენ: „სწორედ ისაა.“ სხვებმა თქვეს: „არა, მაგრამ მას ჰგავს.“ მან კი თქვა: „მე ვარ.“

¹⁰მაშინ უთხრეს მას: „როგორ აგეხილა თვალები?“

¹¹მიუგო მან: „კაცმა, რომელსაც ჰქვია იესო, ტალახი აზილა, წამისვა თვალებზე და მითხრა: ‘წადი სილოამს და მოიბანე.’ წავედი, მოვიბანე და ამეხილა თვალები.“

¹²და უთხრეს მას: „სადაა იგი?“ ამბობს: „არ ვიცი.“

¹³მიიყვანეს ფარისევლებთან ის კაცი, რომელიც წინათ ბრმა იყო.

¹⁴იყო ის დღე შაბათი, როდესაც იესომ ტალახი მოზილა და თვალები აუხილა.

¹⁵კვლავ ჰკითხეს მას ფარისევლებმაც, თუ როგორ აეხილა თვალები. უთხრა მათ: „ტალახი დამადო თვალებზე, მოვიბანე და ვხედავ.“

¹⁶თქვეს ზოგიერთებმა ფარისეველთაგან: „ეს კაცი არ არის ღმერთისაგან, რაკი შაბათს არ იცავს.“ სხვებმა კი თქვეს: „როგორ შეძლებდა ცოდვილი კაცი ასეთი სასწაულების მოხდენას?“ და იყო მათ შორის განხეთქილება.

¹⁷კვლავ ეუბნებიან მას, ადრე რომ ბრმა იყო: „შენ რას იტყვი იმაზე, თვალები ვინც აგეხილა?“ მან თქვა: „წინასწარმეტყველია.“

¹⁸არ დაიჯერეს იუდეველებმა, რომ ბრმა იყო და თვალები აეხილა, ვიდრე არ მოიხმეს თვალახელილის დედ-მამა.

¹⁹და ჰკითხეს მათ: „ეს არის თქვენი ძე, ვისზეც ამბობთ, რომ ბრმა დაიბადა? ახლა როგორღა ხედავს?“

²⁰მიუგეს მისმა მშობლებმა და თქვეს: „ვიცით, რომ ეს ჩვენი შვილია და ბრმა დაიბადა,

²¹მაგრამ ახლა როგორ ხედავს, არ ვიცით, ან ვინ აუხილა თვალები, არც ეგ ვიცით. მოწიფულია, მას ჰკითხეთ და თვითონ იტყვის თავის თავზე.“

²²ასე უთხრეს მისმა მშობლებმა, რაკი იუდეველების ეშინოდათ. რადგან უკვე შეთქმულნი იყვნენ იუდეველები, რომ სინაგოგიდან მოეკვეთათ ყველა, ვინც მას ქრისტედ აღიარებდა.

²³ამიტომ თქვეს მშობლებმა: „მოწიფულია, მას ჰკითხეთ.“



²⁴მეორედ დაუმახეს იმ კაცს, ბრმა რომ იყო, და უთხრეს: „მიაგე დიდება ღმერთს; ჩვენ ვიცით, რომ ცოდვილია ის კაცი.“

²⁵ხოლო მან მიუგო: „ცოდვილია თუ არა ის კაცი, არ ვიცი; მე ერთი რამ ვიცი: ბრმა ვიყავი და ახლა ვხედავ.“

²⁶და კვლავ უთხრეს მას: „რა გაგიკეთა, როგორ აგიხილა თვალები?“

²⁷მიუგო მათ: „მე უკვე გითხარით და არ მისმინეთ, რად გინდათ კვლავ მოსმენა? ან იქნებ თქვენც მის მოწაფეებად გახდომა გსურთ?“

²⁸მათ გალანძღეს იგი და თქვეს: „შენა ხარ მისი მოწაფე, ჩვენ კი მოსეს მოწაფეები ვართ.“

²⁹ჩვენ ვიცით, რომ მოსეს ელაპარაკებოდა ღმერთი. ეს კი არ ვიცით, საიდანაა.”

³⁰მიუგო კაცმა და უთხრა მათ: „საკვირველი სწორედ ისაა, რომ თქვენ არ იცით, საიდანაა იგი, მე კი თვალები ამიხილა.“

³¹ვიცით, რომ ცოდვილებს არ უსმენს ღმერთი, არამედ, ვინც ღმერთის მოშიშია და მის ნებას ასრულებს, მას უსმენს.

³²დასაბამიდან არ გაგონილა, რომ ვინმეს ბრმადშობილისთვის თვალები აეხილოს.

³³ის რომ ღმერთისაგან არ ყოფილიყო, ვერაფერს გააკეთებდა.“

³⁴მიუგეს და უთხრეს მას: „შენ მთლიანად ცოდვებში დაიბადე და ჩვენ გვასწავლი?“ და გარეთ გააგდეს იგი.

³⁵გაიგო იესომ, რომ გარეთ გააგდეს იგი, მონახა და უთხრა მას: „გწამს კაცის ძე?“

³⁶მიუგო მან და თქვა: „ვინაა იგი, უფალო, რომ ვიწამო?“

³⁷უთხრა იესომ: „შენ გინახავს იგი და ის არის, ვინც შენ გელაპარაკება.“

³⁸მან თქვა: „მწამს, უფალო.“ და თაყვანი სცა მას.

³⁹და თქვა იესომ: „განსასჯელად მოვედი ქვეყნიერებაზე, რათა ბრმებმა დაინახონ, მხედველნი კი დაბრმავდნენ.“

⁴⁰გაიგონა მასთან მყოფმა ზოგიერთმა ფარისეველმა ეს და უთხრა მას: „ნუთუ ჩვენც ბრმები ვართ?“

⁴¹უთხრა მათ იესომ: „ბრმები რომ ყოფილიყავით, ცოდვა არ გექნებოდათ, მაგრამ რაკი ამბობთ, თვალებილულნი ვართო, გრჩებათ თქვენი ცოდვა.“



იოანეს 10

- ¹ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: „ვინც კარიდან არ შედის ცხვრის ფარეხში და სხვა გზით გადადის, ქურდია და ავაზაკი.
- ²ვინც კარიდან შედის, მწყემსია იგი ცხვრებისა.
- ³მას უღებს მეკარე და ცხვრებს ესმით მისი ხმა; იგი სახელით მოუხმობს თავის ცხვრებს და გამოჰყავს ისინი.
- ⁴როდესაც ყველა თავისას გამოიყვანს, მიუძღვის მათ წინ და ცხვრები მისდევენ მას, რადგან იცნობენ მის ხმას.
- ⁵უცხოვს კი არ გაჰყვებიან, გაექცევიან მას, რადგან უცხოვს ხმას არ იცნობენ.“
- ⁶ეს იგავი უთხრა მათ იესომ. მათ კი ვერ გაიგეს, რას ეუბნებოდა.
- ⁷კვლავ უთხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მე ვარ კარი ცხვრებისა.
- ⁸ყველა, ვინც ჩემზე ადრე მოვიდა, ქურდი იყო და ავაზაკი, და ცხვრებმა არ უსმინეს მათ.
- ⁹მე ვარ კარი: ვინც ჩემით შედის, ჰპოვებს ხსნას, და შევა და გამოვა, და ჰპოვებს საძოვარს.
- ¹⁰ქურდი კი მხოლოდ იმისთვის მოდის, რომ მოიპაროს, მოკლას და მოსპოს. ხოლო მე იმისთვის მოვედი, რომ სიცოცხლე ჰქონდეთ მათ, და უხვად ჰქონდეთ.
- ¹¹მე ვარ მწყემსი კეთილი. მწყემსი კეთილი თავის სულს გასწირავს ცხვრებისთვის.
- ¹²მოჯამაგირე კი, რომელიც არ არის მწყემსი და არც ცხვრები ეკუთვნის, მოსული მგლის დანახვაზე ტოვებს ცხვრებს და გარბის. მგელი კი იტაცებს მათ და ფანტავს.
- ¹³მოჯამაგირე კი გარბის, რადგან მოჯამაგირეა იგი და არ ზრუნავს ცხვრებზე.
- ¹⁴მე ვარ მწყემსი კეთილი. მე ვიცნობ ჩემებს და ჩემები მიცნობენ მე,
- ¹⁵როგორც მამა მიცნობს მე და მე ვიცნობ მამას. და ჩემს სამშვინველს ვდებ ცხვრებისთვის.
- ¹⁶მყავს მე სხვა ცხვრებიც, არა ამ ფარეხისა. მე ისინიც უნდა მოვიყვანო და მოისმენენ ჩემს ხმას და იქნება ერთი სამწყსო და ერთი მწყემსი.



¹⁷იმიტომ ვუყვარვარ მამას, რომ მე ჩემს სამშვიინველს ვდებ, რათა კვლავ მივიღო იგი.

¹⁸ვერაგინ წამართმევს მას, არამედ მე თვითონ ვდებ მას. მაქვს ხელმწიფება მის დასადებად და მაქვს ხელმწიფება კვლავ მის მისაღებად. ეს მცნება ჩემი მამისაგან მაქვს მიღებული.“

¹⁹ამ სიტყვების გამო კვლავ ჩამოვარდა განხეთქილება იუდეველთა შორის.

²⁰ბევრმა მათგანმა თქვა: „ემშაკეულია იგი და შეშლილი. რისთვის უსმენთ მას?“

²¹სხვებმა თქვეს: „ეს სიტყვები ემშაკეულისა არ არის. განა შეუძლია ემშაკს ბრმას თვალი აუხილოს?“

²²მაშინ სატფურების დღესასწაული იყო იერუსალიმში, ზამთარი იდგა.

²³და მიმოდოდა იესო ტაძარში, სოლომონის სტოაში.

²⁴შემოეხვივნენ მას იუდეველნი და უთხრეს: „როდემდე უნდა გვაეჭვებდე? თუ ქრისტე ხარ, გვითხარი ცხადად.“

²⁵მიუგო მათ იესომ: „გითხარით და არ ირწმუნეთ. ჩემი საქმეები, ჩემი მამის სახელით რომ ვაკეთებ, მოწმობენ ჩემზე.

²⁶მაგრამ თქვენ არ გჯერათ, რადგან ჩემი ცხვრებისანი არა ხართ, როგორც გითხარით.

²⁷ჩემს ცხვრებს ჩემი ხმა ესმით, და მე ვიცნობ მათ, და ისინი მე მომყვებიან.

²⁸მე მათ საუკუნო სიცოცხლეს ვაძლევ და არ დაიღუპებიან უკუნისამდე, და ხელიდან ვერაგინ გამომტაცებს მათ.

²⁹ჩემი მამა, რომელმაც მომცა ისინი, ყველაზე დიდია და არავის ძალუძს მათი გატაცება ჩემი მამის ხელიდან.

³⁰მე და მამა ერთი ვართ.“

³¹კვლავ აიღეს იუდეველებმა ქვები მის ჩასაქოლად.

³²მიუგო მათ იესომ: „ბევრი კარგი საქმე გაჩვენეთ მამისაგან, რომელი ამ საქმეთაგანისთვის მქოლავთ?“

³³მიუგეს მას იუდეველებმა: „კეთილი საქმისთვის კი არ გქოლავთ, არამედ ღმერთის გმობისთვის და იმისთვის, რომ კაცი ხარ და ღმერთად მოგაქვს თავი.“

³⁴მიუგო მათ იესომ: „განა თქვენს რჯულში არ წერია: ‘მე ვთქვი: ღმერთები ხართ თქვენ’?



³⁵თუ ღმერთები უწოდა მათ, ვის მიმართაც ღმერთის სიტყვა იყო, – ხოლო წერილი არ ირღვევა –

³⁶მას, რომელიც მამამ განწმიდა და მოავლინა ქვეყნიერებაზე, ეუბნებით: ‘ღმერთსა გმოზ,’ რაკი ვთქვი, რომ ღმერთის ძე ვარ?

³⁷თუ ჩემი მამის საქმეებს არ ვაკეთებ, ნუ მერწმუნებით.

³⁸ხოლო თუ ვაკეთებ და არ მერწმუნებით, საქმეებს მაინც ერწმუნეთ, რათა გაიგოთ და იცოდეთ, რომ მამა ჩემშია და მე მამაში ვარ.“

³⁹კვლავ შეეცადნენ მის შეპყრობას, მაგრამ გაეცალათ ხელიდან.

⁴⁰წავიდა კვლავ იორდანეს გაღმა, იმ ადგილას, სადაც წინათ ნათელს-სცემდა იოანე, და იქ დარჩა.

⁴¹ბევრნი მოდიოდნენ მასთან და ამბობდნენ, რომ იოანეს არ მოუხდენია არც ერთი სასწაული, მაგრამ ყველაფერი, რაც იოანემ თქვა მასზე, ჭეშმარიტია.

⁴²და ბევრი ერწმუნა მას იქ.

იოანეს 11

¹იყო ვინმე ავადმყოფი, ლაზარე ბეთანიდან, მარიამისა და მისი დის, მართას, დაბიდან.

²ეს ის მარიამი იყო, რომელმაც უფალს ნელსაცხელებელი სცხო და ფეხები თავისი თმებით შეუმშრალა; და მისი ძმა, ლაზარე, ავად იყო.

³გაუგზავნეს მისმა დებმა კაცი და შეუთვალეს: „უფალო, აჰა, ვინც შენ გიყვარს, ავადა.“

⁴როდესაც იესომ ეს მოისმინა, თქვა: „ეს სნეულება სასიკვდილო არ არის, არამედ ღმერთის სადიდებლადაა, რათა განდიდდეს ძე ღმერთისა მისგან.“

⁵იესოს უყვარდა მართა, მისი და და ლაზარე.

⁶როდესაც გაიგო, რომ ავად იყო, ორი დღე დარჩა იმ ადგილზე, სადაც იმყოფებოდა.

⁷ამის შემდეგ ეუბნება მოწაფეებს: „ავდგეთ და კვლავ იუდეაში წავიდეთ.“

⁸უთხრეს მას მოწაფეებმა: „რაბი, იუდეველები ახლახანს შენს ჩაქოლვას ცდილობდნენ და კიდევ იქ მიდიხარ?“

⁹მიუგო იესომ: „თორმეტი საათი არ არის დღეში? ვინც დღისით დადის, არ წაიბორძიკებს, რადგან ქვეყნიერების ნათელსა ხედავს.



- ¹⁰დამით მოარული კი წაიბოძიკებს, რადგან ნათელი არ არის მასში.“
- ¹¹ეს თქვა და მერე ეუბნება მათ: „ლაზარე, ჩვენმა მეგობარმა, დაიძინა, მაგრამ მე მის გასაღვიძებლად მივდივარ.“
- ¹²უთხრეს მას მოწაფეებმა: „უფალო, თუ დაიძინა, გამოკეთდება.“
- ¹³იესომ მის სიკვდილზე თქვა, მათ კი ეგონათ, რომ ძილით დაძინებაზე ამბობდა.
- ¹⁴მაშინ უთხრა მათ იესომ ცხადად: „ლაზარე მოკვდა.
- ¹⁵და მიხარია თქვენს გამო, რომ იქ არ ვიყავი, რათა ირწმუნოთ. მაგრამ მოდით, წავიდეთ მასთან.“
- ¹⁶მაშინ უთხრა თომამ (რომელსაც ტყუპი ერქვა) თანამოწაფეებს: „ჩვენც წავყვით, რათა მასთან ერთად დავიხოცოთ.“
- ¹⁷და როდესაც იესო მივიდა, ნახა, რომ ის უკვე ოთხი დღის დამარხული იყო.
- ¹⁸ბეთანია ახლოს იყო იერუსალიმიდან, თხუთმეტიოდე სტადიონის მანძილზე.
- ¹⁹და ბევრნი მოვიდნენ იუდეველთაგან მართასთან და მარიამთან, რათა ენუგეშებინათ ისინი ძმის გამო.
- ²⁰როდესაც გაიგო მართამ, იესო მოდისო, შეეგება მას. მარიამი კი შინ იჯდა.
- ²¹მართამ უთხრა იესოს: „უფალო, აქ რომ ყოფილიყავი, არ მოკვდებოდა ჩემი ძმა.
- ²²მაგრამ ახლაც ვიცი, რომ რასაც სთხოვ ღმერთს, მოგცემს.“
- ²³ეუბნება მას იესო: „შენი ძმა აღდგება.“
- ²⁴ეუბნება მას მართა: „ვიცი, რომ აღდგება აღდგომისას, უკანასკნელ დღეს.“
- ²⁵უთხრა მას იესომ: „მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე. ვინც მე მიწამებს, კიდევ რომ მოკვდეს, იცოცხლებს.
- ²⁶ყველა, ვინც ცოცხალია და მე მიწამებს, არ მოკვდება უკუნისამდე. გწამს ეს?“
- ²⁷ეუბნება მას: „დიახ, უფალო, მწამს, რომ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმერთისა, ამ ქვეყნად მომავალი.“
- ²⁸ეს რომ თქვა, წავიდა, მოუხმო თავის დას, მარიამს, და ჩუმად უთხრა: „მოდღვარი აქ არის და გიხმობს შენ.“
- ²⁹როგორც კი ეს გაიგონა მან, სასწრაფოდ წამოდგა და წავიდა მასთან.



³⁰იესო ჯერ დაბაში არ იყო შესული, იმავე ადგილას იდგა, სადაც მართა შეეგება.

³¹იუდეველები, რომლებიც მასთან იყვნენ სახლში და ანუგეშებდნენ, როდესაც დაინახეს, რომ მარიამი სასწრაფოდ წამოდგა და გავიდა, გაჰყვნენ უკან, ეგონათ, სამარხისკენ მიდიოდა სატირლად.

³²მარიამი მივიდა იქ, სადაც იესო იყო და რომ იხილა იგი, დაემხო მის ფეხთით და უთხრა: „უფალო, შენ აქ რომ ყოფილიყავი, არ მოკვდებოდა ჩემი ძმა.“

³³როდესაც იესომ დაინახა, რომ ტიროდა იგი და მასთან ერთად მოსული იუდეველებიც ტიროდნენ, სულით შეიძრა და აღელდა,

³⁴და უთხრა: „სად დაასვენეთ იგი?“ ეუბნებიან: „უფალო, მოდი და ნახე.“

³⁵და აცრემლდა იესო.

³⁶თქვეს იუდეველებმა: „ნახე, როგორ ჰყვარებია.“

³⁷ზოგიერთმა მათგანმა კი თქვა: „ნუთუ ბრძის თვალის ამხელს არ შეეძლო ისე გაეკეთებინა, რომ ეს არ მომკვდარიყო?“

³⁸იესო კი, კვლავაც სულით შეძრული, მივიდა სამარხთან. ეს იყო გამოქვაბული, რომელსაც ლოდი ჰქონდა მიფარებული.

³⁹ამბობს იესო: „აიღეთ ლოდი.“ ეუბნება მას მიცვალებულის და, მართა: „უფალო, უკვე ყარს, რადგან მეოთხე დღეა, რაც დავმარხეთ.“

⁴⁰ეუბნება მას იესო: „განა არ გითხარი, თუ ირწმუნებ, ღმერთის დიდებას იხილავ?“

⁴¹აიღეს ლოდი. იესომ თვალები მაღლა ალაპყრო და თქვა: „მამაო, გმადლობ, რომ მისმინე.“

⁴²მე ვიცოდი, რომ ყოველთვის მისმენ. მხოლოდ გარს შემოკრებილი ხალხის გასაგონად ვთქვი, რათა ირწმუნონ, რომ შენ მომავლინე მე.“

⁴³ეს თქვა და დიდი ხმით შესძახა: „ლაზარე, გამოდი გარეთ!“

⁴⁴გამოვიდა მიცვალებული, ხელ-ფეხი სახვევებით ჰქონდა შეკრული და სახეც სუდარით ჰქონდა დაფარული. ეუბნება მათ იესო: „გახსენით და გაუშვით, იაროს.“

⁴⁵მაშინ იუდეველთაგან ბევრმა, რომლებიც მოვიდნენ მარიამთან და იხილეს, რაც მან მოახდინა, ირწმუნა იგი.

⁴⁶ზოგიერთი მათგანი კი წავიდა ფარისევლებთან და უამბო, რაც მოახდინა იესომ.



⁴⁷შეკრიბეს მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა სინედრიონი და თქვეს: „რა ვქნათ, ეს კაცი რომ ბევრ სასწაულს ახდენს?“

⁴⁸თუ მივუშვებთ თავის ნებაზე, ყველა ირწმუნებს მას. მოვლენ რომაელები და წაგვართმევენ ჩვენს მიწასაც და ხალხსაც.“

⁴⁹ერთმა მათგანმა, კაიაფამ, რომელიც მღვდელმთავრობდა იმ წელიწადს, უთხრა მათ: „თქვენ არაფერი გაგეგებათ,

⁵⁰ვერ მოგიფიქრებიათ, რომ გვიჯობს ერთი ადამიანი მოკვდეს ხალხისთვის, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოს.“

⁵¹ეს თავისით არ უთქვამს, არამედ მღვდელმთავარი იყო იმ წელიწადს და იწინასწარმეტყველა, რომ იესო ერისთვის მოკვდებოდა.

⁵²და არა მარტო ერისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ ღმერთის გაფანტული შვილები შეეკრიბა ერთად.

⁵³იმ დღიდან გადაწყვიტეს, მოეკლათ იგი.

⁵⁴ამის შემდეგ აღარ უვლია იესოს იუდეველთა შორის გაცხადებულად, არამედ გაეცალა იქაურობას უდაბნოს მახლობელ მხარეში, ქალაქში, რომელსაც ეფრაიმი ეწოდება, და დარჩა იქ მოწაფეებთან ერთად.

⁵⁵ახლოვდებოდა იუდეველთა პასექი და მთელი ქვეყნიდან ბევრნი პასექამდე ავიდნენ იერუსალიმში განსაწმედად.

⁵⁶და ეძებდნენ იესოს და ტაძარში მდგომნი ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „როგორ ფიქრობთ, არ მოვა ის დღესასწაულზე?“

⁵⁷მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა კი განკარგულება გასცეს, რომ ვინც შეიტყობდა, სად იყო, ეცნობებინათ, რათა შეეპყროთ იგი.

ოთხეტი 12

¹პასექამდე ექვსი დღით ადრე მივიდა იესო ბეთანიაში, სადაც იყო ლაზარე, რომელიც იესომ აღადგინა მკვდრეთით.

²გაუმართეს მას იქ პურობა და მართა ემსახურებოდა, ლაზარე კი მისი ერთ-ერთი თანამეინახე იყო.

³მარიამმა აიღო ერთი ლიტრა სუფთა, ძვირად ღირებული ნარდის ნელსაცხებელი, ფეხებზე სცხო იესოს და თავისი თმებით შეუმშრალა ფეხები. სახლი ნელსაცხებლის სურნელებით აივსო.

⁴თქვა იუდა ისკარიოტელმა, ერთმა მის მოწაფეთაგანმა, რომელსაც გულში ჰქონდა მისი გაცემა:



⁵„რატომ არ გაიყიდა ეს ნელსაცხებელი სამას დინარად და ღარიბებს არ დაურიგდა?“

⁶ეს იმიტომ კი არ თქვა, რომ ღარიბებზე ზრუნავდა, არამედ იმიტომ, რომ ქურდი იყო, ყულაბა მას ებარა და ხანდახან იღებდა თავისთვის შიგ ჩაყრილს.

⁷თქვა იესომ: „დაანებე თავი, მან ჩემი დამარხვის დღისთვის გადაინახა ეს.

⁸რადგან ღარიბები მუდამ თქვენთან არიან, მე კი ყოველთვის თქვენთან არა ვარ.“

⁹იუდეველთაგან ბევრმა გაიგო, რომ ის იქ იყო, და მოვიდნენ არა მარტო იესოს გამო, არამედ ლაზარეს სანახავადაც, რომელიც მან მკვდრეთით აღადგინა.

¹⁰მღვდელმთავრებმა გადაწყვიტეს, რომ ლაზარეც მოეკლათ,

¹¹რადგან ლაზარეს გამო ბევრი იუდეველი მოდიოდა და ერწმუნებოდა იესოს.

¹²მეორე დღეს, დღესასწაულზე მოსულმა მრავალმა ხალხმა რომ გაიგო, იესო იერუსალიმში მიდისო,

¹³აიღეს ფინიკის პალმის რტოები, მის შესაგებებლად გამოვიდნენ და იმახდანენ: „ოსანა! კურთხეულ არს უფლის სახელით მომავალი – მეფე ისრაელისა!“

¹⁴იპოვა იესომ ჩოჩორი და ზედ შეჯდა, როგორც დაწერილია:

¹⁵„ნუ გეშინია, სიონის ასულო! აჰა, შენი მეფე მოდის ჩოჩორზე მჯდომარე.“

¹⁶ეს ვერ გაიგეს მოწაფეებმა პირველად, მაგრამ, როდესაც იესო განდიდა, მაშინ გაიხსენეს, რომ ეს მასზე იყო დაწერილი, და ასე მოექცნენ მას.

¹⁷და მოწმობდა მის შესახებ ის ხალხი, რომელიც მასთან იყო, როდესაც ლაზარეს მოუწოდა სამარხიდან და მკვდრეთით აღადგინა.

¹⁸იმიტომ ეგებებოდა მას ხალხი, რაკი გაგონილი ჰქონდა, რომ ეს სასწაული მოახდინა.

¹⁹ფარისევლებმა კი ერთმანეთს უთხრეს: „ხედავთ, რომ ველარაფერს ხდებით? მთელი ქვეყანა მას მიჰყვება.“

²⁰იყვნენ იქ ბერძნებიც ამოსულთაგან, რომ თაყვანი ეცათ დღესასწაულზე.

²¹მივიდნენ ისინი ფილიპესთან, რომელიც გალილეის ბეთსაიდიდან იყო, სთხოვეს და უთხრეს: „ბატონო, იესოს ნახვა გვსურს.“



²²მივიდა ფილიპე და უთხრა ანდრიას. და მივიდნენ ანდრია და ფილიპე და უთხრეს იესოს.

²³იესომ მიუგო მათ და უთხრა: „მოვიდა ჟამი, რომ განდიდდეს კაცის ძე.

²⁴ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ მიწაში ჩავარდნილი ხორბლის მარცვალი არ მოკვდა, მარტო დარჩება; და თუ მოკვდა, ბევრ ნაყოფს გამოიღებს.

²⁵ვისაც თავისი სამშვინველი უყვარს, დაკარგავს მას; ხოლო ვისაც თავისი სამშვინველი სძულს ამ ქვეყნად, საუკუნო სიცოცხლისათვის შეინახავს მას.

²⁶ვინც მე მემსახურება, გამომყვეს მე; და სადაც მე ვარ, ჩემი მსახურიც იქ იქნება. და ვინც მე მემსახურება, მას პატივს მიაგებს მამა.

²⁷ახლა წუხს ჩემი სული; და რა ვთქვა – მამაო, მიხსენი ამ ჟამისაგან? მაგრამ მე ამისთვის მოვედი ამ ჟამს.

²⁸მამაო, განადიდე სახელი შენი!“ და მოვიდა ზეციდან ხმა: „განვადიდე და კვლავაც განვადიდებ!“

²⁹იქ მდგომმა ხალხმა ამის გაგონებაზე თქვა: ქუხილიაო. სხვებმა კი თქვეს: ანგელოზი ელაპარაკებოდაო.

³⁰მიუგო იესომ და თქვა: „ჩემთვის კი არ იყო ეს ხმა, არამედ თქვენთვის.

³¹ახლაა ქვეყნიერების სამსჯავრო; ახლა განიდევენება ქვეყნიერების მთავარი გარეთ.

³²და როდესაც ავმაღლდები დედამიწიდან, ყველას ჩემთან მოვიზიდავ.“

³³ამას იმის მისანიშნებლად ამბობდა, თუ როგორი სიკვდილით აპირებდა სიკვდილს.

³⁴მიუგო მას ხალხმა: „რჯულიდან გაგვიგონია, რომ ქრისტე უკუნისამდე რჩება. როგორღა ამბობ, კაცის ძე უნდა ამაღლდესო? ვინაა ეს კაცის ძე?“

³⁵უთხრა მათ იესომ: „კიდევ მცირე ხანს არის თქვენს შორის ნათელი. იარეთ, სანამ ნათელი გაქვთ, რათა ბნელმა არ მოგიცვათ. ბნელში მოარულმა არ იცის, საით მიდის.

³⁶სანამ ნათელი გაქვთ, იწამეთ ნათელი, რათა იყოთ ძენი ნათლისა.“ ეს თქვა იესომ, და წავიდა და თვალს მიეფარა.

³⁷ამდენი სასწაული მოახდინა მათ წინაშე და მაინც არ ერწმუნენ მას,

³⁸რათა აღსრულებულიყო ესაია წინასწარმეტყველის სიტყვა, რომელმაც თქვა: „უფალო, ვინ ირწმუნა ჩვენი უწყება და ვის გამოეცხადა უფლის მკლავი?“



³⁹ იმიტომაც ვერ ირწმუნეს, რომ, როგორც კიდევ თქვა ესაიამ:

⁴⁰ „თვალები დაუბრმავა და გული დაუხშო მათ, რათა თვალით ვერ ეხილათ და გულით ვერ მიმხვდარიყვნენ და არ მოქცეულიყვნენ, რომ განმეკურნა ისინი.“

⁴¹ ეს თქვა ესაიამ, რაკი იხილა მისი დიდება, და მასზე ლაპარაკობდა ის.

⁴² თუმცა ბევრი მთავარიც ერწმუნა მას, მაგრამ ფარისეველთა გამო ვერ აღიარებდნენ, რათა სინაგოგიდან არ მოეკვეთათ.

⁴³ რადგან ადამიანთა დიდება უფრო უყვარდათ, ვიდრე ღმერთის დიდება.

⁴⁴ იესომ შელადა და თქვა: „ვისაც ჩემი სწამს, ჩემი კი არ სწამს, არამედ მისი, ვინც მე მომავლინა,

⁴⁵ და ვინც მე მხედავს, ხედავს მას, ვინც მე მომავლინა.

⁴⁶ მე, ნათელი, მოვედი ქვეყანაზე, რათა არც ერთი ჩემი მორწმუნე ბნელში არ დარჩეს.

⁴⁷ და თუ ვინმე მოისმენს ჩემს სიტყვებს და არ დაიცავს, მე არ განვსჯი მას, რადგან ქვეყნიერების განსასჯელად კი არ მოვედი, არამედ ქვეყნიერების სახსნელად.

⁴⁸ ვინც მე უარყოფს და არ იწყნარებს ჩემს სიტყვებს, ჰყავს განმსჯელი. სიტყვა, რომელიც წარმოვთქვი, განსჯის მას უკანასკნელ დღეს.

⁴⁹ რადგან მე ჩემგან კი არ მილაპარაკია, არამედ ჩემმა მომავლინებელმა მამამ მომცა მცნება, რა ვთქვა და რა ვილაპარაკო.

⁵⁰ და მე ვიცი, რომ მისი მცნება საუკუნო სიცოცხლეა. ამიტომ, რასაც ვამბობ, როგორც მამამ მითხრა, ისე ვამბობ.“

იოანეს 13

¹ პასექის დღესასწაულის წინ იცოდა იესომ, რომ დადგა ქვეყნიერებიდან მამასთან მისი გადასვლის ჟამი, შეიყვარა რა თავისიანები, რომლებიც ამ ქვეყნად იყვნენ, და ბოლომდე შეიყვარა ისინი.

² სერობის დროს, როდესაც ეშმაკმა უკვე ჩაუდო გულში იუდას, სიმონ ისკარიოტელის ძეს, მისი გაცემა,

³ იესომ, იცოდა რა, რომ მამამ ყველაფერი მისცა მას ხელთ და რომ ღმერთისაგან გამოვიდა და ღმერთთან მიდის,

⁴ წამოდგა სერობიდან, გაიხადა ზედა სამოსი, აიღო ტილო და წელზე შემოირტყა.



⁵შემდეგ ჩაასხა წყალი საბანელში და დაუწყო მოწაფეებს ფეხთა ბანა და იმ ტილოთი შემშრალება, წელზე რომ ერტყა.

⁶როდესაც მივიდა სიმონ-პეტრესთან, მან უთხრა: „უფალო, შენ უნდა დამბანო ფეხები?“

⁷მიუგო იესომ და უთხრა მას: „რასაც ვაკეთებ, ახლა ვერ მიხვდები, მერე კი გაიგებ.“

⁸ეუბნება მას პეტრე: „უკუნისამდე არ დამბან ფეხებს!“ მიუგო იესომ: „თუ არ დაგბან, ჩემთან არ გექნება წილი.“

⁹ეუბნება მას სიმონ-პეტრე: „უფალო, მარტო ფეხები კი არა, არამედ ხელებიც და თავიც!“

¹⁰ეუბნება მას იესო: „განბანილს აღარ სჭირდება დაბანა, მხოლოდ ფეხებისა, რადგან ის მთლიანად სუფთაა და თქვენც სუფთანი ხართ, ოღონდ ყველა არა.“

¹¹რადგან იცოდა, ვინც გასცემდა. ამიტომ თქვა: „ყველანი არა ხართ სუფთა.“

¹²ფეხები რომ დაბანა მათ და თავისი სამოსი აიღო და კვლავ დაჯდა, უთხრა მათ: „იცით რა გიყავით?“

¹³თქვენ მე მიწოდებთ მოძღვარს და უფალს, და სწორად ამბობთ, რადგან მე ვარ.

¹⁴ამიტომ, თუკი მე, უფალმა და მოძღვარმა, დაგბანეთ ფეხები, თქვენც ერთმანეთს უნდა დაბანოთ ფეხები.

¹⁵რადგან მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე მოგექეცით, თქვენც ისე მოიქცეთ.

¹⁶ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ არის მონა თავის ბატონზე დიდი და მოვლინებული – მომავლინებელზე დიდი.

¹⁷რაკი ეს იცით, ნეტარნი ხართ, თუ ამას აღასრულებთ.

¹⁸ყველა თქვენგანზე არ ვამბობ. მე ვიცი, ვინც ამოვირჩიე, მაგრამ უნდა აღსრულდეს წერილი: ‘ჩემთან პურის მჭამელმა აღმართა ჩემზე ქუსლი.’

¹⁹ახლა გეუბნებით, სანამ ეს ახდებოდეს, რათა, როდესაც ახდება, ირწმუნოთ, რომ მე ვარ.

²⁰ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც მიიღებს იმას, ვისაც მე მივაველენ, მე მიმიღებს, ხოლო ვინც მე მიმიღებს, ჩემს მომავლინებელს მიიღებს.“



- ²¹ ამის თქმის შემდეგ აღიძრა იესო სულით, დაამოწმა და თქვა: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ერთი თქვენგანი გამცემს მე.“
- ²² გადახედეს მოწაფეებმა ერთმანეთს გაოგნებულებმა, ვისზე თქვაო.
- ²³ იესოს უბეს მიყრდნობოდა ერთი მოწაფეთაგანი, რომელიც უყვარდა იესოს.
- ²⁴ სიმონ-პეტრემ ანიშნა მას, რათა ეკითხა, ვინ არის, ვისზეც თქვა.
- ²⁵ ხოლო იგი მიეყრდნო იესოს მკერდზე და ეუბნება: „უფალო, ვინ არის?“
- ²⁶ მიუგო იესომ: „ეს ისაა, ვისაც ამოვუწებ ლუკმას და მივცემ.“ ამოაწო ლუკმა, აიღო და მისცა იუდას, სიმონის ძეს, ისკარიოტელს.
- ²⁷ ამ ლუკმის შემდეგ სატანა შევიდა მასში. ეუბნება მას იესო: „რასაც აკეთებ, მალე გააკეთე.“
- ²⁸ მაგრამ მეინახეთაგან ვერავინ მიხვდა, რად უთხრა ეს.
- ²⁹ რაკი ყულაბა ჰქონდა იუდას, ზოგიერთმა იფიქრა, რომ იესო ეუბნება: „სადღესასწაულოდ გვიყიდე, რაც გვჭირდება;“ ან: „ღარიბებს დაურიგე.“
- ³⁰ ის კი ლუკმის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ გავიდა. და იყო ღამე.
- ³¹ ხოლო როდესაც გავიდა, იესომ თქვა: „ახლა განდიდდა კაცის ძე და ღმერთი განდიდდა მასში.“
- ³² რაკი ღმერთი განდიდდა მასში, ღმერთიც განადიდებს მას თავისთან და მალე განადიდებს მას.
- ³³ შვილებო, კიდევ მცირე ხანსაა ვარ თქვენთან. ძებნას დამიწყებთ და როგორც იუდეველებს ვუთხარი: ‘სადაც მივდივარ, თქვენ ვერ შეძლებთ იქ მოსვლას,’ – თქვენც იმასვე გეუბნებით ახლა.
- ³⁴ ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ: გიყვარდეთ ერთმანეთი. როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი.
- ³⁵ იმით გაიგებს ყველა, რომ ჩემი მოწაფენი ხართ, თუ ერთმანეთის სიყვარული გექნებათ.“
- ³⁶ ეუბნება მას სიმონ-პეტრე: „უფალო, სად მიდიხარ?“ მიუგო მას იესომ: „ახლა ვერ გამომყვები მე, სადაც მივდივარ, მერე კი გამომყვები.“
- ³⁷ ეუბნება მას პეტრე: „უფალო, ახლავე რატომ ვერ გამოგყვები? სულს დავდებ შენთვის.“
- ³⁸ მიუგო იესომ: „სულს დადებ ჩემთვის? ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ჯერ მამალს ნაყივლი არ ექნება, რომ სამჯერ უარმყოფ მე.“



იოანეს 14

- ¹„ნუ შეკრთება თქვენი გული. იწამეთ ღმერთი და მიწამეთ მე.
- ²ჩემი მამის სახლში ბევრი სავანება. ასე რომ არ იყოს, არ გეტყოდით: მე მივდივარ, რათა ადგილი გაგიმზადოთ თქვენ.
- ³და როდესაც წავალ და ადგილს გაგიმზადებთ, ისევ მოვალ და წაგიყვანთ ჩემთან, რათა, სადაც მე ვარ, თქვენც იქ იყოთ.
- ⁴სადაც მე მივდივარ, თქვენ იცით გზა.”
- ⁵ეუბნება მას თომა: „უფალო, არ ვიცით, სად მიდიხარ, და როგორ გვეცოდინება გზა?“
- ⁶ეუბნება მას იესო: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. ვერავინ მივა მამასთან, თუ არა ჩემი მეშვეობით.
- ⁷მე რომ მიცნობდეთ, ჩემი მამაც გეცოდინებოდათ. ამიერიდან იცით ის და გინახავთ იგი.“
- ⁸ეუბნება მას ფილიპე: „უფალო, გვიჩვენე მამა და საკმარისია ჩვენთვის.“
- ⁹ეუბნება მას იესო: „ფილიპე, ამდენი ხანია თქვენთან ვარ და ვერ მიცნობ მე? ვინც მე მიხილა, მან მამაც იხილა. როგორღა ამბობ, გვიჩვენე მამა?
- ¹⁰არა გწამს, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემშია? სიტყვებს, რომელთაც გეუბნებით, ჩემგან არ ვამბობ, არამედ მამა, რომელიც ჩემშია, აკეთებს თავის საქმეებს.
- ¹¹მერწმუნეთ, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემშია. თუ არა და, თვით საქმეებს მაინც ერწმუნეთ.
- ¹²ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვისაც ჩემი სწამს, იმ საქმეებს, რასაც მე ვაკეთებ, თავადაც გააკეთებს, და მათზე დიდსაც გააკეთებს, რადგან მე მამასთან მივდივარ.
- ¹³და რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, იმას ვიქმ, რათა განდიდდეს მამა ძეში.
- ¹⁴თუ რამეს ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ.
- ¹⁵თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებანი დაიცავით.
- ¹⁶და მე შევევედრები მამას და ის მოგივლენთ სხვა ნუგეშისმცემელს, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ,
- ¹⁷ჭეშმარიტების სულს, რომლის მიღებაც არ შეუძლია ქვეყნიერებას, რადგან ვერ ხედავს და არ იცნობს მას. თქვენ კი იცნობთ მას, რადგან თქვენთან დარჩება და თქვენში იქნება.



- ¹⁸ოზლად არ დაგტოვებთ, მოვალ თქვენთან.
- ¹⁹კიდევ ცოტაც, და ქვეყნიერება ველარ მიხილავს მე, თქვენ კი მიხილავთ მე, რადგან მე ცოცხალი ვარ და თქვენც იცოცხლებთ.
- ²⁰იმ დღეს გაიგებთ, რომ მე ჩემს მამაში ვარ და თქვენ ჩემში, და მე თქვენში.
- ²¹ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, მას ვუყვარვარ მე, ჩემს მოყვარულს კი ჩემი მამაც შეიყვარებს. მეც შევიყვარებ მას და მე თავად გამოვეცხადები მას.“
- ²²ეუბნება მას იუდა, არა ისკარიოტელი: „უფალო, რას ნიშნავს ეს, რომ შენ ჩვენ გამოგვეცხადები და არა ქვეყნიერებას?“
- ²³მიუგო იესომ და უთხრა მას: „ვისაც მე ვუყვარვარ, ის ჩემს სიტყვას დაიცავს და ჩემი მამაც შეიყვარებს მას. და ჩვენ მივალთ და მასთან დავივანებთ.
- ²⁴ვისაც არ ვუყვარვარ, არ იცავს ჩემს სიტყვებს. სიტყვა, რომელსაც ისმენთ, ჩემი კი არ არის, არამედ ჩემი მომავლინებელი მამისა.
- ²⁵ეს გითხარით თქვენ თქვენთან ყოფნისას,
- ²⁶ხოლო ნუგეშისმცემელი – სულიწმიდა – რომელსაც ჩემი სახელით მოავლენს მამა, გასწავლით ყველაფერს და ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს.
- ²⁷მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ. ისე კი არ გაძლევთ, ქვეყანა რომ იძლევა. ნუ შეკრთება თქვენი გული და ნურც შეშინდება.
- ²⁸თქვენ ისმინეთ ჩემი ნათქვამი: მივდივარ და დავბრუნდები თქვენთან. რომ გიყვარდეთ, გაგეხარდებოდათ, რომ მამასთან მივდივარ, რადგან მამა ჩემზე დიდია.
- ²⁹ახლა გითხარით ეს, სანამ ახდებოდეს, რათა როდესაც ახდება, ირწმუნოთ.
- ³⁰ბევრს აღარ ვილაპარაკებ თქვენთან, რადგან მოდის ქვეყნიერების მთავარი და არაფერი არა აქვს ჩემში.
- ³¹მაგრამ, რათა გაიგოს ქვეყანამ, რომ მიყვარს მამა და ისე ვაკეთებ, როგორც მამამ მიბრძანა, ადექით, წავიდეთ აქედან!“

ოოანეს 15

- ¹„მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, ჩემი მამა კი მევენახეა.



- ²ყოველ უნაყოფო ღერწს ჩემზე მოაშორებს და ყოველ ნაყოფიერს გაწმენდს, რათა მეტი ნაყოფი გამოიღოს.
- ³თქვენ უკვე განწმედილნი ხართ სიტყვით, რომელიც გითხარით.
- ⁴დარჩით ჩემში და მე თქვენში. როგორც ღერწი ვერ მოისხამს ნაყოფს თვითონ, თუ ვაზზე არ დარჩება, ისევე თქვენც, თუ ჩემში არ დარჩებით.
- ⁵მე ვარ ვაზი, თქვენ კი ღერწები. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი ბევრ ნაყოფს გამოიღებს, რადგან უჩემოდ არაფრის კეთება არ შეგიძლიათ.
- ⁶ვინც ჩემში არ დარჩება, გარეთ გადაიგდება, როგორც ღერწი, და დაჰყვება. ისინი მოგროვდება, ცეცხლში ჩაიყრება და დაიწვება.
- ⁷თუ ჩემში დარჩებით და ჩემი სიტყვები თქვენში დარჩება, ითხოვეთ, რაც გსურთ, და გექნებათ.
- ⁸ამით განდიდდება ჩემი მამა, თუ ბევრ ნაყოფს გამოიღებთ და ჩემი მოწაფენი იქნებით.
- ⁹როგორც მამამ შემიყვარა მე, მეც ასევე შეგიყვარეთ თქვენ. დარჩით ჩემს სიყვარულში.
- ¹⁰თუ ჩემს მცნებებს დაიცავთ, ჩემს სიყვარულში დარჩებით, როგორც მე დავიცავი ჩემი მამის მცნებები და ვრჩები მის სიყვარულში.
- ¹¹ეს ყველაფერი იმიტომ გითხარით, რომ ჩემი სიხარული იყოს თქვენში და თქვენი სიხარული სრული იყოს.
- ¹²ეს არის ჩემი მცნება: გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ.
- ¹³არავის აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვიდრე მას, ვინც თავს სწირავს თავისი მეგობრებისათვის.
- ¹⁴თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ აკეთებთ იმას, რასაც გაძლევთ მცნებად.
- ¹⁵აღარ გიწოდებთ მონებს, რადგან მონამ არ იცის, რას აკეთებს მისი ბატონი. არამედ მეგობრებს გიწოდებთ, რადგან ყველაფერი, რაც ჩემი მამისგან მოვისმინე, გამცნეთ თქვენ.
- ¹⁶თქვენ არ აგირჩევიათ მე, არამედ მე აგირჩიეთ თქვენ და დაგადგინეთ, რათა წახვიდეთ და ნაყოფი გამოიღოთ და თქვენი ნაყოფი დარჩეს. მაშინ რასაც სთხოვთ მამას ჩემი სახელით, მოგცემთ თქვენ.
- ¹⁷ამას გიღებთ მცნებად, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი.
- ¹⁸თუ თქვენ ქვეყნიერებას სძულხართ, იცოდეთ, რომ თქვენზე ადრე მე მომიძულა.



¹⁹თქვენ რომ ქვეყნიერებისანი იყოთ, ქვეყნიერებას ეყვარებოდა თავისიანები. და რაკი არა ხართ ქვეყნიერებისანი, არამედ მე გამოგირჩიეთ ქვეყნიერებიდან, ამიტომ სძულხართ ქვეყნიერებას.

²⁰გაიხსენეთ სიტყვა, რომელიც გითხარით: ‘მონა არ არის თავის ბატონზე დიდი.’ მე თუ მდევნიდნენ, თქვენც გდევნიან; თუ ჩემი სიტყვა დაიცვეს, თქვენსასაც დაიცავენ.

²¹მაგრამ ყოველივე ამას ჩემი სახელის გამო გაგიკეთებენ, რადგან არ იცნობენ ჩემს მომავლინებელს.

²²მე რომ არ მოვსულიყავი და არ მეთქვა მათთვის, არ ექნებოდათ ცოდვა. ახლა კი არა აქვთ გამართლება თავიანთი ცოდვებისათვის.

²³ვისაც მე ვძულვარ, მას ჩემი მამაც სძულს.

²⁴მე რომ არ მეკეთებინა მათ შორის საქმეები, რომლებიც სხვას არავის გაუკეთებია, ცოდვა არ ექნებოდათ. ახლა კი იხილეს და შეგვიძულეს მეც და ჩემი მამაც.

²⁵მაგრამ აღსრულდება მათ რჯულში დაწერილი სიტყვა: ‘უმიზეზოდ მომიძულეს მე.’

²⁶როდესაც მოვა ნუგეშისმცემელი, რომელსაც მე მოგივლენთ მამისაგან – ჭეშმარიტების სული – რომელიც მამისგან გამოდის, ის დაამოწმებს ჩემზე.

²⁷და თქვენც ხართ ჩემი მოწმენი, რადგან თავიდანვე ჩემთან ხართ.“

იოანეს 16

¹„ეს ყველაფერი გითხარით, რომ არ დაბრკოლდეთ.

²სინაგოგებიდან გაგაძევენ, და მოდის ჟამი, როდესაც ყველა თქვენს მკვლელს ეგონება, რომ ამით ღმერთს ემსახურება.

³ასე მოიქცევიან, რადგან ვერ იცნეს ვერც მამა და ვერც მე.

⁴მაგრამ ეს გითხარით ახლა, რათა, როდესაც მოვა ეს დრო, გაიხსენოთ, რომ მე ეს გითხარით. თავიდანვე არ მითქვამს ეს, რადგან თქვენთან ვიყავი.

⁵ხოლო ახლა მივდივარ ჩემს მომავლინებელთან, და თქვენგან არც ერთი არ მეკითხება: ‘სად მიდიხარ?’

⁶მაგრამ ეს რომ გითხარით, მწუხარებამ აღავსო თქვენი გული.

⁷მაგრამ ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თქვენთვის უკეთესია, რომ წავიდე, რადგან თუ არ წავედი, ვერ მოვა ნუგეშისმცემელი თქვენთან. ხოლო თუ წავალ, მოგივლენთ მას.



- ⁸და როდესაც ის მოვა, ამხელს ქვეყნიერებას ცოდვის, სიმართლისა და განსასჯელის გამო.
- ⁹ცოდვის გამო, რომ არ მიწამეს;
- ¹⁰სიმართლის გამო, რომ მამასთან მივდივარ და ველარ მიხილავთ მე;
- ¹¹განსასჯელის გამო, რომ ქვეყნიერების მთავარი განსჯილია.
- ¹²კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ამჟამად ვერ იტვირთავთ.
- ¹³ხოლო როდესაც მოვა იგი, სული ჭეშმარიტებისა, ის შეგიძლევბათ სრულ ჭეშმარიტებაში. თავისას კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც მოისმენს, და მომავალს გაუწყებთ თქვენ.
- ¹⁴იგი განმადიდებს მე, რადგან ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ.
- ¹⁵ყველაფერი, რაც მამას აქვს, ჩემია. ამიტომ გითხარით: ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ.
- ¹⁶ცოტაც, და ველარ მიხილავთ მე; და კიდევ ცოტაც, და მიხილავთ მე.“
- ¹⁷ზოგიერთმა მისმა მოწაფემ თქვა ერთმანეთში: „რა არის ეს, რომ გვეუბნება: ‘ცოტაც, და ველარ მიხილავთ; და კიდევ ცოტაც, და მიხილავთ?’ და: ‘მამასთან მივდივარ მე?’“
- ¹⁸და ამბობდნენ: „რა არის ეს, რომ ამბობს: ცოტაცო? არ ვიცით, რას ამბობს.“
- ¹⁹მიხვდა იესო, რომ უნდოდათ ეკითხათ მისთვის, და უთხრა მათ: „იმიტომ ეკითხებით ერთმანეთს, რომ მე ვთქვი: ‘ცოტაც, და ველარ მიხილავთ. და კიდევ ცოტაც, და მიხილავთ მე?’“
- ²⁰ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თქვენ იტირებთ და ივალალებთ, ქვეყნიერება კი გაიხარებს; თქვენ მწუხარენი იქნებით, მაგრამ თქვენი მწუხარება სიხარულად გადაიქცევა.
- ²¹ქალი, როდესაც მშობიარობს, წუხს, რადგან მისი ჟამი მოვიდა. ხოლო როდესაც შობს ყრმას, სიხარულისგან აღარ ახსოვს ტანჯვა, რადგან ადამიანი იშვა ქვეყანაზე.
- ²²თქვენც მწუხრებით ხართ აღვსილნი ახლა, მაგრამ კვლავ გიხილავთ და გაიხარებს თქვენი გული, და თქვენს სიხარულს ველარავინ წაგართმევთ.
- ²³იმ დღეს არაფერს მკითხავთ. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც სთხოვთ მამას ჩემი სახელით, მოგცემთ თქვენ.
- ²⁴აქამდე არაფერი გითხოვიათ ჩემი სახელით. ითხოვეთ და მიიღებთ, რათა სრული იყოს თქვენი სიხარული.



²⁵აქამდე იგავებით გელაპარაკებოდით, მაგრამ მოდის ჟამი, როდესაც აღარ დაგელაპარაკებით იგავებით, არამედ ცხადად გაუწყებთ მამის შესახებ.

²⁶იმ დღეს ითხოვთ ჩემი სახელით და არ გეუბნებით, რომ მამას ვთხოვთ თქვენთვის,

²⁷რადგან თვით მამას უყვარხართ, რაკი მე შემიყვარეთ და ირწმუნეთ, რომ ღმერთისგან გამოვედი.

²⁸მამისგან გამოვედი და ქვეყნიერებაზე მოვედი. და კვლავ ვტოვებ ქვეყნიერებას და მივდივარ მამასთან.“

²⁹უთხრეს მისმა მოწაფეებმა: „აჰა, ახლა ცხადად ლაპარაკობ და არავითარ იგავს არ ამბობ.“

³⁰ახლა ვიცით, რომ ყველაფერი იცი. და არ გჭირდება, რომ ვინმემ გკითხოს. ამის გამო გვწამს, რომ ღმერთისგან გამოხვედი.“

³¹მიუგო მათ იესომ: „ახლა გწამთ?“

³²აჰა, მოდის ჟამი, და მოვიდა კიდევ, როდესაც გაიფანტებით, ყოველი კაცი თავ-თავისთვის და მე მარტოდ დამტოვებთ; მაგრამ მე არა ვარ მარტო, რადგან მამა ჩემთან არის.

³³ეს იმიტომ გითხარით, რომ მშვიდობა გქონდეთ ჩემში. ქვეყნიერებაზე გასაჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით, მე ვძლიე ქვეყნიერებას.“

იოანეს 17

¹ეს თქვა იესომ, ცას მიაპყრო თვალი და თქვა: „მამაო, დადგა ჟამი, განადიდო შენი ძე, რათა ძემ განგადიდოს შენ.“

²რადგან შენ მიეცი მას ხელმწიფება ყველა ხორციელზე, რათა ყველას, ვინც მას მიეცი, საუკუნო სიცოცხლე მისცეს.

³ესაა საუკუნო სიცოცხლე, რომ შეგიცნონ შენ, ერთი ჭეშმარიტი ღმერთი, და ის, ვინც შენ მოავლინე – იესო ქრისტე.

⁴შენ მე განგადიდე დედამიწაზე იმ საქმის აღსრულებით, რომელიც მომეცი, რომ გამეკეთებინა.

⁵ახლა კი შენ განმადიდე მე, მამაო, იმავე დიდებით, რაც მქონდა შენთან სამყაროს გაჩენამდე.

⁶შენი სახელი გამოვუცხადე ადამიანებს, რომლებიც შენ მომეცი ქვეყნიერებისგან. შენები იყვნენ ისინი და მე მომეცი, და შენი სიტყვა დაიცვეს მათ.



- ⁷ახლა შეიცნეს, რომ ყველაფერი, რაც მომეცი, შენგანაა.
- ⁸რადგან სიტყვები, რომლებიც შენ მომეცი, გადავეცი მათ. და მიიღეს მათ და ცნეს ჭეშმარიტად, რომ მე შენგან გამოვედი, და ირწმუნეს, რომ შენ მომავლინე.
- ⁹მათთვის გვედრები; ქვეყნიერებისთვის კი არ გვედრები, არამედ მათთვის, რომლებიც მომეცი მე, რადგან შენები არიან ისინი.
- ¹⁰ყველაფერი ჩემი – შენია, შენი კი – ჩემი, და მე მათში განვდიდდი.
- ¹¹მე აღარა ვარ ქვეყნიერებაზე, მაგრამ ესენი არიან ქვეყნიერებაზე. მე კი შენთან მოვდივარ. წმიდაო მამაო, დაიცავი შენი სახელით ისინი, რომლებიც მე მომეცი, რათა ჩვენსავით ერთნი იყვნენ.
- ¹²როდესაც მათთან ვიყავი, ვიცავდი მათ შენი სახელით. ისინი, რომლებიც შენ მომეცი, დავიფარე, და არავინ დალუპულა მათგან, დალუპვის ძის გარდა, რათა აღსრულდეს წერილი.
- ¹³ახლა კი შენთან მოვდივარ და ამას ამ ქვეყნად ვამბობ, რათა ჰქონდეთ ჩემი სიხარული სრულად.
- ¹⁴მე მათ მივეცი შენი სიტყვა, და ქვეყნიერებამ მოიძულა ისინი, რადგან არ არიან ქვეყნიერებისანი, როგორც მე არა ვარ ქვეყნიერებისა.
- ¹⁵არ გვედრები, რომ ქვეყნიერებიდან წაიყვანო ისინი, არამედ დაიცვა ბოროტისაგან.
- ¹⁶ქვეყნიერებისანი არ არიან, როგორც მე არა ვარ ქვეყნიერებისა.
- ¹⁷განწმიდე ისინი ჭეშმარიტებით. შენი სიტყვა არის ჭეშმარიტება.
- ¹⁸როგორც შენ მომავლინე მე ქვეყანაზე, მეც ასევე მივაველენ მათ ქვეყანაზე.
- ¹⁹ჩემს თავს განვიწმედ მათთვის, რათა ისინიც წმიდები იყვნენ ჭეშმარიტებაში.
- ²⁰მე მხოლოდ ამათთვის არ გთხოვ, არამედ იმათთვისაც, ვინც ჩემი მორწმუნე გახდება მათი სიტყვით.
- ²¹რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამაო, და მე შენში, რათა ისინიც ერთიანნი იყვნენ ჩვენში, რათა ირწმუნოს ქვეყნიერებამ, რომ შენ მე მომავლინე.
- ²²და დიდება, რომელიც შენ მე მომეცი, მათ მივეცი, რათა ერთნი იყვნენ, როგორც ჩვენ ვართ ერთნი.



²³მე მათში და შენ ჩემში, რათა მათი ერთიანობა სრულყოფილი იყოს, და რათა იცოდეს ქვეყნიერებამ, რომ შენ მომავლინე და ისე შეიყვარე ისინი, როგორც მე შემიყვარე.

²⁴მამაო, მსურს, რომ იქ, სადაც მე ვარ, ისინიც ჩემთან იყვნენ, რომელნიც შენ მე მომეცი, რათა ნახონ ჩემი დიდება, რომელიც მე მომეცი, რადგან შემიყვარე სამყაროს შექმნამდე.

²⁵მამაო მართალო, ქვეყნიერებამ არ გიცნო, მე კი შეგიცან და ამათაც შეიცნეს, რომ შენ მომავლინე მე.

²⁶მე ვაუწყე მათ შენი სახელი, და კვლავაც ვაუწყებ, რათა სიყვარული, რომლითაც შემიყვარე, იყოს მათში და მე მათში ვიყო.“

იოანეს 18

¹ეს თქვა იესომ და გავიდა თავის მოწაფეებთან ერთად კიდრონის ხევს გადამა, სადაც იყო ბაღი, რომელშიც შევიდნენ თვითონ და მისი მოწაფეები.

²იცოდა იუდამაც, მისმა გამცემმა, ეს ადგილი, რადგან იესო და მისი მოწაფეები ხშირად იკრიბებოდნენ იქ.

³იუდამ წაიყვანა ჯარისკაცების რაზმი და მღვდელმთავართა და ფარისეველთა მსახურები, და მივიდნენ იქ ლამპრებით, ჩირაღდნებითა და იარაღით.

⁴იცოდა რა ყველაფერი, რაც მოელოდა, გამოვიდა იესო და უთხრა მათ: „ვის ეძებთ?“

⁵მიუგეს მას: „იესო ნაზარეტელს.“ ეუბნება მათ: „მე ვარ.“ მისი გამცემი იუდაც მათთან იდგა.

⁶და როდესაც უთხრა: „მე ვარ,“ დაიხიეს უკან და მიწაზე დაემხენ.

⁷კვლავ ჰკითხა მათ: „ვის ეძებთ?“ მათ უთხრეს: „იესო ნაზარეტელს.“

⁸მიუგო იესომ: „გითხარით, მე ვარ. თუ მე მეძებთ, ესენი გაუშვით, წავიდნენ.“

⁹რათა აღსრულებულიყო მისი ნათქვამი სიტყვა: „იმათგან, ვინც შენ მე მომეცი, არავინ დამიღუპავს.“

¹⁰სიმონ-პეტრეს მახვილი ჰქონდა, ამოიღო და დაჰკრა მღვდელმთავრის მონას და მარჯვენა ყური ჩამოათალა. ხოლო სახელი იმ მონისა იყო მალქოზი.



¹¹უთხრა იესომ პეტრეს: „ჩააგე მახვილი ქარქაშში! განა არ უნდა შევსვა სასმისი, რომელიც მომცა მამამ?“

¹²მაშინ რაზმმა და ათასისთავმა და იუდეველთა მსახურებმა შეიპყრეს იესო და შეკრეს.

¹³და პირველად ანნასთან წაიყვანეს; ის იყო სიმამრი კაიაფასი, რომელიც მღვდელმთავარი იყო იმ წელიწადს.

¹⁴ეს ის კაიაფა იყო, რომელმაც იუდეველებს ურჩია, უმჯობესია, ერთი კაცი მოკვდეს ხალხისთვისო.

¹⁵იესოს მიჰყვებოდნენ სიმონ-პეტრე და სხვა მოწაფე. ის მოწაფე მღვდელმთავრის ნაცნობი იყო და იესოსთან ერთად შევიდა მღვდელმთავრის ეზოში.

¹⁶პეტრე კი კარს გარეთ იდგა. შემდეგ სხვა მოწაფე, მღვდელმთავრის ნაცნობი, გამოვიდა, დაელაპარაკა მეკარე ქალს და შეიყვანა პეტრე.

¹⁷ეუბნება პეტრეს მეკარე მხევალი: „განა შენც იმ კაცის მოწაფეთაგანი არა ხარ?“ ეუბნება იგი: „არა ვარ.“

¹⁸იდგნენ მონები და მსახურნი და ნაკვერცხლები გაედვივებინათ, რადგან სიცივე იყო, და თბებოდნენ. პეტრეც მათთან იდგა და თბებოდა.

¹⁹მღვდელმთავარმა ჰკითხა იესოს მის მოწაფეებსა და მის მოძღვრებაზე.

²⁰მიუგო მას იესომ: „მე აშკარად ვლაპარაკებოდი ქვეყანაში და მუდამ ვასწავლიდი სინაგოგასა და ტაძარში, სადაც ყველა იუდეველი იკრიბება, და ფარულად არაფერი მითქვამს.

²¹მე რად მეკითხები? ჰკითხე მსმენელებს, რას ვეუბნებოდი მათ. აჰა, მათ იციან, რასაც ვამბობდი.“

²²ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ერთმა იქ მდგომმა მსახურმა ყვრიმალში გაარტყა იესოს და უთხრა: „ასე პასუხობ მღვდელმთავარს?“

²³მიუგო იესომ: „თუ ცუდად ვთქვი, დაამოწმე ცუდი, და თუ კარგად – რისთვის მცემ?“

²⁴და გაგზავნა იგი ანნამ შებოჭილი მღვდელმთავარ კაიაფასთან.

²⁵სიმონ-პეტრე კი იდგა და თბებოდა. უთხრეს მას: „შენც მისი მოწაფეთაგანი არა ხარ?“ უარყო და თქვა: „არა ვარ.“

²⁶უთხრა მას მღვდელმთავრის ერთ-ერთმა მონამ, პეტრემ რომ ყური ჩამოათალა, იმისმა ნათესავმა: „განა მასთან ერთად არ გნახე ბაღში?“

²⁷პეტრემ კვლავ უარყო და მყისვე მამალმა იყივლა.



²⁸კაიაფასგან იესო პრეტორიუმში წაიყვანეს. ჯერ ადრე იყო და პრეტორიუმში არ შესულან, რათა არ გაუწმიდურებულიყვნენ, რომ პასექის ჭამა შეძლებოდათ.

²⁹გამოვიდა პილატე მათთან გარეთ და თქვა: „რა ბრალსა სდებთ ამ კაცს?“

³⁰მიუგეს და უთხრეს მას: „ეს რომ ბოროტმოქმედი არ იყოს, არ გადმოგცემდით.“

³¹უთხრა მათ პილატემ: „წაიყვანეთ თქვენთან და თქვენი რჯულით განსაჯეთ.“ უთხრეს მას იუდეველებმა: „ჩვენ არავის მოკვლის უფლება არა გვაქვს.“

³²ასე უნდა აღსრულებულიყო იესოს სიტყვა, რომელიც თქვა იმის მისანიშნებლად, თუ როგორი სიკვდილით უნდა მომკვდარიყო.

³³კვლავ შევიდა პილატე პრეტორიუმში, მოუხმო იესოს და უთხრა: „შენ ხარ იუდეველთა მეფე?“

³⁴მიუგო იესომ: „შენ თვით ამბობ ამას, თუ სხვებმა გითხრეს ჩემზე?“

³⁵მიუგო პილატემ: „განა მე იუდეველი ვარ? შენმა ერმა და მღვდელმთავრებმა გადმომცეს შენი თავი, რა ჩაიდინე?“

³⁶მიუგო იესომ: „ჩემი მეფობა არ არის ამ ქვეყნიერებისაგან. ჩემი მეფობა რომ ამ ქვეყნიერებისაგან ყოფილიყო, მაშინ ჩემი მხლებლები იბრძოლებდნენ, რომ იუდეველებს ხელში არ ჩავვარდნოდი. ჩემი მეფობა სააქაო არ არის.“

³⁷უთხრა მას პილატემ: „მაშ, შენ მეფე ხარ?“ მიუგო იესომ: „შენ ამბობ, რომ მეფე ვარ. მე იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოვედი ქვეყნიერებაზე, რომ ჭეშმარიტება დავამოწმო. ყველა, ვინც ჭეშმარიტებისგანაა, ისმენს ჩემს ხმას.“

³⁸ეუბნება მას პილატე: „რა არის ჭეშმარიტება?“ ეს თქვა და კვლავ გამოვიდა იუდეველებთან და უთხრა მათ: „ვერავითარ ბრალს ვერ ვპოულობ მასში.“

³⁹ხოლო თქვენი ჩვეულება არის, რომ პასექზე ერთი გაგითავისუფლოთ. გსურთ, რომ გაგითავისუფლოთ იუდეველთა მეფე?“

⁴⁰და კვლავ აყვირდნენ და თქვეს: „ეს არა, არამედ ბარაბა. ხოლო ბარაბა იყო ყაჩაღი.“

იოანეს 19

¹მაშინ წაიყვანა პილატემ იესო და გაამათრახებინა.



²ჯარისკაცებმა დაწნეს ეკლის გვირგვინი და თავზე დაადგეს, და მოწეულით შემოსეს,

³და მიდიოდნენ მასთან და ეუბნებოდნენ: „გიხაროდეს, იუდეველთა მეფეო! და სახეში სცემდნენ.“

⁴კვლავ გამოვიდა პილატე გარეთ და უთხრა მათ: „აჰა, მე გამომყავს იგი თქვენთან, რათა იცოდეთ, რომ ვერავითარ ბრალს ვერ ვპოულობ მასში.“

⁵გამოვიდა იესო გარეთ, ეკლის გვირგვინით და მოწეულით შემოსილი, და უთხრა მათ პილატემ: „აი, ადამიანი!“

⁶როდესაც იხილეს იგი მღვდელმთავრებმა და მსახურებმა, იყვირეს: „ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი!“ ეუბნება მათ პილატე: „თქვენ თვითონ წაიყვანეთ და აცვით ჯვარს, რადგან მე ვერ ვპოულობ მასში ბრალს.“

⁷მიუგეს მას იუდეველებმა: „ჩვენ გვაქვს რჯული და ჩვენი რჯულით უნდა მოკვდეს, რადგან ღმერთის ძედ დასახა თავი.“

⁸როდესაც მოისმინა პილატემ ეს სიტყვა, უფრო შეეშინდა.

⁹შევიდა კვლავ პრეტორიუმში და უთხრა იესოს: „საიდან ხარ? მაგრამ იესომ არ გასცა პასუხი.“

¹⁰ეუბნება მას პილატე: „მე არ მელაპარაკები? განა არ იცი, რომ ხელმწიფება მაქვს შენი გათავისუფლებისა და ხელმწიფება მაქვს შენი ჯვარცმისა?“

¹¹მიუგო იესომ: „არ გექნებოდა არავითარი ხელმწიფება ჩემზე, მაღლიდან რომ არ მოგცემოდა. ამიტომ შენს ხელთ ჩემს გადმომცემს უფრო დიდი ცოდვა აქვს.“

¹²ამის შემდეგ პილატე შეეცადა მის გათავისუფლებას, მაგრამ იუდეველები აყვირდნენ და თქვეს: „თუ ამას გაათავისუფლებ, არა ხარ კეისრის მეგობარი, რადგან, ვინც მეფედ სახავს თავს, კეისარს ეწინააღმდეგება.“

¹³პილატემ რომ ეს სიტყვები მოისმინა, იესო გარეთ გამოიყვანა და დაჯდა სამსჯავროს ტახტზე, იმ ადგილას, რომელსაც ქვაფენილი ეწოდებოდა, ებრაულად კი გაბბათა.

¹⁴პასექის პარასკევი იყო, იქნებოდა მეექვსე საათი, და უთხრა იუდეველებს: „აჰა, თქვენი მეფე!“

¹⁵მათ კი იყვირეს: „შორს, შორს! ჯვარს აცვი!“ ეუბნება მათ პილატე: „თქვენი მეფე ვაცვა ჯვარს?“ მიუგეს მღვდელმთავრებმა: „ჩვენ არ გვყავს მეფე, კეისრის გარდა!“

¹⁶მაშინ გადასცა ის მათ ჯვარზე საცმელად. და წაიყვანეს მათ იესო,



¹⁷და ჯვარაკიდებული წავიდა იგი თხემის ადგილას, რომელსაც ებრაულად გოლგოთა ჰქვია.

¹⁸იქ ჯვარს აცვეს იგი და მასთან ერთად ორი სხვაც, აქეთ და იქით, ხოლო შუაში იესო.

¹⁹და დაწერა პილატემ წარწერა და მიამაგრა ჯვარს. დაწერილი იყო: „იესო ნაზარეტელი, მეფე იუდეველთა.“

²⁰ბევრი იუდეველი კითხულობდა ამ წარწერას, რადგან იესოს ჯვარცმის ადგილი ახლოს იყო ქალაქთან და დაწერილი იყო ებრაულად, რომაულად და ბერძნულად.

²¹უთხრეს პილატეს იუდეველმა მღვდელმთავრებმა: „ნუ დაწერ: ‘იუდეველთა მეფე,’ არამედ, მან თქვა: ‘მე ვარ იუდეველთა მეფე.’“

²²მიუგო პილატემ: „რაც დავწერე, დავწერე.“

²³ჯარისკაცებმა, როდესაც ჯვარს აცვეს იესო, აიღეს მისი სამოსი და ოთხ წილად გაიყვეს, თითოეულ ჯარისკაცს თავისი წილი ერგო, და კვართი; კვართი კი შეკერილი არ იყო, არამედ იყო თავიდან ბოლომდე ნაქსოვი.

²⁴უთხრეს ერთმანეთს: „ნუ დავხევთ, წილი ვყაროთ მასზე, ვნახოთ, ვის შეხვდება.“ რათა აღსრულებულიყო წერილი: „გაიყვეს ჩემი სამოსი, და წილი იყარეს ჩემს კვართზე.“ ჯარისკაცებმაც ასე გააკეთეს.

²⁵იდგნენ იესოს ჯვართან მისი დედა, დედამისის და მარიამი – კლეოპას ცოლი – და მარიამ მაგდალელი.

²⁶იესომ დაინახა იქ მდგომი დედა და მოწაფე, რომელიც უყვარდა, და ეუბნება დედას: „ქალო, აჰა, შენი ძე!“

²⁷მერე მოწაფეს ეუბნება: „აჰა, დედა შენი!“ და მოწაფემ მაშინვე თავისთან წაიყვანა იგი.

²⁸ამის შემდეგ, როდესაც დაინახა იესომ, რომ უკვე დასრულდა ყველაფერი, რათა აღსრულდეს წერილი, თქვა: „მწყურია!“

²⁹იდგა იქ ძმრით სავსე ჭურჭელი. ძმრით გაჟღენთილი ღრუბელი უსუპზე წამოაცვეს და პირთან მიუტანეს.

³⁰როდესაც მიიღო ძმარი იესომ, თქვა: „აღსრულდა!“ მიიდრიკა თავი და განუტევა სული.

³¹იუდეველებმა, რაკი პარასკევი იყო, და გვამები შაბათამდე არ უნდა დარჩენილიყო ჯვარზე, რადგან ის შაბათი დიდი დღე იყო, სთხოვეს პილატეს, წვივები დაემტვრიათ მათთვის და ჩამოეხსნათ.



³²მივიდნენ ჯარისკაცები და წვივები გადაუმტვრიეს მასთან ერთად ჯვარცმულებს, ერთსაც და მეორესაც.

³³იესოსთან მისულებმა, როდესაც დაინახეს, რომ უკვე მომკვდარიყო, აღარ დაუმტვრიეს წვივები.

³⁴მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა შუბით გაუგმირა ფერდი და მყისვე გადმოვიდა სისხლი და წყალი.

³⁵მხილველმა დაამოწმა ეს და მისი მოწმობა ჭეშმარიტია. მან იცის, რომ ჭეშმარიტებას ამბობს, რათა თქვენ ირწმუნოთ.

³⁶რადგან ეს მოხდა, რათა აღსრულებულიყო წერილი: „მისი ძვალი არ შეიმუსრება.“

³⁷ასევე სხვა წერილიც ამბობს: „იხილავენ მას, რომელსაც უგმირეს.“

³⁸ამის შემდეგ იოსებ არიმათიელმა, რომელიც იუდეველთა შიშის გამო იესოს ფარული მოწაფე იყო, სთხოვა პილატეს, ნება მიეცა გარდამოეხსნა იესოს გვამი. პილატემ დართო ნება. მივიდა იგი და გარდამოეხსნა მისი გვამი.

³⁹და მოვიდა ნიკოდემოსიც, ადრე რომ ღამით ეწვია იესოს, და მოიტანა ას ლიტრამდე მურისა და ალოეს ნაზავი.

⁴⁰აიღეს და შეგრაგნეს იესოს სხეული ტილოებში ნელსაცხებლებითურთ, როგორც მოითხოვს იუდეველთა დამარხვის წესი.

⁴¹იმ ადგილას, სადაც ჯვარს ეცვა, ბაღი იყო, ბაღში კი ახალი სამარხი, რომელშიც ჯერ არავინ დაესვენებინათ.

⁴²იქ დაასვენეს იესო, იუდეველთა პარასკევის გამო, რადგან ახლოს იყო სამარხი.

ოთხეტი 20

¹შაბათის მომდევნო დღეს, განთიადზე, როდესაც ჯერ კიდევ ბნელოდა, მივიდა მარიამ მაგდალელი სამარხთან და ხედავს, რომ ლოდი აღებულია სამარხიდან.

²გაიქცა და მივიდა სიმონ-პეტრესთან და სხვა მოწაფესთან, რომელიც უყვარდა იესოს, და უთხრა მათ: აუღიათ უფალი სამარხიდან და არ ვიცით, სად დადეს.

³მაშინვე გამოვიდნენ პეტრე და ის სხვა მოწაფე და გაემართნენ სამარხისაკენ.



- ⁴ორივენი ერთად მირბოდნენ, მაგრამ მეორე მოწაფე პეტრეზე სწრაფად გაიქცა და პირველი მივიდა სამარხთან.
- ⁵დაიხარა და დაინახა დაყრილი ტილოები, შიგ კი არ შესულა.
- ⁶მივიდა სიმონ-პეტრეც მის შემდეგ, შევიდა სამარხში და დაინახა დაყრილი ტილოები.
- ⁷სუდარა, რომელიც თავზე ჰქონდა მას, იმ ტილოებთან კი არ იდო, არამედ ცალკე იყო დახვეული ერთ ადგილას.
- ⁸მაშინ შევიდა სხვა მოწაფეც, სამარხთან რომ მiasწრო პეტრეს, და იხილა და იწამა,
- ⁹რადგან აქამდე ვერ გაეგოთ წერილიდან, რომ იგი მკვდრეთით უნდა აღმდგარიყო.
- ¹⁰და დაბრუნდნენ მოწაფეები კვლავ თავისთან სახლში.
- ¹¹მარიამი კი იდგა სამარხის გარეთ და ტიროდა. და მტირალი დაიხარა სამარხისაკენ
- ¹²და დაინახა თეთრებით მოსილი ორი ანგელოზი, მსხდომარენი ერთი თავით და მეორე ფეხით, სადაც იესოს სხეული ესვენა.
- ¹³და უთხრეს მას: „ქალო, რად ტირი?“ ეუბნება მათ: „წაუღიათ ჩემი უფალი და არ ვიცი, სად დადეს.“
- ¹⁴ეს რომ თქვა, შემობრუნდა და დაინახა იქ მდგარი იესო, მაგრამ არ იცოდა, რომ ეს იესო არის.
- ¹⁵ეუბნება მას იესო: „ქალო, რად ტირი, ვის ეძებ?“ მას მეზალე ეგონა იგი და ეუბნება: „ბატონო, თუ შენ წაიღე, მითხარი, სად დადე, და მე წამოვიღებ.“
- ¹⁶ეუბნება მას იესო: „მარიამ!“ შემობრუნდა მარიამი და ებრაულად უთხრა: „რაბუნი!“ რაც ნიშნავს: „მოდღვარო!“
- ¹⁷ეუბნება მას იესო: „არ შემეხო, რადგან ჯერ არ ავსულვარ მამასთან. წადი ჩემს ძმებთან და უთხარი: ‘ავდივარ ჩემს მამასთან და თქვენს მამასთან, ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერთთან.’“
- ¹⁸მარიამ მაგდალელი მივიდა და აუწყა მოწაფეებს, რომ იხილა უფალი და ასე უთხრა მას.
- ¹⁹იმავე დღის – ერთშაბათის – საღამოს, როდესაც იუდეველთა შიშის გამო დაკეტილი იყო კარი, სადაც მოწაფეები იყვნენ, შევიდა იესო, დადგა მათ შორის და უთხრა მათ: „მშვიდობა თქვენდა!“



²⁰ეს რომ თქვა, უჩვენა ხელები და გვერდი. სიხარულით აღივსნენ მოწაფეები უფლის ხილვით.

²¹კვლავ უთხრა მათ: „მშვიდობა თქვენდა! როგორც მე მომავლინა მამამ, მეც მიგავლენთ თქვენ.“

²²და ეს რომ თქვა, სული შეუბერა და უთხრა: „მიიღეთ სულიწმიდა.

²³ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მიეტევება, ვისზეც დატოვებთ, დარჩება.“

²⁴თომა, ერთი თორმეტთაგანი (ტყუპად წოდებული), არ იყო მათთან, როდესაც მივიდა იესო.

²⁵უთხრეს მას სხვა მოწაფეებმა: „ჩვენ ვიხილეთ უფალი.“ მან უთხრა მათ: „თუ არ ვიხილავ მის ხელებზე ნალურსმევს და არ ჩავყოფ თითს ნალურსმევში და ხელს – მის ფერდში, ვერ ვირწმუნებ.“

²⁶რვა დღის შემდეგ მისი მოწაფეები კვლავ შიგა ოთახში იყვნენ, და თომაც მათთან ერთად იყო. შევიდა იესო დახშულ კარებში, დადგა მათ შორის და თქვა: „მშვიდობა თქვენდა!“

²⁷მერე თომას უთხრა: „მომეცი შენი თითი და იხილე ჩემი ხელები. მომეცი შენი ხელი და ჩადე ჩემს ფერდში, და ნუ იქნები ურწმუნო, არამედ გწამდეს.“

²⁸მიუგო თომამ და უთხრა მას: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“

²⁹ეუბნება მას იესო: „იმიტომ მირწმუნე, რომ მიხილე. ნეტარ არიან, ვისაც არ ვუნახივარ და მირწმუნებს.“

³⁰ბევრი სხვა სასწაულიც მოიმოქმედა იესომ მოწაფეების წინაშე, რაც ამ წიგნში არ დაწერილა.

³¹ეს კი დაიწერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღმერთისა, და რომელთაც ირწმუნეთ, გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით.

ოთხეტი 21

¹ამის შემდეგ კვლავ გამოეცხადა იესო მოწაფეებს ტიბერიის ზღვაზე. და გამოეცხადა ასე:

²იყვნენ ერთად სიმონ-პეტრე და თომა (რომელსაც ტყუპი ერქვა), ნათანაელი გალილეის კანადან, ზებედეს ძენი და ორი სხვა მისი მოწაფეთაგანი.



³ეუბნება მათ სიმონ-პეტრე: „სათევზაოდ მივდივარ.“ უთხრეს მას: „ჩვენც წამოვალთ შენთან ერთად.“ გავიდნენ და ჩასხდნენ ნავში. და ვერაფერი დაიჭირეს იმ ღამეს.

⁴როდესაც თენდებოდა, იესო იდგა ნაპირზე, მოწაფეებმა კი არ იცოდნენ, რომ ეს იესო იყო.

⁵ეუბნება მათ იესო: „შვილებო, არა გაქვთ საჭმელი?“ მიუგეს მას: „არა.“

⁶უთხრა მათ: „ისროლეთ ბადე ნავის მარჯვენა მხარეს და იპოვით.“ ისროლეს და ველარ შემძლეს ამოზიდვა თევზის სიმრავლის გამო.

⁷ეუბნება პეტრეს მოწაფე, რომელიც უყვარდა იესოს: „ეს უფალია.“ სიმონ-პეტრემ რომ გაიგონა, უფალიაო, მოსასხამი მოიხვია, რადგან შიშველი იყო, და ზღვაში გადაეშვა.

⁸ხოლო სხვა მოწაფეებიც გამოვიდნენ ნავით, რადგან შორს არ იყვნენ ხმელეთიდან, ასე ორას წყრთაზე, და გამოათრიეს თევზით სავსე ბადე.

⁹ხმელეთზე რომ გადმოვიდნენ, დაინახეს დაწყობილი ნაკვერცხლები და ზედ დადებული თევზი და პური.

¹⁰ეუბნება მათ იესო: „იმ თევზისა მოიტანეთ, ახლა რომ დაიჭირეთ.“

¹¹ავიდა ნავზე სიმონ-პეტრე და ხმელეთზე გადმოათრია ბადე, 153 დიდი თევზით სავსე; და, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი იყო, ბადე არ გაიხა.

¹²ეუბნება მათ იესო: „მოდით, ისაუბმეთ.“ მოწაფეთაგან ვერც ერთმა ვერ გაბედა, ეკითხა, ვინ ხარ, რადგან იცოდნენ, რომ უფალი იყო.

¹³მივიდა იესო, აიღო პური და მისცა მათ, ასევე თევზიც.

¹⁴ეს უკვე მესამედ გამოეცხადა იესო მოწაფეებს, მკვდრეთით აღმდგარი.

¹⁵რომ ისაუბმეს, იესო ეუბნება სიმონ-პეტრეს: „სიმონ იოანეს ძეო, გიყვარვარ ამათზე მეტად?“ ეუბნება მას: „დიახ, უფალო, შენ იცი, რომ მიყვარხარ.“ ეუბნება მას: „ამოვე ჩემი კრავები.“

¹⁶ეუბნება მას კვლავ მეორედ: „სიმონ იოანესო, გიყვარვარ?“ ეუბნება მას: „დიახ, უფალო, შენ იცი, რომ მიყვარხარ.“ ეუბნება მას: „დამწყსე ჩემი ცხვრები.“

¹⁷ეუბნება მას მესამედ: „სიმონ იოანესო, გიყვარვარ?“ დაღონდა პეტრე, მესამედ რომ უთხრა: „გიყვარვარ?“ და ეუბნება მას: „უფალო, შენ ყველაფერი იცი. იცი, რომ მიყვარხარ!“ ეუბნება მას იესო: „ამოვე ჩემი ცხვრები.“



¹⁸ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: სანამ ახალგაზრდა იყავი, შენ თვითონ შემოირტყამდი სარტყელს და მიდიოდი, სადაც გსურდა. ხოლო როდესაც დაბერდები, გაშლი ხელს და სხვა შემოგარტყამს სარტყელს და წაგიყვანს იქ, სადაც არ გსურს.“

¹⁹ეს თქვა იმის მისანიშნებლად, თუ როგორი სიკვდილით განადიდებდა იგი ღმერთს. ეს რომ თქვა, უთხრა: „მომყევი მე!“

²⁰მოტრიალდა პეტრე და დაინახა, რომ მოწაფე, რომელიც უყვარდა იესოს, მოსდევდა მათ. რომელიც მკერდზე მიეყრდნო მას სერობისას და უთხრა: „უფალო, ვინ არის, რომელიც შენ გაგცემს?“

²¹ის რომ დაინახა პეტრემ, ეუბნება იესოს: „უფალო, ამას რა?“

²²ეუბნება მას იესო: „მე თუ მსურს, რომ დარჩეს ჩემს მოსვლამდე, შენ რა? შენ მე გამომყევი.“

²³და გავრცელდა ეს სიტყვა ძმებს შორის, რომ ის მოწაფე არ მოკვდებოდა. მაგრამ იესოს არ უთქვამს მასზე, არ მოკვდებაო, არამედ, „თუ მე მსურს, რომ დარჩეს ჩემს მოსვლამდე, შენ რა?“

²⁴ეს არის ის მოწაფე, რომელიც მოწმობს ამას და რომელმაც დაწერა ეს. და ვიცით, რომ მისი მოწმობა ჭეშმარიტია.

²⁵კიდევ ბევრი სხვაც არის, რაც იესომ მოიმოქმედა, რომელიც, დაწვრილებით რომ დაწერილიყო, ვფიქრობ, მთელი ქვეყნიერებაც კი ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს. ამინ.



მოციქულთა საქმენი

მოციქულთა საქმენი 1

- ¹ჩემი პირველი წიგნი, თეოფილე, შევადგინე ყოველივე იმის შესახებ, რასაც აკეთებდა და ასწავლიდა იესო თავიდან
- ²იმ დღემდე, ვიდრე ამაღლდებოდა. იგი სულიწმიდით მოძღვრავდა მოციქულებს, რომლებიც ამოირჩია
- ³და რომელთაც ცოცხლად წარუდგინა თავი თავისი ტანჯვის შემდეგ მრავალი სარწმუნო ნიშნით. ორმოც დღეს ეჩვენებოდა მათ და მოუთხოვრებდა ღმერთის სასუფეველზე.
- ⁴და სანამ მათთან იყო, უბრძანა მათ, არ გასცილებოდნენ იერუსალიმს, არამედ დალოდებოდნენ მამის აღთქმულს, – „როგორც ჩემგან მოისმინეთ,“ თქვა მან –
- ⁵„რადგან იოანე ნათელს სცემდა წყლით, თქვენ კი ნათელს მიიღებთ სულიწმიდით, არცთუ მრავალი დღის შემდეგ.“
- ⁶ამიტომ შეკრებილნი ეკითხებოდნენ მას და ეუბნებოდნენ: „უფალო, ამ ხანებში ხომ არ აღუდგენ ისრაელს სამეფოს?“
- ⁷უთხრა მათ: „თქვენი საცოდნელი არ არის დროები ან ვადები, რომლებიც მამამ დაადგინა თავისი ხელმწიფებით.
- ⁸მაგრამ თქვენ მიიღებთ ძალას, როდესაც გადმოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელს იუდეასა და სამარიაში, და დედამიწის კიდემდე.“
- ⁹ეს თქვა და სანამ ისინი უყურებდნენ მას, იწყო ცად ამაღლება და ღრუბელმა მოაფარა ის მათ თვალს.
- ¹⁰და როდესაც ისინი იყურებოდნენ ცისკენ, სადაც აღვიდა იგი, აჰა, წარუდგა მათ თეთრებში მოსილი ორი კაცი,
- ¹¹და უთხრეს: „გალილეველო კაცნო, რატომ დგახართ და შეჰყურებთ ზეცას? ეს იესო, რომელიც ამაღლდა თქვენგან ზეცად, კვლავ იმგვარადვე მოვა, როგორც ზეცად მიმავალი იხილეთ.“
- ¹²მაშინ დაბრუნდნენ იერუსალიმში ზეთისხილისად წოდებული მთიდან, რომელიც მდებარეობს იერუსალიმის ახლოს, შაბათის გზაზე.



¹³და როდესაც მივიდნენ, ავიდნენ ზედა სართულზე, სადაც ცხოვრობდნენ ისინი: პეტრე და იოანე და იაკობი და ანდრია, ფილიპე და თომა, ბართლომე და მათე, იაკობ ალფესი და სიმონ მოშურნე და იუდა იაკობისა.

¹⁴ისინი ყველანი ერთსულოვნად გამუდმებულ ლოცვა-ვედრებაში იყვნენ ქალებთან და მარიამთან, იესოს დედასთან, და მის ძმებთან ერთად.

¹⁵იმ დღეებში წამოდგა პეტრე შეკრებილ ძმებს შორის (იქნებოდა იმ ადგილას ასოცამდე კაცი) და თქვა:

¹⁶„ძმებო! უნდა აღსრულებულიყო წერილი, ის, რაც წინასწარ თქვა სულიწმიდამ დავითის პირით იუდაზე, რომელიც წარუძღვა იესოს შემპყრობლებს;

¹⁷ის ჩვენ შორის ირიცხებოდა და წილად ჰქონდა ეს სამსახური.

¹⁸მან შეიძინა მიწა უსამართლობის საზღაურად. გასივდა და შუაზე გასკდა და მთელი შიგნეულობა გადმოეფანტა.

¹⁹ეს ცნობილი გახდა იერუსალიმის ყველა მკვიდრისათვის. ასე რომ, მათ საკუთარ ენაზე უწოდეს იმ მიწას ჰაკელდამა ანუ სისხლის მიწა.

²⁰რადგან ფსალმუნთა წიგნში წერია: ‘უდაბნოდ იქცეს მისი სახლ-კარი და ნუ იქნება მასში მკვიდრი’ და ‘მისი სამსახური სხვამ მიიღოს’.

²¹ამგვარად, დაე, იმ კაცთაგან, ვინც მუდამ თან გვახლდნენ, როდესაც ჩვენს შორის დადიოდა უფალი იესო,

²²იოანესგან ნათლისღებიდან მოყოლებული ჩვენგან მისი ამაღლების დღემდე, ერთ-ერთი გახდეს ჩვენთან ერთად მისი აღდგომის მაუწყებელი.“

²³და დააყენეს ორი: იოსები, ბარსაბად წოდებული, რომელსაც იუსტოსი შეერქვა და მათიასი.

²⁴ილოცეს და თქვეს: „შენ, უფალო, ყველას გულთამხილველო, გვიჩვენე ამ ორთაგან ერთი, რომელიც შენ ამოირჩიე,

²⁵რათა მიიღოს ადგილი ამ მსახურებისა და მოციქულობისა, რომელსაც გამოაკლდა იუდა, რათა თავის ადგილზე წასულიყო.“

²⁶და წილი უყარეს მათ და ერგო წილი მათიასს, და მიეთვალა ის თერთმეტ მოციქულს.

მოციქულთა საქმენი 2

¹ორმოცდამეათე დღე რომ დგებოდა, ყველანი ერთად იყვნენ იმავე ადგილას.



- ²და უეცრად შეიქნა ხმაური ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაბერაო, და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი იყვნენ შეკრებილნი.
- ³და ეჩვენათ მათ გაყოფილი ენები, თითქოს ცეცხლისანი, და სათითაოდ დაივანეს ყოველ მათგანზე.
- ⁴და ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენებზე, როგორც სული ამეტყველებდა მათ.
- ⁵ხოლო იერუსალიმში მკვიდრობდნენ ღმერთის მოშიში იუდეველნი, ცისქვეშეთის ყველა ერთგანი.
- ⁶და როდესაც ეს ხმაური შეიქნა, ბევრმა მოიყარა თავი და გაოცდნენ, რადგან თითოეულს ესმოდა, როგორ მეტყველებდნენ ისინი მათ საკუთარ ენაზე.
- ⁷ყველა გაოგნებული იყო და უკვირდა, ამბობდნენ: „განა ყველა ესენი, ვინც ლაპარაკობენ, გალილეელები არ არიან?“
- ⁸როგორ გვესმის თითოეულს ჩვენს საკუთარ ენაზე, რომელშიც ვიშვით:
- ⁹პართებსა და მიდიელებს, ელამელთ და შუამდინარეთის, იუდეის, კაპადოკიის, პონტოს და ასიის მკვიდრთ,
- ¹⁰ფრიგიისა და პამფილიისა, ეგვიპტისა და კვირინეს ლიბიისა და რომის მოქალაქეებს,
- ¹¹იუდეველთ და რჯულშეცვლილთ, კრეტელთ და არაბებს, და ვუსმენთ მათ, ჩვენი ენებით რომ ლაპარაკობენ ღმერთის დიად საქმეებზე.“
- ¹²გაოგნებული იყო ყველა და საგონებელში მყოფნი ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „რას ნიშნავს ეს?“
- ¹³სხვები კი დაცინვით ამბობდნენ, ტკბილი ღვინით დამთვრალანო.
- ¹⁴ხოლო თერთმეტთან ერთად მდგომმა პეტრემ ხმა აღიმადლა და მიმართა მათ: „იუდეველნო და თქვენ ყველა, ვინც იერუსალიმის მკვიდრნი ხართ, ისმინეთ ეს და ყური დაუგდეთ ჩემს სიტყვებს:
- ¹⁵არ არიან ესენი მთვრალეები, როგორც თქვენ გგონიათ, რადგან დღის მესამე საათია.
- ¹⁶მაგრამ ესაა ის, რაც ითქვა იოელ წინასწარმეტყველის მიერ:
- ¹⁷‘იქნება უკანასკნელ დღეებში, – ამბობს ღმერთი, – გადმოვღვრი ჩემი სულისაგან ყველა ხორციელზე და იწინასწარმეტყველებენ თქვენი ძენი და თქვენი ასულნი. და თქვენი ჭაბუკები ჩვენებებს იხილავენ და თქვენს მოხუცებულებს სიზმრები დაესიზმრებათ.



¹⁸ჩემს მონებზე და ჩემს მხევლებზე გადმოვღვრი იმ დღეებში ჩემი სულისაგან და იწინასწარმეტყველებენ.

¹⁹ვაჩვენებ სასწაულებს მაღლა ცაში და ნიშნებს დაბლა მიწაზე, სისხლსა და ცეცხლს, და კვამლის ღრუბლებს.

²⁰მზე წყვდიადად გადაიქცევა და მთვარე სისხლად, სანამ არ დადგება უფლის გამოცხადების დიადი დღე.

²¹და იქნება: ყოველი, ვინც მოუხმობს უფლის სახელს, გადარჩება.’

²²ისრაელელო კაცნო, ისმინეთ ეს სიტყვები: იესო ნაზარეველი, კაცი, ღმერთისაგან დამოწმებული თქვენთვის ძალებით, სასწაულებითა და ნიშნებით, რომლებიც ღმერთმა მოახდინა მის მიერ თქვენს შორის, როგორც თავადვე იცით, –

²³ღმერთის განგებით და წინასწარცოდნით გადაცემული, ის თქვენ ურჯულოთა ხელით მიაღწერს და მოკალით.

²⁴მაგრამ ღმერთმა აღადგინა იგი, შეუხსნა რა სიკვდილის ბორკილები და სიკვდილმა ვერ შეძლო მისი შეკავება.

²⁵რადგან დავითი ამბობს მასზე: ‘ჩემს წინაშე ვხედავდი ყოველთვის უფალს, რადგან ის ჩემს მარჯვნივაა, რათა არ შევდრკე.

²⁶ამიტომ გაიხარა ჩემმა გულმა და გამხიარულდა ჩემი ენა, ჩემი ხორციც კი სასოებით იშვებს.

²⁷რადგან არ მიატოვებ ჩემს სულს ჯოჯოხეთში და არ გაიმეტებ შენს წმიდას ხრწნილების სახილველად.

²⁸შენ შემაცნობინე სიცოცხლის გზა, სიხარულით აღმავსებ შენს წინაშე.’

²⁹კაცნო, ძმანო, სარწმუნოდ გეტყვით მამამთავარ დავითზე, რომ ის აღესრულა და დაიკრძალა, და დღევანდლამდე ჩვენს შორისაა მისი სამარხი.

³⁰მაგრამ რაკი წინასწარმეტყველი იყო, იცოდა, რომ ფიცით შეჰფიცა მას ღმერთმა, რომ მისი საზარდულის ნაყოფს დასვამდა მის ტახტზე.

³¹მან წინასწარხედვით ილაპარაკა ქრისტეს აღდგომაზე, რომ მიტოვებული არ იქნა ჯოჯოხეთში და მის ხორცს არ უხილავს ხრწნილება.

³²ეს იესო აღადგინა ღმერთმა, რისი მოწმენიც ჩვენ ყველანი ვართ.

³³ამგვარად, ღმერთის მარჯვენით ამაღლებულმა მამისაგან მიიღო სულიწმიდის აღთქმა და მოჰფინა ის, რასაც თქვენ ხედავთ და ისმენთ.

³⁴დავითი არ ამაღლებულა ზეცად, რადგან თავად ამბობს: ‘უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჯექ ჩემს მარჯვნივ,



- ³⁵ვიდრე შენს მტრებს დავამხობდე შენს ფეხთა კვარცხლბეკად.’
- ³⁶ამრიგად, მტკიცედ იცოდეს ისრაელის მთელმა სახლმა, რომ ღმერთმა გახადა უფლად და ქრისტედ ეს იესო, რომელიც თქვენ ჯვარს აცვით.“
- ³⁷ეს რომ მოისმინეს, გულზე მოხვდათ და უთხრეს პეტრესა და დანარჩენ მოციქულებს: „როგორ მოვიქცეთ, ძმებო?“
- ³⁸ხოლო პეტრემ უთხრა მათ: „მოინანიეთ და ყოველი თქვენგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად, და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს.
- ³⁹რადგან თქვენ გეკუთვნით აღთქმა, და თქვენს შვილებს და ყველა შორეულსაც, ვისაც კი მოუხმობს უფალი ღმერთი ჩვენი.“
- ⁴⁰და მრავალი სხვა სიტყვითაც უმოწმებდა, შეაგონებდა და ეუბნებოდა: „იხსენით თავი ამ გარყვნილი თაობისაგან.“
- ⁴¹და ვინც მიიღო მისი სიტყვა, მოინათლა. იმ დღეს შეემატა 3 ათასამდე სული.
- ⁴²და იყვნენ ისინი გამუდმებით მოციქულთა მოძღვრებაში, ზიარებაში, პურის გატეხასა და ღოცებში.
- ⁴³ყოველი სული შიშით იყო მოცული, რადგან მრავალი სასწაული და ნიშანი ხდებოდა მოციქულთა მიერ.
- ⁴⁴ყველა მორწმუნე ერთად იყო და ყველაფერი საერთო ჰქონდათ.
- ⁴⁵ქონებას და სარჩო-საბადებელს ყიდდნენ და უნაწილებდნენ ყველას, ვისაც რა ესაჭიროებოდა.
- ⁴⁶დღენიადაც ერთსულოვნად ტაძარში იმყოფებოდნენ, სახლებში ტეხდნენ პურს, იღებდნენ საზრდოს სიხარულით და გულუბრალოებით.
- ⁴⁷აქედნენ ღმერთს და მთელი ხალხისთვის სათნონი იყვნენ. უფალი კი დღითი დღე შესძენდა ეკლესიას მათ, ვინც ჰპოვა ხსნა.

მოციქულთა საქმენი 3

- ¹ღოცვის ჟამს, ასე მეცხრე საათზე, ადიოდნენ პეტრე და იოანე ტაძარში.
- ²და მოიყვანეს ერთი კაცი, დედის მუცლიდანვე ხეიბარი, ხელით სატარებელი. ყოველდღე მოჰყავდათ და სვამდნენ მას ტაძრის კართან, რომელსაც მშვენიერი ეწოდებოდა, რათა ტაძარში შემსვლელთაგან მოწყალეობა ეთხოვა.



- ³როდესაც დაინახა ტაძარში შემავალი პეტრე და იოანე, სთხოვა მათ მოწყალება.
- ⁴პეტრემ და იოანემ შეხედეს მას და პეტრემ უთხრა: „შემოგვხედე ჩვენ.“
- ⁵და ის მიაცქერდა მათ მოლოდინით, რომ რაიმეს მიიღებდა მათგან.
- ⁶უთხრა პეტრემ: „ვერცხლი და ოქრო არა მაქვს, მაგრამ რაც მაქვს, იმას გაძლევ: იესო ქრისტე ნაზარეტელის სახელით, ადექი და გაიარე!“
- ⁷მარჯვენაში ჩასჭიდა ხელი და წამოაყენა. უცბად გაუმაგრდა მას ფეხები და კოჭები,
- ⁸წამოხტა, დადგა და სიარული დაიწყო, მათთან ერთად შევიდა ტაძარში. დადიოდა, ხტოდა და აქებდა ღმერთს.
- ⁹მთელი ხალხი ხედავდა მას, რომ დადიოდა და ღმერთს ადიდებდა.
- ¹⁰იცნეს იგი, რომ ეს ის კაცი იყო, ტაძრის „მშვენიერ“ კარიბჭესთან მოწყალების სათხოვრად რომ იჯდა ხოლმე. და აღივსნენ ისინი შიშით და განცვიფრებით იმის გამო, რაც მას შეემთხვა.
- ¹¹იგი არ შორდებოდა პეტრესა და იოანეს, მთელი ხალხი კი გაოცებული მიაწყდა მათ სოლომონის სტოაში (როგორც მას ეწოდება).
- ¹²დაინახა პეტრემ და მიმართა ხალხს: „ისრაელელნო კაცნო, რად გიკვირთ ეს? ან რატომ გვიყურებთ ისე, თითქოს ჩვენი საკუთარი ძალით და სიწმიდით დავაწყებინეთ მას სიარული?“
- ¹³აბრაამის, ისაკისა და იაკობის ღმერთმა, ჩვენი მამების ღმერთმა, განადიდა თავისი მსახური იესო, რომელიც თქვენ გაეცით და უარყავით პილატეს წინაშე, როდესაც მან გადაწყვიტა მისი გათავისუფლება.
- ¹⁴თქვენ უარყავით წმიდა და მართალი და მოითხოვეთ, რომ კაცისმკვლეელი ეწყალობებინა თქვენთვის.
- ¹⁵სიცოცხლის წინამძღვარი მოკალით, რომელიც ღმერთმა აღადგინა მკვდრეთით, რისი მოწმენიც ჩვენ ვართ.
- ¹⁶მისი სახელის რწმენით, ეს კაცი, რომელსაც თქვენ ხედავთ და იცნობთ, გაამაგრა მისმა სახელმა და მისმა რწმენამ მისცა მას ეს სიმრთელე ყოველი თქვენგანის თვალწინ.
- ¹⁷ახლა ვიცი, ძმებო, რომ თქვენ და თქვენმა მთავრებმა უმეცრებით ჩაიდინეთ ეს.



¹⁸ხოლო ღმერთმა, როგორც წინდაწინ გვამცნო ყველა თავისი წინასწარმეტყველის პირით, რომ ქრისტე უნდა ვნებულიყო, ასევე აღასრულა კიდევ.

¹⁹მაშ, მოინანიეთ და მოიქეცით, რომ აღიხოცოს თქვენი ცოდვები,

²⁰რათა დადგეს განახლების დღეები უფლის პირისაგან და მოგივლინოთ თქვენთვის განწესებული ქრისტე იესო,

²¹რომელიც ზეცამ უნდა დაიფაროს ყოველთა აღდგინებამდე, როგორც ღმერთი დასაბამიდან ამბობდა თავის წმიდა წინასწარმეტყველთა პირით.

²²რადგან მოსემ თქვა: ‘წინასწარმეტყველს, როგორც მე ვარ, აღგიდგენთ თქვენი უფალი ღმერთი თქვენს ძმათაგან. ისმინეთ მისგან ყველაფერი, რასაც გეტყვით.

²³და მოხდება, რომ ყოველი სული, ვინც არ მოუსმენს იმ წინასწარმეტყველს, აღიგება ხალხიდან.’

²⁴ყველა წინასწარმეტყველი, სამუელიდან და მას აქეთ, ვინც კი ლაპარაკობდა ღმერთის სახელით, წინასწარ იუწყებოდა ამ დღეებზე.

²⁵თქვენ ხართ ძენი წინასწარმეტყველთა და იმ აღთქმისა, რომელიც აღუთქვა ღმერთმა თქვენს მამებს, როდესაც უთხრა აბრაამს: ‘კურთხევა იქნება შენი მოდგმა დედამიწის ყოველი ხალხისათვის!’

²⁶როდესაც ღმერთმა აღადგინა თავისი მსახური, პირველად თქვენ მოგივლინათ თქვენს საკურთხებლად, რათა მოიქცეს თითოეული თავის უკეთურებათაგან.“

მოციქულთა საქმენი 4

¹როდესაც ისინი ხალხს ელაპარაკებოდნენ, თავს დაადგნენ მათ მღვდლები, ტაძრის უფროსი და სადუკეველნი,

²გაბრაზებულნი იმის გამო, რომ ისინი ასწავლიდნენ ხალხს და უქადაგებდნენ იესოს მკვდრეთით აღდგომას.

³და დაადეს მათ ხელი და დაცვას ჩააბარეს მეორე დღემდე, რადგან უკვე საღამო იყო.

⁴ბევრმა კი, ვინც ისმინა სიტყვა, ირწმუნა. და მათმა რიცხვმა 5 ათასამდე მიაღწია.

⁵მეორე დღეს იერუსალიმში შეიკრიბნენ მათი მთავრები, უხუცესები და მწიგნობრები,



⁶და მღვდელმთვარი ანნა და კაიაფა, და იოანე და ალექსანდრე, აგრეთვე სხვებიც მღვდელმთავრის მოდგმიდან.

⁷შუაში ჩაიყენეს ისინი და ეკითხებოდნენ: „რომელი ძალით, ან ვისი სახელით ჩაიდინეთ ეს?“

⁸მაშინ პეტრემ, სულიწმიდით აღვსილმა, უთხრა მათ: „ხალხის მთავარნო და უხუცესნო,

⁹თუ დღეს ჩვენ მოგვეთხოვება პასუხი ამ უძლური კაცისათვის გაწეულ სიკეთეზე, თუ როგორ განიკურნა იგი,

¹⁰ცხადი იყოს ყველა თქვენგანისა და მთელი ისრაელის ხალხისათვის, რომ იგი თქვენს წინაშე ჯანმრთელი დგას იესო ქრისტეს, ნაზარეტელის სახელით, რომელიც თქვენ ჯვარს აცვით და რომელიც ღმერთმა აღადგინა მკვდრეთით.

¹¹ეს არის ქვა, რომელიც უკუაგდეთ თქვენ, მშენებლებმა, და ქვაკუთხედად იქცა.

¹²სხვაში არავისშია ხსნა, და არ არის ცის ქვეშ ხალხისათვის მიცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით.“

¹³როდესაც დაინახეს პეტრესა და იოანეს ასეთი სიმტკიცე და მიხვდნენ, რომ ისინი უწიგნური და უბრალო ადამიანები არიან, გაუკვირდათ. იცოდნენ კი, რომ ისინი იესოსთან ნამყოფები იყვნენ.

¹⁴ხოლო მათთან მდგომ განკურნებულ კაცს რომ ხედავდნენ, სათქმელი აღარაფერი ჰქონდათ.

¹⁵უბრძანეს მათ სინედრიონიდან გასვლა და ერთმანეთში დაიწყეს თათბირი.

¹⁶თქვეს: „რა ვუყოთ ამ ადამიანებს? მათ მიერ რომ მოხდა ეს ცხადი სასწაული, ცნობილია იერუსალიმის ყოველი მკვიდრისთვის და ამის უარყოფა არ შეგვიძლია.

¹⁷მაგრამ უფრო მეტად რომ არ გახმაურდეს ხალხში, დავემუქროთ მათ, რომ არავის აღარ დაელაპარაკონ ამ სახელით.“

¹⁸დაუძახეს მათ და უბრძანეს, ამიერიდან აღარ ელაპარაკათ და აღარ ესწავლებინათ იესოს სახელით.

¹⁹მაგრამ პეტრემ და იოანემ მიუგეს და უთხრეს: „განსაჯეთ, განა მართებულია ღმერთის წინაშე, თქვენ უფრო გისმინოთ, ვიდრე ღმერთს?

²⁰ჩვენ არ შეგვიძლია არ ვილაპარაკოთ, რაც ვიხილეთ და მოვისმინეთ.“



²¹ხოლო ისინი დაემუქრნენ მათ და გაუშვეს, რადგან ვერ პოულობდნენ მიზეზს მათ დასასჯელად ხალხის გამო, რადგან ყველა ადიდებდა ღმერთს მომხდარისათვის.

²²რადგან ორმოც წელს გადაცილებული იყო ის კაცი, რომელზეც მოხდა ეს განკურნების სასწაული.

²³ისინი კი, როდესაც გაუშვეს, მივიდნენ თავისიანებთან და უამბეს, რა უთხრეს მათ მღვდელმთავრებმა და უხუცესებმა.

²⁴მათ რომ მოუსმინეს, ერთსულოვნად მიმართეს ღმერთს და თქვეს: „ღმერთო, შემოქმედო ცისა და მიწისა, ზღვისა და ყველაფრისა, რაც მათშია;

²⁵რომელმაც ჩვენი მამის – შენი მსახურის, დავითის – ბაგეს ათქმევინე სულიწმიდით: ‘რად შფოთავენ წარმართნი და ხალხები განიზრახავენ ამაოებას?’

²⁶აღდგნენ დედამიწის მეფენი და მთავრები ერთად შეიკრიბნენ უფლისა და მისი ცხებული წინააღმდეგ.’

²⁷რადგან ნამდვილად შეიკრიბნენ ამ ქალაქში შენი წმიდა მსახურის, შენი ცხებული, იესოს წინააღმდეგ ჰეროდე და პონტოელი პილატე წარმართებთან და ისრაელის ხალხთან ერთად,

²⁸რომ ექნათ ის, რისი მოხდენაც წინასწარ განსაზღვრა შენმა ხელმა და შენმა ნებამ.

²⁹ახლა კი, შეხედე, უფალო, მათ მუქარას და მიეცი შენს მონებს ძალა, მთელი სიმტკიცით ილაპარაკონ შენი სიტყვა,

³⁰როდესაც გაიწვდი შენს ხელს განსაკურნებლად და ნიშნებისა და სასწაულების მოსახდენად შენი წმიდა მსახურის იესოს სახელით.“

³¹და როდესაც ილოცეს, შეიძრა ის ადგილი, სადაც იყვნენ შეკრებილნი. და ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და მტკიცედ ამბობდნენ ღმერთის სიტყვას.

³²ყველა მორწმუნეს ერთი გული და ერთი სული ჰქონდა და თავის ქონებას არავინ თავისად არ თვლიდა, არამედ ყველაფერი საერთო ჰქონდათ.

³³დიდი ძალით მოწმობდნენ მოციქულები უფალი იესოს აღდგომას და დიდი მადლი იყო ყოველ მათგანზე.

³⁴არავინ იყო მათ შორის გაჭირვებული, რადგან ყველა, ვისაც ყანები ან სახლები ჰქონდა, ყიდდა და გაყიდულის საფასური მოჰქონდა

³⁵და დებდა მოციქულთა ფეხთით, და თითოეულს უნაწილდებოდა, ვისაც რა ესჭიროებოდა.



³⁶ასევე იოსებმაც, რომელსაც მოციქულებმა ბარნაბა შეარქვეს (რაც ნუგემისცემის ძედ ითარგმნება), ლევანმა, წარმოშობით კვიპროსელმა,

³⁷გაყიდა თავისი ყანა, ფული მოიტანა და მოციქულთა ფეხით დადო.

მოციქულთა საქმენი 5

¹ერთმა კაცმა, სახელად ანანია, თავის ცოლთან, საპფირასთან ერთად გაყიდა მიწის ნაკვეთი

²და გადამალა საფასურიდან – ეს მისმა ცოლმაც იცოდა – რაღაც ნაწილი კი მოიტანა და დადო მოციქულთა ფეხით.

³უთხრა პეტრემ: „ანანია, რატომ აღავსო შენი გული სატანამ სულიწმიდის მოსატყუებლად და გადამალე მიწის საფასური?

⁴სანამ გაყიდდი, შენი არ იყო? და გაყიდულიც შენს ხელში არ იყო? რატომღა ჩაიდე ეს საქმე გულში? ადამიანებს კი არ ეცრუე, არამედ ღმერთს.”

⁵როცა ეს სიტყვები მოისმინა ანანია, დაეცა და სული განუტევა. დიდმა შიშმა მოიცვა ყველა, ვინც ეს გაიგო.

⁶ადგნენ ჭაბუკები, შესუდრეს იგი, გაიტანეს და დამარხეს.

⁷განვლო სამიოდე საათმა და შევიდა მისი ცოლიც, რომელმაც არ იცოდა, რა მოხდა.

⁸ჰკითხა მას პეტრემ: „მითხარი, განა ამდენად გაყიდეთ მიწა?“ თქვა: „დიახ, ამდენად.“

⁹პეტრემ კი უთხრა მას: „რატომ შეითქვით, უფლის სულის გამოსაცდელად? აჰა, კარში დგანან შენი ქმრის დამმარხავთა ფეხები და შენც გაგიტანენ.“

¹⁰დაეცა იგი უცბად მის ფეხებთან და სული განუტევა. როდესაც ჭაბუკები შემოვიდნენ, ნახეს ის მკვდარი, გაიტანეს და ქმრის გვერდით დამარხეს.

¹¹დიდმა შიშმა მოიცვა მთელი ეკლესია და ყველა, ვინც ეს გაიგო.

¹²მოციქულთა ხელით მრავალი ნიშანი და სასწაული ხდებოდა ხალხში. და იყვნენ ყველანი ერთსულოვნად სოლომონის სტოაში.

¹³დანარჩენთაგან ვერავინ ბედავდა, შეერთებოდა მათ, მაგრამ ხალხი აქებდა მათ.

¹⁴სულ უფრო და უფრო ემატებოდნენ უფალს მორწმუნეები, მრავალი კაცი და ქალი.



¹⁵ისე რომ, ავადმყოფები ქუჩაში გამოჰყავდათ და საკაცებზე და სარეცლებზე აწვენდნენ, ვინძლო ჩავლილი პეტრეს ჩრდილი მაინც დაფენოდა რომელიმე მათგანს.

¹⁶დიდძალი ხალხი შეიკრიბა იერუსალიმის გარშემო ქალაქებიდანაც, მოჰყავდათ სნეულები და უწმიდური სულებით შეპყრობილნი, და ყველანი იკურნებოდნენ.

¹⁷ადგა მღვდელმთავარი და ყველა მასთან მყოფი, რომლებიც სადუკეველთა დასს ეკუთვნოდნენ და შურით აღვსილებმა

¹⁸დაადეს ხელი მოციქულებს და საერთო საპატიმროში ჩასხეს.

¹⁹მაგრამ უფლის ანგელოზმა ღამით გააღო საპყრობილის კარი, გამოიყვანა ისინი და თქვა:

²⁰„წადით და დადექით ტაძარში და განუცხადეთ ხალხს სიცოცხლის ყოველი მცნება.“

²¹ეს რომ მოისმინეს, განთიადისას შევიდნენ ტაძარში და ასწავლიდნენ. როდესაც მოვიდნენ მღვდელმთავარი და მასთან მყოფნი, მოიწვიეს სინედრიონი და ისრაელის ძეთა მთელი უხუცესობა და მსახურნი გაგზავნეს სატუსაღოში მათ მოსაყვანად.

²²მსახურნი რომ მივიდნენ, ვერ ნახეს ისინი საპყრობილეში, უკან გამობრუნდნენ და მოახსენეს,

²³თქვეს: „სატუსაღო საგულდაგულოდ დაკეტილი დაგვხვდა და მცველები კარებთან იდგნენ. რომ გავაღეთ, შიგ ვერავინ ვნახეთ.“

²⁴ეს სიტყვები რომ მოისმინეს, ტაძრის უფროსი და მღვდელმთავარი საგონებელს მიეცნენ, რა უნდა მომხდარიყო.

²⁵მივიდა ვიღაც და მოახსენა მათ: „აგერ ის კაცები, თქვენ რომ საპყრობილეში ჩამწყვდიეთ, ტაძარში დგანან და ასწავლიან ხალხს.“

²⁶მაშინ წავიდა უფროსი მხლებლებთან ერთად და მოიყვანა ისინი დაუძალებლად, რადგან ხალხისა ემინოდათ, არ ჩაგვქოლონო.

²⁷მოიყვანეს და დააყენეს სინედრიონის წინაშე, და ჰკითხა მათ მღვდელმთავარმა

²⁸და უთხრა: „ხომ აგიკრძალეთ, არ გესწავლებინათ ამ სახელით. და, აჰა, თქვენი მოძღვრებით აავსეთ იერუსალიმი და გინდათ, იმ კაცის სისხლმა გვიწიოს ჩვენ.“

²⁹მიუგეს პეტრემ და მოციქულებმა და უთხრეს: „ღმერთის მორჩილება უფრო გვძირთებს, ვიდრე ადამიანების.



³⁰ჩვენი მამების ღმერთმა აღადგინა იესო, რომელიც თქვენ მოკალით ძელზე ჩამოკიდებით.

³¹იგი ღმერთმა წინამძღვრად და მაცხოვრად აღამაღლა თავისი მარჯვენით, რომ მიეცეს ისრაელს მონანიება და ცოდვების მიტევება.

³²და ჩვენ მოწმენი ვართ ამ სიტყვებისა, ჩვენ და სულიწმიდა, რომელიც ღმერთმა მისცა თავის მორჩილთ.“

³³ეს რომ მოისმინეს, განრისხდნენ და მოინდომეს მათი დახოცვა.

³⁴მაშინ წამოდგა სინედრიონში ერთი ფარისეველი, სახელად გამალიელი, რჯულის მოძღვარი, მთელი ხალხის მიერ პატივდებული და ბრძანა, მოციქულები მცირე ხნით გარეთ გაეყვანათ

³⁵და უთხრა მათ: „ისრაელელნო კაცნო, დაფიქრდით, რას უპირებთ ამ ადამიანებს.

³⁶რადგან ამ დღეების წინ გამოჩნდა თევდა და თავი დიდ ვინმედ მოჰქონდა. ოთხასამდე კაცი გაჰყვა მას, მაგრამ ის მოკლეს და ყველანი, ვინც მორჩილებდნენ მას, გაიფანტნენ და არარად იქცნენ.

³⁷ამის შემდეგ, აღწერის დროს, გამოჩნდა იუდა გალილეველი და დიდძალი ხალხი გაიყოლა. ისიც დაიღუპა და ყველანი, ვინც მას მორჩილებდნენ, გაიფანტნენ.

³⁸ახლა გეუბნებით თქვენ: დაანებეთ თავი ამ ადამიანებს და გაუშვით ისინი, რადგან, თუ ადამიანისაგან არის ეს ზრახვა ან საქმე, ჩაიფუშება.

³⁹ხოლო თუ ღმერთისაგან არის, მაშინ თქვენ ვერ ჩაფუშავთ მას და, ვაითუ ღმერთის მოწინააღმდეგენი აღმოჩნდეთ.“ დაუჯერეს ეს.

⁴⁰დაუძახეს მოციქულებს, სცემეს და უბრძანეს, აღარ ელაპარაკათ იესოს სახელით, და გაუშვეს.

⁴¹გავიდნენ ისინი სინედრიონიდან გახარებულნი, რომ მისი სახელისათვის შეურაცხყოფის ღირსნი გახდნენ.

⁴²ყოველ დღე დაუცხრომლად ასწავლიდნენ და ახარებდნენ ტაძარში და სახლებში ქრისტე იესოზე.

მოციქულთა საქმენი 6

¹იმ დღეებში, როდესაც მოწაფეების რიცხვი იზრდებოდა, ბერძნულად მოლაპარაკებმა დაიწყო ჩივილი ებრაელთა წინააღმდეგ, რომ მათი ქვრივების უგულებელყოფა ხდებოდა ყოველდღიური მომსახურებისას.



²მაშინ თორმეტმა მოიწვია ყველა მოწაფე და უთხრა: „არ შეგვშვენის ჩვენ ღმერთის სიტყვის მიტოვება და სუფრების მომსახურება.

³ამოირჩიეთ, ძმებო, თქვენგან შვიდი სარწმუნო, სულიწმიდით და სიბრძნით აღსავსე კაცი და ისინი გავამწესოთ ამ საქმეზე.

⁴ჩვენ კი ლოცვასა და სიტყვის მსახურებას მივუძღვნათ დრო.”

⁵ყველას მოეწონა ეს სიტყვა. და ამოირჩიეს სტეფანე, რწმენითა და სულიწმიდით სავსე კაცი, და ფილიპე, პროხორო, ნიკანორი, ტიმონი, პარმენა და ნიკოლოზი – ანტიოქიელი რჯულშეცვლილი.

⁶წარუდგინეს ისინი მოციქულებს, ილოცეს და ხელები დაადეს მათ.

⁷და ვრცელდებოდა ღმერთის სიტყვა და დიდად მრავლდებოდა მოწაფეთა რიცხვი იერუსალიმში. მღვდელთაგანაც ბევრი დაემორჩილა რწმენას.

⁸სტეფანე კი, მადლით და ძალით აღსავსე, დიდ სასწაულებსა და ნიშნებს ახდენდა ხალხში.

⁹ადგნენ ზოგიერთები ეგრეთწოდებულ ლიბერტინელთა (ანუ განთავისუფლებულთა) სინაგოგიდან, კვირინელები და ალექსანდრიელები, ზოგიერთებიც კილიკიიდან და ასიიდან და კამათი დაუწყეს სტეფანეს,

¹⁰მაგრამ ვერ შეძლეს დაპირისპირებოდნენ სიბრძნესა და სულს, რომლითაც ის ლაპარაკობდა.

¹¹მაშინ მოისყიდეს კაცები და ათქმევინეს: „ჩვენ გავიგონეთ, როგორ ლაპარაკობდა იგი მოსეს და ღმერთის საგმობ სიტყვებს.“

¹²ააღელვეს ხალხი, უხუცესები და მწიგნობრები. და მიუხდნენ მას, შეიპყრეს და სინედრიონში მიიყვანეს.

¹³წარადგინეს ცრუმოწმენი, რომლებმაც თქვეს: „ეს კაცი განუწყვეტლივ ამ წმიდა ადგილისა და რჯულის საწინააღმდეგო სიტყვებს ლაპარაკობს.

¹⁴რადგან ჩვენ მოვისმინეთ, რომ ამბობდა, ეს იესო ნაზარეტელი დაარღვევს ამ ადგილს და შეცვლის წეს-ჩვეულებებს, რომლებიც მოსემ გადმოგვცა.“

¹⁵და მიაპყრო მას მზერა ყველამ, სინედრიონში მსხდომმა, და იხილეს მისი სახე, როგორც ანგელოზისა.

მოციქულთა საქმენი 7

¹უთხრა მღვდელმთავარმა: „ნამდვილად ასეა?“



²მან თქვა: „ძმებო და მამებო, ისმინეთ! დიდების ღმერთი გამოეცხადა ჩვენს მამას, აბრაამს, შუამდინარეთში ყოფნისას, ვიდრე ხარანში დასახლდებოდა, და უთხრა მას:

³‘გამოდი შენი ქვეყნიდან და შენი სანათესაოდან და წადი იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ.’

⁴მაშინ გამოვიდა ის ქალდეველთა ქვეყნიდან და დასახლდა ხარანში. მამამისის სიკვდილის შემდეგ კი ღმერთმა გადმოასახლა იგი ამ ქვეყანაში, სადაც ახლა თქვენ სახლობთ.

⁵და ფეხის დასადგმელი ადგილიც კი არ მიუცია მისთვის იქ სამკვიდროდ. მაგრამ აღუთქვა, რომ მისცემდა ამ ადგილს სამფლობელოდ მას და მის შთამომავლებს, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ შვილიც არ ჰყავდა.

⁶და ასე აუწყა მას ღმერთმა, რომ მისი ნაშიერი ხიზნად იქნებოდა უცხო ქვეყანაში, დაიმონებდნენ მას და დაჩაგრავდნენ ოთხას წელიწადს.

⁷‘იმ ხალხს კი, ვისაც დაემონებია, მე განვსჯი,’ – თქვა ღმერთმა, – ‘და ამის შემდეგ გამოვლენ იქიდან და თაყვანსა მცემენ ამ ადგილას.’

⁸და მისცა მას წინადაცვეთის აღთქმა. და ამგვარად შვა ისააკი და წინადაცვითა მას მერვე დღეს; ხოლო ისააკმა – იაკობი, იაკობმა – 12 მამამთავარი.

⁹მამამთავრებს შეშურდათ იოსებისა და გაყიდეს იგი ეგვიპტეში, მაგრამ ღმერთი იყო მასთან.

¹⁰იხსნა იგი ყველა მისი გასაჭირისგან და უბოძა მას მადლი და სიბრძნე ფარაონის, ეგვიპტის მეფის, წინაშე, რომელმაც დააყენა იგი ეგვიპტისა და მთელი თავისი სახლის გამგებლად.

¹¹მოვიდა შიმშილი და დიდი გასაჭირი მთელ ეგვიპტესა და ქანაანში, და ჩვენი მამები ვერ შოულობდნენ საზრდოს.

¹²ხოლო როდესაც იაკობმა გაიგო, რომ ეგვიპტეში პური არის, გაგზავნა ჩვენი მამები პირველად;

¹³მეორედ მისვლისას გაუმჟღავნა იოსებმა თავის ძმებს თავი და ცნობილი გახდა ფარაონისთვის იოსების წარმომავლობა.

¹⁴გაგზავნა იოსებმა და მოიწვია თავისი მამა იაკობი და მთელი თავისი გვარი, 75 სული.

¹⁵და ჩავიდა იაკობი ეგვიპტეში. და გარდაიცვალა იგი, და ჩვენი მამებიც.

¹⁶გადმოასვენეს ისინი შექემს და ჩაასვენეს სამარხში, რომელიც აბრაამმა იყიდა ვერცხლის ფასად შექემში ჰამორის ძეთაგან.



- ¹⁷და როდესაც ახლოვდებოდა აღთქმის ჟამი, ღმერთი რომ შეჰპირდა აბრაამს, იმატა ხალხმა ეგვიპტეში და გამრავლდა,
- ¹⁸ვიდრე არ აღდგებოდა ეგვიპტეზე სხვა მეფე, რომელიც იოსებს არ იცნობდა.
- ¹⁹ის ჩვენი მოდგმის წინააღმდეგ ბოროტად იქცეოდა, აიძულებდა ჩვენს მამებს, გადაეყარათ თავიანთი ჩვილები, რომ არ ეცოცხლათ.
- ²⁰ამ დროს დაიბადა მოსე და იყო სათნო ღმერთის წინაშე. სამ თვეს თავისი მამის სახლში იზრდებოდა.
- ²¹ხოლო როდესაც გადააგდეს, აიყვანა ის ფარაონის ასულმა და შვილად გაზარდა.
- ²²განისწავლა მოსე ეგვიპტელთა მთელი სიბრძნით და იყო ძლიერი თავისი სიტყვებითა და საქმეებით.
- ²³40 წელი რომ შეუსრულდა, გულით მოუწა თავისი ძმების, ისრაელის შვილების, მონახულება.
- ²⁴და როდესაც დაინახა, რომ ერთ-ერთ მათგანს ჩაგრავდნენ, გამოესარჩლა დაჩაგრულს, შური იძია და განგმირა ეგვიპტელი.
- ²⁵ეგონა, მიხვდებოდნენ ძმები, რომ ღმერთი მისი ხელით აპირებდა მათ ხსნას, მაგრამ ვერ მიხვდნენ.
- ²⁶მეორე დღეს მოევლინა მათ, როდესაც ჩხუბობდნენ, მოინდომა მათი დაზავება და უთხრა: ‘კაცნო, თქვენ ხომ ძმები ხართ, რატომ ჩაგრავთ ერთმანეთს?’
- ²⁷მაგრამ მოყვასის დამჩაგრელმა ხელი ჰკრა მას და უთხრა: ‘ვინ დაგნიშნა ჩვენს მთავრად და მსაჯულად?’
- ²⁸ჩემი მოკვლაც ხომ არ გინდა, როგორც გუშინ ეგვიპტელი მოკალი?’
- ²⁹გაიქცა მოსე ამ სიტყვებზე და გახდა ხიზანი მიდიამის ქვეყანაში, სადაც შეეძინა ორი ვაჟი.
- ³⁰და როდესაც შესრულდა 40 წელი, ეჩვენა მას სინაის მთის უდაბნოში ანგელოზი აღმოცენებული მაყვლოვანიდან.
- ³¹მოსემ დაინახა და განცვიფრდა ამ ხილვით. მიუახლოვდა, რომ დაკვირვებოდა, და იყო უფლის ხმა:
- ³²‘მე ვარ შენი მამების ღმერთი, ღმერთი აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა.’ შემდრწუნდა მოსე და ვერ გაბედა შეხედვა.



³³უთხრა მას უფალმა: ‘გაიძვრე სანდლები ფეხთაგან, რადგან ადგილი, რომელზეც დგახარ, წმიდა მიწაა.

³⁴მე ვხედავ ჩემი ხალხის გასაჭირს ეგვიპტეში და მესმის მისი გმინვა, და ჩამოვედი მათ გამოსახსნელად. ახლა წადი, მე მიგავლენ შენ ეგვიპტეში.’

³⁵ეს ის მოსეა, რომელიც მათ უარყვეს და უთხრეს: ‘ვინ დაგნიშნა მთავრად და მსაჯულად?’ ის, ვინც ღმერთმა მთავრად და მხსნელად მიავლინა იმ ანგელოზის ხელით, რომელიც მას მაყვლოვანში ეჩვენა.

³⁶მან გამოიყვანა ისინი და ახდენდა სასწაულებს და ნიშნებს ეგვიპტის ქვეყანაში, მეწამულ ზღვაზე და უდაბნოში 40 წელი.

³⁷ეს არის მოსე, რომელმაც უთხრა ისრაელის შვილებს: ‘წინასწარმეტყველს, ისეთს, როგორიც მე ვარ, აღგიდგენთ ღმერთი თქვენ ძმათაგან. მას უსმინეთ!’

³⁸ეს არის ის, ვინც ხალხის კრებულთან ერთად უდაბნოში იყო და ვისაც ანგელოზი ელაპარაკებოდა სინაის მთაზე ჩვენი მამებისათვის; ვინც მიიღო ცოცხალი სიტყვები ჩვენთვის გადმოსაცემად;

³⁹ვისი მორჩილებაც არ ისურვეს ჩვენმა მამებმა, არამედ განუდგნენ და თავიანთ გულებში ეგვიპტისკენ მიიქცნენ.

⁴⁰უთხრეს აარონს: ‘გაგვიკეთე ღმერთები, რომლებიც წინ წავგიძღვებიან, რადგან ამ მოსეს, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგვიყვანა, არ ვიცით, რა დაემართა.’

⁴¹და გააკეთეს იმ დღეებში ხბო, შესწირეს მსხვერპლი კერპს და ხარობდნენ თავიანთი ხელის ქმნილებით.

⁴²ზურგი შეაქცია მათ ღმერთმა და ციური მხედრობის სამსახურს გადასცა ისინი, როგორც წინასწარმეტყველთა წიგნში წერია: ‘განა მოგქონდა ჩემთვის საკლავი და მსხვერპლი უდაბნოში ორმოც წელიწადს, ისრაელის სახლო?’

⁴³დაატარებდით მოლოქის კარავს და თქვენი ღმერთის, რეფანის, ვარსკვლავს და გამოსახულებებს, რომლებიც თქვენ გააკეთეთ, რომ თაყვანი გეცათ მათთვის, და მეც გადაგასახლებთ ბაბილონს იქით.’

⁴⁴მოწმობის კარავი ჰქონდათ ჩვენს მამებს უდაბნოში, როგორც დაუწესა მოსეს მასთან მოლაპარაკემ, რათა გაეკეთებინა იმ სახით, რომელიც იხილა.

⁴⁵მიიღეს იგი ჩვენმა მამებმა და იესოსთან ერთად შეიტანეს იმ ხალხთა სამკვიდრებელში, რომლებიც ღმერთმა განდევნა ჩვენი მამების წინაშე. ასე იყო დავითის დღეებამდე.



⁴⁶მან ჰპოვა მადლი ღმერთის წინაშე და ლოცულობდა, რომ იაკობის ღმერთისთვის სავანე ეპოვა.

⁴⁷სახლი კი სოლომონმა აუგო მას.

⁴⁸მაგრამ უზენაესი არ მკვიდრობს ხელთქმნილში, როგორც წინასწარმეტყველი ამბობს:

⁴⁹‘ცა ტახტია ჩემი და დედამიწა – ჩემს ფეხთა კვარცხლბეკი,’ – ამბობს უფალი, – ‘როგორ სახლს ამიგებთ მე ან რომელი ადგილია ჩემი დასასვენებელი?’

⁵⁰განა ჩემმა ხელმა არ შექმნა ყოველივე ეს?’

⁵¹ქედფიცხელნო, გულით და ყურით წინადაუცვეთელნო, თქვენ ყოველთვის ეწინააღმდეგებით სულიწმიდას, როგორც თქვენი მამები, ასევე თქვენც.

⁵²რომელს არ დევნიდნენ წინასწარმეტყველთაგან თქვენი მამები? მათ დახოცეს მართალის მოსვლის წინასწარ მაუწყებელნი, იმისი, ვისი გამცემები და მკვლელებიც ახლა თქვენ გახდით,

⁵³თქვენ, რომლებმაც მიიღეთ რჯული ანგელოზების განწესებით და არ დაიცავით იგი.“

⁵⁴ამას რომ ისმენდნენ, გულზე სკდებოდნენ და კბილებს უღრჭიალებდნენ მას.

⁵⁵მან კი, სულიწმიდით აღვსილმა, ახედა ცას და დაინახა ღმერთის დიდება და ღმერთის მარჯვენით მდგარი იესო.

⁵⁶და თქვა: „აჰა, მე ვხედავ გახსნილ ცას და კაცის ძეს, ღმერთის მარჯვნივ მდგომს.“

⁵⁷მაგრამ მათ ხმამაღალი ყვირილი მორთეს, ყურები დაიცვეს და ერთსულოვნად დაეძგერნენ.

⁵⁸გაათრიეს ქალაქის გარეთ და ჩაქოლეს. მოწმეებმა თავიანთი ტანისამოსი დააწყვეს ერთი ჭაბუკის ფეხთით, რომელსაც სავლე ერქვა.

⁵⁹და რომ ქოლავდნენ, სტეფანე უხმობდა და ამბობდა: „უფალო იესო, მიიბარე ჩემი სული!“

⁶⁰მუხლი მოიყარა და ხმამაღლა შეჰლადადა: „უფალო, ნუ ჩაუთვლი მათ ამას ცოდვად!“ ეს თქვა და მიიძინა.

მოციქულთა საქმენი 8



- ¹სავლე მათ შორის იყო, ვინც მოიწონა მისი მოკვლა. იმ დღეებში მოხდა იერუსალიმის ეკლესიის დიდი დევნა და მოციქულთა გარდა ყველა გაიფანტა იუდეისა და სამარიის მხარეებში.
- ²დაკრძალეს სტეფანე ღვთისმოშიშმა კაცებმა და დიდად იგლოვეს.
- ³სავლე კი არბევდა ეკლესიას, იჭრებოდა სახლებში და ძალით გამოჰყავდა კაცები და ქალები, და საპყრობილეში ყრიდა მათ.
- ⁴ხოლო გაფანტულები დადიოდნენ და ახარებდნენ სიტყვას.
- ⁵ფილიპე ჩავიდა სამარიელთა ქალაქში და მათ უქადაგებდა ქრისტეს.
- ⁶ხალხი ერთსულოვნად ყურს უგდებდა ფილიპეს, უსმენდა მის სიტყვებს და ხედავდა ნიშნებს, რომელთაც ახდენდა იგი.
- ⁷უწმიდური სულები ბევრი შეპყრობილისაგან ხმამაღალი ყვირილით გამოდიოდნენ, მრავალი დამბლადაცემული და ხეიბარი იკურნებოდა.
- ⁸და დიდი სიხარული იყო იმ ქალაქში.
- ⁹ცხოვრობდა ადრიდანვე იმ ქალაქში ერთი კაცი, სახელად სიმონი, რომელიც ჯადოქრობით აოცებდა სამარიელ ხალხს და თავი დიდ ვინმედ მოჰქონდა.
- ¹⁰ყურს უგდებდა მას ყველა, დიდიან-პატარიანად, და ამბობდა: „ეს ღმერთის ძალაა, დიდად წოდებული.“
- ¹¹ყურს კი იმიტომ უგდებდნენ მას, რომ დიდი ხნიდან აოცებდა მათ ჯადოქრობით.
- ¹²როდესაც ერწმუნენ ფილიპეს, რომელიც ახარებდა ღმერთის სამეფოსა და იესო ქრისტეს სახელს, ინათლებოდნენ კაცებიც და ქალებიც.
- ¹³თავად სიმონმაც ირწმუნა და მოინათლა, აღარ შორდებოდა ფილიპეს და ჩადენილ დიდ სასწაულებსა და ძალებს რომ ხედავდა, გაოცებული იყო.
- ¹⁴გაიგეს იერუსალიმში მყოფმა მოციქულებმა, რომ სამარიამ მიიღო ღმერთის სიტყვა, და გაგზავნეს მათთან პეტრე და იოანე,
- ¹⁵რომლებიც ჩავიდნენ იქ და ილოცეს მათთვის, რომ მიეღოთ სულიწმიდა.
- ¹⁶რადგან მანამდე არც ერთ მათგანზე არ იყო გადმოსული, მხოლოდ მონათლულები იყვნენ უფალი იესოს სახელით.
- ¹⁷მაშინ დაადეს ხელები მათ და მათაც მიიღეს სულიწმიდა.
- ¹⁸როდესაც დაინახა სიმონმა, რომ მოციქულთა ხელების დადებით ეძლეოდათ სულიწმიდა, ფული მიუტანა მათ



- ¹⁹და თქვა: „მეც მომეცით ხელმწიფება, რომ ჩემგან ხელდასხმულმაც მიიღოს სულიწმიდა.“
- ²⁰პეტრემ უთხრა მას: „შენი ვერცხლი შენთან იყოს შენს დასაღუპად, რადგან ღმერთის ნიჭის ფულით მოპოვება განიზრახე.
- ²¹არა გაქვს შენ წილი და ხვედრი სიტყვაში, რადგან შენი გული არ არის წრფელი ღმერთის წინაშე.
- ²²მოინანიე შენი უკეთურება და შეევედრე უფალს, ვინძლო მოგეტეოს შენი გულისზრახვა,
- ²³რადგან მწარე შურითა და ცოდვით შებოროკილს გხედავ.“
- ²⁴მიუგო სიმონმა და უთხრა მათ: „შეევედრეთ ჩემთვის უფალს, რომ არ მეწიოს თქვენი ნათქვამი.“
- ²⁵ხოლო როდესაც დაამოწმეს და ილაპარაკეს უფლის სიტყვა, გაბრუნდნენ იერუსალიმისკენ და სამარიელთა მრავალ სოფელში ახარებდნენ.
- ²⁶უფლის ანგელოზმა უთხრა ფილიპეს: „ადექი და წადი სამხრეთისაკენ იმ გზაზე, რომელიც იერუსალიმიდან ღაზაში ჩადის.“ (უკაცრიელია იგი.)
- ²⁷ადგა და წავიდა. და, აჰა, კაცი, ეთიოპელი საჭურისი, ეთიოპიის დედოფლის, კანდაკეს, დიდებული, მთელი მისი საგანძურის მცველი, რომელიც თაყვანის საცემად მოსულიყო იერუსალიმში,
- ²⁸უკან ბრუნდებოდა და თავის ეტლში მჯდარი, კითხულობდა ესაია წინასწარმეტყველს.
- ²⁹უთხრა სულმა ფილიპეს: „მიდი და ახლოს დაუდექი მაგ ეტლს.“
- ³⁰მიიღბინა ფილიპემ და, როცა მოისმინა, რომ იგი ესაია წინასწარმეტყველს კითხულობდა, უთხრა: „თუ გესმის, რასაც კითხულობ?“
- ³¹მან უთხრა: „როგორ შევძლებ, თუ არავინ განმიმარტავს?“ და სთხოვა ფილიპეს, ასულიყო და მის გვერდით დამჯდარიყო.
- ³²წერილის ადგილი, რომელსაც ის კითხულობდა, ეს იყო: „კრავივით წაიყვანეს დასაკლავად და, როგორც ცხვარი დუმს მპარსველთა წინაშე, ისე არ დაუძრავს მასაც ბაგე.
- ³³დამცირებაში წაერთვა სამართალი და ვინ მოიკითხავდა მის წარმომავლობას? რადგან მისი სიცოცხალე აღიგავა დედამიწისაგან.“
- ³⁴მიუგო საჭურისმა ფილიპეს და უთხრა: „გევედრები, ვისზე ამბობს ამას წინასწარმეტყველი, თავის თავზე, თუ სხვა ვინმეზე?“
- ³⁵გახსნა ფილიპემ ბაგე და დაიწყო ამ წერილით და ახარა იესოს შესახებ.



³⁶როდესაც გზად გაემართნენ, მიაღწენ ერთ წყალს და თქვა საჭურისმა: „აჰა, წყალი. რა მაბრკოლებს, რომ მოვინათლო?“

³⁷უთხრა მას ფილიპემ: „თუ მთელი გულით გწამს, შეიძლება.“ მან მიუგო და უთხრა: „მწამს, რომ იესო ქრისტე ღმერთის ძეა.“

³⁸და უბრძანა, გაეჩერებინა ეტლი და ორივენი ჩავიდნენ წყალში, ფილიპე და საჭურისი, და მონათლა იგი.

³⁹ხოლო როდესაც წყლიდან ამოვიდნენ, უფლის სულმა წარიტაცა ფილიპე და ველარ დაინახა იგი საჭურისმა. და გახარებული გაემართა თავის გზაზე.

⁴⁰ფილიპე კი აღმოჩნდა აზოტში, მიმოდიოდა და ახარებდა ყველა ქალაქს, ვიდრე კესარიამი მივიდოდა.

მოციქულთა საქმენი 9

¹სავლე კი, რომელიც ჯერ კიდევ მუქარითა და სიკვდილით სუნთქავდა უფლის მოწაფეთა წინააღმდეგ, მღვდელმთავართან მივიდა²და სთხოვა წერილები დამასკოს სინაგოგებისადმი, რომ ვისაც იპოვიდა ამ გზაზე, კაცებს თუ ქალებს, შებორკილი მიეყვანა იერუსალიმში.

³გზად მიმავალი, როდესაც დამასკოს უახლოვდებოდა, უეცრად კაშკაშა ნათელმა მოიცვა ციდან,

⁴დაეცა მიწაზე და მოესმა ხმა, რომელიც ეუბნებოდა: „სავლე, სავლე, რად მდევნი მე?“

⁵მან თქვა: „ვინ ხარ შენ, უფალო?“ მან კი უთხრა: „მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი.“

⁶ადექი და შედი ქალაქში და გეტყვიან, რაც უნდა გააკეთო.“

⁷კაცები კი, რომლებიც თან ახლდნენ მას, დამუწკებულები იდგნენ, ხმა კი ესმოდათ, მაგრამ ვერავის ხედავდნენ.

⁸წამოდგა სავლე მიწიდან, თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. ხელჩაკიდებული შეიყვანეს დამასკოში.

⁹სამი დღე ვერ ხედავდა, არც ჭამდა და არც სვამდა.

¹⁰იყო ერთი მოწაფე დამასკოში, სახელად ანანია. და უთხრა უფალმა მას ჩვენებაში: „ანანია!“ მან თქვა: „აჰა, მე, უფალო.“

¹¹და უთხრა მას უფალმა: „ადექი და მიდი ქუჩაზე, რომელსაც ჰქვია სწორი, იკითხე იუდას სახლში ტარსუსელი კაცი, სახელად სავლე. აჰა, ლოცულობს იგი,



¹²და იხილა ჩვენებაში კაცი, სახელად ანანია, რომელიც მივიდა და ხელები დაადო მას, რათა თვალი აეხილოს.”

¹³მიუგო ანანიამ: „უფალო, ბევრისგან მსმენია ამ ადამიანზე, რაოდენი ბოროტება უყო შენს წმიდებს იერუსალიმში.

¹⁴და აქაც მღვდელმთავრებისაგან აქვს ხელმწიფება შებორკოს ყველა, ვინც შენს სახელს ახსენებს.“

¹⁵უთხრა მას უფალმა: „წადი, რადგან ის არის ჩემი რჩეული ჭურჭელი, რათა მიიტანოს ჩემი სახელი წარმართთა, მეფეთა და ისრაელის ძეთა წინაშე.

¹⁶ხოლო მე ვაჩვენებ მას, რამდენი უნდა იტანჯოს ჩემი სახელისთვის.“

¹⁷წავიდა ანანია და შევიდა იმ სახლში, დაადო მას ხელები და უთხრა: „ძმაო სავლე, უფალმა გამომგზავნა მე, იესომ, რომელიც გეჩვენა გზაზე მომავალს, რომ თვალი აეხილოს და აღივსო სულიწმიდით.“

¹⁸უცებ, თითქოს ქერცლი მოსძვრაო მის თვალებს, აეხილა, ადგა და მოინათლა.

¹⁹და მიიღო საჭმელი და მომაგრდა. და დარჩა იგი დამასკოში მოწაფეებთან რამდენიმე დღეს.

²⁰და მალევე დაიწყო სინაგოგებში ქადაგება იესოზე, რომ ის ღმერთის ძეა.

²¹გაოგნებული იყო ყველა მსმენელი და ამბობდა: „ნუთუ ეს ის არის, იერუსალიმში რომ სპობდა ამ სახელის მხმობელთ და აქაც ხომ იმისათვის მოვიდა, რომ შებორკილნი წაეყვანა ისინი მღვდელმთავრებთან?“

²²სავლე კი, სულ უფრო ძლიერდებოდა და საგონებელში აგდებდა დამასკოში მცხოვრებ იუდეველებს და ამტკიცებდა, რომ ეს არის ქრისტი.

²³განვლო მრავალმა დღემ და იუდეველები შეითქვნენ მის მოსაკლავად.

²⁴ცნობილი გახდა სავლესთვის მათი შეთქმულების ამბავი. ისინი კი დღედაღამ სდარაჯობდნენ კარიბჭესთან, რათა მოეკლათ იგი.

²⁵მაგრამ მოწაფეებმა ღამით აიყვანეს იგი და გალავნიდან ჩაუშვეს გოდრით.

²⁶იერუსალიმში მისული ცდილობდა მოწაფეებს შეერთებოდა, მაგრამ ყველას ეშინოდა მისი, არ სჯეროდათ, რომ მოწაფე იყო.

²⁷მაშინ ბარნაბამ წაიყვანა იგი, მიიყვანა მოციქულებთან და მოუთხრო მათ, თუ როგორ იხილა მან გზაში უფალი, რომელიც ელაპარაკა მას და როგორ გაბედულად ლაპარაკობდა იგი დამასკოში იესოს სახელით.

²⁸და იყო ის მათთან. გამოდიოდა და შედიოდა იერუსალიმში და გაბედულად ქადაგებდა უფლის სახელით.



²⁹ლაპარაკობდა და ეპაექრებოდა კიდევ ბერძნულად მოლაპარაკე იუდეველებს, ისინი კი მის მოკვლას ცდილობდნენ.

³⁰როდესაც შეიტყვეს ეს მძებმა, ჩაიყვანეს იგი კესარიას და გაგზავნეს ტარსუსში.

³¹ამგვარად, ეკლესიას მთელ იუდეაში, გალილეასა და სამარიაში მშვიდობა ჰქონდა, შენდებოდა, ვიდოდა უფლის მოშიშებით და სულიწმიდის ნუგეშისცემით მრავლდებოდა.

³²ერთხელ, ყველა ადგილის შემოვლისას, პეტრე მივიდა წმიდებთანაც, რომლებიც ლიდაში ცხოვრობდნენ.

³³ნახა იქ ერთი კაცი, სახელად ენეასი, რომელიც რვა წელიწადს დამბლადაცემული იწვა სარეცელზე.

³⁴და უთხრა მას პეტრემ: „ენეას, გკურნავს შენ იესო ქრისტე. ადექი და თავად გაასწორე სარეცელი!“ და მაშინვე წამოდგა.

³⁵და ხედავდა მას ყველა, ვინც ლიდასა და შარონში ცხოვრობდა, და მოიქცნენ ისინი უფლისაკენ.

³⁶იყო იაფოში ერთი მოწაფე ქალი, სახელად ტაბითა, (რაც თარგმანით ნიშნავს ქურციკს). იგი სავსე იყო კეთილი საქმეებითა და მოწყალებით, რომელსაც იქმოდა.

³⁷იმ დღეებში ავად გახდა იგი და მოკვდა. განზანეს და დაასვენეს ზედა ოთახში.

³⁸ლიდა ახლოს იყო იაფოსთან და მოწაფეებმა რომ შეიტყვეს, რომ პეტრე იქ იყო, გაუგზავნეს ორი კაცი სათხოვნელად, რომ არ დაეყოვნებინა მათთან მისვლა.

³⁹ადგა პეტრე და წავიდა მათთან. როდესაც მივიდა, აიყვანეს ზედა ოთახში და მის წინაშე წარდგა ყველა ქვრივი. ისინი ტიროდნენ და უჩვენებდნენ პერანგებსა და მოსასხამებს, რომლებსაც ქურციკი ამზადებდა, სანამ მათთან იყო.

⁴⁰პეტრემ გაუშვა ყველანი გარეთ, მუხლი მოიყარა და ილოცა, მოუტრიალდა ცხედარს და თქვა: „ტაბითა, ადექი!“ მან აახილა თვალი და, პეტრე რომ დაინახა, წამოჯდა.

⁴¹მან ხელი გაუწოდა, წამოაყენა, დაუძახა წმიდებსა და ქვრივებს და ცოცხალი წარუდგინა იგი.

⁴²ცნობილი გახდა ეს მთელ იაფოში და მრავალმა იწამა უფალი.

⁴³და ერთ ხანს დარჩა ის იაფოში ვინმე სიმონ მეტყავესთან.



მოციქულთა საქმენი 10

- ¹იყო ერთი კაცი კესარიაში, სახელად კორნელიუსი, იტალიურად წოდებული რაზმის ასისტავი.
- ²კეთილმსახური და ღვთისმოშიში იყო ის მთელს თავის სახლთან ერთად, მოწყალებას უხვად გასცემდა ხალხისათვის და მუდამ ღოცულობდა ღმერთის წინაშე.
- ³და ასე, დღის მეცხრე საათზე, იხილა მან ჩვენებაში ცხადად ღმერთის ანგელოზი, რომელიც შევიდა მასთან და უთხრა: „კორნელიუს!“
- ⁴მიაპყრო მას მზერა და შეშინებულმა თქვა: „რა არის, უფალო?“ უთხრა მას: „შენი ღოცვები და მოწყალებანი აღვიდა ღმერთის წინაშე და გაგიხსენა შენ.“
- ⁵ახლა მიავლინე კაცები იაფოში და დაუძახე ვინმე სიმონს, რომელიც პეტრედ იწოდება.
- ⁶იგი სტუმრად არის ვინმე სიმონ მეტყავესთან, რომლის სახლი ზღვის პირას დგას.“
- ⁷როცა გაშორდა მასთან მოსაუბრე ანგელოზი, მან დაუძახა თავის ორ სახლეულს და ერთ კეთილმსახურ მეომარს, რომელიც თან ახლდა,
- ⁸უამბო მათ ყოველივე და გაგზავნა იაფოში.
- ⁹მეორე დღეს, როცა ისინი გზაში იყვნენ და ქალაქს უახლოვდებოდნენ, პეტრე ერდოზე ავიდა სალოცავად; იქნებოდა, ასე, ექვსი საათი.
- ¹⁰მოშივდა და ჭამა მოუნდა. და ვიდრე რამეს მოუმზადებდნენ, გარინდებამ მოიცვა იგი
- ¹¹და იხილა გახსნილი ცა და გარდამომავალი რაღაც ჭურჭელი, დიდი ტილოს მსგავსი, რომელიც ოთხი კიდით ჩამოკიდებული ეშვებოდა მიწაზე.
- ¹²მასში იყო მიწის ყოველნაირი ოთხფეხი, ქვეწარმავალი და ცის ფრინველი.
- ¹³და იყო ხმა მის მიმართ: „ადექი, პეტრე, დაკალი და ჭამე.“
- ¹⁴პეტრემ თქვა: „არა, უფალო, არასოდეს არაფერი მიჭამია შებილწული და უწმიდური.“
- ¹⁵მეორედ კვლავ იყო მის მიმართ ხმა: „რაც ღმერთმა განწმიდა, ნუ მიიჩნევ შებილწულად.“
- ¹⁶ასე მოხდა სამგზის და ჭურჭელი მყისვე ცად ამაღლდა.



¹⁷და როდესაც პეტრე საგონებელში იყო ჩავარდნილი, თუ რა იყო ეს ჩვენება, რომელიც მან იხილა, – კორნელიუსის გამოგზავნილი კაცები უკვე ჭიშკართან იდგნენ, მათ კითხვით მიეგნოთ სიმონის სახლისათვის,

¹⁸დაიძახეს და იკითხეს: „აქ ხომ არ არის სტუმრად სიმონი, პეტრედ წოდებული?“

¹⁹ვიდრე პეტრე ჩვენებაზე ფიქრობდა, უთხრა მას სულმა: „აგერ, სამი კაცი გეძებს შენ.“

²⁰ახლა ადექი, ჩადი და გაჰყევი მათ. არ იყოყმანო, რადგან მე მოვავლინე ისინი.“

²¹ჩავიდა პეტრე იმ კაცებთან და უთხრა: „აჰა, მე ვარ, ვისაც ეძებთ. რისთვის მოსულხართ?“

²²მათ თქვეს: „ასისტავ კორნელიუსს, მართალს და ღვთისმოშიშ კაცს, რომელსაც ემოწმება იუდეველთა მთელი ერი, წმიდა ანგელოზისგან ებრძანა, მოგიხმოს თავის სახლში და შენგან მოისმინოს სიტყვები.“

²³მაშინ მიიწვია ისინი და გაუმასპინძლდა. მეორე დღეს კი ადგა და წავიდა მათთან ერთად. ზოგიერთი იაფოელი ძმაც თან ახლდა მას.

²⁴მეორე დღეს შევიდნენ კესარიაში. კორნელიუსი ელოდა მათ, შემოეკრიბა თავისი ნათესავები და უახლოესი მეგობრები.

²⁵როდესაც შედიოდა პეტრე, კორნელიუსი შეეგება მას, ფეხებში ჩაუვარდა და თაყვანი სცა.

²⁶პეტრემ კი წამოაყენა და უთხრა: „ადექი, მეც კაცი ვარ.“

²⁷და მასთან საუბრით შევიდა და მრავალი შეკრებილი ჰპოვა იქ.

²⁸უთხრა მათ: „თქვენ უწყით, რომ იუდეველ კაცს ეკრძალება ურთიერთობა და სტუმრობა უცხოთესლთან. მაგრამ მე მიჩვენა ღმერთმა, რომ არც ერთ ადამიანზე არ მეტქვა შებილწული ან უწმიდური.“

²⁹ამიტომაც, როდესაც მომიხმეს, დაუბრკოლებლად მოვედი. ამიტომ გეკითხებით, რა საქმეზე დამიძახეთ?“

³⁰კორნელიუსმა თქვა: „ოთხი დღის წინ, სწორედ ამ დროს, მეცხრე საათზე, ჩემს სახლში ვლოცულობდი. და, აჰა, ჩემს წინაშე დადგა კაცი ელვარე სამოსით

³¹და თქვა: ‘კორნელიუს, შესმენილია შენი ლოცვა და შენი მოწყალებანი მოხსენებულია ღმერთის წინაშე.



³²ახლა გაგზავნე იაფოში და დაუძახე სიმონს, რომელიც პეტრედ იწოდება. მეტყავე სიმონის სახლში დგას, ზღვის პირას.’

³³მაშინვე გამოვაგზავნე შენთან და კარგად მოიქეცი, რომ მოხვედი. ახლა ჩვენ ყველანი ვდგავართ ღმერთის წინაშე, რომ მოვისმინოთ ყოველივე, რაც უფლისაგან გაქვს ნაბრძანები.“

³⁴გახსნა პეტრემ ბაგე და თქვა: „ჭეშმარიტად ვრწმუნდები, რომ ღმერთი მიკერძოებული არ არის,

³⁵არამედ ყოველ ერში მისი მოშიში და სიმართლის მოქმედი სათნოა მისთვის.

³⁶მან მოუვლინა ისრაელის შვილებს სიტყვა და ახარა მშვიდობა იესო ქრისტეს მეშვეობით, ის არის ყოველთა უფალი.

³⁷თქვენ იცით, რა მოხდა მთელს იუდეაში, გალილეიდან დაწყებული, იმ ნათლისცემის შემდეგ, რომელსაც ქადაგებდა იოანე.

³⁸როგორ სცხო ღმერთმა სულიწმიდით და ძალით იესო ნაზარეველს. როგორ დადიოდა, სიკეთეს იქმოდა და კურნავდა ყველას, ეშმაკისაგან დათრგუნულებს, რადგან ღმერთი იყო მასთან.

³⁹ჩვენ ყველაფრის მოწმენი ვართ, რაც მან გააკეთა იუდეის ქვეყანაში და იერუსალიმში, და რომ ბოლოს იგი მოკლეს ძელზე ჩამოკიდებით.

⁴⁰ხოლო ღმერთმა აღადგინა იგი მესამე დღეს და გამოაცხადებინა თავი,

⁴¹არა მთელი ხალხისთვის, არამედ ღმერთის მიერ წინასწარ ამორჩეულ მოწაფეთათვის, ჩვენთვის, რომლებიც მასთან ერთად ვჭამდით და ვსვამდით მისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ.

⁴²მან გვიბრძანა, ვუქადაგოთ ხალხს და დავუმოწმოთ, რომ ის არის ღმერთისგან განწესებული ცოცხალთა და მკვდართა მსაჯული.

⁴³მასზე ყველა წინასწარმეტყველი ამოწმებს, რომ ყოველი მისი მორწმუნე მისი სახელით მიიღებს ცოდვების მიტევებას.“

⁴⁴ჯერ კიდევ ლაპარაკობდა პეტრე ამ სიტყვებს, რომ სულიწმიდა გადმოვიდა ყველაზე, ვისაც ესმოდა სიტყვა.

⁴⁵მორწმუნენი წინადაცვეთილთაგან, რომლებიც პეტრეს მოჰყვნენ, გაოცდნენ, რომ სულიწმიდის ნიჭი წარმართებსაც მოეფინათ,

⁴⁶რადგან ესმოდათ, რომ ლაპარაკობდნენ ენებზე და ადიდებდნენ ღმერთს. მაშინ თქვა პეტრემ:



⁴⁷„ვის შეუძლია წყლით ნათლისცემა დაუკავოს იმათ, ვინც ჩვენსავით მიიღო სულიწმიდა?“

⁴⁸და უბრძანა მათ, მონათლულიყვნენ იესო ქრისტეს სახელით. მაშინ სთხოვეს მას, დარჩენილიყო მათთან რამდენიმე დღეს.

მოციქულთა საქმენი 11

¹გაიგეს მოციქულებმა და ძმებმა, რომლებიც იუდეაში იყვნენ, რომ წარმართებმაც მიიღეს ღმერთის სიტყვა.

²და როდესაც ავიდა პეტრე იერუსალიმში, უსაყვედურეს მას წინადაცვეთილებმა,

³და ეუბნებოდნენ: „წინადაუცვეთელ ხალხთან შეხვედი და მათთან ერთად ჭამე.“

⁴დაუწყო მათ პეტრემ განმარტება თანმიმდევრობით:

⁵„მე ვიყავი ქალაქ იაფოში, ვლოცულობდი და გარინდებაში ვიხილე ჩვენება: გარდამომაგალი რაღაც ჭურჭელი, დიდი ტილოსავით, ოთხი კიდით ეშვებოდა ზეციდან და ჩემამდე მოაღწია.

⁶შეხედე მას, დავაკვირდი და დავინახე შიგ მიწის ოთხფეხნი, მხეცნი, ქვეწარმავალნი და ცის ფრინველნი.

⁷და მომესმა ხმა, რომელმაც მითხრა: ‘ადექი, პეტრე, დაკალი და ჭამე!’

⁸ვთქვი: ‘არა, უფალო! რადგან ჩემს პირში არასოდეს არაფერი შებილწული და უწმიდური არ შესულა.’

⁹მეორედ მომიგო ხმამ ციდან: ‘რაც ღმერთმა განწმიდა, ნუ მიიჩნევ უწმინდურად.’

¹⁰ეს მოხდა სამჯერ, და ყველაფერი ისევ ცად ამაღლდა.

¹¹და, აჰა, მაშინვე კესარიიდან ჩემთან გამოგზავნილი სამი კაცი მოადგა იმ სახლს, სადაც მე ვიყავი.

¹²მითხრა სულმა, რომ უყოყმანოდ გავყოლოდი მათ. წამომყვა ეს ექვსი ძმა და შევედით იმ კაცის სახლში.

¹³მან გვიამბო, როგორ იხილა თავის სახლში მდგომი ანგელოზი, რომელმაც უთხრა: ‘გაგზავნე იაფოში და მოუხმე სიმონს, პეტრედ წოდებულს.

¹⁴ის გეტყვის სიტყვებს, რომლითაც გადარჩებით შენ და მთელი შენი სახლი.’



¹⁵და როდესაც ლაპარაკი დავიწყე, სულიწმიდა გადმოვიდა მათზე ისევე, როგორც ჩვენზე თავდაპირველად.

¹⁶გამახსენდა უფლის სიტყვა, როგორ ამბობდა: ‘იოანე ნათლავდა წყლით, თქვენ კი სულიწმიდით მოინათლებით.’

¹⁷თუკი ღმერთმა ისეთივე ნიჭი მისცა მათ, როგორც ჩვენ, რომელთაც ვირწმუნეთ უფალი იესო ქრისტე, მე ვინ ვიყავი, რომ შემძლებოდა წინ აღვდგომოდი ღმერთს?“

¹⁸ეს რომ მოისმინეს, დადუმდნენ და აღიდეს ღმერთი, და ამბობდნენ: „აჰა, წარმართებსაც მისცა ღმერთმა მონანიება სასიცოცხლოდ.“

¹⁹ხოლო სტეფანეს გამო მომხდარი დევნისაგან გაფანტულები მივიდნენ ფინიკიამდე, კვიპროსამდე და ანტიოქიამდე და ებრაელების გარდა არავის უქადაგებდნენ სიტყვას.

²⁰იყვნენ მათგან ზოგიერთნი კვიპროსელნი და კვირინელნი, რომლებიც ანტიოქიაში მისვლისას ესაუბრებოდნენ ბერძნულად მოლაპარაკეებსაც და ახარებდნენ მათ უფალ იესოს.

²¹და იყო უფლის ხელი მათთან, ბევრმა ირწმუნა და მოიქცა უფლისაკენ.

²²მიაღწია ამ ამბავმა იერუსალიმში მყოფი ეკლესიის ყურამდე და მიავლინეს ბარნაბა ანტიოქიაში.

²³როდესაც მივიდა და იხილა ღმერთის მადლი, გაიხარა და ყველას შეაგონებდა, წრფელი გულით დარჩენილიყვნენ უფალში;

²⁴რადგან იგი კეთილი კაცი იყო, სულიწმიდითა და რწმენით აღვსილი. და დიდძალი ხალხი შეემატა უფალს.

²⁵წავიდა ტარსუსში სავლეს სამეზნელად და ნახა იგი, და ანტიოქიაში მოიყვანა.

²⁶და მოხდა ისე, რომ მთელ წელიწადს იკრიბებოდნენ ეკლესიაში და ასწავლიდნენ დიდძალ ხალხს. და პირველად ანტიოქიაში ეწოდათ მოწაფეებს ქრისტიანები.

²⁷იმ დღეებში იყო, რომ მოვიდნენ მქადაგებელნი იერუსალიმიდან ანტიოქიაში.

²⁸წამოდგა ერთი მათგანი, სახელად აგაბოსი, და იწინასწარმეტყველა სულით, რომ დიდი შიმშილობა ჩამოვარდებოდა მთელ მსოფლიოში, რაც მოხდა კიდევ კლავდიუსის დროს.



²⁹ხოლო მათ გადაწყვიტეს, რომ მოწაფეებს, თითოეულს თავისი შეძლებისამებრ, შეწევნა გაეგზავნათ ძმებისათვის, რომლებიც იუდეაში ცხოვრობდნენ.

³⁰ასეც მოიქცნენ: გაუგზავნეს შეკრებილი უხუცესებს ბარნაბასა და სავლეს ხელით.

მოციქულთა საქმენი 12

¹იმ ხანებში ხელი აღმართა მეფე ჰეროდემ ეკლესიის ზოგიერთი წევრის საზიანოდ,

²და მახვილით მოაკვლევინა იაკობი, იოანეს ძმა.

³და როდესაც დაინახა, რომ ეს ეამათ იუდეველებს, პეტრეც დააპატიმრა. უფუარობის დღეები იყო.

⁴შეიპყრო იგი და ჩასვა საპყრობილეში. უბრძანა მისი დარაჯობა ჯარისკაცთა ოთხ ოთხეულს. განზრახული ჰქონდა, რომ პასექის შემდეგ გამოეყვანა ის ხალხის წინაშე.

⁵პეტრე დამწყვდეული იყო საპყრობილეში, ეკლესია კი მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს მისთვის.

⁶და როდესაც მის გამოყვანას აპირებდა ჰეროდე, იმ ღამეს პეტრეს ორ ჯარისკაცს შორის ეძინა, ორმაგი ბორკილით შეკრულს. კართან მდგარი მცველები კი დარაჯობდნენ საპყრობილეს.

⁷და, აჰა, უფლის ანგელოზი დადგა მის წინაშე და ნათელი გაბრწყინდა სენაკში. მან ფერდში წაჰკრა პეტრეს, გააღვიძა და უთხრა: „ადექი, დროზე!“ და დასცვივდა ბორკილები ხელებიდან.

⁸უთხრა მას ანგელოზმა: „სარტყელი შემოირტყი და ჩაიცივი სანდლები.“ ასეც გააკეთა. და უთხრა მას: „მოისხი შენი მოსასხამი და გამომყევი.“

⁹და გავიდა და გაჰყვა მას, და არ იცოდა, რომ რასაც ანგელოზი იქმოდა, ცხადი იყო, ეგონა, რომ ჩვენებას ხედავდა.

¹⁰გასცდნენ პირველ და მეორე საგუშაგოს და მიუახლოვდნენ ქალაქში შესასვლელ რკინის კარიბჭეს, რომელიც თავისთავად გაიღო მათ წინაშე და გავიდნენ და გაიარეს ერთი ქუჩა, და ანგელოზი მყისვე განშორდა მას.

¹¹გონს რომ მოვიდა, თქვა პეტრემ: „ახლა ჭეშმარიტად ვიცი, რომ უფალმა გამოგზავნა თავისი ანგელოზი და დამიხსნა ჰეროდეს ხელიდან და ყველაფრისაგან, რასაც იუდეველი ხალხი ელოდა.“



¹²გამოფხიზლებული მიადგა იოანეს (მარკოზს რომ ეძახდნენ) დედის, მარიამის, სახლს, სადაც მრავალნი შეკრებილიყვნენ და ლოცულობდნენ.

¹³ჭიშკარზე რომ დააკაკუნა, გამოსაპასუხებლად გამოვიდა ერთი მოახლე, სახელად როდე,

¹⁴იცნო პეტრეს ხმა და ისე გაუხარდა, რომ კარიც არ გაუღია, შინ შევარდა და შეატყობინა, რომ პეტრე იდგა კართან.

¹⁵მათ უთხრეს: „შეიშალე?“ ის კი ამტკიცებდა, რომ ასე იყო. მათ თქვეს: „ეს მისი ანგელოზია.“

¹⁶პეტრე კი განაგრძობდა კაკუნს. როდესაც გაუღეს, დაინახეს და განცვიფრდნენ.

¹⁷ანიშნა მათ ხელით, რომ გაჩუმებულიყვნენ და უამბო, როგორ გამოიყვანა უფალმა საპყრობილიდან, და თქვა: „შეატყობინეთ ეს იაკობსა და ძმებს.“ და გავიდა და სხვა ადგილისკენ გაემართა.

¹⁸დღე რომ დადგა, ჯარისკაცებში დიდი განგაში ატყდა იმის გამო, თუ რა იქნა პეტრე.

¹⁹როდესაც ჰეროდემ დაუწყო ძებნა და ვერ იპოვა, დაკითხა მცველები და ბრძანა მათი წაყვანა დასასჯელად. მერე იუდეიდან კესარიამი ჩავიდა და იქ დარჩა.

²⁰ჰეროდე გულმოსული იყო ტვიროსელებსა და სიდონელებზე. ისინი კი ერთსულოვნად ეახლნენ მას, მიიმხრეს ბლასტოსი, მეფის მესაწოლე, და ითხოვდნენ მშვიდობას, რადგან მათი მხარე მისი სამეფოსგან საზრდოობდა.

²¹დანიშნულ დღეს ჰეროდემ ჩაიცვა სამეფო სამოსი, დაჯდა სამსჯავროს ტახტზე და მიმართა მათ.

²²ხალხი კი ყვიროდა: „ეს ღმერთის ხმაა და არა კაცისა!“

²³და უეცრად დასცა იგი უფლის ანგელოზმა, რადგან არ მიაგო დიდება ღმერთს, და მატლებისგან შეჭმულმა განუტევა სული.

²⁴უფლის სიტყვა კი მრავლდებოდა და ვრცელდებოდა.

²⁵როდესაც ბარნაბამ და სავლემ გაასრულეს თავიანთი სამსახური, გამობრუნდნენ იერუსალიმიდან და თან წამოიყოლეს იოანეც, მარკოზად წოდებული.

მოციქულთა საქმენი 13



- ¹იყვნენ ანტიოქიაში, იქაურ ეკლესიაში, წინასწარმეტყველნი და მოძღვარნი: ბარნაბა და სიმეონი, ნიგერად წოდებული, ლუკიოს კვირინელი და მანაენი, ტეტრარქ ჰეროდეს ძუძუმტე, და სავლე.
- ²როდესაც ისინი უფალს ემსახურებოდნენ და მარხულობდნენ, თქვა სულიწმიდამ: „გამომირჩიეთ ბარნაბა და სავლე იმ საქმეზე, რაზეც მათ მოვუწოდე.“
- ³მაშინ იმარხულეს, ილოცეს, ხელები დაადეს მათ და გაუშვეს.
- ⁴ამრიგად, სულიწმიდის მიერ მივლინებულნი ჩავიდნენ ისინი სელევკიაში და იქიდან გაცურეს კვიპროსზე.
- ⁵სალამისში ყოფნისას ღმერთის სიტყვას ქადაგებდნენ იუდეველთა სინაგოგებში. იოანეც თან ჰყავდათ მსახურად.
- ⁶როდესაც მთელი კუნძული მოიარეს პაფოსამდე, ნახეს ერთი კაცი, გრძნეული, ცრუწინასწარმეტყველი, იუდეველი, სახელად ბარ-იესო,
- ⁷რომელიც იყო პროკონსულ სერგი პავლესთან, გონიერ კაცთან. მან მოუხმო ბარნაბას და სავლეს და სურდა მოესმინა ღმერთის სიტყვა.
- ⁸წინ აღუდგა მათ გრძნეული ელიმასი, (რადგან ასე ითარგმნება მისი სახელი) და ცდილობდა რწმენიდან გადაეცდინა პროკონსული.
- ⁹ხოლო სავლე, რომელსაც პავლემ ჰქვია, აღივსო სულიწმიდით და მიაპყრო მას მზერა
- ¹⁰და უთხრა: „ო, ყოველგვარი მზაკვრობითა და ყოველი მანკიერებით აღვსილო, ეშმაკის ნაშიერო და ყოველივე მართლის მტერო, მოეშვები თუ არა უფლის სწორი გზების გამრუდებას?
- ¹¹აჰა, შენზეა ახლა უფლის ხელი და დაბრმავდები, ერთხანს ვეღარ დაინახავ მზეს.“ და მყისვე დაეცა მას სიბნელე და წყვდიადი, და აქეთ-იქით აწყდებოდა და ეძებდა გამძლოლს.
- ¹²როდესაც პროკონსულმა დაინახა, რაც მოხდა, ირწმუნა უფლის მოძღვრებით განცვიფრებულმა.
- ¹³პაფოსიდან გამგზავრებული პავლე და მასთან მყოფნი, პამფილიის პერგეში მივიდნენ, ხოლო იოანე ჩამოშორდა მათ და იერუსალიმში დაბრუნდა.
- ¹⁴მათ კი განაგრძეს გზა პერგედან და მივიდნენ პისიდიის ანტიოქიაში, სინაგოგაში შევიდნენ შაბათ დღეს და დასხდნენ.



¹⁵რჯულისა და წინასწარმეტყველთა კითხვის შემდეგ სინაგოგის მთავრებმა მიუგზავნეს მათ და უთხრეს: „ძმებო, თუ რამე მანუგეშებელი სიტყვა გაქვთ ამ ხალხისათვის სათქმელი, თქვით.“

¹⁶ადგა პავლე, ხელით ანიშნა და თქვა: „ისრაელელო კაცნო და ღვთის მოშიშნო, ისმინეთ!

¹⁷ისრაელის ხალხის ღმერთმა ამოარჩია ჩვენი მამები და აღამაღლა ეს ხალხი ეგვიპტის ქვეყანაში ხიზნობისას, და მაღალი მკლავით გამოიყვანა იქიდან.

¹⁸და ორმოციოდე წელიწადს ასაზრდოებდა მათ უდაბნოში.

¹⁹და მოსპო შვიდი ერი ქანაანის ქვეყანაში და დაუმკვიდრა მათი ქვეყანა

²⁰ასე, 450 წლით. ამის შემდეგ აძლევდა მათ მსაჯულებს სამუელ წინასწარმეტყველამდე.

²¹მერე მოითხოვეს მეფე და მისცა მათ ღმერთმა საული, კიშის ძე, კაცი ბენიამინის ტომიდან, 40 წლის მანძილზე.

²²მისი გადაყენების შემდეგ მეფედ დაუყენა მათ დავითი, ვისზეც თქვა დამოწმებით: ‘ვპოვე დავითი, ძე იესესი, ჩემი გულის სათნო კაცი, რომელიც შეასრულებს ყოველ ჩემს ნებას.’

²³მისი ნაშიერისაგან ღმერთმა, აღთქმისამებრ, აღუდგინა ისრაელს მხსნელი იესო.

²⁴მისი მოსვლის წინ იოანე უქადაგებდა ისრაელის მთელ ხალხს სინანულის ნათლისღებას.

²⁵როდესაც ამთავრებდა იოანე სარბიელს, თქვა: ‘ვინ გგონივართ მე? მე არა ვარ ის, არამედ, აჰა, მოდის ჩემს შემდეგ ის, ვის ფეხთაგან სანდლების შეხსნის ღირსიც არა ვარ.’

²⁶კაცნო ძმანო, აბრაამის მოდგმის ძენო და ღვთის მოშიშნო თქვენს შორის, თქვენ მოგვევლინათ ხსნის სიტყვა.

²⁷რადგან იერუსალიმის მკვიდრებმა და მათმა მთავრებმა არ ცნეს იგი, მისი დასჯით აღასრულეს წინასწარმეტყველთა სიტყვები, რომლებიც ყოველ შაბათს იკითხება.

²⁸და რაკი ვერავითარი სასიკვდილო ბრალი ვერ უპოვეს, პილატეს სთხოვეს მისი მოკვლა.

²⁹და როდესაც აღსრულდა ყოველივე მასზე დაწერილი, გარდამოხსნეს ძელიდან და დაასვენეს სამარხში.



- ³⁰ხოლო ღმერთმა მკვდრებით აღადგინა იგი.
- ³¹მრავალი დღის განმავლობაში ეჩვენებოდა მათ, რომლებიც მასთან ერთად გამოვიდნენ გალილეიდან იერუსალიმში და რომლებიც ახლა მისი მოწმენი არიან ხალხის წინაშე.
- ³²ჩვენ გახარებთ, რომ აღთქმა, რომელიც ღმერთმა მისცა მამებს, შეგვისრულა ჩვენ, მათ შვილებს, და აღგვიდგინა იესო.
- ³³როგორც მეორე ფსალმუნში წერია: ‘შენ ძე ხარ ჩემი, დღეს გზობე შენ.’
- ³⁴რადგან მან აღადგინა იგი მკვდრებით, რათა აღარასოდეს დაბრუნებოდა ხრწნილებას. ასე თქვა: ‘მე მოგცემთ თქვენ დავითის სარწმუნო სიწმიდეებს,’
- ³⁵ამიტომ სხვაგანაც ამბობს: ‘არ მისცემ ხრწნილებას შენს წმიდას.’
- ³⁶მაგრამ დავითმა, რომელიც ღმერთის ნებით ემსახურა თავის თაობას, განისვენა, შეერთო თავის მამებს და იხილა ხრწნილება.
- ³⁷ხოლო მას, ვინც ღმერთმა აღადგინა, არ უხილავს ხრწნილება.
- ³⁸ცნობილი იყოს თქვენთვის, ძმებო, რომ გეუწყებათ თქვენ მის მიერ ცოდვების მიტევება. ყველაფრისგან, რისგანაც მოსეს რჯულით ვერ შესძელით გამართლება,
- ³⁹მისით მართლდება ყველა მორწმუნე.
- ⁴⁰გაფრთხილდით, რომ არ გეწიოთ წინასწარმეტყველთა მიერ თქმული:
- ⁴¹‘იხილეთ, შეურაცხყოფელნო, და განცვიფრდით და გაქრით, რადგან ისეთ საქმეს მოვიმოქმედებ თქვენს დღეებში, რომელსაც არ დაიჯერებდით, ვინმეს რომ მოეთხრო თქვენთვის.’”
- ⁴²როდესაც იუდეველთა სინაგოგიდან გამოდიოდნენ, ხალხი ევედრებოდა მათ, რომ მომავალ შაბათსაც ელაპარაკა მათთვის ეს სიტყვები.
- ⁴³კრებული რომ დაიშალა, ბევრი იუდეველთაგანი და ღვთისმოსავი რჯულშეცვლილი აედევნა პავლეს და ბარნაბას. ისინიც ესაუბრებოდნენ მათ და არწმუნებდნენ, რომ დარჩენილიყვნენ ღმერთის მადლში.
- ⁴⁴მომდევნო შაბათს თითქმის მთელმა ქალაქმა მოიყარა თავი ღმერთის სიტყვის მოსასმენად.
- ⁴⁵როდესაც იუდეველებმა ამდენი ხალხი დაინახეს, შურით აღივსნენ და უარყოფდნენ პავლეს ნათქვამს და შეურაცხყოფდნენ.
- ⁴⁶მაშინ ბარნაბამ და პავლემ დაუფარავად თქვეს: „პირველად თქვენთვის უნდა თქმულიყო ღმერთის სიტყვა. რაკი უარყოფთ მას და საუკუნო



სიცოცხლის უღირსად მიგაჩნიათ თავი, მაშინ ჩვენ წარმართებს მივმართავთ.

⁴⁷რადგან ასე გვიბრძანა ჩვენ უფალმა: ‘მე დაგაყენე წარმართთა ნათლად, რომ იყო ხსნად დედამიწის კიდემდე.’“

⁴⁸ეს რომ ესმოდათ, წარმართები ხარობდნენ და ადიდებდნენ უფლის სიტყვას და ყველამ ირწმუნა, ვინც საუკუნო სიცოცხლისათვის იყო განწყობილი.

⁴⁹და ვრცელდებოდა უფლის სიტყვა მთელ ქვეყანაზე.

⁵⁰ხოლო იუდეველებმა წააქეზეს ღვთისმოსავი და წარჩინებული ქალები და ქალაქის მთავარი, აღძრეს პავლესა და ბარნაბას დევნა და გააძევეს ისინი თავიანთი საზღვრებიდან.

⁵¹მათ კი ჩამოიბერტყეს ფეხთაგან მტკერი მათზე სამოწმებლად და წავიდნენ იკონიაში.

⁵²ხოლო მოწაფეები ივსებოდნენ სიხარულითა და სულიწმიდით.

მოციქულთა საქმენი 14

¹იგივე მოხდა იკონიაში, როდესაც ისინი შევიდნენ იუდეველთა სინაგოგაში და იმგვარად ილაპარაკეს, რომ მრავალმა იუდეველმა და ბერძენმა ირწმუნა.

²ხოლო ურწმუნო იუდეველები აღძრავდნენ და აბოროტებდნენ წარმართთა სულებს ძმების წინააღმდეგ.

³თუმცა ისინი კარგა ხანს აგრძელებდნენ დაუფარავად ლაპარაკს უფალზე, რომელიც თავისი მადლის სიტყვის დასამოწმებლად იძლეოდა ნიშნებსა და ახდენდა სასწაულებს მათი ხელით.

⁴გაიყო ხალხი ქალაქში: ზოგი იუდეველებს მიემხრო, ზოგი – მოციქულებს.

⁵როდესაც იუდეველები და წარმართები თავიანთ მთავრებთან ერთად შეეცადნენ, რომ დაეთრგუნათ და ჩაექოლათ ისინი,

⁶მათ შეიტყვეს და გაიქცნენ ლუკაონიის ქალაქებში: ლისტრასა და დერბეში და მათ შემოგარენში,

⁷და იქ ახარებდნენ.

⁸ერთი ვიღაც კაცი, ფეხებით უძლური, იჯდა ლისტრაში, დედის მუცლიდანვე ხეივარი იყო და არასოდეს გაეგლო.

⁹ის ისმენდა პავლეს საუბარს. როდესაც პავლემ მიაპყრო მას მზერა, დაინახა, რომ მას ჰქონდა განკურნების რწმენა.



¹⁰უთხრა ხმამაღლა: „შენ გეუბნები უფალი იესო ქრისტეს სახელით: დადექი ფეხზე გამართულად!“ ისიც წამოხტა და დაიწყო სიარული.

¹¹ხალხმა რომ დაინახა, თუ რა მოიმოქმედა პავლემ, ხმამაღალი ლაპარაკი დაიწყო ლუკაონიურად. თქვეს: „ღმერთები ადამიანებს დაემსგავსნენ და ჩვენთან ჩამოვიდნენ.“

¹²და უწოდეს ბარნაბას ზევსი და პავლეს – ჰერმესი, რაკი ის იყო სიტყვის წინამძღოლი.

¹³ხოლო ზევსის ქურუმმა, რომლის ტაძარი ქალაქის წინ იყო, ჭიშკართან მორეკა ხარები, მოიტანა ყვავილწნულები და ხალხთან ერთად მსხვერპლის შეწირვას აპირებდა.

¹⁴ეს რომ გაიგონეს მოციქულებმა, ბარნაბამ და პავლემ, ტანისამოსი შემოიხიეს, ყვირილით ხალხში შეცვივდნენ და თქვეს:

¹⁵„ხალხნო, ამას რას აკეთებთ? ჩვენც თქვენი მსგავსი ადამიანები ვართ და გახარებთ, რომ ამ ამოებათაგან მოიქცეთ ცოცხალი ღმერთისაკენ, რომელმაც შექმნა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია;

¹⁶რომელმაც წარსულ თაობებში მიუშვა ყველა ერები, რომ თავისი გზებით ევლოთ.

¹⁷თუმცა მოწმობის გარეშე არ დაუტოვებია თავისი კეთილმოქმედება, ზეციდან გვაძლევდა წვიმას და ნაყოფის მომცემ დრო-ჟამს, გვასაზრდოებდა და სიხარულით გვივსებდა გულებს.“

¹⁸ამ სიტყვებით ძლივს შეაკავეს ხალხი, რომ მსხვერპლი არ შეეწირათ მათთვის.

¹⁹მოვიდნენ ანტიოქიიდან და იკონიიდან იუდეველნი, დაარწმუნეს ხალხი და ქვებით ჩაქოლეს პავლე და ქალაქის გარეთ გაათრიეს, რადგან მკვდარი ეგონათ.

²⁰როდესაც მოწაფეები გარს შემოეხვივნენ, წამოდგა პავლე და შევიდა ქალაქში. მეორე დღეს კი ბარნაბასთან ერთად დერბეში წავიდა.

²¹უქადაგეს სახარება ამ ქალაქს და მრავალი დაიმოწაფეს და დაბრუნდნენ ლისტრაში, იკონიასა და ანტიოქიაში.

²²და განამტკიცებდნენ მოწაფეთა სულებს, და ამხნევებდნენ, დარჩენილიყვნენ რწმენაში, რადგან მრავალი ჭირის დათმენა გვმართებს ღმერთის სამეფოში შესასვლელად.

²³ხელი დაადეს უხუცესებს თითოეულ მათ ეკლესიაში და ლოცვითა და მარხვით შეავედრეს ისინი უფალს, რომელიც ირწმუნეს.



²⁴და გაიარეს პისიდია და მივიდნენ პამფილიაში.

²⁵და იქადაგეს პერგეში სიტყვა და ჩავიდნენ ატალიაში.

²⁶იქიდან გაცურეს ანტიოქიაში, სადაც ღმერთის მაღლი მიეცათ მათ საქმისათვის, რომელიც აღასრულეს.

²⁷მივიდნენ და შეკრიბეს ეკლესია და უამბეს, რაც გაუკეთა მათ ღმერთმა, და როგორ გაუხსნა წარმართებს რწმენის კარი.

²⁸და დაყვეს არამცირედი ხანი მოწაფეებთან.

მოციქულთა საქმენი 15

¹ჩამოვიდნენ ზოგიერთები იუდეიდან და ასწავლიდნენ ძმებს: „თუ წინადაცვეთას არ მიიღებთ მოსეს წესით, ვერ გადარჩებით.“

²და როდესაც პავლეს და ბარნაბას უთანხმოება და არამცირედი დავა მოუხდათ მათთან, გადაწყვიტეს, რომ პავლე, ბარნაბა და ზოგიერთი სხვა მათგანი ამ საკითხის გამო ასულიყვნენ იერუსალიმში მოციქულებთან და უხუცესებთან.

³ამგვარად, ისინი, ეკლესიისგან წარგზავნილები, ფინიკიისა და სამარიის გავლით წავიდნენ და უამბობდნენ იქ წარმართთა მოქცევაზე და ამით ყველა ძმათაგანს დიდ სიხარულს ანიჭებდნენ.

⁴იერუსალიმში რომ მივიდნენ, მიღებულ იქნენ ეკლესიის, მოციქულებისა და უხუცესების მიერ. და აუწყეს, რამდენი რამ მოიმოქმედა ღმერთმა მათთან.

⁵წამოდგნენ ზოგიერთი მორწმუნენი ფარისეველთა დასიდან და თქვეს, რომ საჭიროა წინადაცვითონ და ებრძანოთ, დაიცვან მოსეს რჯული.

⁶შეიკრიბნენ მოციქულები და უხუცესები ამ საქმის გასარჩევად.

⁷ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ ადგა პეტრე და უთხრა მათ: „ძმებო, თქვენ იცით, რომ ღმერთმა პირველი დღეებიდანვე ამომირჩია თქვენს შორის, რათა წარმართებს ჩემი პირით მოესმინათ სახარების სიტყვა და ერწმუნათ.

⁸გულთამხილველმა ღმერთმა დაუმოწმა მათ სულიწმიდის მიცემით, როგორც ჩვენ.

⁹განსხვავება წაშალა ჩვენსა და მათ შორის, როდესაც რწმენით განწმიდა მათი გულები.

¹⁰ახლა რატომ სცდით ღმერთს და ქედზე ადგამთ მოწაფეებს უღელს, რომლის ტარება ვერც ჩვენმა მამებმა შეძლეს და ვერც ჩვენ?



¹¹მაგრამ გვჯერა, რომ უფალი იესოს მადლით გადავრჩებით ისევ, როგორც ისინი.“

¹²ყველანი დუმილით უსმენდნენ ბარნაბასა და პავლეს, რომლებიც მოუთხრობდნენ, თუ რა ნიშნები და სასწაულები მოახდინა ღმერთმა მათ მიერ წარმართებს შორის.

¹³მათი დადუმების შემდეგ დაიწყო იაკობმა და თქვა: „ძმებო, მომისმინეთ:

¹⁴სიმონმა მოგვითხრო, როგორ მოხდა ღმერთმა თავიდანვე წარმართებს, რომ წარმართთაგან გამოეკრიბა ხალხი თავისი სახელისათვის.

¹⁵ამასვე ეთანხმება წინასწარმეტყველთა სიტყვები, როგორც დაწერილია:

¹⁶‘ამის შემდეგ დავბრუნდები და აღვადგენ დავითის დამხობილ სახლს; დანგრეულს აღვადგენ და კვლავ აღვმართავ,

¹⁷რათა ეძიონ დანარჩენმა ადამიანებმაც უფალი და ჩემი სახელით წოდებულმა ყველა ერმაც, – ასე ამბობს უფალი, მოქმედი ყოველივესი,

¹⁸რაც ძველთაგანვეა ცნობილი.’

¹⁹ამიტომ მე ვფიქრობ, არ დავამძიმოთ ისინი, ვინც წარმართთაგან ღმერთისკენ არიან მოქცეულნი,

²⁰არამედ მივწეროთ მათ, რომ ერიდონ კერპებით შებილწულს, მრუმობას, გაგუდულ პირუტყვს და სისხლს.

²¹რადგან მოსეს რჯულს ძველთაგანვე ჰყავს ყველა ქალაქში თავისი მოქადაგნი და იგი ყოველ შაბათს იკითხება სინაგოგებში.“

²²მაშინ მოციქულებმა და უხუცესებმა მთელი ეკლესიის თანხმობით გადაწყვიტეს, ამოერჩიათ თავიანთი წრიდან კაცები ანტიოქიაში გასაგზავნად პავლესთან და ბარნაბასთან ერთად: იუდა (რომელსაც ბარსაბა ეწოდა) და სილა – კაცები, რომლებიც წინამძღვრობდნენ ძმებს შორის.

²³დაწერეს თავიანთი ხელით: „ჩვენ, მოციქულები, უხუცესები და ძმები მოგიკითხავთ და გახარებთ ძმებს ანტიოქიაში, სირიასა და კილიკიაში, წარმართთაგან მოქცეულთ.

²⁴რაკი გავიგეთ, რომ ზოგიერთებმა, რომლებიც ჩვენგან გამოვიდნენ, აგაფორიაქეს თავიანთი სიტყვებით და სული აგიმფოთეს, – რადგან გითხრეს, რაც ჩვენ არ დაგვივალეს,

²⁵ერთსულოვნად გადაწყვიტეთ კაცების არჩევა თქვენთან გამოსაგზავნად ჩვენს საყვარელ ბარნაბასა და პავლესთან ერთად,



²⁶ადამიანებთან, რომელთაც თავი გადადეს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელისათვის.

²⁷ამიტომ გამოგიგზავნეთ იუდა და სილა, რომლებიც ამასვე გადმოგცემენ სიტყვიერად.

²⁸მოიწონა სულიწმიდამ და ჩვენც, რომ ზედმეტი ტვირთი არ დაგაკისროთ, გარდა იმისა, რაც აუცილებელია.

²⁹ერიდეთ ნაკერპავს და სისხლს, გაგუდულს და მრუშობას. თუ ამისგან დაიცავთ თავს, კარგს იზამთ. იყავით ჯანმრთელად!“

³⁰წარგზავნილები ჩავიდნენ ანტიოქიაში, შეკრიბეს სინაგოგა და გადასცეს წერილი.

³¹როდესაც წაიკითხეს, გაიხარეს ამ ნუგეშისცემით.

³²იუდამ და სილამ, რომლებიც აგრეთვე წინასწარმეტყველნი იყვნენ, მრავალი სიტყვით ანუგეშეს ძმები და გაამხნევეს.

³³დაყვეს იქ რამდენიმე ხანი და შემდეგ მშვიდობით გაისტუმრეს ძმებმა მათ მომავლინებლებთან.

³⁴ხოლო სილამ ამჯობინა იქვე დარჩენა.

³⁵პავლე და ბარნაბა შეყოვნდნენ ანტიოქიაში, ასწავლიდნენ და ახარებდნენ ბევრ სხვასთან ერთად უფლის სიტყვას.

³⁶რამდენიმე დღის შემდეგ უთხრა ბარნაბას პავლემ: „გავბრუნდეთ და მოვინახულოთ ჩვენი ძმები ყველა ქალაქში, სადაც ვიქადაგეთ უფლის სიტყვა. ვნახოთ, როგორ არიან.“

³⁷ბარნაბას სურდა, თან წაეყვანა იოანე, მარკოზად წოდებული.

³⁸პავლეს სწორად არ მიაჩნდა მისი წაყვანა, ვინც ჩამოშორდა მათ პამფილიაში და არ წაჰყვა მათ საქმეზე.

³⁹შეიქნა უთანხმოება და ისინი დასცილდნენ ერთმანეთს. ბარნაბამ თან წაიყვანა მარკოზი და კვიპროსამდე გაცურეს.

⁴⁰ხოლო პავლემ აირჩია სილა და უფლის მადლს მინდობილი გაემგზავრა მმათაგან.

⁴¹და დადიოდა სირიასა და კილიკიაში და განამტკიცებდა ეკლესიებს.

მოციქულთა საქმენი 16



- ¹ჩავიდა დერბეშიც და ლისტრაშიც. და, აჰა, იყო იქ ერთი მოწაფე, სახელად ტიმოთე, იუდეველი მორწმუნე ქალისა და ბერძენი მამის შვილი,
- ²ვისზეც მოწმობდნენ ლისტრელი და იკონიელი ძმები.
- ³პავლემ მოისურვა მასთან ერთად წასვლა. წაიყვანა, და წინადაცვითა იუდეველთა გამო, რომლებიც იმ ადგილებში იყვნენ, რადგან ყველამ იცოდა, რომ მამამისი ბერძენი იყო.
- ⁴ქალაქებში გავლისას ისინი ასწავლიდნენ, რომ დაეცვათ მოციქულთა და უხუცესთა მიერ იერუსალიმში დადგენილი წესები.
- ⁵ეკლესიები კი მტკიცდებოდა რწმენაში და დღითი დღე იზრდებოდა მათი რიცხვი.
- ⁶გაიარეს მათ ფრიგია და გალატელთა ქვეყანა, ხოლო სულიწმიდისგან აეკრძალათ სიტყვის ქადაგება ასიაში.
- ⁷როდესაც მივიდნენ მისიამდე და ბითვინიაში აპირებდნენ გამგზავრებას, იესოს სულმა არ გაუშვა ისინი.
- ⁸გასცდნენ მისიას და ტროაში ჩავიდნენ.
- ⁹იმ ღამით პავლეს ჩვენება ჰქონდა: იდგა ვიღაც მაკედონიელი კაცი, ევედრებოდა მას და ამბობდა: „მოდით მაკედონიაში და დაგვეხმარე.“
- ¹⁰ჩვენება რომ იხილა, მაშინვე ვცადეთ მაკედონიაში წავსულიყავით. დარწმუნებული ვიყავით, რომ ღმერთმა მოგვიწოდა გვეხარებინა მათთვის.
- ¹¹გავცურეთ ტროადან და გეზი ავიღეთ სამოთრაკესაკენ, ხოლო მეორე დღეს – ნეაპოლისისკენ,
- ¹²იქიდან ფილიპესკენ, რომელიც მაკედონიის მთავარი ნაწილის ქალაქია – რომის კოლონია. ამ ქალაქში დავყავით რამდენიმე დღე.
- ¹³შაბათ დღეს გავედით კარიბჭის გარეთ, მდინარესთან, სადაც სალოცავი გვეგულებოდა და დავსხედით და ველაპარაკებოდით იქ შეკრებილ ქალებს.
- ¹⁴ერთი ღვთის მოშიში ქალი, სახელად ლიდია, რომელიც ძოწეულით ვაჭრობდა ქალაქ თიატირაში, ისმენდა და უფალმა გაუხსნა გული პავლეს ლაპარაკის მოსასმენად.
- ¹⁵და როდესაც მოინათლნენ ის და მისი სახლი, მიგვიწვია და გვითხრა: „თუ უფლის მორწმუნედ შემრაცხეთ, მოდით ჩემს სახლში და დარჩით.“ და დაგვიყოლია.



¹⁶როდესაც სალოცავში მივდიოდით, შემოგვხვდა ერთი მხევალი, რომელსაც წინასწარმეტყველების სული ჰქონდა და თავისი მკითხაობით დიდძალ მოგებას აძლევდა თავის ბატონებს.

¹⁷იგი აგვედევნა პავლეს და ჩვენ, ყვიროდა და ამბობდა: „ეს კაცები უზენაესი ღმერთის მონები არიან, რომლებიც გაუწყებენ თქვენ ხსნის გზას!“

¹⁸ასე აკეთებდა მრავალი დღის განმავლობაში. ძალიან შეწუხდა პავლე, მიუბრუნდა სულს და უთხრა: „იესო ქრისტეს სახელით გიბრძანებ, გამოხვიდე მაგისგან.“ და იმწამსვე გამოვიდა.

¹⁹დაინახეს მისმა ბატონებმა, რომ წარხდა მათი მოგების იმედი, შეიპყრეს პავლე და სილა და მთავრებთან წაათრიეს მოედანზე.

²⁰მთავრებთან რომ მიიყვანეს, უთხრეს: „ეს კაცები აშფოთებენ ჩვენს ქალაქს, იუდეველები არიან

²¹და ასწავლიან ზნე-ჩვეულებებს, რომელთა არც მიღება შეგვშვენიის და არც შესრულება, რადგან რომაელები ვართ.“

²²და აღდგა ხალხი მათ წინააღმდეგ, ხოლო მთავრებმა მოსასხამები შემოახიეს და მათი გაჯოხვა ბრძანეს.

²³მაგრად რომ სცემეს, საპყრობილეში ჩაყარეს და საპყრობილის ზედამხედველს უბრძანეს, ფხიზლად ედარაჯა მათთვის.

²⁴ასეთი ბრძანება რომ მიიღო, მანაც შეყარა ისინი ყველაზე დაცულ საპყრობილეში და ფეხები ხუნდებში გააყრევინა.

²⁵შუადამისას პავლე და სილა ლოცულობდნენ და უგალობდნენ ღმერთს, პატიმრები კი ყურს უგდებდნენ.

²⁶უეცრად მოხდა დიდი მიწისძვრა, ისე რომ სატუსაღოს საძირკველი შეირყა. მყისვე გაიღო ყველა კარი და ყველას დასძვრა ბორკილები.

²⁷გამოელვია მცველს და დაინახა, რომ საპყრობილის კარი ღია იყო. იძრო მახვილი და თავის მოკვლა დააპირა, რადგან ეგონა, პატიმრები გამექცნენო.

²⁸პავლემ გამოსძახა ხმამაღლა და უთხრა: „შენს თავს ავს ნურაფერს შეამთხვევ, რადგან ჩვენ ყველანი აქა ვართ.“

²⁹მან კი სანთელი მოითხოვა, შიგნით შეიჭრა და ათრთოლებული დაემხო პავლესა და სილას წინაშე.

³⁰გარეთ გაიყვანა ისინი და უთხრა: „ბატონებო, რა გავაკეთო, რომ გადავრჩე?“



³¹ხოლო მათ უთხრეს: „იწამე უფალი იესო და გადარჩები შენც და შენი სახლიც.“

³²და უქადაგეს ღმერთის სიტყვა მას და ყველას, მის სახლში მყოფს.

³³და ღამის იმავე საათში წაიყვანა მან ისინი, წყლულები მობანა და მაშინვე მოინათლნენ ის და ყველა მისიანი.

³⁴მიიყვანა ისინი თავის სახლში, სუფრა გაუშალა და ხარობდა მთელ თავის სახლეულთან ერთად, რომ იწამა ღმერთი.

³⁵დღე რომ დადგა, მთავრებმა გაუგზავნეს მსახურნი და უთხრეს: „გაუშვი ის კაცები.“

³⁶შეატყობინა საპყრობილის მცველმა ეს ამბავი პავლეს და უთხრა: „მთავრებმა კაცი გამოგზავნეს თქვენს გასაშვებად. ახლა გამოდით და მშვიდობით წადით.“

³⁷მაგრამ პავლემ უთხრა მათ: „ჩვენ, რომელი მოქალაქეები, განუკითხავად გვცემეს სახალხოდ და საპყრობილეში ჩაგვყარეს და ახლა ფარულად გვიშვებენ? არა, მოვიდნენ და თვითონ გაგვიყვანონ.“

³⁸მოახსენეს მსახურებმა მთავრებს ეს სიტყვები. ხოლო მათ შეეშინდათ, როდესაც გაიგეს, რომ რომაელნი ყოფილან.

³⁹მივიდნენ, ანუგეშეს, გამოიყვანეს საპყრობილიდან და სთხოვეს, ქალაქს გასცლოდნენ.

⁴⁰გამოვიდნენ საპატიმროდან და მივიდნენ ლიდიასთან, მოინახულეს ძმები, ანუგეშეს და წავიდნენ.

მოციქულთა საქმენი 17

¹გაიარეს ამფიპოლისი და აპოლონია და მივიდნენ თესალონიკეში, სადაც იუდეველთა სინაგოგა იყო.

²ჩვეულებისამებრ, პავლე შევიდა მათთან და სამი შაბათი ელაპარაკებოდა მათ წერილებიდან.

³უხსნიდა და უმტკიცებდა, რომ ქრისტე უნდა დატანჯულიყო და მკვდრეთით აღმდგარიყო, და რომ „ეს ქრისტე არის იესო, რომელსაც მე გახარებთ თქვენ.“

⁴ზოგიერთმა მათგანმა ირწმუნა და შეუერთდა პავლესა და სილას, როგორც მრავალმა ღვთის მოშიშმა ბერძენმა, ასევე ბევრმა დიდგვაროვანმა ქალმა.



- ⁵გამწარდნენ იუდეველები და შურით აღივსნენ, ვიღაც უკეთური კაცები მოიყვანეს ბაზრის მოედნიდან, შეყარეს ბრბო და აღაშფოთეს ქალაქი. მიადგნენ იასონის სახლს და ცდილობდნენ მათ გამოყვანას ხალხის წინაშე.
- ⁶ისინი რომ ვერ იპოვეს, იასონი და ზოგიერთი ძმა წაათრიეს ქალაქის მთავრებთან და ყვიროდნენ: „ქვეყნის ამრევებმა აქაც მოაღწიეს!
- ⁷იასონმა შეიფარა ისინი. ესენი კეისრის ბრძანებებს ეურჩებიან და სხვას აცხადებენ მეფედ – იესოს.“
- ⁸ასე აღაშფოთეს ხალხი და ქალაქის მთავრები, რომელთაც ესმოდათ ეს.
- ⁹მიიღეს სათავდებო იასონისგან და სხვათაგან და გაუშვეს ისინი.
- ¹⁰ძმებმა იმ ღამითვე დაუყოვნებლივ გაისტუმრეს პავლე და სილა ბერიაში, სადაც ისინი ჩასვლისთანავე შევიდნენ იუდეველთა სინაგოგაში.
- ¹¹ესენი უფრო კეთილშობილები იყვნენ თესალონიკელებზე. მათ მთელი გულმოდგინებით მიიღეს სიტყვა და ყოველდღე არჩევდნენ წერილებს, ნამდვილად ასე თუ არისო.
- ¹²ბევრმა მათგანმა ირწმუნა, მათ შორის არამცირედმა წარჩინებულმა ბერძენმა ქალმა და კაცმა.
- ¹³როდესაც შეიტყვეს თესალონიკელმა იუდეველებმა, რომ ბერიაშიც იქადაგებოდა პავლეს მიერ ღმერთის სიტყვა, იქაც მივიდნენ, ააღელვეს და აღაშფოთეს ხალხი.
- ¹⁴მაშინ ძმებმა მცისვე გაგზავნეს პავლე, რათა ზღვამდე მისულიყო, სილა და ტიმოთე კი იქვე დარჩნენ.
- ¹⁵გამცილებლებმა პავლე ათენამდე მიიყვანეს და, როდესაც დავალება მიიღეს სილას და ტიმოთეს მიმართ, რომ რაც შეიძლება მალე შეერთებოდნენ მას, გაბრუნდნენ.
- ¹⁶ვიდრე პავლე მათ ათენში ელოდა, მისი სული აღაშფოთა კერპებით სავსე ქალაქის ხილვამ.
- ¹⁷ესაუბრებოდა სინაგოგებში იუდეველებს და მორწმუნეებს და იმათ, ვინც ყოველდღე მოედანზე იმყოფებოდნენ.
- ¹⁸ზოგიერთი ეპიკურელი და სტოელი ფილოსოფოსი შეეკამათა მას. ერთნი ამბობდნენ: „რისი თქმა სურს ამ მოლაყბეს?“ სხვანი: „ეტყობა, უცხო ღმერთებზე ქადაგებს“ – რაკი იესოს და აღდგომას ახარებდა მათ.
- ¹⁹ხელი მოჰკიდეს, არეოპაგში მიიყვანეს და უთხრეს: „შეგვიძლია გავიგოთ, რა არის ეს ახალი მოძღვრება, შენ რომ ქადაგებ?



²⁰რადგან რაღაც უცნაურს ასმენ ჩვენს ყურებს. ამიტომ გვინდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს ეს?“

²¹ყველა ათენელს და იქ ჩამოსულ უცხოელს დროის გატარება ყველაზე მეტად ერჩივნათ რაიმე ახლის შესახებ საუბარაში ან მოსმენაში.

²²დადგა პავლე არეოპაგის შუაში და თქვა: „ათენელნო კაცნო, გატყობთ, რომ ძალზე ღვთისმოშიშნი ხართ ყოველმხრივ,

²³რადგან, როდესაც გავიარე და დავათვალიერე თქვენი სათაყვანო ადგილები, ვნახე სამსხვერპლოც, რომელსაც აწერია: ‘უცნობ ღმერთს.’ მეც მას გიქადაგებთ, რომელსაც არ იცნობთ და ეთაყვანებით.

²⁴ღმერთი, შემოქმედი სამყაროსი და ყოველივესი, რაც მასშია, ვინც არის უფალი ცისა და მიწისა, ხელთქმნილ ტაძრებში არ მკვიდრობს,

²⁵არც ადამიანთა ხელიდან სამსახურს საჭიროებს, ის თავად ანიჭებს ყველას სიცოცხლეს, სუნთქვას და ყოველივეს.

²⁶ერთიდან შექმნა ადამიანთა მთელი მოდგმა, რათა მთელი დედამიწის ზურგზე დამკვიდრებულიყო. წინასწარ დააწესა მათ დასამკვიდრებლად დრონი და საზღვრები,

²⁷რათა ეძიონ ღმერთი, ვინძლო შეიგრძნონ იგი და იპოვონ, და შორს როდია თითოეული ჩვენგანისაგან.

²⁸რადგან მასში ვცოცხლობთ, ვიძვრით და ვარსებობთ, როგორც ზოგიერთი თქვენი პოეტი ამბობდა: რადგან ჩვენ მისი მოდგმა ვართ.

²⁹და რაკი ღმერთის მოდგმა ვართ, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ღმერთი ჰგავს ოქროს ან ვერცხლს, ანდა ქვას, ანდა ხატს, ადამიანის ხელოვნებით და წარმოსახვით შექმნილს.

³⁰მაგრამ ღმერთმა დაუშვა უმეცრების ხანა და ახლა აუწყებს ადამიანებს, ყველას ყველგან, რომ მოინანიონ.

³¹რადგან მან დაადგინა დღე, როდესაც სიმართლით განიკითხავს ქვეყნიერებას წინასწარ განწესებული კაცის მეშვეობით. და ყველას მისცა მოწმობა, როდესაც იგი მკვდრეთით აღადგინა.“

³²მკვდართა აღდგომაზე რომ მოისმინეს, ერთნი დასცინოდნენ, სხვები კი ამბობდნენ: „ამის თაობაზე კვლავაც მოგისმენთ.“

³³ასე გამოვიდა პავლე მათგან.

³⁴ზოგიერთნი მიემხრნენ მას და ირწმუნეს – მათ შორის დიონისე არეოპაგელმა და ქალმა, სახელად დამარისმა, და მათთან ერთად სხვებმაც.



მოციქულთა საქმენი 18

- ¹ამის შემდეგ პავლემ დატოვა ათენი და წავიდა კორინთოში,
- ²და ნახა ერთი იუდეველი, სახელად აკვილა, წარმოშობით პონტოელი, და პრისკა, მისი ცოლი, იტალიიდან ახალდაბრუნებულნი, რადგან კლავდიუსმა ბრძანა ყველა იუდეველი რომიდან გაეძევებინათ, და მივიდა მათთან.
- ³და რაკი ერთი ხელობისანი იყვნენ, დარჩა პავლე მათთან და შრომობდა, რადგან მათი ხელობაც მეკარვეობა იყო.
- ⁴ყოველ შაბათს საუბრობდა სინაგოგაში და არწმუნებდა იუდეველებსა და ბერძნებს.
- ⁵ხოლო როდესაც სილა და ტიმოთე მაკედონიიდან მოვიდნენ, მთლიანად მიეცა პავლე ქადაგებას, რათა დაემოწმებინა იუდეველთათვის, რომ იესო არის ქრისტე.
- ⁶როდესაც შეეწინააღმდეგნენ და გმობა დაუწყეს, მოსასხამი დაიბერტყა და უთხრა მათ: „თქვენს თავზე იყოს თქვენი სისხლი! მე უბრალო ვარ. ამიერიდან წარმართებთან მივდივარ.“
- ⁷დატოვა იქაურობა და შევიდა ერთი ღვთისმოსავის, სახელად ტიტუს იუსტოსის სახლში სინაგოგის გვერდით.
- ⁸კრისპოსმა კი, სინაგოგის მთავარმა, მთელ თავის სახლთან ერთად ირწმუნა უფალი. და კორინთელთაგან მრავალმა, როდესაც მოისმინეს, ირწმუნეს და მოინათლნენ.
- ⁹უთხრა უფალმა ღამით ჩვენებაში პავლეს: „ნუ შეგეშინდება, არამედ ილაპარაკე, და ნუ დადუმდები,
- ¹⁰რადგან მე ვარ შენთან და ვერავინ შეძლებს, რომ გავნოს რაიმე, რადგან ბევრი ხალხი მყავს ამ ქალაქში.“
- ¹¹და დარჩა იქ ერთ წელიწადსა და ექვს თვეს და ასწავლიდა მათ შორის ღმერთის სიტყვას.
- ¹²ხოლო როდესაც აქაიის პროკონსული გალიონი იყო, იუდეველები ერთსულოვნად დაესხნენ თავს პავლეს და მიიყვანეს სამსჯავროში
- ¹³და თქვეს: „ეს კაცი არწმუნებს ხალხს, რომ რჯულის საწინააღმდეგოდ სცენ თავყვანი ღმერთს.“



¹⁴როდესაც პავლემ პირის გაღება დააპირა, გალიონმა უთხრა იუდეველებს: „რომ ყოფილიყო რაიმე დანაშაული ან ბოროტმოქმედება, მართლაც უნდა მომესმინა თქვენთვის, იუდეველებო,

¹⁵მაგრამ როდესაც სარჩელი ეხება თქვენს მოძღვრებას, სახელებსა და რჯულს, თქვენ თვითონ მიხედეთ, მე არ მსურს, ვიყო ამის მსაჯული.“

¹⁶და გაყარა ისინი სამსჯავროდან.

¹⁷მაშინ შეიპყრეს სინაგოგის მთავარი სოსთენე და სცემეს სამსჯავროს წინ. მაგრამ გალიონს ეს ამბები არ ადარდებდა.

¹⁸პავლემ, კარგა ხანი რომ დაჰყო კორინთოში, გამოეთხოვა ძმებს და გასცურა სირიისაკენ პრისკასთან და აკვილასთან ერთად. კენჭრეაში მან თავი გაიპარსა, რადგან აღთქმა ჰქონდა მიცემული.

¹⁹ეფესოს რომ მიაღწია, ისინი იქ დატოვა, თვითონ სინაგოგაში შევიდა და ელაპარაკა იუდეველებს.

²⁰ხოლო როდესაც მათ სთხოვეს, მეტ ხანს დარჩენილიყო, არ დათანხმდა,

²¹არამედ გამოეთხოვა მათ და თქვა: „თქვენთან ისევ დავბრუნდები, თუ ღმერთმა ინება.“ და გასცურა ეფესოდან.

²²და ჩავიდა კესარიაში, ავიდა ნაპირზე, მოიკითხა ეკლესია და მერე ანტიოქიაში ჩავიდა.

²³და ერთხანს დარჩა იქ და წავიდა, რიგრიგობით მოიარა გალატელთა ქვეყანა და ფრიგია, და განამტკიცებდა მოწაფეებს.

²⁴ერთი იუდეველი, სახელად აპოლოსი, წარმოშობით ალექსანდრიელი, ენამჭევრი კაცი, მივიდა ეფესოს. ის ძლიერი იყო წერილებში

²⁵და განსწავლული იყო უფლის გზებში, მხურვალე სულით ლაპარაკობდა და ზუსტად ასწავლიდა იესოს შესახებ, ოღონდ მხოლოდ იოანეს ნათლისცემა იცოდა.

²⁶მან გაცხადებულად დაიწყო ლაპარაკი სინაგოგაში. მოუსმინეს აკვილამ და პრისკამ, თან წაიყვანეს და უფრო ზუსტად განუმარტეს უფლის გზა.

²⁷ხოლო როდესაც განიზრახა აქაიაში წასვლა, ძმებმა გაამხნევეს იგი და მისწერეს მოწაფეებს, ემასპინძლათ მისთვის. ისიც მივიდა და დიდად ეხმარებოდა მორწმუნეებს – მადლის მეშვეობით,

²⁸რადგან იგი თავგამოდებით ამხილებდა იუდეველებს და საჯაროდ ადასტურებდა წერილებიდან, რომ ქრისტე არის იესო.

მოციქულთა საქმენი 19



- ¹კორინთოში აპოლოსის ყოფნისას პავლემ მოიარა მთიანი მხარეები, ჩავიდა ეფესოში და ნახა ზოგიერთი მოწაფეთაგანი.
- ²ჰკითხა მათ: „მიიღეთ სულიწმიდა, როდესაც ირწმუნეთ?“ მათ უპასუხეს: „არც კი გაგვიგონია, თუ არსებობს სულიწმიდა.“
- ³უთხრა: „აბა, რითი მოინათლეთ?“ მათ თქვეს: „იოანეს ნათლისცემით.“
- ⁴თქვა პავლემ: „იოანე ნათლავდა სინანულის ნათლისცემით და ეუბნებოდა ხალხს, რომ ერწმუნათ მის შემდგომ მომავალი, ანუ იესო ქრისტი.“
- ⁵ეს რომ მოისმინეს, მოინათლნენ უფალი იესოს სახელით.
- ⁶როდესაც პავლემ დაადო მათ ხელები, გადმოვიდა მათზე სულიწმიდა და იწყეს ენებით ლაპარაკი, და აწინასწარმეტყველდნენ.
- ⁷სულ თორმეტიოდე კაცი იყო.
- ⁸პავლე შედიოდა სინაგოგაში და სამ თვეს გაცხადებულად საუბრობდა და ირწმუნებოდა ღმერთის სასუფეველის შესახებ.
- ⁹ხოლო, რაკი ზოგიერთები გაჯიუტდნენ და არ ირწმუნეს, და გმობდნენ უფლის გზას ხალხის წინაშე, განუდგა მათ, გამოაცალკევა მოწაფეები და ყოველდღე ასწავლიდა და მსჯელობდა ვინმე ტირანუსის სკოლაში.
- ¹⁰ამან გასტანა ორ წელიწადს, ისე რომ ასიის ყველა მცხოვრები ისმენდა უფლის სიტყვას – როგორც იუდეველები, ისე ბერძნები.
- ¹¹ხოლო ღმერთი უჩვეულო სასწაულებს ახდენდა პავლეს ხელით.
- ¹²ისე რომ, ავადმყოფებს მისი სხეულიდან აღებულ ხელსახოცებსა თუ წელსაკრავებს ადებდნენ და სტოვებდა მათ სნეულებები, და ბოროტი სულები გამოდიოდნენ მათგან.
- ¹³შეეცადა ზოგიერთი იუდეველი მოხეტიალე შემლოცველი უფალი იესოს სახელის ხსენებას ბოროტი სულით შეპყრობილზე, ამბობდნენ: „გაფიცვით იესოს, რომელსაც პავლე ქადაგებსო.“
- ¹⁴ამას აკეთებდა ერთი იუდეველი მღვდელმთავრის, სკევას, შვიდი ვაჟი.
- ¹⁵მიუგო ბოროტმა სულმა და უთხრა მათ: „იესოსაც ვიცნობ და პავლეს ვიცი. თქვენ ვილა ხართ?“
- ¹⁶და დაემგერა მათ ის კაცი, რომელშიც ავი სული იყო, სძლია და ისე სცემა, რომ შიშვლები და დასახიჩრებულები გამოცვივდნენ იმ სახლიდან.
- ¹⁷ეს ცნობილი გახდა ყველა იუდეველისა და ბერძენისათვის, რომლებიც ეფესოში ცხოვრობდნენ. თავზარი დაეცა ყველას და განდიდდა უფალი იესოს სახელი.



¹⁸ბევრი, ვინც ირწმუნა, მოდიოდა და აღიარებდა და აცხადებდა თავის საქმეებს.

¹⁹ბევრმა მათგანმა, ვინც ჯადოქრობას ეწეოდა, მოაგროვა წიგნები და დაწვა ყველას თვალწინ. აღრიცხეს მათი ფასი და 50 ათასი ვერცხლისა აღმოჩნდა.

²⁰ასე იზრდებოდა და მტკიცდებოდა სიტყვა უფლის ძალით.

²¹როდესაც ეს ყველაფერი აღსრულდა, პავლემ სულით გადაწყვიტა მაკედონიისა და აქაიის გავლით იერუსალიმში წასვლა და თქვა: „იქ ყოფნის შემდეგ რომის მონახულება მმართვეს.“

²²გაგზავნა მაკედონიაში ორი თავისი დამხმარე: ტიმოთე და ერასტოსი, თვითონ კი ერთხანს ასიაში დარჩა.

²³იმ ხანებში დიდი არეულობა მოხდა უფლის გზის გამო.

²⁴იყო ერთი ვერცხლის მჭედელი, სახელად დემეტრე, რომელიც არტემისის ვერცხლის ტაძრებს აკეთებდა და არამცირედ საქმეს აძლევდა ხელოსნებს.

²⁵შეკრიბა ისინი და მათი ხელობის ხალხი და უთხრა: „ხალხნო, თქვენ იცით, რომ ამ ხელობას ემყარება ჩვენი კეთილდღეობა.

²⁶ხომ ხედავთ და გესმით, რომ არა მარტო ეფესოში, არამედ თითქმის მთელ ასიაში ამ პავლემ ამდენი ხალხი დაარწმუნა და შეაცდინა. ასე ამბობს: ადამიანთა ხელით შექმნილნი არ არიანო ღმერთები.

²⁷ეს კი იმას გვიქადის, რომ არა მარტო ჩვენი საქმიანობა გახდება სამარცხვინო, არამედ დიდი ქალღმერთის, არტემისის, ტაძარიც არაფრად ჩაითვლება და დაემხოება მისი სიდიადე, რომელსაც თაყვანსა სცემს მთელი ასია და მსოფლიო.“

²⁸ეს რომ მოისმინეს, რისხვით აღივსნენ და მორთეს ყვირილი: „დიდია ეფესელთა არტემისი!“

²⁹მთელი ქალაქი მღელვარებამ მოიცვა. ერთიანად მიაწყდნენ თეატრონს, შეიპყრეს გაიოსი და არისტარქე მაკედონიელნი – პავლეს თანამგზავრები.

³⁰პავლეს სურდა ხალხში გასულიყო, მაგრამ მოწაფეებმა არ გაუშვეს.

³¹ასევე ასიის ზოგიერთმა მთავარმა, რომლებიც მისი მეგობრები იყვნენ, კაცი გაუგზავნეს და სთხოვეს, არ გამოჩენილიყო თეატრონში.

³²ერთნი ერთს გაჰყვიროდნენ, მეორენი – სხვას, რადგან კრებული ამფოთებული იყო და უმრავლესობამ არ იცოდა, რისთვის შეიყარნენ.



³³და როდესაც იუდეველებმა წინ წამოსწიეს ალექსანდრე, ზოგიერთი ხალხიდან არიგებდა მას, რა ეთქვა. ალექსანდრემ ხელით ანიშნა, რომ უნდოდა თავი ემართლებინა ხალხის წინაშე.

³⁴მაგრამ როდესაც შეიტყვეს, რომ ისიც იუდეველი იყო, ყველას ერთი ხმა აღმოხდა და თითქმის ორ საათს გაჰყვიროდნენ: „დიდია ეფესელთა არტემისი!“

³⁵ბოლოს ქალაქის მწერალმა დააწყნარა ხალხი და თქვა: „ეფესელნო კაცნო, ვინ არ იცის, რომ ეფესელთა ქალაქი დიდი არტემისისა და ცითმოვლენილი ქანდაკის მცველია?“

³⁶და რაკი ეს უცილობელია, თქვენ მშვიდად უნდა იყოთ და წინდაუხედავად არ მოიქცეთ.

³⁷მოგიყვანიათ ეს კაცები, რომლებიც არც ტაძრის მმარცველები არიან და არც ჩვენი ქალღმერთის მგმობელები.

³⁸თუ დემეტრეს და მასთან ერთად სხვა ხელოსნებს აქვთ ვინმეზე საჩივარი, აგერ, იმართება სამსჯავროს შეკრებები და არიან პროკონსულები, და უჩივლონ ერთმანეთს.

³⁹ხოლო თუ სხვა რამეს ეძებთ, ესეც კანონიერ საკრებულოში გადაწყდება.

⁴⁰საფრთხე გვემუქრება, რომ დღევანდელი შფოთისთვის ბრალს დაგვდებენ, რაკი არ არსებობს მიზეზი, ამ არეულობის გამართლება რომ შეგვეძლოს.“ ეს თქვა და კრებული დაითხოვა.

მოციქულთა საქმენი 20

¹ამბოხების ჩაცხრომის შემდეგ პავლემ დაიბარა მოწაფეები, გაამხნევა, დაემშვიდობა და მაკედონიისკენ გასწია.

²ის მხარეები რომ მოიარა და მრავალი გაამხნევა სიტყვით, ელადაში მივიდა,

³სადაც სამი თვე დაჰყო, ხოლო სირიაში გადაცურვა რომ დააპირა, იუდეველებმა მის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს. ამიტომ გადაწყვიტა მაკედონიის გზით დაბრუნებულიყო.

⁴თან ახლდნენ მას ასიამდე ბერიელი სოპატრე, პიროსის ძე, თესალონიკელთაგან არისტარქე და სეკუნდოსი, დერბელი გაიოსი და ტიმოთე, ასიელთაგან – ტიქიკოსი და ტროფიმე.

⁵ისინი დაწინაურდნენ და ტროაში გველოდნენ.



- ⁶ჩვენ კი უფუარობის დღეების შემდეგ ფილიპედან გავცურეთ და მეხუთე დღეს მივედით მათთან ტროაში, სადაც შვიდი დღე დავყავით.
- ⁷იმავე ერთშაბათს, როდესაც მოწაფეები შეიკრიბნენ პურის გასატეხად, პავლე ესაუბრებოდა მათ და რაკი მეორე დღეს გამგზავრებას აპირებდა, შუალამემდე გააგრძელა სიტყვა.
- ⁸ზედა სათულზე, სადაც ჩვენ ვიყავით შეკრებილი, ბევრი ლამპარი იყო.
- ⁹ერთი ჭაბუკი, სახელად ევტიქე, რომელიც ფანჯარაზე ჩამომჯდარიყო, რაკი პავლეს საუბარი გაუგრძელდა, ძილმა წაიღო და ძილმორეული მესამე სართულიდან გადავარდა და მკვდარი აიყვანეს.
- ¹⁰ჩამოვიდა პავლე, გადაემხო მას, მოეხვია და თქვა: „ნუ შეშფოთდებით, რადგან სული მისი მასთანვეა.“
- ¹¹ავიდა ზევით და პური გატეხა და ჭამა, კარგა ხანს საუბრობდა, ვიდრე არ გათენდა; და წავიდა.
- ¹²ის ყრმა კი ცოცხალი მოიყვანეს და დიდად ინუგეშეს.
- ¹³ჩვენ კი წინ გავწიეთ ხომალდით და მივცურეთ ასოსში, საიდანაც პავლეს აყვანა გვსურდა ხომალდზე. ასე ჰქონდა ნაბრძანები, რადგან თავად ფეხით უნდოდა სიარული.
- ¹⁴როდესაც ჩვენ შეგვხვდა ასოსში, ავიყვანეთ იგი და მივედით მიტილენეში.
- ¹⁵იქიდან გავცურეთ და მეორე დღეს დავდექით ქიოსის პირდაპირ, მომდევნო დღეს მივადექით სამოსს, გავჩერდით ტროგილიუმში და ერთი დღის შემდეგ მივედით მილეტში.
- ¹⁶პავლემ არჩია ეფესოსთვის გვერდი აექცია, რომ არ დაყოვნებულიყო ასიაში, რადგან ჩქარობდა, უნდოდა ორმოცდაათობის დღეს იერუსალიმში ყოფილიყო.
- ¹⁷მილეტიდან კაცი გაგზავნა ეფესოში და დაიბარა ეკლესიის უხუცესები.
- ¹⁸როდესაც მოვიდნენ მასთან, უთხრა: „თქვენ იცით, რომ პირველივე დღიდან, როცა ასიაში მოვედი, მუდამ თქვენთან ვიყავი.
- ¹⁹ვემსახურებოდი უფალს სრული თავმდაბლობით, მრავალი ცრემლითა და განსაცდელით, რომლებიც შემამთხვიეს იუდეველთა შეთქმულებებმა.
- ²⁰არაფერი დამიშურებია სასარგებლო, თქვენთვის რომ არ გამეცხადებინა და არ მესწავლებინა საჯაროდ თუ სახლიდან სახლში.
- ²¹ვუმოწმებდი იუდეველებსა და ბერძნებს ღმერთის წინაშე მონანიებას და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს რწმენას.



²²და, აჰა, ახლა სულის მიერ შეკრული მივდივარ იერუსალიმში და, რა შემემთხვევა იქ, არ ვიცი.

²³მხოლოდ სულიწმიდა მიმოწმებს ქალაქიდან ქალაქში და მეუბნება, რომ ბორკილები და გასაჭირი მელის.

²⁴მაგრამ სიცოცხლე არად მიღირს, ოღონდ კი იმ ჩემს სარბიელსა და მსახურებას დავასრულებდე, რომელიც უფალი იესოსგან მივიღე, რათა დავამოწმო ღმერთის მადლის სახარება.

²⁵აჰა, ახლა ვიცი, რომ ვეღარ იხილავს ჩემს სახეს ვერც ერთი თქვენგანი, რომელთა შორისაც დავდიოდი და ვქადაგებდი ღმერთის სასუფეველს.

²⁶ამიტომ გიმოწმებთ თქვენ დღევანდელ დღეს, რომ უბრალო ვარ ყველას სისხლისაგან.

²⁷რადგან არ დამიტოვებია გაუცხადებელი თქვენთვის ღმერთის ყოველი ნება.

²⁸გაუფრთხილდით თქვენს თავსაც და თქვენს სამწყსოსაც, რომლის ზედამხედველადაც სულიწმიდამ დაგადგინათ, რათა მწყემსავდეთ ღმერთის ეკლესიას, რომელიც მან საკუთარი სისხლით შეიძინა.

²⁹მე ვიცი, რომ ჩემი წასვლის შემდეგ შემოვლენ სასტიკი მგლები, რომლებიც არ დაინდობენ სამწყსოს.

³⁰და თქვენგანაც აღდგებიან კაცები, რომლებიც უკუღმართად ილაპარაკებენ, რათა მოწაფეები თავისკენ გადაიბირონ.

³¹ამიტომ ფხიზლად იყავით, გახსოვდეთ, რომ სამ წელიწადს დღე და ღამე განუწყვეტლივ ცრემლით შევაგონებდი თითოეულ თქვენგანს.

³²ახლა კი, ძმებო, მიგანდობთ უფალს და მისი მადლის სიტყვას, რომელსაც შეუძლია აგაშენოთ და მოგცეთ სამკვიდრო ყველა განწმედილთან ერთად.

³³არავისი არც ვერცხლი მდომებია, არც ოქრო, არც ტანისამოსი.

³⁴თქვენ თვითონ იცით, რომ ეს ჩემი ხელები ემსახურებოდა ჩემსა და ჩემთან მყოფთა საჭიროებებს.

³⁵ყველაფერი გიჩვენეთ თქვენ, რომ ასეთი შრომით უნდა შეეწიოთ უძლურებს და გახსოვდეთ უფალი იესოს სიტყვა, როგორც თავად თქვა: ‘გაცემა მეტი ნეტარებაა, ვიდრე მიღება.’“

³⁶ეს რომ თქვა, მუხლი მოიყარა და ყველასთან ერთად ილოცა.

³⁷მაშინ დიდი ტირილი იყო მათ შორის, ყელზე ეხვეოდნენ პავლეს და ჰკოცნიდნენ.



³⁸უფრო მეტად იმ სიტყვაზე წუხდნენ, რომ თქვა, ვეღარ იხილავთ ჩემ სახეს. და მიაცილეს იგი ხომალდამდე.

მოციქულთა საქმენი 21

¹როდესაც მათ გამოვეთხოვეთ, გავცურეთ პირდაპირ და მივედით კოსში, ხოლო მეორე დღეს – როდოსში, და იქიდან – პატარაში.

²ვიპოვეთ ხომალდი, რომელიც ფინიკიაში მიდიოდა, ავედით მასზე და გავცურეთ.

³კვიპროსი რომ გამოჩნდა და მარცხნივ მოვიტოვეთ იგი, სირიისაკენ გავცურეთ და ჩავედით ტვიროსში, რადგან იქ უნდა გადმოეტვირთათ ხომალდი.

⁴მოვნახეთ მოწაფეები და შვიდ დღეს დავყავით იქ. ისინი სულის მიერ ეუბნებოდნენ პავლეს, რომ არ ასულიყო იერუსალიმში.

⁵იმ დღეებმა რომ ჩაიარეს, გამოვედით და გავწიეთ. მას შემდეგ, რაც ყველამ ცოლშვილითურთ ქალაქის გარეთ გაგვაცილა და ზღვის ნაპირზე მუხლმოყრილებმა ვილოცეთ,

⁶ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ და ავედით ხომალდზე, ისინი კი შინ დაბრუნდნენ.

⁷ტვიროსიდან პტოლემეისში ჩავედით და ამით დავასრულეთ ცურვა. მოვიკითხეთ ძმები და ერთი დღე დავყავით მათთან.

⁸მეორე დღეს გამოვედით და მივედით კესარიას, და შევედით ერთ-ერთი შვიდთაგანის, ფილიპე მახარებლის, სახლში და დავრჩით მასთან.

⁹მას ჰყავდა ოთხი გაუთხოვარი ქალიშვილი, რომლებიც წინასწარმეტყველებდნენ.

¹⁰მრავალი დღე დავყავით იქ და ამასობაში იუდეიდან ჩამოვიდა წინასწარმეტყველი, სახელად აგაბოსი.

¹¹მოვიდა ჩვენთან, აიღო პავლეს სარტყელი, ხელ-ფეხი შეიკრა და თქვა: „ასე ამბობს სულიწმიდა: კაცს, ვისაც ეს სარტყელი ეკუთვნის, ასე შეკრავენ იერუსალიმში იუდეველები და წარმართებს გადასცემენ ხელში.“

¹²ეს რომ მოვისმინეთ, ჩვენც და იქაურებიც ვევედრებოდით, არ ასულიყო იერუსალიმში.



- ¹³მაშინ მოგვიგო პავლემ: „რას სჩადით, მოთქვამთ და გულს მიტეხთ? არა თუ შესაკვრელად, არამედ იერუსალიმში სასიკვდილოდაც მზადა ვარ უფალი იესოს სახელისათვის.“
- ¹⁴რაკი ვერ შევძელით მისი დაყოლიება, დავმშვიდდით და ვუთხარით: „იყოს უფლის ნება!“
- ¹⁵იმ დღეების შემდეგ გავემზადეთ და ავედით იერუსალიმს.
- ¹⁶თან გამოგვყვა აგრეთვე ზოგიერთი მოწაფე კესარიიდან და მიგვიყვანეს სტუმრად მნასონთან, ერთ ძველ კვიპროსელ მოწაფესთან.
- ¹⁷იერუსალიმში მისულნი სიხარულით მიგვიღეს ძმებმა.
- ¹⁸მეორე დღეს პავლე ჩვენთან ერთად ეწვია იაკობს, და ყველა უხუცესიც იქ მოვიდა.
- ¹⁹მოიკითხა ისინი და დაწვრილებით უამბო ყველაფერი, რაც ღმერთმა მოახდინა წარმართებს შორის მისი მსახურებით.
- ²⁰ეს რომ მოისმინეს, ადიდეს ღმერთი და უთხრეს მას: „ხედავ, ძმაო, რამდენი ათასი მორწმუნეა იუდეველთა შორის! და ყველანი რჯულის მოშურნენი არიან.
- ²¹შენზე გაიგეს, რომ მოსესგან განდგომას ასწავლი წარმართებში მცხოვრებ ყველა იუდეველს, ამბობ, რომ არ უნდა წინადაცვითონ თავიანთ შვილებს და არც წეს-ჩვეულებებს უნდა მისდიონ.
- ²²მაშ, რა იქნება? ნამდვილად შეიყრება ხალხი, შენს მოსვლას რომ გაიგებენ.
- ²³ისე მოიქეცი, როგორც ჩვენ გეტყვით: ჩვენ გვყავს ოთხი კაცი, რომელთაც აღთქმა აქვთ დადებული.
- ²⁴წაიყვანე ესენი, მათთან ერთად განიწმიდე, გაილე ხარჯი, რათა თავი გაიპარსონ, და ყველას ეცოდინება, რომ რაც შენზე გაუგიათ, ტყუილია, და რომ შენ თვითონ მისდევ და იცავ რჯულს.
- ²⁵ხოლო რაც შეეხება წარმართებს, რომელთაც ირწმუნეს, ჩვენ მივწერეთ ჩვენი განჩინება, რომ მოერიდონ ნაკერპავს, სისხლს, გაგუდულს და მრუშობას.“
- ²⁶მაშინ პავლემ წაიყვანა ის კაცები, მეორე დღეს მათთან ერთად განიწმიდა, შევიდა ტაძარში და გამოაცხადა განწმედის დღეების დასრულება, როდესაც თითოეული მათგანისათვის შესაწირავი უნდა შეწირულიყო.
- ²⁷როდესაც იწურებოდა შვიდი დღე, ასიელმა იუდეველებმა, ტაძარში რომ დაინახეს იგი, მთელი ხალხი აღაშფოთეს და ხელი დაადეს მას.



²⁸ყვიროდნენ: „ისრაელელნო კაცნო, გვიშველეთ! ეს ის კაცია, რომელიც ყველას ყველგან ხალხის, რჯულისა და ამ ადგილის წინააღმდეგ ასწავლის. ახლა ბერძნებიც კი შემოიყვანა ტაძარში და შებღალა ეს წმიდა ადგილი.“

²⁹რადგან პავლესთან ერთად უნახავთ ქალაქში ტროფიმე ეფესელი და ჰგონებიათ, რომ მან ის შეიყვანა ტაძარში.

³⁰შეიძრა მთელი ქალაქი და შეიყარა ხალხი. შეიპყრეს პავლე, გამოათრიეს ტაძრიდან და მყისვე ჩაიკეტა კარი.

³¹როდესაც მოკვლა დაუპირეს, რაზმის ათასისთავს მიუვიდა ამბავი, რომ ამბოხდა მთელი იერუსალიმი.

³²მან მყისვე წაიყვანა ჯარისკაცები და ასისტავები და გაეშურა მათკენ. ხოლო მათ, ათასისთავი და ჯარისკაცები რომ დაინახეს, შეწყვიტეს პავლეს ცემა.

³³მაშინ ათასისთავი ახლოს მივიდა, გამოიყვანა იგი და ბრძანა ორი ჯაჭვით შეეკრათ. და კითხულობდა: ვინ არის და რა ჩაიდინაო?

³⁴ხალხში ერთნი ერთს გაჰყვიროდნენ, მეორენი – მეორეს. ხოლო მან, რაკი ვერ შეძლო არეულობის გამო სინამდვილის გაგება, მისი ბანაკში წაყვანა ბრძანა.

³⁵როდესაც კიბეებთან მივიდნენ, ჯარისკაცებს მისი ზემოთ აყვანა მოუხდათ ბრბოს მოწოდების გამო,

³⁶რადგან დიდძალი ხალხი მისდევდა და ყვიროდა: „სიკვდილი მაგას!“

³⁷ბანაკში რომ შეჰყავდათ, პავლემ უთხრა ათასისთავს: „შეიძლება რაღაც გითხრა?“ მან თქვა: „ბერძნული იცი?“

³⁸შენ არა ხარ ის ეგვიპტელი, ამას წინათ შფოთი რომ ატეხა და 4 ათასი მკვლელი უდაბნოში გაიყვანა?“

³⁹თქვა პავლემ: „მე იუდეველი კაცი ვარ, კილიკიის ტარსუსიდან, არცთუ უცნობი ქალაქის მოქალაქე. გთხოვ, ხალხთან დამალაპარაკო.“

⁴⁰და ნება რომ მისცა, პავლე დადგა კიბეზე, ხელით ანიშნა ხალხს და, როდესაც სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ებრაულ ენაზე მიმართა და თქვა:

მოციქულთა საქმენი 22

¹„მძებო და მამებო! მოისმინეთ ჩემი თავის მართლება ახლა თქვენს წინაშე.“

²როდესაც გაიგონეს, რომ ებრაულ ენაზე მიმართავდა მათ, კიდევ უფრო დაწყნარდნენ. და თქვა:



³„მე ვარ იუდეველი კაცი, კილიკიის ტარსუსში დაბადებული. ამ ქალაქში გამალიელის ფეხით აღზრდილი, ზედმიწევნით განსწავლული მამების რჯულში. ღმერთისთვის მოშურნე, როგორც თქვენ ხართ დღეს ყველანი.

⁴სასიკვდილოდ ვდევნადი ამ გზაზე დამდგართ, ბორკილებს ვადებდი და საპყრობილეს გადავცემდი კაცებს და ქალებს,

⁵როგორც მღვდელმთავარიც დამემოწმება და მთელი უხუცესობა. მათგან ბარათებიც მივიღე დამასკოში მყოფი ძმებისათვის და მივდიოდი, რომ იქაურებიც წამეყვანა შებორკილნი იერუსალიმში დასასჯელად.

⁶მოხდა ისე, რომ როდესაც მივდიოდი და ვუახლოვდებოდი დამასკოს, შუადღისას უეცრად ძლიერმა ნათელმა მომიცვა ციდან.

⁷დავეცი მიწაზე და მომესმა ხმა, რომელიც მეუბნებოდა: ‘სავლე, სავლე, რად მდევნა მე?’

⁸მე მივუგე: ‘ვინა ხარ, უფალო?’ მან მითხრა: ‘მე ვარ იესო ნაზარეველი, რომელსაც შენ სდევნა.’

⁹ჩემთან მყოფები ნათელს ხედავდნენ, მაგრამ იმის ხმა არ ესმოდათ, ვინც მელაპარაკებოდა.

¹⁰ვთქვი: ‘რა ვქნა, უფალო?’ უფალმა მითხრა: ‘ადექი და წადი დამასკოში და იქ გეუწყება ყოველივე, რისი გაკეთებაც გაქვს ნაბრძანები.’

¹¹რაკი იმ ნათლის ბრწყინვალეების გამო ველარაფერს ვხედავდი, ჩემთან მყოფებმა ხელი ჩამკიდეს და ისე მივედი დამასკოში.

¹²ვინმე ანანია, კაცი ღვთისმოსავი რჯულის წესით, რომელსაც ემოწმებოდა იქ მცხოვრები ყველა იუდეველი,

¹³მოვიდა ჩემთან, დამადგა და მითხრა: ‘ძმაო სავლე, აგეხილოს თვალი!’ და მე იმ წამსავე დავინახე იგი.

¹⁴ხოლო მან მითხრა: ‘ჩვენი მამების ღმერთმა წინასწარ განგაწესა შენ, რომ შეიცნო მისი ნება, დაინახო მართალი და ისმინო ხმა მისი ბაგეებიდან.

¹⁵რადგან შენ იქნები მისთვის მოწმე ყველა ადამიანის წინაშე იმის შესახებ, რაც ნახე და მოისმინე.

¹⁶ახლა რაღად აყოვნებ? ადექი, მოინათლე, ჩამოირეცხე შენი ცოდვები და მოუხმე უფლის სახელს.’

¹⁷როდესაც იერუსალიმში დავბრუნდი და ტაძარში ვლოცულობდი, გარინდებამი ჩავვარდი.



¹⁸და დავინახე იგი, რომელმაც მითხრა: ‘იჩქარე და გადი სწრაფად იერუსალიმიდან, რადგან არ შეიწყნარებენ შენს მოწმობას ჩემზე.’

¹⁹მე ვთქვი: ‘უფალო, მათ იციან, რომ მე ვატუსალებდი და სინაგოგებში ვცემდი შენს მორწმუნეებს.

²⁰როდესაც შენი მოწამის, სტეფანეს, სისხლი იღვრებოდა, მეც იქ ვიდექი და ვიწონებდი, და ვდარაჯობდი მის მკვლელთა ტანისამოსს.’

²¹მან მითხრა: ‘წადი, რადგან შორს მიგავლენ მე შენ წარმართებთან.’“

²²ამ სიტყვამდე უსმენდნენ მას და აღიმადლეს ხმა და თქვეს: „აღიგავოს ასეთი კაცი დედამიწის ზურგიდან, რადგან არ არის სიცოცხლის ღირსი!“

²³როდესაც ისინი ყვიროდნენ, ტანისამოსს იგლეჯდნენ და ჰაერში მტვრის კორიანტელს აყენებდნენ,

²⁴ათასისთავმა ბრძანა, ბანაკში შეეყვანათ იგი და შოლტის ქვეშ დაეკითხათ, რათა გაეგოთ, რა მიზეზია, ასე რომ ყვიროდნენ მის წინააღმდეგ.

²⁵როდესაც ღვედებით გასამართლებლად განართხეს, უთხრა პავლემ იქვე მდგომ ასისტავს: „რა უფლება გაქვთ, რომ გაუსამართლებლად ამართახებთ რომის მოქალაქეს?“

²⁶ეს რომ ასისტავმა გაიგო, მივიდა ათასისთავთან და მოახსენა: „რას აპირებ? რომის მოქალაქე ყოფილა ეს კაცი.“

²⁷მივიდა ათასისთავი და უთხრა მას: „მითხარი, რომის მოქალაქე ხარ?“ მიუგო: „დიახ.“

²⁸მიუგო ათასისთავმა: „მე დიდი ფულით მოვიპოვე ეს მოქალაქეობა.“ ხოლო პავლემ თქვა: „მე კი დავიბადე მასში.“

²⁹მყისვე მოეშვნენ, ვინც მას დაკითხვას უპირებდა. ხოლო ათასისთავს შეეშინდა, როდესაც გაიგო, რომ იგი რომის მოქალაქე იყო, მან კი შეაბორკინა იგი.

³⁰მეორე დღეს მოინდომა დანამდვილებით შეეტყო, რას აბრალებდნენ მას იუდეველები. შეხსნა ბორკილები და ბრძანა მღვდელმთავართა და მთელი სინედრიონის შეკრება. მოიყვანა პავლე და წარუდგინა მათ.

მოციქულთა საქმენი 23

¹პავლემ მზერა მიაპყრო სინედრიონს და თქვა: „ძმებო, დღემდე წრფელი სინდისით ვმოქალაქობდი ღმერთის წინაშე.“



²მღვდელმთავარმა ანანიათ თავის წინაშე მდგომთ უბრძანა, სახეში ეცემათ მისთვის.

³მაშინ პავლემ უთხრა მას: „ღმერთი გცემს შენ, შეფეთქილო კედელო! ზიხარ აქ, რომ კანონით განმსაჯო და უკანონოდ კი ბრძანებ ჩემს ცემას.“

⁴იქ მდგომებმა თქვეს: „ღმერთის მღვდელმთავარს აგინებ?“

⁵თქვა პავლემ: „მე არ ვიცოდი, ძმებო, თუ ეგ მღვდელმთავარი იყო, რადგან დაწერილია: “შენი ხალხის მთავარზე აუგს ნუ იტყვი.”“

⁶პავლემ იცოდა, რომ ერთ მხარეს სადუკველნი იყვნენ, და მეორეზე კი ფარისევლები და დაიძახა სინედრიონში: „ძმებო, მე ფარისეველი ვარ, ფარისევლის ძე, და მკვდრეთით აღდგომის იმედისთვის განვისჯები.“

⁷ეს რომ თქვა, ფარისევლებსა და სადუკველებს შორის დავა ატყდა, და გაიყო კრებული,

⁸რადგან სადუკველნი ამბობენ, რომ არ არის არც აღდგომა, არც ანგელოზი, არც სული, ფარისევლები კი ერთსაც აღიარებენ და მეორესაც.

⁹და ატყდა დიდი ხმაური, წამოდგა ზოგიერთი მწიგნობარი ფარისეველთა მხრიდან, დაობდნენ და ამბობდნენ: „ამ კაცში ცუდი ვერაფერი ვპოვეთ. ეგებ სული ან ანგელოზი ელაპარაკებოდა მას. ღმერთს ნუ ვებრძვიტ!“

¹⁰ხოლო რაკი დიდი შფოთი ატყდა, ათასისთავს შეეშინდა, რომ არ გაეგლიჯათ პავლე და ჯარისკაცებს უბრძანა, ჩასულიყვნენ, გამოეტაცათ იგი მათგან და ბანაკში წაეყვანათ.

¹¹მეორე ღამეს უფალი დადგა მასთან და უთხრა: „გამხნევდი, რადგან, როგორც იერუსალიმში მოწმობდი ჩემზე, ასევე რომშიც გმართებს მოწმობა.“

¹²დღე რომ დადგა, იუდეველებმა შეკრება მოაწყვეს და ერთმანეთს შეჰფიცეს, თქვეს, არ ეჭამათ და არ ესვათ, ვიდრე პავლეს არ მოკლავდნენ.

¹³ორმოცზე მეტნი იყვნენ, ვინც შეითქვნენ.

¹⁴მივიდნენ ისინი მღვდელმთავრებთან და უხუცესებთან და უთხრეს: „ფიცით დავიფიცეთ, რომ არაფერს ვიგემებთ, ვიდრე პავლეს არ მოვკლავთ.“

¹⁵ახლა თქვენ და სინედრიონმა შეუთვალეთ ათასისთავს, რომ მოიყვანოს იგი თქვენთან, ვითომ დაწვრილებით გინდათ გამოიკვლიოთ მისი საქმე. ჩვენ კი, ვიდრე ის თქვენთან მოვა, მზად ვიქნებით მის მოსაკლავად.“

¹⁶შეიტყო პავლეს დისწულმა ეს ვერაგობა, წავიდა, შევიდა ბანაკში და აუწყა პავლეს.



¹⁷პავლემ დაუძახა ერთ-ერთ ასისტავს და უთხრა: „ეს ყმაწვილი მიიყვანე ათასისტავთან, რაღაც აქვს სათქმელი მისთვის.“

¹⁸მანაც წაიყვანა იგი, მიიყვანა ათასისტავთან და უთხრა: „პატიმარმა პავლემ დამიძახა და მოხოვა, ეს ყმაწვილი შენთან მომეყვანა, რაღაც სათქმელი აქვს შენთვის.“

¹⁹ხელი მოჰკიდა მას ათასისტავმა, განზე გაიყვანა და ჰკითხა: „რა გაქვს ჩემთვის სათქმელი?“

²⁰მან უთხრა: „იუდეველები შეთანხმდნენ, გთხოვონ, რომ ხვალ ჩაიყვანო პავლე სინედრიონში, ვითომ მათ სურდეთ დაწვრილებით გამოიკვლიონ მისი საქმე.“

²¹შენ ნუ დაუჯერებ მათ, რადგან ჩასაფრებული ჰყავთ ორმოცზე მეტი კაცი, რომელთაც ფიცი დადეს, არც ჭამონ და არც სვან, ვიდრე პავლეს არ მოკლავენ. ახლა ისინი გამზადებული არიან და შენს ბრძანებას ელიან.“

²²მაშინ ათასისტავმა გაუშვა ყმაწვილი და უბრძანა: „არავის გაუმხილო, რაც მე შემატყობინე.“

²³გამოიძახა ორი ასისტავთაგან და უთხრა: „მოამზადეთ 200 ჯარისკაცი კესარიასი წასასვლელად, 70 ცხენოსანი და 200 შუბოსანი ღამის მესამე საათისათვის,

²⁴მიეცით სახედრები, რომ შესვან პავლე და მშვიდობით მიიყვანონ განმგებელ ფელიქსთან.“

²⁵და მისწერა ამგვარი წერილი:

²⁶„კლავდიუს ლისია უაღმატებულეს განმგებელს, ფელიქსს: იხარებდე!

²⁷ეს კაცი შეპყრობილი ჰყავდათ იუდეველებს და სიკვდილი მოელოდა მათგან. მე მივედი ჯარისკაცებით და გამოვარიდე მათ, როდესაც გავიგე, რომ რომის მოქალაქეა.

²⁸მინდოდა გამეგო მიზეზი და მივიყვანე მათ სინედრიონში.

²⁹გავიგე, რომ თავიანთი რჯულის სადაო საქმეში დაუდვიათ ბრალი მისთვის, მაგრამ ისეთი არაფერი დანაშაული ჰქონია, რომ სიკვდილი ან ბორკილები დაემსახურებინა.

³⁰როდესაც ცნობილი შეიქნა ჩემთვის, რომ შეთქმულება იყო ამ კაცის წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ გამოვგზავნე შენთან. ბრალმდებლებსაც ვუბრძანე, შენს წინაშე წაუყენონ ბრალი.“

³¹ამრიგად, ჯარისკაცებმა ბრძანებისამებრ წაიყვანეს პავლე და ღამით მიიყვანეს ანტიპატრისში.



³²მეორე დღეს კი ცხენოსნებს გააყოლეს იგი და ბანაკში დაბრუნდნენ.

³³მათ კი, რომლებიც კესარიაში მივიდნენ და გამგებელს გადასცეს წერილი, წარუდგინეს მას პავლე.

³⁴წაიკითხა და ჰკითხა, თუ რომელი მხარიდან იყო. როდესაც შეიტყო, რომ კილიკიიდან იყო,

³⁵თქვა: „მოგისმენ, როდესაც შენი ბრალმდებლებიც მოვლენ.“ და ბრძანა, ჰეროდესეულ სასახლეში დაეკავებინათ.

მოციქულთა საქმენი 24

¹ხუთი დღის შემდეგ მივიდა მღვდელმთავარი ანანია უხუცესებთან და ვინმე რიტორ ტერტულოსთან ერთად, რომლებმაც განმგებელთან უჩივლეს პავლეს.

²როდესაც იგი გამოიძახეს, ტერტულოსმა დაიწყო მისი ბრალდება და თქვა: „შენი წყალობით სრული მშვიდობა გვაქვს და შენს მზრუნველობას ვუმაღლით ცვლილებებს ჩვენი ერისათვის, უაღმატებულესო ფელიქს!

³ყველგან და ყოველთვის მთელი მაღლიერებით ვაღიარებთ ამას,

⁴მაგრამ, დიდხანს რომ არ დაგაკავო, გთხოვ, მოისმინო მოკლედ ჩემი მონათხრობი შენთვის ჩვეული მოთმინებით.

⁵ეს კაცი ვცანით ჭირად და მთელს ქვეყანაზე მცხოვრებ იუდეველთა შორის შფოთის ამტეხად და ნაზარეველთა დასის თავკაცად,

⁶რომელმაც ტაძრის შებღალვაც კი სცადა. შევიპყართ იგი და გვინდოდა ჩვენი რჯულის მიხედვით გაგვესამართლებინა,

⁷მაგრამ ათასისთავი ლისია მოვიდა და დიდი ძალმომრეობით გამოგვტაცა ხელიდან,

⁸და უბრძანა მის ბრალმდებლებს, შენთან მოსულიყვნენ, რათა შენ თავად შეგძლებოდა მისგან გაგეგო, რას ვდებთ ბრალად.

⁹იუდეველებმაც მხარი დაუჭირეს და დაადასტურეს, ასეაო.“

¹⁰მიუგო პავლემ, როცა ანიშნა განმგებელმა, ილაპარაკეო და თქვა: „ვიცი, რომ მრავალი წელია, ამ ხალხის მსაჯული ხარ, და ამიტომ თამამად დავიცავ თავს.

¹¹შენ შეგიძლია შეამოწმო, რომ თორმეტ დღეზე მეტი არ არის, რაც იერუსალიმში ამოვედი თაყვანის საცემად.



- ¹²არავის ვუნახივარ ტაძარში, რომ ვინმესთან მედავოს ან ხალხი აღმემფოთებინოს, არც სინაგოგაში, არც ქალაქში.
- ¹³შენს წინაშე ვერც იმას დაამტკიცებენ, რაშიც ახლა ბრალს მდებენ.
- ¹⁴ამას კი ვადიარებ შენთან, რომ იმ სახით, რომელსაც ეგენი მწვალებლობად მიიჩნევენ, მე ვემსახურები მამათა ღმერთს და მწამს ყოველივე, რაც ეთანხმება რჯულს და რაც წინასწარმეტყველებთან არის დაწერილი.
- ¹⁵მაქვს ღმერთის იმედი, რომ იქნება მართალთა და უკეთურთა აღდგომა, რასაც თავად ეგენიც მოელიან.
- ¹⁶ამიტომ ვცდილობ, ყოველთვის უმწიკვლო სინდისით ვიყო ღმერთისა და კაცთა წინაშე.
- ¹⁷მრავალი წლის შემდეგ მოვედი ჩემი ხალხისათვის მოწყალების მოსატანად და მსხვერპლის შესაწირად.
- ¹⁸იმ დროს, როდესაც ვიწმიდებოდი, ტაძარში მნახეს, ბრბოსა და შფოთის გარეშე.
- ¹⁹ასიელ იუდეველთაგან იყვნენ ზოგიერთნი, რომლებიც უნდა გამოცხადებულიყვნენ შენს წინაშე და დაედოთ ბრალი, თუ რამე ჰქონდათ ჩემს წინააღმდეგ.
- ²⁰ანდა, თვითონ ამათ თქვან, რა დანაშაული ჰპოვეს ჩემში, როდესაც სინედრიონის წინაშე ვიდექი,
- ²¹გარდა იმ ერთი სიტყვისა, რომელიც წამოვიძახე მათ შორის მდგარმა: ‘მკვდრეთით აღდგომისათვის ვისჯები დღეს თქვენგან!’“
- ²²ფელიქსმა, რაკი საკმაოდ ბევრი იცოდა უფლის გზის შესახებ, დაამთავრა მათი მოსმენა და თქვა: „როდესაც ათასისთავი ლისია მოვა, მაშინ გადავწყვეტ თქვენს საქმეს.“
- ²³ასისთავს უბრძანა, დაეცვა იგი, შეღავათი მიეცა და მისიანებისთვის არ აეკრძალა მისი მომსახურება.
- ²⁴რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა ფელიქსი თავის მეუღლესთან, დრუსილასთან ერთად, რომელიც იუდეველი იყო. მოაყვანინა პავლე და მოუსმინა მას ქრისტე იესოს სარწმუნოების შესახებ.
- ²⁵როდესაც ის ლაპარაკობდა სამართლიანობაზე, თავშეკავებასა და მომავალ სამსჯავროზე, ფელიქსი შეშინდა და მიუგო: „ახლა წადი და, როდესაც მოვიცლი, დაგიძახებ.“
- ²⁶ამასთანავე იმედი ჰქონდა, რომ პავლესგან ფულს მიიღებდა თავის გამოსახსნელად. ამიტომ ხშირად იბარებდა და ესაუბრებოდა მას.



²⁷ორი წელი რომ გასრულდა, მოვიდა ფელიქსის შემცვლელი, პორკიოს ფესტოსი. ფელიქსს იუდეველების მომადლიერება უნდოდა და პავლე შებორკილი დატოვა.

მოციქულთა საქმენი 25

¹სამთავროში მისვლიდან სამი დღის შემდეგ ფესტოსი კესარიიდან იერუსალიმში ავიდა.

²აცნობეს მას მღვდელმთავარმა და იუდეველთა მთავრებმა თავიანთი სარჩელი პავლეს წინააღმდეგ და შეევედრნენ,

³სთხოვდნენ წყალობა მოეღო და გამოეძახა იგი იერუსალიმში, რომ გზაში ჩასაფრებოდნენ და მოეკლათ.

⁴მაგრამ ფესტოსმა მიუგო, რომ პავლე კესარიაშია დაპატიმრებული და რომ მალე თვითონაც იქ გაემგზავრება.

⁵უთხრა მან: „ახლა, ვინც არიან თქვენში გავლენიანები, წამომყვნენ და თუ რაიმე აქვს ამ კაცს დანაშაული, ბრალი დასდონ.“

⁶დაჰყო მათ შორის ათი თუ რვა დღე და ჩამოვიდა კესარიაში. მეორე დღეს დაჯდა სამსჯავროს ტახტზე და პავლეს მოყვანა ბრძანა.

⁷როდესაც ის მოვიდა, მის ირგვლივ დადგნენ იერუსალიმიდან ჩამოსული იუდეველნი და ბევრი და მძიმე ბრალი წაუყენეს, რომელთა დამტკიცება ვერ შეძლეს.

⁸პავლემ კი თავის გასამართლებლად თქვა: „არც იუდეველთა რჯულის, არც ტაძრის, არც კეისრის წინააღმდეგ არაფერი შემიცოდავს.“

⁹ფესტოსს იუდეველთა მომადლიერება უნდოდა და მიუგო პავლეს და უთხრა: „გსურს იერუსალიმში ასვლა, რომ იქ გასამართლდე ჩემს წინაშე?“

¹⁰უთხრა პავლემ: „კეისრის სამსჯავროს წინაშე ვდგავარ, სადაც ჯერ არს ჩემი გასამართლება. იუდეველთათვის ცუდი არაფერი მიქნია, შენც კარგად იცი.“

¹¹თუ მართალი არა ვარ და სიკვდილის ღირსი რაიმე ჩამიდენია, არ გავექცევი სიკვდილს. ხოლო თუ არაფრისთვის მდებენ ბრალს, არავის შეუძლია მათ გადამცეს. კეისარს მივმართავ.“

¹²მაშინ ფესტოსი მოეთათბირა თავის საბჭოს და მიუგო: „კეისარს მიმართე და კეისართან წახვალ.“



¹³რამდენიმე დღის შემდეგ მეფე აგრიპა და ბერნიკე ჩავიდნენ კესარიაში ფესტოსის მოსაკითხად.

¹⁴და რაკი მრავალი დღე დაჰყვეს იქ, ფესტოსმა უთხრა მეფეს პავლეზე: „ერთი კაცია აქ, ფელიქსმა დატოვა პატიმრად,

¹⁵ვისზეც, იერუსალიმში ჩემი ყოფნისას, იჩივლეს მღვდელმთავრებმა და იუდეველთა უხუცესებმა და განაჩენს მოითხოვდნენ მის წინააღმდეგ.

¹⁶მე ვუპასუხე მათ, რომ რომაელებს არა აქვთ წესად სასიკვდილოდ გადასცენ ვინმე, სანამ ბრალდებულს პირისპირ არ წარუდგებიან ბრალმდებელნი, და სანამ ბრალდებისაგან თავის მართლების საშუალება არ მიეცემა.

¹⁷და როცა ისინი აქ შეიკრიბნენ, დრო არ დამიკარგავს და მეორე დღესვე დავჯექი სამსჯავროს ტახტზე და ვბრძანე იმ კაცის მოყვანა.

¹⁸ბრალმდებლებმა, მის ირგვლივ რომ იდგნენ, ვერც ერთი მძიმე ბრალი ვერ წაუყენეს, როგორც მოველოდი.

¹⁹რადაც სადაო ჰქონდათ სარწმუნოებისა და ვიღაც გარდაცვლილი იესოს გამო, ვისზეც პავლე ამტკიცებდა, ცოცხალიაო.

²⁰ამ სადაო საქმის გარჩევა რომ გამიძნელდა, ვკითხე მას, ხომ არ სურდა იერუსალიმში წასულიყო და იქ გასამართლებულიყო ამისთვის?

²¹მაგრამ, რადგან პავლემ მოითხოვა, რომ კეისრის მიერ განაჩენის გამოტანამდე ყოფილიყო დაცული, მეც ვბრძანე, დაცვის ქვეშ ჰყოლოდათ, ვიდრე კეისარს გავუგზავნიდი.“

²²აგრიპამ კი უთხრა ფესტოსს: „მეც მინდა იმ კაცის მოსმენა.“ მან თქვა: „ხვალვე მოუსმენ მას.“

²³მეორე დღეს, როდესაც მოვიდნენ აგრიპა და ბერნიკე დიდი ბრწყინვალეობით და შევიდნენ მისაღებ დარბაზში ათასისთავებთან და ქალაქის წარჩინებულ მოქალაქეებთან ერთად, ფესტოსის ბრძანებით მოიყვანეს პავლე.

²⁴და თქვა ფესტოსმა: „მეფე აგრიპა, და ყველა აქ დამსწრე კაცებო, თქვენ ხედავთ მას, ვის გამოც მთელი იუდეველი ხალხი მოდიოდა ჩემთან იერუსალიმშიც და აქაც და ყვიროდნენ: მეტი აღარ უნდა იცოცხლოსო.

²⁵მაგრამ მე ვცანი, რომ მას სასიკვდილო არაფერი ჩაუდენია და, რაკი თვითონ კეისარს მიმართა, გადავწყვიტე მისი გაგზავნა.



²⁶დამაჯერებელი არაფერი მაქვს მის შესახებ, რომ მივწერო კეისარს. ამიტომ მოვიყვანე თქვენს წინაშე, უფრო კი შენს წინაშე, მეფე აგრიპა, რათა გამოძიების შემდეგ მისაწერი მქონდეს.

²⁷ვინაიდან უაზროდ მეჩვენება, პატიმარი გავუგზავნო და არ ვაუწყო მისი დანაშაული.“

მოციქულთა საქმენი 26

¹აგრიპამ უთხრა პავლეს: „ნება გეძლევა ილაპარაკო საკუთარ თავზე.“ მაშინ პავლემ ხელი გაიწოდა, დაიწყო თავის დაცვა და თქვა:

²„ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, მეფე აგრიპა, რომ დღეს შემიძლია შენს წინაშე ვიმართლო თავი ყველაფერში, რაშიც მე ბრალდებული ვარ იუდეველთა მიერ.

³მეტადრე კი იმიტომ, რომ შენ იუდეველთა ყველა ჩვეულებისა და სადაო საკითხების მცოდნე ხარ. ამიტომ გთხოვ, სულგრძელად მომისმინო.

⁴ყველა იუდეველმა იცის ჩემი ცხოვრება სიჭაბუკიდან, რომელიც იმთავითვე ჩემს ერში გავატარე, იერუსალიმში.

⁵ისინი კარგა ხანია მიცნობენ, თუკი დამოწმება სურთ, რომ მე, როგორც ფარისეველი, ჩვენი სარწმუნოების უზუსტესი მოძღვრების მიხედვით ვცხოვრობდი.

⁶და ახლა ვდგავარ განსასჯელად აღთქმის იმედის გამო, რომელიც ღმერთისგან მიეცა ჩვენს მამებს,

⁷რომლის მიღწევაც ეიმედება ჩვენს თორმეტ ტომს, დღედაღამ თავგამოდებით რომ ემსახურება ღმერთს. სწორედ ამ იმედისათვის მდებენ ბრალს იუდეველები, მეფევ!

⁸რატომ უნდა ითვლებოდეს დაუჯერებელად თქვენ შორის, რომ ღმერთი მკვდრებს აღადგენს?

⁹თავად მეც ვფიქრობდი, რომ ყველა ღონე უნდა მეხმარა იესო ნაზარეველის სახელის წინააღმდეგ,

¹⁰და ასეც ვაკეთებდი იერუსალიმში: ბევრი წმიდა ჩავყარე საპყრობილებში მღვდელმთავართა ხელმწიფებით აღჭურვილმა, და მათ დახოცვაზე თანხმობას ვიძლეოდი;

¹¹ყველა სინაგოგაში მრავალგზის ვსჯიდი მათ და ვაიძულებდი, დაეგმოთ რწმენა და მათ მიმართ მეტისმეტად გამძვინვარებული, უცხო ქალაქებშიც კი ვდევნიდი.



¹²ამისთვის მივეშურებოდი დამასკოში მღვდელმთავართა ხელმწიფებითა და დავალებით.

¹³შუადღისას გზაზე ვიხილე, მეფევ, ნათელი ციდან, მზის უბრწყინვალესი ნათელი, რომელმაც მოგვიცვა მე და ჩემი თანამგზავრები.

¹⁴ყველანი მიწაზე დავემხეთ და მომესმა ხმა, რომელიც ებრაულ ენაზე მეუბნებოდა: ‘სავლე, სავლე, რად მდევნი მე? გაგიძნელდება წვეტიანი კეტის დაწიხვლა.’

¹⁵მე ვთქვი: ‘ვინ ხარ შენ, უფალო?’ უფალმა თქვა: ‘მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი.’

¹⁶მაგრამ წამოდექი და დადექ ფეხზე, რადგან იმისათვის გამოგეცხადე, რომ დაგადგინო მსახურად და იმის მოწმედ, რაც იხილე და რასაც გამოგიცხადებ,

¹⁷რათა ამოგარჩიო ამ ხალხისგან და წარმართთაგან, რომლებთანაც მიგავლენ

¹⁸მათი თვალების ასახელად და მოსაქცევად ბნელიდან ნათლისაკენ და სატანის ხელმწიფებიდან ღმერთისაკენ, რათა ჩემდამი რწმენით მიიღონ ცოდვების მიტევება და წილი განწმედილებთან ერთად.’

¹⁹ამიტომ, მეფე აგრიპა, არ ვეურჩე ციურ ჩვენებას,

²⁰არამედ პირველად დამასკოს მკვიდრთ და მერე იერუსალიმელებს და მთელ იუდეის ქვეყანას და აგრეთვე წარმართებს ვუქადაგებდი, რათა მოენანიებინათ და ღმერთისაკენ მოქცეულიყვნენ და სინანულის ღირსი საქმეები გაეკეთებინათ.

²¹ამისათვის შემიპყრეს იუდეველებმა ტაძარში და მოკვლა დამიპირეს.

²²მაგრამ, ღმერთის შეწევნით, მე დღემდე ვდგავარ და ვუმოწმებ მცირესა და დიდს, რომ არაფერი მითქვამს იმაზე მეტი, რასაც წინასწარმეტყველნი და მოსე ამბობდნენ, თუ რა მოხდება:

²³რომ ქრისტე ევნება და მკვდართაგან პირველი აღდგება, რათა ნათელი აუწყოს ამ ხალხსა და წარმართებს.“

²⁴ასე რომ იცავდა თავს, ფესტოსმა ხმამაღლა თქვა: „შემლილხარ, პავლე! დიდმა განსწავლულობამ შეგმალა შენ!“

²⁵პავლემ კი უპასუხა: „მე არა ვარ შემლილი, უადმატებულესო ფესტოს, არამედ ჭეშმარიტ და კეთილგონიერ სიტყვებს წარმოვთქვამ,



²⁶რადგან ეს ამბავი იცის მეფემ, რომლის წინაშეც თამამად ვლაპარაკობ. მე არ მჯერა, რომ მისთვის აქედან რაიმე იყოს დაფარული, რადგან ეს ხომ სადღაც გადაკარგულში არ მომხდარა.

²⁷წინასწარმეტყველთა თუ გწამს, მეფე აგრიპა? ვიცი, რომ გწამს.“

²⁸აგრიპამ უთხრა პავლეს: „ცოტაც და ქრისტიანად მაქცევ.“

²⁹პავლემ კი უთხრა: „ღმერთს ვევედრები, რომ ადრე თუ გვიან, არა მარტო შენ, არამედ ყველა, ვინც დღეს მე მისმენს, ისეთი გახდეს, როგორიც მე ვარ, გარდა ამ ბორკილებისა.“

³⁰ეს რომ თქვა, მეფე და გამგებელი, ბერნიკე და მათთან მსხდომნი წამოდგნენ,

³¹განზე გავიდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ, რომ ეს კაცი არაფერს აკეთებს ისეთს, სიკვდილს ან ბორკილებს რომ იმსახურებდესო.

³²ხოლო აგრიპამ ფესტოსს უთხრა: „შეიძლებოდა ამ კაცის გათავისუფლება, კეისრისთვის რომ არ მიემართა.“

მოციქულთა საქმენი 27

¹როდესაც გადაწყდა ჩვენი გადაცურვა იტალიაში, პავლე და ზოგიერთი სხვა პატიმარი გადასცეს სეზასტიელთა რაზმის ასისტავს, სახელად იულიუსს.

²ავედით ადრამიტიუმის ხომალდზე, რომელსაც ასიის სანაპიროებთან უნდა გაეგლო, და გავემგზავრეთ. ჩვენთან ერთად იყო არისტარქე მაკედონიელი თესალონიკედან.

³მეორე დღეს ჩავედით სიდონს. იულიუსმა კაცთმოყვარეობა გამოიჩინა პავლეს მიმართ და ნება დართო, წასულიყო თავის მეგობრებთან, რათა მათგან შემწეობა მიეღო.

⁴იქიდან გავემგზავრეთ და კვიპროსისკენ გავცურეთ პირქარის გამო.

⁵განვვლეთ ზღვა კილიკიისა და პამფილიის გასწვრივ და მივედით ლიკიის მირაში.

⁶იქ მონახა ასისტავმა ალექსანდრიის ხომალდი, რომელიც იტალიისაკენ მიცურავდა და იმ ხომალდზე გადაგვსხა.

⁷მრავალ დღეს ნელა მივცურავდით და ძლივს გავუსწორდით კნიდოსს და არახელსაყრელი ქარის გამო შევეფარეთ კრეტეს, სალმონეს მხრიდან.



⁸წვალეებით რომ ჩავუარეთ მას, მივადექით ერთ ადგილს, რომელსაც კეთილი ნავსაყუდელი ეწოდება, რომლის ახლოს არის ქალაქი ლასია.

⁹რაკი კარგა ხანი გავიდა და ნაოსნობა სახიფათო ხდებოდა, ხოლო განწმენდის დღე უკვე გასული იყო, პავლემ ურჩია მათ

¹⁰და უთხრა: „ხალხნო, მე ვხედავ, რომ ეს ნაოსნობა საზიანო და დიდად საზარალო იქნება არა მარტო ტვირთისა და ხომალდისათვის, არამედ ჩვენი სიცოცხლისათვისაც.“

¹¹მაგრამ ასისტავი მესაჭესა და ხომალდის უფროსს უფრო ენდობოდა, ვიდრე პავლეს სიტყვებს.

¹²რადგან ნავსადგური მოუხერხებელი იყო გამოსაზამთრებლად, უმრავლესობა რჩევას იძლეოდა გამგზავრებულიყვნენ იქიდან, რომ როგორმე ჩასულიყვნენ გამოსაზამთრებლად ფინიკეში, კრეტეს ნავსადგურში, რომელიც სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთისკენაა მიქცეული.

¹³როდესაც ზომიერმა სამხრეთის ქარმა დაუბერა, იფიქრეს, რომ მიზანს მიაღწიეს (ხელსაყრელი დრო დაუდგათ), ამოსწიეს ლუზა და გაცურეს კრეტეს გასწვრივ.

¹⁴მაგრამ სულ მალე ამოვარდა ჩრდილო-აღმოსავლეთისად წოდებული ქარბორბალა

¹⁵და გაიტაცა ხომალდი, რომელიც ვეღარ გაუმკლავდა ქარს და ჩვენ, ტალღებს მინებებულნი, მივექანებოდით.

¹⁶ჩავუქროლეთ რომელიღაც პატარა კუნძულს, რომელსაც ერქვა კაუდა, და ძლივძლივობით მოვახერხეთ ნავის დაკავება.

¹⁷რომ ამოათრიეს, ხომალდს ბაგირები შემოართყეს ირგვლივ. შეშინებულებმა, სირტისის ქვიშიან სანაპიროზე არ აღმოვჩნდეთო, აფრა დაუშვეს და ასე გაქროლდნენ.

¹⁸რაკი ქარიშხალი კვლავ ბოზოქრობდა, მეორე დღეს დაიწყეს ტვირთის გადაყრა.

¹⁹მესამე დღეს კი საკუთარი ხელით გადაყარეს ხომალდიდან აღჭურვილობა.

²⁰მრავალი დღის განმავლობაში არც მზე ჩანდა, არც ვარსკვლავები და ქარიშხალი ოდნავადაც არ დამცხრალა. ბოლოს, გადარჩენის ყოველგვარი იმედი გადაგვეწურა.



²¹დიდი ხნის უჭმელობის შემდეგ პავლე დადგა მათ შორის და თქვა: „ხალხნო, ჩემთვის რომ დაგეჯერებინათ და კრეტედან არ წამოვსულიყავით, ავიცდენდით ამ ზიანსა და ზარალს.

²²ახლა კი მოგიწოდებთ, გამხნევდეთ. არც ერთი სული არ დაიღუპება თქვენგან, მხოლოდ – ხომალდი,

²³რადგან წუხელ გამომეცხადა ანგელოზი ღმერთისა, რომელსაც მე ვეკუთვნი და ვემსახურები,

²⁴და მითხრა: ‘ნუ გეშინია, პავლე! შენ კეისრის წინაშე უნდა წარსდგე და, აჰა, ღმერთმა მოგმადლა ყველა, ვინც შენთან ერთად მოცურავს ხომალდით.’

²⁵ამიტომ გამხნევდით, ხალხნო, რადგან მე მწამს ღმერთისა, რომ ისე მოხდება, როგორც მეუწყა.

²⁶რომელიმე კუნძულზე უნდა გავირიყოთ.“

²⁷მეთოთხმეტე ღამე რომ დადგა, რაც ადრიატიკის ზღვაში დავცურავდით, შუალამისას მეზღვაურები მიხვდნენ, რომ ხმელეთს უახლოვდებოდნენ.

²⁸გაზომეს სიღრმე და აღმოჩნდა 20 მხარი. მცირედ გაცურეს და კიდევ გაზომეს, და 15 მხარი აღმოჩნდა.

²⁹შეეშინდათ, კლდოვან ადგილებზე არ გავრიყულიყავით, კიჩოებიდან ოთხი ღუზა ჩაუშვეს და გათენებას დაელოდნენ.

³⁰ხოლო როდესაც მეზღვაურებმა ხომალდიდან გაქცევა დააპირეს და ნავი ზღვაში ჩაუშვეს იმ საბაბით, თითქოს ხომალდის ცხვირიდან ღუზების ჩაშვება უნდოდათ,

³¹უთხრა პავლემ ასისტავსა და ჯარისკაცებს: „თუ ისინი ხომალდზე არ დარჩებიან, თქვენ ვერ გადარჩებით.“

³²მაშინ ჯარისკაცებმა გადაჭრეს ნავის ბაგირები და ნავი ზღვას წააღებინეს.

³³სანამ გათენდებოდა, პავლე მოუწოდებდა ყველას, საკვები მიეღოთ. უთხრა: „დღეს მეთოთხმეტე დღეა, რაც უჭმელი ხართ და არაფერი მიგიღიათ.

³⁴ამიტომ მოგიწოდებთ, მიიღოთ საკვები. ეს თქვენს გადასარჩენად არის საჭირო, რადგან არც ერთი თქვენგანის თავიდან ერთი ღერი თმაც არ ჩამოვარდება.“

³⁵ეს თქვა და აიღო პური, ყველას წინაშე მადლი შესწირა ღმერთს, გატეხა და დაიწყო ჭამა.



³⁶ყველანი გამხნევდნენ და მათაც მიიღეს საკვები.

³⁷ხომალდზე სულ 276 სული ვიყავით.

³⁸რომ დაპურდნენ, ხორბალი ზღვაში გადაყარეს, ხომალდის შესამსუბუქებლად.

³⁹როდესაც გათენდა, ხმელეთი ვერ იცნეს, მხოლოდ ერთი ფერდობიანი ყურე შენიშნეს. გადაწყვიტეს, თუკი შეძლებდნენ, ხომალდი იქ მიეყენებინათ.

⁴⁰მოხსნეს ღუზები და ჩაუშვეს ზღვაში. იმავე დროს, მოუშვეს საჭის თოკები. აღმართეს მცირე აფრა ქარის საწინააღმდეგოდ და ნაპირისაკენ აიღეს გეზი.

⁴¹მიადგნენ მეჩქის და მასზე შეაჩერეს ხომალდი. ცხირი უძრავად ჩაერჭო, კიჩო კი ძლიერი ტალღებისაგან ილეწებოდა.

⁴²ჯარისკაცებმა გადაწყვიტეს, დაეხოცათ პატიმრები, რომ რომელიმეს არ გაეცურა და არ გაქცეულიყო.

⁴³მაგრამ ასისტავს პავლეს გადარჩენა უნდოდა და ამიტომ არ დართო ამის ნება. ბრძანა, ვინც ცურვა იცოდა, პირველნი გადაშვებულიყვნენ და გასულიყვნენ ხმელეთზე,

⁴⁴დანარჩენებიც – ზოგი ფიცრით და ზოგი ხომალდის ნამსხვრევებით. და ამგვარად ყველამ თავს უშველა ხმელეთზე.

მოციქულთა საქმენი 28

¹როდესაც უკვე გადარჩენილები ვიყავით, მაშინღა შევიტყეთ, რომ კუნძულს მალტა ერქვა.

²კუნძულელებმა დიდი კაცთმოყვარეობა გამოიჩინეს, წვიმასა და სიცივეში დაგვინთეს ცეცხლი და ყველას გაგვიმასპინძლდნენ.

³პავლემ ბლომად ფიჩხი მოაგროვა და ცეცხლს შეუკეთა, მხურვალეების გამო იქედნე გამოძვრა და ხელზე შემოეხვია მას.

⁴კუნძულელებმა რომ დაინახეს მის ხელზე შემოხვეული გველი, ერთმანეთს უთხრეს: „ეს კაცი უეჭველად კაცისმკვლელია, ზღვას კი გადაურჩა, მაგრამ სამართალი სიცოცხლეს არ ანებებს.“

⁵მაგრამ მან ხელი დაიქნია და ქვეწარმავალი ცეცხლში ჩააგდო, ისე რომ არაფერი ვნებია.



- ⁶ ისინი კი ელოდნენ, რომ დასივდებოდა ან უცებ მკვდარი დაეცემოდა. დიდხანს ელოდნენ და როცა დაინახეს, რომ არაფერი უჩვეულო არ შემთხვევია, აზრი შეიცვალეს და თქვეს, ეს ღმერთიაო.
- ⁷ იმ არემარეში კუნძულის მთავარს, სახელად პუბლიუსს, მიწები ჰქონდა. მან მიგვიღო ჩვენ და სამ დღეს მეგობრულად გვიმასპინძლა.
- ⁸ პუბლიუსის მამა ციებ-ცხელებითა და ნაწლავთა სნეულებით შეპყრობილი იწვა. შევიდა მასთან პავლე, ილოცა, ხელები დაადო და განიკურნა იგი.
- ⁹ ამ ამბის შემდეგ სხვებიც, ვისაც კი კუნძულზე რაიმე სენი სჭირდა, მოდიოდნენ და იკურნებოდნენ.
- ¹⁰ მათ დიდი პატივი მოგვადგეს და გამგზავრებისას საგზლით მოგვამარაგეს.
- ¹¹ სამი თვის შემდეგ გავემგზავრეთ კუნძულზე გამოზამთრებული ალექსანდრიული ხომალდით, რომელიც დიოსკურების ნიშანს ატარებდა.
- ¹² სირაკუზაში ჩავედით და იქ სამ დღეს დავყავით.
- ¹³ იქიდან ავუშვით ღუზა და რეგიუმს მივადექით. ერთი დღის შემდეგ სამხრეთის ქარმა დაქროლა და მეორე დღეს პოტეოლისში მივედით,
- ¹⁴ სადაც ვნახეთ ძმები და მათი თხოვნით შვიდ დღეს დავრჩით იქ. და ასე მივედით რომში.
- ¹⁵ იქაურმა ძმებმა გაიგეს ჩვენი ამბავი და გამოვიდნენ ჩვენს შესახვედრად აპიუსის ფორუმამდე და სამ-დუქნამდე. ისინი რომ დაინახა პავლემ, ღმერთს მადლი შესწირა და გამხნევდა.
- ¹⁶ როდესაც რომში მივედით, პავლეს უფლება მიეცა, თავისთვის ცალკე ეცხოვრა მის მცველ ჯარისკაცთან ერთად.
- ¹⁷ სამი დღის შემდეგ პავლემ მოიწვია წარჩინებული იუდეველნი და, როდესაც შეიკრიბნენ, უთხრა მათ: „ძმებო, მე არაფერი ჩამიდენია ხალხისა და მამათა ჩვეულების საწინააღმდეგო, და მაინც დამატუსაღეს იერუსალიმში და რომაელების ხელთ გადამცეს.
- ¹⁸ მათ დამკითხეს და უნდოდათ ჩემი გათავისუფლება, რადგან არავითარი სასიკვდილო ბრალი არ მქონდა.
- ¹⁹ მაგრამ რაკი იუდეველნი წინ აღმიდგნენ, იძულებული გავხდი კეისრისთვის მიმემართა, თუმცა იმიტომ არა, რომ ჩემი ერისათვის რაიმე ბრალი დამედო.
- ²⁰ ამ მიზეზით მოგიწვიეთ, რომ მენახეთ და მელაპარაკა თქვენთან, რადგან ისრაელის სასოებისათვის მაქვს ეს ჯაჭვი დადებული.“



²¹მათ უთხრეს: „ჩვენ არც წერილი მიგვიღია შენზე იუდეიდან, არც ვინმეს, მოსულ ძმათაგან, უცნობებია ან უთქვამს შენზე რაიმე ძვირი.

²²ოღონდ ჩვენ გვინდა, მოვისმინოთ შენგან, რას ფიქრობ, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ამ მოძღვრებას ყველგან ეწინააღმდეგებიან.“

²³დაუნიშნეს დღე და ბევრი მივიდა მასთან სასტუმროში. დილიდან საღამომდე განუმარტავდა მათ და უმოწმებდა ღმერთის სასუფეველზე და არწმუნებდა იესოს შესახებ მოსეს რჯულიდან და წინასწარმეტყველთაგან.

²⁴ზოგმა დაიჯერა მისი ნალაპარაკები, სხვებმა კი არ იწამეს.

²⁵რომ ვერ შეთანხმდნენ და უნდა დაშლილიყვნენ, პავლემ თქვა ერთი სიტყვა: „კარგად უთხრა სულიწმიდამ ესაია წინასწარმეტყველის პირით თქვენს მამებს:

²⁶‘მიდი ამ ხალხთან და უთხარი: სმენით მოისმენთ და ვერ გაიგებთ, ხილვით იხილავთ და ვერ დაინახავთ.

²⁷რადგან დაეხშო ამ ხალხს გული და ყურებით მძიმედ ესმით, და დახუჭეს თვალები, რომ თვალებით ვერ ხედავდნენ, ყურებით არ ესმოდეთ, გულით ვერ ხვდებოდნენ, და არ მოიქცნენ, რომ განვკურნო ისინი.’

²⁸ამრიგად, იცოდეთ, რომ ღმერთის ხსნა მოევლინა წარმართებს და ისინი მოისმენენ კიდევ.“

²⁹ეს რომ თქვა, იუდეველნი წავიდნენ და დიდი დავა ჰქონდათ ერთმანეთში.

³⁰პავლე მთელ ორ წელიწადს ცხოვრობდა თავის ნაქირავებ ბინაში და ღებულობდა ყველა მასთან მიმსვლელს.

³¹ქადაგებდა ღმერთის სასუფეველს და სრული სითამამით, დაუბრკოლებლად ასწავლიდა უფალი იესო ქრისტეს შესახებ.



რომაელთა მიმართ

რომაელთა მიმართ 1

- ¹პავლე, მონა იესო ქრისტესი, მოწოდებული მოციქული, განწესებული ღმერთის სახარებისათვის,
- ²რომელიც წინასწარ აღთქმული ჰქონდა ღმერთს წინასწარმეტყველთა მეშვეობით წმიდა წერილებში
- ³საუწყებლად თავისი ძისა, რომელიც დავითის შთამომავლობიდან იშვა ხორციელად,
- ⁴რომელიც ღმერთის პედ იქნა განწესებული სიწმიდის სულის ძალით, მკვდრეთით აღმდგარის – ჩვენი უფალი იესო ქრისტესი,
- ⁵რომლის მეოხებითაც მივიღეთ მადლი და მოციქულობა, რათა მისი სახელით დავუმორჩილოთ სარწმუნოებას ყოველი ერი,
- ⁶რომელთა შორის ხაროთ თქვენც, იესო ქრისტეს მიერ მოწოდებულნი.
- ⁷გწერთ ყველას, რომში მყოფთ, ღმერთის საყვარელთ, მოწოდებულ წმიდებს: მადლი თქვენ და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისა და უფალი იესო ქრისტესაგან.
- ⁸პირველად ჩემს ღმერთს ვმადლობ იესო ქრისტეს მეშვეობით ყველა თქვენგანისათვის, რადგან თქვენი რწმენა იხარება მთელ ქვეყანაზე.
- ⁹ჩემი მოწმეა ღმერთი, რომელსაც ჩემი სულით ვემსახურები მისი ძის სახარებით, რომ განუწყვეტლივ გიხსენებთ თქვენ.
- ¹⁰მუდამ ვევედრები ჩემს ლოცვებში, რომ ოდესმე შევძლო ღმერთის ნებით თქვენთან მოსვლა,
- ¹¹რადგან ძალიან მსურს თქვენი ნახვა, რათა გაგიზიაროთ სულიერი ნიჭი თქვენს განსამტკიცებლად.
- ¹²ანუ თქვენთან ერთად ვინუგეშო საერთო რწმენით, რომელიც თქვენიც არის და ჩემიც.
- ¹³მინდა იცოდეთ, ძმებო, რომ მრავალჯერ განვიზრახე თქვენთან მოსვლა, რათა თქვენშიც მქონოდა ისეთი ნაყოფი, როგორც სხვა ერებში, მაგრამ აქამდე ვბრკოლდებოდი.
- ¹⁴მე მოვალე ვარ როგორც ბერძნებისა, ისე ბარბაროსთა, როგორც ბრძენთა, ისე უგუნურებისა.
- ¹⁵ამგვარად, ჩემი მხრით, მზად ვარ გახაროთ თქვენც, რომში მყოფთ.



¹⁶რადგან მე არ მრცხვენია სახარებისა, რადგან ღმერთის ძალაა იგი ყოველი მორწმუნის სახსნელად, ჯერ იუდეველისა და მერე ბერძენისაც.

¹⁷მასში ცხადდება ღმერთის სიმართლე რწმენიდან რწმენაში, როგორც წერია: „მართალი იცოცხლებს რწმენით.“

¹⁸რადგან ცხადდება ზეციდან ღმერთის რისხვა ადამიანთა ყოველგვარი უღვთოობისა და უსამართლობის გამო, უსამართლობით რომ აბრკოლებენ ჭეშმარიტებას,

¹⁹რადგან ის, რაც შეიძლება ადამიანმა იცოდეს ღმერთის შესახებ, აქვთ მათ, რადგან ღმერთმა გამოუცხადა მათ.

²⁰რადგან ის, რაც უხილავია მისგან – მისი მარადიული ძალა და ღვთაებრიობა – სამყაროს შექმნიდან მოყოლებული ქმნილებათა ხილვით შეიცნობა. ასე რომ, არა აქვთ მათ პატიება.

²¹რადგან შეიცნეს ღმერთი და არ ადიდეს, როგორც ღმერთი, არც მადლი შესწირეს, არამედ ფუჭი გახდა მათი გონიერება და დაუბნელდათ უმეცარი გული.

²²თავიანთ თავს ბრძენს უწოდებენ და შეიშალნენ,

²³და უხრწნელი ღმერთის დიდება გაცვალეს ხრწნადი ადამიანის, ფრინველთა, ოთხფეხთა და ქვეწარმავალთა ხატების მსგავსებაში.

²⁴ამიტომ გადასცა ისინი ღმერთმა მათი გულისთქმებით უწმიდურებას, ისე რომ თავად ბილწავდნენ თავიანთ სხეულებს.

²⁵მათ ღმერთის ჭეშმარიტება შეცვალეს სიცრუით, თაყვანს სცემდნენ და ემსახურებოდნენ ქმნილებას, ნაცვლად შემოქმედისა, რომელიც კურთხეულია უკუნისამდე. ამინ.

²⁶ამიტომ გადასცა ისინი ღმერთმა სამარცხვინო ვნებებს, რადგან მათმა ქალებმაც კი ბუნებრივი წესი შეცვალეს ბუნების საწინააღმდეგოდ.

²⁷ასევე მამაკაცებმაც მიატოვეს ქალთან ურთიერთობის ბუნებრივი წესი და გახურდნენ ავხორცობით ერთმანეთის მიმართ. მამაკაცი მამაკაცთან სჩადიოდა სამარცხვინოს და მიიღეს საკადრისი საზღაური თავიანთი ცდომილებისათვის.

²⁸და რაკი არ ცდილობდნენ შემეცნებაში ჰყოლოდათ ღმერთი, ღმერთმა ისინი გადასცა უკუღმართ გონებას უწესოების საკეთებლად.

²⁹აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით,



³⁰არიან ცილისმწამებელნი, ღმერთის მოძულენი, შეურაცხყოფელნი, ამპარტავანნი, მკვებარანი, ბოროტგანმზრახველნი, მშობლების ურჩნი,

³¹უგუნურნი, ვერაგნი, მიუნდობელნი, უყვარულნი და უღმობელნი.

³²იციან მათ ღმერთის სამართალი, რომ ამის მოქმედნი სიკვდილს იმსახურებენ, მაგრამ არა მარტო აკეთებენ ამას, არამედ გამკეთებლებსაც აქეზებენ.

რომაელთა მიმართ 2

¹ამიტომ თავს ვერ გაიმართლებ, ადამიანო, ყოველთა განმსჯელო, რადგან რისთვისაც სხვას განსჯი, იმით შენს თავს სდებ მსჯავრს, რადგან სხვისი განმსჯელი იმავს აკეთებ.

²ჩვენ კი ვიცით, რომ ღმერთის სამსჯავრო ჭეშმარიტია ამის ჩამდენთათვის.

³შენ კი, ადამიანო, რომელიც განიკითხავ ამის ჩამდენთ და თვითონაც იგივეს აკეთებ, გგონია, რომ თავს დააღწევ ღმერთის სამსჯავროს?

⁴თუ უგულებელყოფ მისი სახიერების, მოთმინებისა და სულგრძელობის სიმდიდრეს და ვერ შეგიგნია, რომ ღმერთის სიკეთეს მონანიებისკენ მიჰყავხარ?

⁵ხოლო შენი სიჯიუტით და მოუნანიებელი გულით შენ თვითონვე იხვეჭ რისხვას ღმერთის რისხვისა და მართლმსაჯულების გამოცხადების დღეს,

⁶რომელიც ყველას მიუზღავს მათი საქმეებისამებრ:

⁷მათ, ვინც კეთილი საქმის გამუდმებული კეთებით ეძებს დიდებას, პატივსა და უხრწნელებას – საუკუნო სიცოცხლეს,

⁸ხოლო მათ, ვინც ჯიუტობს და ჭეშმარიტებას კი არ ემორჩილება, არამედ უსამართლობას ჩადის – რისხვასა და გულისწყრომას.

⁹გასაჭირი და შევიწროება ყოველ ადამიანს, ვინც ბოროტს ჩადის – ჯერ იუდეველს და მერე ბერძენს.

¹⁰ხოლო დიდება, პატივი და მშვიდობა ყოველს, სიკეთის ჩამდენს – ჯერ იუდეველს და მერე ბერძენს.

¹¹რადგან ღმერთთან არ არის მიკერძოება.

¹²ისინი, რომლებმაც რჯულის გარეშე შესცოდეს, რჯულის გარეშე დაიღუპებიან. ხოლო ისინი, რომლებმაც რჯულის ქვეშ შესცოდეს, რჯულით განიკითხებიან



- ¹³რადგან რჯულის მსმენელნი კი არ არიან მართალნი ღმერთის წინაშე, არამედ რჯულის შემსრულებელნი გამართლდებიან,
- ¹⁴რადგან, როცა წარმართნი, რომელთაც რჯული არ გააჩნიათ, ბუნებით რჯულისმიერს აკეთებენ, თუმცა რჯული არა აქვთ, თავიანთი თავის რჯული არიან.
- ¹⁵ისინი გამოავლენენ, რომ რჯულის საქმე გულებში უწერიათ, – რასაც მოწმობს მათი სინდისი და აზრები, ხან ბრალს რომ სდებენ ერთმანეთს და ხან ამართლებენ, –
- ¹⁶იმ დღეს, როცა ჩემი სახარების მიხედვით ღმერთი განიკითხავს ადამიანთა დაფარულ ფიქრებს იესო ქრისტეს მიერ.
- ¹⁷აჰა, შენ გქვია იუდეველი და დანდობილი ხარ რჯულზე და იქადი ღმერთით,
- ¹⁸იცი მისი ნება, არჩევ უკეთესს უარესისგან, რადგან რჯულიდან გისწავლია,
- ¹⁹და დარწმუნებული ხარ, რომ ბრძების მეგზური და ბნელში მყოფთა ნათელი ხარ,
- ²⁰უგუნურთა დამრიგებელი და ჩვილთა მოძღვარი, და გაქვს ცოდნისა და ჭეშმარიტების სახება რჯულში, –
- ²¹როგორაა, სხვებს რომ ასწავლი და საკუთარ თავს კი არა?
- ²²ქადაგებ: არ მოიპაროო და იპარავ? ამბობ: არ იმრუშოო და მრუშობ? კერპები გძაგს და მაინც მკრეხელობ?
- ²³რჯულით იქადი და რჯულის დარღვევით ღმერთს შეურაცხყოფ!
- ²⁴რადგან როგორც წერია, „თქვენს გამო იგმოზა ღმერთის სახელი წარმართთა შორის.“
- ²⁵რადგან წინადაცვეთა სასარგებლოა, თუ რჯულს ასრულებ. ხოლო თუ რჯულის დამრღვევი ხარ, შენი წინადაცვეთა წინადაუცვეთლობად იქცევა.
- ²⁶მაშ, თუ წინადაუცვეთელი იცავს რჯულის წესებს, განა მისი წინადაუცვეთლობა წინადაცვეთად არ ჩაითვლება?
- ²⁷ბუნებით წინადაუცვეთელი, მაგრამ რჯულის დამცველი, განიკითხავს შენ, წერილითა და წინადაცვეთით რჯულის დამრღვევს.
- ²⁸რადგან იუდეველი ის კი არ არის, ვინც გარეგნულადაა ასეთი, და არც წინადაცვეთილობაა ის, რაც გარეგნულადაა ხორცზე,



²⁹არამედ ვინც შინაგანად, დაფარულად არის იუდეველი, ის არის იუდეველი, და სულით არის გულის წინადაცვეთა და არა ნაწერი ასოებით. და მისი ქება კაცთაგან კი არაა, არამედ ღმერთისგან.

რომაელთა მიმართ 3

¹მაშინ რა არის იუდეველის უპირატესობა ან წინადაცვეთილობის სარგებლობა?

²დიდია უპირატესობა ყოველნაირად, რადგან პირველ ყოვლისა მათ აქვთ მინდობილი ღმერთის სიტყვები,

³და თუ ზოგიერთმა არ იწამა, განა მათი ურწმუნოება გააბათილებს ღმერთის სარწმუნოებას?

⁴არამც და არამც! ღმერთი ჭეშმარიტია და ყოველი ადამიანი კი – მტყუანი, როგორც წერია: „ამიტომ მართალი ხარ შენს სიტყვებში და სწორი შენს სამართალში.“

⁵ხოლო თუ ჩვენი უსამართლობა გამოაჩენს ღმერთის სიმართლეს, რაღა გვეთქმის? უსამართლოა ღმერთი, რისხვას რომ მოავლენს? – ვლაპარაკობ როგორც ადამიანი.

⁶არამც და არამც! სხვაგვარად როგორ განიკითხოს ღმერთმა ქვეყნიერება?

⁷თუ ჩემი სიცრუით ღმერთის ჭეშმარიტება გაცხადდა თავისი დიდებით, რაღა უნდა ვიქნე განკითხული როგორც ცოდვილი?

⁸მაშ, ხომ არ ვაკეთოთ ბოროტი, რათა კეთილი გამოვიდეს? როგორც ზოგიერთები ავსიტყვაობენ ჩვენზე და ამბობენ, თითქოს ასე ვასწავლიდეთ? ასეთები განსჯას იმსახურებენ.

⁹მაშ, როგორ? გვაქვს უპირატესობა? არავითარი! რადგან ხომ განვსაჯეთ, რომ იუდეველებიც და ბერძნებიც ცოდვის ქვეშ არიან.

¹⁰როგორც წერია: „არავინ არის მართალი,

¹¹არავინ არის გონიერი; არავინ ეძებს ღმერთს.

¹²ყველანი გზას ასცდნენ, აღარავინ ვარგა. არ არის სიკეთის მქმნელი, არ არის არავინ.

¹³მათი ხორხი ღია სამარეა. ენებით ცრუობენ. მათ ბაგეებზე ასპიტის გესლია.

¹⁴მათი პირი წყევლით და გესლით არის სავსე.

¹⁵მათი ფეხები სწრაფია სისხლის დასადვრელად.



¹⁶ნგრევა და უბედურებაა მათ გზებზე,

¹⁷მშვიდობის გზა არ იციან.

¹⁸ღმერთის შიში არ არის მათ თვალწინ.“

¹⁹ხოლო ჩვენ ვიცით, რომ რასაც რჯული ამბობს, რჯულის ქვეშ მყოფთათვის ამბობს, რათა დაიხშოს ყოველი ბაგე და მთელი ქვეყნიერება მსჯავრდებული გახდეს ღმერთის წინაშე.

²⁰იმიტომ რომ რჯულის საქმეებით ვერც ერთი ხორციელი ვერ გამართლდება მის წინაშე, რადგან რჯულით შეიცნობა ცოდვა.

²¹ხოლო ახლა, რჯულისგან დამოუკიდებლად, გამოჩნდა ღმერთის სიმაღლე, რომელსაც მოწმობენ რჯული და წინასწარმეტყველნი,

²²ღმერთის სიმაღლე იესო ქრისტეს რწმენით ყველა მორწმუნისათვის, რადგან არ არის განსხვავება,

²³რადგან ყველამ შესცოდა და ყველა მოკლებულია ღმერთის დიდებას,

²⁴და უსასყიდლოდ მართლდებიან მისი მაღლით, ქრისტე იესოში გამოსყიდვით,

²⁵რომელიც წინასწარ დაადგინა ღმერთმა შენდობის მსხვერპლად რწმენის მეშვეობით, მისი სისხლით, რათა ადრე ჩადენილ ცოდვათა მიტევებით გამოჩენილიყო მისი სიმაღლე ღმერთის სულგრძელებაში,

²⁶რათა ამჟამად გამოჩნდეს მისი სიმაღლე იმით, რომ ის არის მართალი და იესოს მორწმუნის გამმართლებელი.

²⁷რაღა დაგვრჩა სასიქადულო? აღარაფერი, ყველაფერი გაუქმდა. რომელი რჯულით? საქმეთა რჯულით? არა, არამედ რწმენის რჯულით.

²⁸რადგან მიგვაჩნია, რომ რწმენით მართლდება კაცი, რჯულის საქმეთაგან დამოუკიდებლად.

²⁹განა ღმერთი მარტო იუდეველთა ღმერთია? განა წარმართებისაც არა? დიახ, წარმართებისაც.

³⁰რადგან ერთია ღმერთი, რომელიც რწმენის გამო ამართლებს წინადაცვეთილებს და ასევე წინადაუცვეთელებსაც.

³¹მაშ, ჩვენ რწმენით ვაბათილებთ რჯულს? არამც და არამც. არამედ განვამტკიცებთ რჯულს.

რომაელთა მიმართ 4



- ¹რა შეიძლება ვთქვათ აბრაამზე, ჩვენს წინაპარზე, ხორციელად მოიპოვა მან რაიმე?
- ²თუ საქმეებით გამართლდა აბრაამი, დიახაც აქვს სასიქადულო, ოღონდ არა ღმერთის წინაშე.
- ³რადგან, რას ამბობს წერილი? „ერწმუნა აბრაამი ღმერთს და ეს სიმართლედ ჩაეთვალა მას.“
- ⁴მოქმედს საზღაური მიეთვლება არა მადლის, არამედ მოვალეობის საფუძველზე.
- ⁵მაგრამ არამოქმედს, რომელსაც სწამს ის, ვინც ამართლებს ურჯულოს, თავისი რწმენა ჩაეთვლება სიმართლედ.
- ⁶ასევე დავითიც ნეტარს უწოდებს ადამიანს, რომელსაც ღმერთი სიმართლეს ანიჭებს საქმეთაგან დამოუკიდებლად:
- ⁷„ნეტარ არიან, ვისი ურჯულოებანიც მიტევებულია და ცოდვები დაფარული.
- ⁸ნეტარ არს კაცი, რომელსაც უფალი არ ჩაუთვლის ცოდვას.“
- ⁹მაშ, ეს ნეტარება წინადაცვეთილებზეა თუ წინადაუცვეთლებზე? ჩვენ ხომ ვამბობთ, რომ აბრაამს რწმენა ჩაეთვალა სიმართლედ.
- ¹⁰როდის ჩაეთვალა? წინადაცვეთილს თუ წინადაუცვეთელს? არა წინადაცვეთილს, არამედ წინადაუცვეთელს.
- ¹¹წინადაცვეთის ნიშანი კი მან მიიღო, როგორც ბეჭედი რწმენით გამართლებისა, რომელიც წინადაუცვეთელობაში ჰქონდა, რომ გამხდარიყო ყველა წინადაუცვეთელი მორწმუნის მამა, რათა მათაც ჩათვლოდათ სიმართლედ.
- ¹²და ასევე ის წინადაცვეთილთა მამაცაა, ოღონდ არა მარტო წინადაცვეთილთა, არამედ მათიც, ვინც მიჰყვება ჩვენი მამის, აბრაამის, რწმენის კვალს, რაც მას ჯერ კიდევ წინადაუცვეთელობისას ჰქონდა.
- ¹³რადგან აბრაამს და მის შთამომავლობას რჯულით კი არ მიეცა აღთქმა ყოფილიყვნენ ქვეყნიერების მემკვიდრენი, არამედ რწმენის სიმართლით.
- ¹⁴თუ რჯულისაგანნი არიან მემკვიდრენი, რწმენა ამაოა და აღთქმა – უსარგებლო.
- ¹⁵რადგან რჯული წარმოქმნის რისხვას, იმიტომ რომ სადაც რჯული არ არის, იქ არც დანაშაულია.



¹⁶მაშ ხსნა არის რწმენით, რათა მადლით მტკიცე ყოფილიყო აღთქმა მთელი მისი შთამომავლობისათვის. არა მარტო რჯულის ნაშეერთათვის, არამედ იმათთვისაც, ვინც რწმენით არის აბრაამის შთამომავალი. ის არის ყველა ჩვენგანის მამა,

¹⁷როგორც წერია: „მე დაგაყენე მრავალი ერის მამად ღმერთის წინაშე.“ – ღმერთისა, რომელსაც იგი ერწმუნა, ღმერთისა, რომელიც მკვდრებს აცოცხლებს და არყოფილს ყოფიერებაში მოუწოდებს.

¹⁸იგი უსასოობაში ერწმუნა სასოებით, რათა გამხდარიყო მრავალი ერის მამა, როგორც ნათქვამია: „ასე იქნება შენი მოდგმა.“

¹⁹ის არ დაუძლურებულა რწმენაში, თუმცა ხედავდა, რომ მისი სხეული, თითქმის 100 წლისა, უკვე ჩაკვდა, ხოლო სარას საშო მკვდარი იყო.

²⁰მაგრამ იგი არ დაეჭვებულა ღმერთის აღთქმაში ურწმუნოებით, არამედ განმტკიცდა რწმენით და დიდება უძღვნა ღმერთს.

²¹და გულდაჯერებული იყო, რომ ის, ვინც აღუთქვა, შესრულებასაც შეძლებდა.

²²ამიტომაც ჩაეთვალა მას ეს სიმართლედ.

²³და არა მარტო მისთვის არის დაწერილი, რომ ჩაეთვალა მას,

²⁴არამედ ჩვენთვისაც: ჩაგვეთვლება ჩვენც, ვისაც გვწამს იმისა, ვინც მკვდრებით აღადგინა ჩვენი უფალი იესო,

²⁵რომელიც მიეცა ჩვენი ცოდვებისათვის და აღდგა ჩვენს გასამართლებად.

რომაელთა მიმართ 5

¹რაკი რწმენით გავმართლდით, მშვიდობა გვაქვს ღმერთთან ჩვენი უფალი იესო ქრისტეს მეშვეობით,

²რომლის მეშვეობითაც რწმენით მოვიპოვეთ მისადგომი ამ მადლთან, რომელშიც ვდგავართ და ვიქადით ღმერთის დიდების სასოებით.

³და არა მარტო ამით, არამედ გასაჭირითაც ვიქადით, რადგან ვიცით, რომ გასაჭირი შეიქმს მოთმინებას,

⁴მოთმინება – სიმტკიცეს, სიმტკიცე – სასოებას,

⁵ხოლო სასოება არასოდეს გვიმტყუნებს, რადგან ღმერთის სიყვარული ჩაგვესახა გულებში სულიწმიდის მეშვეობით, რომელიც მოგვეცა ჩვენ.

⁶რადგან ქრისტე, როცა ჯერ კიდევ უძლურნი ვიყავით, განწესებულ ჟამს მოკვდა უკეთურთათვის.



⁷ძნელად წარმოსადგენია, რომ ვინმე მოკვდეს მართლისათვის, ხოლო კეთილისათვის, შესაძლოა, ვინმემ კიდევ გაბედოს სიკვდილი.

⁸მაგრამ ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენდამი აცხადებს იმით, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენთვის, როცა ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით.

⁹ახლა კი, როცა მისი სისხლით გავმართლდით, მით უფრო გადავურჩებით რისხვას მისი წყალობით.

¹⁰რადგან, თუ მისი ძის სიკვდილით შევურიგდით ღმერთს, როდესაც მტრები ვიყავით, მით უმეტეს, შერიგებულნი გადავრჩებით მისი სიცოცხლით.

¹¹უფრო მეტიც, ვიქადით ღმერთით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით, რომლის წყალობითაც მივიღეთ ახლა შერიგება.

¹²ამიტომ, როგორც ერთი ადამიანის მიერ ცოდვა შემოვიდა ქვეყნიერებაზე და ცოდვის მიერ – სიკვდილი, ასევე სიკვდილი გადავიდა ადამიანებში, რაკი ყველამ შესცოდა.

¹³რჯულამდეც იყო ცოდვა ქვეყნიერებაზე, მაგრამ, თუ რჯული არ არის, ცოდვად არ ჩაითვლება.

¹⁴მაგრამ სიკვდილი მეფობდა ადამიდან მოსემდე მათზეც, რომელთაც არ შეუცოდავთ, როგორც შესცოდა ადამმა, რომელიც მომავლის სახეა.

¹⁵მაგრამ მადლის ნიჭი არაა დანაშაულისა. რადგან თუ ერთის დანაშაულით მრავალი გაწყდა, რამდენად უმეტესია ღმერთის მადლის და ნიჭის სიმდიდრე, რომელიც მიეცა ადამიანებს ერთი კაცის, იესო ქრისტეს, მადლით.

¹⁶ხოლო მადლის ნიჭი იგივე არ არის, რაც შედეგი ერთი შეცოდებისა, რადგან ერთის გამო გამოვიდა მსჯავრი, მადლის ნიჭით კი მრავალი დანაშაულის გამართლება მოხდა.

¹⁷რადგან, თუ ერთის დანაშაულით სიკვდილი გამეფდა, მით უმეტეს, მადლისა და სიმართლის ნიჭის უხვად მიმღებელნი იმეფებენ სიცოცხლეში ერთის, იესო ქრისტეს, მეშვეობით.

¹⁸ამრიგად, თუ ერთის დანაშაულით ყველა ადამიანს დაედო მსჯავრი, ასევე ერთის სიმართლით ყველა ადამიანი გამართლდება სასიცოცხლოდ.

¹⁹რადგან, როგორც ერთი კაცის ურჩობით ბევრი გახდა ცოდვილი, ასევე ერთის მორჩილებით ბევრი გახდება მართალი.

²⁰რჯული რომ შემოვიდა, გაიზარდა დანაშაული. ხოლო როდესაც ცოდვა გაიზარდა, გაიზარდა მადლი,



²¹რათა, როგორც ცოდვა მეფობდა სიკვდილით, ასევე მადლმა იმეფოს სიმართლის მეოხებით საუკუნო სიცოცხლისათვის ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიერ.

რომაელთა მიმართ 6

¹მაშ რა ვთქვათ? დავრჩეთ ცოდვაში, რათა მადლი გამრავლდეს? არამც და არამც!

²ჩვენ, რომელნიც მოვკვდით ცოდვისათვის, როგორღა ვიცოცხლოთ მასში?

³ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ?

⁴ჩვენ მასთან ერთად დავიმარხეთ სიკვდილით ნათლისღებით, რათა, როგორც ქრისტე აღდგა მამის დიდებით მკვდრეთით, ჩვენც ვიაროთ სიცოცხლის განახლებით.

⁵რადგან, თუ სიკვდილის მსგავსებით შევუსისხლხორცდით მას, ასევე ვიქნებით მისი აღდგომისას.

⁶რადგან ვიცით, რომ მასთან ერთად ჯვარს ეცვა ჩვენი ძველი ადამიანი, რათა გაუქმდეს ცოდვის სხეული და აღარ ვიყოთ ცოდვის მონები.

⁷რადგან, ვინც მოკვდა, ცოდვისაგან თავისუფალია.

⁸და თუ ჩვენ ქრისტესთან ერთად მოვკვდით, გვწამს, რომ მასთან ვიცოცხლებთ კიდევ.

⁹რადგან ვიცით, რომ მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე აღარ კვდება და სიკვდილი აღარ ბატონობს მასზე.

¹⁰რადგან, ის რომ მოკვდა, ცოდვისათვის მოკვდა ერთხელ, ხოლო რომ ცოცხლობს, ღმერთისათვის ცოცხლობს.

¹¹თქვენც ასევე შერაცხეთ თქვენი თავი ცოდვისათვის მკვდრებად და ღმერთისათვის ცოცხლებად ქრისტე იესოში.

¹²მაშ, ნუ იმეფებს ცოდვა თქვენს მოკვდავ სხეულში მის გულისთქმათათვის დასამორჩილებად.

¹³ნურც მისცემთ თქვენს ასოებს ცოდვას უსამართლობის იარაღად, არამედ წარუდგინეთ ღმერთს თქვენი თავი, როგორც მკვდრეთით გაცოცხლებულებმა, და თქვენი ასოები სიმართლის იარაღად მიუძღვნით ღმერთს.



¹⁴რადგან ცოდვა ველარ იბატონებს თქვენზე, იმიტომ რომ თქვენ რჯულის ქვეშ კი არა, მადლის ქვეშ დგახართ.

¹⁵მაშ, რა? ხომ არ ვცოდოთ, რაკი რჯულის ქვეშ კი არა, მადლის ქვეშ ვართ? არამც და არამც!

¹⁶ნუთუ არ იცით, რომ ვისაც მისცემთ თავს მონებად მორჩილებისათვის, მისი მონები ხართ, ვისაც დაემორჩილებით: ან ცოდვისა – სასიკვდილოდ, ან მორჩილებისა – სიმართლისათვის.

¹⁷ხოლო მადლობა ღმერთს, რომ თქვენ, ადრე ცოდვის მონები, ახლა გულით დაემორჩილეთ მოძღვრების იმ სახეს, რომელსაც თქვენი თავი მიუძღვენით.

¹⁸და ცოდვისაგან გათავისუფლებულნი სიმართლის მონები გახდით.

¹⁹ადამიანურად ვამბობ თქვენი ხორცის უძლურების გამო: როგორც აძლევდით თქვენს ასოებს მონებად უწმიდურებას და ურჯულოებას ურჯულოებისთვის, ასევე ახლა გადაეცით თქვენი ასოები მონებად სიმართლეს – განსაწმედად.

²⁰რადგან, როცა ცოდვის მონები იყავით, მაშინ თავისუფალნი იყავით სიმართლისაგან.

²¹მაგრამ რა ნაყოფი გქონდათ მაშინ? საქმეები, რომელთა გამო ახლა გრცხვენიათ, რადგან მათი ბოლო სიკვდილია.

²²ახლა კი, როცა თავისუფლები ხართ ცოდვისაგან და ღმერთის მონები გახდით, თქვენი ნაყოფი სიწმიდეა, ხოლო ბოლო – საუკუნო სიცოცხლე.

²³რადგან ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო ღმერთის მადლი – საუკუნო სიცოცხლე ქრისტე იესოში, ჩვენს უფალში.

რომაელთა მიმართ 7

¹განა არ იცით, ძმებო – რადგან რჯულის მცოდნეებს გელაპარაკებით, – რომ რჯული ბატონობს ადამიანზე, ვიდრე ის ცოცხალია?

²რადგან ქმრიანი ქალი რჯულით არის დაკავშირებული ცოცხალ ქმართან, ხოლო თუ ქმარი მოკვდება, თავისუფალია ქმართან დაკავშირებული რჯულისაგან.

³ამიტომ, თუ ქმრის სიცოცხლეში სხვა კაცისა გახდება, მრუში ეწოდება; ხოლო თუ ქმარი მოკვდება, რჯულისაგან თავისუფალია და სხვა ქმრისად გახდომა მრუშობად არ შეერაცხება.



⁴ამრიგად, ჩემო ძმებო, თქვენც რჯულისათვის მოკვდით ქრისტეს სხეულით, რომ ეკუთვნოდეთ სხვას, მკვდრეთით აღმდგარს, რათა ნაყოფი მივუტანოთ ღმერთს.

⁵რადგან, როცა ხორცში ვიყავით, რჯულის მიერ ცოდვის ვნებანი მოქმედებდნენ ჩვენს ასოებში, სიკვდილის ნაყოფის გამოსაღებად.

⁶ახლა კი, რჯულისათვის მკვდრები, გავთავისუფლდით მისგან, რითაც შეპყრობილნი ვიყავით, რათა ვემსახუროთ ღმერთს განახლებული სულით და არა ძველად დაწერილით.

⁷მაშ, რაღას ვიტყვით? ნუთუ რჯული ცოდვაა? არამც და არამც. ოღონდ სხვანაირად ვერ შევიცნობდი ცოდვას, თუ არა რჯულის მეოხებით, რადგან ვერც გულისთქმას შევიცნობდი, რჯულს რომ არ ეთქვა: „არ ისურვო.“

⁸ხოლო ცოდვამ მცნებიდან აიღო საბაბი და ჩემში წარმოქმნა ყოველგვარი სურვილი. რადგან ცოდვა რჯულის გარეშე მკვდარია.

⁹ოდესღაც მე ვცხოვრობდი რჯულის გარეშე. ხოლო როცა მცნება მოვიდა, ცოდვა გაცოცხლდა,

¹⁰მე კი მოვკვდი. ხოლო მცნება, რომელიც მოცემული იყო სასიცოცხლოდ, სასიკვდილო გამოდგა ჩემთვის,

¹¹რადგან ცოდვამ მცნებისაგან აიღო საბაბი, მაცდუნა და მომიტანა სიკვდილი მისი მეშვეობით.

¹²ამრიგად, რჯული წმიდაა, მცნებაც წმიდაა, მართალი და კეთილი.

¹³ნუთუ სიკეთე სიკვდილად მექცა? არამც და არამც. მაგრამ ცოდვა რომ გამოვლენილიყო ცოდვად, სიკეთის მეშვეობით ჩემთვის სიკვდილი მოიტანა, რათა ცოდვა მეტისმეტად ცოდვილი გამოჩნდეს მცნების მეშვეობით.

¹⁴რადგან ვიცით, რომ რჯული სულიერია, მე კი – ხორციელი, ცოდვას მიყიდული.

¹⁵რადგან რას ვაკეთებ, არ ვიცი. იმიტომ, რომ იმას არ ვაკეთებ, რაც მსურს, არამედ, რაც მძაგს, იმას ვაკეთებ.

¹⁶ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არ მსურს, ვეთანხმები რჯულს, რომ ის კეთილია.

¹⁷ამიტომ მე კი აღარ ვაკეთებ ამას, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემში იმყოფება.



¹⁸რადგან ვიცი, რომ ჩემში, ესე იგი, ჩემს სხეულში, არ იმყოფება კეთილი. ამრიგად, კეთილის სურვილი არის ჩემში, მაგრამ კეთილის კეთების შესაძლებლობა კი – არა,

¹⁹რადგან კეთილს კი არ ვაკეთებ, რომელიც მსურს, არამედ ვაკეთებ ბოროტს, რომელიც არ მსურს.

²⁰ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არ მსურს, მე კი აღარ ვაკეთებ, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემშია დამკვიდრებული.

²¹ასე აღმოვაჩენ იმ წესს, რომ როცა კეთილის კეთება მინდა, მაიძულებს ბოროტი ვქმნა,

²²რადგან ჩემი შინაგანი ადამიანი ელტვის ღმერთის რჯულს.

²³მაგრამ ჩემს ასოებში მე ვხედავ სხვა რჯულს, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ჩემი გონების რჯულს და მაქცევს ჩემს ასოებში მყოფი ცოდვის რჯულის ტყვედ.

²⁴უბადრუკი ადამიანი ვარ! ვინ დამიხსნის ამ სიკვდილის სხეულისაგან?

²⁵მადლი ღმერთს ჩვენი უფალი ქრისტე იესოს მეშვეობით! აჰა, მე თავად ჩემი გონებით ღმერთის რჯულს ვემონები, ხოლო სხეულით – ცოდვის რჯულს.

რომაელთა მიმართ 8

¹ამიტომ ახლა არავითარი მსჯავრი აღარ არის მათზე, ვინც ქრისტე იესოში ცხოვრობს არა ხორციელად, არამედ სულიერად.

²რადგან სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში გამათავისუფლა მეცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან.

³რადგან, რაკი ვერ შეძლო ხორცის მიერ დაუძლურებულმა რჯულმა, ღმერთმა მოავლინა თავისი ძე ცოდვილი ხორცის მსგავსებაში და ცოდვის გამო მსჯავრი დასდო ცოდვას ხორცში,

⁴რათა აღსრულებულიყო რჯულის სიმართლე ჩვენში, რომლებიც ვცხოვრობთ არა ხორციელად, არამედ სულიერად.

⁵რადგან ისინი, რომლებიც ხორციელად ცხოვრობენ, ხორციელზე ფიქრობენ, ხოლო რომლებიც სულიერად ცხოვრობენ – სულიერზე.

⁶რადგან ხორციელი აზროვნება სიკვდილია, ხოლო სულიერი – სიცოცხლე და მშვიდობა.



⁷იმიტომ რომ ხორციელი ფიქრები ღმერთის მტრობაა, რადგან არ ემორჩილებიან ღმერთის რჯულს და არც შეუძლიათ ეს.

⁸ამიტომ მათ, რომელნიც ხორციელად ცხოვრობენ, არ ძალუძთ აამონ ღმერთს.

⁹თქვენ კი ცხოვრობთ არა ხორციელად, არამედ სულიერად, თუკი ღმერთის სული ცხოვრობს თქვენში. ხოლო ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის.

¹⁰და თუ ქრისტე თქვენშია, სხეული მკვდარია ცოდვისათვის, ხოლო სული ცოცხალია სიმართლისათვის.

¹¹ხოლო თუ თქვენში იმყოფება მისი სული, ვინც მკვდრეთით აღადგინა იესო, მაშინ ის, ვინც ქრისტე იესო აღადგინა მკვდრეთით, თქვენს მოკვდავ სხეულებსაც გააცოცხლებს თავისი სულით, რომელიც თქვენშია დამკვიდრებული.

¹²ამიტომ, ძმებო, ჩვენ ხორცის მოვალენი არა ვართ, რომ ხორციელად ვიცხოვროთ.

¹³რადგან, თუ ხორციელად ცხოვრობთ, სიკვდილი არ აგცდებათ, ხოლო თუ სულით აკვდინებთ ხორციელ საქმეებს, იცოცხლებთ.

¹⁴რადგან ისინი, ვინც ღმერთის სულით წარიმართებიან, ღმერთის შვილები არიან.

¹⁵რადგან არ მიგიღიათ მონობის სული, რათა კვლავ შიშში იყოთ, არამედ მიღებული გაქვთ შვილობის სული, რომლითაც ვლაღადებთ: „აბბა, მამაო!“

¹⁶სწორედ ეს სული ემოწმება ჩვენს სულს, რომ ღმერთის შვილები ვართ.

¹⁷ხოლო თუ შვილები – მაშინ მემკვიდრენიც, ღმერთის მემკვიდრენი და ქრისტეს თანამემკვიდრენი, თუ მასთან ერთად ვიტანჯებით, რათა მასთან ერთად განვდიდნეთ კიდევ.

¹⁸რადგან ვფიქრობ, რომ ახლანდელი ტანჯვანი არაფერია იმ დიდებასთან, რომელიც გამოცხადდება ჩვენს მიმართ.

¹⁹რადგან მთელი ქმნილება იმედით მოელის ღმერთის შვილთა გამოცხადებას.

²⁰რადგან ქმნილება თავისი ნებით არ დამორჩილებია ამაოებას, არამედ მისი დამმორჩილებლის ნებით, მაგრამ სასოებით,

²¹რომ თვით ქმნილებაც გათავისუფლდება ხრწნილების მონობისაგან ღმერთის შვილთა დიდების თავისუფლებისათვის.



²²რადგან ვიცით, რომ მთელი ქმნილება ერთად გმინავს და იტანჯება აქამდე,

²³და არა მარტო ის, არამედ ჩვენც, რომელთაც სულის პირველნაყოფები გვაქვს, ჩვენ თვითონაც ვგმინავთ ჩვენში, რადგან მოველით შვილებას და ჩვენი სხეულის გამოსყიდვას.

²⁴რადგან სასოებით ვართ გამოხსნილნი. ხილული სასოება აღარ არის სასოება, რადგან, თუკი ხედავს კაცი, რაღას ესავეს?

²⁵ხოლო თუ იმის სასოება გვაქვს, რასაც ვერ ვხედავთ, მოთმინებით მოველით მას.

²⁶ასევე სულიც ეხმარება ჩვენს უძლურებას. რადგან არ ვიცით, როგორ უნდა ვილოცოთ, არამედ თვით სული შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით.

²⁷ხოლო გულთამხილავმა იცის, რა არის სულის ზრახვა, იმიტომ რომ, იგი ღმერთის ნებით შუამდგომლობს წმიდათათვის.

²⁸ჩვენ კი ვიცით, რომ ღმერთის მოყვარულებისთვის, მისი განწყევლით მოწოდებულებისთვის, ყველაფერი სასიკეთოდ მოქმედებს.

²⁹რადგან, რომელნიც წინასწარ იცნო, წინასწარვე განუსაზღვრა მათ თავისი მის ხატების მსგავსად გარდაქმნა, რათა იყოს იგი პირმშო მრავალ ძმათა შორის.

³⁰ხოლო ვისაც განუსაზღვრა, მათ კიდევ მოუწოდა და ვისაც მოუწოდა, კიდევ გაამართლა. და ვინც გაამართლა, კიდევ განადიდდა.

³¹ამაზე რაღა ვთქვათ? თუ ღმერთი ჩვენსკენ არის, ვის შეუძლია იყოს ჩვენს წინააღმდეგ?

³²ის, ვინც თავისი საკუთარი ძე არ დაინდო, არამედ გასწირა ჩვენთვის, ყველასათვის, განა მასთან ერთად ყოველივეს არ მოგვმადლებს?

³³ვინ გაამტყუნებს ღმერთის რჩეულთ? ღმერთია გამამართლებელი;

³⁴ვიღამ უნდა დასდოს მსჯავრი? ქრისტე იესო, რომელიც მოკვდა და კიდევ აღდგა მკვდრეთით, ღმერთის მარჯვნივ არის და შუამდგომლობს ჩვენთვის.

³⁵რა ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს: ჭირი თუ შევიწროება, დევნა თუ შიმშილი, სიშიშველე თუ საფრთხე, თუ მახვილი?

³⁶როგორც წერია: „რადგან შენს გამო გვხოცავენ ყოველდღე, დასაკლავ ცხვრებად ვართ შერაცხილნი.“

³⁷მაგრამ ყოველივე ამას ვძლევათ ჩვენი მოყვარულის მეშვეობით.



³⁸და მწამს, რომ ვერც სიკვდილი და ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზები და ვერც მთავრობანი, ვერც ძალნი, ვერც აწმყო და ვერც მყოფადი,

³⁹ვერც სიმაღლე და ვერც სიღრმე, ვერც ვერაფერი სხვა მთელს ქმნილებაში ვერ შეძლებს ჩვენს ჩამოშორებას ღმერთის სიყვარულისაგან ჩვენს უფალ ქრისტე იესოში.

რომაელთა მიმართ 9

¹ჭეშმარიტებას ვამბობ ქრისტეში, არა ვცრუობ, ჩემი სინდისი მიმოწმებს სულიწმიდაში,

²რომ დიდია ჩემი მწუხარება და განუწყვეტელია ჩემი გულის ტკივილი.

³ნეტავ მე თვითონ ვყოფილიყავი ქრისტესაგან მოკვეთილი ჩემი ძმებისთვის, ჩემს ხორციელ თვისტომთათვის,

⁴რომელნიც ისრაელის ძენი არიან და ეკუთვნით შვილება და დიდება, აღთქმა და რჯულმდებლობა, მსახურება და დაპირება.

⁵მათნი არიან მამანი და მათგანაა ხორციელად ქრისტე, რომელიც არის ღმერთი ყოველთა ზედა, უკუნისამდე კურთხეული. ამინ.

⁶მაგრამ ისე არაა, რომ თითქოს ღმერთის სიტყვა დაეცა, რადგან ვინც ისრაელისაგან არის, ყველა ისრაელი როდია.

⁷და ყველა, ვინც აბრაამის შთამომავალია, როდია მისი შვილი, რადგან ნათქვამია: „ისააკისგან დაერქმევა სახელი შენს ნაშიერს.“

⁸ესე იგი, არა ეს ხორციელი შვილები არიან ღმერთის შვილები, არამედ აღთქმის შვილები შეირაცხებიან ნაშიერად.

⁹რადგან ასეთია აღთქმის სიტყვა, როგორც ნათქვამია: „ამ დროს მოვალ და სარას ეყოლება ძე.“

¹⁰არა მხოლოდ ეს, არამედ ასევე იყო, როდესაც რებეკას ჩაესახა ამ ერისაგან, ჩვენი მამის, ისააკისაგან,

¹¹რადგან ჯერ კიდევ დაბადებულნი არ იყვნენ მისი ორი შვილი და ჯერ კიდევ არაფერი ჰქონდათ გაკეთებული, კარგი ან ცუდი, რომ ღმერთის განზრახვით არჩევანი უკვე გაკეთებული იყო,

¹²არა საქმეთაგან, არამედ მომწოდებლისაგან ეთქვა მას: „უფროსი დაემონება უმცროსს.“

¹³როგორც წერია: „შევიყვარე მე იაკობი, ხოლო ესავი შევიძულე.“



¹⁴თუ ასეა, რაღა ვთქვათ? ნუთუ უსამართლობაა ღმერთთან? არამც და არამც!

¹⁵რადგან მოსეს ეუბნება: „ვინც მსურს შევიწყალო, შევიწყალებ, და ვინც მსურს შევიწყნარო, შევიწყნარებ.“

¹⁶ამრიგად, ეს დამოკიდებულია არა მსურველზე და არა მცდელობაზე, არამედ მოწყალე ღმერთზე.

¹⁷რადგან წერილი ეუბნება ფარაონს: „სწორედ ამისათვის დაგაყენე შენ, რომ შენზე ვაჩვენო ჩემი ძალა, რათა განითქვას ჩემი სახელი მთელ დედამიწაზე.“

¹⁸ამრიგად, ვისაც სურს, შეიწყალებს, და ვისაც სურს, გააჯიუტებს.

¹⁹შენ მეტყვი: „მაშ, რაღას გვდებს ბრალს? მის ნებას ვინ აღუდგება წინ?“

²⁰ვინ ხარ შენ, ო, ადამიანო, ღმერთს რომ ედავები? განა ქმნილება ეტყვის შემოქმედს: „რატომ შემქმენი ასე?“

²¹ნუთუ მეთუნეს უფლება არა აქვს თიხაზე, რომ თავისი მოზედილი თიხიდან ზოგი საპატიო ჭურჭელი გააკეთოს, ზოგიც უპატიო?

²²მაშ რა, თუ ღმერთი, რომელსაც სურს თავისი რისხვის ჩვენება და ძლიერების უწყება, მრავალი სულგრძელებით ითმენს დასაღუპავად გამზადებულ რისხვის ჭურჭლებს,

²³რათა გამოაჩინოს თავისი დიდების სიუხვე წყალობის ჭურჭლებზე, რომლებიც წინასწარ გაამზადა სადიდებლად,

²⁴ჩვენზე, რომელთაც მოგვიწოდა არა მარტო იუდეველთაგან, არამედ წარმართთაგანაც?

²⁵როგორც ოსიას წიგნშიც ამბობს: „არა ჩემს ერს ვუწოდებ ჩემს ერს და არა საყვარელს – საყვარელს.“

²⁶და იმ ადგილას, სადაც მათ ეთქვათ: „ჩემი ერი არა ხართ თქვენ, – იქ ეწოდებათ მათ ცოცხალი ღმერთის ძენი.“

²⁷ხოლო ესაია ღაღადებს ისრაელზე: „ისრაელის ძეთა რიცხვი ზღვის ქვიშასავითაც რომ იყოს, მხოლოდ ნაწილი გადარჩება.“

²⁸თავის სიტყვას ბოლომდე და დაუყოვნებლივ შეასრულებს უფალი დედამიწაზე.“

²⁹და როგორც თქვა ესაიამ წინასწარ: „უფალ საბაოთს რომ არ დაეტოვებინა ჩვენი ნაშვირი, სოდომელებივით ვიქნებოდით და გომორელებს დავემსგავსებოდით.“



³⁰მაშ, რაღა ვთქვათ? წარმართებმა, რომლებიც სიმართლეს არ მისდევდნენ, მიიღეს სიმართლე, სიმართლე რწმენისაგან.

³¹ხოლო ისრაელმა, რომელიც სიმართლის რჯულს ეძებდა, ვერ მიაღწია სიმართლის რჯულს.

³²რატომ? იმიტომ რომ, რწმენაში კი არ ეძებდა, არამედ რჯულის საქმეებში. დაბრკოლდნენ დაბრკოლების ლოდზე,

³³როგორც წერია: „აჰა, დავდებ სიონში დაბრკოლების ლოდს და ცდუნების კლდეს და მის მორწმუნეთაგან არავინ შერცხვება.“

რომაელთა მიმართ 10

¹ძმებო! ჩემი გულის სურვილი და ჩემი ვედრება ღმერთისადმი ისრაელისათვისაა, რათა გადარჩნენ.

²ვუმოწმებ მათ, რომ აქვთ გულმოდგინება ღმერთისადმი, მაგრამ არა სწორი შემეცნების საფუძველზე.

³რადგან ღმერთის სიმართლე ვერ შეიცნეს და ცდილობდნენ საკუთარი სიმართლის დადგენას.

⁴ხოლო ქრისტე არის რჯულის დასასრული ყოველი მორწმუნის გასამართლებლად.

⁵მოსე რჯულის სამართალზე წერს, რომ მისი შემსრულებელი ადამიანი მისით იცოცხლებს.

⁶ხოლო რწმენისმიერი სამართლიანობა ასე ამბობს: „ნუ იტყვი შენს გულში: ვინ ავა ზეცაში?“ – ესე იგი, ქრისტეს ჩამოსაყვანად.

⁷ანდა: „ვინ ჩავა უფსკრულში?“ – ესე იგი, ქრისტეს მკვდრეთით ამოსაყვანად.

⁸მაგრამ რას ამბობს იგი? – „ახლოა შენთან სიტყვა, შენს პირშია და შენს გულში,“ – ესე იგი, რწმენის სიტყვა, რომელსაც ვქადაგებთ.

⁹იმიტომ რომ, თუ შენი პირით აღიარებ, რომ იესო უფალია, და შენი გულით გწამს, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, გადარჩები.

¹⁰რადგან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო პირით აღიარებენ გადასარჩენად.

¹¹რადგან წერილი ამბობს: „არავინ, ვისაც სწამს იგი, არ შერცხვება.“

¹²ამაში არ არის განსხვავება იუდეველსა და წარმართს შორის, რადგან ერთი უფალია ყველაზე. ის უხვია ყველასათვის, ვინც მას მოუხმობს.



- ¹³რადგან ყოველი, ვინც უფლის სახელს მოუხმობს, გადარჩება.
- ¹⁴მაგრამ როგორ მოუხმონ მას, ვინც არ ირწმუნეს? როგორ ირწმუნონ ის, ვისზეც არ სმენიათ? როგორ მოისმინონ მქადაგებლის გარეშე?
- ¹⁵და როგორ იქადაგონ, თუ წარგზავნილნი არ არიან? როგორც წერია: „რა მშვენიერია სიკეთის მახარებელთა ფეხნი!“
- ¹⁶მაგრამ ყველამ როდი ისმინა სახარება, რადგან ესაია ამბობს: „უფალო, ვინ ირწმუნა ჩვენგან მოსმენილი?“
- ¹⁷ამრიგად, რწმენა – მოსმენისაგან, ხოლო მოსმენა – ქრისტეს სიტყვისაგან.
- ¹⁸მაგრამ ვამბობ: ნუთუ არ სმენიათ? პირიქით: „მთელ ქვეყანას მოედო მათი ხმა და დედამიწის კიდეებს – მათი სიტყვები.“
- ¹⁹მაგრამ ვამბობ: ნუთუ ისრაელმა არ იცოდა? პირველი მოსე ამბობს: „შურს აღვძრავ თქვენში ერით, რომელიც არ არის ერი, განგარისხებთ უგუნური ერით.“
- ²⁰ხოლო ესაია გაბედულად ამბობს: „მიპოვეს მათ, ვინც არ მეძებდა. გამოვეცხადე მათ, ვინც არ მკითხულობდა.“
- ²¹ხოლო ისრაელს ეუბნება: „მთელ დღეს ვიწვდიდი ჩემს ხელებს ურჩი და გაუგონარი ხალხისაკენ.“

რომაელთა მიმართ 11

- ¹მაშ, ვამბობ: ნუთუ ღმერთმა უარყო თავისი ხალხი? არამც და არამც! რადგან მეც ისრაელელი ვარ, აბრაამის შთამომავალი, ბენიამინის ტომიდან.
- ²არ უარუყვია ღმერთს თავისი ხალხი, რომელიც წინასწარ იცნო. განა არ იცით, რას ამბობს წერილი ელიას შესახებ, როგორ ჩივის ისრაელზე ღმერთის წინაშე და ამბობს:
- ³„უფალო! შენი წინასწარმეტყველნი დახოცეს და შენი სამსხვერპლოები დაანგრის. დავრჩი მე მარტო და ჩემს მოკვლას ცდილობენ.“
- ⁴მაგრამ რას ეუბნება მას ღმერთის პასუხი? – „დავიტოვე მე ჩემთვის 7 ათასი კაცი, რომელთაც მუხლი არ მოიდრიკეს ბაალის წინაშე.“
- ⁵ასევე ამჟამადაც არსებობს ნატამალი, მადლით ამორჩეული.
- ⁶ხოლო თუ მადლით, უკვე არა საქმეებით, თორემ მადლი აღარ იქნება მადლი. რადგან საქმეებით რომ იყოს, ეს უკვე მადლი აღარ არის. მაშინ მადლიც აღარ იქნებოდა მადლი.



⁷მაშ რა? რასაც ეძებდა ისრაელი, ვერ მიაღწია. მხოლოდ რჩეულებმა მიაღწიეს, დანარჩენებს კი გული დაეხშოთ.

⁸როგორც წერია: „მისცა მათ ღმერთმა უგრძნობლობის სული, თვალები, რათა არ ხედავდნენ, და ყურები, რათა არ ესმოდეთ დღევანდელ დღემდე.“

⁹ხოლო დავითი ამბობს: „მათი სუფრა იყოს მახე, ბადე და საცდური და მათდა მისაგებელი,

¹⁰დაიბინდოს მათი თვალები, რათა ვერ ხედავდნენ, ხოლო მათი ხერხემალი სამუდამოდ მრუდი იყოს.“

¹¹მაშ ვკითხულობ: იმისთვის წაბორძიკდნენ, რომ დაეცნენ? არამც და არამც! მაგრამ მათი დაცემით ხსნა ეღირსათ წარმართებს, რათა აღძრულიყო მათში შური.

¹²და თუ მათი დაცემა ქვეყნიერების სიმდიდრეა და მათი დამცრობა – წარმართთა განძი, რამდენად მეტი იქნება მათი სავსება.

¹³ხოლო თქვენ გეუბნებით, წარმართნო: რამდენადაც წარმართთა მოციქული ვარ, ჩემს მსახურებას ვადიდებ.

¹⁴ნეტა შემძლებოდა შურის გაღვივება ჩემს ახლობლებში და ზოგიერთი მათგანის ხსნა.

¹⁵რადგან, თუ მათი განდევნა ქვეყნიერების შერიგებაა ღმერთთან, მაშ რაღა იქნება მათი მიღება, თუ არა სიცოცხლე მკვდრეთით?

¹⁶თუ პირველგამომცხვარი წმიდაა, მაშ, მთელი ცომიც; და თუ ფესვი წმიდაა, მაშ, რტოც.

¹⁷ხოლო თუ ზოგი რტო გადატყდა და შენ, ველურო ზეთისხილო, დაემყენ მათ ადგილას და გახდი ბაღის ზეთისხილის ფესვისა და წვენის თანაზიარი,

¹⁸ნუ იამპარტავნებ სხვა რტოთა წინაშე. ხოლო თუ იამპარტავნებ, იცოდე, შენ კი არ გიკავია ფესვი, არამედ ფესვს უკავიხარ შენ.

¹⁹შენ იტყვი: „რტოები გადატყდნენ, რათა მე დავემყნო!“

²⁰კეთილი. ისინი გადატყდნენ, რადგან არ სწამდათ, შენ კი რწმენით დგახარ. ნუ გაამაყდები, არამედ გეშინოდეს.

²¹რადგან, თუ ღმერთმა არ დაინდო ბუნებრივი რტოები, შენც არ დაგინდობს.

²²ამრიგად, ხედავ ღმერთის სახიერებას და სიმკაცრეს: სიმკაცრეს დაცემულებზე და სიკეთეს შენზე, თუ იდგები მის სიკეთეში, თუ არა და, შენც მოიკვეთები.



²³და ისინიც, თუ ურწმუნოებაში არ იდგებიან, დაემყნობიან, რადგან ღმერთს ძალუძს მათი კვლავ დამყნობა.

²⁴ხოლო თუ შენ მოკვეთილი ხარ ბუნებით ველური ზეთისხილისგან და არაბუნებრივად დაემყნე ბაღის ზეთისხილს, მით უმეტეს, ესენი, ბუნებრივნი, დაემყნობიან თავიანთ ზეთისხილს.

²⁵რადგან არ მინდა, ძმებო, არ იცოდეთ ეს საიდუმლო, რათა არ ეყრდნობოდეთ თქვენს სიბრძნეს: მანამდე ექნება ნაწილობრივი სიბრძნე ისრაელს, ვიდრე მთელი წარმართობა არ მივა ღმერთთან.

²⁶და ასე, მთელი ისრაელი გადარჩება, როგორც წერია: „მოვა სიონიდან მხსნელი და უღვთოებას ააცილებს იაკობს.

²⁷ეს არის ჩემი აღთქმა მათთვის, როცა წარვხოცავ მათ ცოდვებს.“

²⁸დიახ, სახარების მიხედვით ისინი მტრები არიან თქვენი გულისათვის; ხოლო ამორჩევის მიხედვით – საყვარელნი, მამების გულისათვის.

²⁹რადგან უცვალებელია ღმერთის მადლის ნიჭი და მოწოდება.

³⁰ისევე, როგორც თქვენც ოდესღაც ეურჩებოდით ღმერთს, ახლა კი შეწყალებულნი ხართ მათი ურჩობით,

³¹ისე, ახლა ისინი ურჩობენ იმისათვის, რომ ისინიც შეწყალებულნი იქნენ იმ წყალობით, რომელიც თქვენ გეძლევათ.

³²რადგან ყველანი ურჩობაში მოაქცია ღმერთმა, რათა ყველანი შეიწყალოს.

³³ო, ვინ შეიცნობს ღმერთის სიბრძნისა და შემეცნების სიმდიდრეს! როგორი ჩაუწვდომელია მისი განსჯანი და მიუკვლეველი მისი გზები!

³⁴რადგან ვინ შეიცნო უფლის გონება? ვინ იყო მისი მრჩეველი?

³⁵ან წინასწარ ვინ მისცა მას, რომ მიეზღოს სამაგიერო?

³⁶რადგან ყოველივე მისგან, მის მიერ და მის მიმართ არის. მას დიდება უკუნისამდე! ამინ.

რომაელთა მიმართ 12

¹ამრიგად, შეგაგონებთ, ძმებო, ღმერთის წყალობით, რომ შესწიროთ თქვენი სხეული ცოცხალ, წმიდა, ღმერთის სასურველ მსხვერპლად! ეს იქნება თქვენი სულიერი მსახურება.

²და ნუ მიესადაგებით ამ საუკუნეს, არამედ შეიცვალენით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ღმერთის ნება – კეთილი, სასურველი და სრულყოფილი.



- ³ჩემთვის მოცემული მადლით ვეუბნები ყოველ თქვენგანს: თქვენს თავზე იმაზე მეტად ნუ იფიქრებთ, ვიდრე უნდა ფიქრობდეთ, არამედ იფიქრეთ საღად იმ რწმენის კვალობაზე, რაც ღმერთმა გიწილადათ თითოეულს.
- ⁴რადგან ჩვენ ერთ სხეულში მრავალი ასო გვაქვს, მაგრამ ყველა ასოს როდი აქვს ერთი და იგივე საქმე.
- ⁵ასევე ჩვენ, მრავალნი ერთი სხეული ვართ ქრისტეში, ხოლო ერთიმეორისათვის – ასონი.
- ⁶და გვაქვს მადლით სხვადასხვა ნიჭი, ჩვენთვის მოცემული. თუ ეს წინასწარმეტყველებაა – იყოს რწმენის მიხედვით,
- ⁷თუ მსახურებაა – ემსახურე, თუ ეს მოძღვრობის ნიჭია – დამოძღვრე,
- ⁸თუ გამხნევის ნიჭია – გაამხნევე, თუ გამნაწილებელის – გაანაწილე უბრალოებით, თუ წინამძღოლის – უწინამძღვრე ბეჯითად და თუ მწყალობელის – ხალისით გაეცი წყალობა.
- ⁹იყოს თქვენი სიყვარული წრფელი. გმაგდეთ ბოროტი და შეუერთდით კეთილს.
- ¹⁰მმათმოყვარეობაში იყავით ერთმანეთისადმი გულთბილნი და მოყვარულნი, ურთიერთპატივისცემაში ერთმანეთს დაასწარით.
- ¹¹იბეჯითეთ და ნუ დაიღლებით, სულით აღეგზნეთ, ემსახურეთ უფალს.
- ¹²იხარეთ იმედით, მომთმენნი იყავით გასაჭირში, ლოცვაში – ურყევნი.
- ¹³მონაწილეობა მიიღეთ წმიდათა საჭიროებებში, ესწრაფეთ სტუმართმოყვარეობას.
- ¹⁴დალოცეთ თქვენი მძევნელები, დალოცეთ და ნუ დაწყევლით.
- ¹⁵გახარულებთან იხარეთ და მტირალეებთან იტირეთ.
- ¹⁶ერთსულოვანნი იყავით ერთმანეთს შორის. ქედმაღლური ფიქრები ნუ გექნებათ, არამედ მორჩილებს მიხედეთ, ბრძენი ნუ გეგონებათ საკუთარი თავი.
- ¹⁷ნურავის მიაგებთ ბოროტის წილ ბოროტს. ეცადეთ კეთილს ყველა ადამიანის წინაშე.
- ¹⁸თუ თქვენის მხრივ შესაძლებელია, იყავით ყველა ადამიანთან მშვიდობიანად.
- ¹⁹შურს ნუ იძიებთ თქვენთვის, საყვარელნო, არამედ ადგილი მიეცით უფლის რისხვას, რადგან წერია: „ჩემია შურისგება და მე მივაგებ“ – ამბობს უფალი.



²⁰ამიტომ, თუ შენი მტერი მშვიდია, დააპურე იგი; თუ სწყურია, დააღვინე. რადგან ამის გაკეთებით ნაკვერცხლებს აგროვებ მის თავზე.

²¹არ დაგძლიოს ბოროტმა, არამედ კეთილით სძლიე ბოროტს.

რომაელთა მიმართ 13

¹ყველა დაემორჩილოს უმაღლეს ხელმწიფებას. რადგან არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღმერთისაგან, ხოლო არსებული ხელმწიფებანი ღმერთის მიერ არიან დადგენილნი.

²ამიტომ ხელმწიფების მოწინააღმდეგე ეწინააღმდეგება ღმერთის დადგენილებას, ხოლო მოწინააღმდეგენი სასჯელს დაიტეხენ თავზე.

³რადგან უფროსნი საშიშნი არიან არა კეთილი საქმეებისათვის, არამედ ბოროტათათვის. თუ გსურს, რომ ხელმწიფებისა არ გეშინოდეს, კეთილი აკეთე და ქებას მიიღებ მისგან.

⁴რადგან იგი ღმერთის მსახურია შენდა სასიკეთოდ. მაგრამ თუ ბოროტებას იქმ, გეშინოდეს, რადგან ტყუილად როდი ატარებს მახვილს. ის ღმერთის მსახურია და რისხვით შურისმამიებელი ბოროტმოქმედზე.

⁵ამიტომ ჩვენ უნდა დავემორჩილოთ არა მარტო რისხვის შიშის გამო, არამედ სინდისის გამოც.

⁶სწორედ ამისათვის იხდით ხარკს, რადგან ისინი ღმერთის მსახურები არიან და დღენიადგ ამ მსახურებას ასრულებენ.

⁷ამრიგად, მიეცით ყველას, რაც ეკუთვნის: ვისაც ხარკი – ხარკი, ვისაც ბაჟი – ბაჟი, ვისაც შიში – შიში, ვისაც პატივი – პატივი.

⁸არავისი არაფერი დაგედოთ ვალად, გარდა ერთიმეორის სიყვარულისა, რადგან სხვისი მოყვარული ასრულებს რჯულს.

⁹რადგან მცნებები: „არ იმრუშო, არ მოკლა, არ მოიპარო, არ იყო ცრუმოწმე, არ ინდომო“ და სხვებიც ყველა შედიან ამ სიტყვაში: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.“

¹⁰სიყვარული არავითარ ბოროტებას არ მიაყენებს მოყვასს. ამიტომ სიყვარული რჯულის სისავსეა.

¹¹მაშ ასე, იცოდეთ, რომ დადგა ძილისაგან თქვენი გამოღვიძების ჟამი. რადგან ახლა უფრო ახლოა ჩვენი ხსნა, ვიდრე მაშინ, როცა ვირწმუნეთ.

¹²ღამემ გაიარა და დღე მოახლოვდა. ამიტომ მოვიშორეთ სიბნელის საქმეები და შევიმოსოთ სინათლის საჭურველი.



¹³მოვიქცეთ თავდაჭერილად, როგორც დღისით: არა მსუნაგობით და ლოთობით, არა ავხორცობითა და თავაშვებულობით, არა ჩხუბით და შურით,

¹⁴არამედ შეიმოსეთ უფალი იესო ქრისტე და ხორცზე ზრუნვას გულისთქმად ნუ გაიხდით.

რომაელთა მიმართ 14

¹რწმენაში უძლურნი მიიღეთ, ოღონდ არა აზრებზე საკამათოდ.

²ზოგს სჯერა, რომ ყველაფრის ჭამა შეიძლება, უძლური კი მხოლოდ მცენარეულს ჭამს.

³ვინც ჭამს, ნუ დაამცირებს მას, ვინც არა ჭამს. და ვინც არა ჭამს, ნუ განსჯის მას, ვინც ჭამს. იმიტომ რომ ღმერთმა მიიღო იგი.

⁴ვინა ხარ შენ, სხვისი მონის გამკითხველო? თავისი უფლის წინაშე დგას იგი ან ეცემა, მაგრამ აღიმართება, რადგან ღმერთს ძალუმს მისი აღმართვა.

⁵ზოგი დღეს დღისგან განარჩევს, ზოგი კი ყველა დღეს ერთნაირად მიიჩნევს. დაე ყველა თავის რწმენაში იყოს მტკიცე.

⁶ვინც პატივს მიაგებს დღეს, უფლისათვის მიაგებს, და ვინც ჭამს, უფლისათვის ჭამს, რადგან მადლობას სწირავს ღმერთს. ხოლო ვინც არ ჭამს, უფლისათვის არ ჭამს და მადლობას სწირავს ღმერთს.

⁷რადგან არც ერთი ჩვენგანი არ ცოცხლობს საკუთარი თავისათვის და არავინ კვდება საკუთარი თავისათვის.

⁸რადგან, თუ ვცოცხლობთ, უფლისათვის ვცოცხლობთ და, თუ ვკვდებით, უფლისათვის ვკვდებით. და ამიტომ, ვცოცხლობთ თუ ვკვდებით, უფლისანი ვართ.

⁹რადგან იმისათვის მოკვდა ქრისტე და გაცოცხლდა, რომ იუფლოს მკვდრებზეც და ცოცხლებზეც.

¹⁰მაშ შენ რატომ განიკითხავ შენს ძმას? ანდა რატომ ამცირებ შენს ძმას? ჩვენ ყველანი ღმერთის სამსჯავროს ტახტის წინაშე წარვდგებით.

¹¹რადგან წერია: „ცოცხალი ვარ მე,“ – ამბობს უფალი, – „ჩემს წინაშე მოიდრიკება ყოველი მუხლი და ყოველი ენა აღიარებს ღმერთს.“

¹²ამრიგად, ყოველი ჩვენგანი საკუთარი თავისათვის აგებს პასუხს ღმერთის წინაშე.



¹³ამიტომ ნუღარ განვიკითხავთ ერთმანეთს, არამედ უფრო იმას მივაპყროთ განსჯა, რომ ძმამ ძმა არ დააბრკოლოს და არ აცდუნოს.

¹⁴მე ვიცი და დარწმუნებული ვარ უფალ იესოში, რომ თავისთავად არაფერია უწმიდური. მხოლოდ მისთვის არის უწმიდური, ვინც უწმიდურად ჩათვლის რაიმეს.

¹⁵თუ საჭმლის გამო წუხს შენი ძმა, შენ უკვე აღარ იქცევი სიყვარულით. შენი საჭმლისთვის ნუ დაღუპავ მას, ვისთვისაც მოკვდა ქრისტე!

¹⁶დასაგმოზი ნუ გახდება თქვენი სიკეთე.

¹⁷რადგან ღმერთის სასუფეველი საჭმელ-სასმელი კი არ არის, არამედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულიწმიდაში.

¹⁸ხოლო ვინც ამით ემსახურება ქრისტეს, იგი სასურველია ღმერთისათვის და მოსაწონი – ადამიანთათვის.

¹⁹მაშ, ვესწრაფოთ იმას, რაც მშვიდობასა და ერთმანეთის აღშენებას ემსახურება.

²⁰საჭმლისათვის ნუ დაარღვევ ღმერთის საქმეებს. ყოველივე წმიდაა, მაგრამ ბოროტია იმისათვის, ვინც დაბრკოლებით ჭამს.

²¹უმჯობესია არ ჭამო ხორცი, არ დალიო ღვინო და არც სხვა რამ, რითაც შენი ძმა დაბრკოლდება.

²²გაქვს რწმენა? გქონდეს შენთვის ღმერთის წინაშე. ნეტარია ის, ვინც თავის თავს არ სდებს მსჯავრს იმის გამო, რასაც ირჩევს.

²³ვინც ეჭვობს ჭამისას, თავს იდანაშაულებს, რადგან რწმენით არ იქცევა. ხოლო ყოველივე, რაც რწმენით არაა, ცოდვაა.

რომაელთა მიმართ 15

¹ხოლო ჩვენ, ძლიერთ, გვმართებს ვზიდოთ უსუსურთა უძლურება და არ ვეძებოთ საკუთარი თავის სიამე.

²ყოველი ჩვენგანი უნდა აამებდეს მოყვასს სასიკეთო აღშენებისათვის.

³რადგან ქრისტეც არ ეძებდა სიამეს თავისთვის, არამედ როგორც წერია: „შენი შეურაცხყოფილების შეურაცხყოფა დამატყდა მე.“

⁴რადგან ყოველივე, რაც წინათ დაიწერა, ჩვენს განსასწავლად დაიწერა, რათა მოთმინებით და წერილთა ნუგეშით გვქონდეს სასოება.

⁵ხოლო მოთმინებისა და ნუგეშის ღმერთმა მოგცეთ თქვენ ერთმანეთს შორის ერთსულოვნება ქრისტე იესოს თანახმად,



⁶რათა ერთსულოვნად, ერთი პირით ადიდოთ ღმერთი, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მამა.

⁷ამიტომ მიიღეთ ერთმანეთი ისევე, როგორც ქრისტემ მიგიღოთ თქვენ ღმერთის სადიდებლად.

⁸ხოლო მე ვამბობ, რომ ქრისტე გახდა წინადაცვეთილთა მსახური ღმერთის ჭეშმარიტებისათვის, რათა შესრულებულიყო მამებისათვის აღთქმული,

⁹ხოლო წარმართებმა განადიდონ ღმერთი წყალობისათვის, როგორც წერია: „ამისათვის გაღიარებ წარმართთა შორის და ვუგალობებ შენს სახელს.“

¹⁰და კვლავ ამბობს: „იხარეთ, წარმართნო, მის ხალხთან ერთად.“

¹¹და კვლავ: „წარმართნო, აქეთ უფალი და ხალხებო, ადიდეთ იგი.“

¹²და კვლავ ესაია ამბობს: „იქნება იესეს ფესვი, რომელიც აღდგება წარმართებზე საუფლოდ, და ექნებათ მისი სასოება წარმართებს.“

¹³ხოლო სასოების ღმერთმა აგავსოთ ყოველგვარი სიხარულით და მშვიდობით რწმენაში, რათა სულიწმიდის ძალით იუხვოთ სასოებაში.

¹⁴და მეც, ძმებო, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ თავადაც სავსე ხართ სათნოებით, სავსე ხართ ყოველი ცოდნით და შეგიძლიათ ერთმანეთის დარიგება.

¹⁵მაგრამ გავკადნიერდი და თამამად მოგწერეთ ზოგიერთი რამ, როგორც თქვენდამი შეხსენება ღმერთის მიერ ჩემთვის მოცემული მადლით,

¹⁶ვიყო იესო ქრისტეს მსახური წარმართებთან და ღმერთის სახარების მღვდელმსახური, რათა წარმართთა შესაწირავი იყოს სასურველი და სულიწმიდის მიერ განწმედილი.

¹⁷ამიტომ შემიძლია ვიამაყო ქრისტე იესოში ღმერთის წინაშე.

¹⁸რადგან ისეთი რამის თქმას ვერ გავბედავ, რაც ქრისტეს არ გაეკეთებინოს ჩემი მეშვეობით წარმართთა დასამორჩილებლად სიტყვით და საქმით,

¹⁹ნიშნებისა და სასწაულების ძალით, ღმერთის სულის ძალით, ისე რომ, იერუსალიმიდან და მისი შემოგარენიდან ილირიკამდე გავავრცელე ქრისტეს სახარება.

²⁰ამასთან, ვცდილობდი მეხარებინა არა იქ, სადაც უკვე ცნობილი იყო ქრისტეს სახელი, რათა არ მეშენებინა სხვის საძირკველზე,

²¹არამედ, როგორც წერია: „დაინახავენ მას ისინი, ვისთვისაც არ გამოუცხადებიათ, და მიხვდებიან ისინი, ვისაც არ სმენია.“

²²ამის გამოც იყო, რომ მრავალგზის შემიფერხდა თქვენთან მოსვლა.



²³ხოლო ახლა, როცა აღარა მაქვს გასაკეთებელი ამ მხარეებში, ხოლო მრავალი წელია მსურს თქვენთან მოსვლა,

²⁴როგორც კი დავაპირებ ესპანეთში გამგზავრებას, გამოვივლით, რადგან ვიმედოვნებ, რომ გნახავთ გავლისას და თქვენ გამაცილებთ იქ, და ერთხანს მაინც დავტკბები თქვენთან ყოფნით.

²⁵ხოლო ახლა იერუსალიმში მივდივარ წმიდათა მსახურებისათვის.

²⁶რადგან მაკედონიამ და აქაიამ ინებეს მოწყალების გაზიარება ღარიბი წმიდებისათვის, რომლებიც იერუსალიმში არიან.

²⁷ინებეს და მოვალენიც არიან მათ წინაშე. რადგან, თუ წარმართები ეზიარნენ მათ სულიერში, ჯერ არს, რომ ხორციელად მოემსახურონ მათ.

²⁸ამრიგად, როცა დავამთავრებ ამას და ბეჭედს დავასვამ მათ ნაყოფს, თქვენთან გამოვივლით წავალ ესპანეთისკენ.

²⁹ხოლო ვიცი, რომ თქვენთან მოსვლისას მოვალ ქრისტეს სახარების სრული კურთხევით.

³⁰შეგაგონებთ თქვენ, ძმებო, ჩვენი უფლით, იესო ქრისტეთი და სულის სიყვარულით, ჩემთან ერთად იბეჯითოთ ღმერთისადმი ჩემთვის ღოცვებში.

³¹რათა გადავურჩე ურწმუნოებს იუდეაში და წმიდათათვის სათნო იყოს ჩემი სამსახური იერუსალიმში.

³²რათა სიხარულით მოვიდე თქვენთან ღმერთის ნებით და განვისვენო თქვენთან.

³³მშვიდობის ღმერთი იყოს ყველა თქვენგანთან. ამინ.

რომაელთა მიმართ 16

¹აჰა, წარმოგიდგენთ ჩვენს დას ფეხებს, რომელიც არის კენჭრელთა ეკლესიის მსახური,

²რათა მიიღოთ იგი უფალში, როგორც წმიდებს შეეფერება, და დაეხმაროთ ყველაფერში, რაც დასჭირდება თქვენთან, რადგან ისიც ბევრის შემწე იყო და პირადად ჩემიც.

³მოიკითხეთ პრისკა და აკვილა, ჩემი თანამშრომელნი ქრისტე იესოში,

⁴რომელნიც თავს სწირავდნენ ჩემი სიცოცხლისათვის და რომელთაც არა მარტო მე ვემადლიერები, არამედ წარმართთა ეკლესიებიც,



- ⁵და მათი საშინაო ეკლესიაც. მოიკითხეთ ჩემი საყვარელი ეპენეტოსი, რომელიც ასიაში პირველი ნაყოფია ქრისტესათვის.
- ⁶მოიკითხეთ მარიამი, რომელმაც ბევრი იშრომა თქვენთვის.
- ⁷მოიკითხეთ ანდრონიკე და იუნია, ჩემი ნათესავები და ჩემი თანატყვევები, რომელნიც განთქმულნი არიან მოციქულთა შორის და ჩემზე უწინაც ირწმუნეს ქრისტე.
- ⁸მოიკითხეთ ამპლიატუსი, ჩემი საყვარელი უფალში.
- ⁹მოიკითხეთ ურბანოსი, ჩვენი თანამშრომელი ქრისტეში და ჩემი საყვარელი სტაქისი.
- ¹⁰მოიკითხეთ ქრისტეში გამოცდილი აპელესი. მოიკითხეთ არისტობულეს შინაურები.
- ¹¹მოიკითხეთ ჩემი ნათესავი იროდიონი. მოიკითხეთ ნარკისოსის შინაურები, უფალში მყოფნი.
- ¹²მოიკითხეთ უფალში მშრომელები, ტრიფენა და ტრიფოსა. მოიკითხეთ საყვარელი პერსისი, რომელმაც ბევრი იშრომა უფალში.
- ¹³მოიკითხეთ უფალში რჩეული რუფე და მისი დედა და ჩემიც.
- ¹⁴მოიკითხეთ ასინკრიტუსი, ფლეგონი, ჰერმესი, პატრობასი, ჰერმასი და მათთან მყოფი ძმები.
- ¹⁵მოიკითხეთ ფილოლოგოსი და იულია, ნირეა და მისი და, ოლიმპა, და მათთან მყოფი ყველა წმიდა.
- ¹⁶მოიკითხეთ ერთმანეთი წმიდა ამბორით. მოკითხვას გითვლით ქრისტეს ყველა ეკლესია.
- ¹⁷შეგაგონებთ, ძმებო, მოერიდეთ მათ, ვინც განხეთქილებასა და საცდურს ქმნის წინააღმდეგ იმ მოძღვრებისა, რომელიც თქვენ ნასწავლი გაქვთ, და შეაქციეთ მათ ზურგი.
- ¹⁸რადგან ასეთი ადამიანები ემსახურებიან არა ჩვენს უფალს იესო ქრისტეს, არამედ თავიანთ მუცელს და ღამაზი სიტყვებით და მოფერებით აცდუნებენ უმანკოთა გულებს.
- ¹⁹რადგან თქვენი მორჩილება ყველასათვის ცნობილია. ამიტომ მოხარული ვარ თქვენს გამო, მაგრამ მინდა, რომ ბრძენნი იყოს სიკეთისათვის და უბრალონი – ბოროტისათვის.
- ²⁰ხოლო მშვიდობის ღმერთი მალე თქვენს ფეხქვეშ შემუსრავს სატანას. ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მაღლი თქვენთანაა. ამინ.



²¹მოკითხვას გითვლიან ჩემი თანამშრომელი ტიმოთე და ჩემი ნათესავები ლუკიოსი, იასონი, და სოსიპატროსი.

²²მოკითხვას გითვლით უფალში მეც, ტერტიოსი, რომელმაც დავწერე ეს წერილი.

²³მოკითხვას გითვლიან ჩემი მასპინძელი გაიოსი და მთელი ეკლესია. მოკითხვას გითვლიან ქალაქის მეგანძური ერასტოსი და ძმა კვარტოსი.

²⁴ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მაღლი ყოველ თქვენგანთან. ამინ.

²⁵ხოლო მას, ვისაც ძალუმს თქვენი განმტკიცება ჩემი სახარების და იესო ქრისტეს ქადაგების მიხედვით, იმ საიდუმლოს გამოცხადებით, რომელიც უკუნისიდან მდუმარე იყო,

²⁶ხოლო ახლა გაცხადებულია წინასწარმეტყველურ წერილებში, რადგან მარადიული ღმერთის ბრძანებით ეუწყა ყველა ერს, რომ დაემორჩილონ რწმენას,

²⁷ერთადერთ ყოვლადბრძენ ღმერთს, იესო ქრისტეს მეშვეობით, დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.



პირველი კორინთელთა მიმართ

1 კორინთელთა 1

- ¹პავლე, ღმერთის ნებით მოწოდებული მოციქული იესო ქრისტესი და ძმა სოსთენე,
- ²ღმერთის ეკლესიას, რომელიც კორინთოშია, ქრისტე იესოში განწმედილთ, მოწოდებულ წმიდებს, ყველასთან ერთად, ვინც ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელს მოუხმობს ყოველ ადგილას – მათთან და ჩვენთან.
- ³მადლი თქვენ და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისა და უფლის, იესო ქრისტესაგან.
- ⁴მარადის ვმადლობ ჩემს ღმერთს თქვენთვის, ღმერთის მადლისათვის, რომელიც გეზომათ თქვენ ქრისტე იესოში,
- ⁵რადგან გამდიდრდით მასში ყოველივეთი, ყოველგვარი სიტყვით და ყოველგვარი ცოდნით,
- ⁶რადგან ქრისტეს მოწმობა განმტკიცდა თქვენში,
- ⁷და არ გაკლიათ არავითარი ნიჭი ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს გამოცხადების მოლოდინში,
- ⁸რომელიც განგამტკიცებთ თქვენ ბოლომდე, რათა უმწიკვლონი იყოთ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს დღეს.
- ⁹სარწმუნოა ღმერთი, რომელმა მოგიწოდათ თავის ძესთან, ჩვენს უფალ იესო ქრისტესთან თანაზიარებისათვის.
- ¹⁰ხოლო მე შეგაგონებთ, ძმებო, ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სახელით, რომ ყველამ ილაპარაკოთ ერთსულოვნად და არ იყოს თქვენში განხეთქილება, არამედ გაერთიანებულნი იყოთ გონებით და აზრით.
- ¹¹რადგან ჩემთვის ცნობილი გახდა, ძმებო, ქლოეს ახლობელთაგან, რომ დავაა თქვენს შორის.
- ¹²მე ვგულისხმობ, რომ თითოეული თქვენგანი ამბობს: მე პავლესი ვარ, მე აპოლოსისა, მე კეფასი, მე კი ქრისტესიო.
- ¹³განა გაიყო ქრისტე? განა პავლე ეცვა ჯვარს თქვენთვის? ან პავლეს სახელით მოინათლეთ?
- ¹⁴მადლი ღმერთს, რომ არც ერთი თქვენგანი არ მომინათლავს, გარდა კრისპოსის და გაიოსისა,
- ¹⁵რათა არავინ თქვას, რომ ჩემი სახელით მოინათლა.



- ¹⁶მოვნათლე აგრეთვე სტეფანას სახლი. მათ გარდა კი, არ ვიცი, თუ მოვნათლე ვინმე,
- ¹⁷რადგან ქრისტეს არ მოვუვლენივარ მოსანათლავად, არამედ სახარებლად – არა ბრძნული სიტყვებით, რათა არ გაუქმებულიყო ქრისტეს ჯვარი.
- ¹⁸რადგან სიტყვა ჯვრის შესახებ უგუნურებაა მათთვის, ვინც იღუპება, ხოლო ჩვენთვის, ვინც გადავრჩებით, ღმერთის ძალაა.
- ¹⁹რადგან წერია: „მოვსპობ ბრძენთა სიბრძნეს და გონიერთა გონიერებას არად ჩავაგდებ.“
- ²⁰სად არის ბრძენი? სად არის მწიგნობარი? სად არის ამა სოფლის კეთილმოუბარი? განა უგუნურებად არ აქცია ღმერთმა ამა ქვეყნის სიბრძნე?
- ²¹რადგან, რაკი ქვეყნიერებამ სიბრძნის მეშვეობით ვერ შეიძნო ღმერთი მის ღვთაებრივ სიბრძნეში, გადაწყვიტა ღმერთმა ქადაგების უგუნურებით ეხსნა მორწმუნენი.
- ²²რადგან იუდეველნი სასწაულებს ითხოვენ და ბერძნები სიბრძნეს ეძებენ,
- ²³ხოლო ჩვენ ვქადაგებთ ჯვარცმულ ქრისტეს: იუდეველთათვის საცდურს და ბერძენთათვის – უგუნურებას.
- ²⁴მოწოდებულთათვის კი – იუდეველებისთვისაც და ბერძნებისთვისაც – ქრისტეს – ღმერთის ძალას და ღმერთის სიბრძნეს.
- ²⁵რადგან ღმერთის უგნურება ადამიანებზე უბრძენესია და ღმერთის უძლურება – ადამიანებზე უძლიერესი.
- ²⁶შეხედეთ, ძმებო, ვინ ხართ მოწოდებულნი: ბევრი არ არის ხორციელად ბრძენი, ბევრი არ არის ძლიერი და ბევრი არ არის წარჩინებული.
- ²⁷არამედ ქვეყნიერების უმეცარნი ამოარჩია ღმერთმა, რათა შეარცხვინოს ბრძენნი, და ქვეყნიერების უძლურნი ამოარჩია ღმერთმა, რათა შეარცხვინოს ძლიერნი.
- ²⁸ქვეყნიერების მდაბიონი ამოარჩია ღმერთმა და დამცირებულნი, და არარად შერაცხილნი, რათა გააუქმოს ღირებული,
- ²⁹რომ არც ერთი ხორციელი არ იქადდეს ღმერთის წინაშე.
- ³⁰მისგან ხართ თქვენ ქრისტე იესოში, რომელიც იქცა ჩვენთვის ღვთაებრივ სიბრძნედ, სიმართლედ, განწმედად და გამოსყიდვად.
- ³¹რათა იყოს, როგორც წერია: „ვინც იქადის, უფლით იქადდეს.“



1 კორინთელთა 2

- ¹და მეც მოვედი თქვენთან, ძმებო, ღმერთის მოწმობის საუწყებლად არა ამაღლებული სიტყვით ან სიბრძნით,
- ²რადგან გადავწყვიტე არაფერი მცოდნოდა თქვენს შორის, გარდა იესო ქრისტესი, და ისიც ჯვარცმულისა.
- ³და ვიყავი თქვენთან უძლურებაში, შიშსა და დიდ ძრწოლაში.
- ⁴და ჩემი სიტყვა და ჩემი ქადაგება დამარწმუნებელი ბრძნული სიტყვებით კი არ იყო, არამედ სულისა და ძალის გამოცხადებით.
- ⁵რათა თქვენი რწმენა დამყარებულიყო არა კაცთა სიბრძნეზე, არამედ ღმერთის ძალაზე.
- ⁶ხოლო სიბრძნეს ვაუწყებთ სულიერად მოწიფულთა შორის, მაგრამ არა ამ საუკუნის სიბრძნეს, და არც ამ საუკუნის მთავართა წარმავალ სიბრძნეს,
- ⁷არამედ ვაუწყებთ ღმერთის სიბრძნეს, საიდუმლოსა და დაფარულს, რომელიც წინასწარ განსაზღვრა ღმერთმა საუკუნეთა უწინარეს ჩვენი დიდებისათვის,
- ⁸რომელიც ამ საუკუნის მთავართაგან ვერავინ შეიცნო, რადგან რომ შეეცნოთ, ჯვარს არ აცვამდნენ დიდების უფალს.
- ⁹მაგრამ, როგორც წერია: „რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, კაცს გულში არ გაუვლია, ის მოუძადა ღმერთმა თავის მოყვარულთ.“
- ¹⁰ჩვენ კი გაგვიცხადა ეს ღმერთმა თავისი სულით. რადგან სული ჭკრეტს ყოველივეს, ღმერთის სიღრმეებსაც.
- ¹¹რადგან, ადამიანთაგან ვინ იცის, რა არის ადამიანში, გარდა ადამიანის სულისა, რომელიც მასშია? ასევე ღმერთისა არავინ არაფერი იცის, არამედ მხოლოდ თვით ღმერთის სულმა.
- ¹²ხოლო ჩვენ მივიღეთ არა ამ ქვეყნიერების სული, არამედ სული ღმერთისაგან, რათა შევიცნოთ ღმერთისაგან ჩვენთვის მონიჭებული.
- ¹³და ამას ვამბობთ არა ადამიანთა სიბრძნით ნასწავლი სიტყვებით, არამედ სულიწმიდისაგან ნასწავლით და სულიერს სულიერით განვმარტავთ.
- ¹⁴ხოლო მშვინვიერი ადამიანი არ იღებს იმას, რაც ღმერთის სულისაგან არის, რადგან უგუნურებად მიაჩნია და არც ძალუძს მისი შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი.
- ¹⁵ხოლო სულიერი გამოიძიებს ყოველივეს, თავად კი არავისგან გამოიძიება.



¹⁶„რადგან ვინ შეიცნო უფლის გონება, რომ ურჩიოს მას?“ ჩვენ კი ქრისტეს გონება გვაქვს.

1 კორინთელთა 3

¹ძმებო, მე ვერ გესაუბრობდით თქვენ როგორც სულიერებს, არამედ მხოლოდ როგორც ხორციელებს, როგორც ჩვილებს ქრისტეში.

²რძეს გასმევდით თქვენ და არა მყარ საჭმელს, რადგან მაშინ არ შეგეძლოთ მიღება და ახლაც არ შეგიძლიათ,

³იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ხორციელნი ხართ. რადგან თუ შური და დავაა თქვენს შორის, განა ხორციელნი არა ხართ და ადამიანისებურად არ იქცევით?

⁴რადგან, როცა ერთი ამბობს: „მე პავლესი ვარ,“ მეორე კი: „მე აპოლოსისა,“ განა ხორციელნი არა ხართ?

⁵ვინ არის აპოლოსი? ვინ არის პავლე? მხოლოდ მსახურნი, რომელთა მეშვეობითაც ირწმუნეთ, როგორც თითოეულ ჩვენგანს მისცა უფალმა.

⁶მე დავრგე, აპოლოსმა მორწყა, მაგრამ ღმერთმა გაზარდა.

⁷ამიტომ არც დამრგველია არაფერი, არც მომრწყველი, არამედ გამზრდელი ღმერთი.

⁸დამრგველი და მომრწყველი ერთი და იგივეა. საზღაურს კი თითოეული მიიღებს თავისი შრომისამებრ.

⁹რადგან ჩვენ ღმერთის თანამშრომელნი ვართ, თქვენ კი – ღმერთის ყანა და ღმერთის შენობა.

¹⁰მე, ღმერთის მიერ ჩემთვის ბოძებული მადლით, როგორც ბრძენმა ხუროთმოძღვარმა, საძირკველი დავდე, ხოლო სხვა აშენებს მასზე. მაგრამ თითოეულმა უყუროს, როგორ აშენებს.

¹¹რადგან არავის ძალუმს დადოს სხვა საძირკველი, გარდა იმისა, რაც დადებულია, რომელიც არის იესო ქრისტე.

¹²და ვინ როგორ აშენებს ამ საძირკველზე – ოქროთი, ვერცხლით, პატიოსანი ქვებით, ძელით, თუ თივით, –

¹³თითოეულის საქმე გამოჰლავნდება. დღე გამოაჩენს ამას, რადგან ის ცეცხლით გამოცხადდება და ცეცხლი გამოსცდის, თუ როგორი არის თითოეულის საქმე.

¹⁴ვისი დაშენებულიც გაძლებს, ის მიიღებს საზღაურს.



¹⁵ხოლო ვისი საქმეც დაიწვება, ის იზარალებს; თვითონ კი გადარჩება, მაგრამ ისე, როგორც ცეცხლიდან.

¹⁶არ იცით, რომ ღმერთის ტაძარი ხართ და ღმერთის სული ცხოვრობს თქვენში?

¹⁷თუ ვინმე დააზიანებს ღმერთის ტაძარს, ღმერთი დააზიანებს მას, რადგან წმიდაა ღმერთის ტაძარი და თქვენა ხართ ის.

¹⁸ნურავინ მოიტყუებს თავს. თუ ვინმეს თავისი თავი ბრძენი ჰგონია ამ საუკუნის სიბრძნით, უგუნური გახდეს, რათა ბრძენად იქცეს.

¹⁹რადგან ამა ქვეყნის სიბრძნე უგუნურებაა ღმერთის წინაშე, როგორც წერია: „იჭერს ბრძენკაცებს მათსავე ცბიერებაში.“

²⁰და კიდევ: „იცის უფალმა ბრძენთა ზრახვანი, რომ ამაოა ისინი.“

²¹ამიტომ ნურავინ დაიკვებნის ადამიანებით, რადგან ყოველივე თქვენია:

²²გინდ პავლე, გინდ აპოლოსი, გინდ კეფა, გინდ ქვეყნიერება, გინდ სიცოცხლე, გინდ სიკვდილი, გინდ აწმყო და გინდ მყოფადი – ყოველივე თქვენია.

²³თქვენ კი ქრისტესნი ხართ, ქრისტე კი ღმერთისაა.

1 კორინთელთა 4

¹ამრიგად, ადამიანებმა ჩვენ ქრისტეს მსახურებად და ღმერთის საიდუმლოთა მნეებად უნდა მიგვიჩნიონ.

²ხოლო მნეს კი უპირველეს ყოვლისა მოეთხოვება, რომ საიმედო იყოს.

³ხოლო ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, როგორ განმსჯით მე თქვენ, ან თუნდაც ადამიანთა სამსჯავრო. მე თვითონაც კი არ განვსჯი ჩემს თავს.

⁴რადგან, თუმცა არაფერი ვიცი ჩემს საწინააღმდეგოდ, მაგრამ ამით მაინც არ ვმართლდები. ჩემი განმსჯელი უფალია.

⁵ამიტომ ნუ განსჯით დროზე ადრე, ვიდრე მოვიდოდეს უფალი, რომელიც გაანათებს ბნელში დაფარულს და გამოაჩენს გულის ზრახვებს და მაშინ მიიღებს თითოეული შესაფერ ქებას ღმერთისგან.

⁶ეს ყველაფერი, ძმებო, ვთქვი მე ჩემს თავზე და აპოლოსზე თქვენთვის, რათა ისწავლოთ ჩვენგან, რომ არ გადახვიდეთ დაწერილს და არ გაამპარტავნდეთ ერთმანეთის მიმართ.

⁷რადგან, ვინ გამოგარჩევს? რა გაქვს, რაც არ მიგიღია? ხოლო თუ მიიღე, რას იქადი, თითქოს არ მიგეღოს?



⁸დიახ, უკვე გაძეხით, უკვე გამდიდრდით, გამეფდით ჩვენს გარეშე. ნეტა კი მართლა გამეფებულიყავით, რომ ჩვენც ვიმეფოთ თქვენთან ერთად.

⁹ვფიქრობ, რომ ჩვენ, მოციქულებს, ღმერთმა უკანასკნელი ადგილი მოგვიჩინა, როგორც სიკვდილმისჯილებს. რადგან სანახაობა გავხდით ქვეყნიერებისათვის, ანგელოზებისთვისა და ადამიანებისთვის.

¹⁰ჩვენ უგუნურნი ვართ ქრისტეს გულისათვის, თქვენ კი ბრძენნი ხართ ქრისტეში. ჩვენ უძლურნი ვართ, თქვენ კი – ძლიერნი. თქვენ განდიდებულნი, ჩვენ კი – ღირსებადაკარგულნი.

¹¹ჩვენ ამ ჟამამდე მშვიდნი და მწყურვალნი ვართ, შიშველნი და ნაგვემნი, მოხეტიალენი,

¹²ვშრომობთ ჩვენი ხელით. გვლანძღავენ – ვლოცავთ, გვდევენ – ვითმენთ,

¹³სახელს გვიტეხენ – ვეფერებით. გავხდით ქვეყნიერების განახვეტი, ყველაფრის ნაგავი ვართ დღემდე.

¹⁴თქვენდა შესარცხვენად კი არ ვწერ ამას, არამედ გარიგებთ, როგორც ჩემს საყვარელ შვილებს.

¹⁵რადგან თუნდაც 10 ათასი აღმზრდელი გყავდეთ ქრისტეში, მამები ბევრი არა გყავთ, რადგან მე გშობეთ თქვენ ქრისტე იესოში სახარებით.

¹⁶ამიტომ შეგაგონებთ თქვენ: „მომბაძეთ მე!“

¹⁷ამისათვის გამოვგზავნე თქვენთან ტიმოთე, ჩემი საყვარელი და ერთგული შვილი უფალში, და ის გაგახსენებთ თქვენ ჩემს გზებს ქრისტე იესოში, როგორ ვასწავლი ყველგან, ყოველ ეკლესიაში.

¹⁸ზოგს ჰგონია, რომ არ მოვალ თქვენთან და გაამპარტავნდნენ.

¹⁹მაგრამ მე მალე მოვალ თქვენთან, თუ უფალი ინებებს, და გამოვცდი ამპარტავანთა არა სიტყვებს, არამედ ძალას.

²⁰რადგან სიტყვაში კი არ არის ღმერთის სასუფეველი, არამედ ძალაში.

²¹რა გსურთ? არგნით მოვიდე თქვენთან თუ სიყვარულით და თავმდაბლობის სულით?

1 კორინთელთა 5

¹საყოველთაოდ გავრცელდა ხმა, რომ უზნეობაა თქვენს შორის, თანაც ისეთი უზნეობა, რომლის მსგავსი წარმართებშიც კი არ არის, რომ ვილაცას მამის ცოლი ჰყავს ცოლად.



²და თქვენ კიდევ ამპარტავნობთ, იმის ნაცვლად, რომ გლოვობდეთ და მოიკვეთოთ თქვენგან ასეთი საქმის ჩამდენი.

³მე, თუმცა სხეულით არა ვარ თქვენთან, მაგრამ სულით თქვენთან მყოფმა, უკვე დავდე მსჯავრი მას, ვინც ასეთი საქმე ჩაიდინა:

⁴ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სახელით, როდესაც შეიკრიბებით, ჩემი სულის თანდასწრებით, ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ძალით,

⁵გადაეცეს ასეთი კაცი სატანას ხორცის დასაღუპად, რათა სული გადარჩეს ჩვენი უფლის დღეს.

⁶არ შეგფერით სიქადული. განა არ იცით, რომ მცირეოდენი საფუარი მთელ ცომს აფუებს?

⁷განწმიდეთ ძველი საფუარი, რათა იყოთ ახალი ცომი, რამდენადაც უფუარნი ხართ. რადგან ჩვენი პასეჟი, ქრისტე, ჩვენს გამო შეეწირა.

⁸ამიტომ ვიდღესასწაულოთ არა ძველი საფუარით, არა ბოროტებისა და უკეთურების საფუარით, არამედ სიწმიდისა და ჭეშმარიტების უფუარი ხმიადით.

⁹წერილში გწერდით, რომ არ იქონიოთ ურთიერთობა უზნეო ხალხთან.

¹⁰არა მარტო ამა ქვეყნის გარყვნილებთან ან ხარბებთან, მტაცებლებთან ან კერპთაყვანისმცემლებთან, რადგან მაშინ თქვენ უნდა განშორებოდით ქვეყნიერებას.

¹¹არამედ გწერდით, რომ არ იქონიოთ კავშირი იმასთან, ვინც ძმად იწოდება, მაგრამ უზნეოა, ან ხარბი, ან კერპთაყვანისმცემელი, ან მაგინებელი, ან ლოთი, ან მტაცებელი. არც კი ჭამოთ ასეთთან ერთად.

¹²რადგან რატომ უნდა განვიკითხო მე გარეშეები? განა თქვენ შინაურები არ უნდა განიკითხოთ?

¹³გარეშეებს ღმერთი განიკითხავს. „განიშორეთ ბოროტი თქვენგან.“

1 კორინთელთა 6

¹როგორ ზედავს რომელიმე თქვენგანი, როდესაც თავისიანთან დავა აქვს, სამართლის ძიებას ურჯულოებთან და უწმიდურებთან?

²ნუთუ არ იცით, რომ წმიდები გაასამართლებენ ქვეყნიერებას? ხოლო თუ ქვეყნიერებას გაასამართლებთ, მცირე საქმეთა გასამართლების ღირსნი აღარა ხართ?



- ³განა არ იცით, რომ ანგელოზები იქნებიან ჩვენი განსაკითხი? მაშ მით უმეტეს, ცხოვრებისეული ვერ უნდა განვსაჯოთ?
- ⁴თქვენ კი, როცა ცხოვრებისეული საქმეები გაქვთ, თქვენს განმსჯელებად მათ აყენებთ, ვინც არაფრად არის მიჩნეული ეკლესიაში.
- ⁵თქვენდა სამარცხვინოდ ვამბობ ამას: ნუთუ თქვენში არ მოიპოვება ერთი ბრძენი, რომ შეეძლოს სამართალი დაამყაროს თავის ძმებს შორის?
- ⁶მაგრამ ძმა ძმას ედავება და თანაც ურწმუნოთა წინაშე!
- ⁷ისიც უკვე ძალიან სამარცხვინოა თქვენთვის, რომ ერთმანეთს ედავებით. რატომ არ არჩევთ, რომ ნაწყენი დარჩეთ? რატომ არ არჩევთ, რომ დაზარალებული დარჩეთ?
- ⁸ამის მაგივრად, უსამართლოდ იქცევით და ართმევთ, თანაც თქვენს ძმებს!
- ⁹ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სასუფეველს? ნუ მოიტყუებთ თავს: ვერც მეძავნი, ვერც კერპთაყვანისმცემელნი, ვერც მრუმნი, ვერც დადებლებულნი, ვერც მამათმავალნი,
- ¹⁰ვერც მპარავნი, ვერც ხარბნი, ვერც ლოთნი, ვერც მლანძღველნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სასუფეველს.
- ¹¹ასეთი იყო ზოგიერთი თქვენგანი. მაგრამ განიბანეთ, მაგრამ განიწმიდეთ, მაგრამ გამართლდით ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სახელით და ჩვენი ღმერთის სულით.
- ¹²ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია. ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ არაფერს დავემონები.
- ¹³საჭმელი მუცლისათვის და მუცელი საჭმლისათვის, მაგრამ ღმერთი განაქარვებს ერთსაც და მეორესაც. სხეული უზნეობისათვის კი არ არის, არამედ უფლისათვის, ხოლო უფალი – სხეულისათვის.
- ¹⁴ღმერთმა აღადგინა უფალი და ჩვენც აღგვადგენს თავისი ძალით.
- ¹⁵განა არ იცით, რომ თქვენი სხეულები ქრისტეს ასოებია? განა ქრისტეს ასოებს მეძავის ასოებად ვაქცევ? არამც და არამც!
- ¹⁶ანდა, განა არ იცით, რომ ვინც მეძავს უერთდება, ერთი სხეული ხდება მასთან ერთად? რადგან ნათქვამია: „ორივენი ერთხორცად იქნებიან.“
- ¹⁷ხოლო ვინც უფალს უერთდება, ერთ სულად იქნება უფალთან.



¹⁸განეშორეთ სიძვას. ყველა სხვა ცოდვა, რომელსაც ადამიანი ჩადის, სხეულის გარეშეა, ხოლო მეძავი კი საკუთარი სხეულის წინააღმდეგ სცოდავს.

¹⁹ანდა, განა არ იცით, რომ თქვენი სხეულები თქვენში დავანებული სულიწმიდის ტაძარია, რომელიც ღმერთისაგან გაქვთ, და რომ თქვენ თქვენს საკუთარ თავს არ ეკუთვნით?

²⁰რადგან ფასით ხართ გამოსყიდულნი. მაშ, ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით!

1 კორინთელთა 7

¹იმის თაობაზე კი, რაც თქვენ მომწერეთ: – „კაცისათვის კარგია, არ გაეყაროს ქალს.“

²მაგრამ სიძვის თავიდან ასაცილებლად ყოველ მამაკაცს ჰყავდეს თავისი ცოლი და ყოველ ქალს – თავისი ქმარი.

³ქმარმა ჯეროვანი პატივი მიაგოს ცოლს, აგრეთვე ცოლმაც – ქმარს.

⁴ცოლი არ ხელმწიფებს თავის სხეულზე, არამედ ქმარი. ასევე ქმარიც არ ხელმწიფებს თავის სხეულზე, არამედ ცოლი.

⁵ნუ გაშორდებით ერთმანეთს, გარდა შეთანხმებისა, დროებით, მარხვისა და ლოცვისათვის, და შემდეგ კვლავ ერთად იყავით, რათა არ გაცდუნოთ სატანამ თქვენი თავშეუკავებლობის გამო.

⁶ხოლო ამას ვამბობ რჩევად და არა ბრძანებით.

⁷რადგან მსურს, რომ ყოველი ადამიანი იყოს ისე, როგორც მე ვარ, მაგრამ ყველას თავისი ნიჭი აქვს ღმერთისაგან, ზოგს ასეთი და ზოგს ისეთი.

⁸ხოლო დაუქორწინებლებს და ქვრივებს ვეუბნები, რომ მათთვის კარგია ჩემსავით დარჩნენ.

⁹მაგრამ თუ თავს ვერ ფლობენ, დაე, იქორწინონ, რადგან უმჯობესია დაქორწინდნენ, ვიდრე აღიგზნებოდნენ.

¹⁰ხოლო დაქორწინებულებს ვამცნობ, – არა მე, არამედ უფალი – ცოლი არ გაეყაროს ქმარს.

¹¹ხოლო თუ გაეყრება, უქორწინოდ დარჩეს, ან კვლავ შეურიგდეს ქმარს. და ნურც ქმარი მიატოვებს თავის ცოლს.

¹²სხვებს კი ვეუბნები მე, და არა უფალი: თუ რომელიმე მძას ჰყავს ურწმუნო ცოლი და ის თანახმაა იცხოვროს მასთან, ნუ მიატოვებს მას.



¹³და ქალი, რომელსაც ურწმუნო ქმარი ჰყავს, და კაცს სურს მასთან ცხოვრება, ნუ მიატოვებს ქმარს.

¹⁴რადგან ურწმუნო ქმარი განიწმიდება ცოლით და ურწმუნო ცოლი განიწმიდება ქმრით. ასე რომ არ იყოს, თქვენი შვილები უწმიდურები იქნებოდნენ, ახლა კი წმიდები არიან.

¹⁵მაგრამ თუ ურწმუნოს სურს გაყრა, გაეყაროს. ასეთ შემთხვევაში ძმა ან და თავისუფალნი არიან, რადგან მშვიდობისაკენ მოგიწოდათ ღმერთმა.

¹⁶რადგან, რა იცი შენ, ცოლო, იქნებ იხსნა ქმარი? ანდა რა იცი შენ, ქმარო, იქნებ იხსნა ცოლი?

¹⁷თითოეული ისე მოიქცეს, როგორც ღმერთმა უწილხვედრა და თითოეული – როგორც უფალმა მოუწოდა. და ასე ვუწესებ მე ყოველ ეკლესიას.

¹⁸თუ რომელიმე მოწოდებული წინადაცვეთილია, ნუ დამალავს. ხოლო თუ რომელიმე მოწოდებული წინადაუცვეთელია, ნუ წინადაიცვეთს.

¹⁹არაფერია წინადაცვეთა და არაფერია წინადაუცვეთელობა, არამედ მთავარია ღმერთის მცნებათა დაცვა.

²⁰დაე, თითოეული დარჩეს იმ წოდებაში, რომელშიც მოწოდებული იქნა.

²¹თუ მოწოდებული ხარ, როგორც მონა, ნუ ითაკილებ. მაგრამ თუ შეგიძლია გათავისუფლება, უმჯობესია, ისარგებლო.

²²რადგან უფალში მოწოდებული მონა უფლის თავისუფალია. ასევე, მოწოდებული თავისუფალი ქრისტეს მონაა.

²³ფასით ხარტ გამოსყიდულნი, ნუ გახდებით ადამიანთა მონები.

²⁴ძმებო, თითოეული იმ წოდებით დარჩეს ღმერთის წინაშე, რომელშიც მოწოდებული იყო.

²⁵დაუქორწინებელთა თაობაზე არა მაქვს ბრძანება უფლისაგან. მხოლოდ ჩემს რჩევას გაუწყებთ, რადგან შემიწყალა უფალმა, რომ მისი რწმუნებული ვიყო.

²⁶მე ვფიქრობ, რომ ახლანდელ გასაჭირში ადამიანისათვის უმჯობესია დარჩეს, როგორც არის.

²⁷თუ შეერთებული ხარ ცოლთან, გაყრას ნუ ეძებ. ხოლო თუ უცოლო ხარ, ცოლს ნუ ეძებ.



²⁸ცოლიც რომ შეირთო, არ შესცოდავ. და თუ ქალწული გათხოვდება, არ შესცოდავს. მაგრამ ასეთებს ხორციელი გასაჭირი ექნებათ, და მე არ მემეტებით ამისთვის.

²⁹ხოლო ამას გეტყვით, ძმებო: ჟამი იწურება, ამიტომ ამიერიდან ცოლიანები იყვნენ, როგორც უცოლონი;

³⁰მტირალნი, როგორც არა მტირალნი; მოხარულნი, როგორც არა მოხარულნი; მქონენი, როგორც არამქონენი;

³¹ქვეყნიერებით მოსარგებლენი, როგორც არა მოსარგებლენი. რადგან წარმავალია ქვეყნიერების სახე.

³²მე კი მსურს, რომ უზრუნველად იყოთ. უცოლო უფლისაზე ზრუნავს, როგორ აამოს უფალს;

³³ხოლო ცოლიანი ქვეყნიურ საქმეებზე ზრუნავს, როგორ აამოს ცოლს.

³⁴არის განსხვავება ქმრიანსა და ქალწულს შორის: ქალი, უქმრო და ქალწული, ზრუნავს უფლისაზე, რათა სხეულითაც წმიდა იყოს და სულითაც. ქმრიანი კი ამქვეყნიურ საქმეებზე ზრუნავს, როგორ აამოს ქმარს.

³⁵ამას გეუბნებით თქვენდა სასარგებლოდ, არა იმისათვის, რომ შეგზღუდოთ, არამედ რათა ღირსეულად და წრფელად ემსახუროთ უფალს, დაბრკოლების გარეშე.

³⁶მაგრამ თუ ვინმეს შეუფერებლად მიაჩნია, რომ მისი დანიშნული ქალწული სიყმაწვილის ასაკს გადასცდეს, როგორც ენებოს, ისე მოიქცეს, არ შესცოდავს. დაე, დაქორწინდნენ.

³⁷ხოლო ვინც თავისი გულით მტკიცედ დგას და იძულებული არ არის, არამედ აქვს ხელმწიფება თავის ნებაზე და გადაწყვიტა თავის გულში თავისი ქალწულობის დაცვა, კარგად იქცევა.

³⁸ამიტომ, ვინც გაათხოვებს თავის ქალწულს, კარგად იქცევა, და ვინც არ გაათხოვებს, უკეთესად იქცევა.

³⁹ცოლი რჯულით შეკრულია, სანამ ცოცხალია მისი ქმარი. ხოლო თუ ქმარი მოკვდება, თავისუფალია გაჰყვეს, ვისაც სურს, ოღონდ უფალში.

⁴⁰მაგრამ უფრო ნეტარია, თუ ასე დარჩება, ასეთია ჩემი რჩევა. და ვფიქრობ, რომ მეც მაქვს ღმერთის სული.

1 კორინთელთა 8



¹შეწირული საკლავის შესახებ ყველამ ვიცით, რადგან ყველას გვაქვს ცოდნა. მაგრამ ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს.

²ვისაც ჰგონია, რომ რაიმე იცის, მან ჯერაც არაფერი იცის ისე, როგორც უნდა იცოდეს.

³ვისაც ღმერთი უყვარს, იგი შეცნობილია მისგან.

⁴ამგვარად, შეწირული საკლავის ჭამაზე ვიცით, რომ კერპი არაფერია ქვეყანაზე და არ არსებობს ღმერთი, გარდა ერთისა.

⁵და თუნდაც კიდევ იყოს ეგრეთწოდებული „ღმერთები“ ცაში, ან დედამიწაზე, და თუნდაც იყოს მრავალი ღმერთი და მრავალი უფალი,

⁶ჩვენ გვყავს ერთი მამა ღმერთი, რომლისგანაც არის ყველაფერი და ჩვენ მისთვის ვართ, და ერთი უფალი იესო ქრისტე, რომლის მიერ არის ყველაფერი და ჩვენც მის მიერ ვართ.

⁷თუმცა ყველას როდი აქვს ცოდნა. ზოგიერთები ჩვეულების მიხედვით აქამდე ჭამენ საკლავს, როგორც კერპისთვის შეწირულს და ამრიგად, მათი უძლური სინდისი იბღალბება.

⁸საჭმელი არაფერს არ ცვლის ღმერთთან ჩვენს მიმართებაში, რადგან, თუ ვჭამთ, არაფერი გვემატება, და თუ არ ვჭამთ, არაფერი გვაკლდება.

⁹მაგრამ გაფრთხილდით, რომ თქვენი თავისუფლება დაბრკოლება არ გახდეს უძლურთათვის.

¹⁰რადგან, თუ ვინმე დაგინახავს შენ, რომელსაც ცოდნა გაქვს, კერპის ტაძარში მჯდომს, განა მისი უძლური სინდისი არ განაწყობს მას კერპშეწირულის ჭამისთვის?

¹¹და დაილუპება შენი ცოდნის გამო შენი უძლური ძმა, რომლისთვისაც მოკვდა ქრისტე.

¹²ამრიგად, როდესაც შესცოდავთ ძმების მიმართ და დააზარალებთ მათ უძლურ სინდისს, ქრისტეს მიმართ შესცოდავთ.

¹³ამიტომ თუ საჭმელი აცდუნებს ჩემს ძმას, არასოდეს არ შევჭამ ხორცს, რათა არ დავაბრკოლო ჩემი ძმა.

1 კორინთელთა 9

¹განა მე თავისუფალი არა ვარ? განა მოციქული არა ვარ? განა არ ვიხილე უფალი ჩვენი, იესო? განა თქვენ ჩემი ნალვაწი არა ხართ უფალში?



- ²თუ სხვებისათვის არა ვარ მოციქული, თქვენთვის ხომ მაინც ვარ, რადგან თქვენ ხართ ჩემი მოციქულობის ბეჭედი უფალში.
- ³აი, რა პასუხს გავცემ ჩემს მკიცხველებს:
- ⁴განა ჩვენ არა გვაქვს ჭამა-სმის უფლება?
- ⁵განა არა გვაქვს უფლება, დავიმგზავროთ მორწმუნე ცოლი, როგორც დანარჩენმა მოციქულებმა, უფლის ძმებმა და კეფამ?
- ⁶თუ მარტო მე და ბარნაბას არა გვაქვს უფლება, რომ არ ვიმუშაოთ?
- ⁷რომელ ჯარისკაცს უმსახურია ოდესმე საკუთარ ხარჯზე? ვინ რგავს ვაზს და მისი ნაყოფისაგან არა ჭამს? ვინ მწყესავს ფარას და ფარის რძეს პირს არ აკარებს?
- ⁸მხოლოდ ადამიანურად ვამბობ ამას, თუ რჯულიც ამასვე ამბობს?
- ⁹რადგან მოსეს რჯულში წერია: „პირს ნუ აუკრავ ხარს ლეწვისას.“ განა ხარებზე ზრუნავს ღმერთი?
- ¹⁰თუ ამას უფრო ჩვენთვის ამბობს? დიახაც, ჩვენთვის არის ეს დაწერილი, რომ მხვნელმა მოსავლის იმედით უნდა ხნას, მღეწავმა კი – წილის იმედით.
- ¹¹თუ სულიერი დავთესეთ თქვენთან, დიდი ამბავია, რომ ხორციელი მოვიმკათ?
- ¹²თუ სხვებს აქვთ ხელმწიფება თქვენზე, განა ჩვენ უფრო მეტად არა გვაქვს? მაგრამ ჩვენ არ გამოგვიყენებია ეს ხელმწიფება, არამედ ყოველგვარ ტანჯვას ვიტანთ, რომ რაიმე დაბრკოლება არ შეექმნას ქრისტეს სახარებას.
- ¹³არ იცით, რომ წმიდათა მსახურნი ტაძრისაგან იკვებებიან? ხოლო სამსხვერპლოს მსახურნი მსხვერპლიდან იღებენ წილს?
- ¹⁴ასევე უფალმა დაუწესა სახარების მქადაგებლებს სახარებისგან ცხოვრება.
- ¹⁵ხოლო მე არც აქედან გამომიყენებია არაფერი. და ესეც იმიტომ კი არ დავწერე, რომ ასე ყოფილიყო ჩემთვის. რადგან სიკვდილი მიჯობს, ვიდრე ვინმემ გააბათილოს ჩემი სიქადული.
- ¹⁶რადგან თუ ვახარებ, არაფერი მაქვს სასიქადულო, რადგან ეს ჩემი აუცილებელი მოვალეობაა, და ვაი მე, თუ არ ვახარებ.
- ¹⁷რადგან თუ საკუთარი ნებით ვაკეთებ ამას, საზღაური მექნება, ხოლო თუ ჩემი ნების გარეშე, მხოლოდ მნეობა მქონია მონდობილი.
- ¹⁸მაშ, რა არის ჩემი საზღაური? ის, რომ როცა ვახარებ, უსასყიდლოდ ვქადაგებ ქრისტეს სახარებას და არ ვიყენებ ჩემს ხელმწიფებას ხარებაში.



¹⁹რადგან, ყველასაგან თავისუფალი ყველას დავემონე, რათა უფრო მეტი შემეძინა.

²⁰იუდეველთათვის გავხდი, როგორც იუდეველი, რათა იუდეველები შემეძინა. რჯულის ქვეშ მყოფთათვის – როგორც რჯულის ქვეშ მყოფი, თუმცა მე თვითონ რჯულის ქვეშ არა ვარ, რათა რჯულის ქვეშ მყოფნი შემეძინა.

²¹ურჯულოთათვის გავხდი როგორც ურჯულო, თუმცა ღმერთის წინაშე არა ვარ ურჯულო, არამედ ქრისტეს რჯულის ქვეშ მყოფი, რათა ურჯულოები შემეძინა.

²²უძლურთათვის გავხდი უძლურივით, რათა უძლურნი შემეძინა. ყველასთვის ყველაფერი გავხდი, რათა ზოგიერთები მაინც მესხნა როგორმე.

²³და ყოველივე ამას ვაკეთებ სახარებისათვის, რათა მეც გავხდე მისი თანამონაწილე.

²⁴არ იცით, რომ ასპარეზზე მორბენალნი ყველანი გარბიან, მაგრამ მხოლოდ ერთი იღებს ჯილდოს? მაშ, ირბინეთ ისე, რომ მოიპოვოთ ჯილდო.

²⁵ყველა, ვინც იღწვის, თავს იკავებს ყველაფრისაგან. ისინი – ხრწნადი გვირგვინის მისაღებად, ჩვენ კი – უხრწნადის მოსაპოვებლად.

²⁶ამიტომ მე უმიზნოდ კი არ მივრბივარ, ისე კი არ ვიბრძვი, თითქოს ჰაერს ვებრძოდე,

²⁷არამედ ვთრგუნავ და ვიმონებ ჩემს სხეულს, რათა სხვებისთვის მქადაგებელი, თვითონ არ აღმოვჩნდე უღირსი.

1 კორინთელთა 10

¹არ მინდა, ძმებო, უცოდინარნი დარჩეთ იმის შესახებ, რომ ჩვენი მამები ყველანი იყვნენ ღრუბლის ქვეშ და ყველამ გაიარა ზღვაში.

²და ყველანი მოინათლნენ მოსეს მიერ ღრუბელსა და ზღვაში.

³და ყველანი ჭამდნენ სულიერ საჭმელს,

⁴და ყველანი სვამდნენ ერთ სულიერ სასმელს, რადგან სვამდნენ სულიერი კლდიდან, რომელიც თან დაჰყვებოდა მათ. ეს კლდე კი იყო ქრისტე.

⁵მაგრამ მათგან უმრავლესობა როდი იყო სათნო ღმერთისთვის, რადგან ისინი უდაბნოში დაეცნენ.



⁶ეს კი ჩვენთვის მაგალითია, რათა არ ვილტვოდეთ ბოროტისაკენ, როგორც ისინი ილტვოდნენ.

⁷ნუ იქნებით კერპთაყვანისმცემლები, როგორც ზოგიერთი მათგანი, როგორც წერია: „დასხდა ხალხი საჭმელად და სასმელად, და წამოდგნენ საღალღობოდ.“

⁸ნურც ვიმრუშებთ, როგორც ზოგიერთმა მათგანმა იმრუშა, და ერთ დღეს 23 ათასი კაცი დაეცა.

⁹ნურც გამოვცდით უფალს, როგორც ზოგიერთებმა გამოსცადეს და გველებისაგან დაილუპნენ.

¹⁰არც იდრტვინოთ, როგორც ზოგიერთები დრტვინავდნენ და დაილუპნენ შემმუსვრელისაგან.

¹¹ყოველივე ეს მათ დაემართათ სამაგალითოდ და აღწერილია ჩვენს დასარიგებლად, ვინც საუკუნეთა აღსასრულს მივაღწიეთ.

¹²ამიტომ, ვინც ფიქრობს, რომ დგას, უყუროს, რომ არ წაიქცეს.

¹³არ შეგმთხვევიათ ჯერ სხვა განსაცდელი, გარდა ადამიანურისა: ხოლო სარწმუნოა ღმერთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობაზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელში მოგცემთ გამოსავალს, რომ შესძლოთ ატანა.

¹⁴ამიტომ, ჩემო საყვარელნო, განერიდეთ კერპთაყვანისმცემლობას.

¹⁵გელაპარაკებით, როგორც გონიერებს; თავად განსაჯეთ, რასაც ვამბობ.

¹⁶განა კურთხევის სასმისი, რომელსაც ჩვენ ვაკურთხებთ, ქრისტეს სისხლის თანაზიარება არ არის? განა პური, რომელსაც ჩვენ ვტეხთ, ქრისტეს სხეულის თანაზიარება არ არის?

¹⁷რადგან პური ერთია, ჩვენ მრავალნი კი – ერთი სხეული. რადგან ჩვენ ყველა ერთი პურიდან ვეზიარებით.

¹⁸შეხედეთ ისრაელს ხორცის მიხედვით: ვინც მსხვერპლიდან ჭამს, განა სამსხვერპლოს ზიარი არ არის?

¹⁹მაშ, რას ვამბობ? განა იმას, რომ რაიმეა კერპი, ან იმას, რომ რაიმეს ნიშნავს კერპშესაწირი?

²⁰არამედ, რასაც ისინი სწირავენ, ეშმაკს სწირავენ და არა ღმერთს. მე კი არ მინდა, რომ ეშმაკთა თანაზიარნი იყოთ.

²¹ვერ შეძლებთ შესვათ უფლის სასმისიც და ეშმაკის სასმისიც. ვერ ეზიარებით უფლის ტრაპეზსაც და ეშმაკის ტრაპეზსაც.



²²ნუთუ გავბედავთ უფლის განრისხებას? თუ მასზე ძლიერები ვართ?

²³ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია. ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი როდი არის აღმშენებელი.

²⁴ნურავინ ეძებს თავის სარგებელს, არამედ ეძიოს სხვისი.

²⁵ყველაფერი, რაც ბაზარში იყიდება, ჭამეთ და ნურაფერს გამოიძიებთ სინდისის გამო.

²⁶რადგან „უფლისაა დედამიწა და მთელი მისი სავსება.“

²⁷თუ მიგიწვევთ ვინმე ურწმუნოთაგან და მოისურვებთ მასთან წასვლას, ჭამეთ ყველაფერი, რასაც წინ დაგიდებენ და ნურაფერს გამოიძიებთ სინდისის გამო.

²⁸ხოლო თუ ვინმე გეტყვით: ეს კერპის შესაწირავიაო, ნუ შეჭამთ მთქმელის გამო და სინდისის გამო.

²⁹სინდისს ვამბობ არა შენსას, არამედ სხვისას, რადგან რატომ უნდა განიკითხოვ ჩემი თავისუფლება სხვისმა სინდისმა?

³⁰ხოლო თუ მადლიერებით ვჭამ, რაღად შევიბღალო იმის გამო, რისთვისაც მადლიერი ვარ?

³¹ამიტომ ჭამთ, სვამთ თუ სხვა რამეს აკეთებთ, ყველაფერი ღმერთის სადიდებლად აკეთეთ.

³²ნუ დააბრკოლებთ ნურც იუდეველებს, ნურც ბერძნებს და ნურც ღმერთის ეკლესიას.

³³ისევე, როგორც მე ვცდილობ ვაამო ყველას ყველაფერში და სარგებლობას ვეძებ არა ჩემთვის, არამედ მრავალთათვის, რათა გადარჩნენ.

1 კორინთელთა 11

¹იყავით ჩემი მომზადებელნი, როგორც მე – ქრისტესი.

²გაქებთ თქვენ, ძმებო, იმისათვის, რომ გახსოვთ ყველაფერი რაც გასწავლეთ და ინახავთ იმ მოძღვრებას, რომელიც გადმოგეცით.

³ასევე მინდა იცოდეთ, რომ ყოველი მამაკაცის თავი ქრისტეა, ცოლის თავი – ქმარი და ქრისტეს თავი – ღმერთი.

⁴ყოველი მამაკაცი, რომელიც თავდაფარული ლოცულობს ან წინასწარმეტყველებს, არცხვენს თავის თავს.



- ⁵და ყოველი ქალი, რომელიც თავდაუფარავი ღოცულობს ან წინასწარმეტყველებს, არცხვენს თავის თავს, რადგან ეს იგივეა, რომ თავგადაპარსული იყოს.
- ⁶რადგან, თუ ქალი თავს არ დაიფარავს, გადაიპარსოს. ხოლო თუ ქალს სცხვენია, იყოს გაკრეჭილი ან გადაპარსული, თავდაფარული იყოს.
- ⁷ამგვარად, მამაკაცმა მართლაც არ უნდა დაიფაროს თავი, რადგან ის ღმერთის ხატება და დიდებაა. ცოლი კი ქმრის დიდებაა.
- ⁸რადგან მამაკაცი კი არ არის ქალისაგან, არამედ ქალი – მამაკაცისაგან.
- ⁹ასევე მამაკაცი კი არ შექმნილა ქალისთვის, არამედ ქალი – მამაკაცისთვის.
- ¹⁰ამიტომ ქალი ვალდებულია, ჰქონდეს თავზე ძალაუფლების ნიშანი ანგელოზებისათვის.
- ¹¹თუმცა არც ქმარია ცოლის გარეშე და არც ცოლია ქმრის გარეშე უფალში.
- ¹²რადგან, ისევე, როგორც ქალი მამაკაცისაგან არის, მამაკაციც ქალის მეოხებით არის. ხოლო ყოველივე ღმერთისგანაა.
- ¹³თქვენ თვითონ განსაჯეთ, შეშვენის ქალს ღმერთის წინაშე თავდაუფარავად ღოცვა?
- ¹⁴განა თვით ბუნებაც არ გასწავლით, რომ მამაკაცისთვის გრძელი თმა სამარცხვინოა?
- ¹⁵ქალის გრძელი თმა კი დიდებაა მისთვის. გრძელი თმა მას საბურველის ნაცვლად აქვს მიცემული.
- ¹⁶ხოლო თუ ვინმე განიზრახავს იდავოს, იცოდეს, რომ ჩვენ არა გვაქვს ასეთი ჩვეულება, და არც ღმერთის ეკლესიებს.
- ¹⁷ისიც უნდა გითხრათ, რომ ვერ შეგაქებთ თქვენი შეკრებებისათვის, რადგან ისინი კი არ უმჯობესდება, არამედ უარესდება.
- ¹⁸რადგან, ჯერ ერთი, გავიგე, რომ როცა ეკლესიაში იკრიბებით, არსებობს განხეთქილებები თქვენს შორის, რაც ნაწილობრივ მჯერა კიდევ.
- ¹⁹რადგან აზრთა სხვაობაც უნდა იყოს თქვენში, რათა გამოჩნდნენ თქვენს შორის გამოცდილნი.
- ²⁰როდესაც იკრიბებით ერთად, უფლის სერობას კი არ იღებთ,
- ²¹რადგან ზოგი წინასწარ ჭამს თავის საკუთარ საჭმელს და ზოგი მშვიერი რჩება და ზოგი კი თვრება.



²²განა სახლები არა გაქვთ, რომ იქ ჭამოთ და სვათ? თუ უგულბებელყოფთ ღმერთის ეკლესიას და არცხვენთ უქონელთ? რა გითხრათ? შეგაქოთ? ამისათვის ვერ შეგაქებთ.

²³რადგან მე მივიღე უფლისაგან, რაც თქვენც გადმოგეცით: რომ უფალმა იესომ გაცემის ღამეს აიღო პური,

²⁴მადლი შესწირა, გატეხა და თქვა: „მიიღეთ, ჭამეთ, ეს არის ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი. ეს აკეთეთ ჩემს მოსაგონებლად.“

²⁵ასევე ასწია სასმისიც სერობის შემდეგ და თქვა: „ეს სასმისი არის ახალი აღთქმა ჩემს სისხლში. აკეთეთ ეს ჩემს მოსაგონებლად, რამდენჯერაც შესვამთ.“

²⁶რადგან, ყოველთვის, როცა ამ პურს ჭამთ და ამ სასმისს სვამთ, უფლის სიკვდილს აუწყებთ, ვიდრე ის მოვიდოდეს.

²⁷ამგვარად, ვინც უღირსად შეჭამს ამ პურს ან დალევს უფლის სასმისს, დამნაშავე იქნება უფლის სხეულისა და სისხლის წინაშე.

²⁸ადამიანმა ჯერ თავი გამოსცადოს და ასე ჭამოს ამ პურიდან და შესვას ამ სასმისიდან.

²⁹რადგან, ვინც უღირსად ჭამს და სვამს, თავისი თავის დასასჯელად ჭამს და სვამს, რაკი ვერ სცნობს უფლის სხეულს.

³⁰ამის გამო თქვენს შორის ბევრია უძლური და ავადმყოფი, და ბევრიც კვდება.

³¹ხოლო ჩვენ თვითონვე რომ განგვესაჯა ჩვენი თავი, აღარ ვიქნებოდით განსჯილნი.

³²ხოლო განსჯილნი კი ვიწვრთნებით უფლის მიერ, რათა ქვეყნიერებასთან ერთად არ ვიქნეთ მსჯავრდადებულნი.

³³ამიტომ, ჩემო ძმებო, როდესაც იკრიბებით სერობისათვის, ერთიმეორეს დაელოდეთ.

³⁴და თუ ვინმეს შიოდეს, თავის სახლში ჭამოს, რათა მსჯავრის დასადებად არ შეიკრიბოთ. დანარჩენს, როცა მოვალ, მაშინ მოვაწესრიგებ.

1 კორინთელთა 12

¹ახლა კი მსურს, ძმებო, რომ სულიერ ნიჭთა შესახებ გაუწყოთ, რადგან არ მინდა, უცოდინარნი დარჩეთ.



- ²თქვენ უწყით, რომ როდესაც წარმართები იყავით, მიდიოდით უტყვ კერპებთან, თითქოს ვიღაც გეწეოდათ.
- ³ამიტომ გაუწყებთ, რომ ვერც ერთი, ღმერთის სულით მეტყველი, ვერ იტყვის: „ანათემა იესოს!“ და ვერავინ იტყვის: „უფალია იესო!“ – თუ არა სულიწმიდით.
- ⁴სხვადასხვაგვარია ნიჭი, მაგრამ სული ერთია.
- ⁵მსახურებანიც სხვადასხვაგვარია, უფალი კი ერთია.
- ⁶მოქმედებანიც სხვადასხვაგვარია, ხოლო ღმერთი ერთია, რომელიც ამოქმედებს ყველაფერს ყველაში.
- ⁷თითოეულს ეძლევა სულის გამოვლინება სასიკეთოდ.
- ⁸რადგან ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა, მეორეს – ცოდნის სიტყვა, იმავე სულით.
- ⁹ზოგს რწმენა – იმავე სულით და ზოგს – კურნებათა ნიჭი იმავე სულით.
- ¹⁰ზოგს – ძალთა მოქმედება, ზოგს – წინასწარმეტყველება, ზოგს – სულების გარჩევა, ზოგს – სხვადასხვა ენები, ზოგს – ენების განმარტება.
- ¹¹ხოლო ყოველივე ამაში ერთი და იგივე სული მოქმედებს, რომელიც თითოეულს საკუთრივ უნაწილებს, თავისი ნების მიხედვით.
- ¹²რადგან, როგორც სხეული ერთია, მაგრამ მრავალი ასო აქვს, და სხეულის ყველა ასო, თუმცა ბევრია, ერთ სხეულს ქმნის, ასევეა ქრისტეც.
- ¹³და რადგან ყველანი ერთი სულით მოვინათლეთ ერთ სხეულად – იუდეველები თუ ბერძნები, მონები თუ თავისუფლები, და ყველამ ერთი სული შევსვით.
- ¹⁴სხეულიც ერთი ასოსაგან კი არ შედგება, არამედ ბევრისაგან.
- ¹⁵ფეხმა რომ თქვას: „მე ხელი არ ვარ, ამიტომ სხეულს არ ვეკუთვნი“, განა ამიტომ არ ეკუთვნის სხეულს?
- ¹⁶ანდა ყურმა რომ თქვას: „მე თვალი არ ვარ, ამიტომ სხეულს არ ვეკუთვნი“, განა ამიტომ არ ეკუთვნის სხეულს?
- ¹⁷მთელი სხეული თვალი რომ იყოს, სადღა იქნება სმენა? ყველაფერი სმენა რომ იყოს, სადღა იქნება ყნოსვა?
- ¹⁸და, აჰა, ღმერთმა განალაგა ასოები სხეულში – თითოეული მათგანი, როგორც ინება.
- ¹⁹და ყველა რომ ერთი ასო იყოს, სადღა იქნებოდა სხეული?



²⁰ აჰა, ასოები ბევრია, სხეული კი ერთი.

²¹ თვალი ვერ ეტყვის ხელს: „არ მჭირდება.“ ვერც თავი ეტყვის ფეხებს: „არ მჭირდება.“

²² არამედ, სხეულის ის ასოები, რომლებიც ყველაზე უძლურნი ჩანან, უფრო მეტად საჭირონი არიან,

²³ ხოლო რომლებიც ნაკლებ საპატიოდ გვეჩვენება სხეულში, მათ განსაკუთრებული პატივით ვეპყრობით, და რაც უმნოა ჩვენში, მას უფრო მეტად ვამკობთ.

²⁴ ჩვენს მშვენიერ ასოებს არ სჭირდებათ პატივი. მაგრამ ღმერთმა ისე შეაზავა სხეული, რომ უფრო უხვი პატივი არგუნა იმას, რომელსაც ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

²⁵ რათა არ იყოს განხეთქილება სხეულში, არამედ ყოველი ასო ერთნაირად ზრუნავდეს სხვაზე.

²⁶ და თუ ერთი ასო იტანჯება, მასთან ერთად ყველა ასო იტანჯება, ხოლო თუ ერთი ასო დიდებას მოიხვეჭს, მასთან ერთად ყველა ასო ხარობს.

²⁷ თქვენ კი ქრისტეს სხეული ხართ, ხოლო ცალ-ცალკე – მისი ასოები.

²⁸ ღმერთმა ეკლესიაში დაადგინა პირველად მოციქულები, მეორედ მქადაგებელნი, მესამედ მოძღვარნი, შემდეგ კურნებათა ნიჭების მქონენი, შემწენი, მმართველნი, სხვადასხვა ენებით მოლაპარაკენი.

²⁹ ყველა მოციქულია? ყველა მქადაგებელია? ყველა მოძღვარია? ყველას სასწაულთმოქმედება აქვს?

³⁰ ყველას აქვს კურნებათა ნიჭი? ყველანი ლაპარაკობენ ენებით? ყველანი განმარტავენ?

³¹ ესწრაფეთ უმაღლეს ნიჭებს და მე გაჩვენებთ ყველაზე აღმატებულ გზას.

1 კორინთელთა 13

¹ თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა ენებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არა მაქვს, მაშინ მოჟღარუნე სპილენძი ვარ, ან ჩხარუნა წინწილა.

² წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, თუ სიყვარული არა მაქვს, არარაობა ვარ.

³ მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავწირო, სიყვარული თუ არ მექნება, არაფერს მარგებს.



- ⁴სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, სიყვარულს არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს,
- ⁵არ უხეშობს, თავისას არ ეძიებს, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს,
- ⁶არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს.
- ⁷ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის სასოება აქვს და ყოველივეს ითმენს.
- ⁸სიყვარული არასოდეს მთავრდება. წინასწარმეტყველებანი გაუქმდება, ენები შეწყდება, ცოდნა განქარდება,
- ⁹რადგან ნაწილობრივ ვიცით, და ნაწილობრივ ვწინასწარმეტყველებთ.
- ¹⁰ხოლო როდესაც სრულყოფილება მოვა, ნაწილობრივი განქარდება.
- ¹¹როდესაც ბავშვი ვიყავი, ბავშვურად ვლაპარაკობდი, ბავშვურად ვფიქრობდი, ბავშვურად ვმსჯელობდი, ხოლო როდესაც დავკაცდი, ყოველივე ბავშვური მივატოვე.
- ¹²რადგან ახლა ჩვენ ვხედავთ სარკეში, ბუნდოვნად, მაშინ კი პირისპირ ვიხილავთ. ახლა ვიცი მცირეოდენი, ხოლო მაშინ შევიცნობ ისე, როგორც მე ვარ შეცნობილი.
- ¹³ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული – ეს სამი. სიყვარულია კი უდიდესია მათგან.

1 კორინთელთა 14

- ¹ესწრაფეთ სიყვარულს და ეშურეთ სულიერ ნიჭებს, ყველაზე მეტად კი წინასწარმეტყველებას.
- ²რადგან, ენით მოლაპარაკე ადამიანებს კი არ ელაპარაკება, არამედ ღმერთს, რადგან არავის ესმის მისი. სულით ლაპარაკობს ის საიდუმლოებებს.
- ³ხოლო ვინც წინასწარმეტყველებს, ის ადამიანებს ელაპარაკება აღსაშენებლად, სანუგეშებლად და გასამხნეებლად.
- ⁴ენით მოლაპარაკე თავის თავს აშენებს, ხოლო ვინც წინასწარმეტყველებს, ეკლესიას აშენებს.
- ⁵მსურს, რომ თქვენ ყველანი ლაპარაკობდეთ ენებით. კიდევ უფრო მეტად მსურს, რომ წინასწარმეტყველებდეთ, რადგან, ის, ვინც წინასწარმეტყველებს, ენებით მოლაპარაკეზე მეტია, თუ განმარტავს კიდევ, რათა ეკლესია აღშენდეს.



⁶რადგან, ძმებო, რა სარგებლობას მოგიტანთ, თუ მოვალ თქვენთან და ვილაპარაკებ ენებით, და არ გაუწყებთ ან გამოცხადებით, ან ცოდნით, ან წინასწარმეტყველებით, ან მოძღვრებით?

⁷ასევეა უსულო საგნებიც, რომლებიც ხმას გამოსცემენ – სალამური ან ქნარი, თუ ისინი ხმებში განსხვავებებს არ იძლევიან, როგორ შეიცნობა, რას უკრავენ სალამურზე ან ქნარზე?

⁸თუ საყვირი გაურკვეველ ხმას გამოსცემს, ვინ გაემზადება საბრძოლველად?

⁹ასევე თქვენც, – თუ ენით გაურკვეველ სიტყვას წარმოთქვამთ, როგორ გაიგება ნათქვამი? ჰაერში ილაპარაკებთ.

¹⁰რამდენი განსხვავებული სიტყვაა ქვეყნიერებაზე და მათგან არც ერთი არ არის უმნიშვნელო.

¹¹ამიტომ, თუ სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცი, უცხო ვიქნები მოლაპარაკისათვის, ხოლო მოლაპარაკე – უცხო იქნება ჩემთვის.

¹²ასევე თქვენც, რაკი იღწვით სულიერი ნიჭებისათვის, ეცადეთ გამდიდრდეთ ეკლესიის აღსაშენებლად.

¹³ამიტომ ილოცოს ენით მოლაპარაკემ იმისათვის, რომ განმარტებაც შეძლოს.

¹⁴რადგან, როცა ენით ვლოცულობ, ჩემი სული ღოცულობს, ჩემი გონება კი უნაყოფოა.

¹⁵მაშ, რა ვქნათ? – ვილოცებ სულით და ვილოცებ გონებითაც; ვიგალობებ სულით და ვიგალობებ გონებითაც.

¹⁶რადგან, თუ სულით ადიდებ, როგორ იტყვის ამინს შენს მადლობაზე უმეცართაგანი ვინმე, თუ არ ესმის, რას ამბობ შენ?

¹⁷თუმცა შენ კეთილად სწირავ მადლს, მაგრამ სხვა არ შენდება.

¹⁸ვმადლობ ჩემს ღმერთს, რომ ყველა თქვენგანზე მეტს ვლაპარაკობ ენებით.

¹⁹მაგრამ მირჩევნია ეკლესიაში ხუთი სიტყვა ვთქვა ჩემი გონებით, რათა სხვებსაც ვასწავლო, ვიდრე 10 ათასი სიტყვა – ენებით.

²⁰ძმებო! ნუ იქნებით ბავშვები გონებით. მხოლოდ ბოროტებისათვის იყავით ბავშვები, გონებისთვის კი – სრულწლოვანნი!

²¹რჯულში წერია: „სხვა ენებით და სხვათა ბაგეებით დაველაპარაკები ამ ხალხს, და მაინც არ მომისმენენ მე, ამბობს უფალი.“



²²ამიტომ ენითმეტყველება მორწმუნეთათვის კი არ არის ნიშანი, არამედ ურწმუნოთათვის. ხოლო წინასწარმეტყველება კი ურწმუნოთათვის კი არ არის, არამედ მორწმუნეთათვის.

²³და აი, თუ მთელი ეკლესია ერთად შეიკრიბება და ყველანი ილაპარაკებენ ენებით და შემოვლენ უმეცარნი ან ურწმუნონი, განა არ იტყვიან, შეშლილები ხომ არა ხართო?

²⁴მაგრამ, თუ ყველანი წინასწარმეტყველებენ და შემოვა ვინმე ურწმუნო ან უმეცარი, და მას ყველა ამხელს და ყველა განსჯის,

²⁵ამრიგად გამომჟღავნდება მისი გულის დაფარული. ის დაემხოზა ძირს, თაყვანს სცემს ღმერთს და აღიარებს, რომ ჭეშმარიტად თქვენს შორის არის ღმერთი.

²⁶მაშ, რაღა, ძმებო? როცა თქვენ იკრიბებით და თითოეულს აქვს ფსალმუნი, აქვს სწავლა, აქვს ენა, აქვს გამოცხადება, აქვს განმარტება – ყოველივე ეს ხდებოდეს აღსაშენებლად.

²⁷თუ ვინმე ლაპარაკობს ენებით, ილაპარაკოს ორმა, ან, დიდი-დიდი, სამმა, ერთიმეორის მიყოლებით, და ერთმა განმარტოს.

²⁸ხოლო თუ არ არის განმმარტებელი, მაშინ გაჩუმდეს ეკლესიაში და ელაპარაკოს თავის თავს და ღმერთს.

²⁹წინასწარმეტყველებმა კი ილაპარაკონ ორმა ან სამმა, ხოლო სხვებმა განსაჯონ.

³⁰თუ სხვას ექნება იქ მჯდომთაგან გამოცხადება, პირველი გაჩუმდეს.

³¹ყველას თანამიმდევრობით შეგიძლიათ წინასწარმეტყველება, რათა ყველამ ისწავლოს და ყველამ ინუგეშოს.

³²რადგან წინასწარმეტყველთა სულები ემორჩილებიან წინასწარმეტყველთ.

³³რადგან ღმერთი არეულობისა ღმერთი კი არ არის, არამედ მშვიდობისა.

³⁴ისე, როგორც ეს წმიდათა ყველა ეკლესიაშია, ქალებმა იყურონ ეკლესიებში, რადგან უფლება არა აქვთ ილაპარაკონ, არამედ მორჩილად უნდა იყვნენ, როგორც ამას რჯულიც ამბობს.

³⁵ხოლო თუ რამის შესწავლა სურთ, ჰკითხოთ თავიანთ ქმრებს სახლში. რადგან შეუფერებელია ქალისათვის ეკლესიაში ლაპარაკი.

³⁶განა თქვენგან გამოვიდა ღმერთის სიტყვა? ან მარტო თქვენამდე მოაღწია?

³⁷თუ ვინმეს თავი წინასწარმეტყველი ჰგონია, ანდა სულიერების მქონე, შეიგნოს ის, რასაც მე თქვენ გწერთ, რადგან ეს უფლის მცნებაა.



³⁸ხოლო ვინც ამას არ აღიარებს, თვით არ იქნება აღიარებული.

³⁹მაშ, ასე, ძმებო, ეშურეთ, რომ იწინასწარმეტყველოთ, მაგრამ ნუ აკრძალავთ ენებით ლაპარაკს.

⁴⁰იზრუნეთ, რომ ყველაფერი საკადრისად და წესიერად ხდებოდეს.

1 კორინთელთა 15

¹მინდა გაგახსენოთ თქვენ, ძმებო, სახარება, რომელიც გახარეთ, რომელიც მიიღეთ კიდევ და რომელზედაც დგახართ.

²რომლითაც გადარჩებით კიდევ, თუ დაიცავთ სიტყვას, რომელიც მე გახარეთ. ასე რომ არ იყოს, მაშინ ამაოდ გირწმუნიათ.

³რადგან თავიდანვე გადმოგეცით ის, რაც მე თავად მივიღე, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის, როგორც წერილებშია,

⁴რომ დაიმარხა და აღდგა მესამე დღეს, როგორც წერილებშია,

⁵და რომ გამოეცხადა კეფას და შემდეგ თორმეტს.

⁶შემდეგ გამოეცხადა ხუთასზე მეტ ძმას ერთდროულად, რომელთაგან უმრავლესნი აქამდე ცოცხალნი არიან, ზოგმა კი განისვენა.

⁷შემდეგ გამოეცხადა იაკობს და მერე ყველა მოციქულს.

⁸ხოლო ყველაზე ბოლოს, როგორც უდღეურს, გამომეცხადა მეც.

⁹რადგან უმცირესი ვარ მოციქულთა შორის და მოციქულად წოდების ღირსიც არა ვარ, რადგან ვდევნადი ღმერთის ეკლესიას.

¹⁰მაგრამ ღმერთის მადლით ვარ, რაც ვარ. და მისი მადლი არ იყო ჩემს მიმართ ფუჭი, არამედ ყველა მათგანზე მეტი ვიწრომე – არა მე, არამედ ღმერთის მადლმა, რომელიც ჩემთანაა.

¹¹და, აჰა, მე ვარ თუ ისინი, ასე ვქადაგებთ და თქვენც ასე ირწმუნეთ.

¹²ხოლო თუ ქრისტეზე იქადაგება, რომ ის აღდგა მკვდრეთით, როგორღა ამბობს ზოგიერთი თქვენგანი, რომ არ არსებობს მკვდრეთით აღდგომა?

¹³მკვდრეთით აღდგომა თუ არ არის, მაშინ ქრისტეც არ აღმდგარა.

¹⁴ხოლო ქრისტე თუ არ აღდგა, ჩვენი ქადაგებაც ფუჭია და ფუჭია თქვენი რწმენაც.

¹⁵მაშინ ჩვენ ღმერთის ცრუმოწმენი ვიქნებოდით, რადგან ვამოწმებთ ღმერთზე, რომ მან აღადგინა ქრისტე, რომელიც, გამოდის, არ აღუდგენია, თუ მართლაც არ აღდგებიან მკვდრები.



- ¹⁶რადგან, თუ მკვდრები არ აღდგებიან, არც ქრისტე აღმდგარა.
- ¹⁷ხოლო თუ ქრისტე არ აღდგა, თქვენი რწმენა ფუჭია და კვლავ თქვენს ცოდვებში ხართ.
- ¹⁸მაშინ ისინიც დაღუპულან, რომელთაც ქრისტეში განისვენეს.
- ¹⁹და თუ ჩვენ მხოლოდ ამ ცხოვრებაში გვაქვს ქრისტეს იმედი, ყველა ადამიანზე საცოდავნი ვყოფილვართ.
- ²⁰მაგრამ ქრისტე აღდგა მკვდრეთით, განსვენებულთაგან პირველი.
- ²¹რადგან, როგორც ერთი კაცის მიერ მოვიდა სიკვდილი, ასევე ერთი კაცის მიერ არის მკვდრეთით აღდგომა.
- ²²რადგან, როგორც ადამში კვდება ყველა, ასევე ქრისტეში გაცოცხლდება ყველა,
- ²³თითოეული თავისი წესით: პირველად – ქრისტე, ხოლო შემდეგ ქრისტესნი მისი მოსვლისას.
- ²⁴მერე კი იქნება დასასრული, როდესაცა მეფობას გადასცემს უფალსა და მამას, მას შემდეგ, რაც გააუქმებს ყოველ მთავრობას, ყოველ უფლებასა და ძალას.
- ²⁵რადგან მან უნდა იმეფოს, ვიდრე თავის ფეხქვეშ მოაქცევს ყველა თავის მტერს.
- ²⁶ხოლო უკანასკნელი მტერი, რომელიც განქარდება, სიკვდილია.
- ²⁷რადგან „ყოველივე დაუმორჩილა მას ფეხქვეშ.“ ხოლო როცა ნათქვამია, რომ ყოველივე მას დაემორჩილა, ცხადია, გარდა იმისი, ვინც დაუმორჩილა მას ყოველივე.
- ²⁸და როდესაც ყოველივე დაემორჩილება მას, მაშინ თვით მეც დაემორჩილება იმას, ვინც ყოველივე მას დაუმორჩილა, რათა ღმერთი იყოს ყველაფერი ყველაფერში.
- ²⁹ასე რომ არ იყოს, რას აკეთებენ მკვდრებისთვის მონათლულნი? თუ მკვდრები საერთოდ არ აღდგებიან, რატომ ხდება მონათვლა მკვდრებისათვის?
- ³⁰და ჩვენც ყოველჟამს რატომ ვართ საფრთხეში?
- ³¹ვფიცავ თქვენდამი ჩემს სიქადულს, ძმებო, რომელიც ჩვენს უფალ ქრისტე იესოში მაქვს, რომ ყოველდღე ვკვდები.



³²თუ ადამიანურად ვებრძოდი ავ მხეცებს ეფესოში, რა სარგებელი მაქვს, თუ მკვდრები არ აღდგებიან? ვჭამოთ და ვსვათ, რადგან ხვალ დავიხოცებით!

³³ნუ მოტყუვდებით: „ცუდი წრე ხრწნის კეთილ ჩვევებს.“

³⁴გამოფხიზლდით ჭეშმარიტად და ნუ სცოდავთ. რადგან თქვენდა სამარცხვინოდ ვამბობ, რომ ზოგიერთები არ იცნობენ ღმერთს.

³⁵მაგრამ იტყვის ვინმე: „როგორ აღდგებიან მკვდრები და რომელ სხეულში მოვლენ?“

³⁶უგუნურო! რასაც დათესავ, არ გაცოცხლდება, თუ არ მოკვდა.

³⁷და როცა თესავ, იმ სხეულს კი არ თესავ, რომელიც აღმოცენდება, არამედ შიშველ მარცვალს, ხორბლისას თუ რომელიმე სხვისას.

³⁸ხოლო ღმერთი აძლევს მას სხეულს, როგორც ნებას, თითოეულ თესლს თავის სხეულს.

³⁹ყოველი სხეული ერთგვარი სხეული როდია, არამედ ადამიანის სხეული სხვანაირია, ცხოველის სხეული სხვანაირი, ფრინველის სხეული სხვანაირი, თევზისა სხვანაირი.

⁴⁰არის ციური სხეულები და არის მიწიერი სხეულები, და ციურის დიდება სხვაა და მიწიერისა – სხვა.

⁴¹სხვანაირია მზის დიდება, სხვანაირია მთვარის დიდება და სხვანაირია ვარსკვლავთა დიდება, რადგან ვარსკვლავიც განირჩევა ვარსკვლავისაგან დიდებით.

⁴²ასევე მკვდრეთით აღდგომაც: ითესება ხრწნილებით და აღდგება უხრწნელებით.

⁴³ითესება დამცირებაში და აღდგება დიდებით. ითესება უძლურებაში და აღდგება ძლიერებით.

⁴⁴ითესება მშვინვიერი სხეული და აღდგება სულიერი სხეული. არის მშვინვიერი სხეული და არის სულიერი სხეული.

⁴⁵ასეც წერია: „პირველი კაცი, ადამი იქცა ცოცხალ არსებად,“ ხოლო უკანასკნელი ადამი – მაცოცხლებელ სულად.

⁴⁶მაგრამ პირველად სულიერი კი არ შეიქმნა, არამედ ჯერ მშვინვიერი და შემდეგ სულიერი.

⁴⁷პირველი კაცი მიწისგანაა და მტვრისაგან, მეორე კაცი – ცისგან.



⁴⁸როგორც მიწიერი, ისევე მიწიერი, და როგორც ზეციერი, ისევე ზეციერი.

⁴⁹და როგორც ვატარებდით მიწიერის ხატებას, ასევე ვატარებთ მომავალში ზეციერის ხატებასაც.

⁵⁰ამას კი გეტყვით, ძმებო, რომ ხორცსა და სისხლს არ ძალუძს ღმერთის სასუფეველის დამკვიდრება, და ხრწნადი ვერ დაიმკვიდრებს უხრწნელებას.

⁵¹აი, საიდუმლოს გეუბნებით მე: ყველანი არ განვისვენებთ, მაგრამ ყველანი შევიცვლებით,

⁵²ერთ წამში, თვალის დახამხამებაზე, უკანასკნელ საყვირზე. რადგან დასძახებს საყვირი და მკვდრები აღდგებიან უხრწნელად, ხოლო ჩვენ შევიცვლებით.

⁵³რადგან ეს ხრწნადი უხრწნელებით უნდა შეიმოსოს და ეს მოკვდავი უკვდავებით უნდა შეიმოსოს.

⁵⁴ხოლო როცა ეს ხრწნადი უხრწნელებით შეიმოსება და ეს მოკვდავი – უკვდავებით, მაშინ ახდება დაწერილი სიტყვა: „სიკვდილი შთაინთქა ძღვევით.“

⁵⁵„სად არის, სიკვდილო, შენი ნესტარი? სად არის, ჯოჯოხეთო, შენი ძღვევა?“

⁵⁶სიკვდილის ნესტარია ცოდვა, ხოლო ცოდვის ძალა რჯულია.

⁵⁷მაგრამ მადლობა ღმერთს, რომელიც გვაძლევს ჩვენ ძღვევას ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მეშვეობით.

⁵⁸ამიტომ, ჩემო საყვარელო ძმებო, იყავით მტკიცენი და შეურყეველნი, მუდამ ამრავლეთ უფლის საქმენი, რადგან იცით, რომ ფუჭი არაა თქვენი შრომა უფლის წინაშე.

1 კორინთელთა 16

¹რაც შეეხება წმიდათათვის შესაწირავს, როგორც გალატიის ეკლესიებს დავუწესე, თქვენც ისე მოიქეცით.

²კვირის პირველ დღეს თითოეულმა თქვენგანმა გადადოს და შეინახოს თავისი მონაგებიდან თავისთან, რათა ჩემი მოსვლისას არ იწყებოდეს შეგროვება.

³ხოლო როცა მოვალ, ვისაც თქვენ სცნობთ სანდოდ, იმათ მივაგვლენ წერილებით თქვენი ძღვენის წასაღებად იერუსალიმში.



- ⁴და თუ იქ ჩემი წასვლაც შესაფერი იქნება, მაშინ ჩემთან ერთად წამოვლენ.
- ⁵ხოლო მე მოვალ თქვენთან, როდესაც მაკედონიაზე გავივლი, რადგან მაკედონიაზე უნდა გავიარო.
- ⁶თქვენთან კი, შესაძლოა, გავჩერდე, ან იქნებ გამოვიზამთრო, რათა გამაცილოთ იქ, სადაც წავალ,
- ⁷რადგან ახლა არ მინდა თქვენი ნახვა გავლით, არამედ იმედი მაქვს რამდენიმე ხანს დავრჩე თქვენთან, თუ უფალი ინებებს.
- ⁸ხოლო ეფესოში დავრჩები ორმოცდაათობამდე,
- ⁹რადგან გაიღო ჩემთვის ღვაწლის დიდი კარი და მოწინააღმდეგენიც მრავლად არიან.
- ¹⁰და თუ ტიმოთე მოვა თქვენთან, ეცადეთ, რომ უსაფრთხოდ იყოს, რადგან ის უფლის საქმეს აკეთებს ისევე, როგორც მე.
- ¹¹ამიტომ არავინ შეურაცხყოს იგი. გამოისტუმრეთ მშვიდობით, რათა მოვიდეს ჩემთან, რადგან ველოდები მას ძმებთან ერთად.
- ¹²რაც შეეხება ძმა აპოლოსს, ძალიან ვეხვეწებოდი, რომ მოსულიყო თქვენთან ძმებითურთ, მაგრამ არ ისურვა ახლა წამოსვლა. მაგრამ მოვა, როცა შეძლებს.
- ¹³იფხიზლეთ, იდექით რწმენაში, იყავით მამაცნი, გამაგრდით!
- ¹⁴ყველაფერი თქვენი სიყვარულით იყოს.
- ¹⁵ხოლო შეგაგონებთ, ძმებო: თქვენ იცით, რომ სტეფანასის ოჯახი აქაიის პირველი ნაყოფია და რომ მათ თავიანთი თავი მიუძღვნეს წმიდათა მსახურებას.
- ¹⁶თქვენც პატივი მიაგეთ მათ და ყველას, ვინც თანამშრომელი და მოღვაწეა!
- ¹⁷და აი, მიხარია სტეფანას, ფორტუნატეს და აქაიკოსის მოსვლა, რადგან მათ შემისეს თქვენი არყოფნა,
- ¹⁸და დაამშვიდეს ჩემი სულიც და თქვენიც. ამიტომ სცანით ასეთები!
- ¹⁹მოგიკითხავენ ასიის ეკლესიები. დიდად მოგიკითხავენ უფლის მიერ აკვილა და პრისკა და ასევე მათი საშინაო ეკლესია.
- ²⁰მოგიკითხავენ ყველა ძმა. მოიკითხეთ ერთმანეთი წმიდა ამბორით.
- ²¹მოგიკითხავენ ჩემი, პავლეს, ხელით.
- ²²ვისაც არ უყვარს უფალი, ანათემა მას! მარანათა – მოდი უფალო!
- ²³ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მაღლი იყოს თქვენთან,



²⁴და ჩემი სიყვარული ყველა თქვენგანთან ქრისტე იესოში!



მეორე კორინთელთა მიმართ

2 კორინთელთა 1

¹პავლე, იესო ქრისტეს მოციქული ღმერთის ნებით, და ძმა ტიმოთე – ღმერთის ეკლესიას, რომელიც კორინთოშია, მთელ აქაიაში მყოფ ყველა წმიდასთან ერთად:

²მადლი თქვენ და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისა და უფალი იესო ქრისტესაგან.

³კურთხეულია ღმერთი და მამა ჩვენი უფალი იესო ქრისტესი, მამა მოწყალებისა და ყოველი ნუგეშის ღმერთი,

⁴ჩვენი ნუგეშისმცემელი ჩვენს ყოველ გასაჭირში, რომ ჩვენც შევძლოთ ნუგეშისცემა ყოველგვარ გასაჭირში მყოფთათვის იმავე ნუგეშით, რომლითაც გვანუგეშებს ღმერთი.

⁵რადგან, როგორც ქრისტეს ტანჯვანი მრავლობს ჩვენში, ასევე მრავლობს ჩვენი ნუგეშისცემა ქრისტეს მიერ.

⁶თუ გვიჭირს, თქვენი ნუგეშისა და ხსნისათვის გვიჭირს; თუ ნუგეშცემულნი ვართ, თქვენს გასამხნეებლად ვართ ნუგეშცემულნი, რათა შესძლოთ დაითმინოთ იგივე სატანჯველნი, რომლებითაც ჩვენც ვიტანჯებით.

⁷მტკიცეა ჩვენი იმედი თქვენს მიმართ, რადგან ვიცით, რომ, როგორც ჩვენს სატანჯველთა თანამონაწილენი ხართ, ასევე ნუგეშისცემის თანამონაწილენიც იქნებით.

⁸რადგან არ გვინდა, ძმებო, არ იცოდეთ ჩვენი გასაჭირის შესახებ, რაც ასიაში გადავიტანეთ, რომ უფრო მეტად დაგვიმძიმდა, ვიდრე ამის ატანა შეგვეძლო.

⁹მაგრამ ჩვენ თავად გვქონდა ჩვენში სასიკვდილო მსჯავრი, რათა ჩვენი თავის იმედი კი არ გვქონოდა, არამედ ღმერთისა, რომელიც აღადგენს მკვდრებს,

¹⁰და რომელმაც გვიხსნა კიდეც ასეთი სიკვდილისაგან და გვიხსნის მუდამ, და რომლის იმედიც გვაქვს, რომ კვლავაც გვიხსნის,

¹¹თქვენს მიერ ჩვენთვის აღვლენილი ლოცვით, რათა მრავალმა შესწიროს მადლობა ჩვენს გამო, იმ მადლისათვის, რომელიც მრავალთა ლოცვით მოგვენიჭა.



¹²რადგან ეს ჩვენი ქადილი არის ჩვენი სინდისის მოწმობა, რომ ჩვენ ღვთაებრივი სიწმიდით და გულწრფელობით დავდიოდით ამქვეყნად. განსაკუთრებით თქვენთან – არა ხორციელი სიბრძნით, არამედ ღმერთის მადლით.

¹³რადგან სხვას არაფერს გწერთ თქვენ, თუ არა იმას, რასაც კითხულობთ და შეიცნობთ, და ვიმედოვნებ, ბოლომდე შეიცნობთ.

¹⁴როგორც უკვე ნაწილობრივ შეგვიცანით ჩვენ, რომ ჩვენი უფლის იესოს დღეს ჩვენ თქვენთვის სასიქადულონი ვიქნებით, ისევე როგორც თქვენ ჩვენთვის.

¹⁵და ამ ნდობით მინდა ჯერ თქვენთან მოსვლა, რათა მეორედ მიიღოთ მადლი,

¹⁶და თქვენგან გავლით წავიდე მაკედონიაში, ხოლო მაკედონიიდან კვლავ თქვენთან დავბრუნდე და თქვენ გამისტუმროთ იუდეაში.

¹⁷ნაჩქარევი ხომ არ იყო ეს ჩემი განზრახვა? ან იქნებ, რაც განვიზრახე, ხორციელად განვიზრახე? ასე რომ, ჩემი „ჰო, ჰო“ იგივეა, „რაც არა, არა?“

¹⁸ღმერთია მოწმე: ჩვენი სიტყვა თქვენს მიმართ „ჰო და არა“ არ ყოფილა,

¹⁹რადგან ღმერთის ძე, იესო ქრისტე, რომელსაც თქვენ შორის ვქადაგებდით მე, სილოვანე და ტიმოთე, არ ყოფილა „ჰოც და არაც,“ არამედ ყოველთვის „ჰო“ იყო ქრისტეში.

²⁰რადგან ღმერთის ყველა აღთქმა ქრისტეში „ჰო“ არის და ქრისტეში ვამბობთ „ამინს“ ღმერთის სადიდებლად.

²¹ღმერთია ის, ვინც თქვენთან ერთად გვამტკიცებს ქრისტეში და ვინც გვცხო ჩვენ,

²²მან აღგვბეჭდა კიდეც და მოგვცა ჩვენს გულებში სულის საწინდარი.

²³და მე მოვუხმობ ღმერთს ჩემი სიცოცხლის მოწმედ, რომ თქვენ გზოგავდით და აქამდე ამიტომ არ მოვდიოდი კორინთოში.

²⁴არ გვინდა, რომ ვიბატონოთ თქვენს რწმენაზე, არამედ თქვენი სიხარულის ხელშემწყობნი ვართ, რადგან რწმენაში მტკიცედ დგახართ.

2 კორინთელთა 2

¹მაგრამ ჩემთვის ასე გადავწყვიტე, აღარ მოვიდე თქვენთან შესაწუხებლად,

²რადგან თუ მე დაგამწუხრებთ, მაშ ვინლა გამახარებს, თუ არა ის, ვინც დამწუხრებულია ჩემგან?



- ³სწორედ ამიტომ მოგწერეთ ეს თქვენ, რათა ჩემი მოსვლისას არ მქონდეს წუხილი მათგან, ვისაც უნდა გავეხარებინე. ხოლო ყველა თქვენგანში დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი სიხარული ყველა თქვენგანის სიხარულიცაა.
- ⁴რადგან დიდად შეჭირვებული და გულნატკენი გწერდით და უამრავი ცრემლით, არა იმიტომ, რომ დამემწუხრებინეთ, არამედ გეგრძნოთ ის უდიდესი სიყვარული, რომელიც თქვენდამი მაქვს.
- ⁵და თუ ვინმემ დამამწუხრა, მე კი არ დამამწუხრა, არამედ, რომ არ გადავაჭარბო, თქვენ ყველანი.
- ⁶საკმარისი იყოს მისთვის ეს სასჯელი მრავალთაგან.
- ⁷ასე რომ, პირიქით, აპატიეთ და ნუგეში ეცით, რათა მეტისმეტმა წუხილმა არ შთანთქას იგი.
- ⁸ამიტომ შეგაგონებთ, გამოიჩინოთ სიყვარული მის მიმართ.
- ⁹რადგან იმისთვისაც დაწერე, რომ გამომეცადეთ, ყველაფერში მორჩილნი ხართ თუ არა.
- ¹⁰ვისაც თქვენ აპატიებთ რაიმეს, მეც ვაპატიებ, რადგან ვისაც რა ვაპატიე, თქვენი გულისთვის ვაპატიე ქრისტეს სახის წინაშე.
- ¹¹რათა ზიანი არ მოგვაყენოს სატანამ, რადგან ჩვენთვის უცნობი არ არის მისი ზრახვები.
- ¹²ტროაში მისვლისას ქრისტეს სახარებლად კარი ღია იყო ჩემთვის უფალში,
- ¹³მაგრამ არ მქონდა სულის სიმშვიდე, რადგან ვერ ვპოვე იქ ჩემი ძმა ტიტე. გამოვემშვიდოებე მათ და გავემართე მაკედონიისაკენ.
- ¹⁴მაგრამ მაღლი ღმერთს, ვინც ყოველთვის ძლევას გვანიჭებს ქრისტეში და ჩვენი ხელით ავრცელებს თავისი ცოდნის კეთილსურნელებას ყოველ ადგილას,
- ¹⁵რადგან ქრისტეს კეთილსურნელება ვართ ღმერთისათვის, გამოხსნილთა შორისაც და დაღუპულთა შორისაც.
- ¹⁶ზოგისათვის ეს სიკვდილის სურნელია სასიკვდილოდ, ზოგისთვის კი სიცოცხლის სურნელია სასიცოცხლოდ. და ვინაა ამის ღირსი?
- ¹⁷რადგან ჩვენ არა ვართ ღმერთის სიტყვით მოვაჭრენი, როგორც მრავალნი, არამედ ვქადაგებთ წრფელად, როგორც ღმერთისაგან, ღმერთის წინაშე, ქრისტეში.

2 კორინთელთა 3



- ¹კვლავ დავიწყეთ ჩვენი თავის წარდგენა? საჭიროა ჩვენთვის, როგორც ზოგიერთებისათვის, წარდგენის წერილები თქვენდამი ან თქვენგან?
- ²თქვენ ხართ ჩვენი წერილი, ჩვენს გულებში დაწერილი, რომელსაც სცნობს და კითხულობს ყოველი ადამიანი.
- ³თქვენ აჩვენებთ, რომ თქვენ ხართ ქრისტეს წერილი, ჩვენგან შექმნილი, დაწერილი არა მელნით, არამედ ცოცხალი ღმერთის სულით, არა ქვის დაფებზე, არამედ გულის ხორციელ ფიცრებზე.
- ⁴ასეთი რწმენა გვაქვს ქრისტეს მეშვეობით ღმერთის მიმართ,
- ⁵არა იმიტომ, რომ შეგვეძლოს ჩვენ თვითონ განვსაჯოთ რაიმე, თითქოს ჩვენგან იყოს და არა ღმერთისაგან ჩვენი შემძლეობა.
- ⁶მან შეგვადლებინა, ვყოფილიყავით მსახურნი ახალი აღთქმისა, არა ასოებისა, არამედ სულისა. რადგან ასო კლავს, სული კი აცოცხლებს.
- ⁷ხოლო თუ სიკვდილის მსახურება, ქვაზე ასოებით დაბეჭდილი, ისეთი დიდებით იყო, რომ ისრაელის ძეებმა ვერ შეძლეს მოსეს სახის ხილვა მის სახეზე გადმოსული დიდების გამო,
- ⁸რამდენად უფრო დიდი იქნება სულის მსახურების დიდება?
- ⁹რადგან, თუ განკითხვის მსახურება დიდებაა, მით უფრო უხვია დიდებით სიმართლის მსახურება,
- ¹⁰რადგან ის, რაც ამრიგად იყო განდიდებული, აღარ ჩაითვლება დიდებულად სიმართლის მსახურების აღზევებულ დიდებასთან შედარებით.
- ¹¹რადგან, თუ წარმავალს ჰქონდა დიდება, რამდენად მეტი დიდება აქვს მყოვარს.
- ¹²ამიტომ, რაკი ესოდენი იმედი გვაქვს, დიდი გაბედულებით ვმოქმედებთ.
- ¹³და არა ისე, როგორც მოსე, რომელმაც რიდე ჩამოიფარა სახეზე, რომ არ ეხილათ ისრაელის ძეებს წარმავალის დასასრული.
- ¹⁴მაგრამ დაეხშოთ მათ გონება, რადგან ძველი აღთქმის კითხვისას დღემდე რჩება იგივე რიდე აუხდელი, რადგან მხოლოდ ქრისტეში იხსნება იგი.
- ¹⁵მაგრამ დღემდე, როცა მოსეს კითხულობენ, რიდე ადევთ გულზე,
- ¹⁶ხოლო როცა უფლისავენ მიიქცევა ვინმე, რიდე ეხდება.
- ¹⁷უფალი სულია და, სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა.



¹⁸ჩვენ კი ყველანი დაუბურავი სახით ვჭვრეტთ უფლის დიდებას და გარდავისახებით იმავე ხატად დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან.

2 კორინთელთა 4

¹ამიტომ, რაკი ასეთი მსახურება გვეწყალობა, არ ვცხრებით,

²არამედ უარს ვამბობთ სამარცხვინოს დაფარვაზე და ცბიერი ქცევით ღმერთის სიტყვებს კი არ ვამახინჯებთ, არამედ ჭეშმარიტების გამოვლენით წარვუდგენთ თავს ყველა ადამიანის სინდისს ღმერთის წინაშე.

³თუ ჩვენი სახარება დაფარულია, დაღუპულთათვის არის დაფარული,

⁴ურწმუნოთათვის, ვისაც ამ საუკუნის ღმერთმა დაუბრმავა გონება, რათა მათთვის არ გაბრწყინებულიყო სახარების ნათელი ქრისტეს დიდებისა, რომელიც უხილავი ღმერთის ხატია.

⁵რადგან ჩვენს თავს კი არ ვქადაგებთ, არამედ ქრისტე იესოს, უფალს, ჩვენს თავს კი თქვენს მონებად მივიჩნევთ იესოს მიერ.

⁶რადგან ღმერთმა, რომელმაც ბრძანა, რომ ნათელი ბნელიდან გამობრწყინებულიყო, მან გაანათა ჩვენს გულებში, რათა გაგვინათოს ღმერთის დიდების ცოდნის ნათელმა ქრისტეს პირისახეში.

⁷ეს განძი კი ჩვენ გვაქვს თიხის ჭურჭლებში, რათა გადამეტებული ძლიერება ღმერთისაგან იყოს და არა ჩვენგან.

⁸ყველაფერში შევიწროებულნი ვართ, მაგრამ არა ვართ დათრგუნულნი. შეწუხებულნი ვართ, მაგრამ არა სასოწარკვეთილნი.

⁹დევნილნი ვართ, მაგრამ არა მიტოვებულნი, გადაყრილნი, მაგრამ არა დაღუპულნი.

¹⁰მუდამ ვატარებთ სხეულში უფალი იესოს სიკვდილს, რათა იესოს სიცოცხლე ჩვენს სხეულში გამოჩნდეს.

¹¹რადგან ჩვენ, ცოცხლები, მუდამ ვკვდებით იესოსათვის, რათა იესოს სიცოცხლე გამოჩნდეს ჩვენს მოკვდავ სხეულებში.

¹²ამრიგად, ჩვენში სიკვდილი მოქმედებს, ხოლო თქვენში – სიცოცხლე.

¹³რაკი რწმენის იგივე სული გვაქვს, რომელზედაც დაწერილია: „მწამდა და ამიტომ ვლაპარაკობდი,“ ჩვენც გვწამს და ამიტომ ვლაპარაკობთ.

¹⁴ვიცით, რომ უფალი იესოს აღმდგენელი ჩვენც აღგვადგენს იესოსთან ერთად და წარგვადგენს თქვენთან ერთად.



¹⁵ეს ყველაფერი თქვენთვის არის. რადგან მრავალთა მიერ მადლის გამრავლებით გაიზრდება მადლიერება ღმერთის სადიდებლად.

¹⁶ამიტომ არ ვცხრებით, პირიქით, თუ ჩვენი გარეგანი კაცი ცვდება, ჩვენი შინაგანი მაინც განახლდება დღითი დღე.

¹⁷რადგან ჩვენი მსუბუქი და ხანმოკლე ტანჯვა დიდ და გარდამეტებულ საუკუნო დიდებას გვიმზადებს,

¹⁸რადგან ჩვენ ვუმზერთ არა ხილულს, არამედ უხილავს. რადგან ხილული დროებითია, ხოლო უხილავი კი – საუკუნო.

2 კორინთელთა 5

¹რადგან ვიცით, რომ როცა ეს ჩვენი მიწიერი სახლი, ეს კარავი დაინგრევა, ღმერთისაგან გვაქვს შენობა, ხელთუქმნელი საუკუნო სახლი ცათა შინა.

²ამიტომაც ველტვით და ვნატრობთ ჩვენი ზეციური საცხოვრებლით შემოსვას,

³რათა შევიმოსოთ და შიშვლები არ აღმოვჩნდეთ.

⁴და ამ კარავში წუხილის ტვირთქვეშ ვოხრავთ, რადგან გახდა კი არა გვსურს, არამედ შემოსვა, რათა მოკვდავი შთაინთქას სიცოცხლის მიერ.

⁵წორედ ამისათვის შეგვქმნა ჩვენ ღმერთმა და მოგვცა სულის საწინდარი.

⁶ამიტომ ყოველთვის მხნედა ვართ, თუმცა ვიცით, რომ სანამ დამკვიდრებულნი ვართ სხეულში, განშორებულნი ვართ უფლისაგან.

⁷რადგან რწმენით დავდივართ და არა ხილვით.

⁸მხნედა ვართ და გვირჩევნია სხეულს განვშორდეთ და უფალთან დავსახლდეთ.

⁹ამიტომ ვცდილობთ კიდევ, სხეულში დასახლებულნი თუ სხეულს გარეთ მყოფნი, მისთვის სასურველნი ვიყოთ.

¹⁰რადგან ჩვენ ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს ტახტის წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც აკეთებდა სხეულში ყოფნისას – კეთილს თუ ცუდს.

¹¹და რაკი უფლის შიში ვიცით, ადამიანებს ვარწმუნებთ, ღმერთისათვის კი გაცხადებულნი ვართ. და ვიმედოვნებ, რომ თქვენი სინდისისთვისაც გაცხადებული ვიქნებით.



¹²ხელახლა კი არ წარმოგიდგენთ ჩვენს თავს, არამედ საბაბს გაძლევთ იქადდეთ ჩვენი, რომ სათქმელი გქონდეთ მათთვის, ვინც მოსაჩვენებლად იქადის და არა გულით.

¹³რადგან თუ გონს გადასულნი ვართ – ეს ღმერთისათვისაა, ხოლო თუ გონიერები – თქვენთვის.

¹⁴ქრისტეს სიყვარულით ვართ მოცულნი, როცა ასე ვმსჯელობთ, რომ თუ ერთი მოკვდა ყველასთვის, მაშ, ყველა მოკვდა.

¹⁵ის ყველასათვის მოკვდა, რათა ცოცხლებმა თავიანთთვის კი აღარ იცოცხოთ, არამედ იმისათვის, ვინც მათთვის მოკვდა და აღდგა.

¹⁶ამრიგად, ამიერიდან აღარავის ვიცნობთ ხორციელად. თუ ხორციელად ვიცნობდით კიდეც ქრისტეს, ახლა აღარ ვიცნობთ ასე.

¹⁷ამრიგად, ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა. ძველი გადავიდა, აჰა, ყოველივე ახალია.

¹⁸ყოველივე ღმერთისაგან არის, რომელმაც შეგვირიგა იესო ქრისტეს მეშვეობით და მოგვცა შერიგების მსახურება,

¹⁹რადგან ღმერთმა ქრისტეში შეირიგა ქვეყნიერება და არ ჩაუთვალა ადამიანებს მათი დანაშაულებანი და გვიბოძა შერიგების სიტყვა.

²⁰ამგვარად, ჩვენ ქრისტეს მაცნეები ვართ, და თავად ღმერთი შეგაგონებთ ჩვენი მეშვეობით. ქრისტეს სახელით გვედრებით: შეურიგდით ღმერთს.

²¹რადგან ის, ვინც ცოდვა არ იცოდა, მან ცოდვად აქცია ჩვენს გამო, რათა ჩვენ გავხდეთ ღმერთის სამართალი მასში.

2 კორინთელთა 6

¹როგორც თანამშრომელნი, შეგაგონებთ, რათა ფუჭი არ აღმოჩნდეს თქვენთვის ღმერთის მადლის მიღება.

²რადგან ის ამბობს: „მოწყალების ჟამს ვისმინე შენი და ხსნის დღეს შეგეწიე.“ აჰა, ახლაა მოწყალების ჟამი, აჰა, ახლაა ხსნის დღე!

³ჩვენ არაფერში არ ვიძლევიტ დაბრკოლების რაიმე საბაბს, რათა ჩვენი მსახურება არ შეიბღალოს,

⁴არამედ ყველაფერში წარვადგენთ თავს, როგორც ღვთისმსახურნი: დიდი მოთმინებით, მწუხარებაში, გაჭირვებაში, შევიწროებაში,

⁵დარტყმებში, საპყრობილეებში, შფოთში, უძილობაში, მარხვაში,



⁶სიწმიდეში, ცოდნაში, დიდსულოვნებაში, სიკეთეში, წმიდა სულში და უანგარო სიყვარულში,

⁷ჭეშმარიტების სიტყვაში, ღმერთის ძალაში, სიმართლის საჭურველით მარჯვენასა და მარცხენაში,

⁸დიდებისა და შერცხვენისას, გმობისა და ქებისას, როგორც შემცდარნი, მაგრამ ჭეშმარიტნი,

⁹როგორც უცნობნი, მაგრამ ცნობილნი, როგორც მომაკვდავნი, მაგრამ ცოცხალნი! დასჯილნი, მაგრამ ვერ მოკლულნი;

¹⁰როგორც მწუხარენი, მაგრამ მუდამ მოხარულნი; როგორც ღატაკნი, მაგრამ მრავალთა გამამდიდრებელნი, როგორც უქონელნი, მაგრამ ყველაფრის მქონენი.

¹¹ჩვენი ბაგე გახსნილია თქვენს მიმართ, კორინთელნო, ჩვენი გული გახსნილია თქვენთვის;

¹²თქვენ ვიწროდ არა ხართ ჩვენში, არამედ თქვენშია სივიწროვე.

¹³ხოლო ამის სამაგიეროდ, გეუბნებით, როგორც შვილებს: ფართოდ გაიხსენით თქვენც.

¹⁴ნუ შეებმებით უცხო უღელში ურწმუნოებთან ერთად. რადგან რა აქვს საერთო სამართლიანობას ურჯულოებასთან? რა აქვს საზიარო ნათელს ბნელთან?

¹⁵რა თანხმობა აქვს ქრისტეს ბელიართან? ან რა წილი აქვს მორწმუნეს ურწმუნოსთან?

¹⁶რა აქვს საერთო ღმერთის ტაძარს კერპებთან? რადგან თქვენ ხართ ცოცხალი ღმერთის ტაძარი, როგორც ღმერთმა თქვა: „დავმკვიდრდები და ვივლი მათ შორის, ვიქნები მათი ღმერთი და ისინი იქნებიან ჩემი ხალხი“

¹⁷ამიტომ გამოდით მათგან და გამოეყავით“ – ამბობს უფალი. „უწმიდურს ნუ მიეკარებით და მე შეგიწყნარებთ თქვენ.“

¹⁸ვიქნები თქვენთვის მამა და თქვენ იქნებით ჩემთვის ძენი და ასულნი, ამბობს უფალი, ყოვლისმპყრობელი.“

2 კორინთელთა 7

¹როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, ჩემო საყვარელნო, განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი ბიწისაგან და ღმერთის მოშიშებით სრულვყოთ ჩვენი სიწმიდე.



²გვიბოძეთ ადგილი თქვენში! არავის მოვქცევით უსამართლოდ, არავისთვის გვივინია, არავისგან გვიძებნია გამორჩენა.

³მსჯავრის დასადებად არ ვამბობ. რადგან წინასწარვე ვთქვი, რომ ჩვენს გულებში ხართ, რათა თქვენთან ერთად მოვკვდეთ და თქვენთან ერთად ვიცოცხლოთ.

⁴დიდია ჩემი ნდობა თქვენდამი, ბევრს ვიქადი თქვენით. აღვსილი ვარ ნუგეშით, დიდია ჩემი სიხარული, მიუხედავად მთელი ჩვენი გასაჭირისა.

⁵როცა მაკედონიაში მივედი, ჩვენს სხეულს არ ჰქონდა მოსვენება, არამედ შევიწროებულნი ვიყავით ყველაფერში: გარეთ – ბრძოლები, შიგნით – შიში.

⁶მაგრამ ღმერთმა, რომელიც მორჩილთა ნუგეშისმცემელია, ნუგეში გვცა ტიტეს მოსვლით.

⁷არა მარტო მისი მოსვლით, არამედ აგრეთვე ნუგეშით, რომელიც ჰპოვა თქვენთან. მან გვიამბო თქვენს მონდომებაზე, თქვენს ტირილზე, თქვენს თავგამოდებაზე ჩემს მიმართ და ამრიგად, უფრო მეტად გავიხარე.

⁸ამიტომ, თუ კიდევ დაგამწუხრეთ წერილით, არ ვნანობ, თუმცა კიდევ ვინანე, რადგან ვხედავდი, რომ ამ წერილმა დაგამწუხრათ, თუნდაც დროებით.

⁹ახლა კი ვხარობ არა იმიტომ, რომ დამწუხრდით, არამედ იმიტომ, რომ დამწუხრდით სინანულისათვის, რადგან დამწუხრდით ღმერთისათვის. ასე რომ, არაფერი დაგზიანებიათ ჩვენგან.

¹⁰რადგან წუხილი ღმერთისათვის წარმოშობს სინანულს ხსნისათვის და არ გახდება სანანებელი, ხოლო ამა ქვეყნის წუხილი სიკვდილს წარმოშობს.

¹¹რადგან აჰა, ღმერთისათვის რომ შეწუხდით, რამდენი რამ წარმოიშვა თქვენში: როგორი მონდომება, როგორი სინანული, როგორი გულისწყრომა, როგორი შიში, როგორი სურვილი სიმათელის დამყარებისა, როგორი მოშურნეობა, როგორი საზღაური და ყველაფერში აჩვენეთ, რომ სუფთანი ხართ ამ საქმეში.

¹²ამიტომ, თუ კიდევ მოგწერეთ თქვენ, არც აუგის ჩამდენისათვის და არც აუგის განმცდელისათვის, არამედ, რათა გამოჩნდეს თქვენი გულმოდგინება ჩვენდამი ღმერთის წინაშე.

¹³ამიტომ ვართ ნუგეშცემულნი. ხოლო ამ ჩვენ ნუგეშზე უფრო მეტად გავიხარეთ ტიტეს სიხარულით, რომ ყველა თქვენგანმა დაამშვიდა მისი სული.



¹⁴თუკი რამე დავიქადე თქვენზე მის წინაშე, არ შევრცხვენილვარ. მაგრამ, როგორც ჭეშმარიტია ყველაფერი, რასაც გელაპარაკებოდით, ასევე ჭეშმარიტი გამოდგა ჩვენი ქადილი ტიტეს წინაშე.

¹⁵ძალიან დიდია მისი სიყვარული თქვენს მიმართ, იხსენებს რა ყველა თქვენგანის მორჩილებას და იმას, როგორი მოშიშებით და ძრწოლით მიიღეთ იგი.

¹⁶ამრიგად, მოხარული ვარ, რომ შემიძლია ყველაფერში დაგემყაროთ თქვენ.

2 კორინთელთა 8

¹გაუწყებთ, ძმებო, ღმერთის მადლის შესახებ, რომელიც მიეცა მაკედონიის ეკლესიებს,

²რადგან გასაჭირით მათ დიდ გამოცდას დიდი სიხარული ახლავს და დიდ სილატაკეს გადააჭარბა მათი სიუხვის სიმდიდრემ.

³ვადასტურებ, რომ თავიანთი ძალის შესაბამისად და უფრო მეტადაც გულუხვნი იყვნენ.

⁴დიდი დაჟინებით გვთხოვეს უფლება, მადლი და თანაზიარება გაეწიათ წმიდათა მსახურებაში.

⁵და გასცეს არა მარტო ის, რასაც მოველოდით, არამედ მათ საკუთარი თავი შესწირეს ჯერ უფალს და მერე ჩვენ, ღმერთის ნებით.

⁶ამიტომ ტიტეს ვთხოვეთ, რომ, როგორც დაიწყო, ასევე დაესრულებინა თქვენთან ეს მადლის საქმეც.

⁷და როგორც სიუხვე გაქვთ ყველაფერში: რწმენაში და სიტყვაში, ცოდნაში და ყოველგვარ სიბეჯითეში და თქვენში ჩვენს სიყვარულში, ასევე იუხვეთ ამ მადლის მიგებაშიც.

⁸ამას ბრძანებით კი არ ვამბობ, არამედ იმისთვის, რომ სხვათა სიბეჯითის წინაშე გამოჩნდეს თქვენი სიყვარულის სიწრფელეც.

⁹რადგან იცით თქვენ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი; რომ იგი, მდიდარი, თქვენს გამო გაღატაკდა, რათა თქვენ გამდიდრებულიყავით მისი სილატაკით.

¹⁰ჩემს რჩევას ვიძლევი ამაზე, რადგან სასარგებლო იქნება თქვენთვის იმის აღსრულება, რაც შარშან ხალისით წამოიწყეთ,



- ¹¹და ახლა დაასრულოთ ეს საქმე, რათა, რისი გაკეთებაც გულმოდგინედ გსურდათ, დაამთავროთ კიდევ თქვენი შეძლებისამებრ.
- ¹²რადგან, თუ გულმოდგინება არის, ეს მიიღება იმის მიხედვით, ვისაც რა აქვს, და არა იმის მიხედვით, რაც არა აქვს.
- ¹³არა იმისათვის, რომ სხვებს შვება ჰქონდეთ და თქვენ გაჭირვება, არამედ თანასწორობისათვის.
- ¹⁴ამჟამად თქვენი ნამეტი შეავსებს მათს ნაკლულებას, რათა მათმა ნამეტმაც შეავსოს თქვენი ნაკლულება, რომ თანასწორობა იყოს.
- ¹⁵როგორც წერია: „ვინც ბევრი შეკრიბა, ზედმეტი არ ჰქონდა, ხოლო ვინც ნაკლები – არაფერი არ აკლდა.“
- ¹⁶ხოლო მადლი ღმერთს, რომელმაც ასეთი სიბეჯითე ჩაუდო თქვენს მიმართ ტიტეს გულში.
- ¹⁷რადგან თუმცა ეს ჩვენი თხოვნა იყო, ის მომეტებული სიბეჯითით და საკუთარი სურვილით წამოვიდა თქვენთან.
- ¹⁸მასთან ერთად გამოვგზავნეთ ძმა, რომელსაც ყველა ეკლესიაში აქებენ სახარების ქადაგებისათვის.
- ¹⁹გარდა ამისა, ის ხელდასხმულია ეკლესიების მიერ ჩვენს თანამგზავრადაც ამ მადლის გადასაცემად, რასაც ჩვენ ვემსახურებით უფლის სადიდებლად და ჩვენი გულმოდგინების შესაბამისად.
- ²⁰ვფრთხილობთ, არავინ გვისაყვედუროს სიუხვისათვის, ჩვენი მსახურებით რომ იქნა მოპოვებული.
- ²¹რადგან ვცდილობთ სიკეთისათვის არა მარტო უფლის წინაშე, არამედ ადამიანთა წინაშეც.
- ²²გამოვგზავნეთ მათთან ერთად ჩვენი ძმა, რომლის სიბეჯითე მრავალჯერ გამოვცადეთ ბევრ რამეში, ხოლო ახლა კიდევ უფრო ბეჯითია, რადგან დიდი ნდობა აქვს თქვენდამი.
- ²³ტიტე კი, – ის ჩემი მეგობარი და თანამშრომელია თქვენთან. ხოლო ჩვენი ძმები, – ისინი ეკლესიების წარგზავნილნი და ქრისტეს დიდება არიან.
- ²⁴მაშ, აჩვენეთ მათ ნიშანი თქვენი სიყვარულისა და თქვენით ჩვენი ქადილის სიმართლისა ეკლესიათა წინაშე.

2 კორინთელთა 9

- ¹წმიდათა მსახურებაზე ზედმეტია რომ მოგწეროთ,



²რადგან ვიცი თქვენი გულმოდგინება და ვიქადი თქვენით მაკედონელთა წინაშე, რომ აქაია მომზადებულია შარშანდლიდან და მრავალი წაახალისა თქვენმა მოშურნეობამ.

³ხოლო ძმები გამოვგზავნე, რომ ფუჭი არ აღმოჩნდეს ჩვენი ქადილი თქვენით ამ საქმეში და მზად იყოს,

⁴რათა, როცა მაკედონელნი მოვლენ ჩემთან ერთად და გპოვებენ მოუმზადებელთ, არ შევრცხვით ჩვენ, არ ვამბობ, თქვენ-მეთქი, ასე დაჯერებულნი რომ ვართ თქვენში.

⁵ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე მეთხოვა ძმებისათვის, რომ წინასწარ მოსულიყვნენ თქვენთან და წინასწარ გაემზადებინათ თქვენი დაპირებული ძღვენი, რათა მზად იყოს, როგორც ძღვენი და არა როგორც გამოძალვა.

⁶და კიდევ: ვინც მუნწად თესავს, მუნწად მოიმკის, ხოლო ვინც მადლიანად თესავს, მადლიანად მოიმკის.

⁷თითოეულმა ისე გაიღოს, როგორც გულით აირჩია: არა მწუხარებითა და ძალდატანებით. რადგან „სიხარულით გამცემი უყვარს ღმერთს.“

⁸ხოლო ღმერთს ძალუმს გაგამდიდროთ ყოველგვარი მადლით, რათა თქვენ, ყველაფერში ყოველთვის ყველაფერი საჭიროს მქონენი, მდიდარნი იყოს ყოველი კეთილი საქმისათვის.

⁹როგორც წერია: „გაფანტა, დაურიგა ღარიბებს, მისი სიმაღლეს რჩება საუკუნოდ.“

¹⁰ხოლო მთესველისთვის თესლის მიმცემი და პურისა – საჭმელად, მოგცემთ და გაამრავლებს თქვენს თესლს და გაზრდის თქვენი სიმაღლის ნაყოფს:

¹¹და ყველაფერში მდიდრები იქნებით ყოველგვარი ხელგაშლილობისათვის, რაც ჩვენი მეშვეობით ღმერთისადმი მადლიერებას გამოიწვევს.

¹²რადგან ამ წმიდა საქმის სამსახური არა მარტო ავსებს წმიდათა ხელმოკლეობას, არამედ ამრავლებს კიდევ ღმერთისადმი მრავალთა მადლიერებას.

¹³ამ სამსახურში გამოცდის შედეგად განადიდებენ ისინი ღმერთს თქვენს მიერ ქრისტეს სახარების მორჩილი აღიარებისათვის და აგრეთვე მათთან და ყველასთან გულწრფელი თანაზიარებისათვის.

¹⁴ისინი ილოცებენ თქვენთვის და შემოგნატრებენ ღმერთის მადლისათვის, რომელიც თქვენში მომეტებულად არის.



¹⁵მადლი ღმერთს მისი გამოუთქმელად დიდი ძღვენისათვის.

2 კორინთელთა 10

¹მე, პავლე, მოგიწოდებთ ქრისტესმიერი თვინიერებით და მოთმინებით – მე, რომელიც თქვენთან პირისპირ მყოფი თავმდაბალი ვარ, შორიდან კი – კადნიერი,

²და გვედრებით, რომ ჩემი მოსვლისას არ დამჭირდეს სიმკაცრე, რომლის გამოყენებას ვფიქრობ ზოგიერთების მიმართ, ვისაც ჰგონია, თითქოს ხორცის მიხედვით დავდიოდეთ.

³რადგან, თუმცა ხორციელად დავდივართ, ხორციელად არ ვიბრძვით.

⁴რადგან ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი კი არ არის, არამედ ღვთიური ძალაა ციხესიმაგრეთა დასარღვევად. ჩვენ ვარღვევთ დასაბუთებას,

⁵და ყოველ მედიდურობას, რომელიც აღმართულია ღმერთის შეცნობის წინააღმდეგ და ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს, რათა ქრისტეს დაუმორჩილდეს.

⁶და მზად ვართ დავსაჯოთ ყოველგვარი ურჩობა, როცა თქვენი მორჩილება სრული იქნება.

⁷შეხედეთ იმას, რაც თქვენს წინაშეა. ვისაც სჯერა, რომ ქრისტესია, თვითონვე დაფიქრდეს, რომ როგორც თავად არის ქრისტესი, ასევე ჩვენც ქრისტესნი ვართ.

⁸და თუ უფრო მეტად დავიქადნი ჩვენი ხელმწიფებით, რომელიც უფალმა მოგვცა აღსაშენებლად და არა თქვენს დასაქცევად, არ შევრცხვები.

⁹ამიტომ არ მოგეჩვენოთ, თითქოს გემუქრებოდეთ წერილებით.

¹⁰ამბობენ: მისი წერილები მკაცრი და ძლიერიაო, მაგრამ პირადად შეხვედრისას სუსტია და მისი სიტყვაც უმნიშვნელო.

¹¹იცოდეს, ვინც ასე ფიქრობს, რომ, როგორც სიტყვით ვართ წერილებში, როცა მანდ არა ვართ, ისევე მოვიქცევით, როცა მანდ ვიქნებით.

¹²რადგან ვერ ვბედავთ დავუპირისპირდეთ ანდა შევედართ იმათ, რომელთაც თავი მოაქვთ: ისინი უჭკუობით თავისი თავით ზომავენ და თავის თავთან ადარებენ.

¹³ხოლო ჩვენ უზომოდ არ ვიქადნით, არამედ იმ ზომით, რა ხვედრიც ღმერთმა გვიწილადა, რომ თქვენამდეც მოვალწიოთ.



¹⁴ჩვენს ზღვარს არ გადავდივართ, თითქოს ვერ ვაღწევდეთ თქვენამდე, რადგან ჩვენ პირველებმა მოვალწიეთ თქვენამდე და მოგიტანეთ ქრისტეს სახარება.

¹⁵უზომოდ კი არ ვიქადით სხვისი შრომით, არამედ იმედი გვაქვს, რომ თქვენი რწმენის ზრდის კვალობაზე უხვად გავამრავლებთ თქვენში ჩვენს წილხვედრ საქმეს.

¹⁶რათა თქვენს იქითაც ვახაროთ და არ ვიქადდეთ იმით, რაც უკვე გამზადებულია სხვათა წილხვედრში.

¹⁷„ვინც იქადის, უფლით იქადდეს.“

¹⁸რადგან, ის კი არ არის აღიარებული, ვინც თავს იქებს, არამედ ის, ვისაც უფალი აქებს.

2 კორინთელთა 11

¹ნეტავ ოდნავ მაინც შემწყნარებელნი იყოთ ჩემი უგუნურების მიმართ! თუმცა მიწყნარებთ კიდევ.

²რადგან თქვენს მიმართ საღვთო შურითა ვარ სავსე. რადგან დაგნიშნეთ თქვენ ერთ კაცზე, რათა წმიდა ქალწულად წარგადგინოთ ქრისტეს წინაშე.

³მაგრამ ვშიშობ, რომ როგორც გველმა თავისი მზაკვრობით აცდუნა ევა, ასევე არ გაირყვნეს თქვენი აზროვნება და არ გარდახდეთ ქრისტესმიერ სიწრფელესა და სიწმიდეს.

⁴რადგან, როცა მოდის ვინმე და გიქადაგებთ სხვა იესოს, რომელიც ჩვენ არ გვიქადაგია, ან იღებთ სხვა სულს, რომელიც არ მიგიღიათ, ან სხვა სახარებას, რომელიც არ მიგიღიათ, – ხალისით იწყნარებთ ამას.

⁵რადგან ვფიქრობ, არაფერში ჩამოვუვარდები აღმატებულ მოციქულებს.

⁶თუნდაც სიტყვით უმეცარი ვიყო, მაგრამ არა ცოდნით, რაც მთლიანად გაცხადებულია თქვენთვის.

⁷ანდა, ნუთუ ცოდვა ჩავიდინე თავის დამდაბლებით, რათა თქვენ ამალღებულიყავით, რადგან უსასყიდლოდ გახარებდით ღმერთის სახარებას?

⁸სხვა ეკლესიებს ვართმევდი, ვიღებდი მათგან გასამრჯელოს, რათა თქვენ მოგმსახურებოდით. ხოლო როცა თქვენთან ვიყავი და მაკლდა კიდევ, არავინ შემიწუხებია.



⁹რადგან ნაკლულებას მივსებდნენ მაკედონიიდან მოსული ძმები და ყველაფერში ვცდილობდი ტვირთად არ დაგწოლოდით თქვენ, და კვლავაც ვეცდები.

¹⁰ქრისტეს ჭეშმარიტებით, რომელიც ჩემშია, გეუბნებით, რომ ეს სიქადული არ წამერთმევა აქაიის მხარეებში.

¹¹რატომ? იმიტომ, რომ არ მიყვარხართ? ღმერთმა ხომ უწყის!

¹²მაგრამ რასაც ვაკეთებ, იმასვე გავაკეთებ, რათა საბაბი არ მივცე საბაბის მძებნელებს, რომლებიც ცდილობენ ჩვენისთანანი აღმოჩნდნენ იმაში, რითაც იქადიან.

¹³რადგან ესენი არიან ცრუმოციქულები, მზაკვარი მუშაკები, რომლებსაც ქრისტეს მოციქულებად მოაქვთ თავი.

¹⁴და არ არის ეს საკვირველი, რადგან თვით სატანაც ხომ სინათლის ანგელოზის სახეს იღებს.

¹⁵ამიტომ დიდი რამ არ არის, თუ მისი მსახურნიც სიმართლის მსახურებად გარდაისახებიან. მაგრამ მათი ბოლო მათი საქმეებისამებრ იქნება.

¹⁶კვლავაც ვიტყვი: ნურავინ ჩამთვლის უგუნურად. და თუ არა, როგორც უგუნური ისე მაინც მიმიღეთ, რათა მცირეოდენით მეც დავიქადო.

¹⁷რასაც ვამბობ, უფალში კი არ ვამბობ, არამედ თითქოს უგუნურებით ვიქადი თავდაჯერებულად.

¹⁸რაკი ბევრი იქადის ხორციელად, ამიტომ მეც დავიქადებ.

¹⁹რადგან თქვენ, გონიერნი, ხალისით იწყნარებთ უგუნურებს,

²⁰ითმენთ, თუ ვინმე გიმონებთ, თუ ვინმე გამოგიყენებთ, თუ ვინმე დაგიმოჩილებთ, თუ ვინმე გაყოყნობს, თუ ვინმე სახეში გცემთ.

²¹ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვთქვა, რომ ასეთი საქციელისთვის ძალა არ გვყოფნის. მაგრამ, თუ ვინმე რითიმე დაიქადებს, უგუნურებით ვიტყვი: მეც გავკადნიერდები.

²²ისინი ებრაელები არიან? მეც ვარ! ისრაელის ძენი არიან? მეც ვარ! აბრაამის ნაშიერნი არიან? მეც ვარ!

²³ქრისტეს მსახურნი არიან? უგუნურივით ვამბობ: მე უფრო მეტად. უფრო მეტად ვარ შრომაში, ბევრად უფრო მეტად ტანჯვაში, უფრო მეტად ვიყავი საპყრობილეში და მრავალგზის სიკვდილის პირას.

²⁴ხუთჯერ მივიღე იუდეველთაგან ორმოცზე ერთით ნაკლები დარტყმა.



²⁵სამჯერ კვერთხით მცემეს, ერთხელ ჩამქოლეს და სამჯერ გემის დალუპვა განვიცადე, ღამე და დღე შუა ზღვაში დავყავი,

²⁶მრავალჯერ მოგზაურობებში, განსაცდელში მდინარეებზე, განსაცდელში ყაჩაღებისაგან, განსაცდელში თანატომელთაგან, განსაცდელში წარმართთაგან, განსაცდელში ქალაქად, განსაცდელში უდაბნოდ, განსაცდელში ზღვაზე, განსაცდელში ცრუმძათა შორის,

²⁷შრომასა და გაჭირვებაში, გამუდმებულ სიფხიზლეში, შიმშილსა და წყურვილში, გამუდმებულ მარხვაში, ყინვასა და სიშიშვლეში.

²⁸გარდა ამისა, ყოველდღიური ზრუნვა ყველა ეკლესიაზე.

²⁹ვინმე დაუძლურდება და მეც არ ვუძლურდება მასთან ერთად? ვინმე დაბრკოლდება და მეც არ ავენთები მასთან ერთად?

³⁰თუ საჭიროა ქადილი, ჩემი უძლურებით დავიქადებ.

³¹ღმერთმა, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მამამ, კურთხეულმა უკუნითი უკუნისამდე, უწყის, რომ არ ვცრუობ.

³²დამასკოში მეფე არეტას ოლქის განმგებელი დარაჯობდა დამასკელთა ქალაქს, რათა შევეპყარი.

³³სარკმლიდან გადმომიშვეს გოდრით გალავანზე და ხელიდან დავუსხლტი მას.

2 კორინთელთა 12

¹მაშ, მაინც უნდა დავიქადო, თუმცა ამაოა ქადილი. მაშ მივალ უფლის ხილვებთან და გამოცხადებებთან.

²ვიცი კაცი ქრისტეში, რომელიც 14 წლის წინათ, არ ვიცი, სხეულში, არ ვიცი, სხეულს გარეთ, ღმერთმა იცის, ატაცებულ იქნა მესამე ცამდე.

³ვიცი ასეთი კაცი, სხეულში იყო, თუ სხეულის გარეშე, არ ვიცი, ღმერთმა იცის,

⁴რომ ის ატაცებულ იქნა სამოთხეში და ისმენდა გამოუთქმელ სიტყვებს, რომელთა შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია ადამიანისათვის.

⁵ასეთი კაცით დავიქადნი, ჩემი თავით კი არ დავიქადნი, მხოლოდ ჩემი უძლურებებით.

⁶ხოლო თუ მოვისურვებ დავიქადნო, უგუნური არ ვიქნები, რადგან ჭეშმარიტებას ვიტყვი. მაგრამ თავს ვიკავებ, რათა არავინ ჩამთვალოს იმაზე მეტად, რასაც ჩემში ხედავს ან ჩემგან ისმენს.



⁷ხოლო რათა არ გავმედიდურდე მეტისმეტი გამოცხადებებით, ეკალი მომეცა სხეულში, სატანის ანგელოზი, რომ დამქეჯნოს, რათა არ გავმედიდურდე.

⁸სამჯერ შევევედრე უფალს, რომ განემორებინა იგი.

⁹და მითხრა: „საკმარისია შენთვის ჩემი მადლი, რადგან უძლურებაში სრულიქმნება ჩემი ძალა.“ ამიტომ უფრო ხალისით დავიქადნი ჩემი უძლურებებით, რათა ქრისტეს ძალა დამკვიდრდეს ჩემში.

¹⁰ამიტომ კმაყოფილი ვარ უძლურებაში, შეურაცხყოფაში, გაჭირვებაში, დევნაში და შევიწროებაში ქრისტეს გულისათვის. რადგან როცა უძლური ვარ, მაშინ ვარ ძლიერი.

¹¹უგუნური შევიქენი, თქვენ მაიძულეთ ეს. თქვენ გმართებდათ ჩემი ქება, რადგან არაფრით ჩამოვუვარდები აღმატებულ მოციქულებს, თუმცა არარა ვარ.

¹²მოციქულის ნიშნები ამოქმედდა თქვენ შორის ყოველგვარი მოთმინებით, ნიშნებით, სასწაულებით და ძალებით.

¹³რა გაკლიათ დანარჩენ ეკლესიებთან შედარებით, გარდა იმისა, რომ მე არ დაგაწექით მძიმე ტვირთად? მაპატიეთ ეს უსამართლობა.

¹⁴აჰა, მე მზად ვარ მესამედ მოვიდე თქვენთან და არ დაგაწვებით მძიმე ტვირთად, რადგან მე თქვენ გეძებთ და არა თქვენსას. რადგან შვილები კი არ უნდა აგროვებდნენ სიმდიდრეს მშობლებისათვის, არამედ მშობლები – შვილებისათვის.

¹⁵ხოლო მე ხალისით გავცემ თავს და გავწირავ ყველაფერს თქვენთვის. თუ მე ასეთი სიყვარული მაქვს თქვენდამი, თქვენ ასე მცირედ უნდა გიყვარდეთ?

¹⁶ამრიგად, მე არ დამიმძიმებიახლოთ თქვენ. მაგრამ, როგორც მატყუარამ, მზაკვრობით ხომ არ დაგიჭირეთ?

¹⁷ან ხომ არ ვეძიებდი ანგარებას ვინმეს მეშვეობით, რომელიც თქვენთან გამოვგზავნე?

¹⁸მე ვთხოვე ტიტეს და მასთან ერთად გამოვგზავნე ძმა. გამოგიყენათ თქვენ ტიტემ? განა ჩვენ ორივე ერთი სულით არ დავდიოდით? ერთ გზას არ ვადექით?

¹⁹თქვენ გგონიათ, რომ ჩვენ თავი უნდა ვიმართლოთ თქვენთან? ღმერთის წინაშე, ქრისტეში ვლაპარაკობთ ჩვენ და ყოველივე ეს, საყვარელნო, თქვენს აღსაშენებლად.



²⁰რადგან ვშიშობ, რომ, როცა მოვალ, ისეთები არ გპოვოთ თქვენ, როგორც მე მსურს, და თქვენც არ მპოვოთ ისეთი, როგორც გსურთ. რომ არ ვპოვო თქვენში შუღლი, შური, მძვინვარება, დავიდარაბა, ცილისწამება, ენატანობა, გულზვაობა და შფოთი.

²¹რათა, როცა კვლავ მოვალ, არ დამამდაბლოს ჩემმა ღმერთმა თქვენთან და არ მომიხდეს გლოვა მრავალთა გამო, რომელთაც ადრე შესცოდეს და არ მოინანიეს ის უწმიდურება, სიძვა და გარყვნილება, რომელსაც ჩადიოდნენ.

2 კორინთელთა 13

¹უკვე მესამედ მოვდივარ თქვენთან. „ორი ან სამი მოწმის პირით დამტკიცდება ყოველი სიტყვა.“

²როცა თქვენთან მეორედ ვიყავი, მაშინაც ვამბობდი, და ახლაც წინდაწინ ვეუბნები მათ, ვინც ადრე შესცოდა და ყველა სხვასაც, რომ, როცა კვლავ მოვალ, არავის დავზოგავ.

³თქვენ ეძებთ იმის მტკიცებას, ლაპარაკობს თუ არა ჩემში ქრისტე, რომელიც უძლური არ არის თქვენთვის, არამედ ძლიერია თქვენში.

⁴რადგან, თუმცა უძლურებით იყო ჯვარცმული, მაგრამ ცოცხალია ღმერთის ძალით. და ჩვენც უძლურნი ვართ მასში, მაგრამ ვიცოცხლებთ მასთან ერთად ღმერთის ძალით თქვენთვის.

⁵საკუთარი თავი გამოსცადეთ, თუ ხართ რწმენაში. საკუთარი თავი გამოარკვიეთ. ნუთუ არ იცნობთ საკუთარ თავს, რომ თქვენშია იესო ქრისტე? თუ ასეა, მაშ გამოცდას ვერ უძლებთ.

⁶ჩვენზე კი, ვიმედოვნებ, გაიგებთ, რომ არა ვართ გამოუცდელნი.

⁷ვლოცულობთ ღმერთისადმი, რომ არავითარი ბოროტება არ ჩაიდინოთ, არა იმისათვის, რომ ჩვენ თვითონ გამოვჩნდეთ გამოცდა გამოვლილები, არამედ რათა თქვენ აკეთებდეთ სიკეთეს, გინდაც ჩვენ ხელმოცარულნი გამოვჩნდეთ.

⁸რადგან უძლურნი ვართ ჭეშმარიტების წინააღმდეგ და ძლიერნი ჭეშმარიტებისათვის.

⁹რადგან ვხარობთ, როცა ჩვენ უძლურნი ვართ, თქვენ კი ძლიერნი. ამისთვის ვლოცულობთ კიდევ, თქვენი სრულყოფისთვის.

¹⁰ამიტომ ვწერ ამას შორიდან, რათა მოსვლისას არ მოვიქცე მკაცრად იმ ხელმწიფებისამებრ, რომელიც უფალმა მომცა აღსაშენებლად და არა დასანგრევად.



¹¹დაბოლოს, ძმებო, იხარეთ და განმტკიცდით, თავი ინუგეშეთ და იყავით ერთსულოვანნი, მშვიდობიანნი, და სიყვარულისა და მშვიდობის ღმერთი იქნება თქვენთან.

¹²მოიკითხეთ ერთმანეთი წმიდა ამბორით. მოგიკითხავთ ყველა წმიდა.

¹³მადლი უფლისა იესო ქრისტესი, სიყვარული ღმერთისა და თანაზიარება სულიწმიდისა იყოს თქვენ ყველასთან. ამინ.



გალატელთა მიმართ

გალატელთა 1

- ¹პავლე, მოციქული არა კაცთაგან, არც კაცის მიერ, არამედ იესო ქრისტესი და მამა ღმერთის მიერ, რომელმაც მკვდრეთით აღადგინა იგი,
- ²და ჩემთან მყოფი ყველა ძმა – გალატიის ეკლესიებს:
- ³მადლი თქვენ და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისა და უფალი იესო ქრისტესაგან,
- ⁴რომელმაც თავისი თავი გასცა ჩვენი ცოდვებისათვის, რათა ვეხსენით ამ ბოროტი საუკუნისაგან ჩვენი მამა ღმერთის ნებით,
- ⁵რომელსაც ეკუთვნის დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.
- ⁶მიკვირს, რომ ასე მალე გადადიხართ მისაგან, ვინც მოგიწოდათ ქრისტეს მადლით, სხვა სახარებაზე.
- ⁷თუმცა არ არსებობს სხვა სახარება, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომელთაც არეულობა შეაქვთ თქვენში და სურთ დაამახინჯონ ქრისტეს სახარება.
- ⁸მაგრამ თუნდაც ჩვენ, ან ანგელოზმა ზეციდან გახაროთ არა ის, რაც ჩვენ გახარეთ, შეჩვენებულ იყოს.
- ⁹როგორც წინასწარაც ვთქვი, ახლაც კვლავ ვამბობ: თუ ვინმემ გახაროთ თქვენ არა ის, რაც მიიღეთ, შეჩვენებული იყოს.
- ¹⁰ადამიანებს ვაწონებ თავს თუ ღმერთს? ან იქნებ ვცდილობ ადამიანებს ვაამო? ისევ ადამიანებისთვის თავის მოწონებას რომ ვცდილობდე, ქრისტეს მონა არ ვიქნებოდი.
- ¹¹ხოლო გაუწყებთ თქვენ, ძმებო, რომ სახარება, რომელსაც ვახარებ, არ არის კაცისმიერი.
- ¹²რადგან არ მიმიღია და არ მისწავლია მე იგი კაცისაგან, არამედ მივიღე იესო ქრისტეს გამოცხადებით.
- ¹³რადგან გსმენიათ თქვენ ჩემი წინანდელი ქცევა იუდაიზმში, რომ მე სასტიკად ვდევნიდი ღმერთის ეკლესიას და ვარბევდი მას.
- ¹⁴და იუდაიზმის მიმდევრობაში მრავალ ჩემს თანატოლს აღვემატებოდი ჩემს მოდგმაში, რადგან ჩემი მამების გადმოცემების უდიდესი მოშურნე ვიყავი.



¹⁵ხოლო როცა ესათნოვა ღმერთს, რომელმაც გამომარჩია დედის მუცლიდანვე და მომიწოდა თავისი მადლით,

¹⁶გამოეცხადებინა ჩემში თავისი ძე, რომ მეხარებინა იგი წარმართთათვის, როდი დავეთათბირე მაშინ ხორცსა და სისხლს,

¹⁷და არც იერუსალიმში ავსულვარ ჩემს წინამორბედ მოციქულებთან, არამედ არაბეთში წავედი და იქიდან კვლავ დამასკოში დავბრუნდი.

¹⁸შემდეგ, სამი წლის მერე, ავედი იერუსალიმში პეტრეს სანახავად და 15 დღე დავყავი მასთან.

¹⁹სხვა მოციქულთაგან არავინ მინახავს, გარდა უფლის ძმის, იაკობისა.

²⁰ხოლო ის, რასაც თქვენ გწერთ, მართალია, და არ ვცრუობ ღმერთის წინაშე.

²¹ამის შემდეგ წავედი სირიისა და კილიკიის ქვეყნებში.

²²იუდეაში კი ქრისტეს ეკლესიებისათვის პირადად არ ვიყავი ცნობილი.

²³მხოლოდ ის გაეგონათ, რომ: კაცი, რომელიც ოდესღაც გვდევნიდა, ახლა ახარებსო იმ სარწმუნოებას, რომელსაც წინათ ებრძოდა;

²⁴და ადიდებდნენ ღმერთს ჩემს გამო.

გალატელთა 2

¹¹⁴ წლის შემდეგ კვლავ ავედი იერუსალიმში ბარნაბასთან ერთად და ტიტეც თან წავიყვანე.

²გამოცხადებით ავედი იქ და წარვუდგინე მათ ცალკე, წარჩინებულებს შორის შეხვედრაზე, სახარება, რომელსაც ვქადაგებდი წარმართებთან – ამაოდ ხომ არ ვირჯები ან ვირჯებოდი ადრე.

³მაგრამ ჩემთან მყოფი ტიტეც კი, თუმცა ის ბერძენი იყო, არ აიძულეს, რომ წინადაეცვითა.

⁴ხოლო ცრუმძებნისთვის, რომლებიც შემოიპარნენ, რომ ეთვალთვალათ ჩვენი თავისუფლებისათვის, რომელიც გვაქვს იესო ქრისტეში, – რათა დავემონებინეთ,

⁵ერთი წუთითაც არ დაგვითმია და არ დავმორჩილებივართ, რათა სახარების ჭეშმარიტება დაცული ყოფილიყო თქვენთვის.

⁶ხოლო რაც შეეხება მათ, ვინც წარჩინებულად არიან მიჩნეულნი (როგორებიც არ უნდა იყვნენ ისინი, ჩემთვის სულ ერთია – ღმერთი



გარეგნობის მიხედვით არ განსჯის), მათ სხვა არაფერი დაუკისრებიათ ჩემთვის.

⁷პირიქით, როცა დაინახეს, რომ მე მონდობილი მაქვს ხარება წინადაუცვეთელთათვის ისევე, როგორც პეტრეს წინადაცვეთილთათვის, –

⁸რადგან ვინც პეტრეში მოქმედებდა წინადაცვეთილებთან მოციქულობაში, ჩემში მოქმედებდა წარმართებთან მოციქულობაში –

⁹და, როცა ჩემთვის მოცემული მადლის შესახებ შეიტყვეს იაკობმა, კეფამ და იოანემ, რომელნიც სვეტებად ითვლებიან, გამოგვიწოდეს მე და ბარნაბას თანაზიარების მარჯვენა, რომ ჩვენ წარმართებთან წავსულიყავით, ისინი კი – წინადაცვეთილებთან.

¹⁰ოღონდ შევთანხმდით, რომ უნდა გვხსომებოდა ლატაკები და მეც ამის კეთების მოშურნე ვიყავი.

¹¹როცა კეფა ანტიოქიაში მოვიდა, დავუპირისპირდი მას საჯაროდ, რადგან მცდარად იქცეოდა.

¹²რადგან, ვიდრე ზოგიერთები მოვიდოდნენ იაკობისგან, წარმართებთან ერთად ჭამდა, ხოლო მათი მოსვლისთანავე დაიწყო ჩამოშორება და განზე გადგომა წინადაცვეთილთა რიდით.

¹³მასთან ერთად ფარისევლობდნენ სხვა იუდეველებიც, ისე რომ, ბარნაბაც კი ჩაითრია მათმა პირფერობამ.

¹⁴მაგრამ, როცა დავინახე, რომ ისინი სწორად არ მიჰყვებიან სახარების ჭეშმარიტებას, ყველას თანდასწრებით ვუთხარი კეფას: „თუ შენ, იუდეველი, წარმართივით ცხოვრობ და არა იუდეველივით, წარმართებს რაღად აიძულებ, რომ გაიუდეველდნენ?“

¹⁵ჩვენ ბუნებით იუდეველნი ვართ და არა ცოდვილნი წარმართთაგან;

¹⁶მაგრამ, რაკი შევიტყვეთ, რომ ადამიანი გამართლდება არა რჯულის საქმეებით, არამედ იესო ქრისტეში რწმენით, ჩვენც ვირწმუნეთ იესო ქრისტე, რათა გავმართლდეთ ქრისტეში რწმენით და არა რჯულის საქმეებით, რადგან რჯულის საქმეებით ვერა ხორციელი ვერ გამართლდება.

¹⁷ხოლო ქრისტეში გამართლების მძებნელნი ცოდვილნი თუ აღმოვჩნდით, განა ქრისტე ცოდვის მსახური იქნება? არამც და არამც!

¹⁸რადგან, თუ მე კვლავ აღვადგენ იმას, რაც დავარღვიე, ამით ჩემს თავს დამნაშავედ ვხდი.



¹⁹მე რჯულით მოვკვდი რჯულისათვის, რათა ღმერთისათვის ვიცოცხლო. ქრისტესთან ერთად ვარ ჯვარცმული.

²⁰და ახლა, მე კი არ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში. ახლა რომ სხეულში ვცოცხლობ, რწმენით ვცოცხლობ ღმერთის ძეში, რომელმაც შემიყვარა და თავი გასცა ჩემთვის.

²¹არ უგულვებელყოფ ღმერთის მადლს, რადგან, თუ რჯულითაა გამართლება, ამაოდ მომკვდარა ქრისტე.

გალატელთა 3

¹ჰოი, უგუნურო გალატელებო! ვინ მოგნუსხათ თქვენ, რომელთა თვალწინაც ცხადად აღიბეჭდა იესო ქრისტეს ჯვარცმა?

²მხოლოდ ეს მსურს ვიცოდეთ თქვენგან: რჯულის საქმეებით მიიღეთ სული თუ რწმენის შესმენით?

³ნუთუ იმდენად უმეცარნი ხართ, რომ სულით დაიწყეთ და ახლა ხორციით ამთავრებთ?

⁴ამაოდ იტანჯეთ ამდენი? ნუთუ ამაოდ?!

⁵ვინც სულს გინაწილებთ თქვენ და სასწაულებს ახდენს თქვენს შორის, რჯულის საქმეებით აკეთებს ამას, თუ რწმენის შესმენით?

⁶როცა ერწმუნა ღმერთს აბრაამი, ეს სიმართლედ ჩათვალა მას.

⁷ამიტომ, გაიგეთ, რომ რომლებიც რწმენისგან არიან, აბრაამის შვილები არიან.

⁸როცა წერილმა წინასწარ განჰვრიტა, რომ ღმერთი რწმენით გაამართლებს წარმართებს, წინასწარ ახარა აბრაამს: „და იკურთხება შენით ყველა ერი.“

⁹ამგვარად ისინი, ვინც რწმენისგან არიან, მორწმუნე აბრაამთან ერთად იკურთხებიან.

¹⁰რადგან ყველა, ვინც რჯულის საქმეთაგან არის, წყევლის ქვეშ იმყოფება, რადგან დაწერილია: „წყეულია ყველა, ვინც არ დაიცავს ყოველივეს, რაც რჯულის წიგნშია დაწერილი, და არ შეასრულებს მას.“

¹¹რომ რჯულით ვერავინ გამართლდება ღმერთის წინაშე, ცხადია, „რადგან მართალი რწმენით იცოცხლებს.“

¹²ხოლო რჯული რწმენით არ არის, მაგრამ, ვინც მას შეასრულებს, მისით იცოცხლებს.



¹³ქრისტემ გამოგვისყიდა რჯულის წყევლისაგან და ჩვენს ნაცვლად იტვირთა წყევლა, რადგან დაწერილია: „დაწყევლილია ყოველი, ჩამოკიდებული ძეგლი“,“

¹⁴რათა აბრაამის კურთხევა ქრისტე იესოს მიერ იყოს წარმართებზე, რომ სულის აღთქმა მივიღოთ რწმენით.

¹⁵ძმებო! ადამიანურად ვამბობ: ადამიანის მიერ დამტკიცებულ ანდერძსაც კი ვერავინ უკუაგდებს და ვერც ვერაფერს დაუმატებს.

¹⁶ხოლო აბრაამს ეთქვა ეს აღთქმანი და მის ნაშიერს. არ თქმულა: „შენს ნაშიერებს“ – როგორც მრავალზე, არამედ როგორც ერთზე: „შენს ნაშიერს“,“ რომელიც არის ქრისტე.

¹⁷ამას კი ვამბობ, რომ ღმერთის მიერ წინასწარ დამტკიცებულ ანდერძს ოთხას ვი წლის შემდეგ მოსული რჯული ისე ვერ დაარღვევს, რომ აღთქმული გაუქმდეს.

¹⁸რადგან, თუკი რჯულითაა მემკვიდრეობა, მაშინ აღარ იქნებოდა აღთქმით. აბრაამს კი ღმერთმა აღთქმით მიჰმადლა.

¹⁹მაშ, რჯული რაღაა? რჯული დანაშაულთა გამო იქნა მოცემული, ვიდრე მოვიდოდა ნაშიერი, ვისაც ეკუთვნოდა აღთქმა, და გადმოცემულ იქნა ანგელოზთა მიერ, შუამდგომელის ხელით.

²⁰ერთის შუამდგომელი კი არ არსებობს, ხოლო ღმერთი ერთია.

²¹მაშ, რჯული ეწინააღმდეგება ღმერთის აღთქმებს? არამც და არამც! რადგან, მოცემული რომ ყოფილიყო რჯული, რომელსაც ძალუმს სიცოცხლის მონიჭება, მაშინ ნამდვილად წარმოიქნებოდა სიმართლე რჯულის მიერ.

²²მაგრამ წერილმა ყველა მოამწყვდია ცოდვის ქვეშ, რათა აღთქმა იესო ქრისტეს რწმენით მისცემოდათ მორწმუნეებს.

²³რწმენის მოსვლამდე კი მომწყვდეულები ვიყავით რჯულის მეთვალყურეობის ქვეშ, რწმენის გამოჩენის მოლოდინში.

²⁴ამრიგად, რჯული იყო ჩვენი წარმმართველი ქრისტესაკენ, რათა გავმართლებულიყავით რწმენით.

²⁵მაგრამ როცა რწმენა უკვე მოვიდა, წარმმართველის ქვეშ აღარ ვიმყოფებით.

²⁶რადგან თქვენ ყველანი ღმერთის შვილები ხართ ქრისტე იესოში რწმენით.

²⁷რადგან, რაკი ყველანი მოინათლეთ ქრისტეში, ქრისტეთი შეიმოსენით.



²⁸ადარ არის არც იუდეველი და არც ბერძენი, ადარ არის არც მონა და არც თავისუფალი, არ არის მამრი, არც მდედრი, რადგან თქვენ ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში.

²⁹და თუ ქრისტესნი ხართ, მაშ, ხართ აბრაამის ნაშიერნი და მემკვიდრენი აღთქმით.

გალატელთა 4

¹ვამბობ: მემკვიდრე-მეთქი, მაგრამ ვიდრე ის ყრმაა, არაფრით არ განირჩევა მონისაგან, თუმცა ყოვლის პატრონია.

²არამედ მეურვეთა და მნეთა ხელქვეით იმყოფება მამამისის მიერ დანიშნულ ვადამდე.

³ასევე ჩვენც, ვიდრე ყრმანი ვიყავით, დამონებულნი ვყავდით სამყაროს ელემენტარულ სულებს.

⁴ხოლო როცა მოვიდა ჟამის სისავსე, მოავლინა ღმერთმა თავისი ძე, რომელიც ქალისაგან იშვა და დაემორჩილა რჯულს

⁵რჯულის ქვეშ მყოფთა გამოსასყიდად, რათა მიგვეღო შვილობა.

⁶და რაკილა თქვენ შვილები ხართ, ღმერთმა მოავლინა თქვენს გულებში თავისი ძის სული, რომელიც შესძახის: „აბბა, მამაო!“

⁷ამიტომ შენ უკვე ადარ ხარ მონა, არამედ ძე, ხოლო თუ ძე, მაშ მემკვიდრეც ღმერთის მიერ.

⁸მაგრამ მაშინ, როცა არ იცნობდით ღმერთს, ემსახურებოდით მათ, რომლებიც ბუნებით ღმერთები არ არიან.

⁹ახლა კი, როცა ღმერთი შეიცანით, უფრო მეტიც, როცა ღმერთმა შეგიცნოთ, როგორღა უბრუნდებით უძლურ და საცოდავ წესებს და გინდათ ხელახლა დაემონოთ მათ?

¹⁰დღეებს იცავთ და თვეებს, ვადებსა და წელიწადებს.

¹¹ვშიშობ, ფუჭად ხომ არ მიშრომია თქვენს შორის.

¹²იყავით ჩემისთანები, რადგან მეც თქვენისთანა ვარ, ძმებო, ამას გევედრებით. ჩემთვის არაფერი დაგიშავებიათ.

¹³იცით, რომ ხორცის უძლურებით გახარეთ თქვენ პირველად,

¹⁴და თქვენ არ შეიძულეთ და არც უგულებელყავით ჩემი განსაცდელი სხეულში, არამედ მიმიღეთ, როგორც ღმერთის ანგელოზი, როგორც ქრისტე იესო.



¹⁵სად არის თქვენი მაშინდელი ნეტარება! მაგრამ ვმოწმობ თქვენზე: რომ შეგძლებოდათ, თვალებს ამოითხრიდით და მე მომცემდით.

¹⁶ნუთუ თქვენი მტერი გავხდი, ჭეშმარიტებას რომ გელაპარაკებით?

¹⁷კეთილად როდი მოშურნეობენ ისინი თქვენთვის, არამედ თქვენი მოწყვეტა სურთ, რომ მათთვის მოშურნეობდეთ.

¹⁸კარგია სასიკეთოდ მოშურნეობა ყოველთვის და არა მხოლოდ თქვენთან ჩემი ყოფნისას.

¹⁹ჩემო შვილებო, რომელთათვისაც ჯერაც განვიცდი მშობიარობის ტკივილებს, ვიდრე თქვენში გამოისახებოდეს ქრისტე,

²⁰მინდა, რომ თქვენთან ყოფნა შემემდლოს და სხვა კილოთი გელაპარაკებოდეთ; რადგან გაოგნებული ვარ თქვენით.

²¹მითხარით, ვისაც რჯულის ქვეშ ყოფნა გსურთ, რატომ არ უსმენთ რჯულს?

²²რადგან დაწერილია, რომ ორი ძე ჰყავდა აბრაამს, ერთი მხევლისაგან და მეორე თავისუფლისაგან.

²³ის, რომელიც მხევლისაგან იყო, ხორციელად იყო შობილი, ხოლო რომელიც თავისუფლისაგან – აღთქმის თანახმად.

²⁴აქ არის ქარაგმა, რადგან ეს ორი არის ორი აღთქმა: ერთი სინაის მთიდან, მონობისათვის შობილი, რომელიც არის აგარი.

²⁵რადგან აგარი არის სინაის მთა არაბეთში და ამჟამინდელ იერუსალიმს შეესაბამება, რადგან ის მონობაშია თავის შვილებთან ერთად.

²⁶ხოლო ზენა იერუსალიმი თავისუფალია: ის ყველა ჩვენგანის დედაა.

²⁷რადგან დაწერილია: „იხარე, ბერწო, უშობელო! სიხარულით აყიჟინდი, საღმობათა განუცდელო! რადგან მიტოვებულს მეტი შვილები ჰყავს, ვიდრე გათხოვილს.“

²⁸და ჩვენ, ძმებო, ისააკის კვალზე აღთქმის შვილები ვართ.

²⁹და როგორც მაშინ ხორციელად შობილი სდევნიდა სულით შობილს, ასევეა ახლაც.

³⁰მაგრამ წერილი რას ამბობს? – „განდევნე მხევალი და მისი ძე, რადგან მხევლის ძე ვერ მიიღებს მემკვიდრეობას თავისუფალის ძესთან ერთად.“

³¹ამრიგად, ძმებო, ჩვენ მხევლის შვილები კი არ ვართ, არამედ თავისუფალისა.



გალატელთა 5

- ¹თავისუფლებისათვის გაგვათავისუფლა ჩვენ ქრისტემ. მაშ, იდექით და ნულარ დაიდგამთ მონობის უღელს.
- ²აჰა, მე, პავლე, გეუბნებით თქვენ: თუ წინადაცვეთთ, არავითარი სარგებლობა არ გექნებათ ქრისტესაგან.
- ³და კიდევ ვუმოწმებ ყოველ ადამიანს, რომელიც აპირებს წინადაცვეთას, რომ ის ვალდებულია მთელი რჯული შეასრულოს.
- ⁴თქვენ, რომლებიც ცდილობთ რჯულით გაიმართლოთ თავი, განემორებით ქრისტეს და სწყდებით მადლს.
- ⁵ჩვენ კი სულით, რწმენისაგან, იმედით მოველით სიმართლიანობას.
- ⁶რადგან ქრისტე იესოში ძალა არა აქვს არც წინადაცვეთას, არც წინადაუცვეთელობას, არამედ სიყვარულით მოქმედ რწმენას.
- ⁷კარგად მიდიოდით და ვინ დაგაბრკოლათ, რომ არ დაემორჩილოთ ჭეშმარიტებას?
- ⁸ეს მოსაზრება იმისგან არ არის, ვინც თქვენ მოგიწოდათ.
- ⁹მცირე საფუარი მთელ ცომს აფუებს.
- ¹⁰მჯერა მე თქვენი უფალში, რომ არ იფიქრებთ სხვანაირად, ხოლო თქვენი აღმაშფოთებელი, ვინც უნდა იყოს, მსჯავრს იტვირთავს.
- ¹¹მე კი, ძმებო, თუკი კვლავ ვქადაგებ წინადაცვეთას, რისთვისღა ვიდევნები? მაშინ ჯვრის საცთური მოიხსნებოდა.
- ¹²ნეტა განიდევნებოდნენ თქვენი შემაშფოთებელნი.
- ¹³თქვენ თავისუფლებისათვის ხართ მოწოდებულნი, ძმებო, ოღონდ ეს თავისუფლება არ უნდა გახდეს საბაზი ხორცის საამებლად, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს.
- ¹⁴რადგან მთელ რჯულს ეს ერთი მცნება მოიცავს: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.“
- ¹⁵მაგრამ თუ ერთმანეთს კბენთ და ჭამთ, ფრთხილად იყავით, ერთმანეთი არ მოსპოთ.
- ¹⁶აჰა, ვამბობ: მოიქეცით სულიერად და ნუ აღასრულებთ ხორცის გულისთქმებს.



¹⁷რადგან ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი – ხორცის საწინააღმდეგო. ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რათა ვერ აკეთოთ ის, რაც გსურთ.

¹⁸თუ სულით დადიხართ, რჯულის ქვეშ აღარა ხართ.

¹⁹ხორცის საქმეები აშკარაა. ესენია: გარყვნილება, უწმიდურება, თავაშვებულება,

²⁰კერპთმსახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, ეჭვიანობა, რისხვა, თავკერძობა, უთანხმოებანი, განხეთქილება,

²¹შური, ლოთობა, გაუმაძღრობა და ამათი მსგავსი. წინასწარ გეუბნებით, როგორც ადრეც მითქვამს, რომ ამის ჩამდენნი ღმერთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ.

²²ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, კეთილგანწყობა, სიკეთე, ერთგულება,

²³უმფოთველობა, მოთმინება – ამათ წინააღმდეგ არ არის რჯული.

²⁴ხოლო მათ, ვინც ქრისტე იესოსნი არიან, ჯვარს აცვეს თავიანთი სხეული ვნებებთან და გულისთქმებთან ერთად.

²⁵თუ სულით ვცოცხლობთ, სულითვე უნდა ვიაროთ.

²⁶ნუ ვიქნებით ცუდმედიდურები, ერთმანეთის გამდიჭიანებლები და ერთმანეთის მიმართ შურიანები.

გალატელთა 6

¹ძმებო! თუ კაცი რაიმე შეცოდებაში ჩავარდება, თქვენ, სულიერებმა, გამოასწორეთ იგი თავმდაბლობის სულით. და გაფრთხილდი, რომ შენც არ ჩავარდე განსაცდელში.

²ატარეთ ერთმანეთის ტვირთი და ამით აღასრულებთ ქრისტეს რჯულს.

³რადგან, ვისაც თავისი თავი რაიმე ჰგონია და ამ დროს არაფერიც არ არის, ის თავს იტყუებს.

⁴ხოლო თვითეულმა თავისი საქმე გამოსცადოს და მაშინ ექნება სიქადული თავის თავში და არა სხვაში.

⁵რადგან ყველამ თავისი ბარგი უნდა ატაროს.

⁶სიტყვაში დამოდღვრილმა ყოველივე სიკეთეს გაუზიაროს დამმოდღვრელს.



⁷ნუ მოტყუვდებით: ღმერთი თავს არავის შეარცხვენინებს, რასაც დათესავს კაცი, იმას მოიმკის.

⁸ვინც თავისი ხორცისათვის თესავს, ხორცისაგან მოიმკის ხრწნილებას. ხოლო ვინც სულისათვის თესავს, სულისაგან მოიმკის საუკუნო სიცოცხლეს.

⁹სიკეთის კეთება ნუ მოგვეწყინება, რადგან თავის ჟამს მოვიმკით, თუ არ მოვდუნდებით.

¹⁰ამგვარად, ვიდრე გვაქვს ჟამი, სიკეთე ვაკეთოთ ყველასთვის, უფრო მეტად კი მათთვის, ვინც რწმენით ჩვენიათ.

¹¹ნახეთ, რამხელა ასოებით მოგწერეთ ჩემი ხელით.

¹²სხეულით თავმოწონების მსურველები გაიძულებენ წინადაცვეთას მხოლოდ იმიტომ, რომ ქრისტეს ჯვრისთვის არ იდევნებოდნენ.

¹³რადგან თვით წინადაცვეთილებიც არ იცავენ რჯულს, მაგრამ უნდათ, რომ წინადაცვეთით, რათა თქვენი სხეულით დაიქადონ.

¹⁴მე კი, თუ დავიქადნი, მხოლოდ ჩვენი უფალი იესო ქრისტეს ჯვრით, რომლითაც ქვეყნიერება ჯვარცმულია ჩემთვის, ხოლო მე ქვეყნიერებისათვის.

¹⁵რადგან ქრისტე იესოში არაფერია არც წინადაცვეთა, არც წინადაუცვეთლობა, არამედ მხოლოდ ახალი ქმნილება.

¹⁶ვინც ამ წესისამებრ მოიქცევა, მშვიდობა და წყალობა მასზე და ღმერთის ისრაელზე.

¹⁷ამიერიდან ნუღარავინ შემაწუხებს, რადგან უფალ იესოს წყლულებს ვატარებ ჩემი სხეულით.

¹⁸ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მაღლი იყოს თქვენს სულთან, ძმებო! ამინ.



ეფესელთა მიმართ

ეფესელთა 1

- ¹პავლე, ღმერთის ნებით იესო ქრისტეს მოციქული, ეფესოში მყოფ წმიდათ და მორწმუნეთ იესო ქრისტეში:
- ²მადლი და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისა და უფალი იესო ქრისტესაგან.
- ³კურთხეულია ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთი და მამა, რომელმაც გვაკურთხა ქრისტეში ყოველგვარი სულიერი კურთხევით ცათა შინა,
- ⁴როგორც ამოგვარჩია ჩვენ მასში სამყაროს შექმნამდე, რათა წმიდანი და უბიწონი ვიყოთ მის წინაშე სიყვარულით.
- ⁵წინასწარ განსაზღვრა ჩვენი შვილება იესო ქრისტეს მეშვეობით თავისი ნებისამებრ,
- ⁶თავისი მადლის დიდების საქებრად, რომლითაც მოგვმადლა თავის საყვარელში.
- ⁷მასში გვაქვს გამოსყიდვა მისი სისხლის მეშვეობით, ცოდვების მოტევა მისი მადლის სიმდიდრის თანახმად,
- ⁸რომელიც უხვად მოგვცა ყოველგვარი სიბრძნით და გონებით,
- ⁹რაკი გვაუწყა თავისი ნების საიდუმლო თავისი სათნოყოფით, რომელიც წინასწარ განაჩინა მასში
- ¹⁰ჟამთა აღვსების განსაგებლად, რათა ქრისტეში მოიყაროს თავი ყოველივემ, რაც ცაშია და რაც მიწაზეა.
- ¹¹მასში ვპოვეთ კიდევ მემკვიდრეობა წინასწარ განწესებულებმა მისი განჩინების თანახმად, ვინც ყოველივეს იქმს თავისი ნების გადაწყვეტილებით,
- ¹²რათა ვიყოთ მისი დიდების საქებად ჩვენ, რომელთაც წინასწარ გვქონდა ქრისტეს იმედი.
- ¹³მასში ხართ თქვენც, ვინც მოისმინეთ ჭეშმარიტების სიტყვა, თქვენი ხსნის სახარება, იწამეთ და დაიბეჭდეთ აღთქმული სულიწმიდის მიერ,
- ¹⁴რომელიც ჩვენი მემკვიდრეობის წინდია, მისი საკუთრების გამოსასყიდად, მისი დიდების საქებად.
- ¹⁵ამიტომ მეც, როცა მოვისმინე უფალ იესოში თქვენი რწმენისა და ყველა წმიდის მიმართ თქვენი სიყვარულის შესახებ,



¹⁶არ ვწყვეტ ღმერთისადმი მადლობას თქვენთვის, გიხსენებთ ჩემს ლოცვებში,

¹⁷რათა მოგცეთ თქვენ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად,

¹⁸და განათლდნენ თქვენი გულის თვალები, რათა იცოდეთ, რა არის მისი მოწოდების იმედი და როგორია მისი დიდებული მემკვიდრეობის სიმდიდრე წმიდათათვის,

¹⁹და რა განუზომელია მისი ძალის მოქმედების სიდიადე ჩვენს მიმართ, ვისაც გვწამს მისი ძალის ძლიერების მოქმედებით,

²⁰რომლითაც მან იმოქმედა ქრისტეში, მკვდრეთით რომ აღადგინა იგი და თავის მარჯვნივ დასვა ზეცაში²¹ ყველა მთავრობაზე, ხელმწიფებაზე, ძალზე, უფლებაზე და ყოველივე სახელზე მაღლა, რაც კი სახელდებულია არა მარტო ამ საუკუნეში, არამედ მომავალშიც.

²²და ყოველივე დაუმორჩილა მას ფეხთა ქვეშ და დაუდგინა იგი ყველაფერზე მაღლა ეკლესიას,

²³რომელიც არის მისი სხეული, სისავსე აღმავსებლისა ყოველივესი ყოველივეთი.

ეფესელთა 2

¹თქვენც მკვდრები იყავით თქვენი დანაშაულებითა და ცოდვებით,

²რომლებშიც ოდესღაც იარებოდით ქვეყნიერების ამ ჭამისამებრ, ჰაერის ხელმწიფების მთავრის, იმ სულის ნებით, ამჟამად ურჩობის შვილებში რომ მოქმედებს.

³ჩვენც ყველანი მათში ვცხოვრობდით ოდესღაც ჩვენი ხორციელი გულისთქმებით და ვასრულებდით ხორცისა და ლტოლვათა ნებას, და ბუნებით რისხვის შვილები ვიყავით სხვების მსგავსად,

⁴მაგრამ წყალობით მდიდარმა ღმერთმა, თავისი დიდი სიყვარულით, რომლითაც შეგვიყვარა,

⁵ჩვენ, დანაშაულთა გამო მკვდრები, გაგვაცოცხლა ქრისტესთან ერთად – მაღლით ხარტ გამოხსნილნი, –

⁶და თანააღგვადგინა და ცათა შინა თანადაგვსხა ქრისტე იესოში,

⁷რათა მომავალ საუკუნეებში აჩვენოს თავისი მაღლის გარდამეტებული სიმდიდრე ჩვენდამი მოწყალებით ქრისტე იესოში.



- ⁸რადგან მადლით ხართ გამოხსნილნი, რწმენის წყალობით, და ეს თქვენი კი არა, ღმერთის ნიჭია,
- ⁹არა საქმეთაგან, რათა არავინ დაიქადოს,
- ¹⁰რადგან მისი ქმნილებანი ვართ, ქრისტე იესოში შექმნილნი კეთილი საქმეებისათვის, რომლებიც წინასწარ გაგვიმზადა ღმერთმა, რათა მათში ვიაროთ.
- ¹¹ამიტომ გახსოვდეთ, რომ თქვენ, ოდესღაც ხორცით წარმართები, რომელთაც წინადაუცვეთლებს გიწოდებდნენ ისინი, ვისაც ერქვათ წინადაცვეთილები ხორცის წინადაცვეთით, რაც ხელით სრულდებოდა,
- ¹²რომ იმ ჟამს თქვენ ქრისტეს გარეშე იყავით, ისრაელის მოქალაქეობისაგან გაუცხოებულნი, აღთქმის მცნებათაგან უცხონი, არ გაგაჩნდათ სასოება და უღვთონი იყავით ამქვეყნად.
- ¹³ახლა კი იესო ქრისტეში, ოდესღაც შორს მყოფნი, ახლობლები გახდით ქრისტეს სისხლით.
- ¹⁴რადგან ის არის ჩვენი მშვიდობა, რომელმაც ორი ერთად აქცია და დაარღვია გამყოფი ზღუდე,
- ¹⁵გააუქმა მტრობა თავისი სხეულით, მცნებათა რჯული თავისი ბრძანებებიანად, რათა ორისაგან თავის თავში შეექმნა ერთი ახალი ადამიანი, მშვიდობისმყოფელი.
- ¹⁶და ერთ სხეულში ორივე შეერიგებინა ღმერთთან ჯვრის მეშვეობით, მასში მტრობის მოკვდინებით.
- ¹⁷და მოვიდა და გახარათ მშვიდობა თქვენ, შორეულთ და ასევე მშვიდობა – ახლობელთ,
- ¹⁸რადგან მის მიერ ორივეს გვაქვს ერთი სულით მისადგომი მამასთან.
- ¹⁹ამიტომ თქვენ უკვე აღარა ხართ უცხოები და მდგმურები, არამედ წმიდათა თანამოქალაქენი და ღმერთის სახლეულნი,
- ²⁰დაშენებულნი მოციქულთა და წინასწარმეტყველთა საძირკველზე, სადაც თვითონ ქრისტე იესოა ქვაკუთხედი,
- ²¹რაზედაც მთელი შენაწევრებული შენობა იზრდება წმიდა ტაძრად უფალში,
- ²²რომელზეც თანაშენდებით თქვენც ღმერთის საცხოვრისად სულში.

ეფესელთა 3



- ¹ამიტომ ვარ მე, პავლე, ქრისტე იესოს პატიმარი თქვენთვის, წარმართებისათვის, –
- ²თქვენ ხომ ისმინეთ ღმერთის მადლის განმგებლობაზე, რომელიც მომეცა მე თქვენთვის.
- ³გამოცხადებით მეუწყა მე საიდუმლო, რომლის შესახებაც უკვე მოგწერეთ მოკლედ.
- ⁴როცა წაიკითხავთ, შეგეძლებათ გაიგოთ ჩემი ცოდნა ქრისტეს საიდუმლოსი,
- ⁵რომელიც წინა თაობებში არ გამოცხადებიათ ადამიანთა შვილებს, როგორც ახლა გამოცხადათ მის წმიდა მოციქულებს და წინასწარმეტყველებს სულით, –
- ⁶რომ წარმართებიც თანამემკვიდრენი, თანასხეულნი და აღთქმის თანაზიარნი უნდა იყვნენ ქრისტეში სახარების მეშვეობით,
- ⁷რომლის მსახური გავხდი ღმერთის მადლის ნიჭით, ჩემთვის მოცემული მისი ძალის მოქმედებით.
- ⁸მე, ყველა წმიდას შორის უმცირესს, მომეცა ეს მადლი – მეხარებინა წარმართთათვის ქრისტე იესოს მიუწვდომელი სიმდიდრე
- ⁹და გამეცხადებინა ყველასათვის, რა არის საუკუნეთაგან დაფარული საიდუმლოს განმგებლობა ყოვლის შემქმნელ ღმერთში,
- ¹⁰რათა ეუწყოს ახლა ეკლესიის მიერ მთავრობათ და ხელმწიფებათ ცათა შინა ღმერთის მრავალგვარი სიბრძნე
- ¹¹მარადიული განჩინებით, რომელიც განახორციელა ჩვენს უფალ ქრისტე იესოში,
- ¹²რომელშიც გვაქვს სითამამე და საიმედო მისადგომი მისდამი რწმენის მეშვეობით.
- ¹³ამიტომ გთხოვთ, გული არ გაიტეხოთ ჩემი გასაჭირის გამო თქვენთვის, რომელიც თქვენი დიდებაა.
- ¹⁴ამისათვის ვიდრეკ მუხლს მამის წინაშე,
- ¹⁵ვისგანაც სახელდებულია ყოველი სახლეული ცაში და მიწაზე,
- ¹⁶რომ მოგცეთ ძალა თავისი დიდების სიმდიდრისამებრ, მისი სულის მიერ შინაგან ადამიანში განსამტკიცებლად,
- ¹⁷ქრისტეს დასამკვიდრებლად რწმენის მეშვეობით თქვენს გულებში, და იყოთ სიყვარულში ფესვგადგმულები და დაფუძნებულები,



¹⁸რათა შეძლოთ ყველა წმიდასთან ერთად ჩაწვდეთ, თუ რა არის სიგანე და სიგრძე და სიმაღლე და სიღრმე,

¹⁹და შეიცნოთ ცოდნას აღმატებული ქრისტეს სიყვარული, რათა აღივსოთ სრული ღვთიური სისავსით.

²⁰ხოლო მას, ვისაც შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ, ჩვენში მოქმედი ძალისამებრ,

²¹მას დიდება ეკლესიაში და ქრისტე იესოში, ყველა თაობის მიმართ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ეფესელთა 4

¹ამგვარად, მე, პატიმარი უფალში, შეგაგონებთ მოიქცეთ ისე, რომ ღირსი იყოთ იმ მოწოდებისა, რომლითაც მოწოდებულნი ხართ,

²მთელი თავმდაბლობით, სიმშვიდითა და სულგრძელებით შეიწყნარეთ ერთმანეთი სიყვარულით.

³ეცადეთ, შეინარჩუნოთ სულის ერთობა მშვიდობის კავშირში:

⁴ერთი სხეული და ერთი სული, როგორც მოწოდებულნი ხართ კიდევ თქვენი მოწოდების ერთ სასოებაში.

⁵ერთი უფალი, ერთი რწმენა, ერთი ნათლისღება,

⁶ერთი ღმერთი და ყოველთა მამა ყოველთა ზედა, მოქმედი ყოველთა მიერ და მყოფი ყველაში.

⁷ხოლო თითოეულ ჩვენგანს მოცემული აქვს მადლი ქრისტესმიერი ნიჭის ზომისამებრ.

⁸ამიტომ არის ნათქვამი: „ავიდა სიმაღლეზე, დაატყვევა ტყვეობა და უბოძა ნიჭები ადამიანებს.“

⁹ხოლო „ავიდა“ განა არ ნიშნავს იმას, რომ იგი პირველად მიწის ქვესკნელში ჩავიდა?

¹⁰ხოლო ჩასული იგივეა, რაც ასული ყველა ცაზე მაღლა, რათა აღავსოს ყოველივე.

¹¹და მან დააყენა ერთნი მოციქულებად, მეორენი – წინასწარმეტყველებად, ზოგნი – მახარებლებად, ზოგნი – მწყემსებად და მოძღვრებად,

¹²რათა განამზადოს წმიდები მსახურების საქმისათვის, ქრისტეს სხეულის აღსაშენებლად,



- ¹³ვიდრე ყველანი მივალწევდეთ რწმენის ერთიანობას და ღმერთის ძის შეცნობას, სრულყოფილ ადამიანად გადაქცევას, ქრისტეს სისავსის ასაკის ზომას,
- ¹⁴რათა აღარ ვიყოთ ბავშვები, რომელთაც არყევს და იტაცებს მოძღვრების ყველა ქარი, მოწოდებული ადამიანთა ცბიერებით, ცდუნების მზაკვრული ხელოვნებით,
- ¹⁵არამედ, ვილაპარაკოთ ჭეშმარიტება სიყვარულით და ყველაფერში ვიზრდებოდეთ მის მიმართ, ვინც არის თავი – ქრისტე,
- ¹⁶ვისგანაც მთელი სხეული, შენაწევრებული და შემტკიცებული ყოველნაირი მაცოცხლებელი კავშირების საშუალებით, სხეულის თითოეული ასოს ზომიერად მოქმედებით იზრდება თავისი თავის აღსაშენებლად სიყვარულში.
- ¹⁷ამას ვამბობ და ვმოწმობ უფალში, რათა აღარ მოიქცეთ ისე, როგორც წარმართები იქცევიან თავიანთი ამაოებაზე მიპყრობილი გონებით,
- ¹⁸გონებადაბნელებულნი და ღმერთის ცხოვრებისაგან გაუცხოებულნი, თავიანთი უმეცრებისა და გულქვაობის გამო,
- ¹⁹ისინი, რომელთაც სირცხვილის გრძნობა დაკარგეს და გარყვნილებას მიეცნენ, რათა ყოველგვარი უწმიდურება ჩაიდინონ გაუმადლობით.
- ²⁰ხოლო თქვენ ასე არ შეგიცნიათ ქრისტე, –
- ²¹თუ მართლაც გსმენიათ მისგან და მასში ხართ განსწავლულნი, – რომ იესოშია ჭეშმარიტება.
- ²²მიტოვებული გაქვთ ძველი ადამიანის წინანდელი ცხოვრება, გულისთქმებით და ცდუნებებით გახრწნილი,
- ²³და განახლებულნი ხართ თქვენი გონების სულით,
- ²⁴და შეგიძლიათ ახალი ადამიანი, რომელიც შექმნილია ღმერთისამებრ, სიმართლითა და ჭეშმარიტების სიწმიდით.
- ²⁵ამიტომ განიშორეთ სიცრუე და თითოეულმა თქვენგანმა თავის ახლობელს ჭეშმარიტება ელაპარაკოს, რადგან ერთიმეორის ასონი ვართ.
- ²⁶თუ განრისხდებით, ნუ შესცოდავთ: მზე ნუ ჩავა თქვენს რისხვაში.
- ²⁷ნუ მისცემთ ადგილს ეშმაკს.
- ²⁸მპარავი ნუღარ მოიპარავს. სჯობს იშრომოს და თავისი ხელით მოიმოქმედოს სიკეთე, რათა ჰქონდეს გაჭირვებულისათვის მისაცემად.



²⁹ნურანაირი უშვერი სიტყვა ნუ დაგცდებათ პირიდან, არამედ მხოლოდ კეთილი, რაც საჭიროა აღსაშენებლად, რათა მადლი მიანიჭოს გამგონეთ.

³⁰ნუ შეაწუხებთ ღმერთის წმიდა სულს, რომლითაც თქვენ აღბეჭდილნი ხართ გამოსყიდვის დღისათვის.

³¹ყოველგვარი სიმწარე, მძვინვარება, რისხვა, ყვირილი და გმოზა განგშორდეთ ყველა ბოროტებასთან ერთად.

³²იყავით კეთილნი ერთიმეორის მიმართ, თანაუგრძნეთ და მიუტევეთ ერთმანეთს, როგორც ღმერთმა ქრისტეში მოგიტევათ თქვენ.

ეფესელთა 5

¹მაშ, მიბაძეთ ღმერთს, როგორც საყვარელმა შვილებმა,

²იარეთ სიყვარულში ისევე, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა ჩვენ და თავისი თავი მისცა ჩვენთვის ღმერთს შესაწირავად და მსხვერპლად, საამო კეთილსურნელებად.

³სიძვა და ყოველგვარი უწმიდურება ან ანგარება არც კი იხსენებოდეს თქვენს შორის, როგორც წმიდებს შეშვენით.

⁴ასევე უგვანი საქციელი, ფუჰსიტყვაობა თუ ლაქლაქი არ შეგფერით, არამედ – უფრო სამადლობელი,

⁵რადგან ეს იცოდეთ, რომ არც ერთ მეძავს, ან უწმიდურს, ან ანგარს, რომელიც კერპთაყვანისმცემელია, არა აქვს მემკვიდრეობა ქრისტეში და ღმერთის სასუფეველში.

⁶არავინ გაცდუნოთ ფუჰი სიტყვებით, რადგან ამისათვის ღმერთის რისხვა ეწევა ურჩ შვილებს.

⁷ამიტომ ნუ იქნებით მათი თანაზიარნი.

⁸რადგან ოდესღაც იყავით სიბნელე, ახლა კი ნათელი ხართ უფალში. იარეთ, როგორც ნათლის შვილებს შეშვენით.

⁹რადგან ნათლის ნაყოფი არის ყოველივე სიკეთეში, სიმართლესა და ჭეშმარიტებაში.

¹⁰გამოსცადეთ, რა არის უფლის მოსაწონი.

¹¹ნუ შეეზიარებით ბნელის უნაყოფო საქმეებს, არამედ უფრო მეტი, ამხილეთ.

¹²რადგან მათგან ფარულად ჩადენილი სალაპარაკოდაც კი სამარცხვინოა.



- ¹³ხოლო ყოველი მხილებული ნათლისაგან მჟღავნდება,
- ¹⁴რადგან ყოველი გამომჟღავნებული ნათელია. ამიტომ ამბობს: „გაიღვიძე, მძინარევ, და აღსდექ მკვდრეთით, და გაგინათებს შენ ქრისტე.“
- ¹⁵მაშ, ყურადღებით იყავით, როგორ იქცევით – მოიქეცით არა როგორც უგუნურნი, არამედ როგორც ბრძენნი.
- ¹⁶გამოიყენეთ ჟამი, რადგან ეს დღეები ბოროტია.
- ¹⁷ამიტომ, ნუ იქნებით უგუნურები, არამედ შეიცანით, რა არის უფლის ნება.
- ¹⁸ნუ დათვრებით ღვინით, რომელშიც აღვირახსნილობაა, არამედ აღივსენით სულით.
- ¹⁹ელაპარაკეთ ერთმანეთს ფსალმუნებით, საგალობლებითა და სულიერი სიმღერებით, უმღერეთ და ეფსალმუნეთ უფალს გულებში.
- ²⁰მადლობდეთ ყოველთვის ყველაფრისათვის ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით ღმერთსა და მამას.
- ²¹დაემორჩილეთ ერთმანეთს ქრისტეს მოშიშებით.
- ²²ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს.
- ²³რადგან ქმარი არის ცოლის თავი, როგორც ქრისტე არის ეკლესიის თავი და მისი სხეულის მაცხოვარი.
- ²⁴როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, ასევე ცოლებიც უნდა დაემორჩილონ თავიანთ ქმრებს ყველაფერში.
- ²⁵მამაკაცებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და თავი გასწირა მისთვის,
- ²⁶რათა წმიდაეყო იგი, განეწმიდა წყალში განბანით სიტყვით.
- ²⁷რათა განემზადებინა იგი თავისთვის დიდებულ ეკლესიად, არ ჰქონოდა მწიკვლი ან კვალი წყლულისა, ან რაიმე მისი მსგავსი, არამედ, რათა წმიდა და უბიწო ყოფილიყო.
- ²⁸ისე უნდა უყვარდეთ მამაკაცებს თავიანთი ცოლები, როგორც საკუთარი სხეულები. თავისი ცოლის მოყვარულს, თავისი თავი უყვარს.
- ²⁹რადგან არავის არასოდეს მოსძულებია თავისი ხორცი, არამედ კვებას და უფლის მას, როგორც ქრისტე ეკლესიას.
- ³⁰იმიტომ, რომ მისი სხეულის ასონი ვართ, მისი ხორცთაგანნი და მისი ძვალთაგანნი.



³¹ამის გამო მიატოვებს კაცი თავის დედ-მამას და მიეკრობა თავის ცოლს, და ორივენი ერთხორცად იქნებიან.

³²დიდია ეს საიდუმლო, მე ვამბობ ქრისტეზე და ეკლესიაზე.

³³ასევე თქვენც, თითოეულს, უყვარდეს თავისი ცოლი, როგორც საკუთარი თავი. ცოლსაც ქმრის მოწიწება ჰქონდეს.

ეფესელთა 6

¹შვილებო, დაემორჩილეთ თქვენს მშობლებს უფალში, რადგან ეს სამართლიანია.

²„პატივი ეცი შენს მამას და დედას,“ – ეს არის პირველი მცნება აღთქმით, –

³„რათა მოგეცეს სიკეთე და დღეგრძელი იყო დედამიწაზე.“

⁴თქვენ კი, მამებო, ნუ გააღიზიანებთ თქვენს შვილებს, არამედ აღზარდეთ ისინი უფლის მოძღვრებითა და შეგონებით.

⁵დაემორჩილეთ, მონებო, თქვენს ხორციელ უფალთ შიშითა და ძრწოლით, წრფელი გულით, როგორც ქრისტეს,

⁶არა მოჩვენებით, როგორც პირმოთენი, არამედ როგორც ქრისტეს მონები, რომლებიც მთელი გულით ასრულებენ ღმერთის ნებას

⁷და გულმოდგინებით ემსახურებიან უფალს და არა ადამიანებს.

⁸იცოდეთ, რომ ყველა, ვინც სიკეთეს ჩადის, მასვე მიიღებს უფლისაგან, მონა იქნება, თუ თავისუფალი.

⁹თქვენ კი, ბატონებო, ასევე მოექცით მათ, თავი შეიკავეთ სისასტიკისაგან და იცოდეთ, რომ მათაც და თქვენც უფალი გყავთ ცაში და იგი მიკერძოებული არ არის.

¹⁰და ბოლოს, ჩემო ძმებო, გამაგრდით უფლით და მისი ძალის სიმტკიცით.

¹¹შეიმოსეთ ღმერთის სრული საჭურველი, რათა შეძლოთ წინ აღუდგეთ ეშმაკის ხრიკებს.

¹²რადგან ჩვენი ბრძოლა არის არა სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფებათა წინააღმდეგ, ამა სოფლის ბნელეთის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ.

¹³ამიტომ აიღეთ ღმერთის სრული საჭურველი, რათა შეძლოთ წინააღდგომა ბოროტ დღეს და ყოვლის მძლეველებმა გასძლოთ.



¹⁴მაშ, იდექით ჭეშმარიტებით წელშემოსარტყლულნი და სიმართლის ჯავშნით შემოსილები,

¹⁵და ფეხშემოსილნი მშვიდობის ხარების მზადყოფნით.

¹⁶და ყველაფერ ამასთან ერთად აიღეთ რწმენის ფარი, რომლითაც შეძლებთ ბოროტის გავარვარებული ისრების ჩაქრობას.

¹⁷აიღეთ ხსნის მუზარადი და სულის მახვილი, რომელიც არის ღმერთის სიტყვა.

¹⁸ყოველგვარი ლოცვით და ვედრებით ილოცეთ ყოველ ჟამს სულით და მუდამ იფხიზლეთ ამაზე ყოველგვარი სიმხნევით და ლოცვით ყველა წმიდისათვის,

¹⁹ჩემთვისაც, რათა მომეცეს მე სიტყვა და ჩემი პირით ცხადად ვაუწყო სახარების საიდუმლო,

²⁰რომლის ბორკილდადებული ელჩიცა ვარ, – რათა გაცხადებით ვილაპარაკო, რისი თქმაც მმართვეს.

²¹რომ თქვენც იცოდეთ ჩემი გარემოებანი და რას ვაკეთებ, ყოველივეს გაუწყებთ ტიქიკოსი, საყვარელი ძმა და უფლის სარწმუნო მსახური,

²²რომელიც სწორედ იმიტომ გამოვგზავნე თქვენთან, რომ შეიტყოთ ჩვენი ამბავი და მანაც ანუგეშოს თქვენი გულები.

²³მშვიდობა ძმებს და სიყვარული რწმენითურთ მამა ღმერთისაგან და უფალი იესო ქრისტესაგან.

²⁴მადლი ყველას, ვისაც უცვლელი სიყვარულით უყვარს უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ამინ.



ფილიპელთა მიმართ

ფილიპელთა 1

- ¹პავლე და ტიმოთე, ქრისტე იესოს მონები, ყველა წმიდას ქრისტე იესოში, რომელნიც ფილიპეში იმყოფებიან, ეპისკოპოსებითა და დიაკვნებითურთ:
- ²მადლი თქვენ და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისა და უფალი იესო ქრისტესაგან.
- ³ვმადლობ ჩემს ღმერთს თქვენს ყოველ გახსენებაზე.
- ⁴ჩემს ყველა ლოცვაში მუდამ სიხარულით ვევედრები ყოველი თქვენგანისათვის,
- ⁵სახარებაში თქვენი თანაზიარებისათვის პირველი დღიდან აქამომდე.
- ⁶დარწმუნებული ვარ, რომ დამწყები თქვენში კეთილი საქმისა აღასრულებს კიდევ მას იესო ქრისტეს დღემდე.
- ⁷სწორედაც რომ მმართვეს ფიქრი ყოველ თქვენგანზე, რადგან გულში მყავარხართ, ჩემს ბორკილებში ყოფნისას, სახარების დაცვისას და განმტკიცებისას, თქვენ ყველანი თანაზიარნი ხართ ჩემს მადლში.
- ⁸რადგან ღმერთია ჩემი მოწმე, როგორ მენატრებით თქვენ ყველანი ქრისტე იესოს სიყვარულით.
- ⁹ამაზე ვლოცულობ, რომ უფრო და უფრო გაიზარდოს თქვენი სიყვარული შეცნობასა და ყველაფრის გაგებაში,
- ¹⁰რათა აირჩიოთ უმჯობესი და იყოთ წრფელნი და შეუბღალავნი ქრისტეს დღეს,
- ¹¹სიმართლის ნაყოფით აღვსილნი იესო ქრისტეს მიერ ღმერთის სადიდებლად და საქებრად.
- ¹²მმეხო, მსურს იცოდეთ, რომ ის, რაც მე გადამხდა, უფრო სახარების წარმატებისთვის მოხდა.
- ¹³ისე რომ, ჩემი ბორკილები ქრისტეში ცნობილი გახდა მთელი პრეტორიუმისათვის და ყველა დანარჩენთათვის.
- ¹⁴და გამხნევდა ძმათა უმრავლესობა უფალში ჩემი ბორკილებით და გაბედა, რომ უფრო მეტად და უშიშრად ელაპარაკა სიტყვა.
- ¹⁵თუმცა ზოგიერთნი შურიტ და ჯიბრით აკეთებენ ამას, მაგრამ ზოგნი კი კეთილი ზრახვით ქადაგებენ ქრისტეს.



- ¹⁶ესენი სიყვარულით მოქმედებენ, რადგან იციან, რომ სახარების დასაცავად ვარ დადგენილი.
- ¹⁷ზოგნი კი შურით ახარებენ ქრისტეს არაწრფელად, რადგან ფიქრობენ ჩემი ბორკილების დამძიმებას.
- ¹⁸მერედა რა! როგორც არ უნდა იქადაგონ ქრისტე – მოსაჩვენებლად თუ ჭეშმარიტებით, მიხარია ეს და კვლავაც გავიხარებ,
- ¹⁹რადგან ვიცი, რომ ეს მე ხსნამდე მიმიყვანს თქვენი ლოცვითა და იესო ქრისტეს სულის შეწევნით,
- ²⁰თანახმად მოლოდინისა და სასოებისა, რომ არაფერში არ შევრცხვები, არამედ მთელი სიცხადით, როგორც ყოველთვის, ისე ახლაც განდიდდება ქრისტე ჩემს სხეულში – სიცოცხლით იქნება თუ სიკვდილით,
- ²¹რადგან ჩემთვის სიცოცხლე ქრისტეა და სიკვდილი – მონაგები.
- ²²მაგრამ თუ ხორციელი ცხოვრება ჩემი საქმის ნაყოფის მომტანია, არ ვიცი, რა ამოვირჩიო.
- ²³შეჭირვებული ვარ ამ ორი მხრიდან: ძალზე მსურს გავიდე და ვიყო ქრისტესთან, რაკი ეს ბევრად უკეთესია,
- ²⁴ხორცში დარჩენა კი უფრო თქვენთვის არის საჭირო.
- ²⁵და მე დარწმუნებული ვარ, რომ დავრჩები და ვიქნები თქვენ ყველასთან ერთად თქვენი წარმატებისა და რწმენის სიხარულისათვის,
- ²⁶რათა ჩემ მიერ კიდევ უფრო გამრავლდეს თქვენი სიქადული ქრისტე იესოში, როცა კვლავ მოვალ თქვენთან.
- ²⁷ოღონდ ქრისტეს სახარების ღირსად მოიქეცით, რათა, ან როცა მოვალ და გნახავთ, ან თუ არ ვიქნები თქვენთან, მოვისმინო თქვენზე, რომ დგახართ ერთ სულში და ერთ სამშვინველში იღწვით სახარების რწმენისათვის.
- ²⁸ნურაფერში შეუშინდებით მოწინააღმდეგეს: ეს მათთვის დალუპვის ნიშანია, თქვენთვის კი – ხსნისა. და ეს ღმერთისაგან არის,
- ²⁹რომ ქრისტეს გულისათვის მოგემადლათ თქვენ არა მარტო მისი რწმენა, არამედ მისთვის ტანჯვაც,
- ³⁰ისეთივე ღვაწლით, რომელიც ჩემში გიხილავთ და ახლაც გესმით, რომ ვიღვწი.

ფილიპელთა 2



- ¹ამრიგად, თუ არის რაიმე ნუგეშისცემა ქრისტეში, თუ არის რაიმე სალბუნო სიყვარულისა, თუ არის რაიმე მოზიარეობა სულისა, თუ არის რაიმე თანაგრძნობა და შეწყალება,
- ²სრულქმენით ჩემი სიხარული, რათა ერთსა და იმავეს ფიქრობდეთ, გქონდეთ ერთი და იგივე სიყვარული, იყოთ ერთსულოვანნი, და ერთაზროვანნი.
- ³არაფერი გააკეთოთ ჯიბრით ან ამპარტავნებით, არამედ თავმდაბლად ერთმანეთი საკუთარ თავზე მეტად შერაცხეთ.
- ⁴თითოეული მარტო თავის თავზე კი ნუ იზრუნებს, არამედ სხვებზეც.
- ⁵თქვენშიც იგივე აზრები იყოს, რაც ქრისტე იესოში.
- ⁶რომელიც ღმერთის ხატება იყო და მიტაცებად არ თვლიდა ღმერთის თანასწორად ყოფნას,
- ⁷მაგრამ დაიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება, ადამიანთა მსგავსი გახდა და კაცის სახე მიიღო,
- ⁸დაიმდაბლა თავი და მორჩილი გახდა თვით სიკვდილამდე, ჯვარზე სიკვდილამდე.
- ⁹ამიტომ ღმერთმა აღამაღლა იგი და მიანიჭა მას ყველა სახელზე უზენაესი სახელი.
- ¹⁰რათა იესოს სახელის წინაშე მოიდრიკოს ყოველი მუხლი ზეციერისა, მიწიერისა და ქვესკნელისა,
- ¹¹და ყველა ენამ აღიაროს, რომ იესო ქრისტე არის უფალი, – მამა ღმერთის სადიდებლად.
- ¹²ამრიგად, ჩემო საყვარელნო, როგორც ყოველთვის იყავით მორჩილნი, არა მარტო ჩემი თქვენთან ყოფნისას, არამედ უფრო მეტად ახლა, ჩემი არყოფნის დროს, შიშით და ძრწოლით იღვაწეთ თქვენს სახსნელად.
- ¹³ღმერთი აამოქმედებს თქვენში სურვილსაც და მოქმედებასაც სათნოებისათვის.
- ¹⁴ყველაფერი გააკეთეთ უდრტვინველად და უყოყმანოდ,
- ¹⁵რათა იყოთ უმწიკვლონი და უბრალონი, ღმერთის უმანკო შვილები მრუდსა და უკუღმართ თაობაში, რომლის შორისაც ანათებთ ქვეყნიერებაზე, როგორც მნათობნი,
- ¹⁶სიცოცხლის სიტყვის მფლობელნი, ჩემს სასიქადულოდ ქრისტეს დღეს, რომ ფუჟად არ ვისწრაფვოდი და ამაოდ არ ვიღწვოდი.



- ¹⁷მაგრამ თუ ჩემი სისხლი დაიღვრება მსხვერპლად და ღვთისმსახურებად თქვენი რწმენისათვის, მიხარია და ვხარობ თქვენთან ერთად.
- ¹⁸ასევე თქვენც იხარეთ და ხარობდეთ ჩემთან ერთად.
- ¹⁹იმედი მაქვს უფალ იესოში, მალე გამოგიგზავნოთ ტიმოთე, რათა მეც გავმხნევედ თქვენი ამბის შეტყობით.
- ²⁰რადგან არავინ მყავს მასავით ჩემი თანაზიარი სამშვინველით, ასე ბეჯითად რომ ზრუნავდეს თქვენზე.
- ²¹რადგან ყველანი თავისას ეძებენ და არა იმას, რაც იესო ქრისტესია.
- ²²თქვენ იცით მისი გამოცდა, რომ როგორც მამას შვილი, ისე მემსახურებოდა სახარებისათვის.
- ²³იმედი მაქვს, რომ გამოგიგზავნით, როგორც კი ვნახავ, როგორ იქნება ჩემი საქმე.
- ²⁴მჯერა უფალში, რომ თავადაც მალე მოვალ თქვენთან.
- ²⁵საჭიროდ მივიჩნიე უკან გამოგიგზავნოთ ეპაფროდიტე, ჩემი ძმა, თანამშრომელი და თანამებრძოლი, თქვენი გამოგზავნილი და მსახური ჩემს საჭიროებაში.
- ²⁶რადგან ძალიან სურდა ყველა თქვენგანის ხილვა და შეწუხდა, რომ შეიტყვეთ მისი ავადმყოფობა.
- ²⁷რადგან ავად გახდა და სიკვდილის პირზეც იყო, მაგრამ ღმერთმა შეიწყალა ის და არა მარტო ის, არამედ მეც, რათა მწუხარება მწუხარებაზე არ დამრთვოდა.
- ²⁸ამიტომ ვიჩქარე მისი გამოგზავნა თქვენთან, რათა მისი ხილვით კვლავ გაგეხარათ, და მეც მწუხარე არ ვიყო.
- ²⁹მაშ, მიიღეთ იგი ყოველგვარი სიხარულით უფალში და პატივში გყავდეთ მისთანები,
- ³⁰რადგან ქრისტეს საქმისათვის სიკვდილს მიუახლოვდა და საფრთხეში ჩაიგდო სიცოცხლე, რათა შეევსო ჩემს მიმართ თქვენი სამსახურის დანაკლისი.

ფილიპელთა 3

- ¹დაბოლოს, ჩემო ძმებო, იხარეთ უფალში. თქვენდამი ერთი და იმავეს მოწერა არ მეზარება, თქვენთვის კი გამხნევებაა.
- ²ერიდეთ ძაღლებს, ერიდეთ ბოროტ მუშაკებს, ერიდეთ დაცვეთას,



- ³რადგან წინადაცვეთილობა ჩვენ ვართ – სულით მსახურნი ღმერთისა და ქრისტე იესოში მოქადულნი და ხორცის არამოიმედენი.
- ⁴თუმცა ხორცის იმედიც მაქვს. თუ სხვა ვინმეს ხორცის იმედი აქვს, მე – მით უმეტეს,
- ⁵წინადაცვეთილი მერვე დღეს, ისრაელიანი, ბენიამინის ტომიდან, ებრაელი ებრაელთაგან, რჯულით ფარისეველი,
- ⁶შურით მდევნელი ეკლესიისა, რჯულის სიმართლით, უმწიკვლოდ მყოფი.
- ⁷მაგრამ, რაც ჩემთვის მოგება იყო, წაგებად ჩავთვალე ქრისტეს გულისათვის.
- ⁸დიახ, პირიქით, ყველაფერი წაგებად მიმაჩნია ჩემი უფლის, ქრისტე იესოს ცოდნის უპირატესობისთვის, რის გამოც ყველაფერი დაგვარგე და ნაგვად მივიჩნიე, რათა ქრისტე შევიძინო
- ⁹და აღმოვჩნდე მასში არა ჩემი სიმართლით, რაც რჯულიდანაა, არამედ იმით, რაც არის ქრისტეს რწმენის მეშვეობით, რწმენაზე დაფუძნებული ღმერთის სიმართლით,
- ¹⁰რათა შევიცნო იგი და მისი აღდგომის ძალა და მის ტანჯვებში თანაზიარება, მის სიკვდილთან მსგავსებით,
- ¹¹რათა როგორმე მივწვდე მკვდრეთით აღდგომას.
- ¹²არა იმიტომ, რომ უკვე მივალწიე ან უკვე სრულყოფილი გავხდი, არამედ ვისწრაფი, ვინძლო მივწვდე, როგორც მე მომწვდა ქრისტე იესო.
- ¹³ძმებო, არ ვფიქრობ, რომ უკვე მივწვდი. ერთია, რასაც ვიქმ: ვივიწყებ, რაც ჩემს უკან არის, და ველტვი, რაც ჩემს წინ არის.
- ¹⁴ვილტვი მიზნისაკენ, ღმერთის ზეგარდმო მოწოდების ჯილდოსკენ ქრისტე იესოში.
- ¹⁵ამიტომ ჩვენს შორის სრულნი ასე ვაზროვნებთ, და თუ თქვენ სხვანაირად აზროვნებთ, ამასაც ღმერთი გამოგიცხადებთ.
- ¹⁶ოღონდ, რასაც მივალწიეთ, უნდა ვიდგეთ იმაზე.
- ¹⁷იყავით ჩემი მზადანნი, ძმებო, და უყურეთ მათ, ვინც ამგვარად იქცევა, რის მაგალითადაც ჩვენ გყავართ.
- ¹⁸რადგან ბევრნი, ვისზეც ხშირად მითქვამს თქვენთვის და ახლაც ცრემლიანი გუუბნებით, ისე იქცევიან, როგორც ქრისტეს ჯვრის მტრები.
- ¹⁹მათი ბოლო დაღუპვაა, მათი ღმერთი მუცელია, მათი დიდება კი მათ სირცხვილშია. ისინი მიწიერზე ფიქრობენ.



²⁰ჩვენი მოქალაქეობა კი ზეცაშია, საიდანაც ველით მაცხოვარს, უფალ იესო ქრისტეს,

²¹რომელიც ჩვენს დამდაბლებულ სხეულს გარდაქმნის თავისი დიდების სხეულის თანახმად, იმ ძალისხმევით, რომელიც შეაძლებინებს მას ყოველივე დაიმორჩილოს.

ფილიპელთა 4

¹ამრიგად, ჩემო საყვარელო და სასურველო ძმებო, ჩემო სიხარულო და გვირგვინო, იდექით ასე უფალში, საყვარელო.

²ევოდიას მოვუწოდებ და სვინტიქეს მოვუწოდებ, ერთი ფიქრი ჰქონდეთ უფალში.

³შენც გთხოვ, ერთგულო მეგობარო, დაეხმარო მათ, რომელნიც იღწვოდნენ ჩემთან ერთად სახარებაში, კლემენტოსთან და სხვა ჩემს თანამშრომლებთან ერთად, რომელთა სახელები სიცოცხლის წიგნშია.

⁴იხარეთ უფალში მარადის. კიდევ ვიტყვი: იხარეთ!

⁵თქვენი თავმდაბლობა ცნობილი იყოს ყველა ადამიანისათვის. უფალი ახლოა.

⁶არაფერზე იზრუნოთ, არამედ მადლობით ყოველ ლოცვასა და ვედრებაში აუწყეთ თქვენი სათხოვარი ღმერთს.

⁷და ღმერთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიფარავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში.

⁸დაბოლოს, ძმებო, ყოველივე, რაც ჭეშმარიტია, რაც პატიოსანია, რაც სამართლიანია, რაც წმიდაა, რაც სათნოა, რაც სასახელოა, რაც სიქველეა და საქებარია, იმაზე იფიქრეთ.

⁹რაც ისწავლეთ და მიიღეთ და მოისმინეთ ჩემგან და რაც დაინახეთ ჩემში, ის შეასრულეთ და მშვიდობის ღმერთი იქნება თქვენთან.

¹⁰მე კი დიდად გავიხარე უფალში, რომ ბოლოს გააცხოველეთ ჩემზე ზრუნვა. უწინაც ზრუნავდით, მაგრამ ჟამი არ გიწყობდათ ხელს.

¹¹გაჭირვების გამო არ ვამბობ ამას, რადგან ვისწავლე კმაყოფილი ვიყო იმით, რაც მაქვს.

¹²ვიცი გაჭირვება და ვიცი სიუხვე, შეჩვეული ვარ ყველაფერს და ყოველივეს: გაძღომას და შიმშილს, სიუხვესა და ხელმოკლეობას.

¹³ყველაფერი შემიძლია ჩემს განმადლიერებელში.



- ¹⁴ხოლო თქვენ კარგად მოიქეცით, ჩემი გასაჭირი რომ გაიზიარეთ.
- ¹⁵თქვენც ხომ იცით, ფილიპელნო, რომ ხარების დაწყებისას, როცა მაკედონიიდან გამოვედი, არც ერთმა ეკლესიამ არ გაიზიარა ჩემთან მიღება და გაცემა, თქვენს გარდა.
- ¹⁶თესალონიკეშიც გამომიგზავნეთ, რაც მჭირდებოდა, ერთი-ორჯერ,
- ¹⁷არა იმიტომ, რომ ძღვენს ვეძებდე, არამედ ვეძებ ნაყოფს, რომელიც თქვენს სასარგებლოდ მრავლდება.
- ¹⁸მივიღე ყოველივე და უხვად მაქვს. კმაყოფილი ვარ, რომ მივიღე ეპაფროდიტესაგან თქვენს მიერ გამოგზავნილი კეთილსურნელება, საამური მსხვერპლი, ღმერთის სასურველი.
- ¹⁹ჩემი ღმერთი კი დააკმაყოფილებს თქვენს ყოველ საჭიროებას, თავისი სიმდიდრისამებრ, დიდებით ქრისტე იესოში.
- ²⁰ღმერთს და ჩვენს მამას დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.
- ²¹მოიკითხეთ ყველა წმიდა ქრისტე იესოს სახელით. მოგიკითხავენ ჩემთან მყოფი ძმები.
- ²²მოგიკითხავთ ყველა წმიდა და განსაკუთრებით კეისრის სახლიდან.
- ²³უფალი იესო ქრისტეს მაღლი თქვენს სულთან! ამინ.



კოლასელთა მიმართ

კოლასელთა 1

- ¹პავლე, იესო ქრისტეს მოციქული ღმერთის ნებით, და ძმა ტიმოთე,
- ²კოლოსეში მყოფ წმიდათ და მორწმუნე ძმებს ქრისტეში.
- ³მადლი თქვენ და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისა და უფალი იესო ქრისტესაგან. ვმადლობთ ღმერთს, ჩვენი უფალი იესო ქრისტეს მამას მუდამ, როცა თქვენთვის ვლოცულობთ,
- ⁴რომ გვესმის თქვენი რწმენის შესახებ ქრისტე იესოში და თქვენი სიყვარული ყოველი წმიდის მიმართ,
- ⁵ზეცაში თქვენთვის გამზადებული სასოებით, რომელიც უკვე გესმათ სახარების ჭეშმარიტ სიტყვაში,
- ⁶რომელიც მოვიდა თქვენთან ისევე, როგორც მთელ ქვეყნიერებაზე, და მოაქვს ნაყოფი და იზრდება ისევე, როგორც თქვენს შორისაც, იმ დღიდან მოკიდებული, როდესაც თქვენ ისმინეთ და შეიცანით ღმერთის მადლი ჭეშმარიტებაში,
- ⁷როგორც ისწავლეთ ჩვენი საყვარელი თანამსახურის, ეპაფრასისაგან, რომელიც არის ქრისტეს სარწმუნო მსახური თქვენთვის,
- ⁸მანვე გვაუწყა თქვენი სიყვარული სულში.
- ⁹ამისათვის ჩვენც იმ დღიდან, რაც ეს მოვისმინეთ, განუწყვეტლივ ვლოცულობთ თქვენთვის, რათა აღვისოთ მისი ნების შეცნობით ყოველ სიბრძნეში და სულიერ წვდომაში,
- ¹⁰რათა მოიქცეთ უფლის ღირსად და ყველაფერში აამოთ მას ყოველ კეთილ საქმეში ნაყოფის გამოღებით და ღმერთის შეცნობაში ზრდით,
- ¹¹მთელი ძალით გაძლიერდეთ მისი დიდების სიმტკიცისამებრ ყოველგვარ მოთმინებასა და სულგრძელებაში. სიხარულით
- ¹²ვმადლობდეთ მამას, რომელმაც წმიდათა მემკვიდრეობის ნაწილის ღირსი გაგვხადა ნათელში,
- ¹³რომელმაც გვიხსნა სიბნელის ხელმწიფებისაგან და გადაგვიყვანა თავისი საყვარელი ძის სასუფეველში,
- ¹⁴რომელშიც გვაქვს გამოსყიდვა და ცოდვების მიტევება,
- ¹⁵ვინც არის უხილავი ღმერთის ხატი, პირშო ყოველი ქმნილებისა,



¹⁶რადგან მისით შეიქმნა ყოველი, რაც ცათა შინა და მიწაზეა, ხილული და უხილავი: საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი თუ ხელმწიფებანი – ყველაფერი მის მიერ და მისთვის არის შექმნილი.

¹⁷იგი არის ყოვლის უწინარეს და ყოველივე მისით დგას.

¹⁸ის არის ეკლესიის სხეულის თავი. ის არის დასაბამი, პირმო მკვდართაგან, რათა ყველაფერში იყოს პირველი.

¹⁹რადგან მასში ინება მთელმა სისავსემ დამკვიდრება,

²⁰რათა მის მიერ შემოერიგებინა ყოველი, მშვიდობა დაემყარინა მისი ჯვრის სისხლით მიწაზე თუ ცათა შინა.

²¹და თქვენც, რომელნიც ოდესღაც გონებით გაუცხოებულნი და მტრები იყავით თქვენი ბოროტი საქმეებით,

²²ახლა შეგირიგათ თავის ხორციელ სხეულში თავისი სიკვდილით, რათა დაგაყენოთ წმიდები, უბიწონი და უბრალონი თავის წინაშე.

²³ოღონდ უნდა დარჩეთ რწმენაში მტკიცენი და შეურყეველნი და არ გადაუხვიოთ სახარების სასოებას, რომელიც ისმინეთ, რომელიც ექადაგა ყოველ ქმნილებას ცისქვეშეთში, რომლის მსახურიც გავხდი მე, პავლე.

²⁴ახლა ვხარობ, რომ ვიტანჯები თქვენს გამო და გასაჭირს, რაც ქრისტეს დააკლდა, ვავსებ საკუთარ ხორცში მისი სხეულისათვის, რომელიც არის ეკლესია,

²⁵რომლის მსახურიც მე გავხდი ღვთაებრივი განგების მიხედვით, რომელიც მომენიჭა თქვენთვის, – ღმერთის სიტყვის აღსასრულებლად,

²⁶საიდუმლოსი, რომელიც დაფარული იყო საუკუნეებში და თაობებში და ახლა გაემხილა მის წმიდებს,

²⁷ვისთვისაც ღმერთმა ინება ეცნობებინა, თუ რა არის ამ საიდუმლოს დიდების სიმდიდრე ყველა ერისათვის, – ეს არის ქრისტე თქვენში, დიდების სასოება,

²⁸რომელსაც ექადაგებთ ჩვენ, რათა დავარიგოთ და განვსწავლოთ ყოველი ადამიანი ყოველ სიბრძნეში, რათა ყოველი კაცი სრულქმნილად წარვადგინოთ ქრისტე იესოში.

²⁹ამისთვის ვშრომობ და ვიღწვი მე მისი მოქმედებით, რომელიც ძლიერად მოქმედებს ჩემში.

კოლასელთა 2



- ¹მინდა იცოდეთ, როგორ ვიბრძვი თქვენთვის, ლაოდიკელებისთვის და ყველასთვის, ვისაც ხორციელად არ უხილავს ჩემი სახე,
- ²ვიბრძვი იმისთვის, რომ ინუგეშონ მათმა გულებმა, რომლებიც შეერთებულნი არიან სიყვარულში, რათა მოიხვეჭონ სრული გაგების სიმდიდრე ღმერთის, ქრისტეს საიდუმლოს შესაცნობად,
- ³რომელშიც დაფარულია სიბრძნისა და ცოდნის ყველა განძი.
- ⁴ამას იმიტომ გეუბნებით, რომ არავინ შეგაცდინოთ მოჩვენებითი სიტყვებით.
- ⁵რადგან, თუმცა ხორციელად შორს ვარ, სულით თქვენთან ვიმყოფები და მიხარია, რომ ვხედავ თქვენს მოწესრიგებულობას და თქვენს სიმყარეს ქრისტე რწმენაში.
- ⁶ამიტომ, როგორც მიიღეთ ქრისტე იესო, უფალი, ასევე იარეთ მასში,
- ⁷ფესვგადგმულებმა და მისით აღშენებულებმა, განმტკიცებულებმა რწმენით, როგორც განისწავლეთ, და მადლიერებით აღვსილებმა.
- ⁸გაფრთხილდით, არავინ დაგატყვევოთ სიბრძნისმოყვარეობითა და უაზრო ტყუილებით, ადამიანთა გადმოცემის მიხედვით, ამქვეყნიურ სტიქიათა და არა ქრისტეს მიხედვით.
- ⁹რადგან მასში დამკვიდრებულია ხორციელად ღვთაების მთელი სისავსე.
- ¹⁰და თქვენ გაქვთ სავსება მასში, ვინც ყოველი მთავრობისა და ხელმწიფების თავია.
- ¹¹მასში წინადაცვითეთ ხელთუქმნელი წინადაცვითით, ხორცის ცოდვილი სხეულის განძარცვით, ქრისტეს წინადაცვითით.
- ¹²ნათლისღებით მასთან ერთად დამარხულები, მასთან ერთადვე აღდექით ღმერთის მოქმედების რწმენით, რომელმაც აღადგინა იგი მკვდრეთით.
- ¹³და თქვენც, მკვდრები შეცოდებებში და თქვენი ხორცის წინადაუცვეთელობაში, გაგაცოცხლათ მასთან ერთად. მან მოგვიტევა ყველა შეცოდება.
- ¹⁴წაშალა ჩვენი ვალების ხელწერილი, რომელიც თავისი დებულებებით ჩვენს წინააღმდეგ იყო, გაანადგურა იგი და ჯვარს მიაღსჭვა.
- ¹⁵განაიარაღა მთავრობანი და ხელმწიფებანი, საყოველთაოდ გამოაშკარავა ისინი და იზეიმა გამარჯვება მათზე, როგორც ტყვეებზე.
- ¹⁶ამიტომ ნურავინ განგსჯით თქვენ საჭმლისა თუ სასმლისათვის, ან რაიმე დღესასწაულისათვის, ანდა ახალმთვარობათა და შაბათთათვის.



- ¹⁷ესენი მომავლის ჩრდილია, სინამდვილე კი ქრისტეს სხეულია.
- ¹⁸ნურავინ დააკნინებს თქვენს გამარჯვებას მოჩვენებითი თავმდაბლობით და ანგელოზების სამსახურით, ვინც ეპოტინება იმას, რაც არ უნახავს და ფუჭად ამპარტავნობს თავისი ხორციელი გონებით.
- ¹⁹და არ უკავშირდება თავს, რომლისგანაც მთელი სხეული, სახსრებითა და კავშირებით შენივთებული და შეერთებული, იზრდება ღმერთისმიერი ზრდით.
- ²⁰თუ ქრისტესთან ერთად მოვკვდით ამ ქვეყნიერების სტიქიათათვის, ამა ქვეყნის მცხოვრებთა მსგავსად რაღად მორჩილებთ მათ: –
- ²¹„ნუ მიეკარები, ნუ იგემებ, ნუ შეეხები?“
- ²²ეს ყველაფერი იხრწნება ხმარებისაგან და კაცთა მცნებებისა და მოძღვრების შესაბამისია.
- ²³ეს ყველაფერი მხოლოდ გარეგნულად ჰგავს სიბრძნეს ცრუთაყვანისცემით, თვითდაკნინებით და სხეულის დათრგუნვით. მას არავითარი ღირებულება არა აქვს და ხორცის წაქეზებაა მხოლოდ.

კოლასელთა 3

- ¹ამგვარად, თუ თქვენ აღმდგარი ხართ ქრისტესთან ერთად, ეძიეთ, რაც მაღლაა, სადაც ქრისტე ზის ღმერთის მარჯვნივ.
- ²იფიქრეთ იმაზე, არის რაც მაღლა, და არა მიწიერზე.
- ³რადგან თქვენ მოკვდით და თქვენი სიცოცხლე დაფარულია ქრისტესთან ღმერთში.
- ⁴და როცა გამოჩნდება ქრისტე, თქვენი სიცოცხლე, მაშინ თქვენც გამოჩნდებით მასთან ერთად დიდებაში.
- ⁵მაშ, მოაკვდინეთ თქვენი მიწიერი ასოები: სიძვა, უწმიდურება, ვნება, ბოროტი გულისთქმა და ანგარება, რაც კერპთმსახურებაა,
- ⁶რომელთა გამოც ღმერთის რისხვა მოდის ურჩობის შვილებზე,
- ⁷რომელთა შორისაც თქვენც დადიოდით, როცა მათ შორის ცხოვრობდით.
- ⁸ახლა კი განიშორეთ ყოველივე ეს: რისხვა, მძვინვარება, ბოროტება, გმობა, თქვენს ბაგეთა ბილწსიტყვაობა.
- ⁹ნუ ეტყვით სიცრუეს ერთმანეთს, რადგან შემოდარცული გაქვთ ძველი ადამიანი მისი საქმეებითურთ.



- ¹⁰და შეიმოსეთ ახალი, რომელიც მუდმივად განახლდება სრული შემეცნებით თავისი შემოქმედის ხატის შესაბამისად,
- ¹¹აქ აღარ არის არც ბერძენი, არც იუდეველი, არც წინადაცვეთა, არც წინადაუცვეთელობა, არ არის ბარბაროსი, სკვითი, მონა და თავისუფალი, არამედ ქრისტეა ყოველივე და ყოველივეში.
- ¹²ამგვარად, როგორც ღმერთის რჩეულებმა, წმიდებმა და საყვარლებმა, შეიმოსეთ მოწყალება, სიკეთე, თავმდაბლობა, სიმშვიდე, სულგრძელება.
- ¹³შეიწყნარეთ ერთმანეთი და მიუტევეთ ერთმანეთს, თუ ვინმესთან რაიმე სადაო აქვს ვინმეს, როგორც ქრისტემ მოგიტევათ, ასევე მიუტევეთ თქვენც.
- ¹⁴ყოველივე ამასთან ერთად შეიმოსეთ სიყვარული, რომელიც სრულქმნილების ერთობლიობაა.
- ¹⁵და სუფევდეს თქვენს გულებში ქრისტეს მშვიდობა, რომლისაკენაც მოწოდებულნი ხართ ერთ სხეულად და იყავით მადლიერნი.
- ¹⁶ქრისტეს სიტყვა უხვად დაემკვიდროს თქვენში. ყოველი სიბრძნით დაარიგეთ ერთმანეთი ფსალმუნებით, ჰიმნებით და სასულიერო საგალობლებით უგალობეთ მადლიერებით ღმერთს თქვენს გულებში.
- ¹⁷და ყოველივე, რასაც თქვენ აკეთებთ სიტყვით თუ საქმით, გააკეთეთ უფალი იესოს სახელით და მადლობა შესწირეთ მამა ღმერთს მის მიერ.
- ¹⁸ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც ეს შესაფერია უფალში.
- ¹⁹ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები და ნუ გამწარდებით მათ მიმართ.
- ²⁰შვილებო, დაექვემდებარეთ თქვენს მშობლებს ყველაფერში, რადგან ასეა მოსაწონი უფლისათვის.
- ²¹მამებო, ნუ გააღიზიანებთ თქვენს შვილებს, რათა თავი არ დაკარგონ.
- ²²მონებო, ყველაფერში დაექვემდებარეთ თქვენს ხორციელ ბატონებს არა მოჩვენებითი სამსახურით, როგორც კაცთმამებლებმა, არამედ გულწრფელად, როგორც უფლის მოშიშებმა.
- ²³ყოველივე, რასაც აკეთებთ, გააკეთეთ გულით, როგორც ღმერთისათვის და არა კაცთათვის.
- ²⁴იცოდეთ, რომ მიიღებთ უფლისაგან მემკვიდრეობას საზღაურად. ემსახურეთ უფალ ქრისტეს.
- ²⁵უსამართლო კი მიიღებს საზღაურს უსამართლობისათვის, და არ იქნება მიკერძოება.



კოლასელთა 4

- ¹ბატონებო, მოექცით მონებს სამართლიანად და სწორად, იცოდეთ, რომ თქვენც გყავთ უფალი ზეცაში.
- ²იბეჯითეთ ლოცვაში და იფხიზლეთ მასში მადლიერებით.
- ³ილოცეთ ასევე ჩვენთვისაც, რომ ღმერთმა გაგვიღოს სიტყვის კარი, რათა ვაუწყოთ საიდუმლო ქრისტესი, რისთვისაც ვატარებ ბორკილებს,
- ⁴რათა გავაცხადო იგი, როგორც მე მმართვებს, რომ ვაუწყო.
- ⁵სიბრძნით მოიქცით გარეშეთა მიმართ და გამოიყენეთ ყოველი წამი.
- ⁶თქვენი სიტყვა ყოველთვის მადლით იყოს სავსე, მარილით შეზავებული, რათა იცოდეთ, ვის რა პასუხი გასცეთ.
- ⁷ჩემს შესახებ ყველაფერს გაცნობებთ ტიქიკოსი, საყვარელი ძმა, ერთგული მსახური და თანამონა უფალში,
- ⁸რომელიც იმისთვის გამოგიგზავნეთ, რომ შეიტყოთ ჩვენი ამბავი და ნუგეში სცეს თქვენს გულებს,
- ⁹ონისიმესთან ერთად, სარწმუნო და საყვარელ ძმასთან, რომელიც თქვენიანია. ისინი გაიმბობენ ყველა აქაურ ამბავს.
- ¹⁰მოკითხვას გითვლით არისტარქე, ჩემი თანატყვე და მარკოზი, ბარნაბას დისწული, რომლის შესახებაც მოგივიდათ უწყება: თუ მოვიდეს თქვენთან, მიიღეთ!
- ¹¹ასევე იესო, რომელსაც იუსტოსს ეძახიან, წინადაცვეთილთაგან მხოლოდ ესენი იყვნენ ჩემი თანამოქმედნი ღმერთის სასუფევლისათვის, ისინი ნუგეშად მექცნენ მე.
- ¹²მოკითხვას გითვლით ეპაფრასი, ისიც თქვენიანი, ქრისტე იესოს მსახური, რომელიც მუდამ თქვენთვის იღწვის ლოცვებში, რათა იდგეთ სრულნი და აღვსებულნი ღმერთის ყოველი ნებით.
- ¹³მე ვმოწმობ, რომ მას დიდი ამაგი აქვს თქვენზე და ლაოდიკელებზე და იერაპოლისელებზე.
- ¹⁴მოგიკითხავენ საყვარელი მკურნალი ლუკა და დემა.
- ¹⁵მოიკითხეთ ლაოდიკელი ძმები, ნიმფა და მისი საშინაო ეკლესია.
- ¹⁶როცა ამ წერილს წაგიკითხავენ, ისე მოიქცით, რომ ლაოდიკელთა ეკლესიაშიც წაიკითხონ, ხოლო რომელიც ლაოდიკედან არის მოსული, თქვენც წაიკითხეთ.



¹⁷ასე უთხარით არქიპოსს: ყურადღებით იყავი, რომ შეასრულო მსახურება, რომელიც უფალში მიიღე.

¹⁸მოკითხვა ჩემი, პავლეს ხელით. გახსოვდეთ ჩემი ბორკილები. მადლი თქვენთან. ამინ.



პირველი თესალონიკელთა მიმართ

1 თესალონიკელთა 1

- ¹პავლე, სილოვანე და ტიმოთე თესალონიკელთა ეკლესიას მამა ღმერთსა და უფალ იესო ქრისტეში: მადლი თქვენ და მშვიდობა.
- ²მარადის ვმადლობთ ღმერთს ყველა თქვენგანისათვის და გიხსენებთ ჩვენს ღოცვებში. განუწყვეტლივ
- ³ვიხსენებთ რა ჩვენი ღმერთისა და მამის წინაშე თქვენი რწმენის საქმეს და სიყვარულის შრომას და იმედიან მოთმინებას ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიმართ.
- ⁴ვიციტ თქვენი რჩეულება, ძმებო, რომლებიც ღმერთმა შეგიყვარათ.
- ⁵რადგან ჩვენი სახარება თქვენს მიმართ იყო არა მხოლოდ სიტყვით, არამედ აგრეთვე ძალით, სულიწმიდით და მრავალი მოწმობით და თქვენ თავადაც იცით, რანი ვიყავით თქვენს შორის თქვენთვის.
- ⁶თქვენ გახდით მბაძვნი ჩვენი და უფლისა, რადგან დიდ გასაჭირში მიიღეთ სიტყვა სულიწმიდის სიხარულით;
- ⁷ისე რომ, თქვენ გახდით სახე ყველა მორწმუნისათვის მაკედონიასა და აქაიაში.
- ⁸რადგან თქვენგან გაისმა უფლის სიტყვა არა მარტო მაკედონიასა და აქაიაში, არამედ ყოველ ადგილს მისწვდა თქვენი რწმენა ღმერთისადმი. ისე რომ, არაფერი გვრჩება სათქმელი.
- ⁹რადგან ისინი თვითონ ყვებიან ჩვენზე, როგორი შემოსვლა გვქონდა თქვენთან და როგორ მოიქცით კერპებისაგან ღმერთისაკენ, რათა ემსახუროთ ცოცხალ და ჭეშმარიტ ღმერთს,
- ¹⁰და ელოდოთ ზეციდან მის ძეს, რომელიც მკვდრეთით აღადგინა, იესოს, რომელიც მომავალი რისხვისაგან გვიხსნის ჩვენ.

1 თესალონიკელთა 2

- ¹თქვენ თავად იცით, ძმებო, რომ ჩვენი თქვენთან შემოსვლა არ იყო ამაო.
- ²მანამდე ფილიპეში გატანჯულებმა და შეურაცხყოფილებმა, როგორც იცით, გავბედეთ ჩვენს ღმერთში, რომ თქვენთვის გაგვეცხადებინა ღმერთის სახარება დიდი ბრძოლით.



- ³რადგან ჩვენი ქადაგება არ მომდინარეობს არც შეცდომებიდან, არც უწმიდურებიდან, არც ცბიერებიდან.
- ⁴არამედ ვლაპარაკობთ, როგორც ღმერთისაგან გამოცდილები, რომელთაც მოგვენდო სახარება; და ჩვენ ვაამებთ არა ადამიანებს, არამედ ღმერთს, რომელიც გამოსცდის ჩვენს გულებს.
- ⁵რადგან, როგორც იცით, არასოდეს გვითქვამს პირმოთნე სიტყვა და არც ანგარებიანი ზრახვა გვქონია, ღმერთია მოწამე.
- ⁶არ ვეძებთ დიდებას არც ადამიანთაგან, არც თქვენგან, არც სხვებისაგან.
- ⁷თუმცა შეგვეძლო მომთხოვნები ვყოფილიყავით, როგორც ქრისტეს მოციქულები, მაგრამ გულკეთილად ვიქცეოდით თქვენს შორის, როგორც მიძა, თავის ბალღებზე რომ ზრუნავს.
- ⁸ასევე ჩვენც, თქვენდამი გულმხურვალებს, გვსურდა გადმოგვეცა თქვენთვის არა მარტო ღმერთის სახარება, არამედ ჩვენი სულებიც, იმიტომ რომ საყვარელნი გახდით ჩვენთვის.
- ⁹ხომ გახსოვთ, ძმებო, ჩვენი შრომა და ჯაფა: დღე და ღამე ვშრომობდით, რათა არავის დავწოლოდით ტვირთად და ასე ვქადაგებდით თქვენს შორის ღმერთის სახარებას.
- ¹⁰მოწმენი ხარო თქვენც და ღმერთიც, რა წრფელად, სამართლიანად და უმწიკვლოდ ვიქცეოდით თქვენი, მორწმუნეების, მიმართ.
- ¹¹რადგან იცით, რომ როგორც მამა თავის შვილებს, ისე შევაგონებდით თითოეულ თქვენგანს.
- ¹²განუგებდით და გამხნევებდით და მოვითხოვდით, რომ გევლოთ ღმერთის ღირსად, ვინც მოგიწოდებთ თავის სასუფეველსა და დიდებაში.
- ¹³ამისათვის ჩვენც განუწყვეტლივ ვმადლობთ ღმერთს, რომ თქვენ, როცა მიიღეთ ჩვენგან მოსმენილი ღმერთის სიტყვა, შეიწყნარეთ იგი არა როგორც ადამიანთა სიტყვა, არამედ როგორც ღმერთის სიტყვა, როგორც ის ჭეშმარიტად არის, რომელიც მოქმედებს კიდევ თქვენში, მორწმუნეებში.
- ¹⁴რადგან თქვენ გახდით, ძმებო, იუდეაში მყოფი ღმერთის ეკლესიების მზამავნი ქრისტე იესოში, რადგან თქვენც იტანჯეთ თქვენს თვისტომთაგან ისევე, როგორც მათ – იუდეველთაგან,
- ¹⁵რომელთაც მოკლეს უფალი იესო და მისი წინასწარმეტყველნიც და ჩვენც გამოგვრეკეს, ღმერთს არ აამებენ და ყველა ადამიანს ეწინააღმდეგებიან,



¹⁶გვაბრკოლებენ, რომ წარმართებთან ვილაპარაკოთ, რათა ვიხსნათ ისინი, რითაც მუდამ ავსებენ თავიანთ ცოდვებს. მაგრამ დაატყდებათ მათ რისხვა საბოლოოდ.

¹⁷ჩვენ კი, ძმებო, მცირე ხნით რომ დაგშორდით სახით და არა გულით, მით უფრო მეტი წადილით ვესწრაფოდით თქვენი სახის ხილვას.

¹⁸ამიტომ გვინდოდა, განსაკუთრებით კი მე, პავლეს, ერთი-ორჯერ თქვენთან მოსვლა, მაგრამ სატანა გვაბრკოლებდა.

¹⁹რადგან ვინ არის ჩვენი სასოება, ან ჩვენი სიხარული, ან სიქადულის გვირგვინი, თუ არა თქვენ, ჩვენი უფლის იესოს წინაშე, მისი მოსვლისას?

²⁰რადგან თქვენა ხართ ჩვენი დიდება და სიხარული.

1 თესლონიკელთა 3

¹ამიტომ, რაკი ველარ მოვითმინეთ უთქვენობა, ვარჩიეთ ათენში მარტო დარჩენა

²და გამოვგზავნეთ ტიმოთე, ჩვენი ძმა და ღმერთის მსახური ქრისტეს სახარებაში, რათა გაგვემტკიცებინეთ და გვენუგეშებინეთ თქვენს რწმენაში,

³რათა არავინ შერყეულიყო ამ გასაჭირში, რადგან, თქვენც იცით, რომ საამისოდ ვართ დადგენილნი.

⁴როცა თქვენთან ვიმყოფებოდით, წინასწარ გეუბნებოდით, რომ ჭირი მოგველოდა, რაც ახდა კიდევ და იცით.

⁵ამიტომ ველარ მოვითმინე და გამოვგზავნე ის თქვენი რწმენის ამბის შესატყობად, ვაითუ განსაცდელში შეგიყვანათ გამომცდელმა და ჩვენი შრომა ფუჭი გამოდგა.

⁶ახლა კი, როცა ტიმოთე თქვენგან დაბრუნდა და გვახარა თქვენი რწმენისა და სიყვარულის ამბავი, რომ თქვენ ყოველთვის კეთილად გახსოვართ და გსურთ ჩვენი ხილვა, როგორც ჩვენ – თქვენი,

⁷ვინუგეშეთ თავი თქვენი, ძმებო, ყველა ჩვენს უბედურებასა თუ გასაჭირში, თქვენი რწმენით.

⁸რადგან ახლა ვცოცხლობთ, რაკილა მტკიცედ დგახართ უფალში.

⁹როგორი მადლობა შეგვიძლია შევწიროთ ღმერთს თქვენი გულისათვის ყველა იმ სიხარულის გამო, რომლითაც ვხარობთ თქვენი ჩვენი ღმერთის წინაშე,



¹⁰ღამით და დღისით მხურვალედ ვლოცულობთ, რათა ვიხილოთ თქვენი სახე და შევავსოთ ის, რაც აკლია თქვენს რწმენას.

¹¹დაე თავად ჩვენმა ღმერთმა და მამამ და ჩვენმა უფალმა იესომ წარმართოს ჩვენი გზა თქვენსკენ.

¹²უფალმა გაზარდოს და გაამრავლოს თქვენი სიყვარული ერთმანეთისა და ყველას მიმართ, როგორც ჩვენ გვიყვარხართ თქვენ,

¹³რათა განმტკიცდეს თქვენი გული უმწიკვლოდ სიწმიდეში ჩვენი ღმერთისა და მამის წინაშე ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლისას ყველა თავის წმიდასთან ერთად.

1 თესლონიკელთა 4

¹და ბოლოს, ძმებო, გთხოვთ და გევედრებით უფალ იესოში, რომ, როგორც ჩვენგან ისწავლეთ, როგორ უნდა იაროთ ღმერთის საამებლად, და როგორც დადიხართ კიდეც, ეს კიდეც უფრო გააძლიეროთ.

²რადგან იცით, როგორი მცნებანი მოგეცით თქვენ უფალი იესოსგან,

³რადგან ღმერთის ნებაა თქვენი განწმედა, რათა განერიდოთ გარყვნილებას,

⁴რათა ყოველმა თქვენგანმა იცოდეს, როგორ შეინახოს თავისი ჭურჭელი სიწმიდით და ღირსებით,

⁵და არა ვნებათა ღელვით, წარმართების მსგავსად, რომლებიც არ იცნობენ ღმერთს.

⁶რათა არავინ არ გამოიყენოს ბოროტად და არ მოატყუოს საქმეში თავისი ძმა, რადგან შურისმგებელია უფალი ყოველივე ამის გამო, როგორც ადრეც გითხარით და დაგიმოწმეთ.

⁷რადგან ღმერთმა უწმიდურებისაკენ კი არ მოგვიწოდა, არამედ სიწმიდისაკენ.

⁸ამის უარყოფელი ადამიანს კი არ უარყოფს, არამედ ღმერთს, რომელიც გაძლევთ თქვენ თავის წმიდა სულს.

⁹არ გჭირდებათ, რომ ძმათმოყვარეობაზე მოგწეროთ, რადგან ღვთივგანსწავლულნი ხართ ერთიმეორის სიყვარულში.

¹⁰რადგან ასე იქცევით ყველა ძმის მიმართ მთელ მაკედონიაში. მაგრამ გევედრებით, ძმებო, კიდეც უფრო მეტი გააკეთოთ.

¹¹და გულმოდგინედ ეცადეთ იყოთ მშვიდნი, აკეთოთ თქვენი საქმე და საკუთარი ხელით იმუშაოთ, როგორც ჩვენ გამცნეთ,



¹²რათა ღირსეულად იქცეოდეთ გარეშეებთან და არავისი არაფერი დაგჭირდეთ.

¹³არ გვსურს უცოდინარნი დარჩეთ, ძმებო, განსვენებულთა შესახებ, რათა არ მწუხარებდეთ სხვებივით, რომელთაც არა აქვთ სასოება.

¹⁴რადგან თუ გვწამს, რომ იესო მოკვდა და აღსდგა, ასევე განსვენებულებსაც ღმერთი იესოს მეშვეობით მოიყვანს მასთან ერთად.

¹⁵ამას გეუბნებით თქვენ უფლის სიტყვით, რომ ჩვენ, ვინც ცოცხლები დავრჩით უფლის მოსვლამდე, არ დავასწრებთ განსვენებულებს,

¹⁶რადგან თვით უფალი გადმოვა ციდან ბრძანებაზე, მთავარანგელოზის ხმაზე და ღმერთის საყვირზე, და ჯერ ქრისტეში მკვდარნი აღდგებიან,

¹⁷მერე კი ჩვენ, ცოცხლები, ვინც დავრჩით, მათთან ერთად ვიქნებით ზეატაცებულნი ღრუბლებში, რათა ჰაერში შევეგებოთ უფალს და ამგვარად სამარადისოდ უფალთან ვიქნებით.

¹⁸ამიტომ გაამხნევეთ ერთმანეთი ამ სიტყვებით.

1 თესლონიკელთა 5

¹ჟამზე და ვადებზე საჭირო არ არის რაიმე მოგწეროთ, ძმებო,

²რადგან თქვენ თავადაც კარგად იცით, რომ უფლის დღე ისე მოვა, როგორც ქურდი ღამით.

³როდესაც იტყვიან: „მშვიდობა და უსაფრთხოება“, მაშინ მოულოდნელად მოაწევს მათზე განადგურება, როგორც ფეხმძიმეზე მშობიარობის ტკივილები, და ვერ გაექცევიან.

⁴მაგრამ, თქვენ, ძმებო, ბნელში არ იმყოფებით, რომ ეს დღე მპარავივით დაგატყდეთ თავს.

⁵რადგან თქვენ ყველანი ნათლის შვილები ხართ და დღის შვილები. არა ვართ ჩვენ ღამისანი, არც ბნელისანი.

⁶მაშნუ დავიძინებთ, როგორც სხვები, არამედ ვიღვიძოთ და ვიფხიზლოთ.

⁷რადგან მძინარეებს ღამით სძინავთ და ღოთები ღამით თვრებიან.

⁸მაგრამ ჩვენ, რაკი დღის შვილები ვართ, ვიფხიზლოთ და შევიმოსოთ რწმენისა და სიყვარულის აბჯრით და ხსნის სასოების მუზარადით,

⁹რადგან ღმერთმა რისხვისათვის კი არ დაგვადგინა, არამედ ხსნის მისაღებად ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მეშვეობით,



- ¹⁰რომელიც ჩვენთვის მოკვდა, რათა ჩვენ, ვფხიზლობთ თუ გვძინავს, მასთან ერთად ვიცოცხლოთ.
- ¹¹ამიტომ გაამხნევეთ და აღაშენეთ ერთმანეთი, როგორც აკეთებთ კიდევ.
- ¹²გთხოვთ, ძმებო, პატივი ეცით თქვენს შორის მშრომელთ და თქვენს წინამძღოლებს უფალში და თქვენს დამრიგებლებს.
- ¹³უაღრესი სიყვარული გამოიჩინეთ მათდამი მათი საქმის გამო. მშვიდობა გქონდეთ ერთმანეთთან.
- ¹⁴შეგაგონებთ თქვენ, ძმებო, დაარიგეთ უწესონი, გაამხნევეთ სულმოკლენი, შეეწიეთ უძლურთ, სულგრძელნი იყავით ყველას მიმართ.
- ¹⁵გაფრთხილდით, არ მიაგოთ ერთმანეთს ბოროტის წილ ბოროტი, არამედ მუდამ ეცადეთ სიკეთე უყოთ ერთმანეთს და ყველას.
- ¹⁶მუდამ ხარობდეთ,
- ¹⁷განუწყვეტლივ ილოცეთ,
- ¹⁸ყველაფერში მადლიერნი იყავით, რადგან ეს არის თქვენს მიმართ ღმერთის ნება ქრისტე იესოში.
- ¹⁹სულს ნუ ჩააქრობთ,
- ²⁰წინასწარმეტყველებებს ნუ შეურაცხყოფთ;
- ²¹ყველაფერი გამოსცადეთ, კარგი შეინარჩუნეთ,
- ²²ერიდეთ ყოველგვარ ბოროტებას.
- ²³და თვით მშვიდობის ღმერთმა წმიდა გყოთ სრულად და მრთელად და თქვენი სული, სამშვინველი და სხეული დაცულ იქნას უმწიკვლოდ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მოსვლისათვის.
- ²⁴სარწმუნოა თქვენი მხმობელი, რომელიც აღასრულებს კიდევ ამას.
- ²⁵ძმებო, ილოცეთ ჩვენთვის.
- ²⁶მოიკითხეთ ყველა ძმა წმიდა ამბორით.
- ²⁷გაფიცებთ უფალს, წაუკითხეთ ეს წერილი ყველა წმიდა ძმას.
- ²⁸ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი იყოს თქვენთან. ამინ.



მეორე თესალონიკელთა მიმართ

2 თესალონიკელთა 1

¹პავლე, სილოვანე და ტიმოთე თესალონიკელთა ეკლესიას ჩვენს მამა ღმერთსა და უფალ იესო ქრისტეში:

²მადლი თქვენ და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისა და უფალი იესო ქრისტესაგან.

³მუდამ უნდა ვმადლობდეთ ღმერთს თქვენს გამო, ძმებო, – რადგან ეს სწორია, – იმისთვის, რომ უაღრესად იზრდება თქვენი რწმენა და მრავლდება ყოველი თქვენგანის სიყვარული ერთმანეთის მიმართ.

⁴ამიტომ ვიქადით თქვენით ღმერთის ეკლესიებში, თქვენი მოთმინებით და რწმენით ყოველ დევნასა და გასაჭირში, რასაც ითმენთ.

⁵ეს არის ღმერთის მართალი მსჯავრის ნიშნები, რომ ღირსნი იქნებით ღმერთის სასუფეველისა, რისთვისაც ეხლა იტანჯებით.

⁶რაკი სამართლიანია ღმერთის წინაშე, რომ ჭირი მიეგოს თქვენს შემაჭირვებლებს,

⁷თქვენ კი, შეჭირვებულებს – შვება ჩვენთან ერთად, როდესაც უფალი იესო გამოცხადდება ციდან თავისი ძლიერების ანგელოზებით

⁸და ცეცხლის ალით, და იძიებს შურს მათზე, ვინც არ შეიცნობს ღმერთს და არ ემორჩილება უფალი იესოს სახარებას,

⁹ისინი სასჯელად მიიღებენ მარადიულ დაღუპვას უფლის პირისაგან და მისი ძლიერების დიდებისაგან,

¹⁰როდესაც მოვა ის, რათა განდიდდეს თავის წმიდებს შორის და საკვირველად გამოჩნდეს ყველა მორწმუნეში იმ დღეს; რადგან თქვენ იწამეთ ჩვენი მოწმობა.

¹¹ამიტომ ვლოცულობ მუდამ თქვენთვის, რომ ჩვენმა ღმერთმა გაგხადოთ მისი მოწოდების ღირსნი და სრულყოს ყოველგვარი სასიკეთო სათნოება და რწმენის საქმე თავისი ძალით.

¹²რათა იდიდოს ჩვენი უფლის იესოს სახელმა თქვენში და თქვენ კი მასში, ჩვენი ღმერთისა და უფალი იესო ქრისტეს მადლით.

2 თესალონიკელთა 2



- ¹ხოლო ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლასა და მასთან ჩვენს შეკრებასთან დაკავშირებით, ძმებო, გთხოვთ,
- ²იოლად ნუ შეიძვრება თქვენი გონება და ნუ შემფოთდებით ნურც სულით, ნურც სიტყვით და ნურც თითქოს ჩვენგან გამოგზავნილი წერილით, თითქოს უკვე დადგა უფლის დღე.
- ³ნურავინ ნუ გაცდუნებთ, რადგან ის დღე არ დადგება, სანამ ჯერ განდგომილება არ მოვა და არ გამოჩნდება ურჯულოების კაცი, ძე დაღუპვისა,
- ⁴წინააღმდეგომი და აღზევებული ყოველივეზე მაღლა, რაც კი რამ სახელდებულია ღმერთად და თაყვანსაცემად. ისე რომ, ღმერთის ტაძარშიც კი დაჯდება და თავს ღმერთად გამოაცხადებს.
- ⁵არ გახსოვთ, რომ ჯერ კიდევ თქვენთან ყოფნისას გეუბნებოდით ამას?
- ⁶ახლა კი იცით, რა აკავენ მას, რომ გამოჩნდეს თავის ჟამს.
- ⁷რადგან ურჯულოების საიდუმლო უკვე მოქმედებს, ოღონდ ახლა მას შემკავებელი აკავენ, სანამ არ იქნება ის გაყვანილი.
- ⁸მაშინ გამოჩნდება ურჯულო, რომელსაც უფალი იესო გაანადგურებს თავის ბაგეთა სულით და თავისი მოსვლის გაცხადებისას განაქარვებს
- ⁹მას, რომლის მოსვლა იქნება სატანის მოქმედებით, ყოველგვარი ძალით, ცრუ ნიშნებითა და სასწაულებით,
- ¹⁰და უსამართლობის ყველა საცთურით დაღუპვის გზაზე მყოფთათვის იმის გამო, რომ მათ არ შეითვისეს ჭეშმარიტების სიყვარული თავის სახსნელად.
- ¹¹ამისათვის უგზავნის მათ ღმერთი მაცდუნებელ ქმედებას, რომ ირწმუნონ სიცრუე,
- ¹²რათა დაისაჯოს ყველა, ვინც ჭეშმარიტება არ იწამა და მოიწონა უსამართლობა.
- ¹³ხოლო ჩვენ მუდამ უნდა ვმადლობდეთ ღმერთს თქვენი გულისათვის, ძმებო, უფლის საყვარელნო, რომ ღმერთმა უწინარესად ამოგირჩიათ გადასარჩენად სულის მიერ განწმედით და ჭეშმარიტების რწმენით,
- ¹⁴რისთვისაც მოგიწოდათ მან ჩვენი სახარებით, რათა მოიპოვოთ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს დიდება.
- ¹⁵ამრიგად, ძმებო, მტკიცედ იდექით და მტკიცედ გეპყრათ გადმოცემები, რომლებიც გისწავლიათ ჩვენი სიტყვით თუ წერილით.



¹⁶ხოლო თვით ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ და ჩვენმა ღმერთმა და მამამ, რომელმაც შეგვიყვარა და მოგვმადლა საუკუნო ნუგეში და კეთილი იმედი მადლით,

¹⁷ანუგეშოს თქვენი გულები და განგამტკიცოთ ყოველ კეთილ საქმესა და სიტყვაში.

2 თესლონიკელთა 3

¹და ბოლოს, ძმებო, ილოცეთ ჩვენთვის, რათა უფლის სიტყვა გავრცელდეს და იდიდოს ისე, როგორც თქვენს შორის არის ეს,

²და რომ გადავრჩეთ უწესო და ბოროტი ადამიანებისაგან, რადგან ყველაში არ არის რწმენა.

³სარწმუნოა უფალი, რომელიც განგამტკიცებთ თქვენ და დაგიცავთ ბოროტისაგან.

⁴ჩვენ კი გვჯერა თქვენი უფალში, რომ ასრულებთ და კვლავაც შეასრულებთ, რასაც გამცნებთ.

⁵უფალმა წარმართოს თქვენი გულები ღმერთის სიყვარულისა და ქრისტეს მოთმინებისაკენ.

⁶ჩვენ კი გამცნობთ, ძმებო, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით, რომ ჩამოშორდეთ ყოველ ძმას, რომელიც იქცევა ურიგოდ და არა იმ გადმოცემისამებრ, ჩვენგან რომ მიიღეს.

⁷რადგან თქვენ თვითონ იცით, როგორ უნდა გვბაძავდეთ ჩვენ, რადგან ურიგოდ არ ვიქცეოდით თქვენს შორის.

⁸მუქთად არავისი პური გვიჭამია, არამედ დღისით და ღამით შრომაში ვიყავით, რომ რომელიმე თქვენგანს ტვირთად არ დავწოლოდით.

⁹არა იმიტომ, რომ არა გვაქვს ხელმწიფება, არამედ რათა ჩვენი თავი მისაბამ სახედ მოგვეცა თქვენთვის.

¹⁰რადგან, როცა თქვენთან ვიმყოფებოდით, ამას გამცნობდით: ვისაც შრომა არ სურს, ის ნურც ჭამს,

¹¹რადგან გვესმის, რომ ზოგიერთი თქვენს შორის ურიგოდ იქცევა, არაფერს აკეთებს, არამედ ფუჭად დაფარფატებს.

¹²ასეთებს ვამცნობთ და შევაგონებთ ჩვენს უფალ იესო ქრისტეში, რომ მათ დინჯი შრომით ჭამონ თავიანთი პური.

¹³თქვენ კი, ძმებო, ნუ მოიწყენთ კეთილი საქმეების კეთებას.



¹⁴ხოლო თუ ვინმე არ შეისმენს ამ წერილით მოწერილ ჩვენს სიტყვებს, შენიშნული გყავდეთ იგი და ნუ გექნებათ მასთან ურთიერთობა, რათა შერცხვეს.

¹⁵ოღონდ მტრად ნუ მიიჩნევთ, არამედ ძმასავით დაარიგეთ.

¹⁶ხოლო თავად მშვიდობის უფალმა მოგცეთ თქვენ მშვიდობა ყოველთვის და ყველგან. უფალი იყოს თქვენთან ყველასთან.

¹⁷მოკითხვა ჩემი, პავლეს ხელით – ეს არის ჩემი ნიშანი ყოველ წერილში. მე ასე ვწერ.

¹⁸ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მაღლი იყოს თქვენთან ყველასთან. ამინ.



პირველი ტიმოთეს მიმართ

1 ტიმოთეს 1

- ¹პავლე, ქრისტე იესოს მოციქული, ჩვენი მხსნელი ღმერთისა და ჩვენი იმედის, ქრისტე იესოს ბრძანებით.
- ²ტიმოთეს, ჩემს ერთგულ შვილს რწმენაში: მადლი, წყალობა და მშვიდობა მამა ღმერთისა და ჩვენი უფლის ქრისტე იესოსაგან.
- ³როდესაც მე მაკედონიაში მივდიოდი, გთხოვე, რომ დარჩენილიყავი ეფესოში და გემცნო ზოგიერთებისათვის, რომ ნუ ასწავლიან განსხვავებულს და
- ⁴ნუ ერთობიან ზღაპრებითა და დაუსრულებელი საგვარტომო ნუსხებით, რომლებიც დავას უფრო იწვევენ, ვიდრე ღვთიური განგების შემეცნებას რწმენით.
- ⁵ხოლო ხარების მიზანია სიყვარული წმიდა გულით, კეთილი სინდისითა და უთვალთმაქცო რწმენით,
- ⁶რასაც ზოგიერთები ასცდნენ და გადაუხვიეს ფუჭსიტყვაობისაკენ;
- ⁷მათ სურთ რჯულის მოძღვარნი იყვნენ, არ კი გაეგებათ, რას ლაპარაკობენ და რას ამტკიცებენ.
- ⁸ხოლო ჩვენ ვიცით, რომ რჯული მაშინ არის კარგი, თუ ვინმე ჯეროვნად იყენებს მას.
- ⁹ცნობილია, რომ რჯული მართალთათვის კი არ არის დადგენილი, არამედ ურჯულოთა და ურჩთა, უღვთოთა და ცოდვილთა, გარყვნილთა და უწმიდურთა, მამის და დედის მკვლელთა და კაცისმკვლელთათვის,
- ¹⁰მეძავთა და მამათმავალთა, ადამიანების გამტაცებელთა და ცრუთა, ფიცის გამტეხთა და სხვათათვის, ვინც ეწინააღმდეგება საღ მოძღვრებას,
- ¹¹თანახმად კურთხეული ღმერთის დიდების სახარებისა, რომელიც მე მაქვს მონდობილი.
- ¹²ვმადლობ მას, ვინც მომცა ძალა – ჩვენმა უფალმა ქრისტე იესომ, რომელმაც სარწმუნოდ შემრაცხა და განმაწესა მსახურებად,
- ¹³მე, რომელიც უწინ მგმოხელი, მდევნელი და მოძალადე ვიყავი, შემიწყალა, რადგან ასე ვიქცეოდი უმეცრებისა და ურწმუნოების გამო.
- ¹⁴და უფრო მეტად გამრავლდა ჩემში ჩვენი უფლის მადლი რწმენით და სიყვარულით ქრისტე იესოში.



¹⁵სარწმუნოა და მთლიანად შეწყნარების ღირსია სიტყვა, რომ ქრისტე იესო მოევლინა ქვეყნიერებას ცოდვილთა სახსნელად, რომელთა შორის პირველი მე ვარ.

¹⁶სწორედ იმიტომ ვიქენი შეწყალებული, რომ ჩემში იესო ქრისტეს პირველად ეჩვენებინა მთელი თავისი სულგრძელება სამაგალითოდ მათთვის, ვინც ირწმუნებს მას საუკუნო სიცოცხლისათვის.

¹⁷ხოლო საუკუნეთა მეფეს, უხრწნელს, უხილავს, ერთადერთ ღმერთს – დიდება და პატივი უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

¹⁸ამ მცნებას შენ განდობ, შვილო ტიმოთე, შენზე წინასწარმეტყველების თანახმად, რათა იომო, როგორც კარგმა მეომარმა,

¹⁹გქონდეს რწმენა და კეთილი სინდისი, რომელიც უარყვეს ზოგიერთებმა და დაიმსხვრა მათი რწმენის ხომალდი.

²⁰მათგან არიან ჰიმენეოსი და ალექსანდრე, რომლებიც სატანას გადავეცი, რათა ისწავლონ, რომ აღარ გამობდნენ.

1 ტიმოთეს 2

¹შეგაგონებ, რომ უწინარეს ყოვლისა ადასრულო ვედრებანი, ლოცვანი, შუამდგომლობანი და მადლობანი ყოველი ადამიანისათვის,

²მეფეებისა და ყველა მბრძანებლისათვის, რათა მშვიდად და წყნარად ვიცხოვროთ სრულ ღვთისმოსაობასა და პატიოსნებაში,

³ეს კეთილია და სათნოა ჩვენი მაცხოვრის, ღმერთის წინაშე,

⁴რომელსაც სურს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს და მისწვდეს ჭეშმარიტების შემეცნებას.

⁵რადგან ერთია ღმერთი და ერთია შუამავალი ღმერთსა და ადამიანთა შორის – ადამიანი ქრისტე იესო,

⁶რომელმაც თავი გასწირა ყველას გამოსასყიდად, ეს იყო მოწმობა, რომელიც განხორციელდა თავის დროზე,

⁷რისთვისაც მე დადგენილი ვარ მქადაგებლად და მოციქულად – ჭეშმარიტებას ვამბობ ქრისტეში, არ ვცრუობ, – წარმართთა მოძღვრად რწმენასა და ჭეშმარიტებაში.

⁸ამგვარად, ჩემი სურვილია, რომ ყველა ადგილას ლოცულობდნენ კაცები, წმიდა ხელების აპყრობით, რისხვისა და კამათის გარეშე.



⁹ასევე ქალებმაც თავი შეიშვენიერეს უბრალო სამოსითა და წესიერებით, და არა თმის დაწვნივით და ოქროთი, ან მარგალიტებით, ან ძვირფასი ტანსაცმლით,

¹⁰არამედ კეთილი საქმეებით, როგორც შეჰფერით ქალებს, რომლებმაც ღვთისმოსაობა არჩიეს.

¹¹ქალი უნდა სწავლობდეს მდუმარედ, სრული მორჩილებით.

¹²ქალს არ ვაძლევ სწავლების ნებას, არც ქმარზე ბატონობისას, არამედ მდუმარედ იყოს.

¹³რადგან პირველად ადამი შეიქმნა და მერე ევა.

¹⁴და ადამი კი არ შემცდარა, არამედ ქალი შეცდა და ცოდვაში ჩავარდა.

¹⁵თუმცა გადარჩება შვილიერებით, თუ იდგება რწმენაში, სიყვარულსა და სიწმიდეში წესიერებით.

1 ტიმოთეს 3

¹სარწმუნოა ეს სიტყვა: თუ ვინმეს ეპისკოპოსობა სურს, კეთილი საქმე სურს.

²ეპისკოპოსი უნდა იყოს შეუბღალავი, ერთი ცოლის ქმარი, თავშეკავებული, გონიერი, მოწესრიგებული, სტუმართმოყვარე, მასწავლებელი,

³არ იყოს ლოთი, მოჩხუბარი, არამედ შემწყნარე, მშვიდობიანი, არ იყოს ვერცხლის მოყვარე,

⁴თავისი სახლის კეთილად განმგებელი, შვილები მორჩილებაში ჰყავდეს სრული ღირსებით.

⁵რადგან თუ ვინმემ საკუთარი სახლის განმგებლობა არ იცის, როგორ იზრუნებს ღმერთის ეკლესიაზე?

⁶ნურც ახალმოქცეული იქნება, რათა არ გაკადნიერდეს და ეშმაკის სამსჯავროში არ ჩავარდეს.

⁷მართებს კარგი მოწმობა ჰქონდეს გარეშეთა შორის, რათა გაკიცხვა არ დაიმსახუროს და ეშმაკის მახეში არ გაებას.

⁸დიაკვნებიც ასევე პატიოსნები უნდა იყვნენ, არა ორპირნი, ღვინოს ნაკლებად მიძალბებულნი, არა ანგარებიანნი,

⁹რწმენის საიდუმლოების წმიდა სინდისით შემნახველნი.



¹⁰ესენიც წინასწარ უნდა გამოიცადონ და მერე, თუ შეუბღალავი აღმოჩნდებიან, იდიაკვნონ.

¹¹მათი ცოლებიც პატიოსნები უნდა იყვნენ, არა მაბეზღარნი, კდემამოსილნი და ყველაფერში სარწმუნონი.

¹²დიაკვანიც ერთი ცოლის ქმარი იყოს, შვილებისა და საკუთარი სახლის კარგი განმგებელი.

¹³რადგან კეთილად მომსახურენი იმზადებენ კეთილ პატივს და დიდ სიმხნევს ქრისტე იესოს რწმენაში.

¹⁴ამას გწერ შენ იმედით, რომ მალე მოვალ შენთან,

¹⁵მაგრამ თუ დამაგვიანდა, რომ იცოდე, როგორ მოიქცე ღმერთის სახლში, რომელიც არის ცოცხალი ღმერთის ეკლესია, ჭეშმარიტების სვეტი და საფუძველი.

¹⁶უცილობლად დიდია ღვთისმოსაობის საიდუმლო: ღმერთი გამოჩნდა ხორციელად, გამართლდა სულში, ეჩვენა ანგელოზებს, ნაქადაგები იქნა ერებს შორის, მიღებულ იქნა სამყაროში რწმენით და ამაღლდა დიდებით.

1 ტიმოთეს 4

¹ხოლო სული გარკვევით ამბობს, რომ უკანასკნელ ჟამს ზოგიერთები განდგებიან რწმენისაგან, დაუჯერებენ მაცდურ სულებს და ეშმაკთა მოძღვრებებს,

²თვალთმაქცობით ცრუმეტყველთ, რომელთა სინდისიც დადაღულია,

³რომლებიც კრძალავენ შეუღლებას და მოითხოვენ თავშეკავებას საკვებისაგან, რომელიც ღმერთმა შექმნა, რათა მადლობით მიიღონ ჭეშმარიტების მორწმუნეებმა და მცოდნეებმა.

⁴რადგან ღმერთის ყოველი ქმნილება კარგია და არაფერია უარსაყოფი, არამედ მადლიერებით მისაღები,

⁵რადგან იწმიდება ღმერთის სიტყვით და ლოცვით.

⁶თუ ამას შთააგონებ ძმებს, ქრისტე იესოს კეთილი მსახური იქნები, გამოზრდილი რწმენის სიტყვებით და იმ კეთილი მოძღვრებით, რომელსაც შეუდექი.

⁷უკეთურ და დედაბრულ ზღაპრებს მოერიდე და ღვთისმოსაობაში გაიწვრთენი.



⁸რადგან ხორციელი წვრთნა ნაკლებად სასარგებლოა, ღვთისმოსაობა კი ყველაფერში გამოსადეგია, რადგან აღგვითქვამს სიცოცხლეს აწმყოშიც და მომავალშიც.

⁹ეს სიტყვა სარწმუნოა და ღირსია სრული შეწყნარებისა.

¹⁰რადგან იმისათვის ვშრომობთ და ვიღწვით, რომ ვესავთ ცოცხალ ღმერთს, რომელიც მხსნელია ყველა ადამიანისა, უფრო მეტად კი მორწმუნეთა.

¹¹ეს ამცნე და ასწავლე.

¹²წურავინ დაგამცირებს შენი სიჭაბუკის გამო, არამედ მორწმუნეთათვის მაგალითი იყავი სიტყვით, ქცევით, სიყვარულით, რწმენით, სიწმიდით.

¹³ვიდრე მოვიდოდე, მიჰყევი კითხვას, ნუგეშისცემას და სწავლებას.

¹⁴ნუ უგულებელყოფ შენში არსებულ ნიჭს, რომელიც მოგეცა წინასწარმეტყველებით, უხუცესთა ხელდასხმით.

¹⁵ამაზე იზრუნე და ამაში იდექი, რათა ყველასათვის ცხადი იყოს შენი წარმატება.

¹⁶გაუფრთხილდი თავს და მოძღვრებას. ამას უერთგულე, რადგან ასე მოქცევით შენს თავსაც იხსნი და შენს მსმენელთაც.

1 ტიმოთეს 5

¹ნუ გაკიცხავ მოხუცებულს, არამედ დაარიგე, როგორც მამა, ყმაწვილკაცები კი – როგორც ძმები,

²ხნიერი ქალები – როგორც დედები, ყმაწვილქალები – როგორც დები, მთელი სიწმიდით.

³პატივი ეცი ქვრივებს, რომლებიც ნამდვილი ქვრივები არიან.

⁴ხოლო თუ ქვრივს ჰყავს შვილები ან შვილიშვილები, მათ ჯერ თავიანთ ოჯახში უნდა ისწავლონ ღვთისმოსაობა და მშობლებისათვის სამაგიეროს მიგება, რადგან ეს კარგია და მოსაწონია ღმერთის წინაშე.

⁵ნამდვილი ქვრივი და მარტოხელა ღმერთს ესავს და ვედრებასა და ლოცვაში ატარებს ღამესა და დღეს.

⁶განცხრომის მაძიებელი კი ცოცხლად მკვდარია.

⁷ეს ამცნე, რათა შეუბღალავნი იყვნენ.

⁸ხოლო ვინც არ ზრუნავს თავის ახლობლებზე, უფრო მეტად კი თავის სახლეულებზე, იგი განუდგა რწმენას და ურწმუნოზე უარესია.



⁹ქვრივად უნდა შეირაცხოს 60 წელს გადაშორებული, ერთი ქმრის ნაცოლარი,

¹⁰ცნობილი კარგი საქმეებით, თუ გამოუზრდია შვილები, თუ უმასპინძლია უცხოთათვის, თუ უბანია ფეხები წმიდათათვის, თუ დახმარებია გაჭირვებულებს, მიჰყოლია ყოველ კეთილ საქმეს.

¹¹ახალგაზრდა ქვრივებს კი მოერიდე, რადგან ხშირად ისინი ვნებებით აღძრულნი შორდებიან ქრისტეს და გათხოვების სურვილი უჩნდებათ.

¹²მაშინ ისინი სასჯელის თანამდებნი არიან, რადგან უარყვეს თავიანთი პირვანდელი რწმენა.

¹³ამას გარდა, ეჩვევიან უსაქმურად კარდაკარ სიარულს, და არა მარტო უსაქმურნი არიან, არამედ ჭორიკნებიც და ცნობისმოყვარენიც და ისეთ რამეს ლაპარაკობენ, რაც არ მართებთ.

¹⁴ამიტომ ჩემი სურვილია, რომ ახალგაზრდა ქვრივები გათხოვდნენ, გააჩინონ ბავშვები, იდიასახლისონ და არ მისცენ მტრებს გაკიცხვის საბაზი.

¹⁵რადგან ზოგიერთი მათგანი სატანის კვალს გაჰყვა.

¹⁶თუ რომელიმე მორწმუნე ქალს ჰყავს ქვრივი ნათესავები, არჩინოს ისინი და ტვირთად ნუ დააკისრებს ეკლესიას, რათა ეკლესიამ შეძლოს ნამდვილი ქვრივების რჩენა.

¹⁷ხუცესნი, რომლებიც კარგი წინამძღოლები არიან, ორმაგი პატივის ღირსნი არიან, უფრო კი ისინი, რომელნიც იღწვიან ქადაგებითა და დამოძღვრით.

¹⁸რადგან წერილი ამბობს: „პირს ნუ აუკრავ ხარს ლეწვისას.“ და კიდევ: „მშრომელი ღირსია თავისი საზღაურისა.“

¹⁹ხუცესებზე ბრალდებას ნუ მიიღებ, თუ არ გეყოლება ორი ან სამი მოწმე.

²⁰შემცოდენი ამხილე ყველას წინაშე, რათა სხვებმაც იქონიონ შიში.

²¹ღმერთისა და უფალი ქრისტე იესოს და რჩეულ ანგელოზთა წინაშე გაფიცებ, პირუთვნელად დაიცვა ეს და არაფერი გააკეთო მიკერძოებით.

²²არავის დაადო ხელი აჩქარებით და არ გახდე სხვათა ცოდვების მოზიარე. წმიდად შეინახე თავი.

²³ამიერიდან ნუღარ სვამ მარტო წყალს, ცოტა ღვინოც შეურიე შენი კუჭისა და შენი ხშირი ავადმყოფობის გამო.

²⁴ზოგიერთი ადამიანის ცოდვები წინასწარვე ცხადია და სამსჯავროსაკენ მიუძღვიან, ზოგიერთს კი უკან მიჰყვებიან.



²⁵ასევე კეთილი საქმეებიც წინასწარ ცხადია და, თუ არა, მაინც ვერ დაიძალევა.

1 ტიმოთეს 6

¹მონობის უღელქვეშ მყოფებმა ყოველგვარი პატივი მიაგონ თავიანთ პატრონებს, რათა არ დაიგმოს ღმერთის სახელი და მოძღვრება.

²რომელთაც მორწმუნე პატრონები ჰყავთ, ნუ მოექცევით მათ უპატიოდ, რაკი ისინი ძმები არიან. არამედ კიდევ უფრო უკეთესად ემსახურონ, რადგან მორწმუნენი არიან და საყვარელნი, და ქველმოქმედებას ეწევიან. ეს ასწავლე და შეაგონე.

³ვინც სხვანაირად ასწავლის და არ მიჰყვება ჩვენი უფლის ქრისტე იესოს საღ სიტყვებს და ღვთისმოსაობის მოძღვრებას,

⁴ბრმაა, არაფრის მცოდნე, მხოლოდ ცილობისა და სიტყვებით ბრძოლის სენი სჭირს, საიდანაც წარმოიშვება შური, ჯიბრი, გმობა და ბოროტი ეჭვი,

⁵გარყვნილი გონებისა და ჭეშმარიტებას მოკლებულ კაცთა ფუჭი კამათი, რომელთაც ღვთისმოსაობა შემოსავლის წყარო ჰგონიათ.

⁶დიდად სასარგებლოა ღვთისმოსაობა და მცირედით კმაყოფილება.

⁷რადგან არაფერი მოგვიტანია ქვეყნად და ვერც ვერაფერს წავიღებთ.

⁸ამიტომ თუ გვაქვს საზრდო და ტანსაცმელი, დავჯერდეთ ამას.

⁹ხოლო გამდიდრების მსურველნი განსაცდელსა და მახეში ვარდებიან, მრავალ უგუნურ და მავნე გულისთქმაში, რომლებიც განადგურებისა და დაღუპვისაკენ უბიძგებენ ადამიანს.

¹⁰რადგან ყოველი ბოროტების ფესვი ვერცხლისმოყვარეობაა და ზოგიერთები, რომლებიც მან გაიტაცა, განშორდნენ რწმენას და თავიანთ თავს მრავალი ტკივილი აწვნიეს.

¹¹შენ კი, ღმერთის კაცო, გაერიდე ამას და მისდით სიმართლეს, ღვთისმოსაობას, რწმენას, სიყვარულს, მოთმინებასა და თვინიერებას.

¹²იბრძოლე რწმენის კეთილი ბრძოლით, ჩაეჭიდეთ საუკუნო სიცოცხლეს, რომლისთვისაც მოწოდებული ხარ, და აღიარე კეთილი მრწამსი მრავალი მოწმის წინაშე.

¹³გავალებ ცხოველყოფელი ღმერთისა და ქრისტე იესოს წინაშე, რომელმაც პონტოელი პილატეს დროს კეთილი მრწამსი დაამოწმა,



¹⁴რომ უბიწოდ და შეუბღალავად დაიცვა მცნება ჩვენი უფლის იესო ქრისტეს გამოცხადებამდე,

¹⁵რომელსაც თავის ჟამს გამოავლენს ნეტარი და ერთადერთი ხელმწიფე, მეფეთა მეფე, უფალთა უფალი,

¹⁶ერთადერთი, რომელსაც უპყრია უკვდავება, მკვიდრობს მიუწვდომელ ნათელში, რომელიც არავის უხილავს ადამიანთაგან და არც ძალუმს ხილვა. მას პატივი და საუკუნო ძლიერება. ამინ.

¹⁷ამ სოფლის მდიდრებს ამცნე, რომ არ გადიდგულდნენ, არ მიენდონ მაცდურ სიმდიდრეს, არამედ ცოცხალ ღმერთს, რომელიც ყველაფერს უხვად გვაძლევს მოსახმარად, –

¹⁸იყვენენ ქველმოქმედნი, გამდიდრდნენ კეთილი საქმეებით, იყვენენ გულუხვნი და გამზიარებელნი.

¹⁹დაიუნჯონ საუნჯე კეთილი მომავლის საფუძვლად, რათა მოიხვეჭონ ნამდვილი სიცოცხლე.

²⁰ო, ტიმოთე, დაიმარხე შენთვის მონდობილი, განერიდე უკეთურ ლაყბობას და ცილობებს ცრუ ცოდნისა,

²¹ზოგიერთებმა რომ აღიარეს და რწმენას ჩამოშორდნენ. მაღლი თქვენთან.



მეორე ტიმოთეს მიმართ

2 ტიმოთეს 1

¹პავლე, ღმერთის ნებით ქრისტე იესოს მოციქული ქრისტე იესოში სიცოცხლის აღთქმისამებრ,

²ტიმოთეს, საყვარელ შვილს – მადლი, წყალობა და მშვიდობა მამა ღმერთისა და ჩვენი უფლის ქრისტე იესოსაგან.

³ვმადლობ ღმერთს, რომელსაც ვმსახურებ წინაპართა კვალზე წმიდა სინდისით, როცა განუწყვეტლივ გიხსენებ ჩემს ლოცვებში ღამით და დღისით.

⁴ვიხსენებ შენს ცრემლებს და მენატრება შენი ნახვა, რათა სიხარულით აღვივსო.

⁵მახსენდება შენი წრფელი რწმენა, რომელიც უწინ დამკვიდრებული იყო დიდებაშენ ლოიდესა და დედაშენ ევნიკეში, და მწამს, რომ იგი შენშიც არის.

⁶ამის გამო შეგახსენებ, გააღვივო ღმერთის ნიჭი, რომელიც ჩემი ხელდასხმით არის შენში.

⁷რადგან ღმერთმა მოგვცა ჩვენ სული არა სიმხდალისა, არამედ ძალის, სიყვარულისა და თავშეკავებისა.

⁸მაშ, ნუ შეგრცხვება ჩვენი უფლის დამოწმებისა, ასევე ნურც ჩემი, მისი პატიმრისა, არამედ გაიზიარე სახარებისათვის ჩემი ტანჯვა, გაძლიერდი ღმერთის ძალით,

⁹რომელმაც გვიხსნა და მოგვიწოდა ჩვენ წმიდა მოწოდებით, არა ჩვენი საქმეების მიხედვით, არამედ თავისი განზრახვითა და მადლით, რომელიც მოგვცა ჩვენ ქრისტე იესოში საუკუნეთა უწინარეს.

¹⁰ახლა გამოჩნდა ის ჩვენი მხსნელი ქრისტე იესოს გამოცხადებით, რომელმაც გააუქმა სიკვდილი და სახარებით ნათელი მოჰფინა სიცოცხლეს და უხრწნელებას,

¹¹რომლის მაცნედ, მოციქულად და მოძღვრად ვარ დადგენილი.

¹²ამ მიზეზით ვიტანჯები ასე, მაგრამ არა მრცხვენია, რადგან ვიცი, ვინც ვიწამე, და მწამს, რომ მას ძალუმს შეინახოს ჩემი საწინდარი იმ დღისათვის.

¹³მისდით საღ სიტყვებს, რომლებიც ჩემგან მოისმინე, იმ რწმენით და სიყვარულით, რომელიც ქრისტე იესოშია.



¹⁴შეინახე კეთილი საწინდარი ჩვენში დამკვიდრებული სულიწმიდის მეშვეობით.

¹⁵შენ იცი, რომ ასიაში ყველამ მიმატოვა, მათ შორის ფიგელოსმა და ჰერმოგენემაც.

¹⁶უფალმა მისცეს წყალობა ონისიფორეს სახლს, რადგან მან მრავალჯერ გამამხნევა და არ შერცხვა ჩემი ბორკილებისა,

¹⁷არამედ რომში მყოფი გულმოდგინედ მეძებდა და მიპოვა.

¹⁸უბოდოს მას უფალმა უფლის შეწყალების მოპოვება იმ დღეს. ხოლო რაც ეფესოში სამსახური გაუწევია, შენ უკეთ იცი.

2 ტიმოთეს 2

¹ამრიგად, შენ, ჩემო შვილო, გაძლიერდი მადლით, რომელიც ქრისტე იესოშია.

²და რაც მოისმინე ჩემგან მრავალ მოწმესთან ერთად, გადაეცი სარწმუნო ადამიანებს, რომელთაც სხვების სწავლების უნარი ექნებათ.

³გაიზიარე ჩემი ტანჯვა, როგორც ქრისტე იესოს კეთილმა მეომარმა.

⁴არც ერთი მეომარი არ გაეხვევა ცხოვრებისეულ საქმეებში, რათა აამოს მეთაურს.

⁵შეჯიბრშიც გვირგვინს ვერავინ მიიღებს, თუ უწესოდ იბრძოლებს.

⁶მიწისმუშაკს მართებს პირველმა მიიღოს ნაყოფი.

⁷დაფიქრდი ჩემს ნათქვამზე, რადგან უფალი მოგცემს ყველაფრის გაგებას.

⁸გახსოვდეს მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტე, დავითის შთამომავალი, ჩემი სახარების მიხედვით,

⁹რომლისთვისაც ვიტანჯები თვით ბორკილებამდე, როგორც ბოროტმოქმედი, მაგრამ ღმერთის სიტყვისთვის არ არსებობს ბორკილები.

¹⁰ამიტომ ყოველივეს ვითმენ რჩეულთათვის, რათა მათაც მიიღონ ხსნა ქრისტე იესოში საუკუნო დიდებასთან ერთად.

¹¹სარწმუნოა სიტყვა: თუ მასთან ერთად მოვკვდებით, მასთან ერთად ვიცოცხლებთ.

¹²თუ მოვითმენთ, მასთან ერთად ვიმეფებთ. თუ უარვყოფთ, ისიც უარგვყოფს ჩვენ.



- ¹³თუ ჩვენ ურწმუნონი ვიქნებით, ის სარწმუნო დარჩება, რადგან საკუთარ თავს ვერ უარყოფს.
- ¹⁴ეს შეახსენე და დაუმოწმე მათ ღმერთის წინაშე, არ იკინკლაონ სიტყვების გამო უსარგებლოდ, მსმენელთა დასაღუპად.
- ¹⁵ეცადე თავი ღირსეულად წარუდგინო ღმერთს, შეურცხვენელ მუშაკად, ჭეშმარიტების სიტყვის სწორად გადამცემად.
- ¹⁶მოერიდე უკეთურ ლაყბობას, რომელსაც ამგვარად მოქმედნი უღვთოებისაკენ მიჰყავს.
- ¹⁷მათი სიტყვა სჭამს თავის გარშემო სირსველისავით. ასეთები არიან ჰიმენეოსი და ფილეტოსი,
- ¹⁸რომლებიც განუდგნენ ჭეშმარიტებას. ამბობენ, რომ აღდგომა უკვე იყო და ზოგიერთებს უუკუღმართებენ რწმენას.
- ¹⁹ღმერთის მტკიცე საფუძველი კი დგას და აქვს ეს ბეჭედი: „ცნობს უფალი თავისიანებს“ და „განშორდეს უსამართლობას ყველა, ვინც მოუხმობს უფლის სახელს.“
- ²⁰დიდ სახლში კი არა მარტო ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელია, არამედ ხისა და თიხისაც, ზოგი საპატიო, ზოგი არასაპატიო მოხმარებისთვის.
- ²¹ამრიგად, ვინც ამისგან გასუფთავდება, ის იქნება საპატიო ჭურჭელი, განწმედილი და ხელმწიფისათვის სახმარი, ყოველი კეთილი საქმისათვის გამზადებული.
- ²²ყმაწვილკაცურ გულისთქმებს გაექცევი. მისდით სამართლიანობას, რწმენას, სიყვარულს, მშვიდობას ყველასთან, ვინც სუფთა გულით მოუხმობს უფალს.
- ²³სულელურ და უმეცარ პაექრობებს მოერიდე. შენ ხომ იცი, რომ ისინი მხოლოდ უთანხმოებას ბადებენ.
- ²⁴ღმერთის მონას კი არ მართებს პაექრობა, არამედ თვინიერი უნდა იყოს ყველას მიმართ, დამმოდღვრავი, უბოროტო.
- ²⁵მშვიდად ასწავლიდეს მოწინააღმდეგეთ, ვინძლო მისცეს მათ ღმერთმა მონანიება ჭეშმარიტების შესაცნობად,
- ²⁶რათა გონს მოეგონ და თავი დააღწიონ ეშმაკის მახეს, რომელმაც თავის ნებაში მოამწყვდია ისინი.

2 ტიმოთეს 3



- ¹ეს კი უნდა იცოდე, რომ უკანასკნელ დღეებში მძიმე ჟამი დადგება,
- ²რადგან ადამიანები იქნებიან საკუთარი თავის მოყვარენი, ვერცხლისმოყვარენი, ამაყნი, ამპარტავანნი, მგმობელნი, მშობლების ურჩნი, უმადურნი, უწმიდურნი,
- ³მოდულენი, შეურიგებელნი, ცილისმწამებელნი, თავშეუკავებელნი, მოღალატენი, სასტიკნი, კეთილის უყვარულნი,
- ⁴გამცემნი, თავხედნი, მზვაობარნი, უფრო განცხრომის მოყვარულნი, ვიდრე ღმერთისა,
- ⁵რომელთაც გარეგნული სახე ღვთისმოსაობისა აქვთ, მის ძალას კი უარყოფენ. ასეთებს ერიდე.
- ⁶მათ შორის ისეთებიც არიან, რომლებიც იპარებიან სახლებში და ხელთ იგდებენ უგუნურ ქალებს, ცოდვებში ჩაფლულთ და სხვადასხვაგვარი გულისთქმებით შეპყრობილთ,
- ⁷რომლებიც მუდამ სწავლობენ და ჭეშმარიტების შეცნობას ვერასდროს ვერ აღწევენ.
- ⁸როგორც იანე და იამბრე წინ აღუდგნენ მოსეს, ასევე ესენიც ეწინააღმდეგებიან ჭეშმარიტებას, როგორც გონებით გახრწნილი, რწმენაში უვარგისი ადამიანები.
- ⁹მაგრამ ისინი შორს ვერ წავლენ, რადგან მათი უგუნურება ბოლოს ცხადი გახდება ყველასათვის, როგორც ეს იმათაც დაემართათ.
- ¹⁰შენ კი მომყევი მე მოძღვრებაში, ქცევაში, განზრახვაში, რწმენაში, დიდსულოვნებაში, სიყვარულში, მოთმინებაში,
- ¹¹დევნებში, ტანჯვებში, რაც შემემთხვა მე ანტიოქიაში, იკონიაში, ლისტრაში. რა დევნანი არ გადავიტანე და ყველაფრისაგან მიხსნა უფალმა.
- ¹²და ასევე იქნება დევნილი ყველა, ვისაც სურს ღვთისმოსავად იცხოვროს ქრისტე იესოში.
- ¹³ბოროტი ადამიანები და თვითმარქვეები კი კიდევ უფრო უარესს გააკეთებენ, სხვებსაც შეაცდენენ და თავადაც ცდუნდებიან.
- ¹⁴შენ კი მტკიცედ იდექი იმაზე, რაც გისწავლია და რაც გიწამებია, იცი, ვისგანაც გისწავლია.
- ¹⁵შენ ხომ სიყრმიდანვე იცი საღვთო წერილები, რომელთაც ძალუძთ შენი დაბრძენება და ქრისტე იესოს რწმენით ხსნა.



¹⁶მთელი წერილი ღვთისმეტყველება და სასარგებლო სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად, აღსაზრდელად სამართლიანობაში.

¹⁷რათა ღვთის ადამიანი იყოს სრული და ყოველი კეთილი საქმისათვის მზადყოფი.

2 ტიმოთეს 4

¹გაფიცე და მოგიწოდებ ღმერთისა და ქრისტე იესოს წინაშე, რომელიც განიკითხავს ცოცხლებსა და მკვდრებს თავისი გამოცხადებით და თავისი სუფევით,

²იქადაგე სიტყვა, მზად იყავ დროულად და უდროოდ ამხილო, შერისხო, შეაგონო სრული სულგრძელებითა და დამოძღვრით.

³რადგან დადგება ჟამი, როდესაც საღ მოძღვრებას არ შეიწყნარებენ, არამედ თავიანთი სიამოვნებისათვის შემოიკრებენ ყურის მამებელ მასწავლებლებს.

⁴ჭეშმარიტებას აარიდებენ ყურს და ზღაპრებისაკენ მიიქცევიან.

⁵შენ კი იფხიზლე ყველაფერში, დაითმინე ბოროტება, აკეთე მახარებლის საქმე, აღასრულე შენი მსახურება.

⁶რადგან მე უკვე გამზადებული ვარ შესაწირავად, როგორც საღვრელი, ჩემი წასვლის ჟამმა მოაწია.

⁷ვიღვაწე კეთილი ღვაწლით, გავასრულე ასპარეზი, რწმენა შევინახე.

⁸ახლა კი მომელის მე სიმართლის გვირგვინი, რომელსაც მომცემს იმ დღეს უფალი, მართალი მსაჯული, და არა მარტო მე, არამედ ყველას, რომელთაც შეიყვარეს მისი გამოცხადების მოსვლა.

⁹ისწრაფე, რომ მალე მოხვიდე ჩემთან.

¹⁰რადგან დემასმა შეიყვარა ეს სოფელი და მიმატოვა. ის თესალონიკეში წავიდა, კრისკე – გალატიაში, ტიტე – დალმატიაში.

¹¹მარტო ლუკაა არის ჩემთან. ხელი მოკიდე მარკოზს და თან წამოიყვანე, რადგან მჭირდება მსახურებისათვის.

¹²ტიქიკოსი ეფესოში მივაგვლინე.

¹³მოსასხამი, რომელიც ტროაში დავტოვე კარპესთან, წამომიღე, როცა წამოხვალ, აგრეთვე წიგნებიც, მეტადრე პერგამენტები.

¹⁴მჭედელმა ალექსანდრემ დიდად მავნო. უფალმა მიუზღოს მის საქმეთაებრ.



¹⁵შენც უფროხილდი მას, რადგან ძალიან ეწინააღმდეგებოდა ჩვენს სიტყვებს.

¹⁶ჩემი პირველი თავდაცვისას არავინ იყო ჩემთან, ყველამ მიმატოვა. ნუ ჩათვლებათ მათ.

¹⁷ხოლო უფალი წარმომიდგა მე და გამაძლიერა, რათა ჩემი მეშვეობით აღსრულებულიყო ქადაგება და მოესმინა ყველა წარმართს. და მე თავი დავაღწიე ლომის ხახას.

¹⁸მომავალშიც დამიხსნის მე უფალი ყოველი ბოროტი საქმისაგან და დამიცავს თავისი ზეციური სამეფოსათვის. დიდება მას უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

¹⁹მომიკითხე პრისკა და აკვილა და ონისიფორეს სახლი.

²⁰ერასტოსი კორინთოში დარჩა, ხოლო ტროფიმე ავადმყოფი დავტოვე მილეტში.

²¹ისწრაფე, რომ ზამთრამდე მოხვიდე. მოგიკითხავენ ევბულოსი და პუდენსი, ლინოსი და კლავდია და ყველა ძმა.

²²უფალი იყოს შენს სულთან. მაღლი თქვენთან. ამინ.



ტიტეს მიმართ

ტიტეს 1

- ¹პავლე, ღმერთის მონა და იესო ქრისტეს მოციქული ღმერთის რჩეულთა რწმენისა და ჭეშმარიტების შეცნობისათვის, ღვთისმოსაობით,
- ²საუკუნო სიცოცხლის იმედით, რომელიც აღგვითქვა უტყუარმა ღმერთმა საუკუნეთა უწინარეს,
- ³და ჯეროვან ჟამს გამოაცხადა თავისი სიტყვა უწყებაში, რომელიც მომენდო მე ჩვენი მაცხოვარი ღმერთის ბრძანებით –
- ⁴ტიტეს, ჩემს ნამდვილ შვილს საერთო რწმენით, მადლი, წყალობა და მშვიდობა მამა ღმერთისა და ჩვენი მაცხოვარი ქრისტე იესოსაგან.
- ⁵იმისათვის დაგტოვე კრეტეში, რომ მოაწესრიგო, რაც დარჩა გასაკეთებელი და დააყენო ყველა ქალაქში ხუცესები, როგორც მე დაგავალე, –
- ⁶თუ არის ვინმე უმწიკვლო, ერთი ცოლის ქმარი, ჰყავს მორწმუნე შვილები, გარყვნილებასა და ურჩობაში ბრალდაუდებელნი.
- ⁷რადგან ეპისკოპოსი უნდა იყოს უმწიკვლო, როგორც ღმერთის განმგებელი, არა თავნება, არა გულფიცხი, არა ლოთი, არა მოჩხუბარი, არა გულხარბი,
- ⁸არამედ სტუმართმოყვარე, კეთილის მოყვარული, გონიერი, მართალი, თავშეკავებული,
- ⁹სარწმუნო სიტყვის მიმდევარი სწავლების თანახმად, რათა შეძლოს საღი მოძღვრებით შეაგონოს და ამხილოს მოწინააღმდეგენი.
- ¹⁰რადგან ბევრია ურჩი, ყბედი და მატყუარა, განსაკუთრებით წინადაცვეთილთაგან,
- ¹¹რომლებსაც უნდა აეკრას პირი. ისინი აუკუღმართებენ მთელ სახლებს, ასწავლიან, რასაც არ უნდა ასწავლიდნენ სამარცხვინო ანგარებისათვის.
- ¹²თქვა ერთ-ერთმა მათგანმა, მათმავე საკუთარმა წინასწარმეტყველმა:
„კრეტელნი მუდამ ცრუნი არიან, ველური მხეცები, უქნარა სტომაქები.“
- ¹³ეს მოწმობა სამართლიანია. ამ მიზეზით ამხილე ისინი მკაცრად, რათა საღნი იყვნენ რწმენაში.
- ¹⁴ყურად არ იღონ იუდეველთა ზღაპრები და იმ ადამიანთა შეგონებები, ვინც დაშორდა ჭეშმარიტებას.



¹⁵წმიდათათვის ყველაფერი წმიდაა, ხოლო ბილწთა და ურწმუნოთათვის არაფერია წმიდა, არამედ ბილწია მათი გონებაც და სინდისიც.

¹⁶ისინი სიტყვით აღიარებენ ღმერთს, საქმეებით კი უარყოფენ, რადგან საძაგელნი და ურჩნი არიან და უვარგისნი ყოველი კეთილი საქმისათვის.

ტიტუს 2

¹შენ კი ილაპარაკე ის, რაც შეჰფერის ჯანსაღ მოძღვრებას, –

²რომ ბერიკაცები უნდა იყვნენ ფხიზელნი, ღირსეულნი, გონიერნი, ჯანსაღნი რწმენაში, სიყვარულში, მოთმინებაში.

³ასევე ხნირი ქალებიც – ქცევით ღირსეულნი, არა ცილისმწამებელნი, არა ღვინის მოყვარულნი, არამედ სიკეთის მასწავლებელნი,

⁴რათა დაარიგონ ყმაწვილქალები, რომ იყვნენ ქმრის და შვილების მოყვარულნი,

⁵გონიერნი, სუფთანი, სახლზე მზრუნველნი, კეთილნი, თავიანთი ქმრების მორჩილნი, რათა არ იგმოზოდეს ღმერთის სიტყვა.

⁶ჰაბუკებსაც შეაგონე, რომ გონიერები იყვნენ.

⁷ყველაფერში იყავი კეთილ საქმეთა ნიმუში: გამოავლინე მოძღვრებაში შეურყვნელობა, სიდინჯე,

⁸გქონდეს ნათელი და უკიცხველი სიტყვა, რათა მტერს შერცხვეს და ვერაფერი ცუდი ვერ თქვას ჩვენზე.

⁹მონები თავიანთ პატრონებს დაემორჩილონ ყველაფერში, აამონ, სიტყვა არ შეუბრუნონ,

¹⁰არ მოიპარონ, არამედ გამოიჩინონ სრული ერთგულება, რათა ყველაფრით შეამკონ ჩვენი მაცხოვრის ღვთაებრივი მოძღვრება.

¹¹რადგან გამოჩნდა ღმერთის მადლი, ყველა ადამიანის მხსნელი,

¹²ჩვენს აღსაზრდელად, რათა უარყოთ უღვთოება და ამქვეყნიური გულისთქმანი, და ვიცხოვროთ ამქვეყნად გონივრულად, სამართლიანად და ღვთისმოსაობით.

¹³მოველოდეთ ნეტარი სასოებით ჩვენი დიდი ღმერთისა და მაცხოვრის ქრისტე იესოს დიდების გაცხადებას,

¹⁴რომელმაც თავი დასდო ჩვენთვის, რათა გამოვესყიდეთ ყოველგვარი ურჯულოებისაგან და განეწმიდა თავისთვის საკუთარი ხალხი, კეთილი საქმეების მოშურნე.



¹⁵ეს ილაპარაკე, შეაგონე და ამხილე მთელი ძალმოსილებით. არავინ დაგამციროს შენ.

ტიტეს 3

¹შეაგონე მათ: დაემორჩილონ და დაუჯერონ მთავართ და ხელისუფალთ, მზად იყვნენ ყოველგვარი კეთილი საქმისათვის,

²არავინ შეურაცხყონ, იყვნენ მშვიდობიანნი, მომთმენნი, მუდამ იჩენდნენ თვინიერებას ყველა ადამიანის მიმართ,

³რადგან ოდესღაც ჩვენც ვიყავით უმეცარნი, ურჩნი, გზააზნეულნი, მრავალგვარ გულისთქმებსა და განცხრომებს დამონებულნი, ცხოვრებას ბოროტებასა და შურში ვატარებდით, ვიყავით საძულველნი და ერთიმეორის მოძულენი.

⁴ხოლო როცა გაცხადდა ჩვენი ღვთაებრივი მაცხოვრის სახიერება და კაცთმოყვარეობა,

⁵მან გვიხსნა ჩვენ არა მართალი საქმეების გამო, რომლებიც ჩავიდინეთ, არამედ თავისი მოწყალებით, ხელახალი შობის განბანითა და წმიდა სულის მიერ განახლებით,

⁶რომელიც უხვად მოგვეფინა ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს მიერ,

⁷რათა, მისი მაღლით გამართლებულები, გავხდეთ საუკუნო სიცოცხლის მემკვიდრენი, რისი იმედიც გვაქვს.

⁸სარწმუნოა ეს სიტყვა. მსურს, რომ მტკიცედ იდგე ამაზე, რათა ღმერთის მორწმუნეებმა ხელი მიჰყონ კეთილი საქმეების კეთებას. ეს კარგი და სასარგებლოა ადამიანთათვის.

⁹მოერიდე სულელურ კამათს, გენეალოგიებს, შუღლსა და დავას რჯულის თაობაზე, რადგან ეს უსარგებლოა და ფუჭი.

¹⁰განხეთქილების შემომტან ადამიანს პირველი და მეორე დარიგების შემდეგ განერიდე.

¹¹იცოდე, რომ ასეთი კაცი გზას ასცდა და სცოდავს: თვით გამოუტანა თავის თავს განაჩენი.

¹²როცა გამოგიგზავნი არტემასს და ტიქიკოსს, იჩქარე ჩემთან ნიკოპოლისში მოსვლა, რადგან იქ ვარჩიე დაზამთრება.

¹³ეცადე გამოამგზავრო ზენასი, რჯულის მცოდნე, და აპოლოსი ისე უზრუნველყოფილნი, რომ არაფერი აკლდეთ.



¹⁴ჩვენებმაც უნდა ისწავლონ კეთილი საქმეების კეთება აუცილებელი საჭიროებისათვის, რათა უნაყოფონი არ დარჩნენ.

¹⁵მოგიკითხავს ყველა ჩემთან მყოფი. მოგიტხვა, ვისაც ვუყვარვართ რწმენაში. მადლი თქვენ ყველასთან. ამინ.



ფილიმონის მიმართ

ფილიმონის 1

- ¹პავლე, ქრისტე იესოს პატიმარი, და ძმა ტიმოთე, ფილიმონს – ჩვენს საყვარელ ძმასა და თანამშრომელს,
- ²და აფიას, საყვარელ დას, და არქიპოსს, ჩვენს თანამებრძოლს, და ეკლესიას შენს სახლში.
- ³მადლი თქვენ და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისა და უფალი იესო ქრისტესაგან.
- ⁴ყოველთვის ვმადლობ ჩემს ღმერთს, როდესაც გიხსენებ ჩემს ლოცვებში,
- ⁵რადგან მესმის შენი სიყვარულისა და რწმენის შესახებ, რომელიც გაქვს უფალი იესოსა და ყველა წმიდის მიმართ,
- ⁶ვლოცულობ, რომ შენი თანაზიარება რწმენაში ქმედითი იყოს ყოველი იმ სიკეთის შეცნობისათვის, რომელიც ჩვენშია ქრისტესათვის,
- ⁷რადგან ბევრი სიხარული და ნუგეში მომანიჭა შენმა სიყვარულმა, რადგან შენით მიეცათ შველა წმიდათა გულებს, საყვარელო ძმაო.
- ⁸ამიტომ, თუმცა ქრისტეში მაქვს უფლება მოგთხოვო იმის გაკეთება, რაც გევალება,
- ⁹ამის ნაცვლად სიყვარულით გთხოვ მე, პავლე, მოხუცებული, ახლა კი ქრისტე იესოსთვის პატიმარიც,
- ¹⁰ჩემს შვილზე, რომელიც ვშვი ჩემს ბორკილებში, ონისიმეზე,
- ¹¹ოდესღაც გამოუსადეგარი რომ იყო შენთვის, ახლა კი სასარგებლოა შენთვისაც და ჩემთვისაც,
- ¹²რომელსაც გიგზავნი უკან და ჩემი გულია იგი.
- ¹³ვფიქრობდი, ჩემთან მყოლოდა იგი, რათა შენს მაგივრად ემსახურა ჩემთვის სახარების ბორკილებში,
- ¹⁴მაგრამ შენი თანხმობის გარეშე არაფრის გაკეთება არ ვინდომე, რათა შენი კეთილი საქმე ნაძალადევი კი არ ყოფილიყო, არამედ ნებაყოფლობითი.
- ¹⁵რადგან, იქნებ იმიტომ დაგშორდა დროებით, რომ სამუდამოდ მიგელო იგი,



¹⁶უკვე არა როგორც მონა, არამედ მონაზე მეტი, საყვარელი ძმა, განსაკუთრებით ჩემთვის და, მით უმეტეს, შენთვის ხორციელადაც და უფალშიც.

¹⁷მაშ, თუ თანამოზიარე ვარ შენი, მიიღე იგი, როგორც მე მიმიღებდი.

¹⁸თუ რამე გაწყენინა ან მართებს, მე მომკითხე.

¹⁹მე, პავლე, ვწერ ამას ჩემი ხელით. მე გადავიხდი, არ ვამბობ არაფერს იმაზე, რომ შენ შენი თავი გმართებს ჩემი.

²⁰და ასე, ძმაო, მეც მიბოძე სიხარული უფალში. მიეცი შვება ჩემს გულს ქრისტეში!

²¹შენი მორჩილების იმედით მოგწერე და ვიცი, რომ იმაზე მეტსაც გააკეთებ, ვიდრე ვამბობ.

²²ამასობაში გამიმზადე სასტუმრო ბინაც, რადგან იმედი მაქვს, რომ თქვენი ღოცვების მეშვეობით უკან დაგიბრუნდებით.

²³მოგიკითხავს ეპაფრასი, ჩემი თანატყვე ქრისტე იესოში,

²⁴მარკოზი, არისტარქე, დემა, ლუკა – ჩემი თანამშრომლები.

²⁵უფალი იესო ქრისტეს მაღლი იყოს თქვენს სულთან.



ებრაელთა მიმართ

ებრაელთა 1

¹ძველთაგან მრავალმხრივ და მრავალგვარად ელაპარაკებოდა ღმერთი ჩვენს მამებს წინასწარმეტყველების მეშვეობით.

²ამ უკანასკნელ დღეებში კი დაგველაპარაკა ჩვენ ძეში, რომელიც დაადგინა ყოვლის მემკვიდრედ, ვის მიერაც შექმნა საუკუნენი.

³იგია მისი დიდების გამოსხივება და მისი არსების ანაბეჭდი, რომელსაც ყოველივე უჭირავს თავისი ძალმოსილი სიტყვით. როცა მან ჩვენი ცოდვების განწმედა აღასრულა, დაჯდა იგი დიდების მარჯვნივ მაღალთა შინა.

⁴ანგელოზებზე იმდენადვე ამაღლებული გახდა, რამდენადაც მათზე უპირატესი სახელი დაიმკვიდრა.

⁵რადგან, რომელი ანგელოზისათვის უთქვამს ღმერთს ოდესმე: „შენ ძე ხარ ჩემი, დღეს გშობე შენ.“ და კიდევ: „მე ვიქნები მისი მამა და ის იქნება ჩემი ძე?“

⁶და როცა კვლავ შემოჰყავს ქვეყანაზე პირმშო, ამბობს: „თაყვანი სცეს მას ღმერთის ყველა ანგელოზმა.“

⁷ხოლო ანგელოზებზე ამბობს: „მან ქმნა თავისი ანგელოზები ქარებად, და თავისი მსახურები – ცეცხლის ალებად.“

⁸ძეზე კი: „შენი ტახტი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდეა, სიმართლის კვერთხი შენი მეფობის კვერთხია.

⁹შენ შეიყვარე სამართალი და შეიძულე ურჯულოება. ამიტომ გცხო შენ ღმერთმა, შენმა ღმერთმა სიხარულის ზეთით შენს მოზიარებზე მეტად.“

¹⁰და: „დასაბამიდან დააფუძნე შენ, უფალო, მიწა და შენი ხელის ნამოქმედარია ცანი.

¹¹ისინი დაიღუპებიან, შენ კი დარჩები და ყოველივე სამოსელივით დაძველდება.

¹²მოსასხამივით დაახვევ მათ და სამოსელივით გამოიცვლებიან. შენ კი იგივე ხარ და შენი წლები არ დასრულდება.“

¹³ანგელოზთაგან რომლისთვის უთქვამს მას ოდესმე: „დაჯექი ჩემს მარჯვნივ, ვიდრე შენს მტრებს დავამხობდე შენს ფეხთა კვარცხლბეკად?“



¹⁴განა ყველანი მომსახურე სულები არ არიან, მათდა სამსახურად წარმოგზავნილნი, ვინც ხსნა უნდა დაიმკვიდროს?

ებრაელთა 2

¹ამიტომ გვმართებს მეტი გულისყური მოსმენილისადმი, რათა არ გადავუხვიოთ.

²რადგან, თუ ანგელოზების მიერ ნათქვამი სიტყვა მტკიცე იყო და ყოველი დანაშაული და ურჩობა იღებდა კუთვნილ საზღაურს,

³როგორ გადავრჩებით თუ უგულვებელყოფთ ეგზომ დიდ ხსნას, რომელიც პირველად უფლის მიერ გამოცხადდა და გამგონეთა მეშვეობით განმტკიცდა ჩვენში!

⁴ხოლო ღმერთმა დაამოწმა იგი ნიშნებით, სასწაულებითა და სხვადასხვა ძალით, და წმიდა სულის განაწილებით თავისი ნებისამებრ.

⁵რადგან, ანგელოზებს კი არ დაუმორჩილა ღმერთმა მომავალი სამყარო, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ.

⁶სადღაც ვინმე ამოწმებს და ამბობს: „რა არის ადამიანი, რომ გახსოვს ის? ან კაცის ძე, რომ მოინახულებ?“

⁷მცირედ დაამცირე იგი ანგელოზთა წინაშე. დიდებით და პატივით დააგი გვირგვინი,

⁸ყოველივე დაუმორჩილე მას ფეხთა ქვეშ.“ ხოლო თუ ყოველივე დაუმორჩილა მას, მაშ არაფერი დაუტოვებია მისთვის დაუმორჩილებელი. ახლა კი, ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ, რომ ყოველივე მას ემორჩილებოდეს.

⁹მაგრამ ჩვენ ვხედავთ იესოს, რომელიც მცირე ხნით იყო დამცირებული ანგელოზთა წინაშე, დიდებითა და პატივით დაგვირგვინებულს სიკვდილის ტანჯვის გავლის გამო, რადგან ღმერთის მადლით ყველასთვის სიკვდილი ეგემა.

¹⁰რადგან შეჰფეროდა მას, ვისთვისაც არის ყოველივე და ვის მიერაც არის ყოველივე, ვინც მრავალი ძე მიიყვანა დიდებამდე, რომ მათი ხსნის წინამძღოლი სრულყო ტანჯვით.

¹¹რადგან განწმედელი და განწმედილნი ყველანი ერთისგან არიან. ამ მიზეზით არ რცხვენია, უწოდოს მათ ძმები,

¹²როცა ამბობს: „ვაუწყებ შენს სახელს ჩემს ძმებს, კრებულს შორის გადიდებ შენ.“



¹³და კიდეც: „მე მივენდობი მას.“ და კიდეც: „აჰა, მე და შვილები, რომლებიც მომცა ღმერთმა.“

¹⁴რაკი შვილები სისხლისა და ხორცის მოზიარენი არიან, თავადაც ეზიარა სისხლსა და ხორცს, რათა სიკვდილით გააქარწყლოს ის, ვისაც სიკვდილის ხელმწიფება აქვს, ესე იგი ეშმაკი,

¹⁵და გაათავისუფლოს ისინი, ვინც სიკვდილის შიშით მთელი სიცოცხლე მონობაში იყო.

¹⁶რადგან, ანგელოზებს კი არ იღებს, არამედ აბრაამის ნაშიერს იღებს.

¹⁷ამიტომ იგი ყველაფერში უნდა დამსგავსებოდა ძმებს, რათა ყოფილიყო მოწყალე და ერთგული მღვდელმთავარი ღმერთის წინაშე ხალხის ცოდვების შესაწყნარებლად.

¹⁸რადგან, როგორც თვითონ იტანჯა და გამოიცადა, ისე შეუძლია დაეხმაროს განსაცდელში მყოფთ.

ებრაელთა 3

¹ამიტომ, წმიდა ძმებო, ზეციური მოწოდების თანაზიარნო, ჩაწვდით მოციქულსა და მღვდელმთავარს, რომელსაც ვაღიარებთ, იესოს,

²რომელიც თავისი განმწესებლის ერთგულია, ისევე როგორც მოსე იყო მთელს მის სახლში.

³რადგან ის მოსესთან შედარებით მეტი დიდების ღირსია, ისევე როგორც სახლზე მეტი პატივი აქვს მის ამშენებელს.

⁴რადგან ყოველი სახლი ვიღაცის მიერ შენდება, ხოლო ყოველივეს ღმერთი აშენებს.

⁵მოსე ერთგული იყო მთელ მის სახლში, როგორც მსახური, იმის დასამოწმებლად, რაც უნდა თქმულიყო,

⁶ხოლო ქრისტე – ისეა მის სახლში, როგორც ძე. ჩვენ კი მისი სახლი ვართ, თუ ბოლომდე მტკიცედ შევინარჩუნებთ გამბედაობასა და სასოების სიქადულს.

⁷ამიტომაც, როგორც წმიდა სული ამბობს: „დღეს, როცა მოისმენთ მის ხმას,

⁸ნუ გაიქვავებთ გულებს, როგორც უდაბნოში გამოცდის დღეს,

⁹სადაც მცდიდნენ მე თქვენი მამები, თუმცა ხედავდნენ ჩემს საქმეებს

¹⁰ორმოც წელიწადს. ამიტომ განვრისხდი იმ თაობაზე და ვთქვი: ‘მუდამ ცდებიან ისინი გულით, ვერ შეიცნეს ჩემი გზა.’



¹¹ამიტომ დავიფიცე ჩემი რისხვისას: ‘ვერ შემოვლენ ისინი ჩემს სიმშვიდეში.’“

¹²გაფრთხილდით, ძმებო, რომ ვინმე თქვენგანს არ ჰქონდეს ბოროტი და ურწმუნო გული, რათა არ განუდგეს ცოცხალ ღმერთს.

¹³არამედ შეაგონეთ ერთმანეთს ყოველდღე, სანამ ითქმის – დღეს, რათა რომელიმე თქვენგანს გული არ გაუქვავდეს ცოდვის საცთურით.

¹⁴რადგან ქრისტეს ზიარნი გავხდით, თუკი რწმენის საწყისს მტკიცედ დავიცავთ ბოლომდე.

¹⁵როცა ითქმის: „დღეს, როდესაც მოისმენთ მის ხმას, ნუ გაიქვავებთ გულებს, როგორც დრტვინვისას.“

¹⁶ვინ იყო, რომ მოისმინა და დრტვინავდა? ეს ყველა ხომ იმათათგან იყო, ვინც მოსემ გამოიყვანა ეგვიპტიდან?

¹⁷ვიზე მრისხანებდა იგი ორმოც წელიწადს? განა ცოდვილებზე არა, რომელთა ძვლებიც უდაბნოში დაცვივდა?

¹⁸ვის დაუფიცა, რომ ვერ შევიდოდნენ მის განსასვენებელში, თუ არა ურჩებს?

¹⁹და ვხედავთ, რომ ვერ შეძლეს მათ შესვლა ურწმუნოების გამო.

ებრაელთა 4

¹ამიტომ გვეშინოდეს, რათა, ვიდრე რჩება მის განსასვენებელში შესვლის აღთქმა, ვინმე თქვენგანი არ აღმოჩნდეს დაგვიანებული.

²რადგან ჩვენც გვეხარა, ისევე როგორც მათ; მაგრამ მათთვის არ მოუტანია სარგებლობა მოსმენილ სიტყვას, რადგან არ შეერწყა ის მსმენელთა რწმენას.

³რადგან განსასვენებელში შევდივართ ჩვენ, მორწმუნენი, როგორც მან თქვა: „ამიტომ დავიფიცე ჩემი რისხვისას, რომ ‘ვერ შევლენ ისინი ჩემს განსასვენებელში,’“ თუმცა მისი საქმეები აღსრულებული იყო უკვე სამყაროს დასაბამისას.

⁴რადგან მეშვიდე დღეზე ერთგან ასეა ნათქვამი: „და დაისვენა ღმერთმა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისაგან.“

⁵და კვლავ იქვე ამბობს: „ვერ შემოვლენ ისინი ჩემს განსასვენებელში.“

⁶მაშ, რაკი ზოგიერთისათვის შესაძლებელია მასში შესვლა, ხოლო ვისაც ადრე ეხარა, ვერ შევიდნენ ურჩობის გამო,



⁷ამიტომ კვლავ აწესებს რომელიღაც დღეს, – „დღეს,“ – ამბობს ის დავითის პირით ესოდენ ხანგრძლივი დროის შემდეგ იმას, რაც უკვე იყო ნათქვამი: „დღეს, როცა მოისმენთ მის ხმას, ნუ გაიქცევით გულებს.“

⁸რადგან, იესო ნავეს ძეს რომ მიენიჭებინა მათთვის განსასვენებელი, აღარ ილაპარაკებდა სხვა დღეზე.

⁹მაშ კიდევ რჩება შაბათის განსასვენებელი ღმერთის ხალხისათვის.

¹⁰რადგან, მის განსასვენებელში შესული, ისევე დაისვენებს თავისი საქმეებისაგან, როგორც ღმერთმა დაისვენა თავისისაგან.

¹¹მაშ, ვეცადოთ, შევიდეთ იმ განსასვენებელში, რათა არავინ ჩავარდეს ურჩობაში მათ მსგავსად.

¹²რადგან ცოცხალია ღმერთის სიტყვა და მოქმედი და ყოველგვარ ორლესულ მახვილზე უფრო ბასრი, და აღწევს სამშვინველისა და სულის, სახსართა და ტვინთა გაყოფამდე, და განიკითხავს გულის აზრებსა და ზრახვებს.

¹³არც ერთი ქმნილება არ არის დაფარული მის წინაშე, არამედ ყოველივე გაშიშვლებული და ღიაა მისი თვალებისათვის, ვისაც ვაბარებთ ანგარიშს.

¹⁴და ახლა, როდესაც ჩვენ გვყავს დიდი მღვდელმთავარი, რომელმაც განვლო ზეცა, იესო, ღმერთის ძე, მტკიცედ ჩავეჭიდოთ აღსარებას,

¹⁵რადგან ისეთი მღვდელმთავარი როდი გვყავს, რომელსაც არ შეუძლია თანაგრძნობა ჩვენს უძლურებებში, არამედ რომელიც ჩვენსავით გამოცდილია ყველაფერში, გარდა ცოდვისა.

¹⁶მაშ, თამამად მივეახლოთ მადლის ტახტს, რათა მივიღოთ წყალობა და ვპოვოთ მადლი დროული შემწეობისათვის.

ებრაელთა 5

¹ყოველი მღვდელმთავარი, ადამიანთაგან ამორჩეული, ადამიანთათვის არის დაყენებული ღმერთის სამსახურში, რათა შესწიროს ძღვენი და მსხვერპლი ცოდვებისათვის.

²მას ძალუმს თანაუგრძნოს უმეცრებსა და გზასაცდენილებს, რადგან თვითონაც მოცულია უძლურებით.

³და ამიტომ ვალდებულია, შესწიროს ცოდვების გამოსასყიდი მსხვერპლი, როგორც ხალხისათვის, ისე თავისთვისაც.



⁴და არავინ თვით არ იღებს ამ პატივს, არამედ მხოლოდ ის, ვინც ღმერთისგან არის მოწოდებული, ისე როგორც აარონი.

⁵ასევე ქრისტეს არ განუდიდება თავისი თავი, რომ მღვდელმთავარი გამხდარიყო, არამედ განადიდა ის მან, ვინც უთხრა მას: „შენ ძე ხარ ჩემი, დღეს გშობე შენ.“

⁶როგორც სხვაგანაც ამბობს: „შენ ხარ მღვდელი უკუნისამდე მელქისედეკის წესით.“

⁷მან თავის ხორციელ დღეებში ძლიერი ღაღადით და ცრემლებით შესწირა ლოცვანი და ვედრებანი მას, ვისაც შეეძლო მისი ხსნა სიკვდილისაგან, და შესმენილ იქნა ღვთისმოშიშების გამო.

⁸და თუმცა ძე იყო, ტანჯვით ისწავლა მორჩილება.

⁹და იგი, სრულქმნილი, საუკუნო ხსნის წყარო გახდა ყველა მისი მორჩილისათვის,

¹⁰და ღმერთის მიერ ეწოდა მას მღვდელმთავარი მელქისედეკის წესით.

¹¹ბევრი გვაქვს სათქმელი ამაზე, მაგრამ ძნელია განმარტება, რადგან ყურით მძიმენი გახდით.

¹²რადგან ამდენ ხანში თქვენ უკვე მოძღვარნი უნდა ყოფილიყავით, მაგრამ ისევ ღმერთის სიტყვათა პირველსაწყისებში ხართ დასამოძღვრავნი. თქვენ ისევ რძე გჭირდებათ, და არა მაგარი საქმელი.

¹³რადგან ყველა, ვინც რძით იკვებება, ჩვილია და არ ჰყოფნის გამოცდილება სიმართლის სიტყვების აღსაქმელად.

¹⁴მაგარი საქმელი სრულთათვისაა, რომელთა გრძნობანი გაწაფული არიან კეთილისა და ბოროტის გასარჩევად.

ებრაელთა 6

¹ამიტომ წინ წავიდეთ ქრისტეს სიტყვის საწყისებიდან და ვისწრაფოთ სრულყოფისაკენ, ნუ შევჩერდებით კვლავ საძირკველის ჩაყრაზე – მკვდარ საქმეთა მონანიებაზე და ღმერთის რწმენაზე,

²ნათლობათა, ხელდასხმის, მკვდართა აღდგომისა და საუკუნო სასჯელის მომღვრებაზე.

³ამასაც გავაკეთებთ, თუ ღმერთი ნებას მოგვცემს.

⁴რადგან შეუძლებელია, რომ ერთხელ უკვე განათლებულნი, რომელთაც იგემეს ზეციური ნიჭი და წმიდა სულის ზიარნი გახდნენ,



- ⁵იგემეს ღმერთის სიტყვის სიკეთე და მომავალი საუკუნის ძალები, –
- ⁶ხოლო შემდეგ დაეცნენ, კვლავ განახლდნენ მოსანანიებლად, რადგან ისინი კვლავ ჯვარს აცვამენ ღმერთის ძეს და განაქიქებენ მას.
- ⁷რადგან მიწა, რომელიც იწოვს მასზე მრავალგზის მოსულ წვიმას და აღმოცენებს მცენარეს, სასარგებლოს მათთვის, ვისთვისაც ის მუშავდება, ღმერთისგან იღებს კურთხევას.
- ⁸მაგრამ თუ ის იძლევა ეკალსა და კუროსთავს, მაშინ ის უვარგისია და ლამის დასაწყევლი. მისი ბოლო გადაწვაა.
- ⁹მაგრამ, საყვარელნო, თუმცა ასე ვლაპარაკობთ, გვჯერა, რომ უკეთესის ღირსნი ხართ და ხსნას ხართ მიწევნულნი.
- ¹⁰რადგან ღმერთი არაა უსამართლო, რომ დაივიწყოს თქვენი საქმე და სიყვარული, რომელიც გამოიჩინეთ მისი სახელისათვის, წმიდებს რომ ემსახურებოდით და კვლავაც ემსახურებით.
- ¹¹მაგრამ გვსურს, რომ ყოველი თქვენგანი ბოლომდე იჩენდეს იმავე სიბეჯითეს,
- ¹²რათა არ გაზარმაცდეთ, არამედ მიბადოთ მათ, ვინც რწმენით და სულგრძელებით იმკვიდრებს აღთქმებს.
- ¹³რადგან, როცა ღმერთი აღუთქვამდა აბრაამს, რაკი არ შეეძლო, ვინმე თავისზე დიდი დაეფიცა, საკუთარი თავი დაიფიცა
- ¹⁴და თქვა: „ჭეშმარიტად, გაკურთხებ შენ და გავამრავლებ შენს მოდგმას.“
- ¹⁵და ამგვარად, სულგრძელი მოთმინებით მიიღო აბრაამმა აღთქმული.
- ¹⁶რადგან ადამიანები თავისზე მაღალს იფიცებენ, და ფიცია მათი ყოველგვარი დავის დასასრულის დამამტკიცებელი.
- ¹⁷ასე, როცა ღმერთს სურდა უფრო ცხადად ეჩვენებინა აღთქმის მემკვიდრეთათვის თავისი ნების უცვალებლობა, ფიცი მოიშველია,
- ¹⁸რათა ორი უცვალებელი საქმის მეშვეობით, რაშიც შეუძლებელია ღმერთმა იცრუოს, გვეჩვენოს ჩვენ, – რომელნიც ვისწრაფეთ, რათა ჩავჭიდებოდით ჩვენს წინ მდებარე იმედს, – მტკიცე ნუგეში,
- ¹⁹რომელიც ჩვენი სულისათვის ღუზასავით საიმედოა და მტკიცე და აღწევს ფარდის მიღმა,
- ²⁰სადაც ჩვენთვის წინამორბედად შევიდა იესო და გახდა მღვდელმთავარი მელქისედეკის წესით უკუნისამდე.



ებრაელთა 7

¹რადგან ეს მელქისედეკი, სალემის მეფე, უზენაესი ღმერთის მღვდელი, შეეგება აბრაამს, მეფეთა დამარცხების შემდეგ დაბრუნებულს, და აკურთხა იგი.

²მას უწილადა აბრაამმა ყველაფრის მებათედი. პირველ ყოვლისა, მისი სახელი ნიშნავს სამართლის მეფეს, მერე სალემის მეფეს, ანუ მშვიდობის მეფეს.

³უმამო, უდედო, უგვარტომო, არც დღეთა დასაბამი აქვს, არც სიცოცხლის დასასრული, ღმერთის ძის მსგავსად რჩება ის მღვდლად სამარადისოდ.

⁴შეხედეთ ახლა, რაოდენ დიდია იგი, რომელსაც მამამთავარმა აბრაამმაც კი უწილადა მებათედი ნადავლიდან.

⁵მათ, ვინც ლევიათაგან იღებენ მღვდლობას, რჯულის თანახმად მცნებად აქვთ მებათედის აღება ხალხისაგან ანუ თავიანთი ძმებისაგან, თუმცა ისინიც აბრაამის საზარდულიდან გამოვიდნენ.

⁶მან კი, ვინც მათი შთამომავლობიდან არ არის, მებათედი აბრაამისაგან მიიღო და აკურთხა აღთქმის მქონე.

⁷ყოველგვარი ცილობის გარეშე უმცირესი უპირატესის მიერ იკურთხება.

⁸აქ მებათედს ღებულობენ მოკვდავი ადამიანები, იქ კი – ვისზეც დამოწმებულია, რომ ის ცოცხალია.

⁹და ასე, შეიძლება ითქვას, რომ თვით ლევიმ, რომელიც მებათედს იღებს, აბრაამის მეშვეობით გაიღო მებათედი.

¹⁰რადგან ჯერ კიდევ მამის საზარდულში იყო, როცა მას მელქისედეკი შეეგება.

¹¹ამგვარად, სრულყოფა რომ ლევიაური მღვდელმსახურებით მიიღწეოდეს – რადგან მისი მეშვეობით მიეცა ხალხს რჯული – რაღა საჭირო იქნებოდა სხვა მღვდლის აღდგომა მელქისედეკის წესით და მისი სახელდება არა აარონის წესით?

¹²რადგან მღვდლობის შეცვლასთან ერთად აუცილებელია რჯულის შეცვლაც.

¹³რადგან ის, ვისზედაც ნათქვამია ეს, ეკუთვნოდა სხვა ტომს, რომლისაგანაც არავინ მიკარებია სამსხვერპლოს.

¹⁴რადგან ცხადია, რომ ჩვენი უფალი იუდასაგან გამობრწყინდა, ამ ტომის მღვდლობაზე კი არაფერი უთქვამს მოსეს.



¹⁵და კიდევ უფრო ნათელია, რომ მელქისედეკის მსგავსად აღდგება სხვა მღვდელი,

¹⁶რომელიც ხორციელი მცნების რჯულით კი არაა მღვდელი, არამედ შეუმუსვრელი სიცოცხლის ძალით.

¹⁷რადგან დამოწმებულია: „შენ ხარ მღვდელი უკუნისამდე მელქისედეკის წესით.“

¹⁸ადრინდელი მცნება კი გაუქმდა მისი უძლურებისა და უსარგებლობის გამო,

¹⁹რადგან რჯულმა ვერაფერი სრულყო. მაგრამ შემოდის უკეთესი სასოება, რომლის მეშვეობითაც ვუახლოვდებით ღმერთს.

²⁰და ეს არ მომხდარა ფიცის გარეშე,

²¹რადგან ისინი ფიცის გარეშე გახდნენ მღვდლები, ეს კი – ფიცით მის მიერ, ვინც უთხრა მას: „დაიფიცა უფალმა და არ შეინანებს: ‘შენ ხარ მღვდელი უკუნისამდე’ მელქისედეკის წესით.“

²²ამდენად იესო გახდა უმჯობესი აღთქმის თავდები.

²³მღვდელი ბევრი იყო, რადგან სიკვდილის გამო ვერ რჩებოდნენ სამსახურში,

²⁴მას კი უკუნისამდე დარჩენით წარუვალი მღვდლობა უპყრია.

²⁵ამიტომაც ძალუმს სრულად გადაარჩინოს ყველა, ვინც მისი მეშვეობით მიეახლება ღმერთს, რადგან ცოცხალია მუდამ მათთვის საშუამდგომლოდ.

²⁶ასეთი მღვდელმთავარი შეგვფეროდა ჩვენ: წმიდა, უბოროტო, შეურყვნელი, ცოდვილთაგან განრიდებული და ცათა ზედა ამაღლებული,

²⁷რომელსაც არ სჭირდება, როგორც იმ მღვდელმთავრებს, – ყოველდღე ჯერ თავისი ცოდვებისათვის შესწიროს მსხვერპლი და შემდეგ ხალხის ცოდვებისათვის. რადგან ეს მან ერთხელ მოიმოქმედა, როდესაც თავი შესწირა.

²⁸რადგან რჯული უძლურ ადამიანებს აყენებს მღვდელმთავრებად, ხოლო ფიცის სიტყვამ, რჯულის შემდგომ, დააყენა ძე, რომელიც სრულქმნილია უკუნისამდე.

ებრაელთა 8

¹მთავარი ამ ნათქვამიდან ეს არის: ჩვენ გვყავს მღვდელმთავარი, რომელიც დიდების ტახტის მარჯვნივ დაჯდა ზეცაში,



²ის არის მსახური წმიდათა წმიდისა და ჭეშმარიტი კარვისა, რომელიც უფალმა აღმართა და არა ადამიანმა.

³რადგან ყოველი მღვდელმთავარი განწესებულია ძღვენისა და მსხვერპლის შესაწირავად, ამიტომ მასაც უნდა ჰქონდეს რაიმე შესაწირავი.

⁴და თუკი დარჩებოდა დედამიწაზე, აღარ იქნებოდა მღვდელი, რადგან აქ არიან მღვდლები, რომელნიც რჯულის თანახმად სწირავენ ძღვენს,

⁵რომლებიც ემსახურებიან ზეციერის სახესა და ჩრდილს, როგორც მოსეს ებრძანა, როცა იგი შეუდგა კარვის გასრულებას. „იხილე, – ეუბნება, – და გააკეთე ყოველივე იმის მსგავსად, რაც მთაზე გეჩვენა.“

⁶ახლა კი მან მიიღო უპირატესი მსახურება, რაკი იგი უმჯობესი აღთქმის შუამავალია და უკეთეს დაპირებებზე არის დადგენილი.

⁷რადგან პირველი რომ უნაკლო ყოფილიყო, არ იქნებოდა მეორისათვის ადგილის მოძებნის საჭიროება.

⁸რადგან უთხრა მათ ყვედრებით: „აჰა, დადგება დღეები,“ – ამბობს უფალი, – „და დავუდებ ახალ აღთქმას ისრაელის სახლს და იუდას სახლს.“

⁹ისეთ აღთქმას კი არა, რომელიც მათ მამებს დავუდებ იმ დღეს, როცა ხელი მოვკიდე, რომ ეგვიპტის ქვეყნიდან გამომეყვანა, რადგან არ დარჩნენ ჩემს აღთქმაში და მე უგულებელვყავი ისინი,“ – ამბობს უფალი.

¹⁰„აჰა, აღთქმა, რომელსაც აღვუთქვამ ისრაელის სახლს იმ დღეების შემდეგ,“ – ამბობს უფალი – „ჩავდებ ჩემს რჯულს მათ გონებაში და დავწერ მათ გულებზე, და ვიქნები მათი ღმერთი და ისინი იქნებიან ჩემი ერი.“

¹¹აღარავინ ასწავლის თავის თანამოძმეს და თავის ძმას და არ ეტყვის: ‘შეიცანი უფალი;’ რადგან ყოველი მათგანი, დიდიდან პატარამდე, შემიცნობს მე,

¹²რადგან შევუნდობ მათ უსამართლობას და ცოდვებს აღარ გავუხსენებ მათ.”

¹³რაკი თქვა: – „ახალი,“ – ამით დაადგელა პირველი, ხოლო რაც ძველდება და ბერდება, ახლოსაა მოსპობასთან.

ებრაელთა 9

¹პირველ აღთქმასაც ჰქონდა მსახურების წესდებები და ამქვეყნიური ტაძარი,



- ²რადგან გამზადებული იყო პირველი კარავი, რომელშიც იყო სასანთლე, ტაბლა და პურების წინადაგება; რომელსაც წმიდა ეწოდებოდა;
- ³ხოლო მეორე ფარდის მიღმა იყო კარავი, სახელწოდებით წმიდათა წმიდა,
- ⁴რომელსაც ჰქონდა ოქროს სასაკმევლე და ყოველი მხრიდან ოქროთი მოჭედილი აღთქმის კიდობანი, სადაც იყო მანანით სავსე ოქროს ქოთანის, აარონის გამწვანებული კვერთხი და აღთქმის დაფები.
- ⁵ხოლო მათ ზემოთ დიდების ქერუბიმნი, რომელნიც უჩრდილავდნენ სალხინებელს. რაზეც ახლა დაწვრილებით ლაპარაკი საჭირო არ არის.
- ⁶ასე გამზადებულ პირველ კარავში მუდამ შედიან მღვდლები მსახურებათა აღსასრულებლად.
- ⁷ხოლო მეორეში – მხოლოდ მღვდელმთავარი, წელიწადში ერთხელ, ოღონდ არა სისხლის გარეშე, რომელსაც სწირავს თავისი და ხალხის უნებური ცოდვისათვის.
- ⁸ამით წმიდა სული აჩვენებს, რომ ჯერ კიდევ არაა გახსნილი გზა წმიდათა წმიდაში, სანამ დგას პირველი კარავი,
- ⁹რომელიც აწმოვ ჟამის იგავია, როცა სწირავენ ძღვენთა და მსხვერპლთ, რასაც არ შეუძლია შემწირველის სინდისის სრულყოფა,
- ¹⁰რადგან მას მხოლოდ საჭმელ-სასმელითა და სხვადასხვა განზავით, – ხორციელი წესებით – აქვს გამოსწორების ძალა ჟამამდე.
- ¹¹ქრისტე კი, კეთილი მომავლის მღვდელმთავარი, მოვიდა დიდი და უფრო სრულყოფილი კარვით – ხელთუქმნელით, ესე იგი, არა ამნაირად მოწყობილით,
- ¹²არა ვაცთა და ზვარაკთა სისხლით, არამედ საკუთარი სისხლით შევიდა ერთხელ წმიდათა წმიდაში და მოგვიპოვა საუკუნო გამოსყიდვა.
- ¹³რადგან თუ ვაცთა და კუროთა სისხლი და დეკეულის ფერფლის პკურება წმიდაჰყოფს შებილწულთ, რათა განიწმიდოს სხეული,
- ¹⁴მით უმეტეს, სისხლი ქრისტესი, რომელმაც მარადიული სულით შესწირა ღმერთს თავისი უბიწო თავი, განწმედს ჩვენს სინდისს მკვდარი საქმეებისაგან ცოცხალი ღმერთის მსახურებისათვის.
- ¹⁵ამიტომ არის ის ახალი აღთქმის შუამდგომელი, რათა მისი სიკვდილის შემდეგ, რაც პირველი აღთქმის დანაშაულთა გამოსასყიდად მოხდა, საუკუნო მემკვიდრეობისათვის მოწოდებულებმა მიიღონ აღთქმული.
- ¹⁶რადგან, სადაც ანდერძია, იქ აუცილებელია მოანდერძის სიკვდილის დადგენა.



¹⁷ანდერძი ხომ სიკვდილისას არის ვარგისი, რადგან მას ძალა არა აქვს, ვიდრე მოანდერძე ცოცხალია.

¹⁸ამიტომ არც პირველი იყო დამტკიცებული სისხლის გარეშე.

¹⁹რადგან მოსემ, როცა გამოუცხადა მთელ ხალხს ყველა მცნება რჯულისამებრ, აიღო ზვარაკთა და ვაცთა სისხლი წყალთან, მეწამულ მატყლთან და უსუპთან ერთად და აკურა წიგნს და მთელ ხალხს.

²⁰და თქვა: „ესაა სისხლი აღთქმისა, რომელიც გამცნო თქვენ ღმერთმა.“

²¹და კარავსაც და მთელ სამსახურებელ ჭურჭელსაც ასხურა სისხლი.

²²რჯულის თანახმად თითქმის ყველაფერი სისხლით განიწმიდება და სისხლის დაუღვრელად არ ხდება მიტევება.

²³ამგვარად, აუცილებელია, რომ ზეცაში მყოფთა მიწიერი სახეები ასე განიწმიდონ, თვით ზეციური კი ამაზე უმჯობესი მსხვერპლებით.

²⁴რადგან ქრისტე შევიდა არა ხელთქმნილ წმიდათა წმიდაში, ჭეშმარიტის წინარესახეში, არამედ თვით ზეცაში, რათა წარდგეს ახლა ღმერთის წინაშე ჩვენთვის.

²⁵არა იმისათვის, რომ მრავალგზის შეეწიროს, როგორც შედის მღვდელმთავარი ყოველწლიურად წმიდათა წმიდაში სხვისი სისხლით, –

²⁶მაშინ მას სამყაროს დასაბამიდან მრავალგზის მოუხდებოდა ტანჯვა, ახლა კი ერთხელ, საუკუნეთა დასასრულს, გამოჩნდა თავისი თავის მსხვერპლად შეწირვით ცოდვათა წარსახოცად.

²⁷და როგორც ადამიანებს დადგენილი აქვთ ერთხელ სიკვდილი და შემდეგ გასამართლება,

²⁸ასევე ქრისტეც, რომელიც ერთხელ შეიწირა, რომ მრავალთა ცოდვა ეტვირთა, მეორედ გამოჩნდება არა ცოდვების გამო, არამედ მის მომლოდინეთა სახსნელად.

ებრაელთა 10

¹რადგანაც რჯული მომავალ სიკეთეთა აჩრდილია და არა თვით მოვლენათა პირველსახე, ვერასოდეს შეძლებს სრულყოფას მასთან მისულები ერთი და იმავე ყოველწლიური მსხვერპლით, რომელსაც მუდმივად სწირავენ,

²თორემ შეწყვეტდნენ შესაწირავს, რადგან შემწირველებს, თუ ერთხელ განიწმიდებოდნენ, აღარ ექნებოდათ ცოდვების არავითარი განცდა.



- ³მაგრამ ამ შესაწირავებში არის ცოდვების ყოველწლიური გახსენება,
- ⁴რადგან შეუძლებელია ვაცთა და კუროთა სისხლით ცოდვების მოსპობა.
- ⁵ამიტომ ამბობს ის ქვეყნიერებაზე მოსვლისას: „მსხვერპლსა და შესაწირავს არ ინებებ, მაგრამ სხეული განმიმზადე მე.
- ⁶აღსავლენები და ცოდვის გამოსასყიდი არ მოგწონს.
- ⁷მაშინ ვთქვი მე: ‘აჰა, მოვდივარ, წიგნის გრაგნილში წერია ჩემზე, შენი ნების აღსასრულებლად, ღმერთო.’”
- ⁸ზემოთ რომ თქვა: „არც მსხვერპლები, არც შესაწირავები, არც აღსავლენები, არც ცოდვის გამოსასყიდნი, რომლებსაც სწირავენ რჯულის თანახმად, არ ინებე და არც მოიწონე,“
- ⁹მაშინ დასძინა: „აჰა, მოვდივარ შენი ნების აღსასრულებლად, ღმერთო.“ – ის აუქმებს პირველს, რათა დაადგინოს მეორე.
- ¹⁰ამ ნებით ვართ ჩვენ განწმედილნი იესო ქრისტეს სხეულის ერთგვის შეწირვით.
- ¹¹და ყოველი მღვდელი ყოველდღე დგას მსახურებად და მრავალგზის სწირავს იმავე მსხვერპლს, რომელსაც არასოდეს არ ძალუძს ცოდვების გაუქმება.
- ¹²მან კი ერთი მსხვერპლი შესწირა ცოდვებისათვის და სამუდამოდ დაჯდა ღმერთის მარჯვნივ.
- ¹³და მას მერე ელის, სანამ მისი მტრები მის ფეხთა კვარცხლბეკად იქცევიან.
- ¹⁴რადგან მან ერთი შეწირვით სამუდამოდ სრულყო განსაწმედელნი.
- ¹⁵წმიდა სულიც გვიმოწმებს ჩვენ, რადგან ამ ნათქვამის შემდეგ:
- ¹⁶„აჰა, აღთქმა, რომელსაც აღვუთქვამ მათ იმ დღეების შემდეგ, ამბობს უფალი, მივცემ ჩემს რჯულს მათ გულებში და ჩავწერ მათს გონებაში,
- ¹⁷და აღარ გავიხსენებ მათ ცოდვებსა და მათ ურჯულოებას.“
- ¹⁸ხოლო სადაც ეს მიტევებაა, იქ საჭირო აღარ არის შესაწირავი ცოდვებისთვის.
- ¹⁹ამრიგად, ძმებო, რაკი გვაქვს გაბედულება იესოს სისხლით სიწმიდეში შესვლისა
- ²⁰ახალი და ცოცხალი გზით, რომელიც გაგვიხსნა მან ფარდაში გავლით, – თავისი ხორცის მეშვეობით, –
- ²¹და გვყავს მღვდელმთავარი ღმერთის სახლზე, –



²²მივეახლოთ მას მართალი გულით, სრული რწმენით, ბოროტი სინდისისაგან განწმედილი გულებითა და სუფთა წყლის პკურებით განბანილი სხეულებით.

²³მტკიცედ მივყვეთ იმედის აღსარებას, რადგან აღმთქმელი სარწმუნოა.

²⁴ყურადღებით მოვეკიდოთ ერთმანეთს, წავახალისოთ სიყვარულისა და კეთილი საქმეებისათვის.

²⁵ნუ მივატოვებთ ჩვენს შეკრებებს, როგორც ზოგიერთებს სჩვევიათ, არამედ გავამხნევოთ ერთმანეთი მით უფრო, რაც უფრო ვატყობთ იმ დღის მოახლოებას.

²⁶რადგან, თუ კიდევ ნებისთ ვცოდავთ მას შემდეგ, რაც მივიღეთ ჭეშმარიტების შეცნობა, აღარ რჩება მსხვერპლი ცოდვებისათვის,

²⁷არამედ სამსჯავროს საშინელი მოლოდინი და აგზნებული ცეცხლი ურჩთა შთასანთქმელად.

²⁸თუკი მოსეს რჯულის უარყოფელს, ორი თუ სამი კაცის მოწმობით, უწყალოდ უსჯიან სიკვდილს,

²⁹როგორ ფიქრობთ, რაოდენ უფრო მძიმე სასჯელს დაიმსახურებს ის, ვინც გათელავს ღმერთის ძეს და რიოშად აქცევს აღთქმის სისხლს, რომლითაც განიწმიდა, და შეურაცხყოფს მადლის სულს?

³⁰რადგან ჩვენ ვიცნობთ მას, ვინც თქვა: „ჩემია შურისგება, მე მივუზღავ.“ და კიდევ: „უფალი განიკითხავს თავის ხალხს.“

³¹საშიშია ცოცხალი ღმერთის ხელში ჩავარდნა!

³²გაიხსენეთ უწინდელი დღეები, როცა განათლდით და დაითმინეთ ტანჯვის დიდი განსაცდელი:

³³ხან შეურაცხყოფასა და ჭირში იყავით სხვათა სასეიროდ ქცეულნი, ხან კი მათი თანაზიარნი იყავით, ვისაც ასე ექცეოდნენ,

³⁴რადგან თქვენ თანაუგრძნობდით ბორკილებში მყოფთ და თქვენი ქონების დატაცებასაც სიხარულით იღებდით, რაკი იცოდით, რომ ზეცაში გაქვთ უკეთესი და წარუვალი ქონება.

³⁵მაშ, ნუ მიატოვებთ თქვენს გამბედაობას, რომელსაც დიდი საზღაური აქვს.

³⁶მოთმინება გმართებთ, რათა აღასრულოთ ღმერთის ნება და მიიღოთ აღთქმული.



³⁷რადგან „კიდევ ცოტა, ძალზე ცოტაც და მოვა, რომელიც უნდა მოვიდეს და არ დააყოვნებს.

³⁸ჩემი მართალი რწმენით იცოცხლებს, ხოლო თუ უკან შებრუნდება, მას ჩემი სული არ მოიწონებს.“

³⁹ჩვენ კი უკან მიქცეულთა შორის არა ვართ, რომ დავიღუპოთ, არამედ მორწმუნენი ვართ სიცოცხლის გადასარჩენად.

ებრაელთა 11

¹ხოლო რწმენა არის დაჯერება იმაში, რისი იმედიც გვაქვს, დასტური იმისა, რასაც ვერ ვხედავთ.

²რწმენაში მიიღეს უხუცესებმა დამოწმება.

³რწმენით ვიცით, რომ საუკუნეები წარმოქმნილია ღმერთის სიტყვით, რადგან ხილული წარმოიშვა უხილავისაგან.

⁴რწმენით შესწირა აბელმა ღმერთს კაენზე უკეთესი მსხვერპლი. იმით მიიღო მოწმობა, რომ მართალია იგი, როცა ღმერთმა დაამოწმა მის ძღვენთა შესახებ, და ამის წყალობით კვლავ მეტყველებს, თუმცა მკვდარია.

⁵რწმენით იქნა გადაყვანილი ენოქი, რათა სიკვდილი არ ეხილა. ვეღარავინ ჰპოვა იგი, რადგან ღმერთმა გადაიყვანა. გადაყვანამდე კი მიიღო მოწმობა, რომ სათნო ეყო ღმერთს.

⁶ხოლო რწმენის გარეშე შეუძლებელია სათნოდ ყოფნა, რადგან ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არსებობს და თავის მაძიებელს მიუზღავს.

⁷რწმენით მიიღო ნოემ გამოცხადება იმაზე, რაც ჯერ არ იყო ხილული; ღვთისმოსიანებით გაამზადა კიდობანი თავისი სახლის გადასარჩენად, რითაც მსჯავრი დასდო ქვეყნიერებას და სამართლიანობის მემკვიდრე გახდა რწმენის თანახმად.

⁸რწმენით დაემორჩილა აბრაამი მოწოდებას, წასულიყო ქვეყანაში, რომელიც სამემკვიდროდ უნდა მიეღო, და ისე წავიდა, რომ არ იცოდა, სად მიდიოდა.

⁹რწმენით მდგმურობდა აღთქმულ ქვეყანაში, როგორც უცხოეთში, და კარვებში სახლობდა ისააკთან და იაკობთან – იმავე აღთქმის თანამემკვიდრეებთან ერთად.

¹⁰რადგან ელოდა მტკიცე სამირკვლიან ქალაქს, რომლის მშენებელი და შემოქმედი ღმერთია.



- ¹¹რწმენით მიიღო ძალა, ეშვა შვილები, თუმცა სარა ბერწი იყო, და თვითონაც ჟამგადასული იყო, რადგან სარწმუნოდ შერაცხა აღმოქმედი.
- ¹²ამიტომ ერთისაგან და ისიც თითქმის მკვდრისაგან იშვა მრავალი, როგორც ცაში ვარსკვლავები და უთვალავი ქვიშა ზღვის ნაპირზე.
- ¹³რწმენაში დაიხოცნენ ესენი ყველანი და ვერ მიიღეს აღმოქმედი, მხოლოდ შორიდან დაინახეს იგი, ერწმუნენ მას და ესალმებოდნენ და აღიარებდნენ, რომ „უცხონი და ხიზნები არიან დედამიწაზე.“
- ¹⁴ხოლო ის, ვინც ამას ამბობს, ცხადყოფს, რომ სამშობლოს ეძებს.
- ¹⁵და თუ ემახსოვრებოდათ, საიდან გამოვიდნენ, ექნებოდათ იქ დაბრუნების ჟამიც.
- ¹⁶ახლა კი ისინი უკეთესს ესწრაფვიან, ანუ ზეციურს. ამიტომ ღმერთსაც არ ერცხვინება, რომ მათ ღმერთად იწოდებოდეს, რადგან მან მოუშადა მათ ქალაქი.
- ¹⁷რწმენით მიჰყავდა აბრაამს სამსხვერპლოდ ისააკი, როცა გამოიცადა და, აღთქმათა მიმღებელი, მხოლოდშობილს სწირავდა,
- ¹⁸რომელზედაც ეთქვა მას: „ისააკში მიიღებს სახელს შენი შთამომავლობა.“
- ¹⁹რადგან ფიქრობდა, რომ ღმერთს მკვდრეთით აღდგენაც შეუძლია. ამიტომ დაიბრუნა იგი, როგორც იგავი.
- ²⁰რწმენით აკურთხა ისააკმა იაკობი და ესავი მომავლისათვის.
- ²¹რწმენით აკურთხა სათითაოდ იაკობმა, როცა კვდებოდა, იოსების ძენი და თაყვანი სცა ღმერთს თავის კვერთხს დაყრდნობილმა.
- ²²რწმენით გაიხსენა იოსებმა აღსასრულისას ისრაელის ძეთა გამოსვლა და ანდერძი დატოვა თავისი ძვლების შესახებ.
- ²³რწმენით მალავდნენ მოსეს მისი მშობლები დაბადებიდან სამ თვეს, რადგან ხედავდნენ, რომ ბავშვი მშვენიერი იყო, და არ შეუშინდნენ მეფის ბრძანებას.
- ²⁴რწმენით თქვა უარი მოსემ, როცა წამოიზარდა, ფარაონის ასულის ძედ წოდებულიყო,
- ²⁵და ღმერთის ხალხთან ტანჯვა ამჯობინა წარმავალ ცოდვიან განცხრომას.
- ²⁶მესიის გულისათვის დამცირება მეტ სიმდიდრედ მიიჩნია, ვიდრე ეგვიპტის საგანძურები, რადგან ხედავდა საზღაურს.
- ²⁷რწმენით დატოვა ეგვიპტე მეფის რისხვის უშიშმა, რადგანაც მტკიცე იყო, როგორც მხილველი უხილავისა.



²⁸რწმენით გამართა პასეჟი და სისხლის პკურება, რათა არ გაჰკარებოდა შემმუსვრელი მათ პირმშოებს.

²⁹რწმენით გადალახეს მეწამული ზღვა, როგორც ხმელეთი, ეგვიპტელებმაც სცადეს, მაგრამ დაინთქნენ.

³⁰რწმენით დაეცა იერიქონის გალავნები შვიდდღიანი გარსშემოვლის შემდეგ.

³¹რწმენით იყო, რომ არ დაიღუპა ურჩებთან ერთად მეძავი რაჰაბი, რომელმაც მშვიდობით მიიღო მზვერავები.

³²და კიდევ რა ვთქვა? დრო არ მეყოფა, რომ ვილაპარაკო გედეონზე, ბარაკზე, სამსონზე, იეფთაზე, დავითზე, სამუელსა და წინასწარმეტყველებზე,

³³რომლებიც რწმენით ამარცხებდნენ სამეფოებს, იქმოდნენ სამართალს, აღწევდნენ აღთქმებს, პირს უკრავდნენ ლომებს,

³⁴შრეტდნენ ცეცხლის ძალას, ირიდებდნენ მახვილის პირს, ძლიერდებოდნენ უძლურებისაგან, მტკიცდებოდნენ ომში, დევნიდნენ უცხოთა ჯარებს.

³⁵ქალებს აღმდგარნი უბრუნდებოდნენ თავიანთი მკვდრები, სხვები კი ეწამებოდნენ და გამოხსნაზე უარს ამბობდნენ, რათა უკეთესი აღდგომისათვის მიეღწიათ.

³⁶სხვებმა დაითმინეს გინება და გვემა, ბორკილები და საპყრობილეები.

³⁷მათ ქოლავდნენ, ხერხავდნენ, მახვილით კლავდნენ, ისინი დაეხეტებოდნენ ცხვრისა და თხის ტყავებით, შეჭირვებულნი, შევიწროვებულნი, ტანჯულნი;

³⁸ისინი, ვისი ღირსიც არ იყო მთელი ქვეყნიერება, დაძრწოდნენ უდაბნოებსა და მთებში, მიწის მღვიმეებსა და გამოქვაბულებში.

³⁹ყველა ამათგანს ჰქონდა მოწმობა რწმენით, მაგრამ ვერ მიიღეს აღთქმული,

⁴⁰რადგან ღმერთმა ჩვენთვის უმჯობესად ჩათვალა, რომ მათ უჩვენოდ არ მიეღწიათ სრულქმნისათვის.

ებრაელთა 12

¹ამიტომ ჩვენც, გარემოცულებმა მოწამეთა ღრუბლით, ჩამოვიშორეთ ყოველი ტვირთი და შემბოჭველი ცოდვა, და მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი.



²შევხედოთ რწმენის წინამძღვარსა და სრულმოყოფელს – იესოს, რომელმაც იმ სიხარულისათვის, რომელიც მოელოდა, დაითმინა ჯვარი, უგულბელო შერცხვენა და ღმერთის ტახტის მარჯვნივ დაჯდა.

³იფიქრეთ იმაზე, ვინც მოითმინა ესოდენი მტრობა ცოდვილთაგან, რათა თქვენ არ დაძაბუნდეთ და სულით არ დაეცეთ.

⁴ჯერ კიდევ სისხლამდე არ გიბრძოლიათ ცოდვის წინააღმდეგ.

⁵დაგივიწყებით შეგონება, თქვენდამი მომართული, როგორც შვილებისადმი: „შვილო, უფლისგან წვრთნას ნუ უგულბელო და გულს ნუ გაიტეხ, როდესაც გამხილებს,

⁶რადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი; სცემს ყოველ შვილს, რომელსაც იღებს.“

⁷აიტანეთ წვრთნა! ღმერთი ისე გეპყრობათ, როგორც შვილებს. განა არის ისეთი შვილი, რომელსაც მამა არ წვრთნიდეს?

⁸ხოლო თუ დარჩებით წვრთნის გარეშე, რაშიც ყველა მოზიარეა, მაშინ ნაბუშრები ყოფილხართ და არა შვილები.

⁹თუ ჩვენი ხორციელი მამები გვწვრთვნიან და გვერიდება მათი, განა უფრო მეტად არ უნდა დავემორჩილოთ სულთა მამას, რათა ვიცოცხლოთ?

¹⁰ისინი გვწვრთნიდნენ საკუთარი ნების შესაბამისად მცირე დღეებისათვის, ეს კი – ჩვენს სასიკეთოდ, რათა ვეზიაროთ მის სიწმიდეს.

¹¹ყოველი წვრთნა აწმყოში სიხარულად არ გვეჩვენება, არამედ მწუხარებად. შემდეგ კი ის სიმართლის მშვიდობიან ნაყოფს აძლევს მათ, ვინც მის მიერ განისწავლა.

¹²ამიტომ გამართეთ დაქანცული ხელები და მოკვეთილი მუხლები.

¹³გაასწორეთ ბილიკები თქვენს ფეხთათვის, რათა კოჭლმა არ გადაუხვიოს, არამედ განიკურნოს.

¹⁴ეცადეთ იქონიოთ ყველასთან მშვიდობა და სიწმიდე, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს.

¹⁵გაფრთხილდით, რომ რომელიმე თქვენგანს არ მოაკლდეს ღმერთის მადლი; რომ რომელიმე მწარე ფესვი არ აღმოცენდეს და ზიანი არ მოიტანოს და ამით ბევრი არ შეიბილწოს.

¹⁶რომ არ იყოს თქვენს შორის გარყვნილი ან უწმიდური, როგორც ესავი, რომელმაც ერთი შეჭამადისთვის გაყიდა პირმშობა.



¹⁷თქვენ იცით, რომ ამის შემდეგ იგი უკუგდებული იყო, როცა მოისურვა, მემკვიდრეობით მიეღო კურთხევა. ვეღარ ჰპოვა მონანიების შესაძლებლობა, თუმცა ცრემლებით ეძებდა მას.

¹⁸თქვენ არ მიახლებულხართ მთას, ხელშესახებსა და ცეცხლით აღგზნებულს, ბნელსა და წყვდიადს, ქარიშხალს,

¹⁹არც ბუკის ცემას და არც სიტყვათა ხმას, რომლის გამგონენიც ითხოვდნენ, აღარ თქმულიყო მათ მიმართ სიტყვა,

²⁰რადგან აღარ შეეძლოთ ბრძანების ატანა: „ცხოველიც რომ შეეხოს მთას, ჩაიქოლოს.“

²¹და იმდენად საშინელი იყო ეს სანახაობა, რომ მოსემაც თქვა: „შეძრწუნებული ვარ და გვანკალებ.“

²²მაგრამ თქვენ მიეახლეთ სიონის მთას და ცოცხალი ღმერთის ქალაქს – ზეციურ იერუსალიმს – და აურაცხელ ანგელოზებს,

²³პირმშოთა ეკლესიის კრებულს, რომლებიც ზეცაში არიან ჩაწერილნი, და ყოვლისგანმსჯელ ღმერთს და სრულქმნილ მართალთა სულებს,

²⁴და ახალი აღთქმის შუამდგომელ იესოს და პკურების სისხლს, რომელიც აბელის სისხლზე უკეთ მეტყველებს.

²⁵ფრთხილად! ნუ უარყოფთ მეტყველს, რადგან, თუკი ისინი ვერ გადარჩნენ, რომელთაც არ უსმინეს მიწიერ გამაფრთხილებელს, მით უფრო ჩვენ, თუ ზურგს ვაქცევთ ზეციერს,

²⁶რომლის ხმამ მაშინ შეძრა მიწა და რომელიც ახლა ასე აღგვითქვამს: „კიდევ ერთხელ შევძრავ არა მარტო მიწას, არამედ ცასაც.“

²⁷ეს სიტყვები: „კიდევ ერთხელ“ ცხადყოფს შეძრულის შეცვლას, როგორც შექმნილისას, რათა დარჩეს, რაც არ შეიძვრის.

²⁸ამიტომ ჩვენ, ურყევი სამეფოს მიმღებები, ვიყოთ მადლიერნი და სათნოდ ვემსახუროთ ღმერთს, მოწიწებითა და შიშით.

²⁹რადგან ჩვენი ღმერთი – შემქმელი ცეცხლია.

ებრაელთა 13

¹ძმური სიყვარული რჩებოდეს თქვენთან.

²სტუმართმოყვარეობა არ დაივიწყოთ, რადგან ზოგიერთებს ანგელოზებისათვის გაუწევიათ სტუმართმოყვარეობა ისე, რომ არ სცოდნიათ.



³გახსოვდეთ პატიმარნი, თითქოს თქვენც მათთან ერთად ყოფილიყოთ შებოროკილნი და ტანჯულნი, თითქოს თქვენ თავად იმყოფებოდეთ მათ სხეულში.

⁴ყველას ქორწინება ყველაფრით იყოს პატიოსანი და სარეცელი – შეუბილწავი. მეძავეებსა და მრუშებს კი ღმერთი განსჯის.

⁵ვერცხლის უყვარულნი იყავით და იმას დასჯერდით, რაც გაქვთ, რადგან მან თქვა: „არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ.“

⁶ამიტომ გამხნეებულნი ვამბობთ: „უფალია ჩემი შემწე, არ მეშინია: რას მიზამს კაცი?“

⁷გახსოვდეთ თქვენი წინამძღოლები, რომლებიც გიქადაგებდნენ ღმერთის სიტყვას, მათი ცხოვრების აღსასრულის შემყურეებმა მიბადეთ მათ რწმენას.

⁸იესო ქრისტე იგივეა გუშინ და დღეს და უკუნისამდე.

⁹ნუ გაგიტაცებთ სხვადასხვაგვარი უცხო მოძღვრებები, რადგან გულის გამაგრება კარგია მაღლით და არა საკვების მიღების წესებით, რომლებსაც არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ მათი მიმდევრებისათვის.

¹⁰ჩვენ გვაქვს სამსხვერპლო, საიდანაც ჭამის უფლება არა აქვთ კარვის მსახურთ.

¹¹რადგან ცხოველთა გვამებს, რომელთა სისხლი ცოდვათა გამოსასყიდად შეაქვს მღვდელმთავარს საწმიდარში, ბანაკს გარეთ წვავენ.

¹²ამიტომ იესოც, რათა განეწმიდა ხალხი თავისი სისხლით, კარიბჭის გარეთ ევნო.

¹³მაშ, გავიდეთ მასთან ბანაკის გარეთ და ვიტვირთოთ მისი შეურაცხყოფა.

¹⁴რადგან არა გვაქვს აქ მუდმივი ქალაქი, არამედ მომავალს ვეძებთ.

¹⁵მისი საშუალებით განუწყვეტლივ შევწიროთ ღმერთს ქების მსხვერპლი, – მისი სახელის აღმსარებელ ბაგეთა ნაყოფი.

¹⁶არ დაივიწყოთ ქველმოქმედება და ურთიერთგაზიარება, რადგან ასეთი მსხვერპლი სათნოა ღმერთისათვის.

¹⁷დაუჯერეთ თქვენს წინამძღვრებს და დაემორჩილეთ მათ, რადგან ისინი ფხიზლობენ თქვენს სულებზე, როგორც პასუხისმგებელნი, რათა აკეთებდნენ ამას სიხარულით და არა ოხვრით, რადგან მაშინ ეს უსარგებლო იქნებოდა თქვენთვის.

¹⁸ილოცეთ ჩვენთვის, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ გვაქვს კეთილი სინდისი და გვსურს ყველაფერში კეთილად ვიქცეოდეთ.



¹⁹განსაკუთრებით გთხოვთ, გააკეთოთ ეს, რათა მალე დავბრუნდე თქვენთან.

²⁰ხოლო მშვიდობის ღმერთმა, რომელმაც საუკუნო აღთქმის სისხლით მკვდრებით ამოიყვანა ცხვრების დიადი მწყემსი, უფალი ჩვენი იესო,

²¹სრულგყოთ ყოველ კეთილ საქმეში მისი ნების შესასრულებლად. მას, რომელიც იესო ქრისტეს მეშვეობით ჩვენში მის წინაშე მოსაწონს აკეთებს, დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

²²გთხოვთ, ძმებო, შეიწყნაროთ ეს დარიგების სიტყვა, რადგან მოკლედ მოგწერეთ თქვენ.

²³იცოდეთ, რომ გათავისუფლდა ჩვენი ძმა ტიმოთე და თუ მალე მოვიდა, მასთან ერთად გინახულებთ.

²⁴მოიკითხეთ ყველა თქვენი წინამძღვარი და ყველა წმიდა. იტალიელები მოკითხვას გითვლიან.

²⁵მადლი იყოს თქვენთან ყველასთან. ამინ.



იაკობის ეპისტოლე

იაკობის 1

- ¹იაკობი, ღმერთისა და უფლის იესო ქრისტეს მონა, თორმეტ ტომს, განთესილობაში, გიხაროდეთ.
- ²ყოველივე სიხარულად ჩათვალეთ, ჩემო ძმებო, როდესაც მრავალგვარ განსაცდელს შეხვდებით,
- ³რაკი იცით, რომ თქვენი რწმენის გამოცდა შობს მოთმინებას;
- ⁴მოთმინებას კი უნდა ჰქონდეს სრულმქმნელი მოქმედება, რათა იყოთ სრულყოფილნი, წუნდაუდებელნი და ყოველმხრივ უნაკლონი.
- ⁵თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, სთხოვოს ღმერთს, ყველასათვის უხვად და დაუყვედრებლად მიმცემს, და მიეცემა.
- ⁶რწმენით და ეჭვის გარეშე სთხოვოს, რადგან დაეჭვებული ჰგავს ზღვის ტალღას, ქარისაგან აღძრულსა და მიმოტაცებულს.
- ⁷ნუ ჰგონია ასეთ კაცს, რომ ღმერთისაგან მიიღებს რაიმეს.
- ⁸ორჭოფი კაცი მერყევია თავის ყოველ გზაზე.
- ⁹თავმდაბალმა ძმამ იქოს თავი თავისი სიმაღლით,
- ¹⁰მდიდარმა კი – თავისი სიმდაბლით, რადგან ის გადაივლის, როგორც ბალახში ყვავილი.
- ¹¹რადგან, როცა ამოდის მზე თავისი მცხუნვარებით, ახმობს ბალახს, დაცვივდება მისი ყვავილი და მისი სახის მშვენება დაიკარგება. ასე დაჰქნება მდიდარიც თავის გზებზე.
- ¹²ნეტარია კაცი, რომელიც დაითმენს განსაცდელს, რადგან, რაკი გამოიცდება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც ღმერთმა აღუთქვა თავის მოყვარულთ.
- ¹³ნურავინ იტყვის განსაცდელში: „ღმერთისგან გამოვიცდები,“ რადგან ღმერთი არ გამოიცდება ბოროტით და არც არავის სცდის.
- ¹⁴არამედ ყოველი გამოიცდება თავისი გულისთქმით, რომელიც წარიტაცებს და აცდუნებს მას.
- ¹⁵შემდეგ კი, გულისთქმა ჩასახავს და შობს ცოდვას. მომწიფებული ცოდვა კი შობს სიკვდილს.
- ¹⁶ნუ შეცდებით, ჩემო საყვარელო ძმებო.



¹⁷ყველა კეთილი ბოძება და ყველა სრულყოფილი ნიჭი მაღლიდან არის გადმოსული, ნათელთა მამისაგან, რომელთანაც არ არის ცვალებადობა და არც ჩრდილი ცვლილებისა.

¹⁸მან თავისი ნებით დაგვბადა ჩვენ ჭეშმარიტების სიტყვით, რათა ვიყოთ ვითარცა პირველნაყოფი მის ქმნილებათა შორის.

¹⁹მაშ, ჩემო საყვარელო ძმებო, ყოველი ადამიანი იყოს სმენაში სწრაფი, სიტყვაში დინჯი და რისხვაში ნელი.

²⁰რადგან კაცაის გულისწყრომა არ წარმოქმნის ღმერთის სამართლიანობას.

²¹ამიტომ, მოიშორეთ ყოველგვარი სიბილწე და ბოროტების ნატამალი და თვინიერად მიიღეთ თქვენში ჩანერგილი სიტყვა, რომელსაც თქვენი სულების ხსნა შეუძლია.

²²იყავით სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად.

²³რადგან, თუ ვინმე ისმენს სიტყვას და არ ასრულებს, ჰგავს ადამიანს, რომელიც თავის ბუნებრივ სახეს სარკეში ათვალიერებს, –

²⁴შეხედავს თავის თავს, მიდის და მყისვე ავიწყდება, როგორია.

²⁵მაგრამ, ვინც ჩაუკვირდება თავისუფლების სრულყოფილ რჯულს და მასში დარჩება, მომსმენი და დამვიწყებელი კი არ იქნება, არამედ საქმის აღმსრულებელი. კურთხეული იქნება იგი თავის მოქმედებაში.

²⁶თუ რომელიმე თქვენგანს ჰგონია, რომ ღვთისმოსავია, ენას კი არ ალაგმავს, ის თავის გულს აცდუნებს; ფუჭია მისი ღვთისმოსაობა.

²⁷წმიდა და შეუბღალავი ღვთისმოსაობა ღმერთისა და მამის წინაშე ისაა, რომ მიხედო ქვრივ-ობლებს მათ გასაჭირში და შეურყვნელად დაიცვა თავი ქვეყნიერებისაგან.

იაკობის 2

¹ჩემო ძმებო, ნუ იქნებით მიკერძოებულნი ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს დიდების რწმენაში.

²რადგან, თუ შემოვა კაცი თქვენს სინაგოგაში, ოქროსბეჭდიანი და ბრწყინვალე სამოსით მოსილი, და შემოვა აგრეთვე ღარიბი ჭუჭყიანი სამოსით, –



- ³თუ შეხედავთ ბრწყინვალე სამოსში გამოწყობილს და ეტყვით მას: „დაბრძანდი, აქ უკეთესია.“ ღარიბს კი ეტყვით: „შენ იქ დადექი,“ ანდა: „აქ დაჯექი, ჩემს ფეხთით,“ –
- ⁴განა არ არჩევთ თქვენს შორის და ცუდი აზრებით განმკითხველნი არ გამოდიხართ?
- ⁵ისმინეთ, ჩემო საყვარელო ძმებო, განა ღმერთმა ამა ქვეყნის ღარიბები არ აირჩია რწმენით მდიდრებად და იმ სამეფოს მემკვიდრეებად, რომელიც თავის მოყვარულებს აღუთქვა?
- ⁶თქვენ კი დაამცირეთ ღარიბი. განა მდიდრები არ გჩაგრავენ თქვენ და არ მიგათრევენ სამსჯავროებში?
- ⁷განა ისინი არ გმოხენ თქვენს კეთილ სახელს, რომლითაც თქვენ იწოდებით?
- ⁸თუ ასრულებთ სამეფო რჯულს, წერილის მიხედვით: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი,“ კარგად იქცევით.
- ⁹მაგრამ, თუ მიკერძოებით იქცევით, ცოდვას ჩადიხართ და მხილებული ხართ რჯულისაგან, როგორც რჯულის დამრღვევნი.
- ¹⁰რადგან, ვინც მთელ რჯულს იცავს და ერთში შესცოდავს, იგი ყველაფერში დამნაშავე ხდება.
- ¹¹რადგან მთქმელმა: „არ იმრუშო!“ ესეც თქვა: „არ მოკლა!“ და თუ არ მრუშობ, მაგრამ კლავ, რჯულის დამრღვევი ხდები.
- ¹²ისე ილაპარაკეთ და ისე მოიქეცით, როგორც თავისუფლების რჯულით განსასჯელებმა.
- ¹³რადგან, უწყალო მსჯავრი – უმოწყალოს; წყალობა აღემატება მსჯავრს.
- ¹⁴ჩემო ძმებო, რა სარგებელია, თუ ვინმე იტყვის, რომ რწმენა აქვს, საქმენი კი არ გააჩნია? განა ამ რწმენას შეუძლია მისი ხსნა?
- ¹⁵თუ ძმა ან და შიშველია და დღიური საზრდო აკლია,
- ¹⁶რომელიმე თქვენგანი კი ეტყვის მას: „მშვიდობით იარე, გათბი და ისაზრდოე,“ სხეულისათვის საჭიროს კი არას მისცემს, რა სარგებელია?
- ¹⁷ასევეა რწმენაც: თუ საქმენი არა აქვს, თავისთავად მკვდარია.
- ¹⁸მაგრამ იტყვის ვინმე: „შენ გაქვს რწმენა, მე კი მაქვს საქმენი.“ მიჩვენე შენი რწმენა საქმეთა გარეშე და მე გიჩვენებ ჩემს რწმენას ჩემს საქმეთაგან.
- ¹⁹შენ გწამს, რომ ღმერთი ერთია, კარგს შვრები; მაგრამ ეშმაკებსაც სწამთ, და ძრწიან.



²⁰გსურს, უგუნურო ადამიანო, გაიგო, რომ რწმენა საქმეთა გარეშე მკვდარია?

²¹განა ჩვენი მამა, აბრაამი, საქმეებით არ გამართლდა, როცა თავის ძეს, ისააკს, სამსხვერპლოზე სწირავდა?

²²ხედავ, რწმენა ამოქმედებდა მის საქმეებს, საქმეებით კი განსრულდა რწმენა.

²³და აღსრულდა წერილი, რომელიც ამბობს: „ერწმუნა აბრაამი ღმერთს და ეს მას სიმართლედ ჩაეთვალა და ღმერთის მეგობარი ეწოდა.“

²⁴ხედავთ, რომ საქმით მართლდება ადამიანი და არა მარტოდენ რწმენით?

²⁵ასევე მეძავი რაჰაბი განა საქმეებით არ გამართლდა, როცა მზვერავები მიიღო და სხვა გზით გაისტუმრა?

²⁶რადგან, როგორც სხეული მკვდარია სულის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდარია საქმეთა გარეშე.

იაკობის 3

¹ჩემო ძმებო, ბევრნი ნუ გახდებით მასწავლებლები. იცოდეთ, რომ უფრო დიდ მსჯავრს მივიღებთ,

²რადგან ჩვენ ყველანი ბევრს ვცდებით. ვინც სიტყვით არ ცდება, სრულყოფილი ადამიანია; მას შეუძლია, ალაგმოს მთელი სხეულიც.

³აჰა, ცხენებს ლაგამს ამოვდებთ, რათა დაგვემორჩილონ, და ვმართავთ მთელ მათ სხეულს.

⁴აჰა, ხომალდები, რა დიდებიც არ უნდა იყვნენ და როგორმა ძლიერმა ქარებმაც არ ატორტმანონ, პატარა საჭე იქით მიაბრუნებს მათ, საითაც მესაჭე მოინდომებს.

⁵ასევეა ენაც – პატარა ასოა და შეუძლია ბევრი რამ დაიქადოს. აჰა, მცირე ცეცხლი რამდენ ტყეს ბუგავს.

⁶ენაც ცეცხლია, უსამართლობის სამყარო. ენა ჩვენს ასოებს შორისაა მოთავსებული, მთელი სხეულის წამბილწავი და მთელი ჩვენი არსებობის სვლა-გეზის დამანგრეველი, და თვით ჯოჯოხეთისაგან აგზნებული.

⁷რადგან მხეცთა და ფრინველთა, ქვეწარმავალთა და ზღვის ცხოველთა ყოველგვარი ბუნება თვინიერდება და მოთვინიერებულია ადამიანური ბუნების მიერ.



⁸ენის მოთვინიერება კი ადამიანთაგან არავის არ შეუძლია – დაუოკებელი ბოროტებაა და მომაკვდინებელი გესლითაა სავსე.

⁹მით ვაკურთხებთ ღმერთსა და მამას და მითვე ვწყევლით ღმერთის ხატად შექმნილ ადამიანებს.

¹⁰ერთი და იმავე პირიდან გამოდის ლოცვა-კურთხევაც და წყევლაც. არ ეგების, ჩემო ძმებო, ასე რომ ხდება.

¹¹განა ერთი წყაროსთვალადან გამოედინება ტკბილი და მწარე?

¹²განა შეუძლია, ჩემო ძმებო, ლელვის ხეს ზეთისხილი მოისხას, ანდა ვაზს – ლელვი? ასევე მლაშე ვერ წარმოშობს მტკნარ წყალს.

¹³ვინ არის თქვენს შორის ბრძენი და განსწავლული? კეთილი საქციელით აჩვენოს, რომ მისი საქმენი ბრძნული მოთმინებით არის ქმნილი.

¹⁴მაგრამ თუ გულში მწარე შური და შუღლი გაქვთ, ნუ იტრაბახებთ და ნუ იცრუებთ ჭეშმარიტების წინააღმდეგ.

¹⁵ეს არ არის გარდამოვლენილი სიბრძნე, არამედ მიწიერი, მშვინვიერი, ეშმაკისეული.

¹⁶რადგან, სადაც შური და შუღლია, იქ შფოთი და ყოველგვარი ბოროტი საქმეა.

¹⁷ხოლო მაღლიდან გარდამომავალი სიბრძნე, პირველყოვლისა, წმიდაა, მერე მშვიდობიანი, თვინიერი, მომთმენი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო.

¹⁸ხოლო სიმართლის ნაყოფი მშვიდობისმოყვით ეთესებათ მშვიდობიანად.

იაკობის 4

¹საიდან არის ბრძოლა და შუღლი თქვენს შორის, თუ არა თქვენივე გულისთქმათაგან, რომლებიც თქვენს ასოებს შორის იბრძვიან?

²გსურთ და არ გაქვთ, კლავთ და გშურთ, მაგრამ ვერ იხელთებთ; მოშუღლეობთ და იბრძვით და არ გაქვთ, რადგან არ ითხოვთ.

³ითხოვთ და ვერ იღებთ, რადგან ბოროტად ითხოვთ, რათა თქვენი გულისთქმები დაიკმაყოფილოთ.

⁴მრუშებო, განა არ იცით, რომ ამა ქვეყნის მეგობრობა ღმერთის მტრობაა? ასეა, ვისაც ამა ქვეყნის მეგობრობა სურს, იგი ღმერთის მტერი ხდება.



⁵ნუთუ გგონიათ, რომ ამაოდ ამბობს წერილი: „შურით სწადია მას ჩვენში დავანებული სული?“

⁶მაგრამ უფრო მეტ მადლსაც იძლევა. ამიტომ ამბობს: „ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს.“

⁷ამიტომ დაემორჩილეთ ღმერთს, წინ აღუდექით ეშმაკს და გაიქცევა თქვენგან.

⁸მიუახლოვდით ღმერთს და ისიც მოგიახლოვდებათ თქვენ. გაისუფთავეთ ხელები, ცოდვილნო, უბიწოდ დაიცავით გულები, ორგულნო.

⁹შეწუხდით, იგლოვეთ და იტირეთ. თქვენი სიცილი გლოვად იქცეს, სიხარული – მწუხარებად.

¹⁰დამდაბლდით უფლის წინაშე და აგამაღლებთ თქვენ.

¹¹ძმებო, ნუ ძრახავთ ერთმანეთს. ვინც ძმას ძრახავს და ასამართლებს, რჯულს ძრახავს და ასამართლებს. თუ რჯულს ასამართლებ, აღმსრულებელი კი აღარა ხარ, არამედ მოსამართლე.

¹²ერთია რჯულმდებელი და განმკითხველი, რომელსაც შეუძლია ხსნა და დალუპვა. შენ კი ვინა ხარ, მოყვასს რომ განიკითხავ?

¹³ახლა კი მისმინეთ თქვენ, ვინც ამბობთ: „დღეს ან ხვალ ამა და ამ ქალაქში წავალთ, იქ ერთ წელს დავყოფთ, ვივაჭრებთ და მოვიგებთ,“ –

¹⁴თქვენ, რომელთაც არ იცით, რა მოხდება ხვალ, რადგან რა არის თქვენი სიცოცხლე? ნისლი ხართ, რომელიც მცირე ხნით გამოჩნდება, მერე კი გაქრება.

¹⁵ნაცვლად იმისა, რომ თქვათ: „თუ ინებებს უფალი და ვიცოცხლებთ, ამას და ამას გავაკეთებთ,“

¹⁶იქადით ამაყად. ყოველი ამგვარი ქადილი ბოროტებაა.

¹⁷ამიტომ, ვინც სიკეთის კეთება იცის და არ აკეთებს, ეს ცოდვად ეთვლება მას.

იაკობის 5

¹ახლა კი მისმინეთ თქვენ, მდიდრებო: იტირეთ და ივალალოთ იმ უბედურებებზე, თქვენზე რომ მოდის.

²დალპა თქვენი სიმდიდრე, შეჭამა ჩრჩილმა თქვენი სამოსი.



- ³თქვენი ოქრო და ვერცხლი დაიჟანგა. მათი ჟანგი იქნება მოწმობა თქვენს წინააღმდეგ და თქვენს ხორცს ცეცხლივით შეჰამს იგი: დაგიუნჯებიათ განძი უკანასკნელი დღეებისათვის.
- ⁴აჰა, მუშაკთა საზღაური, რომელიც დაუკავეთ თქვენი ყანების მომკელთ, ღალატებს და მომკელთა ძახილი უფალი საბაოთის ყურამდე აღწევს.
- ⁵თქვენ განცხრომას ეძლეოდით დედამიწაზე და ნებივრობდით, გულები დაისუქეთ, თითქოს დაკვლის დღისათვის.
- ⁶თქვენ მსჯავრი დასდეთ და მოკალით მართალი, ის კი არ გაგიძალიანდათ თქვენ.
- ⁷ამიტომ, ძმებო, სულგრძელნი იყავით უფლის მოსვლამდე. აჰა, მიწისმუშაკი ელოდება მიწის ძვირფას ნაყოფს, მოთმინებით ელის ადრეული და გვიანი წვიმების მოსვლას.
- ⁸თქვენც მოითმინეთ და გულები გაიმაგრეთ, რადგან მოახლოებულია უფლის მოსვლა.
- ⁹ჩემო ძმებო, ნუ ჩივით ერთმანეთზე, რათა არ იყოთ განკითხულნი. აჰა, განმკითხავი კარზეა მომდგარი.
- ¹⁰ჩემო ძმებო, მოთმინების მაგალითად მიიღეთ წინასწარმეტყველნი, რომლებიც უფლის სახელით ლაპარაკობდნენ.
- ¹¹აჰა, ჩვენ ნეტარად მივიჩნევთ მათ, ვინც დაითმინა. იოზის მოთმინება გსმენიათ და მისი უფლისმიერი ბოლო გინახავთ, რადგან მრავალმოწყალე და შემწყნარებელია უფალი.
- ¹²პირველყოვლისა, ჩემო ძმებო, ნუ დაიფიცებთ ნურც ცას და ნურც მიწას, ნურც სხვა რაიმე საფიცარს. თქვენი ჰო იყოს ჰო და არა – არა, რათა სამსჯავროს ქვეშ არ მოხვდეთ.
- ¹³ვინც იტანჯება თქვენს შორის, ილოცოს, ვისაც უხარია, იგალობოს.
- ¹⁴არის თქვენს შორის ვინმე ავად? მოიხმოს ეკლესიის ხუცესნი და ილოცონ მასზე და სცხონ ზეთი უფლის სახელით.
- ¹⁵რწმენის ლოცვა იხსნის სნეულს. წამოაყენებს მას უფალი და თუ რამ ცოდვები ჩაუდენია, მიეტევება.
- ¹⁶აღიარეთ ცოდვები ერთმანეთის წინაშე და ილოცეთ ერთმანეთისათვის, რათა განიკურნოთ, რადგან დიდი ძალა აქვს მართლის ლოცვას.
- ¹⁷ელია ჩვენი მსგავსი კაცი იყო და ლოცვით ილოცა, რომ არ მოსულიყო წვიმა და არ მოსულა დედამიწაზე წვიმა სამ წელსა და ექვს თვეს.



¹⁸და კვლავ ილოცა და ცამ მოსცა წვიმა და მიწამ აღმოაცენა თავისი ნაყოფი.

¹⁹ჩემო ძმებო, თუ ვინმე თქვენგანი გადაცდება ჭეშმარიტებას და ვინმე მოაქცევს მას,

²⁰იცოდეთ, რომ ცოდვილის მომქცევი მისი ცდომილების გზიდან, სიკვდილისაგან იხსნის მის სულს და მრავალ ცოდვას დაფარავს.



პირველი პეტრესი

1 პეტრესი 1

- ¹პეტრე, იესო ქრისტეს მოციქული, რჩეულ ხიზნებს პონტოს, გალატიის, კაპადოკიის, ასიისა და ბითვინიის განთესილობაში,
- ²რჩეულებს მამა ღმერთის განგებით, სულის მიერ განწმედით – იესო ქრისტესთვის მორჩილებისა და მისი სისხლის კურებისათვის – მადლი და მშვიდობა გიმრავლოთ.
- ³კურთხეულია ღმერთი და ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მამა, რომელმაც თავისი მრავალი წყალობით ხელახლა გვშვა ცოცხალი იმედისათვის იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომით,
- ⁴უხრწნელ, შეუბილწავ და უჭკნობ მემკვიდრეობად, რომელიც ცაშია შენახული თქვენი,
- ⁵ღმერთის ძალაში რწმენით დაცულების ხსნისათვის, რომელიც გამოზადებულია უკანასკნელ ჟამს გამოსაცხადებლად.
- ⁶ამით გაიხარეთ, თუმცა ამჟამად მცირე ხანს უნდა გაწვალდეთ მრავალგვარ განსაცდელში,
- ⁷რათა გამოჩნდეს თქვენი გამოცდილი რწმენა – უფრო ძვირფასი, ვიდრე ხრწნადი ოქრო, რომელიც ცეცხლში გამოიცდება – ქების, პატივისა და დიდებისათვის იესო ქრისტეს გამოცხადებისას.
- ⁸ის, ვინც არ გინახავთ – გიყვართ, ვისაც ვერ ხედავთ – გწამთ, და ხარობთ გამოუთქმელი და დიდებული სიხარულით,
- ⁹რადგან აღწევთ რწმენის მიზანს – სულების ხსნას.
- ¹⁰ამ ხსნას ეძიებდნენ და იკვლევდნენ წინასწარმეტყველნი, რომლებიც თქვენთვის განკუთვნილ მადლს გიწინასწარმეტყველებდნენ.
- ¹¹იკვლევდნენ, რომელ და როგორ ჟამზე მიუთითებდა მათში მყოფი ქრისტეს სული, როცა წინასწარ ამოწმებდა ქრისტეს ტანჯვას და შემდგომ დიდებას.
- ¹²რომელთაც გამოეცხადა, რომ თვით მათ კი არა, თქვენ მოგემსახურებოდათ ის, რაც ახლა გეუწყათ ციდან მოვლინებული წმიდა სულით თქვენს მახარებელთაგან, რის ჩაწვდომასაც ნატრობდნენ ანგელოზები.



¹³ამიტომ მოისარტყლეთ თქვენი გონების წელნი, იფხიზლეთ და სრული იმედი გქონდეთ მადლისა, რომელიც მოგენიჭებათ იესო ქრისტეს გამოცხადებისას.

¹⁴როგორც გამგონე შვილები, ნუ აჰყვებით თქვენი უმეცრების დროინდელ გულისთქმებს,

¹⁵არამედ იყავით წმიდები ყოველ საქციელში, როგორც წმიდაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ.

¹⁶რადგან წერია: „იყავით წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე.“

¹⁷თუ მამას უწოდებთ მას, ვინც მიუკერძოებლად განიკითხავს თითოეულს საქმეთა მიხედვით, მაშინ მოშიშებით გაატარეთ თქვენი ხიზნობის ხანი.

¹⁸რაკი იცით, რომ ხრწნადი ვერცხლით ან ოქროთი კი არა ხართ გამოსყიდულნი მამათაგან მემკვიდრეობით მიღებული ამაო გზიდან,

¹⁹არამედ ქრისტეს ძვირფასი სისხლით, როგორც უბიწო და უმანკო კრავისა,

²⁰რომელიც სამყაროს შექმნამდე იყო წინასწარ განწესებული, მაგრამ უკანასკნელ დროს გამოჩნდა თქვენთვის,

²¹რომელთაც მისი მეშვეობით იწამეთ ღმერთი, რომელმაც მკვდრეთით აღადგინა იგი და მისცა დიდება, რათა გქონდეთ რწმენა და ღმერთის იმედი.

²²რაკი ჭეშმარიტებისადმი დამორჩილებით განიწმიდეთ თქვენი სულები არათვალთმაქცი ძმათმოყვარეობისათვის, სუფთა გულით მტკიცედ შეიყვარეთ ერთმანეთი.

²³როგორც ხელახლად შობილებმა არა ხრწნადი თესლისაგან, არამედ უხრწნელისაგან, ღმერთის ცოცხალი და მარადმყოფი სიტყვის მიერ.

²⁴რადგან ყოველი ხორციელი ბალახივითაა და ყოველი მისი დიდება ბალახის ყვავილივითაა. ბალახი ხმება და ყვავილიც სცვივა.

²⁵ღმერთის სიტყვა კი საუკუნოდ სუფევს. ხოლო ეს ის სიტყვაა, თქვენ რომ გეხარათ.

1 პეტრესი 2

¹ამრიგად, მოიშორეთ ყოველგვარი ბოროტება, ყოველგვარი მზაკვრობა და პირფერობა, და შური, და ყოველგვარი ავსიტყვაობა.

²როგორც ახალშობილმა ჩვილებმა, ისურვეთ უმწიკვლო სულიერი რძე, რათა ამით გაიზარდოთ ხსნისათვის,



- ³თუ იგემეთ, რომ ტკბილია უფალი,
- ⁴მიდით მასთან – ცოცხალ ქვასთან, რომელიც დაიწუნეს ადამიანებმა, ღმერთისაგან კი რჩეული და პატივდებულია.
- ⁵და თქვენც აშენდით, როგორც ცოცხალი ქვები, სულიერ სახლად, წმიდა სამღვდელოებად, რათა შესწიროთ ღმერთის მოსაწონი სულიერი მსხვერპლები იესო ქრისტეს მიერ.
- ⁶რადგან ნათქვამია წერილში: „აჰა, მე ვდებ სიონში ქვას, ქვაკუთხედს, რჩეულსა და ძვირფასს და მისი მორწმუნე არ შერცხვება.“
- ⁷ამიტომ თქვენთვის, მორწმუნეთათვის, პატივდებულია იგი, ურწმუნოთათვის კი „ქვა, რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს, იქმნა კუთხის ქვად“
- ⁸და „წაფორხილების ქვად და შებრკოლების კლდედ.“ მათ წაიფორხილეს, რადგან ეურჩებიან სიტყვას და სწორედ ამისათვის იყვნენ განწყობულნი.
- ⁹თქვენ კი რჩეული მოდგმა ხართ, სამეფო სამღვდელოება, წმიდა ერი, წილხვედრილი ხალხი, რათა გამოაცხადოთ მისი სათნოებანი, ვინც სიბნელიდან თავისი საკვირველი ნათლისავენ გამოგვიხმოთ.
- ¹⁰ოდესღაც არახალხი, – ახლა ღმერთის ხალხი ხართ. ოდესღაც არაშეწყალებულნი, – ახლა შეწყალებულნი ხართ.
- ¹¹საყვარელნო, შეგაგონებთ, როგორც ხიზნებსა და მწირებს, განემორეთ ხორციელ გულისთქმებს, რომლებიც სულის წინააღმდეგ იბრძვიან.
- ¹²კეთილად მოიქეცით წარმართთა შორის, რათა რისთვისაც გაძაგებენ, როგორც ბოროტმოქმედებს, იმაში დაინახონ თქვენი კეთილი საქმეები და ადიდონ ღმერთი მოხედვის დღეს.
- ¹³დაემორჩილეთ ყოველ ადამიანურ ხელმწიფებას უფლის გულისათვის, იქნება ეს მეფე, როგორც უმაღლესი ხელისუფალი,
- ¹⁴თუ განმგებელი, როგორც მის მიერ მოვლინებული ბოროტმოქმედთა დასასჯელად და კეთილისმოქმედთა საქებრად.
- ¹⁵რადგან ასეთია ნება ღვთისა: რათა კეთილის ქმნით დაადუმოთ უგუნურ ადამიანთა უმეცრება,
- ¹⁶როგორც თავისუფლებმა, ოღონდ ნუ გამოიყენებთ თავისუფლებას ბოროტების საფარად, არამედ როგორც ღმერთის მონებმა.
- ¹⁷ყველას პატივი ეცით, გიყვარდეთ სამძო, ღმერთის გემინოდეთ, მეფეს პატივი მიაგეთ.



¹⁸მსახურნო, დაემორჩილეთ ბატონებს ყველაფერში რიდით, არა მარტო კეთილებსა და შემწყნარებლებს, არამედ მრისხანეთაც.

¹⁹რადგან მადლი ის არის, თუ ვინმე სინდისის გამო უსამართლოდ იტანჯება და ღმერთის გულისათვის იტანს გასაჭირს.

²⁰რადგან, თუ დანაშაულისათვის გცემენ და ითმენთ, რა საქებარია? ხოლო თუ კეთილი საქმეებისთვის იტანჯებით და ითმენთ, ეს მადლია ღმერთის წინაშე.

²¹ამისათვის ხართ მოწოდებულნი, ქრისტეც ხომ იტანჯა თქვენთვის და მაგალითიც დაგიტოვათ, რათა მის კვალს მიჰყვეთ;

²²„მას არც ცოდვა ჩაუდენია და არც მზაკვრობა გაჰკარებია მის ბაგეს;“

²³რომელსაც ლანძღავდნენ და ლანძღვით არ პასუხობდა, იტანჯებოდა და არ იმუქრებოდა, არამედ მიენდო სიმართლით განმკითხველს,

²⁴რომელმაც ჩვენი ცოდვები თვით აზიდა ძეგლზე თავისი სხეულით, რათა ცოდვისათვის მკვდრებმა სიმართლისათვის ვიცოცხლოთ; მისი ჭრილობებით განიკურნეთ თქვენ.

²⁵ცხვრებივით გზააბნეულნი იყავით და ახლა კი დაუბრუნდით მწყემსსა და თქვენს სულთა მეთურვეს.

1 პეტრესი 3

¹ასევე, ცოლებო, დაემორჩილეთ ქმრებს, რათა ისინი, რომლებიც არ ემორჩილებიან სიტყვას, სიტყვის გარეშე გახდნენ მოგებულნი თავიანთი ცოლების საქციელით,

²როცა დაინახავენ თქვენს უბიწო ქცევას მოშიშებით.

³თქვენი მშვენება ნუ იქნება გარეგანი: თმის ნაწნავები, ოქროს სამკაულები ან ჩაცმულობა,

⁴არამედ დაფარული გულის ადამიანი უხრწნელი მყუდროებით და სულის სიმშვიდით, რაც ძვირფასია ღმერთის წინაშე.

⁵ოდესღაც წმიდა ქალებიც, ღვთისმოსავნი, ასე იმკობდნენ თავს, თავიანთ ქმრებს დამორჩილებულნი;

⁶როგორც სარა დაემორჩილა და უფალი უწოდა აბრაამს, რომლის შვილებიც ხართ, როცა კეთილ საქმეს აკეთებთ და არაფრის შიში არ გაკრთობთ.



⁷თქვენც, ქმრებო, ასევე გონივრულად მოეპყარით ცოლებს, როგორც შედარებით უძლურ ჭურჭელს, პატივი ეცით, როგორც სიცოცხლის მადლის თანამემკვიდრებს, რათა ლოცვა არ დაგიბრკოლდეთ.

⁸და ბოლოს: იყავით ყველანი ერთი აზრისანი, თანამგრძნობნი, მმათმოყვარენი, შემწყნარებელნი, თავმდაბალნი.

⁹ნუ მიაგებთ ბოროტს ბოროტის წილ და გმობას გმობის წილ, პირიქით, აკურთხეთ, რადგან ამისათვის ხართ მოწოდებულნი, რათა კურთხევა დაიმკვიდროთ.

¹⁰რადგან „ვისაც სიცოცხლე უყვარს და სურს კეთილი დღეების ხილვა, შეიკავოს ენა ბოროტისაგან და მისი ბაგეები ნუ იტყვიან ზაკვას.

¹¹ერიდოს ბოროტს, აკეთოს სიკეთე, ეძიოს მშვიდობა და მისკენ ისწრაფოს,

¹²რადგან ღმერთის თვალი მიპყრობილია მართალთა მიმართ, ყური კი – მათი ვედრების მიმართ, ხოლო უფლის სახე ბოროტმოქმედთა წინააღმდეგაა.“

¹³ვინ გიბოროტებთ, თუ კეთილის მიმყოლი იქნებით?

¹⁴მაგრამ ნეტარნი ხართ თქვენ, თუნდაც დაიტანჯოთ სიმართლისათვის. მათი შიშით ნუ შეშინდებით და ნურც შეძრწუნდებით.

¹⁵წმიდაჰყავით თქვენს გულებში ქრისტე, როგორც უფალი, და მუდამ მზად იყავით, გასცეთ პასუხი ყველას, ვინც თქვენი იმედის გამო ახსნა-განმარტებას მოგთხოვთ;

¹⁶ოღონდ გააკეთეთ ეს სიმშვიდით და მოწიწებით. გქონდეთ კეთილი სინდისი, რათა, რისთვისაც გაძაგებენ, როგორც ბოროტმოქმედებს, იმაში შერცხვნენ თქვენი ქრისტესმიერი კეთილი ქცევის შეურაცხმყოფელნი.

¹⁷რადგან, თუ ღმერთს ნებავს, უმჯობესია, კეთილ საქმეთა გამო დაიტანჯოთ, ვიდრე ბოროტთა გამო.

¹⁸რადგან ქრისტეც ევნო ერთხელ ჩვენი ცოდვებისათვის, მართალი – უსამართლოთათვის, რათა მივეყვანეთ ღმერთთან. მოკვდა ხორცი და გაცოცხლდა სულით,

¹⁹რომლითაც წავიდა და უქადაგა საპყრობილეში მყოფ სულებსაც,

²⁰ოდესღაც ურჩნი რომ იყვნენ, როდესაც ღმერთის მოთმინება ჯერ კიდევ იცდიდა, ნოეს დღეებში, სანამ შენდებოდა კიდობანი, რომელშიც ცოტა, ესე იგი, რვა სული, გადაურჩა წყალს;



²¹რომელიც იყო სახე ნათლისღებისა, – იგი ხორციელი ჭუჭყის ჩამორეცხვა კი არ არის, არამედ კეთილი სინდისით ღმერთისათვის შეპირება – რომლითაც ამჟამად გიხსნით თქვენ იესო ქრისტეს აღდგომის მეშვეობით,

²²რომელიც ღმერთის მარჯვნივ არის მას შემდეგ, რაც ზეცად ამაღლდა, და რომელსაც დაემორჩილნენ ანგელოზნი, ხელმწიფებანი და ძალნი.

1 პეტრესი 4

¹ამრიგად, რადგან ქრისტემ ხორციელად იტვირთა ტანჯვა, თქვენც აღიჭურვეთ იმავე აზრით – რომ ვინც ხორციელად დაიტანჯება, ის წყვეტს კავშირს შეცოდებასთან, –

²რათა ხორციელად დარჩენილი ცხოვრების დრო განვლოს არა ადამიანური გულისთქმებით, არამედ ღმერთის ნებით.

³რადგან საკმარისია, რომ წარსულში მიჰყვებოდით წარმართთა ნებას, როცა ცხოვრებას ატარებდით გარყვნილებაში, გულისთქმებში, სიმთვრალეში, ღრეობაში, სმაში და ურჯულო კერპთაყვანისმცემლობაში.

⁴ამის გამო უკვირთ მათ, რომ მათთან ერთად აღარ მისდევთ ამ უზომო თავაშვებულობას და გგმობენ.

⁵ისინი პასუხს აგებენ მის წინაშე, ვინც მზად არის ცოცხალთა და მკვდართა განსაკითხად.

⁶რადგან იმიტომ ეხარათ მკვდრებსაც, რომ ხორცში განკითხულებს ადამიანთა მსჯავრის თანახმად, სულში სიცოცხლე ჰქონდეთ ღმერთის განსჯის შესაბამისად.

⁷ხოლო ყველაფრის აღსასრული მოახლოვებულია. ამიტომ იყავით გონიერნი და ფხიზელნი სალოცავად.

⁸უპირველეს ყოვლისა, გქონდეთ მტკიცე სიყვარული ერთმანეთისადმი, რადგან სიყვარული ფარავს მრავალ ცოდვას.

⁹იყავით ერთმანეთის მიმართ სტუმართმოყვარენი წუწუნის გარეშე.

¹⁰ემსახურეთ ერთმანეთს იმ ნიჭით, რაც მიგიღიათ, როგორც ღმერთის მრავალგვარი მადლის კეთილი მნეები.

¹¹ვინც ლაპარაკობს, ღვთის სიტყვისამებრ ილაპარაკოს. თუ ვინმე მსახურებს, იმსახუროს ღმერთის მიერ მინიჭებული ძალით, რათა იდიდებოდეს ღმერთი ყველაფერში იესო ქრისტეთი, მას ეკუთვნის დიდება და ძალი უკუნითი უკუნისამდე. ამინ.



¹²საყვარელნო, ნუ გაგიკვირდებათ თქვენზე მოვლენილი ცეცხლოვანი განსაცდელი, თითქოს უცხო რამ გემართებოდეთ.

¹³არამედ გიხაროდეთ, როგორც ქრისტეს ტანჯვათა მოზიარეებს, რათა მისი დიდების გამოცხადებისას თქვენც იხაროთ და იმხიარულოთ.

¹⁴თუ იგმობით ქრისტეს სახელისათვის, ნეტარნი ხართ, რადგან სული დიდებისა, სული ღმერთისა ივანებს თქვენზე.

¹⁵ოღონდ ნურც ერთი თქვენგანი ნუ დაიტანჯება, როგორც მკვლელი ან ქურდი, ბოროტმოქმედი ან სხვისაზე თვალის დამჭერი.

¹⁶ხოლო თუ იტანჯება როგორც ქრისტესი, ნუ შერცხვება ამისი, არამედ ადიდოს ღმერთი ამის გამო.

¹⁷რადგან მოვიდა დრო, რომ ღმერთის სახლიდან დაიწყოს გასამართლება; და თუ პირველად ჩვენგან დაიწყება, რაღა აღსასრული ელით ღმერთის სახარების ურჩებს?

¹⁸თუ მართალი ძლივს გადარჩება, უღვთო და ცოდვილი სადღა იქნება?

¹⁹ამიტომ ღმერთის ნებისამებრ ტანჯულებმა მიანდონ თავიანთი სიცოცხლე სარწმუნო შემოქმედს იმით, რომ აკეთონ სიკეთე.

1 პეტრესი 5

¹თქვენს შორის ხუცესებს შევაგონებ მე, თანახუცესი და ქრისტეს ტანჯვის მოწამე და აგრეთვე თანაზიარი იმ დიდებისა, რომელიც გამოცხადდება:

²მწყემსეთ თქვენთვის მონდობილი ღმერთის სამწყსო არა იძულებით, არამედ ღმერთის ნებით, არა სამარცხვინო ანგარებისათვის, არამედ გულმოდგინებით.

³ნუკი გაბატონდებით ღმერთის წილხვედრილებზე, არამედ მაგალითი იყავით სამწყსოსათვის.

⁴და როდესაც გამოჩნდება მწყემსმთავარი, მიიღებთ დიდების უჭკნობ გვირგვინს.

⁵ასევე, ახალგაზრდებო, დაემორჩილეთ ხუცესთ. ერთმანეთის მიმართ ყველამ შეიმოსოს თავმდაბლობა, რადგან ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მაღლს უბოძებს.

⁶მაშ, დამდაბლდით ღმერთის ძლიერი ხელის ქვეშ, რათა აგამაღლოთ მან თავის ჟამს.

⁷მიანდეთ მას ყველა თქვენი საზრუნავი, რადგან ის ზრუნავს თქვენზე.



⁸მღვიძარენი იყავით! იფხიზლეთ! თქვენი მოწინააღმდეგე ეშმაკი დაძრწის, როგორც მზრდღვინავი ლომი, და ეძებს, ვინ შთანთქას.

⁹წინ აღუდექით მას მტკიცენი რწმენით, იცოდეთ, რომ ასეთივე სატანჯველი განწესებულია მთელ ქვეყანაზე თქვენი მოძმეებისათვის.

¹⁰ხოლო ღმერთი ყოველგვარი მადლისა, რომელმაც მოგვიწოდა ჩვენ თავისი სამუდამო დიდებისაკენ ქრისტე იესოში, სრულყოფით თქვენ მცირეოდენი ტანჯვის შემდეგ, გაგაძლიერებთ, განგამტკიცებთ და გაგამყარებთ.

¹¹ძალი მას უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

¹²სილოვანეს მეშვეობით, რომელსაც თქვენს ერთგულ ძმად ვთვლი, მოგწერეთ მცირე რამ თქვენს შესაგონებლად და დასამოწმებლად, რომ ჭეშმარიტია ღმერთის მადლი, რომელშიც დგახართ.

¹³მოკითხვას გითვლით ეკლესია ბაბილონში, თქვენთან ერთად არჩეული და მარკოზი, ჩემი ძე.

¹⁴მოკითხეთ ერთმანეთი სიყვარულის ამბორით. მშვიდობა თქვენ ყველას, ვინც ქრისტეში ხართ. ამინ.



მეორე პეტრესი

2 პეტრესი 1

¹სიმეონ-პეტრე, იესო ქრისტეს მონა და მოციქული, მათ, ვინც ჩვენთან ერთად მიიღო იგივე ძვირფასი რწმენა ჩვენი ღმერთისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს სიმართლით.

²მადლი და მშვიდობა გაგიმრავლდეთ ღმერთისა და ჩვენი უფლის იესოს შეცნობაში.

³მისმა ღვთიურმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც სიცოცხლისა და ღვთისმოსაობისათვის გვჭირდება, მისი შემეცნების მეშვეობით, ვინც მოგვიწოდა თავის დიდებასა და სათნოებაში,

⁴რითაც მოგვნიჭა უაღრესად ძვირფასი და დიადი აღთქმანი, რათა მათი მეშვეობით გახდეთ ღვთაებრივი ბუნების ზიარნი და ამ ქვეყანაში განერიდოთ გულისთქმით გამოწვეულ ხრწნილებას.

⁵ამისათვის ეცადეთ, ყოველი ღონე იხმაროთ, რათა შესძინოთ თქვენს რწმენას სიქველე, და სიქველეს – ცოდნა,

⁶ცოდნას – თავშეკავება, თავშეკავებას – მოთმინება, მოთმინებას – ღვთისმოსაობა,

⁷ღვთისმოსაობას – ძმათმოყვარეობა, ძმათმოყვარეობას – სიყვარული.

⁸რადგან, თუ ყოველივე ეს თქვენშია და მრავლდება, არ დარჩებით უმოქმედოდ და უნაყოფოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ცოდნაში.

⁹ხოლო ვისაც არა აქვს ეს, ის ბრმაა და ბეცი, და დავიწყებული აქვს, რომ განწმედილია ძველი ცოდვებისაგან.

¹⁰ამიტომ, ძმებო, უფრო და უფრო ეცადეთ განამტკიცოთ თქვენი მოწოდება და რჩეულობა; თუ ასე მოიქცევით, არასოდეს წაიბორძიკებთ,

¹¹რადგან უხვად გაგეხსნებათ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს საუკუნო სამეფოს შესასვლელი.

¹²ამიტომ არ შევწყეტ ამის მუდამ შეხსენებას, თუმცა იცით და განმტკიცებულნი ხართ ჭეშმარიტებაში, რომელიც თქვენთან არის.

¹³სწორად მივიჩნევ, რომ ვიდრე ამ კარავში ვიმყოფები, გამოგაფხიზლოთ შეხსენებით.

¹⁴ვიცი, რომ მალე უნდა დავტოვო ჩემი კარავი, როგორც გამომიცხადა კიდეც ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ.



- ¹⁵ვეცდები, რომ ჩემი წასვლის შემდეგაც ყოველთვის იხსენებდეთ ამას.
- ¹⁶რადგან ბრძნული იგავებით კი არ გაუწყეთ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ძალი და მოსვლა, არამედ როგორც მისი სიდიადის თვითმხილველებმა.
- ¹⁷რადგან მან მამა ღმერთისაგან მიიღო პატივი და დიდება, როცა მისი დიდმშვენიერი დიდებიდან მისწვდა მას ხმა: „ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელიც მე მოვიწონე.“
- ¹⁸და ჩვენ გავიგონეთ ეს ზეციდან მოსული ხმა, როცა მასთან ერთად ვიყავით წმიდა მთაზე.
- ¹⁹და ახლა ჩვენ უმტკიცესად გვაქვს მონიჭებული წინასწარმეტყველური სიტყვა, და კარგად მოიქცევით, თუ მიმართავთ მას, როგორც ბნელ ადგილას მანათობელ ლამპარს, ვიდრე დღე გათენდებოდეს და ცისკრის ვარსკვლავი აღმოברწყინდებოდეს თქვენს გულებში.
- ²⁰პირველ ყოვლისა კი ის უნდა იცოდეთ, რომ წერილის არავითარი წინასწარმეტყველება თავისდათავად არ განიმარტება,
- ²¹რადგან წინასწარმეტყველება არასოდეს არ მოსულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულიწმიდის მიერ აღძრულნი, ღმერთისაგან წარმოთქვამდნენ მას.

2 პეტრესი 2

- ¹იყვნენ ცრუწინასწარმეტყველნიც ხალხში ისევე, როგორც თქვენშიც იქნებიან ცრუმოდვარნი, რომელნიც შემოიღებენ დამღუპველ მწვალებლობებს, თავიანთ გამომსყიდველ ხელმწიფეს უარყოფენ და სწრაფ დაღუპვას მოიწევენ თავზე.
- ²მრავალნი გაჰყვებიან მათ თვითნებობას, და მათ გამო დაიგმოზა ჭეშმარიტების გზა.
- ³სიხარბით ცრუ სიტყვებით მოგიხელთებენ. დიდი ხანია განსაზღვრულია მათზე სამსჯავრო და მათი დაღუპვა არ თვლემს.
- ⁴რადგან, თუკი ღმერთმა შემცოდე ანგელოზები არ დაინდო, არამედ წყვდიადის ბორკილებში ტარტაროზს გადასცა სამსჯავრომდე შესანახავად,
- ⁵და თუ არც ძველ ქვეყნიერებას მოერიდა, – თუმცა დაიცვა ნოე, სიმართლის ქადაგი, სხვა შვიდ სულთან ერთად, – როცა წარღვნამ მოაღწია უღვთოთა ქვეყანაზე



⁶და ქალაქებს: სოდომსა და გომორას განადგურება მიუსაჯა, ფერფლად აქცია ისინი და ამით გამაფრთხილებელი მაგალითი მისცა მომავალ უღვთოებს,

⁷და იხსნა მართალი ლოტი, ურჯულოთა თავაშვებული ქცევით შეწუხებული,

⁸რადგან ეს მართალი კაცი, რაკი მათ შორის ცხოვრობდა, დღითი დღე იტანჯებოდა თავისი მართალი სულით, მათ უკანონო საქმეებს რომ ხედავდა და ისმენდა, –

⁹მაშ იცის უფალმა, როგორ იხსნას განსაცდელისაგან ღვთისმოსავნი, ხოლო განკითხვის დღისათვის დასასჯელად შეინახოს უმართლონი,

¹⁰განსაკუთრებით კი ხორციელ გულისთქმებს ბილწად აყოლილნი, მაღალთა მოძულენი, თავხედნი, ჯიუტნი და უფალთა უშიშრად მგმობნი,

¹¹მაშინ როცა ანგელოზებსაც კი, რომელნიც უფრო ძლიერნი და ძალმოსილნი არიან, არ მიაქვთ უფლის წინაშე შეურაცხყოფელი განაჩენი მათ მიმართ.

¹²ისინი კი, როგორც უგუნური ცხოველები, ბუნებით დასაჭერად და მოსასპობად გაჩენილნი, მგმობელნი იმისა, რაც არ გაეგებათ, თავიანთ გახრწნილებაში დაიღუპებიან

¹³და მიიღებენ უსამართლობის საზღაურს. მათ ყოველდღიური ნებივრობა ნეტარებად მიაჩნიათ. ბინძურნი და მანკიერნი საკუთარი საცთურით ნებივრობენ, როცა ნადიმობენ თქვენთან ერთად.

¹⁴თვალეზი სავსე აქვთ მრუშობით და განუწყვეტელი ცოდვით. ისინი აცდუნებენ უსუსურ სულებს, გულები გაწვრთნილი აქვთ ანგარებაში. წყევლა-კრულვის შვილნი არიან.

¹⁵მიატოვეს სწორი გზა, დაიბნენ და დაადგნენ ბოსორელის ძის, ბალაამის გზას, რომელმაც უსამართლობის საზღაური შეიყვარა

¹⁶და მხილებულ იქნა თავის უკეთურებაში: უტყვი სახედარი ადამიანის ხმით ალაპარაკდა და ალაგმა წინასწარმეტყველის სიშმაგე.

¹⁷ესენი არიან დამშრალი წყაროები და ქარიშხლისგან დევნილი ღრუბლები. მათთვის უკუნი წყვდიადია გამზადებული.

¹⁸რადგან მაღალფარდოვანი ამაო სიტყვებით ხორციელ გულისთქმებში და გარყვნილებაში ითრევენ მათ, ვინც ეს-ესაა გამოიღო ცდომილებაში მყოფთ.

¹⁹თავისუფლებას აღუთქვამენ მათ, თვითონ კი გახრწნილების მონები არიან, რადგან ვინც ვისგანაა ძლეული, მისივე მონაა.



²⁰რადგან, თუ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს ცოდნით ქვეყნიერ სიბილწეებს თავდაღწეულნი კვლავ გაეხვევიან მათში და დაიძლევინ, უკანასკნელი პირველზე უარესი იქნება.

²¹უმჯობესი იქნებოდა არ შეეცნოთ სიმართლის გზა, ვიდრე შეეცნოთ და უკუქცეულიყვნენ მათთვის გადაცემული წმიდა მცნებისაგან.

²²მათ შეემთხვათ, რაც ჭეშმარიტ იგავშია ნათქვამი: „ძალდი თავის ნარწყევს უბრუნდება, და გაბანილი ღორი – საგორაო წუმპეს.“

2 პეტრესი 3

¹ეს უკვე მეორე წერილია, რომელსაც გწერთ, საყვარელნო, და ორივეში შეხსენებით ვაღვიძებ თქვენს წრფელ აზრს,

²რათა გახსოვდეთ წმიდა წინასწარმეტყველთა მიერ ადრევე თქმული სიტყვები და თქვენს მოციქულთაგან გადმოცემული უფლისა და მაცხოვრის მცნებანი.

³უპირველესად იცოდეთ, რომ უკანასკნელ დღეებში მოვლენ მქირდავნი ქირდვით, საკუთარი გულისთქმებით მავალნი,

⁴და იტყვიან: „სად არის მისი მოსვლის აღთქმა? რადგან მას შემდეგ, რაც მამებმა განისვენეს, ყოველივე უცვლელად რჩება ქმნილების დასაბამიდან.“

⁵ისინი განზრახ ივიწყებენ, რომ ძველთაგანვე ღმერთის სიტყვით არის შექმნილი ცა და მიწა, წყლისაგან და წყლის მიერ;

⁶და რომ მაშინდელი ქვეყნიერება წყლით წარიხოცა და მოისპო.

⁷ხოლო ახლანდელი ცა და მიწა, რომელიც იმავე სიტყვით ინახება, გამზადებულია ცეცხლისთვის უღვთო კაცთა განკითხვისა და მოსპობის დღისათვის.

⁸ხოლო ეს ერთი რამ არ უნდა იყოს დაფარული თქვენგან, საყვარელნო, რომ ერთი დღე უფლისათვის არის, როგორც ათასი წელი, ხოლო ათასი წელი, როგორც ერთი დღე.

⁹არ აყოვნებს უფალი აღთქმულს, ზოგიერთებს რომ დაყოვნებად მიაჩნიათ, არამედ სულგრძელია თქვენდამი და არ სურს, რომ ვინმე დაიღუპოს, არამედ სურს, რომ ყველა მივიდეს მონანიებად.

¹⁰ხოლო უფლის დღე მოვა ქურდვით და მაშინ ზეცანი გრგვინვით გარდავლენ, ელემენტები მხურვალეებით დაიშლებიან, მიწა და მისი საქმენი, რაც მასზეა, გადაიბუგება.



¹¹თუკი ყველაფერი ასე დაიშლება, როგორი წმიდა ქცევა და ღვთისმოსაობა უნდა შეინარჩუნოთ,

¹²რადგან ელით და ესწრაფვით ღმერთის დღის მოსვლას, როცა ცეცხლმოდებული ცანი დაირღვევიან, ხოლო დამწვარი ელემენტები დადნებიან.

¹³ჩვენ კი მისი აღთქმისამებრ მოველით ახალ ცასა და ახალ მიწას, სადაც დამკვიდრებულია სიმართლე.

¹⁴ამიტომ, საყვარელნო, რაკი ამას ელოდებით, იბეჯითეთ, რომ შეუბღალავნი და უბიწონი აღმოჩნდეთ მის წინაშე მშვიდობით,

¹⁵და ჩვენი უფლის სულგრძელება მიიჩნიეთ ხსნად, როგორც ჩვენმა საყვარელმა ძმამ პავლემაც მოგწერათ მისთვის მინიჭებული სიბრძნით,

¹⁶როგორც ლაპარაკობს იგი ამის შესახებ ყველა წერილში, რომლებშიც ზოგი რამ ისე ძნელად გასაგებია, რომ უმეცარნი და უმტკიცონი ამახინჯებენ სხვა წერილების მსგავსად, საკუთარი თავის დასაღუპად.

¹⁷ამგვარად, თქვენ, საყვარელნო, რაკი წინასწარ იცით, გაფრთხილდით, რომ არ აჰყვეთ ურჯულოთა ცდომილებებს და არ დაკარგოთ თქვენი სიმტკიცე,

¹⁸არამედ იზარდეთ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს მადლსა და ცოდნაში. მისია დიდება აწ და საუკუნო დღის მიმართ. ამინ.



პირველი იოანესი

1 იოანესი 1

¹რაც იყო დასაბამიდან, რაც გვსმენია, რაც ჩვენი თვალთ გვინახავს, რასაც დავკვირვებივართ და რასაც ჩვენი ხელებით შევხებივართ, სიცოცხლის სიტყვის შესახებ –

²და სიცოცხლე გამოჩნდა, და ჩვენ ვიხილეთ და ვმოწმობთ და გაუწყებთ თქვენ საუკუნო სიცოცხლეს, რომელიც იყო მამასთან და ჩვენ გამოგვეცხადა, –

³რაც გვინახავს და გვსმენია, გაუწყებთ თქვენ, რათა თქვენც გქონდეთ თანაზიარება ჩვენთან, ხოლო ჩვენი თანაზიარება არის მამასთან და მის ძესთან, იესო ქრისტესთან.

⁴ამას გწერთ, რომ სრულყოფილი იყოს თქვენი სიხარული.

⁵და ეს არის უწყება, რომელიც მოვისმინეთ მისგან და გადმოგცემთ თქვენ, რომ ღმერთი არის ნათელი და არავითარი სიბნელე არ არის მასში.

⁶თუ ვამბობთ, რომ თანაზიარება გვაქვს მასთან და ბნელში კი დავდივართ, ვცრუობთ და არ ვიქმთ ჭეშმარიტებას.

⁷ხოლო თუკი ნათელში დავდივართ, როგორც ის არის ნათელში, მაშინ თანაზიარება გვაქვს ერთმანეთთან და მისი ძის, იესოს სისხლი გვწმედს ყოველი ცოდვისაგან.

⁸თუ ვამბობთ, რომ არა გვაქვს ცოდვა, თავს ვიტყუებთ და ჭეშმარიტება არ არის ჩვენში.

⁹თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, იგი, სარწმუნო და მართალი, მოგვიტევებს ცოდვებს და განგვწმედს ყოველგვარი უკეთურებისაგან.

¹⁰თუ ვამბობთ, რომ არ შეგვიცოდავს, ცრუდ ვსახავთ მას და მისი სიტყვა არ არის ჩვენში.

1 იოანესი 2

¹ჩემო შვილებო, ამას გწერთ იმისთვის, რომ არ შესცოდოთ. ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, გვყავს მამის წინაშე მეოხი, მართალი იესო ქრისტე.

²ის არის ჩვენი ცოდვების გამომსყიდველი მსხვერპლი, და არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი ქვეყნიერების ცოდვებისა.

³იმით გავიგებთ, რომ შევიცანით ის, თუ დავიცავთ მის მცნებებს.



- ⁴ვინც ამბობს: შევიცანო იგი, მაგრამ მის მცნებებს არ იცავს, ცრუა და არ არის მასში ჭეშმარიტება.
- ⁵ხოლო ვინც იცავს მის სიტყვას, მასში ჭეშმარიტად აღსრულებულია ღმერთის სიყვარული. ამით ვუწყით, რომ მასში ვართ.
- ⁶ვინც ამბობს, რომ მასში რჩება, ისევე უნდა იაროს, როგორც ის დადიოდა.
- ⁷საყვარელნო! გწერთ არა ახალ მცნებას, არამედ ძველ მცნებას, რომელიც დასაბამიდან გქონდათ. ძველი მცნება არის სიტყვა, რომელიც ისმინეთ.
- ⁸და მაინც, გწერთ ახალ მცნებას, რომელიც ჭეშმარიტია მასშიც და თქვენშიც. რადგან ბნელი მიდის და ჭეშმარიტი ნათელი უკვე ანათებს.
- ⁹ვინც ამბობს, რომ ნათელშია, თავისი ძმა კი სძულს, იგი აქამდე ბნელში იმყოფება.
- ¹⁰ვისაც თავისი ძმა უყვარს, იგი ნათელში რჩება და საცდური არ არის მასში.
- ¹¹ის კი, ვისაც თავისი ძმა სძულს, ბნელში იმყოფება და ბნელში დადის, და არ იცის, საით მიდის, რადგან სიბნელემ დაუბრმავა თვალები.
- ¹²გწერთ თქვენ, შვილებო, რადგან მოგეტევათ თქვენი ცოდვები მისი სახელით.
- ¹³გწერთ თქვენ, მამებო, რადგან იცნობთ მას, რომელიც დასაბამიდანაა. გწერთ თქვენ, ჭაბუკნო, რადგან სძლიეთ ბოროტს.
- ¹⁴მოგწერთ თქვენ, შვილებო, რადგან იცნობთ მამას. მოგწერთ თქვენ, მამებო, რადგან თქვენ იცნობთ მას, ვინც დასაბამიდანაა. მოგწერთ თქვენ, ჭაბუკნო, რადგან ძლიერნი ხართ და ღმერთის სიტყვა იმყოფება თქვენში და თქვენ სძლიეთ ბოროტს.
- ¹⁵ნუ შეიყვარებთ ქვეყნიერებას, ნურც იმას, რაც ქვეყნიერებაზე არის. ვისაც ქვეყნიერება უყვარს, მასში არ არის მამის სიყვარული.
- ¹⁶რადგან ყოველივე, რაც არის ქვეყნიერებაზე: ხორცის გულისთქმა, თვალის გულისთქმა და ქონებით სიამაყე, მამისაგან კი არ არის, არამედ ქვეყნიერებისგან.
- ¹⁷და გადადის ქვეყნიერება და მისი გულისთქმაც, ღმერთის ნების აღმსრულებელი კი რჩება საუკუნოდ.
- ¹⁸შვილებო, უკანასკნელი ჟამია და, როგორც გსმენიათ, რომ მოდის ანტიქრისტე და ახლაც მრავლად არიან ანტიქრისტეები, ამით ვიცით, რომ უკანასკნელი ჟამია.



¹⁹ისინი ჩვენგან გავიდნენ, თუმცა ჩვენიანები არ ყოფილან, რადგან ჩვენიანები რომ ყოფილიყვნენ, ჩვენთან დარჩებოდნენ. მაგრამ ამით გახდა ცხადი, რომ ყველანი არ არიან ჩვენიანები.

²⁰თქვენ კი ცხებულება გაქვთ წმიდის მიერ და იცით ყველაფერი.

²¹იმიტომ კი არ გწერეთ, რომ ჭეშმარიტება არ იცით, არამედ იმიტომ, რომ იცით იგი და რომ ჭეშმარიტებისაგან არავითარი სიცრუე არ წარმოიქმნება.

²²ვინ არის ცრუ, თუ არა იგი, ვინც უარყოფს, რომ იესო არის ქრისტე? ის ანტიქრისტეა, მამისა და ძის უარყოფელი.

²³ვინც ძეს უარყოფს, მას არც მამა ჰყავს. ხოლო ვინც აღიარებს ძეს, მას ჰყავს მამაც.

²⁴ამრიგად, დარჩეს თქვენში, რაც მოისმინეთ დასაბამიდან. და თუ დარჩება თქვენში, რაც დასაბამიდან მოისმინეთ, თქვენც დარჩებით ძეში და მამაში.

²⁵ეს არის აღთქმა, რომელიც მან აღგვითქვა: საუკუნო სიცოცხლე.

²⁶ეს მოგწერეთ თქვენს მაცდუნებელთა შესახებ.

²⁷ხოლო ცხებულება, რომელიც მიიღეთ მისგან, თქვენში რჩება და არავისგან სწავლა არ გჭირდებათ, არამედ მისი ცხებულება გასწავლით ყველაფერს. ის ჭეშმარიტია და მასში არ არის სიცრუე. და როგორც ის გასწავლით, დარჩით მასში.

²⁸ახლა კი, შვილებო, დარჩით მასში, რათა, როცა იგი გამოცხადდება, გვქონდეს გაბედულება და არ შევრცხვეთ მის წინაშე მისი მოსვლისას.

²⁹თუ იცით, რომ იგი მართალია, ისიც იცოდეთ, რომ ყოველი სიმართლის მოქმედი მისგან არის შობილი.

1 იოანესი 3

¹ნახეთ, როგორი სიყვარული მოგვცა მამამ, რათა გვეწოდოს და ვიყოთ ღმერთის შვილები, და ვართ კიდევ. ქვეყნიერება იმიტომ არ გვიცნობს ჩვენ, რომ არ შეიცნო იგი.

²საყვარელნო, ახლა ღმერთის შვილები ვართ, ოღონდ ჯერ არ გამოჩენილა, რანი ვიქნებით. ვიცით, რომ როცა ის გამოჩნდება, მისი მსგავსნი ვიქნებით, რადგან ვიხილავთ მას, როგორიც ის არის.

³ყველამ, ვისაც მასზე აქვს სასოება, განიწმიდოს თავი, როგორც ის არის წმიდა.

⁴ყოველი ცოდვის ჩამდენი უკანონობას ჩადის; ცოდვა უკანონობაა.



⁵თქვენ იცით, რომ იგი გამოჩნდა, რათა ეტვირთა ჩვენი ცოდვები, და რომ მასში არ არის ცოდვა.

⁶ყოველი, ვინც რჩება მასში, არ სცოდავს. არც ერთ შემცოდეს არ უხილავს იგი და არც იცის იგი.

⁷შვილებო, ნურავინ გაცდუნებთ. სიმართლის მოქმედი მართალია ისევე, როგორც ის არის მართალი.

⁸ცოდვის ჩამდენი ეშმაკისაგან არის, რადგან დასაბამიდან ეშმაკი სცოდავს. იმისათვის გამოჩნდა ძე ღვთისა, რათა დაერღვია ეშმაკის საქმენი.

⁹ყოველი, ვინც ღმერთისაგან არის შობილი, არ ჩადის ცოდვას, რადგან მისი თესლი რჩება მასში და არ ძალუძს მას შეცოდება, რადგან ღმერთისგან არის შობილი.

¹⁰ასე გამოჩნდებიან ღმერთის შვილები და ეშმაკის შვილები: ის, ვინც არ იქმს სიმართლეს, არ არის ღმერთისაგან, და არც ის, ვისაც თავისი ძმა არ უყვარს.

¹¹რადგან ეს არის უწყება, რომელიც დასაბამიდან მოისმინეთ, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი.

¹²ისე კი არა, როგორც კაენს, რომელიც ბოროტისაგან იყო და მოკლა თავისი ძმა. მერედა რისთვის მოკლა იგი? იმისათვის, რომ მისი საქმენი ბოროტი იყო, ხოლო მისი ძმისა – მართალი.

¹³ნუ გაგიკვირდებათ, ძმებო, თუ ქვეყნიერება შეგიძულებთ.

¹⁴ჩვენ ვიცით, რომ სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავედით, რადგან გვიყვარს ძმები. ვისაც არ უყვარს, სიკვდილში რჩება.

¹⁵ყოველი, ვისაც სძულს თავისი ძმა, კაცისმკვლეელია. ხოლო თქვენ იცით, რომ არც ერთ კაცისმკვლელს არა აქვს საუკუნო სიცოცხლე, დავანებული მასში.

¹⁶ამით შევიცანით სიყვარული, რომ მან საკუთარი სამშვინველი დადო ჩვენთვის და ჩვენც უნდა დავდოთ სამშვინველები ძმათათვის.

¹⁷ვისაც ამქვეყნიური ქონება აქვს, ძმას კი გაჭირვებაში ხედავს და გულს დახშავს მისთვის, როგორ დარჩება მასში ღმერთის სიყვარული?

¹⁸შვილებო, ნუ გვიყვარს სიტყვებით, ნურც ენით, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებით.

¹⁹ამით გავიგებთ, რომ ჭეშმარიტებისაგან ვართ და მის წინაშე დავირწმუნებთ გულს.



²⁰რადგან, თუ ჩვენი გული გვამხილებს, ღმერთი ხომ ჩვენს გულზე დიდია და ყოველივე უწყის.

²¹საყვარელნო, თუ ჩვენი გული არ გვამხილებს, კადნიერება გვექნება უფლის მიმართ;

²²და რასაც კი ვითხოვთ, ვიღებთ მისგან, რადგან ვიცავთ მის მცნებებს და ვიქმთ მის წინაშე მოსაწონს.

²³ხოლო მისი მცნება ის არის, რომ გვწამდეს მისი ძის, იესო ქრისტეს სახელი და გვიყვარდეს ერთმანეთი, როგორც დაგვიდო მცნებად.

²⁴მისი მცნებების შემნახველი მასში რჩება, თავად ის კი – მასში. ამით ვიცით, რომ ის რჩება ჩვენში, სულისაგან, რომელიც მან მოგვცა.

1 იოანესი 4

¹საყვარელნო, ნუ ერწმუნებით ყოველ სულს, არამედ გამოსცადეთ სულები, ღმერთისაგან არიან თუ არა, რადგან ბევრი ცრუწინასწარმეტყველი მოვიდა ქვეყანაზე.

²ამით შეიცნობთ ღმერთის სულს: ყოველი სული, რომელიც აღიარებს ხორციელად მოსულ იესო ქრისტეს, ღმერთისაგან არის.

³ხოლო ყოველი სული, რომელიც არ აღიარებს იესოს, ღმერთისაგან არ არის, არამედ ეს არის სული ანტიქრისტესი, რომლის შესახებაც გსმენიათ, რომ მოვა, და იგი ახლა უკვე ქვეყნიერებაზეა.

⁴თქვენ ღმერთისაგან ხართ, შვილებო, და სძლიეთ მათ, რადგან ის, ვინც თქვენშია, იმაზე მეტია, ვინც ქვეყნიერებაზე არის.

⁵ისინი ქვეყნისანი არიან, ამიტომაც ქვეყნიურს ამბობენ და ქვეყნიერებაც ყურს უგდებს მათ.

⁶ჩვენ ღმერთისაგან ვართ. ვინც იცნობს ღმერთს, ის გვისმენს ჩვენ, ხოლო ვინც ღმერთისაგან არ არის, არ გვისმენს ჩვენ. ამით შევიცნობთ ჭეშმარიტების სულს და ცდომილების სულს.

⁷საყვარელნო, გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან ღმერთისაგან არის სიყვარული. ხოლო ყოველი, ვისაც უყვარს, ღმერთისაგან არის შობილი და იცნობს ღმერთს.

⁸ვისაც არ უყვარს, ის არ იცნობს ღმერთს, რადგან ღმერთი სიყვარულია.



⁹ღმერთის სიყვარული იმით გამოგვეცხადა, რომ ღმერთმა მოავლინა ქვეყნიერებაზე თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ვიცოცხლოთ მისი მეშვეობით.

¹⁰ამაში გამოჩნდა სიყვარული, რომ ჩვენ კი არ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ მან შეგვიყვარა ჩვენ და მოავლინა თავისი ძე ჩვენი ცოდვების გამოსასყიდ მსხვერპლად.

¹¹საყვარელნო, თუკი ასე შეგვიყვარა ღმერთმა, ჩვენც გვმართებს ერთმანეთის სიყვარული.

¹²ღმერთი არასოდეს არავის უხილავს. თუ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, ღმერთი რჩება ჩვენში და მისი სიყვარული სრულქმნილია ჩვენში.

¹³იმით ვიგებთ, რომ ჩვენ მასში ვრჩებით და ის ჩვენში, რომ მან თავისი სულისაგან მოგვცა.

¹⁴და ჩვენ ვიხილეთ და ვმოწმოთ, რომ მამამ მოავლინა ძე ქვეყნიერების მაცხოვრად.

¹⁵ვინც აღიარებს, რომ იესო არის ძე ღვთისა, ღმერთი მასში რჩება, ის კი – ღმერთში.

¹⁶და ჩვენ ვცანით და ვიწამეთ სიყვარული, რომელიც ჩვენდამი აქვს ღმერთს. ღმერთი სიყვარულია და სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება, ხოლო ღმერთი – მასში.

¹⁷სიყვარული სრულყოფილი გახდა ჩვენს შორის, რათა გვექონდეს სითამამე განკითხვის დღეს, რადგან როგორიც ის არის, ჩვენც ისეთები ვართ ამ ქვეყანაზე.

¹⁸შიში არ არის სიყვარულში, არამედ სრულყოფილი სიყვარული განდევნის შიშს. რადგან შიშს სასჯელთან აქვს საქმე, ხოლო შეშინებული არ არის სიყვარულში სრულყოფილი.

¹⁹ჩვენ გვიყვარს იმიტომ, რომ პირველად მან შეგვიყვარა.

²⁰თუ ვინმე ამბობს, ღმერთი მიყვარს, თავისი ძმა კი სძულს, იგი ცრუა, რადგან ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, მას ვერ ეყვარება ღმერთი, რომელსაც ვერ ხედავს.

²¹და ასეთი მცნება გვაქვს მისგან, რომ ღმერთის მოყვარულს თავისი ძმაც უნდა უყვარდეს.

1 იოანესი 5



- ¹ყველა, ვისაც სწამს, რომ იესო არის ქრისტე, ღმერთისგან არის შობილი; და ყველას, ვისაც მშობელი უყვარს, მისგან შობილიც უყვარს.
- ²ღმერთის შვილები რომ გვიყვარს, იმით ვიგებთ, რომ გვიყვარს ღმერთი და ვიცავთ მის მცნებებს.
- ³რადგან ღმერთის სიყვარული ის არის, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს. ხოლო მისი მცნებები არ არის მძიმე.
- ⁴რადგან ყოველი ღმერთისგან შობილი სძლევს ქვეყნიერებას. და ეს არის ძლევა, რომელიც სძლევს ქვეყნიერებას, ჩვენი რწმენა.
- ⁵ვინ არის ქვეყნიერების მძლეველი, თუ არა ის, ვისაც სწამს, რომ იესო არის ძე ღვთისა?
- ⁶ეს არის, რომელიც მოვიდა წყლითა და სისხლით, იესო ქრისტე, მარტო წყლით კი არა, არამედ წყლითა და სისხლით. სული მოწმობს ამას, რადგან სული ჭეშმარიტებაა.
- ⁷რადგან სამნი არიან, რომლებიც მოწმობენ:
- ⁸სული, წყალი და სისხლი. და ეს სამი ერთია.
- ⁹თუ კაცთა მოწმობას ვიწყნარებთ, ღმერთის მოწმობა უფრო დიდია; რადგან ეს არის ღმერთის მოწმობა, ვინაიდან დაამოწმა თავის ძეზე.
- ¹⁰ღმერთის ძის მორწმუნეს თავის თავშივე აქვს მოწმობა. ვისაც ღმერთი არ სწამს, ცრუდ გამოჰყავს ის, რადგან არ იწამა მოწმობა, რომლითაც ღმერთმა დაამოწმა თავის ძეზე.
- ¹¹ეს არის მოწმობა, რომ ღმერთმა მოგვანიჭა საუკუნო სიცოცხლე და ეს სიცოცხლე მის ძეშია.
- ¹²ვისაც ძე ჰყავს, სიცოცხლე აქვს; ვისაც ძე ღვთისა არა ჰყავს, სიცოცხლეს არა აქვს.
- ¹³ამას გწერთ თქვენ, ღმერთის ძის სახელის მორწმუნეებს, რათა იცოდეთ, რომ ღმერთის ძის სახელის რწმენით გაქვთ თქვენ საუკუნო სიცოცხლე.
- ¹⁴და ეს არის გამბედაობა, რომელიც გვაქვს მის მიმართ, რომ, როცა რაიმეს ვითხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს.
- ¹⁵ხოლო თუ ვიცით, რომ ის გვისმენს, რასაც ვთხოვთ, ისიც ვიცით, რომ მიღებული გვაქვს, რაც მისგან ვითხოვთ.
- ¹⁶თუ ვინმე ხედავს თავის ძმას, შემცოდეს არამომაკვდინებელი ცოდვით, ილოცოს და იგი მისცემს სიცოცხლეს არამომაკვდინებლად შემცოდეს. არის მომაკვდინებელი ცოდვა, მასზე არ ვამბობ, რომ ილოცოს.



¹⁷ყოველგვარი უსამართლობა ცოდვას, მაგრამ არის არამომაკვდინებელი ცოდვა.

¹⁸ვიცით, რომ ღმერთისაგან შობილნი არ სცოდავენ; არამედ ის, ვინც ღმერთისაგან იშვა, იცავს მათ და ბოროტება არ ეკარება მათ.

¹⁹ვიცით, რომ ღმერთისაგან ვართ, და რომ მთელი ქვეყნიერება ბოროტში ძევს.

²⁰ისიც ვიცით, რომ მოვიდა ძე ღვთისა და მოგვცა გონება, რათა შევიცნოთ ჭეშმარიტი და ვიყოთ ჭეშმარიტში, მის ძე იესო ქრისტეში. ეს არის ჭეშმარიტი ღმერთი და საუკუნო სიცოცხლე.

²¹შვილებო! დაიცავით თქვენი თავი კერპთაგან. ამინ.



მეორე იოანესი

2 იოანესი 1

- ¹უხუცესი – რჩეულ ქალბატონს და მის შვილებს, რომელნიც მიყვარს ჭეშმარიტებაში, და არა მარტო მე, არამედ ყველას, ვინც კი შეიცნო ჭეშმარიტება,
- ²ჭეშმარიტებით, რომელიც მკვიდრობს ჩვენში და უკუნისამდე იქნება ჩვენთან.
- ³იყოს თქვენთან მადლი, წყალობა და მშვიდობა მამა ღმერთისა და მისი ძის, უფალი იესო ქრისტესაგან, ჭეშმარიტებით და სიყვარულით.
- ⁴ძალიან გავიხარე, რომ ვპოვე შენს შვილებს შორის ჭეშმარიტებაში მავალნი, როგორც მამისაგან მივიღეთ მცნება.
- ⁵ახლა კი გთხოვ, ქალბატონო, და გწერ არა როგორც ახალ მცნებას, არამედ იმას, რაც გვაქვს დასაბამიდან: რომ გვიყვარდეს ერთმანეთი.
- ⁶სიყვარული კი ის არის, რომ დავდიოდეთ მის მცნებათა მიხედვით. ეს ის მცნებაა, რომელიც ისმინეთ დასაბამიდან: რომ სიყვარულში იაროთ.
- ⁷რადგან ქვეყნიერებაზე მრავალი მაცდური შემოვიდა, რომელნიც არ აღიარებენ ხორციელად მოსულ იესო ქრისტეს. ეს არის მაცდური და ანტიქრისტი.
- ⁸თავს გაუფრთხილდით, რომ არ დაკარგოთ ის, რისთვისაც ვიდწვოდით, არამედ მიიღოთ სრული საზღაური.
- ⁹ყველას, ვინც განზე გადის და არ რჩება ქრისტეს მოძღვრებაში, არა ჰყავს ღმერთი. ხოლო ქრისტეს მოძღვრებაში მყოფს ჰყავს მამაც და ძეც.
- ¹⁰თუ ვინმე მოდის თქვენთან და არ მოაქვს ეს მოძღვრება, ნუ მიიღებთ სახლში და ნურც მიესალმებით მას.
- ¹¹რადგან ვინც მას ესალმება, მის ბოროტ საქმეთა მოზიარე ხდება.
- ¹²ბევრი მაქვს თქვენთან მოსაწერი, მაგრამ არ მსურს ქაღალდითა და მელნით, არამედ ვიმედოვნებ თქვენთან მოსვლას და პირისპირ ლაპარაკს, რათა სრული იყოს ჩვენი სიხარული.
- ¹³მოგიკითხავენ შენი რჩეული დისწულები. ამინ.



მესამე იოანესი

3 იოანესი 1

- ¹უხუცესი – საყვარელ გაიოსს, რომელიც მიყვარს ჭეშმარიტებაში.
- ²საყვარელო, ვლოცულობ, რომ ყველაფერში კეთილი გზით იარო და ჯანმრთელად იყო, როგორც შენი სული დადის კეთილი გზით.
- ³რადგან ძალიან გავიხარე, როცა მოვიდნენ ძმები და დაამოწმეს შენი ჭეშმარიტება, თუ როგორ დადიხარ ჭეშმარიტებაში.
- ⁴არ არის ჩემთვის იმაზე მეტი სიხარული, ვიდრე იმის მოსმენა, რომ ჩემი შვილები ჭეშმარიტებაში დადიან.
- ⁵საყვარელო, ერთგულად აკეთებ ყოველივეს, რასაც ძმებისათვის და უცხოთათვის იღწვი,
- ⁶და მათაც დაამოწმეს შენი სიყვარული ეკლესიის წინაშე. კარგს იზამ, თუ ღმერთის წინაშე ღირსეულად გამოისტუმრებ.
- ⁷რადგან მისი სახელის გულისათვის წავიდნენ და არაფერი აუღიათ წარმართთაგან.
- ⁸ამიტომ გვმართებს ასეთების მიღება, რათა ჭეშმარიტების თანამშრომელნი გავხდეთ.
- ⁹მე მივწერე ეკლესიას, მაგრამ დიოტრეფე, მათ შორის პირველობის მსურველი, არ გვიღებს ჩვენ.
- ¹⁰ამიტომ, თუ მოვალ, შევახსენებ მის საქმეებს, რასაც ის აკეთებს, ბოროტ ხმებს რომ გვიყრის, და ამიტაც არ კმაყოფილდება; ძმებს არ იღებს და მსურველებსაც უკრძალავს, და დევნის ეკლესიიდან.
- ¹¹საყვარელო, არ მიბამო ბოროტს, არამედ კეთილს მიბამე. კეთილის მოქმედი ღმერთისაგან არის, ბოროტის მოქმედს კი ღმერთი არ უხილავს.
- ¹²დემეტრეზე დაამოწმა ყველამ და თვით ჭეშმარიტებამაც. ჩვენც ვამოწმებთ და თავადაც იცი, რომ ჩვენი მოწმობა ჭეშმარიტია.
- ¹³ბევრი რამ მქონდა შენთვის მოსაწერი, მაგრამ არა მსურს მოგწერო მელწითა და კალმით.
- ¹⁴ვიმედოვნებ, რომ მალე გნახავ და პირისპირ ვისაუბრებთ.
- ¹⁵მშვიდობა შენდა! მოკითხვას გითვლიან მეგობრები. მოიკითხე მეგობრები სახელდებით.



იუდასი

იუდასი 1

¹იუდა, იესო ქრისტეს მონა და იაკობის ძმა – მოწოდებულებს, საყვარელთ მამა ღმერთში და დაცულთ იესო ქრისტეში:

²წყალობა, მშვიდობა და სიყვარული გაგიმრავლდეთ.

³საყვარელნო! ძალიან მონდომებული ვიყავი თქვენთვის მოსაწერად ჩვენს საერთო ხსნაზე. საჭიროდ ვცანი მომეწერა თქვენთვის გასამხნეებლად, რომ იბრძოლოთ რწმენისათვის, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გადაეცა წმიდებს.

⁴რადგან შემოიპარნენ ზოგიერთი ადამიანები, რომელთაც ადრიდანვე ეწერათ ეს სასჯელი, უღვთონი, რომელთაც ჩვენი ღმერთის მაღლი გარყვნილებად აქციეს და უარყოფენ ჩვენს ერთადერთ ხელმწიფესა და უფალს იესო ქრისტეს.

⁵მინდა შეგახსენოთ, თუმცა ყველაფერი იცით, რომ უფალმა ერთხელ იხსნა ხალხი ეგვიპტის ქვეყნიდან, ხოლო შემდეგ კი დალუპა ურწმუნონი.

⁶ხოლო იმ ანგელოზებს, რომელთაც არ დაიცვეს საკუთარი ხელმწიფება, არამედ მიატოვეს თავიანთი სავანე, ამყოფებს საუკუნო ბორკილებში წყვდიადში დიადი განკითხვის დღემდე.

⁷ასევე, სოდომი და გომორა და მათ ირგვლივ ქალაქები, მათ მსგავსად რომ მრუშობდნენ და აედევნენ უცხო ხორცს, საუკუნო ცეცხლით დასჯის მაგალითად არიან დადგენილნი.

⁸მსგავსადვე ეს მეოცნებენიც, რომელნიც ბილწავენ ხორცს, უარყოფენ უფლებათ და გმოვენ დიდებათ.

⁹მიქაელ მთავარანგელოზმაც კი ეშმაკთან დავისას, როცა ეცილებოდა მას მოსეს სხეულისათვის, ვერ იკისრა გმობის მსჯავრის წარმოთქმა, არამედ თქვა: „შეგრისხოს უფალმა!“

¹⁰ესენი კი გმოვენ იმას, რაც არ იციან, ხოლო რაც იციან ბუნებრივად, როგორც უგონო ცხოველებმა, იმით იხრწნებიან.

¹¹ვაი მათ, რადგან კაენის გზით დადიან და აჰყვნენ ბალაამის ცდომილებას, საზღაურისთვის ჩადენილს, და კორახის ამბოხში ილუპებიან.

¹²თქვენი სიყვარულის პურობებზე ისინი წყალქვეშა კლდეები არიან. უშიშრად ნადიმობენ თქვენთან ერთად და მასპინძლობენ თავიანთ თავს;



ქარისგან მიმოვანტული უწყლო ღრუბლები არიან; შემოდგომის უნაყოფო ხეები, ორგზის მკვდარნი და ამოძირკვულნი,

¹³ზღვის მძვინვარე ტალღები, თავისივე სირცხვილით აქაფებულნი; ცთომილი ვარსკვლავნი, რომელთათვისაც უკუნეთი წყვდიადია შენახული საუკუნოდ.

¹⁴იწინასწარმეტყველა მათზე ენოქმაც, ადამიდან მეშვიდე თაობაში, და თქვა: „აჰა, მოდის უფალი თავის 10 ათას წმიდასთან ერთად,

¹⁵რათა განიკითხოს და ამხილოს ყველა ყოველგვარი უღვთო საქმისათვის, რაც მათ უღვთოებით ჩაიდინეს, და ყველა სისასტიკისთვის, მის მიმართ რომ უთქვამთ უღვთო ცოდვილებს.”

¹⁶ისინი მდრტვინავნი არიან, უკმაყოფილონი, თავიანთ გულისთქმებს აყოლილნი, მათი ბაგენი მაღალფარდოვნად მეტყველებენ, პირფერობენ ანგარების გამო.

¹⁷თქვენ კი, საყვარელო, გახსოვდეთ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მოციქულთაგან წინასწარ თქმული,

¹⁸რომ გეუბნებოდნენ თქვენ, რომ უკანასკნელ ჟამს იქნებიან მქირდავნი, თავიანთი უღვთო გულისთქმებით მავალნი.

¹⁹ესენი არიან განყოფილნი, მშვინვიერნი, რომელთაც სული არა აქვთ.

²⁰ხოლო თქვენ, საყვარელო, აღაშენეთ თქვენი თავი უწმიდეს რწმენაზე, ილოცეთ სულიწმიდით,

²¹შეინახეთ თქვენი თავი ღმერთის სიყვარულში და დაელოდეთ წყალობას ჩვენი უფალი იესო ქრისტესაგან საუკუნო სიცოცხლისათვის.

²²ერთნი, დაეჭვებულნი, დაარწმუნეთ,

²³სხვანი იხსენით ცეცხლიდან გამოტაცებით, სხვანი შეიწყალეთ შიშით, შეიზიზღეთ ხორცისაგან შებილწული მათი სამოსიც კი.

²⁴ხოლო მას, ვისაც ძალუმს დაგიცვათ დაცემისაგან და უბიწონი დაგადგინოთ სიხარულში მისი დიდების წინაშე,

²⁵ერთადერთ ღმერთს, ჩვენს მაცხოვარს, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ დიდება, სიდიადე, ძალა და ხელმწიფება ყოველთა საუკუნეთა უწინარეს, აწ და ყოველთა საუკუნეთა მიმართ. ამინ.



იოანეს გამოცხადება

აპოკალიპსისი 1

- ¹გამოცხადება იესო ქრისტესი, რომელიც მისცა მას ღმერთმა, რათა აჩვენოს თავის მსახურთ, რაც უნდა მოხდეს მალე, და აუწყა და გაუგზავნა თავისი ანგელოზის მიერ თავის მსახურს, იოანეს,
- ²რომელმაც დაამოწმა ღმერთის სიტყვა და იესო ქრისტეს მოწმობა და რაც იხილა.
- ³ნეტარია წამკითხველი და მსმენელი ამ წინასწარმეტყველების სიტყვისა და მასში დაწერილის დამცველი, რადგან ახლოა ჟამი.
- ⁴იოანე ასიაში მყოფ შვიდ ეკლესიას: მადლი თქვენ და მშვიდობა მისგან, რომელიც არის, იყო და მოდის, და შვიდი სულისაგან, რომლებიც მისი ტახტის წინაშე არიან,
- ⁵და იესო ქრისტესაგან, რომელიც არის სარწმუნო მოწმე, პირმშო მკვდართაგან და დედამიწის მეფეთა მთავარი, რომელმაც შეგვიყვარა და საკუთარი სისხლით გვიხსნა ჩვენი ცოდვებისაგან
- ⁶და გაგვხადა ჩვენ მეფეებად და მღვდლებად ღმერთისა და თავისი მამისა. დიდება მას და ძალმოსილება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.
- ⁷აჰა, მოდის ის ღრუბლებზე და იხილავს მას ყოველი თვალი, და ისინიც, რომელთაც განგმირეს; და დაიწყებს გოდებას მის წინაშე დედამიწის ყველა ტომი. დიახ, ამინ.
- ⁸მე ვარ ალფა და ომეგა, – ამბობს უფალი ღმერთი, – ის, ვინც არის, ვინც იყო და ვინც მოდის, ყოვლისმპყრობელი.
- ⁹მე, იოანე, თქვენი ძმა და თანამოზიარე გასაჭირში, მეუფებასა და იესო ქრისტეს მოთმინებაში, ვიყავი კუნძულზე, რომელსაც ეწოდება პატმოსი, ღმერთის სიტყვისათვის და იესო ქრისტეს მოწმობისათვის.
- ¹⁰და ვიყავი სულში უფლის დღეს და ჩემს უკან მომესმა დიდი ხმა, საყვირის მსგავსი,
- ¹¹რომელიც ამბობდა: „რასაც ხედავ, დაწერე წიგნში და გაუგზავნე შვიდ ეკლესიას – ეფესოში, სმირნაში, პერგამოსში, თიატირაში, სარდეში, ფილადელფიაში და ლაოდისკეაში.“
- ¹²და მივბრუნდი, რომ დამენახა ხმა, რომელიც მელაპარაკებოდა, და მივბრუნებისას ვიხილე შვიდი ოქროს სასანთლე.



¹³და შვიდი სასანთლეს შუაში ვიხილე მსგავსი კაცის ძისა, რომელსაც ემოსა გრძელი სამოსი და გულმკერდზე ოქროს სარტყელი ერტყა.

¹⁴მისი თავი და თმა თეთრი იყო, როგორც სპეტაკი მატყლი, როგორც თოვლი. და თვალები მისი, როგორც ცეცხლის ალი.

¹⁵და მისი ფეხები, როგორც ქურაში გამოწრთობილი ბრინჯაო. და მისი ხმა, როგორც მრავალ წყალთა ხმა.

¹⁶და ეპყრა მარჯვენა ხელში შვიდი ვარსკვლავი, და მისი პირიდან ორლესული მახვილი გამოდიოდა; სახე მისი იყო როგორც მზე, მთელი ძალით რომ ანათებს.

¹⁷და როცა ვიხილე იგი, მკვდარივით დავეცი მის ფეხთით. ხოლო მან დამადო თავისი მარჯვენა და მითხრა: „ნუ გეშინია, მე ვარ პირველი და უკანასაკნელი

¹⁸და ცოცხალი. მკვდარი ვიყავი და, აჰა, ცოცხალი ვარ უკუნითი უკუნისამდე. და მიპყრია სიკვდილისა და ჯოჯოხეთის კლიტენი.

¹⁹მაშ დაწერე, რაც იხილე, რაც არის და რაც იქნება ამის შემდეგ.

²⁰შვიდი ვარსკვლავის საიდუმლო, რომელიც შენ იხილე ჩემს მარჯვენაში, და შვიდი ოქროს შანდალი არის ეს: შვიდი ვარსკვლავი შვიდი ეკლესიის ანგელოზებია, და შვიდი სასანთლე შვიდი ეკლესიაა.

აპოკალიპსისი 2

¹ეფესოს ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ‘ასე ამბობს, ვისაც უპყრია შვიდი ვარსკვლავი მარჯვენაში და მიმოღის შვიდ ოქროს სასანთლეს შორის:

²ვიცი შენი საქმეები, შენი შრომა და შენი მოთმინება, და ისიც, რომ არ შეგიძლია ბოროტთა ატანა, და გამოსცადე ისინი, რომლებიც თავს მოციქულებს უწოდებენ, არ კი არიან, და ჰპოვე ისინი ცრუებად.

³და ითმენ და იტანჯები ჩემი სახელისათვის და არ მოქანცულხარ.

⁴მაგრამ შენს წინააღმდეგ მაქვს ის, რომ მიატოვე შენი პირველი სიყვარული.

⁵მაშ, გაიხსენე, საიდან დაეცი, და მოინანიე და აკეთე პირვანდელი საქმეები. თუ არა და, მოვალ შენთან და გადავდგამ შენს სასანთლეს თავისი ადგილიდან, თუ არ მოინანიებ.

⁶მაგრამ ეს კი გაქვს, რომ გძულს ნიკოლაელთა საქმეები, რომლებიც მეც მძულს.



⁷ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რასაც სული ეუბნება ეკლესიებს: ვინც გაიმარჯვებს, მას ვაჟმეფე სიცოცხლის ხისაგან, რომელიც ღმერთის სამოთხეშია.’

⁸ხოლო სმირნის ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ‘ასე ამბობს პირველი და უკანასკნელი, რომელიც მკვდარი იყო და გაცოცხლდა:

⁹ვიცი შენი გასაჭირი და სიღატაკე, თუმცა მდიდარი ხარ, და გმოზა მათგან, რომლებიც თავს იუდეველებს უწოდებენ, არ კი არიან, არამედ სატანის საკრებულოა.

¹⁰ნუ გეშინია ტანჯვისა, რომელიც მოგიწევს. აჰა, ეშმაკი ჩააგდებს ზოგ თქვენგანს საპყრობილეში, რათა გამოიცადოთ. და გექნებათ გასაჭირი ათ დღეს. იყავი სიკვდილამდე ერთგული და მოგცემ სიცოცხლის გვირგვინს.

¹¹ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს: გამარჯვებულს არ ექნება ვნება მეორე სიკვდილისგან.’

¹²და პერგამოს ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ‘ასე ამბობს, ვისაც ორლესული მახვილი აქვს:

¹³ვიცი, რომ მკვიდრობ იქ, სადაც სატანის ტახტია, და რომ გიჭირავს ჩემი სახელი და არ უარყავი ჩემი რწმენა ჩემი ერთგული მოწმის, ანტიპას დღეებშიც კი, რომელიც მოკლულ იქნა თქვენს შორის, იქ, სადაც სატანა მკვიდრობს.

¹⁴მაგრამ მცირე რამ მაქვს შენს წინააღმდეგ, რადგან გყავს იქ, ვისაც უჭირავს მოძღვრება ბალაამისა, რომელმაც ასწავლა ბალაკს და აცდუნა ისრაელის შვილები, რათა ეჭამათ ნაკერპავი და ემრუშათ.

¹⁵ასევე გყავს, ვისაც უჭირავს ნიკოლაელთა მოძღვრება, რომელიც მძულს.

¹⁶მაშ, მოინანიე. თუ არა და, მოვალ მალე შენთან და შევებრძოლები მათ ჩემი პირის მახვილით.

¹⁷ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს: გამარჯვებულს მივცემ შენახული მანანისაგან და მივცემ მას თეთრ ქვას და ქვაზე დაწერილ ახალ სახელს, რომელიც არავინ იცის, გარდა მიმღებისა.’

¹⁸და თიატირის ეკლესიის ანგელოზს მისწერე ‘ასე ამბობს ძე ღმერთისა, ვისაც თვალები აქვს, როგორც ცეცხლის ალი და ფეხები მისი მოელვარე ბრინჯაოს მსგავსია:

¹⁹ვიცი შენი საქმენი და სიყვარული, შენი რწმენა და მსახურება, შენი მოთმინება, და რომ შენი უკანასკნელი საქმეები წინანდელზე მეტია.



²⁰მაგრამ შენს წინააღმდეგ მაქვს ის, რომ ნებაზე გყავს მიშვებული ეს დედაკაცი, იეზუბელი, რომელიც თავს წინასწარმეტყველს უწოდებს, ასწავლის და აცდუნებს ჩემს მსახურთ მრუშობისათვის და ნაკერპავის საქმელად.

²¹და მივეცი მას დრო, რომ მოენანიებინა, მაგრამ არ სურს მოინანიოს თავისი მეძაობა.

²²აჰა, მე დავაგდე მას სარეცელზე, ხოლო მათ, ვინც მასთან ერთად მრუშობდა, დიდ გასაჭირში ჩავყრი, თუ არ მოინანიებენ თავიანთ საქმეებს.

²³სიკვდილით დავხოცავ მის შვილებს და გაიგებს ყველა ეკლესია, რომ მე ვიკვლევ ზრახვებსა და გულს, * და მივუზღავ თითოეულ თქვენგანს მისი საქმეებისამებრ.

²⁴თქვენ კი, დანარჩენებს, ვინც თიატირაში იმყოფებით, გეუბნებით: ყველას, ვისაც არა აქვს ეს მოძღვრება და არ უსწავლია ეგრეთწოდებული სატანის სიღრმეები, არ დაგაკისრებთ სხვა ტვირთს.

²⁵მხოლოდ გეჭიროთ ის, რაც გაქვთ, ვიდრე მოვიდოდე.

²⁶ვინც გაიმარჯვებს და ბოლომდე დაიცავს ჩემს საქმეებს, მივცემ ხელმწიფებას ერებზე,

²⁷და დამწყემსავს მათ რკინის კვერთხით, და დაიმსხვრევიან, როგორც თიხის ჭურჭელი –

²⁸როგორც მე მივიღე ჩემი მამისაგან. და მივცემ მას ცისკრის ვარსკვლავს.

²⁹ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს.’

აპოკალიპსისი 3

¹და სარდეს ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ‘ასე ამბობს, ვისაც აქვს ღმერთის შვიდი სული და შვიდი ვარსკვლავი: ვიცი შენი საქმენი, რომ სახელი გაქვს, რომ ცოცხალი ხარ, და მკვდარი კი ხარ.

²ფხიზლად იყავი და განამტკიცე დანარჩენი, სიკვდილის პირას მისული, რადგან ვერ ვპოვე შენი საქმეების სრულყოფილება ჩემი ღმერთის წინაშე.

³გაიხსენე, რაც მიიღე და მოისმინე, დაიცავი და მოინანიე. თუ არ იფხიზლებ, მოვალ, როგორც მპარავი, და ვერ გაიგებ, რა დროს მოვალ შენზე.



⁴თუმცა გყავს ცოტანი სარდემი, რომელთაც არ წაუბილწავთ თავიანთი სამოსელი და ჩემთან ერთად ივლიან სპეტაკი სამოსით, რადგან ღირსნი არიან.

⁵გამარჯვებული შეიმოსავს სპეტაკ სამოსს და მის სახელს არ ამოვშლი სიცოცხლის წიგნიდან, და ვაღიარებ მის სახელს ჩემი მამის წინაშე და მისი ანგელოზების წინაშე.

⁶ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს.’

⁷და ფილადელფიის ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ‘ასე ამბობს წმიდა, ჭეშმარიტი, რომელსაც აქვს დავითის გასაღები, რომელიც გააღებს და ვერავინ დაკეტავს, დაკეტავს და ვეღარავინ გააღებს:

⁸ვიცი შენი საქმენი. აჰა, შენს წინაშე დავდგი ღია კარი, რომლის დაკეტვაც არავის ძალუძს. მცირე ძალა გაქვს, მაგრამ შეინახე ჩემი სიტყვა და არ უარყავი ჩემი სახელი.

⁹აჰა, იხილე, რას ვუბამ სატანის საკრებულოდან მათ, ვინც თავს იუდეველებს უწოდებენ, არ კი არიან, არამედ ცრუობენ. აჰა, ვაიძულებ მათ, რომ მოვიდნენ და თაყვანი გცენ შენ შენს ფეხთა წინაშე, და გაიგებენ, რომ მე შენ შეგიყვარე.

¹⁰რაკი შენ დაიცავი ჩემი მოთმინების სიტყვა, მეც დაგიცავ განსაცდელის ჟამისაგან, რომელიც მოაწევს მთელ ქვეყნიერებაზე, დედამიწის მკვიდრთა გამოსაცდელად.

¹¹აჰა, მოვალ მაღე. გეჭიროს, რაც გაქვს, რათა არავინ წაგართვას შენი გვირგვინი.

¹²გამარჯვებულს გავხდი სვეტად ჩემი ღმერთის ტაძარში და გარეთ აღარ გავა. და დავაწერ მასზე ჩემი ღმერთის სახელს და ჩემი ღმერთის ქალაქის, ახალი იერუსალიმის სახელს, რომელიც ციდან ჩამოდის ჩემი ღმერთისაგან, და ჩემს ახალ სახელს.

¹³ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს.’

¹⁴და ლაოდიკიის ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ‘ასე ამბობს ამინი, მოწმე სარწმუნო და ჭეშმარიტი, დასაბამი ღმერთის ქმნილებისა:

¹⁵ვიცი შენი საქმენი: შენ არც ცივი ხარ, არც ცხელი. ნეტავ ცივი იყო ან ცხელი!

¹⁶მაგრამ რაკი ნელთბილი ხარ და არც ცივი და არც ცხელი, ამიტომ ამოგანთხევ ჩემი პირიდან.



¹⁷რადგან შენ ამბობ: მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და არაფერი მაკლია. ის კი არ იცი, რომ უბადრუკი ხარ და საცოდავი, ლატაკი, ბრმა და შიშველი.

¹⁸გირჩევ, იყიდო ჩემგან ცეცხლში განწმედილი ოქრო, რომ გამდიდრდე, და თეთრი სამოსი, რომ შეიმოსო და აღარ ჩანდეს შენი სიშიშველის სირცხვილი, და მალამო, რათა წაიცხო თვალებზე და ხედავდე.

¹⁹ვინც მიყვარს, მათ ვამხილებ და ვწვრთნი. მაშ, ეშურე და მოინანიე!

²⁰აჰა, ვდგავარ კართან და ვრევ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან. და მექნება სერობა მასთან და მას ჩემთან.

²¹გამარჯვებულს დავსვამ ჩემს გვერდით ჩემს ტახტზე, როგორც მე გავიმარჯვე და დავჯექი ჩემს მამასთან მის ტახტზე.

²²ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს.”“

აპოკალიპსისი 4

¹ამის შემდეგ ვიხილე, და, აჰა, ღია კარი ცაში და პირველი ხმა, რომელიც გავიგონე, მსგავსი საყვირისა, დამელაპარაკა და მითხრა: ამოდი აქ და გაჩვენებ, რაც უნდა მოხდეს ამის შემდგომ.

²და მყისვე აღმოვჩნდი სულში, და, აჰა, ტახტი იდგა ცაში და ტახტზე იჯდა ვინმე.

³და მჯდომარე შესახედაობით ჰგავდა იასპის ქვას და სარდიონს. ხოლო ცისარტყელა ტახტის ირგვლივ შესახედაობით ზურმუხტსა ჰგავდა.

⁴ტახტის ირგვლივ 24 ტახტი იყო, ხოლო ტახტებზე იჯდა 24 უხუცესი, რომელთაც ემოსათ თეთრი სამოსი და თავზე ოქროს გვირგვინები ედგათ.

⁵და ტახტიდან გამოდიან ელვანი, ხმანი და ქუხილნი. ტახტის წინ ცეცხლის შვიდი ლამპარი იწვის, რომლებიც ღმერთის შვიდი სულია.

⁶და ტახტის წინ არის მსგავსი შუშის ზღვისა, მსგავსი ბროლისა. ტახტის შუა და ტახტის ირგვლივ არის ოთხი ცხოველი, სავსე თვალებით წინიდან და უკანიდან.

⁷პირველი ცხოველი ლომის მსგავსი იყო, მეორე ცხოველი კუროს მსგავსი იყო, მესამე ცხოველს კაცივით სახე ჰქონდა, მეოთხე ცხოველი გაფრენილი ორბის მსგავსი იყო.

⁸და ოთხ ცხოველს, თითოეულს ექვსი ფრთა ჰქონდა ირგვლივ, შიგნით კი თვალებით იყო სავსე. არც დღისით, არც ღამით არ ჰქონდათ მოსვენება და



ამბობდნენ: „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა უფალი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი, რომელიც იყო, რომელიც არის და რომელიც მოვა.“

⁹და როცა ცხოველები დიდებას, პატივს და მადლობას უძღვნიდნენ ტახტზე მჯდომს, უკუნითი უკუნისამდე ცოცხალს,

¹⁰²⁴ უხუცესი დაემხო ტახტზე მჯდომის წინ და თაყვანი სცა უკუნითი უკუნისამდე ცოცხალს, და დაყარეს თავიანთი გვირგვინები ტახტის წინ და თქვეს:

¹¹„ღირსი ხარ შენ, უფალო და ღმერთო ჩვენო, რომ მიიღო დიდება, პატივი და ძალა, რადგან შენ შექმენი ყოველივე და შენი ნებით იყვნენ და შეიქმნენ.“

აპოკალიპსისი 5

¹და ვიხილე ტახტზე მჯდომის მარჯვენაში გრაგნილი, ორივე მხრიდან ნაწერი, შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი.

²და ვიხილე ძლიერი ანგელოზი, დიდი ხმით მაუწყებელი: „ვინ არის ღირსი, რომ გაშალოს ეს გრაგნილი და ახსნას ბეჭდები?“

³და არავის შეეძლო არც ცაში, არც მიწაზე, არც მიწის ქვეშ ამ გრაგნილის გაშლა ან მასში ჩახედვა.

⁴და მწარედ ვტიროდი, რომ არ მოიძებნა ამ გრაგნილის გაშლის, და არც მასში ჩახედვის ღირსი.

⁵და ერთი უხუცესთაგანი მეუბნება: „ნუ ტირი, აჰა, გაიმარჯვა ლომმა იუდას ტომიდან, დავითის ფესვმა, რათა გახსნას გრაგნილი და ახსნას შვიდი ბეჭედი.“

⁶და შევხედე და, აჰა, ტახტსა და ოთხ ცხოველს შორის და უხუცესებს შორის დგას კრავი, როგორც დაკლული, რომელსაც შვიდი რქა და შვიდი თვალი აქვს, რაც ღმერთის შვიდი სულია, წარმოგზავნილი მთელს დედამიწაზე.

⁷და მოვიდა და აიღო გრაგნილი ტახტზე მჯდომის მარჯვენიდან.

⁸და როცა აიღო გრაგნილი, ოთხი ცხოველი და 24 უხუცესი დაემხნენ კრავის წინ. თითოეულ მათგანს ხელთ ეპყრა ქნარი და საკმევლით სავსე ოქროს თასები, რომლებიც წმიდათა ლოცვებია.

⁹და გალობენ ახალ საგალობელს და ამბობენ: „ღირსი ხარ შენ, აიღო გრაგნილი და ახსნა ბეჭდები, რადგან შენ დაიკალი და შენი სისხლით გამოგვისყიდე ღმერთისათვის ყოველი ტომისა და ენისაგან, ხალხისა და ერისაგან.“



¹⁰და შეუქმენი ისინი ჩვენს ღმერთს მეფეებად და მღვდლებად, და ისინი იმეფებენ დედამიწაზე.“

¹¹და ვიხილე და მოვისმინე მრავალი ანგელოზის ხმა ტახტის, ცხოველთა და უხუცესთა ირგვლივ, და მათი რიცხვი იყო ათიათასჯერ ათი ათასი და ათასჯერ ათასი,

¹²რომლებიც დიდი ხმით ამბობდნენ: „ღირსია დაკლული კრავი, მიიღოს ძალა და სიმდიდრე, სიბრძნე და სიმტკიცე, დიდება, პატივი და კურთხევა.“

¹³და ყოველი ქმნილება ცაში და მიწაზე, მიწის ქვეშ და ზღვაში, და ყველაფერი, რაც მათშია, მესმოდა, რომ ამბობდა: „ტახტზე მჯდომარესა და კრავს კურთხევა და პატივი და დიდება, და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე.“

¹⁴და თქვა ოთხმა ცხოველმა: „ამინ!“ და დაემხნენ უხუცესნი და თაყვანი სცეს.

აპოკალიპსისი 6

¹და ვიხილე, რომ კრავმა ახსნა ერთი ბეჭედი შვიდთაგან და გავიგონე, ოთხიდან ერთი ცხოველი თითქოს ქუხილის ხმით ამბობდა: „მოდი!“

²და ვიხილე, და, აჰა, თეთრი ცხენი და ზედ მხედარი, რომელსაც ეჭირა მშვილდი და მიეცა გვირგვინი, და გამოვიდა გამარჯვებული და რათა გაემარჯვა.

³და როცა ახსნა მეორე ბეჭედი, გავიგონე ხმა მეორე ცხოველისა, რომელიც ამბობდა: „მოდი!“

⁴და გამოვიდა სხვა ცხენი, ცეცხლივით წითელი და მიეცა მის მხედარს დედამიწიდან მშვიდობის აღების ნება, რათა ერთმანეთი დაეხოცათ და მიცემული ჰქონდა დიდი მახვილი.

⁵და როცა მესამე ბეჭედი ახსნა, გავიგონე ხმა მესამე ცხოველისა, რომელიც ამბობდა: „მოდი!“ და ვიხილე, და, აჰა, შავი ცხენი და მის მხედარს ხელში სასწორი ეჭირა.

⁶და ოთხი ცხოველის შუაგულიდან გავიგონე ხმა, რომელიც ამბობდა: „საწყაო ხორბალი – დინარად და სამი საწყაო ქერი – დინარად, ხოლო ზეთსა და ღვინოს ნუ ავნებ!“

⁷და როცა მეოთხე ბეჭედი ახსნა, გავიგონე მეოთხე ცხოველის ხმა, რომელიც ამბობდა: „მოდი!“



⁸და ვიხილე, და, აჰა, მკრთალი მწვანე ცხენი და მისი მხედარი, რომლის სახელი სიკვდილია. და ჯოჯოხეთი მოჰყვებოდა მას და მიეცათ ხელმწიფება დედამიწის მეოთხედ ნაწილზე, რომ დაეხოცათ მახვილით და შიმშილით, ჭირით და მიწის მხეცებით.

⁹და როცა მეხუთე ბეჭედი ახსნა, სამსხვერპლოს ქვეშ დავინახე ღმერთის სიტყვისათვის და მათთვის მიცემული მოწმობისათვის დახოცილთა სულები.

¹⁰და დიდი ხმით ღაღადებდნენ და ამბობდნენ: „როდემდის, მეუფეო წმიდაო და ჭეშმარიტო, არ განსჯი და არ იძიებ შურს დედამიწის მკვიდრებზე ჩვენი სისხლისათვის?“

¹¹და მიეცა თითოეულ მათგანს სპეტაკი სამოსი და ეთქვა, რომ დამშვიდებულიყვნენ კიდევ ცოტა ხანს, ვიდრე მათი თანამსახურნი და მათი ძმები, რომელნიც მათსავით მოკლულნი იქნებიან, არ შეასრულებენ რიცხვს.

¹²და ვიხილე, როცა მეექვსე ბეჭედი ახსნა, აჰა, მოხდა დიდი მიწისძვრა, მზე გაშავდა, როგორც ჯაგრის ძაძა, და მთვარე მთლიანად სისხლივით გახდა.

¹³და ცის ვარსკვლავები მიწაზე ჩამოცვივდნენ, როგორც ძლიერი ქარით შერხეულ ლელვის ხეს სცვივა ნაყოფი.

¹⁴და ცა გრაგნილივით დაიგრაგნა. ყოველი მთა და კუნძული თავისი ადგილიდან დაიძრა.

¹⁵და დედამიწის მეფენი და მთავარნი და ათასისთავნი და მდიდარნი და ძლიერნი და ყოველი მონა და თავისუფალი შეეფარნენ მთის გამოქვაბულებს და კლდეებს.

¹⁶და უთხრეს მთებსა და კლდეებს: „დაგვემხეთ და დაგვმალეთ ტახტზე მჯდომის სახისაგან და კრავის რისხვისაგან,

¹⁷რადგან მოვიდა მათი დიდი რისხვის დღე და ვინ გაუძლებს?“

აპოკალიპსისი 7

¹ამის შემდეგ ვიხილე დედამიწის ოთხივე კიდეზე მდგარი ოთხი ანგელოზი, რომელთაც ეპყრათ დედამიწის ოთხი ქარი, რომ არ ექროლათ არც დედამიწაზე, არც ზღვაზე, არც ხეებზე.

²და ვიხილე სხვა ანგელოზი, მზის აღმოსავალიდან ამომავალი, ცოცხალი ღმერთის ბეჭდის მქონე და დიდი ხმით შესძახა ოთხ ანგელოზს, რომელთაც მიეცათ ნება, ევნოთ მიწისა და ზღვისათვის, და უთხრა:



³„ნუ ავნებთ მიწას, ზღვასა და ხეს, ვიდრე ჩვენი ღმერთის მსახურთ ბეჭდებს დავასვამთ შუბლზე.“

⁴და გავიგონე ბეჭედდასმულთა რიცხვი: 144 ათასი ბეჭედდასმული ისრაელის ყოველი ტომიდან:

⁵იუდას ტომიდან 12 ათასი ბეჭედდასმული; რუბენის ტომიდან 12 ათასი; გადის ტომიდან 12 ათასი;

⁶აშერის ტომიდან 12 ათასი; ნეფთალემის ტომიდან 12 ათასი; მანაშეს ტომიდან 12 ათასი;

⁷სიმეონის ტომიდან 12 ათასი; ლევის ტომიდან 12 ათასი; ისაქარის ტომიდან 12 ათასი;

⁸ზებულონის ტომიდან 12 ათასი; იოსების ტომიდან 12 ათასი; ბენიამინის ტომიდან 12 ათასი ბეჭედდასმული.

⁹ამის შემდეგ ვიხილე, და, აჰა, უამრავი ხალხი, რომლის დათვლა არავის შეეძლო, ყოველი ერიდან და ტომიდან, ხალხიდან და ენიდან, მდგომარენი ტახტის წინაშე და კრავის წინაშე, თეთრი სამოსით მოსილნი და პალმის რტოებით ხელში.

¹⁰და იძახდნენ დიდი ხმით და ამბობდნენ: „ხსნა ჩვენს ღმერთს, ტახტზე მჯდომარეს, და კრავს!“

¹¹და ყველა ანგელოზი იდგა ტახტის, უხუცესებისა და ოთხი ცხოველის ირგვლივ. და პირქვე დაემხნენ ტახტის წინაშე და თაყვანი სცეს ღმერთს,

¹²და ამბობდნენ: „ამინ! კურთხევა, დიდება, სიბრძნე, მადლიერება, პატივი, ძალა და სიმტკიცე ჩვენს ღმერთს უკუნითი უკუნისამდე! ამინ.“

¹³და მომმართა ერთმა უხუცესთაგანმა და მითხრა: „თეთრი სამოსით მოსილები ვინ არიან, ან საიდან მოვიდნენ?“

¹⁴ვუთხარი მას: „უფალო ჩემო, შენ იცი.“ და მითხრა: „ესენი არიან დიდი გასაჭირიდან მოსულები. მათ გარეცხეს თავიანთი სამოსი და გაათეთრეს კრავის სისხლით.“

¹⁵ამიტომ არიან ღმერთის ტახტის წინ და ემსახურებიან მას დღე და ღამე მის ტაძარში. და ტახტზე მჯდომი გაშლის თავის კარავს მათზე.

¹⁶აღარ მოშივდებათ მათ, აღარც მოსწყურდებათ, აღარც მზე დასწვავთ და აღარც ხვატი.

¹⁷რადგან კრავი, რომელიც ტახტის შუაშია, ამოვებს მათ და სიცოცხლის წყლის წყაროებზე მიიყვანს, და მოსწმედს მათ ღმერთი თვალთაგან ყველა ცრემლს.“



აპოკალიპსისი 8

- ¹და როცა მეშვიდე ბეჭედი ახსნა, დუმილი ჩამოვარდა ცაში, ასე ნახევარ საათს.
- ²და ვიხილე შვიდი ანგელოზი, რომლებიც ღმერთის წინაშე იდგნენ, და მიეცა მათ შვიდი საყვირი.
- ³და სხვა ანგელოზი მოვიდა და დადგა სამსხვერპლოსთან და ეპყრა ოქროს საცეცხლური, და მიეცა ბევრი საკმეველი, რათა ყველა წმიდის ლოცვებთან ერთად მიეტანა ოქროს სამსხვერპლოზე, ტახტის წინ.
- ⁴და ავიდა საკმევლის კვამლი წმიდათა ლოცვებთან ერთად ანგელოზის ხელიდან ღმერთის წინაშე.
- ⁵და აიღო ანგელოზმა საცეცხლური, აავსო იგი სამსხვერპლოს ცეცხლით და გადმოაგდო დედამიწაზე. და შეიქმნა ქუხილნი და ხმანი, და ელვანი და მიწისძვრა.
- ⁶და შვიდი ანგელოზი, რომელთაც შვიდი საყვირი ჰქონდათ, მოემზადნენ ჩასაბერად.
- ⁷და პირველმა ჩაჰბერა საყვირს და წარმოიშვა სისხლნარევი სეტყვა და ცეცხლი, და გადმოიყარა დედამიწაზე. და დედამიწის მესამედი გადაიბუგა, ხეების მესამედი გადაიბუგა და მწვანე ბალახი გადაიბუგა.
- ⁸და მეორე ანგელოზმა ჩაჰბერა საყვირს და რაღაც დიდი მთის მსგავსი, აღმოდებული, გადმოვარდა ზღვაში. და ზღვის მესამედი სისხლად იქცა.
- ⁹და ამოწყდა ზღვაში სულდგმულთა მესამედი და ხომალდების მესამედი დაიღუპა.
- ¹⁰და მესამე ანგელოზმა დააყვირა და ციდან ჩამოვარდა დიდი ვარსკვლავი, რომელიც გახურებული ლამპარივით იწვოდა, და დაეცა მდინარეთა მესამედს და წყალთა წყაროებს.
- ¹¹და ამ ვარსკვლავს სახელად ჰქვია აბზინდა. წყალთა მესამედი აბზინდად იქცა და დიდძალი ხალხი დაიხოცა წყლებისაგან, რადგან გამწარდნენ ისინი.
- ¹²და მეოთხე ანგელოზმა დააყვირა და მოხვდა მზის მესამედს, მთვარის მესამედს და ვარსკვლავთა მესამედს, რათა დაბნელებულიყო მათი მესამედი და დღის მესამედს აღარ გაენათებინა, და ასევე ღამის მესამედს.



¹³და ვიხილე და მოვუსმინე ერთ ორბს, რომელიც ზეცაში დაფრინავდა და დიდი ხმით ამბობდა: „ვაი, ვაი, ვაი დედამიწაზე მცხოვრებთ დანარჩენ საყვირთა ხმებისაგან, რომელთაც სამი დანარჩენი ანგელოზი დააყვირებს.“

აპოკალიპსისი 9

¹და მეხუთე ანგელოზმა დააყვირა და ვიხილე ციდან დედამიწაზე გადმოვარდნილი ვარსკვლავი, და მიეცა მას გასაღები უფსკრულის ჯურღმულისა.

²და გახსნა მან უფსკრულის ჯურღმული და ამოვარდა კვამლი ჯურღმულიდან, როგორც დიდი ქურის კვამლი. და დაბნელდა მზე და ჰაერი ჯურღმულის კვამლისაგან.

³და კვამლიდან გამოვიდნენ კალიები მიწაზე და მიეცა მათ ხელმწიფება, როგორი ხელმწიფებაც აქვთ მიწის მორიელებს.

⁴და ეთქვა მათ, რომ არ დაეზიანებინათ მიწის ბალახი, არც რაიმე სიმწვანე და არც რომელიმე ხეთაგან, არამედ მხოლოდ ადამიანები, რომელთაც შუბლზე არა აქვთ ღმერთის ბეჭედი.

⁵და მიეცა მათ ნება, არ დაეხოცათ ისინი, არამედ ეწამებინათ ხუთ თვეს. და მათი წამება ჰგავს მორიელისაგან წამებას, როდესაც კბენს ადამიანს.

⁶იმ დღეებში ადამიანები სიკვდილს დაუწყებენ ძებნას, მაგრამ ვერ ჰპოვებენ მას. ინატრებენ სიკვდილს, მაგრამ სიკვდილი გაექცევა მათ.

⁷შესახედაობით კალიები ჰგავდნენ საომრად გამზადებულ ცხენებს. თავზე თითქოს გვირგვინები ედგათ, ოქროს მსგავსი. მათი სახეები – როგორც ადამიანთა სახეები.

⁸თმები დედაკაცთა თმებივით ჰქონდათ, და კბილები – ლომის კბილებივით.

⁹და ჯავშანი რკინის ჯავშანივით ჰქონდათ, და იყო მათი ფრთების ხმა მრავალი ეტლისა და ცხენის გრიალივით, საომრად რომ მიქრიან.

¹⁰და კუდები ჰქონდათ მორიელთა მსგავსი, და კუდებში – ნესტრები; კუდებში ჰქონდათ ძალა ადამიანთა საწამებლად ხუთ თვეს.

¹¹და ჰყავდათ მეფედ უფსკრულის ანგელოზი, რომლის სახელი ებრაულად არის აბადდონი, ხოლო ბერძნულად – აპოლიონი.

¹²ერთი ვაება წავიდა, და, აჰა, მოდის კიდევ ორი სხვა ვაება მის შემდეგ.



- ¹³და მეექვსე ანგელოზმა დააყვირა და გავიგონე ღმერთის წინაშე მდგარი ოქროს სამსხვერპლოს ოთხი რქისაგან ერთის ხმა,
- ¹⁴რომელიც ეუბნებოდა მეექვსე საყვირის მქონე ანგელოზს: „ახსენი ოთხი ანგელოზი, რომლებიც დაბმულნი არიან დიდ მდინარე ევფრატზე.“
- ¹⁵და ახსნილ იქნა ოთხი ანგელოზი, რომლებიც მზად იყვნენ ყოველ საათს და დღეს, თვესა და წელიწადს ადამიანთა მესამედის დასახოცად.
- ¹⁶ცხენოსანი მხედრობის რიცხვი იყო 200 ათასჯერ ათასი და გავიგონე მათი რიცხვი.
- ¹⁷და ამგვარად ვიხილე ჩვენებაში ცხენები და მათზე ამხედრებულნი, რომელთაც ეცვათ ცეცხლის, იაკინთისა და გოგირდის ფერის ჯავშნები, და ცხენის თავები იყო, როგორც ლომთა თავები, და მათ პირთაგან გამოდიოდა ცეცხლი, კვამლი და გოგირდი.
- ¹⁸ამ სამი წყლულისაგან: ცეცხლის, კვამლისა და გოგირდისაგან, რომლებიც მათი პირიდან გამოდიოდა, დაიხოცა ადამიანთა მესამედი.
- ¹⁹რადგან ცხენების ძალა მათ პირშია და მათ კუდებში. მათი კუდები ჰგვანან გველებს, და აქვთ თავები, რომლებითაც ხალხს ვნებენ.
- ²⁰დანარჩენმა ადამიანებმა კი, რომლებიც ამ წყლულებით არ დახოცილან, არ მოინანიეს თავიანთი ხელის ნამოქმედარი, არ შეწყვიტეს თავყვანისცემა დემონებისა და ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, ქვისა და ხის კერპებისა, რომელთაც არც ხილვა შეუძლიათ, არც მოსმენა და არც სიარული.
- ²¹და არ მოინანიეს ჩადენილი მკვლელობები, არც გრძნეულებანი, არც გარყვნილებანი, არც ქურდობანი.

აპოკალიპსისი 10

- ¹და ვიხილე სხვა ანგელოზი, ძლიერი, ციდან ჩამომავალი, ღრუბლით შემოსილი, თავზე ცისარტყელით. მისი სახე იყო, როგორც მზე და მისი ფეხები, როგორც ცეცხლის სვეტები.
- ²ხელთ ჰქონდა პატარა გაშლილი გრაგნილი. და დააბიჯა მარჯვენა ფეხი ზღვას, ხოლო მარცხენა – მიწას.
- ³და დაიძახა დიდი ხმით, როგორც ლომი ღრიალებს. და როდესაც დაიძახა, თავ-თავისი ხმით ალაპარაკდა შვიდი ქუხილი.
- ⁴და როცა შვიდი ქუხილი ლაპარაკობდა თავ-თავისი ხმით, ჩაწერა დავაპირე და გავიგონე ხმა ციდან, რომელმაც თქვა: „დაბეჭდე, რასაც ლაპარაკობდა შვიდი ქუხილი, და ნუ დაწერ ამას.“



⁵ანგელოზმა, რომელიც ვიხილე ზღვასა და მიწაზე მდგომი, ცისკენ აღაპყრო თავისი მარჯვენა ხელი

⁶და დაიფიცა ცოცხალი უკუნითი უკუნისამდე, რომელმაც შექმნა ცა და რაც მასშია, მიწა და რაც მასშია, ზღვა და რაც მასშია, რომ დრო აღარ იქნება,

⁷არამედ ანგელოზის ხმის დღეებში, როცა ის დააყვირებს საყვირს, აღსრულდება ღმერთის საიდუმლო, როგორც ახარა მან თავის მსახურთ – წინასწარმეტყველებს.

⁸ხმა, რომელიც გავიგონე ციდან, კვლავ დამელაპარაკა და მითხრა: „მიდი და აილე გაშლილი გრაგნილი, რომელიც ზღვასა და მიწაზე მდგომი ანგელოზის ხელშია.“

⁹მივედი ანგელოზთან და ვუთხარი: „მომეცი გრაგნილი.“ და მითხრა: „აილე და შეჭამე; მწარე იქნება ის შენს მუცელში, მაგრამ შენს პირში – თაფლივით ტკბილი.“

¹⁰ავილე გრაგნილი ანგელოზის ხელიდან და შევჭამე, და თაფლივით მეტკბო პირში. და, როცა შევჭამე, მუცელი გამიმწარა.

¹¹და მითხრეს: „გმართებს კვლავ იწინასწარმეტყველო ხალხებისა და ერების, ენებისა და მრავალ მეფეთა შესახებ.“

აპოკალიპსისი 11

¹და მომეცა მე კვერთხის მსგავსი ლერწამი და მითხრეს: „ადექი და გაზომე ღმერთის ტაძარი და სამსხვერპლო და თაყვანისმცემლები მასში.

²ხოლო ტაძრის გარე ეზო გარეთ დატოვე და არ გაზომო, რადგან წარმართებს მიეცა იგი: ისინი 22 თვეს გათელავენ წმიდა ქალაქს.

³მივცემ ჩემს ორ მოწმეს და ისინი იწინასწარმეტყველებენ 1260 დღეს ძაძვით მოსილნი.“

⁴ესენია ზეთისხილის ორი ხე და ორი სასანთლე, დედამიწის უფლის წინაშე მდგომნი.

⁵და თუ ვინმე მოინდომებს მათ ვნებას, ცეცხლი გამოვა მათი პირიდან და შთანთქავს მათ მტრებს. და თუ ვინმე მოინდომებს ავნოს მათ, ამგვარადვე უნდა იქნეს მოკლული.

⁶მათ აქვთ ხელმწიფება ცის დახშვისა, რათა არ მოვიდეს წვიმა მათი წინასწარმეტყველების დღეებში. აქვთ ხელმწიფება წყლებზე, რომ აქციონ ისინი სისხლად და შემუსრონ მიწა ყოველგვარი წყლივით, როცა კი მოისურვებენ.



⁷და როცა დაასრულებენ თავიანთ მოწმობას, უფსკრულიდან ამომავალი მხეცი შეებრძოლება მათ, გაიმარჯვებს და დახოცავს მათ.

⁸და მათი გვამები ეყრება დიდი ქალაქის ქუჩებში, რომელსაც სულიერად ჰქვია სოდომი და ეგვიპტე, სადაც ჯვარს ეცვა მათი უფალი.

⁹და უყურებენ მათ გვამებს ხალხთა და ტომთაგან, ენათა და ერთაგან სამნახევარ დღეს და არ დაანებებენ მათი გვამების სამარხში ჩასვენებას.

¹⁰დედამიწის მკვიდრნი გაიხარებენ მათზე და იმხიარულებენ, და გაუგზავნიან ერთმანეთს საჩუქრებს, რადგან ეს ორი წინასწარმეტყველი აწამებდა დედამიწის მკვიდრებს.

¹¹სამნახევარი დღის შემდეგ შევიდა მათში სიცოცხლის სული ღმერთისაგან და ფეხზე დადგნენ. და დიდი შიში დაეცა ყველას, ვინც მათ უყურებდა.

¹²და გაიგონეს დიდი ხმა ციდან, რომელმაც უთხრა მათ: „ამოდიოთ აქ!“ და ავიდნენ ღრუბლით ცაში და მათმა მტრებმა იხილეს ისინი.

¹³და იმავე ჟამს მოხდა მიწისძვრა და ქალაქის მეთაუდი დაიქცა და დაიღუპა მიწისძვრისაგან 7 ათასი კაცი, დანარჩენები კი შიშმა მოიცვა და დიდება მიაგეს ცათა ღმერთს.

¹⁴მეორე ვაებამ გადაიარა, და, აჰა, მესამე ვაება მოდის მალე.

¹⁵და მეშვიდე ანგელოზმა დააყვირა და იქმნა ცაში დიდი ხმები, რომლებიც ამბობდნენ: „მიეცა ქვეყნიერების სამეფო ჩვენს უფალსა და მის ქრისტეს, და იმეფებს იგი უკუნითი უკუნისამდე.“

¹⁶თავიანთ ტახტებზე მჯდომი 24 უხუცესი პირქვე დაემხო და თაყვანი სცეს ღმერთს.

¹⁷და თქვეს: „გმადლობთ შენ, უფალო ღმერთო, ყოვლისმპყრობელო, რომელიც ხარ, და რომელიც იყავი, რომ მოიღე შენი დიდი ძალა და გამეფდი.“

¹⁸და გამძვინვარდნენ ერები და მოვიდა შენი რისხვა და ჟამი, რათა განისაჯონ მკვდრები და საზღაური მიეცეთ შენს მსახურთ – წინასწარმეტყველებს და წმიდებს, და მათ, რომელთაც შენი სახელის ემინათ – პატარებს და დიდებს, და შეიმუსრონ დედამიწის შემმუსვრელნი.“

¹⁹და გაიღო ღმერთის ტაძარი ცაში და გამოჩნდა მისი აღთქმის კიდობანი მის ტაძარში. და იქმნა ელვანი და ხმანი, ქუხილნი და მიწისძვრა და დიდი სეტყვა.



აპოკალიპსისი 12

- ¹და გამოჩნდა ცაში დიადი ნიშანი: ქალი, რომელსაც ემოსა მზე. და მის ფეხთით იყო მთვარე და მის თავზე გვირგვინი 12 ვარსკვლავით.
- ²და იყო ფეხმძიმედ და ყვიროდა, და იტანჯებოდა მშობიარობის ტკივილებით.
- ³და გამოჩნდა სხვა ნიშანიც ცაში: აჰა, დიდი წითელი ურჩხული, რომელსაც შვიდი თავი და ათი რქა ჰქონდა, და თავებზე შვიდი დიადემა.
- ⁴და მისმა კუდმა ციდან წამოათრია ვარსკვლავების მესამედი და მოისროლა მიწაზე. და დადგა ურჩხული ქალის წინ, რომელსაც უნდა ემშობიარა, რათა, როგორც კი შობდა, გადაეყლაპა მისი ნაშობი.
- ⁵და შვა ძე, ვაჟი, რომელმაც უნდა დამწყოს ყველა ერი რკინის კვერთხით. და ატაცებულ იქნა მისი ყრმა ღმერთთან და მის ტახტთან.
- ⁶და გაიქცა ქალი უდაბნოში, სადაც მისთვის მომზადებული იყო ადგილი ღმერთისგან, რათა იქ გამოკვებილი ყოფილიყო იგი 1260 დღეს.
- ⁷და შეიქნა ცაში ბრძოლა: მიქაელი და მისი ანგელოზები შეებრძოლნენ ურჩხულს. და იბრძოლეს ურჩხულმა და მისმა ანგელოზებმა,
- ⁸მაგრამ ვერ გაუძლეს და არ აღმოჩნდა მათთვის ადგილი ცაში.
- ⁹და გადმოგდებულ იქნა დიდი ურჩხული, ძველი გველი, რომელსაც ეწოდება ეშმაკი და სატანა, მთელი მსოფლიოს მაცდუნებელი. და მისი ანგელოზებიც გადმოყრილ იქნენ მასთან ერთად.
- ¹⁰და გავიგონე დიდი ხმა, რომელიც ამბობდა ცაში: „ახლა იქმნა ხსნა, ძალა და მეფობა ჩვენი ღმერთისა და მისი ქრისტეს ხელმწიფება, რადგან გადმოგდებულ იქნა ჩვენი ძმების ცილისმწამებელი, რომელიც ცილს სწამებდა მათ დღე და ღამე ჩვენი ღმერთის წინაშე.
- ¹¹და მათ გაიმარჯვეს მასზე კრავის სისხლით და თავიანთი მოწმობის სიტყვით, და არ შეიყვარეს თავისი სული თვით სიკვდილამდე.
- ¹²ამიტომ, იხარეთ, ცანო, და თქვენ, ვინც მათში ბინადრობთ! და ვაი მიწასა და ზღვას, რადგან თქვენთან გადმოვიდა ეშმაკი დიდი წყრომით, რადგან იცის, რომ მცირე დრო აქვს.“
- ¹³და როცა დაინახა გველეშაპმა, რომ გადმოგდებულ იქნა დედამიწაზე, დაედევნა ქალს, რომელმაც შვა ვაჟი.



¹⁴და მიეცა ქალს დიდი ორბის ორი ფრთა, რათა უდაბნოში გაფრენილიყო თავისი ადგილისაკენ, სადაც გამოიკვებება ჟამის, ორი ჟამის და ნახევარი ჟამის განმავლობაში, გველისაგან შორს.

¹⁵და გადმოანთხია გველმა პირიდან წყალი ქალის კვალდაკვალ, როგორც მდინარე, რათა მდინარეს წაეღეკა იგი.

¹⁶და შეეწია დედამიწა ქალს. დააღო პირი მიწამ და შთანთქა მდინარე, რომელიც ურჩხულმა გადმოანთხია პირიდან.

¹⁷და განრისხდა ურჩხული ქალზე და წავიდა, რათა შებრძოლებოდა დანარჩენებს მისი თესლიდან, რომლებიც იცავენ ღმერთის მცნებებს და აქვთ იესოს მოწმობა.

¹⁸და დადგა ურჩხული ზღვის ქვიშაზე.

აპოკალიპსისი 13

¹და ვიხილე ზღვიდან ამომავალი მხეცი, რომელსაც შვიდი თავი და ათი რქა ჰქონდა. და რქებზე – ათი დიადემა და თავებზე გმობის სახელები.

²მხეცი, რომელიც მე ვიხილე, ჯიქს ჰგავდა. და იყო მისი ფეხები, როგორც დათვისა, და მისი პირი, როგორც ლომის ხახა. და მისცა მას ურჩხულმა თავისი ძალა, თავისი ტახტი და დიდი ხელმწიფება.

³და მის თავთაგან ერთი თითქოს სასიკვდილოდ იყო განგმირული, მაგრამ ეს სასიკვდილო ჭრილობა განიკურნა. და განცვიფრდა მთელი დედამიწა და გაჰყვა მხეცს კვალდაკვალ.

⁴და თაყვანი სცეს ურჩხულს, რადგან მისცა ხელმწიფება მხეცს, და თაყვანი სცეს მხეცს და თქვეს: „ვინ არის ამ მხეცისთანა და ვის ძალუმს მასთან შებრძოლება?“

⁵და მიეცა მას პირი, რათა მედიდურად ელაპარაკა და დაეგმო. და მიეცა მას ხელმწიფება სამოქმედოდ 42 თვეს.

⁶და დააღო პირი ღმერთის დასაგმობად, რათა დაეგმო მისი სახელი, მისი სავანე და ცაში დავანებულნი.

⁷და მიეცა მას, რომ ებრძოლა წმიდებთან და გაემარჯვა მათზე. მიეცა მას ხელმწიფება ყველა ტომსა და ხალხზე, ენასა და ერზე.

⁸და თაყვანი სცა მას დედამიწის ყველა მკვიდრმა, ვისი სახელებიც არ იყო ჩაწერილი სიცოცხლის წიგნში, რომელიც აქვს ქვეყნიერების დასაბამიდან დაკლულ კრავს.



⁹ვისაც ყური აქვს, ისმინოს.

¹⁰ვინც ატყვევებს, ტყვედ ჩავარდება. ვინც მახვილით კლავს, თვითონაც მახვილით მოკვდება. ეს არის წმიდათა მოთმინება და რწმენა.

¹¹და ვიხილე სხვა მხეცი, მიწიდან ამომავალი. მას ჰქონდა კრავის მსგავსი ორი რქა და ლაპარაკობდა, როგორც ურჩხული.

¹²იგი მოქმედებდა პირველი მხეცის სრული ხელმწიფებით მის წინაშე და აიძულებდა დედამიწას და მის მკვიდრთ თაყვანი ეცათ პირველი მხეცისთვის, რომელსაც განეკურნა სასიკვდილო ჭრილობა.

¹³ახდენს დიდ სასწაულებს, ისე, რომ ცეცხლიც კი ჩამოაქვს ციდან მიწაზე ადამიანთა წინაშე.

¹⁴და აცდუნებს დედამიწის მკვიდრთ სასწაულებით, რომლებიც მიეცა მას მხეცის წინაშე მოსახდენად, და ეუბნება მიწის მკვიდრთ, რომ გააკეთონ მხეცის ხატი, რომელსაც აქვს ჭრილობა მახვილისაგან და გაცოცხლდა.

¹⁵და მიეცა უფლება მხეცის ხატისათვის სულის ჩასაბერად, რომ მხეცის ხატმა ილაპარაკოს და იმოქმედოს, რათა მოკლას ყველა, ვინც თაყვანს არ სცემს მხეცის ხატს.

¹⁶და აიძულებს ყველას: პატარებსა და დიდებს, მდიდრებსა და ღარიბებს, თავისუფლებსა და მონებს, მიიღონ ნიშანი მარჯვენა ხელზე ან შუბლზე.

¹⁷რომ არავის შეეძლოს ყიდვა-გაყიდვა, მათ გარდა, ვისაც აქვს მხეცის სახელის ნიშანი ან მისი სახელის რიცხვი.

¹⁸აქ საჭირო არის სიბრძნე. ვისაც გაგება აქვს, გამოითვალოს მხეცის რიცხვი, რადგან ეს არის რიცხვი ადამიანისა და მისი რიცხვია 666.

აპოკალიპსისი 14

¹და ვიხილე და აჰა, კრავი დგას სიონის მთაზე და მასთან 144 ათასი, რომელთაც შუბლზე აქვთ წარწერილი მისი სახელი და მისი მამის სახელი.

²და მომესმა ხმა ზეციდან, როგორც მრავალი წყლის ხმა და როგორც ძლიერი ქუხილის ხმა. და ხმა, რომელიც გავიგონე, ჰგავდა მექნარეთა ხმას, თავიანთ ქნარებზე რომ უკრავენ.

³ისინი გალობდნენ ახალ საგალობელს ტახტის წინაშე და ოთხი ცხოველისა და უხუცესთა წინაშე. და არავის შეეძლო ამ საგალობლის შესწავლა, გარდა დედამიწისაგან გამოსყიდული 144 ათასისა.



⁴ეს ისინი არიან, რომლებიც არ შებილწულან დედაკაცებთან, რადგან ქალწულები არიან. ეს ისინი არიან, რომლებიც მიჰყვებიან კრავს, სადაც არ უნდა წავიდეს. ისინი არიან ადამიანთაგან გამოსყიდულნი, როგორც პირველნაყოფნი ღმერთისა და კრავისათვის.

⁵და არ აღმოჩნდა მათ ბაგეში სიცრუე. უბიწონი არიან ისინი.

⁶და ვიხილე სხვა ანგელოზი, რომელიც ზეცაში დაფრინავდა. მას ჰქონდა მარადიული სახარება დედამიწის მკვიდრთათვის – ყოველი ერისა და ტომის, ენისა და ხალხისათვის სახარებლად.

⁷ამბობდა დიდი ხმით: „გეშინოდეთ ღმერთისა და დიდება მიაგეთ მას, რადგან დადგა მისი სამსჯავროს ჟამი. თაყვანი ეცით ცისა და მიწის, ზღვისა და წყალთა წყაროების შემქმნელს.“

⁸და სხვა ანგელოზი მოჰყვა მას და ამბობდა: „დაემხო, დაემხო დიდი ბაბილონი, რომელმაც თავისი მძვინვარე გარყვნილების ღვინო ასვა ყველა ერს.“

⁹და სხვა ანგელოზი მოჰყვა მათ და ამბობდა დიდი ხმით: „ვინც თაყვანს სცემს მხეცს და მის ხატს და მიიღებს ნიშანს შუბლზე ან ხელზე,

¹⁰ის შესვამს ღმერთის რისხვის ღვინოსაც, რომელიც მისი მრისხანების თასშია შემზადებული გაუზავებლად, და დაიტანჯება ცეცხლში და გოგირდში წმიდა ანგელოზთა და კრავის წინაშე.

¹¹და მათი წამების კვამლი იდენს უკუნიითი უკუნისამდე, და არ ექნებათ მოსვენება არც დღისით და არც ღამით მხეცისა და მისი ხატის თაყვანისმცემლებს და მათ, ვინც მიიღებს მისი სახელის ნიშანს.“

¹²აქ არის წმიდათა მოთმინება, რომლებიც იცავენ ღმერთის მცნებებს და იესოს რწმენას.

¹³და გავიგონე ხმა ციდან, რომელიც მეუბნებოდა – „დაწერე: ნეტარ არიან მკვდარნი, რომელნიც ამიერიდან უფალში მოკვდებიან.“ „დიახ,“ – ამბობს სული, – „რათა განისვენონ თავიანთ შრომათაგან, რადგან მათი საქმეები თან მიჰყვებიან მათ.“

¹⁴და აჰა, ვიხილე: თეთრი ღრუბელი და ღრუბელზე მჯდომი კაცის მის მსგავსი. თავზე ოქროს გვირგვინი ჰქონდა და ხელში – ბასრი ნამგალი.

¹⁵და სხვა ანგელოზი გამოვიდა ტაძრიდან და დიდი ხმით შესძახა ღრუბელზე მჯდომს: „გაგზავნე შენი ნამგალი და მომკე, რადგან დადგა მკის ჟამი, რადგან მოწეულია სამკალი დედამიწაზე.“



¹⁶გადმოაგდო ღრუბელზე მჯდომმა თავისი ნამგალი დედამიწაზე და მოიმკა დედამიწა.

¹⁷და სხვა ანგელოზი გამოვიდა ტაძრიდან, რომელიც ცაშია, და მასაც ბასრი ნამგალი ჰქონდა.

¹⁸და კიდევ სხვა ანგელოზი გამოვიდა სამსხვერპლოდან, მას ხელმწიფება ჰქონდა ცეცხლზე და დიდი ხმით შესძახა მას, ვისაც ბასრი ნამგალი ჰქონდა: „გაგზავნე შენი ბასრი ნამგალი და მოკრიფე დედამიწის ვაზის მტევნები, რადგან დამწიფდა მათი მარცვლები.“

¹⁹და გადმოაგო ანგელოზმა თავისი ნამგალი დედამიწაზე და მოკრიფა დედამიწის ვაზების მტევნები და ჩაყარა ღმერთის რისხვის დიდ საწნახელში.

²⁰და დაიწნება საწნახელი ქალაქის გარეთ და გადმოედინა საწნახლიდან სისხლი, რომელიც აღწევდა ცხენების აღვირებამდე, 1600 სტადიონზე.

აპოკალიპსისი 15

¹და ვიხილე სხვა ნიშანი ცაში, დიდი და საკვირველი: შვიდი ანგელოზი შვიდი უკანასკნელი წყლულით, რომლებითაც თავდებოდა ღმერთის რისხვა.

²და ვიხილე მსგავსი შუშის ზღვისა, ცეცხლნარევი, და მძლეველნი მხეცისა, მისი ხატისა და მისი სახელის რიცხვისა, იდგნენ შუშის ზღვაზე და ეპყრათ ღმერთის ქნარები.

³და გალობდნენ ღვთისმსახური მოსეს გალობას და კრავის გალობას და ამბობდნენ: „დიდია და საკვირველი შენი საქმენი, უფალო ღმერთო, ყოვლისმპყრობელო! სამართლიანი და ჭეშმარიტია შენი გზები, ერთა მეუფეო!“

⁴ვის არ შეეშინდება შენი, უფალო, და არ ადიდებს შენს სახელს? რადგან მხოლოდ შენა ხარ წმიდა. ყველა მოდგმა მოვა და თაყვანს გცემს შენ, რადგან გამოჩნდნენ შენი სამართალნი.“

⁵ამის შემდეგ ვიხილე: აჰა, გაიხსნა მოწმობის კარვის ტაძარი ზეცაში.

⁶და გამოვიდა ტაძრიდან შვიდი ანგელოზი, შვიდი წყლულის მქონე, წმიდა და ბრწყინვალე სელის სამოსით მოსილი, რომელთაც მკერდზე ოქროს სარტყლები ერტყათ.

⁷ოთხ ცხოველთაგან ერთმა მისცა შვიდ ანგელოზს ოქროს შვიდი ფიალა, უკუნითი უკუნისამდე ცოცხალი ღმერთის რისხვით ავსებული.



⁸და აივსო ტაძარი კვამლით, რომელიც გამოდიოდა ღმერთის დიდებისა და მისი ძალისაგან და ვერავინ შეძლო ტაძარში შესვლა, ვიდრე არ დასრულდა შვიდი ანგელოზის შვიდი წყლული.

აპოკალიპსისი 16

¹და გავიგონე ტაძრიდან დიდი ხმა, რომელიც ეუბნებოდა შვიდ ანგელოზს: „წადით და გადაღვარეთ დედამიწაზე ღმერთის რისხვის შვიდი ფიალა.“

²წავიდა პირველი და გადმოღვარა დედამიწაზე თავისი ფიალა. და გაუჩნდათ სასტიკი და საზარელი ჭრილობები ადამიანებს, რომელთაც მხეცის ნიშანი ჰქონდათ და მის ხატს ეთაყვანებოდნენ.

³და მეორემ გადმოღვარა თავისი ფიალა ზღვაზე და იქცა სისხლად, როგორც მკვდრისა, და დაიხოცა ყოველი სულდგმული ზღვაში.

⁴და მესამემ გადმოღვარა თავისი ფიალა მდინარეებსა და წყალთა წყაროებზე, და იქცნენ სისხლად.

⁵და გავიგონე, წყლების ანგელოზი რომ ამბობდა: „მართალი ხარ შენ, რომელიც ხარ და იყავი, წმიდაო, რომ ასე განსაჯე.“

⁶რადგან მათ დაღვარეს წმიდათა და წინასწარმეტყველთა სისხლი და შენ მიეცი მათ სისხლი სასმელად, ღირსნი არიან!“

⁷და გავიგონე სამსხვერპლო რომ ამბობდა: „დიახ, უფალო ღმერთო, ყოვლისმპყრობელო, ჭეშმარიტი და სამართლიანია შენი სასჯელნი.“

⁸და მეოთხემ გადმოღვარა თავისი ფიალა მზეზე და მიეცა მას ხელმწიფება, რომ ცეცხლში დაეწვა ადამიანები.

⁹იწვოდნენ ადამიანები დიდი მცხუნვარებით და გმოზდნენ ღმერთის სახელს, რომელსაც ხელმწიფება აქვს ამ წყლულებზე, და არ მოინანიეს და არ მიაგეს.

¹⁰და გადმოღვარა მეხუთემ თავისი ფიალა მხეცის ტახტზე და დაზნელდა მისი სამეფო და ტკივილისაგან ენებს იჭამდნენ.

¹¹გმოზდნენ ზეციერ ღმერთს თავიანთი ტკივილებისა და ჭრილობების გამო და არ მოინანიეს თავიანთი საქმეები.

¹²და გადმოღვარა მეექვსემ თავისი ფიალა დიდ მდინარე ევფრატზე და დაშრა მისი წყალი, რათა გამზადებული ყოფილიყო გზა იმ მეფეთათვის, რომლებიც მზის აღმოსავალიდან მოდიან.



¹³და ვიხილე ურჩხულის, მხეცის, და ცრუწინასწარმეტყველის პირიდან გამოსული სამი უწმიდური სული, როგორც ბაყაყები.

¹⁴ესენი დემონური სულები არიან, რომლებიც ახდენენ სასწაულებს, გამოდიან მთელი მსოფლიოს მეფეებთან, რათა შეკრიბონ ისინი საომრად ყოვლისმპყრობელი ღმერთის დიდი დღისათვის.

¹⁵აჰა, მოვდივარ, როგორც მპარავი. ნეტარია, ვინც ფხიზლობს და იცავს თავის სამოსს, რათა შიშველმა არ იაროს და არ დაინახონ მისი სირცხვილი.

¹⁶და შეკრიბა ისინი ადგილზე, რომელსაც ებრაულად არმაგედონი ეწოდება.

¹⁷და მეშვიდემ გადმოღვარა თავისი ფიალა ჰაერში და ტაძრიდან გამოვიდა დიდი ხმა, რომელიც ამბობდა: „აღსრულდა!“

¹⁸და იქმნა ელვანი და ქუხილნი და ხმანი, და მოხდა დიდი მიწისძვრა, როგორიც არ მომხდარა, რაც ადამიანი გაჩნდა დედამიწაზე. ისეთი დიდი იყო ის მიწისძვრა.

¹⁹და გაიყო დიდი ქალაქი სამად და წარმართთა ქალაქები დაემხო და გახსენებულ იქნა დიდი ბაბილონი ღმერთის წინაშე, რომ მისცემოდა მას მისი მძვინვარე ვნების ღვინის თასი.

²⁰და ყველა კუნძული გაიქცა და მთები აღარ იპოვებოდა.

²¹და დიდი სეტყვა, ტალანტის წონის, წამოვიდა ციდან ადამიანებზე, და დაგმეს ადამიანებმა ღმერთი სეტყვის წყლულების გამო, რადგან ძალიან დიდი იყო მისგან წყლულები.

აპოკალიპსისი 17

¹და მოვიდა ერთი შვიდ ანგელოზთაგან, რომელთაც ჰქონდათ შვიდი ფიალა, დამელაპარაკა და მითხრა: „მოდი და გაჩვენებ სასჯელს მრავალ წყლებზე მჯდომარე დიდი მეძავისა,

²რომელთანაც მეძაობდნენ დედამიწის მეფეები და მისი სიძვის ღვინით თვრებოდნენ დედამიწის მკვიდრნი.“

³და გადამიყვანა სულით უდაბნოში და ვიხილე დედაკაცი, მჯდომარე შვიდთავიან და ათრქიან მეწამულწითელ მხეცზე, რომელიც დაფარული იყო მგმობელი სახელებით.

⁴და ემოსა დიაცს პორფირი და მოწეული, და მორთული იყო ოქროთი, პატიოსანი თვლებით და მარგალიტებით. ხელთ ჰქონდა ოქროს თასი, მისი სიძვის სიბილწით და უწმიდურებით ავსებული.



⁵და მის შუბლზე ეწერა საიდუმლო სახელი: „დიდი ბაბილონი, მეძავთა და დედამიწის სიბილწეთა დედა.“

⁶და დავინახე, რომ დედაკაცი მთვრალი იყო წმიდათა და იესოს მოწამეთა სისხლით, და რომ ვუყურებდი, მიკვირდა დიდად.

⁷და მითხრა ანგელოზმა: „რატომ გიკვირს? მე გეტყვი საიდუმლოს ამ დედაკაცისა და შვიდთავიანი და ათრქიანი მხეცისა, რომელიც მას ატარებს.

⁸მხეცი, რომელიც შენ იხილე, იყო და არ არის, და აპირებს უფსკრულიდან ამოსვლას და მიემართება დალუპვისაკენ. დედამიწის მკვიდრებს, რომელთა სახელებიც არ არის ჩაწერილი სიცოცხლის წიგნში ქვეყნიერების დასაბამიდან, გაუკვირდებათ, როცა დაინახავენ მხეცს, რომელიც იყო და არ არის და მოვა.

⁹აქ საჭიროა გონება, რომელსაც სიბრძნე აქვს: შვიდი თავი შვიდი მთაა, რომელზეც ეს დედაკაცი ზის.

¹⁰მეფენიც შვიდნი არიან: ხუთი დაეცა, ერთი არის, მეორე კი ჯერ არ მოსულა და, როცა მოვა, მცირე ხანს დარჩება.

¹¹მხეცი, რომელიც იყო და არ არის, მერვეა, მაგრამ ეკუთვნის შვიდთა რიცხვს და მიდის დასალუპად.

¹²ათი რქა, რომლებიც შენ იხილე, ათი მეფეა, რომელთაც ჯერ არ მიუღიათ მეფობა, მაგრამ მხეცთან ერთად მიიღებენ ხელმწიფებას, როგორც მეფეები, ერთი საათით.

¹³მათ აქვთ ერთი აზრი და თავიანთ ძალას და ხელმწიფებას მხეცს გადასცემენ.

¹⁴ისინი შეებრძოლებიან კრავს და კრავი გაიმარჯვებს მათზე, რადგან ის არის უფალთა უფალი და მეფეთა მეფე, და მასთან მყოფნი არიან წვეულნი, რჩეულნი და სარწმუნონი.”

¹⁵და მეუბნება მე: „ეს წყლები, რომლებიც შენ იხილე, სადაც მეძავი ზის, არის ხალხები და ბრბოები, და ერები და ენები.

¹⁶ათი რქა, შენ რომ იხილე, და მხეცი – ისინი შეიძულებენ მეძავს, დაარბევნ მას და გააშიშვლებენ, მის ხორცს შეჭამენ და მას ცეცხლში დაწვავენ,

¹⁷რადგან ღმერთმა გულებში ჩაუდოთ, რომ შეასრულონ მისი ნება, შეასრულონ ერთი განზრახვა და გადასცენ თავიანთი მეფობა მხეცს, ვიდრე არ აღსრულდება ღმერთის სიტყვები.

¹⁸დიაცი, შენ რომ იხილე, დიდი ქალაქია, რომელსაც აქვს მეფობა დედამიწის მეფეებზე.“



აპოკალიპსისი 18

¹ამის შემდეგ ვიხილე სხვა ანგელოზი, ციდან გარდამომავალი, რომელსაც დიდი ხელმწიფება ჰქონდა. და განათდა დედამიწა მისი დიდებით.

²და დაიძახა ძლიერი ხმით და თქვა: „დაემხო, დაემხო დიდი ბაბილონი, და გახდა ეშმაკთა სამკვიდრო და ყოველი უწმიდური სულის თავშესაფარი, და ყოველი უწმიდური და საძაგელი ფრინველის თავშესაფარი,

³რადგან მისი მეძაობის ვნების ღვინისაგან შესვა დედამიწის ყველა ერმა. დედამიწის მეფეები მეძაობდნენ მასთან და ვაჭრები მათი ფუფუნების წყალობით გამდიდრდნენ.“

⁴და გავიგონე სხვა ხმა ციდან, რომელიც ამბობდა: „გაერიდე მას, ჩემო ხალხო, რათა არ ეზიარო მის ცოდვებს და წილს ნუ დაიდებ მის წყლულებში,

⁵რადგან მისმა ცოდვებმა ცას უწია და გაიხსენა ღმერთმა მისი უსამართლობანი.

⁶მიუზღეთ მას, როგორც მან მოგიზღოთ, და ორმაგად მიაგეთ მის საქმეთამებრ. თასში, რომელშიც აზავებდა ღვინოს, ორმაგად შეუზავეთ.

⁷რა ზომითაც განდიდდებოდა და ფუფუნებდა, იმ ზომით მიაგეთ ტანჯვა და წუხილი, რადგან ამბობდა თავის გულში: ‘დედოფლად ვზივარ, ქვრივი არა ვარ და წუხილს არ ვიხილავ.’

⁸ამიტომ ერთ დღეს მოვა მისი წყლულები და სიკვდილი, წუხილი და შიმშილი, და ცეცხლში დაიწვება, რადგან ძლიერია უფალი ღმერთი, მისი მსაჯული.

⁹იტირებენ და იგოდებენ მასზე დედამიწის მეფეები, რომლებიც მეძაობდნენ და ფუფუნებდნენ მასთან, როცა დაინახავენ მისი ხანძრის კვამლს.

¹⁰მისი ტანჯვის შიშით შორს გამდგარნი იტყვიან: ‘ვაი, ვაი, დიდო ქალაქო ბაბილონო, ძლიერო ქალაქო! რადგან ერთ საათში მოვიდა შენი სასჯელი.’

¹¹დედამიწის ვაჭრები იტირებენ და იგლოვებენ მასზე, რადგან აღარავინ იყიდის მათ საქონელს,

¹²ოქროსა და ვერცხლის საქონელს, პატიოსან თვლებსა და მარგალიტებს, ბისონსა და პორფირს, აბრეშუმსა და ძოწეულს, ყოველგვარ სურნელოვან ხეს და სპილოს ძვლის ყოველგვარ ჭურჭელს, არც ძვირფასი ხის, ბრინჯაოს, რკინისა და მარმარილოს ნაირგვარ ჭურჭელს,



¹³დარიჩინსა და სურნელს, საკმეველსა და ნელსაცხებელს, გუნდრუკს, ღვინოსა და ზეთს, ფქვილსა და ხორბალს, საქონელსა და ცხვარს, ცხენებსა და ეტლებს, ადამიანთა სხეულებსა და სულებს.

¹⁴შენი სულის სასურველი ნაყოფები წაგივიდა, ყველაფერი დიდებული და ბრწყინვალე დაგეკარგა და მათ ველარავინ იპოვის.

¹⁵ყოველივე ამით მოვაჭრენი, რომლებიც მისგან გამდიდრდნენ, შორს დადგებიან მისი ტანჯვის შიშით, იტირებენ და იგლოვებენ.

¹⁶და იტყვიან: ‘ვაი, ვაი, დიდო ქალაქო, ბისონით, პორფირით და მოწეულით შემოსილო, ოქროთი, პატიოსანი თვლებითა და მარგალიტით შემკულო,

¹⁷რადგან ერთ საათში გატიალდა ესოდენი სიმდიდრე.’ და ყველა მესაჭე და ყველანი, ვინც ცურავს, და ზღვაოსნები, ვინც ზღვაზე შრომობენ, შორს გადგნენ

¹⁸და როს დაინახეს მისი ხანძრის კვამლი, შეჰყვირეს და თქვეს: ‘რომელი ქალაქი ჰგავს ამ დიდ ქალაქს?’

¹⁹დაიყარეს მტვერი თავზე და გაჰკიოდნენ ტირილით და მოთქმით: ‘ვაი, ვაი, დიდო ქალაქო, რომლის დოვლათით გამდიდრდა ყველა, ვისაც ხომალდი ჰქონდა ზღვაზე! რადგან ერთ საათში გატიალდა.

²⁰გაიხარეთ მასზე, ცაო და წმიდანო, მოციქულნო და წინასწარმეტყველნო, რადგან მოჰკითხა მათ ღმერთმა თქვენი სამართალი.’“

²¹და ასწია ერთმა ძლიერმა ანგელოზმა დიდი დოლაბის მსგავსი ქვა და გადააგდო ზღვაში და თქვა: „ასეთი დაცემით დაემხოზა დიდი ქალაქი ბაბილონი და ველარ იპოვიან.

²²მექნარეთა და მომღერალთა, მესტვირეთა და მესაყვირეთა ხმა აღარ გაისმის შენ შორის. ვერანაირი ხელობის ხელოსანს ველარ იპოვიან შენს შორის, და წისქვილის ხმა აღარ გაისმის შენს შორის.

²³სანთლის ნათელი აღარ გაგინათებს. სიძისა და სასძლოს ხმა აღარ გაისმის შენს შორის, რადგან შენი ვაჭრები დედამიწის დიდებულები იყვნენ და შენმა გრძნეულებამ შეაცდინა ყველა ერი.

²⁴მასშია ნაპოვნი წინასწარმეტყველთა, წმიდათა და დედამიწის ზურგზე ყველა მოკლულის სისხლი.’“

აპოკალიპსისი 19



- ¹ამის შემდეგ გავიგონე ზეცაში დიდი ხმა, როგორც ხმა ბევრი ხალხისა, რომელიც ამბობდა: „ალილუია! ხსნა, დიდება და ძალა ჩვენს ღმერთს!“
- ²რადგან ჭეშმარიტი და სამართლიანია მისი განსჯანი, რადგან მან განსაჯა დიდი მეძავი, რომელმაც გახრწნა დედამიწა თავისი მეძაობით, და მან იძია თავის მონების სისხლი მისი ხელიდან.“
- ³და განმეორებით თქვეს: „ალილუია! და მისი კვამლი ადის უკუნითი უკუნისამდე.“
- ⁴და დაემხნენ 24 უხუცესი და ოთხი ცხოველი და თაყვანი სცეს ტახტზე მჯდომარე ღმერთს და ამბობდნენ: „ამინ! ალილუია!“
- ⁵და გამოვიდა ტახტიდან ხმა, რომელიც ამბობდა: „აქედეთ ჩვენს ღმერთს, ყველა მისი მონები, მისი მოშიშები, პატარები და დიდები.“
- ⁶და გავიგონე ხმა, როგორც დიდძალი ხალხის ხმა და როგორც ადიდებულ წყალთა ხმა, როგორც ძლიერ ქუხილთა ხმა, რომელიც ამბობდა: „ალილუია! რადგან გამეფდა ჩვენი უფალი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი.“
- ⁷გავიხაროთ და ვიმხიარულოთ და დიდება მივაგოთ, რადგან მოვიდა კრავის ქორწილი და მისმა სასძლომ გაიმზადა თავი.
- ⁸და მიეცა მას, რომ შეიმოსოს ნათელი და წმიდა ბისონი, რადგან წმიდა ბისონი წმიდების სიმართლეა.“
- ⁹და მითხრა მე: „დაწერე: ნეტარ არიან კრავის საქორწინო ნადიმზე მიწვეულნი.“ და მითხრა მე: „ეს არის ღმერთის ჭეშმარიტი სიტყვები.“
- ¹⁰და დავემხე მის ფეხებთან, რომ თაყვანი მეცა მისთვის. და მეუბნება: „ამას ნუ იზამ. მე თანამსახური ვარ შენი და შენი ძმებისა, რომელთაც აქვთ იესოს მოწმობა. თაყვანი ეცი ღმერთს, რადგან იესოს მოწმობა წინასწარმეტყველების სულია.“
- ¹¹და ვიხილე გახსნილი ცა, და აჰა, თეთრი ცხენი და მისი მხედარი, რომელსაც ეწოდება სარწმუნო და ჭეშმარიტი, რომელიც სიმართლით განსჯის და იბრძვის.
- ¹²და მისი თვალები როგორც ცეცხლის ალი, თავზე მრავალი დიადემა ადგას და ზედ წარწერილი აქვს სახელი, რომელიც მის გარდა არავინ იცის.
- ¹³მოსავს სისხლით შეღებილი სამოსი და სახელად წოდებული აქვს: „ღმერთის სიტყვა.“
- ¹⁴და ციური ლაშქარი მისდევს მას თეთრი ცხენებით, თეთრი და წმიდა ბისონით შემოსილი.



¹⁵მისი პირიდან გამოდის ბასრი მახვილი, რომელიც შემუსრავს ერებს. და ის დამწყემსავს მათ რკინის კვერთხით. ის წურავს ყოვლისმპყრობელი ღმერთის მძვინვარე რისხვის ღვინის საწნახელს.

¹⁶და მის სამოსზე და მის თემოზე დაწერილია სახელი: „მეფეთა მეფე და უფალთა უფალი.“

¹⁷და ვიხილე მზეზე მდგარი ერთი ანგელოზი. და დაიყვირა დიდი ხმით და უთხრა ყოველ ფრინველს, რომელიც კი დაფრინავდა ზეცაში: „მოდით, შემოკრბით ღმერთის დიდ სერობაზე,

¹⁸რომ ჭამოთ მეფეთა ხორცი, ათასისთავთა ხორცი, ძლიერთა ხორცი, ცხენთა და მხედართა ხორცი, ყველა თავისუფლისა და მონის, დიდისა და პატარის ხორცი.“

¹⁹ვიხილე მხეცი და დედამიწის მეფენი და მათი ლაშქარი შეკრებილი, რათა შეზმოდნენ მხედარსა და მის ლაშქარს.

²⁰და შეპყრობილ იქნა მხეცი და მასთან ერთად ცრუწინასწარმეტყველი, რომელიც სასწაულებს ახდენდა მის წინაშე, რომლითაც აცდუნა მხეცის ნიშნის მიმღებნი და მისი ხატის მოთაყვანენი; და ორივე ცოცხლად იქნა ჩაგდებული ცეცხლის ტბაში, რომელიც გოგირდით იწვოდა.

²¹დანარჩენები დაიხოცნენ მახვილით, რომელიც ცხენზე ამხედრებულის პირიდან გამოდიოდა, და ყველა ფრინველი გაძლა მათი ხორცით.

აპოკალიპსისი 20

¹და ვიხილე ზეციდან გადმომავალი ანგელოზი, რომელსაც ხელთ ჰქონდა უფსკრულის კლიტე და დიდი ჯაჭვი.

²და შეიპყრო ურჩხული, ძველი გველი, რომელიც არის ეშმაკი და სატანა, და შებორკა ათასი წლით.

³და ჩააგდო იგი უფსკრულში, ჩაკეტა და დაადო ბეჭედი, რათა ვეღარ აცდუნოს ერები, ვიდრე ათასი წელი არ შესრულდება. ამის შემდეგ კი უნდა აეშვას მცირე ხნით.

⁴ვიხილე ტახტები და მათზე მსხდომნი, და მათ მიეცათ სამსჯავრო. და ვიხილე იესოს მოწმობისა და ღმერთის სიტყვისათვის თავმოკვეთილთა სულები, რომლებმაც თაყვანი არ სცეს მხეცს, არც მის ხატს და არ მიიღეს მისი ნიშანი თავიანთ შუბლზე და ხელზე. და გაცოცხლდნენ და მეფობდნენ ქრისტესთან ერთად ათას წელს.



⁵დანარჩენი მკვდრები კი არ გაცოცხლდნენ, ვიდრე არ შესრულდა ათასი წელი. ეს არის პირველი აღდგომა.

⁶ნეტარნი და წმიდანი არიან ისინი, ვისაც წილი უდევს პირველ აღდგომაში. მათზე ხელმწიფება არა აქვს მეორე სიკვდილს, არამედ იქნებიან ისინი მღვდლები ღმერთისა და ქრისტესი და იმეფებენ მასთან ერთად ათას წელს.

⁷და როდესაც შესრულდება ათასი წელი, აეშვება სატანა თავისი საპყრობილიდან

⁸და გამოვა, რათა შეაცდინოს ერები დედამიწის ოთხივე კუთხეში – გოგი და მაგოგი – და შეკრიბოს ისინი საბრძოლველად; მათი რიცხვი ზღვის ქვიშასავითაა.

⁹და ამოვიდნენ დედამიწის ზურგზე, გარს შემოერთყნენ წმიდათა ბანაკს და საყვარელ ქალაქს. და გადმოვიდა ცეცხლი ციდან და შთანთქა ისინი.

¹⁰ხოლო ეშმაკი, რომელმაც აცდუნა ისინი, ჩაგდებულ იქნა ცეცხლისა და გოგირდის ტბაში, სადაც არიან მხეცი და ცრუწინასწარმეტყველი, და დაიტანჯებიან ისინი დღე და ღამე, უკუნითი უკუნისამდე.

¹¹და ვიხილე დიდი თეთრი ტახტი და ზედ მჯდომი, რომლის სახესაც გაურბოდა ცა და მიწა, და არ იპოვებოდა მათთვის ადგილი.

¹²და ვიხილე მკვდრები, დიდები და პატარები, რომლებიც ტახტის წინ იდგნენ. და წიგნები გადაშლილი იყო. სხვა წიგნიც გადაიშალა, რომელიც არის სიცოცხლის წიგნი, და განისაჯნენ მკვდრები წიგნებში ნაწერიდან, მათ საქმეთამებრ.

¹³და გადასცა ზღვამ მასში მყოფი მკვდრები, და სიკვდილმა და ჯოჯოხეთმა გადასცეს მათში მყოფი მკვდრები, და თითოეული გასამართლდა მის საქმეთამებრ.

¹⁴და სიკვდილი და ჯოჯოხეთი ჩაყრილ იქნენ ცეცხლის ტბაში. ეს არის მეორე სიკვდილი: ცეცხლის ტბა.

¹⁵და ვინც არ იყო ჩაწერილი სიცოცხლის წიგნში, ცეცხლის ტბაში იქნა ჩაგდებული.

აპოკალიპსისი 21

¹და ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა, რადგან პირველი ცა და პირველი მიწა გარდავიდნენ, და ზღვა აღარ იყო.

²და ვიხილე წმიდა ქალაქი, ახალი იერუსალიმი, გარდამოშვებული ციდან ღმერთისგან, გამზადებული, როგორც ქმრისათვის შემკული სასძლო.



³და გავიგონე ტახტიდან დიდი ხმა, რომელიც ამბობდა: „აჰა, ღმერთის სავანე კაცთა შორის! და ის დამკვიდრდება მათთან, ისინი იქნებიან მისი ხალხი და თავად ღმერთი იქნება მათთან.

⁴და მოსწმენდს ყოველ ცრემლს მათი თვალებიდან და აღარ იქნება სიკვდილი, არც გლოვა, არც კვნესა, არც ტკივილი, რადგან წინანდელი უკვე გარდავიდა.“

⁵და თქვა ტახტზე მჯდომმა: „აჰა, ვქმნი ყოველივეს ახალს.“ და მეუბნება: „დაწერე, რადგან ეს სიტყვები სარწმუნო და ჭეშმარიტია.“

⁶და მითხრა მე: „აღსრულდა! მე ვარ ალფა და ომეგა, დასაბამი და დასასრული. მე მივცემ მწყურვალს სიცოცხლის წყლის წყაროდან უსასყიდლოდ.

⁷გამარჯვებული დაიმკვიდრებს ყველაფერ ამას და მე ვიქნები მისთვის ღმერთი და იგი იქნება ჩემი მე.

⁸ხოლო მხდალთა და ურწმუნოთა, შებილწულთა და მკვლელთა, გარყვნილთა და გრძნეულთა, კერპთაყვანისმცემელთა და ყველა ცრუთა ხვედრი ტბაშია, რომელიც იწვის ცეცხლში და გოგირდში, რაც მეორე სიკვდილია.“

⁹და მოვიდა ერთი იმ შვიდ ანგელოზთაგან, რომელთაც შვიდი უკანასკნელი წყლულით სავსე შვიდი თასი ჰქონდათ, და მითხრა: „მოდი და გიჩვენებ სძალს, კრავის ცოლს.“

¹⁰ამიყვანა სულით დიდსა და მაღალ მთაზე და მიჩვენა წმიდა ქალაქი იერუსალიმი, გარდამომავალი ციდან ღმერთისაგან,

¹¹ღმერთის დიდებით მოსილი. მისი ნათება იყო მსგავსი პატიოსანი ქვისა, იასპისა – ბროლივით კრიალასი.

¹²ჰქონდა გალავანი, დიდი და მაღალი, ჰქონდა 12 კარიბჭე და კარიბჭეებზე 12 ანგელოზი და ზედ წარწერილი სახელები ისრაელის ძეთა 12 ტომისა.

¹³აღმოსავლეთიდან სამი კარიბჭე, ჩრდილოეთიდან სამი კარიბჭე, სამხრეთიდან სამი კარიბჭე და დასავლეთიდან სამი კარიბჭე.

¹⁴ქალაქის გალავანს ჰქონდა 12 სამირკველი და მათზე იყო კრავის 12 მოციქულის სახელები.

¹⁵ჩემთან მოლაპარაკეს ჰქონდა გასაზომად ოქროს ლერწამი, რათა გაეზომა ქალაქი, მისი კარიბჭეები და მისი გალავანი.



¹⁶ქალაქი ოთხკუთხედად მევს. და მისი სიგრძე სიგანის ტოლია. და გაზომა მან ქალაქი ლერწმით 12 ათასი სტადიონი. და მისი სიგრძე, სიგანე და სიმაღლე ტოლი იყო.

¹⁷და გაზომა მისი გაღავანი 144 წყრთა, კაცის საზომით, რომელიც ანგელოზისაჲც არის.

¹⁸მისი გაღავნის ნაგებობა იასპის იყო, ხოლო ქალაქი – შუმასავით მოელვარე წმიდა ოქროსი.

¹⁹ქალაქის გაღავნის საძირკვლები შემკულია ყოველნაირი ძვირფასი ქვებით. პირველი საძირკველი იყო იასპი, მეორე – საფირონი, მესამე – ქალკიდონი, მეოთხე – ზურმუხტი,

²⁰მეხუთე – სარდონიქსი, მეექვსე – სარდიონი, მეშვიდე – ქრიზოლითი, მერვე – ბივრილი, მეცხრე – ტოპაზი, მეათე – ქრისოპრასი, მეთერთმეტე – იაკინთი, მეთორმეტე – ამეთვისტო.

²¹12 კარიბჭე – 12 მარგალიტია. ყოველი კარიბჭე თითო მარგალიტი, ხოლო ქალაქის ქუჩა – შუმასავით მოელვარე სუფთა ოქრო.

²²ტაძარი კი ვერ ვიხილე მასში, რადგან მისი ტაძარი ყოვლისმპყრობელი უფალი ღმერთია და კრავი.

²³ქალაქს არ სჭირდება არც მზე, არც მთვარე გასანათებლად, რადგან ღმერთის დიდება ანათებს მას და კრავია მისი სანთელი.

²⁴ხალხები ივლიან მის ნათელზე, და დედამიწის მეფეები მიიტანენ იქ თავიანთ დიდებას.

²⁵მისი კარიბჭეები დღისით არ დაიკეტება, რადგან ღამე არ იქნება იქ.

²⁶და მიიტანენ იქ ერების დიდებასა და პატივს.

²⁷და ვერ შევა მასში უწმიდური და ვერც სიბილწისა და სიცრუის ჩამდენი, არამედ მხოლოდ ისინი, ვინც ჩაწერილნი არიან კრავის სიცოცხლის წიგნში.

აპოკალიპსისი 22

¹და მაჩვენა ცოცხალი წყლის მდინარე, ბროლივით კრიალა, რომელიც ღმერთისა და კრავის ტახტიდან მოედინებოდა.

²მისი ქუჩის შუაგულში და მდინარის გაღმა და გამოღმა სიცოცხლის ხეა, რომელიც ისხამს თორმეტგვარ ნაყოფს და ყოველ თვეში იძლევა ნაყოფს, ხოლო ხის ფოთლები ერების განსაკურნებლადაა.



³და დაწყებული არაფერი აღარ იქნება. ღმერთისა და კრავის ტახტი იქნება მასში და მისი მსახურები მოემსახურებიან მას.

⁴და იხილავენ მის სახეს, და მისი სახელი იქნება მათ შუბლზე.

⁵და აღარ იქნება იქ ღამე და აღარ დასჭირდებათ არც სანთლის ნათელი და არც მზის სინათლე, რადგან უფალი ღმერთი გაუნათებს მათ და იმეფებენ უკუნიითი უკუნისამდე.

⁶და მითხრა მე: „ეს სიტყვები სარწმუნო და ჭეშმარიტია. და წინასწარმეტყველთა სულების უფალმა ღმერთმა მოავლინა თავისი ანგელოზი, რათა ეჩვენებინა თავის მსახურთათვის, რაც უნდა მოხდეს მალე.“

⁷„და, აჰა, მე მოვალ მალე. ნეტარია, ვინც დაიცავს ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს.“

⁸მე, იოანემ, გავიგონე და ვიხილე ეს. და როცა მოვისმინე და ვიხილე, დავემხე თაყვანის საცემად იმ ანგელოზის ფეხით, რომელმაც მაჩვენა ყოველივე ეს, რათა თაყვანი მეცა.

⁹და მან მითხრა: „ნუ იზამ ამას, რადგან მე თანამსახური ვარ შენი და შენი წინასწარმეტყველი ძმების, და მათი, ვინც ინახავს ამ წიგნის სიტყვებს. ღმერთს ეცი თაყვანი.“

¹⁰და მეუბნება მე: „ნუ დაბეჭდავ ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვებს, რადგან ახლოა ჟამი.“

¹¹უსამართლო კვლავ უსამართლობდეს და წაბილწული კვლავ იბილწებოდეს, მართალი კვლავ სამართლიანობდეს და წმიდა კვლავ იწმიდებოდეს.

¹²აჰა, მოვალ მალე და ჩემი საზღაური ჩემთან არის, რათა თითოეულს მის საქმეთამებრ მივუზღა.

¹³მე ვარ ალფა და ომეგა, პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული.“

¹⁴ნეტარ არიან, რომლებიც იცავენ მის მცნებებს, რომ ჰქონდეთ ხელმწიფება სიცოცხლის ხეზე და კარიბჭით შევიდნენ ქალაქში.

¹⁵მის გარეთ არიან ძაღლები და გრძნეულები, მეძავები და კაცისმკვლელები, კერპთაყვანისმცემლები და სიცრუის ყოველი მოყვარული და ჩამდენი.



¹⁶„მე, იესომ, მოვავლინე ჩემი ანგელოზი, რათა დაგიმოწმოს ეს ეკლესიებში. მე ვარ დავითის ფესვი და შთამომავალი, განთიადის ბრწყინვალე ვარსკვლავი.“

¹⁷და სული და სასძლო ამბობენ: „მოდით!“ და ამის გამგონებაც თქვას: „მოდით!“ მწყურვალნი მოვიდეს და მსურველმა უსასყიდლოდ მიიღოს ცოცხალი წყალი.

¹⁸მე ვამოწმებ ყველასთვის, ვისაც ესმის ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვები: თუ ვინმე დაუმატებს მათ, ღმერთი დაუმატებს მას ამ წიგნში ჩაწერილ წყლულებს.

¹⁹თუ ვინმე რამეს დააკლებს ამ წინასწარმეტყველების წიგნის სიტყვებს, ღმერთი დააკლებს მას წილს სიცოცხლის ხისგან, წმიდა ქალაქიდან და იქიდან, რაც ამ წიგნშია ჩაწერილი.

²⁰ამბობს ამის დამმოწმებელი: „ჰე, მოვალ მალე!“ ამინ, მოდით, უფალო იესო!

²¹ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მაღლი იყოს ყველასთან.



Esclarecimento

Trata-se de iniciativa particular, com os seguintes objetivos: (i) colaborar para divulgação dos diversos textos bíblicos disponíveis, e, (ii) facilitar o acesso a esses textos, inclusive por meio de download.

Todo esforço em tornar a Palavra de Deus acessível a todos, em quaisquer localidades e falantes das mais diversas línguas, precisa ser um objetivo de todos os que são guiados pelo Espírito Santo. Ele inspirou o profeta Jeremias a dizer “não ensinará jamais cada um ao seu próximo, nem cada um ao seu irmão, dizendo: Conhece ao SENHOR, porque todos me conhecerão, desde o menor até ao maior deles, diz o SENHOR” (Jer. 31:34).

Jesus, também, falou assim: “e será pregado este evangelho do reino por todo o mundo, para testemunho a todas as nações” (Mat. 24:14).

Muitas organizações foram constituídas com o propósito de fazer a Bíblia disponível nas diversas línguas. Não é uma tarefa simples. Anos de trabalho, dedicação e entrega são necessários para esta tão extraordinária missão.

O texto deste trabalho está disponível na internet, em páginas eletrônicas de organizações que produzem ou divulgam bíblias, sem acréscimos de notas ou comentários. Assim, reconhecendo e respeitando os direitos que possuem sobre seus trabalhos, incumbe a todos os que amam a Palavra de Deus, o esforço em contribuir para amplificar sua divulgação.

Se possível, faça download do texto, para que sejamos, também, guardiões da Bíblia, e, com isso, preservando-a para as futuras gerações.

Divulga a Palavra de Deus, ela mostra o Caminho e permite a todos, que se conheça Sua vontade, em todos os lugares e épocas.

Marcel da Glória Pereira
2022, Vitória/ES - Brasil